

ენციკლოპედია ,,საქართველოს‘‘ მეხუთე ტომი გამოიცა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მხარდაჭერით.

თბილისი
2023

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II**, როინ **მეტრეველი** (თავმჯდომარე), ზურაბ **აბაშიძე** (თავმჯდომარის მოადგილე), ავთანდილ **არაბული**, გიორგი **კვესიტაძე**, ავთანდილ **კორახაშვილი**, ელგუჯა **მეძმარიაშვილი**, ვლადიმერ **პაპავა**, თინათინ **სადუნიშვილი**, ვლადიმერ **ციციშვილი**, თამაზ **ჭელიძე**, რამაზ **ხეცურიანი**, ჯონი **ხეცურიანი**, რამაზ **ხუროძე**, ელიზბარ **ჯაველიძე**, გიორგი **ჯაფარიძე**.

ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელები

ზაზა **აბზიანიძე**, გურამ **ალექსიძე**, ამირან **არაბული**, ნანა **ბოლაშვილი**, ელდარ **ბუბულაშვილი**, ალექსანდრე **ბუხნიკაშვილი**, ერეკლე **გამყრელიძე**, ვახტანგ **გოილაძე**, ლევან **დოლიძე**, როლანდ **დუდუჩავა**, დავით **თავხელიძე**, მიხეილ **თოქმაზიშვილი**, ირაკლი **იმედაძე**, თენგიზ **ირემაძე**, ლია **მელიქიშვილი**, დავით **მუსხელიშვილი**, გიორგი **ნახუცრიშვილი**, შოთა **სამსონია** †, მინდია **უგრეხელიძე**, რამაზ **შენგელია**, თამაზ **ჯოლოგუა**.

კონსულტანტები

მარინე **ალექსიძე**, გონელი **არახამია**, ბარამ **ბარამიძე**, ნომადი **ბართაია**, გაბრიელ **ბარჯაძე**, მიხეილ **ბახტაძე**, უჩა **ბლუაშვილი**, კონსტანტინე **ბურჯანაძე**, რევაზ **გაჩეჩილაძე**, მამუკა **გოგიტიძე**, დავით **გურგენიძე**, ლაურა **გრიგოლაშვილი**, ალექსანდრე **დიდებულიძე**, მარინე **კერესელიძე**, ვახტანგ **კვარაცხელია**, ირინა **კვაჭაძე**, არჩილ **კოხრეიძე**, ნანა **ლოლაძე**, ლია **ლორთქიფანიძე**, მიხეილ **მანია**, გიორგი **მარსაგიშვილი**, მიხეილ **მახარაძე**, გივი **მეტრეველი**, ელდარ **ნადირაძე**, თამაზ **ნატრიაშვილი**, ნარგიზა **ნინუა**, ოთარ **ჟორდანია**, რუსუდან **რუსიშვილი**, ზაზა **სოფრომაძე**, თენგიზ **უთმელიძე**, ნინო **ფარცვანია**, არჩილ **ფრანგიშვილი**, მიხეილ **ქავთარია** †, რუსუდან **ქუთათელაძე**, ნოდარ **შენგელია**, დიმიტრი **შველიძე**, ნოდარ **ჩხარტიშვილი**, ხათუნა **ფიკლაური**, მამუკა **ფურფუმია**, ესტატე **ხმალაძე**, ზურაბ **ჯანელიძე**.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მუდმივი მხარდაჭერისათვის გულწრფელ მადლობას მოახსენებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ ,,**ქართუს**‘‘.

ენციკლოპედია ,,საქართველო‘‘ განთავსებულია
ვებ-გვერდზე georgianencyclopedia.ge

საქართველო

ენციკლოპედია



კვირადღე – მედიაცია

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი საშეცნიერო redაქცია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარი რედაქტორი – ზურაბ აბაშიძე, **მთავარი რედაქტორის მოადგილე** – პაატა ჟიფიანი (2020-მდე – გიორგი ლორთქიფანიძე †), **პასუხისმგებელი მდივანი** – ზურაბ ჭელიძე, **პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე** – ნანა ბლიაძე (2023-ის ოქტომბრამდე – პაატა სურგულაძე). **მენეჯერი** – კონსტანტინე რომანოვი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და კარტოგრაფიის რედაქცია. რედაქციის გამგე – ცარო ვაშაკიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ეთერ ლოლუა †, მანანა მელიქსეთბეგი.

ეკონომიკისა და სამართლის რედაქცია. რედაქციის გამგე – ლია აბრამიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: მარიკა კლდიაშვილი, ია უჯმაჯურიძე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქცია. რედაქციის გამგე – საბა მეტრეველი (2023-ის ნოემბრამდე – თამარ დოლიძე); წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ირინე აბაშიძე, თამაზ გერსამია, მარინე თუშიშვილი, თეა კახიანი, ლიანა ძნელაძე, მზია ჯაფარიძე.

ისტორიის რედაქცია. რედაქციის გამგე – მარიამ ზალდასტანიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლიანა მანიავა, თამარ მარგველაშვილი.

მედიცინის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის რედაქცია. რედაქციის გამგე – სოფიო ბაძრაძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი აბაშიძე, ნინო ფივფივაძე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა რედაქცია. რედაქციის გამგე – თეა ალიბეგაშვილი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია. რედაქციის გამგე – თამაზ დვალი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლალი მოწონელიძე, თამარ რუსიშვილი; რედაქტორი – ანა დვალი.

სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის, სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის რედაქცია. რედაქციის გამგე – ნელი ძაფიანიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: მედეა ბაზაძე, ნოდარ გიოშვილი †, ირინა გოგოლაშვილი, მთვარისა სილაგაძე, იზაბელა ჩარკვიანი, გიორგი ჩინჩალაძე, დარეჯან ხიდეშელი.

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ტექნიკის რედაქცია. რედაქციის გამგე – პეტრე მამრაძე (2022-მდე – ილია ლომიძე); წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: თინა არსენაძე, ზაზა გორგაძე, ლიანა ნაკაიძე.

საკორექტორო. გამგე – ნანა მექვაბიშვილი (2021-მდე – ლეილა საათაშვილი †); კორექტორი – თამარ დემეტრაშვილი.

ბიბლიოთეკა. გამგე – ნინო გოცირიძე.

დამკაბადონებელი – კარინა ხარაზიშვილი.

კომპიუტერული ცენტრი. უფროსი ოპერატორი – იზოლდა მოსიძე; ოპერატორები: ნანა გიორგაძე, ციალა ხითაროვა.

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია
ISBN 978-99928-20-30-8

რედაქციისაგან

ენციკლოპედია ,,საქართველოს‘‘ V ტომში (**კვირადღე – მედიაცია**) განთავსებულია 3000-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და 800-მდე ფოტო, რუკა და ილუსტრაცია.

ცნობილია, რომ ენციკლოპედია ერის ერთგვარი პასპორტი, მისი კულტურისა და განათლების დონის გამოხატულებაა, სადაც განთავსებულია ცნობები ქვეყნის მატერიალურ და სულიერ კულტურასა და ისტორიის ყველა მონაპოვარზე, განსაზღვრულია მისი როლი და ადგილი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

მკითხველი გაეცნობა საქართველოს შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა თუ მოღვაწეზე, ასევე იმ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებზე, რომლებმაც კვალი დააჩნიეს ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

წინამდებარე გამოცემის საფუძველს წარმოადგენს მონაცემები, რომლებიც განთავსებულია პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის მრავალტომეულსა (ქსე) და რედაქციის მიერ მომზადებულ სხვა საენციკლოპედიო გამოცემებში.

დიდი ადგილი ეთმობა ქართულ ემიგრაციასა და დღემდე ნაკლებად ცნობილ მოვლენებსა თუ პიროვნებებს, ეკოლოგიას, თანამედროვე ეკონომიკასა და ფინანსებს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობას.

ენციკლოპედია ,,საქართველოს‘‘ V ტომი, ობიექტურ მიზეზთა გამო (,,კოვიდ-19‘‘-ის პანდემია), დაგვიანებით გამოდის, რადგან შექმნილ მდგომარეობაში გართულდა სტატიების ავტორებთან და შესაბამისი დარგების სპეციალისტებთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია.

2023 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ენციკლოპედიის ახალმა ვებ-გვერდმა (georgianencyclopedia.ge). ციფრული სტატიები გამდიდრებულია სქემებით, რუკებით, ილუსტრაციებით, ფოტომასალით, ტექსტში ჩართულია ვიდეო და აუდიო მასალა. ინფორმაცია მუდმივგანახლებადია, რაც უზრუნველყოფს მასალის მაღალ სამეცნიერო და საინფორმაციო ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ სტატიების ნაწილი ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ ,,საქართველოს‘‘ მე-5 ტომში პირველად ქვეყნდება და ამგვარად, პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.

თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებითა და ინფორმაციის სიუხვით გამოწვეული გლობალური დეზინფორმაციის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენციკლოპედიაში განთავსებული მასალების სამეცნიერო სანდოობის მაღალი ხარისხი.

ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს, სამეცნიერო სექციების წევრები და კონსულტანტები არიან შესაბამისი დარგების მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერები.

წიგნში შეტანილია 2023 წლის აპრილამდე მოპოვებული მასალა.

რედაქცია დიდი მადლობით მიიღებს და გაითვალისწინებს ტომთან დაკავშირებულ ყველა ღირებულ შენიშვნას.

როგორ ვისარგებლოთ ენციკლოპედიით

ენციკლოპედია ,,საქართველოში‘‘ სტატიები მათი სახელწოდებების (ტერმინების) მიხედვით ანბანზეა დალაგებული, ამასთან, გათვალისწინებულია სტატიის სახელწოდებაში შემავალი ყველა სიტყვის (გარდა ფრჩხილებში ჩასმულისა) ასოთა ანბანური რიგი. ტერმინი, ჩვეულებრივ, მხოლობით რიცხვშია მოცემული, თუ იგი სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითის ფორმით არ არის დამკვიდრებული. თანამოსახელე ტერმინები გაწყობილია ქრონოლოგიის, მნიშვნელობის, წარმომავლობა-სადაურობის მიხედვით, მეფეებისა და სხვათა სახელები – ნუმერაციის მიხედვით (**გიორგი I**, **გიორგი II** და ა. შ.); აქ ნუმერაციის სახელწოდება ანბანურ რიგს არ ექვემდებარება. ასევე, **გიორგი V გურიელი** მოიძებნება **გიორგი გურიელზე** (გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ციფრს ბრუნვის ნიშანი ახლავს. მაგ., **აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში**).

თუ სტატიის სახელწოდება ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება, უპირატესად წარმოდგენილია პირდაპირი წყობით, მაგ., **გურჯაანის ყველაწმინდა**. ზოგჯერ გამოყენებულია ინვერსიული (შებრუნებული) წყობაც, მაგ., **ემბრიოლოგია** მცენარეთა (ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე აზრობრივად მთავარი სიტყვაა). თუ სტატიის სახელწოდებას მოსდევს მისგან მძიმით გამოყოფილი (ან ფრჩხილებში ჩასმული) და დაყოფით აწყობილი ერთი ან რამდენიმე სიტყვა, ეს ნიშნავს, რომ იგი ძირითადი ტერმინის პარალელურად იხმარება, მისი სინონიმი ან დაზუსტებაა. მაგ., **გიორგი მთაწმიდელი**, გიორგი ათონელი; დონის მონასტერი მოსკოვში და ა.შ. ზოგჯერ შემოკლებულია მრავალსიტყვიანი ტერმინი, რაც ენციკლოპედიური გამოცემის სპეციფიკით არის განპირობებული. ასეთ შემთხვევაში ტერმინის სრული ფორმა ან მისი ნაწილი აწყობილია დაყოფით. მაგ., რუსთაველის თეატრი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი.

უცხოური წარმოშობის ტერმინს ერთვის ეტიმოლოგიური ცნობა; როცა ერთნაირი სახელწოდების სტატიები ერთიმეორის მიყოლებით არის დალაგებული და ეს სიტყვები ერთი და იმავე წარმომავლობისაა, ეტიმოლოგიური ცნობა ახლავს მხოლოდ ერთ მათგანს, როგორც წესი – პირველს.

იმ სტატიების სახელწოდებებს, რომლებიც ეძღვნება საზღვარგარეთის მოღვაწეებს,

პერიოდულ გამოცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ა. შ., ფრჩხილებში მოსდევს დედაენისეული დაწერილობა. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ ენების მიმართ, რომლებიც ლათინური გრაფიკით სარგებლობენ. ბერძნული სახელწოდებების (ტერმინების) დედაენისეული დაწერილობა ლათინური ტრანსლიტერაციითაა მოცემული, ბიბლიოგრაფიაში კი გამოყენებულია სლავური, სომხური და ბერძნული დაწერილობაც. ზოგიერთი სახელგადარქმეული გეოგრაფიული პუნქტის ისტორიული და არქიტექტურული ცნობები მოცემულია ამ პუნქტის ძველ (ისტორიულ) სახელთან. საქართველოსა და რუსეთში 1918 წლამდე მომხდარი ისტორიული მოვლენები დათარიღებულია ძველი სტილით. ორივე სტილით (ძველით და ახლით) თარიღდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები.

ბიოგრაფიულ სტატიებში გვარისა და სახელის შემდეგ ფრჩხილებში დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია. საქართველოსა და იმ ქვეყნებში, რომლებიც არ გადავიდნენ წელთაღრიცხვის ახალ სტილზე, 1918 წლამდე დაბადებულთა და გარდაცვლილთა თარიღები მოცემულია როგორც ძველი, ისე ახალი სტილით (თარიღი ახალი სტილით ფრჩხილებშია ჩასმული), ხოლო ერთი თარიღი მოცემულია მხოლოდ მაშინ, როცა არსებული თარიღის სტილი უცნობია. როცა თარიღი საერთოდ დადგენილი არ არის, სტატიაში აღნიშნულია მოღვაწეობის საუკუნე, პერიოდი. თარიღის შემდეგ, ჩვეულებრივ, მითითებულია დაბადებისა და გარდაცვალების ადგილი (თუ გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილები განსხვავებულია, მაშინ მოცემულია დაკრძალვის ადგილიც). ცნობები პიროვნების სახლ-მუზეუმზე ახლავს მის ბიოგრაფიას.

მეფის შთამომავალი ბაგრატიონები მოხსენიებული არიან სახელებითა და ბატონიშვილებად, გვერდითი შტოს წარმომადგენლები – გვარებით, კათოლიკოსები – სახელებით. არაბული საკუთარი სახელები, რომელთაც ,,ალ'' არტიკლი დაერთვის, მოიძებნება სახელის ძირითად ნაწილზე (,,ალ'' ანბანური რიგის სათვალავში არ შედის და ნუსხურით არის აწყობილი).

ენციკლოპედიაში ფართოდაა გამოყენებული მითითებათა სისტემა. მაგ., სტატიაში ხშირად კურსივითაა აწყობილი რომელიმე ტერმინი, რითაც მკითხველი დამატებით ინფორმაციას იღებს (ცნობილსა და ხშირად განმეორებად ტერმინზე მითითება არ კეთდება). ილუსტრაციები და რუკები მოთავსებულია ტექსტში (თუ ილუსტრაცია ან რუკა სტატიას არ ახლავს, მინიშნებულია მათი ადგილი). გარკვეული კატეგორიის ბიოგრაფიულ სტატიებთან წარმოდგენილია ფოტოსურათები. თუ ორი ან მეტი პიროვნების გვარი და ინიციალები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ პორტრეტების გასარჩევად გამოყენებულია თარიღები.


სიტყვათა დამკვიდრებული შემოკლებების გარდა (,,მაგ.'', ,,ე. ი.'', ,,ა. შ.'' და სხვ.), ენციკლოპედიაში გამოყენებულია საენციკლოპედიო გამოცემებში მიღებული შემოკლებები. თუ სტატიის სახელწოდება ტექსტში მეორდება, იგი, როგორც წესი, აღნიშნულია სახელწოდებაში შემავალ სიტყვათა პირველი ასოებით, რომლებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშნები. წელიწადის აღმნიშვნელ რიცხვებს სიტყვა ,,წელიწადი''

(,,წ.'') არ ახლავს. ნაწარმოების (ლიტერატურული, მეცნიერული, მუსიკალური და სხვ.) დასახელების შემდეგ ფრჩხილებში მოცემული რიცხვები მისი პირველი გამოქვეყნების, შექმნის, შესრულების (დადგმის) თარიღია. პრემიის, სამეცნიერო ხარისხის, წოდებისა და სხვ. დასახელების შემდეგ ფრჩხილებში ჩასმულია მათი მინიჭების თარიღი.

სიდიდეებისა და სიდიდეთა ერთეულების სახელწოდებები, მათი აღნიშვნები ენციკლოპედიაში წარმოდგენილია ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (სი) მიხედვით. ენციკლოპედიის მკითხველებს ამ სისტემაზე გადასვლა რომ გაუადვილდეთ, ზოგჯერ ფრჩხილებში მოცემულია ადრე მიღებული აღნიშვნებიც.

მრავალი სტატიის ტექსტში ან ცალკე, სტატიის ბოლოს, მოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობები. შიდასატექსტე ბიბლიოგრაფიული ცნობა სტატიის ბოლოს, როგორც წესი, აღარ მეორდება (გამონაკლისია თვისებრივად განსხვავებული უახლესი გამოცემა და უცხოენოვანი ავტორის თხზულება).

თხზულებები, რომლებიც პერსონალიას ახლავს, ძირითადად განლაგებულია ქრონოლოგიურად (ასეთივეა რუბრიკები – გამოც., პუბლ.), ხოლო რუბრიკებში ლიტერატურა და წყარო – ანბანურად.



კვირადღე, კვირა, იხ. სტ. *კვირა.*

კვირაია შოთა ოთარის ძე (5. VI. 1952, სენაკი, – 10. I. 2011, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), გენერალ-ლეიტენანტი (1993). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო (1977) და თსუ-ის იურიდ. (1987) ფაკ-ტები. 1977–90 მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1992 მიენიჭა გენ.-მ-ის წოდება. იყო საქართვ. რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე (1992), საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რის I მოადგილე (1992–93), შს მინისტრი (1993–95), საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრი (1995–97). 1997-იდან ცხოვრობდა რუსეთში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1995).

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

კვირაცხოვლისძედი, მთა გორის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 2476 *მ.* აგებულია შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით. ჰ-ის კალთები შემოსილია ალპ. და სუბალპური მდელოებით. კალთების ქვედა სარტყელში ფოთლოვანი ტყეა.

კვირაცხოვლობა, ქრისტიანული დღესასწაული, აღინიშნება აღდგომის სწორ კვირადღეს, აღდგომის დღესასწაულის განახლებაა. ჰ-ს მეორენაირად თომას კვირას უწოდებენ, რადგან ამ დღეს ქრისტიანები იხსენებენ მოციქულ თომას რწმენაში შესვლის სასწაულს. აღდგომის დღეს, როდესაც მაცხოვარი თავის მოწაფეებს გამოეცხადა, თორმეტთაგან ერთმა, თომა მოციქულმა, რ-იც ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, უფლის მკვდრეთით აღდგომა არ ირწმუნა. აღდგომიდან მერვე დღეს მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს, ამჯერად თომას თანდასწრებით, მოუწოდა მას მისულიყო და ხელით შეხებოდა მის ჭრილობებს. თომა მუხლებზე დაეცა და სიტყვებით – ,,უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო'' ქრისტეს აღდგომა და ღვთაებრიობა აღიარა. ჰ-ს ეკლესიაში აღდგომისათვის საგანგებოდ გამომცხვარი პური – ,,არტოსი'' – რიგდება, რ-იც მორწმუნეთათვის დიდი სიწმინდეა.

საქართველოში ჰ-ს, რელიგიური ხასიათის გარდა, ხალხური დღესასწაულის სახეც ჰქონდა. თბილისში, სახელდობრ, ამ დღეს ჩულურეთის კვირაცხოვლის ეკლესიასთან დიდი ზეიმი იმართებოდა. წირვის შემდეგ იწყებოდა ბურთის თამაში. ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ბურთის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა. მათ სწამდათ, რომ გამარჯვების შემთხვევაში მთელი წელი სიუხვე და ბარაქა არ მოაკლდებოდათ. ამ რწმენის საფუძველზე თამაშის დასრულებისას ბურთს ანაკუწებდნენ და ინაწილებდნენ. XIX ს-ში ჩულურეთის ფერდობზე ბურთის მაგივრად სააღდგომო წითელ კვერცხებს აგორებდნენ. ვისი კვერცხიც შორს გაგორდებოდა, მოგებულიც ის რჩებოდა. ამ ტრადიციის გამო ჩულურეთის გორას ,,წითელ გორასაც'' უწოდებდნენ.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.

თ. ბერიძე.

კვირია, ნაყოფიერების წინაქრისტიანული ღვთაება საქართველოში, განასახიერებდა გაზაფხულზე ბუნების აღორძინებას. ქართველ მთიელთა რწმენა–წარმოდგენებით ღვთისშვილთა წინამძღოლი, ღვთის კარზე „მოარული“, „ხმელთ-მოურავი“, „მაღლის ხთის მოკარე/მოკარვე“. ჰ-ს სახელი მომდინარეობს ბერძნულიდან; კვირა – საღვთო, საუფლო დღე, რ-იც იმპ. კონსტანტინე დიდმა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად რომის იმპერიის მთავარ სადღესასწაულო დღედ გამოაცხადა (321).

საქართველოში ჰ-ს დღეობას აღდგომის მე-3 კვირას, მენელსაცხებლე დედების ხსენების დღეს აღნიშნავდნენ. რასაც მკვლევრები ქართლის მოქცევასა და მცხეთის ჯვრის დღესასწაულს უკავშირებენ.

აღმ. საქართ. მთიელთა საწესო ტექსტებში ღმერთი და ჰ. ერთად იხსენიება: „ხთისა, კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვის მახსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით“ (ხალხ.). ჰ-ს შესთხოვდნენ შვილიერებას, მოსავლის სიუხვეს, საქონლის დაცვა-გამრავლებას, ლაღიან-ბარაქიანობას, თვალის სინათლეს, ქარ-სეტყვის, მიწისძვრის თავიდან აცილებას. ხალხური წარმოდგენით ჰ. ეხმარებოდა ღვთისშვილებს დევ-კერპების განადგურებაში. მასვე ებარა სამართალი: „გარმოდგეს სასწორი ჩარექი კვირავ, დაუგი თვალია“ (ხალხ.). მისი ხალხ. ეპითეტები იყო – „კვირაცხოველი“, „კვირაძალი“, „კვირაღვთისშვილი“. მოხევეები კვირაღვთისშვილს უწოდებდნენ ლითონის პატარა ხატს იესო ქრისტეს გამოსახულებით, რ-საც ამკობდნენ ყელსაბამით, ბეჭდებით, ღილებით. სვანეთში ჰ-ს სადიდებელ საფერხულო სიმღერებს ასრულებდნენ კალენდარულ სახალხო-რელიგიურ დღეობებზე. ჰ-ს სახელზე არსე-



გ. კვირიკაშვილი.



ი. კვირიკაძე.

ბობს ეკლესია სოფ. ართანაში (თელავის მუნიციპ.). არსებობს მოსაზრება, რომ კულტონიმი *კ.* ქრისტეს ერთ-ერთი ხალხ. ეპითეტია.

ლიტ.: ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; გუჯეჯიანი რ., ჩამგელიანი მ., ცინცაძე დ., „კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, წგ.: სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011; კიკნაძე ზ., ხუციშვილი ქ., მინდაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, თბ. 2018; ლეკიაშვილი ა., ქართველ მთიელთა რელიგიური გადმონაშთების ინტერპრეტაციისათვის (ღვთაება კვირიას სახელები და ეპითეტები), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის (მსე), ნაკვ. 23, XXIII, თბ., 1987; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ., 1, თბ., 1979 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 1).

გ. ჩინჩალაძე.

„კვირია“, წარმართულ ღვთაება კვირიასთან დაკავშირებული საწესო სიმღერა-საგალობელი სვანეთში. კვირიას ხსენებითა და სადიდებლით იწყება ყოველი საუფლო ლოცვა. შემსრულებლები სიმღერისას პირს აღმოსავლეთისაკენ იბრუნებენ. „კ-ს“ ასრულებენ *კვირიკობისა* და *მურყვამობის* დღესასწაულებზე დროშის გამოსვენებისა და უკან შებრძანების დროს, აგრეთვე ბედნიერი მიცვალებულისათვის (ასაკოვანი პიროვნება, რ-იც გვარში თავისზე უმცროსის სიკვდილს არ მოსწრებია) და კარგი ამინდის გამოსათხოვად (კვირიოლა).

ლიტ.: გაბისონია თ., პირველად ღმერთი ვახსენოთ (ქრისტიანობა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში), «მუსიკა», 2012, №3; ჩიჯავაძე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.

ნ. კალანდაძე.



ი. კვირიკაძე. კადრი ფილმიდან „ქალაქი ანარა“. მსახიობები: ბ. წიფურია, ე. მანჯგალაძე, ს. თაყაიშვილი, დ. პაპუაშვილი. 1976.

კვირიასხევი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (ღულელების თემში), ერწოს ქვაბულში. ზ. დ. 1045 *მ,* თიანეთიდან 31 *კმ.* 17 მცხ. (2014).

კვირიაული, სოფელი აჭარის არის შუახევის მუნიციპალიტეტში, მდ. გუდანისწყლის (აჭარისწყლის აუზი) ნაპირზე. უჩამბის თემის ცენტრი (სოფლები: კ., გოგაძეები, ლაკლაკეთი, მოფრინეთი, სამოლეთი, ტბეთი, ცინარეთი, წაბლანა, ჯაბნიძეები). ზ. დ. 520 *მ,* შუახევიდან 7 *კმ.* 71 მცხ. (2014).

კვირიკაშვილი გიორგი ჯემალის ძე (დ. 20. VII. 1967, თბილისი), საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2015–18). 1991 დაამთავრა თსსი, 1995 – თსუ-ის ეკონომიკის ფაკ-ტი. 1998 მიიღო ფინანსების მაგისტრის ხარისხი ილინოისის უნ-ტში (აშშ). 1993–98 მუშაობდა გაერთიანებულ ქართულ ბანკში, 1999–2004 იყო საქართვ. პარლამენტის წევრი „მოქალაქეთა კავშირის“ სიით. 2000 დატოვა „მოქალაქეთა კავშირი“ და გახდა ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, 2006–11 მუშაობდა „ქართუ ბანკის“ გენ. დირექტორად. კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, 2012–15, იყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, 2013–15 – ვიცე-პრემიერი. 2015, რამდენიმე თვის განმავლობაში, ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. 2015 წ. 30 დეკემბრიდან დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. 2018 თანამდებობიდან გადადგა. 2018-იდან მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ასევე აზიის განვითარების ბანკის საერთ. კონსულტანტად.

კვირიკაძე თამარ კონსტანტინეს ასული (14. VIII. 1910, თბილისი, – 8. XII. 2005, იქვე), მუსიკის მცოდნე, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1982). 1937 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკ-ტის ისტორიის განყ-ბა (ხელმძღვ. ლ. დონაძე), ლენინგრადის კონსერვატორიაში გაიარა მეხუთე კურსი (პედაგოგები: ლ. გინზბურგი, ს. ბოგოიავლენსკი, ბ. არაპოვი), 1938–41 – ასპირანტურის კურსი (ხელმძღვ. ლ. დონაძე). 1935–2000 მოღვაწეობდა სხვადასხვა სამუს. სასწავლებელში, 1939-იდან პარალელურად – თბილ. კონსერვატორიაში (საზღვარგარეთის ქვეყნების მუს. ისტორიისა და კლასიკ. რუსული მუსიკის კურსები), როგორც ლექტორი – ეწეოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას საქართვ. სახელმწ. ფილარმონიაში.

დაკრძალულია თბილისის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, მეუღლის შ. აზმაიფარაშვილის გვერდით.

კვირიკაძე ირაკლი მიხეილის ძე (დ. 12. VII. 1939, თბილისი), კინორეჟისორი, სცენარისტი. დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1963) და კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (გ. ჩუხრაის სახელოსნო, 1968). „მოსფილმში“ საკუთარი სცენარით გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადამწყვეტი ნაბიჯი“ (1966); საქართველოში – „ქვევრი“ [ლ. პირანდელოს ნოველის მიხედვით, 1970; მთავარი პრიზი სატელევიზიო ფილმების საკავშ. (1971) და გრენობლის (საფრანგეთი) საერთაშ. კინოფესტივალებზე (1974)]; დოკუმენტური ფილმები: „პამირის მთებში“ (1971), „სადღეგრძელო“ (1974); მხატვრული ფილმები: „ქალაქი ანარა“ [1976; პრიზი გაბროვოს (ბულგარეთი), ლოკარნოს (შვეიცარია) საერთაშ. კინოფესტივალებზე], „მოცურავე“ [1981; მთ. პრიზი სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების საერთაშ. კინოფესტივალზე, 1987], „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“ (1990); „საუკეთესო ბებია“ (2009, რუსეთი), „რასპუტინი“ (რეჟ. ჟ. დაიანი, 2011, რუს.-საფრ.), რუს. ვერსიის სცენარისტი, რეჟისორი და მემონტაჟე, 2013.

კ. მუშაობს აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, რუსეთში, წერს სცენარებს. 1989 საფრანგეთის ყოველწლიური კონკურსის მთავარი პრიზი მიენიჭა მის სცენარს „დონ ჟუანის ცრემლები“, ამავე წელს აშშ-ში ჩატარებულ კონკურსზე „ჰარტლი-მერილის“ პრიზით აღინიშნა „ამერიკელი მეძავის“ სცენარი.

კ-ის სცენარებით გადაღებულია ანიმაციური ფილმები: „ტალანტი“ (რეჟ. ბ. შოშიტაიშვილი, 1981), „ახლა გამოფრინდება ჩიტი“ (რეჟ. ი. სამსონაძე, 1983), „ჟანგიანი რაინდი“ (1984), „ბობო“, (1985); ორივეს რეჟ. ლ. ჭყონია, „ლოკოკინა“ (რეჟ. ვ. ბახ-

ტაძე, 1986); მხატვრული ფილმები: ,,რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა'' (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1986), ,,ურჩხული, ანუ ვიღაც სხვა'' (რეჟ. ა. ფატხულინი, 1988, ,,უზბეკფილმი''), ,,ლიმიტა'' (რეჟ. დ. ევსტიგნეევი, 1994, ,,სტუდია 29''; რუსეთის კინოაკადემიის პრემია ,,ნიკა'', 1995), ,,შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი'' (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1996), ,,,,ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა'' (2000), ,,ფოსტალიონი'' (2003), ,,მეტეოიდიოტი'' (2008; სამივეს რეჟ. ნ. ჯორჯაძე); სატელევიზიო სერიალი ,,პეჩორინი. ჩვენი დროის გმირი'' (მ. ლერმონტოვის მიხედვით, რეჟ. ა. კოტი, 2006, რფ), ,,ანდერსენი. ცხოვრება უსიყვარულოდ'' (რეჟ. ე. რიაზანოვი, 2006, ,,მოსფილმი''), ,,მამა'' (რეჟ. ი. სოლოვიოვი, 2007, რფ) და სხვ.

თხზ.: 1000 и 1 рецепт влюбленного кулинара, М., 2006; Печорин и другие, М., 2007; Пловец М., 2010; Мальчик идущий за дикой уткой, М., 2016.

მ. კერესელიძე.

კ3ირიკე, XI ს. I ნახევრის მშენებელი ოსტატი, ზემო კრიხის ეკლესიის (ქვემო რაჭა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) კარიბჭის მშენებელი. სამხრ. სარკმლის სათაურის მარჯვნივ მოთავსებული იყო ქვა ნუსხახუცური წარწერით, სადაც მოიხსენიებოდა ა. კარიბჭე, რ-იც შემკული იყო ფრიად მდიდრული ჩუქურთმებით, XI ს. I ნახევრის ქართ. ხუროთმოძღვრული დეკორის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა.

ეკლესია დაინგრა 1991 მიწისძვრის შედეგად, აღდგენილია 2008–09.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

კ3ირიკე I, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 892–918. მისი მმართველობის დროს საქართველოს შემოესია არაბი ამირა აბუ ლ-კასიმ აბუ-საჯის ძე (იხ. *აბუ ლ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში 914*), დაიპყრო კახეთის ციხეები – უჯარმა და ბოჭორმა. ა. I დაუზავდა მას და უჯარმა დაიბრუნა. ა. I-ის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილების შედეგად ამ შემოსევებს კახეთის სამთავრო თითქმის უვნებლად გადაურჩა, რაც უაღრესად ხელსაყრელ წინაპირობად იქცა მისი შემდგომი გაძლიერება-განმტკიცებისათვის. მას შესაძლებლობა მიეცა, ეზრუნა საკუთარი სამფლობელოს საზღვრების გაფართოებაზე. კერძოდ, დაახლ. 915 ა. I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან ერთად გაილაშქრა ჰერეთის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა დაიპყრეს და გაინაწილეს ჰერეთის პუნქტები – არიში (ახლანდ. მთისძირი), გავაზი (ახლანდ. ახალსოფელი), ორჭობი. ა. I-ს ერგო ორჭობი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰერეთის მეფე ადარნასე პატრიკმა ისარგებლა კახეთის სამთავროს საგარეო პოლიტ. ვითარების გართულებით და დაკარგული ტერიტ. დაიბრუნა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; საქართველოს მეფეები, მ. ლორთქიფანიძის და რ. მეტრეველის რედ., თბ., 2007.

თ. პაპუაშვილი.

კ3ირიკე II, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 929–976. მას განუდგნენ გარდაბნელი აზნაურები და მხარი დაუჭირეს *გიორგი II* აფხაზთა მეფეს, რ-იც იბრძოდა კახეთის შესაერთებლად. ა. II-ს უღალატა ძმამ, შურტამ და აფხაზთა მეფეს გადასცა უჯარმის ციხე. გიორგი II-მ დაიპყრო ბოჭორმის, ლოწობნისა და ნახჭევნის ციხეებიც. ა. II-მ თავი დამარცხებულად ცნო. მან ქართლის აზნაურების (გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი და კიდევ სხვა ორმოცდაათი აზნაური) დახმარებით კახეთი დაიბრუნა. 957 აფხაზთა მეფემ თავისი შვილი, ქართლის ერისთავი ლეონი, გაგზავნა კახეთის დასამორჩილებლად, მაგრამ გიორგი II-ის გარდაცვალებამ ლეონი აიძულა დაზავებოდა ა. II-ს, რ-მაც თავი აფხაზთა (დას. საქართველოს) მეფის ვასალად ცნო. რამდენიმე ხნის შემდეგ *ლეონ III*-მ განაახლა ბრძოლა კახეთის წინააღმდეგ, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. ა. II-მ მთლიანად აღადგინა თავისი სამფლობელო და საზღვრები არაგვის დას-ითაც კი გადაიტანა. ქსან-არაგვს შორის მდებარე ტერიტორია (მუხრანი, ხერკი, ბაზალეთი) კვლავ მისი სამთავროს ფარგლებში მოექცა. X ს. 70-იან წლებში ა. II უფრო აქტიურად ჩაერია ,,ქართლსა ზედა'' ბრძოლის პროცესში. მან ისარგებლა აფხაზთა სამეფოს საშინაო მდგომარეობის გართულებით და სცადა ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება. ამ მიზნით იგი უფლისციხესაც კი შემოადგა, მაგრამ ამჯერად ა. II-ის მისწრაფებას ქართლის დაპყრობისადმი წინ აღუდგა დავით კურაპალატი, რ-მაც აიძულა იგი დაეტოვებინა ქართლი. დაახლ. 975 ა. II-მ უფლისციხეში დამკვიდრებული მეფე გურგენი, მისი ძე, ქართლის მეფედ დამტკიცებული ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტი დაატყვევა. დავით კურაპალატი კახელების ამ ქმედების აღსაკვეთად სალაშქროდ მოემზადა. ა. II-მ დავით კურაპალატთან შებმა ვერ გაბედა და დაზავება არჩია. ამ ზავის თანახმად, ა. II-მ დატყვევებულები გაათავისუფლა და ქართლის ყველა დაპყრობილი ადგილი დააბრუნა (წირქუალის ციხისა და გრუის გარდა). აღნიშნული ციხეები, რ-ებიც ქსნის ხეობაში მდებარეობდა, ამის შემდეგაც კარგა ხნის განმავლობაში ა. II-ის მფლობელობაში დარჩა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; საქართველოს მეფეები, მ. ლორთქიფანიძის და რ. მეტრეველის რედ., თბ., 2007; ჯავახიშვილი ივ., (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2), თბ., 1983.

თ. პაპუაშვილი.

კ3ირიკე III, დიდი, კახეთ-ჰერეთის მეფე 1010–37. მისი მმართველობის დროს სამეფომ სახელმწიფოებრივ, ადმ. და სამხ. ძლიერებას მიაღწია. ა. III-მ ისარგებლა ახლად გაერთიანებული ფეოდ. საქართველოს მეფის, გიორგი I-ის დროს არსებული რთული საგარეო პოლიტ. ვითარებით (ბიზანტიის იმპერატორთან წარმოებული ხანგრძლივი ომი) და წარმატებით დააგვირგვინა კახეთ-ჰერეთის პოლიტ. შერწყმის პროცესი, ამის გამო, საისტორიო წყაროების მიხედვით, მას ,,რანთა და კახთა'' მეფე ეწოდა. ,,რანთა და კახთა'' სამეფოს შექმნის თარიღად 1020 წელი ივარაუდება. ა. III-ის მიერ შექმნილი სამეფო ფაქტობრივად ,,კახეთის სამეფო'' იყო. მისი დამსახურებით სამეფო აღდგა ძველი ისტ. საზღვრების ფარგლებში ისე, როგორც ეს VIII ს. I ნახევარში, არჩილის მეფობის დროს იყო, როდესაც ჰერეთი კახეთის სამთავროს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. XI ს-ში ამ სამეფოს მმართველებს, ჩვეულებრივ, წყაროებში (,,მატიანე ქართლისა'', დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი) ,,კახთა მეფეები'' ან

,,კახეთის მეფეები'' ეწოდებათ. თვისებრივი განსხვავება ის იყო, რომ 1020, ჰერეთის ხელახალი შემოერთების შემდეგ, შეიცვალა მათი ოფიციალური ტიტული. ამიერიდან კახეთის სამეფოს ხელისუფალი წყაროებში იწოდება ,,რანთა და კახთა'' მეფედ. მაგ., ,,მატიანე ქართლისას'' ავტორი ერთგან ამბობს: ,,მოვიდა დიდი კვირიკე, რანთა და კახთა მეფე''.

ჰ. III-მ სამეფო ადმ. ერთეულებად – 7 საერისთავოდ (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭის და შტორის) დაყო. სამეფოს დედაქალაქი გახდა თელავი. დაახლ. 1027–32 ჰ. III-ის ინიციატივით მოეწყო კოალიციური ლაშქრობა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. მონაწილეობდნენ ქართლის ფეოდალები – ლიპარიტ ბაღვაში და ივანე აბაზას ძე, თბილისის ამირა ჯაფარი და სომეხთა მეფე დავითი. მდ. ეკლეცზე კოალიციურმა ლაშქარმა ფადლონი დაამარცხა. დაახლ. ამავე წლებში ჰ. III-მ სძლია ოსთა მეფე ურდურეს, რ-იც ამ ბრძოლის დროს მოკლეს. 1037 ჰ. III მონაწილეობდა ლიპარიტ ბაღვაშის მიერ თბილისის ამირას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. თბილისის ხანგრძლივი ალყის დროს ჰ. III მოკლა ოსმა მონამ ,,სისხლისათვის ოვსთა მეფისა ურდურესი'' (ვახუშტი ბატონიშვილი).

წყარო იხ. სტ-თან კვირიკე II.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982; საქართველოს მეფეები, მ. ლორთქიფანიძის და რ. მეტრეველის რედ., თბ., 2007.

თ. პაპუაშვილი.

კვირიკე IV, კახეთ-ჰერეთის მეფე 1034–1102 (ან 1104). მისი მეფობის უკანასკნელ წლებში დავით აღმაშენებელმა დაიწყო ბრძოლა კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. 1101 მან ჰ. IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

კვირიკე, სოფელი იმერეთის რეგიონის სამტრედიის მუნიციპალიტეტში (გომის თემი), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 50 *მ,* სამტრედიიდან 18 *კმ.* 221 მცხ. (2014).

კვირიკე, სოფელი იმერეთის რეგიონის სამტრედიის მუნიციპალიტეტში (ნაბაკევის თემი), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 40 *მ,* სამტრედიიდან 7 *კმ.* 290 მცხ. (2014).

კვირიკე, სოფელი აჭარის არ-ის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშის ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე). ზ. დ. 240 *მ,* ქობულეთიდან 7 *კმ.* 1,9 ათ. მცხ. (2014).

კვირიკე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. *განთიადის* ყოფ. სახელწოდება.

კვირიკე ბანელი, IX–X სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, *ადარნასე II*-ის თანამედროვე. ბანის საკათედრო ტაძრის პირველი ეპისკოპოსი.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

კვირიკეთი, სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (შემოქმედის თემი), მდ. ბჟუჟის (ნატანების მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 90 *მ,* ოზურგეთიდან 1,5 *კმ.* 284 მცხ. (2014).

კვირიკეს მონეტები, გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის მეფის, *კვირიკე III* დიდის სახელით მოჭრილი ვერცხლის (ბილონი) მონეტები. მასა მერყეობს 2,90–3,45 გ ფარგლებში. საფიქრებელია, რომ იგი წესიერი ჭედვის, დირჰემის ყაიდის მონეტას წარმოადგენდა. ცნობილია სულ სამი ტიპი. შემორჩენილ ეგზემპლარებზე თარიღები არ იკითხება; უადრესი სამონეტო ტიპი თარიღდება 1014–31 შუალედით, მომდევნო ორი ტიპი კი – 1031 შემდგომი პერიოდით. პირველი და მეორე სამონეტო ტიპი მონოეპიგრაფიკულია, მესამეზე კი წმ. გიორგია გამოსახული (მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული), რ-იც დიოკლეტიანეს კლავს. ზედწერილები ექსკლუზიურად არაბულია. მხოლოდ წმ. გიორგისთან ზოგჯერ დაქარაგმებული ასომთავრული ასოებით მითითებულია წმინდა მხედრის ვინაობა. მოჭრის ადგილი (თბილისი) იკითხება მხოლოდ ადრეულ ტიპზე. ადრეული სამონეტო ტიპები განძის შადადიანი მმართველის, ფადლონ I-ის დირჰემების მსგავსია, მაგრამ წმ. გიორგის გამოსახულებიანი ტიპი ორიგინალურია; საფასეზე ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულება მსოფლიოში პირველად სწორედ ჰ. მ-ზე გაჩნდა (მეორედ ეს ანტიოქიის მმართველმა როჯერმა გააკეთა 1112–19). ამასთან, ჰ. მ-ზე მითითებულია აბასიანი ხალიფების – ალ-კადირისა (991–1031) და ალ-კაიმის (1031–75) სახელებიც (ზოგჯერ შეცდომით გადმოცემული), რაც გვეხმარება სამონეტო ტიპების დათარიღებაში; ადრეულ, მონოეპიგრაფიკულ ტიპებზე მოციქულ მუჰამადის სახელიცაა. აბასიანი ხალიფას სახელის მითითება არ გულისხმობს მასზე რეალურ პოლიტ. დამოკიდებულებას; გადმოღებულია ისლამური მონეტებისთვის დამახასიათებელი ტრადიცია. ჰ. მ-ის ზოგადი ორიენტალური იერი კახეთ-ჰერეთის ისლამურ სამყაროსთან მჭიდრო ეკონ.-კულტ. კონტაქტებით აიხსნება. აღსანიშნავია ქრისტ. იკონოგრაფიის კომბინაცია არაბულენოვან და მაჰმადიანურ ფორმულებთან. ჰ. მ-მა შემოგვინახა კვირიკე III-ის არაბული წოდებულება, რ-იც გვისურათებს ამ ქართველი მონარქის მზარდ ამბიციებს: ადრეულ ტიპზე ის ,,მალიქია'' (მეფე), ასევე უთითებს თავის ნასაბსაც (მამის სახელს); შემდგომ სამონეტო ტიპზე უკვე პრესტიჟული ქუნიით სარგებლობს (,,ღირსების მამა''); გვიანდელ სამონეტო ტიპზე კი დამატებით ,,მეფე სამართლიანის'' წოდება აქვს.

ჰ. მ. საქართველოს ისტორიის ორიგინალური, ობიექტური და ძვირფასი პირველწყაროა. მათი შესწავლის შედეგად დგინდება, რომ XI ს-ში კახეთ-ჰერეთის სამეფო წარმოადგენდა საქართველოში მონეტის ემისიის კიდევ ერთ კერას (ბაგრატიონთა სამფლობელოებთან, თბილისის საამიროსა და კორიკიანთა სახელმწიფოსთან ერთად); კვირიკე III-ის ზეობა ნამდვილად გრძელდებოდა XI ს-ის 30-იან წლებშიც; მას ერთხანობას თბილისიც, ანუ თბილისის საამიროც ჰქონდა დამორჩილებული; კვირიკე III-ს შემუშავებული ჰქონდა არაბული წოდებულება, რ-იც ევოლუციას განიცდიდა და, ამგვარად, ასახავდა კახეთ-ჰერეთის შიდა და საგარეო პოლიტ. მდგომარეობას. წმ. გიორგის, როგორც წმინდა მხედრის, სამონეტო იკონოგრაფიის სამშობლო საქართველო აღმოჩნდა, რაც ადასტურებს საქართველოში და, კერძოდ, კახეთ-ჰერეთში წმ. გიორგის კულტის მნიშვნელობის, ასევე მიუთითებს კაცობრიობის ნუმიზმატიკურ ისტორიაში ამ იკონოგრაფიული სიუჟეტის გავრცელებაში საქართველოს

როლს. კვირიკე III-მ, პირველმა კავკასიის რეგიონში, შეიმუშავა ორიგინალური ქრისტ.-ისლამური სამონეტო ტიპი. კახეთ-ჰერეთში საკუთარი ფულის ემისია მნიშვნელოვანი მოვლენაა ამ შუასაუკუნოვანი სახელმწიფოსა და, საზოგადოდ, იმდროინდელი საქართველოს პოლიტ., ეკონ. და კულტ. მდგომარეობის შესაფასებლად.

ლიტ.: ფაღავა ი., კახეთ-ჰერეთის სამეფოს საფასის ქრისტიანულ-ისლამური ისტორია (დასავლურ-ქართულ სამონეტო ემისიებთან შედარებითი ანალიზი). საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე, თბ., 2019.

ი. ფაღავა.

კვირიკეწმინდა (1933–90 – კორტი), სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (ველევის თემი). რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხოტეურის (კრიხულის მარცხ. შენაკადი; რიონის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1040 *მ,* ამბროლაურიდან 8 *კმ.* 34 მცხ. (2014).

სოფლის თავდაპირველი სახელწოდება (კვირიკეწმინდა) წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII–XIV სს-ით დათარიღებული ლაბეჭინის სახარების ერთ-ერთ მინაწერში. სოფლის ჩრდ.-დას-ით, 300-ოდე მ დაშორებით, დგას X–XI სს. წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია (იხ. *კვირიკეწმინდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია*).


წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 2004; ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994; მეტრეველი რ., რაჭა. შტრიხები წარსულიდან, თბ., 2013; Georgian Architecture, vol. 6, Leiden: Inter Documentation Company (IDC), 2004.

მ. დვალი.

კვირიკეწმინდის მონასტერი, იხ. *ფოთოლეთის მონასტერი.*

კვირიკეწმინდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია, X–XI სს. არქიტექტურული ძეგლი, მდებარეობს სოფ. კვირიკეწმინდაში (ყოფ. კორტი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი), მთის კონცხზე. ეკლესიიდან სამხრ.-აღმ-ით, კლდოვან ბორცვზე დგას გეგმით მართკუთხა მოხაზულობის კოშკი, რ-იც, ერთი მოსაზრებით, *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ მოხსენიებული კვიტაშვილების ციხე უნდა იყოს. თვით კვირიკეწმინდის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა. იგი ამ ხუროთმოძღვრული ტიპის ერთადერთი ნიმუშია რაჭაში. XVI–XVII სს. ძეგლი განაახლეს. სამნავიანი ბაზილიკის შუა ნავი გვერდითა ნავებზე მაღალია და განიერი. ფასადები შემოსილია სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით. წყობაში აქა-იქ გამოყენებულია შირიმის ქვაც. ეკლესიის ნავები ერთმანეთისაგან დაკავშირებულია ერთ წყვილ ბურჯზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანი თაღებით. ნავთა გამყოფი თაღედი უშუალოდ კაპიტელებს კი არ ეყრდნობა, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული, არამედ მათ ზევით მოთავსებულ მართკუთხა ფილას. ცენტრ. ნავი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გეგმის მართკუთხედიდან ხუთწახნაგა შვერილის სახით გამოდის გარეთ. აფსიდში და აფსიდის ზემოთ თითო სარკმელია გაჭრილი. საკურთხეველს წინ უძღვის ღრმა ბემა. გვერდითი ნავების აფსიდების წინ მდებარე თაღები პილასტრებს ებჯინება. აფსიდებში გაჭრილია თითო სარკმელი. ეკლესიის სამივე ნავის კამარები დანაწევრებულია საბჯენი თაღებით. შენობის ცოკოლი ორი მართკუთხა საფეხურისაგან არის შედგენილი. შენობის გეგმაში ყურადღებას იქცევს ნავთა გამყოფი თაღედის საყრდენების რაოდენობა და მათი განლაგება. ბურჯების ერთადერთი წყვილი ისეა განაწილებული, რომ საკურთხევლის წინ კვადრატი იკვრება, რის გამოც დარღვეულია ბაზილიკური ნაგებობისათვის დამახასიათებელი გრძივი ღერძი. კიდურა ნავების აღმ. ნაწილებში არ არის გამოყოფილი სამკვეთლო და სადიაკვნე. ეკლესიის სადა ფასა-



კვირიკეწმინდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია. X–XI სს.



კვირიკე. ჭედური ხატი. ლაგურკა.

დებზე ორი მოჩუქურთმებული დეტალია – სამხრ. შესასვლელის არქიტრავი და ამავე ფასადის ერთ-ერთი კრონშტეინი, რ-ის ორნამენტი გამორჩეული ოსტატობითაა შესრულებული.

1991 მიწისძვრის დროს ეკლესია ძლიერ დაზიანდა. ამჟამად აღდგენილია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 2004; ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994; მეტრეველი რ., რაჭა. შტრიხები წარსულიდან, თბ., 2013; ჩაჩხუნაშვილი ც., წმ. კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესია სოფ. კვირიკეწმინდაში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი ს/ს სამმართველო. სამეცნიერო შრომების წელიწდეული – II. – 1996; Georgian Architecture, vol. 6, Leiden: Inter Documentation Company (IDC), 2004.

თ. დვალი.

კვირიკიდები, კვირიკიანები, სომეხი ბაგრატუნების ერთი შტო შუა საუკუნეებში, ტაშირ-ძორაგეტის (ლორე-ტაშირი) ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი დინასტია (978–1118). დააარსა გურგენმა (კვირიკე, 978–989). ჰ-ის სამეფო განსაკუთრებით გაძლი-

ერდა გურგენის მემკვიდრის, დავით I ,,უმიწაწყლოს'' (989–1048) და კვირიკე II-ის (1048–89) დროს. ეს უკანასკნელი ერთადერთი დამოუკიდებელი მმართველი იყო სომეხ ბაგრატუნთა შორის და მეფის ტიტულსაც ატარებდა. მან საკუთარი ფულიც მოჭრა, მაგრამ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა და საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოხარკე გახდა. 1118 დავით IV აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკებისაგან განთავისუფლებული ლორე-ტაშირი კვლავ დაიბრუნა და უშუალოდ შემოუერთა საქართველოს, ხოლო ჰ-ის სამეფო საბოლოოდ გააუქმა. ამის შემდეგ ჰ. იხსენიებიან (XIII ს. დასაწყ.) როგორც ტავუშისა და მაწნაბერდის მფლობელები.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, «მაცნე», 1968, № 6; მაისურაძე გ., ნარკვევები საქართველოსა და სომ-ხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV–XII სს-ში, თბ., 2002; მელიქსეთ-ბეგი ლ., ,,ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი'' და მათი ვინაობა, ტფ., [1928]; Лордкипанидзе М. Д., История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974.

გ. მაისურაძე.

კვირიკობა, ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც უკავშირდება წმინდა მოწამეების, დედა-შვილის, კვირიკესა და ივლიტას სახელებს. ისინი მცირე აზიის მკვიდრნი იყვნენ და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულნენ დაახლ. 305, იმპ. დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დიდი დევნის პერიოდში.

კვირიკესა და ივლიტას წმინდა ნაწილები მოციქულთასწორი იმპ. კონსტანტინეს ზეობისას მოიძიეს. მათ სახელზე არაერთი ეკლესია-მონასტერი აიგო. ხსენების დღეა 15 (28) ივლისი.

საქართველოში, სვანეთში, კალის თემში (ბალს ზემო სვანეთი; მესტიის მუნიციპალიტეტი) შემორჩენილია წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესია (სვანურად – „ლაგურკა“//„ლაგვირკა“), რ-იც X ს-ით თარიღდება. მოხატულია დავით IV აღმაშენებლის კარის მხატვრის, თევდორეს მიერ 1112. კალის „ლაგურკა“, როგორც დედათა მონასტერი, მოქმედი იყო XVIII ს. ბოლომდე. მონასტერში ადგილობრივებთან ერთად მოღვაწეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც.

მონასტერში დღემდე დაცულ სიწმინდეთა შორის განსაკუთრებული ძალისა და მნიშვნელობისაა ჯვარცმის გამომსახველი სანაწილე, ბიზანტიური წარმომავლობის IX–XI სს. ხატი, რ-იც ,,შალიანის'' სახელწოდებითაა ცნობილი. მისთვის ხელის ხლება წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეიძლება: აღდგომის კვირის შაბათს და 15 (28) ივლისს, ჰ-ის დღესასწაულზე. ამ დღეებში რჩეული პირები, ე. წ. მოკილები ხატს განბანენ წყალში, რ-საც, როგორც წმინდა სითხეს, საგანგებოდ ინახავენ სპეციალურ სპილენძის სურაში და განსაკუთრებული შემთხვევის დროს იყენებენ; მაგ.: ფიცის დადებისას, ასევე სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებათა გამოსავლენად და ავადმყოფის განსაკურნად.

ჰ-ის დღესასწაულისთვის (,,ლიგურკე'') სვანეთში მთელი წელი ემზადებიან. დღესასწაულზე კალის თემის რჩეული მამაკაცები, საპატიო პირები მონასტრიდან გამოასვენებენ „შალიანის“ ხატს, განბანენ, შემდეგ ანთებული სანთლებითა და ზედაშით სავსე ფიალებით გარშემო უვლიან ეკლესიას. ამ დროს სრულდება საგალობელი ,,კვირია''. გალავანს შიგნით შეკრებილი მამაკაცები ამ რიტუალს დაჩოქილები და ქუდმოხდილები ასრულებენ. ქალები იქვე ახლოს იკრიბებიან, სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველები უფრო მოშორებით დგანან და ელოდებიან მთავარი „ლიმზირის“ (ლოცვის) დასრულებას. ეკლესიის გარშემოვლის შემდეგ „შალიანს“ კვლავ მონასტერში შეასვენებენ, სადაც იგი ხელუხლებლად იქნება დაცული მომავალი წლის ბრწყინვალე შვიდეულის შაბათამდე. მანამდე კი უფროსი „მემზირი“ (მლოცველი) ამ ხატით დალოცავს მთელ საქართველოს, სვანეთს და „ლაგურკაში“ შეკრებილ მლოცველებს. ამის შემდეგ მლოცველებს ეძლევათ საშუალება, მიეახლონ ტაძრის კარიბჭეს, მიიტანონ შესაწირი, ილოცონ. პირველად შეიწირება კალის თემის შესაწირი თეთრი ფერის ხარი. კალელის თემის მამაკაცები ყოველ მლოცველს ხმამაღლა დალოცავენ, რასაც გარშემო შემოკრებილი ხალხი ერთიანი შეძახილით – „ამენ“ ადასტურებს. რიტუალის დასრულების შემდეგ მლოცველი მომჩივანთა საქმეებს ისმენს. იმართება ერთგვარი სამსჯავრო, რ-ზეც ზოგი თავს იმართლებს, ხოლო ზოგი სამართალს ეძებს. უკიდურეს შემთხვევაში სრულდება დამნაშავის ხატზე გადაცემის რიტუალი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმის გარჩევა აუცილებლად „ლაგურკასთან“ სრულდება. ამ მონასტერთან იშვიათ შემთხვევაში დაფიცება ხდებოდა ,,შალიანის“ ხატით, უმეტესად კი – ხატის „ნაბანი“ წყლის მეშვეობით. ხატზე დადებული ფიცი გადამწყვეტია ჩვეულებით სამართალში.

„შალიანის“ „ნაბან“ წყალს სამკურნალო მიზნითაც იყენებენ. ავადმყოფის დალოცვა „ლიგურკეს“ დღეობაზე შემდეგნაირად ხდება: ავადმყოფის პატრონი შეპირებული საკლავის გულ-ღვიძლს, სალოცავ პურებს („ლემზირ“) და არყით სავსე დოქს დააწყობს პატარა ტაბლაზე, ანთებს სანთლებს და რჩეულ პირებს – მლოცველებს – შესთხოვს ავადმყოფის დალოცვას. ლოცვას გარშემო მყოფი ხალხის „ამენი“ აგვირგვინებს. ყოველ „ლაგურკეზე“ რამდენიმე ასეთი დალოცვა სრულდება. დღესასწაული მთავრდება ზოგადი დალოცვით, სამართლის აღდგენითა და ავადმყოფთა დალოცვით.

ლიტ.: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; გუჯეჯიანი რ., კალის წმიდა კვირიკესა და ივლიტეს სახელობის მონასტრის („ლაგურკას“) როლი ზემო სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, კრ.: საქართველო და ქრისტიანობა, თბ., 2001.

ნ. აბაკელია.

კვირიკობისთვე, იხ. *ივლისი.*

კვირიონ II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 678–683.

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

კვირიონი (Merops), ფრინველთა ქვერიგი ყაპყაპისნაირთა (Coraciiformes) რიგისა. მოიცავს 1 ოჯახის 7 გვარსა და 25 სახეობას. სხეულის სიგრძე 30 *სმ* აღწევს, მასა 50 *გ*. აქვს გრძელი, ქვემოთკენ წახრილი ნისკარტი, მოკლე ფეხები. გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკასა



ოქროსფერი კვირიონი.

და მადაგასკარზე, ავსტრალიაში. საქართველოში ბუდობს ოქროსფერი ჰ. (M. apiaster) და მწვანე ჰ. (M. superciliosus). შემომფრენია. ჰ-ები ბინადრობენ ღია ადგილებში.

ბუდობენ კოლონიებად. დედალი დებს 6–8 კვერცხს, კრუხობს 18–20 დღე. იკვებება მწერებით. ფუტკრებს ანადგურებენ და ზიანს აყენებენ მეფუტკრეობას.

რ. ჟორდანია.

„კვირის პალიტრა“, ჰოლდინგ „პალიტრა მედიაში“ შემავალი ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოიცემა 1995 წ. 18 აპრილიდან. გაზეთი აშუქებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს პოლიტიკის, სოციალურ, ბიზნესის, ეკონომიკის, კულტურის, სპორტის, რელიგიისა და სხვა სფეროებში.

გაზეთს აქვს სხვადასხვა სეგმენტის მკითხველისათვის განკუთვნილი რუბრიკები, ტრადიციული, ყოველთვიური და სარეკლამო ხასიათის ჩანართები. მისი პოპულარობა განაპირობა ინფორმაციის ობიექტურობამ, აქტუალობამ და მრავალფეროვნებამ. „კ. პ.“ ვრცელდება საქართველოს მასშტაბით. 2005-იდან გაზეთს აქვს ინტერნეტგვერდი: www. Kvirispalitra.ge.

კვირკველია თენგიზ რაფაელის ძე (25. I. 1929, თბილისი, – 25. IV. 1994, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), არქიტექტორი. საქართველოს დამს. არქიტექტორი (1969), არქიტექტურის დოქტორი (1976), პროფესორი (1976). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1949). 1959-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სპი-ის (1991-იდან – სტუ) სამშ. ფაკ-ტის არქიტ. კათედრაზე (1969-იდან არქიტ. ფაკ-ტი). იყო სამოქალაქო და სამრეწვ. შენობების არქიტექტურის კათედრის გამგე (1983–94). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რ-თაგან აღსანიშნავია: „მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი“ (თბ., 1961), „ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი“ (თბ., 1971), „თბილისის არქიტექტურა“ (რუს. ენაზე, თბ., 1982), „ძველი თბილისი“ (თბ., 1984), „თბილისის არქიტექტურა“ (რუს. ენაზე, მოსკ., 1985), „ძველი თბილისური დასახლებანი“ (თბ., 1985), „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“ (ნ. მგალობლიშვილთან ერთად, რუს. და ინგლ. ენებზე, მოსკ., 1986) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კვირკველია მანუჩარ იაკობის ძე (დ. 12. X. 1978, ოზურგეთი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ოლიმპიური (პეკინი, 2008), მსოფლიოს (2003) და ევროპის (2007) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი (2002, 2006). ევროპის ჩემპიონატების ვერცხლის (2002) და ბრინჯაოს (2006) პრიზიორი. მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. დ. კოლოვის და ნ. პეტროვის, ასევე გ. კარტოზიას და ვ. ბალავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების მეორე პრიზიორი (2011). საქართველოს ჭიდაობის ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2014–16).

კვირტია ავქსენტი (ბაჩო) ბადრის ძე (დ. 8. XI. 1974, ზუგდიდი), მწერალი. 1996 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის დრამატურგიის ხელოვნების ფაკ-ტი. 2002–03 მუშაობდა ტელეკომპანია „მე-9 არხში“, 2003–05 – გაზ. „ახალი ვერსიის“ კულტურისა და საზოგადოების განყ-ბაში რედაქტორად. პირველი მოთხრობა „ანოფელესი“ გამოაქვეყნა 1994, პირველი პროზაული კრებ. „მატარებლის მოსვლამდე“ – 2007. ავტორია პროზაული კრებულებისა: „მძინარე ციკლოპის ძახილი“ (2011), „ტასმანიური ვეფხვი“ (2013). მიღებული აქვს ლიტ. კონკურსების – „Pen-მარათონის“ (წინანდალი, 2007) და „წეროს“ (2007) – პრემიები; 2008 – ლიტ. პრემია „საბა“, ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“ კრებულისათვის „მატარებლის მოსვლამდე“, 2011 – გურამ რჩეულიშვილის სახ. ლიტ. პრემია „ალავერდი“ ნომინაციაში „საუკეთესო მოთხრობა“.

2011-იდან არის ქართული Pen-კლუბის წევრი.

კვირცხალია დავით აბესალომის ძე (დ. 8. V. 1950, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1990). 1971 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, მ. თუმანიშვილის სახელოსნო; 1988 – კინოსარეჟისორო ფაკ-ტი ლ. ღოღობერიძის ხელმძღვანელობით.

1970-იდან არის რუსთაველის თეატრის მსახიობი. შეასრულა შემდეგი როლები: სალამურა (ა. სულაკაურის „სალამურა“); ერეკლე (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“); ზაზა, რომული (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“; „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“); რომეო (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“); ჯვებე ქოლორდავა (შ. დადიანის „გუშინდელნი“); ლუციუსი, ბურგუნდიის მთავარი




დ. კვირცხალია – რომეო, უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

(უ. შექსპირის „იულიუს კეისარი“, „მეფე ლირი“) და სხვ.; მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრში – დიდრო („ნუ მიგვატოვებ მზეო“, ნ. დუმბაძის ნოველების მიხედვით); ბატონი დიმიტრი (თ. უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი“); მეტეხის თეატრში – პავკა (ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“). მონაწილეა სატელევიზიო დადგმებისა: „გზაჯვარედინზე“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი); „ეს არ უნდა მომხდარიყო“ (რეჟ. ზ. კაკაბაძე); „ხორუმი ქართული ცეკვაა“ (რეჟ. გ. კახაბრიშვილი); „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს“ (რეჟ. ქ. დოლიძე). გადაღებულია ფილმებში: „ნატვრის ხე“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1976); „ყვარყვარე“ (რეჟ. დ. აბაშიძე, 1978); „ქორწინება იმერულად“ (რეჟ. ნ. წულაია, 1979); „მარტოხელა მონადირე“ (რეჟ.: ქ. დოლიძე, 1989) და სხვ. სატელევიზიო სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ასრულებს გრიშა კაკაჩიას როლს. სარეჟისორო ნამუშევრები: 4-სერიიანი მხატვრული ფილმი „ოქროს ობობა“ (1992, სცენარის ავტორები და რეჟისორები: დ. კვირცხალია, გ. ქავთარაძე, მ. ანთაძე); „ჩემი სახელი საიდან იცი?“ (ნ. დუმბაძის მოთხრობების „დედასა“ და „კორიდას“ მიხედვით). მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „ერთხელ“ მიღებული აქვს ჯილდო კიევის ახალგაზრდულ საერთაშ. ფესტივალზე (1984).



მ. კვირკველია.



ე. კვიტაიშვილი.

კვიტაიშვილი ემზარ დავითის ძე (დ. 27. XI. 1935, თბილისი), პოეტი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1969).

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1959). 1960-იდან მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობაში. 1964 მუშაობა დაიწყო ჟურნ. ,,ცისკრის'' რედაქციაში ლიტმუშაკად, 1967–74 იყო პროზის განყ-ბის გამგე, 1974-იდან მუშაობა განაგრძო შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში.

პირველი ლექსები 1957 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებ. ,,გზაში ნათქვამი სიმღერა'' – 1963. ავტორია ლექსების კრებულებისა: ,,გახსენება'' (1971), ,,გაზაფხული'' (1973), ,,ხე ცხოვრებისა'' (1976), ,,გაზაფხულის ვნებანი'' (1980), ,,შემოდგომა დამდგარა'' (1984), ,,ჭადარი შუა ქუჩაში'' (1985), ,,სიზმარი ვნახე'' (1986), ,,იკაროსის დაღუპვა'' (1998), ,,100 ლექსი'' (2011), ,,შემოდგომის ხიზანი'' (2013), ,,მწიფობა'' (2018). პ-ს გამოქვეყნებული აქვს მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევები, ესეები, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. 1981 გამოიცა მისი წერილების, გამოკვლევებისა და მოგონებების წიგნი ,,შაირია ამად კარგი'', 2008 გამოქვეყნდა ,,ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა'', 2015 – ,,სამსახეობა თამაზ ჩხენკელისა'', 2021 – ,,ქართული სიტყვის ბაზიერი''.

პ. არის საქართვ. სახელმწ. პრემიის (1992), გ. კიკნაძის სახ. (2015), ა. წერეთლის სახ. (2016) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

კვიტატიანი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (დ. 24.VII.1946, სოფ. ლევანახე, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), არქიტექტორი. 1969 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1990-იდან – საქართვ. ტექნიკური უნ-ტი). საქართვ. დამს. არქიტექტორი (2017). 1972–84 მუშაობდა ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' სოხუმის ფილიალში არქიტექტორად, არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად. 1981–89 სოხუმის მთ. არქიტექტორი იყო. 1993-იდან იგი თბილისშია, სადაც განაგრძობს არქიტ. მოღვაწეობას (საცხოვრ. სახლები თბილისში, წყნეთში, საგურამოში, წეროვანში, რაჭაში, სამეგრელოში და სხვ.). ძირითადი ნამუშევრები: სასტუმრო გაგრაში (440 ადგილზე), ოჩამჩირის (1972–78) და სოხუმის (1975–82) გენ. გეგმები, „ავტოვაზის'' დასასვენებელი კომპლექსი (300 ადგილზე) გულრიფშის მუნიციპ-ში (1978–82), საქართვ. თეატრ. საზ-ბის დასასვენებელი სახლი (1986), სასტუმროების „აფხაზეთისა'' და „რიწის'' რეკონსტრუქცია (1985–88), „შუქურას'' რ-ნის დეტალური დაგეგმარება (1988; ოთხივე სოხუმში).



ა. კვიტატიანი. სასტუმრო ,,სოხუმი''. 1973. გაგრა.

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.

კვიტაშვილი გიორგი ვლასის ძე [30. IV(13. V). 1902, ლანჩხუთი, – 24. XII. 1979, თბილისი], ინფექციონისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1951), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1941–45 იყო 47-ე არმიის მთ. ეპიდემიოლოგ-ინფექციონისტი. 1954–79 განაგებდა თსსი-ის ინფექციურ სნეულებათა კათედრას.

პ. იკვლევდა ნაწლავებისა და ვირუსულ-ინფექციურ დაავადებათა კლინიკას და მკურნალობის მეთოდებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: დიფთერია, თბ., 1961; სალმონელოზი, თბ., 1976 (თანაავტ. ს. ჯაფარიძე); მწვავე ინფექციური დაავადებანი, გამოც. მე-2, თბ., 1977 (თანაავტ. დ. სვანიძე).

კვიტაშვილი მერაბ სიმონის ძე (2. VII. 1902, სოფ. ველევი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 25. I. 1991, არლინგტონი, აშშ), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, ინჟინერი. ბაქოში გიმნაზიის დასრულების შემდეგ, 1918 პ. ახალდაარსებული ქართ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის სტუდენტი გახდა. 1919 პ-ის ოჯახი ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად და გვარად ,,კეი'' მიიღო. 1919–20 სწავლობდა ოქსფორდის ორიელ- კოლეჯში. 1925 დაამთავრა ბირმინჰემის უნ-ტი სამთო-ინჟინრის სპეციალობით. 1926–33 მსახურობდა პრეტორიაში (სამხრ. აფრიკა) ოქროს გადამამუშავებელი ქ-ნის მმართველად.

II მსოფლიო ომის (1939–45) დაწყებისთანავე პ-მა მიიღო ბრიტანეთის ქვეშევრდომობა და მოხალისედ ჩაირიცხა ინგლისის არმიაში. 1940 დაამთავრა ინგლ. უმაღლესი სამხ.-სადაზვერვო სკოლა. იყო დაზვერვის ოფიცერი. 1940–43 მნიშვნელოვან საგანგებო დავალებებს ასრულებდა აღმოსავლეთში (ეგვიპტე, ირანი, სირია, ლიბანი, ერაყი და ა. შ.). 1943 პ. თეირანის კონფერენციაზე იყო პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილის

მისიის წევრი და დიდი ბრიტანეთის გენ. შტაბის სამხ. დაცვის მოწინავე შენაერთის უფროსი. XX ს. 50-იანი წლების დამდეგს პოლკოვნიკის წოდებით თადარიგში გავიდა.

1952-იდან გარდაცვალებამდე ჰ. აშშ-ში ცხოვრობდა. 1952–63 მუშაობდა რადიოსადგურ ,,ამერიკის ხმის'' ექსპერტად და ქართ. განყ-ბის რედაქტორად, 1963–72 – ამავე განყ-ბის ხელმძღვანელად. არჩეული იყო მსოფლიოს ანტიკომუნისტური ლიგის წევრად. იყო აშშ-ის ქართ. საზ-ბის თვალსაჩინო წევრი, ქართ. ემიგრანტული პერიოდული პრესის მუდმივი თანამშრომელი.

ჰ-ის დამსახურება აღინიშნა ინგლისის და აშშ-ის არაერთი ჯილდოთი.

თხზ.: მასალები ამერიკული დღიურებიდან. ,,თეირანის კონფერენცია''. ,,ფიქრები საქართველოს მომავალზე'', თბ., 1991.

ლიტ.: კობახიძე გ., გახსენება ღვაწლმოსილისა, «გუშაგი», პარიზი, 1991, №24.

ლ. ურუშაძე.

კვიცანი, სოფელი სამეგრელოზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ნაკრის თემი), შდავლერის ქედის აღმ. ფერდობზე, მდ. ნაკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1300 მ. 51 მცხ. (2014).

კვიცარიძე დავით ვასილის ძე (2. V. 1920, ქუთაისი, – 5. XII. 1999, იქვე), მწერალი. II მსოფლიო ომის მონაწილე. 1957-იდან საქართვ. მწერალთა კავშირის ქუთ. განყ-ბის პ/მგ მდივანი. პირველი ლექსი 1947 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – მოთხრობა პარტიზანებზე ,,ორდიშევის ტყეში'' – 1957, ლექსების პირველი კრებ. ,,გზა'' – 1959. ჰ-ს ეკუთვნის მოთხრობების კრებულები: ,,კოცონი'' (1963), ,,მოთხრობები'' (1967), ,,ბილიკი ტყეში'' (1976); რომანები: ,,სადა ხარ, მარინე'' (1965), ,,ნდობა'' (1968), ,,მშვიდობით, უსიერო ტყეებო'' (1973), ,,ძეგლები მიწას არ ამძიმებენ'' (1977), ,,მწვანე ქალაქი'' (1978); ,,ძებნილი'' (1993); პიესები და სხვ. ჰ-ის თხზულებები თარგმნილია რუს., უკრ., ბელორ., სომხ., აფხაზურ, პოლონურ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.:როგორ უხმობდა სიკეთე სიკეთეს, ქუთ., 1987; რჩეული, ქუთ., 1995.

კვიცარიძე ოთარ ივანეს ძე (2. II. 1927, თბილისი, – 12. X. 1989, იქვე), ინჟინერ-მშენებელი. პროფესორი (1989), საქართვ. დამს. ინჟინერი (1978). დაამთავრა სპი (1949). 1949–74 მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში'' და საქართვ. მეცნ. აკად. სამშ. მექან. და სეისმომედეგობის ინ-ტში. 1974-იდან იყო სამეცნ.-ტექ. გაერთიანება ,,საქსაშენმასალების'' გენ. დირექტორი. პარალელურად პედ. საქმიანობას ეწეოდა სპი-ში.

ჰ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების კვლევას, რ-ებმაც მოიტანა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონის ტექნოლოგია, თბ., 1987.

კვიციანი ტარიელ ათმურზას ძე (დ. 30. X. 1944, სოფ. ბეჩო, მესტიის მუნიციპალიტეტი), ჰიდროტექნიკოსი, პედ. მეცნ. დოქტორი (1999), ტექ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2003), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვილი წევრი (2006). 1969 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი სპეციალობით ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, 1976 – თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1969 იყო საქართვ. ჰიდროტექ. და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი. 1974-იდან მუშაობს სპი-ში (ახლანდ სტუ) თეორიული მექან. კათედრაზე. 1998–2014 იყო ამავე უნ-ტის თეორიული მექანიკის №4 კათედრის გამგე. 2014-იდან საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის პროფესორია.

ჰ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება ერთ- და მრავალპარამეტრიანი სისტემების მათემატიკურ შესწავლას, უწყვეტი სხეულის მექანიკას, ცვალებადი მასის სისტემების დინამიკას. გამოიყვანა და შეისწავლა საშიში ბუნებრივი მოვლენების (მეწყერი, თოვლის ზვავი და სხვ.) აღმწერი ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი განტოლებები. მის მიერ მიღებულია გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე არაერთი შედეგი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. 5 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო.

თხზ.: თაღოვანი კაშხლების სიმტკიცეზე გაანგარიშების კომბინირებული მეთოდი და ოპტიმალური პარამეტრების შერჩევის საკითხი, თბ., 2013; თეორიული მექანიკა (სახელმძღვანელო), ნაწ. 2, თბ., 2015, ნაწ. 3, თბ., 2019.

კვლიავი (Carum), ორ- და მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 30-მდე სახეობას. უფრო გავრცელებულია სახეობა C. carvi – ორწლოვანი ეთერზეთოვანი ბალახოვანი მცენარე. შეიცავს ეთერზეთს, ცილას, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, კემფოროლს, ფისებს და სხვ. აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციას. ჰ-ს საქართველოში იყენებენ საკონსერვო, საკონდიტრო და ფარმაკოლოგიურ წარმოებაში.

კვრინჩხი (Prunus spinosa), ეკლიანი ბუჩქი ან პატარა ხე ვარდისებრთა ოჯახის კურკოვანთა გვარისა. მორფოლოგიური ნიშან-თვისებების მიხედვით ახლოს დგას ქლიავთან (P. domestica). მისი სიმაღლე 5 *მ* აღწევს. დაკბილული და წამახული ფოთლები აქვს. ლეგა ნაფიფქით დაფარული, მუქი ლურჯი ნაყოფი მწკლარტე და მომჟავო-მოტკბოა. ყვავის აპრილ-მაისში, ფოთლის გამოტანამდე. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ველურად იზრდება დას. ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში. მთაში ხარობს 1200–1600 *მ*-მდე. საქართველოში მხოლოდ აღმ. ნაწილში იზრდება. ჰ. სინათლის მოყვარულია, სიცხესაც უძლებს და სიცივესაც. ჰ-ის ფესვს უხვი ნაბარტყი აქვს. თაფლოვანია. იყენებენ ცოცხალ ღობედ, დეკორატიულ მებაღეობაში.

ვ. მირზაშვილი.



დ. კვიცარიძე.



კვლიავი.



კვრინჩხი.

კიანეთი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ქვეშის თემი), მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, ბოლნის–დმანისის საავტ. გზაზე. ზ. დ. 650 *მ*, ბოლნისიდან 12 *კმ*. 301 მცხ. (2014).

სოფელში დგას X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი. იხ. სტ. *კიანეთის სამების ეკლესია.*

კიანეთის სამების ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, დარბაზული ტიპის ეკლე-



კიანეთის სამების ეკლესია. X ს.

სია. მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. კიანეთში. თარიღდება X ს-ით. წარმოადგენს გეგმით მართკუთხა ნაგებობას. ნაგებია მოყვითალო ფერის სუფთად ნათალი სხვადასხვა ზომის დიდი კვადრებით. გარეთა კედლების წყობაში ალაგ-ალაგ ჩასმულია სხვადასხვა პერიოდის (VII–X სს.) მოჩუქურთმებული წარწერიანი ფრაგმენტები. ეკლესიის შიგა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალის ფორმის აფსიდით, რ-იც გეგმის სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული. წყვილი პილასტრი დარბაზის კედლებს ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. პილასტრებს კამარის საბჯენი თაღი (შემორჩენილია ორივე ქუსლი) ეყრდნობოდა. სარკმლები გარედან თაღოვანია, შიგნიდან კი თარაზულადაა გადახურული. ასევეა გადაწყვეტილი სამხრ. შესასვლელიც. აღმ. ფასადის ვიწრო სარკმელი შემკულია სათაურით, რ-ის ზემოთ წრეში მოქცეული ჯვარია გამოსახული. ეკლესია დგას ერთსაფეხურიან ცოკოლზე. კედლები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. აღდგენის დროს ეკლესია კრამიტით გადახურეს.

ლიტ.: მეფისაშვილი რ., სოფელ კიანეთის X საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი. – ძეგლის მეგობარი, 1972, №30; მუსხელიშვილი ლ., არქეოლოგიური ექსპედიციები მაშავერას ხეობაში, თბ., 1941; ქართული წარწერების კორპუსი, I. ლაპიდარული წარწერები (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა), თბ., 1980; Georgian Architecture, a documented photo-archival collection on microfiche ..., vol. 4, Leiden, 1999.

გ. დოლიძე.

კიარაზი (აფხ. გაერთიანება), შრომითი და თავდაცვითი ორგანიზაციები აფხაზეთში XX ს. დასაწყისამდე. ცალკეული სოფლის გლეხები ქმნიდნენ ურთიერთდამხმარე შრომით ორგანიზაციებს და ერთად გადიოდნენ მოსავლის ასაღებად. მტრის მოსალოდნელი თავდასხმის გამო ისინი შეიარაღებულიც იყვნენ. კ. ეწოდებოდა აგრეთვე მსხვილი ფეოდალის პირადი დაცვისათვის შექმნილ რაზმს, რ-საც დასჯის ფუნქციებიც ეკისრებოდა.

გ. ძიძარია.

კიბე, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარისწყლის თემი), მდ. აჭარისწყლის (ჭოროხის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 240 *მ.* ხელვაჩაურიდან 15 *კმ.* 251 მცხ. (2014).

კიბერდანაშაული, დანაშაული, რომლის ჩადენის დროსაც ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ ქსელის გამოყენება, კერძოდ, დამნაშავის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა. კომპიუტერულ სისტემად მიიჩნევა ნებისმიერი მოწყობილობა (მექანიზმი) ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მოწყობილობათა (მექანიზმთა) ჯგუფი, რ-იც პროგრამის მეშვეობით ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მ. შ. პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მიკროპროცესორიანი მოწყობილობა, მობილური ტელეფონი). კ. შეიძლება გამოიხატოს სხვების კომპიუტერული სისტემის ხელყოფით, კიბერთავდასხმებით სხვადასხვა ვებგვერდზე დეზინფორმაციის გავრცელების მიზნით, საბანკო ელექტრონულ პროგრამებში შეღწევით, საკრედიტო ბარათების ინფორმაციის მოპოვებით, პერსონალური ან სახელმწიფო დანიშნულების მქონე ინფორმაციის უკანონო მოპოვებით და სხვ.

კ-ის პირველი შემთხვევები XX ს. 70-იან წლებში აშშ-ში დაფიქსირდა. შემდგომ წლებში თანდათან იმატა აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ფაქტებმა. ბოლო წლებში კ. აღიარებულია საერთაშ. ხასიათის დანაშაულად და მასთან ბრძოლა წარმოადგენს როგორც მსოფლიოში წამყვანი სახელმწიფოების, ისე საერთაშ. ორგანიზაციების პრიორიტეტულ მიმართულებას.

კ. ფორმირდება სხვადასხვა სახით – დანაშაულის ჩადენის მიზანი შესაძლებელია იყოს სხვადასხვა, კერძოდ, დანაშაული მიმართული იყოს კონკრეტული პიროვნების, სახელმწიფოს წინააღმდეგ ან მიზნად ისახავდეს სხვისი საკუთრების ხელყოფას.

კ-ის ჩადენით ზიანი ადგება დაზარალებული პირის უსაფრთხოებას. ზიანი შესაძლებელია იყოს როგორც მორალური, ასევე, ხშირ შემთხვევაში – ფინანსური.

გავრცელებულია კ-ის სხვადასხვა ტიპი: კიბერშეურაცხყოფა (კიბერბულინგი) – სხვა პირის შეურაცხყოფა, დამცირება, ფსიქოლ. ძალადობა ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული სისტემის მეშვეობით; ასევე პირის შეურაცხყოფა სქესობრივი, რელიგიური, რასობრივი და სხვა პირადი ცხოვრების და ინტერესების შელახვით.

კიბერვანდალიზმი – ონლაინ ვებგვერდზე კიბერთავდასხმა საინფორმაციო ბაზების დაზიანების, განადგურების მიზნით; კიბერქურდობა – პირადი საკუთრების ხელყოფა ონლაინსივრცეში; კიბერგათეთრება – უკანონოდ მოპოვებული ფინანსური სახსრების ინტერნეტგადარიცხვა წყაროსა და მიმღების ვინაობის დაფარვის მიზნით; კიბერტერორიზმი – სახელმწიფო, სამთავრობო ან სამხედრო ვებგვერდებზე კიბერთავდასხმა ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ინტერნეტსივრცეში იდეოლოგიურად მოტივირებული ძალადობა მოქალაქეთა წინააღმდეგ.

კიბერტრეფიკინგი – დანაშაულის მსხვერპლის (ძირითადად – ქალები და ბავშვები) თავისუფლების შეზღუდვა მოტყუების, მუქარის ან ძალადობის გზით, სექსუალური ძალადობის გადაღება და გავრცელება ონლაინ სივრცეში.

საქართველოში კ-ის დასჯადობის საკითხები რეგულირდება საქართვ. სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავით, რ-ის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს კიბერსივრცეში ჩადენილი შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემების ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემების ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა.

ი. უჯმაჯურიძე.

კიბერნეტიკა (ბერძნ. kybernētikē – მართვის ხელოვნება), მეცნიერება რთული მმართველი სისტემების – მანქანების, ცოცხალი ორგანიზმებისა და საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ.

ტერმინი კ. შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ა.-მ. ამპერმა („Essai sur la philosophie des sciences“, 1834). კ-ის, როგორც სამეცნ. დისციპლინის, წანამძღვრებს ვხვდებით ქტესიბიოსის (ძვ. წ. III ს., საბერძნეთი), ჰერონის (ახ. წ. 10– 70, საბერძნეთი), სუ ჟონგის (1020–1101, ჩინეთი), ა.-მ. ამპერის (1775–1836, საფრ.), ჯ. უატის (1736–1819, ინგლისი), ჯ. მაქსველის (1831–79, შოტლანდია) ნაშრომებში.

ნეოლოგიზმის ფორმით ტერმინი ნ. *ვინერმა* დაამკვიდრა თავის

ფუძემდებლურ ნაშრომში Cybernetics, or Control and Communication in the Animal and the Machine (N.-Y., 1948; ,,კიბერნეტიკა ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში‘‘, თარგმ. შ. ადეიშვილისა, 1961).

ტერმინი კ. ზოგჯერ გამოიყენება როგორც სისტემების შემსწავლელ მეცნიერებათა გამაერთიანებელი საწყისი. მაგრამ ის, როგორც ტრანსდისციპლინური ფორმა, არ დაიყვანება ცალკეული შემავალი დარგების მეთოდოლოგიათა გაერთიანებაზე და უპირატესად წარმოადგენს კვლევის მეტაენას. კერძოდ, ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა დასწავლა, ამოცნობა, ადაპტირება, ზოგადი მართვა, გამოვლენა, დაახლოება, ქმედითობა და სხვ. კ. კვლევის შესწავლას ობიექტს არ უკავშირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოცანა დაიყვანებოდა კონკრეტული ობიექტის კონტექსტზე, დარგის მეთოდებსა და შედეგებზე, რაც ყოველთვის შესაძლებელი არ არის. XXI ს-ში კ-ის ცნება ერთობ გაფართოვდა: ის იკვლევს, თუ როგორ ზემოქმედებს და უკავშირდება ერთმანეთს, როგორ იმართება ადამიანის, ცოცხალი ორგანიზმისა და მანქანა-დანადგარებისგან შედგენილი სისტემები.

კ-ის მეტაენას იყენებენ, როდესაც სისტემის ფუნქციონირების შედეგად იცვლება მისი გარემო, რაც, თავის მხრივ, იწვევს თვით სისტემის ცვლილებას. ასეთ ვითარებას უკუკავშირი ეწოდება, იგი მეტაენის მთავარი ცნებაა.

საქართველოში კ-ის განვითარება იწყება XX ს. 60-იანი წლებიდან. 1960 ჩამოყალიბდა საქართვ. მეცნ. აკად. *კიბერნეტიკის ინსტიტუტი,* 1964 თსუ-ის კიბერნეტიკის ფაკ-ტმა მიიღო სტუდენტების პირველი ნაკადი. ხელშემწყობ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ დროისათვის სსრკ-ში მოიხსნა იდეოლოგიური წნეხი მეცნიერების „არაკეთილსაიმედო“, „მავნე“ დარგების მიმართ (კ-ის გარდა ასეთებად ცხადდებოდა გენეტიკა, ფორმალური ლოგიკა და სხვ.) და გზა გაეხსნა მათ ინტენსიურ განვითარებას. საქართველოში კ-ის დაფუძნებასა და განვითარებას საფუძველი ჩაუყარა ვ. *ჭავჭანიძემ.* მის სახელს უკავშირდება მრავალი სამეცნ. წარმატება. კ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. *ელიაშვილმა,* მ. *სალუქვაძემ,* გ. *ხარატიშვილმა,* ი. *ფრანგიშვილმა* და სხვა მეცნიერებმა.

ლიტ.: Johnston J. The allure of mcahinic life: cybernetics, artificial life, and the new AI. Cambr., 2008.

ზ. გორგაძე.

კიბერნეტიკის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ. ჭავჭანიძის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება თბილისში. დაარსდა 1960 საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის ფიზ. კიბერნეტიკის განყ-ბის ბაზაზე ვ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით. 1981–2006 კ. ი-ის დირექტორი იყო გ. *ხარატიშვილი.* 2006 ინ-ტი გარდაიქმნა საჯარო სამართლის იურიდ. პირად, 2010 კ. ი-ს მიენიჭა მისი დამაარსებლის, ვ. ჭავჭანიძის სახელი და შეუერთდა სტუ-ს დამოუკიდებელი სამეცნ.- კვლ. ინ-ტის სახით. კ. ი-ის მართვას ადმინისტრაციულ ნაწილში ახორციელებს ინ-ტის დირექცია (2006-იდან დირექტორი – თ. სულაბერიძე), ხოლო სამეცნ.-კვლ. ნაწილში – კოლექტიური ორგანო – კ. ი-ის სამეცნ. საბჭო. ინ-ტში 9 სამეცნ. და 1 სამეურნეო-დამხმარე ქვედანაყოფია.

კიბერნეტიკული იდეების პოპულარობამ კ. ი-ში თავიდანვე მიიზიდა ახალგაზრდა ენთუზიასტი მეცნიერები და მალევე ჩამოყალიბდა ერთ-ერთ უმსხვილეს სამეცნ. ცენტრად, სადაც (საქართველოში პირველად) დაიწყო და მიმდინარეობდა კიბერნეტიკული პრობლემების ინტერდისციპლინური კვლევები, რ-ის ძირითადი მიმართულებებია: ინფორმაციის დამუშავების ფუნდამენტური და გამოყენებითი პრობლემები და მათი თეორ. და ექსპერ. ასპექტები, რაც მოიცავს ინფორმაციის დამუშავების როგორც მათემატიკურ და ლოგიკურ ამოცანებს, ასევე ბიოლოგია-მედიცინასთან, ოპტიკასთან, ოპტოელექტრონიკასთან, ქიმიასთან, ნანოტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებისთვის თანამედროვე თეორ. და საელემენტო ბაზის შექმნის პრობლემებს.

კ. ი-ში საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ძირითადი არაკლასიკური ლოგიკური სისტემების ალგებრული და რელაციური მოდელების თეორია (ლ. ესაკია, რ. გრიგოლია); კვანტური გამოთვლების გეომეტრიული თეორია (გ. გიორგაძე); სხვადასხვა კლასის სტოქასტური პროცესებისთვის შემუშავდა მოდელირების, მართვისა და პროგნოზირების კონსტრუქციული მეთოდები; განვითარდა ფინანსური მათემატიკის აქტუალური საკითხები (ზ. ფირანაშვილი, რ. თევზაძე); შეისწავლეს ცვლადსტრუქტურიანი და პოლიატომური ოპტიმალური სისტემები; დაამტკიცეს ოპტიმალურობის აუცილებელი პირობა – მაქსიმუმის პრინციპი დაგვიანების შემცველი სამართი სისტემებისთვის, რამაც საფუძველი ჩაუყარა დაგვიანებითი ოპტიმალური სისტემების თეორიას; აიგო პირველი ვარიაციის აქსიომური თეორია ექსტრემალური ამოცანებისთვის წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეებში, რ-იც მოიცავს ძირითად ოპტიმალურ და ვარიაციულ ამოცანებს ერთი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში (გ. ხარატიშვილი). მიმდინარეობს ექსპერ. და თეორ. კვლევები ოპტიკური დიფუზური ტომოგრაფის ასაგებად (ზ. მელიქიშვილი); შესწავლილია ახ. ტიპის ლაზერული გენერაცია, საღებავდამატებულ პოლიმერულ ფენაში; პირველადაა დემონსტრირებული ინფორმაციის ოპტიკური ჩაწერა ოპტიკურად აქტიური მასალის თხელ (რამდენიმე *მკმ* სისქის) ფენაში; შესწავლილია *თხევად კრისტალებში* სპირალური, ზემოლეკულური სტრუქტურის ინდუცირების მოვლენა; განვითარდა ახ. მიმართულება – სპირალური სტრუქტურის თხევადკრისტალური სისტემები. ფოტომგრძნობიარე ნემატიკებისა და არაფოტომგრძნობიარე ოპტიკურად აქტიური დანამატების ნარევების საფუძველზე მიღებულია სინათლით მართვადი გიროტროპული ქოლესტერული თხევადკრისტალური ფენები; 1975–88 შესრულებულ შრომათა ციკლს „ინდუცირებული სპირალური სტრუქტურის მქონე თხევადი კრისტალები ინფორმაციის ასახვის სისტემებისთვის“ (გ. *ჭილაია, კ. ჯაფარიძე,* ს. არონიშიძე, ზ. *ელაშვილი,* კ. ვინოკური, დ. *სიხარულიძე*) მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. გამოსახულების თხევადკრისტალიანი გარდამქმნელების გამოყენებით დამუშავდა ინფორმაციის გადამუშავების სისტემების შექმნის ახალი პრინციპები; შეიქმნა სწრაფქმედებისა და სინათლის მგრძნობიარობის რეკორდული მახასიათებლების მქონე მოქმედი ნიმუშები, რაც უზრუნველყოფს დროის რეალურ მასშტაბში

ოპტიკური ინფორმაციის გადამუშავების მაღალ ეფექტურობას (გ. ჭილაია, დ. სიხარულიძე, ა. ჭანიშვილი, გ. პეტრიაშვილი); შემუშავდა მაგნიტურ-ოპტიკური მეხსიერების რევერსიული ელემენტების მიღების ტექნოლოგია, რ-იც იძლევა ინფორმაციის დიდი სიმკვრივით ჩაწერის შესაძლებლობას; შემუშავდა ოპტიკური ბოჭკოსა და ბოჭკოვანი ელემენტების მიღების ტექნოლოგია; ნაშრომი „ოპტოელექტრონიკის, როგორც რადიოტექნიკის ახალი მიმართულების ფიზიკურ–ტექნიკური საფუძვლების დამუშავება“ დაჯილდოვდა უკრაინის სახელმწ. პრემიით (1973, ხ. გაფრინდაშვილი და სხვ.).

1959 გამოითქვა მოლეკულური კომპიუტერის შექმნისა და მოლეკულის დონეზე მატერიის მართვის კონცეფცია (რ. ფეინმანი) და ფოტოქრომული მოლეკულების (სპიროპირანების) ბაზაზე შეიქმნა ქიმიური მეხსიერების მოდელი (ვეიცმანის ინ-ტი, ისრაელი), რაც მსოფლიოს მრავალი სამეცნ. ცენტრის კვლევის საგანი გახდა. ჯ. ი-ის ოპტიკურ-ქიმიური კვლევების განყ-ბის თანამშრომლებმა, ვ. ჭავჭანიძის ინიციატივით და კ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, სსრკ-ში პირველებმა განახორციელეს ფოტოქრომული სპიროპირანების სინთეზი და კვლევა.

1979 სსრკ აღმოჩენათა სახელმწ. რეესტრში დარეგისტრირდა აღმოჩენა „ელექტრომაგნიტური ველის სურათის აღდგენის მოვლენა“ (შ. *ყაყიჩაშვილი*); ამ აღმოჩენის საფუძველზე ჯ. ი-ის თანამშრომლებმა შექმნეს მრავალი ახალი მეთოდი და ხელსაწყო.

შემუშავდა და შეიქმნა დინამიკური ამომცნობი მოწყობილობის ლაბორ. მოდელი (ბ. კილოსანიძე, გ. კაკაურიძე); *დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე* განთავსდა ჯ. ი-ის თანამშრომლების მიერ შექმნილი 10 მოწყობილობა სუსტი კოსმოსური გამოსხივების რეგისტრაციისთვის.

ჯ. ი-ში შეიქმნა პოლიმერში მიკროსტრუქტურის გრადიენტის ფორმირებაზე დამყარებული ახ. ტიპის გრადიენტული მასალები (ლ. ნადარეიშვილი), რაც თანამედროვე მასალათმცოდნეობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა.

თ. სულაბერიძე.

კიბიში, კიბე, უელტეხილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. განშტოებაზე, შანისა და შინოს ქედების შემაერთებელ კიბიშის ქედზე, მდ-ების სნოსწყლის და ხდის (თერგის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3400 მ. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. ჯ-ის უღელტეხილის ჩრდ.-დას. კალთაზეა კიბიშის მყინვარი.

კიბიში, ყიბიშა, ხეობის მყინვარი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხდის (თერგის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ჩრდ. ექსპოზიციის ფართ. 1,93 *კმ* ². მყინვარის ენა ეშვება 3200 *მ* სიმაღლემდე. ფირნის საზღვარი გადის 3300 *მ*-ზე. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მყინვარმა უკან დაიხია.

კიბიშის ქედი, კიბის ქედი, შანისა და შინოს ქედების შემაერთებელი ქედი. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. ჯ. ძ-ზეა უღელტეხილი კიბიში.

კიბორჩხალას ნისლეული, კიბორჩხალასებრი ნისლოვანება, ნისლეული, კუროს თანავარსკვლავედში, რომელიც ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების შედეგად წარმოიშვა. დედამიწიდან დაშორებულია დაახლ. 6500 სინ. წ. (2 *კპკ*). მისი ამჟამინდელი დიამეტრი 11 სინ. წ. (3,4 *პკ*) შეადგენს. ჯ. ნ. ფართოვდება 1500 *კმ/წმ* სიჩქარით. მის ცენტრში მდებარეობს პულსარი PSR B0531+21 – სწრაფად მბრუნავი (30*ბრ/წმ*) 28–30 *კმ* დიამეტრის მქონე ნეიტრონული ვარსკვლავი.



კიბორჩხალას ნისლეულის გამოსახულება, მიღებული ხილულ სხივებში (მარცხნივ); სხვადასხვა დიაპაზონის მონაცემების ზედდებით (მარჯვნივ).

არაბული და ჩინური წყაროების თანახმად, ზეახალი ვარსკვლავის აფეთქება 1054 წ. 4 ივლისს შეამჩნიეს. მისი ნათება 23 დღ-ღ განმავლობაში შეუიარაღებელი თვალით დღისითაც კი შეინიშნებოდა. ჯ. ნ. პირველად აღმოაჩინა ჯ. ბევისმა (1731; ინგლისი), ხელმეორედ – შ. მესიემ (1758; საფრანგეთი), რ-მაც ჯ. ნ. თავისსავე შედგენილ კატალოგში (მესიეს კატალოგი) პირველ ნომრად შეიტანა. სახელწოდება „ჯ. ნ.“ მიიღო ჩანახატის გამო, რ-იც ირლანდიელმა ასტრონომმა უ. პარსონსმა (ლორდი როსი) 1844 დაკვირვებების საფუძველზე გააკეთა. ჯ. ნ-ის გამოსხივება რეგისტრირებულია ელექტრომაგნიტური სპექტრის ფართო დიაპაზონში, რადიოტალღებიდან დაწყებული, რენტგენისა და γ-გამოსხივების ჩათვლით. ეს გამოსხივება ძლიერ პოლარიზებულია, რაც დაკვირვებებით (1953) აღმოაჩინეს (ერთმანეთისგან დამოუკიდებლად) მ. *ვაშაკიძემ* (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია) და ვ. დომბროვსკიმ (პულკოვოს ობსერვატორია, სსრკ). ამ დაკვირვებებმა დაადასტურა ჯ. ნ-ის გამოსხივების სინქროტრონული (და არა სითბური) მექანიზმი: სწრაფი (რელატივისტური) ელექტრონები პულსარის ძლიერ მაგნიტურ ველში მოძრაობისას ასხივებს სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს. ჯ. ნ-ის ოპტიკური გამოსხივების პოლარიზაცია იმდენად ძლიერია, რომ პოლაროიდის სხვადასხვა ორიენტაციისას მ. ვაშაკიძის მიერ მიღებულ გამოსახულებებზე ნისლეულის დეტალები ხვადასხვა სახის იყო. ჯ. ნ-ში რელატივისტური ელექტრონების წარმოქმნის მექანიზმი, სპექტრის თავისებურებები და ჯ. ნ-ის რადიო-ოპტიკური, რენტგენისა და γ-გამოსხივების სპექტრების თავისებურებები, ასევე ნისლეულის

სხვა აქტიურობების მექანიზმი XX ს. დასასრულს შესრულებულ კვლევებში თეორიულად ახსნეს ჯ. *ლომინაძემ*, გ. *მაჩაბელმა*, ა. როგავამ, გ. *ჩაგელიშვილმა*, ე. წიქარიშვილმა, ო. ჭედიამ, გ. ღოღობერიძემ და სხვ.

ლიტ.: „მ. ვაშაკიძე 100“, რედ. მ. გიგოლაშვილი, ც. ვაშაკიძე, თბ., 2009; Mitton S., «The Crab Nebula», Ch. Schribner's Sons, N. Y., 1978.

ი. ლომიძე.

კიბოსნაირნი (Crustacea), უხერხემლო ცხოველების კლასი ფეხსახსრიანთა ტიპისა. მათი სხეულის სიგრძე მერყეობს *მმ*-ის რამდენიმე მეათედიდან 80 *სმ*-მდე (მადაგასკარის მდინარის კიბო). კ-თა კლასი იყოფა 2 ქვეკლასად – უმდაბლეს და უმაღლეს კიბოსნაირებად და აერთიანებს 20000-მდე სახეობას.

კ-თა სხეული შედგება თავის, მკერდისა და მუცლისაგან (ხშირად თავი და მკერდი შერწყმულია და ქმნის თავ-მკერდს), თავზე 5 წყვილი კიდური აქვთ: 1. ანტენები (მათზე ხშირად გრძნობის ორგანოებია), 2. ანტენულები (ზოგი მათ ცურვის დროს იყენებს), 3. საღეჭები, ანუ მანდიბულები (საკვებს აქუცმაცებს), 4. I წყვილი ყბა, ანუ პირველი მაქსილა, 5. II წყვილი ყბა, ანუ მეორე მაქსილა. თავზე აქვთ წყვილი (ზოგჯერ კენტი) ფასეტური თვალი, სხეულის გვერდებზე კი – კიდურები, რ-ითაც მოძრაობენ, ან 1–3 წყვილი ყბაფეხი საკვების მოსაპოვებლად. სხეული დაფარული აქვთ სხვადასხვა სისქის ქიტინოვანი საფარვლით, რ-იც გარეგან ჩონჩხს ქმნის. კ-თა საჭმლის მომნელებელი სისტემა შედგება წინა, შუა და უკანა ნაწლავისაგან. იკვებებიან ცხოველური და მცენარეული საკვებით. კ. სხეულის ზედაპირით სუნთქავენ, ზოგი – ლაყუჩებით, ხმელეთის კ. კი – თავისებური აღნაგობის ფილტვებით. სისხლის მიმოქცევის სისტემა ღიაა. გული ზურგის მხარეს მდებარე კუნთოვანი პარკია.

კ-თა უმრავლესობა ცალსქესიანია, ზოგიერთი – ჰერმაფროდიტი. უმდაბლესებს ახასიათებთ სქესობრივი დიმორფიზმიც – დედალი ტანად მამალზე დიდია. უმრავლესობა წყლის ორგანიზმია. ცხოვრობენ როგორც ზღვაში, ისე კონტინენტურ წყალსატევებში, აგრეთვე წყლის სიღრმეში (პელაგიალში) და ფსკერზე (ბენთალში).

კ-ს მიეკუთვნება ათფეხა კიბოების (Decapoda) რიგი. მათთვის დამახასიათებელია თავთან შეზრდილი მკერდის წინა 3 სეგმენტი, რ-თა კიდურებსაც მოძრაობითი ფუნქცია დაკარგული აქვთ და ყბაფეხებად არის ქცეული. ათფეხა კიბოები მოძრაობენ მხოლოდ მკერდის უკანა 5 წყვილი კიდურით (აქედან წარმოდგება მათი სახელიც). ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ათფეხა კიბოები ცალსქესიანები არიან. იკვებებიან ცხოველებით, მცენარეებითა და მძორით. მრავალი სახეობა ზოგიერთი პარაზიტული ჭიის შუამავალი მასპინძელია. ცნობილია ათფეხა კიბოების 8500-მდე სახეობა. უმრავლესობა ბინადრობს ზღვებსა და ოკეანეებში, ზოგი – მტკნარ წყალში, ზოგი ტროპიკული სახეობა კი – ხმელეთზე. შავ ზღვაში გვხვდება მათი 36 სახეობა.

საქართველოში არსებულ სახეობათაგან აღსანიშნავია ქუთაისური გვერდულა (Troglocaris kutaisiana – ნაპოვნია ქუთაისის მახლობელ მღვიმეებში) და კოლხური კიბო (Astacus colchicus – გვხვდება რიონის აუზში). ათფეხა კიბოებს სარეწაო მნიშვნელობა აქვთ. მის ზოგ სახეობას ზიანი მოაქვს მეთევზეობისათვის.

დ. კობახიძე.

კიდეგანა, მყინვარი დუშეთის მუნიციპალიტეტში, აღმ. კავკასიონზე, კიდეგანის ქედის აღმ. კალთაზე. ასაზრდოებს მდ. ახიელისწყალს (ასის მარცხ. შენაკადი). კ. კარული ტიპისაა. ფართ. 0,65 *კმ*^{2}. ფირნის ხაზი გადის 3490 *მ* სიმაღლეზე. მყინვარი უკან იხევს წელიწადში საშ. 6,5 *მ*.

კიდეგანისმაღალი, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში, კიდეგანის ქედზე, მდინარეების – ახიელისწყლის, შანისა და ხანკოლის სათავეებში, საჯიხვისღელისა და სახარისღელის უღელტეხილებს შორის. სიმაღლე 4262 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. დას. და აღმ. კალთებზე მყინვარებია. ხასიათდება მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტით. კ-ზე პირველად ავიდნენ 1936, მეორედ – 1943 ა. (ალიოშა) *ჯაფარიძის* ხელმძღვანელობით.

კიდეგანის ქედი, აღმ. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთი განშტოება. საქართველოს ფარგლებში შემოდის მისი მხოლოდ აღმ. ფერდობი. ქედი მდების – ასისა და არმხის წყალგამყოფია. უმაღლესი მწვერვალია ახიელისმაღალი (4274 *მ*). სხვა მწვერვალებია: *კიდეგანისმაღალი*, გველისმთა, სახარისმაღალი, ჭიმღისმაღალი, ვაჟა-ფშაველას მწვერვალი, თათელისმაღალი და სხვ. მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: არხოტისთავისღელე, სახარისღელე, საჯიხვისღელე და სალაშქროსღელე. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ორივე კალთაზე ჩამოწოლილია მყინვარები. ახასიათებს მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. ამგებელი ქანების ლითოლოგიურმა სირბილემ ხელი შეუწყო ფერდობების ძლიერ დანაწევრებას.

ლ. მარუაშვილი.



კიბოსნაირნი.

კივი, სამუსიკო ტერმინი, ზედა (მაღალი) ხმის ხალხური სახელწოდება სვანეთში.

კივი, იხ. *ჩინური აქტინიდია.*

კიზირია ალვიპ პავლეს ძე (21. IX. 1886, თბილისი, – 8. XI. 1940, ბერლინი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1915). I მსოფლიო ომის (1914–18) მონაწილე. ომის დროს დაევალა სპარსეთის სამეფო არტილერიის შეკრება. 1920-იდან ცხოვრობდა გერმანიაში და იყო ქართული კოლონიის პრეზიდენტი. როგორც გამოცდილი სპორტსმენი, არჩეული იყო „სოკოლის“ (პრაღის სატანვარჯიშო საზ-ბა) წევრად.


ლ. დოლიძე.

კიზირია ანატოლი პავლეს ძე [14(26). VII. 1889, სოფ. ნოსირი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 9. II. 1976, თბილისი], ინჟინერ-მექანიზატორი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტი (1913)



კიდეგანა.

და პეტროვსკოე-რაზუმოვსკოეს სას.-სამ. აკადემია (1916). მუშაობდა თბილ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში (1918–20; 1923–36); სენაკის მაზრის რევკომში; სას.-სამ. ინ-ტში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კათედრის გამგედ (1932–38); საქართვ. ზოოვეტ. სასწ.-საკვლევი ინ-ტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კათედრის გამგედ (1938–71); საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტში კონსულტანტად (1973–76).



ბ. კიზირია.

პ-ს სამეცნ. შრომები ეძღვნება სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის აქტუალურ საკითხებს და სოფ. მეურნ. ტექნოლ. პროცესებში გათხევადებული აირების გამოყენებას.

თხზ.: ციტრუსების გათბობა გაზით, თბ., 1965 (თანაავტ. ს. რობაქიძე).

კიზირია ანტონ იოსების ძე (8. I. 1914, სოფ. კოდორი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 8. XII. 1986, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1937). 1943-იდან მუშაობდა ენათმეცნიერების ინ-ტში, 1945–55 – თსუ-ის ახ. ქართ. ენის კათედრაზე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილისში, ქუთაისსა და თელავში. იკვლევდა ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტ. საკითხებს, ძირითადად – ქართველური ენების სინტაქსის პრობლემებს. ავტორია მონოგრაფიებისა და სამეცნ. სტატიებისა.



ვ. კიკაბიძე.

თხზ.: მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963; რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969; მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982; ,,მარტივი წინადადებების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკაციები'', 1987; ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997.

ლ. კვანტალიანი.

კიზირია ბენიტო ივანეს ძე (18. VI. 1930, თბილისი, – 15. V. 2018, მოსკოვი), გეოფიზიკოსი, გამომგონებელი. 1953 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1953–61 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის გეოფიზ. ინ-ტის ატმოსფეროს ფიზიკის განყ-ბაში. მონაწილეობდა საველე სამუშაოებში ალაზნის ველზე, სადაც მუშავდებოდა ღრუბლებზე ზემოქმედების მეთოდები და ტექ. საშუალებები, აგრეთვე მონაწილეობდა პირველი სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტის გამოცდაში, რ-იც ჩატარდა 1958 ცივ-გომბორის უღელტეხილზე.

1960 პ. რუსეთის მეცნიერებთან ერთად ახორციელებდა ღრუბლებში სეტყვის კერებზე ზემოქმედების ტექ. საშუალებების გამოცდას. 1961 დაინიშნა სოფ. მეურნ. სამინისტროს სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის უფროსად.

1967 პ. მიიწვიეს მოსკოვში. მან მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლ. სამსახურის მთ. სამმართველოში ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების განყ-ბის ხელმძღვანელად. 1969 სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტებისა და ჭურვების გამოყენებით სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების დამუშავებისა და დანერგვისათვის პ-ს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია.

1989 პ-მ მოსკოვში დააარსა სამეცნ. ცენტრი ,,ABC''. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დარახველიძე.

კიზირია გივი ბართლომეს ძე (15. III. 1927, თბილისი, – 29. IV. 2001, იქვე), ინჟინერი, რკინაბეტონის კონსტრუქციების სპეციალისტი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1976). საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვილი წევრი (1996). 1949 დაამთავრა თბილ. ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტი. 1949–59 მუშაობდა თბილისისა და მოსკოვის სატრანსპორტო მშენებლობის სამეცნ.-კვლ. და საპროექტო დაწესებულებებში. 1959–85 საქართვ. მეცნ. აკად. სამშ. მექანიკისა და სეისმომედეგობის (სმს) ინ-ტში თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტული დაპროექტების, შემდეგ კი – ხანგრძლივი სიმტკიცისა და პოლიმერების განყ-ბას. ორი წლით მივლინებული იყო ინდონეზიის რესპუბლიკაში ტექნიკური კადრების მოსამზადებლად. 1985-იდან ისევ სმს-ის ინ-ტში დაბრუნდა. პარალელურად სპი-ში (1990-იდან – სტუ) იყო ხიდებისა და გვირაბების კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ათობით სამოქალაქო და სამრეწვ. ნაგებობა, მ. შ. დიღმისა და ვაკუშტის ხიდები თბილისში, ორიგინალური სისტემის ვანტური ხიდი ბორჯომში, ლაჯანურჰესის კაშხალი და სხვ.

პ-ს სამეცნ. შრომები ეხება ნაგებობათა თეორიას. მან საფუძველი ჩაუყარა მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების ახ. (ცოცვადობის დეფორმაციების გათვალისწინებით) მეთოდებს, რ-თა მიხედვითაც საქში აიგო ხიდები, აკვედუკები, სამრეწვ. და მაღლივი საცხოვრ. შენობების საძირკვლები და საყრდენი კედლები. 1980–2000 ტექნიკის დარგში შესრულებული სამუშაოსათვის – ,,შენობა-ნაგებობების საიმედოობის ამაღლების კომპლექსური ღონისძიებების კვლევა და რეალიზაცია'' – ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (2002). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თხზ.: ხიდები და ნაგებობანი გზებზე, თბ., 1980; Расчет конструкций с учетом деформации ползучести бетона, Тб., 1959; Усадка, ползучесть и местные напряжения в предварительно напряженных конструкциях мостов, М., 1959.

კიზირია დოდონა ივანეს ასული (დ. 21. III. 1938, თბილისი). ფილოლოგი, პოეტი. ინდიანას უნტის (აშშ) პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის საკავშ. კინემატოგრაფიის ინ-ტი; სწავლა განაგრძო ინდიანას უნ-ტში, სადაც მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1972–2012 ასწავლიდა საბჭ. და აღმ. ევროპის კინოს ისტორიასა და თეორიას, XIX და XX სს. რუს. ლიტ-რას, ქართულ ენას. ავტორია ლექსების კრებულებისა: „ლექსები“ (1995, კალიფორნია), „ნაპირები“ (ლექსები, თარგმანები, თბ., 2010). ასევე წიგნისა „მოგონებები“ (თბ., 2018) და სხვ.

კითხიჯი, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (გურნის თემი), ოკრიბის დაბალმთიანეთში, მდ. ჭალის (წყალწითელას მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 480 *მ*, ტყიბულიდან 37 *კმ*. 72 მცხ. (2014).

სოფელი დატანილია ვახუშტი ბაგრატიონის რუკებზე.

კიკაბიძე ვახტანგ (ბუბა) კონსტანტინეს ძე (19. VII. 1938, თბილისი, – 15. 01. 2023, თბილისი), ესტრადისა და კინოს მსახიობი, მომღერალი, კინორეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1980), შოთა რუსთაველის სახ. (2010), საქართვ. (2013) და სსრკ (1979) სახელმწ. პრემიების ლაურეატი, უკრაინის დამს. არტისტი (2013). 1961–63 სწავლობდა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტში. 1959-იდან იყო საქართვ. ფილარმონიის სოლისტი. 1963–66 მღეროდა ვოკალურ-საკრავიერ ანსამბლ

,,დიელოში‘‘, 1966-იდან – ანსამბლ ,,ორერაში‘‘ (1972-იდან სამხატვრო ხელმძღვ.). 1984–88 საქართვ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრ ,,რეროს‘‘ (ხელმძღვ. კ. პევზნერი) სოლისტი იყო, 1987–88 – სამხატვრო ხელმძღვ. 1993-იდან გამოდის სოლო პროგრამით სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.

ჰ-ის, როგორც მომღერლის, შესრულება გამოირჩეოდა ბუნებრიობით, უშუალობითა და დახვეწილი პლასტიკით. ახასიათებს მაყურებელთან კონტაქტის განსაკუთრებული უნარი. მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია სიმღერები: ,,მეფაიტონე‘‘, ,,ჩემო თბილის ქალაქო‘‘, ,,სადაც გინდა იქ ილოცე‘‘, ,,თბილისური უბნები‘‘, ,,ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს‘‘ (ყველას ავტორი – გ. ცაბაძე).

ჰ-ს 1964-იდან იღებენ კინოში. 1975-იდან კინოსტუდია ,,ქართული ფილმის‘‘ მსახიობია. კინოდებიუტი შედგა მუს. კომედიაში ,,შეხვედრა მთაში‘‘ (გია; რეჟ. ნ. სანიშვილი, 1966). განსაკუთრებული წარმატება მოუტანა ბენჟამენ ღლონტის როლმა კომედიაში ,,არ იდარდო!‘‘ [რეჟ. გ. დანელია, 1969 – პრიზი მამაკაცის საუკეთესო როლისთვის კართახენას (კოლუმბია) სკფ, 1970; ,,მოსფილმისა‘‘ და ,,ქართული ფილმის‘‘ ერთობლივი ნაწარმოები]. მნიშვნელოვანი როლებია: მედროგე პავლე (,,ვერის უბნის მელოდიები‘‘, რეჟ. გ. შენგელაია, 1973), ვალიკო მიზანდარი (,,მიმინო‘‘, რეჟ. გ. დანელია, 1977, ,,მოსფილმი‘‘, სსრკ სახელმწ. პრემია, 1978), თომა ბერიძე (,,ფორტუნა‘‘, რეჟ. გ. დანელია, 2000, კინოკომპანია ,,კინომოსტი‘‘). ითამაშა მთავარი და მეორეხარისხოვანი როლები სხვადასხვა ჟანრის ფილმებში: ,,მე, გამომძიებელი‘‘ (გიორგი მიქელაძე, რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1971), ,,მთლად წყალწაღებული‘‘ (ჰერცოგი, რეჟ. გ. დანელია, 1972, ,,მოსფილმი‘‘), ,,დაკარგული ექსპედიცია‘‘ (კომისარი კობახიძე, რეჟ. ვ. დორმანი, 1975, მ. გორკის სახ. კინოსტუდია), ,,დიუმა კავკასიაში‘‘ (არკაპოსი, რეჟ. ჰ. ჰაჟკასიმოვი, 1979, მ. გორკის სახ. კინოსტუდია), ,,ოლღა და კონსტანტინე‘‘ (კონსტანტინე, რეჟ. ე. მეზენცევი, 1984, ,,ლენფილმი‘‘), ,,საკდესი უფლებამოსილია განაცხადოს‘‘ (ჯონ გლები, რეჟ. ვ. ფოკინი, 1984, მ. გორკის სახ. კინოსტუდია) და სხვ.



ვ. კიკაბიძე. ვალიკო მიზანდარი. ფ. მკრტჩიანი. რუბიკ ხაჩიკიანი. კადრი ფილმიდან ,,მიმინო‘‘. რეჟისორი გ. დანელია. 1977.

თავისივე სცენარებით გადაიღო ფილმები: ,,იცოცხლე, გენაცვალე‘‘ [რეჟ. თ. გომელაურთან ერთად, 1981 – გაბროვოს (ბულგარეთი) სკფ პრიზი] და ,,მამაკაცები და სხვები‘‘ (1985), სადაც მთავარ როლებს თვითონვე ასრულებს.

დაჯილდოებულია ღირსების (1997), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის, წმ. გიორგის (2008) და არაერთი საერთაშ. ორდენით. ჰ-ის ვარსკვლავი გახსნილია მოსკოვსა (გამოჩენილ პიროვნებათა ხეივანი, 1999) და თბილისში (დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 2006). გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტი.

ჰ. იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (1998).

კიკალეიშვილი ზურაბ მალაქიას ძე (25. X. 1924 თბილისი, – 1. VI. 2005, იქვე), ბალეტის მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, პედაგოგი, ქორეოგრაფი. საქართვ. სახ. არტისტი (1955), სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი (1948, 1951). დაამთავრა მოსკოვის ქორეოგრ. სასწავლებელი (ნ. ტარასოვის



ზ. კიკალეიშვილი. დ. თორაძის ბალეტი ,,გორდა‘‘.

კლასი). 1942-იდან იყო თბილ. ქორეოგრ. სასწავლებლის პედაგოგი, ამავე წლიდან – თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის საბალეტო დასის სოლისტი.

ჰ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მკაფიო ინდივიდუალობა და თვითმყოფადობა, მაღალი ტექ. ოსტატობა და შინაგანი არტისტიზმი. მისი ეს თვისებები შესანიშნავად გამოიკვეთა ვ. ჭაბუკიანის დადგმების შემდეგ პარტიებში: ჯარჯი (ა. ბალანჩივაძის ,,მთების გული‘‘), ფრონდოზო (ა. კრეინის ,,ლაურენსია‘‘), დავრიში (გ. კილაძის ,,სინათლე‘‘), გორდა, სოკოლოვი (დ. თორაძის ,,გორდა‘‘ და ,,მშვიდობისათვის‘‘) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული იაგოს როლი (ა. მაჭავარიანის ,,ოტელო‘‘); სხვა პარტიები: პრინცი ალბერტი (ა. ადანის ,,ჟიზელი‘‘), ზიგფრიდი, დეზირე (პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა‘‘ და ,,მძინარე მზეთუნახავი‘‘), ვაცლავი (ა. ასაფიევის ,,ბახჩისარაის შადრევანი‘‘) და სხვ. აღსანიშნავია ჰ-ის, როგორც ბალეტმაისტერის მოღვაწეობა; მისი დადგმებია: რ. გლიერის ,,წითელი ყაყაჩო‘‘ (1948), ბ. კვერნაძის ,,ქორეოგრაფიული ნოველები‘‘ (1964, 1978 – სტოკჰოლმი) და სხვ. გადაღებულია მხატვრულ ფილმებში: ,,ქართული ბალეტის ოსტატები‘‘ (რეჟ. შ. მანაგაძე, ვ. ჭაბუკიანი, 1961), ,,ოტელო‘‘ (ა. მაჭავარიანის ბალეტის ეკრანიზაცია, 1960), ,,ვერის უბნის მელოდიები‘‘ (1973, რეჟ. გ. შენგელაია), ,,აურზაური სალხინეთში‘‘ (1975, რეჟ. ლ. ღოღობერიძე), ,,კავკასიური რომანსი‘‘ (1975, რეჟ. რ. გაბრიაძე) და სხვ. როგორც ბალეტმაისტერ-რეპეტიტორი მოღვაწეობდა ქ. ტოკიოს ,,ტოკიო ბალეს‘‘ (1967– 68) და ქ. სტოკჰოლმის სამეფო ბალეტის თეატრის დასებთან (1978–79), თურქეთში საბალეტო დასის რეპეტიტორად (1983–84). თბილ. ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასთან ერთად გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996) და სხვა სახელმწ. ჯილდოები.



ზ. კიკალეიშვილი.

კიკალეიშვილი მამუკა ანდროს ძე (10. VIII. 1960, თბილისი, – 3. IV. 2000, მოსკოვი; დაკრძალულია თბილისში), თეატრისა და კინოს მსახიობი. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1981). მუშა-



მ. კიკალეიშვილი – თავადი ვანო ფანტიაშვილი. რ. გაბრიაძის ,,სამოთხის ჩიტი''

ობდა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრსა (1979–85) და კინომსახიობთა თეატრში (1985–93). მცირე ხნით ხელმძღვანელობდა სატირისა და იუმორის თეატრს. მარჯანიშვილის თეატრში შესრულებული როლებია: ელისაბედი (,,ასი წლის წინათ'', ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანის?!'' და ,,მგზავრის წერილების'' მიხედვით), თავადი ვანო ფანტიაშვილი (რ. გაბრიაძის ,,სამოთხის ჩიტი''), ბერი მასხარა (მ. ჩიკამაცუ ,,შეცვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე'') და სხვ. კინომსახიობთა თეატრში: ბურგომისტრი (ე. შვარცის ,,დრაკონი''). 1977-იდან იღებდნენ ფილმებში. მნიშვნელოვანი კინოროლები: კვაზიმოდო (,,კვაზიმოდო'', რეჟ. დ. ცინცაძე, ლ. ერისთავი, 1977), სანჩო პანსა (,,ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი'', რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989). მონაწილეობდა საქართვ. და სსრკ სხვადასხვა სტუდიის ფილმებსა და ტელესერიალებში, შექმნა კოლორიტული სახეები: ფრენკ ჯექსონი (,,ბატონი ავანტიურისტები'', რეჟ. ბ. ჩხეიძე, 1985), გუგული (,,ოჰ, ეს საშინელი, საშინელი ტელევიზორი'', რეჟ. თ. ფალავანდიშვილი, 1990), კარო (,,თუ ქეიფობ – იქეიფე და თუ ისვრი – ისროლე...'', რეჟ-ები: მ. აშუმოვი, ზ. ბუაძე, 1990), მოშიაშვილი (,,პასპორტი'', რეჟ. გ. დანელია, 1991, ,,მოსფილმი''), მუხრანსკი (,,უძინართა მზე'', რეჟ. თ. ბაბლუანი, 1992), ბაზრის მოვაჭრე (,,რიჩარდის, მილორდისა და მშვენიერი ფასკუნჯის ამბავი'', რეჟ. ნ. ახვლედიანი, 1997, ,,ლენფილმი''), ბერკოვიჩი, ინტერპოლის აგენტი (,,რა თქვა მიცვალებულმა?'', რეჟ. ი. მასლენიკოვი, 1999, სტუდია ,,პელიკანი'', რუსეთი). მონაწილეობს ფილმებში: ,,ცოდვის დღესასწაული'' (რეჟ. ე. ბადურაშვილი, 1990), ,,მე ვარ პელეს ნათლია'' (რეჟ. მ. ჭიაურელი უმცრ., 1991), ,,ბრავო, ჯორდანო ბრუნო!'' (რეჟ. ი. ჩაჩანიძე, 1993), ,,ბლუზი'' (რეჟ. გ. კაჭარავა, 1994) და სხვ. სარეჟისორო დებიუტია ფილმი ,,ზნედაცემული ანგელოზი'' (ლ. უზუნიანთან ერთად, 1992; შეასრულა მთ. როლი).

თ. კახიანი.
მ. კერესელიძე.




თ. ო. კიკალიშვილი.



თ. მ. კიკალიშვილი.

კიკალიშვილი თამაზ ოლიფანტეს ძე (დ. 13. VI. 1937, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1981). ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა თბილ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში (ახლანდ. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე) ქორეოგრაფ რ. ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით. 1955–81 იყო საქართვ. ხალხური ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის (ახლანდ. ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახ. ქართ. ნაციონალური ბალეტი) წამყვანი მოცეკვავე (სოლისტი). ჰ. წარმატებით მონაწილეობდა ანსამბლის თითქმის მთელ რეპერტუარში. მისი შემოქმედებითი ინდივიდუალურობა და მაღალი ოსტატობა განსაკუთრებით გამოვლინდა ცეკვებში: ,,მხედრული'', ,,შეჯიბრი'', ,,აჭარული სიუიტა'', ,,მოხეური'', ,,განდაგანა'', ,,ძველი თბილისის სურათები'', ,,ლელო'' და სხვ. მისი ცეკვა გამოირჩეოდა დახვეწილი არტისტიზმით, შესრულების მაღალი კულტურით, სცენური გამომსახველობით და ცეცხლოვანი ტემპერამენტით. 1981–88 მუშაობდა ბორჯომის კულტურის სახლთან არსებულ ქართ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ხელმძღვანელად.



თ. ო. კიკალიშვილი. ცეკვა ,,შეჯიბრი''.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თ. უთმელიძე.

კიკალიშვილი თენგიზ მაკარის ძე (22. II. 1938, თბილისი, – 17. IV. 2021, იქვე), მოქანდაკე. საქართველოს დამს. მხატვარი (1982). 1957–63 სწავლობდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (ქანდაკების განყ-ბა). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1963-იდან. მუშაობდა როგორც მონუმენტურ, ასევე დაზგურ ქანდაკებაში. ნამუშევრები: ,,შურისმაძიებელი'' (1964), ,,დეიდა ანა'' (1967), ,,ადამიანი კოსმოსში'' (1969), ,,მამაკაცის პორტრეტი'' (1974), ,,სვანი გოგონას პორტრეტი'' (1977), ,,აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის პორტრეტი'' (1978), ,,ბალადა სიყვარულზე'' (1979), ,,გ. ჯაფარიძის პორტრეტი'' (1980), ,,ჭაბუკის პორტრეტი'' (1981), ,,აკაკი ხორავას პორტრეტი'' (1982); კ. გამსახურდიას (1983), შ. ყავლაშვილის (1999), დ. სარაჯიშვილის (2002) ძეგლები (სამივე თბილისში) და სხვ.; მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება: კერამიკული რელიეფი ,,ცეკვა'' სასტუმრო ,,საუნივერსიტეტოს'' კაფეში (1981, მოსკოვი), ქორწინების სახლის გაფორმება (1982, ქუთაისი). გამოფენები: ჯგუფური (ლ. ქველიძე, ა. თოფურიძე, ვ. ჭუმბურიძე, გ. შხვაცაბაია, 1977, თბილისი), ,,ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში'' (1979, თბილისი), ,,საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება'' (1987, მოსკოვი), ,,ქართული დაზგური ქანდაკება'' (1991, თბილისი) და სხვ. ჰ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეასა და დ. კაკაბაძის სახ. ქუთაისის სახვ. ხელოვნ. გალერეაში.

დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

კიკალიშვილი ლიანა ავთანდილის ასული (დ. 7. VIII. 1951, მარტვილი), ტოპოგრაფანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2002). 1974 დაამთავრა თსსი. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობს ამავე ინ-ტის (ახლანდ. უნ-ტი) ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქი-



თ. მ. კიკალიშვილი. ,,კონსტანტინე გამსახურდია''. არქიტექტორი თ. თევზაძე. 1983. თბილისი.

რურგიის კათედრაზე, 1999–2004 კათედრის პროფესორია, 2009-იდან – დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

პ. იკვლევს ღვიძლის მორფოლოგიის საკითხებს. არის სამეცნ. შრომების, მ. შ. 5 სახელმძღვანელოს ავტორი.

არის მრავალი სამეცნ. საზ-ბის წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, თბ., 2006; ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, თბ., 2014; Clinical Anatomy by Regions, Tb., 2012.

კიკაჩეიშვილი ბიძინა ნესტორის ძე (1915, სამტრედია, – 9. VIII. 1990, იქვე), თეატრის რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე. 1932-იდან მონაწილეობდა სამტრედიის რკინიგზის მუშათა კლუბის სცენისმოყვარეთა დასის წარმოდგენებში. 1938 ქ. ხარკოვში დაამთავრა ხელოვნების სტუდია. II მსოფლიო ომის შემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა სამტრედიის რკინიგზელთა კლუბთან არსებულ სახ. თეატრს. 1965-იდან იყო მასწავლებელთა სახლის დრამ. წრის ხელმძღვანელი. პ-ის მიერ დადგმული სპექტაკლებია: ჰ. ჰაჯიბეკოვის ,,არშინ მალ-ალან'', გ. ნახუცრიშვილის ,,ცეცხლის ხაზზე'', ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები'', ი. ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი'' და ,,ოთარაანთ ქვრივი'', ა. აფხაიძის ,,დაიბრუნეთ თქვენი ახალგაზრდობა''. პ-ის დადგმებიდან აღსანიშნავია პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1958). სპექტაკლის რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვების შემდეგ სამტრედიის დრამატულმა წრემ სახალხო თეატრის წოდება მიიღო. პ. დაჯილდოებულია დიპლომებითა და სიგელებით.

კიკაჩეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე (16. IV. 1940, თბილისი, – 7. IV. 2017, იქვე), ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1983). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1964). 1970–72 მუშაობდა ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში, ხოლო 1974 – მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ლიტერატურის თეორიის კათედრაზე. 1987-იდან გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის ახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრის გამგე; ეწეოდა პედ. და სამეცნ. მოღვაწეობას. მისი ნაშრომებია: ,,მწერლური პროფესიონალიზმი როგორც ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემა კ. გამსახურდიას თვალთახედვით'' (2011), ,,შეკვეცილი ნარკვევი ოდა-ბალადებზე, ბუკოლიკი ეპისტოლეებზე და... (გ. კეკელიძის პოეზია)'' (2011), მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება ,,მარადის არის წიგნი'' (2005) და სხვ.

დაჯილდოვდა ორგზის ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (2010, 2015).

კიკბოქსინგი (kick – ფეხით დარტყმა, boxing – კრივი), სპორტული ორთაბრძოლის სახეობა. შეიქმნა ინგლისური კრივისა და აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნ. რამდენიმე მიმართულების საფუძველზე (კარატე, ტაეკვონდო, ტაილანდური კრივი). პ., როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა, წარმოიშვა აშშ-ში XX ს. 70-იან წლებში. მისი პირველი პოპულარიზატორები იყვნენ ჩაკ ნორისი და ბრიუს ლი. პირველი ტურნირი გაიმართა 1974 ლოს-ანჯელესში. იმავე წელს სპორტის ამ ახალ სახეობას, რ-საც მანამდე კარატეს ქვესახეობად მიიჩნევდნენ, დასავლეთბერლინელმა სპორტის მენეჯერმა, გ. ბრუკნერმა პ. უწოდა. 1976 მანვე ჩამოაყალიბა პ-ის მსოფლიო ასოციაცია (WAKO), რ-იც შემდგომში ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია გახდა. საერთაშ. ოლიმპიურმა კომიტეტმა WAKO, სადაც გაერთიანებულია 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი, პ-ის ერთადერთ წარმომადგენლად აღიარა. ევროპის ჩემპიონატი ტარდება 1984-იდან, მსოფლიოსი – 1978-იდან. ამჟამად, პ. სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა და 120 ქვეყანაშია გავრცელებული. მოყვარულთა შორის იმართება მსოფლიო ჩემპიონატები, რ-შიც 100-ზე მეტი ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი მონაწილეობს. ორთაბრძოლები იმართება პროფესიონალთა შორისაც (WKN, IKF, GLORY).

საქართველოში პ-ით 1990-იდან დაინტერესდნენ. იგი საბრძოლო ხელოვნების კლუბ ,,ჯიქში'' დაინერგა. 1993 სანქტ-პეტერბურგში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა გ. ჯავახიამ. 1993 კლუბ ,,ჯიქის'' ბაზაზე შეიქმნა ტაილანდური კრივისა და პ-ის ეროვნ. ფედერაცია (პრეზიდენტი – გ. ჯავახია). ფედერაციამ აღზარდა მსოფლიოს 15 ჩემპიონი: გ. ჩაკვეტაძე, გ. კორძაძე, შ. ავთანდილაშვილი, დ. ჯავახია, ვ. ჯანეზაშვილი, ე. ბოლაშვილი, ხ. ქოქუაშვილი, ა. ლაფაჩიშვილი, ც. ჯავახია, კ. კალაიჯიშვილი, ა. ყარაგეზაშვილი, ლ. ზურებიანი, ო. გოლოძე, ა. კაზარიანი და ც. სულთანიშვილი.



კიკბოქსინგი.

გ. ჯავახია.

კიკეთი, სოფელი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მთაწმინდის რ-ნი). 2007-მდე შედიოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. პ. მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოებაზე, მდ. ასურეთისხევის (ალგეთის მარცხ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1200 *მ.*

ჰ. კლიმატური კურორტია. მიეკუთვნება *თბილისის კურორტების ჯგუფს.* იცის ზომიერად რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –2,5°C), თბილი და მშრალი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 15–18°C), საშ. წლ. ტენიანობა 70–75%; ნალექები 600–650 *მმ* წელიწადში, მზის ნათების ხანგრძლივობა 2000–2100 *სთ.* სამკურნალო ჩვენებები: სასუნთქი ორგანოების დაავადებები.

ჰ. მდებარეობს ისტორიულ ქვემო ქართლში, კაბენის მონასტრის მახლობლად. ჰ-ში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არქეოლ. ძეგლი – მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული პერიოდის სამაროვანი, რ-იც ადრინდ. ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

ისტ. წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან, როგორც საბარათიანოს სოფელი. ჰ-იდან იყვნენ მარაბდის ომში დალუპული ცხრა ძმა ხერხეულიძე.

ჰ. მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' და დატანილია მის ისტ. რუკებზე.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I ნახევარში, თბ., 1935; ფხაკაძე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი (კიკეთის ენეოლითური ძეგლები), თბ., 1963.

თ. თოდრია.

კიკეთის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი კოჯრიდან კიკეთისკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს. გაითხარა 1961 (გ. ფხაკაძე). მტკვარ-არაქსის კულტურის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო მეოთხედი) სამაროვანი. ფართობი 1200 $მ^2$. აღმოჩნდა სამი ტიპის სამარხი. 1. ქვაყრილიანი ორმოსამარხები; 2. ქვაყრილიანი ქვის სამარხები; 3. მშრალი წყობით ნაგები ნალისებრი ფორმის სამარხები. ყველა სამარხი კოლექტიურია. მიცვალებულები ესვენა სხვადასხვა მდგომარეობაში: გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, გულაღმა. ზოგი სამარხის კედლებთან მიცვალებულის ძვლები იყო მიხვეტილი.

იქვე გაითხარა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნასახლარის ნაშთები, სამეურნეო ორმოები და კერები. აღმოჩნდა ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი თიხის ორყურა ქოთნები, პითოსები, კოპებიანი ჯამები, ცალყურა კოჭობები, ცილინდრული ფორმის ფიალები, სამყურა ჭურჭელი და სხვ. ქვის მასალიდან აღსანიშნავია ხელსაფქვავები, სანაყები, სალესები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ობსიდიანის საფხეკლები, ლამელები, აგრეთვე ძვლის კვირისტავები. საქართველოში მსგავსი მასალა აღმოჩენილია მრავალ ადგილას (დიდუბე, ოზნი, თამარისი, კოდა, სამშვილდე, თეთრიწყარო, გომარეთი და სხვ.).

1948 სოფლის ტერიტ-ზე გაითხარა (ბ. კუფტინი, ტ. ჩუბინიშვილი) ადრინდ. ანტ. ხანის (ძვ. წ. V ს.) 6 ქვაყუთი. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები ესვენა თავით ჩრდ-კენ, ძლიერ მოკრუნჩხული, ქალები მარცხ. გვერდზე, მამაკაცები – მარჯვენაზე. აღმოჩნდა წითლად გამომწვარი და შეღებილი თიხის კოჭობები, ფიალები, ხელადები, ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლისა და ბრინჯაოს გველისთავიანი სამაჯურები, ბრინჯაოს ზარაკები, რკინის დანები, შუბისპირი და სამაჯურები. აღსანიშნავია, რომ კიკეთის ანტ. ხანის სამაროვანი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ძეგლია, სადაც პირველად ჩნდება წითლად გამომწვარი კერამიკა.

ლიტ.: ფხაკაძე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი (კიკეთის ენეოლითური ძეგლები), თბ., 1963.

ი. გაგოშიძე.
გ. ფხაკაძე.

კიკვიძე აბელ იასონის ძე (27. IV. 1905, სოფ. ქვედა შავრა, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 2. VI. 1980, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1955). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). 1929 დაამთავრა თსუ. 1938-იდან იქვე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში. 1938–40 იყო ისტ. ფაკ-ტის დეკანი, 1940–60 – შეთავსებით მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართველოს ფილიალში უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. ჰ. იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეების და ახ. ისტ. საკითხებს. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941; დავით აღმაშენებელი, თბ., 1942; მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870–1901 წწ.), თბ., 1945; საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954; საქართველოს ისტორია. XIX –XX სს., წგ. 2–3, თბ., 1959–67.

კიკვიძე ვასილ ისიდორეს ძე [28. II (12.III). 1895, ქუთაისი, – 12. I. 1919, ხუტორ ზუბრილოვის მახლობლად (ახლანდ. ვოლგოგრადის ოლქი). დაკრძალულია მოსკოვში], რევოლუციონერი, საბჭოთა პერიოდში აღიარებული იყო სამოქალაქო ომის (1918–20) გმირად. სწავლობდა ქუთ. I კლასიკურ გიმნაზიაში. აქვე ჩაება რევ. მოძრაობაში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). იყო მემარცხენე ესერი. 1918 მარტში სარდლობდა საბჭოთა უკრაინის მე-4 არმიას (შემდგომში კიკვიძის მსროლელი დივიზია), რ-მაც რამდენჯერმე დაამარცხა ცენტრ. რადისა და ავსტრია-გერმანიის ჯარები. ჰ. დაიღუპა ბრძოლის დროს.

კიკვიძე ზაალ იაზონის ძე (დ. 4. I. 1956, თბილისი), ბიოლოგი, ეკოლოგი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1978). მუშაობდა ფიზიოლოგიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობებზე (1978–86). იყო ბოტანიკის ინ-ტის უფროსი, წამყვანი და მთ. მეცნიერი თანამშრომელი (1987–98), ასევე საქართვ. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინ-ტის მეთოდისტი (1993–95) და პროფესორი (1995–98). გაიარა პოსტდოქტურანტურა ჩიბას უნ-ტში (იაპონია, 1998–2003). სამეცნ. საქმიანობა გააგრძელა არიდული ზონების ექსპერ. სადგურში (ალმერია, ესპანეთი, 2003–07). იყო ტოკიოს უნ-ტის ასოცირებული პროფესორი (იაპონია, 2007–12).

მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია: მცენარეთა ეკოლოგია, მათი სახეობრივი მრავალფეროვნება და გეოგრ. განაწილებები ეკოლ. გრადიენტებზე, სახეობათა თანაცხოვრების წესები და ორგანიზმთა შორის ურთიერთქმედება, ეკოლ. განათლება, ეთნობიოლოგია. მუშაობდა ასევე გერმანიისა და იაპონიის (1991), შვეიცარიის (1995), ამერიკის (1996), დიდი ბრიტანეთის (1998), საფრანგეთის (2003) უნ-ტებში; განხორციელებული აქვს საკვლევი პროექტები ჩილესა (2006) და მექსიკაში (2007). სხვადასხვა სამეცნ. გამოცემების (Journal Of Vegetation Science-ის, 2010–21, Phytocoenology-ს, 2011; Ethobotany Reseacrh and Applications, 2020) მაკოორდინირებელი რედაქტორი. ილიას სახ. სახელმწ. უნ-ტის ეკოლ. ინ-ტის სრული პროფესორი (2012-იდან), ინტერდისციპლინური ბიოლოგიის

უვადო პროფესორი (2013-იდან), ეთნო-ბიოლოგ. და სოციო-ეკოლ. კვლევითი ინ-ტის დირექტორი (2015-იდან).

არის მრავალი სამეცნ., პედაგ. და სამეცნ.-პოპულარული ნაშრომის ავტორი. მცენარეულობის ეკოლ. საერთაშორისო ასოციაციისა (International Association for Vegetation Science) (1990) და ეკონომიკური ბოტანიკის საზ-ბის (The Society for Economic Botany) (2015) წევრი.

თხზ.: ოპტიმიზაციის ეკოლოგიური პრინციპი. თბ., 1990; ეკოლოგია. დიადი ალგორითმი, თბ., 1998; ევოლუცია, (თანაავტ.). თბ., 2015; Ethnobiology of Georgia, Tb., 2020; Traditional Ecological Knowledge in Georgia: A Short History of the Caucasus. londoni, 2020.

კიკვიძე იაზონ აბელის ძე (13. III. 1932, თბილისი, – 15. XI. 1978, იქვე), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1976), პროფესორი (1970). 1954 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის ფეოდ. ხანის არქეოლოგიის განყ-ბაში მეცნიერ თანამშრომლად. იყო თსუ-ის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი.

ჰ. ძირითადად იკვლევდა მიწათმოქმედების ისტორიას საქართველოში, წამოაყენა ,,ენეოლითური რევოლუციის'' საკითხი, ახლებურად დააყენა ადრესამიწათმოქმედო კულტურის ხანგრძლივობის პრობლემა. მისი აზრით, ეს ეტაპი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და მოიცავდა თრიალეთის კულტურასაც. დაასაბუთა მოსაზრება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემისა და ბარში მოსახლეობის შემცირების შესახებ. მონოგრაფიებსა და სამეცნ. წერილებში განიხილავდა რელიგიური კულტის საკითხებს და ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ, განსაკუთრებით კი ფოლკლორულ მასალას.

ჰ. მონაწილეობდა მრავალ არქეოლ. ექსპედიციაში. ურბნისში მისი მონაწილეობით გაითხარა ხიზანაანთ გორა. 1970 ჩაერთო თსუ-ისა და აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის მესხეთ-ჯავახეთის გაერთიანებულ ექსპედიციაში. 7 წლის განმავლობაში მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თანაავტორებთან ერთად (ო. ჯაფარიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი), 1981 გამოიცა ,,მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1970–77 წწ.)''.

თხზ.: მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963; ხიზანაანთ გორის [ურბნისის] ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972; მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1976.

რ. რუსიშვილი.

კიკიბო, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადიგენის მუნიციპალიტეტში (დერცელის თემი), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1440 *მ,* ადიგენიდან 19 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 48 *კმ.* 53 მცხ. (2014). სოფლის მახლობლად, ტყით დაბურულ მთაზე, შემორჩენილია X–XI სს-ის ციხის ნანგრევები.

კიკილაშვილი ლამარა ირაკლის ასული (2. XI. 1930, სოფ. ჯუგაანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 12. X. 2018, თბილისი), ჟურნალისტი, მთარგმნელი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1983). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1955). სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართვ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწ. კომიტეტში, რადიოს უკანასკნელ ცნობათა და ლიტ.-დრამატულ რედაქციებში, ტელევიზიის ლიტ.-დრამატულ რედაქციაში იყო შემოქმედებითი გაერთიანება ,,სხივის'' ლიტერატურისა და ხელოვნების რედ. რედაქტორი. მის მიერ მომზადებულ გადაცემებში შემორჩენილია გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ს. ჩიქოვანის, რ. ინანიშვილის, ჭ. ამირეჯიბის, ო. ჭილაძის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის, თ. ჩხენკელის, ვ. ანჯაფარიძის და სხვა ხელოვანთა ხმის ჩანაწერები, რ-ებიც ინახება საქართვ. რადიოს ,,ოქროს ფონდში''.

ჰ-ის საავტორო გადაცემა ,,სახსოვარი'' ქართ. მწერლობისა და ხელოვნების ფართო სპექტრს მოიცავდა. მას ნათარგმნი აქვს ვ. ვან გოგის ,,წერილები'', ა. პერეუშოს „პოლ გოგენი'', ,,ტულუზ-ლოტრეკი'', „მანე'', ,,მონე'', ა. ფიდლერის ,,ამაზონის ძახილი'' და ,,კანდის ტყეთა სურნელება''.

ჰ. დაჯილდოებულია საქართვ. სახელმწ. (1995), ნ. ნიკოლაძის სახ. პრემიებით, ჟურნალისტთა საერთაშ. ფონდის უმაღლესი ჯილდოთი – ,,ოქროს ფრთა''.

თხზ.: სახსოვარი, წგ., 1–3, თბ., 2008.

თ. დოლიძე.


კიკილაშვილი ნანა გიორგის ასული (დ. 12. VIII. 1962, თბილისი), სპორტსმენი (აკრობატიკა, ქალთა სამეული). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (1980). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი (1985). მსოფლიოს (1980) და ევროპის (1980) აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის ორგზის მეორე პრიზიორი ცალკეულ შეჯიბრებებში. მსოფლიოს თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1981, გამარჯვებული ცალკეულ ვარჯიშებში), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1979–81), სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1980–82) და მეორე პრიზიორი (1979), სსრკ მოსწავლეთა XV სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1978), სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1979). გამოდიოდა სამეულში მ. *მნათობიშვილთან* და მ. *შილაკაძესთან* ერთად.



ლ. კიკილაშვილი.

კიკნაველეთი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. *საკრაულის* ყოფ. სახელწოდება.

კიკნაველიძე ავთანდილ სერგოს ძე (17. VII. 1927, სოფ. საკრაულა, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 3. VI. 2008, თბილისი), მოქანდაკე. საქართველოს დამს. მხატვარი (1985). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკ-ტი (1958). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1960-იდან. ნამუშევრები: ,,ქალიშვილის პორტრეტი'' (1964), ,,ლუიზა'' (1965), ,,მიხაი ზიჩი'' (1966), ,,ჭაბუკის პორტრეტი'' (1978), ,,მოჭიდავის პორტრეტი'' (1982), ,,ბორის პაიჭაძე'' (1978) და სხვ. გამოფენები: საქართველოს ახალგაზრდა მხატვრების (1965, 1966, 1967, თბილისი), ამიერკავკ. რესპუბლიკების ახალგაზრდა მხატვართა ხელოვნება (1971, მოსკოვი), თანამედროვე ქართული ქანდაკება (1974, თბილისი), ქართული სახვითი ხელოვნება (1980, ლენინგრადი), საქართველოს სსრ სახვ. ხელოვნება (1987, მოსკოვი), სპორტი ქართულ სახვით ხელოვნებაში (1999, თბილისი) და სხვ. ჰ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, ზესტაფონისა და ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.



ნ. კიკილაშვილი.

კიკნაველიძე ანდრო ივანეს ძე [15. VII. 1927, სოფ. კიკნაველეთი (ახლანდ. საკრაულა), ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 2. IX. 2007, თბილისი], აგროეკონომისტი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1992; წ.-კორ. 1991). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1976),



ა. ს. კიკნაველიძე, ,,ბორის პაიჭაძე'' ბიუსტი. 1978.

საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგროეკონ. ფაკ-ტი (1953). მუშაობდა ჩაის მრეწველობის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ანასეული) ეკონომიკის განყ-ბის გამგედ (1954–60), საქართვ. სოფლის მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგედ, შემდეგ კი – დირექტორის მოადგილედ სამეცნ. ნაწილში (1960–63; 1966–73); სახალხო მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგედ (1963–66); საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავრის პირველ მოადგილედ (1973–81); საქართვ. სახელმწ. აგრარულ უნ-ტში აგროსამრეწვ. საწარმოთა ორგანიზაციის კათედრის გამგედ (1981–2001) და პროფესორის თანამდებობაზე (2001–06).

პ-ის სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება საქართვ. სოფლების ეკონ. და სოც. განვითარების თეორ. და პრაქტ., აგრეთვე სას.-სამ. წარმოების ეკონ., ორგანიზაციის, მართვისა და დაგეგმვის საკითხებს. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).



ა. ი. კიკნაველიძე.

თხზ.: საკოლმეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოში, თბ., 1971; ჩვენი სოფლის დიადი პროგრამა, თბ., 1981; ეკონომისტის ცნობარი, თბ., 1985 (თანაავტ.).

კიკნაველიძეები, ძმები: ყარამან (1878, სოფ. კიკნაველეთი, – 1918, იქვე), ნიკოლოზ (1883, სოფ. კიკნაველეთი – 1918, იქვე), შალვა (1887, სოფ. კიკნაველეთი, – 1918, იქვე), მანუელ (1889, სოფ. კიკნაველეთი, – 9. VII. 1916, სპარსეთი, დაკრძალულია სოფ. კიკნაველეთში) სიმონის ძენი. ხეტყის მრეწველები, ქველმოქმედნი. ქუთაისის სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყარამანმა ძმებთან ერთად გამოიგონა მარტივი კონსტრუქციის მექან. ხელსაბანი, რ-ითაც დაინტერესდნენ ქუთაისელი ცნობილი ვაჭრები – ნ. ჯანელიძე და მ. გოცირიძე. მათ ეს წამოწყება დააფინანსეს და მოსკოვის ერთ-ერთ ქ-ნას რამდენიმე ასეული ხელსაბანი შეუკვეთეს. აქედან რამდენიმე ცალი ოლდენბურგელმა პრინცმა კონსტანტინემ (1850–1906) ქ. გაგრის კანფეტების ფ-კისთვის შეიძინა. გარდა ამისა, პ-ს სხვა გამოგონებაც ჰქონდათ (მაგ., წყალსატუმბი). ქუთაისში, მდ. რიონის სანაპიროზე, ბალახვნის ქ-ზე მათ გამართეს წყალსატუმბი საწარმო. შემოსული თანხით სოფ. კიკნაველეთში (ახლანდ. სოფ. საკრაულა, ბაღდათის მუნიციპალიტეტი) შეიძინეს მიწის ნაკვეთი და სკოლა ააშენეს, სადაც სწავლა უფასო იყო. პ-მა აქტ. მონაწილეობა მიიღეს 1905 ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებში, რის გამოც იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ ირანში, სადაც მუშაობა დაიწყეს ,,რუსეთ-სპარსეთის ხეტყის მრეწველობის ამხანაგობაში'' კომერციულ აგენტებად. ირანში იჯარით აიღეს ტყის დიდი მასივები და დაიწყეს ხის მასალის დამზადება თევზისა და ნავთობგადასამუშავებელი საწარმოებისთვის. პ. მონაწილეობდნენ 1909 პარიზში ტყეების სამრეწვ. დამუშავების შესწავლისადმი მიძღვნილ მსოფლიო გამოფენაში. პ-ს სახლი და კანტორა ფერეიდანში, მაზანდარანის პროვინციაში, სოფ. გურჯიმალაში ჰქონდათ. უმცროსი ძმა – მანუელი, ფერეიდნელი



ძმები კიკნაველიძეები.

ქართველების ქომაგი და მათი უფლებების დამცველი იყო, რის გამოც სპარსელების მიერ დაქირავებულმა ბოროტმოქმედებმა 1916 წ. 9 ივლისს მოკლეს. 1917 პ-მა ძმის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და მშობლიურ სოფელში დაკრძალეს. 1917-იდან ძმები საქართველოში სამეწარმეო და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდნენ.

1917 წ. 8 ოქტომბერს ქართ. უნ-ტის დამაარსებელ საზ-ბას, რ-საც ივ. ჯავახიშვილი ედგა სათავეში, ყ. კიკნაველიძე მატერიალურად დაეხმარა. პ-მა თბილისის უნ-ტის მიმდებარე ტერიტორიაზე სტუდენტთა ქალაქის ასაშენებლად შეისყიდეს მიწის ნაკვეთი, თუმცა მშენებლობა არ დაწყებულა. მათ დიდი დახმარება აღმოუჩინეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას, გაზ. ,,ალიონის'' რედაქციის შენობისათვის თბილისში შეიძინეს მიწის ნაკვეთი და მისი მშენებლობაც დააფინანსეს.

1918 წ. 13 თებერვალს ყარამან, ნიკოლოზ, შალვა პ. და მათი ოჯახის წევრები სოფ. კიკნაველეთში ყაჩაღთა შეიარაღებულმა თავდასხმამ იმსხვერპლა.

2005 თბილისში დარიალის შესახვევს ეწოდა ძმები კიკნაველიძეების ქუჩა.

ა. კიკნაველიძე.

კიკნათბერის ციხე, გვიანდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე საქართველოში, ქართლში, მდ. ტანის ხეობაში. სოფ. ბობნევთან (გორის მუნიციპალიტეტი) შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) პ. ც ს ახასიათებს როგორც მტკიცესა და მიუვალს. იგი სააკაძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა, გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სახასო გახდა.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

კიკნაძე ალექსანდრე ბიჭიკოს ძე (დ. 24. II. 1969, სოფ. წითელხევი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი), ბრიგადის გენერალი (2019), დაამთავრა ქ. სანქტ-პეტერბურგის უმაღლესი სამხ.-პოლიტ. სასწავლებელი (1991), უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემია (2002), აშშ „არმიის ომის კოლეჯის“ კურსი (2018). 1991-იდან ეკავა სხვადასხვა სამეთაურო და ადმ. თანამდებობა საქართ. ეროვნ. გვარდიაში, საქართვ. შსს შინაგან ჯარებში, საქართვ. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღ. ძალებში. 2004–05 იყო სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის მეთაური ცხინვალის რეგიონში, 2005–06 – ეროვნ. სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ მეთაური, 2005 – საქართვ. შეიარაღ. ძალების გენშტაბის უფროსის მოადგილე, 2007–08 – III ქვეითი ბრიგადის მეთაურის მოადგილე ერაყში, 2008–09 წვრთნებისა და სამხ. განათლების სარდლობის შტაბის უფროსი, 2009 – სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, 2009–10 – ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის

შტაბის უფროსი, 2010–11 წვრთნებისა და სამხ. განათლების სარდლის მოადგილე. 2012–13, 2015–16 – ავღანეთში საქართვ. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის მეთაური, 2013–15 – აღმოსავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, 2018 – გენშტაბის პერსონალის დეპარტამენტის უფროსი. 2018–20 – საქართვ. თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალი. 2020-იდან – სამხედრო ატაშე შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის სამეფოებში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2004), ღირსების ორდენით (2012) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2013).

ლ. დოლიძე.

კიკნაძე ალექსანდრე ვასილის ძე (16. III. 1923, მაზანდარანი, სპარსეთი, – 6. VIII. 2002, მოსკოვი, რუსეთი), მწერალი, სპორტული ჟურნალისტი. დაამთავრა ბაქოს (აზერბაიჯანი) უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. 1937-იან ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. 50-იან წლებში იყო ,,კრასნი სპორტის'' (,,Красный спорт'') საკუთარი კორესპონდენტი ამიერკავკასიაში. 60- იანი წლების დასაწყისში ხელმძღვანელობდა გაზ. ,,სოვეტსკი სპორტის'' (,,Советский спорт'') საერთაშ. განყ-ბას. ესწრებოდა და პროფესიულად აშუქებდა ოლიმპიურ (1960, 1964, 1968, 1972, 1980) და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს (1968, 1972, 1976).

ა. ავტორია დოკუმენტურ-პუბლიცისტური და პროზაული ჟანრის წიგნებისა. აღსანიშნავია მისი 1965 გამოქვეყნეული საგაზეთო წერილი ,,ნედელიაში'' (,,იზვესტიის'' ყოველკვირეული დამატებაა) ,,ბასკები, საიდან არიან ისინი?'', რითაც ავტორმა საზოგადოებრივ სამსჯავროზე დააბრუნა ქართველებისა და ბასკების ნათესაობის საკითხი. ამავე თემას ეძღვნება მისი რომანი-დილოგია «,,Королевская примула: ,,Иберийская легенда''» და ,,Брод через Арагоа'' (1973).

თხზ.: ,,იბერიის ლეგენდა: ფურისულა'', თბ., 1972; ,,Кто там стучится в дерь'', М., 1976; ,,Ветер с Олимпа'', М., 1978.

ლიტ.: მახარაძე გ., ,,არ დავიწყება მოყვარისა'', თბ., 1976.

კიკნაძე აწზორ ლევანის ძე (26. III. 1934, სოფ. ბადიაური, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1976, თბილისი), სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (ტოკიო, 1964), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1964). ევროპის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი (1962, 1964–1966) და ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1963–66). მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის მეორე (1967, 1968) და ორგზის მესამე (1965, 1967) პრიზიორი. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი სამბოში (1961–65),საქართვ. ხუთგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1959–62, 1964). პირველი საბჭოთა ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. დაიღუპა ავტოკატასტროფაში. 1979 იაპონიაში ჩატარდა მისი სახელობის ტურნირი.

საქართველოში 1985-იდან ტარდება მისი სახელობის ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის.

კიკნაძე არჩილ გრიგოლის ძე (26. VIII. 1933, თბილისი, – 20. III. 2006, იქვე), ინჟინერ-გეოლოგი. საქართველოში ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (2001), საქართვ. საინჟინრო აკადემიის ნამდვ. წევრი (2000). საქართვ. დამს. გეოლოგი (1983), გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1994).

დაამთავრა სპი საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით (1956). 1961–78 მუშაობდა საქართვ. წყლის რესურსების სახელმწ. კომიტეტში, 1978–80 იყო საქართვ. ბუნების დაცვის სახელმწ. კომიტეტის თავრის მოადგილე. 1972–80 შეთავსებით მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის ზღვის ნაპირების დინამიკის ლაბორ. გამგედ.

ჩ-მ *ვ. ზენკოვიჩთან* ერთად შეიმუშავა საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის ნაპირის ეროზიისაგან დაცვისა და ადრე წარეცხილი პლაჟების აღდგენის ახალი სტრატეგია, რ-საც საფუძვლად დაედო სანაპირო ზონაში განვითარებული დინამ. პროცესების კომპლ. შესწავლა. *ჩ*-ის თაოსნობით აღნიშნული სტრატეგიის განსახორციელებლად შეიქმნა სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება ,,საქზღვისნაპირდაცვა'', რ-საც 1980–92 და 1997–2000 წლებში *ჩ*. ხელმძღვანელობდა. ადრე წარეცხილი ზღვის ნაპირის გასწვრივ 1982–91 აღდგენილი პლაჟების საერთო ფართობმა 130 ჰა გადააჭარბა.

ჩ-ს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. საზღვარგარეთ, რ-ებშიც ძირითადად განხილულია საქართვ. შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამ. განვითარებისა და ზღვის ნაპირის წარეცხილი უბნების დაცვა-აღდგენის საკითხები.

სამეცნ. კვლევასთან ერთად *ჩ*. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ის გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის კათედრაზე.

ჩ. იყო ფოთის საპატიო მოქალაქე (1987). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2003).

თხზ.: Основные мероприятия по защите берегов Черного моря между устьями рек Псоу и Чорохи, Тб., 1969; Защита Черноморского побережья от размыва моря, Тб., 1984 (თანაავტ.).

ჭ. ჯანელიძე.

კიკნაძე არჩილ სამუელის ძე (16. III. 1915, ვლადიკავკაზი, – 27. VI. 1967, თბილისი), სპორტსმენი (ფეხბურთი, მცველი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1948). საქართველოს დამს. მწვრთნელი (1962). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი. თამაში დაიწყო ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინ-ტის გუნდში (1934). თამაშობდა თბილისის ,,დინამოში'' (1937–49).


სსრკ ჩემპიონატის მეორე (1939–40) და მესამე (1947–48) პრიზიორი. სსრკ თასის ფინალისტი (1946). მუშაობდა მწვრთნელად თბილისის 35-ე სპეციალიზებულ სკოლაში (1950–55). თბილისის ,,დინამოს'' მეორე (1956–57) მწვრთნელი. ხელმძღვანელობდა საქართვ. ახალგაზრდულ ნაკრებს.

კიკნაძე გიორგი ივანეს ძე (1902, ხაშური, – 31. VII. 1963, თბილისი), ეკონომისტი. თსუ-ის რექტორი (1937–38), საქ. სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი (1944–52). 1930 დაამთავრა თსუ-ის სოციალურ-ეკონ. ფაკ-ტი. *ჩ*. მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობაზე (1929–34), პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1937 *ჩ*. დაინიშნა სსრკ ხალხთა პედაგოგიკის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორად, იმავე წლის ივლის-სექტემბერში კი მუშაობდა საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1938–44 – განათლების სახ. კომისრად. ლექციებს კითხულობდა თსუ-ში. *ჩ*-ს გამოქვეყნებული აქვს შრომები პედაგოგიკის საკითხებზე.


კიკნაძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე (15. III. 1909, ხაშური, – 16. IV. 1974, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე. პროფესორი (1962).



ა. ლ. კიკნაძე.



ა. გ. კიკნაძე.



ა. ს. კიკნაძე.



გ. ი. კიკნაძე.



გ. კ. კიკნაძე.



გ. ს. კიკნაძე.



დ. კიკნაძე.



ვ. პ. კიკნაძე.

დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1929). 1938 მუშაობა დაიწყო იქვე. 1941–47 იყო თეატრალური ინ-ტის ლიტმცოდნეობის კათედრის გამგე, 1942–50 მუშაობდა ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. პ-ის მეცნიერული ინტერესის სფერო მოიცავდა ლიტ. ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის'' (1953, 1972), ,,მეტყველების სტილის საკითხები'' (1957); გამოკვლევებისა ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. კალანდაძის, ა. პუშკინისა და სხვათა შემოქმედების შესახებ.

პ-ს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის შესწავლაში (მონოგრაფია ,,ვაჟა-ფშაველას შემოქმედება'', 1957; წერილები: ,,ვაჟას ფენომენი''; ,,ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინააღმდეგ'', 1966; ,,ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ'', 1967 და სხვ.). 1962 პ-ის თაოსნობით თსუ- ში ჩამოყალიბდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, რსაც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

თხზ.: ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1989; თხზულებანი 5 ტომად, თბ., 1999–2009.

ლიტ.: გრიგოლ კიკნაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1976; გრიგოლ კიკნაძე (კრებული), თბ., 1999.

ჯ. ჭუმბურიძე.

კიკნაძე გრიგოლ სიმონის ძე (17. II. 1897, ხარაგაული, – 24. III. 1978, თბილისი), სარკინიგზო ტრანსპორტის სპეციალისტი. 1932 დაამთავრა ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტთან არსებული მიმოსვლის გზების ინჟინერთა კურსები. პ-ს ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავა ამიერკავკ. რკინიგზაზე, იყო ამიერკავკ. რკინიგზის უფროსი (1938). მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მნიშვნელოვანი უბნების ელექტრიფიკაციისა და სამგზავრო მეურნეობაში. ახ. ტექნიკისა და ტექნოლ. დანერგვის სამუშაოები. მონაწილეობდა II მსოფლიო (1939–45) ომში. 1941–42 იყო ამიერკავკ. ფრონტის სამხ. საბჭოს წევრი. 1947–54 – საქ. კპ ცკ-ის წევრი. 1954–70 ხელმძღვანელობდა საქართვ. სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვას. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და სახ. ჯილდოებით.

კიკნაძე გურამ ბაგრატის ძე (დ. 27. XI. 1940, თბილისი), ექიმი (შინაგანი სნეულებები, ნეფროლოგია, საოჯახო მედიცინა). მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (2001). 1965 დაამთავრა თსსი. 1969–97 მუშაობდა ექსპ. და კლინ. თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; 1971–2001 იყო თსსუ-ის შინაგან სნეულებათა კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი; 1995–2003 – ჯანდაცვის მართვის ეროვნ. ცენტრის დირექტორის მოადგილე; ბიოეთიკის და ჯანდაცვის სფეროს სამართ. უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, 2001–05 – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორი; საოჯახო მედიცინის ფაკ-ტის დეკანი; 2006-იდან თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის პროფესორია.

პ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 6 მონოგრაფიის ავტორი, რებიც ეხება შინაგანი სნეულებების, ნეფროლოგიის, სამედ. ეთიკის და ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობის საკითხებს. პ-ს მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: ექიმის პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002; რეპროდუქციული ჯანმრთელობა და რეპროდუქციული უფლებების საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში, თბ., 2002; ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები, თბ., 2012.

კიკნაძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე [5(18). VIII. 1917, ხაშური, – 9. VI. 1982, თბილისი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1962), გამომგონებელი (1964). ტექ. მეცნ. კანდიდატი (1965). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის მექან. ფაკ-ტი (1942). იყო მჭრელი იარაღის რაციონალური გამოყენების სათავო საპროექტო საწარმოო საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ბიუროს თბილ. ფილიალის დირექტორი; ს. კიროვის სახ. თბილისის ჩარხმშენებელი ქ-ნის დირექტორი (1969–78), თბილისის ,,ორგპრომინსტრუმენტის'' ქ-ნის დირექტორი (1978–82). ნაშრომისთვის ,,გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის პროგრესული მეთოდებისა და საშუალებების კვლევა, შექმნა და დანერგვა'', სპეციალისტების ჯგუფთან ერთად, 1975 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექ. დარგში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კიკნაძე ვაჟა ივანეს ძე (დ. 27. VIII. 1952, ქ. თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (2006), პროფესორი. 1976 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (საქართვ. ისტ. განხრით). იმავე წელს მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოგრ. ინ-ტში (ახლანდ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტი). 2006-12 იყო ამავე ინ-ტის დირექტორი, მთ. მეცნიერი-თანამშრომელი და საქართველოს უნ-ტის პროფესორი. საქართველო – პოლონეთის ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის 2012 დაჯილდოებულია პოლონეთის ოფიცრის 1 ხარისხის ჯვრის ორდენით.

პ. იკვლევს საქართვ. შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის საკითხებს. არის სამეცნ. ნაშრომების მ. შ. 7 მონოგრაფიის ავტორი, მისი ნაშრომები გამოცემულია პოლონეთში, რუმინეთსა და მოლდოვაში, ინდოეთში, შვედეთში, იტალიაში, იაპონიასა და აშშ-ში.

თხზ.: საქართველო XIV საუკუნეში, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1986 ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (გაბრიელ ქიქოძე, კირიონ სადაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, მიხეილ საბინინი), თბ., 2009; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI სს. წგ. I-2, თბ. 2016; Opinions about Political Elite in Georgia at the Beginning of the 20-th Century, in .: Caucasus: The Mechanisms of Legitimization and Functioning of Political Elite (Editor: Tateusz Bodio). T.VII, Warsaw 2012; The Eurasian State of Georgia in the Fourteenth Century. The Mongol Era and it's End, Edwin Mellen Press, Lewiston, Queenston (NY), Lampeter, 2013.

კიკნაძე ვასილ პავლეს ძე (24. XII. 1929, სოფ. ახალშენი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 22. III. 2016, თბილისი), თეატრმცოდნე, თეატრის კრიტიკოსი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). 1954 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი. 1954–64 იყო რუსთაველის თეატრის სალიტ. ნაწილის გამგე, 1964–73 მუშაობდა საქართვ. კულტურის სამინისტროში, 1973–2005 – თეატრალური ინ-ტის პრორექტორი.

პ. მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და წიგნის ავტორია. აღსანიშნავია მისი დამსახურება ს. ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, რასაც ათეულობით სამეცნ. გამოკვლევა მიუძღვნა. წლების განმავლობაში

იკვლევდა ქართ. სათეატრო რეჟისურის პრობლემებს (,,ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები'', ,,ქართველი რეჟისორები'', 2 ნაწილად). დ. კლდიაშვილის დრამატურგიას მიეძღვნა მისი მონოგრაფიული პუბლიკაციები: ,,ცრემლიანი სიცილი'' და ,,დ. კლდიაშვილის თეატრი''. 2001 გამოაქვეყნა ,,ქართული დრამატული თეატრის ისტორია'' 2 ტომად. კრიტიკოსმა თეატრ. სტატიებსა და გამოკვლევების რჩეულ ნამუშევრებს თავი მოუყარა წიგნებში: ,,სივრცე თეატრისა'', ,,თეატრალური ძიებები'', ,,თეატრი და დრო''. მასვე ეკუთვნის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მონოგრაფიები კ. მესხზე, ა. ვასაძეზე, დ. ალექსიძეზე და სხვ. წიგნისთვის ,,ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები'' მიენიჭა საქართვ. მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროს პრემია (1982), ხოლო მონოგრაფიისათვის ,,სანდრო ახმეტელი'' – კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (1979).

პ. არის ს. ახმეტელის სახ. პრემიის ერთადერთი მფლობელი თეატრმცოდნეთა შორის (გაიცემა მხოლოდ რეჟისორებისათვის). გამოქვეყნებული აქვს მემუარული ნაწარმოები ,,გამოთხოვება მოგონებებთან''.

კიკნაძე ვლადიმერ დავითის ძე [4(17). X. 1908, სოფ. კვალითი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 2.VI. 1986, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1931 დაამთავრა თსსი. 1941–45 იყო საველე და ევაკოჰოსპიტლების წამყვანი ქირურგი. 1951-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში.

პ. შეისწავლიდა ჰემატოლოგიის, ტრანსფუზიოლოგიის, დამწვრობის, სხივური დაავადების და სხვ. საკითხებს. ც. მაკალათიასთან ერთად შექმნა პლაზმის გასაშრობი ახ. ავტომ. აგრეგატი და სხვ.

თხზ.: ღვიძლის როლი სისხლწარმოქმნის პროცესებში, თბ., 1962; ჰემოთერაპიის საფუძვლები, თბ., 1964 (თანაავტ.).


კიკნაძე ზურაბ გიორგის ძე (3. X. 1933, თბილისი, – 23. XI. 2022, იქვე), ორიენტალისტ-ასირიოლოგი, ბიბლეისტი, მთარგმნელი, ლიტერატორი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1986). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი სემიტოლოგიის განხრით (1956). 1960–2010 მუშაობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში. 1977–2006 იყო თსუ-ის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე. 2006-იდან არის ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. 1992 იყო სახელმწ. საბჭოს წევრი, 1992–93 – ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწ. კომიტეტის თავრის პირველი მოადგილე.

პ-ის კვლევის სფეროა შუამდინარული ლიტ-რა, მითოლოგია, რელიგია, ქართ. მწერლობა, ფოლკლორი, ქრისტიანობა და ქრისტ. კულტურა, ბიბლიის (ძვ. და ახ. აღთქმის) თარგმანი და ეგზეგეტიკა, საზ. პრობლემები. პირველი თარგმანი – ,,გილგამეში'' (შესავლით, ლექსიკონითა და კომენტარებით) 1963 გამოაქვეყნა, ,,თამუზის სიზმრის'' თარგმანი კი – 1969. პ. ავტორია წიგნებისა: ,,ძველი აღთქმის წუთისოფელი'' (2003), ,,ქართული ფოლკლორი'' (2008), ,,გილგამეშიანი'' (1984; 2009), ,,ძველი შუამდინარული პოეზია'' (1987, 2009), ,,ანდრეზები'' (2009), ,,ხუთწიგნეული'' (2012) და სხვ.; ასევე ავტორია სამეცნ. სტატიების, ესეების ლიტ-რისა და საზ. საკითხებზე. პ. არაერთი სამეცნ. კონფერენციისა და ბიბლიური საზ-ბის ფორუმის მონაწილეა. 1978 ჰომეროსის ,,ოდისეის'' თარგმანისათვის (1975, თ. ჩხენკელთან ერთად) მიენიჭა ი. მაჩაბლის სახ. პრემია. ასევე არის თსუ-ის (1986) და სახელმწ. (2005) პრემიების ლაურეატი, ამერიკის ბიოგრაფიის ინ-ტის ღირსების მედლისა (1999) და ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლის (წიგნისათვის ,,საყმაწვილო მითოლოგიური ლექსიკონი'') მფლობელი.

ლიტ.: ძველი აღთქმის წუთისოფელი, თბ., 2003; ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები, თბ., 2009; სიტყვითა და საქმითა. ჩანაწერები, თბ., 2013; ცეცხლი და ბურუსი, თბ., 2015; ქართული მითოლოგია, 1. ჯვარი და საყმო, თბ., 1996, გამოც. მე-2, თბ., 2016; ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი, თბ., 2016.

მ. თუშიშვილი.

კიკნაძე თამაზ ზაქარიას ძე (1. I. 1936, თბილისი, – 27. III. 1991, იქვე), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1990). დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკტი (1959). 1960 მუშაობა დაიწყო ,,საქსახწყალპროექტში'' ინჟინერ-გეოლოგის თანამდებობაზე. იმავე წელს გადაიყვანეს საქართვ. მეცნ. აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის სწავლულ მდივნად. 1964–66 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბიოლოგიის განყ-ბის სწავლული მდივანი, 1966–82 – საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავრის თანაშემწე. 1977–82 შეთავსებით მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1982-იდან გარდაცვალებამდე იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტის დირექტორი.



ზ. კიკნაძე.

პ-ის მეცნ. ინტერესების სფერო იყო კარსტისა და სპელეოგენეზისის პრობლემური საკითხების კვლევა. დაადგინა მთიანი ქვეყნების კარსტისა და კარსტული წყლების ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს ერთ-ერთი ღრმა კარსტული წყალშემცველი სისტემა გაგრის ქედზე.

1978–89 პ. იყო საქართვ. მეცნ. აკადემიასთან არსებული სპელეოლოგიური საბჭოს თავ-რე, სპელეოლოგთა საერთაშ. კავშირის მღვიმეთა დაცვისა და გამოყენების კომისიის ბიუროსა და ამავე კავშირის კარსტის ჰიდროქიმიის კომისიის წევრი, სსრკ მეცნ. აკად. კარსტული კომისიის წევრი, საერთაშ. სპელეოლოგიურ კავშირში სსრკ-ის მუდმივი წარმომადგენელი და სხვ.



თ. ზ. კიკნაძე.

პ. იყო რამდენიმე ქვეყნის უნტის საპატიო დოქტორი. 1983–84 ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს აფრიკისა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ის ექსპედიციას ეთიოპიაში, სოფ. ომარში არსებული აფრიკის კონტინენტის უდიდესი მღვიმის შესასწავლად.

პ-ს გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები (მ. შ. 8 მონოგრაფია), აქედან მესამედზე მეტი – საზღვარგარეთ. სპელეოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის პ. დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგიური საზ-ბის ოქროს მედლით (1987). ,,საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის'' შექმნაში მონაწილეობისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1994; გარდაცვალების შემდეგ).

ლიტ.: თამაზ კიკნაძე. სამეცნიერო მოღვაწეობა და შემოქმედება. კრ. გამოსაცემად მოამზადა ც. კოჭლაშვილმა, თბ., 2016.



თ. ი. კიკნაძე.

კიკნაძე თამარ ივანეს ასული (8. I. 1906, თბილისი, – 3. XI. 1993, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1924 დაამთავრა თბილ. პროლეტკულტის დრამ. სტუდია. 1924–28 მუშაობდა თბილ. მუშათა თეატრში, 1928–29 – ჭიათურის, 1930–32 – ფოთის, 1933–38 – თბილ. მუს. კომედიის, 1938-იდან – ქუთაისის სახელმწ. თეატრებში. კ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კოწიას მეუღლე (შ. დადიანის ,,გუშინდელნი''), ლაურენსია (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), ეკა, ეფროსინე (დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება'', ,,ქამუშაძის გაჭირვება''), ბიანკა, გონერილა (უ. შექსპირის ,,ჭირვეული ცოლის მორჯულება'' და ,,მეფე ლირი''), რუქაია (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), კაკალა (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), ვარდო (გ. მდივნის ,,ვარდო'') და სხვ. კ-ის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობის უმთავრესმა პერიოდმა განვლო ქუთაისის დრამ. თეატრის სცენაზე, სადაც ითვლებოდა დასის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად.

კიკნაძე თამარ რევაზის ასული (დ. 10. VII. 1959, თბილისი), პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2000).

დაამთავრა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი (1982—87), თბილ. ბიზნეს-სკოლა (1988—89), მოსკოვის დიპლომატიური აკადემია (1995—97). სამეცნიერო კვლევა დაიწყო (1993—1995) თსუ-ში და გააგრძელა მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში (1997—2000). იკვლევდა ეთნოკონფესიური ურთიერთობების ევოლუციას კვიპროსის მაგალითზე და სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის გენდერულ ასპექტებს. სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა ბუდაპეშტის ეკონომიკის სკოლაში (1993), რათჰერის (ნიუ-ჯერსი, აშშ) უნ-ტში (2004).

კ. იყო თსუ-ის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი (1993–95), პოლიტ. კვლევების ცენტრის დირექტორის მოადგილე, პროფესორი (1999–2007); შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტის ბიზნესის მართვისა და სოც. მეცნ. ფაკ-ტის დეკანი (2004–11), კავკასიის საერთაშ. უნ-ტის პროფესორი, პოლიტ. მეცნ. სადოქტორო პროგრამის, საერთაშ. ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის, პოლიტიკური კვლევების ინ-ტის ხელმძღვანელი (2011); შავი ზღვის უნ-ტის პროფესორი (2009–11), სტუ-ის პოლიტიკის და საერთაშ. ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი (2021). არის სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციის, საზ-ბის, სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თხზ.: ქალი და პოლიტიკა, პოლიტოლოგია, თბ. 2003, გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბ. 2006; Образ женщины в религии и политике, Религия. История и современность. Учебник для вузов, М. 1998; Истоки социально-политического неравенства; Женщина и религия, Тб. 1999; Гендерный аспект социально-культурной и духовной трансформации современного общества, М. 2002, Гендерный аспект социально-культурной и духовной трансформации современного общества. Изд. Социально-гуманитарные знания, М. 2002.



თ. ი. კ ი კ ნ ა ძ ე – ეფროსინე. დ. კლდიაშვილის ,,ქამუშაძის გაჭირვება''.

კიკნაძე თეიმურაზ ვასილის ძე (1. X. 1945, ქუთაისი, – 19. II. 2021, თბილისი), მუსიკოს-შემსრულებელი (კონტრაბასი) და პედაგოგი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1990). ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის პირველი ქართველი ლაურეატი (1959). 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საორკესტრო განყ-ბა ჩელოსა და კონტრაბასის სპეციალობით (ხელმძღვ. პროფ. ნ. სავჩენკო). 1968–75 კ. ვიოლონჩელის, არფის და კონტრაბასის კათედრის პედაგოგი იყო. მისი მოსწავლეები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

კ-მ საკონცერტო მოღვაწეობა დაიწყო 1968-იდან. მის რეპერტუარში იყო მსოფლიო საკონტრაბასო მუსიკის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები, აგრეთვე ქართველ კომპოზიტორთა მიერ სპეც. ჩელოსთვის დაწერილი მუსიკა. კ-მ საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულა ქართ. კომპოზიტორების (ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, შ. თაქთაქიშვილის, რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის) ნაწარმოებები. მისი შესრულება გამოირჩეოდა ემოციურობით, ლირიზმით, ტექნიკური სრულყოფილებით.



თ. ვ. კიკნაძე სცენაზე.

1975–77 კ. სამუშაოდ მიავლინეს ლათინურ ამერიკაში (ეკვადორის რესპუბლიკა, ქ. კიტო) კონსერვატორიის პედაგოგად და ქ. კიტოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერად. იგი მონაწილეობდა საშეფო და საქველმოქმედო კონცერტებში. აღსანიშნავია კ-ის, როგორც ორგანიზატორის მოღვაწეობა – იყო თბილ. მე-5 (1977–80) და მე-12 (1989–95) სამუსიკო სკოლების დირექტორი. 1995–2005 მუშაობდა მთაწმინდის პარკის გენ. დირექტორად.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

კიკნაძე ინეზა გრიგოლის ასული (20. III. 1931, თბილისი, – 1. IV. 2020, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1949–54 სწავლობდა თსუ-ში. 1960–2008 იქვე ეწეოდა სამეცნ. და პედ. საქმიანობას. მისი კვლევის სფერო იყო ახ. ქართ. ენა (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), სალიტერატურო ქართული ენის ნორმალიზაცია, მეტყველების კულტურა და პრაქტიკული სტილისტიკა, მწერლის ენა; ამავე საკითხებზე სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების

სპეც. კურსებს. ასწავლიდა ქართულ ენას უცხოელ სტუდენტებს, სტაჟიორებსა და ასპირანტებს. სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს სამეცნ. გამოცემებში, მონაწილეობდა სამეცნ. კონფერენციებში. ავტორია ნაშრომებისა: ,,მამაჩემი – გრიგოლ კიკნაძე'' (კრ-ში: გრიგოლ კიკნაძე, თბ., 1999, შემდგენელ-რედაქტორი, წინათქმის ავტორი – ი. კიკნაძე); ,,ვაჟა-ფშაველას იდიომებისა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებათა მცირე ლექსიკონი'' (შემდგენლები: ი. კიკნაძე, მ. ბეჟიტაძე, ლ. მამულაშვილი, თბ., 2015) და სხვ. ჰ. იყო ამერიკის ბიოგრაფიის ინტის საპატიო წევრი. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2001).

ი. აბაშიძე.

კიკნაძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე (12. VI. 1911, ქუთაისი, – 16. II. 1981, თბილისი), მხატვარი. საქართველოს ხელოვნების დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1935). სწავლობდა მ. თოიძის კლასში. მუშაობდა ფერწერის დარგში. ჰ. ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და საზ. მოღვაწეობას. იყო ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი და პედაგოგი (1946–73). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კიკნაძე ლევან გიორგის ძე (დ. 12. IX. 1946, ხარაგაული), გენერალ-მაიორი (2000). 1969 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი; 1979 – უშიშროების ხელმძღვანელი შემადგენლობის სპეც. კურსები (მოსკოვი); 1997, 1999 – საგარეო დაზვერვის სპეც. კურსები (მიუნხენი). 1990–94 იყო აფხაზეთის არ უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე, 1997–99 – საქართვ. დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის აფხაზეთის არ დაზვერვის სამმართველოს უფროსი, 1999–2000 – საქართვ. დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რის მოადგილე; 2000–01 – აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავ-რის I მოადგილე. 2001–04 – აფხაზეთის არ უშიშროების მინისტრი; 2004–07 – საქართველოს შსს კონტრდაზვერვის აფხაზეთის არ მთავარი სამმართველოს უფროსი; 2007-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1999) და ღირსების (2004) ორდენებით.

ლ. დოლიძე.

კიკნაძე მიხეილ გერონტის ძე [30. V. 1905, პატარა ხარაგაული (ყოფ. სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში), – 4. III. 1973, მოსკოვი], საბჭოთა გენერალ-მაიორი (1944), არტილერისტი. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1929 დაამთავრა მეთაურთა გაერთ. ქართული სამხ. სკოლის არტილერიის განყ-ბა, 1932 – ქ. სევასტოპოლის საზენიტო, შემდეგ კი – უმაღლესი საარტილერიო კურსები. 1938-იდან იყო საარტილერიო პოლკის, მოსკოვის ზონის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საზენიტო პოლკის (1941–43), პირველი გვარდიული საზენიტო დივიზიის (1943–45) მეთაური, მოსკოვის რ-ნის საჰაერო დაცვის სარდლის მოადგილე (1950–54). 1960-იდან თადარიგში გავიდა. ავტორია ავტობიოგრ. თხზულებისა ,,ქართველი ჯარისკაცი'' (თბ., 1973). დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.


კიკნაძე ნანა გიორგის ასული (18. IV. 1928, თბილისი, – 13. VII. 2016, იქვე), მხატვარი-კერამიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს დამს. მხატვარი (1967). სწავლობდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტზე (1953–59), 1962-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1959-იდან: მოსკოვის საკავშ. (1961), პრაღის კერამიკის I საერთაშ. (1962), მოსკოვის საკავშ. (1967), ვალორისის ბიენალე (1970, საფრანგეთი), კერამიკის II საერთაშ. სიმპოზიუმი (1975, ვილნიუსი), ქართული ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა (1985, მოსკოვი), ,,სპორტი ქართულ სახვით ხელოვნებაში'' (1999, თბილისი). ნამუშევრები: ,,სამფეხა დოქი'' (1959), ,,მარნები'' (1960), ,,მაყალი'' (1966), ,,შეწყვილებული ირმები'' (1967); პლასტიკა: ,,კერამიკა'' (1975), ,,არწივი'' (1978), ,,ცხრა აპრილი'' (1989), ,,შავი ხარი'' (რიყის ქვა, 1994) და სხვ. ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების, ახლანდ. აღმოსავლეთის სახელმწიფო მუზეუმი (მოსკოვი). ავტორია სტატიებისა ქართ. კერამიკის ისტორიისა და კერამიკოსთა შემოქმედების შესახებ. დაჯილდოებულია ვალორისის (1970, საფრანგეთი) და ვილნიუსის (1975, ამჟამად ლიეტუვა) საერთაშ. გამოფენების დიპლომებით, აგრეთვე ღირსების ორდენით (2002).

კიკნაძე ოთარ ივანეს ძე (16. I. 1928, ხარაგაული, – 25. II. 1980, მოსკოვი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1979), სამხედრო სამრეწვ.-სამშენებლო სამმართველოს ინჟინერი, უფროსის მოადგილე, უფროსი. 1956–80 ხელმძღვანელობდა საბჭოთა საიდუმლო სამხ. ობიექტებისა და რაკეტოდრომების მშენებლობას. რსფსრ დამს. მშენებელი (1976). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1978).

ლ. დოლიძე.

კიკნაძე რამაზ გრიგოლის ძე (19. II. 1937, თბილისი, – 7. I. 1975, იქვე), არქიტექტორი. დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1961). 1961–73 მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში'', ხოლო 1973-იდან ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელად. ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – ქორწინების სახლი, (1964); მეტრო ,,ოქტომბრის'' (ახლანდ.



ნ. კიკნაძე. ,,შეწყვილებული ირმები'',1965.



ო. კიკნაძე.



კ. კიკნაძე. ,,ფასანაური''. 1965.



რ. გ. კიკნაძე.

,,ნაძალადევი'') მიწისზედა ნაგებობა და ქვედა ვესტიბიული (1966); რესტორანი ,,მარაბდა'' (1971); ვაჟა-ფშაველას ძეგლი (1973); რესპ. ცენტრ. ავტოვაგზალი (1973); ახალგაზრდა მეცნიერთა კაფე-კლუბი (1974, დაგეგმარება და ინტერიერები; საქ. სსრ ლენინური კომკავშირის პრემია, 1975); ცენტრ. სპორტული საწყლოსნო კომპლექსი (1978); დასასვენებელი სახლი ,,მზიური'' გაგრაში (1979; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1980). ყველა აღნიშნული ნამუშევარი შესრულებულია საავტორო ჯგუფთან ერთად. ჰ. საერთაშ. სავაჭრო-სამრეწვ. გამოფენების დროს მონაწილეობას ღებულობდა საქართვ. პავილიონების გაფორმებაში პარიზში (1970), ბაზელში (1971), კაიროში (1972), დას. ბერლინში (1972), პლოვდივში (1973), ლიონში (1974).


თ. გერსამია.

კიკნაძე რევაზ ზურაბის ძე (დ. 29. XI. 1960, თბილისი), კომპოზიტორი, შემსრულებელი. 1982 დაამთავრა თსუ კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით. 1986–90 სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში კომპოზიციის ფაკ-ზე (ო. თაქთაქიშვილის და ნ. მამისაშვილის კლასები). ამავე ხანებში უკრავდა საქსოფონზე კონსერვატორიის ჯაზ-კვინტეტში; საქართვ. ტელევიზიის ბიგ-ბენდში; მონაწილეობდა თბილისის, ტალინისა და ვილნიუსის ჯაზ-ფესტივალებში. 1981–90 სწავლობდა კომპოზიციას მ. შუღლიაშვილთან. იყო ანჩისხატის მგალობელთა გუნდის წევრი.

1991–94 ქ. ლიუბეკში (გერმანია) სწავლობდა კომპოზიციას ფ. დოელთან. პარალელურად, 1993-იდან – ელექტრონულ მუსიკას დ. რაითთან. 1992–94 იყო ანსამბლ ,,Nuova sinansa''-ს წევრი; თანამშრომლობდა იაპონურ-გერმანულ თანამედროვე ბალეტის თეატრთან ,,Tatoeba–theatre dance grotesque''; 2000- იდან – თანამედროვე საბალეტო დასთან ,,Tanz-Ort Nord''. 2000–03 ხელმძღვანელობდა ანსამბლს ,,Resolution group''. 2011–19 იყო თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი. 2020-იდან არის ილიას სახელმწ. უნ-ტის სრული პროფესორი. მიღებული აქვს არაერთი საერთაშ. პრიზი. ატარებს ლექციებსა და მასტერკლასებს ელექტროაკუსტიკურ მუსიკაში.

კიკნაძე რევაზ კანდიდის ძე (7. VI. 1923, თბილისი, – 19. VII. 1989, იქვე), ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, თეორიული წყაროთმცოდნეობის ქართ. სამეცნ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1980). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1951). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მსახურობდა სამხ.-საჰაერო ძალებში. 1956–89 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში. 1961–63 იყო მახლობელი აღმ. ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განყ-ბის, ხოლო 1969–89 – საქართველოს ძვ. და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყ-ბის გამგე. არჩეული იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართვ. ისტორიის წყაროების დამდგენი კომისიის თავრის მოადგილედ და ხელმძღვანელობდა კომისიის გამოცემების ორ სერიას – ,,ქართული წერილობითი ძეგლები'' და ,,საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები''. ჰ. იყო წყაროთმცოდნეობის დარგში ჩატარებული მნიშვნ. ფორუმების ორგანიზატორი. მისივე თაოსნობით ყოველწლიურად იმართებოდა წყაროთმცოდნეთა რესპუბლიკური სამეცნ. სესიები. ჰ-ის რედაქტორობით გამოიცა ,,წყაროთმცოდნეობითი ძიებანი'' (პერიოდ. გამოცემები რუს. ენაზე) და ,,ქართული წყაროთმცოდნეობა'' (ტომები 1989-მდე), 1957 – ,,ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან'', რ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ჰ-ს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების'' რვატომეულის მე-3 ტომის (1979) ერთ-ერთი მონაკვეთი.

მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის აღმოსავლური წერილობითი წყაროების თარგმნას და სამეცნ. კომენტარებით გამოცემას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ,,ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები'', ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის ,,თარიხუ ამინი'' (,,კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული'', ნაკვ. 11, თბ., 1962), ,,ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ'' (თბ., 1966. ვ. ფუთურიძესთან ერთად), ,,ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ'' (თბ., 1974), ,,სამყაროს საკვირველებანის'' ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (თბ., 1978) და სხვ. ჰ-ის სამეცნ. მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია ,,ფ. გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ'' (,,მაცნე''. ისტ. სერია, 1971, №2), ,,ფ. გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდ-



რ. გ. კიკნაძე. ცენტრალური სპორტული საწყლოსნო კომპლექსი (,,ლაგუნა ვერე''), 1978 (ავტორთა ჯგუფთან ერთად), თბილისი.

ედთანი“ (თბ., 1975), ,,Парсадан Горгиджанидзе. История Грузии“ (თბ., 1990) და სხვ. 1987 გამოსცა ჟამთააღმწერლის ,,ასწლოვანი მატიანე“ (გამოკვლევით, შენიშვნებითა და ლექსიკონით). პ-ის ინტერესების არეალში მოქცეული იყო წყაროთმცოდნეობის თეორ. საკითხებიც. დიდ ყურადღებას უთმობდა წყაროთმცოდნეობითი კვლევის, მ. შ. ისტ. წყაროს კრიტიკული ტექსტის დადგენის მეთოდიკის საკითხებს.

თხზ.: საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, ნაკვ. 1–2, თბ., 1982–92; წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ. 1988 (თანაავტ.); საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხები, თბ., 1993.

ლ. ურუშაძე.

კიკნაძე ფილადელფოს (ნათლობის სახელი – ნიკიფორე) იოანეს ძე (დაახლ. 1794 ან 1793 – 5. IX. 1833), საეკლესიო მოღვაწე. ქართველ თავად-აზნაურთა 1832 შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. 7 წლისა მამამ ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარა სასწავლებლად. 1813 ხირსის არქიმანდრიტმა წაიყვანა მონასტერში, სადაც დიაკვნად მსახურობდა, თან ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებას სწავლობდა. 1817 ბერად შეედგა ნიკოლოზის სახელით, 1818 იეროდიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1822 – მღვდელმონაზვნად (მაშინ ეწოდა ფილადელფოსი), შემდეგ თბილ. ფერისცვალების მონასტერში გადავიდა. 1826 კათოლიკოს ანტონ II-ს ნიჟნი-ნოვგოროდში გაჰყვა. იქ დაუახლოვდა ოქროპირ ბატონიშვილს, რ-მაც იგი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩააბა. ანტონის გარდაცვალების შემდეგ პ. საქართველოში დაბრუნდა და კვლავ თბილ. ფერისცვალების მონასტერს დაუბრუნდა. ქალაქში გავრცელებული ქოლერის გამო შუამთის მონასტერში გადავიდა, სადაც მონასტრის წინამძღვარი იყო. პ. ეწეოდა საგანმანათლებლო და ლიტ. მოღვაწეობას. შუამთის მონასტერთან გახსნა სკოლა, სადაც უსასყიდლოდ ასწავლიდა თავად-აზნაურთა და გლეხთა შვილებს. მისი მოსწავლეები იყვნენ გიორგი და რაფიელ ერისთავები.

1829 თბილისში ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა პ-ს კონკრეტული დავალებები მისცა. პ. გახდა შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი. შეადგინა შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება ,,აკტი გონიური“, მანვე შექმნა საიდუმლო ანბანი მხედრული, ნუსხური, რუსული და ლათინური ანბანის გამოყენებით; იგი მოსამართლის როლსაც ასრულებდა – შეთქმულთა შორის ყოველგვარ უთანხმოებას განიხილავდა და აგვარებდა.

1832 შეთქმულება გასცეს. 1833 წ. 9 იანვარს პ. შუამთის მონასტერში დააპატიმრეს, იმავე წლის 5 სექტემბერს კი თბილისში, პატიმრობაში გარდაიცვალა.

პ. ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა, ცნობილია როგორც გადამწერი. წერდა ლექსებს სამშობლოს მდგომარეობასა და სიყვარულზე. მნიშვნელოვანია მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომი ,,სიყვარული მამულისა“. პ. ამგვარად განმარტავს სამშობლოს (როგორც თვითონ უწოდებს ,,მამულს“) – ესაა იმ მიწის, ერის, რჯულისა და ტრადიციების სიყვარული, რ-იც წინაპრებმა გვიანდერძეს.

პ-ს ეკუთვნის აგრეთვე გამოუქვეყნებელი, თეთრ ლექსად დაწერილი ნაშრომი ,,გოდებანი იერემიასი, ძისა ენაისნი ხილვათათვის მდგომარეობისა ივერიისასა აწინდელსა ზედა“, სადაც აღწერილია მისი თანამედროვე საქართველოს მდგომარეობა. მიკვლეულია პ-ს ქადაგებებიც.

თხზ.: მამულის სიყვარული (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო პროფ. თ. კუკავამ), თბ., 1996; ქადაგება ქველმოქმედების შესახებ (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, კომენტარი და ლექსიკონი დაურთო მ. ხომერიკმა), თბ., 1997.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, თბ., 1935; ხომერიკი მ., ფილადელფოს კიკნაძის გრამატიკული ნაშრომი, თბ., 1997.

გ. ლორთქიფანიძე.

კიკნაძე ქეთევან გაბრიელის ასული (დ. 10. V. 1939, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1987). შოთა რუსთაველის (1985) და კ. მარჯანიშვილის (1987) სახ. სახელმწ. პრემიების ლაურეატი. 1959 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (მ. თუმანიშვილის ჯგუფი). ამავე წლიდან მარჯანიშვილის თეატრის, შემდეგ (1967-იდან) გ. ლორთქიფანიძის თაოსნობით რუსთავში ჩამოყალიბებული თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია. 1970–75 მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში, 1975-იდან კი კვლავ მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა.

მარჯანიშვილის თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ხატია (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ,,მე ვხედავ მზეს“), ფიბი (ჯ. სელინჯერის ,,თამაში ჭვავის ყანაში“), რუსუდანი (ჯ. ქარჩხაძის ,,დევიძეების ოჯახი“), მაკა (თ. ჭილაძის ,,ბუდე მეცხრე სართულზე“), ოგუსტინა (რ. ტომას ,,რვა მოსიყვარულე ქალი“), მისის კუიკლი (უ. შექსპირის ,,ფალსტაფი“) და სხვ. რუსთავის თეატრში: როქსანა (ე. როსტანის “სირანო დე ბერჟერაკი”), გულქანა (პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი“), კნეინა ჩიტუნია (შ. დადიანის ,,გუშინდელნი“) და სხვ. რუსთაველის თეატრში: ისმენე (ჟ. ანუის ,,ანტიგონე”), მაგდალენა (ფ. გარსია ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი“).

მნიშვნელოვანი კინოროლებია: ბეჭუნა პერტია (,,დათა თუთაშხია“, რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978), ქეთევან დედოფალი (,,წიგნი ფიცისა“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 1983). გადაღებულია ფილმებში: ,,შეხვედრა წარსულთან“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1966), ,,ტარიელ გოლუა“ (რეჟ. ლ. ხოტივარი, 1968), ,,ზოია რუხაძე“ (რეჟ. დ. რონდელი, 1971), ,,ერთ პატარა ქალაქში“ (1985), ,,თეთრი ბაირალები“, ,,პრემიერა“ 1991, სამივეს რეჟ. გ. ლორთქიფანიძე), ,,ღმერთო, რისი გულისთვის... – უმადური“ (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 2003) და სხვ. მონაწილეობდა ქართულ ტელესერიალებში.

პ-ის მიერ თეატრსა და კინოში განსახიერებული როლები ხასიათდება შესრულების რეალისტური მანერით, შინაგანი დრამატიზმის ძუნწი, თავშეკავებული გამომსახველობით.



ქ. კიკნაძე. ბეჭუნა პერტია. კადრი ფილმიდან ,,დათა თუთაშხია“. რეჟისორები: გ. გაბესკირია, გ. ლორთქიფანიძე. 1978.



ქ. კიკნაძე.



შ. კიკნაძე.



კილამურა.



გ. კ. კილასონია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). არის ბორჯომის (2005) და ჯეიმს თაუნის (აშშ., 1991) საპატიო მოქალაქე.

ლიტ.: ღონღაძე ლ., ქეთევან კიკნაძე, თბ., 2000.

კიკნაძე შოთა ალექსანდრეს ძე (27. IV. 1920, სოფ. საღანძილე, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 4. IV. 1998, თბილისი), საოპერო მომღერალი (ლირიკული ბარიტონი), პედაგოგი საქართვ. სახ. არტისტი (1967), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა II საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1949). 1942 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტი, 1942–46 მუშაობდა თბილისის II საავადმყოფოს ქირურგიულ განყ-ბაში ექიმად. 1951 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ს. ინაშვილის კლასი). იმავე წლიდან 1978-მდე თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. ჰქონდა ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, სცენური მომხიბვლელობა. პარტიები: კიაზო, მურმანი (ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,აბესალომ და ეთერი''), ჩალხია, პოეტი (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია'', ,,სამი ნოველა''), გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), შოთა (ა. შავერზაშვილის ,,მარინე''). აბდუშაჰილი (ა. კერესელიძის ,,ბაში-აჩუკი''), რობერტი, ონეგინი (პ. ჩაიკოვსკის ,,იოლანტა'', ,,ევგენი ონეგინი''), ჟერმონი, გრაფი დი ლუნა (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ,,ტრუბადური''), ფიგარო (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი''), დონ-ჟუანი (ვ. ა. მოცარტის ,,დონ-ჟუანი''), სილვიო (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები'') და სხვ. მონაწილეობდა ზ. ფალიაშვილის ,,დაისისა'' (1973, კიაზოს პარტია) და პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალის'' (1974, ელეცკის პარტია) წარმოდგენებში ქ. ზაარბრიუკენში. გასტროლებით შემოიარა ყოფ. სსრკ-ის ქალაქები და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყანა.

კიკნუმი, ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. რიონის ჩრდილოეთით, ისტ. ქალაქებს – ფასისსა და დიოსკურიას შორის. დააარსეს ბერძენმა ვაჭრებმა. მოხსენიებულია რომაელი ავტორის, პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) „ქვეყნის აღწერილობაში“. პლინიუს უფროსი (ახ. წ. I ს.) ასახელებს კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კ ის მსგავსი სახელწოდების ორ ქალაქს, ერთს – ქ. ფასისის, მეორეს კი – ქ. სებასტოპოლისის მახლობლად. ზოგი მკვლევარი კ-ს *გიენოსთან* აიგივებს.

ლიტ.: Инадзе М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968.

მ. ინაძე.

კილამურა, კლდის ძირტკბილა (Polypodium), მცენარე ნამდვილი გვიმრების ოჯახიდან. მსოფლიოში ამ გვარის 150 სახეობაა გავრცელებული. საქართველოში 2 სახეობა გვხვდება – კლდის ძირტკბილა (P. vulgare) და სამხრეთის კ. (P. australe). კლდის ძირტკბილას ფოთლები შემოდგომაზე უვითარდება, მაგრამ ზაფხულში ჭკნება. იზრდება ტყის სარტყელში, ღრმა, ტენიან და ჩრდილიან ხეობებში, ხის ტოტებზე, ხავსიან კლდეებზე, ქვებზე. გავრცელების არეალია აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია, აჭარა.

სამხრეთის კ-ს ფოთლები გაზაფხულზე უვითარდება და გვიან შემოდგომამდე რჩება. ფოთლის ფირფიტა მოხაზულობით მეტწილად მოგრძო-ლანცეტაა, მისი სეგმენტები მეტ-ნაკლებად კიდემთლიანია. იზრდება ტყის ყველა სარტყელში, კლდეებზე, ქვებზე. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში.

გ. ნახუცრიშვილი.

კილასონია ბესარიონ ნიკოლოზის ძე (დ. 31. VII. 1946, თბილისი), სასამართლო ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). მედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1998), საქართვ. სასამართლო ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი (2005). 1970 დაამთავრა თსსი. 1971–79 იყო თსსის პათ. ანატომიის, 1979–98 კი – სასამართლო მედ. კათედრის თანამშრომელი, 1998–2006 – კათედრის გამგე, 2006–21 – თსსუ-ის სასამართლო მედ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1992–98 – ამავე ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტის დეკანი, 1998–2003 – პრორექტორი სასწავლო დარგში. 2021-იდან არის თსსუ-ის საპატიო პროფესორი (ემერიტუსი).

კ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი (მ. შ. 3 სახელმძღვანელო და 4 მონოგრაფია), რ-ებიც ეხება პათოლოგიური ანატომიის, სასამართლო მედიცინისა და უმაღლესი განათლების აქტუალურ პრობლემებს.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: სასამართლო მედიცინა (სახელმძღვანელო), თბ., 2011; 2020.

კილასონია გერმანე ვლადიმერის ძე [4 (17). VIII. 1913, ფოთი, – 8. X. 1969, სოფ. განთიადი, გაგრის რ-ნი (ამჟ. მუნიპალიტეტი)], საბჭოთა კავშირის გმირი (29. VI. 1945), მაიორი. დაამთავრა ოდესის სამხ. საფრენოსნო სკოლა (1937). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ბრძოლებში. 1942 აპრილში დაინიშნა ესკადრილიის მეთაურად. იბრძოდა ვორონეჟის ფრონტზე, ასევე უკრაინისა და კიევის განთავისუფლებისათვის. შესრულებული აქვს 159 საბრძოლო გაფრენა. 1946-იდან გავიდა თადარიგში. ცხოვრობდა აფხაზეთში. დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით და სხვა სახელმწ. ჯილდოებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კილასონია გურამ კონსტანტინეს ძე (22. IX. 1936, სოფ. ნოსირი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 1. VI. 2014, იქვე), სწავლული აგრონომი. სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (2001), პროფესორი (2004), საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (2004), საქართვ. ეკოლ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2001), მოსკ. აგრ. განათლების საერთაშ. აკად. აკადემიკოსი (2001) აფხ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1998). 1961 სოხუმში დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტი (2003–10 – საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის სახელმწ. უნ-ტი). 1991–93 იყო ამავე ინ-ტის სოფ. ეშერის სასწ.-საცდელი მეურნეობის დირექტორი, 1995–97 – ინ-ტის პრორექტორი სასწ. დარგში, 1998–2005 – რექტორი.

კ. იკვლევდა სხვადასხვა სუბტროპ. კულტურის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის საკითხებს, შეისწავლა ბამბუკის კულტურის ინტენს. ტექნოლოგიის მეცნ. საფუძვლები კოლხეთის დაბლობის პირობებში და სხვ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა (მ. შ. 2 მონოგრაფია), აქვს 5 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: სუბტროპიკული კულტურები, ქუთ., 2003.

კილასონია ლალი ოთარის ასული (დ. 1. I. 1946, თბილისი), რევმატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1989). 1969 დაამთავრა თსსი. 1976–2005 იყო თსსი-ის შინაგან სნეულებათა კათედრის თანამშრომელი; პარალელურად, 1996–2005 – უმაღლესი სკოლა ,,აიეტის'' შინაგან სნეულებათა კათედრის პროფესორი; 1999–2005 – თბილ. №2 სამკურნ. კომბინატის შინაგანი სნეულე-

ბებისა და რევმატოლოგიური დეპარტამენტის, ხოლო 2005–12 –იმუნოთერაპიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა შპს ,,მედულას'' რევმატოლოგიური დეპარტამენტის უფროსი. 2012-იდან ხელმძღვანელობს შპს ,,თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკის'' რევმატოლოგიურ დეპარტამენტს.

პ. არის ოსტეოპოროზის ეროვნ. ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2001), ოსტეოპოროზის საერთაშ. საზ-ბა IOF-ის ნამდვილი წევრი და სხვ.

თხზ.: რევმატიზმის იმუნოლოგია, თბ., 1985 (თანაავტ. ვ. ჭუმბურიძე); ოსტეოპოროზი, თბ., 2003.

კილასონია ნაზი გიორგის ასული (20. X. 1927, სოფ. აბისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 16. VIII. 1993, თბილისი), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1954). იყო ჟურნ. ,,საქართველოს ქალის'' რედაქციის ლიტ-რისა და ხელოვნების განყ-ბის გამგე (1960-იდან). პირველი ლექსები 1952 გამოაქვეყნა ალმანახ ,,პირველ სხივსა'' და გაზ. ,,ლიტერატურულ საქართველოში'', პირველი წიგნი ,,ლექსები'' – 1954. პ-ს პოეტური კრებულებია: ,,ჩემი თაობის ფრთები'' (1959), ,,ლექსები'' (1960, 1968, 1979), „ოქროს ფრინველი'' (1975), საბავშვო წიგნი ,,ხოტორა'' (1955), ,,100 ლექსი'' და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე.

კილასონია ჯემალ ნიკოლოზის ძე (11. XI. 1938, თელავი, – 27. XI. 2017, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1996), საქართვ. ენერგეტიკის აკად. ნამდვილი წევრი (1995). 1962 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი. მუშაობდა საქართვ. ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ენერგეტიკული ნაგებობების სეისმომედეგობის კომისიის წევრი, 2012-იდან – სეისმომედეგი მშენებლობისა და საინჟინრო სეისმოლოგიის საქართვ. ეროვნ. ასოციაციის წევრი. ეწეოდა პედ. საქმიანობას.

პ-ს სამეცნ. კვლევები მოიცავს ჰიდროენერგეტ. და სატრანსპ. მშენებლობის, ჰიდრავლიკისა და ჰიდროენერგეტიკის, საფრენი აპარატების, სამშ. მექანიკის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თხზ.: ახალავსტრიული ხერხით გვირაბების მშენებლობის გეომექანიკური ასპექტები, თბ. 2010 (თანაავტ.: თ. ჭურაძე, გ. დათუკიშვილი).

კილაძე ალექსანდრე ივანეს ძე (20. IV. 1929, ბათუმი, – 22. II. 1999, თბილისი), სპორტსმენი (კალათბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1962), საქართვ. დამს. მწვრთნელი (1978). დაამთავრა თსსი. თამაშობდა თბილ. ,,ტოდოსა'' (ოფიცერთა სახლის გუნდი, 1950–51) და ,,დინამოში'' (1949, 1952–64). სსრკ თასის მფლობელი (1951), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი თბილისის ,,დინამოს'' შემადგენლობაში (1962), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1953–54), სამგზის მეორე (1959–61) და მესამე (1952) პრიზიორი. 1964–66, 1969–70 იყო თბილისის ,,დინამოს'' მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით გუნდი გახდა სსრკ თასის მფლობელი (1969), სსრკ ჩემპიონატის მეორე (1969) და მესამე (1965) პრიზიორი.

კილაძე გრიგოლ ბართლომეს ძე (25. X. 1902, ქ. ბათუმი, – 3. VI. 1962, თბილისი), კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზ. მოღვაწე. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1941), სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი (1941, 1948). ,,ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა საზოგადოების'' ერთ-ერთი დამაარსებელი (1922). 1927–29 სწავლობდა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) კონსერვატორიაში, 1931 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ს. ბარხუდარიანის კლასი). ამავე წლიდან იქვე გააგრძელა პედ. მოღვაწეობა (1941-იდან – პროფესორი). 1937-იდან იყო კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, 1938–41 და 1945–53 – თბილ. კონსერვატორიის დირექტორი, 1941– 45 – თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვ., დირექტორი, დირიჟორი; 1950–62 – კონსერვ. საოპერო სტუდიის ხელმძღვანელი, თბილ. ფილარმონიის სიმფ. ორკესტრის მთ. დირიჟორი. პ. ავტორია ოპერების: ,,ბახტრიონი'' (1936), ,,ლადო კეცხოველი'' (1940, დაიდგა 1941); ბალეტისა – ,,სინათლე'' (1947, სტალინური პრემია, 1948), 2 სიმფონიის (1944, 1955), 2 სიუიტის, მ. შ. ცნობილი ,,ქართული სიუიტის'' (1925, 1928), სიმფ. პოემა ,,განდეგილის'' (1937, სტალინური პრემია 1941). პ-მ მუსიკალურად გააფორმა კინოფილმები: ,,უკანასკნელი მასკარადი'', ,,არსენა'' (1934, 1937, ორივეს რეჟ. მ. ჭიაურელი), ,,ფრთოსანი მღებავი'' (1937, რეჟ. ლ. ესაკია) და სხვ.

კილაძე ვალერიან სოლომონის ძე (23. IV. 1913, სოფ. სილაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 31. VIII. 1986, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი ფილოს. სპეციალობით (1935). თსუ-ში სწავლისას პ-მ დ. უზნაძის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და მისი რეკომენდაციით, ასპირანტურაში სწავლის პარალელურად, მუშაობა დაიწყო მეცნ. მუშაკად ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნ.- კვლ. ინ-ტში, სადაც მუშაობდა 80-იან წლებამდე. 1938–55 შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის პედ. ინ-ტებში, 1947-იდან – გარდაცვალებამდე მუშაობდა თსუ-ში ფილოს. ისტ. კათედრაზე. 1966–74 იყო თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტის დეკანი. მისი და შ. გაბელაიას ინიციატივით 60-იან წლებში ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტზე შემოიღეს *მათემატიკური ლოგიკის* და უმაღლ. მათ-ის გაღრმავებული სწავლება.

პ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. თანამშრომლობდა კ. *ბაქრაძესთან*, შ. *ნუცუბიძესთან* და სხვ. იკვლევდა ლ. ფოიერბახის შემეცნების თეორიას, გ. პლეხანოვის ფილოს. შეხედულებებს, ახლებურად გააშუქა განმანათლებლების მსოფლმხედველობა და მათი როლი კაცობრიობის ისტორიაში. აღსანიშნავია პ-ის ნარკვევები არაბულენოვანი, რუს., დას. ევროპული და ქართ. ფილოს. აზრის ისტორიაში.

თხზ.: XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლები და მატერიალისტები, წგ.: ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962 (თანაავტ.); გ. პლეხანოვის ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ, თბ., 1971; სქოლასტიკა არაბულენოვან ფილოსოფიაში, წგ.: შუა საუკუნების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. 2, თბ., 1984 (თანაავტ.: ნ. კილაძე).


კილაძე იაგო გურამის ძე (დ. 24. II. 1986, საჩხერე), სპორტსმენი (კრივი). მსოფლიო კრივის ასოციაციის (WBA) მიერ აღიარებულია ხუთგზის ინტერკონტინენტურ ჩემპიონად. საქართვ. ნაკრების წევრი (2003). 2007-იდან უკრაინის სახელით იბრძვის პროფესიულ რინგზე. სამგზის ინტერკონტინენტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2009–10, WBC). 2011 მოიპოვა და ოთხჯერ (2011–12) შეინარჩუნა ინტერკონტინენტური ჩემპიონის




ნ. კილასონია.



ა. კილაძე.



გ. კილაძე.



ი. კილაძე.



კ. კილაძე.



ლ. ი. კილაძე.



ლ. გ. კილაძე.

ტიტული (WBA). აღიარებულია ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ მძიმე წონაში. პროფესიულ რინგზე ჩაატარა 34 შეხვედრა (27 მოგება, აქედან 19 – ნოკაუტით, 1 ფრე, 6 წაგება).

კილაძე კლაუს ვარლამის ძე (8.IX. 1926, სოფ. მამათი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 20. II. 2018, თბილისი), გვირაბმშენებელი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1971), საქართვ. ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკად. ნამდვილი წევრი (2004). 1949 დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტი ხიდებისა და გვირაბების სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ყაზახეთში 450 *კმ* სიგრძის რკინიგზის (,,მონტი-ჩუ'') მშენებლობის უფროსად. 1954–57 მონაწილეობდა დას. ციმბირში რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაში.

1958–76 პ-მ მუშაობდა ,,თბილმეტრომშენში'' სხვადასხვა თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ორთაჭალის ხიდი-აკვედუკი, მეტროს სადგურები თბილისსა („ვაგზლის მოედანი'', ,,ნაძალადევი'') და მოსკოვში. ხელმძღვანელობდა მაღალმთიან ზონაში, ცხრაწყაროს უღელტეხილზე (ბორჯომის მუნიციპ.) საქართვ. მეცნ. აკად. კოსმოსური სხივების ლაბორ. კომპლექსის (იხ. „ცხრაწყარო") მშენებლობას, სადაც დამონტაჟდა მსოფლიოში უდიდესი, 1100 ტ მასის მაგნიტი; 1976–91 მუშაობდა საქართვ. მინისტრთა საბჭოს აპარატში, მონაწილეობდა გარდაბნის გამწმენდ ნაგებობათა კომპლექსის, წყალმომარაგების ობიექტების რეკონსტრუქციასა და მშენებლობას. 1991-იდან ეწეოდა სამეცნ.-კვლ. საქმიანობას.

მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები ყაზახეთსა და საქართველოში, მ.შ. ღირსების ორდენი (2006).

კილაძე ლევან იოსების ძე (10. VI.1934, თბილისი, – 12. I. 2002, იქვე), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი (1983). საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1987). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკტი არქიტექტურის სპეციალობით (1959). ინ-ტის დამთავრების შემდეგ, 1959–85, მუშაობდა „საქალაქმშენსახპროექტში" არქიტექტორად (1972-იდან – არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი), 1985-იდან – ,,საქვაჭროპროექტის'' დირექტორად. შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ის არქიტ. ფაკ-ტზე (1969–77). ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – საქართვ. მეცნ. აკად. იზოტოპების ლაბორატორია (1959); საქართვ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი (1969, თანაავტ. ჯ. ძოწენიძე); საცხოვრ. სახლები შ. ნუცუბიძის ქუჩაზე (1969); ნევროლოგიის ინ-ტი 200–ადგილიანი სტაციონარით (1972, თანაავტორები: გ. ჭიაურელი, ი. მასხარაშვილი, ვ. ქართველიშვილი); კომპლექსი „მზიური" მდ. ვერეს ხეობაში (1980, თანაავტორები: ი. მასხარაშვილი, გ. აბულაძე, ბ. ჩიგოგიძე); საბავშვო ბაღი ახლანდ. დ. აბაშიძის ქუჩაზე (1987, თანაავტორები: შ. ლომიძე, გ. ლექვინაძე, ა. უნანიანი); ინდივიდ. საცხოვრ. სახლები დაბა წყნეთში, ტაბახმელაში (1970) და სხვ.

კილაძე ლილე გრიგოლის ძე (13. IV. 1928, თბილისი, – 15. X. 1978, იქვე), დირიჟორი. საქართვ. სახ. არტისტი (1977). ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1979, გარდაცვალების შემდეგ). სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიის ჩელოსა (1945–50) და სადირიჟორო (1950–55, ხელმძღვ. ა. გაუკი) კლასებში. 1954–57 მუშაობდა ქ. სარატოვის ოპერისა და ფილარმონიის სიმფ. ორკესტრების დირიჟორად. 1959-იდან იყო საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სიმფ. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. ორკესტრთან ერთად სისტემატურად მართავდა კონცერტებს და პროპაგანდას უწევდა ქართ. მუსიკას. პ. იყო მრავალი ქართვ. კომპოზიტორის (შ. მშველიძე, რ. გაბიჩვაძე, ს. ნასიძე, ს. ცინცაძე, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.) ნაწარმოებთა პირველი შემსრულებელი. მისი დირიჟორობით საქართველოში პირველად შესრულდა ი. ჰაიდნის ორატორია ,,წელიწადის დრონი'', ა. ბრუკნერის მე-6 სიმფონია, პ. ჰინდემითის სიმფონია ,,მხატვარი მატისი'' და სხვ.

კილაძე მერაბ არჩილის ძე (დ. 2.VIII.1957, ბათუმი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2000). 1980 დაამთავრა თსსი; 1984–96 მუშაობდა ექსპ. და კლინ. ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1996–2003 ხელმძღვანელობდა II ქირურგ. კლინიკას; 1987–88 მუშაობდა მეიოს (როჩესტერი, აშშ) კლინიკაში, 1988–92 – ტოკიოს (იაპონია) ეროვნ. ონკოლოგიურ ცენტრში, მიუნხენის უნ-ტის ქირურგ. კლინიკაში (გერმანია), 1988–92 მოსკოვის ქირურგიის საკავშირო სამეცნ. ცენტრში, 2000–05 – ვიურცბურგის და ფრანკფურტის (გერმანია) უნ-ტის ქირურგ. კლინიკებში. 2003–11



ლ. ი. კილაძე. გ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შენობა. 1969, თბილისი.

იყო ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის ქირურგ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2011–21 – საქართვ.-ისრაელის ერთობლივი კლინიკა ,,გიდმედის“ ქირურგ. სამსახურის უფროსი. 2021-იდან ხელმძღვანელობს თბილ. ,,ამერიკულ ჰოსპიტალში“ ქირურგ. დეპარტამენტს.

1995-იდან არის თსუ-ის პროფესორი. 2006-იდან კლინ. ქირურგიის კათედრის გამგე. 2016–17 იყო გ. მუხაძის სახ. საქართვ. ქირურგთა საზ-ბის თავ-რე, არის ამერიკისა და ქირურგთა საერთაშ. კოლეგიების, ევროპის ქირურგთა და ონკოლოგთა საზ-ბების და რუსეთის ქირურგთა ასოციაციის წევრი.

ჰ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 3 მონოგრაფიის ავტორი, რებიც ეხება ონკოლოგიის, ზოგადი ქირურგიის, მიკროქირურგიისა და ტრანსპლანტოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001), არის ბათუმის საპატიო მოქალაქე (2014).

კილაძე მერაბ მიხეილის ძე (2. VI. 1959, ჭიათურა, – 22. XII. 2016, თბილისი), ზოგადი ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2002). 1984 დაამთავრა თსსი; 1985–88 მუშაობდა ქ. ჭიათურის საავადმყოფოში. 1997 ბაზისურ ლაპაროსკოპიულ ქირურგიაში სტაჟირება გაიარა ქ. ატლანტის (აშშ) სამედ. ცენტრში, ხოლო 1998 – ქ. მოდენის (იტალია) სანტ-ავგუსტინის ჰოსპიტალში.

1991–2001 მუშაობდა ქ. თბილისის I კლინიკურ საავადმყოფოში; 2003–06 იყო საქართვ. სამედ. აკად. თორაკო-აბდომინური ქირურგ. კათედრის პროფესორი, 2005–16 – საქართვ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს ექსპერტი, 2008–13 – თსსუ-ის თორაკო-აბდომინური ქირურგ. კათედრის ასოცირებული პროფესორი, 2013-იდან – თსსუ-ის I ქირურგ. დეპარტამენტის კერძო ქირურგ. მიმართულების ასოცირებული პროფესორი, 2011–12 – თბილ. შპს ,,ამტელ ჰოსპიტლის“ თორაკო-აბდომინური ქირურგ. დეპარტამენტის, ხოლო 2012–16 – შპს ,,კარაპს მედლაინის“ ზოგადი და მინიინვაზიური ქირურგ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი. იყო ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ენდოსკოპისტ ქირურგთა ასოციაციის საბჭოს წევრი (2000); ევროპის ქირურგთა საზ-ბის ,,ეროვნული დელეგატი“ საქართველოდან (2003); საქართველოს მცირე ინვაზიურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2007).

ჰ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფია ,,ლაპაროსკოპიული ქირურგიის“ (2013) ავტორი, არაერთი გამოგონების, პატენტისა და საავტორო სერტიფიკატის მფლობელი (დ. აბულაძესთან ერთად მიიღო ენდოქირურგიული ინსტრუმენტის გამოგონების პატენტი).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2012). ჭიათურის საპატიო მოქალაქე (2017).


კილაძე ნანა ვალერიანის ასული (3. V. 1943, ქუთაისი, – 13. VII. 2020, თბილისი), აღმოსავლეთმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1981). 1965 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი არაბ. ენისა და ლიტ-რის სპეციალობით. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ამავე ფაკ-ტის სემიტოლოგიის კათედრაზე. იკვლევდა შუა საუკუნეების აღმოსავლურ ფილოს. ლექსიკას (ამ მიზნით თანამშრომლობდა მ. *მამარდაშვილთან*), ამავე პერიოდის არაბ. ძეგლს ,,მიზეზთა წიგნს“, თარგმნიდა არაბული პოეზიის ნიმუშებს. თანამშრომლოდა კემბრიჯის უნ-ტთან, პროფ. ვ. ლოუსთან.

თხზ.: სქოლასტიკა არაბულენოვან ფილოსოფიაში, წგ.: შუა საუკუნეების ფილოსოფიის პრობლემები, ნაწ. 2, თბ., 1984 (თანაავტორი ვ. კილაძე); არაბული პოეზიის ნიმუშები, თბ., 1985; Философская лексика средневекового Востока Тб., 1980.

კილაძე ნოდარ შალვას ძე (28. III.1925, თბილისი, – 12. VIII. 2010, იქვე), ფიზიკოსი, გამოთვლითი ტექნ. და ინფორმატიკის სპეციალისტი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1977). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). 1954-მდე იყო სამხედრო სამსახურში. დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1959). 1960–2010 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტში (2010-იდან – სტუ-ის ა. ელიაშვილის სახ. *მართვის სისტემების ინსტიტუტი*). იყო ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1978). 1963-იდან ელექტრონულ მოწყობილობათა განყოფილების გამგე. პარალელურად (1968–72) მუშაობდა *აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში*.

ჰ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ინფორმაციის გარდამსახი სისტემების დამუშავება და შექმნა, კომპიუტერში შეყვანილი ქართ. ტექსტების ხმოვან ფორმატში პროგრამული გადაყვანა, საფრენი აპარატების ფრენისას შექმნილი ავარიული სიტუაციების პროგრამული ანალიზი და ვიზუალიზაცია. ჰ. იყო მეორე მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე, მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.

თხზ.: Программа синхронного озвучивания введённых с клавиатуры компьютера или текстовыми файлами грузинских текстов (თანაავტ. Ф. Коган, Д. Радзиевский), სტუ, ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინ-ტის შრომათა კრ., თბ., 2005; Метод формирования гладкой кривой по её отдельным точкам (თანაავტ. Ф. Коган, Л. Гелиашвили), იგივე, 2007.



ნ. კილაძე.

კილაძე როლან ილიას ძე (24. IX. 1931, თბილისი, – 22.II. 2010, იქვე), ასტრონომი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1993), საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971). 1955 დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. ამავე წლიდან 2010-მდე მუშაობდა *აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში*. 1989-იდან იყო გალაქტიკის აგებულებისა და ევოლუციის განყ-ბის გამგე, 2001–06 – ობსერვატორიის დირექტორი. 1985–90 მოღვაწეობდა ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში, 2007–10 იყო ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორი.



რ. კილაძე.

ჰ-ის სამეცნ. კვლევები ეხება გალაქტიკაში ნივთიერების განაწილებას, ვარსკვლავთა სხივური სიჩქარეების გაზომვას, ანთებადი ვარსკვლავების შესწავლას. ჰ-მ ერთ-ერთმა პირველმა დიდი სიზუსტით გაზომა სატურნის რგოლის სისქე (1969); აღმოაჩინა ძალზე გაიშვიათებული ატმოსფეროს ნიშნები მერკურის გარშემო (1974); ერთ-ერთმა პირველთაგანმა შენიშნა (1975) და შეისწავლა (2001) ვარსკვლავი VI500 Gygni – ახალი გედის თანავარსკვლავედში, რ-იც ,,აინთო“ 1975 წ. 29 აგვისტოს; ახსნა პლანეტების ღერძული ბრუნვა, როგორც პლანეტის მიდამოში მცირე ნაწილაკთა გროვების განვითარების შედეგი; 1977, პლუტონის თანამგზავრის (ქარონის) აღმოჩენამდე ერთი წლით ადრე, იწინასწარმეტყველა მისი არსებობა; შეადგინა და გამოსცა (1977) უმართავი გეოსტაციონარული თანამგზავრების გაუმჯობესებული 3 კატალოგი და სანქტ-პეტერბურგელ კოლეგებთან

ერთად შექმნა გეოსტაციონარული თანამგზავრების მოძრაობის თეორია (2001).

პ. იყო საერთაშ. ასტრონ. კავშირისა (1964) და ევრ. ასტრონ. საზ-ბის (1982) წევრი, საქართვ. ასტრონ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი. პ. არის მრავალი სამეცნ. პუბლიკაციის, 2 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. და სამეცნ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2001). მის პატივსაცემად მცირე პლანეტა №4737-ს ეწოდა ,,კილაძე'' (1996). 2019 საერთაშ. ასტრონ. კავშირმა პლუტონის ერთ-ერთ კრატერს მიანიჭა პ-ის სახელი პლუტონის ფოტომეტრიის, ასტრომეტრიისა და დინამიკის კვლევაში მისი წვლილის აღსანიშნავად.

თხზ.: ლექციები თეორიული ასტროფიზიკის კურსში, თბ., 1979; Современное вращение планет, как результат развития околопланетных роёв мелких частиц, Тб., 1986; Investigation of Nova Gygni 1975 (V1500) at Abastumani. I. Photographic Observations of Spectra, II. Resolution of Lines with a Complex Profile into Components (თანაავტ. Gikoshvili M. P.) Astrophysics, v. 44, Issues 1 and 2 (2001); „On the orbital evolution of explosion fragments" (თანაავტ. Soshilina A., Grigoriev K. at al.), Advances in Space Research. 34, 2004; Theory of Motion of Geostationary Satellites (თანაავტ. Soshilina A.), Tb., 2010.

ი. ლომიძე.



ე. კილოსანიძე.

კილაძე, მცირე ცთომილი №4737. აღმოაჩინა რუსმა ასტრონომმა ნ. ჩერნიხმა 1985 წ. 24 აგვისტოს ყირიმის ობსერვატორიაში. სახელი ეწოდა ქართველი ასტრონომის რ. კილაძის პატივსაცემად.

კილიკი (ბერძნ. kylix), 1. ძველი ბერძნული ქუსლიანი საღვინე თასი, რ-საც ჰორიზონტალურად მიმაგრებული 2 ყური აქვს. ამზადებდნენ თიხისგან ან ლითონისაგან. თიხის კ-ები ხშირად მოხატული იყო. ცნობილია ძვ. წ. VI ს. კორინთული, ძვ. წ. VI–IV სს. ატიკური შავ- და წითელფიგურიანი, აგრეთვე შავლაკიანი კ-ები. ზოგი მათგანი ცნობილი ბერძენი მხატვარ-კერამიკოსების მოხატულია და ხელოვნ. შედევრს წარმოადგენს.

ძვ. ბერძნ. კ-ები (მ. შ. მოხატული) დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოშიც – აღმოჩნდა ვანში, ითხვისში, დაბლაგომში, ფიჭვნარში და სხვ. ძვ. წ. V–IV სს. ვერცხლის კ-ები გვხვდება ვანის მდიდრულ სამარხებში. 2. ბეწვიანი ტყავის ნაგლეჯი, იგივე ხალიჩა (ფლასი ბალნისა, ს.-ს. ორბელიანი). მოხსენიებულია ,,წმ. შუ-



კილიკი. ვერცხლი. ძვ. წ. IV საუკუნის I ნახევარი. ვანი. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი.

შანიკის წამებასა'' და ,,წმ. ნინოს ცხოვრებაში''.

ლიტ.: ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა: ქართული, რომელიც არის ლექსიკონი, თბ., 1993; სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001; Блаватский В. Д., История античной расписной керамики [М.], 1953.

ი. გაგოშიძე.

კილო, 1. სიმღერა-გალობის დიალექტური კუთვნილება (იმერული კილო, ქართლ-კახური კილო და სხვ.); 2. ინტონაციური მიმოქცევა, მელოდია, ჰანგი; 3. ბგერათა ურთიერთკავშირის სისტემა მუსიკაში. პ-ს საფეხურების თანამიმდევრობა ქმნის გამას, რ-ის ყოველ საფეხურს აქვს განსაკუთრებული ფუნქცია – არამდგრადი (მერყევი) საფეხურები მდგრადი (მყარი) საფეხურებისაკენ მიიზიდება. პ-ს საფუძველია ტონიკა, რ-იც განსაზღვრავს პ-ს ტონალობას. სხვადასხვა ხალხის მუსიკის პ-ს, ზოგად თავისებურებებთან ერთად, ეროვნ. მახასიათებლებიც გააჩნია. ბგერათრიგების დამთხვევა ან მსგავსება არ ნიშნავს პ-ების იგივეობას, რადგან პ. ინტონირების ცოცხალ პროცესში ყალიბდება. ქართ. ხალხ. მუსიკის კილოური სისტემა დიატონურია და მონოტოცენტრულობის (ერთი ტონიკური ცენტრის) პრინციპს ეფუძნება.

ლიტ.: ასლანიშვილი შ., დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერის კილოები, წგ: ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954; კარბელაშვილი პ., ძველი ქართული კილოები და საეკლესიო გალობა, წგ.: ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 2011; როსებაშვილი კ., ქართული ხალხური სიმღერის კილოს განსაზღვრის საკითხისათვის; თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბ., 1988; ჭოხონელიძე ე., ქართული ხალხური სიმღერის კილოური საფუძვლების შესახებ, ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდიკა და რიტმი, იქვე, თბ., 1983.

კილოსანიძე (საღინაშვილი) ელენე (ნელი) ალექსანდრეს ასული (დ. 5. XI. 1935, თბილისი), თეატრის მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). 1957 სწავლობდა მოსკოვის ბ. შჩუკინის თეატრ. სასწავლებელში (ვ. ეტუშის ჯგუფი), 1959–63 – თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში (გ. სარჩიმელიძისა და ა. ხორავას ჯგუფი). 1962 მიიწვიეს გრიბოედოვის თეატრში მთავარ როლზე (კეტრინი, ა. მილერის ,,ხედი ხიდიდან''; რეჟ. მ. თუმანიშვილი). 1963–95 იყო გრიბოედოვის თეატრის მსახიობი. 1985–93 მუშაობდა თეატრ. ინ-ტში სცენური მეტყველების პედაგოგად, 1995-იდან – თეატრ. დისციპლინების პედაგოგად მოსკ. ხელოვნების საბავშვო სკოლაში; 1999–2016 – ამავე სკოლის სამხატვრო ხელმძღვანელად. 2003 მოსკოვში თეატრ. სკოლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე დააარსა თეატრ. გაერთიანება ,,მირაჟი''.

გრიბოედოვის თეატრში პ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ნატაშა (ე. რაძინსკის ,,104 ფურცელი სიყვარულზე''), ასელი (ჩ. აითმატოვის ,,ჩემო წითელთავსაფრიანო ჩინარო''), გელენა (ლ. ზორინის ,,ვარშავული მელოდია''), ედიტ პიაფი (ვ. ლეგენტოვის ,,ედიტ პიაფი''), მარიამი (ნ. დუმბაძის ,,მარადისობის კანონი"), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი") და სხვ. გადაღებულია ფილმებში ,,ფუნჯით მოთხრობილი ამბავი'' (1962), ,,აფრენა" (1963). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კილოსანიძე მიხეილ დიმიტრის ძე (15. VI. 1878, თბილისი, – 17. III. 1932, იქვე), ბავშვთა ქირურგი, ბავშვთა ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში.

1902 დაამთავრა ხარკოვის უნტის სამედ. ფაკ-ტი; 1927-იდან მუშაობდა თბილ. სახელმწ. უნტის სამკურნ. ფაკ-ტის ბავშვთა სნეულებათა კათედრაზე; პარალელურად – ბავშვთა ქირურგიის განყ-ბის გამგედ; პირველმა დანერგა საქართველოში მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობის ოპერაციული და კონსერვატიული მკურნალობის მეთოდები და ბავშვებში თიაქარკვეთის ორიგინ. ოპერაციული ტექნიკა. ს

კილოსანიძე მიხეილ შალვას ძე (დ. 7. I. 1937, თბილისი), მუსიკოსი, პიანისტი, ხმის რეჟისორი. ხელოვნების დამს. მოღვაწე. დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია

(1961; თ. ამირეჯიბის საფორტ. კლასი). 1960–93 იყო გრამფირფიტების ჩამწერი რესპ. სტუდია ,,მელოდიისა'' და თბილ. ჯ. კახიძის სახ. მუს.-კულტ. ცენტრის (1993-იდან) ხმის რეჟისორი.

პ-ის ხმის რეჟისორობით ჩაწერილია მსოფლიო მნიშვნელობის შემსრულებლები, ქართვ. კომპოზიტორები და შემსრულებლები, მუს. კოლექტივები, ქართ. ოპერები, სახელმწ. ანსამბლები. იყო საქართვ. რადიოს ,,ოქროს ფონდის'' გრამჩანაწერების, აგრეთვე კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმების ხმის რეჟისორი. ანსამბლ ,,რუსთავის'' შესრულებით ჩაწერა 300 ქართ. ხალხ. სიმღერა; ა. ერქომაიშვილთან ერთად აღადგინა ხალხ. სიმღერების გამოჩენილ შემსრულებელთა ხმის ჩანაწერები. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. მუსიკის ყველა სფეროს მონაპოვართა შენახვის, წარმოჩენისა და განვითარების საქმეში.

2017 მიენიჭა ,,ხელოვნების ქურუმის'' წოდება.

კილოსანიძე შალვა მიხეილის ძე (12. III. 1907, ქუთაისი, – 12. X. 1989, თბილისი), რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1950). 1925–28 სწავლობდა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით. პარალელურად მუშაობდა ,,სახკინმრეწვში'' – იყო რეჟისორის თანაშემწე კ. მარჯანიშვილთან (,,სამანიშვილის დედინაცვალი'') და ზ. ბერიშვილთან („იბრაჰიმ და გოდერძი"). 1928 შევიდა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე. 1931–33 იყო მოსკ. საოლქო ოპერის თეატრის რეჟისორი. 1933–35 მუშაობდა ფოთის თეატრის რეჟისორად, 1935–36 –„სახკინმრეწვში" რეჟისორის ასისტენტად (,,არსენა'', რეჟ. მ. ჭიაურელი); იყო ფილმის ,,მოგზაურობა არზრუმში'' (რეჟ. მ. ლევინი, ბ. მედვედევი, ,,ლენფილმი'') რეჟისორ-კონსულტანტი, 1937 – ხელოვნების საქმეთა სამმართველოს განყ-ბის გამგე, 1944 – თბილ. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თეატრების განყ-ბის გამგე. 1938 მისი ინიციატივით საქართვ. ფილარმონიასთან დაარსდა პირველი საესტრადო სტუდია. 1946–48, თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მთ. რეჟისორად მუშაობის დროს, დადგა ჟ. ვერნის „80 დღე დედამიწის გარშემო" და ს. მიხალკოვის „წითელი ყელსახვევი". 1948–52 ხელმძღვანელობდა საქართვ. თეატრ. საზ-ბის შემოქმედებით განყ-ბას, 1953–56 – საქართვ. მინისტრთა საბჭოს კულტურის განყ-ბის ხელოვნებისა და კინოს ჯგუფს. იყო საქართვ. ტელევიზიის პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი (1957), გრიბოედოვის თეატრისა (1969–70) და თბილ. ს. ზაქარიაძის სახ. კულტ.- საგანმან. სასწავლებლის დირექტორი (1970–85).

კიმენი (ბერძნ. keimenon), ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ჟანრი, რ-იც ფართოდ იყო გავრცელებული ქართულ ჰაგიოგრაფიაში. შეიცავს წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობების თავდაპირველ, მარტივად აღწერილ და განუმარტავ ტექსტებს. ეფრემ მცირე თვლის, რომ კ., რ-ის ქართ. შესატყვისია ,,მდებარე'', ეწოდება ,,პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა''. ძვ. ქართ. სას. მწერლობაში ამავე ტერმინით მოიხსენიებდნენ ძირითად ბიბლიურ ტექსტს იმ კომენტარებისა და განმარტებებისაგან განსასხვავებლად, რ-ებიც არშიებზე იყო მიწერილი. ბიზანტ. იურისტები კ-ს უწოდებდნენ კანონის ძირითად ტექსტსაც. იოანე ქსიფილინოსი კ-ს *მრავალთავთან* აიგივებდა. დროთა განმავლობაში კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს ცვლიდნენ და ამახინჯებდნენ. განსაკუთრებით საგრძნობი შესწორება-დამატებანი შეიტანეს მწვალებლებმა. ამასთან, წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობის ლიტონი აღწერილობა შუა საუკუნეებში ვეღარ აკმაყოფილებდა ბიზანტ. მკითხველს. X ს-ში დაიწყეს ამ ძეგლების გადამუშავება (იხ. *მეტაფრასი*). საქართველოში კიმენური თხზულებები ითარგმნა X ს-ში (ტექსტები გამოსცა კ. კეკელიძემ 2 ტომად, 1918, 1946).

ლიტ.: ამირხანაშვილი ი., კანონი როგორც ფუნქცია (კიმენი), ,,სჯანი'', 2018, №19; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 5, თბ., 1957; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.


ვ. ბააკაშვილი.

კიმერიელები (ბერძნ. Kimmerioi, აქად. Gamir(a)āia, Gamiraia, ძვ. ებრ. gmr), ძვ. წ. VIII–VII სს-იდან აღმოსავლეთ ევროპის ველებზე მომთაბარე და მცხოვრები ინდოევროპული მოდგმის ირანულენოვანი ხალხი. ანტ. ავტორების ცნობებით, აღმ. ევროპაში მოსული სკვითების ზეწოლით კ-ის ნაწილი კავკასიის გავლით წინა აზიაში გადავიდა. მათი იქ ყოფნა ასახულია თანადროულ წყაროებში. ასურეთის მეფის, სარგონ II-ის (ძვ. წ. 722–705) დროს კ. ურარტუს ტერიტორიაზე (სევანის ტბის ჩრდ.-დას-ით) ჩანან. დაახლ. იმავე ხანაში კ. შეიჭრნენ ურმიის ტბის სამხრ-ით. ასურეთის მეფის, ასარხადონის (ძვ. წ. 680–669) თანადროულად კ-ის ერთი ჯგუფი ასურეთის აღმ-ით, მანას ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მეორე – დას-ით, მცირე აზიაში, კაპადოკიის ტერიტორიაზე. ეს იმის დასტურია, რომ ძვ. სომხურ წყაროებში კაპადოკია კ-თა სახელით (,,გამირქ'', ,,გამირიჯ'') მოიხსენიება. აქ 673 კ. ასარხადონმა დაამარცხა. როგორც ვარაუდობენ, იმხანად კ-ის დაქირავებული რაზმები თვით ასურელთა არმიაშიც იყვნენ. ასევე ურარტუს მეფე რუსა II-მ (ძვ. წ. 685–645) ყველა სამხედრო წარმატება კ-ის დახმარებით მოიპოვა. დაახლ. ძვ. წ. 676 (ან 675) რუსა II-მ კ-თან კავშირში გაანადგურა ფრიგიის სამეფო (ასურული წყაროებით – მუშქების, მოსხების ქვეყანა). მოსხების (მესხების) ნაწილმა ჩრდ.-აღმ-ით მთებს შეაფარა თავი (ამ ადგილს შემდეგ ,,მოსხური მთები'' ეწოდა), ნაწილი კი ისტ. საქართვ. ტერიტორიაზე შემოვიდა. ძვ. წ. VII ს. 60-იან წლებში კ. თავს დაესხნენ ლიდიას, აიღეს მათი დედაქალაქი სარდი. ამავე საუკუნის დასასრულიდან კ-ის სახელი ძველაღმოსავლურ წყაროებში ქრება.

ანტ. ლიტერატურაში კ. პირველად იხსენიებიან ჰომეროსის ,,ოდისეაში'', ორჯერ – ბიბლიაში, შემდეგ მათ შესახებ ცნობები ჩნდება ჰეროდოტეს, სტრაბონის, კალიმაქეს, არიანესა და სხვათა თხზულებებში. ამ ავტორებთან ჩანს, რომ კ. უკვე ჩრდ. შავიზღვისპირეთის ველებზე არიან დასახლებული. შემდეგში ისინი აღმ. ევროპაში შემოსულ სკვითებსა და სარმატული მოდგმის ტომებს შეერივნენ. კ-ის ყოფნას ვარაუდობენ საქართველოს ტერიტორიაზეც. მკვლევართა ნაწილის აზრით, ქართული პროვინციის – თრიალეთის სახელი თრერების (ტრერების) კიმერიული ტომისაგან უნდა მომდინარეობდეს. კ-ს უკავშირებენ კოლხური სამეფოს განადგურებას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ



მ. შ. კილოსანიძე.



შ. კილოსანიძე.

შეიძლება პ-ის სახელიდან მომდინარეობდეს ქართული სიტყვა ,,გმირი‘‘.

ლიტ.: მელიქიშვილი გ., სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები. ძველი კოლხური სამეფოს განადგურება, წგ.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Иванчик А. И., Киммерийцы. Древневосточные цивилизации и степные кочевники в VIII–VII вв. до н. э., М., 1996.

ვ. გოილაძე.

კიმოთესუბანი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში. პ. შეტანილია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, როგორც პეტრეს ნაჰიეში შემავალი სოფელი. იხ. *ტიმოთესუბანი.*

კინასოშვილი რობერტ სიმონის ძე (1899, მოზდოკი, – 25. IV. 1964, მოსკოვი), მეცნიერი საავიაციო ძრავების დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1960). 1924 დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტი, 1930 – მოსკოვის საავიაციო ინ-ტი. 1934-იდან მუშაობდა საავიაციო ძრავების ცენტრ. ინ-ტში (,,ЦИАМ‘‘) დირექტორის მოადგილედ. ლითონთა დინამიკური სიმტკიცის გამოკვლევებისათვის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად 1949 მიენიჭა სტალინური პრემია. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას მოსკოვში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Элементарный курс сопротивления материалов, М., 1941.

კინდერმანის სფინქსი (Smerinthus kindermanni Lederer, 1852), იშვიათი სახეობის პეპელა სფინქსების (Sphingidae) ოჯახიდან, ულამაზესი მწერი, ერთ-ერთი უძველესი მიგრანტი. აქვს მსხვილი და ძლიერი სხეული. წინა ფრთების სიგრძეა 32–35 *მმ,* საერთო ფონი – ღია ხორცისფერი, იისფერ-რუხი ანარეკლით. მოხატულია სხვადასხვა ფორმის ყავისფერი ლაქებით, ნათელი და მუქი გარდიგარდმო ზოლებით. წინა ფრთების გარეთა კიდეები შეჭრილია. უკანა ფრთები იისფერ-წითელია. გარეთა კიდესთან შეინიშნება შავბირთვიანი არასრული მსხვილი თვალი, რ-საც გარშემო ორი (იისფერ-ლურჯი და შავი) არასრული რკალი აკრავს. ფრთების ქვედა მხარე ღია ხორცისფერია, წინა ფრთებზე მოწითალო-იისფერი შუაგული აქვს, ხოლო უკანაზე – ყავისფერი არათანაბარი ზოლი. ორივე ფრთას კვეთს ვიწრო რუხი და მუქი ზოლები და კიდის ფართო არშია.

გავრცელებულია აღმ. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სამხრ. კავკასიასა და შუა აზიაში. სახეობის საბინადრო გარემოა აღმ. ხმელთაშუა ზღვის უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ჭალის ტყეები.

საქართველოში პ. ს. გვხვდება ვაშლოვნის ნაკრძალის არიდულ ნაწილში (დათვისხევი), ზ. დ. 300 *მ*-ზე. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. დაფრინავს მაის-ივნისში. მატლი იკვებება თურანული და თხის ტირიფების ფოთლებით. იშვიათი სახეობაა. ძირითადი მალამიტირებელი ფაქტორებია არეალის ლოკალურობა და მცირერიცხოვნობა, ამიტომ გავრცელების არეალში ადამიანის სამეურნეო საქმიანობა სახეობას ჰაბიტატში სრული გაქრობით ემუქრება.



კინდერმანის სფინქსი.

2002-იდან შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Дидманидзе Э. А., Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии (Lepidoptera, Heterocera), Тб., 1978; Дидманидзе Э. А., Схиртладзе И. А., Нинуа Н. Ш. и др., О некоторых эндемичных, редких и исчезающих видах фауны Грузии: новые ориентиры к решению проблемы, Тб., 2002; Мирзоян С. А., Батиашвили И. Д., и др., Редкие насекомые, М., 1982.

ე. დიდმანიძე.

კინდღი, სოფელი აფხაზეთის არის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, შავიზღვისპირა დაბლობზე. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ახივაა, ლეფონა). ზ. დ. 40 *მ,* ოჩამჩირიდან 20 *კმ,* ტამიშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ.*

პ-ში კლიმატი ნოტიო, ზღვისპირა სუბტროპიკულია. ზამთარი რბილი, უთოვლო, იანვრის საშ. ტემპ-რა 5 °C; ზაფხული – თბილი, აგვ. საშ. ტემპ-რა 23 °C. ნალექების საშ. წლ. რაოდენობა 1000–1200 *მმ,* ტენიანობა 76%. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2100 *სთ.* ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებია: ზღვისპირა სუბტროპიკული ჰავა, ჰიპერთერმული (73 °C) ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიან-კალციუმიანი ტუტე რეაქციის (pH–7,6) მინერ. წყლები, საერთო მინერალიზაციით 1,6–1,9 *გ/ლ.* დებიტი დღე-ღამეში 2 მლნ. ლ. პ-ში ამოდის 100 °C-ზე მეტი ტემპერატურის ჰიპერთერმული გეიზერები, სამკურნალო ტალახი კი სახსრებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სამკურნალოდ გამოიყენება.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. 2, თბ., 2015.

კინემატოგრაფი [ბერძნ. κινημ (kinēma) – მოძრაობა, γραφω (graphō) – ვწერ, გამოვსახავ; ანუ ,,მოძრაობის ჩაწერა‘‘)], მოწყობილობებისა და მეთოდების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს შავ-თეთრი ან ფერადი მოძრავი გამოსახულებების ჩაწერასა და ეკრანზე პროეცირებას. სახელწოდება მომდინარეობს ფრანგი გამომგონებლების, ძმები ლ. და პ. ლიუმიერების მიერ შექმნილი ამავე დასახელების (ფრანგ. cinématographe – სინემატოგრაფი) აპარატიდან, რ-მაც სათავე დაუდო ამ ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებას (1895 წ. 28 დეკემბერს პარიზში შედგა პირველი ფასიანი კინოსეანსი). ტერმინ პ-ს ხშირად ხმარობენ ამ ტექნოლოგიის საფუძველზე აღმოცენებული სანახაობითი ხელოვნების აღსანიშნავად (იხ. აგრეთვე *კინოხელოვნება*).

კინემატოგრაფია, კულტურისა და ეკონომიკის დარგი, რომელიც მოიცავს კინოფილმების წარმოებას, დემონსტრირებას, შესწავლა-პოპულარიზაციასა და დაცვას. პ-ის ცნება აერთიანებს *კინოხელოვნებას* და *კინოწარმოებას.*

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (კინოცენტრი) საქართველოსი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შეიქმნა 2001 წ. აპრილში ,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ‘‘ საქართველოს 2000 წ. 5 დეკემბრის კანონის საფუძველზე. კინოცენტრი შეიმუშავებს და ახორციელებს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კინოს სფეროში. მისი მიზანია ქართ. კინემატოგრაფიის არსებობისა და განვითარებისათვის სახელმწ.

მხარდაჭერის უზრუნველყოფა და კოორდინაცია, საქართვ. სახელმწ. ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნ. ფილმების წარმოებისა და გავრცელების ხელშეწყობა, მსოფლიო კინოპროცესებში ქართ. კინოს ინტეგრაცია. კინოცენტრის ამოცანებია: შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნისა და სრულყოფისათვის წინადადებების შემუშავება; კინოს განვითარებისათვის სამეცნ.- საინფორმაციო, საწარმოო და მატერ.-ტექ. ბაზის სრულყოფა; ეროვნ. კინოპროდუქციის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა; ქართული კინოს დაცვისა და განვითარების მიზნით შესაბამისი სახელმწ. პროგრამების რეალიზაცია; კინოს ინფრასტრუქტურისა და კინოქსელის განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; საქართვ. ეროვნ. კინოარქივის შექმნა; კინოგანათლებისა და კინომცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა; კინოს დარგში საერთაშ. კავშირების გაფართოება; საერთაშ. კინოორგანიზაციებში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; კინოფესტივალებისა და სხვა კულტ. ღონისძიებების ჩატარების, აგრეთვე საერთაშ. კინოფესტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობა. სახელმწიფო სუბსიდიები ნაწილდება კონკურსის გზით, საექსპერტო კომისიების დასკვნის საფუძველზე.

კინოცენტრის დირექტორები სხვადასხვა წლებში იყვნენ: ო. შამათავა (2000–01), ზ. ურუშაძე (2001–04), გ. ჩხეიძე (2004–08), კ. ჩლაიძე (2008–10), თ. ტატიშვილი (2010–13), ნ. ჯანელიძე (2013–16), ზ. მაღალაშვილი (2016–19), გ. ჩხეიძე (2019–22); 2022-იდან დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია კ. სიხარულიძე.

მ. კერესელიძე.

კინემატოგრაფისტთა კავშირი, იხ. *კინოაკადემია საქართველოსი.*

კინეპოსი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს სამხრ. საქართველოში, ისტ. პროვინცია ტაოში, სოფ. ელმაზუდუს მახლობლად, კინეპოსის წყლის ვიწრო ხეობის კლდოვან ფერდობზე (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია). 1907 კოლა-ოლთისსა და ჩანგლში არქეოლ. ექსპედიციის დროს ძეგლი გამოიკვლია ე. თაყაიშვილმა, გამოაქვეყნა კომპლექსის მთავარი ეკლესიის ანაზომებიც. მის დროს ეკლესიის საკურთხეველში და ჩრდ. კედელზე ჯერ კიდევ შეინიშნებოდა მხატვრობისა და ასომთავრული წარწერის კვალი. კ-ის ეკლესია IX–X სს. ძეგლია. არის „ნახევრადთავისუფალი“ ჯვრის ტიპის ნაგებობა (ტეტრაკონქი პასტოფორიებით). საკურთხევლის აფსიდის წინ ბემაა, ამიტომ აღმ.- დას. ღერძი ჭარბობს მეორე ღერძს. საკურთხევლის აფსიდი ქმნის გარეთ ხუთწახნაგა შვერილს, დანარჩენი აფსიდები სწორი კედლის უკან იმალება. პასტოფორიები გვერდის აფსიდებს უკავშირდება და არა უშუალოდ გუმბათქვეშა კვადრატს. რვა სარკმლიანი გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია, გარედან – რვაწახნაგოვანი. გუმბათი პანდანტივებს ეყრდნობოდა, ანუ აქ გამოყენებული იყო ახლებური კონსტრუქცია, თუმცა გარედან მისი ფორმაც და პროპორციაც ჯერ კიდევ წინა ეპოქის გუმბათიანი ძეგლების ფორმებს იმეორებს. ეკლესია ნაგებია რუხი ფერის უხეშად დამუშავებული მომცრო ზომის კვადრებით. წყობაში რიგების ჰორიზონტალურობა დაცულია. ჩუქურთმის ან რაიმე პლასტიკური მორთულობის კვალი არა ჩანს. ჩრდ.-ით მიშენებული აქვს კვადრატული ოთახი და ორი ერთნავიანი სამლოცველო. ამჟამად მთავარი ეკლესიის გუმბათი, მინაშენი, დას. და სამხრ. აფსიდები დანგრეულია. მონასტრის მთავარი ეკლესიის მახლობლად შემორჩენილია ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ყველა შენობა გადახურული ყოფილა კრამიტით. აქვე შემონახულია რამდენიმე დამხმარე ნაგებობის ნანგრევი.

ლიტ.: ბაგრატიონი გ., მოგზაურობა თურქეთში. – ძეგლის მეგობარი, 1996, №1–2; ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ.: 1, 2, თბ., 2014; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები, თბ., 2017.

თ. გერსამია.

კინთისხევი, მდინარე კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. ხევგრძელის (ილტოს მარჯვ. შენაკადი) მარცხ. შენაკადი.

კინკიშა, მდინარე აჭარის არ-ის ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშის მარცხ. შენაკადი.

კინკიშა, ნასოფლარი ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

კინო, კინემატოგრაფიის, კინოთეატრისა და კინოხელოვნების ფართოდ გავრცელებული შემოკლებული სახელწოდება.

კინოაკადემია საქართველოსი, პროფესიონალ კინოხელოვანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება. აერთიანებს 288 წევრს (2020). მისი მიზანია კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი ინიციატივის სტიმულირება და ხელშეწყობა, აკად. წევრთა პროფ. ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ქართულ კინოში მიმდინარე პროცესების ანალიზი, ქართვ. და საერთაშ. საზ-ბაში ეროვნ. კინოს პრესტიჟის ამაღლება, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართული კინომემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და დაცვაზე ზრუნვა. შეიქმნა საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის (1957–2015) ბაზაზე, რ-ის თავ-რეები იყვნენ კინორეჟისორები: ს. დოლიძე (1957–76), ე. შენგელაია (1976–2013) და ზ. ურუშაძე (2013–15). 2015 წ. 1 ოქტომბრიდან, რიგგარეშე ყრილობის გადაწყვეტილებით, კინემატოგრაფისტთა კავშირს ეწოდა „საქართველოს კინოაკადემია“. პრეზიდენტები: ზ. ურუშაძე (2015–19), რ. ხოტივარი (2019–21), 2022-იდან – კ. ესაძე.

კინოდრამატურგია, ლიტერატურულ-კინემატოგრაფიული შემოქმედების სახეობა. კ-ის საფუძველია სცენარი – ფილმის ლიტ. და იდეურ-მხატვრული მხარე. კ-ის გაორებული (ლიტ. და კინემატოგრაფიული) ბუნების გამო სცენარიც ორი სახისაა: ლიტ. ნაწარმოები, რ-იც ფილმის ძირითადი ბაზისია და იმავდროულად დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება გააჩნია, და ლიტ. მასალა, რ-შიც გადმოცემულია მომავალი ფილმის შინაარსი და კონსტრუქცია. კ. იყენებს დრამ. და პროზა-



კინოდრამატურგია. კადრი ფილმიდან „ქრისტინე“. ა. ა ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი – ქრისტინე. რეჟისორი ა. წ უ წ უ ნ ა ვ ა. 1916–18.

ული ლიტ-რის სხვადასხვა ხერხს და ქმნის, ამუშავებს და აფიქსირებს საკუთარ ან უკვე არსებულ სიუჟეტებს ფილმში მათი შემდგომი ხორცშესხმისათვის, კინოს სპეციფიკური თავისებურებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პ. ყალიბდებოდა კინოს გამომსახველობით და ტექნიკურ საშუალებათა განვითარებასთან უშუალო კავშირში. კინოხელოვნების შესაძლებლობათა გაფართოების შესაბამისად იცვლებოდა მისი ესთეტ. ნორმები. პ-ის ჩამოყალიბებაში კინოს განვითარების ცალკეულ ეტაპზე მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი პროზაიკოსები და თეატრის დრამატურგები.

საქართველოში პ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს შ. დადიანმა, გ. მდივანმა, ნ. შენგელაიამ, ს. ჟღენტმა, მ. ელიოზიშვილმა, რ. გაბრიაძემ, ე. ახვლედიანმა, რ. ინანიშვილმა, ზ. არსენიშვილმა, რ. ჭეიშვილმა, ვ. გიგაშვილმა, ნ. შატაიძემ და სხვ.

მ. კერესელიძე.

კინოთეატრი, ფილმის საჯარო ჩვენებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ნაგებობა (ან სხვა საზ. ნაგებობის ნაწილი). პ-ის დარბაზი აღჭურვილია დიდი ეკრანით, ფილმების სადემონსტრაციო აპარატურით და ხმის სისტემით. პ-ების დაპროექტებისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დარბაზში საუკეთესო აკუსტიკის მიღწევა. თანამედროვე პ-ებისთვის სავალდებულოა ჰაერის კონდიცირების სისტემის არსებობა; მისი მნიშვნელოვანი ნაწილია ფოიე, რაც სოც.-კულტ. დატვირთვა აქვს.

თავდაპირველად კინოს საბალაგანო გასართობად მიიჩნევდნენ და კინოდანადგარების მფლობელები კინოსეანსებისთვის ფართობს ქირაობდნენ სახლებში, გადახურულ ბაზრობებზე, კაფე-რესტორნებსა და საზ. თავშეყრის ადგილებში. ტექნიკის განვითარებამ და ახალი სანახაობისადმი გაზრდილმა ინტერესმა ბიძგი მისცა პირველი პ-ების გახსნას, კინოს ხელოვნებად ჩამოყალიბებასთან ერთად კი შეიქმნა პ-ების არქიტექტურა.

ეკრანების (დარბაზების) რაოდენობის მიხედვით დღეს არსებობს შემდეგი სახის პ-ები: მონოეკრანი (ერთი დარბაზით), მინიპლექსი (2–8 დარბაზით), მულტიპლექსი (9–15 დარბაზით), მეგაპლექსი (16-ზე მეტი დარბაზით), კინოპლექსი (სავაჭრო ან სავაჭრო-გასართობ ცენტრში განლაგებული პ.).

საქართველოში პ-ების ისტორია იწყება XX ს-იდან. მათი სახელწოდებები და ადგილმდებარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ფრანგი გამომგონებლების ძმები ლ. და პ. ლიუმიერების აპარატით პირველი ჩვენება შედგა 1896 წ. 16 ნოემბერს სათავადაზნაურო თეატრში, შემდეგ ,,ცოცხალი სურათების'' სეანსებს ატარებდნენ საცხოვრებელ სახლებში, ნიკიტინების ცირკში და საზ. თავშეყრის სხვა ადგილებში. 1904 ოდესელმა კომერსანტმა ს. ივანიცკაიამ თბილისში გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდ. რუსთაველის გამზირი), რესტორან ,,დათვის'' შენობაში გახსნა პირველი კინოსტაციონარი ,,ილუზიონი''. 1905 მანვე მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე კინოფილმების სადემონსტრაციოდ 150-ადგილიანი ხის შენობა ააგო. ამავე წელს გოლოვინის გამზირზე გაიხსნა პ-ის დახურული დარბაზი ,,ელექტრონის პროჟექტორი''. 1907-ისთვის თბილისში უკვე მოქმედებდა პ-ები: ,,ამპირი'', ,,კოლიზეი'', ,,ლირა'', ,,მუზა'', ,,მულენ ელექტრიკი'' (დახურული და საზაფხულო დარბაზებით), ,,სინემა დისკი''. 1909 წ. 12 აპრილს მიხეილის პროსპექტზე (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი) გაიხსნა პ. ,,აპოლო'' (შემდგომში – ,,ოქტომბერი''; ფასადისა და ინტერიერის მორთულობა დასრულდა 1914) – იმ დროისათვის ერთერთი უდიდესი პ. ევროპაში. 1915 პ-ების რიცხვს შეემატა ,,არფასტო'' [გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმრო ,,პალას-ოტელის'' (ახლანდ. თეატრისა და კინოს უნ-ტის) შენობაში; შემდგომში – ,,სპარტაკი''] ,,მოდერნი'', ,,ოდეონი'', ,,პატეოგრაფი'', ,,სატურნი'', ,,მინიონი'' (სასტუმრო ,,მაჟესტიკი''; ახლანდ. ,,თბილისი მარიოტი''). მიხეილის პროსპექტზე აშენდა პ. ,,პალასი'' (შემდგომში – ,,ამირანი''); მ. აზარიანცის სახლის ქვედა სართულზე განთავსდა პ. ,,სოლეი'' (ახლანდ. პანტომიმის თეატრი).

პ-ები გაიხსნა საქართვ. სხვადასხვა ქალაქში. ქუთაისში 1908-მდე იყო 2 კინოთეატრი – ,,მონპლეზირი'' (შემდგომში – ,,დამკვრელი'') და ,,თამარი'' (შემდგომში – „ოფიცერთა კლუბი"). 1910 წ. 8 სექტემბერს გაიხსნა პ. ,,რადიუმი'' (შემდგომში – ,,კომუნა'') 450-ადგილიანი დარბაზით, იარუსით,



კინოთეატრი ,,რუსთაველი''. არქიტექტორი ნ. ს ე ვ ე რ ო ვ ი. 1939. თბილისი.



კინოთეატრი ,,რადიუმი‘‘. 1910. ქუთაისი.

ლოჟებითა და სცენით. პ-ის გამართვაში მონაწილეობდა კინოოპერატორი ვ. *ამაშუკელი*. ,,რადიუმმა‘‘ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართ. კინემატოგრაფის ჩამოყალიბებაში. აქ გაიმართა ვ. ამაშუკელის ფილმის ,,აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭალეჩხუმში‘‘ (1912) პირველი ჩვენება, რ-საც თავად პოეტი ესწრებოდა. ბათუმში პირველი კინოსეანსი გაიმართა 1907 კინოსტაციონარ ,,ილუზიონში‘‘, რ-იც მდებარეობდა დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე. 1911–21 ბათუმში იყო 7 პ.: ,,აპოლო‘‘ (შემდგომში – ,,ინტერნაციონალი‘‘), ,,ილუზიონი‘‘, ,,ლირა‘‘, ,,პალასი‘‘, ,,პიკადილი‘‘ (შემდგომში – ,,ოქტომბერი‘‘), ,,ტრიუმფი‘‘, ,,რელიგიონი‘‘ (დახურული და საზაფხულო დარბაზებით).

1918–21 საქართველოში ოცზე მეტი პ. იყო, XX ს. 30-იან წლებში კი მათი რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, 1939 გაიხსნა პ. ,,რუსთაველი‘‘, 1948 – ,,ისანი‘‘, 1957 – ,,საქართველო‘‘ (წითელი და მწვანე დარბაზები), 60–80-იან წლებში თბილისსა და საქართვ. დიდ ქალაქებში მოხდა ძველის მოდერნიზაცია და აშენდა ახალი პ-ები.

2020 წლის მონაცემებით თბილისში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მოქმედი პ-ებია ,,ამირანი‘‘ (ოთხი დარბაზი) და სავაჭრო ცენტრებში (,,თბილისი გალერეა‘‘, ,,ისტ პოინტი‘‘, ,,სითი მოლი საბურთალო‘‘) განთავსებული კინოპლექსი ,,კავეა‘‘; ბათუმში – ,,აპოლო‘‘, ქუთაისში – ,,საქართველო‘‘.

მ. კერესელიძე.

კინოთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (კლდეეთის თემი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 350 *მ,* ზესტაფონიდან 15 *კმ.* 345 მცხ. (2014).

კინოკომედია, *კინოხელოვნების* ჟანრი. ენათესავება კომედიის ჟანრს დრამატურგიაში (იხ. *კომედია*). არსებობს კინოკომედიის მრავალი სახეობა, რომელიც განისაზღვრება მასალისადმი ავტორისეული დამოკიდებულების ხასიათით (ლირიკული, რომანტიკული, სატირული კომედია, კინოპაროდია და სხვ.) და პირობითობის ხარისხით (ექსცენტრიკული, ფანტასტიკური, მუსიკალური კომედია, კინოვოდევილი და სხვ.).

პ-ს კინემატოგრაფთან ერთად საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი („გაწუწული მრწყველი“, 1895, რეჟ. ლ. ლიუმიერი). ადრეული კინოკომედიები – „კომიკურები“ - იყენებდნენ ცირკისა (კლოუნდა, ექსცენტრიკა) და ვარიეტეს ჟანრულ ფორმებს, მიმართავდნენ ვოდევილის და თეატრ. კომედიის პრინციპებს. ნიღბების კომედიის პრინციპით შექმნილი პერსონაჟები ფილმიდან ფილმში გადადიოდნენ („კომიკურების“ სერია ანდრე დიდის მონაწილეობით).

ფრანგულმა კომიკურმა სკოლამ, რ-ის ფილმებში კინემატოგრაფისათვის დამახასიათებელი გარეგანი დინამიზმი კომიზმამდეა გამძაფრებული (ჟ. მელიესის ფანტასტიკური ფერიები) საფუძველი ჩაუყარა პ-ის დამოუკიდებელ პოეტიკას. პ. იმთავითვე მასობრივი კულტ., „გართობის ინდუსტრიის“ ერთ-ერთ წამყვად ჟანრად ჩამოყალიბდა. XX ს. 10-იან წლებში მ. ლინდერმა კ. გონებამახვილური ტრიუკებით გაამდიდრა, შემოიტანა მასში სატირის ელემენტები და კომიკოსთაგან პირველმა შექმნა ჟანრისთვის გარეგნულად შეუფერებელი პერსონაჟი (სახენიღაბი). ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ამერ. კომიკური სკოლა, რ-მაც ფრანგ. კინოსკოლის გამოცდილება გაიზიარა. სტუდია „კისტოუნის“ კომედიებში (რეჟ. მ. სენეტი) გაჩნდა კომიკური ტრიუკები („გეგები“). ამერ. „კომიკურებში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ პოპულარული მსახიობები: ბ. კიტონი, ჰ. ლოიდი და სხვ. ამ პე-



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,ჩემი ბებია‘‘. მსახიობი ა. თაყაიშვილი. რეჟისორი კ. მიქაბერიძე. 1929.

რიოდში თავისი კინოკარიერა დაიწყო ჩ. ჩაპლინმა, რ-ის შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობა პ-ის განვითარების მთელ ეპოქას მოიცავს. XX ს. 20-იან წლებში პოპულ. „სალონური კომედიის“ პარალელურად რიგ ქვეყნებში წინა პლანზე გამოდის ექსცენტრიკული კ. სატირის ელემენტებით (საფრანგეთში – რეჟ. რ. კლერი, რუსეთში – რეჟ. ლ. კულეშოვი, ი. პროტაზანოვი).

კინოფილმების გახმოვანების შემდეგ, XX 30-იან წლებში პ. მდიდრდება ვერბალური იუმორ-



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,ქეთო და კოტე‘‘. მსახიობები: გ. შავგულიძე – ნიკო, ვ. გოძიაშვილი – სიკო. რეჟისორები: ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი. 1948.



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,უდიპლომო სასიძო‘‘. მსახიობები (მარცხნიდან): ა. კვანტალიანი – ვარდენი, ვ. ნინუა – ნიკოლოზი, ა. ვასაძე – პარმენი. რეჟისორი ლ. ხოტივარი, 1961.

ით და ავითარებს თეატრისა და ვოდევილის ტრადიციებს. ამერიკ. პ-ებში მონაწილეობენ თეატრისა და მიუზიკ-ჰოლის მსახიობები (მ. უესტი, ძმები მარქსები, ს. ლაურელი და ო. ჰარდი და სხვ.). ე. წ. „მსუბუქ“, „შერეკილ“ პ-ებში ჩნდება სოც. კრიტ. მოტივები (რეჟ. ფ. კაპრა), პოპულარული ხდება მუს. პ. (ამერიკაში – პირველი მიუზიკლები, რუსეთში – გრ. ალექსანდროვის მუს. კინოკომედიები).

II მსოფლიო ომის შემდგომ, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, პ. ისწრაფვის სტილისტური მრავალფეროვნებისაკენ, მასში ძლიერდება საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მოტივები. პოლიტ. საზოგადოებრივი და სოც. ცვლილებების, ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების კომედიურმა



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,არ იდარდო‘‘. მსახიობები (მარცხნიდან): ი. ხ ვ ი ჩ ი ა – სანდრო, ს. ჭ ი ა უ რ ე ლ ი – სოფიკო, ს. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე – ლევან ცინცაძე. რეჟისორი გ. დ ა ნ ე ლ ი ა. 1969.

აღქმამ მსოფლიო კინოხელოვნებას მისცა სხვადასხვა ემოციური შეფერილობა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პ-ის ჩამოყალიბება XX ს. 20-იან წლებში ლიტ. ნაწარმოებების ეკრანიზებით დაიწყო (ა. ცაგარლის ,,ხანუმა‘‘, რეჟ. ა. წუწუნავა; დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘, რეჟ. კ. მარჯანიშვილი). ტრადიციული ღირებულებების უარყოფის, სოციალ. ცხოვრების წესისა და ახალი ეთიკური ნორმების დამკვიდრების პირობებში პ. საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი გახდა. XX ს. 20–30-იან წლებში ორიგინალური სცენარებით შექმნილ პ-ებში ჭარბობს სატირა, რ-ის მახვილი წარსულის გადმონაშთების (,,ახალგაზრდობა იმარჯვებს‘‘, რეჟ. მ. გელოვანი; ,,ნახვამდის‘‘, რეჟ. გ. მაკაროვი), საზოგადოების ყოფასა და აზროვნებაში დამკვიდრებული მანკიერებების (,,ხაბარდა‘‘, რეჟ. მ. ჭიაურელი; ,,ნამდვილი კავკასიელი‘‘, რეჟ. მ. გელოვანი) წინააღმდეგ არის მიმართული.

ამავე პერიოდში შეიქმნა ქართ. პ-ის ბრწყინვალე ნიმუშები, საბჭ. ბიუროკრატიის მამხილებელი სატირული კომედიები: ,,ჩემი ბებია‘‘ (ასახულია საქართვ. მოდერნისტული კულტურა; რეჟ. კ. მიქაბერიძე) და ,,დაკარგული სამოთხე‘‘ (რეჟ. დ. რონდელი); ამ ფილმის პოეტიკა დაკნინებული თავადაზნაურობის ყოფამ და კოლორიტმა განსაზღვრა.

II მსოფლიო ომის შემდგომ, ე. წ. ,,დათბობის‘‘ ხანაში, იდეოლოგიური წნეხის შესუსტებამ გავლენა იქონია პ-ის ხასიათზე. წინ წამოიწია მუს. და ყოფითი პ-ები: ,,ქეთო და კოტე‘‘ (რეჟ-ები: ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი), ,,ჭრიჭინა‘‘ (რეჟ-ები: ს. დოლიძე, ქ. ხოტივარი), ,,აბეზარა‘‘ (რეჟ. ნ. სანიშვილი), ,,წარსული ზაფხული‘‘ (რეჟ-ები: ნ. ნენოვა, გ. წულაია), ,,უდიპლომო სასიძო‘‘ (რეჟ. ლ. ხოტივარი); ,,თოჯინები იცინიან‘‘ (რეჟ. ნ. სანიშვილი). იუმორი კეთილი, თბილი და თანამგრძნობი გახდა; აღორძინდა კომედიური პიესების ეკრანიზაციის (,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ‘‘, რეჟ. მ. ჭიაურელი) და ხალხური ყოფის ამსახველი პ-ის ტრადიცია (,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘, რეჟ. თ. აბულაძე).

ქართ. კინო ხშირად მიმართავდა პ-ს სერიოზული პრობლემების წამოსაჭრელად, რისთვისაც ავტორები იყენებდნენ ჟანრის მრავალფეროვან შესაძლებლობებს. ე. შენგელაიას პ-ებისთვის დამახასიათებელია წარმოსახვის ფართო დიაპაზონი – გროტესკიდან ტრაგიკომედიამდე (,,არაჩვეულებრივი გამოფენა‘‘, ,,შერეკილები‘‘, ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘) და აბსურდის კომედიამდე (,,ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი‘‘, ,,ექსპრეს-ინფორმაცია‘‘, ,,სავარძელი‘‘); მ. კობახიძე (,,ქორწილი‘‘, ,,ქოლგა‘‘, ,,მუსიკოსები‘‘) და ქ. ხოტივარი (,,სერენადა‘‘) მიმართავენ უხმო, ექსცენტრიკული ,,კომიკურის‘‘ ტრადიციებს; რ. ესაძისა (,,წკიპურტები‘‘, ,,ერთი ნახვით შეყვარება‘‘, ,,ნეილონის ნაძვის ხე‘‘) და ი. კვირიკაძის (,,ქალაქი ანარა‘‘) პ-ებში საზ-ბის მორალურ-ეთიკური და სოც. კრიტიკა შეზავებულია გროტესკთან, ბურლესკთან და აბსურდული იუმორის ელემენტებთან.

პოპულარული ქართული პ-ებია: ,,პირველი მერცხალი‘‘, ,,იმერული ესკიზები‘‘ (რეჟ. ნ. მჭედლიძე), ,,ვერის უბნის მელოდიები‘‘ (რეჟ. გ. შენგელაია), ,,ქვევრი‘‘ (რეჟ. ი. კვირიკაძე), ,,რეკორდი‘‘, (რეჟ. გ. პატარაია), ,,ღვინის ქურდები‘‘, (რეჟ. ვ. კვაჭაძე), ,,ადამიანთა სევდა‘‘, ,,სამოთხის გვრიტები‘‘, ,,მიჯაჭვული რაინდები‘‘ (რეჟ. გ. ჩოხელი) და სხვ. ქართული პ-ის ჟანრის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს კინოდრამატურგებმა: გ. მდივანმა, რ. გაბრიაძემ, ლ. ჭელიძემ, რ. ჭეიშვილმა ს. ჟღენტმა და სხვ. დაუვიწყარი კომედიური სახეები შექმნეს: ც. წუწუნავამ, ა. ჟორჟოლიანმა, ვ. გოძიაშვილმა, ა. კვანტალიანმა,



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,შერეკილები‘‘. მსახიობები: ა. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა – მარგალიტა, დ. ჟ ღ ე ნ ტ ი – ერთაოზ ბრეგვაძე, ბ. წ ი ფ უ რ ი ა – ციხის უფროსი. რეჟისორი ე. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა. 1973.



კინოკომედია. კადრი ფილმიდან ,,იმერული ესკიზები''. მსახიობები: ნ. მჭედლიძე – ბებია, ნ. ქავთელაძე – ანა. რეჟისორი ნ. მჭედლიძე, 1979.

ე. მანჯგალაძემ, ი. ხვიჩიამ, ს. თაყაიშვილმა, დ. აბაშიძემ, კ. კავსაძემ, ი. საყვარელიძემ, გ. ქავთარაძემ და სხვ.

მ. კერესელიძე.

კინოლოგია (ბერძნ. kinos – ძაღლი და logia – მეცნიერება), მეცნიერება ძაღლების შესახებ, რომელიც სწავლობს ძაღლის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ჯიშების წარმოშობასა და ევოლუციას, მომრავლებასა და სელექციას, კვებას, მოვლა-შენახვას, წვრთნასა და გამოყენებას სანადირო, სასამსახურო (სადარაჯო, სამძებრო), ასევე დეკორ. მიზნებისათვის. კ. თანამედროვე *მეძაღლეობის* საფუძველია.

ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობა მრავალ ათასწლეულს ითვლის. დღეისათვის მსოფლიოში 500-ზე მეტი აღიარებული ჯიშია (ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ეს რიცხვი 2000-ს აღწევს). საქართველოში 70–80 ჯიშია აღნუსხული, რ-თაგან 3 ადგილობრივია. ზოგიერთი ჯიში უძველესი ცივილიზაციიდან არის ცნობილი. ეგვიპტურ კედლის მხატვრობაში (ძვ. წ. 4000) შემორჩენილია მწევრების, მდევრებისა და ტაქსას მსგავსი ჯიშების გამოსახულებები; რომაელი გრაცია ფალისკი (ძვ. წ. I ს.) თავის ნაშრომში აღწერს ძაღლის მოვლა-შენახვის წესებს და ასახელებს 12 ჯიშს; XVII ს-ში ბუდისტი ბერები აგროვებდნენ ძაღლის ცნობილი ჯიშების შესახებ ინფორმაციას და ადგენდნენ საგვარტომო ნუსხებს.

საქართველოში 1927-იდან კინოლოგიურ საქმიანობას ეწეოდა ,,დოსააფის'' სასამსახურო მეძაღლეობის კლუბი, რ-იც ამზადებდა სპეციალისტ-კინოლოგებს, ეწეოდა სანაშენო საქმიანობას, მართავდა გამოფენებს. ,,მონადირეთა კავშირის'' კ-ის სექცია ყოველწლიურად აწყობდა მეძებარი ძაღლების საველე გამოცდებს. ცნობილია მსოფლიო ჩემპიონი პოინტერი ,,ლედი'' (მფლობელი შ. დოლიძე).

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში მრავალი ადგილ. კინოლოგიური კლუბი და ძაღლსაშენი დაარსდა, რ-ებიც თანამშრომლობენ საერთაშ. ორგანიზაციებთან. შეიქმნა მუნიციპალური სამსახურის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოები, გაიხსნა სპორტ.-საწვრთნელი ბაზები. 2000-იდან კ. ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში. ევრ. და მსოფლიო ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს ,,სიმბამ'' (მფლობელი მ. ჭკუასელი), ,,ბასმაჩმა'' (მფლობელი ა. აბაშიძე), ,,ბუთქუნამ'' (ტაბაკანის ძაღლსაშენი).

1991-იდან საქართველოში კ-მ ოფიც. სტატუსი მიიღო. შეიქმნა საქართვ. კინოლოგიის ფედერაცია (FCG, Federation Cynologique de Georgie, პრეზიდენტი გ. გიორგაძე), რ-იც შეუერთდა საერთაშ. კ-ის ფედერაციას (FCI) და 2001-იდან მისი ასოცირებული წევრია. ფედერაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპ. კ-ში. ადგენს საგვარეულო და სანაშენე წიგნებს, გასცემს ძაღლის მფლობელებზე შიგა და საექსპორტო საგვარეულო ნუსხებს.

2000 ქართვ. კინოლოგთა (ი. ბერიძე, გ. შჩეგოლი და სხვ.) ძალისხმევით ,,მთის ძაღლი'', ანუ ,,ქართული ნაგაზი'' აღიარეს ენდემურ ჯიშად. იმართება სპეციალიზებული გამოფენა – ,,კავკასიური ნაგაზი'' და ქართ. მთის ძაღლი ,,თართი'', ასევე რეგიონალური სპეციალიზებული მონოჯიშიანი და ჯიშიანი ძაღლების საერთაშ. გამოფენები.

კ. სპორტული, გაწვრთნილი ძაღლების შეჯიბრება (ზაფხულისა და ზამთრის მრავალჭიდი, ავჯილიტი, ფრისტაილი) პატრონის თანხლებით. საერთაშ. აღიარება მოიპოვა 2000, როდესაც შეიქმნა კინოლოგიური სპორტის საერთაშ. ფედერაცია (IFCS) – სხვადასხვა ქვეყნის ეროვნ. სპორტული კინოლოგიური ორგანიზაციების კავშირი.

საქართველოში სპორტული კ-ის ისტორია იწყება „დოსააფის'' დაფუძნებისთანავე. მისი მიზანი იყო წვევამდელის მომზადება სამხ. სამსახურისთვის ძაღლთან ერთად. იმ დროიდან თბილისში მოქმედებს კინოლოგიური კლუბი. საქართვ. ნაკრები რეგულარულად მონაწილეობდა სსრკ ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში. სსრკ დაშლის შემდეგ საქართველოში შემუშავდა სპორტულ-



კინოლოგთა კავშირის ემბლემა.

სამომსამსახურეო კინოლოგიური მრავალჯიდის ორიგინალური დებულება. 2001 შეიქმნა საქართვ. პროფესიონალთა და მოყვარულთა სპორტულ-სამოსამსახურეო კინოლოგიური კავშირი (თავ-რე – მ. მოდებაძე), რ-იც თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება და ატარებს საქართვ. ჩემპიონატს ყოველი წლის გაზაფხულზე, ხოლო საქართვ. თასის გათამაშებას – ყოველი წლის შემოდგომაზე.

2004 საქართველო კინოლოგიური სპორტის საერთაშ. ფედერაციის ნამდვილი წევრი გახდა.

2013 შეიქმნა ოპერატიული დანაყოფი (შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებისაგან), რ-იც მუშაობს სასამსახურო ძაღლებთან ერთად ნარკოტიკების აღმოჩენის საკითხებზე. ჯიშიანი ძაღლების გენოფონდის შესანარჩუნებლად კინოლოგიური ორგანიზაციები თანამშრომლობენ ნებისმიერ სახელმწ. დაწესებულებასთან, ასევე აკონტროლებენ ქვეყანაში სანაშენე ეგზემპლარების გასვლა-შემოსვლას.



კინომსახიობთა სახელმწიფო დრამატული თეატრის ლოგო.

ლიტ.: მამუკელაშვილი ნ., კინოლოგიის სალექციო კურსი, თბ., 2011; Полищук Ф. И., Трофименко А. Л., Кинология, К., 2007.

ნ. მამუკელაშვილი.

კინომრეწველობა, იხ. სტ. *კინოწარმოება.*

კინომსახიობთა სახელმწიფო დრამატული თეატრი მ. თუმანიშვილის სახელობისა. გაიხსნა 1978 წ. 14 იანვარს თბილისში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე მ. თუმანიშვილის სპექტაკლით „ესმერალდა“ (დრამატურგი – ლ. ჭელიძე). თეატრს გადაეცა „ქართული ფილმის“ ტერიტორიაზე მდებარე კინოსაპროექციო დარბაზი. მ. თუმანიშვილის ახალ თეატრს არ ჰქონდა კულისები, მბრუნავი წრე და ფარდა. სცენა თითქოს ყველა მხრიდან გაშიშვლდა და გაიხსნა. რეჟისორმა გააგრძელა და სრულად გამოიყენა თეატრ. ინ-ტში ჩამოყალიბებული პრინციპები და მეთოდები, რ-თა ბოლომდე რეალიზების საშუალება არც რუსთაველის თეატრში ჰქონდა და არც ინ-ტის სახელოსნოში. ახალი სივრცე კი დაწყებული ძიების განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.



კინომსახიობთა სახელმწიფო დრამატული თეატრი

თეატრს თავიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო უწოდეს, შემდეგ – „კინომსახიობთა თეატრი“, რ-საც მ. თუმანიშვილის სახელი მისი გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა (1996). თეატრის მთ. მხატვრად დაინიშნა კ. ქორიძე, სალიტ. ნაწილის გამგედ – ლ. თაბუკაშვილი. ეს იყო თეატრი-ლაბორატორია, რ-ის ამოცანა მსახიობთან მუშაობა და სამსახიობო ხელოვნების ოსტატობის დონის დახვეწა-განვითარება იყო.

ახალი თეატრის ჩამოყალიბებას 1974-იდან ბიძგი მისცა სამსახიობო და სარეჟისორო სპეციალობის სტუდენტების ექსპერიმენტულმა ჯგუფმა, რ-საც „მე-11 აუდიტორია“ ეწოდებოდა (მ. თუმანიშვილის სალექციო აუდიტორიის ნუმერაციის მიხედვით). აქ მომზადდა მრავალი საკურსო სპექტაკლი. სწორედ ეს და შემდეგ მ. თუმანიშვილისა და მისი მოწაფეების რამდენიმე სპექტაკლი (1978–80, 1991 – წლებში მ. შისგალის „ვეფხვი“, მ. მრევლიშვილის „წამება დედოფლისა“, „ბნელ ოთახში“, რ. ერისთავისა და ა. ეიქბორნის მიხედვით, ო. სოსინის „გამოაფხიზლეთ მთვლემარენი“) იქცა ახალი თეატრის არსებობისა და წარმატების საფუძვლად, მისი სახის განმსაზღვრელად.

ჯ. ს. დ. თ-ში მ. თუმანიშვილმა დადგა შემდეგი სპექტაკლები: მოლიერის „დონ ჟუანი“, დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“, ა. სუხოვო-კობილინის „საქმე“, ლ. თაბუკაშვილის „ნატაძრალი“, მ. შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, თ. უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი“ (რ. გაბრიაძის გადმოქართულებული ვერსია), ე. დე ფილიპოს „ციცინდრი“, ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“, უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ჟ. ჟიროდუს „ამფიტრიონი 28“.

XX ს. 80-იან წლებში თეატრმა გასტროლებით მოიარა ევროპისა და აზიის მრავალი ქვეყანა, ავსტრალია და საერთაშ. აღიარებაც მოიპოვა.

ჯ. ს. დ. თ-ში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მ. თუმანიშვილისა და ლ. იოსელიანის აღზრდილი რეჟისორებისა და მსახიობების რამდენიმე თაობა, მ.შ. ნ. ბაგრატიონ-გრუზინსკი, ქ. დოლიძე, ნ. კვასხვაძე, გ. მარგველაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ანასაშვილი, ო. ეგაძე, გ. სიხარულიძე, ზ. გეწაძე, ი. ჟღენტი, გ. იაშვილი, დ. საყვარელიძე, კ. აბაშიძე, დ. დოიაშვილი და სხვ.

ჯ. ს. დ. თ. მუდმივად აძლევს სპექტაკლების დადგმის უფლებას სხვადასხვა ხელწერისა და თაობის დამოუკიდებელ რეჟისორებს [გ. ქავთარაძე, კ. მირიანაშვილი, ც. კობიაშვილი, მ. ტყემალაძე, გ. აფხაზავა, მ. ტყეშელაშვილი, ი. გურგენიძე, ნ. ჩაკვეტაძე (მისი სპექტაკლით „სუფთა სახლი“ გაიხსნა ექსპერ. მცირე სცენა, 2015)].

სხვადასხვა დროს ჯ. ს. დ. თ-ში მოღვაწეობდნენ თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები: ე. მანჯგალაძე, გ. გეგეჭკორი, ი. საყვარელიძე და სხვ. ბოლო წლებში, რეჟისურით დაინტერესდნენ თეატრის მსახიობები: რ. ბოლქვაძე, ნ. ბურდული, ლ. კეკელიძე.

2000-იდან თეატრში დამკვიდრდა უცხოელი რეჟისორების მიწვევის პრაქტიკაც [მ. მარმარინოსი (საბერძნეთი), გ. მასტერსონი, ჰ. ვუდი (დიდი ბრიტანეთი), მ. პანელა (იტალია)].

მ. თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ: გ. მარგველაშვილი (2005–09), ქ. დოლიძე (2009–10, 2012), ზ. გეწაძე (2010–12), 2017–21 – გ. სიხარულიძე. 2022-იდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ვ. ხუციშვილი. დასში ირიცხებიან სხვადასხვა თაობის მსახიობები: ნ. ჭანკვეტაძე, გ. ნაკაშიძე, გ. აბესალაშვილი, რ. ბოლქვაძე, ზ. მიქაშავიძე, ნ. ბურდული, ნ. ლითანიშვილი, ნ. ჩხეიძე, ბ. ჯუმუტია, ლ. რეხვიაშვილი, ლ. კაპანაძე, ზ. ყიფშიძე, დ. ჯოჯუა, ე. ჩხეიძე, ვ. თარხნიშვილი, გ. ყიფშიძე, ქ. ასათიანი, გ. კახიანი, გ. პაპინაშვილი, ნ. წერედიანი, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. დუგლაძე, ნ.

შონია, ა. ბიბინეიშვილი, თ. ბზიავა, პ. ინაური, კ. კალატოზიშვილი, ქ. შათირიშვილი და სხვ.

ლ. ოჩიაური.

კინომუსიკა, კინონაწარმოების კომპონენტი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამომსახველობითი საშუალება. კ. აერთიანებს ინსტრუმენტულ ან ვოკალურ სოლო ნომრებს, სიმფონიურ სურათებს, მუსიკალურ ფოლკლორს, კლასიკურ, საესტრადო მუსიკას, პოპს, როკსა და ჯაზს. კ. (ინსტრუმენტული ან ვოკალური) ფილმში ახასიათებს მოქმედების დროს და გარემოს, ქმნის პერსონაჟების მუს. პორტრეტებს და ფილმის ემოციურ ატმოსფეროს, აძლიერებს ამა თუ იმ ემოციას დრამატურგიულ კონფლიქტში, გამოხატავს ფილმის ავტორის დამოკიდებულებას, ნათელს ხდის კინონაწარმოების იდეას. ფილმის მუს. კონცეფციას განსაზღვრავს რეჟისორის ჩანაფიქრი, ფილმის ჟანრული და სტილისტიკური თავისებურებები. კინემატოგრაფის ადრეულ ეტაპზე მუსიკას დამხმარე ფუნქცია ჰქონდა და ,,ილუსტრაციას“ უწოდებდნენ.

საქართველოში კ-მ სხვა ქვეყნების მსგავსი განვითარების ეტაპები განვლო. პირველი კინოსტაციონარების (ილუზიონების) და კინოთეატრების გახსნისთანავე საფუძველი ჩაეყარა ფილმების მუს. გაფორმების ტრადიციას. ცნობილია, რომ 1912 ვ. ამაშუკელის ფილმის – ,,აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ – პრემიერაზე ქუთაისის კინოთეატრ ,,რადიუმში“ სიმებიანი ორკესტრი (აფანასიევის ხელმძღვანელობით) უკრავდა პოპურის ქართული მოტივებიდან; 20-იანი წლების ბოლოს თბილ. ერთ-ერთი კინოთეატრის ორკესტრს დირიჟორობდა ე. მიქელაძე; კ. მარჯანიშვილმა ფილმის, ,,ქარიშხლის წინ“ (1924), მუს. პარტიტურის დასაწერად მიიწვია დ. არაყიშვილი; 30-იანი წლების დასაწყისში ი. ტუსკიამ შექმნა მუს. კომპოზიციები ფილმებისთვის „ელისო“ და ,,შაქირი“, შ. აზმაიფარაშვილმა დაწერა მუსიკა პირველი ქართული ანიმაციური ფილმისთვის ,,არგონავტები“.

მდიდარმა მუს. ტრადიციამ და ძლიერმა საკომპოზიტორო სკოლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. კინოკულტურის ჩამოყალიბებაში.

XX ს. 30–40-იან წლებში ა. *ბალანჩივაძემ* და ა. *მაჭავარიანმა*



კინომუსიკა. კადრი ფილმიდან ,,ჭრიჭინა“. მსახიობები: ლ. ა ბ ა შ ი ძ ე – ჭრიჭინა, რ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე – შოთა. რეჟისორები: ს. დ ო ლ ი ძ ე, ლ. ხ ო ტ ი ვ ა რ ი. 1954.

გამომსახველობით საშუალებათა სრული გამოყენებით (ფოლკლორიდან – სიმფონიზმის უახლეს მიღწევებამდე) შექმნეს მუს. დრამატურგიის ნიმუშები. 1948 განხორციელდა ვ. დოლიძის ოპერა ,,ქეთო და კოტეს“ ეკრანიზაცია, რ-საც ა. *კერესელიძის* მუს. რედაქციამ, ოპერის მუს. ქარგის სიმფონიზაციის შედეგად პარტიტურის ქსოვილში საკუთარი თემატური მასალის შეტანით, კლასიკურ კომიკურ ოპერას მიუზიკლის ნიშნები შესძინა.

50–60-იანი წლების ქართ. ფილმების მუს. გაფორმებაში კვლავ წამყვანია სიმფონიური პარტიტურა – კლასიკური მუსიკის წიაღიდან ამოზრდილი ინსტრუმენტული მუსიკა, როგორც ფილმის ვიზუალურ-ემოციური სამყაროს ერთგვარი დრამატურგიული ფონი (,,ბაში-აჩუკი“, ,,ოთარაანთ ქვრივი“, ,,მაია წყნეთელი“, ,,ჯარისკაცის მამა“ – კომპ. ს. ცინცაძე; ,,ჩვენი ეზო“, ,,სხვისი შვილები“ – კომპ. ა. კერესელიძე; ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ – კომპ. დ. თორაძე და სხვ.). მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვოკალური მუსიკა (სიმღერა), როგორც პერსონაჟის დახასიათების საშუალება (,,ჩრდილი გზაზე“, ,,ჭრიჭინა“, ,,აბეზარა“ – კომპ. ს. ცინცაძე; ,,საბუდარელი ჭაბუკი“, ,,ნინო“, ,,შეწყვეტილი სიმღერა“, ,,კეთილი ადამიანები“ – კომპ. რ. ლაღიძე) ან ჩადგმული ნომერი (,,წარსული ზაფხული“ – კომპ. ო. გორდელი; ,,ყვავილი თოვლზე“– კომპ. რ. ლაღიძე; ,,შეხვედრა მთაში“ – კომპ. ბ. კვერნაძე და სხვ.).

60–70-იანი წლების ქართულ კ-ში თავს იჩენს კამერული თემები, იზრდება გამოსახულების მიმართ კადრგარე საავტორო ან კომპილაციური მუსიკის ,,კონტრაპუნქტული“ გამოყენების მნიშვნელობა (,,დიდი მწვანე ველი“ – კომპ. ნ. მამისაშვილი; ,,არაჩვეულებრივი გამოფენა, ,,არ იდარდო!“ – კომპ. გ. ყანჩელი; ,,ვედრება“ – კომპ. ნ. გაბუნია; ,,შერეკილები“ – კომპ. გ. ყანჩელი, ჯ. კახიძე; ,,XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ – კომპ. ვ. კუხიანიძე; ,,უბედურება“ – კომპ. თ. ბაკურაძე). კადრშიგა მუსიკას გამორჩეული კულტურით იყენებს ო. იოსელიანი ფილმებში: ,,გიორგობისთვე“, ,,იყო შაშვი მგალობელი“, ,,პასტორალი“. კომპილაციური მუსიკის გამოყენების საუკეთესო ნიმუშებია მ. კობახიძის კინომინიატიურები (,,ქორწილი“, ,,ქოლგა“, ,,მუსიკოსები“). ამავე წლებში შეიქმნა კინომიუზიკლები: ,,ვერის უბნის მელოდიები“ (კომპ. გ. ცაბაძე) და ,,აურზაური სალხინეთში“ (კომპ. ნ. გაბუნია).

80-იან წლებში გაჩნდა ახ. ტენდენციები – წინ წამოიწია სონორულმა, ელექტროაკუსტიკურმა ეფექტებმა. ტრადიციამ და დაგროვებულმა გამოცდილებამ განვითარება პოვა შემდგომ წლებში შექმნილი ფილმების ხმოვან-მუსიკალურ გაფორმებაში.

ქართული კ-ის მხატვრულმა ღირებულებამ განაპირობა ცალკეული ფილმებისათვის შექმნილი კომპოზიციების (ა. მაჭავარიანის, ს. ცინცაძის, ბ. კვერნაძის, გ. ყანჩელის და სხვათა კ.) გაერთიანება დამოუკიდებელ ნაწარმოებებად – საორკესტრო სიუიტებად საკონცერტო შესრულებისთვის; სიმღერები ფილმებიდან დამოუკიდებლად დამკვიდრდა ესტრადასა და ყოფაში, მაგ., ა. ბალანჩივაძის ,,ზესტაფონო, გშორდები“ („დაკარგული სამოთხე“) და ა. მაჭა-



კინომუსიკა. კადრი ფილმიდან ,,საბუდარელი ჭაბუკი“. მსახიობები: ი. კ ა ხ ი ა ნ ი – გოგიტა, გ. ტ ყ ა ბ ლ ა ძ ე – საჩინო. რეჟისორი შ. მ ა ნ ა გ ა ძ ე. 1957.



კინომუსიკა. კადრი ფილმიდან ,,ვერის უბნის მელოდიები‘‘. მსახიობები: ა. ფრეინდლიხი – აკვანარისკაია, კ. კავსაძე – ინოჩენცი. რეჟისორი გ. შენგელაია. 1974.

ვარიანის ,,მინდვრად ვნახე თეთრი ქვაო“ (,,აკაკის აკვანი‘‘) იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხალხურ სიმღერებად მიაჩნდათ. ასევე პოპულარულია ა. კერესელიძის ,,მენახშირე ბიჭის სიმღერა“ (,,მაგდანას ლურჯა“), ს. ცინცაძის ჭრიჭინასა (,,ჭრიჭინა“) და აბეზარას (,,აბეზარა“) სიმღერები, რ. ლაღიძის ,,გულს რად მიკლავ‘‘ (,,საბუდარელი ჭაბუკი“), ,,კარკუჩით ჩამაიყვანეს‘‘ (,,ხევისბერი გოჩა‘‘), ,,ჩახედე მეგობარს თვალებში‘‘ (,,კეთილი ადამიანები“) და ,,წუთისოფელი ასეა...‘‘ (,,წუთისოფელი‘‘), დ. თორაძის რომანსი ფილმიდან ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, ბ. კვერნაძის ,,გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში‘‘ (,,შეხვედრა მთაში‘‘) და ,,გულო, ნუ გემინია“ (,,დათა თუთაშხია“), გ. ყანჩელის ,,ჩიტო-გვრიტო‘‘ (,,მიმინო“) და ,,ჰერიო, ბიჭებო‘‘ (,,მშობლიურო ჩემო მიწავ‘‘), ჯ. კახიძის ,,შენ დაგეძებ, დილაა თუ ბინდია‘‘ და მრავალი სხვ.

ჰ-ის ჟანრში (მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნ. პოპულ. და ანიმაციური კინო) წარმატებით მუშაობდნენ ცნობილი ქართველი კომპოზიტორები.



კინომუსიკა. კადრი ფილმიდან ,,რაჭა, ჩემო სიყვარულო‘‘. მსახიობები: ბ. კაკაბაძე – ზაური, ა. ჩუნდერლიკოვა – დარინა. რეჟისორები: თ. ფალავანდიშვილი, ი. მედვედი. 1977.

ლიტ.: კორძაია მ., ოთარ იოსელიანის ფილმების მუსიკალური ესთეტიკა, ,,საბჭოთა ხელოვნება‘‘, 1983, №2; ორჯონიკიძე გ., ქართული კინომუსიკის პრობლემები, ,,საბჭოთა ხელოვნება‘‘, 1991, №6–8; სიგუა ლ., ხმოვანი კინოს სათავეებთან, ,,კინო‘‘, 1985, №4; ფილმის ჟღერადობა (საუბარი ე. შენგელაიასთან), „საბჭოთა ხელოვნება“, 1987, №10; ქართული კინო. ენციკლოპედიური ლექსიკონი (1896–2011); შემდგ. მ. კერესელიძე. თბ., 2011; ხმის როლი თანამედროვე კინოში (საუბარი მ. კოკოჩაშვილთან), „საბჭოთა ხელოვნება“, 1987, №2; Лисса З., Эстетика киномузыки, М., 1970; Шилова И., Фильм и его музыка, М., 1973; Cooke M., A History of Film Music. – Cambridge University Press, 2008; Wierzbicki J., Film music: A History – New York, 2009; Eisler H., Composing for the films, N. Y., 1947.

მ. კერესელიძე.

კინომცოდნეობა, მეცნიერება კინოს შესახებ, ხელოვნებათმცოდნეობის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც შეისწავლის კინოხელოვნების თეორიასა და ისტორიას. ჰ. კინოს განიხილავს სოც., ეკონ., პოლიტ. პირობებისა და კულტურის კონტექსტში ხელოვნების სხვა დარგებთან მიმართებით. მისი განსაკუთრებული და განუყოფელი ნაწილია კინოკრიტიკა. კინოს თეორია იკვლევს კინოხელოვნების ბუნებას, მისი ფუნქციონირების ძირითად პრინციპებსა და კანონზომიერებებს, მის სოც. კულტ. როლს. კინოს ისტორია შეისწავლის კინოპროცესს – კინოხელოვნებისა და მისი სახეობების, ჟანრების, სხვადასხვა სტილის, შემოქმედებითი მეთოდების, მიმართულებების, სკოლების, მხატვრული ინდივიდუალიზმის, ფილმის მხატვრული კომპონენტების, აგრეთვე ტექნიკის, კინოწარმოებისა და თვით ჰ-ის განვითარების საზ.-ესთეტ. კანონზომიერებებს.

კინოკრიტიკა ახდენს თანამედროვე პროცესის შეფასებას, ფილმების ოპერატიულ რეცენზირებას. ჰ. ვითარდება ფილოს. მეცნიერებებთან, განსაკუთრებით ესთეტიკასთან მჭიდრო კავშირში. დაკავშირებულია ხელოვნებათმცოდნეობის სხვა სფეროებთან, აგრეთვე ისტორიასთან, სოციოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან, სემიოტიკასთან და ა. შ. ჰ-ის დამხმარე დისციპლინებია ფილმოგრაფია და კინობიბლიოგრაფია, რ-თა ფუნქცია არის ფილმებისა და კინოს შესახებ შექმნილი ლიტრის აღწერა და სისტემატიზაცია. ჰ-ის სამეცნ. დისციპლინად ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ეტაპზე დიდი წვლილი შეიტანეს პრაქტიკოსმა კინემატოგრაფისტებმა, კინოს ისტორიკოსებმა და თეორეტიკოსებმა, სოციოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, ზოგადჰუმანიტარული მიმართულების მეცნიერებმა და ა. შ.

საქართველოში კინოს, როგორც ხელოვნების დარგის, გააზრება დაიწყო XX ს. დასაწყისში (შ. დადიანი, ი. იმედაშვილი, პ. თუმანიშვილი). XX ს. 20–30-იანი წლების მიჯნაზე გამოქვეყნდა პირველი მონოგრაფიული ნაშრომები (ს. ამაღლობელი, მ. დუდუჩავა); 40–50-იან წლებში მომზადდა ნიადაგი ქართ. კინოს ისტორიის მეცნ. შესწავლისათვის (კ. გოგოძე). კომპლექსური კვლევა დაიწყო 60-იან წლებში. ჩამოყალიბდა კინომცოდნეთა ძირითადი ბირთვი (კ. წერეთელი, ო. თაბუკაშვილი, ნ. ამირეჯიბი, ტ. თვალჭრელიძე, ი. კუჭუხიძე, ო. სეფიაშვილი, გ. დოლიძე, გ. ჟვანია, ლ. დულარიძე, რ. თიკანაძე), რ-საც შეუერთდა ახ. თაობა (ე. ოკუჯავა, მ. კერესელიძე, გ. გვახარია, პ. იაკაშვილი, თ. დულარიძე, ზ. დოლიძე, ლ. ოჩიაური, ლ. კალანდარიშვილი, ნ. მხეიძე, ნ. თუთბერიძე და სხვ).

ქართ. ჰ-ის განვითარებას ხელი შეუწყო სამეცნ. ცენტრების ჩამოყალიბებამ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტსა (თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნ.-კვლ. სექტორი, 1970–2006) და თსუ-ში (კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნ.-კვლ. ლაბორატო-

რია, 1987–2006). შეიქმნა მნიშვნელოვანი სამეცნ. ნაშრომები, რ-თა შორის აღსანიშნავია ,,მუნჯი პერიოდის ქართული კინოს მხატვრული ტენდენციები'' (ნ. ამირეჯიბი), ,,ნიკოლოზ შენგელაია და ეროვნული კინოკულტურის ჩამოყალიბება'' (ო. თაბუკაშვილი), ,,ქართული დოკუმენტური კინო'' (გ. ჟვანია), ,,`თანამედროვე ქართული კინოს სტილური მრავალფეროვნება'' (ი. კუჭუხიძე), ,,პლასტიკური ხელოვნების ტრადიციები ქართული ფილმების სახვით გადაწყვეტაში'' (გ. გვახარია), ,,ადამიანის პრობლემის არსი კინოხელოვნებაში'' (ნ. ამირეჯიბი), ,,დავით კაკაბაძე თეატრსა და კინოში'' (ე. ოკუჯავა), ,,ჟანრის პრობლემა ქართულ კინოში'' (მ. ლეკბორაშვილი), ,,იდეოლოგიური ცენზურა უხმო პერიოდის ქართულ კინოში'' (პ. იაკაშვილი), ,,ქართული საოპერატორო ხელოვნება'' (მ. ლევანიძე), ,,ეროვნული და სოციალური საკითხები XX ს. 20-იანი წლების ქართულ კინოში'' (ო. ჟღენტი), ,,ეკრანული თხრობა თანამედროვე ქართულ ფილმებში'' (ლ. კალანდარიშვილი), ,,ქართული კინომცოდნეობა – კრიტიკისა და ცენზურის ურთიერთობის ისტორია'' (გ. რაზმაძე) და სხვ.

გამოქვეყნდა წიგნები ქართ. და მსოფლიო კინოს აქტუალურ საკითხებზე (ტ. თვალჭრელიძის ,,სიმართლე ეკრანზე'', 1981; ,,კინემატოგრაფიული ძიებანი'', 1989; ი. კუჭუხიძის ,,ეკრანი და დრო'', 2009; დ. მაღლაკელიძის ,,კინოს თეორიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები'', 2013), კინოხელოვანთა შემოქმედებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები და კრებულები (,,სოფიკო ჭიაურელი'', ო. თაბუკაშვილი, 1968; ,,ლეილა აბაშიძე'', კ. წერეთელი, 1973; ,,თენგიზ აბულაძე. კინორეჟისორის პორტრეტი'', ლ. დულარიძე, 1983; ,,დოდო აბაშიძე'', კ. წერეთელი, 1984; ,,მერაბ კოკოჩაშვილი'', მ. კერესელიძე, 2005; ,,ქართველი კინორეჟისორები'', ავტორთა კოლექტივი, 2005–06; ,,დავით კაკაბაძე და კინემატოგრაფი'', ე. ოკუჯავა, 2008; ,,ნიკოლოზ შენგელაია'', მ. კერესელიძე, 2014; ,,ნატო ვაჩნაძე'', მ. კერესელიძე, 2014; ,,სულიკო ჟღენტი'', ო. ჟღენტი, 2015; ,,კოტე მიქაბერიძე'', ნ. ძანძავა, ს. დუმბაძე, 2017; ,,კალატოზიშვილი (კალატოზოვი)'', გ. გვახარია, 2019; ,,ფარაჯანოვი'', თ. ხატიაშვილი, 2019 და სხვ.), გამოიცა ქართ. კინოს პირველი ენციკლოპედიური ლექსიკონი ,,ქართული კინო. 1896–2011'' (მ. კერესელიძე, 2011).

მასალები კინოს შესახებ ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში ,,თეატრი და ცხოვრება'' (1910–26) და ,,საბჭოთა ხელოვნება'' (,,ხელოვნება'', 1924–2004); სპეციალურ კინოპერიოდიკაში: ,,ახალი ფილმები'' (1966–90), ალმანახი ,,კინო'' (1975–91), ,,კინო – ცხელი შოკოლადი'' (2006–08), ,,ფილმპრინი'' (2013–19). 2007-იდან გამოდის სამეცნ. კრებული: ,,სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი'', 2020-იდან – ჟურნ. ,,კინო''.

მ. კერესელიძე.

კინოს სახლი თბილისის, კინემატოგრაფისტთა სახლი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან 1966–99 არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია. კ. ს-ის ორ დარბაზსა და საგამოფენო სივრცეში ეწყობოდა ფილმების საპრემიერო და საინფორმაციო ჩვენებები, ფესტივალები, უცხოური კინოს კვირეულები, თემატური და პერსონალური რეტროსპექტივები, შემოქმედებითი შეხვედრები, საიუბილეო საღამოები, გამოფენები და სხვ. კ. ს-ის დირექტორები იყვნენ: თ. მიქაძე (1966–70), ლ. ბაქრაძე (1970–73), ზ. რატიანი (1973–76), ს. თუმმალიშვილი (1976–78), გ. ადამაშვილი (1978–91), მ. თაბუკაშვილი (1991–99). 2015-იდან კ. ს. გადაეცა საქართვ. *კინოაკადემიას.*

მ. კერესელიძე.



კინოს სახლი. 2

კინოფესტივალი (<ბერძნ. kineō – ვმოძრაობ და ფრანგ. festival – დღესასწაული, ზეიმი), კინოხელოვნების მიერ შექმნილი ნამუშევრების ჩვენება, დათვალიერება საზეიმო ვითარებაში. კ-ის შემადგენელია ფილმების საჯარო ჩვენება და კონკურსი (ფილმებს აფასებს ექსპერტთა ჟიური), რ-ის შედეგების მიხედვით ფილმის შემქმნელებს (რეჟისორებს, მსახიობებს, სცენარისტებს, კინოოპერატორებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს და სხვ.) აჯილდოებენ პრიზებითა და დიპლომებით. არსებობს კ-ის სხვადასხვა ფორმა: საერთაშორისო, ეროვნული, სპეციალიზებული, თემატური და სხვ. მისი ტრადიციული ფორმაა საერთაშ. კ. (სხვადასხვა ქვეყნის კინოხელოვნების მიღწევათა დათვალიერება), რ-იც პირველად ჩატარდა 1932 ვენეციაში (იტალია). საფესტივალო მოძრაობის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საერთაშ. კ. მოსკოვსა (1935) და მსოფლიო გამოფენაზე პარიზში (1937). II მსოფლიო ომის დროს კ-ები არ ჩატარებულა (კანის საერთაშ. კ-ის გახსნა დაგეგმილი იყო 1939 წ. 1 სექტემბერს), განახლდა მხოლოდ 1946-იდან. საერთაშ. კ-ები ტარდება ევროპის, ჩრდ. და სამხრ. ამერიკის, აზიის, ავსტრალიისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში. კინოპროდიუსერთა ასოციაციების საერთაშ. ფედერაციის (FIAF) მიერ შემუშავებულია მათი ჩატარების წესები, რ-თა დაცვა განსაზღვრავს კ-ის პრესტიჟს. საერთაშ. ფედერაციის მიერ აკრედიტებული წარმომადგენლობითი კინოფორუმებია: ვენეციის (იტალია), კანის (საფრანგეთი), ბერლინის (გერმანია),

მოსკოვის (რუსეთი), კარლოვი-ვარის (ჩეხეთი), შანხაის (ჩინეთი), ლოკარნოს (შვეიცარია), მონრეალის (კანადა), სან-სებასტიანის (ესპანეთი), ვარშავის (პოლონეთი), ტოკიოს (იაპონია), კაიროს (ეგვიპტე), მარ-დელ-პლატას (არგენტინა), ტალინის (ესტონეთი), გოას (ინდოეთი) საერთაშ. პ-ები, აგრეთვე დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალები ტამპერეში (ფინეთი), ობერჰაუზენში (გერმანია), კრაკოვში (პოლონეთი), ბილბაოში (ესპანეთი) და სხვ. განვითარებული კინემატოგრაფიის მქონე ქვეყნებში ტარდება ეროვნ. პ-ები (მიღწევათა დათვალიერებისა და შემდგომი განვითარების ტენდენციების გამოვლენის მიზნით), რ-ებიც დროთა განმავლობაში ეროვნ. კინოაკადემიების ყოველწლიურმა პროფესიულმა პრემიებმა ჩაანაცვლა.

საქართველოში 1974–83 წლებში (ორ წელიწადში ერთხელ) ტარდებოდა ქართული ფილმების რესპუბლიკური პ. XX ს. 90-იანი წლებიდან კი ტარდებოდა საქართველოსა და შავი ზღვის ქვეყნების საერთაშ. კინოფესტივალი (სკფ) ,,ოქროს არწივი'' (1992–97), თბილისის საერთაშ. კინოფესტივალი ,,პრომეთე'' (2000-იდან), საავტორო კინოს ბათუმის საერთაშ. კინოფესტივალი (2006-იდან). საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II–ის კურთხევით დაფუძნდა საერთაშ. კინოფესტივალი ,,წმინდა ანდრიას ჯვარი'' (2006-იდან), სტუდენტური ფილმების სკფ ,,ამირანი'' (1976–86, აღდგა 2007-იდან), კინო- და ტელეოპერატორების საერთაშ. კინოფესტივალი ,,ოქროს თვალი'' (2009-იდან).

მ. კერესელიძე.

კინოცენტრი საქართველოსი, იხ. *კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი* საქართველოსი.

კინოწარმოება, კინემატოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც მოიცავს მხატვრულ-შემოქმედებით პროცესს, ფილმის შექმნის ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, წარმოების ორგანიზაციას და მზა პროდუქციის ბაზარზე გატანას. ფილმის შექმნის საწარმოო ციკლი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან: დაპროექტება (იდეა და სცენარის შექმნა), მოსამზადებელი პერიოდი, გადაღება, გადაღების შემდგომი პერიოდი, გავრცელება. ფილმის ხასიათი განსაზღვრავს გადამღები ჯგუფის რაოდენობასა და ტიპს. პ. გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიასა და კინემატოგრაფიულ ხერხს. თვით პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სახის დაფინანსებით – დაწყებული სახელმწ. მხარდაჭერიდან, მოგებაზე ორიენტირებულ დიდ პროექტებამდე. ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოყალიბდა პ-ის სხვადასხვა მოდელი და სახელმწ. მხარდაჭერის ფორმა.

საქართველოში კინემატოგრაფის არსებობის საწყის ეტაპზე (1910–19) ფილმებს იღებდნენ კინოთეატრებისა და კერძო კინოატელიეთა მფლობელები. 1921 საფუძველი ჩაეყარა სახელმწ. პ-ს (იხ. სტ. კინოხელოვნება). 1921–91 შეიქმნა სახელმწ. კინოსტუდიები: ,,ქართული ფილმი'', სამეცნ.-პოპულ. და დოკუმენტური ფილმების სტუდია ,,მემატიანე'' და საქართვ. ტელეფილმების სტუდია. მომდევნო წლებში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი შემოქმედებითი სტუდიები და საპროდიუსერო კომპანიები. 2001-იდან პ-ს ნაწილობრივ აფინანსებს (პროექტის ბიუჯეტის 75 %-მდე) ,,საქართველოს *კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი*. პ-ის დაფინანსების ალტერნატიული წყაროებია კერძო ბიზნესსექტორი, საერთაშ. ფონდები, საერთაშ. ერთობლივი ფილმები.

მ. კერესელიძე.

კინოხელოვნება, ხელოვნების დარგი წარმოადგენს ლიტერატურის, თეატრის, სახვ. ხელოვნებისა და მუსიკის სინთეზს, განხორციელებულს მხოლოდ პ-თვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებით – ძირითადია კინოგამოსახულების ფოტოგრაფიული ბუნება და მონტაჟი. პ. სინთეზურ ხელოვნებათა სისტემაში დამკვიდრდა XX ს. დასაწყისიდან. მისი წარმოშობის წინაპირობა იყო კინემატოგრაფის გამოგონება. პ. დამოკიდებულია ტექ. და ტექნოლოგიების განვითარებაზე (მოძრავი გამოსახულების ფირზე დაფიქსირება, გახმოვანება, კინოფირის დამუშავება, პროექცირება და ა. შ.), ამიტომ მას ე. წ. ტექ. ხელოვნებათა სახეობას მიაკუთვნებენ და განუყოფლადაა დაკავშირებული კინოინდუსტრიასთან (იხ. კინემატოგრაფია).

პ-ის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი არის ფილმი, რ-საც ქმნის გადამღები ჯგუფი (სცენარისტი, რეჟისორი, მხატვარი, კინოოპერატორი, კომპოზიტორი, მონტაჟორი, სახიობით ფილმში – მსახიობები, აგრეთვე სხვა შემოქმედებითი, ტექ. და ადმ. თანამშრომლები). პ-ის ნაწარმოების შესაქმნელად კინოფირსა ან სხვა მატარებელზე გადააქვთ რეალური, საგანგებოდ ინსცენირებული ან ანიმაციის ხერხებით შექმნილი მოვლენები. პ-ის ძირითადი სახეობებია მხატვრული (სახიობითი და ანიმაციური), დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინო.

პ-მ ჩამოყალიბებისა და განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. უხმო (,,მუნჯი'') კინოს ეპოქის (1895–1918) დასაწყისში კინოსეანსების პროგრამებში დოკუმენტურ სიუჟეტებთან ერთად აჩვენებდნენ სახიობით (კომიკურ,



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,სამი სიცოცხლე''. მსახიობები: ნ. ვაჩნაძე – ესმა, მ. გელოვანი – ბახვა ფულავა. რეჟისორი ი. პერესტიანი. 1924.

მელოდრამატულ, ფეერიულ და სხვ.) ფილმებს. ადრეული პრაქტიკა ორიენტირებული იყო ხელოვნ. ტრადიც. სახეობებისა და ფორმების გამოცდილებაზე (საცირკო სანახაობიდან დრამ. თეატრამდე, ფერწერული და სცენოგრაფიული გამომსახველობიდან ბელეტრისტულ თხრობამდე). თანდათან შემუშავდა საეკრანო ხელოვნ. სპეციფ. გამომსახველობითი საშუალებები. საკუთარი ესთეტიკური პრინციპებისა და პოეტიკის საფუძვლების შეცნობა მსოფლიო კ-ში დაკავშირებულია ექსპერიმენტებთან, კინოს ბუნების თავისებურებათა თეორიულ გააზრებასთან. კინოს ვიზუალური შესაძლებლობების განვითარებასა და კინოენის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სხვადასხვა ქვეყანაში პარალელურად აღმოცენებულმა სკოლებმა და მიმდინარეობებმა (ამერ. თხრობითი სკოლა, იტალ. ფუტურიზმი, ფრანგ. ავანგარდი და იმპრესიონიზმი, გერმ. კამერული დრამა და კინოექსპრესიონიზმი, შვედური სკოლა, საბჭოთა რევოლუციური ავანგარდი და სხვ.). მომდევნო ეტაპზე ტექ. განვითრებამ (ხმა, ფერი, ეკრანის ფორმატი, მობილური გადამღები აპარატურა, მოცულობითი ხმა და სხვ.) გააფართოვა კ-ის შესაძლებლობები, გაამდიდრა გამომსახველობითი პალიტრა. დამკვიდრდა პოპულ. ჟანრების სიტემა (კინოკომედია, მელოდრამა, ისტ. დრამა, კლასიკის ეკრანიზაცია, ფილმი ზღაპარი, მიუზიკლი, დეტექტივი, კრიმინალური დრამა, თრილერი, სოციალური დრამა, ვესტერნი, და სხვ.). სხვადასხვა ეტაპზე კ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ახალმა მიმართულებებმა (ფრანგ. პოეტური რეალიზმი, იტალ. ნეორეალიზმი, ფრანგ. ახალი ტალღა, გერმ. ახალი კინო, დანიური დოგმა და სხვ.). XX ს. II ნახ. და XXI ს. დასაწყისის კინოესთეტიკისა და თვით კ-ის განვითარებაზე გავლენა მოახდინა სხვადასხვა თეორ.-მხატვრულმა კონცეფციამ (ა. ბაზენი, ზ. კრაკაუერი, პ. გრინაუეი, ჟ. დელიოზი და სხვ.).

საქართველოში კ. ეროვნ. კულტურის ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში ვითრდებოდა. ლიუმიერების ,,ცოცხალი სურათების'' პირველი სეანსი 1896 წ. 16 ნოემბერს თბილისის, სათავადაზნაურო თეატრში გაიმართა. თავდაპირველად ფილმებს სახლებსა და საზ. თავშეყრის ადგილებში აჩვენებდნენ. XX ს. 10-იან წლებში საქართველოში ოცზე მეტი *კინოთეატრი* არსებობდა. საქმიანობა ჰქონდა გაჩაღებული უცხოურ კერძო ფირმებს პატე, გომონი (საფრ.), ჩინეზი და ამბროზიო (იტალ.). კავკასია და საქართველო – ფილმების ეგზოტიკურ გარემოში გადასაღებ მოედნად გადაიქცა (1910–12 აქ ფილმები გადაიღეს ჯ. ვიტორტიმ,იტალ. კ. ჰ. ჰაილანდმა, გერმ.). ამავე პერიოდში სენემატოგრაფით ქართული ლიტ-რისა და თეატრის მოღვაწენიც დაინტერესდნენ. 1909 ვ. *გუნიას* ინიციატივით კინოფირზე აღბეჭდეს სოც. კომედია ,,ბერიკაობა-ყეენობა'' (ფილმი არ შემონახულა). 1910 – იდან კინოთეატრებმა დაიწყეს საკუთარი კინოქრონიკის გადაღება (ვ. *ამაშუკელმა* – ქუთაისში, ა. *დიღმელოვმა* – თბილისში).

ქართული კინო პირველ ნაბიჯებს იმ მწერლების და საზ. მოღვაწეების (შ. *დადიანი*, ი. *იმედაშვილი* და სხვ.) მხარდაჭერით დგამდა, რ-ებიც პრესაში აქვეყნებდნენ წერილებს ქართ. ყოფისა და ისტ. ამსახველი ფილმების გადაღების აუცილებლობის შესახებ. 1915 გ. *გოგიტიძემ* ჩამოაყალიბა საკუთარი კინოფირმა. მისივე თაოსნობით 1916 ა. *წუწუნავამ* ე. ნინოშვილის მოთხრობა ,,ქრისტინეს'' მიხედვით გადაიღო პირველი მხატვრული ფილმი (პრემიერა შედგა 1919).

საქართვ. დემოკრ. რესპ. არსებობის დროს (1918–21) გ. გოგიტიძის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა იმდროინდელი პოლიტ. და საზ. ცხოვრების მატიანე (,,სოციალისტური დელეგაცია საქართველოში'', ,,ბათუმის გადაცემა საქართველოსთვის'', ,,1919 წლის 26 მაისი'', ,,სახალხო გვარდიის აღლუმი'' და სხვ.).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ერთგვარად განსაზღვრა ქართული კ-ის განვითარების გზა. 1921 წ. 11 აპრილს განათლების სახ. კომისარიატთან (განსახკომი) შეიქმნა კინოს სექცია. 1921 ეკრანებზე გამოვიდა პირველი ქართ. საბჭოთა მხატვრული ფილმი ,,არსენა ჯორჯიაშვილი'' (,,გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა'', რეჟ. ი. *პერესტიანი*, სცენარი ავტ. შ. დადიანისა).

განსახკომის დავალებით მოხდა საქართვ. ყველა კინოთეატრის ნაციონალიზაცია. შემდგომში კინოწარმოება მონოპოლიური კი – ნოფიკაციისაგან მიღებული შემოსავალით ფინანსდებოდა.

1923 სექტემბერში განსახკომის კინოსექციის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა სააქციო საზ-ბა. ,,საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა'' (სახკინმრეწვი), რომლის მეწილეები სახელმწ. დაწესებულებები იყო. საბჭ. პოლიტიკისა და იდეოლოგიის ერთერთი გამოვლენა იყო სათავგადასავლო ფილმი ,,წითელი ეშმაკუნები'' (რეჟ. ი. პერესტიანი, 1923). სახკინმრეწვი ახორციელებდა ქართ. ლიტ-რის კლასიკურ ნაწარმოებთა ეკრანიზაციას: დაიდგა დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე'' (რეჟ. ი. პერესტიანი, 1923), ა. ყაზბეგის ,,მამის მკვლელი''



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,დაკარგული სამოთხე''. მსახიობები: დ. წეროძე – პეპელა, ბ. კრავეიშვილი – ლაზარია. რეჟისორი დ. რონდელი. 1937.



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,გიორგი სააკაძე''. მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე – რუსუდანი, ა. ხორავა – გიორგი სააკაძე. რეჟისორი მ. ჭიაურელი. 1942–43.

(რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი, 1924), ნ. ნაკაშიძის ,,ვინ არის დამნაშავე'' (რეჟ. ა. წუწუნავა, 1925) და სხვ. დიდი წარმატება ხვდა მელოდრამას ,,სამი სიცოცხლე'' (ი. პერესტიანი, 1925) და ისტ. ეპოპეას ,,ჯანყი გურიაში'' (ე. ნინოშვილის რომანის მიხედვით; რეჟ. ა. წუწუნავა, 1929). ამ პერიოდში ქართულ ეკრანს მოევლინა მსახიობი ნ. ვაჩნაძე. XX ს. 20-იან წლების ქართ. კინოს ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების გზების განსაზღვრაში დიდი წვლილი შეიტანეს თეატრის, ლიტერატურისა და სხვა ხელოვნების მოღვაწეებმა. განახლებული ქართული თეატრის იდეები კინოში შემოიტანა კ. მარჯანიშვილმა. მისმა ფილმმა ,,სამანიშვილის დედინაცვალი'' (დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით, 1926) და ა. წუწუნავას ,,ხანუმამ'' (ა. ცაგარლის პიესის მიხედვით, 1927) სათავე დაუდეს ქართ. კინოკომედიის მდიდარ ტრადიციას.

ახალი ხელოვნების სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო 20-იანი



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,გლახის ნაამბობი''. მსახიობები: გ. აბაშიძე – გაბრო, მ. ჩახავა – თამრო. რეჟისორი მ. ესაკია. 1961.

წლების საქართვ. კულტურულმა ატმოსფერომ. ამ პერიოდის საუკეთესო ფილმები: ნ. შენგელაიას – ,,ელისო'' (ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით, 1928), კ. მიქაბერიძის სატირული კომედია ,,ჩემი ბებია'' (1929), მ. კალატოზიშვილის მხატვრ.-დოკუმენტური ესე ,,ჯიმ შვანთე!'' (1930) და მ. ჭიაურელის ,,საბა'' (1929) უკვე ამჟღავნებენ ნოვატორულ ძიებათა მრავალფეროვნებას, კინოენის პროფესიულად გააზრებულ ფლობას. ფილმების შექმნაში მონაწილეობდნენ მხატვრები: დ. შევარდნაძე (,,ელისო''), ი. გამრეკელი და ვ. სიდამონ-ერისთავი (,,ჩემი ბებია''), დ. კაკაბაძე (,,ჯიმ შვანთე!'', ,,საბა''), ლ. გუდიაშვილი (,,საბა''). ეროვნულ პლასტიკურ ტრადიციებთან დასავლური და რუსული ავანგარდის ძიებების შერწყმით ამ ფილმებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ეპოქის გამორჩეულ მხატვრულ მოვლენათა რიგში.

30-იან წლებში საბჭ. ხელოვნებაში გაბატონებულმა ,,სოციალისტური რეალიზმის'' მეთოდმა, ბრძოლამ ,,კოსმოპოლიტიზმისა'' და ,,ფორმალიზმის'' წინააღმდეგ შეაფერხა წარმატებით დაწყებული ძიებები. ფორმალიზმის ბრალდებით აიკრძალა კ. მიქაბერიძის ,,ჩემი ბებია''. საგანგებო კომისიამ, ,,ისტორიის დამახინჯების'' საბაბით, უარყო მ. კალატოზიშვილის სცენარი კავკასიის ხალხთა ბრძოლაზე რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ნ. შენგელაიას აუკრძალეს მუშაობა ფილმზე ,,გატეხილი ჟამირი'' (მ. შოლოხოვის რომანის მიხედვით) და საკოლმეურნეო თემაზე ფილმის გადაღება ეროვნულ მასალაზე დაყრდნობით ურჩიეს (ასე შეიქმნა ფილმი ,,ნარინჯის ველი'', 1937). ფილმების თემატიკას პოლიტიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა. ძირითად რეპერტუარს ,,წარსულის გადმონაშთებთან'', საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლის, საკოლმეურნეო ცხოვრების იდილიის ამსახველი ფილმები შეადგენდნენ (,,ხაბარდა'', 1931, რეჟ. მ. ჭიაურელი, ,,ახალგაზრდობა იმარჯვებს'', რეჟ. მ. გელოვანი, 1928; ,,უგუბზიარა'', რეჟ. დ. რონდელი, 1930; პირველი ხმოვანი ფილმი ,,შაქირი'', რეჟ. ლ. ესაკია, 1932; სატირული კომედიები ,,ნახვამდის'', რეჟ. გ. მაკაროვი, 1934 და ,,ჟუჟუნას მზითევი'', რეჟ. ს. ფალავანდიშვილი, 1934; ქართველ მენშევიკთა მამხილებელი სატირა ,,უკანასკნელი მასკარადი'', რეჟ. მ. ჭიაურელი 1934 და სხვ.). პატრიარქალურ საზ-ბაში მიმდინარე გარდაქმნათა მტკივნეულ პროცესზე გადაღებულ ფილმებს შორის საყურადღებოა ,,უკანასკნელი ჯვაროსნები'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1934). პოპულარობით სარგებლობდა ფილმები სოც. სამართლიანობისთვის მებრძოლ სახალხო გმირებზე: ,,დარიკო'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1936) და ,,არსენა'' (რეჟ. მ. ჭიაურელი 1937). ამავე პერიოდში ეკრანებზე გამოვიდა დ. რონდელის კინოკომედია ,,დაკარგული სამოთხე'' (დ. კლდიაშვილის მოთხრობების მოტივებზე, 1937).

40-იანი წლების ფილმების თემატიკა და ხასიათი II მსოფლიო ომმა განსაზღვრა. კინოპროდუქციას (1938-იდან გამოდიოდა ,,თბილისის კინოსტუდიის'' მარკით) წარმოადგენენ პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი სათავგადასავლო ფილმები (,,შავ მთებში'', რეჟ. ნ. შენგელაია, 1941; ,,ხიდი'', რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1942; მუს. ფილმი ,,ჯურღაის ფარი'', რეჟ.-ები ს. დოლიძე, დ. რონდელი, 1944). მ. ჭიაურელმა სტალინის უშუალო მითითებების და შენიშვნების გათვალისწინებით დადგა ისტ.-ბიოგრაფიული დრამა ,,გიორგი სააკაძე'' (1942–43).

ომში გამარჯვებული ქვეყანა კინოხელოვნებას იყენებდა თავისი ძლევამოსილების დემონსტრირებისათვის. ეკრანებზე გამოვიდა სტალინის ეპოქის კინომითოლოგიის კლასიკური ნიმუშები – მ. ჭიაურელის ,,ფიცი'' (1946), ,,ბერლინის დაცემა'' (1949) და ,,დაუვიწყარი 1919'' (1952; სამივე ,,მოსფილმი''). ამავე პერიოდშია გადაღებული ბიოგრაფიული ფილმები ,,დავით გურამიშვილი'' (რეჟ.-ები ნ. სანიშვილი, ი. თუმანიშვილი, 1946) და ,,აკაკის აკვანი'' (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1947), მუს. კომედია ,,ქეთო და კოტე'' (რეჟ-ები ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი, 1948).

1945–53 საბჭ. ფილმწარმოება მნიშვნელოვნად დაეცა, ,,თბილისის კინოსტუდიამ'' მხოლოდ 10 სრულმეტრაჟიანი ფილმი გამოუშვა, რომელთა მხატვრული დონე ეპოქის ადეკვატურია (ამაღლებული სტილი, იდილიური რეალობა, სტერეოტიპული პერსონაჟები).

ნ. ხრუშჩოვის ე.წ. ,,ოტტეპელის'' ეპოქის პირველი ათწლეულის ჯ. შედარებით განთავისუფლდა სტალინური იდეოლოგიის წნეხისგან.

ყურადღების ცენტრში უბრალო ადამიანი, მისი პირადი ცხოვრება და შინაგანი განცდები მოექცა. 1953 ,,თბილისის კინოსტუდიას'' ,,ქართული ფილმი'' ეწოდა. 50-იან წლებში აქ გადაიღეს კომედიები ,,ჭრიჭინა'' (რეჟ.-ები ს. დოლიძე, ლ. ხოტივარი, 1954), ,,აბეზარა'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1956), კინომოთხრობები ,,საბუდარელი ჭაბუკი'' (რეჟ. შ. მანაგაძე, 1957), ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1959), ეკრანზე გადაიტანეს ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი'' (რეჟ. ლ. ესაკია, 1956), ი. ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი'' (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1957), მ. ჯავახიშვილის ,,ქალის ტვირთი'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1957), კ. ხეთაგუროვის ,,ფატიმა'' (რეჟ. ს. დოლიძე, 1958), უიარაღოს ,,მამლუქი'' (რეჟ. დ. რონდელი, 1958), ვ. კანდელაკის პიესა ,,მაია წყნეთელი'' (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1959). ჩეხოსლოვაკიის სტუდია ,,კოლიბასთან'' ერთად შეიქმნა პირველი ერთობლივი ფილმი ,,შეწყვეტილი სიმღერა'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1960).

ამავე პერიოდში ქართულ კინოში მოვიდა რეჟისორთა ახალი თაობა, რ-იც გაემიჯნა 30-40-იანი წლების საბჭოთა აკადემიზმის ტრადიციას და ქართ. კინოს პიონერთა მონაპოვარზე დაყრდნობით ძირფესვიანად განაახლა ჰ-სადმი დამოკიდებულება. ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელი იყო ფილმი ,,მაგდანას ლურჯა'' (ე. გაბაშვილის მოთხრობის მიხედვით, რეჟ.-ები თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), რომელმაც ავტორებს საერთშ. აღიარება მოუტანა (კანის სკფ-ის პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის, 1966). მათივე შემდგომმა ფილმებმა (,,ჩვენი ეზო'', რეჟ. რ. ჩხეიძე, 1956, ,,სხვისი შვილები'', რეჟ. თ. აბულაძე, 1958) ნიადაგი მოამზადა თანამედროვე თემებისა და პრობლემების მხატვრული კვლევის ახალი გზების ძიებისათვის.

1960–70 განაგრძობდნენ მუშაობას უფროსი თაობის რეჟისორები: ს. დოლიძე, დ. რონდელი, შ. მანაგაძე, ნ. სანიშვილი, ლ. ხოტივარი, მაგრამ XX ს. II ნახევრის ქართ. ჰ-ის სახე 60–70-იანელთა თაობის კინორეჟისორებმა ჩამოაყალიბეს. მისი მთავარი თავისებურებაა თხრობის პოეტურ-მეტაფორული სტილი, იგავის ენა, იუმორი და მკვეთრად გამოხატული ეროვნ. ხასიათის ,,უცნაური'' პერსონაჟები, რომლებიც რეალურ, ხშირად პირობით, გამოგონილ გარემოში მოქმედებდნენ. პირობითობის მიუხედავად ქართ. კინოს არასოდეს დაუკარგავს კავშირი ეროვნულ ფესვებთან და რეალურ ცხოვრებასთან. საუკეთესო ნიმუშებში ქართ. კინო ისწრაფოდა იდეალურის დამკვიდრებისაკენ, რაც მისი თვითმყოფადობის არსებითი ნიშანი გახდა. თ. აბულაძის, რ. ჩხეიძის, ე. შენგელაიას, გ. შენგელაიას, ო. დ. იოსელიანის, მ. კოკოჩაშვილის, ლ. ღოღობერიძის, მ. კობახიძის, ნ. მჭედლიძის, ა. რეხვიაშვილის, რ. ესაძის, ი. კვირიკაძის, გ. ი. კანდელაკის, ქ. ხოტივარის, რ. ხოტივარის, ლ. შ. ელიავას, ი. ჩხაიძის ნ. მანაგაძის ფილმები სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ ადამიანზე, მის სულიერ სამყაროზე, ყოფიერების რთულ ფილოსოფიურ და ზნეობრივ პრობლემებზე, ისტორიასთან და ტრადიციებთან კავშირზე. ქართული კინოს თავისებური მომხიბვლელობა შესძინა



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,დათა თუთაშხია''. მსახიობები: ო. მეღვინეთუხუცესი – დათა თუთაშხია, თ. არჩვაძე – მუშნი ზარანდია. რეჟისორები: გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია. 1978.

ს. *ფარაჯანოვის* მიერ საქართველოში გადაღებულმა ფილმებმა (,,სურამის ციხე''; 1984, ,,აშუღყარიბი'', 1988). 1972 შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში გაიხსნა კინოფაკ-ტი, რ-ის კურსდამთვრებულებმა – 80-იანელთა თაობის რეჟისორებმა (თ. ბაბლუანი, ნ. ჯორჯაძე, დ. ჯანელიძე დ. ცინცაძე, გ. ჩოხელი, ვ. კოტეტიშვილი, ა. ცაბაძე, ლ. ზაქარეიშვილი, ნ. ჯანელიძე, ზ. ურუშაძე, ლ. თუთბერიძე და სხვ.) ქართ. კინოში მოიტანეს ახალი თემები, შეეცადნენ სოც. ცხოვრების ხელუხლებელი პლასტების გამოკვლევას.

90-იან წლებში, საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართ. ჰ-ში დრამატული ცვლილებები მოხდა. განადგურებული საწარმოო ბაზისა და გაქირავების ქსელის პირობებში, ჰ. ინერციით განაგრძობდა არსებობას. შეიქმნა ფილმები, რ-თა თემატიკა და ემოციური განწყობილება ფასეულობათა კრიზისმა განსაზღვრა.



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,ნატვრის ხე''. მსახიობები: ზ. კოლელიშვილი – შეთე, ლ. ქავჟარაძე – მარიტა. რეჟისორი თ. აბულაძე. 1976.

2001, ,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ'' საქართვ. კანონის საფუძველზე შეიქმნა ,,საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი''. დაარსდა დამოუკიდებელი კინოკომპანიები, გამოჩნდნენ დამოუკიდებელი პროდიუსერები. ამავე წლებში კინოში მოვიდნენ ახალგაზრდები (გ. ოვაშვილი, ლ. კოლუაშვილი, ნ. ექვთიმიშვილი და სხვ.), რ-მაც განათლება ევროპისა და ამერიკის კინოსკოლებში მიიღეს.

2000–20 გადაღებულ მხატვრულ ფილმებს შორის აღსანიშნავია ,,თბილისი–თბილისი'' (რეჟ. ლ. ზაქარეიშვილი, 2005), ,,გასეირნება ყარაბაღში'' (რეჟ. ლ. თუთბერიძე, 2005), ,,გაღმა ნაპირი'' (2008) და ,,სიმინდის კუნძული'' (2013, ორივე რეჟ. ოვაშვილი), ,,კონფლიქტის ზონა'' (რეჟ. ვ. ბურდული, 2009), ,,ჯაყოს ხიზნები'' (რეჟ. დ. ჯანელიძე, 2009), ,,ქუჩის დღეები'' (რეჟ. ლ. კოლუაშვილი, 2010), ,,მანდარინები'' (რეჟ. ზ. ურუშაძე, 2013), ,,გრძელი ნათელი დღეები'' (2013) და ,,ჩემი ბედნიერი ოჯახი (2017, ორივე რეჟ. მ. ექვთიმიშვილი) და სხვ.

მდიდარი ტრადიცია აქვს ქართულ დოკუმენტურ კინოს, რ-იც



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,მონანიება‘‘. მსახიობები: ზ. ბ ო ც ვ ა ძ ე – ქეთევანი, მ. ნ ი ნ ი ძ ე – თორნიკე. რეჟისორი თ. ა ბ უ ლ ა ძ ე. 1984.

,,სახკინრეწვის‘‘ კინოქრონიკის სექტორში (1928-იდან) მ. კალატოზიშვილის, ნ. ღოღობერიძის, ს. დოლიძის აქტიური მონაწილეობით ყალიბდებოდა. ,,სოციალისტური რეალიზმის‘‘ პრინციპების დამკვიდრების შემდეგ ცოცხალი მოვლენის, კონკრეტული ადამიანის ადგილი ეკრანზე დაიკავა მითმა, რ-იც სამი ათწლეულის განმავლობაში სახეს იცვლიდა და ხელს უწყობდა სტერეოტიპებისა და შტამპების დამკვიდრებას. II მსოფლიო ომის წლებში ქართველი დოკუმენტალისტები კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე ქმნიდნენ ომის უნიკალურ მატიანეს. 1958-იდან სექტორმა *ქრონიკალურ-დოკუმენტური* და *სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის* სახით განაგრძო მუშაობა. 60-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების წარმოების მეორე კერა – ,,ქართული ტელეფილმი‘‘.

ქართულ დოკუმენტალისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეჟისორ-პუბლიცისტ გ. ი. *ასათიანის* მოღვაწეობას; პოეტური ტრადიციებისაკენ მიბრუნება უკავშირდება გ. ჯუბაბრიას და ვ. მიქელაძის შემოქმედებას. აღსანიშნავია რ. თაბუკაშვილის ფილმები უცხოეთში ქართველთა მხედრული გმირობისა და კულტ.- სულიერი საქმიანობის შესახებ, ლ. ბაქრაძის კინომოთხრობები ადამიანზე, გ. *პატარაიას* ფილმები საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართული კულტურის კერებზე, ნ. დროზდოვის პუბლიცისტიკა, ა. *ელენტის* ფილმები სპორტსა და პოლიტიკაზე, მ. გაგუას დოკუმენტური ესეები და სხვ. სამეცნ.-პოპულ. კინოს საფუძველი ჩაუყარეს დ. კ. აბაშიძემ და ნ. ჟუჟუნაძემ. ტრადიცია შემოქმედებითად განავითარეს გ. ჟვანიამ, ს. სტრახოვმა, კ. კერესელიძემ. შეიქმნა მეცნიერთა და ხელოვანთა კინოპორტრეტები და ფილმები საქართვ. მატერ. კულტურის ძეგლებზე (რეჟ-ები ი. კანდელაკი, ო. ჭიაურელი, რ. ჭიაურელი, ი. *შველიძე*, ჟ. *ლომიძე* და სხვ.). 1992-იდან ფილმების რაოდენობა შემცირდა, წარმოება შეწყდა. ამჟამად დოკუმენტური ფილმები იქმნება კერძო სტუდიებსა და სამაუწყებლო კომპანიებში.

განვითარების საინტერესო გზა განვლო ანიმაციურმა კინომ (იხ. *ანიმალისტური ჟანრი*).

თავისი არსებობის განმავლობაში ქართულმა ჰ-მ საერთაშ. აღიარება მოიპოვა. ქართული ფილმები დაჯილდოებულია მრავალი საერთაშ. კინოფესტივალის პრიზებითა და კინემატოგრაფიული პრემიებით. ქართული კინოს დიდი რეტროსპექტივები ჩატარდა ჟორჟ პომპიდუს სახ. ცენტრში (პარიზი, 1988), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (ნიუ-იორკი, 2013), ივანამი ჰოლში (ტოკიო, 2018) და სხვ.; იხ. აგრეთვე *კინომცოდნეობა*.

ლიტ.: ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ნ., დროთა ეკრანი, თბ., 1990; გ ო გ ი ტ ი ძ ე გ., ქართული კინოს წარსულიდან, თბ., 2013; გ ო გ ო ძ ე კ., ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1950; კუჭუხიძე ი., ეკრანი და დრო, თბ., 2009; ჟვანია გ., ქართული დოკუმენტური კინო, თბ., 1990; ქართველი კინორეჟისორები, წგ. 1–2, თბ., 2005–2006; ფილმოგრაფია. ქართული მხატვრული კინოსურათები, 1916–1975 შემდგ-ები გ. კოპაძე, ქ. ლორთქიფანიძე, თბ. 1978; ქართული ანიმაციური კინოს მატიანე შემდგ. ლ. გორგასლიძე, თბ., 2012; ქართული კინო. 1896-2011. ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტ. და შემდგ. მ. კერესელიძე, თბ. 2011; ქართული მხატვრული კინოს ფილმოგრაფია 1976-2009 შემდგ-ები ლ. ხოშტარია, ა. შუბაშვილი, თბ., 2010; А м и р е д ж и б и Н., На заре грузинского кино, Тб., 1979; Д у д у ч а в а М., Проблемы национальной кинематографии, Тб., 1933; Т и к а н а д з е Р., Грузинское кино... проблемы, искания, Тб., 1978; Ц е р е т е л и К., Юность экрана. Очерки истории грузинского немого кино, Тб.,1965; Le Cinema Georgien, Paris, 1988.

მ. კერესელიძე.

კინტანა (Quintana), შაბიერ ურტიაგა (დ. 13. X. 1946, ბილბაო, ესპანეთი), ბასკი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და ფილოლოგი, ბასკური ენის სამეფო აკად. აკადემიკოსი (1993) და მდივანი (2002), არაგონის აკად. საპატიო წევრი (2009). 1978 და 1981 წლებში მეცნ. აკად. მოწვევით იმყოფებოდა საქართველოში ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. ბასკურ ენაზე თარგმნა და გამოსცა ნ. ბარათაშვილის (ჟურნ. «Egən», 1984, 1–2) და გ. ტაბიძის (ჟურნ. «Egən», 1993, 1) ლექსები. შეასრულა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ პროზაული თარგმანი (1999). ბასკურ ენაზე თარგმნა ქართული პოეზიის ანთოლოგია.

თხზ.: ზოგი ბასკური და ქართველური სიტყვის მსგავსების შესახებ, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», ტ. 7, თბ., 1981.

ლ. კელაურაძე.

კინტო, ძველ თბილისში ხელზე მოვაჭრე. განეკუთვნებოდა წვრილ ვაჭართა კლასს. კინტო ნიშნავს კინწით თაბახის მზიდველს. იგი თავზე დადებულ თაბახს, რ-იც ხილით და ბოსტნეულით იყო გაწყობილი, გასაყიდად ქუჩებში დაატარებდა. გამოირჩეოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხითა და თავისებური ჩაცმა-დახურვით (მაღალსაყელოიანი, საკინძეშეხსნილი დაწინწკლული ჩითის პერანგი; შავი, მოკლე, ნაოჭიანი ახალუხი, შავი სატინის უბეგანიერი მონაოჭებული შარვალი; მესტები, ზოგჯერ ყელდაკეცილი ,,დაწყობილი ჩექმები‘‘; ვერცხლის აბზინდიანი ვიწრო ქამარი ან წითელი სარტყელი აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცით; თავზე ქეჩის ბრტყელი ქუდი ან ,,კოზიროკიანი შლაპა‘‘).

არსებული მოსაზრებით, ჰ-ს კასტა შუა საუკუნეების სპარსეთში ჩამოყალიბდა და აერთიანებდა შინამოსამსახურეებს, ე. წ. ,,ხელის ბიჭებს‘‘, წყლის მზიდავებს, თამბაქოს გამყიდველებს. ისინი ხშირად თავს თაღლითობით ირჩენდნენ. თბილისში, როსტომ მეფის (1632–56) დროიდან ჩნდე-



კინოხელოვნება. კადრი ფილმიდან ,,მანდარინები‘‘. მსახიობი: ლ. უ ლ ფ ს ა კ ი – ივვო. რეჟისორი ზ. უ რ უ შ ა ძ ე. 2013.

ბიან. ქალაქის კოლორიტულ ფიგურებად XIX ს-ში ჩამოყალიბდნენ და თბილისურ ყოფას XX ს. 30-იან წლებამდე შემორჩნენ, როგორც ყარაჩოხელის ,,გადაგვარებული მოდგმა''. პ-ს ეტიმოლოგიას უკავშირებენ კვინტოს, რაც ძველად ,,კუდიანს'', ანუ ცულლუტს, თაღლითს ნიშნავდა.

ლიტ.: გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფ., 1927; თბილისის ისტორია, ტ. 1. მ. დუმბაძის და გ. გუჩუას რედ., თბ; 1990; შაყულაშვილი გ. ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან, თბ., 1987; ჩხეტია შ., ტფილისის ისტორია «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1938, ნაკვ. 1.

ა. სოხაძე.

კინტოური, ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში. სახელწოდება მომდინარეობს ამ ცეკვის ინდივიდუალური შემსრულებლის სახელიდან – კინტო, თუმცა არსებობს განსხვავებული ახსნაც. ა. *ალექსიძის* განმარტებით, სახელწოდება უკავშირდება სიტყვა კენტს (მარტოხელა), ვინაიდან ცეკვას ერთი მოცეკვავე ასრულებს და მართებული იქნებოდა მას ,,კენტური'' ეწოდებოდესო.

პ-ს საფუძვლად დაედო ძვ. ქალაქური (თბილისური) საწესო ცეკვის, ,,*იალის თამაშის*'' ილეთები – ბუქნა, ხელების აქტიური მოძრაობა, პანტომიმის ელემენტები. სრულდება ბაღდადის გათამაშებით (აქედან მომდინარეობს სახელწოდება ,,*ბაღდადური*''). ცეკვას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ, ძირითადად – ერთი, იშვიათად – ორი მოცეკვავე (ამ შემთხვევაში ცეკვა შეჯიბრების ხასიათს ატარებს, პანტომიმისა და კომიკური ჟესტების მეოხებით კი ერთგვარი დიალოგი იმართება). განსხვავებულია მოცეკვავეთა რაოდენობა თეატრალიზებულ დადგმებში, რაც დამდგმელის სურვილზეა დამოკიდებული. პ-ის ერთ-ერთი პირველი თეატრალიზებული დადგმა „ძველი თბილისის სურათები'' ეკუთვნის ი. *ბაგრატიონს.*

პ-ის საუკეთესო შემსრულებლები იყვნენ ა. *თათარაძე* და ფ. *სულაბერიძე;* მაღალი პროფ. ოსტატობით ასრულებდა ცეკვას ს. *ჭიაურელი.* ცეკვის საინტერესო ვარიანტია კინოფილმში ,,ქეთო და კოტე'' (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი), სადაც გ. *შავგულიძემ* შესრულების შესანიშნავი ტექნიკითა და გარდასახვის უბადლო ნიჭის წყალობით გვაჩვენა ამ ცეკვის ეტალონი. ეკრანმა აგრეთვე შემოინახა დიდი



კინტოური.

მხატვრის – ლ. *გუდიაშვილის* შესრულებული პ-ის რამდენიმე ფრაგმენტი.

ცეკვა პ. სრულდება ნელი ტემპით, დოლის, დუდუკის ან არღნის თანხლებით (მუს. ზომა 6/8).

ლიტ.: გვარამაძე ლ., საცეკვაო ფოლკლორი, თბ., 1997; თათარაძე ა., ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986; ჩიჯავაძე ო., ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009.

კინტრაია ნიკოლოზ პალიკოს ძე (დ. 10. V. 1969, თბილისი), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004).

1993 დაამთავრა თსსი; 1994-იდან მუშაობდა აკად. ა. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედ. და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში; 1998-იდან – თსსუ-ის მეან-გინეკოლოგიის კათედრაზე (2006-იდან კათედრის გამგე); 2015-იდან მოღვაწეობს თსსუ-ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში.

პ. 2006-იდან არის სარეზიდენტო პროგრამის, 2018-იდან კი – თსსუ-ის ამერიკელი დიპლომირებული ექიმების პროგრამა ,,კლერკშიფის'' დირექტორი (მეანობა-გინეკოლოგია), 2002-იდან – პ. ჩაჩავას კლინიკის გინეკოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი; 2006- იდან – ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი.

პ. არის ავტორი სამეცნ. ნაშრომების (მ. შ. 2 მონოგრაფია და 1 სახელმძღვანელო), რ-ებიც ეხება მეანობა-გინეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს, კერძოდ, ორსულობის დრომდე მიუტანლობას.

თხზ.: სისხლდენა მეანობაში, თბ., 2004; ორსულობის დრომდე მიუტანლობა და ნაადრევი მშობიარობა, თბ., 2008.

კინტრაია პალიკო იასონის ძე (8.XII.1933, თბილისი, – 28.X. 2019, იქვე), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1976), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). ჯანდაცვის სამინისტროს მთ. მეან-გინეკოლოგი (1976–87).

1958 დაამთავრა თსსი. 1976–2006 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე; 1980– 2002 – პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინ-ტის დირექტორი; 2002–19 – კ. ჩაჩავას კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე.


პ. იკვლევდა ნაყოფისა და ახალშობილის დაავადებათა პათოგენეზს, ადაპტაციის ცენტრ. სარეგულაციო მექანიზმებს, ტკივილის პრობლემებს, გარე ფაქტორების გავლენას ორსულობის მიმდინარეობაზე, ნაყოფის ნეირო-პეპტიდების როლს სამშობიარო მექანიზმის აღძვრაზე და სხვ. 1981 აირჩიეს უნგრეთის მეანობა-გინეკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრად, 1990 – ევროპის მეანობა- გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ნაყოფის კრანიო-ცერებრალური ჰოპითერმია თბ.,1973 (თანაავტორები: კ. ჩაჩავა, ა.ზირაქაძე); Нарушения мозгового кровообращения у плода и новорожденного, Тб., 1988.



კინტო. ფოტო. XIX ს. II ნახევარი.

კინტრიში, მდინარე დასავლეთ საქართველოში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, ხინოს მთის მახლობლად, ზ. დ. 2599 *მ*-ზე. ქობულეთთან ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 45 *კმ*, აუზის ფართ. 291 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალუხვია შემოდგომაზეც, წყალმცირე – ზამთარსა და ზაფხულში. გაზაფხულზე მოდის წლიური ჩამონადენის 35%, ზაფხულზე – 18%, შემოდგომაზე – 31%, ზამთარზე – 16%. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 17,3 *მ*^{3}/*წმ*. პ-ს ყოველწლიურად ზღვაში შეაქვს დაახლ. 540 მლნ. *მ*^{3} წყალი.



პ. კინტრაია.

კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, იხ. *კინტრიშის დაცული ტერიტორიები.*

კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის მთათა სისტემას შორის, მდ. კინტრიშის ხეობაში, სოფ. ცხემვანსა და ხინოს მთას შორის, ზ. დ. 300–2500 *მ*-ზე.

მთები ზღვის ტენიან ჰაერს აკავებს და კინტრიშის ტერიტორიაზე ჭარბტენიან ჰავას წარმოქმნის, რაც აქ უნიკალური ფლორის არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორია. დაცულ ტერიტორიებს ჩრდ-ით ესაზღვრება ქობულეთის სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციის, სამხრ.-აღმ-ით – შუახევის მუნიციპ-ის, სამხრ-ით – ქედის მუნიციპ-ის ტერიტორიები, სამხრ.- დას-ით კი მტირალას ეროვნ. პარკი.

კინტრიშის სახელმწ. ნაკრძალი 1959 შუამთის რელიქტური ტყეებისა და ენდემური სახეობის ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით დაარსდა.

2007 კინტრიშის სახელმწ. ნაკრძალის ბაზაზე შეიქმნა დაცული ლანდშაფტი. 2018 რეკატეგორიზაციის შედეგად მას სტატუსი შეეცვალა და გახდა ეროვნ. პარკი. კ. დ. ტ-ის ადმინისტრაცია ამჟამად ორ სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას – კინტრიშის სახელმწ. ნაკრძალს და კინტრიშის ეროვნ. პარკს მართავს.

კ. დ. ტ-ის საერთო ფართობია 13514 ჰა, კერძოდ, კინტრიშის სახელმწ. ნაკრძალისა 3108 ჰა, კინტრიშის ეროვნ. პარკისა – 10406 ჰა. კ. დ. ტ-ის ულამაზეს ლანდშაფტს ქმნის მთიანი რელიეფი, მდ. კინტრიშის ხეობა – მცირე ზომის ღელეებითა და ვიწრო ხევებით დასერილი ტერიტორია.

კ. დ. ტ. დაახლ. 80% ტყითაა დაფარული. კინტრიშის ტყეს ახასიათებს აჭარის ენდემების სიმრავლე. ქვეტყე წარმოდგენილია კოლხური ტიპის მარადმწვანე ბუჩქებითა და გვიმრებით. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მარადმწვანე შქერიანები – პონტოს შქერის, კავკასიური დეკის, მოცვის, წყავის და იელის ბუჩქები. ეს ბუჩქნარი მთებში, არყნარებისა და პონტოს მუხების ქვეშ, ალპური და სუბალპური ზონების საზღვართან იზრდება. დაცული ტერიტორიების დენდროფლორა 102 სახეობას ითვლის. აქ ხე-მცენარეების 46, ბუჩქის 4 და ლიანების 8 სახეობაა გავრცელებული. ულამაზეს სანახაობას ქმნის ჯუჯა წიფლის ხეებით გარშემორტყმული ტბა ტბიყელი, გვხვდება წიფლნარი, წაბლნარი, რცხილნარი, მუხნარი, სოჭნარ-ნაძვნარი, ცაცხვნარი, თხილნარი, მურყნარი, აბზინდი, წყავის, შქერისა და დეკის რაყი. აღსანიშნავია, რომ დაცულ ტერიტორიაზე რამდენიმე უთხოვრის ეგზემპლარიც იზრდება, რ-თა ასაკი 1000 წელს აღემატება. 1000-წლიან ბზის კორომებთან ერთად (ამჟამად გამხმარია) ულამაზეს პეიზაჟს ქმნის ხავსით დაფარული ქვები, რ-ებიც ჩანჩქერისაკენ მიმავალ მდინარის ნაპირს მიუყვება.



კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

რელიქტური და ენდემური მცენარეებიდან გვხვდება პონტოს მუხა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, პონტოური შქერი, უთხოვარი, კოლხური ჯონჯოლი, თაგვისარა, ჩვეულებრივი წაბლი. საქართველოს ,,წითელი ნუსხის'' მცენარეებიდან კი – იმერული, პონტოური და ჰართვისის მუხა, კოლხური ბზა, უთხოვარი, მედვედევის არყი, წაბლი, ხემარწყვა, ლაფანი, უნგერნის შქერი.

კ. დ. ტ-ებზე მტაცებლებიდან ბინადრობს მურა დათვი, რ-ის პოპულაცია საკმაოდ სტაბილურია; იშვიათად გვხვდება მგელი ან ფოცხვერი. ჩლიქოსნებიდან ტყეებში ბინადრობს შველი (ალპური და სუბალპური), სარტყლების საზღვარზე – არჩვი; მცირე ძუძუმწოვართაგან – თხუნელა, სინდიოფალა, კავკასიური ციყვი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტყის კატა. ნაკრძალში კარგად არ არის შესწავლილი წავის პოპულაცია, თუმცა ხეობაში ეს ცხოველი ადრე არაერთხელ უნახავთ.

მდინარეები და ხევები მდიდარია მდინარის კალმახით (Salmo trutta fario). მდ. კინტრიშის ქვემო დინებაში ვხვდებით შამაიასა და საზანს. შავი ზღვიდან საქვირითოდ ამოსული ორაგული კინტრიშის მდინარეებში იშვიათად გვხვდება.

ამფიბიებიდან გვხვდება კავკასიური სალამანდრა, მცირეაზიური ტრიტონი, კავკასიური გომბეშო, ვასაკა, მცირეაზიური და ტბის ბაყაყები, ასევე ხვლიკისა და გველის რამდენიმე სახეობა – ჩვეულებრივი და წყლის ანკარები, სპილენძა გველი და კავკასიური გველგესლა.



კინტრიშის დაცული ტერიტორიები. თამარის ხიდი.

ორნითოფაუნა საკმაოდ მდიდარია მტაცებელი ფრინველებით. პ. დ. ტ-ზე აღრიცხულია ჩია არწივი, კაკაჩა, ქორი, მიმინო, მარჯვანი და ჩვეულებრივი კირკიტა. ღამის მტაცებლებიდან გვხვდება ზარნაშო, წყრომი და ჭოტი.

პ. დ. ტ-ზე 28 სახეობის ენდემური წვრილი ძუძუმწოვარი ბინადრობს (ევროპული ზღარბი, კავკასიური ციყვი, რუხი ვირთაგვა და ღამურის რამდენიმე სახეობა).

ენტეროფაუნიდან აღსანიშნავია კავკასიის ენდემური ხოჭო ხტუნების ოჯახიდან (Cicindela desertorum), ხოლო ხოჭოებიდან – ბზუალა (კავკასიის ენდემები – Carabus armeniacus subincatenatus, Carabus roseri Faldermann, Carabus septemcarinatus Motschulsky; საქართველოს ენდემი – Carabus ibericus chaudoirianus, აჭარის ენდემური ქვესახეობა – Carabus pushkini kintrishensis).

დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ შემდეგი სახეობები: კალმახი, კავკასიური სალამანდრა, მურა დათვი და წავი, კავკასიური როჭო და კასპიური შურთხი, ბეგობის არწივი, შავარდენი, მცირეაზიური ტრიტონი. ყურადღებას იქცევს კასპიური შურთხი, რ-იც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსერვაციული სტატუსის მქონე ფრინველია.

2021 იუნესკომ საქართვ. ოთხ დაცულ ტერიტორიას (კინტრიშის დაცული ტერიტორია, *მტირალას ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები* და *კოლხეთის ეროვნული პარკი*) მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა.

ხ. წიკლაური.

კინტრიშის ნამოსახლარები, ადრინდელი ნეოლითის ხანის (ე. წ. უკერამიკო ნეოლითის 2 ძეგლი სოფლების, ხუცუბანისა და ქობულეთის ტერიტორიაზე. მდ. კინტრიშის მარჯვ. ტერასაზე. 1959 ნამოსახლარები აღმოაჩინა არქეოლოგმა ი. გრძელიშვილმა. 1960–62 აქ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა საქართვ. შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი, სადაზვერვო რაზმის ხელმძღვ. ლ. ნებიერიძე), 1967–74 არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა ბათუმის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციის ქვის ხანის შემსწავლელმა ჯგუფმა ს. გოგიტიძის ხელმძღვანელობით. უძრავი ფენის გამო ქობულეთის ნამოსახლარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხუცუბანში კი ფენების უძრაობა დარღვეულია. ხუცუბანსა და ქობულეთში მოპოვებული მასალები ანალოგიურია. ნაპოვნია მხოლოდ კაჟისა და ობსიდიანის მასალა. ქვას ამუშავებდნენ მიკროლითური ტექნიკით, იარაღების უმეტესობა ნაკეთებია ლამელებზე. აღსანიშნავია კონუსისებური და პრიზმისებური ნუკლეუსები. დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სწორწახნაგა დანისებრი და ხშირ შემთხვევაში გვერდრეტუშირებული ლამელები. იარაღის ძირითადი ტიპია საჭრისები და საფხეკები. ასევე გვხვდება სამკელი დანის ჩასართები, სახვრეტები, ისრისმაგვარი იარაღები.

ქობულეთის ნამოსახლარზე ნაპოვნი ბოძებისთვის განკუთვნილი ორმოები მოწმობს, რომ აქ არსებულ საცხოვრებელ ნაგებობებს ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა. პ. ნ. გვიანმეზოლითური კომპლექსების მსგავსია, თუმცა მათთან შედარებით განვითარების გარკვეული გზა აქვს გავლილი და ერთგვარ მსგავსებას ავლენს ადრენეოლითურ კომპლექსებთან. უდიდესია პ. ნ-ის მნიშვნელობა აჭარისა და, ზოგადად, დას. საქართვ. არქეოლოგიაში. ნამოსახლარები შუალედური რგოლია გვიანმეზოლითურსა და ადრენეოლითურ კომპლექსებს შორის.

ლიტ.: ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; საქართველოს არქეოლოგია, ტ. 1. ქვის ხანა, თბ. 1991.

თ. კილურაძე.

კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, იხ. *კინტრიშის დაცული ტერიტორიები.*

„კინტრიშიჰესი“ (შპს), მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშზე. ექსპლუატაციაში შევიდა 2017. სიმძლავრეა 5,5 *მეგვტ.* გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ.სთ*): 2019 წ. – 28,6; 2020 წ. – 24,9; 2021 წ. – 31,2. მისი მფლობელია ესტონური კომპანია შპს ,,ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი‘‘, რ-ის ინვესტიციებითაც აშენდა ეს ჰესი. ,,პ.‘‘ ჩართულია ქვეყნის ერთიან ელექტროსისტემაში.

დ. ჩომახიძე.

კინჩხა, იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა კინჩხისა* და *ქვედა კინჩხის* გავრცელებული სახელწოდება.

პ. წერილობით წყაროებში XVIII ს-იდან გვხვდება. აქ ნაპოვნია ბრინჯაოს განძი, აგრეთვე ლისიმაქეს ოქროს მონეტის ერთი მინაბაძი (იხ. *აკეს სტატერი*). პ-ში შემორჩენილია უზარმაზარი ციხის ნანგრევები. სავარაუდოდ, იგი ადრეფეოდ. ხანაში მოხსენიებული თაკვერის ციხე უნდა იყოს. პ-ში არის შუაფეოდ. ხანის ბალიანგელოურის ეკლესიის ნანგრევები აკლდამით.

კინჩხაფერდი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტში (კინჩხის თემი), მდებარეობს მდ. ოკაცეს (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 830 *მ,* ხონიდან 26 *კმ.* 36 მცხ. (2014).

კინწურაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე (1. IV. 1900, ქუთაისი, – 25. VI. 1976, პარიზი), ყოფილი იუნკერი, კოჯორ–ტაბახმელის ბრძოლებისა და ბათუმის ოსმალთაგან გათავისუფლების მონაწილე. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 მარტში ემიგრაციაში გაჰყვა გახიზნულ მთავრობას. პ. ერთ-ერთია იმ ხუთ იუნკერს შორის, რ-ებიც გენ. გ. კვინიტაძის რეკომენდაციით სენ-სირის (საფრ.) სახელგანთქმულ სკოლაში ჩაირიცხნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925, იგი ლეიტენანტის წოდებით უცხოურ ლეგიონში გაამწესეს. მსახურობდა ჩრდ. აფრიკასა და ლიბიაში.

პ. აქტიურად მონაწილეობდა ელ–ალამეინის ცნობილ სამხედრო ოპერაციაში, რისთვისაც „გათავისუფლების ჯვარი“ დაიმსახურა. II მსოფლიო ომის წლებშივე მიიღო თავდაპირველად კომანდანის, შემდეგ კი კოლონელის სამხედრო წოდებები. თადარიგში გასვლის შემდეგ, XX ს. 50–იანი წლების დამლევს, დაინიშნა პარიზის ქართ. ოფისის დირექტორად.

მხედრული დამსახურებისათვის მიღებული აქვს უმაღლესი ჯილდოები: საპატიო ლეგიონის ორდენი, „დიდი კომანდორის“ ჯვარი, რამდენიმე ბრიტანული ორდენი და მრავალი მედალი.

პ. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ლიტ.: ურუშაძე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005.

ლ. ურუშაძე.

კინწურაშვილი (ფსევდ. იასამანი) მიხეილ პავლეს ძე, იხ. იასამანი.



ს. კინწურაშვილი.

კინწურაშვილი სიმონ შალვას ძე (6. XI. 1924, ქუთაისი, – 23. XII. 1993, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1949). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში'' არქიტექტორად (1949–53), ქართული ხელოვნ. ისტორიის ინ-ტში – მეცნიერ თანამშრომლად (1953–62); იყო საქართვ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1962–80), ქართ. ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე (1971–93), სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტის დოცენტი (1974–93), გეგმარებითი პროექტებისა და გამოფენების ავტორი, საქართვ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მე-5 ტომის რედკოლეგიის ხელმძღვანელი (1990).

პ-ის სცენარის მიხედვით გადაღებულია დოკ. ფილმი ,,ძველი ქუჩა'' (1981; რეჟ. მ. გაგუა).

თხზ.: ელგუჯა ამაშუკელი, თბ., 1984; თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი (თანაავტ.: მ. კარბელაშვილი, ნ. ჯანბერიძე, ქართ. და რუს. ენებზე), თბ., 1987.



შ. კინწურაშვილი.

კინწურაშვილი შალვა სიმონის ძე [9(22). V. 1895, ქუთაისი, – 4. XI. 1978, თბილისი], ექიმ-ჰიგიენისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1948). სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის სამხედრო საექიმო აკადემიაში. 1930 დაამთავრა თსსი. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1939–42 იყო თბილ. ფიზიკური კულტურის სახელმწ. ინ-ტის ჰიგიენის, 1948 – თსსი-ის შრომის ჰიგიენის კათედრის გამგე, 1943-იდან – შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტის შრომის ჰიგიენის განყ-ბის გამგე, 1949–52 – ამავე ინ-ტის დირექტორი.

პ. იკვლევდა შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა აქტუალურ საკითხებს; სამრეწვ. და სას.-სამ. წამყვანი დარგების მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესების, ავადობის გამოვლენისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების მეთოდური ნორმატივების დადგენის საკითხებს. შეადგინა ჰიგიენის პირველი ქართული სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შრომის ჰიგიენა, ზოგადი კურსი, თბ., 1957; შრომის კერძო ჰიგიენა, თბ., 1969.

ლიტ.: ყურაშვილი მ., კვანჭახაძე გ., შალვა კინწურაშვილი, «საბჭოთა მედიცინა», თბ., 1965.

გ. კვანჭახაძე. მ. ყურაშვილი.

კიპირჯიკი, ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ *ჭრეშის* ყოფ. სახელწოდება.

კირაკოს განძაკეცი, კირაკოს განძაკელი (1200–71), სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თავდაპირველად სწავლობდა ნორგეტიკის მონასტერში, შემდეგ გახდა ცნობილი ვანაკან მოძღვრის მოწაფე. ავტორია თხზულებისა ,,სომხეთის ისტორია'', რ-იც იწყება გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობის აღწერით და გრძელდება 1265-მდე. IV–XII სს. ამსახველი ნაწილი წინამორბედ ისტორიკოსთა შრომების შემოკლებაა, ის ნაწილი კი, რ-იც ეხება XIII ს., ძირითადად ეყრდნობა მისი თვალით ნანახს ან თვითმხილველთა ნაამბობს. იყენებს წერილობით წყაროებსაც, სადაც ვრცლად მოგვითხრობს მონოფიზიტთა ,,ქართულ რჯულზე'' მოქცევის მიზნით XIII ს. დასაწყისში საქართველოს სამეფო ხელისუფლების ინიციატივით მოწვეული ლორესა და ანისის საეკლ. კრებების შესახებ. პ. გ. იქვე დასძენს, რომ ეს ცნობები მოიპოვა აღნიშნული ამბების თვითმხილველის, ვანაკან მოძღვრის ჩვენამდე მოუღწეველი თხზულებიდან. XIII ს. ამსახველი მონაკვეთი მეტად სანდო პირველწყაროა სელჩუკთა საამიროების წინააღმდეგ საქართვ. სამეფოს ბრძოლის ისტორიის, საქართველოს სამეფო სამსახურში მხარგრძელთა დაწინაურების, ქართველ-სომეხთა ურთიერთობის, სამხრ. კავკასიაში მონღოლთა გამაჩანაგებელი ლაშქრობების, მათი ბატონობის, წესჩვეულებებისა და სხვა საკითხების შესასწავლად. პ. გ-ის ცნობით, ქართული სახელმწიფო მთელ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანთა მფარველად ითვლებოდა. თამარის მეფობისას ქართველები თვით იერუსალიმში ხარკს არ იხდიდნენ. მათი რიდით ქრისტიანულ მონასტრებს ხარკი გაუნახევრდათ. პ. გ. გადმოგვცემს თბილისის ტრაგედიას ჯალალედინისა და მონღოლთა შემოსევების პერიოდში. მისივე ცნობით, ქართველი დიდმოხელეები გამორჩენის მიზნით მონღოლებს გულმოდგინედ შველოდნენ ხარკის აკრეფაში. ამ დროიდან დაუწყიათ მათ საზომ-საწყაულების თვითნებური გადიდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1982, (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

გ. მაისურაძე.

კირაჩ-მუღანლო, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში, იხ. *ქირაჩ-მუღანლო.*

კირბალი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (ზეღდულეთის თემი), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ცენტრ. ნაწილი), ტირიფონის არხის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 900 *მ,* გორიდან 20 *კმ.* 517 მცხ. (2014).

სოფელში დგას XVIII–XIX სს. კვირაცხოვლის ერთნავიანი ეკლესია. მეორე, წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, სოფლის მახლობლად მდებარეობს. იგი გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება.

კირვალიძე დავით რევაზის ძე (დ. 6. V. 1967, თბილისი), სწავლული აგრონომი, აგროქიმიკოსი, ნიადაგმცოდნე, პოლიტიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1993). 1990 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1996—98 იყო შპს საქართვ. კერძო ფერმერთა დახმარების ფონდის დირექტორი განვითარებისა და თანამშრომლობის საკითხებში, 1999–2000 – საქართვ. მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი და აგრ. საკითხთა კომიტეტის თავ-რე, 2000–04 – საქართვ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, 2006–12 – აშშ-ის საერთაშ. ორგანიზაცია CNFA-ს (,,სოფლის მეურნეობაში ახალი საზღვრების დადგენა'') პრეზიდენტის მთ. მრჩეველი, 2012–13 – საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრი, 2014-იდან – CNFA-ს დირექტორთა საბჭოს წევრი, 2017–22 – საქართვ. პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში.

პ. სამეცნ.-პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვ. აგრ. და მოსკ. სახელმწ. უნ-ტებში, საქართვ. გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და აგრობიზნესის ინ-ტში (1990–98), ასევე აშშ-ის მერილენდის უნ-ტში (2005–06). 2011–18 აგრ. უნ-ტის

სრული პროფესორია ნიადაგმცოდნეობის მიმართულებით, 2021-იდან კი საქართვ. საზოგადოებრივ საქმეთა ინ-ტის (GIPA) აფილირებული პროფესორი. პ. თანამშრომლობს მრავალ საერთაშ. ორგანიზაციასთან (FAO, USAID, IFAD, IFC, DIDA და სხვ.), მუშაობს სას.-სამ. სტრატეგიის, სას.-სამ. გადამამუშავებელი წარმოებისა და კერძო სექტორის ბიზნესის განვითარების საკითხებზე. მან სამეცნ.-კვლ. და ექსპერტული სამუშაოები ჩაატარა მრავალ ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ყირგიზეთი, ნიდერლანდების სამეფო, ირლანდია, აშშ და სხვ.). 1998-იდან პ. გახდა ნიადაგმცოდნეობის საერთაშ. კავშირის (IUSS) წევრი. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა.

თხზ.: რადიოლოგიური და აგროეკოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2009 (თანაავტ.: რ. ლიპარტელიანი); Research of Cinnamonic Calcareous Soil Fertilizing Systems for Pastures of Akhaltsikhe District, Communications in Soil Sciences and Plant Analysis, "Taylor and Francis", USA, vol. 42, N7, 2011, pp. 767-786 (თანაავტ.: Korakhashvili A); Endemic and Released Legume Crops Sustainable Production in Georgia, Lam lambert Academy Publishing, Germany, USA, UK, 2018, 67 p (თანაავტ.: Korakhashvili A, Urushadze T.).

კირვალიძე ნინო მიხეილის ასული (დ. 10. X. 1938, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. სახ. არტისტი (1972), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1957, მოსკოვი, I ხარისხის დიპლომი, ოქროს მედალი). 1961–67 სწავლობდა თბილ. უცხო ენათა პედაგოგიურ ინ-ტში. 1957 ბ. დარახველიძის მიწვევით (ანსამბლთან ერთად) წარმატებით იმოგზაურა ბრიუსელში საერთაშ. გამოფენა-ბაზრობაზე.

1958–87 იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკადემიური ანსამბლის (ახლანდ. ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის სახ. ქართული ნაციონალური ბალეტი) წამყვანი მოცეკვავე. წარმატებით მონაწილეობდა ანსამბლის თითქმის მთელ რეპერტუარში. განსაკუთრებით გამოირჩევა მის მიერ შესრულებული ცეკვები: ,,ქართული'', ,,სამაია'', ,,ხევსურული'', ,,ხომლი'', ,,ხაბარდა'', ,,ხონგა'', ,,წყაროსთან'', ,,აჭარული'', თინათინის პარტია ი. სუხიშვილის მიერ დადგმულ ,,ქაჯეთის ციხის აღებაში'' და სხვ. მისი შესრულება გამოირჩევა მაღალი პროფ. ოსტატობით, ფაქიზი გემოვნებით, ეროვნ. კოლორიტის გრძნობით. 1985–2015 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ი. სუხიშვილის სახ. სკოლა-სტუდიაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).



ნ. მ. კირვალიძე.

კირვალიძე ნოდარ იოსების ძე (15. III. 1930, სოფ. სხვავა, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 18. XII. 1994, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1980). 1953–59 სწავლობდა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტზე.

პ-ის კვლევის სამეცნ. მიმართულებებია: შემეცნების თეორია, კერძოდ, პრაქტიკის როლი შემეცნებაში. გამოქვეყნებული აქვს ორი წიგნი: ,,ჭეშმარიტების საზომის პრობლემა ფილოსოფიაში'' (1978) და ,,Проблема критерия истины и «советология»'' (1982). ამ უკანასკნელში კრიტიკულადაა გაანალიზებული როგორც ძველი, ისე ახ. დროის სკეპტიკოსების არგუმენტები შემეცნების შესაძლებლობის წინააღმდეგ; პ. ცდილობს ამ არგუმენტების ლოგიკური და ფაქტობრივი უსაფუძვლობის დასაბუთებას და ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტების ძირითადი საზომი არის პრაქტიკა. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ,,სოვეტოლოგების'' მოსაზრებებს პრაქტიკის კრიტერიუმის წინააღმდეგ და მათ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებს.

კირვალიძე რევაზ ისიდორეს ძე (7. IX. 1928, თბილისი, – 18. X. 1997, იქვე), ნიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი (1958), პროფესორი (1990). 1951 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი და სამეცნ.-პედ. მოღვაწეობა განაგრძო ამავე ინ-ტის ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე. პ-მ გამოიკვლია აღმ. საქართველოს მშრალი სუბტროპ. ზონის ნიადაგები. მუშაობდა ნიადაგის შესწავლის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე. მისი თანაავტორობით გამოქვეყნდა ,,ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობის სახელმძღვანელო'' (თბ., 1973). პ. მონაწილეობდა საქართველოში პირველი აგროქიმიური კარტოგრამების შედგენასა და ნიადაგმცოდნეთა VIII და IX საერთაშ. კონგრესების მუშაობაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ვ. დოკუჩაევის სახ. მედალი (1983).

თხზ.: საქართველოს ნიადაგები, თბ., 1983 (თანაავტ.); ნიადაგის დაცვის საფუძვლები, თბ., 1984 (თანაავტ.); ნიადაგმცოდნეობის შესწავლის ზოგადი ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური ასპექტი, თბ., 1989.

თ. ურუშაძე.

კირთაძე დემურ გრიგოლის ძე (დ. 31. V. 1949, სოფ. ხომული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ანგიოქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). რფ-ის დამს. ექიმი (1997), სამედ.-ტექნ. აკად. ნამდვილი წევრი (1997), საერთაშ. ანგიოლოგიის კავშირის წევრი (1997).

1974 დაამთავრა მოსკოვის, ი. მ. სეჩენოვის სახ. სამედ. ინ-ტი. 1974–75 მუშაობდა №20 კლინ. საავადმყოფოს ქირურგ. განყ-ბაში; 1975–78 – №13 კლინ. საავადმყოფოს ტრავმატოლოგად; 1978–80 – მოსკოვის I სამედ. ინ-ტში, თავდაპირველად – ზოგადი ქირურგ. კათედრაზე აკად. ვ. სტრუჩკოვის ხელმძღვანელობით, შემდეგ (1980–88) ოპერაც. ქირურგიის კათედრაზე (ხელმძღვ. ი. სეჩენიკოვი), პარალელურად მუშაობდა მოსკოვის №7 კლინ. საავადმყოფოს სისხლძარღვთა ქირურგიაში (ხელმძღვ. ვ. პეტროვი). 1988–89 იყო №78 პოლიკლინიკის ქირურგ. განყ-ბის გამგე, დაინიშნა მედ.- სან. ნაწილის №4 მთ. ექიმად; 1991-იდან ხელმძღვანელობს მოსკოვის, ომის ვეტერანთა №1 მრავალპროფ. ჰოსპიტალს (2017-იდან – პრეზიდენტი).

პ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება ზოგადი ქირურგიის და ანგიოლოგიის აქტუალურ საკითხებს. არის 2 გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

მიღებული აქვს რუსეთის ფედერაციის სახელმწ. ჯილდოები და მედლები.

კირთაძე ენგურ გიორგის ძე (დ. 14. II. 1939, თბილისი), ბიოქიმიკოსი, დოქტორი (1995), პროფესორი (2004). დაამთავრა სას.-სამ. ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1961). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტის, შემდეგ – მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორ. თანამშრომელი (1963), მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1971), საფუვრის ბიოქიმიისა და მიკრობული დეტოქსიკაციის ლაბორ. ხელმძღვანელი (1972–2006).

პ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა საფუვრებისთვის უცხო ნაერთების გარდაქმნის შესაძლებლობებისა და გზების ძიება, შამპანურის ტიპის ღვინოების ხარისხის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანი ნაერთების ბიოქიმიური ცვლილების კანონზომიერებათა შესწავლა.

პ. არის სამეცნ. ნაშრომების და ერთი მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს აკად. ს. დურმიშიძის სახ. პრემია (1995).

კირთაძე ნესტან ლევანის ასული (დ. 8. VI. 1959, ქუთაისი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (1999). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი (1981). 1981–87 იყო ქუთაისის სახელმწ. პოლიტექ. ინ-ტის კათედრის, ხოლო 1990–99 – თსუ-ის პოლიტ. პარტიების ისტორიის კათედრის თანამშრომელი, დოცენტი, 1999–2006 – ამავე უნ-ის საქართვ. ისტორიის კათედრის პროფესორი.

1992–99 იყო პარლამენტის წევრი, 1995–96 – პარტია ,,მოქალაქეთა კავშირის'' პოლიტ. მდივანი; 1997-იდან – პარტია ,,სახალხო-დემოკრატიული კავშირი – ქრისტიან-დემოკრატების'' თავ-რე.

პ. არის რამდენიმე მონოგრაფიისა და სამეცნ. სტატიების ავტორი, მთ. რედ. წიგნისა ,,ნათელი ქრისტესი – საქართველო'' (ტეტრალოგია).

თხზ.: 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთ., 1996; ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919–1923 წწ.), თბ., 1997; საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები, თბ., 1997.

კირთაძე ნინო ინგურის ასული (დ. 1. VI. 1968, თბილისი), ჟურნალისტი, კინორეჟისორი, კინომსახიობი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1987). მუშაობდა საქართვ. ლიტერატურის ინ-ტში მეცნიერ თანამშრომლად (1986–92), საქართვ. სახელმწ. მეთაურის აპარატში კონსულტანტად (1993–94), სააგენტოების – ,,ფრანს პრესის'' და ,,ასოშეიტედ პრესის'' კორესპონდენტად კავკასიაში (1994–97). 1997-იდან ცხოვრობს საფრანგეთში. გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები: ,,ედუარდ შევარდნაძის სამი სიცოცხლე'' (1999), ,,ჩეჩნური იავნანა'' (2000; ადოლფ გრიმის ოქროს პრიზი, 2002), ,,სტალინი სტალინის შესახებ'' (2002), ,,სტალინი – ღმერთის დასაფლავება'' (2002), ,,უთხარით ჩემს მეგობრებს, რომ მკვდარი ვარ'' (2003), ,,მილსადენი მეზობლად'' (2005; ევროპული კინოაკადემიის პრემია ,,ფელიქსი'' სცენარისათვის, 2006), ,,დურაკოვო, ბრიყვების სოფელი'' (2007, სანდენსის საერთაშ. კინოფესტ. პრიზი რეჟისურისთვის, 2008), ,,რწმენისათვის, მეფისათვის, სამშობლოსათვის'' (2007; რუსეთი), ,,ზოგი რამ საქართველოს შესახებ'' საფრ.-საქართვ. (2009), ,,არ ისუნთქო'' (საფრ. 2014). არის საქართვ. კინემატოგრაფიის ერთვნ. ცენტრის წარმომადგენელი ,,ევრიმაჟში'' (2019-იდან).

პ. როგორც მსახიობი გადაღებულია ფილმებში: ,,წიგნი ფიცისა'' (რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, ა. დარსაველიძე, 1983), ,,თოვლის ბაბუა'' (ფიფქია, რეჟ. მ. ანთაძე, 1986), ,,დღე'' (ნატალია, რეჟ. ლ. ღლონტი, 1993), ,,შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი'' (ცეცილია აბაშიძე, რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1996), ,,კაცი, რომელიც ნდობას იმსახურებს'' (ანა, რეჟ. ფ. მონიე, 1997), ,,ორი ნული'' (დედილო მალი, რეჟ. ჟ. პირესი, 2004), ,,სარტრი, ვნების ასაკი'' (ლენა ზონინა, რეჟ. კ. გორეტა, 2006, სამივე საფრ.), ,,მეტეოიდიოტი'' (ქალბატონი სიკვდილი, რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 2008), ,,ოქროს ძაფები'' (ელენეს ქალიშვილი, რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 2019), მაღლენის როლი შეასრულა ფრანგი რეჟისორის, გ. ჟულიენ-ლაფერიეს ფილმებში. ,,ეს რა ოჯახია?!'' (2016), ,,ეს რა ბებიაა?! (2019); ,,ეს რა ბაბუაა?!'' (2021) და სხვ.



ნ. კირთაძე. კადრი ფილმიდან ,,შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი''. მსახიობები: ნ. კირთაძე – ცეცილია აბაშიძე, პ. რიშარი – პასკალ იმაკი. რეჟისორი ნ. ჯორჯაძე. 1996.

კირიე ელეისონ (კირიეელეისონ; ბერძნ. „უფალო შეგვიწყალენ"). 1. ლოცვის ამ ბერძნული სიტყვებიდან მომდინარეობს ქართული კრიალოსანი (კრიალესვანი, კრიალესონი), ანუ ასხმული მძივის მარცვლები – იმის სათვლელად, თუ რამდენჯერ წარმოთქვა მლოცველმა „უფალო შემიწყალე".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დაწერა ამავე სახელწოდების საგალობელი.

2. გულის გადასაყოლებელი, თავშესაქცევი ჩასათვლელი მძივი.

კირილე I, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 781–802.

წყარო: ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

კირილე II, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1737–39. პ. II მოიხსენიება 1738 წ. 2 თებერვლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში. სავარაუდოდ, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის გარდაცვალების შემდეგ მცირე ხნით კათოლიკოსი პ. II

გახდა. მთავარეპისკოპოსად იხსენიება 1736, 1737, 1740 და 1741 საბუთებში.

წყარო: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I (XV–XVIII), ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები საქართველოს XVI–XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის, ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,'' 1951, ნაკვ. 29; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

კირიონ I, იხ. *კირონ (კირიონ) I.*

კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) (10. XI. 1855, ქვემო ნიქოზი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 27.VI. 1918, სოფ. მარტყოფი, ახლანდ. გარდაბნის მუნიციპალიტეტი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1917–18), საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. წერდა ,,ივერიელისა'' და ,,ნიქოზელის'' ფსევდონიმებით. 1876 დაამთავრა თბილისის სას. სემინარია, 1880 – კიევის სას. აკადემია. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ოდესის სას. სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 დაბრუნდა საქართველოში და მოღვაწეობა დაიწყო თელავის სას. აკადემიაში, 1896-მდე პედ. მოღვაწეობას ეწეოდა გორის, ქუთაისისა და თბილისის სას. სასწავლებლებში. 1896, მეუღლისა და შვილების გარდაცვალების შემდეგ, ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1898 აკურთხეს ალავერდის, 1901 – გორის ეპისკოპოსად. აქტიურად იბრძოდა ქართ. ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც რუს. საეკლ. ხელისუფლება სასტიკად დევნიდა. 1902 გადაიყვანეს კამენეც-პოდოლსკში (უკრ.), 1903 – ხერსონში, 1904 – ორიოლის ეპარქიაში, 1906 სოხუმში დაბრუნებულმა კ. III-მ ბრძოლა განაგრძო საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, რის გამოც 1907 რუსეთში, კოვნოს ეპარქიაში გაანმწესეს. 1908 ჩამოართვეს ეპარქია, თავდაპირველად გაგზავნეს სოფ. კურიაჟის, შემდეგ – სანაქსარის მონასტერში. 1912 გადაიყვანეს ხერსონში. 1915 დაუბრუნეს ეპარქიის მართვის უფლება და პოლოცკისა და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. ამავე წლის 17 სექტემბერს წმ. ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. 1917 მარტში აღდგა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალია და 8–17 სექტ. საეკლ. კრებამ კ. III აკურთხა საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქად.

კ. III ავტორია ისტ., არქეოლ. და ფილოლ. ხასიათის გამოკვლევებისა. მან მიაკვლია ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორებიცაა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ძვ. ქართ. თარგმანი და ,,კორიდეთის ოთხთავი''. 1911 მან თავისი მდიდარი არქივი გადასცა საქართვ. საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ბას. მისი ინიციატივით პეტერბ. სას. აკადემიაში დაარსდა აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტ. კათედრა, რ-იც ქართ. ეკლესიის ისტორიასაც სწავლობდა.

კ. III ვერაგულად მოკლეს სოფ. მარტყოფში. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

2002 საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ კ. III წმინდანად შერაცხა და მღვდელმოწამე უწოდა. ხსენების დღეა 27 (10. VII) ივნისი.

ლიტ.: აბაკელია ე., ,,კირიონის პირადი საარქივო ფონდი'', კრ. მრავალთავი, ტ. 1, თბ., 1971; ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; მეტრეველი რ., ,,საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება'', თბ., 1982; მისივე, საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010.

ე. აბრამიშვილი.

კირიხლო, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში (ყულარის თემი), მარნეულის ვაკეზე. ზ. დ. 325 *მ,* მარნეულიდან 24 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2014),

კირმანეული თეთრი, XIII–XIV სს. ვერცხლის მონეტების სახელწოდება. ტერმინი ,,კირმანეული'' იხსენიება ქართულ საბუთებში, კერძოდ კი სასისხლო სიგელებში. მათზე დაყრდნობით ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნდა, რომ სახელწოდება ქართულია, თუმცა ეს მოსაზრება თავად ქართული წყაროებით ბათილდება. კერძოდ, ვაჩნაძეთა სასისხლო სიგელში ვკითხულობთ: «ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ: ,,ბერძენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰქვიან». აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს ფული ბერძნულია და ტერმინი ბერძნ. ონომასტიკონიდან მომდინარეობს [,,კირმანეული'' ბერძნ. სიტყვების, ,,კირ'' და ,,მანუილის'' (,,ბატონი მანუილის'') დამახინჯებული ქართული ფორმაა]. ამას ადასტურებს აგრეთვე ტრაპიზონის ერთ-ერთი მონასტრის 1259 შედგენილი აქტის ჩანაწერი, რომელშიც პირველად იხსენიება ,,ασπρα κυρμανου λανα κο'', რაც ქართულად ,,კირმანეულ თეთრს'' ნიშნავს. ამრიგად, ქართულ წყაროებში მოხსენიებული ტერმინი ,,კირმანეული თეთრი'' ბერძნულიდან მომდინარეობს.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; პატარიძე მ., სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური, თბ., 2020; Берадзе Т., Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.

კირნათი (ყოფ. სული), სოფელი აფხაზეთის არ-ის გულრიფშის მუნიციპალიტეტში (წებელდის თემი), აფხაზეთის გორაკიან მთისწინეთში. ზ. დ. 800 *მ,* გულრიფშიდან 40 *კმ.*


კ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.



კირიონ II. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

კირნათი, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭოროხის მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., გვარა, ზედა კირნათი, კობალეთი, მარადიდი, შუშანეთი, ძაბლავეთი). ზ. დ. 100 *მ,* ხელვაჩაურიდან 18 *კმ.* 340 მცხ. (2014).

კირნათის განძი, ძვ. წ. XVI–XV სს. ბრინჯაოს ცულების განძი. აღმოჩენილია 1994 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კირნათში, (ადგილ ფოტურზე მდ. ჭოროხის მარჯვ. სანაპირო). განძში შედიოდა 5 მთლიანი და 2 ნაკლული ცული (მომტვრეული აქვს ყუა და სატარე ხვრელის ნაწილი). ცულებს აქვს არქაული ნიმუშებისათვის დამახასიათებელი მასიური პროპორციები; ზედაპირი არაა საგულდაგულოდ მოსწორებული, წახნაგების შემქმნელი წიბოები არამკვეთრია; ზოგიერთ ცულზე, უფრო შუბლის მხარეს, შეინიშნება ქიმისებრი შვერილი; ტანის უკანა წახნაგები მეტ-ნაკლებადაა ჩაღრმავებული, პირი დაბალი და ოდნავ მომრგვალებულია, ნიღერი – არამკვეთრი. სავარაუდოდ, დამზადებულია დარიშხანნარევი სპილენძისაგან. კირნათის ცულებს უკვე გააჩნია გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ცულისათვის დამახასიათებელი ნიშნები: მახვილი დაქანებული ყუა, წვეტიანოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დაწახნაგებული ტანი და მეტნაკლებად გორდა ასიმეტრიული პირი. მათ უშუალო ანალოგები არ ეძებნება. ზემოთ დასახელებული და სხვა ნიშნების მიხედვით ისინი შუაბრინჯაოს ხანის ურეკის ყუამილიანი ცულების (ძვ. წ. XVIII–XV სს) იდენტურია, ოღონდაც



კირნათის განძი.

კირნათის მონაპოვარს ყუამილიანობა დაკარგული აქვს. იგივე ეხება სამეცნ. ლიტ-რაში კარგად ცნობილ ე. წ. პროტოტიპებსა და გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ზოგიერთ ცულს (ერგე, ზემო ჯოჭო, სახალვაშო, ქობულეთი, მელექედური, დიმი, სურმუში). კირნათის ცულები ადრე – და შუაბრინჯაოს ხანის ცულების ხანგრძლივი განვითარების ბოლო ეტაპია, რ-საც მოჰყვა თავდაპირველად პროტოტიპების, შემდგომ გარდამავალი ფორმების, ბოლოს კი საყოველთაოდ ცნობილი კოლხური ცულების გენეზისი თავისი სახეებითა და ქვესახეებით.

ჰ. ბ-ის სამეცნ. მნიშვნელობა დიდია. ქრონოლოგიურად იგი მეორე განძია კოლხურ კულტურაში ურეკის განძის შემდგომ. აღმოჩენების მიხედვით ჩანს, რომ ამ ბრწყინვალე კულტურის ფესვები, ისტ. სამშობლო ტექნიკურ სიახლეთა დამნერგავ სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში, სპილენძის საბადოებით მდიდარ ჭოროხის აუზში უნდა ვეძიოთ. სწორედ აქედან მომდინარეობს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ლითონის ნაწარმის დიდი ნაწილი.

ცულები დაცულია ბათუმის არქეოლ. მუზეუმში.

ლიტ.: კახიძე ა., კირნათის განძი, ,,აჭარა‘‘, 1995, 25. VIII.

ა. კახიძე.

კიროვაკანი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (კუმურდოს თემი), ახალქალაქის პლატოზე, ზ. დ. 1730 *მ,* ახალქალაქიდან 9 *კმ.* 331 მცხ. (2014).

კიროვაკანის გორასამარხი, ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური ძეგლი ქ. კიროვაკანში (სომხ. რესპ.). 1948 გათხარეს (ბ. პიოტროვსკი) მესაქონლე ტომის ბელადის მდიდრული კრემაციული სამარხი, რ- შიც ოქროს, ვერცხლისა და თიხის ჭურჭელი, აგრეთვე ბრინჯაოს იარაღი აღმოჩნდა. არქეოლ. მასალა ამ ხანის ამიერკავკ. მაღალი კულტ. მაჩვენებელია და დაკავშირებულია წინა აზიის დას. ნაწილის ქვეყნებთან. ანალოგიური მასალა აღმოჩენილია თრიალეთსა (იხ. *თრიალეთის კულტურა*) და კახეთში.

კიროვი (პარტ. ფსევდ; ნამდვ. გვარი კოსტრიკოვი) სერგეი მირონის ძე [15 (27). III. 1886, ვიატსკის გუბერნიის ქ. ურჟუმი (ახლანდ. კიროვის ოლქი), – 1. XII. 1934, ლენინგრადი (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი)], რუსი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. 1920 წ. 29 მაისს ჰ. დაინიშნა საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკაში, სადაც დაჰყო 1920 სექტემბრის ბოლომდე. მონაწილეობა მიიღო საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკასა და საბჭ. აზერბაიჯანს შორის თბილისში გამართულ მოლაპარაკებებში, რ-იც ამ სახელმწიფოთა საზღვრების დადგენას ეხებოდა. 1920 ბოლოდან პარტ. საქმიანობა განაგრძო ბაქოში – შედიოდა რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში. 1921 იანვარში ს. ორჯონიკიძესთან ერთად აქტიურად მოითხოვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას სამხედრო ინტერვენციის გზით. 1930 წ. 19– 20 ნოემბერს თბილისში საქ. კპ (ბ) ცკ-ისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთ. პლენუმზე პ-მა წაიკითხა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ და ყველა კომუნისტს მოუწოდა მჭიდროდ დარაზმულიყვნენ საკავშ. კპ (ბ) ცკ-ის გარშემო. იმავე წელს ჰ. გახდა საკავშ. კპ(ბ) ცაკ-ის პოლიტბიუროს წევრი, 1934-იდან – სსრკ ცაკ-ის პრეზიდიუმის წევრი.

მიღებული აქვს უმაღლესი სახელმწ. ჯილდოები. მოკლეს ლენინგრადში. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

უ. ბლუაშვილი.

კიროვი, იმერეთის რეგიონის ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. *სალომინაოს* ყოფილი სახელწოდება.

კიროვი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (დარჩელის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 10 *მ,* ზუგდიდიდან 23 *კმ.* 859 მცხ. (2014).

კიროვი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., გულიანთა, ვეზური, ზამთარეთი, თამაგინი, კობეთი, ლეთი, ნადარბაზევი, ნაკრება, ნოგყაუ, საგილზაზი, სტირმასიგი, ქასაგინი, ყევსელთა, მუაჭალა). ზ. დ. 1400 მ. ჯავიდან 35 *კმ.*

ჰ. 1991-მდე შედიოდა ჯავის რნში. საქართვ. რესპ. უზენაესი საბჭოს 1991 წ. 27 აპრილის დადგენილებით გადაეცა ონის რაიონს.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კიროვი (ყოფ. ლესორა), სოფელი ონის მუნიციპალიტეტში.

კიროვისი, ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. იფნარის ყოფილი სახელწოდება.

კიროვკა (ყოფ. მამაი), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში (დამია-გეურარხის თემი), მდ. დებედის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 410 *მ,* მარნეულიდან 16 *კმ,* სადახლოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 663 მცხ. (2014).

კირონ (კირიონ) I, ქართლის კათოლიკოსი 599–614/16. სომხური წყაროების მიხედვით, იგი ჯავახეთის სოფ. სკუტრიდან (საქუდარია) იყო. 15 წელი იყო მძევალი სომხეთში, ე. წ. ბერძნულ ნაწილში, კოლონიის პროვინციის დაბა-ქალაქ ნიკოპოლისში, სადაც მიიღო ბერძნული განათლება და აღიარა დიოფიზიტობა. ქ. დვინში, სომხურ მონოფიზიტურ საკათოლიკოსო ცენტრში გადასვლის შემდეგ დაუახლოვდა პატრიარქ მოსეს, აღიარა მონოფიზიტობა და დაიკავა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე მონასტრის წინამძღვრის ხარისხები. სომხეთში 5-წლიანი სას. მოღვაწეობის შემდეგ ქართლის პრომონოფიზიტურად განწყობილ პირთა მხარდაჭერით ჰ. I მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ავიდა. მან კურსი აიღო ბიზანტიისკენ და დაუპირისპირდა სპარსეთს, იბრძოდა ეროვნ. პროგრამის განხორციელებისთვის, რ-ის მიხედვითაც ქართლის შერეულ მოსახლეობაში საეკლ. მსახურება ქართულ ენაზე უნდა დამკვიდრებულიყო და სხვა ქრისტ. მრწამსის მიმდევრების ქალკედონიკობაზე დასაყოლიებლად ახალი ქრისტ. დოქტრინა უნდა შემუშავებულიყო. ამ ნიადაგზე ქართლის კათოლიკოსსა და ცურტავის მონოფიზიტ ეპისკოპოს მოსეს შორის კონფლიქტი მოხდა, რ-იც საეკლ. განხეთქილებით დასრულდა. ჰ. I-ის აქტიურობით 607–609 ქართ. ეკლესია საბოლოოდ დიოფიზიტური მრწამსის მატარებელი გახდა, სომხური – მონოფიზიტობის ერთგული დარჩა.

ჰ. I აქტიურად იყო ჩაბმული საერთაშ. ურთიერთობებში. მას დიპლომატიური მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან, იერუსალიმისა და სომხეთის პატრიარქებთან, სპარ-

სეთის სამეფოს უმაღლეს მოხელეებთან. არსებობს ვარაუდი, რომ კ. I და კიროს ფასისის მიტროპოლიტი (შემდგომში ალექსანდრიის პატრიარქი) ერთი და იგივე პიროვნებაა.

წყარო: არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1980; უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1975.

ლიტ.: მეტრეველი რ., საქართველოს მეფეები და პატრიარქები, თბ., 2010; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1).

კიროს ფასისელი, კიროს ალექსანდრიელი (გ. 21. III. 642), ახლო აღმოსავლეთის საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, თეოლოგი და მონოთელიტური წვალების ერესიარქი. წყაროებიდან ჩანს, რომ 623-მდე უკვე ეპყრა ფასისის მიტროპოლიტის ტახტი და ფაქტობრივად განაგებდა ლაზიკის საეკლ. და საერო ცხოვრებას. აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტ. იმპერიისა და სპარსელთა სამეფოს ომებში (626– 629). მისი სამიტროპოლიტო ქ. ფასისი ბიზანტ. კეისრის ბაზა იყო კავკასიაში ლაშქრობების დროს. ჩანს, კ. ფ-ის მეშვეობით ბერძნებს უკავშირდებოდნენ ხაზარები, აფხაზები და იბერიელები.

კ. ფ-მა ჰერაკლე კეისართან, სერგი კონსტანტინოპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად შექმნა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების გამაერთიანებელი ქრისტოლოგიური დოქტრინა, რ-იც მონოთელიზმის ან მონერგეიზმის სახელით არის ცნობილი, და მისი ყველაზე აქტ. განმახორციელებლი გახდა. 631 კ. ფ. ჰერაკლე კეისარმა ალექსანდრიის პატრიარქად გადაიყვანა და ეგვიპტის გამგებლობაც ჩააბარა. 633 კ. ფ-მა გამოსცა 9 თავისაგან შემდგარი მონოთელიტური ტრაქტატი, რ-იც აღმ. ეკლესიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეგვიპტელმა თეოდოსიანებმა მიიღეს ეს მოძღვრება, თუმცა შემრიგებლურ პოლიტიკას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს დიოფიზიტებმა. ამასობაში ალექსანდრია არაბებმა აიღეს. ჰერაკლე კეისარმა კ. ფ-ს ღალატი დასწამა და გადასახლება მიუსაჯა, მაგრამ კეისრის მემკვიდრეებმა მას მალევე დაუბრუნეს ძვ. უფლებები. VI მსოფლიო საეკლ. კრებამ (681) კ. ფ. მწვალებლად მიიჩნია და მისი ნაწერები გაანადგურა.

სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულია მოსაზრება კ. ფ-ისა, იმავე პერიოდის ეგვიპტის უპირველესი სახელმწ. მოღვაწე ალ-მუკავკასისა და ქართლის კათოლიკოსის კირონ (კირიონ) I-ის იგივეობის შესახებ.

ლიტ.: ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968; Болотов В. В., К истории императора Ираклия, „Византийский временник~, 1907, т. 14, в. 1; Butler A., The Arab conquest of Egypt and the last thirty years of the Roman dominion, Oxf. 1902.

ზ. ალექსიძე.

კირტიშო, ხეობის მყინვარი ონის მუნიციპალიტეტში, ცენტრალური კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩვეშურის (რიონის მარცხ. შენაკადი) აუზში. ექსპოზიცია სამხრ.-დასავლეთური. სიგრძე 4,8 *კმ*, ფართ. 5,3 *კმ* ^{2}. მყინვარის ენა ეშვება 2425 *მ* სიმაღლეზე. ფირნის ხაზი გადის 3840 *მ*-ზე.

ლიტ.: Гобеджишвили Р. Г., Ледники Грузии, Тб., 1989.

კირძვა, დანალექი ქანი. შედგება უმთავრესად კარბონატების კლასის მინერალ კალციტისაგან ($CaCO_3$), იშვიათად – არაგონიტისაგან, შესაძლებელია შეიცავდეს ტერიგენული ან აუტიგენური მინერალებისა და ქანების ნატეხებსაც. წარმოშობის მიხედვით არსებობს ბიოგენური (ზოოგენური, ფიტოგენური), ქემოგენური და შერეული წარმოშობის კ-ები. გვხვდება ნამსხვრევი და მეტასომატურიც. მეტამორფიზმის შედეგად კ. გარდაიქმნება *მარმარილოდ*. მას იყენებენ მშენებლობაში, მეტალურგიაში, სოფ. მეურნეობაში.

საქართველოში კ-ს საშენ მასალად ჯერ კიდევ 4 ათ. წლის წინათ იყენებდნენ (აფხაზეთის დოლომიტები). კ-ითაა მოპირკეთებული შუა საუკუნეების ქართ. არქიტექტურის მრავალი ძეგლი (გელათის, ბაგრატის, კაცხის, ხობის, ბზიფის ტაძრები, უქიმერიონი, ნიკორწმინდა, მოწამეთა და სხვ.). აგრეთვე შენობები თბილისში (სპორტის სასახლე საქართვ. არქივის შენობა, ქართ. ენციკლოპედიის მთავარი სამეცნ. რედაქციის ყოფ. შენობა, სასტუმრო ,,თბილისი მარიოტი'' და სხვ.), ქუთაისში, სოხუმში.

საქართველოში საშენი კ-ის საბადოებია თერჯოლის (ეკლარის ქვა სოფ. ჭოგნართან), ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, ბაღდათის (მდ. ხანისწყლის ზემო დინება), სენაკის (თეკლათი), ზუგდიდის (ცაცხვი), გალის (სათანჯო), ოჩამჩირის (ტყვარჩელის მიდამოები), სოხუმის (შრომა), გუდაუთის (ახალი ათონის მიდამოები), გაგრის (გაგრა და მისი მიდამოები) მუნიციპალიტეტებში, ქუთაისთან [გოდოგანი (გოდოგნის კ-იდანაა გამოკვეთილი თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლი), კვახჭირი, მოწამეთა], რიონსა და ცხენისწყალს შორის (ნამახვანი, მექვენა, ლარჩვალი, საირმისმთა) და სხვ.

საცემენტე კ-ები არის კასპის მიდამოებში, კახეთში, შიდა ქართლში და სხვ.

ვ. ზუხბაია.
ნ. ფოფორაძე.
გ. ჩიხრაძე.

კირშო (Kirsch) რაინერ (17. VII. 1934, დებელნი, – 4. IX. 2015, ბერლინი), გერმანელი მწერალი და მთარგმნელი. ვიტენბერგისა და იენის უნ-ტებში სწავლობდა ისტორიასა და ფილოსოფიას, 1965 კი დაამთავრა ლაიფციგის გერმ. ლიტ-რის ინ-ტი.

არის ლექსების, მოთხრობების, ესეების, საბავშვო წიგნების ავტორი. საქართველოს მიუძღვნა შემდეგი ლექსები: ,,გზა სიღნაღისაკენ'', ,,ბიჭვინთა'' (ორივე 1968) და სხვ. კ-ს ეკუთვნის ნარკვევი ვაჟა-ფშაველაზე; თარგმნილი აქვს ნ. ბარათაშვილის ყველა თხზულება (ორენოვანი გამოცემა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, თბ., 1968); ა. ენდლერთან ერთად შეადგინა ქართ. პოეზიის ანთოლოგია ,,რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია'' (გამოიცა 2-ჯერ ბერლინში – 1971, 1974), რ-შიც სხვა პოეტების ლექსების თარგმანებთან ერთად შევიდა ვაჟა-ფშაველას ,,ალუდა ქეთელაური''. კ. სამჯერ იყო საქართველოში.

ნ. კაკაბაძე.

კირცხალია ვლადიმერ გრიგოლის ძე (დ. 24. V. 1947, სოხუმი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2005), პროფესორი (2006). 1971 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკტი. მუშაობს სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინ-ტში, პარალელურად პედ. საქმიანობას ეწევა სოხუმის უნ-ტში.

მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება აეროდინამიკის, ჰიდროდინამიკის და მაგნიტური ჰიდროდინამიკის საკითხებს, ასევე ჩვეულებრივ და ელექტროგამტარ სითხეებში ტანგენციური წყვეტის მდგრადობას, არაერთგვაროვან გარემოში მასის უწყვეტობის განზოგადებულ განტოლებებს, აირზე გრავიტაციული ველის ზემოქმედებას, დედამიწის ატმოსფეროში ბგერის გავრცელების თავისებურებებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Applied Problems of Gas and Hydrodynamics, Saarbrucken, 2015.

კირცხი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდ-ებს – ხობსა და ჭანისწყალს შორის. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., სარაქონი). ზ. დ. 160 *მ,* ჩხოროწყუდან 10 *კმ.* 981 მცხ. (2014).

სოფელი დატანილია არქანჯელო *ლამბერტის* რუკაზე.

კისისხევი, მდინარე თელავის მუნიციპალიტეტში. სიგრძე – 37 *კმ,* აუზის ფართ. – 142 *კმ*^{2}. სათავეს იღებს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1870 *მ*-ზე. ერთვის მდ. ალაზანს მარჯვნიდან. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, ზაფხულ- შემოდგომაზე. ახასიათებს წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნა და ღვარცოფი. საშ. წლ. ხარჯი სოფ. კისისხევთან 1,45 *მ*^{3}*/წმ.*

ი. აფხაზავა.

კისისხევი, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. კისისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 660 *მ,* თელავიდან 9 *კმ.* 1,9 ათ. მცხ. (2014).

ჰ. VIII ს-მდე, კახეთ-ჰერეთის სამთავროს წარმოქმნამდე, აქტიურად იყო ჩართული საქართვ. კულტ. და სამეურნეო ცხოვრებაში. სავარაუდოდ, ჰ. და მისი შემოგარენი კახეთში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი ცენტრი იყო.

ჰ-ს კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგაც არ დაუკარგავს ამ ხეობის ცენტრის მნიშვნელობა. იმჟამად იგი ადმინისტრაციულად კახეთის ქორეპისკოპოსის ხელისუფლებას ემორჩილებოდა. საქართვ. პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ (XI ს.) საეკლ. ტერიტორიად განიხილებოდა. ერთიანობის ხანაში (XI–XV სს.) ჰ. მცხეთის კათოლიკოსის სახასო სოფელი იყო და ასეთად დარჩა საქართვ. პოლიტ. დაშლის შემდეგაც, თუმცა XVI ს-იდან კახეთის სამეფოში, სვეტიცხოვლის კუთვნილ მიწებზე, აშკარად შეიმჩნევა კახეთში მდებარე მონასტრებისა თუ კახელ ფეოდალთა შეტევა. სოფლის ყმა-მამულზე წილი დაიდო ჭერმის ეპისკოპოსმა, რ-ის კუთვნილ მამულებს ჰ-ში მოურავი განაგებდა.

1757 მეფე თეიმურაზ II-*მ* გააუქმა ჭერმის საეპისკოპოსო და ამ ხანებიდან ჰ. ალავერდელი ეპისკოპოსის ხელში გადავიდა. იმავდროულად, ჰ-ის ყმა-მამულის ერთი ნაწილი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისთვის იყო შეწირული. ამ მამულებს ,,ქრისტეს საფლავის მიწებს'', ხოლო მათზე მოსახლე გლეხებს ,,ქრისტეს საფლავის ყმებს'' უწოდებდნენ. ასეთად რჩებოდა ეს ტერიტორიები XVIII ს. II ნახევარშიც.

სოფელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამეფოს თავდაცვით სისტემაში. აქედან გამოსული ლაშქარი კახეთის მე-4, ,,მეფის თანა მყოფ'' სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ სამხ. ადმ. გაერთიანებას, მოგვიანებით, ალავერდელი ეპისკოპოსი სარდლობდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუს. მმართველობის დამყარების შემდეგ ჰ. თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა. სოფელი განთქმული იყო ,,ვენახ-ხილიანობით''.

სოფლის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში შემონახულია მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი, მ. შ. აღსანიშნავია: *კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია* (VI–VII სს. გადაკეთებულია X–XI სს-ში), კონდამიანის სამეკლესიიანი ბაზილიკა (VI–VII სს.), *კისისხევის წმინდა ნინოს ეკლესია* (ადრინდ. შუა საუკუნეები), ჯირკიანის საყდარი (VI–VII სს. მიჯნა).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1–2, თბ., 2015.

გ. ლორთქიფანიძე.

კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია, VI–VII სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს თელავის მუნიციპ-ის სოფ. კისისხევში. ტეტრაკონქის ტიპის გუმბათიანი ეკლესია ნაგებია რიყის ქვით. დეკორატიული თაღები და ლავგარდანი შირიმის ნათალი ქვისაა. შიგნითა კედლები შელესილი და შეთეთრებულია. X–XI სს-ში გუმბათის ყელი აამაღლეს და მოყვითალო ფერის შირიმის ნათალი ფილებით მოაპირკეთეს. ეკლესიის აღმ-ისა და დას-ის მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული, კონქით გადახურული აფსიდით. დანარჩენი ორი მკლავი მარკუთხაა და ასევე კონქითაა გადახურული. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-ით (რ-იც მოგვიანებით მიშენებულ, წმ. მიქაელ მთავარანგელოზის მცირე სამლოცველოსაძვალეში გადის), ჩრდ-ით და დას-ით. საკურთხეველი განათებულია ვიწრო, მაღალი, თაღოვანი სარკმლით. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა კუთხის ტრომპების მეშვეობით ხდება. გუმბათის ყელი საკმაოდ მაღალია და ვიწრო. სავარაუდოდ, იგი სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს: ქვედა ნაწილი (სარკმლების ჩათვლით) თავდაპირველია, ზედა ნაწილი კი X–XI სს. ეკუთვნის. ეკლესიის



კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია. VI–VII სს.

კედლებზე შემონახულია ძლიერ დაზიანებული „ხალხური“ მხატვრობის ფრაგმენტები, საიდანაც ჩანს, რომ ტაძრის იკონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ისტ. პირთა გამოსახულებებს. ეკლესიის მკლავები (დას. მკლავის გარდა) გარედან ხუთწახნაგაა, გუმბათის ყელი – რვაწახნაგა. გუმბათი გადახურულია ციცაბო, პირამიდისებრი სახურავით. ეკლესიას სამხრ-იდან ეკვრის მასზე უფრო მოგრძო, მაგრამ გაცილებით დაბალი დარბაზული ეკლესია, რ-იც XVI ს-ში წმ. მიქაელის სახელზე აუგიათ და თავად ქობულაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. შენობა რიყის ქვითაა ნაგები, აქვს ნახევარწრიული შვერილი აფსიდი და ორი შესასვლელი: ერთი – ჩრდ-იდან, თავდაპირველი ეკლესიიდან, ხოლო მეორე – დას-იდან. ეკლესიის ფასადები სადაა. 2006–07 საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას (თავდაპირველს და დარბაზულს) ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები: არქიტ. მ. გელაშვილი, გ. გომურაშვილი).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1–II, თბ., 2015; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

თ. დვალი.

კისისხევის წმინდა ნინოს ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს სოფ. კისისხევის (თელავის მუნიციპ.) სამხრ-ით 7–8 *კმ*-ზე. თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით. ეკლესია დარბაზულია. აღმ-ით დასრულებულია შვერილი აფსიდით, რ-იც გარედან ხუთწახნაგაა და ძირითადი კორპუსისგან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან მისივე თანადროული მინაშენები ეკვრის. სამხრ. მინაშენი, როგორც ჩანს, ეკლესიის შესაბამის კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა. ჩრდ. მინაშენი ეკლესიაზე რამდენადმე მოკლეა. იგი ფასადის შუა ნაწილზეა მიდგმული და ეკლესიის ძირითად სივრცეს ვიწრო კარით უკავშირდება. თუ როგორ იყო დაკავშირებული ეკლესია სამხრ. მინაშენთან, ვერ დგინდება. შენობა ნაგებია თანაბარი სიმაღლის სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, საგულდაგულოდ შერჩეული მოზრდილი ზომის რიყის ქვით, გარეთა კუთხეები და საკურთხევლის შვერილის წიბოები კი – სუფთად ნათალი შირიმის ქვით. იმავე მასალით ყოფილა გამოყვანილი აფსიდის კუთხეები, კონსტრ. ნაწილები, მორთულობის ელემენტები და ლავგარდანი. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია – დანგრეულია სამხრ. კედელი, სამხრ. მინაშენის უმეტესი ნაწილი; ჩამოშლილია კონქი და ჩრდ. მინაშენის კამარა; შიგა სივრცე, დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლეზე, ნანგრევებითაა ამოვსებული. ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრ. მინაშენის სამხრ. კედელში იყო მოწყობილი. საკურთხევლის აფსიდი ნალის ფორმისაა. აფსიდის ცენტრში გაჭრილია განიერი, მაღალი, პარალელურწირთხლებიანი სარკმელი, რ-იც შიგნიდან და გარედან ნალისებრი თაღითაა დასრულებული. დარბაზის გრძივი კედლები გლუვია, უპილასტრო. ჩრდ. კედლის დას. ნაწილში, მინაშენში გამავალი კარის მარცხ. მხარეს, წყობაში, ჩასმულია (მოგვიანებით) ორმოციოდე *სმ* სიმაღლის ქვიშაქვის კვადრი, რ-ზეც ე.წ. განედლებული ჯვარია გამოსახული. შენობის ფასადები სადაა. ეკლესიას გარშემოუყვებოდა რიყის ქვის გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1–II, თბ., 2015.

თ. გერსამია.

კისკემი, იხ. *ქისქემი.*

კისორეთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (გურნის თემი), რაჭის ქედის სამხრ. დას. კალთაზე, ოკრიბის წვრილმთიანეთში, მდ. ლეხიდრის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 590 *მ*, ტყიბულიდან 23 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. 55 მცხ. (2014).

სოფელში არის სამკურნალო თვისებების მქონე ბუნებრივი წყარო.

ჰ-ში დგას განვითარებული შუა საუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია. იმერეთის მეფე ლევანმა 1591 მთის წმ. გიორგის ეკლესიას განუახლა ჰ-ის ლომთაძენის შეწირულობა; ისინი თავის დროზე მეფის პაპის მიერ იყვნენ შეწირული. გვიან ფეოდალურ ხანაში ჰ. ოკრიბის შემადგენლობაში შედიოდა.

მის მახლობლად, ანატორიად წოდებულ ადგილზე, მდებარეობს შუა საუკუნეების ციხე. სოფლის მიდამოებში იმავე პერიოდის მეორე ციხეცაა, რ-საც რაგაოსის ციხეს უწოდებენ.

თ. ბერაძე.

კისორეთის წმინდა გიორგის ეკლესია, განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს სოფ. კისორეთის (ტყიბულის მუნიციპალიტეტი) განაპირას; ეკლესია დარბაზულია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. ფასადები და ინტერიერის კედლები ნაგებია სუფთად ნათალი მოყვითალო ქვის კვადრებით. დარბაზი გადახურულია სამ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით. სატრიუმფო და დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღები



კისისხევის წმინდა ნინოს ეკლესია. ადრინდ. შუა საუკუნეები



კისპორეტის ციხე. X–XI სს.

პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. გრძივი კედლების კიდეებში გამოყოფილია ერთსაფეხურიანი პილასტრები, რ-თა შორის კედლის მონაკვეთები გაფორმებულია დეკორ. თაღებით. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. შესასვლელი ორია – დას-იდან და სამხრ-იდან. ორსაფეხურიან ცოკოლზე დადგმული ფასადები შემკულია პროფილირებული კარნიზებით. სამხრ. შესასვლელი რთულპროფილიანი პორტალით არის გაფორმებული. ნაგებობა შემკულია ჩუქურთმებითა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებებით.

თ. ბერაძე.
ვ. დოლიძე.

კისპორეტის ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ ტაოში, იუსუფელის საფანეთის უბანში, მდ. პარხლისწყლის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. კისპორეტთან (ამჟ. თურქეთის ტერიტორია).

ციხე აღმართულია მაღალ, კლდოვან ბორცვზე. შემორჩენილია მისი 6 *მ*-მდე სიმაღლის კედლები. ნაგებია საშ. და მცირე ზომის ნატეხი ქვითა და დულაბით. განირჩევა აუზისა და შიდა ნაგებობების კვალი. ციხის ამჟამინდელი სახელწოდება (kisporeti) გვიანდელია. ე. ბარამიძის მიერ (ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით) შედგენილ საქართვ. ისტ. რუკაზე (1923) დატანილია ვეჟანგეთის სახელწოდებით.

ლიტ.: ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2016 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 2017.

კისტანი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (შატილის თემი). მდ. არღუნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2080 *მ,* დუშეთიდან 100 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

ჰ. ისტორიული ციხე-სოფელი და გამორჩეული არქიტ. ძეგლია. თარიღდება შუა საუკუნეებით. აგებულია რთულ კლდოვან რელიეფზე და ორ კომპაქტურ უბნად იყოფა; სოფლის ძირითადი ნაწილი, რ-იც 30-მდე ციხე-სახლისაგან შედგება, ერთდროულად საყოფაცხოვრებო და თავდაცვითი ფუნქციის მქონეა. სოფლიდან ცოტა მოშორებით, მაღალ ქარაფზე დგას თავდაცვითი ხასიათის ორი ნაგებობა. სოფლის გარეთაა ასევე საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობებიც. რთულ რელიეფზე ტერასულად ნაგები ციხე-სახლები ერთმანეთზე ისე მჭიდროდაა მიდგმული, რომ ერთი სახლის სახურავი მომდევნო სახლისათვის გამოსასვლელი ტერასაა, ხოლო მათი კედლების გარე კონტური სოფლის გალავნის ფუნქციას ასრულებს. შენობათა ძირითადი ტიპებია ბრტყელსახურავიანი ციხე-სახლი და პირამიდულსახურავიანი საბრძოლო კოშკი, რ-ებიც ერთობლიობაში ციხესიმაგრეს ქმნიან. შენობები ნაგებია ფიქლის ქვის მშრალი წყობით, იშვიათ შემთხვევაში – ქვითკირით. გადახურვაში გამოყენებულია ხის მასიური კონსტრუქცია ზედ მოწყობილი თიხატკეპნილი იატაკით, ბანით ან ქვისსაფეხურიანი პირამიდული სახურავით. კედლებში დატანებულია მცირე ზომის სარკმლები, სათოფურები და კერის ,,საკვამები‘‘. ბოლო სართულებზე შეინიშნება ხის აივნების კვალი და საბრძოლო ჩარდახები. სოფლის შემადგენლობაშია რამდენიმე ,,სამრეკლო‘‘ (ქალთა საწესო ადგილი), წისქვილები და ხატები სოფლის გარეთ არის გატანილი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

კ. კახაძე.
ვ. ჭინჭარაული.



კისტანი. ციხე-სიმაგრე. შუა საუკუნეები.

კისტოფორი (cistophori), როდოსის სამონეტო სისტემის შემსუბუქებული სტანდარტის მიხედვით მოჭრილი ტეტრადრაქმა (საშ. მასა 12,65 *გ*), რ-ის ემისიას მცირე აზიის ქალაქები ძვ. წ. II ს. I ნახ-იდან ახორციელებდნენ. ტეტრადრაქმის გარდა იშვიათად იჭრებოდა დიდრაქმები და დრაქმები. მონეტის ტიპი ყველა ზარაფხანისათვის უნიფიცირებულია. ჰ-ის ავერსზე გამოსახულია ნახევრად ღია მისტიკური (სარიტუალო) კალათი, ანუ კისტა (აქედან მომდინარეობს სახელწოდება ჰ.), საიდანაც გველი მოძვრება (დაკავშირებულია დიონისეს კულტთან); გარშემო სუროს ფოთლების გვირგვინია. რევერსზე

ისრებისაგან მოწნული საკრალური გამოსახულება ჩასმულია ორ გველს შორის. მონეტაზე აღბეჭდილი სიმბოლოებითა და მონოგრამებით დგინდება ზარაფხანა და მონეტის მოჭრის თარიღი.

პ. დიდი რაოდენობით იჭრებოდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მცირე აზიისა და რომის ეკონ. ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ აღმ. პროვინციები რომს პ-ით უხდიდნენ კონტრიბუციას. მაგ., ძვ. წ. 190–189 ტრიუმფის დროს რომის ხაზინაში 960 ათასი პ. შევიდა. ეს მონეტები ფართოდ მიმოიქცეოდა აღმოსავლეთში თვით იმპერატორების ეპოქაში, ამასთანავე აღმოსავლეთის ზარაფხანებმა დაიწყეს მონეტების მოჭრა იმპერატორის გამოსახულებითა და ლათინური ლეგენდით. ამ მონეტის მასა გათანაბრებული იყო პ-ის მასასთან.

საქართველოში პ-ის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა აღრიცხული – 1966 მას ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია. აღმოჩენილი პ. მოჭრილია პერგამონში ძვ. წ. 50–49.

ლიტ.: დუნდუა გ., ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კისტოფორის შესახებ, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971; დუნდუა გ., ჯალაღანია ირ., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Зограф А. Н., Античные монеты, „Материалы и исследования по археологии СССР“; в.16 М–Л., 1951; Казаманова Л. Н., Введение в античную нумизматику, М., 1969.

გ. დუნდუა.

კისტრიკი, ნეოლითის ხანის (ძვ. წ. VII–VI ათასწლ.) ნამოსახლარი. მდებარეობს სოფ. ბამბორაში (აფხაზეთის არ, გუდაუთის მუნიციპალიტეტი), კისტრიკის ღელის მარჯვ. ნაპირზე, შავი ზღვის ნაპირიდან 100 მ-ზე (II ტერასაზე), 4,8 *მ* სიმაღლეზე.

კ. ღია ტიპის ნამოსახლარია, უკავია 6 *ჰა* ფართობი. კულტ. ფენების სისქე 30–60 *სმ.* თითქმის მთელ ფართობზე, ალუვიურ თიხნარში ჩართულია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, კაჟის, ობსიდიანისა და რიყის ქვის იარაღ-ხელსაწყოები და მათი დამზადების პროცესში წარმოქმნილი ნაშთები.

კ-ის ნამოსახლარს პირველად მიაკვლია ა. ლუკინმა 1940. მან 13500 იარაღ-ხელსაწყო და წარმოების ნაშთი შეაგროვა. 1941 აფხაზეთის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. სოლოვიოვი) დიდძალი მასალა მოიპოვა. 1958–60 კ-ის ნამოსახლარი შეისწავლა საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის შავიზღვისპირეთის შემსწავლელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი, რაზმის უფროსი ლ. ნებიერიძე).

კ-ის კერამიკა ფრაგმენტულია (მათი აღდგენა არ ხერხდება), ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი, კეცი სუსტად და არათანაბრადაა გამომწვარი, ცომში სილის მინარევებია. ფორმის მიხედვით გვხვდება ქილისებრი ჭურჭელი, რ-საც კედელი ვერტიკალური (ზოგან გადახრილი) აქვს, ძირი კი – ბრტყელი. რიყის ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია გახეხილ-გაპრიალებული ცულები, ხელჩაქუჩები, ხელსაფქვავები, სატეხ-სათლელები, სახეხები, საწაფები, შურდულის ქვები, წერაქვისა და თოხისმაგვარი იარაღები.

საყურადღებოა მიკროლითური ტექნიკით დამზადებული კაჟისა და ობსიდიანის იარაღები: ტრაპეციის, სეგმენტისა და ოთხკუთხა ფორმის ჩასართები, რ-თა უმრავლესობა ორმხრივადაა დამუშავებული. კ-ის კოლექციაში დიდი რაოდენობით გვხვდება სხვადასხვა ტიპის საფხეკები, საჭრისები, ბურღ-სახვრეტები, დანისებრი ლამელები, ისრისპირები, პიკისებრი იარაღები, ძვლის სადგისი და სხვ.

საქართველოს სხვა ტერიტორიაზე სინქრონული მასალები მოპოვებულია ოდიშის, ანასეული II-ის, ჩხორთოლისა და სხვ. ნეოლითურ ნამოსახლარებზე.

ლიტ.: ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; Лукин А. Л., Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, „Советская Археология“, 1950,№12; Соловьев Л. Н., Неолитическое поселение побережья Кавказа: Нижне–Шиловское и Кистрик Материалы по археологии Абхазии, Тб., 1967.

კ. კალანდაძე.

კიტია გიორგი (გია) დორიანის ძე (დ. 27. II. 1956, თბილისი), თეატრისა და კინოს რეჟისორი და მსახიობი, პედაგოგი. 1979 დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ინ-ტის ცირკის, ესტრადისა და მასობრივი წარმოდგენების სარეჟისორო ფაკტი. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსკოვის ცირკში („ცვეტნოი ბულვარი“). 1981–87 იყო თბილ. რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის, 1987–2007 კი ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორი. 1981-იდან დღემდე თეატრ. უნ-ტის რეჟისურის კათედრაზე ეწევა პედ. საქმიანობას.

დადგმული აქვს სპექტაკლები: ო. ჰენრის „წითელკანიანთა ბელადი“, ე. შვარცის „თოვლის დედოფალი“, ნ. გლადკოვის „ბრემენელი მუსიკოსები“, ჯ. ჯერომის „ტომმი“ (გრან-პრი, დონის-როსტოვი, მსოფლიო საბავშვო თეატრის გენ. ასამბლეის ფესტივალი, 1995), ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „საშობაო ზღაპრების” სერია, ა. ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის ზღაპარი“, 1995-იდან არის საბავშვო თეატრების განვითარების ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. სხვადასხვა წლებში იყო საბავშვო სპექტაკლების ფესტივალების (მოსკოვი, ნოვგოროდი, ეკატერინბურგი, ტიუმენი, ვარშავა) ლაურეატი. 2003-იდან არის საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მთ. რეჟისორი.



გ. კიტია.

კ. გადაღებულია ფილმებში: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (რეჟ. თ. აბულაძე, 1962), „ბიჭი და ჩიტი“ (რეჟ. კ. სურმავა, 1968), „რენე მიდის ჰოლივუდში“ (რეჟ. ა. ცაბაძე, 2010) და სხვ. 1999 დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

კიტია ნოშრევან (დორიან) ვალერიანის ძე (24. VIII. 1927, თბილისი, – 24. X. 2006, იქვე), კულტურის მუშაკი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1951 დაამთავრა სპი-ის არქიტ. ფაკ-ტი. ამავე წლიდან მუშაობდა არქიტ. კათედრაზე, იყო ინ-ტის პროფკავშირის კომიტეტის თავ-რე. როგორც მომღერალი და მუსიკოსი, აქტიურად იყო ჩართული ინ-ტის საესტრადო ორკესტრის საქმიანობაში. 1957–59 მუშაობდა საქართვ. ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავ-რედ. იყო თბილ. მოზარდ მაყურებელთა (1959–62) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1962–70) თეატრების დირექტორი, საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის დირექტორის პირველი მოადგილე (1975–81), გენ. დირექტორი (1981–89). 1991-იდან მუშაობდა თბილ. დიდი საკონცერტო დარბაზის საკონცერტო პროგრამების ხელმძღვანელად (სიცოცხლის ბოლომდე). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).



ნ კიტია.

კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე (დ. 9. VI. 1938, თბილისი), ეროვნული გვარდიის სარდალი (1991). დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახ. თბილ. სამხატვრო სასწავლებელი (1957), სამხატვრო აკადემია (1967). იყო საქართვ. რესპ. უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990–91) და თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავ-რე (1990). სამხედრო საბჭოსა და სახელმწ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1992). პრემიერ-მინისტრის I მოადგილე და თავდაცვის მინისტრი (1992–93), საქართვ. პარლამენტის წევრი (1992–95); 1991–92 ეროვნ. გვარდიის წევრებთან ერთად ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ბრძოლას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. მონაწილეობდა საქართვ. სამოქალაქო და აფხაზეთის ომებში. 1995 ჰ. დააპატიმრეს უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ორგანიზების ბრალდებით. 1999 წ. 22 მაისს პრეზიდენტმა შეიწყალა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე.



კიტრი.

კიტოხი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში გუდამაყრის შავი არაგვის ხეობაში. გუდამაყრის თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., ათნოხი, ბაკურხევი, ბახანი, ბოსელი, ბურსაჭირი, გამსი, დიდებანი, დიხჩო, დუმაცხო, ზანდუკი, თოთიაურნი, თორელაანი, ლუთხუბი, მაქართა, საკერპო, საჩალისჭალა, სიჯანანი, ფახვიჯი, ჩობალაურნი, ჩოხი, წინამხარი). ზ. დ. 1300 *მ,* დუშეთიდან 63 *კმ.* 25 მცხ. (2014).

კიტრი (Cucumis sativus), ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე გოგრისებრთა (Cucurbitaceae) ოჯახისა. გვხვდება ნახევარბუჩქისებრი ფორმითაც. ფესვთა სისტემა შედგება მთავარი ღერძისა (1 *მ*-მდე) და გვერდითი ფესვებისაგან, რ-ებიც ძირითადად ნიადაგის სახნავ (10–30 *სმ*) ფენაში ვრცელდება. ღერო მხოხავი ან ხვიარაა, სიგრძე 1,5–2 *მ* აღწევს. ფოთოლი დიდყუნწიანია, ოდნავ ფრთისებრი, ხუთკუთხა. ჯიშის მიხედვით ნაყოფის ფორმა, ფერი და სიდიდე ერთმანეთისგან განსხვავდება. მისი ზომა 5–10 *სმ*-მდე მერყეობს. ნაყოფი მწვანეა, ღია მწვანე, რძისებრი თეთრი და სხვ. ძირითად ფერს ზოგჯერ აქვს ლაქები – ვარაყი, ზედაპირი შეიძლება ჰქონდეს გლუვი, პრიალა, დაბორცვილი, დაღარული, დახორკლილი, შებუსული. ჰ. ცალსქესიანი (გაყოფილსქესიანი), ერთსახლიანი და ჯვარედინმტვერია მცენარეა (ერთ მცენარეზე მამრობითი და მდედრობითი ყვავილები ცალ-ცალკე სხედან), გვხვდება ორსახლიანი და ნაწილობრივ ორსახლიანი ფორმებიც. მამრობითი და მდედრობითი ყვავილების გარდა, ჰ-ის ზოგიერთი ჯიში ივითარებს ჰერმაფროდიტულ (ორსქესიან) ყვავილებს. ზოგჯერ ჰ. გაუნაყოფიერებლად – ქალწულებრივად (პართენოკარპია) იძლევა ნაყოფს, რ-საც თესლი არ უვითარდება. ნაყოფს ძირითადად ცილინდრული ფორმა აქვს, თუმცა შეიძლება იყოს მრგვალი, ჩალმისებრი, კვერცხისებრი, თითისტარისებრი, ელიფსური, კლაკნილი და სხვ. ჰ. სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა. მისი სამშობლოა ინდოეთი. მოხსენიებულია ბიბლიაში როგორც ეგვიპტური ბოსტნეული.

საქართველოში ჰ. გავრცელებულია თითქმის ყველა ზონაში. ნ. *კეცხოველის* მონაცემებით, იგი ზ. დ. 1600 მ-მდეც გვხვდება, ზოგიერთი ჯიში (მურომსკი) კი 1700 მ-ზეც კარგად ხარობს.

ჰ. მოჰყავთ ღია და დახურულ გრუნტში. იყენებენ როგორც ნედლად, ისე მწნილის სახით. მისი ნორჩი (ქორფა) და დამარილებული ნაყოფი საკვებად გამოსადეგია ტექნიკურ სიმწიფეში. 3–4-დღიანი მასრებისაგან პიკულსა და კორნიშონს ამზადებენ. ნაყოფის ქიმ. შედგენილობა ასეთია (%-ობით): წყალი – 95–96; მშრალი ნივთიერება – 4–5 (მ. შ. შაქარი 2–2,5); ცილოვანი ნივთიერება – 1,0; ცხიმი – 0,1; უჯრედისი – 0,7; ნაცარი – 0,4. შეიცავს C, B_1, B_2, E ვიტამინებს, A პროვიტამინს, ორგ. მჟავებს, ფერმენტებს (ოქსიდაზა, დეჰიდრაზები და სხვ.), მინერ. მარილებს (განსაკუთრებით დიდი ხვ. წ. კალიუმსა (K) და ფოსფორზე (P) მოდის). ასევე შეიცავს თავისუფალ ამინომჟავებსა და ეთერზეთებს, რომლებიც განაპირობებენ მის სასიამოვნო გემოსა და გამაგრილებელ თვისებებს).

1973-იდან საქართველოში ღია გრუნტისათვის დარაიონებული ჯიშებია მუხრანული ადგილობრივი, ნეჟინური 12 (უკრაინული), ნოვოჩერკასკის 385, რუსტემი 96–1, ნეროსიმი 40 (რუსული); დახურული გრუნტისათვის – ,,მნოგოპლოდნი 3263'', ჰიბრიდი „ტეპლიჩნი 40''. სასალათე ჯიშებიდან წამყვანი ადგილი უჭირავს ადგილობრივს, კერძოდ, მუხრანულს, გილანურსა და შუშა კიტრს; ასევე გამოირჩევა ახალციხური (მესხური ჯიში), ანუ ლანგა კიტრი და ფიჩხის კიტრი (მოჰყავთ აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში).

უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოდის მდედრობითი ტიპის ჰ-ის ჯიშები, უმეტესად კი – ფუტკრითმტვერია ჰეტეროზისული, ასევე პართენოკარპული ჰიბრიდები (F_1).

ღია გრუნტში მოსაყვანად რეკომენდებულია ჯიში ფენიქსი; ფუტკრითმტვერია ჰიბრიდებიდან – ჰექტორი (F_1), პიაქსი (F_1), სპარტა (F_1); პართენოკარპული ჰიბრიდებიდან – დელფინა (F_1), კანისპირა (F_1).

სათბურში მოსაყვანად შემოაქვთ ჰიბრიდები: დარინა (F_1), ისატიხი (F_1), ნიკოლა (F_1), ფლამინგო (F_1), ევოლუცია (F_1), ზაზულია (F_1), TCXA–77 და სხვ. ამ ჰიბრიდებს მდედრობითი ყვავილები გამოაქვთ მთავარ ღეროზე. მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ. სათბურების გარდა ზოგიერთი მათგანი, მაგ., ისატიხი (F_1) გამოსადეგია ზაფხულში ღია გრუნტზე მოსაყვანად. ჰ-თვის საუკეთესოა ნოყიერი, მსუბუქი მექან. შედგენილობის, ქარისაგან დაცული ნიადაგი. თესლი მწკრივად და ბუდობრივად ითესება, გრძელბარდიანი ჯიშები (მუხრანული) – კვადრ.- ბუდობრივად 100×100 *სმ*-ზე, ხოლო მოკლებარდიანი – 70×70 *სმ*-ზე. ბუდნაში ტოვებენ 3–4 მცენარეს. ჰ-ის უმთავრესი მავნებლებია აბლაბუდიანი ტკიპა, ბუგრი; დაავადებები: ნაცარი, ბაქტერიოზი, თეთრი სიდამპლე, ანთრაქნოზი.

ლიტ.: ჯაფარიძე ვ. მებოსტნეობა, თბ., 2016.

თ. რობაქიძე.
ვ. ჯაფარიძე.

კიტრიული, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (წინაგრის თემი), შიდა ქართლის ვაკის ჩრდ.-აღმ-ით, მთისწინეთში. ზ. დ. 1100 *მ,* ახალგორიდან 95 *კმ.*

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ქართული არქიტექტურის ძეგლი – ყველაწმინდის ეკლესიის ნანგრევი. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. წარმოადგენდა დარბაზული ტიპის ეკლესიას. სამშენებლო მასალის მიხედვით დგინდება, რომ ძეგლი ფლეთილი და რიყის ქვით იყო ნაგები, გვხვდება შირიმის პროფილირებული ქვებიც. საგანგებო გათხრა-გაწმენდის გარეშე გეგმის დადგენა შეუძლებელია.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: შიდა ქართლი. ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. 4, თბ., 2008.

კიუხელგეკერი ვილჰელმ კარლის ძე [10(21). VI. 1797, პეტერბურგი, – 11(23). VIII. 1846, ტობოლსკი], რუსი პოეტი, დეკაბრისტი. 1811–17 სწავლობდა ცარსკოე-სელოს ლიცეუმში, სადაც დაუმეგობრდა ა. პუშკინს, ი. პუშჩინს, ა. დელვიგს და ა. გორჩაკოვს. 1821 დამლევს ცარიზმისაგან დევნილი კ. ჩამოვიდა თბილისში, სადაც ნახევარი წელი დაყო, დაუახლოვდა აქ მყოფ ა. გრიბოედოვს, გაეცნო ქართვ. მოღვაწეებს. აღტაცებული იყო საქართველოთი, რ-საც არაერთი ლექსი მიუძღვნა (,,ბედმა ალერსი მე არ მარგუნა'' და სხვ.). 1825 სანქტ-პეტერბურგში დეკაბრისტების ფარული საზ-ბის წევრი გახდა. 1826–46 ციხესა და გადასახლებაში გაატარა. კ. შორეულ ციმბირში ხშირად იგონებდა საქართველოს, რაც აისხა პოემაში ,,იური და ქსენია'' (1832–33; სრულად გამოქვეყნდა 1939).

თხზ.: [წიგნში] დეკაბრისტი პოეტები, თბ., 1958.

ლიტ.: Шадури В., Декабристская литература и грузинская общественность, Тб., 1958.

ვ. შადური.

კიფერი (Kieffer) როზმარი (30. XII. 1932, ლუქსემბურგი, – 18. IV. 1994, იქვე), ფრანგი ქართველოლოგი, მწერალი. დოქტორი (1958). პროფ. (1965). დაამთავრა სორბონის უნ-ტის ფრანგული ფილოლ. ფაკ-ტი (1955). ქართ. ლიტ-რით დაინტერესდა XX ს. 70-იან წლებში. შეისწავლა ქართ. ენა, ორჯერ ჩამოვიდა თბილისში, კონტაქტი დაამყარა ქართვ. მწერლებთან და მეცნიერებთან; საზღვარგარეთ კითხულობდა ლექციებს ქართ. კულტურისა და ლიტ-რის საკითხებზე. უცხოურ პრესაში აქვეყნებდა საყურადღებო სტატიებსა და რეცენზიებს. აღსანიშნავია მისი სტატიები: ,,შოთა რუსთაველი აღმოსავლური რენესანსის გარიჟრაჟზე'', ,,ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზია'', «კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენის'' შესახებ», ,,კულტურული ურთიერთობანი საქართველოსა და საფრანგეთს შორის'', ,,ნიკო ფიროსმანი'', ,,ანა კალანდაძის პოეზია'' და სხვ. ასევე წერდა სტატიებს ქართვ. მეცნიერებზე. კ. თარგმნიდა ქართვ. პოეტების ლექსებს.

ს. თურნავა.

კილურაძე გივი შალვას ძე (12. II. 1922, თბილისი, – 5. VIII. 1978, იქვე), ისტორიკოსი, ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი, ისტ. მეცნიერებათა დოქტორი (1967), პროფესორი (1970). 1943 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1969-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თსუ-ის ახ. და უახლესი ისტ. კათედრის გამგე. მისი სამეცნ. შრომები ეხება ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟ. რევოლუციების, აგრეთვე ახ. და უახლესი ისტ. საკითხთა ფართო წრეს. აქტიურად თანამშრომლობდა ქართ. ენციკლოპედიის რედაქციასთან. არის მრავალი საენციკლოპედიო სტატიის ავტორი.

თხზ.: ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან, თბ., 1960; საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1963; XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, თბ., 1970; ახალი ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1970–73 (თანაავტ.); XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წგ. 1 (1603–1642), თბ., 1979.

ლიტ.: გივი კილურაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1983.

კილურაძე თამაზ ბენედიქტეს ძე (28. IV. 1941, თბილისი, – 11. IV. 2002, იქვე), არქეოლოგი. ისტორიის მეცნ. კანდიდატი (1975). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1966 მუშაობა დაიწყო საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ-ბაში. 1979-იდან იყო ამავე მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში.

კ-მ თავის მასწავლებელ ა. ჯავახიშვილთან ერთად შეიმუშავა ადრესამიწათმოქმედო გორა-ნამოსახლარების გათხრის მეთოდიკა, რ-ითაც ამ ხანის არაერთი ძეგლია შესწავლილი. შულავრისა და იმირის გორებზე მიღებული გამოცდილების შედეგად კ-მ დამოუკიდებლად გათხარა და შეისწავლა ხრამის დიდი გორა; ასევე აღმოაჩინა და შეისწავლა ახალი, მანამდე უცნობი კულტურა, რ-საც აღმოჩენის ადგილის მიხედვით სიონის კულტურა უწოდა. დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა კ-ის მიერ შემუშავებულ ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაციას. კ-მ 1980 მარნეულის მუნიციპალიტეტში მიაკვლია ძეგლ დამიგაიას, რ-ის კედლის მხატვრობა შესრულებულია წითელი საღებავებით, რაც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში.

1988-იდან კ. რამდენჯერმე მონაწილეობდა ზაარბრიუკენის (გერმანია) უნ-ტის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნაქალაქარ თელ-ხუერაზე (სირია, პროფ. ვ. ორტმანთან ერთად), სადაც ხელმძღვანელობდა გათხრების ერთ-ერთ უბანს. ავსტრალიელ არქეოლოგებთან მუშაობდა მელბურნის უნ-ტის ექსპედიციაში (თურქეთი) ნამოსახლარ სოს-ჰუიუკზე (პროფ. ა. საგონასთან ერთად).

კ-ის ხელმძღვანელობის დროს საქართვ. სახელმწ. მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ფარგლებს გარეთ არქეოლ. გამოფენების გამართვის ტრადიციას, 1988 მიენიჭა ს. ჯანაშიას სახ. პრემია.

კ. სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორია.

თხზ.: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976; Neolithische Siedlungen von Kvemo Kartli, München, 1986.

რ. რუსიშვილი.

კილურაძე ივანე ტარიელის ძე (დ. 12. I. 1937, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1979), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1960). მუშაობდა თსუ-ში (1963–2006) და საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში (1966-იდან) სხვადასხვა თანამდებობაზე: იყო თსუ-ის პროფესორი და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა განყ-ბის გამგე (1973–89); საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. (2011-იდან თსუ-ის ა. რაზმაძის სახ. *მათემატიკის ინსტიტუტი*) ინ-ტის დირექტორი (1989–2006); არის ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი და დიფერენციალურ განტოლებათა განყ-ბის გამგე (2001-იდან).



ი. კილურაძე.

კ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივი თეორიის საკითხები და მათთან დაკავშირებული სასაზღვრო ამოცანები. მან შემოიღო არაავტონომიურ დიფერენციალურ განტოლებათა კლასიფიკაცია მათი ამონახსნების ოსცილაციური თვისებების მიხედვით; დაადგინა არსებითად არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების წესიერ სინგულარულ, რხევად და მონოტონურ ამონახსნთა არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები; მიიღო ასეთი ამონახსნების ზუსტი ასიმპტოტური შეფასებები და სხვ. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

ჯ. არის საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების – „Georgian Mathematical Journal“ („ქართული მათემატიკური ჟურნალი“; 1994-იდან), და „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“ („მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“) მთ. რედაქტორი, ასევე მრავალი საერთაშ. სამეცნ. ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

იყო საქართვ. ცენტრ. საარჩევნო კომისიის თავ-რე (1995–96), საქართვ. პარლამენტის წევრი (პარტიული სიით „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“), განათლების, მეცნ. და კულტ. კომისიის თავ-რე (2012–16).

არის მრავალი სამეცნ. პუბლიკაციის, მ. შ. 9 მონოგრაფიის ავტორი.

ჯ-ს მიღებული აქვს ა. რაზმაძის სახ. პრემია (1976), ივ. ჯავახიშვილის (1977), თ. მასარიკის სახ. უნ-ტის (ქ. ბრნო, ჩეხეთი) ვერცხლის (1977) და ამავე უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის ოქროს (1981), ჩეხოსლოვაკიის მათ. და ფიზ. კავშირის (1990), აგრეთვე ჩეხეთის მეცნ. აკადემიის ბოლცანოს (2006) მედლები და საქართვ. ღირსების ორდენი (1996).

თხზ.: On bounded and periodic solutions of linear higher order differential equations. „Математические заметки“, 1985, т. 37, №1; On the solvability of the Vallée-Poussin problem. „Дифференциальные уравнения“, 1985, т. 21, № 3; Boundary value problems for systems of ordinary differential equations. „Итоги науки и техники“, 1987, т. 30; Boundary value problems for systems of linear ordinary differential equations, Brno, 1997.

ლიტ.: Иван Тариелович Кигурадзе (К 60-летию со дня рождения), «Дифференциальные уравнения», 1997, т. 39, №1.



მ. კიშის ქართულ შრიფტთა ანაბეჭდი, ამსტერდამი, 1687.

კილურაძე ომარ დავითის ძე (დ. 1. VIII. 1939, თბილისი), ინჟინერ-თბოენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1993). 1963 დაამთავრა სპი-ის (1990-იდან სტუ) ენერგეტიკის ფაკ-ტი ინჟინერ-თბოენერგეტიკოსის სპეციალობით. 1963–65 მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნის თბოელექტროცენტრალის საქვაბე საამქროში ოპერატორად, სპეც. საკონსტრუქტორო გამშვებ-გამართველი ბიუროს ენერგეტიკის განყ-ბის უფროსად; 1966–68 – ლენინგრადის (ამჟანად სანქტ-პეტერბურგი) მეტროლოგიის საკავშ. სამეცნ. ინ-ტის თბილ. ფილიალის ლაბორატორიაში მეცნიერ თანამშრომლად. 1971–97 ეწეოდა პედ. საქმიანობას სპი-ის თეორიული და ზოგადი თბოტექნიკის და თბოენერგეტიკის კათედრაზე. 2007–08 ხელმძღვანელობდა თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დეპარტამენტს, პარალელურად არის საწვავი აირის აღრიცხვისა და კონტროლის სამსახურის უფროსი თბილ. თბოელექტროცენტრალში.

ჯ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა: ენერგოდამზოგავი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები; ენერგოეფექტური შენობები; საინჟინრო ექსპერიმენტის თეორია; ტექნოლ. გაზომვები და ხელსაწყოები; თბოსაიზოლაციო მასალების თბოფიზიკური თვისებები; სამშ. თბოფიზიკა და სხვ.

თხზ.: თბოტექნიკური გაზომვები და ხელსაწყოები, თბ., 2013.

კისი (Kiss) ტოტფალუში მიკლოშ (1650, ქ. ნადბანე, – 20. III. 1702, კოლოჟვარი), უნგრელი მებეჭდავი, ასოთმქანდაკებელი, მესტამბე, თეოლოგი. ჯ-მა ქ. ნადბანეს კალვინისტურ სკოლაში შეისწავლა ფილოლოგია და გაიარა თეოლოგიის კურსი. ქ. ფოგარაშში XVII ს. 70-იანი წლების ბოლოს ეწეოდა თეოლ. მოღვაწეობას. 1680 გაემგზავრა ჰოლანდიაში სასტამბო საქმის შესასწავლად. მან წარმატებით შეისწავლა შრიფტის ჩამოსხმის ხელოვნება და მალევე გაითქვა სახელი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევარია უნგრული ე. წ. „ოქროს ბიბლია“.

ჯ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის ბეჭდვის, ასევე ქართველი და უნგრელი ხალხების კულტ. ურთიერთობის ისტორიაში.

1684 არჩილ II-მ შვედი დიპლომატისა და მეცნიერის ი. გ. შპარვენფელდის მეშვეობით კ-ს დაუკვეთა ქართ. სასტამბო შრიფტი. ერთ წელიწადში კ-მა ამსტერდამში გამოაქანდაკა ქართ. ანბანის სამივე სახეობა (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული) და დაამზადა შესაბამისი მატრიცები.

საქართველოში სტამბის მოწყობისა და ქართ. წიგნის ბეჭდვის დაწყების ეს პირველი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

ლიტ.: შარაძე გ., მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა, თბ., 1982.

თ. დოლიძე.

კიჩჩოჩქორთი, მთა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ხევის კავკასიონზე, მდინარეების – ხდისა და არმხის (თერგის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 4117 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით. ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კალთებზე პატარა მყინვარებია. კ-ზე მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტებია.

კიჩხულდაში, სოფელი სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ნაკრის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 1600 *მ,* მესტიიდან 51 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

კიცხი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ბორიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ბორი, თეთრაწყარო, კიცხის იგორეთი, საქარიქედი). ზ. დ. 400 *მ,* ხარაგაულიდან 10 *კმ.* 729 მცხ. (2014).

კიცხის იგორეთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (კიცხის თემი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 420 *მ,* ხარაგაულიდან 8 *კმ.* 71 მცხ. (2014).

კიწია, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების პირველი კიწიისა და მეორე კიწიის გავრცელებული სახელწოდება.

კიჭკიჭა (Crepis), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახია. ცნობილია 200-მდე სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და აფრიკაში.

საქართველოში 12-მდე სახეობაა, მ. შ. 2 კავკასიის ენდემია. იზრდება ბუჩქნარში, ტყის პირებზე, დეკიანებში, სუბალპურ ტანბრეცილ ტყეში, ალპურ მდელოზე და სხვა. ზოგ სახეობას საქონელი ეტანება. Crepis ciliata-ს მიწისზედა ნაწილები შეიცავს კაუჩუკს.

კიჭუნა (Diplodus Puntazzo Walbaum, 1792; Puntazzo puntazzo Cetti, 1784), თევზი. მიეკუთვნება სპარისებრთა ოჯახს (Sparidae Regan, 1913), ზღვის კარჩხანების გვარს (Diplodus Rafinesqus, 1810). მაქსიმალური სიგრძე – 50 *სმ,* მასა – 4,5 *კგ*-მდე. კ-ს სასქესო ჯირკვალს გააჩნია როგორც მდედრის, ასევე მამრის ჩანასახი, რ-ისგანაც ვითარდება მხოლოდ ერთ-ერთი. მრავლდება ზაფხულში. იკვებება უმეტესად წყალმცენარეებით, წვრილი კიბოსნაირებით, მოლუსკებით და სხვ.

გავრცელებულია შავ ზღვაში კავკასიის, ყირიმის, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის სანაპიროებთან; ატლანტის ოკეანისა და საფრანგეთის სანაპიროებთან, სამხრეთით – მწვანე კონცხამდე. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან გვხვდება მთელი წლის განმავლობაში. შავი ზღვის კ-ს სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს, იჭერენ ერთეულების სახით. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUSN) მიერ არ არის შეფასებული.



კიჭუნა.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Световидов А., Рыбы Черного моря, М., 1964.

ნ. ნინუა.

კლადონია (Cladonia), მღიერების გვარი. აქვს ორგვარი თალუსი: პირველადი – ჰორიზონტალური (ქაფისებრი ან ქერქლისებრი) და მეორეული – ვერტიკალური (აღმოცენდება პირველადისაგან სადგისისებრი, რქისებრი ან დაბუჩქული გამონაზარდების – პოდეციუმების სახით). ცნობილია 300-მდე სახეობა. სახლობენ ძირითადად ნიადაგზე, ტყეში (მეტწილად ფიჭვნარში), ტუნდრასა და ჭაობში. ზოგი სახეობა ჩრდ. ირმის საკვებია, ზოგი უსნინის მჟავას შეიცავს და სამკურნალოდ იყენებენ.

კლავდიუს I, ტიბერიუს კლავდიუს დრუზუს ნერონ გერმანიკუსი (Tiberius Claudius Drusus Nero Germanicus) (ძვ. წ. 1. VIII. 10, ლუგდუნუმი, ახლანდ. ლიონი, – ახ. წ. 13. X. 54), რომის იმპერატორი 41–54. იმპერატორად გამოაცხადეს ჯარისკაცებმა იმპ. კალიგულას მოკვლის შემდეგ. თავდაპირველად არ ერეოდა სახელმწ. საქმეებში, დაკავებული იყო მეცნიერებით, კერძოდ, რომისა და ეტრუსკების ისტორიის შესწავლით. იმპერატორად გამოცხადების შემდეგ გაატარა მასშტაბური პროგრ. ღონისძიებები: გააუმჯობესა იმპერიის ფინანს. მდგომარეობა; რომის მოქალაქეობა მიანიჭა პროვინციელებს; შეიტანა ცვლილებები მემკვიდრეობით, საქორწინო და მონების სამართალში; მის დროს ჩაეყარა საფუძველი ბიუროკრ. აპარატს; სენატის ხარჯზე საგრძნობლად გაფართოვდა იმპერატორის ძალაუფლება. კ. I-მა დააწინაურა მხედართა წრიდან გამოსული, აგრეთვე გააზატებული ადამიანები; ეწეოდა ფართო სამშენებლო საქმიანობას.

კ. I-მა გაათავისუფლა პროპართული პოზიციის გამო შეპყრობილი არმენიის მეფე მითრიდატე (იბერთა მეფე ფარსმანის ძმა) და კვლავ არმენიის ტახტზე დააბრუნა. კალიგულას აგრესიული პოლიტიკისაგან განსხვავებით, კ. I კავკასიაში უფრო ფრთხილ და თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა. იბერიის მეფე ფარსმან I-მა თავისი ძმა, არმენიის მეფე მითრიდატე რომაელთა სანქციის გარეშე მოაკვლევინა და იქ თავისი შვილი, რადამისტი გაამეფა;

რადამისტმა არმენიაში ფეხი ვერ მოიკიდა და ფარსმანმა, რომის ზეწოლის შედეგად, რადამისტი მოაკვლევინა. რადამისტის მოკვლით პართელებმა ისარგებლეს და არმენიაში უფლისწული ტირიდატე გაამეფეს (52 წ.), რაც კ. I-ის კავკ. პოლიტიკის კრახი იყო. კ. I-ის მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა იბერიის სამეფო ოჯახის სომხეთში დამკვიდრებას, მაგრამ კავკასიაში მდგომარეობა მალე აირია; 54 იბერებმა არმენია დაკარგეს და იგი პართიის ხელში გადავიდა. კ. I მოწამლა ცოლმა აგრიპინამ. მისი ფერფლი დაკრძალულია რომში, ავგუსტუსის მავზოლეუმში. კ. I-ს ეკუთვნის 2 ისტ. თხზულება ეტრუსკებისა და კართაგენელების შესახებ.



კიჭკიჭა.



კლადონია.



ჰ. კლაპროთი.

ლიტ.: გამყრელიძე გ., თოდუა თ., რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბ; 2006.

ლ. სანიკიძე.

კლავიხო (Clavijo) რუი გონსალეს დე (დ. წ. უცნობია, – 2. IV. 1412, მადრიდი), მოგზაური, დიპლომატი და მწერალი, კასტილიელი აზნაური, თავისი დროისათვის დიდად განათლებული პოლიტ. მოღვაწე. 1403 კასტილიის მეფე ენრიკე III-ის (1390–1407) დავალებით ხელმძღვანელობდა ელჩობას თემურლენგთან სამარყანდში. მან ხმელთაშუა და შავი ზღვებით იმოგზაურა ტრაპიზონამდე, გაიარა ერზინჯანი, არზრუმი, ვალაშკერტი და 1404 სამარყანდში ჩავიდა. სამარყანდიდან ელჩობა ანისის, ყარსისა და საქართველოს ოლქების გავლით ტრაპიზონში დაბრუნდა და ზღვით გააგრძელა გზა. კ. მთელი მოგზაურობის განმავლობაში წერდა დღიურებს. მიუხედავად იმისა, რომ კ-მ კავკასიაში მხოლოდ 2–3 კვირა დაყო და მთლიანად არ გასცნობია მას, მაინც შეძლო საინტერესო ცნობებისა და ძვირფასი საორიენტაციო მასალის შეკრება. კ-ს დღიურებში ქართველების დახასიათებაცაა მოცემული: „ქართველები კარგი აგებულების და ლამაზი ხალხია. მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული“. მოცემული აქვს ასევე ლაზებით დასახლებული ტრაპიზონის მხარის სამეურნეო დახასიათებაც, რ-იც „ზღვასთან მდებარეობს. დაფარულია მთებითა და ტყეებით; ტყეში ყველა ხეზე გაშვებულია ვაზი, რომლის ნაყოფისაგან აყენებენ ღვინოს. ვაზს არასოდეს არ უვლიან“.

კ-ს აღწერილობანი მოკლებულია ყოველგვარ ფანტასტიკურობას. მის მიერ მოპოვებული ცნობები დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებით, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართვ. ისტორიის ზოგიერთი მომენტის აღსადგენად. კ-მ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა გიორგი VII-ის თემურლენგთან ბრძოლის პერიოდზე. მისი ცნობით თემურლენგს სამხრ. საქართველოზე გამავალ სავაჭრო გზასთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე თორთუმი აუღია. თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ კი დაპყრობილმა ხალხებმა, მ. შ. ქართველებმაც, დრო იხელთეს და თავი გაითავისუფლეს. გიორგი VII-მ დაიპყრო ანისი, არზრუმი და თავრიზამდეც კი მიაღწია.

ლიტ.: რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1992; შამილაძე ვ. მიმინოშვილი ო. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ნაწ. 1, თბ., 2009. Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл. 1935.

ე. მამისთვალიშვილი.

კლაპიტონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე (1800, სტამბოლი, – გ. წ. უცნობია), პირველი ქართველი ექიმი, რ-მაც რუსეთში მიიღო უმაღლესი სამედ. განათლება; ერეკლე II-ის კარის ექიმის შვილი.

1822 დაამთავრა პეტერბურგის სამედ.-ქირურგ. აკადემია და მუშაობა დაიწყო კარის ექიმად იმჟამად რუსეთში მყოფ დედოფალ მარიამთან. 1828-იდან ელიზავეტპოლის (ახლანდ. განჯა), 1832-იდან კი გორის მაზრის ექიმი იყო; 1836–43 მუშაობდა ბაქოსა და ნუხაში.

კ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. სამედ. ლიტ-რის განვითარებაში; პეტერბურგში ქართ. ენაზე 3 ნაწილად გამოსცა სამედ. დარიგებანი, რ-იც შემდეგ რუს. ენაზეც დაიბეჭდა; შეადგინა და მოსკოვში ქართ. ენაზე გამოსცა მოკლე კარაბადინი; მასვე ეკუთვნის ვრცელი ანგარიშები ინფექციურ სნეულებათა (შავი ჭირი, ქოლერა და სხვ.) ეტიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, კლინიკის, პრევენციისა და მკურნალობის შესახებ.

თხზ.: მოკლე კარაბადინი დარიგებისა თჳს ერისა, მისთჳს თუ ვითარი ღონის ძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან, მ., 1826; მოკლე კარაბადინი დარიგებისა თჳს ერისა, მისთჳს რაგვარის ღონის ძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ მდინარიდამ გამოღებული კაცი, მ., 1826.

მ. შენგელია.

კლაპროთი (Klaproth) ჰაინრიხ იულუს ფონ (11. X. 1783, ბერლინი, – 28. VIII. 1835, პარიზი), გერმანელი ლინგვისტი, ორიენტალისტი, მოგზაური. 1807-იდან რუსეთის მეცნ. აკადემიის ექსტრაორდინარული აკადემიკოსი, 1816-იდან – აღმოსავლური ენების პროფესორი პარიზში. 1807–08 მივლინებული იყო კავკასიაში ფილოლ., ეთნოგრ. და ისტ. კვლევისათვის. მან თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში ,,მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში‘‘ და სხვა შრომებში. თბილისში კ. იყო 1808 წ. 13 იანვრიდან ივნ-მდე. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე იმოგზაურა არაგვისა და მტკვრის სათავეებში, მტკვარსა და იორს შორის მდებარე რეგიონებში. ლეკების მადევარ ქართველ ფეოდალებთან ერთად იყო ლიახვის ველზე, აგრეთვე საქართველოს სამხ. გზაზე. თბილისში ქართვ. საზ-ბა ყოველნაირად უწყობდა ხელს მას მეცნ. კვლევაში. 14 ივნისს კ. გაემგზავრა მოზდოკს, ადგილ. ხელისუფლებისაგან ფარულად მოიარა მცირე და დიდი ყაბარდო, იქიდან ჩავიდა რაჭაში (ონამდე). ისტ. ნარკვევში კ. აღწერს თბილისს, ახასიათებს საქართველოს მთიელებს, მიმოიხილავს საქართველოსთან ოსების დამოკიდებულებას და სხვ. 1827 გამოსცა ქართ.-ფრანგული და ფრანგ.-ქართული ლექსიკონი (4000-მდე სიტყვა); დაიწყო ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს ბეჭდვა, რ-იც მისი გარდაცვალების შემდეგ დაამთავრა მ. ბროსემ.

თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა კ-ის სახელი.

ლიტ.: შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ნაწ. I, თბ., 2009; ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам, „Вопросы языкознания“, 1962, №4; Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг., Тб., 1946.

გ. თოფურია.

კლარსი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის გერის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), გუდისის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1600 *მ,* ერედვიდან 20 *კმ.*

კ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კლარჯეთი, მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ამჟ. თურქეთის ფარგლებშია). კ-ში შედიოდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის და სხვ. ხევები (საკუთრივ კ-ც თავდაპირველად ერთ-ერთი ხევი იყო). სახელწოდება მომდინარეობს დაბა კლარჯეთიდან. კ-ის უძველესი ცენტრია ციხე თუხარისი. მას განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, რ-ის რეზიდენცია V ს. II ნახ-იდან არტანუჯის ციხე უნდა ყოფილიყო. მეფე ვახტანგ გორგასალმა (V ს.) აქ ფართო კულტ.-აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო: ააშენა ეკლესია-მონასტრები, დააარსა ახ. საეპისკოპოსო (ცენტრი – ახიზა). კ. გახდა ირანის აგრესიის წი-

ნააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი. ამავე დროს ითვლებოდა ,,საყუდლად'' (თავშესაფრად) ,,ჟამთა მათ ბოროტთა, ოდეს განძლიერდეს სპარსნი''. VIII ს-ში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რ-ის წარმომადგენელმა მეფე აშოტ I-მა დიდმა IX ს. დასაწყისში არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული მხარე აღადგინა და დაასახლა. ამავე დროს, გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით აქ დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა და XI–XIII სს- ში გაიშალა ინტენსიური კულტ.- საგანმან. საქმიანობა. კ-ის სახელგანთქმულ ეკლესია-მონასტრებს, ,,კლარჯეთის თორმეტ უდაბნოს'', ,,ქართულ სინას'' უწოდებდნენ. XVI ს-ში კ. ოსმალეთმა მიიტაცა. 1579-იდან ჩილდირის საფაშოს, ხოლო 1877–78 (რუს.-თურქეთის ომის შემდეგ) ყარსისა და ბათუმის ოლქების შემადგენლობაშია.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59. ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

დ. მუსხელიშვილი.

კლარჯეთის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ქართლის სამეფოში. ქართული საისტორიო ტრადიცია კ. ს-ს დაარსებას, ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობით, ძვ. წ. III ს-ში ქართლის პირველ მეფე ფარნავაზს მიაწერს. აქ გაგზავნა მან თავისი მეშვიდე ერისთავი: „მეშჯდე გაგზავნა კლარჯეთს ერისთავად, და მისცა არსიანითგან ზღუამდე“. არსებობს მოსაზრება, რომ კლარჯეთის პირველი ერისთავები აზოს სახლის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. სად მდებარეობდა ამ დროს საერისთავოს ცენტრი, უცნობია. საინტერესოა, რომ ეს საერისთავო დაარსდა იმ ტერიტორიაზე, სადაც ფარნავაზმა ძალის გამოყენებით დაამყარა საკუთარი ხელისუფლება. საერისთავო, ფაქტობრივად, ქართლის სამეფოს უკიდურესი სამხრ.-დასით არსებული ადმ. ერთეული იყო, ამიტომ ქართლის სამეფოს დასუსტებისას ის სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში მოექცეოდა ხოლმე. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა დაიბრუნა ბიზანტიის მიერ მიტაცებული ტერიტორია, აღადგინა ადმ. ერთეული – საერისთავო და ერისთავად დანიშნა არტავაზი; დააარსა არტანუჯის ციხე-ქალაქი, რ-იც საერისთავოს პოლიტ. ცენტრი გახდა. ამის შემდეგ კ. ს. უკვე არტანუჯის სახელით მოიხსენიება.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

„კლარჯნი ხელმწიფენი“, ,,კლარჯეთის მეფენი'', ასე იწოდებოდნენ ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენლები – სუმბატ არტანუჯელი და გურგენი, ბაგრატ II არტანუჯელის ძენი. ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის ძის მიხედვით, გაერთ. საქართვ. პირველმა მეფემ, *ბაგრატ III*-მ, მოსალოდნელი განდგომის ასაცილებლად სუმბატი და გურგენი, რ-ებიც მისი მამიდაშვილები იყვნენ, ფანასკერტის ციხეში დარბაზობაზე მიიწვია, შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც ისინი 1012 გარდაიცვალნენ. მათ სამფლობელოს ბაგრატი დაეპატრონა. მათი შვილები – სუმბატის ძე ბაგრატი და გურგენის ძე დემეტრე – კონსტანტინოპოლში ბიზანტიის კეისარ ბასილი II-სთან გაიქცნენ, რათა მისი დახმარებით მამაპაპისეული ქვეყანა დაებრუნებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მათი მემკვიდრეები კი, რ-ებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს, პატიმრობაში დაიხოცნენ, რამაც განაპირობა არტანუჯელ ბაგრატიონთა, ანუ ,,კ. ხ-თა'' საგვარეულოს დასასრული.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, წგ.; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1978.

ა. პოგვერაძე.

კლარჯული, ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. გავრცელებულია დას. საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში – გურიასა და აჭარაში. ვაზი ინტენსიურად იზრდება, უხვმოსავლიანია. ყურძენს (მწიფს ოქტომბერში) აქვს საუკეთესო საგემოვნო თვისებები. მტევანი ცილინდრულ-კონუსური ფორმისაა, მარცვალი – მომწვანო-მოყვითალო; კარგად ინახება, ტრანსპორტაბელურია. საქართველოში გავრცელებულ აბორიგენულ ჯიშთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო სასუფრე ყურძნის ჯიშია.

რ. რამიშვილი.

კლასი საზოგადოებრივი, სტრატიფიკაციული სისტემა, რ-იც საზ-ბას სოციალურ პოზიციებად ყოფს. კ-ის ცნებაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა *კ. მარქსმა*. მისი აზრით, პირველყოფილი თემური წყობილების შემდეგ ყველა საზ.-ეკონ. ფორმაციაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ანტაგონისტური (დაპირისპირებული) კ: გაბატონებული კ., რ-იც წარმოების საშუალებებს (მიწა, კაპიტალი, ფაბრიკა-ქარხნები, ტექნოლოგია) აკონტროლებს, და დაქვემდებარებული კ., რ-იც არ ფლობს წარმოების საშუალებებს. კ. მარქსი თვლის, რომ ისტორიის მსვლელობისათვის მუდმივად დამახასიათებელია კლასთა ბრძოლა: დაქვემდებარებული კ. არ ეგუება ექსპლუატაციას და აჯანყებებისა და რევოლუციების გზით ცდილობს გაბატონებული კ-ის დამხობას. თანამედროვე ინდუსტრიულ საზ-ბაში მარქსი გამოყოფდა ორ ძირითად კ-ს: კაპიტალისტებს და მუშებს (პროლეტარიატს). იგი ვარაუდობდა, რომ კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მათ შორის არსებული უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, რასაც გარდაუვლად მოჰყვებოდა პროლეტარული რევოლუცია. თუმცა, კ. მარქსმა ვერ გათვალა კაპიტალიზმის განვითარების დინამიკა. მისი პროგნოზისაგან განსხვავებით, დას. სამყაროში მუშების რიცხვი კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. მათი დიდი ნაწილი სშ. კ-ის წევრი გახდა. აღნიშნული პროგნოზის მცდარობის მიუხედავად, კ-ის მარქსისეული გაგება დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას თანამედროვე სოციოლოგიის კონტექსტში.



კლარჯული.

კ-ის ალტერნატიული ხედვა ჩამოაყალიბა მ. ვებერმა (1864–1920). კ. მარქსისაგან განსხვავებით, მან სტრატიფიკაციის არაეკონომიკურ განზომილებაზეც გაამახვილა ყურადღება. საკუთრების გარდა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ე.წ. საბაზრო სიტუაციას, რ-იც მოიცავს იმ ინდივიდუალურ უნარებსა და გამოცდილებებს, რ-თა ფლობაც ინდივიდს უკეთეს სასიცოცხლო შანსს ანიჭებს, ამ უნარების არმქონე ინდივიდთან შედარებით. გარდა ამისა, სოც. სტრატიფიკაციის საკუთარ სქემაში მ. ვებერმა გამოკვეთა ისეთი ცნებები, როგორიცაა პარტია (პოლიტ. განზომილება) და სტატუსი (პრესტიჟის ფლობა).

XX ს-ში სოციოლოგებმა შეიმუშავეს კ-ის შეფასების განსხვავებული სტრატეგიები. მათგან აღსანიშნავია სოც. მობილობის შე-

დარებითი ანალიზი ინდუსტრიულ საზ-ბაში (Comparative Analysis of Social Mobility in Industrial Societies რ. ერიქსონისა და ჯ. გოლდთორპის) და კლასობრივი სტრუქტურისა და კლასობრივი ცნობიერების შედარებითი პროექტი (ე. რაითის ხელმძღვანელობით).

XX ს. ბოლოს, გლობალიზაციის ინტენსიფიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელების პირობებში, ზოგიერთი სოციოლოგი (ჯ. პაკულსკი, მ. უოთერსი) ,,კლასის სიკვდილზე'' ალაპარაკდა. ისინი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე საზ-ბებში სტრატიფიკაციის მთავარი ელემენტი კულტურა და მისი მოხმარებაა (კონსიუმერიზმი). კოლექტიური, კლასობრივი სოლიდარობის გრძნობა ინდივიდთა მოთხოვნილებებით და მათი დაკმაყოფილების საშუალებებითაა ჩანაცვლებული. ინდივიდები და სოც. ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ რას მოიხმარენ ისინი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოხმარების სფეროში ეკონ. განზომილება (ვის რაზე მიუწვდება ხელი) დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში სოც. სტრატიფიკაციის თავისუფალი ანალიზი ფაქტობრივად არ მომხდარა, რადგან, ოფიც. იდეოლოგიის თანახმად, სსრკ ,,უკლასო'' საზ-ბა იყო. პ-ის დოგმატურად გააზრებული ცნების ანალიზი მხოლოდ მარქსიზმის ჩარჩოებში ხორციელდებოდა. უკანასკნელ ათწლეულებში ქართველმა სოციოლოგებმა პ-ის ცნებას უფრო მეტი ყურადღება დაუთმეს და განსხვავებულ (პოსტინდუსტრიული თუ პოსტმოდერნიზმის თეორიების) ჭრილში გააანალიზეს.

ლიტ.: კ ო დ უ ა ე., სოციოლოგია, თბ., 1995.

გ. თავაძე.

კლასიკური განათლება, ზოგადი საშუალო განათლების ტიპი, რომლის მიზანია ლათინური და ბერძნული ენებისა და ანტიკური ლიტერატურის შესწავლა. ჩამოყალიბდა რენესანსის ეპოქის ევროპაში. პ. გ. მოექცა ვიწრო ფილოლ. ჩარჩოში და ხელს უწყობდა სწავლებაში ფორმალიზმის განმტკიცებას, რის წინააღმდეგაც გაილაშქრეს ჰუმანისტებმა. ამჟამად საფრანგეთსა და იტალიაში არის კლასიკური ლიცეუმები, გერმანიაში – კლასიკური გიმნაზიები, დიდი ბრიტანეთის გრამატ. სკოლებში – კლასიკური განყ-ბები; ბელგიაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში – კლასიკური სკოლები, თუმცა თავდაპირველი ფორმით პ. გ. უკვე აღარ არსებობს. XIX ს. II ნახ-ში გაჩაღდა ბრძოლა კლასიკური და რეალური განათლების მომხრეთა შორის. რეალური განათლების მომხრენი იყვნენ რევ. დემოკრატები – კ. უშინსკი და მისი თანამოაზრენი, მ. შ. ი. გოგებაშვილი.

კლასიკური ჭიდაობა, იხ. *ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.*

კლასიციზმი (ლათ. classicus – სანიმუშო), მხატვრული სტილი და ესთეტიკური მიმართულება XVII–XIX სს. ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ანტ. ლიტ-რისა და ხელოვნების გამოცხადება იდეალურ ესთეტ. ეტალონად. პ-ის საფუძველია დეკარტისა და კარტეზიანელობის რაციონალისტური პრინციპები. პ-ის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოები არის გონების, ლოგიკის ესთეტ. პროდუქტი. მხატვრული ფორმა ხელოვანის გონივრული შემოქმედებითი ნების გამოვლენაა, ცხოვრებისეული და ბუნებრივი მასალის გარდაქმნაა ლოგიკურად მწყობრ, ხელოვნების მშვენიერ ნაწარმოებად; ამით ხელოვნებას სამყაროს იდეალური კანონზომიერების გამოვლენის ფუნქციაც ეკისრება.

ლიტერატურაში პ-მა ყურადღების მთავარ საგნად სახელმწ. იდეოლოგიისათვის გამოსადეგი ზნეობა და იდეალები აქცია. ამოსავალ პრინციპად დაისახა წარმოდგენა სახელმწიფოზე, როგორც ადამიანის უმაღლეს სიკეთეზე. შემოქმედების ნორმატიულობა პ-ში მხატვრული კანონის თავისებურ დოგმატიზმში გადაიზარდა. ამ კანონებმა დასრულებული სახე მიიღო ნ. ბუალოს „პოეტურ ხელოვნებაში“ (1674). პ-ის მიმდევრები სავალდებულოდ თვლიდნენ ანტიკური ტრაგედიისათვის დამახასიათებელი სამთა ერთიანობის კანონის დაცვას, რაც გულისხმობდა ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობას: პიესაში ნაჩვენები ამბავი ერთი დღე-ღამის განმავლობაში უნდა მომხდარიყო; სადაც დაიწყებოდა მოქმედება, იქვე უნდა გაგრძელებულიყო და დამთავრებულიყო. ევრ. ლიტ-რის განვითარებაში პ. ეროვნ. ვარიანტების სახით გამოვლინდა. XVII ს. მიწურულს იგი შევიდა კრიზისის ფაზაში და ხელახლა აღორძინდა განმანათლებლობის ეპოქაში (ვოლტერის „არიადნა“, „ბრუტუსი“, „მუჰამადი“; მ. ჟ. შენიეს „შარლ IX“ და სხვ.).

ქართულ ლიტერატურაში პ-ის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. XVI–XVIII სს. ქართ. ლიტ-რის წიაღშივე შეინიშნება განმანათლებლური იდეების დამკვიდრებისა და შემოქმედებითი ნორმატივებისაკენ მიდრეკილება. კლასიცისტური სტილის თეორ.-დეკლარაციული გაფორმების ჩანასახს ნათლად გამოხატავს მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ (1731), უფრო მოგვიანებით კი – ანტონ I კათოლიკოსის შემოქმედება.

პლასტიკურ ხელოვნებაში პ-ის წინაპირობები ჯერ კიდევ XVI ს. II ნახ-ში ჩაისახა იტალიაში. XVII ს-ში პ. მხოლოდ საფრანგეთში იქცა ერთიან სტილურ სისტემად, საერთო-ევრ. სტილად კი დამკვიდრდა XVIII ს. – XIX ს. დასაწყისში. პ-ის მიმდევრები არქიტექტურაში მიმართავდნენ ანტ. ფორმებს, ძირითადად იყენებდნენ ორდერს. მათ ნამუშევრებში არქიტ. დეკორი მსუბუქად და ზომიერად ამკობს და არ ფარავს შენობის ზოგად სტრუქტურას. მოცულობათა დაგეგმარება ნათელი და სიმეტრიულია, ინტერიერის სივრცობრივი დანაწევრება – მკაფიო, ხოლო ფერები – ზომიერი; კლასიცისტური ნაგებობის ირგვლივ ქმნიდნენ პეიზაჟურ გარემოს – „ინგლისურ პარკს“. ხელოვნების დარგთა კლასიცისტურ სინთეზში წამყვანი ადგილი არქიტექტურას ეჭირა. ფერწერაში უპირატესობა ნახატსა და ჩრდილ-ნათელს ენიჭებოდა, ხოლო ლოკალური კოლორიტი 3 ძირითადი ფერის (მაგ., ყავისფერი – პირველი, მწვანე – მეორე და ცისფერი – შორეული პლანისათვის) შეხამებით იქმნებოდა. XVII ს-ში საფრანგეთში განვითარების მწვერვალს მიაღწია იდეალურმა პეიზაჟმა (ნ. პუსენი, კ. ლორენი, გ. დიუგე). XVII ს-სა და XVIII ს. დასაწყისში პ. გავრცელდა ნიდერლანდების ხუროთმოძღვრებაში. ინგლისში ჩამოყალიბდა მისი ეროვნ. ვარიანტი. XVIII ს-ში პ-ზე დიდი გავლენა იქონია ბერძნ. და რომაულ სიძველეთა არქეოლ. მონაპოვარმა, აგრეთვე ი. ი. ვინკელმანისა და სხვათა თეორიულმა შრომებმა. ამ ეპოქის ფრანგულ ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა საზ. ნაგებობათა, საცხოვრ. სახლებისა და ქალაქთდაგეგმარების ახ. არქიტ. ტიპები, მოქალაქეობრივი პათოსითა და ლირიზმით აღსავსე პლასტ. ნამუ-

შევრები, ისტ., რელიგ. და მითოლ. ფერწერა. XVIII ს-სა და XIX ს. დასაწყისში კ-ის ინტერნაციონალურ ცენტრად იქცა რომი, სადაც მუშაობდნენ სხვადასხვა ევრ. ქვეყნის ხელოვანები. ამავე პერიოდში კ. განვითარდა ესპანეთში, აღმ. ევრ. და სკანდინავიის ქვეყნებში, აშშ-სა და რუსეთში. XIX ს. I მესამედის დასასრ. კ., როგორც ფსევდოკლასიცისტური სტილი, კარგავს მნიშვნელობას. მისი ნიშნები შემორჩა XX ს. ნეოკლასიციზმს.

საქართველოში და, პირველ რიგში, თბილისში, XIX ს. დასაწყისიდან, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, გავრცელდა იმპერიაში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობა. შესაბამისად, იმდროინდელი ქალაქების არქიტექტურული განვითარება გვიანი კ-ის, ანუ ამპირის ფორმებს დაეყრდნო. ამ სტილით 10–50-იან წლებში შენდებოდა არა მარტო ყველა ოფიციალური შენობა, არამედ იგი საფუძვლად დაედო საცხოვრ. სახლების ადგილ. ტიპებს თბილისში, თელავში, სიღნაღსა და სხვ. თბილისში გვიანი კ-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშებია სიონის ტაძრის ახალი სამრეკლო (1812), ყოფ. კორპუსის შტაბის შენობა (ამჟ. თავისუფლების მოედანი №4, 824–27), ი. ზუბალაშვილის სახლი (30-იანი წლები, ახლანდ. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი).

თეატრალური ხელოვნება. კ. თავისი მახასიათებლებით ყველაზე მკაფიოდ თეატრალურ ხელოვნებაში გამოიხატა. ნ. ბუალოს ტრაქტატი „პოეტური ხელოვნება“ გავლენას ახდენდა როგორც დრამატურგიაზე, ასევე განაპირობებდა შესრულების თავისებურებებს. აღნიშნული ტრაქტატის მიხედვით ნორმად იქცა რენესანსის დროინდელი „სამი ერთიანობის“ პრინციპი. ამასთანავე, ადგილის, დროისა და მოქმედების მთლიანობას დაემატა ხასიათის მთლიანობა, რაც გამოიხატა კლასიცისტური ნაწარმოებებისთვის ნიშანდობლივი ხასიათების ტიპიზაციაში. მსახიობის შემოქმედების ძირითადი პირობა გახდა რაციონალური მეთოდი. კლასიცისტი მსახიობის შესრულების მანერა იყო დეკლამაციური – მას ლექსები უნდა წაეკითხა ემოციურად, მაგრამ არ უნდა შეექმნა ჭეშმარიტი განცდის ილუზია. სპექტაკლისათვის დამახასიათებელი იყო იმპოზანტურობა, სტატიკურობა, დეკორაცია მოკლებული იყო ყოველგვარ ისტ. და ყოფით კონკრეტულობას. აბსოლუტურ რაციონალიზმზე დაფუძნებული ეს მიმდინარეობა ფანტაზიის თავისუფლებას უპირისპირებდა დისციპლინურ საწყისს, რ-იც წინასწარ შემუშავებული კანონებისა და ნორმების აუცილებელ დაცვას გულისხმობდა.

XVII ს. განმანათლებლური კ-ის წარმომადგენლები იყვნენ მსახიობები: ა. ლეკენი, ი. კლერონი, მ. დიუმელინი. კ-ის დემოკრ. ტენდენციები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მოლიერის შემოქმედებაში. კ-ის წარმომადგენლები არიან კ. ნოიბერი (გერმანია), ჯ. კემბლი (ინგლისი), ე. რაშელი (საფრანგეთი) და სხვ.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში კ-ის გავლენა იგრძნობოდა „კომედი ფრანსეზის“ სპექტაკლებში, მსახიობების – ჟან მუნე-სიულის, ს. ბერნარისა და სხვათა შემოქმედებაში. რუს. კ-ის წარმომადგენლები არიან თ. ვოლკოვი, ი. დმიტრევსკი და სხვ. XX ს. დასაწყისში კ-მა ესთეტ. და მხატვრული კრიზისი განიცადა.

XVIII ს. საქართველოში კ. გამოვლინდა მეფე ერეკლე II-ის კარის თეატრის დადგმებში.

ქართლ-კახეთის სამეფოში საოპერო თეატრო საქმიანობას ეწეოდნენ გ. ავალიშვილი, ასევე ვინმე გაბრიელ მაიორი, მეფე ერეკლესთან დაახლოებული პირი, და მაჩაბელა. განსაკუთრებული წვლილი იმ პერიოდის თეატრის განვითარებაში მაინც გ. ავალიშვილმა (1769–1850) შეიტანა. იგი თარგმნიდა და კლასიცისტური თეატრის კანონების დაცვით წერდა ორიგინ. პიესებს (მაგ., „თეიმურაზ II“), სადაც განმანათლებელთა მსგავსად ყურადღება თეატრის დიდაქტიკურ ფუნქციაზეა გამახვილებული. გ. ავალიშვილმა 1791 დააარსა სამეფო კარის საერო თეატრი, სადაც იმავე წელს დაიდგა დ. ჩოლოყაშვილის მიერ თარგმნილი ჟ. რასინის „იფიგენია“. ქართ. თეატრის მემატიანეთა ცნობით, თეატრის შექმნაში ქართველებს დაეხმარნენ იმ დროს თბილისში მყოფი ვენის სათეატრო დასის ანტრეპრენიორი გრაფი კოჰარი და ი. *რაინეგსი*.

1795 ერეკლეს კარის თეატრმა არსებობა შეწყვიტა. აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, კრწანისის ველზე სამეფო თეატრის მთელი დასი დაიღუპა.

ლიტ.: კალანდაძე ა., *ლიტერატურული ნარკვევები*, თბ., 1972; რატიანი ი., კლასიციზმი ევროპულ და ქართულ მწერლობაში, *კრ.*: ლიტერატურული მიმდინარეობები (კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე), თბ., 2017; შარაშენიძე მ., კლასიციზმი და სენტიმენტალიზმი ქართულ ლიტერატურაში, წგ.: XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, ქუთ., 2013.

თ. გერსამია.
ს. მეტრეველი.

„კლდე“, ქართული ყოველდღიური გაზეთი, დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1918–20. რედ. – გ. ვეშაპელი, გამომცემელი – დამოუკიდებელი ეროვნ.-დემოკრ. პარტიის მთ. კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია. გაზეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა მასალები ეროვნ.-დემოკრ. პარტიის გაყოფის შესახებ. 1919 გაზეთი გამოდიოდა თავდაპირველად „ალი კლდის“, შემდეგ კი „პიტალო კლდის“ სახელწოდებით.

„კლდე“, ქართული ყოველკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიკუ-



კლასიციზმი. ყოფილი შტაბის შენობა. XIX ს. 30-იანი წწ. თავისუფლების მოედანი 4, თბილისი.

რი და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1912–15, რედ.-გამომცემელი – რ. გაბაშვილი. ჟურნალში სტატიებისა და წერილების გარდა იბეჭდებოდა გი დე მოპასანის, ჯ. ლონდონის, ჯ. კ. ჯერომის, ფ. კოპეს, ო. უაილდის, მ. ტვენის, ა. ფრანსის, ი. ვ. გოეთეს, ტ. შევჩენკოს და სხვა მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. ,,პ-ის'' მხატვარი იყო ო. შმერლინგი. 1915 ჟურნალი დაიხურა.

კლდე, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში. თემის ცენტრი (სოფლები: პ., წნისი). ზ. დ. 1020 *მ,* ახალციხიდან 9 *კმ.* 768 მცხ. (2014).

კლდეგოძალი, უკივლეთა, კლდოვანი მთა ონის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, მდინარეების – ჯეჯორისა და ქვედრულის წყალგამყოფზე. სიმაღლე 2212 *მ.* აგებულია ცარცული კირქვებით. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. პ-ის ჩრდ. კალთიდან ჩამოსულმა კლდეზვავმა 1896 შეაგუბა მდ. ქვედრულა და შეიქმნა ქვედის ტბა.

კლდეეთი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლების ზედა კლდეეთისა და ქვედა კლდეეთის გავრცელებული სახელწოდება.

კლდეეთის სამაროვანი, II ს. არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ზედა კლდეეთში (ზესტაფონის მუნიციპ.). შემთხვევით აღმოაჩინეს და ნაწილობრივ გათხარეს 1941–42 (დ. ლომაძე). ქვაყრილიან ორმოსამარხებში თითო (ერთ შემთხვევაში წყვილი) მიცვალებული ესვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დას-კენ. ზოგს ჩაყოლებული ჰქონდა შეკაზმული ცხენი და ძაღლი. სამარხებში აღმოჩნდა მდიდრული მასალა: ჭურჭელი (თიხის შავპრიალა და წითლად გამომწვარი ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლეები, ბრინჯაოს ხელადა და პატერა, რ-საც ტარი ქვისაგან გამოთლილი ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით აქვს შემკული, ვერცხლის თასები), იარაღი (ბრინჯაოს კვერთხი და ჯაჭვის პერანგის ნაშთები, რკინის სამფრთიანი ისრისპირები, შუბისპირი, სატევრები, ცული და მახვილი, რ-ის კოტას ამკობს ოქროს ბუდეში ჩასმული სარდიონის გემა), მონეტები (გოტარზის დრაქმები, ავგუსტუსის დინარები, ნერვასა და ტრაიანეს კესარიული დიდრაქმები და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილ. მინაბაძები), ბრინჯაოს, ვერცხლის, ელექტრუმისა და ოქროს სამკაული (საკისრე რკალები, სამაჯურები, ბეჭდები, მშვილდსაკინძები, ოქროს თავსამკაული და სხვ.). აღსანიშნავია ოქროს აგრაფი, რ-შიც ჩასმულია სარდიონის გემა – მამაკაცის პორტრეტი ჩაბალახის მსგავსი თავსაბურავით. ფიქრობენ, რომ მასზე გამოსახულია ადგილ. ქართვ. დიდებული, შესაძლოა – ერისთავიც.

პ. ს-ში აღმოჩენილი მინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელი ძირითადად იმპორტულია. პოლიქრომული სტილის ოქროს ნივთები კი ადგილ. ნაწარმი უნდა იყოს. როგორც ჩანს, კლდეეთში დაკრძალული არიან ანტ. ხანის იბერიის წარჩინებულები.

ლიტ.: ლომთათიძე გ., კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, თბ., 1957.

ი. გაგოშიძე.

კლდეისი, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი კლდეისისა და პატარა კლდეისის გავრცელებული სახელწოდება.

კლდეისისწყალი, მდინარე თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, ხრამის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ბედენის მასივის სამხრ. ფერდობიდან, სათავეში, ზ. დ. 1560 *მ* სიმაღლეზე, სოფ. პატარა კლდეისიდან 1 კმ დაშორებით პ. ქმნის 15 *მ*-მდე სიმაღლის ჩანჩქერს, რ-იც პატარა ტბას აჩენს.

ლიტ.: ხარაძე კ., თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი, თბ., 2014.

კლდეკარი, მწვერვალი და ვიწრო გასასვლელი კასპისა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტების საზღვარზე, თრიალეთის ქედის შუა მონაკვეთის თხემზე, მდების – თეძმისა და ალგეთის წყალგამყოფზე, მანგლისის ჩრდ.-დას-ით 12 *კმ*-ზე, ზ. დ. დაახლ. 2000 *მ* სიმაღლეზე. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებითა და ტუფბრექჩიებით. პ-ის მიდამოები შემოსილია ალპ. და შერეული ტყით. ქედის თხემზე შემორჩენილია *კლდეკარის* ციხესიმაგრის ნანგრევები.

კლდეკარი, ისტორიული ციხე-სიმაგრე აღმ. საქართველოში, *თრიალეთში,* თრიალეთის ქედის კლდოვან მწვერვალზე (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი). შემორჩენილია ნანგრევები. მდებარეობდა მნიშვნელოვან გზაგასაყარზე, იქ, სადაც გაპობილი კლდე გასასვლელს ქმნის (აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც პ., ე. ი. კლდის კარი). პ-ის ციხე ააგეს მას შემდეგ, რაც არგვეთელი ფეოდალი *ლიპარიტ I* ბაღვაში IX ს. 70-იან წლებში თრიალეთში გადავიდა. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში პ. *კლდეკარის საერისთავოს* ცენტრი იყო. საქართვ. სამეფო ხელისუფლებამ, რ-იც ვერ ეგუებოდა *ბაღვაშთა* პოლიტ. სიძლიერის ზრდას, რამდენჯერმე ჩამოართვა მათ პ-ის ციხე. 1103 მეფე დავით IV აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ციხესიმაგრეში თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამიერიდან პ-მა თანდათან დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959.

დ. ბერძენიშვილი.



კლდეკარი. ციხესიმაგრე. IX ს.

კლდეკარი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში (ბაღნარის თემი), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. სანდრიფშის (ხაშუფსეს მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 820 *მ,* გაგრიდან 35 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კლდეკარი, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ *გედაქლარის* ყოფილი სახელწოდება.

კლდეკარის ეკლესია, შუა საუკუნეების კლდეში ნაკვეთი დარბაზული ტიპის ეკლესია. მდებარეობს მდ. საძალიხევის მარცხენა ნაპირზე სოფ. სვერისა (ჭიათურის მუნიციპ.) და *სვერის ციხის* მახლობლად. ძეგლი კომპლექსური ხასიათისაა და გადაჭიმულია თითქმის 100 *მ*-ზე ჩრდ-იდან სამხრ-კენ. ეკლესიის კედლები სადად არის დამუშავებული, ჭერი ნახევრად ცილინდრული ფორმისაა. ნაგებობას აქვს ადრეფეოდალური ხანისთვის დამახასიათებელი ნიშნები. საკუთრივ კლდეს, რ-შიც გამოკვეთილია ეკლესია, ,,მულა ყუს კლდეს'' უწოდებენ – არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ თავისი ერთ-ერთი შემოსევის დროს დალაშქრა ეს ადგილები, თუმცა, სვერის ციხის აღება ვერ შეძლო. ჰ. ე., სავარაუდოდ, VIII ს-ით თარიღდება (ა. ვართაგავა).

ლიტ.: ვართაგავა ა., კლდეკარი, ,,საქართველოს ბუნება'', №7, 1975.

ლ. ურუშაძე.

კლდეკარის საერისთავო, ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში (IX ს. 80-იანი წლები – 1103). ,,მატიანე ქართლისაჲს'' გადმოცემით, მისი დამაარსებელი და პირველი ერისთავი იყო *ლიპარიტ I* ბაღვაში. ჰ. ს. მოიცავდა ატენის ციხეს, თრიალეთს, მანგლისხევს და საკურეთს (სკორეთს). კლდეკარის ერისთავების სამამულო სამფლობელო იყო არგვეთი (ზემო იმერეთი). ჰ. ს-ს აღმ-ით (ალგეთის და სკორეთის ხეობებში) ესაზღვრებოდა თბილ. საამირო, სამხრ.-აღმ-ით და სამხრ-ით – სამშვილდისა და ტაშირ-ძორაკერტის სომხური სამეფო, სამხრ.-დას-ით – ჯავახეთი, დას-ით – სამცხე, ხოლო ჩრდ-ით – ქართლის საერისთავო, რ-საც ჰ. ს-გან თრიალეთის ქედი ყოფდა. კლდეკარის მფლობელის ხელში იყო ჯავახეთიდან თრიალეთის გავლით ქართლში (ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი) გადასასვლელი ერთადერთი გზა. ჰ. ს-ს მოსახლეობის შესახებ შემორჩენილია მხოლოდ სტეფანოზ ორბელიანის ცნობა, რ-ის თანახმად თურქებთან ბრძოლის დროს (1018 ან 1049–50) ბიზანტ. მხარეზე მებრძოლი ლიპარიტ ბაღვაშის (იხ. ლიპარიტ IV) განკარგულებაში გამოცხადდა მისი ქვეშევრდომი 700 დიდი აზნაური და 16000 მეომარი. კლდეკარის ერისთავები ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ (იხ. სტ. *ბაღვაშები*).

ჰ. ს. საქართვ. ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტ. დაპირისპირების ნიადაგზე ჩამოყალიბდა და მალევე აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში [როგორც ვარაუდობენ, აფხაზთა (დას. საქართველოს) გაძლიერებული სამეფოს მესვეურებმა გამოაძევეს კლდეკარის ერისთავების წინაპარი სამამულო სამფლობელოდან – არგვეთიდან]. იგი დიდ როლს ასრულებდა საქართვ. საშინაო და საგარეო პოლიტ. ცხოვრებაში. კლდეკარის ერისთავები ითვალისწინებდნენ საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიასთან, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან და შესაბამისად წარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას. საერისთავოს არსებობის განმავლობაში ისინი ცენტრ. სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ჩანან (მცირე გამონაკლისის გარდა). კლდეკარის ერისთავების ურჩობამ თავი იჩინა ჯერ კიდევ გაერთიან. საქართვ. პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975–1014) დროს. ამ უკანასკნელის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა რატი ბაღვაში (*რატი I*), რ-საც ზურგს უმაგრებდნენ ქართლის დიდი აზნაურები. მეფემ თავდაპირველად დიდი აზნაურები დაიმორჩილა, შემდეგ – რატი ბაღვაში (989), აიღო თრიალეთი კლდეკარის ციხითურთ და კლდეკარის ერისთავად რატი ბაღვაშის ძე ლიპარიტი დასვა. ჰ. ს. განსაკუთრებით მომძლავრდა XI ს. 30- იან წლებში, როცა ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანების გამო ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე. იგი ცენტრ. ხელისუფლებას ებრძოდა და თავისი მიზნების მისაღწევად არც გარეშე ძალის დახმარებას თაკილობდა. ბაგრატ IV-ის (რ-მაც ორჯერ ჩაშალა თბილ. საამიროს შემოსაერთებლად ლიპარიტის მიერ ორგანიზებული ლაშქრობა) წინააღმდეგ ლიპარიტმა ბიზანტიელები მოიშველია და აჯანყება მოაწყო (1045–47). კეისარი კი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა და ჰ. ს. პლაცდარმად აქცია საქართველოს წინააღმდეგ. 1058 მესხმა დიდებულებმა შეიპყრეს კლდეკარის ერისთავი და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV-მ ლიპარიტ ლიპარიტის ძე იძულებით შეაყენა ბერად და ამდენად ბიზანტიასაც გამოაცალა დასაყრდენი.

XI ს. 80-იან წლებში ჰ. ს. თურქ-სელჩუკების მხარეზე აღმოჩნდა. კლდეკარის ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე 1074 გიორგი II-ს განუდგა. მან კახელები დაიხმარა და ქსნისპირა ადგილები დაიკავა, ქ. გაგი გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და საქართველოს მტერს – განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა, თვითონ კი საქართველოს ასაოხრებლად მოსულ „დიდ სელჩუკთა'' სახელმწიფოს სულთანს, მალიქ-შაჰს, მორჩილებით ეახლა (ეს ნაბიჯი შემდგომში კლდეკარის ერისთავის მარცხით დამთავრდა).

XI ს. მიწურულს ჰ. ს. წინ აღუდგა დავით აღმაშენებლის ბრძოლას ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. 1093 ლიპარიტ ერისთავი (იხ. *ლიპარიტ V*) განუდგა მეფეს. დავით აღმაშენებელმა შეიპყრო იგი და მხოლოდ ცოდვის მონანიების შემდეგ გაათავისუფლა „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ'' („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი''). როგორც ჩანს, ლიპარიტმა ფიცი გატეხა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა. დავით აღმაშენებელმა 1094 ისევ შეიპყრო იგი და 2 წლის პატიმრობის შემდეგ გააძევა ბიზანტიაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამის შემდეგ ჰ. ს-ს სათავეში ჩაუდგა რატი ლიპარიტის ძე, რ-იც წინა ორის მსგავსად სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ იბრძოდა. დავით აღმაშენებელმა უკიდურეს ზომას მიმართა – 1103 რატი ლიპარიტის ძის გარდაცვალების შემდეგ, ჰ. ს. გააუქმა, ,,თავისთავად დაიჭირა'' და ერთიანი საქართველოს სამეფოს შეუერთა.

წყარო: მატიანე ქართლისა. წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: კოპალიანი ვ., სტეფანოს ორბელიანის ,,ორბელთა ისტორიის'' ზოგიერთი გამოცემის ნდობის საკითხ-

ისათვის, «ცისკარი», 1972, №12; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

რ. მეტრეველი.

კლდემაღალას ციხე, არსენას ციხე, V–VI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ქ. კასპის ჩრდ-ით 5 *კმ*-ზე, მდ. ლეხურის მარჯვ. მხარეს, მაღალ მთაზე. კეტავდა ლეხურის ხეობაზე გამავალ ვიწრო გზას ჩრდ-ით და სამხრ-ით, იცავდა ციხე-ქალაქ კასპს მტრის შემოსევებისაგან. ციხის ძველი სახელწოდება დავიწყებულია. ამჟამად ხალხი მას არსენას ციხეს უწოდებს. „კლდემაღალას“ სახელით იგი აღარც ვახუშტისთან (XVIII ს.) იხსენიება. ჰ. ც. ძლიერ დაზიანებულია, დანგრეულია ერთადერთი ოთხსართულიანი კოშკის აღმ. კედელი, დას. კედლის დიდი ნაწილი და ნაწილობრივ სამხრ. კედელიც. ჩანგრეულია სართულშუა ხის



კლდემაღალას ციხე. V–VI სს.

გადახურვა. კოშკი (კედლების სიგრძე – 7,6 *მ*, სიმაღლე – 11,0 *მ*, სისქე – 2 *მ*) ნაგებია რუხი და მოყვითალო ქვით. გარე კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. სართულშუა ხის გადახურვების საყრდენად კედლის სისქის შემცირებით მიღებული საფეხურები იყო გამოყენებული. შერჩენილია სქელი ბოძების ბუდეები. I სართულის სამხრ. კედელში ერთი მაღალი ვიწრო სარკმელია. ამავე სართულზე სამკუთხედად გადახურული ნიშები ყოფილა. სათოფურების კვალი მხოლოდ IV სართულზე შეიმჩნევა. ეს სართული წყობით და მასალით განსხვავდება კოშკის ქვედა ნაწილისაგან. იგი მოგვიანებით უნდა იყოს დაშენებული.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ი. შარაშენიძე.

კლდეცოცია, ფრინველი ბელურასნაირთა რიგისა, იხ. *წითელფრთიანი კლდეცოცია.*

კლდიანი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში (მეხადირის თემი), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მეხადირის ნაპირზე. ზ. დ. 300 *მ*, გაგრიდან 29 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კლდიაშვილი ალექსანდრე (საბა) გრიგოლის ძე [2(14). II. 1873, ქუთაისი, – 20. X (2. XI). 1905, ოდესა], ქიმიკოსი. ე. კლდიაშვილის შვილი, ს. კლდიაშვილის ძმა. დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია (1895), შემდეგ – ოდესის ნოვოროსიის უნტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი (1899). სწავლის პერიოდში ჩაება სამეცნ. მუშაობაში პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით. 1900-იდან მუშაობდა ოდესის უნ-ტში ტექ. ქიმ. კათედრაზე (კათედრის გამგე ვ. პეტრიაშვილი), შემდეგ – ზოგადი ქიმ. კათედრაზე. პედ. მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ინტენსიურ სამეცნ. საქმიანობას ბერლინისა და გეტინგენის უნტებში. იკვლევდა კეტონმჟავა მარილებსა და ჰიდრაზინს შორის რეაქციის სიჩქარეს. ბერლინში ე. ფიშერთან (ნობელის პრემია, 1903) ერთად ერთ-ერთი პირველი შეუდგა ნახშირწყლების ქიმ., კერძოდ, სახამებლის სტრუქტურის შესწავლას, დიდი წვლილი მიუძღვის ბუნებრივ ნაერთთა ქიმ. და ბიოქიმ. განვითარების საქმეში. ეკუთვნის ორიგინ. გამოკვლევები კეტონების ქიმიაში, შეიმუშავა გაუმჭობესებული მეთოდი სუფთა დექსტრინის მისაღებად. შეადგინა მინერალური ქიმ. მოკლე კურსი (1904). 1905 ჰ. მოკლეს შავრაზმელებმა, როდესაც იგი ცდილობდა ოდესელი ებრაელის ოჯახის დაცვას დარბევისაგან. ჰ. დაკრძალეს ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში, ამ ეკლესიის დანგრევის შემდეგ კი საფიჩხიის სასაფლაოზე გადაასვენეს.

ჰ. თავის მასწავლებლებთან (ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი) ერთად დიდი მონდომებით იღვწოდა საქართველოში მეცნ. ცოდნისა და განათლების გასავრცელებლად. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა ვრცელ წერილებს მეცნ. სიახლეების შესახებ, მაგ.: ,,ახალი ელემენტი რადი“, ,,ჰაერის ნაძირალები (დანალექი, რედ.) და ნიაღაგში გასული წყლები“ (გაზ. ,,ცნობის ფურცელი“, 1901, №1501; №1541) და ა. შ. იგი ავტორია ქიმ. ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოსი.

ლიტ.: ბათიაშვილი გ., საბა, წგ. ვარ დარაჯი ჩემი ძმისა, თბ., 1995; იმნაძე დ., ალექსანდრე-საბა კლდიაშვილი, თბ., 1943; საითიძე გ., სიმონეთი და მისი ერთი ,,ნიჭით დაჯილდოებული ოჯახი“, თბ., 2018.

კლდიაშვილი დავით სამსონის ძე [29. VIII (10. IX). 1862, სოფ. ზედა სიმონეთი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 24. IV. 1931, იქვე], მწერალი, საქართველოს სახალხო მწერალი (1930). დაიბადა გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. ბავშვობა გაატარა სოფ. სიმონეთსა და დედულეთში, სოფ. ხომულში (ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპ.) ბაბუამისის, აზნაურ ნ. ღოღობერიძის ჯერ კიდევ წელმაგარ ოჯახში. ყრმობის შთაბეჭდილებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მომავალი დიდი მწერლის შემოქმედების არეალი. 7 წლის ჰ. ქუთაისში რუსი ექიმის ოჯახში მიაბარეს რუს. ენის შესასწავლად. 1872 სახელმწ. ხარჯით გაიგზავნა კიევის სამხ. გიმნაზიაში, რ-ის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1880) მოსკ. სამხ. სასწავლებელი დაასრულა (1882). ამავე წლიდან სამხ. სამსახურში გაამწესეს ბათუმში. ჰ. წლების განმავლობაში უკომპრომისოდ იღვწოდა ქართვ. ერის საკეთილდღეოდ. იგი დაუკავშირდა მოწინავე ინტელიგენციას, გ. ვოლსკისა და ი. მესხთან ერთად იყო ბათუმის საზ.-კულტ. საქმიანობის სულისჩამდგმელი. 1905–07 რევ. შემდეგ არაკეთილსაიმედო პოდპოლკოვნიკი აიძულეს, გადამდგარიყო სამხ. სამსახურიდან. 1908-იდან მუშაობდა ქუთაისში, შემდეგ – ჭიათურის შავი ქვის მრეწვ. სამმართველოში. 1915 გაიწვიეს ოსმ. ფრონტზე. თურქეთში გადასახლებული ჭანების გამოსარჩლებისათვის მას საველე სასამართლო ელოდა, მაგრამ 1917 თებ. რევოლუციამ

მოუსწრო და პ. დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, თუმცა უკვე ჯანგატეხილი და დაავადებული.

პ-ის პირველი მხატვრული თარგმანები 1885 ჟურნ. ,,თეატრში'' დაიბეჭდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისად 1893 უნდა მივიჩნიოთ, როცა ჟურნ. ,,მოამბეში'' პ-ის პირველი მოთხრ. ,,შერისხვა'' გამოქვეყნდა. სოც. ჩაგვრით, მოცული სოფლის ფონზე მწერალმა მძაფრი ტრაგიზმით დაგვიხატა გაუნათლებლობისა და სიხარბის მსხვერპლი – გლეხი კაცია საგუნაშვილი. ამასვე შეეწირნენ მარინე და ფეფენა (,,მსხვერპლი'', 1894). მოგვიანებით მწერალი დაუბრუნდა ამ თემას და მოთხრობა ,,მიქელაში'' (1904) ასახა ოჯახის გადაშენების ფანატიკური შიშით შეპყრობილი მორწმუნე კაცის ყოფა.

პ-ის პირველსავე მოთხრობებში გამოვლინდა მისი სამწერლო პრინციპი – ქართ. კლასიკური რეალიზმის ერთგულება, რითაც მან XIX ს. ახ. ქართ. პროზის დიდი ტრადიციები განავითარა.

პ-ის შემოქმედების მთავარი თემა – იმერეთის გაღარიბებული, ე. წ. ,,შემოდგომის აზნაურების'' ცხოვრების მწუხრის ასახვა – პირველად გამოჩნდა მოთხრობა ,,სოლომან მორბელაძეში'' (1894). ახ. საზ. ურთიერთობათა დამკვიდრებამ ეკონ. ნიადაგი გამოაცალა თავად-აზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებს. გაღარიბებული აზნაურების თავმომწონეობა სრულიად არ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას. სწორედ აქ დაინახა პ-მა თავისი ,,ცრემლნარევი სიცილის'' სათავე; განწირული აზნაურების შინაგანი ტრაგიკული ბუნება მან გარეგნულად კომიკური ფორმით გამოხატა, რამაც მის სამწერლო სტილს განუმეორებელი, მხოლოდ პ-თვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა მიანიჭა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი მოთხრობები: ,,სამანიშვილის დედინაცვალი'' (1897), ,,ქამუშაძის გაჭირვება'' (1900), ,,როსტომ მანველიძე'' (1910).

განწირულ ,,შემოდგომის აზნაურებს'' იგი წარმოგვიდგენს დიდი ჰუმანიზმით გამთბარი ტრაგიკული ინტონაციებითა და იუმორით; საერთოდ, ტრაგიკულისა და კომიკურის მონაცვლეობა პ-ის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშან- თვისებაა. მწერალი იშვიათად მიმართავს მძაფრ, დაუნდობელ სატირას (,,ბაკულას ღორები'', 1920).

პ-ის შემოქმედებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს მის ადრინდ. მოთხრობას ,,წრფელი გული'' (1896), რ-საც მწერლისათვის უჩვეულო დიდაქტ. ელფერი ახლავს.

პ-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. დრამატურგიაში. სევდიანი სინამდვილე ასახა პიესებში ,,ირინეს ბედნიერება'' (1897), ,,დარისპანის გასაჭირი'' (1903) და ,,უბედურება'' (1914), რ-ებიც მისი შემოქმედების მთავარ პათოსს – უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აზნაურის ტრაგიკულ სულისკვეთებას გადმოსცემს.

პ-ის შემოქმედებითი სტილისათვის დამახასიათებელია ის ძნელად მისაღწევი სისადავე და უბრალოება, რ-ის შექმნა მხოლოდ დიდ მწერალს ხელეწიფება. უნუგეშო ყოფის აღწერით მწერალი აფხიზლებდა მკითხველს, ზნეობრივი სრულყოფისაკენ, უკეთესი მერმისის დამკვიდრებისკენ მოუწოდებდა მას.

სიცოცხლის ბოლო წლებში პ. დაუბრუნდა 1914-იდან შეწყვეტილ სამწერლო მოღვაწეობას. 1925 გამოაქვეყნა მოგონებები ,,ჩემი ცხოვრების გზაზე'', რ-იც ქართ. მემუარული ლიტ-რის მშვენებაა. 1924–26 დაიბეჭდა პ-ის ახალი მოთხრობები: ,,შუა ცეცხლის პირას'' და ,,კიმოთე მეშველიძე''. 1930 ქართ. ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა პ-ის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

პ-ის მოთხრობათა პირველი კრებული 1901 გამოიცა, მოთხრობათა ორტომეული – 1911, რჩეული ნაწერების ორტომეული – 1926, თხზულებათა სრული კრებული 2 ტომად – 1933, 1935, 1995.


დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თერჯოლაში დგას პ-ისა და მისი მოთხრობების პერსონაჟთა ძეგლი.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1–2, თბ., 1952; სამანიშვილის დედინაცვალი, რჩეული, თბ., 2008; ბაკულას ღორები, თბ., 2013; მიქელა, სერია ,,ერთი შედევრის ბიბლიოთეკა'', თბ., 2014; სოლომან მორბელაძე და სხვა მოთხრობები, თბ., 2015.

ლიტ.: აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962; ასათიანი ლ., წერილები ლიტერატურაზე, თბ., 1946; დავით კლდიაშვილი 150, კრებული, თბ., 2012; კიკნაძე ვ., დავით კლდიაშვილის თეატრი, თბ., 1973; კლდიაშვილი ს., დავით კლდიაშვილი, თბ., 1945; ტაბიძე ტ., თხზულებანი სამ ტომად, ტ. 2, თბ., [1966]; ჭილაია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972; ჯოხაძე მ., ჩემი დავით კლდიაშვილი, თბ., 1995 გამოც. მე-2, თბ., 2012.

ს. ჭილაია.



დ. კლდიაშვილი.



დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი. სოფელი ზედა სიმონეთი. XIX ს. II ნახევარი.

კლდიაშვილი (ქალიშვილობის გვარი ყიფიანი) ეფროსინე (ეფრო) ქაიხოსროს ასული (1839, სოფ. ქვიშხეთი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 9. V. 1913, თბილისი), თეატრალური მოღვაწე და მსახიობი, მთარგმნელი. ს. *კლდიაშვილისა* და ა. *კლდიაშვილის* დედა. მამა, ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანი, დ. *ყიფიანის* უფროსი ძმა იყო. ბიძამ პ-ის აღზრდაზე დიდი გავლენა მოახდინა. მანვე მიაღებინა მონაწილეობა თბილ. სცენისმოყვარეთა დასის ქართულ დადგმებში. XIX ს. 60–70-იან წლებში პ-მა



ე. კლდიაშვილი.



რ. კლდიაშვილი.



ს. დ. კლდიაშვილი.

თანამოაზრეებთან ერთად ქუთაისში დააარსა თეატრის მოყვარულთა წრე, ხელმძღვანელობდა დადგმებს და თავადაც მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. პ-ის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: მენახშირის ქალი მართა (გ. ერისთავის ,,ყვარყვარე ათაბაგი''), მედეა (ი. კერესელიძის ,,მედეა''), მაკრინე (გ. ერისთავის ,,გაყრა''), კუკუშკინა (ა. ოსტროვსკის ,,შემოსავლიანი ადგილი''), ლიზეტა (მოლიერის ,,სიყვარული მკურნალობს''), ქეთევანი (დ. ერისთავის ,,სამშობლო'') თინათინა (ზ. ანტონოვის ,,ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა'') და სხვ. 1888-იდან პ. ჩამოშორდა სცენას და მთარგმნელობით საქმიანობას შეუდგა. გამოცემულია მის მიერ თარგმნილი შპილმანის ისტ. მოთხრობა ,,დონ პედრო კასტილიელი'' (1891), ი. პოტაპენკოს მოთხრობა ,,ნამდვილი სამსახური'' (1899); აგროვებდა და კრებდა ხალხურ თქმულებებს; მონაწილეობდა ქართ. ზღაპრების ილუსტრირებული გამოცემების მომზადებაში (1902–04); თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ჯეჯილთან'', მართავდა საქველმოქმედო წარმოდგენებს და ეხმარებოდა ხელმოკლე სტუდენტებს.

პ-ს სამართლიანად უწოდებდნენ ,,ქუთაისის თეატრის დედას''.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., თეატრალური ქუთაისი, თბ., 1976; ღვინეფაძე ნ., ეფრო კლდიაშვილი, თბ., 1958.

კლდიაშვილი რევაზ (რეზო) შოთას ძე (დ. 24. IX. 1947, ქუთაისი), მწერალი, დრამატურგი, ქიმიკოსი. 1971 დაამთავრა სპი-ის ქიმიური და კვების ტექნოლ. ფაკ-ტი. 1987-იდან კითხულობს ლექციებს სტუში (2009-იდან – პროფესორი). 2014-იდან ხელმძღვანელობს საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიას. არის 2 სახელმძღვანელოს, 3 მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნ. სტატიის ავტორი ქიმიაში.

1981-იდან პ-ის მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნ. ,,ცისკარსა'' და გაზ. ,,ლიტერატურულ საქართველოში''. 1990 გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული, 1998 – კრებ. ,,მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ''; 2002 – პიესების კრებ. ,,იაღონას თეატრი''. ავტორია 2 ისტ. პიესისა: ,,პატრონი'' (1998) და ,,ბიზანტიის დედოფალი'' (1999), ასევე პიესებისა: ,,საპოვნელა'' (1995); ,,იაღონას თეატრი'' (1997; ორივე დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში); ,,შორაპნელი ქალბატონები'' (1998; რუსთაველის თეატრი), ,,მანველიძეების ოჯახი'' (2001; მეტეხის თეატრი); ,,მარტოობის ბინადარი'' (მონოპიესა, 2001; თეატრი ,,ვერიკო''); ,,სუფრა'' (2003; ქართ.-ჰოლანდ.-გერმ. პროექტი, დაიდგა ამსტერდამსა და ბერლინში); ,,ზარატუსტრას ჟამი'' (2005; ქართ., გერმ. და რუს. ენებზე; ავტორისეული წაკითხვა თეატრებში: ,,ვერიკო'', სამეფო უბნის თეატრი); ,,იმერული რეკვიემი'' (2014; ახმეტელის თეატრი); ქალბატონი ძალაუფლების სურნელით'' (2022, ქართ., ჩინ. და ინგლ. ენებზე) და სხვ. გარდა ამისა, პ-ის პიესები იდგმებოდა ფოთის, ზუგდიდის, თერჯოლის, ახალციხის, ზესტაფონისა და სხვ. თეატრების სცენაზე.

მიღებული აქვს დ. კლდიაშვილის სახ. პრემია (2000; მოთხრ. კრებულისათვის ,,მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ''), საქართვ. სახელმწ. პრემია ლიტ-რის დარგში (დრამატურგია, 2002; პიესების კრებულისათვის ,,იაღონას თეატრი''), საქართვ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია (2009; წლის საუკეთესო სპექტაკლისათვის ,,ზარატუსტრას ჟამი''); 2017 კულტ. განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა ,,ხელოვნების ქურუმის'' წოდება. 2019 – დავით და სერგო კლდიაშვილების სახ. მუზეუმის საპატიო ჯილდო ,,ძელქვის ფოთოლი''. არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2018).

ლიტ.: ჩხარტიშვილი ლ., რეზო კლდიაშვილი, თბ., 2018.

მ. თუშიშვილი.

კლდიაშვილი სერგო დავითის ძე [6 (18). X. 1893, სოფ. ზედა სიმონეთი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 14. X. 1986, თბილისი], მწერალი. დ. *კლდიაშვილის* ვაჟი. 1913 დაამთავრა ქუთ. გიმნაზია. I მსოფლიო ომის წლებში ერთხანს (1915–16) თან ახლდა მამას თურქ. ფრონტზე. ომის შემდეგ სწავლობდა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. აქ მოუსწრო 1917 თებერვლის რევოლუციამ. ამავე წლის დასასრულს დაბრუნდა საქართველოში. მისი პირველი პროზაული მინიატურები დაიბეჭდა 1911 თბილისის გაზ. ,,სინათლეში''. 1916-იდან იყო ,,ცისფერყანწელთა'' ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტ. წევრი. პ. ავტორია რომანებისა: ,,ფერფლი'' (1932) და ,,მყუდრო სავანე'' (1963), რ-ებიც ყურადღებას იქცევენ ღრმა ფსიქოლოგიური სიმართლითა და ყოფის შესანიშნავი ასახვით.

პ. ნოველის ჟანრის ერთ-ერთი გამორჩეული ოსტატია. მრავალფეროვანია მისი ჰუმანური ნოველების თემატიკა, რ-იც მოიცავს საქართვ. აწმყოსა და წარსულს. მწერლის ყურადღების ცენტრშია ადამიანი – შემოქმედი, ადამიანი – პატრიოტი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი ნოველები: ,,ჭინკა ბიჭები'', ,,ობროდი'', ,,გორგასლის თასი'', ,,შემოდგომის წვიმა'', ,,სერაფიტი'', ციკლი ,,სვანური მოთხრობებისა'' და სხვ. პ-ისათვის დამახასიათებელი მსუბუქი და ლაღი იუმორი მსჭვალავს ვრცელ სათავგადასავლო მოთხრობას ,,აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი''.

პ-მა დიდი ამაგი დასდო ქართ. დრამატურგიას. მისი პიესები (,,გმირთა თაობა'', 1937; ,,ირმის ხევი'', 1944; ,,დაბრუნება'', 1952) წარმატებით იდგმებოდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენებზე. პ-ის ვრცელი მოგონებები ეძღვნება ქართვ. კლასიკოსებსა (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი და სხვ.) და თანამედროვე ლიტერატორებს (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ცირეკიძე და სხვ.). პ-ის თხზულებანი მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნებად. თარგმნილია რუს., სომხ., უკრ., აზერბ., პოლ., ჩეხ., ფრანგ., ინგლ., გერმ. და სხვ. ენებზე.

პ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებათა კრებული ოთხ ტომად, თბ., 1971–78; უბის წიგნაკი, თბ., 2000; პაოლოს უკანასკნელი დღე, «საქართველოს რესპუბლიკა», 2010, №62.

ლიტ.: ავალიანი ლ., „უჩინო“ ჩინებული მწერალი: სერგო კლდიაშვილი 120, მწიგნობარი ალმანახი, თბ., 2013; №13; ასათიანი გ., სერგო კლდიაშვილი, ტ. 3, თბ., 2002; დვალიშვილი ლ., სერგო კლდიაშვილის ოპოზიციური თხზულებები, ქუთ. აკ. წერეთლის სახ. უნ-ტი: ჰუმანიტ. ფაკ-ტის პერიოდ. სამეცნ. ჟურნ. 2007, ტ. 9; იაშვილი თ., სერგო კლდიაშვილის ადრინდელი პროზა, «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1990, №3; ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი (მოგონებები), „ლიტერატურული პალიტრა“, 2013, №5.

გ. ნატროშვილი.

კლდიაშვილი სიმონ გრიგოლის ძე [2 (14). II. 1865, სოფ. ქვიშხეთი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 26. V. 1920, თბილისი],

პირველი პროფესიონალი ქართველი არქიტექტორი. ა. *კლდიაშვილის* ძმა. 1895 ვერცხლის მედლით დაამთავრა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში. 1896–99 ქ. სოხუმის არქიტექტორად მუშაობდა. 1899 მოიწვიეს თბილ. სათავადაზნაურო სკოლის (ქართული გიმნაზია) შენობის პროექტის შესადგენად (ახლანდ. თსუ-ის I კორპუსი). სკოლას, რ-ის მშენებლობასაც თვით არქიტექტორი უძღვებოდა, საძირკველი ჩაუყარეს 1900 წ. 14 (26) ოქტომბერს. 1906 შენობა არსებითად მზად იყო. იგი ჰ-ის უმთავრესი ნამუშევარია. 1912 მონაწილეობა მიიღო თბილ. სათავადაზნაურო ბანკის შენობის პროექტისათვის გამოცხადებულ კონკურსში. ჟიურიმ ბანკს მისი პროექტის შეძენა ურჩია. 1902 კაპიტალურად გადააკეთა და სრულიად ახალი ფასადით შეამკო ქობულაშვილების სახლი ა. გრიბოედოვის ქუჩაზე (მარცხენა ნახევარი არშაკუნისეული სახლისა, ახლანდ. თბილ. სამხატვრო აკადემია). გარდა ამისა, მისი პროექტითაა აშენებული მრავალი საცხოვრ. სახლი თბილისში. კერძოდ, რომის ქ. №4 (1902), მ. წინამძღვრიშვილის ქ. №15 (1908), ნ. გოცირიძის ქ. №39 (1914) და სხვ.

ჰ. ეკლექტიზმის ხანის ტიპური წარმომადგენელი იყო. მისი პროექტით აგებულ შენობებში ვხვდებით XIX ს. ინტერპრეტაციით მოცემულ რენესანსულ-ბაროკულ ფასადებსაც და მოდერნსაც. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. კულტურულ და საზ. ცხოვრებაში. 1902 ე. თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა საქართვ. სამხრ. რეგიონებში ქართ. ხუროთმოძღვრების ისტ. ძეგლთა ასაზომად. აზომა 20-მდე ძეგლი, მ. შ. ბანას ტაძარი და შეადგინა მისი რეკონსტრუქციის პროექტი. 1907 აირჩიეს საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბის წევრად. 1910 ე. თაყაიშვილს თან ახლდა რაჭა–ლეჩხუმში.

ჰ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. 2015 თსუ-ის I კორპუსის ეზოში გაიხსნა მისი ბიუსტი.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–17 წწ. [ტ.] 2, თბ., 1963.

თ. გერსამია.

კლდისდუმა (Sedum), მცენარეთა გვარი მსუქანასებრთა ოჯახისა. ბალახები, ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქებია. აქვს წვნიანი და ხორცოვანი ფოთლები. 500-მდე სახეობა იზრდება ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში, უმეტესად ევრაზიაში, რამდენიმე – სამხრ. აფრიკასა და სამხრ. ამერიკაში.

საქართველოში 15-მდე სახეობაა. მათი უმეტესობა სუბალპურ და ალპური სარტყლის ქვიან და კლდოვან ადგილებზე იზრდება. ხშირად გვხვდება მწვავე ფუნთუშა (S. acre), რ-იც პატარა და ფხვიერ კორდებს ქმნის. იგი თაფლოვანია, მისი ფოთლების წვენი კანს წვავს და აწითლებს. გვხვდება აგრეთვე კავკასიური ჰ. (S. caucasicum), ფუნთუშა (S. pallidum), მსუქანა (S. stoloniferum) და სხვ. ჰ-ს მრავალი სახეობა დეკორატიულია. აშენებენ ბაღებში, ზოგს – ოთახებსა და ორანჟერეებში. იყენებენ კლდოვანი და ქვიანი ადგილების გასამწვანებლად.

კლდისვაშლა (Sempervivum), მცენარეთა გვარი მსუქანასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. 30-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, მცირე და წინა აზიაში, ჩრდ.-დას. აფრიკაში. იზრდება სუბალპ. და ალპ. სარტყლის ქვიან ფერდობებსა და კლდეებზე. კავკასიაში გავრცელებულია 11 სახეობა (საქართველოში 6, მ. შ. 2 კავკასიის ენდემია და 2 – საქართველოსი). აშენებენ დეკორატიულ მცენარედ.

კლდისთავი, ყოფილი სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში.

კლდის იასამანი (Kentranthus longiflorus) მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე კატაბალახასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლეა 80 *სმ.* ფესვიდან; ჩვეულებრივ, რამდენიმე ღერო ამოაქვს. იკეთებს იასამნისფერ ყვავილებს. ყვავილობს მაისიდან ივლისის ბოლომდე. გავრცელებულია მცირე აზიასა და კავკასიაში.

საქართველოში იზრდება ქართლის, მესხეთისა და იმერეთის ბარში, კლდის ნაშალსა და ქვიან ფერდობებზე. ჰ. ი. ლამაზი დეკორატიული მცენარეა, გამოსადეგია გაშიშვლებულ ფერდობებზე გრუნტის გასამაგრებლად.

კლდის მხატვრობა, პეტროგლიფი, გამოქვაბულთა კედლებზე, ჭერზე, კლდეებსა თუ ცალკეულ ქვებზე შესრულებული უძველესი გამოსახულებანი. გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში და მიეკუთვნება სხვადასხვა ეპოქას – პალეოლითიდან შუა საუკუნეებამდე. პალეოლითის ხანის ჰ. მ-ის ნიმუშები დიდი რაოდენობით გვხვდება სამხრ. საფრ. გამოქვაბულებში. ჭარბობს ბიზონების, ცხენების, მამონტების, მარტორქების ფიგურები. მკვლევართა აზრით, ჰ. მ-ს მაგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მისი შესრულების სტილი და ტექნიკა მრავალფეროვანია – გვხვდება კონტურული, ამოკაწრული, პოლიქრომული ნახატი (იყენებდნენ მინერალურ საღებავებს), ბარელიეფი. აღმ. ესპანეთის, სამხრ. იტალიის, ჩრდ. აფრიკის, ცენტრ. და აღმ. საჰარის მხატვრობაში ცენტრ. ადგილი უჭირავს ნადირობის, ბრძოლების, რიტუალების ამსახველ რთულ კომპოზიციებს. ჰ. მ. ფართოდ გავრცელდა ბრინჯაოს, განსაკუთრებით ადრინდ. რკინის ეპოქაში. ზოგჯერ სხვადასხვა ეპოქის ათასობით გამოსახულება მთლიანად ფარავს კედლებს; ხშირად ძვ.



ს. გ. კლდიაშვილი. სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი), 1906.



ს. გ. კლდიაშვილი.



კლდისდუმა.



კლდისვაშლა.



კლდის იასამანი.



კლდის მხატვრობა (პეტროგლიფი). თრიალეთი

ნახატი დაფარულია უფრო გვიანდელით. ამ პერიოდის ჰ. მ-ში გარეული ცხოველების, ნადირობის სცენების, მაგიური ნიშნებისა და სხვათა გვერდით გამოსახულია შინაური ცხოველები, მიწის დამუშავების პროცესი და სხვ.

საქართველოში აღსანიშნავია მღვიმევის (ჭიათურის მუნიციპ.) ზედა პალეოლითის ხანის ჰ. მ. მისი თვალსაჩინო ნიმუშები ნაპოვნია ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპ-ში, სოფ. განთიადთან (ყოფ. თაქ-ქილისა). მდ. ქციის მარჯვ. ნაპირზე 1976 თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. – ნ. გაბუნია) მიაკვლია ამოკაწრულ ხაზოვან-გეომ. პეტროგლიფებს, რ-ებზეც გამოსახულია ცხოველები (ცხენი, ირემი, ჯიხვი, მელა, შველი, აქლემი, ლომი და სხვ.), აგრეთვე ფანტასტიკური არსებანი, სხვადასხვა ხასიათის სცენები, ადამიანთა, მზის, ჯვრების გამოსახულებები, გეომ. ფიგურები. აღნიშნული ნახატები სხვადასხვა პერიოდისაა.

კლდისუბანი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (სადმელის თემი), ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. რიცეულის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 *მ,* ამბროლაურიდან 7 *კმ.* 205 მცხ. (2014). სოფელში არის ღვთისმშობლისა და ,,ციხის'' წმ. გიორგის ეკლესიები.

ღვთისმშობლის ეკლესია გარედან წააგავს სამნავიან ბაზილიკას, შიგნით კი აერთიანებს სამ შენობას: ერთ დიდ ეკლესიას, პატარა ეკლესიას და გალერეას (გრძელი შენობა). სამივე მათგანი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყველა ნაგებია შირიმის თლილი ქვითა და კირით, თაღები ქვიტკირისაა.



კლდისუბანი. წმინდა გიორგის ეკლესია. XVIII ს. შუა ხანები. თბილისი.

დიდი ეკლესია ერთნავიანი ნაგებობაა სამი კარით და ორი სარკმლით (აღმ. და დას. მხარეს). საკურთხევლის შუაში დგას ტრაპეზი, ჩრდ–ით და სამხრ–ით კი ორი დიდი თახჩაა. ამათგან ერთი სამკვეთლო უნდა ყოფილიყო, მეორე კი – სალარო.

პატარა ეკლესიაც ერთნავიანი შენობაა. აქვს ორი კარი (ერთი გადის დიდ ეკლესიაში), 2 სარკმელი (აღმ. და დას.) და ქვიტკირის კანკელი, კარნიზებად კი – ჩუქურთმით შემკული მოთეთრო ქვა. საკურთხეველი ორი საფეხურითაა ამაღლებული.

გალერიიდან შემორჩენილია აღმ. ნაწილი. კარი დას-იდან და სამხრ-იდან აქვს.

„ციხის“ წმ. გიორგის ეკლესია დგას კლდის წვერზე, სოფლიდან 1 კმ დაშორებით. გზა ჩრდ.-დასიდან შეუდის. ერთნავიანი შენობა ნაგებია შირიმის თლილი ქვითა და კირით. კარი სამხრ-ით და დას-ით აქვს. ტრაპეზი კიდეზეა მიდგმული. სავარაუდოდ, აქედან მომდინარეობს მისი სახელი „ციხისა“.

ლიტ.: ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

თ. ბერაძე.
მ. დვალი.

კლდისუბანი, სოფელი აჭარის არ-ის შუახევის მუნიციპალიტეტში (შუახევის თემი), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 480 მ. 24 მცხ. (2014).

კლდისუბანი, თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული მიკრორაიონი, კალის სამხ.-აღმ. ნაწილის – ე. წ. *ქვემო უბნის* ერთი მხარე (მთაწმინდა-კრწანისის რ–ნი). ჰ. ეწოდა მისი მდებარეობის გამო – შეფენილია სოლოლაკის ქედის კლდოვან კალთაზე. ჰ. ძნელად მისადგომ, მოუხერხებელ ადგილზე იყო განთავსებული, ამიტომ აქ ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობდა. მატერ. კულტურის ძეგლთაგან შემორჩენილია ადრინდ. შუა საუკუნეების ძეგლი – ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი, ე. წ. *ათეშგაჰი.* იქვეა ბეთლემის ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და წმ. სტეფანეს ეკლესიები.

ლიტ.: ბერიძე თ., ... და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977; თბილისის ისტორია, თბ., 1990.

კლდისწყაროს, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ხაშურის მუ-

ნიციპალიტეტში (ალის თემი) ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთში. ზ. დ. 800 *მ,* ხაშურიდან 10 *კმ.* 12 მცხ. (2014).

კლდისწყარო, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ხაშურის მუნიციპალიტეტში (წალვლის თემი), ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთში. ზ. დ. 840 *მ,* ხაშურიდან 30 *კმ.* 139 მცხ. (2014).

კლდის ხუროთმოძღვრება, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, სოფლები, ტაძრები და სამონასტრო კომპლექსები. ჰ. ხ. გვხვდება მრავალ ქვეყანაში (თურქეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ეგვიპტე და სხვ.). გამოქვაბულები ნაკვეთია მთის რბილ ქანებში (ქვიშაქვა, კირქვა და სხვ.). ძირითადად საცხოვრებელი, საკულტო ან სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. ჩვეულებრივ ჰ. ხ-ში შედიოდა მიწის ზემოთ განლაგებული ნაგებობებიც.

საქართველოში ჰ. ხ-ის საუკეთესო ნიმუშია კლდეში ნაკვეთი ქალაქი *უფლისციხე* (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. XI ს.), დავითგარეჯა (კლდეში ნაკვეთი მონასტრები; VI–XIX სს.), *ვარძია* (კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი; XII–XIII სს.), *ვანის ქვაბები* (გამოქვაბულთა კომპლექსი; VIII–XVI სს.) და სხვ.

კლდუ, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (კეხიჯვრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში. ზ. დ. 900 *მ,* ქარელიდან 8 *კმ.* 20 მცხ. (2014).

სოფელი პირველად მოიხსენიება XVIII ს-ში ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ ძამის ხეობის სოფელთა ნუსხაში. დღევანდელ სოფლის ტერიტორიაზე სამი ეკლესიის ნანგრევებია (თითქმის საძირკვლამდე). სოფელში მცხოვრებ გ. ვანიშვილის ეზოში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, მ. შ. ნაცრისფრად გამომწვარი ჭურჭლის ნატეხები. გამოწვის ტექნიკისა და ორნამენტაციის მიხედვით ისინი, ზოგადად, გვიან ბრინჯაო – ადრე რკინის ხანას მიეკუთვნება.

თ. ტატიშვილი.

კლემენტი (Clemens), რომის თოთხმეტი პაპის სახელი I ს-იდან XVIII ს-მდე. რომის ეკლესიის ურთიერთობა საქართველოსთანდაიწყო პაპმა კლემენტ V-მ (1308– 14). მან საქართველოში გამოგზავნა მრავალი ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერი, რ-თა მიზანიც ქართ. ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება იყო. 1349 პაპმა კლემენტ VI-მ (1342–52) თბილისში ეპისკოპოსად ბერთრანდო კოლეტი დანიშნა.

1595 ქართლის მეფე *სიმონ I*-მა წერილი მისწერა პაპ კლემენტ VIII-ს (1592–1605), რ-საც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ აცნობა და მას ,,სულიერი მამა და რომის უდიდესი პაპი'' უწოდა. წერილის ბოლოს სიმონ მეფე წერდა: ,,აწ ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან ყველა ქრისტიანის თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მიეცით ძალა ქრისტიან ერთა და დაიხსენით''. პაპი საპასუხო წერილში, რ-იც 1598 წ. 1 აპრილსაა დაწერილი, სიმონ მეფეს სწერდა: ,,როგორც კათოლიკური ხელმწიფე, ვუძღვნი თავმდაბლობას შენს პატივს და მორჩილებას ღმერთის პატივისცემისა და ნეტარი პეტრეს დიდებისათვის''. 1598 კლემენტ VIII-მ წერილი საქართვ. პატრიარქსაც გაუგზავნა, რ-საც დიდი თავმდაბლობით აუწყებდა, რომ მეთაურობდა რა მსოფლიო ეკლესიას, ცდილობდა ერთად შეეკრიბა ყველა ერთმორწმუნე პატრიარქი და ეპისკოპოსი, რათა ისინი რომის ეკლესიის გარშემო დაერაზმა. პაპი მადლობას უხდიდა პატრიარქს კათოლიკური სარწმუნოების ერთგულების გამო. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს როგორც ქრისტიანულ ქვეყანას აღმოსავლეთში და დახმარებას ალუთქვამდა.

1675 საქართველოში მყოფმა კაპუცინელთა ორდენის მისიონერებმა მატერ. დახმარებისათვის მიმართეს პაპ კლემენტ X-ს (1670–76). ამის თაობაზე პაპს წერილი ქართლის მეფე, ვახტანგ V შაჰნავაზმაც გაუგზავნა.

1708 რომის პაპ კლემენტ XI-ს (1700–21) კათოლიკოსმა დომენტიმ მისწერა წერილი, რ-შიც იგი ქვეშევრდომობის სურვილს გამოთქვამდა და პაპს ქრისტეს მონაცვლესა და სამოციქულო ეკლესიის მეთაურს უწოდებდა. კლემენტ XI-ს უკავშირდება ს.-ს. ორბელიანის მოღვაწეობის ერთი პერიოდიც. პაპისადმი მიწერილ წერილში (1707 წ. 13 აგვ.) საბა ევედრება რომის ეკლესიის მეთაურს, ,,რათა ცოდვათა ჩვენთა სიმრავლითა აღხოცად ევედროს ღმერთსა და წმინდა კურთხევა მათი მოგვფინოს და ლოცვა ყოს ჩვენ უღირსთათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყევლად''. 1714 ს.-ს. ორბელიანმა საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან შესახვედრად შუამდგომლობისათვის კლემენტ XI-ს მიმართა. პაპმა დაუყოვნებლივ შეასრულა მისი თხოვნა და იმავე წლის 14 აპრილს საფრანგეთის მეფეს წერილი მისწერა, რათა ყოველმხრივ დახმარებოდა ქართველ ელჩს. 1714 წ. 29 ივნისს ს.-ს. ორბელიანი რომში ჩავიდა. 5 ივნისს პაპმა განსაკუთრებული პატივით მიიღო იგი და ოქროს მედლით დაასაჩუქრა. 29 ივლისს კლემენტ XI-მ ლუი XIV-ს წერილი მისწერა ვახტანგ VI-ისათვის დახმარების თაობაზე. პაპი მეფეს სწერდა: ,,მოიმოქმედე, რასაც საუკეთესოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდე ვახტანგ მეფის ირანის ტყვეობიდან უსწრაფესი გათავისუფლებისათვის''. იმავე წლის 17 აგვისტოს პაპმა იმედით აღსავსე წერილი გაუგზავნა ,,აზიის იბერიის უძლიერეს მეფე ვახტანგს''. იგი უწონებდა ტყვე მეფეს ქრისტიანობაში სიმტკიცესა და კათოლიკე მისიონერთა მფარველობას; ,,ამიტომაც ჩვენც არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიხმარეთ, რათა თქვენ მალე გათავისუფლება და თქვენს სამეფოში დაბრუნება გეღირსოთ'', – წერდა პაპი.

XVIII ს. 60-იან წლებში თბილისში კაპუცინელ მისიონერთა მოღვაწეობა განახლდა. ამასთან დაკავშირებით 1763 წ. 16 აპრილს პაპმა კლემენტ XIII-მ (1758–69) წერილი მისწერა ერეკლე II-ს, რ-შიც კათოლიკეთა მიმართ თანადგომას სთხოვდა. ერეკლემ აღადგინა გორის მისიონი და კათოლიკეებს ეკლესიის ასაშენებლად ადგილიც გამოუყო, რის გამოც პაპი 1769 წ. 28 აგვ. გამოგზავნილი წერილით გულითად მადლობას უხდიდა ერეკლეს მისიონერების მფარველობის გამო და იმედს გამოთქვამდა, რომ მეფე კვლავაც დაიფარავდა კათოლიკე მოღვაწეებს და მათ შემწეობას არ მოაკლებდა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ. 1902; მისივე, წერილები, თბ., 1984; პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, წგ.1, თბ., 1984.

ზ. ეკალაძე.

კლემენტოსი, ქართლის კათოლიკოსი VIII ს. 70-იან წლებში. კათოლიკოსობამდე განაგებდა ზედაზნის, ხოლო შემდეგ შიომ-



ნ. კლენოვსკი.

ღვიმის მონასტერს. პ-ის სახელს უკავშირდება იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აგება ზედაზნის მონასტერში.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თ. ჟორდანიას გამოც. წგ. 1., ტფ., 1892.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

კლენოვსკი ნიკოლოზ სიმონის ძე (1857, ქ. ოდესა, – 23. VI. 1915, პეტროგრადი), საქართველოში მოღვაწე რუსი მევიოლინე, დირიჟორი, პედაგოგი, კომპოზიტორი. ქართ. ხალხ. სიმღერების ერთ–ერთი პირველი უცხოელი შემკრები. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პ-მ სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში ვიოლინოსა და სპეც. თეორიის (პროფ. პ. ჩაიკოვსკისა და დ. გუბერტის კლასები) განხრით. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ (1879-იდან) მუშაობა დაიწყო პროვინციულ კერძო საოპერო თეატრებში დირიჟორად. 1881 კვლავ მოსკოვში დაბრუნდა. 1883- მდე ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას, დირიჟორობდა დიდი თეატრისა და მოსკოვის უნ-ტის სიმფ. ორკესტრებს. არის რამდენიმე ბალეტისა და რომანსის ავტორი. მან შეკრიბა და დაამუშავა რამდენიმე სიმღერა, მ. შ. ქართულიც. 1893 პ. ჩამოვიდა საქართველოში და გააგრძელა მ. *იპოლიტოვ-ივანოვის* მიერ წამოწყებული მოღვაწეობა სამუსიკო სასწავლებელსა და საანსამბლო კლასებში. პ-ის თაოსნობით თბილისში მოიწვიეს ცნობილი რუსი პედაგოგები (კ. იგუმნოვი, ე. *რიადნოვი*, თ. ლევინი, მისი მეუღლე ზ. ლევინა, ვ. *ჟილშაუ* და სხვ.), რ-ებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართ. მუსიკოსთა პროფ. აღზრდას. პ-ის მოწაფეები იყვნენ ზ. ფალიაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ი. კარგარეთელი, ნ. სულხანიშვილი, ვ. სარაჯიშვილი და სხვ.

ლიტ.: კაშმაძე შ., ზ. ფალიაშვილი, თბ., 1948; მშველიძე ა., სამუსიკო განათლება საქართველოში, თბ., 1976.


კლერიკალიზმი (<ბერძნ. Clēros – წილი, ხვედრი; გვიანდ. ლათ. Clericalis – საეკლესიო, სასულიერო), პოლიტიკური მსოფლმხედველობა, მიმართულება ან მოძრაობა, რომლის მიზანია რელიგიის როლის გაზრდა და ეკლესიის ძალაუფლების გაძლიერება სახელმწიფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. ამ თვალსაზრისით კ. ეწინააღმდეგება ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტ. სისტემას, რ-იც სეკულარიზმის (რელიგიური და საერო სივრცეების გამიჯვნის) პრინციპზე არის აგებული. თავდაპირველად ტერმინი კ. გავრცელდა XVII–XIX სს. კათოლიკურ ევროპაში და იმთავითვე უარყოფითი კონოტაცია შეიძინა. კ. საერო საკანონმდებლო და პოლიტ. სივრცეში ეკლესიის როგორც სოც.-პოლიტ. ინ-ტის, ფორმალიზებას ესწრაფვის და მიზნად ისახავს დენომინაციური იერარქიის საეკლ. მმართველობის გავრცელებას ეკლესიის ფარგლებს მიღმა, თუმცა, წმინდად ეკლესიოლოგიური გაგებით, კ. გულისხმობს სას. პირების მიერ ეკლესიისა და მასთან დაკავშირებული ინ-ტების (მ. შ. საერო ორგანიზაციების) მართვას.

კ-თან დაპირისპირებული მსოფლმხედველობა და მოძრაობა არის ანტიკლერიკალიზმი, რ-იც რელიგიური ორგანიზაციების და სას. პირთა ძალაუფლების შეზღუდვისაკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს სამოქალაქო-პოლიტ. სივრცის, კულტურის, განათლების, მეცნიერების სფეროების საეკლ. გავლენისაგან გათავისუფლებას. ანტიკლერიკალიზმი არ ნიშნავს ანტირელიგიურობას, ის უფრო მეტად ნიშნავს ანტიეკლესიურობას და სათავეს საფრანგეთის რევოლუციის (1789) პერიოდიდან იღებს.

ლიტ.: სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004; ქრისტიანობის ლექსიკონი, შემდგ. პიერო პეტროზიელო, იტალ. თარგმნა მ. საყაშვილმა, თბ., 2011; Sánchez J. M., Anticlericalism: a brief history, University of Notre Dame Press, 1972; B. Wilson S.J. Clericalism: The Death of Priesthood, Liturgical Press, Collegeville MN USA, 2008.

გ. ხუროშვილი.

კლიკის ჯვარი, VII–VIII საუკუნეთა მიჯნის სამეკლესიაიანი ბაზილიკა. მდებარეობს სოფ. მღებრიანის (გორის მუნიციპალიტეტი) დას-ით 1 კმ-ზე, მდ. თემძის მარცხ. ნაპირზე. ნაგებია დიდი ზომის ნატეხი ქვით. კონსტრუქციული ნაწილები (ტრომპები, პილასტრები, თაღები), კარისა და სარკმლის წირთხლები, შუა ეკლესიის გარე კუთხეები ამოყვანილია შირიმის კარგად გათლილი კვადრებით. სავარაუდოდ, თავდაპირველად აიგო ერთნავიანი ეკლესია, მოგვიანებით მას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, ფასადის მთელ სიგრძეზე, თითო ვიწრო, გეგმით ოთხკუთხა, მთავარ ეკლესიაზე რამდენადმე დაბალი სტოა მიაშენეს (ორივე მინაშენი დაზიანებულია და დაზუსტებით მხოლოდ მათი გეგმა იკითხება). სამივე მათგანი უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. შესასვლელი მთავარ ეკლესიას სამხრ-იდან აქვს – მინაშენიდან. მეორე კარი ჩრდ. კედელშია, რ-იც ჩრდ. მინაშენში გადის. სარკმელი სამია – საკურთხევლის, სამხრ-ისა და დას-ის. მთავარი ტაძრის სივრცე ორსაფეხურიანი პილასტრების წყვილით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. მ. შ. აღმ-ისა თითქმის 1 მ-ით გრძელია დას-ისაზე. საინტერესოდაა გადაწყვეტილი საკურთხეველი. იგი დარბაზისგან მძლავრი პილასტრების წყვილით არის გამიჯნუ-



კლიკის ჯვარი. ინტერიერი. საკურთხეველი. VII–VIII სს.

ლი. პილასტრებზე დაყრდნობილი იყო კონქის ორსაფეხურიანი თაღი. პილასტრებიდან საკურთხევლის აღმ. კედელზე ნახევარწრიული თაღებია გადაყვანილი, რ-ებიც საკურთხევლის გვერდებზე თითო ღრმა უბეს ქმნის. ისინი, როგოც ჩანს, სამკვეთლოსა და სადიაკვნის ფუნქციას ასრულებდა. საკურთხევლის გეგმის სწორკუთხედიდან კონქის ნახევარწრიულ საფუძველზე გადასვლა ერთ ქვაში გამოკვეთილი ორი ტრომპის მეშვეობით ხდებოდა.

ეკლესიის ფასადები სადაა, დეკორის გარეშე. ბაზილიკა დაზიანებულია, შუა ეკლესიის კამარა ჩაქცეულია, გვერდითი ნავების კედლები 1,7–2,0 *მ* სიმაღლემდეა შემორჩენილი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990; Чубинашвили Н. Зедазени,

Кликис Джвари, Гвиара, ,,ქართული ხელოვნება‘‘, 1971, ტ. 7.

გ. მარსაგიშვილი.

კლიმატოლოგია (ბერძნ. klima, ნათ. ბრ. klimatos – დახრილობა; logos – მოძღვრება), მეცნიერება ჰავის (კლიმატის) შესახებ. შეისწავლის ატმოსფეროს სტაბილური მდგომარეობის რეჟიმსა და მის ცვალებადობას სივრცესა და დროში მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში.

კ. მიეკუთვნება გეოგრ. მეცნ. დარგს, რ-იც შეისწავლის დედამიწის კლიმატის წარმოშობას, უზრუნველყოფს მის აღწერასა და კლასიფიკაციას. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგად *ფიზიკურ გეოგრაფიასთან, ბიოგეოგრაფიასთან, ჰიდროლოგიასთან, ასტრონომიასთან, გეოლოგიასთან, გეოფიზიკასთან, ოკეანოლოგიასთან, ბიოლოგიასთან,* მედიცინასა (იხ. სტ. *კლიმატოლოგია სამედიცინო*) და მეცნიერების სხვა დარგებთან, განსაკუთრებით – *მეტეოროლოგიასთან,* რ-საც XVIII ს-ში გამოეყო და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა.

XX ს. 20-იანი წლებიდან კ. სწრაფად განვითარდა და დაიყო დამოუკიდებელ დისციპლინებად ზოგადი კ.; კლიმატოგრაფია (დედამიწის რეგიონების კლიმ. აღწერა); დინამიკური კ. (შეისწავლის კლიმატის განმსაზღვრელ ფიზ. კანონებს); მეტეოროლ. დაკვირვებების კლიმატოლოგიური დამუშავების მეთოდები; სტატისტიკური კ.; გამოყენებითი კ. (აგროკლიმატოლოგია, სამშენებლო, საკურორტო, სამედ. ბიოკლიმატოლოგია).

კვლევის მასშტაბის თვალსაზრისით განასხვავებენ მაკროკლიმატოლოგიას (პლანეტის მასშტაბი), მეზოკლიმატოლოგიას (რეგიონული მასშტაბი) და მიკროკლიმატოლოგიას (ადგილობრივი მასშტაბი).

კ-ში გამოიყენება კვლევის სხვადასხვა მეთოდი 1. დაკვირვება, ანუ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე კლიმატური პროცესების გაზომვა და მათი ხარისხობრივი შეფასება; 2. ექსპერიმენტი, მაგ., ნისლის გაბნევა, ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება და სხვ.; 3. სტატისტიკური ანალიზი, რ-იც ფართოდ გამოიყენება მეტეოროლ. ელემენტების რიგების ანალიზის დროს კლიმატური ნორმების თუ სხვადასხვა სტატისტ. მახასიათებლების გაანგარიშებისას; 4. ფიზიკურ სტატისტ. ანალიზი, ატმ. პროცესების აღწერა დიფერენციალური განტოლებებით; 5. მოდელირება, მაგ., კლიმატ. მოდელები, ატმ. ზოგადი ცირკულაციის მოდელი და სხვ.; 6. კლიმატ. და სინოპტიკური რუკების შედგენა და მათი ანალიზი.

ამინდით და ატმ. მოვლენებით ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაინტერესდნენ. მეტეოროლ. პირობებს რეგულარულად აკვირდებოდნენ ძვ. ჩინეთში, ინდოეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. კ-ში პირველ სამეცნ. ტრაქტატად მიიჩნევა *არისტოტელეს* ,,მეტეოროლოგიკა‘‘ (ძვ. წ. IV ს.), რ-იც ასახავს ანტ. მეცნიერების იმდროინდელ შეხედულებებს.

კ-ის განვითარების თანამედროვე ეტაპი დაიწყო XVII ს-ში. 1600 შეიქმნა პირველი თერმომეტრი (იხ. სტ. *გალილეი*), 1640 – პირველი ბარომეტრი (ე. ტორიჩელი, იტალია). 1668 გრინვიჩის (ინგლისი) ობსერვატორიაში შეადგინეს ქარების პირველი რუკა. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი მეტეოროლ. თეორიები.

პირველი სახელმწ. მეტეოროლ. სადგურები დაარსდა XIX ს. I ნახ-ში, მ. შ. – პირველი გეოფიზ. ობსერვატორია (1844; იხ. სტ. *თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია*) კავკასიაში.

თანამედროვე კ-ს საფუძველი ჩაუყარა ა. *ჰუმბოლდტმა,* რ-მაც 1817 პირველმა შეადგინა კლიმ. რუკები და შეისწავლა მთიანი ქვეყნების კლიმ. სარტყლები. გ. ბრანდესმა (გერმანია, 1826) შეადგინა პირველი სინოპტიკური რუკები. 1836–64 გამოქვეყნდა გერმ. მეტეოროლოგის, ჰ. დოვეს (1803–79) განმაზოგადებელი შრომები, რ-თაც დართული ჰქონდა თვიური და წლიური ინტერმებიის რუკა. ატმ. პროცესების კვლევის სინოპტიკური მეთოდი სწრაფად გავრცელდა ტელეგრაფის გამოგონების შემდეგ (ინგლისი, 1837). ამავე პერიოდში ა. *ვოეიკოვმა* დაასაბუთა კ-ის გეოგრ. კანონზომიერებები და მისი ფიზ. ბუნება.

1900–20 ვ. კიოპენმა (გერმანია) შეიმუშავა დედამიწის კლიმატის კლასიფიკაცია, მათემატიკურად აღწერა ჰაერის ტემპ-რის და ნალექების რეჟიმი და კლიმატის თითოეული ტიპი, საფუძველი ჩაუყარა მზის აქტივობაზე კლიმ. ცვლილებების დამოკიდებულების შესწავლას. ი. ჰანმა (ავსტრია) გამოსცა კ-ის სახელმძღვანელოს სამტომეული.

XX ს-ში კ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გ. ლანდსბერგმა, დ. მილერმა, გ. მანაბემ, გ. ბარიმ (აშშ), ფ. შტეინჰაუზერმა (ავსტრია), ა. ვეგენერმა, გ. ფლონმა (გერმანია.), მ. კონჩეკმა (ყოფ. ჩეხოსლოვაკია), მ. მილანკოვიჩმა (სერბეთი), ტ. ბერჟერონმა (შვედეთი), პ. პედელაბორდმა (საფრანგეთი), ა. ალისოვმა, მ. ბუდიკომ, ო. დროზდოვმა, ხ. პოლოსიანმა, მ. პეტროსიანმა, ს. ხრომოვმა, ნ. კობიშევამ (სსრკ) და სხვ.

თანამედროვე წარმოდგენებით, კ-ის ფორმირებას განაპირობებს მზის სხივური ენერგია, ატმოსფეროს ქიმ. შედგენილობა, ქვეფე-



ქუთაისის მეტეოროლოგიის სადგური.

ნილი ზედაპირის (ატმოსფერული ოკეანის ფსკერი) მიერ სხივური ენერგიის შთანთქმის უნარი და დედამიწის რეგიონთა შორის სითბოს გადაცემის ინტენსივობა.

საქართველოს კლიმატის პირველი აღწერა ეკუთვნის ანტ. დროის მოღვაწეებს (ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, სტრაბონი და სხვ.). საქართვ. ცალკეული რეგიონების კლიმ. თავისებურებები მოიხსენიება შუასაუკუნეების ქართვ. ავტორების (*იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანცთელი* და სხვ.) ნაწარმოებებშიც, ასევე XVII ს. იტალიელი მისიონერის ა. *ლამბერტის* შრომაში ,,სამეგრელოს აღწერა‘‘. საქართვ. სხვადასხვა კუთხის ჰავის თავისებურებების პირველი ვიზუალური აღწერა (1735) ეკუთვნის *ვახუშტი ბატონიშვილს.* 1844-იდან იწყება ინსტრუმენტული დაკვირვებები თბილისისა და შემდგომ საქართვ. კლიმატზე. 1850 ა. ფილადელფინმა გამოაქვეყნა თბილ. პირველი კლიმატური დახასიათება. 1881 ტემპერატურული ველის საერთაშ. ცნობარში დაფიქსირდა თბილისის ტემპ-რა. საქართვ. პირველ კლიმ. გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია გ. ვილდის (1884), ა. ვოეიკოვის (1885), ნ. სალაცკის (1862), ვ. ვოზნესენსკის (1895) ნაშრომები, ი. *ფიგუროვსკის* შრომები კავკასიის ჰავის შესახებ, ლ. *ბერგის* მიერ შესრულებული ჰავის კლასიფიკაცია და კლიმ. დარაიონება.

XX ს. შუა წლებში ტემპ-რაზე ერთიანი სისტემ. დაკვირვებები ტარდებოდა საქართვ. 242 რეგიონში. ატმ. ნალექების აღმრიცხველი სადგურების რაოდენობა 354-მდე გაიზარდა. გაგრძელდა კლიმატოლოგიური პრობლემების ყოველმხრივი შესწავლა. 1948 ო. დროზდოვმა ახლებურად გააშუქა ნალექების კლიმატოლოგიური დამუშავების მრავალი საკითხი და შეადგინა კავკასიაში წლიური ნალექების რუკა. შ. მოსიძემ მოახდინა პირველი ინსტრუმენტული დაკვირვება მზის სხივურ ენერგიაზე. თ. *დავითაიას* ძირითადი გამოკვლევები ეხება ზოგად და სას.-სამ. პ-ს, აგრომეტეოროლოგიასა და სოფლის მეურნეობის გეოგრაფიას, სარწყავი მელიორაციის თეორიას, კლიმატისა და ამინდის არასასურველ ფაქტორებთან (გვალვა, სეტყვა, წაყინვა) ბრძოლის მეთოდების დასაბუთებას, ბუნების გარდაქმნისა და დაცვის პრობლემებს და სხვ. 1961 გამოიცა მ. კორძახიას მონოგრაფია ,,საქართველოს ჰავა‘‘, რ- შიც მან კიოპენის კლასიფიკაციის გამოყენებით საქართვ. პირველი კლიმ. დარაიონება წარმოადგინა. 1971 გამოიცა კოლექტიური მონოგრაფია, რ-იც მომზადდა ამიერკავკასიის (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის) ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტში (Климат и климатические ресурсы Грузии, ред. В. П. Ломинадзе, Г. И. Чиракадзе.; Л; 1971). შემდგომ წლებში გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, რ-ებშიც განზოგადებულია საქართვ. ტერიტორიაზე კლიმატის ცალკეული ფაქტორების განაწილების ხასიათი და რეჟიმი (ი. ცუცქირიძე, 1967; ი. კვარაცხელია, 1971; პ. გოგიშვილი, 1974; ნ. გვასალია, 1986; მ. ელიზბარაშვილი, 1999 და სხვ.), განხილულია რადიაციული, თერმული და სითბური რეჟიმები, ასევე ბიომეტეოროლოგიის საკითხების ფართო სპექტრი. ჟ. ალიბეგოვას, ე. ელიზბარაშვილის, ზ. ჭავჭანიძის (1980, 1992), შ. ჯავახიშვილის (1981) მონოგრაფიები ეხება ატმ. ნალექების მოსვლის პირობებს, ტერიტ. განაწილებას, რეჟიმსა და სტრუქტურას; ე. ელიზბარაშვილმა შეისწავლა (2007, 2017) საქართვ. კლიმატური რესურსები; რ. სამუკაშვილმა (2015, 2016) – მთლიანად კავკასიის რადიაციული რეჟიმი, შეაფასა ჰელიოენერგეტიკული რესურსები და მათი განაწილება; ე. ელიზბარაშვილმა, ნ. გონგლაძემ (1980), ლ. ქართველიშვილმა (2016, 2018), გ. მელაძემ და მ. მელაძემ (2016, 2020) მოამზადეს მონოგრაფიები და შეადგინეს საქართვ. კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასი (1989, *კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გეოგრაფიის ინსტიტუტთან* ერთად) ეხება გამოყენებითი პ-ის, მ. შ. საკურორტო-სამედ. პ-ის, აგროკლიმატოლოგიისა და სამშენებლო პ-ის პრობლემებს. მიკროკლიმატურ გამოკვლევებში შესწავლილია საქართვ. კურორტების რეკრეაციული ფაქტორები და სამედ. მომსახურების რესურსები (ბ. ჯანაშია, რ. კვკასიძე, ნ. გონგლაძე, ე. ელიზბარაშვილი და სხვ.); ზ. ხვედელიძემ (2018) შეისწავლა მიკროცირკულაციური ატმ. პროცესების დინამიკა საქართვ. მთაგორიან ტერიტორიაზე.

თბილისის ტემპ-რის რიგების პირველი სტატ. ანალიზი ჩაატარეს ი. ქურდიანმა (1956) და გ. ჭირაქაძემ (1959). დ. მუმლაძემ (1991) დაადგინა, რომ ტემპ-რის ზრდამ საქართველოში მაქსიმუმს 1966–75 წლებში მიაღწია, რაც, ძირითადად, ზამთრის ტემპ-რის ხარჯზე მიმდინარეობდა.

1954–91 პირდაპირი და გაბნეული რადიაციის, ქვეფენილი ზედაპირის ალბედოს და რადიაციული ბალანსის ცვალებადობა შეისწავლეს კ. თავართქილაძემ და ი. შენგელიამ.

90 მეტეოროლ. სადგურისათვის შექმნილი 1906–96 პერიოდის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად (კ. თავართქილაძე, ე. ელიზბარაშვილი, დ. მუმლაძე, ჯ. ვაჩნაძე, 1999) დადგინდა, რომ თანამედროვე გლობალური დათბობის საერთო ფონზე აღმ. საქართველოში ტემპ-რა იზრდებოდა, ხოლო დას. საქართველოში – იკლებდა. აღმოჩნდა, რომ ასეთი მოზაიკური ცვალებადობის ძირითადი მიზეზია ბუნებრივ ლანდშაფტურ პირობათა თავისებურება. გეოგრ. ზონალურობის პერიოდული კანონის საფუძველზე შეფასდა საქართვ. სტეპური და ნახევარუდაბნოს ლანდშაფტების გაუდაბნოების ალბათობა, რაც საფუძვლად დაედო ახ. მიმართულების – ლანდშაფტების პ-ის განვითარებას. ჰუმიდურ (ნოტიო) ლანდშაფტებში სითბოს დიდი რაოდენობა აორთქლებაზე იხარჯება, მთებში კი – თოვლის დნობაზე, ამიტომ მათი რეაქცია გლობალურ დათბობაზე გაცილებით სუსტია, ვიდრე არაჰუმიდური (მშრალი) ლანდშაფტებისა (ე. ელიზბარაშვილი, მ. ელიზბარაშვილი, 2002). ქართვ. მეცნიერების მრავალწლიანი კვლევები შეჯამდა საქართვ. კლიმ. და აგროკლიმატურ ატლასში (2011).

საქართველოს ეკონომიკურ ზარალს აყენებს ექსტრემალური მეტეოროლ. მოვლენები, რ-ებიც ზოგჯერ ადამიანთა მსხვერპლსაც იწვევს. კატასტროფულ მოვლენებზე მრავალწლიან დაკვირვებათა შედეგები შეჯამდა გ. სვანიძის, ი. ცუცქირიძის, ე. და მ. ელიზბარაშვილების მონოგრაფიებში.

ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტში მიმდინარეობს საქართვ. ადმ. რეგიონების კლიმატისა და კლიმატური რესურსების კვლევა. 2000-იდან შესრულებული გამოკვლე-

ვების შედეგები გამოქვეყნდა სერიაში ,,საქართველოს ჰავა''.

პ-ის პრობლემებს იკვლევდნენ ა. ამირანაშვილი, ნ. ასლანიკაშვილი, ა. ბალაბუევი, ნ. ბეგალიშვილი, გ. გაგუა, ვ. გაგუა, შ. გავაშელი, ვ. გიგინეიშვილი, ს. გუნია, ც. დიასამიძე, თ. თურმანიძე, რ. კორძახია, ა. კოტარია, ლ. პაპინაშვილი, გ. სულაქველიძე, ე. სუხიშვილი, მ. ფიფია, შ. ცერცვაძე, მ. ხვიჩია, ნ. ჭელიძე და სხვ.

თანამედროვე კლიმატოლოგთა დასკვნით, ადამიანის მოღვაწეობა (ანთროპოგენური ფაქტორი) მნიშვნელოვან (ზოგჯერ კი – სახიფათო) გავლენას ახდენს როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ კლიმატზე. კლიმატური და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას აუცილებელია შესაძლო რისკების შეფასება და გათვალისწინება.

ლიტ.: გოგიშვილი კ., ამინდი და ჰავა, თბ., 1975; ელიზბარაშვილი ე., საქართველოს კლიმატური რესურსები, თბ., 2007; მისივე, საქართველოს ჰავა, თბ., 2017; ელიზბარაშვილი ე., ტატიშვილი მ., ელიზბარაშვილი მ., მესხია რ., ელიზბარაშვილი შ., საქართველოს კლიმატის ცვლილება გლობალური დათბობის პირობებში, თბ., 2013; კორძახია მ., საქართველოს ჰავა, თბ., 1961; მუმლაძე დ., საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილება, თბ., 1991; საქართველოს კლიმატური და აგროკლიმატური ატლასი, თბ., 1992–93; ხვედელიძე ზ., რეგიონალური მიკროცირკულაციური ატმოსფერული პროცესების დინამიკა მთა-გორიან ტერიტორიაზე, თბ., 2018; ჯავახიშვილი შ., საქართველოს კლიმატოგრაფია, თბ., 1988; მისივე, კლიმატოლოგია, ნაწ. 1, 2, თბ., 2011; Давитая Ф. Ф. Атмосфера и биосфера – прошлое, настоящее, будущее. Л., 1975; Элизбарашвили Э. Ш., Элизбарашвили М. Э., Основные проблемы климатологии ландшафтов, Тб., 2006; мамиеви, Стихийные метеорологические явления на территории Грузии, Тб., 2012.

კ. თავართქილაძე.
ე. ელიზბარაშვილი.

კლიმატოლოგია სამედიცინო, მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის კლიმატური და ამინდის ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მათი გამოყენების მეთოდებს სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით. სამედიცინო პ. მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა *კლიმატოლოგია* – ჰავის (კლიმატის) შემსწავლელი მეცნიერება, *მეტეოროლოგია*, სამედიცინო გეოგრაფია, კლიმატოფიზიოლოგია, მეტეო- და კლიმატოპათოლოგია და სხვ.

ცოცხალ ორგანიზმზე კლიმატის გავლენა დამოკიდებულია მეტეოროლ. ფაქტორებზე, როგორიცაა ჰაერის ტემპ-რა, ტენიანობა, ატმოსფერული წნევა, ღრუბლიანობა, მზის რადიაციის ინტენსივობა, ქარი, ნალექები, ატმოსფეროს ელექტროობა და სხვ. თითოეული ფაქტორი თავისებურ ფიზიოლ. გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ, ჩვეულებრივ, ორგანიზმის ცალკეული ფუნქციები დამოკიდებულია ამინდის რამდენიმე ფაქტორის ერთობლივ მოქმედებაზე. ორგანიზმზე კლიმატის მოქმედებას შეისწავლის კლიმატოფიზიოლოგია, რ-იც დიდ ყურადღებას უთმობს ადაპტაციისა და აკლიმატიზაციის საკითხებს, ზღვის, მთის, უდაბნოსა და სხვ. კლიმატის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე; დღეღამური და სეზონური ბიორიტმების თავისებურებებს და სხვ. სასარგებლო კლიმატური პირობებით გამორჩეულ ადგილებს კლიმატოთერაპიისათვის იყენებენ.

ადამიანის ორგანიზმში წარმოქმნილ პათოლ. ძვრებს, რ-ებიც გამოწვეულია არაკომფორტული ამინდის გავლენით, შეისწავლის მეტეოპათოლოგია. დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმში თვალსაჩინოდ გამოხატული პათოლ. რეაქციები ვითარდება ე. წ. ფრონტალური ატმოსფერული პროცესების გავლენით, რასაც დაერთვის ყველა მეტეოროლოგიური ფაქტორის მკვეთრი ცვალებადობა. რაც უფრო კონტრასტულია ეს ცვალებადობა, მით უფრო მკაფიოდაა გამოხატული ორგანიზმის პათოლოგიური რეაქციები. დისკომფორტული ამინდისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან ავადმყოფები, რ-ებსაც აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, მათ ხშირად უფთარდებათ არაერთი გართულება სტენოკარდიის, ჰიპერტონიული კრიზის, ინსულტისა და სხვათა სახით. გეოგრაფიული ზონების ბიოკლიმატური ძვრების შესწავლამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კლიმატოპროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება სეზონური და არახელსაყრელი კლიმატური პირობების შედეგად განვითარებული დაავადებების გართულებათა თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში სამედიცინო პ-ის დარგში სამეცნ. მუშაობა ფართოდ იყო გაშლილი კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში, სადაც შეისწავლეს საქართვ. კურორტების კლიმატური თავისებურებები, შეიმუშავეს ამინდისა და კლიმატის სამედ. შეფასების მეთოდები და კლასიფიკაცია, ადამიანის ორგანიზმზე მთისა და ზღვის ჰაერის მოქმედების თავისებურებანი, კლიმ. მკურნალობის მეთოდები და სხვ.

გ. უშვერიძე.


კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე (1 (13). VIII. 1881, სოფ. რუისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 20. VIII. 1934, თბილისი), პედაგოგი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. 1910 დაამთავრა ოდესის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად. 1915-იდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის თელავის განყ-ბის წევრი. ასწავლიდა ისტორიას და ლათინურ ენას თელავის ვაჟთა გიმნაზიაში, 1918–20 იყო ამავე გიმნაზიის დირექტორი. 1920-იდან მუშაობდა თბილისში, განათლების სამინისტროს ინსტრუქტორად. პ-მა შეადგინა სახელმძღვანელოები: საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია (1927–44), სსრ კავშირის გეოგრაფია (1929), კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია (1932).

ლიტ.: ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი, ავტორ-შემდგენლები კ. ხარაძე, შ. ჯავახიშვილი, თბ., 2003.

გ. გოგუა.
თ. თამარაშვილი.

კლიმიაშვილი ლევან დავითის ძე (დ. 5. I. 1949, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2003), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (2006). 1972 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი სპეციალობით ჰიდროტექნიკა და სანტექნიკა. 1972–73 მუშაობდა ინჟინრად ,,თბილქალაქპროექტში'', 1977–2000 – სპი-ის წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრაზე. 2000–06 იყო ამავე კათედრის გამგე, 2009–15–სტუ–ის რექტორის მოადგილე. 2015-იდან არის სტუ-ის ვიცე-რექტორი.

პ-ის მეცნ. ინტერესებისა და კვლევის სფეროა წყალმომარაგების სისტემების საიმედოობის ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ.შ. 11 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. მიღებული აქვს 5 საავტორო მოწმობა, 1 პატენტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).



გ. კლიმოვი.

თხზ.: წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემების საიმედოობა, თბ., 2011; მტყუნებათა შეფასება წყლის მოწოდებისა და განაწილების სისტემებში, თბ., 2015.

კლიმოვი გიორგი ანდრიას ძე (20. X. 1928, ლენინგრადი, – 5. V. 1997, მოსკოვი), რუსი ქართველოლოგი და კავკასიოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1970). დაამთავრა ლენინგრადის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. ასპირანტურის კურსი გაიარა თბილისში არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით, სადაც დაეუფლა ქართულ ენას, შეისწავლა მეგრული, ლაზური, სვანური. ამ ენათა მასალას წარმატებით იყენებდა არა მარტო ქართველოლოგიურ ძიებებში, არამედ ზოგადენათმეცნ. კვლევაშიც. მსოფლიო ენათმეცნ. ყურადღების ცენტრში მოექცა მისი სამეცნ. შრომები – ისტ.-შედარებითი, ენათმეცნ. თეორიისა და პრაქტიკის, აქტიური და ერგატიული კონსტრუქციების საკითხებზე. ქართველოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი მონოგრაფიები: ,,Склонение в картвельских языках в сравнительно историческом аспекте'' (1962); ,,Этимологический словарь картвельских языков'' (1964); ,,Кавказские языки'' (1965).

თხზ.: Очерк общей теории эргативности, М., 1973; Типология языков активного строя М., 1977; Введение в кавказское языкознание, М., 1986; Основы лингвистической компаративистики, М., 1990; Древнейшие индоевропеизмы картвельских языков, М., 1994.

ზ. სარჯველაძე.

კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მ. წინამძღვრიშვილის სახელობისა, დაარსდა 1946 აკად. მ. *წინამძღვრიშვილის* პირადი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. 21 წლის განმავლობაში ინ-ტი ამ პროფილის პირველი და ერთადერთი დაწესებულება იყო საბჭოთა კავშირში. მისი შექმნით, მ. წინამძღვრიშვილმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა *კარდიოლოგიას*, როგორც დამოუკიდებელ დარგს, რამაც დასაბამი მისცა გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევა-ძიების მრავალმხრივ, კომპლექსურ კვლევას.

თავდაპირველად ინ-ტი ჩამოყალიბდა საქართვ. მეცნ. აკად. სტრუქტურაში, 1956 კი გადავიდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სხვადასხვა პერიოდში ინ-ტის დირექტორები იყვნენ: მ. წინამძღვრიშვილი (1946–56), ი. *ჯავახიშვილი* (1957–66), ვ. *წინამძღვრიშვილი* (1967–68), ვ. *ქავთარაძე* (1968–90), ბ. *ქობულია* (1990–2000), ბ. წინამძღვრიშვილი (2000–07). ინ-ტის სამეცნ. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: დ. გედევანიშვილი, გ. გვიშიანი, ა. ზურაბაშვილი, გ. თუმანიშვილი, ა. ლაჭყებიანი, ი. ტატიშვილი, პ. ქომეთიანი, კ. ცინცაძე.

კლინიკაში დაინერგა გულ-სისხლძარღვთა სისტემის კვლევის მრავალგვარი მეთოდი: ელექტროკარდიოგრაფიული, რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი, რადიოიზოტოპური, დატვირთვის ტესტები, ხანგრძლივი ეკგ დაკვირვების და სხვ. გაიხსნა კლინ. და ექსპერ. განყ-ბები: კლინიკური ფიზიოლოგიის, პოლიკლინიკური, სამედ. ქიმიის, პათფიზიოლოგიის, ექსპერ. ბიოქიმიის და სხვ.

მ. წინამძღვრიშვილის თაოსნობით ინ-ტში 1955 შეიქმნა ექსპერ. კარდიოქირურგიის განყ-ბა (ხელმძღვ. ბ. ჩიქოვანი), სადაც ექსპერ. დაინერგა გულის კორონარული არტერიების დაზიანების დიაგნოსტიკა რენტგენოკონტრასტული კვლევის მეთოდით. 1959 ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ინ-ტში გაიხსნა კარდიოქირურგიის განყ-ბა, სადაც სრულდებოდა იმ დროისათვის საკმაოდ რთული ოპერაციები (კომისუროტომია, სუბტოტალური პერიკარდექტომია; ბავშვთა ასაკში – ღია არტერიული სადინარის დახურვა).

1968 კარდიოლოგიის ინ-ტის კარდიოქირურგიული განყ-ბა გადაიტანეს ქირურგიის ინ-ტში. მომდევნო წლებში კარდიოლოგიის ინ-ტში შეიქმნა კლინ. განყ-ბები: საორგანიზაციო-მეთოდური, პროფილაქტიკური კარდიოლოგიის, არტერიული ჰიპერტონიის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ქრონიკული კორონარული უკმარისობის, გულის რიტმის დარღვევის, სისხლის მიმოქცევის ნაკლოვანების, რეაბილიტაციის, მეტაბოლიზმის რეგულაციის, პედიატრიული კარდიოლოგიის; აგრეთვე ჩამოყალიბდა რენტგენოლოგია-რადიოლოგიის, ელექტროფიზიოლოგიის, ჰემოდინამიკის, ფუნქციური დიაგნოსტიკის, რადიოიმუნოლოგიის და ბიოქიმიის ლაბორატორიები. ექსპერიმენტულ განყ-ბაში გაერთიანდა სამედ. ბიოფიზიკის ცენტრი. წლების განმავლობაში ინ-ტი გადაიქცა დიდ სამეცნ.-კვლ. და სამკურნ. დაწესებულებად. იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით ასრულებდა კარდიოლოგიური სამეცნ.-პრაქტ. ცენტრის ფუნქციას.

1947–49 მ. წინამძღვრიშვილის თაოსნობით კარდიოლოგიის ინ-ტის კოლექტივმა (პირველად საბჭოთა კავშირში) განახორციელა ქვეყნის ყველა რეგიონში არტერიული ჰიპერტონიის ეპიდემიოლოგიური მასობრივი გამოკვლევა – 60-წლიანი დინამიკა. შეიქმნა ქვეყანაში ჰიპერტენზიის გავრცელების ეპიდემიოლოგიური რუკა. შესაბამისად, შემუშავდა პრევენციული ღონისძიებების სტრატეგია, რამაც დასაბამი მისცა საქართველოში პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ინ-ტში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური, კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე, მ. წინამძღვრიშვილმა შეიმუშავა არტერიული ჰიპერტონიის კლასიფიკაცია, რ-იც კლინიკურ-ფუნქციური ნიშნის მიხედვით იყო აგებული. სწორედ ამ პრინციპით არის წარმოდგენილი მსოფლიოში კარდიოლოგიური დაავადებების თანამედროვე კლასიფიკაცია, რ-იც გულისხმობდა დაავადების მიმდინარეობის ვარიანტების ანალიზს, ე. წ. „პრეჰიპერტენზიის“ და „რევერზიბელური“, ანუ შექცევადი და ე. წ. „შეუღლებული“ ფორმების კლინიკურ მნიშვნელობას. ტერმინი „პრეჰიპერტენზია“, რ-იც ფიგურირებს აშშ-ის კარდიოლოგთა ასოციაციების თანამედროვე კლასიფიკაციათა სტრუქტურებში, ეკუთვნის მ. წინამძღვრიშვილს. მან ინ-ტში შესრულებული კვლევების საფუძველზე ივარაუდა, რომ დაავადების შექცევადი ფორმების დროს შესაძლებელია გულის ჰიპერტროფიის უკუგანვითარებაც, რაც შემდგომში დადასტურდა გულის ულტრაბგერითი კვლევებით. საქართვ. ჰიპერტენზიის საზ-ბა და დაავადებათა კონტროლის ცენტრი დღესაც აგრძელებენ ქვეყანაში ჰიპერტენზიის ეპიდემიოლოგიური კვლევების ტრადიციას; XX ს. 50-იან წლებში მ. წინამძღვრიშვილი დაინტერესდა უცაცარი კარდიული სიკვდილის პრობლემით. ინ-ტმა, ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიოში, დაგეგმა და დაიწყო ამ სინდრომის პათომორფოლოგიური, პათოფიზიოლოგიური, კლინიკური და პრევენციული ასპექტების შესწავლა (მ. წინამძღვრიშვილი, ი. ტატიშვილი, რ. კაპანაძე, გ. მამალაძე). ჩატარებულმა კვლევებმა

გამოავლინა, რომ უეცარი სიკვდილის რისკს უმეტესად განაპირობებს გულის იშემიური დაავადება. პათომორფოლოგიურად დადასტურდა გულის კუნთის სტრუქტურული ცვლილებები, მაგრამ გულის ინერვაციული მექანიზმების აფერენტულ და პარასიმპათიკურ ნაწილებში მსგავსი ცვილებები ვერ გამოვლინდა. პრობლემის შესწავლის მიზნით, 70-იან წლებში გ. მამალაძე მიავლინეს ქ. ბოსტონში (აშშ), ნობელის პრემიის ლაურეატთან, არითმოლოგ ბ. ლაუნთან.

მ. წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით ინ-ტში მუშავდებოდა გულის კუნთის დაზიანების, ე. წ. დისტროფიის პრობლემა. მისი კონცეფციის მიხედვით, არსებობდა მიოკარდიუმის დისტროფიული დაზიანების ორი ვარიანტი – ექსტრა- და ინტრაკარდიული. პირველი გულისხმობს ყველა ექსტრაკარდიულ (არა გულ-სისხლძარღვთა) მიზეზს: ეგზოგენურ ინტოქსიკაციებს, ენდოკრინულს, ანემიებს და სხვ., მეორე ვითარდება საკუთრივ ინტრაკარდიული ფაქტორების (გულის კორონაროსკლეროზი, გულის მანკები) შედეგად განვითარებული გულის უკმარისობით. მ. წინამძღვრიშვილი თვლიდა, რომ მიოკარდიუმის დისტროფიის დიაგნოზის ჩანაცვლება გულის უკმარისობის დიაგნოზით პრინციპულად არასწორია. თითქმის 60 წლის შემდგომ ევროპის კარდიოლოგთა საზ-ბის პოზიციები და თანამედროვე კლასიფიკაციები გულის კუნთის დაავადებების, კარდიომიოპათიების მორფოფუნქციური კრიტერიუმების შესახებ ბევრ ასპექტში თანხვდება წინამძღვრიშვილისეულ ხედვას გულის კუნთის დისტროფიების ბუნებისა და განსაზღვრებების თაობაზე.

ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ინ-ტში 1960-იდან დაიწყო ათეროსკლეროზის გავრცელების შესწავლა. გამოვლინდა რიგი ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები, გენდერული და ათეროსკლეროზის სხვადასხვა რისკ-ფაქტორთა თავისებურებები ქვეყნის მოსახლეობაში. კლინიკური კვლევების უკვე ამ ეტაპზე დადგინდა, რომ ეკგ-ს მონაცემებით ათეროსკლეროზული დაზიანება უფრო ხშირად გვხვდება კორონარულ სისხლძარღვებში, ვიდრე რენტგენოლოგიურად გამოვლენილ აორტის სტრუქტურაში. ბ. წინამძღვრიშვილმა, გ. მჭედლიშვილმა 1986–2000 ინ-ტში შეისწავლეს მიკროცირკულატორული და სისხლის რეოლოგიურ რისკ-ფაქტორთა როლი ჰიპერტენზიისა და გულის იშემიური დაავადების განვითარებაში.

კვლევების შედეგად დადგინდა ჰემორეოლოგიური დარღვევების დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა ესენციური ჰიპერტონიის დროს, მათი როლი დაავადებისა და მისი გართულებების პათოგენეზში.

საქართვ. კარდიოლოგთა საზ-ბას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კარდიოლოგიის ინ-ტის დირექტორი ვ. ქავთარაძე. 1991 კარდიოლოგიის ინ-ტში შედგა საქართვ. კარდიოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია (დამფუძნებლები: ზ. ფაღავა, თ. გაფრინდაშვილი, თ. არეშიძე, თ. კვანტალიანი). პრეზიდენტად აირჩიეს ბ. ქობულია. 2004 ინ-ტში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რ-მაც დააარსა საქართვ. ჰიპერტონიის ლიგა (შემდგომში ჰიპერტონიის შემსწავლელი საზ-ბა; პრეზიდენტი – ბ. წინამძღვრიშვილი).

ლიტ.: ქავთარაძე ვ., კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 1982; წინამძღვრიშვილი მ., ესენციალური ჰიპერტონიის პრობლემა საქართველოში, თბ., 1947; Кавтарадзе В. Гванцеладзе В., Некоторые итоги научно-исследовательской деятельности Института Клинической и Экспериментальной Кардиологии им. акад. М. Д. Цинамдзгвришвили Тб., 1971.

ბ. წინამძღვრიშვილი.

კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პ. სარაჯიშვილის სახელობისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1958. 1984-იდან ატარებს მისი დამაარსებლის და პირველი დირექტორის (1958–84) აკად. პ. *სარაჯიშვილის* სახელს. 1990–2011 ეწოდა პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ინ-ტი; 2011-იდან დღემდე არის პ. სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის ინსტიტუტი, რ-იც წარმოადგენს საქართველოში წამყვან კლინიკურ და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას. 1984-89 ინ-ტს სათავეში ედგა საქართველოს მედ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი – ვ. *გაბაშვილი.* 1989-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს აკად. რ. *შაქარიშვილი.*

ინ-ტის სამეცნ. კვლევის პროფილია ანგიონევროლოგია, ეპილეფტოლოგია, ნეირომიოლოგია, გერონტონევროლოგია, ნერვული სისტემის ანთებითი და დეგენერაციული პათოლოგია. ექსპერ. ნევროლოგიის მიმართულებით ფართო საერთაშ. აღიარება მოიპოვა ნეიროფიზიოლოგიაში, ნეიროქიმიასა და ნეირომოირფოლოგიაში შესრულებულმა ნოვატორულმა კვლევებმა. ინ-ტის ექსპერ. ნევროლოგიის განყ-ბა (აკად. ვ. ოკუჯავა) 1980–90 წარმოადგენდა სსრკ-ის კოსმოსური კვლევების საბაზო, ლაბორატორიულ კომპლექსს.

ინ-ტი აღიარებულია ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ (WSO) ცერებროვასკულური პათოლოგიის კვლევის საერთაშ. რეგიონულ ცენტრად. მისი თაოსნობით, რეგულარულად (3 წელიწადში ერთხელ), თბილისში იმართება ფართო წარმომადგენლობის „ინსულტის საერთაშორისო კონფერენციები“.

1988 ინ-ტის ავტორთა კოლექტივს (პ. სარაჯიშვილი, თ. გელაძე, ვ. გაბაშვილი, ო. სიგუა, ს. ჩხენკელი, შ. ბიბილეიშვილი) ნაშრომთა ციკლისთვის ეპილეფტოლოგიაში, ხოლო 2010 რ. შაქარიშვილსა და ა. ცისკარიძეს ანგიონევროლოგიაში შესრულებული ნაშრომისთვის მიენიჭათ საქართვ. სახელმწ. პრემია.

ინ-ტის კლინიკურ ბაზაზე ფუნქციონირებს თსუ-ის ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრა.

ინ-ტმა დააარსა პ. სარაჯიშვილის სახ. სამეცნ. პრემია – ნეირომეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის, რ-საც ანიჭებს საქართვ. ნევროლოგთა საბჭო.

ს. ბაქრაძე.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აკად. ფ. თოდუას სახელობის სამედიცინო ცენტრი, მრავალპროფილური, წამყვანი სამეცნ.-კვლ. და კლინ.-დიაგნოსტიკური დაწესებულება რადიოლოგიის, ონკოლოგიისა და ქირურგიის დარგში. 1990 დააარსა აკად. ფ. *თოდუამ.* მან ინ-ტი განვითარების სრულიად ახალ, თანამედროვე საფეხურზე აიყვანა, დანერგა კვლევის უახლესი მეთოდები რადიოლოგიის, ინტერვენციული რადიოლოგიის, ონკოლოგიის, სხივური თერაპიის, ქირურგიის, ენდოსკოპიის მიმართულებით. 2017 ინ-ტს მიენიჭა მისი სახელი.

კმს-კი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ამასთანავე, გამორჩეულია პროფ. კადრებით და

პრობლემისადმი მულტიდისციპლინური მიდგომით, რაც გულისხმობს კლინიკური და დიაგნოსტიკური მიმართულებების ჰარმონიულ სინთეზს.

აღსანიშნავია, რომ ინ-ტმა პირველმა შემოიტანა საქართველოში მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი; მაღალი სიმძლავრის მაგნიტურ-რეზონანსული და ერთფოტონიანი ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფები (რამაც ხელი შეუწყო რადიოლოგიისა და რადიონუკლიდური დიაგნოსტიკის განვითარებას საქართველოში); ენდოცისტოსკოპი, პირველი (კავკასიის რეგიონში) ორმილიანი კომპიუტერული ტომოგრაფი (უნიკალური აპარატი, რ-ის მეშვეობით შესაძლებელია ყოველგვარი ინვაზიის გარეშე გულის მკვებავი კორონარული სისხლძარღვების მდგომარეობის სარწმუნო შეფასება) და სხვა უახლესი სადიაგნოსტიკო და სამკურნ. აპარატურა. აქ მუდმივად მუშავდება და კლინ. პრაქტიკაში ინერგება ახალი ტექნოლოგიები, კვლევისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.

ცენტრი უნიკალურია არამარტო აღჭურვილობით და კადრების პროფესიონალიზმით, არამედ ორიგ. კონცეფციით, რაც გამოიხატება კლინ. განყ-ბებისა და დიაგნოსტიკური ნაწილის ჰარმონიული შერწყმით, მულტიდისციპლინური მიდგომით. ინ-ტში ფუნქციონირებს რენტგენოლოგიური, ულტრაბგერითი, კომპიუტერული ტომოგრაფიის, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის, რადიონუკლიდური, პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიის, ინტერვენციული რადიოლოგიის, ენდოსკოპიური კვლევის, ბრონქოსკოპიის, ტრანსბრონქული კვლევების, ასევე კლინ. ონკოლოგიის, სხივური თერაპიის, ონკოქირურგიის, ნეიროქირურგიის, ზოგადი, აბდომინალური, გინეკოლოგიური, უროლოგიური, პროქტოლოგიური, სისხლძარღვთა ქირურგიის განყ-ბები.

ინ-ტში წლების განმავლობაში დამუშავდა არაერთი თემატიკა. ჩატარებული სამეცნ. კვლევის შედეგები დაინერგა პრაქტიკაში. გადაიჭრა დაავადებათა ადრეული კომპლექსური დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მნიშვნელოვანი საკითხები. ადგილობრივ და საერთაშ. კონფერენციებზე კეთდება მოხსენებები. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია 3000-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომისა და 14 მონოგრაფიის სახით, რ-ებსაც არაერთგზის აქვს მიღებული საქართვ. სახელმწ. და სახელობითი პრემიები.

ცენტრს მნიშვნელოვანი საერთაშ. კონტაქტები აქვს ევროპისა და აშშ-ის კლინიკებთან. ყოველწლიურად ტარდება ევროპისა და ამერიკის ასოციაციებისა და სკოლების საგანმან. კურსები რადიოლოგიის, ონკოლოგიის, სხივური თერაპიის, ნევროლოგიის, ქირურგიის დარგში.

ინ-ტის ბაზაზე ფუნქციონირებს თსუ-ის სამედ. რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის კათედრა, თსსუ-ის სამედ. რადიოლოგიის დეპარტამენტის რეზიდენტურის პროგრამები, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის სასწავლო ცენტრები.

ს. კახაძე.

კლინიკური ონკოლოგია, იხ. *ონკოლოგია.*

კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი, („კოი“), დაარსდა 2011, როგორც შპს ,,კონსტანტინე მადიჩის სახ. მამოლოგიის ცენტრი“. დღევანდელი სტატუსი 2015 მიენიჭა (დამფუძნ. – გ. *ნემსაძე*, კლინ. დირექტორი – ვლ. *კუჭავა*).

კლინიკაში ტარდება მრავალი სხვადასხვა სახის ქირურგ. ოპერაცია, მ. შ. მამოლოგიური, უროლოგიური, თავ-კისრის, გულმკერდის, მუცლის ღრუს, რბილი ქსოვილების, ბარიატრიული, გინეკოლოგიური, პროქტოლოგიური, აღდგენით-რეკონსტრუქციული ოპერაციები და სხვ. პრიორიტეტი – ზოგადი და ონკოქირურგია (ქიმიო- და ჰორმონოთერაპიით). ოპერაციები კეთდება როგორც ღია წესით, ისე მცირე ინვაზიით – ლაპაროსკოპიით.

კლინიკაში არის ენდოსკოპიის, ექოსკოპიის, რენტგენსკოპიის, კარდიოექოსკოპიის, მამოგრაფიის, რენტგენოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიისა და უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ლაბორატორიული და პათომორფოლოგიური განყ-ბები. ქიმიოთერაპიის დეპარტამენტი ემსახურება პრე- და პოსტოპერაციულ ავადმყოფებს. მედიკამენტოზური მკურნალობა მოიცავს ქიმიოთერაპიულ, სამიზნე თერაპიულ, იმუნოთერაპიულ და ჰორმონოთერაპიულ მიმართულებას. დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში. 2017 ფუნქციონირება დაიწყო საქართვ. ერთ-ერთმა უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილმა და ავტომატიზებულმა დეპარტამენტმა, სადაც მიმდინარეობს ციტოლოგიური, ზოგადი, პათომორფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური კვლევები. პაციენტებს მიეწოდებათ ფსიქოლოგიური თანადგომის სერვისი.

კლინიკური საავადმყოფო, სტაციონარის გარკვეული ტიპი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრები. ჰ. ს-ში ტარდებოდა პრაქტ. მეცადინეობები, სადაც სტუდენტები ეცნობოდნენ ამა თუ იმ საგნის საფუძვლებს და ეუფლებოდნენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამჟამად ასეთ სტაციონარში ავადმყოფის მკურნალობასთან ერთად მიმდინარეობს სამეცნ.-კვლ. და სასწ.-აღმზრდელობითი საქმიანობა. ასეთი სტაციონარებია შპს ,,აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“; შპს ,,ს. ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა“; შპს ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და გ. ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“; სსიპ ,,თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა“ და სხვ.

კლინიკური ტოქსიკოლოგია, იხ. *ტოქსიკოლოგია.*

კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის დაავადებისა და მკურნალობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ჰ. ფ. მრავალ დარგს მოიცავს, რ-იც ზოგად და კერძო ჰ. ფ-ში ერთიანდება. ზოგადი ჰ. ფ. იკვლევს ფსიქიკურ და სომატურ დარღვევათა ზოგად თავისებურებებსა და მიზეზებს, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობებს, ფსიქოჰიგიენის, ფსიქოპროფილაქტიკის, სამედ. დეონტოლოგიისა და სხვა მსგავს საკითხებს. კერძო ჰ. ფ-ში განიხილება გარკვეული პრობლემები, რ-თაგან მრავალს ცალკეული დარგი (პათოფსიქოლოგია, ნეიროფსიქოლოგია, ფსიქოსომატური მედიცინა, ფსიქოფარმაკოლოგია, სპეც. ფსიქოლოგია, კლინ. ფსიქოდიაგნოსტიკა, ფსიქოთერაპია, ფსიქოკონსულტაცია) შეისწავლის.

ჰ. ფ. ფსიქოლ. მეცნიერებისა და ფსიქოლ. პრაქტიკის დარგია. მკვლევრები სწავლობენ ზოგად

და კერძო პ. ფ-ში არსებულ პრობლემებს, ერთმანეთს ადარებენ ამა თუ იმ დაავადების მქონე პირთა ფსიქოლ. კანონზომიერებებს და ჯანმრთელთა ფსიქიკას. პრაქტიკოსი კლინიკური ფსიქოლოგები კი მუშაობენ კონკრეტულ პაციენტთან – ადგენენ განცდებისა და ქცევის თავისებურებებს, ფსიქ. განვითარების შეფერხების ხარისხს, ფსიქ. აშლილობის ფსიქოდიაგნოსტიკისთვის იყენებენ ფსიქოთერაპიის მეთოდებს, ატარებენ ფსიქ. და ფსიქოსომატური დაავადების ფსიქოპროფილაქტიკას, ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, არეგულირებენ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობას, უწევენ ფსიქოლ. კონსულტაციას ავადმყოფს, მის გარემოცვას და ა.შ.

პ. ფ-ის ისტორია, თუ მასში პრაქტიკასაც ვიგულისხმებთ, კაცობრიობის ასაკისაა. არქაული შამანური მედიცინა თუ შელოცვითი მკურნალობა ფსიქოლ. ზემოქმედებას ეფუძნებოდა. პ. ფ-ის ელემენტები ჭარბადაა მოცემული ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის ისტორიაში. ამ დარგის სათავეებთან იდგნენ თ. რიბო, ჟ. მ. შარკო, პ. ჟანე, ვ. ბეხტერევი და სხვა. ფსიქოთერაპიის საყოველთაო გავრცელებას ბიძგი მისცა ზ. ფროიდმა, ტერმინი კი 1907 შემოიტანა ამერ. ფსიქოლოგმა ლ. უიტმერმა.

პ. ფ. საქართველოში ფსიქოლ. და სამედ. მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ჩამოყალიბდა. ფსიქიატრიისა (შეიქმნა 1925) და ფუნქციურ-ნერვულ დაავადებათა (შეიქმნა 1930) ინტებში ინტენსიურად იყენებდნენ იმ დროისთვის ცნობილ ძირითად ფსიქოთერაპიულ მეთოდებს. ქართული ფსიქოლ. სკოლის ფუძემდებლის, დ. *უზნაძის* თაოსნობით საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში 1943 დაარსდა ფსიქოლოგიის ინტი, სადაც მაშინვე დაიწყო ფუნქციონირება პათოფსიქოლოგიის განყ-ბამ (ხელმძღვ. ი. ბჟალავა, შემდგომში – მ. *საყვარელიძე*). მოგვიანებით მას სამედ. ფსიქოლოგიის განყ-ბა ეწოდა. დ. უზნაძის *განწყობის ფსიქოლოგიის* საფუძველზე წარმართულმა ხანგრძლივმა კვლევამ გამოავლინა მყარი კავშირი სულიერი აშლილობის სხვადასხვა სახეობასა (შიზოფრენია, ეპილეფსია, ისტერია, ფსიქასთენია) და ადამიანის განწყობისეულ ტიპს შორის. შემდგომში ეს კვლევა ფსიქოსომატურ დაავადებებზე გავრცელდა (ა. გრიგოლავა). საზოგადოდ, ბევრი რამ გაკეთდა ფსიქ. გადახრების განწყობისეული გააზრების თვალსაზრისით (მ. ბარკალაია, თ. ბჟალავა, ე. გერსამია, ე. ვაჩნაძე, თ. იოსებაძე, ნ. ელიავა, ვ. *ნორაკიძე*, ქ. მაყაშვილი, ქ. მდივანი, გ. *მერაბიშვილი*, დ. ნადირაშვილი, რ. საყვარელიძე, კ. ცინცაძე, მ. *ყოლბაია*, ზ. ჯაფარიძე). II მსოფლიო ომის წლებში, თავის ტვინის დაზიანებათა მკურნალობის ამოცანიდან გამომდინარე, ი. ბჟალავას ხელმძღვანელობით დაიწყო ნეიროფსიქოლოგიური კვლევა, რ-იც მომდევნო წლებშიც გაგრძელდა (მ. გაბაშვილი, თ. გაგოშიძე, რ. მხეიძე, მ. საყვარელიძე). ამჟამად ფსიქოლოგები მუშაობენ ქვეყნის მრავალ კლინიკაში, ამასთან სულ უფრო პოპულარული ხდება კერძო ფსიქოთერაპიული მომსახურება.

ლიტ. ბჟალავა ი., პათოფსიქოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები, ,,მაცნე'',1971, №1; იმედაძე ი., ფსიქოლოგია, თბ., 2019; უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია, თბ., 2004; Клиническая психология. СПб, 2011; Медицинская психология, ред. М.А. Сакварелидзе, Тб., 1983; Plante T., Contemporary Clinical Psychology. N. Y.; The Oxford Handbook of Clinical Psychology. N. Y., 2014.


ი. იმედაძე.

კლირინგი (ინგლ. – clearing< clear – გაწმენდა, ნათელყოფა), ანგარიშსწორება ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლების გზით. როგორც წესი, საკლირინგო სისტემები ეყრდნობა უნაღდო ანგარიშსწორებას და გამოიყენება ორგანიზებულ ბაზრებსა და საერთაშ. ვაჭრობაში (იხ. აგრეთვე სტ. *ფინანსური ანგარიშსწორება*).

კლისური, მდ. *კელასურის* ძველი სახელწოდება.

კლიჯიანი სოსო ნიკოლოზის ძე (სოს სოსიანი) (27. I. 1928, თბილისი, – 2. I. 2008, იქვე), სომეხი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1984). სომხეთის დამს. არტისტი. პ-მა სასცენო მოღვაწეობა თბილ. ს. შაუმიანის სახ. სომხურ სახელმწ. თეატრში დაიწყო (1950), მალევე მოიპოვა პოპულარობა და თეატრის ერთერთი წამყვანი მსახიობი გახდა. 1955 ,,სომხური ფილმის'' მიწვევით პ. საცხოვრებლად გადავიდა სომხეთში, სადაც გადაიღეს კინოფილმებში ,,მოჩვენებები მწვერვალებს ტოვებენ'' (რეჟ. გ. მალიანი) და ,,ადრესატის ძიებაში'' (რეჟ. რ. სარქისიანი). 1971 პ. დაბრუნდა თბილ. სომხურ თეატრში, სადაც შეასრულა 100-ზე მეტი როლი: რუსტამი, სეირანი (შირვანზადეს ,,ნამუსი''), პეპო (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), ელიზბაროვი (შირვანზადეს ,,ღირსების გამო''), კამო (ა. ბარსეგიანის ,,კამო''), არშაკ II (პ. ზეიტუნიანის ,,არშაკ II''), ლიმონა (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა'') და სხვ. პ. გამოირჩეოდა შესრულების ფართო დიაპაზონით და სცენური მომხიბვლელობით.

კლუხორის უღელტეხილი, ქლუხორის უღელტეხილი, უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, აკავშირებს კოდორისა და თებერდის ხეობებს. სიმაღლე – 2781 *მ*. აგებულია პროტეროზოური და ქვედაპალეოზოური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. პ. უ-ის მიდამოებში ალპ. ლანდშაფტია. უღელტეხილზე გადადის *სოხუმის სამხედრო გზა*.



ს. კლიჯიანი. ტატულ ბაგრევანდცი. ბ. სეირანიანის ,,ტატულ ბაგრევანდცი''.

კნოლევი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ავლევის თემი), ღოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. შუა ფრონის ხეობაში, მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 780 *მ*, ქარელიდან 31 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 244 მცხ. (2014).

სოფელში მდებარეობს ღვთისმშობლის ეკლესია.

კნორინგი კარლ თედორეს ძე [22. V. (2. VI.) 1746, – 12 (24). II. 1820, მოსკოვი], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1798), რუს. ჯარების პირველი მთავარსარდალი საქართველოში. 1799 მარტს დანიშნეს კავკ. ქვეითი ჯარის ინსპექტორად და კავკ. ხაზის სარდლად. 1801 წ. 24 მარტს ჩამოვიდა საქართველოში. პირველი ღონისძიება, რ-იც მან განახორციელა, იყო დავით ბატონიშვილის გადაყენება და ,,საქართველოს მმართველად'' გენ. ი. ლაზარევის დანიშვნა.

კ-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთთან აღმ. საქართველოს შეერთების საქმეში. მან მთავრობის დავალებით ,,დასკვნა'' წარუდგინა რუსეთის სახელმწ. საბჭოს, რ-შიც ნათქვამი იყო, რომ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო და მისი ,,ხსნა'' მხოლოდ ამ სახელმწიფოს გაუქმებითა და თვითმპყრობლური მმართველო-

ბის დანერგვით შეიძლებოდა, რაზედაც, თითქოს, ქართველი ხალხი და მისი მმართველები თანხმობას აცხადებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. ამ ,,დასკვნას'' მოჰყვა ალექსანდრე I-ის მანიფესტი (1801 წ. 12 სექტ.). დიდი მარხვის ვნების კვირაში, ოთხშაბათს (1802 წ. 12 აპრ.), პ-მა რუსი ჯარისკაცებით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ საზ-ბას მანიფესტი გააცნო. იგი ძალით აპირებდა ხალხის დაფიცებას ახალ განწესებულ კანონზე. ალექსანდრე I-ის მანიფესტს საქართველოში მძლავრი პროტესტი მოჰყვა. პ. შემდეგში სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლად დაინიშნა. მან თავისი საქმიანობით უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე პეტერბურგში. 1803 დამდეგს პ. გადააყენეს.



ა. კობალაძე.

ლიტ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009; Потто В. А., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, 2 изд., т. 1–5, СПб.–Тфл., 1887–99.

ლ. მანიავა.

კობაიძე (კაბაიძე) ვლადიმერ პავლეს ძე (24.I. 1924, სოფ. ჩირიკი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 18.IX. 1998, ივანოვო, რუსეთი), ჩარხმშენებელი, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1978), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. სოც. შრომის გმირი (1985). 1952 დაამთავრა მოსკოვის ჩარხმშენებლობის ინ-ტი და მუშაობა დაიწყო ქ. რიაზანის ჩარხსაშენებელ ქ-ნაში ინჟინრად. 1970–76 იყო ქ. ივანოვოს ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების დირექტორი, 1976-იდან – გენ. დირექტორი, 1985-იდან – ბულგარეთისა და ქ. ივანოვოს ერთობლივი ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენ. დირექტორი. 1978 პ-ის ხელმძღვანელობით იმავე საწარმოში შეიქმნა მრავალპროფილიანი ჩარხი – ე. წ. ,,დამამუშავებელი ცენტრი'', რისთვისაც სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. ამ ჩარხმა იმავე წელს იტალიაში გამართულ გამოფენაზე მსოფლიო აღიარება მოიპოვა. პ-მ შექმნა ამ ტიპის ჩარხის 35 სახესხვაობა, რ-ებიც წარმატებით იყიდებოდა მსოფლიოს 43 ქვეყანაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ლენინის ორდენი (1981, 1986).

კობალაური, სოფელი აჭარის არის ქობულეთის მუნიციპალიტეტში (ჭახათის თემი), მდ. კინტრიშის ხეობაში. ზ. დ. 400 *მ,* ქობულეთიდან 22 *კმ.* 10 მცხ. (2014)..

კობალაძე ანდრო ალექსანდრეს ძე (15. III. 1920, სოფ. ფერეთა, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 1984, თბილისი), კინოსა და თეატრის მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1958). 1941 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტი. 1938–41, 1945–48 მუშაობდა რუსთაველის, 1941–45 – ქუთაისის თეატრებში. 1948-იდან გარდაცვალებამდე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. მეორე კურსის სტუდენტმა ითამაშა სტალინის როლი სპექტაკლებში შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან'' და ნ. პოგოდინის ,,თოფიანი კაცი''. მას შემდეგ 35 წლის განმავლობაში ასრულებდა ამ როლს სცენაზე და სხვადასხვა სტუდიის ფილმებში ,,იაკობ სვერდლოვი'' (რეჟ. ს. იუტკევიჩი, 1940, რუს.), ,,ქალის ტვირთი'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1957), ,,მარადისობის ელჩები''



ა. კობალაძე სტალინი. კადრი ფილმიდან ,,ცეცხლის დამორჩილება''. რეჟისორი დ. ხრაბროვსკი. 1972.

(რეჟ. თ. ვულფოვიჩი, 1971, რუს.), ,,ცეცხლის დამორჩილება'' (რეჟ. დ. ხრაბროვიცკი, 1972, რუს.), სერიალში ,,გაზაფხულის 17 გაელვება'' (რეჟ. ტ. ლიოზნოვა, 1973, რუს.), ,,ალი'' (რეჟ. ვ. ჩეტვერიკოვი, 1974, ბელარუსი) და სხვ. გადაღებულია ფილმებში ,,აკაკის აკვანი'' (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1947), ,,ქეთო და კოტე'' (რეჟ-ები ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი, 1948), ,,დიდოსტატის მარჯვენა'' (რეჟ-ები ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970) და სხვ. თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია სტალინი (გ. ბერძენიშვილის ,,დაჭრილი არწივი''), ერეკლე, საბა ბერი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), კოტე, ზაქარია (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''). სევასტი, მეფე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ,,კახაბერის ხმალი''), ბენვოლიო, საფრანგეთის მეფე, პრინცი ორსინო, ჰერცოგი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,მეფე ლირი'', ,,ანტონიო და კლეოპატრა'', ,,მეთორმეტე ღამე''), სამსონი (ჯ. ქარჩხაძის ,,დევიძეების ოჯახი''), ეგეოსი (ევრიპიდეს ,,მედეა'') კვინდო ბარეცი (ედუარდო დე ფილიპოს ,,კომედიის ხელოვნება'') და სხვ.

კობალაძე იური გიორგის ძე (დ. 22. I. 1949, თბილისი), რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის გენერალ-მაიორი (1995), პუბლიცისტი, პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1972), 1977–84 მუშაობდა ლონდონში სახელმწ. ტელე-რადიო მიმომხილველად; 1984–91 – სახელმწ. უშიშროების კომიტეტის ცენტრ. აპარატში, საგარეო დაზვერვის პირველ მთავარ სამმართველოში. 1991–99 იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესბიუროს უფროსი; 1999–2000 – ИТАР-ТАСС-ის გენ. დირექტორის პირველი მოადგილე; 2006-იდან – რადიოარხ ,,Эхо Москвы''-ზე გადაცემა ,,В круге света''-ს თანაწამყვანი; 2007–10 – კომპანია X5 Retail Group-ის აღმას. დირექტორი კორპორაციულ საკითხებში; 2010–12 – ამავე კომპანიის გამგეობის თავ-რის მრჩეველი; 2012-იდან – შვეიცარიის საინვესტიციო ბანკ UBS-ის კონსულტანტი. ამჟამად პ. საგარეო დაზვერვის სამსახურის გადამდგარი გენერალია. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

მ. გოგიტიძე.

კობალაძე იუსუფ ომერის ძე (25. V. 1906, სოფ. ხუცუბანი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1981, ბათუმი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). 1932–35 სწავლობდა რუსთაველის თეატრთან

არსებულ სტუდიაში (ხელმძღვ. ს. ახმეტელი). მონაწილეობდა ამავე თეატრის სპექტაკლებში. 1937-იდან იყო ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. დრამ. თეატრის მსახიობი. ჰ-ს განსახიერებული აქვს 100-ზე მეტი როლი: არსენა (ს. შანშიაშვილის ,,არსენა''); გელა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი''); ბახა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''); გიჟუა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''); ოტელო (უ. შექსპირის ,,ოტელო''); ურიელი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''); გოჩა (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა'') და სხვ. მსახიობს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ოიდიპოსის (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'') როლში; ჰ. გადაღებულია ფილმებში: ,,ბაში-აჩუკი'' (ჩოლოყაშვილი; რეჟ. ლ. ესაკია, 1965;); ,,ორი ოჯახი'' (ვახტანგ ყიფიანი; რეჟ. დ. კანდელაკი, 1958); ,,მანანა'' (ადმირალი; რეჟ-ები ზ. გუდავაძე, შ. მარტიაშვილი, 1958) და სხვ. მსახიობი გამოირჩეოდა იშვიათი სცენური მომხიბვლელობით, ტემპერამენტითა და მდიდარი არტისტული მონაცემებით. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

კობალაძე კობა თენგიზის ძე (დ. 7. VII. 1969, თბილისი), გენერალ-მაიორი (2001). საქართველოს ეროვნ. გვარდიის სარდალი (2001–04). სწავლობდა ქ. რიაზანის საჰაერო-სადესანტო უმაღლეს სამეთაურო სასწავლებელში (1994–96), დაამთავრა თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ფაკტი (1999), მოსკ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1999), ჩინეთის სახ. რესპუბლიკის გენ. შტაბის აკადემია (2001). სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა შავნაბადას დაზვერვის ბატალიონი და იყო მისი მეთაური, აგრეთვე – მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური საბრძოლო მომზადების დარგში. 1991–94 აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. 1992 დაინიშნა ქ. ფოთის კომენდანტად, 1999 – დასავლეთის ოპერატიული მიმართულების სარდლად. 2000–01 იყო სახმელეთო ჯარების სარდალი. 2001– 02 ხელმძღვანელობდა ქვეყნის ტერიტ. დაცვის ორგანიზებას ხევსურეთში, ზემო სვანეთსა და კოდორის ხეობაში. 2004, საკუთარი განცხადების საფუძველზე, გავიდა თადარიგში და რეზერვში ჩაირიცხა. 2008 დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს გენერალთა კლუბი''. 2009–10 დაპატიმრებული იყო პოლიტ. ნიშნით, დანაშაულის არ არსებობის გამო გაათავისუფლეს. 2016 დაინიშნა ვეტერანების საქმეთა სახელმწ. სამსახურის დირექტორად. იყო საქართვ. მე-9 მოწვევის პარლამენტის (2016–20) წევრი პარტია ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოდან''. სპორტის ოსტატი კრივსა და ხელჩართულ ბრძოლაში.

ჰ. არის ვახტანგ გორგასლის ორდენის სრული კავალერი (2002). მიღებული აქვს სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების I ხარისხის ,,ოქროს სამკერდე ნიშანი'' (2002).

ლ. დოლიძე.

კობალაძე სერგო გიორგის ძე [14. IX. 1915, ქ. ოზურგეთი, – 7. IV. 1988, თბილისი], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1980). 1939 დაამთავრა თსსი. 1943–52 იყო საქართვ. მედ. მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის თავ-რე, 1952–53 – თბილ. ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის, ხოლო 1953–54 – თსსი-ის დირექტორი, 1965-იდან – ამავე ინ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე. 1972-იდან ხელმძღვანელობდა საქართვ. სსრ მეცნ. აკად. კლინიკური და ექსპერ. ფარმაკოთერაპიის განყ-ბას. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45).

ჰ. იკვლევდა სამკურნალო საშუალებათა ეფექტურობის დადგენის, რაციონალური დოზირების შემუშავებისა და მოქმედების ფარმაკოლოგიური ანალიზის გზებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.


თხზ.: გულ სისხლძარღვთა სისტემის დაავადების ახალი სამკურნალო საშუალებები, თბ., 1960.

კობალაძე ფატმა მურადის ასული (2. XI. 1927, ბათუმი, – 21. VIII. 2014, იქვე), მოცეკვავე, აჭარის არ დამს. არტისტი (1948), საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1939 დაამთავრა ბათუმის ქორეოგრ. სასწავლებელი. 1944–79 იყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე (ქორეოგრაფი – ე. ხაბაძე). ჰ-მ სამ ათეულ წელზე მეტხანს იმუშავა ამ ანსამბლში, რამაც განაპირობა კიდეც მისი წარმატება. შესრულებული ცეკვებიდან აღსანიშნავია ,,განდაგანა'', ,,ყაზბეგური'', ,,ჩაკუნა'', ,,წყაროსთან'', ,,თებრონე მიდის წყალზედა'', ,,ნეტავი გოგოვ მე და შენ'', ,,ოსური'', ,,ლაზური'' და სხვ. წარმატებით ასრულებდა აგრეთვე რუსულ, აზერბაიჯანულ, ესპანურ, მოლდავურ, ბულგარულ და სხვა ხალხთა ცეკვებს. ჰ. გამოირჩეოდა პროფ. ოსტატობით, ფაქიზი გემოვნებით, ეროვნული კოლორიტის გრძნობით. ანსამბლთან ერთად გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის წინ გაიხსნა ჰ-ის ვარსკვლავი (2011). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), მ. აბაშიძის სახ. პრემია (2004).

ლიტ.: სუხიშვილი გ., ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი, თბ., 1988. კომახიძე თ., ,,კობალაძე ფატმა'', წგ: აჭარის კულტურის ისტორია'', ბათ., 1999.



ი. ო. კობალაძე.



ი. ო. კობალაძე ოიდიპოსი. სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''.

კობალეთი, სოფელი აჭარის არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (კირნათის თემი), მდ. ჭოროხის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 300 *მ,* ხელვაჩაურიდან 20 *კმ.* 82 მცხ. (2014). ჰ. აჭარის საზღვრისპირა სოფელია.



კ. კობალაძე.

კობალთა, სოფელი აჭარის არ-ის შუახევის მუნიციპალიტეტში (შუბანის თემი), სხალთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის ხეობაში. ზ. დ. 480 *მ,* შუახევიდან 31 *კმ.* 159 მცხ. (2014).

კობაძე, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში (თეთრი წყლების თემი). გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1320 *მ,* თელავიდან 19 *კმ.* 58 მცხ. (2014).





ს. კობალაძე.

კობახია ვალერიან ოსმანის ძე (15. V. 1929, სოფ. ლიხნი, გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 28. VI. 1992, სოხუმი), აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის



ფ. კობალაძე.


ბ. კობახიძე.


გ. ა. კობახიძე.


გ. დ. კობახიძე.

თავ-რე (1978–90). 1951 დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტი, 1960–62 იყო სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტ. სკოლის მსმენელი. მუშაობდა სკოლაში პედაგოგად. 1954-იდან ჩაბმული იყო კომკავშირულ საქმიანობაში – იყო გუდაუთის კომკავშირის რაიკომის მეორე, შემდეგ – პირველი მდივანი. 1955 ჰ. აირჩიეს საქართვ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად, 1958 – პირველ მდივნად, ხოლო იმავე წელს – გუდაუთის რ-ნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავრეჯ.

1962 ჰ. იყო კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი, 1963–65 – საქ. კპ გუდაუთის კოლმეურნეობებისა და საბჭ. მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტ. კომიტეტის მდივანი, 1965–75 – პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1975–78 – საქ. კპ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, შემდეგ – თავ-რე. 1990 წ. 25 აგვისტოს ჰ-მ ხელი მოაწერა დეკლარაციას აფხაზეთის სახელმწ. სუვერენიტეტის შესახებ.

კობახიძე ალექსანდრე მალაქიას ძე (2. XI. 1919, სოფ. კვაცხუთი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 21. V. 2009, თბილისი), ენათმეცნიერი. 1951 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი რუს. ენისა და ლიტ-რის სპეციალობით. 1939 ჩაირიცხა მოსკ. სახელმწ. უნ-ტში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) დაცვაში; 1957-იდან თითქმის ნახევარი საუკუნე ხელმძღვანელობდა ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტის თარგმნითი ლექსიკონების განყ-ბას; 1966–73 იყო ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში. ჰ-ის სამეცნ. შრომები უმეტესად რუს. და ქართ. ენების შეპირისპირებით შესწავლას ეძღვნებოდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ,,რაჭული დიალექტის ლექსიკონი'' (მასალები), რ-იც 1987 გამოიცა; 1983 მისივე რედაქტორობით გამოვიდა რუს.-ქართ. ლექსიკონი. ჰ. წლების განმავლობაში იყო ინ-ტის სამეცნ. საბჭოს, ქართ. ენის ნორმათა დამდგენი კომისიისა და ქართ. ენციკლოპედიის სატრანსკრიფციო კომისიების წევრი.

ს. მეტრეველი.

კობახიძე ბადრი პეტრეს ძე (8. VI. 1926, ქ. სოხუმი, – 1. IX. 1988, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1948 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1963 – ამავე ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1948-იდან მუშაობდა რუსთაველის თეატრში მსახიობად, 1954- იდან – თეატრ. ინ-ტში სასცენო მეტყველებისა და სამსახიობო ოსტატობის პედაგოგად, 1974– 80 და 1983-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. თეატრ. საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რის პირველ მოადგილედ.

ჰ-ს შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი, მ. შ. აღსანიშნავია: მგზავრი (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''), ბემი (ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად''), გეგელა (მ. ჯაფარიძის ,,ჩვენებურები''), ოსიკო (დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი''), გიგოლო (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), ველიმირი (ბ. ნუშიჩის ,,ფილოსოფიის დოქტორი''), ვაცლავ კრალი (პ. კოჰოუტის ,,როცა ასეთი სიყვარულია''), პერისი (ა. მილერის ,,სეილემის პროცესი''), რიბენტროპი (მ. კვესელავას ,,ას ერგასის დღე'') და სხვ. გადაღებულია ფილმებში: ,,ოთარაანთ ქვრივი'' (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1957), ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'' (რეჟ. ს. დოლიძე. 1959), ,,მაია წყნეთელი'' (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1959), ,,კეთილი ადამიანები'' (რეჟ. შ. მანაგაძე, 1961), ,,ბაკულას ღორები'' (რეჟ. ა. რაჭველიშვილი, 1976) და სხვ. რუსთაველის თეატრში დადგა რ. ნეშის ,,წვიმის გამყიდველი'', ი. შტოკის ,,ღვთაებრივი კომედია'', ა. ჩხაიძის ,,დაბრუნება'' და ,,სამიდან ექვსამდე'', რისთვისაც მიენიჭა საქართვ. სახელმწიფო პრემია (1983). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კობახიძე გივი ალექსანდრეს ძე (12. VII. 1919, თბილისი, – 23. III. 1998, ვაშინგტონი), ლიტერატორი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, პოეტი, რედაქტორ-გამომცემელი. 1941 დაამთავრა თსსი. იმავე წელს გაიწვიეს II მსოფლიო ომში. 2 წელი გერმანელთა ტყვეობაში გაატარა. გათავისუფლების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბერლინის თერაპიულ კლინიკაში, პარალელურად თანამშრომლობდა ქართული ჟურნალების (,,ქართველი ერი'', ,,საქართველო'') რედაქციებთან. ომის დამთავრების შემდეგ ლექციებს კითხულობდა მიუნხენის უნ-ტში. იქვე შეხვდა მ. წერეთელს. 1948 მან კ. *სალიას*, გ. *რობაქიძესა* და მ. წერეთელთან ერთად დააარსა ჟურნ. ,,ბედი ქართლისა'', რ-შიც ბეჭდავდა ლექსებს, კრიტ. წერილებს ქართ. მწერლობის საკითხებზე. 1949 მეუღლესთან ერთად აშშ-ში გადასახლდა. 1952 ჰ-მ ნიუ-იორკში (სხვებთან ერთად) საფუძველი ჩაუყარა ,,ქართველთა დემოკრატიულ კავშირს'' (შემდეგ ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნის ამერიკული საბჭო''). იქვე ქართ. ჟურნალებში (,,ცნობის ფურცელი'' და ,,ჩვენი გზა'') იბეჭდებოდა მისი ლიტ.-პუბლიც. ხასიათის წერილები. 1955–56 გამოსცემდა საკუთარ გაზ. ,,ქართველ ერს'', რ-იც 1957 ჟურნალად გადააკეთა (,,კრებული''). მისი ფსევდონიმებია გივი შაორელი და გორდა მახვილაძე. სხვადასხვა დროს ჰ. ქართ. ენას ასწავლიდა ცნობილ ქართველოლოგებს დ. *ლანგს*, კ. ბრეითვეითს, დ. ჰოლისკს.

ჰ. იყო არქეოლოგიური და ჯონ ჰოპკინსის სახ. მედიცინის ისტორიის ინ-ტების, ფორდამის (ნიუ-იორკი) სამედ. უნ-ტის მეცნიერი თანამშრომელი (1958-იდან), ამერიკის საისტორიო და ეროვნ. გეოგრ. საზ-ბების წევრი.

ჰ. ქართული ემიგრაციის მემატიანე იყო და შემოგვინახა დიდძალი დოკუმენტური მასალა ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების შესახებ.

ლიტ.: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 2, თბ., 1993.

გ. შარაძე.

კობახიძე (ჯორჯ კობი) გრიგოლ დავითის ძე (1883, სოფ. თხმორი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 30. X. 1967, პროვიდენსი, აშშ), ბიზნესმენი, გამომგონებელი, ქველმოქმედი. 10 წლის ასაკში მუშაობა დაიწყო ბორჯომის ახლად გახსნილ მინის ქ-ნაში, სადაც დაეუფლა წარმოების ტექნოლოგიას. შემდეგ მუშაობდა თბილისის, ოდესის, კრასნოდარის გუბერნიებში არსებულ კონსტანტინოვკის მინის ქ-ნებში. 1907-იდან ევროპაში გაემგზავრა, ხოლო 1909 საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში, სადაც 9 წელი იმუშავა ფირმა ,,ჯენერალ ელექტრიკში''. 1919 ჰ-მ მასაჩუსეტსის შტატის ქ. ეტლბოროში ქარხანა გამართა. ამ პერიოდში სახელიც შეიცვალა და ჯორჯ კობი დაირქვა. მისმა ფირმამ (The Cobi Glass Products Company), რ-იც 45 დასახელების პროდუქციას უშვებდა,

მალე გაითქვა სახელი ამერიკაში და დიდი მოგებაც მოიტანა. ჰ. ერთ-ერთი პირველი ქართვ. მილიონერი იყო ამერიკაში.

XX ს. 30-იან წლებში ამერიკაში ეკონ. კრიზისის გამო ჰ. გაკოტრდა, თუმცა გამოსავალი მალევე იპოვა. თავის სახლთან მოაწყო მინის წვრილმანი ნივთების პატარა ფ-კა, შემდეგ კი გ. *მაჩაბლის* შეკვეთით (მისი ფირმისათვის ,,Prince Matchabeli'') დაიწყო სუნამოს ფლაკონების დამზადება, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი ბიზნესი. II მსოფლიო ომის დროს სამხედრო შეკვეთებისათვის აშშ-ის მთავრობისაგან მიღებული ფინანს. დახმარებით აღადგინა მინის წარმოება – როდ-აილენდის შტატის ქ. პოტაკეტში გახსნა ქ-ნა, რ-იც უშვებდა პროდუქციას ქიმ. და სამედ. ლაბორატორიების, საველე ჰოსპიტლებისა და საავადმყოფოებისათვის (განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ახალგამონებულ საინიექციო მინის ამპულებზე), ომის დამთავრების შემდეგ ჰ-მა თავის წარმოებაში სიახლე დანერგა – საშობაო ნაძვის ხისათვის შექმნა ელექტროსანთლები და ფერადი მინის სათამაშოები, რ-საც ,,ორნამენტი'' უწოდა. იგი გამომგონებლური ნიჭითაც გამოირჩეოდა. მიღებული ჰქონდა 60-ზე მეტი პატენტი, მ. შ. რამდენიმე – ავტომ. საწერკალმის შექმნისათვის. თუმცა მისი ერთ-ერთი უმთავრესი გამოგონება წყალგამძლე ცემენტი და ზემდგრადი მინა-ბლოკი იყო. 30-იან წლებში, ამერიკის პირველი ცათამბჯენების აშენებისას, კობის ეს გამოგონებები ფართოდ დაინერგა. ჰ. მთელი ცხოვრება ეწეოდა ქველმოქმედებას, განსაკუთრებით ეხმარებოდა ქართვ. ემიგრანტებს. მან კომპანიონებად იტალიური წარმომავლობის ძმები ჯიმი და ჯული პაგლისები აიყვანა, რ-ებმაც ჰ-ის გარდაცვალების შემდეგ გააგრძელეს მისი საქმე და წარმოებას სახელიც შეუნარჩუნეს.

ჰ-ს დიდი სურვილი ჰქონდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და აქ გაეგრძელებინა საქმიანობა. 1924– 28 ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში. აქტიურად ეხმარებოდა საკუთარ სოფელს მრავალი პრობლემის მოგვარებაში, თუმცა ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა, რის გამოც მან სასწრაფოდ დატოვა სამშობლო.

ლ. აბრამიშვილი.

კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე (15.V.1910, სოფ. ხეთა, ხობის მუნიციპალიტეტი, – 31. 12. 1989, თბილისი), სსრკ-ის სახალხო მასწავლებელი (1979), საქართვ. დამს. მასწავლებელი (1959). დაამთავრა თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1933). 1930–36 მუშაობდა ფიზ. მასწავლებლად თბილ. სხვადასხვა სკოლაში. 1941–43 იყო მე-17 საშ. სკოლის, 1943-იდან კი – ვაჟთა 24-ე საშ. სკოლის დირექტორი (1954- იდან – 77-ე საშ. სკოლა). ჰ. ავტორია ნაშრომებისა სკოლათმცოდნეობის და ფიზ. სწავლების მეთოდიკის დარგში. მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის სახ. მედალი, ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები. 1991-იდან თბილისის 77-ე საჯარო სკოლას ჰ-ის სახელი მიენიჭა.

კობახიძე დავით ნესტორის ძე (2. IX. 1911, ქუთაისი, – 2. IX. 1970, თბილისი), ზოოლოგი, ენტომოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1943). საქართველოს მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). მისი ძირითადი გამოკვლევები მიეძღვნა საქართველოში გავრცელებულ უხერხემლო ცხოველთა სამყაროს შესწავლას – სისტემატიკის, ფაუნისტიკის, ეკოლ. ბიოცენოლოგიის, ეკოლ. მორფოლ. და მცენარეთა დაცვის საკითხებს. ჰ-მ პირველმა გამოიყენა ბიოლ. ბრძოლის მეთოდი ბორჯომის ხეობაში გავრცელებული დიდი ლაფნიჭამიას წინააღმდეგ. იყო ინდოეთის ზოოლ. აკად. ნამდვილი წევრი (1961), ლონდონის ენტომ. საზ-ბის (1950) და პოლონეთის ზოოლ. საზ-ბის (1958) საპატიო წევრი. ჰ. არის უხერხემლოთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი და საშ. სკოლის ზოოლოგიის სახელმძღვანელოს თანაავტორი.

კობახიძე დავით სტეფანეს ძე [20. II (4). III. 1885, სამტრედია, – 5. V. 1947, თბილისი], რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1929). 1902-იდან მონაწილეობდა ,,ავჭალის აუდიტორიის'' წარმოდგენებში. 1903 შეეცადა რევოლუციური თეატრ. ჯგუფის ჩამოყალიბებას – მართავდა წარმოდგენებს მუშებისათვის, დგამდა სოც. შინაარსის პიესებს. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნა რევოლუციური მიმართულების მოძრავი თეატრი – პროლეტარული მოგზაური დასი ,,დემოსი'', რ-მაც 1920-მდე იარსება. ჰ-ის ინიციატივით, შემოქმედებითი კადრების გაზრდის მიზნით, ჩამოყალიბდა ტექნიკუმი, რ-ის ბაზაზე გაიხსნა პროლეტკულტის ,,წითელი თეატრი'' (1924–26). აქ ჰ-მ დადგა სპექტაკლები ვერჰარნის ,,რიჟრაჟი'', ,,აჩრდილი დადის ევროპაში'' (კომუნისტური პარტიის მანიფესტის პოპულარობისთვის), ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''. 1929–37 ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ მოძრავ საკოლმეურნეო თეატრს, ზესტაფონისა და ყვარლის სცენისმოყვარეთა და პროფ. თეატრებს. 1933 სვანეთში ჩამოაყალიბა თვითმოქმედი დრამ. კოლექტივი, რ-ის საფუძველზე მესტიაში შეიქმნა სახალხო თეატრი. სიცოცხლის ბოლო წლებში მართავდა გასვლით სპექტაკლებს. მასვე ეკუთვნის წიგნი ,,იატაკქვეშა თეატრი''.



ე. კობახიძე.

კობახიძე ემილ დავითის ძე (11. IV.1935, თბილისი, – 26. III. 1991, იქვე), გეოგრაფი, გეოგრაფიულ მეცნ. დოქტორი (1979). 1958 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.- გეოლოგიის ფაკ-ტი. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში, იყო რეკრეაციული გეოგრ. ლაბორ. ხელმძღვანელი. იკვლევდა საქართვ. საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის საკითხებს, მთიანი მხარეების დემოგრაფიულ პრობლემებს, მრეწვ. ტერიტ. ორგანიზაციის კანონზომიერებებს, ცალკეული დარგის გეოგრაფიას და სხვ.


ჰ-მ დიდი ყურადღება დაუთმო ქვეყნის რეკრეაციული გეოგრ. შესწავლას; შეიმუშავა მისი რეკრეაციული დარაიონების სქემა; მონაწილეობდა საქართვ. ,,კურორტების ატლასის'' შექმნაში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. – 10-მდე მონოგრაფია. მიღებული აქვს ა. ჯავახიშვილის სახ. პრემია (1984); თ. დავითაიას (1987) და ვახუშტი ბაგრატიონის (1993) სახ. პრემიები.

თხზ.: საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი, თბ., 1971; საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, თბ., 1980; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსები, თბ., 1988; თბილისი. ეკონომიკურ გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); Развитие и размещение производительных сил Грузии, Тб., 1982; Социально-экологические и экономические проблемы горных районов Кавказа, Тб., 1985.

ლიტ.: ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი, ავტორ შემდგენლები კ.ხარაძე, შ. ჯავახიშვილი, თბ., 2003.



თ. ლ. კობახიძე.



თ. ი. კობახიძე.



ი. კობახიძე.

კობახიძე ვალერიან სოგრატის ძე (1. VI. 1908, სოფ. ხოტევი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 22.XI. 1997, თბილისი), ფიზიკოსი, პედაგოგი. პედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969), მეცნ. დამს. მოღვაწე (1980), საქართვ. პედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1995). 1930 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. 1930-იდან ფიზიკას ასწავლიდა თბილისის მე-9, მე-2 (1936 – ამავე სკოლის დირექტორი) და მე-3 (1937–40; საცდელი) საშ. სკოლებში. 1941–52 – პიონერთა სასახლის (ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე) მეცნიერებათა განყ-ბის გამგე, პარალელურად – თელავის პედ. ინ-ტის ფიზ. კათედრის თანამშრომელი, შემდეგ კი – კათედრის გამგე. 1953-იდან – პედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეცნ. მუშაკი, შემდეგ – ფიზიკა-მათ. სექტორის გამგე, 1956-იდან – თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის პედ. პრაქტიკის ხელმძღვანელი.

პ. ფიზ. სწავლების მეთოდიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. მისი დამხმარე სახელმძღვანელოთი – ,,ფიზიკის სწავლების მეთოდიკა'' – რამდენიმე ათეულ წელს სარგებლობდნენ. პ. ასევე ავტორია ფიზიკის ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულისა (VII–VIII კლასებისთვის). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ფიზიკის სწავლების მეთოდიკა (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1966; სიახლენი ფიზიკის სწავლებაში, თბ., 1973; სიმეტრიის პრინციპი ფიზიკის სწავლებაში'', თბ., 1995; ,,ნილს ბორის დამატებითობის პრინციპი და მისი ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა სწავლებაში, თბ., 1997.

თ. ალიბეგაშვილი.

კობახიძე ვასილ (ვასო) სამსონის ძე (31.XII. 1893, სოფ. ნიკორწმინდა, – 23.I.1976, თბილისი), მომღერალი, ლოტბარი, მოცეკვავე, ხელოვნების დამს. მოღვაწე (1966). ცხრამეტი წლიდან მღეროდა თავდაპირველად მ. *კავსაძის*, შემდეგ კი – მ. *თარხნიშვილის* გუნდში. 1927 ჩამოაყალიბა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრ. გუნდი, რ-იც წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და რეპერტუარის ორიგინალობისა და საფერხულო სიმღერების დახვეწილი შესრულების გამო არაერთი ჯილდო დაიმსახურა. ხანგრძლივად მოღვაწეობდა რუსთავში, სადაც ხელმძღვანელობდა მეტალურგიული ქ-ნის მომღერალთა გუნდს.

ლიტ.: გეგეჭკორი ლ., ხალხური სიმღერის მოამაგენი, თბ., 2007.



ვ. ს. კობახიძე.

კობახიძე თამაზ ლევანის ძე (27. I. 1932, თბილისი, – 9. XI. 2006, იქვე), ვეტერინარი ექიმი. ვეტ. მეცნ. კანდიდატი (1969), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). 1956 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1956–57 იყო ცხაკაიას (ახლანდ. სენაკი) მეფრინველეობის ფაბრიკის საამქროს უფროსი, 1958–60 – თბილ. მეფრინველეობის ფაბრიკის მთ. ვეტექიმი, 1960–71 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელი, 1971–73 – ამავე ინ-ტის ქიმ.-ბიოლ. პრეპარატების ექსპერ. ქ-ნის დირექტორის მოადგილე, 1974-იდან – დირექტორი.

პ-ის ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად შემუშავდა ახ. საკვები პრეპარატი, რ-საც მეფრინველეობაში იყენებდნენ. მანვე შეისწავლა და წარმოებაში დანერგა ახ. ფოსფორორგანული ნაერთებისაგან წარმოქმნილი ინსექტიციდური პრეპარატი ,,ხლოფო-50'' (იყენებდნენ მავნებლების, კარტოფილის ნარგავებში – კოლორადოს ხოჭოს, აგრეთვე ყურძნის ჭიის წინააღმდეგ); შეიმუშავა სხვადასხვა წარმოების ნარჩენების საკვებად გამოყენების ტექნოლოგიები და მეცხოველეობის პრაქტიკაში მათი დანერგვის მეთოდები. პ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, 7 გამოგონების და 25 რაციონალური წინადადებისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

კ. კაპანაძე.
თ. ყურაშვილი.

კობახიძე თეიმურაზ ივანეს ძე (20. II. 1924, თბილისი, – 20. II. 1986, იქვე), პიანისტი, დირიჟორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). 1948 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია ფორტეპიანოს განსრით (პედ. თ. ჩარექიშვილი), 1962 კი – სადირიჟორო ფაკ-ტი. 1952–62 მუშაობდა ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად. 1962–68 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, იმავდროულად – თბილ. მუსიკალური კომედიის თეატრის მთ. დირიჟორი; 1968-იდან (სიცოცხლის ბოლომდე) – ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. დირიჟორი; 1972–86 – ქუთაისის სიმფ. ორკესტრის დირიჟორი. პ. დირიჟორობდა ქართულ და უცხოურ კლასიკურ ოპერებს (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი'', ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'', ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია'', ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო'', ,,ტრავიატა'', ,,ტრუბადური'', ჟ. ოფენბახის ,,პერიკოლა'', პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ს. პროკოფიევის ,,სემიონ კოტკო'' და სხვ.); ბალეტებს (ს. ცინცაძის ,,პოემა'', ლ. მინკუსის ,,დონ-კიხოტი'', ბ. ასაფიევის ,,ბაღჩისარაის შადრევანი'', ბიზე-შჩედრინის ,,კარმენ-სუიტა'' და სხვ.) და მუს. კომედიებს (გ. ცაბაძის ,,ჩემი ქუჩა''; ,,ჩემი შეშლილი ძმა'', ა. კერესელიძის ,,ალუბლები ყვავიან''.

1986 ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრს მიენიჭა თ. კობახიძის სახელი.

ლიტ.: ახმეტელი მ. თ. კობახიძე -70, ,,ხელოვნება'', 1998, №1–2; იამანიძე დ., თეიმურაზ კობახიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ,,განზომილება'', 2010, №3(2).

კობახიძე ირაკლი გიორგის ძე (დ. 25. X. 1978, თბილისი), იურისტი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2016–19.


2000 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი, 2006 – ჰ. ჰაინეს სახ. დიუსელდორფის უნ-ტი (გერმანია) სამართლის დოქტორის ხარისხით. 2000–01 მუშაობდა აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტოში (USAID) საზ. განათლების პროექტის რეგიონულ კოორდინატორად, 2005–12 – თსუ-ში ასისტენტ-პროფესორად, 2011–14 – კავკასიის უნ-ტში ასოცირებულ პროფესორად; 2011–12 იყო ფონდ ,,ღია საზოგადოება–საქართველოს'' ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრი, ამავე დროს – ორგანიზაციის ,,ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში'' ექსპერტი სტრატეგიული

დაგეგმვის საკითხებში, 2006–14 – გაეროს განვითარების პროგრამაში (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი. 2014-იდან არის თსუ-ის ასოცირებული პროფესორი. ჰ. არის საქართვ. მე-9 და მე-10 მოწვევის პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, 2021-იდან – პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' თავ-რე. დაჯილდოებულია თავისუფლების საპარლამენტო ორდენით (2021).

კობახიძე მიხეილ გერმანეს ძე (5. IV. 1939, თბილისი,– 3. X. 2020, იქვე), კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი. დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (რეჟ-ების ს. გერასიმოვისა და თ. მაკაროვას სახელოსნო, 1965). ინ-ტში გადაღებულ პირველსავე ლირიკულ კინონოველებში (,,ახალგაზრდა სიყვარული'', 1961; ,,კარუსელი'', 1962) გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი სტილის თავისებურებები – გამოსახულების დოკუმენტურობასთან შერწყმული პირობითობა, სამსახიობო შესრულების პლასტიკური დახვეწილობა და ექსცენტრიზმი. ამ და შემდგომ გადაღებულ ,,უსიტყვო მოთხრობებში'' – პოეტურ კინომინიატურებში ,,ქორწილი'' [1964 – ,,გრან-პრი'', კინოჟურნალისტთა საერთაშ. ფედერაციის პრიზი და ,,ინტერფილმის'' პრიზი ობერჰაუზენის (გფრ) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1965; ბუენოს აირესის (არგენტინა) საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი, 1966], ,,ქოლგა'' [1967; იმავე წელს კრაკოვის (პოლონეთი) საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი], ,,მუსიკოსები'' (1969). ჰ-მ შექმნა სიყვარულის, ზღაპრის, თამაშის სამყარო, პლასტიკისა და მუსიკის ენით გვიამბო ახალგაზრდობაზე, გაცრუებულ ოცნებებზე, ადამიანურ სისუსტეებზე, განშორების ტკივილსა და გულწრფელ ურთიერთობათა სიხარულზე. ფილმ ,,მუსიკოსების'' გადაღების შემდეგ სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწ. კომიტეტის განკარგულებით ჰ-ს დამოუკიდებლად ფილმების გადაღება აეკრძალა. 1996-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმი ,,გზაზე'' (2002).

ჰ. თვითონ წერდა სცენარებს თავისი ფილმებისათვის, აფორმებდა მუსიკალურად და მონაწილეობდა როგორც მსახიობი (,,ახალგაზრდა სიყვარული'', ,,მუსიკოსები''). მისი სცენარებით გადაღებულია კინონოველები ,,რბოლა'' (რეჟ. თ. გომელაური, 1977), ,,ორშაბათი'' (რეჟ. ნ. გარდაფხაძე, 1986) და ანიმაციური ფილმები: ,,ოპტიმისტი'' (1972; რეჟ. ი. დოიაშვილი), ,,ცნობისმოყვარე'' (1972), ,,გამოქვაბულში'' (1975), ,,ჰარმონია'' (1989; სამივეს რეჟ-ები გოგი და გივი კასრაძეები), ,,ქარიშხალი ზღვაზე'' (1976), ,,ტრაპეზი'' (1991; ორივეს რეჟ. გივი კასრაძე), ,,საიდუმლო (1980), ,,მოსავალი'' (1987), ,,ურჩხული'' (1990; სამივეს რეჟ. გოგი კასრაძე), ,,მწვანე ტოტი'' (1988; რეჟ. მ. სარალიძე), ,,უძლიერესნი'' (1997; რეჟ. ა. ისიანი).

მ. კერესელიძე.



მ. გ. კობახიძე.

კობახიძე ნიკოლოზ ლუკას ძე (18. XI. 1907, სოფ. ახალსოფელი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 27. IX. 1988, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). 1936 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1937–39 იყო საქართვ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უმაღლ. და საშ. სპეც. სასწავლებლების სამმართველოს უფროსი, 1944–46 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტის სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონ. და ორგანიზაციის კათედრის თანამშრომელი, ხოლო 1946–88 – ამავე კათედრის გამგე. ჰ. იკვლევდა სას.-სამ. დარაიონებისა და მთიანი რ-ნების სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, მიკროდარაიონებისა და ტიპიზაციის საკითხებს. არის 2 მონოგრაფიისა და სხვა სამეცნ. შრომების ავტორი.

კ. კაპანაძე.

კობახიძე პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე [29. VI (12.VII). 1907, ქ. ზუგდიდი, – 17. VIII. 1963, სოხუმი, დაკრძალულია თბილისში]. თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1946), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). 1924 დაამთავრა სასცენო ხელოვნების ინ-ტის დრამ. სტუდია ა. ფალავას ხელმძღვანელობით. 1924–30 გამოდიოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. 1930-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ჰ. მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'', 1932), არმანი (ა. დიუმას ,,მარგარიტა გოტიე'', 1940), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი'', 1945), ონისე (ა. ყაზბეგის ,,მოძღვარი'', 1948), ანტონიუსი (უ. შექსპირის ,,ანტონიუსი და კლეოპატრა'', 1951), სი-



მ. გ. კობახიძე. კადრი ფილმიდან ,,ქოლგა''. მსახიობები: რ. გიორგობიანი – ქოლგის პატრონი, ჟ. პეტრაიტიტე – გოგონა. 1967.



პ. კობახიძე – ურიელ აკოსტა. კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა‘‘.

მონა (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია‘‘), პეტრუჩიო (უ. შექსპირის ,,ჭირვეული ცოლის მორჯულება‘‘), ლორდი ბერლეი (ფ. შილერის ,,მარიამ სტიუარტი‘‘), ჰარი სმიტი (კ. სიმონოვის ,,რუსეთის საკითხი‘‘), ვარშანიძე (ი. ვაკელის ,,შური‘‘) და სხვ.

პ-ის მიერ განსახიერებული გმირები გამოირჩეოდნენ ჰეროიკულ-რომანტიკული ესთეტიკითა და პლასტიკურობით. სამსახიობო კარიერის ბოლო წლებში პ. განსხვავებული კუთხით წარსდგა მაყურებლის წინაშე. მან მარჯანიშვილის თეატრში წარმატებით განასახიერა ტუჩა დაშნიანის მკვეთრად სატირული როლი ,,კოლხეთის ცისკარი‘‘ (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე). პ. მოღვაწეობდა საქართველოს რადიოშიც. იყო პირველი სპორტული კომენტატორი. წერდა და აქვეყნებდა ლექსებს პეტრე ხეთელის ფსევდონიმით. გადაღებულია ფილმში ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘ (რეჟ-ები პ. მარჯანიშვილი, ზ. ბერიშვილი, 1926).



პ. კობახიძე.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ქ. კობახიძე. ი. ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი (არქიტექტორი ვ. ჯორბენაძესთან ერთად), 1977, ყვარელი.

კობახიძე ქეთევან მიხეილის ასული (9. III. 1934, თბილისი, – 21.V. 2016, იქვე), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი (2015). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1958). 1958–71 მუშაობდა ,,თბილქალაქპროექტში‘‘ არქიტექტორად. 1971–2016 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში. ძირითადი ნამუშევრები: მეტრო ,,თავისუფლების მოედნის‘‘ მიწისქვეშა ვესტიბიული (1967, არქიტ. ვ. შ. *ალექსი-მესხიშვილთან* ერთად); სასტუმრო ,,რუსთავის‘‘ რეკონსტრ. თბილისში (1971); ი. ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი ყვარელში (1977, არქიტ. ვ. ჯორბენაძესთან ერთად); დ. სარაჯიშვილის ძეგლი (1991, თბილისი, საქართვ. მწერალთა კავშირი, მოქანდაკე ა. *გომართელი*). აქვს ნაშრომები ქართ. არქიტ. ძეგლების შესახებ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თ. გერსამია.

კობახიძე შალვა არტემის ძე (13. X. 1913, სოფ. როდინაული, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 11. 03. 2005, თბილისი), ფილოსოფოსი, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1975). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტი (1950). მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში – თავდაპირველად ფილოსოფიის კათედრაზე, შემდეგ – პოლიტოლოგიის ინ-ტში.

თხზ.: მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები, თბ., 1980; თავისუფლება ნამდვილი და მოჩვენებითი, თბ., 1987; Некоторые проблемы категории закона и источника развития, Тб., 1977.

კობეთი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (კიროვის თემი), მდ. ჯეჯორის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1660 *მ,* ონიდან 48 *კმ.*

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე (15. IV. 1904, სოფ. ცხმორი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 12. VII. 1974, თბილისი), გენერალ-მაიორი (1943), საბჭოთა კავშირის გმირი (6. IV. 1945). 1926 დაამთავრა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სახ. პირველი სამხ. სკოლა მოსკოვში. 1932 დაინიშნა სასაზღვრო ჯარების მთ. სამმართველოს ინსპექტორად, 1933 – ჯავშანსატანკო ბატალიონის მეთაურად ქ. ალმა-ათაში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა დას. დვინასთან, კალინინთან (ახლანდ. ქ. ტვერი), 1942-იდან მეთაურობდა დივიზიას. მონაწილეობდა პოლონეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე გამართულ ბრძოლებში. 1944 ივლ. მდ. ვისლის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. ომის შემდეგ დაამთავრა კ. ვოროშილოვის სახ. გენ. შტაბის სამხ. აკადემია (1948), მსახურობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1961 თადარიგში გავიდა და თბილისში დაბრუნდა. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და სხვ. ჯილდოებით.

ლიტ.: Герои Советского Союза, т.1, М., 1987.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კობერიძე მზია აკაკის ასული (დ. 1. II. 1936, ონი), საქართვ. დამს. ჟურნალისტი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1958). მუშაობდა გაზეთ ,,სოფლის ცხოვრებაში‘‘ სხვადასხვა განყ-ებში (1960–2005). 1994–98 იყო გაზ. ,,სიყვარულის‘‘ რედაქტორის მოადგილე; 1997–98 – გაზ. ,,საუკუნის გადასახედის“ რედაქტორი; 1992–2004 იყო თბილ. ჟურნალისტიკის და სამართლის ინ-ტის პრორექტორი; ეწევა მთარგმნელობით მუშაობას (ძირითადად თარგმნის ლატვიურიდან). მიღებული აქვს საკავშ. ჟურნალისტთა კავშ. პრემია (1972). არის ღირსების ორდენოსანი (2000).

ბიბლ.: დობროვენსკი რ., რაინისი და მისი ძმები, თბ., 2021; იკსტენა ნ., დედის რძე, ბათ., 2020; ზალიტე მ., ხუთი თითი, თბ., 2015; ლატვიის ისტორია, თბ., 2014; ღვთისმშობლის დობილი, თბ., 2013.

კობერიძე ნოდარ პარმენის ძე (5. VII. 1950, თბილისი, – 3. XI. 2022, იქვე), მწერალი, პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1975– 77 მუშაობდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში; 1978–79 – მე-18 პროფ-ტექნიკუმში. არის ავტორი რომანებისა: ,,თეთრი ღიმილი‘‘ (1986), ,,რომ გაიმარჯვო ერეტიკოსი უნდა იყო‘‘ (1988); ,,მეორე ფორმა‘‘ (2000); ,,აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე‘‘ (2010). ასევე მოთხრობათა კრებულების – ,,ჟოკეის ბედის ნებიერი‘‘ (1987) და ,,წყალდიდობა‘‘ (1990). 2007 გამოიცა მისი ნოველათა კრებული ,,ორი გოლგოთა‘‘. 2009 – კრებული ,,ლახტის წრეში‘‘. არის ავტორი პუბლიცისტური ნაშრომების (,,ბედისწერა საქართველოსი‘‘,

1992; ,,ვინც მახვილს აიღებს'', 1995). იყო გაზ. ,,ქართული ფეხბურთის'' რედაქტორი; ასევე თ. რედაქტორი გაზეთებისა ,,თემი'' (1993), ,,სარანგი'' (1994), გაზ. ,,მესამე ათასწლეულის'' მთ. რედაქტორი და გამომცემელი (2000); იყო საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი (1991), საზ. ,,ტაო-კლარჯეთის'' დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1998).

მიღებული აქვს სახელობითი პრემიები: ნიკო ნიკოლაძის (2010). ნიკო ლორთქიფანიძის (2013), დავით აღმაშენებლის (2013), ილია ჭავჭავაძის (2015).

კობერიძე ოთარ ლეონტის ძე (17. XII. 1924, თბილისი, – 9. III. 2015, იქვე), კინომსახიობი, რეჟისორი. საქართვ. (1968) და აფხაზეთის არ (1981) სახ. არტისტი. სწავლობდა თბილ. კინოსტუდიასთან არსებულ კინომსახიობთა სკოლაში. პირველი როლი (ბესარაბიელი პარტიზანი) შეასრულა ნ. შენგელაიას ფილმში ,,შავი მთები'' (1941). II მსოფლიო ომის დროს 17 წლის ჰ. მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. საქართვ. თეატრ. ინ-ტი (1948). მუშაობდა სოხუმის დრამ. (1950–56) და ჰ. მარჯანიშვილის სახ. (1956–64) თეატრებში.

ჰ-მ 1956 მთავარი როლი შეასრულა რეჟ. ლ. ესაკიას ფილმში ,,ბაში-აჩუკი'', რ-მაც დიდი პოპულარობა მოუტანა და განსაზღვრა მისი, როგორც ლირ.-რომანტ. და გმირული როლების შემსრულებლის ამპლუა. ჰ-მ შექმნა სხვადასხვა ეპოქის, განსხვავებული ხასიათის, ეროვნების, სოც. წრის პერსონაჟთა სახეები ყველა ჟანრის ფილმში, თუმცა მისი ბუნებისათვის უფრო ახლობელი იყო მაღალი ზნეობრივი იდეალების მქონე გმირები. ქართ. ფილმებში შესრულებულ როლებს შორის აღსანიშნავია: ოთარი (,,მე ვიტყვი სიმართლეს'', 1957), დათა (,,სხვისი შვილები'', 1958), მაჰმუდი (,,მამლუქი'', 1958), გურამი (,,შეწყვეტილი სიმღერა'', 1960), გურამი (,,ზღვის შვილები'', 1964), კიაზო (,,დაისი'', 1971), სეხნიევი (,,დათა თუთაშხია'', 1978), ტარსაიჭ ორბელი (,,დემეტრე II'', 1982) და სხვ.

ჰ-ს ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდიებში. მუშაობდა მ. კალატოზოვთან (,,წითელი კარავი'', 1970, სსრკ-იტალია, შეასრულა ჩეჩონის როლი), ჯუზეპე დე სანტისთან (,,ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ'', 1964, იტალია), გ. ჩუხრაისთან (,,ცხოვრება მშვენიერია'', 1980, რფ), ა. ასკოლდოვთან (,,კომისარი'', 1967, რფ), ა. ჟებრიუნასთან (,,პატარა უფლისწული'', 1966, ლიეტუვა). შესრულებული აქვს მრავალი ეპიზოდური როლი: აკაკი (,,ქალის ტვირთი'', 1957), ლევანი (,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'', 1959), ჰენრი (,,713 ითხოვს დაფრენას'', 1960, რფ), სულთანი (,,ალადინის ჯადოსნური ლამპარი'', 1966, რფ), ნადირ-ხანი (,,მისია ქაბულში'', 1970, რფ), შაჰ ქაუსი (,,თქმულება რუსტამზე'', 1971, ტაჯიკეთი), პატრიარქი დოსითეოსი (,,ანთიმოზ ივერიელი'', 2001) და სხვ. ჰ-მ, როგორც რეჟისორმა, გადაიღო ფილმები: ,,ოცნების შესახვედრად'' (მ. კარიუკოვთან ერთად, 1963, რფ), ,,გამსვლელი პაიკი'' (გ. დოჩანაშვილის მოთხრობის მიხედვით, 1970), ,,ელოდეთ მოკავშირეს'' (1979, უკრაინა), ,,სიბრძნის კარავი'' (1982), ,,ვინ არის მეოთხე?'' (1985), «ოპერაცია ,,ვუნდერლანდი''» (1988), ,,სამეფისწერო გასროლა'' (1990). 2009 თბილისში, კინოთეატრ ,,რუსთაველის'' წინ, გაიხსნა ,,ოთარ კობერიძის ვარსკვლავი''. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მ. კერესელიძე.

კობეშავიძე მიხეილ (გრიგოლ) დიმიტრის ძე (15. III. 1910, სოფ. კვახჭირი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 28.III.1997, თბილისი), ქორეოგრაფი, საქართვ. სახ. არტისტი (1985). ცეკვის ხელოვნებას დაეუფლა ქ. ქუთაისის ქორეოგრ. სასწავლებელში (ხელმძღვ. ი. კირთავა). 1935-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში. მონაწილეობდა და შემდეგ ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ ქორეოგრ. კოლექტივებს; 1963- იდან იყო შსს კულტურის სახლის (ყოფ. ძერჟინსკის კლუბი) სამხატვრო ხელმძღვანელი. 1954 თავის ვაჟთან, ჰ. კობეშავიძესთან ერთად ჩამოაყალიბა ქართ. ხალხ. ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლი, რ-მაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. აღსანიშნავია მისი მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ცეკვები ,,ოსური სალხინო'', ,,მაღლახელური'', ,,მონადირეთა ცეკვა'' და სხვ. საგანგებოდ აღსანიშნავია ჰ-ის მიერ სანიმუშო ოსტატობით დადგმული ,,ქართული სიუიტა''. იყო ხალხ. ცეკვის III საკავშ. ფესტივალის ლაურეატი (1974, I ადგილი და დიდი პრიზი), 1975 კი – გდრ-ის ფოლკლორული ფესტივალის გამარჯვებული (I ადგილი და დიდი პრიზი). ამავე წელს ანსამბლს ,,მხედრული'' ეწოდა.

ლიტ.: სუხიშვილი გ., ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი, თბ., 1988.

კობეშავიძე ჰამლეტ მიხეილის ძე (25. II. 1935, თბილისი, – 5.VI. 2020, იქვე), ქორეოგრაფი და მოცეკვავე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). ქორეოგრაფიის ხელოვნებას ეზიარა თბილ. მილიციის სამმართველოსთან არსებულ ბავშვთა ანსამბლში, მამის, მ. კობეშავიძის ხელმძღვანელობით. 1954-იდან სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდულ ანსამბლს (1975-იდან – ,,მხედრული''), რ-იც მრავალი რესპ. და საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი გახდა. 1957 ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალში და სამახსოვრო მედლით დაჯილდოვდა. 1960–64 ჰ. ანსამბლის სოლისტებთან ერთად მიწვეული იყო მოსკოვში, საკავშ. პროფსაბჭოს სიმღერისა და ცეკვის ნაკრებ ანსამბლში. მათთან ერთად გასტროლებით შემოიარა უცხოეთის ქვეყნები. 1975 გდრ-ში დიდი წარმატება ხვდა წილად ჰ-ის მიერ დადგმულ ,,ხევსურულ ბალადას'' და ,,თბილისურ სატრფიალოს''. 1976 ანსამბლის სოლისტთა ჯგუფმა 12 კაცის შემადგენლობით მონაწილეობა მიიღო იაპონიაში გამართულ ცეკვის მსოფლ. ფესტივალში, სადაც ჰ. დაჯილდოვდა ოქროს მედლით ,,მინონი''. 1977



ო. კობერიძე.



მ. კობეშავიძე.



ჰ. კობეშავიძე.



ო. კობერიძე. მაჰმუდი. კადრი ფილმიდან ,,მამლუქი''. რეჟისორი დ. რონდელი. 1958.

ცეკვის საერთაშ. ფესტივალზე ქ. ბუგასში (ბულგარეთი) ანსამბლმა ,,მხედრულმა'' პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ლიტ.: სუხიშვილი გ., ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მოღვაწენი, თბ., 1988.

კობი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ. თერგის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი [სოფლები კ., აბანო, ალმასიანი, ბურმასიგი, გიმარა, დესი, ზემო ოქროყანა, კართსოფელი, კეტრისი (კეთერისი), მნა, ნოგყაუ, რესი, სუატისი, ტეფი, უხათი, ქვემო ოქროყანა, შევარდენი, ცოცოლთა]. ზ. დ. 2000 *მ,* სტეფანწმინდიდან 20 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.



ლ. კობიაშვილი.

2019 გაიხსნა კობი–გუდაურის დამაკავშირებელი საბაგირო გზა. მისი სიგრძე 7 *კმ*-ზე მეტია და საათში 2800 მგზავრს ემსახურება. საბაგირო გზა დიდთოვლობისა და ზვავსაშიშროების დროს უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას, ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ზრდის მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას.

სოფელში ფუნქციონირებს მინერალური წყლის – ,,კობის'' ჩამოსასხმელი ქ-ნა. სოფ. კობის დაარსებას ხელი შეუწყო მთიულეთიდან ხევში გადასასვლელ უმოკლეს გზაზე სამი ხეობის – თერგის, თრუსოსა და სნოს – შეერთების ადგილზე მდებარეობამ. იგი პირველად XIV ს-ში იხსენიება (,,ძეგლი ერისთავთა'').

,,კობი'', სამკურნალო და სუფრის ჰიდროკარბონატული მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს სოფ. კობში (ზ. დ. 2400 *მ*). აქვე ხდება წყლის ჩამოსხმა (იხ. ,,*ნატურალური მინერალური წყალი კობის ჩამომსხმელი ქარხანა*'' შს). მაღალხარისხოვანი გაზირებული მინერ. წყალი თავისი მიკრობიოლოგიური და ქიმ. შედგენილობით მთლიანად აკმაყოფილებს არა მარტო ქართ., არამედ ევრ. და ამერიკის სტანდარტებსაც. მინერ. წყალი ცივია (20 °C), გამოირჩევა დაბალანსებული მინერალიზაციით (1,4–2,4 *გ/ლ*), ნატრიუმისა და კალციუმის ოპტიმალური შემცველობით. მდიდარია ნახშირმჟავა იონებით. განსაკუთრებით სასარგებლოა ძვალსახსროვანი სისტემისა და კუჭ-ნაწლავის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და სისხლის მიმოქცევას.

კობიაშვილი ალექსანდრე იოსების ძე (18. IV. 1852, ჭიათურა, – 21. X. 1918, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1910). დაამთავრა ვორონეჟის მიხეილის კადეტთა კორპუსი (1875), მიხეილის საარტილერიო აკადემია (1883). მსახურობდა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. 1902 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1906–09 იყო ლუგანსკის სავაზნე ქ-ნის, ხოლო 1909–13 – იჟევსკის იარაღის ქ-ნის სახელოსნოების უფროსი. 1913-იდან თადარიგში გავიდა. 1918-იდან მსახურობდა ქართულ ჯარში, იყო სამხ. სამინისტროს საარტილერიო სექციის უფროსი. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის II და III ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია თბილისში – წმ. ბარბარეს ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

კობიაშვილი ილია გიორგის ძე [16 (28). XI. 1894, თბილისი, – 8. VIII. 1972, იქვე], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966).

1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1926-იდან ხელმძღვანელობდა თერაპიულ განყ-ბას თბილ. ფიზ. მეთოდებით მკურნალობის ინ-ტში, 1941–45 – თბილ. ერთ-ერთ ევაკოჰოსპიტლის თერაპიულ განყ-ბას, 1947–72 – კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტის რადიოლოგიურ ლაბორატორიას. ჰ იკვლევდა ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და იშემიური დაავადებების საკითხებს.

თხზ.: რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება კარდიოლოგიაში, თბ., 1958; გულის კორონარული დაავადება, თბ., 1971; О рефлекторной стенокардии, М., 1967.

კობიაშვილი ლევან ზურაბის ძე (დ. 10. VII. 1977, თბილისი), სპორტსმენი (ფეხბურთი, მცველი, ნახევარმცველი). უეფას ინტერტოტოს (2003–04) და გერმ. ლიგის თასების მფლობელი (2006), ბუნდესლიგის ორგზის ვიცე-ჩემპიონი (2005, 2007). სპორტული სკოლა ,,ავაზის'' აღზრდილი. თამაშობდა საქართვ., რუს. ფედ. და გერმ. კლუბებში: საქართვ. ოთხგზის ჩემპიონი (1995–98) და თასის სამგზის მფლობელი (1996–98), საქართვ. სუპერთასის ორგზის მფლობელი (1996–97). საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს რეკორდული რაოდენობის (100) შეხვედრა (12 გოლი). ჰ. გამოირჩეოდა ბრძოლისუნარიანობით, დახვეწილი ტექნიკით, დრიბლინგით, კარგი პასით. ჰ. მეორე ადგილზეა არაგერმანელ ფეხბურთელთა შორის ბუნდესლიგაში ჩატარებული მატჩების ოდენობით (351 მატჩი, 32 გოლი). საქართველოს წლის ფეხბურთელი (2000, 2005, 2011). იყო ბერლინის საფეხბურთო კლუბ ,,ჰერტას'' აკადემიის მენეჯერი (2014), ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის – ,,თბილისი 2015'' ოლიმპიური სოფლის მერი (2015), საქართვ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (2015). 2016-იდან კი – ქართ. ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის წევრი.

საქართვ. პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი პარტია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან'' (2016, 2020).

კობიაშვილი მიხეილ ანდრიას ძე (29. VI. 1862, თბილისის გუბერნია, – 21. XII. 1931, იუგოსლავია), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). დაამთავრა ვორონეჟის მიხეილის კადეტთა კორპუსი (1882) და ელიზავეტგრადის კავალერიის სასწავლებელი (1884). 1881-იდან მსახურობდა ჯარში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომში. 1911 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1913–16 მეთაურობდა დაღესტნის ცხენოსანთა პოლკს, 1916–18 – კავკასიის ცხენოსანი დივიზიის I ბრიგადას. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში, 1918-იდან – თეთრ გვარდიელთა მოძრაობაში. 1920- იდან ემიგრაციაში წავიდა. ხელმძღვანელობდა სევერსკის დრაგუნთა საზ-ბას ბელგრადში.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, აგრეთვე წმ. გიორგის იარაღით.

ლიტ.: Гогитидзе М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007.

მ. გოგიტიძე.

კობიაშვილი ნიკოლოზ გრიგოლის ძე (1822, ქუთაისი, – 1880-ის შემდეგ), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1868). 1854–56 მსახურობდა ერევნის კარაბინერთა პოლკში, 1856–68

მეთაურობდა ბაქოს 153-ე ქვეით პოლკს. 1858 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში. 1872–76 მსახურობდა ალექსანდროპოლის კომენდანტად და სამხ. ჰოსპიტლის უფროსად. 1877-იდან იმყოფებოდა კავკასიის არმიის რეზერვში. დაჯილდოებულია წმ. ანას I ხარისხის ორდენითა და ოქროს იარაღით.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет, Киев, 2001.

მ. გოგიტიძე.

კობიძე დავით ივანეს ძე [11. IX (24. IX). 1906, სოფ. შუა ამაღლება, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 14. VIII. 1981, თბილისი], აღმოსავლეთმცოდნე. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კ. (1979). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1949). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1933 დაამთავრა თსუ. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1953-იდან იყო თსუ-ის ირან. ფილოლ. კათედრის გამგე. იკვლევდა სპარს. ენისა და ლიტ. ისტორიის, კლასიკური და აღორძინების ხანის ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობისა და ქართ. და სპარს. პოეტიკის საკითხებს. თარგმნა საადის „ბუსთანი“ და „გოლესთანი“. ავტორია სპარს. ლიტ-რის ქრესტომათიისა (ტ. 1–2. 1963–67). 1976 მიენიჭა ი. ჯავახიშვილის სახ. პრემია.

თხზ.: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 1–3, თბ., 1959–78; აბდ-ორ-რაჰმან ჯამი, თბ., 1966; „შაჰ ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, [ტ.] 3 – გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1974; სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975; Иранская филология в Грузии, Тб., 1971.

ლიტ.: დავით კობიძე 100. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დავით კობიძის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 2008.

მ. შონია.

კობლიაშვილი რობერტ ზაქროს ძე (დ. 6. XII. 1993, გარდაბანი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ევროპის ჩემპიონი (2018), მეორე (2016) და მესამე (2022) პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (2017–18). საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი. საქართველოს ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებული.

კობლოვი სერგეი კონსტანტინეს ძე [22.XI. 1915, სოფ. კობი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 17. VI. 1954, ქ. ორჯონიკიძე (ახლანდ. ვლადიკავკაზი)], საბჭოთა კავშირის გმირი (14. II. 1943), გვარდიის პოდპოლკოვნიკი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა ბელარუსში, ბალტიისპირეთში, ჩრდ. კავკასიაში და ორიოლ/კურსკთან. ჩამოაგდო მტრის 9 თვითმფრინავი, რისთვისაც გმირის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კობრეზია (Kobresia), მცენარეთა გვარი ისლისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი მკვრივკორდოვანი ბალახებია. ცნობილია 40-მდე სახეობა. იზრდება ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყლებში, უფრო მეტად აზიაში. საქართველოში კავკასიონის მთავარ ქედზე გვხვდება კ-ის 3 სახეობა (K. schienoides, K. capillifolia და K. persica), სამხრეთ მთიანეთში კი – მხოლოდ K. persica. K. capillifolia დიდ მასივებს ქმნის, მაგ., თრუსოს ხეობაში (სუბალპური სარტყელი). ყოფილ არყნარზე ამჟამად გავრცელებულია მეტად ორიგინალური მდელო, სადაც კოლბოხეზე სახლდება კ., ხოლო ჩაზნექილ არეზე – დრიადი (Dryas caucasica). ხშირად ვხვდებით K. schoenoides-ს, რ-იც ითვლება ცხვრისა და ცხენის კარგ საკვებად.

შ. ნახუცრიშვილი.

კობრი, გოჭა (Cyprinus carpio L, 1758), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Ciprinidae Fleming, 1822), კობრების გვარს (C. Linnaeus, 1758). მაქსიმალური სიგრძე 1 *მ*-მდეა, მასა – 20 *კგ*-მდე. მტკნარი წყლის ბინადარია, თუმცა ასევე გავრცელებულია ზღვისა და მდინარის შესართავის გამტკნარებულ ადგილებშიც. კ. მდინარეში ირჩევს მდორე და მცენარეულობით მდიდარ ადგილებს. ამჯობინებს ტბის პირობებს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–5 წლის ასაკში. ნაყოფიერება 100



კობრი.

ათ-იდან 1,5 მლნ. ქვირითია. ტოფობს აპრილიდან სექტემბრამდე 2-3-ჯერ. იკვებება კიბოსნაირებით, მოლუსკებით, ასევე მცენარეული საკვებით. გვხვდება საქართველოს მდინარეებსა (მტკვარი, ალაზანი, იორი, ჭოროხი, სუფსა, რიონი, ხობი, ჯუმი, ჭურია, თიქორი, ენგური, კოდორი); და ტბებში (ჯანდარა, ფარავანი, საღამო, პალიასტომი, შავნაბადა, ბებესირი; ხელოვნურად გადაყვანილია ბაზალეთის, ტაბაწყურის, გომარეთის, ინკითის ტბებში). მოიპოვება ხრამის, თბილისის, ტყიბულის, შაორის წყალსაცავებში; შავი, კასპიისა და არალის ზღვების აუზებში; ინტროდუცირებულია ჩრდ. ამერიკაში და ინდომალაის არქიპელაგზე.

საქართველოში ტბორული მეურნეობის ძვირფასი, საკმაოდ მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია. მისი მოპოვება უმთავრესად ხდება ფარავნის, ჯანდარის, კუმისის, ბაზალეთის, პალიასტომისა და ინკითის ტბებში, ასევე ხრამის, თბილისისა და ტყიბულის წყალსაცავებში. ბუნების დაცვის კავშირის მიხედვით (IUCN) მოწყვლადია (VY) (A 2 ce).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Эланидзе Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა.

კოგნიტური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიის განხრა, რ-იც შეისწავლის კოგნიტურ, ანუ ადამიანური ფსიქიკის შემეცნებით პროცესებს (შეგრძნება-აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ინტელექტი, მ. შ. ხელოვნური, მეტყველება, წარმოსახვა, გადაწყვეტილების მიღება). კ. ფ. აგრეთვე ეწოდება თანამედროვე ფსიქოლ. ყველაზე გავრცელებულ მიმდინარეობას, რ-იც შეიქმნა აშშ-ში XX ს. 60-იანი წლების დასაწყისში ბიჰევიორიზმის ალტერნატივად. კ. ფ-მ მოახდინა ფსიქიკისა და ცნობიერების, როგორც მეცნ. კვლევის საგნის, რეაბილიტაცია. იგი განიხილავს ქცევას კოგნიტური ფაქტორებით განპირობებულ აქტივობად. ამ მიმართულებას ეკუთვნის ა. ბანდურას, ჯ. კელის, ჟ. ნიუტენის, ჯ. როტერის, ლ. ფესტინგერის, ჯ. მილერის, ი. გალანტერის, კ. პრიბრამისა და სხვათა ზოგადფსიქოლ. თეორ. სისტემები, ასევე კ. ფ-ის პრინციპებზე დაფუძნებული ფსიქოთერაპიული მოდელები (ა. ბეკი, ა. ელისი, დ. მეიჰენბაუმი და სხვა). ეს თეორიები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მათ აერთიანებს ერთი არსებითი გარემოება – ისინი კოგნიტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ზოგადი ამხსნელი კონცეფციებია. მათი ძირითადი ნიშანი ქცევისა და პიროვნების კოგნიტური, ცოდნისეული განპირობებულობის კანონზომიერებათა ძიებაა.



დ. კობიძე.



კობრეზია.

ჰ. შ-ის მონაცემები ფართოდ გამოიყენება ფსიქოლ. სხვა განაყოფებში, კერძოდ, სოციალურ, პიროვნების, კლინიკურ, განათლების ფსიქოლოგიაში, ფსიქოლინგვისტიკაში, ნეიროფსიქოლოგიაში და ა. შ. ჰ. შ. დაარსებიდანვე იყენებს ე.წ. ინფორმაციულ მიდგომას და ადამიანის ფსიქ. და ტვინის მოქმედებას კომპიუტერის პროცესორის ფუნქციონირების მსგავსად განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ კომპიუტერის მსგავსად ადამიანში ინფორმაცია აისახება, გაიშიფრება, კლასიფიცირდება, შეინახება და გამოიყენება, ანუ ხდება ინფორმაციის გადამუშავება. თითოეული შემეცნებითი პროცესი უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამუშავების სხვადასხვა სტადიას, დაწყებული ცნობათა მოძიებითა და შენახვა-გადამუშავებით, დამთავრებული მისი გამოყენებით აქტიურობის რეგულაციაში. შემეცნებით პროცესებს კლასიკურ ფსიქოლოგიაშიც იკვლევდნენ, მაგრამ ჰ. შ-მ ამ ფენომენთა ბევრად უფრო ღრმა, ზუსტი და მრავალმხრივი შესწავლა მოახერხა. ამისთვის შეიქმნა მრავალი ახალი, დახვეწილი და ზედმიწევნით ზუსტი ლაბორ. მეთოდიკა. შემეცნების პროცესში მონაწილე მოვლენების უფრო დიფერენცირებული და მკაცრი აღწერა-დახასიათებისთვის შემოიღეს მრავალი ახ. ტერმინი მხედველობითი, ვერბალური, სივრცითი თუ სხვა კოდები, ანალოგური და სივრცითი რეპრეზენტაციები, სხვადასხვა რიგის იზომორფიზმები, სენსორული რეგისტრები, იკონიკური და ექოიტური მეხსიერება, მრავალგანზომილებიანი სივრცეები, შაბლონები, სემანტიკური ბადეები, მულტიკომპონენტური ფაქტორები და ა. შ. შემუშავდა მრავალი მნიშვნელოვანი ახსნითი მოდელი. დღეს ჰ. შ. მოიაზრება როგორც მძლავრი დისციპლინათშორისი მეცნ. მიმართულების, ე. წ. კოგნიტივიზმის (კოგნიტური მეცნიერების) შემადგენელი ნაწილი, რ-იც მოიცავს აგრეთვე შემეცნების თეორიას, კოგნიტურ ნეირომეცნიერებას, კოგნიტურ ლინგვისტიკას და ხელოვნ. ინტელექტის თეორიას.

საქართველოში შემეცნებითი ფსიქ. ფუნქციების შესწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს და მას დ. *უზნაძემ* ჩაუყარა საფუძველი. მან სპეციალური ექსპერიმენტული და თეორ. გამოკვლევები მიუძღვნა ფსიქოლ. საკითხებს. მსოფლიო ფსიქოლ. ოქროს ფონდშია შესული დ. უზნაძის მიერ მოპოვებული მონაცემები აღქმის, აზროვნების, მეტყველების, ყურადღების ფსიქოლ. სფეროში. კერძოდ, დ. უზნაძემ გაარკვია მიმართება აღქმის საგანსა და მის სენსორულ შინაარსს შორის (მნიშვნელობის წვდომის პრობლემა); ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ საგნებისა და მოვლენებისთვის სახელის დარქმევა სრულიად შემთხვევით არ ხდება და მათ შორის გარკვეული შინაგანი შესაფერისობა არსებობს (სახელდების პრობლემა); დაადგინა ცნების ონტოგენეზის მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი (ცნების ფუნქციონალური ეკვივალენტის საკითხი); შექმნა ცნობიერების კოგნიტურ-ვოლიტური ფუნქციონირების ზოგადი კონცეფცია (ობიექტივაციის პრობლემა).

ქართვ. ფსიქოლოგებმა სხვადასხვა დროს შეისწავლეს შეგრძნების, აღქმისა და წარმოსახვის პროცესები (ი. ბჟალავა, ნ. ელიავა, ქ. მდივანი, შ. ნადირაშვილი, რ. ნათაძე, ო. ტაბიძე, გ. ქირია, ზ. ხოჯავა და სხვ.); მეხსიერება (ვ. გრიგოლავა, ე. კეჟერაძე, დ. ფარჯანაძე, ა. ფრანგიშვილი, მ. წერეთელი და სხვა); ყურადღება (გ. ბაქრაძე, ა. მოსიავა, ჟ. ნეფარიძე და სხვ.); აზროვნება (ნ. ელიავა, შ. ნადირაშვილი, რ. ნათაძე, დ. რამიშვილი, მ. ყოლბაია, ზ. ვახანია და სხვ.); ენა და მეტყველება (ა. ალხაზიშვილი, ა. ავალიშვილი, ა. ბაინდურაშვილი, ნ. იმედაძე, გ. კეჩხუაშვილი, გ. მჭედლიშვილი, დ. რამიშვილი, რ. საყვარელიძე, ნ. ჭრელაშვილი და სხვ.).

ლიტ.: იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2014; კაკიაშვილი მ., კოგნიტური ფსიქოლოგია. თბ., 2010; უზნაძე დ., შრომები, ტ. 1–6, თბ., 1956–77; წერეთელი მ., კოგნიტური ფსიქოლოგია, თბ., 2012; Величковский Б. М., Когнитивная наука. Основы психологии познания. т. 1-2, М., 2006; Когнитивная психология: история и современность, М., 2011; Солсо Р., Когнитивная психология, СПб., 2006; Cognitive Psychology / Ed. by N. Braisby& A. Gellatly. Oxford, 2012; Goodwin C. J. A. History of Modern Psychology. N. Y. 2012; Pervin L. A., John O. P. Personality: theory and research. N. Y. 1997.

ი. იმედაძე.

კოდა, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ალგეთის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები ჰ., მუხათი). ზ. დ. 590 *მ,* თეთრი წყაროდან 34 *კმ,* მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 3,1 ათ. მცხ. (2014). სოფელზე გადის რუსთავისა და მარნეულის დამაკავშირებელი გზა.

სოფელში არის მეფრინველეობის ფ-კა – შპს ,,პოულტრი ჯორჯია“, შინმოუსვლელთა ობელისკი.

ვახუშტის მიხედვით ჰ. იყო ალგეთის ხეობის შუა წელის ცენტრი, ისტ. საბუთებში იხსენიება XVII ს-იდან როგორც საბარათიანოს სოფელი, რ-იც ეკუთვნოდა თურქესტანაშვილებს. ჰ. იყო მნიშვნელოვანი სადგური თბილისიდან სომხეთისკენ მიმავალ ძვ. საქარავნო გზაზე. ჰ-ში დაიბადა მწერალი ვ. ბარნოვი. მისი მოგონებიდან ჩანს, რომ სოფელში იდგა ძვ. სამეკლესიიანი ბაზილიკა, რ-იც დაანგრია ადგილობრივმა მემამულემ.

ამჟამად ჰ-ში დგას XIX ს. II ნახ-ის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941; ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. I. ნახ., თბ., 1975; Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.


თ. თოდრია.

კოდა (2012-მდე კოდა ვარდისუბანი), სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (მოხისის თემი), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი). ზ. დ. 820 *მ,* ქარელიდან 21 *კმ,* აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 *კმ.* 150 მცხ. (2014).

კოდა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ბრეძის თემი), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ-ებს – ლოპანისწყალსა და დასავლეთს ფრონეს (მტკვრის აუზი) შორის. ზ. დ. 820 *მ,* ქარელიდან 30 *კმ.* 181 მცხ. (2014).

კოდა, იხ. *,,პოულტრი ჯორჯია“.*

კოდალასებრნი (Picidae), ფრინველების ოჯახი კოდალასნაირთა რიგისა. აერთიანებს ტანად საშუალო და მომცრო (8–50 *სმ*-მდე) ზომის ფრინველებს. ნაირგვარი, მკვეთრი შეფერილობა აქვთ. თავი ზემოდან და ზოგჯერ ბოლოსქვეშა ბუმბულიც წითელია, ბუმბულსაფარველი – უხეში. საჭის ბუმბული მოქნილი და მაგარღერძიანია. ფრთა ფართოა, ბოლოში – მომრგვალებული. თავის ქალა დიდი და მაგარია. სწორი ნისკარტი დაფარულია სქელი საფარველით და ბოლოში სატეხისებურადაა წამახვილებული. ჭიისმაგვარი გრძელი ენის წაწვრილებულ ბოლოზე ჯაგრისებური გამონაზარდები



კოდალასებრნი. დიდი ჭრელი კოდალა.

აქვთ. მოკლე ფეხებზე 2 თითი წინ, ორიც უკანაა მიმართული, ზედ მოხრილი ბასრი ბრჭყალებია. პ-ის უმრავლესობა ტყეში ცხოვრობს, კარგად ცოცავენ ხის ღეროებსა და ტოტებზე. სატეხისებრი ნისკარტით ტეხენ ქერქს, საიდანაც გრძელი, წვეტიანი ენით ამოჰყავთ სხვა ფრინველებისათვის მიუწვდომელი მწერები და მათი მატლები. ჩვეულებრივად ბუდობენ ხის ფულუროში. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. პ. გავრცელებულია ტყეებსა და ბუჩქნარებში ყველგან, გარდა ავსტრალიის, მადაგასკარისა და პოლინეზიის კუნძულებისა. ოჯახში 36-45 გვარი და 224-მდე სახეობაა, ამათგან საქართველოში გვხვდება 4 გვარის 8 სახეობა: მაქცია (Jynx torquilla), მწვანე კოდალა (Picus viridis), შავი კოდალა (Dryocopus martius), დიდი ჭრელი კოდალა (Dendrocopos major), სირიული კოდალა (Dendrocopos syriacus), თეთრზურგა კოდალა (Dendrocopos leucotos), საშუალო ჭრელი კოდალა (Leiopicus medius), მცირე ჭრელი კოდალა (Picoides minor).

მ. კუტუბიძე.

კოდექსი (ლათ. codex – კრებული, წიგნი), საკანონმდებლო აქტის სახე, რომელშიც გაერთიანებულია და სისტემატიზებული სახით არის წარმოდგენილი სამართლის ამა თუ იმ დარგის ნორმები. ისტორიულად პ. პირველი ხელნაწერი წიგნია, რ-იც მოიცავს წმ. წერილს, უძველეს ლიტერატურას, მითოლ., თუ ისტ. ჩანაწერებს. პ. თანამედროვე წიგნის პირველ ნიმუშს წარმოადგენს. მან შეცვალა პაპირუსის გრაგნილები და ცვილის დაფები. პირველ ქართულ პ-ად მიჩნეულია ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1675–1737) თაოსნობით შექმნილი კანონთა კრებული. მეფემ თავი მოუყარა საეკლ. და საერო სამართლის ძვ. ქართულ და უცხოურ წიგნებს; ამასთანავე, თვითონაც შეადგინა სამართლის წიგნი, რ-იც, მართალია, ქართლის სამეფოსთვის იყო შექმნილი, მაგრამ მთელ საქართველოში მოქმედებდა. პ. მიიღება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ. საქართვ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პ. არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი. პ. ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ნაწილია. იგი ჩვეულებრივი კანონის ერთ-ერთი სახეა და არ გააჩნია სხვა კანონებთან შედარებით უპირატესი ძალა. პ. საქართვ. საკანონმდებლო აქტების იერარქიაში დგას ორგანული კანონისა და პრეზიდენტის დეკრეტის ქვემდგომ საფეხურზე (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტთან ერთად). პ-ს, როგორც საკანონმდებლო აქტს, უპირატესობა გააჩნია კანონქვემდებარე აქტების მიმართ. იგი სამართლის ამა თუ იმ მიმართულების ძირითადი წყაროა. მაგ., საქართვ. სამოქალაქო პ. შეიცავს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ყველა ძირითად ნორმას. სამართლის ნორმათა სისტემატიზებული კრებულის მსგავსად, ეთიკის პ. (ზოგჯერ – ქცევის პ.) მორალის ნორმების ერთობლიობაა, რ-იც საზოგადოების ცალკეულ ჯგუფში მოქმედებს ამ ჯგუფის წევრთა ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით. ეთიკის პ. საზ-ბის შესაბამისი ჯგუფის წევრთა ასოციაციების მიერ არის მიღებული. მაგ., საქართველოში მოქმედებს ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი (მიღებულია საქართვ. ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ); საქართვ. სამოსამართლო ეთიკის წესები (მიღებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმართველობის ორგანოს – საქართვ. მოსამართლეთა კონფერენციის მიერ). ზოგიერთი ქცევის კოდექსი დამტკიცებულია ნორმატიული აქტით, მაგ., შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი – საქართვ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის მინისტრის ბრძანებით; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანებით. ეთიკის პ-ის ნორმების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება მისი მიმღები ასოციაციის მიერ შემუშავებული სანქციები. ეთიკის პ-ის ნორმების დაცვა არ არის უზრუნველყოფილი სახელმწ. რეპრესიული მექანიზმის მოქმედებით, მაგრამ მათი დარღვევა შეიძლება გახდეს დისციპლინური ზემოქმედების ზომის გამოყენების საფუძველი.

ი. უჯმაჯურიძე.

კოდი, მარცვლეულის საწყაო XV–XIX სს. საქართველოში. პ-ის სიდიდე სხვადასხვაა. ცნობილია პ-ები, რ-თა სიდიდე არის 8-, 10- და 12-ლიტრა. ,,სწორ'' (კანონიკურ) პ-ში 10 ლიტრა ხორბალი ან 8 ლიტრა ქერი ჩადიოდა. ლიტრის სიდიდის ზრდამ განაპირობა პ-ის სიდიდის ზრდაც. 10-ლიტრა პ-ის სიდიდე XVI ს-ში შეესაბამებოდა 18 *კგ* მასას, XVII ს-ში – 25,8 *კგ*, XVIII ს-ში კი – 30–34 *კგ*. XIX ს-ში აღმ. საქართველოში პ-ის მასა 50 *კგ*-მდე გაიზარდა. რაჭაში გავრცელებული იყო ,,ლომკაცის კოდი'', რ-იც 41 კგ უდრიდა. სამხრ. საქართველოში XIX ს-მდე პ-ის სიდიდე 18 *კგ* შეესაბამებოდა.

გ. ჯაფარიძე.

კოდიანი, მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდინარეების ბორჯომულისა და დვირულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2688 *მ*. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური ტუფბრექჩიებით. შემოსილია სუბალპური და ალპ. მდელოებით. ჩრდ. კალთაზე გავრცელებულია დეკა.

კოდიბინა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში (მსხლების თემი), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1180 *მ*, ჯავიდან 3 *კმ*. სოფელში არის სამკურნალო გოგირდოვანი წყლები.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კოდიკი, მარცვლეულის საწყაო საქართველოში. კოდის 1/16. XVIII ს. დასაწყისში მისი ტევადობა 1,9–2,1 კგ შეესაბამებოდა.

კოდიკოლოგია (ლათ. codex – წიგნი), სპეციალური წყაროთმცოდნეობითი სამეცნიერო დისციპლინა, იკვლევს ხელნაწერი წიგნის შექმნის, შენახვის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესებს. მასვე ევალება გადამწერთა სოც. და პროფ. კუთვნილების შესწავლაც. დარგი ჩაისახა XX ს. 40-იანი წლების დასასრულს ბელგიელი, იტალიელი და ფრანგი მეცნიერების გამოკვლევებში პალეოგრაფიის, დიპლომატიკისა და ტექსტოლოგიის შესაყარზე. მსგავს ტერმინს – ხელნაწერთმცოდნეობა (handshri ftenkunde) – პალეოგრაფიის ფარგლებში იყენებდნენ გერმ. მეცნიერები. ფრანგი მეცნიერი ფრანსუა მაზე ამ დარგს ხელნაწერთა არქეოლოგიას (Archeologia dei libri) უწოდებდა. პ-ის ფარგლებში გამოყოფენ დამოუკიდებელ დისციპლინას – შუა საუკუნეე-

ბის ხელნაწერთა არქივისტიკას. გამოირჩევა სხვადასხვა სახის კრებულების შემსწავლელი განყ-ბები თხრობითი ძეგლების, აქტების, საკანონმდებლო კრებულების და სხვ.

ლიტ.: ალასანია გ., კიკნაძე რ., წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები, თბ., 1988.

გ. ალასანია.

კოდისპირი, სახელმწიფო გადასახადი გვიანი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. იხდიდა თითოეული კომლი ოთხი კოდი პურის ან ორი კოდი პურისა და ორნახევარი კოდი ქერის სახით. XIX ს. დასაწყისიდან ჰ-ს იხდიდნენ მხოლოდ სახელმწ. გლეხები. გადასახადით არ იბეგრებოდნენ თუშები, ფშავლები, ხევსურები და იმ ტერიტორიების მოსახლეობა, სადაც ხორბლის მოყვანა შეუძლებელი იყო. XIX ს. 40-იანი წლებიდან ჰ., ისე როგორც ყველა სხვა გადასახადი, ერთიანი საკომლო გადასახადით შეიცვალა.

კოლისწყაროს, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში. XIX ს. I ნახ-ში გაიყო *ზემო კოდისწყაროდ* და *ქვემო კოდისწყაროდ.*

კოლისწყაროს, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (შეხვეტილის თემი) თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ალგეთის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1290 *მ,* თეთრი წყაროდან 52 *კმ.* 10 მცხ. (2014).

კოლისწყაროს, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის კასპის მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ლეხურის მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები ჰ., ზადიანთკარი, ზემო რენე, ნიგოზა, სარიბარი, ქვემო რენე, ყარაფილა, ჩობალაური). ზ. დ. 740 *მ,* კასპიდან 22 *კმ.* 216 მცხ. (2014). 1800 წლის საბუთის მიხედვით სამთავნელს ჰ-ში ყმები ჰყავდა.

სოფლის განაპირას, ადგილ ხრიაკების დაქანებულ ფერდობზე მიკვლეულია ადრეფეოდ. ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარს კვეთს ნიაღვრებისგან წარმოქმნილი პატარა ხევი, რ-ის ნაპირების ჭრილში ჩანს ნაცროვან-ნახშიროვანი (სისქე 1 *მ)* მძლავრი კულტურული ფენა. მასში იპოვება წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები. სამაროვანი მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდ-ით 50 მ-ში. ხრამის ნაპირების ჭრილში ჩანს ნახევრად გაშიშვლებული და დანგრეული თიხის სარკოფაგები. გაითხარა ერთი სარკოფაგი, რ-შიც მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით, უინვენტაროდ. 1982 ჰ-ს მახლობლად შემთხვევით აღმოჩნდა ვერცხლით ინკრუსტრირებული დიონისეს ბრინჯაოს ქანდაკება (სიმაღლე 0, 2 *მ),* რ-იც დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სოფლის სასაფლაოზე დგას რიყის ქვით ნაგები წმ. თევდორეს ეკლესია XVIII–XIX სს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, რედ. გ. გამყრელიძე, თბ., 2013.

კოდისწყაროს, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ხაშურის მუნიციპალიტეტში (ცხრამუხას თემი), ზ. დ. 730 *მ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კოდიფიკაცია (ლათ. codex – კრებული, წიგნი და facio – კეთება), კანონშემოქმედებითი ორგანოს მიერ მოქმედი საკანონმდებლო აქტების სისტემატიზაციის, განახლების პროცესი. ჰ-ის პროცესში ხდება ახალი საკანონმდებლო აქტის მიღების გამო ფაქტობრივად, მაგრამ არა ფორმალურად, ძალადაკარგული ნორმატიული აქტების გაუქმება. მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, მიიღება, ასევე, ახალი საკანონმდებლო აქტი, რ-იც აერთიანებს სამართლის რომელიმე დარგის ან მისი რომელიმე მიმართულების ნორმებს.

ჰ. ყოველთვის ხორციელდება ოფიციალური ფორმით ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ. დღეისათვის საქართვ. საკანონმდებლო აქტების ჰ-ის ღონისძიებებს ახორციელებს საქართვ. იუსტიციის სამინისტრო. ქართული სამართლის პირველ კოდიფიცირებულ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რ-იც მეფის მიერ შექმნილმა კომისიამ შეადგინა 1705–08. ის მოიცავს არა მხოლოდ ქართ., არამედ უცხ. სამართლის ძეგლებს; კრებულში შეტანილია როგორც საქართველოში მოქმედი მთელი ქრისტიანული სამყაროს საეკლ. სამართლის წყაროები (მოსეს სჯული, სირიულ-რომაული სამართალი, სომხური სამართალი), ისე ქართ. სამართლის ძეგლები (ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნები, გიორგი ბრწყინვალის ,,ძეგლის დადება'', ,,კათალიკოზთა სამართალი'', ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს პირველ ქართულ კოდექსად მოიხსენიებს ივ. ჯავახიშვილი და მას ვახტანგ VI-ის ,,კოდიკოს'' უწოდებს, ტერმინს კი ქართულში ბერძნ. ,,კოდექსის'' ზეპირად შემოტანილ ფორმად მიიჩნევს. თუმცა ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ კრებული არ წარმოადგენს შინაარსის მხრივ შეთანხმებულ კანონთა კრებულს და უმართებულოდ თვლის მისთვის კოდექსის წოდებას.

ი. უჯმაჯურიძე.

კოლიჯვარი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (გდუს თემი), ლომის-ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ალეურის (ქსნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1480 *მ,* ახალგორიდან 23 *კმ.* ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კოლმანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ზღუდრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აბუხალოსელის (ტყემლოვნისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1025 *მ,* ქარელიდან 24 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

მდ. ბუხტოს ნაპირზე, მაღალ კლდეზე შემორჩენილია მომრგვალებული კოშკის ნანგრევი, რ-ის მახლობლად ნასოფლარის კვალია. აქვეა ეკლესიის ნანგრევიც. ეკლესია, სავარაუდოდ დარბაზული ტიპისა იყო, კედლების წყობა არეულია. გარეგნულად მას ადრეფეოდალური ხანის ძეგლის იერი აქვს. კოშკი საყარაულო დანიშნულებისა იყო, რადგან აქ გზები იყოფა მუხილდისა და ტყემლოვანის მიმართულებით.

თ. ტატიშვილი.

კოლორი, მდინარე დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთის არ). იქმნება მდინარეების – გვანდრისა და საკენის შეერთებით სოფ. მარცხენა გენწვიშთან, ზ. დ. 740 *მ*-ზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. აძიუბჟის სამხრ-ით. სიგრძე 84 კმ (გვანდრის სათავიდან 110 *კმ*), აუზის ფართ. 2030 *კმ* ^{2}. ჰ-ის შენაკადთა უმეტესობა სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე. მისი მთავარი შენაკადებია ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი და ამტყელი.

პ-ის აუზში 100-მდე მყინვარია (მარუხი, პტიში, ყლიჩი, კლუხორი, საკენი და სხვ.), რ-თა ფართ. 80 *კმ* ² აღწევს.

პ. საზრდოობს წვიმის (31,0%), მიწისქვეშა (28,6%), თოვლის (22,6%) და მყინვარული (17,8%) წყლებით. წყალდიდობა იცის მარტის მეორე ნახევრიდან სექტ. ბოლომდე. წყალუხვი მდინარეა. წლ. ჩამონადენის 72% გაზაფხულ-ზაფხულზე მოდის. წყალმოვარდნები იცის შემოდგომაზე, წყალმცირობა – ზამთარში. შესართავთან აჩენს დელტას. პ-ს ადრე ჰენისწყალს უწოდებდნენ. პ. ინგოროყვა თვლიდა, რომ ჰენი ერთ-ერთ ქართველურ ტომს – ჰენიოხებს უკავშირდება. პ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში – ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'': ,,მოქვს მდინარის დასავლეთ დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა''.

ი. აფხაზავა.

კოდორი, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ ვლადიმიროვკის სახელწოდება 1955-მდე.

კოდორის კედელი, იხ. *კელასურის კედელი.*

კოდორის ქედი, აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთი განშტოება, რომელიც მდ. კოდორის აუზს გამოყოფს მდინარეების – ენგურის, ღალიძგის, მოქვისა და სხვა აუზებისაგან. შედგება ორი მონაკვეთისაგან, რ-ებიც ერთმანეთს უკავშირდება ხოჯალის მთის (3313 *მ*) მასივში. ერთი მონაკვეთი კავკასიონის მთავარი ქედიდან ხოჯალის მთამდე მიმართულია სამხრ.-დას-კენ, 30 *კმ* სიგრძისაა და დაგვირგვინებულია მოგუაშირხის მწვერვალით. მის შუა ნაწილში, მდ-ების – საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე მდებარეობს ხიდას უღელტეხილი (ზ. დ. 2741 *მ*). პ. ქ-ის ამ მონაკვეთს სვანეთ-აფხაზეთის ქედი ეწოდება. მეორე ნაწილი, ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე, განედურადაა გაწოლილი 51 კმ სიგრძეზე და ცნობილია ფანავის ქედის სახელით.

პ. ქ. აგებულია პალეოზოური კრისტ. კომპლექსით, ქვედაურული ფიქლებით, ბაიოსის პორფირიტული წყებითა და ცარცული კირქვებით. ქედის დასაწყისში, კავკასიონის მთავარ ქედთან მყინვარებია. შემოსილია მდელოებითა და წიწვოვანი ტყით, რ-იც მთავარი ქედიდან ხიდას უღელტეხილამდე ვრცელდება. გარდა ამისა, წიწვოვნები ქმნიან განცალკევებულ ,,კუნძულს'' ხოჯალის მასივზე. ამ უკანასკნელის დას-ით თავდაპირველად ქრება ნივალური ზონა, შემდეგ – ალპური. პ. ქ-ის დას-ის ნახევარი მთლიანად ტყიან ზონაშია მოქცეული.

ლ. მარუაშვილი.

კოდორის ხეობა, მდინარის ხეობა აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაღლე 1300-იდან 3984 *მ*-მდე. კლიმატი ნოტიოა, ზამთარი – თოვლიანი. ნალექების რაოდენობა წელიწადში 1600-იდან 2000 *მმ* -მდე (იანვარში –120 *მმ*, ივლისში –180 *მმ*), წვიმს წელიწადში 30 დღე. დაახლ. 180 დღის განმავლობაში ხეობა თოვლით არის დაფარული. იანვრის საშ. ტემპ-რა –3⁰, ივლისის 14⁰, საშ. მაქსიმალური ტემპ-რა (ივლისი) 28⁰ C.


პ. ხ-ზე უძველესი დროიდან გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რ-იც შავი ზღვის აღმ. სანაპიროს კლუხორის უღელტეხილით ჩრდ. კავკასიასთან აკავშირებდა. მისი მეშვეობით თავდაპირველად რომის იმპერია, შემდეგ კი ბიზანტია ჩრდ. კავკასიასთან ეკონ. და პოლიტ. კავშირს ახორციელებდა. ჩრდ. კავკასიაში ლაშქრობისას ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ეგრისში ამ გზით გადმოვიდა.

პ. ხ-ში აღმოჩენილია ქვედა და ზედა პალეოლითის (აფიანჩა, სვანთა სავანე, ცივი მღვიმე), მეზოლითის (აფიანჩა, ქვაჭარა, ცივი მღვიმე), ნეოლითის (აფიანჩა, ცივი მღვიმე), ენეოლითისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის (სვანთა სავანე) არქეოლ. ძეგლები. მის მთიან ნაწილში მრავლადაა შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის კოლხური ცულები. ბრინჯაოს ხანის მეგალითური ძეგლები – დოლმენები შემორჩენილია სოფ. აზანთის მიდამოებში (იხ. *აფხაზეთის დოლმენები*). პ. ხ-ის ზემო ნაწილში რამდენიმე ციკლოპური სიმაგრის ნაშთია. სოფ. ომარიშარის ტერიტ-ზე გათხრილი ციკლოპური ნაგებობების ინვენტარი III–II ათასწლ. თარიღდება; დიდი ზომისაა სოფ. საკენის ციკლოპური ციხე, რ-იც ჩრდ. კავკასიიდან კოლხეთის დაბლობისაკენ მიმავალ გზას კეტავდა. შემორჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები (აჟარა, ომარიშარა, ტვიბრაშერა და სხვ.), ანტიკური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ნამოსახლარები და სამაროვნები; მრავლადაა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო და ქრისტ. ხუროთმოძღვრების ძეგლების ნაშთები. პ. ხ-ის ქვემო, შუა და ზემო ნაწილიდან შემორჩენილია X–XIV სს. ქართული ასომთავრული ლაპიდარული და ჭედური წარწერები ქტიტორთა, საერო ხელისუფალთა, შემწირველთა მოსახსენებლებით.

ქრისტეს შემდგომ პირველ საუკუნეებში პ. ხ-ის ქვემო და შუა ნაწილში აფშილები ცხოვრობდნენ. აფშილეთის მთავარი ციხე იყო VI ს. ბიზანტიურ წყაროებში (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) მოხსენიებული წიბილე//ტიბელი, ტიბელეოსი სოფ. წებელდის ტერიტორიაზე (იხ. *წებელდა*).

პ. ხ-ის ზემო ნაწილი ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში მისიმიანეთის სახელითაა ცნობილი. როგორც მიჩნეულია, მისიმიელები ის სვანებია, რ-თა შესახებაც სტრაბონი I ს-ში წერს: ,,ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის'' (Strabo, XI, II, 19). მისიმიანეთის ადმ. ცენტრი და მთავარი ციხე იყო ძახარი//ჩახარი (ჩხალთა) მდ-ების – კოდორისა და ჩხალთის შესართავში.

IV ს-იდან პ. ხ. ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.



მდინარე კოდორი.


VI ს-ში ხეობა ბიზანტიასა და ირანს შორის საომარი დაპირისპირების ერთ-ერთ ასპარეზს წარმოადგენდა. 662 კონსტანტინოპოლიდან ეგრისში (ლაზიკაში) გადმოასახლეს დიდი საეკლ. მოღვაწე მაქსიმე აღმსარებელი თავის ორ მოწაფესთან – ანასტასი აპოკრისიართან და ანასტასი მონაზონთან ერთად. თავდაპირველად ისინი ჰ. ხ-ის ციხეებში მოათავსეს: მაქსიმე აღმსარებელი – სქემარის, ანასტასი მონაზონი – სკოტორის (კოდორის), ხოლო ანასტასი აპოკრისიარი – ბუქლოოსის (ბოკერის), შემდეგ კი ფუსტის ციხეში. VIII ს-ში ჰ. ხ-ის ციხეებში არაბული გარნიზონები იდგა. აფხაზთა სამეფოში (VIII–X სს.) და შემდეგ საქართვ. სამეფოში (XI–XV სს.) ჰ. ხ-ის ზემო ნაწილი, დალი, სვანეთის საერისთავოში შედიოდა, შუა და ქვემო ნაწილი – ოდიშის საერისთავოში. აფხაზთა მეფეები კონსტანტინე III (893–922) და გიორგი II (922–957) ჰ. ხ-იდან ავრცელებდნენ ქრისტიანობას ჩრდ. კავკასიაში.

ჰ. ხ-ის ზემო ნაწილში მდებარე ისტ. თემის – დალის სახელწოდება, დამკვიდრებული თვალსაზრისით, მომდინარეობს სვანური ნადირობის ღვთაების სახელიდან და ,,დალის საუფლოს'' ნიშნავს. დალს დას-ით წებელი ესაზღვრებოდა. თემის სახელწოდება მომდინარეობს ადრე შუა საუკუნეების ციხესიმაგრის სახელიდან. დამკვიდრებული თვალსაზრისით.

სახელწოდება ,,წებელი'' იგივეა, რაც ხე-მცენარის ქართული სახელი ,,წიფელი'' (მეგრ.-სვან. წიფური, წიფრა, წიფელთა). ზოგიერთი მოსაზრებით, სახელწოდება ,,წიბილი'' მომდინარეობს სიტყვიდან ,,ჭიბილი'' (მეგრ. ,,მტკიცედ ნაგები''). წებელი და დალი მარუშიანთა ფეოდ. საგვარეულოს სამფლობელოს წარმოადგენდა. წებელდის ციხის მახლობლად, სოფ. პოლტავსკოეს (აჭანდარის) ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა წმ. ანდრია პირველწოდებულის ხატის მოჭედილობის ფრაგმენტი ქართული ასომთავრული წარწერით, სადაც მოხსენიებულია ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი აბულასან იობისძე (XII ს.).

საქართვ. სამეფოს პოლიტ. დაშლის შემდეგ, XVI ს-ში, ჰ. ხ-ის თემებში, დალსა და წებელში, ჩრდ. კავკასიიდან გადმოსული მთიელები (აფსუები) დამკვიდრდნენ, ქართულმა მოსახლეობამ კი ეს მხარე დატოვა. წებელისა და დალის მფლობელი მარუშიანების ფეოდ. საგვარეულო თანდათან გააფხაზდა, მაგრამ ამ თემების მფლობელობა შეინარჩუნა, გვარსახელმა კი მარშან//მარშანია ფორმა მიიღო. XVII ს-იდან ჰ. ხ-ის ქვემო ნაწილი აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. აფხაზეთის მთავარი თავს ჰ. ხ-ის თემების, წებელი-დალის ბატონადაც თვლიდა, მაგრამ ეს თემები მის ხელისუფლებას არ ცნობდნენ. 1810, როდესაც აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფლობელობაში შევიდა, წებელისა და დალის მფლობელმა მარშანიებმა გიორგი შარვაშიძის (1810–21) ხელისუფლება არ ცნეს და არც რუსეთის მფლობელობაში შევიდნენ. ამ თემების მოსახლეობა უმთავრესად მეჯოგეობას მისდევდა, ამიტომ მათ აფხაზეთის ბარის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ. როგორც ნახევრად მეჯოგეები, ისინი სათარეშოდ ხშირად იჭრებოდნენ აფხაზეთის სანაპირო ზოლსა და ოდიშში, იტაცებდნენ ადამიანებს, ეწეოდნენ ტყვეთა სყიდვას, აოხრებდნენ სოფლებს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უღელტეხილებით მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აბაზებთან, ყაბარდოელებთან, ყარაჩაელებთან და საფრთხის დროს თავს მათთან აფარებდნენ. თვით წებელს და დალს თავს აფარებდნენ აფხაზეთიდან და ოდიშიდან გაქცეული ბოროტმოქმედნი და კავკასიელი მთიელებიც, ამიტომ რუსეთის ხელისუფლება ამ მხარეს ,,დამნაშავეთა ბუნაგს'' უწოდებდა. 1837 მაისში რუსეთის ხელისუფლებამ ჰ. ხ-ის თემები (წებელი და დალი), იარაღის ძალით დაიმორჩილა და ამ მხარეში რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა რუსული ადმ.-ტერიტ. ერთეული – წებელდის საბოქაულო. ამ დროიდან ქართ. ,,წებელის'' და ,,დალის'' ნაცვლად დამკვიდრდა რუს. ფორმა ,,წებელდა'', რ-იც ორი სახელწოდების გაერთიანებით შეიქმნა. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823–64) იმედოვნებდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ცნობდა მის უფლებებს ჰ. ხ-ის თემებზე, თუმცა ამაოდ. 1840–41 წებელსა და დალში მოხდა ანტირუსული, ანტიკოლონიური აჯანყებები, რ-იც რუსეთის ხელისუფლებამ ჩაახშო. დალში მცხოვრები 500-მდე ოჯახი აყარეს და წებელში ჩაასახლეს, თუმცა მათი ნაწილი მალევე უკან დაბრუნდა.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864) შემდეგ, 1866 წ. 11 ავგისტოს დებულებით, ჰ. ხ-ის თემები, წებელდის ოკრუგის სახელწოდებით, სოხუმის სამხ. განყბას (აფხაზეთი) შეუერთეს. 1867 აპრილ-ივნისში ჰ. ხ-იდან აფხაზები ოსმალეთში გაასახლეს (*მუჰაჯირობა*), მხოლოდ წებელდის ოკრუგიდან (წებელი და დალი) კი – 2 503 ოჯახი (14740 მცხოვრები), რის შედეგადაც ჰ. ხ-ის შუა და ზემო ნაწილი მოსახლეობისაგან სრულად დაიცალა. დაცარიელებული მიწები შევიდა სახაზინო მიწების ფონდში, რ-საც კავკასიის მთიელთა მმართველობა განაგებდა. 1868 წებელდის ოკრუგის ნაცვლად ,,წებელდის დასახლებათა მზრუნველობა'' შეიქმნა, რ-ის მიზანი მხარის კოლონიზაცია იყო.



კოდორის ხეობა

ხელისუფლებამ ვრცელი მიწა-წყალი რუს მოხელეებსა და ოფიცრებს უბოძა. XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ჰ. ხ-ის ქვემო და შუა ნაწილში რუსების, სომხების, ბერძნების, ბულგარელებისა და ესტონელების დასახლებები გაჩნდა; ზემო ნაწილში სვანეთის თემებიდან გადმოსულები დამკვიდრდნენ. 1898 რუსეთის ხელისუფლებამ სოხუმიდან ჰ. ხ-სა და კლუხორის უღელტეხილის გავლით, ჩრდ. კავკასიისაკენ სოხუმის სამხედრო გზა გაიყვანა. ჰ. ხ. 1883–1917 სოხუმის ოკრუგის, ხოლო 1918–21 – სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) შემადგენლობაში შედიოდა.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჰ. ხ-ის სოფლები აზანთის, აჟარის, ამტყელის, აძიუბჟის, ბაბუშერის, განახლების, დრანდის, ვლადიმიროვკის, ლათის, წებელდის სასოფლო თემებში შედიოდა. 1924 აგვისტოში ჰ. ხ-ის შუა და ზემო ნაწილის სოფლებში მოხდა ანტისაბჭოთა გამოსვლები, რ-იც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. 1921–30 ჰ. ხ-ის სასოფლო თემები სოხუმისა და კოდორის მაზრებში, ხოლო მოგვიანებით, გულრიფშისა და ოჩამჩირის რ-ნებში შევიდა. 1992–93 აფხაზეთის ომის შემდეგ საქართვ.ხელისუფლების იურისდიქცია აფხაზეთში მხოლოდ ჰ. ხ-ის ზემო ნაწილზე – დალზე ვრცელდებოდა. 2006 წ. 27 სექტემბერს კოდორის ხეობის ზემო ნაწილს გაუაზრებელი გადაწყვეტილებით ზემო აფხაზეთი ეწოდა, მისი ადმ. ცენტრი სოფ. ქვემო აჟარა გახდა. 2008 აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ამ მხარეზე აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლების იურისდიქცია გავრცელდა. მოსახლეობამ იძულებით დატოვა თავისი სამკვიდრო.

ლიტ.: აფხაზეთი საქართველოა; ისტორიული რაკურსი, თბ., 2021; აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა, ტ. 1–2, რედ. მ. ბარამიძე, თბ., 2013; ახალაძე ლ., აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), თბ., 2005; ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007; ჩართოლანი შ., ცინდელიანი მ., კოდორის ხეობის „დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2010; ჩხატარაიშვილი ქ., აბულასან იობისძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა; კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 6, თბ., 1990; ხვისტანი რ., კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მდ. კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი), თბ., 2018; ხორავა ბ., აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, თბ., 2011; მისივე, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2014; ჯაფარიძე ო., დოლმენური კულტურა საქართველოში, თსუ შრომები, 1959, ტ. 77; Воронов Ю., Древности Военно-Сухумской дороги, Сух., 1977; მისივე, Древности Азантской долины, Тб., 1982; მისივე, Памятники каменного века Военно-Сухумской дороги, Тб., 1984; Воронов Ю., Бгажба О., Материалы по археологии Цебельды, Тб., 1985; მათივე, Главная крепость Апсилии, Сух., 1986.

ბ. ხორავა.



კოდორის ხეობა

კოლუა ედუარდ ივანეს ძე (14. X. 1929, სენაკი, – 20. IX. 2002, თბილისი), ფილოსოფოს-სოციოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997), ფილოს. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1954). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ქ. ცხაკაიას (ახლანდ. სენაკი) საშ. სკოლასა (1954-56) და სას.-სამ. ტექნიკუმში (1956-59). იყო თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის თანამშრომელი: დოცენტი (1963–69), პროფესორი (1970–84), სოციოლოგიის კათედრის გამგე (1984–2002), საქართვ. სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1990–2002), 1989-იდან თსუ-ის სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავ-რე.

ჰ-ს მეცნ. კვლევის ძირითადი სფეროებია XX ს. ქართ. ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტ. ფილოსოფია, ეგზისტენციალური ფილოსოფია. ისტ. ფილოსოფიაში ჰ-მ ახლებურად გაიაზრა ისტ. საზრისის პრობლემა, სოციოლოგიაში – სოციოლოგიის მიმართება სხვა სოციალურ დისციპლინებთან: სოციალურ ევოლუციასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან, დემოგრაფიასა და ანთროპოლოგიასთან. მან გამოყენებითი სოციოლოგია საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში დაუკავშირა მნიშვნელოვან მიკრო და მაკრო თეორიულ პარადიგმებს, რისი წყალობითაც ეს დისციპლინა აკად. მეცნიერებად აქცია. ჰ. არის მრავალი მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და სამეცნ. სტატიის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).



ე. ი. კოდუა.

თხზ.: ორგანიცისტული სოციოლოგიის განვითარების ტენდენციები, თბ., 1964; ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966; კოტე ბაქრაძე, თბ., 1973; ისტორიის საზრისის საკითხისათვის, თბ., 1979; ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიის არსის შესახებ, თბ., 1984; სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1986; სოციოლოგია, ნაკვ. 1–2, თბ., 1998; კულტურის სოციოლოგია, თბ., 2001.

ი. კაჭკაჭიშვილი.

კოდუა ერეკლე ნოდარის ძე (დ. 15. II. 1973, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2008).


1998 დაამთავრა სტუ; 1999 – თბილ. ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინ-ტი, სპეციალობით სამართალმცოდნე. 1999–2003 მუშაობდა შსს ორგანოებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 2004 იყო სახელმწ. უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის უფროსი, 2004–10 – შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი, 2010–12 – შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი.

2014 საქართვ. პროკურატურამ ჰ-ს ბრალი წარუდგინა. იყო ,,ინტერპოლის წითელი ცირკულარით'' ძებნილი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2004), წმ. გიორგის გამარჯვების ორდენით (2008).

კოდუა ოსებ ივანეს ძე (18. II. 1902, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 11. IX. 1978, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1968). დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტი (1930). იყო საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი (1934–45), მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1945–46), თსუ-ის დოცენტი, პროფესორი (1947–78).

ჰ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი სამეცნ. შრომები ეხება პოლიტ. ეკონომიის, ინდუსტრიალიზაციის, საწარმოთა დაგეგმვის, ელექტრიფიკაციისა და სხვ. საკითხებს.



მ. კოვე.

თხზ.: შრომის დაცვა სოფლის მეურნეობაში, თბ., 1927; პოლიტიკური ეკონომიის კურსი, თბ., 1930; საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1961.

კოვალევსკი მაქსიმ მაქსიმის ძე [27. VIII (8. IX). 1851, ხარკოვი, – 23. III (5. IV). 1916, პეტროგრადი], რუსი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, იურისტი, სოციოლოგი, პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1914), მოსკოვის (1878–87) და პეტერბურგის (1905–16) უნ-ტების პროფესორი. 1872 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი; სწავლობდა აგრეთვე ბერლინში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში. 1906 აირჩიეს I სახელმწ. სათათბიროში, 1907 – სახელმწ. საბჭოში.

ჰ-მ 3-ჯერ იმოგზაურა კავკასიაში (1883, 1885, 1887). აქ შეგროვილი მასალა საფუძვლად დაედო გამოკვლევებს გვაროვნ. ურთიერთობისა და მისი დაშლის ფორმების შესახებ. მისი ძირითადი ნაშრომია ,,კანონი და ზნე-ჩვეულებები კავკასიაში'' (,,Законъ и обычай на Кавказе'', 2 ტომად, 1890). I ტომის IV თავში ,,სომხური და ქართული სამართლის გავლენა'' განიხილავს ქართ. სამართლის (გიორგი ბრწყინვალის ,,ძეგლის დადება'', ბექასა და აღბუღას სამართალი, ,,ვახტანგ VI-ის სამართალი'') გავლენას და მის ანარეკლს კავკასიის მთიელთა ადათებსა და ჩვეულებით სამართალზე. II ტომი შედგება ორი განყ-ბისაგან: ,,სამეგრელოს და საქართველოს მთიელები'' და ,,დაღესტნის მთიელები''. პირველი დაყოფილია თავებად: 1. ,,სვანების საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობა'', სადაც სვანებს უძველეს ტომებს უწოდებს, რებსაც ძვ. ბერძენი მემატიანეები და გეოგრაფებიც კი მოიხსენიებდნენ. სახლობენ ევროპაში ყველაზე მაღლა ზღვის დონიდან. სვანეთის გეოგრ. მდებარეობამ, გარე სამყაროსგან იზოლაციამ განაპირობა აქ გვაროვნ. წყობის უფრო დიდხანს შენარჩუნება სრულყოფილი ფორმით, რ-საც საფუძვლად სისხლით ნათესაობა უდევს. აღწერილი აქვს ქორწინების წესები, ვაჟის ყოლის უპირატესობა; 2. ,,ფშავლები, მათი რელიგიური ცრურწმენები, საზოგადოებრივი წყობა და იურიდიული ყოფა'', სადაც ფშავლების (ფხოველები) შესახებ წერს, რომ ისინი ძალიან ძველი ხალხია, ცხოვრობენ გვაროვნული ყოფით, თუმცა ამავე დროს ინარჩუნებენ განვითარების უფრო ადრინდელ ფორმებს. ისინი სხვა ქართველებისაგან განსხვავებით და ხევსურების მსგავსად არ ცნობენ არც წოდებებს, არც ბატონყმურ ან ფეოდ. დამოკიდებულებას. ხევსურებთან ერთად განსაცდელის ჟამს საქართველოს საიმედო დამცველები არიან. ფშავლები გამოირჩევიან სილაღით; ისინი თავიანთ სიხარულსა და მწუხარებას ლექსებითა და სიმღერებით გადმოსცემენ. აღწერილი აქვს ფშაველთა დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, ქორწინებისა და დაკრძალვის რიტუალები, ქალისადმი დამოკიდებულების წესები; 3. ,,ხევსურებისა და თუშების ჩვეულებითი სამართალში'' ჰ. აღწერს თუშებისა და ხევსურების ოჯახების სტრუქტურას, ქონების ფლობის წესს, სისხლის სამართალს, რ-იც სისხლის აღების წესს ემყარებოდა. მისი აზრით, ხევსურეთში საზ. ურთიერთობა ვერ გასცდა გვაროვნულ წყობას, თუშეთში კი თანდათან ჩამოყალიბდა პოლიტ. ერთეული – თემი, რ-იც ტერიტ. ერთობას წარმოადგენდა და ფორმალურად კახეთის მოურავის ხელისუფლებას აღიარებდა, ფაქტობრივად კი დამოუკიდებელი იყო. თემი მხოლოდ საერთო საშიშროების შემთხვევაში იღებდა საერთო გადაწყვეტილებას. ასევე განხილულია სისხლის სამართლის დანაშაულზე გამოსასყიდის დაწესება, რ-ის ოდენობა განისაზღვრებოდა დანაშაულის სიმძიმით. აღწერილი აქვს სასამართლო დავების გადაწყვეტა მოპასუხის, ნათესავისა და თანასოფლელების ფიცის საფუძველზე, აგრეთვე ძმებს შორის მემკვიდრეობის გაყოფის წესი და ა. შ.

თხზ.: Законъ и обычай на Кавказе (2 ტომად), М., 1890.

ლიტ.: შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., ქართული ეთნოლოგიის ისტორია, თბ; 2009.

ლ. მანიავა.

კოვალენკო სერგეი ივანეს ძე (11. VIII. 1947, პორტ-არტური, – 18. XI. 2004, კიევი), სპორტსმენი (კალათბურთი). საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1972). თბილისში დაამთავრა სპი (1968). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972) და მესამე პრიზიორი (1968); მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ჩემპიონი (1969) და მესამე პრიზიორი (1973); მსოფლიო უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1973). მისი პირველი მწვრთნელი იყო მ. კეკელიძე. თამაშობდა სპი-ის გუნდში (1965–69), კიევის ,,სტროიტელში'' (1969–75), მოსკოვის ,,ცსკა-ში'' (1976–80). იყო სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1976–80) და მესამე პრიზიორი (1970; 1974); სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979). მონაწილეობდა ოლიმპიური თამაშების ლეგენდარულ ფინალში აშშ-ის გუნდთან, რ-იც ბოლო წამზე მოიგო სსრკ-ის ნაკრებმა (1972).

კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე (გ. 1827), რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოში (1799–1800), გიორგი XII-ის დროს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1801, დაინიშნა ,,საქართველოს მმართველად'' და ამავე დროს პირველი განყ-ბის აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსად. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი მრავალი დანაშაულის გამო (მექრთამეობა, კარიერიზმი) 1802 სექტ-ში რუსეთის მთავრობამ უკან გაიწვია.

ლიტ.: საქართველოს ისტორია, ტ. 4, საქართველო XIX–XX საუკუნეებში, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

კოვე მიხეილ ალექსის ძე (21. I. 1914, სოფ. აბღარხუქი, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – გარდ. თარიღი უცნობია), აფხა-

ზი მსახიობი. აფხაზეთის არ-ისა (1954) და საქართვ. სახ. არტისტი (1965). 1930–33 სწავლობდა სოხუმის ვ. დომოგაროვის თეატრ. სტუდიაში. 1931-იდან ს. ჭანბას სახ. დრამ. თეატრის მსახიობია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ახმა (ს. შაწშიაშვილის „ანზორი“), იაკობი (მ. გორკის „ფსკერზე“), თავადი ტრუბეცკოი (ნ. ლერნერის „დეკაბრისტები“), კაზუხა (მ. კოვეს „ინანხა კალეა“), მარკოვი (კ. სიმონოვის „ერთი ქორწინების ისტორია“), სოლეიმანი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), აკოფა (ა. ცაგარლის „ხანუმა“) და სხვ. ავტორია პიესების: „ინანხა კალეა“, „კეხხაჯარათი“ და „ინაფხა კიაგუა“.

ფართო შემოქმედებითი დიაპაზონისა და ინტერესის მქონე მსახიობს დიდი დამსახურება მიუძღვის აფხაზური ეროვნ. თეატრის წინაშე.

კოვზანაძე ირაკლი კარლოს ძე (დ. 29. VI. 1962, ქუთაისი), ეკონომისტი და მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. კანდიდატი (1990), ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. (1984) და ეკონ. (1995) ფაკ-ტები. 1988–2003 თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. იყო ,,კომერციული ბანკი კრწანისის'' განყ-ბის უფროსი, გამგეობის თავრე, გენ. დირექტორი (1993–98), ,,გაერთიანებული ქართული ბანკის'' გენ. დირექტორი (1998–2003), საქართვ. პარლამენტის წევრი, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავ-რე (2004–08; 2016-იდან დღემდე), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენელი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სხვადასხვა საფინანსო ინ-ტის სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებში (2008–12), სააქციო საზ-ბა ,,საპარტნიორო ფონდის'' (საქართვ. სახელმწ. სუვერენული ფონდი) აღმასრ. დირექტორი (2012–15). 2006-იდან არის თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგე.

პ-ს საქართველოში და საზღვარგარეთ გამოცემული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. მონოგრაფიები მათემატიკასა და ეკონომიკაში, რებიც ეძღვნება მეზოკომპაქტური სივრცეების განზომილებისა და ფუნდად-საკრედიტო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, გლობალური ეკონ. კრიზისების, ქვეყნის საბანკო სისტემაში არსებული პრობლემების კვლევას.

თხზ.: თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014; Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития, Тб., 2016; Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition, N.-Y. – Bloomington, 2008; Systemic and Borderline Banking Crises: Lessons Learned for Future Prevention, N.-Y. – Bloomington, 2011; Global Economy Post- Crisis to Sustainable Development, N.-Y. – Bloomington, 2018.

კოზი, ონის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო კოზის, ქვემო კოზისა* და *შუა კოზის* გავრცელებული სახელწოდება.

კოზლოვი ივანე ივანეს ძე [11 (22). IV. 1779, მოსკოვი, – 30. I (11. II). 1840, სანქტ-პეტერბურგი], რუსი პოეტი, მთარგმნელი. მის შემოქმედებაში იგრძნობა სენტიმენტალურ-რომანტ. სტილის გავლენა. პოპულარობა მოიპოვა პ-ის პოემებმა ,,ბერი'' (1825) და ,,შეშლილი'' (1830). ეს უკანასკნელი თარგმნა და ჟურნ. ,,ცისკარში'' გამოაქვეყნა რ. *ერისთავმა.* ი. *ჭავჭავაძემ* იმავე ჟურნალში (1861, №4) მკაცრად გააკრიტიკა პოემაცა და მისი თარგმანიც. ამასთანავე, დადებითად შეაფასა ტ. მურის ლექსის, ,,მწუხრის ზარის'' (,,Вечерний звон''), კოზლოვისეული თარგმანი. ილიას კრიტიკულმა წერილმა ახ. თაობის ლიტ. მანიფესტის მნიშვნელობა შეიძინა და ,,*მამებისა*'' და ,,*შვილების*'' ბრძოლის საწყისად იქცა.

ლიტ.: ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ექვს ტომად, ტ. 3, თბ., 2012.

ვ. შადური.

კოზმანიშვილი აპოლონ გრიგოლის ძე (31. XII. 1930, სოფ. ჭოპორტი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 1. VI. 2012, თბილისი), ზოოტექნიკოსი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1992), სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1980). 1954 დაამთავრა საქართვ. ზოოვეტერინარული ინ-ტი. 1969 დაინიშნა კომბინირებული საკვების მრეწველობის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალის დირექტორად. 1982-იდან იყო საქართვ. ზოოტექ. სასწ.-კვლ. ინ-ტის ცხოველთა კვების კათედრის გამგე, 1989–91 – ამავე ინ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში, 1993–2005 კი – სას.-სამ. ცხოველთა კვების კათედრის გამგე, 2006–09 – ზოგადი ზოოტექ. დეპარტამენტის სრული პროფესორი, 2011–12 – ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი.

პ-მა სას.-სამ. ცხოველთა საკვებად შეიმუშავა წვნიანი საკვების ცილით გამდიდრების ტექნოლოგია, გამოიკვლია საქართვ. მომთაბარე მეცხვარეობის პირობებში ცხვრის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის საძოვრით დაკმაყოფილების პროცენტი და დაამუშავა მათი რაციონალური კვების პრინციპები. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, მ. შ. 3 მონოგრაფიის. აქვს 7 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: საქართველოს ძირითადი საკვები საშუალების ქიმიური შემადგენლობა და ყუათიანობა, თბ., 2005.



ა. კოზმანიშვილი.

კოზონოვი სარდიონ დავითის ძე, იხ. *კაზანოვი* სარდიონ დავითის ძე.

კოთელია, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, ბაკურიანი – ახალქალაქის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი, ზ. დ. 1700 *მ,* ახალქალაქიდან 15 *კმ.* 441 მცხ. (2014).

შუა სოფელში შემორჩენილია გალავანშემოვლებული ქვაჯვარი, აგრეთვე კვირიკეს ეკლესია, მუსლიმანური და ქრისტიანული სასაფლაოები.

ეკლესიის XVI ს. მხატვრულ წარწერაში იხსენიება საყდრის აღმაშენებელი ქიშვად ავალიშვილი და მისი მეუღლე, მეფის ასული თამარი. ეს პირები დასახელებულია ლიკანის სამრეკლოს წარწერაშიც. XVI ს-ში თურქების მიერ დაპყრობილ ჯავახეთში პ-ის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შემდეგ კი



კოთელია. კვირიკეს ეკლესია. XVI ს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე მათი რაოდენობა გაიზარდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ხარაძე კ., ჯავახეთის ხუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები, თბ., 2003; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

დ. ბერძენიშვილი.



კოთხუჯი.

კოთხი, აბრეშუმის საზომი და მარცვლეულის საწყაო გურიასა და სამეგრელოში XVIII–XIX სს-ში. აბრეშუმის საზომი ჰ. უდრიდა 666 გ, მარცვლეულის საწყაო ჰ. კი – დაახლ. 4 კგ.

კოთხუჯი, კოთხოჯი (Acorus), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ნიუკასებრთა ოჯახისა. ცნობილია 2 სახეობა. A. calamus გავრცელებულია აზიაში, ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. იზრდება რუსეთის ევროპულ ნაწილში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და ყაზახეთში. კარგად ხარობს მდინარისა და ტბის სანაპიროებზე, ზოგჯერ შალდამებს ქმნის. გვხვდება დას. საქართველოს (სამეგრელო, გურია, აჭარა) ლაქაშიანებსა და ლელიანებში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ჰ-ის ფესურიდან ხდიან ეთეროვან ზეთს, რ-საც პარფიუმერიასა და საკონდიტრო წარმოებაში იყენებენ. ფესურიდან მიღებული პრეპარატები გამოიყენება მადის აღმძვრელ, ნაღვლმდენ და საჭმლის მომნელებელ საშუალებად.



კოინდარი.

კოინდარი, მარცვლოვანი საკვები ბალახი. განეკუთვნება ორ გვარს – Arhenatherum-სა (მაღალი ჰ.) და Lolium-ს (საძოვრის ჰ., მრავალსათიბი ჰ.). მაღალი ჰ. (A. elatius) მრავალწლოვანი ფაშარბუჩქოვანი მცენარეა. სწრაფად იზრდება, გავრცელებულია ყველგან. ჰ-ის თივა ცხოველის კარგი საკვებია. მომწარო გემოს გამო ჰ-ის მწვანე მასას ცხოველს მხოლოდ სხვა მარცვლოვან და პარკოსან ბალახთან ერთად აძლევენ. საძოვრის ჰ. (L. perenne) მრავალწლოვანი ბალახია. შედარებით ნაკლებად უძლებს გვალვასა და ყინვას. გაძოვებისა და გათიბვის შემდეგ ინტენსიურად იზრდება. მრავალსათიბი ჰ. (L. multiflorum) ერთ-ან ორწლოვანი მცენარეა. აღსანიშნავია მისი ერთწლოვანი სახესხვაობა – ვესტერვოლდის ჰ. საქართველოში ითესება მინდვრისა და საკვებ თესლბრუნვებში, როგორც ბალახთნარევების ერთ-ერთი საუკეთესო კომპონენტი.

ჰ. გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაშიც. მაღალი ჰ. რეკომენდებულია ბორდიურებისა და ჯგუფური გამწვანების შესაქმნელად, სხვა სახეობები კი უმეტესად – გაზონებისათვის.

გ. ბადრიშვილი.

კოინციდენციის თეორია, დ. უზნაძის კონცეფცია განვითარების მამოძრავებელი თანდაყოლილი (შინაგანი) და შეძენილი (გარეგანი) ფაქტორების არსებითი კავშირის შესახებ. ეს შეხედულება ჩამოყალიბდა ვ. შტერნის ცნობილი კონვერგენციის თეორიის საპირისპიროდ, რ-ის მიხედვით განვითარების პროცესში ერთდროულად მოქმედებს ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები; ისინი სრულიად განცალკევებული, ავტონომიური ერთეულებია. დ. უზნაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ორი სრულიად გამიჯნული და ჰეტეროგენული მოვლენა ვერ შექმნის ისეთ ჰარმონიულ კავშირს, რ-იც განვითარებას განაპირობებს და ქცევასაც წარმართავს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდის ყოველგვარ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოში არსებული რაიმე მოვლენა ან გამღიზიანებელი. მოთხოვნილება მისი დაკმაყოფილების საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო – სათანადო გამღიზიანებელს და ა. შ. იგი თვლის, რომ ორგანიზმის შინაგანი კუთვნილების, მისი თანდაყოლილი სტრუქტურის ფუნქციის დახასიათება შეუძლებელია გარკვეული გარეგანი პირობების, სახელდობრ, სინათლის ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. მაშასადამე, აქ იშლება საზღვარი გარეგანსა და შინაგანს შ ორის. შინაგანში მკაფიოდ არის ,,ჩასახული'' გარეგანი. თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც იმ სტრუქტურას გულისხმობს, რ-ზეც ზემოქმედება შეუძლია – ელექტრომაგნიტური ტალღა ყურზე ვერ იმოქმედებს, ხოლო ჰაერის ტალღა – თვალზე. ეს ლ ოგიკა ყველა სხვა შემთხვევაზეც ვრცელდება. ამრიგად, ,,შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან და, პირიქით, გარეგანისა იმას, რასაც შინაგანად თვლიან. მაშასადამე, ჩვენ წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა კოინციდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას''.

ჰ. თ. ცოცხალი სისტემების ფუნქციონირების შესახებ დ. უზნაძის შეხედულებათა ქვაკუთხედია. მან თავისი განვითარება პოვა ე. წ. ემპირიული პოსტულატის კრიტიკაში, რ-ის დაძლევაც განწყობის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური ამოცანაა. განწყობის ცნების მთავარი ღირებულებაც ისაა, რომ იგი ორგანულად ამთლიანებს შინაგანსა და გარეგანს, ინდივიდსა და სიტუაციას. ჰ. თ. გასაგებს ხდის აღზრდის პროცესის დანიშნულებასა და მნიშვნელობას. თუ შინაგანი პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, როგორი ზემოქმედებაა საჭირო მისი განვითარებისთვის, მაშინ, ცხადია, აუცილებელი ხდება სათანადო ზემოქმედებათა სწორად შერჩევა და ორგანიზაცია, ანუ ის, რასაც აღზრდა ეწოდება. არსებითად, ჰ. თ-ზეა დაფუძნებული დ. უზნაძის ბავშვის ფ სიქოლოგიის სხვა საკვანძო თეორიული ცნებები და პრინციპები – ა საკობრივი გარემოს ცნება და მასზე აგებული ასაკობრივი პერიოდიზაცია.

ლიტ.: იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2018; უზნაძე დ., პედოლოგია: პედოლოგიის საფუძვლები და პირველი ბავშვობის პედოლოგია, ტფ., 1933; მისივე, ბავშვის ფ სიქოლოგია, თბ., 2005.

ი. იმედაძე.

კოიუნდალი, მთა ჯავახეთის ქედზე, იხ. *ჭიქიანი.*

კოკა, სითხის საწყაო საქართველოში X ს-იდან. მისი ტევადობა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. XIII ს. შუა ხანიდან გვხვდება 24-ლიტრიანი ჰ., ხოლო XVI–XVIII სს-ში – 8–16-ლიტრიანიც. ლიტრის მნიშვნელობის ზრდის გამო საუკუნეთა განმავლობაში ჰ-ის ტევადობაც იზრდებოდა. XIII ს-ში 24-ლიტრიანი ჰ. 23 ლ იტევდა, XVI–XVII სს. დას. საქართველოში კი – 50 ლ და მას მრთელი ეწოდებოდა. XVIII ს. აღმ. საქართველოში 10-ლიტრიანი ჰ. ,,სწორ'' (კანონიკურ) ჰ-დ ითვლებოდა (ტევადობა – 4 ჩაფი ან 30–34 ლ). დას. საქართველოში ,,სწორე'' ჰ. 12-ლიტრიანი იყო (ტევადობა 36–37 ლ). 12-ლიტრიანი საწყაოს ნახევარს მენახევრე ერქვა. XIX ს. 30-იან წლებში აღმ. საქართველოში ჰ. 12 თუნგით განისაზღვრებოდა.

გ. ჯაფარიძე.

კოკა, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში

(ორპირის თემი), ოკრიბის წვრილ მთიანეთში, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, ტყიბულიდან 29 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 196 მცხ. (2014).

კოკათი, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (ჩოჩხათის თემი) გურიის ქედის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 160 *მ*, ლანჩხუთიდან 32 *კმ*, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 120 მცხ. (2014).

კოკაი (იაპ. 黒海 „შავი ზღვა“), ცაგურია ლევან მერაბის ძე (დ. 10. III. 1981, სოხუმი), სპორტსმენი (სუმო, თავისუფალი ჭიდაობა). პირველი ევროპელი, რ-მაც ძიურეს თანრიგს მიაღწია. იუნიორებში ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1999). აფხაზეთის ომის გამო ლ. ცაგურიას ოჯახმა სოხუმი დატოვა და თბილისში გადმოსახლდა (1992). იგი სუმოთი საქართველოს სპორტის აკადემიაში სწავლის დროს დაინტერესდა. სუმოს სტუდენტური ფედერაციის ხელმძღვანელმა ტანაკამ 2001 *ჰ*. ტოკიოში მიიწვია და სუმოს ერთერთ წამყვან სკოლაში მიაბარა. ლ. ცაგურიას წარმომავლობის გამო იაპონელებმა „კოკაი“ შეარქვეს. *ჰ*-მ მაკუუჩი დივიზიონამდე გზა 2 წელიწადში გაიარა. 2006 მას კომუსუბის წოდება მიენიჭა. კარიერა დაასრულა 2012-ში. არის საქართვ. სუმოს ფედერაციის პრეზიდენტი (2018).

კოკაია ზაალ გივის ძე (დ. 29. V. 1962, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2008). დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი (1984). მუშაობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში (1987). იყო ლუნდის უნ-ტის სტიპენდიატი (შვედეთი, 1990), სადაც მოიპოვა ფილოს. დოქტორის ხარისხი (1995). საქართველოში მიენიჭა ბიოლ. მეცნიერებათა დოქტორის სამეცნ. ხარისხი (1997); ლუნდის უნ-ტის თანამშრომელი (1999) ექსპერ. ნევროლოგიის დარგში, ასოცირებული პროფესორი (2002) ექსპერ. მედ. დარგში; ღეროვანი უჯრედებისა და უჯრედული თერაპიის სტრატეგიული ცენტრის ნერვული ღეროვანი უჯრედების ბიოლ. ლაბორატორიის ხელმძღვანელი (2003), ამავე ცენტრის დირექტორის მოადგილე, დირექტორი (2011–20); ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშ. სამეცნ. კონსორციუმ „შტემშტროკეს“ ხელმძღვანელი (2007–11); ევროკავშირის FP 7 კონსორციუმის, ,,თარგეთ ბრეინის“ კოორდინატორი (2012–16); ლუნდის უნ-ტის კლინიკური მეცნ. კათედრის ნევროლოგიის განყ-ბის პროფესორი (2008) ექსპერ. სამედ. კვლევის დარგში. მისი კვლევის ძირითადი თემაა ღეროვანი უჯრედების შესაძლო გამოყენება თავის ტვინის ინსულტით გამოწვეული ფუნქციური დარღვევების აღსადგენად. მიღებული აქვს საქართვ. ეროვნ. (2019) და ბ. ფალკის (2020) პრემიები ნეირომედიცინაში.

კოკაია მერაბ გივის ძე (დ. 16. III. 1956, თბილისი), ბიოლოგი, ფიზიოლოგი. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (2008). 1978 დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი ბიოფიზიკის სპეციალობით. სამეცნ. კვლევა დაიწყო ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში.

ჰ. გაცვლითი პროგრამით გაემგზავრა შვედეთში. ლუნდის უნ-ტში მუშაობდა ნერვული უჯრედების ტრანსპლანტაციაზე ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში (1986–87). იყო ამავე უნ-ტის თანამშრომელი (1998) ექსპერ. ნევროლოგიაში; ვალენბერგის ნევროლოგიის ცენტრში (შვედეთი) – ექსპერ. ეპილეფსიის კვლევითი ლაბორ. გამგე (2006); ეპილეფსიის ცენტრის დირექტორი (2013); დიდი კოლაბორაციული ევროპული კომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის EPITARGET კოორდინატორი (2013–18) ეპილეფსიის კვლევაში. ილიას სახ. სახელმწ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი (2011).

ჰ-ის სამეცნიერო კვლევები გამოქვეყნებულია საერთაშ. სამეცნ. ჟურნალებში (Neuron, PNAS, Brain, J. Neurosci., J Clin. Inv., Neurobiol. Dis., Gene Therapy, PLOS ONE, Hippocampus, Molecular Therapy და სხვა). მიღებული აქვს პატენტები აშშ-ში [ნუკლეინის მჟავების თანამიმდევრობათა გამოყენება ნევროლოგიური და ფსიქიატრიული დაავადებების დროს, ვექტორები და ნაერთები (2014); ნუკლეინის მჟავების თანამიმდევრობათა გამოყენება ეპილეფსიის მკურნალობაში (2014); ცერებრული იშემიისა და ცერებრული დაზიანების მკურნალობა ნეიროპროტექტორული აგენტებით (1999)].

,,კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ (Coca-Cola Bottlers Georgia), სააქციო საზოგადოება, უალკოჰოლო სასმელების კომპანია. შეიქმნა 1993 ივლისს თბილისში ,,კოკა-კოლა კავკასიონის“ სახელწოდებით. იმავე წელს საწარმომ გამოუშვა პირველი პროდუქცია. 1996-იდან საწარმოს ეწოდა შპს ,,კ.-კ. ბ. ჯ.“, ხოლო 2016-იდან ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად. კერძო საკუთრებაა (100%), საინვესტიციო კაპიტალი შეადგენს 80 მლნ. აშშ დოლარს. 2019 საწარმო გადავიდა ახალაგებულ შენობაში, (სოფ. ნატახტარი, მცხეთის მუნიციპალიტეტი).

,,კ.-კ. ბ. ჯ.“ ერთადერთი ჩამომსხმელი ქ-ნაა საქართველოში, რ-იც უფლებამოსილია აწარმოოს და მოახდინოს კომპანიის პროდუქციის დისტრიბუცია. საწარმოს ფართობი შეადგენს 54461 $მ^2$, აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიით, აქვს ექვსი ჩამომსხ-



კოკაი (ლ. ცაგურია).



კომპანია ,,კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შენობა.



უალკოჰოლო სასმელი ,,კოკა-კოლა‘‘.



გ. კოკელაძე.



ვ. კოკილაშვილი.

მელი ხაზი. კომპანიაში დასაქმებულია 700, ხოლო მთლიანად სისტემაში – 10000-ზე მეტი ადამიანი. კომპანიის საქმიანობის სფეროა: უალკოჰოლო გაზიანი სასმელების (,,კოკა-კოლა‘‘, ,,ფანტა‘‘, ,,სპრაიტი‘‘, ,,შვეფსი ტონიკი‘‘), წვენების (,,კაპი‘‘, ,,ცივი ჩაი‘‘), ენერგეტ. სასმელების (,,კკ ენერჯი‘‘, ,,ბერნი‘‘), მინერ. წყლების (,,მთის‘‘, ,,ბონაქვა‘‘) წარმოება-ჩამოსხმა. პროდუქციის ძირითადი გასაღების ბაზარი საქართველოა, გადის აგრეთვე აზერბაიჯანსა და სომხეთში. ქართ. ,,კოკა-კოლა‘‘ გამოირჩევა მაღალი გემური თვისებებით და აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს.

,,კ.-კ. ბ. ჯ-ს‘‘ საქმიანობამ ბიძგი მისცა გამაგრილებელი სასმელების ინდუსტრიის განვითარებას და უცხ. კომპანიების (,,კონბაში‘‘, ,,რადიჩი‘‘, ,,შიშე ჯამი‘‘, ,,მაკდონალდსი‘‘) მიერ საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას საქართველოში. ამუშავდა ადგილ. ქ-ნები, დაინერგა სადისტრიბუციო სისტემა, ჩამოყალიბდა საცალო გაყიდვის სტრუქტურა, შეიქმნა ბიზნესის ახ. დარგი მასშტაბური სარეკლამო კომპანიის მომსახურებისათვის, დაიწყო აგრეთვე ინვესტიციების დაბანდება სწრაფი კვების სექტორში. გარდა საწარმოო პროცესისა და დისტრიბუციისა, კომპანია ეწევა სხვა კომერციულ საქმიანობას. მისი ეგიდით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ტარდება ტრად. ჩემპიონატები ფეხბურთსა და კალათბურთში, ეწყობა ტრად. ოლიმპიური სირბილის დღე და სხვ. ასევე ეწევა მასშტაბურ საქველმოქმედო საქმიანობას.

ლ. აბრამიშვილი.

„კოკა-ტაური“ (შპს), მინერალური წყლის ჩამომსხმელი საწარმო. მდებარეობს სოფ. *კოკოტაურში* (აჭარის არ, ქედის მუნიციპალიტეტი). მინ. წყალი ,,*კოკო-ტაური*‘‘ პირველად 1972 ჩამოისხა, ხოლო 90-იანი წლებიდან დაიწყო მისი სერიული გამოშვება. ქიმ. შემადგენლობით წყალი უნიკალურია და გამოიყენება მრავალი დაავადების მკურნალობისას. მომხმარებლის მოთხოვნის ზრდას წარმოების გაფართოება მოჰყვა. სამკურნ. წყლით დაინტერესდნენ სხვადასხვა ქვეყნის სამედ. თუ კომერციული სტრუქტურები. 2005 საწარმომ მიიღო წყლის ჩამოსხმის ლიცენზია. 2014 აშენდა ახ. ჩამომსხმელი საწარმო, რ-იც აღჭურვილია იტალიიდან და რუსეთიდან შემოტანილი უახლესი დანადგარებით. საწარმოში წყალი 1,7 *კმ* სიგრძის მილებითაა გადმოყვანილი და 5 რეზერვუარში იწმინდება. არსებული სიმძლავრეებით აქ შესაძლებელია დღეში 10000 ლ მინ. წყლის ჩამოსხმა, თუმცა პოტენციური მარაგი გაცილებით მეტია. წყალი 0,5- და 1-ლიტრიან პლასტმასის ბოთლებში ისხმება. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილ. ბაზარზე. საერთაშ. გამოფენებზე 1988 (პარიზი), 2001 და 2003 (თბილისი) მინ. წყალმა ,,კოკო-ტაურმა‘‘ თავისი სამკურნ. თვისებებით პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლები მიიღო.

კოკელაძე გრიგოლ ირაკლის ძე (2. V. 1904, სოფ. პატრიკეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 24. I. 1988, თბილისი), კომპოზიტორი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1937 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ვ. შჩერბაჩოვისა და ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასები). პედ. მოღვაწეობა დაიწყო 1928. 1937–41 იყო ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლის დირექტორი, 1941–48 – საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ხელმძღვანელი, 1954–55 – საქართვ. ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 1950–52 – საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, 1956–58 – I სამუს. სასწავლებლის დირექტორი, 1958–59 – კულტ. სამინისტროს მუს. დაწესებულებათა განყ-ბის უფროსი.

პ.-ს ეკუთვნის საგუნდო და საფორტეპიანო ნაწარმოებები, კანტატები, სიმღერები. მან შეკრიბა, ჩაწერა და ნოტებზე გადაიტანა 2000-მდე ქართ. ხალხ. სიმღერა; მუს. ფონდმა გამოსცა მის მიერ ჩაწერილი ,,50 ქართული ხალხური სიმღერა‘‘ (1979), ,,25 ქართული ხალხური სიმღერა‘‘ (1985) და სხვ. ავტორია წიგნისა ,,ქართული ცეკვების ხალხურობა და მათი მუსიკალური თანხლება‘‘ (1977).

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (1984).

ლიტ.: ტორაძე გ., კოკელაძე გ., მუსიკალურ სამყაროში, თბ., 2010.

კოკი, სოფელი სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ხურჩა). ზ. დ. 20 *მ,* ზუგდიდიდან 14 *კმ.* 887 მცხ. (2014). პ-ში არის ყირიმის ომში (1853–56) დაღუპულ ძმათა სასაფლაო „ნალიმა“ და ობელისკი.

პ. წერილობით წყაროებში პირველად XVI ს-ით დათარიღებული გელათის მონასტრისადმი ჟორჟოლაძეთა შეწირულობით სიგელშია მოხსენიებული. გვიანდ ფეოდ. ხანაში პ. ოკრიბის შემადგენლობაშია.

კოკილაშვილი ვახტანგ მიხეილის ძე (1.V. 1938, თბილისი, – 16. V. 2022, იქვე). მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013; წ.-კორ. 1997), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1986). დამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკტი (1959) და მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში. 1990- იდან იყო ინ-ტის მათ. ანალიზის განყოფილების გამგე, 1989–2006 – ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 2014–19 – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. მათ. და ფიზ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი.

პ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა: ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი, არაწრფივი ჰარმონიული ანალიზი და ფუნქციათა აპროქსიმაციის თეორია, ინტეგრალური ოპერატორები წონიან ფუნქციურ სივრცეებში, მათ. ფიზ. სასაზღვრო ამოცანები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პ-ის წვლილი ორწონიანი ამოცანის ამოხსნაში წილადური ინტეგრალებისათვის, ოპერატორთა ასახვის თვისებების დადგენაში არასტანდარტულ ფუნქციურ სივრცეებში, ფუნქციათა აპროქსიმაციისა და ანალიზური ფუნქციების სასაზღვრო ამოცანების გამოკვლევაში და სხვ.

პ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 9 მონოგრაფიისა. მონოგრაფიების უმრავლესობა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჰონკონგი, სინგაპური, ნიდერლანდები და შვეიცარია). იყო მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესიის (1996, 98, 2002, 14, 18) მონაწილე. კ. 2014 იყო მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესიის (ICM2014) რეგიონალური ელჩი.

ა. რაზმაძის სახ. პრემიის ლაურეატი (1986).

თხზ.: Weight Theory for Integral Transforms on Spaces of Homogeneous Type (თანაავტ. I. Genebashvili, A. Gogatishvili, and M. Krbec), Pitman Monographs and Surveys

in Pure and Applied Mathematics. Addision Wesley Longman 1998, Boundary Value Problems for Analytic and Harmonic Functions in Nonstandard Banach Function Spaces (თანაავტ. თ. პაატაშვილი) Nova Science Publishers, New-York, USA, 2012; Integral Operators in Non-standard Function Spaces, vols. 1, 2, (თანაავტ. A. Meskhi, S, Samko, H. Rafeiro), Birkhauser, 2016.

ა. მესხი.

კოკლათა, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში (ომალოს თემი, თუშეთი), მდ. თუშეთის ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 2100 მ.

2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კოკოევი ვასილ ნიკოლოზის ძე (21. I X. 1921, დაბა ჯავა, ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტი, – 20. I. 1991, ცხინვალი), მხატვარი, საქართვ. დამს. მხატვარი (1965). 1949 დაამთავრა მოსკ. უმაღლესი სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელი. მუშაობდა ქანდაკების დარგში. შექმნა არაერთი სკულპტურული ნამუშევარი, რ-ებიც საქართვ. სახელმწ. სურათების (ახლანდ. დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა) გალერეისა და ცხინვალის მუზეუმის ფონდებში ინახება. კ-ის ნამუშევრები (,,მუშის პორტრეტი'', 1959; ,,ქალიშვილის პორტრეტი'', 1966; ,,შებრძოლება'', 1975 და სხვ.) ძირითადად თანამედროვეობას, ადამიანებს, საყურადღებო ფაქტებსა თუ მოვლენებს ეძღვნება.

კოკოლია ივანე ალექსანდრეს ძე (18.II.1931, სამტრედია, – 18. IX. 2003, თბილისი), საოპერო მომღერალი, ბარიტონი. საქართვ. დამს. არტისტი (1983). 1952 დაამთავრა თბილ. ნიჭიერთა ათწლედი ვოკალის განხრით (ვ. ქაშაკაშვილის კლასი), 1960 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის ვოკალის ფაკ-ტი (პედ-ები: გ. მარგიევი, ა. აგლაძე-ჩიჯავაძე). 1961-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის (ბარიტონი), საქართვ. ფილარმონიისა და საქართვ. სახელმწ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი. შესრულებული აქვს არიები: მეფე გიორგი (შ. მშველიძის ,,დიდოსტატის მარჯვენა''), თავადი ლევანი (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), ორბელიანი (დ. თორაძის ,,ჩრდილოეთის პატარძალი''), გიორგი (ო. თაქთაქიშვილის ,,სამი ნოველა''), ოსმან-აღა (ლ. ფალიაშვილის ,,იავნანამ რა ჰქმნა''), ვალენტინი (შ. გუნოოს ,,ფაუსტი''), ტონიო (რ. ლეონ კავალოს ,,ჯამბაზები''), მარსელი, ჯანი სკიკი, სკარპია, შარპლესი (ჯ. პუჩინის ,,ბოჰემა'', ,,ჯანი სკიკი'', ,,ტოსკა'', ,,ჩიო-ჩო-სანი''), რობერტი, ტომსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,იოლანტა'', ,,პიკის ქალი'') და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

კოკომჟავა (Rumex acetosella), მრავალწლოვანი ორსახლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ტყისა და ველის ზონაში. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება სუბალპურ სარტყელამდე, უმთავრესად ნატყევარ მდელოებზე, ტყის პირებსა



კოკომჟავა.

და ბუჩქნარებში. სარეველად იზრდება ნათესებსა და ბოსტნებში. არჩევს მჟავე ნიადაგს. ფოთლები შეიცავს მჟაუნმჟავა კალიუმს. ერთი მცენარე იძლევა 1000-მდე თესლს, რ-იც 40 წლამდე ინარჩუნებს აღმოცენების უნარს.

კოკოსკერია იასონ ბასიათის ძე (6.VII. 1914, სოფ. კალდახვარა, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 29. IV. 1988, სოფ. ბზიფთა, გაგრის ზონის ტერიტორია), საბჭოთა კავშირის გმირი (24. III. 1945), ეფრეიტორი. იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, დნეპრზე. მონაწილეობდა ნიკოლაევის, ოდესის, იზმაილის ბრძოლებში. უნგრეთის გათავისუფლების დროს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა სსრ. კავშირის გმირის წოდება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

ტ. ჩინჩილაკალაშვილი.

კოკოსქირია ივანე ხარიტონის ძე (20. V. 1915, სოფ. ოთხარა, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 3. III. 1978, სოხუმი), აფხაზი მსახიობი. აფხაზეთის არის (1954) და საქართვ. დამს. არტისტი (1961). 1931–34 სწავლობდა სოხუმის აფხაზურ დრამატულ სტუდიაში. 1932-იდან სოხუმის აფხ. თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს მრავალი როლი, მ. შ. აღსანიშნავია: კოტე ფანტიაშვილი (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''), ლარბი (ს. შანშიაშვილის ,,ანზორი''), ნაგარი (ა. კორნეიჩუკის ,,ესკადრის დაღუპვა''), ასკარა (უ. ჰაჯიბეკოვის ,,არშინ მალ ალან''), ვურმი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'') და სხვ.

კოკოტაური, სოფელი აჭარის არ-ის ქედის მუნიციპალიტეტში (ცხმორისის თემი), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 430 *მ,* ქედიდან 17 *კმ.* 545 მცხ. (2014). სოფელში არის მინერ. წყარო ,,კოკოტაური'', რ-საც თითქმის 50-წელია, ტრადიციულად ქარხნული წესით ასხამენ და განსაკუთრებული გემური და სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

მოსახლეობის უმრავლესობას მოჰყავს თამბაქო.

„კოკოტაური“, სამკურნალო მინერალური წყალი ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. კოკოტაურში (აჭარის არ). მიეკუთვნება ნახშირმჟავა, სულფატურ-ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიან წყლებს. საერთო მინერალიზაციით 2,4–3,2 *გ/ლ.* გამოიყენება სასმელად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ქრონიკულ დაავადებათა დროს.

ბოთლებში ჩამოსხმულ მინერალურ წყალს უშვებენ „კოკოტაურის სახელწოდებით (იხ. *,,კოკატაური''*).

კოკოჩაშვილი ვიქტორ ივანეს ძე [30. X (12. X), 1904, ქუთაისი, – 17. IV. 1986, თბილისი], ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1944),საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1922 დაასრულა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო თსუ-ის პედ. ფაკ-ტის ქიმიურ-ფარმაკ. განყ-ბაზე, რ-იც 1928 დაამთავრა.

1927–28 კ. მუშაობდა თსუ-ის არაორგანული ქიმ., ხოლო 1929–30 – ფიზ. ქიმ. კათედრაზე. თანამშრომლობდა ლ. *პისარჟევსკისთან.* 1931 დაინიშნა ქ. დნეპროპეტროვსკის ქიმია-ტექნოლ. ინ-ტის არაორგანული ქიმ. კათედრის დოცენტად. 1936 დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭა ქიმიის მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხი. 1943 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: ,,წყალბადისა და ბრომის ნარევის წვის მოვლენის შესწავლა''. 1935–73 იყო თსუ-ის ფიზ. ქიმიის კათედრის გამგე.



მინერალური წყალი ,,კოკოტაური''.




ი. კოკოლია.



ი. კოკოსქირია.



ი. კოკოსქირია — ირაზანი. მ. კილიჩი-ჩაკოვის ,,დათვის ბუნაგი''.



მ. ა. კოკოჩაშვილი.

ჰ-მა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარა ქიმ. კინეტიკის დარგში, კერძოდ, ააღებისა და ალის გავრცელების საკითხებზე. მიიჩნევა საქართველოში ამ სამეცნ. მიმართულების დამფუძნებლად. იყო ნ. *სემიონოვის* (ნობელის პრემია, 1956) სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. წყალბადისა და ქლორის ნარევის ფოტოქიმიური რეაქციის კინეტიკის კვლევისას აღმოაჩინა სარეაქციო ჯაჭვების ურთიერთქმედება მაღალი ინტენსივობის სინათლეზე. წყალბადსა და ბრომს შორის რეაქციის შესწავლით ექსპერიმენტულად დაადგინა ამ აირების ნარევის თვითაალების ზღვრები, ალის ფრონტის არამდგრადობა, ინერტული და აქტიური მინარევების გავლენა ააღების ზღვრის მნიშვნელობაზე, გავრცელების სიჩქარეზე და სხვ. ჩამოაყალიბა შესაბამისი თეორია (1951). მისმა მიღწევებმა ხელი შეუწყო აირების წვისა და დეტონაციის თეორიის ჩამოყალიბებას.

ჰ. სამეცნ. ნაშრომების, რამდენიმე სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორია; კომენტარები დაურთო ვახტანგ VI-ის თხზულებას ,,წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის'' (1981) და სხვ.

თხზ.: ქიმია უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის, გამოც. 7, თბ., 1964–83; არაორგანული ქიმიის კურსი, ნაწ. 1-3, თბ., 1966-70;ფიზიკური ქიმიის სამტომეული, თბ., 1972–76; არაორგანული ქიმიის ორტომეული, თბ., 1988.

კოკოჩაშვილი მერაბ არჩილის ძე (დ. 21. III. 1935, თბილისი), კინორეჟისორი, სცენარისტი. საქართვ. სახალხო არტისტი (1983), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987). დაამთავრა კინემატოგრაფიის სკასვმ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (გ. შიროკოვის სახელოსნო, 1960).



მ. ა. კ ო კ ო ჩ ა შ ვ ი ლ ი. კადრი ფილმიდან ,,დიდი მწვანე ველი''. ლ. კ ა პ ა ნ ა ძ ე – პირიმზე, დ. ა ბ ა შ ი ძ ე – სოსანა. 1967

გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: ,,ხმელი წიფელი'' (ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით, 1957, ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საერთაშ. ფესტივალის ვერცხლის მედალი, 1960), ,,არდადეგებზე'' (1962), ,,მიხა'' (მ. ჯავახიშვილის მოთხრობა ,,მუსუსის'' მიხედვით, 1965), ,,დიდი მწვანე ველი'' (1967, პრიზი რეჟისურისთვის, კინოფესტივალი ,,პრომეთე'', ერევანი, 1968), ,,ცხელი ზაფხულის სამი დღე'' (1981), ,,გზა მშვიდობისა, ჯაყო!'' (ნ. დუმბაძის რომანის ,,ნუ გეშინია, დედას'' მიხედვით, 1973), ,,მწვერვალი'' (1976), ,,ნუცას სკოლა'' (2000), ვარიაცია ,,ოტელოს'' თემაზე (2003), ,,უსუი'' (2005), ,,ღვინის აკვანი'' (მხატვ.-დოკ. 2011). დოკუმენტური ფილმები: ,,მწვერვალი'' (1973), ,,გზა'' (1983, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1987), ,,ფენომენი'' (1992), ,,საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია'' (1996), ,,დაგვიანებული კადიში'' (2002), ,,თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!'' (2006), ,,ქართველი მამლუქები ეგვიპტეში'' (2007), ,,ივანე ჯავახიშვილი'' (2016) და მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ,,სახლი სიხარულისა'' (2008). ჰ., როგორც მსახიობი, გადაღებულია ფილმებში: ,,გიორგი სააკაძე'' (პატარა პაატა სააკაძე, რეჟ. მ. ჭიაურელი, 1942–43), ,,არ იდარდო!'' (პორუჩიკი იშხნელი, რეჟ. გ. დანელია, 1969), ,,მწვერვალი'' (თემური). ჰ-ის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ტრადიციებისადმი ზნეობრივი დამოკიდებულება და თაობათა ურთიერთობა, პიროვნების თავისუფლება, ყოფიერების საზრისი და ადამიანის დანიშნულება, თავისუფლების ფასი და იმ ღირებულებების ერთგულება, რ-იც ერის მომავალი განვითარების საწინდარია.

ჰ. იყო კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი (1976–96), საქართვ. სატელევიზიო ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1976–2005), თსუ-ის კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნ.-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1992–2006), ქართული კინოს განვითარების ცენტრის დირექტორი (2015-იდან). ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ლიტ.: მერაბ კოკოჩაშვილი. კრ., თბ., 2005.

მ. კერესელიძე.

კოკოჩაშვილი მიხეილ ივანეს ძე [25. II(10. III). 1901, ქუთაისი, – 7. IX. 1963, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961).

1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი; 1932–63 ხელმძღვანელობდა თსსი-ის ბავშვთა ქირურგ. და ორთოპედიის კათედრას.

ჰ. იკვლევდა ბავშვთა ასაკის ქირურგ., ტრავმატიზმის, უროლოგიური და ორთოპედიული დაავადებების, განსაკუთრებით კი მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს. ქართულ ენაზე შეადგინა ბავშვთა ქირურგ. პირველი სახელმძღვანელო (1955).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ძვალ-სახსართა ტუბერკულოზი, თბ., 1958; Неотложная хирургия брюшной полости у детей, Тб., 1956.

კოკოჩაშვილი პეტრე-პავლე ივანეს ძე (1832, ქუთაისი, – 1916, იქვე), მრეწველი. განათლება ქუთაისელ კათოლიკე პატრებთან მიიღო და მათგან შეისწავლა საქიმო და საღებავო საქმე, ასევე თავი გამოიჩინა სავაჭრო და სამრეწვ. ასპარეზზე.

ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში ქუთაისში, თავისსავე სახლში ჰ-ის მამამ, ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილმა (1799–1864) გახსნა ,,სამკურნალო აფთიაქი''. აქ იგი ამზადებდა წამლებს და უანგაროდ მკურნალობდა.

ჰ-ის ინიციტივით 1860 წ. 22 იანვარს ქუთაისში გაიხსნა იმ დროსათვის ერთადერთი პირველი აფთიაქი (ახლანდ. №8 აფთიაქი), ქუთაისის გუბერნიაში. იგი იყო პირველი ქართველი, რ-საც ამ პერიოდისათვის საკუთარი აფთიაქი ჰქონდა დას. საქართველოში.

ქუჩას, სადაც აფთიაქი გაიხსნა, შემდგომში აფთიაქარის ქუჩა ეწოდა. ჰ-ს სერიოზული კომერციული კავშირები ჰქონდა საერთაშ. დონეზე და მედიკამენტურ მოწყობილობებს იძენდა რუსეთიდან, კონსტანტინოპოლიდან ბერლინიდან და ვენიდან.

ჰ-მა თავის საქმიანობაში ადრეული ასაკიდან ჩააბა ვაჟიშვილები: ლევანი, ივანე, ზაქარია და ვასილი (აქედან პირველი სამი პროვიზორი იყო). ამან განაპირობა ის, რომ XIX ს. 60-იანი წლები-

დან პ-ის გაერთიანებას ,,ძმები კოკოჩაშვილების წარმოება'' ეწოდა. 1871 წ. 11 ნოემბრიდან აფთიაქის მართვა პ-მა პოლონეთიდან გადმოსახლებულ პროვიზორ ც. ივანოვსკის მიანდო. მას პ-ის კუთვნილ სხვა ნაგებობაში ლიმონათის წარმოებაც ჰქონდა. სწორედ აქ დაიწყო მუშაობა მუშად 14 წლის მ. *ლაღიძემ.* 1880 წ. 8 აგვისტოდან აფთიაქის მმართველად დაინიშნა პეტრე-პავლეს უფროსი ვაჟი – ლევანი. მალე პ-ის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი საქმიანობა. მოგვიანებით გაიხსნა პ-ს აფთიაქები ტყიბულში (1875), შემდეგ ბათუმში, უწერაში და ა. შ., 1890 კი – ლევან კოკოჩაშვილმა ქუთაისში გახსნა ,,სააფთიაქო საწყობი და ქიმიური ლაბორატორია'', სადაც გაიცემოდა სააფთიაქო, ქიმ., პარფიუმერიული საქონელი, ბუნებრივი მინერ. წყლები და მარილები, რეზინის ნაწარმი, ქირურგ. ინსტრუმენტები, შესახვევი მასალები, ფოტოგრ. მოწყობილობები.

ლიტ.: აბულაძე ნ., კეზევაძე მ., ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის საკითხისთვის, «განთიადი», №6, 1991; ჟღენტი ვ., გელბახიანი პ., ტატიშვილი ი., მედიცინის განვითარება საქართველოში და ქართველი ექიმები, თბ., 1971; ჭიჭინაძე ზ., ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, თფ., 1905.

ნ. აბულაძე.

კოკოჩაშვილი შალვა ვასილის ძე (20. III. 1890, ქუთაისი, – 20. III. 1955, იქვე), ბავშვთა ფთიზიატრი, ჯანდაცვის ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე. 1913 დაამთავრა პეტერბურგის სამხ. სამედ. აკადემია. 1920 იყო აბასთუმნის სანატორიუმის დირექტორი; 1925–26 – ქუთაისის ჯანდაცვის დედათა და ბავშვთა დაცვის განყ-ბის გამგე; 1931–38 – ქუთაისის მთავარი პედიატრი; 1937–38 – თავისივე დაარსებული ქუთაისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს მთ. ექიმი; სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ (1925) ტუბერკულოზური დისპანსერის ბავშვთა განყ-ბას. ბავშვთა ტუბერკულოზის პროფილაქტიკისა და დაავადებასთან ბრძოლის საქმეში პ. იყენებდა ბაქტერიოფაგით მკურნალობის ახ. მეთოდებს. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ორგანიზებული აცრები ბაგა-ბაღებსა და სკოლებში. ეწეოდა აქტიურ საზ. მოღვაწეობას. მეუღლესთან, ნ. ჩოლოყაშვილთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებაში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: გიორგაძე ვ., ქუთაისის სამედიცინო საზოგადოება, თბ., 1973.

კოლა, მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავს მდ. მტკვრის სათავის ქვაბულს (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). სავარაუდოდ, სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. უძველესი აბორიგენი მოსახლეობაც დასავლურ-ქართული უნდა ყოფილიყო. იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV ს.) პ. მისი შემადგენელი ნაწილი გახდა, წარმოადგენდა სამხ.-აღმ. ერთეულს და შედიოდა წუნდის საერისთავოში. ძვ. წ. II–I სს-ში პ. სომხ. სამეფოს მფლობელობაში იყო, ახ. წ. I–II სს-ში იბერიას დაუბრუნდა. უძველესი დროიდან პ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რ-იც საქართველოს წინა აზიასთან აკავშირებდა. IX–XI სს-ში ქართველთა საკურაპალატოში შედიოდა. XI ს. დასაწყისში პ-ში მოხდა დიდი ბრძოლა მეფე გიორგი I-ისა და ბიზანტიის კეისარ ბასილის ლაშქარს შორის (იხ. სტ. შირიმნის ბრძოლა 1021). XII ს-ში აქ საქართვ. მეფეებს საზაფხულო სადგომი ჰქონდათ. პ-ს მხარეში, სოფ. დადაშენში, იყო დადაშენის საეპისკოპოსოს კათედრალი. XVI ს-ში პ. საქართვ. სხვა ტერიტ. ნაწილებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59. ქართლის ცხოვრება, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.


დ. მუსხელიშვილი.

კოლაგი, სოფელი კახეთის რეგიონის გურჯაანის მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 440 *მ,* გურჯაანიდან 7 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2014).

კოლაეთი (ბერძნ. kolike), მისიმიანეთის ძველი სახელწოდება. ანტიკური ხანის წყაროებში აქ მოსახლე ტომს კოლნი ანუ კოლაელნი ეწოდებოდა. ტერმინი მისიმიანი გვხვდება VI–VIII ს-იდან.

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961.

„კოლაელ ჰრმათა მარტვილობა“, IX ს. ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი; ჰაგიოგრაფიული თხზულება, რ-შიც აღწერილია, თუ როგორ აწამეს 9 გაქრისტიანებული მცირეწლოვანი (7–9 წლისა) ყრმა წარმართებმა (არა უგვიანეს VI ს-ში). თხზულება გვაწვდის საყურადღებო ცნობებს ქრისტიანობის ისტორიის ზოგიერთი მხარის გასათვალისწინებლად. ძეგლის მიხედვით, მტკვრის სათავის ქვაბულში – ხევში, რ-საც კოლაჲ ერქვა, ცხოვრობდნენ ქრისტიანებიც და წარმართებიც. მიუხედავად წარმართთა რიცხობრივი და უფლებრივი უპირატესობისა (სოფლის მთავარიც წარმართი ყოფილა), ქრისტიანები შეუზღუდავად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას თავიანთ ეკლესიაში, მაგრამ სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის. მშობელს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა, მას შეეძლო სიკვდილითაც კი დაესაჯა ურჩი შვილი. ,,კ. ყ. მ-ის'' მიხედვით, უმოწყალო მშობლებმა ქრისტ. სარწმუნოების ერთგულებისათვის კოლაელი ყრმები თავდაპირველად სასტიკად აწამეს, ხოლო შემდეგ ,,განუხეთქნეს თავნი მათნი'' და სხვა წარმართთა ხელშეწყობით ჩაქოლეს.



პ.-პ. კოკოჩაშვილი.



პ.-პ. კოკოჩაშვილის აფთიაქი. 1869. ქუთაისი.

ჩვენამდე მოღწეულია ,,კ. ჭ. მ-ის'' ერთადერთი, X ს. ხელნაწერი, რ-საც მიაკვლია ნ. მარმა ათონის მონასტერში 1897. ტექსტი გამოსცეს ნ. მარმა (1903, რუს. თარგმანითურთ), დ. კარიჭაშვილმა (1914) და ი. აბულაძემ (1944).

ლიტ.: აბულაძე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX–X საუკუნეებში. გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1944; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მეტრეველი ს., ცხრა ძმა კოლაელთა წამება, წგ. ქართული აგიოგრაფიის (IV–X სს.) იკონოგრაფიული სახისმეტყველება, თბ., 2008; ჩოლოყაშვილი ბ., უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება, თბ., 2003; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977; Марр Н. Я., Мученичество отроков колайцев, «Тексты и разыскания по арм.- груз. филологии», 1903, кн. 5.


ვ. ბაკაშვილი.

კოლაკოვსკი ალფრედ ალექსის ძე (24. II. 1906, კიევი, – 1997, სოხუმი), ბოტანიკოსი (სისტემატიკოსი, ბოტანიკოს-გეოგრაფი და პალეობოტანიკოსი). საქართველოს მეცნ. აკად. წ-კორ. (1955), პროფ. (1952), საქართვ. (1961) და აფხაზეთის არ-ის მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). კ-ის ძირითადი შრომები ეხება კავკასიის, განსაკუთრებით კოლხეთის მცენარეულ საფარს, მისი ბოტან.-გეოგრ. დარაიონების საკითხებს, აფხაზეთის პლიოცენურ ფლორას. მან დაადგინა და აღწერა კოლხეთის მესამეული პერიოდის ფლორის 120-მდე ახ. სახეობა და 2 ახ. გვარი; გამოავლინა შიშველთესლოვანთათვის მანამდე უცნობი ეპიდერმული ტიპის სტრუქტურა; დაადგინა კოლხეთში მესამეული პერიოდის ფლორის რეფუგიუმის (თავშესაფრის) უწყვეტობა; პალეობოტან. ანალიზისა და ჰოლოარქტიკის რელიქტური ფლორის შესწავლის საფუძველზე ჩრდ. ნახევარსფეროს ფარგლებში გამოყო სრულიად ახ. ბოტან.-გეოგრ. ხმელთაშუამთიანეთის ოლქი; შექმნა კავკ. ნამარხი მცენარეების კატალოგი (ტ. 1–2, 1973). არის ,,აფხაზეთის ფლორის'' (ტ. 1–4, 1938–49) ავტორი.



ა. კოლაკოვსკი.

კოლაჟი (ფრანგ. collage, სიტყვასიტყვით – დაწებება), სხვადასხვა დანიშნულების ან ფორმის, განსხვავებული კონტექსტიდან ამოღებული საგნების ან ფრაზების გაერთიანება ერთ სიბრტყეზე. ისინი იძენენ ახალ შინაარსს, რ-იც მათ დამოუკიდებლად არ გააჩნიათ. მოდერნიზმის ხანაში, კერძოდ, კუბიზმის, დადაიზმის, სიურეალიზმის და სხვა მიმდინარეობების ფარგლებში, მან შეიძინა ტექნიკური საშუალების მნიშვნელობა. მხატვრობაში პირველად კ. გამოიყენა პ. პიკასომ, შემდეგ – ჟ. ბრაკმა, მ. ერნსტმა და ა.შ. პოსტმოდერნიზმის ხანაში, კერძოდ, პოპ-არტის მიმართულებით, ამ ტექნიკამ კიდევ მეტი დატვირთვა შეიძინა. ამ დროს ასევე დაიწყეს სამგანზომილებიანი საგნების გამოყენება და ჩამოყალიბდა კ-ის მონათესავე ახალი მეთოდი – ასამბლაჟი. ქართველი მხატვრებიდან XX ს. 20-იანი წწ. დასაწყისში პარიზში კ-ის ტექნიკას პირველმა მიმართა დ. *კაკაბაძემ*, რ-მაც შემდეგ ის სრულიად ორიგინალურად განავითარა. მან ნამუშევრებში, სარკეების, ლითონის ფრაგმენტების, ლინზების და სხვა მასალის გარდა, ჩართო ისეთი დეტალები, რებიც ნამუშევრის უკანა მხრიდან



კოლაჟი. დ. კაკაბაძე. ,,კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიცია''. 1924.

მიერთებული ნათურით ნათდებოდა. საქართველოში კ. და ასამბლაჟი პოპულარული გახდა 70-იან წლებში როგორც პოპ-არტის მიმართულების გამოძახილი (ა. ვარაზი, გ. მიქელაძე, ო. ჩხარტიშვილი და სხვ.). განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ მას თეატრის მხატვრები (გ. ალექსი-მესხიშვილი, მ. შველიძე, თ. ნინუა და სხვ.). პოსტმოდერნიზმის ეპოქაში კ-მა, ზოგადად, ფართო ფილოს. დატვირთვა შეიძინა. XX ს. ბოლოს და XXI ს. დასაწყისში მას იყენებდნენ როგორც ლიტერატურაში, ისე თეატრში, კინოსა და ხელოვნების სხვა დარგებში. ერთ ნაწარმოებში სხვადასხვა შინაარსის, დანიშნულებისა და ფორმის შემცველი ფრაგმენტების ან მოვლენების შერწყმის აღნიშნული საშუალება საუკეთესოდ მიესადაგა პოსტმოდერნულ ეპოქას.

ქ. კინწურაშვილი.

კოლგოფორი, ისტორიული ქვემო ქართლის (*გოგარენე*), კერძოდ, გარდაბნის პროვინციის ერთ-ერთი მხარე, მოიცავდა მდ. ინჯასუს ხეობას (სომხ. რესპ.), ცენტრი – დაბა კოლბი (ახლანდ. სოფ. კოხბი). სოფლის მახლობლად არის ციხის (სავარაუდოდ, შუა საუკუნეების კაიწონის ციხე) ნანგრევები.

კოლელიშვილი ზაზა (ზაქარია) ვიქტორის ძე (დ. 11. I. 1957, თელავი), თეატრისა და კინოს მსახიობი, კინორეჟისორი. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს ინ-ტის სამსახიობო ფაკტი (1982) და კინოფაკულტეტი რეჟისურის სპეციალობით (1996). მუშაობდა თელავის ვაჟა-ფშაველას სახ. (1975–78; 1982–85) და შოთა რუსთაველის სახ. (1985–92) თეატრებში. თელავის თეატრში შესრულებული როლებია: მურტალო (ნ. დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით); ხვთისო (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), ფერდინანდი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ამირანი (შ. შამანაძის ,,ღია შუშაბანდი'') და სხვ. შოთა რუსთაველის თეატრში: სტუდენტი (მ. შატროვის პიესის მიხედვით „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“), ოტტო (მ. კვესელავას „ას ერგასის დღე“), სიმონ ჩაჩავა (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“) და სხვ.

კ-ის მნიშვნელოვანი კინოროლებია: შეთე (,,ნატვრის ხე'', რეჟ. თ. აბულაძე, 1976), მურტალო (,,კუკარაჩა'', რეჟ-ები: ს. და ქ. დოლიძეები, 1982), გიგო (,,კაშხალი მთაში'', რეჟ. ნ. მანაგაძე, 1979), ოსურაული (,,დედუნა'', რეჟ. დ. ჯანელიძე, 1985), ჟორჟ ბერძენიშვილი (,,ხარება და გოგია'', რეჟ. გ. შენგელაია, 1987), იაკობ ჯუღაშვილი (,,ომი ყველასთვის ომია'', რეჟ. დ. აბაშიძე, 1990). მონაწილეობს ტელესერიალებში. როგორც რეჟისორმა გადაიღო მხატვრული (,,გარიგება'', 1992; ,,არჩევანი'', 2003; ,,ორი ხევსური'', 2006; ,,გარიგება ოცი წლის შემდეგ'', 2011), დოკუმენტური (,,საქართველო ჩემს გულში'', 2001, ,,მოდი, ნახე საქართველო'', 2003; სადილი ჯორჯ ბუშთან, 2005). კ-მ შექმნა შთამბეჭდავი ვიზუალითა და ძლიერი ტემპერამენტით დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები. კინოფესტივალზე ,,ოქროს არწივი'' მიღებული აქვს პრიზი



ზ. კოლელიშვილი. შეთე. კადრი ფილმიდან ,,ნატვრის ხე‘‘. 1976. რეჟისორი თ. აბულაძე.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (,,ისინი“, რეჟ. ზაქარეიშვილი, 1992).

კოლექტივიზაცია, წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის პროცესი სსრ კავშირში.

საკავშ. კპ(ბ) მე-15 ყრილობამ (2–19. XII. 1927) გზა გაუხსნა სოფლის მეურნეობის მასობრივ კ-ს. საკოლმეურნეო მოძრაობაში გარდამტეხი ეტაპი დაიწყო 1929-იდან. საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო თავისებურებების, კ-თვის მზადყოფნის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით, სსრკ-ის რეგიონები სამ ძირითად ჯგუფად დაიყო. საქართველო მესამე ჯგუფში შევიდა, სადაც კ-ის დამთავრება ყველაზე გვიან – 1933 იყო ნავარაუდევი.

საკოლმეურნეო მშენებლობაში დახმარების გასაწევად ქალაქებიდან საქართვ. სოფლებში მიავლინეს 400 მუშა. 1929 ოქტომბრისთვის საქართვ. კოლმეურნეობებში 524 ტრაქტორი მუშაობდა, წლის ბოლოს კი კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო 297 206 გლეხური მეურნეობა, რ-თა განკარგულებაში იყო 25,5 ათ. ჰა მიწა.

კომპარტიის დავალებით სსრკ-ის რეგიონებში, მ. შ. საქართველოშიც, იმ წლებში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აიღეს დავალების ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულების კურსი. კ-ის ტემპის ხელოვნურმა დაჩქარებამ, ამავე დროს, გაკულაკების პროცესის ვადაზე ადრე დაწყებამ (საბჭ. ხელისუფლება კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადავიდა) ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა გამოიწვია. საშუალო გლეხობის დაშინების მცდელობამ, მათი „შავ სიაში“ შეტანის, ხმის უფლების ჩამორთმევის მუქარამ და ხელისუფლების მხრიდან სხვა ძალადობრივმა ქმედებებმა კულაკობისა და საშუალო გლეხობის ნაწილის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია, რასაც მოჰყვა ხელისუფლების აქტივისტების მკვლელობები, საკოლმეურნეო ქონების გაძარცვა და სხვ. ამ დროს, სტალინის აღიარებით, „საბჭოთა ხელისუფლება ბეწვზე ეკიდა“. კულაკებმა და საშუალო გლეხებმა მასობრივად დახოცეს საკუთარი პირუტყვი, რამაც აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მეცხოველეობას. 1931 საქართველოში წინა წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 10,7 %-ით (მ. შ. კამეჩის – 24,6 %-ით), ცხვრის – 33,5 %-ით, თხის – 31,1%-ით, ღორის – 44,3 %-ით. გამონაკლისი იყო მხოლოდ ცხენების რაოდენობა, რმაც 106 ათასიდან 150 ათასამდე იმატა. მსხვილი კულაკური მეურნეობების მოშლამ შეამცირა მარცვლეულის მოსავლიანობაც.

1930 წ. 2 მარტს პრესაში გამოქვეყნდა სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებებისგან“, 3 აპრილს დაიბეჭდა მისივე „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“. ამ წერილებმა არსებითი როლი შეასრულა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორების თვალსაზრისით. 1930 დაიწყო ხელოვნურად შექმნილი კოლმეურნეობების დაშლა. საქართველოში მათი რაოდენობა 129 ერთეულით შემცირდა. კოლმეურნეთა რიგები დატოვა არაერთმა საშუალო გლეხმა. ვითარება რამდენადმე გამოსწორდა, თუმცა უხეში ადმინისტრირება და ძალდატანება საშუალო გლეხების მიმართ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა.

1933-იდან, ანუ კ-ის ძირითადი ეტაპის დამთავრების შემდეგ, საქართვ. კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების დიდი ნაწილი. კ-ის პროცესი საქართველოში 1937 დასრულდა.

საბჭ. ხელისუფლების მხრიდან კოლექტიური მეურნეობებისადმი პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, რასაც იძულებითი მეთოდების მასობრივი გამოყენებაც ახლდა, თავდაპირველად პოზიტიური როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის ეკონ. დაწინაურების, განსაკუთრებით კი სოფლად სოც. თანასწორობის დამყარების საქმეში. კ-მ საშუალება მისცა ხელისუფლებას მკვეთრად გაეზარდა სასაქონლო მარცვლეულის წარმოება – პურით მოემარაგებინა წითელი არმია და ქალაქები; უზრუნველეყო ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელება. 1928 მარცვლეულის მოსავალმა ქვეყანაში 4,5 მლრდ. ფუთი შეადგინა, მარცვლეულის სახელმწ. დამზადებამ კი – 680 მლნ. ფუთი. 1932–33 მოსავალი 4,3 მლრდ. ფუთს არ აღემატებოდა, სახელმწ. ბეღელში კი 1,3 მლრდ. ფუთი მარცვლეული შევიდა. საბოლოო ჯამში ეკონ. კანონების უგულებელყოფით განხორციელებულმა კ-მ დამღუპველად იმოქმედა სოფლის მეურნეობაზე. გამოფიტა და უაღრესად შეზღუდა საქართვ. სოფლის მეურნეობის ნორმალური განვითარება. კულაკური მეურნეობის გაუქმებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კატასტროფულად დაეცა მეცხოველეობის დონე. სსრკ-ში ნაძალადევი კ-ის შედეგად რამდენიმე მლნ. ადამიანი დაიღუპა, გაკულაკდა 1 მლნ. გლეხური მეურნეობა. გლეხთა ფენიდან ძალით განდევნეს მისი ყველაზე გამოცდილი და განათლებული ნაწილი.

ლიტ.: ბლუაშვილი უ., საქართველოს ისტორია 1900–2016, თბ., 2016; ნათმელაძე მ., დაუშვილი ა., საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976; История коллективизации селъского хозяиство Грузинскои ССР. (1927–1932), Гл. Ред. П . В. Гугушвили, Тб., 1970.

უ. ბლუაშვილი.

,,კოლექტივიზაცია“, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგლეხო გაზეთი (1930–35). 1931-იდან (№1–46) საქ. კპ (ბ) ცკ-ის, ხოლო 47-ე ნომრიდან მიწსახკომისა და კოლმეურნცენტრის გაზეთი იყო. ,,*ახალი სოფლის*‘‘ (1925–30) ნაცვლად გამოდიოდა 2 დღეში ერთხელ, 1933–35 კი – ყოველდღიურად. 1926–31 გაზეთს ჰქონდა ორკვირეული იუმორისტული დამატება – ჟურნ. ,,შოლტი‘‘.

კოლიზია კანონთა, ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ერთმანეთის საწინააღმდეგო საკანონმდებლო აქტების არსებობა. კოლიზია წარმოიშობა იმ შემთხ-

ვევაში, როდესაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება კანონთა იერარქიის ერთი დონის ნორმები. თუ ურთიერთსაწინააღმდეგოა სხვადასხვა დონის ნორმატიული აქტები, კოლიზიის პრობლემა არ წარმოიქმნება, რადგან გამოიყენება იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი კანონი.

ჰ. ჰ. გადაიჭრება იმ ნორმატიულსი აქტის არჩევის გზით, რ-იც გამოიყენება სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. კანონთა კოლიზიის ვითარებაში გამოიყენება უფრო ახალი (გვიანდელი) ნორმატიული აქტი. ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას. შესაძლოა, ნორმატიულ აქტში მითითებული იყოს, თუ რ ომელი ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული კოლიზიისას ამ ნორმატიული აქტის ნორმასა და სხვა ნორმებს შორის.

ი. უჯმაჯურიძე.

კოლიზიური ნორმა, ნორმა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში.



ა. კოლმოგოროვი.

ჰ. ნ-ით გადაიჭრება სამართლის არჩევის საკითხი მხოლოდ საერთაშ. კერძო სამართალში, მას საკოლიზიო სამართალსაც უწოდებენ და გამოიყენება იმ სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, რ-ის მონაწილე ერთ-ერთი მხარე უცხო ქვეყნის წარმომადგენელია. ჰ. ნ-ს მიზანია დაადგინოს ის სამართალი, რ-იც მოაწესრიგებს სამართალურთიერთობას უცხოური ელემენტის მონაწილეობით. ჰ. ნ. უფლებას აძლევს მხარეებს, რომელიმე ქვეყნის სამართლის არჩევით გვერდი აუარონ საქმის განმხილველი ქვეყნის სამართლის (lex fori) იმპერატიულ ნორმებს. უცხო ქვეყნის სამართალზე მითითებით, მხარეები ირჩევენ ამ სამართლის როგორც იმპერატიულ, ისე დისპოზიციურ ნორმებს. ჰ. ნ-ის გამოყენება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სამართალწარმოების ქვეყნის სასამართლო სისტემა (lex fori) უშვებს ამ შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლის არჩევა არ წარმოშობს იურიდ. შედეგებს. სამართლის არჩევის უფლება ასახულია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში შემდეგი ნორმის სახით: „სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით“ (35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

ქართულ იურიდ. მეცნიერებაში ჰ. ნ-ის ანალოგიური მნიშვნელობით ასევე გამოიყენება „საკოლიზიო ნორმა“ (ისევე, როგორც „საკოლიზიო სამართალი“).

ლიტ.: იოსელიანი ა., მოქნილი მეთოდის უპირატესობა ხისტ მეთოდთან შედარებით სახელშეკრულებო საკოლიზიო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010.

ი. უჯმაჯურიძე.

კოლიზიური საბამი, კოლიზიური ნორმის შემადგენელი ნაწილი. შეიცავს მითითებას იმ კანონზე (სამართლებრივ სისტემაზე), რ-იც გამოყენებული უნდა იყოს ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში.

კოლიზიური სამართლის ნორმები (საკოლიზიო ნორმები) შედგება ორი ნაწილისგან: მოცულობა (მას „საგანსაც“ უწოდებენ) და საბამი. ჰ. ს. არის ნორმის ნაწილი, ანუ მითითება იმ სამართალზე, რ-იც გამოიყენება იმ სახის ურთიერთობის მიმართ, რ-საც ეს ურთიერთობა მიებმება (მიემაგრება). მაგ., „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართვ. კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადების ნორმაში: „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება“. სიტყვები: „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა“ შეადგენს ამ ნორმის მოცულობას, ხოლო – „წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება“, არის ამ ნორმის საბამი.

ჰ. ს. მრავალგვარია და ერთმანეთისგან განირჩევა მიმაგრების ფორმულების (კოლიზიური პრინციპების) მიხედვით.

გავრცელებული მიმაგრების ფორმულებია: ფიზიკური პირის პირადი კანონი (lex personalis). კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები ფიზიკური პირის პირადი კანონის განსაზღვრისას უპირატესობას ანიჭებენ ფიზიკური პირის მოქალაქეობის ქვეყნის კანონს (lex patriae, lex nationalis), ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნები კი – საცხოვრებელი ადგილის კანონს (lex domicilii).

იურიდ. პირის მიმართ გამოიყენება იურიდიული პირის პირადი კანონის (lex societatis) მიმაგრების ფორმულა, სანივთო და მემკვიდრეობით ურთიერთობებში კი – ნივთის ადგილსამყოფელის ქვეყნის პრინციპი (lex rei sitae). ხელშეკრულების დადების ადგილის კანონის (lex loci contractus) მიმაგრების ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ურთიერთობა წყდება იმ ქვეყნის კანონით, სადაც დაიდო ხელშეკრულება. ვალდებულების შესრულების ადგილის კანონის (lex loci solutions) მიმაგრების ფორმულის მიხედვით, გადამწყვეტია იმ ქვეყნის სამართალი, სადაც უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულება. არაერთგვაროვანია მიდგომა, თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ზიანის მიყენების დროს – ზიანის მიყენების ადგილის კანონი (lex loci delicti commissi), თუ ის სამართალი, სადაც დადგა ზიანი. საქართველო მხარს უჭერს შუალედურ მიდგომას – ალტერნატივის სახით უშვებს როგორც ზიანის მიყენების ადგილის, ისე ზიანის დადგომის ქვეყნის სამართლის გამოყენებას.

ლიტ.: გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამოც. მე-2, თბ., 2016; ლილუაშვილი თ., საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2001.

ი. უჯმაჯურიძე.

კოლმეურნეობა, იხ. სტ. *კოლექტივიზაცია.*

კოლმოგოროვი ანდრეი ნიკოლოზის ძე [12(25). IV. 1903, ტამბოვი, -- 20. X. 1987, მოსკოვი], მათემატიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), პედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1966), სოციალ. შრომის გმირი (1963). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტი (1925) და იქვე დაიწყო მუშაობა (1931-იდან – პროფესორი). 1935 დააარსა *ალბათობათა თეორიის* კათედრა და 1965-მდე იყო მისი გამგე. 1935 მიენიჭა ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხი (დისერტაციის დაუცველად). 1953-იდან იყო მოსკოვის მათ. საზ-ბის საპატიო წევრი, 1964–66 და 1974–85 – ამავე საზ-ბის პრეზიდენტი და ჟურნალ ,,Успехи математических наук‘‘-ის მთ. რედაქტორი. 1946–54 და 1983-იდან გარდაცვალებამდე – დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (БСЭ) მათ. განყ-ბის რედაქტორი, მთ. რედაქციის წევრი.

ჰ-მა სამეცნ. მოღვაწეობა დაიწყო ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიაში. ჰ-ს ეკუთვნის ფუნდამენტური შედეგები ტრიგო-

ნომეტრიული მწკრივების, ზომის თეორიის, სიმრავლეთა თეორიის, ინტეგრალის თეორიის ფუნქციათა მიახლოების საკითხებში. არსებითი წვლილი შეიტანა კონსტრუქციული ლოგიკის, *ტოპოლოგიის* (შექმნა ზემო ჰომოლოგიების თეორია), მექანიკის (ტურბულენტობის თეორია), დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის, ფუნქციონალური ანალიზის განვითარებაში. პ-ის შრომები ალბათობათა თეორიაში ფუძემდებლური მნიშვნელობისაა. ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით (1925) მან გადაჭრა ზოგიერთი რთული პრობლემა, ააგო ალბათობათა თეორიის აქსიომატური დაფუძნების ფართოდ ცნობილი სისტემა (1933), საფუძველი ჩაუყარა მარკოვის ტიპის შემთხვევითი პროცესების უწყვეტდროიან თეორიას.

პ. იყო მრავალი ქვეყნის მეცნ. აკად. უცხოელი და საპატიო წევრი.

მიღებული აქვს სახელმწიფო და მრავალი სამეცნ. პრემია.

საქართველოში მათემატიკის განვითარებაზე პ-ის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია. იგი მრავალჯერ იყო საქართველოში, სამეცნ. და პირადი ურთიერთობა ჰქონდა ქართ. მათ. სკოლის მრავალ წარმომადგენელთან (ა. ბარკალაია, გ. ბერიშვილი, ნ. *ვახანია*, დ. *ვაშაკიძე*, გ. *მანია*, ლ. *მაღნარაძე*, გ. *ჭოლოშვილი*, ფ. *ხარშილაძე* და სხვ.). მისი მხარდაჭერით დაარსდა კომაროვის სახ. ფიზიკა-მათ. სკოლა-ინტერნატი (1964), სადაც ატარებდა მეცადინეობებს თბილისში ყოფნისას. პ-ის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოთი მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ მათემატიკას საქართვ. სშ. სკოლების უფროს კლასებში.

თხზ.: О представлении непрерывных функций нескольких переменных суперпозициями непрерывных функций меньшего числа переменных, Доклады АН СССР, 1956, т. 108; Grundbegriffe der Wahrscheinlichkeitsrechnung, in Ergebnisse der Mathematik. Berlin, 1933; Об аналитических методах в теории вероятностей. Успехи математических наук. 1938, № 5; Foundations of the theory of probability. 2-nd edition. Chelsea Pub. Co., 1956.

ლიტ.: Андрей Николаевич Колмогоров. Полная библиография его трудов и список публикаций, ему посвящённых. М., МЦНМО, 2016; Арнольд В. И. Об А. Н. Колмогорове. *წგ.*: Колмогоров в воспоминаниях», М., 1993.

ზ. გორგაძე.

კოლონიალიზმი (ლათ. Colonia – დაპყრობილი ტერიტორია საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლების გარეშე), სხვა სახელმწიფოს დამორჩილება და მისი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენება დამპყრობელი ქვეყნის (მეტროპოლიის) სასარგებლოდ.

კოლონიები თავდაპირველად წარმოადგენდნენ სავაჭრო, სამიწათმოქმედო, სამესაქონლეო და სამხედრო-სამიწათმოქმედო დასახლებებს, რ-ებიც უმთავრესად იქმნებოდა ანტიკურ ეპოქაში რომელიმე ქვეყნის მცხოვრებთა მასობრივი მიგრაციის გზით.

კოლონიურ სისტემას საფუძველი ჩაეყარა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, დაახლოებით XVI ს-იდან, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტზე ახლად აღმოჩენილი მიწების ათვისება და ამ ტერიტორიებზე მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბება.

XVI ს. ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში ამ მიმართულებით დაწინაურდა ნიდერლანდები, რ-მაც XVII ს-ის შუა წლებში აღმ-ში პორტუგალიური კოლონიების უმრავლესობა დაიპყრო. ნიდერლანდების კოლონიური ჰეგემონობა ინგლისმა მასთან ომების შედეგად დაასრულა. XVI ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში კოლონიური დაპყრობების გზას დაადგა საფრანგეთი.

მთავარი კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ: პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. კოლონიებს ფლობდნენ აგრეთვე ბელგია, გერმანია, იტალია, აშშ და იაპონია, რუსეთის იმპერია, რ-იც თავისი იმპერიალისტური ბუნებიდან გამომდინარე აქტიურად ეწეოდა ახალი მიწების ათვისებას.

მოსკოვის სახელმწიფოს მიერ არარუს ხალხთა და მათი ტერიტორიების დაპყრობანი ჯერ კიდევ XVI ს-იდან დაიწყო. ამ პერიოდიდან მან თავისი საზღვრები მნიშვნელოვნად გააფართოვა. მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკის თავისებურება, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მის კონტინენტურ ხასიათში ვლინდებოდა და რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა.

XIX ს. დამდეგიდან რუსეთის იმპერიის მფლობელობაში აღმოჩნდა კავკასია, რ-იც სურდა გადაექცია პლაცდარმად სამხრეთის მიმართულებით შემდგომი გაფართოებისათვის.

საქართველოს მიმართ ცარიზმის იმპერიალისტურ-კოლონიური პოლიტიკა თავისი არსით ეყრდნობოდა ეკატერინე მეორის ცნობილ ფორმულას: - ,,სხეული ქართული, სული რუსული“. ამ პოლიტიკითა და ფორმულით ხელმძღვანელობდა რუსეთი საქართველოში.

რუსეთის ეს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში სხვადასხვა მეთოდებითა და ხერხებით ხორციელდებოდა.

ლიტ.: კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954; რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008; საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, ტ. IV, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973; სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, თბ., 2011; სურგულაძე ა., ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968; მისივე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

პ. სურგულაძე.

კოლონისტები, უცხო ეთნოსი, რომელიც ჩასახლებულია (ნებით ან ძალდატანებით) დაქვემდებარებულ ქვეყანაში.

საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლება ხდებოდა გვიანი ფეოდალიზმის პერიოდშიც, სამეფო ხელისუფლების ინიციატივით. მაგ., ალექსანდრე დიდის მიერ სომხების გადმოსახლება გაუკაცრიელებულ ტერიტორიაზე ან კიდევ ერეკლე II-ის მიერ ბერძნებისა და სომხების მიზნობრივი დასახლება.

კლასიკური გაგებით პ-ის ჩამოსახლებას საქართვ. ტერიტორიაზე სათავე დაუდო რუს. საიმპერატორო კარმა, როდესაც გააუქმა და თავის შემადგენელ ნაწილად



კოლონისტები. ასურეთი (ყოფილი ელიზაბეტთალი). ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია. 1871.

აქცია თავდაპირველად ქართლ-კახეთის, ხოლო შემდეგ – იმერეთის სამეფო. იმპერიისათვის სასურველი დემოგრაფიული სიტუაციის შესაქმნელად და საქართვ. ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი კოლონისტის დასასახლებლად რუს. ხელისუფლებამ შექმნა სპეც. ორგანიზაცია – „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“. ამის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიურად ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ უცხოტომელები, რაც ჩანაფიქრისამებრ, მომავალში ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას შეაფერხებდა.

დემოგრაფიული ცვლილების შედეგები ძალიან მალე გახდა საგრძნობი – ჰ. თავიანთ ვალდებულებას მხოლოდ რუსეთის სახელმწ. წინაშე გრძნობდნენ და არ აღელვებდათ საქართვ. ინტერესები – არ სწავლობდნენ ქართ. ენას და არ ეცნობოდნენ ქართულ კულტურას, თუმცა, ბუნებრივია, ქართველების მიმართ ცალკეული პირების დამოკიდებულება საკმაოდ მეგობრული და ურთიერთსასარგებლოც კი იყო.

გენ. ა. *ერმოლოვის* დროს, 1816–27, საქართველოში შეიქმნა 30- მდე „შტაბ-კვარტირა“ – სამხედრო დასახლება, რ-საც, თავის მხრივ, სათავე უნდა დაედო რუსული კოლონიზაციისათვის. რუსების მიზნობრივი დასახლება საქართველოს ტერიტ-ზე განსაკუთრებით გაძლიერდა 1837-იდან. შეიქმნა სამხ. კოლონიები იმ ჯარისკაცთაგან, რ-თაც 15 წლის სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ეძლეოდათ. ჩამოსახლებული რუსები, როგორც წესი, კომპაქტურად არ სახლდებოდნენ. 1883 ბათუმის ოლქში სულ ორი კომპაქტური რუს. დასახლება იყო: „სმეკალოვკა“ (ქობულეთთან) და „ხოლოდნაია სლობოდა“ (ბათუმთან ახლოს). 1905 „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, თითქოს კოლონიზაციის საგანგებო მიზანი იყო მხოლოდ რუს. კულტურისა და ენის გავრცელება. მაგრამ, ცხადია არეულობის შემთხვევაში აქ ჩამოსახლებული რუსები იმპერიის თვითმპყრობელური პოლიტიკის მთავარი დასაყრდენი იქნებოდნენ.

ერთ-ერთი პირველი ჰ. იყვნენ გერმანელები, რ-თა 31 ოჯახი (181 სული) თბილისში ჩამოვიდა 1817 წ. 31 სექტემბერს. ისინი სართიჭალის მახლობლად დაასახლეს. კოლონიას ეწოდა მარიენფელდი, ანუ მარიამის სოფელი. 1818 თბილისს გერმანელთა დიდი ტალღა მოაწვა (500 ოჯახი). 1819 ბოლოს საქართველოში ექვსი კოლონია განთავსდა, მ. შ. „თბილისის კოლონია“, ხელოსნებისგან შედგენილი 51 ოჯახი ქალაქის მაშინდელ გარეუბან *კუკიაზე* (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირის ტერიტორია) დასახლდა. 1852 ეს ტერიტორია ქალაქს მიეკუთვნა, ხოლო 1861-იდან ჰ-ს სარგებლობაში არსებული მიწები საკუთრებაში გადაეცათ. ალექსანდერსდორფის კოლონიაში (ეწოდა იმპ. ალექსანდრე I-ის პატივსაცემად) 23 ოჯახი ცხოვრობდა. კოლონია მდ. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, თბილისის ჩრდ-ით, დიდუბის სახაზინო მიწებზე (ახლანდ. სამტრედიის ქუჩის მიდამოები) მდებარეობდა. პეტერსდორფის (ეწოდა იმპ. პეტრე I-ის პატივსაცემად) კოლონია (17 ოჯახი) დაარსდა მარიენფელდის მახლობლად. ელიზავეტტალის დასახლება (65 ოჯახი) შეიქმნა იმპ. ელისაბედის სახელობის ღელე (1818 ნოემბერი, აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც) და მდებარეობდა სომხითში (დღევანდელი ასურეთი); ეკატერინენფელდი (116 ოჯახი) მდებარეობდა ბორჩალოს მაზრაში, ბოლნისთან (სახელი ეწოდა იმპ. ეკატერინე II-ის პატივსაცემად). ჩამოსახლებულთა დიდი ნაწილი სწორედ ეკატერინენფელდში დამკვიდრდა. ამავე დროს, ეს ტერიტ. შეირჩა კოლონისტების ხელმძღვანელთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად, რის გამოც იგი დიდი გავლენით სარგებლობდა კავკ. ჰ-ს შორის.

გერმანელების (ძირითადად ლუთერანები) ჩამოსახლება პერიოდულად მთელი XIX ს. განმავლობაში გრძელდებოდა. მოშორებით მდებარე კოლონიების მოსახლეობისგან განსხვავებით, ქალაქის მახლობლად მცხოვრები ჰ. უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ისინი თავიანთ პროდუქციას უფრო სწრაფად და მომგებიანად ყიდდნენ. პირველ რიგში რძით და კარაქით ამარაგებდნენ ქალაქს. მათი პროდუქტი რუსულ და ქართულ კარაქთან შედარებით, ყოველთვის ორმაგად ფასობდა. პურსაც გერმანულს ამჯობინებდნენ. კოლონიის მცხოვრებლებს ბოსტნეულიც მოჰყავდათ, უმთავრესად კარტოფილი, რ-საც საკმაოდ ძვირად ყიდდნენ. 1918, გერმ. შეიარაღებული ძალების საქართველოში ყოფნის დროს, ჰ-ის უფლებები კიდევ უფრო გაიზარდა. 1927 საქართველოში არსებობდა 13 გერმ. კოლონია (მოსახლ. 9253 კაცი): 1. ელიზავეტტალი; 2. ლუქსემბურგი; 3. როზენფელდი; 4. ლიბკნეხსდორფი; 5. როზენბერგი; 6. ვალდჰეიმი; 7. გეორგესტალი; 8. მარკსგეიმი; 9. ანენფელდი; 10. ვიზენდორფი; 11. შტეინფელდი; 12. გოფნუგსტალი; 13. გრიუნტალი. XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ აღბულახ-მანგლისის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთისა და ბორჩალოს რ-ებში 5924 გერმ. ცხოვრობდა, თბილისში კი – 4200.

II მსოფლიო ომის დროს გერმ. ჰ. სსრკ-ის აღმ. რ-ებში ძალდატანებით გადაასახლეს.

ჰ-ის კატეგორიას მიეკუთვნებოდა ქრისტ. რელიგიის ზოგიერთი სექტანტური ჯგუფების ჩამოსახლება საქართველოში, კერძოდ კი – *დუხობორების, სტაროვერების, მოლოკნებისა* და სხვ.

დუხობორები ნიკოლოზ I-ის ხელისუფლებამ 1841–44 ჩამოასახლა და საცხოვრებლად ახალციხის მაზრა (შემდგომში – ბოგდანოვკის რ-ნი) მიუჩინა. აქ მათ 8 სოფელი დააარსეს. 1886 ჯავახეთში მცხოვრები დუხობორების რაოდენობამ 6 ათასს გადააჭარბა. 1897 წ. 1100 დუხობორი კ. კვიპროსზე გადაასახლეს. 1898–99 წლების მიჯნაზე მათი ნაწილი კანადაში გადავიდა. საბჭ. კავშირის დაშლის შემდეგ დუხობორების ძირითადმა ნაწილმა დატოვა საქართველო.

მოლოკნები 1836 თბილისზე მიწერილებად გამოცხადდნენ და დასახლდნენ ქალაქის გარეუბნებში – საბურთალოზე, ჩულურეთში, კუკიაზე, ავლაბარში, ნავთლუღში, ორხევში. 1859–1907 სიღნაღის რ-ნში ჩამოსახლდა თეოკრატიული თემი. საქართველოდან მოლოკნების წასვლა 1978-იდან დაიწყო. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

სტაროვერების მოძრაობას სათავე დაუდო რუს. პატრიარქ ნიკონის მიერ 1651–60 გატარებულმა რეფორმამ. სტაროვერები ძირითადად დასახლდნენ საქართვ. შავიზღვისპირეთში, სადაც თევზჭერას მისდევდნენ, მოჰყავდათ ბაღჩეულ-ბოსტნეული, რ-თა რეალიზაცია შიგა ბაზარზე ხდებოდა. ისინი საქართველოს მიიჩნევენ ერთადერთ ქვეყნად, სადაც შემორჩენილია ჭეშმარიტი რწმენა.

ლიტ.: მანჯგალაძე გ., გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ; 1974; სონღულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში, თბ; 1995; მისივე, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბ; 2018.

ა. სონღულაშვილი.

კოლონკელისძენი, ფეოდალური საგვარეულო XII ს. II ნახ-ის საქართველოში. ამ გვარიდან ცნობილია ორი პიროვნება: ვარდანი (*გიორგი III-ის* მეფობაში) და საღირი (თამარის მეფობის დასაწყისში), ორივე – ჰერეთის ერისთავი. ამის შემდეგ ჰერეთის ერისთავები *გრიგოლისძენი* იყვნენ. შესაძლებელია კ-თა გვარი სოფ. კოლონკეთის (ვახუშტის მიხედვით მდებარეობდა მდ. მეჯუდის ხეობაში) სახელწოდებიდან მომდინარეობდეს.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბახტაძე მ., კახეთ-ჰერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (XII–XIII სს.), თბ., 2008; ბოჭორიძე გ., ორი ფიქრალწერილი, „საისტორიო მოამბე“, 1925, წგ. 1.

კოლოსოვ-მუსხელიშვილის ფორმულები – მეთოდი, რომელიც ორი ცვლადის ბიჰარმონიულ ფუნქციას წარმოადგენს კომპლექსური ცვლადის ორი ანალიზური ფუნქციის მეშვეობით, რითაც სასაზღვრო ამოცანა ბიჰარმონიული ფუნქციისათვის ევკლიდური სივრცის ნებისმიერ *D* არეზე შესაძლებელია დაყვანილ იქნეს ანალიზური ფუნქციებისთვის სასაზღვრო ამოცანათა სისტემაზე. შემოთავაზებულია 1909 გ. კოლოსოვის (1867–1936, რუსეთი, სსრკ) მიერ და დეტალურად და სრულად არის დამუშავებული მისი მოწაფის ნ. *მუსხელიშვილის* შრომებში. შემდგომში ამ მეთოდს ფართოდ იყენებდნენ დრეკადობის თეორიის ბრტყელ ამოცანებში დაძაბულობათა და გადაადგილებათა ველის აღსაწერად. ამავე ამოცანებში იყენებენ ასევე კოლოსოვ-მუსხელიშვილის ანალიზურ ფუნქციებს (პოტენციალებს).

ლიტ.: Мусхелишвили Н. И., Некоторые основные задачи математической теории упругости, М., 1966.

ზ. გორგაძე.

კოლოტაური, სოფელი აჭარის არ-ის შუახევის მუნიციპალიტეტში (პირველი მაისის თემი), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ქედიდან 4 *კმ.* 473 მცხ. (2014).

კოლხა, იხ. სტ. *კოლხეთის სამეფო.*

კოლხები, სამხრ.–აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთში მცხოვრები ძველი ქართველი ტომების საერთო სახელი, რომლის მიხედვით ძვ. ბერძნები მთელ ქვეყანას კოლხეთს, კოლხიდას უწოდებდნენ. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს კ-მა შექმნეს კოლხას (კულხა), ხოლო ძვ. წ. VI ს-ში – კოლხეთის სამეფო.

კოლხეთი, იხ. *კოლხეთის სამეფო.*

კოლხეთი (Kolchis), მცირე ცთომილი №1135. აღმოაჩინა რუსმა ასტრონომმა გ. ნეუიმინმა 1929 წ. 3 ოქტომბერს სიმეიზის (ყირიმი) ობსერვატორიაში. საშ. მანძილი მზიდან 398,8 მლნ. *კმ,* მზის ირგვლივ გარემოქცევის პერიოდი 4,35 *წ.*, საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 15,0.

კოლხეთის აკადემია, იხ. *კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა.*

კოლხეთის აჯანყება ძვ. წ. 83, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის (ძვ. წ. 111–63) წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება. მან, სავარაუდოდ, ძვ. წ. 111–110, თავისი სახელმწიფოს შემადგენლობაში მოაქცია სამხრ.-აღმ., აღმ. და ჩრდ. შავიზღვისპირეთი, მ. შ. კოლხეთიც. აპიანეს მიხედვით, აჯანყებულები ითხოვდნენ, მითრიდატე VI-ს კოლხეთის მეფედ თავისი ვაჟი მითრიდატე დაენიშნა. მოთხოვნა დაკმაყოფილდა და კოლხები დამშვიდდნენ. კოლხეთი პონტოს სატრაპიიდან გადაიქცა ვასალურ სამეფოდ. მითრიდატე მალე ღალატში იქნა ეჭვმიტანილი და სიკვდილით დასაჯეს, თუმცა კოლხეთი ვასალურ სამეფოდ უნდა დარჩენილიყო.

პონტო ძალით დამორჩილებული კოლხეთისგან იღებდა როგორც გემთმშენებლობისათვის საჭირო რესურსს, ასევე ცოცხალ სამხედრო ძალასა და მეზღვაურებს (სტრაბონი, პლუტარქე, აპიანე), რაც კოლხეთის ეკონომიკაზე მძიმედ აისახებოდა. კოლხები ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ დამპყრობელთაგან გასათავისუფლებლად. ძვ. წ. 83 არა აჯანყების მიმდინარეობის, არამედ მისი ჩაცხრობის თარიღი უნდა იყოს, როდესაც კოლხეთთან მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლით მითრიდატე VI-ს ბოსფორის დასამორჩილებლად თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა.

ლიტ.: დუნდუა თ., კოლხების აჯანყება და მითრიდატე უმცროსი, თსუ შრომები, ტ. 31., თბ., 1996; Лорткипанидзе Г. А., Некоторые вопросы истории Колхиды II–I вв. до н. э., „მაცნე“, 1965, №2.

კოლხეთის ბარი, *საქართველოს მთათაშორისი ბარის* დასავლეთი ნაწილი. მოიცავს *კოლხეთის დაბლობს,* მიმდებარე დას. კავკასიონის სამხრ. მთისწინეთს (მიუსერის მაღლობი, *გუმიშხის* მთის ზღვისპირა ზოლი, აფიანჩის სერი ჩხალთის ქედზე, სოხუმის გორაკ-ბორცვიანი ზღვისპირა ვაკე, წებელდის ტაფობი და მის ირგვლივ აღმართული მთები, ოდიშის პლატო, ურთაბის და ეკო-აბედათის სერები და სხვ.), *იმერეთის მაღლობს* (ლიხისა და გედლამანიის ქედებით) და მის დას. ექსპოზიციის კალთებს, აგრეთვე *მესხეთის ქედის* ჩრდ. განშტოებების (ნებოძირი, სანისლია, ზოდისწვერი და სხვ.) 400–600 *მ* სიმაღლის გორაკ-ბორცვიან ზოლს.

კ. ბ-ის რელიეფი ტექტონ. მოძრაობის ფონზე ჩამოყალიბდა. მისი ცენტრ. ნაწილი დაძირვის ზონას წარმოადგენს და მდინარეთა აკუმულაციური მოქმედების შედეგად წარმოიქმნა. 400–600 *მ* სიმაღლის გორაკბორცვიანი ზოლი ძირითადად აგებულია მესამეული პერიოდის დანალექი წყებებით, ალაგ-ალაგ – ცარცული პერიოდის კირქვებით.

ზ. ჯანელიძე.

კოლხეთის დაბლობი, რიონის დაბლობი, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. კოლხეთის ბარის დაბალი ნაწილი. მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე ეროზიულ გორაკ-ბორცვებს. ზ. დ. 200 მ-მდე სიმაღლის სამკუთხედის ფორმის ვაკე-დაბლობია. სიგრძე – 100–110 *კმ* (ქ-ებს – ქობულეთსა და ოჩამჩირეს შორის). ფუძით ებჯინება შავ ზღვას, ხოლო წვერი ქ. ზესტაფონთან აქვს. ზღვის სანაპიროდან 110 *კმ*-ზე, ვიწრო ზოლად ვრცელდება აჭარისა და აფხაზეთის არ-ში.

კ. დ. ტექტონ. თვალსაზრისით დაძირვის ზონაა. მისი ზედაპირი წარმოქმნილია უარყოფითი ვერტ. მოძრაობების ფონზე განვითარებული მდინარეული და პროლუვიურ-ჭაობიანი ნალექების აკუმულაციის შედეგად. აგებულია რიყის ქვებით, ქვიშებით, თიხებით, ტორფით, საპროპელური ლამიანი თიხაქვიშებით.

კ. დ-ის ზედაპირი (მისი ღერძული ზოლის გასწვრივ), რ-იც რიონისა და ყვირილის ხეობების ძირის თანხვედრილია, ძირითადად ბრტყელია, უმნიშვნელოდ დანაწევრებული მდინარეთა მცირე სიღრმის კალაპოტებით და

შეუმჩნევლადაა დახრილი შავი ზღვისკენ, ღერძული ზოლიდან ჩრდ.-აღმ. და სამხრ. მიმართულებით კი მაღლდება. მისი ზედაპირი შესამჩნევადაა დანაწევრებული მდინარეების 4–6 *მ* სიღრმის კალაპოტებით.

ჰ. დ-ის ზედაპირი ქ. სენაკის მერიდიანის დას-ით თითქმის იდეალურად ბრტყელია და მისი ზღვისპირა ზოლის (მდ. ენგურის შესართავსა და ქობულეთს შორის), ნაწილი დაჭაობებული ტყით, მდელო-ბუჩქნარებით და ღია ტორფიანი ჭაობებით არის დაფარული. ტორფიან ჭაობებში (თიკორი, ჭურია, ნაბადა, იმნათი, მალთაყვა, ისპანი) ტორფის ჰორიზონტების სისქე 4–12 *მ* საზღვრებში ცვალებადობს, მისი შუა და ქვედა ნაწილები ზღვის დონეზე დაბლაა დაძირული.

ჰ. დ-ის ჰავა ზღვიური, ნოტიო სუბტროპიკულია. საშ. წლ. ტემპრაა 14–14,4 °C, იანვ. საშ. ტემპრა 3,5–,5–6,5 °C-მდეა, აგვ. 23–24 °C; აბსოლ. მაქს. 41–42 °C, აბსოლ. მინ. 8–10 °C-ის საზღვრებში ცვალებადობს. იცის აღმ. და დას. ქარები. დამახასიათებელია ფიონები და ბრიზები, მდ. რიონის ხეობის გასწვრივ იცის ძლიერი ქარი, რ-ის სიჩქარე ზოგჯერ წამში 35–40 *მ* აღწევს. აჭარის სანაპიროზე წელიწადში 2500 მმ ნალექი მოდის, აღმ-კენ ნალექები მცირდება 1200 მმ-მდე.

ჰ. დ-ის მთავარი მდინარეა რიონი (შენაკადები – ყვირილა, ხანისწყალი, ცხენისწყალი, ტეხური). მას განეკუთვნება მდინარეების – ენგურის, ხობის, კოდორის, სუფსისა და ნატანების ქვემო დინებები. მდინარეები საზრდოობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე.

გავრცელებულია სუბტროპ. ეწერი, ალუვიური, ჭაობისა და ტორფიან-ჭაობიანი, ხოლო გორაკ-ბორცვებზე – წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. დაბლობის ზღვისპირა ნაწილში ჭაობიანი ტყეებია, ჭარბობს მურყანი და ტირიფი. ნაკლებად დაჭაობებულ ადგილებში შემორჩენილია კოლხური ტყე (მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, ლაფანი და სხვ.) მარადმწვანე ქვეტყით. ტყეებში ბინადრობს კურდღელი, მელა, მგელი, კვერნა, იშვიათად – შველი. მრავლადაა ადგილობრივი და გადამფრენი ფრინველი (გარეული ბატი, გარეული იხვი, ტყის ქათამი და სხვ).

ჰ. დ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული და შესაბამისად ათვისებულია მეურნეობისათვის, აგრეთვე გამოირჩევა კულტ. ლანდშაფტის უპირატესი განვითარებით.

იხ. აგრეთვე სტ. *„კოლხეთის ეროვნული პარკი“.*


ლიტ.: მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2 , თბ., 1969–70; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, თბ., 2000; ჯანელიძე ზ., საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა (რეტროსპექტრულ-პროგნოზული ანალიზი), თბ., 2015.

გ. დევდარიანი.
ზ. ჯანელიძე.

კოლხეთის ეროვნული პარკი, დაცული ტერიტორია დასავლეთ საქართველოში. მოიცავს შავი ზღვის აღმ. სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს. ეროვნ. პარკი შექმნილია კოლხეთის საერთაშ. მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ეკოსისტემების, გადამფრენი ფრინველებისათვის მნიშვნელოვანი ადგილსამყოფელის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით. ეროვნ. პარკის უბნები ხუთი ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტის – ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა (სამეგრელო) და ლანჩხუთის (გურია) გარკვეულ ტერიტორიას მოიცავს. საუკუნეების განმავლობაში სანაპიროს გასწვრივ ზღვის ტალღების მიერ გადაადგილებულმა ქვიშის დიუნებმა ლაგუნა ზღვის მარილიან წყალს მოსწყვიტა, მდ. ფიჩორიდან პალიასტომში ჩამდინარე სუფთა წყალმა კი ტბა გაამტკნარა და 3 *მ* სიღრმის ბუნებრივ წყალსატევში თევზის სხვადასხვა სახეობისთვის იდეალური საარსებო გარემო შეიქმნა.

1947 დაარსდა კოლხეთის სახელმწ. ნაკრძალი. ამ ფაქტმა რიონსა და ფიჩორს შორის არსებული 500 ჰა ჭაობისა და დაჭაობებული ტყის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და ჰ. დ. პ-ის არცთუ ვრცელი ტერიტორიას ახელმწიფოს დაცვის ქვეშ მოაქცია. კოლხეთის ჭაობები, პირველ რიგში, თავისი რელიქტური წარმოშობითაა მნიშვნელოვანი. ეს დაბლობი ნაშთია დღემდე შემორჩენილი იმ ტროპ. და სუბტროპ. ლანდშაფტებისა, რებიც დაახლ. 10 მლნ. წლის წინ, კაინოზოურ ხანაში, ევრაზიის კონტინენტზე უწყვეტ ზოლად რომ იყო გადაჭიმული. გამყინვარების მეოთხეული პერიოდი დაახლ. 10 000 წლის წინ დასრულდა, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც მთელი ჩრდ. ევროპა უზარმაზარი მყინვარებით იყო დაფარული და სამხრეთში მათ შემოჭრას მხოლოდ კავკასიონის ქედი აკავებდა, კოლხეთს შემორჩა მცენარეები, რ-ებიც დღეს მხოლოდ შორეული ჩრდილოეთის ტუნდრისა და ტაიგის ჭაობიანი ეკოსისტემებისთვისაა დამახასიათებელი.

კოლხეთის დაბლობს სხვა საერთაშ. მნიშვნელობაც აქვს. ამ ტერიტორიაზე ფრინველების ყოველწლიული მიგრაციის მარშრუტი გადის, შემოდგომით – ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ხოლო გაზაფხულზე პირიქით – თბილი ქვეყნებიდან თავიანთი ბუდობის ადგილებისკენ დაძრული მილიონობით ფრინველისთვის, რ-ებიც შავი ზღვის სანაპიროს მიუყვებიან, დაუსახლებელი ჭაობები შორეული გადაფრენების დროს



კოლხეთის ეროვნული პარკი

დასვენებისთვის იდეალური ადგილია. მრავალი სახეობის ფრთოსნისთვის კოლხეთი გამოსაზამთრებელ ადგილს წარმოადგენს. უფრო სამხრ-ით წასვლა მათ აღარ სჭირდებათ, რადგან აქაურ ჭაობებში ზამთრის გადატანისთვის ყველა საჭირო პირობაა.

კოლხეთის დაბლობი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში პირველად 1996 მოექცა, როდესაც საქართველო საერთაშ. მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ არსებულ რამსარის კონვენციას შეუერთდა. ამ მოვლენის ლოგიკური გაგრძელება იყო 1998 მიღებული კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიების შესახებ, ხოლო 2000-იდან ჯ. ე. პ-მა სრულმასშტაბიანი ფუნქციონირება დაიწყო.

ჯ. ე. პ. არ არის მონოლითური წარმონაქმნი და ის წყვეტილი ტერიტორიებისგან (უბნებისგან) შედგება. პარკი იყოფა ანაკლია-ჭურიის (მდ-ების – ჭურიისა და ხობისწყლის ხეობების ზღვისპირა მონაკვეთებს შორის), ნაბადასა (მდ-ების – ხობისწყლისა და რიონის ხეობების დას. მონაკვეთებს შორის) და იმნათის (მდ-ების – რიონისა და სუფსის ხეობების დას. მონაკვეთებს შორის) ბუნებრივ გეოგრ. უბნებად. ეს ის ადგილებია, სადაც ჭარბტენიანი ეკოსისტემები ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი. ეროვნ. პარკში შედის მდ-ების – რიონისა და ჭურიის შესართავებს შორის მდებარე ზღვის აკვატორიაც. ანაკლია-ჭურიის უბნის ფართობია 13 713, ნაბადის უბნისა – 10 697, ხოლო იმნათის უბნისა – 19 903 ჰა. სულ ეროვნ. პარკის სახმელეთო ფართობის სიდიდეა 28 571, ხოლო ზღვის აკვატორიისა – 15 742 ჰა.

უკონტროლო თევზჭერამ შავი ზღვის აკვატორიაში ძალიან შეამცირა თევზის რაოდენობა, ხოლო იქ გავრცელებული დელფინის სამი სახეობიდან ორი გადაშენების პირას მიიყვანა. პალიასტომის ტბაზე, რ-იც დღეს უკვე ეროვნ. პარკის შემადგენლობაშია, ბრაკონიერები ყოველდღიურად 20 ტონამდე თევზს იჭერდნენ.

ჭაობის უნიკალურ ტყეებში რეგულარულად უკანონოდ ჭრიდნენ ხეებს პირადი სარგებლობისთვის. მათი ნაწილი გაჰქონდათ სახმელეთო და საზღვაო გზებით. ნადგურდებოდა ჭაობის ეკოსისტემის იშვიათი ხეები და მთლიანად ტყეებიც. გამოუსწორებელია უკანონო ჩეხვით მიყენებული ზარალი, ვინაიდან ასეთი ტყე პირველადი ფორმით აღდგენას ვეღარ ახერხებს და მის ადგილს კოლხეთის დაბლობის დომინანტი, ჭარბტენიან ტერიტორიებს საუკეთესოდ შეგუებული და სწრაფმზარდი მურყნის კორომები იკავებს.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ბრაკონიერები ათასობით მწყერს, ტყის ქათამს, იხვსა და სხვა მრავალი სახეობის ფრინველს ანადგურებდნენ.

ჯ. ე. პ-ის სიმაღლე ზ. დ. 5 *მ* არ აღემატება. ამ ტერიტორიაზე რამდენიმე წყალუხვი მდინარე (ენგური, ხობისწყალი, სუფსა, რიონი) მიედინება. წყალდიდობის დროს ამ მდინარეებს მოაქვთ თითქმის მთელი დას. საქართველოს მთებში, მინდვრებსა და ტყეებში მოსული ნალექი და წყლის უზარმაზარი ენერგიით მორღვეული ნაშალი მასალა. ვაკეზე გამოსული ბობოქარი მდინარეები კარგავენ ენერგიას, ჭაობები კი ისრუტავენ წყალდიდობის დროს მოვარდნილ წყალს და ახლომდებარე დასახლებებსა თუ სას.-სამ. სავარგულებს დატბორვისაგან იცავენ. მდინარეების ჩამოტანილ ნაშალ ნიადაგსა და ორგანულ მასას წყლის შენელებული ნაკადი ტყის გრუნტზე განაფენს და ლექავს. პერიოდული წყალდიდობები გამუდმებით აშენებს ნიადაგს და ტყის მცენარეულობას ანოყიერებს. მათ გარეშე კოლხეთის დაბლობის მცენარეულ საფარს არ ექნებოდა დღევანდელი სახე და მრავალფეროვნება.

ეროვნ. პარკის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების, სუფსისა და რიონის გარდა ვხვდებით მდინარეებს (მალთაყვა, ჭურია, დედაბერა, ცივი), რ-თა სათავეები აქაურ ჭაობებშია. ამ არცთუ ისე გრძელმა, მაგრამ საკმაოდ წყალუხვმა მდინარეებმა ათასწლეულების განმავლობაში ჭაობებში საკუთარი კალაპოტი მონახეს და რელიქტური ჭალის ტყეების გავლით მდოვრედ მიედინებიან შავი ზღვისკენ.

კოლხეთის დაბლობის ჰიდროგრაფიული ქსელის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ტორფიანი ჭაობებია. ყველა ის ადგილი, სადაც დაჭაობების პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს, დღეს უკვე დაცული ტერიტორიების საზღვრებშია მოქცეული. ანაკლიის, ჭურიის, ნაბადას, მალთაყვის, ფიჩორის, იმნათის და გრიგოლეთის ჭაობების იდეალურად ბრტყელი ზედაპირი წყლის დრენაჟს აფერხებს, რაც ჭარბი ატმოსფერული ნალექების პირობებში ხმელეთის ზედაპირის ძლიერ დანესტიანებას და, შესაბამისად, დაჭაობებას იწვევს. ამ ტერიტორიებს გრუნტისა და ზედაპირული წყლების რეგულაციისა და ფილტრაციის უნარი აქვთ, რაც ძალზე მნიშვნელოვანს ხდის მათ გარემოსდაცვით ფუნქციას. ჭაობების ზედაპირებზე წარმოქმნილია ტორფის სქელი ფენა, რ-იც ფოთის მახლობლად, იმნათის მიდამოებში, 10–12 *მ* აღწევს. ტორფნარები ერთმანეთზე დადებული გუმბათოვანი ფორმის სწორედ იმ ტიპის ხავსიანი მცენარეებისგან შედგება, რ-ებიც მხოლოდ ჩრდ-ის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და იმ გეოგრ. განედზე, სადაც საქართველო მდებარეობს, იშვიათად გვხვდება.

ჯ. ე. პ-ის ადმინისტრაცია ტურისტებს პალიასტომის ტბასა და მდ. ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგი) და ეკო-საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

ჭაობებში ხარობს კოლხეთისათვის უცხო ბორეალური სახეობები: სფაგნუმის ხავსები (Spagnum imbricatum, Sp. palustre, Sp. acutiflium), მრგვალფოთოლა დროზერა (Drosera rotundiflora), ჩრდილოეთის ისლი (Carex lasiocarpa), აგრეთვე ალპური ზონის მცენარეები – ისლი და შქერი (Rhododendron ponticum). დაჭაობებულ და ტენიან ტყეებში ვხვდებით მურყანს, ლაფანს, იმერულ და ხართვისის მუხებს თავისი კარგად განვითარებული მარადმწვანე ქვეტყით (კოლხური სურო და სხვ). დიუნების ქვიშიან ზოლში კი ხარობს ქაცვი, ძეძვი და სხვ.

მრავალფეროვანია წყალმცენარეების სახეობრივი შემადგენლობა. ტორფიანი ჭაობების პერიფერიულ ზოლში, ჭაობის მდინარეთა ხეობების გასწვრივ და აღმოცენებულ დაჭაობებულ ტყეებში 9–10 *მ* სიმაღლის კოლხურ-ჰირკანული მურყანი დომინირებს. აქ იშვიათად თუ გამოერევა ლაფანი, იმერული მუხა ან ნეკერჩხალი. დღემდე შემორჩა სურო, ლიანა, ეკალღიჯი, ბზა, იელი, შქერი, თაგვისარა, ბაძგი და ძმერხლი.

პ. ე. პ-ის ტერიტორიებზე საკმაოდ მრავალფეროვანი, რელიქტური და ენდემური სახეობებით მდიდარი ფიტოცენოზების კომპლექსებია – ჭაობების, დაჭაობებული ტყეებისა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ქვიშიანი დიუნების განსხვავებული მცენარეული დაჯგუფებები. ფიტოცენოზების კომპლექსები ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: რძიანა, ლურჯი ნარი, კოლხური ისლი, გლერძა, ზღვისპირა დედაფუტკარა, ქოთანა, ძეძვი, კუნელი, ქაცვი და სხვა.

იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობებიდან საქართველოს ,,წითელ ნუსხაში'' შესულია კოლხური მუხა (Quercus hartwissiana), ლაფანი (Pterocarya pterocarpa) და კოლხური ბზა (Buxus colchica); დაზიანებული ფლორის წარმომადგენლებიდან – იფანი (Fraxinus exscelsior), ქართული მუხა (Quercus iberica) და თხმელა (Alnus barbata); გადაშენების პირას მისული მცენარეებიდან – ყვითელი ყაყაჩურა და ზღვის შროშანი.

პ. ე. პ-ის ტერიტორიაზე 194 სახეობის ფრინველი ბინადრობს. აქ უამრავი ფრინველის ყოველწლიური მიგრაციის მარშრუტი გადის. ოქტომბერში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სამხრეთისკენ მფრინავ მტაცებელ ფრინველებზე დაკვირვებაა შესაძლებელი. სამხრეთისკენ ზღვის ნაპირს მიუყვებიან სხვადასხვა სიმაღლეზე და სხვადასხვა სისწრაფით ჰაერში მოლივლივე კაკაჩები, ძერები, კირკიტები, მარჯვნები, შევარდნები, ძელქორები, კრაზანაჭამია, თეთრკუდა, ველის და ბექობის არწივები. ზამთარში ჩრდილოეთიდან იხვების, ბატების, გედების, კოკონებისა და ჩვამების გუნდები მოფრინავენ. ადგილობრივად გავრცელებულია ტყის ქათმები, კაუჭნისკარტა კრონშნეპები, მელოტები, კოკონები, ქოჩორები, თეთრშუბლა ბატები, სისინა და მყივანა გედი, ხუჭუჭა ვარხვი, დიდი მყივანი არწივი კი იზამთრებს. იშვიათად შეხვდებით საქართველოს ფაუნის ულამაზეს ფრთოსანს – კოლხურ ხოხობს.

მსხვილი ძუძუმწოვრებიდან კოლხეთის ჭაობიან ჭალებში, ტყეებსა და ბარდებში გავრცელებულია ტურა (Canis aureus), გარეული ღორი (Sus scrofa), შველი (Capreolus capreolus) და წავი (Lutra lutra). კოლხეთის ბინადარი ამფიბიებიდან ყურადღებას იქცევს ვასაკა და ტბორის ბაყაყი; ქვეწარმავლებიდან – ჩვეულებრივი და მცირეაზიური ტრიტონი, წყლის ანკარა, ესკულაპის მცურავი და ჭაობის კუ.

ეროვნ. პარკის ტერიტორიის იქტიოფაუნა თევზების 88 სახეობითაა წარმოდგენილი (23 – გამსვლელი, 21 – მტკნარი წყლის, 44 – შავი ზღვის თევზის სახეობაა). ხრტილოვანი თევზებიდან აღსანიშნავია ატლანტური ზუთხი, ძვლოვანი თევზებიდან – შავი ზღვის ორაგული, ქაშაყი, ლობანი, ქარიყლაპია, სკუმბრია და სხვ. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის ეროვნ. პარკში საქართველოს „წითელი ნუსხის“ 6 სახეობის ძუძუმწოვარია გავრცელებული. ეროვნ. პარკის მკაცრი დაცვის ზონა შექმნილია შავი ზღვის აკვატორიაში ზღვის ძუძუმწოვრების მნიშვნელოვანი გავრცელების არეალის დასაცავად. აქ გვხვდება 3 სახეობის დელფინი: აფალინა (Tursiops truncatus), თეთრგვერდა დელფინი (Delphinus delphinus) და ზღვის ღორი (Phocoena phocoena), თევზებიდან ასევე გვხვდება: სვია (Huso huso), ფორეჯო (Acipenser sturio), ატლანტური ზუთხი (Acipenser stelatus), შავი ზღვის ორაგული (Salmo fario (truta) morpha), ღორჯო – მექვიშია [Gobius (Neogobius) fluvatilis] და მორევის ნაფოტა (Rutilus frisii).

არსებული მონაცემებით დღეისათვის ეროვნ. პარკში 16 ენდემური წვრილი ძუძუმწოვარი ბინადრობს: აღმოსავლეთევროპული ზღარბი (Erinaceus concolor), კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica), ჯუჯა ღამორი (Pipistrellus pipistrellus), ჩვეულებრივი ფრთაგრძელი (Miniopterus schreibersii), მცირე ტყის თაგვი (Sylvaemus uralensis), კავკასიური ტყის თაგვი (Sylvaemus fulvipectus) და სხვ.

პ. ე. პ-ის კოლხურ ტყეებსა და ჭაობიან ეკოსისტემებს იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც მის გამორჩეულ ისტ.-არქეოლოგიურ ღირებულებაზე მეტყველებს.

ხ. წიკლაური.



კოლხეთის ეროვნული პარკი.

კოლხეთის ნაკრძალი, დაცული ტერიტორია, იხ. კოლხეთის ეროვნული პარკი.

კოლხეთის სამეფო, კოლხეთი (ძვ. ქართული წყაროებით – ეგრისი), ადრინდელი ქართული სახელმწიფო სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთში. ეთნიკური სახელი „კოლხი“ პირველად ძვ. აღმოსავლურ წყაროებში იხსენიება ძვ. წ. XII–XI სს-ში (ტიგლათფილესერ I-ის წარწერა) „კილხის“ ფორმით. შავიზღვისპირეთში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობას კი ძვ. წ. XIII ს-იდან ვარაუდობენ. ეს დასტურდება ძვ. ასურული წყაროებითა და ახლანდ. დას. საქართველოსა და სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში მოპოვებული არქეოლ. მასალით (იხ. *კოლხური კულტურა*). ამ კულტურის შემქმნელ კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ძვ. ბერძნ. თქმულებების ვერსიებშიც აირეკლა (იხ. *არგონავტების თქმულება*).

შავიზღვისპირეთის კოლხურ ტომთა გაერთიანება ძვ. წ. I ათას-

წლეულის დასაწყისში თანდათანობით იქცა სახელმწიფოდ. უკვე ძვ. წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში იგი იხსენიება როგორც კოლხას სამეფო, რ-იც გამუდმებით ებრძოდა ურარტუსა და დიაუხის სამეფოებს. კოლხას პოლიტ. ცენტრი სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში (ჭოროხის აუზში) მდებარეობდა და მისი გავლენა ვრცელდებოდა აღმ. შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. კოლხას ძლიერების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. VIII ს. ამ დროს იგი დიაუხის ძლიერ სამეფოს ებრძოდა და მისი ჩრდ. ოლქები შეიერთა. ამ დროიდან კოლხეთი ხშირად იხსენიება ძვ. ბერძნ. ლიტ-რაშიც. კოლხას სოც. ბუნებისა და პოლიტ. ორგანიზაციის შესახებ ძვ. აღმოსავლურ წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. ურარტულ წყაროებში იხსენიება კოლხას ქალაქები (მ. შ. „სამეფო ქალაქი“ ილდამუსა) და ციხე-სიმაგრეები, აგრეთვე მეფის-ნაცვლები, ანუ სამეფო მოხელეები, რაც ძვ. აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის არსებობაზე მიუთითებს. ურარტული წყაროები მოწმობს მესაქონლეობისა და რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს.

ძვ. წ. VIII ს. 20-იანი წლებიდან, კოლხას (ძვ. ჰ. ს.) დაცემის შემდეგ, კოლხური ტომების ერთი ნაწილი სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში (ახლანდ. ტრაბზონის მიდამოები) დამკვიდრდა, ხოლო პოლიტ. ცენტრმა გადაინაცვლა ჩრდ-ით – ახლანდ. დას. საქართვ. ტერიტორიაზე, სადაც ძვ. წ. VII–VI სს-ში ჩამოყალიბდა ახ. ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტ. სამყაროში ფართოდ ცნობილი ჰ. ს., რ-საც ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქიების – მიდიისა და აქემენიდური ირანის – გვერდით იხსენიებს.

ძვ. წ. VI–IV სს. ჰ. ს. მიჩნეულია ადრინდ. კლასობრივი ტიპის სახელმწიფოდ, რ-ის მმართველი ზედაფენა ექსპლუატაციას უწევდა თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასას. მონათა რაოდენობა შედარებით მცირე იყო. არქეოლ. მასალა მოწმობს საზ-ბის მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას – მრავალრიცხოვანი ორმოსამარხების ფონზე აურაცხელი სიმდიდრით, ნატიფი, მაღალმხატვრული ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, ხელისუფლების ინსიგნიებისა და იარაღის სიმრავლით მკვეთრად გამოირჩევა წარჩინებულთა ხით ნაგები აკლდამები.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე – ძვ. ბერძენ მწერალთა ცნობით, აიეტიდების (კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის შთამომავალნი) დინასტიის წარმომადგენელი. სამეფო დაყოფილი იყო ტერიტ.-ადმ. ერთეულებად – სკეპტუხიებად (საერისთავოებად). ძვ. წ. VI–V სს-ში ერთ-ერთი სკეპტუხიის ცენტრი მდებარეობდა *ვანში*.

ჰ. ს-ს ეკონომიკის საფუძველი იყო განვითარებული მიწათმოქმედება. ამას მოწმობს ძვ. წ. II–I ათასწლეულების კოლხურ ნამოსახლარებსა და სამაროვნებში მრავლად აღმოჩენილი მრავალფეროვანი სას.-სამ. იარაღი და სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული. ხელოსნობა მრავალდარგობრივი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის წარმოებას. არქეოლ. გათხრებისას აღმოჩნდა რკინის ნაწარმის მრავალი ნაშთი (ქურები, წიდები, საბერველი მილები და სხვ.), აგრეთვე რკინის სამეურნეო და საომარი იარაღი. მასობრივი ხასიათი ჰქონდა კერამ. წარმოებას, რ-ის პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო (ქვევრები და დერგები, ნაირსახოვანი დოქები, ჯამები, სასმისები) და საუკეთესო ტექნოლ. თვისებებით, ნატიფი ფორმებითა და მდიდარი გეომ. ორნამენტებით გამოირჩეოდა. კოლხეთი განსაკუთრებით განთქმული იყო ოქროს მოპოვებითა (მდინარეული ქვიშიდან) და დამუშავებით, რის გამოც ძვ. ბერძნ. მწერლობაში იგი „ოქრომრავალი“ ქვეყნის სახელით იყო ცნობილი. არქეოლ. გათხრებისას აღმოჩენილია კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები: ჭედური გამოსახულებით მორთული დიადემები, ნაირსახოვანი სამკაული და სხვ. ხელოსნურ წარმოებას ფართო სასაქონლო ხასიათი ჰქონდა და ძირითადად ქალაქებსა და პოლიტ.-ადმ. ცენტრებში იყო კონცენტრირებული.

ძვ. წ. VI–IV სს. კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული (კოლხური თეთრი), რ-იც საშინაო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქებთან (ბათუმი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფასისი, გიენოსი, დიოსკურია) დაარსებული ბერძნ. ფაქტორიების მეოხებით ძვ. წ. VI–V სს-ში კოლხეთს აქტ. სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობა ჰქონდა ბერძნ. სამყაროსთან. კოლხეთიდან გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული (რკინა, ოქრო, ხე-ტყე) და ხელოსნური ნაწარმი. მთელ ანტ. სამყაროში იყო განთქმული კოლხური სელის ქსოვილი, რ-იც ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. კოლხური კერამიკის ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. ქ-ებში (პანტიკაპეონი, ნიმფეონი და სხვ.). ათენში აღმოჩენილ წარწერებში მოხსენიებული არიან კოლხი მონებიც. ცნობილია საბერძნეთში მოღვაწე კერამ. ფერწერის კოლხი ოსტატებიც, რ-თაც აგრეთვე მონებად მიიჩნევენ.

ბერძენ ვაჭრებს კოლხეთში ძირითადად მხატვრული და სუფრის ფაქიზი კერამიკა, ძვირფასი ლითონისა და პოლიქრომული მინის ჭურჭელი, ხარისხიანი ღვინო, ზეითუნის ზეთი და ნელსაცხებლები შემოჰქონდათ, რ-საც ძირითადად საზ-ბის ზედაფენა მოიხმარდა.

ჰ. ს-ს სავაჭრო გზებისა და საქმის ორგანიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს სტრაბონის ცნობა მდ. ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ, აგრეთვე ძვ. წ. III ს. ბერძენი პოეტის, აპოლონიოს როდოსელის ცნობა: ,,კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზეც იერგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. ზოგიერთ მეცნიერს ეს ცნობა კოლხური დამწერლობის არსებობის მოწმობადაც მიაჩნია.

ძვ. წ. IV–III სს-ში ჰ. ს. თანდათანობით დასუსტდა. ამასთანავე მისი აღმ. ოლქები ქართლის სამეფოს (იბერიის) პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექცა და ქართიზაცია განიცადა. სტრაბონთან დაცული ცნობის მიხედვით, ამ დროს კოლხეთი „მეტწილად ზღვისპირასაა“.

ძვ. წ. III ს-ში ცნობილია კოლხეთის მეფე აკე, რ-მაც თავისი სახელით მოჭრა ლისიმაქეს სტატერების მსგავსი მონეტა (იხ. *აკეს სტატერი*). ძვ. წ. III–I სს-ში კოლხეთი კვლავ აქტიურად მონაწილეობს საერთაშ. ვაჭრობაში, რ-შიც ფართოდაა ჩაბმული როგორც ბარის, ასევე მთიანეთის მოსახლეობა. შეინიშნება მეურნეობის „ანტიკური ფორმების“ დანერგვის მცდელობაც (ამზა-

დებდნენ ამფორებს და სხვა ბერძნ. ტიპის ჭურჭელს).

ძვ. წ. II–I სს. მიჯნაზე კოლხეთი დაიპყრო პონტოს მეფემ, მითრიდატე VI ევპატორმა. ძვ. წ. 63-იდან კოლხეთის ზღვისპირა ოლქები რომის იმპერიის პოლიტ. ზეგავლენის ქვეშ მოექცა და მათ რომაელი მოხელეები განაგებდნენ. ცნობილია პირველი ასეთი მოხელის, არისტარქეს სახელით მოჭრილი მონეტა (იხ. *არისტარქე კოლხის დრაქმა*). რომაელთა ბატონობა კოლხეთში გაგრძელდა ახ. წ. IV ს-მდე. იხ. აგრეთვე სტ. *ეგრისის სამეფო*.

ლიტ.: თოდუა თ., ძველი კოლხეთი და გარე სამყარო, თბ., 2008; ინაძე მ., ძველი კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ., 2009; ლორთქიფანიძე ო., ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972; მისივე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002; მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Лорткипанидзе Г., Колхида в VI–II вв. до н. э., Тб., 1978; Лорткипанидзе О., Древняя Колхида. Миф и археология, Тб., 1979; Меликишвили Г. К истории древней Грузии, Тб., 1959.

ო. ლორთქიფანიძე.

კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კოლხეთის აკადემია, არსებობდა III–IV სს-ში ფაზისის (ახლანდ. ფოთის) მახლობლად და წარმოადგენდა ბერძნული სტილის უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო სასწავლებელს. მის შესახებ ერთადერთი პირდაპირი ცნობა გვხვდება პროპედევტიკულ ტექსტში, რ-იც ეკუთვნის ბერძენ ფილოსოფოს *თემისტიოსს*. იგი სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას რჩევა-დარიგებას აძლევს იმის შესახებ, თუ სად შეიძლება მიიღოს მან კარგი ფილოსოფიური და ორატორული განათლება. ახალგაზრდის მოსაზრებას, რომ მას განათლების მიღება არა პროვინციაში, არამედ რომელიმე ცნობილ ქალაქში სურს, თემისტიოსი საკუთარი გამოცდილებით პასუხობს. მისი აზრით, კარგი ცოდნის მისაღებად განთქმული ქალაქები და ადგილები არ არის აუცილებელი, რადგან ცოდნის წყარო მხოლოდ დიდი მეცნიერები და მოძღვრები არიან. თემისტიოსი იმასაც აღნიშნავს, რომ კ. უ. რ. ს-ში მეზობელ ბარბაროსთა წესების მიხედვით ისრის ან ოროლის სროლა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინავდნენ. აქედან გამომდინარე, თემისტიოსი ახალგაზრდა კაცს ურჩევს, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნებას ათენში კი არ დაეუფლოს, არამედ ნაკლებად ცნობილ ადგილას, ფაზისის მახლობლად, კერძოდ, პონტოში. თვითონ თემისტიოსიც ორატორულ ხელოვნებას სწორედ აქ დაუფლებია. მის რჩევას ღრმა საფუძველი ჰქონდა, რადგან ამ ცენტრში შეისწავლა მჭევრმეტყველების ხელოვნება არა მარტო მან, არამედ მამამისმა, ფილოსოფოსმა ევგენიოსმაც. ფილოსოფიის ისტორიაში იგი არისტოტელეს მიმდევრად არის ცნობილი. თემისტიოსის ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ აქ საუბარია იმდროინდელი კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფილოს. ცენტრზე, რ-იც ბერძნული საგანმან. კულტურის ზეგავლენის კვალს ატარებდა. სავარაუდოდ, ამ სკოლაში საგნების სწავლება ბერძნული აკადემიებისათვის დამახასიათებელი სასწავლო გეგმებითა და მეთოდოლოგიით მიმდინარეობდა. ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის ბერძნ. ენასა და კლასიკურ ბერძნ. ლიტ-რაში კ. უ. რ. ს-ის აღსაზრდელების საფუძვლიან განსწავლულობაზე მიუთითებს, ხოლო რიტორიკულ სასწავლებელში ბერძნ. ენის მცოდნე ახალგაზრდების მიღება სავარაუდოდ, მოსამზადებელი სკოლის არსებობაზეც მიანიშნებს; თემისტიოსის ცნობიდან ისიც ჩანს, რომ კ. უ. რ. ს. თავისი შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძვ. ბერძნ. და რომაული რიტორიკული სკოლებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა და ცოდნის იმ მინიმუმის დაუფლებას მ ოითხოვდა, რაც ორატორისათვის ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებებით იყო გათვალისწინებული. რომაელი რიტორიკული სასწავლებლების მსგავსად კ. უ. რ. ს-ში უთუოდ ასწავლიდნენ ლიტ-რას, ასტრონომიას, მუსიკას, მათ. ელემენტებს, ძირითადად კი – ფილოს. და სამართ. საფუძვლებს. რიტორიკულ ხელოვნებას იმჟამინდელ საქართველოში ფართოდ იყენებდნენ. აგათია სქოლასტიკოსის (536–82) საისტ. თხზულებაში დაცულია ცნობა ქართვ. პოლიტ. მოღვაწეების (აიეტი, ფარტაზი და სხვ.) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ. ცხადია, ეს ცოდნა მათ თანმიმდევრული და საფუძვლიანი სწავლით უნდა მიეღოთ.

სავარაუდოდ, ათენში პლატონური აკადემიის დახურვის შემდეგ (529) კოლხეთის სკოლამ არსებობა შეწყვიტა. კოლხეთის აკადემია საქართველოში ფილოს. კულტურის დამადასტურებელი პირველი ცენტრი იყო. ამ დიდი ტრადიციის გამგრძელებელია ქ. ფოთში, საქართველოს უნ-ტის ფარგლებში, 2014 დაარსებული კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნ.-კვლ. არქივი, რ-ის ერთ-ერთი ფუნქციაა კავკასიის რეგიონში არსებული უძველესი ფილოს. ტრადიციების ამსახველი დოკუმენტების შეგროვება, შესწავლა და ანალიზი.

წყარო [თემისტიოსი], წგ.: გეორგიკა, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: გამსახურდია ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975; თევზაძე გ., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ., 1, თბ., 1956; ხიდაშელი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988.

თ. ირემაძე.

კოლხიდა, კოლხეთი (Kolchis; ძვ. ქართული სახელწოდება ეგრისი), სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება (კოლხი ტომების სახელის მიხედვით). დამოწმებულია ძვ. წ. I ათასწლ. ბერძენ ავტორებთან. ,,კოლხას'' ფორმით იხსენიება უკვე ძვ. წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში. ძვ. წ. VI–II სს-ში ამ ტერიტორიაზე არსებობდა *კოლხეთის სამეფო*. მისი დაშლის შემდეგ, ახ. წ. I–II სს. მიჯნაზე, ჩამოყალიბდა *ეგრისის სამეფო*, რ-მაც IV ს-ში გააერთიანა მთელი ჩრდ. კოლხეთი (ახლანდ. დას. საქართვ. ტერიტორია).

კოლხიდა, ღია ტიპის ქვედაპალეოლითური პერიოდის ძეგლი. მდებარეობს ახალი გაგრის (აფხაზეთის არ) მახლობლად, სოფ. კოლხიდის ტერიტორიაზე. აღმოჩენილი და შესწავლილია 1935–38 საქართვ. მეცნ. აკად. ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ეთნოგრაფიის ინ-ტის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ს. ზამიატნინი). ქვის ინვენტარი მოპოვებულია მიწის ზედაპირზე (არა in situ) სამ პუნქტში: 1) ,,საქტრანს კოლხიდის'' პირდაპირ მდებარე ბორცვის სამხრ. ფერდობზე; 2) სოფ. ქვემო კოლხიდის მახლობლად მდებარე ბორცვის თავზე; 3) ამავე ბორცვის

ჩრდ. ფერდობზე. სამივე პუნქტი ზ. დ. 180 *მ* სიმაღლეზეა. სულ მოპოვებულია ქვის 155 ნივთი, მ. შ. დისკოსებრი ნუკლეუსები, კლექტონის ტიპის უწესო მოყვანილობის ფართო მასიური ანატკეცები და წინამორბედი ანატკეცები სხვადასხვა მიმართულების ღრმა ნეგატივების სახით. თითქმის ყველა ანატკეცს დარტყმის მოედანი გლუვი, ფართო აქვს და ქვედა სიბრტყესთან ქმნის ბლაგვ კუთხეს. დასრულებული იარაღი არც ერთი არ არის. კოლექციაში წარმოდგენილია რამდენიმე ანატკეცი, რებსაც ეტყობა დამუშავების კვალი არათანაბარი რეტუშის სახით. ნედლ მასალად გამოყენებულია მონაცრისფრო კაჟი. ჰ-ის პალეოლითური მასალის ყველა ნივთი დაფარულია მოყვითალო და მოთეთრო მძლავრი პატინით. გვიანი ხანის მინარევი კოლექციაში არ არის. ძეგლი თარიღდება აშელური ხანით. მასალა დაცულია სანქტ-პეტერბურგში, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში. 1970 ბიჭვინთის არქეოლ. ექსპედიციის საძიებო რაზმმა (გ. გრიგოლია, ზ. აგრბა) სოფელში აღმოაჩინა ძვ. ქვის ხანის მასალა და ნეოლითური იარაღი. მასალა დაცული იყო ბიჭვინთის მუზეუმში.

ლიტ.: დიდი პიტიუნტი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, [წგ.] 1, თბ., 1975; ძველი და ახალი ქვის ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. ცნობარი, თბ., 2015; Замятнин С. Н., Палеолит Абхазии. Сух., 1937; მისივე, Очерки по палеолиту, М.-Л., 1961.

დ. თუშაბრამიშვილი.

კოლხიდა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში გაგრის ქედის სამხრ.–დას. კალთაზე. სათავო სოფელი (სოფლები: ჰ., ალპიისკოე, გაგრაფსთა, გრუზინსკოე-უშჩელიე, ზემო ხევი, ოტრადნოე). ზ. დ. 30 *მ,* გაგრიდან 6 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

„კოლხიდა“, მრავალფუნქციური დანადგარი პოლარიზებული ნეიტრონების პოლარიზებულ ბირთვებთან ურთიერთქმედებით გამოწვეული ბირთვული პრეცესიის (ბირთვული ფსევდომაგნეტიზმი) ექსპერიმენტული კვლევისათვის. დანადგარზე ასევე შესაძლებელია კრისტალების მაგნიტური თვისებების კვლევა. ექსპერიმენტები და თეორ. კვლევები ტარდება ერთობლივად თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის სახ. *ფიზიკის ინსტიტუტის* კონდენსირებულ გარემოთა ფიზ. ლაბორატორიასა და ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინ-ტის ი. მ. ფრანკის სახ. ნეიტრონული ფიზ. ლაბორატორიაში (JINR, Frank LNPh, დუბნა, რუსეთი).

„ჰ“. შეიქმნა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის კვლევით ბირთვულ რეაქტორზე (იხ. სტ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*) მოქმედი ნელი პოლარიზებული ნეიტრონების დიფრაქტომეტრის და პოლარიზებული ბირთვების დანადგარის ბაზაზე, რ-იც 1966 დამონტაჟდა (მ. წულაია, ა. შტაერმანი) რეაქტორის ჰორიზონტალურ არხზე ნეიტრონების ბირთვული პრეცესიის ექსპერიმ. დამზერისთვის. „ჰ“-ის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მ.პოდგორეცკის (1919–94, რუსეთი).

1970–71 მ. წულაიამ და ვ. ტრუნოვმა (1935-2012, რუსეთი) ლენინგრადის ბირთვული ფიზ. ინ-ტის (ЛИЯФ, გატჩინა) ბირთვულ რეაქტორზე ჩაატარეს პირველი ექსპერიმენტები თეორიულად ნაწინასწარმეტყველები ნეიტრონების ე. წ. I გვარის პარამაგნიტური რეზონანსის (ფსევდომაგნიტური ველით გამოწვეული რეზონანსული სიხშირის წანაცვლება) დასამზერად და დაადასტურეს ეფექტის არსებობა. 1972–74 ა. აბრაგამმა (1914–2011, საფრ.) თანაავტორებთან ერთად თეორიულად და ექსპერიმენტულად აჩვენა ბირთვული პრეცესიის რეალური არსებობა ნეიტრონის ენერგიის ერთი გარკვეული მნიშვნელობისთვის (λ=0,4117 *ნმ* ტალღის სიგრძისთვის). ამ ნაშრომებმა დასაბამი მისცა მეცნ. კვლევის ახ. მიმართულების – პოლარიზებულ გარემოთა ნეიტრონული ოპტიკის ჩასახვას.

მოვლენის რაოდენობრივი კვლევების ჩასატარებლად გადაწყდა თბილისის ფიზ. ინ-ტის ბირთვულ რეაქტორზე არსებული დანადგარის სრულყოფა; პოლონეთის ბირთვული კვლევების ეროვნ. ცენტრის (ქ. სვერკი) მონაწილეობით (კ. ბლინოვსკი, ლ. დობჟინსკი) ფიზ. ინ-ტის რეაქტორის მონოქრომატული პოლარიზებული ნეიტრონების დიფრაქტომეტრზე მიღეს თბური ნეიტრონების ნაკადი უპრეცედენტო (P=0,998±0,006) პოლარიზაციით.

1981-იდან ბირთვულ პრეცესიას იკვლევდა კოლაბორაცია პონი, რ-შიც, საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტთან ერთად (მ. წულაია, მ. გაბელია, ს. ჯამასპიშვილი), გაერთიანებულნი იყვნენ: ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინ-ტი (JINR, დუბნა), თეორ. და ექსპერ. კვლევების ინ-ტი (ИТЭФ, მოსკოვი), მინსკის ბირთვული ფიზიკის ინ-ტი და ლენინგრადის ბირთვული კვლევების ინ-ტი (ЛИЯФ, გატჩინა). 1989, ფიზ. ინ-ტის რეაქტორის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ, საჭირო გახდა კვლევების გადატანა სხვა მოქმედ რეაქტორზე. 1994 მ. წულაია მიიწვიეს თბური პოლარიზებული ნეიტრონების და პოლარიზებული ბირთვების შემსწავლელ ჯგუფში JINR-ის ი. ფრანკის სახ. ნეიტრონული ფიზ. ლაბორატორიაში, სადაც 1996 თბილისიდან გადაიტანეს პოლარიზებული ნეიტრონების დიფრაქტომეტრი და პოლარიზებული ბირთვების დანადგარი, რ-ის მოდერნიზების შედეგად შეიქმნა ახ. დანადგარი „ჰ“. (საქართვ. ბირთვულ რეაქტორზე მიმდინარე ექსპერიმენტებიდან ეს აღმოჩნდა ერთადერთი პროექტი, რ-ის გაგრძელებაც მოხერხდა რეაქტორის გაჩერების შემდეგ). ექსპერიმენტებისთვის გამოიყო JINR-ის იმპულსური რეაქტორის – ИБР-2-ის (სწრაფი ნეიტრონების იმპულსური კვლევითი მოძრავამრეკლავიანი რეაქტორი) №1 არხი.

კვლევები „ჰ-ზე“ მოიცავს ნეიტრონული ოპტიკის მოვლენათა შესწავლას პოლარიზებული ნეიტრონების λ=0,1146 *ნმ* – 0,0188 *ნმ* ტალღის სიგრძეების შუალედში – ენერგიის ინტერვალში თბურიდან (0,062 *ევ*) ნეიტრონული რეზონანსების შესაბამის ენერგიებამდე (2,3 *ევ*) და, ასევე, კვლევებს პოლარიზებული ნეიტრონებით კონდენსირებული გარემოს ფიზიკაში.

„ჰ-ს“ უჭირავს JINR-ის ი. ფრანკის სახ. ნეიტრონული ფიზ. ლაბორატორიის ორი სართული (ჯერ კიდევ თბილისში ე. ანდრონიკაშვილმა „ჰ“-ის პროტოტიპი კოლიზეუმს შეადარა). მისი ძირითადი ნაწილებია: პოლარიზებული ნეიტრონების სპექტრომეტრი; დაბალტემპერატურული პოლარიზებულ-ბირთვებიანი სამიზნე; ნეიტრონების სპინის ფერომაგნიტური რეზონატორი; დანადგარის მართვისა და კონტროლის სისტემა.

ნეიტრონების სპინის ფერომაგნიტური რეზონატორი, რ-საც ბირთვული პრეცესიის გასაზომად

იყენებენ „პ-ზე“, გაიანგარიშეს, შექმნეს და გამოსცადეს (1984, λ = 0,111 *ნმ* ტალღის სიგრძის მქონე ნეიტრონებისთვის) მ. წულაიამ თანაავტორებთან ერთად. მათვე შეიმუშავეს ახ. გაუმჯობესებული მეთოდი ნეიტრონული კონის პოლარიზაციის ხარისხის გასაზომად სპეც. ფერომაგნიტურ ფირფიტაში – შიმში – ნეიტრონების გავლისას კონის დეპოლარიზაციის გაზომვის საფუძველზე. „პ-ის“ კვანძების შექმნაზე, პოლარიზებული ნეიტრონული კონის, პოლარიზებულბირთვებიანი სამიზნის მიღებისა და ბირთვული პრეცესიის შესწავლის მეთოდების შემუშავებაზე გაცემულია რამდენიმე პატენტი და საავტორო მოწმობა გამოგონებაზე (მ. წულაია თანაავტორებთან ერთად).



ქ. კოლხიდელი.

დანადგარი „პ“ იმართება პროგრამით, რ-იც შედგება ექსპერიმენტის ავტომატიზაციის სისტემის (EAS) და ექსპერიმენტის მართვის ჯგუფებისგან.

„პ-ზე“ შესრულებულ გაზომვებს იყენებენ მონოკრისტალთა მაგნიტური სტრუქტურების კვლევაში, ასევე თბური პოლარიზებული ნეიტრონების ნაკადის ბრტყელ ელექტრომაგნიტურ ტალღასთან ურთიერთქმედებისა და სპინის ბირთვული პრეცესიის თავისებურებების შესასწავლად ნეიტრონული რეზონანსების შესაბამის ენერგიებზე. ნეიტრონული ოპტიკის მეთოდებით სწავლობენ ბიოლოგიურ და სხვა ნიმუშებში მსუბუქი (წყალბადი, ნახშირბადი, აზოტი, ჟანგბადი და სხვ.) ქიმ. ელემენტების ატომების განაწილებას (რენტგენისა და γ სხივები მსუბუქ ქიმ. ელემენტებს „ვერ ხედავს“).



ქ. კ ო ლ ხ ი დ ე ლ ი. კატუშა, დ. ტურაშვილის ,,ერთ მშვენიერ დღეს“.

ლიტ.: Tsulaja M. I., Gabelja M. S., Blinowski K., Djamaspishvili S. I. et al. Polarized Neutron Set-up for Experimental Study of the Neutron Nuclear Precession. Nuclear Instruments Methods, 1981, v. 185; Abov Yu. G., Alfimenkov V. P., Lason L., Mareev Yu. D., Pikelner L. B., Tsulaia V. M., Tsulaia M. I., Salamatin I. M. Kolkhida Instrument for Experimental Investigations of Interactions of Polarized Neutrons with Polarized Nuclei, Nuclear Instruments and Methods in Physics Research, A, 2009, v. 601, №3, 4.

მ. წულაია.

„კოლხიდა“, ქართული ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, გამოდიოდა 1911–13 ქუთაისში. რედ.-გამომცემლები: ა. ჭუმბაძე (1911–12– №№1–57), მ. ჯაფარიძე (1912 – №№58–152, 1913 – №№1 – 42). ,,პ-სთან“ თანამშრომლობდნენ: კ. აბაშიძე, გ. გველესიანი, ს. ხუნდაძე, დ. უზნაძე, ა. ჯაფარიძე; იბეჭდებოდა ა. წერეთლის, ნ. ლორთქიფანიძის, დ. მეგრელის, ნ. ჩხიკვაძის, ა. ჭუმბაძის და სხვათა ნაწარმოებები. ,,პ-ის“ გამოცემა შეწყდა 1913 მაისში. გაზეთის დროებითი შეჩერების პერიოდში (1912 შემოდგომა – 1913 ზამთარი) და დახურვის შემდეგ გამოდიოდა გაზ. ,,იმერეთი“.

კოლხიდელი გრიგოლ, იხ. *დადიანი გრიგოლ.*

კოლხიდელი (ნაჭყებია) ქეთევან ვარლამის ასული (27. I. 1921, ფოთი, – 22. I. 2008, ქუთაისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1960). 1936–37 სწავლობდა მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში. 1937–52 იყო ფოთისა და მარჯანიშვილის თეატრის, ხოლო 1952–იდან ქუთაისის თეატრის მსახიობი. მისი დებიუტი შედგა ფოთის თეატრში, პიესაში შ. დადიანის „შოთა რუსთაველი“, სადაც შეასრულა თამარ მეფის როლი. სხვადასხვა დროს შესრულებული როლებია: ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა“), საპატარძლო (ფ. გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი”), დეზდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“), ელისაბედ დედოფალი (უ. შექსპირის „რიჩარდ III“), მზევინარი, ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), თინა (ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“), ჩიტუნია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ზეფორე (პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯვარა“), ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „საბუდარელი ჭაბუკი“ (რეჟ. შ. მანაგაძე, 1957), „პიერი მილიციის თანამშრომელი“ (რეჟ. დ. რონდელი, 1965), „ჯერ შეიცადეთ...“ (რეჟ. პ. მილორავა, 2003), „37 გრადუსი ცელსიუსით“ (რეჟ. თ. სულამანიძე, 2005).

პ. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი. ასრულებდა როგორც ლირ.-დრამ., ასევე ტრაგიკულ და სახასიათო როლებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). ქუთაისის საპატიო მოქალაქე (1996).

კოლხური ანთროპოლოგიური ტიპი, საქართველოში გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპი. დამახასიათებელი ნიშნებია: თავის საშუალო განივი დიამეტრი, ვიწრო სახე, თვალებისა და თმების ღია ფერი, ცხვირის ფუძისა და წვეტის ჰორიზონტალური ან ოდნავ ზეაწეული მდებარეობა, ცხვირის მაღალი უნაგირი და ცხვირის ზურგის მაღალი განივი პროფილი, დაბალი სახე, ზომიერად სქელი ტუჩები, თმოვანი საფარველის საშუალოზე მეტი განვითარება.

პ. ა. ტ-ის ნაირსახეობა – შავიზღვისპირული ვარიანტი – გავრცელებულია საქართველოს შავიზღვისპირეთში. მისი ანთროპოლოგიური ნიშნებია: მკვეთრად პროფილირებული სახე, თვალის ღია ფერის მეტი პროცენტი, თვალის ნაპრალის ვიწრო ჭრილი, სწორი შუბლი, ცხვირის მაღალი უნაგირი და ოდნავ ზეაწეული წვეტი, ვიწრო სახე, დახვეწილი ყვრიმალები, ზომიერი სისქის ქვედა ტუჩი, შედარებით ღია ფერის თმა, მცირე სიმაღლის ცხვირი, ზომიერად განვითარებული თმოვანი საფარველი, სახის მცირე მორფოლოგიური სიმაღლე, თავის ზომიერი განივი დიამეტრი და საშუალო ოდენობის ზედა ქუთუთოს ნაოჭი.

მორფოლოგიური ნიშნების ასეთი კომპლექსი გავრცელებულია წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის, ბათუმის, ქობულეთის, ნაწილობრივ ხულოსა და ქედის მოსახლეობაში. ნიშანთა იგივე კომპლექსი ახასიათებთ გუდაუთის, ოჩამჩირისა და ნაწილობრივ გაგრის რ-ნის აფხაზებს.

დას. საქართველოს დანარჩენ რ-ნებში გავრცელებულია დასავლურ-ქართული ვარიანტი,

რ-საც ახასიათებს სწორი შუბლი, მკვეთრად პროფილირებული სახე, ცხვირის მაღალი უნაგირი, მკვეთრად განვითარებული თმოვანი საფარველი სახესა და სხეულზე, დახვეწილი ყვრიმალები, თვალების ჰორიზონტალური ჭრილი, ორტოქეილური ზედა ტუჩი, ღია ფერის თვალების საკმაოდ მაღალი პროცენტი, მკვეთრად გამოხატული ცხვირი, საშუალო ზომის თავის განივი დიამეტრი, მცირე ყვრიმალთაშუა დიამეტრი, ქუთუთოს ნაოჭის საშუალოზე მაღალი პროცენტი, საშუალოზე დაბალი სახის ფიზიონომიური სიმაღლე და შედარებით მოკლე ცხვირი.

ნიშანთა ასეთი კომპლექსი გავრცელებულია ბაღდათის, თერჯოლის, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურისა და ვანის ქართულ მოსახლეობაში; ასეთივე ნიშნები გვხვდება ზოგიერთ შავიზღვისპირულ ჯგუფებში ქედისა და ხულოს, ჩოხატაურის, აღმ. საქართველოში კი – ხაშურისა და გორის ქართ. მოსახლეობის ნაწილში.

კოლხური ტიპის ორივე ვარიანტი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, ამიტომ ისინი ერთ ტიპში არიან გაერთიანებული.

მ. *აბდუშელიშვილი* კოლხური ტიპის გენეზისს განიხილავს შემდეგნაირად: ,,წინააზიური რასის ფენა, რომელსაც მიეკუთვნება კოლხური ტიპის დასავლურ-ქართული და შავიზღვისპირული ვარიანტები და რომლებიც თავად განვითარდნენ სამხრეთ კავკასიის ადგილობრივი ანთროპოლოგიური ტიპების საფუძველზე, მოახდინეს პონტოური ტიპის ასიმილაცია, რის შედეგადაც წარმოიქმნა კოლხური ტიპის შავიზღვისპირული ვარიანტი‘‘.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб.,1964.

ლ. ბითაძე.

კოლხური ბზა, იხ. სტ. *ბზა.*

კოლხური ბრამეა, ლედერე რის ბრამეა (Brahmaea ledereri, Regenhofer, 1873), პეპელა დატალღური ფარშევანგთვალების (Brahmaedidae) ოჯახიდან. მესამეული პერიოდის ძლიერ იშვიათი რელიქტი, კოლხეთის ენდემი. შეტანილია საქართვ. ,,წითელ ნუსხაში‘‘. კავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობს ამ მცირერიცხოვანი ტროპიკული გვარის მხოლოდ 2 სახეობა, რ-თაგან ერთ-ერთია *ჰ. ბ.* იგი დიდი და მსხვილი პეპელაა. ფრთების კუთხეები მომრგვალებული აქვს, წინა ფრთის სიგრძე – 47–53 *მმ,* ფრთების შლილი - 95–107 *მმ.* პეპლის მთლიანი ფონი მურა ყავისფერია. ხორციანი სხეული და ფრთების ძირები დაფარულია ხშირი ბუსუსებით. წინა ფრთების შუა, გარდიგარდმო გადაჭიმული არათანაბარი თასმა და ფრთების ფუძეები მოუხატავია. ფრთის დანარჩენი ნაწილი მოხატულია ფაქიზი, პარალელურად განლაგებული, ტალღისებური, მოთეთრო-მოვარდისფრო და ჩალისფერი ზოლებით. სახეობა გავრცელებულია დას. საქართველოში – კოლხეთის დაბლობზე, ასევე აღწერილია თურქეთის შავიზღვისპირა (ლაზეთი) რეგიონში; ბინადრობდა კოლხურ ტყეში. დამახასიათებელი ეკოლოგიური ნიშა იყო ტენიანი, ძველი, დაბერული მთისწინეთების ტყის ვიწრო ხეობები და ღელეები, სადაც იზრდება მურყანი, თხილი, წაბლი, წყავმაზა და ა.შ. პეპლის ბოლო ეგზემპლარი 100 წლის წინ მოიპოვეს. ბინადრობს თუ არა კვლავ ეს სახეობა კოლხურ ტყეში, უცნობია. პეპლები ფრენენ აპრილში, ღამით. დღისით სხედან ხის ღეროზე ან ტოტებზე. მატლი, ისევე, როგორც პეპელა, მსხვილი და ორიგინალურია. ძირითადი საკვები მცენარეა წყავმაზა (Phyllirea vilmoriniana), რ-იც გავრცელებულია ლაზეთში, აჭარასა და გურიაში. შეიძლება შეგვხვდეს ზეთისხეთა ოჯახის ან სხვა მერქნიან მცენარეებზე. ჭუპრი გვხვდება ხემცენარეთა ქერქის ნაპრალებში თხელ მურა-ყავისფერ პარკში. სახეობა უძველესი ფაუნის ტროპიკული წარმომობისაა, რის გამოც ხასიათდება ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის ზოგი თავისებურებით. სახელდობრ, მთელი წლის განმავლობაში საჭიროებს თბილ და ტენიან კლიმატს, განსაკუთრებით კი ზამთარში; ამასთან ერთად, ლოკალურმა გავრცელებამ და ტიპური ბიოტოპის სას.-სამ. მიზნებისთვის გამოყენებამ (კოლხური ტყეების გაჩეხვა, ჭაობების ამოშრობა, სუბტროპიკული მცენარეების განაშენიანება) კატასტროფულად შეამცირა და განადგურების ზღვარზე მიიყვანა (ან გაანადგურა) ისედაც ერთეული და უძველესი პოპულაციები. მასთან გენეტიკურად ახლოს მდგომი ხრისტოფის ბრამეას (B. christophi Stgr.) მცირე, მაგრამ სტაბილური პოპულაციები დღესაც ბინადრობს თალიშში (აზერბაიჯანი). 1976 წლიდან სახეობა შეტანილია საქართვ. ტერიტორიაზე დასაცავი მწერების სიაში.



კოლხური ბრამეა.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Батиашвили И. Д., Дидманидзе Э. А., Об охране насекомых,. Ep., 1976; Gegechkori A., Didmanidze E., Has ever Brahmea Ledereri Rogenhofer,1873, inhabited the Colchis Refugium, American Journal of Enviromental Protection, 2015.

ე. დიდმანიძე.

კოლხური ენა, იხ. *ზანური ენა.*

კოლხური ზუთხი, იხ. *თართი.*

კოლხური თეთრი, ძვ. წ. VI–III სს. ვერცხლის მონეტა, რ-იც გავრცელებული იყო დას. საქართველოს ტერიტორიაზე. *ჰ. მ-ის* მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი – შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე არსებულ ბერძნ. ახალშენებს (მაგ., ფასისს). არსებობს *ჰ. მ-ის* რამდენიმე ტიპი და ნომინალი: ა) ტეტრადრაქმა, რ-ის მასაა 13 გ. მის ავერსზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ლომის თავი, რევერსზე – ფრთოსანი რაშის პროტომა; ბ) დიდრაქმა: I ტიპი. ავერსზე მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი; რევერსზე – მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა; II ტიპი. ავერსზე – ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; რევერსზე – ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე 2 თავი, როგორიც მონეტის ავერსზეა. III ტიპი. ავერსზე – ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; რევერსზე – ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი 2 ხარი. კოლხური დიდრაქმების საშ. მასაა 8,99–9,90 გ; გ) დრაქმა:



კოლხური თეთრი. I ტიპის დიდრაქმა. ვერცხლი. ზემოთ – ავერსი, ქვემოთ – რევერსი,

ავერსზე – ლომის თავი ანფასში; რევერსზე – მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, საშ. მასა 5,52 გ; დ) ნახევარდრაქმები: I ტიპი. ავერსზე – ლომის თავის პროფილი მარჯვნივ; რევერსზე – მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა. საშ. მასა – 2,17 გ. II ტიპი. ავერსზე – მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი, რევერსზე – მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. მასა 1,2–2,6 გ. ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნ. ასოები.

კოლხურ მონეტებს შორის ყველაზე გავრცელებულია II ტიპის ნახევარდრაქმა, რ-იც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დას. საქართვ. ტერიტორიაზე. ჰ. მ-ის არსებობა ერთ-ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ ძვ. წ. VI–V სს-ში დას. საქართვ. ტერიტორიაზე სახელმწიფო არსებობდა.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; დუნდუა თ., კოლხეთის ძვ.წ. VI–IV სს. ბერძნული ანალშენები და საქართველო, თბ., 2009.

გ. დუნდუა.



კოლხური თხილი.

კოლხური თხილი (Corylus colchica), ბუჩქი არყისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 1 *მ* აღწევს. ნორჩი ყლორტები მოფენილი აქვს გრძელი აბრეშუმისებრი ბუსუსებით. ნაყოფი პატარაა, კვერცხისებრი, თავწაწვეტებული, თითო-თითო ან რამდენიმე ერთად შეჯგუფებული ენდემია, გავრცელებულია დას. საქართველოს (კოლხეთი) მთის ზედა და სუბალპურ სარტყელში (2300 *მ*-მდე) კირქვებზე. ნაზვავებზე ქმნის რაყას. ყვავილობს აპრილში, ნაყოფი სექტემბერში მწიფდება. მრავლდება თესლითა და ამონაყარით. იტანს სიცივეს. ხარობს ტენიან ნიადაგზე. შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“.

კოლხური კვირჩხლა (Phoxinus colchicus Merg, 1910), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822), კვირჩხლების გვარს (Phoxinus Rafinesque, 1820). მაქსიმალური სიგრძე – 8,2 *სმ*. მტკნარი, თხელწყლიანი ადგილების ბინადარია, მრავლდება აპრილ-ივლისში, ნაყოფიერება 200–900 ქვირითია. იკვებება ბენთოსით, პლაქტონით, ნაწილობრივ – წყალმცენარეებით.

საქართველოში გვხვდება მდინარეების – ჭოროხის (ქვემო დინება), ჩელთას, ყორულას, ჩაქვისწყლის, კინტრიშის, სუფსის, ბახვისწყლის, კოდორის, შავწყალასა და ფსოუს ნაპირებზე. გავრცელებულია შავი ზღვის სანაპიროებზე ნოვოროსიისკიდან მდ. ჭოროხამდე. კავკასიის ენდემია. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013.



კოლხური კვირჩხლა.

ნ. ნინუა.

კოლხური კიბო, იხ. სტ. *კიბოსნაირნი.*

კოლხური კულტურა, გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. – ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა. გავრცელებულია ძვ. კოლხებისა და სხვა დას. და სამხრ.-დას. ქართული ტომების (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები, მოსინიკები და სხვ.) მიწა-წყალზე (დას. საქართვ. მტკვრისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთიანეთი, სამხრ.-აღმ. შავი ზღვისპირეთი ქ. ორდუმდე). უმთავრესად ცნობილია მაღალგანვითარებული ბრინჯაოს წარმოებით და მხატვრული ხელოსნობით. აღმოჩენილია სპილენძ-ბრინჯაოს ნაკეთობათა მრავალრიცხოვანი (ე. წ. მდნობელთა და ლითონის ნივთებით მოვაჭრეთა) განძი, სამარხეული ინვენტარი და მრავალი შემთხვევითი მონაპოვარი. სამაროვნები შესწავლილია აფხ. სანაპიროზე: ეშერის, კიურდერეს, პრიმორსკოეს ქვევრსამარხ-ოსუარიუმები, მუგუძირხვის და ყულანურხვის ორმოსამარხები (მ. თრაფში), სოხუმის მთის კომპლექსები (ა. კალანდაძე), რაჭაში – ბრილის ორმოსამარხები, ქვაყუთები და თავისებური კრემაციული კოლექტ. სამარხები (გ. გობეჯიშვილი); კოლხეთის დაბლობზე (პალურის, მუხურჩის, ნიგვზიანის, გორაძირის) – კოლექტ. სამაროვნები მეორეული დაკრძალვით (ან კრემაციით) და სხვ. კოლექტ. სამარხები განეკუთვნება ჰ. ჰ-ის ბოლო საფეხურს (ძვ. წ. VIII–VI სს.). მათში კოლხური ბრინჯაოს გვერდით მრავლადაა იმპორტული ნივთები, რაც კოლხეთის ფართო მასშტაბიან საგარეო ვაჭრობაზე მიუთითებს. ამ დროს საგრძნობლად მატულობს რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღის დამზადება. კოლხეთში გვიანბრინჯაოს-რკინასთან ერთად ბრინჯაოს არსებობა აიხსნება ბრინჯაოს ინდუსტრიის ღრმა ტრადიციებითა და ფერად ლითონთა მდიდარი საბადოების სიმრავლით. სპილენძის მადნის ძვ. გამონამუშევრები შესწავლილია რაჭაში (გ. გობეჯიშვილი), მიკვლეულია აფხაზეთში, სვანეთში, აჭარაში. სამოსახლო ბორცვები და ნასოფლარები ცნობილია კოლხეთის დაბლობზე – დიხაგუძუბა (ა. ჭანტურია, ნ. ხოშტარია), ნაოხვამუ (გ. ნიორაძე), დაბლაგომი (ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია); ნოსირი (დ. ქორიძე), ჭალადიდი, მუხურჩა, ნამჭედური და სხვ. მათი ზოგიერთი ფენა ჰ. ჰ-ის საფეხურს განეკუთვნება, შეიცავს ძელურ და თიხალესულ ნაგებობათა ნაშთებს, კერამიკას, ქვისა და ძვლის სამეურნეო იარაღსა და ხელსაწყოს, ცხოველთა ძვლებს და სხვა ნაწარმთა ნარჩენებს. განძებისა და სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთები ნამოსახლარებში იშვიათია, სამარხებში კი მცირეა ნამოსახლარის ტიპობრივი ჭურჭელი.

ჰ. ჰ-თვის დამახასიათებელი *კოლხური ცული*, თოხები, სეგმენტური იარაღი, წალდები, ნამგლები, მოკლე შუბისპირები, ე. წ. ალისებრი და მოგრძო ფოთლისებრი სატევრისპირები, გორდაპირიანი და კოტებიანი ბრტყელი ცულები, მშვილდსაკინძები, აბზინდები, სარტყლები, სამაჯურები, საკისრე, საწვივე და მასიური რგოლები, საკიდები, სიტულის ტიპის ჭურჭელი, სტატუეტები, ჩამოსასხმელი ყალიბები და სხვ. ნაკეთობანი ხშირად შემკულია გრაფ. მოხატულობით, ზოგჯერ კი კოლხების რელიგიურ-იდეოლოგიური წარმოდგენების გამომხატველი სკულპტურული გამოსახულებებით. ნამოსახლარებზე აღმოჩენილია შავი, მონაცრისფრო და მოწითალო თიხის ჭურჭელი. გვიანდ. ხანის ფენებსა და სამარხებში ჩნდება ყურმილიანი ხელადები, მაღალფეხიანი და ვიწროძირიანი სასმისები და სხვ.

ჰ. ჰ-ს გენეტიკური კავშირი აქვს წინა და მომდევნო ხანის კულტურებთან, ამიტომ, ფართო გაგებით, იგი მოიცავს უფრო დიდ პერიოდს, ვიდრე მხოლოდ კოლხური ბრინჯაოს აყვავების ხანაა. კულტურის ლოკალურ თავისებურებათა მიხედვით გამოიყოფა მსხვილი მეტალ. ცენტრები: აფხაზეთი, ჭოროხის აუზი, კოლხეთის დაბლობი (რიონის ჩრდ-ით), კოლხეთის ბარის აღმ. (რიონის შუაწელის აუზი) და ყვირილის აუზი. არსებობს უფრო ვიწრო საწარმოო რ-ნებად დაყოფის ცდაც. სამიწათმოქმედო იარაღის სიჭარბე ბარში გამოხატავს ამ რ-ნთა მეურნეობის სპეციფიკას. კოლხური და მისი თანადროული აღმ. ქართ. კულტ. შეხვედრის ოლქებია მესხეთი და შიდა ქართლი, სადაც განძებსა და სამარხებში გვხვდება შერეული კომპლექსები. კოლხური ბრინჯაოს ცალკეული ნიმუშები აღმოჩნდა უფრო შორსაც (აღმ. საქართველო, სომხეთი, ჩრდ. კავკასია, უკრაინა, ცენტრ. ანატოლია). ჰ. ჰ-ს უკავშირდება ყობანური კულტურა.

ლიტ.: კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხ., 1953; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე », 1950, ტ. 16 B; Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, «Известия Гос. академии истории материальной культуры», 1935, в. 120; Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, [т.] 1–2 Тб., 1949–50; Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии. «Труды отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитажа», 1941, т. 1; Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии,Тб., 1971; Трапш М. М., Памятники колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Сух., 1962.

ვ. გოგაძე.

კოლხური ლეპტოპუსი, კოლხური არახნე (Leptopus colchicus, Arachne colchica), მცენარე, დაბალი ბუჩქი Euphorbiceae-ის ოჯახიდან. დას. საქართველოს იშვიათი ენდემური სახეობაა. გავრცელებულია აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში; საქართველოს გარეთ – დას. კავკასიაში. იზრდება კირქვიან კლდეებსა და ქვაღორღიან ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე; მნიშვნელოვანია კირქვიანების რელიქტური ფლორის ისტორიის შესწავლისთვის. გვხვდება სპორადულად პატარ-პატარა დაჯგუფებების სახით. სიმაღლე 80 *სმ*. ღერო – ძირთან დატოტვილი; ტოტები – დაფოთლილი; ფოთლები – თხელი, კვერცხის ფორმის (ზევიდან – ღია-მწვანე, ქვევიდან – მწვანე-მონაცრისფრო); ყვავილები – მოყვითალო; ნაყოფი სამბუდიანი მშრალი კოლოფებია. ჰ. ლ-ის შემცირების მიზეზია ადამიანის საქმიანობა. შეტანილია საქართვ. ,,წითელ ნუსხაში‘‘.

კოლხური სურო (Hedera colchica), მცოცავი ბუჩქი სუროს გვარისა. აქვს მომრგვალო ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის ტყავისებრი ფოთლები და პატარა მომწვანო ყვავილები. უფრო გავრცელებულია დას. საქართველოს ტყეებსა და ჩრდილიან ადგილებში. საქართველოს გარდა იზრდება თურქეთში (ლაზეთი). კულტივირებულია ბაღებსა და პარკებში. მისი ფოთლები შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისაგან მოწითალო ფერს იღებს. ადვილად მრავლდება კალმით და გადაწვენით. აქვს ნაადაგდაცვითი მნიშვნელობა.

კოლხური ტაფელა (Rodeus colchicus, Bogutskaya et. Komlev, 2001), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822), ტაფელების გვარს (Rodeus Agassiz, 1832). მაქსიმალური სიგრძე – 25 *სმ*, მასა 15 *გ*, მაქსიმალური ასაკი – 5 წელი. მტკნარი წყლის ბენთოპელაგიური სახეობაა. მრავლდება სხვადასხვა დროს, თებერვლიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება 200–450 ქვირითია; ტოფობს რამდენჯერმე. იგი განსხვავდება აქამდე შესწავლილი ჩვეულებრივი ტაფელასაგან უფრო მსხვილი ქერცლით, ხერხემლის მალების რაოდენობით, გვერდითი ხაზით, უფრო მაღალი მეორე და უფრო ფართო მეოთხე და მეხუთე ინფრაორბიტალებით. იკვებება წყალმცენარეებით, ნაწილობრივ – ბენთოსითა და პლანქტონით. გავრცელებულია დას. ტრანსკავკასიაში, საქართველოში. ამიერკავკასიის ენდემია. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).


ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013, Богуцкая Н., Насека А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

ნ. ნინუა.




კოლხური ლეპტოპუსი.

კოლხური ტობი (Chondrostoma colchicum, Derjugin, 1899), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822), ტობების გვარს (Chondrotoma, Agassiz, 1832). მაქსიმალური სიგრძე – 30 *სმ*, მასა – 200 *გ*. ძირითადად მდინარეებში ბინადრობს. ირჩევს ჩქარი დინების ქვა-ქვიშიან ადგილებს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–4 წლის ასაკში. ტოფობს ადრე გაზაფხულზე, მარტიდან ზაფხულის ბოლომდე. ქვირითს ყრის 3-ჯერ, ნაყოფიერება 3000–9000 ქვირითია. იკვებება წყალმცენარეებით, პლანქტონური და ბენთოზური ორგანიზმებით. ბინადრობს დას. საქართვ. მდინარეებში (ჭოროხი, რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, ბესლა, გუმისთა, შავწყალა, ბზიფი), ამტყელის ტბაში; გავრცელებულია ევროპასა და აზიაში, რუსეთში, სომხეთში,



კოლხური სურო.



კოლხური ტობი.

აზერბაიჯანსა და თურქეთში. ჰ. ტ. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ენდემია. რაოდენობის სიმცირის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Элanидзе Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა.

კოლხური ცული, გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის (ძვ. წ. XV–VI სს.) კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ბრინჯაოს იარაღი, რ-საც ექვსწახნაგა ტანი და წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი აქვს. ჰ. ც-ის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვთ რ. ვირხოვს, ე. შანტრს, პ. უვაროვას, ფ. ჰანჩარს, ო. ჯაფარიძეს, ე. კრუპნოვს, დ. ქორიძეს და ბ. ტეხოვს. ჰ. ც. უნივერს. იარაღი იყო. იყენებდნენ როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ისე საომრად. გრაფ. დეკორით შემკულ ცულებს საომარი და საკულტო დანიშნულება ჰქონდა. ჰ. ც-მა განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ძვ. წ. II–I ათასწლ. მიჯნაზე იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და არსებითად არ შეცვლილა. ჰ. ც. გვხვდება სამარხებში (თლი, ყობანი, პალური, მუხურჩა, ყულანურხვა, ოჟორა), განძებში (ორდუ, ბიჭვინთა, ლიხნი, ოყურეში და სხვ.). სულ 100-ზე მეტი განძია. ნაწილი შემთხვევითაა აღმოჩენილი. ყველაზე ადრეული ჰ. ც-ის შემცველი განძებია ურეკის, პილენკოვოს, ბიჭვინთის, გაგრის, ერგეტის, მახუნცეთისა და სხვ. ძვ. წ. IX ს. II ნახ-იდან ჩნდება გრაფ. დეკორით შემკული საომარი საკულტო ჰ. ც-ებიც. დეკორი პლასტ. ფორმასთან ორგანულადაა შერწყმული. სხვადასხვა ზომის წახნაგზე დეკორი სიმეტრიულადაა განაწილებული და ერთ მთლიან კომპოზიციად აღიქმება. ცულზე გამოსახულია ირემი, ცხენი, ძაღლი, გველი, თევზი, ბაყაყი, ფრინველი, სვასტიკა, ჯვარი, ვარსკვლავი და სხვ. ყუის თავზე ზოგჯერ მოთავსებულია სკულპტურული გამოსახულება. ჰ. ც-ის გრაფ. დეკორში ასახულია უძველესი ქართ. რელიგ. და მითოლ. წარმოდგენები.



კოლხური ცული ორნამენტებით. ბრინჯაოს ხანა.

გრავირებული ჰ. ც-ები (ძვ. წ. IX ს.) ბრინჯაოს სხვა ნივთებთან ერთად პირველად აღმოჩნდა 1869 ყობანში (ჩრდ. ოსეთი). აღმოჩენის ადგილის მიხედვით ეწოდა ყობანური ცულიკო, ხოლო შესაბამის კულტურას – ყობანური კულტურა. შემდეგ წლებში დას. და აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე მიკვლეულია ჰ. ც-ის ყველა ფორმა (ძვ. წ. XV–VI სს.), მ. შ. ყობანში აღმოჩენილი ცულის ვარიანტიც. აღსანიშნავია, რომ ჰ. ც-ის ჩამოსასხმელი ყალიბები მხოლოდ საქართვ. ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (*თაგილონის განძი, თელოვნის განძი*). XX ს. 30-იან წლებში მას ჰ. ც. უწოდეს. დაადგინეს (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, თ. მიქელაძე), რომ ამ ცულების სამშობლო კოლხეთია.

ლიტ.: მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, 1950, ტ. 16B; Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, იქვე, 1944, t. 12B; Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

ლ. ფანცხავა.

კოლხური ღვერა (Barbus tauricus rionica, Kamensky, 1899), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae Fleming, 1822), წვერებისნაირთა ქვეოჯახს (Barbinae Bleeker, 1859). სიგრძე 55 *სმ*-მდე, მასა 2 *კგ*-მდე. ბენთოპელაგიური მტკნარი წყლის თევზია. ბინადრობს ქვაქვიშიან დგილებში. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–4 წლის ასაკში. ტოფობს ორჯერ. მრავლდება მაისიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება დამოკიდებულია ასაკზე. მდინარეებში ნაყოფიერება შეადგენს 2000–15000-მდე, ტბებში – 30000-მდე ქვირითს. იკვებება ცხოველური ბენთოსით, მოლუსკებით, ქრონომიდებით, გვერდულებით, დეტრიტით, მდინარის კიბოებით, იშვიათად – წვრილი თევზებითა და მათი ქვირითით. გვხვდება დას. საქართვ. მდინარეებში (ჭოროხი, ჩოლოქი, კინტრიში, სუფსა, რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, ბზიფი, ფსოუ და მათი შენაკადები), ამტყელის ტბაში, ტყიბულისა და ლაჯანურის წყალსაცავებში, აგრეთვე – მცირე აზიის წყლებში. მცირერიცხოვნობის გამო სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. იყენებენ ნედლს. კ. წ. კავკასიის ენდემია



კოლხური წვერა.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 4, თბ., 1973; Богуцкая Н., Насека А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

ნ. ნინუა.

კოლხური ხოხობი (Phasianus colchicus; Phasis – ფაზისი, მდ. რიონის ძვ. სახელწოდება), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მამლის მასა 1600 *გ* აღწევს, დედლისა – 800 *გ*. აქვს კარგად განვითარებული ფეხები, მოკლე მომრგვალებული ფრთები, გრძელი ბოლო (განსაკუთრებით მამალს). მამალს გალოზე დეზები აქვს და გამოირჩევა ძალიან ლამაზი მკვეთრი შეფერილობით. აღწერილია ჰ. ხ-ის მრავალი ქვესახეობა. გავრცელებულია უთოვლო ან მცირეთოვლიან და პალეარქტიკის სამხრ. ნაწილის რბილკლიმატიან ზოლში. აკლიმატიზებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საქართველოში წინათ გავრცელებული ყოფილა კოლხეთის დაბლობზე, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ჭალებში. ბევრგან კვლავ ინტენსიურად მრავლდება. ბინადრობს



კოლხური ხოხობი.

ჭალის ტყეებში, მცენარეულობით მდიდარ წყალსატევების სანაპირო დაბლობებზე, ზ. დ. 850 *მ*-მდე. ბუდეს იკეთებს მიწის პატარა ჩაღრმავებაში ხმელი ფოთლებითა და ბალახით. დებს 8–12, ზოგჯერ – 18 კვერცხს. ბუდეზე ზის მხოლოდ დედალი. ცუდად ფრენს. საშიშროების შემთხვევაში გარბის. იკვებება ძირითადად მცენარეულობით, უფრო სარეველათა თესლით, ნაყოფით, ვეგეტატიური ნაწილებით, აგრეთვე მწერებით.

მ. კუტუბიძე.

კოლხური ხრამული (Capoeta sieboldi; Steindachner, 1864), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822). სიგრძე 50 *სმ*-მდე, მასა 2,5 *კგ*. მტკნარი წყლის თევზია, უპირატესობას ანიჭებს მდინარის მდოვრე დინებას და დამდგარი წყალსატევების ქვაქვიშიან ადგილებს. საცხოვრებელ გარემოდ ირჩევს მდინარის ქვემო დინებას. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–4 წლის ასაკში. მრავლდება ივნისიდან სექტემბრამდე; ნაყოფიერება – 2000–30000 ქვირითამდე. იკვებება წყალმცენარეებით, დეტრიტით, ზოობენთოსით, წვრილი თევზებითა და ქვირითით. ბინადრობს დას. საქართვ. თითქმის ყველა მდინარეში (ჭოროხი, ჩაქვი, კინტრიში, ბზიფი, ფსოუ), ტბასა (პალიასტომი, შავნაბადა, ბებესირი, ამტყელი) და წყალსაცავში (ტყიბული, გუმათი და სხვ.), აგრეთვე თურქეთის წყლებში. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. შეტანილია საქართველოს ,,წითელ ნუსხაში''. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის მიერ



კოლხური ხრამული.

(IUCN) არ არის შეფასებული (NE). კავკასიის ენდემია.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Касимов А., Пресноводная фауна Кавказа, Баку, 1972; Эланидзе Р., Ихтиофауна рек и озер Грузии, Тб., 1983.

ნ. ნინუა.

კოლხური ჯონჯოლი (Staphylea colchica), ბუჩქი ან ტანდაბალი (5 *მ*-მდე) ხე ჯონჯოლისებრთა ოჯახისა. აქვს გრძელყუნწიანი, სამ- ან ხუთფოთოლაკიანი ფოთლები. გავრცელებულია ბალკანეთსა და მცირე აზიაში. საქართველოში ძირითადად კოლხეთში იზრდება. გვხვდება აგრეთვე ბანისხევში (ბორჯომთან). იზრდება ზ. დ. 700–800 *მ*-მდე, ტყის პირებზე, წაბლნარებსა და მუხნარებში ქვეტყედ. ზოგჯერ კულტივირებულია ბოტანიკურ ბაღებში (მაგ., თბილ. ბოტანიკურ ბაღში). ყვავილობს მაისში, მსხმოიარობს ივლისში. ჰ. ჯ-ის გაუშლელ ყვავილებს ამწნილებენ.

კომანდელი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში, მდ-ების – რიონისა და ჯეჯორის შესართავთან. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., სომიწო, სხიერი, ქორთა, ქრისტესი, ხირხონისი). ზ.დ. 880 *მ,* ონიდან 2 *კმ.* 55 მცხ. (2014).

ჰ. წერილობით წყაროებში პირველად ა. გიულდენშტედტთანაა დამოწმებული. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) რამდენიმე რუკაზე სოფელი გამყრელიძის სახელწოდებითაა დატანილი. ჰ-ში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ძალზე დაზიანებული ციხის ნანგრევები, რ-იც გამყრელიძეთა ციხე-დარბაზის ნაშთს წარმოადგენს.

თ. ბერაძე.

კომანდიტური საზოგადოება, სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც აერთიანებს ორი სახის პარტნიორს – კომპლემენტარს (სრული პარტნიორი) და კომანდიტს (შეზღუდული პარტნიორი). კომანდიტის პასუხისმგებლობა საზ-ბის კრედიტორების წინაშე არ შემოიფარგლება მხოლოდ საზ-ბის ქონებით, არამედ ვრცელდება კომპლემენტარის ქონებაზეც, იგი საზ-ბის ვალდებულებებზე კრედიტორთა წინაშე პასუხს არ აგებს. ჰ. ს-ის სამართლებრივი ფორმის ძირითად თავისებურებას სწორედ აღნიშნული ორი კატეგორიის პარტნიორის არსებობა და საზ-ბის ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის მითითებული წესი განსაზღვრავს. ჰ. ს. უძველესი სავაჭრო საზოგადოებაა. იგი ცნობილია თითქმის ყველა სამართლებრივი სასტემისთვის. საქართველოში მოწესრიგებულია „მეწარმეთა შესახებ'' კანონით, რ-ის თანახმად ჰ. ს-ს იურიდ. პირის სტატუსი აქვს და მისი პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდ. პირი. ჰ. ს. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზ-ბასთან (სპს) ერთად განეკუთვნება ამხანაგობის ტიპის (პერსონალურ) სამეწარმეო საზ-ბას, რ-ის მარტივი შიდაორგანიზაციული სტრუქტურის მართვის ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო (მმართველი პარტნიორი). ჰ. ს-ში მოქმედებს ფართო საწესდებო ავტონომია. ამ საზ-ბის პარტნიორებს ფართო უფლებები აქვთ, თუმცა კომანდიტის უფლებრივი მდგომარეობა კომპლემენტართან შედარებით შეზღუდულია (ძირითადად ხელმძღვანელობისა და ხმის უფლების ნაწილში). დაფუძნების სიმარტივე, მცირე კაპიტალით მეწარმეობის განხორციელების შესაძლებლობა, პარტნიორთა ფართო უფლებები, საზ-ბის საქმიანობაში კომპლემენტარის პირადი მონაწილეობის შესაძლებლობა, პარტნიორთათვის საზ-ბის საქმიანობის სრული გამჭვირვალობა, კომანდიტის პასუხისმგებლობის შეზღუდვა – ყოველივე ეს განაპირობებს ჰ. ს-ის მოქნილობასა და მიმზიდველობას. კომპლემენტართა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის გამო ჰ. ს-ს ნაკლებად შესწევს ფართომასშტაბიანი და გაბედული სამეწარმეო ოპერაციების შესრულების უნარი, ამიტომ იგი უფრო ხელსაყრელია მცირე მეწარმეობის განსახორციელებლად.

ჰ. ს-ის როგორც იურიდიული პირის განსაზღვრება, პირველად განმარტებულია საქართველოს რესპუბლიკის კანონით მეწარმეთა შესახებ (1994 წ. 28 ოქტომბრის რედაქცია).

წყარო: კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21–22, მ.455.

ლიტ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002.

ლ. ლაზარაშვილი.
მ. კლდიაშვილი.

კომანი, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ). იხ. *კამანი.*

კომაროვის სფინქსი (Rethera komarovi, Christoph, 1885), პეპელა სფინქსების (Sphingidae) ოჯახიდან. იშვიათი, შემცირებადი სახეობაა.



კოლხური ჯონჯოლი.

მსხვილი პეპელაა. წინა ხავერდისებრი ფრთების სიგრძეა 35–40 *მმ*. ფერი – მწვანე. შუაში აქვს გარდიგარდმო გადაჭიმული მოთეთრო ან კრემისფერი ზოლი და ასეთივე ფერის ცენტრ. წერტილი. ფრთის გარეთა კიდე მთავრდება მოიისფრო-მორუხო ბრტყელი სარტყლით. უკანა ფრთები წითურია და გარეთა კიდეზე მუქი-მწვანე ზოლი შეინიშნება. სხეული ხორციანია და შებუსვილი, ფერით – მუქი მწვანე; მოხატულია მო-



კომაროვის სფინქსი.

თეთრო ან კრემისფერი ზოლებით. პეპლის ფრთები და სხეული ქვედა მხრიდან ვარდისფერია. მშრალი ჰავის მოყვარული სახეობაა.

ჰ. ს. გავრცელებულია ბალკანეთის ტერიტორიაზე, თურქეთში, ირანში, ერაყში, ავღანეთში. ბინადრობს თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და სამხრ. კავკასიაში (გვხვდება ჰ. ს-ის ადგილ. ქვესახეობა Rethera komarovi rjabovi O. Bang– Haas, 1935), ჰ. ს. ირანულ-ავღანური წარმოშობის ამ გვარის ერთადერთი წარმომადგენელია კავკასიაში.

ფრაგმენტულად გვხვდება საქართველოს სამხრ.-აღმ. ნაწილში, მთასა და მთისწინეთის მშრალი ხეობების ქვა-ღორღიან ფერდობებზე. სახეობის რიცხოვნობა ამჟამად ძლიერ შეზღუდულია.


ჰ. ს. წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ფრენს შუაღამის შემდეგ, მთებში – კიდევ უფრო გვიან. მატლი ცხოვრობს რძიანაზე (Euphorbia), იჭუპრებს ნიადაგში და იქვე იზამთრებს.

საქართველო ამ სახეობის გავრცელების უკიდურესი ჩრდილოეთია, რაც თავისთავად განსაზღვრავს მის სიმცირეს ქვეყანაში, მაგრამ არანაკლებ ძლიერია ანთროპოგენული ფაქტორის უარყოფითი ზეგავლენა (ტიპური ბიოტოპების მოშლა სხვადასხვა მიზნით ტერიტორიის გამოყენებისათვის, საქონლის გადაჭარბებული ძოვება და ა. შ.), რასაც თან სდევს ისედაც მცირერიცხოვანი და ლოკალური პოპულაციების ზოგჯერ სრული განადგურება.

2006-იდან სახეობა შეტანილია საქართვ. „წითელ ნუსხაში“.

ლიტ.: დიდმანიძე ე., საქართველოს პეპლები. ენდემური, რელიქტური და იშვიათი სახეობები (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2005; Дидманидзе Э. А., Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии (Lepidoptera, Heterocera), Тб., 1978; Didmanidze E., Georgian Biodiversity Country Study Report., Tb., 1996; Romanoff M. N., Memoires sur les Lepidopteres, vol. 1–3, St.-Petersbourg, 1884–87.

ე. დიდმანიძე.



მ. კომახიძე.



ნ. კომახიძე.

კომახიძე დავით (დურსუნ) ხარიტონის ძე (8. V.1915, სოფ. აჭყვისთავი, ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, – 1.VIII.2006, ბათუმი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1989), აჭარის არ დამს. ინჟინერი. დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის არქიტექტურის ფაკ-ტი (1940). 1949–57 მუშაობდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთ. არქიტექტორის მოადგილედ, აჭარის კულტურის სამინისტროს მთ. ინჟინრად; 1957–62 – ბათუმის მთავარ არქიტექტორად; 1963–71 – აჭარის არ კომუნ. მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსად. 1962–91 იყო საქართვ. არქიტ. კავშირის აჭარის განყ-ბის, შემდეგ აჭარის ორგანიზაციის თავ-რე.

1971 ჰ-ის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართვ. არქიტ. კავშირის აჭარის ორგანიზაციასთან შეიქმნა შემოქმედებითი საპროექტო სახელოსნო „აჭარარქპროექტი“, გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ში.

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.

კომახიძე მამია ესედის ძე [12 (25). XI. 1906, ბათუმი, – 4. XI. 1980, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1971). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975) 1930 დაამთავრა თსსი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ა. *ნათიშვილთან*, გ. *მუხაძესთან*, ვ. ტონკოვთან, ს. იუდინთან.

1937–40 იყო აჭარის არ-ის ჯანდაცვის სახ. კომისარი, 1946–56 – საქართვ. მეცნ. აკად. ექსპ. მორფოლოგიის ინ-ტის ექსპ. ანატომიის განყ-ბის გამგე, 1960–80 – თსსი-ის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, 1961–71 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ქირურგი.

ჰ. იკვლევდა მიკროცირკულაციის პრობლემებს, მუცლის ღრუს ორგანოების ქირურგ. დაავადებათა კლინიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, პერიფერიული და ცენტრ. ნერვული სისტემის ტრავმულ დაზიანებას და სხვ.

1973–80 იყო საქართვ. ქირურგ. სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. მიღებული აქვს ი. თარხნიშვილის სახ. პრემია (1971) და სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი.

თხზ.: ჰოსპიტალური ქირურგია, ტ. 1–2, თბ., 1969–70; მუცლის ტრავმული დაზიანება, თბ., 1973 (თანაავტ.: თ. ახმეტელი, გ. ხომერიკი); Селезёнка, М., 1971; Опухоли кишечника, Тб., 1972 (თანაავტ.: Г. В. Хомерики).

კომახიძე ნოდარ ვლადიმერის ძე (15. VI. 1931, ახალციხე, – 31. I. 1997, თბილისი), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1991). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი თურქეთის ისტორიის განხრით. 1954–89 მუშაობდა ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. 1980–85 იყო საქართვ. საზ-ბა „ცოდნის“ გამგეობის თავ-რე, 1985–89 – საქ. კპ მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1989–92 – საქართვ. მინისტრთა საბჭოს საერთაშ. ურთიე-რთობის განყ-ბის გამგე, 1992–94 – პარლამენტის თავ-რის მთ. სახელმწ. მრჩეველი, 1961-იდან, შეთავსებით, – აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, განყ-ბის ხელმძღვანელი; 1990-იდან – საქართვ. – თურქ. საქმიანი ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტი, 1992-იდან – გაზ. „ხიდის“ მთ. რედაქტორი, 1994–97 – საქართვ. რესპ. პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპ-ში.

გამოქვეყნებული აქვს თურქეთის უახლესი ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, მ. შ. 5 მონოგრაფია.

კომახიძე როლანდ ახმედის ძე (30. VIII. 1954, სოფ. ზედა განთიადი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, – 20. VII. 2008, ბათუმი), ფილოლოგი (რუსისტი). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1966). 1971–74 სწავლობდა ბელგოროდის მ. ოლმინსკის სახ. პედ. ინ-ტში, 1974–1977 – ოდესის ი. მეჩნიკოვის სახ. სახელმწ. უნ-ტში. სხვადასხვა დროს მუშაობდა

რუს. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, 1982-იდან – ბათუმის პედ. ინ-ტში რუს. ენისა და ლიტ-რის კათედრაზე; 1985- იდან იყო იმავე კათედრის გამგე, 2004-იდან – ბათუმის თავისუფალ ხელოვნებათა და მეცნიერებათა ინ-ტის რექტორი, 2006-იდან გარდაცვალებამდე – სლავისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფერო იყო კულტურათაშორისი კომუნიკაცია; ტექსტისა და თარგმანის პრობლემები; ტექსტის პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა; სამეცნ.-ტექ. ტერმინების ფორმირება; საშ. სკოლაში რუს. ენის სწავლების სპეციფიკა და სხვ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა.

2005 პ. აირჩიეს ქ. სანქტ-პეტერბურგის სახელმწ. უნ-ტის საპატიო პროფესორად.

თხზ.: О формировании научной терминологии, Одесса, 1980; Выражение результативности в русском и грузинском языках, Тб., 1990; Двухязычные словари в Грузии: история перспективы русского языка в двухязычных словарях, Магдебург, 2005 (თანაავტ.).

კომბინატორიკა, კომბინატორული მათემატიკა, კომბინატორული ანალიზი, მათემატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ძირითადი (საბაზისო) სიმრავლის ელემენტების ამორჩევისა და განსაზღვრული წესის მიხედვით განლაგების ამოცანებს, ანუ კომბინატორული კონფიგურაციების არსებობას, მათი აგების ალგორითმებს, ასეთი ალგორითმების ოპტიმიზაციას, აგრეთვე მოცემული კლასის კომბინატორული კონფიგურაციების აღწერას, კერძოდ, მათი რაოდენობის განსაზღვრის ამოცანებს. ტერმინი „კ.“ დაამკვიდრა გ.ლაიბნიცმა (კომბინატორული ხელოვნება, 1666). ხშირად კ-ის ნაწილად მოიხსენიებენ გრაფების თეორიასაც. კ-ის უმარტივესი ამოცანებია, განისაზღვროს:

1. წყობათა რაოდენობა n ელემენტიდან m ელემენტად – რამდენი ხერხით შეიძლება ამოვარჩიოთ m ელემენტი n-ელემენტიანი სიმრავლიდან, ამორჩეული ელემენტების მიმდევრობის (განლაგების) გათვალისწინებით; წყობათა რაოდენობა გამოითვლება ფორმულით

$A_n^m=n(n-1)(n-2)...(n-m+1)==n!/(n-m)!$

2. გადანაცვლებათა რაოდენობა – რამდენი ხერხით შეიძლება დალაგდეს ერთმანეთისგან განსხვავებული n ელემენტი; გადანაცვლებათა რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$P_n=n(n-1)(n-2)...3\cdot2\cdot1=n!$

(იკითხება ,,n ფაქტორიალი‘‘).

3. ჯუფთებათა რაოდენობა n ელემენტიდან m ელემენტად – რამდენი ხერხით შეიძლება ამოვარჩიოთ m ელემენტი n-ელემენტიანი სიმრავლიდან, ამორჩეული ელემენტების მიმდევრობის (განლაგების) გაუთვალისწინებლად (ანუ m-ელემენტიანი ქვესიმრავლე n-ელემენტიანი სიმრავლიდან); ჯუფთებათა რაოდენობა გამოითვლება ფორმულით

$$C_n^m=\frac{n!}{m!\,(n-m)!}=\frac{n(n-1)\dots(n-m+1)}{(m-1)...3\cdot2\cdot1}$$

ზოგჯერ იყენებენ აღნიშვნას

$$C_n^m=\binom{n}{m}$$

ამ ძირითად კომბინატორულ სიდიდეთა შორის არსებობს შემდეგი კავშირი:

$$A_n^m=P_n\,C_n^m$$

მართებულია ასევე ფორმულა

$$(1+x)^n=\Sigma_{m=0}^{n}\,C_n^m x^m$$

რ-საც ხშირად ნიუტონის ბინომს უწოდებენ (ეს ფორმულა ნატურალური მაჩვენებლის შემთხვევაში ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. აღმოსავლეთის მათემატიკოსთათვის). თანამედროვე კ-ის ჩასახვასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბ. *პასკალს*, პ. ფერმას (1601–65, საფრ.), ი. ბერნულის (1655–1705, გერმ.), ლ. *ეილერს*. XX ს-ში ინტერესი კ-ის მიმართ მკვეთრად გაიზარდა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის შექმნასთან დაკავშირებით.

კ. ხშირად განიხილება როგორც *დისკრეტული მათემატიკის* ნაწილი. კ-ის მეთოდები ფართოდ გამოიყენება *ალბათობის თეორიაში*, *ალგებრაში*, კომბინატორულ გეომეტრიასა და მათ. სხვა დარგებში, *ინფორმატიკაში*, *სტატისტიკურ ფიზიკაში*, ქიმიაში, *გენეტიკაში*, ევოლუციის თეორიაში, *ეკონომეტრიკაში* და ა. შ. არსებობს კომბინატორული სიდიდეებისა და კ-ის მეთოდების განზოგადებები უწყვეტი და მრავალგანზომილებიანი სიმრავლეებისთვის და სხვ.

საქართველოში კ-ს იკვლევენ თსუ-ის ი. ვეკუას სახ. *გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა* და სტუ-ის *კიბერნეტიკის ინსტიტუტში*. აღსანიშნავია კვლევები კომბინატორულ გეომეტრიაში სასრულგანზომილებიანი ევკლიდური სივრცის ამოზნექილი სხეულებისა და დისკრეტული წერტილოვანი სისტემების შესახებ (ა. *ხარაზიშვილი*, გ. ნიჟარაძე, თ. საჭენიუკი, ე. ბალაძე, ტ. ჭაბუკიანი), სიმრავლეთა უსასრულო კ-ში (ა. ხარაზიშვილი, ა. ყიფიანი). საქართველოში კ-ის საფუძვლებს შეისწავლიან საბაზო განათლების ეტაპზე, ასევე უნ-ტებში, მ. შ. ქართველი ავტორების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით.

ლიტ.: გოგიშვილი გ., ვეფხვაძე თ., მებონია ი., ქურჩიშვილი ლ., გავიმეოროთ მათემატიკა, ნაწ. I, თბ., 2008; Виленкин Н. Я., Популярная комбинаторика, М., 1975; Сачков В. Н., Комбинаторные методы дискретной математики, М., 1977; Харазишвили А. Б., Элементы комбинаторной теории бесконечных множеств, Тб., 1981; მისივე, Введение в комбинаторную геометрию, Тб., 1983; Riordan J., An Introduction to Combinatorial Analysis, N.Y, 1958.

ა. ხარაზიშვილი.

კომბლე, ქართული ხალხური ზღაპრის ,,კომბლეს‘‘ პერსონაჟი. ხალხ. ეტიმოლოგიით, გმირს სახელი ეწოდა ხელობის (ამზადებდა კომბლებს) მიხედვით და მომდინარეობს სიტყვიდან ,,კომბალი‘‘.

არსებობს ზღაპრის მრავალი ვერსია, რ-შიც ასახულია უძველესი დროიდან მომდინარე ხალხ. ტრადიციები, სამეურნეო წეს-ჩვეულებები, აგრეთვე – ბატონყმური ურთიერთობები.

ზღაპრის სიუჟეტის მიხედვით მოქმედება დინამიკურად ვითარდება პერსონაჟების კონფლიქტის ფონზე. მისი ძირითადი იდეაა სიკეთის მარადიულობის რწმენის განმტკიცება ხალხში, რაც გმირის საბოლოო გამარჯვებაში აისახება. კ. გადაიქცა სოც. უთანასწორობის, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ პოპულარულ ხალხურ სახედ.

კომბოსტო (ლათ. Brassica), მცენარის გვარი ჯვაროსანთა ოჯახისა (ახლანდ. კლასიფიკაციით – Brassicaceae-ს ოჯახი). მიეკუთვნება ერთ-, ორ-, ან მრავალწლოვან მცენარეთა ჯგუფს. აქვს თითისტარისებრი ფესვი, სწორი ან ნახევრად წამოწეული დატოტვილი ღერო, მორიგეობით განლაგებული ფოთლები, ღერო და ფოთოლი შიშველი ან შებუსულია, ყვავილები – მტევნებად ან ფარებად შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები ყვითელია; თესლი – სფეროსებრი; ფერად მუქი მურა, მომიხაკისფრო, მოწითალო-მურა ან ყვითელია. კ-ს გვარში 100-ზე მეტი სახეობაა. სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და ხმელთაშუა-


თავიანი კომბოსტო.


ბრიუსელის კომბოსტო.


ყვავილოვანი კომბოსტო.

ზღვისპირეთი. ველური ფორმები გავრცელებულია ევრაზიაში. კულტ. სახეობებია: ბოსტნისა და საკვები კ., მიწამხალა, რაფსი, თალგამი, შალგი, მდოგვი და სხვ. ბოსტნისა და საკვები კ-ს ჯგუფში შედის ბოსტნის კ., ჩინური კ., პეკინური კ. კ-ს ყველა სახეობა, ყვავილოვანი და პეკინური კ-ს გარდა, ორწლიანი მცენარეა.

კ-ს იყენებენ ნედლად, ხარშავენ, შუშავენ, ამწნილებენ, ამარილებენ, აშრობენ, ყინავენ და სხვ. იგი შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინებს (C, B ჯგუფის და სხვ.). აქვს დიეტური და სამკურნ. თვისებები. კ. სსრკ-ში გვხვდებოდა ყველგან. სამეურნეო მნიშვნელობით გამოირჩეოდა თავიანი კ., რ-იც წარმოდგენილი იყო შემდეგი ჯიშებით. პირველი ნომერი, ოქროს ჰექტარი, ბელორუსული 455 და სხვ.

საქართველოში გავრცელებულია ხარისგულა, ღანირული ხარისგულა, დარუბანდული ადგილობრივი, გორული ბრაუნშვაიგი, ქართული (მესხური) ბერბუკულა და სხვ. საყუათო ნივთიერებების შემცველობით და საგემოვნო თვისებების მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ყვავილოვანი კ. მისი ჯიშებია: მოსკოვური საკონსერვო, სნეჟინკა, ადრეული, სამამულო და სხვ. კოლრაბის (ბოსტნის კ-ს სახესხვაობა) თალგამისებრად გამსხვილებულ ღეროს იყენებენ ნედლად, შემწვარს და მოშუშულს. მისი მსგავსია საქართველოში გავრცელებული კეჟერა კ., რ-იც მრავალნაირი ფორმით გვხვდება, განსაკუთრებით ქვეყნის სუბტროპიკულ ზონაში. ფოთლოვან კ-ს იყენებენ საკვებად და დეკორ. მცენარედ. იგი ზ. დ. 1800–2000 *მ* სიმაღლემდე ხარობს. ტენისა და სიგრილის მოყვარულია, გამოირჩევა ყინვაგამძლეობით. საქართველოს დაბლობში შემოდგომაზე დარგული კ. ადრეულ მოსავალს იძლევა. ხანმოკლე დროით დაუზიანებლად იტანს 15°C და უფრო დაბალ ტემპერატურასაც. ადვილად ხარობს ნოყიერ და კარგად დამუშავებულ ნიადაგზე. სახეობებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია თეთრთავიანი კ. სამომხმარებლო ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნა ყვავილოვან კ-სა და ბროკოლზე. ამჟამად საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოდის კ-ს შემდეგი ჰეტეროზისული ჰიბრიდები: თეთრთავიანი კ. [ჯეტოდორი (F_1), მიროორი (F_1), რეაქტორი (F_1), სოკრატესი (F_1), ნოვატორი (F_1), ზენონი (F_1), კარმა (F_1), სელმა (F_1) და სხვ]; ყვავილოვანი კ. [ნაუტილუსი (F_1), ბრიუსი (F_1), ამერიგო (F_1), კადილაკი (F_1) და სხვ.], ბროკოლი [სამურაი (F_1), არკადია (F_1), მონოპოლი (F_1), მონაკო (F_1) და სხვ.], პეკინის კ. [სპრინსკინი (F_1), სუპრინი (F_1), ჯანინი (F_1) და სხვ.].

კ-ს ჩითილით მოყვანა ყველაზე გავრცელებული წესია. ჩითილი გამოჰყავთ კვალსათბურში, ცივ და თბილ საჩითილეებში, ღია გრუნტზე.

კ-ს დაავადებებია: კ-ს შავფეხა, ალტერნარიოზი, ჭრაქი, ნაცრისფერი და თეთრი სიდამპლე.

ლიტ.: კვაჭაძე გ., მებოსტნეობა, თბ., 1965; ჯაფარიძე ვ., მებოსტნეობა, თბ., 2016;

გ. კვაჭაძე.
ვ. ჯაფარიძე.

კომედია (ბერძნ. kōmōdia<kōmos – მხიარული სვლა და – სიმღერა), *დრამის* ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ჟანრი. მისი თავისებურებაა ხასიათებისა და მდგომარეობის გამოსახვა კომიკური ფორმით. შინაარსის მიხედვით არსებობს კ-ის მრავალი სახეობა – ვოდევილიდან და ფარსიდან სერიოზულ სატირულ ან გროტესკულ კ-მდე. ამის შესაბამისად, კ-ს მრავალგვარი ემოციური ელფერი აქვს: იუმორის, ირონიის, სატირის, სარკაზმისა და სხვ. მრავალფეროვანია კ-ის მხატვრული გამოსახვის ხერხები, ხოლო იდეოლოგიური საფუძველია საზ-ბის მანკიერი თვისებებისა და უარყოფითი მხარეების მხილება, რაც, საბოლოოდ, პრობლემის ლუსტრაციას ისახავს მიზნად. თუმცა კ-თვის ჩვეულებრივია ცხოვრების სხვა მხარეების ჩვენებაც.

კ-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე არსებობდა მისი ორი ძირითადი სახის – ხასიათისა და მდგომარეობის – ურთიერთმონაცვლეობაცა და თანაარსებობაც, თუმცა გარკვეული მკაცრი ზღვარი ამ ორ ძირითად ფორმას შორის არ არსებობს.

კ-ის წარმოშობა უკავშირდება ღვინისა და მხიარულების ღმერთის – დიონისეს სადიდებლად გამართულ სადღესასწაულო წარმოდგენებს. ამ ჟანრის მთავარ ამოცანად არისტოფანე (კ-ის პირველი ბერძნული კლასიკური ნიმუშების ავტორი) ,,სიცილის აღძვრას'' მიიჩნევდა, თუმცა, მისივე აზრით, სასაცილო არ უნდა იყოს ნაჩვენები სერიოზულის გარეშე. საგულისხმოა, რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებით კ. ისეთი დრამ. ნაწარმოებია, რ-იც ესთეტ. სიამოვნებას აღძრავს სიცილის მეშვეობით. არსებობს ,,ხასიათისა'' და ,,ჩვეულებათა'' კ-ები. კ. ყოველთვის იყენებდა მარტივ სასაუბრო ენას, რაც გასაგები და იოლად აღსაქმელია საზ-ბის ნებისმიერი ფენისათვის.

XIX ს. 40-იანი წლებიდან საქართველოში გაჩნდა საზ-ბის ახალი ფენა (ვაჭრები და მევახშეები), რ-მაც გავლენა იქონია საზ. ურთიერთობებსა და ყოფა-ცხოვრებაზე. ქართ. ლიტ-რაშიც მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა – რომანტ. ჟანრებს (ლირიკა, პოეტური ეპოსი) ჩაენაცვლა თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემების ამსახველი ჟანრები, მ. შ. ყოფითი კ. 40-იანი წლების კ-ებში (ო. წერეთლის, გ. ავალიშვილის, ა. თუმანიშვილის და სხვათა პიესები) უპირატესობა მიენიჭა გარეგან კომიკურ ეფექტს. 50-იან წლებში გ. *ერისთავმა* დააარსა ქართ. პროფ. თეატრი და მანვე დაუდო სათავე ორიგინ. ქართ. კ-ს, რ-იც ქართ. დრამატურგიის წამყვან ჟანრად იქცა. აღსანიშნავია მისი კ-ები: ,,გაყრა'', ,,დავა'', ,,ძუნწი''; აგრეთვე ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში'', ,,მე მინდა კნეინა გავხდე'', ,,ქმარი ხუთი ცოლისა''. გ. ერისთავის კ-ებმა ხელი შეუწყო ამ ჟანრის შემდგომ განვითარებას; შეიქმნა ა. ცაგარლის კომედიები: ,,ხანუმა'', ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''.

XIX ს. 80-იანი წლებიდან კ-ების ერთ ნაწილში შესუსტდა (ფრანგული კომედიოგრაფიის გავლენით) მამხილებელი პათოსი და კ-მ წმინდა გასართობი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ვოდევილმა (რ. ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'', მ. ჯაფარიძის ,,ეჭვიანი ქმრები'', ა. მეიფარიანის ,,ქმრები გავაბათ მახეში'', ი. კერესელიძის ,,მკითხაობა ტფილისში'', დ. კასრაძის ,,იმერლების ახალი წელი'' და სხვ.).

XX ს. დასაწყისში, ზოგადად, ქართ. დრამატურგია ერთგვარ ჩიხში მოექცა. დრამატურგებმა ახ. ისტ. პროცესებს ალღო ვერ აუღეს და ხელახლა ამუშავებდნენ ძვ. თემებს, ინტენსიურად თარგმნიდნენ დას. ევრ. დრამატურგთა ნაწარმოებებს. ამიტომ კ-მ შეანელა განვითარების ტემპი. შემდეგ გაიზარდა ინტერესი საზ. და სოც. პროცესების მიმართ.

ქართ. კომედიური ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელია დ. *კლდიაშვილი,* მისთვის დამახასიათებელი ტრაგიკულისა და კომიკურის მონაცვლეობით, იშვიათად – მძაფრი, დაუნდობელი სატირით (,,დარისპანის გასაჭირი'', ,,ბაკულას ღორები''). 20-იან წლებში შეიქმნა ახ. პ-ის პირველი სერიოზული ნიმუში – შ. დადიანის ,,კაკალ გულში''. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისივე კომედიები: ,,შენი ჭირიმე'' და ,,გუშინდელნი'', რ-ებშიც მთავარი თემა, ძირითადად, სოც. და ყოფითი პრობლემების ასახვას, მათ უტრირებასა და გროტესკისა თუ სარკაზმის გამოყენებით მხილებას უკავშირდებოდა. თანდათან გამოიკვეთა სატირული ნაკადის ახ. ხაზი, რ-იც განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა პ. *კაკაბაძემ.* მისი კომედიები: ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ,,კოლმეურნის ქორწინება'', ,,დავით VIII'' (ანუ ,,კახაბერის ხმალი'') ქართ. პ-ის მნიშვნელოვანი შენაძენია.

XX ს. შუა წლებში დრამატურგიაში უპირატესობა რეალისტური და ჰეროიკული ხასიათის პიესებს მიენიჭა, თუმცა ამავე წლებში პ. ინტენსიურად ვითარდებოდა. შეიქმნა კომედიური პიესები: კ. *ბუაჩიძის* ,,ეზოში ავი ძაღლია'', ,,მკაცრი ქალიშვილები'', ,,ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე'', მ. ბარათაშვილის ,,მარინე'' (,,ჭრიჭინა''), გ. ქელბაქიანის ,,ახალგაზრდა მასწავლებელი'', რ. *თაბუკაშვილის* ,,რას იტყვის ხალხი''; ო. იოსელიანის ,,ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი'' და სხვ. ჭარბადაა გამოყენებული პირობით-გროტესკული ხერხები გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქაში''.

80–90-იან წლებში შეიქმნა საკმაოდ საინტერესო პიესები: თ. ჭილაძის ,,ნახვის დღე'', რ-იც სავსეა გროტესკული სახეებით, შეიცავს ფანტასტიკის ელემენტებსაც და აშკარაა კომიკური ხასიათის კონფლიქტი; რ. მიშველაძის კომედიური პიესა ,,გაღმა-გამოღმა'', რ. კლდიაშვილის ,,საპოვნელა'', ,,იადონას თეატრი'', შ. შამანაძის ,,ღია შუშაბანდი'' და სხვ.

XX ს. ბოლოს ქართ. მწერლობაში ჩნდება დრამატურგთა ახ. თაობა, რ-იც კომედიურ ჟანრს რამდენადმე განსხვავებული რაკურსით წარმოადგენს. აქტუალური ხდება კომედია-სატირა, რ-ითაც პიესებში თანამედროვე ყოფა პაროდიული ხერხებით აისახება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი. სამსონაძის პიესები (,,ტელეშოუ მიწისძვრის სინდრომით დაავადებულთათვის'', ,,აფრინდა ჭილყვავი, გადაიყრანტალა'', ,,ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი'', ,,დაბოლილი მთვარე'' და სხვ.). მათში ჩნდება აბსურდის, როგორც მიმდინარეობის, ერთგვარი გავლენა, რაც კიდევ უფრო თვალნათელი ხდება შემდეგი თაობის დრამატურგთა შემოქმედებაში. ლ. ბუღაძის, ბ. ჯანიკაშვილის, უფრო მოგვიანებით კი დ. გაბუნიას პიესები ავლენენ ერთგვარი აბსურდული პ-ის ნიშნებს. ლ. ბუღაძის პიესები (,,გაკვირვებული ტატიანა'', ,,სამი დაცემინების ამბავი'', ,,გოგის უხერხულობის ამბავი'', ,,მსოფლიოს უკანასკნელი ბებია'' ,,ნაფტალინი''და სხვ.) თითქმის აბსურდულ სიტუაციებზეა აგებული.

ბოლო ათწლეულში შექმნილი კომედიური ჟანრის პიესებიდან გამორჩეულია ბ. ჯანიკაშვილის ,,სულიკო'', დ. ტურაშვილის ,,შავი კედები'', ნ. მირზიაშვილის ,,მაცეკვე ტანგო'', დ. გაბუნიას ,,რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება'', ,,ლავინიას ყურები'', ,,თურქი ბიჭის, სეფიდენ ნესინის ცხოვრება და აღსასრული'', ,,ბეჩავი'' და სხვ. ეს ავტორები გარკვეულ ფონს ქმნიან თანამედროვე ქართ. პ-ის განვითარებაში.

ლიტ.: აბრამიშვილი მ., ძველი ქართული თეატრი, ქუთ., 1925; გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, [ნაწ.] 1–2, თბ., 1957–63; იოვაშვილი დ., ქართული კომედიის წარსული და აწმყო, თბ., 1978; ლომიძე გ., კომედიის ჟანრობრივი თავისებურებების პრობლემა, თბ., 1969; მჭედლიშვილი ს., კომედია დრამატურგიაში, თბ., 1998; ციციშვილი გ., ქართული საბჭოთა დრამატურგია, ნაწ. I, თბ., 1962.

გ. გულიაშვილი.
გ. ლომიძე.

კომენსკი იან ამოს (28. III. 1592, ნივნიცე, – 15. XI. 1670, ამსტერდამი), ჩეხი მოაზროვნე, ჰუმანისტი, პედაგოგი. „ჩეხ ძმათა'' პროტესტანტული სექტის (იან ჰუსის დემოკრ. იდეათა მემკვიდრე) წევრი. უმაღლესი განათლება მიიღო ჰერბორნის აკადემიასა და ჰაიდელბერგის უნ-ტებში. კათოლ. ეკლესიის მიერ სამშობლოდან დევნილი 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ევრ. სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ეწეოდა პედ. და საზ. მოღვაწეობას.

პ-მ პირველმა შექმნა დიდაქტიკის სისტემა და იღვწოდა სწავლების პროცესის სრულყოფისათვის, ამ მიზანს ემსახურებოდა მისივე ჩამოყალიბებული სწავლების პრინციპები (შეგნებულობა, თვალსაჩინოება, ცოდნის თანდათანობით სრულყოფილად დაუფლება). იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვალსაჩინოებას, მოსწავლეთა მიერ მოვლენათა ურთიერთკავშირის გაცნობიერებას და გმობდა გაუაზრებელ დაზუთხვას.

პ-მ წარმოადგინა ერთიანი სკოლის სტრუქტურა, რითაც დიდი გავლენა იქონია მსოფლიო პედაგოგიკისა და სასკოლო პრაქტ. განვითარებაზე; მრავალი მისი დიდაქტიკური მოსაზრება შესულია სწავლებისა და განათლების თანამედროვე თეორიაში. საქართველოში პ-ის სახელობის იყო თბილ. 24-ე საშ. სკოლა.

ლიტ.: ღოღობერიძე დ., იან ამოს კომენსკი, თბ., 1970 (M., 1970; Praha, 1972).

კომერციული ბანკი, საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბანკო ოპერაციებს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნება საანგარიშსწორებო, საგადახდო ოპერაციები, ანაბრების მოზიდვა, სესხების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საშუამავლო ოპერაციები. კ. ბ. წარმოადგენს საბანკო სისტემის მეორე დონეს (პირველი დონე – ცენტრ. ბანკი, იგივე ეროვნული ბანკი). კ. ბ-ის, როგორც ფინანს. შუამავლი, მთავარი დანიშნულებაა თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა და მათი განთავსება საკუთარი სახელით ფასიანობის, ვადიანობისა და დაბრუნებადობის პირობით. კ. ბ. აკუმულირებულ ფულად სახსრებს ანაწილებს ქვეყნის რეგიონებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის, რაც ხელს უწყობს ეკონ. ზრდას. დასახელება ,,კომერციული'' ნიშნავს, რომ ბანკის საქმიანობის მთავარი მიზანია მოგების მიღება. კ. ბ-ის ძირითადი შემოსავლებია: საბანკო მარჟა, (სხვაობა გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებსა და მიღებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) და საკომისიო გაწეული მომსახურებისათვის.

კ. ბ., როგორც წესი, უნივერსალურია – იგი ახორციელებს ყველა სახის საბანკო მომსახურებას, რაც მიეკუთვნება იურიდ. და ფიზ. პირების დაკრედიტება, სავალუტო ოპერაციები, ოპერაციები ძვირფასი ლითონებით, ოპერაციები

კომედიის თეატრალური ფესტივალი
საქართველოში 2014-იდან ტარდება კომედიის თეატრალური ფესტივალი

საფონდო და სავალუტო ბირჟებზე, ეკონომიკის სუბიექტების ანგარიშსწორებების განხორციელება, იპოთეკური დაკრედიტება და სხვ.

ჰ. ბ-ისაგან განსხვავებით არსებობს ბანკები, რ-ებიც სპეციალიზებული არიან ცალკეულ საბანკო მომსახურებაზე. ასეთებია: საინვესტიციო, იპოთეკური, შემნახველი, სავაჭრო, საკლირინგო ბანკები და სხვ.

საქართველოში ყველა კერძო ბანკი კომერციულია და საქართვ. ეროვნ. ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდ. პირია, რ-იც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით (თავისი სახელით) ახორციელებს საქართვ. კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას. ჰ. ბ-ის სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზ-ბა. მისი მართვა და საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართვ. კანონმდებლობისა და საბანკო სექტორის ზედამხედველობით საქართვ. ეროვნ. ბანკის ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. საქართვ. ეროვნ. ბანკის მიერ ჰ. ბ-ების ზედამხედველობა მოიცავს ლიცენზიების გაცემასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას. საქართვ. ჰ. ბ-ისათვის ნებადართულია შემდეგი სახის საქმიანობა: დეპოზიტების მოზიდვა, სესხების გაცემა, ფულადი საბუთების ყიდვა-გაყიდვა, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება, გადახდის საშუალებების გამოშვება და მიმოქცევაში გაშვება, საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე და სხვ.

ლიტ.: საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, თბ., 1996; საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, თბ., 2009.

ლ. ელიავა.

კომერციული საიდუმლოება, ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. იგი მოიცავს ინფორმაციას კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რ-იც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად და წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს და სხვ.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში ჰ. ს-ის სტატუსი მიანიჭოს იმ ინფორმაციას, რ-საც მისი წარმდგენი პირი ჰ. ს-დ მიიჩნევს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს მას ჰ. ს-დ, იგი იღებს გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციის ღიაობის თაობაზე და დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რ-ის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართვ. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის ჰ. ს-დ მიჩნევის საკითხი.

ჰ. ს-დ მიჩნეული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. იგი ღიად ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ მას აღარ აქვს ის ღირებულება, რ-ის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული.

ი. უჯმაჯურიძე.

კომეტები (ბერძნ. Kometēs – გრძელთმიანი, კუდიანი), მზის სისტემის სხეულები, ,,კუდიანი ვარსკვლავები'', რ-ებიც დროდადრო გამოჩნდებიან ცაზე ბუნდოვანი ობიექტების სახით და გადაადგილდებიან ვარსკვლავების მიმართ. თითოეულ მათგანს აქვს ,,თავი'' და ერთი ან რამდენიმე გრძელი ,,კუდი'' (იხ. სურათი). თავი შედგება მკვრივი ბირთვისა და მის ირგვლივ არსებული ატმოსფერული გარსისაგან – კომისაგან. კ-ის გამოჩენას განაპირობებს მცირე ზომის გაყინული სხეულების მიახლოება მზესთან. მზის სხივებით გახურების შედეგად ეს სხეულები გამოყოფენ აიროვან და მტვრის ნაწილაკებს, რ- თაგანაც იქმნება კ-ის ატმოსფერო (უკანასკნელი კ-ის ბირთვთან ერთად ქმნის თავს). კ-ის ბირთვიდან უწყვეტად მომდინარე მნათი აირი და მტვერი სინათლის წნევის გავლენისა და მზისიერ ქართან ურთიერთქმედების შედეგად გაიტყორცნება მზის საპირისპიროდ, რაც ერთ ან რამდენიმე კუდს წარმოქმნის.

კ-ის თავები და კუდები სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის წარმონაქმნებია. ბირთვის დიამეტრი არ აღემატება რამდენიმე ათეულ *კმ,* ზოგიერთი კ-სთვის კი – რამდენიმე *კმ.* თავის სიდიდე ზოგჯერ აღწევს 1 მლნ. *კმ,* კუდის – რამდენიმე ათეულ მლნ. *კმ.* კ-ის მასა უმნიშვნელოა და თითქმის მთლიანად ბირთვშია თავმოყრილი. ყველაზე დიდი კ-ის მასა მილიარდჯერ მაინცაა ნაკლები დედამიწის მასაზე. მასის მიხედვით კ-ს უკავია შუალედური მდგომარეობა მცირე ცთომილებსა და მეტეორიტებს შორის.

დადგენილია, რომ კ-ის ბირთვები შედგება წყლის ორთქლისა და გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ზოგიერთი სხვა ნაერთის (CO_2, NH_3 და სხვ.) და მტვრის ნარევისაგან.



კომეტა.

ამჟამად გამოთვლილია 600-ზე მეტი კ-ის ორბიტა. აქედან პერიოდულია ≈200, დანარჩენები პარაბოლურ ან ჰიპერბოლურ ორბიტებზე მოძრაობენ, ე. ი. მზის სისტემის ფარგლებს სამუდამოდ დატოვებენ. საერთოდ კი მზის სისტემაში კ-ის სრული რაოდენობა ასეულ მილიარდამდეა, მაგრამ უმრავლესობა მიუწვდომელია დაკვირვებისათვის.

რუს. ასტრ. ს. ვსეხსვიატსკის ჰიპოთეზის მიხედვით, კ. დიდ პლანეტებსა და მათ თანამგზავრებზე მძლავრ ვულკანურ ამოფრქვევათა შედეგია. ჰოლანდ. ასტრ. ი. ოორტს კი მიაჩნია, რომ ამჟამად დამზერილი კ. შემოიჭრებიან მზის მახლობლობაში გიგანტური კომეტური ღრუბლიდან, რ-იც გარს არტყია მზის სისტემას და ვრცელდება 150 ათ. ა. ე-ზე.

1939 ი. ტარასაშვილმა გამოიკვლია კ -ის მოძრაობა. მან შეისწავლა კ-ის მოძრაობა მზის სისტემის განაპირა უბნებში და უჩვენა, რომ

პ-ის მზესთან მიახლოებისას დიდი პლანეტების მიზიდულობის ძალის მოქმედებით ხდება მათი მოძრაობის შეშფოთება და უმრავლეს შემთხვევაში ელიფსური ორბიტების ჰიპერბოლურ ორბიტებად გარდაქმნა. მაშასადამე, პ. თავდაპირველად მზის სისტემის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გ. *თევზაძემ* 1942 აღმოაჩინა ორი ახალი პ. (იხ. *სტეფან-ოტერმას კომეტა*).

ლიტ.: ხარაძე ე., ასტრონომიის საფუძვლები, ტ. 2, თბ., 1991; ჯაფიაშვილი ვ., რა ვიცით კომეტების შესახებ, ასტრონომიული კალენდარი, 1965, თბ., 1964.

ვ. ჯაფიაშვილი.

კომიტეტი საპარლამენტო, საპარლამენტო კომიტეტი, რომლის მეშვეობით საქართველოს პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების კონტროლს. კომიტეტის საქმიანობის მიმართულებები და უფლებამოსილებები, აგრეთვე მისი მუშაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრება კომიტეტის დებულებით. პ. ს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და პარლამენტის სხდომაზე განსახილველად ამზადებს საკანონმდებლო აქტებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს, მონაწილეობს პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტების განხილვაში, აკონტროლებს საკანონმდებლო აქტების შესრულებას, აანალიზებს სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად იღებს შესაბამის ზომებს.

პარლამენტის სასესიო პერიოდში უნდა გაიმართოს კომიტეტის არანაკლებ 2 სხდომა, პ-ის სხდომები საჯაროა და გადაიცემა პირდაპირი ტრანსლაციით. კომიტეტის სხდომა შეიძლება დაიხუროს, მაგრამ მისი დახურვა დაუშვებელია კანონპროექტის განხილვის დროს. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. სათათბირო ხმის უფლებით სხდომაზე დასწრება შეუძლიათ პარლამენტის წევრებს, რ-ებიც არ შედიან მის შემადგენლობაში, აგრეთვე საქართვ. მთავრობის წევრებს და მოწვეულ პირებს. კომიტეტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

დღეისათვის პარლამენტში 16 კომიტეტია. მათი რიცხვი ან დასახელება შეიძლება შეიცვალოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებით.

პარლამენტარი ვალდებულია იყოს არაუმეტეს ორი რომელიმე კომიტეტის წევრი; კომიტეტის სრული შემადგენლობა განისაზღვრება 10 კაცით. კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე, პირველი მოადგილე და მოადგილეები. პ. ს-ს თავმჯდომარეები შედიან პარლამენტის ბიუროს – პარლამენტის მუშაობის ორგანიზებისთვის შექმნილი ორგანოს შემადგენლობაში.

წყარო: საქართველოს 24.08.1995 წ. კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის 06.12.2018 წ. რეგლამენტი.

ი. უჯმაჯურიძე.

კომკავშირი, იხ. *საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.*

კომლი, იხ. სტ. *მახტა.*

კომლი, ცალკე ოჯახი, მოსახლე. ტერმ. მომდინარეობს ,,კვამლისაგან''. ფეოდ. ხანაში პ. (,,კვამლი'') ეწოდებოდა გლეხის, აზნაურის, თავადის ოჯახს, საცხოვრებელ სახლს, კერას, დამხმარე ნაგებობებს, მიწას, ფუძეს. იხ. აგრეთვე სტ. საკომლო.

კომნენოსები (Komnenoi), ბიზანტიის იმპერატორთა დინასტია (1057–59, 1081–1185). დამფუძნებელია *ალექსი I კომნენოსი* (იმპ. 1081-იდან) სავარაუდოდ, წარმოშობით მცირეაზიელ მსხვილ ფეოდალთა წრიდან იყვნენ და გამოხატავდნენ პროვინციელი ფეოდალების ინტერესებს. პ-ის მიერ გატარებულ ღონისძიებათა წყალობით განმტკიცდა ფეოდ. ინ-ტები, გაძახალისდა ადმ. მმართველობა, მოხდა საზღვაო ფლოტის მართვის ცენტრალიზაცია, ჩატარდა სამხ. რეფორმა – ფეოდ. ლაშქარი შეიცვალა ძირითადად უცხოელი დაქირავებული რაზმებით, ეკლესია, ფაქტობრივად, იმპერატორს დაემორჩილა. პ-ს საკმაო წარმატება ჰქონდათ საგარეო პოლიტიკაშიც: შეაჩერეს სელჩუკთა შემოტევა, შემოიერთეს ბალკანეთის ნ. პ-ის ჩრდ. ნაწილი, მთელი რიგი ოლქები მცირე აზიაში, დიდი პრივილეგიები მიანიჭეს ლათინებს, რამაც საერთო აღშფოთება გამოიწვია. განსაკუთრებით გამწვავდა ბიზანტიის საშინაო ვითარება ანდრონიკე I-ის დროს, რ-იც 1185 ავჯანყებულებმა გადააყენეს. ხელისუფლება გადავიდა ანგელოსთა დინასტიის ხელში. ანდრონიკე I-ის გარდაცვალების შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილები ალექსი [იხ. *ალექსი I კომნენოსი* (1204–22)] და დავითი საქართველოში გახიზნეს. ისინი თამარ მეფის (ნათესავები იყვნენ დედის მხრიდან) კარზე აღიზარდნენ ქართ. ტრადიციებით. 1204 მათ თამარ მეფის დახმარებით ხელთ იგდეს ძალაუფლება მცირე აზიის ზღვისპირა რ-ნში, სადაც ძველთაგანვე ქართვ. ტომები ცხოვრობდნენ და დააარსეს *ტრაპიზონის იმპერია*, რ-საც ანდრონიკე I-ის შთამომავალნი 1204–1461 ,,დიდი კომნენოსების'' სახელით მართავდნენ.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

ლ. მანიავა.

კომოშვილი გრიგოლ იორდანეს ძე (17. XI. 1925, თბილისი, – 29. IX. 1993, სოხუმი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1980). 1948-იდან მუშაობა დაიწყო სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. 1971–78 იყო აფხაზეთის ასსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე, ხოლო 1978–90 – თავრე. დაიღუპა აფხაზეთის (1992–93) ომში.

კომპანიონი იოსებ ანტონის ძე [1(13). IX. 1884, ქუთაისი, – 19. III. 1947, თბილისი], ინჟინერ-მექანიკოსი, პროფესორი, საქართველოში უმაღლესი სამთო-ტექ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1910 დაამთავრა ლეობენის სამთო აკადემია (ავსტრია), 1914 – პეტერბ. პოლიტექ. ინ-ტის მეტალ. ფაკ-ტი. 1918 დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა დას. საქართველოს მრეწვ. ინსპექტორად, ჭიათურის მანგანუმის საბადოებზე, შემდეგ კი – თბილისში, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში. პარალელურად მოღვაწეობდა კავკასიის მინერ. ნედლეულის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. ხელმძღვანელობდა გეოლ.-საძიებო ექსპედიციებს. დიდი წვლილი მიუძღვის ლოპოტის მარმარილოს საბადოს ძიებისა და მისი საექსპლუატაციოდ მომზადების საქმეში. 1928-იდან მუშაობდა სპი-ში. პ-მა პირველმა მეცნიერულად დაასაბუთა საქართვ. მთაგორიანი რ-ნებისათვის ბაგირგზების განვითარების აუცილებლობა; თეორიულად გამოიკვლია ბაგირების

გაანგარიშების საკითხები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კ. ბარამიძე.

კომპიუტერი (ინგლ. computer, ლათ. computo – გაანგარიშება, გამოთვლა), ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციის უარუნველმყოფელი ხელსაწყო, რომლის მოქმედება იმართება სპეციალური პროგრამების მეშვეობით.

ტერმინი ,,კ.'' პირველად გამოიყენა ინგლ. მეცნიერმა და ენციკლოპედისტმა ტ. ბრაუნმა 1646. მან ასე უწოდა ადამიანს, რ-იც პროფესიურად აწარმოებდა გამოთვლებს. ამ ტერმინს იყენებდნენ ბრიტანეთსა და აშშ-ში XX ს. 50-იან წლებამდე. ზოგჯერ არსებულ მარტივ მექანიკ. გამომთვლელ ხელსაწყოებს კ-ს, უფრო ხშირად მათ კალკულატორებს უწოდებდნენ.

XX ს. 50-იიანი წლებიდან დაიწყო ელექტრონული გამოთვლითი მანქანების (ეგმ) ფართო გამოყენება სხვადასხვა ამოცანის ამოხსნისათვის. ასეთ ეგმ-ებსაც ინგლ. ენაზე, კ-ს უწოდებდნენ; დროთა განმავლობაში ეს ტერმინი დამკვიდრდა მრავალ ენაში, მ. შ. ქართულში.

XXI ს. დასაწყისში მოხდა კ-ს რამდენიმე თაობის ურთიერთჩანაცვლება. გაჩნდა მრავალი პროგრამული ენა, გაიზარდა კ-ების მეხსიერების მოცულობა და ოპერაციების შესრულების სისწრაფე. გამოივეთა მძლავრი, ე. წ. სუპერკომპიუტერის საჭიროება. კ. CDC-6600 (1964), რ-საც ხშირად პირველ სუპერკომპიუტერს უწოდებენ, ასრულებდა 10 მლნ. ოპერაცია/წმ, ხოლო 2008 წელს კომპანია IBM-მა შექმნა სუპერკომპიუტერი Roadrunner, რ-იც ასრულებს 1 კვადრილიონ (1000 ტრილიონ) ოპერაციას წამში. XX ს. 70-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა მიკროკომპიუტერის ცნება. ასეთ კ-ებში ცენტრ. პროცესორი ინტეგრალურ სქემაზე აგებულ ერთიან მოწყობილობას (მიკროპროცესორს) წარმოადგენს. კ-ები შეიძლება იყოს არა ელექტრონული, ამჟამად არსებობს კვანტური და ოპტიკური კ-ებიც. XXI ს. დასაწყისიდან ინტენსიური კვლევები ბიოლოგიური კ-ების შესაქმნელად, რ-იც დაფუძნებული იქნება ცოცხალი უჯრედების, ბიომოლეკულების, ვირუსების და სხვ. ურთიერთქმედებაზე. 2006 წელს კოლუმბიის უნ-ტში (აშშ) შეიქმნა უმარტივესი დნმ-კომპიუტერის პროტოტიპი MAYA-II, რ-იც წარმატებით ეჯიბრებოდა ,,ჯვრები-ნულების'' თამაშში აღამიანს. სულ უფრო ხშირად კ-ში სწორედ პერსონალურ კ-ს გულისხმობენ. აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული პორტატული კ-ები (ე.წ. ნოუთბუკები, პლანშეტები), სამუშაო სადგურები, სერვერები და სხვ.

XX–XXI სს. მიჯნაზე კ. გახდა მნიშვნელოვანი სოც. და კულტურული ფენომენი. წარმოება, კავშირგაბმულობა, საბანკო საქმე, განათლება, კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ყოფა-ცხოვრება და ა. შ. მათში კომპიუტერული ტექნოლოგიების (მ. შ. კომპიუტერული ქსელების) დანერგვამ რადიკალური ცვლილებები შეიტანა. კ. გახდა სოციალური (მ. შ. შრომითი) ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფაქტორი, იგი ასრულებს განმსაზღვრელ როლს განათლების (სწავლების დისტანციური და სხვა ფორმები), სამეცნიერო ინფორმაციის (ინტერნეტში ამჟმად განთავსებულია სამეცნ. ჟურნალების ციფრული ვერსიები XVII ს-იდან დღემდე), მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა ლიტერატურის (აქ მასშტაბურობით გამოირჩევა პროექტები Gutenberg, Internet Archive, Google books და სხვ.), ასევე ვირტუალური მუზეუმები, ვირტუალური ექსკურსიების და სხვ. საყოველთაო წვდომაში.

საქართველოში პირველი გამოთვლითი მანქანა (გმ) შექმნა გ. *ნიკოლაძემ.* 1927–30 მან დაამუშავა მსოფლიოში პირველი ელექტრული არითმომეტრი, რ-საც საფუძვლად დაედო ელექტრომაგნიტური ბმების პრინციპი.

1960 საქართვ. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტში (ამჟამად მართვის სისტემების ინ-ტი) აიგო უნივერსალური გმ „დელისი'' (დ. გრიგორაშვილი). XX ს. 50-იანი წლების ბოლოდან თბილისის სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ელვაში'' იქმნება სხვადასხვა დანიშნულების სპეციალიზებული გმები (ი. მიქაძე).

სსრკ მეცნ. აკად. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტში (ამჟამად მართვის პრობლემების ინ-ტი) აკად. ი. *ფრანგიშვილმა* დიდი წვლილი შეიტანა მრავალპროცესორული ცვლადსტრუქტურიანი მმართველ-გამოთვლითი სისტემების ახ. კლასის დამუშავებაში. ისინი პრობლემურად ორიენტირებული მაღალმწარმოებლური სისტემებია, რ-თა გამოშვება აითვისა თბილისის სამეცნ. საწარმოო გაერთიანება „ელვამ''.

პირველი ელექტრონული გ. მ. საქართველოში ამუშავდა 1958 საქართვ. მეცნ. აკად. გამოთვლით ცენტრში (ამჟამად ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტი). ამჟამად საქართველოში სახელმწ. და კერძო სექტორში შექნილია თანამედროვე კ-ებით აღჭურვილი ქსელები.

კომპარტია, იხ. სტ. *საქართველოს კომუნისტური პარტია.*

კომპიუტერული სპორტი, კიბერსპორტი, გუნდური ან ინდივიდუალური შეჯიბრება ვიდეოთამაშებში. წარმოადგენს რამდენიმე დისციპლინას (სტრატეგია; სპორტული, საბრძოლო, რბოლის სიმულატორები და ავიასიმულატორი, გუნდური თამაში და ა. შ.). გათამაშებული საპრიზო ფონდი ზოგჯერ რამდენიმე *მლნ.* დოლარს აღწევს. შეჯიბრებათა ტრანსლაცია ხდება პირდაპირ ეთერში ინტერნეტით და მას თვალყურს ადევნებს მრავალმილიონიანი აუდიტორია. კიბერსპორტსმენთა I ლიგა შეიქმნა 1997 (Cyberathlete Professional League). 2013 აშშ-ში კ. ს. აღიარეს სპორტის სახეობად, მისი მოთამაშეები კი – სპორტსმენებად. კ. ს. შეჯიბრებები ტარდება მთელ მსოფლიოში. ყველაზე მნიშვნელოვანია ,,მსოფლიო კიბერ. თამაშები'' (World Cyber Games), ასევე ,,პროფესიული ლიგის'' (Cyberathlete Professional League) და ,,ელექტრონული სპორტის ლიგის'' (Electronic Sports League) შეჯიბრება. ზოგიერთი შეჯიბრება ტარდება თვით ვიდეოთამაშების მწარმოებელი კომპანიების მიერ.

პროფესიონალი მოთამაშეების შემოსავლის ძირითადი წყარო არის საპრიზო ფონდი და ხელფასი.

კ. ს-ის საერთაშ. ფედერაცია (International e-Sports Federation) შეიქმნა 2008. იგი აერთიანებს 54 ქვეყნის ფედერაციას და ატარებს მსოფლიო ჩემპიონატს.

2016 შეიქმნა კიბერსპორტის მსოფლიო ასოციაცია (World Esports Association), 2020 კი – ევროპის ელექტრონული სპორტის ფედერაცია, – ,,Esports Europa'', რ-ის ერთერთი დამფუძნებელიც გახლავთ საქართვ. კომპიუტერული სპორტის ფედერაცია.

საქართველოში კ. ს-ის ფედერაცია დაარსდა 2002 (დამფუძნებელი და ფედერაციის პრე-

ზიდენტი დ. ჩოგოვაძე). ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა მსოფლიო კიბეროლიმპიადების 8, მსოფლიო ჩემპიონატების 6 და ევროპის პირველობის 2 შესარჩევი ტურნირი. საქართვ. წარმომადგენლები 17-ჯერ გავიდნენ მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე. საქართვ. ფედერაციამ ჩაატარა 10 ჩემპიონატი (ფედერაციის თასი, საქართველოს ლიგა), სამი სასკოლო ოლიმპიადა, კიბერუნივერსიადა და ასამდე საკლუბო ჩემპიონატი.

დ. ჩოგოვაძე.

კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი, კომპოზიტორებისა და მუსიკისმცოდნეების ნებაყოფლობითი საზოგადოებრივ-შემოქმედებითი გაერთიანება. დაარსდა სსრკ-ში 1932 წ. 23 აპრილს, შემდეგ ორგანიზაციები შეიქმნა სსრკ-ის ყველა რესპუბლიკაში, ცალკეულ დიდ ქალაქებსა და საოლქო ცენტრებში. 1948 გამართულ კომპოზიტორთა კავშირის ყრილობაზე მიიღეს წესდება, რ-ის დეკლარირებული ამოცანა იყო სოციალ. რეალიზმზე დაფუძნებული მაღალიდეური ნაწარმოებების შესაქმნელად შემოქმედებითი პროცესების მართვა, კავშირის წევრების იდეურ-პოლიტ. აღზრდა, მათ შემოქმედებით ზრდასა და პროფ. დაოსტატებაზე ზრუნვა. რეალურად კი ასეთი შემოქმედებითი კავშირები საბჭოთა სისტემისათვის წარმოადგენდა ერთგვარ ბერკეტს შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეოლოგიური მართვისა და მასზე კონტროლის დასაწესებლად. კომპოზიტორთა კავშირებთან დაარსდა მუს. ფონდი, რ-იც უზრუნველყოფდა კავშირის წევრთა ნაწარმოებების გამოცემას. ასევე დაარსდა ბეჭდვითი ორგანოები ჟურნალების სახით („Советская музыка“, „Музыкальная жизнь“). დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) კი მოხდა საქ. სსრ „კომპოზიტორთა კავშირის“ და მისი ქვემდებარე ორგანიზაციების რეორგანიზაცია. 1992 დაფუძნდა მისი უფლებამონაცვლე ორგანიზაცია – საქართვ. კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირი, რ-იც 2004-იდან რეგისტრირებულია საქართვ. კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის სახელწოდებით (იხ. აგრეთვე *საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი*). იგი გათავისუფლდა საბჭ. იდეოლოგიის კონტროლისგან. მას შემდეგ კომპოზიტორთა კავშირის ამოცანაა ქართ. პროფ. მუსიკის განვითარების ხელშეწყობა, ქართვ. კომპოზიტორთა ახალი და ჯერ კიდევ გამოუცემელი ნაწარმოებების შესრულებისა და გამოქვეყნების უზრუნველყოფა, მუსიკისმცოდნეთა ნაშრომების გამოცემა, ნიჭიერ კომპოზიტორთა მხარდაჭერა, ფესტივალების, კონცერტების, კონკურსების, კონფერენციების გამართვა და სხვ. მასვე ექვემდებარება შპს „მუსიკალური ფონდი“ (მუს. ფონდი), ჟურნ. „მუსიკა“, საერთაშ. მუს. საინფორმაც. ცენტრი (IAMIC).



კომპოზიტორთა სახლი. 1982. ბორჯომი.

სხვადასხვა დროს კავშირის თავ-რეები იყვნენ დ. არაყიშვილი (პირვ. თავ-რე 1932–34), ი. ტუსკია (1935–37), გ. კილაძე (1937–38), ი. (ვანო) გოკიელი (1938–42), შ. მშველიძე (1942–50), გ. კოკელაძე (1950–52), ა. ბალანჩივაძე (1953–62, 1968–73), ო. თაქთაქიშვილი (1962), ა. მაჭავარიანი (1962–68), გ. ორჯონიკიძე (1973–84), ს. ცინცაძე (1984–90), ნ. მამისაშვილი (1990–92), ს. ნასიძე (1992–96), ნ. გაბუნია (1996–97), ვ. აზარაშვილი (1997–2008), კ. ცაბაძე (2008–17); 2017-იდან ჯ. შ. ჯ-ის ხელმძღვანელია გ. შავერზაშვილი.

კავშირის პერიოდული ბეჭდვითი ორგანოებია: პირველი ქართულენოვანი გაზ. ,,მუსიკა'' (1991–2000), ჟურნალები: „მუსიკალური საქართველო'' (2004–08), «Грузия музыкальная» (საქართვ. მუს. საინფ. ცენტრის ორგანო), ,,მუსიკა'' (2008-იდან).

ნ. მესხი.

კომპოზიცია საჭადრაკო (composition – შედგენა, შეერთება), საჭადრაკო ხელოვნების დარგი, რომლის დანიშნულებაა ხელოვნურად შექმნილი პოზიციების საშუალებით, მაქსიმალურად ეკონომიური ფორმით აჩვენოს საჭადრაკო კომბინაციებისა და იდეების სიღრმე და სილამაზე. ჯ. პრაქტიკული ჭადრაკის წიაღში წარმოიშვა.

არსებობს ჯ-ის ორი სახეობა: ეტიუდი და ამოცანა. ეტიუდი ხელოვნურად შექმნილი პოზიციაა, რ-შიც თეთრები იგებენ ან ყაიმს აღწევენ იმ პირობით, რომ ორივე მხარე აკეთებს საუკეთესო სვლებს. აუცილებელი პირობაა საწყისი პოზიციის ლეგიტიმურობა და მიზნის მისაღწევი სვლების ერთადერთობა. შინაარსის მიხედვით ეტიუდი ორგვარია: ანალიტიკური და მხატვრული (მნიშვნელობა ენიჭება კომბინაციის სილამაზეს და იდეის ორიგინალურობას). ამოცანაც ხელოვნურად შექმნილი პოზიციაა, რ-შიც თეთრები სვლების წინასწარ დადგენილი რაოდენობით აშამათებენ შავების მეფეს. არსებობს ორ-, სამ- და მრავალსვლიანი ამოცანები და ე. წ. ზღაპრული ჯ-ც. მ. შ. ყველაზე პოპულარულია თვითშამათისა და კოოპერაციული ამოცანები. თვითშამათის ამოცანებში თეთრები ერთადერთი სვლით აიძულებენ შავებს თეთრების მეფის დაშამათებას. კოოპერაციულ ამოცანებში პირველ სვლას აკეთებენ შავები და ისინი ეხმარებიან

თეთრებს, რათა სვლების წინასწარ დადგენილი რაოდენობით დაშამათდეს შავების მეფე.

საქართველოში პ-ის ისტორია იწყება 1893-იდან. ამ წელს ფარმაციის მაგისტრმა ი. ტყეშელაშვილმა გამოაქვეყნა ორსვლიანი ამოცანა. საბჭოთა პერიოდში საჭადრაკო ამოცანების განვითარება ა. *დობორჯგინიძის* სახელთანაა დაკავშირებული. ამ მიმართულებით საერთაშ. და საკავშ. კონკურსებზე წარმატებით მონაწილეობდნენ ი. *კრიხელი*, ო. ტაბიძე, ვ. სავჩენკო, შ. სუხიტაშვილი, ჯ. მახათაძე, რ. თავარაიანი, ი. შოსტი, ვ. დადიანიძე, გ. მოსიაშვილი, გ. კაკაბაძე და სხვები. მ. შ. ი. კრიხელი და ვ. სავჩენკო საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ მრავალსვლიანი ამოცანების განყოფილებაში.

საქართველოში საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებელია გ. *ნადარეიშვილი*. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ გ. ნადარეიშვილი, დ. *გურგენიძე* (ორჯერ) და ვ. ნეიძე. კონკურსებში წარმატებით მონაწილეობდნენ ვ. კალანდაძე, ი. აკობია, ე. კვეზერელი და მ. გოგბერაშვილი.



გაზეთი ,,კომუნისტი‘‘.

1956 ფიდეში შეიქმნა პ-ის მუდმივმოქმედი კომისია. დაწესდა პ-ში საერთაშ. დიდოსტატის, საერთაშ. ოსტატისა და საერთაშ. არბიტრის წოდება.

საქართველოდან საერთაშ. დიდოსტატები გახდნენ: გ. ნადარეიშვილი (1980), ი. კრიხელი (1984) და დ. გურგენიძე (1990); საერთაშ. ოსტატები – ი. აკობია, ვ. კალანდაძე, გ. მოსიაშვილი და ვ. ნეიძე.1997-იდან იმართება მსოფლიო ჩემპიონატები. საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში დ. გურგენიძე ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ორჯერ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

საქართველოში – თბილისსა (1975) და ბათუმში (2013) – გაიმართა საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიო კონგრესი.

დ. გურგენიძე.

კომუნარების ბალი, იხ. *ცხრა აპრილის ბაღი.*

კომუნიზმი (ლათ. communis, – საერთო, საყოველთაო), სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-იდეოლოგიური დოქტრინა და პოლიტიკური მოძრაობა, რ-იც აღიარებს საკუთრების საერთო მფლობელობის უპირატესობას კერძო საკუთრებასთან მიმართებით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ პ-ის სხვადასხვა ტიპს (ქრისტიანული, აგრარული, უტოპიური, ანარქისტული, მარქსისტული და სხვ.). კომუნისტური აზროვნების საწყისად ითვლება თომას მორის „უტოპია“ (1516). XVII ს. ინგლისში დიგერების სახელით ცნობილი პურიტანული რელიგიური ჯგუფი მოითხოვდა მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას. კერძო საკუთრების კრიტიკის იდეა გაგრძელდა XVIII ს-ში (ჟ.- ჟ. რუსო). მოგვიანებით, პ. ჩამოყალიბდა უტოპისტ სოციალისტთა პოლიტ. დოქტრინად (რ. ოუენი, შ. ფურიე, ს. სიმონი). ამის საპირისპიროდ კ. მარქსი, ფ. ენგელსთან ერთად, ავითარებს „მეცნიერული სოციალიზმის“ იდეას. იგი 1844 „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ ცდილობს დაადგინოს კაპიტალიზმის, როგორც გადაგვარებული წყობის არსი, რ-იც საკუთრივ კერძო საკუთრების ფაქტიდან გამომდინარეობს. ამის საფუძველზე მან დაადგინა შრომითი გაუცხოების ფაქტი, რ-იც ადამიანის საკუთარ თავთან გაუცხოების აქტად გარდაისახება. საბოლოო ჯამში, მარქსი გამოყოფს გაუცხოების ოთხ ფორმას, კერძოდ, ადამიანის გაუცხოებას: 1. შრომის პროცესისგან; 2. მის მიერ ნაწარმოები პროდუქტისგან; 3. საკუთარი არსებისგან; 4. თავად ადამიანისგან. აქედან გამომდინარე, მარქსი აკეთებს დასკვნას პ-ის ჰუმანიტარულ ასპექტზე. მისი აზრით, პ. არის უარყოფის უარყოფის პოზიცია. ის აუცილებელია ადამიანთა ემანსიპაციის პროცესში ისტ. განვითარების უახლოესი ეტაპისთვის. პ. ბოლო საზ.-ეკონ. ფორმაციაა, რ-საც უნდა მოჰყვეს კერძო საკუთრების, როგორც ეკონ. ცხოვრების წესის, გაუქმება; ამდენად, პ. არის ადამიანური განვითარების საბოლოო მიზანი. მისი პოლიტ. დოქტრინა გადმოცემულია მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ (1848).

საქართველოში კომუნისტური მოძრაობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყანათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო. რუსეთს ამ მიმართულებით მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰყავდა, რ-თა შორის დიდ როლს ასრულებდნენ ქართველი მოაზროვნეები, კერძოდ, სოც.-დემოკრატიის ორი ფრთა: ბოლშევიკები (ი. ჯუღაშვილი, ს. ორჯონიკიძე და სხვ.), მენშევიკები (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვ.) და ანარქისტი კომუნისტები [ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, შ. და გ. (კომანდო) გოგელიები და სხვ.]. 1917 ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, კომუნისტურმა მოძრაობამ რუსეთში (ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით) მძლავრი ტოტალიტარული სახელმწიფო ჩამოაყალიბა, რ-მაც სამოცდათერთმეტი წელი იარსება.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე და პროლეტარიატის მიზნები რევოლუციაში, თფ., 1918; მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954; ტ. 3, თბ., 1959; მარქსი კ., დ ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; სტალინი ი., ანარქიზმი თუ სოციალიზმი? თბ., 1951; Marx K., Ökonomisch-philosophische Manuskripte (1844), Hamburg, 2005; Tcherkesoff W., Pages of Socialist History. Teachings and Acts of Social Democracy (1896), N. Y. 1902.

მ. გოგატიშვილი.

„კომუნისტი“, ყოველდღიური რესპუბლიკური გაზეთი. საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდიოდა 1920–90. 10 ნომრის გამოცემის შემდეგ გაზეთი დაიხურა, შემდგომში გამოდიოდა ,,საქართველოს კომუნისტის‘‘ (25 ნომერი) და ,,ახალი კომუნისტის‘‘ (21 ნომერი) სახელწოდებით. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ გაზეთს ძველი სახელი დაუბრუნდა.

,,პ.‘‘ ასახავდა საქ. სსრ ისტ. ყველა მნიშვნელოვან პერიოდს, აშუქებდა პოლიტ., ეკონ., ხელოვნ., განათლებისა და სხვა საკითხებს. გაზეთს ჰქონდა დამატებები: ჟურნალები – ,,ჩირაღდანი‘‘ (1923–25), ,,მეცნიერება და ტექნიკა‘‘ (1925–26), ,,დროშა‘‘ (1929–34); გაზ. – ,,სოფლის მეურნეობა‘‘ (1958). სხვადასხვა დროს ,,პ-ის‘‘ რედაქტორები იყვნენ ი. (მამია) ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, ა. ქურიძე (ს. ეული), ვ. სუხიშვილი, ა. თუმანოვი, ვ. ბახტაძე, გ. მუშიშვილი (გ. ხოფერია), ნ. კიკნაძე, დ. მჭედლიშვილი, გ. ბედინეიშვილი, ნ. ფოფხაძე, ნ. ჩერქეზიშვილი, მ. უგრეხელიძე. 1990 დეკემბრიდან გაზეთი გამოდის ,,საქართველოს რესპუბლიკის‘‘ სახელით.

დ. მჭედლიშვილი.

კომშო, ბია (Cydonia), მრავალწლოვანი მცენარის გვარი ვარდყვავილოვანთა ოჯახისა. არსებობს 1 სახეობა –ჩვეულებრივი პ. (C. oblonga). პ. ტანდაბალი ხე ან ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 1,5–5 *მ* აღწევს. ნაყოფი ყვითელია, მსხლისებრი ან ვაშლისებრი ფორმა აქვს, შებუსული ან შეუბუსავია. რბი-

ლობი მოთეთროა, მოტკბო-მომჟავო ან მჟავე, არომატული. შეიცავს (%-ობით) 7,22–15,06 შაქარს, 0,24–1,26 ორგ. მჟავებს, 0,18–0,98 პექტინს და სხვ. ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით (C, E, B_{16} და სხვ.), პოლიფენოლებით (კატექინები და სხვ.), ფლავონიდებით, მინერ. ნივთიერებებით (K, Ca, Fe, Mg და სხვ.). პ. სითბოსა და სინათლის მოყვარული ყინვაგამძლე მცენარეა. ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე მაღალი ხარისხის მოსავალს იძლევა.

მსოფლიოში პ-ის სამშობლოდ მიჩნეულია სამხრ. კავკასია, თურქეთი, ჩრდ. ირანი და ცენტრ. აზია. მისი დომესტიკაციის პერიოდი ემთხვევა ძვ. წ. 4000–5000 წლებს. კულტივირებულია თითქმის ყველგან.

საქართველო პ-ის ერთ-ერთი სამშობლოა. მისი ველური ფორმები გვხვდება როგორც აღმ. (კახეთი, შიდა ქართლი), ისე დას. (რაჭა, იმერეთი) საქართველოს ტყეებში. ამრავლებენ თესლით და ვეგეტატიურად (მყნობით). პ. გამოიყენება როგორც თვით პ-ის, ასევე მსხლისა და ზღმარტლის საძირეებად, რ-თაგან ყველაზე ცნობილია ანჟერისა და პროვანსის პ-ის ფორმები: MA, BA–29, MC, Sydo და სხვ. საქართველოში ადგილ. წარმოშობის 75 ჯიში არსებობს. საუკეთესო ჯიშებია: ლაგოდეხის მსხვილნაყოფა, ქართული მჟავე, შილდური საგვიანო, საკომპოტე და სხვ. აქვე გავრცელებულია პ-ის არა მარტო ადგილ. სხვადასხვა ჯიში, ფორმა და სახესხვაობა, არამედ ინტროდუცირებული ჯიშებიც. პ-ის ნაყოფი გამოიყენება ნედლად და გადამუშავებული სახით. მისგან ამზადებენ მურაბას, ხილფაფას, კომპოტს, წვენს და სხვ. ნაყოფს იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ, თესლისგან ამზადებენ ნაყენს და ნახარშს (ხელს უწყობს წყლულის შეხორცებას); ხმარობენ ხველისა და ანგინის საწინააღმდეგოდ, ასევე მხედველობის გასაუმჯობესებლად.

ლიტ.: შარაშენიძე დ., საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში განვითარებული კომშის ჯიშების ნაყოფის ზოგიერთი ნიშნების შესწავლის შედეგები, თბ., 2000.

დ. შარაშენიძე.
ზ. ბობოქაშვილი.

კონდაკი (ბერძნ. კონტაკიონ < კონტოს – ჯოხი), ჟამისწირვა, ბიზანტიური საეკლესიო პოეზიისა და მუსიკის ჟანრი. მისი ფუძემდებელია რომანოზ მელოდოსი (VI ს. I ნახ.; მიეწერება 1000-ზე მეტი საგალობელი, რ-თაგან ცნობილია 85-მდე). პ. პოეტური ჰომილიაა და შედგება 18–20 ერთნაირი სტრუქტურის სტროფისაგან. VIII ს-ში პ. განდევნა კანონმა, დაიწყო პ-ის მელოდიკის განვითარება და სტროფების რაოდენობის შემცირება. XI ს-ში პ-ის მელოდიკა იძენს მელიზმურ ხასიათს.

პ. აგრეთვე ეწოდება ლიტურგიულ კრებულს, რ-იც შეიცავს წირვის წესსა და ღვთისმსახურების სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ ლოცვებს (იხ. *ლოცვანი*). ტექსტი იწერებოდა ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ვიწრო ფურცლებზე, რ-საც ჯოხზე ახვევდნენ. აქედან წარმოდგა პ-ის სახელწოდებაც. X ს-იდან სამღვდელო პ-გან განსხვავებით შეიქმნა მაღალი რანგის სამღვდელო პირთათვის განკუთვნილი კრებული, რ-საც არქიერატიკონს უწოდებდნენ (XI ს. ხელნაწერი, ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, A–86).

თანამედროვე მნიშვნელობით პ. არის ერთსტროფიანი საგალობელი, რ-იც ჩაერთვის კანონის VI გალობის შემდეგ და სრულდება ღვთისმსახურებაზე.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; შუღლიაშვილი დ., ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა, თბ., 2014; Кекелидзе К., Древнегрузинский архиератикон, Тфл., 1912; მისივე, Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тфл., 1912.

კონდაკოვი ნიკოდიმე პავლეს ძე [1(13). 1844, სოფ. ხალანი, ნოვი-ოსკოლის მაზრა, კურსკის გუბ., – 17.II. 1925, პრაღა], რუსი ხელოვნების ისტორიკოსი. სანქტ-პეტერბურგის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1898), პეტერბ. სამხატვრო აკად. წევრი (1893). სწავლობდა მოსკ. უნ-ტში (1861– 65). ასწავლიდა ოდესის, ნოვოროსიის (1870–88) და სანქტ-პეტერბურგის (1888–1917) უნ-ტებში. 1920 წავიდა ემიგრაციაში. თავდაპირველად ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, შემდეგ – სოფიაში. 1922-იდან ასწავლიდა პრაღის უნ-ტში. უმთავრესად იკვლევდა ბიზანტიური და ძველი რუს. ხელოვნ. ძეგლებს. დაამუშავა ხელოვნ. ნაწარმოებთა შესწავლის იკონოგრაფიული მეთოდი, ანალიზი გაუკეთა ძეგლთა ტიპოლოგიურ თავისებურებებს.

პ. სწავლობდა ქართულ ძეგლებს, აინტერესებდა მათი მიმართება ბიზანტ. კულტურასთან. ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, ქართული ხელოვნების შესწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანა. მისი ნაშრომი ,,საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დაცულ სიძველეთა ძეგლების აღწერილობა'' დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ მეცნ. ღირებულებას. პ. 1918 წლის 27 თებერვალს აირჩიეს თსუ-ის საპატიო დოქტორად.

თხზ.: Древняя архитектура Грузии, М., 1876; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890 (ქართული წარწერების განმარტება დ. ბარბაქაძისა); Иконография Богоматери, т. 1–2, СПб., 1914–15.


ლიტ.: გაიპარაშვილი ზ., ლილუაშვილი მ., ,,ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები, 1917–1926'', თბ., 2006 ჩუბინაშვილი გ., ნიკოდიმე კონდაკოვი (1844–1925), მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა, ,,ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე'', 1926, ტ. 6.

თ. დვალი.

კონდამიანი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. აგებულია წმ. კოზმასა და დამიანეს სახელზე. მდებარეობს სოფ. კისისხევის სამხრ-ით ექვსიოდე კმ-ზე, მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირის ბუნებრივად მოვაკებულ მოედანზე. ეკლესიის ეზოს ირგვლივ ერტყა რიყის ქვით ნაგები დაბალი გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტულად). პ. ადრეული ტიპის სამეკლესიიანი ბაზილიკაა (VI–VII სს.). შენობის გეგმის გარეგან მართკუთხედში ჩაწერილია გვერდიგვერდ განლაგებული, ყრუ კედლებით გამიჯნული სამი სადგომი, რ-ებიც დამოუკიდებელი ეკლესიებია და ერთმანეთთან გამყოფ კედლებში გაჭრილი თითო თაღოვანი კარითაა დაკავშირებული. შენობა აგებულია შერჩეული რიყის ქვის სწორი რიგებით. კარ-სარკმლების ღიობები,



კომში.



ნ. კონდაკოვი.



კისისხევის კონდამიანის ეკლესია. VI–VII სს.

იმპოსტები და ზოგიერთი თაღი გამოყვანილია სუფთად თლილი მოყვითალო ფერის შირიმით. შუა ეკლესია გვერდით ეკლესიებთან შედარებით უფრო მაღალი და ვრცელია. იგი აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი გეგმის აფსიდით. მთავარი ეკლესია ექვსი სარკმლით ნათდებოდა. თითო სარკმელი აღმ-ით და დას-ითაა, ორ-ორი – გრძივ კედლებში. მოგვიანებით, კამარის განახლების დროს, მის დასაყრდნობად ეკლესიის დას. კედელზე, მიაშენეს ერთიანი საყრდენი კედელი. მოგვიანებითაა აგებული ასევე კანკელიც (შემორჩენილია ნაშთები). ჩრდ. ეკლესია გადახურულია რიყის ქვის კამარით საბჯენი თაღების გარეშე. ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში სამკვეთლოსათვის გამოყოფილია ოთხკუთხა სათავსი, რ-ის შესასვლელი ნავის დას. ნაწილიდანაა. ეს უკანასკნელი გარედან გახსნილია შირიმის კვადრებით ნაწყობი, იმპოსტებზე დაყრდნობილი ორმაგი ნალისებრი თაღით. სამხრ. ეკლესიას შესაბამისი ნავის აღმ. ნახევარი უჭირავს. იგი აფსიდიანი, უსარკმლო მცირე სადგომია, რ-ის ქვეშ საძვალეა. ნავის დანარჩენი სივრცე სამხრ-ით ორ კვადრატულ ბოძზე დაყრდნობილი სამმალიანი თაღედითაა გახსნილი. ეკლესიის კედლები გარედან დასრულებული ყოფილა თაროსებრი, ნალისებრი თაღების მწკრივით მორთული ლავგარდნით. ეკლესია გადახურული იყო კრამიტით. სამხრ.–დას-ით, ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე მოჩანს ნაგებობის ნიშნები, სამხრ-ით კი, ეკლესიასთან ახლოს, შიგნიდან შელესილი მოზრდილი აუზია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1–2, თბ., 2015; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

„კონდახი“, ქართული საოხუნჯო კარიკატურებიანი ალმანახი; გამოდიოდა 1913 თბილისში. გამოიცა 2 ნომერი. კარიკატურები ეკუთვნით ო. შმერლინგსა და ი. როტერს. გამომცემელი – ა. ხუდავერდოვი.

კონდახსაზოვი რობერტ აბგარის ძე (26.VII.1937, თბილისი, – 10. VI. 2010, მოსკოვი), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1982). 1957–63 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკ-ტზე. იყო ტექნიკური ესთეტიკის საკავშ. ინ-ტის თბილ. ფილიალის პოლიგრაფიის განყ-ბისა და თბილ. ქართ. თოჯინების თეატრის მთ. მხატვარი. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1964- იდან. პერსონალური გამოფენები ჰქონდა მხატვრის სახლში (1989); ხსოვნის პერსონალური გამოფენა – კავკასიურ სახლში (2010; ორივე თბილისი); „არსი და ფორმა“ (SAR Galery, ერევანი, 2018) და სხვ.; გამოფენები: „საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება“ (მოსკოვი, 1987), ქართველი მხატვრების რეტროსპექტული გამოფენა (მხატვრის ცენტრ. სახლი, მოსკოვი, 1988), „ქართველი მხატვრები სომხეთში“ (ერევანი, 1996) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების კერძო კოლექციებში. ძირითადი ნამუშევრები: „ალუბლისფერი ხავერდის სუფრა“ (1978), „ბროწეული“, „დინარას პორტრეტი“, „სამი საგანი შავ ფონზე“ (1979), „წითელი



რ. კონდახსაზოვი. „ყვავილები“. 1990.

სახარება“ (1984), „შობა“ (1987), „გამოცხადება“ (1990), „ნარიყალა გოგილოს აბანოდან“, „პარისის სამსჯავრო“ (1994), „თეთრი ნატიურმორტი“, „კენტავრი“, „ტაძარი“, (1996), „აღდგომა“, „ჭურჭელი“, „აბანო“ (1998). „მოდელი“ (2001), „შიშველი ქალის ფიგურა“ (2004), „ყვავილები“ (2005), „ძველი ქალაქი“ (2007).

თ. გერსამია.

კონდიდი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლების – *ზედა კონდიდისა* და *ქვედა კონდიდის* გავრცელებული სახელწოდება.

კონდოლი, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), ალაზნის ვაკეზე. მდებარეობს მდ. წისქვილისწყლის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 460 *მ.* თელავიდან 6 *კმ.* 2,2 ათ. მცხ. (2014).

ჰ. საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. სამეფო აღწერითა და გარკვეული დაჯგუფებით იგი შუამთის მხარის სოფლადაც განიხილებოდა.

ეპარქიულად ჰ. ჭერემის საეპისკოპოსოში შედიოდა. საეპისკოპოსოს მოშლის შემდეგ, 1757 თეიმურაზ II-მ იგი კისისხევთან ერთად ამბა ალავერდელს დაუქვემდებარა, რ-საც სოფლის სამართავად თავისი მოურავი, ნაცვალი და მოურავის მდივანი ჰყავდა დანიშნული. ეს მოხელეები, თავის მხრივ, აქ საკუთარ ყმა-გლეხებსაც ფლობდნენ. შემდგომში ჰ-ში ალავერდის მონასტერთან ერთად ყმა-მამულს დაეუფლნენ (ჩოლოყაშვილები, თუმანიშვილები, ესიტაშვილები, ჯორჯაძეები და სხვ.).

სამეურნეო თვალსაზრისით ჰ. საკმაოდ ძლიერი დასახლება იყო. სოფლის მიწები კარგად ირწყვებოდა მდ. კისისხევიდან. აქ მისდევდნენ მემინდვრეობას, მებაღეობას და მევენახეობა-მეღვინეობას. ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა ჰ-ში დაყენებული ღვინის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხს.

სოფელში და მის შემოგარენში არის მრავალი არქიტ. ძეგლი: კვირაცხოვლის (წარწერის თანახმად აგებულია 1871), გვიანდ. შუა საუკუნეების მაცხოვრის, მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის, ნათლისმცემლის (IX–X სს.), შუა საუკუნეების საბერეების, გვიანდ. შუა საუკუნეების და 1860 აშენებული წმ. გიორგის ეკლესიები აქვე მდებარეობს *კონდოლის ნათლისმცემლის ეკლესია.*

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ: 2, თბ., 2015.

კონდოლის ნათლისმცემლის ეკლესია, VI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. სამნავიანი ბაზილიკა. აღმართულია სოფ. კონდოლის განაპირას ჩრდ-ით. წარმოადგენს ვიწრო, წაგრძელებულ ნაგებობას, რ-იც მართკუთხა ბოძების ორი წყვილით სამ ნავადაა გაყოფილი. შენობა არაერთხელ შეუკეთებიათ, რის გამოც მისი თავდაპირველი სახე (განსაკუთრებით ზოგიერთ ადგილებში) მნიშვნელოვნადაა შეცვლილი.

ნაგებობის ბოლო მნიშვნელოვანი შეკეთება XIX ს-ში განხორციელდა. ძეგლს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 2005–06 წლებში (არქიტ. მ. გელაშვილი). ძეგლი ნაგებია რიყის ქვის არათანაბარი რიგებით. შესასვლელი დას-ით და სამხრ-ითაა. ეს უკანასკნელი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. შუა ცენტრ. ნავი ვიწროა და შედარებით მაღალი. გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც ეყრდნობა სამ საბჯენ თაღს. განსაკუთრებით ვიწროა გვერდითი ნავები. ცენტრ. ნავი გვერდით ნავებთან დაკავშირებულია სამ-სამი თაღოვანი მალით. იგი აღმ-ით დასრულებულია ღრმა ნალისებრი აფსიდით, რ-ის ცენტრში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ამ სარკმლის გარდა, შუა ნავს კიდევ სამი მცირე ზომის მართკუთხა სარკმელი აშუქებს. მოგვიანებით საკურთხეველი ნავის იატაკის მიმართ ორი საფეხურით აუმაღლებიათ. საკურთხევლის იატაკი აფსიდის მხრების ხაზიდან წამოწეულია დაახლ. 2 *მ* და ორსაფეხურიანი ნახევარწრიული ამბიონი ეკვრის. საკურთხეველში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. გვერდითი ნავები აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. ორივე ნავი დადაბლებული კოლოფა კამარითაა გადახურული. შენობის გარე ფორმებს არსებითი ცვლილებები არ ეტყობა. კედლები დასრულებული იყო გვიანდ. (შესაძლოა XVII ს.) აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1II თბ., 2015.

თ. გერსამია.

კონდრატენკო რომან ისიდორეს ძე [30. IX (12. X) 1857, თბილისი, – 2 (15). XII. 1904, პორტ-არტური, დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1904, გარდ. შემდეგ); სამხ. ინჟინერი. პორტ-არტურის დაცვის გმირი. 1877 დაამთავრა ნიკოლოზის საინჟ. სასწავლებელი, 1882 – საინჟ. აკადემია, 1886 გენშტაბის აკადემია. ამავე წელს დანიშნეს გილენის სამხ. ოლქში, სადაც ეკავა სხვადასხვა სამხ. თანამდებობა. 1901 მიიღო გენ.-მაიორის წოდება. მსახურობდა სამხ. ინჟინრად ბათუმში. 1903-იდან იყო აღმ. ციმბირის მე-7 მსროლელი ბრიგადის, ხოლო 1904-იდან – მის ბაზაზე შექმნილი დივიზიის მეთაური. პ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღების ახალი სახეები: ხელყუმბარა, ნაღმსატყორცნი, ელექტროდენიანი მავთულ-ღობურები და სხვ. რუს.-იაპ. (1904–05) ომის დროს იყო პორტ-არტურის ციხესიმაგრის სახმელეთო ფრონტის დაცვის უფროსი. დაიღუპა საარტ. დაბომბვის დროს.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის, წმ. ანას, წმ. გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.

კონლური, ნასოფლარი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ახალქალაქის პლატოზე.

კონვენცია, იხ. *საერთაშორისო ხელშეკრულება.*

კონვერტერი, კონვერტორი (ინგლ. Converter <ლათ. Converto – ვცვლი, გარდავქმნი), სხვადასხვა ტექნიკურ მოწყობილობასა და ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული გარდამქმნელი:

1. მეტალურგიაში – ჰაერის ან ჟანგბადის გაქრევით გამდნარი თუჯისგან ფოლადის, აგრეთვე შტეინში პირველადი *სპილენძის* ან ფაინშტეინის მისაღები აპარატი. შავ მეტალურგიაში იყენებდნენ ქვემოდან გასაქრევ მჟავაამონაგიან (ბესემერის) და ფუძეამონაგიან (ტომასის) პ-ებს. გავრცელდა აგრეთვე ზემოდან ჟანგბადით გასაქრევი პ-ები (ჟანგბად-კონვერტერები).

საქართველოში პ-ებს იყენებდნენ შავი (რუსთავში) და ფერადი (ზესტაფონში) მეტალურგიის საწარმოებში.

2. რადიოტექნიკასა და ელექტრონიკაში – ელექტრული სიგნალის პარამეტრების (ძაბვის – DC, CD პ., სიხშირის – ჰეტეროდინები, იმპულსის ხანგრძლივობის და სხვ.) გარდამქმნელები; ელექტროოპტიკური პ. (მაგ., მოწყობილობა, რ-იც ადამიანისთვის უხილავ გამოსახულებას გარდაქმნის ხილულად – ღამის ხედვის კამერა და სხვ.).

ელექტროტექნიკაში – ელექტრული ენერგიის პ., მექ., სითბურ და სხვა სახის ენერგიად გარდამქმნელი მოწყობილობა (მაგ., ელექტროძრავა, ელექტროსახურებელი); გამზომ ხელსაწყოებში – საზომ-საკონტროლო პ. (მაგ., გადამყვანი ინჩი – მეტრში); უკუსვლის პ. (როგორც მექ., ისე ელექტრონული) და სხვ.

საქართველოში გაერთიანება *„ანალიზხელსაწყო“* უშვებდა ასეთი ტიპის პ -ებს , რ-ებსაც იყენებდნენ ელექტრონულ და ელექტროხელსაწყოების წარმოებაში (იხ. სტ. *„ეკრანი“*), ძაბვის მძლავრ პ-ებს კი – თანამედროვე ელექტრომობილებში (რ-თა წარმოება იგეგმება საქართველოში).

3. ციფრულ ტექნოლოგიებში (პროგრამული პ-ები) – ვალუტების ონლაინ პ. (სურ.), ანალოგურ-ციფრული პ., რ-იც ანალოგურ (ფიზიკურ) სიგნალს გარდაქმნის ციფრულ დისკრეტულ სიგნალად (მაგ., ციფრული ფოტო- და ვიდეოაპარატი) და ციფრულ-ანალოგური პ., რ-იც ციფრულ დისკრეტულ კოდს გარდაქმნის ანალოგურ სიგნალად.

საქართველოში შექმნილია და იქმნება სხვადასხვა დანიშნულების ციფრული პ. მაგ., ფონტების ონლიანგადამყვანი პროგრამული პაკეტი Convert.ge; ქართ. ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების ციფრულ ფორმატში გადამ-



კონდოლის ნათლისმცემლის ეკლესია. VI ს.

ყვანი (იხ. აგრეთვე სტ. *მანქანური თარგმნა*.).

ლიტ.: Афанасьев С. Г., Краткий справочник конвертерщика, М., 1967; Марцинковский Д. Б., Погребинский В. А., Конвертерные цехи большой производительности, М., 1961.

მ. ცქიტიშვილი, ზ. ადამია, გ. ყურაშვილი.

კონვერტირება ვალუტის, სახელმწიფოების ეროვნული ვალუტების გაცვლის პროცესი სხვადასხვა სახის საგარეო ეკონომიკური ოპერაციების განსახორციელებლად. ვალუტის კონვერტირების მიზანია საერთაშ. ვაჭრობის განვითარება, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სწრაფად ჩატარება, სახელმწიფოთაშორისი ანგარიშსწორების განხორციელება და მოგების მიღება, რ-საც არბიტრაჟი ეწოდება. ვალუტის კ. ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. ნაღდი ანგარიშსწორება ხდება ბანკომატით, გაცვლით პუნქტში, ბანკში, მიკროსაფინანსო დაწესებულებაში. უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება სხვადასხვა ელექტრონულ, საანგარიშსწორებო გადახდის სისტემებში ფიზ. და იურიდ. პირების ანგარიშიდან, ბანკის ვებგვერდზე ან საკრედიტო ბარათების გამოყენებით. ვალუტით ვაჭრობა და კ. ხორციელდება ფორექსის საერთაშ. სავალუტო ბაზარზე.

კ. ვალუტის შეიძლება იყოს თავისუფალი (სრულად კონვერტირებადი), ან ნაწილობრივ თავისუფალი (არასრულად კონვერტირებადი). ვალუტის თავისუფალი კ. ხორციელდება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. საერთაშ. ვაჭრობაში მთავრობის ვალდებულება არ არის ვალუტის ფიქსირებული ან მინ. მნიშვნელობის ხელოვნურად დაწესება. ვალუტის თავისუფალი კ. ახასიათებს ძირითადად დიდი ქვეყნების ეროვნ. ვალუტას – აშშ-ისა და კანადურ დოლარს, ევროს, იაპონიის იენს და სხვ., რ-ებზეც შეიძლება თავისუფლად გაიცვალოს ყველა სახელმწიფოს ეროვნ. ფული. ნაწილობრივი კ-ის დროს ცენტრ. ბანკები აკონტროლებენ და პოლიტ. ან სოც.-ეკონ. მიზეზების გამო მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებენ სავალუტო გარიგებებსა ან ზოგიერთი სუბიექტის სავალუტო ოპერაციებზე, ასევე სხვა სახელმწიფოების ზოგიერთ ფულად ერთეულზე, რ-იც შემოდის ქვეყანაში ან გაედინება გარეთ. სუბიექტებს კი სჭირდებათ არგუმენტირება იმისათვის, რომ სხვა ვალუტაში გადაცვალონ ეროვნ. ვალუტა. ინდური რუპია და ჩინური რენმინბი (იუანი) ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტებია. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ვალუტის შეზღუდული რაოდენობით გაცვლა მხოლოდ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტების საშუალებით.

არაკონვერტირებადი ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაზე გადაცვლა კანონმდებლობით აკრძალულია და იგი არ მონაწილეობს საერთაშ. სავალუტო ბაზარზე, ხოლო საერთაშ. გარიგებები იდება პარალელურ ვალუტაში. მაგ., კუბაში პესო არაკონვერტირებადია, საერთაშ. ვაჭრობა კი ხდება პესოს მეორე სახეობით, რ-საც კონვერტირებადი პესო ეწოდება. ანალოგიურად არის ვონი ჩრდ. კორეაში.

კ. ხორციელდება ვალუტის მცურავი ან ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმის შესაბამისად. მცურავი კურსის პირობებში მთავრობა არ ერევა ბაზარზე გაცვლითი კურსის ფორმირებაში, ხოლო სავალუტო ბაზარზე ინტერვენციის შემთხვევაში ან ფიქსირებული კურსის დაწესებისას ორიენტირებულია ხელოვნურად უზრუნველყოს მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსება.

საქართველოში ლარის კურსი ყალიბდება აშშ-ის დოლარის მიმართ, ხოლო სხვა ვალუტებისათვის გამოიყენება მსოფლიო ბაზარზე არსებული კროს-კურსები (სავალუტო წყვილის განსაზღვრაში არ მონაწილეობს დოლარი), რ-ის შესახებ ინფორმაციის წყაროა „ როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრ. ბანკები. ეროვნ. ბანკი არ აკონტროლებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ბანკების მიერ დადგენილ სავალუტო კურსებს. ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები, რ-იც კოტირებისა (სავალუტო წყვილის ერთ-ერთი მონაწილე არის დოლარი) და კროს-კურსების ფორმირების გზით ხდება, გამოხატავს ქვეყნის შესაძლებლობას, ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკაში და აქტიურად განავითაროს საგარეო ეკონ. საქმიანობა. საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. გაცვლით კურსს განსაზღვრავს სავალუტო ბაზარი, რ-იც შედგება კომერციული ბანკებისგან და იმ კორპორაციებისა თუ ინდივიდებისგან, რ-თა ინტერესში უცხ. ვალუტის ყიდვა-გაყიდვა შედის. ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი ორგანიზებულია „ბლუმბერგის“ ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, რ-ის საშუალებითაც ხდება ვალუტით გარიგება. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში ლიცენზირებულ და ეროვნ. ბანკის მიერ მინიჭებული მონაწილე ბანკის სტატუსის მქონე ყველა კომერციულ ბანკსა და უცხ. ბანკების ფილიალებს. ეროვნ. ბანკი პერიოდულად ახორციელებს სავალუტო ინტერვენციას, ყიდის ან ყიდულობს უცხ. ვალუტას ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე, რ-ის მიზანია საერთაშ. რეზერვების შევსება, კაპიტალის დროებითი ჭარბი შემოდინებით გაცვლით კურსზე ზეგავლენის აღმოფხვრა და/ან კერძო და სახელმწ. საგარეო სალდოს დაბალანსება.

მ. თოქმაზიშვილი.

კონიაკი, ღვინის გამოხდით და სათანადო დავარგებით მიღებული ალკოჰოლიანი სასმელი 40–60% სპირტშემცველობით. შეიქმნა XVII ს-ში საფრანგეთის შარანტის დეპარტამენტში (ცენტრი ქ. კონიაკი, აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც). კ-ის წარმოება მალე სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. მისი შექმნის პრიორიტეტი რომ გაემყარებინათ, 1909 წლის 1 იანვარს საფრანგეთმა საგანგებო დეკრეტით განსაზღვრა იმ ტერიტორიის საზღვრები, რ-ზეც მოყვანილი ყურძნისგან დამზადებულ ბრენდის აქვს უფლება ეწოდებოდეს კ., რაც თანამედროვე საერთაშ. კანონმდებლობითაც დასტურდება. სხვა ტერიტორიაზე დამზადებულ კ-ის ტიპის სასმელს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში უწოდებენ არმანიაკს, ბრენდის და ა. შ. საქართველო ამ შეთანხმებას შეუერთდა 1994.

კ-ის შექმნა რამდენიმე პოლიტ.-ეკონ. მოვლენამ განაპირობა. 1641 საფრანგეთში სუფრის თეთრ ღვინოზე გადასახადი გაიზარდა. ზარალის თავიდან ასაცილებლად და საექსპორტო პროდუქციის მოცულობის შესამცირებლად, მეღვინეებმა დაიწყეს ღვინის გამოხდა. 9 ლ ღვინისგან დაახლ. 1 ლ სპირტს იღებდნენ. ვარაუდობდნენ, რომ დანიშნულების ადგილზე ჩატანის შემდეგ ამ დისტილატს წყლით გააზავებდნენ და ჩვეულებრივ ღვინოს მიიღებდნენ. 1701 ომის დროს ინგლისის ფლოტმა საფ-

რანგეთი ბლოკადაში მოაქცია, ამიტომ ფრანგები საექსპორტოდ მომზადებული დისტილატის დიდ ნაწილს, საკმაოდ დიდხანს, მუხის კასრებში ინახავდნენ. ასეთი დაძველების შემდეგ სპირტის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა: შემცირდა მისი სიმაგრე, შეიცვალა ფერი და გემო, არომატი კი უფრო მდიდარი გახდა.

არსებობს ორდინარული, სამარკო და საკოლექციო ჰ-ები. ორდინარულს ამზადებენ 3–4- და 5–6-წლიანი დაძველების საკონიაკე სპირტისგან (სპირტის შემცველობა – 70–41 მოცულობითი %, შაქრიანობა – 1,5%); სამარკოს – არანაკლებ 6 წლის განმავლობაში დავარგებული სპირტისგან. სხვადასხვა სამარკო ჰ-თვის იყენებენ 6–7, 8–10 და 10 წელზე მეტხანს დავარგებულ სპირტებს.

ჰ-ის უმსხვილესი მწარმოებელია ფრანგული კომპანიებია „ჰენესი“ (Hennessy), „მარტელი“ (Martell), „რემი მარტეინი“ (Remy Martin) და „კურვუაზიე“ (Courvoisier) – „დიდი ოთხეული“ რ-ებიც მსოფლიოში ჰ-ის წარმოების 70%-მდე იკავებენ.

საქართველოში ჰ-ს ამზადებენ მუხის კასრებსა ან მომინანქრებულ ცისტერნებში მუხის ტკეჩებთან ერთად სხვადასხვა დროით დავარგებული საკონიაკე სპირტისგან, რ-იც მიიღება კლასიკური ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო-მასალის გამოხდით. ტექნოლოგია შედგება 4 ძირითადი პროცესისაგან: 1. ღვინო-მასალის დამზადება წარმოებს ევროპული წესის შესაბამისად, გოგირდის დიოქსიდის გამოყენების გარეშე. სპირტის შემცველობა 8%-ზე ნაკლები უნდა იყოს; 2. დამწიფება-დავარგება, რ-ის შედეგად სპირტი ქარვისფრიდან მუქ ოქროსფრამდე შეფერილობას იღებს; 3. დაყოვნება, თერმულად დამუშავების შემდეგ ჰ-ს აყოვნებენ მუხის ჭურჭელში 3-იდან (ორდინარული) 6 (სამარკო) წლამდე; 4. კუპაჟი, ამ პროცესში, საკონიაკე სპირტის გარდა, გამოიყენება დასპირტული წყალი, შაქრის სიროფი და შაქრის კოლერი (თერმული ზემოქმედებით დაშლილი კარამელი ანუ კარამელიზებული შაქარი). ეს სტადია ტექნოლოგიური პროცესის შემოქმედებითი ნაწილია, რადგან შედეგს არსებითად განსაზღვრავს მწარმოებლის განკარგულებაში არსებული სპირტების (ან სხვა ინგრედიენტების) შერჩევა.

ჰ-ის პირველი ნიმუში საქართველოში 1865 შექმნა გ. ბოლქვაძემ. 1888 თბილისში ჰ-ის ქ-ნა (რუსეთის იმპერიაში პირველი) ააშენა დ. სარაჯიშვილმა. ამიერიდან ჰ-ის წარმოებას სამრეწველო ხასიათი მიეცა. დ. სარაჯიშვილი ძირითადად თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშებს (რქაწითელი, ცოლიკაური, ციცქა, გორული მწვანე, ბუერა, ქისი, თეთრი კუმისი, კახური მწვანე) იყენებდა, აუმჯობესებდა ღვინო-მასალას და მისგან სპირტის გამოხდის ტექნოლოგიას. იგი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის იმპერიაშიც ჰ-ის წარმოების ფუძემდებლად ითვლება.

დ. სარაჯიშვილის საქმე გაგრძო მისმა მოწაფემ ვ. ციციშვილმა, რ-საც ჰ. „ენისელის“ შექმნისთვის 1947 მიენიჭა სტალინური პრემია.

1954 ავჭალაში ამოქმედდა ჰ-ის ქ-ნა, რ-იც 1994-იდან სს „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ საკუთრებაა, ქართ. ჰ-ის წარმოების ლიდერია და საქართვ. ბაზრის 75% უჭირავს. ჰ-ს აწარმოებენ ასევე კომპანიები „ასკანელი ძმები“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, შპს „ქინძმარაული (KWC)“ და სხვ. ჰ-ებმა „არაგვი“, „აფხაზეთი“, „გრემი“, „ეგრისი“, „ენისელი“, „ვარციხე“, „ვარძია“, „თბილისი“, „საქართველო“, „ძალიან ძველი“, „XX საუკუნე“ და სხვ. საერთაშ. გამოფენებსა და კონკურსებზე 17 გრან-პრი, 109 ოქროს, 44 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. უნიკალურია (სულ ჩამოსხმულია 500 ბოთლი) „სარაჯიშვილი-155“, რ-იც დ. სარაჯიშვილის 155 წლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნა კომპანია „დავით სარაჯიშვილი და ენისელმა“; მასში შემავალი სპირტები 100 წელზე მეტს ითვლის (საწარმოს საკონიაკე სპირტების მდიდარი კოლექცია აქვს, რ-ის ზოგიერთი ნიმუშის ასაკი 120 წელს აღემატება). ქართ. პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 10-ზე მეტ ქვეყანაში. ექსპორტზე მოდის გაყიდვების დაახლ. 55%, აქედან 35% უკრაინაზე, რ-იც ქართ. ჰ-ის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია.



კონიაკი „სარაჯიშვილი“.

ქართული ჰ-ის ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართვ. სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში ამ მიმართულებით მოღვაწე მეცნიერებმა და ბიზნესმენებმა. ევროკავშირის მოქმედი კანონმდებლობით, სახელწოდება „კონიაკი“ შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ საფრანგეთში, შესაბამის რეგიონში წარმოებულ პროდუქციას.

დ. აბზიანიძე.

კონიაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე (26. XII. 1873, თბილისი, – 30. IV. 1951, ქ. ბუენოს-აირესი, არგენტინა), გენერალი (1919). დაამთავრა თბილ. კლასიკური გიმნაზია და იუნკერთა სამხ. სასწავლებელი. რუს.-იაპ. (1904–05) ომის დროს ირიცხებოდა ყუბის ქვეითი ჯარის ოფიცრად. 1913 იყო ქვეითი პოლკის ოფიცერი, შტაბს – კაპიტანი. I მსოფლიო ომის (1914–18) დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მონაწილეობდა სარიყამიშისა და არზრუმის ოპერაციებში. 1918–21 მსახურობდა ქართულ ჯარში; მეთაურობდა სახ. გვარდიის ნაწილებს. 1918 ოქტ., სოჭის კონფლიქტის დროს, დაინიშნა სოჭის ოლქისა და შავიზღვისპირეთის გარნიზონის სარდლად. 1920 იყო ოსეთის მიმართულების ჯარების სარდალი. 1921-იდან წავიდა ემიგრაციაში თურქეთში, შემდეგ – პოლონეთში. 1923 მსახურობდა პოლონეთის ეროვნულ არმიაში. 1926 მიიღო ბრიგადერის სამხ. წოდება და დაინიშნა ქვეითი ჯარის ერთ-ერთი დივიზიის მეთაურის მოადგილედ. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ სამხ. სამსახურიდან გადადგა. 1939-იდან ცხოვრობდა არგენტინაში. დაჯილდოებულია წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; ურუშაძე ლ., ალექსანდრე კონიაშვილი, ევროპა და ქართული ემიგრაცია, თბ., 2005.

მ. გოგოტიძე.



ი. კონიაშვილი.



კონიო.



კონკა.

კონიაშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1850, თბილისი, – 1912-ის შემდეგ, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1910). რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომის მონაწილე. ჯარში ირიცხებოდა 1869-იდან მსახურობდა კავკასიის სამხ. ოლქში. იყო ყუბის 155-ე ქვეითი პოლკის ოფიცერი, შემდეგ – სხვადასხვა ნაწილის უფროსი. 1910 გენერლის წოდებით დაითხოვეს ჯარიდან.

ლ. დოლიძე.

კონიაშვილი ივანე გრიგოლის ძე [27. IX (9. X). 1889, თბილისი, – 10. VII. 1945, იქვე], კურორტოლოგი და ფიზიოთერაპევტი, სამეცნ. კურორტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში; პროფესორი (1935). 1913 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის სამხ.-სამედ. აკადემია. 1924–25 და 1929–30 ჰ. ეცნობოდა საკურორტო-სამკურნ. საკითხებს გერმ., იტალ., საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის კურორტებზე. 1926–30 იყო თსუ-ის, 1930–36 კი – თსსი-ის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის გამგე, იმავდროულად (1928–38), – თბილ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1935–38 ასევე განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრას.

ჰ-მა პირველმა დანერგა კურორტოლოგიური კვლევის ბიოქიმ. მეთოდები. იგი იკვლევდა შაქრიან დიაბეტს, ბორჯომის წყლის გავლენას ორგანიზმის ჟანგვა-აღდგენით პროცესებზე და სხვ. იყო საქართვ. ანტირევმატული კომიტეტის ორგანიზატორი და პირველი თავ-რე.

საბჭ. რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: Реакция крови на курортные факторы Кобулети при туберкулёзе лёгких и бронхиальной астме, *კრ.:* Курорты АССР Аджарии, Тб., 1936 (თანაავტ. Л. К. Кутателадзе).

კონიაშვილი მიხეილ გრიგოლის ძე (1876, თბილისი, – 26. IV. 1960, იქვე), მათემატიკის სწავლების მეთოდიკის ფუძემდებელი საქართველოში. 1896 დაამთავრა თბილ. ვაჟთა პირველი გიმნაზია, 1900 – მოსკ. საიმპერატორო უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი. უნ-ტში სწავლის დროს იყო კავკ. სასკოლო წრის წევრი და კავკ. სასწავლო ოლქის სტიპენდიატი. 1900-იდან მათ. მასწავლებლად მუშაობდა ქ. შუშის რეალურ სასწავლებელში, ორი წლის შემდეგ – ქ. სტავროპოლში, 1904 – თბილ. მესამე გიმნაზიაში; 1907–14 – თბილ. ქალთა პირველ გიმნაზიაში (1918- იდან – დირექტორი). 1909 ჰ. მონაწილეობდა თბილ. ქალთა უმაღლესი კურსების (პირველი უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში) შექმნაში. აქვე დაინიშნა ფიზ. და მათ. კათედრის გამგედ; მისი ინიციატივით მოეწყო ფიზ. ლაბორატორიები. 1913 ჰ-ის ორგანიზატორობით თბილისში ჩატარდა ბუნებისმეტყველთა და ექიმთა XIII ყრილობა. 1921 აირჩიეს თსუ-ის პროფესორთა საბჭოს წევრად. ჰ. მრავალი წელი ასწავლიდა ელემენტარულ მათემატიკას, დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას, ასევე მათ. სწავლების მეთოდებს. 1938- იდან იგი შეთავსებით მუშაობდა საქართვ. განათლების სამინისტროს პედ. მეცნიერებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში.

თ. ალიბეგაშვილი.

კონიის (იკონიის) სასულთნო, იხ. *რუმის სასულთნო.*

კონიო (Conium), მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა, ორწლოვანი ბალახებია. ცნობილია 4 სახეობა, რ-ებიც ველურად იზრდება ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში გვხვდება დაწინწკლული ჰ. (C. maculatum). მაღალი (60–180 *სმ*) ბალახია, ღეროს ქვედა ნაწილი მოწითალო-მურა ლაქებით აქვს დაფარული. იზრდება სარეველებით მდიდარ ადგილებში, ტყისპირებზე, მდინარეთა ნაპირებზე და სხვ. შხამიანია (შეიცავს ალკალოიდ კონიინს).

კონკა, ცხენშებმული ტრამვაის *ვიწროლიანდიანი რკინიგზა.* პირველი ჰ. ამუშავდა 1828 აშშ-ში, 1855 – პარიზში, 1860 – პეტერბურგში. ტრანსპორტზე ორთქლის, შიგაწვისა და ელექტრული წევის მქონე ძრავების დანერგვამდე ფართოდ იყო გავრცელებული ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. ჰ-ის (შემდგომ კი *ტრამვაის*) განვითარებას ხელი შეუწყო ღარიანი რელსის გამოგონებამ (ა. ლუბა,1852, აშშ). ასეთი რელსი ჩაფლული იყო გზის სავალ ნაწილში ზედაპირის დონემდე და არ აფერხებდა მოძრაობას (მანამდე ჰ-ის რელსები გზის საფარიდან 15 სმ-ით იყო ამოწეული).

საქართველოში ჰ. პირველი საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტი იყო. თბილისში ამუშავდა 1883 წ. 26 თებერვალს (10 მარტს), ფოთში – 1904. 1881 კონტრაქტით, მონოპოლიური უფლება თბილისში ჰ-ის შემოსაღებად *ბელგიელთა სააქციო საზოგადოებას* ჰქონდა. მოგვიანებით ადგილობრივმა მეწარმე ყორღანოვმა მიიღო კონცესია ჰ-ის მოძრაობის მოსაწყობად ავჭალის ხაზზე (ამოქმედდა 1889), რ-იც ასევე ბელგიელებმა შეისყიდეს.

ჰ-ის ლიანდის სიგანე 914 *მმ* შეადგენდა და ერთხაზიანი იყო. ოთხივე მხრიდან ღია ვაგონს რკინის ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი ჰქონდა და 20 მგზავრს იტევდა. მოძრავსაზურგიან სკამებს ბოლო გაჩერებაზე შემოაბრუნებდნენ, რათა მგზავრებს მოძრაობის მიმართულებით ეცქირათ. ჰ-ს ორი ცხენი ეწეოდა (აღმართებზე დამატებით ცხენებს ახმარდნენ), რ-თაც „მეეტლე“ მართავდა. კონდუქტორი-გამყოლი (ბილეთების გამყიდველი და შემმოწმებელი) ღია ბაქნის ერთსაფეხურიან კიბეზე იდგა. თავდაპირველად საგანგებო გაჩერებები დაწესებული არ იყო და ჰ. გამყოლი მგზავრების მოთხოვნით აჩერებდა ვაგონს. მგზავრობის ღირებულება 3–5 კაპ. იყო (ფაეტონით მგზავრობა 60 კაპ. ჯდებოდა, ე.წ. „დროშკით“ კი 40 კაპ.). პირველ ხანებში თბილისში მოძრაობას ემსახურებოდა 30 ვაგონი და 120 ცხენი; ჰ-ის პირველი ხაზი (გზის სიგრძე 2410 *მ*) ვორონცოვის (ახლანდ. ზაარბრიუკენის) მოედანს მიხეილის ქუჩით (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი) რკინიგზის ვაგზალთან აკავშირებდა. მოგვიანებით ჰ-ის სავალი გზა გაგრძელდა და ვორონცოვის მოედნიდან, ვორონცოვისა და ნიკოლოზის ხიდების გავლით, პუშკინის აღმართით დაუკავშირდა პასკევიჩ-ერივანსკის (ახლანდ. თავისუფლების) მოედანს. მომდევნო წლებში ჰ. სასახლის ქუჩის (ახლანდ. რუსთაველის გამზირის

დასაწყისი), გოლოვინის (ახლანდ. რუსთაველის) პროსპექტისა და ვერის დაღმართის გავლით გადადიოდა ვერის ხიდზე და კირხეს (კირიჩნის, ახლანდ. მარჯანიშვილის) ქუჩით აღწევდა გერმანული ეკლესიის შენობამდე (კირხემდე), აქედან – მიხეილის ქუჩით – რკინიგზის ვაგზლამდე.

თბილისში პ-მ 1910-მდე იარსება.

XX ს. 80-იანი წლებიდან პ-ის რესტავრირებულ ვაგონებს იყენებენ როგორც ეთნოგრაფიულ ღირსშესანიშნაობას.

ი. ლომიძე.

კონკურენცია (ლათ. Concurrentia – შეჯახება, მეტოქეობა), მეტოქეობა ეკონომიკურ აგენტებს შორის, რ-ებიც მომხმარებლისთვის უკეთესი სავაჭრო პირობების შეთავაზებით ცდილობენ შესაბამის ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას. მეტოქეობა ეკონომიკურ აგენტებს უბიძგებს ფასის შემცირების, წარმოების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების, ეფექტიანობის ამაღლების, ახ. და უკეთესი საქონლისა და მომსახურების შეთავაზებისკენ. მეტოქეობა წარმატებულ ეკონომიკურ აგენტებს შესაძლებლობას აძლევს, გადაიბირონ წარუმატებელი კონკურენტების კლიენტები. პ. ბაზრისა და, საერთოდ, ეკონ. განვითარების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა და იგი უზრუნველყოფილია შესაბამისი კანონმდებლობით.

პ-ის სამართალი და პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში თავისუფალი საბაზრო ეკონ. განუყოფელი ნაწილია.

დაუშვებელია პ-ის შეზღუდვა საზ-ბისთვის საზიანო მეთოდებით. სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი ნორმათა ერთობლიობაა, რ-ის მეშვეობითაც ხორციელდება პ-ის პოლიტიკა.

ბაზარზე პ-ის შეზღუდვის პირობებში წარმოქმნილი პრობლემების სპეციფიკა ყველაზე კარგად ჩანს ორი თეორ. უკიდურესობის შედარებით, რ-თაგან ერთ-ერთი გულისხმობს ბაზრის ფუნქციონირებას სრულყოფილი პ-ის პირობებში, ხოლო მეორე კი გამორიცხავს მის არსებობას (მონოპოლია). სრულყოფილი პ. ბაზრის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც არც ერთ კონკურენტს არა აქვს საბაზრო ძალაუფლება და საქონლის ვერცერთი მიმწოდებელი ზეგავლენას ვერ ახდენს საბაზრო ფასის დადგენის პროცესზე, ხოლო ფასს სრულად განსაზღვრავს საბაზრო მექანიზმი.

სრულყოფილი პ-ის შედეგია ყველაზე დაბალი საბაზრო ფასი, მომხმარებლისთვის საჭირო რაოდენობით საქონლის წარმოება და ინოვაციური პროდუქციისა და მომსახურების მიწოდება. სწორედ ამიტომ, კონკურენტულ ბაზრებს საერთო ეკონ. ფონის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ.

სრულყოფილი პ-ისგან განსხვავებით, მონოპოლიური ბაზრის პირობებში არსებობს მხოლოდ ერთი მიმწოდებელი, რ-საც გააჩნია აბსოლ. საბაზრო ძალაუფლება. ეს მას საშუალებას აძლევს განსაზღვროს საბაზრო ურთიერთობის ყველა ის პარამეტრი (მაგ., საქონლის ფასი, ხარისხი, ინოვაციის დონე და სხვ.), რ-იც სრულყოფილი პ-ის პირობებში საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგად დგინდება.

ეკონ. თვალსაზრისით, მონოპოლიური საბაზრო ძალაუფლება ამცირებს ეკონ. ეფექტიანობას და თავისუფალი პ-ისგან განსხვავებით აყალიბებს ოპტიმალურზე გაცილებით მაღალ ფასებს საზ-ბის ერთობლივ მოთხოვნაზე უფრო ნაკლები საქონლისა და მომსახურების მიწოდებით.. სწორედ ამიტომ ენიჭება უპირატესობა კონკურენტულ ბაზარს მონოპოლისტურთან შედარებით.

საბაზრო ძალაუფლების მოპოვება შეიძლება ჯანსაღი პ-ის პირობებშიც, რადგან „შეჯიბრი არსებობს იმისთვის, რომ ის მოიგონ“. ეს ნიშნავს, რომ ბაზარზე, სადაც ყველა მონაწილე მეტი მომხმარებლის მოზიდვისა და მოგებისკენ მიისწრაფვის, ნებისმიერმა მათგანმა საბაზრო უპირატესობა შესაძლოა მოიპოვოს საკუთარი ეფექტიანობის გაზრდით. საბაზრო ძალაუფლების გაზრდა პ-ის პირობებში ბუნებრივი მოვლენაა და პრობლემურად არ აღიქმება სამართლებრივი კუთხითაც, რადგან კანონი „პატიოსან“ გამარჯვებულებს არ სჯის.

სრულყოფილი პ-ის თეორ. მოდელის პრაქტიკაში განხორციელებას შეიძლება პრობლემები შეექმნას: 1. სახელმწიფოს ჩარევის გამო; 2. ბაზრის მონაწილეთა ქმედებების შედეგად; 3. თავად ბაზრის ბუნებიდან გამომდინარე.

პ-ის შემზღუდველი ქცევების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით, კონკურენციის სამართლით რეგულირდება პ-ის შემზღუდველი შეთანხმებები – დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საწარმოთა კონცენტრაციები, პ-ის შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან.

ბაზრის სპეციფიკით გამოწვეულ შეზღუდვებს (მაგ., ბუნებრივ მონოპოლიებს) ძირითადად არეგულირებს სპეც. კანონმდებლობა.

პ-ის შემზღუდველი ცალკეული ქმედებების რეგულირების მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკურ რომში არსებობდა, თუმცა ამ მიმართულებით სისტემური მიდგომების ჩამოყალიბება მხოლოდ XVIII ს. ბოლოს დაიწყო ლიბერალიზმის წარმოშობასთან ერთად. ამ პერიოდში ინდუსტრიულმა წარმოებამ და ვაჭრობამ სოფლის მეურნეობას ნელ-ნელა ჩამოართვა ეკონ. მამოძრავებელი ძალის სტატუსი, ხოლო ლიბერალიზმის გავრცელებამ დღის წესრიგში დააყენა მეწარმეთა/ კომერსანტთა სახელმწ. რეგულირების წნეხისგან დახსნის და მათი ეკონ. თავისუფლების საკითხი, რის შემდეგაც საჭირო გახდა სახელმწ. პოლიტიკის შემუშავება ახალი რეალობის გათვალისწინებით, თუმცა ეს პროცესი ყველგან ერთნაირად არ წარმართულა. შედეგად, ეროვნ. ეკონ. რეალობა და მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პოლიტ. ხედვები ყოველთვის დიდ ზეგავლენას ახდენდა კონკრეტულ იურისდიქციაში პ-ის პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებებსა და მიმართულებებზე. იმავდროულად ვითარდებოდა ეკონ. და სამართ. თეორიაც, რ-საც არანაკლები წვლილი შეჰქონდა ზემოაღნიშნულ პროცესში.

საქართველოს პ-ის სამართალსა და პოლიტიკას ორი „სიცოცხლე“ აქვს. პირველი 1992 დაიწყო, როდესაც ახლად შექმნილმა რესპუბლიკამ სახელმწ. პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვა და თავისუფალი საბაზრო პ-ის ხელშეწყობა აირჩია. ეს პერიოდი საქართველოში ორი პარალელური პროცესით გამოირჩეოდა: ხდებოდა გეგმიურიდან საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლა და მიმდინარეობდა ხსენებული ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ინ-ტების ფორმირება. ზემოხსენებულის უზრუნველსაყოფად საქართველოში 1996 შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ჩამოყალიბდა აღმასრ. ორგანო – ანტიმონოპოლიური სამსახური.

გარდამავალ პერიოდში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში შეიქმნა არასწორი წარმოდგენა პ-ის სამართლისა და პოლიტიკის „კლასიკურ“ ფუნქციებთან დაკავშირებით; გარდა ამისა, დემონოპოლიზაციის პროცესის დასრულების შემდგომ (განსაკუთრებით, XXI ს. პირველ წლებში), საქართვ. პ-ის სამართალსა და პოლიტიკას იდენტობის გარკვეული კრიზისი დაუდგა და საკამათო გახდა სახელმწ. მონოპოლიებისგან მეტ-ნაკლებად გათავისუფლებულ ბაზარზე პ-ის სამართლის საჭიროება. ზემოაღნიშნული აშკარად გამოიკვეთა 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებებში. საქართველომ მიიღო პ-ის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რ-იც არ არეგულირებდა ბაზარზე პ-ის შეზღუდვას თავად კონკურენტების მხრიდან. შეზღუდვად მხოლოდ ბაზარზე სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სახის ჩარევები მიიჩნეოდა. მიღებული კანონის უარყოფითი შედეგები სულ მალე გამოვლინდა საბაზრო ჩავარდნების სახით, თუმცა არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები 2014-მდე არ განხორციელებულა. 2014 ცვლილებების შედეგად კი საბოლოოდ მოხდა საქართველოში პ-ის სამართლის „ტრადიციულ“ რელსებზე დაბრუნება. კერძოდ, აიკრძალა პ-ის შემზღუდველი ქმედებები როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის მხრიდან და შეიქმნა შესაბამისი აღმასრ. ორგანო – საქართვ. კონკურენციის სააგენტო. ქართ. პ-ის სამართლის მეორე „სიცოცხლე“ სწორედ ამ მომენტიდან იწყება.

ახ. რეგულირების პირობებში პ-ის სამართალი და აღსრულება ევროკავშირში არსებულ მოდელს ეფუძნება. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის რეალიზების ერთ-ერთი წინაპირობა ქვეყანაში პ-ის მარეგულირებელი ეფექტიანი ჩარჩოს არსებობა გახდა. შესაბამისად, საქართველოში პ-ის სამართლის განვითარება მჭიდროდაა გადაჯაჭვული არა მარტო ეროვნ. ბაზრის სიჯანსაღესთან, არამედ ევრ. ბაზრის ათვისების მიზანთანაც. სწორედ ამიტომ ქართ. პ-ის სამართლისა და პოლიტიკის განვითარების პროცესში ინტენსიურად გამოიყენება ევროკავშირის გამოცდილება.

ლიტ.: კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2019; საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბ., 2019.

გ. ჩარკვიანი.

კონსერვატორია (იტალ. conservatorio, თავდაპირველი მნიშვნელობით – თავშესაფარი <ლათ. conservo – ვინახავ), უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებს ინსტრუმენტალისტებს, ვოკალისტებს, დირიჟორებს, კომპოზიტორებს, მუსიკათმცოდნეებს. XVI ს-ში პ-ს ობოლ და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს უწოდებდნენ, სადაც ხელობასთან ერთად სიმღერასაც ასწავლიდნენ, ვინაიდან უამრავ ტაძარს ესაჭიროებოდა მგალობლები. ამ დაწესებულებაში მუსიკის სწავლებამ თანდათან ძირითადი ადგილი დაიკავა. სიმღერასთან ერთად ისწავლებოდა ინსტრუმენტებზე დაკვრაც. დროთა განმავლობაში წარმოიშვა სპეციალ. მუს. საგანმან. სასწავლებლების შექმნის აუცილებლობა. პირველი ასეთი საგანმან. დაწესებულება, რ-იც იმ დროისათვის უმაღლეს სამუსიკო განათლებას იძლეოდა, 1537 გახსნა ესპანელმა მღვდელმა ჯოვანი დი ტაპიამ ქ. ნეაპოლში. 1793 დაარსებული პარიზის ეროვნ. მუს. ინ-ტის ბაზაზე 1795 გაიხსნა მუსიკისა და დეკლამაციის პ. XIX ს. I ნახ-ში პ-ები შეიქმნა ევრ. და ამერ. მრავალ ქალაქში.

საქართველოში პ. დაარსდა 1917 წ. 1 მაისს თბილისში. ეს იყო პირველი პ. მთელ ამიერკავკასიაში (იხ. სტ. *თბილისის კონსერვატორია*).

კონსერვაცია (ლათ. conservare – შენახვა, შენარჩუნება), ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტს დიდი ხნით უნარჩუნებს პირვანდელ ან პ-ის დაწყებამდე არსებულ სახეს. პ. უტარდება ხელოვნების ნიმუშებსა და ისტ. დოკუმენტებს (კულტურის ძეგლი, არქეოლოგიური მონაპოვარი, არქიტექტურის, სახვითი, ხელნაწერი, ძველნაბეჭდი, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ძეგლები), ასევე დაუმთავრებელ მშენებლობას, სამეცნ. და სამრეწვ. მანქანა-დანადგარებსა და საწარმოებს, ფუნქციონირების დასრულების შემდეგ ან მათი მოქმედების გარკვეული დროით შეჩერებისას, მ. შ. გარემოზე შესაძლო მავნე ზემოქმედების შესამცირებლად. მრეწვ. და სოფლის მეურნ. პროდუქციის პ. მიზნად ისახავს ამ პროდუქციის შენახვას ხანგრძლივი დროით, მისი სამომხმარებლო თვისებების შენარჩუნებით.

საქართველოში სამუზეუმო კოლექციების, არქეოლ. და ეთნოგრ. ნივთების, ფერწერის, ტემპერისა და გრაფიკის, ქსოვილების და ნაქარგობის, თანამედროვე ფერწერის საკონსერვაციო სამუშაოებს წარმართავს *საქართველოს ეროვნული მუზეუმის* რესტავრაციისა და პ-ის კვლევითი ინ-ტი (ხელმძღვ. ნ. კალანდაძე). აქ შემუშავდა და გამოიცა პრევენციული პ-ის სტანდარტები და შეიქმნა საბაზისო ინფრასტრუქტურა კოლექციების საკონსერვაციოდ. რეაბილიტირებულია და ფუნქციონირებს კვლევითი



თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის მცირე დარბაზი.

სარესტავრაციო ლაბორატორიები ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში, შ. ამირანაშვილის სახ. *ხელოვნების მუზეუმში, ეროვნულ გალერეაში*, ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. 2009–11 თბილისში შეიქმნა ფოტომასალების პ-ისა და რესტავრაციის და პალეონტოლ. მასალის ასლების დამზადებისა და რესტავრაციის ორი ახალი ლაბორატორია. 2011–20 საქართვ. ეროვნ. მუზეუმმა შექმნა პ-ის და რესტავრაციის კვლევითი ლაბორატორიების სრულიად ახ. ინფრასტრუქტურა რეგიონულ (ბოლნისი, ვანი და სვანეთი) მუზეუმებში.

XX ს. 60-იანი წლების ბოლოს ნ. იაშვილმა შეიმუშავა კ-ის მეთოდი მის მიერვე სინთეზირებული სილიციუმორგანული გამჭვირვალე პოლიმერებით ხის ნიმუშების, არქეოლ. და ისტ. ბოჭკოს ქსოვილების ექსპონატებისა და ეთნოგრაფიულ ხის ნივთებზე წარწერების დასაცავად. ამ მეთოდით (თანამშრომლებთან ერთად), შეასრულა ფართომასშტაბიანი სამუშაოები [ვახტანგ VI-ის ტანსაცმლის გადარჩენილი ფრაგმენტები, თეიმურაზ II-ის საფლავიდან (ასტრახანი, რუსეთი) ამოღებული ქსოვილის ფრაგმენტები, ძვ. ქართული წარწერები უძველეს ხის ჭურჭელსა და ეთნოგრ. ნიმუშებზე (XI–XV სს.)]. შემუშავებულმა მეთოდმა და მიღწეულმა შედეგებმა სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია (საერთაშ. სამეცნ. კონფერენციები ვენეციაში, 1975; ზაგრებში, 1978 და სხვ.).

ისტ. და სხვა მნიშვნელოვან ხელნაწერთა პ-ს ატარებს კ. კეკელიძის სახ. საქართვ. *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*. ძველ ხელნაწერებს ხშირად აქვს დაზიანებები (ფურცლების დეფორმაცია, საღებავის ფენის ჩამოშლა, გაფხვიერება, ფურცლის მონაკვეთების სხვადასხვა ზომის დანაკარგი, ზედაპირული დაბინძურება, ლაქები — სანთლის ნაღვენთი, ნესტის შედეგად დალაქავება და სხვ.) და საჭიროებს პ-ს (ფერწერის მონაკვეთების ლოკალური გამაგრება, ფერწერისა და საფუძვლის ფენას შორის დაკარგული კავშირის აღდგენა სათანადო შემაკავშირებლის საშუალებით და სხვ.). ამისთვის იყენებენ ისეთ მასალას, რ-იც კარგად ჩააღწევს ფერწერის, და საფუძვლის ფენებს შორის, არ წარმოქმნის ლაქებს და შემდგომში არ იწვევს ფერწერის დეფორმაციას.

მნიშვნელოვანი ხელნაწერის გამოფენისათვის ზოგჯერ ამზადებენ მ უ ლ ა ჟ ს – დედნის ყდისა და რამდენიმე გვერდის იდენტურ ასლს, რ-იც ვიზუალურად არ განირჩევა ორიგინალისგან. იგი მზადდება დედნის ანალოგიურ მასალაზე და მასზე დაიტანება ორიგინალის ყველა დეტალი, მ. შ. ნაკლული, გაცრეცილი, გახეული თუ ფერდაკარგული ადგილები, ლაქებიც და სანთლის ნაღვენთებიც, რომ მნახველს შეეძლოს სრული წარმოდგენა შეიქმნას ორიგინალზე. დედანი ხელნაწერი კი ინახება მექან. ან სხვა ტიპის დაზიანებებისგან დაცულ პირობებში – საცავში, სადაც შექმნილია ჰაერის ტემპ-რის, ტენიანობისა და ქიმ. შედგენილობის, ასევე განათების საგანგებო რეჟიმი.

ხელნაწერთა პ-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ციფრული ასლების შექმნა. მკვლევრები და სხვა მომხმარებლები მუშაობენ ასლთან და ხელნაწერს ეხებიან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში დიჯიტალიზაციის ლაბორ. ფუნქციონირებს 1999-იდან. შესრულებულია ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის დიჯიტალიზაცია, პირველ რიგში, განსაკუთრებული და ძლიერ დაზიანებული ხელნაწერებისა. ორიგინალი ხელნაწერის დიჯიტალიზაციამდე აუცილებელია მისი პ.

2010–11 ლ. ქავთარაძისა და ლ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით ნაწილობრივი პ. ჩაუტარდა ერთერთ გამორჩეულ ქართ. ხელნაწერს – ჯრუჭის II ოთხთავს (იხ. სტ. *ჯრუჭის ოთხთავი*). 2014 დასრულდა *მოქვის სახარების* (1300) საკონსერვაციო სამუშაოები. მანამდე, ხუთწლიანი კვლევით დადგინდა, რომ პ-ს მოითხოვდა ხელნაწერის ფურცლების 98,4% და 157 მინიატიურიდან – 115. 2011–13 რესტავრაციის ლაბორ. თანამშრომლებმა გერმ. (მ. ლიდკე, ა. პატკი-ჰუნდტი) და შვეიცარიელი (ა. ჯიოვანინი) ექსპერტ-კონსულტანტების მონაწილეობით შეასრულეს მოქვის ოთხთავის მინიატიურების პ. 2014 დამზადდა და გამოიცა დაკონსერვებული სახარების ციფრული ასლი.

2005–20 საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა დააფინანსა 950-ზე მეტი ქართული და საქართვ. ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ათეული არაქართ. არქიტ. ძეგლის პ-ისა და სარესტავრაციო სამუშაოები. პ. ჩაუტარდა მრავალ არქეოლოგიურ ძეგლს. მათ შორისაა: ათეშგა (კლდისუბანი, თბილისი), არმაზციხის სვეტებიანი დარბაზი და არმაზისხევის აბანო, გონიოს ციხის (აჭარა) ტერიტორიაზე გათხრილი ნაგებობების ნაშთები, ვანის ნაქალაქარი, პეტრა – ციხისძირის სასიმაგრო კედლები, ძალისის სასახლე და მოზაიკა და სხვ. პ. ჩაუტარდა ასევე მონუმენტური მხატვრობისა და მოზაიკის ნიმუშებს.

2002 მნიშვნელოვანი კონსერვაციული სამუშაოები შესრულდა ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინტის გაჩერებული კვლევითი ბირთვული რეაქტორის (მცხეთა) ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (შ. აბრამიძე, ზ. სარალიძე, ნ. ქათამაძე). ატომური ენერგიის საერთაშ. სააგენტოს რეკომენდაციით, განიხილება მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა კონსტრუქციისა და ტიპის ბირთვულ დანადგარებზე ქართვ. მეცნიერთა მიერ გამოყენებული პ-ის სქემის დანერგვის შესაძლებლობა.

კვების მზა პროდუქტების, ნახევარფაბრიკატებისა და სას.-სამ. პროდუქციის პ-ისთვის გადამწყვეტია სასაწყობე სივრცეში ტემპერატურული რეჟიმის, ჰაერის ტენიანობისა და ქიმ. შედგენილობის ოპტიმალური შერჩევა და შენარჩუნება. უმრავლეს შემთხვევაში ამისთვის იყენებენ დიდ მაცივებელ დანადგარებს, სადაც ხორციელდება აირის ტენიანობისა და შედგენილობის კონტროლი და რეგულირება. საქართველოში, ტრადიციულად, სოფლის მეურნ. პროდუქციის პ-ისთვის იყენებდნენ და იყენებენ მის წინასწარ თერმულ ან/და ამა თუ იმ ქიმ. და ბიოქიმიურ დამუშავებას. 2017–22 წწ-ში საქართვ. სხვადასხვა რეგიონში (გარდაბანი, მცხეთის მუნიციპ., წალკა და სხვ.) სხვადასხვა კულტურის პ-ისთვის შპს „ინოსისტემსმა“. საერთაშ. სტანდ. გათვალისწინებით დააპროექტა და დაამონტაჟა რამდენიმე დიდი მაცივარი დანადგარი. სოფლის მეურნ. პროდუქციის პ-ს ახორციელებენ კერძო მეწარმეები და შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კომპანია.

პ-ის სპეციალისტებს ამზადებს საქართვ. სამხატვრო აკადემია, თსუ-ის ჰუმანიტარულ და საბუ-

ნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტები, სტუ-ის ქიმ. ტექნოლ. ფაკ-ტი, საქართვ. აგრარული უნ-ტი.

ლიტ.: ბერდუკუ მ., კონსერვაცია არქეოლოგიაში, თბ., 2016; თავაძე შ., ეტრატზე შესრულებული საბუთის სტრუქტურული ანალიზი და რესტავრაცია-კონსერვაციის შედეგი, მასალები საერთაშ. კონფ. „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევ-ები“, თბ., 2017; Хранение и технология сельскохозяйственных продуктов, ред. Л. А. Трисвятский, М., 2003.

ნ. კიტოვანი.
გ. მარსაგიშვილი.

კონსორციუმი (ლათ. consortium – თანამონაწილეობა), ორი ან მეტი ფიზიკური პირის, კომპანიის, ორგანიზაციის ან საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების დროებითი გაერთიანება რომელიც ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას.

კ. ეფუძნება მოკლევადიან შეთანხმებას ფინანს. და ადამიანური რესურსების გაერთიანების შესახებ, ფართომასშტაბიანი ფინანს. ან კომერციული ოპერაციების ჩატარების მიზნით, რ-ის მიხედვითაც ამხანაგობის ყველა წევრი მიიღებს სარგებელს. ამ გაერთიანებაში მონაწილე პირები პასუხისმგებლობას იღებენ მხოლოდ კ-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე. შესაბამისად, კ-ის წევრები დამოუკიდებლად წარმართავენ საქმიანობას, რაც კ-ის მიზნებით არის გათვალისწინებული.

საქართველოში კ-ები შეიქმნა ისეთი მსხვილი პროექტების განსახორციელებლად, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა (,,ანაკლიის განვითარების კონსორციუმი‘‘), ნავთობის ძებნა-ძიება და მოპოვება (,,ქართულ-ბრიტანული ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი‘‘), ფოთის ახ. ტერმინალის მშენებლობა (,,ფოთის ახალი ტერმინალის კონსორციუმი‘‘), ენერგეტ. და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (,,ქართული სამშენებლო კონსორციუმი‘‘ – GCC) და სხვ.

ვითარდება კ-ები სამართლებრივი მომსახურების სფეროში (,,კონსორციუმი სამართლებრივი დახმარება საქართველო‘‘ – LAG), სადაზღვევო და საგანმან. სფეროებში. საგანმან. კ-ები ცოდნის გაზიარების მიზნით ხშირად იყენებენ ისეთ ერთობლივ რესურსებს, როგორიცაა ბ-კა, კვლევითი საქმიანობა და ადამიანური რესურსები (,,საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმი‘‘, ,,შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი‘‘ და სხვ.).

საჯარო და კერძო საწარმოები თანამშრომლობენ ფერმერთა მომსახურების, კვების პროდუქტების წარმოების, მომხმარებელთა უსაფრთხოებისა და სხვა სტანდარტების დასადგენად და კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ქვეყნებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად და საჯარო სამსახურების ინსტიტუციური განვითარების ხელშესაწყობად იქმნება ერთობლივი კ-ები. საქართვ. საჯარო სამსახურები, ევროკავშირის სხვა ქვეყნების საჯარო სამსახურებთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის (EaPIC) პროგრამის ფარგლებში 2015-იდან, ახორციელებენ გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის საერთაშ. პროექტებს.

ლიტ.: საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ, ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე‘‘, თბ., 2018.

მ. თოქმაზიშვილი.

კონსტანტი (კოსტანტი) კახი (768–10. XI. 853), ქართველი ერისთავი. იბრძოდა არაბთა სარდლის, ბუღა თურქის წინააღმდეგ. 853 წ. 26 აგვისტოს ის და მისი ძე თარხუჯი არაბებმა შეიპყრეს და კ. კ. წამებით მოკლეს. ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში ის მოხსენიებულია კახაძს სახელით. კ. კ-ს წამება აღწერილია *,,კოსტანტი კახის მარტვილობაში‘‘*.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ კ. კ. IX ს-შივე შეარაცხა წმინდანად. წმ. დიდმოწამე კ. კ-ის ხსენების დღეა 10(23) ნოემბერი.

წყარო: Житие и мученичество святого мученика Константи Грузина, который был замучен царем вавилонян Джафаром,ძვ. ქართულიდან თარგმნა კ. კუციამ, ნ. ვაჩნაძემ, თბ., 1978.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–-ათენი, 2003; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

კონსტანტინე, კოსტანტი, ქართლის ერისთავი X ს. I ნახევარში. ქართლის ერისთავად დანიშნა მამამ, „აფხაზთა სამეფოს‘‘ (დას. საქართველოს) მეფემ გიორგი II-მ. კ-მ ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ქართლის მსხვილ აზნაურთა მხარდაჭერით აჯანყება მოაწყო დამოუკიდებელი სამეფოს შესაქმნელად, მაგრამ დამარცხდა. კ. შეიპყრეს და გიორგი II-ის ბრძანებით აწამეს, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედ., თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორია IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე, თბ., 2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

კონსტანტინე მიტროპოლიტი (დიმიტრი სიმონის ძე მელიქიძე) (19. II 1925, სოფ. ბალანთა, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, – 20. VII. 2000). დაამთავრა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი (1946), საქართვ. სას.-სამეურნეო ინ-ტი (1966). სწავლის დროს მუშაობდა ქ. ქლუხორის, შემდგომ ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო მეურნეობაში. 1972 კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის კურთხევით დიაკვნად, ხოლო 1973 მღვდლად აკურთხეს და სოფ. ატოცის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. 1974–78 იყო ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის წინამძღვარი. 1978 ბერად აღიკვეცა და ეწოდა კონსტანტინე. 1978 ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი და დაადგინეს ურბნისის ეპისკოპოსად. 1979-იდან დაინიშნა საქართვ. საპატრიარქოს საგამომცემლო განყ-ბის თავ-რედ, 1980 მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და დანიშნეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1985–95 კ. მ. იყო ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველი, 1995-იდან კი განაგებდა მარგვეთის ეპარქიას.

დაჯილდოებულია სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრისა და მეორე პანაღიის ტარების უფლებით. დაკრძალულია თბილისში, სიონის ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010.

კონსტანტინე I (გ. 1411), საქართველოს მეფე 1407–11, ბაგრატ V-ის ძე. 1400 თავისი ძმის, საქართველოს მეფე გიორგი VII-ის (1393–1407) დესპანი იყო თემურლენგთან და მიაღწია შეთანხმებას. 1401–02 იგი თემურლენგთან ზავის დადების მომხრე იყო. ამ ნიადაგზე ძმებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. კ. I სამცხის ათაბაგ ივანე ჯაყელთან ერთად გიორგი VII-ს განუდგა და

საჩუქრებით ეახლა თემურლენგს. ამის მიუხედავად იგი გამუდმებით საქართველოს ინტერესებისათვის იღვწოდა და მტრის იარაღად არ ქცეულა. გამეფების შემდეგ ენერგიულად შეუდგა მტრის შემოსევებით გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას, მაგრამ აღარ დასცალდა. XV ს. დასაწყისში ირანის აზერბაიჯანს შავბატკნიანთა (ყარაყოინლუ) თურქმანული ტომის მეთაური ყარა იუსუფი დაეუფლა, რ-იც ცდილობდა თავისი სამფლობელოს გაფართოებას. 1411 ის შირვანში შეიჭრა. შირვანელებმა დახმარება სთხოვეს ჰ. I-ს, რ-იც 2000 მხედრით მიეშველა. ჩალაღანთან სასტიკ ბრძოლაში ჰ. I ტყვედ ჩავარდა. ყარა-იუსუფმა მას საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: აბდურაჰმან სეჩქინი, შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ლაშქრობები საქართველოში, ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX/XX, თბ., 2017–18. კიკნაძე ვ., საქართველო XV საუკუნეში, თბ., 1989; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV–XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე I, კოსტანტ I (გ. 660), აფხაზეთის მეფეთა დივანის (ქრონიკის) მიხედვით, აფხაზეთის მე-8 ,,მეფე'' (ერისთავი) VIII ს. I ნახევარში, თეოდოს I-ის ძე.

კონსტანტინე I (გ. 1327), იმერეთის მეფე 1293–1327, დავით VI ნარინის ძე. მეფობას ეცილებოდა უმცროსი ძმა მიქელი, რ-მაც დაიპყრო რაჭა-ლეჩხუმი და არგვეთი. ძმებს შორის ბრძოლა ჰ. I-ის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა. შინაური არეულობით ისარგებლეს მსხვილმა ფეოდალებმა (დადიანმა, შერვაშიძემ, გურიელმა) და ოდიში (სამეგრელო), აფხაზეთი და გურია ცენტრ. ხელისუფლებისაგან თითქმის დამოუკიდებელ სამთავროებად აქციეს.

წყარო.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4. თბ., 1973.

ლიტ.: არახამია გ., ქარდავა მ., ქუთაისის მეფეები და მათი სამფლობელო XIII–XVI სს-ში., ისტორიის ინსტიტუტის შრომები (XIV–XV), თბ., 2018.

კონსტანტინე I (დაახლ. 1566, – X. 1605), კახეთის მეფე, *ალექსანდრე II*-ის ძე. ბავშვობიდანვე ირანში შაჰის კარზე იზრდებოდა, სადაც გამაჰმადიანდა კიდეც. შაჰ აბას I-მა საგამგებლოდ შირვანი უბოძა, ჯარიც მისცა და კახეთში დააბრუნა. შაჰის დავალებით მას შირვანი ოსმალთაგან უნდა გაეთავისუფლებინა და თვითონ დაეჭირა. ჰ. I-მა კახელებს შირვანზე გალაშქრება მოსთხოვა, მაგრამ ალექსანდრე II სპარსეთ-ოსმალეთის ომის შესაძლო შედეგს ითვალისწინებდა და ბრძოლისაგან თავს იკავებდა. ამით უკმაყოფილო ჰ. I-მა, შაჰ აბას I-ის დავალებითა და სპარსელთა დახმარებით 1605 წ. 12 მარტს ქ. ძეგამში თავისსავე კარავში ღალატით დახოცა მამა – ალექსანდრე II, ძმა – გიორგი, რუსთაველი ეპისკოპოსი ძმასთან ერთად, რამდენიმე კახი დარბაისელი და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. კახელებმა იგი მეფედ არ მიიღეს, აჯანყდნენ და ჰ. I მოკლეს (იხ. *კახეთის აჯანყება* 1605).

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII–XIX საუკუნეები, თბ., 1980.

გ. ნარსია.

კონსტანტინე I დიდი, ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინუს მაგნუს (Flavius Valerius Constantinus Magnus) (27. II. 272/4, ნაისუსი,–22. V. 337, ნიკომედია), რომის იმპერატორი 306-იდან, იმპ. კონსტანციუს ქლორუსის ძე. მამის გარდაცვალების (25. VII. 306) შემდეგ ლეგიონერებმა ბრიტანეთში ყოფნისას ავგუსტუსად გამოაცხადეს. მართავდა გალიას. 324 ჰ. I-მა თავისი სიძე – ლიცინიუსი ჩამოაშორა მმართველობას და იმპერიის ერთპიროვნული გამგებელი გახდა. 330 იმპერიის დედაქალაქად ბიზანტიონის ადგილზე მისივე აგებული ,,ახალი რომი'' (რ-იც მალე მისი სახელის მიხედვით კონსტანტინოპოლად იწოდა) გამოაცხადა. ჰ. I მხარს უჭერდა ,,მილანის ედიქტს'' (313) ქრისტიანების შემწყნარებლობის შესახებ, აშენებდა როგორც წარმართულ, ისე ქრისტ. ტაძრებს, ითვლებოდა უმაღლეს ქურუმად (Pontifex Maximus). მისი ინიციატივით ქ. ნიკეაში მოწვეულ I მსოფლიო საეკლ. კრებაზე (325) მხარს უჭერდა მართლმადიდებლებს, შემდეგ კი არიანელებს მიემხრო. ჰ. I-ის მმართველობისას რომის იმპერია სამხ.-ბიუროკრატიულ სახელმწიფოდ გადაიქცა, გაუმჯობესდა ქალაქების მდგომარეობა. 332 ედიქტით დაიწყო კოლონების (მოიჯარეების) მიწაზე მიმაგრება. რამდენჯერმე მოიგერია ბარბაროსთა შემოტევები. ჰ. I იყო ფრთხილი და ანგარიშიანი პოლიტიკოსი, სასტიკი და გულქვა ადამიანი. ირანში სალაშქროდ მიმავალი გზაში გარდაიცვალა. გარდაცვალების წინ ქრისტიანობა მიიღო. დაკრძალეს ქ. კონსტანტინოპოლის წმ. მოციქულთა ტაძარში. ქრისტ. ეკლესია ჰ. I-ს იმთავითვე თავის კეთილმოსურნედ თვლიდა და პატივისცემის ნიშნად მისი ქანდაკებები არ გაანადგურეს.

ძველ ქართულ წყაროებში (,,მეფეთა ცხოვრება'', ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' ქრონიკა, ვახტანგ გორგასლის ,,ცხოვრება'') ჰ. I დიდი პატივით იხსენიება. ამ თხზულებებში ჰ. I და მისი დედა – დედოფალი ელენე – ქართლის ეკლესიის დამფუძნებლებად არიან დასახელებული. ,,მეფეთა ცხოვრების'' ავტორის სიტყვით, ჰ. I-მა ,,წარმოგზავნნა მღდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი: მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკვიდრენ ქალაქთა ქართლისათა''. მისგან მიიღო ქართულმა ეკლესიამ ,,ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერჴნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამჭუალნი ჴელთანი''.

ქართველთა მონათვლის შემდეგ ჰ. I-მა იმპერიაში მძევლად მყოფი ბაქარ (ბაკური) მირიანის ძე სამშობლოში დააბრუნა; მისივე შუამდგომლობით მოწესრიგდა საზღვარი ქართლსა და სომხეთს შორის. ქართველი ავტორის თანახმად, გამარჯვებები ჰ. I-მა ,,წარძღუანებით ჯუარისაჲთა'' მოიპოვა.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: სანიკიძე ლ., რომის იმპერია, ნაკვ. 2 (დომინატი), თბ., 1972; Федорова Е. В., Императорский Рим в лицах, M., 1979; Lexicon der Antike, Leipzig, 1985.

ვ. გოილაძე.

კონსტანტინე II (გ. 1505), ქართლის მეფე 1478–1505, ალექ-

სანდრე I დიდის ძის, დემეტრეს (დიმიტრი) ვაჟი. 1465 ბიძასთან, მეფე გიორგი VIII-სთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-ს. ტყვეობიდან გამოქცეული ჰ. II ქუთაისში გამაგრდა, მაგრამ ხელისუფლებას ვერ დაეუფლა. 1466 ბაგრატ VI-მ თავი ქართლ-იმერეთის მეფედ გამოაცხადა. ამავე დროს ტყვეობიდან გათავისუფლებულმა გიორგი VIII-მ რ-მაც ბაგრატ VI-თან ბრძოლა წააგო და კახეთში გადავიდა, სათავე დაუდო კახეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას. 1468 ჰ. II იძულებული გახდა ეცნო ბაგრატ VI-ის მეფობა, თუმცა თავის თავს მაინც მეფეს უწოდებდა. ჩანს, რომ 1466-იდან სამეფოს გარკვეულ ტერიტ-ზე მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა, ე. ი. ეს იყო ორმეფობის დრო. 1478, როცა ბაგრატი გარდაიცვალა, ჰ. II-მ სძლია ბაგრატ VI-ის ძეს, ალექსანდრეს (იხ. *ალექსანდრე II*) და ქართლ-იმერეთის ტახტს დაეპატრონა. 1483 ჰ. II არადეთთან (იხ. *არადეთის ბრძოლა 1483*) დაამარცხა ყვარყვარე II-მ. ამით ისარგებლა ალექსანდრე II-მ და 1484 თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. 1487 ჰ. II-მ იგი ქუთაისიდან განდევნა, მაგრამ ქართლში იაყუბ-ყაენის შემოსევის გამო (იხ. *იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში*) იძულებით დატოვა იმერეთი, რ-საც კვლავ ალექსანდრე II დაეუფლა (1489). XV ს. 90-იანი წლების დასაწყისში ჰ. II-მ ცნო საქართველოს ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად დაშლის ფაქტი, თუმცა ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ოსმ.-ირანის აგრესიის წინააღმდეგ და ცდილობდა ერთიანი სამეფოს აღდგენას. ამ მიზნის მისაღწევად 1492–96 მან ხუცესი ნილოსი დესპანად გაგზავნა ეგვიპტის მამლუქ სულთან აშრაფ სეიფ ალ-დინ კაიტბეისთან, აგრეთვე რომის პაპთან და ესპ. მეფესთან, მაგრამ ჰ. II-ის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; კაკაბაძე ს., წვრილი, შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, წგ. 3, ტფ., 1928; მეტრეველი რ. ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2003. ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.) კრ. XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964; საქართველოს მეფეები, თბ., 2000. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე II, მაჰმადიანური სახელი მაჰმადყული-ხანი (გ. 28. XII. 1732), კახეთის მეფე 1722–32, ერეკლე I-ის ძე, თეიმურაზ II-ის ძმა. დაიბადა და აღიზარდა ისპაანში. მეფობა მიიღო ძმის, დავით II-ის (იმამ ყული-ხანი) გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰისგან, რ-მაც კახეთის გარდა სამართავად გადასცა ერევანი, შამშადილი და ყაზახი (შემდეგში ერევნის ნაცვლად ებოძა განჯისა და ყარაბაღის გამგებლობა). 1722-იდან ჰ. II-სა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შორის მტრული ურთიერთობა იყო: ორივე არბევდა და ძარცვავდა ერთმანეთის სამფლობელოებს. 1723, შაჰის მიერ ვახტანგ VI-ის გადაყენების შემდეგ, ქართლი ჰ. II-ს ებოძა. იგი თავდაპირველად ქართლისათვის ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ლეკების დახმარებით 1723 წ. 4 მაისს თბილისი აიღო. ვახტანგ VI, მისი ძე ბაქარი და მათი მომხრეები შიდა ქართლში გამაგრდნენ. ამ დროს ირან-ოსმალეთს შორის ომი (1723–27) მიმდინარეობდა და ოსმალთა ლაშქარი არზრუმის ფაშა იბრაჰიმის სარდლობით თბილისისაკენ მოიწევდა. ვახტანგ VI-მ მას დამორჩილების ნიშნად ბაქარი და იესე მიაგება. შემდეგ ჰ. II სოღანლუღში მიეგება ოსმალთა სარდალს და ქართლის მეფობის შენარჩუნება სთხოვა, ჩააბარა თბილ. ციხის გასაღები, ერთგულებას შეჰპირდა და ერევნისა და განჯის დამორჩილება აღუთქვა. 1723 წ. 12 ივნ. ოსმალები თბილისში შევიდნენ. ვახტანგ VI-მ შეძლო ფაშის მოქრთამვა, რის შედეგადაც ქართლის გამგებლობა ოსმალებმა ბაქარს გადასცეს, ხოლო ჰ. II დააპატიმრეს. მალე ბაქარის ფარული ხელშეწყობით ჰ. II კახეთში გაიქცა, შემდეგ ბაქარიც განუდგა დამპყრობლებს, ამიტომ ოსმალებმა თბილ. გამგებლობა იესეს გადასცეს. ჰ. II-მ და ბაქარმა მცხეთაში კავშირი შეკრეს ოსმალთა წინააღმდეგ. ჰ. II-ს რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა. იგი პეტრე I-ს სთხოვდა ქართლ-კახეთის მიღებას რუს. მფარველობაში, მაგრამ რუსეთი ოსმალეთთან ზავის დარღვევას ერიდებოდა. ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის (1724 წ. 15 ივლ.) შემდეგ ქართლ-კახეთის მოსახლეობის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ჰ. II. იგი არაგვის ხეობაში გამაგრდა, კავშირი დაამყარა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ერევნის, განჯის, შამშადილის მოსახლეობასთან, მაგრამ საქართველოსა და სამხრ. აზერბ. ძალების ერთდროულად გამოსვლა ვერ მოხერხდა. მტერმა თავდაპირველად ამ განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხრ. აზერბ. დაჯგუფება გაანადგურა, შემდეგ კი, 1724 სექტ. – ჰ. II-ის მომხრეები ატენის ხეობაში, გუფთასთან და საარწივედ წოდებულ ქედთან მომხდარ ბრძოლაში. ჰ. II ქსნის ერისთავს შეეხიზნა, შემდეგ მთელი წელი ფშავში გაატარა, რადგან კახეთში ლეკები დათარეშობდნენ. 1725 კახეთის მოსახლეობამ ლეკები განდევნა და ფშავში გახიზნული ჰ. II თელავში მიიწვია. ის შეეცადა ოსმალების წინააღმდეგ ლეკების გამოყენებას, გაურიგდა კიდეც მათ იმ პირობით, რომ ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის საძარცვავად კახეთის გავლით მისცემდა გზას. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჰ. II იძულებული გახდა დაზავებოდა ოსმალებს: კახეთმა ოსმალეთისათვის ხარკის მიცემა იკისრა, თუმცა არცერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც ნადირმა (შემდგომში ნადირ- შაჰი), ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში (1730–32) წარმატებას მიაღწია, სამხრ. კავკასიაში განმათ. მოძრაობის ახალმა ტალღამ იფეთქა. ჰ. II ოსმალეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. კახეთში ლაშქრით მოსულმა ახალციხის ფაშა უსუფმა (თბილისის ფაშა ისაყის შვილი) ჰ. II ზავზე მოსალაპარაკებლად ბეჟანბაღს (კახეთში) მიიწვია, სადაც ისაყ-ფაშას მსახურმა მაჰმადბეგმა ვერაგულად მოკლა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ეს მოხდა 1729.

წყარო: გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, ც. აბულაძის გამოც., თბ., 1975; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, იქვე, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII–XIX სს. თბ., 1980; ტლაშაძე ი., ბაქარიანი, თბ., 1962;

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხე-

დი), თბ., 1960; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე II, ლიხთიმერეთის მეფე 1396–1401, ბაგრატ ერისთავის (დავით ნარინის შთამომავალი) ვაჟი. მის შესახებ მასალები შეკრებილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). ძმების, ლიხთიმერეთის მეფეების ალექსანდრესა და გიორგის მმართველობის დროს. კონსტანტინეს საქმიანობის შესახებ არაფერია ცნობილი. 1392 ვამეყ დადიანთან ბრძოლისას მოკლეს ლიხთიმერეთის გამგებელი გიორგი ბაგრატის ძე. ამით ისარგებლა საქართველოს მეფე გიორგი VII-მ და დას. საქართველო კვლავ შემოიერთა. გარდაცვლილი გიორგის ძმა კონსტანტინე და ძმისწული დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბასიანში გაიქცნენ და იქ ოთხი წელი გაატარეს. თემურლენგთან ბრძოლებში დასუსტებული საქართველოს ცენტრ. ხელისუფლება ვერ ახერხებდა დას. საქართველოს სრულფასოვან კონტროლს, რითაც ისარგებლეს ადგილობრივმა ერისთავებმა – 1396 ბასიანიდან კონსტანტინე ბაგრატის ძე მოიწვიეს და ლიხთიმერეთის მეფედ აკურთხეს. ჰ. II-მ იმერეთის ციხეების დაკავება დაიწყო, იმავდროულად ცდილობდა „შეერთებასა თვისად დადიან-გურიელისასა და სუანთასა“. ჰ. II-მ საბოლოოდ ვერ მოახერხა ამ ერთობის მიღწევა. ვახუშტის მიხედვით, იგი 1401 გარდაიცვალა. გიორგი VII-მ, მამია დადიანის დახმარებით იმერეთი კვლავ დაიმორჩილა, ბაგრატ ერისთავის შთამომავლებიდან დარჩენილი დიმიტრი ალექსანდრეს ძე დაატყვევა და ქართლში გადაიყვანა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

ჯ. სამუშია.

კონსტანტინე II, კოსტანტი II (გ. 710), აფხაზეთის მეფეთა დივანის (ქრონიკის) მიხედვით, აფხაზეთის მე-10 ,,მეფე“ (ერისთავი) VIII ს. I ნახევარში, თეოდორეს ძე.

კონსტანტინე III, კოსტანტი III, ,,აფხაზეთის სამეფოს“ (დას. საქართველოს) მეფე დაახლ. 893–922, ბაგრატ I-ის ძე. იბრძოდა სამეფო-სამთავროებს შორის ჰეგემონობის მოპოვებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. 904 დაეუფლა ქართლს. მის წინააღმდეგ გაილაშქრეს სომეხთა მეფე სმბატ I-მა და ქართველთა მეფე ადარნასე II-მ. მათ ალყა შემოარტყეს უფლისციხეს და აიღეს. საზავო მოლაპარაკების დროს ჰ. III შეიპყრეს. სმბატმა ის ანისის ციხეში დაამწყვდია, მაგრამ 4 თვის შემდეგ იმის შიშით, რომ ,,აფხაზთა სამეფოს“ ტახტზე უფრო ძლიერ პიროვნებას დასვამდნენ, გაათავისუფლა; სმბატ I არაბებთან ურთიერთობის გამწვავების გამო დათმობაზე წავიდა და ჰ. III-მ კვლავ დაიბრუნა ქართლი. დას. საქართველოსა და სომხეთის მეფის ეს კავშირი ჰ. III-ის სმბატის ასულზე დაქორწინებით განმტკიცდა. აბუ ლ-კასიმის მიერ სმბატ I-ის მოკვლისა (914) და სომხეთის აოხრების შემდეგ, ჰ. III-მ თავდაპირველად ქართლში განიმტკიცა ხელისუფლება, შემდეგ კი კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე I-თან ერთად დაიპყრო და გაინაწილა ჰერეთი. ამ დროიდან X ს. უკანასკნელ მეოთხედამდე საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის ჰეგემონობა ,,აფხაზთა მეფის ხელში“ იყო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955, ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ. 2008, იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786–925), ე. ცაგარეიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.)., თბ., 1963; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965; Анчабадзе З., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1939.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (Porphyrogennêtoso) (17/18. V. 905, კონსტანტინოპოლი, – 9. XI. 959, იქვე), ბიზანტიის იმპერატორი (კეისარი) (913– 920, 945–959), მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელი, იმპ. ბასილი I-ის შვილიშვილი და იმპ. ლეონ VI-ის შვილი. ცნობილია როგორც რამდენიმე ორიგინალური და კომპილაციური ნაშრომის ავტორი. მათ შორის ჩვენთვის საინტერესოა თხზ. ,,იმპერიის მმართველობის შესახებ“, რ-შიც ჰ. VII მიმართავს თავის შვილს, რომანოზს, და აცნობს მას ყველა იმ ხალხსა და სახელმწიფოს, რ-ებიც გარს აკრავს ბიზანტიას. აღწერს ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ბინადრობას, ქალაქებს. ამ თხზულების ხუთი თავი (42, 43, 44, 45, 46) მთლიანად იბერიას ეხება და შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს. ასე მაგ., ტარონის მთავრის ისტორიასთან დაკავშირებით საუბარია იბერიის მეფის, ადარნასე კურაპალატის შესახებ (თავი 43), განხილულია იბერიელთა ვინაობის, იბერიაში ბაგრატიონთა გამეფებისა და მათი გენეალოგიის, ბასიანის საკითხები, აგრეთვე ქ. არტანუჯის მნიშვნელობა იმდროინდელ საგარეო ვაჭრობაში (თავი 45). ჰ. VII-ის აღწერით, ,,არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის მიწა-წყალი ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს“.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ყაუხჩიშვილი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

ლ. მანიავა.

კონსტანტინე VIII (960 – 11. XI. 1028), ბიზანტიის იმპერატორი (1025–28), მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი მამაკაცთა მხრიდან. 976–985 განაგებდა იმპერიას თავის უფროს ძმასთან – ბასილი II-სთან ერთად. იმავე წელს მათ წინააღმდეგ ბარდა სკლიაროსი აჯანყდა, რ-ის დამარცხებაში ქართველთა დიდი წვლილის გამო, 979-იდან ბარდა ფოკას აჯანყებამდე (987), იმპერატორ ძმებს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ,,მცხეთის საბუთის“ მონაცემებიდან გამომდინარე, ქართლის კათოლიკოსი *მელქისედეკ I* სწორედ მათი მმართველობისას, დაახლ. 982, ჩავიდა საიმპერატორო კარზე და იმპ. ძმებისაგან მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღსადგენად მდიდარი შემოწირულობები, მ. შ. 105-სოფლიანი კესტორის მონასტრის შემოსავალი მიიღო. ამ სახსრებით დაიწყო მელქისედეკ I-მა სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა და ისე, როგორც ეს ძმების თანამართველობისას ემისირებულ ოქროსა და ვერცხლის მონეტებზეა გამოსახული, ტაძრის ჩრდ. კედელზე ქტიტორების სახით ბასილი

II წვერით, ჰ. VIII კი უწვეროდ გამოაქანდაკებინა. იმავე ხანებში, როგორც ამას ოშკის ტაძრის წარწერა გვაუწყებს, იმპერატორი ძმების საფასურით ,,განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე“. 985 ბასილი II-მ ჰ. VIII მმართველობას ჩამოაშორა. 987 ბასილი II-მ მის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა ფოკას მხარდაჭერისათვის *დავით III* აიძულა თავისი სამეფო ბიზანტიის იმპერიისათვის ეანდერძებინა, 1021 კი სასტიკად დაარბია საქართველო . მისი გარდაცვალების შემდეგ (1025) ჰ. VIII-მ 70 წლის ასაკში დაიკავა საიმპერატორო ტახტი. იმპერიაში სამწლიანი მძევლობიდან საქართველოში დაბრუნებული უფლისწულ ბაგრატის (შემდგომში ბაგრატ IV) უკან გაწვევის მცდელობა მარცხით დამთავრდა, რის შედეგადაც 1027 ჰ. VIII-მ საქართველოს წინააღმდეგ ბიზანტიის ჯარი გამოგზავნა. საომარი მოქმედებები ჰ. VIII-ის გარდაცვალებისთანავე შეწყდა.

ლიტ.: გოილაძე ვ., ათასწლოვანი სვეტიცხოველი, ნარკვევები, თბ., 2011; მისივე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში, თბ., 2008. მისივე, გიორგი მთაწმინდელიდან მომდინარე ერთი ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ,,ანალები“, 2004, №2;

ვ. გოილაძე.

კონსტანტინე IX მონომაქოსი (დაახლ. 1000, კონსტანტინოპოლი, – 11. I. 1055, იქვე), ბიზანტიის იმპერატორი (1042–55). განეკუთვნებოდა დედაქალაქის არისტოკრატიას. საიმპერატორო ტახტი მაკედონელთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელთან – დედოფალ ზოიასთან ქორწინების (1042) შემდეგ დაიკავა. ჰ. IX-ის მმართველობისას იმპერიაში დაწყებულ ფეოდალურ ამბოხებებს ზედ ერთვოდა იტალიაზე ნორმანების, იმპერიის აზიურ ნაწილზე – სელჩუკების, ხოლო ბალკანურ პროვინციებზე პაჭანიკებისა და რუსების (1043) თავდასხმები. 1045 ჰ. IX-მ დაიკავა სომხ. დედაქალაქი ანისი. ეკლესიის გაყოფის გამო (1054) ურთიერთობა გაურთულდა რომის პაპთან.

ჰ. IX-ის მიერ 1044–47 კონსტანტინოპოლში დაარსებული მანგანის აკადემიაში, რ-იც ბერძენთა რენესანსის კერად გადაიქცა, არაერთმა ქართველმა მიიღო განათლება, მ. შ. *არსენ იყალთოელმა* და *იოანე პეტრიწმა*.

ჰ. IX, ისე როგორც მისი წინამორბედი იმპერატორების აღმოსავლური პოლიტიკა, მიზნად ისახავდა ერთიანი საქართველოს დასუსტებას. ჰ. IX საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ფეოდალს, ლიპარიტ ბაღვაშს მფარველობდა. ვითარება ისე გართულდა, რომ ბაგრატ IV-მ თავისი მცირეწლოვანი ძე – გიორგი ქუთაისში დას. საქართველოს მეფედ დასვა (1052), თვითონ კონსტანტინოპოლში ჩავიდა და ჰ. IX-ს სთხოვა ლიპარიტთან შერიგება. ჰ. IX-ს ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში სამი წელი ფაქტობრივად საპატიო ტყვეობაში ჰყავდა. XI ს. ბიზანტიელი ქრონისტის – გიორგი კედრენეს ცნობით, ,,მეფის მეცადინეობით“ ბაგრატ IV და ლიპარიტი შეთანხმდნენ: ბაგრატი იქნებოდა ,,ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა“, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, ,,მესხეთის მთავარი სიკვდილამდე“; იგი ბაგრატს სცნობდა ,,ბატონად და მეფედ.“ როცა გიორგი მთაწმიდელი ათონის მთიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა და ჰ. IX-ს საყდრის გადასახურავად ტყვია სთხოვა, ბაგრატ მეფე და მისი დედა მარიამი ჯერ კიდევ იქ იყვნენ. გიორგი მთაწმიდელმა ჰ. IX-საგან ტყვიასთან ერთად სხვა ბევრი წყალობაც მიიღო.

წყარო: გიორგი კედრენე, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. Зоя и Феодора, Константин IX წგ: Михаил Пселл, Хронография. Пер., статья и примеч. Я. Н. Любарского, М., 1978.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969.

ვ. გოილაძე.

კონსტანტინე XI პალეოლოგოსი (დრაგაში) (8. II. 1405, კონსტანტინოპოლი, – 29. V. 1453, იქვე), ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი (1449–53). მისი მმართველობის დროს ქვეყანა განიცდიდა ეკონ. და პოლიტ. კრიზისს. ამას დაემატა თურქების აგრესია. მან დახმარებისათვის რამდენჯერმე მიმართა რომის პაპსა და დასავლეთის სახელმწიფოებს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ბიზანტიური წყარო მოწმობს, საქართვ. მეფის, გიორგი VIII-ის ერთ-ერთი ქალიშვილი დანიშნული ყოფილა ჰ. XI-ზე. ამ მისიის შესასრულებლად საქართველოში 1451 ოქტომბერში ჩამოვიდა იმპერატორის პირველი მდივანი *გიორგი ფრანძესი*, მაგრამ ქორწინება არ შედგა, რადგანაც ჰ. XI დაიღუპა ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების დროს.

წყარო: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ., 1970.

ლიტ.: მეტრეველი რ., ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2003; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3., თბ., 1979; ქართული დიპლომატური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997.

კონსტანტინე ბატონიშვილი (გ. დაახლ. 1587/88), იმერთა მეფე ბაგრატ III-ის ძე, გიორგი II-ის უმცროსი ძმა. გიორგი II-ის მეფობის დროს (1565–85) ჰ. ბ-ს საუფლისწულო ადგილ-მამული არ ჰქონდა და მის მისაღებად იბრძოდა. 1583 ჰ. ბ. მეფემ ციხეში გამოკეტა. გიორგი II-ის გარდაცვალების შემდეგ (1585) მან ისარგებლა ლევან მეფის ახალგაზრდობით და დაიპყრო მდ. რიონის აღმ-ით მდებარე ტერიტორია. მის ხელში გადავიდა არგვეთი, სკანდისა და კაცხის ციხეები. 1587 მეფე ლევანმა ჰ. ბ-ს ციხესიმაგრეები წაართვა, მაგრამ თვითონაც იძულებული გახდა მისთვის დაეთმო საუფლისწულო მამული არგვეთში (ზემო იმერეთი).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ო. სოსელია.

კონსტანტინე ბატონიშვილი (VII. 1789, – 3. V. 1844, მოსკოვი), იმერეთის მეფე, დავით II-ის ძე, გენერალ-მაიორი. 3 წლის ჰ. ბ. მამამ ერთგულების ნიშნად სოლომონ II-ს მძევლად დაუტოვა. დავით II-ის მიერ ტახტის დაბრუნების მცდელობის გამო 1792 სოლომონმა უფლისწული მუხურის ციხეში ჩაკეტა. 1803 რუს. მთავრობის მოთხოვნით სოლომონ II-მ ჰ. ბ. გაათავისუფლა და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ცნო. შემდეგში სოლომონმა შეძლო ახალგაზრდა უფლისწულის შემორიგება. იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810) შემდეგ ჰ. ბ. პეტერბურგს გაემგზავრა და კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკში ჩაირიცხა როტმისტრად. მონაწილეობდა რუსეთის 1812 სამამულო ომში. დააჯილდოვეს წმ. ვლადიმირის ორდენით. მისი შვილები (დავითი, გიორგი, კონსტანტინე, ნიკოლოზი, ალექსანდრე) რუსეთში *იმერეტინსკებად* იწოდებოდნენ.

ლიტ.: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; კაკაბაძე ს., კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული, ტფ., 1929, [ტ.] 4; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462–1810 წწ., თბ., 1989.

ო. სოსელია.

კონსტანტინე პატრიკიოსის მისია ტაო-კლარჯეთში, ბიზანტიის იმპერატორის, რომანოზ ლაკაპინის (920–944) მიერ ტაო-კლარჯეთში გამოგზავნილი სპეციალური ელჩობა, რ-საც გახმაურებული დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა; 923 ახლო ხანებში, ადარნასე ,,ქართუელთა'' მეფისა და კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, აშოტ პატრიკიოსმა (მეტსახელად ,,კისკასი''), თავის სიძესთან – გურგენთან მტრობის ნიადაგზე, არტანუჯის ციხის ბიზანტიის იმპერატორისათვის გადაცემა გადაწყვიტა. იმპერატორმა მოიწონა აშოტ კისკასის ეს გადაწყვეტილება და მისი ასრულების მიზნით სათანადო განკარგულებაც გადასცა თავის დიპლომატ. წარმომადგენელს – კონსტანტინე პატრიკიოსს. მან ზუსტად შეასრულა იმპერატორის განკარგულება და არტანუჯის ციხეზე დროშა ააფრიალა. ამ აქტმა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლების – გურგენ და დავით მაგისტროსების მძაფრი პროტესტი გამოიწვია. მათ იმპერატორისაგან არტანუჯის დაუყოვნებლივ დათმობა მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინოპოლისაგან სრული განდგომითა და სარკინოზების მხარეზე გადასვლით იმუქრებოდნენ. იმპერატორმა მათი სარკინოზებზე მიკედლების შიშით უარყო განკარგულება და ყველაფერი დიპლ. მისიის ხელმძღვანელის ,,უჭკუობას'' გადააბრალა. მან ქართველ ბაგრატიონთა დასამშვიდებლად კონსტანტინე პატრიკიოსს ,,ლანძღვა-გინებისა და მუქარის შემცველი'' ბრძანებაც კი გაუგზავნა და დაუყოვნებლივ გაიწვია საქართველოდან.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (*იხ.* თორმეტ ტომად, ტ.2).

კონსტანტინოპოლი (Konstantinoupolis – კონსტანტინეს ქალაქი), რომის (330–395), შემდეგ ბიზანტიის იმპერიის (395–1204; 1261–1479) დედაქალაქი. ქ. ბიზანტიონის ადგილზე დააარსა რომის იმპ. კონსტანტინე I-მა (306–337) ჰ. ოფიც. დედაქალაქად გამოცხადდა 330 წ. 11 მაისს. თავდაპირველად ქალაქს უწოდეს ახალი რომი, მაგრამ ეს სახელი ვერ შენარჩუნდა. დედაქალაქის რომიდან ჰ-ში გადატანა განაპირობა მისმა სიახლოვემ აღმ. პროვინციებთან, რ-თაც სამხ. სტრატეგიული და სავაჭრო თვალსაზრისით, იმ დროს წამყვანი როლი ენიჭებოდათ. ჰ. ბოსფორის სრუტის ევრ. ნაპირზე, რომის მსგავსად, 7 ბორცვზე იყო გაშენებული. კონსტანტინე I-მა ჰ-ში მრავალი ანტ. ქანდაკება გადაიტანა. ქალაქის ცენტრში, ავგუსტეონის მოედანზე აშენდა წმ. სოფიას და წმ. ირინეს ეკლესიები. მოგვიანებით, 537, იმპ. იუსტინიანე II-ის დროს წმ. სოფიას ტაძრის ნანგრევებზე აიგო მსოფლიო საქრისტიანოს უდიდესი ტაძარი აია-სოფია. აქვე მდებარეობდა დიდი სასახლე (კაპიტოლიუმი) და იპოდრომი. ქალაქის წყლით მომარაგების მიზნით იმპ. კონსტანტინე I-ის დროს მოეწყო აკვედუკი (წყალსადენი).

ჰ. უშუალოდაა დაკავშირებული ქართლის გაქრისტიანებასთან. ბიზანტიური ისტ. წყაროებით (გელასი კესარიელი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი) მცხეთაში გასაგზავნი სას. პირები, მ. შ. ქართლის პირველი ეპისკოპოსი იოანე, კონსტანტინოპოლის პირველმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (325–340) აკურთხა. ჰ-ს ჯერ კიდევ IX ს-ში ეწვივნენ ილარიონ ქართველი და გრიგოლ ხანძთელი. იოანე მთაწმიდელი ხშირად ჩადიოდა ჰ-ში ათონის ძმათა საქმეების მოსაგვარებლად. XI ს-იდან სამონასტრო ცხოვრება ჰ-ში სწრაფად განვითარდა. წყაროებში მოხსენიებულია არაერთი მონასტერი, მ. შ. რომანას ქართველთა მონასტერი, 1204 მე-4 ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა ჰ. აიღეს და იგი ლათინთა იმპერიის სატახტო ქალაქად გამოაცხადეს, 1261 ბიზანტიელებმა დაიბრუნეს. 1453 წ. 29 მაისს ქალაქი ოსმალებმა დაიპყრეს, ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქად გამოაცხადეს და სტამბოლი უწოდეს. 1923-მდე იყო ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი.

კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემია, უმაღლესი განათლების კერა, რ-იც 1045 კონსტანტინოპოლში დააარსა კონსტანტინე მონომაქოსმა. აკადემიაში იყო ფილოს. და იურიდ. ფაკ-ტები. ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, თეოლოგიას, რიტორიკას, დიალექტიკას, ფიზიკასა და მეტაფიზიკას, საერო და საღვთისმეტყველო ისტორიას. ჰ. მ. ა. სასწავლებლად იზიდავდა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობას, მ. შ. ქართველებსაც. აქ აღიზარდნენ *იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე* და სხვ. ჰ. მ. ა-ის პრინციპები საფუძვლად დაედო გელათის აკადემიასაც (1106). ჰ. მ. ა-მ არსებობა შეწყვიტა თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების (1453) შემდეგ.

ს. გამსახურდია.

კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულება 1030–31, საქართველოსა და ბიზანტიას შორის კონსტანტინოპოლში დადებული ხელშეკრულება *გიორგი I-ის* ქვრივის (ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის), მარიამ დედოფლის ვიზიტის დროს. აღნიშნული ხელშეკრულებით წერტილი დაესვა ორ ქვეყანას შორის, თითქმის სამწლიან ომს რ-იც განახლდა გიორგი I-ის სიკვდილის (1027) შემდეგ. საქართველოს მხარემ ცნო ბიზანტიის სიუზერენიტეტი, რაც ბაგრატ IV-ისთვის კურაპალატის ტიტულის მინიჭებით გამოიხატა. ამ ზავით მოხერხდა იმპერიასთან გამწვავებული ურთიერთობის დროებითი ნორმალიზება და ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება, რ-იც დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. ბაგრატ IV დაქორწინდა საიმპერატორო სახლის წარმომადგენელ ელენე დედოფალზე. ისტორიოგრაფიაში სხვადასხვაგვარადაა შეფასებული მარიამ დედოფლის კონსტატინოპოლში ვიზიტი და იქ მიღწეული შეთანხმება. ერთი მოსაზრებით (*ვ. გაბაშვილი*), ეს იყო ქართ. დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება; სხვა შეხედულებით, 1030– 31 საზავო ხელშეკრულება უფრო საქართველოს სამეფო კარზე ბიზანტიური ორიენტაციის გამარჯვების დაფიქსირება იყო, ვიდრე ქართული დიპლომატიის წარმატება. ჰ. ს. ხ. ხანმოკლე გამოდგა. ელენე დედოფლის მოულოდნელი გარდაცვალების შემ-

დეგ ერთბაშად გაუარესდა ურთიერთობა ბიზანტიასთან, რაც ხანგრძლივ კონფრონტაციაში გადაიზარდა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. იქვე.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოს და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; მეტრეველი რ., ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2003; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1970; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია წგ. 8, თბ., 1983 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 2).

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, დიპტიქის მიხედვით პირველი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. საპატრიარქოს ადმინისტრაცია, პატრიარქის რეზიდენცია და წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი ფანარში (სტამბოლის რ-ნი) მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ჰ. ს. დაარსდა I ს-ში, როდესაც დაახლ. 38 წ. წმ. ანდრია პირველწოდებულმა ქ. ბიზანტიონში თავისი მოწაფე სტაქოსი ეპისკოპოსად აკურთხა. მას შემდეგ, რაც იმპ. კონსტანტინე დიდმა ბიზანტიონის ადგილზე ახალი დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი დააარსა (330), მისი ეკლესიის მნიშვნელობა და გავლენა თანდათან გაიზარდა და 381 იმპ. თეოდოსიუს I-ის მიერ მოწვეული II მსოფლიო საეკლ. კრების (381) მესამე კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი ღირსებით რომის პაპის თანასწორად, თუმცა რიგით მეორედ გამოცხადდა.

ქალკედონიის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ 451 კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტული მიანიჭა. დიდი სქიზმის შემდგომ (1054), როდესაც რომის ეკლესია ჩამოსცილდა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ჰ. ს.-მ. დიპტიქში პირველი ადგილი დაიკავა.

დღეისათვის ჰ. ს. 5 მლნ-ზე მეტ მორწმუნეს აერთიანებს. მსოფლიო მასშტაბით არსებობს 63 ეპარქია, დაახლ. 3200 სამრევლო, 20 მონასტერი – აშშ-ში, 32 – ათონისა და საბერძნეთის სხვა რეგიონებში, 8 – ავსტრალიაში; ეპისკოპოსთა რიცხვი – 141. ჰ. ს-ს შემადგენლობაშია აგრეთვე კრეტის, ფინეთისა და ესტონეთის ავტონ. ეკლესიები. 1991-იდან კონსტანტინოპოლის ეკლესიის მეთაურია მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი უწმინდესი ბართლომეოსი.

კონსტანტინოპოლისა და ქართული ეკლესიის ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება. ქართლში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადებისთანავე, მეფე მირიანის (IV ს.) თხოვნით, იმპ. კონსტანტინე I-მა მცხეთას მოავლინა ეპისკოპოსი იოანე, ორი მღვდელი და სამი დიაკონი, რებმაც აკურთხეს მცხეთაში აშენებული ეკლესია და აღასრულეს ნათლისღება. ამის შემდგომ ჩვენს ეკლესიებს შორის კავშირი არ გაწყვეტილა. ბიზანტიის ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით ინტენსიური იყო დას. საქართველოში. V–VI სს-იდან მოყოლებული ქართველი საეკლ. მოღვაწეები აღმოსავლეთისაკენ, სირია–პალესტინისკენ ისწრაფოდნენ, IX ს-იდან კი მათ ბიზანტიისაკენ აიღეს გეზი და მისი სამონასტრო კოლონიზაცია დაიწყეს. გრიგოლ ხანძთელმა (759–861) იმოგზაურა კონსტანტინოპოლში და ახლოს გაიცნო იქაური სამონასტრო ცხოვრება; შემდგომ დასავლეთს ეწვია იოლარიონ ქართველი (822–875), რმაც ქართველთა სავანე დააარსა ოლიმპოში (864). მის სახელთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი ცენტრის – რომანას დაარსება (876). ქართველები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ კონსტანტინოპოლის სხვა მონასტრებშიც. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო ათონის ივერთა მონასტერი (980–983), სადაც მრავალი ქართვ. სას. პირი მოღვაწეობდა (იხ. *ათონის ივერთა მონასტერი* და *პეტრწონის მონასტერი*).

ბიზანტიის დაცემის (1453) შემდგომ ჰ. ს-თან კავშირი შესუსტდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ბერები ათონზე XIX ს-მდე მოღვაწეობდნენ. კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ურთიერთობა განახლდა XX ს. 80-იანი წლებიდან. 1917 საქართველოს ეკლესიის აღდგენილ ავტოკეფალიას ჰ. ს. არ აღიარებდა. საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ძალისხმევით 1990 წ. 3 მარტს კონსტანტინოპოლის ეკლესიამ აღიარა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალია. პატრიარქმა დიმიტრიოსმა საქართველოში ჩამოიტანა საეკლესიო დოკუმენტი – ტომოსი. ეკლესიებს შორის მჭიდრო ურთიერთობა დღესაც გრძელდება.

ზ. ეკალაძე.

კონსტიტუცია (ლათ. constitutio – აგებულება, დაწესება, მოწყობა, დადგენილება), სახელმწიფოს უზენაესი კანონი, წერილობითი აქტი, რომელშიც გადმოცემულია პოლიტიკურ-სამართლებრივი ერთეულის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები, ამა თუ იმ დროს მოქმედი ძირითადი შეხედულებებისა და პრაქტიკის ამსახველი უზოგადესი ნორმები.

ჰ. სახელმწიფოებრიობის აუცილებელი ნიშანია. იგი შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს პოლიტიკის, ძალაუფლების შეზღუდვის, ტერიტ. მოწყობის, ადამიანის ძირითადი უფლებების, სასამართლოს, ცენტრ. და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა შექმნის წესის, მათი უფლებამოსილებისა და მსგავსი კატეგორიების შესახებ. ჰ. არეგულირებს მხოლოდ ფუძემდებლურ და უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საკითხებს. მიღების წესის მიხედვით განასხვავებენ რეფერენდუმზე და პარლამენტში ჰ-ის მისაღებად სპეციალურად შექმნილი ორგანოს მიერ მიღებულ ჰ-ებს; აგრეთვე, დაწერილ და დაუწერელ, მოქნილ (რბილი) და მყარ (ხისტი), რეფერენდუმზე პარლამენტის, მონარქის (ქვეშევრდომებისთვის), ან ყოფილი მეტროპოლიის მიერ კოლონიებისთვის ოქტროირებულ ჰ-ებს.

დღეისათვის სახელმწიფოთა უმრავლესობას, მ. შ. საქართველოს, აქვს დაწერილი ჰ. დაწერილი ჰ-ის თვალსაჩინო ნიმუშია აშშ-ის ჰ. (1787). იგი დღესაც მოქმედი უძველესი აქტია და შექმნილია სახელმწიფოთა უფლებების, წარმომადგენლობისა და მონობის აკრძალვის საკითხებზე ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიღწეული პოლიტ. კომპრომისის შედეგად. დაუწერელი ჰ. მოქმედებს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ისრაელში, ახალ ზელანდიაში და აერთიანებს როგორც პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებსა და კანონებს (სტატუსებს), ისე პრეცედენტული პრაქტიკის ნიმუშებს.

ჰ. ცვალებადი დოკუმენტია, რადგან ის მუდმივად უნდა ასახავდეს საზ-ბის მოთხოვნებს, პოლიტიკასა და სამართლებრივ ვითარებას.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წ. 21 თებერვალს

მიიღო (1918 დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ) საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ. იგი როგორც ფორმით, ისე შინაარსით სრულად პასუხობდა იმდროინდელი დემოკრატიის მოთხოვნებს. ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 თებერვალში განხორციელებული ოკუპაციის გამო, რაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) შექმნით დასრულდა, 1921 წლის პ. სულ რამდენიმე დღე მოქმედებდა. სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის დროს საქართველოში მიიღეს 1922, 1927, 1937 და 1978 წლების პ-ები, რ-თა მიღება სსრკ-ის შესაბამისი პ-ების მიღებას ავტომატურად მოჰყვებოდა.

დღეს საქართველოში მოქმედებს 1995 წ. 24 აგვისტოს საქართველოს პ. თავდაპირველად იგი 109 მუხლისგან შედგებოდა. მას შემდეგ რამდენჯერმე გადაისინჯა. ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილებები 2017–18 წლებში შევიდა, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, ახალ პ-დ ჩამოყალიბდა. მოქმედი რედაქცია 78 მუხლს შეიცავს და მასში პირველად გამოცხადდა, რომ საქართველო სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოა.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით აღიარებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი სტატუსი.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად, ქართულთან ერთად, გამოცხადებულია, აგრეთვე, აფხაზური. კონსტიტუციითვე განსაზღვრულია, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, საქართველოს ტერიტ. სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით. ამ დროისათვის საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი; სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

იხ. აგრეთვე *საქართველოს კონსტიტუცია*.

ა. დემეტრაშვილი.
ი. უჯმაჯურიძე.

კონსტიტუციური კანონი, იხ. *კანონი*.

კონსტიტუციური სამართალი, იხ. *საკონსტიტუციო სამართალი*.

კონსტიტუციური სარჩელი, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ფორმა, რომლის საფუძველზეც საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს. კერძოდ, იღებს გადაწყვეტილებებს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილების, საერთაშ. ხელშეკრულების კონსტიტუციურობის, პოლიტ. პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობის, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის, რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პ. ს-ი შედგენილ უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით და ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით. სასამართლოსთვის პ. ს-ით მიმართვის უფლება აქვთ: პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველს, საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. პ. ს-ზე გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟი.


პ. ს-ი გამო საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, განჩინებას, ან საოქმო ჩანაწერს.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შესახებ პ. ს-ის წარდგენისას მოპასუხეა ის ორგანო, რ-ის ნორმატიული აქტის გამოც არის შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი. არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ პ. ს-ის წარდგენისას მოპასუხეა საარჩევნო კომისია. მოქმედი საერთაშ. ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ პ. ს-ის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეა საქართველოს პარლამენტი ან საერთაშ. ხელშეკრულების დამდები ორგანო/თანამდებობის პირი ან მისი უფლებამონაცვლე. სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ პ. ს-ის შეტანისას მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რ-ის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა.

წყარო: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ'', თბ., 1995.

ი. უჯმაჯურიძე.

კონსტიტუციური წარდგინება, საკონსტიტუციო სასამართლოს-


საქართველოს
კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

თვის მიმართვის ფორმა, რომელსაც კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტები წარუდგენენ საკონსტიტუციო სასამართლოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ჰ. წ-ით მიმართვის უფლება აქვთ: მოსამართლეს (მოსამართლეთა შემადგენლობას), საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს პარლამენტს (პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს).

ჰ. წ-ით მიმართვის ფორმა ძირითადად გამოიყენება საერთო სასამართლოს მოსამართლეების მიერ, იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლოს გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ. საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ. სასამართლოში საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ჰ. წ-ით მიმართვის უფლება ასევე აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავის (რომლითაც სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის შექმნისა და უფლებამოსილების ფუნდამენტური საკითხებია მოწესრიგებული) ნორმებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხზე.

ჰ. წ-ის ავტორი არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კონსტიტუციური წარდგინების განხილვაზე და მოითხოვოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტა.

ჰ. წ-ით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე მიმართავს საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედი, საერთაშორისო ხელშეკრულების ან მის ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საქართველოს პარლამენტი ასევე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჰ. წ-ით საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესამოწმებლად, ამ პირთა მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობისას. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადასტურებისას, პარლამენტი კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობის პირის გადაყენების საკითხს.

წყარო: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“, თბ., 1995.

ი. უჯმაჯურიძე.

კონსტრუქტივიზმი (constructio – აგება, სტრუქტურა), ავანგარდული მიმართულება XX ს. 20- იანი წლების საბჭ. ხელოვნებასა (არქიტექტურა, თეატრალურ-დეკორაციული, პლაკატისა და წიგნის მხატვრული გაფორმება, მხატვრული კონსტრუირება, ფოტოგრაფია) და ლიტერატურაში. საწარაუდოდ ჩაისახა 1914. კონსტრუქტივისტების პირველი ორგანიზაცია აღმოცენდა 1921 სამხატვრო კულტურის ინ-ტში („ინხუკი“). ჰ-ის მომდევრები მიზნად ისახავდნენ გარემოს „კონსტრუირებას“, ცდილობდნენ ახ. ტექ. შესაძლებლობების მიგნებას, რათა შეექმნათ ახალი ფორმები ლითონის, ხის, მინისა და სხვ. მასალათა ესთეტ. თვისებების გამოყენებით. არქიტექტურაში კონსტრუქტივისტები ეძებდნენ პროექტირების ახალ გზებსა და პრინციპებს. 1925 შეიქმნა მათი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რ-ის ბეჭდვითი ორგანო იყო ჟურნ. „სოვრემენნაია არხიტეკტურა“ (1926–30). უცხოეთის პლასტ. ხელოვნებაში ტერმ. „ჰ. პირობითია: ის არქიტექტურაში ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, ფერწერასა და ქანდაკებაში – ავანგარდისტული მიმართულების ერთ-ერთი ფორმა.

საქართველოში ქართული არქიტ. განვითარების ახალ ეტაპზე (1921–32) ორი შემოქმედებითი მიმართულება გამოიკვეთა – თანამედროვე არქიტექტურაში ქართული ისტ. ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის მოტივების გამოყენება (როგორც მაშინ ამბობდნენ, „ქართული სტილის“ შექმნა) და ჰ-ის არქიტ. პრინციპების შეთვისება. XX ს. 20-იანი წლების ბოლოს ქართული არქიტექტურა ჰ-ის გავლენის ქვეშ მოექცა, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური – გარეგნული ფორმებით



კონსტრუქტივიზმი. ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა. თბილისი, 1929.

გამოვლინდა და დამოუკიდებელი სახე არ მიუღია. ამავე დროს იყო მცდელობა, შეეხამებინათ მასთან ეროვნ. ტრადიციული არქიტექტ. ელემენტები, რამაც შენობებს გარკვეული ინდივიდუალურობა მიანიჭა. პ-მა გარკვეული როლი შეასრულა ქართ. გრაფ. განვითარებაში (პლაკატი, წიგნი, თეატრი, დეკორ. ხელოვნება).

მიჩნეულია, რომ ლიტერატურაში პ. ფუტურისტული იდეების რეალისტური მოდელირებაა. მას განიხილავენ რაციონალური ხელოვნების ახალ სახედ, რ-შიც შეერთებულია რევ. პათეტიკა და ურბანული მსოფლმხედველობა. პ-ში განსაკუთრებულად გამძაფრდა სიტყვის ფუნქცია; ლექსის გააზრება, სტილი შეცვალა კონსტრუქციამ, პოეზიაში შემოვიდა პროზა, გრაფ. ნიშნები, ჟარგონი, დიალექტიზმები.

ქართულ სინამდვილეში XX ს. 20-იან წლებში პ-მა სერიოზული გავლენა იქონია საბჭ. პოეზიაზე. როგორც „ლერფის“, ისე „H_2SO_4-ის“ აზრით, შემოქმედი არის სინამდვილის რეჟისორი, ანუ კონსტრუქტორი, რ-იც არ იზღუდება მასალის ორგანიზებით. მას შეუძლია რეალობის გარდაქმნა-ესთეტიზაცია, ინდუსტრიული ყოფისა და ადამიანური ურთიერთობების მოწესრიგება-მოდელირება კომუნისტური თვალთახედვით.

პ. გულისხმობდა აბსტრაქციასაც. ამ მხრივ საინტერესოა ბ. ჟლენტის ოთხნაწილიანი „პლასტო პოემა“ („ლიტერატურა და სხვ.“). პ-ისა და დადაიზმის ნაერთია ბ. აბულაძის „ტფილისის მზეზე“, მაგრამ ყველაზე საინტერესოდ პ. მაინც ს. ჩიქოვანის პოეზიაში გამოვლინდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი პოემები: ,,ფიქრები მტკვრის პირას“, „ბედი და რესპუბლიკა“, „ჩემი დანაშაული“ და სხვ.

ლიტ.: სიგუა ს., *ლიტერატურა და ტრადიციის ბარიერი*, თბ., 1988.

თ. გერსამია.

კონსული (ლათ. consul), 1. ძვ. რომში ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა (მაგისტრატურა). ცენტურიატულ კომიციაზე ირჩევდნენ ორ პ-ს ერთი წლის ვადით. ტრადიციის მიხედვით, ორი პ-ის კოლეგია დაარსდა მეფე ტარკვინიუს ამაყის გაძევების შემდეგ ძვ. წ. 510-509. თავდაპირველად, პ-ებს პატრიციების, ხოლო ძვ. წ. 367–366-იდან – პლებეების რიგებიდან ირჩევდნენ. პ. აღჭურვილი იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხ. ძალაუფლებით. აგროვებდა (თითოეული – 2 ლეგიონს) და წინამძღოლობდა ჯარს, იწვევდა სენატს და კომიციებს, ნიშნავდა დიქტატორებს, ატარებდა აუსპიციუმებს. 366-იდან სამოქალაქო სამართლის საქმეებს განაგებდნენ პ-ის უმცროსი კოლეგები – პრეტორები. პ-თა შორის აზრთა სხვადასხვაობისას მიმართავდნენ კენჭისყრას. საგანგებო მდგომარეობის დროს სენატი პ-ს განუსაზღვრელ რწმუნებულებას ანიჭებდა. პ-ის თანაშემწეები იყვნენ კვესტორები. პ. ატარებდა ტოგას, რ-საც ფართო მეწამული არშია ჰქონდა და 12 ლიქტორი ახლდა. იმპერიის დროს პ-მა დაკარგა რეალური ძალაუფლება და ეს თანამდებობა საპატიო ტიტულად დარჩა; პ-თა რიცხვი იმპერატორთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

2. თანამდებობის პირი, რ-იც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში წარმოადგენს და იცავს საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდ. პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე საქართველოს სახელმწ. ინტერესებს. საკონსულო დაწესებულებებია საქართველოს გენ. საკონსულო, საქართველოს საკონსულო, საქართველოს ვიცე-საკონსულო და საქართველოს საკონსულო – სააგენტო. თითოეულ დაწესებულებას ხელმძღვანელობს შესაბამისი პირი. გენერალურ საკონსულოს ხელმძრვანელობს გენ. კონსული, საქართველოს საკონსულოს – კონსული, საქართველოს ვიცე-საკონსულოს – ვიცე-კონსული, ხოლო საქართველოს საკონსულო სააგენტოს – საკონსულო აგენტი. საკონსულო თანამდებობის პირის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება „საკონსულო ურთიერთობის შესახებ“ ვენის 1963 წ. 24 აპრილის კონვენციით; საკონსულო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, აგრეთვე საქართველოს საერთაშ. ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საერთაშ. სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საერთაშ. ჩვეულებითი სამართალი, საქართველოს კანონი „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტები.

მ. კლდიაშვილი.

კონტარინი (Contarini) ამბროჯო (1429, – 1499, ვენეცია), ვენეციელი დიპლომატი და მოგზაური. 1474 თებ. დიპლ. მისიით გაგზავნეს უზუნ–ჰასანთან. თავრიზს მიმავალი პ. იმავე წლის 29 ივნისს ჩავიდა ბათუმში, შემდეგ გაიარა ფოთი, სამტრედია, ქუთაისი, სკანდე, გორიდან გადაუხვია სამხრ-კენ და 4 აგვისტოს მივიდა თავრიზში; 1475 წ. 28 ივნისს პ. კვლავ ,,ფასისის გზით‘‘ დაბრუნდა და თბილისზე გავლით ჩავიდა ფოთში, საიდანაც ისევ თბილისისაკენ მოუხდა მობრუნება. 1477 წ. 10 აპრილს კი ვენეციაში გაემგზავრა.

პ-მ თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილება აღწერა დღიურებში, რ-ებიც 1487 გამოაქვეყნა სათაურით ,,მოგზაურობა სპარსეთში‘‘. მასში მრავალი საინტერესო ცნობა გვხვდება ბათუმის, ფოთის, გორის, თბილისის, ლორეს და სხვათა შესახებ. ი. *ბარბაროს* ,,მოგზაურობასთან‘‘ ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან ნარატიული ხასიათის წყაროს XV ს. 70-იანი წლების საქართველოს ეკონ. და პოლიტ. მდგომარეობის შესასწავლად. საქართვ. ისტორიის მკვლევრებმა ამ თხზულებას ყურადღება მიაქციეს ჯერ კიდევ XIX ს-ში (გ. ყაზბეგი, ა. ჭყონია).

თხზ.: Ambasciatore di Vensetia ad Ussuncassan Re di Persia. Per Anibale Pesco, Parmigiano, Venetia, 1487.

ლიტ.: იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში; იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი; იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ; ,,მოამბე‘‘, 1894, №11; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл. 1935.

ც. ყიფიანი.
ე. მამისთვალიშვილი.

კონტინენტური შელფი, სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებს მიკუთვნებული ზღვის ფსკერის ტერიტორია თავისი წიაღისეულით, რომელზეც მოსაზღვრე სახელმწიფო ახორციელებს სუვერენულ უფლებას ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და გამოყენებისათვის.

პ. შ-ის ცნება ჩამოყალიბებულია გაეროს 1982 კონვენციაში *საზღვაო სამართლის* შესახებ. პ. შ. ამ კონვენციის დებულებების მსგავსად არის განმარტებული საქართვ. კანონმდებლობაშიც. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ‘‘ კანონის მე-7 მუხ-

ლის თანახმად, პ. შ. არის ზღვის ფსკერი, რ-იც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე ან ვრცელდება არაუმეტეს 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რ-ებიდანაც ხდება ტერიტ. წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. ცალკეულ შემთხვევებში პ. შ-ის გარე საზღვარი დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშ. ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

საქართველოს პ. შ-ის რესურსია ზღვის ფსკერზე და მის წიაღში არსებული წიაღისეული, აგრეთვე სხვა არაცოცხალი რესურსი. მას მიეკუთვნება შავი ზღვის შესაბამისი ნაწილის ფსკერის ქვეშ არსებული დედამიწის ქერქის ნაწილი, რ-ის შესწავლა და გამოყენება შესაძლებელია თანამედროვე მეცნ.-ტექ. საშუალებებით.

საქართვ. კონსტიტუციის თანახმად, პ. შ-ის სტატუსის განსაზღვრა და მისი დაცვა (ანუ inter alia), მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწ. ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. პ. შ., როგორც სახელმწიფო ქონება, არ ექვემდებარება პრივატიზებას.

პ. შ-ის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის დაწესებულია მოსაკრებელი, რ-ის ოდენობა განისაზღვრება სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით.

იხ. აგრეთვე *საერთაშორისო საზღვაო სამართალი.*

ი. უჯმაჯურიძე.

კონტრაქტი, იხ. *ხელშეკრულება.*

კონტრიძე ნესტორ ეგნატეს ძე (1854, სოფ. ღიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1932, იქვე), სასულიერო პირი, მგალობელი, ლოტბარი. დაიბადა მღვდლის მრავალშვილიან ოჯახში. ჰქონდა უბადლო ხმა, განსაკუთრებული ბანი. ბავშვობაში მ. ნაკაშიძესთან ერთად აღმოჩნდა იმ ცხრა ყმაწვილს შორის, რ-ებიც ბერმა ბ. ბარკალაიამ საეკლ. გალობის შესასწავლად ათონის მთაზე გაგზავნა. 1878 პ. მ. ნაკაშიძესთან, მ. ჩხატარაშვილთან და ი. ხავთასთან ერთად ძველი საგალობლების ნოტებზე ჩასაწერად გურიიდან თბილისში მიიწვიეს. 1882 მათ ფ. ქორიძის დახმარებით გურული კილოს საგალობლები ნოტებზე გადაიტანეს. 1982–83 საეკლ. გალობას ასწავლიდა თბილ. რეალურ სასწავლებელში, 1885–89 – თბილ. სას. სემინარიაში. ცოლ-შვილის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა ღიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის სენაკში. 1889 ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ – მღვდლად. მსახურობდა ღიხაურის ღვთისმშობლის ეკლ-



ნ. კონტრიძე.

ესიაში. პ-მ გადაარჩინა და შეაკაზმვინა XI ს. ღიხაურის სახარება, რ-იც დღეს ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის ფონდშია დაცული. ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ღიხაურის ფილიალს (შეიქმნა 1912). ავტორია სიმღერისა ,,აჭის წყალო ანკარაო‘‘. 1924 ღიხაურის ეკლესია დაარბიეს და გაძარცვეს, რის გამოც პ. იძულებული გახდა საკუთარ სახლში დაბრუნებულიყო. შეეწირა კომუნისტურ რეპრესიებს. დაკრძალულია ღიხაურის ტაძრის ეზოში.

ლიტ.: თავბერიძე ი., XIX საუკუნის ქართველი მღვდაწეები და საეკლესიო გალობა, თბ., 2010.

კონტრიძე ფაიზულა მიხეილის ძე (27. VI. 1923, თბილისი, – 22. VI, 1998, იქვე), ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986). 1944 დაამთავრა თსსი. ამავე წლიდან მუშაობდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1961–78 იყო ამავე ინ-ტის კლინიკური განყ-ბის ხელმძღვანელი, 1979–94 – თსსი-ში ფსიქიატრიის კათედრის გამგე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

კონტროლის პალატა, იხ. *სახელმწიფო აუდიტის სამსახური.*

კონტუათი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტში (ნახახულევის თემი), იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 130 *მ,* ხონიდან 4 *კმ.* 922 მცხ. (2014).

პ. წერილობით წყაროებში პირველად დამოწმებულია 1570 გიორგი იმერთა მეფის მიერ დავით წულუკიძისადმი გაცემულ წყალობის წიგნში.

კონფლიქტოლოგია, სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთი დისციპლინა. პ. იკვლევს კონფლიქტების წარმოშობის, განვითარების, გადაწყვეტისა და დასრულების წყაროს, თავისებურებებსა და კანონზომიერებას, შეისწავლის პრობლემების იმ წრეს, რ-იც წარმოშობს კონფლიქტებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს კონკრეტული კონფლიქტის არსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. კონფლიქტის საერთო თეორიის ერთ-ერთ მთავარ ფუძემდებლად მიიჩნევა კ. მარქსი, რ-მაც თავის ნაშრომებში განავითარა მოძღვრება კლასებს შორის უთანასწორობის, სოც. დაპირისპირებისა და ცვლილების შესახებ. მარქსი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სოც. კონფლიქტის ისეთ წინაპირობებზე, როგორიც არის შერჩევითი მართლმსაჯულება, ქონებრივი უთანასწორობა და სხვ. პ-ის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით გერმ. ფილოსოფოსსა და სოციოლოგს – გ. ზიმელს და ამერ. სოციოლოგ ლ. კოზერს.

თეორიულად გამოიყოფა კონფლიქტის გაგების ორი ძირითადი მიმართულება: პირველი კონფლიქტის ცნებას უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს და მას ნებისმიერი ტიპის დაპირისპირებად მიიჩნევს როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ძალებს შორის. ამდენად, აქ კონფლიქტის ცნება გაიგივებულია დაპირისპირების ზოგად ცნებასთან და მისი სუბიექტების წრე განუსაზღვრელია. მეორე მიმართულება კი კონფლიქტს განიხილავს როგორც საპირისპირო ინტერესების, მოსაზრებებისა და პოზიციების მიზანმიმართულ დაპირისპირებას. აქ კონფლიქტის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც

ცალკეული ადამიანები, ისე ადამიანთა ჯგუფები. ეს უკანასკნელი შეისწავლის პირად, პოლიტიკურ, სამხედრო, ეთნიკურ, რელიგიურ და სხვ კონფლიქტებს, რ-ებიც სოც. კონფლიქტების ჯგუფში ერთიანდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით კ. დამოუკიდებელი სამეცნ. დარგია, ის კონფლიქტებს ინტერდისციპლინურსა და მულტიდისციპლინურ კონტექსტში იკვლევს. ამგვარად, კ. მჭიდრო კავშირშია ისეთ მეცნიერებებთან, როგორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, გეოპოლიტიკა, პოლიტოლოგია, ისტორია, სამართალი, ეკონომიკა და სხვ. მიუხედავად კონფლიქტთა ტიპებისა და ჯგუფების გამოყოფისა, კ. კონფლიქტებს კომპლექსურად შეისწავლის. მიიჩნევა, რომ პიროვნული და სოც. კონფლიქტები მჭიდრო კავშირშია და განაპირობებს კიდეც ერთმანეთს. ამდენად, სოც. კონფლიქტების მოტივებისა და თავისებურებების გამოსარკვევად, ადამიანის პიროვნული, შინაგანი კონფლიქტების სოც.- ფსიქოლ. და ფილოს. კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოში კ. ახალი სამეცნ. დარგია. ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა XX ს. 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის მიერ გაღვივებული კონფლიქტების კვალდაკვალ. ამ დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კონფლიქტოლოგ გ. ხუციშვილს, რ-საც ეკუთვნის პირველი ქართულენოვანი გამოკვლევები სამხ.-პოლიტ. და ეთნიკური კონფლიქტების შესახებ. იგი წლების განმავლობაში გამოსცემდა ჟურნ. ,,კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებს'', ხოლო 1994, მისი თაოსნობით დაარსდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშ. კვლევითი ცენტრი; კ-ის პრობლემებს დღეისათვის საქართველოში ფართოდ შეისწავლიან სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საექსპერტო ცენტრებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ლიტ.: გალტუნგი ი., კონფლიქტის ტრანსფორმაცია მშვიდობიანი გზით, მთარგმ. თ. ასათიანი, თბ., 2000; სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2004; Augsburger D., Conflict mediation across cultures, Louisville, Kentucky, Westminster/ J, 1992; Coser L. A., The Functions of Social Conflict, Free Press, 1956; Powell W. W., Conflict and Consensus: a festschrift in honor of Coser L. A., Free Press, 1984.

გ. ხუროშვილი.

კონქის ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ კოლას (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში) ცენტრში, ამავე სახელწოდების სოფლის (ამჟამინდელი ქუზუფინარი) დას-ით, მთაზე. ციხე საშ. ზომის მეგალითური ნაგებობაა. სავარაუდოდ, აგებულია ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. ციხეს ეტყობა გვიანდ. გადაკეთების კვალი. როგორც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, იგი მოგვიანებით გაუფართოებიათ. დიდი ალბათობით ქართველები მას XVI ს. შუა ხანებამდე იყენებდნენ. ციხის თავდაპირველი ნაწილის გეგმა სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით წაგრძელებული ოთკუთხედის ფორმისაა (სიგრძე 22,5 *მ,* სიგანე 14 *მ*), რ-იც განივი ყრუ კედლით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა და ორივეს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს: ჩრდ-ით მდებარეს – აღმ-იდან, სამხრ-ით მდებარეს კი – სამხრ-იდან. გარედან ციხის ოთხივე კუთხეში გამოყვანილია მომრგვალებული, ზემოთკენ თანდათან შევიწროებული ყრუ შვერილი. მსგავსი მოყვანილობის შვერილი ციხის დას. კედლის შუაშია. ციხე ნაგებია ლოდებით – დუღაბის გარეშე. ზოგიერთი კედლის სისქე 2,5 მ-ია, ზოგის – 4 *მ* აღწევს. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 3 *მ* არ აღემატება.

ლიტ.: თავაძე ლ., კონქის ციხე. – კრ.: ტაო-კლარჯეთის ციხესიმაგრეები, ტ. 1, თბ., 2020; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938.

თ. დვალი.

კონცელიძე თენგიზ შუქურის ძე (1. III. 1954, დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, – 21. V. 2022, ბათუმი), გენერალ-მაიორი (2000). აჭარის არ სახელმწ. უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი (1993–99), საქართვ. საზღვრის დაცვის სახელმწ. დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების შტაბის აჭარის რეგიონის სამმართველოს უფროსი (1999–2000). 2004-იდან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

ლ. დოლიძე.

კონჭკათი, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (მამათის თემი), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 260 *მ,* ლანჩხუთიდან 17 *კმ.* 261 მცხ. (2014).

კონჭკათი, სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (კონჭკათის თემი), ნასაკირალის სერის ჩრდ. კალთაზე, მდ. სუფსის ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: კ., განთიადი). ზ. დ. 90 *მ,* ოზურგეთიდან 14 *კმ.* 805 მცხ. (2014).

კოოპერატივი, მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის წევრებიც ერთობლივად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. მისი მიზანია საკუთარი წევრების სხვადასხვა სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კ. თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მართავს მას დემოკრ. პრინციპებზე დაყრდნობით. მისი წევრები თანაბრად ინაწილებენ სამეწარმეო საქმიანობის შედეგებს – მოგებასა და ზარალს – მათი კუთვნილი საპაიო შენატანების შესაბამისად. იგი არ არის უმთავრესად მოგების მიღებაზე ორიენტირებული გაერთიანება. კ. დაფუძნებულად ითვლება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.

კ., როგორც შრომითი მიზნით გაერთიანებულ წევრთა თანამშრომლობის ფორმა, გაჩნდა XIX ს-ში ინგლისში.

საქართველოში თანამედროვე კ-ები შეიქმნა კანონების: ,,მეწარმეთა შესახებ'' (1994), ,,სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ'' (1997) და ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ'' (2013) საფუძველზე.

კ-ის სახეებს მიეკუთვნება: 1. საკუთარი წევრებისათვის ნედლეულის მომპოვებელი კ-ები; 2. სას.-სამ. ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კ-ები; 3. სას.-სამ. პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციისთვის განმახორციელებელი კ-ები (სას.-სამ. და საწარმოო კ-ები); 4. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი რეალიზაციის კ-ები; 5. სას.-სამ. წარმოებისათვის ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერ.-ტექნ. რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივად გამომყენებელი კ-ები; 6. სასოფლო-საკრედიტო კ-ები;

7. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კ-ები, რ-თა სამართლებრივი, ეკონ. და სოც. საფუძვლები რეგულირდება ,,სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ'' საქართვ. კანონით; 8. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები; 9. სას.-სამ. კ-ები, რ-თა სამართლებრივი, ეკონ. და სოც. საფუძვლები რეგულირდება ,,მეწარმეთა შესახებ'' და ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ'' საქართველოს კანონებით .

2022 წ. 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართვ. 2021 წ. 2 აგვისტოს ახ. კანონი ,,მეწარმეთა შესახებ'', რ-ის მიხედვითაც კ-ის დაფუძნება შეუძლია არანაკლებ ხუთ (როგორც ფიზ., ისე იურიდ.) პირს. კ. საქმიანობს საფირმო სახელწოდებით და უნდა შეიცავდეს მისი სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელ დამატებას ,,კოოპერატივი'' ან ,,კოოპ.'' მისი წევრები დაფუძნებისას ადგენენ შეთანხმებას – წესდებას, კ-ის ხელმძღვ. ორგანო კი – კ-ს წევრთა რეესტრს. კ-ის წევრის წილს პაი ეწოდება.

კ-ების საქმიანობა რეგულირდება წესდებით და სათანადო კანონმდებლობით. კ. თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. მისი საქმიანობა ემყარება თვითდაფინანსების, თვითმმართველობისა და საკუთარი პასუხისმგებლობის პრინციპებს, გამოკვეთილად ახასიათებს ამხანაგობის ტიპის ნიშნებიც.

კ-ის მართვის უმაღლ. ორგანოებია საერთო კრება და წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა 200-ზე მეტია, საერთო კრების ნაცვლად (თუ ამას წესდება ითვალისწინებს), შეიძლება ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა 500-ზე მეტია, იწვევენ წარმომადგენელთა კრებას.

კ-ის ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. წესდებიდან გამომდინარე, კ-ის წევრი შეიძლება იყოს ინვესტორი, რ-საც არ უნდა ჰქონდეს ხმათა 25%-ზე მეტი. ხელმძღვანელობის წარმომადგენლობისა და კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო (გამგეობა, სარევიზიო კომისია).

კ-ებს კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლიათ ნებაყოფლობით გაერთიანდნენ კავშირებად დარგობრივი, ტერიტორიული, პროფესიული და სხვა ნიშნის მიხედვით.

წყარო: კანონი მეწარმეთა შესახებ, თბ., 2022; საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, თბ., 1997; საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, თბ., 2013; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

ლიტ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011; ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ., 2002.

მ. ჭუმბურიძე.
ი. უჯმაჯურიძე.

კოოპერაცია (ლათ. cooperatio – თანამშრომლობა), ადამიანთა ერთობლივი შრომითი საქმიანობის უძველესი და უნიკალური ფორმა, რომლის წევრებსაც საერთო ეკონომიკური და სოციალური ინტერესები გააჩნიათ და ამ მიზნით ეწევიან სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობას. თეორიასა და პრაქტიკაში კ. განიხილება როგორც 1. შრომის ორგანიზაციის ფორმა, რ-ის დროსაც ადამიანთა გარკვეული რაოდენობა ერთობლივად მონაწილეობს შრომის ერთნაირ ან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესებში; 2. უმთავრესად წვრილ და საშ. მეწარმეთა ორგანიზაციულად და კანონმდებლობის შესაბამისად ნებაყოფლობით დაფუძნებულ გაერთიანებათა ერთობლიობა სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა დარგში.

კოოპერაციული მოძრაობის წარმოშობას ხელი შეუწყო კაპიტალ. მსხვილი მანქანური წარმოების აღმოცენებამ და სენ-სიმონის, შ. ფურიეს (ორივე საფრანგეთი) და განსაკუთრებით რ. ოუენის (დიდი ბრიტანეთი) შეხედულებებმა ალტერნატიული საზ-ბის მოწყობის თაობაზე (მათ სოციალისტ-უტოპისტებსაც უწოდებენ).

პირველი მომხმარებელთა საზ-ბა – *კოოპერატივი* – შეიქმნა შოტლანდიაში 1769, ხოლო 1844 ინგლისში, როჩდეილში დაარსდა კლასიკური ფორმის ნამდვილი სამომხმარებლო კოოპერატივი, რ-საც ხელმძღვანელობდა რ. ოუენის მოწაფე და მისი იდეების პოპულარიზატორი ვ. კინგი. მასში გაერთიანდნენ წვრილი ხელოსნები, მეთევზეები, საფეიქრო და მომიჯნავე საწარმოთა მუშები.

ინგლისის მსგავსად, პირველი კოოპერაციული მომხმარებელთა საზ-ბები (კოოპერატივები) აღმოცენდა და მათი რაოდენობა სწრაფად გაიზარდა საფრანგეთში (1848-იდან), იტალიაში (1853-იდან), გერმანიაში (1854-იდან), რუსეთში (1864-იდან). კ-ის სახეებია: საწარმოო კ., სამომხმარებლო კ., საბინაო კ., სარეწაო კ., სას.-სამ. კ., საკრედიტო კ. და სხვ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად კ. უმთავრესად სამომხმარებლო კოოპერაციის – საქონლის ბითუმად შემძენი და საცალო ქსელით რეალიზაციის – სახით ჩამოყალიბდა.

კოოპერაციული მოძრაობის სწრაფი განვითარებისა და გავრცელების პროცესის შედეგად მრავალ ქვეყანაში შეიქმნა ეროვნ. კოოპერაციული გაერთიანებები და კავშირები.

საქართველოში პირველი კოოპერაციული ორგანიზაცია – ,,მომხმარებელთა საზოგადოება'' – დაარსდა თბილისში 1869, რ-იც 1870 წ. 1 ოქტომბრიდან შეუდგა საქმიანობას ,,ბერეჟლივოსტის'' (ქართ. – ,,მომჭირნეობა'') სახელწოდებით. 1877 დაარსდა საგარეჯოს ,,დამზოგველ-მომხმარებელთა საზოგადოება''. სულ მალე ანალოგიური მომხმარებელთა საზ-ბები შეიქმნა თიანეთში, მაჩხაანში და სხვაგან. მეორენაირად მათ რუს. სახელწოდების (,,Добровольное единое потребительское общество'') პირველი ასოების მიხედვით ,,დეპოს'' უწოდებდნენ. ამ პერიოდში კ-ის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ი. ჭავჭავაძემ, აგრეთვე გ. წერეთელმა, ა. ფურცელაძემ, ს. მესხმა, ა. ცხვედაძემ, დ. ნადირაშვილმა და სხვებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სამომხმარებლო კოოპერატივების ეროვნ. კავშირის ჩამოყალიბებამდე, 1916 წ. 14 მაისს დაფუძნდა საქართვ., აზერბ. და სომხ. კოოპერაციული საზ-ბების კავშირი – ,,ზაკსოიუზი''. 1919 წ. 23–29 მაისს თბილისში გაიმართა საქართვ. პირველი კოოპერაციული კრება, რ-მაც განიხილა ,,ზაკსოიუზის'' რეორგანიზაციის საკითხი, რის შემდეგაც შეიქმნა საქართვ. სამომხმარებლო კოოპერაციულ ორგანიზაციათა ცენტრ. კავშირი – ცეკავშირი. 1919 წ. 9–14 ოქტომბერს კოოპერატორთა ყრილობამ მიიღო ცეკავშირის წესდება, რაც იმავე წლის 13 ნოემბერს დაამტკიცა და რეესტრში შეიტანა თბილ. საოლქო სასამართლომ. ცეკავშირი გაფორმდა როგორც იურიდ. პირი. გამგეობის თავ-რედ აირჩიეს ე. დარჩია, რ-იც ადრე ,,ზაკსოიუზის'' თავ-რე იყო და

წლების განმავლობაში სათავეში ედგა სამომხმარებლო ჰ-ს. 1922 ნოემბერში, ცეკავშირის III ყრილობაზე, გამგეობის თავ-რედ აირჩიეს მ. ტოროშელიძე. საქართვ. ეროვნ. სამომხმარებლო ჰ-ის ამოცანა იმთავითვე ასე განისაზღვრა: მეპაიეთა და, საერთოდ, მშრომელთა სოც.-ეკონ. პირობების გაუმჯობესება თავისუფალი ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და ჩარჩვაჭრებისგან გლეხობის ინტერესების დაცვის გზით.

საქართვ. სამომხმარებლო ჰ-მ, რ-იც ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რთული გზა განვლო. 1920–27 იგი საერთაშ. კოოპერაციული ალიანსის (სკა, დაფუძნდა 1895 ალიანსის I კონგრესზე ლონდონში) წევრი იყო, საიდანაც (საბჭ. კავშირის სხვა რესპუბლიკების მსგავსად) გამოიწვიეს ,,ცენტროსოიუზის'' ალიანსში წევრად მიღების გამო და ალიანსის ღონისძიებებში მონაწილეობდა როგორც ,,ცენტროსოიუზის'' (რუსეთის ეროვნ. კოოპერაციული კავშირი) წევრი. 1919–20 ,,ცენტროსოიუზის'' თავ-რე იყო ა. *ლეჟავა*.

საერთაშ. კოოპერაციულ ალიანსში საქართველოს აღდგენა 1992 ოქტომბერში, ალიანსის XXX კონგრესზე, ტოკიოში მოხდა.

საქართვ. სამომხმარებლო ჰ. – ცეკავშირი – XX ს. 90-იანი წლების დასაწყისისათვის ქვეყნის მოსახლეობის 52%-ს უწევდა სავაჭრო და კვებით მომსახურებას. მისი ხვ. წ. ქვეყნის მთლიან საქონელბრუნვაში 33%-ს შეადგენდა (2,5 მლრდ. მანეთი). სისტემაზე მოდიოდა ქვეყნის საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტების 53%. ჰქონდა სამრეწვ., დამზადება-შესყიდვის, სასწ. და სამეცნ. მომსახურების საწარმოები და დაწესებულებები, ტურიზმისა და დასვენების ობიექტები, რ-ებშიც დასაქმებული იყო 80 ათასზე მეტი მუშაკი. ცეკავშირის გამგეობას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ პარტ. და სამეურნ. მოღვაწეები: ე. დარჩია, მ. ტოროშელიძე, ვ. ჯიბლაძე, ნ. მაისურაძე, მ. ნარსია, ლ. რუხაძე, ზ. კეცხოველი, პ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახაძე, კ. შავიშვილი, რ. კონცელიძე და სხვ.

დაარსებიდანვე ცეკავშირი, ტრადიციულად, სოლიდურ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი თანხები გამოუყო ახლად დაარსებულ თსუ-ს, ჭიათურის დრამ. საზ-ბას, ზუბალაშვილების სახალხო სახლს; ჰ-ის ფულადი სახსრებით დაარსდა საოპერო სტუდია; შეიძინეს კინოატელიე ბელგიელი კომერსანტისგან; გაეწია დახმარება გ. ჯაბადარის დრამ. სტუდიას, სადაც მოღვაწეობა დაიწყეს მსახიობებმა ვ. ანჯაფარიძემ, ა. ვასაძემ და სხვებმა. ცეკავშირის ,,მუშკოოპთეატრის'' ბაზაზე (ხელმძღვ. მ. ჭიაურელი) 30-იან წლებში დაარსდა ვ. აბაშიძის სახ. თბილ. მუს. კომედიის თეატრი და სხვ.

1997 მაისში მიიღეს საქართვ. კანონი ,,სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ'', რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამომხმარებლო კოოპერაციის, როგორც სისტემის, შენარჩუნებაში, თუმცა მან მაინც ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ გარემოში, დაეცა მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონ. ცხოვრებაში.

თანამედროვე პირობებში საქართველოში სწრაფად ვითარდება კოპერატივების ქსელი. მაგ., მათი რიცხოვნობა 2020 წელს 2015-თან შედარებით 1,3-ჯერ გაიზარდა და 5470 შეადგინა, რასაც ხელი შეუწყო მრავალი სახის სახელმწ.

პროექტისა და პროგრამის განხორციელებამ, შეღავათიანმა საკრედიტო-საგადასახადო პოლიტიკამ და სხვა დახმარებისა და მხარდაჭერის სამთავრობო ღონისძიებებმა.

ჰ-ის განვითარების თეორ. და პრაქტ. საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოკვლევები შ. გოგებაშვილმა, ა. ერქომაიშვილმა, კ. კანდელაკმა, პ. კოლუაშვილმა, რ. კრიჭინაშვილმა, ს. მოსიძემ, ნ. ჭავჭანიძემ, ნ. ხუციშვილმა, გ. ჯულაყიძემ, გ. ჯულელმა და სხვ.

ლიტ.: გოგებაშვილი შ., სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა, ტფ., 1925; მისივე, კოოპერაციის თეორია და ისტორია, ტფ., 1925; კანდელაკი კ., კოოპერაცია: თეორია, ისტორია და პრაქტიკა, ტფ., 1909; მოსიძე ს., კოოპერაცია საქართველოში, ნაწ. 1, თბ., 2001; ჭავჭანიძე ნ., სამომხმარებლო კოოპერაციის აღმოცენება და განვითარება საქართველოში, თბ., 1979; ჭუმბურიძე მ., კოღუაშვილი პ., კოოპერაცია: რეტროსპექტივა და პერსპექტივა, «ეკონომიკა და ბიზნესი», 2014, №2; ჯუღელი გ., კოოპერატივიზმი, ქუთ., 1915; Чумбуридзе М., Формирование кооперативного законодательства в Грузии, კრ.: Кооперативы в условиях переходного периода, М., 2002.

მ. ჭუმბურიძე.

„კოოპერაცია“, ქართული სპეციალური კოოპერაციული ჟურნალი; გამოდიოდა 1911–17, 1918–19 ქუთაისში, ხოლო 1923–24 – თბილისში. ,,კ.'' სხვადასხვა პერიოდულობით გამოცემოდა. ჟურნალი აშუქებდა საზ.-ეკონ. საკითხებს; ბეჭდავდა წერილებს საქართველოში კოოპერატივების ორგანიზების შესახებ, ცნობილ საზ. მოღვაწეთა და კოოპერატორთა ბიოგრაფიებს, ახალ ამბებს და სხვ. ,,კ-ის'' დამატებები იყო ,,ილუსტრაციული დანართი'', ,,საკოოპერაციო ბიბლიოთეკა''. რედ.-გამომცემელი – გ. გაბილაია.

კოორდინაციული ნაერთები (ლათ. co – ერთად და ordinatio – მოწესრიგება), კომპლექსური ნაერთები, რთული შედგენილობის ნაერთები, რომლებშიც გამოყოფენ ცენტრალურ ატომს ან იონს (კომპლექსწარმომქმნელს) და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ (კოორდინირებულ) მოლეკულებს ან იონებს – ლიგანდებს (ადენდებს). სინთეზური გზით მიღებულ პირველ კ. ნ-ად მიჩნეულია ფრანგი ქიმიკოსის ბ. ტასერის მიერ 1798 აღმოჩენილი ჰექსაამინკობალტქლორიდი $[Co(NH_3)_6]Cl_3$, რის შემდეგაც ფაქტობრივად იწყება აღნიშნული ნაერთების შესწავლა.

კ. ნ-ის გარეშე წარმოუდგენელია მეტალკომპლექსური კატალიზის, ჰიდრომეტალურგიის, ფოტოქიმ., ბიოქიმ., ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნ., ზესუფთა ნაერთების ქიმ., ლაზერული ტექნ., ასევე ორგ. და მეტალორგანული ქიმ. განვითარება. კ. ნ-ს ფართოდ იყენებენ ფერადი და კეთილშობილი ლითონების: ჯერ კიდევ 1843 პ. *ბაგრატიონის* მიერ მოწოდებული ოქროს მოპოვების საყოველთაოდ აღიარებული მეთოდით მის გამოსაყოფად მადანს ამუშავებენ ნატრიუმის ციანიდის ხსნარით ჟანგბადის თანაობისას.

ბიოკოორდინაციული ნაერთები დიდ როლს ასრულებს სასიცოცხლო პროცესების უზრუნველყოფაში. ლითონების (Cu, Zn, Ng, Mn, Fe, Co, Ni, Mo) კომპლექსური ნაერთები ცილებთან, ვიტამინებთან, კოფერმენტებთან სპეციფიკურ როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლის პროცესში, მონაწილეობს სუნთქვის, ფოტოსინთეზის, ბიოლოგიური ჟანგვისა და ფერმენტაციის პროცესებში. ბიოკოორდინაციული ნაერთებია ქლოროფილი (Mg-

ის კომპლექსნაერთი), ვიტამინი B_{12} (Co-ის კომპლექსნაერთი), ჰემოგლობინი ქმნის კომპლექსს ნაერთს Fe-თან და ა. შ.

საქართველოში პ. ნ-ის კვლევით XX ს. 30-იანი წლებიდან დაინტერესდნენ აკად. ი. ტანანაევი და დ. *ერისთავი* (ინდუსტრიული ინ-ტის ანალიზური ქიმ. კათედრა). მათ შეისწავლეს ფეროციანიდები ანალიზურ ქიმიაში გამოყენების მიზნით. იმავე კათედრაზე რ. *ნიკოლაძემ* და ო. ზვიაგინცევმა განახორციელეს კობალტის ამინური კომპლექსების სინთეზი. მოგვიანებით (1950) საქართვ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ქიმ. ინ-ტში დაარსდა კომპლექსნაერთთა ქიმ. ლაბორატორია, სადაც პ. გოგორიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა გარდამავალი ლითონების (Cu, Zn, Cd, Mn, Co და Ni) პ. ნ-ის სინთეზი ჰიდრაზინთან და მის ორგანულ წარმოებულებთან.

კოორდინაციული ქიმ. განვითარებას საქართველოში სისტემური საფუძველი ჩაეყარა XX ს. 60-იან წლებში. (გ. *ცინცაძის*, ა. *შველაშვილის*, რ. *მაჩხოშვილის*, ა. *ცივაძის*, თ. *წივწივაძის*) ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა შექმნა პ. ნ-ის ქიმ. ძლიერი ქართ. სამეცნ. სკოლა.

გ. ცინცაძემ (თანამშრომლებთან ერთად) დაადგინა ციანატური, თიოციანატური, სელენციანატური, ფსევდოჰალოგენიდებისა და ამიდების შემცველი პ. ნ-ის კრისტალური და მოლეკულური სტრუქტურა, რ-თა ნაწილი კემბრიჯის კრისტალოგრაფიული მონაცემების საერთაშ. ბანკშია შეტანილი. კვანტურ-ქიმიური გამოთვლებისა და შთანთქმის ინფრაწითელი სპექტრების მონაცემები სრულადაა დადასტურებული შესაბამისი მონოკრისტალების რენტგენოსტრუქტურული კვლევებით. პირველად დადგინდა თიოციანატური ჯგუფების კოორდინირების წესი როგორც აზოტის, ისე გოგირდის ატომებით აციდოლიგანდის მონოდენტატურობის პირობებში. დადგინდა SCN ჯგუფის ხიდური ფუნქციაც.

ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნა რ. მაჩხოშვილმა ჰიდრაზინთან და მის წარმოებულებთან გარდამავალი, ლითონების პ. ნ-ის სინთეზს, სპექტროქიმიურ და სტერეოქიმიურ რეაქციებს, რაც საქართველოში კოორდინაციული ქიმ. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

ა. შველაშვილმა პირველმა დაადგინა გარდამავალი ლითონების ბის-ამინური პ. ნ-ის სტერეოქიმიური და კრისტალოქიმიური ასპექტები, განახორციელა პ. ნ-ის კლასიფიკაცია ოჯახებად პოლიდენტატური ნიშან-თვისებებისა და გეომეტრიულ კონფიგურაციათა მიხედვით, ლითონების ბის-ამინური პ. ნ-ის სინთეზისა და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის საფუძველზე დაადგინა ნიკელის მაღალსპინური კომპლექსებისათვის მონომერული ცის-ოქტაედრული აღნაგობა. აღნიშნული ლითონის ახ. პ. ნ-ის სინთეზით შესაძლებელი გახდა მაღალხარისხიანი კალა-ნიკელის შენადნობის მიღება.

1998 გ. ცინცაძეს (ხელმძღვ.), რ. მაჩხოშვილს, ა. შველაშვილს, ა. ცივაძეს, თ. წივწივაძეს და ი. ხარიტონოვს მიენიჭათ საქართვ. სახელმწ. პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში 1987–94 შესრულებული შრომათა ციკლისათვის – ,,ლითონთა კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი-აღნაგობა-თვისება‘‘.

ლიტ.: მაჩხოშვილი რ., კოორდინაციული ქიმიის შესავალი, თბ., 2004; სკოპენკოვ., ცინცაძე გ., სავრენსკი ლ., კოორდინაციული ქიმია, თბ., 2011; Кисилев Ю. Н., Химия координационных соединений, М., 2008; Цинцадзе Ф. Ю., Супрамолекулярные металлокомплексные системы на основе краунзамещенных тетрапирролов, «Успехи химии», 2004, т. 1.

რ. მაჩხოშვილი.

კოპალა, ერთ-ერთი ღვთისშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებში. ხალხური ეტიმოლოგიით მისი სახელი კომბლიდან მომდინარეობს.

პ-ს ძირითადი სამლოცველო იყო ფშავსა (სოფ. უძილაურთა) და ხევსურეთში (ლიქოკის ხეობა, ჭალაისოფელი). პ-ს სამლოცველოები იყო. აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ქართლ-კახეთის ჩრდ. ზოლში; ხალხ. წარმოდგენით – პ. კაცი (ხორციელი) იყო, რ-იც საგმირო საქმეების გამო, ,,გახატებულა‘‘ და ღვთისშვილად ქცეულა, რისთვისაც მას *იახსართან* ერთად, მორიგე ღმერთმა ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ოდესღაც მობინადრე დევ-კერპების განადგურება დააკისრა. მასვე მიაწერენ ავსულებთან ბრძოლის ფუნქციას, საკუთარი საყმოსა და სხვა ხორციელთა დაცვას ბოროტი ძალებისაგან. იმავე წარმოდგენით, პ., როგორც სათემო ღვთაება, თავის ყმებს მფარველობდა გასაჭირში, თან ახლდა ლაშქრობებში და ხელს უმართავდა. ამ ფუნქციათა დამთხვევის გამო პ. და იახსარი მოძმე ღვთისშვილებად მიაჩნდათ. პ-ს ჰქონდა მამულები, სათიბები, ზვრები კახეთში, კურატების ჯოგი, სხვადასხვა დანიშნულების საზ.-საკულტო ნაგებობანი, სამეურნეო ინვენტარი, ფლობდა განძს და ა. შ. ხალხის რწმენით, დღემდეა შემორჩენილი პ-ს მიერ ბრძოლის დროს გამოყენებული ქვები, რ-ებსაც დევები ადგილიდან ვერ ძრავდნენ. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ პ. წმ. გიორგის ერთ-ერთი ხალხ. ზედწოდებაა. ხევსებერები სადიდებელში პ-ს ასე მოიხსენიებენ: ,,ძალო ღვთისაო, ძალო წმინდა გიორგი კოპალესაო‘‘. სოფ. ნაფარეულთან დგას პ-ს წმ. გიორგის ეკლესია.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 – ფშავი, თბ., 1974; კიკნაძე ზ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, თბ., 2013; ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1 – ხევსურული, თბ., 1931; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, Тб.,1957.

თ. ოჩიაური.

კოპალაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე (დ. 27. IV. 1937, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (2005). 1961 დაამთავრა სპი არქიტექტურის სპეციალობით. მუშაობდა პროექტის მთ. არქიტექტორად ,,საქქალაქმშენსახპროექტსა‘‘ (1962–2003) და შპს ,,საქარქფონდში‘‘ (2005–09), სამშენებლო კომპანია ,,აქსისის‘‘ არქიტექტორ-კოორდინატორად და სხვ. საკონკურსო პროექტები: ტიპური საცხოვრ. სახლების სერია (1962, პირველი პრემია); თსუ-ის კომპლექსის გენგეგმის პროექტი (1970, პირველი პრემია; ავტორთა ჯგუფთან ერთად) და სხვ. მისივე ნამუშევრებია 280-ადგილიანი ტურბაზა ვარძიაში (1965); 600-ადგილიანი კულტურის სახლი ახალსოფელში (გუდაუთის მუნიციპ.); თსუ-ის ცენტრ. სამეცნ. ბ-კა (გათვლილია 5 მლნ. ნაბეჭდ ერთეულზე, 1985; ავტორთა ჯგუფთან ერთად), მრავალბინიანი საცხოვრ. სახლი შრომის ქუჩაზე (2003, ორივე თბილისი) და სხვ.

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.

კოპალეიშვილი ბარნაბა ილარიონის ძე (21. XI. 1898, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 7. I. 1979, თბილისი), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1956). მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1954–79 მუშაობდა თბილ. სამედ. ინ-ტის გინეკოლოგიის კათედრის პროფესორად.

ჰ. იკვლევდა ჟანგვა-აღდგენით პროცესებს ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის პერიოდში, პლაცენტის ფიზიოლოგიასა და პათოლოგიას, უნაყოფობის ეტიოპათოგენეზს, მის მკურნალობას და სხვ.

თხზ.: მეანობა (სახელმძღვანელო), თბ., 1967; გამოც. მე-2, თბ., 1972; საშვილოსნოს მიომა, თბ., 1971 (თანაავტ. კ. კორმილიცინი); ოპერაციული გინეკოლოგია, თბ., 1977.

კოპალეიშვილი ვასილ პავლეს ძე (12. X. 1932, სამტრედია, – 30. XII. 2019, იქვე), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1991), საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი (1996). 1955 დაამთავრა სპი-ის მეტალ. ფაკ-ტი ლითონთა წნევით დამუშავების სპეციალობით. 1956–61 მუშაობდა ქ. ხარციზსკისა (უკრაინა) და რუსთავის მეტალ. ქ-ნებში, 1961-იდან კი – სპი-ში ლითონთა ტექნოლ. და ლითონმცოდნეობის კათედრაზე. 1992-იდან იყო ჩამოსხმის, შედუღებისა და ახ. ტექნოლ. პროცესების კათედრის გამგე, პარალელურად ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ მასალათა თვისებების ლაბორატორიას.

ჰ-ის მეცნ. კვლევები მოიცავს ლითონმცოდნეობისა და ლითონთა ტექნოლ. დარგებს. მყარი სხეულების ფიზ. და ნგრევის მექან. მეთოდების გამოყენებით მან გააანალიზა მილნამზადის გაჭოლვის (განღრუების) პროცესი, ექსპერიმენტულად დაადგინა ლითონის (ფოლადის) ,,დაძველების'' საწინააღმდეგო, მანამდე უცნობი ე. წ. ,,გაახალგაზრდავების'' ეფექტი, რ-იც გამოიყენება ახ. შენადნობების შესარჩევად. მის მიერ მიღებული შედეგების უმრავლესობა დაინერგა წარმოებაში. 1993 სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვისათვის საწარმოო ციკლში ,,ფოლადი – მზა პროდუქცია''.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე (30. I. 1930, სამტრედია, –19.II.2019, თბილისი), ფიზიკოსი-თეორეტიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1993, წ.-კორ. 1979), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1976). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1953). 1958–61 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (2006-იდან – თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი), 1961-იდან – თსუ-ში, 1964-იდან – იქვე ბირთვული ფიზ. პრობლემური ლაბორ. (1979-იდან – თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი) განყ-ბის გამგედ. 1974–87 იყო (შეთავსებით) თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. კათედრის გამგე, 1987-იდან – ელემენტარული ნაწილაკების ფიზ. კათედრის პროფესორი.

ჰ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართვ. ფიზიკოსების აღზრდაში, დუბნის ბირთვული კვლევების საერთაშ. ინ-ტთან (JINR) თსუ-ის თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეწეოდა აქტიურ პედ. მოღვაწეობას თსუ-ში, იყო ამავე უნ-ტში მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

ჰ-ის შრომები ეხება შუალედური ენერგიების კვანტებისა და მეზონების ურთიერთქმედებას ატომბირთვებთან, ჰადრონთა კვარკულ სტრუქტურას და სხვ. ბირთვის გაისული მოდელის ჩარჩოებში მან იწინასწარმეტყველა მეზონების შთანთქმის წყვილური ნუკლონური მექანიზმი, რაც შემდგომ დადასტურდა ექსპერიმენტულად; რელატივისტური კვაზიპოტენციალური მიდგომის საფუძველზე აღწერა პიონ-დეიტრონული გაბნევის პროცესი, ასევე კვარკების ბმული მდგომარეობები ბარიონებსა და მეზონებში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 2 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილისა (1973) და ნ. მუსხელიშვილის სახ. (1988) პრემიები, ასევე სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: დაჯახებათა თეორიის საფუძვლები, თბ., 1975; გამოც. მე-2, თბ., 1999; Структура легких ядер и процессы поглощения π±-мезонов и γ-квантов, Тб., 1967; Вопросы теории взаимодействия пи-мезонов с ядрами, М., 1984.

ი. ლომიძე.


კოპალიანი როლანდ შარდენის ძე (დ. 15. III. 1957, სოფ. არადუ, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), სწავლული აგრონომი. სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (2004), პროფესორი (2005). საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. (2017) და აფხაზეთის არ მეცნ. ეროვნ. (2008) აკადემიების ნამდვ. წევრი. 1979 დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის (შემდგომში უნ-ტი) სუბტროპ. ფაკ-ტი. 1982-იდან მუშაობა განაგრძო იქვე. 1991–2006 მოღვაწეობდა მეჩაიეობის კათედრაზე. 2009–11 იყო ამავე უნ-ტის რექტორი. 2011–16 ჰ. ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწ. უნ-ტის სუბტროპ. კულტურების დეპარტამენტის სრული პროფესორი, 2019-იდან – რექტორი.



ვ. კოპალეიშვილი.

ჰ. იკვლევს სუბტროპ. კულტურების მოვლა-მოყვანისა და გავრცელების საკითხებს საქართველოში, მონაწილეობს სხვადასხვა საგრანტო პროექტსა და საერთაშ. სამეცნ. კონფერენციებში. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, მ. შ. 1 მონოგრაფია და 9 სახელმძღვანელოა. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2012).

თხზ.: ჩაის კულტურის რეაბილიტაციის მეცნიერული საფუძვლები საქართველოში, თბ., 2003; ჩაის კულტურის აგროეკოლოგიური თავისებურებანი, ქუთ., 2005.



თ. კოპალეიშვილი.

კოპალიანი ჯუმბერ დავითის ძე (დ. 1. XI. 1939, სოფ. ქულბაქი, ცაგერის მუნიციპ.), არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1967). მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში (1973–78), 1980- იდან – არქეოლოგიური კვლევის ცენტრში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, 1981-იდან – დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილედ, ხოლო 1993-იდან – ამავე ექსპედიციის ხელმძღვანელად, 1996–2006 – არქეოლ. კვლევის ცენტრის ფილიალის, დმანისის ისტ.-არქეოლ. განყ-ბის ხელმძღვანელად, 2007–11 – დმანისის კულტურის ცენტრის დირექტორად. პარალელურად, 1990-იდან იყო თავისივე დაარსებული დმანისის დრამ. თეატრის დირექტორი, 2007-იდან კი დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მისივე ინიციატივით შექმნილი არქეოლ. ექსპოზიციის ხელმძღ-



რ. კოპალიანი.

ვანელი. ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უნ-ტში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. წიგნები: ,,მოურავის ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში'' (1974), ,,დმანისის ციხე'' (1996), ,,ქვეშის ციხე'' (1999), ,,დმანისის ნაქალაქარი'' (2017, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). მის მიერ მომზადდა და მისივე რედაქტორობით გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებული ,,დმანისი'' (5 ტ., 2006, ქვემო ქართლის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა).

მიღებული აქვს ე. თაყაიშვილის სახ. პრემია (1998), ღირსების ორდენი (2002). არის ლეჩხუმისა და დმანისის საპატიო მოქალაქე.

კოპაძე შოთა ალექსანდრეს ძე (დ. 13. VI. 1952, სოფ. კლდე, ახალციხის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2003). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით (1979). 1973–2000 მუშაობდა შსს და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. 2000–05 იყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავ-რე.

კოპერნიკი (Kopernik, Copernicus) ნიკოლაუს (19. II. 1473, ტორუნი, – 24. V. 1543, ფრომბორკი), პოლონურ–გერმანული წარმომავლობის მოღვაწე, ასტრონომი, სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის შემქმნელი, მათემატიკოსი, მექანიკოსი, ექიმი, ეკონომისტი, ეკლესიის კანონიკი. კ-მა სახელი გაითქვა როგორც ჰელიოცენტრული სისტემის პირველი მეცნიერულად დასაბუთებული სურათის ავტორმა, რამაც დასაბამი მისცა პირველ სამეცნიერო რევოლუციას.

კ-ის ჰელიოცენტრულმა თეორიამ მარტივად და დამაჯერებლად ახსნა ის დაკვირვებითი კანონზომიერებები, რ-ებიც კ. პტოლემეოსის (ახ. წ. დაახლ. 100–170, რომის ეგვიპტე) გეოცენტრულ თეორიაში ეპიციკლებისა და დეფერენტების ძალზე ჩახლართული სისტემით აიხსნებოდა.

კ-ის თეორიის მთავარი ჰიპოთეზის თანახმად, დედამიწა (მის გარშემო მოძრავ მთვარესთან ერთად), სხვა პლანეტებივით, წრიულ ორბიტაზე ბრუნავს უძრავი მზის გარშემო; მზის ხილული წლიური გადაადგილება *ზოდიაქოს* სარტყელში სწორედ ამ მოძრაობით აიხსნება. მზის დღეღამური გადაადგილება ცაზე აიხსნება დედამიწის ბრუნვით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ საკუთარი ღერძის გარშემო, 24 *სთ* პერიოდით.

კ-ის სახელი ეწოდა 112-ე ქიმიურ ელემენტს (კოპერნიციუმი), კრატერებს მთვარესა და მარსზე, მცირე პლანეტას (1322); ცნობილია კ-ის პრინციპი – არც დედამიწას და არც მზეს არ უკავია განსაკუთრებული ადგილი სამყაროში.

საქართველოში კ-ის სახელი პირველად ანტონ I-მა (1720–88) მოიხსენია ,,სწავლათა კიდობანში'' (1818 ითარგმნა რუსულად).

ლიტ.: ჯიქია დ., კვირკველია გ., კოპერნიკის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1973; Амбарцумян В. А., Коперник и современная астрономия, «Вестник Академии наук СССР», 1973; № 5; Sheila Rabin, Nicolaus Copernicus in Stanford Encyclopedia of Philosophy, 2019, Sep 13.

ი. ლომიძე.

კოპის ციხე, ციხე ისტორიული ტაოს სოფ. კოპის ტერიტორიაზე (ახლანდ. სოფ. თიმურქიშლა, თურქეთის რესპუბლიკა). კ-იდან ჩრდ-ით, 1 *კმ* დაშორებით კლდეში წარმოქმნილი უზარმაზარ გამოქვაბულში შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის ფრაგმენტები. ციხე, სავარაუდოდ, რამდენიმე დონეზე იყო განლაგებული. ციხის ქვედა ნაწილს, როგორც ჩანს, გალავანი შემოუყვებოდა. ზედა ნაწილში შემორჩენილია წყლის ავზები და რამდენიმე ოთახი. ციხის უკიდურეს ჩრდ. ნაწილში კლდეზე მიშენებულია ეკლესია – მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. ეკლესიამდე მისასვლელი გზა ამჟამად ჩამონგრეულია. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით ციხის შორიახლოს, მდ-ების – ბარდუსისწყლისა და ორთულისწყლის შესართავთან, კლდოვან ბაქანზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი კომპლექსი, რ-შიც შედის საცხოვრებელი ნაგებობები და ეკლესია. ეკლესიის წარწერის მიხედვით კომპლექსი მზეჭაბუკ ათაბაგის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ამჟამად წარწერის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი. ითვლებოდა კოპაძეების (სამცხის წარჩინებული საგვარეულო) კუთვნილ ციხე-სიმაგრედ, რ-ებიც დიდ მამულებს ფლობდნენ ტაოში, მ. შ. კ-ის სტრატეგიულ ციხეს.

კ. ც. პირველად ე. *თაყაიშვილის* ექსპედიციამ აღწერა 1907 წ. ეკლესია სავარაუდოდ XII–XIII საუკუნეებისაა, კედლის მოხატულობაზე ნუსხური, ასომთავრული და მხედრული წარწერებია.

ლიტ.: ბოშიშვილი ა., კოპის ციხე, კრ.: ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, ტ. 3, თბ., 2020; გივიაშვილი ი., ბარდუსის ხეობის არქიტექტურული მემკვიდრეობის წინასწარი მიმოხილვა, კრ.: სამეცნიერო პარადიგმები, თბ., 2009; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კატალოგი, თბ., 2017; Sinclair T. A., Eastern Turkey: An Architectural and Archeological Survey, vol. 2, L., 1989.

კოპიტი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფლების *პირველი კოპიტისა* და *მეორე კოპიტის* გავრცელებული სახელწოდება.

კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტი, იხ. *ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი* დავით აღმაშენებლის სახელობისა.

კოპლებიანი მწყერთევზა (Symphodus roissali Risso, 1810 – Crenilabrus quinquemaculatus Risso, 1827), თევზი. მიეკუთვნება ტუჩოსანთა ოჯახს (Labroidae Cuvier, 1816), ტუჩოსნების გვარს (Labrus Linnaeus, 1758). მაქსიმალური სიგრძე – 21 *სმ*, მასა – 120 *გ*. შავ ზღვაში ხშირად გვხვდება უფრო პატარა ზომის მწყერთევზები (16 *სმ*-მდე). ბინადრობს კლდე-ქვიან, მცენარეებით მდიდარ სანაპირო წყლებში. იკვებება უმთავრესად მოლუსკებით. გავრცელებულია შავ ზღვაში – კავკასიის, ყირიმის, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის სანაპიროებთან; ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა, მარმარილოს ზღვებში, ბოსფორში.

სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს. (ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის) IUCN მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).



კოპლებიანი მწყერთევზა.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; Световидов А., Рыбы Черного моря, М., 1964.

ნ. ნინუა.

კოჟუხოვი ივანე მათეს ძე (7. XI. 1915, სოფ.იკურტი, ბროდსკის რ-ნი, ორიოლის ოლქი –

გ. წ. უცნ.), თბილგვირაბმშენის №9 საგვირაბო რაზმის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი. 1977 ახალი ათონის კარსტული მღვიმის კომპლექსის შექმნისათვის მეცნ. და მშენებელთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1977).

კორალინი გეორგ (გიორგი) (დ. წ. უცნობია, – გ. 1891, სანქტ-პეტერბურგი), იტალიელი მხატვარი, ქ. ლუკას მკვიდრი. ძირითადად მუშაობდა დაზგურ გრაფიკაში აკვარელის ტექნიკით. თბილისში ჩამოვიდა XIX ს. 40-იან წლებში. სავარაუდოდ, 1847–53 ხატვასა და სუფთა წერას ასწავლიდა თბილ. გიმნაზიაში. რუსეთის ჯარში მსახურობდა ოფიცრად. მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853–56). 1871 გადადგა სამხედრო სამსახურიდან და გაემგზავრა იტალიაში, თუმცა მოგვიანებით ისევ რუსეთში დაბრუნდა.

როგორც მხატვარი, ჰ. ოსტატურად ფლობდა აკვარელის ტექნიკას, ქმნიდა ცნობილი ისტ. პირების, კავკასიის მთიელთა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის (სადაც მსახურობდა) ოფიცერთა პორტრეტებს, აკეთებდა ეთნოგრ. ჩანახატებს. სამწუხაროდ, მისი ნამუშევრების უმეტესობა დაკარგულია. ჰ-ის ორი მინიატურა დაცულია საქართვ. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში. ერთზე გამოსახულია ერეკლე II-ის ქალიშვილი თეკლე, ხოლო მეორეზე – მისი მეუღლე ვახტანგ ორბელიანი. ორივე მინიატურა ხელმოწერილია მხატვრის მიერ. საქართვ. ეროვნ. არქივში დაცულია გ. ერისთავის პიესა ,,გაყრის'' ხელნაწერი ჰ-ს მიერ შექმნილი 11 მინიატიურით, რ-იც ასახავს როლების პირველ შემსრულებლებს სპექტაკლში.

კორაქსები (Koraxoi), ქართველური ტომი. ანტიკური წყაროების (ჰეკატეოს მილეტელი, ძვ. წ. VI ს.; ჰელანიკე მიტილენელი, ძვ. წ. V ს. II ნახ.; ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს.) მიხედვით ჰ. ცხოვრობდნენ აღმ. შავიზღვისპირეთში, კოლხების ჩრდ.-დასით. ჰ-ის საცხოვრებლის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ჰ. სახლობდნენ მერმინდელი წებელდის მახლობელ ტერიტორიაზე (ითვლებიან აფსილეთის უძველეს მოსახლეობად), ზოგიერთის ვარაუდით კი ისინი მდ. ბზიფის ხეობაში ცხოვრობდნენ. ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო დამაჯერებელი ჩანს. სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონის მიხედვით (,,ეთნიკა'') შემონახული ლიტ. ტრადიციის თანახმად, ჰ. კოლხური ტომია. ამ ცნობის საფუძველზე ჰ-ს მეცნიერები ეთნიკურად კოლხური წარმოშობის ტომად, ხოლო ტომის სახელწოდებას (,,კორაქსოჲ'') კი ,,კოლხის'' ვარიანტულ სახესხვაობად არ მიიჩნევენ. ძვ. წ. II–I სს. ავტორები ჰ-ს უკვე აღარ იხსენიებენ შავი ზღვის ჩრდ.–აღმ. სანაპიროზე მოსახლე ტომთა შორის.

ლიტ.: ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორისათვის» 1963, ნაკვ. 35; ლორთქიფანიძე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990; მაქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974.

მ. ინაძე.



გ. კორადინი. გ. ერისთავის პიესა ,,გაყრა''. სცენა სპექტაკლიდან. 1850.

კორახაშვილი ავთანდილ (ბიძინა) არჩილის ძე (დ. 24. IX. 1949, თბილისი), აგროტექნოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013, წ.-კორ. 2009), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1995). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი (1971). მუშაობდა თბილ. საბაზისო სანერგე მეურნეობაში (1972–76), საქართვ. ხორცისა და რძის მრეწველობის (1975–79), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის (2001–15) სამინისტროებში, 1979-იდან – საქართვ. აგრარულ უნ-ტში (კათედრის გამგე 1989–2007). მონაწილეობდა USAID-ის 5 პროექტში. ეწევა აქტიურ საზ. მოღვაწეობას. არის საქართვ. შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნ. ფონდის სამეცნ. საბჭოს წევრი (2006–18), ევროპის გენეტიკური რესურსების (ECP/GR), სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ევროპის ფედერაციისა (EFITA) და მრავალი საერთაშ. ორგანიზაციის (TACIS, GTZ, CGIAR და სხვ.) სამეცნ. საბჭოს წევრი, ექსპერტი, კოორდინატორი და ანალიტიკოსი.



ა. კორახაშვილი.

ჰ-ის სამეცნ. მოღვაწეობის სფეროა აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და გაუმჯობესება, აგრარული ნანო-, ბიო- და საინფორმაციო ტექნოლოგიების ადაპტაცია საქართველოსთვის; საქართვ. საკვებისა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების შექმნა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

ჰ. ეწევა პედ. მოღვაწეობას საქართვ., აშშ-ის, იაპონიის, უნგრეთის, ჩინეთის უნ-ტებში. 30-ზე მეტ ქვეყანაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, 6 მონოგრაფია და 18 სახელმძღვანელო, აქვს 2 პატენტი და 15 გამოგონება.

დაჯილდოებულია კვების მრეწველობის წარჩინებულის ვერცხლის (1979), იუნესკოს კონფუცის ოქროს (1995), მალაიზიის HACCP-ის ოქროს (2005) მედლებით. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ლ. დეკაპრელევიჩის სახელობითი პრემია (2019).

თხზ.: Georgian-English-Russian-German- French-Spanish Agrarian Dictionary,



კორდისკბილა.

Tb., 2004–22; Research of Cinnamonic Calcareous Soil Fertilizing Systems for Pastures Akhaltsikhe District, (2011), (in cooperation), Communications in Soil Sciences Plant Analysis, Taylor and Francis, USA,vol. 42, №7; The Study of Biodiversity of Thirty two Families of Useful Plants Existed in Georgia, World Academy of Sciences, International Journal, 2018, v. 12, № 10, Tokyo.

პ. მამრაძე.

კორახეთი, მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. კელასურის ზემო ნაწილს და მის მიმდებარე ზონას გუმისთის ხეობიდან კოდორის ხეობამდე. აქ ორი ქართული ტომი სახლობდა – აბსილები და კორახები. ეს ტერიტორია ანტ. ხანასა და შუა საუკუნეებში ორი სახელით არის ცნობილი: აბსილეთი და კ.

ძვ. წ. VI ს-იდან ვიდრე ახ. წ. I ს-მდე ამ მხარეს ეწოდება ,,კორახთა (კორაქსთა) ქუეყანა'', აქ მოსახლე ტომს – კორახნი (კორაქსნი), ამ მხარის მდინარეს – კორახის (კორაქსის) მდინარე, საფორტიფიკაციო ნაგებობას – კორახის (კორაქსის) კედელი (*კელასურის კედელი*), კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რ-იც ჩრდ-იდან აკრავს ამ მხარეს – კორახის მთები. აბსილები აქ პირველად ახ. წ. I ს-ში იხსენიებიან და ამ დროიდან მოყოლებული ეს მხარე იწოდება არა კ-დ, არამედ აბსილეთად.

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები, თბ., 1996.

კორახის ზღუდე, იხ. *კელასურის კედელი.*

კორბო ვირჯილიო (Virgilio Canio Corbo) (8. VII. 1918, ავილიანო, იტალია, – 6. XII. 1991, კაპერნაუმი, ისრაელი), იტალიელი არქეოლოგი, ფრანცისკანელთა მინორიტების ორდენის პატრი. კ-მ არქეოლ. გათხრები ჩაატარა მრავალ წმინდა ადგილას: ,,მწყემსთა ველი'' (ბეთლემის მახლობლად); ამაღლების ადგილი (ზეთისხილის მთა); ჰეროდიუმი (ციხე-სასახლე და ჰეროდეს დაკრძალვის ადგილი); მაქერონი (ჰეროდეს ციხესიმაგრე, იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის ადგილი); ბიზანტიური ბაზილიკა და მონასტერი (ნებოს მთა, იორდანიაი); უფლის საფლავის ტაძარი; უძველესი ქ. მაგდალა].

კ. 1946-იდან გათხრებს ატარებდა პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად, ბირელ-კატის მიდამოებში, სადაც 1952 აღმოაჩინა V–VI სს. ქართ. მონასტრის ნანგრევები. ქართ. კულტურისა და დამწერლობის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოთხი ქართული მოზაიკური წარწერა, რ-ებიც მონასტრის იატაკზე აღმოჩნდა. ეს წარწერები უძველესია დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის (იხ. *პალესტინის ქართული წარწერები*).

ლიტ.: გიორგაძე ბ., პალესტინაში აღმოჩენილი ქართული კულტურის IV–V სს. ძეგლების შესახებ, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1958, №12; ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974; წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960; ხურცილავა ბ., ბირელ-ქუტის წარწერების ქრონოლოგიისათვის, ,,საისტორიო ვერტიკალები'', 2016, №35–36, Virgilio P., Corbo O. F. M., Gli Scavi di Kh.Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) e i Moasteri dei Dintorni, Gerusalemme, 1955.

ბ. გიორგაძე.

კორბოულები, სოფელი იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტში, მდ. დუმალის (ძირულის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ნიგვზარა, შომახეთი). ზ. დ. 890 *მ,* საჩხერიდან 18 *კმ.* 3,3 ათ. მცხ. (2014).

კორდა (კორდისა), მთა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), შავშეთის ქედზე.

კორდისკბილა (Euphasia), მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა ოჯახისა. ერთწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი ნახევრად პარაზიტი ბალახია. 200-მდე, უმეტესად პოლიმორფული სახეობა ძირითადად გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, აგრეთვე მალაის არქიპელაგის მთებში, ავსტრალიასა და სამხრ. ამერიკის ზომიერ სარტყელში. საქართველოში 19 სახეობა იზრდება, მ. შ. 7 საქართველოს და 5 კავკ. ენდემია. Euphasia stricta, ისევე როგორც კ-ს მრავალი სხვა სახეობა, ძირითადად მარცვლოვანთა ფესვების პარაზიტია და ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას. საქართველოში გვხვდება ყველგან, უმეტესად ალპურ სარტყელში.

ი. მიქელაძე.

კორდღმიანის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. დგას სოფ. *კალაურის* სამხრ-ით 2-2,5 *კმ*-ზე, ხშირ ტყეში. განეკუთვნება VIII-IX სს.

ძეგლი მიეკუთვნება სამეკლესიიან ბაზილიკათა ტიპს, მაგრამ გეგმის დაკვალვითა და ხუროთმოძღვრულ ფორმათა აღნაგობის თვალსაზრისით ნიშანდობლივ თავისებურებებს შეიცავს. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (13,8 *მ* × 10,5 *მ*) ჩაწერილია ჯვრისებრი გეგმის ეკლესია სამნაწილიანი საკურთხევლით და ცენტრ. სივრცის დასავლეთ ნაწილის ირგვლივ არსებული სამმხრივი გარშემოსავლელი, რ-ის სამხრ. და ჩრდ. ფრთები დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ.

შენობა ნაგებია რიყის ქვით. კუთხეებში და არქიტ. ელემენტებისათვის გამოყენებულია მოზრდილი და შედარებით წესიერი ფორმის ქვები.

შუა, მთავარი ეკლ. არატრადიციულადაა აგებული. იგი წარმოადგენს მაღალ და გრძელ დარბაზს, რ-საც სამხრ-იდან და ჩრდ-იდან ერთვის შედარებით დაბალი და საკმაოდ ღრმა თითო უბე, რ-ებიც, სიღრმის წყალობით, ქმნიან მთავარი ღერძის პერპენდიკულარულ ღერძს. უბეები საგრძნობლად დაბალია, რის გამოც გეგმის ჯვრული მოხაზულობა სივრცეში, არასრულფასოვნადაა გამოვლენილი.

შუა ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან.

საკურთხევლის აფსიდი გეგმით ნალისებრია. იგი განათებული იყო ფართო და მაღალი სარკმლით (შემორჩენილია წირთხლების მცირე ნაწილები). საკურთხევლის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა თითო სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. თითოეულ მათგანში შესასვლელი დას-იდანაა – ცენტრ. სივრცის შესაბამისი უბიდან.

შუა ეკლესიის ორივე უბე გადახურულია ქვის კამარით. იგი შედგება ორი კამარისგან, რ-ებიც ერთმანეთს მართი კუთხით კვეთენ. ორივე უბე ეკლესიის სივრცეს ნალისებრი თაღით ერთვის. საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში ერთი ფართო, მაღალი სარკმელია – პარალელური წირთხლებითა და ბრტყელი გადახურვით.

სამხრ. და ჩრდ. ეკლესიები ერთმანეთის ანალოგიურია. აღმ-ით ისინი სწორი კედლითაა დასრულებული, ორივეში თითო ბრტყელი ნიშაა ნალისებრი თაღით, რ-იც აფსიდის მაგივრად გამოიყენებოდა. სამხრ. ეკლესიის სამხრეთ კედელში ფართო, ნალისებრ თაღიანი შესასვლელია.

ორივე ეკლ. გადახურულია სხმული კამარით.

დას. გარშემოსავლელს შესასვლელი დას-იდან აქვს. გარშემოსავლელის კამარის დიდი ნაწილი ჩამოშლილია. აღმ-ით იგი დაყრდნობილი იყო მთავარი ეკლესიის



კორდომიანის ეკლესია. VIII–IX სს.

დას. კედლიდან გამოშვერილ თაროზე, ხოლო დას-ით – დას. კედელზე.

ეკლესიას ორსაფეხურიანი, თაროსებრი ლავგარდანი ჰქონია, რ-ის მცირე ნაწილი სამხრ. ფასადზეა შემორჩენილი.

მოგვიანებით ეკლესიისათვის სამხრ-იდან მოზრდილი, გეგმით სწორკუთხა ნაგებობა (7,9×5 *მ*) მიუშენებიათ, რ-ის ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

ბაზილიკის აღმ-ით, ოცდაათიოდე *მ*-ზე, მსხვილი რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაგები საძვალეა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაშია მოქცეული. ნაწილი (სიმ. დაახლ 1,5 *მ*) მიწის ზემოთაა და მიწითა და მცენარეულობით იმდენადაა დაფარული, რომ ქვის გროვას წააგავს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1-I, თბ. 2013.

თ. დვალი.

კორეეთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (გურნის თემი), ოკრიბის წვრილმთიანეთში, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 520 *მ.* ტყიბულიდან 25 *კმ,* ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

კორთხონჯია ვლადიმერ პარმენის ძე (2. II. 1935, სენაკი, – 25. VIII. 2021, თბილისი), ფიზიკოსი, ექსპერიმენტატორი, პლაზმის ფიზიკისა და ქიმიის სპეციალისტი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2006). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1958). 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში (2006-იდან – თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის ფიზ. ინ-ტი), 1975–80 იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში.

კ-ს სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი სფეროა წყალში მავთულის აფეთქების კვლევა მასში ძლიერი დენის გატარებისას, ამ პროცესის შედეგად ინიცირებული ეგზოთერმული ქიმ. რეაქციის პროდუქტებისა და წარმოქმნილი მკვრივი პლაზმის შესწავლა, რითაც მეცნ. ახ. მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი; არის სამეცნ. პუბლიკაციებისა და 1 პატენტის (თანაავტ.: მ. მდივნიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. წიქარიშვილი) ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Влияние СВЧ излучения на магнитные свойства ВТСП керамики, Тб., 1990 (თანაავტ.); „О роли экзотермической химической реакции при взрыве проволоки в жидкости, „Письма в ЖТФ“, 2003, т. 29, вып. 19; О природе импульсного давления, создаваемого взрывом проволоки в воде, ЖТФ, 2006, т. 51, вып. 11 (თანაავტ.), М. О., Мдивнишвили, З. К. Саралидзе).

კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ქართული ხელნაწერი, ბერძნული ოთხთავის ასომთავრულით გადაწერილი ქართული ხელნაწერი. შესრულებულია IX ს-ში ქართველი გადამწერის მიერ ბერძნ. დამწერლობის ქართ. დუქტუსით. ზომა 29X24 სმ. ნაწერია მოყვითალო ეტრატზე ორ სვეტად. ხელნაწერი შეიცავს 249 ფურცელს. რამდენიმე ფურცელი აკლია, ზოგიც დაზიანებულია.

ხელნაწერი XV ს-მდე ინახებოდა ამჟამად თურქეთის საზღვრებში არსებულ სოფ. კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში (1914- მდე კორიდეთი ბათუმის ოლქის ართვინის მხარეში შედიოდა). X ს-ში ხელნაწერი ხელახლა აუკინძავთ და იქვე შეუმკიათ ერისთავ ბეშქენის ბრძანებით.

XV ს. მიწურულს ხელნაწერი კორიდეთიდან გადაუტანიათ ზემო სვანეთში, ისტ. სოფ. კალაში, წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში, სადაც 1853 აღმოაჩინა ეთნოგრაფმა ი. *ბართოლომეიმ.* 1869 ქუთაისის გუბერნატორმა, გრაფმა ვ. ლევაშოვმა ხელნაწერი 50 მან. გირაოთი სვანეთიდან პეტერბურგში წაიღო. იქ ხელნაწერს გაეცნო მ. ბროსე და 1872 გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რ-შიც აღნიშნულია მისი მნიშვნელობა.

ლ. დადეშქელიანისა და ეპისკოპოს გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძე) მეცადინეობით ხელნაწერი საქართველოში დააბრუნეს და გელათის მონასტერს გადასცეს. 1901 კირიონ ეპისკოპოსმა იგი გელათიდან თბილისში ჩამოიტანა და გადასცა თბილ. საეკლ. მუზეუმს, სადაც №993-ით აღირიცხა (Kirion, 1995). ხელნაწერი შესასწავლად და გამოსაცემად თბილ. გიმნაზიის გერმ. ენის მასწავლებლის, პასტორ გ. ბერმანის მეშვეობით ლაიფციგში გადაგზავნეს, საიდანაც 1904 კვლავ საეკლ. მუზეუმში დააბრუნეს. კორიდეთის ხელნაწერი ლაიფციგში გამოსცეს 1913. მანამდე მისი ნაწილი – მარკოზის თავი – ფოტოტიპურად გამოიცა (Материалы по археологии Кавказа, XI, М., 1907). ამჟამად ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში, ბერძნული ხელნაწერების ფონდში (Gn-28). ხელნაწერისადმი სამეცნ. ინტერესს განაპირობებს არა მხოლოდ ტექსტობრივი და პალეოგრაფიული, არამედ ისტ.-ლიტ. მნიშვნელობაც, რადგან ტექსტზე მეტად საყურადღებო ქართ. და ბერძნ. მინაწერებია. სხვადასხვა დროს შესრულებულ მინაწერთაგან 24 ქართულია, 9 – ბერძნული. მათი დიდი ნაწილი საბუთებია, სადაც ასახულია საერთოდ კლარჯეთისა და, კერძოდ, კორიდეთის ყოფა.

ოთხთავის ქართ. მინაწერები გამოსცა ნ. მარმა 1911. მათი



კორიდეთის ოთხთავი. IX ს.



პ. კორიშელი.

დათარიღების საკითხს შეეხო ს. ყაუხჩიშვილი, ხოლო გრ. წერეთელმა მაღალ მეცნიერულ დონეზე შეისწავლა ბერძნ. მინაწერები.

ლიტ.: ბეზარაშვილი ქ., კორიდეთის ოთხთავის ისტორიისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ტ. 24, თბ., 2015; სილოგავა ვ., კორიდეთის საბუთები (X–XIII სს.), თბ., 1989; ყაუხჩიშვილი ს., კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის, «ჩვენი მეცნიერება», 1924, №11–12; წერეთელი გრ., კორიდეთის ხელნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები, ტფ., 1937; Beerman G. und Gregory C . R , Die Koridethi – Evangelien 038, Lpz, 1913 (Tafeln und 2 Karten); Brosset M., Note sur un manuscrit grec des quarte evangiles- rapporte de Suanethi-Libre et appartenant au comte Panin St.-Petersbourg, 1870.

ა. ურუშაძე.

კორინთა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში, მდ. ქსნის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: პ., გეზევრეთი, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური, ქვემო ალევი, წირქოლი, ხარკელანი). ზ. დ. 900 *მ,* ახალგორიდან 7 *კმ.*

პ. ადრეფეოდ. ხანაში იყო აზნაურ კორინთელის რეზიდენცია. ,,მატიანე ქართლისა'' X ს. ამბების თხრობასთან დაკავშირებით ახსენებს აზნაურ დაჩი კორინთელს. იმავე პერიოდში კორინთლები გადადიან ქსნის ხეობის სოფ. ირტოზასა და ლეხურის ხეობაში, სადაც აარსებენ სოფ. საკორინთლოს. პ. იხსენიება წილკნის სარგოს 1669 წიგნში და ქსნის ხეობის 1774 ხალხის აღწერის დავთარში.

1804 პ-ში 49 სული მოსახლე 6 კომლად ცხოვრობდა. 1865 სოფელი შედიოდა ქსნის უბნის ზემო ალევის სასოფლო თემში (ცხოვრობდა 4 კომლი, 1930 – ახალგორის რ-ნში პ-ის სასოფლო საბჭოში შედიოდა 20 სოფელი) და ამ დროისათვის 93 სული მოსახლე 17 კომლად ცხოვრობდა.

პ-ში შემორჩენილია გარდამავალი ხანის კვირაცხოვლის სახ. ძლიერ დაზიანებული დარბაზული ეკლესია და გვიანდ. შუა საუკუნეების ოთხკუთხა კოშკი, რ-იც სამი სართულის სიმაღლეზეღა დგას.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ.3, თბ., 1967; შიდა ქართლი, რედ. ც. დადიანიძე, ტ. 4, თბ., 2008.

ჯ. გვასალია.

კორინთლები, ქართლის წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეულო IX–X სს-ში. გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობაში მდებარე ადგილის – კორინთის სახელიდან. პ. ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოში ძლიერი ცენტრ. ხელისუფლების დამყარებას. მაგ., X ს. I ნახ. დაჩი კორინთელმა ქართლისა და კახეთის სხვა ფეოდალებთან ერთად აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის მიერ დაპყრობილი კახეთის ციხეები კვლავ ხელში ჩააგდებინა კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს და ამით ხელი შეუშალა აფხაზთა მეფეს საქართვ. გაერთიანებისათვის ბრძოლაში. გვიანდ. შუა საუკუნეებში პ-ის გავლენა შემცირდა და ისინი უკვე აზნაურებად მოიხსენიებიან. პ-ის საფეოდალოს (მდებს – ქსანსა და მეჯუდას შორის) ეწოდებოდა საკორინთლო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი (IX ს.). წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ნ. შოშიაშვილი.

კორიუნი, V ს. I ნახ. სომეხი ისტორიკოსი, სომეხთა განმანათლებლის, მესროპ მაშტოცის (დაახლ. 361–440) მოწაფე. ავტორია თხზულებისა ,,მაშტოცის ცხოვრება'', რ-შიც მაშტოცის ბიოგრ. მონაცემებთან ერთად მოთხრობილია საკუთრივ სომხეთის, იბერიის (ქართლის) და ალბანეთის ისტორიის ზოგიერთი ფაქტი 348-იდან 443-მდე. მისი თხზულება ერთადერთი უძველესი წყაროა IV ს. მიწურულისა და V ს. დამდეგის სამხრ. კავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის. პ-ის ცნობით, IV ს. 90- იანი წლების II ნახ-ში ქართლში მეფობდა ბაკური, რაც ემთხვევა ,,მოქცევაჲ ქართლისაჲში'' დაცულ ქართლის მეფეთა თანმიმდევრობას.

პ-ის (ასევე მოსე ხორენელის) სიტყვით, მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში სკოლებიც გაჩენილა. სავარაუდოდ, მაშინდელი ქართული სკოლები იყო დაწყებითი, სადაც, უპირველეს ყოვლისა, საღმრთო წერილს ასწავლიდნენ.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1996 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 11).

გ. მაისურაძე.

კორიშელი (ნამდვ. გვარი – ჩიქვინაძე) პლატონ ევგენის ძე (12. XI. 1883, სოფ. დიმი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 29. VI. 1937), მსახიობი, საქართვ. დამს. არტისტი (1932). სწავლობდა ქუთაისის სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის. 1906–08 მოღვაწეობდა უკრაინაში, დრამატულ დასში. 1918–20 სწავლობდა გ. ჯაბადარის სტუდიაში. ქართულ თეატრში ლ. მესხიშვილმა მიიწვია. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქუთაისის თეატრში (1908–11), ,,მოგზაურ დასში'' შ. დადიანის ხელმძღვანე-

ლობით (1911–14), თბილ. სახალხო სახლში (1914–18), რუსთაველის თეატრში (1920–36).

რუსთაველის თეატრში მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ფლორენი (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), გვენლეშაპი (ი. გედევანიშვილის ,,სინათლე''), ზაალი (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''), პედჟი (უ. შექსპირის ,,უინძორელი მხიარული ქალები''), პარმენი (ნ. აზიანის ,,დეზერტირკა''), ვაჟა-ფშაველა (გ. რობაქიძის ,,ლამარა''), ბირმუზა (შ. დადიანის ,,თეთნულდი'') და სხვ.



პ. კ ო რ ი შ ე ლ ი მაიკლ ჯემსი. ჯონ სიმგის დრამა ,,გმირი''.

1936 ბრალი დასდეს ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით ,,კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის'' წევრობაში.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

კორკელია კონსტანტინე გივის ძე (დ. 11. IV. 1974, თბილისი), იურისტი. იურიდიულ მეცნ. დოქტორი, პროფესორი (2004).

1997 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი. 2003 – ამავე უნ-ტის საერთაშ. სამართ. და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტი; 1999–2000 სწავლობდა ლეიდენის (ნიდერლანდები) უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე (მიენიჭა სამართლის მაგისტრის ხარისხი).

1995–2000 მუშაობდა საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2000–02 იყოსაქართვ. წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; 2005 – ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე; 2005–07 – იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე; 2007–13 – საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩილატვიის რესპუბლიკაში; 2013–17 – საქართვ. მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში; 2002–05 – საქართვ. მეცნ. აკად. სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის დირექტორის მოადგილე; 2005–06 იმავე ინ-ტის საერთაშ. და ევრ. სამართლის განყ-ბის უფროსი; 2005–09 – თსუ-ის აკად. საბჭოს წევრი. არის თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტის საერთაშ. სამართლის მიმართულების პროფესორი.

ჰ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და სტატიების ავტორი.

თხზ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004.

ი. უჯმაჯურიძე.

კორკოტი, ხორბლისაგან დამზადებული ფაფა. კეთდებოდა კანგაცლილი დაღერღილი მარცვლისაგან. ეს კერძი, ისე როგორც წანდილი, საწესო-სარიტუალო საკვებია. ამზადებენ შობას, სულთმოფენობას, კვირაცხოვლობას, მიცვალებულის ,,თავზე'', ,,ორმოცზე'', ,,წლისთავზე''. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიცვალებულის სახელობაზე და ახალი წლის დღესასწაულზე მომზადებული ჰ. ბუნების აღორძინებისა და მთელი წლის სიკეთით დაბედების იდეასთან იყო დაკავშირებული.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941; გ ო ც ი რ ი ძ ე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

ე. ნადირაძე.

კორპულა, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო კორკულისა* და *ქვემო კორკულის* გავრცელებული სახელწოდება.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კოროზია (გვიანდ. ლათ. corrosio – ამოჭმა), ლითონის, შენადნობისა და ნებისმიერი მასალის (ბეტონის, კერამიკის, ხის, რეზინის, პოლიმერების და სხვ.) რღვევა გარემოსთან ქიმ., ელექტროქიმ. ან ფიზიკურ-ქიმ. ურთიერთქმედების შედეგად. ჰ-ის მიზეზია კონსტრუქციული მასალის თერმოდინამიკური არამდგრადობა მასთან კონტაქტში მყოფ გარემოში შემავალ ნივთიერებებთან.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჰ-ით გამოწვეული უარყოფითი სოც. ეფექტი. რკინაბეტონის ბურჯის კოროზიული დაზიანება იწვევს ხიდის, ესტაკადისა და აკვედუკის ჩანგრევას, აგრეთვე ქიმ. აპარატურისა და ცისტერნების დაზიანებას, ნავთობ და გაზსადენ მილებში პროდუქციის დანაკარგებს, ფეთქებადი და ხანძარსაშიში სიტუაციების შექმნას, გარემოს ეკოლოგიურ დაბინძურებას.

ეკონომიკას განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ლითონის ჰ. NACE-ს (National Association of Corrosion Engeneers) ბოლოდროინდელი ინფორმაციით აშშ-ში ჰ-ისგან მიყენებულმა ზარალმა და მასთან საბრძოლველად მიმართულმა დანახარჯმა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3,1%, ანუ 276 მლრდ დოლარი შეადგინა. გერმანიაში ამ დანაკარგმა მშპ-ის 2,8%-ს მიაღწია. სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა შეფასებებით განვითარებულ ქვეყნებში ეს დანაკარგები მშპ-ის 2–4%-ს შეადგენს. არაერთი ქვეყნის მონაცემებით ჰ. მიჩნეულია სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ინფრასტრუქტურის დაზიანების უმთავრეს მიზეზად.

საქართველოში ჰ-ის პრობლემური საკითხების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო XX ს. 50-იანი წლებიდან.

საქართვ. მეცნ. აკად. მეტალ. ინ-ტში (ამჟამად სსიპ ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი), ფ. *თავაძისა* და ს. მანჯგალაძის ხელმძღვანელობით 1953-იდან ფუნქციონირებდა მეტალთა ჰ-ის შემსწავლელი ჯგუფი, 1969-იდან – ლაბორატორია; აღნიშნული ინ-ტის ბაზაზე 1960 ბათუმში დაფუძნდა კოროზიული ლაბორატორია და სადგური (ხელმძღვ. პროფ. ვ. ქემხაძე).

ინ-ტში ინტენსიურად მიმდინარეობს გამოკვლევები ჰ-ის მავნე ზემოქმედებისაგან ლითონის ზედაპირის დაცვის საშუალებების შესასწავლად. აღსანიშნავია ფ. თავაძისა და ს. მანჯგალაძის გამოკვლევები ტიტანის შენადნობების კოროზიამედეგობის შესწავლის მიზნით (1969). შესრულებულია ფუნდამენტური და პრაქტ. მნიშვნელობის სამუშაოები, დამუშავებულია კოროზიამედეგობის გამოცდის ახ. მეთოდები; დადგენილია მასალების ოპტიმალური შედგენილობა მრეწველობის დარგებისათვის.

ინ-ტის სამეცნ. საქმიანობაში უმთავრესი მიმართულებაა ლითონის კოროზიამედეგობის კვლევა ზღვის წყალსა და ნოტიო სუბტროპიკებში; გამოკვლევები მიმდინარეობს ბათუმის აკვატორიუმის სასტენდო პოლიგონზე.

ლიტ.: Кемхадзе В. С., Коррозия и защита металлов во влажных субтропиках, М., 1983; Семенова И. В., Флорианович Г. Н., Хорошилов А. В., Коррозия и защита от коррозии, М., 2002; Тавадзе Ф. Н., Манджаладзе С. Н., Коррозионная стойкость титановых сплавов, М., 1969

მ. მიქაბერიძე.
დ. რამაზაშვილი.



ს. კოროშინაძე.

კოროზიამედეგი მასალები, კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში მდგრადი ლითონური და არალითონური მასალა. გამოიყენება იმ აპარატურის, მილგაყვანილობის, არმატურისა და სხვ. ნაკეთობის დასამზადებლად, რ-ებიც გამოიყენება ქიმიურ და კვების მრეწველობაში, მედიცინაში, თავდაცვაში, მანქანათ და გემთმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, ნავთობისა და გაზის მოპოვება-დამუშავება-ტრანსპორტირებაში, მტკნარ, მინერალიზებულ და ზღვის წყლებში, აგრესიულ გარემოში (მჟავა, ტუტე მარილები, სხვადასხვა აირი) სამუშაოდ.

მრეწველობაში ფართოდ იყენებენ როგორც ორგან., ისე არაორგ. წარმოშობის ბუნებრივსა და ხელოვნურ არალითონურ (მინა, კვარცი, ფაიფური, მინანქარი, ცემენტი, ბიტუმი, ასპფალტი, რეზინი, კაუჩუკი, პლასტმასები, ალუმოსილიკატები, ხე, ლაქსაღებავები და სხვ.) ჰ. მ-ს. ლითონური ჰ. მ-ია: სპილენძი, თუთია, ტყვია, ტიტანი, ტანტალი, ნიკელი, ცირკონიუმი, ნიობიუმი და მათ ფუძეზე დამზადებული შენადნობები.

საქართველოში ფ. თავაძის უშუალო მონაწილეობით დამუშავდა და დღესაც იქმნება ახალი მჟავაგამძლე მარკის ფოლადი, რსაც ასევე აქვს ბაქტერიციდული თვისებები; ბუნებრივი აირის სატუმბ-კომპრესორული და მაგისტრალური მილსადენებისათვის კი – სულფიდური დასკდომისადმი მედეგი მარკის ფოლადები; ნავთობის ღრმა და ზეღრმა მოპოვების საჭირხნ ჭაბურღილებში ექსპლუატაციისათვის დამუშავდა ,,მ'' და ,,რ'' ჯგუფის მაღალმტკიცე მარკის ფოლადის გლუვი სატუმბკომპრესორული მილები, მათთვის – ქუროები; საყოფაცხოვრებო და კრიოგენული ტექნიკისათვის შეიქმნა კოროზიამდელი ფოლადები

მიკროქირურგიული ინსტრუმენტებისათვის კოროზიამედეგი ფოლადისაგან დამზადებული მაღალი ფუნქციური თვისებების ოფთალმოლოგიური ნემსები წარმატებით გამოცადეს ქ. ოდესისა და თბილისის კლინიკებში. დამუშავებულია ახ. ტიტან-ნიკელ-ქრომის სისტემის, მაღალი სიმტკიცისა და კოროზიამედეგობის შენადნობები სამედ. ინსტრუმენტების, იმპლანტებისა და ნანოსტრუქტურული დანაფარებისათვის. მიმდინარეობს სამუშაოები თავდაცვა-შეიარაღების სფეროსთვის სპეც. ფოლადების დასამუშავებლად. გასათვალისწინებელია, რომ ერთი გარემოს მიმართ მედეგი მასალა სხვა გარემოში შეიძლება ინტენსიურად დაიშალოს.

სსიპ ფ. თავაძის სახ. მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინტში. შემუშავებულია ზღვის წყალში გარშემოზრდისადმი მედეგი ანტიკოროზიული ლაქსაღებავი კოფეინის წარმოების შედეგად მიღებული ტოქსიკური ნარჩენების გამოყენებით.

მ. მიქაბერიძე.
დ. რამაზაშვილი.

კოროტხეთი, სოფელი აჭარის არ-ის ქედის მუნიციპალიტეტში (ქედის თემი), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 350 *მ,* ქედიდან 2 *კმ.* 160 მცხ. (2014).

კოროშინაძე სულიკო იაკობის ძე (17. XII. 1932, თბილისი, – 16. XII. 2011, იქვე), ესტრადის მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1969). 1956 დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი. სწავლის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა უნ-ტის სტუდენტთა თვითშემოქმედებაში და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი, გამორჩეული მომღერალი. ჰ. მიიწვიეს ფილარმონიასთან ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწ. საესტრადო ორკესტრ ,,რეროში'' (ხელმძღვ. გ. გაბისკირია, 1960-იდან – კ. *პევზნერი*). ჰ. ამ ორკესტრის უცვლელი სოლისტი იყო. მისი სიმღერები გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მუსიკალურობით, განსაკუთრებული ლირიზმითა და სითბოთი. მასთან ასოცირდება ქართვ. კომპოზიტორთა მრავალი სიმღერა: ,,მე თბილისელი ბიჭი ვარ'' (ნ. გიგაური), ,,სიმღერა ბათუმზე'' (ლ. იაშვილი), ,,გაზაფხულის დუეტი'' (კ. პევზნერი), ,,სალამური'' (ხალხური) და სხვ.

აღსანიშნავია ჰ-ისა და ნ. აბესაძის პოპულარული დუეტი. მათ ორკესტრთან ერთად გასტროლებით მოიარეს სსრკ მრავალი ქალაქი, 1966 კი ,,რეროსთან'' ერთად წარმატებით გამოვიდნენ პარიზის საკონცერტო დარბაზ ,,ოლიმპიაში''.

პოპულარულია სიმღერები ჰ-ს მიერ გახმოვანებულ მხატვრულ ფილმებში: ,,ნინო'', ,,დედის ხელი'', ,,გლახის ნაამბობი'' და სხვ. 1984-იდან იყო ვოკალის პედაგოგი შ. მილორავას სახ. საესტრადო სასწავლებელში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). თბილისის საპატიო მოქალაქე (2011). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კორპის მუხა (Quercus suber), მარადმწვანე გაშლილვარჯიანი ხე წიფლისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 20–25 *მ* აღწევს. ღერო და ტოტები დაფარული აქვს კორპის სქელი ფენით. აქვს მომრგვალო-ელიფსური ფოთლები ქვედა მხრიდან მონაცრისფრო ბუსუსიანია, ბუნებრივად, იზრდება დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში (ამჟამად აქ მის ტყეებს მცირე ფართობები უკავია). საქართველოში პირველად XIX ს. დასაწყისში შემოიტანეს სოხუმსა და ქუთაისში. მისი სამრეწველო განაშენიანება საქართვ. სუბტროპიკებში (ქუთაისი, გაგრა, აგუძერა და სხვ.) 1930-იდან დაიწყო, მოგვიანებით კი – აღმ. საქართველოშიც (ლაგოდეხის მუნიციპ.). ჰ. მ. სინათლისა და სითბოს მომთხოვნია. –16–18°C-ზე ეყინება ნორჩი ყლორტები, –22°C-ზე კი იღუპება. კარგად ხარობს ღრმა და უკირო ნიადაგზე. უკეთესი ხარისხის კორპი გამოდის მშრალ პირობებში. პირველი კორპის მოხდა შეიძლება 15–20 წლის



კორპის მუხა.

ასაკიდან, შემდეგ კი – ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (150–200 წლამდე). ერთი ძირიდან მიიღება 1 კგ-მდე კორპი. დას. საქართვ. მძიმე და ტენიან ნიადაგზე კ. მ-ს აზიანებს მელანა (შავი ტირილი), რ-იც რამდენიმე წელიწადში ახმობს მცენარეს.

„კორპორაცია ქინძმარაული“ (სააქციო საზოგადოება), ღვინის კომპანია. დაარსდა ყვარელში 1992 (ისტ. ყვარლის ციხის ტერიტორია), როგორც საოჯახო საწარმო „ვაზის ცრემლები“. 1993 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად, 1996-იდან ეწოდა სააქციო საზ-ბა „კ. ქ.“ საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით და წარმოების პროცესის ხარისხის კონტროლის ქიმ. და მიკრობიოლოგიური ლაბორატორიებით. მისი საპროექტო სიმძლავრეა 5000 ტ ყურძნის გადამუშავება წელიწადში. ყოველწლიურად საშუალოდ უშვებს 2



„კორპორაცია ქინძმარაულის“ საწარმო.

მლნ. ბოთლ ღვინოს. კომპანია აწარმოებს 25 დასახელების ღვინოს, 10-მდე დასახელების ღვინის ბრენდს და ჭაჭას როგორც საკუთარი ვენახებიდან მოწეული, ასევე ადგილ. გლეხებისგან შეძენილი ყურძნით. საწარმო ქინძმარაულისა და ყვარლის მიკროზონებში ფლობს 150 ჰა ვენახს, აქედან 100 ჰა ქინძმარაულის ტრად. მიკროზონაშია გაშენებული. გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტია: თეთრი (მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი, ცქრიალა ღვინო), წითელი (მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი), ვარდისფერი (მშრალი, ნახევრად ტკბილი, ცქრიალა ღვინო) ღვინოები, ლიქიორული ტიპის ღვინო, ღვინის ბრენდი (5-, 7-, 10-, 15-, 17-, 20-, 23-წლიანი დაძველებით), ჭაჭა კახური და ჭაჭა კახური დავარგებული. პროდუქცია გამოდის სავაჭრო ნიშნით „ვაზის ცრემლები“ და „დურუჯი ველი“. კომპანიას აქვს 100 წლის ტრად. კახური ქვევრის მარანი, სადაც უძველესი ტექნოლოგიით ამჟამადაც იწარმოება თეთრი და წითელი ქვევრის ღვინოები. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილ. ბაზარზე, ასევე გადის საექსპორტოდ მსოფლიოს 22 ქვეყანაში „კ. ქ-ს“. 1992–2021 წლებში საერთაშ. გამოფენებსა და კონკურსებზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ. 58 ოქროს, 86 ვერცხლის, 25 ბრინჯაოს მედალი და პლატინის პრიზი (2005, ნიუ-იორკი). საწარმო 2011-იდან ISO 22000 საერთაშ. სერტიფიკატის მფლობელია, ხოლო 2021-იდან სერტიფიცირებულია FSSC 22000 საერთაშ. სტანდარტის მიხედვით.

„კ. ქ.“ ფლობს შვილობილ კომპანიებს – შპს „კონჭო & კომპანის“ და შპს „კახეთი კ-ს“, რ-ებიც ასევე აწარმოებენ ღვინის ალკოჰოლურ სასმელებს. მისი კუთვნილებაა ასევე 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო „შატო ყვარელი“ (გაიხსნა 2013). აქტიურად მონაწილეობს ღვინის ტურიზმში.

ნ. ქსოვრელი.

კორსანტია ალექსანდრე ვალერის ძე (დ. 18. IV. 1965, თბილისი), პიანისტი, პედაგოგი. საქართველოს (1997) და შოთა რუსთაველის სახელმწ. (2018) პრემიების, ასევე არაერთი საერთაშ. კონკურსის ლაურეატი. 1993-იდან ცხოვრობს აშშ-ში.

1989 დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით (პროფ. თ. *ამირეჯიბის* კლასი). 1994 ინდიანას უნ-ტში, მიიღო არტისტის დიპლომი და მაგისტრის ხარისხი (1996, ხელმძღვ. პროფ. ა. *თორაძე*).

კ. 1997–2000 იყო ინდიანას (საუთბენდი, აშშ), 2000–02 – ბრიტანეთის კოლუმბიის (ვანკუვერი, კანადა) უნ-ტების, 2002-იდან დღემდე კი არის ახალი ინგლისის კონსერვატორიის (ბოსტონი, აშშ) ფორტეპიანოს პროფესორი.

კ. თანამედროვე საფორტეპიანო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია. შესრულებული აქვს გ. ყანჩელის, ბ. კვერნაძის, ბეთჰოვენის, ბრამსის, ჩაიკოვსკის, პროკოფიევის, რახმანინოვის, სტრავინსკისა და სხვ. ნაწარმოებები. ატარებს მასტერკლასებს საქართვ., აშშ-ის, ისრაელის, ჩინეთის და ევროპის სხვადასხვა ქალაქში. 2011–16 იყო ყოველწლიური ფესტივალის, „აღდგომიდან-ამაღლებამდე“ სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოში. არის მრავალი პრესტიჟული კონკურსის ჟიურის წევრი. ჩაწერილი აქვს კომპაქტდისკები. მისი შესრულება გამოირჩევა არტისტიზმით, მასშტაბურობით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით.

მიღებული აქვს I პრემია (სამხრ. კავკ. მუსიკოსთა კონკურსი, ერევანი, 1980), საპატიო დიპლომი (შოპენის სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსი; ვარშავა, 1985); I პრემია და ორი საპატიო პრიზი (სიდნეის პიანისტთა საერთაშ. კონკურსი; 1988), I პრემია (პალმ-ბიჩის პიანისტთა საერთაშ. კონკურსი; ფლორიდა, აშშ, 1994); ოქროს მედალი, I პრემია და ორი საპატიო პრიზი (ა. რუბინშტეინის სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსი, თელ-ავივი, 1995); ასევე საქართვ.



ა. კორსანტია როიალთან.



„კორპორაცია ქინძმარაულის“ სასაქონლო ნიშანი.

სახელმწ. ჯილდოები: ღირსების ორდენი (1999) და ,,ოქროს ფრთა'' (ჟურნალისტთა საერთაშ. ფონდი; 2015). არის ბათუმის (2014) და თბილისის (2016) საპატიო მოქალაქე.

ლიტ.: ტორაძე გ., პიანისტი ალექსანდრე კორსანტია, წგ. მუსიკალურ სამყაროში. თბ., 2010.

ქ. ბადრიძე.

კორსანტია ბორის მუშნის ძე (29. I. 1942, ოჩამჩირე, – 25. XI. 2020, თბილისი), ვირუსოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1985). სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1991). 1964 თსსი-ის დამთავრების შემდეგ სამეცნ. მოღვაწეობა დაიწყო ლენინგრადის ექსპერ. მედიცინის ინ-ტში ვირუსოლოგიის განხრით. 1967–69 მუშაობდა სოხუმში, 1969–72 – თბილ. სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად. იყო თსსი-ის ცენტრ. სამეცნ.- კვლ. ლაბორატორიის (1972–78), ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის (1928–91), აგრეთვე ვ. ბახუტაშვილის სახ. სამედ. ბიოტექნოლოგიის (1991–2000) ინ-ტების იმუნოლოგიის განყ-ბის გამგე; ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე (2000–05); დირექტორი (2005–07); 2010–20 იმუნორეაბილიტაციის ლაბორ. გამგე.

პ. სამეცნ. ნაშრომების ავტორია, რ-ებიც ეხება იმუნოლოგიის, ვირუსოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

კორსევი, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო კორსევისა* და *ქვემო კორსევის* გავრცელებული სახელწოდება.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კორტავა დიმიტრი ვარლამის ძე (5. IX. 1935, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოქვეში, – 1991), აფხაზი მსახიობი და რეჟისორი. ხელოვნების დამს. მოღვაწე. 1959 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის აფხაზური სტუდიის სამსახიობო ფაკტი ა. ხორავას ხელმძღვანელობით. 1964–69 სწავლობდა ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე. 1959–64 იყო სოხუმის აფხაზური თეატრის მსახიობი, 1973–74 – ამავე თეატრის მთ. რეჟისორი, 1970–73 – ზუგდიდის შ. დადიანის სახ. თეატრის რეჟისორი.

პ-ს მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ვანუა (ა. ცაგარლის ,,ციმბირელი''); კამერდინერი (ე. შვარცის ,,შიშველი მეფე''); არფაშელი (შ. ჭკადუას ,,ვინ არის ჩვენ შორის ყრუ''); კადირი (ა. ლაგვილავას ,,მზის ამოსვლის წინ''). სოხუმის აფხაზურ თეატრში დადგა სპექტაკლები: რ. გამზათოვის ,,მთიელი ქალი''; რ. ჯოპუას ,,ნაბიჯები'', ,,აურზაური ტყეში''; ნ. დუმბაძის ,,ნუ გეშინია დედა!''; ,,თეთრი ბაირალები''; ა. მუკბას ,,როცა ყველა კარი ღიაა'' ,,მზის დაბნელების დროს''; უ. შექსპირის ,,მეფე ლირი''; ვ. ვიშნევსკის ,,ოპტიმისტური ტრაგედია''; ბ. შინკუბას ,,მერე როგორც გენებოთ''; ვ. შანბას ,,ქალ-ვაჟი და მოცარტი''; სოხუმის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში: ვ. სვირიდოვის ,,კასკადიორები'', ნ. მუკბას ,,საახალწლო ზღაპარი'';ზუგდიდის თეატრში: ნ. მატუკოვსკის ,,ამნისტია''; გ. კალანდიას ,,მთვარის საათი''.

კორტანეთი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ყვიბისის თემი), ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 820 მ. ბორჯომიდან 9 *კმ.* 333 მცხ. (2014).

კორტი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ *კვირიკეწმინდის* სახელწოდება 1933-იდან 1990-მდე.

კორტოხი, უღელტეხილი საჩხერისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ლიხის ქედზე, მდინარეების – ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ზემო დინებისა და ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. ზ. დ. 1130 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. პ-ის მიდამოები შემოსილია მუხნარ-რცხილნარწიფლნარით. პ-ზე გადადის გზა ხაშურის მუნიციპ-იდან საჩხერის მუნიციპ-ში.

კორტოხი, სოფელი აჭარის არ-ის ხულოს მუნიციპალიტეტში (დიოკნისის თემი), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1120 *მ.* ხულოდან 12 *კმ.* 336 მცხ. (2014).

კორუფცია (ლათ. corruptio – მოსყიდვა), თანამდებობის პირის მოსყიდვა. საერთაშ. კონვენციებსა და აქტებში პ-ის ერთიანი განმარტება ჩამოყალიბებული არ არის.

პ-სთან საერთაშ. ბრძოლის შესახებ გაეროს საცნობარო დოკუმენტში იგი განისაზღვრება როგორც სახელმწ. ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლობის მიღების მიზნით. პ. ან კორუფციული დანაშაული არის ქმედება, რ-იც მიმართულია ქვეყნის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ და წარმოადგენს დანაშაულთა სისტემურ ერთობლიობას, ჩადენილს საჯარო თანამდებობის პირისა და მის თანამონაწილეთა მიერ საკუთარი თანამდებობრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის გამოყენებით; პ. აზიანებს მოქალაქეების, საზ-ბის, სახელმწ. სტრუქტურების ინტერესებს და მიმართულია პირადი გამდიდრების ან ჯგუფური თუ კორპორაციული მიზნების განხორციელებისაკენ.

კორუფციული დანაშაულის ერთ-ერთ ყველაზე ტიპურ სახედ ითვლება ქრთამის აღება. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (მ. 338) ქრთამის აღება არის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება, ან მოთხოვნა თავის, ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ, ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის, ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან, ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, ან განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა.

ლიტ.: კორუფცია საქართველოში. კრიმინოლოგიური ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, რედ. გ. ღლონტი, თბ., 2011; ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., გვენეტაძე ნ., მუმლაძე დ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წგ. 2. თბ., 2012; Göppinger H., Kriminologie, München, 2008.

მ. შალიკაშვილი.

კორშა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ხევსურეთის თემი), მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ,* დუშეთიდან 65 *კმ.* 69 მცხ. (2014).

კორშონი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [IX. 1882, ქ. ნიკოლაევი (უკრაინა), – X. 1950, ბათუმი] კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. აჭარის არ-ის დამს. არტისტი (1936). 1898 ჩაირიცხა ოდესის კერძო მუს. სტუდიაში,

შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის კონსერვატორიაში. 1909 შედგა მისი დებიუტი სცენაზე – უდირიჟორა ჯ. როსინის ოპერა ,,სევილიელ დალაქს'', რამაც განსაზღვრა მისი კარიერა. 1912 მუშაობა დაიწყო თბილ. სახაზინო თეატრში ქორმაისტერად; გაეცნო ქართ. საოპერო მუსიკას, ქართვ. კომპოზიტორებს და მომღერლებს, 1921 ჩავიდა ბათუმში. ეს წელი დაემთხვა აჭარაში მუს. საზ-ბის დაარსებას, რ-ის მუშაობაშიც კ. აქტიურად ჩაება. ამ პერიოდში მისი აქტ. მონაწილეობით შეიქმნა სახელმწ. აკად. გუნდი (ხელმძღვ. – *მ. კუხიანიძე*), სიმფონიური ორკესტრი და რუსული საოპერო დასი. სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად კ-მა მიიწვია იმხანად ბათუმში მოღვაწე ე. ვრონსკი, ბალეტმაისტერად – ს. ვაკარეცი, ორკესტრს კი თვითონ ხელმძღვანელობდა. 1922–27 ბათუმის თეატრში წარმატებით დაიდგა კლასიკური საოპერო რეპერტუარის არაერთი ნიმუში. 1929-იდან კ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას – ხელმძღვანელობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის საოპერო-საგუნდო კლასს, 1934-იდან – სახელმწ. სიმფ. ორკესტრს (სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი) და სახელმწ. კაპელას. 1936–38 იყო ბათუმის თოჯინების თეატრისა და დრამ. თეატრის სამუს. ნაწილის გამგე (შექმნა მუსიკა ამ თეატრის 40-მდე დრამ. სპექტაკლისათვის).

ლიტ.: გერგედავა ლ., მუსიკალური საზოგადოება აჭარაში და ვლადიმერ კორშონი, მუზეუმის მაცნე, ბათუმი, 2012; ნოღაიდელი ჯ., მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გამოც. მე-2, თბ., 1990.

ლ. გერგედავა.
ლ. ჩხარტიშვილი.

კორცხელი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ოდიშის ვაკეზე, მდ. ჩხოუშის (ჯუმის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, ზუგდიდი–წალენჯიხის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ბაში, ნაცატუ). ზ. დ. 320 *მ,* ზუგდიდიდან 10 *კმ.* 883 მცხ. (2014). კ-ის ტერიტორიაზეა *კორცხელის მღვიმე.*

კ-ს მოიხსენიებს იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი 1634 ამბების გადმოცემისას. ამ დროს აქ, მისი ცნობით, ეკლესია შენდებოდა. მშენებლობა დასრულდა მომდევნო წელს, რასაც მოწმობს ლევან II დადიანის 1635 წ. 28 ოქტომბრის სიგელი, რ-ის თანახმად ახალაშენებული კ-ის ღვთისმშობლის ეკლესია ოდიშის მთავარს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს, ხოლო ეკლესიისათვის სხვადასხვა სოფლიდან 30 კომლი ყმა-გლეხი გადაუცია. მომდევნო ხანებშიც კ-ის ეკლესია ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა. ეკლესია წარმოადგენს ქვის მცირე ზომის გუმბათოვან ნაგებობას სამი შვერილი აფსიდითა და ღია თაღოვანი სტოით დას. მხარეს. გუმბათი საკურთხევლის კედლების კუთხეებს და ორ ბოძს ეყრდნობა. გუმბათქვეშა ბოძების დას-ით არის ამგვარივე ბოძების ერთი წყვილი, გუმბათის ყელში 7 სარკმელია. ფასადები მოპირკეთებულია ქვის პატარა კვადრებით. ეკლესიაში ინახებოდა ლევან II დადიანის შეწირული რამდენიმე ხატი და სხვა სიძველეები.



კორცხელის ღვთისმშობლის ეკლესია. XVII ს.

1815 ეკლესია შეაკეთებინა ნიკოლოზ დადიანმა; 1858 კვლავ განაახლეს, ხოლო კანკელი 1862 შეამკეს. ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა და ეს სამუშაოც 1635 ახლო ხანებში ჩატარებულა. შემდეგ ფრესკები შეუთეთრებიათ და მხატვრობის მხოლოდ ნაწილიღა მოჩანს. ეკლესიის დას-ით დგას გვიანდელი ფეოდ. ხანის ორსართულიანი კოშკი.

სხვა მონაცემებით ტაძარი X ს-ის ნაეკლესიარზეა აშენებულია და ლევან II-მ აღადგინა.

ამჟამად კ-ის ტაძარი მოქმედი დედათა მონასტერია.

ლიტ.: ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ.1–2, თბ., 2014; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 2, ტფ., 1914.

ვ. ბერიძე.
თ. ბერაძე.

კორცხელის მღვიმე, კარსტული მღვიმე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. კორცხელის ტერიტორიაზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ზ. დ. 150 *მ.* გამომუშავებულია ნეოგენურ ქვიშაქვებში. კ. მ. ჰორიზონტალურფსკერიანი დერეფნული ტიპის გამჭოლი მღვიმეა. მისი საშ. სიმაღლეა 3 *მ,* ჯამური სიგრძე – 790 *მ,* ფსკერის ფართობი – 3160 $მ^2$, საერთო მოცულობა – 6320 $მ^3$. ჰაერის ტემპერატურა მერყეობს (13,0–16,0) °C ფარგლებში. მღვიმეში გაედინება მცირე მერყევდებიტიანი ნაკადი. კ. მ. პირველად გამოიკვლიეს გ. დევდარიანმა და ლ. მარუაშვილმა. კომპლექსურად შეისწავლა ბ. გერგედავამ.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

კორძაია დიმიტრი ჯანსუღის ძე (დ.11. XI. 1958, თბილისი), ქირურგი, ანატომი, პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996).

1982 დაამთავრა თსსი. 1983–2002 იყო ამავე ინ-ტის ოპერაციული ქირურგ. და ტოპოგრაფიული ანატ. კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. 1994–2002 –

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. ქირურგ. ეროვნ. ცენტრი) ჰეპატო-ბილიარული ქირურგიის განყ-ბის თანამშრომელი; 1998–2005 – საქართვ. შრომის, ჯანმრთელობის და სოც. დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი; 2005-იდან თსუ-ის მედ.ფაკ-ტის კლინიკური ანატ. და ოპერაციული ქირურგ. კათედრის ხელმძღვანელი; 2009–17 – ამავე უნ-ტის დეკანის მოადგილე; 2017-იდან – დეკანი; 2005–12 ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის დირექტორი. 2013-იდან ამავე ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი. სამეცნ. საბჭოს თავ-რე.

პ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ.შ. 2 მონოგრაფიისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორი, რ-ებშიც განხილულია ღვიძლისა და სანაღვლე გზების ანატ. და ქირურგიის, აგრეთვე პალიატიური მზრუნველობის საკითხები. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2012).

თხზ.: ღვიძლგარეთა ქოლესტაზი, თბ., 1990; ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია (სახელმძღვ. თანაავტ.), თბ., 2005; პალიატიური მზრუნველობა (სახელმძღვ.), თბ., 2005.

კორძაია ჯანსულ ტიტეს ძე (15. IX. 1932, ქუთაისი, – 4. II. 2010, თბილისი), ფილოსოფოსი, მწერალი. ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი (1975), პროფესორი (1979). 1956 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი. 1961–64, 1964–79 მუშაობდა სპი-ის ფილოს. კათედრაზე. 1979–93 საქართვ. განათლების სამინისტროში ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ მეცნ. განყ-ბას, უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს, სასწავლო დაწესებულებების სამმართველოს. 1980–2006 იყო თსუ-ის ფილოს. (მოგვიანებით ფილოს. და სოციოლოგიის) ფაკ-ტის პროფესორი, ესთეტიკის კათედრის გამგე, კონსულტანტი, ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1994–99).

პ-ს კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ფილოს. ისტორია, გნოსეოლოგია, კულტურის ფილოსოფია, ქართული მწერლობის ისტორია, პრაქტიკის კრიტერიუმის თავისებურებათა შემეცნების თეორია.

პ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 6 მონოგრაფიის ავტორი. მისი შრომები გამოცემულია რუს. და გერმ. ენებზე. მასვე ეკუთვნის 13 პოეტური კრებული და 2 რომანი (,,სიკვდილის გენეზისი'', 2002; ,,ადამიანები'', 2005).

პ. იყო საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი, მიღებული აქვს ღირსების ორდენი. (1998).

თხზ.: პრაქტიკის როლი შემეცნებაში, თბ., 1968; პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი, თბ., 1975; დიალექტიკა, როგორც მოძღვრება საყოველთაო კავშირებისა და განვითარების შესახებ, თბ., 1981; ადამიანი, როგორც პრაქტიკის სუბიექტი, თბ., 1982; კულტურის სუბსტანციისათვის; თბ., 2003; რჩეული ფილოსოფიური ნარკვევები, თბ., 2005.

თ. ალიბეგაშვილი.

კორძაია-სამადაშვილი ანა არსენის ასული (დ. 26. II. 1968, თბილისი), მწერალი, ჟურნალისტი. 1989 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. იყო გამომცემლობა ,,BBT-ისა'' (1984–93) და ,,სომაპრეს'' (1993–99) რედაქტორი, ბერლინის საერთაშ. წიგნის სააგენტო ,,IBA-ისა'' (1998) და გაზ. ,,24 საათის'' (2001–04) ჟურნალისტი. 2005-იდან მუშაობს ჟურნ. ,,ცხელ შოკოლადში''; წერს მოთხრობებს, რომანებს, აქტიურად ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას. ავტორია მოთხრობების კრებულებისა: ,,ბერიკაობა'' (2003, ლიტ. დებიუტი ფსევდონიმით სოფიო კირვალიძე), ,,მე, მარგარიტა'' (2005), ,,მარიეტას გზა'' (2012); რომანებისა: ,,შუშანიკის შვილები'' (2011), ,,ვინ მოკლა ჩაიკა'' (2013). აქვეყნებს მოთხრობებს. გერმანულიდან თარგმნის ბ. ბრეხტის, ე. მ. რემარკის, ი. მასანეკის, კ. ლანგე-მიულერის, რ. გიოცის, კ. ფუკეს, ჰ. ჰესესა და სხვათა ნაწარმოებებს. ე. იელინეკის რომანის ,,საყვარლების'' თარგმანისათვის 1999 მიიღო გოეთეს ინ-ტის ჯილდო, აგრეთვე – ლიტ. პრემია ,,საბა'' კრებულისათვის ,,მე, მარგარიტა'' ნომინაციებში: ,,დებიუტი'' (2004), და ,,ბესტსელერი'' (2005).

კორძაძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე (დ. 18. VII. 1944, ქუთაისი), გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1995). 1967 დაამთავრა ნოვოსიბირსკის (რფ) სახელმწ. უნ-ტის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი მათ. სპეციალობით. 1966–84 მუშაობდა იქვე სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის გამოთვლითი ცენტრის ატმოსფეროსა და ოკეანის დინამიკის განყ-ბაში 1984–89 – მოსკოვში, სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის გამოთვლითი მათ. განყ-ბაში. 1989-იდან პ. თბილისში იყო გეოფიზ. ინ-ტის შავი ზღვის დინამიკის განყ-ბის ხელმძღვანელი, 1995–2005 – დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. 2005-იდან თსუ-ის მ. ნოდიას გეოფიზ. ინ-ტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზ. პროცესების მათ. მოდელირების სექტორის ხელმძღვანელია.

პ-ის ნაშრომები ეხება ოკეანის, ზღვისა და ატმოსფეროს დინამიკის შესწავლას, ჰიდროთერმოდინამიკის ძირითად განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული სხვადასხვა მათ. მოდელის შემუშავებას.

1998–2003 პ. იყო შავი ზღვის კვლევების საერთაშ. ცენტრის დირექტორთა საბჭოს წევრი (საქართვ. მხრიდან) და ამავე საბჭოს თავ-რის მოადგილე (ქ. ათენი, საბერძნეთი). მიღებული აქვს მ. ალექსიძის სახ. (1996) და მ. ნოდიას სახ. (2012) პრემიები. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით.

კორძახია გურამ ვლადიმერის ძე (21. VI. 1923, თბილისი, – 23. X. 1970, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1966). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1946–52). მეორე მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1954-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1966–70 – თბილისის სამხატვრო აკადემიაში. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში. მისი საკონკურსო პროექტია ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში, (1957, III პრემია; არქიტ. ო. კალანდარიშვილი); ნამუშევრები: ვ. მაიაკოვსკის ძეგლი მოსკოვსა (1955, ბრინჯაო, პოეტის სახლ-მუზეუმი; არქიტ. დ. მორბედაძე) და თბილისში (1979,



გ. კ ო რ ძ ა ხ ი ა. ,,ვლადიმერ მაიაკოვსკი'', არქიტექტორი გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ბრინჯაო. 1978. თბილისი.

ბრინჯაო, გ. რობაქიძის გამზირი; არქიტ. გ. ჯაფარიძე); ,,გოგონა ყვავილით'' (1967, მარმარილო, სასტუმრო ,,ივერიის'' შიგა ეზო, ამჟამად სასტუმრო ,,რედისონ-ბლუ ივერია'', თბილისი) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თ. გერსამია.

კორძახია მიტროფანე ოტიას ძე [4 (16). VII. 1890, სოფ. აბაშა, – 28. IV. 1970, თბილისი], გეოგრაფი კლიმატოლოგი. კიევის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის დამთავრების (1915) შემდეგ მუშაობდა თბილისში მასწავლებლად; 1925–40 – თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში განყ-ბის გამგედ; 1940–52 თსუ-ში კითხულობდა ლექციებს კლიმატოლოგიაში; 1952–55 იყო საქართვ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-ტის განყ-ბის გამგე, 1955–70 – საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი. კ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება კლიმატოლოგიას, ასევე საქართვ. კლიმატოლოგიის საკითხებს. ,,საქართველოს სსრ ატლასის'' შედგენაში (1964) მონაწილეობისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971).

თხზ.: საქართველოს ჰავა, თბ., 1961; საქართველოს სსრ კლიმატური რუკა, მ., 1962 (თანაავტ. შ. ჯავახიშვილი).

კორხი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (არაგვის თემი), ახალქალაქის პლატოზე, ზ. დ. 1660 მ. ახალქალაქიდან 9 *კმ.* 446 მცხ. (2014).

კოსარიკი დმიტრო (კოვალენკო დიმიტრი მიხეილის ძე) [18(31). X. 1904, სოფ. ფიდროვკა, უკრაინა, – 21. II. 1992, კიევი], უკრაინელი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. პირველი ნაწარმოები გამოაქვეყნა 1923, მოთხრობების პირველი კრებული ,,წითელი ემბაზი'' – 1925. მასვე ეკუთვნის მოთხრობები ა. პუშკინზე, ტ. შევჩენკოზე, ო. კობილიანსკაიაზე, ისტ.-ბიოგრ., ლიტ. სტატიები და სხვ. კ-მა მიაკვლია დ. გურამიშვილის საფლავს მირგოროდში. ავტორია მეცნ.-ლიტ. ნარკვევისა ,,დავით გურამიშვილი უკრაინაში'' (გამოიცა ქართ. ენაზე ორჯერ – 1949, 1957, მთარგმნელი ლ. ასათიანი).

რ. ხვედელიძე.

კოსმოგონია (ბერძნ. κόσμος – სამყარო, γονή – დაბადება), მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ციური სხეულების, მათი სისტემების (პლანეტები და მზის სისტემა მთლიანად, ვარსკვლავები, გალაქტიკები და ა. შ.) წარმოქმნასა და განვითარებას. თანამედროვე კ. წარმოადგენს *კოსმოლოგიის ნაწილს* და ემყარება *ასტროფიზიკას.* დაკვირვებებზე დაყრდნობით მიღებული შეფასებებით, დღევანდელი სამყაროს ასაკია დაახლ. 13,7 მლრდ. წ. სამყაროს განვითარება დაიწყო ძალიან დიდი სიმკვრივისა და ტემპრის მქონე ,,ჩანასახიდან'' (განვითარების უფრო ადრინდელი, პლანკის სტადიის შესახებ თანამედროვე მეცნიერება სარწმუნო დასკვნებს ვერ აკეთებს) მისი სწრაფი გაფართოებით (,,ინფლაციის თეორია'', 1981 – ა. გუთი, ა. ლინდე, ვ. მუხანოვი, ა. სტარობინსკი და სხვ.). კოსმოგონიური ვარაუდებიდან გამომდინარე, თანამედროვე კ-ის საფუძველია თეორ. დასკვნების შედარება ასტრონ. და ასტროფიზ. დაკვირვებათა შედეგებთან.

ძვ. წ. IV–I სს-ში საბერძნეთში ჩამოყალიბდა პირველი ზოგადი მეცნ. წარმოდგენები სამყაროსა და ციური სხეულების განვითარების შესახებ [*არისტოტელე,* არისტარქე სამოსელი (ძვ. წ. 310 –230) და სხვ.]. შუა სს. ევროპის კ-ისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ალექსანდრიელი კ. პტოლემეოსის (ახ. წ. 100 –170) ,,ალმაგესტს''. შემდგომ, XVII ს-მდე, ევროპაში ბატონობდა ქრისტ. კ., რ-იც ეფუძნებოდა ბიბლიასა და ქრისტ. ეკლესიის წმ. მამათა (ნეტარი აუგუსტინე, 354–430; *იოანე ოქროპირი* და სხვ.) შრომებს.

მზის სისტემის კ-ის დარგში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ი. *ნიუტონმა,* რ-მაც აღმოაჩინა მოძრაობის ზოგადი კანონები და მსოფლიო მიზიდულობის კანონი. XVIII ს-ში ჟ. ბიუფონმა (1707–88 საფრ.) განავითარა პლანეტების წარმოქმნის ჰიპოთეზა, როგორც მზესთან კომეტის შეჯახების შედეგი. ი. კანტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ,,Allgemeine Naturgeschichte und Theorie des Himmels'' (,,ზოგადი ბუნებისმეტყველება და ცის თეორია'', 1755) შეეცადა მზის სისტემის წარმოქმნის თეორია დაეფუძნებინა ზოგად კ-ზე (,,კანტის ჰიპოთეზა''). ახ. ასტრონომიული ხელსაწყოების შექმნის შემდეგ იგივე ამოცანა დაისახა პ. ლაპლასმა, რ-მაც დაასაბუთა, რომ მზის სისტემის მდგრადობისა და ,,წესრიგისთვის'' საკმარისია მხოლოდ ბუნებრივი ძალები და არ არის აუცილებელი ზებუნებრივი ჩარევის ვარაუდი. 1922-24 ა. ფრიდმანმა (1888–1925, სსრკ), ა. *აინშტაინის* განტოლებებზე დაყრდნობით, განავითარა არასტაციონარული, განვითარებადი სამყაროს თეორია, რ-იც დაადასტურა ე. ჰაბლმა (1889–1953, აშშ) სამყაროს გაფართოების აღმოჩენით (1929). 1947 გ. გამოვმა (1904–1968, სსრკ, აშშ) გამოთქვა სამყაროს ,,ცხელი დასაწყისის'' ჰიპოთეზა, რ-იც 1965 დადასტურდა მის მიერვე ნაწინასწარმეტყველები რელიქტური (ფონური) მიკროტალღური გამოსხივების აღმოჩენით (ა. პენზიასი, რ. უილსონი, აშშ). ამავე ვარაუდიდან გამომდინარე, გ. გამოვმა, თანაავტორებთან ერთად, შექმნა ქიმ. ელემენტების *ზოტოპების* წარმოშობის თეორია და შეაფასა მათი სამყაროში გავრცელების პროპორციები, რ-ებიც ასევე დასტურდება დაკვირვებებით.



მ. კორძახია.

საქართველოში კ. ოდითგანვე უკავშირდებოდა ვარსკვლავთმრიცხველობას: ერთი მხრივ, მას იყენებდნენ სამეურნეო საქმიანობის სწორად პროგნოზირებისთვის, ხოლო მეორე მხრივ – ,,ციდან მოწოდებულ'' ინფორმაციაზე დაყრდნობით – ადამიანთა მოდგმის, სანათესაოს, გენის აღწერისა და მომავლის წინასწარ განჭვრეტისთვის. განსაკუთრებით მრავლად არის შემორჩენილი ამგვარი მაგალითები ფოლკლორსა და მეგრულ სიტყვიერებაში. ქრისტიანობის მიღების შემდგომ, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართველთათვის სულ უფრო მეტად ხდება მისაღები პტოლომეოსისა და ქრისტ. კ-ის ერთგვარი სიმბიოზი, რაც აისახა ს.-ს. *ორბელიანის* შრომაში ,,ლექსიკონი ქართული''. *ვახტანგ VI-*მ ქართულად თარგმნა და საკუთარი შენიშვნები და ჩამატებები დაურთო ცნობილ აღმოსავლურ ასტრონომიულ თხზულებებს. 1975 ა. *შანიძემ* გამოსცა *ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში* დაცული 1188 წლით დათარიღებული ქართ. ხელნაწერი ტრაქტატი ,,ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის'', რ-შიც გადმოცემულია იმდროინდელი წარმოდგენები სამყაროს (ძირითადად, მზის სისტემის) შესახებ. XII ს-ში გავრცელებული შეხედულე-

ბები სამყაროს შემადგენელი ელემენტების შესახებ გადმოცემულია ,,ვეფხისტყაოსანში'' (,,...ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა...'')

მეცნიერულ ჰ-ში, კერძოდ, პლანეტური სისტემების წარმოშობის თეორიის დაზუსტებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რ. *კილაძემ*. ადრეულ სამყაროში მიმდინარე პროცესების გავლენას გალაქტიკებისა და სხვა მსხვილმასშტაბიანი თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე იკვლევენ თ. *კახნიაშვილი*, გ. *ლავრელაშვილი*, ვ. *სამუშია* და სხვები. დადგინდა, რომ მატერიის სიმკვრივის მცირე არაერთგვაროვნებათა გარდა, რ-ებიც არსებობდა ამჟამად ხილული სამყაროს განვითარების ადრეულ ეტაპზე, გასათვალისწინებელია მაგნიტური ველის არაერთგვაროვნებებიც. სამყაროს გაფართოების პროცესში საწყისი არაერთგვაროვნებები ვითარდება და კვალს ტოვებს რელიქტური გამოსხივების სპექტრში; გარდა ამისა, დასაბამს აძლევს დღევანდელი მსხვილმასშტაბიანი სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ზ. ბერეჟიანი, გ. გაბადაძე, გ. დვალი, ზ. თავართქილაძე (ილიას სახელმწ. უნ-ტი), ა. თევზაძე (თსუ, ქუთაისის საერთაშ. უნ-ტი), მ. მაზიაშვილი (ილიას სახელმწ. უნ-ტი), დ. ფირცხალავა (აშშ), გ. ღოღობერიძე (ილიას სახელმწ. უნ-ტი, ლევენის უნ-ტი, ბელგია) და სხვები თანაავტორებთან ერთად იკვლევენ ჰ-ისა და მიკროსამყაროს კანონზომიერებების (იხ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*) კავშირებს.

ლიტ.: ვაშაკიძე ი., ნიკობაძე გ., თანამედროვე ფიზიკა ყველასათვის, თბ., 1999; ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, თბ., 2005; Гуревич Л. Э., Чернин А. Д., Введение в космогонию: происхождение крупномасштабной структуры Вселенной, М., 1978; Киладзе Р. И., Современное вращение планет, как результат развития околопланетных роев мелких частиц, Тб., 1986; Ломидзе И. Г., Даварашвили И., Касумов Ф., Формирование планет и ассиметрия моментов импульса в солнечной системе, „ Известия АН Азербайджана“, 2005, №2; Новиков И. Д., Как взорвалась Вселенная, М., 1988; Gamov G., The Creation of the Universe, Viking Press, 1952; Kakhniashvili T., Tevzadze A. at al., Evolution of primordial magnetic fields from phase transitions, Physical Review D87 (8), 2013.

ზ. გორგაძე,
ი. ლომიძე.

კოსმოლოგია (ბერძნ. κόσμος – სამყარო, lógos – მოძღვრება, არსი), მეცნიერების დარგი სამყაროს, როგორც ერთიანი ობიექტის შესახებ. იგი ეფუძნება ასტრონ. დაკვირვებებს ოპტიკურ და ელექტრომაგნ. გამოსხივების სხვა სპექტრულ დიაპაზონებში (იხ. *ასტრონომია*), ნეიტრინული ასტრონ. მიღწევებს, 2015-იდან კი – გრავიტაციული ტალღების რეგისტრაციით მიღებულ შედეგებსაც თანამედროვე დაკვირვებებისთვის მისაწვდომ სივრცეში (ე. წ. ასტრონ. სამყაროში). ჰ. იყენებს *კოსმოსური სხივების* შესწავლით მიღებულ ინფორმაციას, აგრეთვე ეყრდნობა ლაბორ. ექსპერიმენტებით დადგენილ უნივერს. ფიზ. კანონებს და მეცნ. შემეცნების პრინციპებს (იხ. *ასტროფიზიკა*), რ-თა თანახმად ასტრონ. სამყაროში მიკვლეული ბუნების კანონები მართებულია სამყაროს ჯერ კიდევ შეუსწავლელი ნაწილებისთვისაც. კოსმოლოგიური მოდელი, რ-იც ასტრონ. სამყაროს შესწავლის საფუძველზე ყალიბდება და მართებულად მიიჩნევა მთელი სამყაროსთვის, უნდა დასტურდებოდეს დაკვირვებებით და იძლეოდეს ახ. მოვლენების წინასწარმეტყველების საშუალებას.

პირველი მეცნ. შეხედულებები სამყაროს შესახებ გამოთქვეს ანტ. ფილოს. სკოლების წარმომადგენლებმა (*დემოკრიტე*, ჰერაკლიდე პონტოელი და სხვ.). ძვ. წ. IV ს-ში *არისტოტელემ* ჩამოაყალიბა სამყაროს მარტივი გეოცენტრული მოდელი და გარკვეული დაშვებების საფუძველზე დაასაბუთა მისი მართებულობა. ამასთანავე ანტ. ხანაშიც რამდენიმე მეცნიერი მზის სისტემის ჰელიოცენტრულ მოდელს აღიარებდა; პითაგორა (ძვ.წ. 580–500) ვარაუდობდა, რომ დედამიწა არ იყო უძრავი სხეული, არისტარქეს (ძვ.წ. 580–500) მიაჩნდა, რომ დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავდა. ასტრონომმა გ. თევზაძემ გამოიკვლია, რომ ,,ვეფხისტყაოსანში'' ასტრონ. შინაარსის შემცველი სტროფები ციურ მოვლენებზე დაკვირვების შედეგია და რომ შოთა რუსთაველი ჰელიოცენტრულ მოდელს აღიარებდა. მას მიაჩნდა, რომ პლანეტები მზის გარშემო ბრუნავენ. ნ. *კოპერნიკის* ჰელიოცენტრული სისტემის (XVI ს.) მოძღვრებით, დაიწყო რევოლუცია მსოფლმხედველობასა და ბუნებისმეტყველებაში. მაშინვე გაკეთდა პირველი ფილოს. დასკვნა სამყაროს უსასრულობისა და ერთიანობის შესახებ (ჯ. ბრუნო, XVI ს. დასასრული, იტალია). XVII–XVIII სს. აღიარება პოვა ი. ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის უნივერსალურმა კანონმა, რაც ნიშნავს, რომ სამყარო უნდა განიხილებოდეს სხეულთა მწყობრ სისტემად, რ-საც საერთო კანონები მართავს. თანამედროვე ჰ. ემყარება ა. *აინშტაინის* ფარდობითობის ზოგად თეორიას (1915), გარეგალაქტიკური ასტრონომიის მონაცემებს (იხ. *გრავიტაცია*) და, ასევე, მაღალ ენერგიებზე მიმდინარე მოვლენების კანონზომიერებებს, რ-ებიც დადგინდა მიკროსამყაროს შესწავლის პროცესში.

აინშტაინის განტოლებებით სამყაროს აღწერის პირველი მცდელობა (1917) ეკუთვნის თვით ა. აინშტაინს და, ასევე, ვ. დე სიტერს (1872–1934, ნიდერლანდები). აღმოჩნდა, რომ სამყაროს ერთგვაროვან და იზოტროპულ მოდელში სტაციონარულობის მისაღწევად აუცილებელია განტოლებებში დამატებითი, განზიდვის შესაბამისი წევრის შემოტანა (ე. წ. L-წევრი). 1922–24 ა. ფრიდმანმა (სსრკ) და 1927 ჟ. ლემეტრმა (ბელგია) აჩვენეს, რომ ამ წევრის გარეშე ერთგვაროვანი და იზოტროპული სამყარო არასტაციონარულია, ხოლო მისი ევოლუციის სცენარი დამოკიდებულია საწყის პირობებზე. 1929 ე. ჰაბლმა (აშშ) დაკვირვებებით დაადასტურა, რომ თანამედროვე სამყარო ფართოვდება. 1947 გ. გამოვის (1904–68, სსრკ, აშშ) ჰიპოთეზის თანახმად, უსასრულოდ დიდი იყო სამყაროს საწყისი ტემპერატურაც, რ-იც გაფართოების პროცესში იკლებს (ე. წ. ცხელი სამყაროს მოდელი). ცხელი სამყაროს მოდელის რეალობა დაადასტურა გ. გამოვის მიერ 1948 ნაწინასწარმეტყველები რელიქტური (ფონური) მიკროტალღური გამოსხივების აღმოჩენამ (1965, ა. პენზიასი, რ. უილსონი, აშშ).

1981-82 ჩამოყალიბდა ადრეული სამყაროს ე. წ. ინფლაციური გაფართოების მოდელი (ა. გუთი, აშშ; ა. ლინდე, სსრკ, აშშ; ა. სტარობინსკი, სსრკ რუს. და სხვ.), რ-მაც შესაძლებელი გახადა დიდი აფეთქების ტრადიციული თეორიის ზოგიერთი სირთულის თანამიმდევრული ახსნა. XX ს. ბოლომდე მიაჩნდათ, რომ სამყაროს ნაწილების ურთიერთმიზიდვის შედეგად გაფართოება უნდა ნელ-

დებოდეს, მაგრამ 1998 შორეულ ზეახალ ვარსკვლავებზე დაკვირვებებით აღმოაჩინეს (ა. რისი, აშშ და სხვ.), რომ დიდ მასშტაბებში სამყაროს გაფართოება სულ უფრო ჩქარდება. ამ მოვლენის ასახსნელად შემოღებულია ჰიპოთეზა სამყაროში ე. წ. ბნელი ენერგიის არსებობის შესახებ, რ-იც იწვევს დიდი მანძილებით დაშორებულ გალაქტიკათა განზიდვას. მისი ფიზ. ბუნება უცნობია. ასევე უცნობია ე. წ. ბნელი მატერიის ფიზ. ბუნება, რ-ის დიდი რაოდენობით არსებობა (ხილული მატერიის საერთო მასაზე 5-6-ჯერ მეტი) სამყაროში ვლინდება ხილულ ობიექტებზე – გალაქტიკებზე, გალაქტიკათა გროვებზე – მისი გრავიტაციული ზემოქმედების შედეგად. ბნელი ენერგიისა და ბნელი მატერიის ფიზ. ბუნების გარკვევა თანამედროვე ჰ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საქართველოში თანამედროვე ჰ-ის განვითარების ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს მ. *მირიანაშვილმა*, ვ. *ქირიამ*, დ. *კურდღელაიძემ* და სხვ. გალაქტიკებისა და მათი კლასტერების დინამიკას ფარდობითობის ზოგადი თეორიის ჩარჩოებში იკვლევდა ლ. ხარბედია (*აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია*); გ. მაჩაბელი, ა. როგავა, გ. ღოღობერიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლევენის უნ-ტი, ბელგია), გ. *ჩაგელიშვილი*, ჯ. ჯეჯელავა და სხვ. იკვლევენ ვარსკვლავთშორისი და გალაქტიკათშორისი გარემოს (*პლაზმის*) თვისებებს, რელატივისტური ასტროფიზ. ობიექტების (იხ. *კიბორჩხალას ნისლეული*) დინამიკას, ადრეულ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს; თ. *კახნიაშვილი* თანაავტორებთან ერთად იკვლევს ადრეულ სამყაროში არსებული შემთხვევითი არაერთგვაროვნებების ზრდის დინამიკას და კოსმოლოგიურ შედეგებს, ამ შედეგების შესწავლის პერსპექტივებს თანამედროვე და მშენებარე ფიზ. დანადგარებით, მ. შ. გრავიტაციული ტალღების რეგისტრაციის გამოყენებით. ჰ-ის საკითხებზე საქართვ. და საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნ. ცენტრში აქტიურად მუშაობენ ზ. ბერეჟიანი, გ. გაბადაძე, მ. გოგბერაშვილი (თსუ), გ. დვალი, ა. თევზაძე (თსუ, ქუთაისის საერთაშ. უნ-ტი), გ. *ლავრელაშვილი*, მ. მაზიაშვილი (ილიას სახ. სახელმწ. უნ-ტი), ჯ. ჩქარეული და სხვ. ქართვ. ფიზიკოსები მონაწილეობენ ექსტრემალური სიმკვრივისა და ტემპ-რის პირობებში ნივთიერებისა და სივრცე-დროის თვისებათა კვლევებში *დიდ ჰადრონულ კოლაიდერზე* [ა. მესტვირიშვილი (აშშ), ი. *მინაშვილი*, თ. ჯობავა და სხვ.]. კოსმოლოგიური ენერგიების მქონე ნეიტრინოების კვლევაში (საერთაშ. ექსპერიმენტული დანადგარი ICECUBE, ანტარქტიდა) მონაწილეობენ რ. შანიძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.

ლიტ.: ვაშაკიძე ი., ნიკობაძე გ., თანამედროვე ფიზიკა ყველასათვის, თბ., 1999; თევზაძე გ., რუსთაველის კოსმოლოგია, თბ., 2014; Гриб А. А., Основные представления современной космологии, М., 2008; Зельдович Я. Б., Новиков И. Д., Строение и эволюция Вселенной, М., 1975; Weinberg S., Gravitation and Cosmology, N.-Y., 2016.

გ. ლავრელაშვილი.

კოსმონავტიკა (ბერძნ. – kósmos – წესრიგი, მსოფლიო, სამყარო და nauticke – ზღვაოსნობა), კოსმოსურ სივრცეში ფრენის ხელოვნება; მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დარგების ერთობლიობა, რომლებიც კოსმოსური საფრენი აპარატების გამოყენებით უზრუნველყოფენ კოსმოსის ათვისებას. ჰ. წყვეტს კოსმ. ფრენის თეორიის (ემყარება ცის მექანიკას და ასტროდინამიკას) სამეცნ.-ტექ., სამედ.-ბიოლ. და სხვ. პრობლემებს.

კაცობრიობა ძველთაგანვე ესწრაფოდა კოსმოსში ფრენას, რასაც მოწმობს ძვ. ბერძნ. მითი მზისაკენ იკაროსის გაფრენის შესახებ. მეცნ.-ფანტასტ. აღწერები და სხვ. კოსმოსში ფრენის შესაძლებლობა XIX ს. ბოლოს დაასაბუთეს კ. ციოლკოვსკიმ (რუსეთი), ჰ. ობერტმა (გერმანია) და რ. გოდარტმა (აშშ). XX ს. 20-იან წლებში დაარსდა ჰ-ის პირველი საზ-ბები და დაიწყო პირველი სამუშაოები: აშშ-ში მცირე ზომის პირველი სითხიანი რაკეტები გაუშვეს 1926. ამ მიმართულებით პირველ რეალურ შედეგს მიაღწიეს II მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა (კონსტრუქტორი ვერნერ ფონ ბრაუნი); მათი რაკეტების ფრენის სიშორე 300 *კმ* აღწევდა. ომის შემდგომ წლებში სხვა ქვეყნებმა შექმნეს კონტინენტთაშორისი რაკეტები. ამ სამუშაოებმა საფუძველი ჩაუყარა პრაქტიკულ ჰ-ს.

1957 წ. 4 ოქტომბერს სსრკ-დან პირველი *დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის* (ДСП) გაშვებით დაიწყო კოსმოსური ერა. ჰ-ის შემდგომი მნიშვნელოვანი მიღწევები იყო 1959 წ. 14 სექტ. ავტომატ. სადგურ ,,ლუნა-2-ის'' დაშვება მთვარეზე და იმავე წლის 4 ოქტ. ,,ლუნა-3-ის'' მიერ მთვარის უკანა მხარის გამოსახულების დედამიწაზე გადმოცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1961 წ. 12 აპრ. ი. *გაგარინის* პირველი გაფრენა კოსმოსში დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე და 1969 წ. 16–24 ივლისს ნ. *არმსტრონგის*, ე. ოლდრინისა და მ. კოლინზის (აშშ) პირველი ექსპედიცია მთვარეზე. 1977 წ. 20 აგვისტოს და 5 სექტემბერს აშშ-მა გაუშვა ,,ვოიაჯერის'' სერიის ხომალდები, რ-ებმაც 1978–91 მიმდევრობით გამოიკვლიეს იუპიტერის, სატურნის, ურანისა და ნეპტუნის სისტემები. 1981–2014 ხორციელდებოდა მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდების (,,სპეის შატლი'') ფრენა, ორბიტალური სადგური.

დხთ-ებს იყენებენ საკომუნიკაციო, სატელეფონო (მ. შ. სიგნალთა რეტრანსლაციისათვის დედამიწის ზედაპირის ძლიერ დაშორებულ პუნქტებში), ამინდის გრძელვადიანი პროგნოზირების, საზღვაო და საავიაციო სანავიგაციო სამსახურებში.

ჰ-ის უახლოესი ამოცანაა მთვარისა და პლანეტების გაძლიერებული შესწავლა და მათზე სამეცნ. ბაზების მოწყობა. XXI ს-ში განზრახულია პილოტირებული ხომალდების გაგზავნა მარსზე.

საქართველოს მეცნ. აკად. აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიაში კოსმოსური ერის დაწყებისთანავე უწყვეტლად მიმდინარეობდა დხთ-სა და სხვა ორბიტულ აპარატებზე პოზიციური დაკვირვებები. ჯერ კიდევ 1971 ასეთ დაკვირვებათა მეთოდური დამუშავებისათვის რ. კილაძე დაჯილდოვდა სსრკ სახელმწ. პრემიით. 1991 ორბიტულ სადგურ ,,მირზე'' დაიდგა საქართვ. მეცნ. აკად. აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიისა და სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება ,,ენერგიის'' მიერ დამუშავებული ექსპერიმენტული აპარატი გალაქტიკის მოკლეტალღიანი გამოსხივების წყაროების რეგისტრაციისათვის (კონსტრუქტორი და ხელმძღვანელი გ. კახიძე). იმავე 1991 დაიდგა სტუ-სა და თბილ. საავიაციო ქარხანაში დამუშავებული ღია კოსმოსში გამოსაყენებელი დიდი ანტენური კონსტრუქცია (კონ-

სტრუქტორი ე. *მეძმარიაშვილი*).

კოსმოსურ სივრცეში საფრენი აპარატების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. *ბეთანელმა*, ა. *ნადირაძემ* და ი. *გვერდწითელმა*.

ი. ლომძე.

კოსმოსური სხივები, ასტრონაწილაკები, მაღალი ენერგიის ნაწილაკთა ნაკადი, რომელიც მოედინება მზიდან, ჩვენი გალაქტიკიდან და შორეული კოსმოსიდან (პირველადი სხივები), აგრეთვე ამ ნაწილაკების მიერ დედამიწის ატმოსფეროში ატომბირთვებთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნილ ელემენტარულ ნაწილაკთა ნაკადი (მეორეული სხივები). კოსმოსური სხივების ფიზიკა შეისწავლის კოსმოსური წარმოშობის მაღალენერგიული ჭკვანტების და ნეიტრინოების ნაკადებსაც. კოსმოსიდან დედამიწამდე აღწევს მხოლოდ სტაბილური ნაწილაკები – ძირითადად, პროტონები (92%) და α ნაწილაკები (6%), აგრეთვე ელექტრონები (1%). მსუბუქი (Li, Be, B), საშუალო (C–F), მძიმე (მასური რიცხვით A>10) და ზემძიმე (A>20) ატომბირთვები (1%). ამასთანავე, Li, Be, B ნაწილაკეის კონცენტრაცია ჰ. ს-ში რამდენიმე ათასჯერ აღემატება მათ კონცენტრაციას ვარსკვლავთშორის სივრცეში. გალაქტიკური ჰ. ს-ის ძირითად წყაროდ მიიჩნევენ ზეახალი ვარსკვლავების აფეთქებებს, ასევე ძლიერი მაგნ. ველის მქონე სწრაფად მბრუნავ ნეიტრონულ ვარსკვლავებს (პულსარებს და მაგნეტარებს) და გალაქტიკების აქტიურ ბირთვებს. დამუხტული ნაწილაკები შემდგომ ჩქარდება კოსმოსური დარტყმითი ტალღების გავლენით და ვარსკვლავთშორის მაგნ. ველებთან ურთიერთქმედებით. ჰ. ს-ის ნაწილაკების უდიდესი ნაწილის ენერგია (1 *გევ*) თითქმის 10^6-ჯერ აღემატება ვარსკვლავებისთვის დამახასიათებელ სითბურ ენერგიას (1 *კევ*); ამ ჰ. ს-ის ნაკადი შეადგენს 10^4 *მ*$^{-2}$*წმ*$^{-1}$, 10^{16} ევ ენერგიის ჰ. ს-ისა კი – 10^{-7}*მ* *მ*$^{-2}$*წმ*$^{-1}$. ძალზე იშვიათად აკვირდებიან 10^{20}–10^{21} *ევ* ენერგიის ნაწილაკებსაც. ატმოსფეროს მოლეკულებზე ჰ. ს-ის გაბნევისას წარმოქმნილი მეორეული ჰ. ს. ხშირად აჩენს ფართო ატმოსფერულ ღვარს (ფაღ). მზის აქტივობა (მზის ქარის და მასთან დაკავშირებული მაგნ. ველის გაძლიერება) ასუსტებს გალაქტიკური ჰ. ს-ის ინტენსივობას (ე. წ. ფორბუშ-ეფექტი).

საქართველოში ჰ. ს-ის შესწავლა დაიწყო 1934. თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტზე ჩამოყალიბდა ლაბორატორია (ხელმძღვ. ბ. ყიზილბაში), სადაც შეიქმნა ელექტრონული სქემები ჰ. ს-ზე გაიგერ-მიულერის მთვლელებით დაკვირვებებისთვის და ვილსონის ცილინდრული კამერა.

1936 მყინვარწვერზე (ზ. დ. 3950 *მ*) განხორციელდა პირველი სამეცნ. ექსპედიცია (ბ. ყიზილბაში, დ. კეთილაძე და ხუ შინ ჩანი), რ-მაც გამოიკვლია ნაწილაკთა ღვარების რაოდენობის დამოკიდებულება ატომბირთვის მუხტზე და შეისწავლეს ჰ. ს-ის ე. წ. რბილი და ხისტი კომპონენტები.

1949-იდან საქართველოში ჰ. ს-ის კვლევები გააქტიურდა. იალბუზის ფერდობზე (ზ. დ. 3900 *მ*) ე. *ანდრონიკაშვილის* ხელმძღვანელობით შეიქმნა ჰ. ს-ის თვისებების შემსწავლელი მუდმივმოქმედი სადგური, სადაც მუშაობდნენ გ. *ჩიქოვანი*, ზ. *მანჯავიძე*, ლ. გედევანიშვილი. ო. გოცირიძე, ე. ცაგარელი და სხვ. შემდგომ მათ შეუერთდნენ მ. ბიბილაშვილი, ნ. *როინიშვილი*, რ. ძიძიგური, ო. ა. ყანჩელი, ი. საყვარელიძე, ვ. ცინცაძე და სხვ.

ფიზიკოსთა ჯგუფმა (გ. ჩიქოვანი, ზ. მანჯავიძე, მ. ბიბილაშვილი, ლ. გედევანიშვილი, 1952) შეამჩნია ე. წ. V კვალები, რ-ებიც შემდგომში იდენტიფიცირდა როგორც Λ^0 და K^0 ნაწილაკების კვალები.

გ. ჩიქოვანის ინიციატივით (1954) იალბუზის ახალ შექმნილ სადგურზე (ზ. დ. 1800 *მ*) დაამონტაჟეს ელექტრომაგნიტი. გ. ჩიქოვანმა და ზ. მანჯავიძემ შექმნეს ვილსონის კამერა ორმაგი მუშა მოცულობით და განათავსეს მაგნ. ველში. 1957 საქართვ. მეცნ. აკადემიის ფიზ. ინ-ტმა ააგო ორი ახალი სადგური დაბა ბაკურიანსა (ზ. დ. 1700 *მ*) და ცხრაწყაროს უღელტეხილზე (ზ. დ. 2500 *მ*), სადაც დამონტაჟდა 100-ტონიანი (1959) და უნიკალური 1000-ტონიანი (1960) ელექტრომაგნიტები.

ბაკურიანის ჰ. ს-ის სადგური ამუშავდა 1960. მაგნიტურ ველში დამონტაჟებული 1 მ-იანი ვილსონის კამერა. ამ დანადგარით (,,ბაკურიანი'', უფრ. თ. გრიგალაშვილი) იკვლევდნენ ჰ. ს-ის ენერგეტიკულ სპექტრს $5\cdot10^{10}$–10^{12} *ევ* ინტერვალში.

ცხრაწყაროს ჰ. ს-ის სადგური ამუშავდა 1964 ბოლოს. იქ დამონტაჟდა ორი 2 მ-იანი ვილსონის კამერა მაგნიტურ ველში. (დანადგარის უფროსი ა. მესტვირიშვილი, 1965-იდან – დ. *კოტლიარევსკი*).

პარალელურად, 1960–64 გ. ჩიქოვანი, ვ. მიხაილოვი და ვ. როინიშვილი ატარებდნენ კვლევებს ნაპერწკლოვანი კამერის პარამეტრების გასაუმჯობესებლად, რაც დასრულდა *სტრიმერული კამერის* შექმნით (ლენინური პრემია, 1970).

1968-იდან კოსმოსური ნაწილაკების დასამზერი კამერების შექმნა განაგრძეს ზ. მანჯავიძემ, ვ. როინიშვილმა და ა. ჯავრიშვილმა. დამზადდა განმუხტვადი კონდენსაციური კამერა (1969), რ-იც (დროში მაღალ გარჩევისუნარიანობასთან ერთად) მართვადია და საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს მხოლოდ გადარჩეული კვალები.

ცხრაწყაროს მაღალმთიან სადგურში 1972-იდან (ვ. მიხაილოვი, თ. ლომთაძე და ვ. მაცაბერიძე; ხელმძღვ. დ. კოტლიარევსკი) დაიწყო დანადგარის გადაკეთება 10_{11}–$10_{1}{}^{3}$ ევ ენერგეტიკულ ინტერვალში სამუშაოდ. 1977 ამუშავდა დანადგარი ,,ცხრაწყარო-2'' კვლევებს ატარებდა მეცნიერთა ჯგუფი დ. კატლიარევსკის ხელობით.

XX ს. 80-იან წლებში ფიზ. ინ-ტი შეუერთდა საერთაშ. პროექტ ,,პამირს'', რ-შიც მონაწილეობდნენ მოსკოვის პ. ლებედევის სახ. ფიზიკის ინ-ტი (ФИАН, მოთავე ორგანიზაცია), რუსეთის მეცნ. აკად. ბირთვული კვლევების, მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ბფ სამეცნ.-კვლ. (НИИЯФ МГУ), ყაზახეთის მეცნ. აკად. მაღალი ენერგიების ფიზ., ტაჯიკეთისა და უზბეკეთის მეცნ. აკად. ფიზიკა-ტექ. ინ-ტები, ლოძის (პოლ.) უნ-ტის ფიზიკის ინ-ტი, ქ. კელცეს (პოლ.) უმაღლესი პედ. სკოლა. ზ. დ. 4370 *მ*-ზე რენტგენულ-ემულსიური კამერებით მაღალი ენერგიის ჰ. ს-ის ნაწილაკთა ურთიერთქმედებებს ატმოსფეროს ბირთვებთან იკვლევდა მეცნიერთა ჯგუფი ნ. როინიშვილის ხელმძღვანელობით შემდგომში პროექტი შეუერთდა იაპონურ-ბრაზილიურ კოლაბორაციას.

მაღალმთიან ლაბორატორიებში წარმოებული კვლევების პარალელურად საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში ტარდებოდა ჰ. ს-ის მიწისქვეშა კვლევებიც. 1953-იდან დაიწყო ფაღ გამჭოლი (ხისტი)

კომპონენტის საერთო თვისებების შესწავლა (ხელმძღვ. ე. ანდრონიკაშვილი). დაადგინეს, რომ ჰ. ს-ის ფაღ-ის მიუონური კომპონენტის სივრცულ განაწილებას ცენტრალურ ნაწილში აქვს ვიწრო მაღალი პიკი. ამ კვლევებით განისაზღვრა ძლიერ ურთიერთქმედებებში განივი იმპულსის შეზღუდულობა, რაც საფუძვლად უდევს თანამედროვე წარმოდგენებს ძლიერი ურთიერთქმედების ბუნების შესახებ (ე. ანდრონიკაშვილი, მ. ბიბილაშვილი). 1956–57 ე. ანდრონიკაშვილის, გ. *ხუცოშვილისა* და მ. ბიბილაშვილის ხელმღვანელობით აშენდა სპეც. მიწისქვეშა ლაბორატორია წყლის ეკვივალენტის 200 *მ* სიღრმეზე. კვლევებში მონაწილეობდნენ ი. ხალდეევა, გ. ღრუბელაშვილი, თ. ბარნაველი, დ. ერისთავი, ნ. ერისთავი და სხვ. (ხელმძღვ. მ. ბიბილაშვილი).

მეორე ჯგუფმა (რ. კაზაროვი, თ. ქურიძე, ჯ. ქეშელაშვილი) მიწის ქვეშ წყლის ეკვივალენტის 130 მ სიღრმეზე შექმნა იონიზაციური კალორიმეტრი და გამოიკვლია ჰ. ს-ში მიუონების კუთხური განაწილება 10^{11}–10^{12} *ევ* ენერგიების ინტერვალში.

XX ს. 90-იანი წლების შემდეგ თბილისის მიწისქვეშა გვირაბსა და გ. ჩიქოვანის სახ. ცხრაწყაროს მაღალმთიანი სადგურზე ექსპერიმენტული კვლევები შეწყდა. ამჟამად, ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტში მიმდინარეობს ჰ. ს-ის ფაღ-ის იშვიათი კორელაციების რეგისტრირება. პროექტი (ხელმძღვ. მ. სვანიძე) მიზნად ისახავს სადგურების ქსელის შექმნას და მიღებული შედეგებით საერთაშ. მონაცემთა ბაზის შევსებას. უკვე ფუნქციონირებს ფიზიკის ინ-ტისა და თელავის უნ-ტის სადგურები.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი კვლევები ხორციელდება ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტისა და ФИАН-ის თანამშრომლობით, მუშავდება XX ს. 70-80-იან წლებში ტიანშანის მაღალმთიან დანადგარში რეგისტრირებული მონაცემები. დამუშავების მიზნები, მიდგომა და მეთოდიკა შემუშავებულია ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტის მიუონების ლაბორატორიაში (ხელმძღვ. თ. ბარნაველი). კვლევებში მონაწილეობენ თეიმურაზ ბარნაველი, ნ. ერისთავი, ი. ხალდეევა (თბილისი) და ა. ჩუბენკო, ნ. ნესტეროვა (მოსკოვი).

XX ს. 60-იანი წლებიდან თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტზე მიმდინარეობდა კვლევები მაღალი ენერგიის მიუონების თვისებების შესასწავლად. ი. საყვარელიძისა და ლ. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით მიწის ქვეშ წყლის ეკვივალენტის 200 მ სიღრმეზე მიიღეს მიუონური კომპონენტის იმპულსის განივი მდგენელის გაგანიერების მრუდი და ენერგეტიკული სპექტრი. 1964–70 სამუშაოები ტარდებოდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტისა და მოსკოვის საინჟინრო ფიზ. ინ-ტის თანამშრომლებთან ერთად კომპლექსური დანადგარით. მეცნიერებმა შეისწავლეს ფაღ-ის გამჭოლი კომპონენტების პარამეტრები მიუონების 10^{11}–10^{12} *ევ* ენერგიებზე, ჰ. ს-ის მიუონების არადრეკადი ურთიერთქმედება რკინის ბირთვებთან, საშ. ენერგიების მქონე პროტონების მიერ პიონების დაბადებისა და ბირთვის სტრუქტურის საკითხები.

ჰ. ს-ის კვლევები აქტიურად მიმდინარეობდა მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინ-ტშიც. 1952 დაარსდა ჰ. ს-ის ინტენსივობის უწყვეტი რეგისტრაციის სადგური (ხელმძღვ. ვ. ესიავა). 1969-იდან ჰ. ს-ის განყ-ბას ხელმძღვანელობდა მ. ალანია. 1970 მან შეიმუშავა ორიგინალური კონსტრუქციის ჯვარედინი ტელესკოპი მიწისქვეშა და მიწისზედა დაკვირვებებისათვის, რ-იც 1972-იდან ამუშავდა. 1973–75 შეიქმნა ორიგინალური გეომეტრიის ჯვარედინა ტელესკოპები MT-12 და T-16.

სადგურ ,,თბილისისა'' და ჰ. ს-ის სადგურების საერთაშ. ქსელის მონაცემთა ბაზაზე ლ. დორმანი და ლ. შათაშვილი მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდნენ მზის ქარის აზიმუტურ ასიმეტრიას. მ. ალანიამ, ლ. დორმანმა და ლ. შათაშვილმა შეაფასეს 27-დღიანი ვარიაციების ფორმირების ეფექტური რადიუსი, რ-იც დამოკიდებულია მზის აქტივობაზე და ათობით ასტრონომიული ერთეულის რიგის აღმოჩნდა.

დაკვირვებითი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით მ. ალანიამ და ლ. დორმანმა განავითარეს წარმოდგენა მზის ქარის ჰელიოგანედური ასიმეტრიისა და მასთან დაკავშირებული ჰ. ს-ის ვარიაციების შესახებ. ჰ. ს-ის ვარიაციები კორელირებს მთვარის ფაზებთან, დამაგნიტებულ დედამიწისპირა პლაზმაზე მთვარის მოქცევების გავლენით (ბ. ნასყიდაშვილი, ლ. შათაშვილი) კვლევებით დადასტურდა ჰ. ს-ში დაბალი ენერგიის (<10მეგევ) პროტონული კომპონენტის გალაქტიკური წარმოშობა.

2015-იდან ფუნქციონირებს ნეიტრონული სუპერ-მონიტორი; მიღებული მონაცემები რეგულარულად იგზავნება (ი. ტუსკია, თ. ბაქრაძე, ტ. ერქომაიშვილი, ლ. ოსეფაშვილი, ვ. ყვავაძე, ნ. ხაზარაძე) მოსკოვის მონაცემთა საერთაშ. ცენტრში.

კოსმოსური სადგურების საერთაშ. ქსელის 1965–2002 მონაცემებზე დაყრდნობით, მ. ალანიამ, პოლონელ კოლეგებთან ერთად აჩვენა, რომ ჰ. ს-ის დღეღამური ვარიაციების რადიალური კომპონენტი ამჟღავნებს 22-წლიან ვარიაციებს, რაც დაკავშირებულია ჰ. ს-ის დრეიფის მიმართულების ცვლასთან მზის აქტივობის სხვადასხვა პერიოდში.

მზის აქტივობის ზოგიერთი რეგიონი იწვევს 27-დღიანი ვარიაციების პირველ (27-ე დღე), მეორე (მე-13, მე–14 დღე) და მესამე (მე-9 დღე) ჰარმონიკებს. მ. ალანიამ (პოლონელ კოლეგებთან ერთად) აჩვენა, რომ I, II და III ჰარმონიკების ამპლიტუდა მზის აქტივობის $A>0$ პერიოდში (როდესაც მზის მაგნ. ველის ძალწირები მიმართულია ჩრდ. პოლუსიდან სამხრ-კენ) გაცილებით დიდია, ვიდრე $A<0$ პერიოდში. სხვა პარამეტრები კი არ ავლენს რეგულარულ ცვლილებებს. ანუ 27-დღიანი ვარიაციების ამპლიტუდა და ინტენსივობა უშუალო კავშირშია მზის ქარის სიჩქარის 27-დღიან ვარიაციებთან. ამ შედეგებმა საერთაშ. აღიარება მოიპოვა (2005 *მ.* ალანია აირჩიეს ევროპის მეცნ. აკად. წევრად).

აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიაში მაღალენერგიული რენტგენის გამოსხივების წყაროებზე დაკვირვებები დხთ-ების საშუალებით მიმდინარეობდა (ხელმძღვ. გ. კახიძე). 1963–66 გ. კახიძე მონაწილეობდა დხთ-ების (,,პროტონ-1'', ,,პროტონ-2'', ,,პროტონ-3'' და ,,პროტონ-4'') მეშვეობით ჰ. ს-ის შესწავლის პროგრამებში.

1987 დაფიქსირდა ჰ. ს-ის ნეიტრინული კომპონენტი. რამდენიმე დეტექტორმა (Kamiokande II, IMB, ბაქსანის სცინტილაციური ტელესკოპი) 13 წმ-ში დააფიქსირა 24 ნეიტრინო და ანტინეიტრინო. ნეიტრინო, განსხვავებით



გ. ქ. კოსტავა.



გ. ქ. კოსტავა იაგო. უ შექსპირის ,,ოტელო‘‘.



გ. გ. კოსტავა.



თ. კოსტავა.

ჰ. ს-ის ელექტრულად დამუხტული ნაწილაკებისგან, არ გადაიხრება მაგნ. ველებით და მისი გავრცელების მიმართულება მიუთითებს ჰ. ს-ის სავარაუდო წყაროს მდებარეობას. 2006-იდან ჰ. ს-ში დაიწყეს მაღალი – რამდენიმე ასეული ათასი გევ ენერგიის – ნეიტრინოების დაფიქსირება სამხრ. პოლუსზე. ანტარქტიდის ყინულში, 2,5 *კმ* სიღრმეზე აგებულ გიგანტურ დეტექტორზე – IceCube, რ-ის მუშაობაში მონაწილეობს გ. ჯაფარიძე. 2020-მდე აქ დაფიქსირდა 100-მდე შემთხვევა ენერგიით >30 000 *გევ* (ამათგან 3 შემთხვევა ენერგიით $>10^6$ *გევ*).

ლიტ.: ღარიბაშვილი დ. კოსმოსური სხივების ფიზიკა, თბ., 2015; Андроникашвили Э. Л., Начинаю с Эльбруса..., Тб., 1982; Дорман Л. И. Экспериментальные и теоретические основы астрофизики космических лучей, М., 1975.

დ. ღარიბაშვილი.
თ. ბარნაველი.
მ. ალანია.

კოსმოსური სხივების ფიზიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკის მიმართულება, რომელიც შეისწავლის ასტრონაწილაკების ნაკადს – *კოსმოსურ სხივებს* (კს). პირველადი ჰ. ს-ის ინტენსიური წყაროა მზე.

ჰ. ს. ფ. გალაქტიკური კს-ის ძირითად წყაროდ მიიჩნევს ზეახალი ვარსკვლავების გარსებს, ასევე ძლიერი მაგნ. ველის მქონე სწრაფად მბრუნავ ასტროფიზიკურ ობიექტებს (პულსარებს, მაგნეტარებს და შავ ხვრელებს).

პირველადი კს-ის ატმოსფეროს გარეთ შესასწავლად შეიქმნა სპეციალური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი და ავტომატური პლანეტათშორისი სადგურები. ჰ. ს. ფ-ის შედეგები მნიშვნელოვანია სამყაროს წარმოშობისას მიმდინარე პროცესებზე (იხ. სტატია *კოსმოლოგია*) სწორი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად, ,,ბნელი მატერიის‘‘ და ,,ბნელი ენერგიის‘‘ ბუნების გარკვევისთვის, კს-ის წარმომქმნელ ობიექტებში მიმდინარე მოვლენების და იქ არსებული ფიზ. პირობების შესასწავლად და სხვ.

საქართველოში ჰ. ს. ფ-ის განვითარებისა და მიღწევების შესახებ იხ. სტატიაში კოსმოსური სხივები.

ლიტ.: Мурзин В. С., Астрофизика космических лучей, М., 2007.

ი. ლომიძე.

კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი საქართველოსი, იხ. სტ. *ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა.

კოსტავა არჩილ ანდროს ძე (12. XII. 1937, ქუთაისი, – 11. II. 2002, იქვე), მეტალურგი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1982). 1960 დაამთავრა სპი-ის (1990-იდან სტუ) მეტალურგიის ფაკტი. მუშაობა დაიწყო ქუთაისის საავტომობილო ქ-ნაში ინჟინრად. 1968–85 ხელმძღვანელობდა ლაბორატორიას მოსკოვის მანქანათმშენებლობის ტექნოლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. პარალელურად პედ. საქმიანობას ეწეოდა სპი-ის, პრაღის, ვროცლავისა და ლენინგრადის ტექ. უნ-ტებში. 1985 დაბრუნდა საქართველოში. 1989–2002 იყო ქუთაისის პოლიტექ. უნ-ტის რექტორი, პარალელურად – მანქანათმშენებლობის ტექნოლ. კათედრის გამგე.

ჰ-ის სამეცნ. შრომები ეხება მაღალი წნევისა და ტემპ-რის პირობებში ლითონების დამუშავების კომპლექსური ექსპერიმენტულ-ანალიზური კვლევის მეთოდებს, ცვეთის პროცესების მოდელირებას და სხვ. შექმნა მასალების მექ. თვისებების არაერთგვაროვნებათა კომპლექსური კლასიფიკატორი, რ-ის საშუალებითაც შეიძლება ლითონების თვისებების პროგნოზირება დიდი პლასტიკური დეფორმაციის პირობებში. ჰ-ს გამოკვლევები დაინერგა საწარმოებში. მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის პრემია (1992) და სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998). 1991 იყო ქუთაისის პრეფექტი.

თხზ.: პლასტიკურობის თეორია, თბ., 1989; მეტაკრეაციზმის შესავალი, თბ., 1999; სისტემების განვითარების ძირითადი კანონები და პრობლემატიკა, თბ., 2002.

კოსტავა გრიგოლ ქრისტეფორეს ძე (4. I. 1907, ქუთაისი, – 10. VI. 1979, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1965). 1924–28, 1931–34, 1955–56 მუშაობდა ქუთაისის დრამ. თეატრში, 1928–31, 1935– 45, 1956–79 – მარჯანიშვილის თეატრში. წარმატებით ასრულებდა როგორც დრამ., ასევე სახასიათო როლებს. მისი შესრულება გამოირჩეოდა სისადავით, ზომიერებით და განცდის უშუალობით. აღსანიშნავია როლები: იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘), დე სანტოსი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა‘‘), გაიოზი (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა‘‘), აპრაკუნე, შამილი (ი. ვაკელის ,,აპრაკუნე ჭიმჭიმელი‘‘, ,,შამილი‘‘), ილარიონი (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘), ტარიელ შერვაშიძე (კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება‘‘), კალისტრატე (რ. ჯაფარიძის ,,ჯარისკაცის ქვრივი‘‘). 1934–40 შეთავსებით მუშაობდა თბილ. თოჯინების თეატრში, სადაც დააარსა ჩრდილების თეატრი. იმავდროულად, 1936–38, ხელმძღვანელობდა ბათუმის პირველ პროფესიულ თოჯინების თეატრს (,,ტიკინების თეატრი‘‘).

ჰ. გადაღებულია ფილმებში: ,,ქალიშვილი გაღმიდან‘‘ (ჯაშუში, 1940), ,,ბაში-აჩუკი‘‘ (ფარნა, 1956), ,,ნინო‘‘ (არჩილი, 1959, სამივეს რეჟ. ლ. ესაკია), ,,მე ვიტყვი სიმართლეს‘‘ (მოსამართლე, რეჟ. ლ. ხოტივარი, 1957), ,,მაია წყნეთელი‘‘ (ამილახვარი, 1959), ,,ღიმილის ბიჭები‘‘ (მღვდელი, ორივეს რეჟ. რ. ჩხეიძე, 1969) და სხვ.

თ. კახიანი.

კოსტავა გურამ გიორგის ძე (დ. 18. VI. 1937, თბილისი), სპორტსმენი (ფარიკაობა, დაშნა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1965). ოლიმპიური თამაშების ორგზის (1960, რომი, გუნდური; 1964, ტოკიო, პირადი) მესამე პრიზიორი. დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი. მსოფლიოს ორგზის (1961, 1963) ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში, ორგზის (1959, 1966) მეორე პრიზიორი გუნდურ შეჯიბრებაში და ორგზის მესამე (1963, 1965) პრიზიორი პირად ჩათვლაში. სსრკ ჩემპიონი (1961), ხუთგზის მეორე (1960, 1961, 1962, 1964, 1968) და ხუთგზის მესამე (1957–58, 1960, 1965, 1967) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1960). მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული.

კოსტავა თამაზ გივის ძე (დ. 29. II. 1956, ქუთაისი), სპორტსმენი (ფეხბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი (1980). მიღებული აქვს ევროპის თასის მფლობელთა თასი თბილისის ,,დინამოს‘‘ შემადგენლობაში (1981). ქუთაისის ,,ტორპედოსა‘‘ (1973–74) და თბილისის ,,დინამოში‘‘ თამაშობდა მცველად. სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 131, სსრკ ნაკრებში – 3 მატჩი. ორჯერ დასახელდა სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში. ქართ. საფეხბურთო სტილის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

გამოირჩეოდა აქტიური, სწრაფი და ტექნიკური თამაშით.

კოსტავა მერაბ ივანეს ძე (26. V. 1939, თბილისი, – 13. X. 1989, სოფ. ბორითი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი და უფლებადამცველი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პოეტი, მუსიკათმცოდნე. 1958 დაამთავრა ვაჟთა I საშ. სკოლა (ახლანდ. თბილ. კლასიკური გიმნაზია), იმავე წელს – ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. სამუსიკო სასწავლებელი, 1965 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია. სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე მეგობრობდა ზ. გამსახურდიასთან. მათ დააარსეს არალეგალური პატრ. ორგანიზაცია ,,გორგასლიანი'', რ–იც ანტისაბჭ. პროკლამაციებს ავრცელებდა. 1956 წ. 14 დეკემბერს ჰ. თანამოაზრეებთან ერთად დააპატიმრეს. 1957 წ. 5 აპრილს ,ქართვ. მწერალთა მიმართვის შედეგად, პირობითი სასჯელი შეუფარდეს და გაათავისუფლეს. 1965-იდან მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად რუსთავისა და თბილ. მე-2 სამუსიკო სასწავლებლებში, მე-8 სამუსიკო სკოლაში. 1967-იდან რედაქტორობდა ჟურნალს – ,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში''. ამ პერიოდში მან საფუძვლიანად შეისწავლა რელიგიისა და თეოლოგიის საკითხები. 1972 ჰ-მა და ზ. გამსახურდიამ შექმნეს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, გამოსცეს ჟურნალები: ,,ოქროს საწმისი'' და ,,საქართველოს მოამბე''. 1975 ჰ. ,,საერთაშ. ორგანიზაციის საერთაშორისო ამინისტიის'' წევრად აირჩიეს. 1976 ჰ-სა და ზ. გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა ,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი''. 1977 წ. 7 აპრილს ჰ. კვლავ დააპატიმრეს. 1978 წ. 19 მაისს, ზ. გამსახურდიასთან ერთად, 3-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაამწესეს; მალე პერმის პოლიტსაპატიმროში გადაიყვანეს. 1978, სხვა დისიდენტებთან ერთად, წარდგენილი იყო ნობელის მშვიდობის პრემიაზე. 1980 აპრილში გადაასახლეს ირკუტსკის ოლქში – ტაიშეთის რნის დაბა კვიტოკში, სადაც პროვოკაცია მოუწყვეს, გაასამართლეს და 5 წელი დაუმატეს. სასჯელი ქ. ანგარსკში მოიხადა. აქ მას დამამცირებელი სამუშაოს შესრულება დაავალეს, რაზეც უარი განაცხადა. ამის გამო კვლავ 3 წლით პატიმრობა დაუმატეს. 1984 უვადო შიმშილობა გამოაცხადა. ზ. გამსახურდიას ძალისხმევით და დასავლეთის ზეწოლით იგი თავდაპირველად ტაშკენტში, მოგვიანებით კი ქსნის კოლონიაში გადმოიყვანეს. 1987 წ. 30 აპრილს პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

დაბრუნებისთანავე ჰ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში ჩაება. ზ. გამსახურდიასთან ერთად იგი სათავეში ედგა ყველა საპროტესტო აქციას, გაფიცვებს, თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს. 1989 წ. 9 აპრილს დააპატიმრეს, მაგრამ საზოგადოების პროტესტის გამო ორმოცი დღის შემდეგ გაათავისუფლეს. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, მისი ინიციატივით შეიქმნა საქართვ. საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი. ტრაგიკულად დაიღუპა საავტ. კატასტროფაში ქუთაისი–თბილისის გზაზე, სოფ. ბორითთან.

1993 სექტემბერში, ზუგდიდში, საქართვ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მე-3 მოწვევის მე-2 სესიამ ჰ-ს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. მისი სახელი ეწოდა თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას, ასევე ქუჩებს საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. თბილისში, ვერის პარკში დგას მ. კოსტავას ბიუსტი. თბილისსა და ქუთაისში დაარსდა ჰ-ს სახელობის თეატრები; მისივე სახელი ეწოდა დედაქალაქის №8 ხელოვნების სკოლას. 1991 ჰ-ს საცხოვრებელ სახლში დაარსდა მისი მემორიალური სახლ-მუზეუმი. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

თხზ.: ფიქრები ქართულ კულტურაზე, თბ., 1989; ლექსები თბ., 1990; ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991; სულო, დაიცა, თბ., 2013.

ლიტ.: სორდია ლ., მერაბ კოტავას პოეზია, თბ., 2017.


,,კოსტანტი კახის მარტვილობა'', IX ს. ქართული ანონიმური ჰაგიოგრაფიული თხზულება. მისი მთავარი გმირია ქრისტ. სარწმუნოებისათვის თავდადებული, ქართლის გავლენიანი დიდებული წმ. კოსტანტი კახი. 853 არაბებმა ბუღა თურქის მეთაურობით თბილისი აიღეს, გადაწვეს და ამირა საჰაკ ისმაილის ძე მოკლეს. ხანდაზმული კოსტანტი კახი, ,,ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა'', თავისი ლაშქრით წინ აღუდგა უცხო დამპყრობლებს. ამის გამო ის შეიპყრეს, თავდაპირველად თბილ. საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ ქ. სამარაში გაგზავნეს და მეფე ჯვაფარ აბრაჰამის ძეს წარუდგინეს, რ-მაც მას ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა. კოსტანტი კახმა დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა და სარწმუნოების გამოცვლაზე მტკიცე უარი განაცხადა, რის გამოც 853 წ. 10 ნოემბერს მას თავი მოჰკვეთეს.

,,ჰ. ჰ. მ''. დაწერილია 853–856. ავტორი წმ. კოსტანტი კახის თანამედროვეა, მაგრამ არ უნდა იყოს მასთან დაახლოებული პირი ან მისი მარტვილობის თვითმხილველი; არც წამებულის ბიოგრაფია იცის კარგად და ამბავს უფრო ზოგადად, სხვის გადმოცემაზე დაყრდნობით ჰყვება. მიუხედავად ამისა, თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა IX ს. შუა წლების საქართვ. პოლიტ. ცხოვრების დასაზუსტებლად.

,,ჰ. ჰ. მ-ის'' ხელნაწერები XVIII ს-იდან გვხვდება. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა მ. საბინინმა 1882; 1925 ლათ. თარგმანითურთ გამოსცა პ. პეეტერსმა.

ლიტ.: გაბიძაშვილი ე., შრომები, ტ. 1, თბ., 2010; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მეტრეველი ს., ქართული სულიერი კულტურის პარადიგმები–აგიოგრაფია, თბ., 2020; სულავა ნ., სახისმეტყველებითი ასპექტები ,,წმ. კოსტანტი კახის წამებაში'', საქართვ. ისტორიის ინ-ტის შრომები, 2016 (სპეციალური გამოშვება). ჯავახიშვილი ივ. თბ., 1977, (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8).

ი. ლოლაშვილი.




მ. კოსტავა.

კოტანოვი თეოდორე ევგენის ძე (4. IV. 1914, სოფ. ნეონ-ხარაბა, წალკის მუნიციპალიტეტი, – 15. IX. 1993, სანქტ-პეტერბურგი), საბჭოთა კავშირის გმირი (20. IV. 1945). პოლკოვნიკი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში, იბრძოდა ნოვოროსიისკთან, ტაგანროგთან, მარიუპოლთან, ნიკოლაევთან, აგრეთვე ბესარაბიის, რუმინეთის, ბულგარეთის გასათავისუფლებლად. ქ. ნიკოლაევთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

ტ. ჩიჩილაკაშვილი.



ვ. ი. კოტეტიშვილი.



ვ. ვ. კოტეტიშვილი.

კოტარია, ანდრო თომას ძე (14. I. 1919, სოფ. ზანათი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 22. V. 2007, თბილისი), გეოგრაფი, კლიმატოლოგი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1991). 1938 ჩაირიცხა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტზე. 1941–45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა განაგრძო თსუ-ში, რ-იც დაამთავრა 1948 ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1949 მუშაობა დაიწყო საქართვ. კურორტოლოგიის ინ-ტში; 1952- იდან მოღვაწეობდა თსუ-ში, გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტის ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე.

კ-ს მეცნ. შრომები ძირითადად ეხება ბრიზული ცირკულაციის ცალკეულ პარამეტრებს, მის გავლენას მეტეოროლ. ელემენტების დღეღამურ რეჟიმსა და კლიმატურ პირობებზე, ვერტიკალურ სტრუქტურაზე და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოლხეთის ჭაობების ამოშრობასთან დაკავშირებით კლიმატური ცვლილების საკითხებს.

კ-ს გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ.შ. ორტომიანი სახელმძღვანელო ზოგად მეტეოროლოგიაში. 1975 მიენიჭა თსუ-ის სამეცნ. პრემია.

თხზ.: ზოგადი მეტეოროლოგია, და კლიმატოლოგია, ნაწ. 1, კლიმატოლოგიის საფუძვლები, თბ., 1973; მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა კლიმატოლოგიური დამუშავების მეთოდები, ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების კურსი, თბ., 1987; Некоторые вопросы вертикального развития бризовой циркуляции Черноморского побережья Грузии, Сообщения АН ГССР, 1958; m. 20; К вопросу о климатологическом расчете суммарной радиации в условиях сложного рельефа Грузии, iqve, 1961, т. 26.

ლიტ.: ზაქარიაძე ე., დიდი სამამულო ომის ვეტერანები თბილისის უნივერსიტეტში, თბ., 1985; შველიძე ზ., თბილისის უნივერსიტეტის წარგზავნილები დიდ სამამულო ომში, თბ., 1975.

კ. კახაძე.

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (24. X. 1893, სოფ. დიდი თონეთი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, – 1937), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. 1911 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1911–14 სწავლობდა პეტერბ. ფსიქო-ნევროლოგიური ინ-ტის პედ. ფაკ-ტზე; 1918 დაასრულა დერპტის (ტარტუ, ესტონეთი) უნ-ტის ისტ.- ფილოლ. ფაკ-ტი და პედ. მოღვაწეობა დაიწყო იქვე. 1919–26 მასწავლებლად მუშაობდა თბილ. სკოლებში. 1926 მიიწვიეს თსუ-ში, სადაც თავდაპირველად კითხულობდა ფოლკლორის, 1929-იდან კი – თავისივე ინიციატივით შემოღებულ პოეტიკის კურსს. 1922–28 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (ი. ნიკოლაძის ჯგუფი). 1928-იდან იქვე კითხულობდა ქანდაკების თეორიისა და ისტ. კურსს. 1918–28 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, გაზ. ,,ქართული სიტყვის'' რედაქტორი, 1921–27 – საქ. სსრ ხელოვნების მთავარი კომიტეტის წევრი, 1924–29 – ქართვ. მხატვართა საზ-ბის თავ-რე, 1933-იდან – საქართვ. მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

კ-ის პირველი ლიტ. წერილი ,,საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დ. გურამიშვილის შემოქმედებაში'' 1912 ,,სახალხო გაზეთში'' დაიბეჭდა. 1918 გამოსცა ,,შავი წიგნი'' (შ. არაგვისპირელის შემოქმედების მიმოხილვა), 1921 – ,,უოლტ უიტმენი. პროლეტარიატის პოეტი'', 1925 – ,,ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი''. კ-მა, ქართვ. მეცნიერთა შორის პირველმა შექმნა XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტ. კურსი (ნაწ. I–II, 1925; ნაწ. III, 1927), რითაც ხელი შეუწყო ახ. ქართ. ლიტ-რის მეცნ. შესწავლასა და მკვლევართა მთელი თაობების აღზრდას; დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ლიტ-რაში მიმდინარე პროცესებს, იყო ლიტ. დაჯგუფების – ,,აკადემიური მწერლობის კავშირის'' წევრი.

კ. ქართ. ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მეცნ.-ფოლკლორულ ექსპედიციებს. 1932 საქართვ. მუზეუმთან ჩამოყალიბდა ფოლკლორის განყ-ბა, რ-იც საფუძვლად დაედო ,,ელხის'', შემდგომ რუსთაველის სახ. ლიტ. ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბასა და არქივს. კ-ს ეკუთვნის წერილები: ,,აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება'', ,,სურამის ციხის ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორში'', ,,ხალხური ამბავი ტარიელისა'' და სხვ. 1934 გამოსცა ,,ხალხური პოეზიის'' I ტომი, რ-ის წინასიტყვაობასა და ვრცელ კომენტარებში პირველად დაისვა ქართ. ფოლკლორისტიკის მრავალი კარდინალური საკითხი. კ-მა მიაკვლია ქართ. ფოლკლორის უძველეს მითოლოგიურ ძირებს; სოც.-ისტ. გარემოებათა გათვალისწინებით დაათარიღა ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშები.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959; ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ქანდაკების ისტორია, თბ., 1963; რჩეული ნაწერები ორ წიგნად, თბ., 1965–67; წერილები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვ. და კომენტ. დაურთო ნ. კუპრეიშვილმა, თბ., 2016.

ლიტ.: გამეზარდაშვილი დ., ვახტანგ კოტეტიშვილი, თბ., 1969; გაჩეჩილაძე მ., ვახტანგ კოტეტიშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1990.

ე. ვირსალაძე.

კოტეტიშვილი ვახუშტი ვახტანგის ძე (4. VIII. 1935, თბილისი, – 7. VIII. 2008, იქვე), ლიტერატურათმცოდნე, ირანისტი, პოეტი, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1959). კითხულობდა ლექციებს თსუ-ში იმავე ფაკ-ტზე. მისი კვლევის სფერო იყო სპარს. პოეზია, ქართ. ფოლკლორი. სამეცნ. ნაშრომთაგან აღსანიშნავია ,,ჰაფეზის პოეზიის ბუნების გაგებისათვის'' (1964), ,,სპარსული ლირიკის რითმის სტრუქტურა'' (1975); სტატიები სპარს. პოეზიის შესახებ, ასევე ლიტ.-კრიტიკული წერილები. ვ-მა პირველი ლექსი 1954 გამოაქვეყნა, პირველი თარგმანი – 1958. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,ქვიშის საათი'' (2005), ,,რაც მეთქმევინა'' (2007), ,,ქართული სონეტები'' (2016); ესეების კრებულისა – ,,მართალს ვიტყვი'' (2005). თარგმნა სპარს. პოეზიის კლასიკოსების – ომარ ხაიამის, ჯამის, ჰაფეზის, რუდაქის, საადის, ობეიდ ზაქანისა და სხვათა ლირიკა; ასევე გერმ., რუს. და ესპანურენოვანი პოეზიის ნიმუშები. პოპულარული თარგმანებია: ომარ ხაიამის ,,რობაიათი'', ჯამის ,,ლირიკა'', ჰაფეზის ,,ლირიკა''. შეადგინა და წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოსცა კრებ. ,,ირანული პოეზია'' (1977).

XX ს. 80-იან წლებში პოპულარობით სარგებლობდა მისი ხელმძღვანელობით გამართული ფოლკლორული საღამოები. 1994-იდან იყო ფოლკლორის კომპლექსური კვლევის მეცნიერ-ხელმძღვანელი, აგრეთვე, იუნესკოს ფოლკლორული ასოციაციის საქართვ. განყ-ბის პრეზიდენტი, საქართველო -აზერბაიჯანის საზ-

ბის ვიცე-პრეზიდენტი, ფოლკლორისტულ კლუბ ,,ჯავარის'' პრეზიდენტი. გამოცემული აქვს სამი კრებული: ,,ლექსის თქმა მწადის ერთისა'' (1987), ,,ფოლკლორული რვეულები'' (1990), ,,კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო'' (2007).

1995 რაინერ მარია რილკეს პოეტურ ციკლთა თარგმანისათვის პ-ს მიენიჭა ავსტრიის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს (ვენა) პრემია; 2003 – ქართ. ლიტრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლიტ. პრემია ,,საბა''; 2005 – ლიტ. პრემია ,,საგურამო; 2007 ირანის სამთავრობო კომისიამ იგი ირანულიდან ექვს საუკეთესო მთარგმნელთა შორის დაასახელა და სამთავრობო სიგელით დააჯილდოვა.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: აღმოსავლურ-დასავლური დივანი, თბ., 2003; ვერცხლის საუკუნე + ბროდსკი. რუსული პოეზიის თარგმანები, თბ., 2006; ფოლკლორული ძიებანი, თბ., 2006.

მ. თუშიშვილი.

კოტეტიშვილი ვლადიმერ (ლადო) ილიას ძე [22. XI (4. XII.), 1895, სოფ. დიდი თონეთი, თბილისის მაზრა (ახლანდ. თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი), – 18. II. 1940, თბილისი], ნევროპათოლოგი, ქართ. მედ. ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი.

1919 დაამთავრა ხარკოვის უნტის სამედ. ფაკ-ტი. 1922–24 იყო თელავის რ-ნის სოფლის ექიმი, 1924–32 – თბილ. ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი, 1932–40 – სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.- კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი მუშაკი.

პ-მა აღმოაჩინა, ტექსტობრივად დაამუშავა და დაბეჭდა ძველი ქართული სამედ. წერილობითი ძეგლები: ,,წიგნი სააქიმო'' (1936), ,,იადიგარ-დაუდი'' (1938), ,,უსწორო კარაბადინი'' (1940).

კოტეტიშვილი იათამზე ვლადიმერის ასული (დ. 14. X. 1929, თბილისი), ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფია-ფსიქოლ. ფაკ-ტი (1953). 1957–63 იყო დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტის მეცნიერი მუშაკი, 1972–74 – სწავლული მდივანი, 1975–77 – დაწყებითი სწავლების ლაბორ. გამგე, 1978– 2005 – პედ. ფსიქოლოგიის განყ-ბის გამგე. საქართვ. განათლების მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2001).

პ-ის სამეცნ. კვლევები მოიცავს ბავშვის ფსიქოლოგიას, სწავლების ფსიქოლოგიას, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ფსიქოლოგიას; სკოლამდელი ბავშვის მომზადებას კითხვისთვის. პ-ის სამეცნ. პუბლიკაციებსა და სახელმძღვანელოებში ასახულია დაწყებითი სწავლების სფეროში არსებული მრავალი ახალი დებულება და ემპირიული მონაცემი. მას ეკუთვნის რეპრეზენტაციული ფუნქციის განვითარების ახ. მოდელი, სკოლაში მათემატიკის სწავლების ორიგინ. კონცეფცია და სხვ.

თხზ.: პირველი კლასის მოსწავლეთა ინტელექტუალური თავისებურებები, თბ., 1984 (თანაავტ.); ექსპერიმენტული სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსი დაწყებით კლასებში, თბ., 1987.

კოტეტიშვილი ირაკლი დიმიტრის ძე (დ. 14. XII. 1969, თბილისი), გენერალ-მაიორი (2003). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1993), საქართვ. დიპლომატიური აკადემია (2001); 1990–93 მუშაობდა საქართვ. გენ. პროკურატურაში, 1997–2001 იყო საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს აპარატის რეფერენტი; საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის მოადგილე (2001). საქართვ. შსს მინისტრის მოადგილე (2004 თებ.-აგვ.); იუსტიციის მინისტრის მოადგილე (2004 აგვ.-დეკ.), საქართვ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს წარმომადგენელი რსფსრ-ში (2005–08). 2008-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (2002).

ლ. დოლიძე.

კოტეტიშვილი ქეთევან ვახტანგის ასული (დ. 22. I. 1960, თბილისი), ფიზიკოსი. ტექნ. მეცნ. დოქტორი (2004), პროფესორი (2004). 1981 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. 1981–83 იყო თსუ-ის მყარი სხეულების ფიზ. კათედრის მეცნიერი თანამშრომელი. პ. არის საქართველო –გერმანიის სამეცნიერო ხიდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და იულიხის (გერმანია) კვლ. ცენტრისა და შოთა რუსთაველის საქართვ. ეროვნ. სამეცნ. ფონდის (სესფ) ერთობლივი პროგრამების (,,ქართულ-გერმანული სკოლა'' და ,,შემოდგომის ლექციები თბილისში'') კოორდინატორი და დამფუძნებელი, პროფესიული ასოციაცია IEEE-ისა და საერთაშ. ჟურნალ Journal of Pharmaceutical and Applied Chemistry'' სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართვ. ეროვნ. სამეცნ. ფონდისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნ. ცენტრის ექსპერტი, საქართვ. უმაღლესი საგანმან. დაწესებულებების საავტორიზაციო საბჭოს წევრი.

პ-ის სამეცნ. კვლევის მიმართულებაა სამედიცინო ფიზიკა: ადამიანის თავის ტვინის კვლევა ტრავმული დაზიანებებისას, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (მრტ) ახ. ბიომარკერების კვლევა და გამოყენება, მრტ-ის სპექტროსკოპიული მეთოდოლოგიის განვითარება და ექსპერ. მეთოდების გაუმჯობესება. გამოქვეყნებული აქვს 9 სახელმძღვანელო და სამეცნ. სტატიები.

თხზ.: Некоторые нелинейные явления в прозрачной электронной плазме, „Физика плазмы'', 1983 т. 9, вып. 4 (თანაავტ.: П. К. Коу, Н. Л. Цинцадзе); Between-Session Variability of Diffusion Kurtosos Metrics in Vivo Brains ISMRN, Singapore, 2016 (თანაავტ.: N. Kobalia, F. Grinber at al.).



ვ. ი. კოტეტიშვილი.

,,კოტეხი'', ქართული ღვინო, მზადდება ამავე დასახელების მიკროზონაში (მევენახეობის სპეციფიკური ზონა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვ. სანაპიროზე) მოწეული რქაწითლისა (თეთრი მშრალი ღვინო) და საფერავის (წითელი მშრალი ღვინო) ჯიშის ყურძნისგან დურდოზე სრული დადულებით. გამოირჩევა ჯიშური არომატის მქონე, ნაზი, ხავერდოვანი გემოთი. სპირტშემცველობა 10,5–12,0%, შაქრიანობა 4 *გ/დმ*^{3}, მჟავიანობა 5,0–7,0 *გ/დმ*^{3}. აწარმოებენ 1976-იდან, უშვებს ,,კოტეხი-გურჯაანის ღვინის ქ-ნა''.

,,კოტეხი–გურჯაანის ღვინის ქარხანა'' კუკური ქოროღლიშვილის სახელობისა (სააქციო საზოგადოება), ქართული ღვინის კომპანია. დაარსდა ქ. გურჯაანში (კახეთის რეგიონი) 1976 როგორც ღვინომასალების გადამმუშავებელი ქარხანა – საკუპაჟე ბაზა, რ-იც შედიოდა გურჯაანის საწარმოო გაერთიანებაში (შეიქმნა 1977) და ახორციელებდა მასში შემავალი 9 ღვინის ქ-ნიდან მიღებული ღვინომასალების კუპაჟს. 1986, გაერთიანების დაშლის შემდეგ, საწარმო დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა და ეწოდა გურჯაანის ღვინომასალების გადამმუშავებელი ქ-ნა. 1994 გარდაიქმნა ღია სააქციო საზ-ბად, ხოლო 1995 მოხდა ქ-ნის სრული პრივატიზაცია და ეწოდა



,,კოტეხი''.

სააქციო საზ-ბა ,,კოტეხი‘‘. 1996-იდან დაერქვა ,,ჰ.–ბ. ღ. ძ.‘‘, 2002 წ. 26 აპრილიდან მიენიჭა კუკური ქოროღლიშვილის სახელი. კომპანია კერძო საკუთრებაა. საწარმოში მოქმედებდა ყურძნის მიმღებ-გადამმუშავებელი 4 ხაზი, რ-თაგან 3 განკუთვნილი იყო თეთრი, ხოლო 1 – წითელი ყურძნისათვის. საწარმო ყურძენს ღებულობდა როგორც გურჯაანის რ-ნის მოსახლეობისგან, ისე ახლომდებარე რ-ნებიდან და საკუთარი ვენახებიდან (1986–2008 კომპანია ფლობდა 30 ჰა-ს). ქ-ნას შეეძლო სეზონზე 8 ათასი ტ ყურძნის გადამუშავება. უშვებდა ჩამოსხმულ და ჩამოსასხმელ შემდეგი დასახელების ღვინოებს: თეთრი მშრალი (,,კოტეხი‘‘ – ევროპული, ,,კოტეხი‘‘ – კახური, ,,კოტეხი‘‘ – სუფრის, ,,ადონისი‘‘, ,,გურჯაანი‘‘, ,,ვაზისუბანი‘‘, ,,გარეჯი‘‘); წითელი მშრალი (,,კოტეხი‘‘, ,,საფერავი‘‘, ,,მუკუზანი‘‘); წითელი ნახევრად ტკბილი (,,კოტეხი‘‘, ,,ალაზნის ველი‘‘); ვარდისფერი ნახევრად მშრალი (,,კოტეხი‘‘); შუშხუნა ღვინო (,,კოტეხი‘‘). კომპანიის მიერ დამზადებული ღვინოები იგზავნებოდა უცხ. ქვეყნებში და გადიოდა ადგილ. ბაზარზე.

ქ-ნის ღვინოებს საერთაშ. ბაზრობებსა თუ დეგუსტაციებზე მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, მ. შ. გრან-პრი (ნიუ-იორკის ხარისხის სამიტი; 2002), 9 ოქროს, 8 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს (1986–2016) მედალი.

2016 სექტემბრიდან კომპანია გაცემულია იჯარით.

ლ. აბრამიშვილი.

კოტია არკადი კონსტანტინეს ძე [26.VIII (8. IX). 1907, ბათუმი, – 15. IV. 1995, თბილისი], ელექტროტექნიკოსი, საქართველოში ენერგეტიკის დარგისა და ელექტროტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. პროფესორი (1988), საქართვ. დამს. ინჟინერი (1962), საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი (1985). 1930 დაამთავრა სპი ინჟინერ-ელექტროტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო თბილ. ელექტროსისტემის სამმართველოში ინჟინრად. 1931–33 მუშაობდა ამიერკავკასიის ენერგეტიკის და ელექტრომექანიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ხოლო 1933–36 – საქენერგოში; 1936–48 ხელმძღვანელობდა თბილისის თბოელექტროცენტრალის მშენებლობას (შემდგომში დირექტორი). 1948–59 იყო ენერგეტიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი.

პ. ეწეოდა პედ. საქმიანობას ამიერკავკასიის ელექტროკავშირის ინჟინერთა (1932–38), საქართვ. სას.-სამ. (1935–38) და თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა (1952–59) ინ-ტებში, სპი-ში (1930–1985). იყო სპი-ის ენერგეტიკის ფაკ-ტის დეკანი (1958– 62) და ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე (1953–82). ქართულად თარგმნა სახელმძღვანელოები: ,,ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები‘‘ (პ. კალანტაროვი, ლ. ნეიმანი, ტ. 1–2), ,,ზოგადი ელექტროტექნიკა‘‘ (ა. კასატკინი, მ. პერეკალინი) და სხვ. არის ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლებისა (თანაავტ. გ. ჩიქოვანი, 1973) და ელექტროტექნიკის (1978) სახელმძღვანელოების ავტორი.

პ-ის სამეცნ. კვლევები მოიცავს ენერგეტიკის პრობლემების ფართო სპექტრს: მაღალი ძაბვის ქსელების ელექტრული რეჟიმების ანალიზს, ქსელში აქტიური სიმძლავრის დანაკარგების შემცირების მეთოდების დამუშავებას, და სხვ. შეისწავლა საქართვ. ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მათი განვითარების პერსპექტივები. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით.

თხზ.: Асимметрия токов в трехфазных сетях, вызванная параметрическим источником тока, „Сообщения АН ГССР“, 1983 №3, (თანაავტ. Г. В. Вадачкория); О чувствительности мостовых измерительных схем, „Элекричство“, 1985, №1 (თანაავტ. А. К. Абурджания, Т. Г. Муселиани, Н. А. Никуркадзе).

ლიტ.: ნ ა ჭ ყ ე პ ი ა შ., გამოჩენილი ენერგეტიკოსი. არკადი კოტიას დაბადებიდან 100 წლისთავი, თბ., 2007.

ბ. კოტია.
თ. არსენაძე.

კოტიანეთი (ყოფ. კოტოიანი), სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (ძველი სენაკის თემი), უნაგირას მთის სამხრ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. ნახურის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 120 *მ,* სენაკიდან 12 *კმ.* 479 მცხ. (2014).

პ-ის მიდამოებში შემონახულია ადრეფეოდალური ხანის ციხის ნანგრევები (V ს.). ციხე შედგება კოშკის, ეკლესიისა და სამი მხრიდან თხრილშემოვლებული გალავნისგან. აქვეა გვიანფეოდალური ხანის დაზიანებული ციხე. სოფელში დგას XIII ს. წმ. გიორგის ეკლესია.

კოტისი, კოტრისი, კატრისი, ისტორიული სოფელი ტაოს პროვინციაში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), ახლანდ. სოფ. თექეთაში (Teketaş – არზრუმის მხარე, შენქაიას რ-ნი). მდებარეობს შემაღლებულ პლატოზე, ზ. დ. 1850 მ. ე. თაყაიშვილის ცნობით, 1907 ცხოვრობდნენ ქურთები. ექსპედიციისას მკვლევარმა სოფლის ცენტრში მიაკვლია თლილი ქვით მოპირკეთებულ, მოზრდილ დარბაზულ ეკლესიას. ტაძრიდან მეტ-ნაკლებად შემორჩენილია ძირითადი კონსტრუქცია, რ-იც სამეურნეო დანიშნულებითაა გამოყენებული.



კოტისი.

სოფლის თავზე, ჩრდ.-აღმ-ით, მთის თხემზე, მეგალითური ციხისა და ნასახლარის ნანგრევებია. მშრალი წყობით ნაგები კედლების ნაშთები შემორჩენილია სოფლის მიმდებარე ბორცვებზეც. პ-ს აღმ-იდან ლექსორისხევი ჩამოუდის, რ-ის ქვემო წელზეც, სოფლიდან 6 კმ-ში, ლექსორის დიდი სამონასტრო კომპლექსია.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2017 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 2018.

ბ. კუდავა.

კოტლიარევსკი დავით მიხეილის ძე (15. VII. 1931, ჟიტომირი, უკრაინა, – 28. VIII. 2004, ისრაელი), ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1980). 1955 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. 1956–59 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის იალბუზის კოსმოსურ სადგურზე. 1959 მიავლინეს ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (JINR, დუბნა, რუსეთი), სადაც მონაწილეობდა ნეიტრალური კაონების თვისებების კვლევაში ფიზ. ინ-ტში შექმნილი ვილსონის კამერით. ამ კვლევებისათვის პ-მ (სხვებთან ერთად) 1965 მიიღო JINR-ის პრემია. 1965 იგი დაინიშნა ცხრაწყაროს მაღალმთიანი ლაბორ. ხელმძღვანელად. მისი უშუალო მონაწილეობით შესწავლილია ნაწილაკთა მრავლობითი დაბადების პროცესების პარამეტრების, არადრეკადობის კოეფიციენტისა და მეორეული ნაწილაკების იმპულსების დამოკიდებულება ენერგიაზე. 1972-იდან პ-ის ხელმძღვანელობით დაიწყო დანადგარის გადაკეთება გაზრდილ ენერგეტიკულ ინტერვალში (10_{11}–10_{13} ევ) სამუშაოდ. 1977 ამუშავდა დანადგარი ,,ცხრაწყარო-2“, პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა დანადგარის კიდევ უფრო მაღალ ენერგიებზე გადასაყვანად.

პ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ელემენტარული ნაწილაკებისა და კოსმოსური სხივების დარგში ბაკურიანის ,,ზამთრის სკოლების“ (1970–85) ორგანიზებასა და ჩატარებაში, რ-ებშიც მონაწილეობდნენ სსრკ-ის წამყვანი ფიზიკოსები, თეორეტიკოსები და ექსპერიმენტატორები.

1991 პ. ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში.

დ. ღარიბაშვილი.

კოტლიაროვი ევგენი გიორგის ძე (28. IX. 1938, სოფ. ოსტროვი, ლენინგრადის ოლქი, რუსეთი, – 20.V. 2008, სოხუმი), მხატვარი, სცენოგრაფი, აფხაზეთის არ დამს. მხატვარი (1965). 1957–63 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკ-ტზე. 1963–84 მუშაობდა ს. ჭანბას სახ. სოხუმის დრამ. თეატრის მთ. მხატვრად. 1978 მონაწილეობდა ,,საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა ნამუშევრების“ გამოფენაში (საქართვ. სურათების გალერეა; ახლანდ. დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში. მისი გაფორმებულია სპექტაკლები: ,,ოტელო“, ,,რომეო და ჯულიეტა“ (შექსპირი; ორივე 1963), ,,ოიდიპოს მეფე“ (სოფოკლე; 1965), ,,მარია ტიუდორი“ (ვ. ჰიუგო; 1968), ,,კლდის სიმღერა“ (ბ. შინკუბა; 1969), ,,დონ კარლოსი“ (ფ. შილერი; 1970), ,,ხიმკვარასა“ (ი. ჯოპუა; 1972) და სხვ. გარდა სცენოგრაფიისა პ. ნაყოფიერად მუშაობდა ფერწერის დარგში (პორტრეტი, პეიზაჟი, ნატიურმორტი).

კოტოვიჩი (კოოტვიჩი, კოტოვიკუსი), იოჰან ფონ (გ. 1629), ჰოლანდიელი იურისტი, იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, რ-ის შესახებაც მოგვითხრობს თავის ნაწარმოებში ,,იერუსალიმსა და სირიაში მოგზაურობის აღწერა“. იერუსალიმში პ-ს უნახავს სალოცავად მისული ქართველი მხედრობა გაშლილი დროშებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს საქართველოს სახელმწ. დროშა უნდა ყოფილიყო.

პ. წერს: ,,ქართველები სხვა წმინდანებზე მეტად წმ. გიორგის სცემდნენ პატივს და სამხედრო დროშებზე გამოსახული მისი სახე ყოველთვის თან დაჰქონდათ“.

თხზ.: Itinerarium Hierosolymtanum et Syriacum etc., Antv., MDC XIX, 1619.

ლიტ.: თვარაძე ალ., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ.2, ნაკვ, 2, თბ., 1984,(თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

კოტორაანთკარი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში (გალავნის თემი), საგურამოს ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. თეზმის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 820 *მ,* მცხეთიდან 18 *კმ.* 50 მცხ. (2014).

კოტორაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე (დ. 1. X. 1943, სოფ. ახშანი, ახმეტის მუნიციპალიტეტი), ფოტოხელოვანი, სპორტის დამს. მუშაკი (2002). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა მძლეოსნობისა და ფეხბურთის განხრით (1966), 1977 – ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტი. 1962 მუშაობა დაიწყო კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში“. 1967-იდან იყო გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტი; 1975-იდან – სპორტულ ჟურნალ ,,მართვეს“ ფოტოკორესპონდენტი. 1977–2012 მუშაობდა გაზ. ,,ლელოში“. 2013-იდან თანამშრომლობს საქართველოს ჭიდაობის ეროვნ. ფედერაციაში.

არის საქართვ. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი. 2013 ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიიღო ა. როინაშვილის სახ. პრემია, აგრეთვე საქართვ. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ასოციაციის, მ. კაკაბაძისა და გ. თიკანაძის სახ. პრემიები. პ. არის არაერთი საერთაშ. ფოტოკონკურსისა და გამოფენის მონაწილე და გამარჯვებული.

2022 ჯ. კახიძის სახ. თბილისის მუს.-კულტურულ ცენტრში შედგა პ-ს პერსონალური ფოტოგამოფენა.

პ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

კოტრანა (Crambe) ერთწლოვან ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ჯვაროსანთა ოჯახისა. ცნობილია 20–25 სახეობა. გავრცელებულია ევრაზიასა და აფრიკაში. ბალტიისპირეთში, კავკასიასა და შუა აზიაში 18–20 სახეობაა.

საქართველოში პ. იზრდება ველებსა და ნახევრად უდაბნოებში, მშრალი მთის კალთებსა და ჩამონაზვავებზე, კლდეებსა და ზღვისპირა ქვიშაზე. ზღვისპირული პ., ანუ ზღვის კომბოსტო (C.



კოტრანა.



ს. კოტრიკაძე.



კოფრჩხილა.

maritima) საკმაოდ გავრცელებული სახეობაა. გაზაფხულზე მისი ფოთლის ყუნწებს მხლად იყენებენ, ზოგჯერ მოჰყავთ კიდეც როგორც ბოსტნეული.

კოტრიკაძე ნანული გიორგის ასული (დ. 28. 06. 1945), ბიოლოგი. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი (1996). დაამთავრა სპი-ის ქიმიის ფაკულტეტი, სპეციალობით ორგანული ქიმია (1969). სამეცნიერო კვლევა დაიწყო თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტის ბიოფიზიკის კათედრაზე (1969-დან). 1993–99 იყო სამეცნ.-კვლ. პრობლემური ლაბორატორიის „კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმების" სამეცნ. ხელმძღვანელი, 1999–2006 – თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის გამგე, 2006–09 – თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკ-ტის ბიოლ. მიმართულების ასოც. პროფესორი, 2009-იდან არის ბიოლ. დეპარტამენტის, „უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის" კათედრის გამგე, პროფესორი, 2017-დან – ამავე ფაკ-ტთან არსებული უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (უმმი) დირექტორი.

ბ-ის სამეცნ. კვლევის სფეროს წარმოადგენს კანცეროგენული ტრანსფორმაციის უჯრედული და მოლეკულური მექანიზმების შესწავლა ჰორმონო-დამოკიდებული სიმსივნეების (წინამდებარე ჯირკვალი, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ტანის) დროს. 2016–18 წლებში ჩატარებულ ნაშრომთა ციკლისათვის ბ-ს ავტორთა ჯგუფთან (თ. ჩიგოგიძე, ნ. კოტრიკაძე, მ. ალიბეგაშვილი, ლ. რამიშვილი, ნ. გაბუნია) ერთად გადაეცა ლ. მანაგაძის სახ. I ხარისხის პრემია და დიპლომი (2018).

ბ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თხზ.: უჯრედული ბიოლოგიის საფუძვლები, თბ. 2009.; „წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) სიმსივნეების მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები" თბ. 2012.; კანცეროგენეზი: უჯრედული და მოლეკულური მექანიზმები, თბ. 2018.

კოტრიკაძე სერგო პარმენის ძე (9. VIII. 1936, ჩოხატაური, – 3. V. 2011, სტოკჰოლმი, შვედეთი; დაკრძალულია თბილისში), სპორტსმენი (ფეხბურთი, მეკარე). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1969). თამაშობდა თბილისის „დინამოში" (1955–68, 1970), ქუთაისის „ტორპედოში" (1968–69). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 260 მატჩი. სსრკ ჩემპიონი (1964) და მესამე პრიზიორი (1959, 1962, 1967), სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1960). სსრკ საუკეთესო მეკარე (1962). სამჯერ მოხვდა სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში (1960–61, 1963). სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში ჩაატარა ორი მატჩი (1963). თბილისის „დინამოს" მწვრთნელი (1971–73). დასახელდა საქართველოს XX ს. საუკეთესო მეკარედ (1999). ღირსების ორდენის კავალერი (1996).

კოფინი ლინ (დ. 12. XI. 1943, ნიუ-იორკი), ამერიკელი მწერალი, მთარგმნელი. ხელოვნ. მაგისტრი. ხელოვნ. და კულტ. მსოფლიო აკადემიის (UNICEF) საპატიო დოქტორი. სწავლობდა მიჩიგანისა და კოლუმბიის უნ-ტებში. წერს ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს. ბ-ს მთარგმნელობის მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს. 2013 აშშ-ში გამოვიდა ქართ. პოეზიის ბ-ისეული თარგმანების ორენოვანი კრებული – „Georgian Poerty: Rustaveli to Galaktion", რ-შიც შესულია რუსთაველის, ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, გ. ტაბიძის და სხვათა ლექსები. ნათარგმნი აქვს თანამედროვე ქართ. მწერლების – დ. ბარბაქაძის, გ. კეკელიძის, გ. ალხაზიშვილის, ზ. აბზიანიძის ნაწარმოებები. შოთა რუსთაველის პოემის, „ვეფხისტყაოსნის" ბ-სეული თარგმანი ინგლ. ენაზე პირველი პოეტური თარგმანია, რ-იც შესრულებულია 16-მარცვლიანი შაირით (2016 მიენიჭა ლიტ. პრემია „საბა").

2012 თბილისში გამოიცა გ. ჯოხაძის მიერ თარგმნილი ბ-ის ლექსები.

მ. თუშიშვილი.

კოფრჩხილა (Falcaria), მრავალ-, ორ- ან ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. 4–5 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში და ჩრდ. აფრიკაში. კავკასიაში იზრდება შუა სარტყლამდე. საქართველოში მხოლოდ 1 სახეობაა – ჩვეულებრივი ბ. (F. vulgaria), რ-იც 2–60 *სმ* სიმაღლის ორწლოვანი ბალახია. გვხვდება მშრალ მდელოზე, ქვიან ფერდობზე, ტყის პირას, ველზე, გზის პირას. ნათესების (ძირითადად საგაზაფხულო კულტურების) სარეველაა. მოხარშულ ნორჩ ფოთლებს იყენებენ საკაზმად, მხლად ან ამწნილებენ.

კოქსი (გერმ. Koks, ინგ. coke), მყარი საწვავი, რომელიც მიიღება ბუნებრივი მყარი საწვავის (ძირითადად ქვანახშირის) და ასევე ზოგიერთი ნავთობპროდუქტის გახურებისას მაღალ ტემპერატურაზე (950– 1050 °C), ჰაერთან კონტაქტის გარეშე, ანუ კოქსვით; შეიცავს 90–98% ნახშირბადს; წვის კუთრი სითბოა დაახლ. 29 მეგჯ /კგ. განასხვავებენ ქვანახშირის, ელექტროდულ სქელფისოვან და ნავთობის ბ-ს (იხ. აგრეთვე *კოქსქიმია*).

ბ-ის მისაღებად ძირითადი ნედლეულია ქვანახშირის სპეც. სახეობები, რ-ებიც შეიცავს ვიტრენის (ლათ. vitrum – მინა) საკმარის რაოდენობას და აქვთ შეცხობის უნარი; ასეთი სახეობები დეფიციტურია, ამიტომ ამზადებენ კაზმს – ნარევს, რ-საც შეურევენ კოქსვისთვის გამოუსადეგარ ქვანახშირს. კაზმმა უნდა უზრუნველყოს საჭირო სისქის, სიბლანტისა და თერმული მახასიათებლების მქონე პლასტიკური ფენის წარმოქმნა, რაც განსაზღვრავს კაზმის კოქსვის უნარს. კოქსვას ატარებენ დიდი წარმადობის საკოქსავ ღუმლებში.

საქართველოში ბ., ძირითადად, უკრაინიდან (დონეცკი) და რუსეთიდან (კუზნეცკი) შემოჰქონდათ. XX ს. II ნახ-ში ამოქმედდა საკოქსე ქვანახშირის მისაღები მამდიდრებელი საწარმოები ტყვარჩელსა და ტყიბულში. ბ-ს იყენებდნენ შავ მეტალურგიაში (იხ. *რუსთავის მეტალურგიული კომბინატი*), ბრმედში მაღალი ტემპერატურის მისაღებად და, ამავე დროს, როგორც რკინის აღმდგენს მადანში არსებული ჟანგეულებიდან. იყენებენ (მცირე რაოდენობით) აგრეთვე სამსხმელო წარმოებაში, მადნების აგლომერაციისთვის, ქიმ. მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში და სხვ. ქართვ. მეცნიერთა მიერ შემუშავებულია დაბალტემპერატურული (700 °C) ბ-ის მიღების ტექნოლოგია (იხ. *კოქსქიმიური მრეწველობა*).

ქვანახშირის ბ. რუხი ფერის ფოროვანი ნატეხებია, ნავთობპროდუქტებისაგან მიღებული ბ. კი – უფრო მუქი. გამოიყენება ანოდებად ალუმინის, ქლორისა და მაგნიუმის სინთეზში, გრაფიტულ ელექტროდებად ელექტროლიტური ფოლადის წარმოებაში, ასევე კარბიდების მისაღებად და აღმდგენლად ფეროშენადნობების წარმოებაში.

ლიტ. Луфзон Р., Фом Т., Буайе А., Кокс, пер. с франц., М., 1975; Скляр М. Г., Интенсификация коксования и качество кокса, М., 1976.

ლ. ნაკაიძე.

კოქსქიმია, ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის დარგი, რომელიც იკვლევს ბუნებრივ სათბობებით (ძირითადად, ქვანახშირის) გარდაქმნას კოქსვის საშუალებით კოქსად და სხვა ფასეულ პროდუქტებად (კოქსის აირი, ნედლი ბენზოლი, ქვანახშირის ფისი და სხვ.). კოქსვა – ნედლეულის ქიმ. გადამუშავების პროცესი, რ-იც მიმდინარეობს 950–1050 ტემპ-რაზე ჰაერის (ჟანგბადის) შეუღწევლად კოქსვის პროცესში წარმოქმნილი ნედლი აირი შეიცავს წყლის ორთქლს, ბენზოლის რიგის ნახშირწყალბადებს, ამიაკს, გოგირდწყალბადს და სხვ.

კოქსვის პროცესში მიღებული ნივთიერებები გამოიყენება საწარმოო მნიშვნელობის მრავალი პროდუქტის აზოტიან სასუქების, ლაქ-საღებავების, პესტიციდების, სამკურნალო, საპარფიუმერო პრეპარატების და სხვ. დასამზადებლად.

საქართველოში კვლევები ტყიბულის ნახშირის კოქსად გადამუშავების მიმართულებით დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40- იანი წლების II ნახ-იდან. საქართვ. მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტის ჩამოყალიბების შემდეგ გაიშალა მუშაობა ქართ. ნახშირების გადამუშავების ქიმ. ტექნოლოგიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისთვის. პ. ჯაფარიძემ პირველმა ჩაატარა ტყიბულის ნახშირის სიღრმისეული კვლევა კოხტლა-იარვეს (ესტონეთი) ფიქლების გაზიფიკაციის ქ-ნაში. მისივე ხელმძღვანელობით *არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში* დამუშავდა ტყიბულის ნახშირებიდან დაყალიბებული კოქსის მიღების ტექნოლოგია, მიიღეს მაღალკალორიული აირი, ნახევრად კოქსთან ერთად – ქვანახშირის ფისი, რ-ის რეკტიფიკაციით მიიღება დიზელის საწვავი. ამ სამუშაოთა შედეგები დაჯამდა 1950 გამოქვეყნებულ ნაშრომებში. ფართომასშტაბიანი გამოკვლევები მიმდინარეობდა *მეტალურგიის ინსტიტუტში* ტყიბულის უხვნაცრიანი (30%) ნახშირის ფრაქციიდან ნახევრად კოქსისა და დაბალტემპერატურული (700 °C) კოქსის მიღების მიზნით (ხელმძღვ. თ. *ჩუბინიძე*), რ-იც შემდგომ გამოიყენეს ფეროშენადნობების წარმოებაში, კერძოდ – ალუმინიანი სილიკომანგანუმის მისაღებად. გამოკვლეულია ტყიბულის ნახშირის გამდიდრების პროცესის ნარჩენებისა და კუდების გამოყენების შესაძლებლობა ფეროშენადნობთა წარმოებაში კომპლექსური ფეროშენადნობების მისაღებად. კვლევები ტყიბულის უხვნაცრიანი ნახშირისა და მისი გამდიდრების ნარჩენების ოპტიმალური გამოყენების მიმართულებით მიმდინარეობს ასევე სტუ-ის ქიმ. ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკ-ტზე. XX ს. 80–90-იან წლებში დამუშავდა წვრილფრაქციული ნახშირებისგან დაყალიბებული კოქსბრიკეტების მიღებისა და ფეროშენადნობთა წარმოებაში გამოყენების ტექნოლოგია. ვინაიდან ტყიბულის ნახშირის ნაცრის შედგენილობაში ძირითადი მდგენელები კაჟმიწა და ალუმინის ოქსიდია, შესაძლებელი აღმოჩნდა მისი გამოყენება (როგორც კომბინირებული საკაზმე მასალის) სილიციუმშემცველი და ალუმინშემცველი ფეროშენადნობების წარმოებაში (იხ. სტ. *კოქსქიმიური მრეწველობა*). ქართვ. მეცნიერების კვლევების შედეგები საქართველოში მოპოვებული ნახშირების ქიმ.-ტექნოლ. გადამუშავებასა და წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, გამოქვეყნებულია მრავალ სამეცნ. ჟურნალსა და კრებულში, დაცულია პატენტებითა და საავტორო მოწმობებით. შესაბამისი მიმართულების სპეციალისტთა მომზადება მიმდინარეობს სტუ-ის ქიმ. ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკ-ტზე.

ლიტ.: Литвиненко М. С., Химические продукты коксования, Киев, 1974; Чубинидзе Т. А., Использование высокозольных некоксующихся углей в металлургии, Тб., 1979., Wittcoff M.M., Green H.A., Organic Chemistry principles and industrial practice. Weinheim:Wiley-VCH, 2003.

ბ. მაისურაძე.

კოქსქიმიური მრეწველობა, მძიმე მრეწველობის დარგი, რომელიც ახორციელებს ქვანახშირის გადამუშავებას დაკოქსვის მეთოდით. პ. მ-ის პროდუქციაა *კოქსი* (თავდაპირველი ნედლეულის 76–77%), კოქსის აირი (ტექნოლ. გაწმენდის შემდეგ – ნედლეულის 14–15%) და თანამდევი ქიმ. პროდუქტები (5–6%) (იხ. *კოქსქიმია*).

კოქსის გამოყენებით, ხის ნახშირის დამატების გარეშე, თუჯი პირველად ჩამოასხეს დიდ ბრიტანეთში (1735). კოქსის წარმოება დიდხანს შავი მეტალ. დანამატი იყო. დამოუკიდებელ დარგად პ. მ. მხოლოდ XIX ს. ბოლოს ჩამოყალიბდა, ქვანახშირის ახ. მნიშვნელოვანი საბადოების აღმოჩენის შემდეგ [ალბერტა (კანადა), აპალაჩები (აშშ), რური (გერმანია), სილეზია (პოლონეთი), კუზნეცკი (რუსეთი), ყარაღანდა (ყაზახეთი), *ტყვარჩელი, ტყიბული* და სხვ.]. მსოფლიოში პ. მ-ის 60-70% ეკუთვნის ჩინეთს.

საქართველოში ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო, ისევე როგორც ტყიბულისა, ქვანახშირის მრეწვ. ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. ტყიბულში ქვანახშირის ამოღება დაიწყო XIX ს. წლებში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქუთაისი–ტყიბულის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ (1887) და მაქსიმუმს მიაღწია XX ს. შუა პერიოდში. ტყვარჩელში პირველი შახტი ამოქმედდა 1935, შემდეგ დაემატა კიდევ 4 შახტი. ორივე რეგიონში მოქმედი მამდიდრებელი ობიექტებიდან საკოქსე ქვანახშირი მთლიანად ეგზავნებოდა რუსთავის კოქსქიმიურ ქნებს. XX ს. დამლევისთვის აქ ძირითადი საწარმოო პროცესები (ქვანახშირის ჩამოტვირთვა, საკოქსე ღუმლების დატვირთვა, განტვირთვა, კოქსის ჩაქრობა და სხვ.) მთლიანად მექანიზებული იყო. წარმოებული კოქსით მარაგდებოდა *რუსთავის მეტალურგიული კომბინატი.* კოქსის აირს (გაწმენდის შემდეგ) იყენებდნენ გათბობისთვის, მ. შ. კომუნალურ მეურნეობაში. თანამდევი ქიმ. პროდუქტები (ამიაკი, ქვანახშირის ფისები, ბენზოლი, ფენოლი და სხვ.) გამოიყენებოდა ქიმ. მრეწველობაში, მ. შ. ხელოვნური საღებრების წარმოებაში. პ. მ-ის აღნიშნული ობიექტები გამართულად ფუნქციონირებდა XX ს. ბოლომდე.

ლ. ნაკაიძე.

კოქციდიები (Coccidia), უმარტივეს ცხოველთა რიგი სპორიანების კლასისა. შეიცავს 1000-ზე მეტ სახეობას. უჯრედშიგა პარაზიტებია. აქვთ პატარა, მომრგვალო უჯრედის ფორმა და ბუშტისებრი ბირთვი. პარაზიტობენ უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველების საჭმლის მომნელებელი ორგანოების ეპითელურ უჯრედებში. იშვიათად გვხვდება შუა აზიასა და სამხრ. კავკასიაში. კ-ის ზოგიერთი




კოლო.



ე. კოლონია.



ლ. კოლუაშვილი.



გ. კოლუაშვილი.

სახეობა (Isospora hominis და Isospora belli) იწვევს ნაწლავთა დაავადებას. პ-ების თითოეული სახეობა ერთ გარკვეულ მასპინძელ-ცხოველში პარაზიტობს, ზოგი – ორში. მათი სასიცოცხლო ციკლია უსქესო გამრავლება, სქესობრივი პროცესი და სპოროგონიის კანონზომიერი მორიგეობა. ზოგი პ. იწვევს კოქციოდიოზს.

კოლოები (Culicidae), მწერების ოჯახი ორფრთიანთა რიგისა. აქვთ ერთი წყვილი სიფრიფანა ფრთა, მეორე გადაქცეულია ბზუალებად. მომრგვალო თავის წინა ნაწილში პირის ორგანოებია – ხორთუმი და საცეცები. აქვს 15-ნაწევრიანი წვრილი, მოკლე (დედალს) ან გრძელი (მამალს) ბეწვებით დაფარული ულვაშები. კვერცხი, მატლი და ჭუპრი დამდგარ ან მდოვრე წყალში ვითარდება. მატლი წყლის მცენარეულობითა და ცხოველებით იკვებება. სისტემატურად ამოდის წყალსატევის ზედაპირზე და ისევე, როგორც ჭუპრი, ატმოსფერული ჟანგბადით სუნთქავს. ცნობილია 2000-მდე სახეობა, რ-თაგან ბევრი სისხლმწოვია, ადამიანისა და ცხოველის ექტოპარაზიტია. ზოგს დაავადებული ორგანიზმიდან ჯანსაღ ადამიანზე სხვადასხვა დაავადების გამომწვევები გადააქვს. პ-ის ოჯახი იყოფა 3 ქვეოჯახად: Culicinae (ნამდვილი პ.), Dixinae და Chaoborinae. ნამდვილი პ-ის (Anophelini-ს) ქვეოჯახიდან საქართველოში გვხვდება გვარები: Anopheles (მალარიის კოლო), Aedes და Culex. მალარიის პ-ს გადააქვთ მალარიის გამომწვევი პლაზმოდიუმები. არამალარიის პ-იდან აღსანიშნავია Aedes-ის გვარში შემავალი მრავალი სახეობა, რ-იც ადამიანისა და ცხოველის მავნებელია. მაგ., Aedes aegipti-ს გადააქვს ყვითელი ცხელებისა და ზიკას ვირუსი, ხოლო Aedes-ისა და Culex-ის ზოგ სახეობას (Aedes japonicus, Aedes togoi, Culex bithaeniorhynchus და სხვ.) – იაპონური ენცეფალიტი.

კოლოთო, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში (ოჟიოს თემი), ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 460 *მ,* ახმეტიდან 20 *კმ,* თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 415 მცხ. (2014).

სოფელში და მის მიდამოებში დგას გვიანდ. შუასაუკუნეების რამდენიმე დარბაზული ეკლესია კოპალასი, ჭართანულების, ჯანაანის ღვთისმშობლის და უსანეთის (XVIII ს.) სახელობის. ამჟამად ყველა მათგანი დაზიანებულია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2. თბ., 2008.

კოლონია ეთერ კონსტანტინეს ასული (5. XII. 1932, სოფ. კვიტოული, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 1. IV. 1993 სოხუმი), მსახიობი. აფხაზეთის (1982) და საქართვ. სახ. არტისტი (1983). 1956 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. პარალელურად სწავლობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტზე, რ-იც 1958 დაამთავრა. 1959- იდან სოხუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრის მსახიობია, 1972- იდან – დ. გულიას ლიტ.-მემორიალური მუზეუმის დირექტორი. 1979 აირჩიეს აფხაზეთის თეატრ. საზ-ბის თავ-რედ. სხვადასხვა დროს შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სი-ფინი (ცაო-იუს ,,ტაიფუნი''), ევა (რ. ებრალიძის ,,თანამედროვე ტრაგედია''), ფრაუ კაროლინა (კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება''), პატარძალი (ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი''), გულთამზე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ნატალია (ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან'') და სხვ. სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე განასახიერა ტურფა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი'').

პ-მ აფხაზურ ენაზე თარგმნა ნ. დუმბაძის მოთხრობები (,,მზე'', ,,სისხლი''), თ. ლანჩავას ,,სიზმრების გამყიდველი'' და სხვ. აფხ. თეატრის სცენაზე დადგა ნ. ტარბას ,,მზის ასული''. გადაღებულია ფილმში ,,ჩეგემური დეტექტივი'' (რეჟ. ა. სვეტლოვი, 1986).

კოლონია იუა აბასის ძე [28. X(10. XI). 1903, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 15. VI. 1928, სოხუმი], აფხაზი პოეტი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აფხ. ეპიკური პოეზიის განვითარებაში. 1924–25 გამოქვეყნებული მისი პოემები ,,ზოსჰან აჩბა და ჟანაა ბესლანის ვაჟიშვილები'', ,,ნავეი და მზაუჭი'', ,,მონადირე ხმიჭი'', ,,აბათაა ბესლანი'' გამოირჩევა ცხოვრების ღრმა ცოდნით, ჰეროიკული სულისკვეთებითა და ოპტიმისტური ჟღერადობით. პ-მ გამოკვეთა უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალი სულისა და კეთილშობილ მისწრაფებათა მქონე ეპიკურ გმირთა სახეები. მის პოემებში მხატვრულად აისახა ფოლკლორის მოტივები. პ-ს ლირიკული ლექსები ეძღვნება აფხაზეთს, მის აწმყოსა და მომავალს.

ლიტ.: აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1975.

კოლონია პლატონ გიორგის ძე (9. VIII. 1913, სოფ. აჩიგვარა, გალის მუნიციპალიტეტი, – 14. IX. 1990, თბილისი), მათემატიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1971), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ (1938). იყო ამავე უნ-ტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტის უმაღლესი მათ. კათედრის გამგე (1964–86). იკვლევდა დიოფანტურ მიახლოებათა თეორიის საკითხებს. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით.

თხზ.: რიცხვთა თეორია, თბ., 1961; რაციონალური აპროქსიმაციის ზოგიერთი საკითხი, ,,თსუ-ის შრომები'', 1966, ტ. 117; 1968, ტ. 129.

კოლუაშვილი გიორგი მურმანის ძე (დ. 26. IV. 1969, ქუთაისი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). 1993-იდან გამოდიოდა რუსეთის სახელით. ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1992, ბარსელონა), მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1993–94, 1997–99) და მესამე პრიზიორი (1995), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1995–96, 2002) და მეორე პრიზიორი (2000), მსოფლიოს თასის მფლობელი (1991) და მესამე პრიზიორი (2003). რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

კოლუაშვილი ლევან გიორგის ძე (დ. 18. III. 1973, თბილისი), კინორეჟისორი, სცენარისტი. დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (მ. ხუციევის სახელოსნო, 1998). სწავლობდა ნიუ-იორკის (აშშ) უნ-ტის კინოფაკ-ტის მაგისტრატურაში (2002–04). 1992-იდან მუშაობდა ტელეკომპანია ,,იბერვიზიაში'' რეჟისორად და პროდიუსერად. გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმები: ,,ზარი'', ,,ღირსეულად არყოფნა'' (1997), ,,2'' (1999), ,,გივი'' (2001), ,,გამოსწორება'' (2002), ,,ვალი'' (2004); დოკ. ფილმები: ,,ბეთლემი-2000'' (2000), ,,მამა და შვილი'' (2003), ,,სახლი'' (2004), ,,პატარა თეატრი ვაშინგტონში'' (2005), ,,ქალები საქართველო დან'' (2008). სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: ,,ქუჩის დღეები'' [2010; ვისბადენის (გერმანია) საერთაშ. კინოფესტივალის მთ. პრიზი ,,ოქროს შრომანი''

და კრიტიკოსთა პრიზი აღმ. ევროპის ქვეყნების საერთაშ. კინოფესტივალზე (სერბეთი)], ,,შემთხვევითი პაემნები'' [2013; სოფიის (ბულგარეთი), ვილნიუსის (ლიტვა), ვისბადენის (გერმანია) საერთაშ. კინოფესტივალების პრიზები [2014; ,,მეოთხე ბრაიტონი'' [2021; ამავე წელს მიღებული აქვს პრიზები ტრაიბეკას (საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმი) კოტბუსის (,,ფიპრესის'' ჟიურის პრიზი), საუდის არაბეთის წითელი ზღვის და ფრიბურგის (შვეიცარია) სკფ-ებზე].

მ. კერესელიძე.

კოღუაშვილი პაატა პეტრეს ძე (დ. 5. IX. 1956, ქ. ქუთაისი), აგროეკონომისტი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2015; წ.-კორ. – 2004). ეკონ. მეცნ. დოქტორი (2003). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონომიკისა (1978) და თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტები (2003). 1983–85 იყო საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის მთ. სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი, 1986–90 – საქართვ. სახელმწ. აგროსამრეწველო კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამმართველოს მთ. სპეციალისტი, ხოლო შემდეგ – ფერმერულ მეურნეობათა სექტორის უფროსი; 1990–91 – საქართვ. უზენაესი საბჭოს წევრი; 1992 – საქართვ. მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწ. კომიტეტის თავ-რე; ვიცე-პრემიერი აგრარულ საკითხებში; 1992–95 – საქართვ. პარლამენტის წევრი; 1996–2003 – საქართვ. სახელმწ. კანცელარიის მთ. სახელმწ. მრჩეველი აგრ. რეფორმის საკითხებში; 2003–09 – საქართვ. სახელმწ. აგრ. უნ-ტის, 2005–10 – თსუ-ის, 2010-იდან კი სტუ-ის პროფესორია. ხელი აქვს მოწერილი საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991) და საქართვ. კონსტიტუციაზე (1995).

პ. სამეცნ. ნაშრომების ავტორია, მ. შ. 9 მონოგრაფიისა და 6 სახელმძღვანელოსი. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება აგროსასურსათო და მიწის პოლიტიკის პრობლემებს.

პ. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში აგრ. (მიწის) რეფორმის განხორციელებაში, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში, ასევე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონ. განვითარების ანტიკრიზისული პროგრამების დამუშავებაში. მიღებული აქვს ა. წერეთლის სახ. პრემია (1995), დავჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013). საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს 2014 წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრ. სფეროს ეკონ. დარგში (2015). არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

თხზ.: აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ., 1998; საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები, თბ., 2004; ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით, თბ., 2013; საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი, თბ., 2017; მიწის მმართველობა, თბ., 2018.

ლ. აბრამიშვილი.

კოშკა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (მერეთის თემი), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ცენტრალური ნაწილი), მდ. ჭარებულის (აძურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 900 *მ,* გორიდან 32 *კმ.* 242 მცხ. (2014).

კოშკა, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფლების – *ზემო კოშკისა* და *ქვემო კოშკის* გავრცელებული სახელწოდება.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კოშკასყელი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ლაფანაანთკარის თემი), ქართლის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1360 *მ,* დუშეთიდან 28 *კმ.* მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 მცხ. (2014).

კოშკები, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (სკრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 780 *მ,* გორიდან 13 *კმ,* სკრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.* 176 მცხ. (2014).

სოფელში, შალიკაანთ უბანში, მთის ფერდზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების არქიტ. ძეგლი ,,ეკლესია საწყალი'', სოფლის განაპირას, სკრის ხეობაში – გვიანდ. შუა საუკუნეების ,,ტყუპის ეკლესია'', ხოლო სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მაღალი მთის ფერდობზე – X–XI სს. შალიკაშვილების ეკლესია (ღვთისმშობლის ეკლესია). ყველა აღნიშნული ეკლესია დარბაზულია. სოფლის სამხრ-ით, მდ. სკრის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე დგას XVII ს. კოშკი. მიეკუთვნება ე. წ. ზურგიანი კოშკების ტიპს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.


კოშკი, სოფელი ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთის რესპ.), დღევანდელი ქოშქოიში. სოფელში ორი უბანია – ზემო და ქვემო. კ-ში შემორჩენილია მეგალითური ნაგებობის ფრაგმენტები, რ-ებიც ამ ორ უბანს შორის, მცირე კლდეზე მდებარეობს. ნაგებია დიდი ზომის ქვის მშრალი წყობით. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მ-მდეა.

კოშკი, გეგმით მართკუთხედის, მრავალკუთხედის ან წრის ფორმის ნაგებობა, რომლის სიმაღლე ბევრად მეტია მის ჰორიზონტალურ ზომებზე (დიამეტრზე, ფუძის გვერდზე და სხვ.). კ. აღმართულია განცალკევებით ან შენობის ნაწილია. თავდაპირველად თავდაცვითი დანიშნულება ჰქონდა, შემდეგ იყენებდნენ როგორც არქიტ. ელემენტს (სამრეკლო, მინარეთი, რატუშის საათიანი კ., შუქურა), საინჟინრო ნაგებობას (წყალსაწნევი კ., რადიო- და ტელეანძა), აგრეთვე კოსმ. ტექნიკაში (ე. წ. მომსახურების კ.). კომპოზიციურად კ. ხშირად ქალაქის ხუროთმოძღვრული დომინანტია. ცნობილია პიზის დახრილი კოშკი (1174–1372, სიმაღლე 56,7 *მ*), წმ. მარკოზის ტაძრის კამპანელე (სამრეკლო) პიაცა დი სან-მარკოზე ვენეციაში (888–1517, დაინგრა 1902, აღადგინეს 1912, სიმაღლე 98,6 *მ*), მოსკ. კრემლის კ-ები (XV–XVII სს.), ეიფელის კ. (1889, სიმაღლე ანტენის გარეშე დაახლ. 300 *მ,* ინჟ. გ. ეიფელი, პარიზი). თანამედროვე კ-ს აგებენ ფოლადის, ხის, რკინაბეტონისა და ქვისგან მეტეოროლ. დატვირთვის (ქარი, ტემპ-რა, შემოყინვა) გათვალისწინებით.



პ. კოლუაშვილი.

ტერმინი კ. ქართ. წყაროებში XI ს-იდან გვხვდება. მანამდე უწოდებდნენ *გოდოლს,* მურყვამს. საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო მართკუთხა ან მრგვალი, აგრეთვე ზურგიანი (ერთი ბრტყელი ფასადი და მომრგვალებული ზურგი) კ-ები. სახურავის ფორმისა და საბრძოლო მნიშვნელობის დეტალების მიხედვით გვხვდება 1. ციხე-კოშკები, რ-თაც ბანიანი სახურავი და ქონგურებიანი პარაპეტი აქვს (უპირატესად ქართლ-კახეთის ბარში); 2. ორფერდასახურავიანი კ-ები, რ-



სვანური კოშკი.

თაგან ზოგს საბრძოლო ჩარდახები (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი) ან დუროები (სვანეთი, რაჭა) აქვს; 3. სიპედიანი კ-ები, საფეხუროვან-პირამიდული სახურავითა და ჩარდახებით (ხევსურეთი, თუშეთი). დუროებიანი და სიპედიანი კ-ების (სიმაღლე ზოგჯერ 25 *მ*) კომპოზიციის ფორმები უნიკალურია და კავკასიის გარდა არსად გვხვდება. კ-ს საცხოვრებლადაც იყენებდნენ. ჩვეულებრივ ეს იყო 3–5-სართულიანი ნაგებობა ბოსლითა (ქვედა სართულში) და საბრძოლო ბაქნით (ზედა სართულში). სვანეთში (მესტია, უშგული), ხევსურეთში (შატილი, მუცო), თუშეთში (ომალო, დართლო), ზემო რაჭაში (ღები, ჭიორა) კოშკურა სახლის რამდენიმე ტიპით შექმნილია რელიეფთან შესანიშნავად შეხამებული ანსამბლები. ქართლ-კახეთში გვიანდ. ფეოდ. ხანის საგვარეულო კ-ების I სართულზე მარანს აწყობდნენ.

ლ. სუმბაძე.

კოშკინეთი (ყოფ. ლოშკინეთი), სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ზღუდრის თემი), მდ. აბუხალოსღელის (ძამის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1250 *მ*, ქარელიდან 28 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კოშორიძე ნანა ირაკლის ასული (დ. 30. III. 1954, თბილისი), ბიოლოგი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (2001). დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი (1976). მუშაობდა ფიზიოლოგიის ინ-ტის მემბრალოგიის ლაბორატორიაში (1976–77), თსუ-ის ბიოქიმ. კათედრაზე (1980–88), იყო ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის თანამშრომელი (1988–97), ბიოქიმ. კათედრის ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთთა ლაბორ. უფროსი მეცნიერი მუშაკი (1997–2006). ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის ფიზიკა-ქიმიური ბიოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი (2006–09), შემდგომ სრული პროფესორი (2009), სტრესის მოლეკულური მექანიზმების შემსწავლელი ინ-ტის დირექტორი.

კ-ს გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები ნეიროქიმ. განხრით, არის 6 სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ევროპის ბიოქიმიკოსთა (The Federation of European Biochemical Societies, FEBS, 2013) და ევროპის ნეირომეცნიერებათა ფედერაციის (Federation of European Neuroscience Societies, FENS, 2014) წევრი. მიღებული აქვს პ. ქომეთიანის სახ. პრემია.

თხზ.: ზოგადი ბიოქიმია, სახელმძღვ. თბ., 2008; პრაქტიკული ბიოქიმია, სახელმძღვ. (თანაავტ.), თბ., 2009; (თანაავტ.) ფუნქციური ბიოქიმია, სახელმძღვ. სამედ. და ბიოლ. ფაკ. სტუდ. თბ., 2009 (თანაავტ.), ბიოქიმია, სახელმძღვ., თბ., 2013.

კოჩარა, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ). იხ. *ქოჩარა*.

კოჩიბეი გორივჭელი, თურქი მემატიანე, მოღვაწეობდა XVII ს. I ნახ-ში. მას ეკუთვნის სოც.-პოლიტ. ხასიათის ორი ტრაქტატი (,,რისალე''). ჩვენთვის საინტერესოა მე-2 ,,რისალე'', რ-იც შედგენილია სულთან იბრაჰიმის ზეობის (1640–48) წლებში. მასში მოცემულია სამცხე-საათაბაგოს ადმ. დანაწილება. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ადმ. დაყოფაში აშკარად ჩანს ქართული ფეოდ. მიწისმფლობელობის თავისებურებანი. ,,რისალეს'' მიხედვით სამცხე-საათაბაგო ერთ ვილაიეთს არ წარმოადგენდა, იგი სანჯაყებად იყო დაყოფილი სხვადასხვა ვილაიეთში. ერთ-ერთი ვილაიეთი კი მთლიანად მოიცავდა ქართულ ტერიტორიებს. არზრუმის ვილაიეთში გაბნეული იყო სამი ქართული სანჯაყი: ისპირი, თორთუმი და ნამერვანი. ეს ქართ. ტერიტორიები, რ-ებიც განაწილებული იყო არზრუმისა და ყარსის ვილაიეთებში, ახალციხის საფაშოზე ადრე ჰქონდა ოსმალეთს მიტაცებული. სამცხე-საათაბაგოს დანარჩენი ტერიტორიები კი ახალციხის საფაშოში შედიოდა. მას ოსმალურ-ადმ. სისტემაში ჩილდირის ვილაიეთი ეწოდებოდა. ტრაპიზონის ვილაიეთი შედგებოდა ორი – ტრაპიზონისა და ბათუმის სანჯაყებისაგან. ჩანს, ამ პერიოდში ბათუმი ცალკე ადმ. ერთეული იყო და მას ბეგლარბეგი განაგებდა. ოსმ. ნარატიული წყაროებიდან ჩანს, რომ ბათუმის ბეგლარბეგს ოსმ. სულთანი ყოველთვის იყენებდა საქართველოსა და სამხრ. კავკასიის ქვეყნებზე სალაშქროდ.

ლიტ.: შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია.

კოჩუბეი ვიქტორ პავლეს ძე (11. XI. 1768 – 3. VI.1834), რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. გრაფი (1831-იდან). 1792–97 იყო დესპანი თურქეთში, 1798-იდან – საზღვარგარეთის საქმეთა კოლეგიის ვიცე-კანცლერი, 1801–02 – კოლეგიის მმართველი, 1802–07 და 1819–23 – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1827-იდან – სახელმწ. საბჭოს და მინისტრთა კომიტეტის თავ-რე. იმპ. ალექსანდრე I-თან დაახლოებული პირი, ემხრობოდა ზომიერ რეფორმებს. კ-მ გრაფ ვორონცოვთან ერთად გააკრიტიკა გენ. კ. კნორინგის ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ ,,დასკვნა'', რ-იც მან იმპერატორს წარუდგინა 1801 წ. 24 ივლისს. კ. მოითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნებას 1783 ტრაქტატის ფარგლებში; ის ასევე ამხელდა გენ. კ. კნორინგს სიცრუეში, თითქოს ქართველი ხალხი და ქვეყნის მმართველები ეთანხმებოდნენ მის მოსაზრებას.

კ-ს წერილით მიმართა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ქვრივმა მარიამ დედოფალმა და სთხოვა მისი ოჯახი რუსეთში არ გადაესახლებინათ, ან შვილების მცირეწლოვანების გამო გადასახლება 3 წლით გადაედოთ. წერილი უპასუხოდ დარჩა.

ლიტ.: ბერძენიშვილი მ., მასალები XIX ს. ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1983; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ლ. მანიავა.

კოწახური (Berberis), მცენარეთა გვარი კოწახურისებრთა ოჯახიდან (Berberidaceae). გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ევროპაში, ყირიმში, ირანში, ჩრდ. ამერიკაში, აღმ. ციმბირში, კავკასიაში. კარგად იტანს სიცხესა და სიცივეს. ძირითადად მარადმწვანე ბუჩქია, იშვიათად – ხე. ფოთლები ელიფსურია, აქვს წითელი, მჟავე, წაგრძელებული ნაყოფი, სიგრძით 12 *მმ*-მდე. გამოიყენება მედიცინაში, ფოთლები და ნაყოფი – კულინარიაში.

საქართველოში გვხვდება ორი სახეობა: ჩვეულებრივი კ. (B. vulgaris L) ბუნებრივადაა გავრცელებული მთელ საქართველოში – ტყეებში, ბუჩქნარებში, მდელოებზე, ველებზე, ქვაღორღიანებზე, რიყეებზე და სხვა ადგილებში, ხოლო ქართული კ. (B. iberica Stev. & Fisch) რ-იც იშვიათად გვხვდება მხოლოდ აღმ. საქართველოში. დაცულია ვაშლოვნის ნაკრძალში. შეტანილია ,,წითელ ნუსხაში‘‘.

კოჭა, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, იხ. *ჯანჯაფილი.*

„კოჭა“, ცეკვა (ხალხ.). ეს ტერმინი სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია, როგორც ,,ცეკვა ბუქნასავით‘‘, ხოლო ბუქნა ნახევრადმჯდომარე ცეკვაა.

ლიტ.: ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული , ტ. I, თბ., 1991.

კოჭბაანი, სოფელი კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდ. ივრის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ბოტკო, გორანა, იკვლივგორანა, ოთარაანი, სასადილო, ხინჭები). ზ. დ. 960 *მ,* საგარეჯოდან 45 *კმ.* 132 მცხ. (2014).

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა, რ-ის თანახმად ბოჭორმაში მიმავალ თამარ მეფეს მდ. იორში კოჭები დაუბანია სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა სოფ. კ. მდებარეობს. სოფლის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი ქვაყუთის სამაროვნები, სხვადასხვა დანიშნულების საგნები, რ-ებიც გვიანდ. ბრინჯაო - ადრინდ. რკინის ხანით თარიღდება (II–I ათასწლ. მიჯნა). სოფელსა და მის მიდამოებში შემორჩენილია არაერთი ეკლესია. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ჭეხილას ციხის კომპლექსი, რ-შიც შედის: კოშკი, დარბაზი, კარის ეკლესია და გალავანი. ნაგებობებიდან ყველაზე ადრინდელია კოშკი, რ-იც განვითარებული შუა საუკუნეებით თარიღდება; დარბაზი, ეკლესია და გალავანი კი XV–XVI სს-ით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ. 1III, თბ., 2019.

კოჭბაანის სამარხები, არქეოლოგიური ძეგლი. 1965 სოფ. კოჭბაანის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილ დანგრეულ სამარხებში გამოვლინდა ორი ქრონოლოგიური პერიოდის ინვენტარი. VI–VII სს. მიეკუთვნება ბრინჯაოს სამი საკინძი ბრინჯაოსა და მინის თავებით, ხოლო XII–XIV სს. – მინის სამაჯურები, მინის, ძვლის, ფაიანსისა და ქალცედონის მძივები. აღნიშნული ნივთები სოფლის ტერიტორიაზე შუასაუკუნეთა ხანის სამაროვნის არსებობაზე მიუთითებს. მასალა ინახება გომბორის საჯარო სკოლაში.

ლიტ.: ჯორბენაძე ბ., საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1-III, თბ., 2019.

ბ. ჯორბენაძე.

კოჭიო (ყოფ. კაჭიო), სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები კ., აგანა, ალათუბანი, ბეჟანო, მოდეგა, სირქვა). ზ. დ. 1720 *მ,* ახალქალაქიდან 23 *კმ.* 421 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, X ს. დარბაზული ეკლესია. მისი კედლები და კამარა ამოყვანილია ადგილ. მოწითალო ფერის კარგად დამუშავებული ქვით. აღმ. და დას. ფასადის სარკმლები, აგრეთვე ინტერიერში ჩრდ. და სამხრ. კედლების სვეტისთავები, რ-ებზედაც შუა საბჯენი თაღია ამოყვანილი, მოჩუქურთმებულია. საშენი მასალის, შესრულების ტექნიკისა და ორიგინალური არქიტექტ.-დეკორ. ფორმების მიხედვით ეკლესია ჯავახეთის ხუროთმოძღვრების X ს. ძეგლების ტიპისაა.

ნ. ჩუბინაშვილი.

კოჭლავაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე (8. X. 1906, თბილისი, – 8. I. 1977, იქვე), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1970), გენერალ-მაიორი (1945). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1935 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი. 1937–39 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე – იყო აჭარის არ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი (1939–41), საქართვ. შს სამინისტროში კონტრდაზვერვის უფროსი (1941–45), სოხუმის ფიზ.-ტექ. ინ-ტის სპეც. ობიექტის ხელმძღვანელი, დირექტორი (1945–51), საქართვ. უშიშროების მინისტრი (1952–53), რუსთავის მეტალურგიული ქ-ნის დირექტორის მოადგილე (1953–54), საქართვ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1954–76).

ჰ. შეისწავლიდა დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ნიკოლაძის მოღვაწეობას. მას ეკუთვნის სამეცნ. შრომები, მ. შ. 10 მონოგრაფია.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: История машиностроения в советской Грузии (1921–1932), Тб., 1966.

კოჭლამაზაშვილი თამაზ (ქვთიმე) შაქროს ძე (დ. 22. II. 1950, ქვემო ბოდბე, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), ფილოლოგი, თეოლოგი. 1973 დაამთავრა სპი ელექტრონულ-ციფრული მანქანების სპეციალობით და თბილ. მე-4 მუს. სასწავლებელი; 1976 – მცხეთის სას. სემინარია; 1994 – ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) ფილოლ. ფაკ-ტი. 1977–83 იყო საქართვ. ეკლესიის მღვდელმსახური. 1994–2006 მუშაობდა თბილ. სახელმწ. პედ. უნ-ტში; 2006- იდან – ილიას სახელმწ. უნ-ტში (სრული პროფესორი); 2019 მიენიჭა ემერიტუსის წოდება. 2010-იდან – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის უფროსი მეცნ. თანამშრომელია; 2022-იდან – ამავე ცენტრის სამეცნ. ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტ-რის განყ-ბის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია ძვ. ქართ. თარგმნითი ლიტ-რა, ქართ.- ბიზანტ. ლიტ. ურთიერთობები, პატრისტიკა, კოდიკოლოგია, ლექსიკოლოგია, ეპიგრაფიკა, ჰიმნოგრაფია, ეთნოლოგია, ლიტურგიკა. კ-მა გამოსცა გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვ. ავტორთა თხზულებების ძვ. ქართ. თარგმანების კრიტ. ტექსტები, გამოკვლევებისა და ლექსიკონების დართვით. 2008-იდან გამოსცემს ყოველწლიურ სამეცნ. კრებულს ,,ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი“.

ლიტ.: დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002; ევაგრე პონტოელის Antirrhetikos-ის ძველი ქართული თარგმანი, თბ., 2019. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, თბ., 2003; სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, ტ. 1-3, თბ., 2000-2011; ცხოვრება წმიდა გიორგი მთაწმიდელისა, თბ., 2016; ცხოვრება წმიდათა მამათა იოანე და ეფთვიმე მთაწმიდელთა, თბ., 2016; წმიდა ეფრემ ასური, სწავლანი, ქართული ვერსია, ტ. 1, თბ., 2015;

ი. აბაშიძე.



კოწახური.



დიდი კოჭობა.

კოჭობა (Carpodacus), ფრინველების გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიაში. საქართველოში გვხვდება დიდი (C. rubicilla) და ჩვეულებრივი (C. erythrina) კ-ს კავკასიური ქვესახეობები. ყველაზე ფართოდ ჩვეულებრივი კ. არის გავრცელებული. მისი მასა 19–26 გ აღწევს. მამალი წითელია, მკერდზე უფრო კაშკაშა, ზურგი ჟოლოსფერია, ფრთები და ბოლო – მურა-წითელი. დედალი კ. მორუხო-მურაა, სხეულის ქვედა მხარე უფრო ღია ფერისაა. ბინადრობს მთებში. გადამფრენია. ბუდეს იკეთებს ხეზე. დებს 3–6 კვერცხს. იკვებება მცენარის თესლით, კენკრით, ყვავილებით, მწერებით.

მ. კუტუბიძე.

კოჭორაულის ბრძოლა 1623, იხ. *გოჭოურის ბრძოლა1623.*

კოხათი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ვანათის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1020 *მ,* ერედვიდან 6 *კმ.*

კ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კოხანოვი ივანე ნიკოლოზის ძე (12. VII. 1825, თბილისი, – 25. II. 1909, პარიზი.), რუსეთის იმპერიის არმიის არტილერიის გენერალი (1890). ყირიმის ომის (1853–56) მონაწილე. გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური (1864–66), გენ.-მაიორი (1878), ვილენის, კოვენის, გროდნოს გენ.-გუბერნატორი (1884–93). გენ.-ლეიტენანტი (1884), სახელმწ. საბჭოს წევრი (1893–95). მიხეილის საარტილერიო აკადემიის საპატიო წევრი (1895-იდან). XX ს. დასაწყისში ემიგრაციაში წავიდა.

ლ. დოლიძე.

კოხი (Coch) კარლ ჰაინრიხ ემილ (6. VI. 1809, ეტერსბურგი (ვაიმარი), – 25. V. 1879, ბერლინი), გერმანელი ბოტანიკოსი, დენდროლოგიის ფუძემდებელი. სწავლობდა იენისა და ვიერცბურგის უნ-ებში. ცნობილია ბოტანიკური გამოკვლევებით კავკასიის რეგიონსა და ჩრდ.-აღმ. თურქეთში. 1834-იდან მუშაობდა იენის უნ-ტში,, პროფესორი (1836-იდან). 1836–38 პირველად იმოგზაურა აღმოსავლეთში, რ-ის შედეგები გამოაქვეყნა წიგნში ,,მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში'' (2 ტომი, შტუდგარტი). მოინახულა კავკასია (სამეგრელოდან ბათუმამდე), სომხეთის ჩრდ. ნაწილი, სპარსეთის ზეგანი და არარატი. II ტომში დაწვრილებით არის აღწერილი საქართვ. სამხ. გზა, ქართლის, გურიის, რაჭის, იმერეთის, სამეგრელოსა და ბორჩალოს ფლორა. 1843–44 კ. მეორედ გაემგზავრა აღმოსავლეთში. ეს მოგზაურობა აღწერა წიგნში ,,მოგზაურობა აღმოსავლეთში'' (3 ტომი, ვაიმარი). 1855 კ-მა გამოსცა კრებული ,,კავკასიის ქვეყნები და სომხეთი'', რ-იც შედგება 5 თავისაგან. მასში გაერთიანებულია 5 სხვადასხვა ავტორის თხზულებები. ჩვენთვის საინტერესოა კ-ის თხზ. ,,მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზონამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა)'' და ,,ბრძოლის ველზე გასვლა''. პირველი თხზულება შედგება 5 ნაწილისაგან. კ. კარგად იცნობდა საქართველოს, მას უძველესი კულტურისა და ისტ. მქონე ქვეყნად მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს ის ქვეყანაა, რ-იც ,,კავკასიის და მისი დიდებული მთების ყველა ხალხის არა მხოლოდ ნომინალური, არამედ ფაქტიური მმართველი იყო''. კ. დაწვრილებით გვაცნობს ბაგრატიონთა დინასტიის გენეალოგიას და მის ათასწლოვან ისტორიას. დეტალურად მოგვითხრობს გიორგი XII-ის ქვრივ მარიამ დედოფალსა (იხ. *მარიამი*) და ი. ლაზარევს შორის მომხდარ ტრაგედიაზე. გადმოსცემს კავკასიის მთავარმართებლების მიერ გატარებულ ცარიზმის პოლიტიკას, დეტალურად აღწერს კავკასიის საომარ ველზე მომხდარ ამბებსაც.

კ. აღწერს თითოეულ მხარეს, მის ადგილმდებარეობას, პუნქტებს შორის მანძილს, ბუნებას, მცენარეულ საფარს, კლიმატს, ნიადაგს, მოსახლეობას, მათ წეს-ჩვეულებებს, ყოფას, მეურნეობას და ა. შ. სხვა კუთხეებიდან გამოარჩევს კახეთს და უფრო გაშენებულ, აყვავებულ მხარედ მიაჩნია. იგი წერს: ,,სოფლები ისე მისდევდა ერთიმეორეს, განსაკუთრებით შილდიდან, რომ ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა''. კ-ზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა გურიამაც. მისი თქმით, ეს არის ,,არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მხარე''. გურული ღვინო, კ-ის აზრით, კახურის შემდეგ ყველაზე კარგია და მეტად ფასობს სამხრ. კავკასიაში. ზღვის სანაპიროზე ყველაზე საიმედო და მნიშვნელოვან ქალაქად ბათუმს თვლის. კ. დაწვრილებით აღგვიწერს მტკვრის დაბლობზე მდებარე გერმ. კოლონიას, რ-იც მარიენფელდის სახელით იყო ცნობილი: ,,ყველა სახლი სტანდარტულია, ირგვლივ ბაღებით გარშემორტყმული. საუცხოოდ მოვლილი ხეხილის ბაღების გარდა, მათ აქ გაუშენებიათ ყვავილნარი და ბოსტნები'', საგანგებოდ ჩერდება კ. ტყვეებით ვაჭრობაზე, რ-იც ძველთაგანვე ახალციხის მთავარ ბაზარში იმართებოდა.

თხზ.: Reise durch Russland nach dem Koukas, Isthmus, 1842 – 43.

ლიტ.: კ. კოხისა და რ. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, 1981; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4., თბ., 1973; შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., ქართული ეთნოლოგიის ისტორია, I, თბ; 2009.

ც. ყიფიანი.

კოხი, სოფელი აჭარის არ-ის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ქობულეთის თემი) მდ. კინტრიშის ხეობაში. ზ. დ. 180 *მ,* ქობულეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 11 *კმ.* 599 მცხ. (2014).

კოხინჯრობა, კოხინჯვრობა, სეტყვა-კოხის საწინააღმდეგო სახალხო რელიგიური დღესასწაული. ცნობილი იყო საქართვ. თითქმის ყველა კუთხეში (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი). კ-ის დღესასწაულზე ქალები ღვთის სადიდებლად დადიოდნენ, აგროვებდნენ საწირავს (პური, ფქვილი, კაკალი, ყველი, ზოგჯერ ფული) და ,,საღვთოს'' იხდიდნენ, რათა ნათესები ქარსეტყვას არ გაენადგურებინა. კ. დიდი უქმე იყო, ამ დღეს არ მუშაობდნენ, მიწას ,,არ შეანძრევდნენ'' იმის შიშით, რომ მოსავალი არ დასეტყვილიყო; არც თითისტარს დაატრიალებდნენ. გარდა ამისა, ყოველი ორშაბათი აღდგომიდან ამაღლებამდე ქარ-

სეტყვის საწინააღმდეგოდ იყო შეწირული. ძველად, თბილისში, ზატიკის პერიოდში (აღდგომიდან ამაღლებამდე) ამქრები უქმობდნენ, რიგ-რიგობით ,,საღვთო“, ანუ ღვთისა და წმინდანებისადმი სამადლობელ-სავედრებელ სუფრას იხდიდნენ, ,,საღვთოს“ ნაწილს პატიმრებს, ქვრივ-ობლებს და ხეიბრებს უგზავნიდნენ. მათი შეხედულებით, ამ რიტუალის შესრულება მოსავალს სეტყვისა და კალიებისაგან დაიცავდა. კახეთში ამ დღეს ,,კოხიანობას“ უწოდებდნენ. ფრონეს ხეობაში (შიდა ქართლი) სოფ. დვანის სალოცავს ხალხი წმ. გიორგი კოხისჯვრისას უწოდებდა, სადაც ,,კოხიჯვრობის“ დღეობა იმართებოდა.

პ-ის ჩატარების კალენდარულ დღედ 7 მაისი (ძვ. სტ) ითვლებოდა, რ-იც საეკლ. ტრადიციით ჯვარჩინების დღეა. ხალხ. წარმოდგენებით, ამ დღეს მოსულ წვიმას სასწაულებრივი სამკურნალო და გამანაყოფიერებული ძალა გააჩნდა.

ლიტ.: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; მაკალათია ს., ფრონეს ხეობა, თბ., 1963.

გ. ჩინჩალაძე.

კოხნარი, სოფელი გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, გურიის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ბურნათი, ნაკადული, წიფნარი). ზ. დ. 140 *მ,* ჩოხატაურიდან 13 *კმ,* საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ.* 575 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, განეკუთვნება XVIII–XIX სს. აგებულია სიპი ქვითა და დუღაბით. გადმოცემის თანახმად, მდ. ხევისწყლიდან ტაძრამდე, მთელ სიგრძეზე მწყობრში ჩამდგარი ხალხი ერთმანეთს აწვდიდა ქვებს მის ასაგებად. აქ მოღვაწეობდნენ უშვერიძეები და თევზაძეები.

კოხორა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გალის მუნიციპალიტეტში (პირველი გალის თემი), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 160 *მ,* გალიდან 4 *კმ.*

კოხრეიძე პავლე გერასიმეს ძე (25. VII. 1921, ქ. ხონი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 26. VIII. 2016, თბილისი), საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1971), ლიტერატორი, პუბლიცისტი. 1938–47 სწავლობდა თსუ-ში, ფილოლ. ფაკ-ტზე. 1941–45 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, 1945–46 იყო ხონის (ყოფ. წულუკიძე) რ-ნის გაზ. ,,დამკვრელის“ პ/მგ მდივანი, 1946 – ,,ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომელი, 1948–52 – ამავე გაზეთის რედაქტორის მოადგილე, 1952–53 – ,,საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი, 1953–54 – ,,კომუნისტის“ ლიტ. და ხელოვნ. განყ-ბის გამგე, 1957 (აგვ.-დეკ.) – ,,კომუნისტის“ პ/მგ. მდივანი. 1958–74 – გაზეთ ,,თბილისის“ რედაქტორის მოადგილე, 1974–83 – ,,საქართველოს კომუნისტის“ მთ. რედაქტორის მოადგილე, 1983–87 სამეცნ.-საგამომც. განყ-ბის უფრ. 1983–2006 – საარქივო სამმართველოს დოკუმენტური პერიოდული კრებულის, ,,საისტორიო მოამბისა“ და ,,სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენის“ რედაქტორი.

პ-ს ეკუთვნის ლიტ.-კრიტ. წერილები ქართვ. მწერლების შემოქმედების შესახებ. აქვეყნებდა ევრ. ენებზე არსებულ XIX ს. რუსეთის შიდაცხოვრების ამსახველ ნარკვევებს.

პ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: მარკიზ დე კოუსტინი, ნიკოლოზ I რუსეთი, პ. კოხრეიძის წინასიტყვ., თბ., 1990.

ლიტ.: თავართქილაძე ნ., მრისხანე დღეები, თბ., 1975; თოფურია ფ., გზა, რომელმაც ,,თბილისამდე“ მიგვიყვანა, თბ., 2000; ფირცხალავა გ., ნახევარი საუკუნე ქართულ ჟურნალისტიკაში, ,,სამშობლო-ფორტე“, 1997, №16; ჭიჭინაძე მ., თავმდაბლობით ამაღლებული, ,,თბილისი“, 1997, №14; Хатиашвили А., Победившие спят слаще побеждённых, „Русский Клуб“, 2015, №5.

გ. გოგიაშვილი.

კოხრეიძე შალვა თევდორეს ძე (19. VI. 1901, სოფ. იანეთი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 1. I. 1961, თბილისი), რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკი, მემანქანე. II მსოფლიო ომის დროს სარკინიგზო მეურნეობის აღდგენაში გაწეული სამსახურისთვის მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება (1943). მუშაობდა თბილ. საორთქმავლო დეპოში მემანქანედ, 1937–46 – მემანქანე ინსტრუქტორად. 1947–56 იყო სსრკ ორი მოწვევის (1946, 1950) უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1943, 1951).

ლიტ.: თევზაძე გ. რკინიგზის სწრაფმავალი მატარებლის მემანქანეს-ტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოს, თბ., 1975.

კოხტა (2012-მდე ,,ახალიკი“, აბანო), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს, წალკის ქვაბულში. თემის ცენტრი (სოფლები პ., ჩრდილისუბანი, ხარება). ზ. დ. 1540 *მ,* 228 მცხ. (2014). იხ. აგრეთვე სტ. *ახალიკი.*

კოხტა გველთავა (Ophisops elegans), ხვლიკისებრთა ოჯახის გველთავა, ქვეწარმავლების გვარის (Ophisops) ერთადერთი სახეობა (გვარში სულ 5 სახეობაა), რ-იც გვხვდება საქართველოში. კავკასიაში გავრცელებულია აღმ. საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში. აქვს ერთმანეთს შეზრდილი გამჭვირვალე ქუთუთოები,



პ. კოხრეიძე.



კოხტა გველთავა.

რ-ებიც ერთგვარ „სარკმელს“ ქმნიან. იკვებება მწერებითა და მათი მატლებით, აგრეთვე ობობებით.

კოხტაგორა, მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე. სიმაღლე 2155 მ. აგებულია პალეოგენური



კოხტაგორა.

ასაკის ნალექებით, კალთები შემოსილია მუქწიწვიანი ტყით. პ-ზე გაყვანილია ბაგირგზები ბაკურიანიდან და სოფ. მიტარბიდან.

კოხტასთავი, ისტორიული ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთისა და სამცხის საზღვარზე (ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი). წყაროებში

პირველად იხსენიება XIII ს. მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით. საქართველოში მონღოლთა ბატონობის დროს აქ შეიკრიბნენ ქართველი მთავრები და აჯანყებისათვის დაიწყეს მზადება (იხ. სტ. *კოხტასთავის შეთქმულება*). აქვე, 1310, მონღოლთა თაოსნობით მოიწვიეს ქართველ მთავართა და დიდებულთა კრება ქვეყნის გასაერთიანებლად და მცირეწლოვანი გიორგი V-ის გასამეფებლად (სარგის და ყვარყვარე ჯაყელების გამოუცხადებლობის გამო შეკრებას შედეგი არ მოჰყოლია). 1414–15 ჩ-თან მომხდარ ბრძოლაში მეფე ალექსანდრე I-მა დაამარცხა ივანე ათაბაგი. XVI ს. ჩ. ოსმალთა ხელში გადავიდა. ამჟამად ეს პუნქტი ნასოფლარადაა ქცეული.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, ნაწ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

კოხტასთავის შეთქმულება, ქართველ დიდებულთა შეთქმულება მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ, დაახლოებით 1245 ჯავახეთში. მონაწილეობდნენ *ეგარსლან ბაკურციხელი*, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი (იხ. *ივანე I*), *მოთა კუპრი*, *თორღვა პანკელი*, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი და სხვ. შეთქმულება გამომჟღავნდა. მონღოლებმა შეიპყრეს ქართველი დიდებულები და წარუდგინეს ანისში მყოფ მონღოლ ნოინს. დაკითხვაზე საიდუმლო შეთანხმების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ *კოხტასთავში* მონღოლებისთვის მისაცემი ხარკის საქმის მოსაგვარებლად შეიკრიბნენ. მონღოლებმა არ დაიჯერეს და ნოინის ბრძანებით გაშიშვლებული შეთქმულნი მოედანზე, მცხუნვარე მზის ქვეშ, მხარგაკრული დასხეს, თან ყოველდღე ეკითხებოდნენ შეკრების მიზეზს და სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ ქართველი მთავრები ერთსა და იმავეს პასუხობდნენ. დატყვევებული შეთქმულები თავგანწირული საქციელით იხსნა ცოტნე დადიანმა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973. ჟამთააღმწერელი, წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008;

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, ნაწ. 1, თბ., 1982. (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

რ. კიკნაძე.

კოხტა ღვთისმშობელი, ხუროთმოძღვრული კომპლექსი, არქიტექტურული, არქეოლოგიური ძეგლი. თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭიჭაკვისწყლის ხეობაში, სოფ. ფშავლიდან 4 *კმ*-ზე. სხვადასხვა პერიოდის ორი ეკლესიის, ეკვდრის საკულტო და საცხოვრ. ნაგებობებისგან კომპლექსი შემოსაზღვრულია გალავნით, რ-ის ფორმა მართკუთხედისას უახლოვდება. გალავნის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთში ერთმანეთის მიჯრით დგას ორი ეკლესია. ყველაზე ადრეულია VIII–IX სს. დარბაზული ეკლესია სამხრეთის კარიბჭითა და სადიაკვნით. X–XI სს-ს განეკუთვნება ჩრდ. ეკვდერი, გარშემოსავლელი და გალავანი, XVI–XVIII სს-ით თარიღდება დარბაზულ ეკლესიაზე სამხრ-იდან მიშენებული მცირე ეკლესია და მის დასით მდებარე მართკუთხა სადგომი. გალავანი რამდენიმე სამშენებლო ფენისაგან შედგება. საწყისი პერიოდი ჩრდ-ის ეგვტერის მშენებლობას უკავშირდება (X–XI სს.). ჩრდ.-აღმ-ით გალავნის შემკრავი ზღუდის როლს ტაძრის აღმ-ისა და ტაძარზე ჩრდ-იდან მიდგმული ეკვდერის ჩრდ. კედლები ასრულებს. გალავანი რვა მასიური კონტრფორსითაა გაძლიერებული; მათგან ხუთში თითო სასროლი ხვრელია მოწყობილი.

გალავანში შესასვლელი საკმაოდ ვიწრო კარი სამხრეთიდანაა, საიდანაც ცილინდრული კამარით გადახურულ სივრცეში შევდივართ, რ-იც ორსართულიანი კოშკურა ნაგებობის ქვემოთ სართულს წარმოადგენს. მასზე საბრძოლო კოშკი იყო დაშენებული (ამჟამად დანგრეულია). გალავნის გასწვრივ კოშკზე ასასვლელი ორმარშიანი კიბეა მოწყობილი, სამხრ.-აღმ-ის მონაკვეთში კი მართკუთხედის ფორმის (5×8 *მ*) საცხოვრებელი სახლი იყო აგებული, რ-ის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. გალავანი მასიურია, საფუძველში მისი სისქე 1.5 *მ*-ია, ზედა ნაწილში 50 *სმ*-მდე ვიწროვდება. გალავნის სიმაღლე 6 *მ* უახლოვდება.

ლიტ.: რჩეულიშვილი ლ., კოხტა ღვთისმშობელი, „ქართული ხელოვნება“, 1979, №8. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1–2, თბ., 2015.

თ. გერსამია.

კოხტას ციხე, არქიტექტურული ძეგლი ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. დამალის აღმ-ით, მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკად კოხტასხევის ხეობაში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ციხე კლდოვან მთაზე დგას. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებია ნაწილობრივ დამუშავებული ადგილ. ქვით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 5 *მ* აღწევს, სისქე – საშ. 1,5 *მ*. ციტადელის კედლებში, გარდა აღმ-ის კედლისა, დატანილია სხვადასხვა ზომის სარკმლები, რ-ებსაც, როგორც ჩანს, სათოფურებადაც იყენებდნენ. ციხეში შესასვლელი დას. კედელშია გაჭრილი. ციტადელის აღმ. კედლის ჩრდ-ის მხარეს აღმართული იყო ოთხსართულიანი კვადრატული ფორმის კოშკი, რ-ზეც სამხრ-იდან მიდგმული იყო ორსართულიანი ნაგებობა. ციხის ეს ერთადერთი კოშკი საცხოვრებლის ფუნქციასაც ასრულებდა. კოშკის პირველი სართული ყრუა – უკარო და უსარკმლო, სართულთშორისი გადახურვა კი ხის ძელების ყოფილა. კოშკს შესასვლელი მე-4 სართულზე ჰქონდა. ციხის მეორე, ანუ კოშკზე მიდგმული ნაგებობაც, ფორმით კვადრატს უახლოვდება. არის მოსაზრება, რომ ის ორსართულიანი ტაძარი-სამლოცველო უნდა ყოფილიყო. ციხეს გარშემოუყვებოდა გალავანი, რ-ისგანაც მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. ციტადელის დას-ით დგას ძლიერ დაზიანებული ციხის თანადროული დარბაზული ტიპის ეკლესია. ნაგებია ქვითა და დუღაბით. არ არის შემორჩენილი კედლების დამუშავებული ქვის ფილების პერანგი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს სამხრ-ით და დას-ით. მისი შიგა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე სარკმელია გაჭრილი. დარბაზის გრძივი კედლები ორსაფეხურიანი პილასტრებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეკლესიას ჩრდ-იდან, სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ეკვრის.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის, ეპოქისა საქართველოში, თბ., 1966; ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992; ზაქარაია პ., თბილისი, ბორჯომი, ვარძია, თბილისი, თბ., 1977; მისივე, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002; მელითაური კ., წინაფეოდალური და ადრეფეოდალური საქართველოს ციხეები, ტ. 2, თბ., 1971; ქართლის ცხოვრების ტოპონიმიკური ლექსიკონი, თბ., 2013.

თ. გერსამია.

კოჯა იუსუფ-ფაშა (გ. 1800), ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირი (1786–89, 1791–92). წარმოშობით ქართველი. ბავშვობაში საქართველოდან გაიტაცეს და ოსმალეთში მონად გაყიდეს. მონობიდან გათავისუფლების შემდეგ თავისი ნიჭისა და მოხერხების წყალობით, აგრეთვე ოსმალეთის ერთ-ერთი

გავლენიანი მოხელის, ადმირალ ჯეზაირლი ჰასან კაპუდან ფაშას ხელშეწყობით, 1786 ოსმალეთის დიდი ვეზირი გახდა. 1791 ჰ. 0. მონაწილეობდა რუს.- ოსმალეთს შორის იასის საზავო ხელშეკრულების დადებაში (ოსმალეთის მხრიდან), შემდეგ კი მედინისა და ჯიდის (ახლანდ. საუდის არაბეთი) ფაშა გახდა. გარდაიცვალა იქვე.

ნ. შენგელია.

კოჯა ჰუსეინი (დ. წ. უცნობია, – 1644 ან 1650), თურქი ისტორიკოსი. მისი თხზულება ,,საკვირველი ამბები'' (,,ბედაი ულვეყაი'') კომპილაციური ხასიათისაა. მასში გადმოცემულია ამბები ოსმალთა იმპერიის დაარსებიდან 1520-მდე; მოიცავს საყურადღებო ცნობებს საქართვ. XV–XVI სს. ისტორიის შესახებ. აღწერილია სულთან სელიმ I-ის ლაშქრობა საქართველოში, როდესაც სელიმ I, ჯერ კიდევ უფლისწული, ტრაპიზონის გამგებელი იყო, აგრეთვე ოსმალთა ლაშქრის საქართველოში შემოსვლა, ქვეყნის აოხრება და დიდი ნადავლითა და ტყვეებით უკან გაბრუნება.

ლიტ.: შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია.

კოჯიმა იასუჰირო (დ. 18. II. 1976, ქ. ავარა, ფუკუის პრეფექტურა, იაპონია), იაპონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. 1994–98 სწავლობდა ტოკიოს უნ-ტში ზოგადი ენათმეცნიერების განხრით, 1998–2006 – ამავე უნ-ტის ასპირანტურაში. ქართ. ენით სტუდენტობისას დაინტერესდა. 2002 დაამთავრა თსუ-ის ასპირანტურა. ფლობს ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებს. ჰ. ტოკიოს უცხო ენათა ინ-ტში იაპონელებს ასწავლის ქართ. ენას. 2013 დაჯილდოვდა საქ. პრეზიდენტის მედლით ,,სამოქალაქო თავდადებისთვის“. ჰ-მ იაპონურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემები ,,ალუდა ქეთელაური“, ,,სტუმარ-მასპინძელი“, ,,გველისმჭამელი“ და რამდენიმე მოთხრობა; აგრეთვე ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, გ. რჩეულიშვილის, გ. ჩოხელის, ლ. თაბუკაშვილის ნაწარმოებები. 2011 იაპ. ენაზე გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო.

ს. მეტრეველი.

კოჯორი, დაბა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (მთაწმინდის რ-ნი). 2007-მდე შედიოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს თრიალეთის ქედის განშტოებაზე. ზ. დ. 1350 *მ.* 1232 მცხ. (2014) (იხ. სტ. *თბილისის კურორტების ჯგუფი*).

ჰ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია შვერილაფსიდიანი ერთნავიანი ეკლესია, მის სამხრ-ით კი აღმოჩენილია შეისრულკამარიანი ნაგებობა. დაბის სამხრ-ით, აზეულის მთის ქიმზე, დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი კოჯრის ციხესიმაგრე (*აგარანი*, აზეულის ციხე). შემორჩენილია გალავნისა და მის (სამხრ.-დას. და ჩრდ.-აღმ.) ბოლოებში აღმართული ორი მრგვალი კოშკის ნანგრევები. ციხესიმაგრე ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. იგი მრავალჯერ არის შეკეთებული და განახლებული. მისი უძველესი ფენა არაუგვიანეს XI ს. II ნახ. მიეკუთვნება, ხოლო დღემდე მოღწეული ნაგებობები და კედლის ფრაგმენტები XVI–XVIII სს-ით თარიღდება.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; P., T., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.

ვ. დოლიძე.
გ. უშვერიძე.

კოჯორი, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში (ქისტაურის თემი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 640 *მ,* ახმეტიდან 7 *კმ.* თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ.* 19 მცხ. (2014).

კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლები 1921, ბრძოლა რუსეთ-საქართველოს 1921 წ. ომში (19–24 თებ.) ქართ. სამხ. სკოლასა და რუს. მე-11 არმიის ნაწილებს შორის, თბილისის ფრონტის კოჯორ-ტაბახმელის მონაკვეთზე, თბილისის დაცვის ნაწილი. ომის პირველ ეტაპზე (11–16 თებ.) მოულოდნელი თავდასხმით ბოლშევიკური რუს. ჯარებმა თავდაპირველად დიდი უპირატესობა მოიპოვეს. 18 თებერვალს დაიწყო თბილისთან ბრძოლა. სოღანლუღის ფრონტის მონაკვეთზე (სარდალი – გენ. გ. *მაზნიაშვილი*) ქართველებმა პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. მარცხის მიუხედავად, რუსებმა დაუყოვნებლივ შეცვალეს შეტევის მიმართულება და საარტ. მომზადების შემდეგ ტაბახმელაზე (სექტორის უფროსი – გენ. ა. ანდრონიკაშვილი) მიიტანეს იერიში. ბოლშევიკებმა სამხ. სკოლის (160 იუნკერი და 350 ნაცვალი, 4 ზარბაზანი და 6 ტყვიამფრქვევი, უფროსი – პოლკ. ა. ჩხეიძე) წინააღმდეგობა ვერ გატეხეს, მაგრამ რადგან რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ, ფრონტის ხაზი გააგრძელეს და იუნკერთა პოზიციებს ფლანგიდან მოუარეს. ბოლშევიკები თითქმის დაუცველ კოჯორში შეიჭრნენ და ზურგიდან დაემუქრნენ იუნკერთა პოზიციებს. კრიტიკულ მომენტში, პოლკ. ა. ჩხეიძის ინიციატივით, იუნკრებმა ძალები გადააჯგუფეს; მაიორ ბახუტაშვილის ბატარეამ პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუხსნა ბოლშევიკებს. იუნკრების ერთმა გუნდმა კაპიტან ი. თოიძის მეთაურობით (სულ 23 კაცი) კონტრშეტევით შეაჩერა მოწინააღმდეგე (ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა კაპიტანი ი. თოიძე, დაიღუპა და დაიჭრა 8 იუნკერი). ამან მთავარსარდალ გ. *კვინიტაძეს* საპასუხო ზომების მიღების დრო მისცა. 20 თებ., არმიისა და გვარდიის ნაწილების საერთო შეტევით ქართველებმა კოჯორი დაიბრუნეს და ფრონტის ხაზის მთლიანობა აღადგინეს. რუსებმა დაკარგეს 4 ქვემეხი, 15- მდე ტყვიამფრქვევი, ჯავშანავტომობილი. მოწინააღმდეგის ასამდე მეომარი ტყვედ ჩავარდა. 20–23 თებ. განმავლობაში სამხ. სკოლის მებრძოლები ურყევად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე. განსაკუთრებით მძიმე მომენტებში რეზერვში მყოფი იუნკრები კონტრიერიშით აღადგენდნენ საწყის მდგომარეობას. 24 თებ. დამხმარე ნაწილებით გაძლიერებული მე-11 არმია ფრონტის ყველა უბანზე გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ბაქოდან გადმოსროლილი წითელი კურსანტების აღმოსავლეთის



ი. კოჯიმა.



კოჯრის ციხე. XI–XVIII სს.



ბ. კრავეიშვილი.

ბრიგადა დარჩენილ იუნკრებს (მათ რიგებში მხოლოდ 85–90 ბრძოლისუნარიანი კაცი იყო დარჩენილი) ტაბახმელაში დაუპირისპირდა. რუსებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და ლეიტენანტ გ. ალექსი-მესხიშვილის ბატარეას შეუტიეს. ჯარისკაცები არ შედრკნენ და უთანასწორო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. რუსების შეტევა შეჩერდა. იუნკრებმა ზურგიდან შეუტიეს მტერს და უკუაქციეს. მტრის ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდებისას გმირულად დაეცა იუნკერი შ. ერისთავი. დღის ბოლომდე სამხ. სკოლამ რუსების ყველა იერიში მოიგერია და მხოლოდ უკან დახევის საერთო ბრძანების შემდეგ დატოვა პოზიციები. პ.-ტ. ბ-ში სამხ. სკოლამ 2 ოფიცერი და 10 იუნკერი დაკარგა, 7 ოფიცერი და 43 იუნკერი დაიჭრა; ნაცვალთა ათასეულმა დაჭრილ-დახოცილთა სახით შემადგენლობის დაახლ. 40 % დაკარგა.

იუნკრები (მ. შ. მ. *მაყაშვილი*) რუსთაველზე, დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილას მდებარე რუსული ეკლესიის (დაანგრიეს 1933) ეზოში დაკრძალეს. საქართველოს პარლამენტის შენობის ფასადზე არის მემორიალური დაფა, კოჯორში – მემორიალური ძეგლი.

ლიტ.: ბახტაძე მ., 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბ., 2013; კვინიტაძე გ., მოგონებები, ტ. 1–2, თბ., 2014; მაზნიაშვილი გ., მოგონებები, თბ., 1990; ჩხეიძე ა., სამხედრო სკოლა, პარიზი, 1933.

მ. წურწუმია.

კოჯრის კარი, კოჯრის კარი, შუა საუკუნეების თბილისის ერთ-ერთი კარიბჭე. დატანებული იყო კალის გალავნის დას. კედელში, დაახლ. იქ, სადაც ახლა კ. აფხაზის ქუჩა თავისუფლების მოედანს უერთდება. აქ იწყებოდა სოფ. კოჯრისკენ მიმავალი ,,კოჯრის გზა'' (აქედანვე მომდინარეობს სახელწ. ,,კოჯრის კარი''). მას ასევე ,,წავკისის კარს'', ,,ზემო კარს'' და ,,მაღლა კარსაც'' (რადგან სხვა კარიბჭეებზე მაღლა მდებარეობდა) უწოდებდნენ.

ჰ. ჰ-ს, ისე როგორც ქალაქის დანარჩენ 5 კარს, თავისი კოშკი ჰქონდა. იქ მცველთა რაზმი იდგა, რ-იც ამ კარს იცავდა. საღამოს, მწუხრის ზარების შემდეგ, კარი იკეტებოდა და გათენებამდე ქალაქში ვერავინ შედიოდა; მგზავრს მხოლოდ დღის სინათლეზე შეეძლო ქალაქში შესვლა, ჰ. ჰ. ქალაქის გალავანთან და დანარჩენ კარიბჭეებთან ერთად XIX ს. I ნახ-ში, რუსული მმართველობის დროს დაანგრიეს.

ლიტ.: თბილისის ისტორია I, თბ., 1990; კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985.

კოჯრის ქედი, თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოება, მდ-ების, ვერისა და ალგეთის წყალგამყოფი. დას-ით ებმის საყარაულოს ქედს, აღმ-ით – თელეთისას. იწყება სოფ. ტაბახმელის მიდამოებიდან (აღმ.) და გრძელდება მდ. კვესეთისწყლის (ვერის მარჯვ. შენაკადი) სათავემდე. სიმაღლე – 1514 *მ*-მდე. აგებულია ეოცენური და ტუფოგენური ქვიშაქვებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ფიქლებით. კალთები ძლიერ დანაწევრებულია. ჭარბობს მთატყის ლანდშაფტი. მოვაკებულ თხემზე შუაეოცენური ანდეზიტ-ბაზალტური ლავები კოშკის ან გუმბათისმაგვარ ფორმებს ქმნის. ქედის სამხრ. კალთაზეა მწვ. *აზეულა*. თხემურ ნაწილში გაშენებულია კურორტები – *კოჯორი* და *კიკეთი*, ჩრდ. კალთაზე – *წავკისი*, *შინდისი*, *კვესეთი*.

დ. უკლება.

კრაბე ნიკოლოზ კარლის ძე (20. VIII. 1814, ბოლნისი, – 3. I. 1876, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის კონტრადმირალი (1856), ვიცე-ადმირალი (1860), ფლოტის ადმირალი (1869). ყირიმის ომის (1853–56) მონაწილე, შავი ზღვის ესკადრის შტაბისა (1850–53) და საზღვაო სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი (1856), საქმეთა მმართველი (1860–76), სახელმწ. საბჭოს წევრი (1860-იდან). მისი სახელი ეწოდა კუნძულსა და მთას იაპონიის ზღვაში.

კრავეიშვილი ბათუ (ბართლომე) ირაკლის ძე (16. XII. 1914, სამტრედია, – 14. VI. 1970, თბილისი), მომღერალი (ბარიტონი), პედაგოგი, საქართვ. სახ. არტისტი (1950). 1935 დაამთავრა მოსკ. სამედიცინო ინ-ტი, 1937 – თბილ. კონსერვატორია (პროფ. ე. *ვრონსკის* კლასი). ამავე წლიდან იყო ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. 1939–41 გამოდიოდა მოსკ. დიდი თეატრის სცენაზე. აქ მან წარმატებით შეასრულა მურმანის (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), მაზეპას, ელეცკის (პ. ჩაიკოვსკის ,,მაზეპა'', ,,პიკის ქალი''), ჟერმონის (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'') პარტიები. 1941, თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი, მ. შ. კ., ევაკუირებული იყო თბილისში. ამ დროიდან სიცოცხლის ბოლომდე კვლავ თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში კ-მა შეასრულა ბარიტონის თითქმის ყველა წამყვანი პარტია ქართულ და საზღვარგარეთულ ოპერებში: კიაზო, მურმანი (ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,აბესალომ და ეთერი''), აბდუშახილი (ა. კერესელიძის ,,ბაში-აჩუკი''), გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), ელეცკი, ონეგინი, რობერტი (პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი'', ,,ევგენი ონეგინი'', ,,იოლანტა''), ჟერმონი, ამონასრო (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ,,აიდა''), თავადი იგორი (ი. ბოროდინის ,,თავადი იგორი'') და სხვ. კ-ს ჰქონდა ძლიერი, ლამაზი, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, არტისტული ტემპერამენტი, ბრწყინვალე სცენური გარეგნობა. გადაღებულია ფილმებში: ,,დაკარგული სამოთხე'' (რეჟ. დ. რონდელი, 1938), ,,ქეთო და კოტე'' (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, 1948). ეწეოდა წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას. 1958-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი. ავტორია წიგნისა ,,დაუვიწყარი'' (თბ., 1970). მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები.



კადრი ფილმიდან ,,ქეთო და კოტე''. მსახიობები: ბ. კრავეიშვილი – კოტე, მ. ჯაფარიძე – ქეთო. რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი. 1948.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: კრავეიშვილი გ., ქართული საოპერო ხელოვნების ვარსკვლავები ,,მუსიკა'' 2020, №4 (45); მჭედლიძე დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1968; ტორაძე გ., ჩემი უფროსი მეგობარი წგ: მუსიკის სამყაროში, თბ., 2010; *წულუკიძე* ა., ,,საქართველოს სახალხო არტისტი ბ. კრავეიშვილი წგ: დაუვიწყარი, თბ., 1970.

კრავიჭამია, იხ. *ბატკანძერი.*

კრაზანა (Hypericum), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებისა და ბუჩქბალახების გვარი კრაზანისებრთა ოჯახისა. 300-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებში, ძირითადად ხმელთაშუაზღვისპირეთში, აგრეთვე ტროპიკების მთებში. საქართველოში გვხვდება 19 სახეობა. ჩვეულებრივი კ. (H. perforatum) ფართოდ გავრცელებული მცენარეა. გვხვდება ბარიდან ალპურ სარტყლამდე. მის მიწისზედა ნაწილებს ახმობენ და ამზადებენ ნაყენს (შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებსა და ეთერზეთებს), რ-ებსაც იყენებენ მედიცინაში. კ-ის ზოგი სახეობა მომწამვლელია ცხვრისა და ცხენისათვის. მრავალი სახეობა გამოიყენება როგორც დეკორატიული მცენარე.

კრაზანები, ნესტრიანი სიფრიფანაფრთიანი მწერების (ფუტკრებისა და ჭიანჭველასებრთა გარდა) კრებითი სახელწოდება. კ-ებს მიაკუთვნებენ მბზინვარასებრნს, გზის კრაზანებს, მთხრელ კრაზანებს, კრაზანისებრებს, სკოლიასებრებსა და სხვ.

კრამიტი, გამომწვარი თიხის (თიხის კ.), ცემენტქვიშის ხსნარის (ცემენტის კ.) ან (იშვიათად) კირქვიშის ხსნარისაგან (სილიკატური კ.) დამზადებული ცალობითი საბურულე მასალა. ფორმისა და დაწნეხის მეთოდის მიხედვით კ. არის კილოებიანი (დაშტამპული და ლენტური) და ბრტყელი (ლენტური). კ-ს ქვემოდან უკეთებენ ხვრეტიან კოტას სახურავის ლარტყაზე მოსადებად და მისამაგრებლად. კ. ხანგამძლე და ცეცხლმედეგია. ამასთანავე, მცირეა მისი საექსპლუატაციო ხარჯი, მაგრამ სიმძიმის, სიმყიფის, ასევე სახურავის მკვეთრი დაქანების აუცილებლობის გამო აძვირებს სამშენებლო კონსტრუქციას.

ვარაუდობენ, რომ კ-ის დამზადება უძველესი დროიდან დაიწყო, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ში მისი წარმოება საბერძნეთში უკვე სავსებით ჩამოყალიბებული იყო. ერთდროულად იყენებდნენ 2 სახის კ-ს – ბრტყელსა და ღარისებრს. ბრტყელ, გვერდებაწეულ კ-ს გვერდიგვერდ აწყობდნენ სახურავზე, ყოველი ზედა რიგის ქვედა ბოლო გადადიოდა ქვედა რიგის კ-ზე, ღარისებრ კ-ს კი აფარებდნენ ბრტყელი კ-ის გვერდით წიბოებს. სახურავის კეხს ზოგჯერ სპეც. კეხის კ-ით ხურავდნენ. სახურავის ქვედა რიგის ღარისებრი კ-ის ქვედა ბოლოს ხშირად ჰქონდა დეკორ. რელიეფი, რ-საც ანტეფიქსს უწოდებდნენ. კ. საბერძნეთიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, განსაკუთრებით ელინისტურ ხანაში. ძვ. რომში შემოიღეს უფრო ეკონ. S-ებრი განივკვეთის კ.; ხმარობდნენ ღარისებრსაც, რ-საც სახურავზე წაღმა-უკუღმა აწყობდნენ. როგორც S-ებრი, ისე ღარისებრი კ. დას. ევროპაში ბოლო დრომდე შემორჩა, პირველი – ესპანური, ხოლო მეორე თურქული კ-ის სახელწოდებით. ორივე ტიპი გავრცელდა ამერიკაშიც.

ძვ. ჩინეთსა და იაპონიაში იმავე ტიპის კ. იყო გავრცელებული, როგორიც ძვ. საბერძნეთში, ოღონდ ჩინური და იაპონური კ. კაშკაშა ფერადი ჭიქურითაა დაფარული. ჩინეთში ტაძრებისათვის უპირატესად ყვითელ კ-ს იყენებდნენ, იაპონიის ბუდისტურ ტაძრებს კი ხურავდნენ რუხი ფერის კ-ით, რ-იც დაფარული იყო სპეც. საღებავით – ლუსტრით.

საქართველოში კ. გავრცელდა ძვ. წ. IV ს. ბოლოს შავიზღვისპირეთის ბერძნ. ახალშენებიდან. კ-ის ქართ. სახელწოდებაც ძვ. ბერძნულიდან მომდინარეობს (keramidos). ანტ. ხანის ქართ. (ე. წ. მცხეთური) კ. ბერძნ. პროტოტიპებისაგან განსხვავდება კონსტრუქციის ცალკეული დეტალებით, ნაწილობრივ დამზადების ტექნიკითაც. ანტ. ხანის საქართველოში კ. წითლად იყო შეღებილი. იბერიაში კრამიტის სახურავებიანი სახლების შესახებ ჯერ კიდევ ა. წ. I ს-ში ბერძენი გეოგრაფი *სტრაბონი* საუბრობს. უძველესი კ. აღმოჩნდა ვანში, სამადლოში, მცხეთაში. გვიანდ. ანტ. ხანაში მისი წარმოება ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. შუა საუკუნეებში კ-ის ტიპი არ შეცვლილა, თუმცა შეიცვალა მისი ფერადი (მწვანე, ცისფერი და სხვ.) ჭიქურით დაფარვის წესი. ასეთი კ-ით იხურებოდა საკულტო ნაგებობები, რაც დასტურდება ბაგინეთის, ვანისა და ურეკის არქეოლ. ძეგლებით. მოჭიქული კ-ით გაღახურული ყოფილა ალავერდის ტაძარი და ლურჯი მონასტერი. საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯვანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის კერამიკის ფონდში დაცულია სოფ. შრომიდან ჩამოტანილი ლურჯად მოჭიქული კ.

მოუჭიქავ კ-ებზე ზოგჯერ გვხვდება წარწერები, ზოგჯერ კი სხვადასხვა სახეა ამოტვიფრული. ხშირია რელიეფურგამოსახულებიანი და წარწერებიანი დეკორატიული ანტეფიქსები. შედარებით იშვიათად იყენებდნენ ღარისებრ კ-ებსაც, რ-ებსაც სახურავზე წაღმა-უკუღმა აწყობდნენ. ამ ტიპის კ. აღმ. საქართველოში დღესაც კახური კ-ის სახელწოდებითაა ცნობილი. მის პარალელურად ბოლო დრომდე გამოიყენება თევზის ქერცლის ფორმის ბრტყელი კ., რ-იც ქართული კ-ის სახელითაა ცნობილი. საქართველოში აწარმოებდნენ ,,ქსნურ კრამიტს'', რ-საც იტალიურ კ-საც უწოდებენ (საკრამიტე ქარხანა სოფ. ქსანში იტალიელს აუშენებია და სახელიც აქედან მომდინარეობს). სოფ. ქსანში დამზადებული კ. მთელ საქართველოში ვრცელდებოდა.



კრაზანა.

მეკრამიტეთა საქმიანობა თიხის გახმობა-დალბობით იწყება – დაზელილ თიხას აბრტყელებენ და მოსუფთავებულ სოხანეზე თხლად აკრავენ, გაბრტყელებული თიხის შუაგულში მარცხენა ფეხს დააბჯენენ, მარჯვენა ფეხის ქუსლის ცემით ირგვლივ შემოუვლიან, ქუსლითვე თიხას ანაწილებენ და შლამმოყრილ დაზგაზე გუნდებად აწყობენ, შემდეგ საკრამიტე მასას ხელით უხეშ მინარევებს აცილებენ. აქედან იწყება კ-ის მოჭრა ყალიბის საშუალებით. ყალიბში გამოყვანილი და ზედაპირგადასწორებული თიხა ე. წ. ქობუნაზე გადააქვთ, რის შემდეგაც გამოწვავენ.



კრაზანა.

XX ს. დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო ევროპული, ე. წ. მარსელური კ-ის ქარხნული წარმოება.

ლიტ.: ბოჭორიშვილი ლ., ქართული კერამიკა, ტ. 1- კახური, თბ., 1941; ბოხოჩაძე ა., რუსთაველის ეპოქის სამშენებლო კერამიკა ძველ საქართველოში, თბ., 1968; ზანდუკელი მ., ქართული კერამიკა, თბ., 1982.

ი. გაგოშიძე.
მ. ზანდუკელი.

კრამიტსამარხი, კრამიტისგან აგებული სამარხი. გავრცელებული იყო ანტიკურ სამყაროში ძვ. წ. III ს. – ახ. წ. III ს-ში. იშვიათად გვხვდება უფრო გვიანაც. დაკრძალვის ეს წესი ძვ. საბერძნეთიდან მომდინარეობს. ძვ. წ. III ს. კ-ები გათხრილია იონიის კ-ებზე. კ-ში დაკრძალვის წესი ელინისტურ ხანაშივე გავრცელდა მცირე აზიაში, ძვ. წ. I ს. დასასრულიდან კი – საქართველოშიც. I–III სს-ში მცხეთასა და მის მიდამოებში



ა. კრასნოვი.



ვ. კრატასიუკი.

ჰ. სამარხთა ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი იყო. ჰ-ის ასაგებად იყენებდნენ ანტ. ხანის მცხეთურ კრამიტს (ბრტყელს და ღარისებრს, ხანდახან კეხის კრამიტსაც). ჰ-ს სახურავი ბანური ან ორფერდა ჰქონდა. განკუთვნილი იყო თითო მიცვალებულისთვის. გვხვდება წყვილის დაკრძალვის შემთხვევაც. ძვ. წ. I ს-ში ხელფეხმოკეცილ მიცვალებულს აწვენდნენ გვერდზე, შემდგომ – ზურგზე გაშოტილს თავით დას-კენ. ჰ-ების ინვენტარი მრავალფეროვანია (თიხის ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლები, ბეჭდები, საყურეები, მინისა და ქვის მძივები და სხვ.). გვხვდება როგორც განსაკუთრებით მდიდრული (მინისა და ბრინჯაოს ჭურჭელი, ოქროსთვლებიანი დიადემები, ბეჭდები, საყურეები და სხვ.), ისე მცირეინვენტარიანი სამარხები.

ლიტ.: აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგ.] 1, თბ., 1963.

ი. გაგოშიძე.

კრასნოგორსკი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. სათაფლეს სახელწოდება 2012-მდე.

კრასნოვი ანდრეი ნიკოლოზის ძე [27. X (8. XI), 1862, პეტერბურგი, – 19. XII. 1914 (1. I. 1915), თბილისი], რუსი ბოტანიკოსი, ნიადაგმცოდნე, გეოგრაფი, პალეობოტანიკოსი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი და დირექტორი (1912–14, დაკრძალულია იქვე). რუსეთში გეოგრაფიის პირველი დოქტორი, რ-მაც დისერტაცია საჯაროდ დაიცვა (1894, მოსკოვის უნ-ტი). ხარკოვის უნ-ტის ფიზ. გეოგრაფიისა და ანთროპოგეოგრაფიის კათედრის დამაარსებელი და პროფესორი (1889–1911). ჰ-ის ძირითად შრომებში ასახულია შუა აზიის, ჩრდ. ნახევარსფეროს ველების, აზიის სუბტროპ. მეჩაიეობის რ-ნების მცენარეულობა და მათი ისტ. განვითარება. ჰ. კავკასიაში სუბტროპიკული მიწათმოქმედების, ჩაისა და ციტრუსების კულტურების გაშენების ერთ-ერთი პიონერია. მან ხელი შეუწყო ბათუმის ოლქში ჩაის კულტურის დანერგვას. სტუდენტებთან ერთად იმოგზაურა სვანეთში (1890). მონაწილეობდა არაერთ ექსპედიციაში – ტიან-შანში, ჩრდ. ამერიკაში, აღმოსავლეთისა და სამხრ. აზიის ქვეყნებში (იაპონია, ჩინეთი, იავა, ინდოეთი, ცეილონი).

თხზ.: География растений, Харьков., 1899.

ლიტ.: Бейлин И. Г., Парнес В. А., Андрей Николаевич Краснов, М., 1968.

კრასუსის ლაშქრობა იბერიაში, რომაელთა ლაშქრობა იბერიაში ძვ. წ. 36, პუბლიუს კანიდიუს კრასუსის (რომის აღმ. პროვინციების გამგებელი), სარდლობით. კრასუსი შეიჭრა იბერიაში, დაამარცხა ამ ქვეყნის მეფე ფარნავაზ II, მოკავშირედ გაიხადა იგი და თავს დაესხა ალბანეთს. მოკავშირეებმა დაამარცხეს ალბანეთის მეფე ზობერი. ჰ. ლ. ი-სა და ალბანეთში წინ უსწრებდა რომაელთა ომს პართიის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ზურგის წინასწარ გამაგრებას. კრასუსის ლაშქრობათა შედეგად კონტროლიდან თითქმის გასულმა სამხრ. კავკასიის ქვეყნებმა კვლავ აღიარეს რომის უზენაესობა.

წყარო: დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოურის გამოც., თბ., 1966.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997.

კრატასიუკი ვიქტორ ივანეს ძე (30. I. 1949, ფოთი, – 18. III. 2003, იქვე). სპორტსმენი (ნიჩბოსნობა, ბაიდარა). XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1971–72 – ორადგილიანი ბაიდარა) და მესამე პრიზიორი (1971 – ოთხმოსასმელიანი ბაიდარა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1972). დაამთავრა საქართვ. სახელმწ. ფიზ. კულტურის ინ-ტი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

კრატერი [ძვ. ბერძნ. (keranny-mi) – ვაზავებ], ანტიკურ საბერძნეთში ლითონის ან თიხისაგან დამზადებული დიდი ზომის ფართოპირიანი ორყურა ჭურჭელი განიერი ტანითა და ქუსლით. განკუთვნილი იყო ღვინის წყლით გასაზავებლად. არსებობს ჰ-ის 4 ძირითადი ტიპი: ზარისებრი – აქვს ამოტრიალებული ზარის ფორმის ტანი; ჯამისებრი – ჯამის ფორმის ტანითა და მაღალი ყელით; ვოლუტისებურყურიანი და სვეტისებურყურიანი – მათ პირსა და მხარზე დაძერწილია შესაბამისი ფორმის ორ-ორი ყური. თიხის ჰ-ები მოხატულია, ლითონისა კი – რელიეფებით შემკული. ორივე შემთხვევაში წამყვანია სიუჟეტები ბერძ. მითოლოგიიდან, თეატრ. და სპორტული ღონისძიებებიდან, აგრეთვე გამოსახულია ყოფითი ცხოვრების ამსახველი სცენები.

ტრადიციულად, ანტ. საბერძნეთში ღვინოს წყლით აზავებდნენ: გაუზავებელი ღვინის დალევა ლოთობად და მიუღებელ საქციელად მიიჩნეოდა. გაზავება ხდებოდა ჰ-ში, რ-იც, ძირითადად, სასადილო ოთახის ცენტრში იდგა. როდესაც წინ ხანგრძლივი საუბარი ელოდათ, ღვინოს 1:3, ხოლო სადღესასწაულო და სამხიარულო სუფრის შემთხვევაში 1:2 პროპორციით აზავებდნენ.

საქართველოში ჰ-ის ნიმუშები აღმოჩენილია ფიჭვნარსა (ქობულეთი) და გიენოსში (ოჩამჩირე). ფიჭვნარში ნაპოვნია ადრეკლასიკური ხანის წითელფიგურებიანი ჯამისებრი ჰ., რ-საც აქვს შედარებით პატარა მოცულობის ტანი, სუსტად გამოყოფილი, მხრებიდან აზიდული ყურები, მაღალი, გაშლილი ყელი და ფართო ლილვისებური გვირგვინით დასრულებული პირი. პირი შემკულია ვოლუტებიანი პალმეტებისა და ლოტოსის ყვავილების ჰორიზონტალური ზოლით, ყელი კი დაფარულია ორფრიზიანი მხატვრობით. ზედა ფრიზის წინა მხარეს თეზევსის მიერ ელენეს მოტაცების სცენაა აღბეჭდილი, უკანა მხარეს კი – სასიყვარულო მიდევნება – ფრთოსანი ქალღმერთი ეოსი მისდევს ჩანგიან ჭაბუკ კეფალოსს. ფიჭვნარის წითელფიგურული ჰ-ის ქვედა ფრიზის წინა მხარეს ამშვენებს მითი ტრიპტოლემოსის, დემეტრესა და პერსეფონეს შესახებ, ხოლო ფრიზის უკანა მხარეს გამოსახული არიან ტახტზე წამოწოლილი მამაკაცები და მათი გამრთობი ქალები. გიენოსში აღმოჩენილი ჰ. ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მათზე კარგად იკითხება დიონისეს გამოსახულება



წითელფიგურებიანი კრატერი. ძვ. წ. V ს. ქობულეთი. ფიჭვნარი.

მხლებლებთან ერთად მტევნებიანი ვაზის ლერწმის ფონზე.

ლიტ.: კახიძე ა., ანტიკური მონუმენტური ვაზათმომხატველობის ნიმუშები ფიჭვნარიდან (წითელფიგურული კრატერი), ,,ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები'', №6, ბათ., 2015; Rolleston J. D., Alcoholism in classical antiquity. Br J Inebriety 1927, p. 24.

ს. ბუგიანიშვილი.

კრაწაშვილი ზაქარია (ზაქრო) იოსების ძე (17. XII.1918, სიღნაღი, – 31. VIII. 1999, თბილისი), მოქანდაკე. საქართვ. დამს. მხატვარი (1980). 1937–42 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკტზე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1949-იდან. ძირითადი ნამუშევრები ,,ვერიკო



ზ. კრაწაშვილი, ,,სერგო ზაქარიაძე''. 1958.

ანჯაფარიძე'' (1951); ,,მშენებელი ქალი'' (1959); ,,ევროპის ჩემპიონი ელენე გოკიელი'' (1960); ,,სანდრო შანშიაშვილი'' (1961, ბიუსტი); ,,ავლიპი ზურაბაშვილი'' (1960); ,,სიმონ ყაუხჩიშვილი'' (1970, ბიუსტი, მარმარილო); მ. გორკის ძეგლი ფასანაურში (1981, ბრინჯაო); ,,გარდაქმნა'', ,,თავისუფლება'', ,,თეთრი ზოლი'', ,,სამყარო'', ,,ბედნიერი'', ,,მზისაკენ'' (1990–98; ყველა ნამუშევარი შესრულებულია ხეზე) და სხვ. 1950-იდან პედაგოგად მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში (ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე). იყო საქართვ. დამს. პედაგოგი (1970). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

კრახუნა, ქართული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. გავრცელებულია დას. საქართველოში, იმერეთში. საშ. მოსავლიანობა 8–10 ც/ჰა; მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში; ყურძნის წვენის შაქრიანობა 21–24%. შეტანილია საქართვ. სამრეწვ. ვაზის ჯიშთა სორტიმენტში. კ-გან მზადდება მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო. ჯიშის მცირედ გავრცელების გამო მისგან სუფთა ჯიშურ ღვინოს არ ამზადებენ და სამარკო ღვინის კუპაჟში იყენებენ.

ვ. გოცირიძე.

კრებიიონი (Crebillon) პროსპერ (Jolyot) ჟოლიო (13. II. 1674, დიჟონი, – 17. VI. 1762, პარიზი), ფრანგი დრამატურგი. საფრ. აკად. წევრი 1731-იდან, ფრანგ. კლასიციზმის უკანასკნელი პერიოდის აზნაურულ-ეპიგონური ფრთის წარმომადგენელი. იგი გამოხატავდა არისტოკრატ. საზ-ბის განწყობილებას მისი ზნეობრივი საფუძვლების შერყევის ხანაში. კ-ის პიესებია: ,,ბრუტუსის ბავშვების სიკვდილი'', ,,იდომენე'' (ორივე 1705), ,,ატრევსი და თიესტე'' (1707), ,,ელექტრა'' (1708), ,,რადამისტი და ზნეობა'' (1711), ,,სემირამიდა'' (1717) და სხვ.

ტრაგედიას ,,რადამისტი და ზენობია'' საფუძვლად უდევს ძვ. საქართვ. და სომხ. ისტ. სიუჟეტი. მას ასახულია I ს. იბერიის დედაქალაქში, ფარსმანის სასახლეში მომხდარი ტრაგედია. ავტორი იყენებს ანტ., კერძოდ, ტაციტუსის წყაროებს. მართალია, ისტ. ფაქტი ხშირად მოკლებულია სიზუსტეს, მაგრამ საინტერესოდაა წარმოსახული ძლიერი, უშიშარი, მედგარი მებრძოლი, ,,იბერიის დიდებული მეფე'' ფარსმანი. საინტერესოა სომხ. მეფე მითრიდატეს სახეც. პიესაში მეტი ყურადღება ეთმობა პირად დრამას – ქართვ. ქალ-ვაჟის ტრაგიკული სიყვარულის ამბავს; გრძნობას უპირისპირდება სამშობლოს წინაშე მოვალეობა, რ-საც უპირატესობა ენიჭება. გონება იმარჯვებს გრძნობაზე. პიესა საკმაოდ პოპულარული იყო საფრანგეთსა და მის საზღვრებს გარეთაც. იგი ,,კომედი ფრანსეზის'' სცენაზე წარმატებით იდგმებოდა ს.-ს. ორბელიანის პარიზში ყოფნის დროსაც. უკანასკნელად დაიდგა 1829. პიესამ ინტერესი აღძრა როგორც მასში დამუშავებული თემის, ისე ტაციტუსის მასალებისადმი. 1720 ინგლისში დაიდგა ჰენდელის ოპერა ,,რადამისტი''. ა. გრიბოედოვიც წერდა დრამას ,,რადამისტი და ზენობია'', რ-იც დაუმთავრებელი დარჩა.

ლიტ.: გვახარია გ., ჟ. პ. დე კრებიიონის ტრაგედია ქართულ სიუჟეტზე, «ლიტერატურული გაზეთი», 1955, 9



კრახუნა.

სექტ. №36; ტაბაღუა ი., სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში, ,,მაცნე'', 1965, №3; ფანჩულიძე დ., ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969; ფაღავა ა., ფრანგი დრამატურგის პიესა საქართველოზე, «ლიტერატურა და ხელოვნება», 1944, №12; Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII вв., Тб., 1965.

დ. ფანჩულიძე.

,,კრებული'', ქართული ყოველთვიური ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა 1871–73 თბილისში. დაარსდა ნ. ნიკოლაძის ინიციატივით. ,,კ-ში'' ქვეყნდებოდა ნ. ნიკოლაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, გ. ერისთავის, რ. ერისთავის, გ. ორბელიანის, ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ჭალადიდელის, პ. უმიკაშვილის, ა. ფურცელაძის და სხვათა ნაწარმოებები, ასევე ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ნ. დობროლიუბოვის, ჯ. სვიფტის, პ. ჰაინეს, ი. გოეთეს, უ. მოლიერის, უ. შექსპირისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები. რედაქტორი – გ. წერეთელი.

ი. ლორთქიფანიძე.

კრედიტი საბანკო (ლათ. creditum – ვალი), ფულის სესხად გაცემის ვალდებულება. კ. ბანკებსა და მსესხებლებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე ეძლევათ ფიზ. და იურიდ. პირებს გარკვეული ხარჯების გასაწევად და უბრუნდება გამსესხებელს მასზე დარიცხულ პროცენტთან ერთად. მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს თანხა განსაზღვრულ ვადაში.

საბანკო კ. დამოკიდებულია მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის უნარზე და საბანკო დაწესებულებაში არსებული კ-ის მთლიან

ოდენობაზე. ბანკი სესხს გასცემს მსესხებლის შემოსავლის, გირაოს, აქტივებისა და არსებული დავალიანების შეფასების საფუძველზე, არსებითად კი – სესხისა და შემოსავლის რაციონალური თანაფარდობის მიხედვით. არსებობს ბანკების მიერ შექმნილი კ-ის ორი ძირითადი ფორმა: **არაუზრუნველყოფილი კ.**, როგორიცაა სამომხმარებლო საკრედიტო ბარათები და მცირე არაუზრუნველყოფილი სესხები, და **უზრუნველყოფილი** (გირაოთი გამყარებული) კ., რ-იც უზრუნველყოფილია საქონლით, ფასიანი ქაღალდით, თამასუქით, უძრავი ქონებით, სასაქონლო დოკუმენტებით, ოქროთი ან სხვა ფასეულობით ფულის შეძენისას.

საბანკო კ. ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს **მოკლევადიანი** – 1 წლამდე, რ-საც ძირითადად მცირე ბიზნესი იყენებს; **საშუალოვადიანი** – 5 წლამდე და **გრძელვადიანი**, რ-იც 5 წელზე მეტი ვადით გაიცემა (ძირითადად მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში და ტექნოლოგიების შესაქმნელად). მიზნების შესაბამისად არსებობს კ-ის შემდეგი სახეები: **იპოთეკური კ.** – უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კ., რ-იც გაიცემა სახლების, ბინების, კომერციული სტრუქტურებისა და უცხ. ქონების შეძენის დასაფინანსებლად; იპოთეკური კ-ის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს აქვს არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება; **სამომხმარებლო კ.** – სამომხმარებლო საქონლის (ძირითადად გრძელვადიანი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკის, წვრილმანი საოჯახო ნივთების, ყოველდღიური მოხმარების საგნების, მოგზაურობის და სხვ.) შესაძენად ან მომსახურების ასანაზღაურებლად გადაცემული სესხი. სამომხმარებლო სესხი, როგორც წესი, მოკლევადიანია და, შესაბამისად, ყველაზე ძვირი სხვა სესხებთან შედარებით. სესხის დასაფარავი თანხის დაგვიანებით შეტანის შემთხვევაში მოვალის მიერ შეძენილი საქონელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება, შეტანილი თანხა კი მხოლოდ ნაწილობრივ უბრუნდება მყიდველს. საპროცენტო განაკვეთი ძირითადად დამოკიდებულია სესხის ვადაზე, მოცულობასა და მსესხებლის შემოსავალზე. სამომხმარებლო ტიპის კ. არის განვადებითი კ., რ-საც ბანკიდან ფიქსირებული თანხის სახით იღებს მომხმარებელი სავაჭრო ობიექტში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად. განვადებითი სესხი მოიცავს ასევე სტუდენტურ და პირად სესხებს, იპოთეკურ სესხს. ავტოსესხს. ჩვეულებრივი სამომხმარებლო სესხისგან განსხვავებით განვადებას აქვს კონკრეტული მიზნობრიობა. როგორც წესი, განვადების გაფორმება შესაძლებელია მომენტალურად, უშუალოდ გარიგების ობიექტში.

სამომხმარებლო საკრედიტო ბარათი არის ორი საბანკო პროდუქტის – პლასტ. ბარათისა და სამომხმარებლო სესხის – სინთეზი, რ-იც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საბანკო კ-ით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება სავაჭრო ობიექტში, ინტერნეტით, და/ან გაანაღდოს კ-ის თანხა. საკრედიტო ბარათის მსგავსია **ოვერდრაფტი** – მოკლევადიანი სესხი, რ-იც მომხმარებელს აძლევს საშუალებას გამოიყენოს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე რეალურად აქვს განთავსებული მიმდინარე ანგარიშზე. ოვერდრაფტის მაქს. თანხა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლის შესაბამისად. საკრედიტო ბარათისაგან განსხვავებით ოვერდრაფტი ჩვეულებრივ, მიბმულია მომხმარებლის ხელფასზე.

ბანკის მიერ გაცემული კრედიტების ერთობლიობა ფორმირდება საკრედიტო პორტფელის სახით. საკრედიტო პორტფელში იგულისხმება „პრობლემურობის“, რისკიანობის, საკრედიტო საქმიანობის, ეფექტიანობის, ბრუნვადობისა და საკრედიტო დაბანდებათა უზრუნველყოფის კომპლ. ერთობლიობა. ყველა ბანკი აწესებს მკაცრ კონტროლს საკრედიტო პორტფელის ხარისხზე.

კ-ის განაკვეთის ფორმირების ამოსავალი პირობაა ეროვნ. ბანკის მიერ დაწესებული რეფინანსირების განაკვეთი (საბაზო საპროცენტო განაკვეთი, მთავარი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი). რეფინანსირების სესხი მოკლევადიანია, რ-საც ეროვნ. ბანკი გასცემს კომერციული ბანკებისთვის, ხოლო ბანკების მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთი რეფინანსირების განაკვეთზე მეტია.

საქართველოში ძველად კ-ის გავრცელებული ფორმა იყო მევახშეობა. XIX ს. დასაწყისში დაარსდა სახელმწ. საკრედიტო ორგანიზაცია „პრიკაზი“, რ-იც უძრავი ქონების უზრუნველყოფით, სესხად გაცემული ფულისათვის ღებულობდა წლიურ სარგებელს 6%-ის ოდენობით. „პრიკაზი“ ვაჭრობისა და მრეწვ. განვითარებას ემსახურებოდა, იგი თბილ. და ქუთ. გუბერნიებში იპოთეკური დაკრედიტების უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციაც იყო. XIX ს. 90-იან წლებში თავადაზნაურობის მთელი ადგილ-მამულების მეოთხედზე მეტი „პრიკაზში“ იყო დაგირავებული. 1875 (დ. ყიფიანის თაოსნობით) დაფუძნდა იპოთეკური ტიპის ბანკი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, რ-საც 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ი. ჭავჭავაძე. გრძელვადიანი სესხი გაიცემოდა 43 წლითა და 6 თვით სოფლის მამულებისათვის, ხოლო 27 წლით და 6 თვით – ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემოდა 1-იდან 3 წლამდე ნაღდი ფულის სახით. საადგილმამულო ბანკმა იარსება 1909-მდე.

საბჭ. პერიოდში განვითარდა სახელმწ. ბანკები, რ-ებიც სესხებს გასცემდნენ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. XX ს. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა კომერციული ბანკები, რ-ებიც ფულად-საკრედიტო სისტემის ხერხემალს წარმოადგენენ და ახორციელებენ სამრეწვ., სავაჭრო, სამშენებლო, სატრანსპ. და სხვა საწარმოებისა და ფირმების, ასევე საოჯახო მეურნეობების დაკრედიტებას.

საქართველოში საბანკო კ-ები სწრაფად იზრდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) შედარებით. თუ 2000 წლის დასაწყისში იგი 7%-ს შეადგენდა, 20 წლის განმავლობაში 10-ჯერ გაიზარდა და 2021 წლის ბოლოს მშპ-ის 71,4% შეადგინა. აქედან 1/3-ზე ცოტა მეტი საცხოვრ. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებია, ხოლო ცოტა ნაკლები – კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები. კ-ების სტრუქტურაში 90% გრძელვადიანი კ-ია, რ-ის თითქმის ნახევი (45 %) უცხ. ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში უცხ. ვალუტით გაცემული სესხების წილი უმნიშვნელოა 4,1%). კომერ-

ციული ბანკების მიერ შინამეურნეობებზე გაცემულმა სამომხმარებლო სესხებმა – მთლიანი სესხების 32,6%, ხოლო საკრედიტო სტრუქტურაში ეკონ. დარგების მიხედვით გაცემული სესხების 10%-ზე მეტი მოდის მრეწველობაზე, შემდეგ ვაჭრობასა და სხვა დარგებზე. 2021 წ. სესხების საშ. წლიური განაკვეთი ეროვნ. ვალუტაში საშუალოდ შეადგენდა 11%-ს, აქედან მოკლევადიანი სესხების – 13%-ს, გრძელვადიანი სესხები კი – 10%-ს. უცხ. ვალუტაში საშ. საპროცენტო განაკვეთი იყო 7%. საქართველოში საშ. საკრედიტო განაკვეთები მაღალია. ევროკავშირის ქვეყნებში ევრ. ცენტრ. ბანკის მიერ გაცემული პ-ების საშ. მაჩვენებელი 0%- ის ფარგლებშია. საქართველოში გატარებული საბანკო რეფორმების შედეგად და უცხ. ვალუტაში პ-ების გაცემის შეზღუდვის შედეგად სესხების ლარიზაციის მაჩვენებელი გაიზარდა. 2021 წლის ბოლოს ლარში გაცემული სესხები შეადგენდა სულ გაცემული სესხების 49,2%-ს. პ-ების ლარში გაცემის ტენდენცია ცვალებადია როგორც გლობალური ფინანს. რყევების და საქართვ. ძირითადი სავაჭრო ქვეყნების ეკონ. მდგომარეობის, ასევე პოლიტ. და მაკროეკონ. ცვლილებების გამო.

ლიტ.: ასათიანი ი., ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი, თბ., 1994. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", თბ., 1996; საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, იქვე, თბ., 2009.

მ. თოქმაზიშვილი.

კრეპსი ბორის მიხეილის ძე (20. IX. 1913, თბილისი, – 21. XII. 1982, იქვე), კინოოპერატორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1930-იდან მუშაობდა საქართვ. ,,სახკინმრეწვში" მემონტაჟედ, ოპერატორის ასისტენტად. 1935 დაამთავრა კინოსტუდიასთან არსებული კინოსაოპერატორო კურსები. II მსოფლიო ომის დროს აშუქებდა ფრონტის ამბებს. 1935–75 საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში ოპერატორთა ჯგუფთან ერთად გადაიღო ფილმები: ,,ბასკები თბილისში" (1937, რეჟ. ა. დანელიანი), ,,შოთა რუსთაველი" (1938, რეჟ. შ. ჩაგუნავა), ,,დიადი აღრიცხვა" (1939, რეჟ-ები: ი. კანდელაკი, შ. მარტაშვილი), ,,საქართველოს ბუნების ძეგლები და ნაკრძალები" (1950, რეჟ. შ. მარტაშვილი), ,,ჩვენი სასახლე" (1953, რეჟ-ები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე), ,,ფიროსმანი" (1960, რეჟ. გ. შენგელაია), ,,გრიბოედოვი საქართველოში" (1966, რეჟ-ები: დ. აბაშიძე, ნ. ჟუჟუნაძე), ,,კიბერნეტიკა მედიცინაში" (1970, რეჟ-ები: დ. აბაშიძე, ნ. ჟუჟუნაძე) და სხვ. 1936-იდან მონაწილეობდა საქართვ. ალპური კლუბის ექსპედიციებში, რის შესახებაც გადაიღო ფილმები: ,,უშბა" (1946, რეჟ. ვ. ვალიშვილი), ,,ყაზბეგი" (1948, რეჟ. ვ. ვალიშვილი), ,,გმირული ტრავერსი" (1950, რეჟ. შ. მანაგაძე), ,,პამირის მწვერვალთა დამპყრობნი" (1955, ი. ამასიისკისთან ერთად, რეჟ. ზ. გუდავაძე), ,,მონტევიდეოს დღიური" (1962), ,,მყინვართა ცხოვრება" (1964, რეჟ. ო. ჭიაურელი), ,,ჭიდილი კლდესთან" (1965, რეჟ-ები: თ. ნოზაძე, ლ. ცინცაძე), ,,კლდის ვეფხვი" (1968, რეჟ. ო. გურგენიძე) და სხვ.

მ. კერესელიძე.

კრესენშტაინი კრეს ფონ (Kressenstein) ფრიდრიხ ზიგმუნდ გეორგ ფრაიჰერ (24. IV. 1870, ნიურნბერგი, – 16. I. 1948, მიუნხენი), გერმანელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი. არტილერიის გენერალი (1928). I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სპეციალური სამხ. მისიით გაგზავნეს ოსმალეთში. იყო მე-8 თურქული არმიის სარდალი – ობერსლეიტენანტი. 1916–17 პ. ხელმძღვანელობდა თავდაცვით ბრძოლებს ინგლისელთა წინააღმდეგ სინაის ნ/კ-ზე, ღაზასთან და პალესტინაში. 1918 მაისში მას გენ.-მაიორის წოდება მიენიჭა. 1918–19 სათავეში ედგა გერმანიის იმპერიის დიპლ. და სამხ. მისიას კავკასიაში (რეზიდენცია – თბილისში). მან ხელი შეუწყო კავკასიაში გერმანული გავლენის გავრცელებას და საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის დაახლოებას გერმ. იმპერიასთან. ომის დამთავრების შემდეგ პ. დაბრუნდა გერმანიაში და განაგრძო ბავარიის სამხ. ძალებში სამსახური. 1924 მიიღო გენ.-ლეიტენანტის წოდება. საქართვ. ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველ შეხვედრაზე პ-მა განაცხადა: ,,კავკასიის უძველეს მიწაზე ჩვენ მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა". ოპოზიციის შესახებ კი, რ-იც უცხო ძალის გამოყენებით არსებული პოლიტ. რეჟიმის შეცვლას ცდილობდა, წერდა: ,,ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას". იგი ურჩევდა ოპოზიციას, რომ ,,საქართველოს საშინაო პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება ევოლუციისა და არა რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი". პ. მოხსენებით ბარათში თავის მთავრობას სთავაზობდა: ,,ხალხმა რომ დაინახოს, გერმანია მხოლოდ ერთი – თვითმმართველი პარტიის მხარეზე არა დგას და სურს დაეხმაროს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს, სასურველი იქნება ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა მსგავსად, გერმანული ორდენებით ოპოზიციის ლიდერებიც დავაჯილდოვოთ". პ-ს უარყოფითი აზრი ჰქონდა სახალხო გვარდიასთან დაკავშირებით. იგი მიაჩნდა რევოლუციური ჯარის ყველაზე უარეს ფორმად. აფხაზებთან საქართვ. ხელისუფლების ურთიერთობაზე პ. წერდა: ,,აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა მიმართა თურქეთს დახმარებისათვის".



ბ. კრეპსი.

საგულისხმოა ისიც, რომ პ-ის ცნობით, გერმანიამ თავისი ჯარების საქართველოდან გაყვანის წინ მძიმე შეიარაღება და ცხენები ქართველებს გადასცა. 1929 თადარიგში გავიდა. დაწერა მემუარები ,,ჩემი მისია კავკასიაში".

თხზ: ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნ. მუშკუდიანმა, ქუთ., 2002.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–21), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997; ჯანელიძე ო., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018.

ლ. მანიავა.

კრიალოსანა (Hedysarum), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახები და ბუჩქბალახებია. მტევნისებრ ყვავილედებში თავმოყრილია მეტწილად ვარდისფერი, მეწამული და იისფერი ყვავილები. ნაყოფი კრიალოსნისებრი პარკია. 150-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის



კრიალოსანა.

ზომიერი, იშვიათად არქტიკული ჰავის პირობებში, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში.

საქართველოში გვხვდება 7 სახეობა. იზრდება მთისწინეთიდან ალპურ სარტყლამდე მეჩხერ ტყესა და ველზე, ტყის სარტყლის ველობებზე, ალპურ და სუბალპურ მდელოებზე, უფრო მეტად მშრალ, ქვიან ფერდობებსა და მერგელურ ჩამონაზვავებზე. საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კავკასიური კ. (H. caucasicum).

კრიმი, სპორტის სახეობა, ორ სპორტსმენს შორის მუშტით ბრძოლა სპეციალური ხელთათმნითა და განსაკუთრებული წესების დაცვით. განვითარდა მუშტი-კრივიდან, რ-იც ცნობილი იყო 5000 წლის წინ შუმერში, ეგვიპტესა და ბაბილონში. ანტ. საბერძნეთში კ. შედიოდა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. კ-ის წესები (უხელთათმნოდ) შეიმუშავეს XVIII ს. ინგლისში, 1867 იქვე დამტკიცდა ხელთათმნებით კ-ის პირველი წესები, რ-იც ცნობილია მარკიზ ქუინსბერის წესების სახელით.

სამოყვარულო კ-ში (AIBA - Amateur International Boxing Assotiation) ორთაბრძოლა ტარდება რინგზე სამ 3-წუთიან რაუნდად 240-300-გრამიანი რბილი ხელთათმნებით. მოკრივეს აცვია მაისური და ახურავს დამცავი მუზარადი. რაუნდებს შორის ერთწუთიანი შესვენებაა. გამარჯვებულად ცხადდება მოკრივე, რ-იც მოაგროვებს



კრივი.

მეტ ქულას, მოიგებს ნოკაუტით ან მოწინააღმდეგე უარს იტყვის ბრძოლის გაგრძელებაზე. აკრძალულია დარტყმა წელსქვევით, კეფასა და ზურგში, ასევე თავის ან ფეხის დარტყმა. ბრძოლას სჯიან რეფერი (მსაჯი რინგზე) და 3–5 მსაჯი რინგის გარეთ. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

არსებობს პროფესიულ მოკრივეთა სამი ძირითადი ფედერაცია – WBS, WBA და IBF. რაუნდების რაოდენობა 10–12-ია, მაისურის და დამცავი მუზარადის გამოყენება აკრძალულია, ხელთათმანი კი უფრო პატარაა.

XX ს. 20-იან წლებში საქართველოში გავრცელდა თანამედროვე კ., რ-ის დასაწყისადაც 1923 თბილისში ჩატარებული მ. ჭიჭინაძისა და კ. ჟიგაჩოვის შეხვედრა ითვლება (სსრკ-ში შეჯიბრება ტარდებოდა სამოყვარულო წესებით, საერთაშ. სარბიელზეც მხოლოდ ამ ტიპის შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ). ქართული კრივის პიონერები არიან პ. მარღანიძე (საზ-ბა ,,შევარდენის'' ძალოსნების სექციის ხელმძღვ.), გ. ბერიძე, ა. კრონე, ზ. მამამთავრიშვილი, გ. ხატიაშვილი, ვ. ხუციშვილი, გ. დარახველიძე, მ. კოვტუნი და სხვ.

1945 საქართველოს ნაკრები გახდა სსრკ ჩემპიონი (ბ. კალაძე, ე. მესიანი, ე. არისტაკოვი, გ. ვართანოვი, შ. *გორგასლიძე*, ბ. მელაძე, შ. დვალი, ლ. *ღუდუშაური*, ა. ნავასარდოვი, მწვრთნელი ა. გოლდშტეინი). სსრკ ჩემპიონები არიან გ. ვართანოვი (1938–40), შ. გორგასლიძე, ა. ნავასარდოვი (1944), ლ. ღუდუშაური (1945), გ. ხანუკაშვილი (1948), დ. *კვაჭაძე* (1976– 77, 1980), ა. ხიზანიშვილი (1980), რ. ფალიანი. 1977 ევროპის ჩემპიონი გახდა დ. კვაჭაძე. საქართვ. კრივის ფედერაცია დაარსდა 1991, რ-იც AIBA-ს წევრია 1992-იდან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ევროპის (1993) მსოფლიოს (1997) ჩემპიონი გახდა გ. კანდელაკი, რ-იც ასევე მსოფლიოს ჩემპიონია პროფესიონალებში WBU-ს ვერსიით (2002–04). რ. ფალიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე (1992), აგრეთვე არის ევროპის სამგზის (1996, 1998, 2000) და მსოფლიოს (2001) ჩემპიონი. მან 2002 პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოიპოვა ჩემპიონის ქამარი (ABF ვერსიით). ნ. სეხნიაშვილი ასპარეზობს პროფესიონალურ კრივში 2018-იდან, რ-მაც სადებიუტო ბრძოლაში ნოკაუტით დაამარცხა ე. გეითსი (2019). დღეისათვის ჩატარებული 7 ბრძოლიდან 5 ნოკაუტით მოიგო. კ. გოგოლაძე გახდა ევროპის თასის მფლობელი (1998), 1999 გადავიდა პროფესიონალურ კრივში, სადაც გამართა 18 ბრძოლა, აქედან 17 მოიგო (7-ნოკაუტით) და 1 ბრძოლაში დამარცხდა.

2017-იდან თბილისში იმართება დ. კვაჭაძის სახ. საერთაშ. ტურნირი, რ-იც ,,ბ'' კატეგორიისა და შეტანილია ევროპის კრივის ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში. ა. ხუნჯუა ქალებში (22-წლამდელთა შორის) ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა (2019).

კრიმანჭული, თავისებურად მიმოქცეული, წვრილი, მაღალი ხმა ქართულ მრავალხმიან სიმღერაში; დამანჭული კრინი, იოდლის ქართული შესატყვისი. კ-ის სახელი მომდინარეობს *კრინის* დამანჭვა-დაგრეხისაგან. გავრცელებულია დას. საქართველოში, უპირატესად გურია-აჭარაში. ჟღერს მაღალ რეგისტრში და ახასიათებს სპეციფ. რიტმული ფიგურაციებით ხმის სხარტად და მოქნილად გარდატეხა ზედა ფალცეტიდან ქვედა ბგერაზე. ძირითადად სამ ბგერას მოიცავს. სიმღერაში კ-ის გამოყენება გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება: ის მხოლოდ მაშინ ერთვება, როცა ბანი ჰარმონიული ფუძის ფუნქციას კარგავს და განვითარებული მელოდიის შესრულებას იწყებს. შეიძლება ითქვას, რომ თავისი მრავალგზის განმეორებადი ორნამენტული ფორმულებით, ზემოდან აღადგენს სიმღერის ჰარმონიულ ფუძეს. ტრადიციულად კ-ის შესრულება მხოლოდ სპეციფიკური ხმის მქონე მამაკაცებს შეეძლოთ (ამჟამად ქალებიც ასრულებენ). კ-ის საუკეთესო შემსრულებლები იყვნენ: გ. ბაბილოძე, ა. მახარაძე, თ. ღომთათიძე, ა. ხუხუნაშვილი, დ. მდინარაძე, მ. შავიშვილი.

ლიტ.: მანჯგალაძე ქ., კრიმანჭულის ნაირსახეობები დასავლეთ საქართველოში, წგ.: ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 2005; სიხარულიძე ი., კრიმანჭულის ოსტატები, წგ.: ჩხატაური წინათ და ახლა, I, თბ., 2008; ჩიჯავაძე ო., ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2009; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

კრიმინალისტიკა (ლათ. kriminali – დანაშაულთან დაკავშირებული), მეცნიერება, რომელიც შეისწავლის და ადგენს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სპეციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს. კ-ის უმთავრესი მიზანი და ამოცანაა საგამოძიებო-სასამართლო, საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების, საბუნების-

მეტყველო და ტექნ. მეცნიერებათა მიღწევების გათვალისწინებით შექმნას და პრაქტიკაში დანერგოს ისეთი სამეცნ.-ტექნ. საშუალებები, ტაქტიკური ხერხები და მეთოდები, რ-თა სწორი, თანამიმდევრული გამოყენება საგამოძიებო-საპროკურორო და სასამართლო ორგანოებსა და ოპერატიულ მუშაკებს ხელს შეუწყობს ჩასწვდნენ ნებისმიერი დანაშაულის საიდუმლოებას და მოახდინონ მისი სწრაფი, სრული გახსნა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება.

კ-ის განყოფილებებია: კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია, კრიმინალისტიკური ტექნიკა, კრიმინალისტიკური ტაქტიკა, დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის ზოგადი და კერძო მეთოდიკა.

კრიმინალისტიკური მეთოდოლოგია შეისწავლის კ-ის საგნის ცნებასა და სისტემას, მიზნებსა და ამოცანებს; კვლევის საერთო და კერძო მეთოდებს; კ-ის განვითარების ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას; კრიმინალისტიკურ იდენტიფიკაციასა და კ-ის კავშირს სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან.

კრიმინალისტიკური ტექნიკა შეისწავლის სპეციალურ სამეცნ.-ტექ. საშუალებებსა და მათი გამოყენების წესს; შესაბამისი ქიმიური, ბიოლ. და ფიზ. კვლევის მეთოდებს; სპექტრის უხილავ სხივებში მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევის ხერხებსა და მეთოდებს; გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკისათვის განკუთვნილ სამეცნ.-ტექ. საშუალებებსა და მათი გამოყენების წესს; კომპიუტერული ტექნ.და ბიომეტრიული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას კრიმინალისტიკური მიზნებისათვის; ნაკლებად ხილვად და უჩინარ კვალთა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების ისეთ სპეც. დამოუკიდებელ დარგებს, როგორიცაა: კრიმინალისტიკური ფოტოგრაფია; მოძღვრება კვალთა შესახებ; დაქტილოსკოპია; კრიმინალისტიკური ბალისტიკა; ხელნაწერებისა და დოკუმენტების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევა; პიროვნების გარეგანი ნიშნებით გაიგივება; კრიმინალისტიკური რეგისტრაციის ცნება, სახეები, ხერხები და საშუალებები, საგნები და ობიექტები.

კრიმინალისტიკური ტაქტიკა ერთმანეთთან აკავშირებს კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას. იგი უშუალოდ შეისწავლის და ადგენს კრიმინალისტიკური ტაქტიკის ცნებასა და კლასიფიკაციას; მოძღვრებას კრიმინალისტიკური ვერსიების აგება-შემოწმებისა და გამოძიების დაგეგმვის შესახებ; დანაშაულთა კრიმინალისტიკურ დახასიათებასა და საგამოძიებო სიტუაციას; საზ-ბის მონაწილეობის ფორმებსა და ტაქტიკას დანაშაულთა გახსნის საქმეში; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას; ძებნის ცნებას, სახეებსა და მისი წარმოების ტაქტიკას; დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის (ეჭვმიტანილის) და ბრალდებულის დაკავებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკას; დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლ. საფუძვლებს; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების, ექსპერტიზის დანიშვნის, ამოსაცნობად წარდგენისა და შემოწმების ჩატარების ტაქტიკას. დანაშაულთა გახსნის ზოგადი მეთოდიკა შეისწავლის და ადგენს ზოგად კრიმინალისტიკურ რეკომენდაციებს, რ-ებიც გამოიყენება ყველა სახის დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის პროცესში. კერძოდ, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის ცნებას, სტრუქტურას, მის არსსა და მნიშვნელობას, მისი განვითარების ისტორიას, გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნების გზებსა და საშუალებებს; დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის პრინციპებსა და ზოგად დებულებებს და სხვ.

ცალკეული სახის დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა ცალ-ცალკე შეისწავლის და ადგენს ერთგვაროვან დანაშაულთა (კერძოდ, მკვლელობისა და გაუპატიურების, ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის, სამოხელეო და სხვ. საშიშ დანაშაულთა) გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკას.

კ-ის ყველა განყოფილება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და მთლიანობაში შეადგენს კ-ის სრულ კურსს.

ლიტ.: ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი). სახელმძღვ. თბ., 2013; მისივე, კრიმინალისტიკა (განსაკუთრებული ნაწილი). დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკა, სახელმძღვ. თბ., 2013; Курс криминалистики, Т. 1–3, СПб., 2004.

შ. ფაფიაშვილი.

კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (კრიპასო), იხ. *ინტერპოლი.*

კრიმინოლოგია [ლათ. crimen (criminis) – დანაშაული და ბერძნ. – მოძღვრება], ადამიანთა გამოცდილების სისტემურ ერთიანობაზე დამყარებული მეცნიერება დანაშაულის, დამნაშავის, ნეგატიური სოციალური გამოხატულებებისა და დანაშაულებრივი ქმედების კონტროლის შესახებ. ტერმინი ,,კრიმინოლოგია'' 1879 დაამკვიდრა ფრანგმა ანთროპოლოგმა პ. ტოპინარმა. ექვსი წლის შემდეგ იტალიელმა იურისტმა რ. გაროფალომ ეს სიტყვა გამოიყენა ცნების მნიშვნელობით და თავისი წიგნის ,,criminologie'' სათაურად. კრიმინოლოგიური კვლევა დაფუძნებულია სისტემატურად შეგროვილ გამოცდილებაზე. კ., როგორც მეცნიერება, შეიძლება სამი ძირითადი ცნებით გამოიხატოს: დანაშაული, დამნაშავე და დანაშაულის კონტროლი. ამ სამ სფეროში იგულისხმება აგრეთვე დანაშაულის მსხვერპლი და ჩადენილი დანაშაულის პროფილაქტიკა, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებაში ხელშეწყობა. კ. არანორმატიული, ემპირიულ კვლევებზე დამყარებული მეცნიერებაა. ემპირიულ კრიმინოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარა იტალიელმა ექიმმა ჩ. ლომბროზომ. კ-ის ამოცანაა დანაშაულობის მიზეზების, პირობების შესწავლა, მისი პრევენციის ღონისძიებების დასაბუთება თავისი სპეციფიკით, ხერხებით, სპეც. მეთოდიკის გამოყენებით, რაც სცილდება სისხლის სამართლის მეცნ. ფარგლებს, ამის გამო კ. სპეც. მიმართულებით ვითარდება. თუ სისხლის სამართალი ნორმებზეა ორიენტირებული, კ. ემპირიული, არანორმატიული მეცნიერებაა, რ-იც ადამიანთა გამოცდილებაზეა დამყარებული. ამდენად კრიმინოლოგიური კვლევის დროს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონათესავე მეცნიერებათა მეთოდებს, რადგან არ გააჩნია საკუთარი კვლევის მეთოდები.

კ. ინტერდისციპლინური დარგია, რ-იც დაეფუძნა სხვადასხვა დარგის მეცნიერებაში დაგროვილ ცოდნას ადამიანისა და მისი ქცევების შესახებ. სისხლის სამართალთან ერთად კ. ემყარება სოციოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფსიქიატრიას, ნეირობიოლოგიას, კრიმინალისტიკას.

დანაშაული ყველა დროის ყველა საზ-ბაში იყო ბუნებრივი და გარდაუვალი სოც. ფენომენი. იგი

როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სახელმწიფოების განვითარების კვალდაკვალ იცვლიდა და იძენდა ახალ ფორმებს. მართალია, კრიმინოლოგები ვერასდროს მოსპობენ დანაშაულს, ისევე როგორც ექიმები სიკვდილს, თუმცა შესაძლებელია შეამცირონ თანამედროვე კრიმინალური გამოწვევების სიმძიმე. ესაა პ-ის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტ.: ერიაშვილი ნ., კრიმინოლოგია, სახელმძღ., თბ. 2007. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2011; მისივე, კრიმინოლოგია სახელმძღ., თბ. 2017; წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ. 2003;

მ. შალიკაშვილი.
ი. უჯმაჯურიძე.

კრინი, ქართული ხალხური სამუსიკო ტერმინი. აღნიშნავს ძალიან მაღალ წმინდა სასიმღერო ხმას; გალობაში – წვრილ, ზილზე უფრო მაღალ ხმას. იოანე ბატონიშვილს პ. უწვრილესი ხმის სახელად მიაჩნია. იგი თავისი ნაირსახოვანი რიტმითა და მელოდიკით მრავალხმიანი სიმღერის ფაქტურაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. პ. ფუძეა კრიმანჭულისა, რ-ის სახელწოდება კრინის დამანჭვა-დაგრეხისაგან წარმოდგება.

ლიტ.: გეგეჭკორი ვ., ხალხური სიმღერის მოამაგენი თბ., 2007; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

კრინიცკი შალვა იოსების ძე (დარახველიძე შალვა მიხეილის ძე) (6. X. 1884, ქუთაისი, – 2. II. 1961, დონის როსტოვი), ქართველი პათოლოგანატომი, პათოლოგანატომიური სამსახურის ერთ-ერთი ორგანიზატორი სსრკ- ში. მედ. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1921). 1910 დაამთავრა ოდესის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. შეისწავლა მომწამვლელი საომარი ნივთიერებებით, ასევე – პარტახტიანი ტიფით, ცოფით და სხვ. დაავადებებით გარდაცვლილთა პათოლოგანატომია. 1921–61 იყო როსტოვის სამედ. ინ-ტის პათოლ. ანატომიის კათედრის გამგე.

პ. ითვლება საბჭ. მედიცინაში კლინიკურ-ანატომიური მიმართულების დამნერგავად. იყო სსრკ პათოლოგანატომთა სამეცნ. საზ-ბის გამგეობის საპატიო წევრი.

კრიპტოვალუტა, ვირტუალური ციფრული ვალუტის ნაირსახეობა, ელექტრონული ფული, რომელიც სახელმწიფოსა და ბანკებისგან დამოუკიდებლად ოპერირებს, აქვს ღირებულება, არ გააჩნია ფიზ. ეკვივალენტი და ციფრების კომბინაციას წარმოადგენს. კ-ის მეშვეობით ხდება ვაჭრობა სხვადასხვა პლატფორმაზე, ყველა ოპერაცია ხორციელდება ინტერნეტით, რაც ფულის სწრაფად და იაფად მიმოქცევის საშუალებას იძლევა. პ. ღირებულების ზრდისა და ინვესტირების, საქონლისა და მომსახურების შეძენის საშუალებაა, რაც შესაძლებელი გახდა ბლოკჩეინის (ინგლ. Blockchain – ქართ. ,,ბლოკების ჯაჭვი'') ტექნოლოგიების მეშვეობით. ეს ტექნოლოგია პროგრამულად გამორიცხავს პარალელური გადახდების შესაძლებლობას (ერთი და იმავე თანხის სხვადასხვა ტრანზაქციაში ერთდროულად გამოყენებას). ბლოკჩეინი, როგორც პ-ის საფუძველი, არის საერთაშ. ერთიანი რეესტრი, საბუღალტრო წიგნი, სადაც ყველა ჩანაწერი ერთხელ კეთდება და მისი გამეორება გამორიცხულია. იგი ბლოკების ჯაჭვია, მუდმივად მზარდი ჩანაწერების სიაა, რ-იც დაცულია კრიპტოგრაფიულად და დაფუძნებულია P2P პრინციპზე (,,peer to peer'' – ქსელში ჩართული მომხმარებლების ინფორმაციის უშუალოდ გაზიარება). ფაილების გაზიარება შესაძლებელია ინტერნეტში ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული კომპიუტერების საშუალებით, ცენტრ. სერვერის საჭიროების გარეშე. ბლოკჩეინის წყობა ფიჭისებრია, რაც გულისხმობს, რომ წინა უჯრედი არის მომდევნოს საფუძველი, ხოლო წინა ოპერაცია – მომდევნო ოპერაციისა და, როგორც რეესტრი, უსწრაფესად ატარებს უამრავ ოპერაციას (ტრანზაქციას). მას აქვს ორიგინ. კოდი, თუმცა მისი მფლობელის ვინაობა არავინ იცის. კრიტიკოსები და მთავრობები თვლიან, რომ ეს პ-ის ნაკლია და იგი უნდა რეგულირდებოდეს, თუმცა მისი შექმნის იდეა სწორედ თავისუფლებაა და მისი ცენტრალიზებული მართვაც შეუძლებელია. ციფრული ვალუტის ბაზარი განსხვავდება ნებისმიერი სხვა ბაზრისაგან იმით, რომ იგი რეგულირდება და კონტროლდება მხოლოდ ბლოკჩეინში ჩართული მომხმარებლის მიერ. ბლოკჩეინში მოხვედრილი მონაცემების წაშლა, შეცვლა, გადაწერა თუ უკანონო მანიპულირება შეუძლებელია.

პ-ს ისეთივე მახასიათებლები აქვს, როგორიც ტრად. ვალუტას. იგი იცვლება სხვა ვალუტაზე, არ აქვს გეოგრ. და პოლიტ. საზღვრები, ტრანზაქცია შესაძლებელია ნებისმიერი წერტილიდან მსოფლიოს ნებისმიერ სხვა წერტილში დროის უმცირეს მონაკვეთში მინ. დანახარჯებით და ფინანს. შუამავლების გარეშე. პ-ის შეძენა შესაძლებელია ონლაინ სავაჭრო ბირჟებზე, არ არის გამყარებული აქტივებით, მისი გაცვლითი კურსი კი დამოკიდებულია მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებაზე. პ. არის დეცენტრალიზებული და კრიპტოგრაფიულად საიმედოდ დაცული. მისი ტრანზაქცია, როგორც წესი, არ არის დაზღვეული, გადარიცხულ ვალუტას ტრანზაქციის შემდეგ მისი მფლობელი ვეღარ დაიბრუნებს.

პ-ის დადებითი მხარეა ის, რომ მასზე ან საერთოდ არ არის გადასახადი, ან თუ არის – ძალიან მცირეა. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია ციფრული ვალუტის კურსის სწრაფი ცვალებადობა, რაც მის მიმართ ინვესტორების ნდობას გრძელვადიან პერსპექტივაში ასუსტებს. ექსპერტთა აზრით, ფულის მიმოქცევაზე კონტროლის შესუსტების შედეგად, პ-ის გამოყენება არალეგალურ აქტივობასა და კიბერდანაშაულს უკავშირდება და ფინანს. საფრთხეებსაც შეიცავს (ტერორიზმის დაფინანსება, ფულის გათეთრება, გადასახადებისგან თავის არიდება, ფინანს. პირამიდა და სხვ.). ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, არსებითად იგი ე. წ. პონცის სქემაა („პირამიდა'').

პ-ის ფასზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს. არაერთი ექსპერტის პროგნოზით, ციფრული ვალუტის კურსი ინტენსიურად გაიზრდება მომდევნო წლებში. ამისი მეზეზებია: ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებმა და ეროვნ. ბანკებმა დააანონსეს ინტერესი ეროვნ. ციფრული ვალუტების შექმნის მიმართ; საერთაშ. საგადასახადო სისტემებმა (PayPal და სხვ.) პ. აღიარეს გადახდის საშუალებად. მეორე მხრივ, რეგულაციის შემოღების მცდელობები მისი კურსის დაწევას იწვევს. მიუხედავად ამისა, ამ მოვლენის თვისებები ჯერაც არ არის ბოლომდე ნათელი. პ-ს, სხვა ბიზნესის მსგავსად, გარკვეული რისკები ახლავს.

პ-ის ისტორია იწყება ბიტკოინის (BTC), როგორც ბლოკჩეინზე დაფუძნებული მსოფლიოში პირველი ციფრული ვალუტის დაბადებით, რ-ის უცნობი ავტორის (ავტორთა ჯგუფის) ფსევდონიმია სატოში ნაკამოტო. 2009 იანვ. შეიქმნა ბიტკოინის პირველი

კლიენტური პროგრამა და განხორციელდა პირველი ტრანზაქცია (10000 ბიტკოინად შეიძინეს პიცა). 2009 წ. 5 ოქტომბერს დაიწყო სხვა ვალუტის მიმართ ბიტკოინით ვაჭრობა. მისი თავდაპირველი ღირებულება განისაზღვრა კურსით – 1 აშშ დოლ – 1,309 BTC, რაც ეფუძნებოდა ბიტკოინების გენერირებისთვის გამოყენებული ელექტროენერგიის დანახარჯს. 2011-იდან ბიტკოინისა და სხვა ჰ-ის მიმართ დაინტერესება ნელნელა გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა მისი ღირებულებაც. 2021 ჰ-ის ბაზრის 36%-ს ბიტკოინი შეადგენს, ამასთანავე ის ყველაზე მეტი ღირებულებისა და პოპულარობის მქონე ციფრული ვალუტაა. 2018 მისმა ღირებულებამ 20 ათას დოლარს გადააჭარბა, მაგრამ შემდეგ კრიტიკული პრესისა და ცალკეული ქვეყნების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მისი გამოყენების შეზღუდვისა და ჰ-ის ბირჟების დახურვის (ჩინეთი) შესახებ, უარყოფითად იმოქმედა მის კურსზე და მოკლე დროში თითქმის 3-ჯერ გაუფასურდა. 2021 იანვარში ერთი ბიტკოინის ღირებულება 50 ათას დოლარზე მეტი იყო. 2018 ჰ-ის კაპიტალიზაციამ 800 მლრდ. დოლარს გადააჭარბა, შემდეგ შემცირდა და 2021 შეადგინა დაახლ. 600 მლრდ. აშშ დოლარი.

2021 დამდეგისთვის მსოფლიოში დარეგისტრირებული იყო ათასზე მეტი ჰ. ბიტკოინის გარდა, გავრცელებული ჰ-ებია ეთერიუმი (ETH), რიპლი (XRP), ბიტკოინ ქეში (BCH), ლაიტქოინი (LTC), დეში (DASH), იოსი (EOS), არდანო (ADA), სტელარი (XLM), იოტა (IOTA), ნეო (NEO) და სხვ. ახალი კ-ების შექმნაზე მუშაობს სხვადასხვა კომპანია. გიგანტურმა ელექტრონულმა სავაჭრო კომპანია „ამაზონმა“ განაცხადა საკუთარი ჰ-ის, ამაზონ კოინის (Amazon Coin) შექმნის შესახებ. ასევე, კომპანია „ფეისბუქის“ მესაკუთრემ მ. ცუკერბერგმა დააანონსა ფეისბუქ კოინის (Fasebook Coin) შექმნა, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებასთან ამ საკითხის შეუთანხმებლობის გამო მისი გამოყენება გადავადდა.

პირველი ქვეყანა, რ-მაც ოფიციალურად დაუშვა ჰ-ით (ბიტკოინებით) ვაჭრობა, არის შვედეთი. ყველა ჰ. ლეგალურია შვეიცარიაში, ფედერალური საგადასახადო ადმინისტრაცია (SFTA) მას აქტივად მიიჩნევს, რ-საც არეგისტრირებს შვეიცარიის ფინანს. ბაზრის საზედამხედველო ორგანო (FINMA). გერმანიის ფედერალურმა ფინანს. ზედამხედველობამ (BaFin) ჰ-ის გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების მიზნით დაადგინა მისი გამოყენებისა და გაცვლის წესები. BaFin-ის ლიცენზია აუცილებელია იმ კომპანიისთვის, რ-იც კომერციულად ჰ-ით მუშაობს. იაპონიაში ჰ-ის ბიზნესი რეგულირებულია, 2016 გადახდის სერვისების კანონში შევიდა ცვლილებები. 2018 დასაწყისიდან სამხრ. კორეის მთავრობამ დააწესა, რომ ჰ-ის დილერს უნდა ჰქონდეს ხელშეკრულება ბანკთან. არაერთი ქვეყნის ხელისუფლება აკვირდება ჰ-ის ბაზარს და ეძებს გზებს ამ სფეროს რეგულირებისთვის, რაც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებში უნდა აისახოს. საერთაშ. სავალუტო ფონდი სპეც. მითითებებს აძლევს ქვეყნების ცენტრ. ბანკებს ჰ-ის მომავალთან დაკავშირებით.

ჰ-ის მოპოვების ორი გზა არსებობს: ყველაზე პოპულარულია მისი ყიდვა ინტერნეტით ელექტრონულ ბირჟებზე; მეორე გზა კი – მაინინგია (პროცესი, როდესაც მომხმარებელი შესაბამისი ალგორითმის მეშვეობით ამატებს ტრანზაქციებს ჰ-ის ბლოკჩეინში), რაც კომპიუტერის მიერ მისთვის მიცემული „ამოცანების ამოხსნით“ ხდება. ეს მოიხმარს უდიდეს ელექტროენერგიას, ამიტომ ზოგიერთი სახელმწ. გეგმავს თავის ტერიტორიაზე მაინინგის აკრძალვას.

საქართველოში ჰ-ის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა XXI ს. დასაწყისში. ქვეყანაში არსებობს ჰ-ების შესყიდვის, გაყიდვისა და სხვა ოპერაციების განხორციელების რამდენიმე ელექტრონული ბირჟა (Coinmania. ge, MyCoins.ge და სხვ.), ტერმინალები და ვალუტით მოვაჭრე ე. წ. ტრეიდერები (იგივე საბროკერო კომპანია), რ-თა მეშვეობით ხდება უცხ. ვალუტით ვაჭრობა ე. წ. Forex პლატფორმაზე.

ჰ-ის შექმნის საწყის ეტაპზე საქართველოში წარმოიშვა მისი მოპოვების – მაინინგის – ბუმი. 2014 „ბიტფური ჯგუფის“ მიერ მაინინგის ბიზნესსეგმენტში შეიქმნა ბიტკოინის მომპოვებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანია – „ბიტფური“. თავდაპირველად მონაცემთა ცენტრი გაიხსნა გორში, 2015 კი – თბილისში, გლდანში მდებარე თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, „ბიტფურიმ“ საქართველოში მეგამონაცემთა ცენტრი გახსნა. კომპანიამ ცენტრში დანერგა კომპიტერული ტექნიკის გაგრილების ინოვაციური ენერგოეფექტური სისტემა და ბოლო თაობის უახლესი ჩიპებით აღჭურვა. 2018 „ბიტფური ჯგუფმა“ აზიის ბაზარზე გაფართოების მიზნით, გლდანში მდებარე მონაცემთა ცენტრი მიჰყიდა აზიურ კომპანია Chong Sing Holdings-ს, რ-იც ჰონკონგის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობს და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა, თუმცა იმავე წელს ცენტრი „ბიტფური“ მანვე გამოისყიდა. „ბიტფური ჯგუფის“ მსხვილი კომპანიის გარდა, მაინინგში ფიზ. პირებიც არიან ჩართული.



კრიპტოლემუსი.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რ-იც ჰ-ების ტექნოლ. ბაზას, ბლოკჩეინს უძრავი ქონების რეგისტრაციისას იყენებს. სავარო რეესტრმა „ბიტფურის“ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავა უძრავი ქონების რეგისტრაციის ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროექტი და 2017-იდან ნებისმიერი ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ ბლოკჩეინის სისტემაში იწერება, რაც ტრანზაქციების დაცულობას, გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

საქართველოში ჰ. არ არის ლეგალური გადახდის საშუალება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში უკვე შექმნილი სავაჭრო ბირჟების მარეგულირებელი ჯერ არ არსებობს; ამ მხრივ და ფინანსურადაც ეს საფრთხის შემცველია. შედეგად, საქართვ. ეროვნ. ბანკი ჰ-ის ქართვ. მომხმარებელს სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

ლიტ.: აბულაძე რ., კაკულაშვილი ზ., ციფრული ვალუტის მსოფლიო ბაზარი: საფინანსო ტექნოლოგიური რევოლუცია, «მოამბე», 2016, №24; სიჭინავა დ., მაღრაძე მ., ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები, „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 2018, №6; Vigina P., Casey M.J., The age of Cryptocurrency, 2-nd ed., N.- Y. 2018.

ე. ჯგერენაია.
მ. თოქმაზიშვილი.

კრიპტოლემუსი (Cryptolaemus montrouzieri), ხოჭო ჭიამაიების ოჯახისა. ცრუფარიანების ბუნებრივი გამანადგურებელია. მისი სამშობლოა ავსტრალია. საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, 1933 შემოიყვანეს ციტრუსოვანთა ფქვილისებრი ცრუფარიანას გასანადგურებლად. დედალი ჰ. ცრუფარიანას კვერცხსადებში 300-მდე

კვერცხს დებს. ახალგამოჩეკილი მატლი ჭამს ცრუფარიანას კვერცხებს, მოზრდილი მატლი და ხოჭო კი – ცრუფარიანას და მის მატლებს. პ. წელიწადში 3 თაობას იძლევა (აფხაზეთი). ზამთარში ამრავლებენ ლაბორატორიაში კარტოფილის ღივებზე, შემდეგ კი ცრუფარიანას პირველი კვერცხმდებელი თაობის გამოჩენისთანავე უშვებენ ბაღებსა და პლანტაციებში.

კრიპტომერია (Cryptomeria), მარადმწვანე წიწვოვანი მცენარის გვარი ტაქსოდიუმისებრთა ოჯახისა. შეიცავს 1 სახეობას – იაპონურ პ-ს (Cryptomeria japonica). 50 *მ*-მდე სიმაღლის ხეა. სამშობლოში (იაპონია, ჩინეთი) პ. მთებში წმინდა კორომებს ქმნის. დას. საქართველოში (ძირითადად აჭარაში) მას იყენებენ ქარსაფარ ზოლებად. პ-ის რბილი, მსუბუქი, ძნელად



იაპონური კრიპტომერია.

ლპობადი მერქანი ადვილი დასამუშავებელია; იყენებენ წყალქვეშა ნაგებობებში, ამზადებენ ავეჯს.

ი. მიქელაძე.

კრისტალთოპტიკა (ბერძ. krystallos κρύσταλλος – ყინული, კრისტალი, ბროლი, optikē οπτικά – ოპტიკა), ოპტიკური მინერალოგია, ოპტიკისა და კრისტალოფიზიკის მომიჯნავე დარგი, რომელიც შეისწავლის ანიზოტროპულ გარემოში სინათლის გავრცელების კანონებს ასეთი გარემოს (მაგ., კრისტალის) ოპტ. და სხვა თვისებები დამოკიდებულია მიმართულებაზე. გარდატეხის მაჩვენებლის გამოთვლა ამა თუ იმ შედგენილობისა და სტრუქტურის კრისტალისთვის კრისტალოფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მნიშვნელოვანია შებრუნებული ამოცანაც – კრისტალის თვისებების დადგენა მასში სინათლის გავრცელების თავისებურებებზე დაყრდნობით. პ-ის ჩამოყალიბება დამოუკიდებელ მეცნიერებად დაიწყო 1669, როდესაც რ. ბართოლინმა (1625–98, დანია) ისლანდიური შპატის (კალციტის – $CaCO_3$) კრისტალში სინათლის ორმაგი სხივტეხა აღმოაჩინა.

საქართველოში პ-ის თეორ. და ექსპერ. შესწავლა მიმდინარეობს თსუ-ის ფიზ. დეპარტამენტისა და ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში, სტუ-ის ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტსა და საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში, გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორატორიაში.

ქართვ. მეცნიერთა მიერ მიღებულ თეორიულ (მ. შ. ალგორითმულ) მეთოდებსა და შედეგებს ფართოდ იყენებენ ევროპისა და აშშ-ის სამეცნ. ცენტრებში მიმდინარე ექსპერ. კვლევებში, მ. შ. ქართვ. მეცნიერთა მონაწილეობით. ფართო კვლევები განხორციელდა ხელოვნური კრისტალების (იხ. *ფოტონური კრისტალები*) დამზადების სფეროში (დ. ქარქაშაძე, ა. ბიჭამოვი, რ. ზარიძე და სხვ.).

კრისტალების მყარსხეულოვანი სინთეზის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტ „მიოწში“ რ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით 1965–86 მიმდინარეობდა კვლევები A_3B_5 სისტემის ნახევარგამტარული GaAs–AlAs მყარი ხსნარების მონოკრისტალური ფირების მიღებისა და მათი ოპტ. თვისებების შესასწავლად (გ. გოდერძიშვილი, გ. მირიანაშვილი, თ. მხეიძე, რ. ჭარმაკაძე, თ. ჯახუტაშვილი); შედეგად, შეიქმნა სინათლის გამომსხივებელი მაღალეფექტური ჰეტეროეპიტაქსიური სტრუქტურები და მათ საფუძველზე ოპტოელექტრონული ხელსაწყოების (იხ. სტ. ინტეგრალური სქემები) ფართო სპექტრი, რ-ებიც წარმოებაში დაინერგა; შეიქმნა ცისფერი და ლურჯი ნათების შუქდიოდი (ვ. ზორიკოვი, ბ. მიხელაშვილი, რ. ჭარმაკაძე);

თხევადი კრისტალების მრავალმხრივი კვლევა შესრულდა ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკის ინტში. აქ კ. ჯაფარიძის და გ. ჭილაიას ხელმძღვანელობით 1960–70 წწ. მსოფლიოში პირველად შეიმუშავეს ინდუცირებულ-სპირალური თხევადკრისტალური სტრუქტურების მიღების ტექნოლოგია.

1990-იდან მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს ოპტიკურად მართვადი ანიზოტროპული სისტემების განყ-ბაში (გ. ჭილაია, გ. პეტრიაშვილი, ა. ჭანიშვილი) ინფრაწითელი გარდამქმნელების, ტემპერ. და ოპტ. გადაწყობადი თხევადკრისტალური ლაზერების, ამრეკლი და ლუმინესცენციური თხევადკრისტალური დისპლეების, ფოტო- და თერმოქრომული თხევადკრისტალური პოლიმერული ფირების დამზადება-შესწავლის და სხვა მიმართულებით.

1976–89 კიბერნეტიკის ინ-ტსა (ი. ბეროზაშვილი, ე. *ციციშვილი*, ა. გაგოლინი) და თსუ-ში (ნ. გვილავა, ს. მაჭავარიანი, ა. ნაცვლიშვილი, ა. ჭირაქაძე) შეისწავლეს წრფივი ელექტროოპტიკური ეფექტი (პოკელსის ეფექტი) $LiNbO_3$, GaP და GaAs კრისტალებში, ფართო ოპტ. დიაპაზონში (ინფრაწითელის ჩათვლით) განსაზღვრეს დისპერსია და ელექტროოპტიკური ეფექტის კოეფიციენტების მნიშვნელობა (632,8 *ნმ* ტალღის სიგრძეზე გაზომვების საფუძველზე). მათვე გამოიკვლიეს ფრანც-კელდიშის ეფექტი (კრისტალში აკრძალული ზონის წანაცვლება გარე ელექტრული ველის ზემოქმედებით) დიდი წინაღობის მქონე GaP და GaAs კრისტალებში. კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა რამდენიმე გამოყენებითი (მ. შ. სამხედრო) და რთული კვლევითი პრობლემის გადაჭრა (ზემძლავრი ზემაღალსიხშირული იმპულსური გამოსხივების ამპლიტუდის და სიხშირული სპექტრის გაზომვა). მიღებული ექსპერ. შედეგების მათ. მოდელირება ანიზოტროპული კრისტალებისთვის დამუშავებული მეთოდებით შეასრულეს დ. ქარქაშაძემ და ფ. ბოგდანოვმა. 1977–2002 თსუ-ში შესრულდა მნიშვნელოვანი კვლევები პ-ის მაშინ ახალი მიმართუ-ლების – ინტეგრალური ოპტიკის – სფეროში (ზ. ბუაჩიძე, ა. ჭირაქაძე, გ. ვარაზი, გ. მწყერაძე). შემუშავდა სინათლის სინათლით და, ასევე, მამოდულირებელი (ზემაღალი სიხშირის) ელექტრომაგნიტური ტალღით მართული გადამრთველების და ტალღაგამტარული მოდულატორების სერია (დაინერგა სწრაფი და ზესწრაფი კავშირგაბმულობის დაცული ქსელებისა და წყალქვეშა ლოკაციის სისტემების მგრძნობიარობის და სწრაფმოქმედების ასამაღ-

ლებლად). შემუშავდა და შეიქმნა იმ დროისთვის რეკორდული სწრაფმოქმედების ელექტროოპტიკური მოდულატორი (ა. ჭირაქაძე) ფართო გიგაჰერცული დიაპაზონის სიხშირეების გადასაცემად.

2002-13 სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინ-ტში (ა. დანელიანი, რ. კანკია, ს. მკრტიჩიანი, ს. შოთაძე და სხვ.) და სტუში (დ. ღარიბაშვილი, ი. ლომიძე და სხვ.) შეიმუშავეს კრისტალური ოპტიკური ჩამკეტის საფუძველზე მოქმედი მოწყობილობა პიკომეტრული (10-12 *მ*) მასშტაბის მანძილების გასაზომად.

ლიტ.: თვალჭრელიძე ა. კრისტალთა ოპტიკის შესავალი, თბ., 1954; ფარადაშვილი ი. კრისტალთა ოპტიკის საფუძვლები, თბ., 2006; Karkashadze D., Zaridze R., Bijamov A., Hafner Ch., etall J., Reflection Compensation Scheme for the Efficient and Accurate Computation of Waveguide Discontinuities in Photonic Crystals. Appl. Comp. Electromagnetics Society Journal, 2004; vol.19, №1a; Petriashvili G., Japaridze K., Devadze L., Zurabishvili C., etall.

ი. ლომიძე.
დ. ქარქაშაძე.

კრისტალოგრაფია (ბერძნ. κρύσταλλος – ყინული, ბროლი, γραφή – აღწერა), მეცნიერება, რომელიც განსაზღვრავს ატომების განლაგებას კრისტალურ მყარ სხეულში, შეისწავლის კრისტალთა სიმეტრიას, ჩასახვასა და წარმოქმნას, ასევე კრისტალური მყარი სხეულის მდგომარეობასა და თვისებებს. მჭიდრო კავშირი აქვს მინერალოგიასთან, მყარი სხეულის ფიზიკასა და ქიმიასთან; კ-ის კანონები გამოიყენება მ.შ. საიუველირო მრეწველობაში. დამოუკიდებელ მეცნიერებად კ. ჩამოყალიბდა XVIII ს. შუა წლებში მინერალოგიის ჩარჩოებში, როგორც იდეალური კრისტალების აღმწერი მიმართულება. გეომეტრიულ კანონზომიერებებს ბუნებრივ კრისტალებში შეისწავლის გეომეტრიული კ., რასაც საფუძვლად უდევს რამდენიმე ძირითადი ემპირიული კანონი.

XX ს. მეორე ნახ-ში ინტენსიურად განვითარდა რეალურ კრისტალთა კ., რ-იც შეისწავლის კრისტალების რეალურ სტრუქტურას, მათი ზრდის პროცესში ან მათზე სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ დეფექტებსა და დისლოკაციებს. კრისტალთა მექ., ოპტ., ელექტრულ და მაგნიტურ თვისებებს შეისწავლის კრისტალთფიზიკა.

კ. შეისწავლის აგრეთვე სხვადასხვა მიკროსკოპული აგებულების მასალათა თვისებებს და ისეთ ნივთიერებებს, რ-თაც კრისტალური ნივთიერების მსგავსი მოწესრიგება ახასიათებს (თხევადი კრისტალები, პოლიმერები და სხვ.). თანამედროვე ტერმინოლოგიით, კრისტალებს მიაკუთვნებენ ყველა იმ ნივთიერებას, რ-ის რენტგენოგრამა (ელექტრონოგრამა, ნეიტრონოგრამა) მკაფიო დიფრაქციული პიკებით არის წარმოდგენილი. კ-ის მეთოდებს აქტიურად იყენებენ მოლეკულურ ბიოლოგიაში.

საქართველოში კ-ის კურსის კითხვა დაიწყო თსუ-ში 1919 ა. თვალჭრელიძემ; მასვე ეკუთვნის გეომეტრიული კ-ის პირველი (1920) სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. რ-ის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე არ დაკარგა აქტუალობა.

სამეცნ. კვლევები კ-ის ყველა მიმართულებით მიმდინარეობს გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტში, სსიპ ფ. თავაძის სახ. მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, ა. თვალჭრელიძის სახ. მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტში, სტუ-ის სამთო-გეოლოგიურ ფაკ-ტზე, ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკის ინსტიტუტში, სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიაში“ და სხვ.

ლიტ.: პოპოვი გ., შაფრანოვსკი ი., კრისტალოგრაფია, თბ., 1951., ყიფშიძე ი., გეომეტრიული კრისტალოგრაფია, ტფ., 1935; გამოც. მე-2, თბ., 1951; ხარაშვილი გ., კრისტალოგრაფია და კრისტალთქიმია. თბ., 1985; Егоров-Тимченко Ю. К., Литвинская Г. П., Координатные системы, категории, сингонии. წგ.: Теория симметрии крисмаллов, М, 2000.

ლ. ჩხარტიშვილი.

კრისხევი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ხაშურის მუნიციპალიტეტში (ხცისის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში. ზ. დ. 760 *მ,* ხაშურიდან 12 *კმ.* 67 მცხ. (2014).

სოფლის ტერიტორიაზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია – ძელი ჭეშმარიტი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

კრიტიკა (ბერძნ. kritikē – გარჩევის, მსჯელობის ხელოვნება), 1. რაიმეს გარჩევა (ანალიზი) შეფასების მიზნით. 2. უარყოფითი მსჯელობა რაიმეზე, ნაკლის მითითება. მეცნიერული კ. თავისი ობიექტის მიხედვით შედის სხვადასხვა სამეცნ. დისციპლინის შემადგენლობაში: ლიტერატურული კ. ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ნაწილია, მხატვრული კ. – ხელოვნებათმცოდნეობისა, თეატრალური კ. – თეატრმცოდნეობისა და ა. შ.

„კრიტიკა“, ალმანახი, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო. გამოდიოდა 1972-იდან თბილისში, 3 თვეში ერთხელ. მასში იბეჭდებოდა სტატიები და წერილები ლიტ-რის აქტუალურ საკითხებზე, რეცენზიები, ბიბლიოგრაფია და სხვ. „კ-ის“ რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ გ. მერკვილაძე, გ. გვერდწითელი, თ. წივწივაძე, თ. დოიაშვილი, ე. ჯაველიძე, ვ. ხარჩილავა.

2005-იდან შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში განახლდა „კ-ის“ გამოცემა. იგი გამოდის სამეცნ. ლიტ. ჟურნალის სახით ყოველწლიურად (2015 წლის ჩათვლით გამოსულია 10 ნომერი. რედ.: მ. კვაჭანტირაძე).

„კ-ის“ რუბრიკებია: „თვალსაზრისი“, „ვექტორები“, „კულტურა“, „ხელოვნება“, „ჟურნალისტიკა“, „ნომრის სტუმარი“, „memoria“, „essay“ და სხვ. ჟურნალში თავმოყრილია კრიტიკული ნააზრევი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე, ტენდენციებზე, ახალ ლიტ. ფაქტებსა და მოვლენებზე.

თ. დოლიძე.

კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, დაარსდა 1991 და კატასტროფათა მედიცინის საქართველოს საერთაშორისო ცენტრი ეწოდა. დღევანდელი სტატუსი მიენიჭა 1994. ინ-ტის დამფუძნებელი და დირექტორია საქართვ. მედიცინის მეცნ. აკად. და საქართვ. კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედ. ასოციაციის პრეზიდენტი ზ. ხელაძე.

ინ-ტის მუშაობის ძირითადი მიმართულებებია: კლინიკური მედიცინა, მეცნიერული კვლევა, კადრების მომზადება და საგამომცემლო საქმიანობა.

ინ-ტის კლინიკური საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა მკურნალობას. ამ თვალსაზრისით ინ-ტში დანერგილია სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველა თანამედროვე მეთოდი, მ. შ. სასიცოცხლო ფუნქციათა მართვის დისტანციური სისტემები, ფილტვების ხელოვნური

ვენტილაციის არაინვაზიური და ინვაზიური მეთოდები, სისხლის მიმოქცევის მართვის ინტრა- და ექსტრაკორპორული ტექნოლოგიები, პროგენიტური პრეკურსორების კომიტერების საშუალებები, იმუნოსორბცია და სხვ.

ინ-ტში მიმდინარე სამეცნ. კვლევების სხვა მიმართულებები მოიცავს პროგენიტური პრეკურსორების კომიტერების პროცესების მართვას, რისთვისაც კრიტიკულ ავადმყოფთა ძვლის ტვინს ამუშავებენ ელექტროდენით, პლაზმური სხივებით, იყენებენ ადრენალინის და ნიტროგლიცერინის ინფუზიას.

სხვადასხვა დროს, კრიტიკულ ავადმყოფთა მკურნალობის პროცესში შეისწავლეს ნანოტექნოლოგიური ოქსიდანტების, სურფაქტანტის, ინტერლეიკინ-2-ისა და სხვ. პრეპარატების ეფექტურობა. მიმდინარეობს მუშაობა კრიტ. მედიცინის ექიმის ხელოვნური ინტელექტის შესაქმნელად, რათა მისი მეშვეობით მოხერხდეს კრიტიკულ ავადმყოფთა მკურნალობის განსაკუთრებით მძიმე, შრომატევადი და ფსიქიკურად დამთრგუნველი სამუშაოების შესრულება.

ზ. ხელაძე.



ი. კრიხელი.

კრიჭინაშვილი რევაზ იოსების ძე (16. XII. 1933, სოფ. საცხენისი, ახლანდ. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, – 2. X. 2003, თბილისი), ეკონომისტ-სტატისტიკოსი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1996). სპორტსმენი (სამბო). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი სტატისტიკის სპეციალობით (1956). მუშაობდა სხვადასხვა სახელმწ. სამსახურში. იყო ,,ცენტროსოიუზის'' ლვოვის სავაჭრო-ეკონ. ინ-ტის კვალიფიკაციის ამაღლების თბილ. ფაკ-ტის დეკანი, შემდეგ კი – მოსკ. კოოპერაციული ინ-ტის სამეცნ.-სასწ. კომპლექსის თბილ. ფილიალის დირექტორი (1986–90), საქართვ. სავაჭრო-სამრეწვ. პალატასთან არსებული თბილ. სავაჭრო-ეკონ. ინ-ტის რექტორი (1991–2003). 1968-იდან გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს თსუ-ში.

ჰ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების, რ-ებიც ეძღვნება ვაჭრობის ეკონომიკის, კოოპერაციის, მარკეტინგისა და საერთაშ. ბიზნესის საკითხებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. ამ თემას მიუძღვნა არაერთი სტატია, წერილი თუ ბროშურა.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: სამომხმარებლო კოოპერაცია, თბ., 1989; ბაზართმცოდნეობის საკითხები, თბ., 1992; კერძო სექტორის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები საქართველოს ვაჭრობაში, თბ., 1999 (თანაავტ. შ. ნადირაშვილი); ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), თბ., 2003 (თანაავტ. გ. ნადირაშვილი).

კრიხელი იოსებ მიხეილის ძე (10. V. 1931, ცხინვალი, – 22. IX. 1988, სოფ. ეშერა, აფხაზეთის არ), სპორტსმენი (მოჭადრაკე), საჭადრაკო კომპოზიტორი. საერთაშ. დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში (1984). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. ტექნიკის მეცნ. კანდიდატი.

მუშაობდა გორის ავტომატიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ლაბორატორიის გამგედ. 1947-იდან გამოაქვეყნა 1500-მდე საჭადრაკო ამოცანა და ეტიუდი. მრავალი წლის განმავლობაში იყო საჭადრაკო კომპოზიციაში სსრ კავშირის ნაკრების წევრი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მრავალსვლიანი ამოცანების შედგენაში (1984), მეორე (1971, 1983) და მესამე (1976, 1981, 1985) პრიზიორი, კოოპერაციული ჟანრის ამოცანების მსოფლიოში აღიარებული ლიდერი. მისი 96 ამოცანა და ეტიუდი დაიბეჭდა ,,ფიდეს ალბომში''. საქართველოსა და საერთაშ. კონკურსებში მიღებული აქვს 250 პრიზი (აქედან 90 – პირველი).

ლიტ.: Гургенидзе Д., Неидзе В., Извунин А., Сказочный мир Иосифа Крихели, Тб., 1996; Gurgenidze D., Endgames of Iosif Krikheli, Tb., 1995.

დ. გურგენიძე.


კრიხი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. ზემო კრიხის, შუა კრიხისა და ქვემო კრიხის გავრცელებული სახელწოდება.

ჰ. წერილობით წყაროებში პირველად XI ს-იდან გვხვდება. ჰ-ის მთავარანგელოზის ეკლესიის წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღვთისათა ესე ჴელი დავწერეთ ჩვენ კრიხმან სოფელმან“. ეს ეკლესია ზემო ჰ-ში დგას. ი. გიულდენშტედტს დასახელებული აქვს ზემო ჰ. და ქვემო ჰ. ვახუშტი ბაგრატიონის შესაბამის რუკებზე ჰ-ში მოცემულია აზნაურის ციხე-დარბაზი, ეს უნდა იყოს კვიტაშვილთა ერთ-ერთი ციხე-დარბაზი, რ-იც 1733 წინა ხანებში დარისპან კვიტაშვილს შეუწირავს ბიჭვინთის საკათოლიკოსო კათედრისათვის.

ლიტ.: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 1983; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

კრიხულა, მდინარე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. სიგრძე 15,2 *კმ.* აუზის ფართ. 134,6 *კმ*^{2}. სათავეს იღებს



მდინარე კრიხულა.

რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 1480 მ-ზე. ერთვის მდ. რიონს ამბროლაურთან. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, ზაფხულ-შემოდგომაზე ახასიათებს წყალმოვარდნა. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან – 3 *მ*^{3}/*წმ.*

კროპანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (კეხიჯვრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 910 *მ,* ქარელიდან 8 *კმ.* 39 მცხ. (2014).

სოფელი შედგება სამი უბნისაგან: გაბაანთ უბანი, გაბარაანთ უბანი და ჰ. სოფელი ღელე უმეტესად ოსებითაა დასახლებული.

ჰ-ის სამხრ-ით, დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე ეკლესიის ნანგრევია. შემორჩენილია მხოლოდ

საძირკვლის ნაშთი. აქ სამარხის გაჭრისას აღმოჩნდა ქვევრები.

პ. ვახუშტი ბატონიშვილს მოხსენიებული არ აქვს. მხოლოდ XVII ს. საბუთში ვხვდებით სოფ. კრობას, საიდანაც ირკვევა, რომ პაპუნა ციციშვილს ედიშერთან გაყრისას კრობაში ერგო დომელა ლოლისაშვილი მამულითურთ. როგორც ჩანს, პ-ს წინათ კრობა ერქვა.

ი. ტატიშვილი.

კრონზა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქურთის მუნიციპალიტეტში (ხეთაგუროვის თემი), შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 1010 მ.

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კრონზა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში, ხვწის თემი, მდ. გუდისწყლის (დიდი ლიახვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ,* ჯავიდან 7 *კმ.*

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კრონშლეხი (ბრეტონულად crom – წრე და lech – ქვა), ახალი ქვის ხანისა და, ძირითადად, ბრინჯაოს ხანის მეგალითურ ნაგებობათა ერთ-ერთი სახეობა. პ. არის ცალცალკე, სიმაღლეზე დალაგებულ დიდ (ზოგჯერ 6–7 მ სიმაღლის) ლოდთა ერთი ან რამდენიმე კონცენტრული წრე, რ-ის შუაგულში დოლმენი (იხ. აფხაზეთის დოლმენები) ან მენჰირია ჩადგმული.

პ-იანი სამარხები აღმოჩენილია ინგლისში (სტოუნჰენჯი, ეივბერი), ირანში (ლურისტანი), საფრანგეთში (კარნაკი), სომხეთში, დაღესტანში და სხვ.

პ-ის შიდა სივრცეში განლაგებულია სხვადასხვა ტიპის სამარხი: ორმოსამარხები, ქვის სამარხები, გორასამარხები. დას. საქართველოში იშვიათად გვხვდება ნამოსახლარზე გამართული ქვაყრილიანი ყორღანი, რ-ის ქვეშ მოქცეულ ინდივიდუალურ სამარხებს ირგვლივ ქვის წრე შემოუყვება (გუმისთა I).

საქართველოში პ-იანი სამარხები განსაკუთრებით მრავლადაა თრიალეთში საფარ-ხარაბას სამაროვანზე (თავდაპირველად ბ. კუფტინმა ადგილ ბაიბურთში შეისწავლა რამდენიმე პ-იანი სამარხი, რ-ებიც შუა- და გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდებს შორის მოაქცია, 115 ორმოსამარხი შეისწავლა გ. ნარიმანიშვილმა). პ-იანი სამარხები ასევე გვხვდება ქვემო ქართლში (წოფი, მადნისჭალა), შიდა ქართლში (თრელი, სამთავრო, საგურამო, მეტეხი, სტირფაზი, წალვლი–ერთი სამარხი), აფხაზეთში (ქვემო ეშერა, გუმისთა, ოთხარა, ხუაპი) და სხვ.

საქართველოში ერთი ან რამდენიმე რიგისაგან შემდგარი წრიულ-ქვაყრილიანი სამარხები გვხვდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან ძვ. წ. IX ს. ჩათვლით. ამ ტიპის სამარხები შედარებით ხშირია შუა-და გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. XV–XII სს.). სამარხების ირგვლივ შემოვლებული ქვის წრეების დიამეტრი 3–18 მ შორის მერყეობს. წრეები შედგენილია ზოგჯერ საგანგებოდ შერჩეული დიდი ზომის ბაზალტის, ფლეთილი კლდისა და რიყის ქვებისაგან. პ-ების შიგა სივრცე ხშირად შევსებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვებით, რებიც უშუალოდ სამარხებზეა განლაგებული. პ-ის ცენტრში, ჩვეულებრივ, ერთი სამარხია გამართული. დასაკრძალავი კამერები ქვის ფილებით ან ძელებითაა გადახურული. პ-იანი სამარხები ინჰუმაციურია, ხშირად – ინდივიდუალური, ზოგჯერ წარმოდგენილია წყვილადი დაკრძალვა. არის შემთხვევები, როდესაც მიცვალებული ხის სარეცელზე განისვენებს, იშვიათად კი – ურემზე (საფარ-ხარაბა). ისინი დაკრძალული არიან ხელ-ფეხმოკეცილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. იშვიათადაა წარმოდგენილი კოლექტიური დაკრძალვა და კრემაცია. ზოგიერთ სამარხში გვხვდება წითელი ან ყვითელი ოქროს ფრაგმენტები. ამ ტიპის სამარხების ერთ ნაწილში წარჩინებული მეომრებია დაკრძალული, ნაწილი – გაძარცვულია. ზოგჯერ პ-ში გამართულია ორი დასაკრძალავი კამერა. სამარხებში ხშირად დასტურდება მიცვალებულისთვის ჩატანებული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები. ზოგიერთ სამაროვანზე სარიტუალო (სააღაპო) მცირე ზომის ორმოები განლაგებულია პ-ის გარეთ, სადაც განსხვავებული ფორმის ჭურჭელში საგზალია მოთავსებული (საფარ-ხარაბა). დასტურდება მიცვალებული-სთვის შეწირული მთლიანი ცხვრის ან თხის ჩონჩხი. დას. საქართველოში გამოვლენილ პ-იან სამარხებში ხდებოდა კოლექტიური დაკრძალვა.

პ-იან სამარხებში აღმოჩენილია სხვადასხვა სახეობის მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი, გვხვდება ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, მ. შ. წინაზიური ტიპის სატევრის პირები, ბრტყელი და ყუამილიანი ცულები, ბრინჯაოს სამკაული, მ. შ. მოოქრული სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოს საკინძი, სარდიონის, გიშრისა და პასტის, აგრეთვე ოქროს მძივები (თრელი), ოქროს გარსაკრავი (სამთავროს 243 გორასამარხი), რიყის ქვის ცული, გახვრეტილი ქვის საკინძი და სხვა სახის არტეფაქტები. იშვიათად დასტურდება სახელისუფლო ემბლემა – ინსიგნიები – ბრინჯაოს კვერთხისებრი ნივთი, ხურიმითანური საბეჭდავების მსგავსი თიხის ცილინდრული ფორმის საბეჭდავები (საფარ-ხარაბა). გვხვდება ქალის თიხის ანთროპომორფული უთავო ქანდაკება.

ლიტ.: თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1, თბ., 1978; თუშიშვილი ნ., მადნისჭალის სამაროვანი (გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი ქვემო ქართლში), თბ., 1972; ნარიმანიშვილი გ., საფარ-ხარაბას სამაროვანი, „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, 2006, №17–18; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემა (XV–VI სს.), თბ., 1973; ფხაკაძე გ., ენეოლითისა და ადრე ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 2, თბ., 1992; ჩუბინიშვილი ტ., მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1947; Мнацаканян А. О., Раскопки Курганов на побережье озеро Севан в 1956 г., „Советская археология“, 1957, №2; Монгаит А. Л., Археология Западной Европы, М., 1973; Техов Б. В., Стырфазские Кромлехи, Цхинвали, 1974; Шамба Г. К., Эшерские кромлехи, Сух., 1974; Цвинария И. И., Новые памятники Дольменной культуры Абхазии, Тб., 1990.

ლ. ჯიბლაძე.



ო. კრონინი.

„კრონოსის სარკე“, ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი. ახალგაზრდა სიმბოლისტი პოეტების გამოცემა. გამოდიოდა 1919 თბილისში (№1 – ოქტ., №2 – ნოემბ.). გამომცემელი – სარედაქციო კოლეგია. დაბეჭდილია ტ. გრანელის (წალენჯიხელის), ა. კორინთელის, ა. ყანჩელის, ა. ბერიკაშვილის, დ. შენგელაიას ლექსები და მინიატიურები; ვ. გაფრინდაშვილის „დაისები“ და ჟურნ. „ხელოვნების“ განხილვა.

კრონინი ოლეგ ნიკოლოზის ძე (14. III. 1932, მოსკოვი, – 20.XII. 2022, იქვე), ფიზიკოსი. რუსეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (2000). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (2000). საქართვ. მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (2002). დაამთავრა მოსკოვ-

ის მ. ლომონოსოვის სახ. უნ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი (1955). 1956–59 მუშაობდა ქ. სნეჟინსკის (რუსეთი) ბირთვულ ცენტრში ინჟინრად, შემდეგ – პ. ლებედევის სახ. ფიზ. ინ-ტში (ФИАН; 1994–2004 – დირექტორი), ამავე დროს იყო მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკის ინ-ტის მყარი სხეულისა და ნანოსისტემების კათედრისა და ნახევარგამტარული კვანტური ელექტრონიკის კათედრის პროფესორი.

კვლევის ძირითადი მიმართულებაა: ლაზერებისა და პლაზმის ფიზიკა. ნ. ბასოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა პირველი ლაზერის შექმნაზე (1961), დაასაბუთა ლაზერული თერმობირთვული სინთეზის შესაძლებლობა (1962); შექმნა თერმობირთვული ლაზერული სინთეზისათვის პირველი მძლავრი დანადგარებისა და შესაბამისი სამიზნეების ტექნოლოგიური ლაბორატორია.

ჰ. არის ლენინური (1964) და სსრკ სახელმწ. (1982) პრემიების ლაურეატი.

კრუბერის უფსკრული, მსოფლიოს უღრმესი კარსტული სიღრუე. მდებარეობს დას. საქართველოში (აფხაზეთის არ), გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კირქვული მასივის ცენტრ. ნაწილის დას. განშტოების ბერჭილის ქედზე, ზ. დ. 2320 *მ*-ზე. გამომუშავებულია ზედაიურულ კირქვებში. ვიწრო დერეფნებისა და მომცრო დარბაზების მონაცვლეობით უფსკრული საფეხურებად ეშვება 150 *მ* სიღრმემდე და ვიწრო, ვერტიკალურ ნაპრალს ებჯინება.

მღვიმეს აქვს მრავალრიცხოვანი განშტოებები. ,,მიწისქვეშა ევერესტის'' სახელით ცნობილი უფსკრულის გამოკვლეული ჯამური სიღრმეა 2191 *მ,* ჯამური სიგრძე – 13232 *მ.* ჰაერის ტემპ-რა 60 *მ* სიღრმეზე 2–3 °C, ხოლო წყლისა – 1,5 °C. უფსკრულში არის რამდენიმე გამდინარე ნაკადი.

უფსკრულის ზედა ნაწილი 150 *მ* სიღრმემდე აღმოჩენილი და გამოკვლეულია ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის სპელეოსაექსპედიციო რაზმის მიერ 1960 (ხელმძღვ. ლ. მარუაშვილი). მღვიმური სისტემის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კიევისა და სამარის (ყოფ. კუიბიშევი) სპელეოექსპედიციებმა.

მღვიმეს სახელი ეწოდა კარსტის ერთ-ერთი მკვლევრის, ა. კრუბერის (რუს.) პატივსაცემად.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. თბ., 2009.

ლ. მარუაშვილი.

კრუტკოვი იური ალექსანდრეს ძე (19.V.1890, სანქტ-პეტერბურგი, – 12. IX. 1952, იქვე), ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1933), პროფესორი (1921), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1934). 1918-იდან სათავეში ჩაუდგა რუსეთში თეორიული ფიზიკის განვითარებას. დააარსა რენტგენოლოგიური და რადიოლოგიური ინ-ტი. 1922 აირჩიეს რუსეთის ფიზ.-ქიმ საზ-ბის ფიზიკის განყ-ბის თავ-რედ. როკფელერის ფონდის სტიპენდიით 1922 გაემგზავრა სტაჟირებაზე გერმანიასა და ჰოლანდიაში, სადაც სამეცნ. კავშირები დაამყარა ა. აინშტაინთან, გ. ა. ლორენცთან, პ. დებაისთან და სხვ. მეცნიერებთან. ჰ-მა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა აინშტაინისთვის ფრიდმანის შედეგების განმარტებასა და ამ შედეგების აღიარებაში. 1930-იდან ხელმძღვანელობდა თეორიული მექანიკის კათედრას სამხ.-მექანიკურ ინ-ტში, მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ლებედევის სახ. ფიზიკის ინ-ტის (ФИАН) თეორიული ფიზიკის განყ-ბაში. 1946–47 ახლად დაარსებულ სოხუმის ფიზ.-ტექ. ინ-ტში იკვლევდა ატომბირთვული ფიზიკის საკითხებს გერმანელ სპეციალისტებთან ერთად (გ. ჰერცი, მ. ფ. არდენე და სხვ.).

ჰ-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება კვანტური თეორიის, სტატისტიკური მექანიკის, მყარი სხეულის დრეკადობის საკითხებს. გერმანელ მეცნიერებთან ხ. ბარვიხთან და გ. ჰერცთან ერთად 1951 მიენიჭა სტალინური პრემია ურანის იზოტოპების გაყოფის, აირდიფუზიური კასკადების მდგრადობისა და დინამიკის შესწავლისთვის, მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

კრუშინსკი იან თადეუშ (1675, პოლონეთი, – 1756, სოფ. ძბზეჟიუ, უკრაინა), პოლონელი მოგზაური, მისიონერი და მემატიანე. იეზუიტი მღვდელი. 1707–25/28 მოღვაწეობდა სპარსეთში, სადაც იყო ისპაანის კათოლიკეთა ეპისკოპოსის პროკურატორი. ავტორია სეფიანთა სპარსეთის შესახებ დაწერილი ხუთი ვრცელი ნაშრომისა, რ-ებშიც საყურადღებო ცნობებია დაცული XVII–XVIII სს. საქართველოსა და ქართველების შესახებაც. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია 1740 ლვოვში გამოცემული ,,ტრაგიკული რევოლუცია სპარსეთის ისტორიაში'' (,,Tragica vertentis belli Persici historia''). ჰ. ქართველების შესახებ წერს: ,,დასავლეთის იბერებისგან (ესპანელები) განსასხვავებლად ქართველებს აღმოსავლეთის იბერებს უწოდებენ, როგორც ამას აღიარებს ავტორთა უმეტესობა'' ჰ. აღწერს ქართველთა ჩვეულებს. მისი დაკვირვებით, ქართველები ქრისტიანობის მეგზარი მიმდევრები იყვნენ, გამოირჩეოდნენ ნიჭით სამხედრო სფეროში. ჰ-ს ცნობით, სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ დაღესტნელთა სამაგალითოდ დასჯა შაჰინშაჰმა, ჰუსეინ I-მა, დაავალა ვახტანგ VI-ს, რ-იც 1720 წ. 40-ათასკაციანი ჯარით სალაშქროდ გაეშურა, თუმცა შემდეგ ეს ლაშქრობა შეაწყვეტინა რუსეთ-საქართველოს უშუალო დამეზობლებისა და სპარსეთისთვის



კრუბერის უფსკრული. გაგრის მუნიციპალიტეტი.

მოსალოდნელი ხიფათის გამო. 1722 მარტში, ავღანელებთან ბრძოლაში შაჰინშაჰის პირადი გვარდიის სარდლის როსტომის (ვახტანგის ძმა) დაღუპვის შემდეგ, შაჰინშაჰ სოლთან ჰუსეინ I-მა ეს თანამდებობა უბოძა ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეს, უფლისწულ ბაქარ ვახტანგის ძეს. ბაქარმა 4000 მეომარი შეკრიბა და სპარსეთში წასასვლელად გაემზადა, მაგრამ მშობლებმა გადაიფიქრებინეს. ყოველივე ამის გამო ჰ. თვლიდა, რომ სპარსეთში მომხდარ უბედურებათა მიზეზად იქცნენ სწორედ შაჰინშაჰზე გამწყრალი ქართველები, კერძოდ, მეფე ვახტანგი, რ-მაც რუსეთის იმპერატორთან სამხ.-პოლიტ. კავშირი შეკრა და ბაქარის დახმარებით სასტიკად დასჯა სპარსეთზე ორიენტირებული ფეოდალები. ჰ-ის თხზულებაში დაცული ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ სრულიად უნიკალურია, ვინაიდან ანალოგიური ინფორმაცია სხვა საისტორიო წყაროებში არ შემორჩა.

თხზ.: Tragica vertentis belli Persici historia per repetitas clades ab anno 1711 ad annum 1728 vum continuata, post Gallicos, Hollandicos, Germanicos ac demum Turcicos authoris typos auctior [...] Accessit ad eandem Historiam Prodromus iteratis typis subjectus, wyd. Lwow, 1740.

ლიტ.: ზედგინიძე გ., რა იცოდნენ ევროპელებმა XVI–XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 3, თბ., 1996; ჯავახიშვილი ნ., ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ასახვა საზოგადოებრივ აზროვნებაში (ზოგიერთი ასპექტი), „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2015 № 16.

ნ. ჯავახიშვილი.

კრწანისი, უბანი თბილისში მტკვრის მარჯვენა მხარეს, ახლანდ. კრწანისის ქუჩის მიდამოებში (ისანი-სამგორის რ-ნი). ფეოდალურ ხანაში თბილისის სანახებში სამხრ-ით მდებარე სოფელი იყო.

ჰ-ში 1935 აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი (იხ. *კრწანისის განძი*). ჰ. XIII ს. II ნახ-ში თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირული სოფელი იყო. თბილისის მახლობლად პირველად მოიხსენიება 1392 მცხეთის საკათოლიკოსოს სითარხნის გუჯარში, 1429 კი ალექსანდრე I დიდის მიერ გაცემული სიგელით ხელმეორედ შესწირეს სვეტიცხოვლის ტაძარს. ჰ. საკათალიკოსო სოფელი იყო და სოფლის მოურავის სახელით XVI–XIX სს-ში კათოლიკოსის აზნაურიშვილებს, თაზიშვილების გვარის წარმომადგენლებს ეპყრათ. სოფელში მოურავის გარდა იყო ხასადარი, მამასახლისი, მეკულუხე, მებეგრე, ზედამხედველი და სხვ. ამ სახელოების ბოძება და ჩამორთმევა კათოლიკოსის უშუალო კომპეტენციაში შედიოდა. XVIII ს-ში ჰ-ს სამხრ-ით ესაზღვრებოდა სოფ. ხატისთელეთი და სოღანლული, ჩრდ-ით – სეიდაბადი, აღმ-ით – მტკვარი, დას-ით – შინდისი. ჰ-ს ეკუთვნოდა მდ. მტკვრის საწყლისპირო ჭალა, ე. წ. ორთაჭალა. ჰ. ორთაჭალასთან ერთად იყო ერთ-ერთი დაწინაურებული სას.-სამ. უბანი, რ-იც ქალაქის ბაზარს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტით ამარაგებდა. სოფლის მეურნეობის დაწინაურებას აქ ხელს უწყობდა სარწყავი სისტემა – სარწყავი არხი, რუ, რუსხმულები, მდინარეზე მოწყობილი წყლის საქაჩი არხები. „დასტურლამალში“ სა-განგებოდ იყო გაწერილი „ქალაქის მწვანილის საკითხი“, ანუ ბაღჩა-ბაღების მეპატრონეთა გადასახადი, სადაც მითითებული იყო რა რაოდენობის ბოსტნეული და ხილი უნდა ჩაებარებინათ ყოველდღიურად სამეფო საწყობში. სოფ. ჰ-ში მიწებს ფლობდნენ ბატონიშვილები, თბილისის მოქალაქეები.

შუა საუკუნეებში სოფელში ღვთისმშობლის ეკლესია იდგა (არ შემორჩენილა).

ჰ-ის ველზე გაიმართა ბრძოლა ირანისა და ქართლ-კახეთის ლაშქარს შორის (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*).

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. 2, თბ., 1897; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. 2, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ბერიძე თ., და აღმოცენდა თბილისი, თბ., 1977; თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990.

თ. ბერიძე.

კრწანისი, სოფელი თრიალეთში, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (კრწანისის რ-ნი). 2007-მდე შედიოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს კრწანისის ვაკეზე. ზ. დ. 400 *მ*. 2781 მცხ. (2014). XVII–XVIII სს. იხსენიება, როგორც სამშვილდის კრწანისი.

თ. ბერიძე.

კრწანისის ბრძოლა 1795, ბრძოლა ქართლ-კახეთისა და ირანის ლაშქარს შორის, თბილისთან, კრწანისის ველზე. მას შემდეგ, რაც *აღა-მაჰმად-ხანი* ირან. სრული მბრძანებელი გახდა, *ერეკლე II*-ს ირანთან ძვ. ვასალური დამოკიდებულების აღდგენა და რუსეთთან სამხ.-პოლიტ. კავშირის გაწყვეტა მოსთხოვა. რთულ ვითარებაში ერეკლე II-მ რუს. მხარეს რამდენჯერმე მიმართა სამხ. დახმარებისთვის. სექტ. დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანი მთავარი ძალებით (დაახლ. 35 ათ. კაცი) საქართველო -სკენ დაიძრა და 8 სექტემბერს სოღანლულ-იაღლუჯის ჩრდ. კალთებსა და კუმისის ტბას შორის, მდ. მტკვრის ნაპირზე, ე. წ. სარვანის მინდორზე დაბანაკდა. ირანელთა ჯარში თავიანთი ლაშქრით იყვნენ განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ყარაბაღელ სომეხთა მელიქები – მეჯლუმი და ჰაბოვი, ერევნის ხანი. რუსეთის მოიმედე ერეკლე II ბრძოლისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და სახელდახელოდ ძლივს მოხერხდა დაახლ. 3 ათ. კაცის შეგროვება. ამას ემატებოდა იმერეთის მეფის, სოლომონ II-ის 2 ათ. კაცი. 8 სექტ. სამხ. თათბირზე უმრავლესობა ითხოვდა ჯარისა და არტილერიის თვით ქალაქში გადაყვანას (რ-საც გალავანი ერტყა) და შიგ გამაგრებას. უმცირესობა კი, რ-საც მეფე ერეკლე II-ც ემხრობოდა, მოითხოვდა თბილ. ბუნებრივი რელიეფის გამოყენებას, რათა მტრის ჭარბი ძალებისათვის გაშლისა და ბრძოლაში ჩაბმის საშუალება არ მიეცათ. ამ გეგმის მიღების შემდეგ, წინააღმდეგობის გასაწევად გააშენეს ხელოვნური ნაგებობები და სანგრები. ქართველთა სარდლობამ ლაშქარი სეიდაბად-მტკვრის ვიწროებში დააბანაკა. მეწინავე რაზმს იოანე ბატონიშვილი მეთაურობდა, მარჯვ. ფრთას – დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე), მარცხენას – იოანე მუხრანბატონი, ცენტრს და საერთო ფრონტს – ერეკლე II. ცენტრის უკან მარქაფში 2 რაზმი იყო, რ- თაც ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი სარდლობდნენ. აღა-მაჰმად-ხანმა თავისი ლაშქარი 14 რაზმად დაყო და მოპირდაპირე მხარეს – შავნაბადას, თელეთისა და კრწანისის მიდამოებში – განალაგა. ჯარის ზურგში თურქმანთა 6 ათასიანი რჩეული რაზმი ჩააგენა, რ-საც შემტევი ნაწილების უკან დახევის შემთხვევაში ცეცხლი უნდა გაეხსნა. 9 სექტემბერს, დილით, ქართველთა ნაწილების დასაზვერად და ხელსაყრელი

პოზიციებიდან გამოსატყუებლად ირანელთა ავანგარდი სოღანლუღიდან ორჯერ გადავიდა იერიშზე. ქართველთა მეწინავე რაზმმა მტერი ორჯერვე ახლოს მიუშვა, შემდეგ კი ერთბაშად ცეცხლითა და მოულოდნელი იერიშით უკუაქცია. 10 სექტემბერს მტრის მეწინავე რაზმმა (3 ათ. კაცი) ძლიერად შეუტია ქართველთა გამაგრებულ ხაზს ტაბახმელასა და შინდისს შორის. ამ ბრძოლებში ქართველებმა გაიმარჯვეს. გადმოცემით, პირველი ბრძოლით დაშინებული აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ღამით ციხიდან მოღალატეთა ხელშეწყობით გაპარულმა ირანელთა ჯაშუშმა შაჰი ქართველთა სისუსტეში დაარწმუნა. 11 სექტემბერს, დილის 7 საათზე, ირანის ლაშქარი მტკვარ-შავნაბადას ვიწროებით თბილისისკენ დაიძრა და საათ-ნახევრის შემდეგ ქართველთა საბრძოლო დაცვის პირველ პოზიციას შეუტია. ძლიერი შეტევის მიუხედავად, ქართველებმა მტერს ფრონტის ცენტრ. ხაზის გარღვევის საშუალება არ მისცეს. მაშინ აღა-მაჰმად-ხანმა ქართველთა ჯარის ზურგიდან შემოსავლელად და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად თელეთის მიმართულებით 5 ათ. კაცი გაგზავნა. ქართველთა ლაშქარმა ეს შეტევაც მოიგერია, მაგრამ მტრის გაძლიერებული ავანგარდის შეტევისა და არტილერიის ცეცხლის შემდეგ იძულებული გახდა თავდაცვის მეორე პოზიციაზე გადასულიყო. ამ პოზიციის გადალახვისას ირანელებმა ერთ საათში რამდენიმე ასეული მებრძოლი დაკარგეს, მაგრამ მათ ბრძოლაში ახალ-ახალი ძალები შეჰყავდათ. ერეკლე II-მ მეწინავეებს ვახტანგ ბატონიშვილისა და სხვა რაზმებიდან ამორჩეული ქიზიყელთა, არაგველთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ძალები მიაშველა. მათვე შეუერთდა თბილისის მოსახლეობის რაზმი, რ-საც სასახლის მსახიობთა დასის მეთაური მაჩაბელა ედგა სათავეში. მტერი თელეთის მხრიდან შავნაბადის ქედზე გადმოვიდა და მოულოდნელად შეუტია ქართველთა მარჯვენა ფრთას. დავით ბატონიშვილის რაზმმა არტილერიის ცეცხლით უკუაქცია იგი. აღა-მაჰმად-ხანმა ადიდებული მტკვარი გადალახა და იქიდან დაათვალიერა ქართველთა პოზიციები. ქართველთა სარდლობამ მტრის ეს მანევრი ზურგიდან შემოვლის საშიშროებად მიიჩნია, ჯარმა უკან დაიხია და მეორიდან მესამე თავდაცვის სანგარში მყოფ ჯარებს შეუერთდა. მოღალატეთა დახმარებით შაჰი მოსახერხებელი ფონით უკანვე გადავიდა მტკვარზე და ზურგში მოექცა იოანე ბატონიშვილის მეწინავე რაზმს, რ-მაც ვახტანგ ბატონიშვილის დახმარებით გაარღვია ალყა და ძირითად ნაწილებს შეუერთდა. ირანელთა მეწინავე ნაწილები სეიდაბადის ბაღებში შეიჭრნენ, მაგრამ ქართველთა ჯარი კლდეებიდან კონტრშეტევებით იგერიებდა მტერს. იმ მომენტში, როცა მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან ერთი პატარა ხიდი და ბაღნარები ყოფდათ, სეიდაბადის სამხრ. კალთებიდან შეტევაზე გადავიდა ვახტანგ ბატონიშვილის 2-ათასიანი რაზმი, რ-ის ამოცანა ირანელთა ჯარის შუაზე გაკვეთა იყო. მტერმა მთავარი ძალები ამ რაზმის უკუგდებაზე მიმართა. ამ დროს ერეკლე II-მ კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა, მაგრამ მძიმე ბრძოლებში ქართველთა ისედაც მცირე ძალები თანდათან ამოიწურა და მათ უკან დახევა დაიწყეს. ქართველთა ჯარი თავის პირველ პოზიციას დაუბრუნდა და იქ სცადა გამაგრება. ამავე დროს კრწანისის მაღლობიდან მტერმა ქართველთა ლაშქარს ზარბაზნებიდან ცეცხლი დაუშინა. უეცარი იერიში მიიტანეს დავით ბატონიშვილის რაზმზე. ქართველებისათვის ზურგიდან შემოსავლელი და უკანდასახევი გზის მოსაჭრელად რამდენიმე ასეულისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი შინდისის მიმართულებით გაიგზავნა. მტრის ეს მანევრი ქართველთა სარდლობამ შენიშნა და იმერელთა ათასეულის მეთაურისა და არტილერიის უფროსის, გიორგი გურამიშვილის გასაფრთხილებლად შიკრიკი გაიგზავნა, მაგრამ იგი გზაში მოკლეს. ერთი საათის ბრძოლის შემდეგ ქართველთა ლაშქარი მესამე სანგრიდან მეოთხეში გადავიდა, აქაც ერთი საათი იბრძოდა და შემდეგ უკან დახევა დაიწყო. დღის მეორე ნახევარში აღა-მაჰმად-ხანმა მთელი თავისი რეზერვები ბრძოლაში ჩააბა და ქართველებს დევნა დაუწყო. ქართველთა მეზარბაზნეებმა მოახერხეს მტრის შეტევის დროებით შეკავება. მცირე ხნის შემდეგ მტერი ქალაქში შეიჭრა. თითქმის ალყაშემორტყმული ერეკლე II საკუთარმა შვილიშვილებმა მძიმე განსაცდელისაგან იხსნეს და ქალაქისკენ იწყეს უკან დახევა – მეფემ და მისმა 150-მდე მხედარმა თბილისზე გავლით საგურამოსკენ გასწია და ბოლოს თავი მთიულეთს შეაფარა. საღამოს მტრის ჯარი ქალაქს შეესია და ცეცხლის ალში გაახვია. ქალაქში მოსახლეობამ ხელჩართული ბრძოლა გაუმართა მომხდურებს. მტერმა გაძარცვა და მიწასთან გაასწორა მეფის სასახლე, ეკლესიები, სასახლეები, სტამბა, ცეცხლს მისცეს წიგნსაცავები, გაიტაცეს სამეფო კვერთხი, გვირგვინი, დროშა და სხვ., დაანგრიეს თბილ. ცნობილი აბანოები. მოკლულთა რაოდენობა ორივე მხრიდან დაახლ. 20 ათ. აღწევდა. მათი ნაწილი დაუმარხავი დარჩა, რამაც ქალაქში ეპიდემიის აფეთქება გამოიწვია. ამას დიდი შიმშილობაც დაერთო. მოსახლ. დიდმა ნაწილმა მიატოვა ქალაქი და საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა მხარეს გაიხიზნა. დიდი იყო მტრის მიერ წაყვანილ ტყვეთა რაოდენობაც. ტყვეთა გამოსყიდვა კი, სიძვირის გამო, ძალიან ჭირდა. აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი მალევე დატოვა.

ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა თბილისის დემოგრაფიული სტრუქტურა და ეთნ. შემადგენლობა. ნგრევა იმდენად დიდი იყო, რომ ქალაქმა ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვერ შეძლო თავისი წინანდელი მდგომარეობის აღდგენა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1948; გურული ვ., საქართველო და რუსეთი. მფარველობიდან ანექსიამდე, თბ., 1910; დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. – ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; კაკაბაძე ს., კრწანისის ომი, თბ., 1910; ლენგი დ., საქართველოს სამეფო ბოლო წლებში, თბ., 2003; პეტრიაშვილი თ., კრწანისის ბრძოლა, თბ., 2016; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII–XIX სს. ა. იოსელიანის გამოც., თბ., 1980; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958; შაიშმელაშვილი ი., კრწანისის ომი, თბ., 1965; ცინცაძე ი., აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველო ზე (1795 წ.), თბ., 1963; ჯამბაკურ-ორბელიანი ა., აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, ტფ., 1895;

გ. ნარსია.

კრწანისის განძი, სპილენძის ქართული მონეტების დიდი განძი. ნაპოვნია 1935 კრწანისში გზის გაყვანისას. იგი შეიცავს მეფე რუსუდანის სახელით მოჭრილ მონ-

ეტებს (1312 ც.). ავერსზე ორნამენტირებულ ჩარჩოში მთავრული ასოებით დაქარაგმებულია მისი სახელი – რსნ, ჩარჩოს გარეთა ბუდეებში მოთავსებულია თარიღი (ქორონიკონი 447=1227), რევერსზე – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: ,,დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება ქვეყნისა, სამეფოსა და სარწმუნოებისა, რუსუდანი, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდებს ღმერთი გამარჯვებებს მისას‘‘. განძში ასევე არის ბიზანტიური (XI–XII სს.) და ილდეღიზიდური (XII–XIII სს.) მონეტები (7ც.).

განძი ჩამარხული უნდა იყოს XIII ს. 30-იანი წლების შემდეგ. მისი დიდი ნაწილი (1319 ც.) დაცულია საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.

კრწანისის ველი, ველი თბილისის სამხრ. ნაწილში. მდებარეობს თელეთისა და თაბორის ქედებს შორის არსებულ სინკლინურ ჩადაბლებაში. ველს სამკუთხედის მოყვანილობა აქვს და ფუძით მიმართულია მტკვრისკენ. სიმაღლე ზ. დ. 380–425 *მ,* სიგრძე დაახლ. 2,5 *კმ,* სიგანე – 1 *კმ.* აგებულია მეოთხეული ფხვიერი დანალექებით. კვეთს მდ. კრწანისისხევი. ძველთაგანვე ათვისებული იყო სას.-სამ. კულტურებისათვის.

კრწანისისხევი, ტაბახმელის ხევი, დუქნის ხევი, პერიოდული მდინარე თბილისის სამხრ. ნაწილში. სათავეს იღებს თელეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 1025 მ სიმაღლეზე. ორთაჭალის მიდამოებში ერთვის მტკვარს მარჯვნიდან. სიგრძე – 8,5 *კმ.* ჩაჭრილია შუაეოცენურ ვულკანოგენურ ქანებში და კრწანისის ვაკემდე კანიონისებრი ხეობა აქვს. წყლიანია ძლიერი წვიმების დროს (გაზაფხულზე და ივლ. დასაწყისში). ჰ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა‘‘.

კუბაჩური ენა, იხ. სტ. *დარგუული ენა.*

კუბლაშვილი დავით მაქსიმეს ძე (3. III. 1860, სოფ. ქვემო კრიხი, ამბროლაურის მუნიციპ., – 10. III. 1933, სოფ. ნიკორწმინდა, ამბროლაურის მუნიციპ.), პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი. 1879 პირველი ხარისხის მოწმობით დაამთავრა ქუთაისის სას. სასწავლებელი. 1879–85 სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს რევოლუციური იდეების მხარდაჭერის გამო. 1889–96 მუშაობდა ბათუმში, როტშილდების ქარხანაში, სადაც დაუმეგობრდა ე. ნინოშვილს.

1896 კ. დაბრუნდა სოფ. ნიკორწმინდაში, სადაც საკუთარი სახსრებით, იჯარით აღებულ მიწაზე ააგო სახლი და გახსნა სკოლა სოფლის ბავშვებისთვის; 1902-იდან ჰ-ს კერძო სკოლა გაერთიანდა სამრევლო სკოლების სისტემაში. ჰ. თავისსავე დაარსებულ სკოლაში რუსულ ენას ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი ასწავლიდა. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1912 აშენდა ნიკორწმინდის სკოლის შენობა, სადაც თავდაპირველად გაიხსნა ნიკორწმინდის შვიდწლიანი სკოლა (1930-მდე გამგე იყო ჰ.), 1914 ჰ-ის ინიციატივით ნიკორწმინდაში გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი; 1934 ნიკორწმინდის შვიდწლიანი სკოლა სამ. სკოლად გადაკეთდა, 1940 – სკოლის შენობა გადაეცა ნიკორწმინდის საავადმყოფოს. ჰ. აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ პრესასთან.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 3, თბ., 1968.

თ. ალიბეგაშვილი.

კუბლაშვილი ვაჟა ვარლამის ძე (1. I. 1930, სოფ. ღვანკითი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 17. VII. 2004, იქვე), საოპერო მომღერალი (ტენორი), საქართვ. სახ. არტისტი (1990), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1995). 1958 დაამთავრა ქუთაისის მუს. სასწავლებელი (პედ. ს. კუხიანიძე), ხოლო 1966 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. დ. ბადრიძე). 1968–2004 იყო ქუთაისის ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტი. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: აბესალომი, მალხაზი (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ნიკო, მასხარა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), მინდია (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ბაში-აჩუკი, ბერუჩა (ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, „ბერუჩა“), ბერდო (რ. ლაღიძის „ლელა“), თავადი ერისთავი (დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“), ორფეოსი (ბ. კვერნაძის „მედეა“) და სხვ.

ქუთაისის ოპერის წინ გახსნილია ჰ-ის ვარსკვლავი (2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

კუბლაშვილი კონსტანტინე თამაზის ძე (დ. 30. III. 1973, ქ. ტყიბული), იურისტი; იურიდ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. 1995 დაამთავრა თსუ-ის საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტი. ამავე წელს გახდა ზაარლანდის უნ-ტის (გერმანია) მსმენელი, 1998–2000 იყო ჰანოვერის უნ-ტის (გერმანია) დოქტორანტი (მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი).



ვ. კუბლაშვილი.

1995 მუშაობდა საქართვ. ცენტრ. საარჩევნო კომისიაში იურისტად. 1996–98 იყო მთ. სპეციალისტი და განყ-ბის გამგე საქართვ. პარლამენტის აპარატში, 2000-იდან – იუსტიციის საბჭოს წევრი; 2000–02 – იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე; სამინისტროს საპარლამენტო მდივანი; 2004–05 – განვითარებისა და რეფორმების ფონდის მეურვეთა საბჭოს წევრი, შემდეგ – დირექტორი; 2005–15 – საქართვ. უზენაესი სასამართლოს თავ-რე. არის ილიას სახელმწ. უნ-ტის სამართლის სკოლის პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით.

ჰ. არის სახელმძღვანელოებისა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

ი. უჯმაჯურიძე.

კუდარო, მცირე ,,ქვეყანა‘‘ ჯეჯორის ხეობის ზემო წელში. ჰ. ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით კავკასიონის მთავარ ქედს ებჯინება, აღმ-ით მას ლიხის ქედი ესაზღვრება, სამხრ-ით – რაჭის ქედი. ჯეჯორის ზემო წელის გარდა ჰ-ში შედიოდა ყვირილის სათავე – წონის ტბა და მისი მიდამოები. რაჭიდან ჰ-ს ძირითადად უღვირის ქედი გამოყოფდა. სახელწოდება ჰ. დადასტურებულია პირველად სორის ოთხთავის ერთ მინაწერშია, რ-იც XVI ს-ით თარიღდება. ჰ-ს ტერიტორია ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის ხანაში ჩანს დასახლებული. შემორჩენილია X ს. II ნახ-ის ოთხი ეკლესიის ნანგრევები, რაც იმას მოწმობს, რომ ამ პერიოდში იგი მჭიდროდ იყო დასახლებული. შუაფეოდალურ ხანაში და ადრეც ჰ-ში ქართველები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით მისი ტერიტორია თანდათანობით ოსებმა დაიკავეს. გვიანფეოდ. ხანაში



კუები. კასპიური კუ.



კუები. ხმელთაშუაზღვის კუ.



ი. კუზანოვი.

ჰ. ძირითადად იმერეთის სამეფოს საზღვრებში შედიოდა, თუმცა ქართლის სამეფოც აცხადებდა ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას და პერიოდულად მისი კუთვნილება ხდებოდა. 1810, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ჰ-მ იმერეთის სხვა ნაწილებთან ერთად რუსეთის მთავრობის ერთგულების ფიცი მიიღო. დღეს ისტორიული ჰ-ს ტერიტორია ჯავის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

კუდაროს მღვიმოვანი, კარსტულ მღვიმეთა მრავალ-სართულიანი სისტემა დას. საქართველოს კარსტული ზოლის უკიდურეს აღმ. ნაწილში – კუდაროს მასივში. მდებარეობს ჯავის მუნიციპალიტეტის ტერიტ. ორგანოს – კვაისის ტერიტორიაზე, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. მღვიმეები გამომუშავებულია 1500–1700 *მ* სიმაღლეზე ზედა იურის (ლუზიტან-ტიტონურ) ძლიერ დანაპრალებულ კირქვებში და უნიკალურია შესანიშნავად დაცული აშელ-მუსტიეს მძლავრი კულტ. ნაფენებით. ჰ. მ-ის კარსტული მღვიმეებიდან აღსანიშნავია მორფომეტრიული თვალსაზრისით განსხვავებული კუდაროს I, II, III, IV, V, VI მღვიმეები და მათ სამხრ.-დას-ით 0,5-1 *კმ*-ზე მდებარე კუდაროს შახტი. მღვიმეები მიკვლეული და შესწავლილია ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის სპელეოექსპედიციის მიერ.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

კუდაროს ქედი, გორმაღალის ქედი, კავკასიონის სამხრ. განშტოება. მდებარეობს ჯავის მუნიციპალიტეტში. მდინარეების – ქვედრულისა (ჯეჯორის მარჯვ. შენაკადი) და ჯეჯორის წყალგამყოფი. ჩრდ-ით იწყება მთა გორმაღალთან (3187 *მ*) და მთავრდება სამხრ.-დას-ით მთა ველიანთით (2223 *მ*). აგებულია ქვედაცარცული კირქვებითა და ზედაეოცენური თიხებით, ქვიშაქვებითა და ბრექჩიებით. კალთების ქვედა ნაწილში მთა-ტყის ლანდშაფტია, ზედაში – მთა-მდელოსი (ალპ. და სუბალპ. მდელოები).

კუდატყე, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ახალსოფლის თემი), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, სკრა-ქარელის არხის ნაპირზე. ზ. დ. 650 *მ*, ქარელიდან 9 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

კუდიანი ვარსკვლავი, იხ. *კომეტები.*

კუდიგორა, დაბალი სერი კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდინარეების – დურუჯისა და ჩელთის წყალგამყოფის უკიდურესი სამხრ. დაბოლოება. სიმაღლე ზ. დ. 500-იდან 800 *მ*-მდე. აგებულია ზედაიურულ-ვალანჟინური არკოზული ქვიშაქვებითა და კირქვებით. შემოსილია მუხის, რცხილისა და წიფლის ტყით.

გ. დევდარიანი.

კუდოთი, სოფელი იმერეთის რეგიონის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (რიონის თემი), იმერეთის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, წყალტუბოდან 32 *კმ*, ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 *კმ*. 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

კუდრახუძი, სოფელი აფხაზეთის არ-ის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (აძუბჟის თემი), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. კოდორის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 8 *მ*, ოჩამჩირიდან 23 *კმ*, დრანდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კუები (Testudines), ქვეწარმავალთა რიგი. სხეული მოქცეული აქვთ ძვლოვან ჯავშანში, რ-იც შედგება ამობურცული ზურგის ბაკნისა (კარაპაქსი) და უფრო ბრტყელი მუცლის ფარისაგან (პლასტრონი). ორივე ფარი ერთმანეთთან მოძრავად ან უძრავადაა დაკავშირებული. ჯავშანს ქმნის მალების გაფართოებული წარზიდული მორჩები და ნეკნები, აგრეთვე კანის გაძვალებანი. ლავიწი და მკერდის ძვალი შესულია მუცლის ფარის შედგენილობაში. ჰ-ის უმრავლესობას ჯავშანი დაფარული აქვს რქოვანი ფირფიტებით ან ფარებით, ზოგიერთებს – კანით. კბილები არა აქვთ. ყბების ბოლოები დაფარულია რქოვანი შალითით. კისერი მოძრავია. აქვთ 2 ანალური ბუშტი, რ-იც წყლით ივსება და გამოიყენება დამატებითი სუნთქვის ორგანოდ (წყლის ფორმებში), აგრეთვე გრუნტის დასარბილებლად კვერცხის დების დროს. კიდურების კუნთები კარგად აქვთ განვითარებული, ტანისა კი თითქმის გამქრალია. ზურგის ტვინი თავის ტვინზე უკეთესად არის განვითარებული. გრძნობის ორგანოებიდან ყველაზე კარგადაა განვითარებული ყნოსვის, გემოვნებისა და შეხების ორგანოები. ტანად ყველაზე დიდია ჰ-ის ზღვის ფორმები (სიგრძე 2 *მ*, მასა 400 კგ აღწევს). ჰ. გავრცელებულია ყველა კონტინენტზე (გარდა ანტარქტიდისა). ყველაზე ბევრია ტროპიკებში, ცივ სარტყელში არ გვხვდება. ჰ-ის ნაწილი ხმელეთზე ბინადრობს. ზღვის ჰ-ის შებრტყელებული ფორმის კიდურები ფარფლებს მოგვაგონებს. ზოგი სახეობა წყალხმელეთა ქვეწარმავალია. ხმელეთის ჰ. ძირითადად იკვებება მცენარეულობით, წყლის ფორმები – ცხოველებით (უხერხემლოები, თევზები). ყველა კუ კვერცხმდებია, დებს 1–160 კვერცხს. თანამედროვე ჰ-ს ყოფენ 4 ქვერიგად და 250-მდე სახეობად.

საქართველოში გვხვდება მათი სამი სახეობა: ხმელთაშუა ზღვის კუ (Testudo graeca) გავრცელებულია აღმ. საქართველოს ველისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში; ჭაობის კუ (Emys orbicularis) გვხვდება მთელი საქართველოს წყალსატევებში; კასპიური კუ (Clemmys caspica) ბინადრობს აღმ. საქართველოს წყალსატევებში (ხშირად ჭაობის კ-თან ერთად). ჰ. დიდხანს ცოცხლობენ, ზოგი ფორმა 200 წელს და მეტს ძლებს. მის ხორცსა და კვერცხს მაღალი საკვები ღირებულება აქვს. ჯავშნისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნაკეთობას.

თ. მუსხელიშვილი.

კუზანაშვილი უშანგი მალხაზის ძე (დ. 9. VII. 1984, საგარეჯო), სპორტსმენი (სამბო). მსოფლიო ჩემპიონი (2007), მეორე (2011) და ორგზის მესამე (2006, 2009) პრიზიორი. ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (2007, 2009–12), ორგზის მეორე (2006, 2008) და მესამე (2013) პრიზიორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლიტ.: ბერიშვილი ე., ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბ., 2013.

კუზანოვი ივანე (ივა) იაგორის ძე (დ. 21. IV. 1948, თბილისი), პლასტიკური ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988), სსრკ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982); სამედ. ბიოლ. აკად. ნამდვილი წევრი (1994).

1972 დაამთავრა თსსი. 1974–76 იყო ქ. მოსკოვის კლინიკური და

ექსპერ. ქირურგ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კლინიკური ორდინატორი; 1976–79 – თბილისის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელი; 1979 – №7 საავადმყოფოს მიკროქირურგიის განყ-ბის გამგე, პარალელურად 1979–82 – ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიის (ცსკლ) ექსპერ. მედიცინის განყ-ბის ხელმძღვანელი; 1982–83 – ამავე ინ-ტის ტოპოგრ. ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის დოცენტი; 1984–87 – ცსკლ-ის მიკროქირურგიის ჯგუფის ხელმძღვანელი; 1987–93 – ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ტოპოგრ. ანატ. და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგე; 1992–99 ხელმძღვანელობდა №5 კლინ. საავადმყოფოს სისხლძარღვთა და მიკროქირურგ. განყ-ბას, 1994–2005 – შპს „კარაპს მედლაინის“, ხოლო 2005–07 – შპს „ჯი, აი, ენ, ენ-ის“ კლინიკას; 2007- იდან არის „ესტა კუზანოვ კლინიკის“ დამფუძნებელი და პლასტიკური ქირურგი.

ჰ-ს სამეცნ. შრომები ეხება პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგ. აქტ. საკითხებს. 1998-იდან არის ქირურგ. საერთაშ. კოლეჯის (ICS – International College of Surgeons) ნამდვილი წევრი, საქართვ. ესთეტიკური, რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგ. საზ-ბის პრეზიდენტი (1999); 2006-იდან – პლასტიკური ქირურგიის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

კუზნეცოვა ოლგა ვლადიმერის ასული (დ. 4. VII. 1928, თბილისი), საოპერო მომღერალი (ლირიკული სოპრანო), საქართვ. სახ. არტისტი (1967). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. თ. სავანოვას კლასი), ამავე წლიდან იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი.

ჰ-მ შეასრულა სოპრანოს თითქმის ყველა წამყვანი პარტია ქართ. და კლასიკური რეპერტუარებიდან: ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი‘‘, ,,დაისი‘‘), შორენა (შ. მშველიძის ,,დიდოსტატის მარჯვენა‘‘), ნინო ჭავჭავაძე (დ. თორაძის ,,ჩრდილოეთის პატარძალი‘‘), მზია (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია‘‘), ლიზა, ტატიანა, იოლანტა (პ. ჩაიკოვსკის ,,პიკის ქალი‘‘, ,,ევგენი ონეგინი‘‘, ,,იოლანტა‘‘), მიმი, ტოსკა (ჯ. პუჩინის ,,ბოჰემა‘‘, ,,ტოსკა‘‘), მიქაელა (ჟ. ბიზეს ,,კარმენი‘‘), დეზდემონა, აიდა, ლეონორა (ჯ. ვერდის ,,ოტელო‘‘, ,,აიდა‘‘, ,,ტრუბადური‘‘) და სხვ. მის შესრულებას ახასიათებდა მაღალი ვოკალურ-სცენური ოსტატობა. 1969–75 მოსკ. დიდი თეატ. სოლისტი იყო, 1980-იდან – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი. 2001-იდან საცხოვრებლად გადავიდა სანქტ-პეტერბურგში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ლიტ.: ზურაბიშვილი დ., ოლღა კუზნეცოვა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, №12.

კუზნეცოვი ერასტი დავითის ძე (დ. 29.V.1933, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) უნ-ტის ისტ. ფაკ-ტი (1956). მოღვაწეობდა იქვე. მისი სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა რუს. XX ს. წიგნის ხელოვნ. ისტორია. საფუძვლიანად შეისწავლა „მირ ისკუსსტვოს‘‘, ფუტურისტების, „პეტროგრადის“ გამფორმებელთა სკოლის, 20–30-იან წლებში გამოცემული საბავშვო წიგნების ლენინგრადელ მხატვართა მოღვაწეობა. 1957-იდან მუშაობდა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. სახელმწ. საჯარო ბ-კაში, 1960–69 იყო გამომცემლობა „რსფსრ მხატვრის“ რედაქტორი, 1969–79 – გამომც. „ისკუსსტვოს“ ლენინგრადის განყ-ბის მხატვრული რედაქტორი და სხვ. ამავე დროს ჰ. იკვლევდა ნიკო ფიროსმანის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას, რ-საც სხვადასხვა წლებში მიუძღვნა არაერთი მონოგრაფიული ნაშრომი (1975, 1984, 2001, 2012, 2015).

კუზნეცოვი ივანე გიორგის ძე [27. VIII (8. IX). 1892, ნალჩიკი, – 9. VI. 1946, მოსკოვი], რუსი გეოლოგი. კავკასიის მკვლევარი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1942). 1919 დაამთავრა პეტროგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) სამთო ინ-ტი. 1939-მდე მუშაობდა გეოლ. კომიტეტში, 1939–46 – სსრკ მეცნიერებათა აკად. გეოლ. ინ-ტში. 1941–44 ცხოვრობდა თბილისში, მონაწილეობდა ადგილ. გეოლ. დაწესებულებების მუშაობაში. მისი უმთავრესი შრომები ეხება კავკ. ტექტონიკისა და მაგმატიზმის საკითხებს. მანვე დააზუსტა კავკასიონის მეზოზოური ფიქლების სერიის სტრატიგრაფიის ძირითადი საკითხები, დაადგინა ძირულის მასივის ფილიტების წყების ადრინდ. კამბრიული ასაკი.

ლიტ.: Ренгартен В., Памяти Ивана Георгиевича Кузнецова, «Известия АН СССР. Серия геологическая», 1947, №6.

ვ. ჯავრიშვილი.

კუთხენოჯიხევი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ხობის მუნიციპალიტეტში (ნოჯიხევის თემში), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 40 *მ,* ხობიდან 7 *კმ.* 206 მცხ. (2014).

კუკავა თამარ გრიგოლის ასული (7. I. 1921, სოფ. კავთისხევი, კასპის მუნიციპალიტეტი, – 15. IV. 2007, თბილისი), ფილოსოფოსი, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1972). სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის სპეციალობაზე (1938–42).

ჰ. იყო გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედ. ინ-ტის (1946–48) და ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტის (1948–52), აგრეთვე საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის (1952–71) თანამშრომელი, თსუ-ის ესთეტიკის კათედრის პროფესორი (1971–2006).

ჰ. არის 30-მდე წიგნისა და მრავალი სამეცნ. სტატიის ავტორი. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა ძვ. ბერძნული ფილოსოფია, ქართ. ჰიმნოგრაფია, ქართ. ფილოსოფიის ისტორია, შემეცნების თეორია, ეთიკა და ესთეტიკა; იგი თავის კვლევებში ასაბუთებს ქართ. ფილოსოფიური აზრის განვითარების ერთიან უწყვეტ ხაზს (იოანე პეტრიწიდან მოყოლებული არსენ ბულმაისიმისძისა და ანტონ I-ის ჩათვლით ს. დოდაშვილამდე). ჰ-მ გამოიკვლია და გამოსცა ქართველი მოაზროვნეების – ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწის, დავით რექტორის, ანტონ I-ის, ს. დოდაშვილის და სხვათა უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ტექსტები.



ო. კუზნეცოვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰ-ს მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ძვ. ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნა, გამოიკვლია და გამოსცა არისტოტელეს ნაშრომები. ჰ-ს ძალისხმევით მოხდა ს. დოდაშვილის ნეშტის ქ. ვიატკიდან თბილისში გადმოსვენება (1994).

თხზ.: ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1972; სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, თბ., 1975; ,,იოანე პეტრიწის წიგნი ,,ათ-ორ თვისა‘‘: /,,პროლოღია‘‘/, თბ., 1978; ესთეტიკა, თბ., 1985; ეფრემ მცირის იამ-

ბიკოები, თბ., 1988; ს. დოდაშვილი. *თბ-ზულებანი*, თბ., 1989; ანტონ პირველი (ბაგრატიონი). პოეტური ქმნილებანი, თბ., 1996; დავით რექტორი. *თბ-ზულებანი*, თბ., 1997; ეთიკა, თბ., 1998.

ლ. ზაქარაძე.

კუკია, თბილისის ძველი მიკრორაიონი, ახლანდ. ა. ჩიქობავას ქუჩის ზედა, აღმ. მხარე. გვიანდ. შუა საუკუნეებში ქალაქისპირა სოფელი იყო, მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და ეკავა მდინარის აღმა, ჩრდ-ით მდებარე ტერიტორიის ვიწრო ზოლი. სამხრ-იდან მას ესაზღვრებოდა სოფ. ჩუღურეთი (საზღვარი გადიოდა დიდხევზე), ჩრდ-ით – ხელოვნური თხრილი (დაახლ. ახლანდ. მ. წინამძღვრიშვილის – ყოფ. ელისაბედის, შემდეგ კი კლარა ცეტკინის ქუჩა) და დას-ით – მტკვარი. სოფ. კ-ის აღრინდ. (XVII–XVIII სს.) სახელი – ახალსოფელი (მიანიშნებს ახალ დასახლებაზე), პირველად გვხვდება ვახუშტისეულ თბილისის 1735 გეგმაზე (№64), რ-ის მიხედვით დასახლება მეჩხერია. სოფელი ამ ადგილზე კ-ის სახელით პირველად გვხვდება ი. *გიულდენშტედტის* 1772 რუკაზე. სოფ. კ-ის ადგილას დასმული გეომ. ნიშანი აღნიშნავს ციხესიმაგრეს. ამ დროს კ. გაპარტახებული ყოფილა და მისი დასახლება უფრო მოგვიანებით მომხდარა. რაც შეეხება ,,კუკიას'', დღევანდელი ქართ. ლექსიკა მისი ახსნის საშუალებას არ იძლევა. ყოფით ეთნოგრ. მასალაში შემორჩენილია სიტყვა ,,კუკი'' ,,გონჯის'' მნიშვნელობით. *თეიმურაზ ბატონიშვილი* კი გვთავაზობს ახსნას, – ,,კუკია'' – დაკუკებული, ანუ წამომჯდარი.

ტოპონიმი ,,კუკია'' პირველად იხსენიება ,,დასტურლამალში'', რ-ის მიხედვით სახელწოდება დაამკვიდრა XVII ს. 40–50-იან წლებში თრიალეთის სოფ. კუკიიდან (საბარათიანო) მასობრივად გახიზნულმა და ქალაქის განაპირას გადმოსახლებულმა ყმა-გლეხობამ. 1781 აღწერით კ-ის მოსახლეობას უკვე სალაშქრო ვალდებულება ჰქონდა შეწერილი.

XVIII ს. 70–80-იან წლებში კ. სადედოფლო სოფელი – მამულია. 1801 დარეჯან დედოფალი რუსი ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოხსენებაში, სხვა ამბებთან ერთად, სოფ. კ-ზეც საუბრობს: ,,წინწყარო სოფელი ხარაბა, ამისი გლეხნი აქა-იქ დაფანტულნი მომიკრეფია და კუკიას დამისახლებია, რომ არის ჩემგან დასახლებული კაცი დღეს კუკიაში კომლი ,,ლ'' (30)''... 1823 კამერალური აღწერით იქ სახლობდნენ საეკლ. ყმა-გლეხები და 145 სახაზინო კომლი.

1824 კ. ჩულურეთთან ერთად მიაკუთვნეს თბილისს. XIX ს. 40–50 წლებში ჩულურეთიდან და ავლაბრიდან იწყება მასობრივი გადასვლა კ-ში დასასახლებლად, რის გამოც მისი ტერიტორია იმდენად გაიზარდა, რომ 1850 ავჭალის დიდი გზის (ახლანდ. ა. ჩიქობავას ქუჩა) გადაღმა, აღმ-ით და ჩრდ.-აღმ-ით გაჩნდა ,,ახალი კუკიის'' დასახლება (მოგვიანებით –,,მალაკნების უბანი'', გერმანელთა დასახლება-კოლონია). XIX ს. 80–90-იან წლებში „ახალი კუკია'' რკინიგზის გადაღმა ტერიტორიას (ძვ. ნაძალადევი, ახლანდ. ო. ქინქლაძისა, გ. ჩიტაიას ქუჩები და კუკიის სასაფლაო) იკავებს. კ. ძირითადად ხელოსანთა უბანი იყო, რ-იც ქალაქს ამარაგებდა იქ არსებულ კერამ. სახელოსნოებსა და ქ-ნებში დამზადებული თიხის ჭურჭლით და სამშ. მასალით (აგური, კრამიტი).

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977., თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990.

თ. ბერიძე.

კუკ-კოლიზი ჯეიმს ნორმანი (7. V. 1876, კორკის საგრაფო, ირლანდია, – 14. IV. 1941, იქვე), ინგლისელი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. ბათუმის გენ.-გუბერნატორი (1919–20). მუდროსის ზავის თანახმად 1918 დეკ-იდან საქართველოში ჩამოვიდა ინგლისელთა 5 გემი 15–20-ათასკაციანი ჯარით, რ-იც განლაგდა ძირითადად ბათუმსა და თბილისში. კ.- კ-ის გადაწყვეტილებით ბათუმის მმართველობა ხელში აიღო კადეტმა მასლოვმა და ოლქის მმართველობაში რუსი მოხელეები დანიშნა. კ.-კ-მა ბათუმის ოლქში ინგლისელთა მმართველობა დაამყარა. 21 იანვრიდან ბათუმში დაწესდა ინგლისის ფლოტზე მიღებული დრო, გამკაცრდა ფინანსური და ეკონ. სანქციები, აიკრძალა მანიფესტაციები. 1919 სექტ-იდან ბათუმსა და მთლიანად ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ქართ. პრესა საკმაოდ უარყოფითად აფასებდა კ.-კ-ის საქმიანობას. 1920 დასაწყისიდან საქართვ. მთავრობამ დაიწყო ბათუმის ოლქის შემოერთებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რასაც კ.-კ-ის მხრიდან საპასუხო ქმედება მოჰყვა. იგი ოლქის ფარგლებში მყოფი საქართვ. ჯარის ყველა ნაწილის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სათანადო ზომების მიღებით იმუქრებოდა. ინგლისის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქიდან ჯარების გაყვანის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კ.-კ-ის ბრძანებით, მოსახლეობაში დაიგზავნა სპეც. მოხელეები, რათა ხელისუფლების შეცვლის პროცესი მშვიდობიანად წარმართულიყო.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენით, იყო ბრიტანეთის წმ. მიქაელის და წმ. გიორგის რაინდული ორდენის კავალერი.

ჯ. სამუშია.

კუკულაძე კარლო ნოეს ძე (25. VII. 1911, სოფ. კავთისხევი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 16. I. 1980, თბილისი), თეატრის მხატვარი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950). 1922–25 სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში. 1931 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (ფერწერა – ე. ლანსერეს კლასი; თეატრ.-დეკორ. ხელოვნება – დ. კაკაბაძის კლასი). 1931–34 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მხატვარი, 1946 – დამდგმელი მხატვარი, 1947–77 – მთ. მხატვარი. 1934–41 მოღვაწეობდა მოსკ. დიდ თეატრში. საქართველოსა და რუსეთში გააფორმა სპექტაკლები: ა. კერესელიძის „ბაში–აჩუკი'' (1946), დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე'' (1947), ა. ბალანჩივაძის „მზია'' (1949), ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი'' (1951), პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა'' (1954), რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები'' (1959), ი. გეჯაძის „განთიადი'' (1961), შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა'' (1961), ჟ. ბიზეს „კარმენი'' (1968) და სხვ. 2016 საქართვ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრ. სახელმწ. მუზეუმში მოეწყო კ-ის პერსონალური გამოფენა, რ-იც მხატვრის დაბადებიდან 105-ე წლისთავს მიეძღვნა.

ლიტ.: კარლო კუკულაძე. პერსონალური გამოფენის კატალოგი, თბ., 2016; Театральная энциклопедия, т 3, М., 1963.

თ. გერსამია.

კუკულაძე ჭოლა ვლადიმერის ძე (1.V.1921, ლანჩხუთი, – IX. 1998, სოხუმი), მხატვარი, მოქანდაკე. აფხ. არ-ისა (1969) და საქართვ. დამს. მხატვარი (1971).



ჭ. კუკულაძე. ,,გალაკტიონ ტაბიძე''. 1996.

1950–56 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნ. ფაკ-ტზე. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1956-იდან. 1963–68 იყო სოხუმის მთ. მხატვარი, 1969–79 – აფხ. მხატვართა კავშირის თავრე. ძირითადი ნამუშევრები: ფერწერა – „პარტიზანთა მდინარეზე გადასვლა'', „გიორგი ლეონიძე და დიმიტრი გულია'', „კონსტანტინე გამსახურდია'', „ნესტორ ლაკობა'', „გალაკტიონ ტაბიძე'', „შოთა რუსთაველი'', „იაკობ გოგებაშვილი'', „ილია ჭავჭავაძე'', „აკაკი წერეთელი'', „ეფრემ ეშბა''; „შინმოუსვლელთა მემორიალი'' სოფ. ჯვარში, პ. ძიგუას ძეგლი ქ. გალში. მონაწილეობდა „საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნების'' (1987, მოსკოვი) გამოფენაში. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის, მინსკის, სანქტ-პეტერბურგის, შვეიცარიისა და გერმანიის კერძო კოლექციებში.

კუკუჯანოვი ნიკოლოზ ივანეს ძე [23. III(4. IV). 1896, თბილისი, – 16. IV. 1970, იქვე], ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1968).

1924 დაამთავრა ლენინგრ. სამხედრო-სამედ. აკადემია. 1936–39 მუშაობდა იქვე პროფ. ს. ფიოდოროვისა და ვ. შევკუნენკოს ხელმძღვანელობით. 1941–42 იყო ამიერკავკ., შემდეგ კი კავკ. და ყირიმის ფრონტების მთ. ქირურგი, 1942–46 – თბილ. სამხარეო ჰოსპიტლის წამყვანი ქირურგი, ამიერკავკ. სამხ. ოლქის მთ. ქირურგი; 1946 – ექიმთა დახელოვნების ინტის სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის გამგე.

პ. იკვლევდა თირკმლის ფუნქციას, ქოლემიურ სისხლდენას, ექინოკოკურ დაავადებას, საზარდულის თიაქარს და სხვ.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Прямые паховые грыжи и их оперативное лечение, М., 1949. Лечение острых перитонитов пенициллином, Тб., 1952.

კულა, 1. ღვინის გრძელყელიანი, მრგვალმუცლიანი სასმისი, უმთავრესად დამზადებულია ხისგან (ძელქვა, ბზა, ურთხელი, კაკალი), აგრეთვე აყიროსა (გოგრა) და ლითონისაგან (ვერცხლი, სპილენძი). პ-ის ყელის ხვრელი პირისკენ თანდათანობით ვიწროვდება, ყელთან აქვს პატარა რქა სმისას თითის გამოსადებად. პ. სმის დროს რაკრაკა ხმას გამოსცემს. ხმიანი სასმისი ქართულ სუფრაზე სალაღობოდ იხმარებოდა. ზოგჯერ მოჭედილი იყო ვერცხლის ჭედური ფირფიტებით, აყიროს პ -ს კი წარწერებით, ორნამენტით და გიშრით ამკობდნენ.

2. ქვებით აგებული ოთხკუთხა სვეტი, რ-იც მოხვეთა სახლში დედაბოძის მოვალეობას ასრულებდა.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011. ხაზარაძე მ., ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, თბ., 1988.

ლ. გაბუნია.
ე. ნადირაძე.

„კულა“ (შპს გორის საკონსერვო ქარხანა ,,კულა''), ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოების ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოში. დაარსდა 2009 ბავშვთა კვების საკონსერვო ქ-ნა ,,კულას'' სახელწოდებით გორის საკონსერვო ქ-ნის ბაზაზე (იხ. *,,გორკონი''*). ქ-ნა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. კომპანია თავდაპირველად უშვებდა 2 ბრენდს – ხილისა და ბოსტნეულის სუფთა წვენებს ბრენდ ,,Kula''-ს სახელით და საბავშვო ნატურალურ წვენებს ,,Kula baby''-ის სახელწოდებით. 2010-იდან კომპანიამ დაიწყო მურაბების, ჯემების, კომპოტების, ტყემლების, საწებლების, მარინადების, ტომატ-პასტის, ცივი სადილებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. 2017-იდან უშვებს ხორცის კონსერვებს და ხილის წვენებს შაქრის დანამატების გარეშე. ამჟამად საწარმო 250-ზე მეტი დასახელების მაღალი გემური თვისებებისა და ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის, ხორცისა და თევზის კონსერვებს უშვებს. ხილი და ბოსტნეული, რ-საც კომპანია იყენებს წარმოებაში, მოყვანილია საქართველოში. პროდუქცია გამოდის მინის ბოთლებითა (0,200; 0,330; 0,5; 1 ლ) და ქილებით (0,75,–0,5,1 ლ), აგრეთვე მუყაოს შეფუთვით და თუნუქის ქილებით. მისი რეალიზაცია ხდება კომპანიის საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით საქართვ. ყველა რეგიონში. ,,პ-ს'' გახსნილი აქვს საფირმო მაღაზიები თბილისსა და სხვა ქალაქებში. პროდუქცია გადის ექსპორტზეც მსოფლიოს 25-ზე მეტ ქვეყანაში. დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის მენეჯმენტის საერთაშ. სისტემა ISO 22000:2005. ,,პ.'' მონაწილეობს მრავალ კონკურსსა და საერთაშ. გამოფენაში, მიღებული აქვს არაერთი ჯილდო და სერტიფიკატი; გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო ქართ. წვენი ,,Golden brand''-ის დაჯილდოებაზე (თბილისი, 2020). კომპანია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. იგი არაერთი ღონისძიების სპონსორია.



საკონსერვო ქარხანა ,,კულას'' პროდუქცია.

ლ. აბრამიშვილი.

კულა გლდანელი (ივანე ბეროს ძე ყირიმელაშვილი; 1858, სოფ. გლდანი, – 1934, თბილისი), ქართველი ფალავანი. ჭიდაობით გაითქვა სახელი თბილ. უბნებში (ორთაჭალა, ფიქრისგორა, დიდუბე, ჩულურეთი და სხვ.). არაერთხელ დაამარცხა იმ დროისათვის ცნობილი ფალავნები: რენელი, თიანელი, ღაღაძე, გონგაძე



კულა.



კულა გლდანელი.

და სხვები. წლების განმავლობაში (ნ. ესებუასთან შეხვედრამდე) ჰ. ბ-ს საქართველოს დაუმარცხებელი ფალავნის სახელი ჰქონდა. იგი ღონიერი, მარდი და მოქნილი ათლეტი იყო, ქართ. ჭიდაობის ნამდვილი ოსტატი. წარმატებით გამოდიოდა სამხრეთ კავკას. და რუს. სხვადასხვა ქალაქში გამართულ ჩემპიონატებში. გამოზარდა არაერთი ცნობილი ფალავანი.

1883 მეგობრების დახმარებით თიანეთში მოაწყო დიდი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში და შემოსული თანხა მთლიანად ვაჟა-ფშაველას გადასცა, რამაც პოეტს საშუალება მისცა პეტერბურგში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად. საზოგადოებისა და პრესის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჰ. ბ-ისა და ნ. ესებუას პაექრობა, რ-საც ა. წერეთელმა მიუძღვნა პოემა ,,ჭიდაობა'' (1888). 1925 ქართველმა საზ-ბამ ჰ. ბ-ს იუბილე გადაუხადა.

ლიტ.: ბარნოვი ა., ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ., 1967; გეგენავა ღ., ორი ფალავანი, თბ., 1967.

ლ. აბაშიძე.

კულაკთაუ, კლდოვანი მწვერვალი ცენტრალური კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ტვიბერისა და კითლოდის უღელტეხილებს შორის. სიმაღლე 4143 *მ.* აგებულია პალეოზური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. კალთების ძირას იწყება მყინვარები. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

კულაკობა საქართველოში (რუს. кулак – მუშტი), სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი რუსული ტერმინი. დაკავშირებულია საგლეხო რეფორმების შემდეგ რუსულ სოფელში მიმდინარე სოციალურ დიფერენციაციასთან, ე. წ. ,,ბობოლების'' ფენის გაჩენასთან.

XIX ს. დასასრულს კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი სოც.-ეკონ. პროცესები ვითარდებოდა საქართველოს სოფლებშიც. სანადელო და საიჯარო მიწებზე მოწყობილი გლეხური მეურნეობა ექცეოდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ორბიტაში, რაც აჩქარებდა მიწის გამოსყიდვისა და ყიდვა-გაყიდვის პროცესს. წინა კაპიტალ.-აგრარულ ურთიერთობათა ფორმებს თანდათან ეცლებოდა ნიადაგი, წვრილი გლეხური მეურნეობა შესაბამისობაში მოდიოდა წვრილ გლეხურ საკუთრებასთან, ხდებოდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია.

რუს. სოციალ-დემოკრატები თავიდან არ იზიარებდნენ ,,კულაკის'' მიმართ გამოთქმულ მემარცხენე რადიკალურ შეხედულებებს. ორთოდოქსული მარქსიზმის მიხედვით, სოფლის ბურჟუაზიას უნდა შეესრულებინა სოფელში ფეოდალიზმის მესაფლავის როლი, რასაც ის წარმატებით ახორციელებდა რუს. იმპერიაში.

რუსეთში ოქტომბრის რევ. შემდეგ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა და ,,სამხედრო კომუნიზმმა'' ეკონომიკურად გააჩანაგა სოფელი. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა ახალი ეკონ. პოლიტიკის („ნეპი'') გზას დადგომოდა. ,,ნეპის'' პოლიტიკა გარკვეულ ჩარჩოებში საბაზრო ურთიერთობების ელემენტების დაშვებასაც გულისხმობდა. სოფლის ბურჟუაზიას ერთგვარი თავისუფლება მიენიჭა. საბჭოთა პარტიული დოკუმენტებიდან გაქრა ტერმინი ,,კულაკი'', თუმცა 1928-იდან დაიწყო ძალით „განკულაკება'' და მათთვის ნამეტი ხორბლის ჩამორთმევა. პარალელურად მიმდინარეობდა *კოლექტივიზაციის* პროცესი, რასაც უდიდესი ფინანს. სახსრები სჭირდებოდა. გადაწყდა „კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია'' და მათი ფინანს. და მატერ. რესურსის აქტიური გამოყენება საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესში. კულაკების ყოფილ საცხოვრებელ ბინებში ხსნიდნენ კოლმეურნეობების გამგეობებს, მათი წისქვილები და ბეღლები კოლმეურნეობების საკუთრებაში გადადიოდა, ხოლო მიწებს „საკარმიდამო მამულებად'' ურიგებდნენ კოლმეურნე გლეხებს.

,,ნეპის'' პირობებში ქართ. სოფლის ბურჟუაზიამ მნიშვნელოვან ეკონ. წარმატებას მიაღწია. მეცნიერთა გათვლებით, ,,ბურჟუაზიული ზედაფენის'' ხვ. წილი სოფლის მოსახლეობაში ამ დროისთვის 1,4 %-იდან 2,4 %-მდე მერყეობდა. მისი ყოველწლიური საერთო შემოსავალი 20 მლნ მანეთს შეადგენდა. ვარაუდობენ, რომ საქართველოში დაახლ. 20 ათ. ,,კულაკური'' მეურნეობა იყო (80–100 ათ. კაცი). საბჭოთა ხელისუფლება ,,კულაკად'' თვლიდა მეწარმეს და მიწათმოქმედს, რ-საც ჰყავდა რამდენიმე დაქირავებული პირი (როგორც წლიურად, ისე გარკვეული პერიოდით).

იმხანად გავრცელებული იყო კულაკებთან დამოკიდებულების ორი მიდგომა: ერთი – დრაკონული, „მემარცხენე ტროცკისტულ-ზინოვიევური'', რ-იც გამოიხატებოდა ქონების ჩამორთმევით, ,,ბოიკოტებით'', სახლების წართმევით, სოფელში ცხოვრების აკრძალვითა და სხვა უმკაცრესი ღონისძიებებით; მეორე – ,,ბედოვლათური'', გულისხმობდა კულაკების მიმართ ლოიალობას, კომპრომისს და თანამშრომლობას. ამ მიდგომის ქართვ. მიმდევრები უფრო ზომიერი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდნენ, რასაც გარკვეულ პერიოდამდე თვით ცენტრ. ხელისუფლებაც იზიარებდა.

1929 დამლევიდან საბჭ. ხელისუფლება კ-ის შეზღუდვის პოლიტიკიდან მისი, როგორც სოც. ფენის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადავიდა. მოიხსნა განკულაკების აკრძალვა, გაუქმდა კანონები იჯარისა და შრომის დაქირავების შესახებ. კულაკები ენერგიულად იცავდნენ თავს როგორც მშვიდობიანი, ისე აგრესიული მეთოდებითაც.

კოლექტივიზაციის ტემპების მიხედვით სსრკ-ის ტერიტორია სამ ჯგუფად დაიყო. საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია მოხვდა მესამე ჯგუფში, სადაც კოლექტივიზაციის დასრულება ყველაზე გვიან – 1933-თვის იყო ნავარაუდები. საქართვ. იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ვადაზე ადრე – 1932-სთვის დაემთავრებინა ეს პროცესი, რაც განკულაკების დაჩქარებასაც გულისხმობდა. კოლმეურნეობების შექმნისას გლეხობას აშინებდნენ ,,შავ სიებში'' შეტანით, საარჩევნო უფლების ჩამორთმევით, დაპატიმრებით, გადასახლების მუქარით და სხვ.

კოლექტივიზაციაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო ეს პროცესი საქართველოში XX ს. მთელი 30-იანი წლების განმავლობაში გაიწელა. ანტიკულაკურმა ისტერიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა სოფელს, გაანადგურა მისი განსაკუთრებით აქტიური, მწარმოებელი ნაწილი, თუმცა საბჭ. ხელისუფლებას დიდი ხნის განმავლობაში სოფლად შეუქმნა ძლიერი დასაყრდენი – კოლექტიური მეურნეობა, რ-იც ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე მას სახელმწიფოსათვის მისაღებ ფასად მუდამ აწვდიდა აუცილებელ სას.-სამ. პროდუქციას.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ა., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში

1890–1917 წლებში, თბ., 1965; დაუშვილი ა., „კულაკები“ საქართველოში, თბ., 2016; კაჭარავა ი., საბჭოთა საქართველო აღდგენით პერიოდში (1921–1925), თბ., 1958; კოჭლამაზაშვილი რ., საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1980; ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. 4, თბ., 1987; Киквидзе А., Колхозное строительство в Грузии, Тб., 1961.

ა. დაუშვილი.
უ. ბლუაშვილი.

კულაში, დაბა (1961-იდან) იმერეთის რეგიონის სამტრედიის მუნიციპალიტეტში, იმერეთის დაბლობზე, სამტრედია – ხონის სავტ. გზაზე. ზ. დ. 30 *მ,* სამტრედიიდან 5 *კმ.* 1,7 ათ. მცხ. (2014).

წერილობით წყაროებში დამოწმებულია XVI ს. I მეოთხედიდან. ძვ. ფეოდ. ხანაში კ. თავად მიქელაძეთა მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა. აქ დღემდე მოაღწია XV ს. ერთნავიანმა დარბაზული ტიპის ეკლესიამ, რ-იც ფრესკებითაა შემკობილი. ეკლესია მიქელაძეების საძვალე იყო. გადმოცემით კ-ში იდგა მიქელაძეთა ციხე-დარბაზი და 1791 აგებული ხის ეკლესია.

კ-ის მოსახლეობის უმეტესობა ებრაელი იყო. დაბაში ამჟამად შემორჩენილია XVIII ს. სინაგოგა. ი. გიულდენშტედტს კ. მოხსენიებული აქვს როგორც იმერეთის სამეფოს სავაჭრო პუნქტი, სადაც საპარასკევო და საკვირაო ბაზრობები იმართებოდა, მეფის მოხელის – მოურავის მეთვალყურეობით. XIX ს. შუა ხანებისათვის კ-ის, როგორც სავაჭრო დაბის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. კულაშელ ვაჭრებს კავშირი ჰქონდათ ფოთთან, სოხუმთან, საიდანაც შემოჰქონდათ რუსული და თურქული საქონელი: სხვადასხვა ქსოვილები, ტყავი, რკინა, მარილი, მინის ნაწარმი. კ-ის წლიური სავაჭრო ბრუნვა 130 ათ. მან. აღწევდა. მოსახლეობის რაოდენობა 3800 შეადგენდა. ამ პერიოდის კ. დას. საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო დაბების გვერდით მოიხსენიება, როგორიცაა ხონი, სენაკი, ჩხარი, ონი, საჩხერე.

ლიტ.: იობაშვილი გ., დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ., 1983.

თ. ბერაძე.

კულგითი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (ქსუისის თემი), მდინარეების – პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დას. კალთაზე, მდ. ჭარებულის (აბურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1020 *მ,* ერედვიდან 8 *კმ.*



კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია. XVIII ს.

სოფლის განაპირას დგას *კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია.*

კ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი. მდებარეობს ერედვის მუნიციპალიტეტში, სოფ. კულბითის განაპირას. აგებულია XVIII ს-ში. ეკლესია გამოირჩევა ორიგინალური არქიტექტურით. მაღალგუმბათიანი ერთნავიანი ეკლესია „კუპელჰალეს“ თავისებური ვარიაციაა. იგი ამავე ტიპის სხვა ეკლესიებთან შედარებით უფრო მეტად უახლოვდება ტიპის „ნორმალურ“ სახეობას, რადგან გრძივი კედლებიდან გამოსული გუმბათის საყრდენი შვერილები არა ერთი, არამედ ორი წყვილია, რებიც შიდა სივრცეს სამ ნაწილად ყოფს. ეკლესია კარგად გათლილი ღვინისფერი ქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. შენობის ფასადები შემკულია რელიეფური გამოსახულებებით. გუმბათის ყველი დეკორატიული თაღედითაა გაფორმებული. შესასვლელი ორია და შემოფარგლულია მაღალი თაღებით.

ლიტ.: ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1, თბ., 2014; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб.. 1975.

თ. გერსამია.

კულექსი (Culex), კოღოების გვარი Culicidae-თა ოჯახისა. გვარში 400-ზე მეტი სახეობაა. სისხლისმწოვი მწერებია. ზოგი მათგანი დაავადების (ფილარიოზი, იაპონური



კულექსი.

ენცეფალიტი, ენცეფალომიელიტი და სხვ.) გადამტანია. ყველაზე მეტად გავრცელებულია ფრინველის სისხლმწოვი C. pipiens. ადამიანს თავს ესხმის უმთავრესად სამხრეთში. უფრო ხშირად გვხვდება დასახლებულ პუნქტებში, შედის სახლებშიც. კვერცხებს დებს არხებში, კასრებში, ორმოებში. ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე თაობას იძლევა. იზამთრებს სარდაფებში. კ-ის გვარში შედის ფრინველთა სისხლის პლაზმოდიუმის გადამტანი სახეობებიც.

კულეში ნიკიფორე ემილიანის ძე (1877 – 7. IV. 1942, თბილისი), მხატვარი. სპეც. განათლება არ მიუღია. მუშაობდა სცენოგრაფიისა და პეიზაჟის დარგში.

XX ს. დასაწყისში თბილისში დამკვიდრდა. გაფორმებული აქვს შემდეგი სპექტაკლები: „ეგორ ბულიჩევი და სხვები“ (გრიბოედოვის სახ. რუს. თეატრი,1933); „რახილი“ (ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1936, ი. ფარაჯანოვთან ერთად); „აჯილდა“, „ცხოვრება გვიკარნახებს“, „ოქროს ვერძი“ (სანკულტურის თეატრი, 1937–38; გ. გოცირიძესთან ერთად); „პატიოსნებისათვის“ (სომხ. დრამის თეატრი, 1939) და სხვ. სავარაუდოდ, ჰ. თბილ. ოპერის თეატრში იმ წლებში მოღვაწეობდა, როდესაც თეატრის სცენაზე დადგეს პირველი ქართული ოპერა (XX ს. 10–20-იანი წწ. მიჯნა). ამავე წლებში ჰ-მა დაიწყო საგანგებო პავილიონის მშენებლობა (კ. ფოცხვერაშვილთან ერთად), რათა გამოეფინა 1914 შეძენილი ცნობილი სურათი-პანორამის, ე. წ. პიგლჰეინის „გოლგოთის“ საავტორო ასლი. მშენებლობა შეაჩერა საბჭ. ხელისუფლებამ.



ნ. კულეში. „პეიზაჟი“. XX ს. დასაწყისი, კერძო საკუთრება.

ჰ-ის ნამუშევრები დაცულია საქართვ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. მუზეუმსა და კერძო კოლექციაში.

თ. გერსამია.



ლ. კულიჯანოვი.

კულიჯანოვი ლევ ალექსანდრეს ძე (19. VIII. 1923, თბილისი, – 17. II. 2002, მოსკოვი), რუსი კინორეჟისორი, სცენარისტი, პედაგოგი. სოციალ. შრომის გმირი (1984); რსფსრ (1969) და სსრკ სახ. არტისტი (1976), რსფსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე (1964). 1948–55 სწავლობდა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე (ს. გერასიმოვის და თ. მაკაროვას სახელოსნო). მუშაობდა მ. გორკის სახ. კინოსტუდიაში. გადაიღო ფილმები: „სახლი, რომელშიც ვცხოვრობ“ (ი. სეგელთან ერთად, 1957), „მამისეული სახლი“ (1959, მინსკის საკავშ. კინოფესტივალის II პრემია, 1960), „როცა ხეები დიდი იყო“ (1962), „ცისფერი რვეული“ (1969), „დანაშაული და სასჯელი“ (თ. დოსტოევსკის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, 1970; ძმები ვასილიევების სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია, 1971), „კარლ მარქსი, ახალგაზრდობის წლები“ (ტელესერიალი, 1980; ლენინური პრემია, 1982), „სიკვდილი საშიში არ არის“ (1991), „ცისანები“ (1994) და სხვ. 1963–64 იყო სსრკ სახკინოს მხატვრული ფილმების მთ. სამმართველოს უფროსი, 1965–86 – სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი; 1970–95 – კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო სახელოსნოს ხელმძღვანელი, რეჟისურის კათედრის გამგე (1985-იდან), სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლესი კურსების პედაგოგი.

თბილისის საპატიო მოქალაქე (1983).

მ. კერესელიძე.

კულმუხო (Inula helenium), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა. მისი ღეროს სიმაღლე 1–2 *მ* აღწევს. აქვს მორიგეობით განლაგებული ფოთლები და კალათა ყვავილედში თავმოყრილი ყვითელი ყვავილები. გავრცელებულია ევრაზიაში. გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში. იზრდება ნესტიან ადგილებში, მდინარის ნაპირებზე, ბუჩქნარებში დაბლობიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე. მისი ფესურა და ფესვები ინულინს და ეთეროვან ზეთს შეიცავს. ჰ-ს პრეპარატები გამოიყენება ამოსახველებელ საშუალებად.

კულტი (ლათ. Cultus – თაყვანისცემა), ზებუნებრივის რწმენასთან დაკავშირებული მოქმედებების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების ერთობლიობა. ჰ. ნებისმიერი რელიგიის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რაც გამოიხატება განსაკუთრებულ მაგიურ წესებში, მღვდელმსახურთა და მორწმუნეთა მოქმედებაში ზებუნებრივ ძალებზე სასურველი მოქმედების მოსახდენად. სხვა მნიშვნელობით ჰ. წარმოადგენს რაიმე საგნის სიმბოლოს, ნიშნის, ბუნების ძალის თაყვანისცემასა და პატივისცემას. ამით ის ახლოს დგას რელიგიის ცნებასთან; ასევე უკავშირდება კულტურის ცნებას, რადგან ჰ-ის გზით ადამიანი ახდენდა სამყაროს კლასიფიკაცირებას, ყოფაში შემოჰქონდა წესრიგი და ფასეულობები.

არსებობს ჰ-ის სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. გამოყოფენ გვაროვნულ და ტომობრივ, წინაპრების, მცენარეთა, ცხოველთა, ბუნების მოვლენების, ასევე უსულო საგნების (მთა, კლდე, მდინარე) ჰ-ს. არსებობს ციურ სხეულთა (სოლარული, ლუნარული, ასტრალური და სხვ.) და უმაღლესი ხელისუფლების (ფარაონის, იმპერატორის და ა. შ.) ჰ-ები. კონკრეტულად ჰ. რელიგიური რიტუალია, რ-იც დაკავშირებულია ღვთისმსახურებასთან, ლოცვასთან, წეს-ჩვეულებასთან და სხვ. საკულტო პრაქტიკა ყველა რელიგიაში გარკვეული წესებითაა რეგლამენტირებული. იგი სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. ზოგადად კი ჰ-ში მოიაზრება მცირე, მაგრამ აქტ. რელიგ. მოძრაობა, ჩვეულებრივ ახალწარმოქმნილი, რ-საც ქარიზმატული ლიდერი ხელმძღვანელობს. ჰ-ის სახელით იხსენიება ზოგიერთი ლოკალური სინკრეტული რელიგ. მოძრაობაც.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2010; კიკნაძე ზ., ჯვარი და საყმო, I, ქუთ., 1996.

ზ. ეკალაძე.
გ. ჩინჩალაძე.

კულტუბანი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში

(ხეივნის თემი), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდინარეებს – ფსოუსა და ლაფსთას შორის. ზ. დ. 100 *მ,* გაგრიდან 22 *კმ,* ლესელიძიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კულტურიზმი, ბოდიბილდინგი (ინგლ. Bodybuilding – სხეულის შენება), სხეულის კუნთების მიზანმიმართული განვითარება სხეულის ესთეტიკის შენარჩუნებით. ბოდიბილდინგის მიმდევარს ეწოდება ბოდიბილდერი (კულტურისტი). ბოდიბილდინგში ტარდება შეჯიბრებები, მაგ., ,,მისტერ ოლიმპია'', სადაც სპორტსმენი წარმოაჩენს თავის სხეულს და ფასდება ქულებით ჟიურის მიერ. ,,მისტერ ოლიმპიაში'' გამარჯვებული ითვლება მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ადამიანად. ,,მისტერ ოლიმპიას'' ატარებს ბოდიბილდინგის საერთაშ. ფედერაცია, მსოფლიოში ცნობილი კულტურისტები არიან რ. კოლემანი, ლი ჰეინი და ა. შვარცენეგერი და სხვ.

საქართველოში ბოდიბილდინგის ისტორია იწყება 1958-იდან, როდესაც რამდენიმე ენთუზიასტმა ვარჯიში დაიწყო (ე. კოპლატაძე, ე. ბროლაძე-წერეთელი, ა. რეპიჩევი, კ. მაცაბერიძე). იმ დროს ინფორმაცია სპორტის ამ სახეობის შესახებ თითქმის არ მოიპოვებოდა, რადგან სსრკ- ში ჰ. ,,ბურჟუაზიულ სპორტად'' ითვლებოდა და აკრძალული იყო. 1987 სსრკ-ში დაუშვეს ბოდიბილდინგი, როგორც სპორტის დამოუკიდებელი სახეობა. იმავე წელს საქართველოში დაფუძნდა ბოდიბილდინგის ფედერაცია (ამჟამად – ბოდიბილდინგისა და ფიტნესის ფედერაცია), რ-ის პრეზიდენტადაც ჰ. მაცაბერიძე აირჩიეს. 1988 თბილისში გაიმართა საქართვ. თასის პირველი ოფიციალური გათამაშება (გაიმარჯვა დ. რაზმაძემ). 1990-იდან ტარდება საქართვ. ჩემპიონატი (პირველი ჩემპიონები სხვადასხვა წონაში იყვნენ გ. ბასიაშვილი, ი. ყარსიმაშვილი, დ. რაზმაძე, გ. ქუშაშვილი). 1993 საქართვ. ბოდიბილდინგისა და ფიტნესის ფედერაცია საერთაშ. ფედერაციის წევრი გახდა. ევროპის ჩემპიონი კლასიკურ ბოდიბილდინგში გახდა ი. გაგუა (2014), საერთაშ. სარბიელზე წარმატებით ასპარეზობენ თ. ბოჭორიშვილი, ლ. გობეჯიშვილი, ი. კორინთელი, ტ. ჯოგლიძე.

კ. მაცაბერიძე.

კულტურის ფილოსოფია, ფილოსოფიის დარგი, რომელიც შეისწავლის კულტურის არსს ადამიანისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი წარმოშობის წინაპირობებს, გამოვლენის ფორმებსა და თავისებურებებს. ტერმინი ,,კულტურის ფილოსოფია'' (Kulturphilosophie) შემოიტანა გერმ. რომანტიკოსმა ადამ ფონ მიულერმა XIX ს. დასაწყისში. ჰ. შ-ის სისტემური განვითარების შემდგომი ნაბიჯები უკავშირდება ლ. შტაინსა და რ. ოიკენს.

ნეოკანტიანელთა ბადენის სკოლის წარმომადგენლები (ვ. ვინდელბანდი და ჰ. რიკერტი) ჰ. შ-ს აიგივებდნენ საერთოდ ფილოსოფიასთან. სწორედ ამ სკოლას უკავშირდება მისი დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბება. ჰ. შ., როგორც სიცოცხლის ფილოს. და ნეოკანტიანელობის ნაზავი, მეცნ. ფილოს. იმ გაგებას დაუპირისპირდა, რაც მარბურგელ ნეოკანტიანელებთან და ლოგიკური ემპირიზმის ვენის წრეში იყო გავრცელებული. ჰ. შ-ის ადრეულ წარმომადგენლებად XX ს. კულტურის ისტორიკოსები – ლ. ფრობენიუსი და ო. შპენგლერი მიიჩნევიან.

ფართო მოსაზრებით, ჰ. შ. გაიგივებულია ფილოს. ისტორიასთან. ადამიანური კულტურისა და ღირებულებების თეორ. პრობლემები იმავდროულად კაცობრიობის თანამედროვე ყოფიერების საარსებო რეალური პრობლემებია და ფილოს. ყველაზე აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რადგან ,,ფილოსოფია ეპოქის, ადამიანური ყოფიერებისა და მისი კულტ. თვითცნობიერებაა'' (ნ. ჭავჭავაძე). ვიწრო მნიშვნელობით, ჰ. შ. არის XIX ს. ბოლოსა და XX ს. I ნახ-ის ევროპულ ფილოსოფიაში წარმოშობილი მიმართულება. ნეოკანტიანურ (ვინდელბანდ-რიკერტის) ტრადიციაში ფილოს. შესწავლის უპირველესი საგანი საზრისისა და ღირებულების შემეცნებაა, რ-თა რეალიზება კულტ. სფეროში ხდება. ამდენად, ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა ჰ. შ-ის საზრისზე ორიენტირებული კულტ. გაგება, რაც განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა თანამედროვე დებატებში კულტ. შესახებ. აქ კულტურა ვლინდება როგორც ,,საზრისის სისტემათა'' და ,,სიმბოლურ წესრიგთა'' კომპლექსი. მათი მეშვეობით აქტორები ქმნიან გარკვეული მნიშვნელობის მქონე საკუთარ სინამდვილეს. საზრისზე ორიენტირებული კულტ. ცნება ძირითადად ნეოკანტიანელთა მარბურგის სკოლის წარმომადგენლის, ე. კასირერის (1874–1945) სიმბოლურ ფორმათა ფილოსოფიას, ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიას და ლ. ვიტგენშტაინის ენის ფილოსოფიას ეყრდნობა. ამ კონტექსტში არსებითია იმის ხაზგასმა, რომ კულტ. კოდები, საზრისთა სისტემები და პრაქტიკები, რ-თა მეშვეობით სიმბოლური წესრიგი გამოითქმება, რეალიზდება და რეპროდუცირდება, არ ფლობს ზედროულ ხანგრძლივობას და უნივერსალურ ნიშან-თვისებებს.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ფილოსოფიაში, ისტორიული მატერიალიზმის საგნობრივ ველში, პროლეტკულტურის, მისი კლასობრივი და ნაციონალური შინაარსით დატვირთვის პირობებში, კულტ. თეორ. საკითხების ღრმა მეცნ. კვლევა თითქმის არ არსებობდა.

XX ს. 60-იანი წლებიდან, საბჭოთა მემკვიდრეობისაგან მეტნაკლები დისტანცირების პროცესში, ჰ. შ-ის პრობლემატიკის კვლევა ქართულ ფილოსოფიაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. ადამიანის, კულტურისა და ღირებულების ფილოს. საკითხთა დამუშავება საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის სტრატეგიულ მიმართულებად ცხადდება. ქართველმა ფილოსოფოსებმა (ა. ბოჭორიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, მ. მამარდაშვილი, ო. ჯიოევი, ზ. კაკაბაძე, თ. ბუაჩიძე, დ. ქერქაძე, ე. კოდუა, ჯ. კორძაია და სხვ.) შემოქმედებითად აითვისეს ჰ. შ-ისა და აქსიოლოგიის მიღწევები. კულტ. ცნების ინტერდისციპლინური ანალიზის თვალსაზრისით საინტერესო ნაშრომები შექმნეს ა. ბოჭორიშვილმა (,,რა არის კულტურა?'', 1965; ,,კანტის ესთეტიკა'', 1967), ნ. ჭავჭავაძემ (,,კულტურა და ღირებულებები'', 1984; რუს. ენაზე), ო. ჯიოევმა (,,კულტურა და ფილოსოფია'', 1983; ,,კულტურის საზრისი'', 1990, რუს. ენაზე). მ. მამარდაშვილი თავის მრავალრიცხოვან ლექციებსა და ფილოს. საუბრებ-



ჩვეულბრივი კულუმბურები.

ში იდეოლოგიისგან თავისუფალი კულტ. შემოქმედების იდეას და მის ორიგინალურ გაგებას ავითარებდა; პ. ფ-ის სპეციფიკა, კულტ. სტრუქტურა, ღირებულებათა გადაფასება და იერარქია, ნეოკანტიანელთა ღირებულებების თეორიები საფუძვლიანად არის გადმოცემული შემდეგ ნაშრომებში: ,,გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია'' (გ. თევზაძე, 1963), ,,ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება'' (ზ. კაკაბაძე, 1979), ,,ლოკალური ცივილიზაციების თეორიათა კრიტიკა'' (დ. ქერქაძე, 1978), ,,თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან (ა. შოპენჰაუერი, ფ. ნიცშე, ს. კირკეგორი)'' (თ. ბუაჩიძე, 1986) და სხვ. ითარგმნა პ. ფ-ის ფუნდამენტური ტექსტები: ,,რა არის ადამიანი?'' (ე. კასირერი, 1983), ,,Homo Ludens'' (ი. ჰაიზინგა, ,,კაცი მოთამაშე'' 1997) და სხვ.

ადამიანის, კულტ. და ღირებულებების ფილოს. პრობლემების დამუშავება ნ. ჭავჭავაძეს „ფილოსოფიურ-კულტურული ორიენტაციის" მომავალ პერსპექტივად მიაჩნდა. პ. ფ-ის სხვადასხვა პრობლემას ამუშავებს მ. მამარდაშვილის და ნ. ჭავჭავაძის ინტელექტუალურ ტრადიციაზე ჩამოყალიბებული ფილოს. მკვლევართა ახალი თაობა (გ. ნოდია, მ. ბიჭაშვილი, კ. კაციტაძე, ა. ყულიჯანიშვილი, ნ. ფიფია და სხვ.).

პ. ფ-ის საგნობრივი ჰორიზონტის განვრცობისა და ქართ. ფილოს. ახალი პერსპექტივების გამოკვეთის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კვლევები განხორციელდა გ. რობაქიძის სახ. უნ-ტის ფილოსოფიისა და სოც. მეცნ. კვლევით ინ-ტში. ქართულად გამოიცა პ. ფ-ისადმი მიძღვნილი მნიშვნელოვანი თარგმანები (მაგ., ფ. ნიცშეს რჩეული თხზულებები), სამეცნ. კრებულები და მონოგრაფიები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. ირემაძის ნაშრომი „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე" (2013). ახალი საქართველოს უნ-ტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნ.-კვლ. არქივის მიერ გამოიცემა საერთაშ. სამეცნ. სერია „აღმოსავლეთი და დასავლეთი – კულტურათა დიალოგი" (რედ. თ. ირემაძე და ჰ. შნაიდერი), რ-ის ფარგლებშიც პ. ფ-ის უაღრესად აქტ. პრობლემები განიხილება.

ლიტ.: ბუაჩიძე თ., თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავეებთან, თბ., 2013; დიუი ჯ., თავისუფლება და კულტურა, ინგლ. თარგმნა გ. თავაძემ, თბ., 2014; ზაქარიაძე ლ., ქართული ფილოსოფიის ახალი პერსპექტივები ინტერკულტურული ფილოსოფიის ჭრილში, „კადმოსი", 2012, № 4; თევზაძე გ., გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963; ირემაძე თ., ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე, თბ., 2013; კაკაბაძე ზ., ფილოსოფია და ცხოვრება, ბათ., 2012; კასირერი ე., რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის ავებისა, გერმ. თარგმნა ლ. რამიშვილმა, თბ., 1983; ნიცშე ფრ., Ecce Homo. როგორ ხდება ადამიანი ის რაც არის, გერმ. თარგმნა გ. თავაძემ, თბ., 2011; ნოდია გ., თამაშის ცნება კულტურის ფილოსოფიაში, თბ., 1987; ყულიჯანიშვილი ა., კულტურის თეორია, თბ., 2009; ჯიოევი ო., კულტურა და ფილოსოფია, ბათ., 2008; ჰაიზინგა ი., Homo Ludens კაცი მოთამაშე, თარგმნა გ. ნოდიამ, თბ., 1997; Джиоев О. И., Смысл культуры, Тб., 1990; Культура в свете философии, Тб., 1979; Философские проблемы культуры, ред. Н. З. Чавчавадзе, Тб., 1980; Чавчавадзе Н. З., Культура и ценности, Тб., 1984; Konersmann R. (Hg.), Handbuch Kulturphilosophie, Stuttgart/ Weimar, 2012. Stein L., An der Wende des Iahrhunderts. Versuch einer Kulturphilosophie, Freiburg, Br., 1899.

ლ. ზაქარაძე.

კულტურული ქამა, ორს პორი ანიქამა, იხ. *ქამა სოკო.*

კულუმბურები (Coccothraustes), ფრინველების ჯგუფი ბეღურასნაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძეა 18–23 *სმ.* აქვთ მოკლე, მსხვილი და ძლიერი ნისკარტი. აერთიანებს 4 გვარის 9 სახეობას.

საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივი კ. (C. coccothraustes). ბუდეს იკეთებს ხეზე, ტყესა და ბაღში. იკვებება მცენარეულობით (შინდი, ალუბალი, ბალი და სხვ). დებს 4–7 კვერცხს. 14 დღეში იჩეკებიან ბარტყები, რ-ებსაც თავდაპირველად კვებავენ მწერებით, შემდეგ – მცენარეთა თესლით.

მ. კუტუბიძე.

კულუხთა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში (მსხლების თემი), მდინარეების დიდი ლიახვისა და გუდისისწყლის წყალგამყოფზე. ზ. დ. 1250 *მ,* ჯავიდან 6 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ.*

პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კულუხი, გლეხის ვენახზე დაწესებული ფეოდალური გადასახადი იხდიდნენ ღვინით. პ-ს ოდენობა ვენახის ფართობის, მოსავლის ან გლეხის შემლების მიხედვით მერყეობდა მოსავლის 1/2-იდან 1/10-მდე. აღმ. საქართვ. მთაში პ. ეწოდებოდა ხატ-სალოცავების სახელზე არსებული მიწების სარგებლობისათვის დადგენილ ნატურალურ გადასახადს (საკლავი, სასმელი). მისი რაოდენობა მეკულუხისადმი მიცემული მიწის ნაკვეთის მოცულობით განისაზღვრებოდა. პ-ის გადახდის შემთხვევაში მეკულუხეს ხატის მიწით სარგებლობის უფლება კიდევ ერთი წლით უხანგრძლივდებოდა. ,,ხატიმიწების'' სარგებლობის უფლება მხოლოდ ხელმოკლე ოჯახებს ეძლეოდათ. მიწის ფეოდალური საკუთრების მოშლასთან ერთად პ-მა არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV–XVIII საუკუნეებში, თბ., 2001.

კუმისი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: პ., ახალი კუმისი). კუმისის ტბის ჩრდ.-დას-ით, თბილისი–მარნეულის საავტ. გზაზე. ზ. დ. 560 *მ,* გარდაბნიდან 41 *კმ,* კუმისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 1,9 ათ. მცხ. (2014).

პ-ის გავლენით იგივე სახელი ეწოდა მასთან მდებარე გორასა და ტბას, რ-ებიც ხშირად იხსენიება ისტ. წყაროებში.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით პ. იყო ,,დაბა დიდი'', ე.ი. დიდი სოფელი. ისტ. საბუთებში იხსენიება XV ს-იდან, როგორც საბარათიანოს ერთ-ერთი სოფელი. XVII–XVIII სს-ში ეკუთვნოდა სოლოღაშვილებს. სოფ. პ-ის განაპირას 1487 ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქმანთა ჯარი (იხ. სტ. *კუმისის ბრძოლა 1487*).

სოფ. პ-ის ჩრდ-ით, მაღალი კლდის თავზე, დგას შუა საუკუნეების კუმისის წმ. სამების ეკლესია. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია აგურით. განახლებულია 1846, რაზეც მიუთითებს ეკლესიის დას. კედელში ჩადგმული მარმარილოს ფილაზე შესრულებული წარწერა. 1968 ეკლესია დაანგრიეს. 1996 დაიწყო მისი აღდგენა, რ-ის დროსაც იგი მნიშვნელოვნად გადაკეთდა – შეიცვალა მისი პირვანდელი სახე და მთლიანად მოიხატა. ეზოში აშენდა სამონასტრო ნაგებობები და სამრეკლო. ეკლესიის შიდა სივრცესა და ეზოში დაცულია ფალავანდიშვილთა და ორბელიანთა საფლავები (ტაძარი

ორბელიანების საგვარეულო საძვალე იყო).

სოფელში ფუნქციონირებს მეფრინველეობის ფ-კა შპს ,,კუმისი XXI“.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და რ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. 2, თბ., 1959.

კუმისის ბრძოლა 1487, გაიმართა იაყუბ-ყაენის მიერ ხალილ-ბეგის მეთაურობით გამოგზავნილ თურქმანთა ლაშქარსა და ქართლელებს შორის. მტერი თბილისს მოადგა, მაგრამ ვერ აიღო. ბარათაშვილებმა ჭანდართან მდგომი თურქმანები დაამარცხეს. ამის გამგონე თბილისს შემომდგარი თურქმანები უკან გაბრუნდნენ, მაგრამ კუმისის ბოლოს ქართლელებმა გზა მოუჭრეს და მტერი სასტიკად დაამარცხეს (იხ. *იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში*).

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

„კუმისი XXI“ (შპს), მეფრინველეობის ფაბრიკა. შეიქმნა 2005. მისი ძირითადი საქმიანობაა ქათმის კვერცხის წარმოება. მდებარეობს სოფ. კუმისში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), განლაგებულია 12 ჰა-ზე. თავდაპირველად საწარმო დაკავებული იყო როგორც ქათმის კვერცხის, ისე ხორცის წარმოებით და შედგებოდა 2 კომპლექსისგან. პირველი კომპლექსი განკუთვნილი იყო კვერცხისმდებელი ფრინველისათვის, ხოლო მეორე კომპლექსში (დაიხურა 2013) განთავსებული იყო სახორცე (ბროილერის) ჯიშის ქათმის გამოსაზრდელი საფრინველეები. ამჟამად კომპლექსში განლაგებულია 9 საფრინველე – საწარმო კვერცხისმდებელი ფრინველისათვის – და 3 საფრინველე წიწილების გამოსაზრდელად, სადაც 1-დღიანი წიწილის გამოზრდა ხდება 15 კვირამდე. შემდეგ წიწილები გადაჰყავთ 9 საფრინველიდან ერთ-ერთში, სადაც 20 კვირის ასაკიდან იწყებენ კვერცხის დებას. თითოეული საფრინველე გათვალისწინებულია საშ. 28000 ფრთა ფრინველზე. მათი კვება და წყლით მომარაგება ხდება ავტომატურ რეჟიმში. ასევე ავტომატიზებულია საფრინველეში კლიმატის კონტროლი და კვერცხის აკრეფა. დანადგარები შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

ქათმის საკვებად ძირითადად გამოიყენება ადგილ. წარმოების მარცვლეული: სიმინდი, ხორბალი, ქერი, ქატო, მზესუმზირისა და სოიოს შროტი, ვიტამინებისა და მინერალების ნაკრები და სხვ. საკვების გარკვეული რაოდენობა შემოდის სხვა ქვეყნებიდანაც.

საწარმოს გააჩნია საამქრო, სადაც სხვადასხვა კომპონენტებისაგან მზადდება კომბინირებული საკვები, რ-იც შემდეგ მიეწოდება შესაბამის საფრინველეებს. თანამედროვე უცხ. დანადგარები უზრუნველყოფს საამქროს მიერ ხარისხიანი კომბინირებული საკვების დამზადებას. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიაში ხდება როგორც ცალკეული კომპონენტების, ასევე კომბინირებული საკვების, მზა პროდუქციის (კვერცხი) სრული ლაბორ. შემოწმება. ამჟამად შესაძლებელია 14 სახის ანალიზის ჩატარება. 2011 ,,პ. XXI-მა“ მიიღო ევრ. ხარისხის ორგანიზაციის ,,ხარისხის ნიშნის“ სერთიფიკატი. მისი პროდუქცია შეტანილია ,,The Best Quality of Georgia“-ს კატალოგში, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტი. საწარმო 2016-იდან ფლობს ISO 22000 კატეგორიის სერტიფიკატს, რ-იც ადასტურებს მენეჯმენტის გამართულ მუშაობას და წარმოებული კვების პროდუქტების უსაფრთხოების ნორმების მკაცრ დაცულობას. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ფაბრიკის საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით მთელი საქართველოს მასშტაბით.

ლ. აბრამიშვილი.

კუმისის ტბა, ტბა აღმოსავლეთ საქართველოში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იაღლუჯის ქედსა და და წალასყურის ვაკეს შორის არსებულ კუმისის ტაფობში, სოფ. კუმისის სამხრ.-აღმ-ით, ზ. დ. 475 მ სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. – 4,5 კმ ^{2}, აუზისა – 97 *კმ*^{2} დას-იდან აღმ-კენ გადაჭიმულია 3,2 *კმ*-ზე, ჩრდ-იდან სამხრ-კენ – 2 *კმ*-ზე. მაქს. სიღრმე – 4 *მ*. სანაპირო დაფარულია იელითა და ლელქაშით.

XX ს. 60-იან წლებში პ. ტ-ის ფართობი იყო 0,48 *კმ*^{2}, ტბის წყალი – მარილიანი. შეიცავდა ძირითადად გლაუბერის მარილს (მირაბილიტს). 80-იან წლებში აქ განხორციელდა მასშტაბური პროექტი: ტბაში ჩაუშვეს ორი არხის წყალი. ერთით წყალს მდ. მტკვრიდან ტურბინებით ქაჩავდნენ, მეორე კი მდ. ალგეთიდან თვითდინებით ეშვებოდა. ამით ტბის წყალი გაამტკნარეს და შემდეგ მოაშენეს სხვადასხვა სახეობის თევზი: სქელშუბლა, კეფალი, საზანი, ხრამული, წვერა, ლოქო, სარკისებრი კობრი და სხვ.

პ. ტ-ის ფსკერი ფსევდოვულკ. წარმოშობის მაღალხარისხოვანი სამკურნალო თვისებების მქონე სულფიდური ლამის ტალახითაა დაფარული, რ-ის სისქე ზოგან რამდენიმე ათეული სანტიმეტრია. კუმისის ტალახი წარმატებით გამოიყენება თბილ. ბალნეოლ. კურორტზე და ქვეყნის მრავალ სამედ. დაწესებულებაში.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტ. 2, თბ., 2015.

კუმურდო, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: პ., კიროვაკანი). ზ. დ. 1740 *მ*, ახალქალაქიდან 14 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2014).

პ-ს მახლობლადაა მუსტიეს ხანის გვიანდ. საფეხურის ღია ნამოსახლარი. არქეოლოგიურად შესწავლილია 1960 (ხელმძღვ. გ. გრიგოლია). მასალა გავრცელებულია 1,5–2,0 ჰა-ზე. ზედაპირულად შეგროვებულია ანდეზიტ-ბაზალტისა და ობსიდიანისგან ნაკეთები ქვის 69 იარაღ-ანატკეცი (სახოკები, დანები, დისკოსებრი ნუკლეუსები, წვეტანები, ლამელები). ქვა დამუშავებულია ძირითადად ე. წ. ლევაზიური ტექნიკით. მსგავსი მასალა აღმოჩენილია ჯრუჭულის, კუდაროს, ილსკაია-სტაროსელიეს, დაშსალახის და სხვა ნამოსახლარებში.



,,კუმისი XXI“. მეფრინველეობის ფაბრიკა.

კუმურდოს საეპისკოპოსო, ისტორიული ჯავახეთის უმთავრესი ეპარქია. ლეონტი მროველის მიხედვით, IV ს-ში მირიან მეფის თხოვნით, იმპ. კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილმა მოციქულმა და იოანე ეპისკოპოსმა კონსტანტინოპოლიდან საქართველოში წამოიყვანეს კალატოზები და წამოიღეს საგანძური ეკლესიების ასაშენებლად. ერუშეთის (არტაანი) გამოვლით, ისინი წუნდას მოსულან. ეს ქალაქი იყო მაშინდელი ჯავახეთის ცენტრი, სადაც დაუწყიათ ეკლესიის მშენებლობა. წუნდის ეკლესიის შემკობასა და მშენებლობას დაეხმარა მირიანის შვილიშვილი – მირდატ ბაქარის ძე. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალს ჯავახეთში ეპისკოპოსი დაუსვამს წუნდას. სავარაუდოდ, ამ ცნობების მიხედვით, წუნდის ეკლესიაში იგულისხმება კუმურდოს უძველესი ნაგებობა, რ-იც წუნდის სიახლოვეს მდებარეობდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი: ,,ამ წუნას ზეით, ჯრამის თავს, მინდორზედ, სამჯრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდ-შენი, მშვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა‘‘. ამასვე ადასტურებს 506 წ. საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა სია, რ-იც სომხურ წყაროებს შემოუნახავთ; იქ სხვათა გვერდით დასახელებულია ,,იოსებ ებისკოპოსი კუხორდოსი‘‘, რაც კუმურდოს დამახინჯებული სახელწოდებაა.

კუმურდოს გუმბათიანი ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ 964 იოანე ეპისკოპოსის თაოსნობით. ამ ბრწყინვალე ტაძრის ნანგრევებმა მრავალი წარწერა შემოინახა, სადაც იხსენიებიან სხვა კუმურდოელი ეპისკოპოსებიც: გაბრიელი, ზოსიმე, ეფრემი, მეორე ზოსიმე (XVI ს-ში).

საქართველოს ერთიანობის ხანაში, დარბაზობის დროს, ქართველ მღვდელმთავართა შორის კუმურდოელი მე-8 ადგილზე იჯდა, რასაც მოწმობს XIII ს. ერთი საბუთი.

XVI ს. დასაწყისში სამხრ. საქართველოს ეპარქიების შესახებ მოიპოვება ცნობა, სადაც იკითხება: ,,კუმურდოელის სამწყსო: ხერთვისს ზეით სულ ჯავახეთი ხავეთამდე‘‘. ხავეთი კარწახის ტბის მახლობელი სოფელია, რ-იც ჰ. ს-ს საზღვარი ყოფილა სამხრ-ით. ვარაუდობენ, რომ კუმურდოელის სამწყსოში ადრე შედიოდა მტკვრის კანიონის სოფლებიც, განსაკუთრებით წუნდის, როგორც ჯავახეთის ცენტრის არსებობის დროს. მოგვიანებით ეს სოფლები ვარძიელი წინამძღვრისა და ქართლის კათოლიკოსის გამხდარა, ამის გამო გერასიმე კუმურდოელი 1500–03 კათოლიკოსისადმი მიწერილ ,,წიგნში‘‘ აღნიშნავდა: ,,ვარძიისა და მისისა შესავლისა დიაკონი არა ვაკურთხოთ და არცა მათსა სამწყსოსა დავეცილოთ... რაცა თქუენისა საყდრისა სახასო სამწყსო იყოს, მას ზედა კელი არა შევივლინოთ‘‘.

ჰ. ს-ს გააჩნდა თავისი მამულებიც ჯავახეთის სოფლებში. ამის პირველი დადასტურებაა არეშტის სტელის წარწერა, რ-ის მიხედვით ირკვევა, რომ 881–896 გურგენ კურაპალატის ძეს კუმურდოს საყდრისათვის შეუწირავს მის მახლობლად მდებარე სოფ. არეშტი. იქვე შემორჩენილია ნასოფლარი ბერთაყანა. სახელწოდების მიხედვით, ისიც კუმურდოს საეკლესიო მამული ჩანს, რასაც უნდა ადასტურებდეს იქაურ გამოქვაბულში არსებული XI ს. წარწერა ზოსიმე კუმურდოელის მოხსენიებით. სავარაუდოდ, კუმურდოს ტაძარს იმავე ნაპირზე სხვა მამულებიც ექნებოდა, კერძოდ – წუნდაში. ამის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება იყოს წუნდისა და კუმურდოს საეპისკოპოსოთა იგივეობა.

სამცხის ათაბაგთა მისწრაფება პოლიტ. დამოუკიდებლობისაკენ აისახა საათაბაგოს ეკლესიის გამოყოფისათვის ბრძოლაშიც. XV–XVI სს. ჯაყელთა პოლიტიკამ დიდი მარცხი განიცადა ქართლის კათოლიკოსთან ჭიდილში. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს ჯავახეთის ეპისკოპოსთა ფიცის წიგნებში. ასეთებია იოანე ლასურის ძე კუმურდოელის (1453–59), ქართლის კათოლიკოსისადმი გაგზავნილ გერასიმე კუმურდოელის (1500–03), ზოსიმე კუმურდოელის (1519–29) და ვარძიის წინამძღვრის (XVI ს. დასაწყ.) ერთგულების წიგნები, რ-ებშიც ისინი კათოლიკოსს მორჩილებას უცხადებენ და პირობას დებენ, რომ ,,უმცხეთოდ‘‘ არაფერს მოიმოქმედებენ.

XVI ს. ბოლოდან ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში ქრისტ. მღვდელთმსახურება თანდათან ისპობა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVIII ს. შუა წლებში ,,უმეტესადრე მოოჯრდებოდნენ ეკლესიანი... მოისპობოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადმე იყო და მონაზონნი და მწყემსნი‘‘. სავარაუდოდ, ამ დროს გაუქმდა ჰ. ს-ც.

წყარო: ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. 1, თბ., 1955; ტ. 4, თბ., 1973., ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2–3, თბ., 1965–70; ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985; შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), თბ., 1961.

დ. ბერძენიშვილი.

კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი, X ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (არქიტექტორი საკოცარი). მდებარეობს სოფ. კუმურდოში (ახალქალაქის მუნიციპალიტეტი). ტაძარი გამორჩეულია მხატვრული ღირებულებით და შუა საუკუნეების ქართ. არქიტ. თვალსაჩინო ნიმუშია. მიეკუთვნება ექვსაფსიდიანი ეკლესიების ტიპს. გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი გეგმით – გარედან ჯვრისებრი მოხაზულობისაა, შიგნით კი გუმბათქვეშა ექვსწახნაგას გარშემო ცენტრისკენ გახსნილი ხუთი ნახევარწრიული აფსიდი და ერთი – დას-ით მართკუთხა მკლავი ჰქონდა, რ-იც ბურჯების წყვილით სამ ნავად იყო დაყოფილი (ზედა სართულზე, სავარაუდოდ, სამმხრივი პატრონიკეთი). ბემით დაგრძელებული საკურთხევლის გვერდებზე აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა. ჩრდ-ისა და სამხრ-ის ორ-ორი აფსიდი ერთმანეთის პარალელურია. გუმბათი აღმართული იყო აფსიდების შვერილებთან დაკავშირებულ ექვსწახნაგა სვეტებზე გადაყვანილ თაღებზე. გუმბათის ყელის წრიული გეგმის მისაღებად გამოყენებულია პანდანტივები. ტაძარში ორი შესასვლელია – სამხრეთისა (ვარსკვლავისებრი კამარით გადახურული აფსიდიანი კარიბჭის გავლით) და დასავლეთის.

გარეგნული სახით ფასადთა დამუშავების დროს არ არის გამოყე-



კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი, X ს.

ნებული დეკორ. თაღედი, რ-იც X–XI სს. მიჯნიდან ქართ. ეკლესიების გარემორთულობის საფუძველს შეადგენდა. თვალსაჩინოა ახალი ეპოქის სხვა ნიშნები, რასაც მოწმობს აზიდული პროპორციები, აფსიდებს შორის შეჭრილი სამკუთხა ნიშები, სანიმუშო ოსტატობით შესრულებული სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები და ჩუქურთმიანი ჯვრები. კუმურდოს ფასადების მოპირკეთება მოვარდისფრო ტონალობისაა, ხოლო აქა-იქ ჩართული ინტენს. ღვინისფერი „ლაქები“ მას განსაკუთრებულ ეფექტურობას ანიჭებს.

კუმურდოს ტაძარი გამოირჩევა წარწერათა სიმრავლით. მოცემულია სამშ., მემორიალური და სააღაპე წარწერები, გვხვდება გამოსახულებათა განმარტებებიც (ამოკითხულია ხუთ ათეულზე მეტი წარწერა). ასომთავრულით შესრულებული რელიეფური სამშენებლო წარწერა (4 და 12 სტრიქონად) ტაძრის სამხრ. შესასვლელის ტიმპანზეა. წარწერიდან ირკვევა, რომ იოვანე ეპისკოპოსმა ეკლესიას საფუძველი ჩაუყარა აფხაზთა მეფის ლეონის დროს 964 წელს, „...ქორონიკონსა რპდ, თუესა მაჲსსა, დღესა შაბათსა მთოარისსა.“ (რპდ = 184+ 780= 964) ხუროთმოძღვარ საკოცარის ხელით (იხ. აგრეთვე კუმურდოს ტაძრის წარწერები). საყურადღებოა სამხრ. სტოაზე შესრულებული წარწერა – „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე ბაგრატ და დედაჲ მათი მარიამ დედოფალი. აღეშენა შტოჲ ესე მეფობასა მათსა მღვდელთმოძღურობასა ზოსიმე



კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი. გურანდუხტ დედოფლის გამოსახულება. X ს.

კუმურდოელისასა.“ მოხსენიებული მეფე არის ბაგრატ IV (1027–72). გადარჩენილია სამხრ. სტოის მხოლოდ სამხრ. კედელი. რესტავრატორებმა ძეგლის გაწმენდისას მისი გეგმა სრულად აღადგინეს. ტაძარმა ჩვენამდე დიდი დანაკარგებით მოაღწია – ჩამოქცეულია გუმბათი და კამარების დიდი ნაწილი, დანგრეულია და არქიტ. დარღვევით არის აღდგენილი დას. კედელი. მეორედ აღმშენებლის, პატრონი ელისბალის წარწერა დას. შესასვლელის არქიტრავზეა (XVI ს.) განთავსებული.

1974 რ. გვერდწითელის ხელმძღვანელობით დაიწყო ტაძარზე გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები, რ-იც ინტერვალებით 80-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა. 2015 მომზადდა ტაძრის სრული რეაბილიტაციის პროექტი, რ-იც დღესაც გრძელდება არქიტექტორ-რესტავრატორების თ. ნემსაძისა და რ. გურამიშვილის თაოსნობით.

ლიტ.: ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1, თბ., 2014; სილოგავა ვ., კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ.,1994; Чубинашвили Г., Кумурдо и Никорцминда как пример развития этапов стиля в грузинском искусстве, „Вопросы истории искусства“, 1970, т.1.

ვ. ბერიძე.
გ. მარსაგიშვილი.

კუმურდოს ტაძრის წარწერები, რელიეფური და ამოკვეთით შესრულებული ქართული ასომთავრული წარწერები კუმურდოს კათედრალური ტაძრის (ისტ. ჯავახეთში, ახალქალაქის სამხრ.-დას-ით მე-12 კმ-ზე) კედლებზე, განეკუთვნება X, XI, XVI სს-ებს. ეს წარწერები მრავალფეროვანია შინაარსითა და დანიშნულებით – სამშენებლო, მემორიალური, განმარტებითი, სააღაპე. მთავარი თავდაპირველი სამშენებლო წარწერა მოთავსებულია ტაძრის სამხრ. შესასვლელის არქიტრავზე. წარწერაში იშვიათი სიზუსტით არის გადმოცემული ცნობები ტაძრის მშენებლობის შესახებ: კუმურდოს ტაძარი აუშენებია იოვანე ეპისკოპოსს 964 წ. ლეონ აფხაზთა მეფის დროს, ადგილობრივი ხელისუფლის, ზუიას ერისმთავრობისას. ტაძრის ხუროთმოძღვარი ყოფილა საკოცარი.

964 წლით თარიღდება ასევე ტაძრის ათამდე წარწერა: იოვანე ეპისკოპოსის მემორიალური წარწერა აღმ. ფასადზე; გიორგისა (როგორც ჩანს, სამუშაოთა ხელმ-



კუმურდოს ტაძრის წარწერები.

ძღვანელისა) და სხვა მაშენებელთა კვერექსი (მოსახსენიებელი) ტაძრის სამხრ. შესასვლელის არქიტრავის მარჯვ. კუთხეში; ვაჩე ერისთავის სააღაპე სამხრ. ფასადზე; ადამის, ევას, ცისა და ქვეყნის, ადამიანის თავის რელიეფური გამოსახულებები ტაძრის სამხრ. და ჩრდ. ფასადების ნიშებში და სხვ.

X ს. II ნახ. და XI ს. I ნახ-ით თარიღდება ტაძრის სამხრ. ფასადზე ამოკვეთილი შვიდი სააღაპე წარწერა, რ-ებიც გვამცნობენ, რომ სხვადასხვა კუმურდოელ ეპისკოპოსს სხვადასხვა დროს აღაპები დაუდგენია სხვადასხვა პირთათვის.

XI ს-ში, ბაგრატ IV-ის (1027–72) მეფობისას, კუმურდოელ ეპისკოპოს, ზოსიმეს ტაძრისთვის დას. მხრიდან მართკუთხა გარშემოსავლელი (,,შტოჲ'') მიუშენებია. ამის შესახებ მას სამხრ. კედელზე, კარნიზის გასწვრივ, მოზრდილი ასოებით ერთ გრძელ სტრიქონად ვრცელი წარწერა ამოუკვეთინებია. წარწერის დასაწყისი ნაკლულია, მაგრამ სრული ტექსტის აღდგენა შესაძლებელი გახდა. იმავე ზოსიმე ეპისკოპოსს, სხვა წარწერით, უცნობი დავით ოქრომჭედლის ხელით ,,შეუმოსავს'' ტაძრის საკურთხეველი, ბარძიმ-ფეშხუმი, ,,ჯუარი'' (როგორც ჩანს, საკურთხევლის წინამდებარე) და შეუმკია ,,ღმრთაების'' ხატი. ყოველივე ამის გამო მას დავითისათვის ორი მოსახსენიებელი (სააღაპე) დღე დაუდგენია – ბზობის კვირის პარასკევი და სამებობა – ბრწყინვალე შვიდეულის, ანუ აღდგომის კვირის სამშაბათი (ორივე გარდამავალი, მოძრავი ქრისტ. დღესასწაული). ამის შესახებ მას ვრცელი კიდურწაისრული წარწერა ამოუკვეთინებია ტაძრის სამხრ. ფასადზე. დავით ოქრომჭედლის დასახელებულ არც ერთ ნამუშევარს ჩვენამდე არ მოუღწევია.

XVI ს. 10-იან წლებში კუმურდოს ტაძარში აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია ადგილ. ხელისუფალს, პატრონ ელისბაღს, რ-საც წარწერა ამოუკვეთინებია ტაძრის დას. მინაშენის დას. შესასვლელის ახალ არქიტრავზე. წარწერაში დასახელებულ პირთა მიხედვით – ,,პატრონი ელისაბაღ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარის, ძენი და ასულნი მათი'' (ეს პირები ცნობილი არიან სხვა წყაროებითაც; მათ შესახებ ცნობები გამოაქვეყნეს ე. თაყაიშვილმა, ქ. შარაშიძემ, ვ. ცისკარიშვილმა) – წარწერის თარიღი 1511–15 განისაზღვრება. იმავე არქიტრავზე ამოკვეთილია მისივე თანადროული სხვა წარწერები: ერთი ზოსიმე კუმურდოელის, ხოლო მეორე გალატოზ მიქელის მოსახსენიებელია.

ქ. ტ. წ. ქართ. ეპიგრაფიკის გამორჩეული, მნიშვნელოვანი ძეგლებია როგორც ენობრივად, ისე მათში ასახული ისტ. ცნობებით. დასახელებულია მრავალი ისტ. პირი, რ-თა მოღვაწეობის პერიოდი X–XVI სს. მოიცავს. ეს წარწერები შეისწავლეს და გამოაქვეყნეს მ. ბროსემ (1847), ი. როსტომაშვილმა (1881), ე. თაყაიშვილმა (1902), ნ. ბერძენიშვილმა (1933–64), ვ. ცისკარიშვილმა (1959) და სხვ.

ლიტ.: სილოგავა ვ., კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994.

ვ. სილოგავა.



კუმურდოს ტაძრის წარწერები. ჯვავახეთის ეპიგრაფიკა.

კუნგ ფუ, გონგფუ (ჩინ. გონგ ფუ – მუშაობა, ძალისხმევა ან დიდი შრომის შედეგად შეძენილი ოსტატობა), ჩინური საბრძოლო ხელოვნება. XX ს. 60–70-იან წლებში ეს ტერმინი დასავლეთის პრესამ გაავრცელა, როგორც ჩინური საბძოლო ხელოვნ. სახელწოდება. ცნობილია საბრძოლო ხელოვნების დაახლ. 2000 სტილი. თითქმის ყველა მათგანი (ჯიუ-ჯიცუ, კარატე, ტაე-კვონდო და სხვ.) კორეაში, იაპონიასა და ინდოჩინეთის ქვეყნებში ჩინური საბრძოლო ხელოვნ. – უშუს საფუძველზე აღმოცენდა.

ჩინური საბრძოლო ხელოვნ. უშუ ქ. წ-ს ისტორია იწყება ძვ. წ. 2600-იდან, როცა იმპერატორმა ჰუანგ დიმ სამხედრო წვრთნის ეფექტური მეთოდების შემუშავება მოითხოვა. 525 იმპ. უ-დის მიწვევით ბუდისტი ბერი ბოდჰიდჰარი დასახლდა შაოლინის მონასტერში (ააგეს V ს-ში) და სათავე დაუდო ბუდიზმის ჩინურ ვარიანტს – ჩენ ბუდიზმს, რ-იც სულიერი სრულყოფის მისაღწევად მედიტაციის პრაქტიკას იყენებს. ბოდჰიდჰარმა დაწერა ორი ტრაქტატი: ,,იცზინ-



კუნგ ფუს მსოფლიოს VI ჩემპიონატი, საქართველოს ნაკრები.

ცზინი'' (,,წიგნი კუნთებისა და ძარღვების გარდაქმნის შესახებ'') და ,,სისუი-ცზინი'' (,,წიგნი ძვლის ტვინისა და თავის ტვინის განწმენდის შესახებ''). მანვე შეიმუშავა ვარჯიშების კომპლექსი, რ-ის შერწყმა ხელჩართული ბრძოლის ილეთებთან წინგადადგმული ნაბიჯი იყო ჩინური საბრძოლო ხელოვნ. უშუ ჰ. შ-ს განვითარების გზაზე. VII ს-ში იმპ. ლი შიმინმა მონასტერს ოფიციალურად მიანიჭა უფლება, ჰქონოდა საბრძოლო ხელოვნ. სკოლა და ჰყოლოდა საკუთარი ,,ჯარი''. შაოლინის მონასტერი იქცა ცენტრად, სადაც საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა საბრძოლო ხელოვნება. XVII ს-ში მანჯურიელებმა, რ-ებმაც ჩინეთი დაიპყრეს, საბრძოლო ხელოვნ. სწავლება აკრძალეს (ეს აკრძალვა 1644-იდან 1911-მდე მოქმედებდა). II მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტებმაც აკრძალეს საბრძოლო ხელოვნ. სწავლება. მოგვიანებით ჩინეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა უშუ ოლიმპიურ სახეობად ექცია და დაიწყო ზრუნვა ტრად. საბრძოლო ხელოვნ. აღორძინებაზე. დასავლეთში XX ს. 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ცნობილი ოსტატისა და კინომსახიობის, ბრიუს ლის მიერ ვინჩუნის სტილის საფუძველზე შექმნილმა და მოდიფიცირებულმა ჰ. შ-მ.

1980 თბილისში უშუ ჰ. შ-ს პირველი სკოლა ,,შოლინ-სი ჩუან ფა'' დააფუძნა ჩინელმა ოსტატმა სიუენ ჯაო შანმა. აქ ისწავლებოდა არწივის სტილი (ცინ-ინგ-ჩუან, ნანცუანი, ტაი-ძი, დაოშუს, გუნშუ). სკოლაში 300-მდე მოსწავლე ვარჯიშობდა. 1989 შეიქმნა საქართვ. უშუ ჰ. შ-ს ეროვნ. ფედერაცია, რ-იც 1996 გახდა საერთაშ., ხოლო 2006 – ევრ. ფედერაციების სრულუფლებიანი წევრი. 1991 თბილისში პირველად ჩატარდა საქართვ. ჩემპიონატი. 2014 ევრ. ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ორი, 2016 კი – ხუთი საპრიზო ადგილი. 2017 ევრ. ჩემპიონატს უმასპინძლა თბილისმა. 2019 ევრ. ჩემპიონატზე საქართვ. ნაკრებმა მოიპოვა 4 პირველი, 8 მეორე და 7 მესამე ადგილი. ამავე წელს ჰ.შ-ს მსოფლიოს VIII ჩემპიონატზე ქართველმა უშუისტებმა მოიპოვეს 8 პირველი, 4 მეორე და 10 მესამე ადგილი.

გ. ვერულიძე.

კუნელი (Crataegus), ეკლიანი ხეების და ბუჩქების გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მოიცავს 200-მდე სახეობას (სხვა მონაცემებით 1000-ზე მეტ სახეობას), რ-ებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერსა და ნაწილობრივ სუბტროპ. ჰავის ზონაში (ძირითადად ჩრდ. ამერიკაში).

კავკასიაში ბუნებრივად გავრცელებული 20-მდე სახეობიდან საქართველოში იზრდება 9. მათგან *კავკასიური კ.* (C. caucasica) და *კოლხური კ.* (C. colchica, C. pentagyna supsb. pentagyna) ენდემებია, პირველი სამხრ.-აღმოსავლეთ კავკასიისა, მეორე – კოლხეთის. მოშენებულია ზოგიერთი ველური კ-ც. ინტროდუცირებულია აგრეთვე 30-მდე სახეობა. ველური სახეობიდან ჩვენში უფრო მეტად გავრცელებულია შავი, ანუ ხუთბუშტუკოვანი კ. (C. pentagyna) და ირიბჯამფოთოლაკიანი კ. (C. curvisepala,). კ. საქართველოში ყველგან იზრდება, ბარიდან მოკიდებული მთის შუა სარტყლამდე, მშრალ და ღია ფერდობებზე, გამეჩხერებულ ტყეებსა (ქვეტყე) და ნაკაფებზე, ზოგჯერ სუბალპურ სარტყელშიც აღწევს. გვხვდება უფრო ბუჩქნარების – კუნელიანების სახით, რ-იც მეტწილად ტყის მოჭრის შედეგად ჩნდება და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს. კ. ერთნაირად ხარობს სხვადასხვა სახის ნიადაგზე, თუმცა უფრო მეტად ღრმა, საშუალოდ ტენიან და დაწრეტილ ნიადაგზე ვრცელდება. ყვავილობს აპრილ-ივლისში. ნაყოფი მწიფდება სექტ.-ოქტ-ში. საკმაოდ ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით, ზოგჯერ ფესვის ნაბარტყითაც. ცოცხლობს 200–300 წელს. დეკორატიულია. გამოსადეგია ცოცხალ ღობედ; მშრალი ფერდობების გასამწვანებლად; ვაშლის, მსხლის, კომშის, ზღმარტლის საძირედ. აქვს მკვრივი და მაგარი ღია ვარდისფერი ან მურა-მოწითალო მერქანი, რ-საც იყენებენ წვრილმანი ნივთების დასამზადებლად, ნუჟრებს – სადურგლოდ. ზოგი სახეობის (*ყამბრო* – C. pontica; *კნაპა* – C. orientalis და სხვ.) ნაყოფი იჭმება. ზოგან გამხმარ ნაყოფს ფქვავენ და პურის ფქვილში ურევენ. ნორჩი ფოთლების ნაყენისგან ჩაისმაგვარი სასმელი მზადდება.

ჰ. თაფლოვანი მცენარეა. პოპულარულია არა მარტო ტრადიციულ, არამედ კლასიკურ მედიცინაში. მას აქტიურად იყენებენ გულსისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, ხელს უწყობს გულის კუნთის მუშაობას, კარგ ეფექტს იძლევა ჰიპერტონიის დროს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აქვეითებს, სისხლში მავნე ქოლესტერინის დონეს, ასტიმულირებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას. ჰ-ის ნაყოფისაგან ამზადებენ კომპოტს, ჯემს, პიურეს, ასევე – ,,უმ მურაბას'' (ინახავენ შაქართან ერთად).

ვ. მირზაშვილი.



კუნელი.

კუნკული (ბარტყული), იხ. *საეკლესიო სამოსი.*

კუნტურის საჭდარი (კუნტუსი, კუნტუზი, კუნძული), არქიტექტურული ძეგლი თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. თეთრი წყლების აღმ-ით სამიოდე *კმ*-ზე. თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესია მოზრდილია, აქვს დამატე-



კუნტურის საყდარი. ჩრდილო-აღმოსავლეთის სათავსის კარის არქიტრავის ნაწილი წარწერით. XVI ს. (1587).



თ. კუნჭულია.

ბითი სათავსები საკურთხევლის გვერდებზე. ჯვრის აღმ. მკლავი აფსიდიანია, დანარჩენი მკლავები – მართკუთხა. აფსიდის წინ მცირე სიღრმის ბემაა. დას. მკლავი ჩრდ. და სამხრ. მკლავებზე ოდნავ ღრმაა. ნაგებობაში განირჩევა ქრონოლოგიურად განსხვავებული ორი ფენა. თავდაპირველი ფენა, რ-იც შენობის აღნაგობიდან, ზომებიდან და ცალკეული ნიშნებიდან გამომდინარეობს, XI ს. უკავშირდება. მომდევნო საუკუნეებში ეკლესია ძლიერ დაზიანებულა. როგორც ჩანს, XVI ს-ში მისი აღდგენა დაიწყეს, მაგრამ არ დაასრულეს (კედლების შენება ერთ სიმაღლეზეა შეწყვეტილი). ეკლესიის განახლების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ჩრდ.-აღმ. სათავსის კარის 1587 წლით დათარიღებული წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ეკლესია აღადგინა კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ და ნათლისმცემლის სახელზე აკურთხეს. შენობის თავდაპირველ სამშენებლო ფენას მიეკუთვნება საკურთხევლის ჩრდ-ით მდებარე სწორკუთხა სათავსი (სამკვეთლო). სავარაუდოა, რომ ტაძრის დანარჩენი ნაწილის გეგმაც თავდაპირველია. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-ით, სამხრ-ით და ჩრდ-ით. საკურთხევლის აფსიდი ოდნავ ნალისებრია. აფსიდის ცენტრში გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. თითო თაღოვანი სარკმელი ჯვრის დანარჩენ მკვლავებშიცაა. ტაძრის ოთხივე მკლავის კედლები საკურთხევლის კონქის ქუსლის დონეზეა შემორჩენილი. საკურთხევლის გვერდებზე მდებარე ორივე სათავსის აფსიდები ნახევარწრიული მოხაზულობისაა. გარედან, ეკლესიის წყობაში შეიმჩნევა სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენები, რ-ებიც როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხასიათითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1II თბ., 2015.

თ. გერსამია.

კუნჭულია თამაზ ვასილის ძე (1. VII. 1935, სოფ. ლესა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 30.VI.2021, თბილისი), აგროეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997), საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2013, წ.-კორ. 2003). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი (1959). მუშაობდა სოფლის მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (შემდგომში – აგრ. ეკონ. ინ-ტი) განყ-ბის გამგედ (1969–77), პარტიულ-სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1977–90). საქართვ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილედ (1994–96), საქციო საზ-ბა ,,ქართული ჩაის“ გენ. დირექტორად (1996–98), საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო-ეკონ. დეპარტამენტის უფროსად (1998–2005). 2007-იდან იყო საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ხოლო 2012-იდან – საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი. 2005–10 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

ა. სამეცნ. ნაშრომების ავტორია. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია დარგობრივი ეკონ. (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა) და აგრ. პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: მექანიზებული სამუშაოების ნორმირების პრინციპები, თბ., 1969; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილება, თბ., 1981 (თანაავტ.); საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები, თბ., 1997.

კუპატაძე ელვერ სერგოს ძე (3. I. 1949, სოფ. ქვედა საზანო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 12. I. 2012, თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997), დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1972). 1974–2006 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში. 1977-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში (1993–96), იყო თავდაცვის ეროვნ. აკად. ისტ. კათედრის გამგე (2000–02), საზ.-ჰუმანიტარული კათედრის გამგის მოადგილე (2002–05), გენ. შტაბის სამხ.-საინჟ. აკად. (2004–05) და თავდაცვის ეროვნ. აკად. (2008–12) პროფესორი.

ა. მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. იყო საქართვ. ომის, შრომისა და სამხ. ძალების ვეტერანთა საერთაშ. ცენტრ. კავშირის გამგეობის თავ-რე (2005–12), დსთ-ის ქვეყნების ვეტერანთა საკორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (2006–09).

ა. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 15 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოსი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: ევაკუირებული სამრეწველო საწარმოებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება საქართველოში 1941–1945 წლებში, თბ, 1978; საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1982; გენერალი ჩაწიბაძე, თბ., 1984; 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის საბრძოლო გზა დიდ სამამულო ომში, თბ., 1990; ვლადიმერ ნანეიშვილი, თბ., 1999; ქართული დივიზიების მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლაში, თბ., 2003; ქართული ეროვნული საჯარისო შენაერთების ისტორია 1921–1956 წლებში, თბ., 2011.

კუპატაძე ქეთევან ტრისტანის ასული (დ. 9. II. 1971, თბილისი), ქიმიკოსი. პედ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2005). დაამთავრა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) ქიმია-ბიოლ. ფაკ-ტი (1993) და იქვე დაიწყო მუშაობა (1999–2007).

ჰ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა გარემოს და ეკოლ. ქიმია, თეორ. ქიმია, ქიმ. დიდაქტიკა ქიმ. ისტორია. სამეცნ. ნაშრომების, 2 ვირტუალური პროგრამისა და 4 მონოგრაფიის ავტორი. ეწევა პედ. მოღვაწეობას ილიას სახელმწ. უნ-ტში (2007-იდან პროფესორი).

არის „European Training Foundation“-ის მეცნ. პოპულარიზაციის ელჩი (2022); ჟურნ-ების „Journal Tchê Química“-ისა (2017-იდან) და „SCIREA Journal of Chemistry“-ის რედკოლეგიის წევრი (2019-იდან);

„Southern Brazilian Journal of Science“-ის მეორე რედაქტორი (2022-იდან).

მიღებული აქვს მოლდოვის მეცნ. აკად. სპეც. მედალი ქიმიის პოპულარიზაციისთვის (2017). NATO-ს მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ სტატიაში დასახელდა სამ გამორჩეულ მეცნ. ქალთა შორის (2022).

თხზ.: Surface water chemical composition monitoring in Several villages: Case study of Khakheti Region, Georgia. Handbook of Research on Water Science and Society (26-ე თავის ავტორი), IGI Global Publishing House, (2022); Regarding One Efficient Method of Disseminating Information for Chemistry Teaching (One Example of Environmental Chemistry). Orbital: The Electronic Journal of Chemistry; (2021) №13 .

კუპატაძე შალვა თენგიზის ძე (დ. 23. VIII. 1956, თბილისი), ბრიგადის გენერალი (2003). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1978), სახელმწ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსები (1981). მუშაობდა საქართველოს სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. 1998–2000 იყო თავდაცვის სამინისტროს სამხ. პოლიტიკისა და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველოს უფროსი, 2000–04 თავდაცვის სამინისტროს სამხ. დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი.

კუპარავა ოთარ გალაქტიონის ძე (20. X. 1925, სოფ. ძველი აბაშა, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 6. II. 1977, თბილისი), მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ. ინ-ტი (1952). პირველი ლექსი 1940 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი „ლექსები“ – 1951. მისი პოეტური კრებულებია: „ნაცრისფერი ყაბალახი“ (1952), „მგზავრული“ (1966), „გზა უღელტეხილს უახლოვდება“ (1971), „მაღალი მთები დაუთოვია“ (1976), „ლექსები, პოემები“ (1980) და სხვ. პ-ს რომანი „ლურჯი იების ზღაპარი“ (1967) ასახავს ქართ. სოფლის ცხოვრებას, ხოლო რომანი „სირიაჩქონის ტყის სიზმარი“ (1977) მიუძღვნა ქართ. კომკავშირული ორგანიზაციის, „სპარტაკის“ მოღვაწეობას. პ-მ თარგმნა ნ. ტიხონოვის, ა. სურკოვის, ა. სოფრონოვის, მ. ქარიმის, კ. ხეთაგუროვის, მ. ლასურიას და სხვათა ნაწარმოებები. მისი ლექსები და რომანი „ლურჯი იების ზღაპარი“ თარგმნილია რუს. ენაზე.

თხზ.: მზე შინა და მზე გარეთა, თბ., 1957; სუდღარის წყალი, თბ., 1961; ორი რომანი, თბ., 1982.

მ. კვარაცხელია.

კუპრაშვილი ნინო (გოგუცა) ნიკოლოზის ასული (15. IV. 1908, ცაგერი – 21. IX 1983 თბილისი), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). 1927 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიასთან არსებული დრამ. ფაკ-ტი (ხელმძღვ. კ. მარჯანიშვილი და ა. ფაღავა). 1926, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, მსახიობად მიიწვიეს რუსთაველის თეატრში. ამავე თეატრის სცენაზე პ-მა განასახიერა პატარა ბიჭი (ფ. შილერის ,,ვილჰელმ ტელი“), ფორთოხლის გამყიდველი (ნ. შიუკაშვილის ,,ამერიკელი ძია“), მომღერალი (ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის ,,საჭე მარცხნივ“) და სხვ. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა მუშათა თეატრში (1927–28), ექსპერ. საბავშვო თეატრში (1927). ამ თეატრებში განსახიერებული როლებია: მაყურებელი ბიჭი (ზ. ანტონოვის ,,ქმარი ხუთი ცოლისა“), ილო (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ტომი (მარკ ტვენის ,,ტომ სოიერი“), პატარა ჯონი (ს. ზაიაცკის ,,რობინ ჰუდი“) და სხვ. 1928–75 მუშაობდა თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში (არის მისი ერთ-ერთი დამაარსებელი). აქ განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია: ვახუშტი (გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის ,,ნაცარქექია“), ვანჯო (ა. კაჭკაჭიშვილის ,,პარტიზანები“), ძიძა, კატარინა (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა“, ,,ჭირვეულის მორჯულება“), მარინე (ქ. ქუჩუკაშვილის ,,ზამთრის ზღაპარი“), თენგიზი (კ. გოგიაშვილის ,,ალუბლები ყვავიან“), გრიშუტკა (ვ. დარასელის ,,კიკვიძე“), და სხვ.



შ. კუპრაშვილი. ,,ხარატი“.

პ-ის სამსახიობო ოსტატობის ინდივიდუალობა გამოიხატებოდა ხალისიანი, ტემპერამენტიანი ბიჭუნების (ე. წ. ტრავესტი) როლების წარმატებით შესრულებაში. მხატვრული სახეების მისეული განხორციელება ხასიათდებოდა სიღრმისეული გააზრებითა და შთამბეჭდავი გამომსახველობით.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

კუპრაშვილი შოთა ლავრენტის ძე (14.XI.1919, თბილისი, – 12.XII.1995, იქვე), მხატვარ-გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). 1940–46 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. 1947-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ხატვის კათედრაზე (1976-იდან – პროფესორი). აღზარდა ქართველ მხატვარ-გრაფიკოსთა მრავალი თაობა. 1946-იდან მონაწილეობდა რესპ., საკავშ. და საერთაშ. სამხატვრო გამოფენებში. პ-ის შემოქმედება მოიცავს გრაფიკის ყველა სახეობას – დაზგურს, წიგნის, გამოყენებით გრაფიკას, პლაკატს. იყო ქართ. შრიფტის გარნიტურების ავტორი. განსაკუთრებულია 1965 შესრულებული მხატვრული შრიფტი „თბილისის მეტროპოლიტენი“. 1975 შექმნა სატიტულო შრიფტები გამომცემლობებისთვის. მისი ნამუშევრები ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. სამხატვრო გალერეაში, კერძო კოლექციებში.

ლიტ.: კიკნაძე ნ., შოთა კუპრაშვილი. ალბომი. თბ., 1999; Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии. 1921–1970, М.,1975.

მ. გაჩეჩილაძე.

კუპრაშვილი ჰენრი ოთარის ძე (დ. 13. IX. 1946, ხაშური), ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი, სპორტსმენი. პოლიტ. მეცნ. დოქტორი (2003). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1976), სპი-ის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკ-ის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1977). საქართვ. სახელმწ. მეთაურის აპარატში იყო მთ. სახელმწ. მრჩეველი, სახელმწ. მეთაურის დავალებების კონტროლისა და ცენტრ. მმართველობით ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი (1992–96); დსთ-ის წევრი სახელმწიფოების ინფორმატიზაციის საკოორდინაციო საბჭოში საქართვ. სახელმწ. წარმომადგენელი (1996–2001); საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსი (1996–2003), ინფორმაციის ანალიზის განყ-ბის უფროსი (2004); საქართვ. ცურვის ეროვნ. სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი (2010-იდან), სტუ-ის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკ-ტის სრული პროფესორი



ნ. კუპრაშვილი.



ნ. კუპრაშვილი. ვახუშტი, გ. გამრეკელის და გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია“.



ჰ. კუპრაშვილი.

(2010–17); სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობების ფაკ-ტის პროფესორი (2017-მდე).

ჰ-მა პირველმა, ცურვის ე. წ. ,,კოლხური'' წესის შესაბამისად და ოთხგან ხელფეხშეკრულმა, 2002 წ. 30 აგვისტოს გადაცურა დარდანელის სრუტე (12 *კმ*). არის ვეტერან სპორტსმენებში მსოფლიო ჩემპიონი ბიატლში (ინდივიდ., ეგვიპტე, ქ. ჰურგადა, 2018; გუნდური, ბათუმი, 2015), ტრიატლში (გუნდური, ბათუმი, 2015). ზამთრის ცურვის მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატზე (სლოვენია, ბლედის ტბა, 2023) 6 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. მრავალი საერთაშ. ასოციაციის წევრი. საქართვ. სპორტის დამს. მოღვაწე (2017).

ჰ. არის მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

ჰ. იბრძოდა აფხაზეთში საქართვ. ტერიტ. მთლიანობის დასაცავად. მიღებული აქვს მედალი ,,მხედრული მამაცობისათვის'' (1993) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (2002).



ვ. კუპრაძე.

კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის ძე (2. XI. 1903, სოფ. ყელა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 25. IV. 1985, თბილისი), მათემატიკოსი. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1939), საქ. სსრ მეცნ. და ტექნ. დამს. მოღვაწე (1943). 1927 დაამთავრა თსუ, 1927–31 მუშაობდა იქვე. 1933–35 იყო სსრკ მეცნ. აკად. მათ. ინ-ტის სწავლული მდივანი, 1936–41 – სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის მათ. ინ-ტის დირექტორი. ხელმძღვანელობდა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის უმაღლესი მათ. კათედრას და თსუ-ის დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრას. იყო საქ. სსრ განათლების მინისტრი (1944–53), საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე (1954–63), თსუ-ის რექტორი (1954–58), საქართვ. მათ. საზ-ბის პრეზიდენტი (1962–66), საქ. სსრ მეცნ. აკად. მათ. და ფიზ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1963–81), ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ჰ-ის ნაშრომებში გამოკვლეულია დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიის, სტაციონარული რხევების, სტატიკისა და დინამიკის ძირითადი და საკონტაქტო სასაზღვრო ამოცანები. ჰ-მ გადაწყვიტა ამ ამოცანათა კლასიკური ამონახსნების არსებობისა და ერთადერთობის საკითხები. შექმნა ამოხსნების მიახლოებითი აგების მეთოდები და მათი რიცხვითი რეალიზაციის ალგორითმები (მ. ალექსიძესთან ერთად) ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნ. გამოყენებით. ჰ-ის ნაშრომებში აგრეთვე გამოკვლეულია დრეკადი, სეისმური, ელექტრომაგნ. და სხვა ტალღების გავრცელებისა და დიფრაქციის საკითხები, შესწავლილია სინგულარული ინტეგრალური და ფუნქციონალური განტოლებების თეორიის საკითხები. მიღებულ მნიშვნელოვან თეორ. შედეგებთან ერთად განხილულია მათი გამოყენებითი ასპექტებიც.

1971 ჰ-ს მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია; მიღებული აქვს 2 ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები. იყო სსრკ თეორ. და გამოყ. მექან. ნაციონალური კომიტეტის (1976), საერთაშ. საზ-ბის –,,მათემატიკის მეთოდები მექანიკაში'' პრეზიდიუმის (1977) და სსრკ მათემატიკოსთა ნაციონალური კომიტეტის (1980) წევრი.

თხზ.: Основные задачи математической теории дифракции, Л.-М., 1935; Граничные задачи теории колебаний и интегральные уравнения, М., 1950; Методы потенциала в теории упругости, М., 1963; Three-Dimensional Problems of Elasticity and Thermoelasticity, Amsterdam-N.-Y.-Oxford, 1979 (თანაავტ. T. G. Gegelia, M. O. Basheleishvili, T. V. Burchuladze).

ლიტ.: გოკიელი ლ., მაღნარაძე ლ., გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე (პროფ. ვ. კუპრაძის დაბადების 60 წლისთავის გამო), ,,თსუ შრომები'', 1965, ტ. 110; ებანოიძე თ., წერილები ქართველ მათემატიკოსებზე, თბ., 1981.

გ. გოგიშვილი.

კუპრაძის გამოსხივების პრინციპი, პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს დრეკადი სტაციონარული რხევის სასაზღვრო ამოცანათა ამონახსნების ერთადერთობას უსასრულო გარე არისათვის. პირველად, ფიზ. მოსაზრებებზე დაყრდნობით, გამოსხივების პირობები ჰელმჰოლცის განტოლებისათვის ჩამოაყალიბა ა. ზომერფელდმა (1868–1956, გერმ.). თუ განტოლებისათვის დასმული გარე სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი აკმაყოფილებს ზომერფელდის გამოსხივების პირობებს, მაშინ ის ერთადერთია; ასევე, თუ დრეკადი სტაციონარული რხევის რომელიმე გარე სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი აკმაყოფილებს კუპრაძის მიერ ჩამოყალიბებულ გამოსხივების პირობებს, მაშინ ისიც ერთადერთია.

ლიტ.: Купрадзе В. Д., Граничные задачи теории колебаний и интегральные уровнения, М., 1950; მისივე, О принципе излучения Зоммерфельда, Доклады академии наук СССР, 1984, №2; მისივე, Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости, 2 изд., М., 1976 (თანაავტ.).

თ. გეგელია.

კუპრაძის დამხმარე გამომსხივებლების მეთოდი, მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდი. ამ მეთოდის თეორიული საფუძვლები პირველად ჩამოაყალიბა ვ. კუპრაძემ, სხვადასხვა ამოცანისათვის კი განაზოგადეს და განავითარეს (1953–67) მ. ალექსიძემ, მ. ბაშელეიშვილმა, თ. ბურჭულაძემ, თ. გეგელიამ და სხვ., ასევე უცხოეთის ქვეყნების სამეცნ. ჯგუფებმა. ვ. კუპრაძემ აჩვენა, რომ შესაძლებელია 3-განზომილებიანი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის აგება მოცემული კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისთვის (ნებისმიერი წინასწარ მოთხოვნილი სიზუსტით) ამ განტოლების ფუნდამენტური (ან სხვა სინგულარული საბაზისო) ამონახსნების გამოყენებით. ამ მეთოდით შესწავლილია, კერძოდ, აკუსტიკური დიფრაქციის 3-განზომილებიანი პრობლემა, ჰიბრიდული პრობლემა ელიფსური და პარაბოლური ტიპის განტოლებებისთვის, დრეკადობის სასაზღვრო-კონტაქტური პრობლემა არაერთგვაროვან გარემოში, ჰიდროდინამიკური და ელექტრომაგნიტური დიფრაქციის ზოგადი ამოცანები არაერთგვაროვან გარემოში, ელექტროდინამიკის ზოგიერთი სასაზღვრო პრობლემა და სხვ.

XX ს. 80-იანი წლების შუა პერიოდში შესრულდა ელექტროდინამიკის ძირითადი სასაზღვრო პრობლემების (ელექტრომაგნიტური გაბნევა და დიფრაქცია მარტივი გეომეტრიის იდეალურად გამტარ და დიელექტრიკულ ობიექტებზე და სხვ.) რიცხვითი ტესტირება (რ. *ზარიძე*, ფ. ბოგდანოვი, დ. ქარქაშაძე და სხვ.).

გაირკვა, რომ მიახლოებითი ამონახსნის საკმარისი სიზუსტით ასაგებად შესაძლებელია დამხმარე (საბაზისო ამონახსნების სინგულარობების შემცვლელი) წყაროების შემოღება. ქართველმა რადიოფიზიკოსებმა შეიმუშავეს ზოგადი რეკომენდაციები და ალგორითმე-

ბი ამ წყაროების მდებარეობისა და სიმძლავრის (ამპლიტუდებისა და ფაზების) შესარჩევად, რაც გამოთვლითი რესურსებისა და მანქანური დროის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა. ამან შესაძლებელი გახადა ელექტრომაგნიტური ველის გავრცელებისა და დიფრაქციის შესწავლა რთული კონფიგურაციის გამტარ და დიელექტრიკულ ბიიზოტროპულ (მ. შ. ბიოლოგიურ) ობიექტებში. მიღებული შედეგები აღიარებულია მსოფლიოში და გამოიყენება ფოტონური კრისტალების ბაზაზე შექმნილი მოწყობილობებისა და მობილური ტელეფონების კონსტრუირებისას მდგრადი კავშირის განსახორციელებლად და ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად.

ლიტ.: Алексидзе М. А., Фундаментальные функции уравнений математической физики в приближенных решениях граничных задач, Тб., 1989, 2 изд., М., 1991; Векуа И. Н., О полноте системы метагармонических функций. Доклады академии наук СССР, 1953, вып.. 90, N5; Купрадзе В. Д., Методы потенциала в теории упругости, М., 1963 (Jerusalem, 1965); მისივე, О приближённом решении граничных задач электродинамики, Паланга, Литва, 1965; Купрадзе В. Д., Гегелия Т. Г., Башалеишвили М. О., Бурчуладзе Т. В. Трехмерная проблема теории упругости. Тб., 1968.

გ. გოგიშვილი,
დ. ქარქაშაძე.

კუპარაძის მატრიცა, 3-განზომილებიანი დრეკადი გარემოს მდგომარეობის აღწერის მათემატიკური მეთოდი. კ. მ. ჩაიწერება 3×3 მატრიცის სახით, რ-ის ყოველი სტრიქონი და სვეტი არის ფუნდამენტური ამონახსნი 3-განზომილებიანი *დრეკადობის თეორიის* ჩარჩოებში ჩაწერილი დრეკადი გარემოს რხევების განტოლებათა სისტემისთვის სივრცის ყველა წერტილში, გარდა კოორდინატთა სათავისა (იხ. აგრეთვე სტ. *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები*). შემოღებულია და ცხადი სახით აგებულია 1967 ვ. *კუპრაძის* და მისი თანამშრომლების (გ. *ბაშალეიშვილი*, თ. *ბურჭულაძე*, თ. *გეგელია*) შრომებში, სადაც ასევე შესწავლილია კ. მ-ის ძირითადი თვისებები, 3-განზომილებიანი დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიების სხვადასხვა ამოცანაში მისი გამოყენების პირობები და შესაძლებლობა. ასეთ (სინგულარულ) ამონახსნებს ვ. კუპრაძე სისტემატურად იყენებდა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, დამყარებული დრეკადი და ელექტრომაგნიტური რხევების აღსაწერად.

ლიტ.: КупрадзеВ. Д., О приближенном решении задач математической физики, „Успехи математических наук“, 1967,m. 22, N 2. Купрадзе В. Д., Гегелия Т. Г., Башалейшвили М. О., Бурчуладзе Т. В., Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости, М., 1976.

თ. გეგელია.

კუპრეიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 14. I. 1954, ბათუმი), გენერალ-მაიორი (2000), საქართვ. სახელმწ. უშიშროების სამსახურის საპატიო თანამშრომელი (1996). დაამთავრა სპი-ის საინჟინრო ფაკ-ტი (1977), სახელმწ. უშიშროების უმაღლესი სასწავლებელი (მინსკი, 1981–82). 1971–78 იყო ქუთაისის მცირე გაბარიტების სატრანსპორტო ქ-ნის ინჟინერ-კონსტრუქტორი, 1978–81 – საქართვ. კვების მრეწველობის კვლევითი ინ-ტის თანამშრომელი. 1982–86 მუშაობდა ვოლგოგრადის ოლქის სახელმწ. უშიშროების კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1986–2004 – აჭარის არ სახელმწ. უშიშროების კომიტეტში. იყო აჭარის არ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე (1994–2004). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლ. დოლიძე.

კუპრეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (9. X. 1906, სოფ. კოტიანეთი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 17. IX. 1981, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969). II მსოფლიო ომის მონაწილე. 1927 ჩააბარა თსუ-ში; 1929 უნ-ტის აგრონ. ფაკ-ტის ბაზაზე დაარსდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი, რ-იც 1931 დაამთავრა. იმავე წელს, პარალელურად, სწავლების კურსი დაასრულა თბილ. საკავშ. სუბტროპ. ინ-ტში. 1932– 33 ჰ. მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (შეთავსებით – ამიერკავკ. უმაღლ. პარტ. სკოლის ლექტორად). 1933–37 ზუგდიდისა და გალის რ-ნებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. 1937–39 იყო ჩაისა და სუბტროპ. კულტურების ინ-ტის სოხუმის ფილიალის დირექტორი, 1939–41 – სას.-სამ. ინ-ტის გამომცემლობის გამგე. 1946–81 მუშაობდა სას.-სამ. ინ-ტის ეკონომიკის კათედრაზე;

ჰ. იყო აგრ.-ეკონ. პრობლემების მკვლევარი და ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 3 სახელმძღვანელოს ავტორი.

მიღებული აქვს სახელმწ. და საბრძოლო ჯილდოები.


თხზ.: სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი სოფლად, თბ., 1950; საბჭოთა მეურნეობის როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, თბ., 1959.

კუპცისი რობერტ დავითის ძე (1881, ერცენის თემი, ლატვია, – 1954, თბილისი), ქიმიკოსი, ფარმაცევტი. 1908 წარჩინებით დაამთავრა ყაზანის უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტი და მიენიჭა ქიმიკოს-ფარმაცევტის კვალიფიკაცია. უნ-ტის ხელმძღვანელობის რეკომენდაციით გამოემგზავრა თბილისში და გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა საქართველოში. იყო კავკ. სამხ. ოლქის სამხ. მედ. ლაბორატორიის ქიმიური განყ-ბის გამგე, სანიტარიის ინ-ტის თანამშრომელი, საქართვ. სასამართლო სამედ. ექსპერტიზის ნივთმტკიცებათა კვლევის ლაბორ. ხელმძღვანელი. 1934 დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭა მეცნ. დოქტორის ხარისხი.

ჰ-ს დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. ბუნებრივი რესურსების კვლევაში. მისი სამეცნ. შრომების უდიდესი ნაწილი ეძღვნება მინერ. და მტკნარი წყლების შესწავლას. საქართვ. ტერიტორიაზე მან 100-ზე მეტი სამკურნ. მინერ. წყალი აღმოაჩინა, დაადგინა მათი ქიმ. შედგენილობა და ფიზ.-ქიმ. თვისებები (საქართველოში მის ჩამოსვლამდე გამოკვლეული იყო მხოლოდ 30-მდე მინერ. წყალი). ასევე შეისწავლა 3000-ზე მეტი წყალსადენი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შედგა საქართვ. წყლის კადასტრი. დაადგინა საქართველოში საკვებად გამოყენებული ველურად მზარდი მრავალი მცენარის შედგენილობა, თვისებები, სამკურნალოდ მათი გამოყენების შესაძლებლობა. გამოიკვლია საქართვ. სამკურნ. ტალახების ქიმ. შედგენილობა და თავისებურებები. აქტიურად უწყობდა ხელს საქართვ. საკურორტო პოტენციალის, კერძოდ, წყალტუბოს, მენჯის, ლებარდეს, შოვის, საირმის, ლუგელას და სხვათა განვითარებას.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

შ. სიდამონიძე.



გ. თ. კუპრეიშვილი.

კურაპალატი (ბიზანტ. ბერძნ. kuropalates <ლათ. cura Palatiae – სასახლის დაცვა), IV–V სს. ბიზანტიის კარის მოხელე, სასახლის დაცვის უფროსი. ითვლებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (იმპერატორის შემდეგ). კურაპალატობას თავდაპირველად ანიჭებდნენ იმპერატორის ოჯახის წევრებს, ხშირად – ტახტის მემ-

კვიდრეებს. ამ დროს პ. ჯერ კიდევ რეალურ სამოხელეო მოვალეობას ასრულებდა. VIII ს-ში გახდა საპატიო ტიტული, რ-საც უმაღლესი არისტოკრ. წარმომადგენლებს ანიჭებდნენ; IX ს-იდან უცხოელი ხელისუფლებიც და ბიზანტიელებიც კურაპალატობას გარკვეული დამსახურებისათვის იღებდნენ. XI–XII სს-ში პ-მა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, XIII–XIV სს-ში მეორეხარისხოვან ტიტულად იქცა, ხოლო XV ს-ში საერთოდ აღარ მოიხსენიებოდა.

პ-ის ტიტული IX ს-იდან ენიჭებოდათ იბერიის (თავდაპირველად ტაო-კლარჯეთის, შემდეგ გაერთიანებულ საქართველოს) მეფემთავრებს. პირველი პ. მათ შორის იყო აშოტ I (IX ს.), შემდეგ კურაპალატობა მუდმივად ეძლეოდათ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლებს, XI ს-იდან – საქართველოს მეფეებს (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II). დავით აღმაშენებელმა უარყო ბიზანტ. ტიტულები და მას შემდეგ პ. ქართველ მეფეებს აღარ უტარებიათ.

ლიტ.: Guilland R., Etudes sur l'histoire administrative de l' Émpire Byzantin. Le curapalate, «Byzantina», 1970, t.2.

ნ. ლომოური.

კურდანაი, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი, მესხეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. 70-იანი წლებიდან მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, სინას მთაზე. ჩვენამდე მოღწეულია პ-ს ერთადერთი აკროსტიქული საგალობელი (კიდურწერილობა ,,თავნი იტყჳნ კორდანაჲ‘‘), რ-იც შესულია მიქაელ მოდრეკილის ,,იადგარში‘‘ (978–988).

თხზ.: [წიგნში] ინგოროყვა პ., ქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები. VIII–X სს. ტფ. 1913.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; სულავა ნ., კურდანაი, ,,საქართველოს საპატრიარქო‘‘, 2001; ჯღამაია ლ., მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ), «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1973, №4.

ლ. ჯღამაია.

კურდღელაიძე გარსევან მელიტონის ძე (11. XI. 1920, სოფ. შენაქო, ახმეტის მუნიციპალიტეტი, – 12. X. 1983, თბილისი, დაკრძალულია სოფ. ქვემო ალვანში), გეოგრაფი. 1956 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტი ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო თუშეთში ჰიდრომეტეოროლ. სადგურის უფროსად.

პ. იყო პირველი ქართვ. მეცნიერი, რ-მაც მონაწილეობა მიიღო ანტარქტიდის შესწავლაში. იგი 1957–59 იმყოფებოდა სამეცნ.-კვლევით სადგურ „პიონერსკაიაზე‘‘ და ხელმძღვანელობდა მეტეოროლ. კვლევებს. 1970–71 ორჯერ იყო მიწვეული სსრ კავშირის ჰიდრომეტეორ. სამსახურის ოკეანოლოგიურ ექსპედიციაში გემ „მუსონზე‘‘. იკვლევდა ატლანტის ოკეანეს, განსაკუთრებით კი – გოლფსტრიმის დინებას; მისი უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა ბათიმეტრიული და ჰიდრომეტეოროლ. დაკვირვებები.

1959-იდან პ-მ მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტში. ხელმძღვანელობდა გლაციოლოგიურ ექსპედიციებს, წლების განმავლობაში იკვლევდა საქართვ. მყინვარებსა და მდინარეებს, სწავლობდა აფხაზეთისა და სამეგრელოს კარსტულ მღვიმეებს, მონაწილეობდა საქართვ. მყინვართა კატალოგის შედგენაში. ბოლო წლებში მუშაობდა გეოგრაფიის ინ-ტის სიონის ექსპერ. ლაბორ. ხელმძღვანელად, სადაც ახორციელებდა კომპლ. დაკვირვებებს.

პ-ს გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. იგი იყო თვითმოქმედ ხელოვანთა რამდენიმე გამოფენის მონაწილე.

თხზ.: ანტარქტიდის დღიური, თბ., 1962; თუშეთი (მეურნეობა, ბუნება, ტოპონიმიკა), თბ., 1983.

ლიტ.: ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი, ენციკლოპედიური ცნობარი, ავტორ-შემდგენლები: კ. ხარაძე, შ. ჯავახიშვილი; თბ., 2003.

ე. ელიოზაშვილი.

კურდღელაიძე დიმიტრი ფიდოს ძე (დ. 16. X. 1927, სოფ. შენაქო, ახმეტის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1979). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1949). 1950–54 და 1961–74 მუშაობდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტში, 1954–61 – სსრკ მეცნ. აკადემიის ენერგეტიკის ინ-ტში (ЭНИН), 1975–92 იყო თსსი-ის (1992-იდან თსსუ) სამედ. ფიზ. და ბიოფიზიკის კათედრის გამგე, 1992–2004 – ამავე კათედრის პროფესორი, 2004-იდან – სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი.

პ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 11 მონოგრაფიის ავტორი. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა გრავიტაციის თეორია, კოსმოლოგია, ელემენტარული ნაწილაკების თეორია, კლასიკური და კვანტური ველების თეორია, არაასოცირებადი ველის თეორია; დ. *ივანენკოსთან* ერთად ჩამოაყალიბა ჰიპოთეზა კვარკული ვარსკვლავების არსებობის შესახებ და აწინასწარმეტყველა კვარკების დეკონფაინმენტის შესაძლებლობა.

პ. წლების განმავლობაში ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებისთვის გამოსცა სახელმძღვანელო სამედ. ბიოფიზიკაში (1997).

თხზ.: სიცოცხლე ფიზიკის თვალსაზრისით და სიცოცხლის ადგილი სამყაროში, თბ., 2001; К нелинейной теории поля, Доклады АН, СССР, 1953; т. 88, №245, (თანაავტ. Д. Иваненко, С. Ларин); Космология и элементарные частицы, ЖЭТФ, 1964; Гипотеза кварковых звезд, `Астрофизика~, 1965, т. 1, №479 (თანაავტ. Д. Иваненко); CP-нарушение в неассоциативной теории поля, Известия. Вузов, Физика, 1990, N 10 (თანაავტ. Г. Бегелаури); Введение в неассоциативную классическую теорию поля, m. 1-3, Тб., 2004-16.

კურდღელაური, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 560 *მ,* თელავიდან 3 *კმ.* 4,0 ათ. მცხ. (2014).

თქმულების თანახმად, თავდაპირველად პ. სამხრ-ით, მდ. ალაზნის მახლობლად მდებარეობდა, მაგრამ მტრის შემოსევების გამო მოსახლეობა იძულებული გამხდარა უფრო მაღლა, ჩრდ-ით, თელავის მახლობლად დასახლებულიყო. მეორე ვერსია ამჟამინდელი სოფლის პირველი დასახლების ადგილმდებარეობად სოფ. გულგულის მოპირდაპირე მხარეს, ფოხორაულად წოდებულ ადგილზე მიგვითითებს. შესაძლოა, ამ თქმულებას აქ 1956 არქეოლ. გათხრების დროს გამოვლენილი გვიანდ. ბრინჯაო– ადრინდ. რკინის ხანის ნამოსახლარი ადასტურებდეს (იხ. *ფოხორაულის ნამოსახლარი*). ლეგენდის თანახმად, ამ ახალი ადგილსამყოფელის სანახები კურდღლებით ყოფილა სავსე, ამიტომ ამ ადგილზე მცხოვრებლებს კურდღელაურლებად მოიხსენიებდნენ. აქედან მომდინარეობს სოფლის ამჟამინდელი სახელწოდებაც.

სოფელში და მის მახლობლად შემონახულია ხუროთმოძღვრების ძეგლები: კავთის (XVIII ს.), კვი-

რაცხოვლის (გვიანდ. შუა საუკუნეები), ღვთისმშობლის (VII–X სს.), წმ. კვირიკეს, წმ. სტეფანეს (შუა საუკუნეები) ეკლესიები, აგრეთვე ყვავის საყდარი (,,პატარა ეკლესია'', VI ს.; აღდგენილია VIII–IX სს.), შუა საუკუნეების ე. წ. ,,ყვავიჭამიისა'' და ბედოიანთ ეკლესიები, გვიანდ. შუა საუკუნეების კოშკი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1–2, თბ., 2015.

კურდღელაშვილი მამუკა დავითის ძე (დ. 22. IX. 1971, საგარეჯო). სპორტსმენი, დაამთავრა თბილ. ფიზკულტურის ინ-ტი და შსს-ს აკადემია. მოჭიდავე (სამბო). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1997, 1999) და სამგზის მეორე პრიზიორი (1994, 1996, 2001); ევროპის ჩემპიონი (1997); ორგზის მეორე (1994, 2004) და მესამე პრიზიორი (1999); მსოფლიო თასის მფლობელი (1999); მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1991). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

კურდღელაშვილი შოთა ნიკოლოზის ძე (15. V. 1918, თბილისი, – 10. II. 1995, იქვე), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტ. მეცნ. დოქტორი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). 1951 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი. 1960-იდან იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის თანამშრომელი. მუშაობდა დიპლომატად არაბულ ქვეყნებში – ერაყში (1962–63), სუდანში (1968–72), ლიბიაში (1975–78). საფუძველი ჩაუყარა საქართველოში არაბული ქვეყნების ახ. ისტ., თანამედროვე სოც.-ეკონ. და პოლიტ. პრობლემების მეცნიერულ კვლევა-ძიებას. არის არაერთი ნაშრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959; რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცება ეგვიპტეში, თბ., 1968; Революция 1952 г. в Египте, М., 1966; Проблемы претворения в жизнь ливийской модели „третьего пути“ развития, М., 1983; Революционный процесс в странах Африки и Азии, Тб., 1984 (თანაავტ.). Падение монархии в Египте, Тб., 1985.

კურდღლის ბალახი (Anthyllis), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა, ბალახები, ბუჩქბალახები, იშვიათად – ბუჩქები. აერთიანებს 50-მდე სახეობას, რ-ებიც უმეტესად გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და დას. აზიაში.

საქართველოში იზრდება 3 სახეობა. მათგან ერთი (A. polyphylla) გვხვდება მხოლოდ აფხაზეთის მდელოებსა და ბუჩქნარებში მთის შუა სარტყლამდე, დანარჩენი ორი (A. vatiegata და A. lachnophora) მთელ საქართველოშია გავრცელებული სუბალპ. და ალპ. მდელოებსა და ჩამონაზვავებზე, აგრეთვე მთის შუა და ზედა სარტყელში. ჰ. ბ-ის ყველა სახეობა კარგი საკვებია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაღალმთის საძოვრებისა და სათიბებისათვის. მრავალი მათგანი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს.

კურდღლისებრნი (Leporidae), ძუძუმწოვრების ოჯახი კურდღლისნაირების რიგისა. მათი სხეულის სიგრძეა 30–60 *სმ,* აქვთ ბოლოწაწვეტებული გრძელი ყურები, მოკლე კუდი. სახეობათა უმრავლესობას უკანა კიდურები წინაზე გრძელი აქვს. ფეხისგულები ხშირი ჯაგრითაა დაფარული. გავრცელებული არიან მთელ დედამიწაზე, გარდა მადაგასკარისა, სამხრ. ამერიკის სამხრ. ოლქებისა და ანტარქტიდისა. ბინადრობენ მრავალფეროვან გარემოში. აქტიური არიან მთელი წელი. იკვებებიან ბალახით, ხის ქერქით, კვირტებით, ტოტებით. წელიწადში 4-ჯერ შობენ 2–8 (15-მდე) ნაშიერს (ბაჭიას), რ-თა უმეტესობას სხეული ბალნით აქვს დაფარული და სიარულიც შეუძლია. ოჯახში 8 გვარია. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა – რუხი კურდღელი (L. europaeus). ჰ. აკლიმატიზებულნი არიან ავსტრალიასა და მრავალ კუნძულზე. მათი არაერთი წარმომადგენელი სარეწაო ან სპორტული ნადირობის ობიექტია. ზოგი ზიანს აყენებს საძოვარს, ხეხილის ბაღს, ტყის ნარგავს, ავრცელებს ინფექციურ დაავადებათა გადამტანებს.

რ. ავალიანი.

კურდღლისფრჩხილა (Lotus), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახები ან ბუჩქბალახებია. აერთიანებს 100-ზე მეტ სახეობას, რებიც გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ავსტრალიაში. საქართველოში გვხვდება 5 სახეობა. L. corniculatus კარგი საძოვარი (ყვავილობამდე) და სათიბი ბალახია.

ყვავილი უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს მწარე შხამიან გლიკოზიდს (თივასა და სილოსში ეს შხამი იშლება). იგი საქართველოში ყველგან იზრდება. ნადაგის მიმართ ნაკლებმომთხოვნია. თივის მოსავალი – 2,0–3,0 *ტ/ჰა.* გათიბვის შემდეგ კარგად წამოიზრდება ხოლმე. კულტურულ სათიბ-საძოვრებში ხშირად მოჰყავთ სხვა ბალახებთან ერთად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ბალახის მოსავლიანობას და აუმჯობესებს მის კვებით ღირებულებას. ჰ. თაფლოვანი მცენარეა.

ი. მიქელაძე.

კურდღლისცოცხა (Genista), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. ბუჩქები ან ბუჩქბალახებია. 70-ზე მეტი სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში.

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა, აქედან 6 – საქართველოს, ხოლო 2 – კავკასიის ენდემია. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე მშრალ, კლდოვან და ქვიან ფერდობებზე, მდელოზე, ტყესა და ბუჩქნარებში. ძველად ჰ-ს ფოთლებიდან, ღეროებიდან და ყვავილებიდან იღებდნენ ქსოვილის ყვითელ საღებავს.

ი. მიქელაძე.

კურელა (Kurella) ალფრედ (ფსევდ. ვ. ცოგლერი, ვ. რებიგი, ა. ბერნარდი) (2. V. 1895, ოდერის ბჟეგი, პოლონეთი, – 12. VI. 1975, ბერლინი), გერმანელი მწერალი. 1934–54 ცხოვრობდა რუსეთში. საქართველოსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა (1928-იდან). 3 წელი ცხოვრობდა აფხაზეთის სოფ. ფსხუში. თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემები, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის ლექსები, დაწერა ჰ. გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენის'' გერმ. გამოცემის ბოლოსიტყვაობა (მცირე შემოკლებით დაიბეჭდა გაზ. ,,ლიტერატურულ საქართველოში'', 1969, №46). ყურადღებას იმსახურებს მისი წერილი ,,დიდი მნიშვნელობის შეხვედრა'' (გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო'', 1967, №47), 1956 გამოსცა დასურათებული ალბომი ,,მშვენიერი კავკასია''. ჰ-ს ცხოვრების ერთ ეპიზოდს ასახავს გ. რჩეულიშვილის მოთხრობა ,,სიკვდილი მთებში''.

შ. რევიშვილი.

კურზუ, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., გოდოგანი, დობერაზენი, დღვანა, საბერულავო, სანაჭყებიო). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ოჩხომურის ზემოთში. ზ. დ. 360 *მ,* მარტვილიდან 30 *კმ.* 582 მცხ. (2014).



კურდღლის ბალახი.



კურდღლისებრნი. რუხი კურდღელი.



კურდღლისფრჩხილა.



კურდღლისცოცხა.

1932 სოფელთან იპოვეს ძვ. წ. VIII–VII სს. განძი, რ-ის შემადგენლობაში იყო სპილენძის ზოდი, რკინის ცული, ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხი, რგოლი, ჭურჭლის ნატეხები, სპირალური ხვია, ამობურცული სახეებით შემკული ბრტყელფირფიტიანი ნივთი და უმბონი. განეკუთვნება კოლხურ კულტურას. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმში.

კურთ-კალა, ისტორიული ქართული ციხესიმაგრე. მგელციხის თურქული სახელწოდება (იხ. სტ. *მგელციხე*).

კურთხევანი, ქართული ლიტურგიკული კრებული, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ლოცვათა ან კურთხევათა მეშვეობით განწმენდის წესები. ჰ-ის მიხედვით სრულდება ნ ათლობა, საეკლ. ქორწინება, მიცვალებულის წესის აგება დ ა სხვ. რიტუალები. მისი უძველესი რედაქცია ჩვენამდე X ს. ნუსხითაა მოღწეული (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი, sin–66). X ს. ახ. შემოკლებული რედაქციის შექმნას ექვთიმე მთაწმიდელის სახელს უკავშირებენ. XI ს-ში გიორგი მთაწმიდელმა, იმდროინდელი ლიტურგიკულ-საღვთისმსახურო მოთხოვნების შესაბამისად, თარგმნა ჰ-ის ახალი, უფრო ვრცელი რედაქცია (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი, sin–73), რ-მაც რუის-ურბნისის საეკლ. კრების (1103) გადაწყვეტილებით კანონიკური უფლება მიიღო.

ლიტ.: დიდნი კურთხევანნი II, ე. ჭელიძის გამოც; თბ., 2002; დიდი კურთხევანი II, ე. ჭელიძის გამოც., თბ., 2006 [ნუსხურად]. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; კოჭლამაზაშვილი ე., დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002; Кекелидзе К., Иерусалимский канонарь VII века (грузинская версия), Тфл., 1912.

ლ. ჯღამაია.

კურორტი (გერმ. Kurort, სამკურნალო ადგილი), ადგილი, რომელსაც აქვს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები და აუცილებელი პირობები მათი სამკურნ.-პროფილაქტიკური და რეკრეაციული მიზნით გამოსაყენებლად. კ-ის ტერიტორიაზე სამკურნ. დაწესებულებების ძირითადი ტიპია სანატორიუმი, პანსიონატი, დასასვენებელი სახლი, წყალსამკურნალო, საკურორტო პოლიკლინიკა, სამედ. პლაჟი და სხვ. ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორები (მინერ. წყალი, ჰაერი, სამკურნ. ტალახი და სხვ.) უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჰიპოკრატე მათ ფართოდ იყენებდა სხვადასხვა ქრონ. დაავადების სამკურნალოდ.

კ-ის პროფილს განსაზღვრავს წამყვანი ბუნებრივი ფაქტორი. არსებობს კლიმ., ბალნეოლ. და ტალახით სამკურნალო ჯგუფი. კლიმ. კ. თავის მხრივ შეიძლება იყოს მთის, ზღვის სანაპირო, ტყისა და ველის, ხოლო ბალნეოლ. კ. მინერ. წყლის გამოყენების მიხედვით – სასმელი წყლითა და აბაზანებით სამკურნალო. თუ კ-ზე ერთდროულად არსებობს რამდენიმე ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორი, ის შერეული პროფილისაა – კლიმ.-ბალნეოლ., ბალნეოლ.-ტალახის, კლიმ.-ტალახის, კლიმ.-ბალნეოლ.-ტალახისა და სხვ.

საქართველოში სამკურნ.-პროფილაქტ. მიზნით გამოიყენება ველის, მთისა და შავი ზღვის სანაპიროს კლიმატი. საქართვ. კ-ების ერთ-ერთი ძირითადი საკურორტო ფაქტორი მისი ჰავაა. კლიმ. მრავალფეროვნებას განაპირობებს გეოგრ. მდებარეობა და შავი ზღვა, ამიტომ კლიმ. პირობები გამოირჩევა გამოხატული თერაპიული თვისებებით და გამოიყენება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ.

საქართველო მრავალფეროვანი ჰიდრომინერალური რესურსებით გამოირჩევა. აქ მოიპოვება 2000-ზე მეტი მინერ. წყალი, 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს, ხოლო 300-ზე მეტი მიიღება ჭაბურღილებიდან. ქვეყანაში ოფიციალურად რეგისტრირებულია 103 კ. და 167 საკურორტო ადგილი; აქვე მოიპოვება და ეფექტურად გამოიყენება სამკურნალო ტალახი – პელოიდი.

მთის კლიმატურ კ-ებსა და საკურორტო ადგილებს მიეკუთვნება ის სივრცე, სადაც სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით იყენებენ მთის ჰავის თავისებურებებს. მთაში ორგანიზმზე სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი – დაბალი ატმ. წნევა, შესაბამისად ჟანგბადის დაბალი პარციალური წნევა; შედარებით გრილი, სუფთა და მშრალი ჰაერი; ულტრაიისფერი სხივების და მსუბუქი უარყოფითი აეროიონების მაღალი კონცენტრაცია. საქართველოში მთის კლიმ. კ-ებისა და საკურორტო ადგილების უმრავლესობა მდებარეობს I, II და III სარტყლებში, ზ. დ. 400 მ-იდან 1500 მ-მდე; IV მაღლივ სარტყელში კი მათი რაოდენობა მცირდება.

ზღვისპირა კლიმ. კ-ებს და საკურორტო ადგილებს განეკუთვნება ის ადგილები, სადაც სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ზღვის ჰაერის, ზღვის კლიმატისა და წყლის სამკურნალო ფაქტორები. ზღვის კლიმატი სხვა კლიმ. ზონებისგან განსხვავდება მაღალი ატმ. და, შესაბამისად, ჟანგბადის მაღალი პარციალური წნევით; ტემპ-რის სადღეღამისო რხევის უმნიშვნელო ამპლიტუდით; ჰაერი გამოირჩევა სისუფთავითა და უარყოფითი აეროიონებით; ზღვისა და მცენარეული წარმოშობის (იოდის, ბრომის, ქლორის და ა.შ.) მიკროელემენტებისა და მინერ. მარილების დიდი კონცენტრაციით; მაღალი ტენიანობით; ოზონისა და მზის რადიაციის სიუხვით. ზღვის წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს მიკრო- და მაკროელემენტებს, რ-თა კანზე მოხვედრა იწვევს სამკურნალო ზემოქმედებას. ურეკი–გრიგოლეთის ზღვისპირა სანაპირო ზოლის ქვიშა შეიცავს მაგნეტიტს, რ-საც აქვს სამკურნ. ეფექტი ნერვული, ძვალ-სახსროვანი, სუნთქვის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მრავალი დაავადების დროს. კლიმატოთერაპია მოიცავს აეროთერაპიას, ჰელიოთერაპიას და ძილს ზღვის ნაპირზე, ასევე ზღვაში ხშირად ბანაობასაც.

კლიმ.-ბალნეოლ. კ. და საკურორტო ადგილი არის კლიმ. კ-ის ან საკურორტო ადგილის ის ქვეტიპი, რ-შიც სამკურნ.-პროფილაქტიკურ ფაქტორს წარმოადგენს კლიმატი და მინერ. წყალი, მეტწილად კლიმატი, ნაკლებად – ბალნეოთერაპია.

პელოიდური კ-ის ან საკურორტო ადგილის სამკურნ. ფაქტორია პელოიდი, რასაც იყენებენ აპლიკაციების, აბაზანების, ტამპონებისა და სხვ. სახით. საქართველოში სამკურნალო ტალახის კ-ები მდებარეობს დაბალი მთის ან შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

საქართველოში არსებობს ბალნეოლ. კ-ები და საკურორტო ადგილები, სადაც ბუნებრივი მინერ. წყალი გამოიყენება ბალნეოლ. პროცედურებისთვის (აბაზანები, ბანაობა აუზში, მინერ. წყლის დალევა, ინჰალაციები და ა.შ.).

კლიმ. კ-ებსა და საკურორტო ადგილებში ბუნებრივი ფაქტორებიდან სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ჰავა. კლიმატურ კ-ზე პროცედურების ჩასატარებლად უნდა არსებობდეს სპეც. ნაგებობები: კლიმატოპავი-

ლიონები, აივნები, გალერეები (დღე და ღამე ჰაერზე ყოფნისთვის), სოლარიუმები, აერარიუმები, სამკურნ. პლაჟები (წყალსაცავებზე), სპეც. მარშრუტები სეირნობისთვის და ა.შ. ზოგჯერ გამოიყენება რომელიმე მიკროკლიმატური თავისებურება (მაგ., კარსტული მღვიმის მიკროკლიმატი). კლიმ. საკურორტო ადგილებს ახასიათებს სამკურნალო ჰავა. კლიმატური კ-ებიდან და საკურორტო ადგილებიდან გამოყოფენ მთის, ზღვის, ტყის, ტყე-სტეპის, სტეპის ზონის და უდაბნოს კლიმატის კ - ებსა და საკურორტო ადგილებს. საქართველოში, ძირითადად, მთისა და ზღვის კ-ებია.

ლიტ.: სააკაშვილი ნ., თარხან-მოურავი ი., ტაბიძე მ., ქუთათელაძე ნ. საქართველოს კურორტოგრაფია და საკურორტო თერაპია თბ., 2011.

გ. უშვერიძე, ი. თარხან-მოურავი.

კურორტოლოგია (გერმ. Kurort – სამკურნალო ადგილი, ბერძნ. logos – მოძღვრება), მეცნიერება, რომელიც სწავლობს კურორტების სამკურნალო თავისებურებებს, მათ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოყენებას და შეიმუშავებს სანიტ. საკურორტო დაწესებულებათა სისტემის სოც.-ჰიგიენურ პირობებს. კ. მოიცავს ბალნეოლოგიას, ბალნეოთერაპიასა და ბალნეოტექნიკას, სწავლებას სამკურნალო ტალახებზე (ტალახით მნკურნალობა), საკურორტო კლიმატოლოგიას (იხ. *კლიმატოლოგია, კლიმატოლოგია* სამედიცინო) და კლიმატოთერაპიას (აერო-ჰელიო-თალასოთერაპია), აგრეთვე კურორტების ორგანიზაციის, დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხებს. კ. მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიოთერაპიასთან, ფიზიოლოგიასთან, ჰიგიენასთან და ა. შ.

საქართველოში მეცნ. კ-ის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი თსსი-ის თერაპიის კათედრასთან ბალნეოლ. განყ-ბის ჩამოყალიბებამ (1921) და კურორტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დაარსებამ (1927). ქართველმა კურორტოლოგებმა გამოავლინეს 2000-ზე მეტი მინერ. წყარო (დებიტი 120 მლნ. ლ/დღ/ღ-ში); შეისწავლეს მინერ. წყაროების ფიზ.-ქიმ. თვისებები, კურორტების კლიმატური და მიკროკლიმატური პირობები, ადამიანის ორგანიზმზე საკურორტო ფაქტორების სამკურნ. მოქმედება სხვადასხვა დაავადების დროს და სხვ.

კ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ა. *ალადაშვილმა*, ა. ბაკურაძემ, მ. *ზანდუკელმა*, ი. თარხან-მოურავმა, მ. ნოდიამ, ნ. *სააკაშვილმა*, მ. ტყემალაძემ, შ. ფარჯანაძემ, გ. წითლანაძემ, გ. ჭირაქაძემ, დ. ჯავახიშვილმა, და სხვ.

გ. უშვერიძე.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ივანე კონიაშვილის სახელობისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1927 ა. *ალადაშვილისა* და ი. *კონიაშვილის* თაოსნობით.

ინ-ტი ემსახურებოდა საქართველოში საკურორტო საქმის განვითარებას. სხვადასხვა დროს ინ-ტს ხელმძღვანელობდნენ: ი. კონიაშვილი (1928–38), მ. ტყემალაძე (1938–47), ვ. ანდღულაძე (1947–49), ვ. გოგიბედაშვილი (1949–63), ვ. წითლანაძე (1963–75), ნ. ხატიაშვილი (1976–2000). 2000 ინ-ტი გადაკეთდა ი. კონიაშვილის სახ. კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნ.-პრაქტ. ცენტრად (სააქციო საზ-ბა); სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე – ნ. სააკაშვილი, აღმასრ. დირექტორი – ი. თარხან-მოურავი.

ინ-ტის სამეცნ.-კვლ. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო საქართვ. საკურორტო რესურსების – მინერ. წყლის, სამკურნალო ტალახის, კლიმატური პირობებისა და სხვა ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა, ადამიანის ორგანიზმზე მათი ფიზიოლ. და თერაპიული მოქმედების დადგენა, ფიზიოთერაპიული ფაქტორების ექსპერ. და კლინ. შესწავლა; ბუნებრივი და პრეფერმირებული ფიზ. ფაქტორების სამკურნალო, პროფილაქტ. და რეაბილიტაციის მიზნით გამოყენების პრინციპებისა და მეთოდების დამუშავება და საკურორტო პრაქტიკაში დანერგვა; კურორტების განაშენიანებისათვის კურორტოლოგიური დასაბუთების შედგენა; საკურორტო რესურსების დაცვა და ა. შ.

ინ-ტის სტრუქტურაში ფუნქციონირებდა ჰიდრომინერალური რესურსების შემსწავლელი განყ-ბა, სამედ. კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის, ბალნეოთერაპიისა და სამკურნ. ფიზკულტურის, ფიზიოთერაპიის, ლაბორატორიული, ექსპერ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის, კომპლექსური კურორტული მკურნალობისა და რეაბილიტაციის, სამედ. კიბერნეტიკის, საორგანიზაციო-მეთოდური განყ-ბები.

ინ-ტს ექვემდებარებოდა წყალტუბოს ფილიალი, აჭარის სამეცნ. განყ-ბა. მის ბაზაზე მოქმედებდა თსსუ-ის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის და საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრები, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კომერც. ინ-ტი. ინ-ტში არსებობდა 50-საწოლიანი სტაციონარი.

ინ-ტს გამოცემული აქვს 50-ზე მეტი სამეცნ. შრომათა კრებული, 40 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, მ. შ. ,,საქართველოს კურორტოლოგიისა და საკურორტო რესურსების ატლასი'' (1989). ავტორებს (ნ. ხატიაშვილი, გ. უშვერიძე, ვ. ჯალიაშვილი, ტ. ჩიჩუა, ნ. გონგლაძე) მიენიჭათ სახელმწ. პრემია (1993).

2005 ინ-ტი გაერთიანდა *თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტთან* და შეწყვიტა ფუნქციონირება.

კურსები, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მდ. წყალწითელას (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: კ., გელათი, მოწამეთა). ზ. დ. 400 *მ*, ტყიბულიდან 24 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. 1,6 ათ. მცხ. (2014). სოფელში არის სამშენებლო ქვის (ტუშენიტის) საბადო.

კ. ადგილ. მნიშვნელობის ბალნეოლ.-კლიმ. კურორტია. ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის თბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 3,5°C) და ცხელი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 22,5°C), ნალექები – 1700 *მმ* წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია დაბალი მინერალიზაციის მინერ. წყალი, რ-ის ძირითადი კომპონენტებია მცირე რაოდენობით გოგირდწყალბადი, ჰიდროკარბონატის, ნატრიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის იონები. დებიტი 6 ათ. *ლ/დღ-ღ*-ში, ტემპ-რა 16°C. ჩვენება: სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლ. დაავადებანი.

ჰ. წერილობით წყაროებში პირველად 1403 შედგენილ ცირღალეთა სასისხლო სიგელშია მოხსენიებული. 1545 იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ჰ-დან გელათის მონასტერს შეწირულობა განუახლა. ვახუშტი ბატონიშვილი ჰ-ს ყურესებს უწოდებს და შესაბამის რუკებზე ამ სოფელში აზნაურის ციხე-დარბაზი აქვს აღნიშნული. ჰ-ში ფეოდ. ხანის რამდენიმე მატერიალური კულტურის ძეგლია შემორჩენილი. აქედან სამი კოშკია, რ-თაგან ერთი კარგად არის შემონახული. ჰ-ში დღემდე შემორჩენილია ორი ეკლესიის ნანგრევები, ხოლო მესამე – ზენობნის მაცხოვრის ამაღლების დარბაზული ეკლესია განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს და კარგად არის შემონახული. მისი ფასადები ჩუქურთმებითაა შემკული. ამ მხრივ გამორჩეულია დას. ფასადი. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატულია. სამხრ. კარიბჭის თავზე ასომთავრული წარწერაა, რ-იც ამჟამად აღარ იკითხება. სოფელს ესაზღვრება ოწესის მთა, რ-ის მიდამოებშიც ხშირად პოულობენ სხვადასხვა ნივთებს. ჰ. ოკრიბაში შედიოდა.

თ. ბერაძე.

კურსი სავალუტო, გაცვლითი კურსი (ინგლ. Exchange Rate), თანაფარდობა, რომლითაც ერთი ქვეყნის ფულადი ერთეული – ვალუტა იცვლება მეორე ქვეყნის ვალუტაზე. სავალუტო კურსის კოტირება (გამოცხადება) ორგვარად ხორციელდება: როდესაც უცხ. ვალუტის ღირებულება ეროვნ. ვალუტით გამოიხატება, საქმე გვაქვს პირდაპირ კოტირებასთან. ამ შემთხვევაში თანაფარდობის მარცხ. მხარეს ფიგურირებს უცხ. ვალუტა, ხოლო მარჯვ. მხარეს – ადგილობრივი. თუ ეროვნ. ვალუტის ღირებულება უცხ. ვალუტით გამოიხატება, თანაფარდობის მარცხ. მხარეს ვხედავთ ეროვნ. ვალუტას, მარჯვ. მხარეს კი – უცხ. ვალუტას. საქართველოში მხოლოდ პირდაპირი კოტირების წესს იყენებენ.

სავალუტო კურსის კოტირება ორი მიმართულებით ხდება: უცხ. ვალუტის ყიდვა ბანკის ან გადამცვლელი პუნქტის მიერ შესყიდვის კურსით ხორციელდება, ხოლო გაყიდვა – გაყიდვის კურსით. ეს უკანასკნელი უფრო დაბალია შესყიდვის კურსთან შედარებით. სხვაობას შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სპრედი ეწოდება, რ-იც ვალუტის გაცვლის ოპერაციიდან ბანკის ან ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მიღებული მოგების წყაროს წარმოადგენს.

სავალუტო რეჟიმის მიხედვით განასხვავებენ სავალუტო კურსის ორ ძირითად სახეობას, რ-ებიც პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მცურავი კურსი წარმოადგენს გაცვლით თანაფარდობას, რ-იც უპირატესად სავალუტო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ყალიბდება. ამ შემთხვევაში ქვეყნის ცენტრ. (ეროვნული) ბანკი ან სხვა უფლებამოსილი ორგანო ან არ ახორციელებს ინტერვენციებს (უცხ. ვალუტის ყიდვას/გაყიდვას) გაცვლით კურსზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით (თავისუფლად მცურავი კურსი), ან იშვიათად აკეთებს ამას – ძირითადად მოკლევადიანი საკურსო რყევების განეიტრალების მიზნით (მართვადი მცურავი კურსი). ფიქსირებული კურსი არის უცხ. ვალუტის ან უცხ. ვალუტების კალათის მიმართ გაცვლითი თანაფარდობის ერთი, კონკრეტული ნიშნული, ან ქვედა და ზედა ზღვარი, რ-ის შენარჩუნების ოფიც. ვალდებულებას იღებს ქვეყნის ცენტრ. (ეროვნული) ბანკი, ან სხვა უფლებამოსილი ორგანო. ამ რეჟიმს ბოლო 30 წლის განმავლობაში მეტწილად განვითარებადი ქვეყნები მიმართავენ მაკროეკონომიკური ქაოსის დასაძლევად, მ. შ. მაღალი ინფლაციის მოსათოკად. ვალუტირების თარიღის, ანუ სავალუტო ოპერაციების განხორციელების დროის მიხედვით განასხვავებენ სპოტ და ფორვარდულ კურსებს. სპოტ კურსის (ინგლ. spot exchange rate) გამოყენება ხდება იმ დროს, როდესაც უცხ. ვალუტის მიწოდება უნდა განხორციელდეს გარიგების დადებიდან მეორე ან მესამე სამუშაო დღეს. პრაქტიკულად ეს არის სავალუტო ბაზრის მიმდინარე კურსი. სპოტ ოპერაცია გამოიყენება კლიენტების გადაუდებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე სპეკულაციური მიზნებისათვის. ფორვარდული კურსი (ინგლ. forward exchange rate) გამოიყენება მ აშინ, როდესაც უცხ. ვალუტის მიწოდება ხდება არა დაუყოვნებლივ, არამედ მომავალში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გარიგება იდება დღეს, მიწოდება შეიძლება მოხდეს ერთ კვირაში, ერთ თვეში, ნებისმიერ წელიწადში, ან უფრო დიდი ხნის შემდეგ. მიწოდების ვადა, ისე როგორც გაცვლითი კურსი, მხარეებს შორის თანხმდება კონტრაქტის საფუძველზე. ფორვარდული ოპერაციები ფართოდ გამოიყენება სავალუტო რისკების დაზღვევის მიზნით. ფორვარდული კურსი სპოტ კურსისგან განსხვავდება ე. წ. ფორვარდული მარჟით, რ-იც შეიძლება იყოს ორი სახის: დისკონტი (დათმობა), როდესაც ფორვარდული კურსი ნაკლებია სპოტურზე (ფორვარდული კურსი = სპოტ კურსს – დისკონტი) და პრემია, როდესაც ფორვარდული კურსი მეტია სპოტურზე ანუ (ფორვარდული კურსი = სპოტ კურსს + პრემია).

გაცვლითი კურსის ჩამოყალიბებაზე მოქმედ ფაქტორებს შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, რ-იც ასახავს სხვაობას უცხ. ვალუტით ქვეყნის ხარჯებსა და შემოსავლებს შორის. თუ ეს ბალანსი უარყოფითია და მისი სიდიდე იზრდება, სავალუტო ბაზარზე იზრდება მოთხოვნის სიჭარბე მიწოდებაზე და ვალუტის კურსი ეცემა. გაცვლით კურსზე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გავლენას ამსუბუქებს საგადასახდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანს. ანგარიშის ოპერაციები, მ. შ. პირდაპირი უცხ. ინვესტიციები. უცხოელ ინვესტორებს თავიანთი პროექტების განსახორციელებლად ადგილ. ვალუტა ესაჭიროებათ, იზრდება მოთხოვნა ამ უკანასკნელზე (შესაბამისად ბაზარს მეტი უცხ. ვალუტა მიეწოდება), რასაც ეროვნ. ვალუტის კურსის ზრდა მოჰყვება.

უცხ. ვალუტის მოთხოვნა/მიწოდებას ბევრად განაპირობებს საპროცენტო განაკვეთების დონე. თუ საპროცენტო განაკვეთები მოცემულ ქვეყანაში მეტია სხვა ქვეყნებთან შედარებით (საპროცენტო დიფერენციალი), იზრდება მოთხოვნა ამ ქვეყნის ეროვნ. ვალუტაზე, რათა შემდეგ მოხდეს მასში უცხ. ვალუტიდან გადაყვანილი (კონვერტირებული) ფულადი რესურსის განთავსება უფრო მაღალი შემოსავლიანობის მქონე ფინანს. ინსტრუმენტებში.

გაცვლითი კურსის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ფულის მასის დინამიკა (ზრდა ან შემცირება). თუ ქვეყნის ცენტრ. (ეროვნული) ბანკი ზრდის მიმოქცევაში ფულის მიწოდებას, მაგ., ქვეყნის საგარეო ვალის მატების გამო, ხოლო

შიდა სავალუტო ბაზარზე უცხ. ვალუტის შემოდინების (მიწოდების) მასშტაბი უცვლელია ან მცირდება, ეროვნ. ვალუტის გაცვლითი კურსი ეცემა დ ა პირიქით. ეროვნ. ვალუტის მასის მკვეთრი ზრდა, როდესაც ადგილ. წარმოების მოცულობა ნელა მ ატულობს ან საერთოდ არ იზრდება, იწვევს ინფლაციის (ფასების საშ. დონის ზრდის) ტემპის მატებას. რაც უფრო მაღალია ინფლაცია მოცემულ ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, მით უფრო ნაკლებია ამ ქვეყნის ვალუტის მსყიდველობითი უნარი და შესაბამისად მისი გაცვლითი კურსი სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ.

გაცვლით კურსზე დიდ ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე მოსახლეობისა და მეწარმეების მოლოდინები, რ-ებიც დამოკიდებულია როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ფაქტორებზე. მაგ., თუ ქვეყნის ეკონომიკა არასტაბილურია ან კიდევ არსებობს პოლიტ. არასტაბილურობის საფრთხე, ნდობა ეროვნ. ვალუტის მიმართ სუსტდება და იკვეთება მისგან „გაქცევის“ ტენდენცია, რაც უცხ. ვალუტაზე მოთხოვნის ზრდით გამოიხატება. იგივე შეიძლება ითქვას, მაშინ, როდესაც გლობალური კრიზისული მოვლენები ან კიდევ ფინანს. კრიზისები ხდება მეზობელ ქვეყნებში, რ-ებთანაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული.

საქართველოში სავალუტო ბაზარი დოლარიზებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნ. ვალუტა – ლარი უმეტესწილად აშშ დოლარზე იცვლება. შესაბამისად საბაზრო კურსი უშუალოდ ამ უცხ. ვალუტის მიმართ ყალიბდება. გაცვლითი კურსი სხვა ვალუტების მიმართ (ევრო, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი, თურქული ლირა და სხვ.) განისაზღვრება კროსკურსული თანაფარდობით – გლობალურ ბაზრებზე სხვა ვალუტების მიმართ აშშ დოლარის გაცვლითი კურსის საშუალებით, „როიტერისა“ და „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემების მონაცემებზე დაყრდნობით. აშშ დოლართან ლარის ოფიც. საკურსო თანაფარდობა ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ყალიბდება, რ-იც „ბლუმბერგის“ ელექტრონული სავაჭრო პლატფორმის საშუალებით ფუნქციონირებს. აქ ძირითადად სპოტის ტიპის გარიგებები იდება, თუმცა დაშვებულია ფორვარდული გარიგებებიც. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში ლიცენზირებულ ყველა კომერციულ ბანკს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, აგრეთვე ეროვნ. ბანკის მიერ ავტორიზებულ არასაბანკო სტრუქტურებს.

ლარის შემოღებიდან (1995) 1998-მდე საქართველოში ფაქტობრივად ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებდა, როდესაც ეროვნ. ვალუტის კურსი აშშ დოლარზე იყო „მიბმული“. ამ რეჟიმმა, რ-იც ახლადშემოღებული ლარის სტაბილურობას უზრუნველყოფდა, ხელი შეუწყო მის მიმართ ნდობის განმტკიცებას და ინფლაციური პროცესების მოთოკვას.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს მცურავი კურსის რეჟიმი: სავალუტო კურსი უპირატესად სავალუტო ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განისაზღვრება, თუმცა ეროვნ. ბანკი დროდადრო მაინც მიმართავს ინტერვენციებს, რ-თა მიზანია საკურსო რყევების შერბილება და უარყოფითი მოლოდინების განეიტრალება. მსგავსი რეჟიმის პირობებში ლარის გაცვლითი კურსი მკვეთრი მერყეობით ხასიათდება, მაგრამ იმავდროულად, იგი გარკვეულწილად გარეშე შოკების შემარბილებელ ფუნქციასაც ასრულებს.

ლიტ.: კაკულია მ., სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001; მისივე, Before and after the introduction of Lari: Georgian National Currency in Retrospect, in Central Eurasia: National Currencies, Stockholm, 2008; Papava V., Chocheli V., Financial Globalization and Post-Communist Georgia: Global Exchange Rate Instability and its Implications for Georgia, N.-Y., 2003.

რ. კაკულია.

კურტაკი, ზემოდან ჩასაცმელი ტყავის, ბეწვის ან ტილოს მოკლე ქურთუკი. ,,არს სამოსელი მეომრისა საჩინო ჯაჭვთა გარედან საცმელი“ (საბა).

კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კომპლექსი. მდებარეობს ახმეტის მუნიციპის სოფ. ხევისჭალის ჩრდ.-დას-ით 2.5 *კმ*-ზე. კომპლექსში შედის XII–XIII სს. წმ. მარინეს ეკლესია, გვიანდ. შუა საუკუნეების კოშკი და გ ალავანი. ეკლესია დ არბაზული, ნაგებია კარგად გათლილი



კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია. XII–XIII სს.

შირიმის კვადრებით; შესასვლელი დას-იდან და ჩრდ-იდან აქვს. აღმით ეკლესიის შიგა სივრცე დასრულებულია პილასტრებით გამოყოფილი არაწესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდით. დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო ვიწრო პილასტრია, რ-ებსაც ეყრდნობა კამარის ორსაფეხურიანი საბჯენი თაღი. აღმ. ფასადზე ჯვარ-სარკმლის კომპოზიციაა განთავსებული. ჯვრის ქვედა მკლავის გვერდით (სამხრ-ით) ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „წ(მიდა)ო მ(ა)რ(ი)ნე, მ(ე)ოხ ეყ(ა)ვ კ(ა)ხ(ე)თსა.“ დას. ფასადი თითქმის პირველადი სახითაა მოღწეული. სამხრ. და ჩრდ. ფასადების შუა ნაწილში ლილვებით მოჩარჩოებული თითო თაღოვანი სარკმელია. ეკლესიის შირიმის ლავგარდნის პროფილს შეადგენს თარო, გეომ. ორნამენტით შემკული წრეთარგი და ლილვი. 1990 ძეგლზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.–სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებამ (პროექტის ავტორი – არქიტ. დ. ჭიკაიძე). მცენარეულობისგან გაიწმინდა და გამაგრდა ეკლესიისა და კოშკის კედლები, გალავანი. აღდგა ეკლესიის საპირე წყობის ჩამოშლილი ნაწილები და ლავგარდანი, მოპირკეთდა სარკმლები და ჩრდ. შესასვლელი. ეკლესია გადაიხურა კრამიტით. 2006 წ. 7 ნოემბერს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2008.



ე. კურტანიძე.

კურტანიძე ელდარ (ლუკა) ნოდარის ძე (დ. 16. IV. 1972, ქვემო ფშაფი, გულრიფშის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების ორგზის მესამე პრიზიორი (ატლანტა, 1996; სიდნეი, 2000); მსოფლიოს ორგზის (2002–03)



კ. კურტანიძე.

და ევროპის ხუთგზის (1996–98, 2001, 2005) ჩემპიონი, სამგზის მეორე (1993, 1995, 2002) და მესამე (1999) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1995) და მესამე (1999) პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992). ლაიფციგის საერთაშ. ტურნირის გრან-პრის მფლობელი. მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული.

დაამთავრა თსუ-ის ფოთის ფილიალი (1996). საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი (2012–14). საქართველოს შსს აკადემიის პრორექტორი (2012–15). საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის წევრი (2015–16). საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1996, 2002–03). დაჯილდოებულია ღირსების (2000), ვახტანგ გორგასლის II (1997) და III (2000) ხარისხის ორდენებით; მიღებული აქვს სპორტის რაინდის წოდება (2002).

კურტანიძე კობა ბეჟანის ძე (13. X. 1963, სოფ. რიეთი, გორის მუნიციპალიტეტი, – 6. XII. 2005, გორი), სპორტსმენი (ძიუდო). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1991). მსოფლიოს ჩემპიონი (1989), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1987, 1989) და მესამე პრიზიორი (1990). სსრკ ხალხთა IX და X სპარტაკიადების ჩემპიონი (1986, 1991). სსრკ შვიდგზის ჩემპიონი (1985–91). სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი (1988) და მესამე პრიზიორი (1984). ახალგაზრდული უნივერსიადის გამარჯვებული (1985). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

კურული, კუროსთან, ხართან ჭიდაობა, თამაშად ქცეული რიტუალი, რომელიც დიდ სახალხო-რელიგიურ დღეობებზე იმართებოდა. ძირითადად დამოწმებულია დას. საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობაში. სამეგრელოში იმართებოდა კვირაობით. სოფლის მოედანზე გამოჰყავდათ საგანგებოდ გაწვრთნილი ხარი, მიაბამდნენ მოედნის ცენტრში ჩასობილ პალოზე და 2 კაცი, გარკვეული წესების დაცვით, აღიზიანებდა მას. შემდგომ გახელებულ ხარს აუშვებდნენ და ერთერთი იწყებდა მასთან ბრძოლას. კ-ს მიზანი იყო ხარის დაძლევა, შეკვრა და წაქცევა. საღამოს იმავე ადგილას იმართებოდა ფალავანთა ჭიდაობა. სვანეთში ასეთი ხარების ჭიდაობით იწყებოდა დიდი ღმერთის (ხოშაღერმეთ) დღესასწაულთა ციკლი „უფლიშიერი“, რ-იც თომას კვირას (კვირაცხოვლობა) დგებოდა და 5–6 კვირა გრძელდებოდა. ამ დღეს „ლასკარებს“ (სამეზობლოებს) ან ცალკეულ თემებს გამოჰყავდათ სოფლის სალოცავის სახელზე შეწირული კუროები ან რჩეული ხარები, რებსაც არაყს დაალევინებდნენ, გაახელებდნენ და რიგ-რიგობით მიუშვებდნენ ერთმანეთზე. ორთაბრძოლის შემდეგ შეთქმულ ხარს (უსხები) დაკლავდნენ და სათემო ნადიმზე ხორცის ნაჭრებს სათითაოდ ჩამოარიგებდნენ. ხორცი იქვე უნდა შეჭმულიყო, მისი შინ წაღება იკრძალებოდა. ხარების ჭიდაობა გურიაში, აჭარასა („ბულების ჭედილა“) და რაჭაში სცოდნიათ, მაგრამ რელიგიურ-საკულტო მნიშვნელობით მხოლოდ სვანეთში იყო შემორჩენილი.

კ-ში არეკლილია ხართან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები, რ-ებიც გავრცელებული იყო აღმოსავლეთში, კავკასიაში, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებში. ყურადღებას იქცევს ძვ. კრეტის მხატვრობა, სადაც გამოსახულია ხართან ბრძოლა, რ-იც მეტად პოპულარული ყოფილა და რელიგ.-საკულტო ცერემონიალში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რიტუალად ითვლებოდა. მომდევნო ხანებში ხართან ბრძოლამ თანდათან დაკარგა პირვანდელი შინაარსი და შუა საუკუნეებში ფეოდალთა საყვარელ გასართობ სანახაობად იქცა. მისი თანამედროვე ფორმებია სამხრ. ევროპისა და ლათ. ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული კორიდა.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; Бардавелидзе В. В., Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

ი. სურგულაძე.

კურცობი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ორბელის თემი), მდ. ლაჯანურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 650 *მ*, ცაგერიდან 13 *კმ*. 21 მცხ. (2014).

კურცხალი, სოფელი აჭარის არის ხულოს მუნიციპალიტეტში (დეკანაშვილების თემი), მდ. უჩხოსწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1200 *მ*, ხულოდან 10 *კმ*. 13 მცხ. (2014).

კურცხანა, მდინარე ადიგენის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 16 კმ, აუზის ფართ. 72,3 *კმ*^{2}. სათავეს იღებს ზ. დ. 2175 *მ*-ზე და ერთვის მდ. ოცხეს მარჯვ. მხრიდან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარსა და ზაფხულში, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი სართავთან 0,88 *მ*^{3}/*წმ*.

კურცხანის ხეობა, მდ. კურცხანის ხეობა ადიგენის მუნიციპალიტეტში. იწყება ოძრხის ხეობის გასაყართან იქ, სადაც კლდის მაღალ ქიმზე ოძრხის ციხეა აღმართული. კ. ხ. ძველად მჭიდროდ იყო დასახლებული (დაახლ. 10–15 დასახლებული პუნქტი), XVIII ს. დასაწყისში კი თითქმის დაიცალა. ამჟამად დაუსახლებელია. ხეობაში ბევრი ნაეკლესიარი და ნამოსახლარია შემონახული, მ. შ. მთის ქიმზე ნაშენი ადრეული შუა საუკუნეების ციკლოპური წყობით ნაგები დარბაზული ეკლესიების ნანგრევები; მდ-ების ოცხისა და კურცხანის შესაყართან დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებია, მაგრამ მასზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. მთავარ ეკლესიასთან ახლოს სამი პატარა ეკლესიაა, რ-თა იატაკქვეშ საძვალეებია. მონასტრის აღმ. ნაწილში კიდევ ერთი პატარა ეკლესიაა, რ-იც სხვა ნაგებობებთან შედარებით უკეთესადაა შემონახული. შიგა კედლებზე შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტები; აქვეა რამდენიმე ნამოსახლარი. შემორჩენილია ქვის მშრალი წყობით ნაშენი საცხოვრ. სახლების ნანგრევები; ასევე საინტერესოა მაღალი კლდის ქიმზე ნაგები ბოდოკლდის ციხე, საიდანაც კარგად მოჩანს მთელი კ. ხ.

ლიტ.: ლაფაჩი ც., მოხევიშვილი ნ., სულაქველიძე თ., ფეიქრიშვილი ზ., კურცხანის ხეობის საიდუმლოებანი, „ძეგლის მეგობარი“, 1986, №2.

კუსირეთი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქურთის მუნიციპალიტეტში (ხეთაგუროვის თემი), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1020 *მ*, ქურთიდან 10 *კმ*.

სოფლის განაპირას მინდორში შემორჩენილია VIII–IX სს. ეკლესიის ნანგრევები. სამშენებლო და მხატვრული დამუშავების ხერხებით კ-ის ეკლესია ქრონოლოგიურად ახლოს დგას შიდა ქართლის, კერძოდ, ქსნის ხეობის სხვა ძეგლებთან (არმაზი, წირქოლი, კაბენი). დარბაზული ტიპის ნაგებობას სამი მხრიდან გარსშემოსავლელი ეკვ-

როდა, აღმ. მხარეს აქვს შიგნით ნახევარწრიული, ხოლო გარედან წახნაგოვანი შვერილი აფსიდი, რ-ის შვერილს ჩვეულებრივისგან განსხვავებით წყვილი წახნაგი აქვს, კერძოდ – 8. ამის გამო აფსიდის შვერილის ცენტრ. ვერტ. ღერძი ფიბოზე მოდის, ე. ი. ორი წახნაგის პირაპირზე, ხოლო სარკმლები ამ ფიბოს გვერდებზეა გაჭრილი. შიგნით სარკმლები ერთიან თაღოვან ნიშშია მოქცეული. კამარა ეყრდნობოდა პილასტრებზე ამოყვანილ ორსაფეხურიან საბჯენ თაღებს. პილასტრების გვერდებზე თითო ყრუ თაღია. დას. კედელი ერთმანეთისგან პილასტრებით გამოჯვნული სამი ყრუ თაღითაა დანაწევრებული, რ-თა თაღებს წვერი წაწვეტებული აქვთ. ინტერიერი შელესილია და სავარაუდოდ, მოხატულიც უნდა ყოფილიყო. შემონახულია მოჩუქურთმებული კანკელის მცირე ფრაგმენტები (IX–X სს). ეკლესიის მახლობლად აღმართულია გეგმით ოთხკუთხა კოშკი (XVII ს).

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიტ.: Меписашвили Р. С., Цинцадзе В., Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб. 1975.

კუს ტბა, ქორქის ტბა, ტბა თბილისში, მთაწმინდის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 687 *მ* სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. – 0,034 *კმ*², წყალშემკრები აუზისა – 0,4 *კმ*², სიგრძე –180 მ, სიგანე – 50 *მ*, საშ. სიღრმე – 1,7 *მ*, უდიდესი – 2,6 *მ*. საზრდოობს ძირითადად წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ზამთრობით ჩნდება ყინულნაპირისი. პ. ტ. გაუდინარია და თევზით ღარიბი. ტბამდე მიყვანილია საავტ. გზა და ბაგირგზა (ი. ჭავჭავაძის პროსპექტიდან), მიდამოები კეთილმოწყობილია. შექმნილია ქალაქში პოპულარული დასვენების ზონა – კაფე, რესტორანი, სპორტ. მოედნები. ტბიდან იშლება ქალაქის დიდი ნაწილის ხედი. მახლობლადაა *ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.*

კუტაისოვი ალექსანდრე ივანეს ძე [30. VIII (10. IX). 1784, სანქტ-პეტერბურგი, – 26. VIII (7. IX), 1812, სოფ. ბოროდინოს ახლოს, მოჟაისკის მახლობლად], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1806), გრაფი (წარმოშობით ქართველი, გვარად კიკიანი). 1803-იდან მსახურობდა არტილერიაში. 1810–11 ვენასა და პარიზში სწავლობდა აღმ. ენებს, მათემატიკასა და სამხ. საქმეს. დაწერა ინსტრუქცია ,,ზოგადი წესები არტილერიისათვის საველე ბრძოლის დროს''. 1812 პირველი არმიის არტილ. უფროსი. გმირულად დაიღუპა ბოროდინოს ბრძოლის დროს.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებითა და ოქროს ხმლით.

ლ. დოლიძე.

კუტაისოვი პავლე იპოლიტეს ძე (24. XII.1837, სანქტ-პეტერბურგი, – 1912, იქვე), იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1912), სახელმწიფო მოღვაწე. გრაფი (წარმოშობით ქართველი, გვარად კიკიანი). ყირიმის ომის (1853–56) მონაწილე, ქუთაისის გენ.-გუბერნატორი. გენ. შტაბის კანცელარიის უფროსი (1865-იდან), სამხ. ატაშე ლონდონში (1871–82), ვარშავის ჟანდარმერიის ოკრუგის უფროსი (1882–84), გენ-ლეიტენანტი 1888-იდან. ირკუტსკის გენ.-გუბერნატორი. სახელმწ. საბჭოს წევრი (1907–12).

ლ. დოლიძე.

კუტი ბალახი, ჭარელა (Teucrium), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 100-მდე სახეობას. მრავალწლოვანი ბალახი ან ბუჩქბალახია. უმეტესობა გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში. კავკასიაში 11 სახეობა იზრდება, საქართველოში – 5. მათგან T. polium, T. orientale და T. nuchense უფრო ფართოდ გავრცელებული სახეობებია. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის მშრალ, ქვიან ფერდობებზე, ნაზვავებზე, კლდოვან ადგილებსა და ბუჩქნარებში. ესენი მთის ქსეროფიტული მცენარეულობის (ე. წ. ტომილარიების) ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტებია. T. polium იხმარება საკმაზ-სახელად, T. orientale დეკორატიულია.



კუტი ბალახი.

ლ. ხინთიბიძე.

კუტიშხა, სოფელი აფხაზეთის არ-ის სოხუმის მუნიციპალიტეტში (ეშერის თემი), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 60 *მ*, სოხუმიდან 10 *კმ*, ეშერიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 0,5 *კმ*.



კუტკალია.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კუტიძრა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში (ააცის თემი), მდ. ააფსთის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 160 *მ*, გუდაუთიდან 16 *კმ*.

ა. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კუტკალიისებრნი, კუტკალიები (Tettigonioidea), მწერების ზეოჯახი სწორფრთიანთა რიგისა. ნაირჭამია მავნებლებია. გავრცელებულია თბილ და ზომიერ სარტყლებში. მსოფლიოში ცნობილია 7 ათასამდე სახეობა. საქართველოში კუტკალიები იზამთრებენ ნიადაგში კვერცხის ფაზაში. მატლი იჩეკება გაზაფხულზე, 5–8- ჯერ იცვლის კანს და 1–2 თვის (სახეობების მიხედვით) შემდეგ გადაიქცევა იმაგოდ. კუტკალიები დიდ ზიანს აყენებენ მარცვლოვნებს, თამბაქოს, ვაზს. არსებობენ მტაცებელი კუტკალიებიც, რ-ებიც მწერებით იკვებებიან. საქართველოში მავნეობით გამოირჩევა მწვანე კუტკალია (Tettigonia viridissima), გრძელკუდა კუტკალია (Tettigonia caudata), მავნე, ანუ



კუს ტბა.


უფრთო კუტკალია (Parapholidoptera noxia), *თეთრშუბლა კუტკალია* (Decticus albifrons), ამიერკავკასიური რუხი, ანუ ლაქებიანი კუტკალია (Decticus annaelisae), კოლხური იზოფია (Isophya redtenbacheri) და სხვ.

ე. აბაშიძე.

კუტოლი, სოფელი აფხაზეთის არის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, შავიზღვისპირა დაბლობზე. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., აბააქითი, ახივაა, ბზანა, თოუმიში, კერკენი – ქერქენი). ზ. დ. 80 *მ,* ოჩამჩირიდან 21 *კმ,* ტამიშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.*

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კუტუბიძე ავთანდილ ივანეს ძე (8. IV. 1911, სოფ. ქვენობანი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 12. X. 1995, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1958), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967).



ბ. კუფტინი.

1934 დაამთავრა თსსი. 1957–74 იყო ამავე ინ-ტის ბავშვთა ქირურგ. კათედრის პროფესორი, 1974-იდან – საფაკულტეტო ქირურგ. კათედრის გამგე.

ჰ. იკვლევდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას, ფარისებრი ჯირკვლის, ღვიძლისა და სანაღვლე გზების ქირურგ. მკურნალობას. დაამუშავა პერიფერიული ნერვის გაკერვისა და ეპითელიუმური ცისტის რადიკალური ოპერაციის ორიგინ. მეთოდები და სხვ.

თხზ.: პერიფერიული ნერვის ტრავმული დაზიანების ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1956; ჭიანაწლავის მწვავე ანთება (აპენდიციტი), თბ., 1961 (თანაავტ. დ. ბერეჟიანი).

კუტუბიძე რამაზ ავთანდილის ძე (31. X. 1941, თბილისი, – 28. I. 2021, იქვე), ბავშვთა ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1984).

1965 დაამთავრა თსსი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ჩოხატაურის ამბულატორიაში ქირურგად; 1969- იდან – თბილ. I საავადმყოფოში; 1970-იდან იყო თსსუ-ის ბავშვთა ქირურგ. კათედრის თანამშრომელი; 1984–94 – კათედრის პროფესორი; 1994–2017 – კათედრის გამგე; 2017 მიენიჭა ემერიტუსის წოდება. 1994-იდან ხელმძღვანელობდა თბილ. სამედ. აკად. ბავშვთა ქირურგ. კურსს, 1996-იდან იყო საქართვ. ბავშვთა ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ჰ. არის ავტორი სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 1 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს, რ-ებიც ეხება ბავშვთა ქირურგიის აქტუალურ პრობლემებს.

ჰ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2017).

თხზ.: ქირურგიული ჩირქოვანი ინფექციები სხვადასხვა ასაკის ბავშვებში, თბ., 2000; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის განვითარების მანკები, თბ., 2002; ბავშვთა ქირურგია, თბ., 2003; ბავშვთა აბდომინალური ქირურგია, თბ., 2017.

კუფტინი ბორის ალექსის ძე [21. I (2.II). 1892, სამარა, – 2. VIII. 1953, ლენინგრადი], არქეოლოგი და ეთნოგრაფი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946; წ.-კორ. – 1944). 1919-იდან იყო მოსკ. უნტის პედაგოგი. 1933–53 მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში და იკვლევდა ძირითადად საქართვ. არქეოლ. ძეგლებს. აღმოაჩინა და შეისწავლა *თრიალეთის კულტურა.* შედეგები გამოაქვეყნა წიგნში ,,არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში'' (ტ. 1, თბ., 1941), რ-საც 1942 მიენიჭა სტალინური პრემია; ჰ-მა გამოყო აგრეთვე *მტკვარ-არაქსის კულტურა.* დას. საქართვ. არქეოლ. ძეგლების შესწავლის შედეგები მოცემულია მის ორტომიან ნაშრომში ,,მასალები კოლხეთის არქეოლოგიისათვის'' (1949–50). მისი თეორ. კვლევის შედეგად მრავალმხრივ განისაზღვრა საქართველოსა და სამხრ. კავკასიის უძველესი მატერ. კულტურის ისტორია, შეიქმნა, შეივსო და დაზუსტდა პერიოდიზაციის სქემები, საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარება.

თბილისში არის ბ. კუფტინის ქუჩა.

ლიტ.: Памяти Б. А. Куфтина, «Вестник древней истории», 1954, № 2 (ახლავს ჰ-ს შრომების სია).

ე. გოგაძე.

კუშუბაური, სოფელი იმერეთის რეგიონის ვანის მუნიციპალიტეტში (ტობანიერის თემი), იმერეთის სამხრ. მთიანეთში, მდ. ყუმურის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 360 *მ,* ვანიდან 10 *კმ.* 140 მცხ. (2014).

კუში (ძვ. გველფარეხა), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ქციის მარჯვ. ნაპირზე., სათავო სოფელი. ზ. დ. 1540 *მ,* წალკიდან 24 *კმ.* 532 მცხ. (2014).

1939 ჰ-ში გაითხარა (ხელმძღვ. ბ. *კუფტინი*) ორმოსამარხი, რ-შიც აღმოჩნდა ძვ. წ. VII ს. ნივთები (ბრინჯაოს მასიური კვერთხისთავი, ორფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები და სხვ.), მ. შ. სამხრ.-აღმ. სამხრ. კავკ. ტიპის რკინის მახვილი ბრინჯაოს ორკაპა კოტით. 1947 იქვე გაითხარა ქვაყუთი და ქვებშემოწყობილი 4 ორმოსამარხი, რ-ებშიც აღმოჩნდა ადრინდ. ანტ. ხანისათვის დამახასიათებელი მასალა (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოსა და რკინის ზურგშეზნექილი სამაჯურები, ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, ფერადი ქვებისა და მინის მძივები და სხვ.). ქვაყუთში (ძვ. წ. IV ს. I ნახ.) სხვა ნივთებთან ერთად ნაპოვნია შავი მინის ცილინდრული უნიკალური სანელსაცხებლე, აგრეთვე მოყვითალო ანგობით დაფარული და წითელი წერნაქით მოხატული 2 თიხის დოქი, რ-ებიც საქართველოში აღმოჩენილი ადრინდ. ანტ. ხანის უძველესი მოხატული ჭურჭლებია.

1940–47 ჰ-ის მახლობლად გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. XVIII–XVII სს.) 2 მდიდრული გორასამარხი, ე. წ. თოფ-ქარი I და თოფ-ქარი II. ორივე გორასამარხს ქვით ნაგები დასაკრძალავი დარბაზი ჰქონდა. მათში აღმოჩნდა მოყვითალო ანგობის ფონზე ყავისფრად მოხატული დერგები და ჭდეული ორნამენტით შემკული შავპრიალა კერამიკა, ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს მახვილის ნატეხი, ოქროსა და მინისებრი პასტის მძივები, ოქროს და ვერცხლის გარსაკრავები და სხვ. პირველ გორასამარხში ნაპოვნი გავარსითა და ფერადი ქვების ინკრუსტაციით შემკული ოქროს სფერულთავიანი ვერცხლის საკინძი ძვ. ქართ. ოქრომჭედლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

სოფლის განაპირას, ჩრდ.-დასით მდებარეობს VI–VII სს. წმ. გიორგის მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია. ნავს სამხრ-ით მთელ სიგრძეზე გასდევს სტოა, რ-იც ორი ღია თაღით უკავშირდება გარე სივრცეს. მრგვალ მასიურ ბოძზე დაყრდნობილი თაღები ნალისებრი მოხაზულობისაა. დამახასიათებელია წვრილი თაღებით შედგენილი ლავგარდანი და ორნამენტული დეტალები, რ-თა პარალელები VI–VII სს. ძეგლებში მოიპოვება. კედლები ტლანქად დამუშავებული ქვისაა, მხოლოდ კუთხეების, თაღებისა და სარკმლებისათვის გამოყენებულია კარგად გათლილი კვადრები.

ლიტ.: გოგაძე ე., თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და ენეზისი, თბ., 1972; Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, кн., 1, Тб., 1941; მისივე, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе, Тб., 1948; Чубинашвили Н. Г., Шмерлинг Р. О., Храмы в древных селенияхТриалетии – Олтиси и Тетри-цкаро, ,,ქართული ხელოვნება‘‘, 1948, ტ. 2.


ი. გაგოშიძე.

კუშჩუ, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში (კასუმლოს თემი), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 360 *მ,* მარნეულიდან 20 *კმ.* 404 მცხ. (2014).

„კუჩხი ბედინერი“ (ფეხი ბედნიერი), ქართული (მეგრული) სასიმღერო ფოლკლორის ერთ-ერთი პოპულარული ნიმუში. ამ საწესო სიმღერას ნეფის ოჯახში მაყრიონის შესვლისას მამაკაცები ასრულებდნენ. ქორწილის გარდა, მას სხვადასხვა დღესასწაულზეც მღეროდნენ, მაგ., ახალ წელს, სუფრასთან და სხვ. „კ. ბ-ის“ ვ არიანტია „კუნტა ბედინერი“ (მოკლე ბედინერა) და „ძველი ბედინერი“.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; გაბისონია თ., მესხი თ., ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, თბ., 2005; ჩიჯავაძე თ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერები, მეგრული სანოტო კრებული, თბ., 1974.

კუცია ვახტანგ ალექსანდრეს ძე (20. VI. 1947, თბილისი, – 24. III. 2001, იქვე), მხატვარი (კარიკატურა, პლაკატი, წიგნის გრაფიკა), მუსიკოსი. დაამთავრა საქართველოს სას.-სამ. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი (1971). 1964-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1965-იდან თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებთან: „ნიანგი“; „Крокодил“, „Известия“, „Литературная газета“, „Смена“ (რუსეთი); „Szpilki“ (პოლონეთი); „Eulenspiegel“ (გერმანია); „Dikobraz“ (ჩეხეთი) და სხვ. ძირითადი ნამუშევრები: 10 ათასზე მეტი კარიკატურა, გააფორმა და დაასურათა „ქართული ხალხური ზღაპრები“ (I–II ტ.; 1991–92), კრებული „150 საბჭოთა პოლიტიკური ანეკდოტი“ (1991). ავტორია იუმორისტული კრებულებისა: „30 ნახატი კახელებზე“, „ბურთი იცინის” (1998) და სხვ. გამოფენები: პერსონალური – „მერანი” (1986), საქართველოს ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმი (1991), თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (2010) და სხვ. მონაწილეობდა კარიკატურისტთა კონკურსებში. პრესაში გამოქვეყნებული კარიკატურების რაოდენობის გამო კ. შეტანილია გინესის რეკორდსმენთა სიაში. 1986-იდან იყო ანსამბლ „ორერას“ სოლისტი. ანსამბლი ასრულებდა მის მუსიკასა და ლექსებზე შექმნილ რამდენიმე სიმღერას. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1996).



ვ. კუცია. ,,კახური კოქტეილი‘‘.

კუცია კარლო კონსტანტინეს ძე (14. X. 1933, სოფ. ჯუგაანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 8. V. 2011, თბილისი), ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1996). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი ირანის ისტ. სპეციალობით (1958). 1959–60 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებულ უცხო წყაროთა კომისიაში, 1960- იდან – საქართვ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტ. განყ-ბის თანამშრომლად. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში, თეატრალურ, ასევე აზიისა და აფრიკის ინ-ტებში.

ჰ-ს კვლევის სფერო მოიცავდა აღმოსავლურ წყაროებს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ სოც.- ეკონომიკურ სტრუქტურას, თარგმნა არაერთი მანამდე უცნობი წყარო: ესაი ჰასან ჯალალიანცის ,,აღვანთა ქვეყნის ისტორია‘‘ (1971); ,,ისფაჰანის ქართველი ტარუღები‘‘ (1618–1722), არაქელ დავრიჟეცის ,,ცნობები საქართველოს შესახებ‘‘ (1974); თომა მეწოფელის ,,ისტორია თემურლენგისა და მისი შთამომავლებისა‘‘ (1987); Икта в Тарих-и Алам-арай-и Аббаси, კრებ. მახლობელი აღმოსავლეთი და საქართველო (1991); რუს. ენაზე თარგმნილია ძვ. ქართ. ჰაგიოგრაფიული ლიტ. ძეგლებს [,,Житие и Мученичество святого мученика Константи грузина, который был замучен царём вавилонян Джафаром‘‘ (1978; თანაავტ. ნ. ვაჩნაძე)].

ჰ-ს სამეცნ. პუბლიკაციები (80-მდე ნაშრომი, ამათგან 5 მონოგრაფია) გამოცემულია ასევე რუს., სომხურ, სპარსულ, ინგლ. და ფრანგ. ენებზე.

თხზ.: აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XV–XVIII საუკუნეებში, თბ., 1976; ამქრები XVII–XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში, თბ., 1984; Социально-экономическая структура и социальная борьба в городах Сефевидского Ирана, Тб., 1990; Цеховые уставы грузинских городов XVIII–XIX веков, Тб., 2001.

ნ. გელაშვილი.

კუცია-ღვალაძე თამარ ნესტორის ასული (22.II. 1902, აბაშა, – 26. XII. 1986, თბილისი), მკვლევარი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართ. მუს. ხელოვნებისა და ბოტანიკური მეცნ. ბიბლიოგრაფიული კვლევის ფუძემდებელი. საქართველოს სახელმწ. უნივერსიტეტი (1926) და საქართვ. დამს. (1962) ბიბლიოთეკარი. საქართვ. კულტურის დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1925). 1925 ჰ.-ღ-ის თანაავტორობით გამოიცა მნიშვნელოვანი ბიბლიოგრ. ნაშრომი ,,ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი‘‘. 1930– 34 მუშაობდა თბილ. სახელმწ. ბ-კაში (ამჟამად საქართვ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნ. ბ-კა) ცენტრ. წიგნსაცავის გამგის მოადგილედ და სწავლულ მდივნად, 1934–38 – ამავე ბ-კის იშვიათი წიგნების განყ-ბის გამგედ. 1938–42 იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. წიგნის პალატის მთ. ბიბლიოგრაფი, მონაწილეობდა ,, ქართული წიგნის‘‘ I (1629–1920; გამოიცა 1941) და II (1950–51) ტომების შედგენაში. 1945–71 იყო საქართვ. მეცნ. აკად. თბილ. ბოტანიკის ინ-ტის სამეცნ. ბ-კის გამგე, იმავდროულად (1945–51) – თბილ. ცენტრ. ბოტანიკური ბაღის სამეცნ. ბ-კის გამგე. 1947 გამოიცა ჰ.-ღ-ის ფუძემდებლური ნაშრომი ,,ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია‘‘ (რედ. გ. ჩხიკვაძე), 1956 – ,,თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემათა სტატიების ბიბლიოგრაფია‘‘, ხოლო 1960 – ,,თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების



ვ. კუჭავა.

ბიბლიოგრაფია‘‘. 1946–75 იყო საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის პრეზიდიუმის საბიბლიოთეკო სამეცნ. საბჭოს წევრი. ჰ.-ღ. ასევე ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას. არის ლექსებისა და მხატვრული ნარკვევების ავტორი.

ლიტ.: მიქაძე გ., ღვაწლმოსილი ბიბლიოგრაფი, ,,წიგნის სამყარო‘‘, 1986, №7; ნაკაშიძე თ., ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის მოჭირნახულე, თბ., 1992.

ლ. ურუშაძე.

კუცხოვეთი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (ლარგვისის თემი), მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1720 *მ,* ახალგორიდან 36 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ჰ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

კუფახტა, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში (საკობიანოს თემი), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 590 *მ,* ახმეტიდან 13 *კმ.* 81 მცხ. (2014).



ი. კუჭუხიძე.

სოფლის ჩრდ-ით, ტყიან ბორცვზე მდებარეობს შუა საუკუნეების ამაღლების ეკლესია (შემორჩენილია აფსიდის მცირე ნაწილი), ჩრდ.-დას-ით კი – ამავე პერიოდის მეორე დარბაზული ეკლესია. სოფლის შუაში გვიანდელი შუა საუკუნეების ლომისის სალოცავი დგას. ეკლესია უაფსიდოა, ნაგებია რიყის ქვით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2014.

კუჭავა ვლადიმერ ოთარის ძე (დ. 12. IX. 1958, თბილისი), ონკო-ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2011). 1981 დაამთავრა თსსი; 1981–83 იყო ქ. ლენინგრადის ონკოლოგიის სამეცნ.- კვლ. ინ-ტის კლინ. ორდინატორი; 1983–85 – ქ. სოხუმის ონკოდისპანსერის ექიმი; 1985–2013 – ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ექიმი, უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, დირექტორი (სამედიცინო და სამეცნიერო ხაზით); 2013–14 ხელმძღვანელობდა სს უნივერსალურ სამედ. ცენტრს; 2014-იდან კი ხელმძღვანელობს *კლინიკური ონკოლოგიის* ინ-ტს.

ჰ. არის სამეცნ. შრომების ავტორი (მ. შ. 2 მონოგრაფია), რ-ებიც ეხება ფილტვის, შუასაყრის სიმსივნეების აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს, თბ., 2009; ტრაქეისა და ბრონქების რეზექცია გულმკერდშიდა სასუნთქი გზების სიმსივნეების დროს, თბ., 2009.

კუჭავა ზურაბ ზურაბის ძე (დ. 01. 01. 1962, თბილისი), სპორტსმენი, (მთამსვლელი). საქართვ. სპორტის დამსახ. მოღვაწე (2013). დაამთავრა თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკ-ტი (1984). მონაწილეობდა და შესრულებული აქვს მრავალი რთული ასვლა საქართვ. ნაკრებისა და დამოუკიდებელი ექსპედიციების შემადგენლობებში (1990–98): კომუნიზმის პიკი (7495 *მ*), ლენინის პიკი (7134 *მ*), ხან-თენგრი (6995 *მ*), მანასლუ (ჰიმალაი, 8163 *მ*). 1993 იყო საერთაშ. ალპ. ცენტრის ,,ტიან-შანის‘‘ ინსტრუქტორი (ხელმძღვ. ვ. კომისაროვი). ასევე შესრულებული აქვს მრავალი ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე (მყინვარწვერი, უშბა, შხარა და სხვ.), მ. შ. პირველგავლები: ჭაუხი – ასათიანის სვეტით 6 (1995), შხარა მთავარი – უშგულის კედლის ცენტრით 6B (1996-იდან), მყინვარწვერი – ზამთრის ასვლა გველეშაპის კედლით 5A (2003).

ჰ. არის მთამსვლელობის სკოლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1996-იდან), ასევე ჰ. ალპინისტური ასოციაციების საერთაშ. გაერთიანების (UIAA) ახალგაზრდული კომისიის საქართველოს წარმომადგენელი (2001-იდან). 2001–07 იყო საქართველოს მთამსვლელობისა და კლდეზე ცოცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, 2007-იდან კი არის ამავე ასოციაციის პრეზიდენტი.

შ. მირიანაშვილი.

კუჭაიძე გრიგოლ ლეონტის ძე (3. IV. 1886, ქუთაისი, – 1943, მოსკოვი). საქართვ. სსრ. ჯანდაცვის პირველი სახალხო კომისარი. 1916 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1920 ჩრდ. კავკასიაში დაინიშნა კავკ. მინ.წყლების კურორტთა სამმართველოს პირველ დირექტორად. 1921 ჩამოაყალიბა ჯანდაცვის სახ. კომიტეტი საქართველოში და დაინიშნა მის პირველ კომისრად. 1924 პარალელურად იყო ამიერკავკ. რკინიგზის ჯანდაცვის რწმუნებული; 1929 – აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ჯანდაცვის სახ. კომისარიატების რწმუნებული ამიერკავკ. ფედერაციის სახ. კომისართა საბჭოში.

1935–38 მუშაობდა მოსკოვში, ლ. ა. ტარასევიჩის სახ. ვაქცინებისა და შრატების ცენტრ. სამეცნ. ინ-ტში; 1938-იდან, კურორტოლოგიის ცენტ. ინ-ტში დირექტორად; 1943 (გარდაცვალებამდე) – ექსპერ. მედიცინის საკავშ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ.

ჰ-ის თაოსნობით მრავალი სამკურნალო დაწესებულება გაიხსნა საქართველოში.

კუჭატანი, სოფელი კახეთის რეგიონის ყვარლის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ჰ., სანავარდო, წიწკანაანთსერი). ზ. დ. 280 *მ,* ყვარლიდან 10 *კმ,* მუკუზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 467 მცხ. (2014).

სოფელში დგას გვიანდელი შუა საუკუნეების არქიტექტურის ძეგლი – წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-იც ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრ-ითაა. ეკლესიის შიგა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ოდნავ ნალისებრი აფსიდით.

რესტავრაცია ჩაუტარდა 2014. სოფლის განაპირას მდებარეობს ამავე პერიოდის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. სამხრ-იდან და დას-იდან, მთელ სიგრძეზე, გვიანდ. მინაშენები ეკვრის. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან (მინაშენიდან) და დას-იდან. ეკლესიის შიგა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ეკლესიის დას. ფასადის ფრონტონის წვერზე დაშენებული ყოფილა პატარა ოთხწახნაგა სამრეკლო, რ-ის საფუძველიღაა დარჩენილი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1:, თბ., 2013.

კუჭეჭა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (მაღაროსკარის თემი), მდ. ფშავის არაგვის ხეობაში, ზ. დ. 1300 *მ,* დუშეთიდან 34 *კმ.*

2014 აღწერით მოსახლ. რიცხოვნობა არ აღემატება 10 მცხ.

კუჭულა, სოფელი აჭარის არ-ის ქედის მუნიციპალიტეტში (ოქტომბრის თემი), მდ. მერისის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 500 *მ,* ქედიდან 4 *კმ.* 201 მცხ. (2014).

კუჭუხიძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (30. VI. 1921, სოფ. ნაე-

საკაო, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 16. X. 2013, თბილისი), ინჟინერ-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1976), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990), საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის (ახლანდ. ფედერაციის) წევრი (1958), პუბლიცისტი. დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინ-ტის საექსპლოატაციო ფაკ-ტი (1948). იყო საქართვ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგე (1967–73), თსუ-ის საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტის პროფესორი, დეკანი, კათედრის გამგე (1968–90), საქართვ. საინჟინრო-ეკონ. ინ-ტის (შემდგომში ჰუმანიტარულ-ეკონ. უნ-ტი) დამფუძნებელი და რექტორი (1991–2012), საქართვ. ბიზნესის მეცნ. აკად. დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1995–2013); გაზ. ,,განათლება, მეცნიერება, ბიზნესის'' (1996–2008), ასევე საქართვ. ბიზნესის მეცნ. აკად. ჟურნ. ,,მოამბის'' (1996–2013) დამფუძნებელი, გამომცემელი და მთ. რედაქტორი.

ჰ. სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორია. მისი სამეცნ. შრომები ეხება ტრანსპ., მშენებლობის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს განვითარების ეკონ. პრობლემებს. იყო სენაკისა (1997) და აბაშის (2001) საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

თხზ.: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ეკონომიკისა და დაგეგმვის საკითხები, თბ., 1971; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 1987; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, თბ., 1991 (თანაავტ.); პოსტსაბჭოური საქართველოს პოლიტიკური ასპექტები, თბ., 2001 (თანაავტ.).

კუჭუხიძე ილია ვასილის ძე (18. VI. 1906, სოფ. აბასთუმანი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 26. V. 1992, კირჰაიმი, გერმანია), მწერალი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი. მიუნხენის უნ-ტის ფილოს. დოქტორი (1953). დაამთავრა ბათუმის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (1924) და თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1928). 1941 ჰ. ფრონტზე გაიწვიეს. 1942 ტყვედ ჩავარდა. ძველ ემიგრანტთა წყალობით ტყვეობას თავი დააღწია. თავდაპირველად პოლონეთში მოხვდა, 1943–45 კი მუშაობდა ბერლინში გაზ. ,,საქართველოს'' და ჟურნ. ,,ქართველი ერის'' რედაქციებში. 1945-იდან ცხოვრობდა დას. გერმანიაში. 1953–71 მსახურობდა რადიო ,,თავისუფლების'' ქართ. რედაქციაში. სიცოცხლის ბოლომდე მიუნხენის უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, ასწავლიდა ქართ. ენასა და ლიტერატურას. ევროპის წამყვან ენციკლოპედიებში (მ. შ. ,,ბრიტანიკაში'') გამოქვეყნებულია ჰ-ის საყურადღებო წერილები და ნარკვევები საქართველოს, აგრეთვე კავკ. ისტორიასა და კულტურაზე. ქართ. ემიგრანტულ პრესაში თანამშრომლობდა ფსევდონიმებით: ი. იმერიძე, ალეკო ლორია, მინდია ლაშაური. ჰ-ის მიუნხენში გამოქვეყნებული მხატვრული და ისტ. ხასიათის თხზულებებიდან აღსანიშნავია: ,,საქართველოს მე-19 და მე-20 საუკუნეების ისტორია'' (1957), ,,წმინდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში'' (1959), ,,ქართული სული'' (I. II; 1956, 1961); ,,კოლხთა მეფე გუბაზ მეორე'' 1972); ,,ფიქრები საქართველო ზე'' (რჩეული მოთხრობები და ლექსები, 1985); ,,უტუ მიქავა'' (ისტორიული მოთხრობა, 1986).

ლიტ.: ინასარიძე შ., დაბრუნებული ,,ქართული სული'', ილია კუჭუხიძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის, «საქართველოს რესპუბლიკა», 2006, 3 ივნ., შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 1, თბ., 1991.

ლ. ურუშაძე.

კუჭუხიძე მედეა შალვას ასული (დ. 10. VII. 1937, თბილისი), თეატრის რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1976), საქართვ. სახ. არტისტი (1987). 1961 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟ. ფაკ-ტი (ხელმძღვ. მ. თუმანიშვილი), 1962–71 და 1999–2003 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა იქვე. 1964-იდან მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია.

ჰ-ის რეჟისურა ხასიათდება თამამი შემოქმედებითი ძიებებით, მრავალფეროვანი მასალის მიმართ ინტერესით და მხატვრული იდეის სიღრმისეული წვდომით. ჰ-ის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია, მარჯანიშვილის თეატრში: ჩ. დიკენსის ,,დიდი იმედები'', ჯ. იოსელიანის ,,ტაკიმასხარა'' და ,,საქართველოს უკანასკნელი დედოფალი'', გონძა მონ ჩიკამაცუს ,,შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე'', რ. გაბრიაძისა და პ. ჩარკვიანის ,,ფეოლა'', პ. კაკაბაძის ,,სამი ასული'', ,,ტყის ქალები'' და ,,პორტოპოლოს ტუსაღები'', ტ. უილიამსის ,,იგუანას ღამე'', ა. აფინოგენოვის ,,შიში'', კ. ვოიტილას ,,ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ'', ძი-იუნის ,,დიადი მცირეში'' და სხვ.; სოხუმის ქართულ თეატრში: ე. შვარცის ,,თოვლის დედოფალი'', ვ. კორასტილიოვის ,,მე მჯერა შენი'', ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს''; გრიბოედოვის თეატრში: ფ. გუდრიჩის, ა. ჰაკეტის ,,ანა ფრანკის დღიური''; რუსთაველის თეატრში: ტ. უილიამსის ,,შუშის სამხეცე''.

ჰ. ავტორია პიესებისა (,,ყბედი თუთიყუში'' და ,,ზღაპარ იყო'') და სამეცნ. შრომებისა: ,,მსახიობის ინდივიდუალობა'', ,,თანამედროვე თეატრის სტანდარტიზაცია'', ,,თეატრალური მიმდინარეობა ანტიშექსპირიზმი'', ,,XX ს. დასაწყისის ავანგარდთან შერწყმული ევროპული პოსტმოდერნიზმის ეპიგონური გამოხმაურებები ქართულ თეატრში'' და სხვ. ჰ-ის სპექტაკლები ხელს უწყობდა კულტურათა შორის დიალოგს. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლურ თეატრ. კულტურასთან დაახლოება (გასტროლები ქ. ტოკიოში, იოკოჰამასა და ამაგასაკში). მისივე ინიციატივით 1987 თბილისში მოეწყო ,,კაბუკის'' თეატრის გასტროლები. ჰ-ს ასევე შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ნორა ბერკი (ჯ. სინგის ,,ბინდი ველზე''; თეატრ. ინ-ტი, 1957), კამილა (ა. მიუსეს ,,სიყვარული სახუმარო არ არის''; მარჯანიშვილის თეატრი, 1969), მერეი (ა. კრონინის ,,იუპიტერი იცინის''; სატელევიზიო დადგმა, 1970).

მიღებული აქვს კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (1983) და ღირსების ორდენი (2000).



მ. კუჭუხიძე.

კუხალაშვილი ინდიკო ამბროსის ძე (1909, სოფ. ახუთი, ახლანდ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 1990, იქვე), ინჟინერი ქაღალდის მრეწველობის დარგში. საქართვ. დამს. ინჟინერი. 1930 დაამთავრა ამიერკავკასიის სატყეო ტექ. ინ-ტი, 1937 – ლენინგრადის კიროვის სახ. სატყეო-ტექ. აკადემია. 1937– 41 მუშაობდა კარელიაში კონდოპოტის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში. 1950–77 იყო ,,ენგურ-ქაღალდკომბინატის'' მთ. ინჟინერი, შემდეგ – ინჟინერ-კონსულტანტი. სულფიტ- ცელულოზას წარმოების ინტენსიფიკაციის


თ. კუხიანიძე.

მეთოდის შემუშავებისა და დანერგვისათვის (სხვა სპეციალისტებთან ერთად) 1949 მიენიჭა სტალინური პრემია.

კუხაშვილი მალხაზ ილიას ძე (დ. 12. X. 1942, თბილისი), მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1986). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. გრაფიკის განყ-ბა (1968), იქვე მუშაობდა პედაგოგად, 1968–2000 – საქართვ. ტელევიზიის და რადიოს კომიტეტში მხატვრად (1982–93 – მთ. მხატვარი). 1968-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. ნამუშევრები: დაზგური გრაფიკა – ოფორტების სერია ,,ნეპალის მოტივები“ (1973), „ფიროსმანი“ (1979), „სიტუაცია“ (1984), სერია ,,ნიუ“ (1995–96) და სხვ.; წიგნის გრაფიკა – გ. გ. მარკესი „მარტოობის ასი წელი“ (1980), ს. მოემი „მოთხრობები“ (1981), პ. ლუისი „ბილიტისის სიმღერები“ (1996) და სხვ. ფერწერა – „მანანას პორტრეტი“ (1992), „სიზმარი“ (1995), „აბესალომ და ეთერი“ (1997) და სხვ. გაფორმებული აქვს ტელე და კინოფილმები: „შნო“ (1978), „გზა“ (1982, 1–5 სერია), „ლეონარდო“ (1991). გამოფენები:


მ. კუხაშვილი. ილუსტრაცია წიგნისა ,,მარტოობის ასი წელი“. 1980.

საქართვ. ტელევიზიისა და კინოს მხატვართა (1988, სეგ), ქართული შრიფტი (1998, სეგ); პერსონალური – მხატვრის სახლი (1983); შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი (2015) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში, ქ. კატმანდუს მუზეუმში (ნეპალი), აშშ-ის, გერმანიის, კანადის კერძო კოლექციებში.

კუხეთი, ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. ტერიტორიულად მოიცავდა მდ-ების – არაგვისა და მტკვრის მარცხ. სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უდაბნომდე. ცენტრი – ქ. რუსთავი. ცნობილია აგრეთვე სხვა ცენტრებიც – კაწარეთი და ბოდბე. გადმოცემით, მეფე ფარნავაზ I-ის (ძვ. წ. III ს.) დროს კ. კახეთთან ერთად ერთ საერისთავოს წარმოადგენდა. შემდგომშიც იგი ადმინისტრაციულად კახეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა გარკვეულ პერიოდებში ცალკე საგამგებლოც ყოფილა. VIII ს. 80-იან წლებში კ., როგორც საერისთავო, ახალწარმოქმნილ კახეთის სამთავროში შევიდა. არის მონაცემები, რომ X–XI ს-ში კ-ის ნაწილი ქ. რუსთავიანად თბილ. საამიროში შედიოდა. კ. წყაროებში უკანასკნელად მოიხსენიება XII ს-ში, ამჯერად – როგორც გეოგრ. ცნება. XV ს. ბოლოს კი ყოფილი კ-ის ტერიტორია უკვე კახეთად იწოდება. გადმოცემის თანახმად, ქართველთა განმანათლებელმა წმ. ნინომ კაწარეთში ქრისტიანობაზე მოაქცია კუხელები. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წმ. ნინო ბოდბის მონასტერშია დაკრძალული, სადაც მისი საფლავი დღემდეა შემონახული.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII–XIII სს., „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ] 3; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1iv, თბ., 2021; ჯავახიშვილი ივ., *თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983.

დ. მუსხელიშვილი.

კუხეში, სოფელი სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (საჩინოს თემი), მდ. ინწრის (ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 280 *მ,* წალენჯიხიდან 12 *კმ,* ჯვრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 355 მცხ. (2014).

კუხი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტის სოფლების *დიდი კუხისა* და *პატარა კუხის* გავრცელებული სახელწოდება.

კ. წერილობით წყაროებში XV ს-იდანაა დამოწმებული. სოფელში აღმოჩენილია კოლხური მონეტების განძი, რ-იც ხონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. XIX ს. 20-იან წლებში კ-ში იდგა ქვისა (1720) და ხის (1734) ეკლესიები. დღეისათვის შემორჩენილია ქვის ეკლესიის ნანგრევები.

თ. ბერაძე.

კუხიანიძე ვახტანგ მელიტონის ძე (1. V. 1914, თბილისი, – 21. III. 1985, იქვე), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1951), სსრკ დამს. მწვრთნელი (1957), საქართვ. კულტურის დამს. მოღვაწე (1957), სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1949–54). XV ოლიმპიურ თამაშებზე (1952, ჰელსინკი) ხელმძღვანელობდა სსრკ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებს. სსრკ (1947) და საერთაშ. (1950) კატეგორიის მსაჯი. მისი აღზრდილები არიან: ს. გაბარაევი, შ. დაუშვილი, ო. კანდელაკი, ვ. მაჩკალიანი, ა. მეკოკიშვილი, ნ. მუზაშვილი, შ. ჩიხლაძე

კუხიანიძე ზურაბ ბესარიონის ძე (30. IX. 1930, ქუთაისი, – 28. VII. 2003, იქვე), პოეტი. დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტის ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1954). 1977-იდან იყო გამომც. ,,საბჭოთა საქართველოს“ ქუთ. ფილიალის – ,,უქიმერიონის“ დირექტორი. პირველი ლექსები 1952 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი ,,გაფრენილი წეროები“ – 1958. ავტორია ლირიკული ლექსების კრებულებისა: ,,ბროწეულის ცეცხლი“ (1963), ,,გულისცემა“ (1970), ,,ათინათი“ (1972), ,,როგორც ცერზე მიმინო“ (1975), ,,როცა სისხლი ლაპარაკობს“ (1977), ,,ეს ოთხი წელი“ (1980); საბავშვო ლექსებისა (,,კალიების კარნავალი“, 1975); მოთხრობების (,,წყალწითელა“, 1971; ,,შატილელი შავლეგო“, 1977) და სხვ.

თხზ.: ვარსკვლავებზე მონადირენი, ქუთ., 1980; ასი ლექსი, თბ., 2013.

კუხიანიძე თეიმურაზ მაქსიმეს ძე (8. VII. 1934, თბილისი, – 29. VIII. 1961, ტიან-შანი, მწვ. გამარჯვების პიკი), სპორტსმენი (ალპინიზმი). დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლ. ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო იქვე მეცნიერ მუშაკად.

იგი აგრეთვე მისდევდა მძლეოსნობას, სათხილამურო სპორტს. ცურვაში იყო საქართვ. ჩემპიონი. ალპინიზმით 1952 დაინტერესდა და მონაწილეობა მიიღო იმ დროს ჩატარებულ თითქმის ყველა ლაშქრობაში. ორჯერ (1957) დარვაზის ქედის ტრავერსის, 1960 კი პამირის ზულუმარტისა და იმერალის ტრავერსების დალაშქვრისათვის ჩემპიონის ტიტული მიენიჭა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1956 მოსკოვის პიკის დაპყრობისათვის გადაეცა ვერცხლის მედალი. დაიღუპა ტიან-შანის მწვერვალის დალაშქვრის დროს.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.


კუხიანიძე მელიტონ სოფრომის ძე (19. IX. 1872, სოფ. მესხეთა, ქუთაისის მაზრა, - 8. VI. 1951, თბილისი), ლოტბარი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1932). 1904 დაამთავრა პეტერბურგის სამეფო კართან არსებული კაპელის კურსების საგუნდო-სადირიჟორო განყ-ბა, 1895-იდან დააარსა მომღერალთა გუნდი ვლადიკავკაზში, 1907-იდან იყო თერგის სასწ. სემინარიის (ჩრდ. კავკასია) სიმღერა-გალობის მასწავლებელი. ხელმძღვანელობდა თბილისში არსებულ ქართ. ფილარმონიული საზ-ბის მუსიკის მოყვარულთა ჯგუფს. 1918 მიიწვიეს ქუთ. ახალგახსნილ სამუს. სასწავლებლის პედაგოგად (მუსიკის თეორია, სოლფეჯიო, მუს. ისტორია). 1921 ბათუმში კ-მ დ. ყუბანეიშვილთან ერთად დააარსა პირველი ეთნოგრ. ჯგუფი, რ-საც 1925 აჭარის სახელმწ. აკად. გუნდის სახელი მიენიჭა – 1934-მდე იყო მისი ლოტბარი. 1934 კ-მ ჩამოაყალიბა საქართვ. სახელმწ. კაპელა და იყო მისი ხელმძღვანელი (ლოტბარი ნ. შარაშენიძე), 1937 – მოსწავლეთა საბავშვო კაპელა 100 ბავშვის შემადგენლობით, 1944 – აჭარის სიმღერისა და ცეკვის აკად. ანსამბლი (იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი). 1952 ანსამბლს მ. კუხიანიძის სახელი მიენიჭა.

ლიტ.: გოგოლაძე ქ., პროფესიული სამუსიკო განათლების დაფუძნება აჭარაში (1928–2018), ბათ., 2018.

კუხიანიძე სიმონ ბართლომეს ძე (1. II. 1906, ქუთაისი, – 13. III. 1983, იქვე), საოპერო მომღერალი (ბანი), პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა ქუთაისის მუს. სასწავლებლის ვოკალ. ფაკ-ტი. სწავლა განაგრძო თბილ. კონსერვატორიაში, პედ. ე. ვრონსკის კლასში (ვოკალი). მალე იგი გახდა საოპერო სტუდიის, აგრეთვე რადიოკომიტეტის სოლისტი, 1934-იდან – საქართვ. ფილარმონიასთან შექმნილი პირველი ვოკალური კვარტეტის წევრი (ლ. გერმესაშვილთან, ვ. ბექაიასა და შ. ცირღილაძესთან ერთად). კ-მ ქუთაისის მუს. სასწავლებელში დააარსა საოპერო კლასი, პარალელურად, 1949-იდან იყო ქუთაისის მომღერალთა აკად. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. დირიჟორი. აღზარდა მომღერალთა არაერთი თაობა. ოპერის თეატრში კ-ს მიერ შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცანგალა, აბიო (ზ. ფალიაშვილის „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“), მაკარი, საქო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), მგოსანი (დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), ვაგნერი (შ. გუნოს „ფაუსტი“), ბონზა (ჯ. პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“) მორევერი (ჯ. მეიერბერი „ჰუგენოტები“), ბარტოლო, ლეპორელო (ვ. ა. მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჟუანი“) და სხვ.

ლიტ.: მჭედლიძე დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1968.

კუხოსი, იხ. *ქართველთა ეთნარქები.*




მ. კუხიანიძე.




ს. კუხიანიძე.



ლ-ს მოხაზულობა ასომთავრულში წრისა და ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ლ-ს საყრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზში იწერება.





ლ. ქართული ანბანის მეთერთმეტე (ძვ. ქართ. ანბანის მეთორმეტე) ასო. მისი სახელია ,,ლასი“; გრაფიკული სიმბოლო ლატერალური სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერება **Ⴡ**. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზების კომბინაციაა, რ-იც კვადრატულ არეს იკავებს. ნუსხური – **ლ** კუთხოვანი ფორმისაა, მარჯვნივ გადახრილი და ოთხხაზოვანი სისტემის შუა ორ ხაზშია მოთავსებული. მხედრულში ლ-ს საყრდენი ფეხი აქვს და ქვედა სამ ხაზს შორის იწერება. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ოცდაათს (30).

ლ-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

ლაბა, უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. დიდი ლაბის (ყუბანის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 2575 *მ.* აგებულია პალეოზოური გნეისებით და კრისტ. ფიქლებით. ახასიათებს ალპ. ლანდშაფტი. ლ-ზე გადადის საცალფეხო გზა მდ. ბზიფის ხეობიდან კრასნოდარის მხარეში (რფ).

ლაბადა, 1. ქალის მოკლე, წელში გამოყვანილი სამოსელი (კახეთი). იგივეა, რაც ყაბაჩა, ანუ ყაბარჩა, რსაც რუსთაველის ეპოქაში საქართველოში მამაკაციც იცვამდა და ქალიც. ლ. ფერადი ქსოვილისაგან იკერებოდა, ზოგს სარჩულად თახვის ბეწვი ჰქონდა დადებული და ზამთრის სამოსადაც იყენებდნენ.

ქალის ლ. საინგილოში XX ს. დასაწყისამდე იხმარებოდა. მას ყოშებიან ახალუხზე იცვამდნენ. კერავდნენ სხვადასხვა ქსოვილისაგან. გვერდებზე ჩაქები ჰქონდა, ირგვლივ – ფერადი არშია და ქობა, გულისპირებზე კი – ღილი.

2. წვიმის დროს წამოსასხამი, საწვიმარი.

ლაბაიძეები, სოფელი აჭარის არ-ის ხულოს მუნიციპალიტეტში (ღორჯომის თემი), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1500 *მ,* ხულოდან 15 *კმ.* 225 მცხ. (2014).

ლაბარნა (Labarna), ხეთების მეფეთა ტიტული და სახელი ,,ძველი სამეფოს'' დროიდან (ზოგჯერ ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრის ტიტულიც იყო). პარალელური ფორმა – თაბარნა. სამეფო ტიტულად ლ-ის გადაქცევა უკავშირდება ხეთების ,,ძველი სამეფოს'' ფუძემდებლის ლაბარნა I-ის (ძვ. წ. XVII ს. I ნახ.) სახელს, რ-მაც შექმნა ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო მაშინდელ წინა აზიაში. მისი სამფლობელოები ,,ზღვიდან ზღვამდე'' (ე. ი. შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე) იყო გავრცობილი. ხეთური სამეფო ტექსტებით ლ. ითვლებოდა ხეთების უზენაესი ღვთაების (თეშუბი) წარმომადგენლად ქვეყანაზე, ,,ხათის ქვეყნის ბატონად'', ,,ჩაგრულთა და ტანჯულთა მფარველად''.

ლიტ.: ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971; Гиоргадзе Г. Г., Наследование царской власти в древнехеттском государстве (до Телипину), კრ.: ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, 3), თბ., 1970.

გ. გიორგაძე.

ლაბაძე ნესტორ დარისპანის ძე (28. I. 1899, სოფ. საქარა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 15. IX. 1957, თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1944), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. საქართველოსა (1938–46) და ტაჯიკეთის (1946–54) სსრ-ების სასაზღვრო ოლქების ჯარების უფროსი. 1940-იდან – გენ.-მაიორი.

დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ლაბახუა არქიფო მირონის ძე (15. V. 1910, სოფ. რეკი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1992, თბილისი), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1953–57). აფხაზეთის ასსრ-სა და საქ. სსრ დამს. ინჟინერი. 1936 დაამთავრა სტალინის სახ. მოსკოვის სამთო ინ-ტი მაღაროთა მშენებლობის სპეციალობით. 1936–53 მუშაობდა ტყვარჩელის მაღაროთა სამმართველოში. 1959–75 იყო საქართვ. მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე მშენებლობის დარგში; 1976-იდან – საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის უფროსი მრჩეველი, 1954–58 – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; 1951–59 – აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევისა და 1959–80 – საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლაბეჭინა, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპ-ის სოფ. ჭყვიშის მიდამოებში, მაღალი მთის ქედზე. მიწისძვრისგან დაქცეული ეკლესია XIII–XIV სს. გაბრიელ ლაბეჭინელის თაოსნობით ხელმეორედ აუგიათ და მოუხატავთ. ეკლესია დარბაზულია. ნაშენია თლილი ქვით. შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი. თითო თაღოვანი სარკმელი სამხრ. და დას. კედლებშიცაა. აღმ. ფასადზე საკურთხევლის სარკმლის ორივე მხარეს სამკუთხა ნიშებია. ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს – სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდიდან. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორი წყვილი პილასტრით. ეკლესიას მინაშენები ჰქონია, რ-ებიც ამჟამად მიწის პირამდეა დანგრეული. ნაგებობაში ჩანს როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი სამშენებლო ფენები. ეკლესია უხვად არის შემკული ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმებით, რელიეფებითა და ასომთავრული წარწერებით. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული არიან ,,ივანე და გაბრიელ გალატოზნი''. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიაში ინახებოდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის XI ს. ჭედური ხატები (დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში) და სხვ.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983; ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994; თაყაიშვილი ე., ლაბეჭინის ეკლესიის სახარება, ,,პრომეთე'', 1918, №1; მისივე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937; სილოგავა ვ., ქართული წარწერების კორპუსი, II, თბ., 1980; ფრუიძე ლ., სოფელი ლაბეჭინა და ლაბეჭინის მონასტერი, თბ., 2003.



ლაბეჭინა. ლაბეჭინის მთავარანგელოზის ეკლესია. შუა საუკუნეები.

მ. დვალი.

ლაბეჭინის ოთხთავი, ეტრატზე ნუსხურით შესრულებული სახარების ხელნაწერი (სავარაუდოდ, XIII ს.). გადაწერილია გიორგი დვალის მიერ. შეიცავს 275 ფურცელს. სათაურები და მეთაური ასოები წაწერია წითლურით, ტექსტი – შავი მელნით. ყდა ხისაა, რ-საც მიხაკისფერი ტყავი აქვს გადაკრული. მასზე ჩაჭრით გამოსახულია სახარების სცენები. ხელნაწერი შემკობილია ოთხი მახარებლის მინიატიურებით. იოანეს სახარების ბოლოს არის წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, რ-იც ასე იწყება: ,,ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდაჲ ოთხთავი ჩუენ ახლად გვითარგმნია''. დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის A ფონდში.



ლაბირინთის ობობა.

ლაბირინთის ობობა (Agelena labyrinthica), ფეხსახსრიან ცხოველთა სახეობა ძაბრიანი ობობების ოჯახიდან. ლ. ო. მცირე ზომისაა; სხეულის სიგრძე 18 *მმ*; მოშავო მუცელს ცენტრში გასდევს მკრთალი ხაზი. ზურგიდან გამოიმუშავებს აბლაბუდას და უკან დახევით ნიადაგთან ახლოს ბალახებსა და დაბალ ბუჩქებს შორის აბამს ქსელს (დიამეტრი 50 *სმ*), რაც ქმნის გვირაბების ლაბირინთს (აქედან წარმოდგება მისი სახელიც), სადაც ობობა იმალება.

ლ. ო. ფართოდ არის გავრცელებული მთელ პალეარქტიკაში, რეგისტრირებულია საქართველოშიც, კერძოდ, მანგლისში, სადაც იგი 1961 აღმოაჩინა ქართველმა არაქნოლოგმა თ. მხეიძემ.

ლაბოდა, ხეობის ტიპის მყინვარი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ზოფხიტურის (რიონის მარცხ. შენაკადი) სათავეში. მყინვარის ექსპოზიცია სამხრ.-დასავლეთისაა. ლ-ის სიგრძეა 2,7 *კმ*, ფართ. – 2,0 *კმ*^{2}, სიმაღლე ზ. დ. 4000 *მ*, ფირნის ხაზის სიმაღლეა 3220 *მ*. მყინვარის ენა ეშვება 2429 *მ*-ზე. ლ-ის ნაწილი დაფარულია მორენებით. მისასვლელი გზა სოფ. ღებიდან.

ლაბოდა, მწვერვალი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონზე, მდ. რიონის სათავეებში. სიმაღლე 4314 *მ*., აგებულია გრანიტოიდებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი.

ლაბრა, სოფელი აფხაზეთის არის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (კოჩარის თემი), მდ. თოუმიშის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 200 *მ*, ოჩამჩირიდან 24 *კმ*.

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაბრა, სოფელი აფხაზეთის არის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. თოუმიშის ნაპირზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 80 *მ*, ოჩამჩირიდან 14 *კმ*.

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაბსყალდი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ცხუმარის თემი), სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1600 *მ*, მესტიიდან 24 *კმ*. 19 მცხ. (2014).

სოფლის მახლობლად მდებარეობს შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – მიქაელ მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია. იგი ნაგებია ნატეხი ქვითკირისა და ქვიშის დუღაბზე. შესასვლელი დას. მხრიდანაა. აღმ. მხარეს აქვს ერთი სარკმელი. საკურთხეველი დარბაზის ძირითადი სივრცისგან გამოყოფილია სამალიანი ნატეხი ქვით ნაგები კანკელით. ეკლესიას დას-ით ეკვრის ეკვდერი, რ-ზეც XIX ს. II ნახ-ში ხის მეორე სართული დაუშენებიათ. ნაგებობა შელესილია.

ლაბსყალდის ოთხთავი, ეტრატზე ნუსხურით შესრულებული სახარების ხელნაწერი (XII–XIII სს.). ყდა შემკულია მოოქრული ვერცხლის ჭედურობით, ტექსტი – მახარებელთა მინიატიურებით. ტექსტის რედაქცია ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს. ხელნაწერს დართული აქვს სხვადასხვა დროის



ლაბსყალდის ოთხთავი. XII–XIII სს.

ანდერძ-მინაწერები. დაცულია სვანეთის ისტ. და ეთნოგრ. მუზეუმში (სიემ, მესტია 71; H-2075, XII ს.).

ლაბურცხილა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (იდლიანის თემი), მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 780 *მ*. 34 მცხ. (2014).

ლაგათისარი, მწვერვალი ჯავის მუნიციპალიტეტში, ოსეთის კავკასიონზე. ზ. დ. 3687 *მ*.

ლაგაის მთა, იხ. *ლაღის მთა*.

ლაგამი, ცხენის აღკაზმულობის (აღვირის) ნაწილი, რომელიც დასამორჩილებლად პირში აქვს ამოდებული ცხენს. უძველეს ხანაში ამ მიზნით ტყავის თასმას ან თოკს იყენებდნენ. ბრინჯაოს ლ. გავრცელდა ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოდან. ეს იყო ბრინჯაოს მთლიანი, შემდეგ კი ორნაწილიანი ღერო, რ-საც ბოლოებზე სხვადასხვა ფორმის ფირფიტები ან ღეროები, ე. წ. საყბეურები ჰქონ-



ლაგამი.

და წამოცმული. საყბეურებით ლ. ცხენის პირში მაგრდებოდა და აღვირს უკავშირდებოდა. ძვ. წ. VII–VI სს-იდან რკინის ლ-იც გაჩნდა. გვიანდ. ანტ. ხანიდან დღემდე ლ-ს არსებითი ცვლილება არ განუცდია.

საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ლ. ძვ. წ. XIII ს. განეკუთვნება. ესაა ბრინჯაოს ორნაწილიანი ღერო, რ-საც ბრინჯაოს ჭვირული დისკოს ფორმის ან საქონლის რქის საყბეურები აქვს. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ-ში აკეთებდნენ ლითონის ღეროვან, ორნახვრეტიან საყბეურებს. ძვ. წ. VII–V სს-ში გავრცელდა ბრინჯაოს ორნაწილიანი ლ., რ-ის თითოეული ნაწილი საყბეურთან ერთად იყო ჩამოსხმული; ძვ. წ. V ს. ბოლოს შეიქმნა ე. წ. ახალგორული ტიპის ლ., რ-ის საყბეურები, ლ-ის ღეროვანი ნაწილები და მათზე წამოსაცმელი რგოლები ცალცალკე იყო დამზადებული. ამ ტიპის ზოგიერთი ლ. რკინისაა. შუა საუკუნეების ლ. ორნაწილიანი ღეროა, რ-ის ბოლოებზე რგოლებია წამოცმული. საქართვ. თანამედროვე ეთნოგრ. ყოფაში გვხვდება ორგვარი ლ. – ჩვეულებრივ სატარებელი და სახორხე, რ-საც ცხენის გახედვნისას იყენებენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

ი. გაგოშიძე.

ლაგვანთა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (საკაოს თემი), მდ. საკაურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1120 *მ*, ონიდან 4 *კმ*. 72 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე აღნიშნულია ლაგვათას, ხოლო ი. გიულდენშტედთან – ლ-ის სახელწოდებით. სოფელში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ციხე-დარბაზისა და ეკლესიის ნანგრევები.

თ. ბერაძე.

ლაგოდეხი, ქალაქი (1962-იდან) აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთის ძირში, მდ. ლაგოდეხისწყლის (მაწიმისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე, წნორი– ბელაქნის საავტ. გზაზე. ზ. დ. 435 *მ*. თბილისიდან 165 *კმ*. წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 34 *კმ*. ლ-ში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 12,6 ^{0}C, იანვ. 0,9 ^{0}C, აგვ. 24 ^{0}C, აბსოლ.



ლაგოდეხი.

მინ. –23 °C, აბსოლ. მაქს. 38 °C; ნალექები – 1080 *მმ* წელიწადში. 5918 მცხ. (2014).

ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქალაქში განთავსებული *ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების* საექსპოზიციო დარბაზები, *ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი* და სხვ.

ლ. რეკრეაციულ ფუნქციებსაც ითავსებს და ცნობილია მინერ. წყლებით, რ-ებიც სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნებით გამოიყენება. ლ-ის მახლობლად არის ნაკრძალი.

ლ. წყაროებში გვხვდება ლაგოეთის, ლაკუათისა და ლაკუასტის სახელწოდებით. *მ.* ჯანაშვილის აზრით, სახელწოდება მომდინარეობს ლაკვადან, რაც ნიშნავს წყარო-ორმოს, წყალსაგუბარს, ჯურღმულს, რ-შიც იჟონება წყალი.

ლიტ.: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 2, თბ., 1980; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1IV, თბ., 2021.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, მსოფლიოში ერთ-ერთი კარგად შემონახული, პირველყოფილი, ველური ბუნებრივი ლანდშაფტებით მრავალფეროვანი დაცული ტერიტორიები კახეთის რეგიონში (ლაგოდეხის მუნიციპ.). მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდ.-აღმ. ნაწილში, კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრ. ფერდობებზე, ვრცელდება ზ. დ. 590–3500 *მ*-მდე.

ლ. დ. ტ-ის საერთო ფართობია 24255 ჰა და მოიცავს ლაგოდეხის სახელმწ. ნაკრძალს (19755 ჰა) და აღკვეთილს (4500 ჰა). ლაგოდეხის ნაკრძალი დააარსა 1912 პოლონელმა ბუნებისმეტყველმა ლ. მლოკოსიევიჩმა.

ლ. დ. ტ. პირველი ოფიციალური დაცული ტერიტორიაა საქართველოში. წარმოადგენს საკონსერვაციო ლანდშაფტს – ,,აღმოსავლეთ დიდი კავკასიონის“ ნაწილს, საკვანძო ბიომრავალფეროვნების ადგილს – ,,ლაგოდეხს“ და ზურმუხტის ქსელის (პანევროპული ეკოლოგიური ქსელი, ბერნის კონვენცია, 1979) პირველ ტერიტორიას საქართველოდან. ლაგოდეხის, ზაქათალისა (აზერბ.) და ტლიარატას (დაღესტანი, რფ) დაცული ტერიტორიები ერთად ქმნის დიდ საკონსერვაციო არეალს, რ-იც უმნიშვნელოვანესია ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით. მის სიახლოვეს მდებარეობს ვაშლოვნისა და თუშეთის დაცული ტერიტორიები.

ლ. დ. ტ-ის მკვეთრად დასერილი რელიეფი, სხვადასხვა დაქანებისა და ექსპოზიციის ფერდობები ძლიერ განსხვავებულ, რთულ ბუნებრივ ფიზ.-გეოგრ. პირობებს ქმნის, რაც მას გამოარჩევს რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლით: მდიდარი ჰიდროლოგიური ქსელი (15-მდე ჩანჩქერი, რ-თა სიმაღლე 4 *მ*-იდან 40 *მ*-მდე მერყეობს და მდინარეები: კაბალი, ბაისუბნისხევი, ნინოსხევი, შრომისხევი, ლაგოდეხისხევი, სალესავისხევი და მაწიმისწყალი), საინტერესო გეოლ. აგებულება, მრავალფეროვანი ხელუხლებელი ტყეების სარტყლიანობა, ძუძუმწოვართა კარგად შენარჩუნებული პოპულაციების დიდი მრავალფეროვნება და ენდემიზმის მაღალი დონე. დაცული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი (დაახლ. 13000 ჰა) დაფარულია სხვადასხვა ტიპის ფოთლოვანი ტყით ზ. დ. 400–1850 *მ*-მდე. ლანდშაფტი წარმოადგენს ტყით დაფარულ მთიან მასივს წყალგამყოფებითა და ღრმა ხეობებით. ტყის სარტყლის ზემოთ უკვე სუბალპ. ლანდშაფტი იწყება, რ-საც დაახლ. 7000 ჰა უჭირავს (ზ. დ. 1850 *მ* და 2500 *მ* შორის). ამ ლანდშაფტისთვის დამახასიათებელია სუბალპ. ტყეების, ბუჩქნარებისა და მდელოების მოზაიკა ზ. დ. 1800–2200 *მ*-ზე. რელიეფი საკმაოდ რთული და დანაწევრებულია, თუმცა გვხვდება მარტივი ფორმებიც. სუბალპ. ტყეები, ჩვეულებრივ, ზ. დ.



ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.

2100–2300 *მ*-ზე წარმოდგენილია მეჩხერი, ე. წ. პარკისებრი და ტანბრეცილი ტყეებით.

ალპ. ლანდშაფტები (ზ. დ. 2450–2500 *მ*-იდან 3000 *მ*-მდე) უტყეოა (დაახლ. 4000 *ჰა*), ხასიათდება ციცაბოკლდოვანი, ასევე რბილი და მომრგვალებული რელიეფით. ეროზიული, კლდოვანი და კლდენაშალი ლანდშაფტი მისი ძირითადი მახასიათებელი ფიზიკური ნიშანია.

აღსანიშნავია ე. წ. დემიდოვის ნაშალები, რ-იც ყველაზე დიდია დაცულ ტერიტ-ებზე. ლანდშაფტის სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლებია შედარებით რბილი რელიეფის ფორმები (ე. წ. მყინვარული ცირკები), მცირე მყინვარული ტბები და რბილი რელიეფი (უმეტესად ალპ. ზონის შუა ნაწილში, ზ. დ. 2600–2850 *მ*-ზე).

სუბნივალური ზონა ზ. დ. 3000–3500 *მ* სიმაღლეზე ვითარდება. მისთვის დამახასიათებელია მეტად რთული რელიეფი – დიდი დაქანების კლდენაშალიანი ფერდობები და გაშიშვლებული კლდეები.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების კუთხით **ლ. დ. ტ.** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში. აქ წარმოდგენილი სახეობებიდან 7 შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ (2014). 2021 მონაცემების მიხედვით **ლ. დ. ტ.**-ში წარმოდგენილი ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) „წითელი ნუსხით“ დაცული 154 სახეობის მცენარიდან საფრთხის ქვეშ მყოფის (EN) სტატუსი აქვს 2 სახეობას, მოწყვლადისა (VU) – 3-ს და საფრთხესთან ახლოს მყოფის (NT) – 4 სახეობას. წარმოდგენილ მცენარეთა 213 სახეობა კავკასიის ენდემია.

მცენარეული საფარი წარმოდგენილია შემდეგი ტიპის ტყეებითა და ჰაბიტატებით: წიფლნარი (ზ. დ. 450–2150 *მ*-მდე), რცხილნარი (ფართოდ გავრცელებული; ზ. დ. 450–1500 *მ*), მუხნარი (ქართული მუხა, ზ. დ. 400–950 *მ*), შერეულფოთლოვანი (ზ. დ. 450–1100 *მ*), მაღალმთის ნეკერჩხლის (ზ. დ. 1800–2050 *მ*), მაღალმთის მუხნარი (ზ. დ. 1800–2000 *მ*), არყნარი (ზ. დ. 1900–2300 *მ*), ჯაგრცხილნარი (დაფარულია მდ. მაწიმისწყლის ტერასები), მურყნარი (მისი ფრაგმენტები გავრცელებულია მდინარეთა ნაპირებიდან ოდნავ დაშორებით ალუვიურ ტერასებზე; ზ. დ. 800–1000 *მ*), დეკიანი ბუჩქნარი (გავრცელებულია ფრაგმენტულად სხვადასხვა სიმაღლეზე), სუბალპ. მაღალბალახეულობა, მაღალმთის მდელოები, ალპ. მდელო-ხალები, სუბნივალური კლდე-ნაშალების მცენარეულობა.

დღეისათვის დაცული ტერიტორიიდან ცნობილია მაკრომიცეტების 230 სახეობა, რ-თა უმრავლესობა (139 სახეობა) Agaricales-ის რიგის წარმომადგენელია. აღნიშნული 230 სახეობიდან 23 სახეობა საქართველოში მხოლოდ ლაგოდეხის ნაკრძალში გვხვდება, ერთი სახეობა (Cantharellus caucasicus) კი – ამ დაცულ ტერიტორიაზე.

საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების თითქმის 2/3 ნაკრძალშია თავმოყრილი. აქ ტყეებს ქმნის კავკასიური რცხილა, კავკასიური ცაცხვი, მინდვრის ნეკერჩხალი, დათვის თხილი, იფანი, მურყანი, წაბლი და სხვ. ქვეტყეში გვხვდება ჯონჯოლი, მოცვი, შინდი, შინდანწლა, ასკილი, უცვეთელა; ლიანებიდან – გარეული ვაზი, ეკალღიჭი, კატაბარდა, პასტუხოვის სურო და სხვ. კლიმატის სუბტროპ. ხასიათის გამო ამ კუთხეში შემორჩა კოლხეთისა და ტალიშის მცენარეულობის გარკვეული ნაწილი: ლაფანი, კაკლის ხე, წაბლი, დიდი ბოკვი, პასტუხოვის სურო. ნაკრძალში ყვავილოვან მცენარეთა 1500-მდე სახეობაა, მათგან მრავალი ენდემურია (იულიას ფურისუნა, მლოკოსევიჩის იორდასალამი, ლაგოდეხის ნაღველა და სხვ.).

ლ. დ. ტ.-ის ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია, სადაც წარმოდგენილია დაახლ. 235 სახეობის ხერხემლიანი, მათგან – 4 სახეობის თევზი, 9 სახეობის ამფიბია და 18 სახეობის რეპტილია; მათგან ორი – ხმელთაშუაზღვისპირეთის კუ და დინიკის გველგესლა – შესულია საქართველოსა და IUCN-ის „წითელ ნუსხებში“ მოწყვლადის კატეგორიის სტატუსით. ორი ამფიბია – კავკასიური გომბეშო და კავკასიური ჯვარულა – კავკასიის ენდემია, მცირეაზიური ტრიტონი კი – კავკასიის ენდემური ქვესახეობა; კარელინის სავარცხლიანი ტრიტონი დაცულია ბერნის კონვენციის მე-6 რეზოლუციის მიხედვით. ნაკრძალში 139 სახეობის ფრინველი და 69 სახეობის ძუძუმწოვარია. მათგან 60 სახეობა არის ან ენდემი, ან დაცული სახეობა; კერძოდ, დაცული ტერიტორიების საზღვრებში ფიქსირდება 22 სახეობის კავკასიის ენდემი, საქართველოს „წითელი ნუსხის“ 26 სახეობა, მოწყვლადი ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სტატუსით „წითელი ნუსხის“ 9 სახეობა და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის (ბერნის კონვენცია) მიხედვით დაცული 28 სახეობა.

12 სახეობის ძუძუმწოვარი – ევროპული მაჩქათელა, აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, ნიამორი, კეთილშობილი ირემი, წავი, ფოცხვერი, გრძელყურა მღამიობი, ჯიქი, არჩვი, კავკასიური ციყვი,



ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.

მურა დათვი – შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში, ხოლო გიგანტური მეღამურა და ჯიქი შესულია IUCN ,,წითელ ნუსხაში“, როგორც საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები.

ზაქათალის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა კავკასიური კეთილშობილი ირმისა და აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის ტრანსსასაზღვრო მონიტორინგი უნიფიცირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ლ. დ. ტ-ის ტერიტორია ფრინველთა კონსერვაციის მნიშვნელოვანი ნაწილია (ფართობი 23.065,35 ჰა). 46 სახეობა საქართველოს ბინადარია, ხოლო 34 – მიგრირებადი. 15 შესულია საქართვ. ,,წითელ ნუსხაში“ (ქორცქვიტა, ველის კაკაჩა, ბექობის არწივი, დიდი მყივანი არწივი, მთის არწივი, ფასკუნჯი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, კავკასიური როჭო და სხვ.), 5 სახეობა (ბექობის არწივი, დიდი მყივანი არწივი, ველის არწივი, ფასკუნჯი, ბარი) კი შესულია ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) ,,წითელ ნუსხაში“ როგორც საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები; 2 კი (კავკასიური როჭო და კავკასიური შურთხი) კავკასიის ენდემია. 16 სახეობა დაცულია ბერნის კონვენციის მე-6 რეზოლუციის მიხედვით.

დაცული ტერიტორიის ენტომოფაუნა წარმოდგენილია 16 რიგის, 145 ოჯახის, 989 გვარის და 1702 სახეობით. აქ ფიქსირდება საფრთხის წინაშე მყოფი IUCN-ის ,,წითელ ნუსხაში“ შეყვანილი შემდეგი სახეობები: ირანული შავტუხა, კუჰასტინის ლურჯი პეპელა, ალპური ხარაბუზა, მსგავსი ნემსიყლაპია; ,,ზურმუხტის ქსელის“ სახეობა მჟაუნას მრავალთავა. ნაკრძალში სხვადასხვა ენდემური მოლუსკია გავრცელებული, მ. შ. კავკასიის ენდემი და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუხის ლოკოკინა, რ-იც საქართველოს ,,წითელ ნუსხაში“ მოწყვლადი სტატუსითაა შესული, ასევე ჩვეულებრივი მტკნარი წყლის კიბო.

ხ. წიკლაური.

ლაგოდეხის თამბაქოს საცდელი სადგური, ა. მიქოიანის სახ. თამბაქოსა და წეკოს საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, დაარსდა 1928. ინ-ტში იკვლევდნენ ამიერკავკასიაში თამბაქოს აგროტექ. საკითხებს. 1936-იდან ეწოდა ლ. თ. ს. ს. და მისი მუშაობა საქართვ. ტერიტორიით შემოიფარგლა. სადგურში იკვლევდნენ თამბაქოს აგროტექნიკის, დაავადებებთან, მავნებლებსა და სარევლებთან ბრძოლის საკითხებს, მიმდინარეობდა სელექციური მუშაობა ახალი ჯიშების გამოსაყვანად. ლ. თ. ს. ს-ს ჰქონდა 2 ლაბორატორია: აგროტექ. და ქიმიზაციის, სელექცია-მეთესლეობის; მუშაობდა 2 ჯგუფი: მექანიზაციისა და მცენარეთა დაცვის. სადგურს ეკავა 204 ჰა.

ამჟამად არ ფუნქციონირებს.

ა. ზაქარიაძე.

ლაგოდეხის კულტურისა და დასვენების პარკი, იხ. სტ. *ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.*

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის რეგიონი). აღმ-ით ესაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკა, დას-ით ყვარლის მუნიციპალიტეტი, ჩრდ-ით რუსეთის ფედერაცია (დაღესტანი), სამხრ-ით გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. ფართ. 890,2 *კმ*^{2}, მოსახლ. 41,2 ათ. კაცი (2014). ადმ. ცენტრი – ქ. *ლაგოდეხი.* მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი (ლაგოდეხი), 67 დასახლებული სოფელი 14 თემი (არეშფერანი, აფენი, ბაისუბანი, გიორგეთი, ვარდისუბანი, კაბალი, კართუბანი, ლელიანი, მაწიმი, ნინიგორი, ფონა, შრომა, ცოდნისკარი, ჭიაური).

ისტორიული ცნობა. ძვ. წ. VI–III სს-იდან ახლანდ. ლ. მ-ის ტერიტორია ქართლის სამეფოს, ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში – ქართლის საერისმთავროს, VIII ს-ში – ჰერეთის სამთავროს, შემდეგ – ჰერეთის სამეფოს მაჭის საერისთავოს, კახეთ-ჰერეთის სამეფოსა და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო. XV ს-იდან შედიოდა კახეთისა და შემდეგ – ქართლ-კახეთის სამეფოში, ეკლესიურად ექვემდებარებოდა ნეკრესის საეპისკოპოსოს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ საქართვ. გუბერნიის, 1917-მდე კი თბილ. გუბერნიის სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1921-იდან, საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფით, სიღნაღის მაზრაში იყო, 1930-იდან დამოუკიდებელი რაიონია. 2006-იდან ეწოდა ლ. მ.

შაჰ-აბასის შემოსევებისა და ლეკიანობის შედეგად XVII–XVIII სს-ში ეს ტერიტორია ქართველებისგან დაიცალა. ი. ჭავჭავა-



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გერბი.



ძის, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზბისა და სათავადაზნაურო ბანკის აქტიური მოღვაწეობის შედეგად მოხდა იმერეთის, რაჭისა და კახეთის რ-ნებიდან ქართველთა მასობრივი ჩასახლება. 1857–59 ალექსანდრე II-მ პოლონეთის აჯანყების მონაწილეები ჩაასახლა, მოგვიანებით კი აქ რუსები და უკრაინელები დამკვიდრდნენ.

ბუნება. რელიეფურად ლ. მ-ის ტერიტორია იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ვაკისა და მთის. მთიანი ნაწილი გაშლილია კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. კახეთის კავკასიონი ლ. მ-ის საზღვარზე მთავრდება მთა ტინოვროსოსთან (3374 *მ.*) კახეთის კავკ. თხემი შედარებით ნაზკონტურებიანი რელიეფით გამოირჩევა. მაღალმთიანი ზონა აგებულია ლიასური ასპიდური ფიქლებით და ქვიშაქვებით, დაბალი მთისწინეთის ზონა – ზედაიურულ ვალანჟინური მერგელოვანი ფიქლებით. აქა-იქ შემორჩენილია მყინვარული ცირკები და კარები. თხემზე განლაგებულია მწვერვალები: ხოცალდაღი (3484 *მ*), ხიმრიკი (3109 *მ*), ნუსულოსა (2929 *მ*), უღელტეხილები: მსხალგორა (290 *მ*) და მაჩხალროსა (3066 *მ*) ალაზნის ვაკე დაფარულია ახალგაზრდა მეოთხეული ნალექებით – კენჭნარით, ქვიშებით და თიხებით.

ჰავა. ალაზნის ვაკეზე ზომიერად ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლიური ტემპ-რა 13 °C, მინ. –23 °C. წელიწადში 650 *მმ*-იდან 1080 *მმ*-მდე ნალექი მოდის, მაქს. მაისშია, მინ. – იანვარში. ახასიათებს გვალვა, სეტყვიანობა. მთიან ნაწილში ზომიერად ნოტიო ჰავაა, მაგრამ იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. იანვრის საშ. ტემპ-რა –3°-დან – 8 °C-ის ფარგლებშია, ხოლო აგვისტოში 10–19 °C. ნალექების რაოდენობაა 1200–1800 *მმ* წელიწადში.

შიდა წყლები. ლ. მ. მდიდარია შიდა წყლებით. მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდ. ალაზანი, რ-იც ჩამოედინება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების საზღვარზე და მისი შენაკადები. კაბალი (ალაზნის მარცხ. შენაკადი) იწყება კავკ. სამხრ. კალთაზე და ერთვის მდ. ალაზანს მარცხენა მხრიდან. კახეთის კავკასიონიდან ჩამოედინება მდ. მაწიმი (ალაზანს უერთდება აზერბაიჯანის ტერიტორიიდან.), რომლის ერთ-ერთი მთავარი შენაკადია ლაგოდეხისწყალი. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია ბაისუბანი, შრომისხევი, ნინოსხევი. ალპურ ზონაში არის ტბები: ბაშლეხელი, ხალახელი და სხვ. ბაშლეხელის (ზ. დ. 2713 *მ*, სიღრმე 12,8 *მ*). ქვაბული მყინვარული წარმოშობისაა, წყალი სუფთა და გამჭვირვალეა, საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. მისგან გამოედინება მდ. შრომისხევი (ალაზნის მარცხ. შენაკადი). ლ. მ. ცნობილია გოგირდოვანი მინერ. წყლებითაც.

ნიადაგები. ლ. მ-ის მაღალმთიან ნაწილში განვითარებულია მთა-მდელოს კორდიანი, ასევე საშ. და მცირე სისქის ტყის ყომრალი ნიადაგები. ალაზნის ვაკეზე ჩამოყალიბებულია მდელოს ალუვიურ-უკარბონატო ნიადაგი, გამოზიდვის კონუსებსა და შლეიფებზე კი – ალუვიურ-პროლუვიური ნიადაგები.

მცენარეული საფარი. კახეთის კავკასიონზე გავრცელებულია მუხნარ-რცხილნარი, უფრო მაღლა გვხდება წიფლნარი, ნეკერჩხალი, წაბლი, ცაცხვი, რცხილა. ალაზნის ვაკეზე შემორჩენილია ვაკის ლეშამბოიანი ტყეები, სადაც ხარობს ცაცხვი, იფანი, ნეკერჩხალი, მუხა, რცხილა, თელა, ვერხვი. მდ. ალაზნის გასწვრივ გავრცელებულია ჭალის ტყე.

ცხოველთა სამყარო. ცხოველებიდან გვხვდება შველი, ირემი, დათვი, არჩვი, მგელი, აღმ. კავკ. ჯიხვი და კავკასიური ირემი, აგრეთვე როჭო, შურთხი, მთის არწივი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა *ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.*

ლანდშაფტები. ლ. მ-ის ტერიტორიაზე გამოიყოფა ლანდშაფტების შემდეგი სახეები: 1. დაჭაობებული ვაკე მურყნარ-ლაფნარით ალუვიურ და მდელო-ტყის ნიადაგებზე; 2. ვაკე მდელო-ბუჩქნარით, ალუვიურ უკარბონატო ნიადაგებზე; 3. გამოზიდვის კონუსებიანი ტყიან-ბუჩქოვანი ვაკე ალუვიურ-პროლუვიური ნიადაგებით; 4. მთისწინეთი მუხნარ-რცხილნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე; 5. ციცაბოკალთიანი საშუალომთიანეთი წიფლნარით და წაბლნარით ტყის ყომრალ ნიადაგებზე; 5. სუბალპური მდელოები; 6. ალპური მდელოები.

მოსახლეობა. უმეტესობა ქართველია (71,49%), სხვა ეროვნების წარმომადგენლებიდან 23,04%-ს შეადგენენ აზერბაიჯანელები. დაახლ. 85% ცხოვრობს სოფლად. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 1 *კმ*^{2}-ზე 346,8 კაცი (2014).

მეურნეობა. წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მ. შ. მეთამბაქოეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა; მოჰყავთ მარცვლოვანი, ეთერზეთოვანი და ბაღჩეული კულტურები. მრეწველობიდან აღსანიშნავია თხილის საწარმო ,,აგრითრეიდი“ ლაგოდეხში, ლუდის საწარმო ,,კრისტალი“ სოფ. აფენში, ჰერეთის ღვინის მარანი სოფ. ბაისუბანში, სამშენებლო მასალებისა და ასფალტ-ბეტონის, ასევე სხვა პროფილის მცირე საწარმოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშ. მნიშვნელობის გზა ლაგოდეხი–ზაქათალის



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შენობა.

მიმართულებით, სადაც განთავსებულია ლაგოდეხის საბაჟო-გამშვები პუნქტი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ლ. მ-ში ფუნქციონირებს 28 საჯარო სკოლა, 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ევროპის სასწავლებლის ფილიალი ქ. ლაგოდეხში, საზოგადოებრივი კოლეჯის ,,აისის“ ფილიალი სოფ. შრომაში, სახელოვნებო სკოლები ლაგოდეხში, სოფ. აფენში, ლელიანსა და ვარდისუბანში.

მუნიციპალიტეტში არის სახ. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (მისი ფონდი შედგება ძველი ჰერეთისა და მიმდებარე ტერიტ. არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისაგან), თოჯინების სახ. თეატრი; ფუნქციონირებს ქორეოგრ. ანსამბლები: ,,ჰერეთი“, ,,ილიელი“, ,,ლაკვასტა“ და ფოლკლორული ანსამბლი ,,გრაალი“; ცენტრ. (ლაგოდეხი) და სასოფლო (ვარდისუბანი, გიორგეთი, კარტუბანი და ლელიანი) ბაკები. სპორტული კომპლექსებია ქ. ლაგოდეხში, სოფ. ჭაბუკიანსა და ცოდნისკარში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 2 სამკურნ. დაწესებულება (შპს ,,არქიმედეს კლინიკა“ და შპს ,,კელაპტარი“) და 14 ამბულატორია.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. აღსანიშნავია სოფ. ლელიანში მდებარე წმ. თევდორეს (XI–XII სს.), ფონის, არაშფერანისა და ხოშატიანის ეკლესიები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1[IV], თბ., 2021.

ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბუნების, ისტორიისა და ყოფის ამსახველი მუზეუმი ლაგოდეხში, დაარსდა 1975. მუზეუმის ფონდში ძირითადად დაცულია ისტ. ჰერეთისა და მიმდებარე ტერიტ-ზე არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა: ქვის, ბრინჯაოს, თიხისგან დამზადებული ნივთები – სამკაული, სამუშაო იარაღი, მონეტები; წარმოდგენილია აგრეთვე მხარის ეთნოგრ. ფოტომასალა, სულ 3668 ექსპონატი.

მუზეუმს აქვს 5 საგამოფენო დარბაზი, მათგან 2 ეთმობა არქეოლოგიას, 1 – ეთნოგრაფიას, 1 – ნუმიზმატიკას, მე-5 დარბაზში პერიოდულად ეწყობა ფოტო, ინდრეწვის ოსტატებისა და პროფესიონალ და მოყვარულ მხატვართა გამოფენები.

მუზეუმში დაცული არქეოლ. მასალა მოიცავს ძვ. წ. მე-4 ათასწლეულიდან გვიან ფეოდალურ ხანამდე პერიოდს. იგი წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით, ბრინჯაოს იარაღებითა და სამკაულებით. ეს არტეფაქტები მოპოვებულია როგორც არქეოლ. გათხრებით (მსხალგორის სამონასტრო კომპლექსი, ბაისუბნის სამეურნეო ნაგებობა და ჭიაურის ენეოლითის ხანის ნამოსახლარი), ისე შემთხვევითი მონაპოვრითა და შემოწირულობით. ერთი დარბაზი მთლიანად ეთმობა მსხალგორის არქეოლ. გათხრების შედეგად მოპოვებულ არტეფაქტებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1[,], თბ., 2021.

ლაგოდეხის სახალხო თეატრი, 1939 ლაგოდეხში დაარსდა მოყვარულთა თეატრი (ხელმძღვ. რ. ქართველიშვილი), რ-საც 1940–47 ეწოდებოდა საკოლმეურნეო თეატრი. 1947 თეატრმა მცირე ხნით სახელმწ. თეატრის სტატუსი მიიღო. 1951 შეიქმნა დრამ. წრე, რ-მაც 1957 თბილ. საკავშ. ფესტივალზე წარადგინა სპექტაკლი ,,ჩემი შვილი სიმონი“, რის შემდეგაც მიენიჭა სახ. თეატრის წოდება.

1939–84 დაიდგა ლ. სუმბათაშვილის ,,ტირიფების ქვეშ“, გ. ბეგაშვილის ,,სადგურის უფროსი“, პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“, ა. ყაზბეგის ,,ციცია“ (რეჟ. რ. ქართველიშვილი); ე. გივიშვილის ,,კარგი ამხანაგები“, ე. ვარსკის ,,გზააბნეული შვილი“ (რეჟ. ა. ალაზნისპირელი); *მ.* მრევლიშვილის ,,შავი წიგნი“ (რეჟ. ნ. დეისაძე); ა. ყაზბეგის ,,ელეონორა“, ა. სამსონიანის ,,ჩემი შვილი სიმონი“, ი. ჭავჭავაძის ,,სარჩობელაზედ“ (რეჟ. ვ. თანდაშვილი); ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული“ (რეჟ. ვ. კაბლელი) და სხვ. 1985–2022 ლ. ს. თ-ის რეჟისორი იყო გ. ჯიბლაძე. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია: გ. გორხელაშვილის ,,ალხანა და ჩალხანა“, ი. ჭავჭავაძის ,,კაცია ადამიანი?!“, გ. გოდერძიშვილის ,,რკინის კარს უკან“, დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი“, რ. ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“, ლ. თაბუკაშვილის ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ნ. დუმბაძის ,,კუკარაჩა“, ა. ცაგარლისა და ქ. ბახუტაშვილის ,,ძველი ვოდევილები“, გ. ვერულეიშვილის ,,ბაჩუნე“ და სხვ.



ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

2022-იდან თეატრის რეჟისორია რ. კერვალიშვილი.

1981 დრამ. თეატრის შენობა დაიწვა. ამჟამად იგი ფუნქციონირებს კინოთეატრ ,,სინემას“ შენობაში.

ლ. ს. თ-ის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი ,,მტვერით მოწამლულები“ (რეჟ. თ. ბართაია, 2018).

თ. კახიანი.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი, იხ. *ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.*

ლაგოდეხისწყალი, მდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მაწიმისწყლის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2995 *მ*-ზე. სიგრძე 31 *კმ*, აუზის ფართ. 98 კმ^2. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 2,5 *მ*^{3}/*წმ*. იყენებენ სარწყავად.

ლაგოეთის ციხე, იხ. *ლაკუასტის ციხე.*

ლაგორიო (Lagorio) ლევ ფელიქსის ძე [16 (28).VI. ან 17 (29). XI. 1827, ფეოდოსია, – 9 (22). XII. 1905, სანქტ-პეტერბურგი], რუსი მხატვარი და აკვარელისტი, წარმოშობით იტალიელი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1843–50). მისი პედაგოგები იყვნენ *მ.* ვორობიოვი და ბ. ვილევალდე. სწავლის დროს მიიღო აკადემიის ყველა არსებული ჯილდო, მ. შ. უმაღლესი – დიდი ოქროს მედალი (1850). 1851 ერთი წლით გაგზავნეს კავკასიაში, სადაც კვლავ არაერთხელ დაბრუნდა. 1852 გახდა რუსეთის ქვეშევრდომი. 1853–60 გაგზავნეს



ლ. ლაგორიო. ,,კავკასიონი. ხეობა‘‘, 1893. ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი.

საფრანგეთსა და იტალიაში. ლ-ს პეიზაჟებში (ძირითადად ზღვის ხედები და ბატალური სცენები) შერწყმულია რომანტ. და აკად. ფერწერის ტრადიციები. ძირითადი ნამუშევრები: ,,ანიბალის შადრევანი როკა-და-პაპაში რომის მახლობლად“ (1860); ,,ბაიაზიდის ციხის იერიშის მოგერიება 1877 წლის 8 ივნისს“ (1892) და სხვ. საქართველოში ყოფნისას ლ-მ შექმნა ნამუშევრები თემებზე: თბილისის ხედები, სურათი ,,ბათუმი“, ასევე საქართველოს მთიანეთის პეიზაჟები.

ლაგორიო (Lagorio) ფელიქს (1781–1857), ნეაპოლის სამეფოს კონსული ფეოდოსიაში. თავის ძმებთან ერთად განაგებდა 1811 დაარსებულ სამეგრელოს, ანუ ფასისის სავაჭრო კომპანიას. 1808 წ. 12 ივნისს ლ-მ ფეოდოსიიდან საქართველოში გაგზავნა სავაჭრო ექსპედიცია, რ-საც მისი ძმა ხელმძღვანელობდა. ექსპედიცია ანაკლიაში ჩავიდა, ხოლო შემდეგ რედუტ-კალეს (ნავსადგური დას. საქართველოში), ჭალადიდისა და მარნის გავლით ქუთაისამდე მიაღწია (თბილისში ჩასვლა ვერ მოახერხეს).

ლ-მ გამოაქვეყნა ექსპედიციის დღიურების ფრაგმენტები (თავად იყო თუ არა საქართველოში, დანამდვილებით არ არის ცნობილი), რ-ებიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სამეგრელოსა და იმერეთის ეკონ., სოც. და კულტ. ისტორიისათვის. მოცემულია მასალა საზ. ურთიერთობის დასახასიათებლად სამეგრელოსა და იმერეთში, არის ცნობები სოლომონ II-ისა და სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე დადიანის შესახებ, ხაზგასმულია ფოთის ხელსაყრელი მდებარეობა.



ლ. ლაგორიო. ,,ბათუმი‘‘. 1881. სახვითი ხელოვნების საოლქო მუზეუმი. ორენბურგი.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу, 1800–1830, Тб., 1946.

ე. მამისთვალიშვილი.

ლაგურკა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია. თარიღდება X–XI საუკუნეებით. მდებარეობს მესტიის მუნიციპ-ში, კალის თემის სოფ. ხის მიდამოებში, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, მაღალ მთაზე. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ნაგებია მოყვითალო ფერის შირიმის ქვით. სამხრ-იდან და ჩრდ-იდან, მთელ სიგრძეზე, აქვს მინაშენები. დას. მხრიდან ეკვრის ორსართულიანი სამრეკლო. ინტერიერში საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი დარბაზის ძირითადი სივრცისგან გამოყოფილია ქვის კანკელით. ცილინდრული კამარა ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი თაღით. სარკმლები გაჭრილია აფსიდსა და დას. კედელში. ინტერიერი მოხატულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ (1112) კალის ხევის ფეოდალთა დაკვეთით (აღნიშნულია დას. კედლის წარწერის შემორჩენილ ფრაგმენტში). მოხატულობის ლაკონიურ სქემაში გამოსახულებათა შერჩევა გარკვეულად ასახავს ადგილ. ტრადიციებს: აქცენტირებულია კვირიკესა და ივლიტას ფიგურები დას. კედელსა და კანკელზე, ხოლო მათი ცხოვრების სცენები (კვირიკეს სიკვდილი, ივლიტას თავის კვეთა) გამოსახულია სამხრ. კედლის თაღებში. მხატვრობა მონუმ. ხასიათისაა. მისი განაწილება კედლებზე მკაცრად შეესატყვისება ინტერიერის არქიტ. დანაწევრებას. გამოსახულებათა ექსპრესიით და ემოციური გამომხატველობით, სცენათა თემატიკური შინაარსის ინტერპრეტაციით ლ-ის მხატვრობა უნიკალურია არა მარტო ამ პერიოდის ქართ., არამედ საერთოდ შუა საუკუნეთა მონუმ. მხატვრობაში. იგი ერთ-ერთი ადრინდ. ნიმუშია იმ მიმართულებისა, რ-მაც თავი იჩინა ხელოვნებაში XII ს. I ნახ-იდან. მიწისძვრის დროს დაზიანებული ფრესკები, როგორც წარწერიდან ჩანს, მოგვიანებით ნაწილობრივ განუახლებია გამოუცდელ ხელოსანს (ძირითადად საკურთხეველ-



ლაგურკა. X–XI სს.



ლაგურკა. კვირიკე და ივლიტა. ჭედური ხატი.



ლადოგური სიგი.



ლავანდი. Lavandula officinalis..



ლავანდი. Lavandula spica.

ში). ლ-ში თავმოყრილია ადგილ. და სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი შუა საუკუნეების ხელოვნ. ნიმუშები (ჯვრები, ჭედური და ფერწერული ხატები, მინანქრები და სხვ.).

ლიტ.: ყენია მ., ზემო სვანეთი, შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა. – ალბომი, თბ., 2010; Аладашвили Н. А., Алибегашвили Г. В., Вольская А. И., Росписи художника Тевдоре в Верхней Сванети, Тб., 1966; Амиранашвили Ш. Я., История грузинской монументальной живописи, т. 1, Тб., 1957.

თ. გერსამია.

ლადა-ზაბლოცკი (Lada-Zablocki) ტადეუშ (27. VIII. 1811, სოფ. ლუგინიჩი, ვიტებსკის გუბერნია, – VIII. 1847, სოფ. კულპი, ერევნის გუბერნია, ახლანდ. ნახიჩევანი, აზერბ. რესპ.), პოლონელი პოეტი. პოლონელ პოეტთა „კავკასიის ჯგუფის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი. თბილისში ჩამოვიდა 1837. წერდა პატრიოტულ ლექსებს. მეგობრობდა ნ. ბარათაშვილთან, *მ.* თუმანიშვილთან და სხვ. თარგმნიდა ქართულიდან. 1838 დაწერა ლექსი „ალაზნის ველი“, რ-ის მინაწერში მიმოიხილავს საქართვ. ისტორიას, განსაკუთრებით თამარ მეფის ხანას და „ვეფხისტყაოსანს“. ლექსი ქართულად თარგმნა მ. თუმანიშვილმა და შეიტანა თავის „რჩეულ ლექსებში“ (1882). ლ-ზ-ის ნაშრომს „მოკლე მიმოხილვა საქართველოს ლიტერატურისა“ ჩვენამდე არ მოუღწევია.

ზ. რავიჩი.

ლადევალი, ლედვალი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების – ნაკრისა და დოლრის წყალგამყოფ ცალგმილის ქედზე. სიმაღლე 3488 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. მისასვლელი გზა შედის მდ. ნაკრის ხეობიდან.

ლადოგური სიგი (Coregonus lavaretus Linnaeus, 1758), თევზი ორაგულისებრთა ოჯახისა. მაქსიმალური სიგრძე – 60 *მ.* მასა – 3 *კგ.* მტკნარი წყლის თევზია, შედის მდინარეებში, ბინადრობს ტბებში. ირჩევს ქვიშიან, ჟანგბადით მდიდარ წყალს. სქესობრივად მწიფდება 3–4 წლის ასაკში. ტოფობს ნოემბერ-დეკემბერში, ნაყოფიერება 1000–54000 ქვირითია. მოზარდი იკვებება პლანქტონური კიბოსნაირებით, მოზრდილი ფორმები – პლანქტონით და ბენთოსური ორგანიზმებით, ძირითადად გვერდულებით, მოლუსკებით, ჭიებით, წურბელებით, ნიჩაბფეხიანი კიბოებით, ბაყაყებით, ლიფსიტებით, ქვირითითა და მცენარეებით. ლ. ს. ლადოგის ტბის ენდემია. გავრცელებულია ევროპაში, სადაც ხელოვნურად ამრავლებენ. ინტროდუცირებულია ირანში. საქართველოში ტაბაწყურის ტბაში აკლიმატიზებულია (1930) ვოლხოვის (რუსეთი, პეტერბურგის რეგიონი) თევზსაშენიდან. მნიშვნელოვანი სარეწაო თევზია. შეტანილია ბერნის კონვენციის მესამე დანართში, ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით მოწყვლადი თევზია (VU)(D2).

ნ. ნინუა.

ლადრერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ეცერის თემი), სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – ცალგმილის ქედზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ,* მესტიიდან 27 *კმ.* 37 მცხ. (2014).

ლავანდი (Lavandula), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. ბალახები, ბუჩქბალახები და ბუჩქებია. გვარში შემავალი 25-ზე მეტი სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, ასევე კანარის კუნძულებზე, ჩრდ. და აღმ. აფრიკაში, ავსტრალიაში, ევროპის სამხრეთსა და ინდოეთში. ლ-ის მრავალი სახეობიდან (L. latifolia, L. vera და სხვ.) ძველთაგანვე ხდიდნენ ძვირფას ეთეროვან ზეთებს. ლ-ის ზეთს უმთავრესად L. spica-საგან იღებენ და პარფიუმერიაში იყენებენ. მედიცინაში კი L. officinalis გამოიყენება.

ლ. კულტივირებულია არაერთ ქვეყანაში. მისი გამხმარი ყვავილები და ფოთლები დიდხანს ინარჩუნებს სურნელს, ზოგი სახეობა დეკორატიული და თაფლოვანია.

საქართველოში, კერძოდ კახეთში, ლ. მოშენებული იყო როგორც ეთერზეთოვანი კულტურა. დღეისათვის სოფ. ნუკრიანში გაშენებულია ლ-ის პლანტაცია. სკვერებსა და პარკებში იყენებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს.

ლავგარდანი, კარნიზი, ჰორიზონტალური შვერილი კედელზე, რ-საც უჭირავს შენობის სახურავი (გადახურვა) და იცავს კედელს ჩამომდინარე წყლისაგან. აქვს დეკორ. დანიშნულებაც. ლ. შეიძლება იყოს ზედა (დამაგვირგვინებელი, მაგ., ანტაბლემენტში) და შუალედური.

ლავრა (ბერძნ. Λαύρα, laura – დიდი მონასტერი), მონასტრის ტიპი აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციაში. წარმოიშვა IV ს-ში პალესტინაში. მასში შეთავსებულია კინობიტური (საერთო საცხოვრისის მონასტერი) ანაქორეტული (განდეგილური) მონაზვნობის ელემენტები. კომპლექსი აერთიანებდა ცენტრ. ტაძარს, სატრაპეზოს, კელიებს და სამეურნეო (საცხობი, საწყობი და სხვ.) ნაგებობებს. დღეისათვის ლ. მამათა დიდი მართლმადიდებელი მონასტერია. შემდგომ მონასტრის ეს ტიპი გავრცელდა სირიაში, ეგვიპტეში, არაბეთის უდაბნოში. ლ-ში ბერები ცალ-ცალკე, მკაცრი ასკეტიზმის პირობებში ცხოვრობდნენ და მხოლოდ შაბათ-კვირასა და დღესასწაულებზე ესწრებოდნენ საერთო ლიტურგიასა და ტრაპეზს. ლ-ს ადგილობრივი ეპისკოპოსის მიერ დამტკიცებული იღუმენი ან არქიმანდრიტი ედგა სათავეში.



გ. დ. ლავრელაშვილი.

ყველაზე ცნობილი ლ-ებია: წმ. ხარიტონის (328–355), საბა განწმედილის (VI ს.), წმ. გერასიმეს (V ს.), წმ. ექვთიმე დიდის (V ს.) და სხვ. მოგვიანებით საერთო საცხოვრებელ მონასტერსა და ლ-ს შორის სხვაობა წაიშალა და ლ. დიდი მონასტრის სახელწოდებად იქცა (მაგ., ათონის დიდი ლავრა). რომაულ-კათოლ. ეკლესიისათვის ლ., როგორც მონაზვნური ორგანიზაციის ტიპი, დამახასიათებელი არ არის.

საქართველოში ლ., როგორც განსაკუთრებული დიდი მონასტერი, X–XI სს-იდან ჩნდება. ლ-ად იწოდებოდა ნახევრად განდეგილური წესდების მქონე მღვიმური ტიპის მცირე მონასტრები და, ასევე, დიდი საერთო საცხოვრებელი სავანეებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დავითის ლ. (იხ. *დავითგარეჯა*). ადრეული სავანეები პალესტინური წეს-განგების მიხედვით ფუნქციონირებდნენ. შატბერდის მონასტერი XI ს-იდან ლ-დ იწოდებოდა, რ-იც საბაწმინდური წეს-განგებით იმართებოდა. პერიოდულად ლ-ს უწოდებდნენ შიომღვიმის, ვეჯინისა და სხვ. მონასტრებსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალი ქართველი სას. პირი მოღვაწეობდა პალესტინის, ეგვიპტის, ათონისა და სხვ. ლ-ებში. ეს ეკლესიები არ შედიოდა საქართვ. ეკლესიის იურისდიქციაში, მაგრამ აქ მოღვაწე ქართველთა საეკლ.-სამწერლობო მოღვაწეობა ჩვენი კულტურისთვის ფასდაუდებელია.

ზ. ეკალაძე.

ლავრელაშვილი გაბრიელ დავითის ძე (1. I. 1912, – 21. VII. 1996), ანიმაციური კინოს რეჟისორი. სახელოვნ. დამს. მოღვაწე (1981). დაამთავრა გეოლოგიურ-საძიებო ტექნიკუმი (1934). 1937-იდან – მხატვარ-ანიმატორად. როგორც დამდგმელმა რეჟისორმა გადაიღო ანიმაციური ფილმები: ,,მონადირენი'' (1968), ,,კაცი და ლომი'' (1969), ,,კიბე'' (1970), ,,ლურჯი მელია'' (1971), ,,შაქრო და ზაქრო'' (1973), ,,ზღვაოსნური'' (1974), ,,მგელცხვრიანი'' (1977), ,,მეზობლები'' (1977), ,,ბულბულის იუბილე'' (1978), ,,ყურშა გაყოყოჩდა'' (1984).



გ. დ. ლავრელაშვილი. ,,ბულბულის იუბილე''. 1978.

მ. კერესელიძე.

ლავრელაშვილი გიორგი ვასილის ძე (დ. 8. IV. 1957, თბილისი), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. 1979 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი, 1980-იდან მუშაობს ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტის (2011-იდან თსუ-ის ა.რაზმაძის მათემატიკის ინ-სტიტუტი) თეორ. ფიზ. განყ-ბაში სხვადასხვა თანამდებობაზე. იმავდროულად მუშაობდა ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (1983–87; JINR, დუბნა, რფ), მაქს პლანკის ფიზ. ინ-ტში (1991–94; მიუნხენი, გერმანია), ციურიხის (1994–96), ბერნისა (1996–98) და ჟენევის (2005–06; შვეიცარია) უნ-ტებში; 2009–10 და 2014–15 მიწვეული მეცნიერის სტატუსით მოღვაწეობდა მაქს პლანკის გრავიტაციული ფიზ. ინ-ტში (პოტსდამი, გერმანია). ზოგადი ფარდობითობისა და გრავიტაციის საერთაშ. საზ-ბის წევრი.

ლ-ის სამეცნ. ინტერესები მოიცავს კლასიკური და კვანტური *გრავიტაციისა* და *კოსმოლოგიის* საკითხებს. დამატებითი განზომილებების თეორიას. 1985 აღმოაჩინა (თანაავტორებთან ერთად) ე. წ. უარყოფითი მოდის პრობლემა გრავიტაციით კვანტურ ტუნელირებაში, რ-იც არსებითია ადრეულ სამყაროში I გვარის ფაზური გადასვლების აღსაწერად. 1987–88 შეისწავლა ნაწილაკების დაბადების პროცესები სივრცე-დროის ტოპოლოგიის ცვლილებისას, რითაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას კვანტურ გრავიტაციაში – ე. წ. ევკლიდური ვორმჰოლების ფიზიკას; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არააბელური შავი ხვრელების ფიზიკის განვითარებაში. თეორიულად დაადგინა ახალი ტიპის არააბელური შავი ხვრელების არსებობის შესაძლებლობა.

თხზ.: Disruption of Quantum Coherence upon a Change in Spatial Topology in Quantum Gravity JETP Lett. 1987 (თანაავტ.: V. A. Rubakov, P. G. Tinyakov); Regular and Black Hole Solutions of Einstein-Yang-Mills Dilaton Theory Nucl. Phys. B 1993 (თანაავტ. D. Maison); Negative Mode Problem in False Vacuum Decay with Gravity, Nucl. Phys. B Proc. Suppl. 2000; Faraday Rotation of the Cosmic Microwave Background Polarization by a Stochastic Magnetic Field Phys. Rev. D 2005 (თანაავტ.); Aspects of the Negative Mode Problem in Quantum Tunneling with Gravity Phys. Rev. D 2019, 100 №12 (თანაავტ.: S. F. Bramberger, M. Chitishvili).

ი. ლომიძე.

ლავრენტი (გაბაშვილი) (გ. 20. V. 1720), საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი. 1687 ხელმძღვანელობდა საქართველოს ელჩობას რუსეთში. დიდი წვლილი მიუძღვის *დონის მონასტრის* აღმშენებლობაში. 1705 ამავე მონასტერში არქიმანდრიტად (წინამძღვრად) დაინიშნა. მისი ძალისხმევით დონის მონასტერი იქცა მოსკოვის ქართველების სულიერ ცენტრად. ლ-მ მონასტერში საფუძველი ჩაუყარა ქართველ მოღვაწეთა პანთეონს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსკოვში მცხოვრებ ქართველი ახალგაზრდობის აღზრდასა და განათლების საქმეს. დაკრძალულია დონის მონასტრის უფლის მირქმის ეკლესიაში.

ლიტ.: სიხარულიძე ფრ., მოსკოვში ქართველ მოღვაწეთა პანთეონის ისტორიისათვის, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1981, №12; ტატიშვილი ვ., ქართველები მოსკოვში, გამოც., მე-2, თბ., 1959; ყუბანეიშვილი ს., რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ში, ,,ლიტერატურული ძიებანი,'' 1956, ტ. 10.

თ. მარგველაშვილი.

ლავრენტი (ერისკაცობაში ლავრენტი მეტრეველი) (1861, უწერა, – 1937), სასულიერო მოღვაწე, არქიმანდრიტი.

დაამთავრა თბილ. სას. სემინარია (1884). მსახურობდა სხვადასხვა ეპარქიაში. სხვა ქართვ. სას. მოღვაწეებთან ერთად აქტიურად იღვწოდა ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1917. 1918-მდე იყო მონასტრის დეკანოზი. 1918 მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი და გაამწესეს ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად. ლ. ეწეოდა ნაყოფიერ საგანმან. მოღვაწეობას – იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის აქტიური წევრი და მზრუნველობას არ აკლებდა სამრევლო სკოლებს. 1928 კომუნისტებმა დახურეს ნიკორწმინდისა და ჭელიშის მონასტრები. ლ., დიდი წინააღმდეგობისა და რისკის მიუხედავად, არ ტოვებდა მონასტერს და ზრუნავდა მასზე, ამუშავებდა სამონასტრო ყანებს და იქ მოწეული მოსავლით მუდმივად ეხმარებოდა ხელმოკლე ოჯახებს; საბჭოთა რეჟიმისგან ფარულად აგრძელებდა წირვა-ლოც-

ვას და ქადაგებას, მკურნალობდა დავრდომილებს, ამასთანავე თანაუგრძნობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობას. ყოველივე ეს ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა – 1937 იგი ,,ხალხის მტრად'' გამოაცხადეს და დააპატიმრეს, იმავე წლის დამლევს კი დახვრიტეს.

ლ. ურუშაძე.

ლავრენტიევ-ბიწაძის განტოლება, მეორე რიგის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების კლასი (შერეული ტიპის განტოლებები), რომლებიც ცვლადთა ცვლილების ერთ არეში ჰიპერბოლურია, ხოლო მეორეში – ელიფსური. ცვლადთა ამ არეების საზღვარზე (2 დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში – წირზე, 3 ცვლადისთვის – ზედაპირზე, N ცვლადისთვის – $N-1$-განზომილებიან ჰიპერზედაპირზე) განტოლება პარაბოლურია ან განუსაზღვრელი ტიპის. ამ საზღვარს უწოდებენ განტოლების ტიპის გამოცვლის ან გადაგვარების წირს (შესაბამისად, ზედაპირს ან ჰიპერზედაპირს).

მიუხედავად შემეცნებითი ღირებულებისა და გამოყენებათა ფართო სპექტრისა, შერეული ტიპის კერძოწარმოებულიანი განტოლებები შესწავლის შედარებით ახ. ობიექტია. ორი ცვლადის შემთხვევა ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის თვალსაზრისით შეისწავლეს იტალ. მეცნიერებმა ფ. ტრიკომიმ (1897–1978) და მ. ჩიბრარიომ (1905–92). პრობლემის ფართო კვლევა დაიწყეს 1950 მ. ლავრენტიევმა (1900–80, სსრკ) და ა. *ბიწაძემ.* საკითხის მრავალმხრივი შესწავლა დღესაც გრძელდება.

ლიტ.: Бицадзе А. В., Некоторые классы уравнений в частных производных, М., 1981; Лаврентьев М. А., Бицадзе А. В., К проблеме уравнений смешанного типа. Доклады АН СССР, 1950, т. 70.

ზ. გორგაძე.

ლავრის მონასტერი, იხ. *დავით-გარეჯა.*

ლავრისხევი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის კასპის მუნიციპალიტეტში (წინარეხის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ლავრულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ,* კასპიდან 20 *კმ,* კავთისხევიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ.* 18 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ-ით, 1–1,5 *კმ*-ზე, ტყიან ხეობაში მდებარეობს ,,თავისუფალი ჯვრის'' ტიპის გუმბათოვანი ლავრის ეკლესია (X ს. I ნახ.), რ-იც ნაგებია საშ. ზომის ნატეხი ქვიშაქვით. აქვს ორი შესასვლელი – ჩრდ-იდან და დასავლიდან. ჯვრის აღმ. მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით. დანარჩენი მკლავები მართკუთხაა. მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია რვაწახნაგა გუმბათი. გუმბათქვეშა მართკუთხედიდან გუმბათის ყელის რვაწახნაგოვან საფუძველზე გადასვლა ხორციელდება ოთხი ტრომპისმაგვარი კონსტრუქციის მეშვეობით. ყოველ წახნაგსა და ოთხივე მკლავში თითო სარკმელია. XIX ს-ში ეკლესია შიგნიდან და გარედან შელესეს და მოხატეს (შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები), დააგეს ხის იატაკი, დადგეს კანკელი და გადახურეს თუნუქით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ლავროვსკი მიხეილ ლეონიდის ძე (დ. 29. XI. 1942, თბილისი), ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი, ლიბრეტისტი, პედაგოგი. რსფსრ (1973) და სსრკ სახ. არტისტი (1976), ლენინური პრემიის



მ. ლავროვსკი – ბაზილი. ნ. ტიმოფეევა – კიტრი. ქორეოგრაფი – ა. გორსკი. ლ. მინკუსის ბალეტი ,,დონ კიხოტი''. 1956. დიდი თეატრი. 1967.

(1970) და სსრკ სახელმწ. პრემიების (1977) ლაურეატი; ბალეტმაისტერ ლ. ლავროვსკისა (ივანოვ-ლავროვსკი) და ე. ჩიკვაიძის შვილი და მოწაფე.

1960 დაამთავრა მოსკ. ქორეოგრ. სასწავლებელი, 1978 – რუს. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის საბალეტმაისტერო ფაკ-ტი. 1961–87 იყო მოსკ. დიდი თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი, 1961 დებიუტი შედგა ა. ბალანჩივაძის ბალეტ ,,ცხოვრების ფურცლებში'' (გიორგის ვაჟი). იგი მონაწილეობდა სხვადასხვა დადგმებში: ბ. ასტაფიევის ,,პარიზის ალი'' (ფილიპი), პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა'' (ზიგფრიდი), ა. ადანის ,,ჟიზელი'' (ალბერტი), ა. ხაჩატურიანის ,,სპარტაკი'' (სპარტაკი) და სხვ. 1983–85 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვ. და მთ. ბალეტმაისტერი. მოღვაწეობდა სხვადასხვა ქვეყნის თეატრებსა და საბალეტო სკოლებში.

თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგა და მთ. პარტია შეასრულა ბალეტში ,,პორგი და ბესი'' (1984, ჯ. გერშვინი, საბალეტო ვერსია მ. ოძელის) და ,,რომეო და ჯულიეტა'' (1982, ს. პროკოფიევი). ასევე დადგა და მთ. პარტია შეასრულა სატელევიზიო ფილმ-ბალეტ ,,მწირში'' (1976; სსრკ ცენტრ. ტელევიზიის პრემია და ნიუ-იორკის კინობალეტის VII საერთაშ. კინოფესტივალის გრან-პრი, ორივე 1978; ჩიკაგოს საბალეტო ფილმების საერთაშ. ფესტივალის ,,დიდი ვერცხლის მედალი'', 1979), ,,პრომეთეოსსა'' (1984; ა. სკრიაბინის ,,ცეცხლის პოემის'' მიხედვით; კიევის საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი) და ,,ალიბაბა და 40 ყაჩაღში'' (1990; საერთაშ. კინოფესტივალ GOLDEN FLEECE – 90-ისა და POST MONTEREUX – 92-ის პრიზები; სამივეს რეჟ. ზ. კაკაბაძე) და სხვ. მიღებული აქვს მრავალი საერთაშ. პრემია და ჯილდო.



მ. ლავროვსკი.

თხზ.: Лавровский М., От первого лица, М., 2006.

ლიტ.: გუნია ნ., მიხეილ ლავროვსკი საქართველოში, „თეატრი და ცხოვრება", 1997, №2–3; მ. ლავროვსკი, „მუსიკა", 2002;

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

ლაზარე, (ებრ. ,,ღმერთმა მიშველა''), ახალი აღთქმის პერსონაჟი, იესო ქრისტეს საყვარელი მეგობარი. ცხოვრობდა ბეთანიაში. ოთხი დღის წინ გარდაცვლილი და დაფლული ლ. იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა, რითაც კიდევ ერთხელ ეუწყათ ადამიანებს, რომ იესო მაცხოვარია. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ლ-მ ოცდაათი წელი იცხოვრა და კვიპროსის ეპისკოპოსი გახდა. მისი უხრწნელი ნაწილები კიტეაში (ახლანდ. ქ. ლარნაკა), მარმარილოს ლუსკუმაში ჩაბრძანებული აღმოაჩინეს წარწერით: „ლაზარე, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარე, მეგობარი ქრისტესი". ბიზანტიის იმპერატო-

რის, ლეონ VI-ის ბრძანებით, სიწმინდე კონსტანტინოპოლში გადაასვენეს და მართალი ლაზარეს ტაძარში დაკრძალეს.

ქართველ ხალხს ლ-ს მკვდრეთით აღდგინება ძველთაგანვე ქართული ენისა და სრულიად საქართველოს აღორძინების სიმბოლოდ მიაჩნია. იოანე ზოსიმეს მიხედვით „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქუან“.

მართლმადიდებელი ეკლესია, მართალი ლ. ხსენების დღეს ორჯერ – დიდი მარხვის მეექვსე კვირის შაბათს (ლაზარეს შაბათი. მკვდრეთით აღდგინება ლაზარესი) და 17(30) ოქტ. (სიწმინდეების გადაცემის პატივსაცემად) აღნიშნავს.

თ. მარგველაშვილი.

„ლაზარე“, საწესო რელიგიური ხასიათის სიმღერა. გვალვა-დელგმის საწინააღმდეგო ხალხური წეს-ჩვეულება. სრულდებოდა ლაზარობას. გაზაფხულზე, წმირი წვიმების ან გვალვის დროს ქალები აკეთებდნენ თიხის თოჯინას – „ლაზარეს“, რ-საც ხელში ელიასთვის გადასაცემ ბარათს „დააჭერინებდნენ (ხალხური წარმოდგენით, სეტყვისა და წვიმის წინამძღოლობა, აგრეთვე ცა- ღრუბელთ გამგებლობა ელიას ებარა). ისინი „ლაზარეს“ კარდაკარ ჩამოატარებდნენ და თან მღეროდნენ: „აჰ, ლაზარე, ლაზარე, ცას ღრუბელი აჰყარე! აღარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო მოგვე მზის თვალი!“ ან პირიქით – „აღარ გვინდა მზის თვალი, ღმერთო მოგვე ცის ნამი“. მსვლელობის ბოლოს კი „ლაზარეს“ მდინარეში აგდებდნენ.



ლაზარეს აღდგინება. XVI ს. გელათი.

ლიტ.: ბარამიძე ბ., ქართული ხალხური და კლასიკური ქორეოგრაფია, თბ., 2015; ბარდაველიძე ვ., გონჯაობა, ლაზარობა. ძველი ქართული წეს-ჩვეულება, თბ., 2013; თათარაძე ა., ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1998 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 11).

ლაზარევი ივანე პეტრეს ძე (1763 – 18. IV. 1803, თბილისი), რუსი სამხედრო მოხელე კავკასიაში, გენერალ-მაიორი (1798), მეთაურობდა ლეგიონს, რ-იც 1799 ნოემბერში საქართველოში შემოვიდა რუსეთთან გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ლ., ფაქტობრივად, 1800 დეკემბრის მიწურულიდან 1801 იანვ. ბოლომდე განაგებდა ადგილ. ხელისუფლებას. 1801–02 სათავეში ედგა დროებით მმართველობას. გიორგი XII-მ სიკვდილის წინ ლ-ს სას. პირების მეშვეობით მოთხოვნა გაუგზავნა, რ-იც 1783 ტრაქტატის თანახმად, ითვალისწინებდა მისი გარდაცვალების შემდეგ უფლისწულ დავითის დაუყოვნებლივ გამეფებას, მაგრამ ლ-ს ამ დროს უკვე მიღებული ჰქონდა იმპ. პავლე I-ის ბრძანება სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის აკრძალვის თაობაზე, ამიტომ მან არაფრად ჩააგდო მეფის მოთხოვნა.

რუს. მმართველობის შემოღების შემდეგ ლ-ს რუს. ჯარის უფროსობა დაევალა. ერთი ვერსიით იგი მოკლა გიორგი XII-ის ქვრივმა მარიამ დედოფალმა მისი რუსეთში ძალით გადასახლების მცდელობისათვის. ზოგიერთი მოსაზრებით დედოფალისადმი უპატიებელი მოპყრობის გამო გენერალი მოკლა მარიამის მხლებელმა (მცველი) ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა.

წყარო: ბაგრატიონი თ., ახალი ისტორია, თბ., 1983; იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბ., 1978.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ლ. მანიავა.

ლაზარიანი ჰოვანეს (1735–1801), სახელმწიფო მოღვაწე. ლაზარევების (ლაზარიანთა) აზნაურული ოჯახის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაახლოებული იყო რუს. სამეფო კართან. იგი სათავეში ედგა სომხ. განმათ. მოძრაობის ცენტრს და სხვა სომხ. ორგანიზაციების მსგავსად ეროვნ. სახელმწიფოს აღდგენას ქართველ-სომეხთა კავშირის იდეასთან ერთად განიხილავდა. ამ მიზნით მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თავდაპირველად თეიმურაზ II-სთან, შემდეგ კი – ერეკლე II-სთან.

ლაზარობა, სასურველი ამინდის სავედრებელი წეს-ჩვეულება, რ-იც სხვადასხვა სახით გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ძლიერი გვალვის ან წვიმების დროს ქალები თიხისაგან ამზადებდნენ თოჯინას, დაატარებდნენ სოფელ-სოფელ და მღეროდნენ ლაზარეს საგალობელს. დამხვდურები ჩამომვლელებს წყალს შეასხამდნენ ან ნაცარს შეაყრიდნენ, იმის მიხედვით, თუ როგორი ამინდის გამოთხოვა უნდოდათ. ჩამოვლისას ისინი აგროვებდნენ სანოვაგეს (პური, ფქვილი, კაკალი, ზოგჯერ – ფული), შემდეგ თოჯინას წყალში გადააგდებდნენ და საერთო „საღმრთო“ სუფრას გამართავდნენ. კახეთში, ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში თოჯინას „გონჯას“ ხან კი „გვალვის პატარძალს“ ეძახდნენ, თუშეთში – „საწვიმარა გუგას“, მესხეთ-ჯავახეთში – „კოტიკოტას“, სამეგრელოში – „ძიძიკვაკვას“, „ძივოუს“, ზოგან თოჯინის მაგივრად გამურულ ბიჭს ან ქალწულს ჩამოატარებდნენ. ლაზარეს საგალობლის ტექსტებში ღვთაება მხოლოდ მამრობითია, თუმცა თოჯინა, ისევე როგორც მისი როლის შემსრულებელი, ქალიც იყო და მამაკაციც. ღვთაების ბუნება სინკრეტულია. ლაზარე, გარდა ამინდისა, არის ნაყოფიერების განმგებელიც. საგალობელთა ტექსტებში ლაზარესთან ერთად მოიხსენიება ელია და ბარბარე.

ამინდის გამოთხოვის რიტუალი ძვ. მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში გვხვდება. ამავე დროს, ლ-ში შემორჩენილია ძვ. აგრ. ღვთაების კულტმსახურების ელემენტები, რ-თა ანალოგიური ფაქტები მრავლადაა დამოწმებული ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების ძვ. კულტურებში. სახელწ. „ლაზარე“ ქრისტიანულია და მოგვიანებით დამკვიდრდა ქართ. ზეპირსიტყვიერებაში. ცნობილია ივ. ჯავახიშვილის, ქ. სიხარულიძის, ჯ. ნოღაიდელისა და სხვათა მიერ ჩაწერილი პოეტური ტექსტები, რებიც ლ-ის დროს სრულდებოდა: „ლაზარე – წვიმის მომყვანი“, „ლაზარე – დარის მომცემი“, „ლაზარე“ და სხვ.

ლიტ.: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; ბარდაველიძე ვ., გონჯაობა, ლაზარობა. ძველი ქართული წეს-ჩვეულება, თბ., 2013; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1960–65; Бардавелидзе В. В.,

Древнейшие-религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

ი. სურგულაძე.

ლაზარ ფარპეცი, ფარპელი (440/443 შორის – V ს. დასასრ.), სომეხი ისტორიკოსი. დაიბადა სოფ. ფარპში (აქედან მომდინარეობს მისი სახელიც). ყრმობის წლები ქვემო ქართლის პიტიახშ არშუშას კარზე გაატარა. განათლება ბიზანტიაში მიიღო. სამშობლოში დაბრუნებული ლ. ფ. ვალარშაპატის მონასტრის წინამძღვრად გაამწესეს, მაგრამ მისი სას. მოღვაწეობა მარცხით დასრულდა, ამიტომ მან საისტ. მწერლობას მიჰყო ხელი. ლ. ფ-მა ვაჰან მამიკონიანის (სომეხთა მარზპანი) დაკვეთით დაწერა ,,სომხეთის ისტორია“, რ-იც ფაქტობრივად აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის თხზულებათა გაგრძელებაა და გადმოგვცემს 387–485 სომხეთის ისტორიას. შრომა სამი ნაწილისაგან შედგება:

I ნაწ. ეხება სომხეთის ისტორიას 387-იდან (სომხეთის დაყოფიდან) 440-მდე, მაშტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნას, სომხეთში მეფობის გაუქმებას. საყურადღებო ცნობები აქვს საქართვ. ისტორიის საკითხებზე. კერძოდ, ირანმა IV ს. 70-იანი წლების დასასრულიდან გააუქმა ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა და მას ხარკიც დაადო, თუმცა შესაძლებელია, რომაელებს შერჩენოდათ ქართლის რომელიმე მცირე ნაწილი.

II ნაწილში გადმოცემულია სპარსეთის წინააღმდეგ სომხეთის აჯანყების (450–451) ისტორია. ქართლს ამ ამბოხში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა აჯანყებამ უთუოდ მოახდინა გავლენა ირანის პოლიტიკაზე ქართლის მიმართ.

III ნაწ. მოგვითხრობს სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის აჯანყებაზე ირანის წინააღმდეგ 482–484. დახასიათებულია მეფე ვახტანგ I გორგასალი, დეტალურადაა აღწერილი მისი მზადება აჯანყებისათვის, დაპირების მიუხედავად, ბიზანტიელებისა და ჰუნების უარი დახმარებაზე, აჯანყების დამარცხება, ვახტანგ მეფის იძულებითი გახიზვნა დას. საქართველოში და სხვ. ლ. ფ. აღწერს, როგორ ცდილობდა ირანი ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას სამხრ. კავკასიის ქვეყნებში. იგი გვაუწყებს, რომ V ს. 40-იანი წლების დასასრულს შაჰმა იეზდიგერდ II-მ (438–457) სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის თავკაცები სასწრაფოდ თავისთან დაიბარა რჯულის შესაცვლელად. ქართლიდან მხოლოდ არშუშა პიტიახში წასულა. დიდებულებმა გადაწყვიტეს ფორმალურად მიელოთ მაზდეანობა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისევ ქრისტიანობას მიჰბრუნებოდნენ. როგორც ლ. ფ. გადმოგვცემს, დიდებულთა ერთიანობა არ იყო მტკიცე – ზოგიერთი მათგანი სპარსელთა ერთგულებას აპირებდა.

საინტერესო ცნობები მოეპოვება ლ. ფ-ს საქართვ. ისტ. გეოგრაფიისათვის. იგი მრავალგზის ახსენებს ქართლს, რ-შიც აშკარად მთელ აღმ. საქართველოს გულისხმობს. ქვემო ქართლის პროვინციებიდან ნახსენებია ტაშირი, კანდარი და აშოცი. ლ. ფ-ს მოხსენიებული აქვს ტაო, ბასიანი, მდ. მტკვარი (კურის ფორმით), დას. საქართველოს მხარეებიდან კი – ეგრისი (სახელწოდება წარმოდგენილია შეუკუმშავი ფორმით – ეგერ) და ხალდია (ტრაპიზონი და მისი მიმდებარე მხარე).

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ჯავახიშვილი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935; ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ლ. ჯანაშია.

ლაზები, ჭანები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, ერთ-ერთი ქართველური ტომი. დღეისათვის კომპაქტურად სახლობენ შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე, საქართველოს საზღვრისპირა სოფ. სარფში და თურქეთის სხვადასხვა რეგიონში – ართვინის გუბერნიის (ილი) ხოფის, არქაბის, ნაწილობრივ ბორჩხის რ-ნებში (ილჩე) და რიზეს გუბერნიის ფინდიქლის (ვიწე), ართაშენის (არტაგაშენი), ჩამლიჰემშინისა და ფაზარის (ათინა) ილჩეებში. მრავალი მათგანი ცხოვრობს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში. მათი საერთო რაოდენობა თურქეთში სავარაუდოდ არის არანაკლებ 2-3 მლნ. კაცისა.

ლ-ის ცალკეული ოჯახები გაბნეულია დას. საქართველოს ზოგ რეგიონში (აჭარა, აფხაზეთი, გურია და სამეგრელო), მეტწილებენ ქართველური ენის ზანურ ენათა ჯგუფის ლაზურ (ჭანურ) დიალექტზე. თურქეთში მცხოვრები ლ. მუსლიმები არიან, საქართველოში მცხოვრები კი – ძირითადად მართლმადიდებლები.

ლაზეთში საეკლესიო და სახელმწ. ენა იყო ბერძნული, ხოლო ლაზური – ყოველდღიური. თურქების გაბატონების შემდეგ სახელმწ. ენად იქცა ოსმალური თურქული, საეკლესიო ენად კი ბერძნული დარჩა, ამიტომ ლაზური ენა მალვე გამოვიდა ხმარებიდან. დაიწყო ლ-ის ისლამიზაცია და გათურქება. ლ-ის ის ნაწილი, რ-მაც შეინარჩუნა მართლმადიდებლობა, თანდათანობით გაბერძენდა. ჩამოყალიბდა ეთნორელიგიური ჯგუფები: ლაზო-ბერძნების, ლაზო-თურქების და ლაზო-სომხების (ხემშინების) სახით. მათ შემოიღეს ე. წ. ლაზურ-ბერძნული (Понтиаки лаζики γлоссα), ლაზურ- თურქული (Laz türkçesi) და ლაზურ-სომხური ენები, რ-ებიც ინარჩუნებენ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ და სხვა გრამატიკულ ნიშნებს. მათ ენებში უამრავია ლაზურ-ქართული სიტყვებიც. ლაზური ენა დარჩა მხოლოდ აღმ. ლაზეთში, სადაც ლ-ის რაოდენობა დაახლ. 200 ათას კაცს შეადგენს.

ლ. მეურნეობის ყველა დარგს მისდევდნენ, მაგრამ განსაკუთრებული წვლილი მაინც ზღვაოსნობის, მეთევზეობის, რკინის მეტალურგიისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში მიუძღვით. ლაზი ოსტატები მთელ საქართველოში იყვნენ ცნობილი როგორც ძველი ეკლესია-მონასტრების, ხის საცხოვრებელი სახლების, საფორტიფიკაციო და საგზაო ნაგებობათა (ქვის თაღიანი ხიდები) მშენებლები, ბერძნულიდან ქართულ ენაზე საეკლესიო ხასიათის ლიტერატურის მთარგმნელები. ზოგი მკვლევრის აზრით, ლაზეთიდან უნდა იყოს შემოტანილი სიმინდის კულტურა საქართველოში.

დღეისათვის სოფლად მცხოვრები ლ. მისდევენ მიწათმოქმედებას, მეჩაიეობას, შედარებით ნაკლებად – მესაქონლეობას, მოღვაწეობენ თურქეთის სახელმწ. სტრუქტურებში, არმიასა და ფლოტში, პოლიციაში. აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში – მშენებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი, რელიგ. დაწესებულებები და სხვ.

ლიტ.: ბაწაში წ., ეთნო-რელიგიური პროცესები ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბ., 1988; ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; Андриадзе Г., Неизвестная историческая Грузия (Христианский Лазистан), Тб., 2012, ISBN 978–9911-19776-5 (teqsti Zvel rusul enaze); Кавказский Календарь, Тфл., 1879.

წ. ბაწაში.
რ. მალაყმაძე.

ლაზეთი, იხ. *ჭანეთი.*

ლაზვიანი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნი-

ციპალიტეტში (ბაზალეთის თემი), ბაზალეთის ტბის აღმ-ით, მდ. საკრამულისხევზე (არაგვის მარჯვ. შენაკადი). ზ. დ. 900 *მ,* დუშეთიდან 9 *კმ.* 67 მცხ. (2014).

სოფელში დგას ქართული არქიტ. ძეგლი – ფშაველის გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია, რ-იც ნაგებია რიყის ქვით, გადახურულია ცილინდრული კამარით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004.

ლაზთა (ეგრისელთა) ელჩობა ირანში, შედგა შაჰ ხოსრო ანუშირვან I-ის (531–579) კარზე 541–542. ირანში ლაზი მოციქულები მიავლინა ეგრისის (ლაზიკის) მეფე გუბაზ II-მ, რ-იც უკმაყოფილო იყო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში გატარებული დამპყრობლური პოლიტიკით. ელჩობის მიზანი იყო ირანელთა სამხ. დახმარების მიღება. ლაზებმა ხოსრო ანუშირვანს ბიზანტიელებისაგან დაცვა და სამართლიანობის აღდგენა სთხოვეს. გუბაზის მოციქულებმა დაწვრილებით აღუწერეს შაჰს, თუ რა დამლუპველი შედეგები მოუტანა ლაზებს იუსტინიანე I-ის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ. ბიზანტიელთა მიერ დანიშნულმა სტრატეგოსმა ლაზების მთელი საგარეო ვაჭრობა ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა, რამაც ლაზები ძალზე დააზარალა. ელჩებმა ასე მიმართეს შაჰს: თუ ჩვენს ,,თხოვნას შეიწყნარებთ, სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით... თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენს''. ხოსრო ანუშირვან I-მა ლაზთა ელჩების თხოვნა დააკმაყოფილა, ირანელთა ჯარს თვითონ ჩაუდგა სათავეში და ელჩების მეგზურობით 542 ლაზიკაში შევიდა.

წყარო.: პროკოპი კესარიელი, წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997.

ლაზთა მონასტერი, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი იერუსალიმში. მისი დაარსება დაკავშირებულია პეტრე იბერთან და იოანე ლაზთან (V ს.). მონასტერი მდებარეობდა ბეთლემის ჩრდ-ით, ხარბეთ სიარ ელ-ღანამის ჩრდ.-დას-ით, ბირ ელ-ყუტის მიდამოებში. პროკოპი კესარიელის მიხედვით, ეს მონასტერი იუსტინიანემ (VI ს.) განაახლა. 1952–53 მონასტრის ნაშთები აღმოაჩინა და საკმაოდ დაწვრილებით შეისწავლა იტალიელმა არქეოლოგმა ვ. *კორბომ.* გამოვლენილი მონასტერი, ნაშთების მიხედვით, წარმოადგენდა კვადრატული ფორმის ნაგებობათა კომპლექსს, რ-ის ჩრდ. ნაწილში იდგა ეკლესია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაგებობათა სამხრ. ნაწილი – სასადილო. მისი იატაკი მოპირკეთებული იყო ფერადი მოზაიკით, სადაც აღმოჩნდა ჩარჩოში ჩასმული დიდი მოზაიკური ფერადი წარწერა. სასადილოსთან იყო სამზარეულო, ასევე მოზაიკით მოპირკეთებული იატაკით. სამზარეულო უკავშირდებოდა მოზაიკისიატაკიან მარანს და ზეთსახდელს. მონასტრის ცენტრ. ნაწილში მდებარეობდა მართკუთხა ეზო, რ-იც კოლონადისა და ღია ცისქვეშა ნაწილისაგან შედგებოდა. კოლონადა ქმნიდა მოზაიკურ სასეირნო ბილიკს, რ-იც გარს უვლიდა ეზოს.

განსაკუთრებული ეროვნ. და სამეცნ. მნიშვნელობა აქვს ლ. მ-ის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობაში მოზაიკიან იატაკზე შემორჩენილ ოთხ ძველქართულ (ასომთავრულ) მოზაიკურ წარწერას, რ-თა სახით ჩვენ გვაქვს ქართული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ნიმუშები (იხ. *პალესტინის ქართული წარწერები*). მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია სამარხებმა. ლ. მ-ში აღმოჩენილ ნაგებობათა ნაშთები და კერამიკული ნაკეთობები გვიჩვენებს სამეურნეო ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონეს. ზუსტად არ არის ცნობილი, რატომ შეწყვიტა ლ. მ-მა არსებობა VI ს. შუა ხანებში – სტიქიის (მიწისძვრა), თუ მასზე არანაკლებ გამანადგურებელი რელიგიური ბრძოლების ან არაბების თავდასხმების გამო.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998; ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974; წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

ე. მამისთვალიშვილი.

ლაზთა მონასტერი, მდებარეობდა ელეონის, ანუ ზეთისხილის მთაზე იერუსალიმში. VI ს-ში აუგია იუსტინიანე კეისარს (527– 565) ლაზებისათვის. ლ. მ-ის ზუსტი ადგილმდებარეობა, როგორც პატრიარქი დოსითეოსი აღნიშნავდა, უცნობი იყო.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008.

„ლაზი“ (შპს), საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია. დაარსდა 2007 წალენჯიხაში ყოფ. წალენჯიხის №2 ჩაის ფ-კის (შეიქმნა 1949) ბაზაზე. საწარმო მუშაობს ჩაის დამზადებასა და რეალიზაციაზე. მის საკუთრებაშია 160 ჰა ჩაის პლანტაცია, ასევე სააქციო საზ-ბა ,,ზღვაიასაგან'' იჯარით აღებული 200 ჰა ჩაის პლანტაცია. 2017–20 საწარმო მონაწილეობდა ჩაის რეაბილიტაციის სახელმწ. პროგრამაში ,,ქართული ჩაი'', რის შედეგადაც აღადგინა 80 ჰა-ზე მეტი ჩაის პლანტაცია.

2015-იდან ,,ლ.'' თანამშრომლობს ჩინურ ბიოტექნოლოგიურ კომპანია ჰანთანგუანის საერთაშ. ჰოლდინგურ ჯგუფთან, რ-თანაც ერთად შეიქმნა ერთობლივი საწარმო. ჩინელებმა საწარმოში განახორციელეს ინვესტიცია – ჩამოიტანეს ჩაის გადამამუშავებელი თანამედროვე მანქანა-დანადგარები და თავიანთ სპეციალისტებთან ერთად დაიწყეს შავი და მწვანე ბაიხაო ჩაის გამოშვება. მათი დაინტერესება ქართ. ჩაით გამოიწვია თავის დროზე ჩინეთიდან შემოტანილი და საქართველოში გავრცელებული მწვანე და შავი ჩაის ანალოგიური ჯიშების არსებობამ, რ-ებიც ჩინეთში წლებია აღარ გვხვდება.

2016, ქართ. ჩაის ისტორიაში პირველად, კომპანია ,,ლ-იდან'' ჩინეთში გაიგზავნა 8000 *კგ* ჩაი. საწარმო ყოველწლიურად უშვებს 120 *ტ* პროდუქციას, მ. შ. 20 *ტ* უმაღლ. ხარისხის შავ და მწვანე ბაიხაო ჩაის, რ-იც ძირითადად იგზავნება ექსპორტზე ჩი-



,,ლაზის'' ჩაის საწარმოს ერთ-ერთი საამქრო.

ნეთში, უკრაინაში, პოლონეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ასევე იყიდება ადგილობრივ ბაზარზე.

გ. სალია.

„ლაზიკა“, ქვეითთა საბრძოლო მუხლუხებიანი მანქანა. შეიქმნა საქართვ. სახელმწ. სამხედრო სამეცნ.-ტექ. ცენტრ „დელტაში“ (2012). კონსტრუქცია გამოირჩევა დაცვის მაღალი დონით, აქვს ძლიერი ჯავშანკორპუსი და მრავალშრიანი ჯავშანფსკერი, რ-იც სამი ჯავშანშრისაგან შედგება და შეუძლია გაუძლოს 10 *კგ* ტროტილის აფეთქებას, რაც ნაღმების აფეთქებებისგან დაცვის საერთაშ. სტანდარტებს შეესაბამება. ლ-ის შუბლა ჯავშანიც კომბინირებულია და გათვლილია 14,5 *მმ* კალიბრის ჯავშანგამტანი ტყვიებისგან დასაცავად. კონსტრუქციულად გათვალისწინებულია ლ-ის ბორტებზე დამატებითი ჯავშანელემენტების დამაგრება, რაც კიდევ უფრო ზრდის მის მდგრადობას მსხვილკალიბრიანი ჯავშანგამტანი ტყვიების მიმართ. გარდა ამისა, ბორტებზე მონტაჟდება ბადისებრი ეკრანები, რ-ებიც ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციურქობინიანი რაკეტების ადრეულ დეტონაციას იწვევს, შედეგად კუმულაციური ჭავლი ლ-ის ჯავშანკორპუსამდე ვერ აღწევს და იფანტება. ლ-ის ძირითადი შეიარაღება დისტანციურად მართვად საბრძოლო მოდულშია დამონტაჟებული. შესაბამისად, ეკიპაჟის წევრებს არ აწუხებთ გასროლისას წარმოქმნილი დენთის აირები. დისტანციურად მართვად საბრძოლო მოდულში გაერთიანებულია 23 *მმ* კალიბრის ავტომატური ქვემეხი და მასთან შეწყვილებული 7,62 *მმ*-იანი სატანკო ტყვიამფრქვევი. ჯავშანკორპუსის წინა ნაწილში დამონტაჟებულია რვა საკვამლე მორტირი, რ-ებიც „საკვამლე ფარდას“ ქმნის იმ შემთხვევაში, თუკი საჭირო გახდება მისი დამალვა. დისტანციურ საბრძოლო მოდულთან ერთად ლ. აღჭურვილია დღეღამური ხედვის სამიზნე მოწყობილობებითა და ხედვის კამერებით. ამ ვიდეოკამერებიდან მიღებული გამოსახულებები აისახება მძღოლ-მექანიკოსისა და მემიზნის მონიტორებზე.

ლ-ის ეკიპაჟი სამი მებრძოლისაგან შედგება: მძღოლ-მექანიკოსი, მეთაური და მემიზნე-ოპერატორი. დესანტში კი შვიდი მებრძოლი შედის, რ-ებიც ორივე ბორტის გასწვრივ სხედან. მათი გადმოსხმა უკანა, გადმოსაშლელი რამპის მხრიდან ხდება. თუკი რაიმე მიზეზის გამო რამპა არ გაიღო, მასში ჩამონტაჟებულია ავარიული კარიც. ლ-ს მუხლუხებიანი სავალი ნაწილი აღჭურვილია ტორსიონული დაკიდების სისტემით, რაც 15-ტონიანი ჯავშანმანქანის უსწორმასწორო გზა-



„ლაზიკა“.

ზე გადაადგილებას შედარებით არბილებს. თითოეულ ბორტზე ხუთი საყრდენი ბორბალია, მუხლუხებზე კი რეზინის ბუნიკებია დამაგრებული, რომლებიც გზის ასფალტის საფარს არ აზიანებს.

ი. ალადაშვილი.

ლაზიკე, გეოგრაფიული პუნქტი, მდებარეობდა ნიკოფსიიდან (თანამედროვე ტუაფსე) ჩრდ.-დას-ით შავი ზღვის სანაპიროზე. ასახელებენ II ს. ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემაიოსი. არიანე მას „ძველ ლაზიკეს“ უწოდებს, რაც ამ ტერიტორიაზე კოლხური მოსახლეობის არსებობას ადასტურებს.

ლიტ.: ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1983; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 2012.

ლაზიკის ეპარქია, ფ ა ზ ი ს ი ს ა მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ო, საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული დას. საქართველოში VI–IX სს. ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. აღნიშნული პერიოდის საეკლ. ორგანიზაციის შესასწავლად ძირითად წყაროდ იყენებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნუსხებს – ნოტიციებს. ეპარქია იუსტინიანე I-ის (527–565) იმპერატორობის პერიოდში უნდა დაარსებულიყო. 542–562 ირან-ბიზანტიის ომში გამარჯვების შემდეგ დას. საქართველოში სტაბილურობის პოლიტ. გარანტიების უზრუნველყოფასთან ერთად საჭირო გახდა რეგიონის კონსტანტინოპოლის გავლენის სფეროში ჩართვის მყარი იდეოლოგიური და კულტ.-რელიგ. საფუძვლების შექმნა. ლაზიკის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ იუსტინიანეს დროს დაარსებულ 8 სამიტროპოლიტო კათედრას შორის ნოტიციებში ფაზისი მეორე ადგილზეა იუსტინიანოპოლისის (მოგვიანო მოკისოსი) შემდეგ. ლ. ე-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რეგიონში ბიზანტიური გავლენის განმტკიცების საქმეში. ეპარქიის ხელმძღვანელი – ფაზისის მიტროპოლიტი ერთგვარი „შუამავალი“ იყო ლაზიკასა და კონსტანტინოპოლს შორის. როდესაც დას. საქართველოში მეფობა გაუქმდა და ადგილობრივ ხელისუფლებას პატრიკიოსები წარმოადგენდნენ, სავარაუდოდ ლაზიკის სამიტროპოლიტოს მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, საეპისკოპოსოთა სიმრავლის გამო, საქართვ. ეკლესიის ადმინისტრაციული მოწყობისგან ერთგვარად განსხვავებული მოდელი არსებობდა: ეპარქიებს სათავეში მიტროპოლიტი ან არქიეპისკოპოსი ედგა. მოზრდილი ეპარქიები (სამიტროპოლიტოები) უფრო წვრილ ერთეულებად – საეპისკოპოსოებად იყოფოდა. ლ. ე-ის ცენტრი ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა იყო და ოთხ საეპისკოპოსოს აერთიანებდა [როდოპოლისი (ვარდციხე), საისი/საისენე (ცაიში), პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (ძიღანევი/გუდაევა)] და მოიცავდა დას. საქართველოს (ისტ. ეგრისის სამეფოს) უმეტეს ნაწილს (ეგრისი, გურია, არგვეთი, თაკვერი, სვანეთი). იმპერიის სამიტროპოლიტო კათედრათა შორის ფაზისს ტრადიციულად 27-ე ადგილი ეკავა (III ნოტიციით – 33-ე).


ლ. ე-ის ჩრდ.-დას-ით არსებობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული კიდევ ორი ეპარქია – აბაზგიისა (აფხაზეთის) და ზეკხიის (ჯიქეთის), ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო კათედრებით სებასტოპოლისსა და ნიკოფსში. ამათგან, სავარაუდოდ, თავდაპირველად ლ. ე-ში შედიოდა სებასტოპოლისის (ცხუმი; დაარსდა 542–548) საეპისკოპოსო. საარქიეპისკოპოსო რანგში აყვანამდე (VII ს. 30-იანი წლები). სებასტოპოლისის საეპისკოპოსოსა და ფაზისის სამიტროპოლიტოს შექმნა ერთდროულად (ან თითქმის ერთდროული) მოხდა. ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი უძველესი I ნოტიცია ჰერაკლე კეისრის დროინდელია, სებასტოპოლისის კათე-

დრის ფაზისის სამიტროპოლიტოს სისტემაში ყოფნის პერიოდი დოკუმენტურად არ დაფიქსირებულა.

ლ. ე-ის იერარქები მონაწილეობდნენ მსოფლიო საეკლ. კრებებში. VI კრების (680–681) აქტებში იხსენიება თეოდორე, ,,ულირსი ეპისკოპოსი ფაზისის, ლაზიკის პროვინციისა''. 691–692 კონსტანტინოპოლში შემდგარ V და VI მსოფლიო ,,ტრულის კრებას'' ესწრებოდნენ ფაზისის მიტროპოლიტი თეოდორე, პეტრას ეპისკოპოსი იოანე და ძიღანევის ეპისკოპოსი ფაუსტინუსი; ნიკეის VII მსოფლიო კრებას (787) კი – ფაზისის მიტროპოლიტი ქრისტეფორე, რ-იც ტრაპიზონის ეპისკოპოსადაც იხსენიება.

აღსანიშნავია, რომ დას. საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) პოლიტ. დამოუკიდებლობას მყისიერად არ მოჰყვა ბიზანტიური საეკლ.-ადმინ. მოწყობის შეცვლა. რეგიონის კათედრები ერთი საუკუნის განმავლობაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში დარჩა. IV–V (869 ახლო ხანები) და VI ს. (879 ახლო პერიოდი) ნოტიციებში კვლავ გვხვდება ლ. ე. (ფაზისის სამიტროპოლიტო) და დას. საქართველოს სხვა ცენტრები. 901–907 დათარიღებულ VII ნოტიციაში ისინი აღარ იხსენიება, რაც IX ს. 80–90-იან წლებში აფხაზეთის საკათალიკოსოს (ცენტრით ბიჭვინთაში) დაარსებით უნდა აიხსნას. ახალი, დამოუკიდებელი, დასავლურ-ქართული საეკლ. ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ლ. ე-ის გაუქმება უნდა მოჰყოლოდა. ცალკეული კათედრები (ფოთი/ფაზისი, ცხუმი, ცაიში და სხვ.) უშუალოდ დაექვემდებარა აფხაზეთის კათოლიკოსს. X ს-იდან გეგმაზომიერად მიმდინარეობს ამ საეპისკოპოსოების ახალი კათედრებით შეცვლის პოლიტიკა. ეტაპობრივად გაუქმდა ყოფილი ლაზიკის, აბაზგიისა და ჯიქეთის ეპარქიათა საეკლ. ცენტრები და შეიქმნა ალტერნატიული კათედრები: ჭყონდიდი, მოქვი, დრანდა, ბედია, ქუთაისი, ცაგერი. ერთადერთი გამონაკლისი იყო ცაიშის საეპისკოპოსო, რ-იც არ გაუქმებულა.

ლ. ე-ს სამხრ.-დას-იდან პოლემონის პონტოს ეპარქია ესაზღვრებოდა (სამიტროპოლიტო ცენტრი – ნეოკესარია), რ-ის შემადგენლობაში შედიოდა ტრაპიზონისა და რიზეს საეპისკოპოსოები. 787 შემდგომი პერიოდიდან IX ს. 30-იან წლებამდე რიზეს საეპისკოპოსო ლ. ე-ის შემადგენლობაში სავარაუდოდ ბოლო ადგილზეა ოთხი ტრადიციული საეპისკოპოსო კათედრის შემდგომ. 787 ტრაპიზონისა და ფაზისის კათედრები ერთი პირის ხელშია; ეს დროებითი მოვლენები სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთის ერთი ნაწილის, აფხაზეთის სამთავროს ფარგლებში მოქცევას უნდა უკავშირდებოდეს. კონსტანტინოპოლისგან დამოუკიდებელი აფხაზთა სამეფოსა და მოგვიანებით აფხაზეთის საკათოლიკოსოს წარმოქმნის პარალელურად თანდათანობით დაწინაურდა ტრაპიზონის კათედრა: ის თავდაპირველად საარქიეპისკოპოსო, შემდეგ კი სამიტროპოლიტო გახდა. VII ნოტიციაში დეფინიციით ,,ტრაპიზონი ლაზიკისა'' ფაზისის ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ ,,ლაზიკის ეპარქია'' სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთის საეკლ.-ადმინ. ერთეულის (ცენტრით ტრაპიზონი) სახელწოდებად გამოიყენება.



ლ. ლაზიშვილი.

წყარო: Notitiae Episcopatuum Ecclesiae Constantinopolitanae, Texte critique, introduction et notes par Jean Darrouzès, A. A. Institut Français d'Études Byzantines, P., 1981.

ლიტ.: კ უ დ ა ვ ა ბ., კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.), ,,ისტორიანი'', თბ., 2000; მ ი ს ი ვ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში (VI–IX სს.), თბ., 2002.

ბ. კუდავა.

ლაზიკის სამეფო, იხ. *ეგრისის სამეფო.*

ლაზისტანი (სპარს.-თურქ. – Lazistan), კავკასიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ქართული ისტორიული და კულტურული რეგიონის, ლაზეთის თურქული სახელწოდება. ამჟამად უმეტესად თურქეთის რესპ. ფარგლებშია. ტერმინი ლ. თურქეთში აიკრძალა 1926 და დაერქვა შავიზღვისპირეთი (Karadenızli).

ლაზიშვილი ლევან ალექსანდრეს ძე (27. II. 1926, ქობულეთი, – 18. VIII. 2008, ბათუმი), ტექნოლოგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (2002), სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი ჩაის ტექნოლოგის სპეციალობით (1948). ასპირანტურის დასრულების შემდეგ (1953) მუშაობდა ჩაის მრეწვ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1962-იდან – საქართვ. კვების მრეწვ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბათუმის ფილიალის დირექტორად, 1974–76 – ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენ. დირექტორად. 1981-იდან იყო სუბტროპ. ნედლეულის შენახვა-გადამუშავების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში.

ლ-მა შეისწავლა ჩაის უხეში ფოთლის ქიმ. თვისებები და მისგან ლაო-ჩაის დამზადების ტექნოლოგია; შეიმუშავა სრულიად ახალი კომპლექსური ტექნოლოგია როგორც მწვანე, ისე შავი ჩაისათვის.

თანაავტორებთან ერთად დაამუშავა ციტრუსოვანთა წვენების წარმოების ნარჩენებისგან ვიტამინ P-ს პრეპარატის მიღების ტექნოლოგია, რ-ის საფუძველზე აღნიშნული პრეპარატის საწარმოებლად შეიქმნა სპეციალიზებული საამქრო ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქ-ნაში.

მიღებული აქვს მრავალი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამს. ინჟინრისა და გამომგონებლის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თხზ.: მწვანე აგურა ჩაის ბიოქიმია და ტექნოლოგია, ,,საბჭოთა აჭარა'', ბათუმი, 1979.

„ლაზურა“, ლაზური ცეკვა, მასში ასახულია თევზაობის პროცესი. შესრულების ხასიათით ნაწილობრივ ,,ხორუმს'' ენათესავება. მუს. ზომა 2/4.

ლაზური ენა, იხ. *ზანური ენა.*

ლათა, სოფელი აფხაზეთის არის გულრიფშის მუნიციპალიტეტში, მდ. კოდორის მარჯვ. ნაპირზე, სოხუმის სამხ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., არღუნია, ზემო ლათა, ზენობანი, კადარი, მარდახუჭი, მიასნიკოვკა, ქვენობანი, ხიზარუხა). ზ. დ. 280 *მ,* გულრიფშიდან 52 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაიბგვარდია, მონარქის პირადი დაცვისა და რჩეული სამხედრო ნაწილების საპატიო სახელწოდება ზოგიერთ მონარქისტულ ქვეყანაში. მეფის რუსეთში ლ. ეწოდებოდა ყველა გვარდიულ ნაწილს, გერმანიასა (1918-მდე) და დიდ ბრიტანეთში – ცხენოსანთა გვარდიის ზოგიერთ პოლკს. ,,ლაიბ''-ს უმატებდნენ აგრეთვე არმიის იმ პოლკების სახელწოდებას, რ-თა შეფიც იყო იმპერატორი ან დედოფალი.

ლაიბნიცი (Laibniz) გოტფრიდ ვილჰელმ (1. VIII. 1646, ლაიფციგი, –

14. XI. 1716, ჰანოვერი), გერმანელი მეცნიერი (ფილოსოფია, ლოგიკა, მათემატიკა, სამართალი, ფიზიკა, ისტორია, თეოლოგია, ენის თეორია, ენის ფილოსოფია და სხვ.). ჯერ კიდევ სწავლის დასრულებამდე (1666) ლ-მა გამოაქვეყნა „თხზულება კომბინატორიკის ხელოვნების შესახებ“, რ-შიც მისი (ლოგიკური მეცნიერული) გამოკვლევების ფორმალური საფუძვლებია მოცემული.

1672-მდე ლ. მაინცის მთავრის კარზე მსახურობდა, 1676-მდე დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა პარიზში, 1676 ლ. ჰანოვერის ჰერცოგის კარის ბიბლიოთეკარი და მრჩეველი გახდა. 1691-იდან მასვე დაევალა ვოლფენბიუტელის ცნობილი ბ-კის ხელმძღვანელობა; 1705 ლ-მა დაასრულა ნაშრომი „ახალი ესეები“ „ახალი გამოკვლევები ადამიანური გონების შესახებ“), რ-შიც მან ჯ. ლოკის გენეტიკური შემეცნების თეორია გააკრიტიკა (წიგნი გამოქვეყნდა 1765). 1710 ლ-მა თხზულება „თეოდიცეა“ დაასრულა ბერლინში, სადაც იმყოფებოდა პრუსიის მეცნ. აკადემიის დასაფუძნებლად და პირველი პრეზიდენტიც გახდა. ვენაში ლ-მა შექმნა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი „მონადოლოგია“ (1714), რ-შიც მისი ორიგინალური ფილოს. მსოფლმხედველობა მკაფიოდაა გადმოცემული.

მისმა აზროვნებამ დიდი გავლენა იქონია ქ. ვოლფზე, რ-მაც ლ-ის იდეების ახლებური სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია დაისახა მიზნად.

ლ-ის მეტაფიზიკური კონცეფცია საყურადღებო აღმოჩნდა ქართ. ფილოსოფიის საღვთისმეტყველო ფრთის მიმდევართათვის (ანტონ ბაგრატიონი, იონა ხელაშვილი და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ი. ხელაშვილის კომენტარები ლაიბნიც-კლარკის მიმოწერაზე. ეს მიმოწერა 1823 ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ილია ბაგრატიონმა (1790- 1854), მაგრამ ქართული თარგმანი სრული არ არის, რადგან ის ამ მიმოწერის მხოლოდ ერთი ვრცელი ნაწილის თარგმანს მოიცავს. ი. ხელაშვილის აღნიშნული კომენტარები ნათლად წარმოაჩენს ამ ავტორის ფილოს. და თეოლოგიური მსოფლმხედველობის არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს და ადასტურებს მის საგანგებო ინტერესს ლ-ის აზროვნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ღმერთის ცნებასთან მიმართებით იგი აკრიტიკებდა როგორც ლ-ის, ისე კლარკის შეხედულებებს. ი. ხელაშვილის აზრით, უმაღლესი არსების სრულყოფილი შემეცნება იმ დისციპლინის მეშვეობით, რ-იც სხეულთა ზომას თვლის, ვერ მოხერხდება, რადგან „მაღალი სიბრძნე“ არ არის მათემატიკური შემეცნების საგანი. არათუ მათემატიკის მეშვეობით, არამედ თვით ლ-ის მეტაფიზიკის მეშვეობითაც კი ვერ ხერხდება ღმერთისა და სხვა უმაღლესი არსებების შემეცნება.

ი. ხელაშვილი ლ-ისა და კლარკის დავა-კამათში ცალსახად არცერთი მოაზროვნის პოზიციას არ ეთანხმება და მათ აკრიტიკებს. მას ღმერთის შესამეცნებლად არც ახალი დროის მათემატიკის მეთოდები (ნიუტონი/კლარკი) მოსწონს და არც რაციონალისტური მეტაფიზიკის (ლაიბნიცი) მეთოდოლოგია. ი. ხელაშვილი უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანული მეტაფიზიკის ძველ ტრადიციას და თავის მოძღვრებაში ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების დიდი ავტორიტეტის, იოანე დამასკელის (675–749) ნააზრევს ეყრდნობა.

ალეთეოლოგიური მოძღვრების კონტექსტში ლ-ის აზროვნების სხვადასხვა ასპექტს საინტერესოდ განიხილავდა შ. ნუცუბიძე და მართებულად შენიშნავდა, რომ ამ პრობლემის გადაჭრას ყველა დიდი ფილოსოფოსი შეეჭიდა, თუმცა, ლ-ის წვლილი განსაკუთრებულია.

XX ს. ქართ. ფილოს. ისტორიოგრაფიაში ლ-ის შემოქმედებას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ: შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, დ. უზნაძე, *მ.* გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ა. ბოჭორიშვილი, გ. თევზაძე და სხვ. ლ. მჭედლიშვილმა ლ-ის ლოგიკის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის საყურადღებო ანალიზი შემოგვთავაზა. ლ-ის მეტაფიზიკასა და ენის ფილოსოფიას ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა მ. ბიჭაშვილმა, რ-იც დღემდე ყველაზე სრულყოფილ ქართულენოვან გამოკვლევას წარმოადგენს ლ-ის ფილოს. ნააზრევის შესახებ.

თხზ.: მონადოლოგია, თარგმნა და შენიშვნები გაუკეთა ს. დანელიამ, თბ., 1940.

ლიტ.: ბიჭაშვილი მ., ლაიბნიცის მეტაფიზიკა და ენის ფილოსოფია, თბ., 2005; ირემაძე თ., ახალი დროის ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბ., 2020.

თ. ირემაძე.

ლაიელი (Lyall) რობერტ (1790, პეისლი, შოტლანდია, – 23. V. 1831, პორტ-ლუისი, კუნძული წმ. მავრიკი), ბოტანიკოსი და მოგზაური. 1822 იმოგზაურა რუსეთში, ყირიმსა და კავკასიაში. საქართველოში დაათვალიერა მუხროვანი, გომბორი, თელავი, ყვარელი, გრემი, ალვანი, ალავერდი. გზის ნაწილი განვლო ა. გრიბოედოვთან ერთად. აღწერა თბილისი, მუხროვანი, თელავი და სხვ. გეოგრ. პუნქტები, საქართვ. სამხ. გზა. გვაწვდის ცნობებს ქართველებზე, ოსებზე, ჩერქეზებზე და სხვ. ლ-ს ეკუთვნის აგრეთვე ვრცელი ისტ. ექსკურსები (ა. ერმოლოვის 1817 მისია ირანში; ისტ. ნარკვევი საქართველოზე). მის წიგნში ჩართულია შემდეგი ილუსტრაციები: დარიალის ციხე და ხიდი თერგზე, რომაული ხიდი მტკვარზე, თბილისი, თბილისის ციხე, გრემი (ციხე და ეკლესია), თელავი, ანანური, გამაგრებული სოფელი ყაზბეგთან.

თხზ.: Travels in Russia, the Crimea, the Caucasus and Georgia, t. 1–2, L., 1825.

ლიტ.: გელაშვილი გ., ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიელი თბილისის შესახებ, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 15(2), 2014, №15; Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу, 1800–1830 гг., Тб., 1946.

ც. ყიფიანი.

ლაითაძე მიხეილ სერგოს ძე (დ. 15. III. 1944, თბილისი), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი (2009). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1967).



მ. ლაითაძე. 240 ადგილიანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კლინიკა (ავტორთა ჯგუფთან ერთად), 1985, გაგრა.

1967–88 მუშაობდა ,,საქქალაქმშენსახპროექტში‘‘ არქიტექტორად (1972-იდან – პროექტის მთ. არქიტექტორი), 1988–97 – თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის საპროექტო-სარეკონსტრ. ბიუროს დირექტორის მოადგილედ. ძირითადი ნამუშევრები: შინმოუსვლელთა მემორიალი (სოფ. ალიბეგლო, კახის რ-ნი, აზერბაიჯანი; 1981, თანაავტორები – მხატვარი უ. იმერლიშვილი, არქიტ. ვ. ქობულია); გაგრაში – 240-ადგილიანი კლიმ.-ბალნეოლ. კლინიკა (1985, ავტორთა ჯგუფთან ერთად) და სახელმწ. ბანკი (1986, არქიტ. ც. ჩიკვაიძესთან ერთად); ორივე დაჯილდოებულია დიპლომით სოფიის არქიტ. მსოფლიო ბიენალეზე (1987, ბულგარეთი); საცხოვრ. სახლი დიღომში (2010).

ლაითური, დაბა (1953-იდან) გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ-ებს – ჩოლოქსა და ნატანებს შორის. ზ. დ. 80 *მ,* ოზურგეთიდან 14 *კმ,* მერიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 5 *კმ* . 2697 მცხ. (2014).

ლ-ში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 13,6 °C, იანვ. 4,9 °C, ივლ. 21,7 °C; აბსოლ. მინ. – 16 °C, აბსოლ. მაქს. 40 °C. ნალექები – 2330 *მმ* წელიწადში.

ლ-ის სახელი მომდინარეობს გვარსახელისაგან ლაითაძე. სახელწოდება ახალია, ძველი კი – უცნობი.

ლ-ის ტერიტორიაზე ადამიანი ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანაში ცხოვრობდა. მას შემდეგ იქ ცხოვრება გარკვეული ინტერვალებით გრძელდებოდა. გვიანდ. შუა საუკუნეებში მას აზნაური ლაითაძეები ფლობდნენ. ლ. ტყით იყო დაფარული. XX ს-ში ტყე ,,მწვანე ოქროს‘‘ (ჩაის) პლანტაციებმა შეცვალა.

დ. ბერძენიშვილი.

ლაილა, მწვერვალი სვანეთის ქედზე. იხ. *ლაჰილი.*

ლაილაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდების – ლაჯვანურისა და ასკისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფი ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., თაბორი, სურმუში, ღუ). ზ. დ. 850 *მ,* ცაგერიდან 18 *კმ.* 262 მცხ. (2014).

ლ. წერილობით წყაროებში XVIII ს. II ნახ-იდანაა დამოწმებული. იგი ლეჩხუმიდან სვანეთისა და რაჭაში მიმავალ გზაჯვარედინზე მდებარეობს. ადრეფეოდალურ ხანაში ლ. იყო მცირე ქალაქის ტიპის დასახლება, სადაც ქართველების გვერდით ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ.

ლ-ში ნაპოვნია კაჟის ყუნწიანი ისრისპირი (1939), გვიანბრინჯაოს ხანის რამდენიმე განძი. სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია დარბაზული ტიპის წმ. გიორგის ეკლესია, მახლობლად არის სამრეკლოც. ორივე XIX ს. დასაწყისით თარიღდება. გადმოცემით, იქვე მდებარეობდა უფრო ადრინდელი ეკლესია, რ-ის ნაშთიც დღეს აღარ არსებობს. სოფელში არის ამჟამად ძლიერ დაზიანებული დარბაზული ტიპის სომხური ეკლესია, ხოლო ე. წ. ,,ბაზარში‘‘ – სინაგოგა. ეს სოფელი ცნობილია მისივე სახელწოდების ბიბლიით (იხ. *ლაილაშის ბიბლია*).

თ. ბერაძე.

ლაილაშის ბიბლია, X ს. ებრაულენოვანი ბიბლია. XX ს. 40-იან წლებში აღმოაჩინეს ლეჩხუმში, სოფ. ლაილაშში (ცაგერის მუ-



ლაილაშის ბიბლია. X ს. ხელნაწერის ნიმუში.

ნიციპ.). 1957-იდან ინახება საქართვ. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი). მას ,,სვანეთის ბიბლიასაც‘‘ უწოდებდნენ. ლ. ბ-ის ხელნაწერი არის თორა, კომენტარებითა და ფერადი გეომეტრიული დეკორით შესრულებული პერგამენტზე სხვადასხვა კალიგრაფის მიერ სხვადასხვა დროს.

ლაილაჰალა, მდინარე ენგურის მარცხენა შენაკადი, იხ. *ლაჰილჰალა.*

„ლაინი“ (სააქციო საზოგადოება), საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო გორში. გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლობა დაიწყო 1947. პირველი რიგი ამოქმედდა 1951 გამომყვანი საამქროს გარეშე, ამიტომ აქ დამზადებული ხამი ქსოვილი გამოსაყვანად და საბოლოო სახის მისაღებად ტაშკენტის საფეიქრო კომბინატში იგზავნებოდა. 1954-იდან კომბინატი სრული საწარმოო ციკლით ამუშავდა, მწყობრში ჩადგა ქსოვილის გამოსაყვანი ფ-კა, რამაც შესაძლებელი გახადა წარმოების მთელი პროცესის ერთ დაწესებულებაში წარმართვა და დასრულება. 1961–62 საექსპლუატაციოდ გადაეცა მეორე რიგი – სართავი და საქსოვი ფ-კები. პროდუქციის ძირითადი სახეობები იყო ბამბის ნართი და ბამბეულის ქსოვილები. უშვებდა მაღალხარისხოვან ქსოვილებს, რ-ებზეც დიდი მოთხოვნა იყო არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. კომბინატი ნედლეულით მარაგდებოდა უზბეკეთიდან, ნაწილობრივ – აზერბაიჯანიდან.

1962 დაიწყო საწარმოს ახ. ტექნიკით აღჭურვა. 1975 კომბინატში დამზადდა 7125,1 *ტ* ნართი და 58279,4 ათ. *მ* მზა პროდუქცია. იგი თავისი პროდუქციით ამარაგებდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის სამკერვალო ფ-კებს.

XX ს. 90-იან წლებში გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ბაზაზე შეიქმნა გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება. ამავე პერიოდში ქვეყანაში არსებულმა მძიმე ეკონ. მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა საწარმოს საქმიანობა. განხორციელდა მისი პრივატიზება, 1994 კი ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად ,,ლ.‘‘ საწარმოს ფინანს. კრიზისის გამო 2004 შეწყდა მისი ფუნქციონირება.

ლიტ.: გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, თბ., 1971.

ლაისტერი ალექსანდრე ფილიპეს ძე [4 (17). IV. 1884, სოფ. ახტა, ერევნის გუბ., სომხეთი, – 1. II . 1941, თბილისი], რუსი გეოგრაფი, კავკასიის მკვლევარი, პროფესორი (1932). 1907 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტი. 1913–29 – რუს. საიმპერატორო გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ-ბის (1924-იდან – საქართვ. გეოგრ. საზ-ბა) სწავლული მდივანი და მისი პერიოდული გამოცემების რედაქტორი.

1923-იდან მოღვაწეობდა თბილისში. იყო საშ. სკოლის გეოგრ.

მასწავლებელი, კითხულობდა ლექციებს ამიერკავკ. კომუნისტურ უნ-ტში. 1937- იდან იყო თსუ-ის ქვეყანათმცოდნეობის კათედრის პროფესორი, 1939–41 – ამავე კათედრის გამგე. ლ. ხელმძღვანელობდა ,,ამიერკავკასიის გეოგრაფიული ლექსიკონის“ შედგენას. აღსანიშნავია მისი კვლევები კავკ. ფიზიკური გეოგრაფიის დარგში. ნაშრომები ჰქონდა აგრეთვე ზოოლოგიაში, ჰიდროლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ალპინიზმის ისტორიაში. 1908- იდან ამ საკითხებზე ლ-მა არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ჟურნალსა და კრებულში.

თხზ.: География Кавказа, Тфл., 1924; География Закавказья, Тфл., 1929 (თანაავტ. Г. Ф. Чурсин).

ლიტ.: მარუაშვილი ლ., კავკასიის თვალსაჩინო გეოგრაფოსი (ალექსანდრე ფილიპეს ძე ლაისტერის დაბადებიდან მე-100 წლისთავზე), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. 27, თბ., 1988; ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი, ავტორ-შემდგენლები: კ. ხარაძე, შ. ჯავახიშვილი, თბ., 2003.

ლ. მარუაშვილი.

ლაისტი (Leist) არტურ [8. VII. 1852, ბრესლაუ (ამჟამად ვროცლავი, პოლონეთი), – 22. III. 1927, თბილისი], გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. სწავლობდა ბრესლაუს უნ-ტში. 1881 იტალიაში მოგზაურობისას გაიცნო გერმ. მწერალი, საქართველოს თაყვანისმცემელი ფ. ბოდენშტედტი და მისი რჩევით დაინტერესდა საქართველოთი. გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენა. ლ. ამ მიზნით დაუკავშირდა ქართვ. მოღვაწეებს: ნ. ნიკოლაძეს, დ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. მეუნარგიას და სხვ. ქართ. ყოფისა და ლიტ-რის უკეთ გაცნობის მიზნით დახმარება სთხოვა ა. წერეთელს. შედეგად პოლონურ პრესაში 1882 გამოქვეყნდა ლ-ის წერილი ,,ქართველებისა და სომხების ლტოლვა განათლებისაკენ“, ხოლო 1883 გერმ. პრესაში – ,,მივიწყებული ლიტერატურა“.

1884 ი. ჭავჭავაძის მოწვევით ლ. თბილისში ჩამოვიდა და ერთი თვე დარჩა. გერმანიაში დაბრუნებულმა 1885 გამოსცა წიგნი ,,საქართველო. ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“, რ-იც პოლონურ ენაზეც გამოიცა. იმავე წელს იგი კვლავ ესტუმრა საქართველოს და ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით გერმ. ენაზე პროზაულად თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი“ (გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიფციგში, 1890). ეს იყო რუსთაველის პოემის პირველი თარგმანი უცხო ენაზე. 1887 გამოსცა ქართ. პოეზიის ანთოლოგია გერმ. ენაზე.

1892-იდან ლ. თბილისში დამკვიდრდა და აქვე იქორწინა გერმ. მარია ბაიტლინგერზე. იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის საზ. ცხოვრებაში. 1904 გამოაქვეყნა ნაშრომი ,,ქართველი ხალხი“, რ-იც ითარგმნა მრავალ ევრ. ენაზე. 1906 თბილისში დააარსა გერმანულენოვანი გაზ. ,,Kaukasische Post“, რ-საც წლინახევრის განმავლობაში რედაქტორობდა. ლ-ის მოთხრობებია: ,,ქეთევან“, ,,ვარო“, ,,ვარიპაჩიძიანთ ნინო“; ავტობიოგრ. თხზ. ,,რუდოლფ ბოლტის სამოგზაურო ცხოვრება“ (1897), ,,მოგზაურის დღიური“ (1909), თხზულებათა კრებული ,,საქართველოს გული“ (2 წიგნად, 1923, 1927, 1963) და სხვ. ნარკვევში ,,კოლხიდა“ მოცემულია გეოგრ. და ეთნოგრ. ცნობები საქართველოს შესახებ. 1918-იდან ლ. თბილისის ახალგახსნილ უნ-ტში მიიწვიეს გერმ. ენის ლექტორად. 1922 ქართ. საზ-ბამ მას საქართველოში მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადა.

ლ-ის მოღვაწეობა ემსახურებოდა ქართ. კულტურის ევროპაში გატანას და პოპულარიზაციას. განუზომლად აფასებდა იგი ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას ქვეყნის საკეთილდღეოდ. თავის მხრივ, ილიამ ერთგულ მეგობარს ,,შორეული თავისიანი“ უწოდა.

ლ-მა საქართველოს ანდერძივით დაუტოვა თხოვნა: ,,მაპატიე, ჩემო პატარა სამშობლონაცვალო – საქართველო, თუ ჩემი მწირი ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაში დასაფლავებისა“...

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.


ლიტ.: დორეული ნ., ილია და არტურ ლაისტი, ,,ისტორიანი“, 2020, №1; ნიკოლეიშვილი ა., არტურ ლაისტი და საქართველო, ,,ვანი“ 2021, №20.

შ. რევიშვილი.

ლაიშურა, მდინარე ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე 2220 *მ* სიმაღლეზე; სიგრძე – 23 *კმ,* აუზის ფართ. – 117 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი – 3,13 *მ*^{3}/*წმ.*

ლაკათხევი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ქვეშეთის თემი), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ლაკათხევის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1800 *მ,* დუშეთიდან 62 *კმ.* 13 მცხ. (2014).

სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ლაკათხევის ნაპირას, შემონახულია განვით. შუა საუკუნეების ხუთსართულიანი ზურგიანი კოშკი, რ-იც ისტ. ხადის სათავდაცვო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. სოფლის მიდამოებშია ორი დარბაზული ეკლესია. ერთი კვირაის სახელობისაა (განვით. შუა საუკუნეები), მეორე ეკლესია ღვთისმშობლის სახელზეა აგებული და XVIII ს. თარიღდება.



ა. ლაისტი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

ლაკბე, მდინარე გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, მდ. ივრის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, ზ. დ. 935 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 32 *კმ,* აუზის ფართ. 235 *კმ*^{2}, საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე.

ლაკერბაი მიხეილ ალექსანდრეს ძე [6(19). I. 1901, სოფ. მერხეული, გულრიფშის მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1965, მოსკოვი], აფხაზი მწერალი, დრამატურგი. აფხ. ასსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). მისი თხზულებები 1919-იდან იბეჭდებოდა. 1921–25 იყო აფხ. გაზეთ ,,აფსნი ყაფშის“ თანარედაქტორი. XX ს. 30-იანი წლებიდან იღვწოდა აფხ. დრამატურგიის განვითარებისათვის (პიესები: ,,გეჩების შთამომავალი“, 1939; ,,აბიდა“, 1940; ,,დანაჟაო“, 1946–47; ,,საუცხოო შენადნობი“, 1955 და სხვ.). მასვე ეკუთვნის ნარკვევები, კინოსცენარები და ლიბრეტოები. განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა სხარტმა, იუმორითა და ეროვნ. კოლორიტით აღსავსე ნოველებმა (კრებულები: ,,აფხაზური ნოველები“, 1957; ,,ნამუსი“, 1961 და სხვ.), რებშიც ასახულია აფხაზი ხალხის წარსული და აწმყო.



მ. ლაკერბაი

თხზ.: აფხაზური თეატრის ისტორიდან, თბ., 1957; აფხაზური ნოველები, თბ., 1960; ალამისის სიმღერა, თბ.,



ლაკლაკი.



ნ. ლაკობა.

1965; ბზის ჯოხი, თბ., 1968; დავა, სიძეები, ნოველები, თბ., 2019.

ლიტ.: მწერალთა ავტობიოგრაფიები, წგ. 2, თბ., 2013; ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, გამოც. მე-2, თბ., 1958.


ლაკლაკეთი, სოფელი აჭარის არ შუახევის მუნიციპალიტეტში (უჩამბის თემი), მდ. ლაკლაკეთისწყლის (აჭარისწყლის აუზი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1200 *მ,* შუახევიდან 12 *კმ.* 217 მცხ. (2014). ლ. გვარსახელური წარმომავლობის სახელწოდებაა. შედგება ხუთი უბნისაგან: კალვათი, ხითარიაული, ოკისი, წყარვათი, ხევისთავი.

ლაკლაკი, თეთრი ყარყატი (Ciconia ciconia). ფრინველი ყარყატისნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძეა 100–125 *სმ,* ფრთების შლილი – 155–200 *სმ,* მასა – 4–5 *კგ.* მთელი სხეული შეფერილია თეთრად, მომქნევი ბუმბულები კი – შავად. ზრდასრულს ფეხები და ნისკარტი წითელი აქვს, თვალის გარშემო და ნიკაპის შიშველი ადგილები შავია, კისერი – გრძელი და მოქნილი, ნისკარტი – სწორი და მახვილი, ფეხები – გრძელი. დედალი მამალზე პატარაა, სიცოცხლის ხანგრძლივობა 20 წლამდეა. გავრცელებულია შვედეთის სამხრ. ზღვისპირეთსა და დანარჩენ ევროპაში (ბრიტანეთის, ისლანდიისა და სკანდინავიის გარდა), ჩრდ.-დას. აფრიკაში, მცირე აზიაში, კავკასიასა და შუა აზიის ცენტრ. ნაწილში. ზამთრობს აფრიკაში (საჰარის უდაბნოს სამხრ-ით), ინდოეთსა და არაბეთის ნ.-კ-ის უკიდურეს სამხრ.-აღმ-ში.

საქართველოში ბუდობს ჯავახეთში, გომარეთის პლატოზე, წალკის ქვაბულში, ბოლო დროს შეიმჩნევა ახალი ბუდობების გაჩენა გარდაბნის, თეთრი წყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. ბუდეები განლაგებულია ზ. დ. 270–2400 *მ*-ზე. მიგრირებს საკმაოდ მაღლა ლივლივა ფრენით, უპირატესად ხმელეთის თავზე. ბინადრობს ტბების, მდინარეების, ჭაობებისა და ტენიანი მდელოების გარშემო, ხშირად – ადამიანის საცხოვრებელთან ახლოს. იკეთებს დიდ ბუდეს (სიმაღლე – 2 *მ,* დიამეტრი დაახლ. 0,8–1,5 *მ,* მასა 250 *კგ*-მდე) მაღალ ხეებზე, შენობათა სახურავებზე, ბოძებზე, ზოგჯერ – კლდეზე. ცალკეულმა ბუდეებმა შეიძლება რამდენიმე ათეული წელიწადი გაძლოს. ლ. იკვებება მცირე ზომის ამფიბიებით, ქვეწარმავლებით, უხერხემლოებით, თევზებით, მღრღნელებით, ფრინველთა კვერცხებითა და ბარტყებით. ცხოვრობენ წყვილებად, მიმოფრენისას გუნდებად იკრიბებიან. აპრილში დებს 2–6 თეთრ კვერცხს, კრუხობს ორივე მშობელი.

ა. ბუხნიკაშვილი.

ლაკლაკიძეების ჭედური ხატი, XI ს. ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლი, მოოქრული ვერცხლის ხატი (80X64 *სმ*). შესრულებულია ლაკლაკიძეთა ოჯახის (ჩორჩანელების განშტოება) დაკვეთით ზარზმის მონასტრისათვის. ცენტრში გრავირებული ორნამენტის ფონზე გამოხატულია ღვთისმშობელი და ყრმა იესო, რ-თა სახეები ფერწერულია. განსაკუთრებით საინტერესოა ფართო ჩარჩოზე (13 *სმ*) მაღალი რელიეფითა და დიდი პროფ. ოსტატობით შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი მრავალფიგურიანი კომპოზიციები. ხატი აღწერილია დ. ბაქრაძისა და ნ. კონდაკოვის ნაშრომებში, ასევე შეტანილია დ. ერმაკოვის კატალოგში (№121). ხატს თან ახლავს ასომთავრულით შესრულებული ვრცელი საქტიტორო წარწერა, რ-იც ოთხივე მხარეს შემოუყვება ცენტრ. გამოსახულებას. წარწერიდან ირკვევა, რომ ხატის შემწირველი არის ,,გლახაკი ეპრაქსია“, დედა ,,ერისთავთერისთავისა მირიანისა და ხურციკისა“ ლაკლაკისძეთა საგვარეულოდან. XVI ს-მდე ინახებოდა ზარზმის მონასტერში, შემდეგ – შემოქმედში, 1924-იდან – ძვ. ქართული ხელოვნების მუზეუმში. ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში.



ლაკლაკიძეების ჭედური ხატი. XI ს. ზარზმა.

ლაკლაშენი, ყოფილი სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში. იხ. *საფარლო.*

ლაკობა ნესტორ აპოლონის ძე (1. V. 1893, სოფ. ლიხნი, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 28. XII. 1936, თბილისი), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1912-იდან. 1911 რევ. წრეებში მონაწილეობის გამო გარიცხეს თბილ. სას. სემინარიიდან, შემდეგ რევ. საქმიანობას განაგრძობდა ბათუმსა და გროზნოში. 1916–17 მუშაობდა შავი ზღვის რკინიგზაზე, იქვე ეწეოდა რევ. პროპაგანდას მშენებელთა შორის. 1916 გუდაუთაში შექმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია. 1918 გაზაფხულზე ს. კუხალეიშვილთან, ე. ეშბასთან, გ. ათარბეგოვთან და სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა აფხაზეთში შეიარაღებულ აჯანყებას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. იქვე სათავეში ჩაუდგა პარტიზ. რაზმს. 1919–20 აქტიურ რევ. საქმიანობას ეწეოდა აჭარაში. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ მუშაობდა აფხ. რევკომის თავ-რედ, სამხ.-საზღვაო საქმეთა სახ. კომისრად, სახკომსაბჭოსა და ცაკის თავ-რედ; იყო საქ. კპ (ბ) ცკ-ის, საკ. კპ (ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტისა და სსრკ ცაკ-ის წევრი. სკპ (ბ) XIII, XV–XVII ყრილობების დელეგატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ლ. მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის სასტუმროში; ოფიციალური ვერსია – გულის უკმარისობა. გარდაცვალების შემდეგ ლ. ხალხის მტრად გამოაცხადეს, რეპრესირებული იყო მისი ოჯახიც.

ლ. თოიძე.

ლაკუასტის ციხე, ლაკუათის ციხე, ლაგოეთის ციხე, მდებარეობდა ლაგოდეხში. შემორჩენილია რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაგები გალავნის ნაშთი. წერილობით წყაროებში ციხე იხსენიება VIII ს-ში. ჯუანშერის ცნობით, ერისმთავარმა არჩილმა (668–718) „ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“. ვახუშტი ბაგრატიონი ციხეს ლაკუათის სახელწოდებით მოიხსენიებს: „ამას ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა, მ~დ მეფის არჩილისგან ქმნული და აწ ლაგოეთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჴერი“ (იხ. *ლაგოდეხი*).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1iv, თბ., 2021.

ლაკუმურაშდული, მთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედის დას. ნაწილში, მდ. ხობის სათავესთან. სიმაღლე 3211 *მ.* ლ.-ზე რამდენიმე პატარა მყინვარია. აგებულია ბაიოსური პორფირიტებით. კალთების უმეტესი ნაწილი შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლაკურ-დარგუული ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ქვეჯგუფი. შედის ლაკური და დარგუული (კუბაჩურითურთ) ენები. ლ.-დ. ე. ერთგვარად გარდამავალია დაღესტნის ენათა 2 დანარჩენი ქვეჯგუფის – ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ლეზგიურ ენათა შორის. ლეზგიური ენებიდან ლ.-დ. ე-თან ყველაზე ახლოსაა თაბასარანული ენა. ლ.- დ. ე-თვის დამახასიათებელია ხშულთა ოთხეულებრივი (მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი, ინტენსიური) და სპირანტთა სამეულებრივი (მჟღერი, ყრუ, ინტენსიური) სისტემა, უკანაენისმიერთა პალატალიზაცია (მათი შეცვლა შიშინა რეფლექსებით) და თანხმოვანთა ცვლის ზოგი სხვა ტენდენცია, ზმნის კლასოვან-პიროვანი უღლება. ლაკურში დიალექტები ნაკლებად გამოიყოფა (გარჩეულია კილოკავები), ხოლო დარგუულში ძლიერი დიფერენციაციაა. ლაკურიც და დარგუულიც ახ. სამწერლობო ენებია.

ლიტ.: გაფრინდაშვილი შ., ბგერათშესატყვისობებისათვის დარგუულსა და ლაკურში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1954, ტ. 6; ჩიქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი, თბ, 1952.

ი. ცერცვაძე.
ა. მაჰომეტოვი.

ლაკური ენა, იბერიულ-კავკასიური ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთი ახალი სამწერლობო ენა. გავრცელებულია დაღესტნის ლაკის, კულისა და ნოვოლაქსკის რ-ნებში (ლაკებით დასახლებული ზოგი აული გვხვდება დაღ. სხვა რ-ნებშიც). ლ. ე-ში გამოიყოფა კილო-თქმები: ვიცხიური, ღუმუქური (რ-იც საფუძვლად უდევს სამწერლობო ლ. ე-ს), ვიხლიური, აშტიკულური, ბალხარული.

ლ. ე-ში გარჩეულია 3 ძირითადი ხმოვანი (ა, ი, უ); თანხმოვნები 41-ს აღწევს; თანხმოვანი საარტიკულაციო რაგვარობის მიხედვით შეიძლება იყოს მჟღერი, ფშვინვიერი, აბრუპტივი და ინტენსიური. ფონემური მნიშვნელობის ეს ოთხივე ვარიანტი გარჩეულია ხშულებში. აფრიკატებს არა აქვს მჟღერები, სპირანტებს – აბრუპტივები. ინტენს. და არაინტენს. თანხმოვანთა დაპირისპირება დასტურდება ხმოვნის წინ. სიტყვის თავში ერთზე მეტი თანხმოვანი არ გვხვდება; თანხმოვანთა თავმოყრა (არა უმეტეს 2 თანხმოვნისა) დასაშვებია სიტყვის ბოლოს და ხმოვანთა შორის (არა უმეტეს 3 თანხმოვნისა).

გარჩეულია 4 გრამატიკული კლასი: I – მამაკაცთა, II – ქალთა, III – ცხოველთა და ნივთთა (ამავე კლასში შედის ქალის აღმნიშვნელი ზოგი სიტყვაც), IV – ნივთთა. ძირითადი ბრუნვებია: სახ. (უნიშნო), ნათ. (ნიშანი ლ), მიც. (ნიშანი ნ). ნათ. ბრუნვა, კუთვნილების გარდა, გამოხატავს გარდამავალი ზმნის სუბიექტსაც. წარმოდგენილია ადგილ. ბრუნვები. ბრუნვისას ხშირად ვლინდება ,,ჩანართი ელემენტები“, ზედსართავი სახელი იბრუნვის არსებითი სახელისგან დამოუკიდებლად. თვლის სისტემა ათობითია. ზმნის ძირითადი კატეგორიებია გრამატ. კლასი, პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გვარი არ გაირჩევა. ზმნა მდიდარია კილო-დროთა და სხვადასხვა მოდალური შინაარსის ორგ. თუ აღწერითი წარმოების ფორმებით; ზმნის უღლება კლასოვან-პიროვანია, გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება კლასიც და პირიც სუბიექტისა, გარდამავალში – კლასი ობიექტისა, პირი სუბიექტისა ან ზოგჯერ ობიექტისა; გარდაუვალი ზმნის სუბიექტი სახ. ბრუნვაშია, გარდამავალი ზმნა ქმნის კონსტრუქციას რეალური ობიექტით სახ. ბრუნვაში და რეალური სუბიექტით ნათ. ან სახ. ბრუნვაში (1–2 პირის ნაცვალსახელებში). გარდამავალი ზმნის რეალური სუბიექტის აღსანიშნავად ერგატივის გაურჩევლობა და მისი ფუნქციით ზემოაღნიშნული 2 ბრუნვის გამოყენება ლ. ე-ის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა.

ლიტ.: ბურჭულაძე გ., ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში, თბ., 1993; მისივე, ლაკური ზმნა; დროკილოთა სისტემა, თბ., 1987; მისივე, პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში, თბ., 2002; გიგინეიშვილი ბ., ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, ,,თსუ შრომები“, 1963, ტ. 96; თოფურია ვ., ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, ,,საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1940, ტ. 10B ; მისივე, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში, ,,ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 12; Жирков Л. И., Лакский язык, М., 1955; Муркелинский Г. Б., Грамматика лакского языка, Махачкала, 1971; мисивე, Русско-лакский словарь, Махачкала, 1953.

ი. ცერცვაძე.

ლალაიანი ერვანდ ალექსანდრეს ძე [13(25). III. 1864, ალექსანდროპოლი, მოგვიანებით ლენინაკანი, ახლანდ გიუმრი, – 24. II. 1931, ერევანი], სომეხი ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და არქეოლოგი. 1894 დაამთავრა ჟენევის უნ-ტი. 1896–1916 აქვეყნებდა ეთნოგრ. პერიოდულ კრებულს ,,აზგაგრაკან ჰანდეს“ (გამოვიდა 26 ტომი), სომხ. ეთნოგრ. საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1906–17). 1909 მისი ინიციატივით თბილისში შეიქმნა სომხ. სიძველეთა ეთნოგრ.-არქეოლ. მუზეუმი, რ-იც 1921 ერევანში გადაიტანეს. მის ბაზაზე დაარსდა სომხ. სახელმწ. ისტ. მუზეუმი, რ-ის პირველი დირექტორიც თავად იყო. ლ. ძირითადად იკვლევდა სომხ. ეთნოგრ. და არქეოლ. საკითხებს.

ლიტ.: Мелик-сет-Беков Л. М., Армянский этнограф-археолог Е. А. Лалаян, „Советская этнография“, 1936, №4–5.

ლალვერი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, სიმაღლე – 4350 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი. მისასვლელი გზაა სამხრ-იდან წანერის (მდ. ენგურის აუზი), ჩრდიდან კი – ულუჩირანის (მდ. ბეზენგის ჩერეკის აუზი) მყინვარებიდან.

ლ. პირველად დალაშქრეს 1929 (ხელმძღვ. დ. მიქელაძე).

ლალიევი ალექსანდრე გრიგოლის ძე [15(28). VI. 1912, თბილისი, – 7. XI. 1990, იქვე], გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1955), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). 1934 დაამთავრა ი. გუბკინის სახ. მოსკოვის ნავთობის ინ-ტი. 1932–34 მუშაობდა ნავთობის საკავშ. გეოლ.-საძიებო ინ-ტში (მოსკოვი), 1934–55 – ,,საქნავთობის“ სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1947–50 – მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1947-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1955-იდან იყო სპი-ის ნავთობის საბადოების ძებნა-ძიების და ბურღვის კათედრის გამგე, 1973-იდან – საწარმოო გაერთიანება ,,საქნავთობის“ მთავარი გეოლოგი და გენ. დირექტორის მოადგილე.

ლ-ის შრომები ეხება საქართვ. კაინოზოური ნალექების სტრატი-

გრაფიასა და ნავთობის გეოლოგიას. დიდი წვლილი შეიტანა პალეოგენური ნალექების შესწავლაში. აღმოაჩინა ჩორდის ბარიტის (1969) და სამგორის ნავთობის (1988) საბადოები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Майкопская серия Грузии, М., 1966.

ლალიონი, (ნამდვ. გვარი მამულაიშვილი) არსენ ანტონის ძე 12(24). I. 1866, სოფ. დვაბზუ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 17. IX. 1918, თბილისი), მწერალი, პედაგოგი. III დასის წევრი. დაწყებითი განათლება ოზურგეთის სასწავლებელში მიიღო. 1883–89 სწავლობდა თბილისის სამასწავლებლო სასწავლებელში. 1889– 93 მუშაობდა აზერბაიჯანის ქ. შემახის სკოლის მასწავლებლად, 1893–97 კი ქ. ნახიჩევანში. 1897 დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1900, ი. გომელაურთან ერთად, დააარსა კერძო სკოლა-პანსიონი, რ-ის მიზანი იყო სკოლის ქართველი ბავშვებით დაკომპლექტება და ყველა საგნის ქართ. ენაზე სწავლება. 1903 სკოლა დახურეს. 1906 დაინიშნა თბილისში ვერის პირველი დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

პირველი მოთხრობა „ფირალი დავლაძე“ 1895 გამოაქვეყნა ჟურნ. „მოამბეში“. ნიჭიერმა ბელეტრისტმა თავის ნაწარმოებებში ასახა გურულების ყოფა-ცხოვრება, აზნაურული წოდების დაქვეითება, 1905 რევოლუციის შემდგომი რეაქციის ხანის ქართ. სოფლის მძიმე ყოფა. ლ. ე. ნინოშვილის დემოკრ. სკოლის ტრადიციათა მიმდევარია. მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით მის შემოქმედებაში გამოირჩევა მოთხრობები „რაქვიანა“ (1904) და „ბეჟუკას ხვედრი“ (1909). აღსანიშნავია მოთხრობები: „ეფემიას ოცნება“ (1901), „მშობლები“ (1902), „დამშვიდება“, „შემთხვევა“ (ორივე 1906) და სხვ.

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1949.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. პირველი, თბ., 1953; ცისკარიძე ვ., ლალიონის შემოქმედება, თსუ შრომები, 1956, №63.

ვ. ცისკარიძე.

ლალისყური, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდ. სტორის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 440 *მ,* თელავიდან 33 *კმ.* 499 მცხ. (2014).

სოფლის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები: სოფლის დას-ით, ორიოდე *კმ*-ზეა გარდამავალი ხანის. ანტონის ჯვრის ორნავიანი ეკლესია, ანტაჯვარი. სოფლის აღმ-ით, მაღალ ბორცვზე, ქვაყრილის სახით შემორჩენილია თამარ მეფის ნატახტარი; გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია დგას სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე; იმავე პერიოდის ციხე-გალავნის კომპლექსი კი – სოფლის აღმ. განაპირას, მდ. სტორის მარჯვ. ნაპირას; სოფლის ჩრდ-ით ორიოდე *კმ*-ზე, მთაზე მდებარეობს წყაროსთავის წმ. გიორგის ეკლესია (სავარაუდოდ XV ს.).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1₁, თბ., 2015.

ლალოინი (თურქ. ლალ – მუნჯი, ოინი – თამაში; უტყვი თამაში), ძველებური მესხურ-ჯავახური საწესო ცეკვა-თამაშობა. ლ-ის ეტიმოლოგია სავარაუდოდ, მოიაზრებს თამაშის წესს: ვაჟების ჯგუფს წკეპლით ხელში სათავეში ედგა ლალია – წინამძღოლი. იგი უხმოდ ასრულებდა სხვადასხვა მოქმედებას, რ-იც სხვებსაც ასევე უხმოდ უნდა გაემეორებინათ. თუ რომელიმე ამას ვერ შეძლებდა ან ხმას ამოიღებდა, ლალია მას წკეპლას უთავაზებდა. ბოლოს ლალია მაყურებლებიდან რომელიმე ბავშვს წამოიკიდებდა, ასევე იქცეოდნენ სხვა მოცეკვავეებიც. თამაშის დასასრულს ფერხულს უვლიდნენ. ლ. სრულდებოდა ყველიერის კვირას და ქორწილში. ცეკვამ შემოინახა ნაყოფიერებასთან, სიკვდილისა და აღდგომა-განახლების მითოლოგიურ ციკლთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი. მკვლევართა აზრით, ლ-ის ქართული სახელწოდება იყო ,,ძაღლური'' ან ,,გულთამაშა''. მსგავსი ტიპის საწესჩვეულებო ცეკვები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ლ-ის თეატრალიზებული ვარიანტი ,,იდუმალას'' სახელწოდებით აღადგინა ქორეოგრაფმა გ. სალუქვაძემ.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2001; იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში (XIX ს. II ნახ.–XX ს.), თბ., 1987; სონღულაშვილი ჯ., ხალხური სიტყვიერების მასალები, ტ. 2, თბ., 1957.

გ. ჩინჩალაძე.

ლალხორალი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ხაიშის თემი). მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ,* მესტიიდან 81 *კმ.*

2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

ლალხორი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში, კალის თემის ცენტრი (სოფლები: ლ., აგრაი, დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ლასკრალი, ხალდე, ხე). მდებარეობს სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ხალდეჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) შესართავთან. ზ. დ. 1760 *მ,* მესტიიდან 34 *კმ.* 24 მცხ. (2014).

ლამაზი გორა, მთა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოების, მდინარეების – სულორისა და წაბლარას-წყლის (რიონის აუზი) წყალგამყოფ ლობოროტის ქედზე. სიმაღლე 2740 *მ.* აგებულია შუაეოცენური ვულკანოგენური წყებით. თხემი უტყეოა, კალთები – ტყიანი.

„ლამაზი საყდარი“, ლიპარიტისუბანი, ღვთისმშობლის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს დმანისის მუნიციპ-ში, მდ. ქციის ხეობაში (ქციისა და ყარაბულახისწყლის შეერთების მახლობლად). დგას სამხრეთისკენ მიმართული ციცაბო ფერდის ვიწრო ტერასაზე. შემორჩენილია მოზრდილი ერთნავიანი ეკლესია, ნა-



ლალისყური. წყაროსთავის წმინდა გიორგის ეკლესია.

სახლარი ეკლესიის აღმ-ით, გალავნისა და სხვა შენობის ნანგრევებით. თვით ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. ე. თაყაიშვილმა მიიჩნია, რომ ეს არის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული ლიპარიტისუბანი (,,ქციაზედ არს ლიპარიტისუბანს მონასტერი მცირე, კეთილშენი''), რ-იც მის დროს უკვე მიტოვებული იყო. სამხრ-ის შესასვლელის თავზე გრძელ ასომთავრულ წარწერაში თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი ერთად იხსენიებიან, ამიტომ ეკლესიის აგების თარიღი 1187 (მათი დაქორწინების წელი) და 1205 (დავითის გარდაცვალების დაახლ. წელი) შორის ექცევა. ,,Ლ. Ს.'', რ-იც მას ხალხმა შეარქვა, ნაშენია კარგად თლილი ადგილობრივი ქვის კვადრებით. შენობა საგანგებოდ პროფილირებულ ცოკოლზე დგას. დარბაზული ტიპის ეკლესიის შიგა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც დარბაზისაგან გამოყოფილია მხრებით. დარბაზის გრძივი კედლები დანაწევრებულია ორი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით. განათების ძირითადი წყარო აღმოსავლეთის და სამხრეთის ორი სარკმელი იყო. მდიდრულად მორთული პორტალი ამშვენებდა სამხრეთ ფასადს. მინაშენები ეკლესიას უკავშირდება დას. და ჩრდ. კედლებში გაჭრილი კარით. ჩრდ. სათავსი აღმ-იდან განათებულია ერთი ვიწრო სარკმლით. სხვებთან შედარებით უკეთ შემორჩა აღმ. ფასადი. ძეგლს კარ-სარკმელი მორთული ჰქონდა დიდი ოსტატობით შესრულებული სხვადასხვა სახის ჩუქურთმით. ეკლესია შიგნით მოხატული ყოფილა.

ლიტ.: ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 2, თბ., 2014; Такаишвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913.

თ. გერსამია.

ლამაზი ტბა, მყინვარული წარმოშობის ტბა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სამსარის ქედის თხემზე. წყლის სარკის ფართ. – 0,11 *კმ*^{2}, აუზის ფართ. – 1,48 *კმ* ^{2}, უდიდესი სიღრმე – 16,5 *მ,* მოცულობა – 1,25 მლნ. *მ*^{3}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. გაუდინარია. მაღალი დონე აქვს ზაფხულში, დაბალი – ზამთარში. სუფთა და გამჭვირვალე წყალი სუსტად მინერალიზებულია.

ლამანაშური, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ხოფურის თემი), მდ. ლამანაშურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 630 *მ.* 20 მცხ. (2014).

ლამარია, შვილების, მიწის მოსავლიანობის, მეწველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღვთაება. მისი კულტი აღმოცენდა ძვ. აგრარული ქალღვთაებისა და ქრისტ. მარიამ ღვთისმშობლის კულტის შერწყმის შედეგად. ქრისტიანობის გავლენით ქალღვთაების ძვ. სახელი გაქრა და ღვთისმშობლის ადგილობრივი სახელწოდებით შეიცვალა. სვანების წარმოდგენით, ლ-ს ღვთაებათა პანთეონში ბოლო ადგილი ეჭირა. ლ-ს დღეობები ძირითადად ახალი წლისა და ადრესაგაზაფხულო დღესასწაულთა ციკლს ემთხვეოდა. მის სახელობაზე დიასახლისი სპეც. კიდობანში ინახავდა საუკეთესო მარცვლის ფქვილს, რ-საც ლ-ს კულტმსახურების დროს იყენებდა. მაგ., ახალი წლის ციკლის ერთ-ერთ დღესასწაულზე, შუშხვამის ღამეს, აცხობდნენ საგანგებო, შუაში გახვრეტილ დისკოსებრ ქიმებიან კვერს, რ-იც ოჯახის წევრთა კეთილდღეობისათვის იყო განკუთვნილი და წლის ბოლომდე კერიის თავზე ეკიდა. ლ-ს სახელობისად ითვლებოდა საგაზაფხულო დღეობა ლილაშუნე–თესლობა. ამ დღეს აცხობდნენ ხარისა და გუთნის გამოსახულების კვერებს, აწყობდნენ ტაბლაზე ან სპეც. მრგვალ კვერზე, ე. წ. კალოზე და ლ-ს სწირავდნენ.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953; სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979.

ი. სურგულაძე.

ლამბალო, სოფელი კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (ლამბალოს თემი). მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე. ზ. დ. 450 *მ,* საგარეჯოდან 35 *კმ.* 5980 მცხ. (2014). სოფელი გაიყო ორ ნაწილად – ქვემო ლამბალოდ და ზემო ლამბალოდ (2012).

ლამბალოს არხი, სარწყავი არხი საქართველოსა და სომხეთში. იწყება სომხეთის ტერიტორიაზე, მდ. დებედის მარჯვ. ნაპირიდან. სიგრძე 44 *კმ.* საშ. ხარჯი 2 *მ*^{3}*/წმ.* რწყავს დაახლ. 1600 ჰა, აქედან სომხეთში – 600 ჰა, საქართველოში (მარნეულის მუნიციპალიტეტი) – 1000 ჰა.

ლამბერტი (Lamberti) არქანჯელო, XVII ს. იტალიელი მისიონერი, თეატინელთა ორდენის ბერი, ქ. ნეაპოლის მკვიდრი. 1633–49 კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ოდიშის სამთავროში, ლევან II დადიანის (1611–57) მმართველობის დროს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1654, გამოაქვეყნა წიგნი, რ-შიც მოცემულია XVII ს. შუა წლების ოდიშის სამთავროსა და, საერთოდ, საქართველოს პოლიტ. და სოც.-ეკონ. ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილ. წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა. ლ-ს ნაშრომი ამ სახის პირველი თხზულებაა საქართველოს შესახებ. იგი XVII ს. საქართვ. ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროა და მკვლევართა დიდი ყურადღებით სარგებლობს. ლ-ს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი ,,წმინდა კოლხეთი'', რ-შიც ავტორი ეხება ოდიშის სამთავროს სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ზოგიერთი ცნობით, ლ. თავისი დროისათვის საკმაოდ დახელოვნებული ექიმი და მხატვარიც ყოფილა.

თხზ.: სამეგრელოს აღწერა, თარგმ. ა. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვ., რედ. და შენიშვნებით, გამოც. მე-2, თბ., 1938.

ი. ანთელავა.

ლამი, ყოფილი სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში (მისაქციელის თემი).

ლამინარიასნაირნი (Laminariales), წაბლა წყალმცენარეების რიგი. ზოგჯერ გიგანტური, ჩვეუ-



,,ლამაზი საყდარი''. XII–XIII სს.

ლებრივ 10–15 *მ* სიგრძის ზღვის წყალმცენარეებია. თალუსი შედგება ერთი ან რამდენიმე მსხვილი ფოთლისებრი ფირფიტისა და მარტივი ან დატოტვილი საყრდენისაგან, რ-იც რიზოიდებით ან ბალიშისებრი წარმონაქმნით ემაგრება წყალქვეშა ქვებს. განვითარების ციკლში კარგად არის გამოხატული თაობათა მორიგეობა.

წყალმცენარე ხარობს ზომიერ და ცივ წყლებში. ცნობილია 100-მდე სახეობა. ყველაზე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ლამინარიას (Laminaria) გვარი. შეიცავს ცილებს, ცხიმებს, მიკროელემენტებს, ვიტამინებს, ნახშირწყლებს, იოდს. გამოიყენება მრეწველობასა და მედიცინაში. ხმარობენ საკვებად, სასუქად, მისგან იღებენ ალგინის მჟავასა და მანიტის სპირტს.

ლამისყანა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., თვაურები, ხვითი). ზ. დ. 680 *მ,* კასპიდან 16 *კმ,* 1,1 ათ. მცხ. (2014).

სოფლის ზემოთ, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე, ძნელად მისადგომ მაღალ ფერდობზე, ანტიკური ხანის ნამოსახლარზე მდებარეობს ორბელიანთა სასახლის კომპლექსი – არქიტ. და ისტ. ძეგლში შედის ციხე-გალავანი (XVIII ს.), სასახლე (XIX ს.), გალავნის გარეთ მდებარე წმ. გიორგის ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუნეები), სამეურნეო ნაგებობანი და სხვ.

სოფელში არის დ. გურამიშვილის მემორიალი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 5, თბ., 1990.



ლამისყანა. ორბელიანების სასახლე. XIX ს.

ლამოვანი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (მჭადიჯვრის თემი), მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 680 *მ,* დუშეთიდან 15 *კმ.* 170 მცხ. (2014).

„ლამპარი“, ქართული ყოველდღიური გაზეთი, ს.-დ. პარტიის ლეგალური ორგანო; გამოდიოდა 1906 თბილისში გაზ. „ელვის“ ნაცვლად. გამოვიდა 54 ნომერი. გაზეთში იბეჭდებოდა მრავალი კორესპონდენცია, უმთავრესად რ-ნებიდან. „ლ-სთან“ თანამშრომლობდნენ ვ. დარჩიაშვილი, ლ. ნათაძე, ს. ჯუღელი, ფ. მგელაძე, ს. ესაძე და სხვ. რედ.-გამომცემელი – კ. თავართქილაძე. „ლ.“ დაიხურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით. მის ნაცვლად გამოვიდა გაზ. „სიმართლე“.

ლამპრობა (სვან. ლიმპჲარ, დეცეშ ლამპრობ, სუიმნიშ, სუიმნიშლამპრობ), ადრესაგაზაფხულო დღესასწაული ძველ საქართველოში. დღემდე ხალხურმა ყოფამ იგი სრული სახით მხოლოდ სვანეთში შემოინახა, თუმცა დღეობის შესახებ ჯერ კიდევ არის ხსოვნა შემორჩენილი აღმ. საქართვ. მთიანეთსა (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, ფშავი, ხევსურეთი) და გურიაში. ლ-ის დღესასწაული ძირითადად 2 (ძვ. სტ.) თებერვალს იმართებოდა. მოსახლეობა ლ-ს მოსავლიანობას, საქონლის, ადამიანის გამრავლებას და კარგ ამინდს შესთხოვდა. თავისი შინაარსით ლ. ძვ. მიწათმოქმედ ხალხთა ტიპური დღესასწაულია. ქვემო სვანეთში დღესასწაულზე წინასწარ დამზადებული არყის ან მუხის გამხმარი და დაჩეჩქვილი ტოტებისაგან გაკეთებულ „ლამპრებს“ ანთებდნენ; მათი რაოდენობა ოჯახის სულადობით განისაზღვრებოდა. ზემო სვანეთში ლ. კვირიას ციკლის ადრესაგაზაფხულო დღესასწაულებში შედიოდა და ბერიკაობა-ყეენობის სვან. ვარიანტის მსგავსად იმართებოდა. ირჩევდნენ „კეისარს“, მის „ცოლებს“ და „ვეზირებს“. სოფ. ლახირის (მესტიის მუნიციპ.) მთავარანგელოზის ეკლესიაში მიჰქონდათ რიტუალური კვერები, სადაც იმართებოდა ზედაშის რიტუალური სმა. ეკლესიიდან ხალხი „მესვიმნიშის“ ოჯახში მიდიოდა, ე. ი. იმასთან, ვინც სვიმონობას იხდიდა და რიგის მიხედვით თემის მასპინძელიც იყო; იქ მღეროდნენ კვირიას სადიდებელ ჰიმნებს, კერას უვლიდნენ ანთებული სანთლებით, რ-ებსაც შემდეგ საქონლის სადგომის ტიხარზე აკრავდნენ. იმართებოდა ჭიდაობა, გუნდაობა, ფერხული „ლამპრული“. მეორე დღეს – წმ. გიორგისა და წმ. მარიამის ლ., უფრო მოგვიანებით – ცის ლ. ლ-ს „სვიმნობასაც“ უწოდებდნენ. დღესასწაულმა სახელწოდება სვიმონ ღვთისმიმრქმელის სახელის მიხედვით მიიღო (როდესაც მოხდა ძვ. და ახალი რიტუალების შერწყმა და ლ-მ ქრისტიანული შინაარსი შეიძინა). ლ-ის რიტუალი მირქმის სახელით იხსენიება „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XI ს.). საეკლესიო კალენდრის მიხედვით ლ. და მირქმის დღესასწაული 2 თებ. (ძვ. სტ.) აღინიშნება (იხ. *მირქმა*).

ლიტ.: აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991; გუჯეჯიანი რ., ლამპრობის ტრადიცია საქართველოში, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, 2015, [ტ.] 16, სვანური პროზაული ტექსტები, [ტ] 1–ბალსზემური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბ., 1939.

ი. სურგულაძე.

„ლამპრული“, სვანური წრიული ფერხული. ცეკვის დროს ხელში ეჭირათ ანთებული არყის ხის კვარი. „ლ“. სათავეს იღებს ბუნების გამოღვიძების, მზის ცხოველმყოფელობის, „ნათლისა და ბნელის ბრძოლის“ საგაზაფხულო რიტუალებიდან, რ-იც შემდგომ ქრისტიანობას დაუკავშირდა და სინკრეტული ხასიათი მიიღო. ცეკვა „ლ“ აღწერილია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.); მას იანვრის ერთ-ერთ ორშაბათს ასრულებდნენ სამეფო კარზე ლაშქარ-ნადირობისთვის შეკრებილი პირები. სვანეთში „ლ“ ასევე სრულდებოდა მირქმის დღესასწაულის წინა საღამოს და გიორგობას. იგი საქართველოს ყველა კუთხეში იყო გავრცელებული.

ლიტ: გელეიშვილი ე., ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ-ხალხურ ქორეოგრაფიაში, 2014; გვარამაძე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ.,1997; ნიჟარაძე ბ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ.,1962., (იხ. აგრეთვე სტ. ლამპრობა).

ლამფალაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჟახუნდრის თემი). 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ლამხერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მეს-

ტიის მუნიციპალიტეტში (ფარის თემი), სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, ცალგმილის ქედზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, მესტიიდან 28 *კმ*. 14 მცხ. (2014).

ლამჯურიში, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (უშგულის თემი). სვანეთის კავკასიონის მთ. ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 2120 *მ*, 48 მცხ. (2014).

ლანგი (Lang) ლენგი, დეივიდ (6. V.1924, კენტის საგრაფო, – 20. III. 1991, ესექსი, ინგლისი), ინგლისელი ქართველოლოგი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ლონდონის უნ-ტის კავკასიისმცოდნეობის პროფესორი, თსუ-ის საპატიო დოქტორი (1968). სწავლობდა კემბრიჯის წმ. იოანეს კოლეჯში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იყო ბრიტ. საელჩოს მდივანი ირანში. 1946-იდან დაიწყო რუს. და კავკ. ისტორიის შესწავლა. 1949-იდან ქართულს ასწავლიდა ლონდონის უნ-ტში, 1952–53 მუშაობდა ევროპასა და აშშ-ში. იკვლევდა ქართულ სას. და საერო ლიტ-რას. 1951 წერილი მიუძღვნა პეტრე იბერის ვინაობის საკითხს. 1963 ორიენტალისტთა მოსკოვის XXV საერთაშ. კონგრესის შრომებში დაიბეჭდა ლ-ის გამოკვლევა ,,შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის პრობლემები“. მანვე გამოავლინა ,,სიბრძნე ბალავარისას“ ქართ. იერუსალიმური ნუსხა და 1966 გამოსცა მისი თარგმანი ინგლ. ენაზე. ამავე წელს ლონდონში დაიბეჭდა ლ-ის ნარკვევი ,,ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები“, 1970 – ,,ხალხური და კურტუაზული ელემენტები ქართულ ეპოსში“.

ლ. იკვლევდა საქართველოს ისტორიას. 1957 გამოსცა წიგნი ,,ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები. 1658–1832“; 1962 დაიბეჭდა მისი ,,საქართველოს ახალი ისტორია. XIX–XX სს“. ლ-მა ნარკვევები მიუძღვნა გიორგი ბრწყინვალის მეფობას, ქართველთა მოღვაწეობას ირანში სეფიანთა დინასტიის დამხობის ხანაში, ვახტანგ VI-ის ურთიერთობას საფრანგეთთან, ე. ტოტლებენის მეთაურობით რუსთა ჯარების ყოფნას საქართველოში 1769–71 და სხვ. ავტორია მიმოხილვითი საცნობარო წიგნისა ,,ქართველები“ (1966). მისი რამდენიმე ნარკვევი ეხება ქართ. ნუმიზმატიკის საკითხებს.

ლ. 1966 ჩამოვიდა საქართველოში, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის იუბილეზე.

თხზ.: ქართველოლოგიური კვლევაძიება ოქსფორდში, «ცისკარი», 1957, №4; საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, თბ., 2003.

ლიტ.: ბარბაქაძე ს., დევიდ მარშალ ლანგის *ლიტერატურულ-თეორიულ* მოსაზრებათა ქართული თარგმანები; „ლიტერატურული ძიებანი“, 2016, ტ. 37; დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.

ა. ბარამიძე. შ. ხანთაძე.

ლანგლუა (Langlois) ვიქტორ (20. V. 1829, დიეპი, – 14. V. 1869, პარიზი), ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი, ნუმიზმატი, ორიენტალისტი. ცნობილი იყო შრომებით სომხეთის ისტორიასა და კულტურაზე (დაახლ. 30 წიგნი). ლ-მ 1852 გამოაქვეყნა ქართ. ნუმიზმატიკური ძეგლების სისტემური მიმოხილვა (Numismatiqus de la Géorgie, 1852). ნაშრომი უამრავ ლაფსუსს შეიცავდა, ამიტომ გადამუშავებული სახით 1860 ხელახლა გამოსცა (Essai de classification des suites monétaires de la Géorgie depuis L'antiquité jusqu'á nos jours, Paris, 1860). მიუხედავად ამისა, შეცდომები აქაც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რამაც თავდაპირველად მ. ბროსეს, შემდეგ კი ე. პახომოვის კრიტიკა გამოიწვია. ცხადია, ლ-ს მონოგრაფიის გამოყენება მეცნიერული თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელია. მას მხოლოდ პრობლემის შესწავლის ისტორიის კუთხით ენიჭება მნიშვნელობა.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Капанадзе Д. Г., Грузинская нумизматика, М.,1955; Пахомов Е. А., Монеты Грузии, ч. 1, СПб, 1910.

ლანდაუ ლევ დავითის ძე [9(22). I. 1908, ბაქო, – 1. IV. 1968, მოსკოვი], ფიზიკოს-თეორეტიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკად. აკადემიკოსი (1946, აირჩიეს წ.-კორ-ის საფეხურის გამოტოვებით), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1934, ხარისხი მიენიჭა დისერტაციის დაცვის გარეშე), პროფესორი [მოსკოვის სახელმწიფო უნ-ტი (1943), მოსკოვის ფიზიკა – ტექნიკური უნ-ტი (1947–50)].

ლ-ს სამეცნ. შრომები მოიცავს თანამედროვე თეორ. ფიზ. თითქმის ყველა ძირითად სფეროს. 1930 შექმნა ლითონთა ელექტრონული დიამაგნეტიზმის თეორია (ლანდაუს დიამაგნეტიზმი), 1937 ჩამოაყალიბა მეორე გვარის ფაზური გადასვლების ზოგადი თეორია, ხოლო 1941 – თხევადი *ჰელიუმის ზედენადობის* თეორია. 1956 კომბინირებული ლუწობის ცნება და სხვ. ლ. მონაწილეობდა სსრკ-ის ატომურ პროექტში (1946–54).

ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას, შექმნა ფიზიკოს-თეორეტიკოსთა მსოფლიოში აღიარებული სკოლა; მისი მოწაფე იყო გ. *ხუციშვილი*. ლ-თან მჭიდრო სამეცნიერო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ფიზიკოსებს: ე. *ანდრონიკაშვილს*, ნ. *პოლიექტოვს*, გ. *ნიკობაძეს* და სხვ.



დ. ლანგი.

ლ-ს მიღებული აქვს ნობელის პრემია ფიზიკაში (1962), სტალინური პრემიები (1946, 1949, 1953) და სხვა სამთავრობო ჯილდოები. იყო მსოფლიოს მრავალი აკადემიისა და სამეცნ. საზოგადოების წევრი.

თხზ.: Собр. трудов, т. 1–2, М., 1969.

ლიტ.: Абрикосов А. А., Академик Л. О. Ландау, М., 1965.

პ. მამრაძე.

ლანდია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (26. I. 1919. ქუთაისი, – 25. II. 1984, თბილისი), ქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1974), ქიმიის მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1958), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967); საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოს-მდივანი (1972–81), ვიცე-პრეზიდენტი (1981–84). 1940 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის (1990-იდან სტუ) ქიმ. ტექნ. ფაკ-ტი. 1941–45 მუშაობდა ,,საქკავებმრეწვპროექტის“ ინ-ტში ინჟინერ-ტექნოლოგად, შემდგომ – უფრ. ინჟინრად. 1945-იდან ეკავა სხვადასხვა თანამდებობა სპი-ში. 1960–72 იყო საქ. სსრ მეცნ. აკად. არაორგ. ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტის დირექტორი.



ლ. ლანდაუ.

ლ-ს პირველი სამეცნ. ნაშრომები (1945) ეხება მირაბილიტების გამოყენებას სოდის წარმოებისთვის და კალცინირებული და კაუსტიკური სოდის მიღების ახალი მეთოდის შემუშავებას. მომდევნო ნაშრომები ეძღვნება ქიმ. თერმოდინამიკას და მისი მეთოდების გამოყენებას ქიმ.-ტექნოლ. პროცესების შესწავლისას. მან დიდი ყურადღება დაუთმო ქიმ. ტექნოლოგიისათვის უმნიშვნელოვანეს ნაერთთა თერმული და თერმოდინამიკური თვისებების შესწავლას და შეიმუშავა მყარი არაორგანული ნივთიერებების მაღალტემპერატურული თბოტევადობის განსაზღვრის ენტროპი-



ნ. ლანდია

ული მეთოდი, რ-მაც დიდი აღიარება მოიპოვა.

1959–60 ლ-ს თაოსნობით მეცნ. აკად. მეტალურგიისა და არაორგ. ქიმიის, აგრეთვე ელექტროქიმიის ინ-ტებში ჩამოყალიბდა თერმოდინამიკური და თერმოქიმიური კვლევების ლაბორატორიები, რებიც ექსპერ. თერმოდინამიკის ძირითად კერად იქცა. 1960–72 ლ. ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. თერმოქიმიის ლაბორატორიას, სადაც მყარ ნივთიერებათა მაღალტემპერატურული თერმოდინამიკური მახასიათებლების შესასწავლად შექმნა ორიგინალური, პრეციზიული შერევის ტიპის მასიური ადიაბატური კალორიმეტრი, მთავარი კვანძების ავტომატური მართვით.



ქ. ლანდია.

ლ-მ თავის მოწაფეებთან ერთად დაადგინა უმნიშვნელოვანესი მასალების თბოტევადობა და მათზე ფაზური გადასვლების გავლენა.

ლ-ს მეთოდი მთლიანად არის აღწერილი ცნობარში: «Термодинамические свойства неорганических веществ» (Атомиздат, 1965) და ჩართულია სხვადასხვა ავტორის მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში.

ლ. სამეცნ. მოღვაწეობის პარალელურად კითხულობდა სალექციო კურსს სპი-ში. იყო ქართული საბჭ. ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი სამეცნ. ჟურნ. რედკოლეგიის, საკავშ. მეცნ. აკად. თერმოქიმიისა და ქიმიური თერმოდინამიკის ნაციონალური საბჭოს წევრი.


მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მყარი არაორგანული ნაერთების მაღალტემპერატურული თბოტევადობის ანგარიში სტანდარტული ენტროპიის მიხედვით, თბ., 1962; Автоматическое регулирование температуры оболочки высокотемпературного адиабатического калориметра смежения, ,,Теплофизика высоких температур'', 1965, т.3, №5; Исследование высокотемпературной энтальпии ферритов никеля и кобальта. „Известия АН СССР". Неорганические материалы, 1966, т. 2, №11.

ლ. ნაკაიძე.

ლანდია ქეთევან ალექსანდრეს ასული (29. III. 1914, თბილისი, – 17. V. 2001, იქვე), მსახიობი. საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტის დიქტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1940 დაამთავრა სპი. სტუდენტობიდანვე გამორჩეული დეკლამაციის ნიჭის წყალობით აღიარეს მხატვრული კითხვის ოსტატად. მონაწილეობდა მუშა-ახალგაზრდობის თეატრის სპექტაკლებში. მისი მხატვრული მეტყველების პედაგოგი იყო ნ. შუკაშვილი. 1932-იდან, დიქტორების კონკურსში გამარჯვების შემდეგ, 60 წლის განმავლობაში რადიომსმენელს მნიშვნელოვან ინფორმაციას გადასცემდა, აგრეთვე მონაწილეობდა ლიტ.-დრამ. და საბავშვო გადაცემებში. კითხულობდა ქართვ. კლასიკოსების, თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ლექსებსა და მოთხრობებს. დაჯილდოებულია მედლებით, მ. შ. ღირსების ორდენით (1995).

ლანდრასი (დან. Landrace < land – ქვეყანა, სოფელი, ადგილი და race – ჯიში), სპეციალიზებული საბეკონე ჯიშის ღორი. გამოიყვანეს დანიაში XX ს. დასაწყისში. 1967 ლ. საქართველოში შემოიყვანეს კალუგის ოლქიდან, 1976 – ნოვოსიბირსკიდან (ხობის, ლაგოდეხისა



ლანდრასი.

და საგარეჯოს რ-ნებში). ლ. თეთრი ფერისაა, აქვს გრძელი სხეული (160–175 სმ); ბიბილოსმსგავსი ჩამოყრილი ყურები. კერატის მასაა – 250–300 კგ, ნეზვისა – 200–220 კგ. ნაყოფიერება – 10–12 გოჭი, მერძეულობა – 70–80 კგ; 189 დღეში აღწევს სარეალიზაციო მასას (100 კგ). სუქებისას დღიური წონამატი 700–800 გ და მეტია. საკვების დანახარჯი ერთ კგ წონამატზე – 32 კგ ენერგეტიკული საკვები ერთეული.

ი. შუბითიძე.

ლანდშაფტები გეოგრაფიული გარსის ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ერთეული. საქართველოს ბუნებრივი და ლანდშაფტური მრავალფეროვნება გამორჩეულია მსოფლიოში, განსაკუთრებით კი – სუბტროპიკულ და ზომიერ სარტყლებში. აქ შვიდ ათეულზე მეტი სახის ლანდშაფტია, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკული ან სემიარიდული ნათელი ტყეებით, დამთავრებული ჭარბტენიანი და ნივალური ლ-ით. ვერ ვხვდებით მხოლოდ ეკვატორული ტენიანი ტყეებისა და უდაბნოების ლ-ს. საქართველოში წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი კულტურული ლანდშაფტის ყველა ტიპი. ამგვარი მრავალფეროვნება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, რ-თაგან მნიშვნელოვანია: გეოგრაფიული მდებარეობა (ტროპ. და ზომიერი სარტყლის მიჯნაზე), შავი ზღვის გავლენა, კავკასიონის მთიანი სისტემის ბარიერული როლი (ჩრდ. ქარების ზეგავლენის პრევენცია), სიმაღლებრივი სარტყლების (ზ. დ. 5200 *მ*-მდე) და ტერიტორიის სამეურნეო გამოყენების რამდენიმე ათასწლოვანი ისტორია.

საქართველო მსოფლიოში ასევე გამოირჩევა „პირველადი", ანუ ბუნებრივი ლ-ის დიდი ხვედრითი წილით, რაც ქვეყნის ფართობის 17%-ს შეადგენს. ბუნებრივი გარემო ხელუხლებელი სახით გვხვდება როგორც დაცულ და ჭარბტენიან ტერიტორიებზე, ისე სამ. და მაღალმთიანი რელიეფის პირობებში.

საქართველოში გვხვდება მსოფლიოში ცნობილი რელიეფის ყველა ფორმა. ტყეებით დაფარულია ტერიტორიის 2/5, რაც უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური რესურსი და ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორია. საქართველოში გავრცელებულია 15 ათასზე მეტი სახეობის მცენარე. მათგან 4 ათასზე მეტი თესლოვანია, 75 – გვიმრისებური და 2600 – წყალმცენარე. მცენარეულობის 6% (ანუ 900-მდე სახეობა) ენდემური და რელიქტურია. მრავალფეროვნებით გამოირჩევა ცხოველთა სამყაროც, რ-თა შორის 100-ზე მეტი სახეობის ძუძუმწოვარი და 300-ზე მეტი სახეობის ფრინველია. სახეობათა რაოდენობის, ენდემიზმის და ბიომრავალფეროვნების მიხედვით საქართველო ევროპის ქვეყნების ხუთეულში შედის, რაც მკაფიოდ ადასტურებს მის ლანდშაფტურ მრავალფეროვნებასა და განუმეორებლობას.

საქართველო ლ-ების სახეობის მიხედვით მსოფლიოში მე-12, ხოლო ევროპაში – პირველ ადგილზეა (ჩამორჩება მხოლოდ დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებს: ჩინეთს, აშშ-ს, რუსეთს, ავსტრალიას, მექსიკას, ინდოეთს, კანადას, ბრაზილიას, არგენტინას, თურქეთს და ჩილეს). ლანდშაფტური მრავალფეროვნების (მათი რაოდენობის თანაფარდობა ტერიტორიასთან) მიხედვით კი საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა. მისი ტერიტორიის ლანდშაფტური მრავალფეროვნება

20-ჯერ აღემატება მსოფლიოს შესაბამის საშ. მაჩვენებელს.

საქართველოს ლ. მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი ადამიანის აქტიური სამეურნეო საქმიანობის შედეგად, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ხელსაყრელი რელიეფის პირობებში – ვაკე-დაბლობებზე, გორაკ-ბორცვიან ნაწილსა და მთათაშორის ქვაბულებში. სიმაღლის მატებასთან ერთად (საშუალო და მაღალ მთებში) ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების მასშტაბები მცირდება და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს.

საქართველოში ლ-ის 11 ტიპია. მათგან 4 ბარის, ხოლო 7 მთის ლ-ს მიეკუთვნება. გეოგრაფიულად ლ-ის 3 ტიპი კავკასიონის მთიანი სისტემის ფარგლებში და მთელ საქართველოში გვხვდება, 2 – მხოლოდ დას., 5 – აღმ., ერთი კი – სამხრ. საქართველოში.

საქართველოს ბარის ლ-ს ვხვდებით კოლხეთისა და იმერეთის მაღლობზე, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეზე, ივრის ზეგანზე, ალაზნის ვაკესა და ელდარის ველზე. მათ საქართველოს ტერიტორიის 2/5 უჭირავს.

საქართველოს ბარის ლ-ის ძირითადი ტიპებია:

1. კოლხეთის დაბლობის ნოტიო სუბტროპიკული ტყის ლ. გავრცელებულია კოლხეთის დაბლობსა და მის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ნაწილში (აჭარის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის – ზ. დ. 200 *მ* და იმერეთის ზ. დ. 1000 *მ* ფარგლებში). ძირითადად ხასიათდება ჰაერის დადებითი ტემპერატურით მთელი წლის განმავლობაში, დაბალი ტემპერატურული ამპლიტუდით და მაღალი ტენიანობით (საშ. 1000–2000 *მმ* ნალექი წელიწადში). დანესტიანების ხარისხი კლებულობს შავი ზღვიდან დაშორების მიხედვით. ბუნებრივი ლ-ის ფრაგმენტები (ჭაობები, კოლხური პოლიდომინანტური ტყეები) შემორჩენილია მხოლოდ დაცული ტერიტორიების (კოლხეთი, აჯამეთი, ბიჭვინთა, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა, სათაფლია) ფარგლებში. კოლხური ჭაობები და პოლიდომინანტური ტყეები შეყვანილია იუნესკოს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში.

ლ-ის ფარგლებში ძირითადად წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სუბტროპ. სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ამჟამად ლ-ის უდიდესი ნაწილი სახეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

2. კახეთის ბარის ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ტყის ლ. გვხვდება ალაზნის ვაკესა და მის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ზ. დ. 200–500 *მ* ფარგლებში. ძირითადად ხასიათდება ჰაერის დადებითი ტემპერატურით მთელი წლის განმავლობაში და აღმ. საქართველოს ბარის სხვა რეგიონებთან შედარებით მაღალი ტენიანობით (საშ. 700–1000 *მმ* ნალექი წელიწადში). დანესტიანების ხარისხი 0,5–1,0-ის ფარგლებშია, რაც განაპირობებს პერიოდულ გვალვებს. ბუნებრივი ლ. ძირითადად ალაზნის ჭალებშია. მის ფარგლებში ძალზე ნაყოფიერი ალუვიური ნიადაგებია. ამჟამად ლ-ის უდიდესი ნაწილი სახეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად;

3. ივერიის ბარის ზომიერად მშრალი სუბტროპიკული ტყის ლ. გავრცელებულია შიდა და ქვემო ქართლის ვაკეებზე, მის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლსა და ივრის ზეგანზე, ზ. დ. 200–1000 *მ* ფარგლებში. ხასიათდება გრილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით, საშ. ტენიანობით (500–600 *მმ* ნალექი წელიწადში) და დანესტიანების დაბალი ხარისხით (0,3–0,5-ის ფარგლებში), რაც განაპირობებს ხშირ გვალვებს. ბუნებრივი ლანდშაფტი ძირითადად შემორჩენილია მდინარეთა (მტკვრის, ივრის) ჭალებში. ნათელი ტყეების ადგილზე გავრცელებულია ჯაგეკლიანი და სტეპის მცენარეულობა. ლანდშაფტის ფარგლებში ძირითადად ყავისფერი ნიადაგებია.

4. ელდარის ბარის მშრალი სუბტროპიკული ნახევრადუდაბნოს ლ. წარმოდგენილია ქვემო ქართლის ვაკის სამხრ. ნაწილში და ელდარის ვაკეზე, ზ. დ. 100–250 *მ* ფარგლებში. ხასიათდება შედარებით თბილი ზამთრით და ძლიან ცხელი ზაფხულით, უმნიშვნელო ტენიანობით (200–300 *მმ* ნალექი წელიწადში) და დანესტიანების ძალიან დაბალი მაჩვენებლით (0,1– 0,3-ის ფარგლებში), რაც განაპირობებს ინტენსიურ გვალვებს. ბუნებრივი ლანდშაფტი ძირითადად შემოჩენილია ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიაზე. აქ გაბატონებულია მშრალი სტეპის (ავშანი, აბზინდა) მცენარეულობა. ლანდშაფტის ფარგლებში ძირითადად რუხიყავისფერი ნიადაგებია. მისი უდიდესი ნაწილი სახეცვლილია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად, რაც ძირითადად ზამთრის საძოვრებს უკავშირდება.

საქართველოს მთის ლ. მდებარეობს დაბალ, საშუალო და მაღალ მთებში. მათ საქართველოს ტერიტორიის 3/5 უკავიათ. გამოიყოფა ლანდშაფტის შემდეგი ტიპები:

1. დას. საქართველოს მთის კოლხური ტყის ლ. სიმაღლის მატებასთან ერთად ანაცვლებს კოლხეთის ნოტიო სუბტროპიკული ტყის ლ-ს და გვხვდება დას. საქართველოს თითქმის ყველა ისტ.-გეოგრ. პროვინციაში (გარდა სვანეთისა). ვრცელდება ზ. დ. 1400 *მ*-მდე. მის ძირითად ნაწილს არ ახასიათებს სუბტროპ. ჰავის ნიშნები, თუმცა ტყეებში გვხვდება მარადმწვანე ქვეტყე. იანვრის საშ. ტემპ-რა 0–3 °C, ნალექის რაოდენობა – 1500–2000 *მმ*, რაც მკვეთრად კლებულობს მთათაშორის ქვაბულებში.

ლანდშაფტის ფარგლებში ძირითადად არის დაბალი ნაყოფიერების ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები. აქ ძირითადად ათვისებულია მთათაშორისი ქვაბულები (შიდა აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი) და მდინარეთა მიმდებარე ტერიტორიები, რაც ხელსაყრელ რელიეფს და ალუვიურ ნიადაგებს უკავშირდება;

2. სამხრეთ საქართველოს მთის სტეპის ლ-ს ვხვდებით ფართო სიმაღლებრივ დიაპაზონში – ახალციხის ქვაბულში, ზ. დ. 800–1000 *მ*, ჯავახეთის ვულკანურ პლატოზე კი – 1400–2000 *მ* ფარგლებში. ახასიათებს ხანგრძლივი ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. ნალექების რაოდენობა 500 *მმ* არ აღემატება, რაც განაპირობებს მშრალი ბალახეული ეკოსისტემების ფორმირებას. მცირე ფრაგმენტების სახით გვხვდება ისტ. წარსულიდან შემორჩენილი ფართოფოთლოვანი ტყის კორომებიც.

მაღალნაყოფიერი მთის შავმიწა ნიადაგები თითქმის მთლიანადაა ათვისებული და მოსწორებულ რელიეფს ქმნის.

3. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბალი მთის ტყის ლ. ვიწრო ზოლის სახით მთათაშორისი ბარის მიმდებარე მთიან ნაწილშია, ზ. დ. 600–1000 *მ* ფარგლებში. ძირითადად ხასიათდება საშ. დახრილობის ფერდობებით, ეროზიულ-დენუდაციური და მეწყრული პრო-

ცესებით. ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორებიდან არსებითია დანესტიანების ხარისხი: სამხრ. ექსპოზიციის ფერდობებზე უმეტესწილად გავრცელებულია მუხნარები, ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე კი – რცხილნარები და წიფლნარები.

ადამიანის მიერ ძირითადად ათვისებულია მცირე დახრის მქონე მთის ფერდობები, ქვაბულები (ერწო-თიანეთი) და პლატოები (დუშეთი);

4. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს საშუალო მთის ტყის ლ. ზ. დ. 1000–1800 *მ* ფარგლებშია, ძირითადად ხასიათდება საშ. დახრილობისა და ციცაბო ფერდობებით, ასევე ეროზიულ-დენუდაციური პროცესებით. მდინარეთა ხეობებში ერთმანეთს ენაცვლება ვიწრო და გაფართოებული მონაკვეთები. ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორები უკავშირდება საკმაოდ ცივ ზამთარს და ხანმოკლე გრილ ზაფხულს. თოვლის საფარი ნოემბერში ყალიბდება და დევს 4–5 თვის განმავლობაში. დანესტიანების ხარისხი შედარებით მაღალია, რის გამოც თითქმის ყველგან გაბატონებულია წიფლნარი.

ლანდშაფტი ნაკლებადაა სახეცვლილი. აქ მიწათმოქმედებისათვის მხოლოდ მდინარეთა მიმდებარე ტერასები გამოიყენება.

5. მაღალი მთის ტყის ლ. ძირითადად დას. და სამხრ., ფრაგმენტების სახით კი ჩრდ. და აღმ. (თრიალეთის ქედზე) საქართველოშია, ძირითადად, – ზ. დ. 1400–1800 *მ* ფარგლებში. ხასიათდება ციცაბო ფერდობებით და ეროზიულ-დენუდაციური პროცესებით. ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორები უკავშირდება ნალექების დიდ რაოდენობას (ზოგან 3000 მმ), ცივ ზამთარს და გრილ ზაფხულს. მაღალი დანესტიანება ხელსაყრელ პირობებს ქმნის წიფლნარ-მუქწიწვიანი (სოჭი, ნაძვი), ხოლო შედარებით ნაკლები დანესტიანება – ფიჭვნარის (სამხრ. საქართველო) განვითარებისთვის.

ლანდშაფტის ზედა ნაწილში, უტყეო ტერიტ-ები მაღალბალახეულობას უჭირავს და ინტენსიურად გამოიყენება ზაფხულის საძოვრებად. ლანდშაფტი გამოირჩევა რეკრეაციული რესურსებით, რის გამოც აქ არაერთი კურორტია (ბაკურიანი, აბასთუმანი, რიწა, შოვი, საირმე და სხვ.);

6. მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლ. მთელ საქართველოშია, მისი ქვედა საზღვარია ზ. დ. 1800–2400 *მ,* ზედა – 3000–3200 *მ* ფარგლებში. ხასიათდება ციცაბო ფერდობებით და რელიეფის პალეოგლაციური ფორმებით. ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორები უკავშირდება ხანგრძლივ ცივ ზამთარს და ხანმოკლე გრილ ზაფხულს. მიუხედავად ნალექების დიდი რაოდენობისა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არახელსაყრელია ტყის მცენარეულობის განვითარებისთვის. სუბალპებისთვის დამახასიათებელია მაღალი (1,5–2 *მ.* , ხოლო ალპური ნაწილისთვის – დაბალი ბალახეულობა (20–30 სმ). აქვე გვხვდება დეკიანები – 1 *მ*-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქნარი. ლანდშაფტი ძირითადად სათიბ-საძოვრებად გამოიყენება.

7. მაღალი მთის გლაციალურ-ნივალური ლ. გვხვდება კავკასიონის მაღალმთიანეთში, ზ. დ. 3000–3200 *მ*-ზე მაღლა. ხასიათდება დაბალი სიმაღლის მდელოებით და პრიმიტიული ნიადაგებით. გამოიყენება საძოვრებად. თოვლის საფარის სიმაღლე და ხანგრძლივობა სამთო-სათხილამურო კურორტებისა და ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.

ნ. ელიზბარაშვილი.

ლანდშაფტმცოდნეობა, ლანდშაფტოლოგია, გეოგრაფიული მეცნიერების მიმართულება, რომელიც სწავლობს ლანდშაფტის ფორმირების, გავრცელებისა და გამოყენების თავისებურებებს. ლანდშაფტი ბუნების კომპონენტების (რელიეფი, ჰავა, წყლები, ცოცხალი სამყარო და სხვ.) ურთიერთკავშირის და საზ. საქმიანობის შედეგად ფორმირებული ადგილია (ტერიტორია). მის სტრუქტურას და ფორმას განაპირობებს როგორც გეოგრაფიული ფაქტორები და კომპონენტები, ისე ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ფორმები და მასშტაბები.

ტერმინი ლანდშაფტი ფართოდაა გავრცელებული და ხშირად გამოიყენება როგორც მეცნიერთა ისე საზოგადოების მიერ. ლანდშაფტი გეოგრაფიის, ეკოლოგიის, ბიოლოგიის, არქიტექტურის, რეგიონული და ურბანული დაგეგმარების, კულტურის, ხელოვნების, ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, სამხედრო საქმისა და არაერთი სხვა სამეცნ. დარგის კვლევის ობიექტია.

ლანდშაფტის სინონიმებია პეიზაჟი, ხედი, ხედვის არეალი, ადგილი, ტერიტორიის მდგომარეობა და სხვ. იგი შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი. ამჟამად ბუნებრივი ლანდშაფტები ძირითადად შემორჩენილია ადამიანის სასიცოცხლო სივრცის მიღმა – არქტიკულ, ზომიერი სარტყლის თუ ტროპიკულ უდაბნოებში, ტუნდრასა და ტყეტუნდრაში, ტაიგის დიდ ნაწილში, მაღალ მთებში, ტენიან ეკვატორულ და ტროპ. ტყეებში, უკაცრიელ კუნძულებზე, დაცულ ტერიტორიებზე, სხვადასხვა კატეგორიის პარკებში და სხვ.

ბუნებრივი ლანდშაფტი პრაქტიკულად გარდაქმნილია ურბანულ ტერიტორიებზე, ინტენსიური სას.-სამ. საქმიანობის სავარგულებზე, მსხვილი სატრანსპორტო კვანძების არეალებში, სამთო-მომპოვებელ ცენტრებში და სხვ. მისი გამოყენების ფორმები და ფუნქციები უკავშირდება ლანდშაფტის პოტენციალს. ლანდშაფტის ძირითადი ფუნქციებია: რესურსწარმოებითი (განსაკუთრებით სას. სამ.), გარემოსდაცვითი, გარემოსაღმდგენი, რეკრეაციული და სელიტებური (განსახლების).

ლანდშაფტი თავისი მრავალფეროვნებით იზიდავს მნახველს, რაც ქმნის ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის საქმიანობის ჰარმონიული თანაარსებობის პირობებს. ამგვარ ადგილებსა და პეიზაჟებს კულტურულ ლანდშაფტებს უწოდებენ. ისინი ეროვნ. იდენტობისა და ეროვნ. მემკვიდრეობის ნაწილია. კულტურული ლანდშაფტი ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული და ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგია. მისი გამოყენების ფორმები და მომსახურების შედეგები მკაფიოდ წარმოაჩენს ადგილზე მცხოვრები ადამიანების თვითშეგნებისა და კულტურის დონეს, მათი ცხოვრების წესს.

კულტურული ლანდშაფტის, როგორც ტერმინის, ფორმირება უკავშირდება ევროპაში პეიზაჟური ფერწერის განვითარებას. XVI ს-ში მხატვრობაში პოპულარული გახდა გარემოს ცალკეული მონაკვეთების, დედამიწის ფორმების ან ეფექტური პეიზაჟების ასახვა. ამავე პერიოდში ევროპაში გავრცელდა გერმ. ტერმინი „ლანდშაფტი“.

სწავლება კულტურული ლანდშაფტის შესახებ (ე. წ. პეიზაჟური მეცნიერება) დაიწყო XX ს-იდან და უკავშირდება გერმ. გეოგრაფის ოტო შლუტერის სახელს. იგი გეოგრ. გარემოს ბუნებრივი, ანუ

ორიგინალური (ადამიანის ჩარევის გარეშე) და კულტურული ლანდშაფტების კრებადობის სახით განიხილავდა. მისივე აზრით, გეოგრაფიის ძირითად ამოცანას ბუნებრივი ლანდშაფტის კულტურულ ლანდშაფტად გარდაქმნის პროცესის შესწავლა წარმოადგენდა.

ამ მიმართულების მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ კულტ. ლანდშაფტი განვითარებულია მის ბუნებრივ ფუნდამენტზე. იგი ინარჩუნებს ძირითად გეოგრაფიულ ელემენტებს (რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, კლიმატი, წყლები, ნიადაგი, განსახლება, კომუნიკაციები და სხვ.); ძირითადად (არსებითად) „ემორჩილება“ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესებს.

კულტ. ლანდშაფტები შექმნილია ეთნოკულტურულად ბუნებრივად მნიშვნელოვანი 12 ფასეულობის წარმოჩენისა და შენარჩუნების მიზნით (რელიგიური ფასეულობები და რელიგიური არქიტექტურა, ტრადიციული სოფლის მეურნეობა, ისტ. მნიშვნელობის ადგილი, კულტურული პეიზაჟი, ურბანული და ბუნებრივი ლანდშაფტის ჰარმონია, განუმეორებელი ლანდშაფტური არქიტექტურა და ლანდშაფტური დიზაინი, ურბანული და ეკონ. ევოლუცია და სხვ.).

1992-იდან კულტ. ლანდშაფტი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტად განიხილება და ამგვარი სტატუსი ათეულობით ტერიტორიას აქვს მინიჭებული. მათი უმეტესობა ევროპაშია. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის თანახმად, კულტ. ლანდშაფტი თავისი სტატუსით უნდა განაპირობებდეს არა მარტო მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, არამედ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასაც.

ევროპის ქვეყნებში აქტიურად ხორციელდება ლანდშაფტის პოლიტიკა, რაშიც იგულისხმება უფლებამოსილი სახელმწ. უწყებების მიერ ლანდშაფტის გამოყენების სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების იმგვარი ჩამოყალიბება, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს კონკრეტული ზომები მისი დაცვის, მართვისა და დაგეგმარებისათვის. ამგვარი მიდგომა ახალ გამოწვევებს უყენებს თანამედროვე ლ-ს, რ-თა გადაწყვეტა ამ სამეცნ. მიმართულების ძირითადი მიზანი და განვითარების ამოცანაა.

საქართველო 2011 მიუერთდა ევროპის ლანდშაფტურ კონვენციას, რ-ის მიხედვით, ლანდშაფტი, საზ. ინტერესების თვალსაზრისით: ა) მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურის, ეკოლოგიის, გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროებში; ბ) წარმოადგენს ხელსაყრელ რესურსს ეკონ. საქმიანობისთვის; გ) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კულტურის ჩამოყალიბებაში; დ) წარმოადგენს ევროპის ბუნებრივი და კულტ. მემკვიდრეობის მნიშვნელოვან კომპონენტს; ე) ხელს უწყობს ადამიანთა კეთილდღეობას და ევროპული თვითმყოფადობის კონსოლიდაციას; ვ) ლანდშაფტის დაცვა, მართვა და დაგეგმარება თითოეული ადამიანის უფლება და პასუხისმგებლობაა.

ამჟამად საქართველოში ცნობილია 3 დაცული ლანდშაფტი – თუშეთის, არაგვისა და თრუსოსი.

საქართველოში ლანდშაფტური გეოგრაფიის განვითარებას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ცნობილ ქართველ ლანდშაფტმცოდნეთა შორის (მათი შრომების თანამედროვე მნიშვნელობით), გამოირჩევა ნ. ბერუჩაშვილის, *მ.* სანებლიძის, დ. უკლებას, ქ. ჯაყელის, *მ.* ხარატიშვილის და სხვათა სამეცნ. მემკვიდრეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ნ. ბერუჩაშვილის სამეცნ. მოღვაწეობა, რ-ის შრომებით მთელმა მსოფლიომ გაიცნო ქართ. გეოგრაფიული და ლანდშაფტური სკოლის მიღწევები. მის მიერ შექმნილია არაერთი თეორიული კონცეფცია ლ-ში, ხოლო 2002 საერთაშ. გეოგრაფიულ კავშირში პირველმა ჩამოაყალიბა ლანდშაფტური ანალიზის კომისია, რ-იც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.

ქართული ლანდშაფტური სკოლის მიღწევები და გამოცდილება მკაფიოდ აისახა თანამედროვე გეოგრაფიულ გამოკვლევებში, რაც რამდენიმე მიმართულებით ვითარდება, მ. შ. აღსანიშნავია: ლანდშაფტური დაგეგმარება, ურბანული ლანდშაფტების დაგეგმარება და ფუნქციური ზონირება, ისტ. ლანდშაფტის დაგეგმარება, დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური დაგეგმარება, მთიანი რეგიონების გეოგრაფია, სამხედრო და სამედ. გეოგრაფია, გარემოზე ზემოქმედების გეოგრაფიული შეფასება, ლანდშაფტის აღდგენის მეთოდოლოგია, ლანდშაფტური მიდგომა ტურიზმის ინტერდისციპლინურ კვლევებში, კულტურული ლანდშაფტის კვლევის მეთოდოლოგია, გეოგრაფიული კვანძების კონცეფცია და სხვ.

ნ. ელიზბარაშვილი.

ლანსერე ევგენი ევგენის ძე [23. VIII (4. IX.). 1875, პავლოვსკი, სანქტ-პეტერბურგის გუბერნია, – 13. IX. 1946, მოსკოვი], გრაფიკოსი, ფერმწერი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1943). რსფსრ სახ. მხატვარი (1945). ცნობილი მოქანდაკის ე. ლანსერეს ვაჟი. სწავლობდა პეტერბ. მხატვართა წამახალისებელი საზ-ბის სამხატვრო სკოლაში (1892–95), შემდეგ გააგრძელა სწავლა პარიზში. ასწავლიდა მოსკოვის არქიტ. ინ-ტში და ლენინგრადის სრულიად რუს. სამხატვრო აკადემიაში (1934–38). ლ. მუშაობდა წიგნის გრაფიკის, მონუმ.-დეკორ. და თეატრ.-დეკორ. ხელოვნების დარგში, ქმნიდა მწვავე პოლიტ. ნახატებს. 1920–34 ლ. ცხოვრობდა საქართველოში. დიდი როლი შეასრულა ქართველ მხატვართა რამდენიმე თაობის აღზრდაში. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. კულტ. ცხოვრებაში. 1922–34 იყო თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი, 1927-იდან – ფერწერის ფაკ-ტის დეკანი. მონაწილეობდა მცხეთის, დავითგარეჯის, შიომღვიმის ექსპედიციებში. 1937 შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით შექმნა ძვ. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ჩანახატები. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ,,თბილისი. მეტეხი“, ,,ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი“, ,,ქუთაისი. გელათი“ (სამივე 1937), ,,მცხეთა. სვეტიცხოველი“, ,,სვანეთი. უშგული“, ,,ახალგაზრდა სვანი“, ,,სვანეთი. სოფელი ჟიბიანი“ (ყველა



ე. ლანსერე.



ე. ლანსერე. ,,ზემო სვანეთი. სოფელი ჩაჟაში‘‘, 1929.



გ. ლანჩავა.

1929–30), ,,თბილისი. ძველი უბანი“, ,,თბილისი. სანაპირო“ (ორივე 1932), უ. შექსპირის ,,მაკბეთის“ დეკორაციების ესკიზები კ. მარჯანიშვილის თეატრისათვის, ლ. ტოლსტოის ,,ჰაჯი-მურატის“ (1912–41) და ,,კაზაკების“ (1917–37) ილუსტრაციები. ლ. ქართული მონუმ.-დეკორ. ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელია (პანო, საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ინტერიერი, ახლანდ. საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმი). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: კუკულაძე კ., ევგენი ლანსერე, თბ., 1983; მასხარაშვილი მ., ევგენი ლანსერე და კავკასია, თბ., 1972.

თ. გერსამია.

ლანტელი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ეცერის თემი), სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, ცალგმილის ქედზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1460 *მ,* მესტიიდან 26 *კმ.* 54 მცხ. (2014).

ლანძორი, ჯვარი, უღელტეხილი ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ლეჩხუმის ქედზე, მდ-ების – ცხენისწყლისა და ლავჯანურის წყალგამყოფზე. სიმაღლე 2450 *მ.* აგებულია ქვედაიურული ფიქლებით. ლ. საცალფეხო გზით აკავშირებს ქვემო სვანეთს რაჭასთან. უღელტეხილთან არის ძვ. ნასოფლარი და პატარა ტბები. ლ-ის მიდამო შემოსილია ალპ. მდელოებით.

ლანჩავა გელა მიხეილის ძე (20. I. 1951, თბილისი, – 11. XII. 2006, იქვე), შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993), ვახტანგ გორგასლის ორდენის სრული კავალერი (1994), საქართვ. ეროვნ. გვარდიის ერთ-ერთი შემქმნელი და მისი პირველი ბატალიონის მეთაური (1991); თბილისის სამხ. კომენდანტი (1991–92); საქართველოს შსს შინაგანი ჯარების სარდალი (1992–93); შს მინისტრის მოადგილე (1993–95). შს აკადემიის პრორექტორი (1995–98); საქართვ. შსს შინაგანი ჯარების სარდლის მთავარი მრჩეველი (2003–04).

ლ. დოლიძე.

ლანჩხუთი, ქალაქი დას. საქართველოს გურიის რეგიონში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს გურიის დაბლობზე, ზ. დ. 20 *მ.* ლ-ში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლიური ტემპ-რა 23,8 °C, იანვ. საშ. ტემპ-რა 4.2 °C, აგვ. 23 °C, ნალექები – 1980 *მმ* წელიწადში. თბილისიდან 274 *კმ.* ლ-ში გადის სარკინიგზო ხაზი სამტრედია–მახინჯაური, აგრეთვე საერთაშ. მნიშვნელობის საავტომობილო გზა. 6395 მცხ. (2014).

ლ-ში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, თეატრი, საჯარო სკოლები, მუნიციპალური ბ-კა, აქ მდებარეობს ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ლ-ის ერთ-ერთ უბანში შემორჩენილია ნაეკლესიარი გალავნის ფრაგმენტითა და სამრეკლოთი.

ლ. ერთ დროს შუხუთის სავარგული (საძოვარი) იყო. ძვ. შუა საუკუნეებში უკვე მნიშვნელოვან დასახლებად იქცა. ვახუშტი მას „ლანჩხუთის“ ფორმით ჩრდ. გურიის ისეთ ცნობილ პუნქტებს შორის ასახელებს, როგორებიცაა ფოთი და ჯუმათი.



ქალაქი ლანჩხუთი.

1917-მდე ლ. საუბნო ცენტრი იყო, 1930 გახდა რაიონის ცენტრი, 1961-იდან ქალაქია.

ლანჩხუთის „გურია“, ფეხბურთის გუნდი. ლანჩხუთში ფეხბურთის პირველი გუნდი იყო „კიმი“ (1924), რ-მაც II მსოფლიო ომის დროს შეწყვიტა არსებობა; 1952 შეიქმნა ფეხბურთის გუნდი „კოლმეურნე“-ს სახელით, რ-საც 1960-იდან ეწოდა „გურია“.



,,ლანჩხუთის გურია“. 1986.

,,გურია“ საქართველოს ჩემპიონი გახდა 1961, 1966 და 1970–71; საქართვ. თასი მოიპოვა 1965, 1966 და 1971. არის შ. შავგულიძის სახ. თასის მფლობელი (1973, 1974 და 1977). სსრკ მეორე ლიგაში გუნდი 1971 გადავიდა და 8 სეზონის განმავლობაში იასპარეზა; 1979 – გუნდმა სსრკ პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, I ადგილი დაიკავა და სსრკ უმაღლეს ლიგაში გადავიდა (1986). წარუმატებელი სეზონის შემდეგ (1987) ისევ პირველ ლიგაში აღმოჩნდა (1988). 1989 კვლავ მოიპოვა უფლება, ეთამაშა სსრკ უმაღლეს ლიგაში. სფფ-ის მიერ სსრკ ფეხბურთის ჩემპიონატის დატოვების შემდეგ (1990-იდან) საქართვ. უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა და ახლად დაარსებული საქართვ. საფეხბურთო თასი მოიპოვა (1990).

1999 გუნდი საქართვ. ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობდა. ხოლო 2001–02 უმაღლეს ლიგაში, საქართველოს თასის გათამაშებაში კი მეოთხედ ფინალს მიაღწია. ეს გუნდის საუკეთესო სეზონი იყო. 2013 „გურია“ დაბრუნდა უმაღლეს ლიგაში. ამჟამად იგი საქართვ. ჩემპიონატის მესამე ლიგაში ასპარეზობს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული გურიის რეგიონში. ადმ. ცენტრი – ქ. ლანჩხუთი. მუნიცი-

პალიტეტს დას-ით ესაზღვრება შავი ზღვა, აღმ-ით – სამტრედიისა და ჩოხატაურის მუნიციპ-ები, ჩრდ-ით – ხობის, სენაკისა და აბაშის, ხოლო სამხრ-ით – ოზურგეთის მუნიციპ. მისი ტერიტორია შეადგენს 533,1 კვ. *კმ.* მოსახლეობა 31 486 (2014) ლ. მ-ში გაერთიანებულია 16 ადმ. ერთეული: ქ. ლანჩხუთი და 15 თემი (აკეთი, აცანა, გვიმბალაური, ლესა-ჭინათი, მამათი, მაჩხვარეთი, ნიგვზიანი, ნიგოითი, ნინოშვილი, სუფსა, ღრმაღელე, შუხუთი, ჩიბათი, ჩოჩხათი, ჯურუყვეთი).

ისტორიული ცნობა. ახლანდ. ლ. მ-ის ტერიტ. შედიოდა კოლხეთის სამეფოში, ძვ. წ. III ს-ში ქართლის სამეფოში შემავალი ეგრისის ტერიტორია იყო, ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში – ეგრისის სამეფოს, აფხაზეთის სამთავროს, აფხაზთა სამეფოს, აფხაზთა და ქართველთა სამეფოს, შემდეგ ერთიანი საქართველოს, XIII–XIV სს. მიჯნაზე ლიხთიმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო. ამ ტერიტორიას მოიცავდა გურიის საერისთავო, რ-იც XV ს-იდან შედიოდა იმერეთის სამეფოში, შემდეგ კი გურიის დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. ექვემდებარებოდა თავდაპირველად ქუთაისის, ხოლო შემდეგ – ჯუმათის საეპისკოპოსოს. გურიის სამთავროს დროებითი მმართველობის გაუქმების (1840) შემდეგ ოზურგეთის მაზრაში შევიდა. 1930-იდან დამოუკიდებელი რ-ნი იყო. 2006-იდან ეწოდა ლ. მ.

ბ უ ნ ე ბ ა. ლ. მ-ში ვაკე და გორაკბორცვიანი რელიეფია. ჩრდ.-დას. ნაწილი უკავია გურიის დაბლობს, სამხრ.-აღმ. კი – გურიის სერს. დაბლობი მეოთხეული ნალექებით – რიყნარით, თიხნარით და ქვიშნარით აგებული აკუმულაციური ვაკეა, რ-ის შუა ნაწილი ყველაზე დაბალი ადგილია (ზ. დ. 20 *მ*, ზღვის სანაპიროზე გავრცელებული ზღვიური დიუნები ხელს უშლის ზედაპირული წყლების ზღვაში ჩადინებას, რაც ჭაობებისა და ტბების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია. გურიის სერი აგებულია ზედა ცარცული კირქვებით, შუა და ზედა მიოცენის თიხებით, კონგლომერატებით, ქვიშაქვებით. დამახასიათებელია პატარა ანტიკლინები და სინკლინები, რ-ებიც რელიეფში კარგად არის გამოხატული. სერის დასავლეთი დაბალია (200–400 *მ*, აღმოსავლეთი კი თანდათან მაღლდება და 500–600 *მ* აღწევს (მთა საირაო 478 *მ*, სამება – 523 მ., ტალახა – 660 *მ*), სერის ჩრდ. კალთის გასწვრივ გაჭიმულია ვიწრო დაბალბორცვიანი მთისწინეთი. ხასიათდება ზღვიური და მდინარეული ტერასული ზედაპირებით, სერის სამხრ. კალთა შემოფარგლულია ბორცვიანი მთისპირა ვაკით. ეს ზოლი მდინარეთა ხეობებით ძლიერ დანაწევრებულია და ტერასული რელიეფით გამოირჩევა, დას. ნაწილში კი მიოცენური და პლიოცენური თიხები, ქვიშაქვები და კონგლომერატებია.

ლ. მ. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ ტორფის რამდენიმე საბადოა – იმნათის (ყველაზე დიდი), გრიგოლეთისა და სუფსის. ნავთობის საბადოა სუფსასა და შრომისუბანში. ზღვის ზოლი შეიცავს მაგნეტიტს. სოფლებში შუხუთსა და ჯუნჯუათში მოიპოვება მერკელიანი კირქვა, აცანაში, ზემო აკეთსა და ქვემო აკეთში თიხნარი ნიადაგია. გულიანსა და ჯურუყვეთში მოედინება გოგირდოვანი წყლები.

ჰ ა ვ ა. გურიის დაბლობსა და გორაკ-ბორცვებზე 200 *მ* სიმაღლემდე ზღვის ნოტიო ჰავაა, ზამთარი თბილია, ზაფხული კი – ცხელი, დამახასიათებელია მუსონური ქარები. გურიის სერზე (200 *მ* ზემოთ) ასევე ზღვის ნოტიო ჰავაა, მაგრამ ზამთარი ზომიერად ცივი და ხანგრძლივია, ზაფხული კი – თბილი. ჰაერის საშ. წლიური ტემპ-რა 13 °C-იდან 13,8 °C-მდეა, იანვ. 3.8 °C–4.6 °C, ხოლო აგვ. 21,8 °C –23,1 °C, აბს. მინ. – 18–20 °C-მდე ეცემა, მაქს. კი 39–41 °C-მდე ადის. ყველაზე ცხელია ივლისი და აგვისტო. ატმოსფერული ნალექების წლ. ჯამი 2400 *მმ* აღწევს (ხიდმაღალა). ყველაზე მშრალი პერიოდია აპრილსა და მაისში. ყველაზე მეტი ნალექიანობით ხასიათდება აგვ. და ნოემბ. განსაკუთრებით მკაცრ ზამთარში თოვლის საბურვლის მაქს. სიმაღლე 115 *სმ* აღწევს. ზაფხულობით გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის, ხოლო ზამთრობით – ჩრდ.-აღმ-ის ქარი. ზოგჯერ ქრის ფიონი. ქარის საშ. წლ. სიჩქარეა 2,2 *მ/წმ*.

შ ი დ ა წ ყ ლ ე ბ ი. ლ. მ-ის ტერიტორიაზე ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელია. ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა სუფსა, რ-ის ქვემო დინება მუნიციპ-ის ტერიტორიის ფარგლებშია. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. წყალმცირობა – ზაფხულის მეორე ნახევარსა და ზამთარში. სხვა მდინარეებია: ფიჩორა, ლესისწყალი, შუთი, გომახურისწყალი, წყალწითელა და სხვ. ეს მდინარეები წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ. წყალდიდობა ხშირია შემოდგომასა და ზამთარში, წყალმოვარდნა – მთელი წლის



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გეგრბი.



1. სამტრედიის მუნიციპალიტეტი

განმავლობაში, წყალმცირობა – აპრილსა და მაისში. ლ. მ-ის ტერიტ-ზე მდებარეობს პალიასტომი, იმნათი, ჯაპანისა და გრიგოლეთის ტბები.

ნიადაგები. ზღვის სანაპირო ზოლში დაჭაობებული ნიადაგებია, მდ. სუფსის ქვემო დინების გასწვრივ – ალუვიური უკარბონატო, ტორფიან-ჭაობიანი და ჭაობის ლამიანი, გურიის სერის კალთებზე კი – წითელმიწა და გაეწრებული წითელმიწა ნიადაგებია. მცირე ფართობი უჭირავს ყვითელ მიწებს, ტყის ყომრალ და ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს, სერის თხემზე კი – სუსტად განვითარებულ, მცირე სისქის, ალაგ-ალაგ ჩამორეცხილ ნიადაგებს.

მცენარეული საფარი. ფლორა და ფაუნა მრავალფეროვანია. შავი ზღვის სანაპიროზე განვითარებულია ზღვისპირა ქვიშნარის მცენარეულობა, რ-საც ისლიანი და მარცვლოვანი ჭაობის მცენარეულობა აკრავს. ჩრდ.-დას. ნაწილში გავრცელებულია კოლხური ჭაობიანი მურყნის, მის სამხრ.-აღმ-ით კი – ლეშამბოიანი ტყეები. ქვეტყეში უხვადაა შქერი, ბაძგი და სხვა მარადმწვანე ბუჩქი. ასეთივე მცენარეულობაა გურიის სერის მთისწინეთშიც. სერის კალთების ზედა ნაწილში ადრე მარადმწვანე ქვეტყიანი წიფლნარ-რცხილნარი იყო, რ-იც დღეს მცირე ფართობზეა შემორჩენილი.

ცხოველთა სამყარო. გურიის დაბლობის ჭაობიან ტყეებში გვხვდება შველი და წავი, გორაკ-ბორცვებზე, სერის ტყიან კალთებზე – ტურა, მგელი, მაჩვი, კურდღელი, ნუტრია, თხუნელა; ფრინველებიდან ძერა, ქორი, შევარდენი, იხვი, ჩხიკვი, ყანჩა, ტყის ქათამი, მოლაღური, სკვინჩა, ბელურა, შაშვი, ჩხართვი და სხვ. ჭაობიან ტყეებში ბუდობს ჩვეულებრივი ხოხობი, მწყერი. ტბებში გვხვდება შემდეგი სახეობის თევზები: კაპარჭინა, ჭანარი, ჭერეხი, კობრი, ლოქო, ფარგა, ქორჭილა; მდინარეებში – ქაშაპი, კოლხეთის ციმორი, წვერა, კობრი, ლოქო, ღორჯო და სხვ. მდინარე სუფსის ქვემო წელში გავრცელებულია კოლხური კვირცხლა, კოლხური ხრამული, ჭერეხი, ლიქორა, ბლიკა.

ლანდშაფტები. ლ. მ-ის ტერიტ-ზე გვხვდება შემდეგი ლანდშაფტები: 1. ზღვისპირა ქვიშიან-ხრეშიანი დიუნები ფსამოფილური მცენარეულობით; 2. დაბლობის ჭაობები ტორფიან- ჭაობიანი ნიადაგ-მცენარეული საფარით; 3. დაჭაობებული დაბლობი უმთავრესად მურყნარით და ლებიან-ჭაობიანი ნიადაგებით; 4. დახრილი ვაკე-დაბლობი კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგები; 5. ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით; 6. ჭალები ალუვიური ნიადაგებით და მდელო-ტყის მცენარეულობით.

მოსახლეობა. მოსახლეობის 98,8% ქართველია. მოსახლეობის საშ. სიმჭიდროვეა 59,1 კაცი 1 $კმ^2$-ზე (2014).

მეურნეობაში უმნიშვნელოვანესია ბაქო–სუფსის ნავთობსადენი და სუფსის ტერმინალი. სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია მეცნიერუსეობით, მეცხოველეობით, მოჰყავთ თხილი. მუნიციპ-ის ტერიტ-ზე გადის რკინიგზის მონაკვეთი სამტრედია–მახინჯაური (35 *კმ*), თბილისი–ბათუმის მაგისტრალი, ასევე საქართვ. მთავარი საავტომობილო მაგისტრალი, ლანჩხუთი–ოზურგეთის, ჯაპანა–აბაშის, ლანჩხუთი–ნასაკირალის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ლ. მ-ში ფუნქციონირებს 30-მდე საჯარო და კერძო სკოლა, პროფესიული კოლეჯი, ბ-კა; ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ლ. მ-ში არის ორი სტაციონარული ტიპის კლინიკა: შპს ,,მედალფას'' და შპს ,,რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის'' ლანჩხუთის კლინიკები. ამბულატორიები: შპს ,,ჯანმრთელობა'', შპს ,,ნევრონი'' (ფსიქონევროლოგიური დისპანსერი).

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მნიშვნელოვანია ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულები (ხორეთი, ჩანჩეთი, ორაგვე, კოკათი, ჩოჩხათი, გაგური). ამ გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ და მტრის შემოსევების დროს თავს აფარებდნენ ბერები. ძეგლებიდან აღსანიშნავია ჯიხეთის, აკეთის წმ. გიორგის ეკლესიები, აკეთის მაცხოვარი და ოქონის მონასტერი. **ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,** ბუნების, ისტორიისა და ყოფის ამსახველი მუზეუმი ლანჩხუთში, დაარსდა 1978. ექსპოზიცია პირველად გაიხსნა 1998. მუზეუმის ფონდში დაცულია არქეოლ. ეთნოგრ. და ისტ. წარსულის ამსახველი მასალა (8000-ზე მეტი ექსპონატი).



ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

არქეოლ. განყ-ბაში გამოფენილია სოფ. ჯურუყვეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითური ხანის ქვის იარაღები, კვირისტავები, საფხეკები, ჭოლიპას ნამოსახლარში მოპოვებული IV ათასწლ. II ნახ-ის მასალა; კოლხური კულტ. პერიოდის (II ათასწლ. II ნახ. და I ათასწლ.) იარაღები, კოლხური ცულები შუხუთიდან, კოლხური კერამიკა სუფსიდან; ძვ. წ. VI–IV სს. შავი ლაქით დაფარული უცხოური თიხის ჭურჭელი, სინოპური ამფორები.

მუზეუმში წარმოდგენილია ფეოდ. ხანის ნივთები, მ. შ. აღსანიშნავია სოფ. ღრმაღელის ეკლესიის გაწმენდისას აღმოჩენილი VI ს. ბრინჯაოს ჯვარი და ფილა ბოლნური ჯვრის გამოსახულებით, აქვეა აგრეთვე სოფ. ჯიხანჯირში ნასტეფნარის გორაზე გათხრების

შედეგად აღმოჩენილი გვიანფეოდალური ხანის მასალა, XVI–XVII სს. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და XVII–XIX სს. თიხის ჩიბუხები. მუზეუმში ინახება XX ს, 60-იან წლებში სოფ. ეწერში ნაპოვნი ქვა ლაპიდარული წარწერით – ,,ქრისტე შეიწყალე იოანე ბერი“, რ-იც შესრულებულია ნუსხურნარევი კუთხოვანი ასომთავრულით.

ეთნოგრ. დარბაზში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და სას.-სამ. დანიშნულების შრომის იარაღები, ყოველდღიური მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთები, მარნის მოწყობილობა და სხვ.

მუზეუმში აგრეთვე წარმოდგენილია გურიის თავად-აზნაურთა (გურიელები, თავდგირიძეები, მაჭუტაძეები, შალიკაშვილები, ტუსკიები, ჭყონიები, ჟორდანიები, ბაჟუნაიშვილები, გუგუნავები, თავართქილაძეები, გიგინეიშვილები და სხვ.) ფოტოგამოფენა; ასევე ევროპასა და ამერიკაში გურულ ცხენოსანთა მოგზაურობის ამსახველი ფოტომასალა; მწერლების – ე. ნინოშვილისა და ს. მგელაძის, ნ. ჟორდანიასა და ნ. ცინცაძის (საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის წევრები) II მსოფლიო ომში წასულთა ფოტოები, პირადი ნივთები, ნაწარმოებები და სამკუთხა ბარათები.

ლანჩხუთის სახალხო თეატრი ე. ნინოშვილის სახელობისა, პირველი საქველმოქმედო ხასიათის თეატრ. წარმოდგენა გაიმართა 1895 ა. კვიტაიშვილის ხელმძღვანელობით, დაიდგა ვ. გუნიას დრამა ,,და-ძმა“.

1910-იდან მომწიფდა მუდმივი თეატრის დაარსების იდეა. აღსანიშნავია ექიმ გ. გრიგორაშვილის ღვაწლი, რ-მაც ჩამოაყალიბა ,,დრამატული საზოგადოება“ და ხელი შეუწყო თეატრის გახსნას. 1914 წ. 8 თებერვალს წარმოადგინეს ა. ცაგარლის დრამა ,,ერთი ნაბიჯი წინ“. 1921 საძირკველი ჩაეყარა ლანჩხუთის თეატრის მშენებლობას. კონსულტანტად მიწვეული იყო კ. მარჯანიშვილი (1932), რომელმაც 1926 დროებით შენობაში დადგა სპექტაკლი ,,დეზერტირკა“. თეატრის მშენებლობა დასრულდა 1937 წელს.

1928-იდან ლანჩხუთის თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟ. ი. ებრალიძე.

1937 წ. 28 თებერვალს გაიხსნა ლანჩხუთის სახელმწ. თეატრი. წარმოდგენილი იყო შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია“. ამავე წელს თეატრს ე. ნინოშვილის სახელი მიენიჭა. 1938–41 თეატრს ხელმძღვანელობდა გ. ლაღიძე. მან ლანჩხუთში 12 სპექტაკლი დადგა, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. კლდიაშვილის ,,გმირთა თაობა“, ა. წერეთლის ,,პატარა კახი“, ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი“. თეატრს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა სპექტაკლმა ,,კოლმეურნის ქორწინება“ (პ. კაკაბაძე; 1940). 1947 ლანჩხუთის ე. ნინოშვილის სახ. თეატრი გაუქმდა, ხოლო 1959-იდან ჩამოყალიბდა დრამატული კოლექტივი, რ-მაც მალევე სახალხო თეატრის წოდება მიიღო. სხვადასხვა დროს ლ. ს. თ-ში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ვ. წულაძე, ო. ცერაძე, ლ. ურუშაძე და გ. ქურიძე.

2015–16 დაიდგა ლ. ბუღაძის ,,ნაფტალინი“; ,,ნუგზარი და მეფისტოფელი“; მ. კამოლეტის ,,Family ფრანგული გარნირით“; ო. ქათამაძის ,,დაარქვი რაც გინდა“ (რეჟ. დ. წერეთელი); ა. ჩხაიძის ,,ხიდი“ (რეჟ. გ. ჯაფარიძე); აგრეთვე თოჯინური სპექტაკლები. 2019 წ. 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, პარიზში წარმოდგენილი იყო ლანჩხუთის თეატრისა და თ. ლოჩოშვილის მიერ პარიზში დაარსებული (2017) ქართ. თეატრ. ასოციაციის – ,,TAM-ART“- ის ერთობლივი ნამუშევარი – ო. ქათამაძის ,,დაარქვი რაც გინდა“ (რეჟ. დ. წერეთელი).

2021 ლანჩხუთის კულტურის ცენტრში დაიდგა ლანჩხუთის თეატრისა და უკრაინის თეატრ ,,გარმიდერის“ ერთობლივი სპექტაკლი – ,,46 შეხება“ (რეჟ. ო. ქათამაძე). თეატრი გასტროლებს აწყობს საქართვ. სხვადასხვა რეგიონში.

თ. კახიანი.

ლანჩვარი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ბეჩოს თემი). ზ. დ. 1430 *მ,* 19 მცხ. (2014).

ლაოი, მოსახლეობის ძირითადი მასა აღმოსავლეთის ელინისტურ ქვეყნებში (ეგვიპტე, სირია, მცირე აზია). ლ-ს წარმომადგენლები უმეტესად ამუშავებდნენ მეფის, კერძო მფლობელთა და სატაძრო მიწებს, იხდიდნენ ფულად ან ნატურალურ გადასახადს, მიმაგრებული იყვნენ თემებზე და უფლება არ ჰქონდათ თვითნებურად დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრ. ადგილი.

ლ-ს, როგორც სოც. ფენას, იბერიის მოსახლეობის სტრუქტურის აღწერისას იხსენიებს სტრაბონი. მისი ცნობიდან ირკვევა, რომ იბერიის ლ. ცხოვრობდა სამეფო (სახელმწიფო) მიწებზე: მას ეკისრებოდა სხვადასხვა ვალდებულება სამეფო საგვარეულოს მიმართ (,,აკეთებდა ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო“). სტრაბონი იბერიის ლ-ს სამეფო მონებს უწოდებს, თუმცა მათ მონებს ვერ მივაკუთნებთ, რადგან ისინი თემებად ცხოვრობდნენ, საწარმოო საშუალებებსაც ფლობდნენ და ჰქონდათ თემური საგვარეულო საკუთრება, რ-საც უზუცესები განაგებდნენ.

ლიტ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯანაშია ს., ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.


მ. ინაძე.

ლაონიკე ქალკოკონდილე (Laonikos Chalkokondyles) (დაახლ. 1423 ან 1430, ათენი, – დაახლ. 1490,



ლანჩხუთის სახალხო თეატრი

კუნძული კრეტა), ბიზანტიელი ისტორიკოსი. მსახურობდა კონსტანტინე პალეოლოგოსის კარზე. მისი 10 წიგნად დაწერილი ,,ისტორია'' 1298–1463 ამბებს მოიცავს, მაგრამ აქა-იქ 1484–87-ში მომხდარი ამბებიცაა მოთხრობილი. იგი დაწვრილებით აღწერს ბიზანტიის დაცემასა და ოსმალთა იმპერიის გაძლიერებას. შრომებში არის ცნობები სამხრ. და აღმ. ევროპის ხალხებზე, აგრეთვე საქართველოს, კერძოდ, ტრაპიზონის სამეფოსა და ჭანური მოსახლეობის საგვარეულოების შესახებ; აღწერილია თემურლენგის ლაშქრობები იბერიაში. იგი აღნიშნავს: ,,იბერია კოლხიდის ქვეყნის მეზობლად არის და ამათი მეფეები არ არიან უგვარონი. ეს ქვეყანა გადაჭიმულია ეგრეთ წოდებულ ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე (და იქ შედის) საბრძანებელი ყვარყვარესი, გორისა, კახეთისა და თბილისისა; ეს ქალაქები ემეზობლებიან შამახას, რომელშიც მოსახლეობენ თურქები''; მათ ეკუთვნით აგრეთვე ზღვის სანაპიროზე მდებარე სებასტოპოლისი... და სხვა ზღვისპირა ქალაქები''. თვითონ იბერების შესახებ წერს: ,,თუ საიდან მოვიდნენ ამ ქვეყანაში, ან თუ დასავლეთის იბერთაგან წარმომავლობენ, დანამდვილებით ვერ ვიტყვი''.



ფ. ლაპიაშვილი.

თხზ.: Historiarum demonstrationes, ed. E. Darko, [v.] 1–2, Bdpst., 1922–27, [წიგნში]. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 8, თბ. 1970.

ნ. ლომოური.

ლაპიაშვილი ფარნაოზ გიორგის ძე (9. V. 1917, სოფ. მირზაანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 25. VII. 1994, თბილისი), თეატრის მხატვარი. საქართვ. სახ. მხატვარი (1968), საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1951), სტალინური პრემიის ლაურეატი (1951).



ფ. ლაპიაშვილი. დეკორაციის ესკიზი. გ. ნახუცრიშვილის სპექტაკლისათვის ,,ფიროსმანი'', 1961.

დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1941). 1960-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1970-იდან პროფესორი). გაფორმებული აქვს მრავალი დრამ., საოპერო, საბალეტო და მუს. კომედიის სპექტაკლი, რამდენიმე კინოფილმი. ლ-ის შემოქმედებას ახასიათებს ფერწერულობა, სპექტაკლის შინაარსის ღრმა წვდომა. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ჯ. ვერდის ,,ოტელო'' (1960); დ. თორაძის ,,გორდა'' (1949, სტალინური პრემია, 1951); ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია'' (1962; სამივე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი); სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'' (1956); უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'' (1960); გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი'' (სამივე რუსთაველის თეატრი); მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული'' (1945); ლ. გოთუას ,,დავით აღმაშენებელი'' (1946); ა. კასონას ,,ხეები ზეზეულად კვდებიან'' (1957); ფ. შილერის ,,დონ კარლოსი'' (1970; ოთხივე – მარჯანიშვილის თეატრი); ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი'' (1958), პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1959; ორივე ქუთაისის მესხიშვილის თეატრი) და სხვ. იყო მხატვარი კინო- და ტელეფილმებისა: ,,ქეთო და კოტე'' (1948, ი. სუმბათაშვილთან ერთად), ,,მიიღეთ გამოწვევა, სენიორებო'' (1982), ,,ზმანებანი აღლუმებს შორის'' (1989) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლაპიდარული წარწერები (ლათ. lapidarius – ქვის მთლელი, ქვაზე ამომჭრელი), ქვაზე შესრულებული წარწერები, ეპიგრაფიკული ძეგლების ერთ-ერთი ჯგუფი მოზაიკურ, ჭედურ, ფრესკულ წარწერებთან ერთად. ლ. წ. გვხვდება ნაგებობათა კედლებზე, ქვაჯვრებზე, ცალკეულ ფილებზე, საფლავის ქვებსა და სარკოფაგებზე. შესრულების ტექნიკის მიხედვით, ლ. წ. ორი სახისაა – რელიეფური (ასონიშნების გამოსახულება ამოწეულია ქვის სიბრტყის ზედაპირიდან) და კონტრრელიეფური (ასონიშნების გამოსახულება ქვის სიბრტყის ზედაპირის ჩაჭრითაა გამოყვანილი). სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ლ. წ. მოიცავს სამშენებლო ხასიათის (ქტიტორების, ხუროთმოძღვრებისა და ხელოსნების ღვაწლის აღნუსხვა) ტექსტებს, მოსახსენიებლებს, ეპიტაფიებს, იურიდიულ აქტებს.

ქართულ ლ. წ-ში გამოიყენება ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელი „ქრისტეს'' მონოგრამა (☧); ქარაგმები; განკვეთილობის ნიშნები (IX ს-იდან).

ლიტ.: დანელია კ., ძველი ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1 – წარწერის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 2 – წარწერის ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980; ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.

თ. გოგოლაძე.

,,ლა ჟორჟი'' (,,La Gèorgie'' – ,,საქართველო''), ყოველკვირეული გაზეთი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პერიოდული ორგანო; გამოდიოდა 1903–05 პარიზში. რედაქტორები: ა. ჯორჯაძე, თ. სახოკია, გ. ლასხიშვილი. იხ. აგრეთვე გაზ. ,,*საქართველო*''.

ლაჟვარდში (სვანურად – წინამძღოლი), რელიგიურ-რიტუალური ხასიათის სვანური ფერხული. იგი ქართველთა მთავარი ღვთაებების – მზისა და მთვარის სადიდებელი, რიტუალურ წრეში ჩასმული ფერხულთაგანია. ფერხულთა წრიული ფორმები მზისა და მთვარის მოძრაობას, ასტრალური კულტისადმი თაყვანისცემას გამოსახავს და ქართული ცეკვის დანიშნულების პირველწყაროსა და უძველესი ხელოვნების პირველყოფილ ფორმებს განეკუთვნება. ფერხულს წინაქრისტიანული მთავარი ღვთაების – მთვარის (გაქრისტიანების შემდეგ, წმ. გიორგი) სხვადასხვა ფაზის (სავსე ან ნახევარმთვარე) შესაბამისად წრიული ან ნახევარწრიული გამოსახულება ჰქონდა. ხალხური შეხედულებით მთვარე მამრია. ამის დასტურია მეგრული (,,მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი'') და ქართული (,,ნათელმა მთვარემ ბრძანა, ბევრით მე ვჯობივარ მზესა, დავჯდა დაწერა წიგნები, ზენა ქარი მიათრევსა, მზეს რომ კაცი მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა: მე და ვარ და ის ძმა არის რად გვაჯავრებთ ერთმანეთსა'') ხალხური ლექსები.

ფერხულში მონაწილეობენ ქალვაჟები. იგი სრულდება ორპირული სიმღერის თანხლებით, რ-ის მუს. ზომაა 4/4. ლილე და ლ. მთვარესთან ერთად მზის პატივისცემის, ნათლისა და ბნელის ბრძოლის,

სიცოცხლისა და ნაყოფიერების სადიდებელი ჰიმნია. მიწათმოქმედებისა და სარჩო-სანოვაგის მოპოვებასაც უკავშირდებოდა და ლხინსა და ქორწილებში სრულდებოდა.

ლიტ.: ალავიძე ო., საუბრები ქორეოგრაფიაზე, თბ., 2010; ბარამიძე ბ., ქართული ხალხური და კლასიკური ქორეოგრაფია, თბ., 2016; თათარაძე ა., ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986; მისივე, ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.

ბ. ბარამიძე.

ლარა, სოფელი სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (მედანის თემი), ოდიშის ვაკის ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 360 *მ,* წალენჯიხიდან 13 *კმ,* ჯვრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 240 მცხ. (2014).

ლარაკვაკვა, მდინარე ოჩამჩირისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში, ენგურის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს კოდორის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2185 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 17 *კმ.* აუზის ფართ. 86,2 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნები – ზაფხულსა და შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 4,37 *მ*^{3}/*წმ.*

ლარაძე პეტრე გიორგის ძე (1770–1837), პოეტი, კალიგრაფი. განაგებდა თბილ. სამეფო წიგნსაცავს. მონაწილეობდა პოლიტ. დავგუფებაში. 1803–10 სპარსეთს იყო გადახვეწილი თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად. 1810-იდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 20-იან წლებში საქართველოში დაბრუნდა. ლ-ს ეკუთვნის ლირ. ლექსების კრებ. ,,მრავალფერყვავილოვანი“, პოემები: ,,საქართველოჲს ძველი დროის თავგადასავალი, ლექსად დაწერილი“ (1897), ,,დილარიანი“ (1903), ,,სახე-მგოსანი“ და სხვ. ლ-ის პოეზიაში აისახა ყველა ის საკითხი, რ-იც აღელვებდა XVIII–XIX სს. მიჯნის ქართ. მწერლობას.

ლიტ.: აბულაძე ი., ახლად მიკვლეული ერთი ძველი ქართული პოემა: პეტრე ლარაძის ,,სახე-მგოსანი“, ,,საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1947, ტ. 14 B; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, ტფ., 1924; წაქაძე ი., პეტრე ლარაძის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, ,,ლიტერატურული ძიებანი“, 2005, ტ. 26.

გ. მიქაძე.

ლარგვისი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში. მდ. ქსნის მარცხ. ნაპირზე, იქ, სადაც ქსანს ერთვის მდ-ები – ჭურთა და ცხრაძმულა. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., გარუეთი, დაბაკნეთი, დადიანეთი, მახიარეთი, მუჯუხი, მშველიეთი, უკანამხარი, უკანაუბანი, ყველდაბა, ჩიტიანი, ცხავათი, ხარბალი, ხრამისწყარო). ზ. დ. 1100 *მ,* ახალგორიდან 18 *კმ.*

სოფელი ქსნის ხეობის ზედა წელის სტრატეგიული და გეოგრ. ცენტრი იყო. სავარაუდოდ, ადრეფეოდალურ ხანაში ცხრამმისხევის პოლიტ. ცენტრი უნდა ყოფილიყო. იგი იღებდა ქსნის ხეობის მთიანი ნაწილისკენ შემტევი მტრის მთავარ დარტყმას.

სოფლის მიდამოებში რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლია. მათგან გამორჩეულია შუა საუკუნეების ციხესიმაგრე *ქვენიფნევი,* რ-იც სოფლის სამხრ-ით სამიოდე *კმ*-ზე, იფნევად წოდებულ ადგილზე მდებარეობს. გალავნის გარეთ მცირე დარბაზული ეკლესიაა, რ-ის ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. კომპლექსთან ახლოს შემორჩენილია გარდამავალი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის შიგნით, აღმ. კედელზე, შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიას შემოვლებული ჰქონდა გალავანი. სოფლის მახლობლად, სამხრ.-დას-ით, მდ. ქსნის მარჯვ. ნაპირზე ნასოფლარი საქორეთია, რ-ის ტერიტორიაზე დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუნეები). ეკლესიას დას-იდან ეკვრის მცირე სამლოცველო. ამავე ნასოფლარშია ამაღლების დარბაზული ეკლესია (გარდამავალი შუა საუკუნეები). მას სამხრ-იდან მთელ სიგრძეზე ეკვრის უაფსიდო მინაშენი. საქორეთის დას-ით, ორიოდე *კმ*-ზე, შემორჩენილია მცირე ზომის



ლაჟლვაში სვანურად.

დარბაზული ეკლესიის ნანგრევი. ამავე მხარეს, მთის სერზე, მშრალი წყობით ნაგები მცირე ზომის სალოცავი ნიშია, რ-იც XIX ს-ით თარიღდება.

წყარო: მესხია შ., ძეგლი ერისთავთა, ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, ნაკვ. 30.

ლიტ.: გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ,,საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ.] 3; შიდა ქართლი, ახალგორის რაიონის კულტურული მემკვიდრეობა, რედაქტორ-გამომცემელი ც. დადიანიძე, თბ., 2008

ჯ. გვასალია.

ლარგვისის ოთხთავი, ეტრატზე ნუსხურით შესრულებული ხელნაწერი ოთხთავი. გადაწერილია XIII ს-ში ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ. შეიცავს 268 ფურცელს. სათაურები შესრულებულია წითელ ფონზე ოქრომელნით, მოხატულია ცალკეული ორნამენტული ელემენტებით, კამერებით, საზედაო ასოებით; ახლავს მარკოზ და ლუკა მახარებლების ოქრომელნით შესრულებული მინიატიურები; ასევე – ხარების, შობის, იერუსალიმში





ლარგვისის ოთხთავი.

შესვლის კომპოზიციები. ინახება ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის A ფონდში (A–26).

ლარგვისის სამონასტრო კომპლექსი, ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი ძველი რეზიდენცია და მონასტერი. მდებარეობს ქსნის ხეობის ზედა წელში, მდ. ქსნისა და მდ. ჭურთის შესართავთან, სოფ. ლარგვისში (სოფელიც და მონასტერიც ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა).

კომპლექსი გაშენებულია მთის კონცხზე და მძლავრი გალავნითაა შემოფარგლული. ციხის ეზო არაწესიერი მრავალკუთხედის ფორმისაა და რელიეფის შესაბამისად სამხრეთიდან ჩრდ-ის მიმართულებით არის წაგრძელებული. მდინარეების შესართავთან ეზო თანდათან იმდენად ვიწროვდება, რომ წვერს იკეთებს. ამ ადგილას, გალავანში, ოთხკუთხა კოშკია ჩართული, რ-შიც კამაროვანი ჭიშკარია მოწყობილი. ციხის მეორე, ე. წ. დამხმარე შესასვლელი (სიგანე 1,3 *მ*) გალავნის დას. კედელშია. გალავნის გარეთ, ჭიშკართან ახლოს, დგას შესასვლელის დაცვისათვის განკუთვნილი მცირე ზომის ოთხკუთხა კოშკი.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში *,,ძეგლი ერისთავთა''*, ლარგვისის მონასტრის ისტორიაზე თხრობა VI ს-იდან იწყება, თითქოს მას შემდეგ, რაც ბიზანტიის კეისრის, იუსტინიანე II-ის (565–578) მიერ ცხრაზმისხევის ერისთავად როსტომი დაინიშნა და საგამგებლოდ ,,შვიდნი ესე ჰევნი" ებოძა – როსტომმა ,,აღაშენა ქალაქი ლარგჳსი'', დაასრულა და ,,შეამკო ყოვლითურთ ეკლესია''. ეს ფაქტი სხვა ისტორიული წყაროებით ჯერ-ჯერობით არ დასტურდება, ამ ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე XIV ს-მდე, ,,ძეგლი ერისთავთას'' ავტორი ლარგვისის მონასტრის შესახებ აღარაფერს გვამცნობს. მონასტრის ისტორიას იგი დაწვრილებით მოგვითხრობს XIV ს-იდან. მისი ცნობით, ცხრაზმისხევის ერისთავ შალვა ქვენიფნეველის დროს (XIII ს. მიწურული XIV ს. დასაწყისი) განდიდდა მონასტრის სახელი და შეიქმნა ,,ყოველი სამსახური ეკლესიისაჲ''. XIV ს-ში ადიდებულმა ქსანმა მონასტერი 2-ჯერ დაზიანა (პირველად ერისთავ ლარგველის, მეორედ იოანე ერისთავის დროს) და 2-ჯერვე აღადგინეს.

თემურ ლენგის ერთ-ერთი შემოსევის დროს (1400), მომხდურებს დაუქცევიათ იოანე ერისთავის აგებული ეკლესია და მოუოხრებიათ ყველაფერი. XV ს. 20–30-იან წლებში მონასტერში აღდგენითი სამუშაოები უწარმოებია ბერად აღკვეცილ გრიგოლ შინდას ძე ავგაროზისშვილს, რ-საც თვითონ მოუხატავს კარიბჭე და ეკლესია, მონასტრისათვის შეუწირავს ხელნაწერები, გაუმართავს მონასტრის მეურნეობა და სხვ.

XV ს. 60-იან წლებში მონასტერში დიდი სამუშაოები ჩაუტარებია ერისთავ შალვა II ქვენიფნეველს. წმ. თევდორეს ეკლესიის მოხატვასთან ერთად აუშენებია ნათლისმცემელის ეკლესია, რ-იც მოუხატავს და ხატებით შეუმკია. მასვე დაუშენებია ,,ზღუდისა კარსა ზედა სამრეკლოჲ''.

XV ს. 60-იანი წლების შემდეგ მონასტერში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ცნობები არ არსებობს. საბუთებიდან ჩანს, რომ XVIII ს. დასაწყისში მონასტერი მოქმედია. 1723, როდესაც ლეკთა ჯარი თბილისს შემოესია, სვეტიცხოვლის ,,სამკაული ლარგვისის მონასტერში იყო ხიზნად''. XVIII ს. II ნახევრის დოკუმენტებში მონასტრის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა მოგვეპოვება, მაგრამ მათში მონასტრის ნაგებობების შესახებ აღარაფერია ნათქვამი.

დღეს, საბუთებში ხსენებული ნათლისმცემლის ეკლესია კარიბჭითურთ, აგრეთვე სამრეკლოები, მარანი და სხვა შენობები (წმ. თევდორეს ეკლესიის გარდა), რებიც XVIII ს-ს განეკუთვნება, დანგრეულია. გალავნის და ამჟამად შემორჩენილი კოშკების დიდი ნაწილი XVIII საუკუნეზე უფრო ადრინდელი პერიოდის ფენებს შეიცავს. ზოგიერთი კი მთლიანად წინა საუკუნეებშია აგებული.

კომპლექსი შედგება სხვადასხვა ფართობის, ერთმანეთისგან კედლით გამიჯნული ორი ნაწილისგან, ციტადელისგან და ქვემო ციხისგან, რ-ის გალავნის კედლები გარედან გამაგრებულია ნახევარწრიული კონტრფორსებით.

გალავნის კედლების ზედა ნაწილები მონგრეულია, რის გამოც მათი თავდაპირველი სახის დადგენა შეუძლებელია.

ციტადელში შესასვლელი კომპლექსის ქვედა და ზედა ნაწილების გამმიჯნავ კედელშია – სამხრ-იდან.

ციტადელის შიგნით მხოლოდ XVIII ს. II ნახევრის სასახლის ნანგრევია დარჩენილი.

ციტადელის ზღუდეში, ყველაზე მაღალ ადგილას ჩართულია მოზრდილი საცხოვრ. კოშკი. არქიტექტურული თვალსაზრისით იგი არა მარტო ამ კომპლექსის ყველაზე საინტერესო ნაგებობაა, არამედ გამორჩეულია საქართველოს ამ ტიპის ნაგებობებს შორის. კოშკს სახურავი და სართულშუა გადახურვა აღარ შემორჩა. მისი თითოეული სართულის ოთხივე კუთხეში სხვადასხვა დანიშნულების სათავსია მოწყობილი (შიდა კიბე, საპირფარეშო და სხვ.), რის გამოც ყოველი სართულის ძირითად სივრცეს ტოლმკლავა ჯვრის ფორმა აქვს. ყოველ სართულზე ბუხარია. განსაკუთრებით კეთილმოწყობილია II სართულის სამხრ. კუთხეში მდებარე ოთახი. მისი დანიშნულება დაუზუსტებელია. სავარაუდოდ, იგი ციხის მფლობელის საწოლი ოთახი იყო. ეს ოთახი დანარჩენებზე მოზრდილია (2,0×1,8 *მ*) და გადახურულია ქვის ფილებით ნაწყობი გვირგვინით, რითაც, საქართველოში შემორჩენილ დღემდე ცნობილ კოშკთაგან გამორჩეულია.

კომპლექსის ქვემო (სამონასტრო) ნაწილში, მხოლოდ წმ. თევდორეს ეკლესიაა შემორჩენილი. ეკლესიის აგების თარიღად მიჩნეულია (პ. ზაქარაია) 1759. იგი



ლარგვისის მონასტერი. წმინდა თევდორეს ეკლესია. 1759.

ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. წყობაში ნაწილობრივ გამოყენებულია ნატეხი ქვაც. გარედან კუთხეები, კარ-სარკმლები და ლავგარდანი მოყავისფრო ნათალი ქვისაა. ამავე ქვითაა მოპირკეთებული გუმბათი. კედლები შიგნიდან შელესილი და შეთეთრებულია. თავდაპირველად სახურავი ქვის ყოფილა (შემორჩენილია ლორფინების ნაწილი), შემდგომში ზედ კრამიტი დაუგიათ.

ეკლესიის საერთო აღნაგობა ტრადიციულია, თუმცა ამ პერიოდის ძეგლებთან შედარებით, მას ძლიერ წაგრძელებული გეგმა აქვს (20,1×11,8 *მ*). შესასვლელი ორია: სამხრ-იდან და დას-იდან.

ეკლესიის შიდა სივრცეს ქმნის ჯვრის მკლავები და მათ გადაკვეთაზე აღმართული ათსარკმლიანი გუმბათი, რ-იც ეყრდნობა აფსიდის კუთხეებსა და დას-ით მდგარ რვაწახნაგოვან ორ ბოძს. ამ ბოძების დას-ით ამგვარივე ბოძების კიდევ ერთი წყვილია.

საკურთხევლის გვერდებზე აფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა თითო სარკმლით აღმ-ით. საკურთხევლის კონქისა და პასტოფორიების თავზე მოწყობილია სათოფურებით აღჭურვილი სამალავი ოთახები, რ-ებშიც სამკვეთლოს კამარაში მოწყობილი ასასვლელით ვხვდებით.

ფასადები მორთულია, მაგრამ ჩუქურთმის კვეთის ხარისხი არც თუ ისე მაღალია. ფასადებზე და ინტერიერში უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს ქვემოდანაც მომრგვალებული სარკმლების ფორმა. ფასადთა მორთულობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აშკარად ძველ ტრადიციულ ქართულ მოტივებთან დაკავშირებულ ფოთლოვან მოტივებს.

ეკლესია დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე.

1975 ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (არქიტ. გ. ნიკოლაიშვილი).

ეკლესიის დას-ით შემორჩენილია გაურკვეველი დანიშნულების შენობების კვალი. საბუთებში მოხსენებული დანარჩენი ნაგებობების დიდი ნაწილი დღეს მიწასთანაა გასწორებული.

კოშკი, რ-შიც გალავნის შესასვლელია მოწყობილი გეგმით თითქმის კვადრატულია. შემორჩენილია ერთი სართული, რ-შიც შეისრულკამაროვანი გასასვლელია მოწყობილი. კამარა მთლიანად აგურისაა. XV ს. 60-იან წლებში ერისთავს შალვა ქვენიფნეველს კოშკზე სამრეკლო დაუდგამს, სიპით გადაუხურავს და სახურავზე სპილენძის ჯვარი აღუმართავს. დღეს სამრეკლოსგან აღარაფერია შემორჩენილი.

ციხის გარეთ მდგარი კოშკი გეგმით თითქმის კვადრატულია (6,2×6,1 *მ*), ნაგებია ნატეხი ქვით. კოშკი დაზიანებულია. შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე. კოშკის ქვედა ნაწილი მასიურია. ზედა ნაწილის კედლებში რამდენიმე სათოფურია მოწყობილი. კოშკს ჰქონია სარდაფი.

ლ-ს მონასტერი მნიშვნელოვანი სამწიგნობრო კერა იყო. აქ ავგაროზ ბანდაიძემ შექმნა ,,ძეგლი ერისთავთა“ (XVI ს.). ლ-ში გადაწერილია სახარებები, პარაკლიტონები; შექმნილია საბუთები. ლ-ში ხიზნავდნენ სვეტიცხოვლის ხელნაწერებსაც.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983; მისივე, XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1994; გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. 3, თბ., 1967; ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1962; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013; ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის გამოც., ტ.: 2, თბ., 1965; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წგ. 2, ტფ., 1897; შიდა ქართლი, ახალგორის რაიონის კულტურული მემკვიდრეობა, რედაქტორ-გამომცემელი ც. დადიანიძე, თბ., 2008; Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975; Такаишвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 5, Тфл., 1915; Чубинашвили Г. Н., Архитектурные памятники VIII и IX вв в Ксанском ущелье, Ars Georgica I, Tb., 1942.

თ. დვალი.

ლარი, 1. ძვირფასეულობა, განძეულობა; აქედანვე მომდინარეობს სალარო, (სადაც ლ-ს ინახავდნენ). ლ. ორგვარია: ა) ძვირფასი, ანუ პატიოსანი ქვები, ოქრო-ვერცხლი და მათი ნაკეთობანი; ბ) ტექსტილური ნაწარმი, აბრეშუმისა და შალის (მატყლის) ქსოვილები, „კერულნი და უკერულნი“; 2. მთის კალთის სიგრძეზე განლაგებული სახნავი ფართობი; 3. მატყლის საპენტი მესხეთსა და რაჭაში; 4. წვრილი და მაგარი თოკი, რ-საც იყენებენ კალატოზები კედლის სისწორის დასაცავად; 5. სიმის ერთ-ერთი ძველი ქართული სახელწოდება. ლ-ის სინონიმებია ალყა, ძაფი, ძუა, ძალი. პირველად ლ-ის განმარტებას ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით – ,,ლარი – წელი შეგრეხილი“.

ლიტ.: გუგუშვილი პ., ტექსტილური მრეწველობის ორი ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“, ,,მნათობი“, 1959, №11; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

ლარი, საქართველოს ახალი ქართული ეროვნული ვალუტა. მიმოქცევაშია 1995 წ. 25 სექტემბრიდან და 1995 წ. 2 ოქტომბრიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა (სახელმწიფო მეთაურის 1995 წ. 16 სექტემბრის ბრძანებულება №363 მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ,,ლარის“ გამოშვების შესახებ და საქართველოს ეროვნული ბანკის 1995 წ. 18 სექტემბრის №16 ბრძანება საქართველოს ეროვნული ბანკის ,,საბანკო ბილეთის ლარისა და თეთრის ნიშნების მიმოქცევაში გაშვების შესახებ“). ლ., საქართვ. ეროვნ. ფულადი ერთეული, პოლიტ.-ეკონ. მნიშვნელობის მქონე ხელოვნების ნიმუში და სახელმწიფოებრიობის საფუძველია. იგი ქვეყნის ერთიანობის, სიძლიერისა და სიმდიდრის სიმბოლოდ გვევლინება.

,,ლარი“, რ-იც 1992 შეირჩა ქართ. ეროვნ. ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძვ. ქართ. სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას. ლ-მა, როგორც ფულადი ერთეულის სახელმა, ბუნებრივად დაიმკვიდრა ადგილი ამავე ძირიდან ნაწარმოები სიტყვების ,,მოლარისა“ და ,,სალაროს“ გვერდით, რ-ებიც ძვ. ქართულში შესაბამისად განძის მცველსა და საგანძურს ეწოდებოდა, თანამედროვე ქართულში კი ამ სემანტიკით ის ფულის ერთეულს უკავშირდება. სწორედ ამან შეუწყო ხელი ლ-ის, როგორც ეროვნ. ვალუტის, სახელწოდების დამკვიდრებას. სიტყვა ლ. ხშირადაა ნახსენები ,,ვეფხისტყაოსანში“, ქრონოლოგიურადაც ყველაზე ადრეული დაფიქსირება ამ ტექსტშია.

1995-იდან მიმოქცევაში გამოვიდა 1, 2, 5, 10, 20, 50, 100, უფრო

ეროვნული ვალუტის – ლარის – ბანკნოტებისა და მონეტების ნიმუშები

















ლარი.


AA00000000
100
SPECIMEN


ნიმუში
100


H00000000
200
ნიმუში


SPECIMEN
200
NATIONAL BANK OF GEORGIA 2006
Two Hundred Lari


1
ლარი


2006


2
ლარი


2006

მოგვიანებით (2007 წ.) – 200 ლ-ის ნომინალის ბანკნოტები. 1995 წლის ემისიის ლ-ის ბანკნოტები დამზადდა საფრანგეთში მხატვრების ნ. და ბ. მალაზონიების ესკიზებით.

1999, სრულყოფის თვალსაზრისით, მოდიფიცირებულ იქნა 1995 წლის ემისიის ყველა ნომინალის ბანკნოტი, 2002 წ. – 1, 2, 5, 10 და 20 ლ-ის ღირებულების ბანკნოტები, ხოლო 2004 წ. – 50 და 100 ლ-ის ღირებულების ბანკნოტები. აღნიშნული მოდიფიცირებები განხორციელდა დიზაინის მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

2016-იდან საქართვ. ეროვნ. ბანკმა მიმოქცევაში ლ-ის განახლებული ბანკნოტები გამოუშვა. ეს ცვლილება ლ-ის გამოშვებიდან 20-წლიანი ისტორიის განმავლობაში ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება იყო, რაც განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: 1. ლ-ის ბანკნოტების მარაგების შევსებამ; 2. ბანკნოტების დიზაინისა და დამცავი მექანიზმის ბეჭდვის საერთაშ. ინდუსტრიაში მიმდინარე ტექნოლოგიებთან შესაბამისობამ; 3. ლ-ის 20 წლის იუბილეს სიმბოლიზებამ. აღნიშნულის გათვალისწინებით განახლდა 5, 10, 20, 50 და 100 ლ-ის ნომინალის ბანკნოტები. განახლებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვება მოხდა ეტაპობრივად: 2016 წ. 1 თებერვლიდან მიმოქცევაში გავიდა 20 და 50 ლ-ის, 2016 წ. 1 ნოემბრიდან – 100 ლ-ის, 2017 წ. 1 სექტემბრიდან – 5 ლ-ის ნომინალის ბანკნოტები, ხოლო 2019 წ. 1 ოქტომბრიდან მიმოქცევაში ჩაეშვა 10 ლ-ის ნომინალის ბანკნოტები. ლ-ის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაშია წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად. 1995–99 ემისიების ლ-ის ბანკნოტების მიმოქცევის ვადა გაგრძელდა 2021 წლის ბოლომდე. ლ-ის განახლებული ბანკნოტების დიზაინი შექმნა ბ. მალაზონიამ, ესკიზების სრულყოფის პროცესში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, მსოფლიოს წამყვანი კომპანიები: ,,Giesecke+Devrient Currency Technology'' (გერმანია), ,,Oberthur Fiduciaire'' (საფრანგეთი), ,,De la Rue'' (დიდი ბრიტანეთი). განახლებულ ბანკნოტებზე შენარჩუნებულია თავდაპირველი თემატიკა, გამოყენებულია რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით გაუმჯობესებული პორტრეტები. იმავდროულად ბანკნოტებზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახ. ელემენტებით. განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით, მრავალფეროვნებითა და თანამედროვე სახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტ.-ისტ. მემკვიდრეობას. განახლებული ბანკნოტები გამოირჩევა მკვეთრი ფერების სპექტრით, რ-იც ჰარმონიულად არის შეხამებული ძირითადი სიუჟეტების დომინანტურ და კონტრასტულ ფერებთან. შეიცვალა ლ-ის ბანკნოტის ზომებიც. გამოყენებულია ნომინალის მიხედვით ბანკნოტის ზომების დიაგონალური, სიმეტრიული ზრდის პრინციპი. განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე დამცავი ნიშნებით, მ. შ. დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. ქაღალდის ფულის ნიშნების სამომხმარებლო ,,სიცოცხლის'' საშ. ხანგრძლივობა ნომინალის მოხმარების თავისებურებებიდან გამომდინარე, 1-იდან 5 წლამდე მერყეობს. ლ-ის განახლებული ბანკნოტები დაბეჭდილია უმაღლ. ხარისხის, ცვეთამედეგ ქაღალდზე, რაც მიმოქცევისას ზრდის მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი.

ლ-ს თავისი სიმბოლო აქვს, რ-იც საქართვ. ეროვნ. ბანკის საბჭომ 2014 წ. 7 ივლისს დაამტკიცა. მისი სიმბოლოს კონცეფცია ეფუძნება ქართ. მხედრული ანბანის ასონიშან ,,ლასს'' და წარმოადგენს ერთთავიანი, მარტივი ლასის რკალზე ორი პარალელური ხაზის ჩამოსმით მიღებულ სამთავიან, სრული ლასის სტილიზებულ გამოსახულებას – ₾. სიმბოლოს ავტორია მხატვარ-კერამიკოსი მ. შველიძე.

1 და 2 ლ-ის ნომინალის (2002 წლის ბოლო განახლება) ბანკნოტების წინა მხარეს (ავერსი) წარმოდგენილია ქართ. წარწერები: ,,საქართველო'', ,,საქართველოს ეროვნული ბანკი'', გამოშვების წელი, საქართვ. ეროვნ. ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერა, ნომინალის დასახელება, შვიდმკლავიანი ბორჯღალის გამოსახულება და ბანკნოტის სერიული ნომერი, რ-იც შედგება ერთი ლათ. ასოსა და რვა არაბ. ციფრისაგან, ხოლო უკანა მხარეს (რევერსი) – ინგლისურენოვანი წარწერები: ,,GEORGIA'' და ნომინალის დასახელება. გარდა ამისა, 1-ლარიანი ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანი) პორტრეტი წარწერით: ,,ფიროსმანი 1862–1918'' და მცენარეული მოტივი, უკანა მხარეს – თბილისის პანორამა და ირემი ფიროსმანის ნახატიდან. ბანკნოტის ზომაა 115 *მმ* × 61 *მმ*.

2 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს წარმოდგენილია კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის პორტრეტი ქართ. წარწერით: ,,ზაქარია ფალიაშვილი 1871–1933'', მისივე ოპერის ,,აბესალომ და ეთერის'' უვერტიურის პირველი სანოტო პწკარედი; ბანკნოტის უკანა მხარეს – ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის შენობა ქართ. წარწერით: ,,თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი 1887''. ბანკნოტის ზომაა: 115 *მმ* × 61 *მმ*. საქართვ. ეროვნ. ბანკმა 2006-იდან შემოიღო 1 და 2 ლ-ის ნომინალის მონეტები, რ-ებსაც პერიოდულად ამატებს მიმოქცევაში.

საქართვ. ეროვნ. ვალუტის ლ-ის 2016-იდან განახლებული ბანკნოტების წინა მხარეს აქვს ქართ. წარწერები: ,,საქართველოს ეროვნული ბანკი'', ,,ეროვნული ბანკის პრეზიდენტი'', საქართვ. ეროვნ. ბანკის პრეზიდენტის და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერები, გამოშვების თარიღი, ნომინალის დასახელება, 2–2-ჯერ ბანკნოტის სერიული ნომერი, რ-იც შედგება ორი ლათ. ასოსაგან და რვა არაბ. ციფრისაგან, ასევე ინგლისურენოვანი წარწერები ,,NATIONAL BANK OF GEORGIA'' და ნომინალის დასახელება, ხოლო უკანა მხარეს – საქართვ. სახელმწ. გერბი, ,,საქართველოს ეროვნული ბანკი'', ნომინალის დასახელება და ინგლისურენოვანი წარწერა: ,,NATIONAL BANK OF GEORGIA''.

.ქვემოთ განხილულია თითოეული ნომინალის განახლებული ბანკნოტების წინა და უკანა მხარეს არსებული გამოსახულებების სახელწოდებები და ზომები:

5 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის შენობა. რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით გაუმჯობესებული ივ. ჯავახიშვილის განსხვავებული პორტრეტი, წარწერით: ,,ივანე ჯავახიშვილი 1876–1940''. ბანკნოტის უკანა მხ-

არეს გამოსახულია ნიკო ფიროსმანის ტილოები – ,,კალო'' და ,,მეთევზე წითელ პერანგში''. ბანკნოტის ზომაა: 122 *მმ* × 62 *მმ*.

10 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით გაუმჯობესებული ა. წერეთლის პორტრეტი წარწერით: ,,აკაკი წერეთელი 1840–1915'', ასევე ნაწყვეტი აკაკის ლექსიდან ,,გაზაფხული'' ავტოგრაფით, აყვავებული რტო და მერცხალი; უკანა მხარეს – ფერმწერისა და გრაფიკოსის ბანკნოტის დომინანტ ფერთან შეხამებული დ. კაკაბაძის ცნობილი ტილო ,,იმერეთი – დედაჩემი''. ბანკნოტის ზომაა: 127 *მმ* × 64 *მმ*.

20 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია ი. ჭავჭავაძის პორტრეტი წარწერით: ,,ილია ჭავჭავაძე 1837–1907'', გაზ. ,,ივერიას'' გამომცემლობის შენობა, მის მიერ დაარსებული ჟურნ. ,,საქართველოს მოამბე'', გაზ. ,,ივერია'' და პოეტის პირადი ნივთები – ლუპა, საათი, სამელნე და კალამი; უკანა მხარეს კი – თბილისის დამაარსებლის, მეფე ვახტანგ გორგასლის ქანდაკება ძვ. თბილისის პანორამით. ბანკნოტის ზომაა 132 *მმ* × 66 *მმ*.

50 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია თამარ მეფის განსხვავებული პორტრეტი წარწერით: ,,თამარ მეფე XII ს.'' და ქართ. ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლი ვარძია; ბანკნოტის უკანა მხარეს – XII ს. ხელნაწერთა კრებულიდან ზოდიაქოს ნიშნის – მშვილდოსნის მინიატიურა და ხელნაწერი. ბანკნოტის ზომაა 137 *მმ* × 68 *მმ*.

100 ლ-ის ნომინალის ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულია შოთა რუსთაველის პორტრეტი წარწერით: ,,შოთა რუსთაველი XII ს.''; ილუსტრაცია ,,ვეფხისტყაოსნიდან''; პირველნაბეჭდი ,,ვეფხისტყაოსნის'' ერთ-ერთი გვერდი; XVII ს. ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსნის'' ერთ-ერთ გვერდზე გამოსახული ორნამენტი; ბიბლიური სიუჟეტის VII ს. ბარელიეფი ,,დანიელი ლომთა ხაროში'' მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან; უკანა მხარეს – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის შენობა. ბანკნოტის ზომაა 142 *მმ* × 70 *მმ*.

200 ლ-ის ნომინალის ბანკნოტზე (რ-იც 2007 წ. 16 აპრილს მიმოქცევაში გაშვების შემდეგ არ განახლებულა) წინა მხარეს გამოსახულია საქართვ. ეროვნ. გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პორტრეტი წარწერით: ,,ქ. ჩოლოყაშვილი 1888–1930'', ფონად გასდევს ქართ. კულტურის ძეგლების რელიეფურ გამოსახულებათა ფრაგმენტები. უკანა მხარეს კი – სოხუმის ხედი და გულრიფშის რ-ნის სოფ. წებელდაში ნაპოვნი კანკელის რელიეფური გამოსახულების ფრაგმენტები. ბანკნოტის ზომაა 146 *მმ* × 72 *მმ*.

განახლებულმა ლ-მა პირველი საერთაშ. აღიარება მოიპოვა 2016 წ. 15 მარტს. ბუქარესტში HSP™ Europe-ის კონფერენციაზე ორგანიზებულ დაჯილდოების ცერემონიალზე ევრ. და დსთ-ის ქვეყნების მასშტაბით საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტის ნომინაციაში ,,2016 წლის საუკეთესო რეგიონალური ბანკნოტების სერია'' გაიმარჯვა ლ-ის განახლებული ბანკნოტების სერიამ (20, 50 და 100 ლ-ის ნომინალის ბანკნოტები).

ლიტ.: ფული საქართველოში, თბ., 2000.

ლ. აბრამიშვილი.

ლარილარი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ჭუბერის თემი), მდ–ების – ნენსკრისა და ნაკრის წყალგამყოფი შდავლერის ქედის სამხრ.-დას. კალთის ძირას, მდ. ნენსკრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 880 *მ,* მესტიიდან 75 *კმ.* 83 მცხ. (2014).

ლარიძსი (Larix), წიწვოვანი მცენარის გვარი ფიჭვისებრთა ოჯახისა. 30–35 *მ* სიმაღლის სწორტანიანი ხეებია. სხვა მარადმწვანე წიწვოვნებისაგან განსხვავებით, ლ-ს წიწვები უყვითლდება, სცვივა და



ლარიქსი.

ზამთრობით მთლიანად შიშვლდება.

ლ-ის 20-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში ლ. ბუნებრივად არ იზრდება, ინტროდუქციირებულია აქა-იქ მცირე რაოდენობით, მაგრამ ტენის ნაკლებობისას მალევე იღუპება. ლ-ის ყველაზე ხნიერი ეგზემპლარები გვხვდება შავი ზღვის სანაპიროზე, წინანდლის პარკსა და ბაკურიანში. კულტივირებულია აგრეთვე თბილისში, ბორჯომში, ზემო სვანეთში (მესტია) და სხვ. ყველაზე მრავლადაა გაშენებული ახალქალაქში, სადაც შერეულია ტყის მცენარეულ საფარში.

ლ. ყინვაგამძლე და სინათლის მოყვარულია. კარგად ხარობს ზომიერად ტენიან და ფხვიერ (კერძოდ კირიან) ნიადაგებზე. ზაფხულის სიცხისა და გვალვისადმი მგრძნობიარეა. სწრაფმზარდია. მეტად მტკიცე და მაგარი მერქანი აქვს, რ-იც გამოიყენება გემთმშენებლობაში, წყალქვეშა ნაგებობებისათვის და სხვ. მერქნის გამძლეობითა და სიმძიმით ლ-ს უთხოვართან ერთად ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია წიწვოვანთა შორის. იძლევა ძვირფას ფისს, რ-ისგანაც მზადდებოდა სკიპიდარი, კანიფოლი და საღებავები ფერწერისათვის. ქერქისგან იღებენ მთრიმლავ ნივთიერებებს.

ვ. სხიერელი.

ლაროვნისწყალი, ნაროვანი, მდინარე ახმეტის მუნიციპალიტეტში, პირიქითი ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს აწუნთის ქედის აღმ. კალთაზე, 3390 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 19,2 *კმ,* აუზის ფართ. 59,9 *კმ*^{2} საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირობა – შემოდგომა-ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 1,7 *მ*^{3}*/წმ*.

ლარსის არქეოლოგიური ძეგლები, შუა საუკუნეების სამარხები და სამარხეული ინვენტარი. ლარსი (ზემო და ქვემო) ამჟამად შედის ვლადიკავკაზის საქალაქო ოკრუგის შემადგენლობაში. მდებარეობს დარიალის ციხის ჩრდით – საქართვ. სამხედრო გზაზე.

1953 ქვემო ლარსთან წყალდიდობისას გადარეცხილი გზის ქვეშ აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი სამარხები და სამარხეული ნივთები. აღმოჩენის ადგილზე არქეოლ. გათხრები ვერ ჩატარდა. ყაზბეგის მხარეთ-

მცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევით შეგროვდა არტეფაქტების ნაწილი (რკინის დანები, რგოლები, ბრინჯაოს საყურეები, ბეჭდები, საკიდები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები), რ-ებიც ძირითადად VI–VIII სს-ით თარიღდება. XI–XII სს-ს მიეკუთვნება ერთი სამარხი, რ-შიც გამოვლინდა ბრინჯაოს ბეჭედი, ყუნწიანი საკიდები და სხვ. ამავე მიდამოებში 1958, ასევე წყალდიდობის დროს, გადაირეცხა სამარხები. ყაზბეგის მუზეუმის თანამშრომლებმა მხოლოდ ერთი სამარხის ინვენტარის გადარჩენა მოახერხეს. სამარხეული მასალა წარმოდგენილია ადრეული შუა საუკუნეების ბრინჯაოსა და რკინის ნივთებით, აგრეთვე მრავალფეროვანი მძივებით. დანარჩენი სამარხების მასალა სტიქიისაგან განადგურდა. არტეფაქტები ინახება სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში. 1962 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის შუა კავკასიონის სამხრ. კალთების ბრინჯაოს და რკინის ხანის ექსპედიციის ყაზბეგის რაზმმა (ხელმძღვ. ლ. წითლანაძე) არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა 1953 გამოვლენილი სამარხების ადგილას. აქ, გზისპირა ტერასაზე, სადაც სავარაუდოდ ნამოსახლარი უნდა იყოს, აღმოჩნდა შავად, მოჩალისფროდ და წითლად გამომწვარი კერამიკის ნატეხები. საყურადღებოა ადრეული შუა საუკუნეების შავად გამომწვარი თიხის დიდი ჭურჭლის ნატეხი, რ-ის ძირზე რელიეფურად გამოყვანილია წრეში ჩასმული ბორბალი.



ლარჭემი.



ლარსიჰესი.

არტეფაქტი ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის არმაზისხევის საცავში. გზის სიახლოვეს გაითხარა ჩრდ-იდან-სამხრეთით დამხრობილი ქალის სამარხი (VI–VII სს.) ძვლები უმეტესად დაშლილი იყო. მიცვალებულს თავქვეშ ქვა ჰქონდა ამოდებული, სახის წინ ედგა შავად გამომწვარი ქოთანი, რ-ის ძირი შემკული იყო ბორბლის რელიეფური გამოსახულებით; გულმკერდისა და ყელის არეში გამოვლინდა მინის, სარდიონის, პასტის, ქარვის მძივები, წელის მიდამოებში – რკინის ლურსმნისებური ნივთი. სამარხში აღმოჩნდა ასევე რკინის ე. წ. ჭვინტიანი ბულა. მასალა დაცულია სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმში. აქვე ინახება ქვემო ლარსის ციხის (კოშკის) მახლობლად აღმოჩენილი რკინის მართკუთხა ნაპირებდახვრეტილი ფირფიტა და წითლად გამომწვარი კერამიკის ნატეხები.

ლიტ.: მინდორაშვილი დ., სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის ზოგიერთი არტეფაქტის დათარიღებისათვის, კრ.: მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა IV, თბ., 2017; წითლანაძე ლ., ხევის არქეოლოგიური ძეგლები, წგ. 2, თბ., 2004.

დ. მინდორაშვილი.

ლარსიჰესი, საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური მდ. თერგზე. გაიხსნა 2014 წ. 24 იანვარს. მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში (ყოფ. ყაზბეგი). მისი სიმძლავრეა 19 *მეგვტ,* წლ. საპროექტო გამომუშავება – 100 მლნ. *კვტ·სთ.* ჰესის მშენებლობა დაიწყო 2011, მშენებლობაში ჩაიდო 20 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. ლ-ის მფლობელია შპს ,,ენერგია''. ჰესმა ახ. სიმძლავრე შემატა საქართვ. ენერგოსისტემას, უკეთესი ეკონ. და სოც. პირობები შეუქმნა მთის მოსახლეობას, უზრუნველყო მათი უწყვეტი ელექტრომომარაგება, შექმნა დამატებითი სამუშაო ადგილები, ასევე ხელსაყრელი პირობები ხეობაში ტურისტული და კომერციული მარშრუტების განვითარებისათვის. ლ-ის მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა (მლნ. *კვტ·სთ*): 2014 წ. – 42,86; 2015 წ. – 67,75; 2018 წ. – 79,7; 2019 წ. –73,1; 2020 წ. – 73,7; 2021 წ. – 74,7.

დ. ჩომახიძე.

ლარჩვა, სოფელი სამეგრელო –ზემო სვანეთის რეგიონის ხობის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, ხობი–ზუგდიდის სარკინიგზო და საავტ. გზაზე. უახლოესი რკინიგზის სადგ. ხეთა. ხეთის თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა, ხეთა). ზ. დ. 60 *მ,* ხობიდან 8 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2014).

ლარჩვალი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (წიფერჩის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 530 *მ,* ცაგერიდან 7 *კმ.* 95 მცხ. (2014).

ლ. წერილობით წყაროებში პირველად 1757 დათარიღებულ ცაგერის მონასტრის სიგელშია დამოწმებული.

ლარჭემი, სოინარი, ოსტვინონი, ლერწმის ქართული მრავალლეროვანი (ძირითადად – ექვსლეროვანი) სალამური. ცნობილია სამეგრელოში (ლ. წარმოდგება სიტყვიდან ,,ლერწამი''), გურიასა (სოინარი, ბერძნ. სიტყვიდან ,,სოლინარი'') და ლაზეთში (,,ოსტვინონი''). საკრავი მრავალხმიანია, მაგრამ ტექნიკურად შეზღუდულია. იგი შედგება ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი სხვადასხვა სიგრძის მილებისგან, მათგან თითოეულს თავისი სახელწოდება აქვს: ,,კრიმანჭული'', ,,მოძახილი'', ,,გადატანილი'', ,,წყება'', ,,საშუალო'', ,,ბანი'' (გურია); ,,მეჭიფაშე'', ,,მაჭყაფალი'', ,,მაღალი'', ,,მებანე'', ,,მეშხუამე'' (სამეგრელო). ამავე დასახელებით მოიხსენიებენ სიმღერებსაც. სახელი გამოხატავს არა ბგერის ჰარმონიულ ფუნქციას, არამედ მის რეგისტრულ მდებარეობას. ოსტატმა თავდაპირველად ხმიანობა უნდა გაუსინჯოს ლერწმის ღეროებს და შემდეგ შეკრას ისინი ბლის ხის თხელი ქერქით. ლ-ზე სხვადასხვა მწყემსური მელოდიები სრულდებოდა, უკრავდნენ საცეკვაოებსაც. სამეგრელოში არსებობდა მელარჭემეთა შეჯიბრი – ნარზი, რ-ის დროსაც ორი მელარჭემე მამაკაცი ექვსლერიან ლ-ს შუაზე ყოფდა და ერთმანეთს გამძლეობასა და ოსტატურად შესრულებაში ეპაექრებოდა.

ლ. ძირითადად დაკავშირებულია მწყემსურ ყოფასთან, მისი გამოყენება ქორწილსა და ხატობა-დღეობებში კი გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. სამეგრელოში ლ. იყო მწყემსების საკრავი, რ-ის ხმაზე თავს იყრიდა ჯოგი. გურიაში მას მონადირეები სასიგნალოდაც იყენებდნენ, ხშირად ფრინველების გალობასაც ბაძავდნენ. ამ საკრავის გაკეთების და დაკვრის ტექნიკა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ლ. დღემდეა შემონახული გურიასა და სამეგრელოში.

ლიტ.: შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970.

ლასარეიშვილი ლევან (ლუკა) ნიკოლოზის ძე (დ. 14. XI. 1957, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის რესტავრაციის განყ-ბა (1982).

1983-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. 1985-იდან მხატვრის შემოქმედებაში ჩნდება აბსტრაქციონისტული ტენდენციები. 1987 მონაწილეობა მიიღო ქართველ აბსტრაქციონისტთა ჯგუფურ გამოფენაში (მოსკოვი). მუშაობს კონცეფტუალისტურ კომპოზიციებზე (,,წერილი ქრისტინას“, ,,პასუხი ქრისტინას“, 1987). 1989 მოეწყო ლ-ისა და ი. კაბაკოვის ნამუშევრების გამოფენა – ,,ხელოვნება საბჭოთა კავშირიდან“ (სტრასბურგი, საფრანგეთი), გამართა გამოფენა ,,საქართველო



ლ. ნ. ლასარეიშვილი. კომპოზიცია. 2020.

ჩემს ფიქრებში“ (1990, კასელი, გერმანია) და მრავალი სხვ. 1991– 2003 ლ. ცხოვრობდა და ეწეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას გერმანიაში. ამ დროს თავის კომპოზიციებში სულ უფრო ხშირად მიმართავდა შერეული ტექნიკის ეფექტს (შოლკოგრაფია, კოლაჟი და სხვადასხვა მექანიკური ზემოქმედების შედეგად ტრანსფორმირებული ფაქტურული ზედაპირები). მის ფერწერულ ტილოებში კი უპირატესობა ვიზიონერულ ძიებებს და სამყაროს ყოვლისმომცველი მარადიული წრებრუნვის სრულიად განსხვავებულ, ახლებური რაკურსით დანახვის მცდელობას ენიჭება. ეს ნამუშევრებია: ინსტალაციები – ,,პერესტროიკის კედელი“ (1987), ,,ჯვაროსნული ლაშქრობა 3“ (1993), ,,საიდუმლო სერობა“(1994), ,,გაყინული დრო, ანუ ოცნება ფრენაზე“ (1997), ,,კონტეინერი“ (1998), ,,ანგელოზი“ (1998), ,,ეს თაობა“ (2002), ,,რის ფასად?“ (2020); ,,კანონი და წესრიგი“ (2020), ,,წარმოსახვითი დემოკრატიის გზა“ (2020). 2003- იდან ლ. მოღვაწეობს ნიუ-იორკში (აშშ).

თ. ბელაშვილი.

ლასარეიშვილი ლეჟო ნესტორის ძე (30. V. 1927, სოფ. ქოლობანი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 11. VI. 2004, თბილისი), აგრონომი. საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994), სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1991), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990), საქართვ. დამს. აგრონომი (1971). 1949 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სუბტროპ. მეურნ. ფაკ-ტი. 1950–53 იყო გაგრის, ჩაქვისა და ხეთის მეურნეობების, 1957–58 – საქართვ. სოფლის მეურნ. სამინისტროს მეხილეობის სამმართველოს მთ. აგრონომი, 1958–61 – საქართვ. სოფლის მეურნ. მეცნ. აკადემიის მრავალწლოვანი კულტურების განყ-ბის სწავლული მდივანი, 1961–2004 – მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.- კვლ. ინ-ტის კაკლოვანი და მშრალი სუბტროპ. კულტურების განყ-ბის უფროსი. ლ-მა შეისწავლა მარწყვის, კაკლის, თხილისა და ბროწეულის კულტურათა ბიოლ. და სამეურნეო თავისებურებანი საქართვ. სხვადასხვა რეგიონში, დაამუშავა კოლხეთის დამშრალ მიწებზე თხილის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკის საკითხები. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიეების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მარწყვის კულტურა საქართველოში, თბ., 1973; ბროწეულის კულტურა, თბ., 1986.

ლასარეიშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (9. VI. 1924, ბათუმი, – 11. II. 2013, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971). 1952 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია მხატვარ-არქიტექტორის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა ,,საქსახპროექტში“ (1952–53), ,,საქკომუნპროექტში“ (1953–57), ,,საქალაქმშენსახპროექტში“ (1957–69), 1969-იდან –,,გიპროკონოს“ თბილ. კომპლ. განყ-ბაში. 1966–2012 შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტის ინტერიერის კათედრაზე. ნამუშევრები: თელავში – სახელმწ. პედ. ინ-ტის კომპლექსი (1967); თბილისში – ს.-ს. ორბელიანის ძეგლი (1959, მოქანდაკე ტ. სიხარულიძე); 110-ბინიანი საცხოვრ. სახლი (1959, ავტორთა ჯგუფთან ერთად); სახელმწ. სამედიცინო ინ-ტის ერთერთი კორპუსი (1969); ინდუსტრიულ-პედ. ტექნიკუმის კომპლექსი (1973, არქიტ. დ. ჯაფარიძესთან ერთად) და სხვ.

ლასილი, მდინარე მესტიის მუნიციპალიტეტში, ენგურის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, 3115 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 13 *კმ,* აუზის ფართ. 40 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირობა – შემოდგომა-ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 1,60 *მ*^{3}/*წმ.*

ლასილის ულელტეხილი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედზე, მდ-ების ლასილის (ენგურის მარცხ. შენაკადი) და მუხრის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 3000 *მ.* აგებულია ლიასის ასპილური ფიქლებითა და ქვიშაქვებით. ახასიათებს ალპ. ლანდშაფტი. ლ. უ-ზე გადადის საცალფეხო გზა ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში.

ლასკადურა, მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2425 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე – 20 *კმ,* აუზის ფართ. – 118 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ–ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 4,9 *მ*^{3}/*წმ.*

ლასკადურა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (დაბა ლენტეხის ტერიტორიული ორგანო), მდ. ლასკადურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1120 *მ,* ლენტეხიდან 2 *კმ.* 75 მცხ. (2014). სოფელშია მინერ. წყარო.

ლასკრალი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (კალის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის განშტოება ჩხუნდერის ქედზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1800 *მ,* მესტიიდან 41 *კმ.*

2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.



ლ. ნ. ლასარეიშვილი (1927–2004).

ლასტის ციხე, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში, მდ. ვერისხევის სათავეში (თეთრი წყაროს მუნიციპ.). მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.). გადმოცემის თანახმად, ლ. Ც. ააგეს დიდგორის ბრძოლაში (1121) დატყვევებული მტრებისათვის, რადგან არსებულმა ციხეებმა ისინი ვერ დაიტია. ლ. Ც-თან გადიოდა შუა საუკუნეებში ცნობილი ე. წ. ,,სამცხეთო გზა‘‘. შემორჩენილია მხოლოდ სამების ეკლესიის ნაშთი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლასტიციხე, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ორბეთის თემი). 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.



თ. ლასხიშვილი.

ლასურია მუშნი ტაიას ძე (დ. 16. I. 1938, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), აფხაზი პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1965).

პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1955, ლექსების პირველი კრებული ,,აკვანი“ – 1963. ლ-ს ლექსების კრებულებია ,,იმედი“ (1965), ,,აბრეშუმის სახლი“ (1967), ,,ჩანჩქერების დილა“ (1973), ,,ჩემი აქლემი“ (1988), ,,ლექსები“ (2000) და სხვ., რ-თა ძირითადი თემებია სამშობლო, ბუნება, სიყვარული. ლექსები გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით.

ლ-მ აფხ. ენაზე თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი“ (1978, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1981); ი. აბაშიძის ,,პალესტინა, პალესტინა“; გ. ლეონიძის, შ. ნიშნიანიძის ლექსები; ჯ. ბაირონის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის ნაწარმოებები და სხვ. ლ-ს ლექსები თარგმნილია ქართ. და სხვა ენებზე.

თხზ.: ლექსები, თბ., 2000.

ლ. ავალიანი.

ლასხანა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ჩხუტელის თემი), ცაგერის ქვაბულში, მდ. ცხენისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 760 *მ,* ცაგერიდან 3 *კმ.* 60 მცხ. (2014).

ლ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში ი. *გიულდენშტეტთან.*

ლასხედარი, ხეობის ტიპის მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში, ტვიბერის მყინვარის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 2,1 *კმ,* ფართ. 1,4 *კმ*^{2}. საზრდოობს მწვ. ბაშილისა და ლასხედარის უღელტეხილის სამხრ. კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებითა და ზვავებით. ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია მორენული მასალით.

ლასხედარის უღელტეხილი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვ. ბაშილსა და ტვიბერის უღელტეხილს შორის, მესტიის მუნიციპალიტეტისა და ყაბარდო-ბალყარეთის არ-ის (რფ) საზღვარზე. სიმაღლე 3500 *მ.* დაფარულია მუდმივი თოვლით.

ლასხიშვილი გიორგი მიხეილის ძე (ფსევდ. ლალი) [25. XII. 1865 (6. I. 1866) ქუთაისი, – 15. V. 1931, თბილისი], პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დამაარსებელი და ლიდერი. 1885 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, სწავლობდა ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლებში. 1887 უნ-ტიდან გარიცხეს, დააპატიმრეს, შემდეგ სამშობლოში გადმოაგზავნეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, ხოლო 1888 ხუთი წლით გადაასახლეს ციმბირში. 1895, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ი. ჭავჭავაძემ მიიღო გაზ. „ივერიის“ რედაქციაში სამუშაოდ. გაზეთის ახალი თაობის წარმომადგენლებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა „ახალგაზრდა ივერიელების“ ეროვნ.-რადიკალურ მიმდინარეობას. 1901 სათავეში ედგა საინიციატივო ჯგუფს, ე. წ. მთავარ კომიტეტს, რ-ის მიზანიც საქართველოს ავტონომიისათვის მებრძოლი პოლიტ. პარტიის დაარსება იყო. 1904 გახდა ახალდაარსებული საქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1910 ხელისუფლების მიერ ამ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დარბევა-ლიკვიდაციის დროს დააპატიმრეს, მეტეხის ციხეში ჩასვეს და ხუთი წლით აუკრძალეს კავკასიაში ცხოვრება. იმყოფებოდა ხარკოვში. 1913 შეეხო ამნისტია და სამშობლოში დაბრუნდა.

რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ ლ. ეროვნ. ინტერპარტიული საბჭოს პირველი კრებების მონაწილე და საბჭოს თავ-რის მოადგილე იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს რიგით მეოთხემ მოაწერა ხელი. იგი შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ე. წ. დროებითი კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში და რესპუბლიკის სახ. განათლების მინისტრის პოსტი ჩაიბარა. 1919 მარტში აირჩიეს საქართვ. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების წევრად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან. ამ წლების განმავლობაში ლ. იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთ. კომიტეტის თავ-რე.

1921 მარტში, საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციის შემდეგ, ლ. ბათუმში ჩავიდა, მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების ბოლო სხდომაში და თავისი ოჯახით ემიგრაციაში გახიზვნას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა და სამშობლოში დარჩა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩამოსცილდა პოლიტ. საქმიანობას. ერთხანს მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატში, კოოპერატიულ ბანკში.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

თხზ.: მემუარები, ტფ., 1934; გამოც. მე-2, თბ., 1992.

ლიტ.: შველიძე დ., განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი, „სახალხო განათლება“, 1990, 24 მაისი.

დ. შველიძე.

ლასხიშვილი თამილა დავითის ასული (1. III. 1936, ბაღდათი, – 30. V. 2014, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1967). 1958 დაამთავრა შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკ-ტი (ლ. ალექსიძის კურსი). 1958–60 მსახიობობდა ქუთაისის ახალგაზრდული თეატრის დასში. 1960–2014 – ქუთაისის დრამატული თეატრის მსახიობი. ლ-ის ნიჭიერებამ სრულად გამოავლინა თავი ქალის ტრაგიკული ბედის ამსახველ როლებში. ლ-ის ტალანტის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება იყო ნ. ბარათაშვილის ,,ბედის“ მიხრო

ლის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1958–70 მუშაობდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში, სადაც შეასრულა 30-მდე როლი, მ. შ. მედეა (ევრიპიდეს ,,მედეა“), ანტიგონე (სოფოკლეს ,,ანტიგონე“), ფრაუ ალ ვინგი (ჰ. იბსენის ,,მოჩვენებანი“) და სხვ. 1970–96 მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ითამაშა მ. თუმანიშვილის სპექტაკლში ,,მილიარდერის ვიზიტი“ (ფ. დიურენმატი). აგრეთვე: დედოფალი ქართლისა (ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი‘‘), ტეფია (დ. კლდიაშვილის ,,უბედურება‘‘), გაბი (რ. ტომას ,,რვა მოსიყვარულე ქალი‘‘) და სხვ. თავისუფალ თეატრში გ. თოდაძის მიწვევით შეასრულა ბებიას როლი ე. შვარცის ,,თოვლის დედოფალში“. მონაწილეობდა საქართვ. რადიოსა და ტელევიზიის მხატვრულ და დრამ. გადაცემებში. გადაღებულია ფილმებში: „პიერი მილიციის თანამშრომელი‘‘ (რეჟ. დ. რონდელი, 1965), „წუთისოფელი‘‘ (რეჟ. ები: ნ. და შ. მანაგაძეები, 1971), ,,ანარეკლი“ (1974), „ესკულაპეს მოწაფე“ (ორივეს რეჟ. ო. აბესაძე, 1977), ,,ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), „უძინართა მზე“ (რეჟ. თ. ბაბლუანი, 1992), „სამყაროს 6 სურათი“ (რეჟ. ბ. ყანჩაველი, 2007) და სხვ. 1977-იდან გარდაცვალებამდე იყო თეატრისა და კინოს უნ-ტის სასცენო მეტყველების პედაგოგი.

თ. კახიანი.

ლასხიშვილი ტატო გიორგის ძე (დ. 14. IV. 1960, ქუთაისი), ჟურნალისტი. დაამთავრა სპი (1982), თსუ (1990). 1982–91 იყო საქართვ. ტელევიზიისა და რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციის კომენტატორი; 1991–98 – გაზეთ ,,სვობოდნაია გრუზიას“ მთ. რედაქტორის პირველი მოადგილე. 1998-იდან – ამავე გაზეთის მთ. რედაქტორი; 1985-იდან – საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

ლატარია (იტალ. Lotteria, Lotto – წილი, ჰოლანდ. Lot – ბედი), ორგანიზებული აზარტული თამაში, როდესაც მოგება და წაგება განისაზღვრება შემთხვევითი შერჩევით, ლატარიის ბილეთის ნომრით ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ლ-ის პირველი ფორმები ჩაისახა ძვ. რომსა და ჩინეთში ძვ. წ. II–I სს-ში. მისგან მიღებული შემოსავლები კი გამოიყენეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებში (,,ჩინეთის დიდი კედელი“, ხიდები და სხვ.). XV ს-ში პირველი რეგისტრირებული ლ. არსებობდა ბელგიაში, ნიდერლანდებსა და იტალიაში. XVI–XVII სს-ში ლ-ის სახელმწ. მონოპოლია ფართოდ გავრცელდა ევროპაში, ასევე ბრიტანეთის ამერ. კოლონიაში, თუმცა მალე, აშშ-ის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1776) შემდეგ, დაიწყო მანამდე არსებული ლ-ის კერძო სისტემის შევიწროება და 1900 ქვეყანაში ეს ბიზნესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სრულად აიკრძალა. 1933-მდე ასი წლის განმავლობაში, ლ. აკრძალული იყო საფრანგეთში, სხვადასხვა ხანგრძლივობით – სხვა ქვეყნებშიც. II მსოფლიო ომის შემდგომ ლ-ის ინდუსტრია სწრაფად აღადგინეს. იგი გახდა შეუდარებლად მრავალფეროვანი, მაღალმომგებიანი და ზრდადი ბიზნესი როგორც ევროპასა და აშშ-ში, ისე მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში. მცირეა იმ სახელმწიფოების რიცხვი, სადაც ის აკრძალულია (საუდის არაბეთი, ჩრდ. კორეა, სინგაპური და სხვ.). ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს შეიმუშაოს ლ-ის საკუთარი მოდელი – გახდეს ის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული, თუ დაუთმოს კონკურენტულ ბაზარს. ამასთან, ყველა შემთხვევაში სახელმწიფოები ეძებენ ლ-ის რეგულირების მექანიზმებს, რათა დამყარდეს ოპტიმალური ბალანსი მისგან მიღებულ შემოსავლებსა და ლ-ის მოთამაშე მოსახლეობის ინტერესებს შორის.

საქართველოში ლ-ის არსებობა XIX ს-იდან დასტურდება.

1801–1917 საქართველოში გავრცელებული იყო ლ-ის ისეთივე სისტემა, როგორიც მთლიანად რუსეთის იმპერიაში. საბოლოო სახით კი ლ-ის ჩატარების წესები 1875 ჩამოყალიბდა. მასზე სახელმწ. მონოპოლია იყო დაწესებული. ლ-ის თამაში მოსახლეობაში ,,სხვადასხვა რისამე ლატარეაში ჩაგდების“ ფორმით იყო გავრცელებული, თუმცა იკრძალებოდა. ა. წერეთელს ,,ჩემს თავგადასავალში“ აღწერილი აქვს ხაჭაპურების ლ-ში ,,თითო კაპეიკის“ ჩაგდების ამბავი, რისთვისაც იგი ,,ლინეიკის“ ხელზე დარტყმით დაისაჯა. 1918 ბოლშევიკურმა მთავრობამ ლ., როგორც ბურჟ. გადმონაშთი, აკრძალა, თუმცა 1921 მოუსავლიანობით გამოწვეული დიდი ფინანს. სირთულეების გამო მისი ჩატარება აღადგინა.

1919 წ. 1 ნოემბერს შედგა დამოუკიდებელი საქართვ. პირველი საქველმოქმედო ლ-ის გათამაშება. მისგან შემოსული თანხები მოხმარდა თსუ-სა და ქართ. თეატრს. აღნიშნული ლ-ის საბჭოს თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილი, ხოლო მმართველობას – გ. ლასხიშვილი.

1921–91 საქართველო გახდა სსრკ-ის ლ-ის ერთიანი სისტემის ნაწილი. ლ. წარმოადგენდა სახელმწ. მონოპოლიას და ჰქონდა ფულად-ნივთობრივი სახე.

XX ს. 50-იანი წლებიდან სსრკ-ის დაშლამდე (1991) რეგულარულად თამაშდებოდა ყოველთვიური ლ., რ-იც 30 კაპიკი ღირდა. მოგება იწყებოდა 1 რუბლიდან, მაქს. მოგება კი იყო ავტომობილი (,,მოსკვიჩი“ , ,,ვოლგა‘‘ და ,,ჟიგული“). არსებობდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის (,,დოსააფი“) ლ. (მოგება 1 რუბლიდან ავტომობილ ,,ვოლგამდე“). საბჭ. კავშირში, ფულად-ნივთობრივი ლ-ისაგან განსხვავებით, სპორტულ-რიცხვითი ლ. ,,სპორტლოტო 49-იდან 6“ პირველად მხოლოდ 1970 გათამაშდა, ის ყველაზე პოპულარული და მასშტაბური გათამაშება იყო საბჭ. კავშირის ისტორიაში. ტირაჟული ლ-ის გარდა, გამოდიოდა მომენტალური ლ. ,,სპრინტი“ და წიგნის მომენტალური ლ.

საქართვ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის (1991) შემდეგ ქვეყანა ლ-ის მოდელის ძიებითა და პოლიტიკის რყევებით ხასიათდებოდა. არსებული ლ-ის ქართ. სისტემა 2005 წ. 25 მარტს მიღებული საქართვ. კანონის (,,ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“) მიხედვით არის შერეული, ჰიბრიდული. მასზე დაწესებულია სახელმწ. მონოპოლია, რ-იც ექსკლუზიურად გადაეცემა კერძო სამართლის იურიდ. პირს.

ლ-ის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საქართვ. ფინანსთა სამინისტრო ექსკლუზიურ უფლებას 10 წლით გადასცემს ტენდერით განსაზღვრულ ოპერატორს. კანონმდებლობის ხარვეზები, ლ-ის ჩატარების პროცესის არასაჯაროობა, სახელმწ. მიზნებისა და ინტერესების ბუნდოვანება განაპირობებს მის წარუმატებლობას. ლ. სახელმწიფოსათვის წამგებიანია. 2009 ათწლიანი ექსკლუზივი

პირველმა მოიპოვა შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიამ“. იგი ეკუთვნოდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ შპს ,,ლექსორ კაპიტალ კორპორეიშენს“, რ-მაც 2011 წ. 9 აგვისტოს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 70%-იანი წილი (ბიუჯეტის წინაშე მრავალმილიონიანი დავალიანებით) საქართვ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი მართვის უფლებით – საქართვ. ფოსტას. 2017-იდან 2027-მდე ექსკლუზიური უფლება გადაეცა შპს ,,ჯი ენ ელის“ – საქართვ. ეროვნ. ლატარიას, რ-მაც დაიწყო თამაშების ორგანიზება 2018 წ. 17 მარტიდან. საქართვ. ეროვნ. ლ. ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი პროდუქტებით: ტირაჟიანი ლოტო 6/36-ით და მომენტალური ლ-ის ე. წ. გადასაფხეკი ბარათების სამი თამაშით: ,,ოქროს საწმისი‘‘, ,,შვიდიანი‘‘ და ,,ფარაონი‘‘. მომავალში იგეგმება ინოვაციური, ელექტრონული მომენტალური ლ-ის გაფართოება.

მ. ჯიბუტი.

ლატვია (ოფიციალური დასახელება – ლატვიის რესპუბლიკა, (Latvijas Republika), სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში. ესაზღვრება: დას-ით ბალტიის ზღვა და რიგის ყურე, ჩრდ-ით – ესტონეთი, აღმ-ით – რუსეთის ფედერაცია, სამხრ-ით – ლიეტუვა და სამხრ.-აღმ-ით – ბელარუსი. ფართ. 64,6 ათ. *კმ*^{2}. მოსახლეობა 1 მლნ. 900 ათ. მცხ. (2020). სახელმწ. ენა – ლატვიური, დედაქალაქი – რიგა, მორწმუნეთა უმრავლესობა ქრისტიანია: ლუთერანები, მართლმადიდებლები და კათოლიკეები. ლ-ის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა. არის შენგენის ზონის, 2004-იდან კი – ნატოსა და ევროკავშირის წევრი. საკანონმდებლო ორგანოა სეიმი (პარლამენტი), ფულის ერთეული – ევრო.

თანამედროვე ლ-ის ტერიტორიაზე ძვ. წ. III ათასწლეულში დასახლდნენ ფინურ-უგორული ტომები, რ-თა შთამომავლებად ითვლებიან ლივები. ძვ. წ. I ათასწლეულში მათ ბალტური ტომები დაემატნენ. XII ს-იდან ვრცელდება ქრისტიანობა. 1201 დაფუძნდა რიგა, ხოლო 1237 – ტევტონთა ორდენის შემადგენლობაში შემავალი ლივონიის ორდენი, რ-მაც 1561-მდე იარსება. შემდეგ ჩამოყალიბდა კურლანდიისა და სემიგალიის საჰერცოგო, რ-თა ტერიტორიაც გახდა ლიტვის (1569-იდან – რეჩ პოსპოლიტის), რუსეთის, შვედეთისა და დანიის მხრიდან ექსპანსიის ასპარეზი. თანამედროვე ლ-ის ტერიტ. ჩრდ. ნაწილი 1713 რუსეთმა შეიერთა და შექმნა ლიფლანდიის გუბერნია (მისი უკიდურესი ჩრდილოეთი დღეს ესტონეთის შემადგენლობაშია), ხოლო სამხრ. ლ-ის ტერიტორიაზე არსებული კურლანდიის საჰერცოგო 1795 შეიერთა რუსეთმა და იქ კურლანდიის გუბერნია ჩამოაყალიბა.

ლ-ის პირველი რესპუბლიკა დაფუძნდა 1918 წ. 18 ნოემბერს. 1920 მარტში გაიხსნა მისი საკონსულო საქართვ. დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რ-იც 1920–22 მდებარეობდა თბილისში, მიხეილის (ამჟამად დავით აღმაშენებლის) პროსპექტზე, №171-ში, ლატვიელთა სათვისტომოს (№180) მახლობლად. კონსულის თანამდებობაზე მსახურობდნენ ო. ბუმანისი (1899–1937) და ი. პუნინში (1889–1968). 1921-იდან ლ-ის ვიცე-კონსულის მოვალეობას ასრულებდა ი. სტრაუმე (1874–1970), საზ. მოღვაწე, ეთნოგრაფი, მხატვარი და პედაგოგი, რ-იც საქართველოში 16 წელი (1907–23) ცხოვრობდა. ამ თანამდებობაზე იგი მოღვაწეობდა ლ-ის საკონსულოს დახურვამდე (1922 წ. 10 თებ.). საკონსულო ზრუნავდა საქართველოში მყოფ ლატვიელთა სამშობლოში დაბრუნებაზე. იმავე წლის 12 სექტ. ი. სტრაუმემ ლ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: ,,თუ ამიერკავკასია ის ხიდია, რომელზედაც აღმოსავლეთთან გადებულია ეკონომიკური, სავაჭრო და საწარმო ინტერესების გზა, თუ ლიტვა და ესტონეთი საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების შესანარჩუნებლად ცდილობენ (ლიტვამ გამოგზავნა სრულუფლებიანი სავაჭრო წარმომადგენელი, ხოლო ესტონეთმა ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თბილისში დაარსა თავისი წარმომადგენლობა, სრულიად კავკასიასთან და სპარსეთთან კავშირისათვის და ახლო მომავალში ელოდება გემს, ესტონური საქონლით), მაშინ ლატვიასაც, ჩემი რწმენით, კავკასიაში თავისი წარმომადგენლობის შესანარჩუნებლად საკმაო დაინტერესება უნდა გააჩნდეს“. ვინაიდან თბილისში ვეღარ აღდგა ლ-ის საკონსულო, 1923 ბოლოს ი. სტრაუმე სამშობლოში დაბრუნდა.

1940 ივნისში მოხდა ლ-ის რესპუბლიკის ოკუპაცია სსრკ-ის მიერ და იგი მის შემადგენლობაში ერთეთი მოკავშირე რესპუბლიკის (ლ-ის სსრ) სტატუსით შეიყვანეს.

XX ს. 80–90-იანი წლების მიჯნაზე ლ-ისა და საქართვ. ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ. 1990 წ. 4 მაისს ლ-ის სეიმმა გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. სსრკ-ის დაშლისა (1991) და ლ-ისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშ. აღიარების შემდეგ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, რაც ოფიციალურად გაფორმდა 1993 წ. 11 მარტს.

XX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოსა და ლ-ში მოქმედებს კულტ. საგანმანათლებლო საზ-ბები: ,,AVESOL‘‘ საქართველოში, ,,სამშობლო“ და ,,გეორგიკა“ ლ-ში. ლ. ლიეტუვასა და ესტონეთთან ერთად საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე და მისი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების აქტიური მხარდამჭერია.

ლ. საერთაშ. დონეზე ლობირებს საქართველოს ინტერესებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში მთავრობებს შორის განხორციელდა მრავალი ორმხრივი ვიზიტი. ლ-თან თანამშრომლობის ფარგლებში ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მხარდაჭერა.

მჭიდრო ურთიერთობა აქვს ლ-ის სეიმსა და საქართვ. პარლამენტს. მიღებულ რეზოლუციებში ლ. ტრადიციულად უჭერს მხარს საქართვ. ტერიტორიულ მთლიანობას. ორივე ქვეყნის პარლამენტში ფუნქციონირებს ხანგრძლივი ტრადიციის მქონე მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯგუფი. 2014 სექტ. რიგაში გაიხსნა ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრი (NATO Strategic Communications Center of Excellence – STRATCOM), რ-თანაც საქართვ. თავდაცვის სამინისტრო 2016 ივლისიდან აქტიურად თანამშრომლობს.

დიპლ. ურთიერთობების დამყარების დღიდან საქართველოსა და ლ-ს შორის ხელმოწერილია და ძალაშია 25 ხელშეკრულება სხვადასხვა სფეროში.

2017 აპრილში ლ.–საქართველოს დაძმობილების 10 წლის

იუბილეს აღსანიშნავად რიგაში თავისუფლების პროსპექტზე (Brivibas Gatve) გადაწყდა თბილისის სკვერის მოწყობა, სადაც სიმბოლურად დაირგო ვაზისა და ცაცხვის ნერგები.

საქართველოსა და ლ-ს შორის მჭიდრო რეგიონთაშორისი თანამშრომლობა და ქალაქების დამეგობრების მრავალწლიანი ტრადიცია არსებობს. 2007 გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე დაძმობილდა ორივე ქვეყნის არაერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტი. ლ-ის საკურორტო ქ. სიგულდასა და ჭიათურას თანამშრომლობის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, რ-იც 1960-იდან იწყება.

ლიტ.: ჯავახიშვილი ნ., ლატვიის რესპუბლიკის საკონსულო საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; მისივე, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019.

ნ. ჯავახიშვილი.

ლატიშევი ვასილი ვასილის ძე [29. VII (10. VIII), 1855, სოფ. დიევო, ახლანდ. ტვერის ოლქი, რამეშკის რ-ნი, – 2. V. 1921, პეტროგრადი], რუსი ფილოლოგ-კლასიკოსი, ეპიგრაფისტი და ისტორიკოსი. პეტერბ. მეცნ. აკად. წევრი (1893). მისი შრომებიდან აღსანიშნავია ,,ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი ანტიკური წარწერების კრებული'' („Свод античных надписей, найденных в Северном Причерноморье" t. 1–2, 4, 1885–1901) და ,,ძველი მწერლების, ბერძნებისა და რომაელების ცნობები სკვითეთის და კავკასიის შესახებ'' („Известия древних писателей, греческих и латинских о Скифии и Кавказе" ტ. 1–2, ნაკვ. 1–5, 1893–1906).

ლ-ს ეკუთვნის მრავალი სტატია ძვ. ისტორიის (უმთავრესად შავიზღვისპირეთზე), ეპიგრაფიკის, ბიზანტ ჰაგიოგრაფიისა და სხვ. საკითხებზე. 1900-იდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა არქეოლ. კომისიის მუშაობაში. იყო ,,არქეოლოგიური კომისიის ცნობარის'' („Известий археологической комиссии") დამაარსებელი და მისი უცვლელი რედაქტორი.

ლ. გადმოგვცემს, რომაელი ავტორის ცნობას ადრიანე კეისრის (117–138) კარგი დამოკიდებულების შესახებ იბერებთან და მეფე ფარსმანთან. არც ერთ მეფეს ისე არ ასაჩუქრებდა კეისარი, როგორც ფარსმანს (მისცა სპილო და 500 მხედარი). როცა კეისარმა რომში მეფისა და იბერიელ დიდებულთა სამხ. ასპარეზობა ნახა, მარსის ველზე ცხენზე ამხედრებული იბერიის მეფის ქანდაკება დაადგმევინა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. 1, თბ., 1979; Памяти В. В. Лотыщева, „Советская археология", 1958, в. 28 (ახლავს ლ-ის შრომების სია და *ლიტ*-რა მასზე).

ლატფარი, მთა მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის აღმ. ნაწილში, ლატფარის უღელტეხილის სამხრ.-აღმ-ით, მდ-ების – ლამუშურისწყლისა და ხეშკურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადები) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 3140 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კვარციტებით. კალთები დამრეცია, შემოსილია სუბალპ. ლიხით და ალპ. მდელოებით.

დ. უკლება.

ლატფარის უღელტეხილი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედზე, მდების – ლამუშურისწყლის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) და ვალეშის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 2830 *მ.* ლ. უ-ის მიდამო აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. საჭაპანო გზით აკავშირებს ქვემო სვანეთს (ცხენისწყლის აუზი) ზემო სვანეთთან (ენგურის აუზი).

დ. უკლება.

ლაუშა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (დაბა ჟინვალის ტერიტორიული ორგანო), გუდამაყრის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ხორხის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ,* დუშეთიდან 29 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

სოფლის განაპირას, აღმ-ით მდებარეობს შუა საუკუნეების კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია, რ-ის ირგვლივ რამდენიმე მართკუთხა ნაგებობისა და გალავნის ნანგრევებია. სოფლის სამხრ.-დას-ით, საყარაულოს ხევის მარჯვ. ნაპირზე არის შუა საუკუნეების კიდევ ერთი ეკლესია, რ-ის სამხრ.-აღმ-ით და დას-ით ნატეხი ქვით ნაგები სამი აკლდამაა საკმაოდ მოზრდილი კოლექტ. სამარხებით.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

ლაფანაანთკარი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. აბანოსხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (ლ., აბანოსხევი, ახალი ოსები, დავათი, ზემო უბანი, კოშკასყელი, მაღრანი, მწითურები, ნოკორნა, ნოჯა, ნოჯიკეთი, ქერიანთკარი, ხიზნები). ზ. დ. 880 *მ,* დუშეთიდან 19 *კმ.* 67 მცხ. (2014).

სოფლიდან სამხრ-ით, 1 *კმ*-ზე, დგას ბაღიაანთკარის ეკლესია. აგებულია VI ს. შუა წლებში. სამხრ-იდან აქვს მინაშენი, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესია ორნავიანია, ნაგებია რიყის ქვით და კირის დუღაბით. სოფელში და მის მიდამოებში სხვადასხვა პერიოდის კიდევ რამდენიმე დარბაზული ეკლესიაა. განეკუთვნება ადრეულ, განვით. და გვიანდ. შუა საუკუნეებს. ზოგი მათგანი ძლიერ დაზიანებულია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

ლაფანი, ლაფნის ხე (Pterocarya), ზაფხულმწვანე მერქნიან მცენარეთა გვარი კაკლისებრთა ოჯახისა. 35 *მ*-მდე სიმაღლის ერთსახლიანი ხეებია. დაკიდებულ მჭადა ყვავილედში შეკრებილია ერთსქესიანი ყვავილები. ნაყოფობისას მჭადა დიდდება (ზოგჯერ 0,5 *მ*-მდე), გრძელი მტევნის მსგავსად ჩამოეკიდება ხეს და ალ-



კავკასიური ლაფანი.

ამაზებს მას. ლ-ის 11-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიის სუბტროპ. და ზომიერად თბილ ქვეყნებში. სახეობათა უმრავლესობა თავმოყრილია აღმ. აზიაში, იზრდება მთის ხეობებში, ზოგან ზ. დ. 3500 *მ*-ზე.

საქართველოში ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ერთი რელიქტური სახეობა – კავკასიური ლ. (P. pterocarpa), კულტივირებულია 3 უცხოური სახეობა. კავკასიური ლ. უფრო სამხრ. კავკასიის დას. ნაწილშია გავრცელებული. აღმ. ნაწილში იგი გვხვდება ალაზან-აგრიჩაის ვაკეზე, თალიშში,



ს. ლაფაური.



ნ. ლაფაჩი.



ნ. ლაფაჩი. გერტრუდა. უ. შექსპირის ,,ჰამლეტი‘‘.



ვ. ლაფერაშვილი (კაპიცა).

მცირე რაოდენობით – სამხრ. დაღესტანსა და ჩრდ.-აღმ. აზერბაიჯანის კასპიისპირეთში.

ლ-ის არეალი ასევე ვრცელდება ლაზეთსა და ირანის კასპიისპირეთში. იზრდება დაბლობიდან მთის ქვემო სარტყლამდე, ზ. დ. 500–800 *მ*-მდე, უფრო ხშირად მდინარისა და ნაკადულის ნაპირებზე, ალუვიურ ნიადაგზე. ჩვეულებრივ შერეულია ფოთლოვან ტყეში მურყანთან, თელადუმასთან, აღმოსავლურ წიფელთან, კავკასიურ რცხილასთან, იფანთან, ქორაფთან, ლენქორანულ ალბიციასთან და სხვ. მისი წმინდა კორომები – ლაფნიანები იშვიათია. სწრაფმზარდია, სრულასაკოვანი ხის (60–80 წლის) წლიური ნაზარდი სიმაღლეში თითქმის 1 *მ* აღწევს. ყვავილობს აპრილ-მაისში, მსხმოიარობს სექტემბერ-ოქტომბერში. უხვად ივითარებს ძირკვიდან ამონაყარს. ცოცხლობს 250 წლამდე. დეკორატიული ხეა. რგავენ ხეივნებად, ეულად, ტენიან ადგილებში ტყის გასაშენებლად, მდინარისა და წყალსატევების ნაპირების გასამაგრებლად. ფოთოლი და ქერქი ყავისფერ საღებავს და მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს. ფოთოლში არის აგრეთვე C ვიტამინი და შხამიანი ნივთიერება. თეთრი, რბილი მერქნისაგან ჯამებს, გობებსა და სხვა ნივთებს აკეთებენ. გაშენებულია მრავალ ბაღ-პარკში. ამრავლებენ თესლით და ვეგეტატიურად.

მ. სახოკია.

ლაფანყური, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში (ნაფარეულის თემი), მდ. ლოპოტის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 580 *მ,* თელავიდან 36 *კმ.* 620 მცხ. (2014).

სოფლის მიდამოებში შემონახულია მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი, მათ შორისაა: დარბაზული ეკლესია განვით. შუა საუკუნეების გოჭისგორის საყდარი, რ-იც დგას სოფლის სამხრ.-დას-ით 1,5–2 *კმ*-ზე, გოჭისგორად წოდებულ მცირე ბორცვზე; დევისხვრელის (ცაბაურთა) სამნავიანი ბაზილიკა, მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ლოპოტის ხეობაში, თარიღდება ადრინდ. შუა საუკუნეებით; ტორნისის ღვთისმშობლის VII–VIII სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა კი სოფლის ჩრდ-ით 3 *კმ*-ზეა მდ. ლოპოტის ხეობაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1II, თბ., 2015.

ლაფაური (იობაშვილი) სოლომონ (სოლიკო) გიორგის ძე (4. X. 1929, სოფ. კისისხევი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 12. IV. 2007, თბილისი), მუსიკათმცოდნე, ჟურნალისტი. ხელოვნების დამს. მოღვაწე. დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1951) და ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (გ. ჩხიკვაძის კლასი; ფოლკლორი, 1959). 1947–51 მღეროდა ფ. მახათელაშვილის გუნდში. 1956-იდან, საქართვ. ტელე-რადიომაუწყებლობის დაარსების დღიდან, მუშაობდა მუს. პროგრამების მთ. რედაქციის მთ. რედაქტორად, სადაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა სატელევიზიო ფორმატს, მ. შ. ხალხური შემოქმედების რედაქციას (1979-იდან), რ-საც თავად ხელმძღვანელობდა. ლ-ის ინიციატივით დაწესდა სახ. დღესასწაულები: ,,გარეჯობა‘‘, ,,საბაობა‘‘, ,,სულიკო‘‘ და სხვ. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირვ. ქართული ტელეოპერა ,,გამზრდელი‘‘ (1960, კომპ. ნ. გიგაური; სსრკ I ხარისხის დიპლომი, 1961). 1969 წ. 27 დეკემბერს ქუთაისის საოპერო თეატრის გახსნასთან დაკავშირებით, ლ-ის თაოსნობით მოეწყო პირველი პირდაპირი ტრანსლაცია, გადაიცა ზ. ფალიაშვილის ოპერა ,,აბესალომ და ეთერი‘‘. ლ. იყო იდეის ავტორი (ვ. კოტეტიშვილთან ერთად) თბილ. ფილარმონიაში ჩატარებული ,,ხალხური შემოქმედების საღამოებისა‘‘, რ-მაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

თხზ.: დები იშხნელები (გამოსულია იობაშვილის გვარით), თბ., 1964; მომღერალი მიტროფანე ცაგურია, თბ., 1975; კისისხევი და კისისხველები, თბ., 2002; ცისფერი ეკრანი და მუსიკალური ხელოვნება, თბ., 2008.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

ლაფაჩი ნინო იოსების ასული (18. XI. 1908, თბილისი, – 22. II. 1992, იქვე), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1950). 1927–30 სწავლობდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში, რ-ის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში მსახიობად (მუშაობდა 1969-მდე). 1969–72 სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. ქართული თეატრის მსახიობია.

ლ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ტატიანა (ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა‘‘), რუქაია (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი‘‘, ნენო (ს. შანშიაშვილის ,,არსენა‘‘), ქეთევანი (დ. ერისთავის ,,სამშობლო‘‘), დესპინე (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან‘‘), ასმათი (ს. კლდიაშვილის ,,ირმის ხევი‘‘), ნინო გრიბოედოვა (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი‘‘), ნინო უსტიაშვილი (ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი‘‘), მთვარისა (ს. მთვარაძის ,,შლეგი‘‘), ოლგა ტრუშნიკოვა (კ. სიმონოვის ,,სხვისი ჩრდილი‘‘), სალომეა, ლიდა (ა. კორნეიჩუკის ,,ბოგდან ხმელნიცკი‘‘, ,,პლატონ კრეჩეტი‘‘), რეგინა, გერტრუდა (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი‘‘, ,,ჰამლეტი‘‘), ვალიდა (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი‘‘), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე‘‘), თეკლე (ს. შანშიაშვილის ,,გიორგი საакაძე‘‘), ვიოლანდა (ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი‘‘) და სხვ.

ეფექტური გარეგნობა, კარგი პლასტიკა, ძლიერი დრამატული მონაცემები და განცდათა ექსპრესიულობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა ლ-ს მიერ შექმნილი სცენური სახეების წარმატებას.

ლაფეთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (ორპირის თემი), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ჭალის (წყალწითელას მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ტყიბულიდან 22 *კმ,* ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ.* 35 მცხ. (2014). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. 70-იან წლებში.

ლაფერაშვილი (კაპიცა) ვიქტორია ვასილის ასული (27. I. 1949, თბილისი, – 4. XI. 2021, იქვე), ბალეტის მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი. 1968 დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწ. (პედ. თ. ვიხოდცევა, ვ. ჭაბუკიანი). 1968-იდან იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრ. საბალეტო დასის სოლისტი. ლ-მა სხვადასხვა სპექტაკლებში განასახიერა შემდეგი როლები: ირემა, ნატაშა (დ. თორაძის „გორდა“, „მშვიდობისათვის“); ოფელია, კრეუსი (რ. გაბიჩვაძეის „ჰამლეტი“, „მედეა“); ნიმფა (ს. ცინცაძის „ანტიკური ესკიზები“); ზამთარი (ა. ვივალდის „წელიწადის დრონი“); შველი (ბ. კვერნაძის „მხატვრის სახელოსნოში„); ჟიზელი (ა. ადანის „ჟიზელი“); ჯულიეტა (პ. ჩაიკოვსკის „რომეო და ჯულიეტა“); ჰასინტა (ა. კრეინის „ლაურენსია“) და სხვ.

მიღებული აქვს სიგელები და პრიზები.

ლიტ: ნადარეიშვილი ლ., ქართული ბალეტი, თბ., 2010.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

ლაფერაშვილი თამაზ (პოჩო) იაკობის ძე (12. IV. 1935, თბილისი, – 13.XI. 2014, იქვე), საოპერო მომღერალი (ბანი). საქართვ. სახ. არტისტი (1990). დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1960; ვოკალის განხრით). 1961-იდან იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის, 70- იან წლებში კი – ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის სოლისტი; 1992–2004 – თბილ. საოპერო თეატრის დირექტორის მოადგილე; 2001-მდე – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (ვოკალი). ლ-ს მიერ შესრულებული პარტიებია: აბიო, ცანგალა (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი“, ,,დაისი“), მაკარი (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე“), მაცნე, კაც ზვამბაია, ქრისტეფორე, გიორგი, ხუტა, შერგილი (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია“, ,,მთვარის მოტაცება“, ,,პირველი სიყვარული“, ,,სამი ნოველა“), მარკიზი (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა“), მაკარი (ჯ. და ვ. კახიძეების, ,,ბარბალე“), ფილიპე, ფარაონი, ფერნანდო (ჯ. ვერდის ,,დონ კარლოსი", ,,აიდა", ,,ტრუბადური"), დონ ბაზილიო (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი"), კომანდორი, ლეპორელო (ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჟუანი"), პორგი (ჯ. გერშვინის ,,პორგი და ბესი") და სხვ. კამერული რეპერტუარი: ს. ნასიძე, ვოკალური ციკლი ,,ქართული ხალხური პოეზიიდან“ (1969), ვ. აზარაშვილის ვოკალური ციკლი შ. ნიშნიანიძის ლექსებზე (1976), ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის რომანსები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლიტ.: ჩაპლინსკაია ვ., კაცთმოყვარეობა ღვთის ნიჭია, ,,მუსიკა“, 2015, №1(23); მისივე, Оперный Жан Габен, Русский клуб, 2015, №4.

ლაფერაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე (6. IV. 1855, სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 1915 შემდეგ), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913), რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე. კავკასიის I მორტირების საარტილერიო დივიზიონის მეთაური (1910–13).

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლ. დოლიძე.

ლაფერაძე ზურაბ (კუკური) გრიგოლის ძე (15. VI. 1926, სოფ. ნაძვა, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 1. XII. 1990, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1944–46 სწავლობდა მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში. პარალელურად გამოდიოდა ამავე თეატრის სცენაზე, სადაც მისი დებიუტი შედგა სპექტაკლ ,,მოკვეთილში“ (ვაჟა-ფშაველა; გორგი).

1945–56 მოღვაწეობდა სოხუმის თეატრის ქართულ დასში. 1958-იდან გარდაცვალებამდე იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. ლ-ის შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სოხუმის ქართულ დასში – შერგილი (გ. ჯაფარიძის ,,ლამპარი“), იერემია წარბა (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი“), აიტუზა (მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა“), ფერხადი (ნ. ჰიქმეთის ,,ლეგენდა სიყვარულზე“), შუქრი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები“), ნ. ბარათაშვილი (მ. მრევლიშვილის ,,ბარათაშვილი“), გაბრო (ი. ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი“) და სხვ; მარჯანიშვილის თეატრში – ზურაბი (მ. ბარათაშვილის ,,მარინე“), ჯიბილო (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება“), გიჟუა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ბეჟანა (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის ,,მე ვხედავ მზეს“), დე სილვა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა“), ჯანდიერი (ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი“),

1956-იდან თანამშრომლობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმთან“. დასამახსოვრებელი სახეები შექმნა შემდეგ ფილმებში: ,,ჩრდილი გზაზე“ (გიორგი ჩოხელი; 1956), ,,მამლუქი‘‘ (ჰუსეინ-აღა, 1958, ორივეს რეჟ. დ. რონდელი) ,,საბუდარელი ჭაბუკი“ (გიორგი; რეჟ. შ. მანაგაძე, 1957), ,,მე ვიტყვი სიმართლეს“ (მერაბ დევიძე; რეჟ. ლ. ხოტივარი, 1957), ,,ზვიგენის კბილი“ (ომარი; რეჟ. შ. გედევანიშვილი, 1959), ,,შეწყვეტილი სიმღერა“ (მამედოვი; რეჟ. ნ. სანიშვილი, 1960), ,,განძი“ (ინჟინერი; რეჟ. რ. ჩხეიძე, 1961), ,,მე ვხედავ მზეს“ (ბეჟანა; რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1965), ,,დათა თუთაშხია“ (მოსე ზამთარაძე; რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978) და სხვ.

ეპიზოდური როლები შეასრულა ფილმებში: ,,მშობლიურო ჩემო მიწავ!‘‘ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1980), ,,სიბრძნის კარავი‘‘, ,,ვინ არის მეოთხე‘‘ (ორივეს რეჟ. ო. კობერიძე, 1985), ,,წინათქმა‘‘ (რეჟ. ზ. ილურიძე, 1986) და სხვ.

ლ. იყო სახასიათო, დრამ. და კომედიური როლების შესანიშნავი შემსრულებელი.

ლაფიანხევი, ღვარცოფული მდინარე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ივრის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს გომბორის ქედის დას. კალთაზე, ზ. დ. 1620 *მ*-ზე. სიგრძე 11,5 *კმ,* აუზის ფართ. 51 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 0,5 *მ*^{3}/*წმ.*

ლაფნიანი, სოფელი კახეთის რეგიონის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (გიორგეთის თემი), ალაზნის ვაკეზე, მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 310 *მ,* ლაგოდეხიდან 18 *კმ.* 118 მცხ. (2014).



თ. ლაფერაშვილი.

ლაფნიჭამიები, ხოჭოების ჯგუფი ქერქიჭამიასებრთა ოჯახისა. მათი ცილინდრული, შავი ან მურა ფერის სხეულის სიგრძე 1–2 *მმ* აღწევს, კვერცხის დასადებად მცენარის ქერქში ღრღნიან ხვრელს. მათი შეჭრის ადგილას გამოიყოფა ფისი. ლ. იჭუპრებენ „ჭუპრის აკვანში“, ჭუპრიდან გამოსული ხოჭოები ღრღნიან ქერქს და გარეთ გამოდიან. უმთავრესად წიწვოვანი ჯიშების ღეროსა და ტოტების მავნებლებია, მეტწილად სახლდებიან დასუსტებულ ან ხმობადაწყებულ ხეებზე. მასობრივი გამრავლებისას შეუძლიათ საღი ხეების დაზიანებაც.

საქართველოს ენდემია Phocopthorus vinogradovi, მას სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს, ზოგი სახეობა მეტად საშიში მავნებელია. საქართველოში აღსანიშნავია



ზ. ლაფერაძე – გიორგი ჩოხელი, ლ. ელიავა – ნინო. კადრი ფილმიდან ,,ჩრდილი გზაზე‘‘. რეჟისორი დ. რონდელი, 1956.

ნაძვის დიდი ლაფნიჭამია (Dendroctonus micans), რ-იც პირველად შეამჩნიეს 1956 ბორჯომის სატყეო მეურნეობაში. მოკლე დროში იგი ფართოდ გავრცელდა კასპის, ამბროლაურისა და ხულოს სატყეო მეურნეობებში. ძირითადად აზიანებს ნაძვს, იშვიათად – ფიჭვს. ასევე გავრცელებულია ფიჭვის დიდი ლაფნიჭამია (Tomicus piniperda ან Blastophagus piniper). ბრძოლის ღონისძიებები: აპრილიდან ოქტომბრამდე ლ-ებით დასახლებული ხეების ღეროს ასხურებენ პრეპარატ პიგმენტ-ლექტინური კომპლექსის („პლკ“) ემულსიას; მათ ასევე ანადგურებს მტაცებელი ხოჭო რიზოფაგუსი.

ე. აბაშიძე.



რ. ლაფონი.

ლაფონი (Rene Lafon) რენე (4. III. 1899, მერინაკი, ბორდოსთან ახლოს, – 4. II. 1974, არკაშონი, იქვე), ფრანგი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, კავკასიოლოგი, ქართველოლოგი. ბორდოს უნ-ტის პროფესორი (1948), საფრანგეთის მხატვრული ლიტ-რის აკად. წ.-კორ. (1952), ბილბაოს აკად. წევრი (1955). 1937-იდან იკვლევდა ბასკური ენის კავკ. ენებთან ნათესაობის საკითხს. 1944 დაიცვა დისერტაცია თემაზე ,,ბასკური ზმნის სისტემა მეთექვსმეტე საუკუნეში“. ლ-ს 100-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის. ფრანგ. ენაზე თარგმნა ა. შანიძის ,,გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“, ,,ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავები, ვაჟა-ფშაველას ,,მთის წყარო“, ა. წერეთლის ,,სულიკო“, ი. აბაშიძის ,,ხმა გოლგოთასთან“ (ე. წერეთელთან ერთად) და სხვ. სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს რეცენზიები და სტატიები ქართვ. მეცნიერთა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, ი. ცერცვაძე, ბ. ფოჩხუა და სხვ.) ნაშრომებზე.

1969 თსუ-ის სამეცნ. საბჭომ ქართ. ენის შესწავლასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის ლ-ს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

თხზ.: Ergatif et passif en basque et en georgien – «Bulletin de la Societe de linguistigue de Paris», 1971, t. 66; Les origines de la langue basgue, P., 1951; Pour faire mieux connaitre la langue georgienne, – «Bedi Kartlisa. Revue de Kartvelologie», 1958, [V.] 4–5; ბასკური ენა, წგ.: ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976.

ლიტ.: თურნავა ს., რენე ლაფონი და საქართველო, თბ., 1969; მისივე, XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999.

ს. თურნავა.



ლაქაში.

ლაფონტენი (La Fontaine) ჟან (8. VII. 1621, შატო ტიერი, შამპანი, ახლანდ. ენის დეპარტ., – 13. IV. 1695, პარიზი), ფრანგი პოეტი. საფრ. აკად. წევრი 1684-იდან. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მცირე გალექსილი ნოველებითა და იგავ-არაკებით. ლ-ის ,,გალექსილ ზღაპრებსა და მოთხრობებში“ (წგ. 1–5, 1665–85) და ,,იგავ-არაკებში“ (წგ. 1–6, 1668; 7–11, 1678–79; მე-12 – 1694) გამოვლინდა, პოეტის, როგორც იგავთმწერლისა და თავისუფალი მოაზროვნის, დემოკრ. და ჰუმანისტური იდეალები, პოლიტ. თუ ფილოს. აზროვნება. საქართველოში ლ-ის პირველი მთარგმნელი იყო ა. ჭავჭავაძე, რ-საც უთარგმნია სოც. სატირ. და ირონიული ჟღერადობის იგავ-არაკები (,,ჭრიჭინასათვის“, ,,მგლისა და კრავისათვის“, ,,თხისა და მგლისთვის“). მრავალი იგავ-არაკი თარგმნეს ა. წერეთელმა და რ. ერისთავმა (ხშირად ი. კრილოვის მეშვეობით). გამოქვეყნებულია ექვთ. ჩიხელიძის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი ლ-ის ,,იგავ-არაკები“ (1909, 1911).

თხზ.: იგავ-არაკები, თბ., 2020.

ლიტ.: ფანჩულიძე დ., ქართულ-ფრანგული *ლიტერატურული* ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969.

დ. ფანჩულიძე.

ლაფურიის უღელტეხილი, უღელტეხილი ონის მუნიციპალიტეტში, შოდა-კედელას ქედზე. სიმაღლე 2824 *მ*. აგებულია ცარცული კირქვებით, ქვიშაქვებითა და ფიქლებით. დაფარულია ალპ. მდელოებით. აკავშირებს მდ-ების საკაურისა და შეისურის (რიონის მარჯვ. შენაკადები) ხეობებს.

ლაფჩინსკი (Lapczyński) კაზიმეჟ (1823–1893), პოლონელი მთარგმნელი. 1844 ჩამოვიდა საქართველოში. მუშაობდა ინჟინრად. დაინტერესდა ქართ. ფოლკლორით, კრებდა ქართ. ანდაზებს. მეგობრობდა გ. ერისთავთან, რ-ის დახმარებითაც თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი“ და გამოაქვეყნა 1863 ,,ბიბლიოტეკა ვარშავსკაში“ (1863). ამ თარგმანისათვის წამძღვარებული შესავალი დაიბეჭდა ,,ცისკარში“ (1870). ლ-ის მიერ ქართ. თემატიკაზე შექმნილ თხზულებათა შორის მნიშვნელოვანია ,,თბილისიდან არარატამდე“.

ს. რავიჩი.

ლაქაში (Typha), ერთლებნიან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაქაშისებრთა ოჯახისა. მათი სიმაღლე 70 *სმ* – 4 *მ* აღწევს. აქვთ ფართო ან ვიწროხაზური, კიდემთლიანი ფოთლები. გვარის 20 სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. ლ. იზრდება ტბებისა და მდოვრე მდინარეების წყალმარჩხ სანაპიროებზე, ზ. დ. 1800 *მ*-მდე.

საქართველოში გვხვდება 4 სახეობა, უფრო ხშირად გვხვდება ლაქაშის 2 სახეობა – T. latifelia და T. angustifolia, რ-ებიც ქმნიან ფიტოცენოზებს კოლხეთისა და სხვა დაბლობის მდინარისპირული ლარტაფების წყალუხვ ადგილებში, ბაზალეთისა და ლისის ტბების სანაპიროებზე, ზაჰესის საგუბრის ნაპირზე და სხვაგან. ლაქაშიანები საქართველოში დიდ ფართობზე არსად არის გავრცელებული.

ლ. სასილოსე ნედლეულია, ყვავილთანური ბეწვებისგან იღებენ მაღალი ხარისხის ცელულოზას, ხოლო მატყლთან ერთად მას ქეჩისა და ფეტრის წარმოებაში იყენებენ. ლ-სგან თოკს, ჭილობსა და ჩანთებს ამზადებდნენ.

კ. ქიმერიძე.

ლაძის ცრუფარიანა (Kerria lacca), მწერი კოქციდების ქვერიგისა. დედლის სხეულის სიგრძეა 4–9 *მმ*, მამლისა – 2 *მმ*, დედლები მჭიდრო კოლონიებად სახლდებიან მცენარეების ტოტებზე. გამოყოფენ ფისის მსგავს მოყვითალო ნივთიერებას, რ-ითაც მთლიანად იფარება მათი სხეული, უერთდება სხვა დედლების გამონაყოფს და მთელი კოლონია ერთიანდება. დედალი შობს 400–1000 მატლს. წლის განმავლობაში ლ. ც. გვაძლევს ორ თაობას. მისი სამშობლოა ინდოეთი.

ლ. ც-ს გამონაყოფს უძველესი დროიდან იყენებდნენ როგორც საუკეთესო ლაქს, სამხრ. აზიის ქვეყნებში კი – ხის სასახლეების, გემების, ავეჯისა და სამკაულების დასაფარავად. XIX ს-იდან მისგან ამზადებენ შელაქს, რ-საც ახლაც ფართოდ იყენებენ წარმოების სხვადასხვა დარგში (საუკეთესო ელექტრო- და თერმოიზოლატორია). საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე აკლიმატიზაციის მიზნით 1962–73 ლ. ც. შემოჰყავდათ ჩინეთიდან, ვიეტნამიდან და ინდოეთიდან.

ზ. ჰაჯიბეილი.

ლაძუცა, ლაქუცა-ლარტალი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოების, მდ-ების – ადიშჭალისა და ხალდეჭალის (ენგურის მარჯვ.

შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 4310 *მ.* აგებულია ქვედა პალეოზოური გრანიტოიდებითა და კრისტ. ფიქლებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი.

ლ-ზე პირველად ავიდნენ 1931 (ხელმძღვ. შ. მიქელაძე; მონაწილეობდნენ: ა. გუჯეჯიანი, ჯ. ჯაიევი, *მ.* სანებლიძე).

ლაღარვაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (რცხმელურის თემი), მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 750 *მ,* ლენტეხიდან 15 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

ლაღზფითი, მთა ჯავის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ-ების თერგისა და დიდი ლიახვის სათავეების წყალგამყოფზე. სიმაღლე 3877 *მ.* აგებულია ზედაიურული კარბონატული ფლიშით. აქვს მცირე მყინვარები, მ. შ. უდიდესიდან იწყება მდ. დიდი ლიახვი.

ლ-ზე პირველად ავიდნენ 1930 (ხელმძღვ. გ. გიორგიძე).

ლაღიაშვილი იოსებ იაკობის ძე (2. I. 1866, – დაახლ. 1913), ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოში. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი, შემდეგ ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში. გმობდა სემინარიაში გაბატონებულ მკაცრ რეჟიმს, მოსწავლეთა მორალურ და ფიზ. შეურაცხყოფას. მას შემდეგ, რაც სასწავლებლის ზედამხედველმა ხელნაწერი ჟურნ. ,,ყვავილი“ აღმოუჩინა, ლ. სასწავლებლიდან გარიცხეს და ყოფაქცევაში ,,4“ დაუწერეს, რაც მას სწავლის გაგრძელების უფლებას ართმევდა, სემინარიის რექტორმა ა. ჩუდეცკიმ და ეგზარქოსმა პავლემ მის თხოვნას სემინარიაში აღდგენის თაობაზე უარით უპასუხეს. განმეორებითი უარის შემდეგ, 1886, ლ-მა მოკლა სემინარიის რექტორი. ჩუდეცკის დაკრძალვაზე ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა მკვლელი და ის ერი, რომაც ლ. შვა. სამხ. სასამართლომ ლ-ს 20 წლით სახალინზე გადასახლება მიუსაჯა.

ა. ჩეხოვი თავის ნაწარმოებში ,,კუნძული სახალინი“ ლ-ს ,,ლაგიევად“ მოიხსენიებს. ზოგიერთი ცნობით, ლ. კატორღიდან თავდაპირველად იაპონიაში გაიქცა, შემდეგ კი ამერიკაში გადავიდა.

ლიტ.: რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი, ტფ., 1932.

ლაღის მთა, საქისტოს წვერი, მთა ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ქედზე, მდ-ების – ივრისა და ილტოს სათავეებში. სიმაღლე 2595 *მ.* აგებულია ზედაიურული ფლიშური ნალექებით. თხემური ნაწილი შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით, კალთები – ფოთლოვანი ტყით.


ლაღის მთა, ლაგაის მთა, მთა დუშეთის მუნიციპალიტეტში, გუდამაყრის ქედზე. სიმაღლე 2601 *მ.* აგებულია ცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით. თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია, კალთებზე – შერეული ფოთლოვანი ტყეები.

ლაღიძე გრიგოლ (გრიშა) მიხეილის ძე (5. X. 1904, სოფ. ობჩა, ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 9. I. 1983, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1941). 1923 დაამთავრა ქუთაისის ქართ. გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილ. კონსერვატორიასთან არსებულ დრამატულ ფაკ-ტზე. 1925-იდან იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. 1929–32 რეჟისურას სწავლობდა მოსკოვის ,,სათეატრო კომბინატში“. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ბათუმის (1926–28), თბილისის სატირის (1928–29), ზუგდიდის (1932–33), ფოთის (1933–34) თეატრების მსახიობად და რეჟისორად; ქუთაისის წითელი არმიის (1934–35), სიღნაღის (1935–36), თბილისის ჯანსახკომის მოძრავი სანიტარიული (1936–38), ლანჩხუთის (1938–41), ცხინვალის (1942–44 და 1947–49) თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელად; იყო თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართული (1945–47; 1949–52), გორის (1954–55,), ბათუმის (1955) თეატრების რეჟისორი.

ლ-მ შეასრულა 150-მდე როლი, მ. შ. ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის ,,სამშობლო“), ბეგლარი (კ. კალაძის ,,როგორ?“), არსენა, როზენი (ს. შაწშიაშვილის ,,არსენა“), დურმიშხანი (დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე“) და სხვ. მისი დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება“, ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული“, ს. კლდიაშვილის ,,გმირთა თაობა“, ი. ვაკელის ,,გიორგი სააკაძე“, ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი“, ლ. გოთუას ,,სამსახეობა რაინდისა“ (მარჯანიშვილის თეატრი) და სხვ.

ლ. ავტორია პიესებისა – ,,სამშობლოს აღზრდილნი“ და ,,ქვრივები“.

ლაღიძე ილია ნიკიფორეს ძე (14. VI. 1902, ფოთი, – 10. XII. 2002, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1960). დაამთავრა საქართვ. სამშენებლო-საინჟინრო ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1934). მუშაობდა საქართვ. მთავრობის სახლის მშენებლობაზე (ახლანდ. საქართვ. პარლამენტის შენობა) სამუშაოთა მწარმოებლად (1934–35). ფოთის სახ. დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავრე (1935, 1944). იყო საქართვ. წყალთა მეურნეობის მინისტრი (1957–59), რამდენიმე სამინისტროს გაერთიანების შემდეგ კი – საქართვ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე (1944–53); საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რე (1953–56). საქართვ. მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილის მრჩეველი (1959–62). ხელმძღვანელობდა საქართვ. მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწ. კომიტეტს (1962–74), ასევე მის ბაზაზე შექმნილ საქართვ. ბუნების დაცვის სახელმწ. კომიტეტს (1974–84). იყო უმაღლ. საბჭოს ოთხი (მე-2 – მე-5) მოწვევის დეპუტატი; ფოთის საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების (1999) და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (2002) ორდენები.



ი. ლაღიძე.



ი. ლაღიძე – ჰემონი. ჟ. ანუის ,,ანტიგონე“.

ლაღიძე იოსებ (სოსო) გიორგის ძე (21. I. 1936, სამტრედია, – 14. VII. 2018, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1981). 1959 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი და იმავე წლიდან დაიწყო მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში, 2013–14 იყო ამავე თეატრის დირექტორი.




ი. ლაღიძე. გაბრიელი. კადრი ფილმიდან ,,ლონდრე“. რეჟისორი თ. მელიავა. 1966.

ლ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ვეფხია ხალიბაური (კ. ბუაჩიძის ,,ამბავი



მ. ლაღიძე.



რ. მ. ლაღიძე.

სიყვარულისა‘‘), ლადო (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი‘‘), გურამი (გ. ხუხაშვილის ,,ზღვის შვილები‘‘), გივი (ო. მამფორიას ,,მეტეხის ჩრდილში‘‘), ჰემონი (ჟ. ანუის ,,ანტიგონე‘‘), ზაზა ნაკაშიძე (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა‘‘), გერა (ლ. ქიაჩელის ,,გვადი ბიგვა‘‘), დათო (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი‘‘), გოგი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე‘‘), ჯოჯიკი (იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის მარტვილობა‘‘), გრეი, საფრანგეთის მეფე, როსსი (უ. შექსპირის ,,რიჩარდ III‘‘, ,,მეფე ლირი‘‘, ,,მაკბეტი‘‘), ვახტანგი, მხედართმთავარი (კ. გოლდონის ,,მშვენიერი ქართველი ქალი‘‘), თავადი ფანტიაშვილი (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში‘‘).

ლ-ის კინოლებიუტი შედგა ფილმში ,,საბუდარელი ჭაბუკი‘‘ (ვალიკო, რეჟ. შ. მანაგაძე, 1957). შეასრულა მთავარი და მეორეხარისხოვანი როლები ფილმებში: ,,წარსული ზაფხული‘‘ (ოთარი, რეჟ-ები: ნ. ნენოვა, გ. წულაია, 1959), ,,გლახის ნაამბობი‘‘ (სანდრო, რეჟ. ლ. ესაკია, 1961), ,,უცნობი ჯარისკაცები არ არსებობენ‘‘ (რიგითი მელიავა, რეჟ. ს. ციბულნიკი, 1965, უკრაინა), ,,ლონდრე‘‘ (გაბრიელი, რეჟ. თ. მელიავა, 1966), ,,ყვარყვარე‘‘ (პავლე, რეჟ. დ. აბაშიძე, 1978), ,,მარადისობის კანონი‘‘ (მერაბი, რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1982), ,,ცხელი ძაღლი“ (სოსო ეგაძე, ტელესერიალი, რეჟ. ზ. ურუშაძე, 2004) და სხვ. მუშაობდა ფილმების გახმოვანებაზე. თეატრსა და კინოში მის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა გულწრფელობით, სრულყოფილად და ემოციურად გადმოსცემდა გმირის ხასიათსა და განწყობას.

თბილისის სომხური თეატრის სპექტაკლ ,,საბრალდებო დასკვნაში“ განსახიერებული სარალიძის როლისთვის სომხეთის კულტურის სამინისტროსა და თეატრ. საზ-ბისაგან გადაეცა ორი ოქროს მედალი (2017).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლაღიძე მიტროფანე ერმალოს ძე [22.VI (4.VII). 1869, სოფ. ჭოლევი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 2. I. 1960, თბილისი], უალკოჰოლო სასმელების წარმოების ფუძემდებელი საქართველოში. ლ-მ პარიზში შეისწავლა (1902) ხილეულის წყლის წარმოების მეთოდი, ტექნოლოგია და შემდეგ დანერგა თავის წარმოებაში; პირველმა გამოიყენა წარმოებაში საქართვ. სხვადასხვა მიკრორაიონის ხილი ნატურალური უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად: შეიმუშავა ხილის სიროფის დამზადების ორიგინალური მეთოდი, ხილის ესენციების რეცეპტურა და მიღების ტექნოლოგია, რ-იც საფუძვლად დაედო უალკოჰოლო სასმელების წარმოების განვითარებას მთელ სსრკ-ში. ლ-ის ინიციატივით ქუთაისში აშენდა ელექტროსადგური, რ-მაც პირველად მისცა ქუთაისს ელექტროგანათება (1904); იმავე წლებში ლ-მ საფრანგეთიდან მიიღო დიდი სიმძლავრის მაცივარ-დანადგარები ხელოვნური ყინულის მისაღებად, რ-იც დამონტაჟდა ქუთაისში, ელექტროსადგურის გვერდით. აქედან მარაგდებოდა ქუთაისის და ფოთის ნავსადგურის სამაცივრო მეურნეობა. ლ. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილ. უალკოჰოლო სასმელების ქ-ნას (1960-მდე). მის მიერ დამზადებულ სასმელებს მიღებული აქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები საერთაშ. გამოფენებზე (1913–14, პეტერბურგი, ვენა და სხვ.). დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: სიგუა ა., მიტროფანე ლაღიძე, თბ., 1980; ქარჩავა ლ., გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან, თბ., 2006.

ლაღიძე რამაზ მიტროფანეს ძე (6. I. 1913, ქუთაისი, – 26. XI. 1989, თბილისი), ქიმიკოსი. საქართველოს მეცნ. აკადემიის წ.-კორ. (1983), ქიმიის მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), საქართვ. მეცნ. აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1986). მ. *ლაღიძის* შვილი. დაამთავრა სპი (1936). 1937–39 მუშაობდა კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში. 1952-იდან გარდაცვალებამდე სათავეში ედგა საქართვ. მეცნ. აკად. პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმიის ინ-ტის ორგ. სინთეზის ლაბორატორიას.

ლ-ის ნაშრომები ძირითადად ეხება მრავალატომიანი სპირტების, აცეტილენური გლიკოლებისა და მათი რთული ეთერების კონდენსაციის რეაქციებს არენებთან. ლ-მ თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა ძნელად ხელმისაწვდომი ნახშირწყალბადების – დიბენზოპენტალანების სინთეზის ახალი ზოგადი მეთოდი. აშშ-ის მეცნიერების ინიციატივით ამ ნახშირწყალბადებს ,,ლაღიძის ნახშირწყალბადები‘‘ უწოდეს. ნაერთთა უმრავლესობას აქვს საინტერესო ფიზიოლოგიური ფუნქციები, რებიც ონკოლოგიისა და მედიცინის სხვა დარგების სერიოზულ ყურადღებას იპყრობს. განხორციელებულ სამეცნ. გამოკვლევებს ლ-მ მიუძღვნა მონოგრაფია – ,,ჩანაცვლებული დიბენზოპენტალანებისა და არალკილჰალოგენიდების სინთეზი და გარდაქმნები‘‘ (1984).

ლ. სამეცნ. მოღვაწეობის პარალელურად 1952-იდან ლექციებს კითხულობდა ორგ. ქიმიაში ქუთაისში ა. წულუკიძის სახ. სახელმწ. პედაგოგიურ ინ-ტში (ახლანდ. ა. წერეთლის სახელმწ. უნ-ტი), საქართვ. სოხუმის სუბტროპიკულ მეურნეობათა და საქართვ. პოლიტექნ. (ამჟამად სტუ) ინ-ტებში. მანვე საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრთან ჩამოაყალიბა ბიოპრეპარატების სინთეზის ლაბორატორია (1968).

თხზ.: ჩანაცვლებული დიბენზოპენტალანების და არალკილჰალოგენიდების სინთეზი და გარდაქმნები, თბ., 1984.

პ. მაძრაძე.

ლაღიძე რევაზ ილიას ძე (10. VII. 1921, სოფ. ბაღდათი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 16. X. 1981, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1961), პროფესორი (1978), შოთა რუსთაველის სახ. (1975), სსრკ სახელმწ. (1977), ზ. ფალიაშვილის სახ. (1991), ლენინური კომკავშირის სახელობის (1967) პრემიების ლაურეატი. დაამთავრა თბილ. მე-4 სამუსიკო სასწავლებელი (1939, ვიოლინოს განხრით), თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1948; პროფ. ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი). უკრავდა სიმფონიურ ორკესტრში (1941–49). იყო თბილ. ა. პუშკინის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) სახ. პედ. ინ-ტის მუს. კათედრის გამგე (1962—81), 1964-იდან – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (კამერული ანსამბლის კათედრა).

ლ-ს ეკუთვნის სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოებები: ოპერა „ლელა“ (1975), მუს. კომედიები: „მეგობრები“ (1951), „კომბლე“ (1957); სიმფ. პოემა „სამშობლოსათვის“ (1949; ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ მიხედვით); სიმფ. სურათი „საჭიდაო“ (1952), „ლახტი“ (1978); რამდენიმე საგუნდო სიმღერა-კანტატა:

„სამშობლო“ (1956), „საქართველო“ (1961), „მელის ვარძია“ (1966; ი. აბაშიძის ლექსზე ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“), „ოდა მესხეთს“ (1969) და სხვ. პიესები ფორტეპიანოსათვის (რონდო-ტოკატა) და ჩელოსათვის (პოემა „ელეგია“ და სხვ.); მუსიკა 40-ზე მეტი დრამ. სპექტაკლისა და კინოფილმებისთვის („ცისკარა“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ხევისბერი გოჩა“, „ხევსურული ბალადა“, „განგაში“, „ყვავილი თოვლზე“, „კეთილი ადამიანები“, „გლახის ნაამბობი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „წუთისოფელი“, „შეწყვეტილი სიმღერა“ და სხვ.), ასევე ანიმაციური და დოკუმენტური ფილმებისათვის.

ქართველი ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა ლ-ის მდიდარმა და მრავალფეროვანმა სასიმღერო შემოქმედებამ, რ-იც გამორჩეულია მელოდიური გამომსახველობითა და ეროვნ. თვითმყოფადობით. ქართული მუს. ხელოვნების საგანძურშია შესული „განთიადი“, „ბალადა ვაზზე“, „ტყე შეუნახე შვილებსა“, „გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში“, „ჰიმნი დედაენას“, „ჰიმნი ქუთაისს“ და სხვ. საერთაშორისო პოპულარობა მოიპოვა სიმღერამ „თბილისო“ (2000-იდან თბილისის ჰიმნი), ასევე ი. ჭავჭავაძის ტექსტზე შექმნილმა „ჩემო კარგო ქვეყანავ“, რ-იც XX ს. 90-იან წლებში ეროვნ. მოძრაობის ჰიმნად იქცა. ლ. აღიარებულია ქართული სიმღერის კლასიკოსად.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. თბილისში და საქართვ. სხვა ქალაქებში არის მისი სახელობის ქუჩები, ასევე სამუსიკო სკოლები. ლ-ის ბიუსტი დგას თბილისსა (ნ. ბარათაშვილის ქუჩის სკვერი) და ბაღდათში (მოქანდაკე თ. აბრამიშვილი).

ლიტ.: ახმეტელი მ., რევაზ ლაღიძე, „საბჭოთა ხელოვნება“, 1975, №7; მისივე, ცხოვრება ხელოვნებაში, თბ., 2008; პაიკიძე ნ., მოგონებებში გაცოცხლებული, თბ., 2002; ტორაძე გ., რ. ლაღიძე, წგ.: მუსიკის სამყაროში, თბ., 2010; Лорткипанидзе К., Советский романс წგ.: Грузинская музыкальная культура, М., 1957; Орджоникидзе Г., Реваз Лагидзе, წგ.: Советская музыка, М., 1956.

მ. ახმეტელი.

„ლაღიძე“ (სააქციო საზოგადოება), ხილის ნატურალური გამაგრილებელი სასმელების საწარმო. შეიქმნა 2001 სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ლაღიძის“ ბაზაზე. 1906 მ. *ლაღიძემ* ა. წერეთლის რჩევითა და ი. ჭავჭავაძის დახმარებით თბილისში, ე. გოლოვინის (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი) პროსპექტზე გახსნა უალკოჰოლო სასმელების ქ-ნა. 1910 წლისათვის თბილისში ხილის სასმელების 3 ქ-ნა იყო: მ. ლაღიძის, ე. ზემელისა და ვ. მამულოვის. ლაღიძის საწარმო სხვებზე უკეთესი ხარისხის ხილის სასმელს უშვებდა („მსხალი“, „კრემსოდა“, „სიტრო“, „შინდი“, „მანდარინი“ და სხვ.). 1921 სასმელების ქ-ნა დაიწვა. წარმოება მ. ლაღიძემ საკუთარი სახლის (ა. წულუკიძის, ახლანდ. მ. ლაღიძის ქუჩა) პირველ სართულზე გადაიტანა. 1927 მან კ. ცეტკინის (ახლანდ. მ. წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე გახსნა უალკოჰოლო სასმელების ქ-ნა, ხოლო 1934 ამავე ტერიტორიაზე ააშენა საქართველოში პირველი ნახშირმჟავა გაზის ქ-ნა. აქვე იყო ალაოს (ლუდის ქ-ნებისათვის) გადამამუშავებელი საამქროებიც. საწარმო უშვებდა ხილის ნატურალურ წვენებზე დამზადებულ სიროფებსა და ლიმონათს, რ-ებიც მოსკოვში და საბჭ. კავშირის რესპუბლიკებში იგზავნებოდა. 1955 ეს სამი საწარმო გაერთიანდა და ეწოდა „უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანა“. იმის გამო, რომ წარმოება ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს, 1952 დიდუბეში, მ. ლაღიძის ინიციატივით, გაიხსნა ახ. – ხილეულის წყლების ქ-ნა. ამ ორი საწარმოს შეერთებით 1975 შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყალი“, რ-საც 1987 გამოეყო „უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა გაზის ქარხანა“ და ჩამოყალიბდა როგორც სამრეწვ.-სავაჭრო ფირმა „ლაღიძე“. „ლ.“ უშვებს „ლიმონის“, „ფორთოხლის“, „მსხლის“, „ტარხუნის“, „პიტნის“, „ხენდროს“, „ალუბლის“, „სიტროს“ ლიმონათებს, აგრეთვე „ლიმონის“, „ფორთოხლის“, „ტარხუნის“, „ვარდის“, „ნაღების“, „შოკოლადის“ და სხვა სიროფებს. „ლ-ის“ ნაწარმი იგზავნება ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში, აშშ-ში, ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.


მადრიდის კონვენციით ჟენევაში „VIPO-ს“ მიერ დაპატენტებულია ლოგო „მიტროფანე ლაღიძე 1887 წ.“ (რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 2004-იდან, აშშ-სა და ევრ. ქვეყნებში 2014-იდან) და ლოგო „ლაღიძის წყლები“ (რუსეთში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და ევრ. ქვეყნებში 2020-იდან).



მაღაზია „ლაღიძის წყლები“.

1968–88 ლაღიძის ლიმონათები და სიროფები წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა საერთაშ. ბაზრობაზე, სადაც მიღებული აქვს არაერთი ჯილდო. 2017 მოსკოვში საერთაშ. პროფ. სადეგუსტაციო კონკურსზე ლაღიძის ლიმონათები და სიროფები აღიარეს წლის საუკეთესო პროდუქტად და 8 ოქროს მედალი გადაეცა.

2013 „ლაღიძის წყლებს“ საქართვ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.



რ. ი. ლაღიძე.

„ლაღიძის წყლები“ (შპს), ხილეულის წყლების მაღაზია თბილისში. გახსნა მ. *ლაღიძემ* 1906 ე. გოლოვინის (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი №24) და 1926 თავისი ნებით გადასცა მთავრობას. მაღაზია შპს-დ ჩამოყალიბდა 1999 წ. 19 აგვისტოს. საერთო ფართ. 820 $მ^2$, ჰქონდა ხილეულის წყლების, აგრეთვე ხაჭაპურის (ფენოვანი, იმერული და აჭარუ-



სააქციო საზოგადოება „ლაღიძის“ სასაქონლო ნიშანი.

ლი) დარბაზები. გამოირჩეოდა ხილის სიროფების ფართო ასორტიმენტით: ,,კახური'', ,,ტარხუნა'', ,,შინდი'', ,,ლიმონი'', ,,ფორთოხალი'', ,,იზაბელა'', ,,ნაღები'', ,,შოკოლადი'', ,,კომში'' და სხვ., რ-ებსაც მ. ლაღიძის რეცეპტით სააქციო საზ-ბა ,,*ლაღიძეში*'' ამზადებდნენ. 2007 მაღაზია, რ-იც დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო, თავის სარდაფთან ერთად დაიწურა.

ლაღორა, კლდოვანი მთა ონის მუნიციპალიტეტში, შოდა-კედელას ქედის სამხრ.-აღმ. ნაწილში (მთა რაჭა), მდ-ების – შოდურისა და ლაღორულის (რიონის მარჯვ. შენაკადები) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 3152 *მ.* აგებულია ქვედაცარცული ფლიშური ქანებით. კალთებზე ალპ. მდელოებია. ჩრდ. კალთაზე ჩაწოლილია ნაზვავები.



ლაყვრი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ფარის თემი), ცალგმილის ქედზე, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე. ზ. დ. 1600 *მ,* მესტიიდან 31 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლ. რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

ლაშა გიორგი, იხ. *გიორგი IV ლაშა.*



გიორგი IV ლაშას-მონეტა. სპილენძი. 1210.

ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული სახელწოდება ანასეულ ,,ქართლის ცხოვრებაში'' შესული ისტორიული ნაშრომისა, რ-იც დაწერილია უცნობი ქართველი ავტორის მიერ 1222–23. მატიანე იწყება 1125-ის (დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალება და დემეტრე I-ის გამეფება) და მთავრდება 1222–23 წლების (ლაშა გიორგის გარდაცვალება და რუსუდანის გამეფება) ამბებით. შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ,,ცხოვრება დემეტრე მეფისა'' (დემეტრე I), ,,ცხოვრება გიორგი მეფისა'' (გიორგი III), ,,ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი'' და ,,ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა'' (გიორგი IV ლაშა). ეს მცირე მოცულობის თხზულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასში დაცული უხვი და ზუსტი ქრონოლოგიური ცნობებით. აღსანიშნავია, რომ მატიანეში თამარ მეფის გარდაცვალების თარიღად დასახელებულია 427 ქორონიკონი (ე. ი. 1207), რაც დასტურდება სხვა ქართ. და უცხოური წყაროებითაც.

პუბლ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. 8, თბ., 1977.

ვ. გუჩუა.

ლაშა გიორგის მონეტა, საქართველოს მეფის, გიორგი IV ლაშას სპილენძის მონეტები (1210– 23). არსებობს როგორც არასწორი ფორმისა და განსხვავებული მასის, ისე წესიერი, მრგვალი ფორმისა და განსაზღვრული მასისა. არასწორი ფორმის სპილენძის მონეტები ასეთია: ავერსზე წნული ორნამენტიანი ჩარჩოს ცენტრში ორ სტრიქონად მთავრული წარწერაა – ,,გიორგი ძე თამარისი'', გარშემო ექვსნასკვიანი წნულია და გარშემოწერილია მთავრულით – ,,სახელითა ღვთისაჲთა, იქნა ჭედაჲ ვერცხლისი ამის ქორონიკონსა 430'' (1210); რევერსზე – ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ლეგენდაა: ,,მეფე მეფეთა/ დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/გიორგი ძე თამარისა/მესიის მახვილი'', გარშემოვლებული აქვს რკალი და მის გარეთ არაბულით – ,,სახელითა უწმინდესის ღვთისა, იჭედა ესე ვერცხლი წელსა 430''.

პარალელურად, მაგრამ გაცილებით ნაკლები ოდენობით, მიმოიქცეოდა ლაშა გიორგის წესიერად მოჭრილი შემდეგი სახის სპილენძის ფული: ავერსზე – ოთხსტრიქონიანი არაბული ლეგენდით – ,,გიორგი მეფისი, თამარის ძი-სა ჯავახთ უფლისა''; რევერსზე – ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილით – ,,მეფე აღმატებული/ დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა/გიორგი ძე თამარისა/ მახვილი მესიისა''. საყურადღებოა ლაშა გიორგის ჯავახთუფლის ტიტულით მოხსენიება – იგი იყო პირველი ალასტანელი, რაც იყო ქართველ უფლისწულთა ზედწოდება XIII–XIV სს. საუფლისწულოს ცენტრის, ალასტანის (სოფ. ჯავახეთში) მიხედვით.

ასევე წესიერად მოჭრილ მონეტებს მიეკუთვნება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის ნუმიზმატიკის კოლექციებში დაცული ლაშა გიორგის სპილენძის უნიკალური მონეტაც (მასა 5,6 *გ*): ავერსზე წარმოდგენილია მთელი ტანით პირდაპირ მდგარი გვირგვინოსნის გამოსახულება თავის ირგვლივ შარავანდით, მარჯვენა ხელში – ლაბარუმით და მარცხენაში – აპოკომბიონით (მონეტებით სავსე ქისა). გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ იკითხება რამდენიმე ასომთავრული ნიშანი: ,,გიორგი ძე თამარისი..... ოცდაათს'' (ქორონიკონსა 430=1210); რევერსზე ვარდულის ოთხ ფურცელში მოთავსებულია არაბული წარწერა: ,,წელსა ექვსას ექვსსა'' (=1209/1210). ფურცლებს შორის სეგმენტებში მეორე არაბული ზედწერილია: ,,მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა'', რ-საც ირგვლივ რკალი შემოუყვება. მონეტაზე აღბეჭდილია მეფედ კურთხევის სცენა.

ლ. გ. მ-ებისათვის დამახასიათებელია, რომ შთამომავლობის აღსანიშნავად ახსენებს დედის – თამარის და არა მამის სახელს.

ლიტ.: დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. 1, თბ., 2006; დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; პატარიძე მ., ფაღავა ი., გიორგი ლაშას მეფედ კურთხევის ნუმიზმატიკური ასახვა, საისტორიო კრებული, ტ. 3, თბ., 2013; Пахомов Е. А., Монеты Грузии, ч.1, СПб, 1910.

გ. დუნდუა.
მ. პატარიძე.

ლაშა გიორგის მონეტების განძი, XIII ს-ში ლაშა გიორგის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტების განძი. აღმოჩენილია თბილისში 1909. განძის შემადგენლობაში შედიოდა ჯალალედინის მიერ 1226 ქართული ფულისგან გადაჭედილი მონეტები. იმავე შემადგენლობის განძი თბილისში აღმოჩნდა XIX ს. 90-იან წლებში.

ორივე განძის მონეტები გაიფანტა.

ლიტ.: დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. 2, თბ., 2011; Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979.

ლაშარი, მდინარე დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფშავის არაგვის მარჯვ. შენაკადი.

„ლაშარი“, ქართული ყოველკვირეული ჟურნალი, სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ორგანო; გამოვიდა 1923 თბილისში (მხოლოდ №1; გამომცემელი – სარედაქციო კოლეგია; ტირაჟი 1000 ც.). ჟურნალში დაბეჭდილია ,,ახალი მწერლობის დეკლარაცია'' (ავტორი პ. ინგოროყვა), ვ. გაფრინდაშვილის, ს. კლდიაშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. კოტეტიშვილის, პ. იაშვილის, კ. სუმბათაშვილისა და სხვ. ქართვ. მწერლების ლიტ. წერილები და სტატიები.

ლაშარის ჯვარი, წმინდა გიორგის სალოცავი, ფშავის საზოგადოებრივ-რელიგიური ცენტრი.

მდებარეობდა ფშავის არაგვის ხეობის ზედა წელში, სოფ. ხოშარის მომიჯნავე ე. წ. ,,ლაშარის გორზე“. ლ. ჯ. ითვლებოდა მოლაშქრე ღვთაებად, რ-იც ,,გიშრისფაფარიანი ნისლა ცხენით“ წინ მიუძღოდა საყმოს და მტერზე ამარჯვებინებდა; როგორც ფშავის თორმეტივე თემის მფარველს, მასვე შესთხოვდნენ სახნავ-ნათესის ბარაქიანობას, ადამიანთა და საქონლის გამრავლებას, ავადმყოფობისა და ზიანისაგან დაცვას. ლ. ჯ-ის კულტი, გარდა ფშავისა, გავრცელებული იყო თუშეთში, ხევსურეთში, მოსაზღვრე ბარის რ-ნებში, მეზობელ ჩრდ. კავკ. მთიელებში. ამის გამო ლ. ჯ. ითვლებოდა ,,რჯულიან-ურჯულოთა“ ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სალოცავად, რ-იც ფლობდა მრავალ შემოწირულ განძეულობას (მ. შ. საქართველოს მეფეებისგანაც), ადგილ-მამულს, ზვრებს კახეთში და სხვ.

არსებობს შეხედულება (ვახუშტი), რომ ლ. ჯ. აგებულია ლაშა გიორგის მიერ. ამავეს იმეორებს ხალხ. გადმოცემაც, მაგრამ ღვთაების ფუნქციის, ისტ. და ენობრივი მონაცემების მიხედვით, ლ. ჯ. ძვ. წარმართული, ასტრალური ბუნების ღვთაება უნდა იყოს, რ-საც ქრისტ. ხანაში ლაშა გიორგის კულტი შეერწყა (ისევე როგორც თამარ-აქიმ დედოფლის კულტს თამარ მეფისა). ქართ. ფოლკლორში მოიპოვება მრავალი ლექსი, რ-ებიც ლ. ჯ-ს (ლაშარელას) ეძღვნება (,,ლაშარელაჲს ლურჯასა“, ,,ლაშარის ჯვარი ჯავრობდა“, ,,დიდობდა ლაშარის ჯვარი“, ,,თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი“ და სხვ.).

ლიტ.: ალავერდაშვილი ქ., ღამბაშიძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 – ფშავი, თბ., 1974; კიკნაძე ზ., ჯვარი და საყმო, IX, ქუთ., 1996; ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბ., 1991; ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1972; ჩიქოვანი მ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971.

თ. ოჩიაური.

ლაშე, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის თიღვის მუნიციპალიტეტში (ძვილეთის თემი), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. ღაღურის (შუა ფრონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაშე, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ლაშის იგორეთი, უჩამეთი, ღვერკი, ხემაღალი). ზ. დ. 360 *მ,* ხარაგაულიდან 5 *კმ.* 395 მცხ. (2014).

ლ-ს თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა მლაშე. ამ სახელითაა მოხსენიებული 1570 ახლო ხანის ერთ სიგელსა და ვახუშტის თხზულებაში, აგრეთვე ი. გიულდენშტედტთან. ვახუშტის შესაბამის რუკებზე ლ-ში აზნაურის ციხე-დარბაზია აღნიშნული. სოფელში არის ციხე-დარბაზის ნანგრევები, რ-ის გალავანში შემორჩენილია XIX ს-ში აგებული ეკლესიის ნანგრევები.

თ. ბერაძე.

ლაშებალთა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის თიღვის მუნიციპალიტეტში (ბალთის თემი), მდ. დასავლეთის ფრონის ნაპირას. ზ. დ. 700 *მ,* თიღვიდან 10 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაშეჭალა, ყოფილი სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტში.

ლაშთხვერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლენჯერის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1380 *მ,* მესტიიდან 3 *კმ.* 92 მცხ. (2014).

ლ-ში არის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების მთავარანგელოზის მცირე ზომის ეკლესია (სვან. თარინგზელე). თლილი ქვით ნაგები საყდარი მაღალ სამსაფეხურიან ცოკოლზე დგას. მისი შიგნითა კედლის მოხატულობა ეთმობა მთავარანგელოზის თემატიკას. გარედან კედლების ზედა ნაწილი შელესილია და დაფარულია XIV–XV სს. მოხატულობით. დას. ფასადზე გამოსახულია ვედრების კომპოზიცია, აღმ. ფასადზე – წმ. ევსტათეს ნადირობის სცენა, ხოლო სამხრეთისაზე – ცხენზე ამხედრებული წმ. მეომრები. განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდ. ფასადის მოხატულობა საერო შინაარსის სიუჟეტზე, სადაც გამოსახულია ბატალური სცენები მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ საგმირო-სარაინდო ეპოსიდან – ,,ამირანის შებრძოლება გველეშაპთან და ბაყბაყდევთან“; აქვე არიან საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი მისი ამხედრებული თანამებრძოლები – ბადრი, სეფედავლა და უსუპი. საქართველოში ეს სიუჟეტი გვხვდება სოფ. ჩაჟაშის (უშგული) ეკლესიის ფასადის მოხატულობაშიც (XVII ს.). მოხატულობა გასდევს კედლის მთელ სიგრძეს. ცალკეულ სცენებსა და ფიგურებს ახლავს ასომთავრული წარწერები. ფერადოვან გამას ქმნის ცისფრის, რუხის, ყავისფრის, აგურისფრისა და მოყავისფრო-ყვითლის შეხამება. მოხატულია ეკლესიის კანკელიც. ეკლესიის მოხატულობაში, ერთი მხრივ, აღინიშნება ძვ. ტრადიციების გაგრძელება (კონქის ვედრების სცენაში დომინანტს წარმოადგენს ქრისტეს დიდი ზომის ფიგურა), ხოლო, მეორე მხრივ, მკაფიოდ ვლინდება XIV–XV სს. მხატვრობისათვის დამახასიათებელი ნიშნები – ანსამბლის მონუმენტურობის შესუსტების ტენდენცია.

თ. გერსამია.

ლაშია, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (ჯვარისის თემი). ზ. დ. 480 *მ.* 32 მცხ. (2014).

ლაშის იგორეთი (ყოფ. იგორეთი), სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (ლაშის თემი), მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 480 *მ,* ხარაგაულიდან 6 *კმ.* 93 მცხ. (2014).

ლაშისღელე, ყოფილი სოფელი. 1988 შეუერთდა ქ. ლანჩხუთს.

ლაშიფსე, მდინარე გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სათავეს



ლაშთხვერი. მთავარანგელოზის ეკლესია. შუა საუკუნეები.

იღებს აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2347 *მ* სიმაღლეზე, ჩაედინება რიწის ტბაში. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. სიგრძე 23 *კმ*, აუზის ფართ. 115 *კმ*^{2}. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალ-მოვარდნები – შემოდგომაზე. დეკემბრიდან შუა თებერვლამდე უჩნდება ყინულნაპირისი. საშ. წლ. ხარჯი 7,98 *მ*^{3}/*წმ*.

ლაშიჭალა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი ცაგერის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ლავჭანურის ხეობაში, ზ. დ. 800–900 *მ*. ჰავა რბილია, იცის თოვლიანი ზამთარი და ზომიერად ნოტიო ზაფხული. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული მაგნიუმ-კალციუმიანი მინერ. წყალი. წყლის მინერალიზაცია – 0,8–1,2 *გ/ლ*, ტემპ-რა 13–15°C, საერთო დებიტი დაახლ. 12 000 *ლ* დღე-ღამეში. იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამედ. ჩვენება – საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონ. დაავადებანი. ლ-ში არის სააბაზანო შენობა, გახსნილია ოჯახური სასტუმრო. კურორტი ფუნქციონირებს ზაფხულის თვეებში.

გ. უშვერიძე.



ლაშქარა. S. officinale.

ლაშფსარდი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში (ანუხვის თემი), აფხაზეთის მთისწინეთში. ზ.დ. 580 *მ*, გუდაუთიდან 30 *კმ*.

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაშქარა (Symphytum), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა. აქვთ ღია ყვითელი, იისფერ-ლურჯი, იშვიათად თეთრი ყვავილები, კაკლუჭა ნაყოფი.

ცნობილია ლ-ს 25-მდე სახეობა, გავრცელებულია ევროპაში, დას. აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება 5 სახეობა. იზრდება ტენიან, დაჩრდილულ ან მშრალ ადგილებზე, მდინარის ნაპირებზე, ტყისა და სუბალპურ სარტყელში, ასევე სარეველას სახით – საძოვრებზე, მინდვრებსა და ბოსტნებში, ზოგჯერ რუდერალურ ადგილებზე.

ლ-ს ზოგი სახეობა (S. peregrinum, S. asperum) საქონლის საკვებია, ზოგს ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ იყენებენ; მაგ., მელენის ფესვები B_2 ვიტამინს შეიცავს და სვანები უძველესი დროიდან იყენებენ მოტეხილობის სამკურნალოდ. S. officinale-ს ფესვები და ფესურები შეიცავს ალკალოიდებს და მთრიმლავ ნივთიერებებს.

ც. ლვინიაშვილი.

ლაშქართა შიგან არშეშვება, ლაშქართაგან გარდახდევა, გამაწბილებელი სასჯელი ფეოდალურ საქართველოში; სამხედრო სამსახურში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. გამოიყენებოდა როგორც დამატებითი საეკლ. სასჯელი დაკრულვასთან ერთად. ინიშნებოდა მკვლელობისათვის, მეფისა და სახელმწიფოს ღალატისთვის.

სასჯელი გამოიყენებოდა როგორც მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევის ერთ-ერთი ფორმა, დროებითი ღონისძიების სახით ან სამუდამოდ. ფაქტობრივად, ეს სამოქალაქო სიკვდილს მოასწავებდა. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, სასჯელი მეტად მძიმე იყო და თუკი იგი სამუდამო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ გაღატაკებასა და ზნეობრივ სიკვდილს უქადდა. მსგავსი გამაწბილებელი სასჯელი იყო თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა, ყელზე თოკმობმული გატიტვლებული დამნაშავის ქუჩა-ქუჩა ტარება, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, თავზე წვენის გადასხმა, მონად გაყიდვა და სხვ.

ლიტ.: მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.

ი. უჯმაჯურიძე.

ლაშქარი, ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობისაგან (უმთავრესად მოხალისეებისგან) შექმნილი სამხედრო ფორმირება. ლ., როგორც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხის ჩაბმის ფორმა, ცნობილია უძველესი დროიდან. ლ-ს უწოდებენ აგრეთვე შუა საუკუნეების მილიციის ტიპის სამხ. ფორმირებებს (რაინდთა, აზნაურთა და საქალაქო ლ.).

ფეოდალურ საქართველოში ლ. ეწოდებოდა როგორც ფეოდ. ჯარს (ფეოდალებსა და მსახურებს), ისე ჯარის ფეოდ. ზედაფენას. ტერმინი „ლაშქარი“ სპარსულიდანაა ნასესხები და მისი დამკვიდრება ასახავს ცვლილებას ადრეფეოდალურ სამხ. ორგანიზაციაში, როდესაც „სპამ“ და „ლაშქარმა“ ჩანაცვლა „ერი“ – ხალხისაგან გამოსული ჯარი. სახალხო ლ. („ჯარი-ხალხი“) ფეოდალიზმის საბოლოო დამკვიდრებასთან ერთად გაქრა. მისი გაწვევა ხდებოდა მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში. ასეთ დროს იწვევდნენ ყველა სრულწლოვან მამაკაცს („ქუდზე კაცი“). გვიანდ. შუა საუკუნეებში ლ-ის გაწვევა გახშირდა „ლეკიანობისა“ და ოსმალეთ-სპარსეთის შემოსევების გამო („მდევარი“, „ყარაული“...). საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუს.-ოსმ. და რუს.-ირანის ომებში მონაწილეობდნენ ქართ. ლ-ის (მოხალისეების), ანუ ქართ. მილიციის მრავალრიცხოვანი შენაერთები, რ-ებმაც მამაცური ბრძოლისთვის არაერთი ჯილდო დაიმსახურეს.

ი. შაიშმელაშვილი.

ლაშქარ-ნადირობა, ძირითადი ვასალური მოვალეობა ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს სამეფოში ყველა ვასალი მოვალე იყო მონაწილეობა მიეღო ლაშქრობასა და ე. წ. „სანადიროდ გალაშქრებაში“, ანუ სამეფო ნადირობაში, რ-იც საომარი წვრთნისა და მანევრების როლს ასრულებდა. არაფეოდალთაგან ლ.-ნ. ევალებოდა მსახურთა წოდებას. საქართვ. სამეფოს დაშლის (XV ს.) შემდეგ ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებთან ერთად სიუზერენული უფლებები მოიპოვეს სამცხის, ოდიშისა და გურიის მთავრებმაც. საერთოქართული ლ.-ნ. მოიშალა. XVII ს. II ნახ-იდან გახშირდა გლეხთა მოლაშქრეობა, ხოლო 1774-იდან ქართლ-კახეთის სამეფოში უკვე ყველა გლეხი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში. ამავე დროიდან გაუქმდა სამეფო ნადირობაც.

ლიტ.: ჩხატარაიშვილი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979.

ქ. ჩხატარაიშვილი.

ლაშქარნივისი (ლაშქანავისი) (სპარს. laškar navis – ჯარის „მწერალი“), სამეურნეო დარგის მოხელე გვიანდელი ფეოდალური საქართველოს სამხედრო უწყებაში, რომელსაც ევალებოდა დაქირავებული და მუდმივი ჯარის მეომართა და მეთაურთა აღრიცხვა, მათი მომარაგება და ჯამაგირის გაცემა. ლ-ის თანამდებობა ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ერეკლე II-მ მეფობის მიწურულს შემოიღო. მის მიერ გატარებული სამხ. რეფორმის შედეგად შეიქმნა დაქირავებული ჯარი, გაიზარდა სამხ.

დანაყოფებისა და სამხ. მეთაურების რიცხვი, რამაც მოითხოვა სამხ. კანცელარიის ჩამოყალიბება, სადაც ხდებოდა საჯარისო ნაწილებისა და საწვრთნელი ბაზების აღნუსხვა, სამხ. მზადების სრული ციკლის ორგანიზება და კოორდინირებული მართვა, სამხ. მოსამსახურეთათვის ჯამაგირულუფების გაწერა. ამ სამუშაოს უმეტეს ნაწილს ასრულებდა ლ., მისი უფლება-მოვალეობები, საქმიანობის ხასიათი და ანაზღაურების წესები დეტალურადაა განმარტებული ქართლ-კახეთის ყოფილ სამეფო მოხელეთა მიერ მთავარმართებელ პ. ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებებში. ლ-ს განსაზღვრული ჰქონდა ჯამაგირი, ულუფა და სარგო. ჯამაგირი მერყეობდა წელიწადში თორმეტიდან თვრამეტ თუმნამდე. ულუფას შეადგენდა პური, ქერი, ღვინო, ხორცი და სამარხვო, სულ ოცდასამი თუმნისა. სხვა მოხელეების ჯამაგირიდან სარგოდ ეკუთვნოდა თუმანზე თითო აბაზი.

ქართლსა და კახეთში ექვსი ლ. ყოფილა. ზოგიერთი მოხელე ლ-ის თანამდებობასთან ერთად სხვა თანამდებობასაც ითავსებდა.

ი. უჯმაჯურიძე.

ლაშქაროვი (ბიბილური) ალექსანდრე გრიგოლის ძე (23. XI. 1823, სანქტ-პეტერბურგი, – 29. XI. 1898, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1867), ყირიმის ომის (1853–56) მონაწილე. ფლიგელ-ადიუტანტი (1855). 1860 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება; რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი.

ლაშქაროვი (ბიბილური) ალექსანდრე სერგეის ძე (დაახლ. 1780, სანქტ-პეტერბურგი, – 1864, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (XIX ს. 50-იანი წლები). ცნობილი დიპლომატის, გენ. ს. *ლაშქაროვის* ვაჟი, გ. ს. და პ. ს. ლაშქაროვების ძმა. მსახურობდა იზიუმის და გროდნოს ჰუსართა პოლკებში, რუს. სხვადასხვა სამხ. ოლქში. მონაწილეობდა რუს. სამამულო ომში (1812).

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია ვოლკოვოს სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.

ლაშქაროვი (ბიბილური) გრიგოლ სერგეის ძე (20. XI. 1788, სანქტ-პეტერბურგი, – 1. VII. 1849, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1844), სახელმწიფო მოღვაწე, ცნობილი დიპლომატის, გენ. ს. *ლაშქაროვის* ვაჟი. 1807 მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში, 1810 იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის განყ-ბის უფროსი. 1812 მონაწილეობდა რუს. სამამულო ომში, 1813–14 – საზღვარგარეთის ლაშქრობაში. 1821-იდან გავიდა თადარიგში. 1826–32 იყო მოგილიოვის, 1832–33 – გროდნოს ვიცე-გუბერნატორი, 1833–34 – კიევის გუბერნატორი. 1834-იდან კვლავ არმიაშია. მსახურობდა I არმიის გენ.-ინტენდანტად, 1835-იდან – პოდოლსკის გუბერნატორად; 1839 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. დაინიშნა ვოლინის გუბერნატორად და ქ. ჟიტომირის სამხ. კომენდანტად (1849-მდე). 1832-იდან იყო ნამდვილი სახელმწ. მრჩეველი, 1849-იდან – სენატორი.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია ვოლკოვოს სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

ლაშქაროვი (ბიბილური) იური პავლეს ძე (XIX ს. 20-იანი წლები, სანქტ-პეტერბურგი, – 13. IV. 1902, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1868). გენ. პ. ლაშქაროვის ვაჟი. 1844 დაამთავრა გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერიის იუნკერთა სკოლა. ყირიმისა (1853–56) და რუს.-ოსმ. (1877–78) ომებში მეთაურობდა კავალერიის რაზმს და მონაწილეობდა პლევნის ციხესიმაგრის აღებაში. შემდეგ იყო მე-19 საკავალერიო დივიზიისა და დუნაის არმიის (1882-იდან) კავალერიის უფროსი, რუსეთ-რუმინეთის ჯარების შტაბის უფროსი.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. დაკრძალულია ვოლკოვოს სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.

ლაშქაროვი (ბიბილური) პავლე სერგეის ძე (6. XI. 1776, სანქტ-პეტერბურგი, – 13. I. 1857, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1814). დიპლომატი. გენ. ს. ლაშქაროვის ვაჟი. ლ-ის ბაბუა, ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილური, რ-იც ვახტანგ VI-ის ამალაში შედიოდა, დასახლდა მოსკოვში და ცოლად შეირთო რუსი მემამულის ქალიშვილი. ლ. 1806–11 მეთაურობდა ვოლინის მუშკეტერთა პოლკს, ციმბირის ქვეით პოლკს. ლ-მა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი სოფ. შევარდინოსთან გამართულ ბრძოლაში (1812 წ. 24 აგვ.), რ-იც წინ უძღოდა ბოროდინოს ბრძოლას. 1814 დაინიშნა სამხ. სამინისტროს დეპარტამენტში. 1831-იდან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

დაკრძალულია ვოლკოვოს სასაფლაოს საგვარეულო აკლდამაში.

ლიტ.: ანთელავა ი., ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1962.

ლაშქაროვი (ბიბილური) სერგეი ლაზარეს ძე (23. II. 1739, ქ. მოსკოვი, – 6. X. 1814, ვიტებსკი, ბელარუსი), რუსეთის იმპერიის დიპლომატი, ლაშქარ (ლაზარე) ბიბილურის (ვახტანგ VI-ის ამალის წევრი) ვაჟიშვილი. ლ-ს ქართულთან და რუსულთან ერთად კარგად სცოდნია ფრანგ., იტალ., თურქ., არაბ., სპარს., ძვ. და ახ. ბერძნული, სომხ. ენები. 1762 იგი გაამწესეს რუს. საგარეო საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ – კონსტანტინოპოლში რუს. საელჩოში. იყო საელჩოს მრჩეველი, შემდეგ ასრულებდა ელჩისა და პირველი კონსულის მოვალეობებს დუნაის სამთავროებში. ლ. მონაწილეობდა ქუჩუქ-კაინარჯისა (1774) და იასის (1791) საზავო მოლაპარაკებებში; მისი ხელშეწყობით რუსეთს შეუერთდა ყირიმის სახანო, რისთვისაც ეკატერინე II-მ კანცლერ-მრჩევლის წოდება მიანიჭა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ-ს მონაწილეობა რუს.-კავკ. მთიელთა ურთიერთობის მოგვარებაში. იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში მთავარი მრჩეველი იყო. ლ., როგორც რუსი დიპლომატი, იმპერიის ინტერესების ერთგული მსახური და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მომხრე იყო. როდესაც გენ. კ. კნორინგმა ქართვ. თავადაზნაურობა სამხ. ძალის მუქარით აიძულა იმპერატორის ერთგულებაზე დაეფიცა, ლ-მა იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრის, კურაკინისადმი გაგზავნილ წერილში, კნორინგის მოქმედებას ,,უტაქტობა'' უწოდა.

ლიტ.: მახათაძე ნ., ქართული კულტურის კერა პეტერბურგში XVIII– XIX სს., თბ., 1967; ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982; Биография тайного советинка С.Л. Лашкарева, СПб., 1858.

ა. ჩხეიძე.

ლაშქრული, ლაშქრობასთან დაკავშირებული ფოლკლორული მუსიკის სახეობა. იხ. აგრეთვე *ლაშქრულ-მგზავრული სიმღერები.*

ლაშქრულ-მგზავრული სიმღერები, ლაშქრობასა და მგზავრო-



რ. ლაშხი.



ქ. ლაშხი.

ბასთან დაკავშირებული ფოლკლორული მუსიკის ორი სხვადასხვა სახეობა, რ-ებსაც აერთიანებს მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებათა არაერთი მხარე: ტემპი, მკაფიო რიტმი, კუპლეტური ფორმა, მარტივი და ხალისიანი განწყობა, ომახიანი შესრულება. ქართულ მუს. ფოლკლორში ლ.-მ. ს. მრავალხმიანია, მათი პოეტური ტექსტი – ნებისმიერი. მათგან განსაკუთრებით ცნობილია რამდენიმე ლექსი: ,,გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა...'', ,,წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა...'', ,,ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...''. XIX ს. 70-იან წლებში ერთ-ერთ ,,მგზავრულს'' მიუსადაგეს ილიას პატრიოტული ლექსი ,,ქართველო, ხელი ხმალს იკარ'' (პოემიდან ,,ქართვლის დედა''), რის გამოც სიმღერა პოპულარული გახდა. შემდგომ ზ. ფალიაშვილმა სიმღერა გადაამუშავა და გამოიყენა ოპერა ,,აბესალომ და ეთერის'' მეორე მოქმედებაში.

ლიტ.: კ ო შ ო რ ი ძ ე თ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი შიდა ქართლში, თბ., 2014; ც ო ც ა ნ ი ძ ე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1978; ჯვარ-ხატთა სადიდებლები, თბ., 1998.

გ. ჩხიკვაძე.

ლაშხარაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჩიხარეშის თემი). ზ. დ. 1340 *მ.* 17 მცხ. (2014).

ლაშხი ალექსანდრე არსენის ძე (დ. 4. II. 1945, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1993). 1968 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1971-მდე მუშაობდა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ალგებრის კათედრაზე. 1971–84 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1984–85 – სპი-ის (ამჟამად სტუ) უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე. 2005-07 და 2008-09 იყო ბათუმის სახელმწ. უნ-ტის რექტორის მოადგილე, 2007-08 – რექტორი; არის სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი, სტუ-ის გამოთვლითი მათ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2012–17). სტუ-ის ემერიტუს პროფესორი (2017-იდან). 1983-იდან იყო სხვადასხვა ქვეყნის (საფრანგეთი, ინგლისი, ისრაელი, იტალია, გერმანია და სხვ.) უნ-ტების მიწვეული პროფესორი.

ლ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა ალგებრა, ტოპოლოგია. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, სტატიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: ქრონიკები საქართველოში მათემატიკური განათლების ისტორიიდან (1800–2000 წწ.), თბ., 2013 (თავტ.); General geometric lattices and projective geometry of modules, J. Math. Sci. 1995, N74; Lattices of subrepresentations of Lie algebras and their isomorphisms. იქვე, 2007, №141; Modeling of ring geometry von Neumann's point of view. N.Y., 2013.

ლაშხი ანდრია დიმიტრის ძე [5 (19).VI.1908, სოფ. უსახელო, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 29. VIII. 1987, თბილისი], ბიოქიმიკოსი და ღვინის ტექნოლოგი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1963). საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ფაკ-ტი (1933). მუშაობა დაიწყო იქვე. იყო მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ღვინის ტექნოლ. და ბიოქიმ. კათედრის გამგე (1976-იდან). ეკავა სხვადასხვა თანამდებობა.

ლ-ის ნაშრომები ეძღვნება ღვინის ტექნოლოგიას. მან კვლევებით გამოავლინა საფუარის ბიოქიმიური როლი ალკოჰოლურ დუღილში, შეისწავლა საკონიაკე სპირტის დაძველების პროცესები. მისი კვლევის შედეგები ფართოდ დაინერგა საზღვარგარეთ. არის გამოგონებების ავტორი.

თხზ.: კონიაკის წარმოება, თბ., 1967; ენოქიმია, თბ., 1970; Химия и технология грузинского коньяка, Тб., 1962.

ლაშხი რევაზ გივის ძე (დ. 26. V. 1988, ბორჯომი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების მეორე (2012, ლონდონი) პრიზიორი; ევროპის ჩემპიონი (2011); საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული (2012, 2014); ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე (2005) და ევროპის ჩემპიონატის მეორე (2004) პრიზიორი.

ლაშხი ქეთევან სპარტაკის ასული (დ. 22.V. 1957, თბილისი), რადიოლოგი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2015). 1982 დაამთავრა თსსი. 1983–90 იყო ნ. კახიანის სახ. ამიერკავკ. რკინიგზის საავადმყოფოს კარდიოლოგი; 1991–96 მუშაობდა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. აკად. ფ. თოდუას სახ. სამედ. ცენტრი) კომპიუტერული ტომოგრაფიის განყ-ბაში. 1991, 1995, 1997, 2010 წლებში კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის სპეციალიზაციის განხრით გაიარა სტაჟირება ქ. გრაცის (ავსტრია) საუნივერსიტეტო კლინიკაში. 1997-იდან ხელმძღვანელობს კლინ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის განყ-ბას.

ლ-ს სამეცნ. ნაშრომები და გამოგონებები ეძღვნება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევის აქტუალურ საკითხებს.

ლ. არის საქართვ. (1993) და ევრ. რადიოლოგთა ასოციაციების წევრი (1997).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, ასევე საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის გ. მუხაძის სახ. პრემია (2010).

ლაშხია შოთა ბიქტორის ძე (10. IV. 1928, სოფ. გუდავა, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, აფხაზეთის არ, – 25. II. 2021, ტორონტო, კანადა), გეოგრაფი. გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1987). 1948 დაამთავრა სოხუმის პედ. ინ-ტი (1979-იდან აფხაზეთის სახელმწ. უნ-ტი), 1951–93 მუშაობდა იქვე კათედრის გამგისა და ფაკ-ტის დეკანის თანამდებობაზე.

1961 ლ-მ თანაავტორებთან ერთად გამოაქვეყნა მონოგრაფია ,,Природа Абхазии'', სადაც დეტალურად აღწერა აფხაზეთის უნიკალური ბუნების კომპონენტები, 1982 კი – მონოგრაფია ,,აფხაზეთის ასსრ ბუნებრივი რესურსები და სამეურნეო პრაქტიკა (,,ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიული ტექნოლოგიის საკითხები'').

ლ. იყო სამეცნ. ნაშრომების ავტორი, კითხულობდა ლექციებს მოსახლეობის გეოგრაფიის, საქართვ. სოც.-ეკონომიკური გეოგრაფიის, აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და სხვ. შესახებ.

1997-იდან ცხოვრობდა კანადაში, ტორონტოში, სადაც დაწერა მონოგრაფია ,,იაპონია – საოცრებათა ქვეყანა'' (მოკლე გეოგრაფიული ნარკვევი), გამოიცა თბილისში 2012.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. ალფენიძე.

ლაშხიშვილი ხოსია (გ. დაახლ. 1671), ლეჩხუმის მფლობელი XVII ს. 60-იან წლებში. 1661 ქართლის მეფე ვახტანგ V-ს უჭერდა მხარს ვამეჟ III დადიანის წინააღმდეგ

ბრძოლაში. მანვე მოაწყო ვამეყ დადიანის მკვლელობა სვანეთში. 1668 ლ. ერთხანს ოსმალეთის მხარდაჭერით იმერეთის ტახტზე ასულ დარეჯან დედოფალს (თეიმურაზ I-ის ასული, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის მეუღლე) ემხრობოდა, შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, ბოლოს კი თვითონვე მოუკლავს დედოფალი. ლ. მხარს უჭერდა დემეტრე გურიელს იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლაში, შემდეგ მონაწილეობდა შეთქმულებაში, რ-ის შედეგად ბაგრატ IV-მ იმერეთის ტახტი დაიბრუნა. უკანასკნელად მოხსენიებულია 1669 დეკემბრით დათარიღებულ ბაგრატ IV-ის წერილში.

ლიტ.: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბ., 1989.

თ. ბერაძე.

ლაშხრაში, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ნაკრის თემი), მდ. ნაკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1700 *მ.* 2014 აღწერით მოსახლეობა არ აღემატება 10 კაცს.

ლაშხრერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ეცერის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ,* მესტიიდან 26 *კმ.* მოსახლეობის რიცხვნობა არ აღემატება 10 კაცს (2014).

ლაჩთა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (შეუბნის თემი), მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 920 *მ,* ონიდან 2,5 *კმ.* 171 მცხ. (2014). ლ-ში არის უნიკალური მინერ. წყალი, რ-იც სამკურნალოდ გამოიყენება.

ისტ. წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან. სოფელში შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის რამდენიმე ციხესიმაგრის ნანგრევი.

თ. ბერაძე.

ლაცაბიძე (ლაცო) გიორგი ირაკლის ძე (დ. 15. IV. 1978, თბილისი), პიანისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი, მუსიკის ხელოვნების დოქტორი (2011). ამჟამად მოღვაწეობს აშშ-ში.

დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა, ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედი“ (პედ. ა. ჩიკვაიძე), 2003 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. რ. ხოჯავა). სწავლობდა გერმანიის (ჰანოვერი, პედ. გ. ციტერბარტი), ავსტრიის (ზალცბურგი, პედ. კ. კაუფმანი), იტალიის (პედ. ლ. ბერმანი), აშშ-ის (ლოს-ანჟელესი, პედ. ს. გორდონი) უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებში.

ლ. წარმატებით გამოდიოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში; 2012 რომის პაპის, ბენედიქტ XVI-ის მიწვევით ვატიკანში შეასრულა მოცარტის №21 საფორტეპიანო კონცერტი; შვეიცარიაში, ლიხტენშტეინის პრინცესა მარიას თაოსნობით გამართული კონცერტის შემდეგ, ლ. შეაფასეს, როგორც – „უზადო ტექნიკური მონაცემების მქონე ვირტუოზი პიანისტი...“ ლ-მ ლონდონის უიგმორ ჰოლში წარმატებით შეასრულა თავისი ნაწარმოები „Cyber Moment for piano and violin“. შექმნა კინომუსიკა ფილმისთვის „ვალსი ფანტაზია“ (2000; საგანგებო ჯილდო ბოლივიის საერთაშ. კინოფესტივალზე).

ლ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ატარებს მასტერკლასებს. პედ. საქმიანობას ეწეოდა სამხრ. კალიფორნიისა და სხვა ცნობილ უნ-ტებში. 2013-იდან არის ვენის მუს.-დრამ. ხელოვნების კონსერვატორიის პროფესორი; არის აშშ-ის საპატიო საზ-ბა „Pi Kappa Lambda“-ისა და ლოს-ანჟელესის ფილარმონიის საერთაშ. კომიტეტის საპატიო წერი (2021-იდან). დასახელებულია გამოცემა „Who is Who in America“-სა და „Who's Who in American Art-ში (2011);

ლ-მ მეუღლესთან, ანა ფედოროვასთან ერთად, შექმნა საფორტეპიანო დუეტი „The Latsos“, რ-მაც გაიმარჯვა ბევრელი ჰილზის საერთაშ. კონკურსზე. მათზე გადაღებულია დოკ. ფილმი „The Latsos Piano Duo“. ლ. ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს. არის მრავალი კონკურსისა და პრემიის ლაურეატი.

პ. ჩინჩალაძე.

ლაცაური, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (ბელოთის თემი), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 1970 *მ,* ცხინვალიდან 35 *კმ.* ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლაცგა, მთა მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ-ების – მესტიაჭალისა (მულხრის მარჯვ. შენაკადი) და ადირსუს (ბაქსანის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე ზ. დ. 4019 *მ.* დაჰყურებს ლეხზირის მყინვარის სათავეს. აგებულია პალეოზოური გრანიტებით. დაფარულია მყინვარებით. პირველი ასვლა უღელტეხილიდან განხორციელდა 1933 (ხელმძღვ. ა. ჯაფარიძე; მონაწილეობდნენ დ. ფურცელაძე, ი. მარი).

ლაცორია, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (სპათაგორის თემი), მდ. ლაჯვანურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 *მ,* ცაგერიდან 15 *კმ.* 90 მცხ. (2014).



გ. ლაცაბიძე.

ლაჭობგა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ნაკრის თემი), მდ. ნაკრის ხეობაში, ზ. დ. 1500 *მ.* 20 მცხ. (2014).

ლაჭყეპიანი ავთანდილ ნიკოლოზის ძე (18. VIII. 1923, თბილისი, – 9. VI. 1999, იქვე), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1994).

1944 დაამთავრა თსსი. 1947–49 მუშაობდა შრომის, ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ნევროლოგად. 1949–58 – ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე; 1958 – კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის თანამშრომლად (1967). 1967–79 მოღვაწეობდა პედიატრიის სამეცნ.- კვლ. ინ-ტში. 1986–98 იყო თსსი-ის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგე. ჯანმრთელობის სამინისტროს ბავშვთა მთ. ნევროპათოლოგი (1970), კარდიოლოგიის ინ-ტის კონსულტანტი და სამეცნ. საბჭოს წევრი (1971). მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა კარდიოცერებრალური პათოლოგიის საკითხების კვლევა. ლ. იყო თბილ. ნევროლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1988–99).



ა. ლაჭყეპიანი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997). მისი სახელი მიენიჭა საქართვ. ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის ასოციაციას (1999).

ლაჭყეპიანი გიორგი ავთანდილის ძე (დ. 2. II. 1954, თბილისი), ნევროლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1976 დაამთავრა თსსი, 1976–78 – ამავე ინ-ტის ნერვულ სნეულებათა კათედრის კლინ. ორდინატურა. 1983–84 მუშაობდა თბილისში, ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრ. კლინ.

საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყ-ბაში. 1984–90 იყო თსსი-ის პედიატრიული ფაკ-ტის ნევროლოგიის კათედრის თანამშრომელი (1990–99), პროფესორი (1999), 1999–2008 – ამავე ინ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ნევროლოგიის კათედრის პროფესორი; 2008-იდან – ,,ავერსის'' კლინიკის ნევროლოგიის სამსახურის უფროსი.

ლ-ის სამეცნ. ნაშრომებში განხილულია თავის ტვინის სისხლძარღვოვანი პათოლოგიები, ნეიროინფექციები.

არის ატლანტის (აშშ) საპატიო მოქალაქე; საქართვ. ექიმთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი (1989–99); თბილ. ნევროლოგთა ასოციაციის გამგეობის თავ-რე (2005–08); ევროპის ნევროლოგიის აკადემიის სამეცნ. საბჭოს წევრი (2017–18).

ლაჭყეპიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (7. VI. 1895, ქუთაისი, – 23. I. 1982, თბილისი), ეკონომისტ-აგრარიკოსი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1919 დაამთავრა მოსკ. სახალხო მეურნეობის ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1920–30 მუშაობდა საქართვ. და ამიერკავკ. ,,სოფლის კავშირის'' (კორპორაცია) სისტემაში. 1930-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში. 1932–37 იყო ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1938–69 – სოფ. მეურნ. ეკონ.-ორგანიზაციის ფაკ-ტის დეკანი, 1961–79 კი – სტატისტ. და საბუხჰალტრო აღრიცხვის კათედრის გამგე.

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, სპეციალიზაციისა და სას.-სამ. სტატისტიკის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის პრაქტიკუმი, თბ., 1959; სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და გაადგილება აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1960; ვარიაციის მაჩვენებლები. კორელაციური და დისპერსიული ანალიზის საფუძვლები, თბ., 1972.

ლახამი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ჭუბერის თემი), მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 680 *მ,* მესტიიდან 70 *კმ.* 168 მცხ. (2014).

სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. გიორგის ეკლესია (,,ჯვარაგ ლახმაშ''). თარიღდება განვითარებული შუა საუკუნეებით.

„ლახამიჰესი-1“, „ლახამიჰესი-2“ (შპს), მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭუბერში, მდ. ლახამზე. ჰესები ექსპლუატაციაშია 2020-იდან. მათი სიმძლავრეა 15,9 (მ. შ.: ,,ლ-1-ის''– 6,4; ,,ლ-2-ის'' – 9,5) *მეგვტ.* გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ·სთ*): 2020 წ. – 5,3; 2021 წ. – 26,6. მფლობელია ავსტრიული კომპანია ,,ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი''. ჰესები ჩართულია ქვეყნის ერთიან ელექტროსისტემაში.

ლახამულა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოების – ცალგმილის ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას, ჯვარი–მესტიის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., გენწვიში, დიზა, თოთელეში, ნოდაში, ნოღარი-კეცლანი, ქვედა იფარი, ყაზაყი, შდიღირი, ხელრა, ჰამაში). ზ. დ. 1000 *მ,* მესტიიდან 37 *კმ.* 82 მცხ. (2014).

ლახანი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ხაიშის თემი), სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე, შდავლერის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 680 *მ.* მესტიიდან 70 *კმ.* 2014 აღწერით მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

ლახატო, ნასოფლარი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (ზარიძეების თემი), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. ლახატურაზე (ფშავის არაგვის აუზი). ზ. დ. 1320 *მ.* თიანეთიდან 30 *კმ.* 2014 აღწერით მუდმივი მოსახლე არ არის.

ლ. მოხსენიებულია ერეკლე II-ის ძის, გიორგის 1788 სამართლის წიგნში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004.

ლახეფა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ტვიშის თემი), ხვამლის მასივის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. ლახეფის-ღელის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 720 *მ,* ცაგერიდან 40 *კმ.* 25 მცხ. (2014). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

ლახვარი, 1. საჩეხი და საჩხვლეტი ლითონის იარაღი. გამოიყენებოდა პირისპირ ბრძოლისას უძველესი დროიდან. ძვ. წ. II ათასწლ. შუა წლებიდან გავრცელებული იყო მესოპოტამიაში, კავკასიასა და დას. ევროპაში. უძველესი ლითონის ლ. იყო საჩხვლეტი და საჩეხი, II ათასწლ. ბოლო მესამედში გაჩნდა საჩხვლეტ-საჩეხი ლ. I ათასწლ. დასაწყისში რკინის ლ. ბრინჯაოს ლ-ის მსგავსი იყო. I ათასწლ. I ნახ-ში ევროპაში, სამხრ. კავკასიასა და შუა აღმოსავლეთში არსებობდა გრძელი რკინის ლ. (ზოგჯერ ბრინჯაოს ტარით). მოკლე ლ. – აკინაკი, გავრცელებული იყო სკვითებში. ძვ. წ. I ათასწლ. II ნახ-ში ევროპაში ქვეითი და ცხენოსანი ჯარი იყენებდა გრძელ საჩეხ ლ-ს, ხოლო ძვ. წ. III ს. – ახ. წ. III ს. ქვეითთა ბრძოლის დროს – მოკლე და ფართო ლ-ს (გლადიუსი), ცხენოსნები კი – გრძელ საჩეხ ორლესულ ლ-ს (სპატა).

2. ხის, ლითონის ან ძვლისტარიანი და ორპირიანი სამკუთხა დანა, რ-ითაც მღვდელი აღასრულებს ღვთისმსახურების რიტუალებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

ლახვრა, მთა სვანეთის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – ცალგმილის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3720 *მ.* კალთებზე 3 მყინვარია. პირველი ასვლა განხორციელდა 1936.

ლახვრა, ხეობის ტიპის მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – ცალგმილის ქედზე, მდ. ენგურის აუზში. სიგრძე 3 *კმ,* ფართ. 3 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება 2450 *მ*-მდე. ფირნის ხაზი გა-



„ლახამიჰესი“.

დის 3100 *მ*-ზე. მისასვლელი გზა – დოლრის ხეობიდან.

ლახი რობერტ (29. I. 1874, ვენა, – 11. IX. 1958, ზალცბურგი), ავსტრიელი მუსიკოლოგი, კომპოზიტორი.

1899 დაამთავრა ვენის მუსიკის მოყვარულთა კონსერვატორია. 1902 პრაღის კარლ-ფერდინანდის უნ-ტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება. იყო ვენის უნ-ტისა (1902–39) და მუს. აკად. (1924–45) პროფესორი, ვენის ეროვნ. ბიბლიოთეკის მუს. განყ-ბის ხელმძღვანელი (1912– 20); მიჩნეულია შედარებითი მუს. მცოდნეობის საუკეთესო სპეციალისტად. მისი აღზრდილები არიან ავსტრიელი დირიჟორი კ. ვოისი, მუსიკათმცოდნე ლ. ნოვაკი და მრავალი სხვა გამოჩენილი ხელოვანი. ავტორია მონოგრაფიისა ,,შედარებითი მუსიკისმცოდნეობა'' (,,Vergleichende Musikwissenschaft'', 1924); ლ-მა I მსოფლიო ომის დროს ქართვ. სამხედრო ტყვეებისგან ჩაიწერა 307 ქართ. ხალხ. სიმღერა ვარიანტებით (ზოგიერთი სიმღერა ქალაქურ ფოლკლორს განეკუთვნება). სიმღერები შესულია მისი შრომების III ტომის (,,Gesänge russischer Kriegsgefangener'' I–III, 1926–52) I (1928) და II (1931) ნაწილებში.

ლ-მ ასე შეაფასა ქართ. სიმღერები: ,,უნიკალური, არაჩვეულებრივი და ყველასგან განსხვავებული''. მან ქართ. სიმღერები დაყო 2 ჯგუფად: I – ქართლური, კახური, ფშაური, რაჭული, გურული და იმერული; II – მეგრული, აფხაზური, სვანური და ოსური. ლ-ის აზრით ფშაველთა და თუშთა სიმღერებში ვლინდება მუს. განვითარების ყველაზე ძვ. საფეხური, ხოლო გურული სიმღერები მიაჩნია სიმღერების მწვერვალად. ლ-ის ჩანაწერებიდან ზოგიერთი ნიმუში შეტანილია ა. მშველიძის მიერ გამოცემულ სანოტო კრებულში (,,ქართული ხალხური ქალაქური სიმღერები''; 1970), კერძოდ: სიმღერა ,,სამშობლო'' (არსებობს მისი საგუნდო ვარიანტი ,,ქალი-ლამაზი'' განსხვავებული ტექსტით), ,,ტურფავ, ტურფავ'', ,,მერცხალო'', ,,ქალსა კაბა შეუკერეს'', ,,ტურფავ, მოდი'', ,,ნუ, ნუ სტირი, გენაცვა''.

ლიტ.: სულაბერიძე ზ., რობერტ ლახი ქართული ხალხური მუსიკის შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის შრომები, [წგ.] 9, თბ., 2009; Robert Lach. Persönlichkeit und Werk, Wien, 1954.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

ლახირი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (მულახის თემი), სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – გვალდის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1760 *მ,* მესტიიდან 11 *კმ.* 83 მცხ. (2014). ლ. გამოირჩევა სვანური კოშკების სიმრავლით. აქ დგას იოანე მახარებლის ეკლესია.

ლახტაობა, ქართული ხალხური თამაში. მოთამაშე ვაჟები კენჭისყრით ორ თანაბარ ჯგუფად იყოფა. ერთი ჯგუფი თავდამსხმელებისაგან შედგება, მეორის წევრები იცავენ ლახტებს (ქამრებს) და თავიანთ თავს. დამცველები მიწაზე შემოხაზულ დიდ წრეში რადიალურად დგებიან და ფეხებს შუა ლახტებს იწყობენ ბალთით წრის ხაზისკენ. თავდამსხმელები წრეს გარშემო ურბენენ და სხვადასხვა ფანდით ცდილობენ ლახტების მოტაცებას. როდესაც



ლახტაობა.

თავდამსხმელები წრიდან ყველა ლახტს გამოიტანენ, იწყება წრეში მყოფთა „შეხურება“, ანუ ფეხზე ლახტით ცემა. დამცველები ერთმანეთთან ზურგით დგანან და ცდილობენ წრიდან გამოუსვლელად თავდამსხმელები „ჩაჭრან“, ე. ი. ცალი ფეხი ფეხზე მოარტყან. დამცველთა წარმატების შემთხვევაში „ჩაჭრილები“ წაგებულად ითვლებიან. გუნდები ადგილებს ცვლიან და თამაშს თავიდან იწყებენ.

ლ. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თამაში იყო საქართველოში. იგი ახალგაზრდებში სიმამაცისა და ვაჟკაცური თვისებების გამომუშავებას ისახავდა მიზნად. ამ თამაშში სიმბოლურადაა ასახული სიმაგრეთა დაცვის ტაქტიკა.

ვ. ელაშვილი.

ლახტი, გრძელი, უტარო მათრახი. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს. ამ ტიპის უნდა ყოფილიყო წყაროებში მოხსენიებული ტაჯგანაგი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

„ლახტი“, ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული ილუსტრირებული ჟურნალი. გამოვიდა 1914 თბილისში (№1–№20). რედ.-გამომცემელი – დ. მელაშვილი. ჟურნალში იბეჭდებოდა ლექსები, მინიატიურები და თარგმანები (მ. შ. ა. პუშკინისა და *მ.* ლერმონტოვის ნაწარმოებები), ქართვ. მოღვაწეების პორტრეტები. ნახატები და კარიკატურები შესრულებულია ო. შმერლინგის, შ. ქიქოძის, ს. შანშიაშვილისა და ი. ქავთარაძის მიერ.

ი. ლორთქიფანიძე.

ლახუნდარა, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (წყალაფორეთის თემი), მდ. ბორიმელის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 *მ,* ხარაგაულიდან 13 *კმ.* 365 მცხ. (2014).

ლახუშდი (ყოფ. ლახუშტი), სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლატალის თემი), უღვირის ქედის დას. დაბოლოებაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1340 *მ,* მესტიიდან 11 *კმ.* უღვირის ქედზე გადადის საავტომობილო გზა მესტიიდან უშგულში. 84 მცხ. (2014).

ლაჯანა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ორბელის თემი), მდ. ლაჯანურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 600 *მ,* ცაგერიდან 15 *კმ.* 289 მცხ. (2014). წყაროებში პირველად დამოწმებულია 1650–52 რუსი ელჩების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის მუხლობრივ ანგარიშებში.

ლაჯანურა, მდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტში, რიონის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2710 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 32 *კმ,* აუზის ფართ. 296 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალ-მოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 10,5 *მ*^{3}/წმ. მკაცრ ზამთარში ახასიათებს ყინულნაპირისი და თოში. მდინარის ქვემო წელში წარმოდგენილია ლაჯანურის კლდეკარი და კანიონი. მდინარეზე აგებულია ლაჯანურის წყალსაცავი.



რ. ლახი.

ლაჯანურის წყალსაცავი, საინჟინრო-ჰიდროტექნიკური ნაგებობა ცაგერის მუნიციპალიტეტში. ექსპლუატაციაში შევიდა 1960. შექმნილია მაღალი თაღოვანი კაშხლით (სიმაღლე – 69 *მ*) მდ. ლაჯანურის ქვემო დინების ვიწრო ხეობაში, სოფ. სურმუშთან. წყალსაცავი ოვალურია. სიგრძე – 3,2 *კმ*, უდიდესი სიგანე – 1 *კმ*, საშ. სიგანე – 0,5 *კმ*, უდიდესი სიღრმე – 70 *მ*, საშ. სიღრმე – 30 *მ*, ფართ. – 1,6 *კმ*^{2}, წყლის მოცულობა – 50 მლნ. *მ*^{3}. ლ. წ-ს ასაზრდოებს მდინარეების (ლაჯანურა, ხელეშურისღელე, ლიამღვრიე, უსახელოღელე), აგრეთვე მდ. ცხენისწყლიდან არხით გამოყვანილი წყალი. წყალსაცავი დღეღამური რეგულირებისაა და წყლით უზრუნველყოფს ლაჯანურჰესს.

ლ. წ-ის ქვაბულის ქვედა ნაწილი აგებულია ცარცული სქელშრეებრივი კირქვებით, ზედა – ქვიშაქვებით, მერგელოვანი თიხაფიქლებითა და კონგლომერატებით. კალთები მეწყრებიანია, ნაპირების ტალღისმიერი დამუშავება – უმნიშვნელო. წყალსაცავის მოლამვა ძირითადად ხდება შენაკადების მიერ შემოტანილი მყარი ჩამონადენის ხარჯზე. კაშხალთან ფსკერული ნატანის სისქე 10 *მ* აღემატება.

ი. აფხაზავა.

ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური ბ. ჭიჭინაძის სახელობისა, საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ჰიდროელექტროსადგური. მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში. გამოყენებულია მდ. ცხენისწყლისა (ქ. ცაგერთან) და მდ. რიონის (სოფ. ალპანასთან) დონეთა სხვაობა (დაახლ. 140 *მ*). ჰიდროელექტროსადგური ძირითადად მუშაობს მდ. ცხენისწყლის ჩამონადენზე, რ-იც მდ. რიონის აუზშია გადაგდებული. ჩამონადენი პირველად ხვდება მდ. რიონის მეორე, უფრო მცირე შენაკადის – ლაჯანურის ხეობაში.



ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური.

ლ. ჰ-ის მშენებლობა დაიწყო 1953. იგი საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშენებარე ობიექტი იყო ომისშემდგომ პერიოდში. საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 112,5 ათ. *კვტ*, ხოლო ელექტროენერგიის საშ. წლიური საპროექტო გამომუშავება – 517 მლნ. *კვტ.სთ*. სადგური შედგება სამი აგრეგატისაგან, თითოეულის სიმძლავრეა 37,5 ათ. *კვტ*. პირველი აგრეგატი ამუშავდა 1960 წ. 26 იანვარს, დანარჩენი ორიდან ერთი ამუშავდა იმავე წლის 9 თებერვალს, მეორე კი – 16 ივნისს. ჰესში დადგმულია ავსტრ. ფირმა ,,ფოიტის'' ტურბინები. სადგური შედგება სსრკ-ში იმ პერიოდისათვის პირველი უნიკალური მაღალთაღოვანი კაშხლისაგან (კაშხლის სიმაღლე 69 *მ*), მიწისქვეშა სადაწნეო და ძალური კვანძებისაგან. ლაჯანურჰესი საქართვ. ენერგოსისტემასთან დაკავშირებულია 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზით.

2007 ლ. ჰ. შეიძინა ჩეხურმა კომპანია ,,ენერგო-პრომ'', რ-მაც საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო იმავე წლის ივლისში სააქციო საზ-ბა ,,*ენერგო-პრო ჯორჯიას*'' სახელწოდებით. ლ. ჰ-ის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიაა (მლნ. *კვტ·სთ*): 1960 წ. – 148,3; 1965 წ. – 403,4; 1970 წ. – 495,2; 1975 წ. – 362,4; 1980 წ. – 358,9; 1985 წ. – 345,3; 1990 წ. – 357,1; 1995 წ. – 347,2; 2000 წ. – 194,6; 2005 წ. – 124,9; 2010 წ. – 420,3; 2015 წ. – 377,7; 2020 წ. –343,3; 2021 წ. – 423,1. ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხვ. წილი საქართვ. ჰესებში წარმოებული ელექტროენერგიის 4,15% შეადგენს (2021).

დ. ჩომახიძე.

ლაჰილი, ლაილა, ლაჰლა, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედზე, მდ. ლაჰილჭალის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 4010 *მ*. აგებულია ზედაპალეოზოურ-ტრიასული კვარციტებით, მეტამორფული ფიქლებითა და ქვიშაქვებით. დაფარულია თოვლყინულით. ლ-ის ჩრდ. კალთაზე ხეობის ტიპის მყინვარებია.

ლაჰილი, ხეობის ტიპის მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში. სიგრძე 5,5 *კმ*, ფართ. 5,24 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება 2220 *მ*-ზე. შედგება 2 ტოტისგან. მარჯვ. ტოტი დიდია, მარცხ. – პატარა და ყინულჯვარდნილს წარმოადგენს. საზრდოობს მწვ. ლაჰილის კალთებიდან ჩამონად-



ლაჰილი.

ენი მყინვარული ნაკადებით. ასაზრდოებს მდ. ხუმფრერს (ენგურის მარცხ. შენაკადი).

ლაჰილი, უღელტეხილი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის ცენტრ. ნაწილში, მდ. ლაჰილჭალის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 4000 *მ*. აგებულია ზედაპალეოზოურ-ტრიასული კვარციტებით, ფიქლებითა და მარმარილოს ლინზებით. ახასიათებს გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. საცალფეხო ბილიკით აკავშირებს მდ. ცხენისწყლისა (ლენტეხის მუნიციპ.) და მდ. ენგურის (მესტიის მუნიციპ.) ხეობებს.

ლაჰილი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლატალის თემი), მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1350 *მ*, მესტიიდან 12 *კმ*. მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს (2014).

ლაჰილჭალა, ლაილჭალა, ლაჰლაჭალა, მდინარე მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ენგურის მარცხ. შენაკადი. იწყება ლაჰილის მწვერვალიდან 2425 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 11 *კმ*. აუზის ფართ. 59,5 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – შემოდგომა-ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 3,7 *მ*^{3}/წმ.

ლებინები, ჰერული მოდგმის ტომი. ანტ., ქართ. და სომხ. საისტორიო

წყაროების მიხედვით, ლ. ცხოვრობდნენ მდ. ალაზნის ზემო წელის მიდამოებში. დაახლ. ძვ. წ. III ს. – ახ. წ. IV ს-ში ლ-ის ტომი კულტურულ-ეთნიკურად და პოლიტიკურად შეერწყა აღმ. ქართ. ტომებს – ქართებსა და კახებს.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 1 – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; Еремян С. Т., Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. По Tabula Peutingeriana, «Вестник древней истории», 1939, №1.

თ. პაპუაშვილი.

ლეახალე, სოფელი სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (ნაკიანის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ზანის (ხობის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 240 *მ.* ჩხოროწყუდან 10 *კმ.* 58 მცხ. (2014).

ლებაისკარის კოშკი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თუშეთ-ხევსურეთში გავრცელებული საცხოვრებელი ციხე-სახლის ერთ-ერთი ნიმუში. მდებარეობს პირიქითა ხევსურეთში, მდ. არღუნის ხეობაში, ნასოფლარ ლებაისკართან. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. გეგმით კვადრატული (4,2 *მ*×4,2 *მ.* ხუთსართულიანი კოშკი (სიმ. 15,5 *მ.* ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი აღმ-იდანაა, II სართულზე, 2,2 *მ* სიმაღლეზე. კარი გადახურულია ნახევარწრიული თაღით. სართულები შიგნით ერთმანეთს ხის გადასატანი კიბით უკავშირდება. I სართული სამალავია, II, III და IV – საცხოვრებელი. კედლებში ერთმაგი, ორმაგი და სამმაგი სათოფურებია (აღმ-ის ფასადზე სათოფურების ხვრელები სამკუთხაა). აღმ-ით III და IV სართულებზე თითო სარკმელია. IV სართული სათავდაცვოა, თითო მხარეს სალოდე აქვს. სალოდეების კუთხეებში სათოფე ხვრელებია დატანებული. II სართული გადახურულია გუმბათოვანი კამარით, რ-საც ზედა ნაწილი წაკვეთილი აქვს. სხვა სართულების გადახურვა გამართულია ხის კოჭებზე. უკანასკნელი სართული შიგნიდან გადახურულია შეკრული კამარით, გარედან – საფეხურიანი, პირამიდისებური სახურავით. ფასადებზე ქვის წყობა თანაბარია. ზოგან შელესილობის ფრაგმენტებია შემორჩენილი. აღმ-ით, შესასვლელის ზღურბლის ქვაზე, ამოკვეთილია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, რ-ის მკლავებს შორის წერტილებია. ჯვრის გვერდზე გამოსახულია მამაკაცი, რ-საც ხელში ფარ-ხმალი უჭირავს. მამაკაცის მარცხნივაც ტოლმკლავა ჯვარია. სახურავის ქვეშ, შელესილ ზოლზე, მოწითალო საღებავებით დახატულია ადამიანისა და ცხოველების გამოსახულებები.



ლებაისკარის კოშკი. გვიანდელი შუა საუკუნეები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

ლებანიძე გიორგი ივანეს ძე (23. IV. 1918, თბილისი, – 1990), ჟურნალისტი, მწერალი. დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი (1955). იყო გაზეთების – ,,მოლოდოი სტალინეცის'' (1947, თბილისი), ,,სტალინელის'' (1952, ქუთაისი) რედაქტორი. 1953-იდან მუშაობდა გაზ. ,,პრავდის'' სპეც. კორესპონდენტად საქართველოში. ლ. ავტორია წიგნებისა ,,სიუხვე ადამიანის სულისა'' (1970), ,,ისე, როგორც ზღაპარში'' (1977), ,,ქებათა-ქება თავმდაბლობას'' (1978), ,,დაძლევა'' (1980) და სხვ., აგრეთვე სცენარებისა დოკუმენტური კინოფილმებისათვის: ,,მხიარულ შეხვედრათა დღეები'' (1976), ,,სადღეგრძელო საქართველო'', ,,მარადჟამს გვერდით'' (ორივე 1978) და სხვ.

1981 დოკუმენტური ფილმისათვის ,,საქართველო წინ და მაღლა'' მიენიჭა პრემია ,,ხუთწლედის მატიანე''.

მ. კვარაცხელია.

ლებანიძე გურამ (24. XI. 1935, – 12. IX. 2021), ენათმეცნიერი. დოქტორი (1999), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის დასავლეთ ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი. იყო ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტის პრორექტორი. მისი სამეცნ.-კვლ. და პედ. მოღვაწეობა ძირითადად უცხო ენათა ინ-ტთან (ახლანდ. ილიას უნ-ტი) იყო დაკავშირებული. იკვლევდა რომანულ ენებს, ლინგვისტიკისა და ენის ფილოსოფიის, კულტუროლოგიის აქტ. საკითხებს. კითხულობდა ლექციების სპეციალურ კურსს: ,,სახარებისეული ტექსტი და თანამედროვე აზროვნება'', ,,პედაგოგიკა და განათლების სისტემა'', ,,არასწორხაზოვანი აზროვნება''. ავტორია ნაშრომებისა, მ. შ. მონოგრაფიების: ,,ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკალური ლინგვისტიკა''. ,,დასავლეთი'' (2000), ,,კულტუროლოგიის საფუძვლები'' (2004), ,,კომუნიკაციური ლინგვისტიკა'' (2005), ,,რილკეს ელეგიები'' (2020) და სხვ.

ლებანიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე (8. IX. 1913, სოფ. კვაშხიეთი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 17. II. 1987, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1938). სსრ კავშირის საფინანსო აკად. დამთავრების შემდეგ (1952) იყო საქართვ. ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი, ქუთაისის ოლქის საფინანსო განყ-ბის გამგე, საკავშ. დაუსწრებელი ფინანსური ინ-ტის თბილ. ფილიალის დირექტორი (1953–56). 1956-იდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თსუ-ში, იყო ეკონ. ფაკ-ტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორი, 1970–76 – ამავე ფაკ-ტის დეკანის მოადგილე, დეკანი. მან პირველმა დააარსა თსუ-თან ნორჩ ეკონომისტთა სკოლა.

მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი სამეცნ. კვლევის ძირითადი სფერო იყო პოლიტ. ეკონომიის, ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები.



ზ. ლებანიძე.

თბზ.: საქართველოს კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალი და მისი გამოყენება, თბ., 1966; სამეურნეო რეფორმა და რენტაბელობა, თბ., 1967; სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, თბ., 1972; წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფინანსური ბერკეტები, თბ., 1979; სამეურნეო ანგარიში მართვის სისტემაში, თბ., 1981.

ჯ. კახნიაშვილი.

ლებანიძე ზეინაბ (ზაზა) ვარლამის ასული (30. XI. 1935, სოფ. ბუკნარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1. XII. 2019, თბილი-



ზ. ლებანიძე. ლოლა. რ. ჰარვუდის ,,მოხუცი ჯამბაზები"



მ. ლებანიძე.

სი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1976). 1958 დაამთავრა თეატრ. ინ-ტი. მუშაობდა სოხუმის (1958–60, ქართული დასი), მარჯანიშვილის (1960–67), რუსთავის (1967–75) თეატრებში. 1975-იდან გარდაცვალებამდე იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი.

ლ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სოხუმის თეატრში – მაყვალა (ა. ყაზბეგის ,,მოძღვარი''), ლიზა (მ. გორკის ,,მზის შვილები''), მარია ანტონოვნა (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''); მარჯანიშვილის თეატრში – სპინოზა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ჰარა (ნ. პერიალისის ,,ბაფთიანი გოგონა''), ლოლა (გ. მდივნის ,,კონსული მოიპარეს''); რუსთავის თეატრში – ნატო ჩოდრიშვილი (ა. ჩხაიძის ,,ხიდი''), დედაბერი (ვ. კოროსტილიოვის ,,ასი წლის შემდეგ''), ნუნუ ექიმი (ნ. დუმბაძის, გ. ლორთქიფანიძის ,,საბრალდებო დასკვნა''), ქალი (ო. ასენას ,,შიში''), რუსთაველის თეატრში – ბებია (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი''), გიორგის ქალიშვილი (რ. სტურუას, ლ. ფოფხაძის, ა. ვარსიმაშვილის ,,ვარიაციები თანამედროვე თემაზე''), ნატო (ა. ჭიჭინაძის, რ. სტურუას ,,კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით''), ლოლა (რ. ჰარვუდის ,,მოხუცი ჯამბაზები''), ჯავჯო (პ. კაკაბაძის ,,ასულნი''; თეატრ. საზ-ბის პრემია, 2015) და სხვ.

შექმნილი აქვს დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები ტელესპექტაკლებში: დ. კლდიაშვილის ,,უბედურება'', მოლიერის ,,ძალად ექიმი'', ა. ცაგარლის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'' (რეჟ-ები: *მ.* თუმანიშვილი, გ. კახაბრიშვილი); ფილმებში: ,,ზღვარი'' (რეჟ. თ. გომელაური, 1973), ,,რაჭა, ჩემო სიყვარულო'' (რეჟ. თ. ფალავანდიშვილი, 1977) და სხვ.

ლ-ის გმირები გამოირჩეოდნენ უშუალობით, გმირის ხასიათის გადმოცემის სიზუსტით.

მიღებული აქვს ვ. ანჯაფარიძის სახ. პრემია (2009).

ლებანიძე მურმან სილოვანის ძე (14. XI. 1922, აღსთაფა, აზერბაიჯანი, – 17. VIII. 2002, თბილისი), პოეტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1948). მონაწილეობდა (1942–43) II მსოფლიო ომში. 1946-იდან მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. 1975–95 იყო ბეჭდვითი სიტყვის სახელმწ. კომიტეტის მთ. რედაქტორი; 1975–78 – ლიტ-რის, ხელოვნებისა და არქიტ. სახელმწ. პრემიების კომიტეტის პ/მგ მდივანი, 1978–94 – თავ-რის მოადგილე, 1994-იდან – თავ-რე, ასევე – რუსთაველის საზ-ბის თავ-რე (1998–2003).

ლ-მ ლირ. ლექსების პირველი კრებ. გამოაქვეყნა 1950. მასვე ეკუთვნის ლექსებისა და პოემების კრებულები: ,,რჩეული'', ,,ანისის აღება'' (ორივე 1972), ,,უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი'' (1974), ,,რჩეული'' (1977, 1979, 1984, 1987), ,,ბევრს არ დაგპირდები'' (1988), რჩეულ თხზულებათა ორტომეული (1989), ,,ასი ლექსი'' (2006) და სხვ. ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მთარგმნელობით სფეროში: თარგმნა რუს., იაპ. პოეზიის, ძვ. ეგვ. ლირიკის ნიმუშები – კრებ. ,,უკვდავი ყვავილები'' (1971, 1988); აღსანიშნავია ლ-ის საბავშვო წიგნები: ,,ბიჭები'' (1963), ,,ოთხი დრო'' (1964), ,,ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ'' (1981). პოპულარულია მისი ლექსები: ,,ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო'', ,,ბევრს არ დაგპირდები'', ,,იცოცხლე, მე ვიღორძინო'', ,,გალაკტიონი'', ,,... გაზაფხული შემოსულა, ლენ'', ,,ახალგაზრდობას'', ,,მელიქიშვილის გამზირი'' და სხვ.

ლ-ის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. იგი თამამად ეხმაურება პირადული თუ საზ. ცხოვრების საკითხებს. მისი პოეტური თვალთახედვა, უპირატესად, კონკრეტული, უშუალოდ აღსაქმელი მოვლენებისკენაა მიმართული. ამასთანავე, მის მიერ ასახული უაღრესად ინტიმური მოვლენებიც მხატვრული განზოგადების ხარისხშია აყვანილი. ვერსიფიკაციის სფეროში მან კიდევ უფრო განავითარა პაროდიული სტილი და სასაუბრო მეტყველება. მის ლექსებს ახასიათებს პოეტური ფრაზის მოქნილობა, სიტყვის ეფექტურობა და რიტმის დინამიკურობა.

ლ-ის ლექსებზე შექმნილია არაერთი ქართვ. კომპოზიტორის პოპულარული სიმღერა. მისი ლექსები თარგმნილია რუს., აზერბ., სომხ., ფრანგ., გერმ., ჩეხ. და სხვ. ენებზე.

ლ-ს 1992 მიენიჭა გ. ტაბიძის სახ. პრემია (წიგნისათვის ,,ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ''), 2002 – საქართვ. სახელმწ. პრემია, 1995 – ღირსების ორდენი; იმავე წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1989; ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ, თბ., 1990; რჩეული, თბ., 1992; *თხზ*ულებანი ოთხ ტომად, თბ., 2001; ძვირფასი ავტოგრაფები, თბ., 2002; 100 ლექსი, თბ., 2006.

ლიტ.: მურმან ლებანიძე – გამოსათხოვარი, თბ., 2002.

ა. ვასაძე.

ლებანიძე ქრისტესია ივანეს ძე (28.VIII.1910, თბილისი, – 25. XII. 1985, იქვე), კინოს მხატვარი, საქართველოს სახ. მხატვარი (1980). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1936). მუშაობდა საქართვ. სახკინმრეწვში მხატვრად, 1959–62 – ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების მთავარ მხატვრად; 1962-იდან იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი მხატვარი. გააფორმა შემდეგი ფილმები: „დაკარგული სამოთხე“ (1938), „საქართველოს ძეგლები“ (1940), „ფორპოსტი“ (1940), „სევასტოპოლის დაცვა“ (1943), „დავით გურამიშვილი“ (1946), „ქეთო და კოტე“ (1948, სხვა მხატვრებთან ერთად), „საქართველოს ჭედური ხელოვნება“ (1960), „სვეტიცხოველი“ (1960), „კოტე მარჯანიშვილი“ (1961), „იაკობ ნიკოლაძე“ (1963), „ლონდრე“ (1966), „ქვევრი“ (1970), „მთვარის მოტაცება“ (1973), „სინემა“ (1977), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978, სსრკ სახელმწ. პრემია სხვებთან ერთად, 1980), ,,კარიერა'' (1979). ლ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათე-

ბელია დახვეწილი ოსტატობა და ლირიზმი.

ლებარდე, მდინარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურის მარცხ. შენაკადი (უერთდება კურორტ. ლებარდეს მახლობლად).

ლებარდე, მთა მარტვილის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედის აღმ. ნაწილში, მდ-ების – ურაშულისა (ხელედულის მარჯვ. შენაკადი) და ტეხურის სათავეებში, კურორტ. ლებარდეს ჩრდ-ით. სიმაღლე ზ. დ. 2733 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. კალთები დაფარულია ალპ. მდელოებით.

ლებარდე, ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ეგრისის ქედზე, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ზ. დ. 1600 *მ.* ახასიათებს ზომიერად რბილი ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ-რა –4,1 °C) და ზომიერად გრილი ზაფხული (აგვისტოს საშ. ტემპ-რა 16 °C). ნალექები 1500 *მმ* წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია საშ. მთის კლიმატი, ნახშირმჟავა მინერ. წყალი (წყლის ტემპ-რა 7–13°C, მინერალიზაცია – 0,6–1 *გ/ლ,* საერთო დებიტი დღე-ღამეში 41 *ათ. ლ*). სამედ. ჩვენებაა სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონ. დაავადებანი. სეზონი – ივნისი–ოქტომბერი. XX ს. 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ კ. ძლიერ დაზარალდა. დღეისათვის მიღებულია გადაწყვეტილება კურორტის აღდგენის შესახებ, მიმდინარეობს რესურსების შესწავლა და განვითარების გეგმის შედგენა.

ლებაღათურე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (ნოქალაქევის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის ნაპირზე. ზ. დ. 160 *მ,* სენაკიდან 18 *კმ.* 248 მცხ. (2014).

ლებაჩე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ინჩხურის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 210 *მ,* მარტვილიდან 5 *კმ.* 238 მცხ. (2014).

ლებეგის ინტეგრალი, იხ. სტ. *ინტეგრალური აღრიცხვა.*

ლებურცხილა, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში. იხ. *ლაბურცხილა.*

ლეგახარე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (მუხურის თემი). მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 220 *მ.* ჩხოროწყუდან 11 *კმ.* 588 მცხ. (2014).

ლეგენდა (ლათ. Legenda – სავალდებულო წასაკითხი ტექსტი), თავდაპირველად – წმინდანთა ცხოვრება, განკუთვნილი ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილ საეკლესიო დღესასწაულზე წასაკითხად. ტერმინი გაჩნდა შუა საუკუნეების კათოლ. მწერლობაში. ლათ. ქრისტ. ლ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIII–XIV სს-ში შექმნილმა კრებულებმა, განსაკუთრებით, ე. წ. ,,ოქროს ლეგენდამ'' (XIII ს.), რ-იც მრავალ ევრ. ენაზე ითარგმნა. შემდეგში ლ. ეწოდა რელიგ.-დიდაქტ. მოთხრობებს, ფანტასტ. ბიოგრაფიებს, იგავებს ცხოველებისა და მცენარეების შესახებ და ა. შ.

ფოლკლორში ლ. აღნიშნავს პროზაული ჟანრის თხზულებას, რ-იც რელიგიურ რწმენას ემყარება და ფანტასტ. ამბავს სინამდვილის სახით გადმოგვცემს. ფოლკლორული ლ-ის ნიმუშები ჯერ კიდევ შუამდინარეთის ხალხს ჰქონდა ძვ. წ. მე-3 ათასწლეულში. უძველესი წარმოდგენების საფუძველზე აღმოცენებულმა მრავალმა ლ-მ შემდგომში სახე იცვალა ქრისტ. რელიგიის გავლენით. ქართ. ფოლკლორში გვაქვს როგორც წარმართული, ისე ქრისტ. რწმენის ამსახველი ლ-ები, ზოგში კი ორივე რწმენის კვალი შეინიშნება. ქართ. ლ-ებიდან აღსანიშნავია კოსმოგონიური (სამყაროს წარმოშობისა და ადამიანის გაჩენის შესახებ, პირველი ცოდვის შესახებ და ა.შ.), აპოკრიფული (წმ. მარიამისა და იესო ქრისტეს შესახებ), წარღვნისა და სხვა ლ-ები.

ლიტ.: ბაქრაძე ა., ლეგენდა, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1983, №1; შამანაძე ნ., ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973; Bayard J.-P., Histoire des Lègendes, 2 èd, P., 1961.

ლეგიტიმურობა (ლათ. legitimus – კანონიერი), სამართლებრივი, პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერების აღიარება. ლ. პოლიტ.-სამართ. ტერმინია და განსაზღვრავს ხელისუფლებისადმი მოსახლ. უმრავლესობის დამოკიდებულებას, ნდობის ხარისხს. ლეგიტიმურია ხელისუფლება, რ-საც მოსახლ. დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს, ცნობს პოლიტ. ხელისუფლების შეცვლის საყოველთაოდ აღიარებულ და დემოკრ. პროცედურებს და ხორციელდება სოც.-პოლიტ. გაერთიანებების (პარტიების) და არა კლანური ან კასტური დაჯგუფებების მიერ.

სამართლის ლ. ნიშნავს მის ფორმალურ-მატერ. ლ-ს. ფორმალური ლ. ახასიათებს კანონს, რ-ის მიღებისა და გამოცემისას დაცულია კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა. მატერიალური ლ. მოითხოვს, სამართალი იყოს ჭეშმარიტად სამართლიანი, მართალი, მართებული.

ი. უჯმაჯურიძე.

ლეგლი, მწვერვალი ჯავახეთის ქედზე. იხ. *ლეილიდაღი.*

ლეგოგიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (ლეძაძამეს თემი). მდებარეობს ოდიშის ვა-



ლებარდე.

კეზე, მდ. გურძემის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 170 *მ*, სენაკიდან 32 *კმ*. 98 მცხ. (2014).

ლეგოგიე-ნასაჯუ, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (ფოცხოს თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 160 *მ*. სენაკიდან 27 *კმ*. 280 მცხ. (2014).



ლეგჰორნი.

ლეგოგინე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (უშაფათის თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ხანჯარის (ცივის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 100 *მ*, სენაკიდან 29 *კმ*. 195 მცხ. (2014).

ლეგულორდავე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (სალხინოს თემი). მდებარეობს ასხის მასივის დას. კალთაზე, მდ. წაჩხურის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 310 *მ*, მარტვილიდან 18 *კმ*. 89 მცხ. (2014).

ლეგჰორნი, ქათმის ჯიში მეკვერცხული მიმართულებისა, გამოყვანილია XIX ს-ში აშშ-ში იტალ. თეთრი ქათმის შეჯვარებით მინორულასთან, ესპანურასთან, ძიძგილასა და სხვა ჯიშის ქათმებთან. ლ. თეთრი, წაბლისფერი, შავი ან ცისფერია. სხეულის აგებულებისა და ბიბილოს ფორმის მიხედვით არსებობს რამდენიმე სახესხვაობა. მამლის მასაა 2,3–2,7 *კგ*, დედლისა – 1,8–2,0 *კგ*, მეკვერცხულობა – 220–270 კვერცხი წელიწადში, საუკეთესო კვერცხმდებელი კი 300-ზე მეტ კვერცხს იძლევა. კვერცხის მასა – 55–60 გ. საქართველოში ლ. 1925–27 შემოიყვანეს. აშენებდნენ მეკვერცხეობის ფ-კებში – სამგორის სამომშენებლოში, მეფრინველეობის ამიერკავკ. ზონალურ საცდელ სადგურში, საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის კრწანისის სასწ.-ექსპერ. მეურნეობაში.




მ. ლე დანტიუ.

საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან შემოყვანილია ლ-ის მეკვერცხული ჯიშის კროსები, რ-ებიც მიღებულია ჯიშის შიგნით ხაზთაშორის შეჯვარებით. აღნიშნული კროსები მოშენებულია პატარძეულის, კოდის, საგარეჯოს, ალგეთის, სავანეთისა და სხვ. მეფრინველეობის საწარმოებში. მიღებული პროდუქცია ნაწილდება საქართვ. სავაჭრო ქსელში.

ლიტ.: ნოზაძე რ., კვერცხის წარმოების ტექნოლოგია ფერმერულ და საკარმიდამო მეფრინველეობაში, თბ., 2002; ნოზაძე რ., ხუციშვილი მ., ზავარაშვილი ვ., მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.

რ. ნოზაძე.

ლე დანტიუ მიხეილ ვასილის ძე (ფრანგ. Mikhaïl Le Dentu) [8. II. 1891, სოფ. ჩიჟოვო, ტულის გუბერნია (რფ), – 25. VII. 1917, პროსკუროვთან (ამჟამად ხმელნიცკი), უკრაინა], რუსი მხატვარ-ავანგარდისტი, ადრეული რუს. ავანგარდის თეორეტიკოსი. რუსი ფუტურისტების ლიტ.-მხატვრული ჯგუფის – „ბესკროვნოე უბიისტვოს“ (1914–18) ერთ-ერთი დამფუძნებელი. I მსოფლიო ომის მონაწილე. 1912 ლ-მ მიიღო მეგობრის, კ. ზდანევიჩის ოჯახის მოწვევა და მასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში. იგი ნახევარი წლის განმავლობაში მოგზაურობდა საქართველოში და ბევრს ხატავდა. თბილისში კ. ზდანევიჩთან (იხ. *ზდანევიჩები*) ერთად ერთ-ერთ დუქანში აღმოაჩინა ნიკო ფიროსმანის სურათები. მან შეიძინა ერთი მათგანი და აქტიურად დაიწყო სხვა ნამუშევრების ძებნა და



მ. ლე დანტიუ. ,,საზანდარი‘‘. 1913.

შეგროვება. ამრიგად, იგი პირველი პროფესიონალი მხატვარია, რ-მაც ყურადღება მიაქცია და სათანადოდ შეაფასა ნიკო ფიროსმანის შემოქმედება, როგორც უნიკალური მხატვრული მოვლენა. ფიროსმანმა გარკვეულწილად გავლენა იქონია თვით ლ-ს შემოქმედებაზე. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მან მოაწყო თავისი „ქართული ციკლის“ და ასევე ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა.

ლედარასალე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (ნაფიჩხოვოს თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ოჩხომურის ხეობაში. ზ. დ. 230 *მ*. ჩხოროწყუდან 15 *კმ*. 501 მცხ. (2014).

ლედგებე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (დიდი ჭყონის თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ჩხოუშის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 230 *მ*. მარტვილიდან 20 *კმ*. 697 მცხ. (2014).

ლედერერის ცრუკუდა (Pseudothecla ledereri Boisduval, 1848), პეპელა ცისფერასებრთა ოჯახიდან (Lycaenidae). იშვიათი ენდემია. გავრცელების არეალია ცენტრ. კავკასია. საქართველო არეალის უკიდურესი ჩრდ. საზღვარია, სადაც გვხვდება ლოკალურად და იშვიათად. ტიპური ადგილსამყოფელია აღმ. საქართვ. არიდული რ-ნები, მთისწინეთის ქსეროფიტები, ნათელი ტყეები და მშრალი სტეპები, ზ. დ. 300–500 *მ*-იდან – 1800–1900 *მ*-მდე.

ლ. ც-ს ფრთების შლილი – 22–26 *მმ*, საერთო ფონი – მუქი მურა. უკანა ფრთები თავდება პატარა ,,კუდით‘‘. ფრთების უკანა მხარე მურაა, მოვერცხლისფრო ანარეკლით, თეთრი ვიწრო არშიით და პარალელურად განლაგებული თეთრარშიიანი შავი თვალაკებით. წელიწადში იძლევა ერთ თაობას. ფრენს დღისით, მაისიდან ივნისის ჩათვლით, მთებში – ივლის-აგვისტოში (ლაგოდეხი). კვერცხდება და მატლების კვება მიმდინარეობს გლერძაზე (Astragalus). ზამთრობს ჭუპრი.

ე. დიდმანიძე.

ლედეშდვი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – ცალგმილის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3826 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. ახასიათებს ნივალური ლანდშაფტი.

ლედვალი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, ცალგმილის ქედზე. იხ. *ლადევალი*.

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (დაახლ. 1652–56 – 1709, ირანი), ქართლის მეფე ვახტანგ V-ის შვილი, ვახტანგ VI-ის მამა. ძმის, გიორგი XI-ის ირანში გაწვევის დროს, 1676–77 და 1703–04 იყო ქართლის გამგებელი (ჯანიშინი). 1688 ირანში გაიწვიეს, გაამაჰმადიანეს და შაჰ ყული-ხანი უწოდეს. დაინიშნა ქირმანის ნაიბად. შაჰის დავალებით ხელმძღვანელობდა ბელუჯების წინააღმდეგ ბრძოლას. შემდეგ ირანის მდივანბეგობაც მიიღო. ლ. ბ. მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს, იყო ს.-ს. ორბელიანის მიერ ქარ-

თული ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი ხელშემწყობი. მას შეუდგენია ,,ვედრება'' იოანე ნათლისმცემლის, პეტრე-პავლესა და სხვ. წმინდანებისადმი.

ლ. ბ-მა ერეკლე I-ის მიერ სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნილი ქართლის მართვა-გამგეობა კვლავ ქართულ ყაიდაზე მოაწყო და 1704 წ. 26 სექტ. ჯანიშინობა გადააბარა თავის ვაჟს – ვახტანგს, თავად კი შაჰის ბრძანებით სპარსეთში გაემგზავრა, სადაც გარდაიცვალა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ქავთარია მ., ლევანი – ქართლის ჯანიშინი, ,,საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე'', 1960, ტ. 25, №4; ჯავახიშვილი ნ., ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის, ,,საქართველოს ისტო+რიის ინსტიტუტის შრომები'', 2020, [ტ.] 16.

მ. ქავთარია. შ. ხანთაძე,

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1728 – 23. VII. 1763), ბაქარის ძე. ქართული კულტურის მოღვაწე. სწავლობდა მოსკ. უნ-ტში, ფლობდა ლათ., ფრანგ., გერმ. და რუს. ენებს. მაიორის ჩინით მსახურობდა იზმაილის პოლკში. მისი მთავარი ნაშრომია ,,მსოფლიო ისტორია'' (მსოფლიო ისტორიის პირველი ქართ. სახელმძღვანელო), რ-შიც 50-მდე ხალხისა და ქვეყნის ისტორია არის მოცემული. ზოგიერთი მკვლევარი მას ლ. ბ-ის ორიგინ. ნაშრომად მიიჩნევს. მასვე მიეწერება რამდენიმე ლექსი და ,,მითოლოგიის'' წიგნის ავტორობა.

წყარო და *ლიტ.*: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა კოლექცია S, ტ. 1, თბ., 1959; ჭყონია თ., გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ,,ლიტერატურული ძიებანი'', 1948, [ტ.] 4; Князья Царство Грузинского, წგ.: Дворянские роды Россиискои империи, т. 4, М., 1998; Саитов В. И., Московский некрополь, т. 2, СПб., 1908.

თ. რუხაძე.

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (II. 1756, თბილისი, – II. 1781, ვეჟინი), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის ძე. აღიზარდა სამეფო კარზე, სადაც მის ირგვლივ შემოკრებილი იყვნენ რჩეული ახალგაზრდები, მ. შ. პოეტი ბესიკი და დავით რექტორი. ამ ახალგაზრდებისგან შემდეგში შედგა ლ. ბ-ის რაზმი (2000 კაცამდე), რ-მაც მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი. ლ. ბ. სახელმწ. საქმეებში ჭაბუკობიდანვე ჩაება. 1770 მან თავის უფროს ძმასთან – გიორგისთან ერთად მეფის წინააღმდეგ ამბოხებულ ქსნის ერისთავ გიორგის დასამორჩილებლად გაილაშქრა, რასაც შემდეგში ქსნის საერისთავოს გაუქმება მოჰყვა. ლ. ბ. ანტონ I-თან ერთად გაგზავნეს რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების სათხოვნელად. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან რუსეთი მოერიდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას. ამავე წლებში ლ. ბ-მა ცოლად შეირთო ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ასული.

ლ. ბ-ის ნიჭი და უნარი მთელი ძალით გამომჟღავნდა მორიგე ჯარის ხელმძღვანელობისას (1774-იდან). მისი თაოსნობით აილაგმა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში – ლეკები დაამარცხა სოფ. ჭალასთან, მისაქციელთან, ავჭალასთან და სხვ. ადგილებში. ერეკლე II-მ მორიგე ჯარის საშუალებით დათრგუნა ფეოდ. ოპოზიციაც, ამიტომ, რეაქციონერი თავადები საბოტაჟს უწყობდნენ მას. ვარაუდობენ, რომ ამ საბოტაჟს ემსხვერპლა ლ. ბ-ც, რ-იც 1781, ვეჟინში ყოფნისას, ფრიად გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. მის სიკვდილს დიდი მწუხარებით გამოეხმაურნენ ბესიკი (ოდა ,,სამძიმარი''), დავით რექტორი (,,ლეონისათვის თქმული ათნი სიტყვანი იამბიკოდან''), აზერბაიჯანელი პოეტები ვაგიფი და ვიდადი. მასვე ეძღვნება მრავალი ხალხური ლექსი. ლ. ბ-ს მიეწერება რამდენიმე სამიჯნურო და ეპისტოლური ლექსი.

ლიტ.: ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 2020.

შ. ხანთაძე.

ლევან გურიელი, გურიის მთავარი 1712–13, მამია III გურიელის ძე. იმერეთის მეფისა და ახალციხის ფაშის დახმარებით სამთავრო ტახტი წაართვა ძმას, გიორგი IV გურიელს, რასაც შინაომი მოჰყვა. ნაკაშიძეები, მაჭუტაძეები და თავდგირიძეები ლ. გ-ს ეხმარებოდნენ, რაჭის ერისთავი კი – გიორგი IV გურიელს. 1713 გიორგი IV გურიელმა დაიბრუნა სამთავრო ტახტი.

ლევან I დადიანი, ოდიშის მთავარი 1533–72, მამია III დადიანის ძე. თავდაპირველად ლ. I დ. ცნობდა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის უზენაესობას და ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდა, თუმცა, ამავე დროს, სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. 1548 ბაგრატ III-მ ლ. I დ. სადარბაზოდ მიიწვია, დააპატიმრა და გამოამწყვდია გელათის სამრეკლოში, საიდანაც იგი სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო III-ის ხელშეწყობით სამცხეში გაიპარა, შემდეგ კი როსტომ გურიელის დახმარებით სამთავრო ტახტი დაიბრუნა. 1557 ლ. I დ-ს იმერეთის მეფე ბაგრატ III და გიორგი II გურიელი დაუპირისპირდნენ. იგი იძულებული გახდა სტამბოლში გამგზავრებულიყო. ოსმალეთის ხელისუფლებამ ცნო ოდიშის დამოუკიდებლობა და ლ. I. დ-მა ხელმწიფის ტიტული მიიღო. იგი ოსმალთა დახმარებით გურიის მთავარს შეურიგდა. მათ ჭილაძეების სამფლობელო დაიპყრეს და გაინაწილეს.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

ლევან II დადიანი, ოდიშის მთავარი 1611–57, მანუჩარ I დადიანის ძე. 1611–20 მისი მცირეწლოვანების გამო სამთავროს მართავდა ბიძა, რეგენტი გიორგი ლიპარტიანი. 1615 თურქებმა ხარკის მიცემა აიძულეს ოდიშის სამთავროს. 1620 შუა ხანებში მთავრის უფლებები ხელში აიღო ლევან დადიანმა, 1621 დაუკავშირდა გურიისა და აფხ. მთავრებს და დაუპირისპირდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს, რ-იც დაამარცხა (იხ. *გოჭურის ბრძოლა 1623*). მომდევნო წლებში იგი ხშირად ესხმოდა თავს აფხ. სამთავროს. 1625 ტახტიდან ჩამოაგდო გურიის მთავარი სიმონი და მის ნაცვლად მთავრად აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია გურიელი დასვა. ამის შემდეგ, სიკვდილამდე, გურიის სამთავრო ფაქტობრივად მას ემორჩილებოდა. 1630 ახლო ხანაში ლ. II დ-მა გარკვეულწილად გააუმჯობესა ურთიერთობა იმერეთის სამეფოსთან. 1633 ქართლის მეფე როსტომს, რ-იც ირანელთა მიერ ქართლის ვალად იყო დანიშნული, დაუკავშირდა და მას თავისი და, სიმონ გურიელის ცოლყოფილი მარიამი მიათხოვა. ამ აქტით მან კავშირი გააბა ირანთან, საიდანაც ყოველწლიურ ჯამაგირს, 1000



ლევან II დადიანი. კასტელის ალბომიდან.

თუმანს იღებდა. იმერეთის მეფე გიორგი III შეეცადა ხელი შეეშალა ამ ქორწინებისათვის, მაგრამ ბაღდადთან დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. მეფის გამოსასყიდში ლ. II დ-ს გადაეცა ტერიტორია მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირსა და მდ. რიონს შორის, ქ. ჩხარის ვაჭარ-ხელოსნები (ისინი აყარა და რუხში გადაასახლა), აგრეთვე დიდძალი ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები. ამის შემდეგ ლ. II დ. შეეცადა თავისი ხელისუფლების ქვეშ მოექცია მთელი დას. საქართველო. მან არაერთგზის წარმატებით ილაშქრა იმერეთში, ხელში ჩაიგდო მეფე ალექსანდრე III-ის შვილი და ძმა, მაგრამ იმერეთის სამეფო ვერ დაიმორჩილა, ვერც აფხ. სამთავრო შემოიერთა. ლ. II დ-ის ბრძოლა დას. საქართველოს გაერთიანებისათვის ქვეყნის გაჩანაგების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. 1636 ლ. II დ. შეეცადა ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთთან და ელჩობა გაგზავნა მოსკოვს (იხ. *გეგენავას ელჩობა რუსეთში*). ამის პასუხად 1639–40 ოდიშის სამთავროს *ელჩინისა და ზახარიევის ელჩობა* ეწვია, თუმცა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

ლ. II დ-ს კარგად ესმოდა ქვეყნის ევრ. გარდაქმნის აუცილებლობა; იგი ოდიშის სამთავროში იწვევდა ევრ. ვაჭრებსა და ხელოსნებს; რუხი ქალაქად აქცია და იქ ზარაფხანა გახსნა; ცდილობდა ირანული აბრეშუმი საქართვ. გზით გასულიყო ევროპაში; შეაკეთა და ააგო მრავალი ციხესიმაგრე და ეკლესია-მონასტერი; ეკლესიებს უხვად შესწირა ოქრო-ვერცხლი და ხატები, რ-თა ჩარჩოებზე დაწვრილებითაა აღწერილი მისი თავდასხმები მეზობელ სამფლობელოებზე. აფხ. ფეოდალების თავდასხმების შესაჩერებლად კი *კელასურის კედელი* ააგო. მფარველობდა კულტურას, ოდიშის სამთავროში არსებულ საოქრომჭედლო სახელოსნოში ქართვ. ოსტატები მუშაობდნენ. ლ. II დ-ის კარზე გადაიწერა ,,ვეფხისტყაოსნის'' დღემდე შემორჩენილი უძველესი დათარიღებული ხელნაწერი (იხ. *თავაქარაშვილი მამუკა*).

წყარო და ლიტ.: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თარგმ. იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938; ხუსკივაძე ლ., ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974, იხ. აგრეთვე სტ-თან ლევან I დადიანი.

თ. ბერაძე.

ლევან III დადიანი, ოდიშის მთავარი 1661–80, ლევან II დადიანის ძმის, იესეს ძე. თავდაპირველად შამადავლე ერქვა. ტახტზე ავიდა ქართლის მეფე ვახტანგ V-ის დახმარებით და თავისი ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ის ძმისწული *თამარი*. 1663 ლ. III დ. თავს დაესხა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს, მაგრამ დამარცხდა. ბაგრატ IV-მ მას წაართვა მეუღლე და თვითონ შეირთო, ლევანს კი ცოლად შერთო თავისი და, თინათინი. ეს ფაქტი გახდა მათ შორის შეურიგებელი ბრძოლის მიზეზი. 1672 ოდიშის სამთავროს შეესივნენ ოსმალები, რ-ებიც მიზნად ისახავდნენ ტახტიდან ლ. III დ-ის ჩამოგდებას და მთავრად თავიანთი კაცის დასმას. ლ. III დ. რუხის ციხეში ჩაიკეტა, რ-ის აღება ოსმალებმა ვერ მოახერხეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

ლევან IV დადიანი (გ. 1694), ოდიშის მთავარი 1683–91, ლევან III დადიანის უკანონო შვილი. ტახტზე აიყვანა ოდიშის ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი ლიპარტიანმა (იხ. *გიორგი IV დადიანი*), რ-იც შემდგომში მუდმივად ავიწროებდა მას. ამიტომ ლ. IV დ. იძულებული გახდა 1691 ოსმალეთში გაქცულიყო, სადაც გარდაიცვალა. ლ. IV დ. იყო დადიანთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი ოდიშის სამთავრო ტახტზე. მის შემდეგ დადიანობა გადავიდა ჩიქვანთა (ჩიქოვანთა) საგვარეულოს ხელში.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან ლევან III დადიანი.

თ. ბერაძე.

ლევან V დადიანი (1791–30. VII. 1846), ოდიშის მთავარი 1805–40, გრიგოლ დადიანის ძე. მამის გარდაცვალების დროს მძევლად ჰყავდა აფხ. მთავარ ქელეშბეი შარვაშიძეს, რ-ისგანაც მისი გათავისუფლება 1805 გაზაფხულამდე ვერ მოხერხდა. თავდაპირველად ლ. V დ-ის მცირეწლოვანების გამო ოდიშის სამთავროს 4 წევრისგან შემდგარი საბჭოს დახმარებით განაგებდა დედამისი, დედოფალი ნინო (1805–10); 1811-იდან ლ. V დ. უშუალოდ შეუდგა სამთავროს მართვა-გამგეობას. იგი თავს ,,რუსეთის ერთგულ ჯარისკაცს'' უწოდებდა და აქტიურად მონაწილეობდა რუს. ხელისუფლების მიერ დას. საქართველოში მოწყობილ სამხ. ექსპედიციებში, კერძოდ, ფოთის აღებაში (1809), იმერეთის სამეფოს დამორჩილებაში (1810), იმერეთისა და გურიის აჯანყების ჩახშობაში (1819–20). ასევე დაეხმარა მეფის რუსეთს აფხ. სამთავროში რუს. ხელისუფლების განმტკიცებაში. შეიპყრო და რუს. მთავრობას გადასცა ძმა გრიგოლი, რ-იც მათ წინააღმდეგ აჯანყებულ მეგრელებს ხელმძღვანელობდა. 1813 ლ. V დ-მა შემოიერთა სამურზაყანო, რ-საც 1840-მდე მართავდა. მის დროს, 1830, ოდიშის სამთავროში დაარსდა პირველი სასწავლებელი – მარტვილის სას. სასწავლებელი. 1840 მან უარი თქვა სამთავრო ტახტზე თავისი შვილის, დავითის სასარგებლოდ, თუმცა მთავრის ტიტულს სიკვდილამდე ატარებდა.

ლიტ.: დადიანი ნ., საქართველოს ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; დუმბაძე მ., საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში., თბ., 1957; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

ლევანი (გ. 1590), იმერეთის მეფე 1583–90, გიორგი II-ის ძე. მცირეწლოვან მეფეს ტახტს ეცილებოდა ბიძამისი, კონსტანტინე ბატონიშვილი. ლ. კონსტანტინეს წინააღმდეგ დაუკავშირდა ოდიშის მთავარს – მამია IV დადიანს. ამ კავშირის განსამტკიცებლად მან ცოლად შეირთო მამიას და მარეხი. 1587 ლ-მა დადიანის დახმარებით ზემო იმერეთში ილაშქრა, დაამარცხა კონსტანტინე და მას მითვისებული ტერიტორიები (არგვეთი, სკანდა, კაცხი და სხვ.) ჩამოართვა. ლ. მალე მოურიგდა ბატონიშვილს და საუფლისწულო გამოუყო იმერეთში. შემდეგში ქართლის მეფე სიმონ I შეეცადა ესარგებლა დას. საქართველოში დაწყებული შინაომებით და დაეპირა მისი შემოერთება ან იქ თავისი გავლენის განმტკიცება. მას მხარს უჭერდნენ ზემო იმერეთის თავადებიც. ამ ფაქტით წაქეზებულმა ქართლის მეფემ 1588 იმერეთში ილაშქრა. ლ-მა დახმარება სთხოვა დადიანსა და გურიელს, მაგრამ ისინი მეფეს არ მიეშველნენ. გოფანთოს ბრძოლაში ლ. დამარცხდა და ლეჩხუმში გაიქცა. სიმონმა იმერეთი დაიპყრო და ქართლში დაბრუნდა, რადგან მის სამეფოს ოსმალთაგან საფრთხე ელოდა. შექმნილი ვითარებით

ისარგებლა ლ-მა და იმერეთში თავისი ხელისუფლება აღადგინა. ამის შემდეგ მეფესა და მამია IV დადიანს შორის ურთიერთობა უფრო გამწვავდა. 1590 ქუთაისში მომხდარ ბრძოლაში ლ. ტყვედ ჩაუვარდა დადიანს, რ-მაც იგი შხეფის ციხეში გამოკეტა, სადაც მალევე გარდაიცვალა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: დადიანი ნ., საქართველოს ცხოვრება, თბ., 1962; კაკაბაძე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ო. სოსელია.

ლევანი (1504/06–1574), კახეთის მეფე 1518/20–1574, გიორგი II-ის (ავგიორგის) ძე. 1513, როცა ქართლის მეფე დავით X-მ კახეთი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა, მცირეწლოვანი ლ. მისმა მომხრე კახელმა თავადებმა გახიზნეს. მათ ისარგებლეს 1518 ქართლში შაჰ-ისმაილ I-ის ლაშქრობით და ლ. კახეთის მეფედ გამოაცხადეს. 1520 ლ-მა დაამარცხა კახეთში შეჭრილი დავით X-ის ლაშქარი. ამის შემდეგ ქართლისა და კახეთის მეფეები დაზავდნენ და ცნეს კახეთის ქართლისაგან გამოყოფა. ლ. ირანის ვასალი იყო და მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად შაჰისადმი ერთგულების პოლიტიკას ატარებდა. 1551 ის დაეხმარა შაჰ-თამაზ I-ს შაქის დამორჩილებაში. ირანსა და ოსმალეთს შორის ამასიის ზავის (1555) დადების შემდეგ შაჰს აღარ აკმაყოფილებდა კახეთის შედარებით მსუბუქი ვასალური ვალდებულებები. ამით უკმაყოფილო ლ. შეეცადა რუსეთისაგან დახმარების მიღებას და 1563 ელჩები გაგზავნა მოსკოვში ივანე IV-სთან, რის შემდეგაც კახეთში ჩამოვიდა რუს მეთოფეთა რაზმი, რ-იც მეფემ სასაზღვრო ციხესიმაგრეებში ჩააყენა. ოსმალეთისა და ირანის პროტესტის გამო ლ. იძულებული გახდა ეს რაზმი მალევე დაეთხოვა. ლ-ის დროს კახეთში მტრის შემოსევები არ ყოფილა. მან დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქვეყანა ეკონომიკურად მოძლიერდა, დაწინაურდნენ ახალი ქალაქები – ბაზარი და გრემი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გუჩუა ვ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 4, თბ., 1996.

ვ. გუჩუა.

ლევანის ტბა, გაუდინარი მყინვარული ტბა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის მთიანეთში, სამსრის ქედზე. წყლის სარკის ფართ. – 0,06 $კმ^2$, აუზის ფართ. – 1,38 $კმ^2$, უდიდესი სიღრმე – 2,8 *მ*, მოცულობა – 1,12 მლნ. $მ^3$. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. მაღალი დონე აქვს ზაფხულში, დაბალი – ზამთარში. წყალი სუსტად მინერალიზირებული, სუფთა და გამჭვირვალეა.

ლევაშოვ-თუმანიშვილი გიორგი ვადიმის ძე (30. X. 1943, თბილისი, – 5. I. 2023, იქვე), კინორეჟისორი, სცენარისტი, მხატვარი, პროდიუსერი. დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1963), თბილ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტის თეატრ.-დეკორაციული ხელოვნ. განყ-ბა (1970) და შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის კინოფაკულტეტი (ლ. ღოღობერიძის სახელოსნო, 1979). კინოში მუშაობა დაიწყო როგორც მხატვარმა („რესტავრატორები“, 1968; „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1968). საქართვ. სატელევიზიო ფილმების სტუდიაში გადაიღო მხატვრული ფილმები: „მოლანდება“ (შ. მარტაშვილთან ერთად, 1975), „საფეხურები“ (მ/მ, 1979), „ათოვდა ზამთრის ბალებს“ (1984); დოკუმენტური ფილმები: „პრემიერა“ (1977), „მე, ლუბა ნიჟარაძე“ (1978), „ექსპერიმენტი“ (1979; სახელმწ. პრემია, „ხუთწლედის მატიანე“, 1980), „ბიჭვინთა“ (ჯ. ებრალიძესთან ერთად, 1980), „რექტორი“ (1981), „ალჟირის კონგრესი“ (1984), „33 საუკუნის შემდეგ“ (დ. შალიკაშვილთან და თ. ჩიხლაძესთან ერთად, 1985), „გამჭოლი მოქმედება“ (1985), „მთვარის გლობუსი“ (მ. ანთაძესთან ერთად, 1987; სატელევიზიო ფილმების საკავშ. კინოფესტივალის ჟიურის პრიზი, 1987; მონტე-კარლოს სატელევიზიო ფესტივალის ბრინჯაოს მედალი, 1988; სატელევიზიო ფილმების საერთაშ. ფესტივალ „ოქროს საწმისის“ II პრიზი, 1988), „კატასტროფა“ (ვ. კვიჟინაძესთან ერთად, 1987). ინგლისის ტელევიზიის IV არხთან თანამშრომლობით გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ვეძებთ მარჯორისა და ოლივერს“ (1990) და მხატვრული ფილმი „ბედიანი“ (1993).




გ. ლევაშოვ-თუმანიშვილი. კადრი ფილმიდან „ათოვდა ზამთრის ბალებს“. მსახიობი ი. ხიზანიშვილი.

მ. კერესელიძე.

ლევახანე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ბანძის თემი). ოდიშის ვაკეზე, მდ. აბაშის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 85 *მ.* მარტვილიდან 15 *კმ.* აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ.* 104 მცხ. (2014).

ლევიე (Levier) ემილ (1839, ბერნი, – 1911, ფლორენცია), იტალიელი ბოტანიკოსი. 1890 წ. II ნახში ცნობილ ბუნებისმეტყველ სტეფანე სომიესთან ერთად, ადგილობრივი ფლორის შესწავლის მიზნით იმოგზაურა კავკასიაში. ლ-მ მოიარა აჭარა, იმერეთი, აფხაზეთი, სვანეთი; კოდორის ხეობით გადავიდა ჩრდ. კავკასიაში, საიდანაც საქართვ. სამხ. გზით ჩავიდა თბილისში, შემდეგ დაბრუნდა ბათუმში. მოგზაურობისას ლ-მ აღმოაჩინა ბოტანიკოსებისთვის მანამდე უცნობი მრავალი მცენარე. მან აგრეთვე შეაგროვა მდიდარი ეთნოგრ. და ანთროპოლოგიური მასალა, მ. შ. ბათუმისა და თბილისის აღწერილობა. თბილისის შესახებ იგი წერს: „მაღლიდან ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია. ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულს პარიჟსა-მეთქი ... ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილისს არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუსის ოფიცრებს, გლეხებს, ქალებს პარიზის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ და სხვა ... ყველაზე უფრო ხშირად ქართველებს ვხვდებით ჩერქეზული ტანისამოსით მორ-



გ. ლევაშოვ-თუმანიშვილი.

თულებს, წელზე რომ ხანჯალი არ ეკიდოთ, ბერები გეგონებათ“. ლ-ს ჩანაწერები ექსპედიციის დაწყებისთანავე ქვეყნდებოდა შვეიცარიულ ჟურნ. „Biblioteque Universalle“-ში, რამაც კიდევ უფრო გააღვივა ევროპელთა დაინტერესება საქართველოს ისტორიითა და კულტურით. ლ-ს წერილების ნაწილი მალევე გამოიცა ქართულ ენაზე (1894).

ლიტ.: ჭეიშვილი ა., მარგველაშვილი ა., ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში, თბ., 2020.

გ. ჩიბჩალაძე.

ლევილი-სიურ-ორჟი (Leuville-sur-Orde), ფრანგული სოფელი სენისა და უაზის დეპარტამენტში, მდებარეობს პარიზის სამხრ-ით 37 *კმ*-ზე (ფართობი 45 ათ. *მ*^{2}). 1922 ზაფხულში საფრანგეთში დევნილობაში მყოფმა საქართვ. ეროვნ. მთავრობამ საქართვ, დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის ფულით (84 ათ. ფრანკად) ნ. ჯაყელისა და ბ. ჩხიკვიშვილის სახელზე ამ სოფელში შეიძინა 4 *ჰა* მიწა, ორსართულიანი სახლი (ჟ. ფერის ქუჩაზე №10) ე. წ. შატო, რ-იც რუსული ოკუპაციისაგან გათავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრება გახდებოდა. ლ. სამართავად გადაეცა სამოქალაქო საზ-ბას „ქართულ კერას“ (უძრავი ქონების მმართველი საზ-ბა, დაარსდა 1926 წ. 6 ნოემბერს). ლ. იქცა პატარა ქართულ კერად და კოლონიად. „შატოს“ გარშემო გაშენდა ქართველთა კუთვნილი რამდენიმე სახლი და ბაღ-ვენახი. იქვე მდებარეობს ქართული სასაფლაო, სადაც დაკრძალული არიან გამოჩენილი ქართვ. მწერლები, პოლიტ. და საზ. მოღვაწეები (გ. რობაქიძე, ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი, ა. პაპავა და სხვ.). 1922–44 შატოში ცხოვრობდა ე. თაყაიშვილი, იქვე ინახებოდა საქართველოდან 1921 ევაკუირებული განძეულის ერთი ნაწილი, მ. შ. ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან გატანილი სურათები, რ-ებიც ამჟამად საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმშია დაცული. 1986 წ. 29 ნოემბერს ლ-ის ქართული მამულის ასოციაციის ადმინისტრაციამ „ლევილობის“ – ლ-ის შატოს დაარსების დღის (14. VI. 1922) – აღნიშვნის (ყოველი წლის ივნისის ბოლო კვირა) შესახებ დადგენილება მიიღო. პირველი „ლევილობა“ ჩატარდა 1987 წ. 28 ივნისს ლ-ის ქართული მამულის სამოცდაზუთ წლისთავთან დაკავშირებით, რ-საც დაესწრო ორმოცდაათამდე ქართველი და ფრანგი სტუმარი, ლ-ის მერი და ლ-ის ეკლესიის მოძღვარი. 1993 პარიზში საქართვ. კულტურის დღეების დროს ქართვ. საზ-ბის ჯგუფის (იუსტ. მინისტრი კ. კემულარია, თსუ-ის რექტ. რ. მეტრეველი, სდპ-ის თავრე გ. მუჩაიძე, რეჟ. რ. ჩხეიძე) „ქართული კერის“ წევრებთან (ნ. ნ. ჟორდანია, აკ. რამიშვილი) შეხვედრის დროს კვლავ დაისვა ლ-ის მამულის საკითხი (მანამდე 1958 „ქართული კერის“ კრებამ მიიღო დადგენილება ლ-ის თსუ-სათვის გადაცემის თაობაზე 1928 წ. 30 აპრილს შედგენილი ანდერძის მიხედვით). მიიღეს კომუნიკე, სადაც კვლავ ხაზგასმით აღინიშნა ლ-ის მამულის თსუ-სადმი გადაცემის შესაძლებლობა გარკვეული პირობებით. საკითხის გადაწყვეტა რთული გამოდგა (განსაკუთრებით ფრანგული კანონმდებლობიდან გამომდინარე).



ლევილის შატო.

2016 წ. 23 სექტ. მრავალი მცდელობის შემდეგ, გაფორმდა მემორანდუმი საქართვ. მთავრობის წარმომადგენელსა და საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობის წევრთა ოჯახების შთამომავლებს შორის „ლევილის შატოს, მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადაცემის შესახებ“. სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებაში შატოს ტერიტ-ზე გათვალისწინებულია პირველი რესპუბლიკის, ასევე ვილა მედიჩის მსგავსი აკადემიის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს შატოს რესტავრაცია.

ლიტ.: ლევილობა, „მებრძოლი საქართველო“, 1987 ოქტ. №4 (22) პარიზი; მეტრეველი რ., ბედი ლევილის მამულისა, ანდრია პირველწოდებულის სახ. უნ-ტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკ-ტის შრომები, თბ., 2017; ჟორდანია გ., დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983; სურგულაძე ა., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977.

გ. ჟორდანია.

ლევიტანა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (ბოშურის თემი). მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ტანის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ზემო დინებაში. ზ.დ. 1560 *მ,* გორიდან 40 *კმ.* 110 მცხ. (2014).

ლეზგარა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ცხუმარის თემი), სვანეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1380 *მ,* მესტიიდან 19 *კმ.* 41 მცხ. (2014).

ლეზგიური ენა, იბერიულ-კავკასიური ენათა დაღესტნის ჯგუფის ახალდამწერლობიანი ენა. გავრცელებულია დაღესტნის სამხრ.-აღმ. ნაწილში – კასუმქენთის, მაჰარამქენთის, ქურახის, ნაწილობრივ ხივისა და რუთულის რ-ნებში, აგრეთვე ჩრდ. აზერბაიჯანის გუსარის, ყუბისა და ხუდათის რ-ნების ზოგიერთ სოფელში. აქვს 3 ძირითადი დიალექტი – კიურიული, ახტისა და ყუბის (დიალექტებში გამოიყოფა კილოკავები). ლ. ე-ში ხმოვანთა სისტემა მარტივია – ა, ე, ი, უ, ა, უ, ახტის დიალექტში არის ~ Ü, ო გვხვდება მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ სიტყვებში. თანხმოვნებში გამოიყოფა სონორებისა და ჩქამიერების კლასები. ჩქამიერებში

დასტურდება ოთხეულთა სისტემა – მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი და პრერუპტივი (არაფშვინვიერი ყრუ). აფრიკატების რიგში აკლია ძ, ჯ (გვხვდება მხოლოდ ზოგიერთ თქმაში). მახვილი მოუდის მე-2 მარცვალს სიტყვის დასაწყისიდან. გრამატ. კლასების სისტემა დაკარგულია, დაცულია მხოლოდ ცალკეული ექსპონატები, გადმონაშთების სახით, როგორც სახელებში, ისე ზმნებში. ბრუნების სისტემა განვითარებულია. ძირითად ბრუნვებთან (სახ., ერგატიული, ნათ., მიც.) ერთად არის ადგილობითი ბრუნვების რამდენიმე სერია (14 ბრუნვა). ბრუნებისას გატარებულია ორფუძიანობის პრინციპი – ბრუნება ემყარება ერგატივის ფორმას. თვლის სისტემა ოცობითია. იმის მიუხედავად, რომ ზმნას გრამატიკული კლასისა და პირის კატეგორიები არა აქვს, იგი მდიდარია როგორც ორგანული, ისე აღწერითი წარმოების ფორმებით. ზმნას აქვს დრო-კილოს, მიმღეობისა და კაუზატივის კატეგორიები, ბრძანებითი, პირობითი, კითხვითი და უარყოფითი ფორმები. გვარი დიფერენცირებული არ არის. გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები (ლექსიკურად და სემანტიკურად). გარდამავალი ზმნისათვის დამახასიათებელია ერგატიული კონსტრუქცია, სალიტ. ლ. ე-ს საფუძვლად უდევს კიურიული დიალექტი. დამწერლობა შეიქმნა 1928.

ლიტ.: თეთრაძე მ., ლეზგიურ აფიქსთა შემადგენლობა და ფონეტიკური თავისებურებანი, ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 2019, ტ. 47; თოფურია გ., ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები (კიურიული და ახტის დიალექტების მონაცემთა მიხედვით), თბ., 1959; ლოლუა რ., არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება ლეზგურ ენაში, ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 2020, ტ. 48; Гаджиев М. М., Синтаксис лезгинского языка, ч. 1–2, Махачкала, 1954–63; Гайдаров Р. И., Лексика лезгинского языка, Махачкала, 1966; Гюльмагомедов А. Г., Саадиев Ш. М., Библиография по лезгинскому языкознанию, Махачкала, 1972; Услар П. К., Этнография Кавказа. Языкознание, [т.], 6 – Кюрийский язык, Тфл., 1896.

გ. თოფურია.

ლეზგიური ენები, იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნის (რფ) ჯგუფის ერთ-ერთი ქვეჯგუფი. მოიცავს ლეზგიურ, თაბასარანულ, აღულურ, წახურ, რუთულურ, უდიურ, არჩიბულ, კრიწულ, ბედუხურ და ჰინალუღურ ენებს. ბოლო 3 ენა გავრცელებულია აზერბ. ტერიტორიაზე და ერთიანდება ე. წ. შაჰდაღის ენათა ქვეჯგუფში. აზერბაიჯანშია გავრცელებული ძირითადად უდიური ენაც (სოფ. ნიჯსა და ვართაშენში). სხვა ლ. ე. გავრცელებულია დაღესტნის კასუმქენთის, ახტის, ქურახის, აღულის, თაბასარანის, ხივის, რუთულისა და სხვ. რ-ნებში. ყველაზე მეტი თავისებურებით გამოირჩევა ჰინალუღური და არჩიბული ენები, რ-თაც განცალკევებული ადგილი უკავიათ ლ. ე-ს შორის. ლ. ე-დან დამწერლობა აქვს მხოლოდ ლეზგიურსა (1928) და თაბასარანულ (1931-იდან) ენებს.

ლიტ.: თოფურია გ., სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისათვის ლეზგიურ ენებში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1973, ტ. 18; კახაძე ო., არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის, თბ., 1979; ჯეირანიშვილი ე., კითხვითი ნაცვალსახელები ლეზგიური (კიურიული) ჯგუფის ენებში, ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 1955, ტ. 7; Бокарев Е. А., Лезгинские языки, წგ.: Языки народов СССР, т. 4., 1967; Талибов Б. Б., Место хиналугского языка в системе языков лезгинской группы, «Ученые записки Инта ист., яз., и лит-ры Даг. филиала АН СССР» 1960, т. 7.

გ. თოფურია.

ლეთა, უელელტეხილი ჯვავის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედზე, მდ-ების – ჯეჯორისა (რიონის მარცხ. შენაკადი) და ფაწის (დიდი ლიახვის მარჯვ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3001 *მ.* უელელტეხილის მიდამო შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. აკავშირებს სოფლებს – ყემულთასა და ლეთს.


ლეთეთი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქარელის მუნიციპალიტეტში (ბებნისის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 860 *მ,* ქარელიდან 3 *კმ.* 190 მცხ. (2014).

ლეთი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (კიროვის თემი), ოსეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1880 *მ.* ჯვავიდან 47 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეთკანთი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ჯგალის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ-ების – ხობისა და ჭანისწყლის შუამდინარეთში, ზ. დ. 300 *მ.* წალენჯიხიდან 12 *კმ,* ზუგდიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 35 *კმ.* 252 მცხ. (2014).

ლეიაშვილი პაატა რობერტის ძე (დ. 11. III. 1954, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (2002). 1977 დაამთავრა სპი-ის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი. 1977–79 მუშაობდა თბილ. სახეხი ჩარხების ქ-ნასა და თბილ. ჩარხმშენებელ საწარმოო გაერთიანებაში ინჟინერ-ტექნოლოგად, 1982–91 – საკავშ. შრომის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1991–2000 – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინტ-ში უფროს, შემდეგ კი მთ. მეცნ. თანამშრომლად. 1999–2017 პერიოდულად კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. 2002–05 იყო საქართვ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის განყ-ბის გამგე, ამავე ოფისის ხელმძღვანელი, 2005–07 – საქართვ. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. 2015-იდან სოც. და ეკონ. კვლევების ინ-ტის დირექტორია.



ლ. ლეიბენზონი.

ლ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია ეკონ. კვლევების მეთოდოლოგია, მაკროეკონ. თეორია, ეკონომიკური ფასეულობა, ეკონ. რეფორმები და პოლიტიკა.

თხზ.: ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი, თბ., 2017; Экономикс в тисках эмпиризма и догматизма: Причины застоя в экономической науке, Тб., 2013; Economic Activity: Theleological Analysis, N. Y., 2012; Self-regulation of Market Economy: Interdisciplinary Analysis, N. Y., 2015.

ლეიბენზონი ლეონიდ სამუილის ძე [14 (26).VI.1879, ხარკოვი, – 15. III. 1951, მოსკოვი], მეცნიერ-მექანიკოსი. სსრკ-ის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943; წ.-კორ. 1933), ტექ. მეცნ. დოქტორი (1934), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1936), სტალინური პრემიის ლაურეატი (1942). დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1901); იყო ნ. ჟუკოვსკის მოწაფე და თანამშრომელი.

ლ-ის ძირითადი სამეცნ. ინტერესები ეხება აეროჰიდროდინამიკას, დრეკადობის თეორიას, გაზისა და ნავთობის ფილტრაციის თეორიებს. ლ. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. და პედ. მოღვაწეობას რუსეთის წამყვან სამეცნ. ცენტრებში, იყო მეცნიერების ორგანიზატორი.

სხვადასხვა წლებში ლ. მუშაობდა თბილისში, ქალთა უმაღლესი კურსების ექსპერ. ფიზიკის კათედრის გამგედ (1913–14); შეიმუშავა შავი ზღვის პორტებისათ-

ვის ბენზინის რეზერვუარების უსაფრთხო კონსტრუქციები; განსაზღვრა ნავთობის ჭაბურღილების რაციონალური განლაგება. აირჩიეს თბილისის პოლიტექნიკური ინ-ტის პროფესორად (1919); იმავდროულად თსუ-ში კითხულობდა ლექციებს თეორიულ ფიზიკაში. გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები ,,მასალათა გამძლეობა“ და ,,თეორიული მექანიკა“; მონაწილეობდა ბაქო– თბილისის ნავთობსადენის დაპროექტებასა და აშენებაში.

ლ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი.

ლიტ.: Боголюбов А. Н., Канделаки Т. Л., Леонид Самуилович Лейбензон, 1879–1951, М., 1991.



ლეკა.

„ლეილა“, ქართული ლიტერატურული კრებული; გამოდიოდა თბილისში 1917 (№1), 1920 (№2), 1924 (№3), რედ. – ი. გრიშაშვილი, გამომცემელი – *მ.* ციციშვილი. კრებულში გამოქვეყნებულია ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის, კ. მაყაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, პ. იაშვილის, მარიჯანის, გ. გვაზავას, ს. შანშიაშვილის, კ. ჭიჭინაძის, ს. ფაშალიშვილის, ი. მოსაშვილის და სხვ. პოეტების ლექსები; გ. ქიქოძის, ლ. ქიაჩელის, ნ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის, დ. შენგელაიას ნოველები; კ. კაპანელის, ი. გომართელის, ვ. კოტეტიშვილის, ი. გრიშაშვილის წერილები, რეცენზიები და სხვ.

ი. ლორთქიფანიძე.

„ლეილი და მაჯნუნი“, არაბული ლეგენდა ამირის ტომის პოეტის, კაისისა, და ლეილის ტრაგიკული სიყვარულის შესახებ. სიყვარულით გახელებულ კაისს მაჯნუნი (შმაგი, შთაგონებული, შდრ. ქართ. მიჯნური) შეარქვეს. არაბ. ფოლკლორულ და, განსაკუთრებით, მწიგნობრულ წყაროებში VII–XI სს-ში შეიქმნა ამ სიყვარულის ამსახველი ეპიზოდების მთელი ციკლი (ბავშვობაში გამიჯნურება, მშობლების უარი, უდაბნოში გაჭრა, მეგობრის დახმარება და ა. შ.). პირველად ლიტერატურულად ეს ლეგენდა ნიზამი განჯევიმ დაამუშავა 1188. სპარსულ ენაზე დაწერილ რომანული ჟანრის ვრცელ პოემას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა – როგორც საკუთრივ სპარს., ისე – თურქ. და სხვა აღმ. ლიტ-რაში (ხოსროვ დეჰლევი, ჯამი, ნავოი, ფუზული). ქართულად ეს თემა დაამუშავა თეიმურაზ I-მა (,,ლეილმაჯნუნიანი“). ლიტ. ძეგლი ხალხში გავრცელდა ლექსნარევ პროზად გადაკეთებული სახით (,,ლეილისა და მაჯნუნის“ დასთანი).

გამოც.: ნიზამი განჯელი, ლირიკა–ლეილი და მაჯნუნი, თარგმ. და წინასიტყვ. *მ.* თოდუასი, თბ., 1974; ნიზამი განჯელი, ლეილი და მაჯნუნი, სპარსულიდან თარგმნა *მ.* თოდუამ, თბ., 2021.

ლიტ.: მამაცაშვილი მ., თეიმურაზ პირველის ლეილ-მაჯნუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967; სვინტრაძე ნ., ,,ლეილი და მაჯნუნისა“ და ,,ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ურთიერთმიმართებისათვის, ,,ენა და კულტურა“, 2014, №11.

ა. გვახარია.

ლეილიდაღი, ლეგლი, მწვერვალი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ქედზე, საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე. სიმაღლე 3196 *მ.* აგებულია პლიოცენ-მეოთხეული ვულკ. ანდეზიტური და ბაზალტური ლავებით. ახასიათებს ალპ. მდელოს ლანდშაფტი.

ლეირაჟი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოებაზე – ცალგმილის ქედზე. სიმაღლე 3755 *მ.* ლ-ის კალთაზე არის მყინვარები. პირველი ასვლა მოეწყო 1936 ა. ვედენიჩევის, ბ. ბაიზერმანისა და სხვათა მონაწილეობით.

ლეიშმანია (Leishmania), უმარტივესთა გვარი შოლტოსნების კლასისა. მათი მსხლისებრი სხეულის სიგრძე 2–4 *მკმ* აღწევს. იბუდებენ რეტიკულურ-ენდოთელიუმური სისტემის უჯრედებში, ლიმფურ კვანძებში. გადამტანი ცხოველის (მოსკიტის) სხეულში ისინი შოლტიან (ლეპტომონადურ) ფორმად გარდაიქმნებიან და იქვე მრავლდებიან. ლ. იწვევს ლეიშმანიოზს. ცნობილია ლ-ის რამდენიმე სახეობა, რ-თაგან 3 (L. donovani, L. tropica და L. brasiliensis) ადამიანისა და ზოგი ცხოველის (მაგ., ძაღლის) პარაზიტია.

ლეკა, ლეკის ხე (Acer platanoides), ნეკერჩხლის ერთ-ერთი სახეობა. ზაფხულმწვანე ხეა. მისი სიმაღლე 30 *მ,* დიამეტრი კი 1 *მ* აღწევს. აქვს მურა-რუხი ან თითქმის შავი ქერქი, 5–7-ნაკვთიანი კაშკაშა მწვანე ფოთოლი. ნაყოფი კაკლისებრია (ორცალა), ზედ თითქმის ჰორიზონტალურად გაფარჩხული ფრთისებრი დანამატებით („ორფრთიანა“). გავრცელებულია ევრაზიის დას. ნაწილში, სკანდინავიასა და ბალკანეთში.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, შერეულია ყველა ფოთლოვან (განსაკუთრებით მუხნარებში) და წიწვოვან ტყეში, ზ. დ. 2000 *მ*-მდე (ე. ი. მეტწილად სუბალპ. სარტყლამდე). ხარობს ნოყიერ და ტენიან ნიადაგზე, ვერ იტანს მის დამლაშებას და ჩაგუბებულ ტენიანობას. ჩრდილის ამტანია. ყვავილობს მაისში ფოთლის გაშლასთან ერთად. მსხმოიარობს სექტემბერში. სწრაფმზარდია, 50–60 წლისა სრულ სიმაღლეს აღწევს. მოჭრის შემდეგ უხვად ივითარებს ამონაყარს და ამ თვისებას 80 წლამდე ინარჩუნებს. ლამაზი ხეა, შემოდგომით ფოთლები ოქროსფერია ან წითელი. ბაღ-პარკებში მოშენებულია ხეივნებად, ჯგუფებად და ეულად. თაფლოვანია. ფოთლებიდან იღებენ შავ და ყვითელ საღებავს.

მკვრივ, მაგარ, მოყვითალო და ბზინვარე მერქანს სადურგლო და სახარატო საქმეში იყენებენ. არსებობს ლ-ს საბაღე ჯიშის მრავალი სახეობა.

მ. სახოკია.

ლეკაკულე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ჯგალის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჭანისწყლის (ხობის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 240 *მ,* წალენჯიხიდან 6 *კმ,* ზუგდიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ,* 420 მცხ. (2014).

ლეკები, დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდება. ძირითადად იგულისხმებოდნენ დაღესტნის სამხრეთში (საქართვ. მოსაზღვრე ტერიტორიაზე) მცხოვრები დაღესტნელი ტომები.

ლეკეკელე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ბანძის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 100 *მ.* მარტვილიდან 14 *კმ,* აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 22 *კმ.* 269 მცხ. (2014).

ლეკვანტალიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ნაგვაზავოს თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ-ების – ცხენისწყლისა და ნოღელას შორის. ზ. დ. 130 *მ.* მარტვილიდან 8 *კმ,* აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ.* 125 მცხ. (2014).

ლეკვეიშვილი ერნა გრიგოლის ასული (5. XII. 1941, ბორჯომი, – 24. I. 2015, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფ. (2002). 1964 დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი. მუშაობდა პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგ. ქიმ.

ინ-ტის ნავთობის ქიმ. ლაბორატორიაში სხვადასხვა თანამდებობაზე; პარალელურად – თსუ-ის ელემენტორგანული ქიმ. კათედრის პროფესორად (2006-მდე). მიღებული აქვს რამდენიმე პატენტი და საავტორო მოწმობა. არის სამეცნ. ნაშრომების, სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: მომწამლავი ნივთიერებები წარმოებაში, სოფლის მეურნეობასა და ყოფაცხოვრებაში, თბ., 2008. Фотохимическая конденсация малейнового ангидрида с углеродами фенантренового ряда, Тб., 1977 (თანაავტ. Л. Д. Меликидзе).

ლეკვეიშვილი თინათინ შოთას ასული (დ. 2. II. 1954, თბილისი), სპორტსმენი (ცურვა). სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი.

დაამთავრა თსსი (1977). ევროპის ჩემპიონი (1970, გუნდაში 100 *მ*), მეორე (1970, კომბინირებული ესტაფეტა 4×100 *მ*) და მესამე (1970, გუნდაში 200 *მ*) პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი (1969), სსრკ შვიდგზის ჩემპიონი (1968–71, გუნდაში 100 *მ*; 1970–72, გუნდაში 200 *მ*) და სამგზის მეორე პრიზიორი (1968–69, გუნდაში 200 *მ*; 1972, გუნდაში 100 *მ*). 1968 წლის მეხიკოს (კომბინირებული ესტაფეტა 4×100 *მ* – IV ადგილი; გუნდაში 100 *მ* – XV, გუნდაში 200 *მ* – XXV) და 1972 წლის მიუნხენის (კომბინირებული ესტაფეტა 4X100 *მ* – IV, გუნდაში 100 *მ* – X; გუნდაში 200 *მ* – XX) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. საქართვ. წლის საუკეთესო სპორტსმენი (1970).

ლეკვეიშვილი მზია შალვას ასული (27. IX. 1927, თბილისი, – 1. XII. 2015, იქვე), იურისტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი, პროფესორი (1993–2011), პროფესორ-ემერიტუსი (2012-იდან). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1950). გაზ. ,,კომუნისტის'' განყ-ბის გამგე (1955–58), ჟურნ. ,,საბჭოთა სამართლის'' რედაქტორის მოადგილე (1958–60), საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართ. ინ-ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1960–64), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფრ. სამეცნ. რედაქტორი (1967–75), 1964-იდან მუშაობდა თსუ-ში. იყო იურიდ. ფაკ-ტის დეკანი (1972–75), სისხლის სამართ. კათედრის გამგის მოადგილე (1991–2005), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვ. (2005–06); კრიმინოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (2010–15), ვახტანგ გორგასლის სახ. უნ-ტის პროფესორი (2005–10).

ლ-ის შრომები ეძღვნება სისხლის სამართ. კერძო ნაწილის, აგრეთვე ქართ. სამართ. ისტორიის საკითხებს, ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის, თბ., 2003 (თანაავტ. გ. მამულაშვილი); საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 2006; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წგ. 2, გამოც. მე-5, თბ., 2012 (თანაავტ.) სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წგ. 1, გამოც. მე-6, თბ., 2014 (თანაავტ.).

ლეკვეიშვილი ომარ დავითის ძე (26. VII. 1942, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 28. IV 2017, თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (2000). საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე (1996–98), 1997-იდან – გენ.-მაიორი, საქართვ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1998–2000), საქართვ. თავდაცვის ეროვნ. აკად. რექტორი (2000–02). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

ლეკთარეში, დ ე ვ ა შ ი, მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ეგრისის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 2420 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე – 16 *კმ,* აუზის ფართ. – 69,6 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნები – ზამთარსა და შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 2,79 *მ*^{3}/წმ.

„ლეკიანობა“, დაღესტნელ ფეოდალთა ხშირი თავდასხმები საქართველოს ბარის (ძირითადად კახეთი, ქართლი) მოსახლეობაზე. მიზნად ისახავდა ქონების, საქონლის, ჭირნახულისა და ადამიანთა გატაცებას, მოგვიანებით – დასახლებული ტერიტორიების დაპყრობას და დამორჩილებული მოსახლეობის დახარკვას.

დაღესტნელთა შემოსევები XVI ს-იდან დაიწყო და თავდაპირველად ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობათა შემდეგ დაღესტნელებმა აღმ. კახეთის დაცარიელებულ მიწებზე (ისტ. კაკენისელის ტერიტორია) იწყეს ჩასახლება. აქ ჭარის, ბელაქანისა და თალის რაიონებში მათ შექმნეს ე. წ. უბატონო თემები, რ-ებიც თავისებურ პლაცდარმად იქცა შემდგომი თავდასხმებისათვის. ქართლში მთიელ ფეოდალთა შემოსევები XVIII ს. 20-იან წლებში დაიწყო და უფრო გაძლიერდა „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ დროიდან. XVIII ს. II ნახ-იდან წვრილ-წვრილი თავდასხმები ტერიტორიების დასაპყრობად გამიზნულმა ლაშქრობებმა შეცვალა. ამ მიზნით 1754 მოწყობილი ხუნძახის მფლობელის, ნურსალბეგის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა (მჭადიჯვრის ბრძოლა), ასევე დამარცხდნენ ლეკები 1755 ყვარლის ბრძოლაში. 1785 ომარხანის ლაშქრობის დროს ქართველები დამარცხდნენ. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებისა და „საკორდონო ლინიის“ დაარსების შედეგად ლ. შესუსტდა, ხოლო რუსეთის მიერ დაღესტნის შეერთების შემდეგ საბოლოოდ შეწყდა.



თ. ლეკვეიშვილი.

„ლ-ს'' ხელს უწყობდა ფეოდალური დაქსაქსულობა საქართველოში, სადაც მეფეები ლეკთა რაზმებს ხშირად იყენებდნენ ფეოდალებთან ან ტახტის პრეტენდენტებთან საბრძოლველად, ფეოდალები კი – ერთმანეთის წინააღმდეგ; მათ იყენებდნენ ოსმალები და ყიზილბაშები. ოსმალეთი ხშირად აძლევდა ლეკებს თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, ამიტომ ისინი ახალციხის მხრიდანაც ესხმოდნენ თავს საქართველოს. ოსმალეთის ტყვეთა ბაზარი გზას უხსნიდა ტყვეებით ვაჭრობას. ფეოდალური ექსპლუატაციით შევიწროებული გლეხი გაურბოდა მებატონეს და თავს აფარებდა „უბატონო'' ლეკებს, ზოგჯერ მათ საკუთარ მებატონეთა წინააღმდეგაც იყენებდა. ქართველი გლეხი ლეკდებოდა, რადგან „გალეკება'' მისთვის უბატონობას ნიშნავდა. ქართლისა და კახეთის მეფეები ენერგიულად იბრძოდნენ „ლ-ის'' ასალაგმავად, თუმცა უშედეგოდ. „ლ-თან'' საუკუნოვან ბრძოლებში გამომუშავდა თავდაცვის გარკვეული წესები და ხერხები – აგებდნენ ციხესიმაგრეებს, ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აკეთებდნენ თხრილებს, აღრმავებდნენ მდინარის ფონებს, კაფავდნენ ლეკების სამალავ ტყეებს და ა. შ. გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც სამხედრო ძალას ენიჭებოდა. ასეთი საშუალება იყო „ნაპირის ალაგას'' დგომა და მისი გამაგრება, ყარაულის დაყენება გზებზე, ხიდებზე, ხეობებში, დაქირავებული ჯარი („ნოქარი''), ე. წ. „მდევარი'' და რეგულარული ლაშქარი — მორიგე ჯარი. „ლ-მ'' აუნაზღაურებელი ზარალი მოუ-

ტანა საქართველოს. მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა, ზოგიერთი მხარე კი სრულიად დაიცალა, დაეცა კულტ. მეურნეობა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., ლეკიანობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ბოცვაძე თ., საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV–XIX სს.), თბ., 1968; მეგრელაძე დ., დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, «მაცნე», 1967, №6.

დ. მეგრელაძე.



გ. ლეკიშვილი.

ლეკიაშვილი ალექსი სიმონის ძე (31. I. 1920, თბილისი, – 20. III. 1977, იქვე), ენათმეცნიერი, არაბისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფ. (1967). 1941 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი და 1943-იდან იქვე დაიწყო მუშაობა. 1973–77 იყო თსუ-ის სემიტოლოგიის კათედრის გამგე. იკვლევდა კლასიკური არაბ. ენის სტრუქტურისა და სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხებს; შეადგინა არაბ. ენის სახელმძღვანელოები. მასვე ეკუთვნის გამოკვლევა აფხ. ენის პოტენციალისის ფორმის შესახებ.

თხზ.: არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები, თბ., 1953; სახელთა სქესისა და რიცხვის წარმოება სემიტურ ენებში, თბ., 1963; ბრუნვათა სისტემა სემიტურ ენებში, თბ., 1970; არაბული ენა, I, თბ., 1977; საკითხავი წიგნი არაბულში, თბ., 1979.

კ. წერეთელი.



ნ. მ. ლეკიშვილი.

ლეკიშვილი გივი (კარლო) მიხეილის ძე (25. VII. 1936, სოფ. ჭრებალო, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 5. I. 2010, თბილისი), მეტალურგი. საქართვ. სამრეწვ.-საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (1998); საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998; ავტორთა ჯგუფთან ერთად). დაამთავრა სპი-ის (ამჟამად სტუ) მეტალურგიის ფაკ-ტი ლითონთა წნევით დამუშავების სპეციალობით (1959); სპეცკურსი – მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ქიმ. ფაკ-ტზე რადიაციული ქიმ. სპეციალობით (1963–65); სპი-ის საავიაციო ქ-ნის ფილიალი – რადიოტექნიკოსის სპეციალობით (1965). მუშაობდა თბილ. მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. თბილ. იზოტოპების ლაბორატორიაში იყო მთ. ინჟინერი (1959–65), ლაბორატორიის დირექტორი (1966-იდან), 1998–2005 – სახელმწ. სამხ. სამეცნ.-ტექ. ცენტრ ,,დელტას“, გენ. დირექტორი. იგი იყო სამხედრო ძალების საბრძოლო იარაღის, მასალებისა და აღჭურვილობის გენ. კონსტრუქტორი (1996–2005); სამეცნ.-ტექ. ჟურნ. ,,სამხედრო ტექნიკის“ მთ. რედაქტორი (1999–2005). აქვს სამეცნ. ნაშრომები და გამოგონებები სამხ. ტექნიკისა და საბრძოლო მასალების შექმნის სფეროში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II (1996) და III (2001) ხარისხის ორდენებით; საპატიო ნიშნის ორდენით. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (2001).

ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე (დ. 20. IV. 1947, თბილისი), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (1995–98). დაამთავრა სპი-ის ენერგეტიკის ფაკ-ტი (1970), მოსკ. საზ-ბის მართვის აკადემია (1989). 1972–90 მუშაობდა სხვადასხვა პარტ. თანამდებობაზე, მ. შ. კპ-ის თბილ. საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, თბილისის საქალაქო საბჭოს თავ-რედ (1988–90). ლ. 1990–91 იყო საქართვ. რესპ. I მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (საქართვ. საარჩევნო ბლოკიდან ერთიანი კომუნისტური პარტია), პრემიერ-მინისტრის მთ. სახელმწ. მრჩეველი (1992); საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1993); თბილისის მერი (1993–95); გადამხდელთა კავშირის თავრე (1998–2004); საქართვ. მე-3 (1992–95), მე-5 (1999–2004; საქართველოს მოქალაქეთა კავშირი) და მე-6 (2004–08) მოწვევის პარლამენტის წევრი.

ლეკიშვილი ნოდარ გიორგის ძე (დ. 7. VIII. 1946, სოფ. მარტყოფი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1995). საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (2018). 1971 დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტი. 1989-იდან იყო ფაკ-ტის თანამშრომელი, პროფესორი. 2006–12 იყო ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი და კათედრის გამგე, 2009– 12 – თსუ-ის ორგანულ-არაორგანული ჰიბრიდული ნაერთების და არატრადიციული მასალების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი და სამეცნ. ხელმძღვანელი. 2012 მიენიჭა ემერიტუს პროფესორის წოდება.

ლ-ის სამეცნ. კვლევები ძირითადად ეხება ბიოლ. აქტიურ კოორდინაციულ ნაერთებს ელემენტორგანული ლიგანდებით, არატრადიციული სტრუქტურებისა და თვისებების მქონე ოლიგომერებსა და პოლიმერებს. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. პუბლიკაციები, მ. შ. სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, მიღებული აქვს რამდენიმე გამოგონების საავტორო მოწმობა და პატენტი. არის რამდენიმე საერთაშ. და ადგილობრივი სამეცნ. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და ექსპერტი, საერთაშ. ჟურნ. Journal of Nanomaterials-ის სპეც. ტომის „Synthesis, Properties and Applications of Polymeric Nanocomposites“ მიწვეული რედაქტორი (2011–12).

1995 მიენიჭა თსუ-ის პ. მელიქიშვილის, 2002 – ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტის პრემიები.

ლ. 1995-იდან იყო საქართვ. ქიმ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი, 2017-იდან – პრეზიდენტი. საქართვ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად., აგრეთვე ავანგარდული მასალების მსოფლიო ფორუმის (,,POLYCHAR“, აშშ) სამეცნ. კომიტეტის წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო საერთაშ. სამეცნ. საზ-ბების (ამერიკის ქიმ. საზ.) წევრად; დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2012) და თსუ-ის ოქროს მედლით (2021).

თხზ.: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ნაწ. 1–3, თბ., 2010–17 (თანაავტ.); საყოფაცხვრებო ქიმია, თბ., 2016; ქიმია კითხვებსა და პასუხებში, თბ., 2018 (თანაავტ. *მ. რუსია*); Siliconorganic Polymers with Inorganic and Organic-Inorganic Main Chains. (თანაავტ.: Kopylov V., Zaikov G.,), N.- Y., 2011; Multicomponent Polymeric Materials, N. -Y., 2012.

ლ. ნაკაიძე.

ლეკნარის ღმინდა გიორგის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ქვემო რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპ- ში, რაჭის ქედის უკიდურეს სამხრ. კალთაზე. ამჟამად მონასტრიდან შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული წმ. გიორგის ეკლესია. მონასტრის გალავანი დანგრეულია და მის ყოფილ სიმაღლეზე მსჯელობა ძნელია. გალავანში შესასვლელი ჩრდ. მხრიდან ყოფილა. გალავნის შიგნით მრავლად შეიმჩნევა სხვადასხვა ნაგებობის კვალი. ეკლესია დარბაზულია. აქვს ორი მინაშენი – დას-იდან და ჩრდ-იდან. აღმ-ით აქვს ნახევარწრიული აფსიდი, რ-იც გარედან გეგმის მართკუთხედშია მოქცეული. აფსიდში ორივე მხარეს მოთავსებულია პატარა ოთხკუთხა თახჩები. დარბაზი, ორსაფეხურიანი პილასტრებით და მათ კაპიტელებზე დაყრდნობილი კამარის საბჯენი თაღით, სივრცობრივად ორ, თითქმის ტოლ ნაწილად არის



ლეკნარის წმინდა გიორგის ეკლესია. IX–X სს-ის მიჯნა.

დაყოფილი. სარკმლები გარედან რელიეფური სათაურით იყო შემკული. ყველა სარკმელი გარეთ ვიწროა, შიგნით – საკმაოდ განიერი. კარები ფასადის მხრიდან არქიტრავით იყო გადახურული, შიგნიდან – ნახევარწრიული თაღით. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან სამი საფეხურით მაღლაა. იგი დარბაზიდან გამოყოფილი იყო დახვეწილი ოსტატობით შესრულებული, ჩუქურთმით შემკული თაბაშირის კანკელით, რ-იც დროთა განმავლობაში დამსხვრეულა (შემორჩენილია ფრაგმენტები). ეკლესია შიგნიდან მთლიანად მოხატული ყოფილა. ძეგლი ორივე მხრიდან ძირითადად შირიმის ქვით არის მოპირკეთებული. ეკლესიის ჩრდ. ფასადზე ასომთავრულით და ნუსხა-ხუცურით ამოკვეთილია წარწერა. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეკლესია აგებულია IX–X სს. მიჯნაზე. ჩრდ. მინაშენი – X ს. დასასრ. ან XI ს. I მესამედში, ხოლო დას. მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია.

ლიტ.: დვალი მ., ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, ,,მაცნე'', 1968, №4.

მ. დვალი.

„ლე კოკაზ ილიუსტრე“ (,,Le Caucase Illustré“ – ,,ილუსტრირებული კავკასია“), ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1889–92 და 1899–1902 წლებში ფრანგ. ენაზე; რედაქტორ-გამომცემელი ჟ. მურიე. პირველი ნომერი 1889 წლის აგვისტოში გამოვიდა. ჟურნალი უხვად იყო ილუსტრირებული და ასახავდა კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ისტორიას, ასევე მიმოიხილავდა ლიტერატურასა და ხელოვნებას. გამოქვეყნდა ს.-ს. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, გ. სუნდუკიანის, ვარდანისა და სხვა კავკ. ავტორთა თხზულებების ფრანგ. თარგმანები.

ჟურნალს ჰქონდა რუბრიკები: თბილისის მუზეუმი, თბილისის ქართული თეატრი, ქართული თეატრის მსახიობები, სასულიერო ოქრომჭედლობა კავკასიაში, კავკასიელი ტიპები, კავკასიური სამოსი, კავკასიური ავეჯი, კავკასიური დეკორატიული ხელოვნება და სხვ.

ლიტ.: ბრეგაძე ლ., მოგზაურობა ,,ლე კოკაზ ილიუსტრეს“ ფურცლებზე, თბ., 2013.

ლ. ბრეგაძე.

ლეკოკაიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (უშაფათის თემი), ოდიშის დაბლობზე. ზ. დ. 120 *მ,* სენაკიდან 32 *კმ,* 71 მცხ. (2014).

ლეკოსანდი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჟახუნდრის თემი), მდ. ფიშყორის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ,* ლენტეხიდან 25 *კმ.* 59 მცხ. (2014).

ლეკუდელე, მთა მარტვილისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ეგრისის ქედის სამხრ. განშტოებაზე, მდ-ების – ხობის და ტეხურის წყალგამყოფზე. ზ. დ. 2244 *მ.* აგებულია შუა იურული პორფირიტული წყებით. კალთები შემოსილია შერეული ტყით, ხოლო თხემი – სუბალპური ლიხით.

ლეკულმახა, ლეკალმახა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ჭუბერის თემი), შდავლერის ქედის სამხრ.-დას. კალთის ძირას, მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ.* მესტიიდან 72 *კმ.* 35 მცხ. (2014).

ლეკუმხარა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გალის მუნიციპალიტეტში (გალის თემი), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ნიშონის ხეობაში. ზ. დ. 160 *მ.* გალიდან 3 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეკური, ცეკვა ქართულის ადრინდელი სახელწოდება. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ლ. არაა ცეკვის აღმნიშვნელი ტერმინი და იგი უვადო ხმალს ეწოდება. XIX ს-ში კავკასიასა და საქართველოში რუს. გაბატონების შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი ლ. და იგი ყველა კავკასიურ ცეკვას აღნიშნავდა (,,ლეკური“ – ,,ლეზგინკა“). ამ დროიდან კავკასიელი ხალხების ცეკვებს იხსენიებდნენ, როგორც ,,ოსური ლეკური“, ,,ჩეჩნური ლეკური“, ,,ქართული ლეკური“ და ა. შ. დროთა განმავლობაში ,,ქართულ ლეკურს“ სიტყვა ,,ქართული“ ჩამოშორდა და მხოლოდ ,,ლეკური“ დარჩა. ამჟამად აღდგენილია ცეკვის თავდაპირველი სახელწოდება და მას ,,ქართული“ ეწოდება. მუსიკ. ზომაა 6/8. ცეკვა ქართულის (ლეკური) კლასიკური სახე გვხვდება ზ. ფალიაშვილის ოპერებში ,,აბესალომ და ეთერი'' და ,,დაისი''. იხ. აგრეთვე სტ. *ქართული.*

ლიტ.: გვარამაძე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ., 1997; თათარაძე ა., ქართული ცეკვების განმარტებანი, თბ., 1986.

ლეკური, „უვადო ხმალი“ (საბა), რომელსაც ტარზე „ხრმლის ჯვარედი“ არ ჰქონდა (ამ ჯვარედს არც წარმომავლობით და არც დანიშნულებით ჯვრის გამოსახულებასთან საერთო არ აქვს). ლ-ს ამზადებდნენ უმთავრესად ლეკი



ცეკვა ,,ლეკური''. სუხიშვილების ანსამბლი.

მეიარაღე-ხელოსნები. ხმლის სხვა ცნობილ სახეობებთან ერთად ლ. გავრცელებული იყო მეტწილად ჩრდ. კავკასიაში, ნაწილობრივ – საქართველოში (იმერეთი). უვადო ხმალი, როგოც მკვეთელი იარაღი, საბრძოლო მახასიათებლებით ვადიან ხმალზე ნაკლებად ფასობდა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4 , თბ., 1962.

კ. ჩოლოყაშვილი.

ლეკუხონა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გალის მუნიციპალიტეტში (ლეკუხონის თემი), ზ. დ. 200 *მ,* გალიდან 35 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეკუხონა, (1948-მდე მარინსკოე), სოფელი აფხაზეთის არ-ის სოხუმის მუნიციპალიტეტში (კელასურის თემი), მდ. ჩალბაშის ხეობაში. ზ. დ. 200 *მ,* სოხუმიდან 15 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლელააშხა, მთა ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ლეჩხუმის ქედზე, მდ-ების – ლაჯანურისა (რიონის მარჯვ. შენაკადი) და ღობიშურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. ზ. დ. 3152 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. შემოსილია ალპ. მდელოებით.

ლელაშხა, ყოფ. სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში (შეუერთდა გარდაბანს).

ლელაძე გიორგი დავითის ძე (16. XI. 1919, სოფ. პატრიკეთი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1993, მოსკოვი), საბჭოთა კავშირის გმირი (10. IV. 1945), კაპიტანი. 1939 ჩაირიცხა მოსკ. საარქიტექტურო ინ-ტში. 1942 დაამთავრა ვლადიმირის სამხ. ქვეითი სასწავლებელი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ბრძოლაში კურსკის შვერილზე, ბრიანსკის, ცენტრ. და ბელარ. ფრონტების ოპერაციებში, პოლონეთის გათავისუფლებაში. 1944 წ. 5–6 სექტემბერს, ღამით, მდ. ნარვის დას. სანაპიროზე პირველმა გადაიყვანა თავისი ათასეული და დაიკავა პლაცდარმი, რისთვისაც მიენიჭა სსრკ გმირის წოდება. ომის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის საარქიტექტურო ინ-ტში და საცხოვრებლად იქვე დარჩა. დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 1., М., 1987.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ლელაძისეული, სოფელი იმერეთის რეგიონის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (ძირულის თემი), მდ. ჩხერიმელის ხეობაში, ზ. დ. 400 *მ.* ზესტაფონიდან 12 *კმ.* 161 მცხ. (2014).

ლელბაგი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლატალის თემი), უშბის მასივის სამხრ. კალთის ძირას, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1400 *მ.* მესტიიდან 11 *კმ.* 12 მცხ. (2014).

ლელეგები (Leleges), წინაბერძნული ტომი, რომელსაც იხსენიებს ჰომეროსი. ელინთა მომძლავრებამდე მათ ბალკანეთში ცენტრ. საბერძნეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ, თუმცა ძვ. წ. XIII ს-ში, ტროას ომის დროს, ისინი, სავარაუდოდ, მცირე აზიის დას-ით გადაასახლეს. ლ-ის ეპონიმი – ლელეგი – ლაკონიელთა მმართველების წინაპრად ითვლება. ლ-ს განსაკუთრებით ახლო ნათესაური დამოკიდებულება ჰქონდათ მეორე წინაბერძნ. ტომთან – კარიელებთან. ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულისათვის ლ., როგორც ჩანს, უკვე გადაშენებულან. თანამედროვე მეცნიერება მათ მიიჩნევს კონტინენტური საბერძნეთის უძველეს არაინდოევროპულ მოსახლეობად. ზოგიერთი მკვლევარი ლ-ის სახელწოდებაში გამოყოფს მრავლობითობის პრეფიქს ლე-ს და მას ხათურის (პროტეხეთურის) მრავლობითობის ლე პრეფიქსს უკავშირებს. საინტერესოა პარალელი სვანურ ლესთანაც, რ-საც თითქმის ანალოგიური ფუნქცია აქვს. თვით ლეგ (leg) ფუძეს ზოგიერთი მეცნიერი კავკ. ენებში ,,ადამიანის", ,,კაცის" მნიშვნელობით დადასტურებულ, მსგავსი ჟღერადობის ფუძეს უკავშირებს და ამას ლ-ის, კავკ. სამყაროსთან ნათესაობის დამადასტურებლად მიიჩნევს.

ლიტ.: გორდეზიანი რ., ,,ილიადა" და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970.

რ. გორდეზიანი.

ლელიანი, სოფელი კახეთის რეგიონის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ბალთა, ბებურიანი, მეორე ლელიანი, მირსკისეული, ნამესრალი, ქალქვა). ზ.დ. 260 *მ,* ლაგოდეხიდან 32 *კმ.* 578 მცხ. (2014).

სოფელში მდებარეობს XI–XII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი (იხ. *ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესია*).

ლელიანის განძი, ვერცხლის მონეტების (163 არაბული, 8 სასანური) განძი. ნაპოვნია 1924 სოფ. ლელიანში (ახლანდ. ლაგოდეხის მუნიციპ.). განძის შედგენილობა ასეთია: ა) სასანური, ხოსრო II (590–628) – 2 ც.; ბ) არაბულ-სასანური, აბდულ-ლაჰ იბნ ზობეირ (680–692) – 1 ც.; გ) ტაბარისტანის აბასიანი მმართველები: ჰურშიდ II, ტაბარისტანის ისპეჰბედი, 108 წ. ტაბარისტანის ერით – 1 ც., ომარ იბნ ალ ალა, ტაბარისტანის აბასიანი მმართველი – 128 წ. ტაბარისტანის ერით – 4 ც., ანონომი ტაბარისტანის მმართველი – 130 წ. ტაბარისტანის ერით – 1ც., დ) ომაიანური მონეტები მოჭრილი ხალიფების აბდ ალ-მალიქის (685–705), ვალიდ I (705–715), ჰიშამის (724–743) და მარვან II-ის (744–750) სახელით, შემდეგ ზარაფხანებში: ვასიტი, დამასკო, თაიმერე 710–745; ე) აბასური მონეტები მოჭრილი ხალიფების: ას-საფაჰის (749–754), მანსურის (754–775), მაჰდის (775–785), ჰადის (785–786), რაშიდის (786–809) და მამუნის (813–817) სახელით შემდეგ ზარაფხანებში: ბასრა, ქუფა, ჯონდი-საბური, აბასია, მუჰამადია, ბაღდადი, რეი, ჯეი, იფრიკია, არმინია, ზარანჯი, მუბარაქი, მარვი, ბალხი, ბუხარა, სამარყანდი, მაადინ ბაჯუნაისი, ისპაჰანი, არანი 750–829.

განძი სავარაუდოდ ჩამარხულია IX ს. II ნახ-ში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ფულის მიმოქცევის ისტორიისთვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2005; ჯალაღანია ი., ქუფური მონე--ტების ტიპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв. Тб., 1979; Пахомов Е. А., Клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, в. 2, №395, Баку, 1938.

ლელიანის კატა (Felis chaus), მტაცებელი ძუძუმწოვარი კატისებრთა ოჯახისა. შეტანილია საქართველოს ,,წითელ ნუსხაში" როგორც მოწყვლადი სახეობა. მისი სხეულის სიგრძეა 50–90 *სმ.* სიმაღლე მინდაოში – 36 *სმ.* კუდი მოკლეა (21–30 *სმ*), მასა 8–12 *კგ* აღწევს. აქვს გრძელი ფეხები, ყურის ბოლოზე მოკლე ფუნჯები. შეფერილობა მოყვითალო-მორუხოა, მხოლოდ კუდსა და

ზოგჯერ ფეხებზე აქვს შავი ზოლები. გავრცელებულია ეგვიპტიდან ინდოჩინეთამდე, ჩრდილოეთისკენ ადის მდ. ვოლგისა და კასპიის ზღვის შესართავამდე. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, მდ-ების – მტკვრის, ალაზნის, ივრისა და ხრამის აუზებში. ბინადრობს ლელიანის წყლისპირა ბუჩქნარში, მაღალი ბალახით დაფარულ მონაკვეთებზე. კარგად



ლელიანის კატა.

დაძვრება ხეებზე. მთებში ზ. დ. 800 *მ*-ზე მაღლა არ ადის. იკვებება ფრინველებით, ძუძუმწოვრებით, თევზით, ამფიბიებით. წელიწადში მრავლდება 1–2-ჯერ, შობს 1–6 კნუტს (ძირითადად 2–3), ზრდასრულობას 9 (მდედრები) და 12 (მამრები) თვის ასაკში აღწევს. ამჟამად გამოიყოფა ლ. კ.-ის სამი ქვესახეობა – F. c. chaus (ეგვიპტიდან ავღანეთამდე), F. c. affinis (ინდოსტანის ნ.-კ.), F. c. fulvidina (ინდოჩინეთი). აღმოსავლური ქვესახეობები დასავლურზე უფრო მცირე ზომისა და მასის არიან. ლ. კ-ის ბეწვი მდარე ხარისხისაა.

ა. ბუხნიკაშვილი.

ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესია, X–XI სს. ხუროთმოძღვრების ძეგლი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. ალაზნის ვაკეზე, სოფ. ლელიანის სამხრ-ით, დაახლ. 1 კმ-ის მანძილზე, სასაფლაოზე.

ტაძრის ისტორია ვრცელ პერიოდს მოიცავს, რასაც ცხადყოფს სამშ. ფენების სიმრავლე.

აკად. გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ტაძარი გასული საუკუნის 20-იან წლებში შეისწავლა, მას სამეკლესიოანი ბაზილიკების ერთ-ერთ გვიანდ. ნიმუშად მიიჩნევდა, თუმცა არც იმას გამორიცხავდა, რომ იგი დარბაზული ეკლესია იყო. სამხრ. ეგვტერით და ჩრდ. მხრიდან მცირე სათავსი, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. XVI–XVII სს-ში, ალექსანდრე II-ის მეფობის პერიოდში განხორციელებული აღდგენითი სამუშაოების დროს, ტაძარი გადაუკეთებიათ – მოაწყვეს სამხრ. ნავის შუა ნაწილში კარიბჭე, რ-ის თავზე სამრეკლოს ფანჩატურია აღმართული. მკვლევრის აზრით, ტაძრის თავდაპირველი გეგმა შედგებოდა გვერდიგვერდ განლაგებული სამი ეკლესიისგან და დას. ნავისგან, რ-იც ტაძარს მთელ სიგანეზე გასდევდა.

ეკლესია აგებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. მოგვიანებით განახლებულ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად გამოყენებულია აგურიც.

მთავარი ნავი ვრცელია. აქვს ორი შესასვლელი: სამხრ-იდან და დას-იდან. მესამე კარი (ამოშენებულია) ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში იყო გაჭრილი, რ-იც ჩრდ. ნავში გადიოდა. ცენტრ. ნავი აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, რ-ის ღერძზე სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი თაღოვანი ნიშაა. აფსიდი გადახურულია შეისრულთაღიანი კონქით (გვიანდელია). მსგავსი ფორმისაა კამარაც, რ-იც კონქის თაღის ზემოთაა და მოგვიანებით არის აღდგენილი.

ეკლესიის შიდა სივრცეს საკურთხევლის სარკმლის გარდა, მხოლოდ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი სამხრ-ითაა (გვიანდელია), თავდაპირველი – სარკმლების ზემოთ, ერთი კი – დას-ით. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში კიდევ ერთი თავდაპირველი სარკმელია, რ-იც ჩრდ. ნავის სხვენში გადის.

სამხრ. ნავი მთავარ ნავს მთელ სიგრძეზე გასდევს. თავდაპირველად იგი დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა აღმ-ით კონქიანი აფსიდით და სამხრ-ით – თაღედით (მალების რაოდენობა ვერ დგინდება). ამ თაღედიდან მხოლოდ აღმ-ით მდებარე თაღი და მისი საყრდენი სვეტიღაა შემორჩენილი. შიგნით ნავი გადახურული იყო კოლოფა კამარით. XVI–XVII სს-ში, მთავარი ნავის განახლების და სამრეკლოს მშენებლობის დროს, ნავის შუაში სამრეკლოს კამაროვანი საფუძველი ჩააშენეს, რ-იც ამჟამადაც მთავარი ნავის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. კარიბჭე სამხრ. ნავის გვერდითი ნაწილებისგან კედლებით არის გამიჯნული და ნავის ხაზიდან რამდენადმე წინწამოწეულია. ამ ნაგებობის „ჩადგმის“ შედეგად სამხრ. ნავი სამ სათავსად დაიყო. სამივე სათავსში ტრაპეზია დადგმული და დამოუკიდებელ სამლოცველოს წარმოადგენს. დას. ნავი ამჟამად მხოლოდ მთავარ და სამხრ. ნავებს გასდევს. დიდი ალბათობით, დას. ნავი თავდაპირველად ჩრდ. ნავსაც გასდევდა, რ-ის დიდი ნაწილი დანგრეულია და ამჟამად ეკლესიის დას. კუთხემდე ვერ აღწევს. დას-ით ნავი სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი ორი თაღითაა გახსნილი. ნავის გადახურვას, ისევე როგორც სამხრ. ნავის გადახურვას, გვიანდ. გადაკეთების კვალი ემჩნევა. ჩრდ. ნავი მოკლეა, შესასვლელი მას დას-იდან აქვს. აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ორი სწორკუთხა ნიშია. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი სწორკუთხა სარკმელი აშუქებს. მათგან ორი – ჩრდ-ითაა, ერთი – დას-ით. შიგნით ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით – ტეხილით წვეროსთან, რ-იც ებჯინება მთავარი ნავის კედელზე მიყრდნობილ, ორმალიან კედლის თაღს.

ეკლესიის ფასადები სადაა. მოკლებულია დეკორ. სამკაულს. კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობით.

ახლად აგებული კარიბჭის თავზე, სამხრ. ნავის სახურავის დონეზე, დადგმულია სამრეკლო, რ-ის პირველი სართული, აღმ-იდან და დას-იდან, კედლებით არის შემოფარგლული, სამხრ-ით კი, მთელ სიმაღლეზე, შეისრული თაღით არის გახსნილი. სამრეკლოს მეორე სართული რვაწახნაგაა, ნაგებია აგურით. ფანჩატურის წახნაგებზე



ლელიანის წმინდა თევდორეს ეკლესია. X–XI სს.

გამოყვანილი ღიობები შეისრულთაღღვანია. ფანჩატური დასრულებულია საფეხურებიანი ლავგარდნით, რ-იც ეკლესიის ლავგარდნის მსგავსადაა გამოყვანილი. სამრეკლო დასრულებულია აგურისავე, პირამიდისებრი ფორმის მახვილი სახურავით.

2015, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1–4, თბ., 2021; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахети“, Тб., 1959; Шмерлинг Р. О., Малые формы в архитектуре средневековой Грузий, Тб, 1962; Georgian Architecture, vol. 3, Leiden: Inter Documentation Company (IDC), 1997.

თ. დვალი.



ლელობურთი.

ლელო, 1. ქართული ხალხური გუნდური თამაში, ბურთაობა. იმართებოდა უმეტესად დას. საქართველოში ხალხურ დღესასწაულებზე. ძველად თამაშში მონაწილეთა რაოდენობა განუსაზღვრელი იყო. გამოდიოდა 2 გუნდი: სოფელი სოფელზე ან თემი თემზე. თამაში ეწყობოდა სოფლების საზღვარზე. ზოგჯერ ცოლიანი მამაკაცები იმავე სოფლის უცოლოებს ეჯიბრებოდნენ. თამაში იწყებოდა სოფლის ცენტრში, ჩვეულებრივ, ეკლესიის ეზოდან. ბურთი სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში გაჰქონდათ. მოთამაშეებს ბურთი უნდა გაეტანათ ფეხით ან ხელით. შემდეგში, ბურთაობის წესების შეცვლასთან ერთად, მოთამაშეთა რიცხვიც შემცირდა. თამაშის პროცესში მონაწილეებს ხშირად უხდებოდათ ბუნებრივი დაბრკოლებების (ღელე, მდინარე, ხევი) გადალახვა. ბურთისთვის ბრძოლა დიდხანს გრძელდებოდა. ლ-ს გატანა სასახელოდ ითვლებოდა. თანამედროვე ლ. დადგენილი წესების მიხედვით ტარდება (იხ. სტ. *ლელობურთი*).

2. *რაგბიში* მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანზე ბურთის დამიწება.

ვ. ელაშვილი.

„ლელო“, სპორტული გაზეთი. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის და პროფსაბჭოს ორგანო. პირველი ნომერი 1934 წ. 13 აპრილს გამოვიდა თბილისში ,,საქართველოს ფიზკულტურელის“ სახელწოდებით. 1936-იდან გაზეთს ეწოდა ,,ფიზკულტურელი“, რ-ის ბოლო ნომერი 1939 წ. 28 თებერვალს დაიბეჭდა. ,,ლ“-მდე სულ 362 ნომერი გამოვიდა. 1949 წ. 10 ივლისს დაისტამბა ,,ლ-ს“ პირველი ნომერი. თავდაპირველად გამოდიოდა კვირაში 3-ჯერ, XX ს. 60-იანი წლებიდან გამოიცემოდა ყოველდღიურად (კვირა დღის გარდა). სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: *მ.* კაკაბაძე, ი. უგულავა, ა. გოგელია, ა. ბასილაია და სხვები. 1985–2018 ,,ლ-ს“ რედაქტორი იყო თ. გაჩეჩილაძე ((2015-იდან საპატიო რედაქტორი). 2008-იდან გაზეთი ,,ლ“. ,,პალიტრა მედიის“ შემადგენლობაში შედის. გამოდის კვირაში ორჯერ – ორშაბათს და ხუთშაბათს. 2018-იდან მთავარი რედაქტორია პ. გელაშვილი.

ლელობი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში (ლისის თემი), მდებარეობს მდ. ხეკორძულის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1180 *მ.* მუდმივი მოსახლე არ აღემატება 10 კაცს.

ლელობის ნაძალაძარი, XIII ს. და XIV ს. I ნახ-ის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ლელობის ჩრდ.-დას-ით, 4 *კმ* მოშორებით, მდ. ხეკორძულის სათავეებთან, ფერდობზე, ადგილ ნაქალაქარზე.

1971 ძეგლზე გათხრები ჩაატარა ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტის დიღმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). ნაქალაქარი ოთხ ტერასაზეა განლაგებული. ჩრდ-იდან მას კლდის ბუნებრივი ზღუდე იცავს, რ-იც ზოგან კლდეკარით იკვეთება. მიწის ზედაპირზე შემორჩენილია კლდის ნატეხი ქვებით ნაგები საერო და საკულტო შენობათა ნანგრევები (ეკლესია, საცხოვრებელი, მარანი, ფარეხი და სხვ.). ორ და სამოთახიან საცხოვრებელ კომპლექსებს სამეურნეო დანიშნულების სათავსები ეკვრის. შენობათა იატაკში ზოგან სამალავი და სურსათის შესანახი ორმოებია ამოჭრილი. ნაპოვნია ერთ- და მრავალფერიანი ჭიქურით მოხატული ჭურჭლის ნატეხები, სამკაული, ქართულ-მონღოლური მონეტა. მასალა ინახება არქეოლ. კვლევის ცენტრში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ვ. ნიკოლაიშვილი.

ლელობურთი, ქართული ეროვნული სპორტის სახეობა, რომელიც აღმოცენებულია უძველესი თამაშის – ლელოს საფუძველზე. თამაში იმართება მატყლით დატენილი ბურთით (3 *კგ*-მდე) მინდორზე (დაახლ. 70 *მ* ×105 *მ.*, რსაც არ აქვს კარი. გუნდს ეთვლება ქულა, თუ იგი ხელით ან ფეხის დარტყმით გადააცილებს ან გადაიტანს ბურთს მოწინააღმდეგის ჩათვლის ხაზს მიღმა როგორც ჰაერში, ისე მიწაზე. ნებადართულია ძალისმიერი ბრძოლა – ჩავლება, ჩაბღუჯვა, წაქცევა, ოღონდ უხეში ილეთების გარეშე. თამაში შედგება ორი 30-წუთიანი ნახევრისა და 10-წუთიანი შესვენებისაგან.

საქართველოში ყოველ წელს ტრადიციულად იმართებოდა ლ-ის ჩემპიონატი. ამ ეროვნულ სახეობაში დაწესებული იყო საქართვ. სპორტის ოსტატის წოდება.

XIX ს-ში ლ. დას. საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. ქუთაისში ლ-ს თამაშობდნენ საფიჩხიაზე (ე. წ. ხარაზოვის ბაღის მიდამოები). გურიაში თამაშის ეს ტრადიცია საუკუნე-ნახევარს ითვლის: 1854 ჰასან-ბეგ თავდგირიძე 9000-იანი ჯარით, სადაც გაერთიანებული იყვნენ ძირითადად გამაჰმადიანებული ქართველები და თურქი ასკერები, გურიას შეესია. ქართულ მხარეს 2000 გურული მეომარი, ე. წ. მილიცია და 500 რუსი ჯარისკაცი იბრძოდა. მთავარი ბრძოლა სოფ. შუხუთის ცენტრში, ე. წ. ცაცხვებთან მოხდა. ე. ჭყონიამ ხმლის ერთი მოქნევით თავი მოჰკვეთა თავდგირიძეს (ეს ბრძოლა ასახულია სიმღერა ,,ხასანბეგურაში“). ბრძოლაში თურქთა 5000-ზე მეტი და გურულთა 300-მდე მეომარი დაიღუპა. ამ დღის აღსანიშნავად შუხუთში ყოველი წლის აღდგომას ლ. იმართება.

ლიტ.: მერკვილაძე გ., ქართული მოძრავი თამაშობანი, ტფ., 1922; შერაზადაშვილი ზ., ლახტი. ქართული ხალხური თამაშობანი, თბ., 1968.

ლელოვანი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადიგენის მუნიციპალიტეტში, ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ამხერი, კახარეთი, სამყური, ღორძე). ზ. დ. 1220 *მ,* ადიგენიდან 3 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 32 *კმ.* 57 მცხ. (2014).

ლელოვანი, (ყოფ. აჩხოტი), სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (ჟებოტის თემი), თიანეთის ქვაბულში, სიონის წყალსაცავის ჩრდით, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1100 *მ,* თიანეთიდან 4 *კმ.* 334 მცხ. (2014).

ლელო საქართველოსთვის, ცენტრისტული პოლიტიკური პარტია. დაფუძნდა 2019 წ. 22 დეკ. საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ლელოს“, ,,შენების მოძრაობისა“ და ,,ახალი მემარჯვენეების“ გაერთიანების შედეგად. პარტიის მმართველი ორგანოა პოლიტ. საბჭო (თავ-რე – მ. ხაზარაძე, გენ. მდივანი – ი. კუპრაძე, პოლიტ. საბჭოს თავ-რე ბ. ჯაფარიძე), პარტია არის ,,ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“ (ALDE) სრულუფლებიანი წევრი.

2020 საპარლამენტო არჩევნებში პარტიამ 3.15% მიიღო და პარლამენტში მისი 4 დეპუტატი შევიდა. 2021 ადგილობრივ არჩევნებში 2.71% და 27 მანდატი მიიღო.

ლელუბანი, სოფელი მცხეთამთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში (ცხვარიჭამიის თემი). მდებარეობს მდ. ლელუბნისხევის (მდ. გლდანისხევის სათავე) ორივე ნაპირზე, იალნოს ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1160 *მ.* ლ. 2007-მდე ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა სოფ. გლდანის საკრებულოს. 16 მცხ. (2014).

ლელქაში (Scirpus), მცენარეთა გვარი ისლისებრთა ოჯახისა. სახეობათა უმეტესობა მრავალწლოვანი გრძელფესურიანი ბალახია. ზოგ სახეობას ფოთლები რედუცირებული აქვს.

დედამიწაზე გავრცელებული 250 სახეობიდან საქართველოში გვხვდება 10. იზრდება ჭარბწყლიან ადგილებზე ზღვისპირეთიდან მოყოლებული ზ. დ. 2000 *მ*-ზე. საქართველოში შედარებით ფართოდ არის გავრცელებული S. lacustris, S. tabernaemontani და S. silvaticus. პირველი ორი სახეობა გამოიყენებოდა ჭილობისა და კალათის მოსაქსოვად, აგრეთვე შესაფუთ და საშენ მასალად, მე-3 სახეობა, ისლის მსგავსად, ცხოველებისათვის ნოყიერი საკვები მცენარეა. ძოვს მსხვილფეხა საქონელი, მაგრამ უფრო მეტად იყენებენ თივად და სილოსად. ლ-ის ზოგი სახეობა სამკურნალოა და გაშენებულია ინდოეთში, აფრიკასა და ავსტრალიაში. საქართველოში გავრცელებული სახეობებიდან ხალხურ მედიცინაში იყენებენ S. mucronatus-ს.

კ. ქიმერიძე.

ლელწამა, ლერწამა, მეჩალია, ბელურასნაირთა რიგის რამდენიმე გვარის (Acrocephalus, Cettia, Horeites, Locustella, Pharagmaticola) საერთო სახელწოდება. ლ-ის მუცელი ღია ფერისაა, ზურგი – მურა, ერთფეროვანი ან კოპლებიანი. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში გვხვდება 8 სახეობა (ამათგან მობუდარია 6, მიმომფრენი – 2). ბინადრობს ბუჩქნარში, ლერწმიანში, ლელქაშში, მდინარის ნაპირებზე, ტყეში, დასახლებულ ადგილებზე. დებს 4–6 კვერცხს. იკვებება მწერებით, პატარა ლოკოკინებით.

რ. ჟორდანია.

ლემა (Datura), მცენარეთა გვარი ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. ძირითადად ბალახებია, იშვიათად – ხეები და ბუჩქები. გავრცელებულია უმთავრესად ტროპ. და სუბტროპ. სარტყლებში. აერთიანებს 20-მდე სახეობას. საქართველოში 2 სახეობაა: D. stramonium და D. metel. ეს უკანასკნელი გზადმოყოლილია აფხაზეთში. D. stramonium 0,5–1 *მ* სიმაღლის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რუდერუ ლია, იზრდება ღობის ძირში, ბოსტანში, გზისპირებზე. მისი სამშობლოა ცენტრ. და სამხრ. ამერიკა. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული ევრაზიაში. კავკასიაში თითქმის ყველა რეგიონის მთის ქვედა სარტყელში გვხვდება. ყველა სახეობა შხამიანია, დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალოიდებს, ძირითადად ჰიოსციამინს, აგრეთვე სკოპოლამინსა და ატროპინს, სხვადასხვა სახის ცხიმებს, მცირე რაოდენობით სპირტებსა და ალდეჰიდებს.

ლ-ისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება რევმატიზმისა და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ.

ლ. ხინთიბიძე.

ლემან-ჰაუპტი კარლ ფერდინანდ ფრიდრიხ (Leman-Haupt Karl Ferdinand Fridrich) (11. III. 1861, ჰამბურგი, – 24. VII. 1938, ინსბრუკი), გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე და ისტორიკოსი, სამართლის დოქტორი (1883), ანტიკური ისტორიის დოქტორი (1886). იგი იკვლევდა ურარტულ წერილობით წყაროებს, ამ მიზნით 1898/99 გაემგზავრა ექსპედიციით სომხეთში, შემდეგ სტუმრობდა თბილისს, სადაც ა. *ლაისტის* მეშვეობით გაიცნო ი. ჯავჯავაძე, რ-საც თავდაპირველად თბილისში, შემდეგ კი საგურამოში ეწვია. კავკასიის მუზეუმში შეხვდა გუსტავ რადეს და საშუალება მიეცა მუზეუმში დაცულ ურარტულ წერილობით ძეგლებზე ემუშავა. 1901–36 იყო ანტიკური ისტორიის ჟურნ. „Klio. Beitrage zur alten Geschichte“-ის რედაქტორი.

ლ-ჰ-ს გამოთქმული აქვს მოსაზრება ქართების (იბერების) წარმომავლობის შესახებ. იგი თვლიდა, რომ ქართები ჩრდ. მესოპოტამიიდან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად საქართველოში გადმოსახლებული კარდუხებისა და მცირე აზიიდან კიმერიელთა მიერ აყრილი მესხების (მუშქები) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ. თვითონ მუშქები (მოსხები, მესხები) კი ლ-ჰ-ს ,,ფრიგიის ადგილობრივ მოსახლეობად“ მიაჩნდა, სადაც ფრიგიელები წარმოადგენენ ,,მცირერიცხოვან მმართველ ინდოევროპულ ფენას“.

2018-იდან მოქმედებს ილიას სახელმწ. და გიოტინგენის გეორგაუგუსტის (გერმანია) უნ-ტების ერთობლივი ლ-ჰ-ს სახ. ტრანსდისციპლინური საერთაშ. სადოქტორო სკოლა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Сванидзе А., Материалы по истории Алародийских плмен, Тб., 1937.

ლემერგარდტი ალექსანდრა თევდორეს ასული (6. III. 1896, პეტერბურგი, – 1960, თბილისი), თეატრის მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1954). 1914–16 დაამთავრა კ. ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსები, 1918–22 კი – პეტროგრადის სამსახიობო ოსტატობის სკოლა. 1922–37 მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. 1937–58 იყო თბილ. გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი, სადაც განასახიერა: ანა, ანა დიმიტრიევნა (ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინა“, ,,ცოცხალი ლეში“), ნასტასია პეტროვნა, გლუმოვა (ა. ოსტროვსკის ,,ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, ,,ბელუგინის ქორწინება“), მადამ პერნელი (მოლიერის ,,ტარტიუფი“), ანა (მ. გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა“), კლავდია (ს. ნაიდენოვის ,,ვანიუშინების შვილები“), მისის კენდერი (რ. შერიდანის ,,ავყიობის სკოლა“), როზალია (ე. დე ფილიპოს ,,ფილუმენა მარტურანო“), ოქსანა (ა. კორნეიჩუკის ,,მაკარ დუბრავა“) და სხვ.

ლემეშევი სერგეი იაკობის ძე [27. VI(10. VII), 1902, სტაროე კნიაზევო, – 26. VI. 1977, მოსკოვი], რუსი საოპერო მომღერალი (ტენორი), პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1950), სტალინური პრემიის ლაურეატი (1941). 1925 დაამთავრა მოსკოვის კონსერვატო-



ლელქაში. Scirpus lacustris.



ლელქაში. Scirpus silvaticus.



ლემა. Datura stramonium.



ლემა. Datura metel.



ს. ლემეშევი.

რია (ნ. რაისკის ვოკალური კლასი). 1924–26 მუშაობდა მოსკ. საოპერო სტუდიაში (ხელმძღვ. ლ. სტანისლავსკი). 1926–28 იყო სვერდლოვსკის საოპერო თეატრის სოლისტი. 1929–31 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი. აქ წარმატებით შეასრულა მნიშვნელოვანი საოპერო პარტიები: პინკერტონი, რუდოლფი (ჯ. პუჩინის ,,ჩიო-ჩიო სანი“, ,,ბოჰემა“), ჯერალდო (ლ. დელიბის ,,ლაკმე“), ჰერცოგი, ალფრედი (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო“, ,,ტრავიატა“), ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი“). შეასრულა ასევე სინოდალის როლი ფილმ-ოპერა ,,დემონში“ (1960) და გ. დუბროვსკის როლი ფილმ-სპექტაკლში ,,დუბროვსკი“ (1961, ორივე რეჟ. ვ. გოლოვინი) და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: Грошева Е., С. Я. Лемешев М., 1960; Л ь в о в М., С. Я. Лемешев, М.-Л., 1947; М о и с е е в, Русские певцы, М., 1965.

ლემზაგორი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჟახუნდრის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1220 *მ.* ლენტეხიდან 27 *კმ.* 79 მცხ. (2014).

ლემზდენი (Lumsden) ტომას (დ-ახლ. 1790, – 1840-ის შემდეგ, ინდოეთი), ბენგალის ცხენოსანთა არტილერიის ლეიტენანტი. სავარაუდოდ მსახურობდა მირუთში, დელის ახლოს. ლ-მა, ბიძაშვილთან, ორიენტალისტ მათიუ ლემზდენთან (1777–1835) და მეგობართან, ლეიტენანტ ა. კამერონთან ერთად ირანისა და კავკასიის გავლით იმოგზაურა ინგლისში.

მათ მოგზაურობა დაიწყეს 1819 წ. 3 ოქტ. და შირაზის, ისპაჰანისა და თავრიზის (1820 წ. 25 ივნ.) გავლით 5 ივლისს ჩავიდნენ ნახჩევანში, შემდეგ ერევანში (11–15 ივლ.), თბილისში (27–31 ივლ.), საქართვ. სამხედრო გზით – ვლადიკავკაზში (6 აგვ.), მოზდოკში (10 აგვ.) და ა. შ., 1820 წ. 31 ოქტ. კი – ლონდონში.

ლ. მოგზაურობის დროს, რიცხვებისა და დღეების მიხედვით აწარმოებდა საგზაო დავთარს, სადაც მოცემულია მწირი ცნობები კავკასიის შესახებ. მისი მთავარი ღირებულებაა გავლილი გზის ზუსტი სამარშრუტო მონაცემები. დავთარს დართული აქვს ფერადი რუკა, რ-ზეც დატანილია ავტორის მიერ აბერდინამდე (შოტლანდია) გავლილი მარშრუტი.

თხზ.: A Journey from Merut in India to London; through Arabia, Persia, Armenia, Georgia, Russia, Austria, Switzerland and France during the Years 1819 and 1820, L. 1822.

ლიტ.: П о л и е в к т о в Т. А., Европейские путешественники по Кавказу 1800–1830 гг., Тб., 1946.

„ლემი“, ზოომორფული დროშა, რ-იც დაცულია სვანეთში სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში (მდებარეობს მესტიის ცენტრში, სეტის უბნის სასაფლაოზე). გამოჰქონდათ ზაფხულის დღესასწაულ ჰულიშზე. „ლ-ს“ ხის ტარს ჩამოცმული ჰქონდა ვერცხლის შუბისებრი თავი, რ-ის ორივე მხარეს წმინდანთა გამოსახულებები და ასომთავრული წარწერა იყო. დროშას კერავდნენ ყვითელი აბრეშუმის ქსოვილისაგან, უკეთებდნენ ვერცხლის ყბებს, კბილებსა და ენას, აკერებდნენ ყურებს, თვალები და ცხვირი გამოჰყავდათ ვერცხლისფერი სირმით. ამავე სირმით შუბლსა და ტორებზე გამოსახავდნენ ჯვრებს, წითელი ნაჭრით – ნესტოებს. დროშის სიგრძე, კუდის ჩათვლით, 2,4 *მ* იყო. სწრაფი მოძრაობისას დროშა ჰაერით ივსებოდა და ცხოველის ფორმას იღებდა.

ზოგი ხალხური გადმოცემა პირველი ,,ლ-ის“ დამზადებას ღვთაება *ლამარიას* მიაწერს, ზოგი კი – თამარ მეფეს. ,,ლ.“ სეტის წმ. გიორგის ყველაზე ძლიერ რელიკვიად ითვლებოდა. მას განაგებდა და იცავდა პრივილეგირებული გვარიდან არჩეული მელომე, რ-იც მთელი ,,ბედნიერი სვანეთის ერთობილ ხევის“ უფროსად, ,,მამად“ ითვლებოდა. ომიანობისას ,,ლ-ით“ ხელში წინ უძღოდა ლაშქარს. დღეობის ბოლოს იმართებოდა დღღი, რ-შიც მელომეც მონაწილეობდა. მისი გამარჯვება საქმეში გამარჯვებისა და ხვავრიელი წელიწადის მომასწავებელი იყო.

,,ლ.“ არქაული წარმოდგენების საფუძველზეა აღმოცენებული. იგი უნდა უკავშირდებოდეს სვანეთში დამოწმებულ ტოტემური მგლის რწმენას, შესაძლოა წმ. გიორგის ზოომორფული გამოვლენაც იყოს. აღმ. საქართვ. მთიელთა მითოლოგიაში ,,წმ. გიორგის მგლები“ ეხმარებოდნენ მას საყმოსთან ურთიერთობაში. ,,ლ-ს“ მსგავსად, ჯოხზე წამოცმულ მგლის ტყავს ან ფიტულს დროშასავით კარდაკარ ჩამოატარებდნენ ,,მელია–ტულეფიას“ რიტუალის დროს (სვან.), თან მღეროდნენ ,,აშანგელო მგელოს“. ანალოგიური დროშები ჰქონდათ სკვითებს, სარმატებსა და პართელებს, მათგან გადაიღეს რომაელებმა და სასანურმა ირანმა, შემდეგ კი – ბიზანტიელებმა და შუა საუკუნეების ევროპელებმა.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა ,,ლემ“ მგელ-ძაღლი, ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ XII–XIII, 1963, ტ. 12–13; ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს., ქართული დროშები, თბ., 1953; Б а р д а в е л и д з е В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

ი. სურგულაძე.

ლემიქავე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (აბედათის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს. ზ. დ. 180 *მ,* მარტვილიდან 14 *კმ.* 424 მცხ. (2014).

ლემონჯავა დიმიტრი მიხეილის ძე (18. XII. 1907, სოფ. ზუმი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 14. VI. 1993, იქვე), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1976). დაამთავრა ზუგდიდის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (1925) და სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1940). 1926–27 იყო სოფ. ზუმის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. 1927 წ. 16 აპრილს ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს. სასჯელს იხდიდა წალენჯიხის, ზუგდიდის, თბილისის ციხეებში, შემდეგ სამი წლით გადაასახლეს პერმის (რუსეთი) ბანაკში.

გათავისუფლებისა და სოხუმის პედ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ (1940) იქვე მუშაობდა ლექტორად, იკვლევდა საქართველოს სოც.-ეკონ. და კლასობრივი ბრძოლის საკითხებს.

თხზ.: გლეხთა აჯანყება საქართველოში 1856–1857, თბ., 1957; გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა რეფორმამდელ საქართველოში (XIX საუკუნის 30–60-იანი წლები), სოხ., 1970; XIX საუკუნის საქართველოში გლეხთა მოძრაობის ისტორიის მოკლე ნარკვევი (სახელმძღვ.), თბ., 1987.

ო. ჟორდანია.

ლემონჯავა ვლადიმერ ილარიონის ძე (31. VIII. 1905, ზესტაფონი, – 15. I. 1979, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1928; პედაგოგები – გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე). მონაწილეობდა გამოფენებში, მ. შ. საქართვ. რევოლუციონერ მხატვართა ასოციაციის („სარმა“) გამოფენაში (1930, თბილისი), სადაც წარმოდგენილი იყო მისი ნახატები – „დემონსტრა-

ციის დარბევა“ და „არსენ ჯორჯიაშვილი“. მოღვაწეობდა გრაფიკის დარგშიც, კერძოდ, შექმნა ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ილუსტრაციების სერია (1957–58, აკვარელი). ლ-ს ნამუშევრები ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში.

ლიტ.: Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии, 1921–1970, М.,1975.

ლემონჯავა პარმენ ბეგის ძე (დ. 15. XII. 1936, სოფ. ჭუბურხინჯი, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1996). 1960 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1960–72 მუშაობდა სსრკ მშენებანკის საქართვ. რესპ. კანტორაში, საქართვ. სახელმწ. დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტში; 1972–75 იყო სპი-ის პოლიტეკონომიის კათედრის თანამშრომელი, 1975–2009 – თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის ეკონ. თეორიის კათედრის პროფესორი; 2009–12 – სტუ-ის ასოცირებული პროფესორი; 2012-იდან საინჟინრო ეკონ. მედიატექნოლოგიებისა და სოც. მეცნ. ფაკ-ტის ემერიტუსია. არის ჟურნ. ,,სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების'' რედკოლეგიის წევრი და რედაქტორის მოადგილე.

ლ. სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიებების ავტორია. მისი მეცნიერული კვლევის სფეროა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ეკონ. თეორიის პრობლემები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

თხზ.: გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების აქტუალური ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2008; ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 2014; ბუნების გამოყენების ეკოლოგიური პოლიტიკა, თბ., 2017.

ლემსია, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლენჯერის თემი), უშბის მასივის სამხრ. კალთის ძირას, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., კაერი, ლაშთხვერი, ნესგუნი, სოლი, ქაშვეთი, ჰეშკილი), ზ. დ. 1400 *მ,* მესტიიდან 3 *კმ.* 139 მცხ. (2014).

ლემშვენიერა, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., მზიანეთი, ნაგები), მდებარეობს ზ. დ. 320 *მ,* 1642 მცხ. (2014). სოფელი შეიქმნა 1987 სტიქიით დაზარალებული სვანების ჩამოსახლების შედეგად.

„ლემჩილი“, სვანური სამონადირეო ფერხული, მიძღვნილი სახელგანთქმული მონადირის – გიორგისადმი. ფერხულს საფუძვლად დაედო ხალხისგან გმირად აღიარებული მონადირის ღრმა პატივისცემა და სიყვარული. სიტყვა ,,ლემჩილი'' ნიშნავს დასაბერებელს. ფერხულის ტექსტში ლოცავენ და ღრმა სიბერემდე სიცოცხლეს უსურვებენ გიორგის, რ-იც ,,კლდეზე – ჯიხვს, ტყეში – ქურციკს, მინდორში – ირემს, მდინარესა და ზღვაში თევზს არ ტოვებდა მოუნადირებელს''. სხვა სამონადირეო ფერხულისაგან განსხვავებით, ,,ლ-ს'' მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. ამ უძველესი ტრადიციის შენარჩუნებას ხელი შეუწყო ფეხის მოძრაობათა კომპლექსში მამაკაცთა მიერ ცერილეთის (ერთდროულად ორივე ფეხის ცერზე შეხტომა) შეტანამ, რაც ქალისთვის შეუფერებლადაც მიიჩნევა. ცერულის გამოყენება და ფერხულში მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობის ტრადიცია მიუთითებს სვანური სამონადირეო ფერხულების, კერძოდ, ,,ლ-ის'' უძველეს წარმომავლობაზე. ფერხული სრულდება წრიულად ორპირულ სამხმიან სიმღერაზე (მუს. ზომა 2/4).

მკვლევარები სამონადირეო ფერხულებს, მ. შ. ,,ლემჩელს'' უკავშირებენ სიცოცხლის განახლებასა და ნაყოფიერების უძველეს საგაზაფხულო მისტერიებს, რ-იც მონადირეთა ღვთაება დალის და მის რჩეულს ეძღვნებოდა.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; თათარაძე ა., ქართული ცეკვების განმარტებანი, თბ., 1986.

ბ. ბარამიძე.

ლენგი დეივიდ, იხ. *ლანგი დეივიდ.*

ლენინგორი, დაბა, იხ. *ახალგორი.*

ლენინგორის განძი, ვერცხლის წვრილი ფულის (83 ც.) განძი. ნაპოვნია 1955 სოფ. ძუკათაში (ახლანდ. ახალგორის მუნიციპ.) გზის გაყვანის დროს. მონეტები თიხის ჭურჭელში იყო შენახული და ახლდა ვერცხლის სამაჯური, ვერცხლისავე ბეჭედი (ინტალიო) და საყურე. ყველა მონეტა ერთი ტიპისაა და მოჭრილია ჯელარად შეიჰუვეისის (ჰ. 757–776=1356–1374) მიერ თბილისის ზარაფხანაში. მონეტები ამგვარია: ავერსი – სამ ბუდეში, არაბულად: ,,უვეისი სულთანი, დაე განიგრძოს მეფობა მისი'', ბუდეებს შორის შექმნილ არეზე, მოჭრის ადგილი – ,,იჭედა თბილისში'', რევერსი – მუსლიმური სარწმუნოებრივი სიმბოლო: ,,ალაჰი, არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა, მუჰამედი მოციქული მისი.“

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ჯალაღანია ი., XIV საუკუნის თბილური მონეტების ლენინგორის განძი, ,,საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე'', 1959, ტ. 22, №1; Марков А., Каталог джалаирских монет, СПб., 1897.

ლენინგორის მუნიციპალიტეტი, იხ. *ახალგორის რაიონი.*

ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე [10 (22). IV. 1870, სიმბირსკი (ახლანდ. ულიანოვსკი), – 21. I. 1924, დაბა გორკი (ახლანდ. მოსკოვის ოლქი)], საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის დამაარსებელი, რუსეთის 1917 ოქტ. რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი. მარქსიზმის რადიკალურ-რევოლუციური რუს. მიმდინარეობის ფუძემდებელი.

1891 ლ-მა ექსტერნად ჩააბარა გამოცდები პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე და პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. 1893 იგი პეტერბურგში მარქსისტულ წრეში შევიდა, 1895 კი გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც გაეცნო დას. ევროპის მუშათა მოძრაობას. იმავე წლის სექტემბერში ლ. რუსეთში დაბრუნდა და პეტერბურგში ყველა მარქსისტული ჯგუფი ერთ ორგანიზაციად (პეტერბურგის ,,მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“) გააერთიანა. 1895 დეკ-ში ლ. და მისი ორგანიზაციის სხვა წევრები დააპატიმრეს. 1897 იგი 3 წლით გადაასახლეს ციმბირში, 1900 იანვარში ლ. გადასახლებიდან დაბრუნდა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც იმავე წლის დეკ-ში გამოსცა გაზ. ,,ისკრის“ პირველი ნომერი. 1900–05 ლ. მიუნხენში, ლონდონსა და ჟენევაში ცხოვრობდა. რსდმპ-ის II ყრილობამ (1903) მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება. ყრილობაზე გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: ერთი – გ. პლეხანოვის ევროპულ-რეფორმისტული (მენშევიზმი) და მეორე – ლ-ის რადიკალურ-რევოლუციური (ბოლშევიზმი). 1909 ლ-მა გამოსცა ფილოს. ხასიათის წიგნი ,,მარქსიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რ-შიც მწვავედ გააკრიტიკა სუბიექტური იდეალიზმის და სხვა ფილოს. სკოლების

შეხედულებანი. მნიშვნელოვანია ლ-ის მიერ მარქსისტული დიალექტიკის შემეცნების მეთოდად წარმოჩენა. შემდგომში დიალექტიკური მატერიალიზმი საბჭოთა კავშირის ოფიც. ფილოსოფიად და დასავლურ სამყაროსთან იდეოლ. დაპირისპირების იარაღად იქცა. 1917 თებერვლის ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციას ლ. საზღვარგარეთ შეხვდა. 3 აპრილს იგი დაბრუნდა რუსეთში და თავის ცნობილ ,,აპრილის თეზისებში'' წამოაყენა ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციის სოციალისტურში პერმანენტულად გადაზრდის გეგმა. ბოლშევიკებმა ოქტ. სახელმწ. გადატრიალების შედეგად პრაქტიკულად უსისხლოდ მოიპოვეს ძალაუფლება. დამფუძნებელი კრების დათხოვნამ და ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების უზურპაციამ გამოიწვია სამოქალაქო ომი, რ-ის დროსაც ლ. სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ბრძოლასა და მასობრივ რეპრესიებს. სამოქალაქო ომსა და ,,სამხედრო კომუნიზმის'' პოლიტიკას უმძიმესი ჰუმანიტარული და ეკონ. შედეგები მოჰყვა: ადამიანთა მსხვერპლმა 10 მილიონს გადააჭარბა, არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა ქვეყანა დატოვა და ემიგრაციაში წავიდა, ბევრი ,,წითელმა ტერორმა იმსხვერპლა. 1918 წლის 17 ივლისს ქ. ეკატერინბურგში, ადგილ. ბოლშევიკების ბრძანებით (რაც, დიდი ალბათობით შეთანხმებული იყო კრემლთან), დახვრიტეს იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი ოჯახის წევრები.

1921 თებერვალში, ლ-ის სანქციით, ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ინტერვენცია და ოკუპაცია. 1921 წ. 28 მარტს სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი სას.-სამეურნეო პროდუქტების თავისუფალი გაცვლის, შესყიდვისა და გაყიდვის შესახებ. ამით დასაბამი მიეცა ლ-ს მიერ შემუშავებულ ახალ ეკონ. პოლიტიკას (ნეპი). ლ-ის ინიციატივით მიმდინარეობდა საბჭოთა რესპ. გაერთიანების პროცესი. სტალინის ,,ავტონომიზაციის'' პროექტის სანაცვლოდ, რ-იც რესპუბლიკებში წინააღმდეგობას წააწყდა, ლ-მა წამოაყენა საბჭოთა სოციალ. რესპ. საერთო საკავშირო სახელმწიფოში (სსრკ) თანასწორუფლებიანობის პრინციპით გაერთიანების გეგმა, რ-ის საფუძველზე 1922 წ. 30 დეკ. შეიქმნა სსრკ.

1922 ლ. მძიმედ დაავადდა და ფაქტობრივად ვეღარ მონაწილეობდა პოლიტ. საქმიანობაში.

1924 წ. 27 იანვ. დაკრძალეს წითელ მოედანზე. ლ-ის ბალზამირებული ნეშტი მოთავსებულია მავზოლეუმში.

ლ-ს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ ბოლშევიკებთან. მასთან მიმოწერა თავდაპირველად დაიწყო ლ. კეცხოველმა. შემდეგ – ა. ენუქიძემ, მ. დავითაშვილმა, ი. სტალინმა, მ. ცხაკაიამ, ს. ორჯონიკიძემ, ნ. კიკნაძემ, მ. ფილიამ, მ. ტოროშელიძემ, შ. ელიავამ, ს. ბუაჩიძემ, ი. სტურუამ, ფ. მახარაძემ და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლ. ყურადღებას უთმობდა ე. წ. „საქართველოს საკითხს“. 1923 წ. 5 მარტს მან უკარნახა რამდენიმე წერილი: ერთ წერილში ის მიმართავდა ლ. ტროცკის და სთხოვდა კონტროლზე აეყვანა „ქართული საკითხი“; მეორე წერილს ის უგზავნიდა ქართველ კომუნისტებს – ბ. მდივანს, ფ. მახარაძეს, კ. ცინცაძეს და სხვებს, სადაც ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპირდებოდა ველიკოდერჟავული ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლაში;

თხზ.: Полн. собр. соч., 5 изд., т. 1–55., М., 1958–65.

ლიტ.: დაუშვილი ალ., ლენინი, თბ., 2017; ესაიაშვილი ვ., ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895–1924), თბ., 1959; ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ბიოგრაფია, თბ., 1970; როგაქიძე გ., ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი, თბ., 2015.

უ. ბლუაშვილი.

ლენინისი, იხ. სოფ. *ქვიშიანი.*

ლენინო, იხ. სოფ. *უკანგორი.*

ლენინოვკა, იხ. სოფ. *ხორნაბუჯი.*

ლენკვაში, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ნაკრის თემი), მდ. ნაკრის (მდ. ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, ზ. დ. 1370 *მ.* 19 მცხ. (2014).

ლენკვერის ციხე, მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, უშგულის მახლობლად, მაღალი ქედის ერთ-ერთ განშტოებაზე. ციხე-სიმაგრის მდებარეობა სტრატეგიული თვალსაზრისით ძალიან კარგადაა შერჩეული. იგი თითქმის ყველა მხრიდან მიუდგომელია და ძლიერადაა გამაგრებული კოშკებით. აქედან შორ მანძილზე ჩანდა ენგურისა და ქვიშორის ხეობები მათზე საგზაო კომუნიკაციებით: აგრეთვე კავკასიონისა და სვანეთის ქედები უმაღლესი უღელტეხილებითურთ. ციხე გეგმით არაწესიერი მოხაზულობისაა და აღმ-იდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული. მისი სიგრძე 54 *მ* შეადგენს, ხოლო სიგანე ყველაზე



ლენკვერის ციხე. გვიანდელი შუა საუკუნეები.

განიერ ადგილას 23 *მ* აღწევს. ციხის ორივე ბოლოში თითო კოშკია აგებული. მესამე (შემორჩენილია ერთი სართულის სიმაღლეზე) ციხის ჩრდ. კედლის შუაშია. საშენ მასალად კლდის ქვაა გამოყენებული (მედწილად ფიქალი), შემკრავად – კირის ხსნარი. კედლები შეულესავია. გალავნის კედლის სისქე 1 *მ* აღწევს, ხოლო შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე – 6 *მ*-ს. გალავნის სამხრ-ის კედელი დანგრეულია. ამ მხრიდან სიმაგრეში შედიოდა სამარხილე გზა. საყარაულო დანიშნულების გარდა ციხე-სიმაგრე საფრთხისას მოსახლეობის თავშესაფარავადაც გამოიყენებოდა.

ლიტ.: ქალდანი ა., ,,ლენკვერ''-ის ციხე უშგულში, ,,ძეგლის შეგობარი'', 1987, № 1.

თ. გერსამია.

ლენტეხი, დაბა (1969-იდან), ტერიტორიული ორგანო (2006-იდან), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმ. ცენტრი (სოფლები: ბაბილი, გულიდა, კახურა, ლასკადურა, ლექსურა, მაცხვარლამეზური, მელურა, ყარიში). 1929-იდან ლ. იყო ქვემო სვანეთის, 1953-იდან – ლენტეხის რაიონული ცენტრი.

ლ. მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრ. კალთის ძირში, მდ. ცხენის-



ლენტეხი.

წყლის ნაპირზე. ზ.დ 760 *მ*, თბილისიდან 323 *კმ*, ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 102 *კმ*.

ლ-ში ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული. საშ. წლიური ტემპ-რა 9,4 °C, იანვ. –1,8 °C, ივლ. – 20 °C, აბსოლ. მინ. – 26 °C, აბს. მაქს. 39 °C, ნალექები 1240 *მმ* წელიწადში.

დაბაში არის ადმინისტრაციის, კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის დაწესებულებები, აგრეთვე მცირე საწარმოები.

ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ლ. მუსელიანის სახელობისა, დაარსდა 2007 ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაბილში, როგორც ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი.

მუზეუმი ქვემო სვანეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული კერაა. აქ დაცულია ბრინჯაოს ხანის არქეოლ. მასალა; XI–XII სს. საეკლ. ნივთები; XVII–XVIII სს. ხელნაწერი ლოცვები; ქვემო სვანეთის ეთნოგრ. ყოფის ამსახველი კოლექცია, რ-იც ექსპონირებულია მუზეუმის კუთვნილ მაჩუბში – სვანური ტიპის საცხოვრებელ სახლში. მუზეუმი ძირითადად სკოლის ბაზაზეა შექმნილი და ექსპონატების უმეტესობა ოჯახებიდან შეგროვებული ნივთებია.

ლ. მ. მ-ის ფართობია 318 $მ^2$, აქედან მუდმივი ექსპოზიცია განთავსებულია 192 $მ^2$-ზე. მუზეუმში ეწყობა ლენტეხელ მხატვართა, აგრეთვე სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები ,,ლენტეხობის“ დღესასწაულზე; ხორციელდება სხვადასხვა საგანმან. პროგრამა: ,,ახალი ტრადიციები სვანეთში“, ,,სვანური სამზარეულო“, ,,სვანეთში დაცული საიდუმლო“, ინტელექტუალური თამაშები – ,,ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ და სხვ.

მუზეუმმა გამოსცა ბუკლეტი სვანეთის ისტ.-კულტ. მემკვიდრეობის შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. აღმ-ით ესაზღვრება ამბროლაურისა და ონის, ჩრდ-ით – მესტიის მუნიციპ. და რუსეთის ფედერაცია, დას-ით – ჩხოროწყუს და მარტვილის, სამხრ-ით – ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპ-ები, ფართ. 1344,4 $კმ^2$. მოსახლეობა 4386 კაცი (2014) ადმ. ცენტრი – დაბა ლენტეხი. ლ. მ-ში შედის 1 დაბა (ლენტეხი) და 7 თემი (ჟახუნდერი, რცხმელური, ჩიხარეში, ჩოლური, ცანი, ხელედი, ხოფური).

ისტორიული ცნობა. ახლანდ. ლ. მ-ის ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოში. ძვ. წ. III ს-ში ქართლის სამეფოში შემავალი ეგრისის სამეფოს ტერიტორია იყო, I–IV სს. – სვანეთის სამთავროს, IV–VI სს. – ეგრისის სამეფოს, VII ს. – ეგრისის სამთავროს, VIII ს. – აფხაზეთის სამთავროს, აფხაზთა სამეფოს, აფხაზთა და ქართველთა სამეფოსა და შემდეგ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო. XIV ს-იდან შედიოდა ლიხთიმერეთის სამეფოში, XV ს-იდან – იმერეთის სამეფოში, შემდეგ კი – სვანეთის საერისთავოსა და სვანეთის სამთავროში. XVII–XVIII სს. მიჯნაზე ეს ტერიტორია შეიერთა ოდიშის სამთავრომ. ექვემდებარებოდა ცაგერის საეპისკოპოსოს. XIX ს-ში შედიოდა სამეგრელოს სამთავროში, შემდეგ – ქუთაისის გუბერნიაში. 1930-იდან დამოუკიდებელი ადმ.-ტერიტ. ერთეულია, როგორც ქვემო სვანეთის რაიონი. 2006-იდან ეწოდა ლ. მ.




ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. გვიანდ. შუა საუკუნეები.

ბუნება. რ ე ლ ი ე ფ ი. მუნიციპ-ის ტერიტორია მთიანია, ჭარბობს საშუალო და მაღალმთიანი რელიეფი, უმთავრესად მთა-ხეობის სტრუქტურული და მყინვარული ფორმებით. უმაღლესი მწვერვალი აილამა (4544 *მ*) მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე და გამოირჩევა ალპ. რელიეფით. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. ამავე მხარესაა ძლიერ დანაწევრებული სვანეთის ქედის სამხრ. კალთა (მწვ. ღვადარაში, 3750 *მ*), რ-იც აგებულია ზედაპალეოზოური და ტრიასული თიხაფიქლებით, აღმ. ნაწილში კი – ქვიშაქვებითა და კვარციტებით. მუნიციპ-ის სამხრ-დას-ით ვრცელდება ეგრისის ქედის აღმ. მონაკვეთი (მწვ. ცეკური, 3173 *მ*), წარმოდგენილი ბაიოსური ვულკანოგენური წყებებით. იგივე ნალექებით აგებულია ჩხუმის ქედი (მწვ. თეთნარი, 2965 *მ*. ლ. მ-ის ჩრდ. აღმ. ნაწილში გავრცელებულია ზედაიურული ფლიშური ნალექები (მერგელები, კირქვები, ქვიშაქვები). ძირითადი ქანები ზოგან დაფარულია პლეისტოცენური, ალუვიური, მყინვარული და გრავიტაციული ნალექებით. ლ. მ-ის მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულებია მდ-ების – ცხენისწყლისა და ხელედულის ხეობები, აგრეთვე ლენტეხის ვრცელი ქვაბული.



ლენტეხის მუნიციპალიტეტის გერბი.

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია დარიშხანი (ცანის საბადო), კალა, სპილენძი, პოლიმეტონები, მარმარილო, კვარციტები, მინერალური წყლები: მუაშის (მის ბაზაზე მოქმედებს ადგილობრივი მნიშვნელობის კუ-





ლენცოფა. Hyoscyamus niger.

რორტი), ტვიბერის, ხოფურის და ყორულდაშის.

ჰავა. ლ. მ-ში მთიანი რელიეფის გამო ჰავა სიმაღლის მიხედვით იყოფა ზონებად. დაბალ ნაწილში ნოტიო ჰავაა, იცის ცივი ზამთარი, ხანგრძლივი გრილი ზაფხული, ცხენისწყლის ხეობის მცირე მონაკვეთზე – ხანგრძლივი თბილი ზაფხული, მთის ტყის ზონაში (1900–2000 *მ.* საშ. წლ. ტემპ-რა 3.2 – 9.4 °C ფარგლებშია; აბსოლ. მინ. –33 °C, აბს. მაქს. 32 – 39°C, ნალექები 1250 –1390 *მმ*-მდე წელიწადში. ტყის ზონის ზევით მაღალი მთის ნოტიო ჰავაა ცივი ზამთრით და ხანმოკლე გრილი ზაფხულით. ყველაზე მაღალ ადგილებში მუდმივი თოვლი და მყინვარებია.

შიდა წყლები. ლ. მ-ის მთავარი მდინარე ცხენისწყალია, რ-ის სათავე კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზეა (2707 *მ*). მნიშვნელოვანი შენაკადებია: მარჯვნიდან – ხელედულა, ლასკადურა, ზესხო; მარცხნიდან გობიშური, ლეუშერი, ხოფური და სხვ. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, თოვლისა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობები ახასიათებთ გაზაფხულზე, წყალმცირობა – შემოდგომასა და ზამთარში. მუნიციპ-ში 38-მდე მყინვარია (მ. შ. ყორულდაში, რ-ის სიგრძეა 38 *კმ*).

ნიადაგები. ლ. მ-ში გავრცელებულია მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები.

მცენარეული საფარი. მუნიციპ-ის დიდი ნაწილი ტყეებს უჭირავს. ტყის ქვედა სარტყელში, დაახლოებით 1000–1200 *მ*-მდე გავრცელებულია ფართოფოთლოვანი ტყე, რ-საც ქმნის წიფელი, წაბლი, მუხა, ცაცხვი და სხვ. უფრო ზევით, 1500–1600 *მ*-მდე გაბატონებულია წიფლნარი, ტყის ზემო სარტყელში ხარობს ნაძვი, სოჭი. 2400–2500 *მ*-მდე ვრცელდება სუბალპ. ტყე-მდელო, სადაც გვხვდება არყი, ცირცელი; ბუჩქნარებიდან – დეკა, მთის მოცვი და სხვ. 2500 *მ*-იდან მუდმივი თოვლის საზღვრამდე (3000–3100 *მ*) ალპური მდელოებია.

ცხოველთა სამყარო. მუნიციპ-ის ტერიტორიაზე ბინადრობს მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, შველი, არჩვი და სხვ., ალპურ ზონაში – ჯიხვი. მდინარეებში უხვადაა კალმახი.

ლანდშაფტები. ლ. მ-ის ტერიტორიაზე გავრცელებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები: საშუალო მთები წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეებით; მთის ხეობები ჭალის (წიწვოვან-ფოთლოვანი) ტყეებით, ტიპურ და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე; სუბალპ. ტყე-მდელო, მთა-ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებზე; ალპ. მდელოები მთის მდელოს ნიადაგებზე; გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი.

მოსახლეობა. უმეტესობა ქართველია (99,9 %), მოსახლეობის საშ. სიმჭიდროვეა 3,26 კაცი 1 *კმ*-ზე (2014).

მეურნეობა. ლ. მ-ის წამყვანი დარგია მეცხოველეობა. სას. სამეურნეო კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი და პარკოსანი მცენარეები, ასევე მისდევენ მებაღეობასაც. მუნიციპ- ში არის სხვადასხვა პროფილის მცირე საწარმოები და ალპინისტური ბანაკი „აილამა“, ფუნქციონირებს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი მუაში.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ლ. მ-შია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეატრი, ბიბლიოთეკები და 28 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

ჯანდაცის ხაზით მუნიციპალიტეტში არის 9 ამბულატორია და 1 ,,რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის ლენტეხის კლინიკა‘‘ – 12 საწოლზე.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ტერიტ-ზე არსებული ისტ. ძეგლებია ჟახუნდერის წმ. გიორგის, თეკალის ღვთაების, ტვიბის მთავარანგელოზის, ფაყის წმ. მარიამისა და სკალდის მთავარანგელოზთა ეკლესიები; დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი ლენტეხში და ლექსურის კოშკები.

გ. დევდარიანი.
ე. კობახიძე.

ლენცოფა (Hyoscyamus), ორწლოვან და ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. მისი 20-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და კანარის კუნძულებზე. საქართველოში იზრდება 3 სახეობა; მ. შ. უფრო მნიშვნელოვანია შავი ლ. (H. niger) – ორწლოვანი ბალახი.

ლ-ს ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა და ნახევრად ღერომხვევი. მღვრიე ყვითელი ფერის გვირგვინი იისფრად არის დაძარღვული. ნაყოფი მრავალთესლიანი მოგრძო კოლოფია. გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდ. ამერიკასა და ავსტრალიაში. გავრცელდა როგორც გზადმოყოლილი. რუდერულია, იზრდება გზისპირებზე, ბოსტანში, ბაღსა და მინდორში. ჩვენში ეს სახეობა გავრცელებულია თითქმის ყველგან მთის ზემო სარტყლამდე. ლ. ძალზე შხამიანია. აქვს არასასიამოვნო სუნი, შეიცავს ალკალოიდებს – ჰიოსციამინს, ატროპინსა და სკოპოლამინს.

ლ. ხინთიბიძე.

ლეო (ნამდვ. გვარი ბაბახანიანი) არაქელ გრიგოლის ძე [14 (26). IV. 1860, შუშა, ელიზავეტპოლის გუბერნია, რუსეთის იმპერია, ახლანდ. აზერბ. რესპ., – 14. XI. 1932, ერევანი, სომხეთის სსრ), სომეხი ისტორიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი, ერევნის უნ-ტის პროფესორი (1924–32). 1901–05 თბილისში გამოიცა ლ-ს მონოგრაფიები სომხ. ენაზე. ლ-ს შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართვ. ისტ. საკითხებს. მისი სამტომიანი ნაშრომის, ,,სომხეთის ისტორიის‘‘ III ტომში სპეც. პარაგრაფია გამოყოფილი სომეხ- ქართველთა ურთიერთობის შესახებ. სომხურ ისტორიოგრაფიაში ერეკლე II-ის დამოკიდებულება ყარაბაღის ხან იბრეიმთან სომეხთა ინტერესებისათვის არახელსაყრელადაა მიჩნეული (ა. იოანისიანი, ს. პოღოსიანი). ლ. საყვედურობს ერეკლე მეფეს, რომ მან ნება არ მისცა რუსებს, მოეშორებინათ იბრეიმი, რ-იც ყარაბაღელ მელიქებს ავიწროებდა. ყარაბაღის ფანა-ხანზე ქართლ-კახეთის გამარჯვებას ლ. თავისებურად აფასებს. ლ. თეიმურაზ მეფეს საყვედურობს, რომ მან ეს გამარჯვება ბოლომდე არ მიიყვანა, არ გააუქმა ყარაბაღის სახანო და სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა ყარაბაღის სომეხ მელიქებს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1979.

გ. მაისურაძე.

ლეონ I, აფხაზეთის მემკვიდრეობითი ერისთავი დაახლ. 720/30–740, ბიზანტიის იმპერატორის ვასალი. მის დროს საქართველოს შემოესია არაბთა სარდალი მურვან ყრუ, რ-მაც მოაოხრა ცხუმი და აფხ. სხვა ადგილები. ჯუანშერის ცნობით, ლ. I-მა და ქართლის ერისმთავარმა არჩილმა მშვიდობისა და მეგობრობის კავშირი შეკრეს, რ-იც განამტკიცა ლ. I-ის მიერ არჩილის ძმის (მირის) ასულის (გურანდუხტი) შერთვამ.

წყარო: ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის

ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 2, თბ., 1983; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959.

ვ. გუჩუა.

ლეონ I (Leon), (401, თრაკია, – 18. I. 474, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი (457–474). საიმპერატორო ტახტზე ასვლამდე ტრიბუნის წოდებით იყო სამხედრო სამსახურში. ჯუანშერის ცნობით იმპ. მარკიანეს დროს ბიზანტიის წინააღმდეგ ქართლ-ალბანეთის მარზპანის – ვარაზ–ბაკურისა და ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის დასრულებისას (456) ვახტანგი ლეონის ქალიშვილ ელენეზე იყო დაწინდული. იმხანად ქართლში შექმნილი რთული ვითარების გამო ელენეს ქართლში ჩამოყვანა გადაიდო. მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტის შემდეგ (468) კონსტანტინოპოლში ჩასულმა ვახტანგ მეფის დესპანმა ლ. I-ს ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება სთხოვა. იგი თხოვნას დათანხმდა და მეფის დესპანი ანტიოქიაში გაგზავნა, სადაც ქართლის მოქცევიდან (318) 170 წლის თავზე, როგორც ჯუანშერი წერს, პატრიარქმა პეტრე ფულონმა ანტიოქიის ადგილობრივ საეკლ. კრებაზე ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა, პეტრე კაპადოკიელი კი კათოლიკოსად აკურთხა. ეს ყველაფერი ლ. I-ის სიძის, ვახტანგ გორგასლის ქვისლის – ზენონის იმპერატორობისას მოხდა. დედოფალი ელენე 468 ჩამოიყვანეს ქართლში. ვახტანგმა თავის ვაჟს ლეონი დაარქვა.

ლ. I-ის იმპერატორობისას მოწესრიგდა 456-იდან ბიზანტიის იმპერიასა და ეგრისის სამეფოს შორის დაწყებული გამწვავებული ვითარება. 465, როცა ეგრისის მეფე გუბაზ I კონსტანტინოპოლში ჩავიდა, ორივე მეფის საზრუნავი იყო ,,ქუეყანათა დაწყნარებისათჳს და ზღვართა განყოფისაჲ‘‘. წმ. სვიმეონ მესვეტის მონასტრიდან გამოსული, წარმოშობით ჩრდ. შუამდინარელი, იმხანად კონსტანტინოპოლის ახლოს მოღვაწე წმ. დანიელ მესვეტის შუამდგომლობით ლ. I-სა და გუბაზ I-ის შეხვედრა წარმატებით დასრულდა – ორ ქვეყანას შორის საზღვრად ციხე ხუფათი (ოფი, სოტერიოპული) დაიდო, რითაც, როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, იმპერიის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ეგრისის სამეფოს საზღვარი სამხრ.-დას-ით გაფართოვდა.

ლიტ.: გოილაძე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991; მისივე, ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991; მისივე, დანიელ მესვეტე და გუბაზ მეფე. ბიზანტია-ეგრისის ურთიერთობების პრობლემები V ს. შუა ხანებში. ხუფათი საქართველო–ბიზანტიის საზღვარი. მის კრ.: ახალი გამოკვლევები, თბ., 2018.

ვ. გოილაძე.

ლეონ II, ,,აფხაზთა სამეფოს‘‘ (დას. საქართველოს) პირველი მეფე, ლეონ I-ის ძმისწული. დაახლ. 753-იდან იყო აფხ. მემკვიდრეობითი ერისთავი (მთავარი) და ითვლებოდა ბიზანტ. იმპერატორის ვასალად. VIII ს. უკანასკნელ მეოთხედში ისარგებლა ბიზანტ. იმპერიის დასუსტებით, დაიხმარა ხაზართა ხაკანი (მისი ასული იყო ლ. II-ის დედა), აუჯანყდა იმპერატორს და თავი მეფედ გამოაცხადა. ახალმა სამეფომ, რ-იც მთელ დას. საქართველოს მოიცავდა, სამეფო დინასტიის მიხედვით ,,აფხაზთა სამეფოს‘‘ სახელწოდება მიიღო. ლ. II-მ სამეფოს დედაქალაქად ქუთათისი (ქუთაისი) გამოაცხადა. ლ. II-ის დროიდან მტკიცე საფუძველი ჩაეყარა დას. საქართველოს ეკლესიაში აღმ. საქართველოს საეკლ. ტრადიციების დამკვიდრებას.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლომოური ნ., ძირძველი ქართული მხარის აფხაზეთის ისტორიისათვის, თბ., 2008; ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.), თბ., 1963; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI–XVII вв.), Сух., 1959; Джанашия С. Н., О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, [ტ.] 2, 1952.

ვ. გუჩუა.

ლეონ III, ,,აფხაზთა სამეფოს‘‘ (დას. საქართველოს) მეფე დაახლ. 957–967, გიორგი II-ის ძე. გამეფებამდე დანიშნული იყო ქართლის ერისთავად. მამასთან ერთად იბრძოდა კახეთის შემოსაერთებლად. კახეთში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გიორგი II-ის გარდაცვალების გამო იძულებული გახდა დაზავებოდა კახეთის მეფე კვირიკე II-ს, რ-მაც თავი ლ. III-ის ვასალად ცნო. ლ. III-მ რამდენიმე ხნის შემდეგ განაახლა ბრძოლა კახეთის სამეფოს დასაპყრობად, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მის დროს აშენდა მოქვის ეკლესია, რ-იც ლ. III-მ საკათედრო ტაძრად აქცია. ლ. III მოხსენიებულია კუმურდოს ტაძრის (ჯავახეთი) წარწერაში (964).

წყარო და *ლიტ.* იხ. სტ-ებთან ლეონ I და ლეონ II.

ვ. გუჩუა.

ლეონ III (Leon) ისავრიელი, (675, გერმანიკეა, – 18. VI. 741, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი (717–741), ისავრიელთა დინასტიის დამაარსებელი. VII ს. დასასრულს მისი ოჯახი კილიკიის ქ. გერმანიკეადან თრაკიაში – ზღვისპირა ქ. მესემბრიაში (ახლანდ. ქ. ნესიმბირი, ბულგარეთი) გადასახლდა. 705, როცა იუსტინიანე II (685–695; 705–711) ბულგარეთის ჯარით ტახტის დასაკავებლად კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებოდა, ლ. III-მ მას 500 ცხვარი მიართვა. იუსტინიანემ იგი დაიახლოვა და სპათარის (საჭურველმტვირთველი) ტიტული უბოძა, თუმცა შემდეგ მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა და დაახლ. 710 ჩრდ. კავკასიაში გაგზავნა. ეს ის დრო იყო, როცა ქართლიდან ლტოლვილი სტეფანოზ II ფარნავაზიანის ვაჟები – მირი და არჩილი – შავიზღვისპირეთში იმყოფებოდნენ. სამი წლის შემდეგ აფშილთა მთავრის დახმარებით ლ. III ზღვისპირეთში მივიდა, შემდეგ – ტრაპიზონში. მან ისარგებლა იმპერიის აღმოსავლეთში არაბთა სარდლის მასლამას ლაშქრობით შექმნილი რთული ვითარებით და საიმპერატორო ტახტი დაიკავა. ამით დასრულდა 695-იდან დაწყებული სასახლის გადატრიალებათა ციკლი (შეიცვალა 7 იმპერატორი). 717 წ. 18 აგვისტოს ლ. III-მ არაბთა სარდალი მასლამა აიძულა კონსტანტინოპოლისათვის ალყა მოეხსნა. ამ გამარჯვებას დაემთხვა ანაკოფიასთან არაბთა დამარცხება. მიუხედავად იმისა, რომ მირმა და არჩილმა, ასევე ლეონ აფხაზთა ერისთავმა, იცოდნენ, რომ ლ. III-მ ოსებთან ერთად რამდენჯერმე დაარბია აბაზგები, გამარჯვება მაინც შეატყობინეს. ამ ამბით გახარებულმა იმპერატორმა მირსა და არჩილს მისწერა: ,,თქუენი იყოს მეფობა ქართლსა შინა‘‘, ხოლო ლეონს აფხაზეთის ერისთავობა უბოძა. ანაკოფიასთან ბრძოლაში დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ, 719 არჩილმა ლ. III-ისაგან ეგრისში სამართავად მიიღო ტერიტორია ,,კლისურითგან აღმართ‘‘ ,,ვიდრე შორაპნამდე‘‘. 12 წლის შემდეგ (731), როგორც ეს ატენის სიონის სტეფანოზ III

მამფლის ფრესკული წარწერიდან და ქართული წყაროდან ჩანს, არჩილი ქართლში გადმოვიდა და ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ III ბაგრატიონს თავისი სამფლობელო ეგრისი კახეთში გაუცვალა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. ასე აღდგა საქართველოს მხოლოდ ამ ნაწილში ფარნავაზიანთა ხელისუფლება.

ქართველი მთავრებისადმი ლ. III-ის მხარდაჭერა უფრო მეტად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში სამხრ. კავკასიაში მოკავშირეების შეძენით უნდა ყოფილიყო განპირობებული, ვიდრე მათთან მეგობრობით. ლ. III-მ 726 დაიწყო ბრძოლა ხატთაყვანისმცემელთა წინააღმდეგ და 730 ედიქტით იგი აიკრძალა. იმპერიის სამხედრო ძლიერების გასაზრდელად 733 ხაზართა ხაკანსაც დაუნათესავდა, შექმნა ახალი თემები. გაატარა დიდი საკანონმდებლო რეფორმა (739), რითაც გააუმჯობესა მართლმსაჯულება. 740 აკროინონთან არაბებზე გამარჯვებით იმპერია კრიზისიდან გამოიყვანა.

ლიტ.: აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; გოილაძე ვ., რატომ გადავიდა სტეფანოზ II ოჯახით ეგრისში?, ,,ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის შრომები'', 2008, [წგ.]: 8; სანაძე მ., ბერაძე თ., VIII ს. I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, ,,ქართული წყაროთმცოდნეობა'' 2004, [ტ.] 10; Кулаковский Ю., История Византии, т. 3, К., 1915; Чичуров И. С., Византийские исторические сочинения: ,,Хронография'' Феофана, ,,Бревиарий'' Никифора. Тексты, перевод, коментарий, М., 1980.

ვ. გოილაძე.

ლეონი (Leone), მონსინიორე (XVIII ს.), იტალიელი მისიონერი, 1742–73 ცხოვრობდა საქართველოში. მნიშვნელოვანია მისი ცნობები მეფეების, თეიმურაზისა და ერეკლეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ; ერეკლეს შესახებ ლ. წერდა: მეტად სამართლიანი, სათნო და დიდსულოვანი მეომარია. აღწერს აგრეთვე სოლომონ იმერთა მეფის ბრძოლას დას. საქართველოს პოლიტ. გაერთიანებისათვის და სხვ.

თხზ.: Notizie avute da Monsignore Leone di Ceorgia nel 1773.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ლეონიდე (ლეონიდი, ერისკაცობაში – ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე) (15. II. 1861, სოფ. დისევი, გორის მაზრა, – 11. VI. 1921, თბილისი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1919–21. მის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა ბიძამ, ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ. სწავლობდა თბილ. სას. სასწავლებელში, სას. სემინარიაში, სტავროპოლის სას. სემინარიაში (1883), კიევის სას. აკადემიაში (1884), რ-იც დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. 1887, ბერად აღკვეცის შემდეგ, ლეონიდე უწოდეს. იმავე წლის 29 მაისს ბერ-დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1888 წ. 2 მაისს – მღვდელ-მონაზვნად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1888 წ. 2 ოქტომბერს, დაინიშნა ,,კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების'' მიერ დაარსებული სკოლების ინსპექტორად, აგრეთვე იყო საქართვ. საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრი. მისი აქტიური მხარდაჭერით სკოლები გაიხსნა



ლეონიდე. კათოლიკოს-პატრიარქი.

ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, საინგილოში. მალევე მისიონერული საქმიანობისათვის (იმ დროისთვის საკმაოდ შესუსტებული ქრისტიანობის საქადაგოდ) გაემგზავრა საინგილოსა და აჭარაში. 1892 ლ. გაამწესეს ზედაზნის მონასტრის იღუმენად, 1893 წ. 6 მაისს – ხირსის მონასტრის არქიმანდრიტად. იმავე წლის 24 ნოემბრიდან ქართლ-კახეთის ეპარქიის ბლაღოჩინის მოვალეობასაც ასრულებდა. 1896 წ. 24 სექტემბერს ლ. ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად დაადგინეს და საღვთო წიგნების გამსწორებელი კომიტეტის თავ-რედ დანიშნეს. 1897 წ. 14 ივლისიდან იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. 1898 წ. 19 აპრილს საქართველოს ეგზარქოსმა ფლავიანემ (გოროდეცკი) ლ. თბილისის ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანა, რუსეთის სინოდმა კი გორის ვიკარ-ეპისკოპოსად დანიშნა. 1900 წ. 12 აგვისტოს ლ. იმერეთის ეპარქიის მმართველი იყო, ხოლო 1908 წ. 1 თებერვლიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა. ლ. ამხელდა რუსეთის ცარიზმის ანტიეროვნულ საეკლ. პოლიტიკას და აქტიურად მონაწილეობდა XX ს. დასაწყისში მიმდინარე ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. *კირიონ II-სთან* (საძაგლიშვილი) ერთად მონაწილეობდა ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ წინარე საეკლ. სათათბიროს სხდომებზე პეტერბურგში, განიხილავდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და თვლიდა, რომ შექმნილი მძიმე ვითარების შეცვლა მხოლოდ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებით იყო შესაძლებელი.

თავისი პოზიციის გამო ლ. მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდიდა. რუსეთის 1917 წ. 27 თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლ-სა და სხვა ქართვ. სას. პირების ხელმძღვანელობით 1917 წ. 12/25 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ჩატარებულმა კრებამ საზეპას ამცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ლ-მ ქადაგებაში აღნიშნა, რომ ეკლესიის ავტოკეფალიას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ლ. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის თავ-რედ დაადგინეს. ახალი კათოლიკოსის არჩევამდე კი მოსაყდრის მოვალეობას ასრულებდა. მისივე განკარგულებით ქართველმა სამღვდელოებამ კავშირი გაწყვიტა რუსეთის სინოდთან და ყოფილ ეგზარქოს პლატონთან (როჟდესტვენსკი), ეკლესიებში აღდგა ქართული წირვა-ლოცვა და გალობა. 1917 წ. 12 აგვისტოს ლ. დაადგინეს თბილელ მიტროპოლიტად.

კირიონ II-ის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ლ. კათოლიკოს-პატრიარქის მოვალეობას ასრულებდა. 1919 წ. 22 თებერვალს კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. იგი დაუპირისპირდა ხელისუფლებაში მოსულ

რელიგიისადმი ნიჰილისტურად განწყობილ მთავრობას, კერძოდ ნ. ჟორდანიას და წინ აღუდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალდადგენილ პატრიარქ ტიხონს (ბელავინი), ასევე პროტესტით შეხვდა საქართველოს გასაბჭოებას.

ლ. საეჭვო ვითარებაში, ოფიციალური ვერსიით ქოლერით, გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

ლიტ.: ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ე., საინტერესო დოკუმენტი ეგზარქოსობის დროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესახებ (ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის მიმართვა ათონის მთაზე მოღვაწე მამებს), ,,გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი'', 2014, №1–2; მ ი ს ი ვ ე, კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ,,ჯვარი ვაზისა'', 2017, №1; მ ი ს ი ვ ე, კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე ოქროპირიძის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, ,,გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი'', 2017, №3–4; მ ი ს ი ვ ე, ზაქარია ჭიჭინაძე, მიტროპოლიტ ლეონიდე ოქროპირიძის მოღვაწეობის შესახებ, ,,რელიგია'', 2019, №1; ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861–1921 წწ.), თბ., 2014.

ე. ბუბულაშვილი.

ლეონიდე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში ლავრენტი ტიმოთეს ძე ჟვანია) (1. XII. 1885, სოფ. ლეჯიქეთი, ზუგდიდის მაზრა, – 14. XII. 1964, სოხუმი, დაკრძალულია ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიაში), სასულიერო მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება სენაკის სას. სასწავლებელში მიიღო. 1903–07 – სტავროპოლის სას. სემინარიაში, ხოლო 1907–11 ხარკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკტზე სწავლობდა და გარკვეული პერიოდი (1911–57) ამავე მიმართულებით მსახურობდა. 1957 კათოლიკოს-პატრიარქის *მელქისედეკ III-ის* ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად. მალევე უბოძეს მთავარდიაკვნის წოდება, რის შემდეგაც მღვდელ-მონაზვნად, 1957 კი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად აკურთხეს, სადაც, ურთულეს პირობებში მოღვაწეობის მიუხედავად, შეძლო ეპარქიის წარმატებით მართვა. 1958–59 ასრულებდა საქართვ. კათოლიკოსთან არსებული სინოდის რწმუნებულის მოვალეობას.

ლ. მ-ს მიღებული აქვს ,,რომანოვების სამასი წლის დინასტიის მეფობის მედალი'' (1913); მედალი ომში მამაცური შრომისათვის (1941–45); კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის მიერ კუნკულბარტყულაზე თვლებიანი ჯვარი (1958) და წმ. ნინოს ორდენი (1964).

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994.

ლეონიძე ალექსანდრე სოლომონის ძე (XIX ს. 50-იანი წლები, საქართველო, – 1915-ის შემდეგ, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914), რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე. მსახურობდა კავკასიის სამხ. ოლქში.

ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის ძე [27. XII. 1899 (8. I. 1900), სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 1966, თბილისი], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. პოეტი (1959), საქართვ. მეცნიერებათა აკად. აკადემიკოსი (1944). თბილ. სას. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1913-იდან თბილ. სას. სემინარიაში სწავლობდა. პირველი ლექსი ,,მცხეთა'' ყრმობის ჟამს გამოაქვეყნა (1911, გაზ. ,,სინათლე''); ერთი წლის შემდეგ ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველას, რ-იც საპასუხო ლექსით (1912, დაიბეჭდა 1915 გაზ. ,,განათლებაში'') გამოეხმაურა პოეტს. 1912-იდან ლ-ის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა პოეტი თავისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისად 1915 ასახელებდა. ამ წელს დასტამბულ ლ-ის ლექსებში, წერილში ,,ოსკარ უაილდი'' (ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება'', №15) და სხვ., აშკარად გამოჩნდა მისი მოდერნისტული განწყობილებანი. 1918 იგი დაუახლოვდა ,,ცისფერყანწელებს'', რ-ებთანაც ანათესავებდა ქართ. ნიადაგზე მოდერნიზმის გადმონერგვის სურვილი და ლექსის ტექ. სრულყოფისაკენ სწრაფვა. ეს წლები ერთგვარი ,,ოსტატობის სკოლა'' გამოდგა ახალგაზრდა პოეტისათვის, რ-მაც გარკვეული ხარკი მიუზღო სიმბოლიზმს (ლექსები: ,,ოფორტი'', 1919; ,,მზე ტაბასტა'', 1922; ,,ავტოპორტრეტი'' და სხვ., წერილები და ნარკვევები). 1921 ლ-მ ტ. ტაბიძესთან ერთად გამოსცა პოეტური კრებ. ,,რევოლუციის პოეტები''. 1922–23 რედაქტორობდა ,,ცისფერყანწელთა ყოველკვირეულ სალიტ. გაზ. ,,ბახტრიონს''.

ლ. თვითმყოფი და ღრმად ეროვნ. პოეტია, რ-ის ადრინდელმა ლირიკულმა შედევრებმა (,,ნინოწმინდის ღამე'', ,,სიმღერა პირველი თოვლისა'', 1926; ,,მყვირალობა'', ,,ყივჩაღის პაემანი'', ,,ყივჩაღური ღამე'', 1928; ,,ოლე'', 1931 და სხვ.) იმთავითვე განსაზღვრა პოეტის როლი XX ს. ქართ. პოეზიაში.

საქართვ. ისტ. წარსულისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი ,,ქართლის ცხოვრება'' პატარა ერის ისტორიის ტრაგიკული ფურცლებია. პოეტი წარსულშიც მომავალს განჭვრეტს; ამიტომაც მისი თუნდაც ყველაზე ტრაგიკული სტრიქონები ოპტიმიზმით არის გამსჭვალული («წიგნი ,,ქართლის ცხოვრება''», «მინაწერი ,,ქართლის ცხოვრებაზე''», ,,წინაპრებს'', 1928; «მე ვკითხულობდი ,,ქართლის ცხოვრებას''», 1929; ,,დიდ თამარს'', ,,დავით აღმაშენებელს'', 1941 და სხვ.).

ლ-ის პატრიოტიზმი, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი ჩამოყალიბებულია ლექსში ,,ვუმღერ სამშობლოს''. პოეტის იდეალია ,,ადიდებული, დამწიფებული'' სიცოცხლე, ამავე დროს, ლექსის ის უჭკნობი სიჭაბუკე, რ-ის საწინდარია ლექსისა და ეპოქის თანხმოვანება (,,სიჭაბუკე და ლექსი ერთია'').

თბილისს მიუძღვნა ლ-მ ლექსების კრებული ,,თბილისის განთიადები'' (,,მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა'', 1926; ,,თბილისის განთიადი'', 1935; ,,თბილისო, ჩვენო თბილისო'', 1940; ,,თბილისს'', 1947 და სხვ.).

პოეტი გამოეხმაურა II მსოფლიო ომს (,,მხედარი პირტახია'', 1941; ,,შინმოუსვლელო, სადა ხარ?'' 1943; ,,არ დაიდარდო დედაო'', 1944 და სხვ). სამშობლოს ძნელბედობის ჟამს შექმნილი ზოგიერთი მისი ლექსი სიმღერად იქცა.

ლ-ის ლირ.-ეპიკურ პოემებში ,,სამგორი'' (1950) და ,,ფორთოხალა'' (1951; სტალინური პრემია, 1952) თანამედროვეობის, ,,ახალი ქართლის'' თემა გადაწყვეტილია ისტ. თემასთან თავისებურ კავშირში. ,,ფორთოხალა'' ისტ. შემოქმედი ხალხისადმი, უსახელო გლეხის ქალისადმი მიძღვნილი ჰიმნია. ლ-ის პოემებია აგრეთვე სტალინისადმი მიძღვნილი ,,ბავშვობა და ყრმობა'' (1939; სტალინური პრემია, 1941), ,,ბერშოულა'' (1943), ,,რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი'' (1937) და სხვ.

ლ-ის მოთხრობების წიგნმა ,,ნატვრის ხე'' (1962; იმავე სახელწოდების ფილმი, რეჟ. თ. აბულაძე, 1976) სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს აზიარა მკითხველი.



გ. ლეონიძე.

დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით გააზრებული პოეტის ყრმობის ხორცშესხმული აჩრდილები, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგება. ერთმანეთთან დაუკავშირებელი მცირე მოთხრობების ეპიკურობა მძლავრი პოეტური ნაკადით არის გაჯერებული.

ლ. ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. იყო ქართ. ლიტ-რის, განსაკუთრებით ძვ. ქართ. მწერლობის, ქართ.-რუს., ქართ.-უკრ. ლიტ. ურთიერთობათა მკვლევარი, ძვ. ხელნაწერების მაძიებელი და გამომცემელი. XX ს. 30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა საქ. სსრ სახელმწიფო ლიტ-რის მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ალმანახი ,,ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რ-საც თვითონვე რედაქტორობდა. 1940–48 ,,ლიტერატურული მატიანის“ რედაქტორი იყო. 1951–53 ხელმძღვანელობდა საქართვ. მწერალთა კავშირს, 1957–66 – შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტს.



ლ. ლეონიძე.

ლ-მ სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა მ. ბარათაშვილის ,,ჭაშნიკი“ (1920), ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე-სიცრუისა“ (1928), იოსებ თბილელის ,,დიდმოურავიანი“ (1939) და სხვ. ლ. ავტორია გამოკვლევებისა ,,ვეფხისტყაოსნის“, ვახტანგ VI-ის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, საიათ-ნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვისა და სხვათა შესახებ. კინოფილმ ,,ჯურღაის ფარის“ (1944, რეჟ-ები ს. დოლიძე, დ. რონდელი) სცენარისთვის მიენიჭა სტალინური პრემია (1950).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1. XVII–XVIII სს. თბ., 1949; კრ. ექვს ტომად, ტ. 1–2, თბ., 1962–63; რჩეული, თბ., 1958; გამოკვლევები და წერილები, თბ., 1959; სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 2004; ნამცვრევნი (წერილები, სიტყვები, ექსპრომტები, თბ., 2000); ნატვრის ხე, თბ., 2021.

ლიტ.: გიორგი (გოგლა) ლეონიძე, შემდგ. ვ. ასათიანი, თბ., 2021; გიორგი ლეონიძე – 120, თბ., 2019; კალანდაძე გ., გიორგი ლეონიძის შემოქმედება, თბ., 1967; კვიტაიშვილი ე., ქართული სიტყვის ბაზიერი, თბ., 2021; ლექსმცოდნეობა (გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის მეოთხე სამეცნიერო სესია – მასალები), თბ., 2010; მარგველაშვილი გ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1972; ნიკოლეიშვილი ა., გიორგი ლეონიძის ლირიკა, ქუთ., 1993; სამშობლო მისი ლექსის სახელი, თბ., 1970; ხერხეულიძე გ., გიორგი ლეონიძის პოეზია, თბ., 1959.

გ. მარგველაშვილი.



გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი. სოფ. პატარძეული.

გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1968, მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპ. სოფ. პატარძეულში, ლ-ის მამის, ნიკოლოზის მიერ აშენებულ სახლში (XIX ს. 60-იანი წლები). შენობა ამ პერიოდის აღმ. საქართველოს სოფლებისთვის დამახასიათებელი სახლის ნიმუშს წარმოადგენს, მას თითქმის სრულად აქვს შერჩენილი თავდაპირველი სახე და ეთნოგრ. ძეგლის ნიშნის მატარებელია. საგვარეულო ეზო ხის ღობითაა შემოფარგლული, ჭიშკარიც ხისაა. მუზეუმში დაცულია საგვარეულო ავეჯი, დიდი საოჯახო, აგრეთვე გოგლას საწოლი ტახტი, მისი კოსტიუმი და პირადი ნივთები; აქვე ინახება ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული გოგლას ორი პორტრეტი.

ლეონიძე ლევან ნიკოლოზის ძე (3. I. 1893, სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 1937), ვეტერინარი ექიმი, მიკრობიოლოგი. გ. *ლეონიძის* ძმა.

1918 დაამთავრა ყაზანის ვეტ. ინ-ტი. მუშაობდა დუშეთში ვეტექიმად, 1920-იდან – თსუ-ის ფიზიოლ. და მერძევეობის კათედრაზე. 1925 სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში, სადაც ქ. კიოლნის ბაქტერიოლოგიურ ინ-ტში დაიცვა დისერტაცია და დააარსა (1927) ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. 1928 სამუშაოდ გადავიდა ქ. ლენინგრადში (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი), სადაც ჩამოაყალიბა საექსპორტო საქონლის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. 1929 ლ. საქართვ. ექსპერ. ვეტერინარიის სახელმწ. ინ-ტის დირექტორია, შეთავსებით – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მერძევეობის კათედრის გამგე. ლ. იყო საქართვ. ზოოვეტ. ინ-ტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და სავეტერინარო ფაკ-ტის პირველი დეკანი და პედაგოგი.

იკვლევდა სას.-სამ. პროდუქტების შენახვის წესებს. შეიმუშავა ამ დარგში გაზაცივის მეთოდი. შეისწავლა ტექ. მიკრობიოლოგიის საკითხები და სხვ. ავტორია მეღორეობის პირველი ქართ. სახელმძღვანელოსი (1924) და მესაქონლეობის პირველი ქართ. ლექსიკონისა (1925), რ-იც, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, გამოიყენეს ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენისას. ლ-მ შეაგროვა საქართვ. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული ყოფის ამსახველი დიალექტის ნიმუშები, რ-იც 1946 შეიძინა ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტმა (ამჟამად დაცულია სსიპ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინ-ტში). ლ-ს გამოქვეყნებული აქვს ასევე ნაშრომები გერმ. ენაზე.

ლ. ემსჯვრპლა საბჭოთა რეპრესიებს.

კ. კაპანაძე.

ლეონიძე მარიამ ნიკოლოზის ასული (30. XI. 1894, თბილისი, – 18. IV. 1972, იქვე), პედაგოგი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი სტენოგრაფი, ქართ. სტენოგრაფიის ფუძემდებელი. 1914 დაამთავრა მოსკოვის უცხო ენათა უმაღლესი პედ. კურსები. 1914–27 უცხო ენებს ასწავლიდა თბილისში. 1925 დაამთავრა სტენოგრაფიის კურსები. 1926-50 სტენოგრაფისტად მუშაობდა უმაღლეს პარტ. და საბჭ. ორგანოებში. 1927-იდან ქართ. და რუს. სტენოგრაფიას ასწავლიდა სხვადასხვა რესპ. კურსებზე. ლ-მ პირველმა დაამუშავა მეცნიერულად ქართ. სტენოგრაფიის სისტემა.

თხზ.: ქართული სტენოგრაფია, თბ., 1966.

ე. ბაგრატიონი.

ლეონტიევი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1876, სანქტ-პეტერბურგი, – 21. VII. 1951, თბილისი), არქიტექტორი. 1904 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი და მიიღო სამოქალაქო ინჟინრის

წოდება. 1904–07 მუშაობდა ქ. ალექსანდროპოლის (ამჟამად ქ. გიუმრი, სომხეთი) ქალაქის არქიტექტორის თანამდებობაზე. 1908–15 იყო თბილ. საგუბერნიო სამმართველოს სამშენებლო განყ-ბის რიგგარეშე ტექნიკოსი, 1915–19 – კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორის სამმართველოს არქიტექტორი. 1924–38 ლ. მუშაობდა თბილ. სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში. 1941–46 ასრულებდა გრაფიკულ სამუშაოებს საქართვ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინ-ტისათვის. ლ. მაღალი პროფესიული ოსტატობით გამორჩეულ პროექტებში თავდაპირველად მიმართავდა მოდერნს; 20–30-იან წლებში იყენებდა კონსტრუქტივიზმის პრინციპებსა და ხერხებს, ამავე დროს ცდილობდა თანამედროვე არქიტექტურაში ქართული ეროვნ. არქიტ. ფორმების გამოყენებას, ანუ ე. წ. ,,ქართული სტილის“ შექმნას. ლ. ავტორია რამდენიმე სამეცნ. სტატიისა, რ-ებშიც განხილულია არქიტექტურის სხვადასხვა საკითხი.

საკონკურსო პროექტები თბილისში: ტუბერკულოზის დისპანსერი (1927); ,,ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა (1927, არქიტ. დ. ჩისლიევთან ერთად), საცხოვრ. სახლი მელიქიშვილისა და ახლანდ. კოსტავას ქუჩების კუთხეში (1927, ამჟამად აღარ არსებობს). ძირითადი ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები თბილისში; გოგებაშვილის ქ. 11 (1911–13), ერისთავ-ხოშტარიას ქ. 36 (1914), მაყაშვილის ქ. 18 (1915), მაყაშვილის ქ. 22 (1908–15); ორბინიანი კოტეჯი ზაჰესში (1924); ზემო ავჭალის ჰესის კომპლექსი (1927, ა. კალგინთან და მ. მაჭავარიანთან ერთად), რ-ის არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე; ტუბდისპანსერი მელიქიშვილის 10 (1930, თბილისი); ყოფ. საფერშლო სკოლა (1938, ამჟამად. თბილისის №150-ე საჯარო სკოლა, დგებუაძის, 4) და სხვ.

თ. გერსამია.

ლეონტი მროველი, XI ს. ქართველი მოღვაწე, რუისის ეპისკოპოსი. იხსენიება 1066 დათარიღებულ წარწერაში, რ-იც 1957 ქარელის მახლობლად სოფ. თრეხვში აღმოაჩინეს. აგრეთვე, როგორც მთავარეპისკოპოსი, მოხსენიებულია ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერსა და ამჟამად პარიზის ეროვნ. ბ-კაში დაცულ XI ს. ხელნაწერში. იგი გაიგივებულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში მოხსენიებულ ლ. მ-თან. ამ მინაწერის თანახმად, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები: „არჩილის წამება“, „მეფეთა ცხოვრება“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ ლ. მ-მა „აღწერა“. დასახელებულ ნაწარმოებთა ენობრივ-სტილისტური და ისტ. ანალიზის შედეგად მრავალი მკვლევარი შეუძლებლად თვლის მათ ავტორად ლ. მ-ის მიჩნევას. აღნიშნულის გარდა, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“ „ქართლის ცხოვრებაში“ თითქმის სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ დამოწმებული ტექსტიდან; „მეფეთა ცხოვრება“ თვით „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მინაწერის თანახმად, „ჟამითა-ჟამად“ (ე. ი. დროდადრო) იწერებოდა, ხოლო „არჩილის წამების“ ავტორს ამ ნაწარმოების XII ს. მეტაფრასტული რედაქციის უცნობი ჰაგიოგრაფი თვით არჩილის თანამედროვედ (VIII ს. მოღვაწედ) მიიჩნევს. რადგან ძველად „აღწერა“ „გადაწერასაც“ ნიშნავდა, მკვლევართა (თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე, შ. ბადრიძე, ვ. გოილაძე და სხვ.) აზრით, ლ. მ. ამ თხზულებათა მხოლოდ გადამწერ-რედაქტორია. ზემოთქმულით ხსნან, „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტი უფრო გვიანდელ ფენებსაც რომ შეიცავს. ტექსტში ლ. მ-ის მიერ შეტანილ ჩასწორებებს შორის ერთ-ერთია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის ირანელ უფლისწულად გამოცხადება.

ლიტ.: ბადრიძე შ., ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის, ,,მნათობი‘‘, 1962, №7; გაფრინდაშვილი გ., ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, „საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე“, 1961, №1; გოილაძე ვ., არის ლეონტი მროველი ქართველთა ჰეროდოტე?, „კრიტიკა“, 1989, №4; მელიქიშვილი გ., საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.


გ. მელიქიშვილი.

ლეპატარავე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ბანძის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს. ზ. დ. 90 *მ.* მარტვილიდან 12 *კმ.* აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 25 *კმ.* 177 მცხ. (2014).

ლეჭა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ნაკიფუს თემი), მდებარეობს მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში, ზ. დ. 270 *მ,* 275 მცხ. (2014).

ლეჭავა ალექსანდრე სამსონის ძე [24. VIII(6. IX). 1903, დ. ხონი, – 23. VIII.1966, თბილისი], ჰისტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1951). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1937-იდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტის ჰისტოლოგიის კათედრას, ასევე ლაბორატორიებს საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ექსპერ. მორფოლ. და საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტებში.

ლ-ს აქვს გამოკვლევები ზოგადი და ევოლ. ჰისტოლ. დარგში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები, რ-იც ეხება გარდამავალ ეპითელიუმს. ლ-ს ეკუთვნის ორიგინ. სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლებისთვის. იყო ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1959).



კ. ლეონტიევი.

ლეჭავა ანდრო მათეს ძე (19. II. 1870, სიღნაღი, – 8. X. 1937), საბჭოთა პარტიული მოღვაწე, ,,ცენტროსოიუზის‘‘ გამგეობის პირველი საბჭ. თავ-რე (1919–20), საშინაო ვაჭრობის სახ. კომისარი (1922–24). 1893 დაამთავრა თბილისის მასწავლებელთა ინ-ტი. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება XIX ს. 90-იან წლებში. 1893 გადავიდა მოსკოვში. 1894 აპრილში სმოლენსკში დააპატიმრეს ,,ნაროდნოე პრავოს‘‘ პარტიის არალეგალური სტამბის ორგანიზებაში მონაწილეობისთვის. 2 წელზე მეტი დაჰყო პეტრე-პავლეს ციხეში, 5 წელი კი გადასახლებული იყო იაკუტიაში. გადასახლების შემდეგ პარტიული მუშაობა



კ. ლეონტიევი. თბილისი, მაყაშვილის №18, 1915.




გ. ლ ე ჟ ა ვ ა. ეფროსინე. მ. ბარათაშვილის ,,მარინე‘‘.

განაგრძო ვორონეჟში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვსა და მოსკოვში. 1924–30 ერთდროულად იყო რსფსრ სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე და რსფსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რე; 1932–34 – სსრკ სოფ. მეურნეობის სახ. კომისრის მოადგილე, ამავე დროს – სსრკ სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველოს უფროსი (1933–37). იყო სრულიად რუსეთის ცაკ-ის და სსრკ მე-3–მე-5 მოწვევის ცაკ-ის წევრი; სკკპ(ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრი (1927–30). X, XIII, XVII პარტიის ყრილობების დელეგატი.

ლ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სიფრთხილით უყურებდა სტალინის მიერ ძალაუფლების უზურპაციას. XX ს. 30-იან წლებში გახდა ,,რიუტინის პლატფორმის‘‘ ერთ-ერთი მხარდამჭერი. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

ლეჟავა ანზორ ვიქტორის ძე (3. IX. 1936, სოფ. ქოლობანი, აბაშის მუნიციპალიტეტი, – 20. III. 1997, თბილისი), სპორტსმენი, კალათბურთი, ცენტრალური თავდამსხმელი. დაამთავრა სპი (1950). თამაშობდა თბილისის ,,ნაუკაში‘‘, „ბურევესტნიკსა‘‘ (1954–58) და ,,დინამოში‘‘ (1959–72). სსრკ ნაკრების წევრი (1963). მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1963), ევრ. ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ სპარტაკიადის მეორე პრიზიორი საქართვ. ნაკრების შემადგენლობაში (1959), სსრკ ჩემპიონი (1968), სამგზის მეორე (1960, 1961, 1969) და მესამე (1965) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1969). სსრკ სპორტის ოსტატი (1962). მისი სახელი მინიჭებული აქვს ქოლობნის საჯარო სკოლას (1999). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).



გ. გ. ლეჟავა.

ლეჟავა ბიჭიკო ნესტორის ძე (დ. 5. X. 1949, თბილისი), გენერალ-მაიორი (2001). საქართვ. სახელმწ. უშიშროების სამსახურის საპატიო თანამშრომელი (1996). დაამთავრა სპი-ის სატრანსპორტო ფაკ-ტი (1971). მსახურობდა საქართვ. ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში (1971–74), 1974-იდან – საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. 1997–2002 იყო საქართვ. სახელმწ. უშიშროების მინისტრის აპარატის უფროსი, 2003–04 – საქართვ. საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსი. 2004-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

ლეჟავა გელა გიორგის ძე (დ. 1. IX. 1936, ბათუმი), ნარკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (2000), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1994).

1960 დაამთავრა თსსი. 1960–73 იყო კლინიკური და ექსპერ. ნევროლოგიის სამეც.-კვლ. ინ-ტის თავდაპირველად უმცროსი, შემდეგ კი უფრ. მეცნიერი თანამშრომელი; 1973–78 მუშაობდა საქართვ. კომპარტიის ცკ-ში სხვადასხვა თანამდებობაზე; 1978–86 იყო საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი; 1986–93 – იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ნარკოლოგიის სამედ.-ბიოლ. პრობლემათა განყ-ბის გამგე; 1993–2001 – ნარკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი; 2001–08 – ამავე ინ-ტის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე; 2008–11 – დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანდაცვის ეროვნ. ცენტრის ინფორმაციის და ნარკოლოგიური პროგრამების კოორდინატორი. 2012-იდან მუშაობს შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიებეის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: საზოგადოებრივი ჯანდაცვა საბჭოთა საქართველოში, თბ., 1984; ნარკოლოგია, თბ., 2001; ნარკომანია. ფენომენის ანალიზი, თბ., 2003; Электрофизиологическое исследование механизмов привыкания зрительной системы, Тб., 1968.

ლეჟავა გენრიეტა (ჰენრიეტა) ვიტოლის ასული (26. II. 1918, ქ. ჭიათურა, – 6. VIII. 1977, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1961). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1941). 1944-იდან დაიწყო მუშაობა თბილ. სანკულტურის თეატრში; 1953-იდან გარდაცვალებამდე იყო კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!‘‘), ევა (ვ. გაბესკირიას ,,უფსკრულიდან‘‘), თამარი (რ. თაბუკაშვილის ,,რას იტყვის ხალხი‘‘), მაშიკო (კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი‘‘), როზალია (ა. შირვანზადეს ,,პატიოსნებისათვის‘‘), თამარი (გ. ქელბაქიანის „სევდიანი რომანი‘‘), ფროსია (ფ. მინკოს „გვარს არ ვასახელებ‘‘) და სხვ. შექმნა არაერთი დასამახსოვრებელი ეკრანული სახე ფილმებში: ,,უდიპლომო სასიძო‘‘ (რეჟ. ლ. ხოტივარი,1961), ,,მოიტაცეს თამარ ქალი‘‘ (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1971), ,,ქვევრი‘‘ (მარო, რეჟ. ი. კვირიკაძე, 1970) და სხვ.

ნ. ბლიაძე.

ლეჟავა გია გრიგოლის ძე (26. XI. 1944, თბილისი, – 19. II. 2011, იქვე), კინოსა და თეატრის მსახიობი. 1969 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (ლ. იოსელიანის და რ. მირცხულავას ჯგუფი). 1970–74 იყო მარჯანიშვილის, 1974–2009 – რუსთავის თეატრის მსახიობი, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: ბობჩინსკი (ი. გოგოლის ,,რევიზორი‘‘), ტიგრან გულოიანი (ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირალები‘‘) კლავდიუსი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი‘‘),



გ. ლ ე ჟ ა ვ ა. კადრი ფილმიდან ,,სამი ალიყური‘‘. რეჟისორი ე. ჟღენტი. 1982.

გოგებაშვილი (ი. გოგებაშვილის ,,იავნანამ რა ჰქმნა?!‘‘), მებაღე (პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება‘‘), და სხვ. 13 წლისამ შეასრულა გიმნაზისტის როლი ფილმში ,,მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...‘‘ (რეჟ. კ. პაპინაშვილი, 1958). პროფესიული დებიუტი შედგა ფილმში ,,თეთრი სახლები‘‘ (რეჟ. ყ. მგელაძე, 1975); მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გადაღებულ 30-ზე მეტ ფილმში, მ. შ. ,,მოცურავე‘‘ (რეჟ. ი. კვირიკაძე, 1981), ,,დიმიტრი II‘‘ (რეჟ. რ. ხოტივარი, 1982), ,,რობინზონიადა, ანუ ჩვენი ინგლისელი პაპა‘‘ (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1984), ,,დამშვიდობება‘‘ (რეჟ. ზ. თუთბერიძე, 1987), ,,შემსრულებელი №977‘‘ (რეჟ. ო.

ლითანიშვილი, 1989), ,,თბილისი ჩემი სახლია“ (რეჟ. ე. ბადურაშვილი, 1994), ,,წარსულის აჩრდილები“ (რეჟ. ლ. თუთბერიძე, 1996), ,,ანთიმოზ ივერიელი“ (რეჟ. გ. ჭოხონელიძე, 2001), ,,ბზარი“ (რეჟ. ნ. ბასილაია, 2006) და სხვ.

მონაწილეობდა ტელესპექტაკლებში: ,,მარადისობის კანონი“, ,,თეთრი ბაირაღები“ (რეჟ. თ. ჩხეიძე) და მონოსპექტაკლში ,,ბავშვი“ (რეჟ. ა. დიდებულიძე). ლ. გამოირჩეოდა მეტყველი, სახასიათო ვიზუალით. შესასრულებელი როლების ღრმა წვდომით.

ლეჟავა გიორგი ილიას ძე [21. VI (4.VII), 1903, სოფ. ლახუნდარა, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 6. I. 1977, თბილისი], არქიტექტორი. საქართველოს ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია არქიტექტურის სპეციალობით (1929) და მოსკოვის არქიტ. აკად. დახელოვნების ფაკ-ტი (1939–41, 1945–46). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. საკონკურსო პროექტები: ,,მრეწველობის სახლი“ თბილისში (1930, პირველი პრემია); ,,ტექნიკის სასახლე‘‘ მოსკოვში (1933, საკავშ. კონკურსი: წამახალისებელი პრემია არქიტ. *მ.* ჯანდიერთან ერთად), მუზეუმი ,,მეტეხი“ თბილისში (1939, პირველი პრემია); თბილისში ლ-ის ნამუშევრებია: საქართვ. მთავრობის სახლის ზემო (1938) და მთავარი (1953, ორივე ვ. კოკორინთან ერთად) კორპუსები; საქართვ. მეცნ. აკად. კომპლექსის გენ. გეგმა (1947), ხელნაწერთა ინ-ტი (1966, თ. თოდრაძესა და ვ. ცუხიშვილთან ერთად); აკად. ფუნდამენტური ბ-კა (1969, ი. ლიბერმანთან ერთად); მათემატიკის ინ-ტი (1970, ვ. ცუხიშვილთან ერთად), საქართვ. მეცნ. აკად. გამომცემლობა და სტამბა ,,მეცნიერება“ (1960); აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკი გურჯაანში (1955– 60); რკინიგზის პავილიონი ,,აგარაკი“ ახალ ათონში (1964) და სხვ.;

ლ-მ აზომა და შეისწავლა ქართ. საცხოვრებელი სახლები (სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი) და მრავალი არქეოლ. ძეგლი. ავტორია ქართული ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნისა. ლ. წარმატებით მუშაობდა გრაფიკის დარგშიც (ოფორტი, ექსლიბრისი). დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თ. გერსამია.

ლეჟავა დიმიტრი იუზას ძე (დ. 29. XI. 1955, ქ. ვალე, ახლანდ. ახალციხის მუნიციპალიტეტი), ბრიგადის გენერალი (2003). დაამთავრა სტუ (1978), სახელმწ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსები (1984). 1983–94 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. უშიშროების ორგანოებში, 1994–96 – სახელმწ. დაცვის სპეც. სამსახურში, 1996–98 ეროვნ. უშიშროების საბჭოს აპარატში. 1998 იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსი. 2004-იდან თადარიგშია.

ლეჟავა ვახტანგ აკაკის ძე (28. IV. 1923, თბილისი, – 12. II. 1944, სოფ. ბოლშაია კოსტრომა, დნეპროპეტროვსკის ოლქი), საბჭოთა კავშირის გმირი (13. IX. 1944), გვარდიის ლეიტენანტი. 1941 დაამთავრა თბილ. სამხ. ქვეითი სასწავლებელი. იბრძოდა ბრიანსკისა და სტალინგრადის ფრონტებზე. 1944 წ. 12 თებ. ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ლიტ.: Герои Советского Союза Т.1 М., 1987.

ლეჟავა ვლადიმერ ვახტანგის ძე (21. V. 1938, თბილისი, – 19. X. 2009, იქვე), ნიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2002), საქართვ. ეკოლ. აკად. ნამდვ. წევრი (2002), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). 1961 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1961–73 იყო საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი, 1974–2006 – თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტის ხმელეთის ჰიდროლ. და ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორი, 1983-იდან – ნიადაგმცოდნეთა საზ-ბის სწავლული მდივანი, 1996–2005 – გეოგრაფიის ინ-ტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. ლ-მ გამოიკვლია საქართვ. ეწერი ორთშტეინიანი ნიადაგები, შეისწავლა მათი გენეზისისა და გეოგრაფიის თანამედროვე ასპექტები, მუშაობდა საქართვ. ნიადაგური რუკის შედგენაზე და სხვ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემია (1993).

თხზ.: ნიადაგების ევოლუციის და ასაკის განსაზღვრა, თბ., 2005; ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი კარტოგრაფირების პრინციპები და მეთოდები, თბ., 2005.

ლეჟავა ვლადიმერ ნესტორის ძე (22. V. 1901, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 1. IV. 1968, ლენინგრადი, დაკრძალულია თბილისში), საბჭოთა კონტრადმირალი (1951). 1927 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) მ. ფრუნზეს სახ. უმაღლესი სამხ.-საზღვ. სასწავლებელი. 1927–32 მსახურობდა კასპიის სამხ. ფლოტილიაში; 1933–37 იყო კასპიის სამხ. ფლოტილიის დივიზიის მეთაური, 1937 გადაიყვანეს ბალტიის ზღვის სამხ. ფლოტში, 1939-იდან მეთაურობდა საესკადრო ნაღმოსანთა ბატალიონს. მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში (1939–40) სსრკ-ფინეთის ომში. 1941 იყო კრონშტადტის სამხ. კომენდანტი, 1942–43 – ლენინგრადის სამხ. ბაზის შტაბის უფროსი და ბალტიის ფლოტის რაზმის მეთაური, 1954–60 – ბალტიის ფლოტის სარდლის მოადგილე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვა სახელმწ. ჯილდოებით.

ლ. დოლიძე.

ლეჟავა ზურაბ პლატონის ძე (7. VII. 1925, თბილისი, – 19. II. 2011, იქვე), მხატვარი (გრაფიკო-



გ. ი. ლეჟავა.




ვ. ვ. ლეჟავა.



გ. ი. ლეჟავა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (არქიტ. თ. თოდრაძესთან და ვ. ცუხიშვილთან ერთად). 1966. თბილისი.

სი, ფერმწერი). საქართვ. სახ. მხატვარი (1988). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის განყ-ბა (1950). 1960-იდან იქვე ეწეოდა პედ. საქმიანობას, იყო სამრეწველო გრაფიკის კათედრის გამგე (1970–90); დაზგური გრაფიკის კათედრის პროფესორი (1989-იდან), საქართვ. მხატვართა კავშირის თავ-რე (1962–70), სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1968–72).



ზ. ლეჟავა.

ძირითადად მოღვაწეობდა გრაფიკის დარგში, ასევე ქმნიდა ფერწერულ ტილოებს. ძირითადი ნამუშევრები: დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვლის“ ილუსტრაციები (1962); გრაფიკული სერია ,,ძველი თბილისი“ (1962–99); ,,დრეზდენი‘‘ (1962, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), ,,რიონის ხეობა“ (1963, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა), ,,სერია სვანეთი“ (1970– 81, კერძო საკუთრება) და სხვ. არქიტ. გ. ჩახავასთან და მხატვრებთან – ნ. მალაზონიასა და ზ. კაპანაძესთან ერთად მონაწილეობდა ე. წ. ,,ფუნქციური სკულპტურების“ შექმნაში; მათთან ერთად დააპატენტა ახალი დეკორ. მასალა, ე. წ. მინიკრისტალიტი, რ-იც მონუმენტურ პანოებში გამოიყენეს.



თ. ა. ლეჟავა.

ლ. გადაღებულია ცნობილ მხატვრულ ფილმებში: ,,არსენა“, ,,გიორგი სააკაძე“, ,,ქეთო და კოტე“, ,,მწვერვალთა დამპყრობნი“, ,,მალახოვის ყორღანი“, ,,წიგნი ფიცისა“. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998), ლ. გრიგოლიას სახ. პრემიის ლაურეატი (1998), თბილისის საპატიო მოქალაქე (2002). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თ. გერსამია.



ზ. ლეჟავა. ,,თიანეთის ტყე‘‘. 1973.

ლეჟავა თამაზ ივანეს ძე (9. XI. 1933, თბილისი, – 7. VII. 2009, იქვე), ქიმიკოსი, ქიმიის მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1995). დაამთავრა სპი-ს (ახლანდ. სტუ) ქიმიის ფაკ-ტი ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლ. სპეციალობით (1957). მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. ქიმიის ინ-ტში (1962–64); საქართვ. მეცნ. აკად. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად (1965–81), წამყვან მეცნ. თანამშრომლად (1981–2009), იყო ამ ინ-ტის დირექტორის მოადგილე და ელექტროკრისტალიზაციის, დენის ქიმიური წყაროებისა და საელექტროდე მასალების ლაბორ. ხელმძღვანელი.

ლ-ს ნაშრომები ეხება ელექტროკრისტალიზაციის პროცესის ფუნდამენტურ საკითხებს და ელექტროქიმიური და არაორგანული ტექნოლოგიების კვლევებს; მან შეასრულა მრავალი ტექნოლ. ხასიათის პროექტი ქრომის, სპილენძისა და ოქროს ჰიდრომეტალურგიაში, კერძოდ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის კარიერული წყლების გაწმენდისა და უტილიზაციისათვის.

ლ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიის; მიღებული აქვს მრავალი საავტორო მოწმობა და პატენტი. მისი ნაშრომები მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს თეორიული ელექტროქიმიის დარგში. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილის პრემია ქიმიაში (2003), ღირსების ორდენი (2004).

ლიტ.: Акселерация при электроосаждении металлов. Тб., Мецниереба, 1997; распределение металла на сложнопрофильном катоде при электроосаждении меди в условиях принудительной конвекции (თანაავტ.). Электрохимия, т. 39, 2003.

ლეჟავა თეიმურაზ ალექსანდრეს ძე (დ. 14. V. 1939, თბილისი). ბიოლოგი, გენეტიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1984). დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი (1963). სამეცნ. კვლევა დაიწყო სსრკ მეცნ. აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის, შემდგომ სსრკ სამედიცინო აკად. მორფოლოგიის (1963–68) ინ-ტში. 1968–69 იყო ი. ჟორდანიას სახ. ქალის ფიზიოლ. და პათოლ. ინ-ტის გენეტიკის განყ-ბის და თსსი-ის ციტოლოგიის განყბის თანამშრომელი (1969–70), მის მიერვე ჩამოყალიბებული გენეტიკის განყ-ბის გამგე (1970–75), თსუ-ის გენეტიკის კათედრის გამგე (1975–2011), გენეტიკის ინ-ტის ხელმძღვანელი (2011- იდან). ლ-მ დააარსა საერთაშ. სიმპოზიუმი „დაბერების გენეტიკა“ (ჩატარდა თბილისში 1972, 1984, 1989, 2008; ხიროსიმაში – 1987). ლ-ს სამეცნ. კვლევის სფეროა ადამიანის გენომის შესწავლა. მისი გამოკვლევის შედეგებმა დაბერების გენეტიკაში საერთაშ. აღიარება მოიპოვა. აშშ-ში გამოიცა მონოგრაფია, რშიც შევიდა ლ-ს სამი აღმოჩენა, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დაბერების პათოლოგიათა თავიდან აცილების, ასევე გულსისხლძარღვთა დაავადებების, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და სხვა სნეულებათა მკურნალობის შესახებ.

გერონტოლოგიისა და გერიატრიის საერთაშ. ასოციაციის (IAGG-ER) მიერ დაჯილდოვდა ევროპის საუკეთესო მეცნიერის მედლით (2019), მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000), ი. ჯავახიშვილის სახ. მედალი.

ლ. არის სხვადასხვა საზოგადოებრივი სამეცნ. აკადემიისა და სამეცნ. ჟურნალების რედკოლეგიის წევრი, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თხზ.: უჯრედის გენეტიკა, თბ., 2004; ადამიანის გენეტიკა, თბ., 2007; ადამიანის გენეტიკა სამედიცინო გენეტიკის საფუძვლებით, თბ., 2015; Хромосомы в глубокой старости, Тб., 1991; Chromosomes in Very Senile Age: 80 years and over, M., 1999; Human Chromosomes and Aging: From 80 to 114., N.Y., 2006.

ლეჟავა ოლღა ვასილის ასული [23. VII. 1880, სოფ. ავჭალა, გარდაბნის რ-ნი (ამჟამად თბილისი), – II. 1960, იქვე], თეატრისა და კინოს მსახიობი. დაწყებითი განათლება მიიღო მცხეთის სამთავროს მონასტერთან არსებულ სკოლაში. 1897 დაამთავრა მცხეთის ,,პროგიმნაზია“. 1899 სოფ. ავჭალაში თბილისელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს ა. ცაგარლის ,,ციმბირელი“, სადაც ლ-მ შეასრულა მაშიკოს როლი. ამ წარმოდგენის შემდეგ მას აქტიურად იწვევდნენ სხვადასხვა როლზე. ა. ფურცელაძისა და ს. მგალობლიშვილის რჩევით, ახალგაზრდა მსახიობმა მუშაობა დაიწყო პროფესიულ თეატრში.

ლ-ს სადებიუტო წარმოდგენა გაიმართა 1901; თბილისის თეატრის სცენაზე შეასრულა თინას

როლი ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებულ პიესაში ,,ციხის საიდუმლო“. წარმატებით შესრულებული როლის შემდეგ დასში მსახიობად ჩარიცხეს, სადაც იმუშავა 1913-მდე; 1913–14 გამოდიოდა ბათუმის, 1914–17 კი – თბილისის ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ დრამწრეებში. 1917–26 ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დასშია. 1926–28 თანამშრომლობდა მსახიობთა სხვადასხვა კოლექტივთან. 1929–30 თელავის, ხოლო 1931–32 სოხუმის თეატრების მსახიობი იყო. 1933–43 მუშაობდა ,,სახკინმრეწვში“.

ლ-ს შესრულებული აქვს სხვადასხვა ხასიათის როლები, მ. შ. გაიანე (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი“), ტურფა (ა. წერეთლის ,,პატარა კახი“), ირინე (დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება“), მარიამი (ვ. ყიფიანის ,,სამეგრელოს მთავარი ლევანი“), დეზდემონა, კორდილია (უ. შექსპირის ,,ოტელო“, ,,მეფე ლირი“) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: ,,უკანასკნელი მასკარადი“ (მიტოს დედა, რეჟ. *მ.* ჭიაურელი, 1934); ,,კოლხეთის ჩირაღდნები“ (ვარლამის დედა, რეჟ. დ. რონდელი, 1941); ეპიზოდური როლები შეასრულა ,,არსენაში“, ,,გიორგი სააკაძესა“ და ,,ნარინჯის ველში“.

ლიტ.: ყიფიანი კ., დავითაია ე., ქართველი მსახიობი ქალები, თბ., 1962.

ლეჟავა (ფსევდ. სევდიანი) პლატონ დარისპანის ძე (1881, სოფ. ფარცხნალი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 1956, თბილისი), კრიტიკოსი, მთარგმნელი, საავტორო მუსიკის შემსრულებელი. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან, მ. შ. სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებთან ,,პლატონ ბეის“ ფსევდონიმით. მისი ნარკვევები ეძღვნება რელიგიის ისტორიას და სხვ. საკითხებს. საქართვ. გასაბჭოების პირველ წლებში მუშაობდა კონსულად თურქეთში. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. რუსულად თარგმნა ნ. ლომოურის მოთხრობა ,,პატარა მეგობრები“. მანვე შეკრიბა სერგია ერისთავის ოხუნჯობანი (გამოიცა ორჯერ). ლ. ავტორია პოპულ. სიმღერების ტექსტებისა და მელოდიებისა: ,,სალამურსა გულში ჩავწვდი“, ,,საქათმეში შეპარულა მელა“, ,,გიმნაზისტი გიმნაზისტკას“, ,,ხელი მისკენ მიცოცავს“ და სხვ. მეუღლესთან ერთად იყო ამ სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი.

ლიტ.: ქართული პოეზია, XIX–XX სს. დასაწყისი, ტ. 11, თბ., 1980.

ს. ლეჟავა.

ლეჟავა შამშე (სიმონ) კონსტანტინეს ძე [1(12). I. 1876, სოფ. წკადისი, რაჭის მაზრა, – 20. IX. 1937]. მედ. დოქტორი. რევ. მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. კურორტ შოვის დამაარსებელი.

1896 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო ოდესის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტზე. იყო რსდმპ-ის წევრი 1896- იდან. 1904 დააპატიმრეს ოდესის სტუდენტთა საგაფიცვო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. 1905 პოლიციის ზედამხედველობით დააბრუნეს მშობლიურ სოფელში. 1906 არალეგალურად გაემგზავრა ვენაში, სადაც დაამთავრა (1910) ვენის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი; შემდეგ გაემგზავრა ჟენევაში. აქ დაინტერესდა და შეისწავლა ავსტრიის, გერმანიისა და შვეიცარიის კურორტები.

1910 ლ. დაბრუნდა სამშობლოში, სადაც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო და პარტიულ თანამდებობაზე. მისი ინიციატივით შვეიცარიის კურორტების სტილში დაიწყო კურორტ შოვის მშენებლობა, რისთვისაც მოსკოვიდან ჩამოიყვანა რუსი არქიტექტორი ი. კოლჩინი. 1925 წ. 15 ივლისს საძირკველი ჩაეყარა სანატორიუმის მშენებლობას, რ-იც 1928 მზად იყო საექსპლუატაციოდ. ლ. დაინიშნა კურორტის დირექტორად. აშენდა სანატორიუმის შენობები, სასტუმრო, ელექტროსადგური, პოლიკლინიკა. 1929 საკურორტო სამმართველოს საზეიმო ვითრებაში გადაეცა კურორტი შოვი, ღონისძიებას ესწრებოდნენ უცხოელი სტუმრები.

კურორტს ლ-ს პატივსაცემად ,,შოვი“ ეწოდა.

ლ. ემსხვერპლა საბჭოთა რეპრესიებს.

ი. თარხან-მოურავი.

ლეჟავა ჯუმბერ დავითის ძე (23. VII. 1939, თბილისი, – 25. VII. 2014, იქვე). სპორტსმენი, მოგზაური, რეკორდსმენი, შეყვანილია გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში. დაამთავრა სპი (1966) ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (1987) შეიმუშავა ვარჯიშების საკუთარი სისტემა, რ-ის მეშვეობით სრულფასოვანი ცხოვრებით შეძლო სიცოცხლის გაგრძელება. დაამყარა მსოფლიოს და გინესის რამდენიმე რეკორდი ჰორიზონტალური მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვაში (1990–92, რამდენიმე გაუმჯობესებით, უკანასკნელად – 2001). ველოსიპედით იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო (13. VIII. 1993, – 3. XI. 2003). 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალიის, ოკეანეთის, ჩრდ. და სამხრ. ამერიკის, ევრ. და აფრ. თითქმის ყველა ქვეყნის ტერიტორია, 2-ჯერ იყო ანტარქტიდაში; მოგზაურობისას გადაიღო 50 ათასზე მეტი ფოტო და 200 სთ-ის მოცულობის ვიდეოფირი; შექმნა მოგზაურობის 7000-გვერდიანი დღიური, ასევე გამოსცა წიგნი ,,ველოსიპედით დედამიწის გარშემო“.

ლ. დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, საქართვ. სახელმწ. პრემიით. საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მინიჭებული აქვს „მოგზაური დიპლომატის“ სტატუსი (1993), ხოლო იუნესკოსგან – „მსოფლიო სპორტსმენის“ დიპლომი (1999). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლეჟბადინი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქუთლიარის თემი), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 310 *მ,* მარნეულიდან 20 *კმ.* 962 მცხ. (2014).

ლეჟვანიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (დოშაყის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჩხოუშის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 320 *მ,* მარტვილიდან 32 *კმ.* 64 მცხ. (2014).

ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე [3(15). X. 1814, მოსკოვი, – 15(27). VII. 1841, პიატიგორსკი, დაკრძალულია სოფ. ტარხანში, რფ.], რუსი პოეტი. 1829 იგი მოსკოვის უნ-ტში ჩაირიცხა. 1832 ლ-მა მიატოვა უნ-ტი და სანქტ-პეტერბურგში გადავიდა, სადაც სამხ. სკოლა დაამთავრა. 1834-იდან მსახურობდა ჰუსართა პოლკში.

ლექსების წერა ლ-მა 1829 დაიწყო, გამოქვეყნება – 1837-იდან. სახელი გაუთქვა იმავე წელს ა. პუშკინის მკვლელობისადმი მიძღვნილმა ლექსმა ,,პოეტის სიკვდილი“, რ-იც მამხილებელი პათოსის გამო მეფის მთავრობამ ,,რევოლუციის მოწოდებად“ მიიჩნია. პოეტი საქართველოში გადმოასახლეს და ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში გაამწესეს, სადაც მან 2–3 თვე დაყო (დაახლ. 1837 ოქტ.-დეკ.), გაეცნო ქართვ. მოღვაწეებს. საქართვ. ბუნებამ, ხალხის თა-



ო. ლეჟავა.




შ. ლეჟავა.



ჯ. ლეჟავა.



მ. ლერმონტოვი.



ლერწამი. Arundo donax.



კ. ლესელიძე.

ვისებურმა ყოფამ, ხალხურმა სიტყვიერებამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. 1837 ბოლოს ლ. რუსეთში დააბრუნეს, მაგრამ 1840 უმნიშვნელო საბაბით კვლავ გადაასახლეს ჩრდ. კავკასიაში. აქ მან რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა ოფიცერ კ. მამაცაშვილთან ერთად. საბედისწერო გამოდგა პოეტის შეკამათება მაიორ ნ. მარტინოვთან, რ-მაც იგი დუელში მოკლა.

მრავალფეროვანია ლ-ის შემოქმედება. მას ეკუთვნის ლექსები (,,თურქის ჩივილი“, 1829; ,,წინასწარმეტყველება“, 1830; ,,პოეტი“, 1838; ,,მშვიდობით, დაუბანელო რუსეთო“, 1841 და სხვ.), პოემები (,,აღსარება“, 1830; ,,თავისუფლების უკანასკნელი შვილი“, 1831 და სხვ.), პიესები (,,ადამიანები და ვნებები“, 1830, ,,მასკარადი“, 1835 და სხვ.), რომანი (,,ჩვენი დროის გმირი“, 1839) და სხვ. ლ-ის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიკავა კავკასიის თემამ. ნაწარმოებებში მხატვრულად განსხეულდა კავკ. შთაბეჭდილებები, მთიელთა ყოფა და ბრძოლა თავისუფლებისათვის (,,კავკასია“, ,,კავკასიის ლურჯი მთები“, ,,ჩერქეზები“, ,,კავკასიის ტყვე“, ,,იზმაილ ბეი“ და სხვ.). პოეტის შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, რ-იც მისი შთაგონების წყაროდ იქცა (ლექსები: ,,ქართული სიმღერა“, ,,თერგის საჩუქრები“, ,,პაემანი“, ,,თამარი“ და სხვ.). პოემა ,,მწირის“ (1839) მოქმედების ფონი საქართველოა. პოემაში ,,დემონი“ პოეტმა გამოიყენა ქართ. ლეგენდები, შექმნა ქართვ. ქალის – თამარის – მომხიბლავი სახე.

ლ-დმი დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართვ. რომანტიკოსები: გ. ორბელიანი (თარგმნა ,,მთანი მაღალნი“), ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი. ეს ინტერესი კიდევ უფრო გამძაფრდა XIX ს. 60-იან წლებში. ლ-ის თხზულებები თარგმნეს ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, ვაჟა-ფშაველამ, მ. ყიფიანმა, გ. აბაშიძემ, მ. გურიელმა და სხვ. ლ-ის მხატვრული მემკვიდრეობა თითქმის მთლიანად ითარგმნა ქართ. ენაზე. მის შემოქმედებას მიმართეს ქართვ. კომპოზიტორებმაც (ო. თაქთაქიშვილის სიმფ. პოემა ,,მწირი“, ა. ბალანჩივაძის ამავე სახელწოდების ბალეტი, ს. ცინცაძის ბალეტი ,,დემონი“ და სხვ.).

თხზ.: Сочинения, т.1–6, М.-Л., 1954–57; პოემები, თბ., 1939, 1954; ლექსები და პოემები, თბ., 1944; ლირიკა, თბ., 1964; დრამები, თბ., 1972; ჩვენი დროის გმირი, თბ., 1978; რჩეული *თხზულებანი*, თბ., 1987; ლექსები, თბ., 2011.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი ი., საქართველო *მ.* ლერმონტოვის შემოქმედებაში, თბ., 1953; ბარამიძე მ., მ. ი. ლერმონტოვი ქართულ *ლიტერატურულ* კრიტიკასა და თარგმანებში, თბ., 1973; დანელია ს., მიხეილ ლერმონტოვი. ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1960; Андроников И. Л., Лермонтов. Исследования и находки, 2 изд., М., 1967; Мануилов В. А., Летопись жизни и творчества М. Ю. Лермонтова, М.-Л., 1964; Попов А. В., Лермонтов на Кавказе, Ставрополь, 1954; Шадури В. С., За хребтом Кавказа, Тб., 1977; Эйхенбаум Б. М., Статьи о Лермонтове, М.-Л., 1961.

ვ. შადური.

ლერწამი (Arundo), ერთლებნიანი მცენარეების გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი მსხვილფესურიანი ბალახებია. აქვს უხვად შეფოთლილი ღერო, რ-ის სიმაღლე 1,5–5 *მ*, სისქე 4 *სმ* აღწევს. ლ-ის 3 სახეობიდან ერთი – A. formosana – ტაივანის ენდემია, მეორე – A. plinliana – გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, ხოლო მესამე – A. donax – ევრაზიისა და აფრ. სუბტროპ. და ნაწილობრივ ტროპ. ქვეყნებში. საქართველოში იგი გვხვდება კოლხეთის დაბლობზე, აგრეთვე მტკვრის, ალაზნისა და ივრის ქვემო წელის ჭალებში. იზრდება წყალსატევების სანაპიროებზე, მდინარისპირა და ზღვისპირა ქვიშებზე. გამოიყენება საწვავად და საშენ მასალად, ჭიგოებად და ღობედ, ჭილობის, კალათებისა და სხვათა საქსოვად. აშენებენ სარწყავი არხების ნაპირებისა და ქვიშიანი ადგილების გასამაგრებლად. მის ახალგაზრდა ყლორტებს პირუტყვის საკვებად იყენებენ. დეკორ., ხშირად აშენებენ ბაღ-პარკებში შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. ინტროდუცირებულია მრავალ სუბტროპ. და ტროპ. ქვეყანაში.

კ. ქიმერიძე.

ლესა, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ჭინათი). ზ. დ. 20 *მ.* ლანჩხუთიდან 8 *კმ.* სოფელზე გადის საავტომობილო მაგისტრალი. 1152 მცხ. (2014).

ლ. წყაროებში გვიანდელი შუა საუკუნეებიდან იხსენიება. აქ იყო გურიელთა ერთ-ერთი საუფლისწულო ცენტრი. XIX ს. I ნახ-ში ლ-ში სასახლე ჰქონდა დათა გურიელს, იქვე დაიბადა და სიყრმის წლები გაატარა მისმა შთამომავალმა, პოეტმა მამია გურიელმა.

ლიტ.: სიხარულიძე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, თბ., 1956.

ლესალე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ჯგალის თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. წალენჯიხიდან 8 *კმ*, ზუგდიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 30 *კმ*. ზ. დ. 280 *მ*, 169 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია XV–XVI სს. ციხე-დარბაზის ნანგრევები. ძველად ლ. ჯგალის ერთ უბანს წარმოადგენდა, ამიტომ ლ-ს ციხე წყაროებში ჯგალის ციხის სახელითაა მოხსენიებული.

თ. ბერაძე.

ლესაჯაიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში (ლეძაძამეს თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 160 *მ*, სენაკიდან 26კმ. 194 მცხ. (2014).

ლესელიძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე (7. I. 1907, სოფ. ხვარბეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 28. VI. 1944, სოფ. ვიდლიცა, რფ), საბჭოთა კავშირის გმირი (21.VII. 1944), პოდპოლკოვნიკი (1943). გენ.-პოლკ. კ. ლესელიძის ძმა. 1929 დაამთავრა თბილ. საარტ. სასწავლებელი. მეთაურობდა ბატარეას, დივიზიონს, საარტ. პოლკს, მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის ომში (1939–40). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მეთაურობდა 619-ე ნაღმმტყორცნელთა პოლკს. 1944 წ. 28 ივნისს სოფ. ვიდლიცასთან ბრძოლაში მეთაურობდა იერიშზე გადასულ ქვედანაყოფებს. დაიღუპა გმირულად. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 1, М., 1987.

ტ. ჩიხჩილაკაშვილი.

ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე [2 (15). X. 1903, სოფ. ხვარბეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 21. III. 1944, მოსკოვი), საბჭოთა მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი (1943). საბჭოთა კავშირის გმირი (13. V. 1971). 1922 დაამთავრა ქართ. გაერთ. სამხ. სკოლის საარტ. განყ-ბა, ხოლო 1929 – მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების კურსები ქ. ლენინგრადში (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი). 1937 დაინიშნა ამიერკავკ. სამხ. ოლქში 63-ე ქართ. სამთომსროლელი დივიზიის მეთაურად, 1938

– ბელორუსიის სამხ. ოლქში ვიტებსკის მე-5 წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის არტილერიის უფროსად, 1941-იდან – დასავლეთის განსაკუთრებული სამხ. ოლქის მე-2 განსაკუთრებული მსროლელი კორპუსის მეთაურად. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს 1941–42 დასავლეთის, კავკ. და ჩრდ. კავკ. ფრონტებზე იყო არმიის არტილ. უფროსი, მსროლელი კორპუსის მეთაური (1942), 46-ე, 47-ე და მე-18 არმიების სარდალი (1942–44). მონაწილეობდა თავდაცვით ბრძოლებში მინსკთან, მდ. ბერეზინასთან, დნეპრთან, ბრიანსკთან, ტულასთან; შეტევით ბრძოლებში – მოსკოვთან; იცავდა კავკასიას, პლაცდარმებს ,,მცირე მიწაზე'', ნოვოროსიისკთან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვა სახელმწ. ჯილდოებით. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: დავითაშვილი მ., ლესელიძე, თბ., 1975.

მ. დავითაშვილი.

ლესელიძე, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში, შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ფსოუს მარცხ. ნაპირზე, რუსეთის საზღვართან. გაგრიდან 18 *კმ,* სოხუმი–სოჭის საავტომობილო და სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 20 *მ.* ლ-ის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია. იცის რბილი, უთოვლო ზამთარი და ცხელი ნოტიო ზაფხული. იანვრის საშ. ტემპ. – 5,5 °C, აგვისტოსი – 23,4 °C. ნალექები – 1250 *მმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

სოფელში იდგა კ. ლესელიძის ძეგლი, რ-იც საზეიმოდ გაიხსნა 1975 წ. 9 მაისს (მოქანდაკე ს. კაკაბაძე). აფხაზეთის ომის შემდეგ, სხვა ქართველთა ძეგლებთან ერთად, აიღეს.

ლესემა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ხელედის თემი), მდ. ხელედულის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 820 *მ,* ლენტეხიდან 3 *კმ.* 81 მცხ. (2014).

ლესინგი (Lessing) გოტჰოლდ ეფრაიმ (22. I. 1729, კამენცი, საქსონია, – 15. II. 1781, ბრაუნშვაიგი), გერმანელი მწერალი, განმანათლებელი. გერმ. კლასიკური ლიტ-რის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა ლაიფციგისა და ვიტენბერგის უნ-ტებში. 1767–69 იყო ჰამბურგის ეროვნ. თეატრის რეცენზენტი. 1777-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ბრაუნშვაიგის ჰერცოგის ბ-კაში. ავტორია პიესების, კომედიების, იგავ-არაკების, ტრაგედიების, ესთეტ. ხასიათის ნაშრომების და სხვ. მნიშვნელოვანია ლ-ის პიესები: ,,ახალგაზრდა მეცნიერი'' (1747–48), ,,ებრაელები'' (1749), ,,თავისუფლად მოაზროვნე'' (1749), ,,ნათან ბრძენი'' (1779) და სხვ.; ტრაგედიები: ,,მის სარა სამფსონი'' (1755), ,,ემილია გალოტი'' (1772); ნაშრომები: ,,წერილები უახლესი გერმანული ლიტერატურის შესახებ'' (1759–65), ,,ლაოკოონი, ანუ პოეზიასა და მხატვრობას შორის არსებული საზღვრების შესახებ'' (1766), ,,მსჯელობანი იგავ-არაკის თაობაზე'' (1759), ,,ანტიკვარული შინაარსის წერილები'' (1768–69), ,,ერნსტი და ფალკი'' (1778) და სხვ.

ქართულ ენაზე უკვე XIX ს-ში ითარგმნა ,,ემილია გალოტი'' და ,,ნათან ბრძენი''. ლ-ის თეორ. შეხედულებებს დიდად აფასებდნენ ქართ. საზ-ბის თავკაცები. ი. ჭავჭავაძე ლ-ს უწოდებს ,,სახელოვან გერმანელ კრიტიკოსს'', ,,მთელს ქვეყანაში სახელგანთქმულ გერმანელს'', ხოლო მის ,,ლაოკოონს'' მიიჩნევს ,,სახელოვან თხზულებად''. გ. წერეთელი თვლიდა, რომ ეს ნაშრომი ლიტ-რის სფეროში ღირებულებათა საზომი იყო. ლ-ის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიუძღვნა ხომლელმა (რ. ფანცხავა) ნაშრომი ,,გოტოლდ ლესინგი'', რ-იც დაიბეჭდა ჟურნ. ,,აკაკის თვიურ კრებულში'' (1899, №3–5). ლ-ის პიესებიდან ქართ. თეატრების სცენაზე დაიდგა ,,ემილია გალოტი'' (1962, გორის სახელმწ. თეატრი) და ,,ნათან ბრძენი'' (1976, რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი). გამოიცა ლ-ის პიესების ერთტომეული.

თხზ.: Gesammelte Werke, Bd. 1–10, B., 1954–58; Собр. соч. 1–10, СПб, 1904; დრამები, თბ., 1958; ლაოკოონი ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ, თბ., 1986.

ლიტ.: ბოკუჩავა მ., ლესინგის ქართული პორტრეტი, თბ., 2006; ნადირაძე გ., ლესინგი და საქართველო. წინასიტყვაობა, წგ.: მინა ფონ ბარნჰელმი, ანუ ჯარისკაცის ბედნიერება, თბ., 1946; რევიშვილი შ., ლესინგი და ქართველობა, მის წგ.: ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969; Dahlke P., Lessing und sein Zeitalter, B., 1960.

შ. რევიშვილი.

ლესინდი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ლასურიაშის თემი), ზ. დ. 620 *მ,* ცაგერიდან 8 *კმ.* 52 მცხ. (2014).

ლესიჭინე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ლ., მეორე ლესიჭინე, ოცხომური). ზ.დ. 130 *მ,* ჩხოროწყუდან 8 *კმ,* სენაკიდან (უახლოესი რკ. სადგური) 32 *კმ.* 2321 მცხ. (2014).

ლესორა, ნასოფლარი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (ცხმორის თემი), მდ. ჯეჯორის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1900 *მ.* ონიდან 26 *კმ.*

ლესხულუხე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (სალხინოს თემი), ასხის მასივის დას. კალთაზე, მდ. წაჩხურის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 310 *მ,* მარტვილიდან 18 *კმ.* 167 მცხ. (2014). ლ-ს მიდამოებში არის კარსტული მღვიმე.

ლეტელიე ვიქტორ (XVIII ს. 80- იანი წწ., – დაახლ. XIX ს. 40-იანი წწ.), ფრანგი დიპლომატი და ლექსიკოგრაფი. დაამთავრა სორბონის უნ-ტი. 1829–32 ლ. იყო საფრ. საკონსულოს მდივანი თბილისში, აგრეთვე ეწეოდა საზ. და სამეცნ. მოღვაწეობას. ლ. თანაუგრძნობდა საქართვ. 1832 შეთქმულების ორგანიზატორებს, დაახლოებული იყო მოწინავე ქართ. საზ-სთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ-ს სამეცნ.-ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა. მან შეადგინა საყურადღებო ნაშრომი ,,ფრანგული გრამატიკა ქართულად ახსნილი'' (ავტორი კარგად ფლობდა ქართ. ენას), მასვე შეუდგენია ფრანგ.-ქართ. ლექსიკონი.



გ. ლესინგი. მხატვარი ა. გრაფი.

ლ-ს ჰქონდა ქართ. ხელნაწერი წიგნების მდიდარი კოლექცია (1725 გადაწერილი კრებული, დავით რექტორის მიერ 1782 გადაწერილი ,,ომანიანი'', იოანე იალღუზისძის მიერ 1812 გადაწერილი ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი და სხვ.), რ-იც ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული. მას ახლო სამეცნ. ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგში მყოფ თ. ბაგრატიონთან, აგრეთვე ცნობილ ფრანგ ქართველოლოგ მ. ფ. ბროსესთან.

ლ-მ ფეხით მოიარა იმერეთი. მისი მეუღლე მადამ რავერჟი ა. *ჭავჭავაძის* შვილების მასწავლებელი იყო.

ლ. ურუშაძე.

ლეუშერი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჩოლურის თემი), ლეჩხუმის ქედის ჩრდ. კალთის ძირში, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1060 *მ,* ლენტეხიდან 16 *კმ.* 48 მცხ. (2014).

ლეუშერისწყალი, ლ ე უ შ ე რ ი, მდინარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის ჩრდ. კალთაზე, 2645 *მ* სიმაღლეზე; სიგრძე 6 *კმ.* აუზის ფართობი 9,8 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულზე, წყალმცირობა – შემოდგომა-ზამთარში. საშ. წყლის ხარჯი – 0,46 *მ*^{3}/წმ.

ლეფილიე, სოფელი იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტში (მათხოჯის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ზ. დ. 350 *მ,* ხონიდან 14 *კმ.* 23 მცხ. (2014).

ლეფონა, სოფელი აფხაზეთის არის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (კინდღის თემი), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 50 *მ.* ოჩამჩირიდან 26 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეფოჩხუე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ვედიდკარის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 80 *მ,* მარტვილიდან 16 *კმ,* 434 მცხ. (2014).

ლექარდე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ეწერის თემი), მდ. მაგანის (ენგურის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 220 *მ,* წალენჯიხიდან 20 *კმ.* 168 მცხ. (2014). სოფელს აქვს ენერგეტიკული პოტენციალი.

ლექარჩე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (ნაკიანის თემი), ოდიშის ვაკეზე, ზ. დ. 220 *მ,* ჩხოროწყუდან 7 *კმ.* 102 მცხ. (2014).

ლექაჯაიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (აბედათის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 210 *მ,* მარტვილიდან 16 *კმ.* 422 მცხ. (2014).

ლექეთი, უძველესი დასახლებული პუნქტი ისტორიულ ჰერეთში; ამჟამად – სოფელი აზერბაიჯანში (კახის რ-ნი). წყაროებში პირველად მოიხსენიება 1310 ლექართის სახელწოდებით. სოფლის ტერიტორიაზე გათხრების შედეგად აღმოაჩინეს და შეისწავლეს ქრისტ. ეკლესია, ტეტრაკონქი (VII–IX სს.). ვარაუდობენ, რომ ლ. იყო ჰერეთის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

ლექვთაძე სამსონ დიმიტრის ძე (20. IX. 1877, სოფ. გვიშტიბი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 12. XII. 1948, თბილისი), დივიზიის მეთაური (1935), ქართ. საბჭ. ჯარის ერთ-ერთი შემქმნელი. მე-9 პოლკის მეთაური (1921). ცალკე ქართ. შეერთებული ბრიგადისა (1922) და პირველი ქართ. დივიზიის მეთაური (1923–38). მსახურობდა წითელი არმიის შტაბში.

ლექვინაძე ვადიმ ალექსანდრეს ძე (22. I. 1931, თბილისი, – 25. X. 1992, იქვე), არქეოლოგი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1972). მამა, ჰანს რეკი, იყო ცნობილი ზოოლოგი. როგორც გერმანელი, 1942 გადაასახლეს შუა აზიაში; დედა, ელენე (თეთრგვარდიელი ოფიცრის, ნიკოლოზ სიპუნოვის ასული) ადრე გარდაიცვალა. ლ. ბებიამ, ე. დუმბაძემ გაზარდა და რეპრესიისგან გადასარჩენად გვარიც შეუცვალა. ლ-მ დაამთავრა თბილ. ვაჟთა მე-14 (რუსული) სკოლა (1949), ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი (1954) და მუშაობა დაიწყო ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ფეოდ. ხანის არქეოლ. განყ-ბაში. 1957-იდან რეგულარულად მონაწილეობდა არქეოლ. ექსპედიციების საველე მუშაობაში. 1972-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბას. იმავდროულად იყო კლასიკური და ქართ. მონეტების ძირითადი და სადუპლეტო ფონდების მცველი.

ლ. ავტორია მრავალი სამეცნ. სტატიისა, რ-ებიც უმეტესად გამოქვეყნებულია სსრკ ცენტრ. სამეცნ. პერიოდიკაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნესა“ და ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის „მოამბეში“. სტატიები ეხება გვიანანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების საქართვ. ნივთიერი კულტ. ისტ. საკითხებს (ოქრომჭედლობა, კერამიკული წარმოება, სამშენებლო ხელოვნება და სხვ).

ლ-ის კვლევის უმთავრესი ობიექტი იყო დას. საქართვ. ტერიტორიაზე არსებული I–VII სს. მონუმ. ხუროთმოძღვრების ძეგლები, ციხესიმაგრეები, ტაძრები. აღსანიშნავია დრანდის გუმბათიანი ტაძრის, ბიჭვინთის უძველესი საეპისკოპოსო კათედრალისა და მისი მოზაიკის კვლევები.

ლ-ს საერთაშ. აღიარება მოუტანა შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე განლაგებული რომაული ციხესიმაგრეების სისტემის შესწავლამ, რ-იც პონტოს ლიმესის სახელით შეიტანა სამეცნ. მიმოქცევაში.

თხზ.: რუსთაველის ხანის ოქრომჭედლობის ძეგლები. „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, №9; По поводу римских крепостей в Восточном Причерноморье, „Сообщения АН ГССР“, 1965, т. 40; Понтийский лимес, „Вестник древней истории“, 1969, №2; О древнейшей базилике Питиунта и её мозайках, იქვე, 1970, №2; Гантиадская базилика, „Советская археология“, 1970, в. 3; Богатое погребение конца IV века из Уреки (Грузия), იქვე, 1975, в. 4.

ი. გაგოშიძე.

ლექოგალე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (დოშაყის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. გურძემის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 350 *მ,* მარტვილიდან 33კმ. 204 მცხ. (2014).

ლექოგალე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (ჭოღას თემი), ზ. დ. 350 *მ,* 76 მცხ. (2014).

ლექს-ბარათი, ლექსად დაწერილი ბარათი, ტრადიციული მოკითხვითა და საკუთარი ამბის თხრობით. დამკვიდრდა საბჭოთა პოეზიაში, რასაც ხელი შეუწყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციამ. ლ.-ბ. დამახასიათებელია არმიელთა, მწყემსთა და სხვ. პოეზიისთვის.

დ. გოგოჭური.

ლექსი (ბერძნ. Lexis – სიტყვა, მოქცევა), წყობილსიტყვაობა, რიტმული მეტყველება. საერთოდ ლ. მხატვრულად გამოსახვის ისეთი სიტყვიერი ფორმაა, სადაც ბგერების ზუსტი რიტმულ-მუსიკალური ორგანიზაციაა წარმოდგენილი.

ქართული ლექსის პირველმა თეორეტიკოსმა მ. ბარათაშვილმა „ჭაშნიკში“, ანუ „ლექსის სწავლის წიგნში“ (1731), „სიტყვისა“ და „ლექსის“ იგივეობაზე გაამახვილა ყურადღება: ქართ. ენაზე ძველად „ლ.“ სიტყვასაც აღნიშნავდა, ორსტრიქონიან ლექსსაც და „მთელს ამბავს ერთად გალექსულისა“.

ქართ. სალიტ. და ხალხური ლ. არსით, ბუნებით ერთმანეთისაგან

არ განსხვავდება, ამიტომ მკვლევრები ჩვენი ეროვნ. პოეზიის ისტორიის შესწავლას პოეტური ფოლკლორით იწყებენ. ლ-ის მთხზველის აღსანიშნავად ხევსურეთში ძირითადად გავრცელებული იყო სამი ტერმინი: მათქვამი, მელექსე და მემაირე, ხოლო ლ-ები სამ ნაწილად იყოფოდა: სიმღერე, ლექსი და შაირი.

უძველესი ქართ. ლ-ის რიტმი არ იყო მკაცრად გაწონასწორებული, მაგრამ ჰანგის გავლენით, თანდათანობით, მარცვალთა განსაზღვრულ რაოდენობას დაემორჩილა. ასე გაჩნდა მთიბლურები: ცელო, გამიჭერ, გზისპირია,// ჩამაჲალიან და სირცხვილია.

როგორც მთიბლურებს, ისევე ნატირლებს, რ-ებიც ცხრამარცვლიანია (5/4), ხშირად არა აქვს რითმა.

ხევსურულ პოეზიაში გავრცელებული სიმღერე დაბალი შაირის საზომით (5/3) არის შესრულებული, შაირები კი – მაღალი შაირით (4/4). რითმა სვანურ პოეზიაში მხოლოდ გამონაკლისის სახით არსებობს, სტროფი კი, ჩვეულებრივი გაგებით, არა გვაქვს. პ. ინგოროყვას აზრით, ქართ. მწიგნობრული რითმა ხალხური პოეზიიდან უნდა მომდინარეობდეს.

მ. ბარათაშვილი თვლის, რომ რითმისათვის აუცილებელია მთლიანად სიტყვების შეწყობა: «ლექსის ბოლოები, ბევრი ასო რომ ერთმანეთის ტოლი იყოს, იმითი არ გაეწყობა. ასე უნდა: ,,სიტყუა სიტყუას ეწყობოდეს...“» ა. ხინთიბიძე ამ განმარტებას ქართ. რითმის თანამედროვე დეფინიციისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს: ,,რითმა ეწოდება თანაჟღერადი სიტყვების (სარითმო ერთეულების) გამეორებას სტრიქონთა ბოლოს ან ცეზურასთან“. რითმის ამგვარი განმარტება ორგანულად ესადაგება ქართ. ლ-ის ბუნებას. ქართ. პოეზიაში ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი რითმები IX საიდან გვხვდება (ატენის სიონის წარწერები), ხოლო ,,ვეფხისტყაოსანში“ სრულყოფილებას აღწევს.

მ. ბარათაშვილის ,,ჯაშნიკში“ ტერმინ ,,რითმას“ აღნიშნავს ,,ბოლოები“, ,,ტანი“ კი არის (თანამედროვე გაგებით) ლ-ის სტრუქტურა. იგი სტრიქონს სამ ნაწილად ყოფს: თავი, ტანი და ბოლო. ბოლო, ანუ რითმა, დამოკიდებულია ,,თავსა“, ანუ ,,ხმაზე“, საზომსა და ,,ტანზე“, ანუ ლ-ის სტრუქტურაზე: ოთხჯერადი მონორითმა რომ მივიღოთ, მ. ბარათაშვილის აზრით, აუცილებელია სტროფის სტრუქტურა შეწყობილი იყოს რითმასთან. მონორითმა ,,ჯაშნიკში“ აღნიშნულია ტერმინ ,,ბოლოერთით“. მ. ბარათაშვილის ტრაქტატმა ქართ. ლექსმცოდნეობაში დაამკვიდრა ტერმინები: ლექსი, მუხლი, სტრიქონი, ხმა, გაყოფა (გაჭრა), შეწყობილი, მდენარი, მრავალმუხლი და სხვ.

ხალხურ ლ-ში რითმამ კუთვნილი ადგილი დაიჭირა ფშაურ კაფიებში: ,,ჩონქარაი ვარ ღვერათი,// დავდივარ როგორც კერატი“.

სალიტ. ლ-ის უძველესი ნიმუშები ქართ. ქრისტ. მწერლობის დამკვიდრებას უკავშირდება და ისინი ჩანართების სახით (ლექსითი ციტატები) გვხვდება ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. XX ს. 50-იან წლებში პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ არსებობდა ძლიერი ტრადიციების მქონე წარმართული საერო პოეზია, XX ს. დამლევს ა. სილაგაძემ თეორიად ჩამოაყალიბა და მოგვცა ქართ. ლ-ის უძველესი საფეხურის რეკონსტრუქცია; მისი აზრით, III–IV სს. უკვე არის ნახევარსტრიქონიანი ლექსითი ციტატები.

პირველი დადასტურებული ქართ. მწიგნობრული რითმა – ,,უფალი – შეუვალი“ – VI–VII სს. განეკუთვნება: ,,რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი – გველთა უფალი და დააბა მთასა რაჲსა ზედა, რომელი არს კაცთ შეუვალი“.

ჰომეროსის პოემების საზომის – დაქტილური ჰექსამეტრის – წარმოშობის ისტორია პ. ბერაძემ ქართ. ცეკვისა და სიმღერის, მთიბლურების რიტმს დაუკავშირა.

უეჭველია, რომ, ვიდრე ჩვენში ბერძნული ჰიმნოგრაფიის თარგმნას დაიწყებდნენ ან იამბიკოები დაიწერებოდა, უკვე გვქონდა ქართ. მწიგნობრული ლ.

ატენის სიონის კედლებზე აღმოჩენილი ლექსითი წარწერები (IX ს. II ნახ.) რითმიანი, 7-მარცვლიანი (5/2; 4/3) საზომით არის შესრულებული.

ქართ. საერო და სას. პოეზია საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთზე ზეგავლენის გარეშე თანაარსებობდა (ზ. ალექსიძე): ერთი მხრივ, იყო ბიზანტიური ჰიმნოგრაფიიდან მომდინარე ხუთტაეპიანი რითმიანი და ურითმო, 12-მარცვლიანი (5/7) იამბიკოები მწიგნობრული, არქაული ლექსიკით და, მეორე მხრივ, საერო ლ., უპირატესად, მაღალი და დაბალი შაირის რიტმით, კატრენითა და ოთხჯერადი მოსაზღვრე რითმით; 9-მარცვლიანი (5/4) მთიბლურები და ატენის სიონის 7-მარცვლიანი ლექსები.

ჩახრუხაძის ,,თამარიანში“ ერთმანეთს შეერწყა ჰიმნოგრაფიის მწიგნობრული და არქაული ლექსიკა – ოცმარცვლიანი, წინაცეზურულრითმიანი (სავალდებულო შიდარითმა) (5/5ˇ//5/5ˇ), დახვეწილი სალიტ. რითმა და ხალხური ლექსის მუსიკალობა.

,,ვეფხისტყაოსნის“ საზომით დაწერილი თითო-ოროლა ნიმუში მანამდე სხვა პოეტებთანაც გვხვდება, მაგრამ ,,რუსთველური“, ,,ვეფხისტყაოსნის“ ლექსის ეპიკური პოეზიის ერთპიროვნული ბატონობა ლირიკულ ლექსთან შედარებით, შოთა რუსთაველის პოემის უსაზღვრო პოპულარობამ განაპირობა.

დ. გურამიშვილმა, უცხოეთში მყოფმა პოეტმა, სხვებზე ადვილად დააღწია თავი ეპიგონობას. უკრაინაში გატარებულმა წლებმა მას უცხო ,,ხმების“ (საზომების) თემატიკით და ხალხური პოეზიით მწიგნობრული ლექსის გამდიდრების დიდი გამოცდილება შესძინა (ე. ხინთიბიძე).

ნ. ბარათაშვილმა ქართულ პოეზიას ,,სიბრძნის ერთი დარგის“ თვისება დაუბრუნა – იგი, ერთდროულად, ნოვატორიც იყო და ქართ. პოეტური ტრადიციის აღმდგენიც; ნოვაცია აღმოჩნდა ორი ცნობილი საზომის: ,,ფისტიკაურისა“ (5/5//5/5) და ,,ბესიკურის“ (5/4/5) ერთი ლექსის ფარგლებში მონაცვლეობა (,,მერანი“, ,,შემოღამება მთაწმინდაზედ“), რკალური რითმისა (abba) და ანჟამბემანის (გადატანის) შემოტანა.

ქართ. ლ-ის რეფორმატორებს XX ს-ში შეემატა გ. ტაბიძე. ლირიკის სფეროში გალაკტიონი აღმოჩნდა ,,ჩვენი დროის ახალი რუსთაველი“. ,,არტისტული ყვავილებით“ მან შექმნა უახლესი ქართ. ლ. ქართ. პოეზიაში მან დაამკვიდრა ,,ლირიკული ციკლები“ (,,ეფემერები“, ,,მგზავრის წერილები“ და ა.შ.).

XX ს. ქართ. ლ. უფრო მეტი სიზუსტით იცავს რიტმულსა და მეტრულ კანონზომიერებებს. მრავალფეროვანი ხდება ქართ. ლ-ის სტროფის ვარიანტები, ჩნდება ასტროფული ლ., მკვიდრდება პოლიმეტრული სტროფი, უმთავრეს ადგილს იჭერს ვერლიბრი; იხ-

ვეწება და მდიდრდება ევრ. და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმების თარგმნილი და ორიგინ. ნიმუშები.

ქართული ლ-ის სტრუქტურული მოდელი ოთხი იერარქიული დონით არის წარმოდგენილი: I. ორწევრედი (4+4); II. ორი ორწევრედი (4+4)+(4+4); III. ორსტრიქონედი, მრჩობლედი; IV. სტროფი (ოთხტაეპიანი, კატრენი) (ა. სილაგაძე).

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მიჯნაზე მყოფი საქართველო ორგანულად ითვისებდა საუკეთესო ხმებსა (საზომებს) და სალექსო ფორმებს სპარსული თუ ბიზანტიური პოეზიიდან, ითავსებდა ევროპულსა თუ აღმოსავლურ მყარ სალექსო ფორმებს, თუმცა საკუთარ ისტორიას უფრო ეროვნ. ფესვებით, ე.წ. მთის ფოლკლორით ასაზრდოებდა.

ქართ. ლ-ის ისტორია გაცილებით ძველია, ვიდრე ინდოევროპული ლექსისა [მაგ.: რუსული, სომხური, ოსური, ძველგერმანული (ანგლოსაქსური) ან ძველისლანდიური ,,ედას“ სიმღერები (IX–XIII სს.)].

ქართული ლ-ის უძველესი ისტორია, ალბათ უფრო იაპონური, ჩინური და სპარსული ლექსის სათავეების მსგავსად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შორეული საუკუნეების, ათასწლეულების წიაღშია საძიებელი.

ლიტ.: ალექსიძე ზ. ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბ., 1983; ბარათაშვილი მ., ჭაშნიკი. სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981; ბარბაქაძე თ., ქართული ლექსმცოდნეობა, თბ., 2014; ბერაძე პ., ძველბერძნული და ქართული ლექსწყობის საკითხები, თბ., 1969; სილაგაძე ა., ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997; მისივე, მეგრული ლექსი, თბ., 2012; ხინთიბიძე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბ., 2009.

თ. ბარბაქაძე.

,,ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, ქართული ზეპირსიტყვიერების შედევრი, სამონადირეო ეპოსის უძველესი პლასტებიდან შექმნილი ბალადა, რ-ის პირველი, მოკლე ვარიანტი გამოაქვეყნა დ. ხიზანიშვილმა 1887, ვრცელი – ვ. კოტეტიშვილმა 1927. დღესდღეობით ბალადის 24 ჩანაწერია ცნობილი. არქაულ, მოკლე ვერსიას რიტუალური ხასიათი უნდა ჰქონოდა: დაღუპვა მონადირისა, რ-მაც სამონადირეო ტაბუ დაარღვია, ნადირთ ბატონის რისხვის შედეგი იყო. ვრცელ ვარიანტში ცენტრ. ადგილი ვეფხისა და მოყმის ორთაბრძოლის გმირულმა თემამ დაიჭირა. ბალადა როგორც სტილისტური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით ქართვ. ხალხ. ტრადიციის ორგანული ნაყოფია. მისი ამაღლებული, ჰუმანური იდეები, დაღუპული გმირის დედის ტიპაჟი ქართ. ფოლკლორის იდეებსა და მხატვრულ სახეებს ემყარება. ლექსი ძირითადად აღმ. საქართველოში ყოფილა გავრცელებული.

გამოც.: ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ. ტფ., 1887; ,,ქართული მწერლობა“, 1927, №3–4; შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, [ტ.] 1 – ჯვრისწერული, ტფ., 1931; ქართული ხალხური პოეზია, შემდგ. ქ. სიხარულიძე, ტ. 4, თბ., 1975.

ლიტ.: ბარდაველიძე ჯ., ბალადა ,,მოყმისა და ვეფხის“ ავტორობის საკითხი, ,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1975, №3; Вирсаладзе Е. Б., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.

ე. ვირსალაძე.

ლექსიკა (ბერძნ. lexikos– სიტყვისა), ენაში არსებული სიტყვათა მარაგი, ენის ლექსიკური ფონდი. ლ. უშუალოდ ასახავს ენობრივი კოლექტივის ყოფას, ისტ.-ეთნ. რეალობას, მატერ. და სულიერ კულტურას და ამ თვალსაზრისით ის შეუცვლელი ისტ. წყაროა. ენის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, ლ. იოლად შეღწევადია და შედარებით სწრაფად იცვლება. ლ-ის ისტ. ცვალებადობაში გარკვეულ როლს ასრულებს გარეენობრივი გავლენები. მაგ., ქართულში ქრისტ. კულტურასთან დაკავშირებული ლ. (ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში) უმთავრესად ბერძნ. ენისაგან არის დავალებული, მესაქონლეობის მიმართულებით მრავალი ტერმინი აღმოსავლური ენებიდან არის შეთვისებული, ხოლო XX ს. სამეცნ.-ტექნ. რევოლუციამ გამოიწვია ევრ. ენებიდან მთელი ტერმინოლოგიური პლასტების შემოჭრა. მეორე მხრივ, ლ-ის ცვალებადობას განაპირობებს ენის შინაგანი სიტყვაწარმოებითი პოტენციის მოქმედება – დერივაცია და კომპოზიცია, პოლისემია, ლექსიკალიზაცია და მისთ.

ლ-ის ისტ. დინამიკურობა არის საფუძველი ლექსიკური პარადიგმატიკის მრავალფეროვნებისა. ლ. განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სხვადასხვა ისტ. და ენობრივ დანაშრევს შეიცავს. სინქრონიულ დონეზე წარმოდგენილ ბუდეებში ერთდროულად შეიძლება გამოვლინდეს როგორც ძველი (არქაიზმები), ისე ახალი ლექსიკა (ნეოლოგიზმები), დიალექტური, პროფ.-ჟარგონული და სხვ. ლექსიკური ერთეულები. ამ მრავალფეროვნების შესაბამისად ტერმ. ლ. გამოიყენება ვიწრო გაგებითაც: პროფესიული ლ., დარგობრივი ლ., დიალექტური ლ., ჟარგონული ლ., ნასესხები ლ., საყოფაცხოვრებო ლ., პოეტური ლ., ,,ვეფხისტყაოსნის“ ლ., ექსპრესიული ლ., ვულგარული ლ. და მისთ. ლ-ის ცალკეული ჯგუფების გამოყოფის საფუძველია გარკვეული მეთოდით თუ თვალსაზრისით კონკრეტული ენობრივი ქვესისტემების შესწავლის აუცილებლობა, სიტყვათა სისტემატიზაციის, კლასიფიკაციის ინტერესი; მაგ., გამოიყოფა სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები; საზოგადო და საკუთარი, აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები; სინონიმური და ომონიმური მიმართებანი და სხვ. ლ-ის სპეციფიკურ ნაწილს შეადგენს ფრაზეოლოგიზმები, როგორც ლექსიკალიზებული შესიტყვებანი.

ლ-ის შემსწავლელი უმთავრესი დისციპლინებია ლექსიკოლოგია, ონომასიოლოგია, სტილისტიკა, ეტიმოლოგია, სოციოლინგვისტიკა, სალექსიკონო კლასიფიკაციის ასპექტით კი – ლექსიკოგრაფია.

ა. არაბული.

ლექსიკოგრაფია (ბერძნ. lexikos – სიტყვისა და graphō – ვწერ), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც ამუშავებს ლექსიკონის შედგენის თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს. პრაქტ. ცნობილია ლ-ის განვითარების სამი ძირითადი პერიოდი: ა) ლექსიკონებამდელი პერიოდი, როდესაც განმარტავდნენ ცალკეულ ძნელად გასაგებ სიტყვებს, ადგენდნენ ე. წ. გლოსებს, გლოსარიუმებს, ვოკაბულარებს (სასწ. დანიშნულების კრებულები); ბ) ადრელექსიკოგრაფიული პერიოდი, როდესაც სასაუბრო ენისაგან განსხვავებით შეისწავლიდნენ სალიტ. ენის ლექსიკასა და შესიტყვებებს, მოგვიანებით ადგენდნენ პასიური ტიპის ლექსიკონებს, როცა სხვა ენის ლექსიკა განიმარტებოდა მშობლიური ენით, შემდეგ – აქტიური ტიპის თარგმნით ლექსიკონებს, რ-ებიც ეყრდნობოდა ცოცხალ ხალხურ მეტყველებას (მაგ., ფრანგ.-ლათინური, ინგლ.-ლათინური ლექსიკონები), და ცოცხალი ენების ორენოვან ლექსიკონებს; გ) განვითარებული ლ-ის პერიოდი – ეროვნული ლიტ.

ენების განვითარების ნაყოფი, რ-ის ძირითადი ფუნქციაა ენის ლექსიკური ფონდის აღწერა და ნორმალიზაცია, საზ-ბის ენობრივი კულტურის ამაღლება.

ლ. ადგენს ლექსიკონთა ტიპებს, აყალიბებს ცალკეულ სახეობათა შედგენის პრინციპებს. მისი პრაქტ. ფუნქციაა ლექსიკურ ერთეულთა თავმოყრა და სისტემატიზაცია, სიტყვათა რაოდენობის განსაზღვრა, სალექსიკონო ფორმის შერჩევა (სათანადო ენის გრამატ. წყობის გათვალისწინებით), სალექსიკონო სტატიის პრინციპების დადგენა – სიტყვათა ანბანურად თუ ბუდობრივად გაწყობა, განმარტებათა სახეობების შემუშავება, მნიშვნელობათა და ნიუანსურ სხვაობათა, მეტაფორულ და ფიგურალურ ხმარებათა გათვალისწინება, სადოკუმენტაციო ფონდის შერჩევა და სხვ.

თანამედროვე ლ-ის თეორიის მახასიათებლად მიიჩნევენ: ლექსიკის სისტემურობას, ლექსიკონებში სიტყვის ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურის გათვალისწინებას სხვა სიტყვებთან მიმართებით; აღმნიშვნელისა და აღსანიშნის მიმართებათა ცვალებადობას (მნიშვნელობის ცვლა მეტყველებაში და მისთ.); ენის გრამატიკასა და სინტაქსთან, მორფოლოგიასა და ფონეტიკასთან, განსაკუთრებით კი ლექსიკოლოგიასთან ლ-ის მჭიდრო კავშირის აღიარებას.

თანამედროვე ლ-ის დამსახურებაა ლექსიკონების დიდი სოც. მნიშვნელობის აღიარება, ხაზგასმა იმისა, რომ ეპოქის მიღწევები თავს იყრის ლექსიკონებში.

საქართველოში ლექსიკოგრაფიული მუშაობის დიდი ტრადიცია არსებობს. მათგან აღსანიშნავია განმარტებითი, დიალექტური, თარგმნითი, იდეოგრაფიული, ინვერსიული, ისტორიული, სიმფონიური, სინონიმთა, სპეციალური, უცხო სიტყვათა, ფრაზეოლოგიური ლექსიკონები. გარდა ამისა, მონოგრაფიულადაა შესწავლილი და გამოცემული ცალკეულ მწერალთა ლექსიკონები.

ლიტ.: მირიანაშვილი ნ., ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში, თბ., 1986; სილაგაძე ჯ., ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები, თბ., 1981; ჩიქობავა ა., სიტყვა-სტატიის აგებულებისა და ლექსიკონით სარგებლობის შესახებ, წგ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1950; ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ღლონტი ა., ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983; შამელაშვილი რ., თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, წგ. 1–3, თბ., 1972–79; Kacapec X., Введение в современную лексикографию, пер. с исп., М.,1958; Слово в грамматике и словаре, М., 1984.

ბ. ფოჩხუა.
ა. ჭინჭარაული.

ლექსიკოლოგია (<ბერძნ. Lexikós – სიტყვისა და Logos – მოძღვრება), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ენის ლექსიკურ ფონდს, მის შედგენილობას, სიტყვის სემანტიკას, ფუნქციონირებასა და ცვალებადობას. ლ. ემიჯნება ლექსიკოგრაფიას და, ამასთანავე, წარმოადგენს მის თეორიულ საფუძველს. განსხვავებით ფონეტიკისა და მორფოლოგიისაგან, რებიც შეისწავლიან სიტყვის ბგერადობასა და აგებულებას, ლ-ის კვლევის საგანია სიტყვა, როგორც მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეული. სიტყვის მნიშვნელობას საფუძვლად უდევს საგნობრივი მიმართება. სიტყვის აგებულების დერივაციული ცვლა წარმოქმნის ახალ საგნობრივ მიმართებას, ახალ სიტყვას. ამდენად, დერივაცია შინაგანად არის დაკავშირებული ლ-თან. ლ. არკვევს სიტყვისა და საგნის ურთიერთობას, რასაც განიხილავენ სემასიოლოგიის თვალსაზრისით – სიტყვიდან ამოსვლით (საძიებელია მისი მნიშვნელობა) ან ონომასიოლოგიის თვალსაზრისით – საგნიდან ამოსვლით (საძიებელია მისი სახელწოდება). ამ ქვედარგებთან ერთად, ლ-ს განეკუთვნება ეტიმოლოგიაც, ხოლო მომიჯნავე დარგებია ფრაზეოლოგია და სტილისტიკა.

ლექსიკის კვლევას იწყებენ სიტყვათა კლასიფიკაციით. ძირითადია მათი დაჯგუფება სრულმნიშვნელოვან და დამხმარე სიტყვებად. მათი დაჯგუფება ხდება იმის მიხედვითაც, თუ რომელი ფუნქციაა წარმმართველი სიტყვაში: აღნიშვნისა (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ზმნა, ზმნისართი), მითითებისა (ნაცვალსახელები, ზოგი ზმნისართი, დეიქტური სიტყვები) თუ გამოხატვისა (შორისდებულები). სიტყვის ფუნქციონირება არ გაიაზრება ენობრივ კოლექტივთან მიმართების გარეშე. ლექსიკის შესწავლა ენობრივ კოლექტივთან მიმართებით სიტყვათა დაჯგუფების საფუძველია მოლაპარაკეთა ტერიტ. განაწილებისა თუ საქმიანობის მიხედვით (დიალექტური და დარგობრივი ლექსიკა). სხვადასხვა სიტყვას სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს; მათი შეხვედრა საერთო ენაში იძლევა პოლისემიას, ხოლო ტერიტორიულ ჯგუფებში არსებულ ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვათა თავმოყრა – სინონიმიას. ლექსიკის, როგორც სისტემის, განხილვა გულისხმობს, გაირკვეს ამ სისტემის ელემენტთა – სიტყვათა ურთიერთმიმართება, რ-საც განაპირობებს ამ სიტყვებით აღნიშნულ მოვლენათა ურთიერთკავშირი. მაგრამ როცა ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვები შექმნის სისტემას, მის შემდგომ ბედს ენობრივი ტრადიციაც განსაზღვრავს. ლ. იკვლევს ამგვარად შეპირობებულ სიტყვათა კავშირებს – პარადიგმატულ (ასოციაციურ) და სინტაგმატურ (დისტრიბუციულ) მიმართებებს ლექსიკურ ერთეულთა შორის.

სხვა ენობრივ მოვლენებთან შედარებით ლექსიკა ყველაზე სწრაფად იცვლება, რაც, ლექსიკის სისტემატურ კვლევასთან ერთად, აუცილებელს ხდის მის ისტ. კვლევას, ინოვაციათა გზებისა და მიზეზების დადგენას; ლექსიკური კონტაქტების შესწავლის საფუძველზე ლ. არკვევს შეთვისებული (ნასესხები) და საკუთარი ლექსიკის ურთიერთმიმართებას, ლექსიკური ფონდის გამდიდრების წყაროებს, საშუალებებს და სხვ.

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; ჩიქობავა ა., გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, ,,სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის მოამბე'', 1940, ტ. 1, №2–3; Дорошевский В., Элементы лексикологии и семиотики, М., 1973; Kronasser K., Handbuch der Semasiologie, Hdlb., 1968; Ullman S.,Semantics, Oxf., 1977; მისივე, Grunzgeige der Semantik, B., 1978.

ბ. ფოჩხუა.
შ. აფრიდონიძე.

ლექსიკონი (ბერძნ. lexikon), 1. სიტყვათა მარაგი, ლექსიკურ ერთეულთა ერთიანობა, რ-იც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის, დიალექტისათვის, ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროსა თუ ინდივიდისათვის; 2. საცნობარო წიგნი, რ-შიც გარკვეული წესით (ანბანურად, ბუდობრივად) განლაგებულია ამა თუ იმ ენის ლექსიკურ ერთეულთა (ჩვეულებრივ, სიტყვათა) მარაგი და მოცემულია განმარტება ან ინფორმაცია მათ შესახებ. შინაარსის, დანიშნულების, მასალის მოცვის, აღწერის გზების, სალექსიკონო ერთეუ-

ლის შერჩევის, მასალის განლაგებისა და მისთანების მიხედვით განირჩევა ლ-თა სხვადასხვა ტიპი და სახე.

იმის მიხედვით, თუ რა კუთხით არის სიტყვა განმარტებული, განასხვავებენ ლინგვისტურ და ენციკლოპედიურ ლ-ებს. ლინგვისტურ ლ-ებში მოცემულია სიტყვის მნიშვნელობის განმარტებები, ასახულია მათი ლინგვისტური მახასიათებლები. ლინგვისტური ლ. შეიძლება იყოს განმარტებითი, დიალექტური, ისტორიული, ეტიმოლოგიური, უცხო სიტყვათა, სინონიმთა, პარონიმთა, ორთოგრაფიული, ორთოეპიული, კრებსითი, მწერლის და სხვ. ლ. შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორ- და მეტენოვანი.

ენობრივი მასალის მოცვის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ენის მთელი ლექსიკური მარაგის მომცველი ლ-ები – თესაურუსი ან განმარტებითი და მეორე მხრივ, სპეციალური ლ-ები. სალექსიკონო ერთეული შეიძლება იყოს სიტყვაზე მცირეც და დიდიც. შესაბამისად, განსხვავებულია, ერთი მხრივ, მორფემების, ფუძეების და სხვ., ხოლო მეორე მხრივ, ფრაზეოლოგიური, სიტყვათშეხამებათა და სხვ. ლ-ები.

სამეცნ. მიზნით იქმნება შებრუნებული, ანუ ინვერსიული ლ. ცალკე უნდა გამოიყოს სხვადასხვა სახის საძიებლები, ინდექსები, რებიც ენაში, ტექსტში ლექსიკური ერთეულების სიხშირეს ან ტექსტში მათი შეხვედრის ადგილს გვიჩვენებენ. ამას სიმფონიური ლ. ეწოდება.

ენციკლოპედიური ტიპის ლ-ებში განმარტებულია არა სიტყვის მნიშვნელობა, არამედ სიტყვით გამოხატული ცნება, საგანი, მოვლენა... ამ ტიპისაა ენციკლოპედიური, იდეოგრაფიული, ტერმინოლოგიური, ბიოგრაფიული და მისთ. ლ-ები.

ლიტ.: ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974; მისივე, ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1–8, თბ., 1950–64 (ახ. რედ. ტ. 1–4, თბ., 2008–2019); ღლონტი ა., ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983; ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ა. არაბული.

ლექსორი, სამონასტრო კომპლექსი. მდებარეობს ტაოში, მდ. ბარდუსის ხეობის დასაწყისში, მდინარის მარცხ. ნაპირის კლდოვანი ფერდის შუა წელზე (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია).



ლექსორი. სამონასტრო კომპლექსი. შუა საუკუნეები.

ადრე აქ დიდი ლავრა ყოფილა. ე. თაყაიშვილის მიერ 1907 აღწერილი ექვსი ეკლესიიდან სამიღაა შემორჩენილი – ორი დარბაზული და ერთიც ,,თავი ეკლესია“ (ასე უწოდებს ე. თაყაიშვილი). საკმაოდ დიდი ზომის მთავარი ეკლესია ბაზილიკის ტიპისაა, აღმ-ით – შვერილი აფსიდით. აღმ. ფასადი უფრო დიდი და კარგად გათლილი ქვებითაა აგებული. გეგმით ჰგავს სამეკლესიიან ბაზილიკას, აფსიდი ღრმა და ნალისებრია. შემორჩენილია მაღალი საკურთხევლის დიდი ფრაგმენტი. სავარაუდოდ, ეკლესია VIII–IX სს. განეკუთვნება. ე. თაყაიშვილის მიერ ნანახი მხატვრობა და წარწერები აღარაა შემორჩენილი. დიდი ეკლესიის ქვევით, კლდის ქიმზე, მინიატიურული ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევია, სამხრ-ით, კლდის პირას – სავარაუდოდ X ს. შედარებით უკეთ შემორჩენილი დარბაზული ეკლესია, რ-იც სწორ რიგებად დაწყობილი გლუვად ნათალი მოყვითალო ქვებითაა ნაგები. ტაძარს სამხრ-ით აქვს შესასვლელი და ერთი სარკმელი. აღმ-ით, საკურთხეველში სარკმლის ორსავ მხარეს ნიშებია მოწყობილი. მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია კიდევ ერთი დიდი და გრძელი შენობის ნაშთი.

გ. ბაგრატიონი.

ლექსურა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ლენტეხის თემი). ზ. დ. 760 *მ,* 157 მცხ. (2014). სოფლის სასაფლაოსთან დგას შუა საუკუნეების ღვთისმშობლის მოქმედი ეკლესია.

ლექსწყობა, ვერსიფიკაცია (ლათ. versus – ლექსი და facio – ვქმნი), პოეტური მეტყველების ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანამიმდევრობითი მოწესრიგებული სისტემა. ამ სისტემის შემსწავლელ პოეტიკის დარგს მეტრიკა ეწოდება. ქართ. ლექსის მეცნ. კვლევის უმთავრეს საკითხად დღემდე რჩება ეროვნ. ვერსიფიკაციის (ლექსწყობის) ბუნების დადგენა – სილაბურია ქართ. ლექსი, თუ სილაბურ-ტონური.

ადრინდელ მკვლევართა შეხედულება იმის შესახებ, თუ ლ-ის რომელ სისტემას მიეკუთვნება ქართ. ლექსი, ნათელი ხდებოდა ლექსის რიტმზე, მეტრზე, პროსოდიაზე მსჯელობისას; XIX ს. ბოლო ათწლეულიდან ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართული ლექსის სილაბურობისა და სილაბურ-ტონურობის თეორიები.

პირველი ქართ. პოეტიკური ტრაქტატის – ,,ჭაშნიკის“ (1731) – ავტორი მ. ბარათაშვილი ქართ. ლექსის სილაბურობის თეორიის ფუძემდებელია. იგი თვლის, რომ ქართ. კლასიკური ლექსის სტრუქტურის დასადგენად საჭიროა განისაზღვროს ლექსის სტრიქონის აგებულება, რადგან მარცვალთა თანაფარდობაზე დამყარებულ ლ-ში სტრიქონი ლექსის განმსაზღვრელი ერთეულია. სტრიქონის უმცირეს რიტმულ მონაკვეთად მ. ბარათაშვილი ,,მუხლს“ მიიჩნევს, მუხლის სიდიდე კი მარცვალთა რაოდენობით არის განსაზღვრული.

ქართ. ლ-ის მკვლევრის, ა. სილაგაძის აზრით, ,,სწორი სეგმენტაციის პრობლემის გადასაწყვეტად

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართ. ლექსის ტაეპის მართებულ ანალიზს, 3-, 4-, 5- მარცვლედებად მუხლების სეგმენტაციას, რასაც მყარი საფუძველი ჩაუყარა მ. ბარათაშვილის ,,ჭაშნიკმა“.

სილაბურობის პრინციპზეა დაფუძნებული მ. ბარათაშვილისეული ანალიზი შაირის, გრძელშაირისა და სხვა სალექსო ფორმებისა.

ტერმინები: ,,მუხლი“, ,,ტაეპი“ მ. ბარათაშვილის ,,ჭაშნიკში“ ეფრემ მცირის, ს.-ს. ორბელიანის (,,მუხლად ითქმის ტაეპი“) გავლენით უნდა გაჩენილიყო. ,,ტაეპი“ და ,,მუხლედი“, როგორც ტაეპის ქართული შესატყვისი, კარგად იყო ცნობილი ეფრემ მცირის კომენტარებით: ,,ტაეპი იგი მუკლედად გამოითარგმნების“. არსებობდა აგრეთვე მოსაზრება, რომ ტერმინი ,,მუხლი“ მ. ბარათაშვილის ,,ჭაშნიკში“ დ. კანტემირის რუსულენოვანი სახელმძღვანელოდან (სიტყვა ,,нога“) უნდა გაჩენილიყო.

ქართ. ლ-ის სილაბურობის თეორიის განვითარების ქრონოლოგიური ქარგა, მ. ბარათაშვილის შემდეგ, ამგვარად წარმოგვიდგება: იოანე ბატონიშვილი, ანონიმი ავტორი, დავით რექტორი, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ი. მეუნარგია, ლ. ისარლიშვილი, გ. ყიფშიძე, მ. ჯანაშვილი, ს. ხუნდაძე, ჰ. ფოგტი, ა. ფეოდოროვი, პ. ინგოროყვა, გ. გაჩეჩილაძე, ტ. გუდავა, *მ.* გასპაროვი, გ. წერეთელი, ა. ხინთიბიძე, ქ. ვივიანი.

ქართ. ლ-ის სილაბურტონურობის თეორია ე. ბოლხოვიტინოვის წიგნაკიდან ,,Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состаянии“ (1802) იწყება, თუმცა ევგენი მიტროპოლიტმა არც ქართ. ენა და ლექსი იცოდა და ვერც ლექსწყობის სისტემებში ერკვეოდა. მიუხედავად ამისა მის თვალსაზრისს დღემდე უკრიტიკოდ იმეორებს ზოგიერთი ქართვ. თუ უცხოელი მკვლევარი.

ქართ. ლექსს სილაბურ-ტონურად მიიჩნევენ ნ. გულაკი, ლ. არდაზიანი, კ. დოდაშვილი, მ. კელენჯერიძე, ი. ყიფშიძე, ს. გორგაძე, ა. გაწერელია, პ. ბერაძე, რ. ბერიძე და სხვ.

ქართ. ლექსის სილაბურობისა და სილაბურტონურობის თეორიათა დამცველებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა დაპირისპირება XX ს. 70-იანი წლებიდან, როდესაც გამოქვეყნდა გ. წერეთლის «მეტრი და რითმა ,,ვეფხისტყაოსანში“» (1973). ამ ნაშრომმა კატეგორიულად უკუაგდო ქართ. ლექსის ტერფოვანების თეორია და უარყო მახვილის როლი ქართ. ლექსის სეგმენტებისა (მუხლების) და რითმის შექმნაში. გ. წერეთელი ,,ვეფხისტყაოსნის“ ლ-ს ,,სილაბურ რეგულირებულ ლექსს“ უწოდებს. გ. წერეთლის ეს თვალსაზრისი გააკრიტიკა ა. გაწერელიამ ნაშრომში «,,ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის ზოგიერთი საკითხი» (1974). ავტორი იცავს მოსაზრებას ქართ. ლექსის სილაბურტონურობის თაობაზე.

თანამედროვე ქართვ. ენათმეცნიერები აცხადებენ, რომ ქართ. ლექსი განსხვავდება როგორც სილაბურ-ტონური (რუსული, ინგლისური), ასევე სილაბური (ფრანგული) ლექსისაგან, რ-ებშიც სარითმო მონაკვეთი (კლაუზულა) მახვილიანი ხმოვნით არის შემოსაზღვრული.

აღსანიშნავია ა. სილაგაძის აზრი ამ საკითხზე. მას მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი ქართ. ლ-ის სისტემა ოთხი ცნობილი სისტემიდან რომელიმეს ეკუთვნოდეს: ,,ქართული ლექსი, შეიძლება, არც სილაბური იყოს, არც სილაბურ-აქცენტური (აგრეთვე, არც მეტრული, ან ტონური!), იგი შეიძლება ორიგინალური ბუნებისა იყოს.

ქართ. ლექსის სილაბურობას XX ს. 70-იანი წლების II ნახ-იდან დაბეჯითებით იცავდა ა. ხინთიბიძე, რ-იც არგუმენტირებულად ასაბუთებდა, რომ ქართ. ლექსი არ არის სილაბურ-ტონური. მისი აზრით, სილაბურობა ქართული ლექსის საყრდენია და ტრადიციული, ეროვნული ვერსიფიკაცია, თანამედროვე ლექსთან ერთად, ამ პრინციპს იცავს.

ლიტ.: ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ქ. ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, თბ., 2011; გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., ქართული ლექსწყობა. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1995; კ ო ბ ა ი ძ ე მ., რითმა და მახვილი ქართულ დიალექტებში (შენიშვნები ქართული ლექსწყობის ბუნების შესახებ), ,,წახნაგი“, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული, 2010, №2; ს ი ლ ა გ ა ძ ე ა., ქართული ლექსის კვალიფიკაციის საკითხი. ლექსმცოდნეობა. I, თბ., 2008; მ ი ს ი ვ ე, მეგრული ლექსი, თბ., 2012; მ ი ს ი ვ ე, ,,ვეფხისტყაოსნის“ ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, თბ., 2013; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ა., ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბ., 2009.

თ. ბარბაქაძე.

ლექციონარი, ქრისტიანულ სამრევლო და სამონასტრო ღვთისმსახურებაში სხვადასხვა დღესასწაულისა და დღისათვის დაწესებული საეკლესიო საკითხავების კრებული, რ-იც შეიცავს ბიბლიური წიგნებიდან ამოკრებილ ადგილებს. ლ-ის შედგენის სხვადასხვა სისტემა და ტრადიცია არსებობდა: საბაწმინდის, იერუსალიმის, ბერძნ., ანუ კონსტანტინოპოლის და სხვ. ქართ. ლ-ებში, რ-თა უძველესი რედაქციების ფრაგმენტები შემონახულია ხანმეტ და ჰაემეტ პალიმფსესტებში (V–VIII სს.), კრებულის შედგენის სხვადასხვა ტრადიციაა ასახული. ლ-ის ნიმუშია გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილი ,,საწინასწარმეტყველოც“, რ-იც შეიცავს საკითხავებს ძველი აღთქმიდან.

ლ-ის ის რედაქცია, რ-იც ,,ქართული ლექციონარის“, ანუ ,,იერუსალიმის კანონის“ სახელწოდებით არის ცნობილი, ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლია და ასახავს ღვთისმსახურების იერუსალიმურ წესს V–VIII სს. განმავლობაში. მისი უძველესი ვერსიის თარგმნა V ს-ში ივარაუდება. ,,ქართული ლექციონარი“ უმნიშვნელოვანესია იმ მცირერიცხოვან ძეგლთა შორის (მაგ., ,,სომხური ლექციონარი“, V– VI სს.), რ-თა მიხედვითაც მსჯელობენ ადრეულ ბერძნ. (იერუსალიმურ) და, საერთოდ, აღმ. ქრისტ. ღვთისმსახურებაზე, რადგან ძეგლის ბერძნ. პირველწყარო დაკარგულია. ძეგლს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართ. ენის, ბიბლიის ქართ. თარგმანებისა და ადრეული სას. პოეზიის ისტორიისათვის, ამასთანავე იგი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ქართ. ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის. ,,ქართული ლექციონარი“ (ძირითადი ხელნაწერი თარიღდება X–XI სს.) გამოიყენებოდა ქართ. ღვთისმსახურებაში X ს. დასასრულამდე, ვიდრე ქართ. ეკლესია კონსტანტინოპოლის ტრადიციებზე გადავიდოდა. ძეგლის დანიშნულება სცილდება ლ-ის ფარგლებს, ის, უპირველეს ყოვლისა, ტიპიკონია ,,კანონად“ სახელდებული; საკითხავების გარდა შეიცავს უძველეს საეკლ. საგალობლებს, განმარტებებს ღვთისმსახურების წესისა და რიგის შესახებ და, რაც მთავარია, საწელიწდო კალენდარს. ადრეული ქართ. ლიტურგიკული კრებულები (მრავალთავი, იადგარი, კონდაკი და სხვ.) მთლიანად ,,ქართული ლექციონარის“ პრინციპებზეა აგებული. ძეგლი

თარგმნილია რუს. (1912), ბერძნ. (1914), ლათ. (1959) და სხვ. ენებზე.

გამოც.: ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1944; ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი. გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, თბ., 1987; Кекелидзе К., Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тфл., 1912; Tarchnishvili M., Le grand Lectionoinnive de leglise de Jerusalem (V$_e$–VIII$_e$ siècle), v. 1–2, Louvain, 1959–60.

ლიტ.: კეკელიძე ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; შანიძე ა., ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ,,ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე'', 1923, ტ. 3.

ლ. ხევსურიანი.



ლეღვი.

ლეღვა, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (ხრესილის თემი), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. წყალწითელის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 470 *მ,* ტყიბულიდან 14 *კმ,* 118 მცხ. (2014). სოფელში გამოვლენილია სამკურნალო გოგირდიანი წყალი. დატანილია ვახუშტი ბაგრატიონის შესაბამის რუკებზე ,,ლეღვის'' სახელწოდებით.

ლეღვა, სოფელი აჭარის არ-ის, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, აჭარა-გურიის მთისწინეთში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., სკურა, ცხრაფონა); სოფელში გადის ქობულეთი–ოზურგეთი–ჩოხატაური– საჯავახოს საავტ. გზა. ზ. დ. 120 *მ,* ქობულეთიდან 14 *კმ.* 2081 მცხ. (2014). სოფელში გამოვლენილია გოგირდწყალბადიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული და ნატრიუმიან-კალციუმიანი მინერ. წყალი. დებიტი 4000 ლ/დ.

ლეღვანი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., დიდვაკე, მარელისი, პატარა სახვლარი), მდ. ლეღვანურის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 510 *მ,* ხარაგაულიდან 11 *კმ.* 679 მცხ. (2014). სოფელში არის ბუნებრივი ტბა და სამკურნალო მნიშვნელობის გოგირდიანი წყლები, ბოტანიკური მნიშვნელობის ძეგლები – 200-წლოვანი ცაცხვები და მუხები. წერილობით წყაროებში XVIII ს. I ნახევრიდანაა დამოწმებული. სოფელში შემორჩენილია გვიანდ. ფეოდალური ხანის კოშკის ნანგრევები.

თ. ბერაძე.

ლეღვანურა, მდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი. საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით. ლ-ში ბინადრობს სხვადასხვა სახეობის თევზი.

ლეღვთახევი, იხ. *წავკისისწყალი.*

ლეღვთახევი, დაბახანა, დაბაღხანა, ძველი თბილისის ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული უბანი. მდებარეობდა ძვ. ქალაქის სამხრ. ნაწილში, ახლანდ. კრწანისის რ-ნის ტერიტორიაზე (მოიცავდა ბოტანიკური ბაღის მიდამოებს).

სახელი ეწოდა ამ ადგილებში ლეღვის ხის სიმრავლის გამო. წყაროებში პირველად მოიხსენიება 1429. ლ. გამოყოფდა თბილ. უძველეს უბან კალას საკუთრივ ქალაქისაგან (ახლანდ. აბანოების უბანი). გვიანდ. ფეოდ. ხანის წყაროებში გვხვდება აგრეთვე ლ-ის სხვა სახელწოდებები: წავკისისხევი და დაბახანა (ლ-ში გამომდინარე გოგირდის წყალში ტყავს ამუშავებდნენ მეტყავე-დაბაღები; აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც – დაბახანა).

XIX ს-ში ლ-ში ბოტანიკური ბაღი გაშენდა. 2012 განხორციელდა ლ-ის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.

ლიტ.: თბილისის ისტორია, I, თბ., 1990.

თ. ბერაძე.

ლეღვი (Ficus carica), სუბტროპიკული ფოთოლმცვენი მცენარე თუთისებრთა ოჯახის ფიკუსის გვარისა. ლ. იზრდება ხედ ან ბუჩქმცენარედ. მეჩხერად დატოტვილი ხის სიმაღლე 4–12 *მ* აღწევს. ნორჩი ყლორტები მომწვანო-მონაცრისფროა, შებუსული ან შიშველი, შეიცავს რძეწვენს. ლ. ერთ- ან ორსახლიანი მცენარეა. ერთსქესიანი ყვავილები მოთავსებულია გამსხვილებული ყვავილსაჯდომის ღრუში. ყვავილ-საჯდომის კედლები გამოფენილია მრავალი წვრილი ბუტკოიანი (მდედრობითი) ყვავილით, მტვრიანიანი (მამრობითი) ყვავილები კი მის ზედა ნაწილშია მოქცეული. ყვავილები იმტვერება კრაზანის – ბლასტოფაგას მეშვეობით. ნამდვილი ნაყოფი პაწაწინა კაკლუჭაა, ნაყოფედი (ცრუ ნაყოფი), რ-საც საკვებად იყენებენ, ზოგჯერ პართენოკარპულად (გაუნაყოფიერებლად) ვითარდება. ლ. კარგად ეგუება მშრალ, ქვაღორღიან, კირნარ ადგილებს, ხარობს ხრიოკზე, ჩამონაზვავზე, ზოგჯერ შენობის ნანგრევებსა და კლდეებზეც კი. ღრმა ნიადაგზე და ზომიერად ტენიან პირობებში საკმაოდ მაღალ ტემპერატურას უძლებს, დაბალი ტემპერატურის მიმართ კი უფრო მგრძნობიარეა და –12 – 14°C-ზე უკვე ნაწილობრივ ზიანდება. ცოცხლობს 100–200 წელს. ლ-ს ამრავლებენ თესლით, კალმით, გადაწვენითა და ფესვის ამონაყრით.

ლ. ბუნებრივად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიაში, ირანსა და ჩრდ.-დას. ინდოეთში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით თურქეთში, ალჟირსა და აშშ-ში; ველურად იზრდება კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში.

საქართველოში გვხვდება ყველგან, მთის ქვედა სარტყელსა და დაბლობებზე; ხშირად გავრცელებულია. ლ. კულტივირებულია კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში. ლ-ის კულტ. ნარგავები გვხვდება საკარმიდამო ნაკვეთებში ერთეული ან ჯგუფური სახით.

ლ. ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა (400-მდე სახეობა). უცხოური ჯიშებიდან სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს თათრულ ლ-ს, ჩაფლას, შაქარას, ჩიტას, დიდს, ოქროს, ღვინას, ტაბაკას, შავს, თეთრს და სხვ. არსებობს ლ-ის ორმოსავლიანი და ერთმოსავლიანი ჯიშები. ორმოსავლიანი ჯიშების პირველი მოსავალი მწიფდება ივლისში, მეორე (ძირითადი) – აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნოემბრამდე (ჯიშების მიხედვით). ლ-ის ნაყოფი ნაზია, დიდხანს არ ინახება. ჯიშისა და სიმწიფის კვალობაზე იგი შეიცავს (%-ობით): 12–23 შაქარს, 0,5–4,2 პექტინოვან ნივთიერებებს, 3,4–7,4 უჯრედისს, ორგ. მჟავებს, მდიდარია C, B_1, B_2 ვიტამინებით, კაროტინით, კალციუმით, რკინით, ფოსფორით. ლ-ს იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (ჩირი, მურაბა, ჯემი, კომპოტი), ასევე სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ (გულსისხლძარღვთა დაავადებები, ზედა სასუნთქი გზების ანთებითი პროცესები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სისხლნაკლებობა, ძვლოვანი ქსოვილის გამაგრება და სხვ). ლ-ის მავნებლებია: ფქვილისებრი ცრუფარიანა, ლ-ის ფარიანა, ფსილა, ალურა, ცილაჭამია და სხვ.

ვ. სხიერელი.
ნ. გოცირიძე.

ლეღვინჯილე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

(მიქავას თემი), ზ. დ. 300 *მ,* 167 მცხ. (2014).

ლეჟერეთი (ყოფ. კიროვი), სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (ჯვარისის თემი), რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 450 *მ,* ტყიბულიდან 38 *კმ.* 21 მცხ. (2014).

ლეჟუდელი, იხ. *ლეკუდელე.*

ლეშამუგე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ჩქვალერის თემი), მდ. მაგანის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 480 *მ,* წალენჯიხიდან 19 *კმ.* 276 მცხ. (2014).

ლეშვნილი, მწვერვალი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სვანეთის ქედის დას. ნაწილში, მდინარეების – ლაჰილისა და ლეშნურის (ენგურის სისტემა) სათავეებში, ზ. დ. 3900 *მ.* აგებულია პალეოზოურ-ტრიასული ნალექებით. დაფარულია თოვლ-ყინულით. მწვერვალისკენ გზა ადის მდინარეების – ლაჰილისა და ჯუდარის (ცხენისწყლის აუზი) ხეობებიდან.

ლეშვნილი, უღელტეხილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სვანეთის ქედის დას. ნაწილში, მწვერვალებს – უსქურსა და ლეშვნილს შორის, ზ. დ. 3061 *მ.* აგებულია ქვედაიურული ფიქლებით. დაფარულია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. ლ., საცალფეხო გზით აკავშირებს მდ. ცხენისწყლის ხეობას (ლენტეხი) მდ. ენგურის ხეობასთან (მესტია).

ლეშკაშელი ვლადიმერ თედორეს ძე (10. VII. 1929, სოჭი, რფ, – 19. XII. 1991, იქვე, 1994 გადმოასვენეს თბილისში), გენერალ-მაიორი (1974). აღმ. გერმანიაში საბჭ. ჯარების დაჯგუფების მოტომსროლელი დივიზიის მეთაური (1972–74); ციმბირის სამხ. ოლქის შტაბის უფროსის I მოადგილე (1974–80); ზამბიის რესპ. პრეზიდენტის მთ. სამხ. მრჩეველი (1980–82). ჩრდ. კავკ. სამხ. ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე (1982–91).

ლ. დოლიძე.

ლეშკაშის ციხე, გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდ. ციხიაღელის (მდ. ლაჯანურის მარცხ. შენაკადი) შუა წელზე, ნასოფლარის ტერიტორიაზე. ციხე შედგება 4-სართულიანი კოშკისა (7,4მ X 7მ) და გრძელი გალავნისაგან, რ-იც დიდ ტერიტორიას შემოსაზღვრავს. კოშკი ნაშენია ფლეთილი ქვითა და კირხსნარით. კარი მე-2 სართულის დონეზეა. ამავე სართულის კედლებში სათვალთვალო ღიობები და შეისრულთაღოვანი ნიშაა მოწყობილი. ხის სართულშუა გადახურვა ამჟამად ჩაქცეულია. სავარაუდოდ, მხოლოდ პირველ სართულს ჰქონდა ქვის ორკალთიანი გადახურვა. გალავანი კოშკის ჩრდ. და სამხრ. კუთხეებს ებჯინება. ციხის ეზოში სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები შეინიშნება, მიწაში რამდენიმე ქვევრია. ჩანს, ლ. ც-ს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, მას იხსენიებენ რუსი ელჩები ნ. ტოლოჩანოვი, ა. ივლევი (1650–52) და ი. გიულდენშტედტი (XVIII ს.).

ლიტ.: ალექსი ივლევის 1650–52 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, რუსული ტექსტი ქართ. თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, თბ., 1969; ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1962–64;

მ. სურამელაშვილი.

ლეშკედა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (სპათაგორის თემი). ზ. დ. 710 *მ,* ცაგერიდან 15 *კმ.* 72 მცხ. (2014).

ლეშკიკილე, უღელტეხილი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოების ზესხოს ქედზე, მდინარეების – ცხენისწყლისა და ზესხოს წყალგამყოფზე. ზ. დ. 2600 *მ.* აგებულია იურული ფიქლებით და ქვიშაქვებით. შემოსილია ალპ. მდელოებით.

ლეშუკვი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლატალის თემი), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1630 *მ,* 33 მცხ. (2014). სოფელში შემორჩენილია რამდენიმე კოშკი.

ლეშურა, ბრიონია (Bryonia), ორლებნიან მცენარეთა გვარი გოგრისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახია. აქვს გორგლისებურად გამსხვილებული ფესვი და მცოცავი ღერო, მომწვანო-მოყვითალო წვრილი ყვავილები და კენკრა ნაყოფი. 15-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში, ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. საქართველოში ორი სახეობაა, თეთრი ლ. (B. alba) და ორსახლიანი ლ. (B. dioica); ორივე სახეობა შხამიანია. ფესვი შეიცავს გლიკოზიდებს – ბრიონინსა და ბრიონიდინს. ხმარობდნენ ხალხ. მედიცინაში. შეიცავს საღებარ ნივთიერებებსაც. დეკორატიულია.

ლეჩაძი, ქალის თავსაბურავი, ქართული თავხურვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ჩიხტიკოპთან და ბაღდადთან ერთად. თავბურვის ეს წესი ჯერ კიდევ V ს-იდანაა ცნობილი. კერავდნენ უმეტესად თხელი ქსოვილისაგან. იოანე ბატონიშვილი ლ-ის სახელწოდებად – ნარმას ასახელებს, რ-იც ბამბის თხელი ქსოვილია. ასევე მზადდებოდა მარმაშის, ბლონდის, ატლასისა და შილიაისაგან. საუკეთესო სალეჩაქე მასალად ბლონდი (აბრეშუმის თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი) მიიჩნეოდა. ლ. ძირითადად იყო თეთრი, გარდა გლოვის დროს. ლ. ირიბად, სამკუთხედად აჭრილი ქსოვილია, რ-ის ერთი, ზურგზე დაშვებული წვერის კუთხე – სწორი, მეორე – მახვილი, მესამე კი ბლაგვი (შემომრგვალებული) იყო. ლ-ის ამგვარი მოყვანილობა ქალებს უიოლებდა თავბურვის პროცესს. ცნობილია ლ-ის სამი ტიპი: სადა, ნაკერი (აბრეშუმით ან სირმით ნაქარგი) და დაბასმული (ბასმით, ანუ თეთრი წებოთი მოხატული). სადა, უარშიო ლ-ს მოხუცი და მგლოვიარე ქალები ატარებდნენ. ნაკერსა და დაბასმულს – ახალგაზრდები. ლ-ის ნაირსახეობები მოცემულია XVIII–XX სს. მზითვის წიგნებში. ლ-ის ,,თავისუფლად'' (შეუკრავად) მოხმარება მხოლოდ ახალგაზრდა, გაუთხოვარ ქალებს შეეძლოთ. გათხოვილი და ხანშიშესული ქალები მას ჩიხტიკოპზე ქინძისთავებით იმაგრებდნენ. უქმეებში კი ლ-ის ზემოდან აბრეშუმის ოთხკუთხა ბაღდადები ჰქონდა მოხვეული. ლ. კავკასიისა და შუა აზიის ხალხებშიც იყო გავრცელებული. ძველ ქართულ წყაროებში მის ნაცვლად გვხვდება ,,კუბასტი'', ,,მაკნანი'', ,,ჩიქილა''. ქართველი ქალი თავდაუხურავი გარეთ არ გავიდოდა, რადგან ,,უხამური და თმაგარდატევებული'' გამოჩენა შეუფერებელ საქციელად ითვლებოდა.

ლიტ.: ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, თბ., 1948; ბეზარაშვილი ც., ჯალაბაძე გ., ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988; იაშვილი მ., მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნი), თბ., 1974; ყარაულაშვილი ც., ხალხური ქსოვის ისტორიიდან, ბა-



ორსახლიანი ლეშურა.



თეთრი ლეშურა.

დური ქსოვა, კრ., საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964; ჭანტურიშვილი ს., ყოფა და კულტურა V–X საუკუნეების საქართველოში, თბ., 1984.ს ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962.

ც. ყარაულაშვილი.

ლეჩური, სოფელი კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში (ფშაველის თემი). გაშენებულია მდ. სტორის ნაპირას. ზ. დ. 560 *მ,* თელავიდან 24 *კმ.* სოფელზე გადის ფშაველი–აბანო–ომალოს საავტ. გზა.

ლეჩქის სერი, იხ. გადრეკილი.

ლეჩქოფი, სოფელი აფხაზეთის არ-ის სოხუმის მუნიციპალიტეტში (გუმისთის თემი), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუმისთის მარცხ. მხარეს, სოხუმი–სოჭის სარკინიგზო ხაზზე, სოხუმიდან 4 *კმ,* ზ. დ. 30 *მ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეჩქოფის განძი, ბრინჯაოს ცულების სამი განძი. აღმოჩენილია სხვადასხვა დროს სოხუმის დას. ნაწილში, სოფ. ლეჩქოფის ტერიტორიაზე. პირველი განძი შემთხვევითაა აღმოჩენილი 1930, მიწის სამუშაოების დროს პ. მამფორიას ნაკვეთში. განძის შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს 15 ცული. სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ 2, რ-ებიც დაცულია აფხ. სახელმწ. მუზეუმის ფონდებში. 1933 გამოვლინდა ლეჩქოფის მეორე განძი, რ-შიც შედიოდა ბრინჯაოს ცული და რამდენიმე სეგმენტური იარაღი. სხვა მონაცემები ამ განძის აღმოჩენის შესახებ არ მოიპოვება. დაცულია აფხ. სახელმწ. მუზეუმის ფონდებში. ეს ორივე განძი თარიღდება ძვ. წ. I ათასწლ. საწყისი პერიოდით.

1961 აღმოჩნდა მესამე განძი, რ-იც აფხ. სახელმწ. მუზეუმს გადასცა ვინმე მეთოდე ჯაკობიამ. ცულები ნაპოვნია გზის მშენებლობისას. განძის შემადგენლობაში შედის სამი ყუამილიან-ყუადაქანებული და ერთი კოლხური ცულის პროტოტიპი. ეს განძი ერთ გარკვეულ ადგილზე სხვადასხვა დროსაა აღმოჩენილი, მაგრამ განძად ან განძის შემადგენელ ნივთებად არის მიჩნეული. ერთ-ერთ ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულს აქვს მომრგვალებული პირი და თანაბარი სიგრძის ტანი. მეორე ნიმუშიც ასეთივეა, მაგრამ მას უფრო ფართო პირი და სუსტად დანაკვთული ნიღრები აქვს. ორივე ცულს აქვს ოთხწახნაგა ტანი, მესამე ცულს – საკმაოდ განიერი პირი. ტანის განაკვეთი ოვალურია. მეოთხე ნიმუში იმეორებს ლიხნის განძის I ჯგუფის ცულების ფორმას, ოღონდ უფრო მარტივია. იგი ძალიან წააგავს ურეკის ოვალურხვრელიან პატარა ზომის კოლხური ცულის პროტოტიპს.

არქეოლოგ დ. ქორიძეს ლეჩქოფის 1961 წლის განძი მიაჩნია ურეკის განძის მასალების სინქრონიულად და ძვ. წ II ათასწლ. I ნახ-ით ათარიღებს (ძვ. წ. XVIII–XVII სს.). მისი ასაკი უნდა განისაზღვროს ძვ. წ. XVI–XV სს-ით. ლეჩქოფის 1961 განძის მასალები ინახება სოხუმში, აფხაზეთის სახელმწ. მუზეუმის ფონდებში.

ლიტ.: აფაქიძე ჯ., აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, აფხაზეთი I, თბ., 2006; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; მისივე, ლიხნის განძი და კოლხურ-ყობანური ცულების გენეზისის საკითხისათვის. სსმმ, XXX-B, თბ., 1968; Воронов Ю., Археологическая карта Абхазии. Сух., 1969.

ლ. ჯიბლაძე.

ლეჩხუმელები, ქართველთა ტერიტორიული, ლოკალური, ეთნოგრაფიული ჯგუფი. ცხოვრობენ დას. საქართველოში, ლეჩხუმის ისტ.-ეთნოგრ. მხარეში, მდ-ების – ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებში. ლ. მეტყველებენ ქართ. ენის ლეჩხუმურ დიალექტზე.

ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) ლეჩხუმისა და ლ-ის შესახებ წერდა: ,,მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მჭნენი და მორჩილნი უფალთა თჳსთა‘‘.

ლ. ცნობილი ხის ოსტატები, ქვის მთლელები და კალატოზები იყვნენ, აშენებდნენ ციხე-კოშკებსაც.

სვანებისა და რაჭველების მსგავსად, ლ-ც გარე სამუშაოზე დადიოდნენ: ,,ძველად ლეჩხუმიდან გასვლით სამუშაოზე, ბევრი ლეჩხუმელი მევენახე-მეზვრედ მიდიოდა. ისინი მთელი სავენახე სამუშაოების სეზონს, რთველის ჩათვლით, ოჯახს იყვნენ მოწყვეტილნი, ზოგჯერ კი მთელი ოჯახითაც გადიოდნენ. ახმეტის, საგარეჯოს, თელავის და საერთოდ აღმ. საქართველოს სხვა რ-ნებში ბევრი ლეჩხუმელია ჩასახლებული, რ-თაც მევენახე-მეზვრეებად დაუწყიათ მუშაობა და შემდეგ სამუდამოდ იქ დარჩენილან‘‘ (გ. ჯალაბაძე).

ლ-ში ოქრომჭედლობაც იყო განვითარებული. ლეჩხუმელი ოქრომჭედლები სევადის ოსტატებიც იყვნენ. აქ დასტურდება ორი სახის სევადის ორნამენტი – შავყვავილიანი და თეთრყვავილიანი. როდესაც ორნამენტი ვერცხლზე რელიეფითაა გაკეთებული და სევადა ორნამენტის ეზოს აქვს მოვლებული, სევადას თეთრყვავილიანს უწოდებენ, ხოლო როდესაც ორნამენტი ჩაღრმავების ტექნიკითაა შესრულებული და ღარში სევადაა ჩასხმული – შავყვავილიანს. ლეჩხუმელი ოქრომჭედლები ამზადებდნენ ქამრის, ლეკური ხმლის, ცულის, ხანჯლისა და სხვ. ნაჭრებს (ნაწილებს).

ლ-ში საკმაოდ მრავალ ხალხურ დღეობას აღნიშნავდნენ. მათი უმეტესობა საერთო ქართ. დღეობაა, ზოგიერთი კი მხოლოდ ლ-თვის იყო დამახასიათებელი [მაგ., ფეხიდაპწნა (სოფელ ორბელში), მეისრობა, დაურწყება, გზობა, ჭაბუკობა, კვირტობა, ტაძრობა, ბოგაშობა და სხვ.]. ლ-ის სოფ. ლაბეჭინაში იცოდნენ ბურვაკის მსხვერპლად შეწირვა, რასაც ქართველ ხალხში ოდესღაც ღორის კულტის არსებობით ხსნიან. მიცვალებულის დატირების ლეჩხუმური წესჩვეულება დას. საქართველოს ეთნოგრ. ჯგუფებისათვის საერთო იყო.

ლ-ში ახალი წლის წინა დღეს ,,კალანდას‘‘ უწოდებდნენ.

ძველად ლეჩხუმელებს სწამდათ, რომ წყლის მპყრობელ გველეშაპს მამაცი გმირები – ჟივჟინა და ვაჟინა – ებრძოდნენ და ანადგურებდნენ. შემდეგ ეტაპზე გველეშაპის გამანადგურებლად წმ. გიორგი გველინება. დარ-ავდრის ბედი მაქსიმე აღმსარებელსაც ჰქონდა მინდობილი, რ-იც ქართ. საისტ. ტრადიციით, ცაგერის ეკლესიაშია დაკრძალული: ,,არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული. არს შუენიერშენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად‘‘ (ვახუშტი ბაგრატიონი).

ლ-ში აღნიშნავდნენ ჭაბუკობის დღესასწაულს. ჭაბუკი ნაყოფიერების ღვთაებად იყო მიჩნეული. ბოსლობის დღესასწაულზე ოჯახის უფროსი ცოლ-ქმარი ორიგინალურ რიტუალს ასრულებდა, აცხობდნენ ,,სართვიან ტაბლებს‘‘ (გულიან პურებს), ხმამაღლა ლოცულობდნენ და ღმერთს საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ.

ლ-ის მკვიდრთ საქართველოს სხვა ისტ.-ეთნოგრ. მხარეებთან მჭიდრო სამეურნეო-ეკონ. კავშირები ჰქონდათ. მაგ., სვანებს ვენახები ჰქონდათ ლ-ის სოფ. ორბელში, რ-საც ადგილობრივები უვლიდნენ. შუა საუკუნეებში ლ-ის სავაჭრო ცენტრი (მცირე ქალაქი) ლაილაში იყო. XIX ს. 80-იან წლებში სავაჭრო დუქნები ცაგერშიც გაჩნდა. ლაილაშში ბაზრობა პარასკევ-კვირას იმართებოდა, რ-იც ქართვ. ებრაელებისა და გრიგორიანელი ქართველების (მათ სომხებს ეძახდნენ) ხელში იყო. ებრაელებს სოფლებშიც დაჰქონდათ საქონელი, ამიტომ მათ ,,მესოფლე ებრაელებს'' უწოდებდნენ. XIX ს. 80-იან წლებში 50 ,,მესოფლე ებრაელს'' ჰქონდა ბილეთი (ოფიციალური უფლება) აღებული აღნიშნული საქმიანობის ჩასატარებლად. ლაილაშში ხელოსნობას ქართველები და სომხები მისდევდნენ. ხელოსანთაგან ქართველები ,,მაგარ სამუშაოზე'' (ანუ მჭედლობა, რაც ოქრო-ვერცხლსა და რკინა-სპილენძზე მომუშავეთაც აერთიანებდა) მდგარან. აქვე კერავდნენ ჩოხა-ახალუხსა და ყაბალახს.

ლეჩხუმში მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად სვანეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, გურია-აჭარიდან გადმოსულებიც ცხოვრობენ. აქ გავრცელებული გვარები სხვადასხვა სუფიქსით ბოლოვდება: -ან (-იან), -ძე, -შვილი, -ია, -ელ.

ახლედიანების გვარი ერთადერთია ლეჩხუმში, რ-ის წარმომადგენლები თავადებიც იყვნენ, აზნაურებიც და გლეხებიც.

რ. თოფჩიშვილი.

ლეჩხუმი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავს ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებს. აღმ-ით რაჭისაგან ყოფს მდ. ასკისწყალი, მდ. რიონის მარცხ. ნაპირზე კი – თავშავის ქედის სამხრ. კალთები; დას-ით სამეგრელოსაგან – ასხის მთის მასივი; ჩრდ-ით სვანეთისაგან – ლეჩხუმის ქედი; სამხრ-ით ქვემო იმერეთისაგან – მდ. ლიხიდარის მარცხ. ნაპირის გასწვრივ მდებარე სერი და ხვამლის მთის მასივი.

ისტ. ლ-ის ადრინდელი სახელწოდებაა ,,თაკვერი''. ვახუშტი წერს: ,,ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჯეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკვერად''. ლ. დღეს ძირითადად ცაგერის მუნიციპალიტეტშია მოქცეული, თუმცა ისტ. ლ-ის ფარგლები გაცილებით ვრცელი იყო და მოიცავდა მოსაზღვრე ქვემო იმერეთისა (ხონისა და წყალტუბოს მუნიციპ.) და ქვემო რაჭის სოფლებსაც. ლ-ის სოფლები, მსგავსად ზემო იმერეთისა და რაჭისა, მთის კალთებსა და გორაკ-ბორცვებზეა შეფენილი. ლ-ის საერთო ფართობი 2160 *კმ*^{2}-ზე მეტია. ისტ.-გეოგრ. ლიტერატურაში ლ-ს ორ ნაწილად ყოფენ: ზემო ლ. და ქვემო ლ., ანუ კლდედაღმართი. 1886 მონაცემებით, ლ-ში 63 სოფელი იყო, თითოეულში კი საშუალოდ 68 კომლი ცხოვრობდა, რაც მთისწინეთისათვის დამახასიათებელი მაჩვენებელია. ას კომლზე მეტი ცხოვრობდა 12 სოფელში: საირმეში, დღნორისაში, ლაილაშში, აღვში, ღვირიშში, ზუბში, ლუხვანოში, ცაგერგვესოში, წიფერჩში, ოყურეშში, ორბელში, ჩხუტელში. 1886-იდან 1904-მდე ლ-ის მოსახლეობამ შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად 35%-ით დაიკლო. 1908 ლ-ში 34 754 კაცი ცხოვრობდა.

ლ. XVII ს. 80-იან წლებამდე იმერეთის სამეფოში შედიოდა და მხოლოდ შემდეგ დაემორჩილა სამეგრელოს მთავარს. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინ ,,თაკუერის მთლიანად ლეჩხუმით შეცვლა XIII–XIV ს-ში მოხდა'' (თ. ბერაძე), თუმცა ლ-ის ძველი სახელწოდება ,,თაკუერი'' ბოლო დრომდე არსებობდა. პროკოფი კესარიელი (VI ს.) ,,თაკვერს'' ,,სკვიმნიას'' სახელით მოიხსენიებს. თამარ მეფის დროს რაჭასა და ლ-ს (თაკვერს) ერთი ერისთავი ჰყავდა. თამარის მეფედ კურთხევას (1184) ესწრებოდა ,,კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა''.

ბუნებრივი და კლიმ. პირობები ხელს უწყობდა ლ-ში ბარის ტიპის მეურნეობის განვითარებას. ლ. ძლიერი რელიეფურობით ხასიათდება. სოფლები მდებარეობს ზ. დ. 400-იდან 1200 *მ*-მდე. აქ განვითარებული იყო მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა და მესაქონლეობა. XVII ს-ში ლეჩხუმელი გლეხები გადასახადს ნატურით (ღომი, ხორბალი, ცერცვი, ძროხა, ცხვარი, ტახი, ბატი, ქათამი, თევზი, სანთელი) იხდიდნენ.

ლ-ში მარცვლეულიდან მოჰყავდათ იფქლი, ზანდური, მახა. ზანდური და მახა ლ-ისა და რაჭის ენდემებია. მათ სპეც. საკრეფი იარაღით – შნაკვით აგროვებდნენ. ეთნოლოგთა მიერ გარკვეულია, რომ მახისა და ზანდურის – ამ ძნელად მოსაყვან და შრომატევად სამუშაოებთან დაკავშირებული კულტურების – ბოლო დრომდე შემორჩენა უმთავრესად განპირობებული იყო მათი სამეურნეო-დანიშნულებითა და საუკეთესო თვისებებით. მარცვლეულის ღეროებისგან ხურავდნენ სახლებსა და ამზადებდნენ ჭილობებს. მოსახლეობა ახალ მოსავალს მახის პურით მოიღოცავდა, ხოლო სარიტუალო შეჭამანდს – კორკოტს – ზანდურის მარცვლისაგან ხარშავდა.

მემინდვრეობასთან დაკავშირებული იყო ურთიერთდახმარების



ლეჩხუმი.

ფორმები – ქვრივ-ობლებისა და უხარო ოჯახის დახმარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რ-საც ნადს უწოდებდნენ.

ლ-ში მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მეხილეობა. ლეჩხუმელები თითქმის ყველა სოფელში მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას. ეთნოლოგთა მიერ გამოვლენილია 98 დასახელების ვაზის ჯიში. დასტურდება ისიც, რომ ზოგიერთ ჯიშს რამდენიმე სახელით მოიხსენიებენ; აქ 70-მდე ჯიში მაინც გამოიყოფა. XIX ს-ში ვენახის საერთო ფართობი 2300 ჰა-ს აღწევდა. სარებმისმულ, დაბალ ვენახს (,,მაძულს'') ,,ჩხიროდი'', ხოლო მაღლა ხეებზე აშვებულს, ანუ მაღლარს ,,ხემამული'' ეწოდებოდა. ლ-ში ვაზის ტალავრად გაშვების წესიც ყოფილა გავრცელებული. ჩხიროდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნებოდა თითმოსულა, აფხაზური, ყუნწმაგარი, ქედურა, ხიხვი, უსახელოური, ცხვედიანი; ხემამულისას – ფორთუკა, ნაგუთნოური და სხვ. ზოგიერთი ჯიში კი დაბლარშიც და მაღლარშიც ჰქონდათ გაშვებული, მაგ., კაბისტონი, ციცქა, წითილოური და სხვ. XX ს. II ნახ-ში ყველაზე მეტად ცოლიკაურის ჯიშის ვაზი იყო გავრცელებული. მას მოსდევდა ოჯალეში, უსახელოური, ცხვედიანის თეთრა, ალექსანდროული და სხვ. იმავე პერიოდში ერთგვაროვანი ჯიშის ვაზით წარმოდგენილი ვენახი არავის ჰქონდა. თითოეულ ვენახში ათი და მეტი ჯიშის ვაზი იყო გაშენებული. ლ. ბუნებრივად ტკბილი და ნახევრადტკბილი ღვინოების ქვესატყლადაა მიჩნეული, სადაც განსაკუთრებით გამოყოფენ უსახელოურს. ლ-ში იცოდნენ მოკრეფილი ყურძნის რამდენიმე დღე ხორგოში (საწნახელი) გაჩერება. ღვინოს სხვადასხვა წესით აყენებდნენ – ,,შუმ ღვინოს'' უჭაჭოდ (მზადდებოდა სტუმრისათვის განკუთვნილი მოტკბო ღვინო), ,,შუა ღვინოს'' კი ჭაჭაზე აყენებდნენ და მას ყოველდღიურად მოიხმარდნენ.

განვითარებული იყო მესაქონლეობა. ლ-ში ორნაირ ყველს ამზადებდნენ – გადაუზელელს ,,წეველა ყველს'' უწოდებდნენ, გადაზელილს – ,,გვაჯილას''. მცირე მასშტაბით მისდევდნენ მეცხვარეობას. ცხვრის ნაპარსით შალეულსა და შერეულ ქსოვილს ამზადებდნენ, რ-ისგანაც ჩოხას, ყაბალახს კერავდნენ და პაჭიჭებს ქსოვდნენ. საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ლ-ში აგრეთვე მოჰყავდათ კანაფი, სელი და ბამბა. მეაბრეშუმეობა ნაკლებად იყო განვითარებული, რადგან ადგილობრივთა რწმენით ,,აბრეშუმის ჭიის მოყვანა ხატების განაწყენებას იწვევდა''.

ეთნოგრ. მასალებით დადგენილია, რომ ძველად ლ-ში ,,რგვალ სახლებს'' აშენებდნენ, რ-საც მრავალკუთხედის ფორმის საძირკველზე აგებდნენ. სახლს სახურავი წვეტიანი და დაქანებული ჰქონდა. XX ს. 30-იან წლებში ასეთი ფორმის მხოლოდ საბძლებიღა (ჩაჯანგვლური) იყო შემორჩენილი. ზოგჯერ საშენ მასალად ვაზსაც იყენებდნენ.


ლ-ის რამდენიმე სოფელში (საირმე, ქულბაქი, ზოგიში, ოფიტარა) და ცაგერშიც ამზადებენ თიხის ჭურჭელს – კერამიკას. ლ-ში ძირითადად გავრცელებული იყო მექვევრეობა და მეჭურჭლეობა. მეთუნეებს ლ-ში ,,მიწის მოხელეებს'' უწოდებდნენ. თიხამიწას ქუსლით ზელდნენ, რასაც ,,დაქუსლვას'' უწოდებდნენ. მეცნიერთა აზრით, თავისი წესებით საირმული ქვევრ-ჭურების დამზადება კახურს უახლოვდება. ლეჩხუმური ჭური იმერულისაგან განსხვავდებოდა. იმერულ ჭურს კვერცხის, ლეჩხუმურს კი გულის ფორმა აქვს – წელს ზემოთ განიერია, წელს ქვემოთ – დავიწროებული, კონუსისებური დაბოლოებით.

სოფ. ალპანასთან, პეტეკარის ციხის სიახლოვეს, გაშლილი ტერასებია. აქ მკვლევრებმა აღმოაჩინეს ათი ჩამარხული ქვევრი. საყურადღებოა, რომ მათ შორის არის ორმაგკედლიანიც (თითქოს ერთმანეთშია ჩასმული). ანალოგიური ტიპის ქვევრები ლ-ის სხვა ციხეებშიც გვხვდება.

ლ-ში ორი სახის მარანი არსებობდა – ღია და დახურული. ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის უფრო მეტად დახურული მარნები დასტურდება, მაგრამ ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად უფრო ღია მარნები ჭარბობდა.

ქვის დამუშავების ცენტრები იყო საირმეში, ნაკურალესა და ოყურეშში. XIX ს-ში ქვითხუროები ძირითადად ამზადებდნენ ბუხრებს, საფლავისა და წისქვილის ქვებს, ქვის სვეტებს ჭიშკრისათვის, ჭაჭის საწებერს/საქაჩავს და საცეხველებს. გამორჩეული იყო ლეჩხუმური წყარო-ნაგებობანი. ლეჩხუმელები ციხე-კოშკებსაც აშენებდნენ (მურის ციხე, ორბელის ციხე, გვესო, ლეშკაში, ზუბი, დეხვირი, უწვაში, ზოგიში, ლუხვანო, უსახელო, ნაქალაქარი, კლდეშავა და სხვ.). ზოგიერთი ციხე-კოშკი (მაგ., ორბელი) სვანური ტიპისაა. ვახუშტი წერდა: ,,ლეჩხუმში არ არის მოსახლე, რომელსა არ ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი''. XX ს-ში ლ-ის ყველა საცხოვრებელი ნაგებობა ხის იყო. ძველებური ქვითკირის ერთი სახლი მხოლოდ სოფ. ლაჯანაში იყო შემორჩენილი. ლ-ში თავისებური, ე. წ. გვიმიანი წისქვილები ედგათ (იხ. *გვიმი*).

ლ-ში მრავალი ციხე (ზუბის, ისუნდერის, ორბელის ციხეები; მურის ციხე კეტავდა ლაჯანურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობაში



ხვამლის მთა.

გადასასვლელს და აკონტროლებდა ქვემო სვანეთისაკენ მიმავალ გზას) და კოშკია შემორჩენილი. ადრეული ხანის ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გვესოს კომპლექსი (IX–X სს), სადაც შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკი და ტაძრის ნანგრევები.

აღსანიშნავია ხვამლის მთა, სადაც იდგა წმ. გიორგის ეკლესია. ვახუშტი წერს: ხვამლის კლდეში ,,არს ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები‘‘. ხვამლის ეკლესიას გლეხები ჰყავდა ლ-ის სხვადასხვა სოფელში (ტვიში, უსახელო, ჩხუტელი, ცხუკუშერი, ზუბი, ოყურეში და სხვ.). 20 ივლისს იმართებოდა ,,ხვამლობა‘‘. ლოცულობდნენ მოსავლისათვის, ევედრებოდნენ გვალვისა და სეტყვისაგან მფარველობას.

ეთნოგრ. თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკურალეშის ეკლესიის კედლის მხატვრობა (XVII ს.), სადაც ერთ-ერთი საერო პირი აზნაური ჩიქოვანი ჩოხა-ახალუხითაა შემოსილი და გვიანდელის მსგავსად მისი ჩოხაც წინ მთლიანადაა ჩახსნილი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ., ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ასათიანი ვ., ლეჩხუმი, თბ., 2019; ბერაძე თ., რაჭა, თბ., 1983; ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983; ბრეგაძე ნ., მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში (მემინდვრეობა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1969; გარდაფხაძე-ქიქოძე ფ., ქართული ხალხური დღეობები (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995; თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1985; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, წგ. 1, 1977; ჩიტაია გ., ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1944, ტ. XX-B; ჭანჭალეიშვილი ლ., საახალწლო დღესასწაული ლეჩხუმში, ეთნოგრაფიული გამოკვლევები, თბ., 1989.

რ. თოფჩიშვილი.

ლეჩხუმის განძი, II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების განძი (309 ც.) აღმოჩენილია 1918. ე. თაყაიშვილის მიერ პარიზიდან დაბრუნებული მასალის პაკეტზე, რ-შიც ეს განძი იყო მოთავსებული, ე. პახომოვის ხელით აწერია: ,,Из Лечхумского клада‘‘. ერთ-ერთი მონეტის ავერსზე, ადამიანის გამოსახულების კეფასთან მოთავსებულია ასო ,,О‘‘. დაცულია საქართვ. ეროვნ.-მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბაში (გ. ფ. №№6355–6664).

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.

ლეჩხუმის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში, ქუთაისის გუბერნიის შემადგენელი ნაწილი. შეიქმნა 1867. ადმ. ცენტრი – სოფ. ცაგერი. შედგებოდა 3 უბნისაგან – ალპანის, სვანეთისა და ცაგერის. ფართობი 4636 *კმ*^{2}, მოსახლეობა – 50080 კაცი. ეროვნ. შემადგენლობა – ქართველები. ლ. მ. მოიცავდა ახლანდ. ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. გაუქმდა 1930.

ლეჩხუმის ქედი, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. განშტოება, მდ-ების – ცხენისწყლისა და რიონის წყალგამყოფი. იწყება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე ფასის მთასთან და მთავრდება დაბა ლენტეხთან. ჩრდ. კალთა ვიწროა და ციცაბო, სამხრეთი – განიერი და დატოტვილი. უმაღლესი ნაწილია ჭუთხაროს მასივი (მწვ. *სამერცხლე,* ზ. დ. 3584 *მ*). ქედი აგებულია ქვედაიურული ფიქლებით, ქვიშაქვებითა და შუაიურული პორფირიტული წყებით; უკიდურესი სამხრ. მონაკვეთი – ცარცული კირქვებით. გაბატონებულია რელიეფის ეროზიული, სტრუქტურული და მყინვარული ფორმები. კალთების ქვედა ნაწილი შემოსილია მარადმწვანე ქვეტყიანი და ფართოფოთლოვანი ტყით (მუხა, რცხილა, წიფელი), ზედა – მუქწიწვიანით (ნაძვი, სოჭი); თხემზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ლეჩხუმური დიალექტი, საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხის – ლეჩხუმის – მცხოვრებთა მეტყველება.

ლ. დ. კილოკავურად ერთიანია და თუ რაიმე დიფერენციაცია შეიმჩნევა, ეს აიხსნება მომიჯნავე კილოთა თუ ენათა გავლენით. მომიჯნავე კილოები რაჭული და იმერულია, მომიჯნავე ენები – სვანური და ზანური.

ლ. დ-ში დასტურდება ჲ, უ, ჷ, ჲ გვხვდება: ა) ა → ე დაბოლოების მქონე სახელებთან ნათ. და მოქმ. ბრუნვაში: ბიცოლეჲს, ბიცოლეჲთ; ბ) კონტამინირებულ ფორმებთან სახ. ბრუნვაში: დედა//დედე დედაჲე; უ დასტურდება: ა) თანხმოვნის მომდევნო ხმოვნის წინ: ჭუა; ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ: ბეური; ჷ დამოწმებულია მავრცობი – ე ხმოვნის პოზიციაში: კაცსე//კაცსჷ; სპორადულად ისმის გრძელი ხმოვანი, მიღებული ორი ხმოვნის შერწყმით: მერე → მეე → მე ე̄.

ლ. დ-ში ფართოდაა წარმოდგენილი ფონეტ. მოვლენები; აე → ეე; ბიძაები →ბიძეები; ოე→ეე: ჩამოეკიდა → ჩამეეკიდა; აი, ოი → ეი: ბიცოლაი → ბიცოლეი → ბიცოლე; აუ → ოუ: შინაური → შინოური; ეუ → ოუ: აპეური → აპოური და სხვ.; ვე → ო ფართოდაა გავრცელებული ყველა პოზიციაში: სჩვევია → სჩოვია; თავკიდური ო ხმოვნის წინ ვითარდება ვ//უ: ორი →ვორი.

გვხვდება თანხმოვანთა როგორც რეგრესული (საევს → საფსე), ასევე



ლეჩხუმი. ჭუთხაროს ქედი.

პროგრესული (წახდება → წახთება) ასიმილაციის შემთხვევები; თანხმოვანთა დისიმილაცია (არაფერი → არაფელი, სულელი →სუნელი). ხშირია ბგერათა დაკარგვა და ჩართვა (ხშირად ერთი და იმავე ბგერისა ერთსა და იმავე პოზიციაში). სისტემურად იკარგება ს: ეს კაცი → ე კაცი, არის → არი.

ლ. დ-თვის ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფონეტიკური მოვლენაა სუბსტიტუცია: მალავ → მალამ, ყავს → ყამს, თეგზი → თებზი, ბურღი → ბულღი, საქონელი → სახონელი.

ხშირად იცვლება სწ კომპლექსი: ნასწავლი → ნასტავლი, სწორი → სტორი. ბგერათშენაცვლების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა აფრიკატიზაცია: მოხარშავს → მოხარჩამს.

სახ. ბრუნვაში ა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები = ი ნიშანს არ დაირთავენ, მაგრამ მისი კვალი მაინც ჩანს: ტომარე (← ტომარეი ← ტომარაჲ). ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ერთ ან ორმარცვლიან სახელებს შესაძლოა დაერთოს ი ბრუნვის ნიშანი: კტეი, უროი. თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ ორმარცვლიან საკუთარ სახელებში = ი სახ. ბრუნვის ნიშანი ფუძისეულად გაიაზრება: ვახტანგიმ, მაგრამ გვაქვს საპირისპიროც: აკაკი – აკაკმა.

უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ლოკატივის დანიშნულებით: ჩამევიდა ლაილაშ. ასევე ლოკატივს გამოხატავს ნანათესაობითარი მიცემითი: მეზობლისას. ნათ. და მოქმ. ბრუნვებში ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები, ჩვეულებრივ, არ იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი რედუცირდება: ქვაის//ქვაჲს, ქვაით//ქვაჲთ. ვით. ბრუნვის ნიშნად გვაქვს -ად → -ათ (‖- დ → თ), -ა (სწორა). წოდ. ბრუნვაში გვაქვს – ო (დავითო, მარიამო).

თანდებულთაგან ნიშანდობლივია -კე ← -კენ: ლეჩხუმისკე; -თვინ ← -თვის: ქალისთვინ; -გან თანდებულიანი მოქმედებითი გვხვდება სამი სახით: ოჯახითგან // ოჯახიდგან // ოჯახიდან.

ლ. დ-ში სახელის მრ. რიცხვის მაწარმოებელია -ებ, შეინიშნება და-ნ-ი, ძმა-ნ-ი ტიპის მრავლობითიც.

II სუბიექტ. და III ობიექტ. პირები მეტ-ნაკლებად დაცულია ჰ- ‖ ს- ნიშნით: სჭამ, სთხოვ. ზმნის ფუძისეული თანხმოვანი ფონეტიკურად ცვლის ნიშანს: ჰყავს → ხავს; ზოგჯერ ჰ- ფონეტიკურად ცვლის ფუძისეულ თანხმოვანს: მოჰპარა → მოფარა, ჰკითხა → ქითხა.

მრ. რიცხვში III სუბიექტ. პირის ნიშანია -ენ; წერენ, წერდ-ენ, გათბენ, გარდამავალ ზმნათა აორისტში – -ეს: დაწერ-ეს, კავშირებითში – -ნ: წერდე -ნ.

მრავლობითის აღსანიშნავად ლ. დ-ში გამოიყენება -ყე და არიენ ‖ ლარიენ. -ყე გამოხატავს: ა) ირ. ობიექტის მრავლობითობას: ის მათ უფუჭებდა-ყე; ბ) პირდაპ. ობიექტის მრავლობითობას: მე დავტოვე-ყე; გ) რეალური სუბიექტის მრავლობითობას: ის მათ ხავს-ყე (ჰყავთ); დ) ზოგჯერ რეალური ობიექტის მრავლობითობას: ვენახები გვაყვე ← გვაქვს-ყე ← არიენ; ლარიენ: ისინი დგანლარიენ ‖ დგილარიენ; მას ყავლარიენ; დაწოლილარიენ, ნაცემლარიენ.

-ავ თემის ნიშანი დაერთვის წარმოშობით უთემისნიშნო ზმნებს: წერ-ავ-ს. I სერიაში ფართოდ გამოიყენება მიმღეობის ფუძისაგან -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები: სროულობს → სროულოფს.

ლ. დ-თვის დამახასიათებელია IV სერიის ფორმათა პოვნიერება: ნაპარავა, ნაპარავიყო.

შეუზღუდავად იწარმოება ნასახელარი ზმნები: სახურავი → მოასახურავეფს. ქვე ‖ ქე გვხვდება დადასტურებითი მნიშვნელობით. სპეციფიკური მოვლენაა -სე ნაწილაკ-მორფემოიდის პოვნიერება. იგი დაერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებსა და ზმნებს: დაეჭირა კაცი-სე, იკითხა-სე. სახელდების პრინციპის თვალსაზრისით საინტერესოა მცენარეთა სახელწოდებანი, ნაწარმოები მო – ო კონფიქსით: მოჭარხლუა// მოჭარხლუე.

ლ. დ. ყურადღებას იქცევს მდიდარი დარგობრივი ლექსიკით. მრავლადაა ზანიზმები: რაგადობს – ლაყბობს, ძღაბი – გოგო; სვანიზმები – მექვი (სვ. მექ) – თივის ბულული, მოღავი (სვ. მოღა) – ჭირნახული.

ლიტ.: ლეჩხუმური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 2019; ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ლეჩხუმური დიალექტი, თბ., 1956; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, წგ. 1, თბ., 1989.

რ. ლანდია.

ლეცავე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (სალხინოს თემი). ასხის მასივის დას. კალთაზე, მდ. წაჩხურის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. მარტვილიდან 19 *კმ,* ზ. დ. 315 *მ.* 158 მცხ. (2014).

ლეციცხვაიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ხუნწის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ნოღელის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 140 *მ,* მარტვილიდან 5 *კმ,* 364 მცხ. (2014).

ლეძაძამე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სენაკის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ბეთლენი, კვაუთი, ლეგოგიე, ლესავჯაიე, ჯოლევი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის მარჯვ. მხარეს. სენაკი–დიდი ჭყონის საავტ. გზაზე. ზ. დ. 160 *მ,* 230 მცხ. (2014).

სოფელში დგას შუა საუკუნეების ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. სოფლის მიდამოებშია კვაუთის გამოქვაბული.

ლეძაძამიე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ეწერის თემი). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 200 *მ.* 186 მცხ. (2014).

ლეწურწუმე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ნაგვაზუ, ჯუმითი) მდებარეობს მდ. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე. სოფელში ასევე ჩამოედინება მდ. სქურჩა, ქორთუ და ჯაღრაფონი. ზ. დ. 220 *მ,* ჩხოროწყუდან 3 *კმ,* 80 მცხ. (2014). სოფლის გორაკ-ბორცვები ძირითადად აგებულია კირქვებით, ამიტომაც ლ-ში მრავალი მღვიმე და კირქვული წარმონაქმნია. სოფელში არის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების (1856–58) მემორიალი.

ლეწფერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ჭუბერის თემი), კოდორის ქედის აღმ. კალთის ძირას, მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 880 *მ,* მესტიიდან 73 *კმ.* 88 მცხ. (2014).

ლეჭარაიე, სოფელი აფხაზეთის არ-ის გალის მუნიციპალიტეტში (ლეკუხონას თემი), აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 240 *მ.* გალიდან 36 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლეხაინდრავო, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის

მარტვილის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ნოჯიხევი, სტეფასდაბალი). მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშასა და მდ. ნოღელას შორის. ზ. დ. 114 *მ,* მარტვილიდან 10 *კმ.* 754 მცხ. (2014).

ლეხარჩილე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ჯგალის თემი), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 240 *მ,* წალენჯიხიდან 7 *კმ.* 176 მცხ. (2014).

ლეხზირი, მწვერვალები სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ შტოქედზე (მესტიის მუნიციპალიტეტი). მთავარი ლ-ის სამაღლეა ზ. დ. 4100 *მ,* დასავლეთის – ზ. დ. 3900 *მ,* აღმოსავლეთის – ზ. დ. 4100 *მ.* მწვერვალები აგებულია გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. მწვერვალებისკენ გზა ადის თოთის უღელტეხილიდან.

ლეხზირი, ხეობის ტიპის მყინვარი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მდ. ენგურის აუზში. XX ს. 50-იან წლებში მყინვარის სიგრძე შეადგენდა 11,5 *კმ,* ფართობი – 33,4 *კმ*^{2}, მყინვარის ენა კი ეშვებოდა ზ. დ. 1950 *მ*-ზე. გლობალური დათბობის შედეგად მყინვარმა უკან დაიხია, შეიცვალა მისი ფორმები და მონაცემები. ამჟამად მყინვარის სიგრძეა 14,54 *კმ,* ფართობი 23,26 *კმ*^{2}, მყინვარის ენა მთავრდება ზ. დ. 2320 *მ*-ზე. ლ-ზე განვითარებულია ძაბრები, მაგიდები, სოკოები და სხვ. საზრდოობს მწვერვალების: ბაშილის, სვეტლარის, მარიანაჟის, ლაცხის, ჯანთუგანის, ულუყარის, დალაყორის კალთებიდან ჩამონადენი მყინვარული ნაკადებითა და ზვავებით.

მყინვარიდან გამოდის მდ. მულხრის მარჯვ. შენაკადი მესტიაჭალა.

ლეხზირი, უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3750 *მ.* ლ-ის უღელტეხილით მდ. ენგურის ხეობა დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციასთან (ყაბარდო-ბალყარეთი). მისთვის დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

ლეხთაგი, ყოფ. სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში. ლ-ში მდებარეობს XIV–XV სს. ძეგლი – ლეხთაგის ღვთისმშობლის ეკლესია. ეკლესიის XV ს. მოხატულობა, რ-საც ისტ. მნიშვნელობა აქვს, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. საკურთხევლის მეორე რეგისტრი ეთმობა ჩვილედი ღვთისმშობლის გამოსახულებას. დარბაზის მოხატულობიდან დღემდე მოღწეულია მხოლოდ ქვედა რეგისტრი, სადაც წარმოდგენილია ისტ. პირთა მთელი გალერეა.

ლეხიდარი, მდინარე წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, მდ. რიონის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ნაქერალას ქედზე, 1330 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე – 22 *კმ,* აუზის ფართობი – 137 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წლის განმავლობაში იცის წყალმოვარდნა (განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე). საშ. წლიური ხარჯი 6,8 *მ*^{3}/*წმ.*

ლეხიდრისთავი, სოფელი იმერეთის რეგიონის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (დღნორისის თემი), მდ. ლეხიდრის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 650 *მ,* წყალტუბოდან 74 *კმ.* 55 მცხ. (2014).

ლ. წყაროებში პირველად დამოწმებულია რუსი ელჩების, ნ. ტოლოჩანოვისა და ა. ივლიევის ანგარიშებში (1650–52) ,,ლეხიდარის“ სახელწოდებით. ლ. გვიანფეოდალურ ხანაში ლეჩხუმის შემადგენლობაში იყო.

ლეხურა, რ ე ხ უ ლ ა, მდინარე ახალგორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, მტკვრის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ხარულის ქედის სამხრ. ნაწილში 2025 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე – 43 *კმ,* აუზის ფართ. – 285 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები ოშვიათია. საშ. წლიური ხარჯი 2,99 *მ*^{3} /წმ. ლ-იდან გაყვანილია სარწყავი არხები.

ლეხურის განძი, ოქროს მონეტების (23 ც.) განძი. ნაპოვნია 1947 მდ. ლეხურის (მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. განძი შეიცავდა 13 ვენეციურ დუკატს, 8 ალთუნს და 2 ნახევარაშრეფს. ვენეციური დუკატები მოჭრილია შემდეგი დოჟების სახელით: ფრანჩესკო ფოსკარი (1423–57), პასკუალე მალპიერო (1457–62), ქრისტოფორო მორო (1462–71), ანდრეა გრიტო (1523–39), პიეტრო ლანდო (1539–45). ალთუნები ოსმალეთის სულთან სულეიმან I-ის (1520–66) (8 ც.), ნახევარაშრაფები კი – სეფიანი შაჰის, თაჰმასპ (თამაზ) I-ის (1524–76) სახელს ატარებს. ვენეციური დუკატის აღწერილობა ასეთია: ავერსი – მონეტის ცენტრში ვენეციის მფარველის, წმ. მარკოზის ფიგურაა, რ-იც მუხლმოყრილ დოჟს გადასცემს ძალაუფლების სიმბოლოს – ალამს. გამოსახულების გარშემო ლათინური წარწერაა: ,,ფრანჩესკო ფოსკარი წმინდა მარკოზი ვენეციის“; რევერსზე ოვალში კი იესო ქრისტეს გამოსახულებაა, ირგვლივ ლათინური წარწერით: ,,ქრისტე! საჰერცოგო, რომელსაც განაგებ, დაე გებოძოს შენ“.

თურქეთის სულთან სულეიმან I-ის ალთუნის ავერსზე ექვსსტრიქონიანი არაბული ზედწერილია – ,,სულეიმანი/სულთან შაჰი/დიდებული, გამარჯვებული/სელიმ შაჰისა მოიჭრა/კონსტანტინიაში/926 წელს“ (1519/20); რევერსზე კი ოთხ სტრიქონად წერია – ,,მოიჭრა ბრწყინვალე/ მბრძანებლის, ძლევამოსილის, გამარჯვებულის /ხმელეთსა/ და ზღვაზე“.

სეფიანი შაჰის თაჰმასპ I-ის ნახევარაშრაფი: ავერსზე შიიტური სარწმუნოებრივი სიმბოლო იკითხება (,,არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა, მუჰამედი ალაჰის მოციქული, ალი მისი თანამზრახველი“), ირგვლივ კი – 12 იმამის სახელი; რევერსზე, ოთხკუთხა ჩარჩოში, არაბულად აღნიშნულია მოჭრის ადგილი და თარიღი – ჰ. 900–1548/49.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., საქართველოში ვენეციური დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის, «მაცნე», 1969, №4; მ ი ს ი ვ ე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში, XV–XVIII საუკუნეები, თბ., 1971; А н т а д з е М. Г., К е б у л а д з е Р. В., Клад из золотых монет из Лехурского ущелья, `Нумизматика и этнографика~, 1971, т. 9; К у т е л и я Т. С., Грузия и Сепевидский Иран, Тб., 1979.

ლეჯიძე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (ქვედა ჩხოროწყუს თემი), ოდიშის ვაკეზე. მდ. ობჩის (ხობისწყლის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 160 *მ,* ჩხოროწყუდან 7 *კმ,* 174 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია რუსი ელჩების, თ. ელჩინისა და პ. ზახარევის მუხლობრივ ანგარიშებში (1639–40).

ლეჯოლიხე, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (მიქავას თემი), ოდიშის ვაკეზე. ზ. დ. 250 *მ,* წალენჯიხიდან 7 *კმ.*

ზუგდიდიდან (უახლ. რკინიგზის სადგ.) 32 *კმ.* 210 მცხ. (2014).

ლვოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1897, თბილისი, – 11. V. 1942, იქვე), გენერალ-მაიორი (1940). რუსეთის სამოქალაქო (1917–22) და II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. ბრიგადის, დივიზიის მეთაური. ამიერკავკ. ფრონტის სარდლის მოადგილე (1941 ნოემბრიდან), 51-ე ცალკე არმიის სარდალი (1941 დეკემბრიდან). გმირულად დაიღუპა ქერჩთან.

ლია, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ზემო ლია, მახარია, პალური). მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზუგდიდი–ჯვარის საავტ. და სარკინიგზო გზაზე. ზ. დ. 315 *მ,* 1523 მცხ. (2014).

სახელწოდება მომდინარეობს ძვ. ქართული სიტყვიდან ,,ლია“, რ-იც საფლობ ტალახს ნიშნავს.


ლიანები.

არქეოლ. გათხრების შედეგად სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. რიყის ქვით ნაგები შენობის ნაშთი და I–II სს. ხუთი სამარხი. სოფელში დგას შუა საუკუნეების ციხესიმაგრე.

ლიანები [ფრანგ. liane (მხ. რ.)], მცენარეები, რომლებსაც რაიმე საყრდენის გარეშე დგომა არ შეუძლიათ. ქართ. ბოტან. ლიტ-რაში ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი ,,ლეშამბოები“. ლ-ის უმეტესობა ყვავილოვანი მცენარეებია; შიშველთესლოვნებიდან ლ-ს გნეტუმის რამდენიმე სახეობა მიეკუთვნება; ლ. გვხვდება გვიმრანაირთა შორისაც. საყრდენზე მიმაგრების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ხვიარა და მცოცავ ლ-ს. ხვიარა ლ. საყრდენს გარს ეხვევა, მცოცავი კი ემაგრება ულვაშებით, განსაკუთრებული ფესვებით, ეკლებით, ქაცვებით და სხვ. სინათლისაკენ სწრაფვის გამო მცენარეებს გამოუმუშავდათ საყრდენზე შემოხვევისა და ცოცვის უნარი.

ლ. გავრცელებულია უმთავრესად ტროპ. სარტყელში (2000-ზე მეტი სახეობა), ზომიერ სარტყელში შედარებით ცოტაა (200-მდე სახეობა).

საქართველოში ლ. (ეკალღიჭი, სურო, კატაბარდა, მაყვალი და სხვ.) უხვადაა კოლხეთის ტყეებში, სადაც ხშირად გაუვალ ბარდებს ქმნის. კულტ. მცენარეებიდან ლ-ს განეკუთვნება ვაზი, ლობიო, ბარდა, სვია, ვანილი და სხვ.

ჯ. ჩიკვაიძე.

ლია, (Limosa), ფრინველითა გვარი მეჭვავიასნაირთა რიგის (Charadriiformes) ჩიბუხასებრთა ოჯახიდან (Scolopacidae). წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის გრძელნისკარტა და გრძელფეხა ფრინველებს. საქართველოში გვხვდება ორი სახეობა – დიდი ლ. (L. limosa) და მცირე ლ. (L. lapponica). დიდი ლ-ს სხეულის სიგრძეა 36–44 *სმ,* ფრთაშლა – 70–82 *სმ,* მასა – 160–500 *გ.* მცირე ლ-ს სხეულის სიგრძეა 37–41 *სმ,* ფრთაშლა 70–82 *სმ,* მასა – 230–360 *გ.* მამრი მდედრზე პატარაა. სახეობები თითქმის ერთნაირი ზომა-წონისაა, მაგრამ მცირე ლ-ს ფეხები და ნისკარტი უფრო მოკლე აქვს. გამრავლების პერიოდში დიდი ლ-ს მამრს კისერი შეფერილი აქვს ქარციდან ჟანგისფრამდე, ზურგი კი მოხატულია შავი და ღია ყავისფერი კოპლებითა და ზოლებით, მკერდიდან მუცლისკენ სიქარცე ქრება და


ლია.

თეთრში იშვიათ განივ ზოლებად გადადის. მცირე ლ-ს მამრს გამრავლების პერიოდში კისერი, მკერდი და მუცელი მკვეთრი მოწითალო-ჟანგისფერი აქვს, ზურგის მხარეზე ყავისფერი, შავი და თეთრი ლაქები და ზოლები გასდევს. ორივე სახეობის მდედრები შეფერილობით თავიანთ მამრებს გვანან, მაგრამ ელფერი უფრო მკრთალი აქვთ. ზამთრისკენ ჟანგისფერი შეფერილობა ქრება და ღია მოყავისფრო ან მოთეთრო ყავისფერი ხდება, ზედა მხარეს კი მონაცრისფრო ელფერი ედება. ლ. იკვებებიან კიბოსნაირებით, ჭიებით, მოლუსკებით, მწერებით, ობობებით, მიმოფრენისას – კენკროვნებით, მარცვლეულით. ორივე სახეობა 3–4 კვერცხს დებს, დიდი ლ. კრუხობს 22–24 დღე, მცირე ლ. კი – 20–21. დიდი ლ. ბუდობს როგორც ტუნდრაში (მხოლოდ ჩუკოტკაზე და ისლანდიაში), ისე უფრო სამხრ-ით – შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ჩრდ. სანაპიროებამდე, მცირე ლ. კი – ტუნდრაში, ევროპაში, აზიაში და ალიასკაზე. ზამთრობენ აფრიკაში, სამხრ. აზიაში, ავსტრალიაში; მცირე ლ. – ახალ ზელანდიაში. დაუჯდომლად გადაფრენის რეკორდი ეკუთვნის მცირე ლ-ს, რ-ის ერთ-ერთმა მამრმა 12200 *კმ* იფრინა. საქართველოში გვხვდებიან მიმოფრენისას გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამ დროს დიდ ლ-ს ძირითადად ვხვდებით დას. საქართველოში, აღმ-ში – იშვიათად. ასევე იშვიათია მცირე ლ. დას. საქართველოში. სარგებლობა მოაქვს მავნე მწერებისა და მოლუსკების განადგურებით. სპორტული ნადირობის ობიექტია. დიდი ლ-ს რიცხოვნობა ადგილსამყოფლის დაკარგვის გამო კლებულობს, რის გამოც სავარაუდოდ, ის დაცვის ობიექტი გახდება.

ა. ბუხნიკაშვილი.

ლიაძე შალვა ივანეს ძე (5. VIII. 1891, გორის მაზრა, – 29. IV. 1962, თბილისი), სამელიორაციო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. დამს. ინჟინერი (1951). დაამთავრა დონის (უკრაინა) პოლიტექ. ინ-ტი ინჟინერ-მელიორატორის სპეციალობით. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18); ევალებოდა ფრონტის ჰიდროტექ. ორგანიზება სპარსეთისა და თურქეთის ტერიტორიებზე. მუშაობდა საქართვ. წყალთა მეურნეობის სისტემაში; იყო გორის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1918–23). ხელმძღვანელობდა დოესი-გრაკლისა და სკრა-ქარელის არხების, კასპის რ-ნში მტკვარზე ხიდის მშენებლობას, ასევე ტირიფონის სარწყავი სისტემის დაპროექტებასა და მშენებლობას (1923–33); ტირიფონის ველზე, სოფ. ხურვალეთთან არსებული ისტ. ძეგლის, თამარ მეფის დროინდელი ,,რუსხუმალას‘‘, ანუ მიწაყრილში გაყვანილი სარწყავი არხის მონაკვეთის აღდგენას; ასევე მუშაობდა ტროპიკულ სნეულებათა ინ-ტში (1937–50), სადაც დიდი წვლილი შეიტანა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ,,საქსახწყალპროექტში“ მუშაობის დროს აქტიურად მონაწილეობდა სამგორის (1950–59), აგრეთვე ტაშისკარისა და მუხრანის ველის სარწყავი სისტემების, კოლხეთის დაბლობზე დამშრობი არხების, ჭოროხისა და ცხენისწყლის მარეგულირებელი ნაგებობებისა და სოფლის წყალსადენების პროექტების შედგენაზე. 1959-იდან ეწეოდა ნაყოფიერ პედ. საქმიანობას.

ლიახვი, დიდი ლიახვი, მდინარე კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე. სათავეს იღებს ყელის ვულკ. მთიანეთში. წარმოიქმნება მდების – ყადლასანისწყლისა და დესკოხირისწყლის შეერთებით ზ. დ. 2338 *მ*-ზე. ლ. მდ. მტკვარს ერთვის ქ. გორთან. სიგრძე ყადლასანისწყლის სათავიდან 115 *კმ,* აუზის ფართობი – 2440 *კმ*^{2}. მისი მთავარი შენაკადებია: ერმანისწყალი, ჯომაღისწყალი, გუდისისწყალი, ფანა, პატარა ლიახვი და მეჯუდა. ლ-ის სათავეში არის 12 მცირე მყინვარი, რ-თა ფართ. 5,5 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლის, მყინვარული და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის მარტის ბოლოდან აგვისტოს დასაწყისამდე, წყალმცირობა – ზაფხულ-შემოდგომაზე. გაზაფხულსა და ზაფხულზე მოდის წლიური ჩამონადენის 76%. საშ. წლიური ხარჯი ჯავასთან – 20,3 *მ*^{3}/წმ; მდ. პატარა ლიახვის შეერთების შემდეგ – 47,3 *მ*^{3}/წმ. ლ-ზე ზამთარში შეინიშნება ყინულნაპირისი, თოში და ძგიფი. ლ. გამოყენებულია სარწყავად, აღსანიშნავია კეხვის, ტირიფონისა და სალთვისის არხები. ირწყვება 62 ათასი ჰა მიწა. ლ-ის ნაპირებზე მდებარეობს ქ. ცხინვალი.

ი. აფხაზავა.

ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი, დაცული ტერიტორია საქართველოში. დაარსდა სუბალპური ტყეების დაცვის მიზნით 1977. მდებარეობს ცხინვალის მუნიციპ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელში. ფართობი – 6388 ჰა. ნაკრძალის მიზანია შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრების (კავკასიური ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, დათვი, ფოცხვერი, კვერნა), ფრინველის (როჭო, შურთხი) და მცენარეების (წაბლი, თელა, ბზა, წიფელი, მუხა და სხვ.) დაცვა, მომრავლება და შესწავლა. იქვე ბინადრობს კეთილშობილი ირემი, რ-იც ცენტრ. კავკასიონის ტერიტორიის მხოლოდ ამ ნაწილში გვხვდება.

ნაკრძალი ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიბანი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ტბის თემი), მდ. ბორჯომულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, ბორჯომი–ბაკურიანის სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 1360 *მ,* ბორჯომიდან 11 *კმ,* 31 მცხ. (2014). ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი გამოირჩევა არაჩვეულებრივი ჰავითა და სამკურნალო მინერ. წყაროებით. სამედ. ჩვენება: ფილტვისა და ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი.

ლიბანიოსი (314, ანტიოქია, – დაახლ. 393, სავარაუდოდ, იქვე), გვიანი ანტიკური ხანის ბერძენი ორატორი, რ-იც მოღვაწეობდა და ასწავლიდა კონსტანტინოპოლში, ნიკეასა და ნიკომედიაში. შემორჩენილია ლ-ის თხზულებები (საჯარო გამოსვლები, წერილები და ა.შ.) ორატორული ხელოვნების შესახებ. ქართ. აზროვნების კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ-ის ცნობები იბერიელი უფლისწულისა და სარდლის – ბაკურის (IV ს.) შესახებ, რ-იც ფრიად განსწავლული ყოფილა ანტიკურ ფილოსოფიაში. ლ. ქება-დიდებით მოიხსენიებს ბაკურს და აღნიშნავს, რომ იგი ბრწყინავდა თავისი სხეულითა და გონებით. ლ-ს მოსწონდა ბაკურის ცხოვრების სტოიკური წესი, სიბრძნის სიყვარული, მისი სამართლიანობა, სიმამაცე და ზომიერება. ლ-ის თანახმად, ბაკურს გამოარჩევდა ,,ლოგოსების სიყვარული“, რის გამოც იგი ღმერთებსაც კი უყვარდათ. ,,დიდი ბაკური“ (ასე მოიხსენიება მრავალ ბერძნულ წყაროსა და დოკუმენტში) თავისი დროის უდავოდ დიდი მჭევრმეტყველი იყო. აღსანიშნავია, რომ იგი არა მარტო ,,ჭვრეტითი ცხოვრების წესის“, არამედ ,,აქტიური ცხოვრების წესის“ განსახიერებაც გახლდათ. ლ-ის ცნობების თანახმად, ბაკური თვითფლობის დიდოსტატიც იყო. მან საკუთარი ცხოვრება ,,ოქროს შუალედის“, ე. წ. ,,სამეუფო გზის“ მიხედვით მოაწყო და ამით ყველა ბრძენისა და ფილოსოფოსის ჭეშმარიტ მიზანსაც მიაღწია.

თხზ.: წერილები, წგ.: გეორგიკა, ა. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: ირემაძე თ., გვიანი ანტიკური ხანის ფილოსოფია საქართველოში, „საპატრიარქოს უწყებანი“, 2019, №8; ხიდაშელი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988.

თ. ირემაძე.

ლიბერალიზმი (ლათ. liber – თავისუფლება), პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში. ლ-ს ხშირად ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობის შედეგად განმანათლებლობის ეპოქის ევროპაში წარმოქმნილ პოლიტ. და მორალურ ფილოსოფიადაც მოიხსენიებენ. ლ-ის პოლიტ. ფილოსოფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკი (1632–1704), რ-მაც 1690 ინგლისის რევოლუციის იდეების მხარდასაჭერად დაწერა ნაშრომი „ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ლ-ის იდეებს განმანათლებლობის ეპოქაში ეყრება საფუძვლები, პოლიტ. დატვირთვა ტერმინმა მხოლოდ XIX ს-ში შეიძინა, როდესაც 1812 ესპანეთის პარლამენტში ერთ-ერთმა პოლიტ. ჯგუფმა საკუთარ თავს ლიბერალები უწოდა. ლ-ის პოლიტ. ფილოსოფიის გან-



ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი.

ვითარებაში წვლილი მიუძღვით ვოლტერს, დ. დიდროს, ჟ.-ჟ. რუსოს, ი. კანტს, თ. ჯეფერსონს, თ. პეინს, ა. დე ტოკვილს, ჯ. ბენტამს, ჯ. ს. მილს და ა. შ.

ეკონ. ღირებულებების კუთხით ლ-ის ფუძემდებლად მიჩნეულია შოტლანდიელი ეკონომისტი ა. სმიტი (1723–90). მისმა ნაშრომმა ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' (1776) უდიდესი გავლენა იქონია კლასიკური ლ-ის უმთავრესი ეკონ. პრინციპების – თავისუფალი ბაზარი და სახელმწიფოს ჩაურევლობა ეკონ. საქმიანობაში (Laissez-faire) – ჩამოყალიბებაზე.

ლ-ის განვითარებაში გამოიყოფა სამი მთავარი ეტაპი: 1. კ ლ ა ს ი კ უ რ ი ლ. (XIX ს. II ნახ. – XX ს. I მეოთხედი); 2. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ლ. (XX ს. 30-იანი წლები – XX ს. 70-იანი წლები); 3. ნ ე ო ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი (XX ს. 70-იანი წლებიდან დღემდე), რ-საც ზოგჯერ ნეოკლასიკურ ლ-საც უწოდებენ, კლასიკური ლ-ის იდეებთან მისი სიახლოვის გამო. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცვლილებებს განიცდიდა ლ-ის ღირებულებებიც, რ-თა შორის უმთავრესი განვითარების ყველა ეტაპისთვის საერთოა: ინდივიდუალიზმი, თავისუფლება, გონი, სამართლიანობა, შემწყნარებლობა, კონსტიტუციონალიზმი.

ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ი – ლიბერალების რწმენა ინდივიდის უზენაესობის შესახებ. ლიბერალი ინდივიდსა და მის უფლებებს საზოგადოებრივ ან ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა აყენებს. ფეოდ. სამყაროსგან განსხვავებით, სადაც ადამიანს განიხილავდნენ ამა თუ იმ ჯგუფის, თემის თუ სოც. კლასის წევრად. XVII ს-იდან ის უკვე დამოუკიდებელ, საკუთარი ინტერესების, მისწრაფებების, ღირებულებების მქონე არსებად განიხილება. ადამიანს დაბადებიდანვე აქვს თანდაყოლილი, ღვთისგან მინიჭებული უფლებები, რ-იც ჯ. ლოკმა „სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების'' სახით განსაზღვრა (1690). ინდივიდუალიზმის რწმენამ ლ-ის სხვადასხვა ეტაპზე ტრანსფორმაცია განიცადა. ადრეული ლიბერალები ადამიანებს განიხილავდნენ ცალკე მდგომ, ერთმანეთისა და საზ-ბის მიმართ ვალდებულებების არმქონე არსებებად, რ-ებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. საზ-ბის მოცემული, ე. წ. ატომისტური ხედვა გულისხმობდა ინდივიდის, როგორც „განმხოლოებული ატომის'' ხედვას, თუმცა მოგვიანებით მოცემული დამოკიდებულება ჩანაცვლდა ინდივიდის, როგორც უფლებებისა და პასუხისმგებლობის მქონე არსების ხედვით. ინდივიდი აღარ განიხილება მხოლოდ უფლებების მქონე პირად, მას აქვს გარკვეული პასუხისმგებლობა საზ-ბისა და მისი წევრების მიმართ;

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა – ლ-ის უმნიშვნელოვანესი ღირებულება, რ-იც გულისხმობს ინდივიდუალიზმის განვითარებისთვის პიროვნული და პოლიტ. თავისუფლების აუცილებლობას. თავისუფლების იდეა ლ-ის პოლიტ. ფილოსოფიაში მუდმივად იყო სხვადასხვა ავტორის ყურადღების ცენტრში, თუმცა გამორჩეულია 1861 ბრიტანელი ფილოსოფოსის, ეკონომისტის, პოლიტიკოსის, ჯ. ს. მილის ნაშრომი ,,თავისუფლების შესახებ''. იგი გულდასმით განიხილავს ინდივიდის თავისუფლებასა და საზ-ბის უფლებებს შორის ზღვარის გავლების დილემას. მოცემული ნაშრომი ლ-ის ერთ-ერთ კლასიკურ თხზულებად მიიჩნევა. თავისუფლების იდეის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია XX ს. 50–60-იან წლებში ბრიტანელი ფილოსოფოსის, ი. ბერლინის მიერ თავისუფლების ორგვარი გაგების – ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებების შემოტანა. ნეგატიური თავისუფლება არის ინდივიდისთვის ბარიერების, ხელისშემშლელი შეზღუდვების, წინააღმდეგობების არარსებობა, როგორც ხშირად ამბობენ „თავისუფლება რაღაცისგან''; პოზიტიური თავისუფლება კი გულისხმობს ინდივიდისთვის მოქმედებისა და საკუთარი მიზნების განხორციელების შესაძლებლობას – „თავისუფლება რაღაცისთვის''. კლასიკური ლ-ისთვის დამახასიათებელი იყო თავისუფლების ნეგატიური გაგება – შეეზღუდოს სახელმწიფოს ინდივიდის საქმეებში მინიმალური ჩარევის უფლებაც კი. ამისგან განსხვავებით, თანამედროვე ლ-ისათვის დამახასიათებელია პოზიტიური თავისუფლება, რ-იც გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების მისაღწევად სახელმწიფოს, როგორც ინსტრუმენტის გამოყენებას;

გ ო ნ ი ე რ ე ბ ა – თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის ღირებულებები მჭიდრო კავშირშია ლიბერალების მიერ ადამიანის, როგორც რაციონალური, გონიერი არსების რწმენასთან. ადამიანი მოაზროვნე არსებაა და მას აქვს უნარი, სწორედ გონიერების და არა გამოცდილების საფუძველზე, შეიმეცნოს და ახსნას სამყარო, თავად მიიღოს და თავადვე აგოს პასუხი საკუთარ გადაწყვეტილებებზე. მართალია, ლიბერალები ადამიანის, როგორც მოაზროვნე არსების ბუნებისა და მისი გონიერებისადმი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ადამიანი უშეცდომო ან უნაკლო არსებად მიაჩნიათ. ადამიანებს აქვთ ეგოისტური და კერძო მისწრაფებები, რ-ებიც იწვევს დაპირისპირებასა და ურთიერთკონკურენციას, თუმცა სწორედ გონიერების მეშვეობით მათ შესწევთ უნარი, განსჯისა და გააზრების საფუძველზე ესწრაფვოდნენ მსჯელობისა და თანხმობის გზით კონფლიქტების მოგვარებას;

ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა / თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა – ლ-ის ღირებულება, რ-იც ემყარება სხვადასხვა სახის სამართლიანობის რწმენას. ინდივიდუალიზმისა და რაციონალიზმის რწმენა ის საფუძველია, რ-იც განაპირობებს ლიბერალების მიერ ადამიანის თანაბარი მორალური და ზნეობრივი ღირებულების რწმენასაც. საზ-ბაში ინდივიდებს თანასწორი სტატუსი უნდა ჰქონდეთ, რაც გამორიცხავს ერთი ინდივიდის უპირატესობას მეორესთან. ლ-ის ადრეულ ეტაპზე ინდივიდები ნიჭის, გონებრივი, ინტელექტუალური თუ სხვა მონაცემების საფუძველზეც კი თანასწორად განიხილებოდნენ, თუმცა მოგვიანებით თანასწორობის ეს იდეა ჩანაცვლდა სამართლებრივი (კანონის წინაშე თანასწორობისა) და პოლიტ. („ერთი ადამიანი, ერთი ხმა, ერთი ღირებულება'') თანასწორობის იდეებით;

შ ე მ წ ყ ნ ა რ ე ბ ლ ო ბ ა – ლ-ის მოცემულ ღირებულებას საფუძველი ჯ. ლოკმა ჩაუყარა, რ-მაც რამდენიმე წერილი მიუძღვნა შემწყნარებლობის თემას, თუმცა, XVII ს. ინგლისის რელიგ.-პოლიტ. კონტექსტიდან გამომდინარე, ჯ. ლოკი თავის წერილებში მხოლოდ რელიგ. შემწყნარებლობაზე საუბრობს. მოგვიანებით, XIX ს-ში, მოცემული იდეა განავრცო და გააფართოვა ჯ. ს. მილმა. ლიბერალებისთვის შემწყნარებლობაში მოიაზრება ყვე-

ლა ადამიანის უფლება, იფიქროს, იმოქმედოს, იაზროვნოს ისე, როგორც მას სურს, თუმცა თავისი ქმედებით ის ზიანს არ უნდა აყენებდეს სხვას. შემწყნარებლობა, იმავდროულად, პიროვნული თავისუფლების გარანტი და მრავალფეროვნების საფუძველიცაა. მხოლოდ პლურალისტულ, მრავალფეროვან საზ-ბაშია შესაძლებელი სხვადასხვა იდეის ჭიდილის ფონზე წინსვლა და განვითარება;

კონსტიტუციონალიზმი – ხელისუფლების შეზღუდვის იდეა გულისხმობს ხელისუფლების შტოების გამიჯვნისა და ურთიერთშეკავება-ბალანსირების პრინციპს. მართალია, ლ. განვითარების ყველა ეტაპზე საზ. წესრიგისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას აღიარებს, მაგრამ იკვეთება საფრთხე, რომ ხელისუფლებამ შესაძლოა, მოისურვოს იმაზე მეტი უფლებების მითვისება, ვიდრე ეს მას ხალხმა მიანიჭა. შესაბამისად, აუცილებელია მისი შეზღუდვა და ჩარჩოებში მოქცევა კონსტიტუციონალიზმის პრინციპით.

XIX–XX სს. განმავლობაში ლ-ის პრინციპები მჭიდროდ შეერწყა დემოკრატიის პრინციპებს. თანამედროვე პერიოდის დასავლეთის პოლიტ. სისტემების უმრავლესობა სწორედ ლიბერალური, დემოკრატიული სახელმწიფოებია და ეფუძნება როგორც დემოკრატიის სახალხო მმართველობის, ისე ლ-ის შეზღუდული მმართველობის იდეებს.

1992, ცივი ომის დასრულებისა და კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდეგ ამერიკელმა მეცნიერმა ფ. ფუკუიამამ დაწერა ნაშრომი ,,ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი'', სადაც მან ივარაუდა, რომ კაცობრიობამ მიაღწია იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხურს, ხოლო ლიბერალურ დემოკრატიას, როგორც უნივერსალური მმართველობის ფორმას ალტერნატივა აღარ ექნებოდა, მოცემულ მოსაზრებას არა მარტო მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა, არამედ თავად ავტორის ხედვამ ისტორიის დასასრულის შესახებ ათეული წლების შემდეგ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა.

საქართველოში ლ-ის იდეები XIX ს. 60-იანი წლებიდან ვრცელდება. მოსკოვსა და პეტერბურგში სასწავლებლად წასული ქართვ. ახალგაზრდები ეზიარებოდნენ ევროპიდან რუსეთში შემოსულ და გავრცელებულ ლ-ის იდეებს, რ-ებსაც შემდეგ საქართველოში ავრცელებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ნიკოლაძისა და ზოგადად, „თერგდალეულების“ საქმიანობა. XIX ს. 60-იანი წლების ქართული ლ., ისევე როგორც ამავე პერიოდის ევროპული ლ., შეერწყა ნაციონალიზმის იდეებს და ინდივიდუალიზმის, თავისუფლების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის იდეები ინდივიდის დონიდან ნაციის დონემდე გააფართოვა. ლიბერალური ნაციონალიზმის მოცემულმა იდეებმა დიდი როლი შეასრულა XIX ს. საქართვ. ეროვნ. მოძრაობის ფორმირებასა და გავრცელებაში.

1921 ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიისა და საბჭოთა მმართველობის დამყარების შედეგად ლ-ის იდეების გავრცელება შეწყდა. მხოლოდ სსრ კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, XX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ იწყება ლიბერალური იდეების გავრცელება საქართველოში. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის გაცხადებულად ლიბერალური ღირებულებების მქონე პოლიტიკური პარტიები, მაგალითად: მემარჯვენე – ცენტრისტული რესპუბლიკური პარტია და მემარჯვენე ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, რ-თა პოზიციები თანხვედრაშია ლიბერალიზმის ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა: თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, გადასახადების შემცირება, კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შექმნა და ა. შ. XX ს-ის 90-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში რამდენიმე ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პარტიაა, მაგალითად: ეროვნულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს დემოკრატიული ცენტრი, დემოკრატიული პარტია. პოლიტ. პარტიების გარდა, ლიბერალური ღირებულებების გავრცელების კუთხით უნდა გამოიყოს 1996 შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტი“, რ-ის უმთავრესი მიზანი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა იყო. დღესდღეობით ქართულ პოლიტ. სპექტრში ცალსახად ლიბერალური ღირებულებების მატარებელი რამდენიმე პარტიაა. არც XX ს-ის 90-იან წლებში და არც თანამედროვე პერიოდში მოცემული ლიბერალური ყაიდის პარტიების რეიტინგი საქართველოს მოსახლეობაში არ ყოფილა მაღალი.

ლიტ.: ხუციშვილი თ., კალანდაძე ნ., ჯაფარიძე გ., ჯოხაძე გ., ხარებავა გ., ლიბერალიზმი და საქართველო, თბ., 2020; ჯავახიშვილი გ., ლიბერალიზმი საქართველოში, თბ., 2020; Fukuyama F., The end of history and the best man, Free Press, New York, 2002; Heywood E., Political ideologies: An introduction 6th ed., Red Globe Press, 2017; Lock I., The treasure of Government Cambridge University Press, 1988; Mill I., On Liberty, Dover Thrift Editions: Philosophy, Dover Publications, 200; Smith A., The Wealth of Nations edited by R. H. Campbell and A. S. Skinner, the Glasgow edition of the Works and Correspondence of Adam Smith, vol. 2a, p. 456.

ს. დუნდუა.

„ლიბერთი ბანკი“ (სააქციო საზოგადოება), კომერციული ბანკი. დაარსდა 1988 ,,აგრომრეწვბანკის'' სახელწოდებით. ბანკების ნაციონალიზაციის შემდეგ, 1991 წ. 5 ნოემბრიდან, იგი საქართვ. სახელმწ. კომერც. სპეციალიზებული აგროსამრეწველო ბანკი გახდა, 1994-იდან სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა. 2002 გადაერქვა სახელი და ეწოდა ,,სახალხო ბანკი'', 2009-იდან კი – ,,ლ. ბ.'' ამავე წელს ბანკის აქციათა 91,2% შეიძინა კომპანია ,,ლიბერთი ინვესტმენტ ჰოლდინგ ბ. ვ-იმ''. 2017 აქციათა საკონტროლო პაკეტის (74,6%) მფლობელი გახდა ნიდერლანდების სამეფოში დაფუძნებული კომპანია ,,European Financial group B. V.'' (შემდგომში ,,Georgian Financial group B. V.''). 2021 ამ კომპანიის წილი 91,9% იყო.

2020 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი შეადგენდა 196,3 მლნ. ლარს, მთლიანი აქტივები – 2 982 მლნ. ლარს, ხოლო საკრედიტო პორტფელი – 1733,3 მლნ. ლარს.



,,ლიბერთი ბანკი''.

,,ლ. ბ.'' არის ერთადერთი უნივერსალური ბანკი, რ-იც ეწევა სახელმწიფოს სოციალურად მნიშვნელოვანი თანხების (საპენსიო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა დახმარებები) საბანკო მომსახურებას. ბანკი საქმიანობს მხოლოდ საქართველოში და აქვს ყველაზე დიდი საცალო ქსელი, რ-იც აერთიანებს 436-ზე მეტ ფილიალს და სერვისცენტრს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

,,ლ. ბ.'' არის საფრანგეთ-საქართველოს ერთობლივი საპროცესინგო ცენტრის ,,ჯორჯიან ქარდისა'' (Georgian Card) და თბილ. ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის აქციონერი, 1997-იდან – საერთაშ. საანგარიშგებო სისტემა ,,სვიფტის'' (SWIFT) წევრი, ამავე წლიდან – ,,ვესტერნ იუნიონის'' (Western Union) აგენტი ბანკი, 1999-იდან კი – პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების სისტემის ,,იუროფეი ინტერნეიშენლის'' (EUROPAY International) ასოცირებული წევრი.

,,ლიგეია'', ქართული გაზეთების – *,,რევოლუციური ნობათისა''* და *,,შრომის''* – ორკვირეული ლიტერატურული დამატება; გამოდიოდა 1918 ქუთაისსა და თბილისში. გამოვიდა №ა და №ბ. დაბეჭდილია გ. ტაბიძის, ხ. ვარდოშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. კარმელის, გ. ცეცხლაძის, ი. გრიშაშვილის, კ. ნადირაძის ლექსები; ნ. მიწიშვილის, დ. ჩიანელისა და კნუტ ჰამსუნის მინიატიურები.

ლიგუსტიკუმი, არაფის ლიგუსტიკუმი (Ligusticum arafoe Albov), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახიდან (Umbelliferae). კავკასიის იშვიათი ენდემური რელიქტური სახეობაა. საქართველოში მხოლოდ ჩრდ. აფხაზეთში (ბზიფის ქედი)გვხვდება, საქართველოს გარეთ – ჩრდ.-დას. კავკასიაში. იზრდება ზ. დ., 1600-2100 *მ* სიმაღლეზე ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლებში –კირქვიანებზე, ტყის პირას, მდელოებსა და მაღალბალახეულში. გვხვდება პატარ-პატარა ჯგუფებად. მრავლდება თესლით. აფხაზეთში ამ მცენარის სურნელოვან ფესვურებს ადგილ. მოსახლეობა იყენებს თამბაქოს არომატიზაციისათვის. შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში.



,,ლიდერფუდი''.

,,ლიდერფუდი'' (შპს), ხორცპროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი კომპანია. დაარსდა 2008 თბილისში. 2017 ეკონ. და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტ ,,აწარმოე საქართველოს'' თანაინვესტირებით მცხეთაში გაიხსნა ახ. საწარმო, რ-ის ფართ. შეადგენს 10000 *მ*^{2}, დასაქმებულია 550-ზე მეტი ადამიანი. საწარმო აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, რ-თა მეშვეობით კომპანია პროდუქციას ევრ. სტანდარტების დაცვით აწარმოებს. აქვს პროდუქციის ხარისხის შესამოწმებელი საკუთარი ლაბორატორია და ავტოპარკი, რ-ის საშუალებითაც ხდება ხორცპროდუქტების ტრანსპორტირება. ,,ლ.'' აწარმოებს გერმ. ტექნოლოგიით დამზადებულ 100-მდე დასახელების ხორცპროდუქტს – მოხარშულ ძეხვეულს, სოსისს, დელიკატესებს, სერველადს და სოუსებს. იყენებს როგორც ადგილ., ასევე იმპორტირებულ ნედლეულს. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილ. ბაზარზე. კომპანიას აქვს საკუთარი მაღაზიათა ქსელი საქართველოს მასშტაბით.

საწარმოს მიღებული აქვს საერთაშ. ხარისხის სტანდარტის სერტიფიკატები, კერძოდ, FSSC 22000:2005, რ-იც აერთიანებს ISO 22000, ISO 22002.1, ISO 9001.

ლიეტუვა (ოფიციალური დასახელება – ლიეტუვის რესპუბლიკა Lietuvos Respublika), სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში. დას-ით ესაზღვრება ბალტიის ზღვა, ჩრდ-ით – *ლატვია*, აღმ-ით და სამხრ-ით – ბელარუსი, სამხრ-დას-ით – პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია. ფართ. 65,3 ათ. კ*მ*^{2}, მოსახლეობა – 2 მლნ. 800 ათ. მცხ. (2020). სახელმწიფო ენა – ლიეტუვური, დედაქალაქი – ვილნიუსი. მორწმუნეთა უმრავლესობა – კათოლიკე ქრისტიანი. ლ. არის უნიტარული სახელმწიფო, საპარლამენტო რესპუბლიკა, შენგენის ზონის, 2004-იდან კი – ნატოსა და ევროკავშირის წევრი. საკანონმდებლო ორგანოა სეიმი (პარლამენტი), ფულის ერთეული – ევრო.

IX–XII სს-ში ლ-ის ტერიტ-ზე ფეხი მოიკიდა ფეოდ. ურთიერთობამ, ჩამოყალიბდა სახელმწიფოს ტიპის გაერთიანებები და დაიწყო ლიეტუველი ერის ფორმირების პროცესი. 1240 ჩამოყალიბდა ლ-ის ადრეფეოდალური სახელმწიფო – ლ-ის დიდი სამთავრო, რ-საც სათავეში ჩაუდგა მ. მინდაუგასი. XV ს-ში ლ. წარმოადგენდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ სახელმწიფოს, რ-ის შემადგენლობაშიც შედიოდა თანამედროვე ლ., ბელარუსი, უკრაინა და რუსეთის ფედერაციის დასავლეთის (სმოლენსკი, ვიაზმა) მნიშვნელოვანი ნაწილი. ლ-ის სამხრ. საზღვარი (ტერიტ. მდებს დნეპრსა და დნესტრს შორის) შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროს აღწევდა.

1494 დასაწყისში ლ-ში ჩავიდნენ ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1478–1505) ელჩები, რ-ებსაც ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ წერილი მიჰქონდათ ესპანეთის მონარქთან. ამ წერილის საერთოქრისტიანული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სრული ტექსტი შეტანილია ,,ლიეტუვის მეტრიკაში''. ლ-ის დიდ სამთავროსა და საქართვ. შორის არსებული სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობას ადასტურებს XV–XVI სს-ში ლ-ში მოჭრილი ვერცხლის მონეტების განძის აღმოჩენა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

1569 ლუბლინის უნიით ლ. და პოლონეთი გაერთიანდა ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ – რეჩ პოსპოლიტად, რ-საც საერთო მონარქები მართავდნენ.

XVIII ს. ბოლო მესამედში, რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის იმპერიებმა ისარგებლეს რეჩ პოსპოლიტას დაკნინებით და მისი ტერიტორია დაინაწილეს (1772, 1793, 1795). ლ-ის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. I მსოფლიო ომის (1914–18) პერიოდში მისი ტერიტორია საბრძოლო მოქმედებების არენად იქცა. 1915 ლ-ის უდიდესი ნაწილი გერმანელთა ჯარმა დაიკავა. 300 ათასამდე ლიეტუველი იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში, კავკასიასა და საქართველოში გადასახლებულიყო.

1917–18 კავკასიაში მოქმედებდა ლ-ის ეროვნ. საბჭო, რ-ის ხელმძღვანელობის შტაბიც თბილისში მდებარეობდა. იმხანად კავკასიაში 10 ათასამდე ლიეტუველი იმყოფებოდა. მათი ნაწილი აქ სამუშაოდ ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩამოვიდა, მეორე ნაწილი იყო გადმოსახლებული ანდა ლტოლვილი, ხოლო მესამე და უმრავლესი ნაწილი – კავკასიის ფრონტზე მყოფი სამხედრო პირები. ამ უკანასკნელთა შორის გამოირჩეოდა ლ-ის ეროვნ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, პეტრას ვილეიშისი (პროფესიით ინჟინერი), რ-იც კავკასიელ ლიეტუველთა ლიდერი გახდა. 1917 აპრილში თბილისში (აგრეთვე კავკასიის სხვა ქალაქებში) ჩამოყალიბდა ლიეტუველთა ეროვნ. საბჭო, რ-საც ხელმძღვანელობდა პ. დაილიდე. იქვე შეიქმნა ლიეტუვური ენის შემსწავლელი წრე. კავკასიის ფრონტის ხაზის რღვევის შედეგად, ლიეტუველმა სამხედრო პირებმა, საბჭოს აქტიური საქმიანობის გამო, თავი სწორედ თბილისში მოიყარეს. ამან განაპირობა ლიეტუველების ყველაზე მრავალრიცხოვანი კოლონიის ჩამოყალიბება. იმავე წლის 27-30 დეკემბერს თბილისში ჩატარდა კავკასიის ლიეტუველთა ყრილობა, რ-ის დელეგატები იყვნენ ლიეტუვური დიასპორის წარმომადგენლები ბათუმიდან, ყარსიდან, ტრაპიზონიდან და სხვ. აირჩიეს საბჭოს პრეზიდიუმი, პ. ვილეიშისის მეთაურობით. მოადგილეები იყვნენ პ. დაილიდე (რ-იც დარჩა თბილისის ლიეტუველთა ეროვნ. საბჭოს თავ-რედ) და პ. გუდელისი. მათი მიზანი იყო კავკასიელ ლიეტუველთა გაერთიანება და მათი სამშობლოში დაბრუნება. პ. ვილეიშისმა და პ. დაილიდემ მოიწვიეს ყრილობა და დააყენეს ლ-ის დამოუკიდებლობის საკითხი, თუმცა დელეგატთა ნაწილი თვლიდა რომ უმჯობესი იქნებოდა ავტონომიის მოთხოვნა დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში. ყრილობის გადაწყვეტილებით კავკასიის ლიეტუველთა ეროვნ. საბჭოს ევალებოდა ლიეტუველთა რეგისტრაცია, მათი პრობლემების გაცნობა და ლ-ში დაბრუნების ორგანიზება. ამ ფუნქციათა გამო იგი ფაქტობრივად წარმოადგენდა ლ-ის არაოფიციალურ საკონსულოს თბილისში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918) შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა, მ. შ. ლიეტუველთა იურიდიული სტატუსის განსაზღვრა. გადაწყდა, რომ ლიეტუველებისათვის მიეცათ პასპორტის შემცვლელი მოწმობა და ჰქონოდათ წარმომადგენლობაც.

1918 წ. 16 თებერვალს აღდგა ლ-ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. იმავე წლის 2 ივნისს კავკასიის ლიეტუველთა ეროვნ. საბჭომ თხოვნით მიმართა ლ-ის სახელმწ. საბჭოს, რათა საქართველოში გაეხსნა წარმომადგენლობა. 23 ივლისს სამშობლოში ჩასულმა კავკასიელ ლიეტუველთა დელეგაციამ პ. დაილიდეს ხელმძღვანელობით სახელმწ. საბჭოს თავ-რეს ა. სმეტონას გადასცა საქართვ. მთავრობის წერილი, რშიც გამოთქმული იყო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამყარების სურვილი. 1918 წ. 30 აგვისტოს თბილისში გაიხსნა ლ-ის დროებითი წარმომადგენლობა, რ-იც შემდეგ საკონსულოდ გარდაიქმნა, იგი მდებარეობდა. თბილისში, ამჟამინდელი კ. მარჯანიშვილის ქუჩის №45-ში. ლ-ის კონსულად დაინიშნა პ. დაილიდე, კონსულმა პ. დაილიდემ 1921 წ. 6 თებერვალს ოფიციალურად მიულოცა საქართვ. მთავრობას იურიდიულად აღიარება დას. ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მხრიდან. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, ლ-ის საკონსულომ მალევე შეწყვიტა საქმიანობა. 1940 ივნისში მოხდა ლ-ის ოკუპაცია სსრკ-ის მიერ, ქვეყანა სსრკ-ის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის (ლიტვის სსრ) სტატუსით შეიყვანეს.

XX ს. 80–90-იანი წლების მიჯნაზე ლ-ისა და საქართვ. ეროვნ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. 1990 წ. 11 მარტს სეიმმა გამოაცხადა ლ-ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. 1994 წ. 16 სექტემბერს ლ-მ და საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. თავდაპირველად ლ-ს საქართველოში წარმოადგენდა ამ ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო თბილისში საპატიო კონსული მუშაობდა. 1996 მაისში ვილნიუსში გაიხსნა საქართვ. გენ. საკონსულო. 2003-იდან ვილნიუსში გაიხსნა საქართვ. საელჩო, რ-იც 2007-მდე ბალტიის სამივე რესპუბლიკას ემსახურებოდა. ამჟამად იგი თავის ფუნქციას მხოლოდ ლ-ში ასრულებს.

ლ. პოლონეთთან, ლატვიასა და ესტონეთთან ერთად არის საქართვ. სტრატეგიული მოკავშირე და მისი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრების აქტიური მხარდამჭერი.

XX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოსა და ლ-ში მოქმედებს კულტ-საგანმან. საზ-ბები: ,,RUTA“, (საქართველო), ,,იბერია“ და ,,რუსთაველი“, (ლიეტუვა). აქტიურად ხორციელდება ორ ქვეყანას შორის დარგობრივი თანამშრომლობა. ამ მხრივ, ერთ-ერთი პრიოტეტულია სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობების მიმართულება. 2014 წ. 27 იანვარს ხელი მოეწერა ,,საქართველოს მთავრობასა და ლიეტუვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონიმიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას‘‘.

საქართველოს და ლ-ს შორის ტრადიციულად მჭიდრო თანამშრომლობა გრძელდება საპარლამენტო დონეზეც. აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის პარლამენტში ფუნქციონირებს მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯგუფები, რთაც მჭიდრო ურთიერთობების ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ.

2018 წ. 3 მაისს ლიეტუვური ენის სახელმწიფო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება რათა ოფიციალურად დამკვიდრდეს საქართველოს ავთენტურ დასახელებაზე დამყარებული სახელწოდება ,,Sakartvelo‘‘. ამგვარად ლიეტუვა გახდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, რ-იც საქართველოს უწოდებს ქართულ ენაში დამკვიდრებულ სახელს, საპასუხოდ 2018 წ. 11 მაისს საქართველოს სახელმწ. ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ქართულ ენაში დამკვიდრებულიყო დასახელება ,,ლიეტუვა‘‘ (Lietuva)

ლ-ში ქართული ენისა და კულტურის წარმოჩენის მიზნით 2014-იდან ვილნიუსის უნ-ტში ამოქმედდა ქართული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსი. 2018–19 სასწავლო წლიდან ქართული ენა ჩართულია ვილნიუსის უნ-ტის ოფიციალურ სასწავლო პროგრამაში და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის იგი წარმოადგენს არჩევით საგანს შესაბამისი კრედიტით. 2018 კაუნასის ვ. მაგ-


ნუსის სახ. უნ-ტში გაიხსნა და ფუნქციონირებს შოთა რუსთაველის სახ. აუდიტორია.

თბილისში 2011 ლ-ის პრეზიდენტის ვ. ადამკუსის ვიზიტის ფარგლებში გაიხსნა ,,ვილნიუსის სკვერი'', სადაც 2019 დაიდგა საჩუქრად გადმოცემული ვილნიუსის სიმბოლოდ აღიარებული მფარველი ანგელოზის ქანდაკება; საპასუხოდ 2015 წ. 4 ნოემბერს საქართვ. პრემიერ-მინისტრის ვილნიუსში ვიზიტის ფარგლებში გაიხსნა ,,თბილისის სკვერი''.

საქართველოსა და ლ-ს შორის არსებობს რეგიონთაშორისო თანამშრომლობა და ქალაქების დამეგობრობის მრავალწლიანი ტრადიცია. 2009-იდან დღემდე გაფორმდა რიგი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და დაძმობილდა ორივე ქვეყნის არაერთი ქალაქი და მუნიციპალიტეტი, მ. შ. დედაქალაქები – თბილისი და ვილნიუსი (2009 წ.).

ლიტ.: ჯავახიშვილი ნ., ლიტველთა ეროვნული საბჭო კავკასიაში, ლიტვის სახელმწიფოს წარმომადგენლობა და საკონსულო საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; Джавахишвили Н., Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019.

ნ. ჯავახიშვილი.



ო. ლითანიშვილი.

ლივადი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის წალკის მუნიციპალიტეტში (ბარეთის თემი), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1690 *მ.* წალკიდან 16 *კმ.* 80 მცხ. (2014).

ლივანა, ლიგანი, ნიგალი, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ფეოდალური ხანის სამხრ. საქართველოში, მდ. ჭოროხის ქვემო წელში. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში (ნიგალი). ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ მხარეს ართვინის სანახებითურთ; შემდგომში ლ-დ მიაჩნდათ მდ-ების – აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. 1549 ლ. ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმ. (1877–78) ომის შემდეგ ისტ. სამხრ.-დას. საქართველო სხვა ტერიტორიებთან ერთად რუს. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამჟამად ლ-ის მხოლოდ მცირე ნაწილია საქართველოს ფარგლებში, დანარჩენი კვლავ თურქეთის საზღვრებშია.

ლიტ.: სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), წგ. 1, ბათ., 1958.

ი. სიხარულიძე.

ლივშიცი ბენედიქტ კონსტანტინეს ძე [24. XII. 1886 (5. I. 1887), ოდესა, – 21. IX. 1938, ლენინგრადი], რუსი პოეტი და მთარგმნელი, ფუტურიზმის მკვლევარი. პირველი ლექსები 1910 გამოაქვეყნა. პოეტური კრებულები 1911, 1914, 1922, 1928 გამოსცა. მის პოეზიაში ფრანგ. სიმბოლიზმის გავლენას მოჰყვა ფუტურიზმით გატაცება. მოღვაწეობდა ვ. ხლებნიკოვთან, ვ. მაიაკოვსკისთან და სხვა პოეტებთან ერთად. ამ პერიოდის მისწრაფებანი გადმოსცა მოგონებათა წიგნში ,,თვალნახევრიანი მშვილდოსანი'' (1933). 1930-იდან თავისი შემოქმედება მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოს. დაიწყო ქართ. ენის საფუძვლიანი შესწავლა, თარგმნა გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ნ. მიწიშვილის, კ. კალაძის ლექსები. საქართველოს მიუძღვნა ლექსების ციკლი ,,ქართველური საგალობლები'' (გამოქვეყნდა 1964).

გ. მარგველაშვილი.

ლიზინგი (ინგლ. to lease – იჯარით, ქირით გაცემა), ქირავნობის მსგავსი ურთიერთობა, რომელიც უმეტესად ქონების გამოსყიდვით სრულდება. ლ-ის დროს სალიზინგო კომპანია შეისყიდის საწარმოო აქტივს (დანადგარს, მოწყობილობას, სამშენებლო ტექნიკას, ავტომობილს და უძრავ ნივთსაც კი), რასაც ყოველთვიური საზღაურის გადახდის სანაცვლოდ გადასცემს ლ-ის მიმღებს მფლობელობაში სარგებლობის უფლებით. ლ-ის ვადის ბოლოს კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, აქტივი შეიძლება გადავიდეს ლ-ის მიმღების საკუთრებაში. ლ-ის ხელშეკრულება იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებების მსგავსია. თანამედროვე ლ-ის წარმოშობა უკავშირდება სატელეფონო კომპანია ,,ბელს'' (აშშ), რ-ის ადმინისტრაციამ 1877 გადაწყვიტა გაყიდვის ნაცვლად ტელეფონების იჯარით გაცემა. სალიზინგო ოპერაციების შესრულება და სალიზინგო კომპანიების დაფუძნება მსოფლიოში XX ს. II ნახ-იდან დაიწყო. პირველი მსხვილი სალიზინგო ოპერაციები განხორციელდა 1941–45, როდესაც აშშ-ის მთავრობამ II მსოფლიო ომში ,,ლენდ ლიზის კანონის'' (Lend-Lease Act) საფუძველზე, საომარი აღჭურვილობა გრძელვადიანი იჯარით გადასცა თავის მოკავშირე ქვეყნებს, მეტწილად – საბჭ. კავშირს.

სალიზინგო ურთიერთობის მარეგულირებელი მნიშვნელოვანი საერთაშ. აქტია 2008 წ. 13 ნოემბრის, კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშ. ინ-ტის (UNIDROIT) მოდელური კანონი ლ-ის შესახებ.

საქართველოში სალიზინგო ურთიერთობები რეგულირდებოდა 2002 წ. 7 მაისის საქართვ. კანონით ,,სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ'', რ-იც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2011 წ. 13 ოქტომბერს, საქართვ. სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შედეგად. ლ-ის ხელშეკრულების შინაარსი, სალიზინგო ურთიერთობის მხარეთა (ლ-ის გამცემი და მიმღები) უფლებები, მოვალეობები და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დღეისათვის განსაზღვრულია საქართვ. სამოქალაქო კოდექსის 576-ე და 580⁶-ე მუხლებით. სალიზინგო ურთიერთობის მარეგულირებელ დებულებებს ასევე შეიცავს საქართვ. საგადასახადო კოდექსი.

2001 დაარსდა სს ,,საქართველოს ბანკის'' შვილობილი საწარმო – შპს ,,საქართველოს სალიზინგო კომპანია'', რ-მაც პირველმა შესთავაზა კლიენტებს სალიზინგო მომსახურება. დღეისათვის სალიზინგო ბაზარს ინაწილებს შემდეგი საწარმოები: სს ,,თიბისი ლიზინგი'', შპს ,,ალიანს ჯგუფი საქართველო'', შპს ,,საქართველოს სალიზინგო კომპანია'', შპს ,,მოგო'', სს ,,ბბ ლიზინგი''.

აშშ-მა ლ-ით შეიარაღების მიწოდების ფორმა კიდევ ერთხელ გამოიყენა 2022 უკრაინის დასახმარებლად რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

ი. უჯმაჯურიძე.

ლითანიშვილი ოთარ ანტონის ძე (15. II. 1923, თბილისი, – 26. IX. 2003, იქვე), არქიტექტორი, მხატვარი. საქართვ. სახ. მხატვარი (1980), საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1968). დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი (1949). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1955–57 იყო სოხუმის მთ. არქიტექტორი; 1957-იდან – თბილისის მთ. მხატვარი; 1989-იდან ხელმძღვანელობდა თბილ. დიზაინისა და კეთილმოწყობის სამმართველოს; თბილ. მერი – 1992–93; საქართვ. მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (1993–94); 1996 აირჩიეს თბილ. აღორძინების ფონდის პრეზიდენტად.

ლ. ავტორია არქიტ. პროექტებისა თბილისში, სოხუმში, გუდაუთაში და სხვ.; მოღვაწეობდა ქართ. თეატრის სცენოგრაფიაში. გაფორმებული აქვს 40-მდე დადგმა შოთა რუსთაველის, კ. მარჯანიშვილის, ა. გრიბოედოვისა და სხვ. თეატრების სცენებზე; იყო თბილ. 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის მთ. მხატვარი (1958), პირველი ათი ,,თბილისობის'' დღესასწაულის სცენარისტი და მთ. მხატვარი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი (1998), ღირსების ორდენი (1998). თბილისის საპატიო მოქალაქე (1983).


დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლითოგრაფია (ლათ. lithos – ქვა, graphō – ვწერ), 1. ბეჭდვის ხერხი, რ-ის დროს ანაბეჭდის მისაღებად საღებავი დაწნევით უშუალოდ გადააქვთ ბრტყელი (არარელიეფური) საბეჭდი ფორმიდან ქაღალდზე; 2. ლითოგრაფიული ხერხით შესრულებული ნაწარმოები; 3. საწარმო, რ-იც სპეციალიზებულია ამ ხერხით ბეჭდვაში. ლ. ბრტყელი ბეჭდვის პირველსახეა. ლ-ში საბეჭდ ფორმას წარმოადგენს ქვის (კირქვის) გლუვი (კალმის გრაფიკის აღწარმოებისათვის) ან მარცვლოვანი (ფანქრით ნახატის აღწარმოებისათვის) ზედაპირი, რ-ზეც გამოსახულება დააქვთ სქელი ტუშით (ფუნჯით ან კალმით) ან ლითოგრაფიული ფანქრით. ხშირად გამოსახულება ქვაზე გადააქვთ სპეც. ლითოგრაფიულ ქაღალდზე (კორნპაპირზე) შესრულებული ნახატიდან. ქვის ქიმ. დამუშავების, ფორმის ზედაპირზე წყლისა და საღებავის თანამიმდევრული დატანის შემდეგ ხდება ბეჭდვა.

ლ. ა. ზენეფელდერმა 1798 გამოიგონა გერმანიაში. მანვე 1806 მიუნხენში გახსნა პირველი ლითოგრ. სახელოსნო. მსგავსი სახელოსნოები 1816 გაიხსნა პარიზსა და პეტერბურგში, 1822 – ლონდონში. XIX ს-ში ლ. ფართოდ გავრცელდა სურათების, პლაკატების, ეტიკეტების, რუკებისა და სხვ. აღწარმოებისათვის. შემდეგში წარმოიშვა ლ-ის მოდიფიკაციები: ავტოლითოგრაფია, ქრომოლითოგრაფია და სხვ. XX ს. 20-იან წლებში ლ. განდევნა უფრო სრულყოფილმა ოფსეტურმა ბეჭდვამ და იგი იქცა დაზგურ ტექნიკად, რ-ის ძირითადი სახეობაა ავტოლითოგრაფია.

მხატვრული ლ-ის სპეციფ. ენა რომანტიზმის გავლენით XIX ს. 20-იან წლებში შეიქმნა საფრანგეთში. ლ-ს მიმართეს ესპ. ფ. გოიამ და ინგლ. რ. ბონინტონმა, ფრანგებმა: თ. ჟერიკომ, ე. დელაკრუამ და სხვ.

ლ-ის ისტორიის ადრინდ. პერიოდში ყველაზე გავრცელებული ჟანრი იყო ზნეობის კარიკატურა, რ-იც საფრანგეთის ივლ. რევოლუციის (1830) შემდეგ პოლიტ. და სოც. კარიკატურამ შეცვალა. ო. დომიეს ვირტუოზულმა სერიებმა დიდი გავლენა იქონია ლ-ის შემდგომ განვითარებაზე. მრავალი ოსტატი ქმნიდა ჟანრულ კარიკატურებს. XIX ს. I ნახ-ში ლ-მ დიდი ადგილი დაი-



ე. ანდრონიკაშვილი. ,,ინდუსტრიული პეიზაჟი'', 1959.

ჭირა ლათ. ამერ. მხატვრების, განსაკუთრებით კოსტუმბრიზმის წარმომადგენელთა ხელოვნებაში. ამავე პერიოდში ლ-ის ტექნიკით დაინტერესდნენ მხატვრები: ა. ორლოვსკი, ო. კიპრენსკი, ა. ვენეციანოვი, კ. ბრიულოვი და სხვ. XIX ს. შუა წლებში გაჩნდა ჟანრული და სატირული ლ-ები. 40-იანი წლებიდან ჟურნალებში ქსილოგრაფიის გაბატონების გამო ლ-ის გამოყენება მნიშვნელოვნად შემცირდა. 60-იანი წლების დასასრულიდან საფრანგეთში დაიწყო ლ-ის ხელახალი აღმავლობა. ე. მანემ აღმოაჩინა მისი ახ. მხატვრული შესაძლებლობები. მას ხშირად მიმართავდნენ იმპრესიონისტები: ო. რენუარი, ე. დეგა, კ. პისარო. XIX ს. დასასრულს ლ-ში შესამჩნევი კვალი დატოვა სიმბოლიზმმა და „მოდერნის'' სტილმა. XIX–XX სს. მიჯნაზე ლ-ში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ფერადმა ესტამპმა, რ-საც ხშირად იყენებდნენ აფიშებში (ა. ტულუზ-ლოტრეკი, მ. დენი, პ. ბონარი, ე. ვიუიარი – საფრანგეთი). XX ს-ში ლ-ს მიმართავდნენ დიდი ოსტატები: ა. მატისი, პ. პიკასო, მ. შაგალი, დ. სიკეიროსი და სხვ.

საქართველოში ლ-ის ტექნიკაში მუშაობდნენ ე. ანდრონიკაშვილი, დ. გაბაშვილი, ზ. დეისაძე, ა. კაკაბაძე, გ. ღლონტი, უ. ჯაფარიძე და სხვ.

ლითოლოგია, გეოლოგიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანალექ ქანებს. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში (ბოლო ათწლეულიდან – საქართველოშიც) ლ-ის სინონიმად იყენებენ ტერმინ სედიმენტოლოგიას. ლ. შეისწავლის დანალექ კომპლექსებს, მათ წარმომქმნელ ნალექწარმირებისა და ნალექდაგროვების არეებს, აგრეთვე იმ პროცესებს, რ-ებიც განსაზღვრავს ნალექდაგროვების თავისებურებებს. ნალექდაგროვების არეებში იგულისხმება აკუმულაციის მეტ-ნაკლებად ვრცელი რეგიონები, მათთვის დამახასიათებელი გეოლ., ფიზ., ქიმ. და ბიოლ. პირობების კომპლექსით. დანალექი ქანები და მათთან დაკავშირებული მადნები დედამიწის ქერქის ზედა ნაწილს იკავებს; ისინი წარსულში მიმდინარე პროცესების მონაწილე, მისი ამსახველი და ისტ.-გეოლ. ინფორმაციის მატარებლები არიან. სწორედ ლ. არის გეოლ. მეცნიერების ის მიმართულება, რ-საც ძალუძს ამოიკითხოს ქვებში ჩაწერილი ეს ინფორმაცია. მისი კვლევის შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს ტრადიციული, ზოგადგეოლოგიური საკითხების (დანალექი კომპლექსების დანაწილება და კორელაცია, შრეების სიმძლავრეთა ანალიზის ბაზაზე დედამიწის ქერქის ჩაღუნვის ამპლიტუდების რეკონსტრუქცია და სხვ.) გადაწყვეტას. სედიმენტაციური პეტროგენეზისი განიხილავს და აანალიზებს ნალექდაგროვების პროცესების ზოგად მსვლელობას და მათ ევოლუციას გეოლ. ისტორიის განმავლობაში.

ეს ანალიზი ემყარება როგორც დანალექი ქანების შესწავლის შედეგებს, ისე მონათესავე დისციპლინების მონაპოვარს, რ-თა შორის უმთავრესია ოკეანოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, გეოქიმია, რეგიონული და ისტ. გეოლოგია, აგრეთვე მადნებისა და ქანების შემსწავლელი დისციპლინები. ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდის – ფაციესური ანალიზის დახმარებით ხდება უმთავრესი ამოცანის – გეოლოგიურ წარსულში ნალექდაგროვებისა და მადანფორმირების პროცესების აღდგენა და შეფასება. ფაციესური ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ნალექდაგროვების არე (ტბიური, მდინარეული და ზღვიური) და პირობები. ფაციესურ რეკონსტრუქციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა დანალექი წიაღისეულის პროგნოზული და ძებნითი სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულებისათვის. კვლევის ეს მეთოდი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლითოლოგიის, ლითოსტრატიგრაფიისა და ტექტონიკის მრავალი გამოყენებითი გეოლ. ამოცანის გადაწყვეტაში; ფაციესური ანალიზის მონაცემები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სედიმენტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების – პალეოგეოგრაფიული ანალიზისა და რეკონსტრუქციების კვლევისას, რათა სწორად განისაზღვროს ძებნა-ძიებითი სამუშაოს მიმართულება დანალექი გენეზისის წიაღისეულზე (ნავთობი, ქვანახშირი, მარილები, ნაწილობრივ რკინის, ალუმინისა და ფოსფორის საბადოები).

სედიმენტოლოგია, როგორც მეცნიერება, თავდაპირველად დანალექი ქანების პეტროგრაფიის სახით ჩამოყალიბდა და განვითარდა XIX–XX სს. მიჯნაზე. იგი პირველ ეტაპზე მიზნად ისახავდა არსებული დანალექი ქანების აღწერა-დახასიათებას. დანალექი ქანების სიღრმისეულმა კვლევამ მოითხოვა დანალექი პროცესების თავისებურებათა დეტალური შესწავლა და ღრმა ანალიზი. შესაბამისად, აღწერილობითი დისციპლინა მეცნ.-კვლ. მიმართულებით განვითარდა და მას ლ. ეწოდა. თანამედროვე ლითოლოგიურ კვლევებს სათავე დაუდო ,,ჩელენჯერის'' პირველმა ოკეანოლოგიურმა ექსპედიციამ (1872–76), რ-ის მასალებიც დაახლ. 50 ტომად გამოქვეყნდა. საკუთარი ქვეყნების დანალექი კომპლექსების შესწავლასა და, ზოგადად, ამ ფორმაციების კვლევის მეთოდების შემუშავებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ი. ვალთერმა (1893–1927, გერმანია) და ლ. კაიენმა (1894–1950, საფრანგეთი). დღემდე ლითოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ნაშრომებად ითვლება ამერ. გეოლოგის, უ. ტვენჰოფელის მონოგრაფია ,,მოძღვრება ნალექწარმოშობის შესახებ'' (1925) და რუსი მეცნიერის, ნ. სტრახოვის ,,ლითოგენეზის თეორიის საფუძვლები'' (1960, 1961).

საქართველოში ლითოლოგიური მეცნიერების განვითარება დაკავშირებულია გ. ძოწენიძისა (1910–76) და ნ. სხირტლაძის (1911–2006), აგრეთვე მათი მოწაფეების სახელებთან. გ. ძოწენიძემ შეისწავლა მიოცენამდელი ვულკანიზმი საქართველოში და საბჭ. კავშირში პირველმა განსაზღვრა ვულკანიზმის როლი ლითოგენეზისსა და მადანფორმირებაში. ნ. სხირტლაძეს ეკუთვნის საქართვ. შუაიურული ნახშირიანი წყებებისა და ძირულის მასივის ლიასური ნალექების ფუნდამენტური ლითოლოგიური კვლევები. მნიშვნელოვანია გ. ჩიხრაძისა და ვ. ქოიავას ნაშრომები კავკასიონის სამხრ. ფერდის ლიასური ფიქლებისა და ტყიბულ-ტყვარჩელის ნახშირიანი წყებების ლ-ის შესახებ, აგრეთვე ვ. ქოიავას პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ,,ლითოლოგია'' (1988), რ-იც განკუთვნილია გეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

კ. აქიმიძე.

ლითონები, მარტივი კრისტალური ნივთიერებები, რომლებისთვისაც ჩვეულებრივ პირობებში დამახასიათებელია დიდი ელექტრო- და თბოგამტარობა, პლასტიკურობა, ბზინვა, ჭედადობა. ამ თვისებებით გამოირჩევა 80-ზე მეტი მარტივი ნივთიერება (ელემენტი) და ლითონის მრავალი შენადნობი.

ზოგიერთი ლითონი (იხ. *დარიშხანა, ვერცხლი, კალა, ოქრო, რკინა* და სხვ.) ფართოდ გამოიყენება.

ლითონების დამუშავება, სასურველი ფორმის, ზომის, ზედაპირის ხარისხისა და მექანიკური თვისებების მქონე ლითონის ნაკეთობის მიღება. ლ. დ-ისთვის იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიას: სამსხმელო წარმოება, წნევით დამუშავება, ჭრით დამუშავება (იხ. *ლითონსაჭრელი ჩარხი*), თერმული დამუშავება.

სამსხმელო წარმოება ლ. დ-ის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგიაა. ჩამოსხმით მიიღება ლითონისაგან დამზადებული ნაკეთობების ნახევარზე მეტი. გავრცელებულია მიწის ყალიბში ჩამოსხმა, რ-ის დროსაც საყალიბე მასად ძირითადად კვარცის ქვიშა გამოიყენება. არსებობს წნევით და ცენტრიდანული ჩამოსხმის მეთოდები. ამ შემთხვევებში ყალიბს ლითონისაგან ამზადებენ. ე. წ. ზუსტი ჩამოსხმისათვის ცვილის მოდელებს იყენებენ. ამ მეთოდით მიღებულ ნაკეთობას მექანიკური დამუშავება არ სჭირდება.

ლითონების წნევით დამუშავების ტექნოლოგიებია: გლინვა, ჭედვა, ტვიფრვა, ადიდვა, დაწნეხა; თერმული დამუშავების ტექნოლოგიებია: მოწვა, წრთობა, მოშვება, დისპერსიული განმტკიცება.

არქეოლ. გათხრები ცხადყოფს, რომ საქართვ. ტერიტორიაზე ლ. დ-ის ტექნოლოგიები უძველესი დროიდან ვითარდებოდა, თანამედროვე ტექნოლოგიები კი XX ს. 60-იან წლებში დაინერგა. რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში ამოქმედდა სსრკ-ში პირველი რადიალური ტიპის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი და მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შეიქმნა კომპლექსურად ავტომატიზებული მილსაგლინავი აგრეგატი ,,400'' 1,2 *კმ* სიგრძის ტექნოლოგიური ხაზით. ამ აგრეგატის ამუშავებამ მინიმუმამდე დაიყვანა ხელით შრომა და შესაძლებელი გახადა დიდი დიამეტრის უნაკერო ფოლადის მილების მიღება. ამ მიღწევისათვის ს. შარაშენიძეს, ნ. გომელაურს, დ. შალიგინს, ი. ჟორდანიას, გ. გევორქიანს, პ. წერეთელს, ს. მალიშევს, კ. გრუშეცკის ლენინური პრემია მიენიჭათ (1969). შემდეგ წლებში მეტალურგიული ინტის (ახლანდ. ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი) მონაწილეობით (ხელმძღვ. ა. ნოზაძე) დამუშავდა დიდი კვეთის მილნამზადის უწყვეტი გლინვის თეორია და რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში ამუშავდა უწყვეტი გლინვის დგანი. 80-იან წლებში რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში თერმომექანიკური დამუშავების გამოყენებით შეიქმნა ტიტანით მიკროლეგირებული რამდენიმე მარკის ფოლადი, რებიც დაინერგა მილების წარმოე-

ბაში (ვ. კოპალეიშვილი, ი. მირიანაშვილი, ი. კვირიკაძე).

XXI ს. 10-იან წლებში, გასული საუკუნის 90-იანი წლების კრიზისის შემდეგ, რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში დაიწყო წარმოების აღდგენა. ამჟამად ლ. დ. მიმდინარეობს სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიით. საწარმოს პროდუქცია გამოიყენება საქართველოში და გადის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ლიტ.: სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედია, ორ ტომად, თბ., 2020.

პ. მამრაძე.

ლითონმცოდნეობა, გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ლითონების აგებულებას და ათვისებას. ადგენს კავშირს ლითონებში ქიმიურ შედგენილობას, აგებულებასა და მათ თვისებებს შორის. ასევე შეისწავლის სტრუქტურისა და თვისებების კანონზომიერებებს გარე ზემოქმედების პირობებში.

ლ., როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, ჩამოყალიბდა XIX ს-ში.

საქართველოში XX ს. 40-იანი წლებიდან ფ. *თავაძის* (1912–89) ინიციატივით სპი-სა (ახლანდ. სტუ) და შემდეგ საქართვ. მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინტ-ში (ახლანდ. სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი), რ-ის დირექტორი 1951-იდან თავად ფ. თავაძე იყო, დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს კვლევები ლ-ის მიმართულებით. აქვე შეიქმნა ლ-ის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

ლიტ.: შურაძე ო., ლითონური მასალების მექანიკური თვისებების მახასიათებლები და მათი განსაზღვრის მეთოდები, თბ., 2014; მისივე, ლითონების მასალების განმტკიცების ზოგადი საწყისები, თბ., 2020; Raghavan V., Physical Metallurgy: Principles and Practice, Learning, 2015.

ლითონსაჭრელი ჩარხი, მანქანა, რომელზეც ლითონის ნამზადს ამუშავებენ ლითონსაჭრელი იარაღით. ლითონის ჭრით დამუშვება უძველესი დროიდან არის ცნობილი. საქართველოში (თრიალეთში) არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ოქროსა და ვერცხლის ფიალები და თასები, რ-ებიც ძვ. წ. XV ს. მიეკუთვნება. მეცნიერთა აზრით, ისინი სახარატო ტიპის ბრუნვით ჩარხებზეა დამზადებული.

დანიშნულების მიხედვით ლ. ჩ. არის უნივერსალური – ფართო ნომენკლატურის ნამზადებზე სხვადასხვა ოპერაციის ჩასატარებლად; სპეციალიზებული – ერთნაირი ტიპის სხვადასხვა ზომის დეტალების დასამუშავებლად; სპეციალური – ერთნაირი ტიპისა და ზომის ნაკეთობათა დასამუშავებლად. მართვის მიხედვით ლ. ჩ. შეიძლება იყოს ხელით სამართავი, ნახევრად ავტომატური და რიცხვით-პროგრამული მართვის. ბოლო ათეულ წლებში მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა რიცხვით-პროგრამული მართვის ტიპის ლ. ჩ-ები, რაც ხელს უწყობს საწარმოო პროცესების სრულ ავტომატიზაციას.

საქართველოში თბილ. ჩარხსაშენებელმა ქ-ნამ გამოუშვა (1936) პირველი ჭანჭიკსაჭრელი ჩარხი. შემდეგ წლებში ჩარხმშენებლობის გაერთიანებამ დაიწყო თანამედროვე ტიპის სახარატო ხრახნსაჭრელი, სპეც. მილდასამუშავებელი, აგრეთვე მაღალი სიზუსტის სახეხი ჩარხების და სხვ. გამოშვება, რ-ებიც იგზავნებოდა მრავალ ქვეყანაში. სპი-ში (ახლანდ. სტუ) მანქანათმშენებლობის ტექნოლ. კათედრაზე შექმნეს ახ. მხურვალმედეგი და სპეც. ფოლადების დასამუშავებელი უნიკალური და უცენტრო ჩარხები, რომორული სარანდი და სხვა ჩარხების პრინციპული სქემები და კონსტრუქციები. ამავე ინ-ტის ლ. ჩ-ების კათედრაზე დაამუშავეს ჩარხების კინემატიკური გაანგარიშების კონტაქტური სიხისტის საკითხები.

საქართველოში ჩარხმშენებლობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებს: გ. გოცირიძეს, თ. ლოლაძეს, გ. ჩიხლაძეს, ვ. ცოცხაძეს; კონსტრუქტორებს: თ. შენგელიას, პ. აბესაძეს, ლ. კულიკოვს, გ. ბენდუქიძეს და სხვ.

ლიტ.: Reimund Neugebauer (Hrsg.): Werkzeugmaschinen: Aufbau, Funktion und Anwendung von spanenden und abtragenden Werkzeugmaschinen, B., 2012.

თ. ნამიჩეიშვილი.

ლიის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ლიის (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) სამხრ.-დას. ნაწილში, დიდა ქირსის ბორცვზე და მის ძირში, ე. წ. ჯოღორიას წყურგილესა და ოყაჭეზე. გათხარეს 1964–65 (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) და 1967–70 (ხელმძღვ. ა. აფაქიძე, გ. გრიგოლია). დიდა ქირსა გორანამოსახლარია, რ-ის ჩრდ.-დას. ფერდობზე გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ადრინდ. ანტ., ელინისტური, რომაული და ადრინდ. შუა საუკუნეების კულტ. ფენები. ბორცვის ჩრდ.-დას. ფერდობზე გათხარეს რომაული ხანის (I–II სს.) 10-მდე ორმოსამარხი. მათში აღმოჩნდა კერამიკული ნაწარმი, რკინის იარაღ-საჭურველი, სამკაული, I–II სს. რომაული ვერცხლის მონეტები (ერთ-ერთი – იულიუს კეისრის გამოსახულებით) და სხვ. აქვე აღმოჩნდა ადრინდ. ფეოდ. ხანის თიხის ნავისებრი სარკოფაგი. ადრინდ. და შუა ფეოდ. ხანაში დიდა ქირსის ბორცვი ციხედ უქცევიათ, ქვის კედლით შემოუზღუდავთ და 2 საბრძოლო კოშკით გაუმაგრებიათ. ციხის შუა ნაწილში გათხარეს ადრინდ. შუა საუკუნეების მრგვალაფსიდიანი ტაძრის ნანგრევები, რ-საც კირხსნარით შელესილი აგურის იატაკი აქვს. როგორც ჩანს, ტაძარი ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული (აქედან უნდა მომდინარეობდეს სახელწოდებაც „დიდა ქირსა“). ტაძრის გარშემო ქრისტ. წესით დაკრძალულთა ორმოსამარხები იყო. ჯოღორიას წყურგილეზე ნაპოვნია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ბრტყელი ცული. იქვე აღმოჩენილ II ს. ორმოსამარხში იყო ვერცხლის სამკაული, კესარიული მონეტა, მინის სასმისი და სხვ. ჯოღორიას წყურგილესა და ოყაჭეზე დადასტურებულია მძლავრი მეტალ. კერები. ამ ადგილებში აღმოჩენილია ღუმლის ფრაგმენტები, საბერველის კერამ. მილები, რკინის წიდები და ნახშირი. საბერველის მილების უმრავლესობას ხელოსნის დამღა აზის.

ლიტ.: გრიგოლია გ., ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1971, № 3.

გ. გრიგოლია.

ლიკანი, კურორტი. მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ქ. ბორჯომის დას. ნაწილში, მესხეთის ქედის აღმ. და თრიალეთის ქედის დას. ტყიან (უმეტესად წიწვოვანი) კალთებზე. ზ. დ. 800–900 *მ,* თბილისიდან 150 *კმ.*

ჰავა სუბტროპიკულია, ზომიერად ნოტიო, ცივი ზამთრით და ძალიან თბილი, ხანგრძლივი ზაფხულით. იანვრის საშ. ტემპ-რაა – 2^0 C, აგვისტოსი – 20–25^0 C. ნალექების საშ. რაოდენობა 700 *მმ.*

კურორტის ძირითადი ფაქტორია მინერალური წყალი, რ-საც იყენებენ როგორც სასმელად, ასევე ბალნეოლოგიური სამკურნ. პროცედურებისთვის. ლ-ის მინერალურ



ლიკანის სასახლე. არქიტექტორი ლ. ბენუა. 1892–95.

წყალს ჰიდროკარბონატების, მაგნიუმისა და კალციუმის განსაკუთრებული კომბინაცია და ბუნებრივი ნახშირწყლების სიუხვე ახასიათებს, რაც 1500 *მ* სიღრმიდან ამომავალ წყალს სასიამოვნო სირბილეს ანიჭებს.

ლ-ის ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ტყეპარკის ცენტრში აგებული რომანოვების სასახლე, რ-იც რუსეთის დიდმა მთავარმა ნ. რომანოვმა არქიტ. ლ. ბენუას ააშენებინა (1892–95).

ლიკანის სასახლე, რომანოვების სასახლე, დიდი მთავრის, ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვის (1859–1919) საზაფხულო რეზიდენცია ყოფ. სოფ. ლიკანში (შეუერთდა ბორჯომს). აშენდა 1892–95 არქიტექტორ ლ. ბენუას (1859–1928) პროექტით (მშენებელი – თბილისელი არქიტ. ლ. ბილფელდი). ასიმეტრიული გეგმით აგებული სასახლე საგანგებოდ მოწყობილ ტერასაზეა განთავსებული. ერთმანეთისაგან განსხვავებული ფასადების მორთულობა იმდროინდელი არქიტექტურის ტენდენციებს ასახავს.



ლიკანის ღვთისმშობლის ეკლესია. IX ს-ის II ნახევარი.

სასახლის ირგვლივ მოეწყო ვრცელი პარკი ორანჟერეით. 1898 სასახლის გასანათებლად აშენდა ჰიდროელექტროსადგური, რ-იც პირველი იყო რუსეთის იმპერიაში.

ლ-ის სასახლეში დაცულია უნიკალური ისტ. ექსპონატები, მ. შ. ნაპოლეონის მიერ რომანოვებისათვის ნაჩუქარი მაგიდა, ირანის შაჰის ნაჩუქარი სავარძელი, რუსეთის იმპ. პეტრე I-ის ხელით კაკლის ხისაგან დამზადებული მაგიდა; რომანოვების დროინდელი ბილიარდი. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლ-ის სასახლე სახელმწ. საკუთრებაში გადავიდა. წლების განმავლობაში მან შეიცვალა ფუნქცია. სასახლეში, რ-იც წარმოადგენს ლიკანის ძირითად ღირსშესანიშნაობას, ბოლო ხანს მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

თ. გერსამია.

ლიკანის ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბორჯომიდან 7 *კმ*-ზე, მდ. ახოებისწყლის ხეობაში. სავარაუდოდ, თარიღდება IX ს. II ნახ-ით. როგორც ჩანს, ადრე აქ მონასტერი ყოფილა, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული განახლება-გადაკეთებათა სიმრავლე და ეკლესიის მიმდებარე ტერიტ-ზე არსებულ ნაგებობათა ნაშთები. შენობის გეგმა სტრუქტურული გადაწყვეტით ქრონოლოგიურად განსხვავებული, ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: საშუალო ზომის სამეკლესიიანი ბაზილიკა და მასზე დას-იდან მიდგმული ორსართულიანი სამრეკლოსგან, რ-ის პირველი სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. ეკლესიის გეგმა გვერდიგვერდ განლაგებული და ერთმანეთთან კარით დაკავშირებული სამი სადგომისაგან შედგება. შუა სადგომი დანარჩენ ორზე რამდენადმე უფრო მაღალი და ფართოა. ჩრდ. სადგომის აღმ. ბოლოში გამოყოფილია აფსიდიანი სამკვეთლო. იგი მთავარ ეკლესიასთან დაკავშირებულია კარით, რ-იც მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. სამრეკლოს ჩრდ-იდან ეკვრის მცირე სადგომი, დას-იდან კი სამრეკლოს მეორე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე.

ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. თითქმის მთლიანად არის დანგრეული მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელი და სამხრ. სადგომი, დანგრეულია აღმ. კედლის მნიშვნელოვანი ნაწილიც. გარედან ჩრდ. ეკლესიის ჩრდ. ფასადი მიწითაა დაფარული.

შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის ტლანქად დამუშავებული ნატეხი ქვით კირის დულაბზე. წყობა დაბალ პროფ. დონეზეა შესრულებული. წყობაში რიგების სწორხაზოვნება დაცული არ არის. წყობაში ზოგან ლოდებიც კი არის ჩართული – ჩამოთლილი წინა პირით. შიგნით კარ-სარკმელთა თაღებსა და კონსტრუქციულ9 ელემენტებში გამოყენებულია დამუშავებული, მოყვითალო ფერის ფოროვანი ქვა.

მთავარი ეკლესიის ინტერიერის გაფორმების დამახასიათებელი ელემენტებია მძლავრი ორსაფეხურიანი პილასტრები და მათ გერდებზე განლაგებული კედლის ყრუ თაღები.

სამრეკლოს ქვედა ნაწილს შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. მესამე კარი ჩრდ. კედელშია, რ-იც ჩრდ-იდან მიშენებულ სადგომში გადის. სამრეკლოს მეორე სართული სუფთად დამუშავებული მოყვითალო ფერის ქვითაა ნაგები. სიმაღლეში იგი გაყოფილია ორ ნაწილად. მათგან ქვედა მრგვალია და ყრუ კედლითაა შემოფარგლული. ზედა ნაწილი, როგორც ეს შემორჩენილი ნაწილებიდან ირკვევა, წახნაგოვანი ყოფილა და თაღებით გახსნილ ფანჩატურს წარმოადგენდა. გარედან ქვედა ნაწილი დასრულებულია პროფილირებული (თარო და შეწყვილებული ლილვი) ლავგარდნით. მათ შორის ლილვები სადაა, ხოლო თარო დამშვენებულია ერთმანეთთან დაკავშირებული ნახევარწრეებით შედგენილი ზოლით, რ-შიც ზოგ ადგილას სხვა სახეებიც არის ჩართული. ფანჩატურს შესასვლელი დას-იდან აქვს. მის წინ მცირე ბაქანია. შესასვლელის გვერდით (ჩრდ-ით), ზედა ნაწილის თაღების საყრდენ ბოძზე, მოთავსებულია ასომთავრულით შესრულებული ვრცელი წარწერა, რ-შიც მოხსენიებული არიან სამრეკლოს აღმშენებლები – ადგილ. ფეოდალი ქიშვარდ ავალიშვილი და მისი მეუღლე თამარი. სამრეკლოს ბოძების მთელ სიმაღლეზე გამოყვანილი იყო ლილვები. ლილვების ქვემოთ ერთმანეთზე გადაბმული, ამობურცულზედაპირიანი წრიული ელემენტებისგან შედგენილი ზოლია, მის ქვემოთ კი ორ რიგად განლაგებული ქართ.

ხალხ. ავეჯის ორნამენტის სახეებია გამოყვანილი.

არქიტ. ნიშნებით ეკლესია თვალნათლივ ადასტურებს ბორჯომის ხეობის ამ პერიოდის ნაგებობებთან (ნეძვი, ფოთოლეთი, ჩითახევი, გუჯრისხევი) ქრონოლოგიურ სიახლოვეს, სამშენებლო ტექნიკაც ტიპურია, ოღონდ წყობა, სხვა ნაგებობებისგან განსხვავებით, რამდენადმე უხეშია.

ლიტ.: აბულაძე ვ., ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბ., 1983; ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955; ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი), თბ., 1985; გოგოლაძე თ., ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი), თ., 2014; მაკალათია ს., ბორჯომის ხეობა, თბ., 1957, გვ. 37–38; Хоштария Д. Э., Архитектурные памятники IX–X вв. в Боржомском ущелье. Автореферат кандидатской диссертации, Тб., 1987.

თ. დვალი.

ლიკვიდაცია (ლათ. – liquidus) იურიდიული პირისა, იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა უფლებამონაცვლეობის დადგენის გარეშე.

საქართვ. კანონმდებლობის მიხედვით, იურიდ. პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი ლ-ის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. ამ მომენტიდანვე წყდება იურიდ. პირის ვალდებულებები. იურიდ. პირის ლ-ის შესახებ მონაცემი აღინუსხება სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდ. პირების რეესტრში. სამეწარმეო იურიდ. პირის ლ-ის პროცესი იწყება სამეწარმეო საზ-ბის დაშლის რეგისტრაციის მომენტიდან. ლ-ის პროცესში ხელმძღვანელი პირების ნაცვლად საწარმოს ლიკვიდატორები მართავენ. ისინი კრედიტორებს აცნობებენ სამეწარმეო საზ-ბის დაშლას და იწვევენ მათ, რათა განაცხადონ თავიანთი მოთხოვნები. სამეწარმეო იურიდ. პირის ლ-ის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ასევე ეცნობება შემოსავლების სამსახურს, რ-იც მეწარმის საგადასახადო ვალდებულების ვარაუდის შემთხვევაში ატარებს საგადასახადო შემოწმებას. სამეწარმეო იურიდ. პირის დაშლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ საწარმოს პარტნიორები. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას, პარტნიორის განცხადების საფუძველზე სამეწარმეო საზ-ბა შეიძლება დაიშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

იურიდ. პირი შეიძლება დაიშალოს სასამართლოს განაჩენის შედეგად. იძულებითი დაშლის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდ. პირის ლ-ს ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდატორი უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზ-ბის ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. სასამართლო უფლებამოსილია გაათავისუფლოს ლიკვიდატორი ან დანიშნოს ახალი.

ლ-ის პროცესში მყოფი სამეწარმეო საზ-ბის ქონება ნაწილდება პარტნიორთა შორის. თუ ქონება შენატანების დასაბრუნებლად საკმარისი არ არის, ნარჩენი ქონება ნაწილდება წილებთან დაკავშირებული უფლებების შესაბამისად, ხოლო თუკი შენატანები სრულად არ იყო განხორციელებული – შენატანების პროპორციულად. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქონება შეიძლება განაწილდეს სამეწარმეო საზ-ბის ვალდებულებების დაფარვისა და დაშლის შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, თუ არსებობს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ყველა ვალდებულების შესრულების შესახებ და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქონების განაწილება საფრთხეს არ უქმნის მესამე პირთა უფლებებს.

სამეწარმეო საზ-ბის ქონების სრულად განაწილება იწვევს საწარმოს ლ-ის დასრულებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლ-ის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირის რეგისტრაციას განცხადებით განსაზღვრავენ არასამეწარმეო იურიდ. პირის დამფუძნებლები (წევრები). აკრძალულია დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს (წევრებს), ხელმძღვანელ და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. თუ დამფუძნებლებმა (წევრებმა) არ განსაზღვრეს არასამეწარმეო იურიდ. პირის ლ-ის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ამ იურიდ. პირის ლ-ის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე იურიდ. პირს, რ-ებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები.

ი. უჯმაჯურიძე.

ლიკოპოდიუმი (Lycopodium), ლიკოპოდიუმისებრთა ოჯახის მარადმწვანე ბალახოვანი მცენარეების გვარი. სასპორე თავთავები (სტრობილები) კენწრული და მკვრივია. შედგება ღერძისა და სპირალურად განლაგებული სპოროფილებისაგან, რ-თა ზედა მხარეზე მოთავსებულია სპორანგიუმები. 10-მდე სახეობა ძირითადად ჩრდ. ნახევარსფეროს ტყის ზონაშია გავრცელებული. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: L. clavatum და L. annotinum. ლ-ისა და ზოგიერთი მისი მონათესავე გვარის სახეობათა სპორები გამოიყენება სამკურნალოდ და სამსხმელო წარმოებაში.

ი. მიქელაძე.

ლიკოფრონი (Lycophron), ძვ. წ. III ს. ბერძენი პოეტი და გრამატიკოსი, ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელი. შეუთხზავს 11 წიგნის შემცველი ისტ.-ლიტ. გამოკვლევა ,,კომედიისათვის'' და 20-მდე ტრაგედია (მოღწეულია ფრაგმენტები და სათაურები). სრულადაა შემონახული ლ-ის პოეტური თხზულება ,,ალექსანდრა'' ანუ ,,კასანდრა'', რ-იც შეიცავს 1474 იამბიკური ტრიმეტრით გამართულ კარედს. მასში დაცულია მრავალი მითოლ. და ისტ.-გეოგრ. ხასიათის ცნობა. მოხსენიებულია არგონავტების თქმულების შესახებაც: 50 მოგზაურთან ერთად იასონის ჩასვლა ,,ლიგისტიკურ კუტაიაში'' (ქუთაისი), ურჩხულის დაძინება, ცეცხლმფრქვევი ხარების დამორჩილება და ,,მეტყველი კაჭკაჭით'' (ხმალდი ,,არგო'') ცხვრის ტყავის (ოქროს საწმისი) და ,,ნათესავთმკვლელი ჩიტის'' (მედეა) გატაცება; აგრეთვე, მოთხრობილია აიასა და კორინთოს გამგებლის – აიეტის მიერ მედეას საძებნელად გაგზავნილი კოლხების პოლოში დასახლებისა და საიქიოს სამეფოში აქილევსის ,,კუტაიელ'' (ქუთაისელ) ასულზე (მედეა) დაქორწინების ამბავი. თხზულება დაწერილია მეტისმეტად ღვლარჭნილი ენით, რის გამოც ავტორს ,,სკოტეინოსი'' (ბნელი) შეარქვეს. ,,ალექსანდრას'' XI ს. ხელნაწერს დართული აქვს ძვირფას ცნობათა შემცველი სქოლიოები, რ-თა საფუძველზე, აგრეთვე სხვა წყაროთა გამოყენებით დაიწერა ,,ალექსანდრას'' განმარტებები. მათ ავტორობას *იოანე ცეცეს* მიაწერენ.



ლიკოპოდიუმი. Lycopodium clavatum.



ლიკოპოდიუმი. Lycopodium annotinum.

ლილე, მზის ღვთაება სვანურ მითოლოგიაში. მის შესახებ რა-

იმე ჩამოყალიბებული მითი არ შემონახულა, თუმცა Ლ-სადმი მიძღვნილი სასიმღერო ჰიმნის (იხ. *„ლილე“*) შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ იგი სინათლის უძველესი წარმართული ღვთაებაა – შუმერების ენლილის, ეგვიპტელთა რას და ბერძენთა ფებოსის მსგავსი. გავრცელებული ვერსიით სვანური Ლ. უფრო მეტად შუმერულ ენლილის უკავშირდება.

ზ. ეკალაძე.

„ლილე“, „ლილეო“, რელიგიურ-რიტუალური შინაარსის უძველესი სვანური ფერხული, შექმნილი მზის სადიდებლად. მასში ხალხი აქებს და ადიდებს მზეს, სწირავს მას „ოქროსრქებიან ხარებს და დაგრეხილრქებიან ყოჩებს“. ფერხულს ასრულებს ნებისმიერი რაოდენობის ქალ-ვაჟი ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი საწესჩვეულებო სიმღერა-საგალობლის თანხლებით, რ-ის მუს. ზომაა 6/8. ქრისტიანობის გავლენით ჩვენამდე მოღწეული საგალობლის ტექსტი მთავარანგელოზის ან დიდი ღმერთისადმი (ხოშა ღერბეთ) მიძღვნილ ქებას წარმოადგენს. არსებობს მოსაზრება, რომ საკულტო სახელი „Ლ.“ ბიბლიური ალილუიადან მომდინარეობს.

ლიტ.: თათარაძე ა., ძველი ქართული (სვანური) ფერხულები, თბ., 1976; ხარძიანი მ., რელიგიური სინკრეტიზმი სვანურ რიტუალებსა და ტრადიციულ მუსიკაში, კრ.: ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საკითხები, ბათ., 2020.

ა. თათარაძე.

ლილო, სოფლების *დიდი ლილოსა* და *პატარა ლილოს* გავრცელებული სახელწოდება.

„ლილო მოლი“ (შპს), ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო-კომერციული ცენტრი სამხრეთ კავკასიაში როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის სფეროში. დაფუძნდა 1991 თბილ. აღმ. ნაწილში, ღილოს დასახლებაში „ელსავაკოს“ სახელწოდებით. 2011-იდან ეწოდა „Ლ. მ.“ ამჟამად მას ეკუთვნის 35 ჰა-ზე განლაგებული სავაჭრო კომპლექსი 6 ათასამდე სავაჭრო ობიექტით და 4 ათასამდე დასაქმებული მეწარმით. კომპანია საკუთრებაში არსებულ სავაჭრო ფართობს გასცემს იჯარით. 2015 ამოქმედდა საბაჟო-სასაწყობო ტერმინალი, რ-იც აკმაყოფილებს ტვირთის მიღების, განბაჟების, დასაწყობებისა და სხვა პროცედურათა განხორციელების სტანდარტებს. „Ლ. მ.“, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, ჩამოყალიბდა როგორც სავაჭრო ჰაბი, სადაც ქართველებთან ერთად თურქი, აზერბაიჯანელი, სომეხი და სხვა ეროვნების მცირე მეწარმეები საქართვ. მეზობელი ქვეყნებიდან ახდენენ ძირითადად საყოფაცხოვრებო, ასევე სამშ.-სარემონტო და სხვა დანიშნულების ფართო ასორტიმენტის პროდუქციის რეალიზაციას, რ-იც მიეწოდება არა მხოლოდ საქართვ. რეგიონებს, არამედ სამხრ. კავკასიის ქვეყნებს. პროდუქციის მრავალფეროვანმა არჩევანმა, ხელმისაწვდომმა ფასებმა და როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობის შესაძლებლობამ განაპირობა კომერციული ცენტრის წარმატება. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში არსებული ბაზრებისა და ბაზრობების შემოსავლებში „Ლ. მ-ის“ წილი მეხუთედზე მეტია (22%).

ორგანიზაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ლ. აბრამიშვილი.



სავაჭრო-კომერციული ცენტრი „ლილო მოლი“.

ლილოს არქეოლოგიური ძეგლები, ბრინჯაოს ხანის გორასამარხები თბილისის აღმ-ით, სადგურ ლილოსთან. გათხარეს 1962–63 (საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიცია). შესწავლილია შუა ბრინჯაოს ხანის (დაახლ. ძვ. წ. XVII–XVI სს.) დიდი ქვა-მიწაყრილიანი გორასამარხი დასაკრძალავი ორმოთი, სადაც აღმოჩნდა ე. წ. თრიალეთური ტიპის კერამიკა, ბრინჯაოს იარაღი (მ. შ. ეგეოსური ტიპის ბრინჯაოს საძგერებელი გრძელი მახვილი), ოქროსა და სხვა მასალის სამკაული, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. ადამიანის ძვლები არ აღმოჩენილა, რაც შესაძლოა დაკრძალვის კრემაციულ წესზე მიუთითებდეს. გათხარეს აგრეთვე შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანდელზე გარდამავალი ხანის (დაახლ. ძვ. წ. XVI ს. დასასრ. – XIV ს.) მომცრო ზომის ქვაყრილიანი (დიამეტრი 10–12 *მ*) 8 გორასამარხი დასაკრძალავი ორმოებით, სადაც აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხი ანდა ძვლები. სამარხთა ნაწილი უინვენტარო იყო, ნაწილში ნაპოვნია თიხის (შავპრიალა, ჰორიზონტალურხაზებიანი მოყავისფრო) ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევრები (2 ც.), სამკაული (ოქროს, ქვისა და პასტის მძივები, 1 ოქროს ხვია), წვრილფეხა საქონლის ძვლები. აღმოჩენილი მასალა შესაძლოა გარკვეულ ეთნ. ცვლილებას გამოხატავდეს.

ლიტ.: ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973; Гогадзе Э. М., Курганные погребения Лило, „ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1976, ტ. 32.

ე. გოგაძე.

ლილოს განძი, სპილენძის ქართული მონეტების განძი (300 ც-მდე) „არაწესიერი ჭედისა“. ნაპოვნია 1937 სოფ. პატარა ლილოში (მარტყოფის მუნიციპ.). განძის შედგენილობა ასეთია: მეფე გიორგი III-ის (1156–84) – 44 ც., მეფე თამარის (1184–1207/13) – 90 ც., გიორგი IV ლაშასი (1210–23) – 100 ც; მათი თანამედროვე აღმოსავლური ფულის უმნიშვნელო მინარევი: აზერბაიჯანელი ილდეღიზიდი მმართველების და დარუბანდის ამირა მუზაფარ იბნ მუჰამედ იბნ ხალიფეს – 15 ც., სელჩუკი რუმის (XIII ს.) – 1 ც., დერბენდის ემირის – 2 ც., გაურკვეველია – 27 მონეტის კუთვნილება.

განძი XIII ს. II ნახევარში უნდა იყოს ჩამარხული.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Капанадзе Д. Г., Клад монет XII–XIII вв. из сел Ничбиси, ,,Вестник Гос. Музея Грузии", 1969, в. 28; Пахомов Е. А., О Дербендском княжестве XII–XIII вв., Известия АзГНИИ историко-этнографическое и археологическое отделение, т. 1. Б., 1930.

ლილუაშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე (10. V. 1928, სოფ. შუაგორა, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 30. VIII. 2007, თბილისი), იურისტი (სამოქალაქო საპროცესო სამართალი), იურიდ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1973). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1949). 1958-იდან მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე – იყო საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართ. ინ-ტის სამოქალაქო სამართ. განყ-ბის გამგე (1970–93), სახელმწ. და სამართ. ინ-ტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (1993–94), ამავე ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1995–2007), საქართვ. იუსტიციის სასწ. ცენტრის დირექტორი (1996–98), საქართვ. უზენაესი სასამართლოს მეცნიერ-კონსულტანტი (1998–2007), საქართვ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტის შემმუშავებელი კომისიის, აგრეთვე სამართ. რეფორმის სახელმწ. კომისიის თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2003).

თხზ.: სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, თბ., 2002; სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005; აპელაცია სამოქალაქო პროცესში, თბ., 2005; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, გამოც., მე-2, თბ., 2007 (თანაავტ.).

გ. ლილუაშვილი.

ლიმონი (Citrus limon), მრავალწლოვანი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე ციტრუსოვანთა გვარის ტეგანისებრთა ოჯახისა. ლ-ის ხის სიმაღლე 3–7 *მ* აღწევს. აქვს ეკლებიანი ტოტები, ღია მწვანე ლანცეტისებრი ან კვერცხისებრი, კიდედაკბილული, ტყავისებრი მოგრძო ფოთლები. ყვავილი ორსქესიანია – თეთრი, არომატული. ნაყოფი მრავალბუდიანი კენკრაა, სიგრძე – 6–7 *სმ*, დიამეტრი – 5–6 *სმ*, ნაყოფის ქერქი 2–5 *მმ* სისქისაა, ყვითელი, გლუვი ან ხორკლიანი, ზეთოვანი ჯირკვლებით მოფენილი. აქვს დამახასიათებელი არომატი. რბილობი მომწვანო-მოყვითალოა, წვრილმარცვლოვანი, წვნიანი, ძალიან მჟავე. ღია ფერის გლუვი თესლი ნაყოფში დაახლ. 20 *ცალი* ან მეტია. ლ. სითბოს და სინათლის მოყვარული მცენარეა, ციტრუსოვან მცენარეთა შორის ყველაზე მეტად უყვარს ტენი. მისი სამშობლოა სამხრ.-აღმ. აზია. ველურად მზარდი შენიშნული არ არის. მოშენებულია ხმელთაშუა-ზღვისპირეთში, აშშ-ის, მექსიკის, არგენტინისა და სხვ. სუბტროპ. ზონებში. ღია გრუნტში ლ-ის მოშენება ხდებოდა კავკ. შავი ზღვის სანაპიროზე (საქართველოში, განსაკუთრებით აჭარისა და აფხაზეთის რეგიონებში), აზერბაიჯანსა და შუა აზიაში. ლ. მოჰყავთ ტრანშეებში, ხარობს ოთახის პირობებშიც. ლ-ის ნაყოფი შეიცავს (%-ობით) მჟავებს (3,5–8,1 უმთავრესად ლიმონის), შაქრებს (1,9–3), C ვიტამინს (45–140 *მგ* 100 *გ*-ში), აგრეთვე P და B ვიტამინებს, პექტინოვან



ლიმონი.

ნივთიერებებს, კრინის მარილებს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს. ამრავლებენ მყნობით და კალმით. იყენებენ ნედლად, წვენების წარმოებაში, ლ-ის მჟავად და სხვ. ლ. მსხმოიარობს მე-3-მე-4 წელს. მოსავალი ერთი ხიდან 150–300 ნაყოფია.

საქართველოში მოჰყავთ და ინტროდუცირებულია ლ-ის შემდეგი ჯიშები: ახალქართული, ქართული ლიმონი, მეიერი, ვილა-ფრანკა, დიოსკურია, კომუნე ჩვეულებრივი, ევრიკა, ჯენოა, უეკლო, ლისბონი და სხვ. აჭარის რეგიონში ლ-ის განვითარებისთვის საუკეთესო ბუნებრივი პირობებია. ლ-ს აქვს სამკურნალო თვისებები. უნიკალური შედგენილობის გამო აქვს შარდმდენი, ნაღველმდენი, ანტიტოქსიკური, ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიოლოგიური და სხვ. ეფექტი. ლ. სასარგებლოა ღვიძლის, ნაღვლკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, სასუნთქი გზების ვირუსული პათოლოგიების, ავიტამინოზის, ათეროსკლეროზის, არტერიული ჰიპერტენზიის და სხვა დაავადებების დროს. ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც.

ლ-ის მავნებლებისა და დაავადებების შესახებ იხ. სტ. *ციტრუსოვანი კულტურები.*

ლიტ.: კუტუბიძე ვ., ლიმონის კულტურა აჭარაში, ბათ., 2003; ლეკვეიშვილი ი., ციტრუსოვანთა წარმოების მეცნიერული საფუძვლები, ნაწ. 1–2, თბ., 1978–79; მჭედლიძე მ., ლიმონი, თბ., 1948; ჯაბნიძე რ., სუბტროპიკული კულტურები, ბათ., 2018.

ი. ლეკვეიშვილი.
რ. ჯაბნიძე.

ლიმონის ხმელა, იხ. *მალსეკო.*

ლინგვისტიკა, იხ. *ენათმეცნიერება.*

ლინდა, სოფელი აფხაზეთის არის სოხუმის მუნიციპალიტეტში (კელასურის თემი), აფხაზეთის მთისწინეთში; მდ-ების – კელასურისა და ჩალბაშის შუამდინარეთში. ზ. დ. 240 *მ*, სოხუმიდან 9 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლინდე ვლადიმერ ვლადიმერის ძე [25. V (6. VI). 1878, პორხოვი, ფსკოვის ოლქი, – 14. VIII. 1956, მოსკოვი], მეცნიერი საფეიქრო მრეწველობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1930), პროფესორი (1916). ხელმძღვანელობდა რუს. მეაბრეშუმეთა საზ-ბას (1913-იდან), შემდგომ – საკავშირო სოფ. მეურნ. აკადემიის მეაბრეშუმეთა სექციას, საფეიქრო მრეწვ. სამეცნ.-ტექ. საზ-ბას და სხვ. ლ-მ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში მეაბრეშუმეობის სამეცნ.-კვლ. საქმიანობის განვითარებას და საფეიქრო მრეწველობისათვის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას. მიღებული აქვს მრავალი სახელმწ. ჯილდო.

თხზ.: Учение о шелке, 2 изд., М. – Л., 1940; Технология шелка, М., 1951 (თანაავტ.: П.А.Осипов).

ლინი, საჟღარუნებელ საკრავთა ჯგუფის უძველესი მუსიკალური ინსტრუმენტი. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით – ,,რვალის საჩხარუნებელი დიდი". ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი ,,გონგისაებრ ცალად ასახმაურებელ თეფშად უნდა ვიგულისხმოთ". საკრავის მთავარი დანიშნულებაა მუს. ნაწარმოების მეტრ-რიტმის გამახვილება, მისი ნაირსახეობით წარმოდგენა.

ლინოგრავიურა [ლინო(ლეუმი) და გრავიურა], ამობურცული გრავიურა ლინოლეუმზე ან მსგავს მასალაზე; ჰგავს ქსილოგრაფიას. წარმოიშვა XX ს. დასაწყისში.



ჯ. ლოლუა. ილუსტრაცია ნოდარ დუმბაძის წიგნისთვის „მე ვხედავ მზეს“, 1967. ლინოგრავიურა.

იყენებენ როგორც შავ-თეთრს, ასევე ფერად ლ-ს. XX ს. შუა წლებში ლ-ის რამდენიმე სკოლა შეიქმნა. ლ. განსაკუთრებით განვითარდა ლათ. ამერიკაში, კერძოდ, მექსიკაში, „ხალხური გრაფიკის სახელოსნოს“ გრავიორთა შემოქმედებაში (ლ. მენდესი, ა. ბელტრანი და სხვ.), ბრაზილიაში – „გრავიურის მეგობართა კლუბის“ ოსტატთა ხელოვნებაში (კ. სკლიარი, რ. კაცი, ვ. პრადუ და სხვ.), არგენტინაში (ა. ვიგო და ნ. ონოფრიო), ჩილეში (კ. ერმოსილია ალვარესი). ლ-ს მიმართავდნენ: ა. მატისი და პ. პიკასო (საფრანგეთი), ფ. მაზერელი (ბელგია), ე. პაკარდი და ბ. რენდოლი (აშშ), პ. ნილსენი (დანია), ი. სოკოლოვი, ვ. ფავორსკი (რუსეთი); საქართველოში – რ. თარხან-მოურავი, ჯ. ლოლუა, დ. ნოდია, გ. ღლონტი და სხვ.



ა. თევზაძე. „გაზაფხული“, 1973. ლინოგრავიურა.

ლიონიძე ვასილ დიმიტრის ძე (17. VIII. 1864, სოფ. სასირეთი, გორის მაზრა, – 1929, თბილისი), გენერალ-მაიორი (1917). 1881 დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, 1885 – თბილ. იუნკერთა სასწავლებელი. 1885–1914 მსახურობდა 152-ე ვლადიკავკაზის ქვეით პოლკში, რაჭის მაზრის უფროსად და ბათუმის მაზრის სამხ. უფროსად, 1909-იდან – გრენადერთა მე-14 ქართულ პოლკში პოდპოლკოვნიკად. პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა 1911. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1914–16 მეთაურობდა 118-ე ქვეით სათადარიგო ბატალიონს, 1917–18 – კავკასიის ფრონტის 222-ე ქვეით პოლკს. 1918–21 მსახურობდა ქართულ ჯარში არმიის სამხედრო-საინსპექციო განყ-ბის უფროსად.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

ლიონიძე სოლომონ ანდრიას ძე (1754, სოფ. კონდოლი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 1811, ახალციხე, დაკრძალულია იქვე), სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მწიგნობარი, მჭევრმეტყველი. ლ-ის მამა თელავის კარის ეკლესიის დეკანოზი იყო. ლ-მ განათლება თელავის სამეფო კარის სკოლაში მიიღო, სადაც სომხ., სპარს., თურქ. და რუს. ენებს დაეუფლა. XVIII ს. 80-იანი წლებიდან 1801-მდე იყო ქართლ-კახეთის სამეფოს კარის მსაჯული – მდივანბეგი. იღვწოდა ქვეყნის სოც.-პოლიტ. და კულტ. პროგრესისათვის. ირან-ოსმალეთის ძალადობისაგან ხსნის პირობად პოლიტიკურად დაშლილი საქართვ. გაერთიანებასა და ცენტრ. ხელისუფლების გაძლიერებას მიიჩნევდა. უშუალოდ მონაწილეობდა 1783 გეორგიევსკის ტრაქტატის შედგენასა და გაფორმებაში. მისი ინიციატივით დაიდო *საქართველოს სამეფო-სამთავროების ტრაქტატი 1790* („ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოებისთვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს 1790 წელსა“).

შინა მტრობის შედეგად ერეკლესა და ლ-ს შორის 1796 მცირე ხნით უთანხმოება ჩამოვარდა. ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1798) ლ. ერთხანს ისევ ქართლ-კახეთის პოლიტ. ცხოვრებაში მონაწილეობდა. 1801 ლ. დააპატიმრეს, რადგან აკრიტიკებდა დავით ბატონიშვილს (გიორგი XII-ის შვილი). 1802-იდან იმერეთის სამეფოს შეაფარა თავი და სოლომონ II-ის დიდი ნდობა დაიმსახურა. 1803 ლ. მეფემ დიპლ. მისიით მიავლინა რუსეთში, ალექსანდრე I-ის კარზე. ლ-ის დიპლ. პროექტი ითვალისწინებდა გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი მფარველობითი ხელშეკრულების დადებას რუს. იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის, ამასთანავე, სოლომონ II-ს უნდა დამორჩილებოდა დას. საქართვ. ყველა სამთავრო; იმერეთი გაერთიანებული დას. საქართვ. სამეფოს სახით უნდა შესულიყო რუსეთის მფარველობაში. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. 1804 იმერეთში დაბრუნებული ლ. ერთხანს სამეფო საქმეებს ასრულებდა. 1810, იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებისა და სოლომონ II-ის თურქეთში გაქცევის შემდეგ, ახალციხეში გადავიდა.

ლ-ის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შემოგვრჩა სამი ორატორული თხზულება: „მიმართვა პავლე პირველისადმი“ (1796), „შესხმა ალექსანდრე პირველისა“ და „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარისა ღირსისა“ – ერეკლე II-ის გარდაცვალების გამო წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა (1798, პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1877, № 1; თარგმნილია რუს. ენაზე).

ლიტ.: გიღიკაშვილი მ., იმერეთი XVII–XIX სს. მიჯნაზე, თბ; 1978; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; იოსელიანი პ; ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა თბ; 1978; რუხაძე ტ., სოლომონ მსაჯული, „ლიტერატურული ძიებანი“, 1947, [ტ.] 3; ჭიჭინაძე ზ., სოლომონ ლიონიძე მსაჯული, ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა, ტფ., 1910.

მ. დუმბაძე.
გ. იმედაშვილი.

ლიპარიტ I ბაღვაში, კლდეკარის საერისთავოს პირველი ერისთავი. სამთავროებს შორის პირველობისათვის ატეხილი ბრძოლის გამო IX ს. 80-იან წლებში დატოვა ბაღვაშთა მამულობითი სამფლობელო არგვეთი და გადავიდა თრიალეთში, სადაც ქართ-

ლიდან ჯავახეთისკენ მიმავალ გზაზე, თრიალეთის ქედის უღელტეხილზე, ე. წ. კლდეკარში ააგო ციხე და საერისთავო დააარსა. ლ. I-მა თავის პატრონად ცნო (,,იპატრონა'') დავით ბაგრატის ძე კურაპალატი (876–881) და მხარი დაუჭირა მას გვარამ (გუარამ) მამფლის (გ. 882) ძის ნასრის (გ. 888) წინააღმდეგ ბრძოლაში. ლ. I-ის დახმარებით ნასრა განდევნეს კონსტანტინოპოლში. შემდგომში კურაპალატის ახლოს მდგომთა შორის ლ. I აღარ ჩანს.

წყარო: მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

ლიპარიტ II ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი X ს. შუა წლებში. მისი მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ შემორჩენილა. იხსენიება ,,მატიანე ქართლისაჲში'', როგორც რატი I-ის მამა.

წყარო და ლიტ.: იხ. სტ-თან ლიპარიტ I ბაღვაში.

ლიპარიტ III ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი XI ს. 20-იან წლებში, რატი I-ის ძე. მის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. როგორც ვარაუდობენ, დაიღუპა 1022, ქართველთა ომის დროს ბასილი კეისრის წინააღმდეგ.

წყარო და ლიტ.: იხ. სტ-თან ლიპარიტ I ბაღვაში.

ლიპარიტ IV ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი XI ს. 30–60-იან წლებში, *ლიპარიტ III-ის* ძე. ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანობის პერიოდში საქართველოს ფაქტობრივი გამგებელი იყო ქართლის ერისთავ ივანე აბაზასძესთან ერთად. 1028 ლ. IV-მ დაამარცხა ბიზანტიის კეისარ კონსტანტინეს მიერ საქართველოს ასაოხრებლად გამოგზავნილი ლაშქარი. შემდეგ კი ივანე აბაზასძესთან ერთად მეთაურობდა საქართვ. შეერთებულ ლაშქარს, რ-მაც მდ. ეკლეცთან სძლია საქართვ. მეფის ყმობისაგან თავდახსნილი განძის ამირა ფადლონის ჯარს. 1032 ლ. IV-მ დაატყვევა თბილ. ამირა და ბირთვისის ციხე წაართვა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე დიდაზნაურთა რჩევით მეფემ ტყვე გაათავისუფლა, იყმო და ამირადვე დატოვა. 1037–38 ლ. IV-ის ჩაგონებით ბაგრატ IV-ის ლაშქარი კახთა მეფის ჯვართან ერთად თბილისს შემოადგა. 2 წლის ალყის შემდეგ ბაგრატ IV ლ. IV-ის უკითხავად ამირას დაუზავდა. ამით განაწყენებული ლ. IV საბოლოოდ გაუორგულდა მეფეს, დაუკავშირდა ბიზანტიას, რ-მაც მალე იგი დამხმარე ლაშქრით, დიდძალი ფულითა და საქართვ. სამეფო ტახტის მაძიებელი დემეტრე გიორგის ძის თანხლებით ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოგზავნა. ლ. IV-მ ალყა შემოარტყა სამეფო ციხე ატენს, მაგრამ შემდეგ საქმე გართულდა და იგი ბაგრატ IV-ს დაუზავდა. მეფემ ლ. IV-ს ქართლის ერისთავობა უბოძა, მაგრამ იგი აგრესიული ბიზანტ. აგენტი იყო და აშკარად თუ ფარულად საქართვ. გაერთიანება-გაძლიერებას ებრძოდა. მან ერთ-ერთი ბრძოლის დროს გამოიხსნა ბაგრატ IV-სთან მძევლად მყოფი თავისი შვილი ივანე, შემდეგ სასირეთის ჭალაში ბრძოლისას მეფე დაამარცხა კიდეც. 1048 ლ. IV მონაწილეობდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ბიზანტ. მხარეზე. თურქებმა სძლიეს ბიზანტიელებს, ლ. IV კი ტყვედ ჩავარდა. 1051 იგი გაათავისუფლეს ტყვეობიდან და საქართველოში დაბრუნდა. აქ ბიზანტიის მხარდაჭერით კვლავ მომძლავრდა და 1054 ბიზანტიის კეისრის მოთხოვნით მთელი სამხრ. საქართვ. მთავარი გახდა. 1058 მეფის ერთგულმა მესხმა აზნაურებმა სულა კალმახის ერისთავის მეთაურობით ლ. IV შეიპყრეს და მეფეს მიჰგვარეს, რ-მაც ორგული ფეოდალი იძულებით ბერად შეაყენა. ამის შემდეგ ბერი ანტონი (ლიპარიტყოფილი) ბიზანტიაში გადაიხვეწა. კონსტანტინოპოლში ლ. IV ლიტ. მოღვაწეობას ეწეოდა. შემორჩენილია მისი ზოგიერთი თხზულება. ,,მატიანე ქართლისაჲს'' ცნობით ლ. IV გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, საიდანაც საქართველოში ჩამოუსვენებიათ და კაცხში დაუკრძალავთ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, თბ., 1955.

ლიტ.: კახაძე მ., ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, ,,ენიმკის მოამბე'', 1944, ტ. 14; კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი.

ლიპარიტ V ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი XI ს. 90-იან წლებში, ივანე II ბაღვაშის ძე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას ამირადაც მოიხსენიებს. 1093 ლ. V საქართვ. სამეფო კარის წინააღმდეგ გამოვიდა. დავით აღმაშენებელმა თავგასული ქვეშევრდომის ,,ინება გაწურთა'' და შეიპყრო იგი. რამდენიმე ხნის შემდეგ ლ. V, ,,მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ'', მეფემ გაათავისუფლა და ყველა მისი უფლება უცვლელი დატოვა. როგორც ჩანს, ლ. V-მ თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართვ. მეფეს კვლავ გაუორგულდა – ,,განაცხადა მტერობა და უკეთურობასა იწურთიდა''. დავით აღმაშენებელმა კვლავ შეიპყრო ლ. V და 2 წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა (1096). გარდაიცვალა იქვე.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი.

ლიპარიტ I დადიანი, ოდიშის ერისთავი 1414–70, მამია II დადიანის ძე. ერისთავობა მიიღო საქართვ. მეფის, ალექსანდრე I-ისგან (1412–42). ლ. I დ-ის დროს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ოდიშის დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბებისათვის. იგი იმერეთის ერისთავ ბაგრატს (შემდგომში ბაგრატ VI) დაეხმარა ჩიხორის ბრძოლაში (1463) საქართვ. მეფის, გიორგი VIII-ის წინააღმდეგ, რისთვისაც დას. საქართვ. სხვა ერისთავებთან ერთად გათავისუფლდა ყოველგვარი სამეფო ვალდებულებისაგან, გარდა წვევისა და ლაშქარ-ნადირობისა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

თ. ბერაძე.

ლიპარიტ II დადიანი, ოდიშის ერისთავი 1482–1512, შამადავლე დადიანის ძე. აქტიურად ეხმარებოდა ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს იმერეთის მეფის, ალექსანდრე II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა ალექსანდრე II

იმერეთის სამეფო ტახტზე საბოლოოდ განმტკიცდა (1488), ლ. II დ. იძულებული გახდა მას დამორჩილებოდა.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან ლიპარიტ I დადიანი.



ვ. ლიპარტელიანი.

ლიპარიტ III დადიანი, ოდიშის მთავარი 1657–58, ლევან II დადიანის ძმის – იესეს ძე. ოდიშის მთავარი გახდა ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ. ლ. III დ. იმერთა მეფე ალექსანდრე III-მ (1639–60) გადააყენა და მთავრად დასვა ვამეყ IV დადიანი. ლ. III დ. შეეცადა ქართლის მეფე როსტომის, ახალციხის ფაშისა და გურიელის დახმარებით დაებრუნებინა ტახტი, მაგრამ ბანძის ბრძოლაში (1658) დამარცხდა, თავად კი ბრძოლაში დაიღუპა.

წყარო: მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1980; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წგ. 2, ტფ., 1897.



ი. ლიპარტელიანი.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973; ჯოჯუა თ., აფხაზეთის კათოლიკოსი იალარიონი (1657–1658, 1669/1672–1673 წწ.), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, [წგ.] 10–11, ნაწ. 2, თბ., 2011.

თ. ბერაძე.

ლიპარიტიანი გიორგი, ოდიშის სამთავროს რეგენტი 1611–20, *ლევან II დადიანის* ბიძა. ლევანის მცირეწლოვნების დროს განაგებდა სამთავროს. როგორც სალიპარტიანოს გამგებელი და ოდიშის სამთავროს უმაღლესი მოხელე, ატარებდა ლიპარტიანის ტიტულს. მისი მმართველობისას სამეგრელოში მშვიდობა დამყარდა, მოსახლეობა გამრავლდა. კეთილი ურთიერთობა ჰქონდა იმერეთთან და გურიასთან. ა. ლამბერტი მის შესახებ წერდა: ,,იყო კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი‘‘. რეგენტობის შემდეგაც ერთხანს აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს საქმეებში. ლ. მოულოდნელად გარდაიცვალა (დაახლ. 1624–25) მას შემდეგ, რაც ძმისშვილმა, სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა, ცოლი წაართვა და სამეგრელოში საქმე შინაომამდე მივიდა.



ო. ლიპარტელიანი.

ლიტ.: ბერაძე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ,,საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული‘‘, 1964, ტ. 2; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

ლიპარიტისუბანი, იხ. *ლამაზი საყდარი.*

ლიპარიტისძეები, მამის სახელის ან გვარსახელის აღმნიშვნელი ფორმა ბაღვაშთა საგვარეულოში, რ-იც ფიქსირებულია X–XI სს ნარატიულ, ეპიგრაფიკულ და სხვ. წყაროებში – ,,ბაღუაში, რომელი იყო ლიპარიტისძე‘‘ (ვახუშტი).

ლიტ.: ბაღვაში, სამეცნიერო კრებული, თბ., 2021.

ლიპარტელიანი ვარლამ გურამის ძე (დ. 27. II. 1989, ლენტეხი). სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (2016, რიო-დე-ჟანეირო). ევროპის სამგზის ჩემპიონი (2012, 2014, 2016), მეორე (2009, 2010, 2013. 2021) და მესამე (2011) პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი (2010, 2012–14, 2016), მესამე პრიზიორი (2011) გუნდურ შეჯიბრში. ევროპის თამაშების მეორე პრიზიორი (2015, 2019) და ასევე მეორე პრიზიორი გუნდურ შეჯიბრში (2015). მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის მეორე (2013, 2017–18) და მესამე (2014, 2015, 2021) პრიზიორი. მსოფლიოს ჩემპიონი (2008, 2013) და მესამე პრიზიორი (2014) გუნდურ შეჯიბრში. მსოფლიოს თასის ხუთგზის მფლობელი (2008–10, 2012, 2017). ,,დიდი მუზარადის‘‘ ხუთგზის გამარჯვებული (2012–13, 2015, 2018–19) და მეორე პრიზიორი (2022). მსოფლიო ჩემპიონი (2008) და ევროპის ორგზის ჩემპიონი (2007–08) ახალგაზრდებს შორის.

ლიპარტელიანი იოსებ ჯიბიბალოს ძე (დ. 3. II. 1971, სოფ. ხოფური, ლენტეხის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1996, ატლანტა); ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1993), ევროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1996). საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული. სამბოში ევრ. ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1993).

ლიპარტელიანი ოთარ ანტონის ძე (დ. 3. XII. 1932, სოფ. კახურა, ლენტეხის მუნიციპალიტეტი), აგრონომი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1990), საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1994). 1955 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. ლ. ეწოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-სა (1976–78) და საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (1979–89) სელექცია-გენეტიკის განხრით. 1985 მიიღო პირველი ხარისხის დიპლომა მეცნ. მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის. 1986 გადაეცა საქართვ. სახელმწ. პრემია სიმინდის მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდის, ქართ. 9-ის გამოყვანისა და დანერგვისათვის. 1986-იდან მუშაობდა საქართვ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მცხეთის სასელექციო სადგურში, 1993–2004 იყო ამავე სადგურის დირექტორი. 2013-იდან – სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. სამეცნ. საბჭოს წევრი, 2014-იდან – საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნ.-კვლ. ცენტრის მარცვლეული კულტურების სამსახურის მთ. სპეციალისტი. ლ. მუშაობს ერთწლოვანი კულტურების სელექციისა და გენეტიკის საკითხებზე. მისი ავტორობითა და თანაავტორობით გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილია სიმინდის 8 ჰიბრიდი და 1 ჯიში, მ. შ. 2 ჰიბრიდი გასავრცელებლად დაშვებულია ჩრდ. კავკასიაში, შუა აზიაში, უკრაინასა და სამხრ. რუსეთში. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოს, მრავალი გამოგონებისა და პატენტის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: სიმინდის მეთესლეობა საქართველოში, თბ., 1965; ჰიბრიდული სიმინდის სელექცია საქართველოში, თბ., 1974; სიმინდი საქართველოში, თბ., 2014.

ლიპარტელიანი როლანდ რამინის ძე (დ. 20. II. 1951, სოფ. კახურა, ახლანდ. ლენტეხის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალმაიორი (1998), საქართვ. შსს დამს. მუშაკი (2001). საქართვ. შსს დეპარტამენტის თავ-რის I მოადგილე (1997–98), შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (1998–99), სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თავ-რე (2000).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

ლიპარტია ზურაბ შალვას ძე (დ. 5. VIII. 1947, სოფ. რუხი, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ეკონომისტი. აფხაზეთის მეცნ. ეროვნ. აკად. წევრი (2001), ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000), პროფესორი (2000). დაამთავრა ლენინგრადის (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი) სატყეო-ტექ. აკად. საინჟინრო-ეკონ. ფაკ-ტი (1972). მუშაობდა საქართვ. ,,ენგურჰესმშენის‘‘ სამრეწვ.-საწარმოთა გაერთიანების გენ. დირექტორის მოადგ-

იელედ (1973–87), აფხაზეთის მ. გორკის სახ. სახელმწ. უნ-ტში (ამჟამად – სოხუმის სახელმწ. უნ-ტი) ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტზე (1987–2007). შეთავსებით ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. საბაჟო აკადემიაში (2000–06), ახალციხის სახელმწ. ინ-ტში (2007–13, ამჟამად – სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტი). იყო აფხაზეთის მეცნ. აკადემიასთან არსებული სასწ.-სამეცნ. დაწესებულება შპს ,,აესას'' რექტორი (2002–07). 2009-იდან სტუ-ის სრული პროფესორია.

ლ. ავტორია სამეც. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება საქართვ. რეგიონების სოც.-ეკონ. განვითარების პრიორიტეტების, აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშ. სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პრობლემების კვლევას.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: კორპორაციული ფინანსები (თეორია, პრაქტიკა, სტრატეგიები), ტ. 1–2, თბ., 2012–13 (თანაავტ.); ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში, თბ., 2017; ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია, თბ., 2017; ბიზნესის ანალიზი (შეფასება და განვითარების პროგნოზირება), თბ., 2020; სტრატეგიული მენეჯმენტი, თბ., 2022.

ლიპი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ჭივჭავის თემი), მდ. ასლანკის (ხრამის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1080 *მ.* თეთრი წყაროდან 7 *კმ.* 2014 მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობა არ აღემატება 10 კაცს.

ლირა, იხ *ქნარი.*

ლირიკა (ბერძნ. Lyra – მუს. საკრავი, რომლის თანხლებით ასრულებდნენ სიმღერებს, კითხულობდნენ ლექსებს და სხვ.), მხატვრული ლიტერატურის გვარი, რ-იც ეპოსის და დრამისგან განსხვავდება როგორც მხატვრული მასალის ორგანიზაციის, ისე გამოსახვის მასალისადმი დამოკიდებულების პრინციპით. ამ პრინციპის პირველი კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არისტოტელეს ,,პოეტიკაშია'' მოცემული. არისტოტელე ლ-ს დრამისა და ეპოსისაგან ასხვავებდა მიმეზისის (მიბაძვა, ხორცშესხმა, დამსგავსება) შედეგად აღბეჭდილი თავისებურებების საფუძველზე. კერძოდ, მიაჩნდა, რომ ლ-ში პოეტის განცდა მუდმივია და აუცილებელი. ლ-ს, როგორც ლიტერატურის გვარს, ემოციურობის, გრძნობის გამოხატვის განსაკუთრებულობა განსაზღვრავს. იგი ადამიანის კონკრეტულ მდგომარეობასა და განწყობას ისე გვიხატავს, რომ არ საჭიროებს მოვლენათა იმ მრავალმხრივობის ჩვენებას, რ-ის გარეშეც ეპოსისა და დრამის გმირი მოკლებული იქნებოდა სიტუაციურ გარემოს. გალაკტიონის სტროფი – ,,ჩემი გული ია დღეს ეს შავი ზღვა, თავმიდებული აჭარის კალთებს, რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა, თქვენს მშვიდობიან ასცდეს ხომალდებს'' – სავსებით ცხად სურათს გვიხატავს პოეტის სულიერი მდგომარეობის, მისი უკვე დასრულებული განწყობისა და გარე სინამდვილესთან დამოკიდებულების ხასიათზე. ამ სურათსა და განწყობაში იკვეთება ხასიათის იმგვარი დრამ. პრეისტორია და კონკრეტული მდგომარეობის ფონი, რ-ის დასახატავადაც დრამასა და ეპოსს =გამოსახვისა და მასალის ორგანიზაციის სხვადასხვაგვარი მეთოდისათვის უნდა მიემართა. ამითაც განსხვავდება ლ. ფართომოცულობიანი ეპიკური და დრამ. ჟანრისგან. ლირ. ლექსის ფორმა მოცულობის მხრივ 2 და 3 სტრიქონიც შეიძლება იყოს. ამის ნიმუშია აღმ. მინიატიურები, დუბაითი და იაპონური ჰაიკუ. ლ-ს არა აქვს მიდრეკილება სიუჟეტისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი კომპოზიცია განცდის დინამიკის განვითარებაში გამორიცხავდეს დრამ. ატმოსფეროს, ეპიკური საწყისის არსებობას (მაგ., დ. გურამიშვილის ,,ზუბოვკა'', ნ. ბარათაშვილის ,,ღამე ყაბახზედ'', გ. ტაბიძის ,,მერი'', გ. ლეონიძის ,,ოლე'' და სხვ.). ლირ. საწყისი, თავის მხრივ, მონაწილეობს და განსაკუთრებული ადგილი აქვს ეპოსში. ამის ნიმუშია ე. წ. ლირ. პროზა (კ. ჰამსუნი, ჭ. ლომთათიძე, გ. ლეონიძე და სხვ.). ლირიკულობას ქმნის პოეტური აზრის გაფორმების ის საშუალებანი, რ-ებიც გმირის სახეშია მოცემული. მაგრამ ,,აზრი'', ,,განცდა'', ,,გრძნობა'' ამ კონტექსტში ის მოცემულობებია, რ-ებიც ლირ. სახის დაუნაწევრებელი და მთლიანი ფორმის არსებობაზე მიუთითებს. ლ. მხატვრული აზრისთვის მინიჭებული უშუალო განცდის ფორმაა. ლირ. განცდის სახე საზ. მნიშვნელობის მქონე სახეა. პოეტის ინდივიდ. ბიოგრ. საწყისებზე აღმოცენებული ლირ. სახე გარკვეული ესთეტ. პრინციპების, ნორმების მიხედვით ფორმდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სახეში იკრიბება და განზოგადებულ ფორმას იძენს საზ. მნიშვნელობის საწყისებიც. ამ თვისებით ხედავენ ლ-ში იმ ფორმის ნაირსახეობას, რ-იც ფსიქოლოგიაში ,,შინაგანი მეტყველებითაა'' ცნობილი. ლ-ის სფეროში ეს მომენტი მეტწილად ვლინდება გულწრფელობის, აღსარების, თვითმხილების, თვითგამოხატვის სულისკვეთებით. ამ პათოსითაა გამსჭვალული დ. გურამიშვილის ,,სვინდისის მხილება დავითისა ოდეს დატყოებულმან გაპარვა გაივლო გულშია'', ნ. ბარათაშვილის ,,ხმა იდუმალი'', ,,ჩემი ლოცვა'', ი. აბაშიძის ,,პალესტინა, პალესტინა'' და სხვ.

ლ. წარმოადგენს მთლიან მხატვრულ სტრუქტურას როგორც ასახვის ობიექტის, ისე მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით. ეს მომენტი ნათლად იკვეთება სახის განცდაში, სიტყვის შეკუმშულობასა და მის ემოციურ მუხტში. ლ-ის ეს თვისებები ისტორიულად მდგრადია და ეპოქიდან ეპოქაში გარდამავალი. მაგრამ ლ-ის შინაარსი მუდამ ცვალებადია, რადგანაც მისი არსებობა ადამიანის განცდის ტიპით განისაზღვრება. ამდენად, ადამიანის კონცეფციის თავისებურება, რითაც ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის ტიპი ხასიათდება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ლ-ის შინაარსსა და ემოციურობის თავისებურებას. მეტიც, ეს თავისებურებები თავის გამოხატულებას პოვებს მის ფუნქციურ თვისებებში, ანუ პოეტიკაში, რადგან ამა თუ იმ ეპოქის გარკვეული კონცეფციის ადამიანს მხოლოდ ამ კონცეფციის შესატყვისი დამოკიდებულება აქვს გამოსახვის საგანთან, სიტყვასთან, ლექსის რიტმიკასთან, სტროფიკასთან და ა. შ. ცხოვრების მიერ წარმოქმნილ ყოველ ახ. ლირ. სიტუაციას თან ახლავს მისი შესატყვისი რიტმულ-ემოციური მუხტი და ლექსის ფუნქციურ საშუალებებთან დამოკიდებულების საკუთარი პრინციპი. ეს მომენტი ნათლად აისახება ყოველი ეროვნ. ლიტ-რის ცალკეულ პერიოდში.

ლ-ის შინაარსის, ფორმისა და ჟანრის ცვალებადობის ისტორიას ეპოქისა და ეროვნ. გენიის თავისებურებანი განაპირობებს. ლ-ის წარმოშობის პირველი საფეხური ადამიანის პიროვნული საწყისის


ი. ლისაშვილი.

წარმოშობის საფეხურს უკავშირდება. ყოველ ეროვნ. ლიტ-რაში ლ. ატარებს ეროვნ. წყობისა და ფსიქოლოგიის განუმეორებელ თვისებებს.

ლირ. სტრუქტურაში, მის შიგა სახეობაში ძირითადად არჩევენ სუგესტიურ და მედიტაციურ ფორმებს. სუგესტიურია ისეთი ლირ. სტრუქტურა, რ-შიც აზრისა და განწყობილების განვითარების საფუძველში ჭარბობს არა საგნობრივ-ლოგიკური კავშირები, არამედ ასოციაციური შეფარდებები და განცდის მთლიანობაზე დაყრდნობილი ინტონაციურობა (მაგ., გ. ტაბიძის ,,ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი'', ,,ლურჯა ცხენები'' და ა. შ.). მედიტაციურია ადამიანის არსებობის საზრისისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გამაანალიზებელი ლ. (მაგ., ტიუტჩევის ლექსები, ნ. ბარათაშვილის ,,ფიქრი მტკვრის პირას'', ა. ჭავჭავაძის ,,გოგჩა'', ა. წერეთლის ,,განთიადი'', ი. აბაშიძის ,,ხმა კატამონთან'' და სხვ.). ლირ. გვარების კლასიფიკაცია ხდება მასში ჩაქსოვილი მოტივების შინაარსისა და განწყობილების საფუძველზე. ასე გამოიყოფა პოლიტ., სატრფიალო, პეიზაჟური და სხვ. სახეობის ლირ. ლექსები. ცნობილია ლ-ის ისეთი გვარები, როგორებიცაა ოდა, ელეგია, მიძღვნა (სატრფიალო ან მეგობრული), ეპიგრამა, ეკლოგა, ეპიტაფია და ა. შ. ლ-ის ცალკეულმა გვარებმა და, საერთოდ, ლირ. ნაკადმა განსაკუთრებული აღორძინება განიცადა XX ს. ქართ. პოეზიაში. ლირ. პოეზიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გ. ტაბიძემ, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ტ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, ი. აბაშიძემ, გ. აბაშიძემ, ა. კალანდაძემ, მ. მაჭავარიანმა, შ. ნიშნიანიძემ, ლ. სტურუამ, ბ. ხარანაულმა, მ. ჩიტიშვილმა და სხვ.

ლიტ.: ბარბაქაძე თ., ლირიკის ჟანრები, თბ., 2010; გაჩეჩილაძე ს., ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1953; ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954; Гинзбург Л. Я., О лирике, 2 изд., Л., 1974; Сквозников В. Д., Лирика, წგ.: Теория литературы, [кн.], 2, М., 1964.

გ. გაჩეჩილაძე.

ლისა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის თიღვის მუნიციპალიტეტში (თერეგვანის თემი), მდ. ლისის (შუა ფრონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 880 *მ*, ყორნისიდან 7 *კმ*. 1991-მდე შედიოდა ზნაურის რ-ნის შემადგენლობაში.

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლისა, ძველი ნასოფლარი ქარელის მუნიციპალიტეტში. მდებარეობდა მაღალი მთის კალთაზე. ლ., ანუ ზემო ლ. უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ტყით დაფარულ მთის წვერზე დარჩენილია ერთი კოშკი და ეკლესია. სავარაუდოდ სამსართულიანი კოშკი ძველია, ნაგებია კლდის ქვით, დუღაბით, სართულები ჩაქცეულია. გეგმით ოთხკუთხაა, სიგრძე – 9 *მ*, განი – 6,5 *მ*, სიმაღლე – 10 *მ*. II სართულს აქვს ერთი შესასვლელი კარი; კოშკს სათოფურები არა აქვს; აღმ-ის კედელზე მიშენებულია პატარა დარბაზული ეკლესია, რ-საც უწოდებენ ლ-ის ჯვარს. ეკლესია ნაგებია ქვითკირით და გადახურულია ქვაფიქლით. ფართ. 6 *მ* × 3 *მ* საკურთხეველში გამოჭრილია ერთი სარკმელი, ორივე მხარეს ჩაშენებულია ქვევრი რეზონანსისათვის. შესასვლელი კარი სამხრ-იდანაა. კარის თავზე მომრგვალებული დიდი ლოდია, რ-ზედაც ამოჭრილია 8-სტრიქონიანი ნუსხა-ხუცური წარწერა. ზოგი პწკარი ნაკლულია, ასოებიც მკრთალად ჩანს და ძნელი წასაკითხია. წარწერა მშენებლებისა და პალეოგრაფიულად მიეკუთვნება XV–XVI სს.

ლიტ.: მაკალათია ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963.

ლისაშვილი (ნამდვ. გვარი ხომერიკი) იაკინთე ბარნაბას ძე [6(19). IX. 1897, ახლანდ. სოფ. შრომა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 6. III. 1972, თბილისი], მწერალი. მუშაობდა ბათუმსა და თბილისში ასოთამწყობად. იყო გამომც. ,,საბჭოთა მწერლის'' დირექტორი, ჟურნ. ,,ნიანგის'' რედაქტორი და სხვ. პირველი ნაწარმოები – პიესა ,,უნაყოფო ნუგეში'' 1919 გამოაქვეყნა ჟურნალში ,,თეატრი და ცხოვრება'', ლექსებისა და მინიატიურების პირველი კრებ. ,,მანქანების ჭრაღები'' – 1923. მნიშვნელოვანია მისი რომანები: ,,ვარდნილი'' (1933), ,,ძახილი მთაში'' (1937), ,,კეცხოველი'' (1941), ,,სიცოცხლისათვის'' (1946), ,,ერთგულება'' (1951); ,,მოთხრობები ომზე და შრომაზე'' (1942). რომანი ,,კეცხოველი'' თარგმნილია აზერბ., პოლ., რუს., უნგრულ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1–4, თბ., 1971–77; გურული ესკიზები, თბ., 2005.

ლიტ.: რომანი სიყვარულსა და ერთგულებაზე ,,მნათობი'', 1960, №10.

დ. თევზაძე.

ლისი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ბევრეთი, მსხალდიდი, მუხათწყარო, ნაფეტვრები, ძალანთხევი, წოდორეთი). მდებარეობს თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე, ლისის ტბის დასავლეთით. ზ. დ. 800 *მ*, მცხეთიდან 25 *კმ*. 598 მცხ. (2014).

წერილობით წყაროებში ლ. XVI ს-იდან იხსენიება. 1523 სიგელის მიხედვით სოფელი ბარათაშვილების საგვარეულო საკუთრებაა. 1578 ოსმალთა შემოსევის შემდეგ მოსახლ. ნაწილი აიყარა და გაიხიზნა. 1625 ლ. თბილისის ციხეში მყოფმა ყიზილბაშთა გარნიზონმა დაარბია – გადაწვა სახლები და დიდი ნადავლი ჩაიგდო ხელში. XIX ს. 40-იანი წლებიდან ლ. თარხან-მოურავების საგვარეულო საკუთრებაში გადავიდა.

სოფლის განაპირას, სამხრ-ით, ძვ. სასაფლაოზე დგას განვითარებული ფეოდ. ხანის წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, სადაც დაკრძალული არიან თარხან-მოურავთა საგვარეულოს წარმომადგენლები. სოფლის ჩრდ-ით სასაფლაოზე დგას იმავე ხანის წმ. ესტატეს დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 5, თბ., 1990.

გ. აფრიდონიძე.

ლისიმაქეს სტატერი, თრაკიისა და პონტოს მეფე ლისიმაქეს (ძვ. წ. 306–281) ოქროს მონეტები. მონეტის ავერსზე ყოველთვის გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის პროფილი დიადემით და ამონის რქით, რევერსზე – ტახტზე მჯდომი ათენა პალადა. მარცხენა ხელში მას შუბი უჭირავს და ფარს ეყრდნობა, გაწვდილ მარჯვენა ხელზე კი გამარჯვების ქალღმერთი ნიკე დგას. ქვემოთ სხვადასხვა სიმბოლოა. საქართველოში აღმოჩენილ სტატერებზე უფრო ხშირად სამთითაა გამოსახული, რ-ის ორსავე მხარეს ორი პაწია დელფინია მოთავსებული (ამ ემბლემით ლ. ს-ები იჭრებოდა ქ. ბიზანტიონში მისი გარდაცვალების შემდეგ, ძვ. წ. 195 წ. მომდევნო ხანებში). ათენას წინ ბერძნული ზედწერილია: ΛΙΣΙΜΑΧΟΥ, უკან – ΒΑΣΙΛΩΣ. ლ. ს-ები, ისევე როგორც ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი

მონეტები, ასრულებდა ინტერლოკალური მონეტის როლს. ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. აღმოჩენილია სოფ. ზემო მარხში (სვანეთი), სოფ. ეკში (სენაკის მუნიციპ.), ვანში, გულრიფშში. საქართველოში იჭრებოდა ლისიმაქეს ოქროს მონეტების იმიტაციები.

ლიტ.: დუნდუა გ., საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, ,,მაცნე'', ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1973, №1; დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Карышковский П. О., К вопросу об обращении статеров Лисимаховского типа в Причерноморье, Нумизматический сборник, Тб., 1977.

ლისინოვი ვიქტორ ბოგდანის ძე (23. XI. 1896, თბილისი, – 9. X. 1971, იქვე), გენერალ-მაიორი (1943), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის მეთაური (1943). მსროლელთა კორპუსის მეთაურის მოადგილე, მეთაური (1945-იდან). დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით.

ლისის ტბა, ტბა თბილისის ჩრდ.-დას. ნაწილში, ლისის ქედის ტაფობში, ზ. დ. 625 *მ.* წყლის ზედაპირის ფართობი – 0.47 *კმ*^{2}, აუზის ფართობი – 16 *კმ*^{2}, მაქს. სიღრმე – 4 *მ*, მოცულობა – 1,22 მლნ. *მ*^{3}. ტბას ერთვის პერიოდული ღელე – ლისისხევი. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. მაღალი დონე აქვს გაზაფხულზე, დაბალი – შემოდგომაზე. ზაფხულში წყალი თბილია (მაქს. ტემპ-რა 28°C), ზამთრობით ტბაზე ჩნდება ყინულნაპირისი, ზოგჯერ – ყინულსაფარიც. წყალი მომლაშოა (მინერალიზაცია 2,75 *გ/ლ*). ტბის ტერიტორია გამოირჩევა საინტერესო და მრავალფეროვანი ფაუნით. მისი მცირე ჩრდ.-დას. ნაწილი და ჩრდ. და სამხრ. ნაპირები დაფარულია ღელქაშის ხშირი ბარდით. ტბაში მოშენებულია თევზი. ტბის შემოგარენში მოიპოვება თერმული გოგირდოვანი წყლები.

ლ. ტ. ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და კეთილმოწყობილი სარეკრეაციო ზონაა.

ლისის ქედი, მსხალდიდის ქედის აღმ. მონაკვეთი. იწყება დაახლ. სოფ. წოდორეთის მერიდიანთან და ვრცელდება ქალაქის ფარგლებში (ვაშლიჯვრამდე), ზ. დ. 1061 *მ* (მთა ელია). ქედი აგებულია ზედაეოცენური თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშებით. კალთები დაღარულია მშრალი ხევებითა და პერიოდული ღელეებით, რებიც მდ-ების – დიღმისწყლისა და ვერის შენაკადებია. ძირითადი ლანდშაფტი ჯაგეკლიანი სტეპია, ზოგან – მეორეული ჯაგრცხილნარ-მუხნარი. კალთებზე ხელოვნური ტყის (უმეტესად ფიჭვი) ფორმებია. ქედის ჩადაბლებულ ადგილზე, ტაფობში მდებარეობს *ლისის ტბა.*

ლ. ქ-ის აღმ. და სამხრ. კალთები განაშენიანებულია. ქედზეა სოფლები: ლისი, აგარაკი, წოდორეთი, მუხათწყარო.

ლიტანია (ბერძნ. litaned ლოცვა), საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან. იმართება დიდი დღესასწაულების, განსაკუთრებული მოვლენის ან საერთო განსაცდელის დროს.

ლიტერატურა [ლათ. lit(t)eratura<lit(t) era – ასო], ფართო მნიშვნელობით მოიცავს მწერლობას მთლიანად, ვიწრო გაგებით – სიტყვაკაზმულ მწერლობას, საკუთრივ მხატვრულ ლიტერატურას. იგი ხელოვნების დარგია, რ-იც სიტყვით გვესაუბრება და გულისხმობს მითს, ლეგენდას, ზღაპარს, იგავს, რომანს, მოთხრობას, ნოველას, დრამას, პიესას, ესეის, პუბლიცისტურ ნარკვევს, ეპისტოლესა და მემუარებს, ლექსს, პოემას, ეპოპეასა და ეპოსს.

მხატვრული ლ-ის განვითარება ქართ. სინამდვილეში პირდაპირაა დაკავშირებული IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადებასთან. სწორედ აქედან იწყება ქართ. ლ-ის ისტორია, რ-ის ერთ-ერთ პირველ ძეგლად „წმინდა ნინოს ცხოვრებაა“ მიჩნეული. ქართ. ლ-ის დასაწყისი საეკლ. მწერლობაა. ეკლესიის წიაღში იწერებოდა, ითარგმნებოდა და ინახებოდა ქართ. ანბანით [თავდაპირველად – მრგლოვანით, შემდეგ –ნუსხურით უთხოვანითა და XI ს-იდან უკვე – მხედრულით) შექმნილი უძველესი წარწერები (პალესტინის – 430; ბოლნისის სიონის – 493) და საეკლესიო ლ-ის იშვიათი ძეგლები. როგორც საქართველოში (ტაო-კლარჯეთის ლიტ. კერები, იყალთოსა და გელათის აკადემიები, დავითგარეჯა), ასევე, მის ფარგლებს გარეთ არსებულ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში (ათონისა და სინას მთები, შავი მთა, ჯვრის მონასტერი პალესტინაში, პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში და სხვ.) იქმნებოდა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი უმნიშვნელოვანესი თხზულებები, რ-თაგანაც ზოგიერთი დღეს მხოლოდ ქართ. ენაზეა შემორჩენილი. IX–X სს. ტაო-კლარჯეთის სალიტ. სკოლის მოღვაწეები იყვნენ: იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, იოანე ქონქოზისძე, ეზრა, კურდანაი, სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელი და სხვ.; VIII ს-იდან, ჯვრის მონასტრის გაშენებამდე, ქართველები მოღვაწეობდნენ საბას ლავრაში, საიდანაც IX–X სს. გადავიდნენ სინას მთაზე და თან წაიღეს უძველესი ხელნაწერები. საბაწმინდურ-სინური სკოლას წარმოადგენდნენ: იოანე-ზოსიმე, იოანე მინჩხი, იოანე კუმურდოელი, კვირიკე



ლისის ტბა.

მიძნაძორელი და სხვ.; შავ მთაზე მოღვაწეობდნენ: ეფრემ მცირე, ბერი იოანე ფარნაკელი, გიორგი მთაწმიდელი, არსენ იყალთოელი, საბა თუხარელი, ეფრემ ოშკელი, ანტონ ტბელი და სხვ. XII ს. დამდეგს უდიდესი ტრადიციების მქონე საგანმან. ცენტრად გვევლინება მეფე დავით IV აღმაშენებლის მიერ ,,სხუად ათინად და მეორედ იერუსალიმად“ დაარსებული გელათის მონასტერი. XIII–XV სს. თათარ-მონღოლთა ბატონობის პერიოდში, კულტ.-შემოქმედებითმა ცხოვრებამ სამცხე-საათაბაგოში გადაინაცვლა. ამის დასტურია *აბუსერისძე* ტბელის ლიტ. მემკვიდრეობა და ჟამთააღმწერლის ,,ასწლოვანი მატიანე“; ჩამოყალიბდა მთარგმნელობითი სკოლები (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, *იოანე პეტრიწი,* ექვთიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი და სხვ.).



ქრისტიანობის გავრცელებისთანავე საქართველოში განვითარდა სას. მწერლობის თითქმის ყველა დარგი (ბიბლიოლოგია, აპოკრიფული ლიტ-რა, პოლემიკა, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, ასკეტურ-მისტიკური ლიტ-რა, ჰომილეტიკა, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფია). განსაკუთრებით განვითარდა *ჰაგიოგრაფია* ორი ძირითადი ჟანრით – ,,წამება“, ანუ ,,*მარტვილობა*“ და ,,ცხოვრება“. ,,მარტვილობათა“ ჟანრი მდიდარია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლებით, როგორიცაა იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ (V ს.), ,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ (VI ს.), იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისა ჰაბოისი“ (VII ს.), კოსტანტი კახის მარტვილობა“ (IX ს.), ,,კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ (IX ს.), ,,დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“ (X ს.) და სხვ.



X ს-იდან უფრო განვითარდა ჰაგიოგრაფიის „ცხოვრებათა“ ჟანრი, შეიქმნა მნიშვნელოვანი ძეგლები: გიორგი მერჩულის „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (951 წ.), ,,ასურელ მამათა ცხოვრებანი“ (IX–X სს.), *ბასილი ზარზმელის* ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (X ს.), გიორგი მთაწმიდლის ,,ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრება“ (X ს.), გიორგი მცირის ,,გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ (X ს.) და სხვ.



საქართველომ არნახულ ძლიერებას მიაღწია დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებში. აყვავების გზას დაადგა საეკლ. მწერლობის ისეთი დარგი, როგორიცაა *ჰიმნოგრაფია.* XI–XIII სს. ჰიმნოგრაფებმა (იოანე მინჩხი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, აბუსერისძე ტბელი, არსენ ბულმაისიმისძე, ნიკოლოზ I გულაბერისძე და სხვ.) შექმნეს და განავითარეს ქართ. ორიგინალური პოეზიის კულტურული ენა. მნიშვნელოვანი ეტაპი იყო თავად დავით IV აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თამარ მეფის იამბიკოები და შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. დაწინაურდა საერო ლ., საკარო-სახოტბო პოეზია (,,აბდულმესიანი“, ,,თამარიანი“); განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საგმირო-საფალავნო მოთხრობათა კრებული „ამირანდარეჯანიანი“, სპარსულიდან ითარგმნა სატრფიალო-სამიჯნურო თხზულება „ვისრამიანი“, დაიწერა ქართველ მეფეთა (დავითი, თამარი) ისტორიები.

XIII ს. II ნახ-იდან ქართ. ერის წინაშე ფიზიკური გადარჩენის პრობლემა დადგა (თავდაპირველად მონღოლთა შემოსევები და შემდეგ ოსმალოთა თარეში) და, შესაბამისად, ქართ. კულტურას სრული სტაგნაციის პერიოდი დაუდგა, თუმცა მაინც დაიწერა ჟამთააღმწერლის ისტორია, „ვაჰანის ქვაბთა მონასტრის განგება“, ,,*გარიგება ჯელმწიფის კარისა*“ და სხვ.

XVI–XVIII სს-იდან უკვე ქართ. კულტურის „აღორძინების“ (კ. კეკელიძისეული ტერმინი) პერიოდი დგება. ეკლესია ისევ რჩება კულტ.-საგანმან. ცენტრად. განსაკუთრებით თვალში საცემია გელათისა და დავითგარეჯის დამსახურება იქ გაჩაღებული საგანმან. პოლიტიკით. ლიტ. სარბიელზე გამოჩნდნენ მეფე-პოეტები: თეიმურაზ I – სპარსული პოეზიის გავლენით დაწერა „ლეილმაჯნუნიანი“ და „იოსებზილიხანიანი“, სათავე დაუდო ეროვნ.-პატრიოტულ თემატიკას პოემით „წამება ქეთევან დედოფლისა“; არჩილ II – მისი ძალისხმევით მოსკოვის სახაზინო სტამბაში ჩამოასხეს ხუცური (ნუსხური) შრიფტი და 1705 დაიბეჭდა ფსალმუნები, იგივე „დავითნი“, მანვე ჩამოაყალიბა „მართლის თქმის“ პრინციპი მწერლობაში, გაემიჯნა ზღაპრულსა და გამონაგონს, შექმნა ერთგვარი ლიტ. სკოლა; თეიმურაზ II – მისი ნაწარმოებებია „ხილთა ქება“, „კიდურწერილობა“, „ანბანთქება“ და „გაბაასება რუსთაველთან“, სპარსულიდან თარგმნა „სინდბადნამე“, რ-საც „თიმსარიანი“ უწოდა; ვახტანგ VI-მ თბილისში დააარსა ქართ. სტამბა, სადაც 1709 დაბეჭდა „სახარება“, 1712 კი – „ვეფხისტყაოსნის“ მეცნ.-კრიტ. გამოცემა თავისივე კომენტარებით, რითაც სათავე დაუდო რუსთველოლოგიას. უფრო ადრე, 1629, სტეფანე პაოლინიმ და ნიკიფორე ირბახმა (ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ) იტალიაში გამოსცეს პირველი ქართ. წიგნი – „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“.

XVII–XVIII სს. ქართ. ლ. მიჩნეულია ბაროკოს ეპოქად. მწერლობაში გამობრწყინდნენ ისეთი სახეები, როგორებიც იყვნენ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკოგრაფიის ფუძემდებელი თავისი „სიტყვის კონით“, „სიბრძნე სიცრუისას“ და დოკუმენტური პროზის პირველი ნიმუშის – ,,მოგზაურობა ევროპაში“ ავტორი. მანვე ვახტანგ VI-ის თაოსნობით სრულყო და კანონიკური სახე მისცა ,,ქილილა და დამანას“; დ. გურამიშვილი, რ-მაც პირველმა დაძლია აღმოსავლური ეპოსის გავლენა და უკვდავი „დავითიანით“ შექმნა ეროვნ. ლირიკა; მ. ა. ბარათაშვილი – ავტორი პირველი პოეტური ტრაქტატისა „ლექსის სწავლის წიგნი“ („ჭაშნიკი“) და ბესიკი (ბ. გაბაშვილი) – ავტორი სამიჯნურო-სატრფიალო ლექსებისა და პოემისა „რძალდედამთილიანი“.

XVII ს. ბოლოდან იწყება ქართ. დრამატურგიის განვითარება (იხ. სტ. *დრამა*). ამავე ეპოქაში ჩაისახა აშუღური პოეზიაც, რ-ის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია საიათნოვა.

XIX ს. საკმაოდ მძიმედ დაიწყო. 1801 საქართვ. რუსეთთან შეერთებამ, შესაბამისად, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, საქართვ. კოლონიზაციამ რუსეთის იმპერიის მიერ წარმოშვა პირველი ლიტ. მიმდინარეობა რომანტიზმი. მისი წარმომადგენლები იყვნენ: ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, გრ. რჩეულიშვილი, ნ. ბარათაშვილი. თანდათან გამოცოცხლდა კულტ.-საზ. ცხოვრება. მართალია, კრწანისის ომის დროს დამწვარი ,,ირაკლის თეატრი“ ვერ აღადგინეს, მაგრამ ლიტ. ცხოვრება ჩქეფდა ე. წ. სალონებში (იხ. სტ. *ლიტერატურულ-მუსიკალური სალონები*). 1850 წ. 2(14) იანვარს თბილ. კლასიკური გიმნაზიის დარბაზში

დაიდგა გ. ერისთავის „გაყრა“ (ეს თარიღი XIX ს. 80-იანი წლებიდან აღინიშნება, როგორც ქართ. თეატრის დღე). სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მწერალთა ახალი ჯგუფი, რ-საც უკავშირდება ახ. მიმდინარეობის, *რეალიზმის* ჩასახვა (ლ. არდაზიანის ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი‘‘, დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე‘‘, ი. კერესელიძის პუბლიცისტიკა).

XIX ს. 60-იანი წლები სრულიად ახალი ეტაპია ქართ. მწერლობაში. ი. ჭავჭავაძის თაოსნობით დაიწყო *„თერგდალეულების“* ბრძოლა ეროვნ. თავისუფლებისა და სოც. სამართლიანობისათვის, ქრისტიანული და დემოკრ. იდეების დანერგვა, ერის გამოფხიზლება. ილიასთან ერთად ამ მიმართულებით იღვწოდნენ: ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. ი. ჭავჭავაძემ დააარსა ჟურნ. „საქართველოს მოამბე“ (1863), გ. წერეთელმა – გაზ. „დროება“. 60-იანი წლებიდან შეიქმნა კრიტ. რეალიზმის ძლიერი სკოლა. პროზასა და პოეზიას ეხიდება თავად ილიას, ა. ფურცელაძისა და ს. მესხის, კ. ლორთქიფანიძის და სხვათა პუბლიცისტიკა; თერგდალეულთა პირველ თაობას შეუერთდნენ ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, დ. კლდიაშვილი.

XIX ს. 60–70-იანი წლები ლ-ის სარბიელზე მწვავე პოლემიკით წარიმართა და ლ-ის ისტორიაში შევიდა ე.წ. ,,მამათა და შვილთა ბრძოლის‘‘ სახელით (იხ. სტ. *,,მამებისა და შვილების‘‘ ბრძოლა*).

80-იანი წლებისათვის ინტელიგენციის ერთი ჯგუფი სათავეში ჩაუდგა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის საქმეს. ესენი იყვნენ „ტეტიათა მოტრფიალენი“, ანუ ქართველი ხალხოსნები: ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ა. ფურცელაძე; კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში კი – ნ. ხიზანიშვილი, ს. ჭრელაშვილი, მ. ასათიანი, ნ. ყიფიანი და სხვები.

XIX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოში გავრცელება დაიწყო რევოლუციურმა მარქსიზმმა, ნელნელა ჩამოყალიბდა სამრეწველო პროლეტარიატი, რ-იც იკვებებოდა რევ. იდეებით. სწორედ ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მწერლების ახ. ჯგუფი, „მესამე დასელები“ [ე. ნინოშვილი, ჭ. ლომთათიძე, ლალიონი (ა. მამულაიშვილი), შ. არაგვისპირელი, ნ. ჩხიკვაძე]. ქართულ პოეზიაში ჩამოყალიბდა ე. წ. დემოკრატიული ფრთა პოეტებისა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ი. ევდოშვილი, ნ. ჩხეიძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, დ. თომაშვილი და სხვები. მესამე დასელები, ძირითადად, ღარიბი გლეხობისა და მუშათა კლასის ინტერესებს გამოხატავდნენ და ცდილობდნენ ლ-ის საგნად ექციათ კლასთა ბრძოლა. ამავე პერიოდიდან სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა ვ. ბარნოვი (ქართ. ისტ. რომანის ფუძემდებელი), სალიტ. კრიტიკაში კი – კ. აბაშიძე, ხომლელი (რ. ფანცხავა), ი. გომართელი, ა. ჭყონია, ს. ჭრელაშვილი, გ. ყიფშიძე, ს. ქვარიანი, ა. ხახანაშვილი, ი. ფანცხავა; ა. წულუკიძე და ფ. მახარაძე (მარქსისტული კრიტიკის წარმომადგენლები).

XIX ს. ქართ. დრამატურგიის განვითარებაში დიდია გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ა. ცაგარლის, დ. ერისთავის, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის და სხვათა დამსახურება.

XX ს. ქართ. ლ. იწყება მოდერნიზმით, იმპრესიონიზმითა და სიმბოლიზმით. 1900-იდან განვითარდა ქართ. პროზის სხვადასხვა ფორმა: ეტიუდი, ნოველა და მოთხრობა. ამ დროს მოღვაწეობდნენ ნ. ლორთქიფანიძე, მ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა (ნ. რაზიკაშვილი), ს. შანშიაშვილი, განდეგილი (დ. მდივანი), ი. ეკალაძე, ა. ერისთავ-ხოშტარია, ნ. ნაკაშიძე, ლალიონი, ი. ზურაბიშვილი, თაგუნა (შ. შარაშიძე), დ. ჩხეიძე-თურდოსპირელი, პოლიო ირეთელი (პ. კალანდაძე), მელანია (ნ. ნათაძე), ჯ. ჯორჯიკია, ი. იმედაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი და სხვ. 1908 დაიბეჭდა გ. ტაბიძის პირველი ლექსი.

1908 თბილისში ჩამოყალიბდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“ (ხელმძღვ. გ. რცხილაძე, წევრები: შ. არაგვისპირელი, ი. ევდოშვილი, კ. მაყაშვილი, ს. ყიფიანი.), რ-ის საპატიო წევრად აირჩიეს ა. წერეთელი. ასევე შეიქმნა ქართ. მწერლობის მოყვარულთა ჯგუფი ქუთაისში; აკმეისტური პოეზიის წარმომადგენელთა ჯგუფი ,,პოეტების სააქმრო‘‘ – თბილისში. მოქმედებდა კლუბი *არტისტერიუმი*.

XX ს. 10-იან წლებში თანდათან გაღრმავდა კონფლიქტები. 1907 სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს ილია, გართულდა საზ.-პოლიტ. სიტუაცია. გამოცოცხლდა აშუღური პოეზია (იეთიმ გურჯი, სკანდარნოვა, ჰაზირა, ა. განჯისკარელი).

10-იან წლებშივე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ლ. ქიაჩელი, გ. ტაბიძე, ა. აბაშელი. 1911 დაიწყო ლექსების გამოქვეყნება გ. ლეონიძემ. ამავე ათწლეულში გამოქვეყნდა ვ. ბარნოვის ,,მიმქრალი შარავანდედი‘‘ და ,,ტრფობა წამებული‘‘; დ. კლდიაშვილის ,,ბაკულას ღორები‘‘, ნ. ლორთქიფანიძის ,,მრისხანე ბატონი‘‘, ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა‘‘ და სხვ.

1914 გამოქვეყნდა გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული. 1915 (მეორე ვერსიით 1916) ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა და ვ. გაფრინდაშვილმა ქუთაისში შექმნეს ქართვ. სიმბოლისტთა ჯგუფი *„ცისფერყანწელები“*, რ-შიც გაერთიანდნენ კ. ნადირაძე, ი. ყიფიანი, ს. ცირეკიძე; 1918-იდან მათ შეუერთდნენ გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, რ. გვეტაძე, შ. აფხაიძე, შ. კარმელი, ნ. მიწიშვილი და ა. არსენიშვილი.

1917 დაარსდა „ქართველ მწერალთა კავშირი“ (თავ-რე – კ. მაყაშვილი).

1919 გამოვიდა ეროვნ. ლირიკის შედევრი – გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“, წიგნი, რ-მაც გადატრიალება მოახდინა ქართ. პოეზიაში; ამავე წლის 27 დეკემბერს „ქიმერიონში“ გაიმართა ქართვ. მწერალთა პირველი საღამო.

XX ს. 20-იანი წლები დიდი უიმედობის, გულგატეხილობისა და დაპირისპირებების პერიოდია. დამოუკიდებელი საქართველოს (1918–21) ხანმოკლე ცხოვრება ბოლშევიკური რუსეთის ანექსიით დასრულდა. საქართვ. ოკუპაცია ქართ. მწერლობის იძულებით თვითიზოლაციაში გადასვლას მოასწავებდა, რადგანაც ამ პერიოდის მოდერნისტული და ავანგარდული ლ. პრინციპულად მიუღებელი იყო საბჭოური იდეოლოგიისათვის. ქართ. მწერლობის „გამართვა მსოფლიო რადიუსზე“ (ტ. ტაბიძე) დიდი ხნით შეფერხდა. ტ. ტაბიძის ინიციატივით, 1920 საფუძველი ჩაეყარა „პოეზიის დღეს“ და ის ყოველ 7 მაისს აღინიშნებოდა. 1921 ჩატარებულ კონკურსში „პოეტთა მეფის“ ტიტული მოიპოვა, გალაკტიონმა.


1921 საქართველოში შეიქმნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (ს. ეული, ი. ლისაშვილი, ს. თოდრია, რ. კალაძე, ნ. ზომლეთე-



სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხა, 1716 წ.).



დ. გურამიშვილის ავტოპორტრეტი და ავტოგრაფი.



ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფი.

ლი, პ. სამსონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. ვაკელი, ა. მირცხულავა...).

1922 გამოვიდა ,,გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი‘‘; შეიქმნა ლიტ. დაჯგუფება „აკადემიური ასოციაცია“ (კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, ვ. კოტეტიშვილი).




1922 ქართველმა ავანგარდისტებმა (ფუტურისტებად წოდებულნი) შექმნეს ჯგუფი „ლეფი“ (ს. *ჩიქოვანი*, ნ. თავდგირიძე, ა. ბელიაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, ბ. ჟღენტი, გ. ორაგველიძე, პ. ნოზაძე, ა. გაბესკირია, მ. ერისთავი, ჟ. ღოღობერიძე, ბ. გორდეზიანი, ნ. *ჩაჩავა*...).

1923 დაარსდა პოეტების ახალი წრე – „მწუხარე გედების ორდენი“ (ტ. *გრანელი*, ლ. ასათიანი, ვ. ნორაკიძე და სხვ.).

1925 ჩამოყალიბდა ლიტ. გაერთიანება ,,მომავალი‘‘ (ხელმძღვ. ა. მირცხულავა).

1925 შეიქმნა ლიტ. ორდენი ,,სომნამბულები‘‘ – ძილის პოეტები (ვ. დაისელი, ვ. გველესიანი, გ. იმედაშვილი, მ. წერეთელი, თ. ცერცვაძე).



1926, გაიმართა „სრულიად საქართველოს მწერალთა“ I ყრილობა. შეიქმნა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“ (თავრე – ს. თოდრია).

1927 გაჩნდა კიდევ ერთი ახ. დაჯგუფება „*არიფიონი*“ (შ. დადიანი, ლ. მეტრეველი, ი. მოსაშვილი, დ. სულიაშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. ქიქოძე და სხვ.).

1928 წ. 6 მარტს გაიმართა ქართვ. მწერალთა II ყრილობა და ჩამოყალიბდა „ქართველ საბჭოთა მწერალთა ფედერაცია“ (იარსება 1932-მდე). იმავე წლის 13 ივლისს ხელოვანთა სასახლე მთლიანად გადაეცა მწერლებს და ეწოდა „მწერალთა სასახლე“. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ი. აბაშიძე, კ. კალაძე, ა. გომიაშვილი, გ. აბაშიძე.



გ. ტაბიძე, არტისტული ყვავილები, 1919 წ.

20-იანი წლების დამდეგიდან, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ახ. შემოქმედებითი იმპულსი მიეცა მ. ჯავახიშვილის მწერლურ ნიჭს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მისი რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“, მოგვიანებით კი – „ჯაყოს ხიზნები“ და „არსენა მარაბდელი“, გამოქვეყნდა გ. რობაქიძის „გველის პერანგი“, ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „რაინდები“, კ. გამსახურდიას ,,დიონისოს ღიმილი‘‘, ლ. ქიაჩელის ,,თავადის ქალი მაია‘‘, დ. შენგელაიას „სანავარდო“ და სხვ.

20–30-იან წლებში დაიწერა კ. გამსახურდიას რომანები: ,,დიდოსტატის მარჯვენა‘‘ და ტრილოგია ,,მთვარის მოტაცება‘‘. ქართ. პროზის მდიდარი ტრადიციები გააგრძელეს გ. რობაქიძემ, ლ. ქიაჩელმა, ნ. ლორთქიფანიძემ, დ. შენგელაიამ, ა. ქუთათელმა და სხვებმა.

XX ს. ქართ. დრამატურგია წარმოუდგენელია ვაჟა-ფშაველასა და დ. კლდიაშვილის პიესების გარეშე. ასევე, ასპარეზზე გამოვიდნენ შ. დადიანი (,,გუშინდელნი‘‘), გ. რობაქიძე (,,ლონდა‘‘, ,,მალშტრემი‘‘, ,,ლამარა‘‘). განსაკუთრებულია პ. კაკაბაძის ღვაწლი – შეიქმნა მისი უკვდავი „ყვარყვარე თუთაბერი“ (1928).

1930 ოფიციალურად გაიხსნა მთაწმინდის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონი; 1931 დაარსდა ქართული ლიტერატურის მუზეუმი.

საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო ეჭვის თვალით უყურებდა შემოქმედებით პროცესებს, იდევნებოდა თავისუფალი აზრი და სიტყვა. ჯერ კიდევ 1931 მწერალთა ფედერაციიდან გარიცხეს პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, ი. იმედაშვილი. ამავე წელს პოლიტიკურ ემიგრაციაში წავიდა გ. რობაქიძე.

1932 გაუქმდა ყოველგვარი ლიტ. დაჯგუფება თუ ასოციაცია და შეიქმნა მწერალთა ერთიანი კავშირი „სოციალისტური რეალიზმის“ დროშის ქვეშ. ფორმალიზმად გამოცხადდა მოდერნიზმი და ყოველგვარი მცდელობა ხელოვნებაში, თუ ის არ ემსახურებოდა პარტიის დადგენილებების გატარებას ხალხთა მასებში, სოც. სამშობლოს აღმშენებლობას, ძველის უარყოფასა და პროლეტარიატის დიქტატურის მხარდაჭერას. სოც. რეალიზმმა, როგორც ესთეტიკურმა კრედომ, ბოლო მოუღო ხელოვნების ბუნებრივი გზით განვითარებას.

1932 წ. 27 ივნისს დაარსდა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“ (თავ-რე – მ. ტოროშელიძე).

XX ს. 30-იანი წლების თაობა (მ. *გელოვანი*, ლ. ასათიანი, ა. საჯაია, გ. ნაფეტვარიძე, ვ. უბილავა, ს. ისიანი, გ. ხურციძე, ნ. ხუციშვილი) შეიკრიბა ჟურნ. ,,ახალი თაობის‘‘ ირგვლივ, ამიტომ მათ ,,ახალთაობელებს‘‘ უწოდებდნენ. ამავე წლებში ქართ. მწერლობას შემოემატა ახალგაზრდების ერთი ნაკადი: გ. ჯაბუშანური, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი და სხვ.

1937 მოსკოვში ჩატარდა ქართული ლ-ისა და ხელოვნების დეკადა; ფართოდ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 750-ე წლის იუბილე, ი. ჭავჭავაძის დაბადების მე-100 წლისთავი.

30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილი: მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, გ. მუშიშვილი, მ. აბაშიძე, ვ. კოტეტიშვილი, ნ. მიწიშვილი და სხვ. მწერალთა კავშირში სანადირო თოფით მოიკლა თავი პ. იაშვილმა.

XX ს. 30-ან წლებში დაიწერა კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება‘‘ და ,,დიდოსტატის მარჯვენა‘‘, ლ. ქიაჩელის ,,გვადი ბიგვა‘‘, ,,ჰაკი აძბა‘‘, მ. ჯავახიშვილის ,,არსენა მარაბდელი‘‘, ,,ქალის ტვირთი‘‘.

1941–45 სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ავტორები: ხ. ბერულავა, შ. ამისულაშვილი, ვ. გორგანელი, რ. თევზაძე, თ. დონჟაშვილი, ო. ჩხეიძე, ლ. გოთუა.

1942 შეიქმნა იატაკქვეშა პატრიოტული ორგანიზაცია ,,სამანი‘‘ (საქართველოს აღორძინებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები), რ-ის თავკაცები იყვნენ პოეტი ა. ბობლიაშვილი და მისი მეგობრები.

ამავე წელს დაარსდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-ის ისტორიის ინ-ტი; პ. ბაგრატიონ-გრუზინსკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ლიტ. სალონი, რ-ის წევრები იყვნენ: მ. აბრამიშვილი, შ. მჭედლიშვილი, ვ. კეკელიძე... გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი ,,ანათემა‘‘ (ორი ნომერი). 1946 ეპოქისთვის უჩვეულო პოეტური დისკურსით ასპარეზზე გამოჩნდა ა. კალანდაძე; 1947 ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მწერალთა წრე (ნ. დუმბაძე, რ. *თვარაძე*, მ. მაჭავარიანი, ა. სულაკაური, ნ. გურეშიძე, ნ. კილასონია, ნ. შამანაძე, თ. ჩხენკელი, რ. ჯაფარიძე...), რ-მაც ახლებური კვალი დაატყვეს ლიტ. პროცესის განვითარებას. 1950 უნტის რექტორის ნ. კეცხოველის ინიციატივით გამოვიდა ამ წრის ალმანახი „პირველი სხივი“.

XX ს. 40-იან წლებში დაიბეჭდა კ. გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებელი‘‘ (წგ. I), გ. აბაშიძის ,,გიორგი VI‘‘, ა. ბელიაშვილის ,,თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა‘‘, ნ. ლორთქიფანიძის ,,ტყვედ ყოფილის დაბრუნება‘‘ და სხვ. ამავე პერიოდის დრამატურგ-

იაში მომრავლდა ისტ. და საბრძოლო თემატიკის ნაწარმოებები (მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული'', ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე'', ს. შანშიაშვილის ,,კრწანისის გმირები''; ს. კლდიაშვილის ,,ირმის ხევი'' – პირველი პიესა კავკასიის დაცვის თემაზე).

50-იანი წლებიდან იწყება ე.წ. „ოტტეპელის“ (ი. ორენბურგის ტერმინი), ანუ „დათბობის პერიოდი“, რ-იც უკავშირდება ი. სტალინის გარდაცვალებას. ქართ. მწერლობაში შემოაბიჯეს: ო. *ოსტროვსკიანმა*, ე. ყიფიანმა, გ. გეგეშიძემ, ტ. ჭანტურიამ, ლ. სანიკიძემ, მ. ლებანიძემ, რ. ამაშუკელმა, მ. კახიძემ, შ. ნიშნიანიძემ, ჯ. ჩარკვიანმა, ო. ჭილაძემ, თ. ჭილაძემ, ვ. ჯავახაძემ და სხვ. სალიტ. კრიტიკაში გამოჩნდნენ გ. ასათიანი, ო. პაჭკორია, გ. გვერდწითელი, ნ. ჩხეიძე, რ. თვარაძე, კ. იმედაშვილი, ტ. კვანჭილაშვილი.

1954 გაიმართა საქ. სსრ მწერალთა IV ყრილობა. დაიწყო რეპრესირებულ ქართველ მწერალთა რეაბილიტაცია.

XX ს. 50-იან წლებში კ. გამსახურდიამ დაასრულა ტეტრალოგია ,,დავით აღმაშენებელი'', დაიბეჭდა შ. დადიანის ,,გვირგვილიანების ოჯახი'', მ. ნ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა'', გ. აბაშიძის ,,ლაშარელა'', რ. ჯაფარიძის ,,მძიმე ჯვარი'', ო. ჩხეიძის ,,ტინის ხიდი'' და სხვ. დრამატურგთა რიგებს შემოემატა ა. (შოშია), ო. ჭელიძე, ჩხაიძე, რ. ებრალიძე, რ. თაბუკაშვილი, ლ. სანიკიძე, მ. მრევლიშვილი და სხვ.

XX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი ქართ. კულტურაში – ნეორეალიზმი, თემატური და სტილისტური ინოვაციებით. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა თაობა, რ-მაც შეძლო განსაკუთრებული მხატვრული ძალით, მეტაფორული ენით (ალეგორია, ირონია, იუმორი, აბსურდი...) დაპირისპირებოდა საბჭ. იდეოლოგიას. ქართ. პოეზიის ჟანრული სიახლე იყო ვერლიბრისა და თეთრი ლექსის დამკვიდრება (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, ჯ. ფხოველი, გ. პეტრიაშვილი, გ. ალხაზიშვილი...); ახალი ძლიერი ნაკადი შემოიჭრა პროზაში. დაიბეჭდა ჭ. ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხია'', ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'', ,,მე ვხედავ მზეს'', ,,მზიანი ღამე'', ლ. მრელაშვილის ,,ყაბახი'', ო. ჩხეიძის ,,კვერნაქი'', რ. ჭეიშვილის ,,ქალაქში დინოზავრები დადიან''; ასევე – გ. რჩეულიშვილის, გ. დოჩანაშვილის, ჯ. ქარჩხაძის, ე. ახვლედიანისა და სხვათა ნაწარმოებები; ასპარეზზე გამოვიდა ,,ცისკრელთა'' თაობა – მ. მაჭავარიანი, მ. ფოცხიშვილი, ზ. ბოლქვაძე, ე. კვიტაიშვილი, გ. გეგეჭკორი, გ. ფანჯიკიძე, ი. ორჯონიკიძე და სხვ. სალიტ. კრიტიკაში შემოვიდნენ ა. ბაქრაძე, გ. გაჩეჩილაძე, ჯ. თითმერია, რ. მიშველაძე... მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა დრამატურგიაშიც: გამოქვეყნდა კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, ო. იოსელიანის ,,ადამიანი იბადება ერთხელ'', გ. ხუხაშვილის ,,ზღვის შვილები'', ო. მამფორიას ,,მეტეხის ჩრდილში'', გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''; თ. ჭილაძის, გ. ბათიაშვილის და სხვათა პიესები. ამავე პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა რ. გაბრიაძე.

60-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა გ. ლეონიძის პროზაული დებიუტი – „ნატვრის ხე“ (1962), ასევე, ი. აბაშიძის პოეტური ციკლები: ,,რუსთაველის ნაკვალევზე'' (1959) და ,,პალესტინა, პალესტინა!“ (1963).

1964 წ. 10 მარტს, ი. აბაშიძის ინიციატივით, დაარსდა შოთა რუსთაველის სახ. რესპ. პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. 1966 გრანდიოზულად აღინიშნა რუსთაველის 800 წლის იუბილე.

70-იანი წლებიდან იწყება ე. წ. „უძრაობის ეპოქა“. ქართ. მწერლობაში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა რომანი და მოთხრობა. ზოგიერთი ვარაუდით, მწერლობაში უკვე გამოჩნდა პოსტმოდერნიზმის ნიშნები. იბეჭდება მ. ჯოხაძის, ნ. შატაიძის, გ. ალხაზიშვილის, რ. კალანდიას, ე. ნიჟარაძის, გ. კალანდიას, დ. ივარდავას, რ. ჩილაჩავას, ვ. გიგაშვილის, თ. ბიბილურის, ნ. წულეისკირის, ვ. სიხარულიძის, ჯ. თოფურიძის, ს. პაიჭაძის, ტ. ხარხელაურის და სხვათა ნაწარმოებები; გამოქვეყნდა ო. ჩხეიძის „ბორიაყი“, ო. ჭილაძის ,,გზაზე ერთი კაცი მიდიოდა'' და ,,ყოველმან ჩემმან მპოვნელმან'', გ. დოჩანაშვილის ,,სამოსელი პირველი'', გ. ფანჯიკიძის ,,აქტიური მზის წელიწადი'', ლ. თაბუკაშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ და სხვ.

ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდიან კრიტიკოსები: თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, ს. სიგუა, ჯ. ღვინჯილია, ზ. აბზიანიძე, ლ. ალიმონაკი, ლ. ავალიანი, თ. წივწივაძე. ქართ. მწერლობა გამდიდრდა ბ. ბრეგაძის, ზ. კიკნაძის, ჯ. აჯიაშვილის, თ. ჩხენკელის, დ. წერედიანის, დ. ფანჯიკიძის, ზ. გამსახურდიას და სხვ. მაღალი დონის თარგმანებით.

80-იანი წლებიდან ქართ. მწერლობას შემოემატა ახალი თაობა: გ. ჩოხელი, ნ. გელაშვილი, მ. ჩიტიშვილი, ზ. *კალანდია*, გ. სულაკაური, ი. ჩარკვიანი. ზ. სამადაშვილი, დ. ჩიხლაძე, ჟ. შაინიძე, ნ. დარბაისელი, ბ. დანელია, ზ. რთველიაშვილი, ქ. შენგელია, ე. საღლიანი; დრამატურგები: ი. სამსონაძე, ლ. როსება, შ. შამანაძე; ფართო გამოძახილი მოჰყვა 11 წლის ე. ბაქრაძის შემოსვლას ქართულ პოეზიაში. დაიბეჭდა ჯ. ქარჩხაძის „ზებულონი“, ო. ჭილაძის ,,რკინის თეატრი'' და ,,მარტის მამალი''. ამავე პერიოდიდან სალიტერატურო კრიტიკაში გამოჩნდნენ ახალი სახეები: თ. შავლაძე, ნ. გრიგალაშვილი, თ. ვასაძე, ა. გომართელი, მ. კვაჭანტირაძე.




საქართველოში გაძლიერდა ეროვნ. მოძრაობის მუხტი. მკვეთრად გამოცოცხლდა ლიტ. პროცესები, კერძოდ: 1986 ჩამოყალიბდა მხატვართა და პოეტთა არაოფიციალური ჯგუფი ,,მეათე სართული'', რ-ის დამფუძნებელი იყო მხატვარი და პოეტი კ. კაჭარავა.



1988 დაარსდა პოეტური გაერთიანება „იახსარი'' (დ. ბარბაქაძე, ა. ბუაჩიძე...).

80-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა ავანგარდისტული არტ-გაერთიანება „რეაქტიული კლუბი“ (ი. ჩარკვიანი, კ. ყუბანეიშვილი და პ. ქურდაძე).

90-იან წლებში ქართ. მწერლობაში გაფორმდა პოსტმოდერნიზმი. დაიშალა საბჭ. იმპერია და საქართველომ 1991 თავისუფლება მოიპოვა. ეს ათწლეული გამორჩეულად რთული და დაძაბული აღმოჩნდა თავისი სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირებებით, ქართ. ტერიტორიების დაკარგვით, ეკონომიკური სიდუხჭირით, მენტალური კრიზისითა და ფასეულობათა სრული დევალვაციით. სწორედ ასეთ პირობებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ: აკა მორჩილაძე, დ. ტურაშვილი, ლ. იმედაშვილი, რ. ამაღლობელი, ზ. თვარაძე, შ. იათაშვილი, გ. ლობჟანიძე, ზ. ლეჟავა, კ. ჯანდიერი, ზ. რატიანი, ზ. ბურჭულაძე, ა. ბუაჩიძე, ა. შუღლაძე, მ. სარიშვილი, ა. ქიქოძე, დ. ბარბაქაძე, ზ. ბიბილაშვილი, ბ. ქურხული. ამავე







პერიოდში დაიბეჭდა კინოდრამატურგ ზ. არსენიშვილის რომანი „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი“, ჭ. ამირეჯიბის „გორა მბორგალი“, ო. ჭილაძის ,,აველუმი“, ე. ახვლედიანის „ვანო და ნიკო“, აკა მორჩილაძის (გ. ახვლედიანი) ,,მოგზაურობა ყარაბაღში“, ,,ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ,,გადაფრენა მადათოვზე და უკან“. ახ. ეტაპზე გადავიდა სალიტ. კრიტიკაც (ზ. ქარუმიძე, შ. იათაშვილი, დ. ბარბაქაძე, მ. ხარბედია, ლ. კოდალაშვილი, ი. მილორავა, მ. ჯალიაშვილი). დრამატურგთა რიგებს შემოემატნენ რ. კლდიაშვილი, ა. ენუქიძე, ლ. ბუღაძე, ო. პერტახია.

1990 წ. 14 აპრილი გამოცხადდა დედაენის დღედ (1978 წლის 14 აპრილის მოვლენების აღსანიშნავად), ამავე წელს დაარსდა მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია ,,გულანი“ (მ. გონაშვილი, ვ. ღლონტი, ლ. თოთაძე, ე. გოჩიაშვილი, ვ. ოთარაშვილი, ზ. რომანაძე); 1991 – პოეტური ორდენი ,,ქრონოფაგები“ [გ. კახიძე (ბუნდოვანი), ო. ბურდული (არაგველი), კ. გვიჭიანი (განდეგილი), ზ. რთველიაშვილი (ქაოსური), ს. ქუთათელაძე (მარტვილელი) და გ. ჭანკოტაძე].

1993 შეიქმნა პოეტური ორდენი ,,მარად ახალი ქნარი“ (ს. ნადირაძე, მ. ღანიშაშვილი, ქ. დოლიძე, ზ. ჯაფარიძე, თ. ლომიძე, ტ. მახაური და მ. არდოტელი), დაარსდა საქართვ. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი ,,კავკასიური სახლი“, რ-საც სათავეში ჩაუდგა ნ. გელაშვილი.

1995 ახალგაზრდა ლიტერატორთა თაოსნობითა (რ. ჩხეიძე, პ. ჩხეიძე, ი. ამირხანაშვილი, ნ. ვახანია, ნ. დეკანოიძე, ა. ბედუკიძე და სხვ.) და ბიზნესცენტრ ,,ომეგა თეგის“ ძალისხმევით ჩამოყალიბდა „ალ. ორბელიანის საზოგადოება“.

1996 დაფუძნდა მწერალთა ასოციაცია ,,ოტარიდი“, 1997 – მწერალთა კლუბი ,,XX საუკუნე“, 1999 – მწერალთა გაერთიანება ,,საქართველოს მწერალთა დარბაზი“.

XXI ს-ში გრძელდება პოსტმოდერნიზმი. ასპარეზზე გამოდიან: ბ. ჯანიკაშვილი, ბ. ხვედელიძე, ი. ჯავახაძე, თ. ფხაკაძე, ა. კორძაია-სამადაშვილი, თ. დოლენჯაშვილი, ნ. კვინიკაძე, მ. მიქელაძე, გ. ჩქვანავა, ქ. ქანთარია, დ. ქართველიშვილი, ბ. კვირტია, დ. ამფიმიადი, გ. კეკელიძე, პ. შამუგია, ზ. კვარაცხელია; დრამატურგიაში: ბ. ჯანიკაშვილი, თ. ბართაია, თ. ფხაკაძე, ა. კორძაია-სამადაშვილი, ო. ქათამაძე, ნ. სადღობელაშვილი, დ. გაბუნია. დაიბეჭდა ჭ. ამირეჯიბის ,,გიორგი ბრწყინვალე“, ო. ჭილაძის ,,გოდორი“ და სხვ.

არტეფაქტად იქცა 2018 ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგენა, რადგანაც ამ მოვლენას წინ უძღოდა 300-ზე მეტი ქართული წიგნის თარგმნა.

XXI ს. 10-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ: ლ. ლიქოკელი, თ. მელაშვილი, ნ. ხარატიშვილი, მ. ლღოკონენი, ე. ტოგონიძე, ს. ბენიძე, მ. ელბაქიძე, ე. ქევანიშვილი, ს. მაკარიძე, ნ. ექვთიმიშვილი, ი. გურული, რ. რუხაძე, გ. წიკლაური, ა. იაშაღაშვილი, ბ. ქურხული, ბ. ახალაია, ზ. აბაშიძე, ზ. ჯიმშკარიანი, თ. ბაბლუანი; დაიბეჭდა ე. ახვლედიანის ,,კოღო ქალაქში“, ბ. ხარანაულის ,,სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ და სხვ.

XXI ს. დასაწყისიდან დაარსდა ლიტ. პრემიები და კონკურსები: ყოველწლიური ლიტ. პრემია „საბა“ (2002); პრემია „საგურამო“ (2003);

,,თუმანიშვილის ფონდმა“ დაიწყო პროექტი ,,ახალი დრამატურგია“ (2006), ყოველწლიურად ტარდება 2 კონკურსი: ,,ახალი ქართული პიესა“ და ,,ახალი თარგმანი“; ლიტ. კონკურსი „წერო“ და ,,პენმარათონი“ (ორივე 2006);

თბილ. საკრებულოს ლიტ. პრემია „გალა“ (2007); ილიას სახელმწ. უნ-ტის ლიტერატურული კონკურსი (2010); გოდერძი ჩოხელის სახ. ლიტ. კონკურსი „ერთგულება“ მინიატიურის ჟანრში (2014); პრემია „ლიტერა“ (2015); ვ. კოტეტიშვილის (2016); ი. გოგებაშვილის (2017); ვაჟა-ფშაველას სახ. პრემიები (2018);

გორის უნ-ტის ლიტ. კონკურსი ,,მაჩაბელი“ (2020).

ლიტ.: იხ. სტ-თან ლიტერატურათმცოდნეობა.

ს. მეტრეველი.

„ლიტერატურა და სხვა“, ქართველი ,,ფუტურისტ-ლეფელების“ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი; გამოვიდა 1924 თბილისში, გამოიცა ერთი ნომერი. რედ. – ნ. ჩაჩავა. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ ბ. აბულაძე, შ. ალხაზიშვილი, ა. ბელიაშვილი, ბ. გორდეზიანი, პ. ნოზაძე, დ. შენგელია, ნ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი. მხატვარი – კ. ზდანევიჩი.

„ლიტერატურა და ხელოვნება“, ყოველთვიური ჟურნალი. გამოდიოდა 2006–11 წწ. თავდაპირველად (2004–05) 16-გვერდიანი გაზეთის სახით, ხოლო 2006-იდან 84- გვერდიან ჟურნალად გადაკეთდა. დამფუძნებელი, გამომცემელი და მთ. რედაქტორი – ვ. ოთარაშვილი. ჟურნალი აშუქებდა ხე-



ჟურნალი ,,ლიტერატურა და ხელოვნება“

ლოვნების მრავალი დარგის მნიშვნელოვან თემებს. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ კულტურისა და ხელოვნების სფეროს მოღვაწეები. ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართვ. კლასიკოსი და თანამედროვე მწერლებისა და პოეტების შემოქმედება.

„ლ. და ხ.“ გამოირჩეოდა მრავალფეროვანი რუბრიკებით – პროზა, პოეზია, თარგმანი, წერილები, მოგონებები, სახიობა, დრამატურგია, თეატრი, მხატვრობა, ქანდაკება, ოპერა, მუსიკა, კინოკრიტიკა, ფოტოხელოვნება, ეკრანიზაცია, ქორეოგრაფია, ხსოვნა, ისტორიოგრაფია, დებიუტი, პატიმართა პოეზია, ხუროთმოძღვრება, ლიტერატურული გამოძიებანი.

თ. დოლიძე.

ლიტერატურათმცოდნეობა, მეცნიერება, რომელიც სწავლობს მხატვრულ ლიტერატურას, მის წარმოშობას, არსსა და განვითარებას. თავდაპირველად ამ ტერმინმა პოპულარობა გერმანიაში მოიპოვა (მანამდე ფართოდ იყო გავრცელებული ,,ლიტერატურის ისტორია“). ლიტერატურათმცოდნეობითი

კვლევა შეიძლება განხორციელდეს ოთხი ძირითადი მიმართულებით: ლიტერატურის თეორია, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია, წყაროთმცოდნეობა (მ. შ. არქივთმცოდნეობა) და ტექსტოლოგია. ლ., როგორც მეცნიერება, სამ ძირითად დარგად იყოფა: ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია და სალიტერატურო კრიტიკა.

ლიტერატურის ისტორია აკადემიური დისციპლინაა, რ-იც შეისწავლის ლიტ-რის განვითარების ისტ. კანონზომიერებას, წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, რაც დასაბამიდან შექმნილა ლიტ-რაში.

ლიტერატურის თეორია (პოეტოლოგია) შეისწავლის ზოგად ლიტ. კანონზომიერებებს, ლიტ-რას, როგორც ფენომენს. იკვლევს ტექსტის სტრუქტურას, ადგენს მის ჟანრულ კუთვნილებას, განიხილავს ლიტ. მიმართულებებსა და მიმდინარეობებს. ლიტერატურის თეორია ეფუძნება ხელოვნების თეორიასა და ფილოსოფიას, მჭიდრო კავშირი აქვს რელიგიასთან, ლინგვისტიკასთან, ესთეტიკასთან, კულტუროლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან და ა.შ. მას თეორიულ პოეტიკასაც უწოდებენ.

სალიტერატურო კრიტიკა XVIII ს-ში წარმოიქმნა. ის არის ლიტ. ნაწარმოებზე მიმართული დისკურსი, ერთგვარი მედიატორი მკითხველსა და ავტორს შორის. მისი ინტერესების სფეროა მიმდინარე ლიტ. პროცესი. იგი გვევლინება შემფასებლად, მხატვრული ქმნილების ავ-კარგის განმსაზღვრელად.

მართალია, ქართ. ლიტ-რის მეცნ. კვლევა და სისტემატიზაცია XIX ს-იდან იწყება, მაგრამ წარსულში, ეკლესია-მონასტრების სალიტ. სკოლებსა და ცენტრებში, მუშავდებოდა პალეოგრაფიის, თარგმანის თეორიის, ბიბლიოგრაფიის, ტექსტოლოგიის საკითხები, ჰაგიოგრაფიული ტერმინოლოგია; დაზუსტდა ჰაგიოგრაფთა ბიოგრ. დეტალები და სხვ. ეკლესიამ თავის წიაღში შექმნა და შემოინახა ქართ. სულიერი კულტურის ძეგლები.

ძვ. ქართ. საზღვარგარეთულ კერათა შორის განუზომელია ათონის ლიტ.-საღვთისმეტყველო სკოლის მნიშვნელობა. X ს. 70-იანი წლებიდან, იოანე მთაწმიდელისა და თორნიკე ერისთავის ინიციატივით, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლებისა და ნუსხების დამზადების მიზნით. ათონის ლიტ. სკოლაში გაჩაღდა დიდი მთარგმნელობითი მუშაობა.

შემორჩენილია X ს. სინას მთის ქართველი მოღვაწეების ლიტ. საგანძურის კატალოგი; საინტერესოა ასევე მელქისედეკ კათოლიკოსის მცხეთის გუჯარი (1040), რ-შიც ჩამოთვლილია სია იმ 25 წიგნისა, რ-ებიც მოუპოვებია მის მიერვე განახლებული და შემკობილი სვეტიცხოვლის ტაძრისათვის; მნიშვნელოვანია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ (XI ს.) პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში მოყვანილი სია წიგნებისა, რ-ებიც იქვე ინახებოდა; XVI ს-ში ბაგრატ ბატონიშვილმა დაწერა ტრაქტატი ისლამის წინააღმდეგ – ,,მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა თათრისათა გამოკრებილი და სიტყვის გებაჲ ქრისტიანეთა მიერ'', რ-შიც ასახელებს ზოგიერთ ქართველ მწერალს.

1712 ვახტანგ VI-მ, თავისივე კომენტარებით, დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი", რ-ითაც სათავე დაუდო რუსთველოლოგიას.

საინტერესოა ანტონ კათოლიკოსის (იხ. *ანტონ I*) ,,წყობილსიტყვაობა'', რ-ის მე-7 ნაწილში მოცემულია ძვ. ქართ. მწერლობის მოკლე მიმოხილვა.

1731 მ. ბარათაშვილმა დაწერა პოეტური ტრაქტატი ,,სწავლა ლექსთა თქმისა'' (,,ჭაშნიკი'') – ქართ. ლექსის შესწავლის პირველი მცდელობა, რ-შიც განხილულია მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა, ქართ. ლექსის აგებულება, პოეზიის დიდაქტიკური ფუნქცია, განსაზღვრულია მისი თემატიკა.

ვენის უნ-ტის პროფესორ ფ. კ. ალტერის ნაშრომი ქართული ლიტერატურის შესახებ (Über Georgianische Literatur, 1798) შეიცავს იმ დროს რომსა და ვენაში შეკრებილი ქართ. ხელნაწერებისა და წიგნების ნუსხას. 1802 ე. ბოლხოვიტინოვმა თავის წიგნში «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии» მიმოიხილა ძვ. ქართ. მწერლობა. 1810 თელავის სემინარიის ყოფილ რექტორს, დავით მესხიშვილს შეუდგენია სამასამდე თხზულებისა და ავტორის კატალოგი. 1813–28 იოანე ბატონიშვილმა ,,კალმასობაში'' შეიტანა ცნობები ქართვ. მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ (,,მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის'').

ფრანგმა ქართველოლოგმა მ. ბროსემ გამოკვლევებში: ,,ქართული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა'' (1828, პარიზი), ,,ჴელოვნება აზნაურობითი გინა ქართულისა ენისა თჳთმასწავლებელი'' (1834, პარიზი) და ,,ქართული ენის გრამატიკა'' (1837, პარიზი) წარმოადგინა ქართ. ლიტ-რის თავისებურებები. მან ქართ. ლიტ. განიხილა ევროპული ლიტ-რის განვითარების პერსპექტივიდან. გერმანელმა მწერალმა ფ. ფ. ბოდენშტედტმა საქართველოში ხანგრძლივი მოგზაურობის შედეგად გამოაქვეყნა ,,ათას ერთი დღე აღმოსავლეთში'' (1850), რ-შიც გამოყოფილია ფოლკლორი, საერო და სას. თხზულებები.

ს. დოდაშვილი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რ-ის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული XIX ს. ქართ. ლიტ. კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების ახალი ეტაპი. მას ეკუთვნის ქართ. ენაზე დაწერილი ნაშრომი ,,რიტორიკა'', რ-შიც განხილულია ,,აღმკობილის პროზის'' ზოგადი კანონები. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს მის ნარკვევს ,,მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა'', რ-შიც მოცემულია ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის პერიოდიზაციის პირველი ცდა.

საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის ქართ. ხელნაწერებისა და ძველად დაბეჭდილი წიგნების კოლექცია, რ-იც მისი გარდაცვალების (1846) შემდეგ გადაეცა მეცნ. აკადემიის სააზიო მუზეუმს.

XIX ს. 60-იანი წლებიდან თერგდალეულთა დიდი ღვაწლი ლ-საც დაეტყო. მრავალმხრივი განხილვის საგანი გახდა ლიტ. ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის პრობლემები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, დ. ბაქრაძე და სხვ.). უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რუსთაველის პოემის ტექსტის შემსწავლელი კომისიის შექმნა (თავ-რე გ. *ორბელიანი*).

1880–94 ა. ცაგარელმა გამოსცა ,,ცნობები ქართული მწერლობის ძეგლებზე'' (რუს. ენაზე სამ ნაკვეთად), ხოლო 1888 – ,,ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწაზე და სინაზე'' (რუს. ენაზე). მანვე პირველმა გამოაქვეყნა იოანე ზოსიმეს ,,ქებაჲ და დიდებაჲ

ქართულისა ენისაჲ'' და პირველმა აღწერა ,,სინური მრავალთავი''.

1895–1907 ა. ხახანაშვილმა შექმნა ქართ. ლიტ-რის პირველი სისტემური კურსი ნაშრომით ,,ქართული სიტყვიერების ისტორია'' (ტ. 1–4). მისი ინიციატივითა და ფინანსური დახმარებით 1911 მოსკოვში ჩამოყალიბდა ,,ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება''.

1911–12 ქუთაისში გამოვიდა კ. აბაშიძის ,,ეტიუდები XIX ს. ქართული ლიტერატურის შესახებ'', რ-მაც უდიდესი როლი შეასრულა ქართ. ლიტ. კრიტ. აზროვნების განვითარებაში და, ამასთანავე, დაიწყო XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის მეცნ. შესწავლა. ქართ. ლიტ-რის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით პ. იოსელიანს, დ. ჩუბინიშვილს, ე. თაყაიშვილს, მ. ჯანაშვილს, ზ. ჭიჭინაძეს. XX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის განვითარებაში სრულიად გამორჩეულია კ. კეკელიძის ღვაწლი. 1923–24 გამოიცა მისი ფუნდამენტური ნაშრომი ,,ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია'' ორ ტომად და, ფაქტობრივად, ამით დაიწყო ლიტ-რის ისტორიის კვლევა-ძიების ახ. ერა. ასევე, საეტაპო მნიშვნელობის იყო მისივე ,,ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან'' (14 ტომად).

ლ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლიტერატურის მუზეუმს, რ-იც 1940 გამოსცემდა ,,ლიტერატურის მატიანეს''. მის ფონდებში თავმოყრილია ასი ათასზე მეტი ხელნაწერი, იკონოგრაფიული ძეგლები, მემორიალური ნივთები და უნიკალური წიგნები.

სამეცნ. კვლევა-ძიების რთულ გზაზე სრულიად განსაკუთრებული ეტაპი იყო ქართული ლიტერატურის ინ-ტის დაარსება (1942). ამავე წლიდან დაიწყო სოლიდური ბეჭდვითი ორგანოს, ,,ლიტერატურული ძიებანის'' გამოცემა. 1951 ინ-ტს დაევალა ,,ვეფხისტყაოსნის'' ახალი გამოცემის მომზადება. საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა იყო ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის'' ექვსტომეულის მომზადება (დაიბეჭდა ხუთი ტომი). ინ-ტი გამოსცემს სამეცნ. ჟურნალებს ფოლკლორში, კრიტიკაში, რუსთველო-ლოგიაში, გალაკტიონოლოგიაში, ლიტერატურის თეორიასა და კომპარატივისტიკაში (,,სჯანი'').

1958 საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბის ბაზაზე შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიას დაქვემდებარებული კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი (დამაარსებელი ი. აბულაძე, 2007-იდან – ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი), რ-ის ორი უმთავრესი მიმართულებაა ხელნაწერების დაცვა-აღრიცხვა და მათი მეცნ. კვლევა.

ლ-ის განვითარებისათვის სერიოზულ სამეცნ. მუშაობას ეწეოდა თსუ-ის რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, კ. გამსახურდიას კაბინეტები.

1962 საქართვ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან დაარსდა ,,ვეფხისტყაოსნის'' აკად. ტექსტის დამდგენი კომისია, 1966 კი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსნის'' ახალი გამოცემა (ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით.

ძვ. ქართ. მწერლობისა და რუსთველოლოგიის კვლევასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს პ. ინგოროყვამ, ა. ბარამიძემ, ს. კაკაბაძემ, ი. აბულაძემ, ვუკ. ბერიძემ, მ. გოგებერიძემ, გ. იმედაშვილმა, ს. იორდანიშვილმა, ი. მეგრელიძემ, ი. გიგინეიშვილმა, გ. ჯაკობიამ, ს. ყუბანეიშვილმა, ლ. მენაბდემ, ი. ლოლაშვილმა, ს. ცაიშვილმა, ნ. ნათაძემ, მ. უჯმაჯურიძემ, მ. გუგუშვილმა, შ. ონიანმა, რ. ბარამიძემ, რ. თვარაძემ, ბ. დარჩიამ, რ. ფირცხალაიშვილმა, მ. კარბელაშვილმა, ზ. გამსახურდიამ, ე. ხინთიბიძემ, მ. ქავთარიამ. XX ს. 60-იანი წლებიდან ახალ ეტაპზე გადავიდა მედიევალური და რუსთველოლოგიური ძიებანი. სამეცნ. ასპარეზზე გამოსულმა 60-იანელთა თაობამ (რ. სირაძე, ლ. გრიგოლაშვილი, მ. გიგინეიშვილი, გრ. ფარულავა) კვლევები განაგრძო ახ. მეთოდოლოგიით – მხატვრულ-ესთეტიკურის გვერდით წინა პლანზე წამოსწია რელიგიურ-მისტიკური, სახისმეტყველებითი საკითხები. XX ს. 90-იანი წლებიდან გაძლიერდა ინტერდისციპლინური მიმართულება. ძვ. ქართ. მწერლობის შესწავლის საქმეში ჩაერთო ძვ. და ახ. თაობა: ნ. სულავა, ლ. ხაჩიძე, ხ. ზარიძე, ე. კოჭლამაზაშვილი, ე. ჭელიძე, ქ. ბეზარაშვილი, დ. მენაბდე, ს. მახარაშვილი, ე. კალანდარიშვილი, გ. კუჭუხიძე, გ. ალიბეგაშვილი, ვ. ამირხანაშვილი, ს. მეტრეველი, რ. ხალვაში და სხვ.

XIX ს. ქართ. ლიტ-რის კვლევისას ქართვ. მეცნიერებმა შეისწავლეს ეპოქა, ავტორთა ბიოგრაფიები, მათი შემოქმედების თავისებურებანი კოლონიზატორული დისკურსის მიმართ; გააანალიზეს რომანტიზმისა და რეალიზმის კარდინალური საკითხები. დაიწერა უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. ამ პერიოდის ქართ. ლიტ-რას იკვლევდნენ: ვ. კოტეტიშვილი, ს. ხუნდაძე, მ. ზანდუკელი, გ. ქიქოძე, ს. დანელია, ლ. ასათიანი, ს. ხუციშვილი, გ. კიკნაძე, გ. ჯიბლაძე, ა. გაწერელია, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. აბზიანიძე, გ. ასათიანი, გ. აბაშიძე, ვ. ვახანია, პ. კეკელიძე, ა. გაჩეჩილაძე, ა. მახარაძე, ჯ. ჭუმბურიძე, ს. ყუბანეიშვილი, თ. კიკაჩეიშვილი, გ. შარაძე, ი. ევგენიძე; ამ დარგში დღესაც იღვწიან: გ. კალანდარიშვილი, მ. კაკაბაძე, ლ. მინაშვილი, მ. ნინიძე, მ. შარაშენიძე, ე. ზარდიაშვილი, ნ. ფრუიძე, ჯ. გაბოძე და სხვ.

XX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის შესწავლა (ისევე, როგორც ზოგადად, ქართ. ლ.) შეაფერხა საბჭ. ტოტალიტარულმა სახელმწიფომ. საქართვ.ს ანექსიის (1921) შემდეგ როგორც ქართული მწერლობა, ისე ლ. მკვეთრად იდეოლოგიზებული გახდა. 30-იანი წლებიდან ყველაფერი დაუქვემდებარეს სოციალ. რეალიზმის დისკურსსა და მკაცრ ცენზურას. მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან (1991-ის შემდეგ) მოხერხდა ლიტ. პროცესების ხელახალი შეფასება, თუმცა საბჭ. რეჟიმის დროსაც ბევრი რამ გაკეთდა კვლევის მიმართულებით. ამ რთული საუკუნის მწერლობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ს. ჭილაიამ, გ. მერკვილაძემ, გ. ციციშვილმა, გ. ასათიანმა, მ. კვესელავამ, გ. ბენაშვილმა, ტ. კვანჭილაშვილმა, ს. სიგუამ, ა. ბაქრაძემ, ვ. ცისკარიშვილმა, ა. ხინთიბიძემ, დ. თევზაძემ, გ. ხერხეულიძემ, ა. თოფურიამ, გ. გვერდწითელმა, ი. კენჭოშვილმა, ა. ნიკოლეიშვილმა, ლ. ავალიანმა, მ. კვაჭანტირაძემ, თ. დოიაშვილმა, ლ. ბრეგაძემ, ზ. ცხადაიამ, ზ. აბზიანიძემ, ნ. კუპრეიშვილმა, ი. მილორავამ. მ. ჯალიაშვილმა, ბ. წიფურიამ, ა. გომართელმა, ნ. გრიგალაშვილმა და სხვ.

ქართ. სალიტერატურო კრიტიკის ჩანასახს ჯერ კიდევ *არჩილ II*-ის ,,გაბაასებაში'' ვხვდებით. კრიტიკის პრინციპების ჩამოყალიბება დაკავშირებულია XIX ს. 60-იან წლებთან, კერძოდ, თერგდალეულების სახელებთან

(ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. *ნიკოლაძე*). ამ სფეროში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ს. მესხი, ა. ფურცელაძე, ი. მაჩაბელი, ვ. ბოსლეველი (ე. მჭედლიძე), რ. ხომლელი (რ. ფანცხავა), ი. გომართელი. ლიტ. კრიტიკაში ეტაპი შექმნა კ. აბაშიძის წერილებმა. XX ს. 10-იანი წლებიდან ამ სფეროს შემოემატა ახალი ძალები (ა. ჯორჯაძე, ი. ვართაგავა, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი და სხვ.). საქართვ. გასაბჭოების შემდეგ კი უკუსვლა დაიწყო სალიტ. კრიტიკამ – იმძლავრა სოც. ლიტ-რის შეფასების მეთოდმა – სოც. რეალიზმმა. ამ პერიოდის კრიტიკოსთა შორის აღსანიშნავი არიან: პ. ქიქოძე, ფ. ნაროუშვილი, ფ. მახარაძე, ბ. ბუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, გ. მუშიშვილი, ბ. ჟღენტი და სხვ. მომდევნო წლებში სალიტ. კრიტიკაში გამოჩდნენ ახალი სახეები: ლ. კალანდაძე, დ. ბენაშვილი, ს. ჭილაია, გ. ნატროშვილი, ვ. წულუკიძე, ე. ქარელიშვილი, შ. ჩიჩუა, გ. მარგველაშვილი, დ. თევზაძე, გ. ბარნოვი, გ. კანკავა, ზ. აბზიანიძე, ჯ. ღვინჯილია და სხვ.; ახ. ეტაპი კრიტიკულ აზროვნებაში დაიწყო XX ს. 60-იანი წლებიდან ო. პაჭკორიას, გ. ბენაშვილის, რ. თვარაძის, მოგვიანებით გ. გვერდწითელის, გ. გაჩეჩილაძის, ს. სიგუას, თ. დოიაშვილის, ლ. ბრეგაძის, კ. იმედაშვილის წერილებით. კრიტიკის ხარისხისა და პრესტიჟის ამაღლებაში, პატრიოტული სულისკვეთების, ეროვნ. ღირსების გამძაფრებაში განსაკუთრებულია ა. ბაქრაძის დამსახურება.

ლიტერატურის თეორია ლ-ის უაღრესად მნიშვნელოვანი დარგია. ჯერ კიდევ ,,ვეფხისტყაოსნის'' პროლოგშია განსაზღვრული პოეზიის არსი და მისი დანიშნულება. მოცემულია ლირიკულ-ეპიკური ჟანრების კლასიფიკაციის ცდა. ამ მიმართულებით თეორიული ცოდნა განვითარდა ბაროკოს ხანის ქართ. მწერლობაში, კერძოდ, არჩილისა და ვახტანგ VI-ის ნააზრევში. დაიწერა მ. ბარათაშვილის ,,ჭაშნიკი'', თეიმურაზ ბატონიშვილის ,,გვარნი ანუ საზომნი ქართულისა ენისა სტიხთა'', გაძლიერდა ინტერესი პოეტიკის საკითხებისადმი (ლ. ისარლოვი, გ. ყიფშიძე, მ. კელენჯერიძე, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.). 1912 დაიბეჭდა ს. გორგაძის ,,წყობიერსიტყვაობა''. XX ს. 30–40-იან წლებში გამოქვეყნდა დ. ბენაშვილის, გ. ჯიბლაძის, ს. გაჩეჩილაძის, კ. კაპანელის, მ. დუდუჩავას, ს. იორდანიშვილისა და სხვათა ნაშრომები. ქართ. ლექსის კვლევას დიდი ამაგი დასდეს ა. გაწერელიამ, ა. ხინთიბიძემ, გ. მიქაძემ, ა. სილაგაძემ და სხვ.

ლიტ. თეორიის კვლევის ახ. ეტაპი დაკავშირებულია ქართ. ლიტ-რის ინ-ტში ლიტ-რის თეორიის განყ-ბის ჩამოყალიბებასთან (1954). გამოიცა ,,ლიტერატურის თეორიის საფუძვლები'', ,,ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი''. დარგის განვითარებას ხელს უწყობდა ა. და რ. ჭილაიების, თ. კიკაჩეიშვილის, ნ. ჭოლოკავას, გ. ლომიძის, გ. ზაუტაშვილის, ბ. დობორჯგინიძის საინტერესო ნაშრომები. XX ს. 90-იანი წლებიდან მკვეთრად განვითარდა ლიტ-რის თეორიის კვლევის ასპექტები, შემოვიდა ახ. თეორიები და მეთოდოლოგიები, განახლდა სამეცნ. ლექსიკური არსენალიც. ამ მხრივ საეტაპო მნიშვნელობის გამოდგა XXI ს. – დაიბეჭდა ,,ჟანრის თეორია'', ,,მეტაფორა'', ,,ლირიკული ჟანრები'', გამოვიდა ,,ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი'', ,,ლიტერატურის თეორიის'' სამი ტომი (ქრესტომათია). ლიტ-რის თეორიაში საინტერესო გამოკვლევების ავტორები არიან: თ. ბარბაქაძე, ვ. კავთიაშვილი, ლ. ცაგარელი, თ. ლომიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. რატიანი, გ. ლომიძე, კ. ბრეგაძე და სხვ.

XIX ს-ში საფუძველი ჩაეყარა ქართ. ფოლკლორისტიკას, რ-ის მომიჯნავე დისციპლინებია ეთნოლოგია-ეთნოგრაფია, კულტურული ანთროპოლოგია, რელიგიათმცოდნეობა, რელიგიის ისტორია. ქართ. ფოლკლორისტიკის სათავეებთან დგანან პ. იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი და ა. ჯამბაკურორბელიანი. ,,აკაკის კრებულში'' (1897–1900) საგანგებო რუბრიკა ჰქონდა დათმობილი ფოლკლორულ ტექსტებს. ქართ. ფოლკლორისტიკის განვითარებას დიდი ამაგი დასდეს პ. უმიკაშვილმა და თ. რაზიკაშვილმა. 1904 ქართ. ფოლკლორის შესახებ თეორიული აზრი პირველმა გამოთქვა ა. ხახანაშვილმა ნაშრომში ,,ქართული სიტყვიერების ისტორია''; 1919 ვ. ბარნოვმა გამოაქვეყნა ,,ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები''; 1924 გამოვიდა ა. შანიძის ,,ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული''. XX ს. 30-იან წლებში ვ. კოტეტიშვილმა ფოლკლორისტიკა ახ. ეტაპზე გადაიყვანა. ამავე პერიოდში გამოიცა პ. უმიკაშვილის ,,ხალხური სიტყვიერება'', „ხალხური შემოქმედების საუნჯე“ (სამ ტომად). XX ს. 40-იანი წლების ბოლოდან დაიწყო ქართ. ფოლკლორის მონოგრაფიული შესწავლა, რ-იც დიდი წვლილი მიუძღვის მ. ჩიქოვანს, ე. ვირსალაძეს, ქ. სიხარულიძეს, თ. ოქროშიძეს, ა. ღლონტს. ქართ. ფოლკლორის შემდგომ კვლევა-ძიებაში საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება „ქართული ხალხური პოეზიის“ 12-ტომეულის (1972–82) გამოცემას.

1979 წ. 14 აპრილს ვ. კოტეტიშვილისა და ა. ჭინჭარაულის თაოსნობით გაიმართა ხალხ. პოეზიის საღამო, რ-იც 1983-იდან ყოველ წელს ტარდებოდა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართ. ფოლკლორის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.

2005-იდან საქართვ. ფოლკლორის სახელმწ. ცენტრში დაარსდა ზეპირსიტყვიერების მიმართულება, რ-ის საქმიანობა მოიცავს ქართული მითოლოგიის, ზღაპრების, ლეგენდების, გადმოცემების, თქმულებების, ეპოსის, ანდაზებისა და ზეპირსიტყვიერების სხვა ნიმუშების შემკრებლობით საქმიანობას, სამეცნ. კვლევას, გამოცემასა და პოპულარიზაციას.

ხალხური ზეპირსიტყვიერების კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს: ფ. ზანდუკელმა, ჯ. ბარდაველიძემ, ო. ონიანმა, ა. ცანავამ, გ. ბარნოვმა, თ. ქურდოვანიძემ, თ. ჯაგოდნიშვილმა, რ. ჩოლოყაშვილმა, ა. არაბულმა, ტ. მახაურმა, ხ. მამისიმედაშვილმა, ქ. სიხარულიძემ, რ. ჩხეიძემ, დ. ბედიანიძემ, ე. ჩხეიძემ, მ. ხუხუნაიშვილმა, გ. ჭელიძემ, ი. ყველაშვილმა, ნ. რატიანმა, რ. ხაჭაპურიძემ, ე. ინწკირველმა, ნ. ბალანჩივაძემ, მ. ტურაშვილმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზ. კიკნაძის საეტაპო მნიშვნელობის კვლევები.

ქართ. ლ-ის განვითარებაში დიდია საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველოლოგთა წვლილი. XIX ს. 20-იან წლებში, კერძოდ 1822, პარიზში ჩამოყალიბდა ,,პარიზის სააზიო საზოგადოება'', რ-მაც დაიწყო ,,სააზიო ჟურნალის'' გამოქვეყნება. მასში დაიბეჭდა სტატიები საქართველოს შესახებ. 1825 ამ საზ-ბის წევრად აირჩიეს მ. ბროსე, რ-ის სახელთანაც დაკავშირებულია ქართველოლოგიის დასაწყისი ევროპასა და რუსეთში. 1837-იდან, მ. ბროსეს პეტერ-

ბურგში გადასვლის შემდეგ დაიწყო ქართველოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ჰუმანიტარული მეცნიერების ისტორია. XIX ს. II ნახ-ში ჩვენს ლიტერატურასა და კულტურას მჭიდროდ დაუკავშირდნენ: მ. უორდროპი, ჯ. უორდროპი, ა. ლაისტი.

XX ს. დასაწყისში ქართ. ლიტ-რის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთში (ხელმძღვ. ნ. *მარი*). მისი ნაშრომების შემდეგ დაინტერესებამ ევროპაშიც იჩინა თავი, ერთ-ერთი პირველი იყო ა. ჰარნაკი; ქართ. საეკლესიო მწერლობის განხილვის ცდაა მოცემული ფ. ფრინკის ნარკვევში ,,ქართული ლიტერატურა‘‘; გერმანიაში გამოქვეყნდა ა. ბაუმშტარკის ნაშრომი; ქართ. სას. მწერლობის მეცნ. კვლევას შეუდგა ინგლისელი არმენისტი ფ. კ. კონიბირი; ბელგიაში – აღმოსავლეთმოცოდნე პ. პეეტერსი, რ-მაც ლათინურად თარგმნა ქართ. ჰაგიოგრაფიის ძეგლები; 1932 ლონდონში დაისტამბა უ. ე. ალენის მონოგრაფია – ,,ქართველი ხალხის ისტორია‘‘. მისი საქმე გააგრძელა დ. ლანგმა. ქართველოლოგიის ახალი ეტაპია ბელგიელი ჟ. გარიტის ნაშრომები; წარმატებით იკვლევს ბიბლიურ ტექსტებს ჯ. ნევილი; ,,ვეფხისტყაოსნით‘‘ დაინტერესდა გერმ. გ. დე პეეტერსი. უცხოელი ქართველოლოგები ყოველთვის დიდი ინტერესითა და მონდომებით იკვლევდნენ ქართ. ლიტ-რის საკითხებს. მ. შ. არიან: ი. ასფალგი, ჰ. ფენრიხი, ფ. ფინკი (გერმანია); დ. რეიფილდი (დიდი ბრიტანეთი); რ. ბლეიკი, პ. და ბ. ბეინენები (აშშ); ლ. მაგაროტო (იტალია); ი. კოჯიმა (იაპონია); ე. ჰონიგმანი, ჟ. გარიტი, მ. ვ. ესბროკი – ბელგია; ჟ. კარსტი, ა. უზუნიანი (საფრანგეთი); ლ. გრიციკი (უკრაინა) და სხვ.

1978 გერმანიაში გამოვიდა სამეცნ. ქართველოლოგიური ჟურნ. ,,გეორგიკა‘‘ (დამაარსებელი და მთ. რედაქტორი ჰ. ფენრიხი). 1993-იდან თბილისში დაარსდა ორენოვანი (ქართ. და ინგლ.), რეცენზირებული, პროფესიული და აკად. ჟურნ. ,,ქართველოლოგი‘‘ (მთ. რედ. ე. ხინთიბიძე), რ-შიც ლიტერატურათმცოდნეობით პრობლემებზე პუბლიკაციებს აქვეყნებენ ს. ნიუველი (აშშ), კ. ჰორნი (საფრ.), რ. სტივენსონი (დიდი ბრიტანეთი), რ. ლ. ლარსონი (შვედეთი), ჰ. პაპროცკი (პოლონეთი), ი. კოჯიმა (იაპონია).

ქართ. ლიტ-რის პოპულარიზაციასა და შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით ემიგრანტ ქართველოლოგებს, მ. შ.: მ. თამარაშვილს, მ. წერეთელს, გ. რობაქიძეს, მ. თარხნიშვილს, გ. ფერაძეს, შ. ბერიძეს, კ. *სალიას*, გ. შურღაიას და დ. კიზირიას. რუსთველოლოგიის განვითარებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ვ. ნოზაძემ.

XXI ს. 10-იან წლებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართ. ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების უცხო ენებზე გამოცემა: 2012 კემბრიჯში ინგლ. ენაზე გამოვიდა ქართ. ლიტ-რის ინ-ტის კრებული ,,ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: მეოცე საუკუნის გამოცდილება‘‘; ასევე 2016 ქართ. წიგნის ეროვნ. ცენტრისა და საქართვ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ,,მოკლე შესავალი ქართულ ლიტერატურაში‘‘ (გერმ. ენაზე).

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ორ ტომად, თბ., 1980–81; კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2007; ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები, რედ. თ. დოიაშვილი, ი. რატიანი), თბ., 2008; მეტრეველი ს., ესთეტიკა საბჭოთა ტოტალიტარიზმისა – პროლეტარული რეალიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე, თბ., 2022; XVI–XIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა, აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე, რედ. ი. რატიანი), თბ., 2012; XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ნაწ. 1–2, რედ. მ. კვაჭანტირაძე, ი. რატიანი, თბ., 2016–20; ქართული ლიტერატურა – ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში, ნაწ. 1–2 (შუა საუკუნეებიდან პოსტსაბჭოთა ეპოქამდე), რედ. ი. რატიანი, თბ., 2015–16; ქართული რეალიზმის სათავეებთან, რედ. ი. რატიანი, თ. შარაბიძე, თბ., 2015; ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, რედ. ზ. აბზიანიძე, თბ., 2012.

ს. მეტრეველი.

ლიტერატურის თეორია, იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა.*

ლიტერატურის ისტორია, იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა.*

„ლიტერატურის მატიანე“, გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1940–52. გამოცემულია 6 წიგნი: 1940 წ. – 1–2, 1942 წ. – 3–4, 1949 წ. – 5, 1952 წ. – 6. რედ. – გ. ლეონიძე. ,,ლ. მ-ში‘‘ დაბეჭდილია გამოკვლევები ქართ. ლიტ-რის ისტორიიდან. გამოცემა განახლდა 1982. გამოიცემოდა პერიოდულად. ბოლოს დაიბეჭდა 2015 (მთ. რედ. ლ. ცომაია).

ლიტერატურის მუზეუმი საქართველოსი გიორგი ლეონიძის სახელობისა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. მისი ისტორია იწყება 1929-იდან, როდესაც ა. გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავის აღსანიშნავად მთაწმინდაზე მოეწყო დიდი გამოფენა, რ-ის მომზადების დროს გამოვლინდა დიდძალი მასალა. ამას დაემატა კერძო პირთა მფლობელობაში არსებული საინტერესო არქივები. დ. არსენიშვილის ინიციატივით გაჩნდა მწერალთა მუზეუმის შექმნის იდეა. ამ საქმის ორგანიზება დაევალა ტ. ტაბიძეს, რ-მაც 1930 წ. 8 მაისს ოფიციალურად მიმართა თბილ. აღმასკომს წინადადებით, ა. გრიბოედოვის მუზეუმის ქართველ მწერალთა მუზეუმად გარდაქმნის თაობაზე. იგი ამავე დროს მოხსენებით გამოვიდა მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე. სწორედ ამ სხდომამ დაადგინა, შექმნილიყო მთაწმინდაზე დაკრძალულ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მუზეუმი.

1931 მარტში მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი კომუნალური მეურნეობის გამგებლობაში გადავიდა. ფონდში დაცული იყო 329 ექსპონატი. მუზეუმის დირექტორად გ. ლეონიძე დაინიშნა, ქართ. განყ-ბის გამგედ – ტ. ტაბიძე, რუსული განყ-ბის გამგედ კი – ი. ენიკოლოფოვი.

მწერალთა და საზ. მოღვაწეთა ნაწილმა მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ხელნაწერები და მემორიალური ნივთები. ეწყობოდა ექსპედიციები საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ხელნაწერთა და იკონოგრაფიული მასალის შესაგროვებლად. 1933 წ. 14 სექტემბერს მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. 1934-იდან იგი თსუ-ს დაექვემდებარა, 1935 ოფიციალურად ეწოდა ,,საქართველოს მწერალთა მუზეუმი‘‘, 1938-იდან კი – ,,საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი‘‘. ამავე წელს მუზეუმი მთაწმინდიდან ა. ჯორჯიაშვილის (ახლანდ. გ. ჭანტურიას №8) ქუჩაზე გადაიტანეს. 1946-იდან მუზეუმი საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტ.-საგანმან. დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის სისტემაში იყო, 1948–54 – საქართვ. მეცნ. აკადემიის, ხოლო 1954-იდან კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია.



ლიტერატურის მუზეუმი გიორგი ლეონიძის სახელობისა.

მუზეუმში არის შემდეგი განყ-ბები: ხელნაწერთა, იკონოგრაფიული, უნიკალური წიგნების, აღრიცხვა-დაკომპლექტების, სარესტავრაციო, საგამოფენო-საგანმანათლებლო, საგამომცემლო ბ-კა.

ლ. მ. საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი განძსაცავია. აქ თავმოყრილია 126 000-მდე ხელნაწერი, 2335 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, 57040 ფოტოდედანი, 87 სკულპტურული ნამუშევარი, 76 ფოტოალბომი, 2 397 მემორიალური ნივთი, 50 640 უნიკალური წიგნი და ჟურნალ-გაზეთი, 957 აუდიო-ვიდეოჩანაწერი, 20 700 ნეგატივი, რ-თა გამოუყენებლად შეუძლებელია ქართული ლიტ-რის წარსული თუ მიმდინარე პროცესების კვლევა. მუზეუმის ფონდებში დაცულია მინიატიურული ოთხთავი (გიორგი მთაწმინდლის თარგმანი, გადაწერილი XII ს-ში ათონის ივერთა მონასტერში), ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი და ,,სიბრძნე-სიცრუისა'' (გადაწერილი XVIII ს-ში); ,,ვეფხისტყაოსნის'' XVIII–XIX სს. ხელნაწერები; ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი (გადაწერილი 1810); ვახუშტი ბატონიშვილის ,,საქართველოს ცხოვრება'' და ,,გეოგრაფია'' (გადაწერილი 1829); XVIII–XIX სს. ფილოს.-რელიგიური ხასიათის თხზ. ხელნაწერები; ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, გ. ტაბიძისა და სხვა მწერალთა არქივები თუ ცალკეული ხელნაწერები. აღსანიშნავია ა. დიუმას, ი. ტურგენევის, ა. ლაისტის, მარჯორი და ოლივერ უორდროპების, ა. ბელის, კ. ბალმონტის, ვ. ბრიუსოვის, ბ. პასტერნაკის და სხვათა ავტოგრაფები და წერილები.

მუზეუმში დაცულია გამოჩენილი ქართველი და რუსი მხატვრების –ა. ბერიძის, გ. გაბაშვილის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, თ. აბაკელიას, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის, ე. ბაღდავაძის, რ. სტურუას, ლ. ცუცქირიძის, თ. ბუროვის (,,შოთა რუსთაველი''), პ. კოლჩინის (,,გარსევან ჭავჭავაძე'' და ,,გიორგი ორბელიანი''), ა. მორგუნოვისა და გ. კორადინის (ბატონიშვილთა მინიატიურული პორტრეტები) ნამუშევრები. აქვეა წარმოდგენილი დ. ერმაკოვის, ა. როინაშვილის, დ. აბაშიძის და სხვათა ფოტოდედნები. უნიკალური წიგნების ფონდში თავმოყრილია XVII–XIX და XX სს. ბიბლიოგრაფიული იშვიათობანი, მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პირადი ბ-კები (ი. მაჩაბლის, გ. ტაბიძის, შ. დადიანის და სხვ.), მათ შორისაა არჩილ მეფის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი სახარება, 1712 თბილისში დაბეჭდილი ვახტანგ VI-ისეული ,,ვეფხისტყაოსანი'', წიგნები პ. იოსელიანის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, გ. ტაბიძისა და სხვათა ავტოგრაფებით. აქვე ინახება XIX ს. უნიკალური პერიოდული გამოცემების – ,,ცისკრის'', ,,საქართველოს მოამბის'', ,,ივერიის'', ,,კრებულის'', ,,კვალის'', ,,ცისფერი ყანწების'', ,,მეოცნებე ნიამორების'', ,,კავკასიონის'' და სხვა უმნიშვნელოვანეს გამოცემათა სრული კომპლექტები თუ ცალკეული ეგზემპლარები.

მემორიალური ფონდის ფასდაუდებელი ექსპონატებია ცნობილ მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პირადი ნივთები (ტანსაცმელი, კაბინეტის მოწყობილობა, საოჯახო რელიკვიები). აუდიო-ვიდეოფონდში დაცულია უნიკალური ჩანაწერები.

მუზეუმის საექსპოზიციო განყ-ბა ყველა მწერლისა და საზ. მოღვაწის საიუბილეო თარიღს ეხმაურება დიდი თუ პატარა გამოფენით; ეწყობა ამა თუ იმ ლიტ. მიმდინარეობისა თუ პერიოდის განმაზოგადებელი ექსპოზიციები; იმართება მუზეუმის ფონდში დაცული მხატვრების ნამუშევრების გამოფენები, რ-ებიც თბილ. სკოლებსა და საქართვ. სხვადასხვა მუნიციპ-ებში იმართება.

მუზეუმის საგამომცემლო საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა 1940, როდესაც გ. ლეონიძის რედაქტორობით გამოვიდა მუზეუმის პირველი ბეჭდური ორგანოს, ,,ლიტერატურული მატიანეს'' I–II წიგნი. 1994 მუზეუმში დაარსდა გამომც. ,,ლიტერატურის მუზეუმი'', რ-ის მიზანია საზ-ბისთვის მუზეუმში დაცული უნიკალური მასალის მიწოდება.

მუზეუმი ნაყოფიერ კულტ.-საგანმან. საქმიანობას ეწევა. მწერლებთან და ხელოვანებთან ეწყობა შეხვედრები, ლექცია-საუბრები, საღამოები, წიგნების წარდგენები, კინოჩვენებები. მუზეუმის ბაზაზე დაარსდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ლომოურის, ა. ერისთავ-ხოშტარიას, თ. რაზიკაშვილის, ლ. უკრაინკას სახლ-მუზეუმები. მუზეუმს აქვს ორი ფილიალი: ტ. ტაბიძის ბინა-მემორიალი და ნ. დუმბაძის სახლ-მუზეუმი.



ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი.



,,ლიტერატურული გაზეთი‘‘.



,,ლიტერატურული საქართველო‘‘.

1931–53 მუზეუმის დირექტორი იყო გ. ლეონიძე. 1953–56 – ვ. ეგნატაშვილი, 1956–76 – ი. კაკაბაძე, 1976–82, 1989–91, 1992–2010 – ი. ორჯონიკიძე, 1982–88 – გ. ნატროშვილი, 1988–1989 – რ. თვარაძე, 1991–92 – გ. შარაძე, 2010-იდან – ლ. ბაქრაძე.

ლ. ბაქრაძე.
თ. თვალავაძე.
ი. ორჯონიკიძე.

,,ლიტერატურნაია გრუზია‘‘, რუსულენოვანი ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი. საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო; გამოდიოდა 1957 ივნ-იდან თბილისში. ჟურნალის მიზანი იყო მკითხველისთვის ქართვ. მწერლების, ქართ. ლიტრის საუკეთესო ნიმუშების გაცნობა. სხვადასხვა დროს რედაქტორები იყვნენ: კ. ლორთქიფანიძე, მ. მრევლიშვილი, გ. ციციშვილი, გ. ასათიანი, თ. ბუაჩიძე, რ. მიმინოშვილი, ზ. აბზიანიძე. ტირაჟი 10 ათ. ც. (1980). 2003 ჟურნალის გამოცემა შეწყდა.

ი. ლორთქიფანიძე.

,,ლიტერატურული ალმანახი‘‘, იხ. *,,პირველი სხივი‘‘.*

,,ლიტერატურული აჭარა‘‘, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყ-ბის ორგანო; გამოდიოდა 1958-იდან ბათუმში ორ თვეში ერთხელ. 1970-იდან ,,*ჭოროხი*‘‘ ეწოდა. 2016 გამოცემა შეწყდა. განახლდა – 2017. გამოდის ორ თვეში ერთხელ. მთ. რედაქტორი – ს. ბერიძე.

,,ლიტერატურული გაზეთი‘‘, გამოიცემა 2009 წ. 15 მაისიდან ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით. გაზეთი 16-გვერდიანია. გამომცემლები: საქართვ. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართვ. მწერალთა სახლი. გაზეთის რედაქტორია ი. ჯავახაძე.

სხვადასხვა დროს გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ა. კალანდაძის გამოუქვეყნებელი ლექსი, ჯ. ქარჩხაძის ორი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, გ. გეგეჭკორის, მ. ქვლივიძის, მ. ლებანიძის, მ. გელოვანის, ჯ. თოფურიძის, ე. ახვლედიანისა და ნ. შატაიძის დღემდე უცნობი ლექსები. რ. ინანიშვილის და ლ. ასათიანის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები, ნ. აგიაშვილის უცნობი მიმოწერები მის თანამედროვე მწერლებთან, თ. ბაძაღუას მანამდე დაუბეჭდავი თარგმანები. ამას გარდა, ა. წერეთლის 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი მთლიანად დაეთმო პოეტის დღემდე უცნობ მასალებსა და ფოტოებს.

2010–11 წლებში ,,ლ. გ-ის‘‘ ინიციატივით გაიმართა ,,ერთი მოთხრობის კონკურსი‘‘, ხოლო 2012 – კონკურსი სახელწოდებით ,,ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კრიტიკა‘‘.

ლიტერატურული კრიტიკა, იხ. *ლიტერატურათმცოდნეობა.*

,,ლიტერატურული საქართველო‘‘, ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთი. დაარსდა 1931 წ. ნოემბრში, თბილისში. გამოდიოდა ათ დღეში ერთხელ – თავდაპირველად საქართვ. საბჭ. მწერლების ფედერაციის, ხოლო მომდევნო წლიდან – მწერალთა კავშირის ეგიდით. თავიდან ეწოდებოდა ,,სალიტერატურო გაზეთი‘‘ (1931–34), შემდგომ – ,,ლიტერატურული საქართველო‘‘ (1934–35), ,,ლიტერატურა და ხელოვნება‘‘ (1943– 53), ,,ლიტერატურული გაზეთი‘‘ (1953–1963), ,,ლიტერატურული საქართველო‘‘ (1963-იდან დღემდე). სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: შ. რადიანი (1931, 1937–45), დ. დემეტრაძე (1932–33, 1937), პ. ქიქოძე (1933–35), ა. თათარაშვილი (1936–37). გ. ნატროშვილი (1946–63), ი. ნონეშვილი (1963–67), რ. თვარაძე (1967–68), რ. მარგიანი (1968–73), ვ. ჭელიძე (1973–87), ე. ჯაველიძე (1987–91), ს. სიგუა (1991), თ. წივწივაძე (1992–2018). 1941–43 გაზეთს ხელს აწერდა რედკოლეგია (ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. წულუკიძე). 2008–13 წ. მაისამდე გაზეთი დახურული იყო. 1995-იდან გაზეთს იურიდიული სტატუსი შეეცვალა და გახდა შპს გაზ. ,,ლიტერატურული საქართველო‘‘. 2019 წ. ოქტომბრიდან ,,ლ. ს.‘‘ გამოდის ი. ამირხანაშვილის რედაქტორობით.

,,ლ. ს-ში‘‘ იბეჭდება მხატვრული ლიტ-რა, მ. შ. რეპრესირებულ მწერალთა ნაწარმოებები, ასევე კრიტ. და პუბლიც. სტატიები, თარგმანები, წერილები თანამედროვეობის მნიშვნელოვან საკითხებზე. გაზეთი დღემდე აქტიურად ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

ა. კოხრეიძე.

ლიტერატურულ-მუსიკალური სალონები, კულტურის კერები ძველი თბილისის არისტოკრატიულ ოჯახებში. უძველესი დროიდან ქართვ. მეფეთა კარზე ტრადიციულად იმართებოდა ლიტ.-მუს. პაექრობები და თეატრ. წარმოდგენები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ლ.-მ. ს-ს. სალონებმა განსაკუთრებით გამოკვეთილი სახე მიიღო XIX ს. დასაწყისიდან, როცა საქართველოში შემოიჭრა დას. ევრ. კულტურის ნაკადი, რ-საც ნაზიარები იყო რუს. უნ-ტების კურსდამთავრებული ქართვ. ახალგაზრდობა, ცარიზმის მიერ კავკასიაში გადმოსახლებული თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენცია. უთეატრობისა და კულტ. დაწესებულებათა სიმწირის გამო არისტოკრატთა ოჯახებში დამკვიდრებული ეს ტრადიცია დიდ როლს ასრულებდა თბილ. კულტ. ცხოვრებაში. ამ სალონებში იკრიბებოდა საზ-ბის ნიჭიერი, მოაზროვნე ნაწილი (პოეტები, მუსიკოსები და სხვ.); აქ დაიბადა არაერთი მნიშვნელოვანი იდეა მუდმივი პროფ. თეატრის, პერიოდული პრესის დაარსებისა და სხვ.; აქვე კითხულობდნენ ახ. ნაწარმოებებს, თარგმანებს, იმართებოდა თეატრ. წარმოდგენები. გამოიკვეთა კულტ. მოღვაწეთა, შემოქმედთა ახ. თაობა (პოეტები, მსახიობები, შემსრულებლები), რ-მაც დიდად შეუწყო ხელი ქართ. კულტურის აღორძინებას.

თბილისში სალონი ჰქონდა რევაზ (რომან) იოანეს ძე ბაგრატიონს (1778–1834), ცნობილი მხედართმთავრის – პ. ბაგრატიონის უმცროს ძმას (ამ სალონს თანამედროვენი ,,თეატრალურ სახელოსნოს‘‘ უწოდებდნენ). აქ იმართებოდა მუს. საღამოები და წარმოდგენები სცენისმოყვარეთა მონაწილეობით. 1832 წ. 21 იანვარს წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან‘‘ რ. ბაგრატიონისა და მისი ოჯახის წევრების მონაწილეობით. წარმოდგენის შემდეგ ქართველმა მანდილოსნებმა შეასრულეს ევრ. და აღმოსავლური ცეკვები. ამ სალონში დადიოდნენ ა. ბესტუჟევ-რიუმინი, ა. მუსინ-პუშკინი; კითხულობდნენ ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვის ნაწარმოებებს. სისტემატურად იმართებოდა მუს. საღამოები, სიმებიანი კვარტეტის კონცერტები, შესრულდა ქართ. სიუჟეტზე აგებული პირველი ვოდევილი მუსიკის თანხლებით – მ. გამაზოვის ,,XIX საუკუნის ქართველები, ანუ მომგებიანი გარიგება‘‘. სალონი მდებარეობდა რ. ბაგრატიონის ბინაში, ახლანდ. რუსთაველის პროსპექტზე, ა. გრი-

ბოედოვის სახ. თეატრის ადგილას. დაიხურა რ. ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ.

ს. დოდაშვილის ბინაში გამართული შეკრებების მონაწილეები იყვნენ ძმები ა. და ვ. ორბელიანები, გ. ორბელიანი, ს. რაზმაძე და სხვ. 30-იან წლებში აქ გამართულ კონცერტებზე ფორტეპიანოს უკრავდნენ ა. და ვ. ორბელიანები. შეკრებებს ესწრებოდა თურქეთის კონსული. წრე დაიშალა 1832 შეთქმულების მონაწილეთა, მ. შ. ს. დოდაშვილის დაპატიმრების გამო.

აღსანიშნავია მანანა ორბელიანის (1808–70) სახელგანთქმული სალონი, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი საზ. მოღვაწეები, მწერლები, ხელოვნების მოყვარულნი. თავის ახალ ნაწარმოებებს კითხულობდნენ გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. ისარლიშვილი, გ. ერისთავი, ა. ჭავჭავაძე, მ. თუმანიშვილი. აქვე დაიბადა აზრი ჟურნ. ,,ცისკრის'' გამოცემისა, რაც 1852 კიდეც განახორციელა გ. ერისთავმა, მსჯელობდნენ ქართ. წარმოდგენების დადგმის, ქართ. მუდმივი პროფ. თეატრის დაარსების თაობაზე. მ. ორბელიანის სალონმა იარსება XIX ს. 60-იან წლებამდე.

თბილისში (და მთელ საქართველოშიც) სახელგანთქმული იყო ა. ჭავჭავაძის ოჯახი, სადაც თავს იყრიდა ქალაქის მოწინავე საზ-ბა, უცხოელი მოღვაწეები და დიდმოხელენი, ქალაქის საპატიო სტუმრები. ა. ჭავჭავაძის ასულები – ნინო და ეკატერინე – შესანიშნავად უკრავდნენ ფორტეპიანოს (მურავიოვ-კარსკის მიერ 20-იან წლებში თბილისში შემოტანილი ერთ-ერთი პირველი ფორტეპიანო შეიძინა ა. გრიბოედოვმა. მანამდე ქალაქში სულ რამდენიმე მუსიკალური საკრავი იყო). მალე ეს საკრავი ფართოდ გავრცელდა და მუს. სალონების აუცილებელ ატრიბუტად იქცა. მღეროდნენ, ცეკვავდნენ ქართ. და ევრ. ცეკვებს. თვით ა. ჭავჭავაძე უკრავდა ჩონგურს, გატაცებული იყო მუსიკითა და სიმღერით. სალონი გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ა. გრიბოედოვი ამ ოჯახის სიძე გახდა. საღამოებზე ნ. ჭავჭავაძე ასრულებდა ა. გრიბოედოვის მუს. ნაწარმოებებს. ხშირად კი ორივე ერთად – კლასიკურ მუს. ნაწარმოებს. აქვე წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან''. 1839 ნ. ბარათაშვილმა ამ სალონში წაიკითხა ,,ბედი ქართლისა''; ტარდებოდა ა. ჭავჭავაძის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი პ. კორნელის ტრაგედიის, ,,ცინნას'' რეპეტიციები. სალონის შესახებ ცნობები შემოინახეს ა. ფადეევმა, თ. ტორნაუმ, ლ. დადიანმა, ი. მეუნარგიამ, კ. ბოროზდინმა. ა. ჭავჭავაძისა და მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს სალონის მასპინძლები იყვნენ ნ. ჭავჭავაძე და მისი ძმა დავითი. იგი დაიხურა ნინოს გარდაცვალების შემდეგ (1854).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტ.-მუს. კერა იყო ნ. ბარათაშვილის სახლი, სადაც იკრიბებოდნენ პოეტის მეგობრები – ქართვ. ახალგაზრდები, რ-ებიც ზრუნავდნენ ეროვნ. თეატრის ჩამოყალიბებაზე, ქართ. ჟურნალისტიკის დაარსებასა და საქართვ. ისტორიის შედგენაზე. წრის წევრები იყვნენ დ. ყიფიანი, მ. თუმანიშვილი, დ. მაჩაბელი, კ. მამაცაშვილი და სხვ. იმართებოდა ლიტ. საღამოები. აქ წაიკითხა ნ. ბარათაშვილმა ი. ლაზარევიცის ტრაგედია ,,იულიუს ტარენტელის'' თარგმანი, ხოლო დ. ყიფიანმა – უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''. ნ. ბარათაშვილს სახლში ბევრი სამუსიკო საკრავი ჰქონდა, თავად შესანიშნავად უკრავდა თარსა და ჩონგურს და თავის სალონში გამართულ საღამოებზე ცეკვავდა კიდეც. სალონის ერთ-ერთი წევრი იყო მისი მეგობარი, იმხანად თბილისში მეტად პოპულარული მომღერალი სათარა. სალონმა არსებობა შეწყვიტა პოეტის გარდაცვალების შემდეგ (1845).

1867 ნ. ავალი-შვილისა და ვ. თულაშვილის თაოსნობით ლ. მაღალაშვილის ბინაზე შეიქმნა ,,არტისტული წრე'', რ-მაც დაიწყო წარმოდგენების გამართვა. ამ მიზნით მზადდებოდა პიესები, ეწყობოდა შეხვედრები. აქ იკრიბებოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, დ. ყიფიანი, კ. მამაცაშვილი, გ. თუმანიშვილი, დ. ერისთავი, ი. ბაქრაძე, გ. ქართველიშვილი. დადგეს ა. წერეთლის, გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებები. ამ წრის მუშაობა დაედო საფუძვლად 1874 ქართ. თეატრის აღორძინებას.

80-იან წლებში სერგის ქუჩაზე (ახლანდ. ი. მაჩაბლის №13, შემდეგ მწერალთა სასახლე) იყო მეცენატ დ. სარაჯიშვილის განთქმული სალონი, რ-საც სტუმრობდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, რ. და დ. ერისთავები, ი. მეუნარგია, გ. ყიფიანი, ა. ფრონელი, ა. და ავქ. ცაგარლები, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძე, ი. მაჩაბელი და სხვ. აქ წაიკითხეს ი. ჭავჭავაძის ,,განდეგილი'', ,,ოთარაანთ ქვრივი''; მსჯელობდნენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. ამის გარდა, სალონის მასპინძლები მართავდნენ მეჯლისებს, რ-ებზეც იწვევდნენ წარჩინებულ საზ-ბას.

სალონური ხასიათი ჰქონდა ა. ფურცელაძისა და ვ. თულაშვილის ლიტ. წრეს, რ-იც იკრიბებოდა ა. ფურცელაძის ბინაზე ე. წ. ,,სალდათის ბაზართან'' (ახლანდ. ა. ფურცელაძის ქუჩისა და გ. ორბელიანის მოედნის შეერთების ადგილი). წრის მონაწილეები (პ. უმიკაშვილი, ნ. ყიფიანი, კ. ივანოვი, ლ. ჯანდიერი, თ. მაჩაბელი, გ. პაიჭაძე) მსჯელობდნენ ქართ. თეატრისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების შესახებ. სხდომებს ესწრებოდა დ. ყიფიანი. შემდეგ წრეს შეემატნენ დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მამაცაშვილი, ნ. ცხვედაძე. კითხულობდნენ არალეგალურ ლიტ-რას (ა. გერცენის ,,კოლოკოლი''). აქვე წამოიჭრა სახალხო სკოლების გახსნის საკითხი, ჩამოყალიბდა კულტ.-საგანმან. საზ-ბის დაარსების იდეა. ამ საზ-ბას შემდეგ *,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება''* ეწოდა.

1885 წ. 31 დეკემბრიდან ი. ჭავჭავაძის ბინაზე, სადაც იყო ,,ივერიის'' რედაქცია და სტამბა (ნიკოლოზის, ახლანდ. ი. ჯავახიშვილის ქ. №7), საფუძველი ჩაეყარა ი. ჭავჭავაძის ,,ხუთშაბათობებს''. მონაწილეობდნენ რედაქციის თანამშრომლები და ქართ. მწერლობის სხვა წარმომადგენლები. სხდომებს ესწრებოდნენ ა. ლაისტი, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ი. მანსვეტაშვილი, ე. გაბაშვილი. ,,ხუთშაბათობები'' იმართებოდა 1902-მდე.

XIX ს. დასაწყისიდან თბილისში ლ.-მ. ს. ჰქონდათ აქ დროებით თუ მუდმივად მცხოვრებ რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ასეთი იყო პ. არსენიევას (გენ. თ. ახვერდოვის მეუღლე და მ. ლერმონტოვის ნათესავი) სალონი. აქ თავს იყრიდნენ ა. გრიბოედოვი, ა. ოდოევსკი, ვ. კიუხელბეკერი, ა. ჭავჭავაძე, გ. ჭილაშვილი (ი. ჩელიაევი) და სხვ. პ. არსენიევას ჰქონდა პანსიონიც, სადაც აღიზარდნენ ნ. და ე. ჭავჭავაძეები. სალონი არსებობდა

1816–30. სალონები ჰქონდათ მთავარმართებლების – ი. პასკევიჩის, ა. ერმოლოვისა და მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის მეუღლეებსაც. ა. ერმოლოვმა 1819 კერძო ბინაზე მოაწყო კლუბი. აქ გამართულ მეჯლისებზე იკრიბებოდა მაშინდელი თბილ. არისტოკრატიული ელიტა. მთავარმართებელთა საოჯახო სალონები, ქართ. არისტოკრატიული სალონებისაგან განსხვავებით, კავკ. მმართველთა გარკვეული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო.

ლიტ.: ბალახაშვილი ი., ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში, თბ., 1940; გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957; მეტრეველი ს., ქართული რომანტიკული თეატრის ანარეკლები და ნიკოლოზ ბარათაშვილი, კრ.: რომანტიზმი ლიტერატურში – ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე, თბ., 2017.

ს. ხუციშვილი. მ. ფიჩხაძე.

ლიტვა, *ლიეტუვის* სახელწოდება 2018-მდე.

ლიტვინენკო ვასილ კონსტანტინეს ძე (2. II. 1899, სოფ. საველიევკა, სამარის გუბერნია, ჩრდ. ვოლგის მხარე, – 3. II. 1967, მოსკოვი), ბალეტმაისტერი, საოპერო მომღერალი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1941). 1915-იდან იყო სარატოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი, 1916 – ესტრადის მოცეკვავე, 1917–21 – ამავე თეატრის სოლისტი. 1921–22 სწავლობდა თბილ. გ. მორდკინის სტუდიაში, პარალელურად იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1921–24). 1924 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია ვოკალის განხრით (ხელმძღვ. ე. რიადნოვი). მუშაობდა ბაქოში, მოსკოვში (დიდი თეატრი), ხარკოვში, კიევში. 1935–47 კვლავ თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. დგამდა ცეკვებს რუსთაველის თეატრში. ამიერკავკ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. ბალეტმაისტერ დ. ჯავრიშვილთან ერთად მონაწილეობდა ბალეტ ,,მალთაყვას'' შექმნაში (თანადამდგმელი და მთავრი როლის შემსრულებელი). თბილ. ოპერის თეატრში შესრულებული აქვს შემდეგი როლები: ჯარჯი (ა. ბალანჩივაძის ,,მთების გული''), ახალკაცი (შ. თაქთაქიშვილის ,,მალთაყვა'') და სხვ.

მ. ჯაფარიძე.

ლიტრა (ბერძნ. litra), ძველი (ბერძნული, ელინური) სამყაროს მასის ერთეული, რომელიც გამოიყენებოდა საქართველოშიც. წყაროებში გვხვდება IX ს-იდან, მაგრამ მისი დამკვიდრება უფრო ადრეა სავარაუდო. თავდაპირველი ლ. უდრიდა რომაულ-ბიზანტიურ ლ-ს – 327,45 გ. შემდეგ მისი მასა გაიზარდა და გახდა: 406,25 გ (IX–XI სს), 950 გ. (XIII ს.), 1,07 კგ (XIV–XV ს. I ნახ.), 1,780 კგ (XV ს. II ნახ. XVI ს.), 2,5 კგ (XVII ს.), 3 კგ (XVII ს-ს მიწურული – XVIII ს. I ნახ.), 3,3–3,4 კგ (XVIII ს. II ნახ.).

ლ. XIX ს. აღმ. საქართველოში გამოიყენებოდა მარცვლეულის, აგრეთვე სითხის საწყაოდაც. მისი ტევადობა სხვადასხვა კუთხეში 3,2–5 კგ/ლ-მდე მერყეობდა.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.) თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

ლიტრი, მოცულობის საზომი სისტემგარეშე ერთეული, ტოლია 10^{-3} $მ^3$ = 1 $დმ^3$. საერთაშ. აღნიშვნაა L ან l (ზოგჯერ *l*), ქართული – ლ. *ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* ერთეულებთან ერთად, ლ-ის გამოყენება დაშვებულია შეუზღუდავად, მსგავსად ზოგიერთი სხვა სისტემგარეშე ერთეულისა (მაგ., საათი – *სთ*, დღე-ღამე – *დღ-ღ* და სხვ.). 1901-იდან ლ-ს განმარტავდნენ როგორც 1 კგ სუფთა წყლის მოცულობას ნორმალური (760 *მმ* ვწყ. სვ.) წნევისა და 3.98 °C ტემპერატურის პირობებში. შემდგომ გამოირკვა, რომ ეს მოცულობა 28 მემილიონედი ნაწილით აღემატება 1 $დმ^3$-ს, ამასთანავე, დამოკიდებულია გარემოს ტენიანობასა და წყლის იზოტოპურ შედგენილობაზე. შედეგად ზომათა და წონათა XII გენერალურმა კონფერენციამ 1964 მიიღო ლ-ის თანამედროვე განმარტება. ისტორიულად ტერმინი ლ. უკავშირდება მოცულობისა და მასის ერთეულს, *ლიტრას,* რ-იც გავრცელებული იყო ბერძნულ-რომაულ კულტურაში და ასევე საქართველოში. ფართოდ გამოიყენება ლ-ის წარმოებული ერთეულებიც, მაგ., დეკალიტრი – 1 *დკლ* = 10 *ლ,* მილილიტრი – 1 *მლ* = 10^{-3} *ლ* და ა. შ.

ლიტურგია (ბერძნ. leiturgia – საზოგადო სამსახური, საერთო საქმე). 1. სახელმწიფო ვალდებულება ძვ. ბერძნულ პოლისებში; 2. ქრისტიანული საეკლესიო მღვდელმსახურება [მართლმადიდებელ ეკლესიაში – წირვა (ჟამისწირვა), კათოლიკურში – მესა], რ-ის დროსაც სრულდება 7 საიდუმლოდან ერთ-ერთი – *ზიარება,* ანუ ევქარისტია. ლ. ტიპიკონითაა განსაზღვრული და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველ დილით აღესრულება. შედგება საკითხავებისა და საგალობლებისგან. მისი საყოველთაო წესები საბოლოოდ შემუშავდა IV ს-ში. გავრცელებული იყო ლ-ის წესების სხვადასხვა რედაქცია: მოციქულთა – იაკობის, მარკოზის, პეტრესი; ეკლესიის მამათა – ბასილი დიდის, იოანე ოქროპირის. ლ-ის წესების სახელმძღვანელო წიგნს კონდაკი ან ჟამისწირვა ეწოდება. ლ. სამი ნაწილისაგან შედგება: კვეთა (პროსკომიდია), კათაკმეველთა ლ. და მართალთა ლ. X ს. დასასრულამდე საქართველოში ხმარობდნენ იაკობის, პეტრეს, აგრეთვე ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლ-ებს. ფართოდ გავრცელებული უკანასკნელი 2 რედაქცია XI ს-ში ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა *გიორგი მთაწმიდელმა.* ასევე იხმარებოდა იაკობის ავტორობით ცნობილი სპეც. საღვდელმთავრო კონდაკი (იხ. *არქიერატიკონი*). ქართ. ლ-ის წესებში ცვლილება შეიტანა კათოლიკოს-პატრიარქმა *ანტონ I*-მა, რ-მაც ქართული კონდაკი სლავურის მიხედვით შეასწორა. ცნობილია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესის ქართ. საეკლ. საგალობლები (ქართლ-კახური კილო), შედგენილი სხვადასხვა დროს ა. ბენაშვილის (1886), მ. იპოლიტოვ-ივანოვის (1884), ზ. ფალიაშვილის (1909), ნ. კლენოვსკის (1901) მიერ. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში გამოიცა აგრეთვე ვ. კარბელაშვილის ქართლ-კახური საგალობლები – ,,ცისკარი'' და ,,მწუხრი'', ფ. ქორიძის და რ. ხუნდაძის იმერულ-გურული კილოს წირვა-ლოცვის დროს შესასრულებული საგალობლები.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, «საქართველოს ეკლესიის 2005 წლის კალენდარი», თბ., 2004; Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл.,1908.

ბ. ლომინაძე. გ. ჩხიკვაძე.

ლიტურგიკა, ქრისტიანული ღვთისმსახურების შემსწავლელი დისციპლინა, რომელიც იკვლევს მის თეორიულ საფუძვლებს, განვითარების ისტორიულ პროცესებსა და ტრადიციებს, საეკლესიო დღესასწაულთა ციკლებს, ღვთისმსახურების შესრულების წესსა და რიგს

და ა. შ. ლ., როგორც სამეცნ. დარგი, ჩამოყალიბდა XVIII ს-ში. მისი პირველწყაროებია სას. მოღვაწეთა თხზულებანი და მრავალფეროვანი ლიტურგიკული კრებულები.

ლ. სას. მწერლობის მნიშვნელოვანი დარგია. ქართ. ლიტურგიკულ ძეგლებში ასახულია ქრისტ. სამრევლო და სამონასტრო ღვთისმსახურების ტრადიციები საქართველოში. X ს-მდე ქართ. ეკლესიას წარმართავდა იერუსალიმური (იხ. *ლექციონარი),* X–XII სს-ში – კონსტანტინოპოლური რედაქციის (იხ. *სვინაქსარი*), შემდეგ – პალესტინის საბაწმიდის მონასტრის ტიპიკონი, რ-იც XVIII ს-ში სლავურის მიხედვით შეასწორეს. ცნობილია აგრეთვე ამა თუ იმ მონასტრისთვის დაწესებული სამონასტრო, ანუ ქტიტორული ტიპიკონები (მაგ., პეტრიწონის მონასტრისთვის დაწესებული გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონი, 1084; ,,განგება ვანის ქუაბთა მონასტრისა'', 1204–34 და სხვ.).

ქრისტ. ღვთისმსახურების სამმა ძირითადმა ელემენტმა – საკითხავებმა, ლოცვებმა და საგალობლებმა – განაპირობა ლიტურგიკული წიგნების სპეციფიკა. ადრეულ ეტაპზე ბიბლიური საკითხავები ძირითადად ლექციონარებში იყო თავმოყრილი. შემდგომში ძველი აღთქმის საკითხავების კრებულს საწინასწარმეტყველო, ხოლო ახალი აღთქმისას აპრაკოსები ეწოდა. ბერძნულის მიხედვით შედგენილ საკითხავთა ქართ. კრებულებში ასახულია ღვთისმსახურების პრაქტიკის, მისი ტრადიციების მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

საეკლ. ლოცვები ძირითადად *კონდაკებსა* და *კურთხევანებშია* შეკრებილი. ქართ. საგალობლები თავმოყრილია ჰიმნოგრაფიულ კრებულებში (იადგარი, თვენი, მარხვანი, ძლისპირი და ა. შ.), რ-ებშიც ასახულია ბერძნ. და, შესაბამისად, ქართ. სას. პოეზიის განვითარება V–XVIII სს-ში უმარტივესი ფსალმუნური საგალობლებიდან რთულ პოეტურ-მუს. კომპოზიციებამდე.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; საღმრთო ჟამისწირვის სახისმეტყველება, ნ. ქაჯაიას გამოც., თბ., 2018.

ლ. ხევსურიანი.

ლიტურგიკული დრამა, შუა საუკუნეების რელიგიურ-მისტიკურ წარმოდგენათა სახეობა, სასულიერო დრამა. წარმოიშვა IX ს-ში. დაკავშირებული იყო საშობაო და სააღდგომო კათოლ. ღვთისმსახურებასთან. იწერებოდა ლათ. ენაზე. იყო ხალხურ სანახაობით ფორმათა ერთგვარი ანტითეზა (სახარების ეპიზოდთა, წმინდანთა და მოციქულთა შესახებ თქმულებების ინსცენირება).

ქრისტ. ეკლესია საეკლესიო მსახურებაში ფართოდ იყენებდა თეატრალიზაციის ხერხს, რაც განაპირობებდა ეკლესიის საიდუმლოებასთან მიახლოებას და ღვთის მსახურების დროს ექსტაზის განცდას. ფაქტობრივად ლ. დ-ის მიზანი იყო კათარზისის, განწმენდის მიღწევა. საშემსრულებლო თვალსაზრისით, ლ. დ-ს ახასიათებდა მკაცრი ფორმალიზმი, რიტუალურ-სიმბოლისტური სტილი. XIII ს-იდან ლ. დ-ში შეიჭრა საერო მოტივები, ხალხ. ინტონაციები; მეტი ადგილი დაიჭირა კომედიურმა ელემენტებმა, გაძლიერდა სანახაობითი მხარე, სას. პირებთან ერთად მონაწილეობდნენ საერო პირებიც; წარმოდგენამ ტაძრიდან მოედნებზე გადაინაცვლა და რელიგ. დღესასწაულთა ნაცვლად იმართებოდა ბაზრობის დღეებში; ლათ. ენა შეცვალა ადგილ. ევრ. ენებმა. ამის შემდეგ მას ნახევრად ლ. დ. ეწოდება, ხოლო მოგვიანებით მისტერიის სახე მიიღო.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში X ს-იდან დღემდე სრულდება ლ. დ. – ,,განგება ფერხთა ბანისა'' (სახარების ერთ-ერთი ეპიზოდის ინსცენირება).

ლიფანალი, ახალი წლის ციკლის დღესასწაული, მიცვალებულთა გამასპინძლების რიტუალი სვანეთში. იწყება ნათლისღების წინა დღეს (5/18 იანვ.), ანუ ახალი წლის მეოთხე დღეს და გრძელდება პირველი ორშაბათის ჩათვლით (ზემო სვანეთი); ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში – უახლოეს ხუთშაბათამდე (გრძელდებოდა 2-იდან 7 დღემდე). ხალხური წარმოდგენით ამ დღეს მიცვალებულთა სულები თავიანთ ოჯახებს უბრუნდებოდნენ, ამიტომ მათ დასახვედრად განსაკუთრებულად ემზადებოდნენ: ლ-ის პირველ დღეს („ადგომ") ასუფთავებდნენ ეზო-კარს, ხეხავდნენ ჭურჭელს, ასრულებდნენ რკინის „დაბორკვის" წესს (ლ-ის დამთავრებამდე სახლიდან გაჰქონდათ რკინის ყველა ნივთი), არყის ხის ტოტებისგან ამზადებდნენ ლამპრებს *ლამპრობის* დღეობისთვის, სულების გასამასპინძლებლად შლიდნენ საწესო სუფრას. ლ-ის პირველი დღის ტაბლა სამარხვო იყო. სულებს ეტყოდნენ დიდებას და არა შენდობას. მათ გასამხიარულებლად ყვებოდნენ ზღაპრებს და ჭიანურზე უკრავდნენ; წყალში გაქნილი ნაცრით ხატავდნენ სხვადასხვა გამოსახულებას – „დააჭრელებდნენ" კიდობანს, დგამ-ჭურჭელს, საქონლის სადგომის ტიხარს; კარებსა და კედლებზე გამოსახავდნენ ჯვრებს.

ლ-ის მეორე დღეს, ნათლისღებას (სვან. „განცხდაბ"), იშლებოდა სახსნილო ტაბლა. ცალკე იყო მიცვალებულთათვის განკუთვნილი სუფრა. ლ-ის განმავლობაში ეს რიტუალი მეორდებოდა ყოველდღე, დილა-საღამოს, გამონაკლისი იყო კვირადღე, რადგან ითვლებოდა, რომ ამ დღეს სულები ,,ქრისტეს წვეულები'' (სტუმრები) იყვნენ. ლ-ის განმავლობაში იკრძალებოდა ხმამაღალი ლაპარაკი, ბილწსიტყვაობა, ჩხუბი. ორშაბათს კი სულებს აცილებდნენ – ტაბლასთან ანთებდნენ სანთლებს, თავიანთ მიცვალებულებს სახელებით მოიხსენებდნენ და შენდობას ეტყოდნენ, შემდეგ კი გზაზე რძის დაპკურებით ,,აცილებდნენ.''

ლ-ის რიტუალები არქაულ წარმოდგენებს ემყარება, რ-თა თანახმად მიცვალებულებს შეეძლოთ ცოცხალთა ცხოვრებაზე სასიკეთო გავლენის მოხდენა და ღვთაებათა წინაშე შუამდგომლობა. იგი ასევე უკავშირდება შეხედულებებს ბუნების ძალთა აღორძინების შესახებ და ამიტომაც მოექცა ახალი წლის დღესასწაულთა ციკლში, რ-ის წარმმართველი იდეა სწორედ ,,მზის მობრუნება'' და ნაყოფის მიმნიჭებელ ძალთა განახლება იყო. მსგავსი დღესასწაულები (სულთშეკრება, სუნთობა და სხვ.). წლის სხვადასხვა დროს საქართვ. მრავალ კუთხეშია დამოწმებული. უძველესმა მსოფლმხედველობამ ქრისტიანიზებული, სინკრეტული სახით დღემდე მოაღწია, ყველაზე ცოცხალი სახით კი სვანეთის ყოფამ შემოინახა.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის'', 1953, ტ. 6; ნიჟარაძე ბ., სვანური ხალხური დღესასწაულები: ლიფანალი, „შრომა", 1883, №22; ღუდუშაური თ., XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული წყაროები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესახებ, თბ; 2005; წერედიანი ნ., სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, ნაწ. 2, „ამირანი", კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, 2004, №11.

ი. სურგულაძე.

ლიძენები (Lichenes), მღიერები, ქარაგოზები, ორგანიზმები, რომლებიც შედგება სოკოსა და წყალმცენარისაგან. მეცნიერებას ლ-ის შესახებ ლიქენოლოგია ეწოდება. ლ. აერთიანებენ 400-ზე მეტი გვარის 26 ათასამდე სახეობას. არჩევენ ქაფისებრ (ანუ ქერქისებრ), ფოთლისებრ (ანუ ფირფიტისებრ) და ბუჩქისებრ ლ-ს. არსებობს მათ შორის გარდამავალი ფორმებიც.

ანატომიური აგებულებით ლ. ორნაირია: ჰომეომერული (წყალმცენარეები მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული თალუსში) და ჰეტერომერული (წყალმცენარეები თალუსში ერთ შრეს ქმნიან). ლ. მრავლდებიან სქესობრივად, უსქესოდ და ვეგეტატიურად. სქესობრივი პროცესის შედეგად ლიქენის სოკოს სპორები წარმოიშობა ჩანთებში (ჩანთიანი ლ. – Ascolichenes) ან, ძალზე იშვიათად, ბაზიდიუმებზე (ბაზიდიუმიანი ლ. – Basidiolichenes). ჩანთები ვითარდება პერითეციუმებში ან აპოთეციუმებში. უსქესო გამრავლების დროს წარმოიშობიან კონიდიუმები და პიკნოსპორები. სოკოს გაღივებული სპორა ხვდება შესაბამის წყალმცენარეს და მასთან ერთად ქმნის ლ-ის ახალ თალუსს. ვეგეტატიური გამრავლება ხდება თალუსის ნაგლეჯებით ან სორედიუმებითა და იზიდიუმებით. ლ-ის მუდმივი კომპონენტი – წყალმცენარეები მრავლდებიან დაყოფით, მწვანე წყალმცენარეები – ხშირად ავტოსპორების წარმოქმნით.


თ. ლიჩელი.

წყლის რეჟიმის მიხედვით ლ. მიეკუთვნება პოიკილოჰიდრულ მცენარეებს. წყალს და მასში გახსნილ საკვებ ნივთიერებებს თალუსის მთელი ზედაპირი ითვისებს. ლ. შედარებით ადვილად იტანენ ხანგრძლივ და ძლიერ გამოშრობას. გამოშრობისას ფოტოსინთეზი სუსტდება ან წყდება. ლ. ნელა იზრდება, მათი წლიური ნაზარდი 0,01–100 *მმ* აღწევს; ლ. სახლდებიან მცენარეულობის გავრცელების უკიდურეს საზღვრამდე, უმთავრესად კარგად განათებულ ადგილებზე, სხვადასხვა სუბსტრატზე – მთის ქანებზე, მერქნიან მცენარეებზე, ნიადაგზე, ტყავზე, ძვალზე, მინაზე, რკინაზე, ქსოვილზე და სხვ. ლ-ში სოკოსა და წყალმცენარის ურთიერთობის შესახებ ბოლო დრომდე ყველაზე მეტად გავრცელებული იყო სიმბიოზის მცდარი კონცეფცია, რ-ის მიხედვითაც პარტნიორები ეხმარებიან ერთმანეთს: სოკო „ამარაგებს“ წყალმცენარეს წყლით და არაორგ. მარილებით, ხოლო წყალმცენარე – სოკოს მზა ორგ. ნივთიერებებით. სინამდვილეში ლ-ში სოკოსა და წყალმცენარის ურთიერთობა დაფუძნებულია პარაზიტიზმზე. ლ. პოლიფილეტური წარმოშობისაა. ნამარხებიდან ყველაზე ადრეულ ლ-ს ზედა ცარცულ პერიოდს მიაკუთვნებენ.

ლ. ხშირად მცენარეულობის პიონერებია, სახლდებიან უნაყოფო ადგილებზე; მათი დალუპვის შედეგად რჩება ორგ. ნივთიერებები, რ-ზეც სხვა მცენარეებს შეუძლიათ დასახლება. ჩრდ-ში ბუჩქისებრი ლ-ით ირმები იკვებებიან. ზოგიერთი მათგანი სამკურნალოდ გამოიყენება (სისხლის წნევის ამწევი, პერისტალტიკის გამაძლიერებელი, ანტიბიოტიკებისა და ვიტამინების შემცველი), ზოგს სამღებრო საქმესა და პარფიუმერიაშიც ხმარობენ, ზოგიერთისაგან კი ლაკმუსს ამზადებენ.

ც. ინაშვილი.

ლიძოკი, მთა აღმ. კავკასიონზე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. მდ-ების – გუდანისწყლის, ლიქოკისხევისა და აკუშოსხევის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადები) სათავეებთან. სიმაღლე ზ. დ. 2868 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. დაფარულია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლიფო, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (არტნის თემი). მდებარეობს ქართლის ქედის აღმ. კალთის ძირას, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1200 *მ*. თიანეთიდან 9 *კმ*. 62 მცხ. (2014).

სოფლის ტერიტორიაზეა XVIII ს. ეკლესია და ხახმატის ჯვრის ეკლესია.

ლიჩელი ვახტანგ ტარიელის ძე (დ. 16. IV. 1948, ბორჯომი), არქეოლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1991). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1971). 1970-იდან მონაწილეობს ან ხელმძღვანელობს საქართვ. ტერიტორიაზე ჩატარებულ გათხრებს – ვანი, ნასტაკისი, ძალისა, აბასთუმანი, წნისი, ბენარა, ასპინძა, წაღვერი, მზეთამზე, იგოეთი და სხვ. 2015-იდან დღემდე ხელმძღვანელობს ქართ. არქეოლ. მისიას კვიპროსზე. არის თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკ-ტის არქეოლოგიის ინ-ტისა და არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2010-იდან).

ლ-ს სამეცნ. მოღვაწეობა მოიცავს როგორც საველე არქეოლ. სამუშაოებს, ისე თეორიული სახის გამოკვლევებს. მან საქართველოში პირველმა (1977) გამოიყენა კომპიუტერული ტექნიკა არქეოლ. კლასიფიკაციის პრობლემების გადასაჭრელად. 1987 დაამუშავა ფენის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი – არტეფაქტების კულტურულ ფენებში განფენის რაოდენობრივი შეფასების მათემატიკური კრიტერიუმი (,,ფენის ნაჯერობა‘‘). ფიზიკოსებთან ერთად ამუშავებს დათარიღების თანამედროვე მეთოდებს (ელექტროპარამაგნიტური რეზონანსი და კერამიკის დეჰიდრატაცია). 1994-იდან ინტენსიური სამეცნ. ურთიერთობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა უნ-ტთან და ინ-ტთან, არის სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციისა და კომისიის წევრი, მ. შ. იუნესკოს საქართვ. კომისიის ,,ადამიანი და გარემო‘‘ წევრი (2010-იდან).

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, მათ შორისაა ,,საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია‘‘ (2010), ,,არქეოლოგიის მართვის საკითხები‘‘ (2013), ,,საუბრები არქეოლოგიაზე‘‘ (2021).

ლ-ს მიღებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2013), წმ. გრიგოლ ფერაძის პრემია (პოლ., 2016), თსუ-ის საიუბილეო (2018), ივ. ჯავახიშვილის სახ. (2018) და თსუ-ის ოქროს (2021) მედლები. არის ქ. ბორჯომის საპატიო მოქალაქე (2011).

ლიჩელი თამარ (თათა) ვახტანგის ასული (დ. 8. XI. 1978, თბილისი), პიანისტი, პედაგოგი, საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. 1996 დაამთავრა ზ. ფალიაშვილის სახ. ,,ნიჭიერთა ათწლედი‘‘ (ფორტეპიანოს განხრით, პედ. გ. გოგია), 2001 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (თ. ამირეჯიბის კლასი). მასტერკლასი გაიარა ავსტრიაში (1997; პედ. ჰ. ლეიგრაფი), სტაჟირება – იტალ. სანტა-ჩეჩილიას ნაციონალურ აკადემიაში (2004; პედ. ს. პერტიკაროლი), კვალიფიკაცია აიმაღლა მიუნხენის უმაღლ. მუს. აკადემიაში (2009; პედ. გ. ოპიტცი). 2007-იდან არის თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი, შემდგომ – ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე ,,კლასიკური მუსიკის განვითარების

ფონდის'' დირექტორი. ატარებს მასტერკლასებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. არის მრავალი ფესტივალის მონაწილე, ყოველწლიური კონკურსის ,,Ibla Grand Prize'' ჟიურის წევრი. 2013 დააარსა თ. ამირეჯიბის სახ. ყოველწლიური საერთაშ. მუს. ფესტივალი (სამხატვრო ხელმძღვ.), 2014 – საფორტეპიანო ტრიო ,,Sempre'', 2015 – თ. ამირეჯიბის სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსი (ქ. ბორჯომი). დიდი წვლილი შეაქვს ქართ. მუსიკის პოპულარიზაციაში, არის არაერთი ქართვ. კომპოზიტორის ნაწარმოებთა პირველი შემსრულებელი. მათ შორისაა ფ. ღლონტის №3 და რ. კემულარიას №1 საფორტეპიანო კონცერტები, ზ. ნადარეიშვილის ,,საფორტეპიანო ვარიაციები ს. ცინცაძის თემაზე'' (II რედაქცია), ვ. აზარაშვილის სიუიტა ,,ძველი თბილისის ჩანახატები'' და სხვ. მის რეპერტუარშია აგრეთვე მსოფლიო კლასიკა და თანამედროვე მუსიკა. ლ. არის მარკოპულოს (I პრემია, 1997, საბერძნეთი), საქართვ. მუსიკოს-შემსრულებელთა (I პრემია, 2003), ,,Ibla Grand Prize''-ის (I პრემია, გან-პრი, სპეც. პრიზი რაველისა და ნაციონალური ნაწარმოების შესრულებისათვის. იტალია, 2014) და სხვ. საერთაშ. კონკურსების ლაურეატი, მინიჭებული აქვს ლოს-ანჯელესის ,,Global Music Awards''-ისა და ,,Music Academy Awardes''-ის პრემიები, ,,წლის საუკეთესო დისკი'' (კომპაქტდისკისათვის ,,Micheil Travlos. Twenty one Concert Studies. Tamara Licheli – piano'' (2021). 2013 გამოსცა წიგნი ,,თენგიზ ამირეჯიბი''.

ლიტ.: კაკულია ლ., რეცენზია კონცერტზე ,,ანალიტიკური წიაღსვლებით, ,,მუსიკა'', 2015, №1; ყიფიანი თ., შემპრე ,,მუსიკა'', 2014, №3.

ლიჩი, სოფელი იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტში (ჭალოვნის თემი). მდ. ძირულის ნაპირზე, ზ. დ. 760 *მ.* საჩხერიდან 37 *კმ.* 170 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს. დასაწყისით დათარიღებულ ქუცნა ამირეჯიბის სიგელში ულუმბოს მონასტრისადმი. ლ-ში დგას XX ს. დასაწყისში აგებული ეკლესია, რ-ის ჩრდ. კედელში არის ქვა ასომთავრული წარწერით.

ლიძავა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: ლ., აციჯქვა, რაფიწა), მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე, ზ. დ. 5–30 *მ,* საზღვაო კლიმატური კურორტი. გაგრიდან 25 *კმ.*

1955 ლ-ში აღმოჩნდა ძვ. წ. XV–XIV სს-ებით დათარიღებული ბრინჯაოს ცულების განძი (იხ. *ბიჭვინთის განძი*). სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები.

ამჟამად ლ. ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიფი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში (ვანელის თემი), ჯავის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ.დ. 1580 *მ.* ჯავიდან 20 *კმ.*

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიჯადი, ხეობის ტიპის მყინვარი სვანეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის აუზში, მესტიის მუნიციპ-ში. ლ. ტვიბერის მყინვარის ზემო ნაწილს წარმოადგენს. მისი სიგრძეა 2,3 *კმ,* ფართობი – 2,0 *კმ*^{2}. საზრდოობს ტვიბერის უღელტეხილსა და მის მახლობლად მდებარე მწვერვალების კალთებიდან ჩამონადენი მყინვარების ნაკადებითა და ზვავებით.

ლიჯადი, უღელტეხილი სვანეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მესტიის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე ზ. დ. 3700 *მ.* აკავშირებს მდ. ენგურისა და მდ. ჩეგემის (რუსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი) აუზებს. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

ლიხაური (1951-მდე ვაშტია-ლი), სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდ. აჭისწყლის ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ლ. აჭი, კვაჭალათი, ნიაბაური). ზ. დ. 120 *მ,* ოზურგეთიდან 5 *კმ.* 952 მცხ. (2014). ლ-ში დაიბადა ე. *თაყაიშვილი,* იქვეა მისი სახლ-მუზეუმი.

სოფელში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, რ-შიც ეკლესიის გარდა შედის ორსართულიანი სამრეკლო და გალავანი. ეკლესია დარბაზულია, თარიღდება XIII ს-ის II ნახ-ით. გადაკეთებულია მოგვიანებით. გვიანდელია კარიბჭეც, რ-იც ეკლესიას დას-იდან ეკვრის. სამრეკლო ტაძრის დას-ითაა. სამშენებლო წარწერის თანახმად (მდებარეობს დას. ფასადზე), იგი 1422 თარიღდება.

გალავანი მხოლოდ ნაწილობრივადაა შემორჩენილი. XV–XVI სს-ში ეკლესია მთლიანად მოუხატავთ (შემორჩენილია მხოლოდ ორი სცენა). 1989 ეკლესიას და სამრეკლოს ჩაუტარდა რესტავრაცია.

2010–11 სტიქიური მოვლენებისგან დასაცავად, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი საყრდენი კედლებით გაამაგრეს.

ეკლესიაში მრავალი სიძველე იყო დაცული, მ. შ. ღვთისმშობლის, მაცხოვრის, იაკობ მოციქულის და წმ. გიორგის ხატები. ეკლესიაში ინახებოდა ორი ძველი ქართული ხელნაწერი, ასევე ზარი მხედრული წარწერით და სხვ.

ლიტ.: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987; გომელაური ი., ლიხაურის ეკლესიის სამრეკლო, ძეგლის მეგობარი, 1969, №17; თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907; ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004.

ლიხეთი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. ლუხუნის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: ლ., აბარი, ურავი). ამბროლაურიდან 15 *კმ.* 295 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფელში შემორჩენილია მეჯვრეთის სამონასტრო კომპლექსი (VIII–IXსს.) და ადრინდელი ანტიკური ხანის სამარხი.

ლიხთა, მთა აფხაზეთის არ-ის გულრიფშის მუნიციპალიტეტში. ჩხალთის ქედის სამხრ. განშტოებაზე, ზ. დ. 2406 *მ.* მთის კალთები დაფარულია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლიხთიმერეთი, ლიხთიმერეთი, დას. საქართველოს ერთ-ერთი ზოგადი სახელწოდება. წყაროებ-



ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესია. XIII ს.

ში დამოწმებულია IX ს-იდან. შინაარსობრივად მოიაზრება ლიხის ქედსიქითა მხარე, იგივე იმერეთი. შემდგომ ხანაში ტერმინ ლ-ის ნაცვლად ხმარობდნენ იმერეთს, თუმცა წერილობით წყაროებში XIX ს. დასაწყისამდე ლ-ც გვხვდება.

ლიხის ბრძოლა, იხ. სტ. *გიორგი II*, იმერეთის მეფე.

ლიხის ქედი, სურამის ქედი, კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთათა სისტემების დამაკავშირებელი სუბმერიდიანული ქედი, რ-იც საქართველოს ყოფს აღმ. და დას. ნაწილებად (ძვ. წყაროებით ,,ლიხთიმერად“ და ,,ლიხთამერად“). ლ. ქ. შავი და კასპიის ზღვების აუზების წყალგამყოფია. ქედის შუა მონაკვეთი ტექტონიკურად ეკუთვნის ძირულის კრისტალურ მასივს, ჩრდილოეთი – კავკასიონს, სამხრეთი – მცირე კავკასიონს. მისი სიგრძე ერწოს უღელტეხილიდან *ლომისთა* 102 *კმ*-ია. აბსოლ. სიმაღლე ცვალებადობს 900–2471 *მ* ფარგლებში. მწვერვალებიდან აღსანიშნავია: ალხაშენდა (ზ. დ. 2319 *მ*), რაბისი (ზ. დ. 2470 *მ*), ბილურთა (ზ. დ. 2166 *მ*), რუსთავი (ზ. დ. 1936 *მ*), ლოხონი (ზ. დ. 1925 *მ*), შვილდისი (ზ. დ. 1443 *მ*), კაპრებისმთა (ზ. დ. 1177 *მ*), ედისჯვარი (ზ. დ. 1320 *მ*), საბუეთი (ზ. დ. 1248 *მ*), წაქვა (ზ. დ. 1220 *მ*), ვირიგვერდი (ზ. დ. 1644 *მ*). უღელტეხილებიდან აღსანიშნავია ჯვარი (936 *მ*), რიკოთი (999 *მ*) და სხვ.

ლ. ქ. ასრულებს კლიმატგამყოფის როლს, მაგრამ კოლხეთისა და აღმ. საქართვ. კლიმ.-ბოტანიკური ოლქების საზღვარი წყალგამყოფს კი არ მიუყვება, არამედ ქედის აღმ. კალთებს. ქედის უმეტესი ნაწილი ფართოფოთლოვანი ტყითაა შემოსილი (მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი), განაპირა ჩრდ. და სამხრ. ნაწილებში წიწვიანებიცაა. სუბალპ. და ალპ. მდელოები მხოლოდ უკიდურეს ჩრდ. ბოლოზეა (მთები რიბისი და ალხაშენდა). სხვა უტყეო უბნები ანთროპოგენული წარმოშობისაა.

ქედში გაყვანილია წიფის სარკინიგზო და საავტომობილო გვირაბები, ხოლო ქედზე გადის ხაშურის, ზესტაფონისა და გომი–საჩხერის საავტ. გზები.

ლ. მარუაშვილი.

ლიხნი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში, ზ. დ. 90 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: ლ., ალგითი, აჯიმჩიღრა, აძლაგარა, ბამბორა, ხეცკვარა, ჰაფშირა). გუდაუთიდან 5 *კმ.*

სოფლის ტერიტორიაზეა კირქვულ კონგლომერატებში გამომუშავებული ორი მნიშვნელოვანი მღვიმე, სადაც წარმოდგენილია მცირე ზომის სტალაქტიდები, ოოლითები, პაზოლითები, ალუვიური მასალა და ორგანული ნალექები (გუანო). მღვიმეებში გაედინება მიწისქვეშა ნაკადები. ლ-ის მღვიმეების ოოლითები გამოირჩევა სხვა მღვიმეების მინერალებისაგან. მათ აქვთ ბურთისებრი ფორმა და მკაფიო ელვარება. ლ-ის მღვიმეებში გვხვდება თიხის ჭურჭლის ნამტვრევებიც.

სოფელში დგას XI ს. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

ლ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

ლიხნის განძი, 1. კოლხური ცულების განძი (35 ც.), აღმოჩნდა 1952 სოფ. ლიხნში (გუდაუთის მუნიციპ.). თარიღდება ძვ. წ. XVII–XIV სს. დაცულია საქართვ. მეცნ. აკადემიის აფხ. ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინ-ტში.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; Трапш М. М., Труды, т. 1, Сух., 1970.

ლ. ფანცხავა.

2. ქართული ვერცხლისა და ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი. აღმოჩენილია შუა საუკუნეების სასახლის კომპლექსის გათხრების დროს (1983). მოთავსებული იყო თიხის კოჭობში. ბიზანტიური მონეტები ჩაღრმავებული ტიპისაა და მოჭრილია იმპერატორების – კონსტანტინე X-ის (1059–67) – 9 ც., მისი მეუღლის, ევდოკიას – 1 ც., რომანოზ IV დიოგენისა (1067–71) – 17 ც. და კონსტანტინე IX მონომახის (1042–55) სახელით – 1 ც. (ვერცხლი) (სულ 28 ც). ყველა მათგანი მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში.

43 მონეტა ქართულია. მიეკუთვნება ბაგრატ IV-ს (1027–72) – 31 ც. და გიორგი II-ს (1072–89) – 12 ც.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; Трапш М. М., Труды. т. 1, Сух. 1970; Шамба С. М., Монетное обращение на территории Абхазии (Vв. до н. э. – XIII в. н. э.), Тб., 1987.

ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (X–XI სს. მიჯნა), ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს გუდაუთის მუნიციპ-ის, სოფ. ლიხნში (აფხ. არ). ტაძარი წაგრძელებული ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რ-საც აღმ-ით სამი შვერილი აფსიდი აქვს. ტაძარს დას-იდან, ჩრდ-იდან და სამხრ-იდან მაღალი, კამაროვანი კარიბჭე ეკვრის. ეკლესია, რ-ის ფასადები მოყვითალო კირქვის თლილი ფილებითაა მოპირკეთებული, მოკლებულია მორთულობას, რითაც უფრო თვალსაჩინო ხდება პროპორციების დახვეწილობა და ჰარმონიულობა. გუმბათის რვაწახნაგა ყელი, პანდანტივებს ეყრდნობა, ყოველ წახნაგში თითო სარკმელია. სამ-სამი სარკმელია საკურთხეველსა და მკლავებში. შიდა სივრცე გართულებულია: ნართექსის თავზე, დას-ით, მოწყობილია პატრონიკე, რ-იც სამ კამაროვან მონაკვეთად იყოფა და თაღებით უკავშირდება მთავარ სივრცეს. ტაძრისა და კარიბჭეების კედლები შიგნიდან მთლიანად ყოფილა მოხატული (შემორჩენილია ფრაგმენტები). მოხატულობა შეიცავს ორ ფენას – ადრინდელს (XI ს.), ფრაგმენტულად გადარჩენილს და გვიანდელს (XIV ს.), აგრეთვე ქართ. და ბერძნ. წარწერებს. მოხატულობა გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, რამდენამდე წაგრძელებული ფიგურების დინამიკურობით, ექსპრესიულობით და ატარებს პალეოლოგოსთა სტილის ნიშნებს (მკვეთრად გამოხატული ელინისტური ელემენტები). შემორჩენილია უფრო ადრინდელი, X–XI სს. მოხატულობის კვალიც.

ტაძრის მახლობლად არის ფეოდალური სასახლის – აფხაზეთის მთავრების (შერვაშიძეები) 2-სართულიანი რეზიდენცია. სასახლე შუა საუკუნეებისაა. XIX ს-ში გააფართოვეს და გადააკეთეს. დაიწვა



ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. X–XI საუკუნეების მიჯნა.

1866 გლეხთა აჯანყების დროს. მას შემდეგ აღარ აღუდგენიათ.

ლიტ.: სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006; Рчеулишвили Л. Д., Купольная архитектура VIII–IX веков в Абхазии, Тб., 1988; Brosset M.-F., Rapport sur un voyade archeologigue dans la Georgie et dans L. Armenie, Livr 1, S.-Pb., 1849.

ვ. სილოგავა.

ლიხნის წარწერები, ძველი ქართული წარწერები ლიხნის ტაძრის (გუდაუთის აღმ-ით 6 *კმ*) პატრონიკეს კედლებზე. აქ სხვადასხვა ადგილას არის ათზე მეტი წარწერა, რ-თაგან უმნიშვნელოვანესია სამი: წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, ვაჩე პროტოსპათარისა და პეტრიკ პატრიკის წარწერა და გიორგი კურაპალატის წარწერა. ტაძრის კედლის შელესილობა პირველი და მესამე წარწერის (აგრეთვე მასზე შესრულებული სხვა ფრაგმენტული წარწერების) ტექსტით, საქართვ. კულტ. სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს საბჭოს გადაწყვეტილებით, 1986 მოიხსნა კედლიდან და გადაიტანეს თბილისში, ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს სარესტავრაციო-საწარმოო სახელოსნოში, სადაც გაიწმინდა, გამაგრდა და ჩაუტარდა საკონსერვაციო სამუშაოები. ინახება ძვ. ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრში. მეორე წარწერა თავის ადგილზეა – ლიხნის ტაძრის დას. კედელზე.

წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ ერთსტრიქონიანია, შესრულებული თავისებური ხერხით: ასომთავრული ტექსტის ყოველი სიტყვის პირველი მოზრდილი ასოს მთელ სიგრძეზე ჩამოწერილია ამ სიტყვის დანარჩენი ასოები უფრო პატარა ზომისა, ხოლო მრგვალი მოხაზულობის ასოებში, მაგ., ან-ში, ორ ადგილას, პატარა ასოები დიდი ზომის ასოს მუცელშია ჩაწერილი. მთლიანად წარწერა შესრულებულია წითელი საღებავით, სინგურით. მისი ტექსტი ასეთია: „ქ. კურთხეულ ხარ ღმერთო, ყოვლად ყოველსა შინა, ესე იქმნა დასაბამითგანთა წელთა სქით, ქრონიკონსა სპვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა, ინდიქტიონსა ლ̃ϑ. აპრილსა თუესა ვარსკულავი გამოჩნდა, რომელ მისსა წიაღსა აღმოივლიდის და წინა მისსა, ვითარცა შარავანდი დიდი, მოკიდებით მასვე, ესე იქმნა ბზობითგან აღვსებამდე“. წარწერა პირველად შეისწავლა აკად. მ. ბროსემ (1848). მიჩნეულია, რომ ლიხნის ტაძრის წარწერაში აღწერილია ჰალეის კომეტის დედამიწის ხილვადობის სფეროში გამოჩენის ერთ-ერთი შემთხვევა, რაც მოხდა XI ს-ში, 1066. წარწერის დასაბამითგანთი თარიღი და თარიღი ბაგრატ IV-ის მეფობის წლების მიხედვით შეესაბამება 1065-ს, ხოლო ქორონიკონითი თარიღი – 1066. ვინაიდან ტექსტში აღნიშნულია, რომ კომეტა გამოჩნდა აპრილში, ბზობიდან აღდგომამდე (1066 აღდგომა იყო 16 აპრილს, ბზობა იქნებოდა 9 აპრილს), ამიტომ წარწერის თარიღად 1066 უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, საქართველოში კომეტა იხილვებოდა 1066 წლის 9–16 აპრილს.

ვაჩე პროტოსპათარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართა უხუცესის წარწერა შესრულებულია სინგურით 9 სტრიქონად, მდივანმწიგნობრული დამწერლობით. იგი მიწერილია ტაძრის



ლიხნის წარწერა.

მეორე სართულზე, ქორედის დას. სარკმლის მარჯვნივ, სარკმლიდან თაღამდე კედლის მონაკვეთზე. ტაძრის კედელიცა და წარწერაც XIX–XX სს-ში რამდენჯერმე შეუთეთრებიათ კირით. ამის შედეგად წარწერა, რ-იც 1848 შეისწავლა და მომდევნო წელს გამოსცა (თუმცა არასწორი წაკითხვით) მ. ბროსემ, დაფარული იყო. 1983–86 რესტავრატორ მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით კედელი გაიწმინდა და გამოჩნდა წარწერის ძალზე გაბაცებული ტექსტი. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში ინახება ამ წარწერის ასლი, გადმოღებული, როგორც ჩანს, XIX ს-ში. მართალია, იგი ზუსტი არ არის, რადგან გადმოღებულია მდივანმწიგნობრული დამწერლობის არმცოდნის მიერ, მაგრამ დედნისა და ასლის შეჯერებით დადგინდა წარწერის შემდეგი ტექსტი:

„✝ წმიდაო ღმრთისმშობელო, უხრწნელო ქალწულო მარიამ, შემეწიე, შემიწყალე, დამიცევ, დამიფარე და მიჰსენ ყოველთა წინამიმდებარეთა ჭირთა და მომავალთა განსაცდელთაგან; ჩემგან შორს ყვინ! და მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტესსა, უღირსსა, მიწასა, ჭიასა, ავლსა და მტუერსა, მონასა და მადიდებელსა და მოსავსა შენსა ვაჩეს პროტოსპათარსა და იპატოსსა, დისწულსა ჭყონდიდლისასა, მე და პეტრიკ პატრიკსა და მწიგნობართა უხუცესსა“.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა X ს-ისაა. მასში მოხსენიებული პეტრიკ პატრიკი და მისი ძმა იოვანე ჭყონდიდელი (იგი, როგორც საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, წარწერაში სახელით არც იხსენიება) მეფე ბაგრატ IV-ის (1027–72) ხანის ცნობილი პოლიტ. და საეკლ. მოღვაწეები არიან. მათი დისწული ყოფილა ბიზანტ. საიმპერატორო კარის მაღალი ტიტულების – პროტოსპათარისა და იპატოსის მქონე ვაჩე, ჩვენთვის ამ წარწერამდე უცნობი. გიორგი ხუცესმონაზვნის „გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან“ ცნობილია, რომ პეტრიკ პატრიკმა (როგორც ჩანს, იგი ბაგრატ IV-ის წარმომადგენელი იყო ბიზანტ. საიმპერატორო სამეფო კარზე) და მისმა ძმამ იოვანე ჭყონდიდელმა (სავარაუდოდ, მან გიორგი მთაწმიდელის წინადადებით დაიკავა ბაგრატ IV-ის მიერ გიორგი მთაწმიდელისათვის შეთავაზებული ჭყონდიდის კათედრა) დიდი როლი შეასრულეს გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი წიგნების გამრავლებისა და გავრცელების, ასევე ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ მისი კანონიზაციის საქმეში. ორივე რამდენჯერმე იხსენიება ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში.

გიორგი კურაპალატის წარწერა შესრულებულია სინგურით, მდივანმწიგნობრული დამწერლობით, ორ გრძელ სტრიქონად იმ წარწერის ქვემოთ, რ-იც ეხება კომეტის გამოჩენას. მისი ტექსტი ნახსენებ ორ წარწერასთან შედარებით დაზიანებულია, თუმცა უმეტესი ნაწილი გარკვევით იკითხება: „ქ. მეუფეო, ძეო მეუფისაო, ღმერთო, ძეო ღმრთისაო, ადიდე, დაიცევ, გაზარდე, აკურთხე და დღეგრძელ ყავ, და მრავალ ყვინ წელნი მეფობისა მისისანი, დღენი ცისანი, გინა მქუ[ეყანისანი], კეთილად მსახურისა და მადიდებელისა ღმრთაებისა შენისა გიორგი კურაპალატისანი და ყავ განგე-



კ. ლიხტენფელდი.

ბაი მისი, მოწყალებაი გლახაკთაი, მოღუაწებაი ეკლესიათაი [...] და სრულ ყავ წყალობაი მათი მიწასა, ჭიასა, საპყარსა იოვანე სირნაწს [...] კანანახსა, მწიგნობარსა და დიაკონსა“.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XI ს-ისაა. მასში მოხსენიებული გიორგი კურაპალატი არის მეფე გიორგი II (1072–89), ძე ბაგრატ IV-ისა და მამა დავით IV აღმაშენებლისა. წარწერა შესრულებული უნდა იყოს ჯერ კიდევ გიორგი მეფის უფლისწულობაში კურაპალატის ტიტულის მიღებასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს წარწერის ადორაციული, განმადიდებელი ხასიათი და მასში გიორგის კურაპალატობის საგანგებოდ აღნიშვნა. გიორგის მამა მეფე ბაგრატ IV 1059 ნოველისიმოსის ტიტულით იხსენიება, მანამდე იგი კურაპალატი იყო 1032-იდან. როგორც ჩანს, 1059, ან ცოტა უფრო ადრე, „გამოთავისუფლებული“ კურაპალატის ტიტული გიორგი უფლისწულს უნდა მიეღო და წარწერაც XI ს. 60-იანი წლებით (მაგრამ არა უადრეს 1066-ისა), უნდა დათარიღდეს, რადგან კედელზე იგი ისეა მიწერილი, როგორც ამის საშუალებას იძლევა 1066-ის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ. წარწერის ზედა თარიღი კი 1072-ით უნდა განისაზღვროს, რადგან შიომღვიმის მონასტრისათვის გაცემულ სიგელში გიორგი II კურაპალატობით თავის ძეს, დავითს მოიხსენიებს. ამიტომ ლიხნის ტაძრის ამ წარწერის თარიღი შეიძლება 1066–72-ით განისაზღვროს.

ლიხნის ტაძარზე მოიპოვება ასევე XI ს-ით დათარიღებული ათამდე წარწერის ფრაგმენტები; XIV ს-ით თარიღდება 10-ზე მეტი წარწერა, რ-ებიც ამ დროის ფრესკებს ახლავს და გამოსახულ პირებსა და სიუჟეტებს განმარტავს. ლიხნის ტაძრის წარწერები უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის.

ლიტ.: სილოგავა ვ., სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, თბ., 2006; Brosset M.-F., Rapports sur un voyage archeologigue dans la Georgie et dans L. Armenie, Livr. 1, St.-Pb. 1849.

ვ. სილოგავა.

ლიხტენფელდი კრისტიანე (დ. 1944, ნოიშტეტენი, გერმანია, ახლანდ. შჩეცინი, პოლონეთი), გერმანელი სლავისტი და მთარგმნელი. დაამთა-ვრა ბერლინის ჰუმბოლდტის უნ-ტის სლავისტიკის ფაკ-ტი. თარგმნის რუს., პოლ., ქართული ენებიდან. გერმ. ენაზე ნათარგმნი აქვს: მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭა კვაჭანტირაძე“ (1986, 1991), ო. ჭილაძის ,,რკინის თეატრი“ (1988), ,,აველუმი“ (1998), ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!“ (1996), თ. ჭილაძის ,,სამოთხის კვარტეტი“ (რადიოპიესა, 1996, 2000).

ლ-მა ნომინაციაში – ქართ. ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი – 2015 მიიღო ლიტ. პრემია ,,საბა“ ო. ჭილაძის რომანის ,,გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ გერმანული თარგმანისათვის.



ლიხნის წარწერა.

ლობანი (Mugil cephalus Linnaeus, 1829), თევზი კეფალისნაირთა ოჯახიდან (Mugilidae Bonaparte, 1831). სიგრძე – 75 *სმ*, მასა – 12 *კგ*-მდე. ზღვის ქარავნული თევზია,



ლობანი.

კარგად იტანს წყლის მარილიანობის მერყეობას. შავ ზღვაში მრავლდება მაისიდან სექტემბრამდე. ქვირითი პელაგიურია, ნაყოფიერება – 2–8 მლნ. სწრაფად მზარდია. სხვა კეფალისებრი თევზების სახეობებთან შედარებით ცოცხლობს 16 წელზე მეტ ხანს. ხშირად შედის მტკნარ წყლებში, ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროების ტბებში, ყურეებში, ტბორებში. ლიფსიტა იკვებება დეტრიტით და პლანქტონით, ხოლო მოზრდილი კეფალი – შლამსა და ქვა-ქვიშაზე წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებებით, ჭიებით, კიბოსნაირებით, წვრილი მოლუსკებით. საქართვ. შავი ზღვის სანაპიროსთან გავრცელებულია ყველგან. შედის მდინარეების შესართავებში, გვხვდება ასევე პალიასტომისა და ნურის ტბებში. სამეურნეო მნიშვნელობის თევზია. ბუნების დაცვის კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ნ. ნინუა.

ლობიო (Phaseolus), ერთ-და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. მოიცავს 150-ზე მეტ სახეობას, რ-ებიც ამერ., აზიის და აფრ. ტერიტორიებზე იზრდება. არსებობს ლ-ს კულტურის დაახლ. 20 სახეობა, რ-თაგანაც სასურსათო მნიშვნელობისაა 7. უფრო გავრცელებული სახეობაა ჩვეულებრივი ლ. (Ph. vulgaris), რ-იც ყველა კონტინენტზე მოჰყავთ. ეს არის საგაზაფხულო ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რ-ის ბუჩქისებრი ღეროს სიმაღლეა 20–45 *სმ*, ხოლო ხვიარა ფორმებისა 2–5 *მ* აღწევს. ყვავილები თეთრი და მოვარდისფრო-მოიისფროა; ნაყოფი პარკია, რ-ის სიგრძე 7-იდან 28 *სმ*-მდეა;

აქვს 3–7 სფეროსებრი, წაგრძელებული და თირკმლისებრი, თეთრი, მოწითალო, ყავისფერი ან ჭრელი თესლი. 1000 თესლის მასა 250-იდან 400 გ-მდეა. ლ. სითბოს და სინათლის მოყვარული მცენარეა, შედარებით გვალვაგამძლეა, ხარობს თითქმის ყველანაირ ნიადაგზე. ლ-ს ყველა კულტ. სახეობა სასურსათო, ცხოველთა საკვები, სასიდერაციო და დეკორ. მცენარეა. მისი მარცვალი შეიცავს 31%-მდე ცილას, 50–60% ნახშირწყლებს, 3,6%-მდე ცხიმებს. საკვებად იყენებენ მწიფე თესლს (მარცვალს) და მისგან დამზადებულ ფქვილს, მწვანე პარკს, ცხოველის საკვებად – მწვანე მასას, მის სილოსს (სიმინდთან ერთად).

ლ-ს მრავალი სახეობის სამშობლოა ცენტრ. და სამხრ. ამერიკა, სამხრ.-დას. აზია. ჩვეულებრივი ლ. ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს XVI ს-ში. დას. საქართველოში, კერძოდ, გურიასა და სამეგრელოში ლ. XVI ს-იდანაა კულტივირებული, აღმ. საქართველოში უფრო მოგვიანებით გავრცელდა. შეიქმნა ლ-ს ჯიშობრივი მრავალფეროვნება. ჯერ კიდევ 1925 საქართველოში აღიწერა ამ კულტურის 1000-ზე მეტი ჯიშპოპულაცია, ფორმა და რასა. ლ. გავრცელებულია მთელ საქართველოში ზ. დ. 1500–1700 *მ* სიმაღლემდე. უფრო ფართოდაა გავრცელებული ზ. დ. 1000 *მ*-მდე. მოჰყავთ როგორც სიმინდთან ერთად, ისე ცალკე ნათესებში. ჩვენში უმეტესად სამარცვლედ მოჰყავთ, მაგრამ საპარკე ლ-ც საკმარისად იწარმოება როგორც სამრეწველო, ისე საკარმიდამო ნაკვეთებში. ლ. ხშირად ითესება ხეხილის ბაღებსა და ვენახების რიგთაშორისებში, რისთვისაც სპეც. კუტი ლ-ს ჯიშებია შერჩეული ,,ვენახის ლობიოს“ და ,,ბაღის ლობიოს“ სახელწოდებით. საკვებად ასხვავებენ საპარკე (კონსერვების საწარმოებლად), ნახევრად საპარკე და სამარცვლე ლ-ს. კუტი ლ-ს ყვავილობა იწყება დათესვიდან 40–60 დღეში და გრძელდება 15–20 დღე, ხვიარა (სარის) ჯიშებისა – 30–80 დღეში. ლ. სამარცვლე პარკოსანთა შორის პირველ ადგილზეა. გასავრცელებლად დაშვებული ჯიშებია: წითელი, ინდური, ლიახვი, ჩიტიკვერცხა (გურული ლობიო), ბერპი, ცანავა-3, წითლადჭრელი, შულავერული, ბათუმურა, გრძელი თეთრმარცვალა, ნახევარგვერდა თეთრი, ლიახვი და სხვ. ლ-ს ყველაზე მეტად აზიანებს ლ-სა და ბარდის მემარცვლიები; დაავადებებიდან – ანთრაქნოზი და ბაქტერიოზი.

ა. ჯაფარიძე.
ვ. ჯაფარიძე.
ო. ლიპარტელიანი.

ლობოროტის ქედი, მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოება, მდ-ების – წაბლარასწყლის (ხანისწყლის მარცხ. შენაკადი), სუფსისა და სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი. მერიდიანული მიმართულებისაა, იწყება მწვ. მეფისწყაროდან. აგებულია შუაეოცენური ტუფ-ბრექჩიებით, ტუფებითა და ანდეზიტური განფენით. კალთები ციცაბო და ძლიერ დაღარული აქვს, თხემი – ფართო. ქედზე აღმართულია მწვერვალები: დიდი ლობოროტი (2730 *მ*), პატარა ლობოროტი (2415 *მ*), თაფლოვანი (2323 *მ*), შუაგორა (2268 *მ*), ლამაზგორა (2174 *მ*) და სხვ. ლ. ქ-ის კალთები ქვემოთ შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით, ზემოთ წიფლნარმუქწიწვოვნებით, თხემზე სუბალპ. ლიხი და ალპ. მდელოებია.

მ. უთმელიძე.

ლობჟანიძე გია ვარდენის ძე (დ. 11. V. 1957, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1998). საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1996). 1979 დაამთავრა თსსი; 1982–83 მუშაობდა გარდაბნის რ-ნულ საავადმყოფოში ქირურგად. 1983–2002 იყო თსსი-ის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის თანამშრომელი. 2002–06 – თსსუ-ის ქირურგიის №4 კათედრის პროფესორი; 2006–09 – თსსუ-ის მედიცინის ფაკ-ტის კერძო ქირურგიის მიმართულების სრული პროფესორი; 1998–2002 – თსსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის დეკანი; 2002–04 – თსსუ-ის ცენტრ. კლინიკის დირექტორი; 2009–12 – პ. შოთაძის სახ. სამედ. აკადემიის ქირურგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი; 2010-იდან – თსუ-ის მედ. ფაკ-ტის სამეცნ. კვლევებისა და გან-ვითარების დეპარტამენტის უფროსი; 2012-იდან ამავე ფაკ-ტის ზოგადი ქირურგ. კათედრის გამგე, პროფესორი; 2018–19 – აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის გენ. დირექტორი; 2012-იდან – შპს საქართვ. დაზღვეულ მედიკოსთა სააგენტოს გენ. დირექტორი.

1999–2009 – საქართვ. ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი; 2009-იდან – ამავე ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავ-რე.

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან და გასტროეზოფაგურ რეფლუქსურ დაავადებებს, ქირურგიულ ინფექციებს, კუჭის რეზექციის შემდგომ გართულებებს და სხვ.

ლ. არის ქ. ატლანტის (აშშ) საპატიო მოქალაქე (1991). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2011).

თხზ.: კუჭის წყლული, თბ., 1998; თორმეტგოჯა ნაწლავის პოსტბულბალური წყლულები, თბ., 1998.

ლობჟანიძე გივი შალვას ძე (დ. 3. V. 1948, სოფ. ღები, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (1995), საქართვ. შსს დამს. მუშაკი (2001). იურიდ. მეცნ. დოქტორი (1994). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1980). იყო ქუთაისის შს სამმართველოს უფროსი (1989–91); საქართვ. შსს საექსპერტო კრიმინალური სამმართველოს უფროსის I მოადგილე (1995); საქართვ. შსს პოლიციის აკადემიის პრორექტორი (1993–95, 2000–04); საქართვ. პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი (1992–95). მინიჭებული აქვს საერთაშ. ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და ტრეფიკინგის საკითხებში ექსპერტის კვალიფიკაცია. არის კონტაქტური კარატეს (,,კოშიკი'') მსოფლიო ფედერაციის საპატიო წევრი, საერთაშ. სამეცნ. პრაქტიკული ჟურნ. ,,ცხოვრება და კანონის'' რედაქტორი. ავტორია მონოგრაფიების, სახელმძღვანელოსა და ლიტ. კრებულებისა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხისა (2003) და ღირსების ორდენებით (1998).

ლ. დოლიძე.

ლობჟანიძე გიორგი ილიას ძე (დ. 20. II. 1974, სოფ. ნაბახტევი, ხაშურის მუნიციპალიტეტი), აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელი.

1996 დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი არაბული ენისა და ლიტ-რის განხრით. 1997 სწავლა განაგრძო თეირანის უნ-ტში როგორც თეოლოგიის ფაკ-ტის ასპირანტმა რელიგიებისა და მისტიკის სპეციალობით. პარალელურად ლ. მუშაობდა ირანში საქართვ. საელჩოს რეფერენტად. 1999 მუშაობა დაიწყო თსუ-ის სემიტოლოგიის კათედრაზე, პარალელურად იყო ირანის საელჩოს თარჯიმანი. საყურადღებოა თეირანის უნ-ტში მომზადებული სადისერტაციო ნაშრომი ,,იესო და





ქართული გურული ლობიო.

მარიამი ყურანში'' (დაიცვა 2005 თსუ-ში).

ლ-ის სამეცნ. კვლევების ძირითადი მიმართულებებია: თარგმანი და თარგმანის თეორიის საკითხები, ყურანისტიკა, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე სპარს. და არაბ. ლიტ-რის საკითხები. ლ-ის მნიშვნელოვანი თარგმანებია: სპარსულიდან – ჯალალ ედ-დინ რუმის ,,ყაზალები'' (შესავალი წერილითა და განმარტებებით, 1995), ,,არსთა მესნევი'' (წგ. I – 2020, ,,შაჰრიარის მედალი'' – ირანის ისლამური რესპუბლიკის თავრიზის უნ-ტის საერთაშორისო მედალი მსოფლიო ირანისტიკაში შეტანილი წვლილისათვის, 2022; წგ. II – 2021), სოჰრაბ სეფეჰრუს ,,წყლის ფეხის ჩქამი'' (ლექსები, პოემები, შესავალი წერილითა და განმარტებებით 2004); საადი შირაზელის ,,გოლესთანი'' (შესავალი წერილითა და განმარტებებით, 2010); არაბულიდან – იბნ-ალ მუკაფას ,,წიგნი ,,ქილილასა და დიმნასი'' (თარგმანი, ბოლოთქმა და განმარტებანი, 2002, 2016); ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ,,იესო, ძე კაცისა'' (რომანი, 2003); ,,ყურანი'' (გამოკვლევა, კომენტარები, 2006; პრემიები: წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის პრემია ,,საგურამო'', ირანის სახელმწ. პრემია ,,წლის წიგნი'' ყურანისტიკაში, საუკეთესო უცხოური კვლევის ნომინაციაში) და სხვ.

ავტორია ლექსების 5 კრებულისა.



გ. ი. ლობჟანიძე.

თხზ.: ბაბუაწვერას თაიგული, ლექსები, თბ., 2004; დუღილის ტემპერატურა, ლექსები, თბ., 2004; მუჰამედის ცხოვრება, თბ., 2008; არაბულის მასწავლებელი, ლექსები, თბ, 2014.

მ. თუმოშვილი.

ლობჟანიძე თედორე დომელას (დომენტის) ძე (4. II. 1906, სოფ. ღები, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 10. I. 1975, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1970). დაამთავრა ამიერკავკასიის 26 ბაქოელი კომისრის სახ. კომუნისტური უნ-ტი (1933). 1933–46 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1946–50 იყო თსუ-ის პოლიტეკონომიის კათედრის თანამშრომელი, 1968–73 ეკავა პროფესორის თანამდებობა, 1973-იდან იყო ამავე კათედრის კონსულტანტი.

ლ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია, რ-ებიც ეხება კაპიტალ. კვლავწარმოებისა და სოციალიზმის გეგმაზომიერი განვითარების პრობლემებს. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები.

თხზ.: გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევის პრობლემა სსრ კავშირში, თბ., 1959; შრომის მიხედვით განაწილება და მატერიალური დაინტერესების პრინციპი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, თბ., 1966.

ლ. აბრამიშვილი.

ლოგიკა (ბერძნ. logikè) მეცნიერება სწორი აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. საგულისხმოა, რომ რასაც ჩვენ დღეს ლ-ს ვუწოდებთ, არისტოტელე უწოდებდა ანალიტიკას. ზოგი ინტერპრეტატორის მიხედვით, ანალიტიკა არის საწყისებთან მისვლა. პირველად სიტყვა ,,ლოგიკა'', როგორც მეცნიერული დისციპლინის სახელი, გამოიყენა ძენონ კიტიონელმა (ძვ. წ. 333/332–262/261). არისტოტელე იყენებდა ზედსართავს ,,ლოგიკური''. მისი აზრით, ლოგიკურად ასაბუთებს ის, ვინც იყენებს იმ დებულებებს, რ-ებიც გამოხატავენ საგანთა ბუნებას. ამავე დროს, ლ-ის დღევანდელი მნიშვნელობა გაიგივებული იყო ტერმინ ,,დიალექტიკასთან''. თითქმის დღევანდელი მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი ,,ლოგიკა'' სტოიკოსებთან. მათი აზრით, ლ. არის მეცნიერება წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ, რ-იც ორ ნაწილად იყოფა: რიტორიკად და დიალექტიკად. სწორედ ამ უკანასკნელში მოაზრებდნენ ისინი ლ-ს დღევანდელი მნიშვნელობით.

ძვ. წ. I ს-ში, როცა არისტოტელეს მოწაფეებმა გამოსცეს მისი ნაშრომები, არისტოტელეს ლოგიკური ტრაქტატების მთელ კორპუსს ეწოდა ,,ორგანონი-ბიბლია'', რაც შემდეგ ტრანსფორმირდა სიტყვად ,,ორგანონი''. ეს არის როგორც არისტოტელეს, ისე სტოიკოსების აზრის ასახვა ლ-ის და მისი ფუნქციის შესახებ. არისტოტელე ფიქრობდა, რომ ლ. არის მხოლოდ ფილოს. ინსტრუმენტი და არა ფილოს. ნაწილი. მან ყურადღება მიაქცია ლ-ის ნორმატიულ მხარეს. სტოელები კი ფიქრობდნენ, რომ ლ. არის ინსტრუმენტი და ფილოს. ნაწილიც. დღევანდელი მნიშვნელობით სიტყვა ,,ლოგიკა'' ალექსანდრე აფროდისიელმა (ახ. წ. III ს.) გამოიყენა; ამ დროიდან იხმარებოდა ორი ტერმინი – ,,ლოგიკა'' და ,,დიალექტიკა''. ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა XII ს. ბოლომდე. XIII ს-იდან ,,ანალიტიკების'' შესწავლის შედეგად განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტერმინი ,,ლოგიკა'', რ-იც გავრცელებული იყო XVI ს-მდე. XVI ს-ში მოცემული დარგის აღმნიშვნელი ტერმინი კვლავ ,,დიალექტიკა'' ხდება, XVII ს-ში კი ისევ ტერმინი ,,ლოგიკა'' მკვიდრდება. ტერმინი ,,ფორმალური ლოგიკა'' გ. ლაიბნიცის გავლენით შემოიღო ი. კანტმა. აღსანიშნავია, რომ ლ-ის ფორმალურობას მთელი თავისი არსით პირველად სწორედ გ. ლაიბნიცმა მიაქცია ყურადღება.

ჟ., რ-საც შუა საუკუნეებში (გვიანანტიკური ფილოს. ტრადიციისამებრ) დიალექტიკად მოიხსენიებდნენ, ქართ. ფილოს. და სალვთისმეტყველო აზროვნების ერთ-ერთი მთავარი დარგის სტატუსს იძენს. ქართ. ფილოსოფია ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი შემდგომი განვითარების ეტაპები და ტენდენციები. თავდაპირველად ეს საგნობრივი ვითარება სტოელთა მოძღვრების და ქრისტ. მრწამსის ნაყოფიერი კომბინაციით აისახა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სტოიკური აზროვნების მნიშვნელოვანი ასპექტები დიდწილად განსაზღვრავდა ქრისტ. ფილოსოფიის განვითარების პროცესს. სტოიკოსთა მიერ განვითარებული ფილოს. დისციპლინები ქრისტიანობაში ხელახლა აღორძინდა. ამრიგად, ქართული ფილოს. აზროვნების დასაწყისში საგანგებო ყურადღება ექცეოდა რიტორიკას, ლ-ს და ეთიკას.

უძველესი ცნობები საქართველოში ფილოს. აზროვნების არსებობის შესახებ IV ს-ში კოლხეთის ფილოს. აკადემიას, კერძოდ კი, ფაზისის რიტორიკულ სკოლას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ცნობა ეკუთვნის ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსსა და ლოგიკოსს, თემისტიოსს (IV ს.), რ-იც არისტოტელეს მიმდევარი და მისი ნაშრომების კომენტატორი იყო. შემორჩენილია მისი კომენტარები არისტოტელეს შემდეგი თხზულებების შესახებ: ,,პირველი ანალიტიკა'', ,,მეორე ანალიტიკა'', ,,ფიზიკა'', ,,ცის შესახებ'', ,,სამშვინველის შესახებ'', ,,მეტაფიზიკა'' და ,,მცირე საბუნებისმეტყველო ნაშრომების შესახებ''. თემისტიოსი არისტოტელეს თხზულებათა განმარტებას პარაფრაზების მეშვეობით ცდილობდა, რაც შემდეგ ფილოს. კომენტარის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად იქცა.

ლ. სწორი აზროვნების წესების შესახებ მოძღვრებას ავითარებს და სასწავლო-სამეცნ. პროცესის ეფექტიანად წარმართვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. შუა საუკუნეების ქართველმა მოაზროვნეებმაც შეისწავლეს და გამოიყენეს არისტოტელეს ნაშრომთა კორპუსი და მისი კომენტატორების თხზულებები. მომზადდა მათი (ამონიოს ერმისი და სხვ.) თხზულებების ძველქართული თარგმანები. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართველმა მთარგმნელმა იოანე ტარიჭისძემ (XI–XII სს.). ფილოსოფიის ექვსი ცნობილი განსაზღვრება, რ-იც ამონიოს ერმისის (დაახლ. 440–517) ნაშრომებშია მოცემული, მოგვიანებით, მთელი ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის (იოანე ფილოპონოსი, ელიასი) კონტექსტში ხდება მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია V–VI სს. ნეოპლატონიზმის ალექსანდრიული სკოლის კომენტარები, რ-ებიც, თავის მხრივ, ნეოპლატონიკოს პროკლეს (V ს.) ფილოსოფიის ზეგავლენას განიცდიდა.

ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის სკოლა საგანგებოდ განმარტავდა არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომებს. განსაკუთრებული ინტერესის საგნად იქცა არისტოტელეს ,,კატეგორიები“ და პორფირიოსის კომენტარი ამავე ნაშრომზე – ,,ისაგოგე“.

ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები (განსაკუთრებით კი ამონიოს ერმისი) შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში დიდ როლს ასრულებდნენ. ამ ტრადიციის კვალი პირდაპირ თუ ირიბად იგრძნობა იოანე პეტრიწის კომენტარში. პეტრიწი პირდაპირ ასახელებს ასკლეპიოსს. სავარაუდოა, რომ იგი იცნობდა ამონიოს ერმისის ზემოთ დასახელებულ კომენტარებსაც.

ახალი დროის ქართულ ფილოსოფიასა და თეოლოგიაზე ამონიოს ერმისის ძველქართული თარგმანები დიდ გავლენას ახდენდა. *ს.-ს. ორბელიანმა* სწორედ ამ ტექსტებიდან აიღო არაერთი განსაზღვრება და ტერმინი თავის ,,სიტყვის კონაში“. გვიანი ანტიკური ხანის ლ-ის მიმართ საგანგებო ინტერესს იჩენდა ანტონ ბაგრატიონი (1720–88). ამონიოს ერმისის ლოგიკური ტექსტების ძველქართული თარგმანები მისი ფილოსოფიის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოში ლ-ის ისტორიის განვითარების კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ამონიოს ერმისის თხზულებათა ძველქართული თარგმანები ადასტურებს ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის მდიდარ ისტორიას, რ-იც საქართველოში შუა საუკუნეებიდან დაიწყო, ახალ დროში გაგრძელდა და დღემდე საგანგებო ინტერესის საგანია.

შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში არისტოტელეს ლოგიკურ თხზულებათა რეცეფციის, ათვისების გზა ქრისტ. პერსპექტივით წარიმართა. ამის თვალსაჩინო მაგალითია იოანე დამასკელისა (675–749) და თეოდორე აბუკურას (750–830) თხზულებათა ძველქართული თარგმანები, რ-ებიც შემორჩენილია არსენ იყალთოელის (XI–XII სს.) მიერ შედგენილ კრებულში – ,,დოღმატიკონი“. ბიზანტიელი ფილოსოფოსის, იოანე დამასკელის ნაშრომები ქართული კულტურის სივრცეში ფართოდ იყო ცნობილი და დიდი პატივით სარგებლობდა. იგი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ქრისტიან ფილოსოფოსად ითვლებოდა. XI ს-ში ეფრემ მცირემ იოანე დამასკელის ,,წყარო ცოდნისას“ (,,ცოდნის წყარო“) პირველი და ბოლო ნაწილები თარგმნა. იოანე დამასკელი კარგად იცნობდა ბერძნულ ფილოსოფიას; მის ნაშრომებში აშკარად ჩანს ბერძენი მოაზროვნეების ნაკვალევი, თუმცა იგი ხშირად ბერძენთა აზროვნებას ტრანსფორმირებული სახით წარმოადგენდა. მას კარგად ესმოდა არისტოტელეს ლ-ის მნიშვნელობაც და ფილოსოფიის ინსტრუმენტებს ერეტიკოსთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც იყენებდა. ეფრემ მცირემ ეს სპეციალური სტრატეგია იცოდა და ცდილობდა, რომ თვითონაც გამოეყენებინა საქართველოში ინტელექტუალური მუშაობის ეს ქმედითი წესი. საქართველოში ლ-ის ისტორიის განვითარების კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე დამასკელის ამ ნაშრომის პირველი ნაწილის (,,დიალექტიკა“) ძველქართული თარგმანი, რ-იც არისტოტელეს ლოგიკური ნაშრომების (მოძღვრებების) ქრისტ. რეცეფციისა და ტრანსფორმაციის საფურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. ისიც მართალია, რომ შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში არისტოტელეს მოძღვრების მიმართ დიდი ინტერესი შეიმჩნეოდა, მაგრამ მისი შეხედულებების ანალიზი და განხილვა, უმეტესწილად, ქრისტ. ფილოსოფიის კონტექსტში და, საერთოდ, ქრისტიანობის პრიზმაში ხდებოდა. ამავე კონტექსტში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არსენ იყალთოელის ღვაწლი. ახალი დროის ქართული ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც კი საგანგებოდ აღნიშნავდნენ არსენის ლოგიკური ნაშრომების მნიშვნელობას. ანტონ ბაგრატიონი თვლიდა, რომ მისი ლოგიკური არგუმენტები ურღვევი იყო.

არისტოტელეს ფილოს. გავლენა იგრძნობა იოანე პეტრიწის (XII ს.) ,,განმარტებაჲში“, კერძოდ კი იმ მონაკვეთში, რ-იც ლოგიკური შემეცნების საკითხებს განიხილავს. გადმოცემით ვიცით, რომ ქართველმა მოაზროვნემ არისტოტელეს ორი მნიშვნელოვანი ლოგიკური თხზულება (,,განმარტებისათვის“ და ,,ტოპიკა“) უნდა ეთარგმნა. ეს თარგმანები შემორჩენილი არ არის, მაგრამ სწორედ ,,განმარტებაჲზე“ დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არისტოტელეს ენობრივ-ლოგიკური კვლევანი პეტრიწისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სავარაუდოა ისიც, რომ იოანე პეტრიწს ამ ნაშრომთა თარგმნა ენის არისტოტელესეული გაგების შესასწავლად სჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, იგი თავისი ,,განმარტებაჲს“ პროლოგში მოიხმობს და განმარტავს რამდენიმე ადგილს არისტოტელეს ნაშრომიდან ,,განმარტებისთვის“ (,,პერი ჰერმენეია“). აქ პეტრიწი ეხება ენის სტრუქტურისა და მორფოლოგიის საკითხებს (სახელი, ზმნა, წინადადება). სწორედ ამგვარი მიდგომით იგრძნობა პეტრიწის ენობრივი აღქმის არაერთი ასპექტი: მისი მიზანია იპოვოს ზოგიერთი დებულების ჩამოყალიბების ადეკვატური ტერმინოლოგიური საფუძველი. სწორედ აქედან ჩანს არისტოტელეს ენის თეორიის სათანადო ცოდნა.

იოანე პეტრიწი თავის ,,განმარტებაჲში“ არისტოტელეს შემდეგ თხზულებებს ასახელებს: ,,პირველი ანალიტიკა“, ,,მეორე ანალიტიკა“, ,,წარმოშობისა და ხრწნის შესახებ“, ,,განმარტებისათვის“, ,,ფიზიკა“. პეტრიწის კომენტარიდან ისიც იკვეთება, რომ იგი არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომთა სრულ კრებულს (,,ორგანონი“) იცნობდა და მრავალჯერ ახდენს ,,ორგანონის“ შემადგენელი ამა

თუ იმ ნაშრომისა თუ ადგილის პარაფრაზს.

ახალი დროის ქართულ აზროვნებაში მრავალი ლოგიკური თხზულება გავრცელდა ორიგინ. თუ ნათარგმნი სახით. ორიგინ. თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ანტონ პირველის ,,კატეგორია სიმეტნეჲ“ (1767); დავით ბატონიშვილის ,,კატილორია შემოკლებული“ (XVIII ს.); *ს. დოდაშვილის* ,,ლოგიკა“ (1827). თარგმნილი ლოგიკური თხზულებებიდან კი: დავით უძლეველის ,,წიგნი საზღვართა“, რ-იც 1758–62 თარგმნეს ფ. ყაითმაზაშვილმა და დ. ჩერქეზიშვილმა (ნეკრესელი); 1737 ზურაბ შანშოვანმა და ვახუშტი ბატონიშვილმა თარგმნეს არისტოტელეს ,,პერი ჰერმენეიას“ ,,შემოკლებული ახსნა“, რ-იც დავით უძლეველს ეკუთვნის. იგივე ტექსტი 1762 მეორედ თარგმნეს ფ. ყაითმაზაშვილმა და დ. ჩერქეზიშვილმა; სომხური ლოგიკური ტრადიციიდან აღსანიშნავია სიმეონ ჯუღაეცის ,,დიალექტიკა“, რ-იც 1755 უნდა იყოს ქართულად თარგმნილი ანტონ პირველისა და ფ. ყაითმაზაშვილის მიერ. გარდა ამ ტექსტებისა, სომხური ენიდან არაერთგზის ითარგმნა თავად არისტოტელეს მნიშვნელოვანი ლოგიკური თხზულებები (,,კატეგორიები“ და ,,პერი ჰერმენეია“).

ახალი დროის ქართულ ფილოს. აზროვნებაში (ქართული და სომხური ლოგიკური ტრადიციის კვალდაკვალ) სათანადო ყურადღება ექცეოდა ევროპელი მოაზროვნეების ნაშრომებს. 1762 ანტონ პირველმა თარგმნა ფ. ბაუმაისტერის (1709–85) ,,ლოგიკა“, რ-იც პირველი ნაწილია ამავე ავტორის ნაშრომისა ,,დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა“. 1806 იოანე ბატონიშვილმა თარგმნა ე. კონდილიაკის (1714–80) ,,ლოგიკა“; ფ. სნელეს (1761–1827) ,,ლოგიკა“ XIX ს. I ნახ-ში რუსული თარგმანიდან ქართულად გადმოიღო ი. მამაცაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ,,ლოგიკა“ წარმოადგენს მეორე ნაწილს სნელეს ნაშრომისა ,,დასაბამითისა გამოცდილებისა ფილოსოფიისა“.

XX ს. ქართულ ფილოსოფიაში ლოგიკური პრობლემებისა და მოძღვრებების შესწავლასა და ანალიზს დიდი ყურადღება ეთმობოდა. 1918 წ. დაარსებული თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი აერთიანებდა ჰუმანიტარულ, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. ფილოს. დისციპლინების ინტენსიური შესწავლა ხდებოდა შ. *ნუცუბიძის* სემინარებზე, რ-თა ფარგლებში ლ-ს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თავად შ. ნუცუბიძე ავტორია ლ-ის არაერთი სახელმძღვანელოსი (1919, 1920, 1923), რ-ებიც მოიცავდა ლოგიკის ელემენტარულ პრინციპებსა და მთავარ მოძღვრებებს და განკუთვნილი იყო საშ. და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. შ. ნუცუბიძე ფორმალურ ლ-ს ფილოსოფიურ პროპედევტიკად განიხილავდა, ხოლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კანტის ტრანსცენდენტალურ ლ-სა და მოძღვრებას კატეგორიათა შესახებ. ამავე პერიოდში კ. კაპანელმაც შექმნა ლ-ის ელემენტარული კურსი (1925). თუმცა ისიც ცნობილია, რომ იგი ფორმალური ლ-ის მოწინააღმდეგე და ანტირაციონალისტური მიმართულების წარმომადგენელი იყო ქართულ ფილოსოფიაში.

შ. ნუცუბიძის ფილოს. სემინარებზე XX ს. არაერთი ქართველი მოაზროვნე განისწავლა. საქართველოში ლ-ის განვითარების ისტორიაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცნობილ ფილოსოფოსსა და ლოგიკოსს კ. *ბაქრაძეს*. იგი, შ. ნუცუბიძის მსგავსად, ე. წ. ფილოსოფიური ლ-ის, იგივე დიალექტიკური ლ-ის დამცველი იყო, თუმცა XX ს. 40-იან წლებში მისი პოზიცია შეიცვალა და ფორმალური ლ-ის პრინციპების დამცველი გახდა. ამავე პერიოდში გამოაქვეყნა ლ-ის სახელმძღვანელო (1946, ,,ლოგიკა“), შემდეგ – სახელმძღვანელოები საშ. სკოლის მოსწავლეთათვის (1947–48; 1951–52) და მონოგრაფია უმაღლესი სასწავლებლებისთვის (1954). მას მიაჩნდა, რომ ფორმალურმა ლ-მ, რ-იც სიმბოლური, მათემატიკური ლ-ის სახით განვითარდა, არსებითად წინ წასწია არისტოტელეს ტრადიციული ლ.

XX ს. II ნახ-ის ქართ. ფილოსოფიაში ლოგიკური პრომლემების ფუნდამენტური შესწავლა და ანალიზი დაკავშირებულია ს. *წერეთლის* სახელთან. იგი დიალექტიკური ლ-ის ერთ-ერთი საყურადღებო კონცეფციის ფუძემდებელი და სისტემაში მომყვანი მოაზროვნეა. დიალექტიკური ლ-ის პრობლემების დაფუძნებასა და ანალიზს ეძღვნება 1948–65 წლებში მის მიერ შექმნილი არაერთი გამოკვლევა. მათგან აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომი ,,დიალექტიკური ლოგიკა“ (1965), რ-იც სისტემურად აჯამებს და ავითარებს მის კონცეფციას ფილოს., მაშასადამე, დიალექტიკური ლ-ის შესახებ. ამ მიმართულებას არაერთი სხვა საყურადღებო წარმომადგენელი ჰყავდა XX ს. ქართულ ფილოსოფიაში. მათგან გამორჩეულია ლ. *გოკიელის* ნაშრომები, რებიც სიმრავლეთა თეორიასა და ლოგიკური ანტინომიების გადაჭრას ეძღვნება.

XX ს. შუა ხანებში საბჭოთა კავშირში წარიმართა დისკუსია ფორმალური და დიალექტიკური ლ-ის ურთიერთმიმართების შესახებ. 1950–51 ეს დისკუსია გაჩაღდა ცნობილ რუსულენოვან ჟურნალ «Вопросы философии»-ის ფურცლებზე და გაიხსნა კ. ბაქრაძის რუსულენოვანი სტატიით ლ-ისა და დიალექტიკის ურთიერთმიმართების შესახებ და მასში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვა ქართველმა ფილოსოფოსებმაც (ს. წერეთელი, ლ. გოკიელი, ს. დანელია და ა. შ.). კ. ბაქრაძე ფორმალური ლ-ის პრინციპებსა და მოძღვრებებს იცავდა, ხოლო ქართველ ფილოსოფოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მის პოზიციას არ იზიარებდა. ამის კვალობაზე 1951 თსუ-ში გაიმართა დისკუსია ფორმალური და დიალექტიკური ლ-ის ურთიერთმიმართების შესახებ, რ-შიც მონაწილეობდნენ შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ლ. გოკიელი და სხვ. ამ ტიპის მსჯელობები და დისკუსიები XX ს. 50-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა, შემდეგ კი სულ უფრო იშვიათი გახდა.

XX ს. 60–70-იან წლებში ქართველმა ფილოსოფოსებმა და ლოგიკოსებმა დიალექტიკური ლოგიკის პრობლემები და პრინციპები ახლებურად განმარტეს პარაკონსისტენტური ლ-ის ფარგლებში, რ-იც, თავის მხრივ, წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპის ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. პარაკონსისტენტური ლ-ის წინამორბედად ჰეგელიც შეიძლება მოვიაზროთ, თუმცა მისი განვითარებული ვერსიის პოვნა ს. წერეთლის ფილოსოფიურ ნაშრომებში შეგვიძლია. ამ საკითხების დამუშავებით ფორმალური ლ-ის პრობლემათა სპექტრი არსებითად გამდიდრდა, მნიშვნელოვანი გამოკვლევებით შეივსო და განვითარდა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ზ.

მიქელაძის, ლ. მჭედლიშვილის და მ. ბეჟანიშვილის მიერ კლასიკური და არაკლასიკური ლ-ის სფეროში შექმნილი მნიშვნელოვანი კვლევები. ზ. მიქელაძემ სახელი გაითქვა არისტოტელეს ლ-ის ახლებური ინტერპრეტაციებით. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა სტაგირელის ,,ტოპიკისა“ და ,,პერი ჰერმენეიას“ IX თავის განმარტებები, რაც მან თანამედროვე სიმბოლური (მათემატიკური) ლ-ის კონტექსტში განახორციელა. ლ. მჭედლიშვილმა მ. ბეჟანიშვილთან ერთად კლასიკური და არაკლასიკური ლ-ის სფეროში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები ჩაატარა. მან 1992 გამოსცა სახელმძღვანელო ,,ლოგიკა“ (თანაავტორი – ნ. ივანიძე), რ-იც დღესაც აქტიურად გამოიყენება. ლ. მჭედლიშვილი საგანგებოდ იკვლევდა ფილოსოფიური და მათემატიკური ლ-ის საზღვრით საკითხებს, დიალექტიკური და პარაკონსისტენტური ლ-ის პრობლემებს, ასევე ლ-ის ისტორიის საკვანძო საკითხებს. მ. ბეჟანიშვილი იკვლევდა მოდალური ლ-ისა და პრედიკატთა ლ-ის აქტუალურ პრობლემებს.

ლიტ.: ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1954; ბეჟანიშვილი მ., მჭედლიშვილი ლ., ლოგიკა საქართველოში, თბ., 1995; ირემაძე თ., შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბ., 2019; მისივე, ახალი დროის ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად, თბ., 2020; მისივე, იოანე პეტრიწის ფილოსოფია, თბ., 2021; მჭედლიშვილი ლ., დიალექტიკური ლოგიკის შეფასებისათვის. დიალექტიკური წინააღმდეგობების ანალიზი, კრ., ფილოსოფია, დიალექტიკა, ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2008; მჭედლიშვილი ლ., ივანიძე ნ., ლოგიკა, თბ., 1994; ნუცუბიძე შ., ლოღიკა. პროპედევტიული კურსი, ტფ., 1923; წერეთელი ს., დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965.

თ. ირემაძე.

ლოგისტიკა (ბერძნ. Logistice – გამოთვლის, განსჯის ხელოვნება), წარმოებიდან მოხმარების ადგილამდე ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციისა და ინფორმაციის შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადაცემის ეფექტიანი ოპერაციების დაგეგმვა, რეალიზაცია და კონტროლი მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით (1992; სტოკჰოლმი, ევროპის ლოგისტიკოსთა ასოციაციის საერთაშ. სიმპოზიუმი). ევრ. ლოგისტიკოსთა პირველმა კონგრესმა (1984, ბერლინი) ლ. განსაზღვრა როგორც მეცნიერება სხვადასხვა სისტემებში მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური ნაკადის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის შესახებ.

ლ-ის ცნებისა და მეთოდების საწყისად ითვლება სამხ. ხელოვნების სფერო, სადაც მის ამოცანას წარმოადგენდა არმიის მომარაგება საბრძოლო ინვენტარით, მასალებით, სურსათით და სხვ. ლ-ის ფუნქციებში აგრეთვე შედიოდა დასაწყობება, საწყობების რაციონალური განლაგების შერჩევა.

ისტ. წყაროებზე დაყრდნობით ძვ. საბერძნეთში არსებობდა ლოგისტიკოსის თანამდებობა, ანუ ყოველწლიურად კენჭისყრით არჩეული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ჩინოვნიკი (ძვ. წ. V ს.). მის ფუნქციებში შედიოდა იმ მოხელეთა ანგარიშების შემოწმება, რ-თა რწმუნებულებას ვადა უმთავრდებოდა. ეს ანგარიშები დასამტკიცებლად გადაეცემოდა საპატიო მოქალაქეთა საბჭოს, რ-ის გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

ძვ. რომში ლოგისტიკოსები ასრულებდნენ ადმ. ფუნქციებს როგორც მმართველობითი, ასევე რელიგიური კუთხით. ისინი პასუხისმგებლები იყვნენ რომის ლეგიონების სამხ. აღჭურვილობაზე, შეიარაღებასა და სურსათით უზრუნველყოფაზე.

X ს. დასაწყისში ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI (866–912) სამხ. ხელოვნებასთან დაკავშირებულ თავის ნაშრომში მიუთითებდა ლ-ის შემდეგ ამოცანებზე: არმიის მომარაგება საჭურვლით და სხვა სამხ. ქონებით, სამხ. ლაშქრობათა გეგმის შედგენა, ჯარების მოძრაობის მანძილისა და დროის გაანგარიშება, საბრძოლო მოქმედებათა ჩატარების ადგილის განსაზღვრა და სხვ.

II მსოფლიო ომის ბოლოს ლოგისტიკური პრინციპები გამოიყენებოდა სამხ. სპეციალისტების მიერ იმ არმიის მატერ.-ტექ. მომარაგებისათვის, რ-იც იბრძოდა წყნარ ოკეანესა და ევროპაში. კერძოდ, იგი გამოიყენებოდა ისეთი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა სამხ. საწყობების ქსელის განლაგება, მათი მოცულობისა და სასაწყობო მარაგების განსაზღვრა, საწყობებში და საწყობებიდან სამხ. ნაწილში ტვირთების მიტანის დაგეგმვა, სამხ. ტვირთების ნაკადების ორგანიზაცია და მართვა.

XIX ს. დასაწყისში ცნობილმა სამხ. თეორეტიკოსმა და ისტორიკოსმა, არმიის გენერალმა, წარმოშობით შვეიცარიელმა ბარონმა ა. ჟომინიმ (1779–1869) სამხ. საქმეში დანერგა ლ-ის მრავალი კონკრეტული ფუნქცია და განსაზღვრა მისი დიდი მნიშვნელობა სამხ. სტრატეგიასა და ტაქტიკაში. იგი 15-ტომიან ფუნდამენტურ ნაშრომში სამხ. ლ-ის შესახებ ახასიათებს ლ-ს, როგორც ჯარების დაგეგმვის, მართვისა და მომარაგების ხელოვნებას, დისლოკაციის ადგილის განსაზღვრას, არმიის გადაადგილებასთან დაკავშირებულ მომსახურებასა და სხვ.

საქართველოში ლ., როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, შედარებით ახ. ეკონ. მიმართულებაა. იგი ჩამოყალიბდა გასული საუკუნის ბოლოს. პრაქტიკაში მისი როლი და მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება, რასაც განსაზღვრავს საქართვ. სტრატეგიული მდებარეობა. იგი არის შესასვლელი კარიბჭე და სახმელეთო და საზღვაო დერეფანი კავკასიის ქვეყნებსა და ევროპას, ასევე ცენტრ. აზიასა და ევროპას შორის. ეს დერეფანი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ისტ. აბრეშუმის გზას.

ლ-ის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 12%-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნაში კი – 70–80 %-ს.

შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპ. არტერიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საქართველოს რკინიგზა, რ-იც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპას ცენტრ. აზიასთან და ჩინეთთან. საქართვ. რკინიგზით სატვირთო გადაზიდვები ხორციელდება კასპიისა და ცენტრ. აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი ალტერნატიული გზით. ლ-ში საზღვაო ტრანსპორტს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება. ყულევის, ფოთისა და ბათუმის პორტების მეშვეობით ტვირთები პირდაპირ გადაიზიდება რუსეთის, თურქეთის, უკრაინის, ბულგარეთისა და რუმინეთის პორტებში.

ევროპისა და აზიის კვეთაზე საქართვ. სამხედრო გზა ერთ-ერთი ძველი და ისტორიულია. 208 *კმ* სიგრძის გზა კავკასიონის მთავარ ქედზე გადის და თბილისსა

და ვლადიკავკაზს აკავშირებს. მისი მშენებლობა XVIII ს. ბოლოს საქართველოსა და რუსეთს შორის ე. წ. ,,გეორგიევსკის ტრაქტატის“ დადების შემდეგ დაიწყო და როგორც სამხ., ასევე ეკონ. დანიშნულება ჰქონდა. საქართვ. საავტომობილო ტრანსპორტის მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთთან საზღვრის გახსნის შემდეგ. საშუალოდ ყოველწლიურად, ქვეყნის საავტომობილო გზებით ხორციელდება თითქმის 17,2 მლნ. ტ ტვირთის გადაზიდვა. საქართველოში გადაზიდული ტვირთის დაახლოებით 59,9% მოდის საავტომობილო ტრანსპორტზე. საქართველოსთვის პრიორიტეტული გახდა სატრანსპ. ინფრასტრუქტურის განვითარება ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფნის სტატუსის მიღების შემდეგ, რ-იც 1993 ბრიუსელის დეკლარაციის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მონაწილეობით. მალევე პროექტს შეუერთდნენ უკრაინა, მოლდოვა და მონღოლეთი, 2000 – თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, ხოლო 2009 – ირანი. საქართვ. ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებისთვის შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძეა 3477*კმ,* ხოლო საერთაშ. მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძე – 1467*კმ.*

საქართვ. ტერიტორიაზე გადის სამი საერთაშ. მნიშვნელობის მილსადენი: ბაქო–თბილისი–ჯეიჰანი, ბაქო–თბილისი–ერზურუმი (შაჰდენიზი) და ბაქო–სუფსა. მათი საშუალებით ენერგომატარებლები შუა აზიიდან ევროპას უკავშირდებიან. ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის საშუალებით კი რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთს მიეწოდება ბუნებრივი აირი.

დღეს საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი აქვს როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო ქვეყანას. იგი ეტაპობრივად ხდება კავკასიის რეგიონული ჰაბი და აზია–ევროპის მიმართულებით ტვირთგადაზიდვებში მნიშვნელოვანი ლოგისტიკური მომსახურების მიმწოდებელი.

დ. ხაჟომია.

ლოგო, იხ. *სასაქონლო ნიშანი.*

ლოგოგრაფოსები (ბერძნ. მწერალი, პროზაიკოსი), 1. ისტორიულ თხზულებათა ავტორების (ჰეროდოტეს ჩათვლით) აღმნიშვნელი ტერმინი, რ-იც შემოიღო თუკიდიდემ (ძვ. წ. 460–396). XIX ს. დასაწყისში ლ-მ დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა და მას იყენებდნენ ჰეროდოტეს წინამორბედ ძვ. ბერძნ. ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა მოსახსენებლად. ლ. თავდაპირველად პროზაული სახით, ზეპირად, შემდეგ კი წერილობით მოგვითხრობდნენ გარდასულ ამბებს, იძლეოდნენ ისტ.-გეოგრ., თუ ეთნოგრ. ხასიათის ცნობებს შორეული ხალხების შესახებ. მათი ნაწარმოებები უმეტესად წარმოადგენდა ქრონიკებს – კომპილაციებს. ლ-ის თხზულებათა ფრაგმენტებმა ჩვენამდე მოიტანა მრავალი საინტერესო ცნობა ძვ. კავკასიის, კერძოდ, საქართველოს შესახებ.მათთან ჩნდება კოლხეთის გეოგრ. აღწერილობანი. ცნობილი ლ. იყვნენ ჰეკატეოს მილეტელი (ძვ. წ. 540–478), ჰელანიკე (ძვ. წ. VI–V ს. I ნახ.). 2. პირები, რებიც მომჩივანთათვის სასამართლოში წარსადგენ სიტყვას წერდნენ. ძვ. წ. V ს. მიწურულს ათენში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ლოგოგრაფოსი ლისიასი.

ლიტ.: ასათიანი ვ., ანტიკური კულტურა. ბიზანტია და საქართველო, თბ., 2021; ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1963, ნაკვ. 35; წერეთელი ალ., ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა, თბ., 1963.

ლოგოპედია (ბერძნ. logos – სიტყვა და paideia – აღზრდა, სწავლება), კორექციული პედაგოგიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მეტყველების ნაკლს ნორმალური სმენის პირობებში, ამუშავებს სპეციალურ პედაგოგიურ ხერხებსა და მეთოდებს მისი გამოსწორებისა და ნორმალური მეტყველების აღზრდისათვის (აღდგენისათვის). ლ. მჭიდროდ უკავშირდება პედაგოგიკას, ფსიქოლოგიას, ენათმეცნიერებას, ნევროპათოლოგიას, ფსიქიატრიას, ოტოლარინგოლოგიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, სამკურნალო ფიზკულტურას და სხვ. საკორექციო-აღმზრდელობითი ღონისძიებანი საჭიროებისამებრ ეხმარება სამედ. რეკომენდაციებსა და მკურნალობას.

ლ. კორექციული პედაგოგიკის ერთ-ერთი დარგია. ლოგოპედიური მუშაობის დროს ხდება სამეტყველო მოტორიკის დამუშავება სწორი ბგერათწარმოთქმისთვის, ფონემატური სმენის მოწესრიგება; ნორმალიზდება მეტყველების ტემპი და რიტმი; მუშავდება ხმა, ტემბრი, წარმოთქმის მკაფიოობა, ინტონაცია, გამომხატველობითი მეტყველება, საერთო და წვრილი მოტორიკა (მოტორიკა, მიმიკა, პანტომიმიკა); ხდება აზროვნების, მეხსიერების სხვადასხვა ფორმის, ყურადღების, წარმოსახვის, დანახულის აღქმის, დამახსოვრებისა და მათი თანამიმდევრულად მეტყველებაში გადმოტანის თვისების ჩამოყალიბება, პასიური და აქტიური მარაგის გამდიდრება, მათი სწორი გრამატიკული ფორმით დალაგება და გამოყენების უნარის ჩამოყალიბება.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დროს ლოგოპედიური საქმიანობის დამწყებად მიიჩნევა ა. კაიშაური, ხოლო ლ-ის მეცნ. საფუძვლებზე დაყენება დაკავშირებულია გ. ახვლედიანის სახელთან. ამ პერიოდში მოქმედებდა 160-ზე მეტი ლოგოპედიური პუნქტი და კაბინეტი. სამეცნ.-კვლ. მუშაობა მიმდინარეობდა ი. გოგებაშვილის პედ. ინ-ტის დეფექტოლოგიის სექტორში.

ამჟამად ლოგოპედიურ საქმიანობას ეწევიან პედაგოგიკის სპეციალისტები. XX ს. უკანასკნელი ათწლეულების მიღწევებმა ბიოლოგიის, ემბრიოლოგიის, გენეტიკისა და იმუნოლოგიის დარგებში შესაძლებელი გახადა მეტყველების ნაკლოვანებათა ეტიოლოგიის უფრო ღრმად შესწავლა, რამაც დაადასტურა გარეგანი და შინაგანი მავნე ფაქტორების გავლენა ენის/მეტყველების შეფერხების წარმოქმნაზე. ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა იწყება მუცლადყოფნის პერიოდიდან. თანამედროვე ლ. ორიენტირებულია შეისწავლოს ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის ონტოგენეზი მისი შეფერხების სხვადასხვა ფორმის დროს; განსაზღვროს შეფერხების გავრცელება, სიმპტომატიკა და გამოვლენის დონე. გამოამჟღავნოს და დაადგინოს ენობრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვის განვითარების დინამიკა და კავშირი ბავშვის ნეიროფსიქოლოგიურ, ემოციურ თუ ქცევით განვითარებასთან მიმართებით. ლ. ასევე შეისწავლის იმ ბავშვთა მეტყველების განვითარების თავისებურებებს, რ-თა შეფერხებასაც ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია; იკვლევს მეტყველების შეფერ-

ხების ეტიოლოგიას, მექანიზმებს, სტრუქტურასა და სიმპტომატიკას; სისტემაში მოჰყავს ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევები; შეიმუშავებს შეფერხების აღმოფხვრის პრინციპებს, დიფერენცირებულ მეთოდებსა და საშუალებებს; სრულყოფს მეტყველების პროფილაქტიკის მეთოდებსა და ლოგოპედიური დახმარების საორგანიზაციო საკითხებს. დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის ლოგოპედი, საჭიროების შემთხვევაში, მუშაობაში რთავს იმ სპეციალისტებს, რ-ებიც სწავლობენ მეტყველების დარღვევებს და მის სახეებს.

თანამედროვე ლ. განიხილება, როგორც მეტყველების თერაპია, რაც ნიშნავს კომუნიკაციის პრობლემებისა და მეტყველების დარღვევების შეფასებასა და მკურნალობას. მას ასრულებენ მეტყველების ენის პათოლოგები (SLP), რ-ებსაც ხშირად ,,სიტყვით თერაპევტებს'' უწოდებენ. სიტყვის თერაპია მოიცავს სასახსრე თერაპიას, ენის ჩარევის აქტივობებსა და სხვ., რაც დამოკიდებულია სიტყვის ან ენის დარღვევის ტიპზე. მეტყველების თერაპია გამოიყენება იმ დარღვევებისთვის, რ-ებიც ვითარდება ბავშვებში ან მოზრდილებში და გამოწვეულია ტრავმით ან დაავადებით. მეტყველებისა და ენის რამდენიმე დარღვევის (არტიკულაციის, თავისუფლად მუშაობის, რეზონანსული, ექსპრესიული, კოგნიტურ-კომუნიკაციური დარღვევები, აფაზია, დიზართრია და სხვ.) დროს მკურნალობა შეიძლება ლოგოპედიით.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949; გაბაშვილი ზ., მეტყველების ანომალიები, წგ.: პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწ. 1, თბ., 1962; თაყაიშვილი რ., ენამოშლილობა და მისი სახეები, ,,სკოლა და ცხოვრება'', 1970, №7; კაიშაური ა., ლოგოპედია, წგ. 1, თბ., 1955; ლოგოპედიური მუშაობა სკოლაში, თბ., 1960; ქელბაქიანი ა., დიდაქტიკური სათამაშო სავარჯიშოების გამოყენება ლოგოპედიურ მუშაობაში, ,,დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა'', 1969, №4; Басова А. Г., Егоров С. Ф., История сурдопедагогики, М., 1984; Howell P., Recovery From Stuttering; NY., 2011.

რ. თაყაიშვილი.

ლოგოს პრესი, შპს გამომცემლობა, დაარსდა 2000. დამფუძნებელი და გამომცემელი – ლ. ბერაია. საგამომცემლო პრიორიტეტებია სასკოლო სახელმძღვანელოები, სახელოვნებო გამოცემები და საბავშვო წიგნები. თავდაპირველად ლ. პ. გამოსცემდა მხატვრულ და სამეცნ. ლიტ-რას, სასკოლო სახელმძღვანელოებს. მოგვიანებით მათ შეემატა საბავშვო ლიტ-რა და სასაჩუქრე წიგნები. 2007-იდან ლ. პ-ის გამოცემათა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა საბავშვო წიგნების თანაგამოცემები (უცხოურ გამომცემლობათა წიგნების ქართული თარგმანები). 2005, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის კვალდაკვალ, გამომცემლობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნაში. ლ. პ-მა საქართველოში პირველმა გამოსცა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები – ე. გომბრიხის ,,ხელოვნების ამბავი''; ვ. ნაბოკოვის ,,ლოლიტა''; ი. ჩარკვიანის ,,მშვიდი ცურვა; ე. ბერჯესის ,,მექანიკური ფორთოხალი''; ე. ჰეივუდის ,,პოლიტიკური იდეოლოგიები''; ო. ჭილაძის ,,ბედნიერი ტანჯული''; ლ. ვიტგენშტაინის ,,ფილოსოფიური გამოკვლევები''; ზ. კიკნაძის ,,ქართული ხალხური ეპოსი'' და სხვ.

თ. დოლიძე.

ლოგუნოვ-თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი, კვაზიპოტენციალური მეთოდი, ველის კვანტურ თეორიაში შემოიღეს ა. ლოგუნოვმა და ა. თავხელიძემ (1962). ამ მიდგომით ხორციელდება ბეტე-სოლპიტერის კოვარიანტულ განტოლებაში ერთდროიან ტალღურ ფუნქციებზე გადასვლა ისე, რომ, ერთი მხრივ, შენარჩუნებული იყოს ველის კვანტური თეორიის ინფორმაცია და მეორე მხრივ, ერთდროიან ტალღურ ფუნქციებს მიეცეს კვანტური მექანიკისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ინტერპრეტაცია. პირველ ეტაპზე ლ.-თ. კ. მ. დაიწერა მხოლოდ სკალარული (უსპინ) ნაწილაკებისთვის. მიუხედავად ამისა, განტოლება გამოიყენებოდა ფიზიკურად საინტერესო როგორც ბმული მდგომარეობების, ასევე გაფანტვის (დრეკადი და არადრეკადი) ამოცანების შესასწავლად. მართალია, რეალურ ამოცანებში ნაწილაკთა სპინების გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ კვაზიპოტენციალური განტოლების ამ ვარიანტის შემოთავაზება იმ დროს იყო მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი ბმული მდგომარეობის სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილის შესასწავლად, ასევე გაფანტვის ამპლიტუდების ანალიზური თვისებების დასადგენად დიდ ენერგიებსა და დიდ გადაცემულ იმპულსებზე კვეთების მოდელირებისათვის.

ორი ფერმიონის სისტემისათვის რეგულარული კვაზიპოტენციალური მეთოდი განვითარდა 1969-იდან, როდესაც ა. ლოგუნოვის და ა. თავხელიძის სამეცნიერო სკოლის მოწაფეებმა (ვ. გარსევანიშვილი, ა. კვინიხიძე, რ. ფაუსტოვი, ა. ხელაშვილი, ო. ხრუსტალიოვი და სხვ.) შეძლეს ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლა და დაძლიეს მთავარი სირთულე – თავისუფალ ფერმიონთა გრინის ორდროიანი ფუნქციის პროექციული თვისებების გამო მიდგომის ისეთი მოდიფიცირება, რომ შესაძლებელი გახდა უზოგადესი სამგანზომილებიანი განტოლების მიღება, საიდანაც გარკვეული მიახლოებების დაშვებით შეიძლება მივიღოთ ამ დარგში ცნობილი ყველა 3-განზომილებიანი განტოლება. გარეგნულად ის წააგავს ბრეიტის განტოლებას, მაგრამ შინაარსით მისგან მკვეთრად განსხვავდება კავშირით ველის კვანტური თეორიის კატეგორიებთან. ამავე დროს ასიმპტოტიკური ყოფაქცევა უსასრულობაში აქვს სწორი, თავისუფალი ე.წ. კლეინის პარადოქსისგან, ანუ გაჟონვისგან უსასრულო ჯებირში.

ლიტ.: Инклюзивные процессы с большими поперечными импульсами в подходе составных частиц, „Элемент, частицы и атомное ядро'', 1977, т. 8; Хелашвили А. А., Квазипотенциальное уравнение для системы двух частиц со спином 1/2; Preprint of JINR, P2 4327, Dubna, 1969; Logunov A. A., Tavkhelidze A. N. Quasioptical Approach in Quantum Field Theory, Nuovo Cimento, 1963, 29, №2.


ა. ხელაშვილი.



ა. ლოგუნოვი.

ლოგუნოვი ანატოლი ალექსის ძე (30.XII.1926, სოფ. ობშაროვკა, სამარის ოლქი, რუსეთი, – 1. III. 2015, მოსკოვი), ფიზიკოსი-თეორეტიკოსი. სსრკ და რუსეთის მეცნ. აკადემიების აკადემიკოსი (1972; წ-კორ. 1968), სსრკ მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1974–91), მეცნიერების ორგანიზატორი, საქართვ. მეცნ. ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (1996). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), 1951 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფიზ. ფაკ-ტი, სადაც გააგრძელა მუშაობა (1956-მდე). ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო-ორგანიზატორულ საქმიანობას. იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის (IHEP, პროტვინო) დირექტორი და სამეცნ. ხელმძღვანელი (1974–2015), მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის რექტორი (1977–92).

ლ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა ველების კვანტური (მ. შ. აქსიომატური) თეორია, მაღალი ენერგიების ფიზიკა, გრავიტაციის თეორია. ა. *თავხელიძესთან*, ლ. სოლოვიოვთან, ნ. ჩერნიკოვთან და სხვებთან ერთად შეიმუშავა ახ. მიდგომა და გამოიყვანა დისპერსიული თანაფარდობები ელემენტარული ნაწილაკების მონაწილეობით მიმდინარე პროცესებისთვის. ა. თავხელიძესთან და ლ. სოლოვიოვთან ერთად, გამოიყვანა სასრული ენერგიებისთვის ჯამთა შესაბამისი წესები, რაც შემდგომში გახდა დუალურობის კონცეფციისა და სიმთა თეორიის საფუძველი; მ. *მესტვირიშვილთან* და სხვებთან ერთად წამოაყენა პრინციპულად ახ. მიდგომა მაღალენერგეტიკული არადრეკადი პროცესების კვლევებში – ინკლუზიური გაზომვის, ანუ ინკლუზიური რეაქციის კონცეფცია (იხ. სტ. *ინკლუზიური პროცესი*). ა. თავხელიძესთან ერთად შეიმუშავა ახ. მეთოდი ორი რელატივისტური ნაწილაკის ამოცანის შესასწავლად (იხ. სტ. *კვაზიპოტენციალური განტოლება ლოგუნოვ–თავხელიძისა*).



ჯ. ლოიდ.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი; არის სახელმწ. (1973; ა. თავხელიძესთან და სხვებთან ერთად), ასევე მრავალი საერთაშ. სამეცნ. პრემიის ლაურეატი. მჭიდრო სამეცნ. ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ქართველ ფიზიკოსთან.

მიღებული აქვს სსრკ და სხვა ქვეყნების სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Релятивистская теория гравитации, М., 1989 (თანაავტ. М.А.Мествиришвили); Общие принципы квантовой теории поля, М., 2006 (თანაავტ.); Релятивистская теория гравитации, М., 2012.

ლიტ.: Анатолий Алексеевич Логунов. К 70-летию со дня рождения. Протвино,1996; Герштейн С. С., Академик А. А. Логунов. Траектория жизни, Наукоград, 2015.

ი. ლომიძე.

ლონდონი, იხ. *გოხნარის ლონდონი.*

ლონდინსკი მიხეილ ლეონიდის ძე [8 (20). VII. 1886, პეტერბურგი, – 1. II. 1955, იქვე], რუსი პოეტი, მთარგმნელი. 1916 გამოსცა ლექსების კრებ. ,,მთის წყარო". 1917-იდან ლ. ძირითადად მხატვრული თარგმანის სფეროში იღვწოდა. თარგმნა რ. როლანის ,,კოლა ბრუნიონი" (1932), დანტეს ,,ღვთაებრივი კომედია" (1939–45, სტალინური პრემია, 1946), შექსპირის, სერვანტესის, მოლიერის, ფირდოუსის, საიათნოვასა და სხვათა თხზულებები. სხვა ქართველ ავტორებთან ერთად თარგმნა ნ. ბარათაშვილის ,,ფიქრნი მტკვრის პირას" და ,,მერანი" (კრებ. ,,ქართველი რომანტიკოსები", 1940).

ვ. შადური.

ლოიდ ჯორჯი (Lloyd George) დევიდ (17. I. 1863, მანჩესტერი, – 26. III. 1945, ქარნარვონშირი, უელსი), დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი (1916 წ. 7 დეკ. – 1922 წ. 22 ოქტ.), ლიბერალური პარტიის ლიდერი (1924-31). ოქსფორდის უნ-ტის სამართლის დოქტორი (1908).

1884 ლ. ჯ-ს ადვოკატის კვალიფიკაცია მიენიჭა. 1890 გახდა პარლამენტის წევრი. იყო ბურებთან ომის მოწინააღმდეგე. 1905–08 იყო ჩემპბელ-ბანერმანის კაბინეტში. 1908–15 – ბრიტანეთის ხაზინის უფროსი, 1916 – ომის მინისტრი. ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის დელეგაციას გერმანელებთან მოლაპარაკებისას. მანვე მოაწერა ხელი ვერსალის საზავო ხელშეკრულებას (1919).

საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობა ბრიტანეთის მთავრობასთან კავშირის დამყარებას I მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ცდილობდა. 1919 ივნისში დიპლომატ დ. ღამბაშიძეს ლ. ჯ-თან ლონდონში ჰქონდა შეხვედრა, საუბარი შედგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ა. დენიკინის არმიის გამოლაშქრების შესახებ. მან ქართველ დიპლომატს პირობა მისცა, რომ, მოკავშირეების დახმარებით ა. დენიკინის შეტევა შეჩერდებოდა.

საქართვ. დემოკრ. რესპ-ის მთავრობის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტსა და საზრუნავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება წარმოადგენდა. სწორედ ამ მიზნით შეხვდა დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ლ. ჯ-ს. 1921 წ. 26 იანვარს I მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ მართლაც მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის ,,დე-იურედ" აღიარება.

ლ. ჯ-მა ქვეყანაში თავისი პოლიტ. პოზიციების გამყარება 1918 ახალ არჩევნებში გამარჯვებით შეძლო. ლ. ჯ-ს მთავრობამ ძირითადი ყურადღება საგარეო პოლიტიკაზე გადაიტანა. თავად პრემიერი კავკასიის საკითხების განხილვაში აქტიურად არ ერეოდა, რადგან მას რუსეთის შიდა საკითხად მიიჩნევდა. თანაც რუსეთი მრავალფეროვანი ნედლეულისა და დიდი გასაღების ბაზრის გამო, ბრიტანეთისათვის საინტერესო იყო. სწორედ ამან განაპირობა ბრიტანეთის შემდგომი საგარეო პოლიტიკა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, ლ. ჯ-ის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი საქართველოს მხარს უჭერდა. სწორედ მისი ინიციატივით 1919 ბრიტანეთის მთავარ კომისრად (Chief Comissioner) თბილისში ო. უორდროპი გამოაგზავნეს.

ბრიტანული საგარეო პოლიტიკის მთავარი ორიენტირებისა და პრიორიტეტების კონკრეტული გამოვლინება იყო ლ. ჯ-ის დამოკიდებულება საქართვ. დემოკრ. რესპ-ის ერთა ლიგაში გაწევრიანებისადმი. 1920 წ. 16 დეკემბერს ინგლისის წარმომდგენელი მ. ფიშერი ამ საერთაშ. ორგანიზაციაში საქართვ. წევრად მიღების წინააღმდეგ გამოვიდა.

1922 წ. 20 ოქტ. სამთავრობო კოალიცია დაიშალა და ლ. ჯ. პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან გადადგა.

თხზ.: Военные мемуары, М., 1934; Правда о мирных договорах, М., 1957.

ლიტ.: გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №121, №141; გაზ. ,,ერთობა", 1921, №4; გაჩეჩილაძე რ., საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბ., 2013; მანველიშვილი ალ., რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, ნაწ. 2, თბ., 1998..

ი. ირემაძე.

ლოკოკინა, იხ. *მუცელფეხიანები.*

ლოლაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (26. XII. 1918, სიღნაღი, – 20. V. 1984, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1973). 1972-იდან იყო შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტის ძვ. ქართული ლიტ-რის განყ-ბის ხელმძღვანელი. იკვლევდა V–XVIII სს. ქართ. ლიტ-რისა და ფილოს. აზრის ისტ. საკითხებს. ლ-ის ძირითადი ნაშრომებია ,,რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა" (1961); ,,ძველი ქართველი მეხოტბენი" (I–II, 1957–64); ,,არეოპაგიტიკის პრობლემები" (1972); ,,ფსევდოდიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის

პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში'' (1973); ,,არსენ იფალთოელი'' (1978). ,,თამარ მეფის აკლდამა გელათში'' (1971) და სხვ. 1968 გამოსცა იოანე პეტრიწის ,,სათნოებათა კიბე'' ვრცელი გამოკვლევითა და კომენტარებით.

ლიტ.: კუტიბაშვილი ზ., ივანე ლოლაშვილი, თბ., 1992.

ლოლაშვილი ჟანრი გიორგის ძე (დ. 22. IV. 1942, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, მხატვარი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). 1963 დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფისტთა ინ-ტის უმაღლესი კურსები, 1965 – შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1958–61 იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მხატვარ-მულტიპლიკატორი; 1963–64 – ზუგდიდის სახელმწ. თეატრის მსახიობი. 1966-იდან მოღვაწეობს რუსთაველის თეატრში, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: ტიმოთე (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''), გრენგოლმი (შ. დადიანის ,,გუშინდელი''), მწერალი (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე''), მერკუციო, მასხარა (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,მეფე ლირი''), მთხრობელი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე''; სსრკ სახელმწ. პრემია, 1979), ვარსქენი (,,შუშანიკის მარტვილობა'', იაკობ ცურტაველის მიხედვით), გოგი, ბანდიტი, დავითი (რ. სტურუას, ა. ვარსიმაშვილის, ლ. ფოფხაძის ,,ვარიაციები თანამედროვე თემაზე''), იონა (ლ. თაბუკაშვილის ,,ათვინიერებენ მომინოს''), ლუარსაბი (,,კაცია-ადამიანი?!'', ი. ჭავჭავაძის მიხედვით, დაჯილდოვდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის რუსთავის საერთაშ. თეატრ. ფესტივალზე ,,ოქროს ნიღაბი'', 2000) და სხვ. ლ-ს შექმნილი აქვს მრავალი დასამახსოვრებელი ეკრანული სახე. მისი კინოდებიუტი შედგა ა. რეხვიაშვილის ფილმში ,,ნუცა'' (თავადი, 1971); „მწვანე მდელო'' (მხატვარი; 1973), „საფეხური'' (1986), „მიახლოება'' (მამა; 1989); სამივეს რეჟ. ა. რეხვიაშვილი), „ერთი ნახვით შეყვარება'' (რეჟ. რ. ესაძე, 1975), „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში'' (ილია ილიჩი; 1990, ორივეს რეჟ. ი. კვირიკაძე), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე'' (ირაკლი; რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1978), „მომეხმარეთ იალბუზზე ასვლაში'' (რეჟ. ნ. ჯორჯაძე, 1981), „ჭა'' (ხრინგაძე; რეჟ. პ. ჩარკვიანი,1988), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი'' (გარსია პედრო, სულით ავადმყოფი; რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), „ნათლისღება'' (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1994), „ერთაწმინდა'' (რეჟ. ზ. თუთბერიძე, 1994), „სამი სახლი'' (ფსიქიატრი, ჯემალი, 2008), „დარჩი ჩემთან'' (2011), ტელესერიალში „ცხელი ძაღლი'' (ბიძინა თაბაგარი; 2003–09; სამივეს რეჟ. ზ. ურუშაძე).

ლ-მა შექმნა ტელეგრაფისტ ქრისტოფერ ჰიუზის შთამბეჭდავი სახე ნ. ჯორჯაძის ფილმში ,,რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა'' (1986). მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლებში: ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა'' და სხვ. ლ-ის მიერ შესრულებული როლები გამოირჩევა ხასიათის მრავალფეროვნებითა და დამაჯერებლობით. მნიშვნელოვანია მისი ფერწერული ნამუშევრებიც. 2020 თბილისში, მოეწყო ლ-ის გამოფენა ,,გალერეა არტში'', საქართვ. ეროვნ. მუზეუმის დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში.

ლოლაძე ბერთაუკა, ოქრომჭედელი, სარქარი (უფროსი ზედამხედველი). მოღვაწეობდა XVII ს. II ნახ-ში. მისი ხელმძღვანელობით მოიჭედა ანჩისხატის კარედის გარე პირი. გრძელ წარწერაში აღნიშნულია ქორონიკონი, რ-იც 1686 წელს უდრის. ბერთაუკას მიერ შესრულებულია სახარების სცენები: ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმში შესვლა, ღვთისმშობლის მიძინება, თომას ურწმუნოება – ,,გვერდის განხილვა'', საიდუმლო სერობა, სულიწმინდის მოფენა. ყოველი გამოსახულება და მთლიანად კარედი ფართო ორნამენტულ არშიებშია ჩასმული. თვით სცენები მრავალფიგურიანია, მეტისმეტად დატვირთული ერთიანად ამოჭედილი ფიგურებითა და ფონის გამოსახულებით, რაც მოწმობს იმ პერიოდის ჩვეულ ინტერესს თხრობისა და საღვთისმეტყველო საკითხებისადმი. მხატვრული და ტექნ. შესრულებით, რა თქმა უნდა, დიდად ჩამოუვარდება X–XII სს-ების დონეს და დაქვეითების ხანის ტიპურ ნაწარმოებად მიიჩნევა.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

ლოლაძე გრიგოლ მათეს ძე (11. IV. 1911, გორი, – 5. VIII. 1971, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1938 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლოგიის ფაკ-ტი გეოგრაფიის სპეციალობით. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). მუშაობა დაიწყო თბილ. გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მეტეოროლოგიის ქსელის და თბილ. ობსერვატორიის გამგედ (1930–39), 1964 მუშაობდა მაღალმთიანი მეტეოსადგურების უფროსად. ამავე წელს აირჩიეს საქართვ. მეცნ. აკად. მეცნ. ისტორიის ეროვნ. ასოციაციის სწავლულ მდივნად. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რ-ებიც ეხება საქართველოში მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის განვითარების ისტორიას. დაჯილდოებულია ყოფ. გდრ-ის ოქროს, შილერის ბრინჯაოს, კოპერნიკის ბრინჯაოს (პოლონეთი) მედლებით.



ჟ. ლოლაშვილი.

ლოლაძე დიმიტრი (დემიკო) რევაზის ძე (დ. 3. IV. 1944, თბილისი), პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. (1968) და იურიდ. (1987) ფაკ-ტები, ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. მე-2 სამუსიკო სასწავლებელი (1965). არის საქართვ. მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, მხატვართა, ჟურნალისტთა კავშირებისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი.

ლ. მრავალი წიგნის, კრებულისა და ალბომის ავტორია, მ. შ. ,,ქართული ფეხბურთის დიდგორი'', ,,შოთა იამანიძე'', ,,მიხეილ მესხი'', ,,სლავა მეტრეველი'', ,,ვლადიმერ ბარქაია'', ,,ავთანდილ ღოღობერიძე'', ,,სერგო კოტრიკაძე'', ,,გივი ჩოხელი'', ,,მურთაზ ხურცილავა'', ,,ბორის სიჭინავა'', ,,ილია დათუნაშვილი'', ,,ბორის პაიჭაძე'', ,,ჯე-



ჟ. ლოლაშვილი. ლუარსაბი, ი. ჭავჭავაძის ,,კაცია ადამიანი?!'' რეჟისორი რ. სტურუა.

მალ ზეინკლიშვილი“, ,,ვახტანგ ჭელიძე“, ,,ნოდარ ახალკაცი“, ,,ვიტალი დარასელია“, ,,ალექსანდრე ჩივაძე“, ,,ოთარ გაბელია“, ,,სერგო კუტივაძე“, ,,ძმები ნოდიები“, ,,დავით ყიფიანი“, ,,ფირუზ კანთელაძე“, ,,ჯემალ ცერცვაძე“, ,,ვაჟა აზარაშვილი“, ,,დრო და ადამიანები“ (I–II ნაწ.) და სხვ. მან ორი კრებული მიუძღვნა საქართვ. ეროვნ. გმირს ჟ. შარტავას.

ლ-ს მინიჭებული აქვს საქართვ. დამს. მასწავლებლის (1988), სპორტის დამს. მუშაკის (1999), ,,თბილისზე მზრუნველის“ (2014), ქართ. კულტურის ამაგდარის (2016), დამს. ჟურნალისტის (2019), ,,სპორტის რაინდის“ (2021) წოდებები.



დ. ლოლაძე

მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის (2001), ივ. ჯავახიშვილის (2003), ნ. ნიკოლაძის (2005), სეოკ-ის ოლიმპიური (2020) მედლები, სპეც. პრიზი ქართ. ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის (2021). არის ღირსების ორდენის (ორგზის – 1999, 2018) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2017).

თ. დოლიძე.



თ. ლოლაძე

ლოლაძე ვახტანგ ვიქტორის ძე (5. V. 1923, თბილისი, – 20. XI. 2006, იქვე). თეატრალური მოღვაწე, საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979). ხელმძღვანელობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციას ,,საქართველოს დამოუკიდებლობა‘‘, რისთვისაც 1939 მე-9 კლასის მოსწავლე დააპატიმრეს. 1950 დაამთავრა თეატრ. ინ-ტი თეატრმცოდნეობის სპეციალობით. მუშაობდა რესპ. მეთოდ-კაბინეტში კულტ.-საგანმან. მუშაობის მეთოდისტად (1950–55), ხალხური შემოქმედების რესპ. სახლში – თეატრალური განყ-ბის გამგედ (1955–60), კულტურის სამინისტროში – უფრ. ინსპექტორად (1960–63); იყო თოჯინების ქართული (1963–65), ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის (1965–67), რუსთავის (1967–69), მოზარდ მაყურებელთა ქართული (1969–80), მარჯანიშვილის (1980–83), მუსიკალური კომედიის (1983–85), გრიბოედოვის (1986–89) თეატრების დირექტორი. ავტორია ნაშრომებისა: ,,სერგეი მესხის ცხოვრება და თეატრალური მოღვაწეობა‘‘ (შ. სალუქვაძესთან ერთად), ,,დავით რონდელი‘‘, ,,ლეო ესაკია‘‘, ,,არჩილ გომიაშვილი‘‘, ,,ვასილ პიპინაშვილი‘‘. ლ-ს ეკუთვნის არაერთი პიესის თარგმანი. რადიოსა და ტელევიზიაში მიჰყავდა გადაცემები ქართ. სცენის ოსტატებზე (გ. შავგულიძე, შ. ღამბაშიძე, გ. კუპრაშვილი და სხვ.).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ლოლაძე თეიმურაზ ნიკოლოზის ძე (24. V. 1920, ქუთაისი, – 13. VI. 2000, თბილისი), ინჟინერი (მანქანათმშენებელი). საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979, წ.-კორ. – 1974), ტექ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1942). მუშაობდა დიმიტროვის სახ. საავიაციო ქ-ნაში ტექნოლოგად (1942–46), სპი-ის (ახლანდ. სტუ) მანქანათმშენებლობის კათედრაზე (1946-იდან), 1958-იდან გარდაცვალებამდე იყო ამ კათედრის გამგე.

ლ. გაეროს ხაზით მივლინებული იყო ინდოეთსა (1961–63) და ეგვიპტეში (1967–69), სადაც ბომბეის (ახლანდ. მუმბაი) და მანსურიის ტექნოლ. ინ-ტებში ხელმძღვანელობდა იუნესკოს პროექტებს (მთ. ტექ. მრჩეველი); იყო სპი-ის პრორექტორი (1971–80) და რექტორი (1981–88).

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები მოიცავს ლითონთა ჭრის პროცესის თანმხლები ფიზ. მოვლენების შესწავლას. მის მიერ დამუშავებულმა კვლევის ორიგინალურმა მეთოდმა ფართო გამოყენება პოვა მსოფლიოს მრავალ სამეცნ. ცენტრში. ლ-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული კვლევების შედეგად განვითარდა ლითონების ჭრის პროცესების მექანიკის, ჭრის დროს კონტაქტური მოვლენების, საიარაღო მასალების შექმნის, გახურებული ლითონების ჭრის და მასალათა აბრაზიული დამუშავების ახალი მეთოდები; შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების მრავალმწარმოებლური ჩარხები და მანქანები, ახ. შენადნობები მჭრელი იარაღისათვის; დედამიწისა და კოსმოსური ბაზირების დიდგაბარიტიანი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების უნიკალური გამოსაცდელი კომპლექსი და ჩამოყალიბდა საქართვ. კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტი; ამავე პერიოდში ლ-ის ხელმძღვანელობით ინტენსიურად ვითარდებოდა კოსმოსური კრიოგენული მანქანათმშენებლობა, რის შედეგადაც შეიქმნა უნიკალური დგუშიანი მიკრომანქანები, მ. შ. კოსმოსურ ხომალდ ,,ბურანზე“ დადგმული თხევადი ჟანგბადის მოწყობილობა.

ლ-ის ინიციატივით და აქტიური ხელშეწყობით ჩამოყალიბდა რამდენიმე სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია და ცენტრი. არჩეული იყო უცხოეთის მრავალი უმაღლესი ტექ. სასწავლებლის საპატიო დოქტორად. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ქართ. ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო კოლეგიაში, ეწეოდა ნაყოფიერ პედ. საქმიანობას.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიის ავტორი, საავტორო მოწმობისა და პატენტების მფლობელი. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1997), ღირსების ორდენი (1998) და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მასალების ჭრით დამუშავება, თბ., 1990; Прочность и износостойкость режущего инструмента, М., 1982; Основные вопросы оптимизации технологии машиностроительного производства, Тб., 1987.

ლოლაძე თინათინ ალექსანდრეს ასული (1. IV. 1908, სოფ. ხრეითი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, – 28. III. 1981, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1961). 1922–27 მუშაობდა ჭიათურის მუშათა კლუბთან არსებულ დრამ. წრეში მოკარნახედ, მღეროდა ამავე კლუბთან არსებულ მომღერალთა გუნდში (ხელმძღვ. ს. კავსაძე). ლ. სცენაზე პირველად გამოვიდა ჭიათურის თეატრში, სადაც შეასრულა გოგიას როლი პ. ირეთელის ,,ქრისტინეში“ (1923). 1928-იდან ამავე თეატრის მსახიობია. მუშაობდა ქუთაისის (1929–34), ჭიათურის (1934–35, 1938–41, 1945–48), სოხუმის (1936–37), ბორჯომის (1937–38), გორის (1945–48), ზუგდიდის (1948–49), ცხინვალის (1949–57) თეატრებში. 1961–62 იყო ჭიათურის მაღაროელთა კლუბის დირექტორი.

ლ-ს სხვადასხვა თეატრში დადგმული აქვს მ. კიკვაძის ,,დიმიტრი თავდადებული‘‘, მ. ჯაფარიძის ,,ჩვენებურები‘‘ და ,,ჟამთაბერის ასული‘‘, ს. შანშიაშვილის ,,ხევისბერი გოჩა‘‘ (ა. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით), ლ. მილორავას ,,კერპ-ჯიუტა‘‘, ვ. სობკოს ,,ასი მილიონი‘‘ და სხვ. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლები: ნელი, იამზე (გ. ქელბაქიანის ,,დაგვიანებული სინანული“), მარო (ს. მთვარაძის ,,სურამის ციხე“), გულთამზე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“), ელენე (ა.

წერეთლის ,,პატარა კახი“), დეზდემონა, ჯულიეტა (უ. შექსპირის ,,ოტელო“, ,,რომეო და ჯულიეტა“). ,,ოტელოში“ ლ-ს პარტნიორობას უწევდა ა. იმედაშვილი.

ლ. წერდა რეცენზიებს, ლექსებს, სტატიებს, კითხულობდა ლექციებს ლიტ-რისა და თეატრის შესახებ.

ლოლუა გიორგი ალექსანდრეს ძე (9. VI. 1919, სოფ. ზემო ქვალონი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 21. XII. 1990, ქ. ჰამილტონი, კანადა), ინჟინერ-მეტალურგი, პოეტი, ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე. დაამთავრა სპი-ის (ამჟამად სტუ) ენერგეტ. ფაკ-ტი (1941). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1942 ტყვედ ჩავარდა. ბერლინის ,,ქართული სამოკავშირეო შტაბის“ ძალისხმევით დაიხსნეს ტყვეთა ბანაკიდან. აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული შტაბის საქმიანობაში. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში, არგენტინასა და კანადაში. 1955-იდან მუშაობდა ქ. ჰამილტონის მეტალ. ქ-ნის მთ. ინჟინრად. აქტ. ურთიერთობა ჰქონდა ქართ. ემიგრანტულ წრეებთან.

ლ. წერდა ლექსებს, რ-ებიც ქვეყნდებოდა ქართ. ემიგრ. პერიოდულ გამოცემებში. ჟურნ. ,,მამულში“ (1952, №5, ბუენოს-აირესი) გამოქვეყნდა 2 ლექსი – ,,ქართველი ჯარისკაცის სიმღერა“ და ,,თბილისური ნატურმორტები“; ჟურნ. ,,ქართველ ერში“ (1944, №10/11) – ,,ცხრა ძმა ხერხეულიძე“; გაზ. ,,საქართველოში“ (1944, 18. XII. ბერლინი) – ,,მე რას ვუმღერ?“; ჟურნ. ,,ბედი ქართლისაში“ (1950, №7, პარიზი) – ,,ავტოპორტრეტი“. აღსანიშნავია მისი ლექსების ხელნაწერი კრებული, რ-შიც შესულია 1939–90 თბილისში, ევროპასა თუ ამერიკაში დაწერილი ლექსები.

ლიტ.: შარაძე გ., ამერიკელი ქართველები, თბ., 1992.

ლ. ურუშაძე.

ლოლუა ნოტიო (ნატო) ბახვას ასული (1875, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 13. X. 1958, ფოთი), სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე. 1889 დაასრულა ბათუმის კერძო სასწავლებელი. ლ-მ ფოთში გახსნა სახელოსნო, რ-იც ნ. *ნიკოლაძისა* და ი. *მეუნარგიას* რჩევით 1897 კერძო პროფ. ექვსთვიან კურსებად გარდაქმნა. მას ,,ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებელი“ ეწოდა. სასწავლებელი განსაკუთრებით 1905–06 წწ-ში გაფართოვდა. აქ გოგონებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებთან ერთად, ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ასწავლიდნენ. მალე სკოლა სამწლიანი გახდა. სასწავლებლის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. 1921-იდან ,,ნოტიოს სკოლას“ ახალი შენობა შეურჩიეს და საქალაქო-საფაბრიკო სკოლად გადააკეთეს. 1922 ფოთის საზ-ბამ და მთავრობამ ლ-ს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადა და დიდი დამსახურებისათვის პერსონალური პენსია დაუნიშნა. ლ-მ თავისივე შექმნილი მრავალი ძვირფასი და უნიკალური ექსპონატი 1936 ზუგდიდის სახელმწ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმს უსასყიდლოდ შესწირა.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1968.

ე. ლოლუა.

ლოლუა ძუკუ (პორფილე) ბახვას ძე (8. IV. 1877, სოფ. ქვალონი, ახლანდ. ხობის მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 1924, თბილისი, 1958 გადაასვენეს ფოთში), მომღერალი, მგალობელი, ლოტბარი, პედაგოგი. დაიბადა და გაიზარდა ტრადიციულ მუს. ოჯახში (მამა – მომღერალი, დედა – მეჩონგურე). გალობა შეისწავლა სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლ დადიანთან. 1894-იდან იყო მედავითნე სოფ. კოკსა და ჭალადიდში. 1895-იდან გალობას ასწავლიდა ფოთის საეპარქიო სკოლაში. 1897–98 ლ-მ ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და 1903-მდე კონცერტებს მართავდა დას. საქართველოს დაბებსა და ქალაქებში. 1903–19 მოღვაწეობდა სოხუმში. ლ-მ საფუძველი ჩაუყარა საგუნდო ხელოვნების განვითარებას აფხაზეთში – დააარსა რამდენიმე გუნდი, აღადგინა მრავალი მეგრული ხალხ. სიმღერა.

ლ., 1918, თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს, მეგრელ-აფხაზ მოხალისეთა 130-კაციანი რაზმით საქართვ. ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ჩავიდა ბათუმში. 1917 ლ. პირველად გამოვიდა კონცერტით თბილისში, შემდეგ იმოგზაურა აღმ. საქართველოში. 1921 განათლების კომისარიატმა ლ. სამეგრელოს სახ. მომღერალთა გუნდების მთავარ ინსტრუქტორად დანიშნა. ლ-მ ჩაიწერა, დაამუშავა და საგუნდო რეპერტუარში დაამკვიდრა 100-ზე მეტი აფხაზური, მეგრული და სხვა კუთხის სიმღერები. იყო ლოტბარი ,,დასავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდისა“, რ-საც შემდგომ ლ-ს სახელი მიენიჭა. მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ მეგრული სიმღერის პატრიარქს. ხალხურ ჰანგებზე შექმნა სიმღერები: ,,მეგრული ურმული“, ,,მა დო ჩქიმი არაბა“, ,,მახა“ და სხვ. 2007 წ. ხობში დაარსდა ლ-ს სახელობის ქართ. ხალხური სიმღერის მუზეუმი. მრავალმხრივი მოღვაწეობით ლ-მ დიდად შეუწყო ხელი მუს. ფოლკლორის განვითარებას საქართველოში.

ლიტ.: ძუკუ ლოლუა, წგ.: ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, სამეგრელო, ტ. 1, თბ., 2007.

გ. ჩხიკვაძე, ნ. ნაკაშიძე.



გ. ლოლუა.

ლოლუა ჯემალ (მამია) გიორგის ძე (27. I. 1932, თბილისი, – 22. IX. 2001, იქვე), მხატვარ-გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1988), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998).

დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყ-ბა (1958). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას გრაფიკის კათედრაზე. 1989-იდან იყო ჟურნ. ,,ნიანგის“ მთ. მხატვარი, 1973–74 – საქართვ. მხატვართა კავშირის მდივანი, 1974–76 – ქუთაისის სახვ. ხელოვნ. გალერეის დამაარსებელი კომიტეტის თავ-რე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1957-იდან. წიგნის გრაფიკასა და ილუსტრაციაში მისი ძირითადი ნამუშევრებია ი. გრიშაშვილის ,,ბაბაჯანას ქოშები“ (1967), მ. ტვენის ,,ტომ სოიერის თავგადასავალი“ (1970), ჯ. სტეინბეკის ,,ზამთარი ჩვენი მელვარებისა“ (1986), ჭ. ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხია“ (1984), ფ. ზალტენის ,,ბემბი“ (1986), ი.



ჯ. ლოლუა.



ჯ. ლოლუა. ,,დაჩუტული ბურთი“. 1965. ესკიზი.



ძ. ლოლუა.

კრილოვის ,,იგავ-არაკები“ (1987), ძმები გრიმების ,,ზღაპრები“ (ტ. I–III, 1992), ,,ფრანგული ზღაპრები“ (1995); მასვე ეკუთვნის დაზგური გრაფიკის სერია ,,დროშები ჩქარა“ (1977); მისი პერსონალური გამოფენა მოეწყო 1970, თბილისში (საგამოფენო დარბაზი ,,მერანი“); აგრეთვე მონაწილეობდა გამოფენებში: საბავშვო წიგნის მხატვართა საერთაშ. (1972, მოსკოვი), საბავშვო წიგნის მხატვრები (1973, ბრნო), საბჭოთა ილუსტრაცია (1976, გფრ, ნიდერლანდები), ქართველ მხატვართა პლაკატები (1984, ვილნიუსი), საბავშვო წიგნის საერთაშ. ბიენალე (1987, ბოლონია) და სხვ. დაჯილდოებულია სსრკ სამხატვრო აკადემიის დიპლომით ძმები გრიმებისა და ქართული ხალხური ზღაპრების დასურათებისათვის (1986). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში, ქუთაისის დ. კაკაბაძის სახ. გალერეაში, საქართვ. გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტ. სახელმწ. მუზეუმში.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლომანაური, სოფელი აჭარის არ-ის შუახევის მუნიციპალიტეტში (დღვანის თემი), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1210 *მ*, შუახევიდან 16 *კმ*. 121 მცხ. (2014).

ლომატურცხი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (აზავრეთის თემი), ახალქალაქის პლატოს ჩრდ. ნაწილში, ახალქალაქი–ბაკურიანის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 1740 *მ* , ახალქალაქიდან 19 *კმ*. 329 მცხ. (2014).

ლომაძე გიორგი არსენის ძე (27. XII. 1911, მოსკოვი, – 28. VIII. 2005, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). 1937 დაამთავრა თსუ. 1946–53 მუშაობდა ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტში, 1948–2005 – თსუ-ში, სადაც კითხულობდა ალგებრისა და რიცხვთა თეორიის ძირითად კურსებს და რამდენიმე სპეც. კურსს.

თავის ადრეულ სამეცნ. ნაშრომებში, კომპლექსური ანალიზის გამოყენებით, ლ-მ ერთიანი მიდგომით განაზოგადა ნატურალურ რიცხვთა კვადრატების ჯამად წარმოდგენის კვლევის ცალკეული მეთოდები და მიიღო რომორც ცნობილი, ასევე ახ. ე. წ. ,,ზუსტი ფორმულები“ ამ წარმოდგენისთვის. მოგვიანებით ის დაუბრუნდა ამ ამოცანას და მიიღო არაერთი ზუსტი ფორმულა, რ-ებიც რიცხვთა თეორიის კლასიკური, გაუმჯობესებადი შედეგია. მან იაკობის თეტა-ფუნქციებზე, მოდულარულ ფორმებსა და მახასიათებლიან თეტა-ფუნქციებზე დაფუძნებული მეთოდების განზოგადებით შექმნა ერთიანი მეთოდი ზუსტი ფორმულების მისაღებად დიაგონალური კვადრატული ფორმებით რიცხვთა წარმოდგენისთვის. ბინარული ფორმის შემთხვევაში ლ-მ ეს შეძლო ,,განზოგადებული სინგულარული მწკრივის“ აგებით. ზუსტი ფორმულების უდიდეს ნაწილში მარტივი არითმეტიკული აზრის წარმოჩენის მიზნით ლ-მ ააგო სპეც. პარაბოლურ ფორმათა არაერთი სივრცის ბაზისი. როგორც დიაგონალური, ისე არადიაგონალური კვადრატული ფორმებისთვის ანალოგიურ ამოცანათა გადაწყვეტით ლ-მ არსებითი წვლილი შეიტანა ჰეკეს სპეც. ჯგუფის ჩასმების მიმართ მახასიათებლიანი თეტა-მწკრივების წარმოებულების ყოფაქცევის შესწავლით. ლ-ის შედეგები აღიარებულია რიცხვთა თეორიის წამყვანი სპეციალისტების მიერ. მათი ნაწილი განაზოგადეს მისმა მოწაფეებმა და უცხოელმა მათემატიკოსებმა.

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით (2003). მინებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: О представлений натуральных чисел суммами квадратов, „Труды Тбилисского математического института им. Размадзе“, 1954, т. 20; О числе представлений натуральных чисел суммами девяти квадратов, ,,Acta Arithmetica‘‘, 1994, т. 68; Representation of Numbers by Quadratic Forms. Main Results of the Research Done in Georgia, „Georgian Mathematical Journal“, 2006, N13.

ლიტ.: გიორგი ლომაძე, კრ. მიძღვნილი დაბადების 90-ე წლისთავისადმი, თბ., 2001.

გ. გოგიშვილი,
თ. ვეფხვაძე.

ლომაშვილი ანზორ ნიკოლოზის ძე (2. IX. 1932, დაბა თიანეთი, – 10. VI. 2019, თბილისი), მეტალურგი, მეცნიერი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1987), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993). დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინ-ტი შავი ლითონების სპეციალობით (1956). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1957–62). იყო ამავე ქ-ნის ცენტრ. ლაბორ. ლითონმცოდნეობისა და ფოლადსადნობი ლაბორატორიების უფროსი (1962–89); შემდგომ ქ-ნის ტექნიკური განყ-ბის მოადგილე, მთ. სპეციალისტი (1986-იდან). თემისათვის – ეკონომიურად ლეგირებული ფოლადებისა და პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვა საწარმოო ციკლში ,,ფოლადი – მზა პროდუქცია“, მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექნიკის დარგში (კოლეგებთან ერთად).

ლომბარდი (იტალ. Lombardia – მხარე იტალიის ჩრდილოეთში), სპეციალური საკრედიტო დაწესებულება, რომელიც გასცემს სარგებლიან ფულად სესხს. მოძრავი ნივთებით, ძირითადად ძვირფასეულობით უზრუნველყოფის შემთხვევაში.

საქართველოში ლ-ის საქმიანობისთვის ლიცენზია ან ნებართვა არ მოითხოვება. სალომბარდე სესხების გაცემას ასევე ახორციელებენ ბანკები და სხვა რეგისტრირებული არასაბანკო დაწესებულებები. მის მისაღებად არ არის საჭირო შემოსავლის დადასტურება. სესხი უზრუნველყოფილია ლ-ში წარდგენილი ნივთებით. თანხის და სარგებლის ოდენობა, აგრეთვე სესხის ვადა დამოკიდებულია ნივთების ღირებულებაზე. ძვირფასეულობას აფასებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი.

ლ. ვალდებულია დაცულ სათავსში, განცალკევებულად შეინახოს ცალკეული სესხის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთები. სესხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში სალომბარდე სესხის გამცემი დაწესებულება უფლებამოსილია, გაყიდოს უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ნივთები და ამონაგებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

ი. უჯმაჯურიძე.

ლომეკი, მდ. თერგის ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდება ქართული წყაროების მიხედვით – ,,არაგვს დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის ხევიდამ კავკასთა შინათა“. ლ-ს ასევე უწოდებდნენ პირიქით არაგვს, ანუ ,,იქით არაგვს“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ,,ძეგლი ერისთავთა“ ,ქართული

სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლომთათიძე ალექსანდრე სპირიდონის ძე [25. V. 1882, სოფ. მშვიდობაური, ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა (ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), – 1924, ტაშკენტი,)], პოლიტიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სწავლობდა სოფ. ბახვის ორკლასიან სასწავლებელში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილ. მეორე გიმნაზიაში და იქიდანვე ჩაება მარქსისტული წრეების საქმიანობაში. უმაღლ. განათლების მისაღებად ჩაირიცხა ხარკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ზე. თანამშრომლობდა ქართ. პერიოდულ გამოცემებთან. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიის ,,მენშევიკების ფრაქციის“ წევრი. 1913 გაემგზავრა საზღვარგარეთ, ცხოვრობდა ლაიფციგში. იმავე წელს დაბრუნდა თბილისში და შეუდგა პედ. მოღვაწეობას. არჩეული იყო თბილ. საბჭოს ხმოსნად, 1917 ნოემბერში კი რსდმპ მენშევიკური ფრაქციის სიით — რუს. დამფუძნებელი კრების წევრად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო სრულიად რუს. საბჭოების ყრილობის დელეგატი, თბილ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრ. კომიტეტის წევრი. 1917 ნოემბერში ლ. აირჩიეს საქართვ. ეროვნ. საბჭოს წევრად. 1918-იდან იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი. 1918 წ. 26 მაისს ლ-მ ეროვნ. საბჭოს წევრის რანგში ხელი მოაწერა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1918 ოქტომბრიდან იყო საქართვ. პარლამენტის წევრი, 1919 თებერვლიდან – თბილ. საბჭოს ხმოსანი, ასევე – საქალაქო საბჭოს თავ-რე.

1919 თებერვალში აირჩიეს სოციალ-დემოკრ. პარტიის სიით საქართვ. დამფუძნებელი კრების წევრად, ხოლო 12 მარტს — კრების პრეზიდიუმის წევრად და თავ-რის მოადგილედ (უფროს ამხანაგად). დამფუძნებელი კრების თავ-რის ნ. (კარლო) ჩხეიძის ევროპაში ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში, ფაქტობრივად, მის მოვალეობას ასრულებდა. 1921, საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, მთავრობას არ გაჰყვა ემიგრაციაში, დარჩა საქართველოში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1921 წ. 13 ივლისს ლ. დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1923 წ. 20 მარტს კი ეტაპით გაგზავნეს სუზდალის პოლიტიზოლატორში, საიდანაც სოფ. ლაპაშინოში (მარიის ავტონ. ოლქი) გადაასახლეს, ხოლო შემდგომ — ჩუვაშეთის ავტონ. ოლქში. მძიმე ავადმყოფობის გამო საშუალება მისცეს საცხოვრებლად ტაშკენტში გადასულიყო. საქართველოში მომხდარი 1924 აგვისტოს აჯანყების შემდეგ ლ. ტაშკენტში კვლავ დააპატიმრეს. გარდაიცვალა ციხეში. დაკრძალეს ტაშკენტის ქრისტ. სასაფლაოზე.

1994 ლ-ის პირადი არქივი (57 ერთეული) კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტს (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი) გადაეცა.

სახელმწიფოებრიობისა და პარლამენტარიზმის განმტკიცებისთვის საქართვ. პარლამენტმა ლ. თავისუფლების საპარლამენტო ორდენით დააჯილდოვა (2023).

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია ლექსიკონი, თბ., 2018; ხვადაგიანი ი., საქართველოს დამფუძნებელთა კრება, 1919, თბ., 2016.

პ. სურგულაძე.

ლომთათიძე გიორგი ალექსანდრეს ძე (26. XI. 1914, ცხინვალი, – 23. X. 1971, თბილისი), არქეოლოგი. დაამთავრა თსუ-ის არქეოლოგიის ფაკ-ტი (1936). საქართვ. ბრინჯაოს, ანტ. და ფეოდ. ხანის კულტ. და არქეოლ. მკვლევარი. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის სწავლული მდივანი (1943–47), შუა საუკუნეების არქეოლ. განყ-ბის გამგე (1965–71). მუშაობდა თბილ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. განყ-ბის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1945–47), თსუ-ის საქართვ. ისტორიის კათედრაზე (1946–52) კითხულობდა ლექციებს. ლ-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგად შესწავლილ იქნა კლდეეთი (1942), არმაზისხევი (1943–46, 1963–64), თბილისი და თეთრი წყარო (1948–54), რუსთავი (1949–51, 1959–62, 1965), ივრის მიდამოები და უჯარმა (1950–52), მცხეთის აკლდამა (1951–52), ურბნისი (1953–56), ახალქალაქი (1960, 1968), თელავი და ალვანი (1962), კვეტერა და ვარციხე (1968).

ლ. ეხმარებოდა ე. თაყაიშვილს პირადი არქივის მოწესრიგებასა და ნაშრომების რედაქტირებაში. მისი ინიციატივით დაარსდა რუსთავის მუზეუმი (1950), დიდი შრომა გასწია არქეოლ. ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

თხზ.: არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945 (რუს ენაზე – 1955); წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, [ტ.] 1, თბ., 1955 (თანაავტ.); კლდეეთის სამაროვანი ახ. წ. II საუკუნისა, თბ., 1957; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959 (თანაავტ.); ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974; საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I–XIII სს., თბ., 1977; ქართული კულტურის მატიანე ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990.

ლიტ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 2, თბ., 1974 (ახლავს ლ-ის თხზ. სრული სია).

ნ. ვაჩეიშვილი.



ა. ლომთათიძე.

ლომთათიძე მურმან ალექსანდრეს ძე (2. XII. 1929, ქუთაისი, – 27. IX. 2006, თბილისი), მოცეკვავე და ქორეოგრაფი, საქართვ. სახ. არტისტი (1980). 1945–49 გამოდიოდა ქუთაისის ხალხური ცეკვის სახელმწ. აკად., 1949–55 კი – საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში როგორც სოლისტი-მოცეკვავე. 1955–62 ხელმძღვანელობდა ქუთაისის ახალგაზრდობის ხალხური ცეკვის ანსამბლს, 1962-იდან – თბილ. მაუდ-კამვოლის კომბინატის ,,საბჭოთა საქართველოს“ ცეკვის ანსამბლს. 1968–74 ლ. იყო სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლ ,,სინათლის“ მთ. ქორეოგრაფი, ანსამბლ ,,თბილისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი.

ლ-ის მიერ დადგმული ცეკვებიდან გამოირჩევა ,,საგალობელი თბილისს“, ,,ფარიკაობა“, ,,მთიელ ქალ-ვაჟთა ცეკვა“ და სხვ. ლ-მ ქუთაისის ოპერის თეატრში დადგა ცეკვები ოპერისთვის ,,დაისი“ და ,,ქეთო და კოტე“, აგრეთვე მინსკის ოპერისა და ბალეტის და ტარტუს ვანემუინეს აკად. თეატრებში (,,მინდია“), ერთმოქმედებიანი სპექტაკლ-კონცერტი ,,საგალობელი თბილისს“ (1970); ცეკვები კინოფილმებისათვის ,,ქალაქი ადრე იღვიძებს“, ,,მხიარული რომანი“, ,,ჩარირამა“; სატელევიზიო ფილმისათვის ,,ძველი თბილისის სურათები“. სტუდენტი ახალგაზრდობის მსოფლიოს V საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1959, პოლონეთი), ჩეხოსლოვაკიის საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1968).



ნ. ლომთათიძე.

დაჯილდოებულია მონღოლეთის სახ. რესპუბლიკისა (1971) და საქ. ღირსების (1997) ორდენებით.

ლომთათიძე ნიკოლოზ თევდორეს ძე (14. III. 1918, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 31. V. 2008, თბილი-



ქ. ლომთათიძე.

სი), ქირურგი, ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1970), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1984); სამედ.- ბიოლ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1977).

1938 დაამთავრა თსსი. მსახურობდა წითელი არმიის რიგებში, იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. 1948–2005 იყო ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ქირურგიული კათედრის თანამშრომელი, 1970-იდან – ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრის პროფესორი.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეძღვნება ქირურგიის, ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის აქტუალურ საკითხებს. მან აკად. ვ. *ოკუჯავასთან* ერთად შეისწავლა და პრაქტიკაში დანერგა ანესთეტიკი – ფტოროტანი.

ლ-მ, სსრკ-ში პირველმა, წარმოადგინა გაუტკივარების ორიგინალური მეთოდი – ენდოტრაქეალური ნარკოზი. დანერგა სამკურნ. და სადიაგნოსტიკო ბრონქოგრაფიისა და ბრონქოსკოპიის მეთოდები.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: ენდოტრაქეალური ნარკოზი ქირურგიაში, თბ., 1957; გაუტკივარების თანამედროვე მეთოდები, თბ., 1962; ეპიდურალური ანესთეზია, თბ., 2005.



ბ. ლომთაძე.

ლომთათიძე ქეთევან ბესარიონის ასული (9. II. 1911, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 22. XI. 2007, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ ენათა და ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979); ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1950); საქართვ. (1962) და აფხ. (1961) მეცნ. დამს. მოღვაწე. 1931 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტის საენათმეცნიერო განყ-ბა. სამეცნ. მუშაობას ეწეოდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, ენის, ლიტრისა და ხელოვნების (ელხი), ენის, მატერ. კულტურისა და ისტ. (ენიმკი), ენათმეცნ. ინ-ტებში. 1953–63 და 1975–87 იყო ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი, 1987-იდან – ამავე ინ-ტის საპატიო დირექტორი. სოხუმის პედ. ინ-ტში კითხულობდა აფხ. და აბაზური ენების კურსს.

ლ. იკვლევდა აფხ.-ადიღური, და ქართველური ენების გრამატ. სტრუქტურისა და ისტ. საკითხებს. საფუძველი ჩაუყარა აფხ. ენისა და მისი დიალექტების ისტ.-შედარებითი მეთოდით შესწავლას. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიები: ,,აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944), ,,აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954), ,,აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976), ,,ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი აფხაზურსა და აბაზურში“ (1982), ,,აბაზური ენა“ (2006).

ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტ. საკითხებს ეძღვნება წერილები: ,,თბება ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში‘‘ (1952), ,,ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში“ (1953) და სხვ.; მონოგრაფია ,,კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (1984).

ლ-ის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა აკადემიური რუსულ-ქართული ლექსიკონების სამტომეული (1956–59) და ერთტომეული (1983), ასევე სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები. მონაწილეობდა ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადებაში, იყო ამ ლექსიკონის VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი, რისთვისაც, კოლეგებთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულისა“ და ,,ეტიმოლოგიური ძიებანის“ რამდენიმე ტომი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ქეთევან ლომთათიძე, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 2018.

თ. გვანცელაძე.

ლომთათიძე ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე [24.VI (6. VII). 1879, სოფ. ჭაჭიეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 11(24). XI. 1915, სარატოვი, რუსეთი], მწერალი. 1888-იდან სწავლობდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში. უსახსრობის გამო სწავლას თავი დაანება და თვითგანათლებას მიჰყო ხელი. 1896 ქუთ. სამეურნეო სკოლაში შევიდა, მაგრამ მოსწავლეთა მარქსისტულ წრეში ჩაბმის გამო 1897 დაითხოვეს. 1898-იდან ლ. ხარკოვის სამეურნეო სკოლის მსმენელი გახდა, მაგრამ რევ. საქმიანობისთვის იქიდანაც გარიცხეს. 1907–14 ციხეში გაატარა. ციხიდან გამოსულს სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცეს. გარდაიცვალა სარატოვის თავშესაფარში.

ლ-ის პირველი მოთხრობები ,,დავითი“ და ,,ცხოვრების გულიდან“ 1901 გამოქვეყნდა. 1901–03 თავის შემოქმედებაში იგი ძირითადად კრიტ. რეალიზმს მისდევდა, თუმცა მისთვის არც ე.წ. რევ. რომანტიზმი იყო უცხო. ამ პერიოდის ლექსებში, მინიატიურებში ლ. თვალსაჩინოდ ასახავს სოც.-პოლიტ. უკულმართობას, ეროვნ. პრობლემატიკას; მისი ნაწარმოებები ეძღვნება ასევე სიყვარულს და სხვ. (,,მატლი“, ,,დასაფლავება“, ,,ზღვა“, 1902; ,,სიცრუე“, 1903 და სხვ.).

რევოლუციონერის ხიფათიანმა ცხოვრებამ მწერალი ჩამოაშორა ლიტ. სარბიელს. 1907-იდან მძიმე სენით დაავადებული ლ. საპყრობილეში მიუბრუნდა სამწერლო მოღვაწეობას. იგი ქართ. რევ.-დემოკრ. მწერლობის ერთ-ერთი მესვეური გახდა. ამ პერიოდის თხზულებებია ,,სახრჩობელას წინაშე“, (1907); ,,საპყრობილეში“ (1909), ,,პირველი მაისი“ (1911) და სხვ. მის შემოქმედებაში გამძაფრდა ეროვნ. მოტივი, პროტესტი ეროვნ. ჩაგვრის წინააღმდეგ; დაინტერესდა ყოფითი პრობლემებითაც: სიყვარული, ოჯახი, ქალთა ემანსიპაციის საკითხები (,,დუმილი“, ,,მოღალატე“, 1910; ,,უბედური“, 1912 და სხვ.).

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებათა სრ. კრ., თბ., 1956; რჩ. თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1971–72; მოთხრობები, თბ., 2008; საპყრობილეში, თბ., 2011.

ლიტ.: მეგრელიძე ი., ჭოლა ლომთათიძე, ბათ., 1979; რამიშვილი დ., ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1960; საითიძე გ., ჭოლა ლომთათიძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის ,,ლიტერატურული ძიებანი‘‘, 1999, [ტ.] 20; სიგუა ს., პოეტი-ტუსაღი, წგ.: ქართული მოღერნიზმი,თბ., 2002; ციციშვილი გ., ჭოლა ლომთათიძე, თბ., 1966.

გ. ციციშვილი.

ლომთაძე ბექა ემზარის ძე (დ. 23. XI. 1991, ქუთაისი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). მსოფლიოს ჩემპიონი (2019) და მეორე პრიზიორი (2016). ევროპის პირველი თამაშების მეორე პრიზიორი (2015); ევროპის ჩემპიონატის სამგზის მეორე (2018–20) და მესამე (2021) პრიზიორი;

მსოფლიო თასის მესამე პრიზიორი (გუნდური, 2016); ევროპის ერთა თასის გუნდური შეჯიბრის გამარჯვებული (2016). სხვადასხვა საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ლ. 2019 სხვებთან ერთად დაასახელა საქართვ. საუკეთესო სპორტსმენად.

ლომთაძე გიორგი (ჟორა) ემელიანეს ძე (დ. 31. XII. 1937, მოსკოვი), მომღერალი (ბარიტონი), პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1990).

1962 დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკის ინ-ტი, 1967 – ქუთაისის მუს. სასწავლებელი (პედ. ვ. საკანდელიძე, ვოკალი), 1972 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. დ. ანდღულაძე). ამავე წლიდან იყო ქუთაისის ოპერის თეატრის წამყვანი სოლისტი, 1998–2007 – დირექტორი. პარალელურად ეწევა პედ. მოღვაწეობას; 1972-იდან ქუთ. მუს. სასწავლებლის (1974–76 – დირექტორი) და უმაღლ. მუს. კოლეჯის (1974-იდან) პედაგოგია, შემდგომ – პროფესორი.

შესანიშნავი ხმისა და არტისტული მონაცემების მეოხებით ქუთაისის ოპერაში ასრულებდა კლასიკური და ქართ. რეპერტუარის თითქმის ყველა პარტიას; განსაკუთრებით აღსანიშნავია მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი“, ,,დაისი“), გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი“), ჩალხია, ქრისტეფორე (ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია“, ,,პირველი სიყვარული“), გელა (რ. ლაღიძის ,,ლელა“), თავადი ლევანი (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე“), გრიბოედოვი (მ. თორაძის ,,ჩრდილოეთის პატარძალი“); კლასიკური რეპერტუარიდან – რიგოლეტო, ჟერმონი, გრაფი დი ლუნა (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო“, ,,ტრავიატა“, ,,ტრუბადური“), ,,ევგენი ონეგინი“, ,,პიკის ქალი“ და სხვ.

ლომთაძე ელიზბარ ანდრიას ძე (14. IX. 1913, სოფ. ძველი სენაკი, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 23. IV. 2005, თბილისი), ენათმეცნიერი. დოქტორი (1992). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. და აღმოსავლური ენების განყ-ბა (1939). 1933–35 ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას აბაშის რ-ნში. 1947–72 მუშაობდა ენათმეცნიერების ინ-ტის მთის იბერიულ-კავკ. ენათა განყ-ბაში, 1972-იდან – ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1992-იდან – წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. მისი კვლევის სფერო იყო იბერიულ-კავკ. ენები, კერძოდ: დიდოური, ბეჟიტური, ხვარშიული და სხვ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, მ. შ. მონოგრაფიების: ,,დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი“ (1963), ,,სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში“ (1984), ,,ხვარშიული ენა“ (1998), ,,ზმნა და ნაზმანარი სახელები ბეჟიტურ (ბეჟიტურ-ჰუნზიბურ) ენაში“ (2000), ,,ბეჟიტური (ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის სინტაქსი და ტექსტები“ (2003) და სხვ. მასვე ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა ზანური ენის მეგრული დიალექტის შესახებ.

ლომთაძე ვალერი დავითის ძე (3. IX. 1912, ირკუტსკი, რუსეთის იმპერია, – 9. VI. 1993, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1959), ლენინგრადის სამთო ინ-ტის პროფესორი (1961), რსფსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1973).

1936 დაამთავრა ირკუტსკის სახელმწ. უნ-ტის გეოლოგიის ფაკ-ტი, ატარებდა საინჟ.-გეოლ. მოკვლევებს სამრეწვ. და სამოქალაქო მშენებლობისათვის. 1939–44 ხელმძღვანელობდა საინჟ.-გეოლ. სამუშაოებს ბაიკალის ტბის სარკინიგზო ხაზის რეკონსტრუქციის პროექტისათვის. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ნამუშევრები გვირაბებისა და სხვა ნაგებობების რთულ გეოლოგიურ პირობებში მშენებლობის თაობაზე. 1944 მუშაობა დაიწყო ლენინგრადის სამთო ინ-ტში. ნაშრომისათვის ,,თიხის ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ლიტიფიკაციის პერიოდში“, მიენიჭა გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორის წოდება. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია მნიშვნელოვანი კვლევები ყოფ. საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში თიხის საბადოებზე.

ლომთაძე ნარგიზა ავალოს ასული (5. X. 1951, ტყიბული, – 14. III. 2021, თბილისი), ჟურნალისტი, საქართვ. შეიარაღებული ძალების ვეტერანი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2019). დაამთავრა თბილ. სავაჭრო-ეკონ. სასწავლებელი, 1981 – ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ფილოლ. და ჟურნალისტიკის ფაკ-ტები. 1981–91 მუშაობდა კომკავშირულ ქ. ბორის ძნელაძეში, 1991–2001 – ეროვნულ გვარდიაში. იყო ,,სამხედრო გაზეთისა“ და ჟურნ. ,,მეომრის“ კორესპონდენტი. საქართვ. ტერიტ. მთლიანობისათვის ბრძოლის პერიოდში ოპერატიულად და მაღალ პროფ. დონეზე აშუქებდა მასალებს პრესაში. მუშაობდა საქართვ. ენერგეტიკისა (2003–10) და საქართვ. კომუნიკაციების (2013–21) მარეგულირებელ ეროვნ. კომისიებში.

ლ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).


თხზ.: უკვდავება, ტ. 1–2, თბ., 1996–2004 (თანაავტ. ა. სიხარულიძე), გულის ძახილი, თბ., 2017.

თ. დოლიძე.


ლომთაძე შოთა ისმაილის ძე (15. III. 1918, ქუთაისი, – 23. X. 1999, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1941). 1942–46 იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო სახელოსნო ,,ქუთპროექტის“ მთ. ინჟინერი – უფროსი. 1946–61 – ქუთაისის მთ. არქიტექტორი, 1983–87 – ,,ქუთქალაქპროექტის“ დირექტორი და სხვ. 1947-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ის დაუსწრებელი სწავლების ქუთაისის ფილიალში, ქუთაისის სას.-სამეურნეო და პოლიტექ. ინ-ტებში სამშენებლო ფაკ-ტზე. ქუთაისში შესრულებული ნამუშევრები: ცენტრ. (1949–51) და რკინიგზის სადგურის მოედნების რეკონსტრუქცია (100-საფეხურიანი კიბე; 1950–51); კინოთეატრი ,,გამარჯვება“ (1951); ქალაქის ცენტრ. სტადიონი (1948–52); ქ-ნა ,,მაღაროელის“ საცხოვრ. სახლები (1949–55) და კლუბი (1957), ქუთაისის გენგეგმა (1956, თანაავტ. არქიტ. ა. ნიკოლაიშვილი);



გ. ლომთაძე.



შ. ლომთაძე. ქუთაისის ცენტრ. ბაღის (ბულვარი) კოლონადა. 1950-54.



შ. ლომთაძე. ასსაფეხურიანი კიბე დავით აღმაშენებლის გამზირის დასაწყისში. 1950–51. ქუთაისი.

საცხოვრ. სახლები გორის ქუჩაზე (1954–59) და სხვ.

ლომია კუმფი (კონსტანტინე) შირინის ძე (14. II. 1928, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის რ-ნი, – 28. III. 1999, სოხუმი), აფხაზი მწერალი. დაამთავრა მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1948). 1957-იდან აფხ. მწერალთა კავშირის მდივანი იყო. პირველი ლექსები 1945 გამოაქვეყნა. ლ-ს პოეტური კრებულებია ,,მიწიერი ვარსკვლავები'' (1954), ,,ახალი რტო'' (1957), ,,სიყვარული და ზღვა'' (1959), ,,ლექსები და პოემები'' (1963) და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია ქართ. და რუს. ენებზე.

თხზ.: სიყვარულის ნაკადი, სოხ., 1952; ელვის კვალი, თბ., 1965; მზის ასული, სოხ., 1965; ლექსები, თბ., 1971; ჩემი ხე. ლექსები, თბ., 1978; ,,თხზულებანი 3 ტომად'', სოხ. 2012–2013.

ლომიაფვილი ლიანა შალვას ასული (დ. 18. III. 1945, თბილისი), ქორმაისტერი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1986). 1968 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო სადირიჟორო ფაკ-ტი. 1970–77 იყო საქართვ. მუს. ქორეოგრ. საზ-ბის საგუნდო კაპელის, 1977–2003 კი – საქართვ. ნ. სულხანიშვილის სახ. საგუნდო კაპელის ქორმაისტერი და დირიჟორი. პარალელურად 1977-იდან არის თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის აკად. გუნდის დირიჟორი, პედაგოგი, 2007-იდან – ასოცირებული პროფესორი.

ლ-ის რეპერტუარშია: შ. მშველიძის „წყაროზე თუნგით ჩახვედი'', ,,მთასა კლდიანსა'', ლ. შავერზაშვილის „ვინც მე მომიხმობს''; ი. ბობოხიძის კანტატა „მთაწმინდის მთვარე'', „ქებათა-ქება ნიკორწმინდას'', ი. კეჭაყმაძის „ფშაური იდილიები'', „რომ ავყოლოდი გულისთქმას''; გ. ბზვანელის „წყარო და მერცხალი''; ო. თაქთაქიშვილის „ო, ენავ ჩემო'' და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1998).

ლიტ.: წიგნი ღირსებისა, ტ. 3, თბ., 2001.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

ლომინაძე ბაბილინა რაფიელის ასული (16. VII. 1920, ქუთაისი, – 17. VI. 1997, თბილისი), ისტორიკოსი. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982). 1937–41 სწავლობდა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტზე. 1945-იდან მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინ-ტის საქართვ. ფეოდალური ხანის განყ-ბაში.

ლ. სწავლობდა ქართული ფეოდალიზმის, კერძოდ საეკლ. მიწათსარგებლობის საკითხებს. შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს დავითგარეჯის, გელათის, შიომღვიმის, მცხეთის სენიორიების თავისებურება, მათი მმართველობის ორგანიზაცია, სოც. და ეკონ. ვითარება. მის ნაშრომს „ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმები მცხეთის საპატრიარქოში'' (1971) დიდი მნიშვნელობა აქვს ქართ. ფეოდალიზმის გენეზისის შესწავლისათვის, აგრეთვე დადგენილია ამ პერიოდის მიწისმფლობელობის ერთ-ერთი თავისებური ფორმა – „საყდრიშვილის'' ინ-ტი XV–XVIII სს-ში. ლ-ის მეცნ.-პოპულ. ნაშრომებიდან აღსანიშნავია „შიომღვიმე'' (1953), „გელათი'' (სამი გამოცემა; 1955, 1959, 2014).

1970–74 ლ. ინტენსიურად მუშაობდა საქართვ. ისტორიის ნარკვევების მე-3 ტომზე, რ-შიც გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: „XI–XII საუკუნეების წყაროები'', „მონღოლებთან დაზავება'', „მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40-იანი – XIV ს. 10-იანი წწ.)'', „საქართველო XIV ს. პირველ ნახევარში. მონღოლთა ბატონობის გადაშენება. გიორგი V ბრწყინვალე'', „საქართველო XV ს. მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად'', „ცვლილებანი საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII–XV სს.'', „ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლა დარღვეულ სოციალურ ურთიერთობათა აღსადგენად (XIV–XV სს.)'', რისთვისაც 1982 (სხვა ავტორებთან ერთად) მიენიჭა სახელმწ. პრემია.

ლ. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან.

მუშაობდა ქართ. ისტ. დოკუმენტების კორპუსის (II ტ.) გამოცემაზე; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დოკუმენტაციის მომზადების საქმეში.

ლ. იყო ახალდაარსებული (1995) გელათის მეცნ. აკადემიის დამფუძნებელი წევრი. 2010 მონოგრაფიის სახით გამოიცა მისი სადოქტორო დისერტაცია (დაცვა ვერ მოასწრო) ,,საქართველოს სამხედრო-პატრიარქო და მისი მიწისმფლობელობა''.

ე. ბუბულაშვილი.

ლომინაძე ბესარიონ (ბესო) ბესარიონის ძე (6. VI. 1897, ქუთაისი, – I. 1935, მაგნიტოგორსკი), საბჭოთა პარტიული მოღვაწე, საქ. კპ(ბ) ცკ პირველი მდივანი (1922–24). სწავლობდა პეტროგრადის პოლიტექ. ინ-ტის ეკონ. განყ-ბაზე. 1913-იდან მონაწილეობდა სტუდენტური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაში (ქუთაისი, პეტერბურგი). 1917-იდან მუშაობდა რსდმპ(ბ) პეტერბურგის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციაში, იყო ქუთაისის პარტკომის მდივანი (1917). 1918–19 – თბილ. კომიტეტის თავ-რე, 1919–20 – რკპ (ბ) ბაქოს კომიტეტის წევრი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ პრეზიდიუმის წევრი, ბაქოს საბჭოს აღმასკომის წევრი, 1920–21 – რკპ (ბ) ორიოლის საგუბერნიო ბიუროს წევრი, 1921–22 – პეტროგრადის ვიბორგის რ-ნის პარტიული ორგანიზატორი. მონაწილეობდა კრონშტადტის აჯანყების ჩახშობაში. 1925–29 მუშაობდა კომინტერნში, იყო კომუნისტური ახალგაზრდული ინტერნაციონალის საბჭოს მდივანი (1925–26). ლ. იყო საკავშ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი (1930), პარტიის X–XVII ყრილობების დელეგატი, 1925–30 – საკავშ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1930 – წევრი.

ლ-მ პარტიის პოლიტიკის ღია კრიტიკა დაიწყო – 1930 ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი, რის გამოც თანამდებობიდან გადააყენეს. 1932 ლ-მ მონაწილეობა მიიღო მემარჯვენე – „მემარცხენეთა'' ჯგუფის ჩამოყალიბებაში. 1935 დაპატიმრების მუქარის გამო (მზადდებოდა „ტროცკი-ზინოვიევის ტერორისტული ცენტრის'' საკითხზე სასამართ-

ლო პროცესი) სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

დაჯილდოებულია ლენინისა და წითელი დროშის ორდენით.

ლომინაძე გივი ნიკოლოზის ძე (10. IV. 1940, სენაკი, – 6. I. 2019, თბილისი), მილიციის გენერალ-მაიორი (1990), სსრკ შსს დამს. მუშაკი (1987). იყო საქ. სსრ შს სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე (1986–89). აფხ. ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1989–90), შს მინისტრი (1990–92), საქართვ. პარლამენტის წევრი (1992), კომიტეტის თავ-რე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1995). სენაკის საპატიო მოქალაქე (2002).

ლომინაძე ვასილ პავლეს ძე [7 (20). X. 1913, სოფ. სალომინაო, ვანის მუნიციპალიტეტი, – 11. XII. 1975, თბილისი], გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. კანდიდატი (1947), დოცენტი (1948). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკტი (1933). იყო თბილ. (შემდგომ ამიერკავკ.) ჰიდრომეტეოროლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. სტუის ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტი) დირექტორი (1953-იდან). ლ-ის გამოკვლევები ეხება ატმოსფეროს ტურბულენტობის, ნაკადურ დინებათა და მთიან მხარეებში ატმოსფერულ-ფრონტალური ზედაპირების ევოლუციის შესწავლის საკითხებს. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.

ლომინაძე თამაზ არჩილის ძე (დ. 2 VII. 1934, თბილისი), გეოლოგი. მინერალური რესურსების საერთაშ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1997); გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1987). 1958 დაამთავრა სპი-ის სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი სამთო ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1959–81 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის პალეობიოლოგიის ინ-ტში. 1981 აირჩიეს სპი-ის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგედ (2010-იდან – სრული პროფესორი).

ლ. არის იურული ასაკის ფაუნისა და სტრატიგრაფიის აღიარებული მკვლევარი. კავკასიის იურულ ნალექებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფაუნის შესწავლის საფუძველზე დაადგინა საერთაშ. სტრატიგრაფიული სქემის შუა და გვიანიურული ბიოსტრატონების არსებობა რეგიონში, დააზუსტა მათი საზღვრები, მოცულობა და შეადგინა ახალი დეტალური ბიოსტრატიგრაფიული დანაწილების უნიფიცირებული სქემები, რ-ებიც შეუპირისპირა როგორც მომიჯნავე, ისე ევროპის ცალკეული რეგიონების სინქრონულ სქემებს. იურული ნალექების ზონური სტრატიგრაფიის დამუშავებას საფუძვლად დაედო თავფეხიანი მოლუსკების (ამონიტები) ახალი სისტემატიკა. ლ-მ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ამონიტების შესწავლა მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით და დაადგინა ნიჟარის ცალკეული სტრუქტურების ფორმირების თანამიმდევრობა, კორელაციური კავშირები და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდის გამოყენებით – მათი სისტემატიკური მნიშვნელობა სხვადასხვა ტაქსონომიური დონისთვის. ლ-ს ეკუთვნის ამონიტების ნიჟარის სიცოცხლისდროინდელი დაზიანებების კლასიფიკაცია. კოლეგებთან ერთად შეისწავლა მეზოზოური თავფეხიანი მოლუსკების პალეობიოგრაფია. სტრატიგრაფიისათვის მნიშვნელოვანი კალოვიური ამონიტების თითქმის ყველა ჯგუფი, შეადგინა პალეოგეოგრაფიული რუკები. რამდენიმე ქვეყნისა და საერთაშ. სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი.

მიღებული აქვს ა. ჯანელიძის სახ. პრემია (1983) და ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: Келловейские макроцефалитиды Грузии и Северного Кавказа, Тб., 1967; Гектикоцератины Северного Кавказа, Тб., 1975; Келловейские аммонитиды Кавказа, Тб., 1982; New date on the jaw apparatus of fossil Cephalopoda/ Lethaia 1983, 16 (თანაავტ. Y. D. Zakharov); Стратиграфия юрских отношений Грузии, Тб., 2006 (თანაავტ.); Phylogeny and systematics of Perisphinctids as interpreted from suture ontogenies. Geobios M. S. 1993, 15 (თანაავტ. I. Kvantaliani, M. Sharikadze).


ლომინაძე კონსტანტინე ბესარიონის ძე (1916–79). სპორტსმენი (ფრენბურთი). სსრკ სპორტის ოსტატი (1939). გამოდიოდა თბილისის ,,ნაუკასა'' და ,,ლოკომოტივში''. სსრკ ჩემპიონატის მეორე (1938) და მესამე (1940) პრიზიორი. სსრკ-ში პირველმა შეასრულა ძალისმიერი გვერდული მოწოდება და დარტყმა ე. წ. კაუჭით (1938). 1962–79 ხელმძღვანელობდა საქართვ. ფრენბურთის ფედერაციას. ფილოს. მეცნ. კანდიდატი.

ლომინაძე რომან სერგოს ძე (31. III. 1904, სოფ. ცხემლისხიდი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 25. VII. 1989, იქვე), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1988). 1926 დაამთავრა თბილ. ეკონ. ტექნიკუმი. იყო ოზურგეთის თეატრის მსახიობი და მუს. ნაწილის გამგე. 1928–29 ხელმძღვანელობდა სიმებიან ორკესტრს. ოზურგეთის თეატრის სცენაზე მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: ვიქტორი, პლატონი (დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება'', ,,სამანიშვილის დედინაცვალი''), გლახუნა (გ. ბერძენიშვილის ,,დაჭრილი არწივი''), ხოჯა (გ. ნახუცრიშვილის ,,შაითან ხიხო''), ბარძიმი (მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული''), ლომკაცა (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), რუბენა, ლუკაია (ნ. დუმბაძის ,,ნუ გეშინია დედა'', ,,მე ვხედავ მზეს''), აგაბო (ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება''), იანვარა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), შაჰ-აბასი (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), გუბაზი (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი''), და სხვ.



რ. ლომინაძე


ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე (20. IX. 1930, თბილისი, – 20. I. 2014, იქვე), ფიზიკოს-თეორეტიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კ. 1979), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1982), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის უნ-ტის ფიზ. ფაკ-ტი (1955). მონაწილეობდა სსრკ-ის ბირთვულ პროგრამაში. ცხოვრობდა და მუშაობდა ე. წ. დახურულ ადმ.-ტერიტ. დასახლება ჩელიაბინსკ-70-ში (1956–58). თბილისში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში სწავლულ მდივნად (1958-იდან), საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მთ.



სცენა სპექტაკლიდან ,,ნაცარქექია'', 1969 წ. როლებში: რ. ლომინაძე, ვ. ბაჯელიძე



ჯ. ლომინაძე



მ. ლომინეიშვილი.

სწავლული მდივნის მოადგილედ (1974–82), მათ. და ფიზ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლად (1982-იდან გარდაცვალებამდე). მისი ინიციატივით აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შეიქმნა თეორ. ასტროფიზიკის განყ-ბა, რ-საც ხელმძღვანელობდა 1979–92, იყო საქართვ. მეცნ. აკად. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი (1992–2000), პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი (2000–06), საქართვ. ცენტრ. საარჩევნო კომისიისა (1997–2003) და საქართვ. კოსმოსური სააგენტოს თავ-რე (2003–06), საქართვ. მეცნ. აკად. მ. ნოდიას გეოფიზიკის ინ-ტის კოსმოსური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი (2006-იდან).

ლ-ის შრომები ეხება პლაზმაში ციკლოტრონული ტალღების არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორიას, პლაზმის ფიზიკისა და მართვადი თერმობირთვული რეაქციების პრობლემას, პულსარების გამოსხივების მექანიზმებს, აკრეციულ მოვლენებს შავი ხვრელების სისტემებში. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიის.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000).

თხზ.: Ленгмюровская турбулентность релятивистской плазмы в сильном магнитном поле, „Журнал экспериментальной и теоретической физики", 1979, т.77 (თანაავტ. А. Б. Михайловский, Р. З. Сагдеев); Эволюция неосесимметричных сдвиговых возмущений в аккреционных дисках компактных объектов. – Письма в „Астрономический журнал". 1988, т.14, (თანაავტ. Г. Д. Чагелишвили, Р. Г. Чанишвили).

პ. მამრაძე.

ლომინეიშვილი მაია ვახტანგის ასული (დ. 11. XI. 1977, თბილისი), სპორტსმენი (ჭადრაკი). საერთაშ. დიდოსტატი ქალთა შორის (1996), საერთაშ. ოსტატი



ლომისა. წმინდა გიორგის ეკლესია. IX–X სს.

ვაჟთა შორის (2003). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული (2008). საქართვ. ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის (1996, 1998, 2002, 2009, 2011). ევროპის ჩემპიონი 20 წლამდე გოგონათა შორის (1996). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (2002). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2008).

დ. გურგენიძე..

ლომისა, ლომისობა, წმინდა გიორგის სალოცავი მთიულეთში. ლ-ის სალოცავებიდან ერთი ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზეა, სოფ. ქვემო მლეთის სამხრ-ით, შვიდიოდე *კმ*-ზე. მეორე – თავად სოფ. ქვემო მლეთაში. ლ-ს დღესასწაული იმართებოდა აღდგომის მე-7 კვირას. ამ დღეს მლოცველები მთელი აღმ. საქართველოდან იკრიბებოდნენ. დეკანოზები გამოასვენებდნენ დროშას და „ფერხისას" სიმღერით ააბრძანებდნენ მთაზე, სადაც იმართებოდა დღეობა საკლავსაწირით. ლეგენდების თანახმად, ლ. გზოვანის წმ. გიორგია, რ-საც ხორასნიდან 7 ათასი ტყვე დაუხსნია და ხარის რქებზე დაბრძანებული დამკვიდრებულა ლომისის მთაზე. მას ევედრებოდნენ შვილიერებას, თვალის სინათლეს, მიწისა და საქონლის ნაყოფიერებას, მტრებზე გამარჯვებას, ავადმყოფის მორჩენას. ლ-ს სახით თაყვანს სცემდნენ საწინამძღვრო ჯვარს, რ-იც ტარზე იყო დამაგრებული და ოთხსავე ბოლოზე სოლარული სიმბოლოები – ბურთები ჰქონდა მიმაგრებული. მისი კულტის ამსახველი ლეგენდებისა და რიტუალების თანახმად, ლ. მეომარია, ალისფერ ცხენზე ზის და მათრახი უჭირავს ხელში, რ-ის დაკვრითაც წვავს ბოროტს.

ლ. გენეტიკურად უკავშირდება მონადირე, მხედარ ღვთაებას, რ-თა კულტი ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩანს გავრცელებული საქართველოში. ლ-ს კულტს სინკრეტიზაციის რთული გზა აქვს გავლილი და ქრისტიანობის ხანაში წმ. გიორგის სახელს დაუკავშირდა. წარმართობის ხანაში აქ მთვარის საკულტო ტაძარი უნდა ყოფილიყო, ქრისტიანობის მიღების შემდეგ კერპები დაუქცევიათ და მათ ადგილას წმ. გიორგის ტაძრები აუგიათ. ლ-ში ინახება საყელურიანი რკინის დიდი ჯაჭვი; მლოცველი ჯაჭვს კისერზე დაიდებდა და თხოვნა-ვედრებით 3-ჯერ ჩოქით უვლიდა ტაძარს. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი, განსაკუთრებით აქტუალურია ლომისობის დღეს.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მაკალათია ს., მთიულეთი, ტფ., 1930; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

ი. სურგულაძე.

ლომისა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსი, მდებარეობს მდ-ების – ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე, სოფ. ქვემო მლეთის (დუშეთის მუნიციპ.). სამხრ-ით, შვიდიოდე *კმ*-ზე. კომპლექსში შედის წმ. გიორგის ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე აკლდამა. სავარაუდოდ, თავდაპირველად აქ მთვარის საკულტო ტაძარი ყოფილა. ქრისტ. ეკლესია აუგიათ წარმართული ტაძრის ადგილას. ეკლესია IX–X სს. განეკუთვნება. გეგმით იგი მარტივი ტიპის სამეკლესიანი ბაზილიკაა (14,5 *მ* × 13,5 *მ*). შედგება მოზრდილი დარბაზული ეკლესიისგან და მასზე გვერდებიდან მთელ სიგრძეზე მიშენებული თანადროული მინაშენებისგან, რ-ებიც განივი კედლით ორ თანაბარ ნაწილად არის გაყოფილი. ეკლესია ნაშენია ნატეხი ქვით; რამდენჯერმეა გადაკეთებული, რის გამოც ცენტრ. ნაწილის ინტერიერი მნიშვნელოვნად არის სახეშეცვლილი. შესასვლელი სამხრ-იდანაა, მინაშენიდან. შესასვლელის წინ თაღებიანი კარიბჭეა. შიგნით, შესასვლელის მოპირდაპირედ, დარბაზის ჩრდ. კედელში კარია, რ-იც ჩრდ. მინაშენის დას. ნაწილში გადის. ცენტრ. ნაწილის აღმ. ბოლოში დარბაზის იატაკის მიმართ ექვსი საფეხურით შემაღლებული მართკუთხა საკურთხეველია. საკურთხევლის აღმ. კედელში თაღოვანი სარკმელია. მსგავსი სარკმელია დარბაზის დას. კედელში. საკურთხევლის სამხრ. და ჩრდ. კედლებში კარებია, რ-ებიც საკურთხეველს მინაშენების აღმ. ნაწილთან აკავშირებს. დარბაზის თავდაპირველი გადახურვა შეცვლილია ახალი ცილინდრული კამარით, რ-იც ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. თაღს გასამაგრებლად შუაში შეყენებული აქვს დიდი მართკუთხა ბურჯი. გვიანდელია საკურთხევლის გადახურვაც. ეკლესია და კარიბჭე ფიქლითაა გადახურული. ეკლესიის სამხრ-ით დგას ნატეხი ქვით ნაგები, გვიანდ. შუა საუკუნეების ორსართულიანი სამრეკლო. ეკლესიის ირგვლივ აკლდამების ნაშთებია შემორჩენილი.

ლიტ.: ბერიძე გ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 2, თბ., 2014; გვასალია ჯ., ქსნის ხეობის იტორი-

ული გეოგრაფიის საკითხები, ,,საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ.] 3; მაკალათია ს., მთიულეთი, ტფ., 1930; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ., 2, თბ., 2008.

პ. ზაქარაია.

ლომის-ალევის ქედი, იხ. სტ. *ალევის ქედი.*

„ლომისი“, იხ. სტ. *ლუდსახარში ,,ნატახტარი“.*

„ლომისი“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი, აკადემიური მწერლობის ორგანო; გამოდიოდა 1922–23 თბილისში. გამოიცა 1922 №№1–17; 1923 – №№18–34. რედაქტორები – კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. გაზეთში იბეჭდებოდა კ. გამსახურდიას, ა. პაპავას, ი. გრიშაშვილის, ჯ. ჯორჯიკიას, უიარაღოს (კ. თათარაშვილი), ლ. ქიაჩელის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ტ. გრანელის და სხვ. ნაწარმოებები.

ი. ლორთქიფანიძე.

„ლომისი“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველკვირეული ჟურნალი, ,,აკადემიური მწერლობის კავშირის“ ორგანო; გამოდიოდა 1922 თბილისში. გამოიცა 7 ნომერი. რედაქტორები – კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია. იბეჭდებოდა ტ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, კ. მაყაშვილის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას,ს. თავაძის, შ. დადიანის, ვ. რუხაძის, კ. აბაშიძის, ი. ეკალაძის, დუტუ მეგრელის, ხ. ვარდოშვილის, მ. კინწურაშვილის, დ. ასათიანის, შ. არაგვისპირელის, ი. ტოფაძის, მ. თოიძის და სხვ. ნაწარმოებები.

ი. ლორთქიფანიძე.

ლომისის მთა, მთა დუშეთისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდ-ების – ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ალევის ქედის ჩრდ. ნაწილში. ზ. დ. 2452 *მ.* აგებულია ზედაიურული ფლიშით. შემოსილია სუბალპ. მდელოებით, ჩრდ.-აღმ. კალთებზე ფოთლოვანი ტყეა. ლ.მ.-ის თხემზე არის მთიულეთის ისტ. სალოცავი ლომისა.

ლომისკბილა (Leontodon), მრავალწლოვან და ერთწლოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აერთიანებს 50-ზე მეტ სახეობას. გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი სარტყლის რ-ნებში. საქართველოში 5 სახეობაა. L. hispidus გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება მდელოებსა და ბუჩქნარებში ზონის მთის ზედა სარტყლამდე. თაფლოვანი მცენარეა. იყენებენ საკვებად.

ლომისმთა, მთა მესხეთის ქედზე. მდ-ების – ქვაბისხევისა (მტკვრის მარცხ. შენაკადი) და ბჟოლისხევის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ზემოდინებათა წყალგამყოფზე. ზ. დ. 2187 *მ.* აგებულია ეოცენური ფლიშით და ზედაცარცული კარბონატული წყებით. კალთები შემოსილია შერეული ტყით, დეკისა და როდოდენდრონის ბუჩქნარებით, თხემი – სუბალპ. ბალახეულობით.

ლომისობა, იხ. *ლომისა.*

ლომიძე ანდრო იოსების ძე (9. VII. 1907, ფოთი, – 23. IV. 1988, თბილისი), მწერალი. 1925-იდან მუშაობდა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში. 1930 გამოაქვეყნა პირველი ლიტ.-კრიტ. წერილები, 1940 – პირველი მოთხრობა ,,სიცოცხლე“. 1942 გამოსცა მოთხრობებისა და ნოველების პირველი წიგნი ,,უძლეველი ძალა“. აღსანიშნავია მისი ნაწარმოებები: ,,ზღვაური“ (1947), ,,ზღვასა და ხმელეთზე“ (1958), ,,ელდარის მზე“ (1963), ,,რჩეული“ (1973), ,,ადამიანს სიცოცხლე სწყურია“ (1982), ,,სიმღერა სიყვარულისა“ (1985), ,,პატარა გმირი“ (1986), ,,აკაკი წერეთელი“ (1989) და სხვ. ლ. ქართ. მარინისტული პროზის წარმომადგენელია. მისი თხზულებები თარგმნილია რუს., ჩეხ., რუმინ. და სხვ. ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: მწერალთა ავტობიოგრაფიები, წგ. 2, თბ., 2013.

ლომიძე გიორგი იოსების ძე [28. VII(10.VIII). 1914, თბილისი, – 27. II. 1999, მოსკოვი], ლიტერატურათმცოდნე. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1972); ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1965). 1955-იდან იყო მ. გორკის სახ. მსოფლიო ლიტ-რის ინ-ტის საბჭ. ლიტ-რის ისტ. სექტორის გამგე. ლ-ის ნაშრომებია: ,,სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში“ (1952), ,,ერთიანობა და მრავალსახეობა“ (1957, 1960), ,,სიახლის ძიებაში“ (1963), ,,საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თეორიული პრობლემები“ (1964), ,,საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალური პათოსი“ (1970) და სხვ.

ლომიძე დავით კონსტანტინეს ძე (12. VIII. 1914, სოფ. საყულია, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპ., – 11. VI. 1990, თბილისი), ხმის რეჟისორი. საქართვ. კულტ. დამს. მუშაკი (1966). დაამთავრა სპი (1935). 1932-იდან მუშაობდა ,,სახკინმრეწვში“ (შემდგომში ,,ქართული ფილმი“). იყო 40-ზე მეტი მხატვრული ფილმის ხმის რეჟისორი: მ. შ. არის დ. რონდელის ,,არშაულა“ (1935), ,,დაკარგული სამოთხე“ (1937), ,,ჩრდილი გზაზე“ (1956), ,,მამლუქი“ (1958); ლ. ესაკიას ,,გლახის ნაამბობი“ (1961), ნ. სანიშვილის ,,ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ (1954), ,,აბეზარა“ (1956), ,,ქალის ტვირთი“ (1957), ,,შეწყვეტილი სიმღერა“ (1960), ,,თოჯინები იცინიან“ (1963); მ. ჭიაურელის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1965); რ. ჩხეიძის ,,მაია წყნეთელი“ (1959), ,,ჯარისკაცის მამა“ (1964); ,,რერო“ მასპინძლობს“ (1971), ,,პეპელა“ (1977) და სხვ. ანიმაციური ფილმები: ვ. ბახტაძის ,,ხელმარჯვე ოსტატი – სპორტსმენი“ (1962), ა ხინთიბიძის ,,ქორბუდა“ (1963); ო. ანდრონიკაშვილის ,,ქოთნის დღეობა“ (1963), ,,ნარცისი“ (1964), კ. სულაკაურის ,,ძილისგუდა“ (1964), ,,ონავარი“ (1965), ,,ჩემო ტკბილო სალამურო“ (1965), ,,როცა ეშმაკი დირიჟორობს“ (1969), ,,მონადირე, ბიჭი და ძაღლი“ (1970) და სხვ.

მ. კერესელიძე.

ლომიძე ვალერიან დავითის ძე (დ. 4. VII. 1942, ბორჯომი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2016). დაამთავრა გორის პედ. ინ-ტი (1969). 1974-იდან მუშაობდა გაზ. ,,ბორჯომის“ რედაქციაში ფოტოკორესპონდენტად, ლიტ. მუშაკად, განყ-ბის გამგედ, რედაქტორის მოადგილედ. 1991-იდან არის ამავე გაზეთის რედაქტორი.

1988 იყო ბორჯომის მუნიციპ. დემოგრაფიული საზ-ბისა და საზ. ,,ბორჯომელების“ დარბაზის (2021) თავ-რე. 2021 ქართ. პუბლიც. განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიანიჭეს ს. მესხის სახ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999); არის ბორჯომის საპატიო მოქალაქე (2012).

ლომიძე ზურაბ შალვას ძე (22. VI. 1933, ჭიათურა), საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2010), პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი; ფაზისის საერო-სამეცნ. აკად. წევრი (2006). 1957–81 მუშაობდა ,,საქინფორმში“. ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა XX ს. 60-იანი წლებიდან. ლ. არის არაერთი




ლომისკბილა.

კრებულის, მ. შ. ისტ. და პუბლიც. ნაწარმოების ავტორი; ლიტ. კონკურსების გამარჯვებული. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2003).

ლომიძე თენგიზ ივანეს ძე (3. I. 1924, თბილისი, – 30. XII. 2000, იქვე), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1977). 1958-იდან მუშაობდა საქართვ. ტელევიზიაში, შემდეგ – სატელევიზიო ფილმების სტუდიაში კინოოპერატორად. მის ნამუშევრებს შორისაა მხატვრული ფილმები: ,,დედის ხელი'' (1959), ,,მღერის ბორჯომის ნაძვი'' (1961, ორივეს რეჟ. მ. ჯალიაშვილი), ,,მხოლოდ 17 კილომეტრი'' (რეჟ. კ. კერესელიძე, 1964), ,,გია და ზურა'' (1965), ,,ქერათმიანი ქალიშვილი (1968, ორივეს რეჟ. დ. ბათიაშვილი), ,,სამი ამბავი ტელეფონით'' (რეჟ. ნ. გარდაფხაძე, 1984) და სხვ.; 30-მდე დოკუმენტური ფილმი: ,,პეტრე ოცხელი'' (რეჟ. მ. ჯალიაშვილი, 1962), ,,ირაკლი აბაშიძე'' (რეჟ. ლ. სიხარულიძე, მ. გვანცელაძე, 1981), ,,მთას დაუბრუნდა მთიელი'' (რეჟ. ზ. ინაშვილი, 1985), ,,აბა იო და აბა ჰეი'' (რეჟ. ლ. სიხარულიძე, 1988), ,,შემოდგომა'' (რეჟ. გ. ვეფხვაძე, 1994) და სხვ.

ლომიძე ივანე (გივი) ტიმოთეს ძე (3. XII. 1915, ქუთაისი, – 22. I. 1999, თბილისი), მხატვარ-კარიკატურისტი. 1929 გაიმარჯვა ჟურნ. ,,ნიანგის'' მიერ გამოცხადებულ კონკურსში. თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ნიანგსა'' და ,,კროკოდილთან'' (მოსკოვი); გაზ. ,,კომუნისტთან'', ,,პრავდასთან'' და სხვ. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პრესის ფურცლებზე. ძირითადი ნამუშევრებია: პოლიტ. და სოც. კარიკატურები, მეგობრული შარჟები. გამოფენებში მონაწილეობდა 1949-იდან, 1983 მოსკოვში ჰქონდა პერსონალური გამოფენა. 1969 იქვე მიიღო მონაწილეობა I საერთაშ. გამოფენაში ,,სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში'', სადაც მიენიჭა ოქროს მედალი, ხოლო 1983, იმავე ეგიდით გამართულ IV საერთაშ. გამოფენაზე – ვერცხლის მედალი.



ი. ლომიძე. ,,ჯადოსნური წრე'' (კარიკატურა).

ლომიძე იური ბარნაბის ძე (8. X. 1946, საჩხერე, – 30. VIII. 2018, თბილისი), ინჟინერ-ენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2005), პროფესორი (1997), საქართვ. ენერგეტიკისა (2006) და საინჟინრო აკადემიების (2011) ნამდვ. წევრი. დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკის ინ-ტი (1970). 1970–72 მუშაობდა ,,საქენერგორემონტში'' ინჟინრად; 1972-იდან – სპი-ში (ამჟამად სტუ) ჰიდრომანქანების კათედრის გამგედ (1997), იყო სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2007). ლ-ის სამეცნ. და საინჟინრო მოღვაწეობის სფეროებია ჰესების ჰიდროტურბინების ენერგეტიკული ეფექტიანობის ამაღლება, ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობის შერჩევა, მისი ტექნიკური მდგომარეობის კვლევა, შეფასება და მუშაობის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა და სხვა.

ლ. იყო ჰიდრავლიკური კვლევების (IAHR; 1995) და ინჟინერ-ენერგეტიკოსთა (GAEE; 2009) საერთაშ. ასოციაციების წევრი. მისი ხელმძღვანელობით (2000–06) სს ,,თბილავიამშენში'' შეიქმნა ჰორიზონტალური, 10–300 *კვტ* სიმძლავრის პროპელერული ტურბინის 2 ტიპის და ფრენსისის ტურბინის 5 ტიპის კონსტრუქცია.

ლ-ს გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების თანამიმდევრული გადატუმბვა, თბ., 2008;ჰიდროსადგურების ჰიდროენერგეტიკული და ჰიდრომექანიკური მოწყობილობებები, თბ., 2016.

ლომიძე ნიკოლოზ ლუკას ძე (დ. 18. IV. 1932, სოფ. ფლევი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1987).

დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია, მხატვარ-არქიტექტორის სპეციალობით (1961). 1961–94 მუშაობდა ,,კავგიპროტრანსში''. ნამუშევრები: თბილისის მეტროპოლიტენის სადგურები – ,,დიდუბე'' (1966), ,,გოცირიძე'' (ყოფ. ,,ელექტროდეპო'') (1966), ,,ისანი'' (1971; სამივე არქიტ. გ. მოძმანიშვილთან ერთად), ,,სამგორი'' (1971), ,,დ. გურამიშვილი'' (1985; მხატვრები: ი. ტაბიძე, ა. ხარებავა, თ. ცხომელიძე), ,,ვაგზლის მოედანი-2'' (1979; არქიტ. დ. იოსავასთან ერთად), ,,დელისი'' (1979; მხატვარი თ. ცხომელიძე), ,,ვაჟა-ფშაველა'' (2000); თბილისში ყოფ. ,,კავგიპროტრანსის'' ადმ. კორპუსი (1970), დავით აღმაშენებლის გამზ. 154, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი თბილისში (1977, ინჟ-ები გ. ბრეგვაძე, ი. კოშკაძე), რკინიგზის სადგური ქ. ანაპაში (1980), რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გვირაბის სავენტილაციო შენობა (1982) და სხვ.

ლომიძე ნოდარ ბორისის ძე (დ. 29. II. 1948, ქუთაისი), ზოგადი ქირურგი. მედიცინის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1995); საქართვ. მედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (2002), თსსუ-ის ემერიტუსი (2020-იდან).

1972 დაამთავრა თსსი. იყო ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის თანამშრომელი (1975–78), რესპ. ცენტრ. კლინ. საავადმყოფოს ქირურგი (1978–79), თსსი-ს ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის (1980–89), თსსუ-ის დოქტორანტი, პროფესორი (1989–95). ქირურგიის №1 კათედრის გამგე, დეპარტამენტის ხელმძღვ. (1995–2020), პრორექტორი (1994–98). 2019-იდან არის ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრის გენ. დირექტორის მოადგილე.

ლ. იყო საქართვ. ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2009–20); 2007-იდან არის თსსუ-ის დარგობრივი რეზიდენტურის (ზოგადი ქირურგია) პროგრამის დირექტორი.

ლ. სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და გამოგონებების ავტორია. მისი შრომები ეხება გავრცელებული ჩირქოვანი პერიტონიტის კომპლექსური მკურნალობის, პანკრეასის ქირურგიის, მუცლის კედლის თიაქრის პრობლემებს და სხვ.

ლომიძე ჟუჟუნა კალისტრატეს ასული (14. X. 1927, თბილისი, – 1. IX. 1991, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1951). მუშაობდა საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში. გადაიღო რამდენიმე ათეული სამეცნ.-პოპულ. ფილმი და დოკუმენტური კინონარ-

კვევი (ი. შველიძესთან ერთად): ,,ქვაში ამეტყველებული საუკუნეები'' (1968), ,,ვანის ნაქალაქარი'' (1970), ,,ოქროს საწმისი'' (1971, საკავშ. კფ-ის პრიზი; 1972), ,,ივანე ჯავახიშვილი'', ,,წიგნი უპირველესი'' (ორივე, 1975), ,,ვახტანგ VI'', ,,ილია ჭავჭავაძე'' (ორივე 1977), ,,უფლისციხე'' (1981), ,,დავით სარაჯიშვილი'' (1984), ,,ქართული საჭურველი'' (1986), ,,აკაკი წერეთელი'' (1990) და სხვ. გადაღებული აქვს კინოჟურნალები: ,,საბჭოთა საქართველო'', ,,საბჭოთა ამიერკავკასია'', ,,პიონერი'' (60-ზე მეტი გამოშვება).

მ. კერესელიძე.

ლომიძე რობინზონ ერასტის ძე (დ. 6. VI. 1948, სოფ. აბისა, ქარელის მუნიციპალიტეტი), მეტალურგი. 1973 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი ლითონთა წნევით დამუშავების სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქუთ. საავტომობილო ქ-ნაში ინჟინერ-ტექნოლოგად; რუსთავის მეტალურგიულ ქ-ნაში იყო საგლინავი საამქროს ოსტატის მოვალეობის შემსრულებელი (1974–80), საამქროს უფროსი (1981–87). რუსთავის მეტალ. კომბინატის დირექტორი (1996–99), გენ. დირექტორი (2005–16).

დიდი დიამეტრის უნაკერო მილების გლინვის ტექნოლოგიის შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის ლ-ს სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1993). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). არის რუსთავის საპატიო მოქალაქე (2002).

ლომიძე შოთა აბესალომის ძე (5. IX. 1918, თბილისი, – 12. VII. 2003, იქვე), ინჟინერ-მშენებელი. საქართვ. დამს. მოღვაწე (1975), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (1996), გამომგონებელი. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე.

დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტის სამშ. ფაკ-ტი (1949); მუშაობდა ,,საქჩაის'' ტრესტში ინჟინრად, წყალტუბოს სამშენებლო სამმართველოსა (1950) და სოხუმის შუშის ქ-ნის მშენებლობაზე სამმართველოს უფროსად (1950–56). იყო სამშენებლო ტრესტ ,,ამიერკავკასმეტალურგმშენის'' რკინაბეტონის კომბინატის დირექტორი (1960–70); საქართვ. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში (1970); საქართვ. სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ლ-მ პირველმა დანერგა საქართველოში 9-მეტრიანი ღრუტანიანი ფილების გამოყენება სართულშორისი და სხვენის გადახურვებისათვის, ასევე შეიმუშავა დიდი დიამეტრის ბეტონის (500–2500 *მმ*) მილების უარმატუროდ დამზადების ტექნოლოგია არაწნევიანი მილსადენებისათვის. ლ. ხელმძღვანელობდა რიგი სამკურნ.-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობას; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოროზიასთან ბრძოლაში: გამოიგონა და დანერგა გოგირდის ხსნარის გაცხელებულ მასაში რკინაბეტონის ნაკეთობების გაჟღენთის მეთოდი. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

ლომიძე შოთა გრიგოლის ძე (20. I. 1936, სოფ. საყულია, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 23. X. 1993, იქვე), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1969); დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი (1964). ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1968). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1969, 1971) და მეორე პრიზიორი (1967). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1966, 1969) და მეორე პრიზიორი (1967). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებული (1967, მოსკოვი) და სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი (1959); სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1964–67), ერთგზის მეორე (1968) და ორგზის მესამე პრიზიორი (1962, 1969).

სხვადასხვა დროს იყო ახალციხისა და გარდაბნის საკონსერვო ქარხნების დირექტორი, შემდეგ ხელმძღვანელობდა თბილისის უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ კომპანია „ლაღიძის წყლებს“.

ლომოური თამარ ნიკოლოზის ასული (28. IX. 1883, გორი, – 29. VIII. 1965, თბილისი), პირველი ქართველი ისტორიკოსი ქალი, ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა გორის ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია, თბილ. ქალთა I გიმნაზია, (1904). 1906–10 სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების ისტ.-ფილოლ. განყ-ბაზე მსოფლიო ისტორიის განხრით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევიდა თბილ. ახალგახსნილ უნტში, სადაც სწავლობდა საქართვ. და მახლობელი აღმ. (სომხ., სპარს., არაბ.) ისტორიასა და აღმ. ენებს. 1924, ივ. *ჯავახიშვილის* წარდგინებით, ლ. დაინიშნა უნ-ტის საისტორიო განყ-ბასთან დაარსებული ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგედ. 1926-იდან კითხულობდა ლექციებს პალეოგრაფიაში, ნუმიზმატიკისა და დიპლომატიკაში. 1932 დაამტკიცეს დოცენტად. 1931–52 იყო საქართვ. სახელმწ. მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ – ნუმიზმატიკის კაბინეტის გამგე.

ლ-მ შექმნა ქართ. ნუმიზმატიკური ტერმინოლოგია, შეიმუშავა მონეტების კატალოგიზაციის სისტემა.


საქართველოში ნაპოვნი სასანური და არაბ. მონეტების განძების შესწავლის საფუძველზე ლ-მა პირველმა განიხილა სასანური და



რ. ლომიძე.



შ. ა. ლომიძე.



შ. გ. ლომიძე.



ნ. ლომიძე. თბილისის მეტროპოლიტენის სადგური "ისანი" (არქიტ. გ. მოძმანიშვილთან და მოქანდაკე ს. ქოიავასთან ერთად),1971.



ი. ლომოური,



ნ. ლომოური,

არაბული მონეტების მიმოქცევის, ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობისა და სავაჭრო-სატრანზიტო გზების საკითხი; მოხაზა სასანური და არაბ. მონეტების გავრცელების სფერო ჩვენს ქვეყანაში; გამოამჟღავნა რამდენიმე ათეული მანამდე სრულებით უცნობი არაბ. დირჰემი; სპეციალური სამეცნ. შრომა უძღვნა შოთა რუსთაველის ეპოქის მონეტებს – პირველმა დასვა XI–XIII სს. საქართველოში უცხ. მონეტების მიმოქცევის საკითხი როგორც ფაქტობრივი მასალის, ასევე ქართული საისტორიო და ლიტ. ძეგლების ანალიზის საფუძველზე; შეისწავლა XIII ს. ქართ. მონეტები – ზოგიერთი კორექტივი შეიტანა მათი ზედწერილების წაკითხვასა და დათარიღებაში; დაადგინა ვახტანგ III-ის ტახტზე ასვლის თარიღი (1298/99); ივარაუდა საქართვ. მთიანეთში (ჟინვანი, სტეფანწმინდა) ზარაფხანის არსებობა. ლ-მა პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოში აღმოჩენილი სელჩუკური და მონღოლური მონეტების განძების სისტემურ შესწავლას. დაადგინა რამდენიმე ახალი ზარაფხანის, მ. შ. ახალციხის ზარაფხანის არსებობის ფაქტი (XIII–XIV სს.); ვრცელი მიმოხილვა მიუძღვნა ილხანების სახელით მოჭრილ საფასეებს; პირველმა წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება ე. წ. ,,გიორგაული თეთრის“ არსებობის შესახებ ბექა-აღბუღას კანონთა კოდექსის სათანადო ადგილის მცდარ ინტერპრეტაციაზე იყო აგებული; შეისწავლა საქართვ. ტერიტორიაზე გავრცელებული ჯუჩიდური მონეტები (სოფ. ალი, ხაშურის მუნიციპ.) და დაასაბუთა, რომ ამ ორ სახელმწიფოს, პოლიტ. მომენტების გარდა, მჭიდრო ეკონ. ურთიერთობაც აკავშირებდა; შეისწავლა გიორგი VII-ისა და აჰმედ ჯულაირის სახელით მოჭრილი მონეტები. ახსნა ზედწერილების შინაარსი, დაათარიღა ისინი ვიწრო ქრონოლ. ჩარჩოებით, ახსნა და დაასაბუთა ისტ. წანამძღვრები, რამაც მათი ემისია განაპირობა. დაასაბუთა XVI ს. დას. საქართველოში ქართ. მონეტების მოჭრის ფაქტი.

ლ-ს ეკუთვნის რამდენიმე ისტ. ხასიათის ნარკვევი, დავით და ბაგრატ ბატონიშვილების საისტ. თხზულებების კრიტ. გამოცემა; ნ. ბერძენიშვილთან ერთად გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის ,,საქართველოს გეოგრაფია“. მონაწილეობდა ,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მომზადებასა და გამოცემაში.

თხზ.: თამარის ფულების განძი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1 ტფ., 1936; ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; XIII საუკუნის ქართული ფულის საკითხთა გამო, ,,საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1940, ტ. 10B; ახალციხის ზარაფხანა, იქვე, 1944, ტ. 12 B; დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები, იქვე, 1948, ტ. 15B; პატარა ჯიხაიშში აღმოჩენილი XVI ს. განძის გამო, იქვე, 1959; ტ. 17B; ფულის მიმოქცევის საკითხისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2005.

ლიტ.: დუნდუა გ., თამარ ნიკოლოზის ასული ლომოური, ,,ძეგლის მეგობარი“, 1970, №23.

გ. დუნდუა.

ლომოური იულონ ნიკოლოზის ძე [3(16). IX. 1885, სოფ. არბო, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 26. XII. 1966, თბილისი], აგრონომ-მემცენარე. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1947) მწერალ ნ. *ლომოურის* ვაჟი. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943) პროფესორი (1932), საქართვ. 1910 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა გეოლოგიის განხრით, 1913 – მოსკ. სას.-სამ. ინ-ტი (ახლანდ. კ. ტიმირიაზევის სახ. სას.-სამ. აკადემია) აგრონომის სპეციალობით. 1923–29 იყო თბილ. ბოტან. ბაღის დირექტორი, თსუ-ის კერძო მიწათმოქმედების, 1929–60 კი სას.-სამ. ინ-ტის მემცენარეობის კათედრის გამგე. ლ. იკვლევდა მინდვრის კულტურების აგროტექნიკის საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოსი ,,მარცვლეული კულტურები“ (ნაწ. 1–2, 1946–50), თანაავტორი წიგნისა – ,,ძირხვენა მცენარეების კულტურები“ (1954). ლ. ითვლება სას.-სამ. განათლების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი სახელი მიენიჭა საქართვ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გ. თოდუა.

ლომოური ნიკო იოსების ძე [7 (19) II. 1852, სოფ. არბო, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 17(30). IV. 1915, გორი], მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. გორის სას. სასწავლებლისა და თბილ. სას. სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა კიევის სას. აკადემიაში (1875–79). ერთხანს მასწავლებლობდა თბილ. ქართ. გიმნაზიაში, 1881-იდან კი – გორის სამასწავლებლო სემინარიასა და ქალთა პროგიმნაზიაში. მისი პირველი ლექსები 1871 ჟურნ. ,,მნათობში“ გამოქვეყნდა. 1885 ლ-ის ლექსები და მოთხრობები ცალკე წიგნად გამოიცა. პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რ-მაც განსაზღვრა მწერლის შემოქმედებითი მანერა, იყო მოთხრ. ,,ალი“ (1878, გამოქვეყნდა ჟურნ. ,,ივერიაში“ 1879).

ლ-ის შემოქმედება ქართვ. ,,სამოციანელთა“, განსაკუთრებით კი ი. ჭავჭავაძის ნააზრევის ზეგავლენით განვითარდა. მისი მოთხრობების მთავარი თემაა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი ქართ. სოფლის ყოფა სავაჭრო ბურჟუაზიის აღმავლობისა და სამრეწვ. კაპიტალიზმის განვითარების დროს. ხალხისანთა მსგავსად, ლ. გლეხობის მძიმე ხვედრის მემატიანე იყო, თუმცა, მათგან განსხვავებით, იდეალად არ ჰქონდა დასახული თემური წყობილება (მოთხრ. ,,ბერუა ქრისტესიაშვილი“, 1904). ხალხის ცხოვრების გარდაქმნის მთავარ ფაქტორად მწერალს სწვალა-განათლება მიაჩნდა (მოთხრობები ,,ალი“, ,,ქაჯანა“, 1881; ,,პაწია მეგობრები“, 1906 და სხვ.). ლ. აღწერდა გლეხების სტიქიური პროტესტის უნაყოფობას, მათ დამრაზმავ ძალად ხალხის წიაღიდან გამოსული განათლებული ადამიანები ესახებოდა (მოთხრობები ,,ბედი უბედურთა“, 1880; ,,გიგო ღრუბელაშვილი“, 1894).

ლ-ს ეკუთვნის აგრეთვე ისტ. მოთხრობები, რ-ებიც გვიჩვენებს ჩვენი წინაპრების თავდადებას (,,წინაპართა აჩრდილნი“; 1902; ,,ხერხი სჯობია ღონესა“, 1914), პუბლიც. და ლიტ.-კრიტ. წერილები, ლექსები და სხვ. მწერლის შემოქმედება ხასიათდება ლაკონიური სტილით, დახვეწილი ენით, პერსონაჟთა და სიტუაციათა ოსტატური გამოსახვით.

ლ-ის ფსევდონიმები იყო ,,ლევან ცაველი“, ,,არბოელი“, ,,გორელი“ და სხვ.

თხზ.: მოთხრობები, ვ. კოტეტიშვილის წინასიტყვ. ტფ., 1926; ქაჯანა, თბ., 1986; თხზულებანი ორ ტომად, ს. ხუციშვილის რედ. წინასიტყვ. და შენიშვნებით, ტ. 1, თბ., 1963; პაწია მეგობრები. მოთხრობები, თბ., 1990; პუბლიცისტური წერილები, თბ., 2002.

ლიტ.: ბერაძე ი., ნიკო ლომოური, თბ., 2002; ბოცვაძე ი., ნიკო ლომოური, თბ. 1966; ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3,

თბ., 1955; მდივანი თ., ნიკო ლომოური, თბ., 1999; ქარელიშვილი ე., ნიკო ლომოური, თბ., 1948.

ს. ხუციშვილი.

ლომოური ნოდარ იულონის ძე (9. VIII. 1926, თბილისი, – 3. VIII. 2016, იქვე), ისტორიკოსი, ი. *ლომოურის* ვაჟი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1977), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987), საქართვ. პედ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1998).

დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1949). 1951–53 მუშაობდა სოხუმის პედ. ინ-ტში უფროს მასწავლებლად, 1953–65 – თსუ-ის ძველი ქვეყნების ისტორიის კათედრის დოცენტად, ისტორიის ინ-ტის უფროს მეცნ. თანამშრომლად, 1965–71 იყო თსუ-ის პრორექტორი, 1969–71 ამავე უნ-ტის ძველი ისტორიის კათედრის გამგე. 1971–91 – ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის უფროსი მეცნ. თანამშრომელი; 1975-იდან – აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ბიზანტინოლოგიის განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, შემდეგ განყ-ბის ხელმძღვანელი. 1997–2004 – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმის დირექტორი.

ლ. XX ს. 50-იანი წლებიდან მონაწილეობდა არმაზციხე-მცხეთაში, გრძელმინდორზე, უჯარმაში, შორაპანში, სარკინეთში, ბედენში, დმანისში, გელათსა და ქუთაისში მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში, ხოლო 1973–91 იყო ნოქალაქევის (ძვ. არქეოპოლისის, ანუ ციხეგოჯის) ექსპედიციის მუდმივი თანამშრომელი.

ლ-ის სამეცნ. კვლევები ეხება ძვ. და ადრეული შუა საუკუნეების პრობლემებს, ბიზანტიასთან მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხებს, სამხრ. კავკასიის ეთნიკური ვითარების პრობლემებს. ლ-ს შესწავლილი აქვს ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს ჩამოყალიბება, ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება, ბრძოლა უცხოელ დამპყრობლებთან და სხვ. ქართულად თარგმნა და მეცნ. ატრიბუციით აღჭურვა ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები საქართველოს შესახებ (კლავდიოს პტოლემაიოსი, ბერძენი ლოგოგრაფოსები, დიონ კასიუსი, ჰერაკლიდე, დიონისე სიცილიელი). გამოიკვლია ძველი აჭარის, შიდა ქართლის სავაჭრო გზები, კახეთ-ჰერეთის ისტორიისა და აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი საკითხები.

ლ. მეცნ. და პუბლიც. ნაშრომების ავტორია, მ. შ. 18 მონოგრაფიაა. იგი იყო რუსეთში გამომავალი საერთაშ. ჟურნ. ,,Византийский временник''-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ბიზანტინისტთა საერთაშ. ასოციაციის საქართვ. კომიტეტის პრეზიდენტი (2001).

ლ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996), იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

თხზ.: კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962; დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1966; ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975; ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისთვის, თბ., 2008 (რუს. და ინგლ. რეზიუმეებით); ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში, თბ., 2009; საქართველოს და ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობა, ნაწ. 1 (IV–IX სს), თბ., 2011; Рим и Иберия. Историческая картина, ,,Вопросы истории'', 1973, N2; Лазы (Чаны), იქვე, 1974, N5; К истории Понтийского царства, ч. 1, თბ., 1979; Грузино-Римские взаимоотношения ч.1 – Политические взаимоотношения, Тб., 1981; К истории грузинского Петрицонского монастыря (Бачковский монастырь в Болгарии), Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии, Тб., 2009.


ლომსაძე ბორის არჩილის ძე (20. VII. 1934, სოფ. ჩუნჩხა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, – 1. VI. 2003, თბილისი), ბიოლოგი, ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1974). დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის ბიოლოგიის ფაკ-ტი ბიოფიზიკის სპეციალობით (1960). ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას თსუ-ში – იყო ფიზიკური კიბერნეტიკის ლაბორ. შემდეგ თანამშრომელი (1964–69), ბიოფიზიკის განყ-ბისა (1969–71) და ბიოფიზიკის კათედრის გამგე (1971–2003), ბიოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1974–77).

საქართვ. მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (1993–95, საარჩევნო ბლოკი: ,,საქართველოს დემოკრატიული პარტია''). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: კვლევის ბიოფიზიკური მეთოდები. აბსორბციული სპექტროსკოპია, თბ., 1987 (თანაავტ.).

ლომსაძე შოთა ვასილის ძე (7. V. 1925, სოფ. ჩუნჩხა, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, – 12. XII. 2003, თბილისი). ისტორიკოსი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1976). მონაწილეობდა II მსოფლიო (1939–45) ომში. დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1950). 1957-იდან მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ ახალი ისტორიის განყ-ბის გამგედ. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმში შეიქმნა საქართვ. უახლესი ისტორიის ამსახველი საფონდო და სამეცნ. ბაზა.

ლ. იკვლევდა შუა საუკუნეების მესხეთის ისტორიას. თავის ფუნდამენტურ ნაშრომებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ არქივებში მოძიებული დიდძალი მასალის კრიტ. ანალიზის გზით დაამტკიცა მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ქართული წარმომავლობა, მცდარი ტერმინის – „მესხეთ-ჯავახეთის“ ნაცვლად დაამკვიდრა ტერმინი „სამცხე-ჯავახეთი“. ლ-მ შეისწავლა ი. გვარამაძის, მ. თამარაშვილის, პ. ხარისჭირაშვილის და სხვათა ბიოგრაფიები. 1988 დაასრულა თხუთმეტწლიანი გამოკვლევა „სამცხე-ჯავახეთის“ მე-2 ტომი, რ-ის გამომცემლობაში ჩაბარებული ხელნაწერის ერთადერთი ეგზემპლარი ხანძარმა გაანადგურა.



ბ. ლომსაძე.

ლ-ს ეკუთვნის აგრეთვე პოეტური კრებულები: „მესხეთის ბუხრები“, „დაკარგული რაფსოდიები“, „ჯავახური ქრონიკები“, „ჟამთა მორევში“, „ჩემი სამართალი“.

თხზ.: მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964; სამცხე-ჯავახეთი: XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე, თბ., 1975; გვიანი შუა საუკუნეების ისტორიიდან, თბ., 1979; მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984; მესხები და მესხეთი, თბ., 2000.

ლიტ.: ბურჯანაძე ლ., შოთა ლომსაძე – სამცხე-ჯავახეთის მემატიანე, თბ., 2006.

უ. ბლუაშვილი.

ლოპანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის თიღვის მუნიციპალიტეტში (ბალთის თემი). მდ. ლოპანისწყლის (დას. ფრონის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 800 *მ,* აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 25 *კმ.*

ლოპანისწყალი, მდინარე თიღვისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში. დას. ფრონის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1340 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 30 *კმ,* აუზის ფართ. 87 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნა – შემოდ-



დასასვენებელი კომპლექსი ,,ლოპოტა სპა რეზორტი‘‘.

გომაზე. საშ. წლ. ხარჯი – 0.74 *მ*^{3}*/წმ*. მდინარეს იყენებენ სარწყავად. **ლოპე დე ვეგა**, იხ. *ვეგა კარპიო*. **ლოპოტა,** მდინარე ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებში, ალაზნის მარცხ. შენაკადი. იწყება კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, 2860 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 33 *კმ*, აუზის ფართ. 263 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარსა და ზაფხულში. წყალმოვარდნები ზოგჯერ ღვარცოფულია. საშ. წყლის ხარჯი 6.58 *მ*^{3}*/წმ*. ლ-ის წყალი გამოიყენება სარწყავად.

,,ლოპოტა‘‘ (სააქციო საზოგადოება), დეკორატიული და სამშენებლო ქვის მომპოვებელი საწარმო. ჩამოყალიბდა 1953 ,,თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის‘‘ სახელწოდებით. მარმარილოსგან უშვებდა მოსაპირკეთებელი ფილების ნაირსახეობას, სხვადასხვა ზომის დეკორატიულ ღორღს და ქვიშას, რ-ებიც მოიპოვებოდა ლაფანყურის (თელავის მუნიციპალიტეტი) საბადოდან. 1996 წ. 14 მარტს ,,თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის‘‘ ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,ლ.‘‘ ამ დროისათვის საწარმო უშვებს მარმარილოს დეკორატიულ ღორღს და ქვიშას, რ-იც მოიხმარება ადგილობრივად.



,,ლოპოტაჰესი‘‘.

,,ლოპოტა სპა რეზორტი‘‘ (შპს), დასასვენებელი კომპლექსი კახეთში (სოფ. ნაფარეული, თელავის მუნიციპალიტეტი), ლოპოტის ტბის გარშემო. იგი რეგიონში ერთ-ერთი პირველი რეზორტის ტიპის სასტუმრო კომპლექსია, რ-იც თბილისიდან 116 *კმ* სავალზეა და განთავსებულია 60 *ჰა*-ზე.

XIX ს-ში ლოპოტის ხეობა მიიჩნეოდა ა. ჭავჭავაძის მამულად, რ-იც ვარდის პლანტაციებით იყო განთქმული, მოგვიანებით, ტერიტორია რომანოვების საუფლისწულო მამული გახდა.

პირველი მცირე ზომის 7-ნომრიანი სასტუმრო აშენდა 2008 (დამფუძნებელი გ. მაისურაძე). დროთა განმავლობაში მას დაემატა სასტუმროს ახ. შენობები ტბის გარშემო. ამჟამად ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასტუმროს 15 კორპუსი სტანდ., უმაღლ. და პრემიუმ კატეგორიის ნომრებით, რ-თაც შეუძლიათ უმასპინძლონ 235-ზე მეტ ვიზიტორს. რეზორტი გასართობი საშუალებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ცხენზე ჯირითი, კვადრო ტურები, თევზაობა, წყლის თუ სახმელეთო ველოსიპედები, სათამაშო მოედნები, საბავშვო ცენტრი, ჩოგბურთის კორტები, ლაშქრობა, პირველი ბიოფილური სპა, ღია და დახურული აუზები, საუნა და ა. შ. ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კახური ტრად. ღვინის დეგუსტაციაში, ჩურჩხელების ამოვლებასა და ჭაჭის გამოხდაში, ეზიარონ ქართულ, ევრ. თუ აზიურ კულინარიას. ტერიტორიაზე შესაძლებელია დღესასწაულების, ქორწილების, კონფერენციების, სემინარებისა და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება. სასტუმრო კომპლექსი სტუმრებს ოთხი სეზონის განმავლობაში მასპინძლობს.

რეზორტის განუყოფელი ნაწილია შატო ბუერა და მისი მეღვინეობა (გამორჩეული ადგილი ღვინის მოყვარულთათვის) გაშლილი ვენახებით და რენესანსის სტილის ზღაპრული სასახლით, თანამედროვეობისა და ღვინის უძველესი ტრადიციების შერწყმით, დაარსდა 2018 ,,ლ. ს. რ-ის‘‘ დამფუძნებლის გ. მაისურაძის მიერ.

2010 ,,ლოპოტა რეზორტის‘‘ ტბა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა, რის შემდეგაც ტბა მისი სახელობისაა.

ამჟამად ,,ლ. ს. რ.‘‘ გამორჩეული გარემოთი, ადგილ. ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, შთამბეჭდავი ინფრასტრუქტურითა და უმაღლ. ხარისხის მომსახურებით მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტია.

ლ. აბრამიშვილი.

,,ლოპოტაჰესი‘‘ (შპს), მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ლოპოტაზე. ექსპლუატაციაში შევიდა 2009 წ. 15 სექტემბერს. სიმძლავრე – 2,5 *მეგვტ*. გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ·სთ*): 2019 წ. – 4,1; 2020 წ. – 3,7; 2021 წ. – 4,8. არის ჰოლანდიური კომპანია შპს ,,ემ. ჯი რენიუებლზის‘‘ მფლობელობაში. ,,ლ.‘‘ ჩართულია ქვეყნის ერთიან ელექტროსისტემაში.

დ. ჩომახიძე.

ლოპოტის მარმარილოს საბადო, მდებარეობს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ლოპოტის სათავეებში, თელავიდან 50 *კმ*-ზე. საბადო დაკავშირებულია ქვედა ლიასის წყებასთან, რ-იც აგებულია კვარც-სერიციტული მეტამორფული ფიქლებითა და ქვიშაქვებით. ამ ნალექებში გვხვდება 1-იდან 40 *მ* სისქის ციცაბოდ დაქანებული 500–700 *მ* სიგრძის მარმარილოს ლინზები. ლოპოტის მარმარილო ერთგვაროვანი, სუფთა, წვრილი და საშ. მარცვლოვანია. ფერად თეთრია, მონაცრისფრო ძარღვებით; ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი, თეთრი ძარღვებით. ადვილად მუშავდება და კარგად პრიალდება. მოიპოვებენ კარიერული წესით.

ე. კახაძე.

ლოპოტის ხევი, ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალური ხანის კახეთში, ისტორიული თემი. ტერიტორიულად თავსდება ახლანდ. თელავის მუნიციპ-ში. ლ. ხ. და მისი მიმდებარე მთები ბუნებრივად დაცული და ძნელად მისავალი მხარე იყო, ამიტომ მტრის შემოსევის დროს კახეთის მოსახლ. ნაწილი აქ იხიზნებოდა. ლ. ხ-ის ცენტრი იყო ლოპოტის ციხე (შემორჩენილია ნანგრევები მდ-ების – გონჯასხევისა და ლოპოტის შესაყარში), რ-საც V ს. II ნახ-ში თავი შეაფარა მეფე ვახტანგ გორგასლის ძემ დაჩიმ. VI ს-ში ლ. ხ-ის მოსახლეობაში ქრისტიანობას ქადაგებდა ანტონ

მარტყოფელი. VIII ს. დასაწყისში ლ. ხ. დაარბია არაბმა სარდალმა მარვან II იბნ მუჰამადმა (მურვან ყრუ), მაგრამ ლოპოტის ციხის აღება ვერ მოახერხა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

დ. მუსხელიშვილი.

ლორე, ლორი, ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე *ტაშირში* (ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში; ახლანდ. სომხეთის რესპ-ის ლორის რ-ნი.). ქალაქის ნანგრევები შემორჩენილია ქ. სტეფანავანთან. დაარსდა XI ს-ში. 1065-იდან *კვირიკიდების* დინასტიის მიერ ჩამოყალიბებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრიდან ხეობები იცავდა, მესამე მხრიდან – ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა. 1118 მეფე დავით IV აღმაშენებელმა ლ. მომდებარე ტერიტორიებითურთ საქართვ. სახელმწიფოს დაუბრუნა. განსაკუთრებული სამხ. მნიშვნელობის გამო იგი საქართვ. ამირსპასალართა სადგომი პუნქტი გახდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მთელ ტაშირს ლ. ეწოდა. 1177 ლ. მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული ივანე ორბელისა და დემნა უფლისწულის უკანასკნელი საყრდენი პუნქტი იყო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქალაქი ამირსპასალარ ყუბასარს გადაეცა. 1186-იდან ლ. საქართვ. სანაპირო საერისთავოს ცენტრი იყო. მხარგრძელთა მმართველობის დროს ქალაქი აყვავდა: აშენდა სასახლეები, ეკლესიები, ხიდები. 1236 ლ. მონღოლებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს. XIV–XV სს-ში ქალაქს ციხესიმაგრის ფუნქცია ეკისრა. XVI–XVIII სს-ში ლ. საბოლოოდ დააკნინა ირანელთა და ოსმალთა ლაშქრობებმა (იხ. აგრეთვე სტ. *ლორის მაზრა*).

დ. ბერძენიშვილი.

ლორთქიფანიძე ახმედ ავნიფაშა (1874, ბათუმი, – 1937, ლიბია, დაკრძალულია თურქეთში), ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალ-ლეიტენანტი). დაამთავრა ქულევის (სტამბოლი) სამხ. სასწავლებელი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). ომის დროს მსახურობდა ლაზისტანის სანჯაყის სამხ. გუბერნატორად. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შეაჩერა რუს. არმიის შეჭრა ოსმალეთის შიდა რაიონებში. იყო ოსმალეთის უკანასკნელი სულთნის მუჰამად VI-ის (1918–22) უფრ. ადიუტანტი. 1919 დაინიშნა სამხ-საზღვაო ფლოტის მინისტრად. მისი ხელმძღვანელობით მოხდა თურქ. რესპ. დამაარსებლის, მუსტაფა ქემალისა (ათათურქი) და მისი თანამოაზრეების სამსუნში ჩასვლა (1919 წ. 19 მაისი). ეს დღე ითვლება თურქეთში ეროვნ.-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

ლორთქიფანიძე ბეჟან ვლადიმერის ძე [22.V (4.VI). 1908, თბილისი, – 9. I. 1969, იქვე], არქიტექტორი. დაამთავრა საქართვ. სამშ. ინ-ტის არქიტ. ფაკ-ტი (1932). იყო II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. დააგეგმარა ჩაის საბჭ. მეურნეობების მუშათა დაბები და აზოტ-ტუკის კომბინატის დაბა (ქუთაისი) (1935–36); იყო ბათუმისა (1937) და გორის (1950) გენ. პროექტების ერთ-ერთი ავტორი; საქართვ. არქიტ. კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი (1934) და მისი თავ-რე (1955–58). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თავდაპირველად საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის არქიტ. კათედრაზე (1932–38), შემდეგ – თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. იყო უცხოეთთან კულტურული თანამშრომლობისა და მეგობრობის საქართვ. საზ-ბისა (1948–49) და საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტ. საქმეთა სამმართველოს თავრის მოადგილე, შემდეგ თავ-რე (1949–55). 1956–58 მუშაობდა საქართვ. მშენებლობისა და არქიტ. საქმეთა სახელმწ. კომიტეტის თავრის მოადგილედ, ხოლო 1958–63 – კომიტეტის (,,სახმშენი'') თავ-რედ; 1963-იდან გარდაცვალებამდე იყო თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. და ტიპობრივი დაპროექტების ექსპერ. ინ-ტის (,,თბილზნიიეპი'') დირექტორი.


დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლორთქიფანიძე ბორის გრიგოლის ძე (29. I. 1907, ხარბინი, ჩინეთი, – 1. XI. 1964, თბილისი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1963), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. დაამთავრა თბილ. სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინრების ინ-ტი (1940). მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ენერგეტიკის ინ-ტში (1948-იდან). იყო ამავე ინ-ტის განყ-ბის გამგე (1960-იდან).

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება ელექტრული წრედების ენერგეტიკულ ოპტიმიზაციას და კოროზიისაგან დაცვას. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. საქმიანობას. 1960–64 კითხულობდა ლექციებს სპი-ში (ახლანდ. სტუ). მისი მონაწილეობით მოხდა მოსკოვი–თბილისი–ლენინაკანის (ახლანდ. გიუმრი) სარკინიგზო მაგისტრალის ელექტრიფიკაცია (1962). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Цепи постоянного тока с утечкой и электрическая защита от коррозии, Тб., 1962.

ლორთქიფანიძე გიორგი გურამის ძე (დ. 29. III. 1968, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2009). დაამთავრა თბილ. აგრარული უნ-ტი (1993), დაზვერვის სპეც. სკოლა ვალაშიხაში (მოსკ. ოლქი), სპეც. საერთაშ. კურსები ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ (ეგვ., უნგრ., საფრ., დიდი ბრიტანეთი, გერმ.). 1992–94 იყო ეროვნ. გვარდიაში. 1994–2005 მუშაობდა უშიშროების სამინისტროში. იყო საქართვ. შს სამინისტროს ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსი (2005–07), საქართვ. შს მინისტრის მოადგილე (2009–12). არის სპორტის ოსტატი ძიუდოში (1988). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (2003).



ბ. ვ. ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძე გიორგი (გივი) ირაკლის ძე (10. X. 1918, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 11. IV.1978, თბილისი), კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე-თეორეტიკოსი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თბილ. I მუს. სასწავლებელი (1947, კომპოზიცია), სპი (1948, სამშენებლო ფაკ-ტი), თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1952, საკომპოზიტორო). მონაწილეობდა II მსოფლიო (1939–45) ომში. 1952–53 იყო ქუთაისის დრამ. თეატრ. მუს. ხელმძღვანელი. 1953–67 – თბილ. კულტსაგანმან. სასწავლებლის პედაგოგი, იმავდროულად – I მუს. სასწავლებლის (1956–59) და სახელმწ. კონსერვ. საგუნდო-სადირიჟორო კათედრის პედაგოგი (1959–61), პროფესორი (1978). 1972–78 იყო ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვ. პრორექტორი. დააარსა და ხელმძღვანელობდა კონსერვ. სტუდენტურ ანსამბლ ,,მოტეტს'',



გ. ლორთქიფანიძე.



გ. ს. ლორთქიფანიძე.

,,გორდელას“. ავტორია სიმებიანი კვინტეტის, საფორტეპიანო პიესებისა და გუნდების. მ. შ. ,,ფოთოლს უყვარს“ (1970), ,,საქართველოს მთებზე“ (1970), ,,ია“ (1971) და სხვ. მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლები: ,,მირანგულა“, ,,ახალგაზრდა მასწავლებელი“, ,,ქარიშხლის წინ“ (ქუთ. დრამ. თეატრი). ლ-მ აღზარდა მრავალი მომღერალი, ქორმაისტერი, კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე: თ. ბაკურაძე,ვ. ბეგლარიშვილი, ა. ერქომაიშვილი, ა. მამაცაშვილი, გ. მუნჯიშვილი, ლ. სეხნიაშვილი, მ. ჭოლოშვილი და სხვ.

ლიტ.: ერქომაიშვილი ა., გივი მასწავლებელი, წგ. გზები, ადამიანები, სიმღერები, თბ., 2011.

ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა) დავითის ძე (19. X. 1927, თბილისი, – 13. VI. 2013, იქვე), თეატრისა და კინოს რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. (1970) და სსრკ (1979) სახ. არტისტი; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1985), სტალინური (1981), კ. მარჯანიშვილის სახ. (1977) პრემიების ლაურეატი. 1944–45 სწავლობდა თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე (გ. ტოვსტონოგოვის ჯგუფი). 1950 დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ინ-ტი. 1950–51 სპექტაკლებს დგამდა ვილნიუსის რუს. დრამ. და კაუნასის მუს.-დრამ. თეატრებში. 1950–52 მუშაობდა თბილისში თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ოსტატობის პედაგოგად, პარალელურად დგამდა სპექტაკლებს გორის თეატრში. 1954–56 იყო ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მთ. რეჟისორი, 1952–54, 1957–63, 1965–67 – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის რეჟისორი, მთ. რეჟისორი და დირექტორი; 1963–65 – გრიბოედოვის სახ. რუს. თეატრის მთ. რეჟისორი.

ლ-ის ინიციატივით დაარსდა რუსთავის თეატრი (1967), რ-საც 1976-მდე ხელმძღვანელობდა. 1976–80 იყო მარჯანიშვილის თეატრის, ხოლო 1984–86 – საქართვ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწ. კომიტეტის სამხატვრო ხელმძღვ., 1985–2010 – საქართვ. თეატრ. საზ-ბის თავრე, 1985-იდან – მუსკომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვ. 1999–2003 – თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის რექტორი.

ლ-ის დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: მარჯანიშვილის თეატრში – კ. გოლდონის ,,სასტუმროს დიასახლისი“, ს. კლდიაშვილის ,,დაბრუნება“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ,,მე ვხედავ მზეს“, პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი“, სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე“; მუსკომედიის თეატრში – ჯ. შოკისა და ჯ. სტაინის ,,მეფიოლინე სახურავზე“; რუსთავის თეატრში – ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი“, ვ. კოროსტილიოვის ,,ასი წლის შემდეგ“, მ. გორკის ,,ფსკერზე“ (ნ. გაჩავასთან ერთად); ქუთაისის თეატრში – კ. ტრენიოვის ,,ლუბოვ იაროვაია“, ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა“, უ. შექსპირის ,,ოტელო“; გორის თეატრში – შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან“, ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული“; მოსკოვის თეატრებში: ,,სოვრემენნიკში“ – ,,მეხუთე კოლონა“ (ე. ჰემინგუეის მიხედვით); ,,მალაია ბრონნაიაზე“ – ნ. დუმბაძის ,,ნუ გეშინია, დედა“; მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში – ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მასვე ეკუთვნის ოპერისა და ბალეტის თეატრში განხორციელებული დადგმები – ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე“ და ბ. კვერნაძის ,,კოლხთა ასული“; ჯ. ვერდის ,,აიდა“ (ბათუმის საოპერო თეატრი); ბოლო სპექტაკლი, ო. ჭილაძის ,,წათეს წითელი წალები“, დადგა რუსთაველის თეატრში.

ლ-ის დადგმები გამოირჩეოდა მასშტაბურობით, მძაფრი რიტმის, იუმორისა და თანამედროვეობის გამახვილებული შეგრძნებით.

წარმატებული აღმოჩნდა ჭ. ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხიას“ ეკრანიზაცია (გ. გაბესკირიასთან ერთად; 1976–77), რისთვისაც ლ-ს მიენიჭა სტალინური პრემია (1981), კინოფილმისათვის ,,წიგნი ფიცისა“ კი – შოთა რუსთაველის სახ. პრემია (1985). გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: ,,წინაპართა მიწა“ (გ. ჭოხონელიძესთან ერთად, 1978), ,,ერთ პატარა ქალაქში“ (1986), ,,თეთრი ბაირაღები“ (1990), ,,პრემიერა“ (1992). არის არაერთი ფილმის სცენარის ავტორი. იყო საქართვ. სახელმწ. საბჭოს წევრი და პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, თბილ. საპატიო მოქალაქე (1996). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). 2013 რუსთავის თეატრს ლ-ის სახელი მიენიჭა, ხოლო თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თ. კახიანი.

ლორთქიფანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე (2. IX. 1881, სოფ. ისრითი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 30. IX. 1937, თბილისი), სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

1902 დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია და ჩაირიცხა ნოვოროსიის საიმპერატორო უნ-ტის სამედ. ფაკ-ტზე, იქვე აქტიურად ჩაება სოციალ.-დემოკრ. პარტიის მუშაობაში, რის გამოც 1904 დააპატიმრეს და უნ-ტიდანაც გარიცხეს. 1905 დაბრუნდა საქართველოში. რედაქტორობდა სოციალ.-დემოკრ. პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ყოველდღიურ გაზეთ ,,სოციალ-დემოკრატიულ ფურცელს“. 1907 ლ. მონაწილეობდა რუსეთის II სახელმწ. სათათბიროს არჩევნებში (კენჭს იყრიდა ქუთაისის გუბერნიაში). იმავე წელს აღიდგინა სტუდენტის სტატუსი და სწავლა იმავე უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტის ფილოსოფიის განყ-ბაზე განაგრძო.

1907 აპრილ-მაისში კი ლ., როგორც მენშევიკური ფრთის წარმომადგენელი, მონაწილეობდა ლონდონში გამართულ სოციალ.-დემოკრ. მუშათა პარტიის V ყრილობის მუშაობაში. 1911 იგი კვლავ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, 1912 კი საქართველოდან გაასახლეს. 1913-იდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, რუსეთის ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰყავდათ. 1916 ჩაიყვანეს ვორონეჟის გუბერნიის დაბა ურაევოში, სადაც კომერციული სასწავლებლის პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 1917 თებ. რევ. შემდეგ მას საზ.-პოლიტ. მოღვაწეობის ახალი ასპარეზი გაეხსნა. 1918 დასაწყისში ლ. ოჯახთან



გ. ლორთქიფანიძე. კადრი ფილმიდან ,,წიგნი ფიცისა“. მსახიობი მ. ჯინორია. მწირი. 1983.

ერთად საქართველოში დაბრუნდა. 1920 იგი საქართვ. დემოკრ. რესპ. სამხედრო მინისტრად, შემდეგ კი – მთავრობის თავ-რის მოადგილედ დაინიშნა.

იგი ცდილობდა შეიარაღებულ ძალებში დაემყარებინა დისციპლინა, განსაკუთრებით ებრძოდა ჯარში არსებულ არასაწესდებო ურთიერთობების ფაქტებს, მხარს არ უჭერდა რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის პარალელურ არსებობას და ძალ-ღონეს არ იშურებდა ამ ორი სტრუქტურის გაერთიანებლად. 1920 მიწურულს ლ. განათლების მინისტრად დანიშნეს, იმავდროულად დარჩა მთავრობის თავ-რის მოადგილედ. ასევე იღვწოდა ეროვნული განათლების სისტემის წინაშე არსებული პრობლემების დასაძლევად. მას კარგად ესმოდა თსუ-ის როლი ქვეყნის სწორი განვითარების საქმეში და მის მიმართ განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავდა.

1921 თებ.-მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვ. დემოკრ. რესპ. ოკუპაციის შემდეგ, საქართვ. დამფუძნებელმა კრებამ რევკომთან მოლაპარაკების წარმოება ლ-ს დაავალა. შეხვედრა შედგა 1921 წ. 17 მარტს ქუთაისში. რევკომმა ლ-ს კაპიტულაციაზე ხელის მოწერა მოსთხოვა, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა და თავისი პოზიცია შესანიშნავად დაასაბუთა. ამ ნაბიჯით ლ-მ მოამავალ თაობას დამოუკიდებლობის აღდგენის ლეგიტიმური უფლება დაუტოვა. მოლაპარაკებაზე ეს ორი მხარე შეთანხმდა ბათუმისა და მისი ოლქის თურქებისაგან განთავისუფლების შესახებ, რაც პირველი რესპუბლიკის მთავრობამ პირნათლად შეასრულა. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ლ-მ და გ. მაზნიაშვილმა.

ლ. საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობას ემიგრაციაში არ გაჰყვა და ცოლ-შვილთან ერთად მშობლიურ სოფ. ისრითში დასახლდა. 1921 წ. 13 მაისს იგი დააპატიმრეს და 1922 ბოლოს რუსეთში, ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ იაროსლავის საკატორღო ციხის გავლით, ვლადიმირის გუბერნიის ქ. სუზდალის სამონასტრო საპყრობილეში იხდიდა სასჯელს. სწორედ აქ 1922–24 დაწერა თავისი ისტ.-ფილოს. ესე ,,ფიქრები საქართველოზე“, რ-შიც საქართვ. ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები განიხილა. 1925 ლ. სამი წლით კურსკში გადაასახლეს. 1928 ჩამოვიდა საქართველოში. საქართვ. კომპარტიის მესვეურებმა მას თხოვეს, მთელი საქართველო შემოევლო და არსებული ვითარება შეეფასებინა. ლ-მ ეს თხოვნა პირნათლად შეასრულა, შესაბამისი მოხსენებაც მოამზადა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მკაცრად გააკრიტიკა. 1929 წ. 21 დეკემბერს ლ-მ დაბადების 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით დეპეშა გაუგზავნა ი. სტალინს, რ-შიც საბჭოთა ბელადი გააკრიტიკა. ამის გამო იგი 6 თვით დააპატიმრეს, შემდეგ კი 3 წლით ვორონეჟში გადაასახლეს. 1935 ლ-მ დგებუაძესა და კანდელაკთან ერთად შენიშვნები გაუგზავნა საკონსტიტუციო კომისიას, რ-საც ი. სტალინი თავმჯდომარეობდა. წერილში გაანალიზებული იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე დაშვებული სერიოზული შეცდომები.

ასეთი აქტიურობა ლ-ს ძვირად დაუჯდა – 1937 წ. იანვარში 5 წლით ციმბირში გადაასახლეს, იმავე წლის მარტ-აპრილში კი ლ. ბერიას განკარგულებით საქართველოში ჩამოიყვანეს. თბილისში დატუსაღებული პატიმარი ლ. ერთ-ერთი დაკითხვის დროს გარდაიცვალა.

დაკრძალვის ადგილი უცნობია.

თხზ.: ფიქრები საქართველოზე, რედ. პ. სურგულაძე, თბ., 1995.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ალ., გრიგოლ ლორთქიფანიძის ,,ფიქრები საქართველოზე“ და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, თბ., 2007; გრიგოლ ლორთქიფანიძე – მოღვაწე და მამულიშვილი, თბ., 2001; გრიგოლ ლორთქიფანიძის მეცნიერული მემკვიდრეობა (გრიგოლ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი II სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2000; გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფცია, რედ. ალ. ბენდიანიშვილი, თბ., 2009; ზარქუა გრ., გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 2002; ჭუმბურიძე დ., გრიგოლ ლორთქიფანიძე, თბ., 2012.

პ. სურგულაძე.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, დაფუძნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22. IV. 1998 (დარეგისტრირდა 25. III. 1999).

საზ-ბის მიზანია გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა-პოპულარიზაცია, მისი ნაშრომების გამოცემა, მის შესახებ დაწერილი ნაშრომების პუბლიკაცია, ეროვნ. და ჰუმანური ზოგადსაკაცობრიო იდეალების დანერგვა და ამით საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ძლიერი ეროვნ. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში წვლილის შეტანა.

საზ-ბის დამფუძნებლები იყვნენ ცნობილი მეცნიერები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მ. შ. გ. ლორთქიფანიძის შვილები: დარეჯანი, თეიმურაზი და ნოდარი. საზ-ბას არაერთი სამეცნ. კონფერენცია თუ სხვა ღონისძიება აქვს ჩატარებული. საზ-ბის პირველი პრეზიდენტი იყო გ. ა. ლორთქიფანიძე, შემდგომში – ე. კუპატაძე, ალ. ბენდიანიშვილი. ამჟამად საზ-ბას პ. სურგულაძე ხელმძღვანელობს.

1995 თსუ-მ გამოსცა გ. ლორთქიფანიძის წიგნი ,,ფიქრები საქართველოზე“ (რედ. პ. სურგულაძე).

ლიტ.: გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ეროვნულ-პოლიტიკური კონცეფცია, რედ., ალ. ბენდიანიშვილი, თბ., 2009.

თ. დოლიძე.



გ. ლორთქიფანიძის საზოგადოების ლოგო.

ლორთქიფანიძე გურამ ამბროსის ძე (14. IX. 1938, ქ. ბათუმი, – 24. III. 2019, თბილისი), ისტორიკოსი, არქეოლოგი, საქართვ. ეროვნ. მეცნიერებათა აკადემიის წ.-კორ. (2009). ისტორიის მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1977), სწავლობდა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტზე, დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის უნ-ტი (1961). 1961–77 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტის არქეოლ. განყ-ბაში. 1974 ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის არქეოლ. ექსპედიციას. 1977–78 იყო თსუ-ის საქართვ. ისტ., 1979–81 – არქეოლ. კათედრების პროფესორი, 1985–2005 – თსუ-ის უმაღლ. სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ფაკ-ტის დეკანი. კითხულობდა ლექციებს ანტიკურ არქეოლოგიაში. ლოს-ანჟელესისა (1987–88) და კარდელის სახელმწ. (1990; სლოვაკეთი) უნ-ტებში. 2002–04 იყო თბილ. საერთაშ. ინფორმაციის, სამართლისა და კულტ. ურთიერთობების უნ-ტის რექტორი, ხოლო 2006–19 თსუ-ის ჰუმანიტარული ფაკ-ტის სრული პროფესორი, შემდეგ ემერიტუსი. იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი.



გ. ა. ლორთქიფანიძე.

ლ. დაჯილდოებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ,,პატივდების“ სიგელით (2015), თსუ-ის საუნივერსიტეტო მედლით (2018), ისრაელის საელჩოს საპატიო სიგელით (2018).

ბიბლ.: გურამ ლორთქიფანიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო



გ. ლორთქიფანიძე.



დ. ო. ლორთქიფანიძე. (1963).



დ. ო. ლორთქიფანიძე.

კრებულში კულტურულ-საისტორიო ძიებანი, II, თბ., 2018.

ლორთქიფანიძე გურამ კონსტანტინეს ძე (6. V. 1930, თბილისი, – 6. I. 2008, იქვე), კინომსახიობი, რეჟისორი. საქართვ. დამს. არტისტი (1980). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1955) და სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლესი კურსები მოსკოვში (1969). წლების განმავლობაში მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' რეჟისორის ასისტენტად. სამსახიობო დებიუტი შედგა ფილმში ,,შეწყვეტილი სიმღერა'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1960), ხოლო პოპულარობა მოუტანა აგული ერისთავის როლმა ფილმში ,,არაჩვეულებრივი გამოფენა'' (რეჟ. ე. შენგელაია, 1968; იმავე წელს ამიერკავკასიისა და უკრაინის ზონალური კინოფესტივალის პრიზი ,,ორფეოსი'' მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, კიევი). განასახიერა ეპიზოდური როლები ფილმებში: ,,პირველი მერცხალი'' (ბეჟანი; რეჟ. ნ. მჭედლიძე, 1975), ,,არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ'' (გურამი; რეჟ. ყ. მგელაძე, 1976), ,,რაჭა, ჩემო სიყვარულო'' (ვანო; 1977), ,,წერილები ბამიდან'' (1980), ,,ოჰ, ეს საშინელი, საშინელი ტელევიზორი'' (1990, სამივეს რეჟ. თ. ფალავანდიშვილი). ,,სკაპენის ოინები'' (სილვესტერი; რეჟ-ები: გ. და მ. კალატოზიშვილები, 1984), ,,ზღვის მაშვრალნი'' (ტანგრეი; რეჟები: ე. სეშანი, გ. გაბესკირია, 1986), ,,ლეონარდო'' (ტატო; რეჟ. დ. ნაცვლიშვილი, 1993), ,,მორევი'' (რეჟ. რ. გიორგობიანი, 1996), ,,ჩემი ძვირფასი, სანტრელი ბაბუ'' (ლავრენტი; რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1998) და სხვ.

ლ. განსაკუთრებული ოსტატობით ასრულებდა მეორეხარისხოვან როლებს და ქმნიდა დაუვიწყარ სახეებს. პიროვნული ღირსებების გამო მიჩნეული იყო ქ. თბილისის კოლორიტად.

მ. კერესელიძე.

ლორთქიფანიძე დავით ოთარის ძე (დ. 5. VIII. 1963, თბილისი), ანთროპოლოგი, არქეოლოგი. გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი (2001), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (2018; 2009-იდან წ.-კორ.). დაამთავრა თსუ-ის გეოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკ-ტი (1985), რუსეთის მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინ-ტის ასპირანტურა (1991). 1992–97 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინ-ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1997–2002 – ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმის განყ-ბის გამგე, 2002–04 – ამავე მუზეუმის დირექტორის მოადგილე, 2004–05 – დირექტორი; 2005-იდან არის საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გენ. დირექტორი.

ლ. იყო მიწვეული პროფესორი პარიზის ბუნების ისტორიის მუზეუმში (1999–2000), ტარაგონას (2001, 2004, 2011), ჰარვარდის (2002), მელბურნის (2014) უნ-ტებში; 2018-იდან თსუ-ის სრული პროფესორია.

ლ-ის ძირითადი კვლევის სფეროა ადამიანის ევოლუცია და ბუნების ისტორიის საკითხები, გარემოს ცვლილებების და კულტურული პროცესების ურთიერთკავშირები. ხელმძღვანელობს საერთაშ. სამეცნ. პროექტს დმანისში, სადაც აღმოჩენილია ყველაზე ადრეული ადამიანის ნაშთები აფრიკის გარეთ. უძღვებოდა საერთაშ. სამეცნ. პროექტს, რ-ის საფუძველზეც დადგენილი და შესწავლილია უძველესი ღვინის კვალი საქართველოს ტერიტ-ზე არსებულ ნეოლითურ ნამოსახლარში. მისი ინიციატივით მომზადდა მრავალი გამოფენა მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში.

ლ. არის რამდენიმე საერთაშ. სამეცნ. ჟურნალის სარედაქციო საბჭოსა და სამეცნ. კომიტეტის წევრი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. მონოგრაფიები.

ლ. არჩეულია აშშ-ის ეროვნ. აკადემიის უცხოელ წევრად (2007), გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის წ.-კორ-ად (2007), მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემიის წევრად (2008), ევროპის აკადემიის წევრად (2010).

ლ-ს მიღებული აქვს საქართვ. პრეზიდენტის პრემია ახალგაზრდა მეცნიერთათვის (1997); მონაკოს პრინცის პრემია (2001); საქართვ. ღირსების ორდენი (2001); საფრანგეთის ორდენი „აკადემიური პალმა“ (2002); საფრანგეთის ღირსების ორდენი (2006); ლინჩეის ეროვნ. აკადემიის ჯილდო, „ფაბიო ფრასეტოს“ საერთაშ. პრიზი (2008 იტალია); საქართვ. სახელმწ. ჯილდო ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2011); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ლ. დავითაშვილის სახ. პრემია პალეობიოლოგიაში (2012); ჰუმბოლდტის პრემია (2014, გერმანია); გფრ-ის სახელმწ. ორდენი – გოეთეს მედალი (2016) და სხვ.

ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს ძე [5(18). III. 1905, სოფ. სალხინო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 11. II. 1992, თბილისი], მეცნიერი პედაგოგიკის დარგში. სსრკ პედ. მეცნ. აკადემიის (ახლანდ. რუს. განათლების აკადემია) აკადემიკოსი (1974; წ.-კორ. 1968); რსფსრ პედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1957); პედ. მეცნ. დოქტორი (1947); პროფესორი (1948); საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960); 1969-იდან – ბრატისლავის ი. ა. კომენსკის სახ., 1970-იდან – პრაღის კარლოსის უნ-ტების საპატიო დოქტორი.

1927 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი და მოღვაწეობა დაიწყო პედაგოგიკაში. 1947–60 იყო საქართვ. პედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ეროვნ. ინ-ტი) დირექტორი; 1963–75 – თსუ-ის პედ. კათედრის გამგე; 1961–86 – საქართვ. პედ. საზ-ბის თავ-რე; 1966–86 – ქსე-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ლ. იკვლევდა პედ. თეორიისა (დიდაქტიკა) და ისტ. საკითხებს. მისი ნაშრომები თარგმნილი და გამოცემულია უცხოურ ენებზე. ლ. იყო პედაგოგიკის ქართ. სახელმძღვანელოს (1956, 1970) თანაავტორი და ი. გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის (1952–65) ერთ-ერთი რედაქტორი, თსუ-ში კომენოლოგიის (ი. ა. კომენსკის შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერება) საერთაშ. ცენტრის ფუძემდებელი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, ასევე ი. კომენსკის (1957), ი. გოგებაშვილის (1960), კ. უშინსკის (1960), ივ. ჯავახიშვილის (1969) მედლები.

ლორთქიფანიძე ელგუჯა გედეონის ძე (14. III. 1904, სოფ. ჩუნეთი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 1939), მსახიობი. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემ-



გ. ლორთქიფანიძე. კადრი ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“. რეჟისორი ე. შენგელაია.1968.

დეგ სწავლობდა თსუ-ში, 1924–26 – დრამატულ სტუდიაში ა. ფაღავას ხელმძღვანელობით. სტუდიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთაველის თეატრში. მისი შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: პოჭინია (ნ. შიუკაშვილის ,,ამერიკელი ძია''), ოფიცერი (ჯ. რიდის ,,ათი დღე, რომელმაც შეძრა მსოფლიო''), მოამბე, ქისტი (გ. რობაქიძის ,,ლამარა''), რაინდი (ი. გედევანიშვილის ,,სინათლე''), საბა (ა. მაშაშვილის ,,განგაში''), სოთრანი (შ. დადიანის ,,თეთნულდი''), კარლ მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები'') და სხვ. ლ-მ თარგმნა რუსთაველის თეატრში დადგმული პიესები: ა. კოჩერგას ,,მაისტერი'' (,,ქათამი და მესაათე'') და ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''. 1936 დააპატიმრეს რუსთაველის თეატრის მსახიობებთან ერთად. ემსხვერპლა საბჭოთა რეპრესიებს.

ლორთქიფანიძე (ქალიშვილობის გვარი ყიფიანი) ელენე დიმიტრის ასული [19. V(1. VI). 1855, ქვიშხეთი, – 23. XI. 1890, ქუთაისი]; მწერალი, ჟურნალისტი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. დ. *ყიფიანის* ქალიშვილი. XIX ს. 70-იან წწ-ში მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში მეუღლესთან, ვექილსა და ბიბლიოფილ ა. ლორთქიფანიძესთან (1847–94) ერთად. იყო ქართველ ხალხოსანთა ქუთაისის წრის წევრი; ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავ-რე (1880). მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. ხალხ. სიმღერებისა და სას. საგალობლების შეკრებასა და ნოტებით ჩაწერაში. იყო ალმანახ ,,ქართული ბიბლიოთეკის'' (ქუთაისი; 1883) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. მისი ინიციატივით გამოიცა კრებ. ,,თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა'' (1872), აგრეთვე თარგმანთა ორი წიგნი – ,,მოთხრობანი'' (1880, 1882). მონაწილეობდა თბილისში, ქუთაისსა და ქვიშხეთში გამართულ თეატრ. წარმოდგენებში (შექსპირის ,,ვენეციელი ვაჭარი'', მოლიერის ,,ძალად ექიმი'', ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისგან'', გ. ერისთავის ,,უჩინმაჩინის ქუდი'', გ. სუნდუკიანის ,,პეპო'' და სხვ.). ლ. თანამშრომლობდა ქართულ პრესასთან (,,დროება'', ,,ივერია'', ,,მნათობი'', ,,ნობათი'' და სხვ.), აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის თხზულებებს, ძირითადად თარგმანებს (მოლიერი, მოპასანი, ა. დოდე და სხვ.).

ლიტ.: თუმანიშვილ-წერეთელი ა., ელენე დიმიტრის ას ლორთქიფანიძისა, ,,კვალი'', 1894, №45; მესხი ლ., ღირსეული მამულიშვილი, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1965, №9; ტაბიძე ნ., ეტიუდები, თბ., 1986; ჩახლაძე ნ., ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები, თბ., 1976.

თ. ჯოლოგუა.

ლორთქიფანიძე ელენე ირაკლის ასული (24. XI. 1916, ოუზოვკა, ახლანდ. დონეცკი, უკრაინა, – 06. 10. 1996, თბილისი), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი. დაამთავრა სპი არქიტექტურის სპეციალობით (1947). არქიტექტორად მუშაობდა ,,საქსახპროექტში'' (1947–54), შემდეგ – ,,საქკომუნპროექტში'' (1954–55), ,,საქქალქმშენსახპროექტში'' (1955–64), ხოლო 1964-იდან – თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. და ტიპობრივი დაპროექტების ექსპერ. ინ-ტში (,,თბილზნიეპი''). ნამუშევრები: 3-სექციური 20-ბინიანი საცხოვრ. სახლი მაღაზიით (1959, ტიპობრივი პროექტი); ბ-კა თბილისში (1960, ტიპობრივი პროექტი); საერთო საცხოვრებელი 200 და 107 ადგილზე (1973, ტიპობრივი პროექტები, ავტორთა ჯგუფთან ერთად) და სხვ.

ლორთქიფანიძე ვაჟა გიორგის ძე (დ. 29. XI. 1949, თბილისი), სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2018), აფხაზეთის არ მეცნ. (2002), საქართვ. და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნ. (ორივე 2006) აკადემიების წევრი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათ. ფაკ-ტი (1973), მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნ. აკადემია (1990). მუშაობდა სხვადასხვა პოლიტ. და სახელმწ. თანამდებობაზე. იყო საქართვ. მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე (1989–90), საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში (1995–98), საქართვ. სახელმწ. მინისტრი (1998–2000), საქართვ. უმაღლ. საბჭოს დეპუტატი (1983–90), საქართვ. პარლამენტის წევრი (1995–98 და 2001–04), პოლიტ. ორგანიზაციის – ,,საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის'' თავ-რე (2002–14).

ლ-ის ინიციატივით თსუ-ში დაარსდა დემოგრაფიის კათედრა. იყო ამავე კათედრის გამგე (2000–06), თსუ-ის სამეურვეო საბჭოს თავ-რე (2003–05). არის საქართვ. დემოგრაფთა ასოციაციის დამაარსებელი და პრეზიდენტი (1998-იდან), სამეცნ. ჟურნ. ,,დემოგრაფიის'' დამაარსებელი და გამომცემელი (1999-იდან), აღმ.-დას-ის ურთიერთობათა კვლევის საერთაშ. ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1993) და პრეზიდენტი (2003-იდან), მოსახლეობის ეროვნ. საბჭოს წევრი (2016-იდან), საქართვ. პარლამენტის მიერ 2016 დამტკიცებული საქართვ. დემოგრ. უსაფრთხოების კონცეფციის ინიციატორი და ერთ-ერთი ავტორი. წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს თბილ. სხვადასხვა უნ-ტში დემოგრაფიის, პოლიტიკისა და სოციოლოგიის დარგში.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი. მისი სამეცნ. ნაშრომები ეხება საქართვ. და რეგიონული დემოგრაფიის პრობლემებს.

თხზ.: ისტორიული მეცნიერების დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1998; ერი ერმა უნდა გადაარჩინოს, თბ., 2007 (თანაავტ. ა. თოთაძე); დემოლოგია, თბ., 2018; The population of the Caucasus, N.Y., 2009.



ე. დ. ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძე ვლადიმერ ბეჟანის ძე (1872, – 27. VI. 1909, აბასთუმანი, დაკრძალულია თბილისში), პუბლიცისტი, პედაგოგი, პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, შემდეგ – ოდესის უნ-ტი. ისტორიის შესასწავლად გერმანიაში გაემგზავრა, თუმცა ავადმყოფობის გამო მალევე დაბრუნდა საქართველოში. თანამშრომლობდა ქართ. პრესასთან (,,ცნობის ფურცელი'', ,,საქართველო'', ,,დროება'', ,,შრომა'', ,,ივერია''). აქვეყნებდა პუბლიც. წერილებსა და თარგმანებს. ასწავლიდა თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიაში. იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ნამდვილი წევრი (1899) და გამგეობის წევრი (1900), სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1901). პოლიტ. საქმიანობისათვის ორჯერ იყო დაპატიმრებული. გათავისუფლდა 1905 წ. ოქტ. მანიფესტით. ავადმყოფობის გამო ხანგრძლივად მკურნალობდა აბასთუმანში. გარდაიცვალა იქვე.



ვ. გ. ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძე ზურაბ სამსონის ძე (19. IX. 1919, სოფ. ჩუნეში, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 23. 04. 1988, ფოთი), პოეტი. დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი (1941). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1940, ლექსების პირველი წიგნი – 1951. ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,სოფლის გზაზე'' (1957), ,,ორი

სილამაზე'' (1959), ,,მართალი სიტყვა'', ,,მარად ცოცხალი'' (1971), ,,ლექსები და პოემები'' (1974). წერდა ბავშვებისთვისაც (ლექსების კრებ. ,,მოვდივართ'', 1979 და სხვ.). ქართ. ენაზე თარგმნა დ. გულიას, რ. ასაევის (ასათის), მ. დუდინისა და სხვათა ნაწარმოებები.

თხზ.: ხმა ქვიშხეთის ბანაკიდან, თბ., 1987; ველის ჩურჩული, თბ., 1988.

ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე [6 (19).III. 1866, სოფ. ჩუნეში, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 11. VII. 1949, თბილისი], იურისტი, ფინანსისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზ. მოღვაწე, ედპ-ის წევრი, მწერალ ნ. *ლორთქიფანიძის* ძმა. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1884), პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1889). მუშაობდა კავკავის, განჯისა და თბილ. ბანკებში. მონაწილეობდა ნ. ბარათაშვილის საფლავის მოძიებასა და მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებაში (1893). 1892–1917 იყო კავკავის ქართ. სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავ-რე, 1917–21 – თბილისის უნ-ტის აღმშენებელი კომიტეტის წევრი და მისი საფინანსო ნაწილის გამგე, საქართვ. სახელმწ. ბანკის პირველი მმართველი (1920–23), 1921–23 წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მთავარი კომიტეტის თავ-რე. 1927-იდან აკრძალული ჰქონდა ფინანსური საქმიანობა. დაიწყო საისტორიო კვლევა. 1937-იდან მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად. აქვეყნებდა საქართვ. ისტორიის წყაროებს.

თხზ.: ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 3–4, თბ., 1938; მოსკოვის და პეტერბურგის „უწყებათა“ 1762–67 წლების ცნობები ქართველების და საქართველოს შესახებ, ,,ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე'', 1940, ტ. 10; მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XVIII ს.), ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის'', 1941, ნაკვ. 2.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018.

დ. მეგრელაძე.

ლორთქიფანიძე ივანე ნესტორის ძე (1890, ქუთაისი, – 1937, თბილისი), საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ექიმი. დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1909) და ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი (1914). 1914-იდან ეწეოდა საექიმო-პრაქტ., საზ. და პოლიტ. მოღვაწეობას. 1915-იდან იყო ესერთა (სოციალისტ-რევოლუციონერთა) პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პარტიის ცენტრ. კომიტეტისა და საქართვ. ეროვნ. საბჭოს წევრი (1917–18). ეროვნ. საბჭოს 1918 წ. 26 მაისის სადგანგებო ყრილობაზე ხელი მოაწერა საქართვ. სახელმწ. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს; საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის წევრი – გზათა მიმოსვლის მინისტრი (1918–21). ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციისა და ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ, ლ. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში – იყო საქართვ. მემარჯვენე ესერთა ორგანიზაციის იატაკქვეშა ცენტრ. კომიტეტის თავ-რის მოადგილე, საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის (იგივე ,,პარიტეტული კომიტეტი'') წევრი (1922–23). 1923 დეკ. დააპატიმრა საქ. სსრ ,,საგანგებო კომისიამ'' (ე. წ. ,,ჩეკა''). განთავისუფლების შემდეგ (1925-იდან) ეწეოდა საექიმო-პრაქტ. საქმიანობას. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

ლიტ.: საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა), თბ., 1994 (პირველად გამოიცა 1925 წ.).

ლ. ურუშაძე.

ლორთქიფანიძე ილია გიორგის ძე (5. VIII. 1896, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 9. VIII. 1941, თბილისი), პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1935). ოდესის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1920) მუშაობა დაიწყო იქვე, ნ. სტრაჟესკოს კლინიკაში, 1921-იდან (თბილისში გადმოსვლის შემდეგ) – ს. *გოგიტიძესთან* და ვ. *ჯორჯინთან*. 1931–34 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის ბავშვთა სნეულებების, 1934–35 კი – ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრების გამგე. 1935–37 ერთდროულად განაგებდა თბილ. სამედ. და ექიმთა დახელოვნების ინ-ტების პედიატრიის კათედრებს. იყო ბავშვთა I საავადმყოფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი (1937–41).

ლ. იკვლევდა ჩვილ ბავშვთა პნევმონიას, ფილტვისა და პლევრის ჩირქოვან დაავადებებს, ფილტვის ტუბერკულოზს, ანემიას და სხვ.

თხზ.: მასალები ექსპერიმენტული ჰემორაგიული ანემიის პათოლოგიისათვის, ტფ., 1933.

ლიტ.: შოთაძე ფ., ჭყონია ქ., ილია გიორგის ძე ლორთქიფანიძე, თბ., 1966.

ლორთქიფანიძე ინგა გიორგის ასული (9. II. 1934, ქუთაისი, – 11. I. 2008, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1993). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1957). მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტში (1964–2008), 1997–2006 იყო ამავე ინ-ტის შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების განყ-ბის გამგე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრაზე. მისი ნამუშევრებია: Роспись Набахтеви, თბ., (1973); Роспись в Цаленджиха, თბ., (1992); Роспись придела Вамека Дадиани в Хоби, Русь. Грузия, კრ.,მ., (1978); Житийный цикл св. Георгия в Убиси, Dečani et l'art byzantin au milieu du XIV siécle, კრ., დეჩანის მონასტრის 650-ე წლისთავისადმი მიძღვნილი, ბელგრადი 1989; La Céne dans peintures murales d'Ubissi, ΛΑΜΠ'ΗΔ'ΩΝ, ტ. 2, ათენი, 2003 (დულა მურიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნ. შრომების კრებ.) და სხვ. მონაწილეობდა ქართული (იტალია – 1974, 1980; თბილისი – 1977, 1983), ბიზანტ. (დეჩანი, იუგოსლავია, 1984) და ქართულ-ბერძნული (1990) ხელოვნებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმებში.

ლორთქიფანიძე ირაკლი სიმონის ძე (15 (28). I. 1895, დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 20. XI. 1976, თბილისი), მეტალურგი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრიული ინ-ტი (1935). მუშაობდა ტრესტ ,,ფეროშარგანმშენში'' (1929–32), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში ხელმძღვანელობდა ახ. ფეროშენადნობთა დამუშავებისა და ათვისების საქმეს (1932-იდან). მანგანუმიანი შენადნობების გამოშვების ახ. ტექნოლ. დამუშავებისა და დანერგვისათვის მიენიჭა სტალინური პრემია (1951). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე [28. IX (10. X). 1839, სოფ. დიხაშხო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 12. V. 1919, ქუთაისი], საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი. ქუთ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე. სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და უნ-ტიდან გარიცხეს (1861). ლ. ,,*თერგდალეულთა*'' ჯგუფის აქტ. წევრი იყო. XIX ს. 60-იან წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ

პუბლიც.-კრიტ. სტატიებში ლ. ავითარებდა რუს. რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებს. სხვადასხვა დროს იყო ,,დროების'', ,,კრებულის'' და ,,შრომის'' რედაქტორი, 1894–1904 – ქუთ. საადგილმამულო ბანკის დირექტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბისა და ქუთ. ეთნოგრ. საზ-ბის წევრი; ,,პეტერბურგის ქართული წიგნის გამომცემელი ამხანაგობის'' ერთ-ერთი დამაარსებელი. ლ-მ შექმნა ახ. ქართ. საბეჭდი შრიფტი, რ-საც მისი სახელი ეწოდა და ამჟამადაც იხმარება; 1864 პეტერბურგში გამოსცა ალმანახი ,,ჩონგური'', 1869 – ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!'' და სხვ. თარგმნა ნ. ნეკრასოვის, ნ. დობროლიუბოვის, ჰ. ჰაინეს, ვ. ჰიუგოს, ჰ. ბიჩერ-სტოუს და სხვათა ნაწარმოებები. ლ-ს ეკუთვნის რომანტ. ხასიათის ლექსები, წერდა ფსევდონიმებით: ,,თერგდალეული'', ,,თომა კარგარეთელი'', ,,უცხო'', ,,კილოკავაძე''.

ლიტ.: მეძველია კ., თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965; ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები, ტ. 1, ტფ., 1931; ჭუმბურიძე დ., კირილე ლორთქიფანიძე, წგ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, თბ., 2003, №6; ხუნდაძე ს., ნარკვევები, თბ., 1941;

ს. ხუციშვილი.

ლორთქიფანიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე [25. XII. 1904 (7. I. 1905), სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 30. VII. 1986, თბილისი], მწერალი. რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971). დაამთავრა ქუთ. ჰუმანიტარული ტექნიკუმი (1924). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, 1942–44 იყო ფრონტის გაზეთების სამხ. კორესპონდენტი. რედაქტორობდა ჟურნალებს ,,ლიტერატურნაია გრუზია'' (1956–62) და ,,ცისკარს'' (1962–66), ალმანახ ,,საუნჯეს'' (1974–76), იყო გამომცემლობა ,,ნაკადულის'' დირექტორი, 1977-იდან – ალმანახ ,,განთიადის'' მთ. რედაქტორი. პირველი ლექსი 1924 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებული – 1926. მის ნაწარმოებებში (მოთხრობები, პიესები, ლექსები) ასახულია ახ. ცხოვრების დამკვიდრების მეტად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარება. ეს თემა განავითარა მწერალმა რომან ,,კოლხეთის ცისკარში'' (1951; თავდაპირველი სახელწოდება ,,ძირს სიმინდის რესპუბლიკა'', 1931), რ-იც სოციალ. რეალიზმის ერთ-ერთი საეტაპო ნაწარმოებია. შექმნა ქართ. პროზაში ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელ პერსონაჟთა სახეები; წარმოაჩინა XX ს. 20-იანი წლების სოც. ძალთა დაპირისპირება სოფლად და პერსონაჟთა კოლორიტული გალერეა.

1936–38 შეიქმნა ლ-ის კრებ. ,,ბელორუსული მოთხრობები'' (,,ფუნდუკში'', ,,ცხენი'', ,,ისევ ცხენი'', ,,უკვდავება''), რ-იც ერთიან სიუჟეტზეა აგებული და ასახავს ბელორუსი ხალხის ბრძოლას სამოქალაქო ომის წლებში. მწერლის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა II მსოფლიო ომის თემას, რ-საც მიუძღვნა მრავალი მოთხრობა და ნოველა: ,,როგორ მოკვდა მოხუცი მებადური'' (1942), ,,მწვანე ღილი'' (1949), ,,ცაბუნია'' (1962), ,,უტყუარი მოთხრობები'' (1944–66) და სხვ.

ლ. ავტორია კინოსცენარებისა ფილმებისათვის: ,,მეგობრობა'' (1941, თანაავტ. ი. მოსაშვილი), ,,ჩრდილი გზაზე'' (1957), ,,შეწყვეტილი სიმღერა'' (1960). მწერლის ლიტ. და პუბლიც. წერილები თავმოყრილია წიგნში ,,ერთი კარგი წელიწადი'' (1970). თარგმნა სომხ. ხალხური საგმიროეპოსი ,,დავით სასუნელი'', ა. მიცკევიჩის, ი. ფრანკოს, ტ. შევჩენკოს, ვ. მაიაკოვსკის, მ. რილსკის, მ. ბაჟანის, ა. სურკოვის, ა. ისააკიანისა და სხვათა თხზულებები. ლ-ის ნაწარმოებები თარგმნილია უცხოურ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული თხზულებანი, ტ. 1–5, თბ., 1977–79; რა მოხდა აბაშაში, თბ., 1977; რჩეული (ორ ტომად), თბ., 2005.

ლიტ.: თევზაძე დ., კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თბ., 1969; იმედაშვილი კ., ადამიანი და დრო, თბ., 1967; კალანდაძე ლ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1972; მერკვილაძე გ., რომანი და ეპოქა, თბ., 1973; მწერალთა ავტობიოგრაფიები, წგ. 2, თბ., 2013.

დ. თევზაძე.

ლორთქიფანიძე კონსტანტინე ტარიელის ძე (28. X. 1865, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი – 26. VIII. 1939, თბილისი), თერაპევტი. 1893 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სოფ. დიდ ჯიხაიშში, შემდეგ კი ნუხაში, ბაქოში და სხვ. 1918 იყო თბილ. მიხეილის საავადმყოფოს თერაპიული განყ-ბის გამგე, 1919-იდან კი – ქალაქის I საავადმყოფოს მთ. ექიმი.

იკვლევდა მუცლის ტიფის, ტუბერკულოზის, მალარიის, ღვიძლის აბსცესის, აორტის ანევრიზმის, კუჭის სეკრეციის მოშლის, კურორტოთერაპიისა და სხვ. საკითხებს.

ლ-მ, პირველმა შემოიღო ამიერკავკასიაში, ტუბერკულოზით დაავადებულთა ხელოვნური პნევმოთორაქსით მკურნალობის მეთოდები.

თხზ.: ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის შესახებ ხელოვნური პნევმოთორაქსით, ,,საქართველოს ჯანსახკომის მოამბე'', 1924,№6.

ლიტ.: წულუკიძე ა., მე-19 საუკუნის ქართველი ექიმები, თბ., 1961.



კ. ა. ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული (28. VIII. 1922, თბილისი, – 8. I. 2018, იქვე), ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კ. 1983), ისტორიის მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1943). 1947-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად, 1948-იდან – თსუ-ში. 1972–97 იყო საქართვ. ისტ. კათედრის გამგე. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართვ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის, გლეხობისა და ქართ. ისტ. აზროვნების საკითხებს; საქართვ. ურთიერთობას სომხეთთან, ახლო აღმ. ქვეყნებთან; ეწეოდა ისტორიოგრაფიული ხასიათის მუშაობას; რუსულად თარგმნა ქართ. საისტორიო მწერლობის ძეგლები („მატიანე ქართლისა'', სუმბატ დავითის ძის ,,ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა''). დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში. იგი აქტიურად იცავდა საქართვ. ისტორიას გამყალბებლებისგან. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილ. ისტორიის შესწავლაში. იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (1988). ლ-ს მიღებული აქვს ქართ. მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2009).



მ. დ. ლორთქიფანიძე.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.), თბ., 1963; ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966; რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966; ქართლი V ს. II ნახევარში, თბ., 1979; რა არის ,,ქართლის ცხოვრება'', თბ., 1989; აფხაზები და აფხაზეთი (ქართულად, რუსულად, ინგლისურად), თბ., 1990; საქართველოს ისტორია, მთ. რედ., თბ., 2006 (თანაავტ.); История Грузии XI – нач. XIII вв., Тб., 1974.

ლიტ.: მეტრეველი რ., მარიამ ლორთქიფანიძე, თბ., 2012.

რ. მეტრეველი.



ნ. მ. ლორთქიფანიძე.

ლორთქიფანიძე მიხეილ (კვასკა) სოლომონის ძე (25. X. 1914, თბილისი, – 8. I. 1990, იქვე), არქიტექტორი. საქართველოს დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტის არქიტ. განყ-ბა (1936). 1937-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1975-იდან – პროფესორი). 1949–62 იყო საქართვ. არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პ/მგ. მდივანი, 1970–75 – თავ-რის მოადგილე. მის მიერ დაგეგმარებულ შენობა-ნაგებობათა შორისაა თბილისში მუშათა კულტურის სახლი ,,ისანი“ (1970, არქიტ. ა. ჩიქოვანთან ერთად), ექსპერიმენტული საცხოვრებელი მიკრორაიონი ბახტრიონის ქუჩაზე (XX ს. 70-იანი წწ.), ღვინის ქ-ნები სოფ. მანავსა და სოფ. ვაჩნაძიანში (1941) და სხვ.

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.

ლორთქიფანიძე ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე [17(29). IX. 1880, სოფ. ჩუნეში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 25. V. 1944, თბილისი], მწერალი. სწავლობდა ქუთ. კლასიკურ გიმნაზიაში, საშ. სასწავლებელი ვლადიკავკაზში დაასრულა. თავდაპირველად სწავლა განაგრძო ხარკოვის უნ-ტში, შემდეგ – ავსტრიაში, ლეობენის სამთო აკადემიაში. 1907 სამშობლოში დაბრუნდა. ასწავლიდა გერმ. ენას თბილ. და ქუთ. სკოლებში, საქართვ. ინდუსტრიულ ინ-ტში (1928–40), შემდეგ იქვე იყო უცხო ენათა კათედრის გამგე, 1921–24 – ხელოვნ. მუშაკთა კავშირის თავ-რე. ლიტ. მოღვაწეობა 1902 დაიწყო. ლ-ის ნაწარმოებები იბეჭდებოდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში: ,,ნიშადური“, ,,საქართველო“, ,,ივერია“, ,,თეატრი და ცხოვრება“, ,,დროება“, ,,სახალხო გაზეთი“, ,,თემი“, ,,კოლხიდა“ და სხვ.

ლ-მ იმთავითვე მიიქცია ყურადღება როგორც უაღრესად ჰუმანური იდეების გამომხატველმა შემოქმედმა. მისი ლიტ. მემკვიდრეობა გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და ჟანრთა ნაირსახეობით. მან თავისი მინიატიურებითა და ნოველებით ეროვნ. ლიტ-რაში საფუძველი ჩაუყარა თვისებრივად ახალ ტენდენციებს და მხატვრული გამოხატვის სრულიად ორიგინალურ ფორმებს. ლ-მ გასული საუკუნის დასაწყისში ქართ. მწერლობაში გზა გაუხსნა ევრ. მოდერნიზმს და, როგორც იმპრესიონისტმა ნოველისტმა, ახ. იმპულსებით გაამდიდრა ქართ. სულიერი კულტურა. მის კალამს ეკუთვნის 200-მდე მინიატიურა, ნოველა და მოთხრობა, 1 რომანი და 2 პიესა. ლ-ის მხატვრული ოსტატობა სრულყოფილად გამოვლინდა მცირე ჟანრის ნაწარმოებებში. მან სხვადასხვა ცხოვრებისეული ასპექტი ემოციურ სინამდვილედ აქცია, უფაბულო მინიატიურები ლექსისებურად აამეტყველა. პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშებია ლ-ის ღრმა ლირიზმით გამსჭვალული ის მინიატიურები, რ-ებშიც სამშობლოს მძიმე ხვედრით გამოწვეული წუხილია ასახული (,,მოლოდინში“, 1908; ,,მრცხვენია“, 1909; ,,საქართველო იყიდება“, 1910; ,,რეკა“, 1911 და სხვ.). სიუჟეტიან ლიტ.-ეპიკურ ნაწარმოებებში, რ-ებიც, ძირითადად, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ამბებზეა აგებული, მწერლის ყურადღების ცენტრშია ე. წ. ,,პატარა ადამიანი“, დიდბუნებოვანი, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობით დაჩაგრული (,,პატარა კაცი“, ,,მარად და მარად“, 1912; ,,ცხოვრება სალომიკასი“, ,,სენტიმენტალური ნახატები“, 1914; ,,საბა“, 1916; ,,ტრაგედია უგმიროთ“, 1922; ,,თავსაფრიანი დედაკაცი“, 1926 და სხვ.). მწერლის თანაგრძნობა ამ დიდებულ ადამიანთა მიმართ, რ-ებიც ,,უძეგლოდ იკარგებიან“, გარკვევით ჩანს თხზულების მეტყველ ქვეტექსტებსა და მკაფიოდ გამოხატულ ინტონაციურ ნიუანსებში.

ლ-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ფეოდ. ხანის ამსახველი თხზულებები: ,,მრისხანე ბატონი“ (1912), ,,ჟამთა სიავე“ (1920), ,,რაინდები“ (1924), ,,ქედუხრელნი“ (1946), რ-ებიც მთლიანად ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა ადეკვატურად ასახავს საქართვ. წარსულს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ დამღუპველ მოვლენებზე, რ-ებიც არღვევდა საქართვ. ეროვნულ სიმტკიცეს.

ფეოდ. კლასის დეგრადაცია, კაპიტალიზმის შემოჭრასთან დაკავშირებული მემამულეთა სრული გაპარტახება არის ასახული ,,დანგრეულ ბუდეებში“ (1917). იგი რამდენიმე ნოველისაგან შედგება. თავად-აზნაურთა წარსული და აწმყო აქ ავტორის მსოფლმხედველობრივ ფოკუსშია გატარებული. მწერლის ფხიზელ მზერას თან გასდევს სევდიანი განცდაც, რ-იც თხზულებას თავისებურ ლირიზმს ანიჭებს.

ლ-ის შემოქმედებაში თანაბარი სიძლიერით არის წარმოდგენილი ლირიზმი და იუმორი, რ-ებიც მწერლის ტალანტის მრავალმხრივობაზე, მის ფართო დიაპაზონზე მეტყველებს. წმინდა სატირული მოთხრობებია ,,რუმბი“ (1911) და ,,ქაღალდის კაცი“ (1920); იუმორისტულია ,,ბუმბერაზი“ (1911), ,,ოდელია, დელია“ (1920), ,,სოფლის აშიკი“ (1921), ,,ეპისკოპოსი ნადირობაზე“ (1926) და სხვ. მინიატიურაში ,,ბებრები“ (1920) მსუბუქ იუმორს ერწყმის ლირიზმი. ლ-ის ლირ. და სატირულ-იუმორისტულ თხზულებებს ერთი საფუძველი აქვს: ცხოვრების რეალისტური ასახვა, კონკრეტულობა და დამაჯერებლობა.

ლ-ის თხზულებათა ერთ ნაწილს ლეგენდარულ-ზღაპრული შინაარსი უდევს საფუძვლად (,,ავადმყოფი დედა“, 1909; ,,მოწყენილი ანგელოზი“, ,,უკვდავი გველი“, 1910; ,,ერთ ტაფაში“, 1911; ,,ვენერას პირველი ნაბიჯი“, 1916 და სხვ.). მწერლის სტილი აქ განსხვავებულია, ერთმანეთს ენაცვლება ფანტასტიკა და სინამდვილე. ამაღლებული ინტონაცია, არქაიზმების სიჭარბე, სიტყვათა ინვერსიული წყობა და სხვ. ქმნის ამგვარ თხზულებათა პათოსს.

ლ-ის ერთადერთ რომანში ,,ბილიკებიდან ლიანდაგზე“ (1928) მოქმედება მიმდინარეობს რუსეთის პირველი რევ. დამარცხებიდან I მსოფლიო ომის დაწყებამდე. ხაზგასმულია ორი ეპოქალური ტენდენცია: ძველი ლიბერალიზმის თანდათანობითი დეგრადაცია და ახალი რევოლუციური ცნობიერების ჩამოყალიბება საზოგადოების ყველაზე ,,პერსპექტიულ კლასში“ (გ. ასათიანი, ტ. 3. ,,თანამდევი სულები“). აღსანიშნავია მოთხრ. ,,მოქანდაკე“ (1936), პიესები ,,ქეთო“ (1914) და ,,შეუთანხმებლები“ (გამოქვეყნდა 1953).

ლ-მ, როგორც მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატმა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა XX ს. ქართ. პროზის განვითარება.

ლ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებათა სრ. კრ. ოთხ ტომად, ტ. 1–2, თბ., 1934–37; გამოც. მე-2, ტ. 1–2, თბ., 1958–59; გამოც. მე-3, ტ. 1–4, თბ., 1973–81; რჩეული ნაწარმოებები (3 ტომად), თბ., 2012.

ლიტ.: აბრამიშვილი ე., ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 1977; ასათიანი გ., თანამდევი სულები, ტ. 3, თბ., 2002; ბეჟანიშვილი რ., ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 1969; ბურჯანაძე რ., იმპრესიონიზმი და ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 2005; გრიგალაშვილი ნ., ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 1992; მილორავა ი., ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული დრო და სივრცე, თბ., 1995; ჟღენტი ბ.,

ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 1972; ცისკარიძე ვ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972; ჭილაია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972.

ე. აბრამიშვილი.

ლორთქიფანიძე ნიკოლოზ გიორგის ძე (19. VII. 1901, ქუთაისი, – 14. XII. 1981, თბილისი), პედაგოგი, ბიბლიოგრაფი. თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის გამგე, დოცენტი, საქ. სსრ დამს. ბიბლიოთეკარი. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, თსუ-ის ეკონომიკის ფაკ-ტი (1925), პარალელურად მუშაობდა წითელი არმიის ქართ. დივიზიის ცენტრ. ბ-კაში. 1924-იდან, ჯერ კიდევ სტუდენტი, კითხულობდა ლექციებს პირველ საბიბლიოთეკო კურსებზე.


1925-იდან მუშაობდა საქართვ. წიგნის პალატაში რედაქტორ-ინდექსატორად (მისი რედაქციით გამოვიდა პირველი ქართ. გამოცემა ,,წიგნის მატიანე“), 1929–38 იყო საქართვ. რევ. მუზეუმის სამეცნ. ბ-კის გამგე, 1938-42 – საქ. სსრ სახელმწ. რესპ. ბ-კის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის გამგე, პარალელურად – დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, 1954-იდან – ა. პუშკინის სახელმწ. პედ. ინ-ტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი, 1961–74 – კათედრის გამგე. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. ლ-ის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საჯარო ბ-კის სტრუქტურა, პირველად მოაწყო წიგნის დამუშავების პროცესის ქრონომეტრაჟული გამოკვლევა, სათავე დაუდო საბიბლიოთეკო პროცესების ნორმირებას; მის წიგნებს: (,,ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები სსრ კავშირში“, ,,საბიბლიოთეკო კატალოგების ორგანიზაცია“ და ,,ბეჭდური გრაფიკის კატალოგიზება“) წლების განმავლობაში იყენებდნენ სახელმძღვანელოდ საბიბლიოთეკო სისტემაში.

ლ. თაქთაქიშვილი.

ლორთქიფანიძე ნინა ალექსანდრეს ასული (2. II. 1924, თბილისი, – 2009, იქვე), მოცეკვავე, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1967), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბუქარესტის (1953) და მოსკ. (1957) საერთაშ. ფესტივალების ლაურეატი. 1943 დაამთავრა თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრთან არსებული ქორეოგრ. სტუდია (ხელმძღვ. დ. ჯავრიშვილი). 1943–46 სწავლობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ხალხ. ცეკვის თვითმოქმედ სტუდენტურ ანსამბლში. 1946–67 იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (ხელმძღვ. ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი; ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართული ნაციონალური ბალეტი) სოლისტი. ანსამბლის რეპერტუარიდან ასრულებდა არაერთ სოლო პარტიას, ქმნიდა დასამახსოვრებელ ქორეოგრ. სახეებს. 1970-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თეატრალურ ინ-ტსა და საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის სკოლა-სტუდიაში.

ლორთქიფანიძე ნუგზარ (შალვა) ლევანის ძე (10. I. 1941, თბილისი, – 26. X. 2016, იქვე). რეჟისორი და პედაგოგი. კ. მარჯანიშვილის სახ. (1987) და საქართვ. სახელმწ. (2004) პრემიების ლაურეატი. 1967 დაამთავრა თეატრ. ინ-ტი დრამატული თეატრის რეჟისორის სპეციალობით. 1967–71 მუშაობდა რეჟისორად საქართვ. ტელევიზიაში. იყო თეატრ. გადაცემების წამყვანი, ტელევიზიის ლიტ.-დრამ. რედაქციისა და სატელევიზიო ჟურნალ „იავნანას“ რეჟისორი., 1971–75, 1983–96 – თეატრ. ინ-ტის პედაგოგი (მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის დოცენტი, შემდეგ კი – პროფესორი). ლექციებს კითხულობდა კულტურის ინ-ტში. 1975–82 იყო თელავის თეატრის მთ. რეჟისორი, 1982–87 – კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი; 1987–88, 1987-96 – საქართვ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის კონსულტანტი, შემდეგ – დრამ. თეატრების განყ-ბის გამგე, 1996–2005 – ქუთაისის აკადემიური და საოპერო თეატრების მთ. რეჟისორი.

საქართვ. სხვადასხვა ქალაქში დადგმული აქვს 60 მეტი სპექტაკლი, მ. შ. თბილისის საოპერო თეატრში – ზ. ფალიაშვილის „აბესალომი და ეთერი“; კინომსახიობთა თეატრში – „წუთისოფელი ასეა“ (კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია), შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“; სოხუმის თეატრში – „ირმის უკანასკნელი ბღავილი“(ო. მამფორიას ნოველის, ნ. აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, ლ. ასათიანის ლექსებისა და წერილების მიხედვით); გორის თეატრში – „ანა ფრანკის დღიური“ „სამეფოო, ძველთა ძველო“ (ა. წერეთლის პოეზიაზე დაფუძნებული წარმოდგენა), რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“; თელავის თეატრში – ფ. გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“; ქუთაისის თეატრში – რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“, ე. დე ფილიპოს „ფილუმენა მარტურანო“, ი. სამსონაძის „აბეშურა“ (საქართვ. სახ. პრემია) და სხვ.; ქუთაისის საოპერო თეატრში – პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“; თავისუფალ თეატრში – რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“; გრიბოედოვის თეატრში – ა. ოსტროვსკის „უკანასკნელი სიყვარული“, ი. ტურგენევის „მდგმური“ და სხვ. დადგა სპექტაკლები კიშინიოვის, ონეცკისა და ხარკოვის თეატრებში.



ნ. ლორთქიფანიძე.

არის შემდეგი პიესების ავტორი: „დალაქი“, „სამეფოო, ძველთა ძველო/ გუშინწინ, გუშინ, დღეს“, „წუთისოფელი ასეა“, „თქვენო აღმატებულებავ“, „სიყვარული ძნელია“, „კბილის ექიმის თავგადასავალი“. მიღებული აქვს ა. წერეთლისა და ს. ახმეტელის პრემიები. ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი“ ლ-ის სპექტაკლს „სამეფოო ძველთა ძველო“ გადაეცა გრან-პრი (2003).



ნ. ა. ლორთქიფანიძე.

არაერთი ადგილ. და საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის მონაწილე და ჟიურის წევრი.

ლორთქიფანიძე ოთარ დავითის ძე (30. X. 1930, თბილისი, – 18. V. 2002, ბორჯომი), ისტორიკოსი, არქეოლოგი. საქართვ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (2001; 1997-იდან წ.-კორ.), ისტ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967), სახელმწ. პრემიის ლაუ-



სცენა სპექტაკლიდან ,,წვიმის გამყიდველი‘‘. რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე

რეატი (2002). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი საქართ. ისტორიის სპეციალობით (1953). 1955 უნ-ტმა ლ. მიავლინა ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) უნ-ტის ანტიკური ისტ. კათედრაზე. 1957-იდან ლ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. 1960-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად; მონაწილეობდა მცხეთის, ხოვლეს, ვანის, ბიჭვინთის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, მირმეკიონისა და ილურატის (ყირიმი) საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში, 1966-იდან სიცოცხლის ბოლომდე კი ხელმძღვანელობდა ვანის არქეოლ. გათხრებს. 1972 დაინიშნა ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ სამეცნ. ნაწილში. 1977 ლ-მ ჩამოაყალიბა არქეოლ. კვლევის ცენტრი, რ-ის უცვლელი დირექტორი იყო გარდაცვალებამდე.


ო. ლორთქიფანიძე.

ლ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. მონოგრაფიების ავტორია, რებშიც განხილულია საქართვ. და ძვ. სამყაროს არქეოლ. და ისტორიის საკითხები – ქართ. სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის გენეზისი, ბერძნ. კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში, ელინიზმი, კოლხეთისა და იბერიის ურთიერთობა ანტიკურ სამყაროსთან, კოლხეთის რელიგია და ა. შ. ნაშრომები გამოქვეყნებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მისი რედაქტორობით გამოვიდა მრავალი კრებული; იყო არაერთი საერთაშ. გამოფენის ორგანიზატორი. ლ-ს კონცეფციით შეიქმნა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის არქეოლ. გამოფენა და ვანის არქეოლ. მუზეუმი, საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ საერთაშ. სიმპოზიუმებს შავიზღვისპირეთის ისტ. და არქეოლ. (1977-იდან წყალტუბო–ვანი), ასევე ქართლის სამეფოს (კავკასიის იბერიის) ისტორიის (1997-იდან) საკითხებზე. ლექციებს კითხულობდა ევროპისა და აშშ-ის უნ-ტებში. არჩეული იყო გერმანიის არქეოლ. ინ-ტის წ.-კორესპონდენტად, კლასიკური არქეოლ. საერთაშ. ასოციაციის ნამდვილ წევრად, ესპანეთის საისტორიო მეცნ. სამეფო აკადემიის წ.-კორად, პოლონეთის არქეოლ. სამეცნ. საზ-ბის წევრად, კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთაშ. სამეცნ. კომიტეტის, აგრეთვე სამეცნ. ჟურნალების – „შავი ზღვა“ (რომი), „კოლოქვია პონტიკა“ (ოქსფორდი) და სხვა საერთაშ. სარედაქციო საბჭოების წევრად. იყო ვანის საპატიო მოქალაქე. მისი სახელი მიენიჭა ვანის არქეოლ. მუზეუმს და ქუჩას, აგრეთვე საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ არქეოლ. კვლევის ცენტრს.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ჰუმბოლდტის პრემია (2000).

ლიტ.: ოთარ ლორთქიფანიძე – სამეცნიერო მოღვაწეობის გზა, ძიებანი თბ., 2001 (დამატებანი, IV).

ლორთქიფანიძე რევაზ თეიმურაზის ძე (დ. 7. I. 1965, ბათუმი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1999). საერთაშ. მეცნ. აკადემიების წევრი. 1986 დაამთავრა თსუ-ის საინჟინრო-ეკონ. ფაკ-ტი. 1986–93 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართლის ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1993–98 – აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ, 2001–09 – საქართვ. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში (ახლანდ. ეკონ. და მდგრადი განვითარების სამინისტრო). 2001-იდან პარალელურად იყო პროფესორი თსუ-სა და სტუ-ში; 2010-იდან სასწ. უნივერსიტეტ ,,გეომედის'' პროფესორი და ჯანდაცვისა და ეკონომიკის ფაკ-ტის მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ლ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი სამეცნ. კვლევები ეხება საერთაშ. კონკურენციისა და მართვის საფუძვლების საკითხებს, სავალუტო სისტემის სრულყოფის მექანიზმებს.

თხზ.: ეკონომიკურ-სტრუქტურული პრობლემატიკა და მრეწველობის ძირითადი საწარმოო კაპიტალის ეფექტიანობა (საქართველო და მისი სამხრეთ-დასავლეთი: აჭარა), ბათ., 1992; ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების სტიმულირების თეორია (რეგიონალური ასპექტი), ბათ., 1997; ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ, თბ., 2005; მენეჯერული ხარჯების ეფექტიანობა ჯანდაცვაში, თბ., 2012.

ლორთქიფანიძე რუსუდან ალექსანდრეს ასული (9. VI. 1911, სოფ. გეგუთი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, –), თეატრის მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1961). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო საქართვ. პროფსაბჭოსთან არსებულ თვითმოქმედ თეატრ-სტუდიაში. მუშაობდა ბათუმისა (1931–32) და ფოთის (1936–51) თეატრებში. 1951-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო გორის გ. ერისთავის სახ. თეატრის მსახიობი. ლ-ს შესრულებული აქვს 120-მდე როლი, მ. შ. ხატიჯე (კ. კალაძის ,,ხატიჯე''), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), დედა (ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი''), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით), მართა (მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა''), ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), კაკალა (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), ლედი მილფორდი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული''), სუსანა (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია'') და სხვ. ლ. გამოირჩეოდა გარდასახვის ნიჭით. იგი ერთნაირი სიძლიერით ასახიერებდა დრამ. და კომედიურ როლებს.

ლორთქიფანიძე რუსუდან რევაზის ასული (დ. 5. VIII. 1947, თბილისი), არქიტექტორი. დოქტორი (1993), პროფესორი (1996), საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში (1998–2004), თსუ-ის რექტორი (2004–06). დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი (1970). 1975–97 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიაში მეცნიერ თანამშრომლად, პარალელურად (1977–98) ეწეოდა პედ. საქმიანობას სპი-ში (1990-იდან სტუ), არქიტექტურის ფაკ-ტზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. 3 მონოგრაფია. საკონკურსო პროექტები: სადიპლომო პროექტების საკავშ. დათვალიერება-კონკურსი (1971, I პრემია), თბილისში ბავშვთა კომპლექს „მზიურის“ კონკურსი (1977, I პრემია). ლ. 1994 მიიწვიეს რომში „ლა საპიენცას“ უნ-ტში. 2002 მიიღო რომის ანგელოზებისა და კონსტანტინეს ხელოვნ. მეცნიერებისა და ლიტერატურის აკადემიის საპატიო დოქტორის წოდება. ლ. დაჯილდოებულია სან-მარინოს (1987) და იტალიის (1995) ქალთა მოძრაობის მედლებით. მონაწილეობდა 1999 რომის პაპის იოანე პავლე II-ის საქართველოში ვიზიტის ორგანიზებაში (ეს იყო პაპის პირველი ისტ. ვიზიტი პოსტსაბჭოთა მართლმადიდებელ ქვეყანაში).

ლორთქიფანიძე ტარიელ ვლადიმერის ძე (23. III. 1938, ქუთაისი, – 29. I. 2001, თბილისი), პარტიული და სამხედრო მოღვაწე. გენერალ-მაიორი (1990). საქართვ. კომპარტიის სოხუმის ქალაქკომის მდივანი, შემდეგ აფხ. საოლქო კომიტეტის II მდივანი (1975–78); საქ. კპ ცკ განყ-ბის გამგე (1981–86); საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე (1988–89); საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რე (1989–91). 1992–2001 მუშაობდა თსუ-ში, პარალელურად

ხელმძღვანელობდა საერთაშ. სამეცნიერო–ტექნოლოგიური (TS) ცენტრის საინფორმაციო ბიუროს და მის საქართველოს რეგიონულ განყოფილებას.

ლორია აბესალომ მამანტის ძე (22. IV. 1922, თბილისი, – 27. I. 2001, იქვე), კინომსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1980). დაამთავრა სპი-ის მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1952). იყო ინ-ტის ჯაზ-ორკესტრის კონფერანსიე, საკონცერტო პროგრამების ავტორი და მონაწილე. სახასიათო ეპიზოდური სახეები შექმნა ფილმებში: ,,განაჩენი'' (1959), ,,უდიპლომო სასიძო'' (1961, ორივეს რეჟ. ლ. ხოტივარი), ,,პიერი – მილიციის თანამშრომელი'' (დალაქი, რეჟ. დ. რონდელი, 1965), ,,არ იდარდო!'' (აფთიაქარი სავლე, 1969), ,,მთლად წყალწაღებული'' (ალვარესი, 1972), ,,მიმინო'' (რადისტი, 1977), ,,პასპორტი'' (მატარებლის უფროსი, 1991; ოთხივეს რეჟ. გ. დანელია, ,,მოსფილმი''); ,,ცოტნე დადიანი'' (მსახური, რეჟ. ა. ჟღენტი, 1972), ,,ვერის უბნის მელოდიები'' (იაშკა, რეჟ. გ. შენგელაია, 1973), ,,ივანე კოტორაშვილის ამბავი'' (მღვდელი, რეჟ. ნ. მანაგაძე, 1974), ,,ყვარყვარე'' (გამომძიებელი, რეჟ. დ. აბაშიძე, 1978), ,,მეცამეტე გოჭი'' (აბესალომი, რეჟ. რ. ჭარხალაშვილი, 1979), ,,თეირანი-43'' (იუზბაში, რეჟ-ები: ა. ალოვი, ვ. ნაუმოვი, 1980, სსრკ-შვეიცარია-საფრ.), ,,ამბავი სურამის ციხისა'' (რეჟ. ს. ფარაჯანოვი, დ. აბაშიძე, 1984), ,,ოჰ, ეს საშინელი, საშინელი ტელევიზორი'' (რეჟ. თ. ფალავანდიშვილი, 1990), ,,გაჭედილები'' (რეჟ. გ. მგელაძე, 2002) და სხვ. ლ-ის შესრულებული როლები გამოირჩეოდა უშუალობით, გულწრფელობით, ცხოვრებისეული სიმართლით.

მ. კერესელიძე.

ლორია ვალერი ამბერკის ძე (22. I. 1936, ბათუმი, – 30. VIII. 2011, თბილისი), იურისტი, ადმინისტრაციული სამართლის მკვლევარი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1980), პროფესორი (1982). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1959), 1960–2005 მუშაობდა თსუ-ში, იყო იურიდ. ფაკ-ტის დეკანი (1970–75), სამართ. საფუძვლების (1989–2001) და ადმ. სამართ. კათედრების გამგე (2001–05).

ლ-ს სამეცნ. ინტერესის სფეროა ადმ. წარმოების სახეების ჩამოყალიბების კანონზომიერების მიგნება და ახსნა, ასევე ადმ. პასუხისმგებლობის განსხვავების დადგენა სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ. შ. 3 სახელმძღვანელო. იყო საქართვ. 1995 წ. 24 აგვ. მიღებული საქართვ. რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის, ასევე საქართვ. ზოგადი ადმ. კოდექსისა და საქართვ. ადმ. საპროცესო კოდექსის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის წევრი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ივ. ჯავახიშვილის მედალი (2002) და ღირსების ორდენი (2003).

თხზ.: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, თბ., 2002; საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2005; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2008 (მთ. რედ. და თანაავტ.).

ა. ლორია.

ლორია თეიმურაზ უშანგის ძე (დ. 2. I. 1951, სოფ. ნოღა, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), გენერალ-მაიორი (1996). იყო საქ. სსრ სამხ. კომისრის (1990–91) და საქართვ. თავდაცვის მინისტრის (1991–92), მოადგილე, შეიარაღებული ძალების ზურგის უფროსი (1996–98), თავდაცვის მინისტრის მოადგილე (2001 მაისი-აგვ.), ლოგისტიკის ცენტრის უფროსის მოადგილე (2001–04 მარტამდე). 2018–19 იყო საქართვ. პრეზიდენტის მრჩეველი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა (1982) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1996) ორდენებით.

ლორია პარმენ ონისიმეს ძე [18 (30). VII. 1896, სოფ. ქვაყურე, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 17. III. 1978, ბათუმი], მწერალი. 1932–52 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის აჭარის განყ-ბის პ/მგ მდივანი. პირველი ნაწარმოები ,,კერპები ქვეყნად'' 1920 გამოაქვეყნა. პოპულარული იყო ლ-ს რომანები ,,ჩაი'' (1936–38) და ,,დელი მურადი'' (შემდეგ ეწოდა ,,განთიადი ხევში''; 1939, 1980, 1986), რ-ებშიც მწერალმა ასახა აჭარაში საბჭ. ყოფის დამკვიდრება. რომანი ,,მევლუდ'' (1941, 1996) ეხება აჭარელთა ბრძოლას მეფისა და ადგილ. ხოჯა-ბეგების ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ასევე რომანები: ,,მაღაროებში'' (1954), ,,შვილები'' (წგ.: 1–2, 1956, 1958), ,,საიმედო მომავალი'' (1965); მოთხრობების კრებ. ,,ფრონტზე და ზურგში'' (1943); პიესები: ,,ნაირა'' (1950, 1992), ,,დინარა'' (1959), ,,მეგობრობა'' (1971); იუმორისტული მოთხრობების კრებ. ,,ბახვაძის დედაბერი'' და სხვ.


მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თხზულებები 2 ტომად, ბათ., ტ. 1–2, 1970–71; ჩემი პატარა ოჯახი, ბათ., 1962.

ლიტ.: მწერალთა ბიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013; ქურციძე შ., ლიტერატურული წერილები, ბათ., 1955; ჩავლეიშვილი ა., ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, ბათ., 1962.

დ. თევზაძე.

ლორიაშვილი დავით ავთანდილის ძე (დ. 10.VII. 1986, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი), სპორტსმენი (სამბო, ძიუდო). სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი (2015), სამგზის მეორე (2017, 2019, 2022) და ოთხგზის მესამე (2011, 2014, 2016, 2018) პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (2014–15, 2018) და ორგზის მესამე პრიზიორი (2016, 2021), მსოფლიოს ჩემპიონების თასის მფლობელი (2015), ევროპული თამაშების ჩემპიონი (2019), მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. ძიუდოში მსოფლიოს თასის მეორე (2008) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (2008–10, 2013).



დ. ლორიაშვილი.

ლორის განძი, ვერცხლის მონეტების განძი (2430 ც). აღმოჩენილია ლორის ციხის ნანგრევებთან 1830–31. განძი თავის დროზე პეტერბურგის აზიური მუზეუმის კოლექციის შემადგენლობაში შევიდა. მონეტების ცუდი დაცულობის გამო მხოლოდ მათი ნაწილის ატრიბუცია მოხერხდა. განძის 600 მონეტა ბიზანტიური ყოფილა; უფრო მართებული იქნება ვიფიქროთ, რომ ისინი ტრაპიზონული ასპრების იმიტაციას – *კირმანეულ თეთრს* წარმოადგენენ. 503 აღმოსავლური მონეტიდან 13 ჯუჩიდური (ოქროს ურდო) აღმოჩნდა, 22 – ჰულაგუიდური, 9 – ჯალაერიდების (ქართულად – ჯელაირების), 16 – თემურლენგისა და მისი მარიონეტების (სურ-



ა. ლორია. აბესალომ. კადრი ფილმიდან ,,მეცამეტე გოჭი''. რეჟისორი რ. ჭარხალაშვილი. 1979.

ღათმიში, მაჰმუდი) მიერ მოჭრილი, 47 – თემურიდების, 50 – შირვანშაჰების, 8 – ოსმანიდების (ოსმალების), 3 – მამლუქების, 90 – ყარა-ყოიუნლუსი, 9 – აყ-ყოიუნლუსი, ხოლო 67 – ქართული მონეტა. მათი უმრავლესობა მოჭრილია ალექსანდრე I-ის სახელით და დათარიღებულია ,,რ'' ქრონოგრამით (=100 წ., ანუ 1412), ხოლო რამდენიმე მიეკუთვნება გიორგისა და კონსტანტინეს (არ ჩანს, გიორგი VII და კონსტანტინე I, თუ გიორგი VIII და კონსტანტინე II). განძის აღმოსავლური მონეტების უკიდურესი თარიღებია 1343–1426, ე. ი. 1426-ზე ადრე განძის ჩამარხვა ვერ მოხერხდებოდა. ლორე 1420–22, თუ 1431 ალექსანდრე I-მა საქართველოს შემოუერთა. ამით უნდა აიხსნას XV ს-ში ქართ. მონეტების ლოკაცია ლორეს მიდამოებში.

ლიტ.: აბდალაძე ა., XV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიდან, ,,მაცნე, ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია'', 1976, №3; დუნდუა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, в. 1, Баку, 1926.

გ. დუნდუა.



ქ. ლოსაბერიძე.

ლორის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1801. მაზრის ცენტრი იყო თბილისი. 1802 ყოფ. ქართლ-კახეთის სამეფოს მაზრებად დაყოფის საფუძველზე ლ. მ-მ მოიცვა ქვემო ქართლის, შამშადილის, ყაზახის, ბორჩალოსა და ბამბაკის ტერიტორიები. 1804 ლ. მ-ს ეწოდა თბილისის მაზრა.

1921 საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციის შემდეგ ქართველმა ბოლშევიკებმა ლ. მ. სომხეთს გადასცეს.

ლორის-მელიქოვი ივანე ეგორის ძე (1834, თბილისი, – 3. III. 1878, ყარსი, დაკრძალულია თბილისში), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1873), რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე. 1857-იდან მსახურობდა კავკ. არმიაში. იყო სევერსკის დრაგუნთა მე-13 პოლკის (1865–73), კავკასიის საკავალერიო დივიზიის 1-ლი ბრიგადისა და მე-2 საკავალერიო დივიზიის მეთაური (1875–78).

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე [21. X. 1825, თბილისი, – 12(24). XII. 1888, ნიცა (საფრ.), დაკრძალულია თბილისში], გრაფი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი (1865), სახელმწ. საბჭოს წევრი (1880-იდან). XIX ს. 40-იან წლებში მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ, ყირიმის (1853–56) და რუს.-ოსმ. (1877–78) ომებში. 1875 მიიღო კავალერიის გენერლის წოდება. 1880–81 იყო რუს. იმპერიის შს მინისტრი. 1881 გადადგა და უმეტესად ცხოვრობდა საზღვარგარეთ.

ლორჯომის კლდე, ალევის კლდე, უნაგირა, მთა ახალგორის მუნიციპალიტეტში, ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე. ზ. დ. 1973 *მ.* ორმაგი მასივია ქარაფოვანი მაღალი სამხრ. კედლით. აგებულია ზედაიურული კირქვებით. შემოსილია სუბალპ. ტყითა და მდელოებით.

ლოსაბერიძე ალექსანდრე ანდრიას ძე (4 (17). III. 1903, სოფ. მანდიკორი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 14. III. 1972, თბილისი), ჰიდროტექნიკის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961), ტექ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1966). დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ; 1930). შრომითი საქმიანობა დაიწყო ,,ზაჰესის'' მშენებლობაზე (1924-იდან). მისი ტექნიკური ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დამუშავდა 25 ჰესის პროექტი, მათ შორის 20 საქართველოში, 2 რუმინეთში და 3 ბულგარეთში, არის ჰესების ორიგინ. პროექტების ავტორი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ენგურჰესის ოპტიმალური პროექტის დამუშავებაში. წლების განმავლობაში იყო სპი-ის ჰიდროტექნიკის კათედრის გამგე (1955-იდან); ,,ჰიდროპროექტის'' მთავარი ინჟინერი (1965–72).

ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება ჰიდროტექ. ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდებს, აგრეთვე საქართვ. ძვ. სარწყავი სისტემების არხებისა და წყალსადენების გამოკვლევა-აღდგენას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938; Кольцевые конструкции гидротехнических сооружений, Тб., 1964.

ლოსაბერიძე ანდრო ალექსანდრეს ძე (20. V. 1929, თბილისი, – 27. VIII. 1990, ბათუმი), მეცნიერი სამშ. მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. მექანიკის ფაკ-ტი (1952).

1960-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტში (ახლანდ. სსიპ კ. ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტი); 1960–90 იყო სამშ. მექანიკისა და ინსტრუმენტების განყ-ბის გამგე; 1990-იდან გარდაცვალებამდე ინ-ტის დირექტორი; პარალელურად 1977-იდან – სპი-ის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე. ავტორია სამეცნიერო ნაშრომების, რ-შიც განხილულია თანამედროვე სამშენებლო მანქანებისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის პრიორიტეტული საკითხები. მის მიერ შემოთავაზებული ორიგინ. მეთოდი უნივერსალურია სხვადასხვა ტიპის საინჟინრო ნაგებობაზე სტატიკური და დინამიკური ზემოქმედების გაანგარიშებისათვის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ტექნიკური მექანიკა (თეორიული მექანიკა, მასალათა გამძლეობა), თბ., 1986 (თანაავტ.: ა. გორგიძე, დ. დანელია); დრეკადობის და პლასტიკურობის თეორია, თბ., 1991 (თანაავტ.: დ. დანელია).

ლოსაბერიძე ქეთევან ბაგრატის ასული (1. VIII. 1949, სოფ. ლექერეთი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 23. I. 2020, თბილისი), სპორტსმენი (მშვილდოსნობა). XXII ოლიმპიური თამაშების (1980, მოსკოვი) ჩემპიონი, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1980), დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი (1970). სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1971); მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1973, 1981); ევროპის ჩემპიონი ინდივიდუალურ (1972) და გუნდურ (1972, 1978, 1980) შეჯიბრებებში; სსრკ ჩემპიონი (1973, 1979) და მესამე პრიზიორი (1971, 1972, 1974, 1975, 1981); სსრკ თასის მფლობელი (1972, 1978); სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979); მრავალი საერთაშ. ტურნირის გამარჯვებული. იყო საქართვ. მშვილდოსნობის ეროვნ. ფედერაციის პრეზიდენტი (2002–05). საქართვ. წლის საუკეთესო სპორტსმენი (საქართვ. სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი, 1980). 1999 საქართვ. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვით ლ. დასახელდა XX ს. საქართველოს საუკუნის სპორტსმენის საუკეთესო ქალ სპორტსმენთა სიაში.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით (2018).

ლოსევი ალექსეი თეოდორეს ძე (23. IX. 1893, ნოვოჩერკასკი, – 24. V. 1988, მოსკოვი), ფილოსოფოსი,

ფილოლოგი, მთარგმნელი. პროფესორი (1919), ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1943). 1911 დაამთავრა კლასიკური გიმნაზია. 1915 – მოსკოვის საიმპერატორო უნ-ტის ისტ.-ფილოლოგიის ფაკ-ტი. ლ-ს ურთიერთობა ჰქონდა რუს. ინტელექტუალური აზრის საუკეთესო წარმომადგენლებთან – ვ. ივანოვთან, ს. ბულგაკოვთან, ი. ილინთან, ს. ფრანკთან, ე. ტრუბეცკოისთან, პ. ფლორენსკისთან. XX ს. 20-იან წლებში შექმნილ ნაშრომებში ლ. ყოფიერებისა და აზროვნების უნივერსალური მოდელების გააზრებას, მეტაფიზიკური პოზიციების დასაბუთებას, ძირითადად, ქრისტ. მეტაფიზიკის, ნეოპლატონური დიალექტიკის ქრისტ. რეცეფციის, ჰეგელის დიალექტიკური მეთოდისა და ჰუსერლის ფენომენოლოგიის გავლენით ახორციელებდა; განავითარა ე. წ. ,,ენერგეტიკული სიმბოლიზმის“ კონცეფცია. 1929 მალულად ბერად აღიკვეცა. 1930 ანტიმარქსისტული წიგნისთვის ,,მითის დიალექტიკა“, ე. წ. მებრძოლი იდეალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და გულაგში გადაასახლეს, საიდანაც დაინვალიდებული 1933 გაათავისუფლეს. აკრძალული ჰქონდა ფილოს. ტექსტების გამოცემა, მხოლოდ ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ (1953) შექმნა მონუმენტური ფილოს. ნაშრომი: ,,ანტიკური ესთეტიკის ისტორია“ (8-ტომეული, 1963–88); ,,აღორძინების ესთეტიკაში“ (1978) სიღრმისეულად და ორიგინალურად არის გააზრებული დას. კულტურისა და ისტ. პროცესის შინაგანი ლოგიკა, რენესანსისა და ჰუმანიზმის ფილოს. საფუძველი ნეოპლატონიზმის, ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის ნეოპლატონური თვალსაზრისის სახით.

ლ. კარგად იცნობდა ქართულ ფილოს. აზროვნებას. იგი შუა საუკუნეების ქართველ მოაზროვნეებს მიიჩნევდა ნეოპლატონურ-არეოპაგიტული რენესანსის დამწყებებად ევროპაში და ხაზგასმით აღნიშნავდა ნეოპლატონიზმის თავისებურებას მათ ნააზრევში (,,სიტყვა ქართულ ნეოპლატონიზმზე“, 1986); აკად. ნ. კონრადთან ერთად არსებითად იზიარებდა შ. ნუცუბიძის ,,აღმოსავლური/ქართული რენესანსის თეორიას“. ლ. ,,ქართული ნეოპლატონიზმის“ ერთ-ერთ თეორეტიკოსადაც გვევლინება.

თხზ.: დუმბაძე, მთარგმნ. თ. ჩხენკელი, თბ., 1993; აღმოსავლური რენესანსი. ჩინეთი, ირანი, სომხეთი, საქართველო, მთარგმნ. მ. მახარაძე, პ. ჩხეიძე, ბათ., 2005; მითის დიალექტიკა და სხვა ნაწარმოებები, მთარგმნ. ვ. რცხილაძე, თბ., 2017; აღმოსავლური რენესანსი: საქართველო, მთარგმნ. გ. კუჭუხიძე// ,,სჯანი“, 2020, №21; Эстетика Возрождения, М., 1978; Владимир Соловьёв, М., 1983; История античной философии: в конспективном изложении, М., 1989; Жизнь: повести, рассказы, письма, СПб, 1993.

ლიტ.: მახარაძე მ., რენესანსი, ჰუმანიზმი და XI–XII საუკუნეების საქართველო, თბ., 2003; სირაძე რ., ა. ლოსევი და ქართული რენესანსის პრობლემები, წგ.: ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბ., 1987; ქართული რენესანსის საკითხები, რედ. შ. ხიდაშელი, თბ., 1988; ხიდაშელი შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია (IV–XIII სს.), თბ., 1988; Алексею Федоровичу Лосеву. К 90-летию со дня рождения Сборник статей, ред. Г. В. Тевзадзе, сост. В. В. Гогуадзе, Тб., 1983.

ლ. ზაქარაძე.

ლოსიათხევის ბრძოლა 1790 ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის *სოლომონ II-სა* და დავით II-ს შორის. სოლომონ II-ს მხარს ერეკლე II და მისი ცოლისძმა, გრიგოლ დადიანი უჭერდნენ. ქართლ-კახეთის რაზმებს ერეკლე II-ის შვილიშვილი, იოანე გიორგის ძე სარდლობდა. დავით II დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა, ტახტი ისევ სოლომონ II-მ დაიკავა.

ლიტ.: გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18–19 საუკუნეთა მიჯნაზე, თბ.; 1979; დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ), თბ., 1989; ხახანაშვილი ა. სოლომონ II, ტფ., 1911.

ლოსოვი ოტო ჰერმან ფონ (15. I. 1868, ჰოფი, ბავარია, – 25. XI. 1938, მიუნხენი), გერმანელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1916). 1918 მაისში საქართვ. დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და მხარდამჭერი გერმანიაში. 1886–88 სწავლობდა მიუნხენის სამხ. აკადემიაში. 1912–13 მონაწილეობდა ბალკანეთის ომში, თურქული ქვეითი დივიზიის მეთაურის რანგში. I მსოფლიო ომის დროს თავდაპირველად იბრძოდა დას. ფრონტზე, 1915-იდან კონსტანტინოპოლში სამხედრო ატაშედ დაინიშნა. 1916 იქვე გახდა გერმანიის სამხ. რწმუნებული. ლ. და სხვა გერმ. სამხ. მაღალჩინოსნები კავკასიას ოსმალეთის გავლენის ზონად მიიჩნევდნენ და I მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ მისთვის დათმობას აპირებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც ლ. კარგად გაეცნო ვითარებას, თურქეთის მისწრაფებების შეზღუდვას დაუჭირა მხარი. ლ. აცნობებდა ა. *ჩხენკელს,* რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებდა მოლაპარაკებაში შუამავლის როლს, თუ ამიერკავკ. ფედერ. რესპ. დაიშლებოდა და საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა. ლ. ღიად გადავიდა კავკასიის დამოუკიდებლობის მომხრეთა რიგებში და აქ გერმ. ჯარების გაგზავნას დაუჭირა მხარი. იგი უშუალოდ აწარმოებდა მოლაპარაკებას ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელ ა. ჩხენკელთან. ლ-ს მხარდაჭერით მოხდა 1918 წ. 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რ-ის გამოცხადების შემდეგ სწორედ გერმანია გახდა მისი დამოუკიდებლობის გარანტი. მალევე ლ. გერმანიაში გაიწვიეს. 1924-იდან იგი სრულად ჩამოშორდა საჯარო სამსახურს.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921 წწ.), თბ., 2001; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია – ლექსიკონი, თბ., 2018; სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917–1918, თბ., 1998; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

გ. ასტამაძე.



ა. ლოსევი.

ლოსორიონი იხ. *ბათუმის ციხე.*

ლოტკინის გორა, მთა თბილისში, ქალაქის ჩრდ. მხარეს, გლდანი-ნაძალადევის რ-ნში. მტკვრის ტერასის (ლოტკინის ტერასა) შემორჩენილი ამაღლებული ნაწილი მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. სიმაღლე – 511 *მ.* აგებულია ალუვიონით. აღმ. კალთები დამრეცია, დას. – ციცაბო. განაშენიანებულია. 1848 შედგენილ თბილ. მიდამოების გეგმაზე აღნიშნულია ,,ლოტიკის თავის გორა“ და ,,ლოტიკის გორა“. სახელწ. ,,ლოტკინი“, ისევე როგორც ,,ლოტიკი“, დაუდგენელი ქართ. სიტყვის რუს. ტრანსკრიფციითაა ნაწარმოები. ლ. გ-ს აღრე იყენებდნენ საძოვრებად; აქ ცხვარი მოჰყავდათ გარე კახეთიდან და ქვემო ქართლიდან – გომარეთიდან (ახლანდ. დმანისის მუნიციპ.); პირველი მოსახლენიც სოფ. გომარეთიდან მოვიდნენ XX ს. 20-იან წლებში.

თ. ბერიძე.

ლოტო, იხ. სტ. *სათამაშო ბიზნესი.*

ლოქის მასივი, ძველი კრისტალურ-მეტამორფული დანაოჭებული სუბსტრატის შვერილი, სადაც საქართველოს უძველესი ქანებია გაშიშვლებული. მდებარეობს საქართველო–სომხეთის საზღვარზე, მდ-ების – ფინეზაურის, ჯანდარის, ლოქისწყლისა და ფოლადაურის შუა და ზემო დინებათა აუზებში. გეოტექტონიკურად წარმოადგენს ლოქ-ყარაბაღის სუსტად დანაოჭე-

ბული ზონის (იხ. *ლოქ-ყარაბაღის ზონა*) აზევებულ, გაშიშვლებულ და ღრმად გადარეცხილ ნაწილს. ლ. მ. ალპ. ოროგენეზისის დასაწყისისთვის უკვე კონსოლიდირებული სტრუქტურული ერთეული იყო, რასაც მისი ორსართულიანი აგებულება მოწმობს; კამბრიულის-წინა-ქვედაპალეოზოურ კრისტ. და მეტამორფულ ქანებს ტრანსგრესიულად ფარავს იურული, ცარცული და პალეოგენური ასაკის სუსტად დანაოჭებული ვულკანოგენური და დანალექი ქანები. სუბსტრატი უმთავრესად აგებულია გრანიტოიდული, ბაზიტური და მეტამორფული კომპლექსებით. მეტამორფული კომპლექსის ქანები იკვეთება ფუძე ქანების და შუა და გვიანპალეოზოური ასაკის გრანიტოიდული ინტრუზივებით.

ო. ხუციშვილი.

ლოქის უღელტეხილი, უღელტეხილი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში, ლოქის ქედზე. ზ. დ. 1838 *მ*. აკავშირებს მდ-ების – მაშავრისა (ხრამის მარჯვ. შენაკადი) და დებედის აუზებს. უღელტეხილის მიდამო აგებულია ეოცენური ვულკანოგენური ქანებით. შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყითა და სუბალპ. მდელოებით.

ლოქის ქედი, სომხითის ქედი, საშუალო სიმაღლის ქედი მცირე კავკასიონის მთათა სისტემაში, მდ-ების – მაშავრისა და დებედის წყალგამყოფი განედური ქედი. ჩრდ.-დასავლეთი კალთა საქართვ. ფარგლებშია, დანარჩენი – სომხეთის ტერიტ-ზე. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, რ-ებიც დაფარულია ცარცული და პალეოგენური ასაკის ვულკანოგენური წყებებით. უმაღლ. მწვერვალია ლალვერი (3545 *მ*, სომხეთი). ახასიათებს სამ. მთიანი რელიეფი სტრუქტურული, ეროზიული და დენუდაციური ფორმებით. კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, რ-ის ქვედა ნაწილში ჭარბობს რცხილა და მუხა, ზედა ნაწილში – წიფელი, გვხვდება ფიჭვის მცირე კორომებიც. ქედის ყველაზე მაღალ ნაწილში სუბალპ. მდელოებია.


გ. დევდარიანი.

ლოქის ციხე, შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლის განაპირა ნაწილში. აღმართულია ამავე სახელწოდების მთის ქედზე, რ-ის აღმ. კლდოვანი შემაღლება ციხეს უჭირავს (ამჟამად სომხეთის საზღვრებშია). ციხე კეტავდა ტაშირში გადამავალ უღელტეხილს, საიდანაც გზა სხვადასხვა მხარეს იტოტებოდა. ამ უღელტეხილთან იყრიდა თავს ლოქისწყლიდან და ფინეზაურიდან ამომავალი გზებიც. მიუდგომელი ციცაბო კლდის ნაპრალები ოდნავ მისაწვდომ ადგილებში მაღალი კედლებითაა ამოშენებული. სამშენებლო მასალად გამოყენებულია საშ. ზომის კვადრები და კირი. კედლის წყობა რეგულარულია. კედლები კარგადაა შემორჩენილი სამხრ., დას. და ჩრდ. მხარეს. შესასვლელი, სავარაუდოდ, სამხრ-იდან იყო, ჩრდ-ით კი ოთხკუთხა კოშკები ამოუშენებიათ. კლდის სამხრ. კალთის მცირე გამოქვაბულში ეკლესიაა. მისი დას., სამხრ. და საკურთხევლის კედლების ნახევარი ციხისავე ქვითა და წყობითაა ამოყვანილი. საკურთხევლის კედელში ადრეფეოდალური ხანის სტელაა ჩაშენებული, რ-ზეც გამოსახულია ,,ბოლნური მედალიონი''. სტელაზე წარმოდგენილი კომპოზიცია ძალიან წააგავს უკანგორის მცირე ეკლესიასთან ნაპოვნი ქვაჯვრის გამოსახულებას, რ-იც VI ს-ით თარიღდება. ვახუშტი ბატონიშვილი ლ. ც-ის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა რუკაზე ის აღნიშნული აქვს მდ. ბალიჭისხევის სათავეში, ლოქის მთის სოფლების სიაში კი 9 სოფელი აქვს ჩამოთვლილი.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, ,,ძეგლის მეგობარი'', 1968, №14; მისივე, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014.

დ. ბერძენიშვილი.

ლოქო, ჩვეულებრივი ლოქო (Silurus glanis Linnaeus, 1758), თევზი ლოქოსებრთა ოჯახისა (Siluridae), ლოქოსნაირთა რიგისა.



ლოქო.

თბილი წყლის მოყვარული მტაცებელი თევზია. სიგრძე – 5 *მ*-მდე, მასა – 300 *კგ*-მდე. სქესობრივად მწიფდება 3-4 წლისა, ტოფობს მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ნახევარ მეტრამდე სიღრმის მცენარეულობით მდიდარ ნელი დინების ადგილებში. ნაყოფიერება – 11000–50000 ქვირითი. ლიფსიტა იკვებება მცენარეებით, წვრილი თევზებით, წყლის მწერებით და სხვ., ზრდასრული ლოქო კი – მოზრდილი თევზებით, ბაყაყებით, იტაცებს წყალზე მცურავ ფრინველს და ცხოველსაც კი. საქართვ. ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ადგილ. ბინადარი ფორმა. გავრცელებულია დას. საქართველოში, შავი ზღვის აუზის თითქმის ყველა მდინარის ქვემო დინებაში, პალიასტომსა და ბებერისის ტბებში, აღმ. საქართველოში ყველაზე მეტია ალაზნის ქვემო დინებაში. მტკვარში გვხვდება გარდაბანთან, ასევე ხრამის ქვემო ნაწილსა და ჯანდარის ტბაში. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში, შავი ზღვის, კასპიისა და არალის ზღვების აუზებში. სამეურნეო მნიშვნელობის თევზია. შეტანილია ბერნის კონვენციის დანართში. ბუნების დაცვის საზ-ბის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ნ. ნინუა.

ლოქორა, ლოფორთქინა, ხმელეთის მუცელფეხიანი ფილტვიანი მოლუსკები. გარეგანი ნიჟარა არა აქვთ (მანტიაში არის რუდიმენტი კიროვანი ფირფიტის ან მარცვლების სახით). მათი სხეული ჭიისმაგვარი ან ცილინდრულია. ლ-ების უმეტესობა თამბაქოს, მინდვრის და ბოსტნის კულტურების მავნებელია.

ლოქ-ყარაბაღის ზონა, სომხით–ყარაბაღის ზონა, მცირე კავკასიონის შემადგენელი სუსტად დანაოჭებული ტექტონიკური ერთეული. გამოყო პ. გამყრელიძემ (1965). ჩამოყალიბდა ალპ. ტექტოგენეზის დროს მცირე კავკასიონის დანაოჭებისა და აზევების შედეგად. აგებულია ზედადევონური გნეისებრივი კვარციანი დიორიტებით, გვიანჰერცინული გრანიტოიდებით, კამბრიულამდელი პლაგიოგრანიტებით და ალოქტონურად განლაგებული ქვედა-შუაპალეოზოური მეტამორფული ფიქლებით, მეტაბაზიტებით და კამბრიულამდელი ოფიოლიტებით, რ-ებიც შეადგენენ ლ-ყ. ზ-ის კრისტალურ სუბსტრატს. ამ ზონის შედარებით სუსტად დისლოცირებული დანალექი საფარი წარმოდგენილია იურული, ზედაცარცული, შუაეოცენური ვულ-

კანოგენურ-დანალექი ქანებით, რ-ებიც ზონის დას. ნაწილში გადაფარულია ზედაპლიოცენურ-მეოთხეული კონტინენტური ვულკანური წარმონაქმნებით.

ე. გამყრელიძე.

ლოქჯანდარი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში (გუგუთის თემი), ლოქის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1450 *მ,* დმანისიდან 32 *კმ.* 173 მცხ. (2014).

ლოლარიკონი, ლოღარიკი, ლაღარიკი, წონის ერთეული XVI–XVIII სს. ოდიშში. გავრცელებული იყო იმერეთსა და გურიაში. უდრიდა 680 *გ.*

ლოშკინეთი, იხ. *კოშკინეთი.*

ლოცვანი, საღვთისმსახურო წიგნი, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების ლოცვებს შეიცავს. განასხვავებენ ლოცვათა ორ კრებულს – *კონდაკსა* და *კურთხევანს.* ლოცვათა უძველესი ქართ. კრებულები X ს-ით თარიღდება. მათი შედგენილობა საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლოწოგანი, ისტორიული ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. იკოთის (ახალგორის მუნიციპ.) ჩრდ.-აღმ-ით 4 *კმ* დაშორებით აღმართულ კლდეზე. ააგო კახეთის ქორეპისკოპოსმა ფადლა II-მ (X ს.). ლ. აკონტროლებდა მდ-ებს – ქსანსა და არაგვს შორის მოქცეულ ტერიტორიას. აქ გადიოდა კახეთიდან მდ. ქსნის შუა წელისაკენ მიმავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზა. X ს. შუა წლებში, კახეთის მთავარ კვირიკე II-ისა და აფხაზთა მეფე გიორგი II-ის ბრძოლის დროს, ლ. დაიკავა კვირიკე II-ის მოღალატე ფეოდალმა ივანე არშის ძემ, თუმცა ქართლელ და კახელ აზნაურთა დახმარებით კახეთის მთავარმა ლ. მალევე დაიბრუნა და ახალაგებულ შურის ციხესთან ერთად დაანგრია. ამით აფხაზთა მეფეს გამოეცალა მნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტები ქართლში გასაბატონებლად. 1072–73 საქართვ. მეფე გიორგი II-მ კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ივანეს ძეს რუსთავის სანაცვლოდ ლ. გადასცა. იმავე ხანებში ლ. დაიკავა კახეთის მეფე აღსართან I-მა, XIV ს. დასაწყისში კი შალვა ქსნის ერისთავმა, რ-მაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი მდ. ქსნის ხეობის შუაწელზე.

შემორჩენილია ლ-ის ციხის კედლების ფრაგმენტები, რ-ებიც ბუნებრივი სიმაგრის დანამატები იყო. შეიმჩნევა კედლის ორგვარი, სავარაუდოდ, სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო წყობა.

ლიტ.: გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, ,,საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, 1967, [ტ.] 3; მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, XII–XIII სს-ში, იქვე.

ჯ. გვასალია.

ლოჭინი, ლოჭინისხევი, სა-ცხენისი, მდინარე გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მტკვრის მარცხ. შენაკადი. იწყება იალნოს ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 1085 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 30 *კმ,* აუზის ფართი 317 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულსა და შემოდგომაზე. იყენებენ სარწყავად.

ლოჭინის ნასოფლარი, აღრინდელი ფეოდალური ხანის (IV–VI სს.) არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს თბილ. აღმ-ით 28 *კმ*-ზე, მდ. ლოჭინის მარცხ. ნაპირას, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე. სახელი პირობითად ეწოდა აღმოჩენის ადგილის მიხედვით. 1952 გაითხარა ნასოფლარის ნაწილი (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი).

ძეგლი მდებარეობს დაბალ ბორცვზე (შემორჩენილი სიმაღლე – 4 *მ,* ფართობი – დაახლ. 5000 *მ*^{2}). დასიდან მას ხევი აკრავს, დანარჩენი სამი მხრიდან კი გამაგრებულია 2 *მ* სიღრმის ხელოვნური თხრილით. გათხრების შედეგად გამოვლენილია საცხოვრ. და სამეურნეო ნაგებობები, ასევე მათ შორის არსებული გასასვლელი. ქვის კედლები ნაგები იყო თიხის ხსნარით, ასეთივე ხსნარით ყოფილა ნალესი სათავსების კედლებიც. ზოგიერთ ოთახში ქვიშაქვის ფილების იატაკი აღმოჩნდა. ნაგებობები გადახურული იყო კრამიტით.

აღმოჩენილია მრავალნაირი კერამიკული ნაწარმი – დიდი ზომის ქვევრები, პრიალაზედაპირიანი დოქები, ხელადები, ჭრაქები, სათამაშოები, აგრეთვე – მარცვლეულის შესანახი ხაროები.

აღსანიშნავია თიხის ნაწარმის ორი ნიმუში, რ-ზეც ქართული ასოებია ამოკაწრული. ორი დაქარაგმებული ასოსაგან შემდგარი ერთი წარწერა (ძე), რ-იც შესაძლოა პატრონის ვინაობის აღმნიშვნელია, განთავსებულია პატარა ზომის წითლად გამომწვარი დოქის ყელზე; მეორე წარწერის ნაწყვეტი, ამოკაწრულ ჯვრის გამოსახულებასთან ერთად კი – ჩალისფრად გამომწვარი ტალღური ორნამენტით შემკული დოქის გვერდის ნატეხზე. წარწერა ნაკლულია, იკითხება მხოლოდ ორი ასო. ეს ფაქტი დამწერლობის საზბის ფართო ფენებში გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს.

ლ. ნ-ის არქეოლ. მასალა ხასიათდება ანტიკურიდან ადრეფეოდალურზე გარდამავალი ხანის ნიშნებით.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., ჭილაშვილი ლ., ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, ,,ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1962, ტ. 23B.

ლ. ჭილაშვილი.

ლოხვიცკი მიხეილ იურის ძე (ნამდვ. გვარი აჯუკ-გირეი) [22. II. 1922, დეტსკოე-სელო (ახლანდ. ქ. პუშკინი), – 7. VIII. 1989, თბილისი], ჩერქეზი მწერალი, მთარგმნელი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). უნ-ტში ბ. *ოკუჯავასა* და ა. ციბულევსკისთან ერთად ჩამოაყალიბა ლიტ. გაერთიანება ,,სოლომენნაია ლამპა“ (,,Соломенная лампа“). წლების განმავლობაში მუშაობდა გამომც. ,,მერანში“ რუს. რედაქციის გამგედ. პირველი მოთხრობა ,,ძეგლი“ 1949 გამოაქვეყნა, მოთხრობათა პირველი კრებ. ,,შეხვედრები გზაში“ – 1955. ავტორია მოთხრობათა კრებულებისა: ,,მთის ქედის ადამიანები“ (1958), ,,რად არის ზღვა ლურჯი“ (1966), ,,დღისით, მზისით“ (1974) და სხვ.; რომანებისა: ,,უცნობი“ (1964), ,,გასაროლა მეტეხში“ (1973). აღსანიშნავია ისტ. მოთხრობა ,,მეხთატეხა“ (1977), რ-შიც XIX ს. კავკასიის პირველი ომის დროს ლ-ის წინაპრების, შაფსუღების, რამდენიმე ოჯახის ისტორიაა აღწერილი. ,,მეხთატეხის“ თავისებურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს რომანი ,,ღმერთების ძიება“, რ-იც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა (ქართ. თარგმანი მ. ბეროშვილისა, 2014). ლ. რუს. ენაზე თარგმნილა ქართ. მწერალთა ნაწარმოებებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. ფილონა.

ლოხონი, მთა ლიხის ქედის ჩრდ. ნაწილში, მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. ზ. დ. 1925 *მ.* აგებულია ბაიოსური პორფირიტებით, ტუფებით, ტუფბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებითა

და ფიქლებით. კალთები დამრეცია და შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, თხემი – სუბალპ. მდელოთი.

ლუარსაბ I (1502–56), ქართლის მეფე 1527–56, *დავით X-ის* ძე (წყაროებში გვხვდება მისი მეფობის სხვა თარიღებიც: 1530–56, 1534–56 და სხვ.). 1522 თავი ისახელა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში (იხ. *თელეთის ბრძოლა 1522*). 1526 პოლიტ. კავშირი შეკრა იმერეთის მეფე ბაგრატ III-თან. 1535, როცა ბაგრატ III-მ სამცხე-საათაბაგო შეიერთა (იხ. *მურჯახეთის ბრძოლა 1535*), ლ. I-მა ჯავახეთი დაიმორჩილა. იგი ცდილობდა სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლ ქართულ სამეფო-სამთავროთა ძალების გაერთიანებას. XVI ს. 30-იან წლებში ქართლ-იმერეთის კავშირი გაფართოვდა ლ. I-ისა და კახეთის მეფე ლევანის შეკავშირებით. ამას წინ აღუდგა ირანის შაჰი თამაზ I, რ-მაც პირადად 4 დიდი ლაშქრობა (1541, 1547, 1551, 1554) მოაწყო საქართველოში (იხ. *თამაზ I-ის ლაშქრობები საქართველოში*). 1541 შაჰის პირველი ლაშქრობის შედეგად ლ. I-მა თბილისი დაკარგა, კახეთი მტერს დამორჩილდა და ქართულ სამეფოთა კავშირს გამოეთიშა. 1545 ლ. I თავისი ლაშქრით დაეხმარა ბაგრატ III-ს შემოსეულ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ქართლ-იმერეთის შეერთებული ლაშქარი დამარცხდა (იხ. *სოხოისტას ბრძოლა 1545*) და სამცხე-საათაბაგოში ოსმალებმა თავიანთი მომხრე ათაბაგების ხელისუფლება აღადგინეს. ირან-ოსმ. ომის (1514–55) უკანასკნელ ეტაპზე, როცა ორივე აგრესორი განსაკუთრებული ენერგიით ცდილობდა საქართვ. დამორჩილებას, ლ. I მტკიცედ ადგა თავიდანვე აღებულ პოლიტ. კურსს და შეძლო სამცხე-ჯავახეთისა და კოლა-არტაანის დამორჩილება, თუმცა 1551 თამაზ I-ის მე-3 შემოსევის შედეგად იგი იძულებული გახდა დაეთმო შემოერთებული ტერიტ-ები. 1554, თამაზის მე-4 შემოსევის დროს, ლ. I იმერეთში გადავიდა. შაჰის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ბაგრატ III-მ არ გაუსცა ქართლის მეფე. 1554–55, ირან-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს, ლ. I ბაგრატ III-სთან ერთად ცდილობდა ხელი შეეშალა ზავის დადებისათვის, რადგან ორ აგრესორს შორის ომი ქართველებს უადვილებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. 1555 ამასიის ზავის (იხ. *ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებები XVI–XVIII სს.*) შემდეგაც ლ. I განაგრძობდა ბრძოლას: დაიბრუნა ქართლის მრავალი ციხესიმაგრე და შეავიწროვა თბილ. ყიზილბაშური გარნიზონი. 1556 ყიზილბაშთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში (იხ. *გარისის ბრძოლა*) ლ. I სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ პარტიზ. ბრძოლის ტაქტიკას იყენებდა – მცირე რაზმებს პირდაპირ ესხმოდა თავს და ანადგურებდა, დიდ ლაშქართან ბრძოლას თავს არიდებდა, მოხერხებულად იყენებდა ადგილ. ბუნებრივ პირობებს, უსაფრდებოდა მტერს, ღამით აწყობდა თავდასხმებს. ამით აიძულებდა მტერს საომარი ოპერაციები შეეწყვიტა და ციხესიმაგრეებში ჩაკეტილიყო. ლ. I-ის თანამედროვე და შემდგომი დროის ქართვ. და უცხოელი ავტორები, მ. შ. თვით მოწინააღმდეგენიც, მას ახასიათებდნენ როგორც კარგ სარდალს, მამაც და გულად მებრძოლს; უწოდებდნენ თავდადებულ გმირს, რ-მაც წლების თავგანწირული ბრძოლით დაიცვა ,,ქართველობა''. ქრისტიანობისათვის თავდადების გამო ლ. I ქართულმა ეკლესიამ ,,მოწამეთა თანა შერაცხა''.



ნ. ლუარსაბიშვილი. ლარნაკი (ფაიფური). 1950-იანი წლები.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ,,საისტორიო მოამბე'', 1925, [ტ.] 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ. ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1968; გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958; გუჩუა ვ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ოდიშელი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVII სს.), კრ.: XIV–XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964; საქართველოს ისტორია, ტ. 3, საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნამდე, თბ., 2012; საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1994; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, თორმეტ ტომად, ტ. 4, თბ., 1996.

ვ. გუჩუა.

ლუარსაბ II (1592–1622), ქართლის მეფე (1606–15). 14 წლის დაამტკიცა მეფედ თბილისში მყოფმა შაჰ-აბას I-მა უეცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. ლ. II-ს ირან-ოსმ. მიმდინარე ომში ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა. თავი გამოიჩინა *ტაშისკარის ბრძოლაში* (1609). 1610 ლ. II ირანში ესტუმრა შაჰს, რ-მაც ამ ვიზიტის შედეგად მას თბილისის ციხე დაუბრუნა (ამ ციხეში ადრე ოსმალები, 1606-იდან კი ყიზილბაშები იდგნენ). 1611 ბოლოს ლ. II-მ ცოლად შეირთო გ. *სააკაძის* და, რ-საც დიდ თავადთა მოთხოვნით მალე გაეყარა. ამას მოჰყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლ. II-ს ცოლი აღარ შეურთავს, ამიტომ ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. 1612 ლ. II-მ მოაკვლევინა ყაზახის ხანი მოჰამედი, რ-იც შაჰის წაქეზებით მტრობდა ქართლს. იმავე წელს ლ. II-ის და – ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა. 1614 შაჰ-აბასმ I-ის შემოსევის დროს ლ. II და თეიმურაზი იმერეთში გადავიდნენ, თუმცა ქართლის აოხრებისგან გადასარჩენად შაჰის ხელშეუხებლობის პირობით ლ. II უკან დაბრუნდა. მეფე კარგი შესახედავი ყოფილა და ნადირობაშიც თავი გამოუჩენია, რაც შაჰ-აბასში შურს იწვევდა. შაჰმა ლ. II ირანში წაიყვანა და რადგან მან გამაჰმადიანებაზე უარი თქვა, ციხეში დაამწყვდია. ქართველ პოლიტ. მოღვაწეთა თხოვნით ლ. II-ის გასათავისუფლებლად შაჰთან იშუამდგომლა რუს. ხელმწიფემ, მაგრამ უშედეგოდ. ლ. II შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით მოაშთვეს. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა – წმ. მოწამე ლუარსაბის ხსენების დღეა 21(7. VII) ივნისი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, იქვე, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1994; საქართველოს ისტორია, ტ. 3, საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნამდე, თბ., 2012; საქართველოს მეფეები, თბ; 2000; ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

გ. ჯამბურია.

ლუარსაბიშვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე (17. IX. 1921, წინანდალი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 11. VI. 1999, თბილისი), მხატვარ-კერამიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკ-ტი (1954). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1954-იდან (მ.

შ. კერამიკის საერთაშ. გამოფენა; ფაიენცა, იტალია, 1970). იყო თბილ. კერამიკული კომბინატის მთ. მხატვარი. ძირითადი ნამუშევრები: ფაიფურის სუვენირები, მცირე ზომის ლარნაკები, დოქები, ფაიფურის ლარნაკები და სხვ. მისი ნამუშევრები ინახება ყვარლის, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, წინანდლის ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

„ლუგელა“, სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპ-ში, მდ. ხობისწყლის ხეობაში, სოფ. მუხურიდან 4 *კმ* დაშორებით. ზ. დ. 290 *მ* სიმაღლეზე. წყალი გამოდის ბაიოსური ასაკის ძლიერ დისლოცირებული ქანებიდან. „ლ.“ ურთულესი ქიმ. შედგენილობისაა. იგი მიეკუთვნება ქლორიდული ჯგუფის წყლებს და თვითონ ქმნის მინერ. წყლების ტიპს. ლ. კალციუმის ქლორიდის 9,5%-იანი ხსნარია. ძირითადად შეიცავს კალციუმის კათიონს, ქლორის ანიონს და ბრომს. თანმხლები გაზია მეთანი, მცირე რაოდენობით შეიცავს ფთორის, იოდისა და სულფატის ანიონებს, ასევე – ნატრიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის კათიონებს. მნიშვნელოვანი მინერალიზაციის გამო დიდხანს ინახება, ჩამოსხმისას არ საჭიროებს ნახშირორჟანგით გაჯერებას. აღნიშნული თვისებების გამო „ლ.“ უნიკალურია.

სამედ. გამოკვლევებით დადგენილია, რომ „ლ.“ მიეკუთვნება სამკურნ.-სასმელი წყლების კატეგორიას, რ-ის მიღება შეიძლება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

დებიტი 22 $მ^3$ *დღ.-ღ.* „ლ-ს“ პირველი ქიმიური ანალიზი ჩაატარა აკად. რ. კუპცისმა 1927. წელიწადში (1981) ისხმებოდა დაახლ. 0,5 მლნ ბოთლი (0,5 *ლ*).

ლუგოვოეს სამაროვანი, ყობანური კულტურის ძეგლი სოფ. მუჟიჩისთან (ყოფ. ლუგოვოე, სუნჯის რ-ნი, ინგუშეთის რესპ. რფ). გაითხარა 1952, 1955–57 (ე. კრუპნოვი, რ. მუნჩაევი). შესწავლილია ძვ. წ. VI–V სს. ქვით გადახურული 161 ორმოსამარხი. აღმოჩენილი მასალა: რკინის შუბისპირები, დანები, ცულები, მახვილები, ლაგმები, სამაჯურები, კისრის რგოლები, ბრინჯაოს ორნამენტირებული აბზინდები, ბალთები, ბრინჯაოსა და ვერცხლის საკიდები, მინის, პასტისა და ბრინჯაოს მძივები, თიხის ჭურჭელი და სხვ. ლ. ს-ის აღმოჩენები გვიჩვენებს ადრინდ. რკინის ხანის ინგუშეთის მოსახლეობის კულტურას, მათ კავშირს მეზობელ ტომებთან (იხ. *თლიის სამაროვანი*).

ლიტ.: Крупнов Е. И., Древняя история Северного Кавказа, М., 1960; Мунчаев Р. М., Луговой могильник, (Исследования 1956–1957), წგ.: Древности Чечено-Ингушетии, М., 1963.

„ლუდი ბათუმური“ (შპს), ლუდის კომპანია ბათუმში. ლუდის წარმოების ერთ-ერთი მსხვილი საწარმო საქართველოში. XX ს. 20-იან წლებში ბათუმში გაიხსნა პირველი კუსტარული ტიპის ლუდის სახდელი, რ-იც საუკეთესო ლუდს უშვებდა. 1937 დაიწყო ლუდის ქ-ნის მშენებლობა (შეფერხდა II მსოფლიო ომის პერიოდში), რ-იც ექსპლუატაციაში შევიდა 1951 „ბათუმის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ქარხნის“ სახელწოდებით. ამავე წლიდან დაიწყო ლუდის წარმოება ჩეხი სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეცეპტურით. ქ-ნაში დღეში 40000-მდე *ლ* ლუდი იხარშებოდა, დასაქმებული იყო 300-მდე მუშახელი. 1976–78, 1987–89 ჩატარდა ქ-ნის რეკონსტრუქცია, რ-ის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოს სიმძლავრე და პროდუქციის ხარისხი. 1998 განხორციელდა ბათუმის ლუდის ქ-ნის პრივატიზაცია და მის ბაზაზე შეიქმნა შპს „ლ. ბ.“ კომპანია 100%-ით კერძო საკუთრებაა. ქ-ნა განთავსებულია 2,5 *ჰა*-ზე. კომპანია თავდაპირველად 7 სახის ლუდს აწარმოებდა ჩეხური რეცეპტურით, მაგრამ დროთა განმავლობაში გადაერთო ცოცხალი, არაპასტერიზებული ლუდის წარმოებაზე. ამჟამად ლუდსახარში ამზადებს ერთი სახის, „პილზნერის“ ტიპის ლუდს ბრენდული სახელწოდებით – „ლუდი ბათუმური“. ცოცხალი ლუდის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის: ალაოს, ქერის და სვიის შესყიდვა ძირითადად უკრაინიდან და გერმანიიდან ხორციელდება. ბათუმური ლუდის რეალიზაცია ხდება როგორც ბითუმად, ასევე საცალოდ – 5- და 3-ლიტრიან PET-ის ბოთლებში ჩამოსხმით, მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანია 2017-იდან ფლობს საერთაშ. სტანდარტების სერტიფიკატებს, კერძოდ, ISO 9001: 2015, ISO 22000: 2018 და HACCP.

2019 წ. 11 ივლისს მწყობრში ჩადგა ლუდსახარშ „ლ.ბ-ის“ ახ. თანამედროვე სტანდარტების მოდერნიზებული საწარმო, აღჭურვილი ჩეხური და სლოვაკური დანადგარებით. ლუდის ძვ. ქ-ნა, რ-იც აერთიანებს ისტ. შენობა-ნაგებობებსა და მანქანა-დანადგარებს, ხელუხლებელი დარჩა. ბათუმის ლუდის ქ-ნა შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში. არსებობს პროექტი მისთვის მუზეუმის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ლ. აბრამიშვილი.

ლუდის წარმოება, მცირეალკოჰოლიანი სასმელის წარმოება. ემყარება სპეციალური (სალუდე) საფუვრის თანაობით ალაოს ტკბილის (უმეტესად იყენებენ ქერის ალაოს) სპირტული დუღილის პროცესს. არქეოლ. ცნობებით დასტურდება, რომ ლუდის ხარშვა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში მესოპოტამიასა და ბაბილონში, მოგვიანებით კი ეგვიპტეშიც დაიწყეს, საიდანაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. შუა საუკუნეების ევროპაში ლუდს უმეტესად მონასტრებში ამზადებდნენ, ძირითადად ჩრდ. რეგიონებში, სადაც ყურძენი ვერ ხარობდა.



ლუდი ბათუმური. სასაქონლო ნიშანი.

ტრად. ტექნოლოგიით ლ. წ-ისთვის იყენებენ ქერის ალაოს, სვიისა და წყლისაგან ალკოჰოლური დუღილით მიღებულ ტკბილს. ზოგიერთი სახეობის ლუდის მისაღებად ქერის ალაოს ნაწილობრივ ცვლიან ბრინჯის, სიმინდის ან ქერის ფქვილით, ზოგჯერ – ლერწმის შაქრით. ლ. წ-ის ტექნოლ. პროცესის ძირითადი სტადიებია: ქერის ალაოსა და ლუდის ტკბილის დუღილი ლუდის სპეც. საფუვრით; დადულება (დამწიფება); გაფილტვრა და ჩამოსხმა ბოთლებში ან კასრებში.


ალაოს მისაღებად ქერის მარცვალს წმენდენ, ახარისხებენ,



„ლუდი ბათუმურის“ ერთ-ერთი საამქრო.

ალბობენ, აღივებენ. შემდეგ მწვანე ალაოს ჩრდილში აშრობენ, აცლიან ღივებს და აყოვნებენ. ლუდის ტკბილის მისაღებად ალაოს აპრიალებენ, აქუცმაცებენ და წყალში ურევენ. ასეთი წესით მიღებულ ნედლეულში განსაზღვრულ ტემპ-რაზე მიმდინარეობს ფერმენტაციის პროცესები (ძირითადად, სახამებლის დაშაქრება – შაქრად გარდაქმნა ნახშირორჟანგის გამოყოფით), რ-თა დამთავრების შემდეგ მასალას ფილტრავენ და გამჭვირვალე ტკბილს სვიასთან ერთად ადუღებენ საჭირო კონსისტენციის მიღებამდე. შემდეგ ტკბილს აცლიან სვიას, წმენდენ, აცივებენ და ადუღებენ სპეც. საფუვრით. სადუღარ აპარატებში დადულებით (ტემპ-რა 5–9°C, ხანგრძლივობა – 7–8 *დღ-ღ*) მიიღება მწვანე ლუდი, რ-იც საბოლოოდ დასადუღებლად და დასამწიფებლად (ხანგრძლივობა 21–90 *დღ-ღ*, ტემპ-რა 0–2 °C) გადააქვთ დახურულ (სპილენძის ან უჟანგავი ფოლადის) ცილინდრულ ჭურჭელში, ტანკში. აქ ახ. ლუდი გაჯერდება დაშაქრებისას გამოყოფილი ნახშირორჟანგით, იწმინდება და იძენს სასურველ გემოს. საბოლოოდ ლუდს ფილტრავენ, შემდეგ კი ჩამოასხამენ.

ლუდი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელია მსოფლიოში, განსაკუთრებით – დიდ ბრიტანეთსა და ცენტრ. ევროპაში. ლუდის მწარმოებელთაგან მსოფლიო ბაზრის უდიდესი ნაწილი კომპანია Anheuser-Busch InBev-ს (გერმანია) უჭირავს. თითოეულ ქვეყანას აქვს ლუდის საკუთარი ბრენდები. კომერციული მიზნებისათვის ზოგან ლუდს კუსტარულადაც ამზადებენ. მსოფლიო კლასიფიკაციით, არსებობს ლუდის ათასამდე სახეობა,



ლუდსახარში ,,ნატახტარი'' სააამქრო.

ამათგან ყველაზე გავრცელებულია 22, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში (ჰოლანდია, გერმანია, ბელგია, დანია და სხვ.) ლუდის რამდენიმე ათეულ სახეობას აწარმოებენ.

საქართველოში ლუდს ძველთაგანვე ამზადებდნენ აღმ. საქართვ. მთიელები (მთიულები, ფშავ-ხევსურები, თუშები, მოხევეები). იგი ტრად. სასმელად ითვლება და მათი ყოფის ისეთივე ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ელემენტია, როგორც ღვინო საქართვ. ბარის მკვიდრთათვის. აღმ. საქართვ. მთიელებში ლუდი ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო როგორც ყოველდღიური მოხმარების, არამედ როგორც საკულტო სასმელი. ბოლო დრომდე აქაური სალოცავების ჯვარ-ხატების კუთვნილ მამულებში ძირითადად მოჰყავდათ სალუდე მარცვლეული – ქერი და სვია. სადღეობო ლუდის დამზადებას მათ მეურნეობაში ცენტრ. ადგილი ეჭირა. ჯვარ-ხატთა დღეობებზე ლუდის სმის რიტუალი (დიდება, მოხსენიება, კურთხევა) საგანგებო ვერცხლის კოჭობით (თასი) სრულდებოდა. ლუდის მომზადების ხელოვნება, სასმელის საკულტო დანიშნულება, მასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები საქართველოში ლუდის დამზადების უძველეს ტრადიციაზე მიუთითებს. თუშურ და რაჭულ დიალექტებში დასტურდება ამ სასმლის სახელწოდების ადრინდ. საწყისი ფორმა – ,,ალუდი'', რ-იც უკავშირდება ოსურ და ჩრდ. ევროპულ ფორმებს. ვარაუდობენ, რომ ალანური alut-იდან მომდინარეობს ქართულში როგორც ალუდი, ლუდი და საკუთარი სახელი ალუდა. დროთა განმავლობაში სასმელის სახელმა ფორმა იცვალა და ალუდიდან ლუდად იქცა.

სამრეწვ. ხასიათი ლ. წ-მ საქართველოში XIX ს. II ნახ-ში მიიღო. პირველი ასეთი საწარმო იყო ვეტცელის ლუდის სახარში ქ-ნა, რ-იც აშენდა თბილისში 1869 და ითვლებოდა ამ პერიოდისთვის საკმაოდ მსხვილ წარმოებად, სადაც იყენებდნენ ორთქლის ქვაბებსა და სხვა დანადგარ-მოწყობილობას; დასაქმებული იყო 20-მდე ადამიანი.

XX ს. I ნახ-ში მრავალი ლუდის ქ-ნა აშენდა. 1940 წ. არსებობდა 4; 1956 წ. – 9; 1970 წ. – 11; 1973 წ. – 13 ქ-ნა, ანუ 1973 წელს 1940-თან შედარებით ლუდის საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 2,7-ჯერ, ხოლო საწარმოო სიმძლავრეები – 6,8-ჯერ. უახლოეს წარსულში აწარმოებდნენ ღია (,,ბათუმის'', ,,თბილისური'', ,,ჟიგულის'', ,,სოხუმის'', ,,ქუთაისური'') და მუქი ფერის (,,ოსური'', ,,პორტერი'') ლუდს.

XX ს. 90-იანი წლებიდან საქართველოში ლუდის წარმოება ხასიათდება ზრდის ცვალებადი ტენდენციით. 1990 წ. გამოუშვეს 9477; 2000 წ. – 2344,9; 2010 წ. – 8279; 2015 წ. – 8605,8; 2020 წ. – 10807,1 *ათ. დკლ* ლუდი. XXI ს. 20-იანი წლებიდან საქართვ. სამომხმარებლო ბაზარზე 20-მდე თანამედროვე საწარმო ოპერირებს, დიდი ლუდსახარშებიდან *(ლუდსახარში ,,ნატახტარი'', ,,ქართული ლუდის კომპანია'', ,,ყაზბეგი-1881'', ,,კასტელ ჯორჯია'', ,,ლუდი ბათუმური''* და სხვ.) დაწყებული, მცირე ოჯახური საამქროებით დამთავრებული, რ-ებიც განსხვავებული ინგრედიენტების გამოყენებით სხვადასხვა სახეობის ლუდს აწარმოებენ.

XXI ს. დასაწყისიდან საქართველოში ახ. ტენდენცია გამოიკვეთა – საწარმოებმა, ე. წ. კრაფტ-ლუდის (,,ცოცხალი'' ლუდი) წარმოება და ჩამოსხმა დაიწყეს, რ-იც არ გადის პასტერიზაციის ტექნოლ. პროცესს და, შესაბამისად, ბუნებრივ, ,,ველურ'' გემოს ინარჩუნებს. მზადდება 100%-ით ნატურალური ინგრედიენტებისგან.

ქართ. ლუდის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივად, ასევე იგზავნება ექსპორტზე.

ლიტ.: ნადირაძე ე., ქართული ლუდი, თბ., 2010; ოჩიაური ა., ქართული ხალხური დღესასწაულების კალენდარი (ხევსურეთი), თბ., 1988; საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., 1972.

დ. დავითულიანი.
ა. კორახაშვილი.

ლუდოვიკო ბოლონიელი (Ludovico Bolognese) (XV ს.), მარონიტების ორდენის იტალიელი მისიონერი და ნუნციუსი (რომის პაპის წარმომადგენელი აღმოსავლეთის ქვეყნებში). მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიპლ. სარბიელზე, კერძოდ, XV ს. II ნახ. ანტიოსმ. კოალიციის შექმნის მცდელობისას. ლ. ბ. დაწინაურდა პაპ კალიქსტუს III-ის დროს, რ-მაც იგი აღმოსავლეთში გაგზავნა და დაავალა ნიადაგის მოსინჯვა აღმ. ქრისტიან და არაქრისტიან მბრძანებელთა ანტიოსმ. კოალიციაში გასაერთიანებლად. ლ. ბ-მა ორჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში. 1459 საქართველოში ჩამოვი-

და და მეფე გიორგი VIII-ს რომის პაპის გეგმა გააცნო, უკან დაბრუნებისას კი თან წაიღო მეფისა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-ის წერილები. მისი შუამდგომლობით მოხერხდა ქართველ მეფე-მთავართა შერიგება. 1459 ლ. ბ. ანტიოსმ. კოალიციაში შესაძლო მონაწილე ქვეყნების ელჩებთან ერთად ევროპაში დაბრუნდა და 1460 ისინი პაპ პიუს II-ს წარუდგინა. ზოგიერთი ცნობით პიუს II-მ ლ. ბ. თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის... ტფ., 1902; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი, XV ს. II ნახევარში და XVI ს-ში, თბ., 1981; პაიჭაძე დ., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XVI ს. 60-იან წლებში, თბ., 1989; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ.რედ. რ. მეტრეველი, ტ. 1, თბ., 1997; ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

ვ. გოილაძე.

ლუდსახარში „ნატახტარი“ („ეფეს საქართველო“ – საქციო საზოგადოება „ლომისი“), ლუდისა და გაზიანი უალკოჰოლო სასმელების კომპანია. ლუდსახარში აშენდა 2005 სოფ. ნატახტარში (მცხეთის მუნიციპ.), რასაც ხელი შეუწყო დედაქალაქთან სოფლის სიახლოვემ და ნატახტრის წყლის უნიკალურმა თვისებებმა. 2008 ლუდსახარშის 100%-იანი წილი შეიძინა მსოფლიოში ლუდის მწარმოებელმა ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანია „ეფესის ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფმა“ (Efes Breweries International – EBI). ამჟამად ლ. „ნ-ის“ მფლობელია „ეფეს საქართველო“. იგი ლუდისა და ლიმონათის ბაზრის ლიდერია საქართველოში. მან საწარმოში დანერგა საერთაშ. სტანდარტები და ხარისხის მართვის სისტემა, განახორციელა ინვესტიციები საწარმოო ხაზებისა და ლაბორ. უახლესი დანადგარებით აღჭურვისათვის. ლაბორატორია უზრუნველყოფს პროდუქციის მიკრობიოლოგიურ და ჰიგიენურ უსაფრთხოებას. 2012 „ეფეს საქართველომ“ ექსპლოატაციაში ჩაუშვა ჩამდინარე წყლების ბიოლ. გამწმენდი ნაგებობა, რ-მაც მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოზე მავნე ზემოქმედება. ლ. „ნ“. მომხმარებელს სთავაზობს ლუდის 11 ბრენდს („ნატახტარი“, „ქარვა“, „კასრის“, „სტაროპრამენი“, „ლოვენბრაუ“, მ. შ. იმპორტირებულ ბრენდებს: „ეფესი“, „სტელა არტუა“, „ლეფე“, „ჰოეგარდენი“, „კორონა“) და ერთ ქვებრენდს („ნატახტარი ექსტრა“), ლიმონათის 7 არომატს და ახ. გამაგრილებელი გაზირებული სასმელის, „ნატახტარი ზიგზაგის“ ორ მიქსს; ასევე ლიმონათს დიეტური/დიაბეტური შემადგენლობით. ლუდის საწარმოებლად საჭირო ნედლეულს (სვია, ალაო, საფუარი) იღებენ გერმანიიდან, ჩეხეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან, დამხმარე მასალა (ბოთლი, ეტიკეტი, საცობი) იწარმოება საქართველოში და ასევე შემოდის სხვა ქვეყნებიდან.

კომპანია საექსპორტო ბაზარზე წარმოდგენილია 2006-იდან. ამჟამად ლუდისა და ლიმონათის ექსპორტი ხდება 21 ქვეყანაში. EBI-ის სტრატეგიული პარტნიორი არის Anheuser-Busch InBev – ლუდის ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი მსოფლიო ბაზარზე.

ლ. „ნ-ის“ პროდუქციას სხვადასხვა გამოფენაზე, ბაზრობასა და კონკურსზე მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მ. შ.: Monde selection-ზე (ბორდო, საფრანგეთი) ლუდმა „ნატახტარმა“ მოიპოვა ოქროს მედალი (2014), ხოლო ლიმონათმა – ვერცხლის მედალი (2010), ამასთანავე ლუდ „ნატახტარს“ გადაეცა უმაღლ. გემოს ჯილდო (Superior Taste Award) ბრიუსელში International Taste Institute-ის მიერ (2022). „ეფეს საქართველო“ სოც. კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდოების მფლობელია. ასევე მიღებული აქვს მრავალი საერთაშ. სერტიფიკატი. კომპანია ეწევა ქველმოქმედებას.

ლ. აბრამიშვილი.

ლუთერანული ეკლესია საქართველოში, იხ. *ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია.*

ლუთფი აჰმედ ეფენდი (1816–1907), ოსმალეთის სულთნის კარის ოფიციალური ჟამთააღმწერელი (1864-იდან). მისი „ისტორია“ („თარიხი აჰმად ლუთფი“) რამდენიმე ტომისაგან შედგება. მათში არის ცნობები XIX ს. საქართვ. და კავკ. ისტორიის შესახებ. საგანგებოდ აქვს აღწერილი 1828–29 რუს.-ოსმალეთის ომი და მასთან დაკავშირებული საქართვ. საკითხები. საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული ამ ომის დროს ახალციხის ბრძოლის, აჭარის ისტ. შესახებ. ვრცლად აქვს განხილული რუს.-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხები, საქართველოში საომარი მოქმედების მიმდინარეობა, ანაპის აღება, ჩურუქსუსთან გამარჯვება და ფაშის ციხის დაპყრობა.

ლიტ.: შენგელია ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია.

ლუთფი, ლუთფილა, ალი-ფაშა, ახალციხის ფაშა 1817–18. მესხეთის 1816 სახ. აჯანყების დროს ოსმ. ხელისუფლებამ ახალციხის ფაშობა უწყალობა ჯაყელს, როგორც ქართ. წარმოშობის საგვარეულო სახლის შვილს. ამით სულთნის ხელისუფლება მესხთა ზედა ფენის მიმხრობას ცდილობდა, მაგრამ მან მხარეში მშვიდობა მაინც ვერ დაამყარა. 1818, ახ. მღელვარების მოლოდინში, ლ-მ უარი თქვა ტახტზე, რის შემდეგაც ოსმალეთში გაიწვიეს.

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975.

შ. ლომსაძე.

ლუთხუბი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (გუდამაყრის თემი), გუდამაყრის ქედის დას. კალთაზე, მდ. ლუთხუბის (გუდამაყრის არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1440 *მ,* დუშეთიდან 63 *კმ,* 23 მცხ. (2014).

სოფლის ზედა უბანში მდებარეობს ხუროთმოძღვრების ძეგლი, ღვთისმშობლის ეკლესია, რ-იც XIX ს. II ნახ-ში აუგია გუდამაყრის მოსახლეობას. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით. იგი სამხრ-იდან მიშენებულია ადრე იქვე მდგარ მცირე დარბაზულ ეკლესიაზე, რ-შიც მოხვედრა მხოლოდ გვიან მიშენებული ეკლესიის ჩრდ. კედელში გაჭრილი კარიდან შეიძლებოდა. გადმოცემით, ეკლესია მოხატული ყოფილა. თავდაპირველი ეკლესია გეგმით მართკუთხაა, განეკუთვნება გვიან. შუა საუკუნეებს. ნაგებია სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. ძლიერ დაზიანებულია. ეკლესიაზე დას-იდან მიშენებული ოთხკუთხა სათავსის კედლების მცირე ნაწილებიღაა შემორჩენილი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.

ლუკა (Lucca) ჯოვანი და (XVII ს.), დომინიკელთა ორდენის იტალიელი ბერი. 1642 პაპმა ურბან VIII-მ გაგზავნა აღმოსავლეთში კათოლ. რელიგიის პროპაგანდისათვის. 1634 დომინიკელთა მისიის პრეფექტი იყო ყირიმსა და კაფაში. იმოგზაურა საქართველოში. ავტორია წიგნისა „კასპიისპირეთის თათრების, ნოღაელების, ჩერქეზებისა და ქართველების ცხოვრების წესჩვეულებების აღწერა“ („Описание



ლუკა მახარებელი. გელათის ოთხთავი. XII ს.



ა. ლუკეში.

образа жизни и нравов прикаспийских татар, ногайцев, черкесов и грузин“), რ-იც *დორტელი დ'სკოლის* შავიზღვისპირეთის თათრებისა და ჩერქეზების დაწვრილებითი აღწერილობის გაგრძელებაა, თუმცა ლ. მნიშვნელოვნად აფართოებს გეოგრ. საზღვრებს აღმ-ით – დერბენდამდე, ხოლო სამხრ-ით – შავიზღვისპირეთამდე (აფხაზეთამდე). წიგნი 4 ნაწილისაგან შედგება: პერეკოპის თათრები, ნოღაის თათრები, ჩერქეზები და აფხაზები. ქართ. ისტორიოგრაფიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა სოხუმის აღწერილობა. ლ. აღნიშნავს, რომ აქ ხშირად შემოდიან გემები ტრაპეზუნდიდან, კონსტანტინოპოლიდან, კაფიდან და გამოსაზამთრებლად რჩებიან.

ლიტ.: Гарданов В. К., Адыги, балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII–XIX вв., Нальчик, 1976; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ც. ყიფიანი.

ლუკა იერუსალიმელი, მუხაის ძე (დაახლ. 1245–73), სასულიერო მოღვაწე, წმინდანი. 20 წლისა გაემგზავრა იერუსალიმში, სადაც ბერად აღიკვეცა. მან კარგად შეისწავლა არაბული ენა. თავდაპირველად დიაკვნად, ხოლო შემდეგ წინამძღვრად აკურთხეს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში, რ-საც სამი წელი (1270–73) მართავდა. 1273 ჯვრის მონასტერი მამლუქებმა მიიტაცეს და ლ. ი. სიკვდილით დასაჯეს (იხ. *„ლუკა იერუსალიმელის მარტვილობა“*). საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ ლ. ი. წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 12(25) თებერვალი.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.–ათენი, 2003.

„ლუკა იერუსალიმელის მარტვილობა“, ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი. შეიქმნა XIV ს. I ნახ-ში. ,,ლ. ი. მ-ის'' ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნუსხა (მიაკვლია ნ. მარმა, 1902) მოგვიანებით უნდა იყოს ჩაკინძული XI ს. ხელნაწერში. ტექსტი გამოსცა დ. ყიფშიძემ 1927. თხზულება, რ-იც იერუსალიმის ჯვრის ქართ. მონასტრის წინამძღვარ *ლუკა იერუსალიმელის* ცხოვრების სვინაქსარული რედაქციაა, მნიშვნელოვანი წყაროა პალესტინის ქართ. კოლონიის ისტ. შესასწავლად.

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 4, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968; Кипшидзе Д., Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, „Известия Кавказского историко-археологического института“, 1927, т. 2.

ლიტ.: გაბიძაშვილი ე., შრომები, ტ. 2, თბ., 2010; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ე. გაბიძაშვილი.

ლუკა მახარებელი, ქრისტეს 70 მოწაფეთაგანი. სახარებისა და ,,მოციქულთა საქმის'' ავტორი. გადმოცემის მიხედვით პირველი ხატმწერი (მან პირველმა დაწერა ღვთისმშობლის ხატი).

ლ. მ. სირიის ანტიოქიის მკვიდრი იყო, პროფესიით ექიმი. პავლე მოციქულთან ერთად მონაწილეობდა მეორე მისიონერულ მოგზაურობაში, რის შემდეგაც ერთმანეთს არ განშორებიან. პავლე მოციქულის ხელმძღვანელობით რომში დაწერა სახარება. მან სრულად და ქრონოლოგიურად აღწერა ყველაფერი, რაც იესო ქრისტესა და მისი სწავლების შესახებ იყო ცნობილი.

ლ. მ. მოწამეობრივად აღესრულა 84 წლის ასაკში, მისი წმ. ნაწილები IV ს. II ნახ-ში თებედან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს და წმ. ანდრიას პირველწოდებულისა და ტიმოთე მოციქულის გვერდით დაასვენეს.

ლ. მ-ის იკონოგრაფიული ნიშანია ხარი. მართლმადიდებელი ეკლესია მისი ხსენების დღეს 18 (31) ოქტომბერს აღნიშნავს.

საქართველოში ლ. მ-ის სახელზე არაერთი ეკლესიაა აშენებული.

თ. მარგველაშვილი.

ლუკეში ანტონ იოსების ძე (8. V. 1870, ბროდი, ახლანდ. ჩეხეთი, – 29. IV. 1952, იქვე), ჩეხი სპორტსმენი (ტანვარჯიშში), მწვრთნელი. ჩეხეთის ,,სოკოლის'' რეკომენდაციით საქართველოში ჩამოვიდა და დაინიშნა ტანვარჯიშის მასწავლებლად თბილ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში (1896). მან შემდგომ წლებში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ სპორტს. მისი ინიციატივით (1906) თბილისში დაარსდა საფეხბურთო კლუბი „კომეტა“; 1909 ლ-ის თაოსნობით ჩამოყალიბდა „შევარდენის'' წინამორბედი სპორტული საზ-ბა „სოკოლი'', რ-ის წევრების დევიზი იყო: „ფიქრში – სამშობლო, გულში – სიმარდე და მკლავში – ძალა''. აწყობდა სახალხო სპორტულ სანახაობებს და შეჯიბრებებს ტანვარჯიშში. სხვადასხვა დროს ტანვარჯიშს ასწავლიდა მიხეილის სამხ. სასწავლებელში, ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელსა და ოლქის ტანვარჯიშობის ყოველწლიურ პედაგოგიურ სამზადისში'', შეადგინა და გამოსცა ხუთი სახელმძღვანელო. 1912 პრაღაში ქართველმა სპორტსმენებმა (გ. ეგნატაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, გ. და თ. ნიკოლაძეები, ა. ბაქრაძე, გ. ბერელაშვილი, ი. ბერიძე და სხვ.) დაბალ თანრიგში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. 1918 აირჩიეს თბილისის ,,შევარდენის'' საპატიო წევრად. 1919 დაბრუნდა სამშობლოში.

თხზ.: Гимнастический бокс: Руководство для ведения общих упражнений в сокольск. о-вах, в учеб. заведениях и в войсках. Тб., 1914.

ლიტ.: ბერიშვილი ე., ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბ., 2013.

ლუკიანე, VI ს. I ნახევრისა და შუა წლების ქართველი საეკლესიო მოღვაწე, დავით გარეჯელის უახლოესი მოწაფეთაგანი. ლ. დავითთან ერთად დასახლდა გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი კლდის ნაპრალში. ბერები მინდვრის ნაყოფითა და ირმის რძით საზრდოობდნენ. ლ-ს მიერ ირმის მოწველის ეპიზოდი ფართოდ აისახა ქართულ იკონოგრაფიაში. მან დავით გარეჯელის მოთხრობით დააარსა გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. დაკრძალულია გარეჯში. მის შესახებ ცნობები დაცულია ,,დავით გარეჯელის ცხოვრების'' რედაქციებში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), ტ. 1, თბ., 1966.

ლუკუნის მთა, მინდლარი, მთიანი მასივი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში, ზემო ხრამის პლატოზე, მდ-ების – გეტის, ორმაშენისა და მაშავრის (ხრამის აუზი) წყალგამყოფი. სიმაღლე ზ. დ. 1899 *მ.*



დავით გარეჯელი და ლუკიანე. XVIII ს. მინიატურა.

აგებულია მეოთხეული ვულკანური ლავებით. დამახასიათებელია მთის სტეპის ლანდშაფტი.

ლული, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (საყავრის თემი), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ვიცხის (თეძმის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1120 *მ.* გორიდან 37 *კმ.* 215 მცხ. (2014).

ლურისტანის ბრინჯაო, არქეოლოგიაში მიღებული სახელწოდება, რომელიც ირანულ-კავკასიური ცხოველსახოვანი სტილით შესრულებულ ბრინჯაოს ნაკეთობას (სატევრები, ცულები, ქინძისთავები, ტანსაცმლის სამკაული, ცხენის აღკაზმულობის ნაწილები და სხვ.) აღნიშნავს. მასალა ძირითადად მოპოვებულია ლურისტანის (დას. ირანი) უძველესი სამარხების გათხრების დროს. ზოგი მეცნიერი ლ. ბ-ს ძვ. წ. II ათასწლ. II-ს. მიაკუთვნებს და კასიტებს უკავშირებს. უახლესი გამოკვლევების მიხედვით (მ. შ. არქეოლ. მონაპოვრის), ლ. ბ. განეკუთვნება ძვ. წ. VIII–VI სს. მკვლევართა ნაწილი მასალას კიმერიელებს და სკვითებს უკავშირებს.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; Дьяконов И. М., История мидии от древнейших времён до конца IV в. до н. э., М., Л., 1956; Godard A., Les bronzes du Luristan, P., 1931; Zahlhaas G., Luristan: Antike Bronzen aus dem Iran. Archäologische Staatssammlung München, Museum für Vor-und Frühgeschichte, Münch., 2002.

ლურსმანაშვილი ვლადიმერ სამსონის ძე (13. XII. 1909, სოფ. ჩხერი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 16. VI. 1987, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (13. XII. 1942). პოლკოვნიკი (1964). დაამთავრა თსუ (1935). II მსოფლიო ომის დროს იყო 392-ე ქართ. მსროლელი დივიზიის 802-ე მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტ. ნაწილში. 1942 წ. 30 ოქტ. ქ. ნალჩიკის რ-ნში ლ-ის ხელმძღვანელობით ასეულმა დიდი ზიანი მიაყენა მტერს, რისთვისაც მიენიჭა სსრკ გმირის წოდება. მუშაობდა შინაგან ჯარებში. 1946 მარტიდან თადარიგში გავიდა.

მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ლურსმანაშვილი ოთარ ვასილის ძე (1. III. 1931, სოფ. ტბა, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, – 27. X. 2013, თბილისი), გეოფიზიკოსი, დოქტორი (1998), პროფესორი (1999), საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1995).

1954 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი მყარი სხეულის ფიზიკის სპეციალობით. შემდეგ მუშაობდა მეცნ. აკადემიის გეოფიზიკის ინ-ტში, 1969-იდან – თსუ-ის გეოგრაფია-გეოლ. ფაკ-ტის ძებნა-ძიების გეოფიზ. მეთოდების კათედრაზე (დოცენტი, პროფესორი). მონაწილეობდა სომხეთში სპიტაკის რ-ნში მომხდარი მიწისძვრის პრობლემების კვლევაში (1988).

გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რ-თა უმეტესობა შეეხება კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მიწისძვრების პროგნოზირებას, სეისმური ტალღების მოდელირებას, გეომაგნიტური ქარიშხლების განმეორებადობას.

ლიტ. გეომაგნიტური ქარიშხლების განმეორებადობის სპექტრული ანალიზი, მეცნიერება და ტექნოლოგიები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2005; კურილია-კამჩატკის მიწისძვრების განმეორების სპექტრული ანალიზი, მეცნიერება და ტექნოლოგიები, თბ., 2002.

ლურსმული დამწერლობა, იხ. *სოლისებრი დამწერლობა.*

„ლურჯი მონასტერი“, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ანდრია პირველწოდებულის ეკლესია თბილისში. აღმართულია მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ახლანდ. ვერის პარკთან. ლ. მ. შეარქვეს გუმბათის ლურჯი შორენკეცებით მოპირკეთების გამო. აგებულია XII ს-ში ადრინდელი ეკლესიის ადგილას. ნაგებობაში გამოყენებულია ძვ. ეკლესიის ცალკეული ნაწილები. სამხრ. შესასვლელის ტიმპანში არსებული ვრცელი წარწერის თანახმად, ეკლესიის ამშენებელი არის „უღირსი ბასილი, ქართლისა მთავარებისკოპოსყოფილი“, თამარ მეფის დროინდელი პოლიტ. მოღვაწის, აბულასანის ძმა, თავდაპირველად ლ. მ-ის გუმბათოვანი ეკლესია XII–XIII სს. მიჯნის ქართლის სხვა ტაძრების (ბეთანია, ქვათახევი) მსგავსი იყო. XVI ან XVII ს-ში ძლიერ დაზიანებული ტაძარი უგუმბათოდ აღადგინეს და შიგა სივრცემ ბაზილიკის იერი მიიღო, 1873 კი ეკლესიას დაადგეს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო ფორმის გუმბათი, ააშენეს ახ. კედლები და ფრონტონები (აგურის), რ-ებმაც ძეგლი არსებითად დაამახინჯა. გეგმის, წარწერისა და პერანგის ქვედა ნაწილის გარდა, გადარჩენილია საკურთხევლის შვერილი აფსიდის სამივე სარკმელი და სამხრ. პასტოფორიის აღმ. სარკმელი. ლ. მ-ს მრავალჯერ შეეცვალა სახელი. ვახუშტი ბატონიშვილი მას წმ. გიორგის ეკლესიად მოიხსენიებს: „კუალად ტფილისის ჩდილოთ არს



ლურჯი მონასტერი. წარწერა.

ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუმბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ“. საბჭ. პერიოდში აქ განთავსებული იყო ქართ. მედიცინის ისტორიის მუზეუმი. XX ს. 90-იან წწ. ეკლესიაში ღმრთისმსახურება განახლდა.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის „ლურჯი მონასტერი“, „ქართული ხელოვნება“, 1948, ტ. 2; მთაწმინდელი ზ., ვერის მონასტერი, „დროება“, 1878, №86; ქუთათელაძე მ., თბილისის ტაძრები და რელიგიური ნაგებობები, თბ., 2018; Бакрадзе Дм., Кавказ в древних памятниках христианства, Тфл., 1875; Иоселиани П., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866; Такаишвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4 , Тфл., 1913.

ვ. ბერიძე.

ლურჯი ნარი, ლურჯეკალა (Eryngium), მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალახია. 230-მდე სახეობა გავრცელებულია ტროპ. სუბტროპ. და ზომიერ სარტყლებში



ლურჯი მონასტერი. საერთო ხედი.

(უპირატესად მექსიკასა და სამხრ. ამერიკაში). საქართველოში 5 სახეობაა გავრცელებული. ზოგიერთი მათგანი სარეველაა. E. planum შეიცავს საპონინებსა და ეთეროვან ზეთებს. იყენებენ ამოსახველებელ საშუალებად.



ლურჯი ნარი.

ლურჯი სუფრა, ქართული ტრადიციული სუფრის ერთ-ერთი ნიმუში. ამზადებდნენ ბამბის ან სელის ქსოვილისაგან. ნახატის რეზერვაცია (დაფარვა) აღმოსავლეთიდან შემოსული ცივი კუბური წესით სრულდებოდა – ცხიმნარევ, გასანთლულ ქსოვილზე (საჩითავი) ფიგურებს ყალიბებით გამოსახავდნენ.

სელის ქსოვილისგან დამზადებული სუფრები ბაცი ლურჯი ფერისაა. ლ. ს-ის არქაული სტილის ოდნავ ბუნდოვანი, თეთრი ნახატები, მის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. შედარებით ახალია ბამბის ქსოვილის სუფრები, რ-ებიც მკვეთრი ლურჯი ფერისაა, ნახატები კი – კაშკაშა თეთრი.

სასუფრე ქსოვილის მხატვრული გაფორმება ოსტატის გემოვნებით სრულდებოდა, თუმცა იგი არასოდეს არღვევდა დაჩითვის სპეც. სქემას. აღმოსავლური ,,მანი'' სუფრის ძირითადი მოტივია, არშიებზე ერთმანეთის მონაცვლეობით შემოყოლებულია ,,როზეტები'' და ,,ვარსკვლავები''. ხშირ შემთხვევაში ქსოვილის ცენტრში ,,მედალიონს'' გამოსახავდნენ, მის გარშემო კი – ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ფიგურებს. ვხვდებით დანა-ჩანგლის მოტივებსაც. საყურადღებოა სუფრაზე დაჩითული ნადირობის სცენები. უპირატესობა ენიჭებოდა რქებდატოტვილი ირმის დაჩითვას დროშით, რ-ზედაც ხან მზე, ხან ჯვარი, ხანაც ადამიანი იყო გამოსახული. დეკორატიული დანიშნულების გარდა, მოტივებს რიტუალური დატვირთვაც გააჩნდათ. ლ. ს. საზ-ბის ყველა ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი. ლ. ს-ის დამზადების ტრადიციულ ტექნოლოგიას მიეინიჭა არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი. ლ. ს. დღესაც პოპულარულია.



ა. ლუსინიანი.

ლიტ.: ბრაილაშვილი ნ., ლურჯი სუფრა, თბ., 1971; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

გ. კვანტიძე.

ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები (Cyanophyta), წყალმცენარეთა ტიპი. განეკუთვნებიან პროკარიოტებს. გავრცელებულია ერთუჯრედიანი, კოლონიური და მრავალუჯრედიანი (ძაფისნაირი), უმეტესად მიკროსკოპული ფორმები. აქვთ მოლურჯო-მწვანე ფერი, გვხვდება მოყვითალო-მწვანედ, ვარდისფრად, იისფრად, ზოგჯერ შავად შეფერილი ფორმებიც. მორფოლოგიურად ჩამოყალიბებული ბირთვი და ქლოროპლასტი ლ.-მ. წ-ს არა აქვთ. პლანქტონურ სახეობებს აქვთ ე. წ. გაზის ვაკუოლები – პროტოპლასტში გაზით ამოვსებული სივრცეები. მრავლდებიან დაყოფით (ერთუჯრედიანები), ჰორმოგონიუმებით – ძაფის ფრაგმენტებით (მრავალუჯრედიანები) და სხვადასხვა სახის სპორებით. სქესობრივი გამრავლება და მოძრავი შოლტიანი სტადიები განვითარების ციკლში არა აქვთ. ეს ტიპი აერთიანებს 2000-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია მტკნარ წყლებსა და ზღვებში. ცხოვრობენ ნიადაგზე და ნიადაგში, თოვლზე, ნესტიან ადგილებსა და ცხელ წყაროებში, ზოგი ლიქენების კომპონენტია. პლანქტონური ფორმები ინტენსიური გამრავლებისას იწვევენ „წყლის ყვავილობას“ (წყალი სასმელად უვარგისი ხდება), წყალსადენის ფილტრების დაცობას და თევზის სიკვდილს; ისინი ზოგჯერ წყალსაცავში კუნძულებსაც კი ქმნიან. ბაქტერიებთან ერთად ლ.-მ. წ. მონაწილეობენ სამკურნალო ტალახის შექმნაში, ახდენენ ნიადაგში ატმ. აზოტის ფიქსაციას. ნიადაგზე მცხოვრები ლ.-მ. წ. კი მონაწილეობენ ნიადაგთწარმოქმნის პროცესში. ლ.-მ. წ. უძველესი ჯგუფია და ნათესაური კავშირი სხვა წყალმცენარეებთან არა აქვს.

ქ. ყანჩაველი.

ლუსინიანი არტემ ჰაიკის ძე [5(18). VII. 1910, თბილისი, – 26. VII. 1963, იქვე], სომეხი მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1950). 1928 დაამთავრა თბილ. სომხური ხელოვნების სახლთან (,,აიარტუნი'') არსებული დრამ. სტუდია და მუშაობა დაიწყო თბილ. ს. შაუმიანის სახ. სომხურ თეატრში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. ასრულებდა დრამ., კომედიურ და სახასიათო როლებს. ჰქონდა გამორჩეული სცენური გარეგნობა, დიქცია. მისი შესრულებული როლებია: პეპო, მასისიანი, მიქაელი, ოსეპი (გ. სუნდუკიანის ,,პეპო'', ,,ხათაბალა'', ,,კიდევ ერთი მსხვერპლი'', ,,დანგრეული კერა''), სეირანი, მურადი, სუმბათი, ოტელო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), ფერდინანდი, კარლ მოორი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'', ,,ყაჩაღები''), სტალინი (ნ. პოგოდინის ,,კრემლის კურანტები''), არბენინი (მ. ლერმონტოვის ,,მასკარადი''), ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ვააგი (ა. გულაკიანის ,,განთიადზე'') და სხვ. გადაღებულია მ. ჭიაურელის ფილმში ,,გიორგი სააკაძე'' (ყორჩიხანის შვილი; 1943). დაკრძალულია თბილ. ხოჯევანქის პანთეონში.

ლუტიძე ბიძინა ივანეს ძე (23. I. 1925, სოფ. ალისუბანი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 30. VII. 2005, თბილისი), ფილოსოფოსი, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967), მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). საქართვ. ფილოს. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1995). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1950). 1953-იდან მუშაობდა იქვე. 1970–2004 იყო ჰუმანიტ. ფაკ-ტის ფილოს. კათედრის გამგე, ამავე კათედრის პროფესორი (1967).

ლ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა სოც. ფილოსოფია, პიროვნების ფორმირება, საზ-ბისა და პიროვნების ურთიერთობა, საზ-ბის სოც. განვითარება და სხვ.

გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სამეცნ. სტატიები. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

თხზ.: შრომა და ადამიანი, თბ., 1967; თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში, თბ., 1972; ისტორიული მატერიალიზმის საკითხები, თბ., 1978; კოლექტივი და პიროვნება, თბ., 1979; სოციოლოგიის შესავალი, თბ., 1996; სოციოლოგიური აზრის ისტორია, თბ., 2000; სოციოლოგია, თბ., 2002; გლობალიზაცია: არსი, პრობლემები, თბ., 2003.

ლუტიძე შოთა ივანეს ძე (24. V. 1927, სოფ. ზედა ალისუბანი, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 7. IV. 2010, მოსკოვი), ელექტროენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1974), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (1992). დაამთავრა სპი ელექტროენერგეტიკის სპეციალობით (1949). იმავე წელს მუშაობა დაიწყო ხარკოვის ელექტრომექან. ქ-ნაში, შემდეგ – მოსკოვის გ. კრჟიჟანოვსკის სახ. ენერგეტიკის ინ-ტში ლაბორ. უფროსად. ლ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება ზეგამტარობის გამოყენებისა და ამ მოვლენის საფუძველზე ენერგოგარდაქმნის პრობლემების კვლევას. მან გამოიკვლია ზეგამტარი ტრანსფორმატორების კრიოგენული გარდაქმნების, ზეგამტარი ინდუქციური დამგროვებლების, კვების სხვადასხვა მოწყობილობებისა და დანადგარების არაერთი ახალი კონსტრუქცია. ლ. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას მოსკოვის

ენერგეტიკისა და ი. გუბკინის სახ. ნავთობის, ქიმიისა და გაზის მრეწველობის ინ-ტებში.

ლ. საქართველოში (სპი-ში) ხელმძღვანელობდა ელექტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების, ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრებს (1987–94). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები და მონოგრაფიები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები და მედლები.

თხზ.: Новая электротехника, М., 2010.

ლუფარი (Pomatomus saltatrix), თევზის ერთადერთი სახეობა ლუფარისებრთა ოჯახისა (Pomatomidae). აქვს წაგრძელებული, გვერდებიდან შებრტყელებული სხეული, რ-იც დაფარულია მცირე, მომრგვალებული ქერცლით. ზურგის ორ ფარფლს შორის შუ-



ლუფარი.

ალედია. პირველ ფარფლში 7–8 მჩხვლეტი სხივია, მეორეში – ერთი მჩხვლეტი და 23–28 რბილი სხივი, ანალურ ფარფლში კი – 2–3 მჩხვლეტი და 23–27 რბილი სხივი. ზურგის პირველი ფარფლი მოკლეა და ღარად ლაგდება, მეორე რბილია და, სიმეტრიული ანალური ფარფლის მსგავსად დაფარულია მჭიდრო წვრილი ქერცლით. კუდის ფარფლი ორკაპია. მკერდისა და მუცლის ფარფლები ძალიან მოკლეა. აქვს დიდი თავი და ძლიერი, ბასრი კბილები.

თევზის სიგრძეა 115 *სმ*, მასა 15 *კგ* აღწევს, ზურგი მომწვანო-მოლურჯოა, მუცელი – ვერცხლისფერი. მკერდის ფარფლების ფუძესთან აქვს მუქი ლაქა. გუნდური თევზია. ბინადრობს წყლის ზედაპირთან. მოგზაურობს დიდ, ზოგჯერ რამდენიმე ათასი თევზისგან შემდგარ ქარავნად. ახორციელებს მნიშვნელოვან სეზონურ მიგრაციებს.

გვხვდება ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში, ტროპ. და ზომიერი სარტყლების წყლებში. საქართველოში გავრცელებულია შავ ზღვაში. მტაცებელია. იკვებება თევზებით. ლ. ძვირფასი სარეწაო თევზია.

ნ. ნინუა.

ლუძსემბურგი, ქ. ბოლნისის სახელწოდება 1943 წლამდე.

ლულერა-სამცაცხვი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭანისწყლის (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. წალენჯიხის ტერიტ. ორგანო. ზ. დ. 185 *მ*, 215 მცხ. (2014).

ლუხვანო, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების, *ზედა ლუხვანოსა* და *ქვედა ლუხვანოს* გავრცელებული სახელწოდება.

ლუხი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ხაიშის თემი), მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 750 *მ*. მესტიიდან 66 *კმ*. 48 მცხ. (2014).

ლუხუმი, ლუის ლუხუმი, თუში სახალხო გმირი. იგი ლეკთა მოთარეშე რაზმთან შეტაკების დროს კლდიდან გადაიჩეხა. მოთარეშეებს ლ. მკვდარი ეგონათ და ტრადიციული წესისამებრ მარჯვენა მოაჭრეს. იგი გველმა განკურნა, მაგრამ გზად მიმავალმა ლეკებმა კვლავ შეიპყრეს და თავიანთი მიცვალებულის საფლავზე დაკლეს. ლ-ის ხალხ. სახე გამოიყენა ვაჟა-ფშაველამ პოემებში (,,ბახტრიონი“, ,,სტუმარ-მასპინძელი“).

ლიტ.: შანიძე ა., ხალხური პოეზია, თბ., 1931; მისივე, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961; ჩიქოვანი მ., ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია, თბ., 1956; ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1988.

დ. გოგოჭური.

ლუხუნი, მდინარე ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. მდ. რიონის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2650 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 39 *კმ*, აუზის ფართ. 239 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე. საშ. წლ. ხარჯი 12,1 *მ*^{3}/*წმ*. მდინარის ქვემო დინებას იყენებენ ხეტყის დასაცურებლად.

ლუხუნის (ლუხუმის) დარიშხანის საბადო, მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდ. მადნისღელის (მდ. ლუხუნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. საბადო დაკავშირებულია ზედაიურულ-ქვედაცარცული ფლიშის ზედა კარბონატულ წყებასთან. წყების სამხრ. პერიფერიაზეა შეცოცების ტიპის რღვევა, რ-ის ფარგლებშიც ლოკალიზებულია მადნიანი სხეული. ძირითადი მადნეული მინერალებია რეალგარი და აურიპიგმენტი. საბადო მიეკუთვნება ჰიდროთერმულ ტიპს; წარმოშობილია დაბალ და ნაწილობრივ საშ. ტემპ-რაზე, ძირითადად გვერდითი ქანების მეტასომატური შეცვლის შედეგად და უკავშირდება კაინოზოური ასაკის მაგმატიზმს. ლ. დ. ს-ს ბაზაზე სოფ. ურავში XX ს. 90-იან წლებამდე მუშაობდა რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი.


ე. კახაძე.


ლუხუნის უღელტეხილი, მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში, შოდაკედელას ქედის ჩრდ.-დას. ნაწილში, მდ-ების – რიონისა და საკაურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობებს შორის, ზ. დ. 2675 *მ*. იგი აკავშირებს ონისა და ამბროლაურის მუნიციპ-ებს. უღელტეხილის მიმდებარე ტერიტ. აგებულია ზედაიურული და ქვედაიურული კარბონატული ქანებით. ფერდობები შემოსილია სუბალპ. ბალახეულით.

ლუხუნისწვერი, მთა ლენტეხისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, ლეჩხუმის ქედის ჩრდ.-აღმ-ით, მდ-ების – რიონის, ლუხუნისა და ხიდურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფი. სიმაღლე ზ. დ. 3216 *მ*. აგებულია იურული ნალექებით – თიხიანი და კირიანი ფიქლებით. მთის კალთები დაფარულია ალპ. მდელოებით. გზა მიემართება მდ. ლუხუნის ხეობიდან.

ლუჯი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჟახუნდერის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 1200 *მ*, ლენტეხიდან 21 *კმ*. 73 მცხ. (2014).

ლუჰა – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა ლუჰისა* და *ქვედა ლუჰის* გავრცელებული სახელწოდება.






ამურის მააკია.

მ., ქართული ანბანის მეთორმეტე (ძვ. ქართულში მეცამეტე) ასო. მისი სახელია ,,მანი‘‘; გრაფ. სიმბოლო წყვილბაგისმიერი ხშვის მქონე ნაზალური (ცხვირისმიერი) სონორი ფონემისა. ასომთავრულში იწერებოდა ⴓ. მისი მოხაზულობა წრისა და ხაზების კომბინაციაა. ნუსხურში ⴍ მარჯვნივაა გადახრილი. მხედრულში მ. ერთიან მომრგვალებულ კონტურს იძენს. ნუსხური ⴍ და მხედრული მ. ოთხხაზოვანი სისტემის ზედა სამ ხაზს შორის იწერება. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ორმოცს (40).

მ-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

მააკია (Maackia), ფოთოლმცვივან მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. აღმოსავლეთაზიური გვარია. შეიცავს 5–6 სახეობას. მათგან საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ერთი – ამურის მ. (M. amurensis). ხშირვარჯიანი ხეა. მისი სიმაღლე 15–20 *მ* აღწევს, ფოთლები და ნორჩი ყვავილები დაფარულია აბრეშუმისებრი ბუსუსებით.

მეტწილად იზრდება შორეულ აღმოსავლეთში, კორეასა და ჩრდ.-აღმ. ჩინეთში. კულტივირებულია დეკორ. მცენარედ, აგრეთვე ხევებისა და ფერდობების გასამაგრებლად. კარგად ხარობს ბათუმის ბოტან. ბაღში. აქვს მაგარი და ძნელად ლპობადი მერქანი, რ-საც

სახარატო და სადურგლო საქმეში იყენებენ.

მაანიკვარა, მდინარე გუდაუთის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს ბზიფის ქედის სამხრ. განშტოებაზე, ზ. დ. 945 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას. სიგრძე – 10,9 *კმ*, აუზის ფართ. – 38,9 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წლის დანარჩენ დროს – წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი – 1,77 *მ*^{3}/*წმ*.

ი. აფხაზავა.

მაგანა, მდინარე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ენგურის მარცხენა შენაკადი. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2460 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე – 24 *კმ*, აუზის ფართ. –141 *კმ*^{2}. ერთვის მდ. ენგურს ქ. ჯვართან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში, წყალმოვარდნები – შემოდგომაზე.



მდინარე მაგანა.

საშ. წლ. ხარჯი 8,1 *მ*^{3}/*წმ*. მ-ის სათავეში, ზ. დ. 2654 *მ* მდებარეობს ტობავარჩხილის ტბა.

ი. აფხაზავა.

მაგანის უღელტეხილი, უღელტეხილი აფხაზეთის არ-ში, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მდ-ების – გრიბზისა (ბზიფის მარჯვ. შენაკადი) და მაგანის (დიდი ლაბის მარცხ. შენაკადი) სათავეებთან, ზ. დ. 2265 *მ*. უღელტეხილის მიდამოები აგებულია პალეოზოური კრისტალური ქანებით. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. უღელტეხილზე გადადის საჭაპანო გზა, რ-იც აკავშირებს ბზიფის ხეობას ჩრდ. კავკ. სოფლებთან.

ლ. მარუაშვილი.

მაგარდელი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ცხუმარის თემი), სვანეთის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 1280 *მ*, მესტიიდან 18 *კმ*. 60 მცხ. (2014).

მაგაროტო ლუიჯი (დ. 15. IX. 1942, პადუა), იტალიელი ქართველოლოგი, მთარგმნელი, ვენეციის უნ-ტის პროფესორი, საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის უცხოელი წევრი (2002), თსუ-ის საპატიო დოქტორი (2014). 1970 დაამთავრა ვენეციის უნ-ტის უცხო ენების ფაკ-ტი (ძირითადი ენა რუსული). 1976 პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ქართ. ენის შესწავლას მიჰყო ხელი (მანამდე, მოსკოვში ყოფნისას, პასტერნაკისეული თარგმანებით გაეცნო ქართვ. პოეტთა შემოქმედებას). თარგმნა გ. ტაბიძის 19 ლექსი და გამოაქვეყნა ვენეციის უნ-ტის ენისა და ლიტ-რის წელიწდეულში (1978, ტ. XVII, განაკვეთი 3, ორიენტალისტური სერია). შესავალ სტატიაში ვრცლად მიმოიხილა პოეტის შემოქმედება. 1985 თბილისში გამოვიდა გ. ტაბიძის ლექსების კრებული ქართ. და იტალ. ენებზე მაგაროტოსეული თარგმანებითა და წინასიტყვაობით. მ-ს აქვს ნაშრომები ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ცისფერყანწელების, ნ. ფიროსმანის, ლ. გუდიაშვილის შემოქმედებაზე, ქართ. სუფრის ტრადიციაზე და სხვ. მან იტალიურად თარგმნა ილიას ,,სარჩობელაზედ'' (1987), ვაჟას ,,ალუდა ქეთელაური'', ,,სტუმარ-მასპინძელი'', ,,გველისმჭამელი'', პ. იაშვილისა და ს. ჩიქოვანის ლექსები.

მ-ს ეკუთვნის ნაშრომები სლავისტიკასა და ქართველოლოგიაში. 1987 ვენეციის უნ-ტში დააარსა ქართველოლოგიის კათედრა, სადაც ქართ. ენა ისწავლება დამოუკიდებელ საგნად; ქართველოლოგიურ ცენტრში გამოდის ჟურნ. ,,გეორგიკის'' იტალიური სერია.

მთარგმნელობით სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის 1999 მ-ს მიენიჭა ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრის მ. უორდროპის სახ. პრემია.

თხზ.: საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ (1783–1801), თბ., 2008.

ლიტ.: თურნავა ს., XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1999; კვიტაიშვილი ე., ლუიჯი მაგაროტო – ქართული სულიერების ერთგული რაინდი, ,,კალმასობა'', 2003, №7.

ს. თურნავა.

მაგარციხე, კოშკი, არქიტექტურული ძეგლი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოროღოს ჩრდით, 1,5 *კმ*-ზე, თარიღდება IX–X სს-ით. კოშკი ზურგიანია (8,2×3,7 *მმ*), ხუთსართულიანი. ნაგებია მოზრდილი, ტლანქად დამუშავებული ქვით. კარ-სარკმლის ღიობები გამოყვანილია მოწითალო თლილი ქვით. კოშკის I სართული მიწიდან 6,5 *მ* სიმაღლეზეა. შესასვლელი გაჭრილია I სართულზე, სწორ კედელში, კარი მართკუთხაა, გადახურულია მოზრდილი ქვით, რ-ზეც მარტივი ჯვარია ამოკვეთილი. შესასვლელის ზემოთ, მომდევნო სართულების კედელში, ერთ ვერტიკალზე განლაგებულია თითო სარკმელი. შესასვლელის ოდნავ ქვემოთ შემორჩენილია მის წინ არსებული პატარა ბაქნის საყრდენი ორი კონსოლი. ქვის ფილების სართულშუა გადახურვაში კავშირისათვის დატანებულია ოთხკუთხა ხვრელები. კოშკის V სართულის უმეტესი ნაწილი დანგრეულია, შემორჩენილია სწორი კედლის მხარეს მოწყობილი აივნის საყრდენი ქვის კონსოლების ნაწილები.

ლიტ.: გვასალია ჯ., გიორგაძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ხადის ხეობა, თბ., 1983; ზაქარაია პ., არაგვისა და თერგის ხეობა, თბ., 1972; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

თ. დვალი.

„მაგთიკომი“ (შპს), ქართულ-ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია. დაფუძნდა 1996 წ. 12 თებერვალს, კომერციული საქმიანობა დაიწყო 1997 წ. 22 სექტემბრიდან. ,,მ-ის'' მფლობელები არიან ამერ. კომპანიები: International Telcell Cellular LLC და Telcell Wireless LLC. მისი შვილობილი კომპანიაა შპს ,,დელტაკომი''. ,,მ-მა'' საქართველოში პირველმა შესთავაზა მომხმარებელს სრული სატელეკომუნიკაციო სერვისი: მობილური და ფიქსირებული ტელეფონია, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი და ტელევიზია. ,,მ.'' საქართველოს ბაზარზე ლიდერია როგორც მობილურ, ისე ფიქსირებულ (ოპტიკურ-ბოჭკოვან) მომსახურებაში და ყველაზე ვრცელი დაფარვის არეალით არის წარმოდგენილი. კომპანია ორიენტირებულია ტექნოლ. ინოვაციებზე, მსოფლიო სტანდარტების შესატყვის მომსახურებაზე.

კომპანიის მთავარ ფასეულობათა შორის ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ქველმოქმედება და კორპორაციული სოც. პასუხისმგებლობა. ,,ჩვენ ქართულ



,,მაგთიკომი''. სასაქონლო ნიშანი.

საქმეს ვაკეთებთ“ – ამ დევიზით „მ-მა“ ასეულობით პროექტი განახორციელა ქართ. კულტურის, ხელოვნებისა და განათლების მხარდასაჭერად.

„მ.“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა. მისი წვლილი ქართ. ეკონომიკაში მნიშვნელოვანია.

მაგია (ბერძნ. Μαγεια – ჯადოქრობა, მისნობა, გრძნეულება), რწმენა ადამიანის მიერ ზებუნებრივ და ბუნებრივ ძალებზე გავლენის მოხდენისა შელოცვების, რიტუალებისა და სხვათა საშუალებით. მ-ს ზოგჯერ რელიგიის ადრეული ფორმების ერთ-ერთ სახეობად განიხილავენ, თუმცა ბევრი თეოლოგი და რელიგიათმცოდნე მას რელიგიად არ აღიარებს, რადგან რელიგია, კლასიკური გაგებით, ადამიანსა და აბსოლუტს (ღმერთს) შორის კავშირს ნიშნავს, მ. კი გამოხატავს ბატონობას სამყაროზე მისი განვითარების კანონზომიერებისა და აუცილებლობის საიდუმლოებათა ფლობის გზით. ამიტომ მ., რელიგიისაგან განსხვავებით, აქცენტს იმაზე კი არ აკეთებს, რომ ადამიანის სული ღვთისკენ მიემართებოდეს, არამედ მას მთლიანად პრაქტიკული საჭიროებებით, სამყაროში ადამიანის ნორმალური ცხოველქმედების ამოცანებით განსაზღვრავს. მაგიური და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი ოკულტური (ლათ. occultus – საიდუმლო, დაფარული) ელემენტები და რიტუალები ყველა ძველი, წარმართული რწმენა-წარმოდგენისათვის იყო დამახასიათებელი. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართ. წარმართობაა, რ-ის მრავალი ნაშთი ჩვენს ხალხურ ყოფაში დღემდეა შემორჩენილი. მ-ის ელემენტები ყოველთვის ცდილობდნენ რელიგიებში შეღწევას. ამ მხრივ არც ქრისტიანობაა გამონაკლისი, თუმცა ოფიც. ქრისტ. ეკლესია ყოველთვის მკვეთრად მიჯნავდა საკუთარ სარწმუნოებას მ-ისგან და გმობდა მას. უნდა აღინიშნოს, რომ მაგიური რიტუალები დღემდე საკმაოდ ძალუმად მოქმედებს მრავალი ხალხის (იგულისხმება აფრიკის, ავსტრალიის, ოკეანიის ხალხები, ჩრდ. და სამხრ. ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა) სოც. თუ კულტ. ცხოვრებაში.

კულტურის მეცნიერებებში მაგიური აზროვნების ძირითად მახასიათებლად დამთხვევებისაკენ ორიენტირებას, სიმბოლურობას მიიჩნევენ და მაგიურ-სიმბოლური ქმედების სხვადასხვა სახეობას გამოყოფენ (სამეურნეო, სამკურნალო, ვნების მომტანი, ანუ შავი მ., დამცველი, სასიყვარულო და სხვ.).

უძველესი დროიდან მომდინარე მაგიური ქმედებები, ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებთან შერწყმული სახით, ბოლო დრომდე შემოინახა ქართულ ხალხურ წეს-ჩვეულებებსა თუ მითოლოგიურ გადმოცემებში; საქორწილო ცერემონიალისას, დედოფალს პატარა ბიჭს ჩაუგორებდნენ კალთაში, ვაჟიანობის დასაბედებლად. ნეფის ოჯახში ზღურბლის გადასვლისას, პატარძალს ბარაქიანობის სიმბოლოს, ცომით სავსე ჯამს აწვდიდნენ, კერიის გარშემოვლისას მაყრები დედაბოძზე ჩამოკიდებულ კაკლით სავსე ქილას ხან-ჯლით დაამსხვრევდნენ და კაკლის გაბნევისას შესძახებდნენ, „გაიშალა, გაიშალა ბიჭებო, ასე გამრავლდით!“ გაზაფხულზე, პირველი ჭექა-ქუხილისას რაყის ქვას ზურგზე სამჯერ იცემდნენ, სიტყვებით: „ზურგი მაგარ“. ფერხულისას რაც უფრო მაღლა შეხტებოდნენ, ხალხ. წარმოდგენით, პურეულის მეტი მოსავალი მოვიდოდა. მცენარეულობის ზრდის სასწაულმოქმედი (მაგიური) ძალა მიეწერებოდა შვიდ მაისს მოსულ წვიმას. გაზაფხულზე, მუშა საქონელს ველზე პირველად გაყვანის წინ მარჯვენა ბეჭზე კვერცხს დაახლიდნენ, ავი თვალის საწინააღმდეგოდ. სასურველი ამინდის გამოთხოვის რიტუალებში („ლაზარობა/„გონჯაობა“), ერთმანეთის გაწუწვა თუ გუთნით წყლის „მოხვნა“ წვიმის მოყვანის საწინდარი იყო. ძაფის დართვაც „ბედ-იღბლის“ დაბევებასთან იყო გაიგივებული და მეკვლეს, საახალწლო რიტუალებში, დიასახლისი ძაფის გორგლით ასაჩუქრებდა ბედნიერების ნიშნად. რთველის დამთავრებისას ვენახში მსუქან ბავშვს მიწაზე გააგორებდნენ ან ბოლო მტევანს ვაზზე შეაჭყლეტდნენ და სხვ. ამ რიტუალებს მაგიური მიზანდასახულობა ჰქონდათ და ნაყოფიერების, სიცოცხლის განახლების იდეებს უკავშირდებოდა.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; თეორიული ეთნოლოგია, თბ., 2010; თოფურია ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984; ღამბაშიძე ნ., ალავერდა-შვილი ქ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული კულტურა, თბ., 2018; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.1).

ზ. ეკალაძე.
გ. ჩიხლაძე.

მაგიდის ჩოგბურთი, სპორტის ოლიმპიური სახეობა. შეჯიბრება ტარდება ბადით გაყოფილ სპეც. მაგიდაზე ორ ან ოთხ მოთამაშეს შორის ჩოგნებითა და პატარა ბურთით. თამაშის წესების მიხედვით მოთამაშემ ჩოგნით ბურთი ისე უნდა ჩააწოდოს, რომ მაგიდის საკუთარ ნახევარზე მხოლოდ ერთხელ დაეცეს, შემდეგ კი მოწინააღმდეგის ნახევარზე დავარდეს. მოთამაშეს ქულა ენიჭება მაშინ, თუ მეტოქის ნახევარზე ბურთი ორჯერ დავარდება (რის შემდეგაც მოწინააღმდეგე ამ უკანასკნელს მეორე მოთამაშეს ვერ გაუგზავნის), მეტოქის მიერ ჩაწოდებული ბურთი მეორე მოთამაშის ნახევარზე არ დაეცემა, ასცდება მას ან ბადეს მოხვდება და კვლავ ჩამწოდებლის მხარეს დაეცემა. წყვილში თამაშის დროს ჩაწოდება ხდება ჯვარედინად, შუაზე გაყოფილი მაგიდის ფარგლებში, ბურთის მოგერიება კი მორიგეობით უნდა განხორციელდეს. პოლიეთილენის ან პლასტიკური ბურთი თეთრი ან ნარინჯისფერია, დიამეტრით – 40 *მმ*-ზე ოდნავ მეტი. ჩოგბურთის მა-



მაგიდის ჩოგბურთი.

გიდის სიგრძეა 274 *სმ*, სიგანე – 152,5 *სმ*, სიმაღლე – 76 *სმ*, ბადის სიმაღლე – 15,2 *სმ* (ამავე ზომით ბადე სცდება მაგიდის კიდეებს); ჩოგნის სიგრძე – 23,5 *სმ*, სიგანე – 15 *სმ*.

თამაში გამოიგონეს XIX ს. ბოლოს ბრიტანეთში. მ. ჩ-ის საერთაშ. წესებსა და სტანდარტებს ადგენს საერთაშ. ფედერაცია (ITTF, დაარსდა 1926). ITTF-ში 227 ქვეყანაა გაწევრიანებული. სპორტული შეჯიბრების ოფიც. წესები ჩამოყალიბებულია ფედერაციის მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოში. სპორტის ეს სახეობა რამდენიმე კატეგორიით ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში 1988 შეიტანეს. 1988-იდან 2004-მდე მ. ჩ-ის ჩემპიონატი

მამაკაცთა და ქალთა ინდივიდუალურ, მამაკაცთა და ქალთა წყვილ კატეგორიებში ტარდებოდა. 2008 წყვილთა კატეგორიები გუნდურმა შეჯიბრებამ ჩაანაცვლა.

საქართველოში მ. ჩ. XX ს. დასაწყისში გავრცელდა, მასობრივად კი ამავე საუკუნის შუა წლებიდან განვითარდა. თბილ. პირველი ჩემპიონატი ჩატარდა 1950, ორი წლის შემდეგ კი ბათუმში მოეწყო საქართვ. პირველი ჩემპიონატი.

საქართველოდან სსრკ პირველი სპორტის ოსტატები გახდნენ რ. კუდაშვილი და ლ. იზაშვილი (ქალებში). 1954 რ. კუდაშვილის ინიციატივით თბილისში გაიხსნა მ. ჩ-ის ბავშვთა სპორტული სკოლა. სსრკ ჩემპიონატის პირველი მედლები მოიპოვეს ლ. იზაშვილმა (1958, ბრინჯაო), ს. სარხოიანმა (1966, ოქრო), თ. რამაზაშვილმა (1966, ბრინჯაო). ს. სარხოიანი არის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი, სხვადასხვა თანრიგში 23-ჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონის წოდება, ასევე მრავალი მედალი საერთაშ. ტურნირებში, მ. შ. ევროპის ჩემპიონატებსა და სტუდენტთა მსოფლიო პირველობაზე. იგი საუკეთესოა საქართვ. ყველა თაობის მაგიდის ჩოგბურთელთა შორის.

საქართველოში მ. ჩ-ის ფედერაცია დაფუძნდა 1991; 1992-იდან კი იგი გახდა საერთაშ. ფედერაციისა და ევროპის მ. ჩ-ის ფედერაციის (ETTF) წევრი.

მაგისტრატი მოსამართლე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად მ. მ. განიხილავს შედარებით დაბალი ღირებულების სამოქალაქო დავებს; გარკვეული სახის უდავო, გამარტივებული წარმოებისა და საოჯახო საქმეებს; ასევე ზოგიერთი ადმ. სამართალდარღვევისა და სოც. დაცვის საკითხის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით და საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ სხვა მსგავს დავებს. მ. მ. ასევე იღებს გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

მ. მ. თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართვ. ზოგიერთ რაიონულ ან საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტ-ზე არსებულ ადმ.–ტერიტ. ერთეულში. მ. მ-ის სამოქმედო ტერიტ. და რაოდენობა განისაზღვრება საქართვ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

საქართვ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წ. 9 აგვისტოს №1/150–2007 გადაწყვეტილებით მ. მ. საქმიანობენ ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, მცხეთის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, სიღნაღის, ცაგერის, ხაშურის, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოებისა და ბათუმის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიებზე.

ი. უჯმაჯურიძე.

მაგისტროსი (ლათ. magister officiorum; ბერძნ. μάγιστρος τῶν ὀφφικίων), რომის იმპერიაში შექმნილი თანამდებობა, რ-იც დაკავშირებულია იმპ. დიოკლეტიანეს (284–305) სახელთან. მან სასახლის რამდენიმე სამსახური პრეტორიანელთა ტრიბუნს ჩააბარა და კიდევ ერთი წოდება – magister officiorum უბოძა. კონსტანტინე I დიდის (306–337) დროს მ. გამოვიდა პრეტორიანელთა პრეფექტის დაქვემდებარებიდან და სასახლის დაცვისა და საიმპერატორო სამდივნოს, არსენალის, დესპანთა მეთაური გახდა. მ. ირიცხებოდა უმაღლ. რანგის სენატორთა შორის. VII ს-იდან ნელ-ნელა მ-მა დაკარგა თავისი მოვალეობების მნიშვნელოვანი ნაწილი და მხოლოდ საპატიო ტიტული გახდა.

მ. საქართველოში, თავდაპირველად, თანამდებობა იყო. ლაზიკის მ. ბიზანტიურ წყაროებშია მოხსენიებული. აღნიშნული თანამდებობა, სავარაუდოდ, IV–V სს. მიჯნაზე ეგრისის სამეფო კარზე აღმ. რომის იმპერიის (ბიზანტიის) ანალოგიით იქნა შემოღებული. VI ს-ში ლაზიკის მ. იყო ტერდეტი, ხოლო შემდეგ – ფარსანტ კოლხი. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, ლაზიკის მ-ის მოვალეობა იყო სამეფო სასახლის გვარდიის მეთაურობა და სასაზღვრო პროვინციის მმართველობა. მასვე უნდა ჰქონოდა სხვა უფლება-მოვალეობები, ისინი, რაც მ-ს ამავე პერიოდის ბიზანტიაში მოეპოვებოდა.

ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე მ-ებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია გრიგოლ პატრიკიოსს. ის იყო ბიზანტიის იმპ. კოსტანტი II-ის (641–668) დროს დაწინაურებული ლაზიკის სამეფო სახლის წევრი. გრიგოლ პატრიკიოსმა თავდაპირველად მ-ის თანამდებობა მიიღო კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ, 663–667 ლაზიკის მმართველობა ჩააბარეს. ამავე პერიოდში გრიგოლი მაგისტროსობას ტიტულის სახით ინარჩუნებდა.

მ-ის ტიტულის მქონე პიროვნება ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებით შესაბამისი ცერემონიალის შემდეგ იღებდა შესამოსელს ინვესტიტურის სახით, ინსიგნიებს – ძალაუფლების ნიშნებს და როგას – თანამდებობრივ სარგოს, რ-იც თავდაპირველად 24 ლიტრი ბიზანტიური ოქრო იყო, ხოლო შემდეგ – 16 (ერთი ლიტრი ბიზანტიური ოქრო უდრიდა 72 ნომისმას, ბიზანტიურ ოქროს ფულს).

მ-ის ტიტული X ს-იდან ხშირად გადაეცემოდათ ქართველ მეფე-მთავრებს: გიორგი II აფხაზთა მეფეს, დავით II ქართველთა მეფეს, გურგენ ერისთავთერისთავს, ბაგრატ ადარნასე ქართველთა მეფის ძეს და ქართველთა მეფეთ მეფე დავით III დიდს; ასევე ჩორდვანელთა სახლის წევრებს – ჩორდვანელ ვარაზ-ვაჩეს ძეს და ბაგრატ თორნიკე ერისთავის ძეს. მომდევნო საუკუნეში საქართვ. სამეფოს მეფე-მთავართა შორის მ-ის ტიტული მიიღეს გურგენ მეფეთ მეფემ, გიორგი I-მა, დემეტრე უფლისწულმა, ლიპარიტ ბაღვაშმა და კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდმა.

მ-ის ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე ქართველი დიდებულებიც, მ. შ. ბასილ აპოკაპი, ბასილ თეოდოროკანი, გიორგი მაგისტროსი, ბაგრატ ვიჩკაცი, აბაზ ბაკურიანი, სერგი ბაკურიანი და ქაიან იბერი. ისინი ბიზანტიის იმპერიაში სხვადასხვა მნიშვნელოვან ტიტულებსა და თანამდებობებსაც ფლობდნენ. მათ დიდ ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა ქართული თვითმყოფადობა. XI–XII სს. მიჯნის ახლო ხანებში მაგისტროსობა გაუქმდა.

ლიტ.: თავაძე ლ., მაგისტროსი საქართველოში და ქართველი მაგისტროსები ბიზანტიის იმპერიაში, თბ., 2016; Boak A. E. R, The Master of the Offices in the Later Roman and Byzantine Empires, N. Y.–L., 1919.

ლ. თავაძე.

მაგნიტური რეზონანსი, (მრ) ნივთიერების მიერ გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების შერჩევითი შთანთქმა, გა-



დიდყვავილა მაგნოლია.

მოწვეული ნივთიერების ნაწილაკების (ელექტრონები, ატომბირთვები) მაგნიტური მომენტების ორიენტაციის ცვლილებით. m მაგნ. მომენტის მქონე ნაწილაკის ენერგიის დონე H გარე მაგნ. ველში იხლიჩება მაგნიტურ ქვედონეებად, მათგან თითოეულს შეესაბამება მაგნ. მომენტის გარკვეული ორიენტაცია H მაგნ. ველის მიმართ (ზეემანის ეფექტი). ω რეზონანსული სიხშირის ელექტრომაგნიტური ველი იწვევს კვანტურ გადასვლებს ენერგიის ქვედონეებს შორის. რეზონანსის პირობაა: ΔE=ħω, სადაც ΔE მაგნ. ქვედონეებს შორის ენერგიის სხვაობაა. თუ ენერგიის შთანთქმა ბირთვებით ხორციელდება, მრ-ს ეწოდება ბირთვული მაგნ. რეზონანსი (ბმრ). პარამაგნეტიკებში გაუწყვილებელი ელექტრონების მაგნ. მომენტებით განპირობებულ მრ-ს ეწოდება ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი (ეპრ). მრ-ის სპექტრები მგძნობიარეა ნივთიერებაში მოქმედი სხვადასხვა შიგა ველის მიმართ. ამიტომ მრ გამოიყენება მყარი სხეულისა და სითხის სტრუქტურის, ატომური და მოლეკულური დინამიკისა და სხვ. საკვლევად.

ეპრ აღმოაჩინა ე. ზავოისკიმ 1944 პარამაგნიტური ნაწილაკების შემცველ ნივთიერებებში, ხოლო ბპრ ფ. ბლოხმა და ე. პარსელმა 1946 სითხეებსა და მყარ სხეულებში.

1955 თსუ-ში თ. *სანაძემ* საფუძველი ჩაუყარა შემდგომში მსოფლიოში ცნობილ ეპრ-ის ექსპერიმენტულ სკოლას. 1967 მანვე აღმოაჩინა ეპრ-ის შთანთქმის ხაზის დისკრეტული გაჯერების მოვლენა, რ-იც 1969 თეორიულად ახსნეს გ. *ხუციშვილმა* და თ. სანაძემ. მათვე შექმნეს მყარ სხეულში მაგნიტური იონისა და მისი მეზობელი ატომბირთვების ურთიერთქმედების შესწავლის ახალი მეთოდი, რ-საც რადიოსიხშირული დისკრეტული გაჯერების მეთოდი ეწოდა. გ. ხუციშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა მ. რ-ის მძლავრი თეორიული სკოლა. ცნობილია გ. ხუციშვილის ნაშრომები ბირთვების სპინთა დიფუზიასა და რელაქსაციაზე პარამაგნიტური მინარევების არსებობისას. ლ. *ბუიშვილმა* განავითარა მ. რ-ის კვანტურ-სტატისტიკური თეორია არაწონასწორული კვანტური ოპერატორის მეთოდის გამოყენებით.

1978–91 წლებში, საქართვ. მეცნ. აკად. ფარმაკოქიმიის ინტის ბაზაზე ფუნქციონირებდა ბმრ-ის სპექტროსკოპიის რესპ. ცენტრი (ხელმძღვ. ვ. *ციციშვილი*), სადაც შეისწავლეს 200-მდე ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერების (სტეროიდები, ფლავანოიდები, ალკალოიდები და სხვ.) სტრუქტურა, მათი ურთიერთქმედება ცილებთან და სხვა ბიოპოლიმერებთან, შემუშავდა ფლავანოიდების რადიოპროტექტორული და ანტიმჟანგველი აქტივობის პროგნოზირების მეთოდი.

საქართველოში ეპრ-ის სპექტროსკოპიაში კვლევები წარმატებით გაგრძელდა ა. შენგელაიას ჯგუფში (თსუ). შექმნილია მაგნიტო-ელექტრული კავშირის სიდიდის გაზომვის ახალი მეთოდი, სადაც ელექტრონული ფერომაგნიტური/პარამაგნიტური რეზონანსის დასამზერად გამოიყენება ელექტრული ველის მოდულაცია, ნაცვლად სტანდარტული მაგნიტური მოდულაციისა.

თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინ-ტში გ. მამნიაშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით მიმდინარეობს ნივთიერებათა მაგნიტურად მოწესრიგებული ფაზების შესწავლა ბმრ-ის გამოყენებით. შეიქმნა ორიგინ. მეთოდიკა, რ-იც იმპულსური ბმრ-ის გამოყენებით საშუალებას გვაძლევს დადგინდეს ნიმუშის ლოკალური მაგნ. მახასიათებლები, რაც აუცილებელია ამ მასალათა პრაქტ. გამოყენებებისას სპინური ელექტრონიკის (სპინტრონიკის) ელექტრონულ მოწყობილობებში.

ლიტ.: Buishvili L.L., Zviadadze M.D., On the Quasithermodinamic Theory of Magnetic Relaxation, „Physica“, 1972, vol. 59; Khutsishvili G.R., Diffusion and Relaxation of Nuclear Spins in Cristales Containing Paramagnetic Impurities, „Progress in Low „Temperature Physics”, 1970, vol. 6; Sanadze T.I., Khutsishvili G.R., Forbidden Transiticos and Discrete Saturation in EPR Lines; ZhET F, 1970, vol. 59, N3.

გ. ჯაფარიძე.

მაგნოლია (Magnolia), მცენარეთა გვარი მაგნოლიასებრთა ოჯახისა. მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ხეები და ბუჩქებია. მ-ს მეტწილად დიდი ფოთლები აქვს. ყვავილები კენწრული და ორსქესიანია, უმეტესად – სურნელოვანი, იშვიათად – მყრალი. ნაყოფი გირჩისებრია, მრავალფოთლურა, რომლიდანაც მომწიფებისას გამოიჭრება ხოლმე წითელ გარსში მოქცეული ძაფზე ჩამოკიდებული თესლი. ცნობილია მ-ის 80-მდე სახეობა, მათგან 20-მდე სახეობა ჩრდ. ამერიკაში იზრდება, დანარჩენი – სამხრ.-აღმ. აზიაში.

მ. ფართოდ გავრცელებული კულტურაა. კარგად ხარობს ნოყიერ, ტენიან, დრენირებულ ნიადაგზე. ამრავლებენ თესლით, კალმით (სათბურში). საქართველოში მ. მოშენებულია თბილისში, წინანდალში, ქუთაისსა და სხვა ადგილებში, უფრო მეტად კი შავი ზღვის სანაპიროზე.

მაგრანეთი, სოფელი მცხეთა–მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (ნაქალაქარის თემი), ერწოს ქვაბულის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. ივრის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ.* თიანეთიდან 30 *კმ.* 224 მცხ. (2014).

მ-ის ტერიტორიაზე მრავალი ისტ. ძეგლია. მდ. მაგრანეთისხევის ნაპირზე მდებარეობს განვით. შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია, რ-ის დას. კედლის ერთ ქვაზე X ს. ორსტრიქონიანი ასომთავრული (ნუსხურნარევი) წარწერაა. ეკლესიასთან შუა საუკუნეების ქვის სამარხებია, ხოლო შორიახლოს – ნასოფლარი. სოფლის სამხრ. განაპირას, სასაფლაოზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ციხე-კოშკი და XIX ს. დასასრულს აგებული პატარა დარბაზული ეკლესია. ამავე მხარეს, საცხვრეგორად წოდებულ ადგილზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია. სოფლის დას. განაპირას შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესიის (თამრებაის ჯვარი) ნანგრევი.

1963–69 სოფლის ტერიტ-ზე გათხარეს (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) სხვადასხვა პერიოდის ძეგლები. სოფლის ჩრდ.-დას-ით, მდ. თრანულის მარჯვ. ნაპირზე, ქუშანაანთ გორაზე გათხრილია III–IV სს. სამაროვანი (იხ. *ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლები*), რ-ის სამხრ-ით გამოვლინდა ადრინდ. შუა საუკუნეების ნამოსახლარი. კომპლექსი შედგება მოზრდილი შენობის ნაშთისაგან. შემორჩენილია რიყის ქვის ორპირი წყობით ნაგები საძირკველი. შენობას ალიზის კედლები და ღარიანი კრამიტის სახურავი ჰქონია. არქეოლ. მასალის, განსაკუთრებით სასანურ-ბიზანტიური მონეტების (იხ. *მაგრანეთის განძი*) მიხედვით, ნაგებობა VII ს. II ნახ-ში დანგრეულა. ნამოსახლარის სამხრ-ით შემორჩენილია ძვ. გზის ნაშთი. მის სამხრ-ით გათხარეს ადრინდ.

შუა საუკუნეების სამაროვანი. გამოვლინდა V–VIII სს. 7 ორმოსამარხი და ქვის სამარხი, სადაც იპოვეს ბრინჯაოსა და რკინის-ღეროიანი საკინძები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდები, რკინის სამაჯური და სხვა ნივთები.

ჭიჩსულების უბანში გამოვლენილია ადრინდ. შუა საუკუნეების (VI–VIII სს.) ნამოსახლარი.

საცხვრეგორის სამაროვანზე გათხრილია (ბ. ჯორბენაძე) V–VIII სს. 4 ქვის სამარხი, რ-ებშიც აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, ბრინჯაოს საყურეები და მშვილდსაკინძი, სარდიონის საბეჭდავი და სხვ. ამავე გორის დას. ფერდობზე შესწავლილია XI–XIII სს. სამარხები, რ-ებშიც იყო მინის, ბრინჯაოს, რკინის სამაჯურები და ბრინჯაოს 3 ბეჭედი.

ლიტ.: რამიშვილი რ., ერწოს ველი ანტიკურ ხანაში, ,,ძეგლის მეგობარი'', 1971, № 27–28; რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო სამუშაოების შედეგები, ,,მაცნე. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია'', 1978, № 1; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2008; ჯორბენაძე ბ., ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე, ,,მაცნე, ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1968, №2.

რ. რამიშვილი.
ბ. ჯორბენაძე.

მაგრანეთის განძი, VI–VII სს. სასანური და ბიზანტიური ვერცხლის მონეტების განძი (15 ც.). აღმოჩენილია სოფ. მაგრანეთის (თიანეთის მუნიციპ.) განაპირას ერთ–ერთ სათავსში. განძის შემადგენლობა ასეთია: ა) სასანური დრაქმები: სასანელი ხოსრო I-ის (531–579), მოჭრილი ზარანჯსა და ისტახრში – 2 ც.; ჰორმიზდ IV-ის (579–590), მოჭრილი ზარანჯში, არდაშირ–ჰვარესა და სირაიანში – 7 ც., ხოსრო II-ის (590–628), მოჭრილი 578–592 ზარანჯსა და სირაიანში – 2 ც; ბ) ბიზანტიური მონეტები: იმპ. ჰერაკლესი და ჰერაკლე-კონსტანტინესი (610–641) – 4 ც. განძი შეიძლება ჩამარხული იყოს VII ს. II ნახ-ში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

მადა, მთა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სამხრ. საქართვ. ვულკანურ ზეგანზე, ჯავახეთის ქედის დას. კალთის ძირში, მადათაფის ტბის ჩრდ-ით. ზ. დ. 2713 *მ.* მთა გუმბათის ფორმისაა. აგებულია ნეოგენური ანდეზიტ-დაციტებით, ზედაპირი დაფარულია ლოდნარითა და ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

მადათაფა, ტბა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ვულკ. მთიანეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ზ. დ. 2108 *მ.* ზედაპირის ფართობია 8,78 *კმ*^{2}, აუზის ფართ. – 136 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე – 1,7 *მ,* წყლის მოცულობა – 9,7 მლნ *მ*^{3}. ქვაბული წარმოიქმნა ლავის ნაკადით ხეობის გადაკეტვის შედეგად. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყლის დონე გაზაფხულზე მაღალია, ზამთარში – დაბალი. ტბიდან გაედინება მდ. მადათაფა. აქვს მიწისქვეშა გადენიც, რის გამოც წყლის დონე მკვეთრად ცვალებადობს. წყლის ტემპ. ზაფხულში 17–18 ^{0}C, ზამთრობით თითქმის ფსკერამდე იყინება. წყალი სუსტად მინერალიზებულია. ტბაში თევზი არ არის, ზაფხულობით მრავლადაა წყლის ფრინველი.

ი. აფხაზავა.

მადათოვი ვალერიან (როსტომ) გრიგოლის ძე [1782, შუშა (სომხეთი), – 4. IX. 1829, ბულგარეთი. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1826), რუსეთ-ირანის (1826–28), რუსეთ-ოსმალეთის (1828–29), რუს. სამამულო (1812) ომების მონაწილე. ქართული ცალკეული კორპუსის (1816-იდან), მე-3 ჰუსართა დივიზიის (1828-იდან) მეთაური. 1814 მიიღო გენ.-მ-ის წოდება. XIX ს-ში თბილისში, მდ. მტკვარზე შეიძინა კუნძული, რ-იც შემდეგ მის სახელს ატარებდა (იხ. *ორბელიანების კუნძული*).

ლ. დოლიძე.

მადათოვის კუნძული, ყოფილი კუნძული მტკვარზე (იხ. *ორბელიანების კუნძული*).

მადანაღმდგენი ღუმელი, იხ. *ელექტრული მადანაღმდგენი ღუმელი.*

მადიჩი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (6. X. 1922, თბილისი, – 28. VIII. 2003, იქვე), ონკოლოგი, მამოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში; საქართვ. სამედ.-სოც. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1998), მედ. მეცნ. კანდიდატი (1959), პროფესორი (1994), საქართვ. დამს. ექიმი (1959).



ტბა მადათაფა.

1947 დაამთავრა თსსი. 1951–52 იყო თბილ. ონკოდისპანსერის მთ. ექიმი. 1970–77 განაგებდა თავისსავე დაარსებულ მამოლოგიურ განყ-ბას. ა. *ღვამიჩავას* სახ. ონკოლოგიის ცენტრში 1990–94 ხელმძღვანელობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ონკოლოგიის კურსს, ხოლო 1994–2000 იყო კათედრის გამგე. 2011–15 *კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი* მის სახელს ატარებდა.



კ. მადიჩი.

მ-ის სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება თეორიული და პრაქტიკული ონკოლოგიის აქტ. საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

მადლის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს საინგილოში, ბელაქნის რ-ნში (ამჟამად აზერბ. რესპ.). მას ადგილობრივი მცხოვრებნი ნურ-ქილისას უწოდებენ. არქიტ. ნიშნებით განეკუთვნება XI–XII სს. და წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას, აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით. ნაგებია რიყის ქვით კირის მოჭარბებულ ხსნარზე.



მადლის ეკლესია. XI–XII სს.

ძლიერ დაზიანებულია. ძეგლი 1518–74 წწ-ში კარგად შენახული და მოქმედი ყოფილა, რასაც ამტკიცებს შუამთის მონასტრისათვის ლევან კახთა მეფის მეუღლის, თინათინის გაცემული გუჯარი. შენობას ეტყობა მშენებლობის ორი ეტაპი: პირველს ეკუთვნის თვით ეკლესია, მეორეს კი – მოგვიანებით (სავარაუდოდ XVI ს.) აგური-საგან აგებული ორსართულიანი, გეგმით კვადრატული სამრეკლო, რ-იც ეკლესიას დას-იდან აქვს მიშენებული. მისი პირველი სართული კარიბჭეა, მეორე – თაღებით გახსნილი რვაწახნაგა ფანჩატური.

ლიტ.: ადამია ი., ძველი ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 1969, №19; მარჯანიშვილი გ., ჰერეთი, თბ., 2005.

გ. მარჯანიშვილი.



გ. მაევსკი.

„მადნეული“ (ახლანდ. სააქციო საზ-ბა ,,არემჯი კოპერი‘‘), სამთო-მომპოვებელი საწარმო. მდებარეობს დაბა კაზრეთში (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), თბილისიდან სამხრ.-აღმ-ით 80 *კმ*-ის დაშორებით. საქართველოში მადნეულის სპილენძ-პოლიმეტალის საბადო და საწარმო ფერადი ლითონების წარმოების პირველ ობიექტად ითვლება. XX ს. 40-იან წლებში დაიწყო მადნეულის საბადოს კვლევა-ძიებითი სამუშაოები, რ-იც მის სამრეწვ. ათვისებამდე რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. 1959 საფუძველი ჩაეყარა ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობას. 1975-იდან კომბინატი ახორციელებდა სპილენძის მადნების მოპოვებასა და პირველად გადამუშავება-გამდიდრებას. 2005-იდან შეიქმნა ერთობლივი საწარმო პარტნიორების – სააქციო საზ-ბა ,,მ-ისა‘‘ (საქართველო) და საერთაშ. კომპანია ,,ჯეოპრომაინინგის‘‘ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) მონაწილეობით. 2012 სააქციო საზ-ბა ,,მ.‘‘ გადავიდა საერთაშ. კომპანია ,,არემჯის‘‘ (RMG – Rich Metals Group B. V., ჰოლანდია) 100%-იან მფლობელობაში და ამჟამად მისი სახელწოდებაა სააქციო საზ-ბა ,,არემჯი კოპერი‘‘. იგი სპილენძის შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებს ოქრო-სპილენძის კონცენტრატს, რ-საც ყიდულობენ მსხვილი საერთაშ. ტრეიდერული კომპანიები.



,,მადნეული‘‘. კარიერი.

კომპანია სამთო-მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისა და წიაღისეულის გადამუშავებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში ადგილ. და საერთაშ. სტანდარტების დაცვას. ღია კარიერული წესით მადნის მოპოვების პროცესში გარდაუვალია მცენარეული საფრის დაზიანება, რის გამოც სამთო სამუშაოების დაწყების წინ აღირიცხება ამოსალები ხე-მცენარეების რაოდენობა, შემდგომ კი ხდება შესაბამისი საკომპენსაციო ტყის გაშენება. ამას გარდა, სამთო-მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ კომპანია ვალდებულია განახორციელოს სარეკულტივაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს ტერიტორიის პირვანდელი სახით ან მისი მსგავსი პირობებით აღდგენას.

გარემოს დაცვის მიზნით ,,არემჯი‘‘ ჯგუფმა გაატარა არაერთი ღონისძიება, შეიმუშავა და დაამტკიცა ახ. გარემოსდაცვითი პოლიტიკა. 2018 შემუშავებული გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში 2018–21 წლებში განახორციელა 97 ღონისძიება წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

,,არემჯი‘‘ ჯგუფი ბოლნისის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, სადაც 4000-მდე ადამიანია დასაქმებული, რ-თა 90% ადგილ. მოსახლეა. 2011-იდან ,,რიჩ მეტალს გრუპმა‘‘ საქართველოში 300 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა (2021 მონაცემები).

ლ. აბრამიშვილი.

მადნეულის ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალის საბადო, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მადნიან ველზე, მდ. მაშავრის ხეობის მარჯვ. ფერდობზე, დაბა კაზრეთის ჩრდ.-დას. 2,5–3 *კმ*-ში. მდებარეობის გამო საბადო ღია წესით მუშავდება. ის განლაგებულია ზედაცარცულ ვულკანოგენურ წყებაში (საშ. და მჟავე შედგენილობის ტუფები, ტუფბრექჩიები, იგნიმბრიტები და მათი გამკვეთი დაციტური და რიოდაციტური სხეულები). საბადოს ფარგლებში გავრცელებულია ჰიდროთერმულად შეცვლილი ქანები და მეორეული კვარციტები, რ-ებთანაც დაკავშირებულია ოქროსა და სპილენძ-პოლიმეტალის მინერალიზაცია. ძირითადი მადნეული მინერალებია: პირიტი, ქალკოპირიტი, სფალერიტი, გალენიტი. საბადო საქართველოში ფერადი ლითონების წარმოების პირველ ობიექტად ითვლება. იგი აღმოჩენილია 1946, მუშავდება 1969-იდან. 1959 დაიწყო ფერადი ლითონების სამთო-გამამდიდრებელი მადნეულის კომბინატის მშენებლობა. 1975-იდან საწარმო ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, პირველად გადამუშავებას, გამდიდრებასა და რეალიზაციას.

ნ. ფოფხაძე.

მადნეულის სპილენძ-პოლიმეტალის საბადო, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, კაზრეთის მახლობლად. საბადოს შესწავლა დაიწყო XX ს. 40-იან წლებში. აქ ხდებოდა სპილენძ-ბარიტის მადნების მოპოვება, პირველადი გადამუშავება, გამდიდრება და რეალიზაცია. მოგვიანებით კი დაიწყო ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტების მადნების მოპოვება, გამოდნობა და რეალიზაცია. იხ. აგრეთვე *მადნეულის ოქრო – სპილენძ-პოლიმეტალის საბადო.*

მაევსკი გიორგი სტანისლავის ძე [14 (27). IV. 1911, სოფ. ზემო ჩოჩეთი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 7. VII. 1977, თბილისი], ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951; სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად), საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა კიევის სამშენებლო ინ-ტი (1931) და იმავე წელს დაიწყო მუშაობა ხრამჰესის მშენებლობაზე. იყო ენგურჰესის მშენებლობის უფროსის მოადგილე (1967-იდან), მუშაობდა სამგორჰესის, მინგეჩაურჰესის (აზერბ.) და ჟინვალჰესის მშენებლობებზე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჟანი, III ს. შუა ხანის ქართლის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. „მეფეთა ცხოვრებაში“ სპასპეტად იხსენიება. ასფაგურ ფარნავაზიანის გარდაცვა-

ლების შემდეგ ხელმძღვანელობდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხზე მცხეთაში გამართულ ქართვ. დიდებულთა თათბირს, რაც შეიძლება აიხსნას სამეცნ. ლიტ-რაში არსებული იმ მოსაზრებით, რომ სპასპეტები მეფის შემდეგ მეორე პირები იყვნენ და ეს სახელო გვიანობამდე შემორჩა (გ. მელიქიშვილი, მ. წოწელია). თეიმურაზ ბატონიშვილი მიიჩნევს, რომ მ. „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ნაწილის ავტორი იყო (სავარაუდოდ, ეს ცნობა ანტონ II-ის „შეკრებულის მოთხრობიდან“ გადმოწერილი მასალიდან მომდინარეობს). შეიძლება მ-ის ავტორობა იგულისხმებოდეს ვახუშტისთანაც: „რომლითჳს გვაუწყებს მაიჟან სპასპეტი“, „ვითარცა იტყჳს იგივე მაიჟან სპასპეტი“.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა რომელ არს სრულიად საქართველო, სპბ, 1848; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990.

ვ. გოილაძე.

მავრიკიოსი (Maurikios) (539–602), ბიზანტიის იმპერატორი (582–602). 591 მიეხმარა ირანის შაჰ ხოსრო II-ს ავაზაყების ჩახშობაში, სამაგიეროდ ხოსრო II-მ ბიზანტიის იმპერატორს დაუთმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა მ-ისგან პატრიკიოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მიიღო, მისი სახლის უფლისწულებს – ძმას (დემეტრე) და შვილს (ადარნასე) ვიპატოსის, ხოლო შვილიშვილს (ქობულ-სტეფანოზი) სტრატილატის ტიტულები უბოძა.

ლიტ.: ბოგვერაძე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI–VIII სს-ში, წგ.:საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 2, თბ., 1999.

მავჯი (ნამდვ. სახელი ალი-ხან ბეგი), XVII ს. სპარსელი პოეტი. დაიბადა წარმოშობით ქართველის – ოღლი-ბეგის ოჯახში. მსახურობდა შაჰ სულეიმან I-ის კარზე. მის შესახებ ცნობები შემოინახა მირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბადის თეზქერემ, რ-შიც შეტანილია ტექნიკით, მუსიკალურობით, მოხდენილი გამონათქვამებით ცნობილ პოეტთა და კულტ. სხვა მოღვაწეთა ბიოგრაფიული ცნობები. იქვე ნიმუშად მოყვანილია რამდენიმე პოლემიკური ხასიათის ლექსი, რ-იც მ-ს უთქვამს ვინმე სეფიყული-ბეგის საპასუხოდ და სეიდობის (მუჰამედის შთამომავლობის აღმნიშვნელი ტიტული) მაძიებელ მუხთარ-ბეგ ფარაშ-ბაშის გამოსაჯავრებლად. თეზქერეს ავტორი ხაზს უსვამს მ-ს ფაქიზ გემოვნებას.

ლიტ.: ფუთურიძე ვ., ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე, ,,ანალები‘‘, 1947, [ტ.] 1.

ვ. ფუთურიძე.

მაზანდარა, ყოფილი სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭანისწყლის (მდ. ხობის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 230 მ, წალენჯიხიდან 4 *კმ.*

მ-ის ტერიტორიაზე მდებარეობს მაზანდარის კარსტული მღვიმე.

მაზანდარის მღვიმე, მღვიმე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ყოფილ სოფ. მაზანდარაში, მდ. ჭანისწყლის (მდ. ხობის მარჯვ. შენაკადი) მარცხენა მხარეს. ზ. დ. 260 *მ.* გამომუშავებულია ნეოგენური ასაკის სუსტად შეცემენტებულ კონგლომერატებში. მღვიმე დაწშულია, სიგრძე 20 *მ.* ქიმიური ნალექებიდან გვხვდება მინიატურული სტალაქტიდები, მექანიკური ნალექებიდან – წვრილმარცვლოვანი თიხა-ქვიშის ფენა ფსკერზე. მღვიმის შესასვლელში ტემპ-რაა 19,7 ^{0}C, ბოლოში კი – 14,6 ^{0}C; ჰაერის შეფარდებითი სინოტივე – 98%. გამოედინება მცირედებიტიანი ნაკადი. მღვიმეში შეღწევა ადვილია.

მაზაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ხოფურის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ზ. დ. 720 *მ,* ლენტეხიდან – 11 *კმ.* 48 მცხ. (2014). სოფელზე გადის ლენტეხი – ცაგერი – ქუთაისის მთავარი საავტომობილო მაგისტრალი.

მაზდეანობა, იხ. *ზოროასტრიზმი.*

მაზერი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, მაზერის ქედზე. ზ.დ. 3900 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებითა და კრისტალური ფიქლებით. მწვერვალი სუბნივალურ ზონაშია, კალთები კი შემოსილია ალპ. მდელოსებით.

მაზერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ბეჩოს თემი), მდ. დოლრაჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში, ზ. დ. 1660 *მ,* მესტიიდან 25 *კმ.* 159 მცხ.




მწვერვალი მაზერი.

(2014). მესტიასთან დაკავშირებულია გულის უღელტეხილით (2925 *მ*). სოფლის მახლობლად გამოედინება მინერ. წყარო ,,შიხრა‘‘.

მაზერის ქედი, მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. განშტოების – უშბის მასივის დას. დაბოლოებაზე, მდ-ების – დოლრაჭალისა და გულიჭალის (ენგურის აუზი) წყალგამყოფი. ქედის უმაღლესი მწვერვალია *მაზერი* (ზ. დ. 3900 *მ*). ქედის ჩრდ. კალთაზე არის პატარა მყინვარი, რ-იც *უშბის მყინვარს* ასაზრდოებს. ქედის სამხრ. კალთის ქვემო ნაწილი შემოსილია ალპ. მდელოებით, ხოლო თხემი წარმოდგენილია სუბნივალური ლანდშაფტით.


მ. უთმელიძე.




ბ. მაზიაშვილი.

მაზიადიდები, მაზიადიტები, იაზიდიდები (799 – XI ს. I ნახ.), არაბი მმართველების დინასტია შირვანში, დამაარსებელი – იაზიდ იბნ მაზიად ალ-შაიბანი. მისმა მემკვიდრეებმა ისარგებლეს სახალიფოს დასუსტებით, შირვანი სამემკვიდრეო სამფლობელოდ გადააქციეს და 861 თავი შირვანშაჰებად გამოაცხადეს. IX ს-ში მ. არანსაც (კავკ. ალბანეთი) დაეუფლნენ. ისინი განსაკუთრებით გაძლიერდნენ X ს-ში, როცა თავიანთი ძალაუფლება განავრცეს შაქის, ნაწილობრივ სამხრ.-აღმ. დაღესტნისა და თაბასარანის მფლობელეზე.

მაზიაშვილი ბიძინა დიმიტრის ძე (9. V. 1928, ზემო მაჩხაანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 14. X. 2004, იქვე), სპორტსმენი (ძიუდო, სამბო). სსრკ დამს. მწვრთნელი ძიუდოში (1970), სსრკ სპორტის ოსტატი სამბოში, საქართვ. ფიზიკური კულტურის დამს. მუშაკი. დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ–ტი (1959). იყო საქართვ. ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი (1964–82


ჯ. მაზიაშვილი.


ვ. მაზმიშვილი.


გ. მაზნიაშვილი.

და 1993–95) და სსრკ ნაკრების (1970–81) მწვრთნელი. მიწვეული იყო იაპონიაში ქართული ჭიდაობის გაკვეთილების ჩასატარებლად (1990). მისი აღზრდილები არიან გ. გოგოლაური, ა. მარტყოფლიშვილი, ა. მუზაევი, ჯ. ნიჟარაძე, გ. ონაშვილი, რ. ხარშილაძე, ფ. ჩიკვილაძე (ძიუდო), გ. გიორგაძე, მ. ბერუაშვილი (სამბო). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997).

მაზიაშვილი ჯემალ ესტატეს ძე (დ. 6. VI. 1938, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1980). 1962 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1962–67 იყო მარჯვანიშვილის თეატრის მსახიობი, 1967-იდან – რუსთავის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და მსახიობი, 1991–2005 – ამავე თეატრის დირექტორი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მარჯანიშვილის თეატრში – სტრედლეიტერი (ჯ. სელინჯერის ,,თამაში ჭვავის ყანაში‘‘); რუსთავის თეატრში – სატინი (მ. გორკის ,,ფსკერზე‘‘), მამა (ლ. პირანდელოს ,,ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი‘‘), მიკირტუმ გასპარიჩი (გ. ერისთავის ,,გაყრა‘‘), ტუჩა დაშნიანი (კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი‘‘), დათიკო მეგრელიშვილი (გ. ბათიაშვილის ,,ვალი‘‘, თეატრ. საზ–ბის პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, 1981), ძულა (,,ის ღამაზი, მზიანი დღე‘‘, უნგრეთის პრეზიდიუმის საპატიო სიგელი). გადაღებულია სატელევიზიო დადგმებსა და კინოფილმებში: ,,მშვიდობით, ინესა!‘‘ (რეჟ. ი. ასათიანი, 1972), ,,ლევან ხიდაშელი‘‘ (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, 1973), ,,წისქვილი ქალაქის გარეუბანში‘‘ (რეჟ. რ. ესაძე, 1981), ,,ხსოვნა‘‘ (რეჟ. გ. ვეფხვაძე, 1989) და სხვ. მ-ის მოღვაწეობა გამოირჩეოდა მაღალი პროფ. სამსახიობო ოსტატობით. მიღებული აქვს პრეზიდენტის საპატიო სიგელი (1998, რუსთავის საერთაშ. თეატრ. ფესტივალის, ,,ოქროს ნიღბის‘‘ დაფუძნებისთვის), ღირსების ორდენი (1998), ,,ხელოვნების ქურუმის‘‘ (2018) წოდება. არის რუსთავის საპატიო მოქალაქე (2003). 2017 რუსთავის თეატრის წინ გაიხსნა მ-ის ვარსკვლავი.

მაზიხვა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში (ბარმიშის თემი), ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ.დ. 270 *მ*, გუდაუთიდან 21 *კმ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მაზმიშვილი აბრამ ივანეს ძე [6 (18). X. 1898, თბილისი, – 5. X. 1978, მოსკოვი], გეოდეზისტი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1958). პროფესორი (1950). 1930 დაამთავრა მოსკოვის სამიჯნო ინ-ტი. 1932-იდან იყო სხვადასხვა სამეცნ. დაწესებულების, მ.შ. მოსკოვის გეოდ. ინ-ტის (1936-იდან მოსკ. გეოდ. აეროფოტოაგეგმვისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინ-ტი) დირექტორი და გეოდეზიის კათედრის გამგე. 1952-იდან კითხულობდა ლექციებს მოსკ. სამთო ინ-ტში. მ-ის სამეცნ. ნაშრომებიდან აღსანიშნავია ფუნდამენტური გამოკვლევა უმცირეს კვადრატთა მეთოდის შესახებ (1-ელი გამოც. მ.,1968).

დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით.

მაზმიშვილი გიორგი სერგოს ძე (დ. 2. I. 1966, თბილისი), გენერალ-მაიორი (2009). საინჟინრო მეცნ. დოქტორი (2010). დაამთავრა სპი-ის საინჟინრო-ფიზიკის ფაკ-ტი (1988). 1989-იდან მუშაობდა ინჟინრად იმავე ინ-ტის სტრუქტურული კვლევის ცენტრში, 1992 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროში ოფიცერ-სპეციალისტად. 1994-იდან საქართვ. უშიშროების სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, მ. შ. იყო სამმართველოს (2001–03), დეპარტამენტის (2003–05), საქართვ. შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, ქ. თბილისის მთ. სამმართველოს (2005–08) უფროსი; საქართვ. შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი (2008–12). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები (1996–2002). არის ომის ვეტერანი.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II (2008) და I ხარისხის (ორგზის 2010, ოქტ., დეკ.) ორდენებით.

ლ. დოლიძე.

მაზმიშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე [10. III. 1926, სოფ. ყარაღაჯი (ახლანდ. თელიანი, კასპის მუნიციპალიტეტი), – 21. VI. 2012, თბილისი], მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1979). სხვადასხვა დროს მუშაობდა პლეხანოვის კლუბის დრამატულ დასში (1943–45), მესხეთის (1945–48), მარჯანიშვილის (1948–50), გორის (1950–56), თბილ. სანკულტურის (1956–67), მოზარდ მაყურებელთა (1967) თეატრებში მსახიობად. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მარჯანიშვილის თეატრში – ბერი ჯიოვანი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა‘‘); გორის თეატრში – აბდულ სადაყი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები‘‘), ხოსიტა (ი. ვაკელის ,,გიორგი სააკაძე‘‘), ჰოფმარშალი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული‘‘), ტრუფალდინო (კ. გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური‘‘); სანკულტურის თეატრში – რიჩარდი (ა. კრონინის ,,იუპიტერი იცინის‘‘), კავერინი (ა. გორჩაკოვის ,,ერთი ოჯახის ისტორია‘‘), ექიმი მაკარიუსი (ს. პოპოვიჩის ,,უცნაური ავადმყოფი‘‘) და სხვ.; თბილ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში – ვალოდია (ა. ვოლოდინის ,,ჩემი უფროსი და‘‘), ნაცარქექია (გ. ნახუცრიშვილის, ბ. გამრეკელის ,,ნაცარქექია‘‘), ჰამლეტი (ა. ჩხაიძის ,,როცა მთავრდება ბავშვობა‘‘) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

მაზმიშვილი ზაზა ნოდარის ძე (დ. 30. VII. 1963, თბილისი), გენერალ-მაიორი (1999). დაამთავრა სპი-ის სატრანსპორტო ფაკ-ტი (1986). 1988-იდან სახელმწ. უშიშროების ორგანოების თანამშრომელია. მუშაობდა საინფორმაციო სადაზვერვო (1991–93), სახელმწ. დაცვის სპეც. (1994–98) სამსახურებში. იყო საქართვ. სუს-ის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (1998–99), სამხედრო კონტრდაზვერვის (1999–2004) სამსახურების უფროსი. შსს-ს სახელმწ. უსაფრთხოების დეპარტამენტის ოფიცერი უშიშროების საკითხებში, სამმართველოს უფროსი (2013-იდან).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (2002).

ლ. დოლიძე.

მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე (11. XII. 1872, სოფ. სასირეთი, გორის მაზრა, – 1937), გენერალი (1918). საქართვ. ეროვნ. გმირი (2013). რუსეთში სამხ. განათლების მიღების შემდეგ სამსახური დაიწყო არმიაში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) და I მსოფლიო (1914–18) ომებში. დაიჭრა და მკურნალობდა პეტერბურგის ჰოსპიტალში, სადაც პირადად იმპ. ნიკოლოზ II-მ ინახულა და ომში გამოჩენილი მამაცობისათვის ,,ოქროს ხმალი‘‘ და წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენი გადასცა. 1909 აღმ. ციმბირის მე-2 მსროლელთა პოლკის კაპიტანი იყო. 1917 თებ. რევ. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტ. მონაწილეობა მიიღო ქართ. შენაერთების ჩამოყალიბე-

ბაში. იყო მე-2 ქართ. დივიზიის მეთაური. 1918, როცა თურქებმა შეტევა კვლავ წამოიწყეს, სარდლად მ. დანიშნეს. მან მდ. ჩოლოქთან შეაჩერა თურქების ჯარის წინსვლა, შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა და ბათუმი გაათავისუფლა. 1918 ზაფხულში, აფხაზეთში ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი აჯანყების შემდეგ, მ. აფხაზეთის გენ.-გუბერნატორად და შავი ზღვის სანაპირო ჯარების სარდლად დაინიშნა. ივნისის II ნახ-ში მან კონტრშეტევა დაიწყო – ჯერ აფხაზეთი და შემდგომ, სოჭისა და ტუაფსეს ოლქები რუსული ბოლშევიკური შეიარაღებული ფორმირებებისაგან გაწმინდა. ამ სამხედრო ოპერაციის დროს ქართული ჯარების შესვლა ადლერში, სოჭსა და ტუაფსეში, ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილებით იყო განპირობებული. საქართველოს მთავრობის გეგმებში დაკავებული ქალაქების შემომატება არ შედიოდა. 1918 ოქტ. მ. თბილ. გენ.-გუბერნატორად დაინიშნა. საქართველო-სომხეთის ომის (1918 დეკ.) დაწყების შემდეგ მ. სარდლობდა შულავერი-სადახლოს ფრონტს. ეს ტერიტორია მისმა შენაერთებმა გაათავისუფლა. ქართული ნაწილების წინსვლა და სამხ. ოპერაციები ხელისუფლების განკარგულების საფუძველზე 31 დეკ. 24 საათზე შეწყდა. 1919 დასაწყისში მ. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გუბერნატორი იყო და ოსმალთა მიერ პროვოცირებული ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ჩაქრობას ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ გენერლის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები მეტად მცირერიცხოვანი იყო, მან მაინც შეძლო პირველ ეტაპზე გარკვეული წარმატების მიღწევა, მაგრამ შემდგომ ვითარება შეიცვალა და ქართ. ჯარმა ახალციხე დატოვა. სამხ. მინისტრის ბრძანებით მ. თბილისში გაიწვიეს და მის ადგილზე გენ. გ. *კვინიტაძე* დანიშნეს. მ-ს აბსურდული ბრალდება – ხელმძღვანელობის შეცდომაში შეყვანა – წაუყენეს და ახალციხის დატოვება დანაშაულად ჩაუთვალეს. ძიება წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. სასამართლომ გენერალი გაამართლა და 1920 ოქტომბერში თბილისის გარნიზონის უფროსად დაინიშნა. 1921 თებერვალში, რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მ. მეთაურობდა ფრონტის ცენტრალურ – სოღანლულის მიმართულებას. 18–19 თებერვალს მან დაამარცხა მოწინააღმდეგე და 1500 წითელარმიელი დაატყვევა. თბილ. დატოვების შემდეგ მონაწილეობდა ოსიაურთან განხორციელებულ კონტრშეტევაში – ლიხის ქედზე უელტეხილების დაცვაში. დას. საქართველოში გადასვლის შემდეგ დაინიშნა არიერგარდის მეთაურად. წარმატებით შეაჩერა სენაკთან აფხაზეთის მხრიდან მომავალი საბჭ. რუსეთის სამხ. ქვედანაყოფები და ამით მთავრობას ბათუმში ევაკუაციის საშუალება მისცა. 1921 წ. 18–20 მარტს ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან განდევნა თურქი ასკერები, რის შედეგადაც ეს მხარე კვლავ საქართვ. შემადგენლობაში დარჩა. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ემიგრაციაში არ წავიდა და სამხ. სამსახური განაგრძო საბჭ. საქართველოს წითელ ჯარში (იყო ქვეითი დივიზიის მეთაური, მთ. სამხ. ინსპექტორი). 1923 დააპატიმრეს ,,სამხედრო ცენტრის'' საქმესთან დაკავშირებით და დახვრეტა მიუსაჯეს, მოგვიანებით განაჩენი შეუცვალეს და 5 წლით ქვეყნიდან გააძევეს. ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მშობლიურ სოფელში მეურნეობას მიჰყო ხელი. 1937 დააპატიმრეს და დახვრიტეს.

2006 ქართულ არმიაში დაწესდა მედალი ,,გენერალი მაზნიაშვილი''.

თხზ.: მოგონებანი (1917–1925), ბათ., 1990.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015; საქართველოს ისტორია, ტ. 4, თბ., 2012; სურგულაძე ა., სურგულაძე პ.. საქართველოს ისტორია, თბ., 1991; ჩაჩხიანი ა., რუსეთ–საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში 1918–20 წლებში, თბ., 2014; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

მ. ბახტაძე.

მათაგალონი, მდინარე, იხ. *ოლე.*

მათარა, პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც იკიდებენ ქამარზე. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მ. ნატისაგან შეკერილი სამგზავრო სასმისია. იყენებდნენ საქართვ. სხვადასხვა კუთხეში. თუშები მ-ს კოჩხოს უწოდებდნენ და მას მეცხვარეები ხმარობდნენ. მ. ერქვა აგრეთვე ქამარზე დასაკიდ ტყავის ჭურჭელს, რ-საც ამზადებდნენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უკანა ფეხის სადრეკის ტყავისგან. მ. ამჟამად ხის, ლითონის ან მინისაა და მოთავსებულია ტყავის ან ქსოვილის ბუდეში. ქართლში მ-ს უწოდებდნენ მარცვლეულისა და ხილის შესანახ ხის ქერქისგან დამზადებულ ჭურჭელს.

მათემატიკა (ბერძნ. mathēmatikē <mathēma – ცოდნა, მეცნიერება), მეცნიერება სტრუქტურის, რიგისა და ურთიერთკავშირის შესახებ. დარგი აღმოცენდა ობიექტთა ფორმის შესწავლისას თვლის, გაზომვისა და აღწერის მარტივი პრაქტიკიდან. ეფუძნება ლოგიკურ დასაბუთებასა და რაოდენობრივ აღწერას. მისი განვითარება სულ უფრო მეტად ეფუძნება შესწავლის საგნის იდეალიზებას და განზოგადებას. XVII ს-იდან მ. გადაიქცა განუყოფელ დამხმარე საშუალებად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნიკისათვის.

ყოველი მათ. სისტემა აქსიომებისა და მათგან ლოგიკურად მიღებული თეორემების ერთობლიობათა კომბინაციაა. საკითხი მ-ის ლოგიკური და ფილოს. საფუძვლების შესახებ დაიყვანება კითხვაზე – უზრუნველყოფს თუ არა მოცემული სისტემის აქსიომები მის სისრულესა და თანამიმდევრულობას.

სამეცნ. ინფორმაციის მოცულობის სწრაფი ზრდის ეფექტი მიუთითებს, რომ მ. მეტწილად განვითარდა XV ს. შემდგომ, XV–XX სს-ში – ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. აღსანიშნავია, რომ მ-ის განვითარებას ძველ შუამდინარეთსა და ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში, ჩინეთსა და ისლამურ სამყაროში უდიდესი გავლენა ჰქონდა ევრ.



,,ფუძემდებელი ოთხეული'' (მარცხნიდან): ა. რაზმაძე, ა. ხარაძე (დგას), გ. ნიკოლაძე, ნ. მუსხელიშვილი. XX ს. 20-იანი წლები.

ცივილიზაციასა და ევროპაში მ-ის განვითარებაზე.

საქართველოში მ-ის განვითარებასთან დაკავშირებული უძველესი ცნობები ფრაგმენტული ხასიათისაა. პირველი უტყუარი



ქართველ ასპირანტთა პირველი ჯგუფი. ლენინგრადი. 1932 წელი. პირველ რიგში (მარცხნიდან): ი. მეგრელიძე, ს. ჟღენტი. მეორე რიგში: გ. ხარატიშვილი, დ. ცხაკაია, მ. ხუბუა, გ. წერეთელი, შ. ძიძიგური. მესამე რიგში: გ. ხაჟალია, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, ს. ჯიქია, ა. რუხაძე, დ. დოლიძე.

ინფორმაცია ეხება π რიცხვის რაციონალურ მიახლოებას (V ს.). ითვლებოდა, რომ π=28/9. სავარაუდოდ, ეს რიცხვი არ იყო მიღებული რაიმე პრაქტ. ამოცანის ამოსახსნელად და წმინდა თეორ. თვალსაზრისით შესაძლოა ,,მაგიური'' შინაარსი ჰქონდა. კერძოდ, ეს მიუთითებს ქვეყანაში ამ ამოცანის შესახებ წინაისტორიის არსებობას და მ-ის განვითარების გარკვეულ დონეს. რიცხვთა მაგიის რამდენიმე მაგალითს შეფარულად გვაძლევს ასევე ლეონტი მროველი (IX ს).

ქართ. ანბანის პირველი ცხრა ნიშანი მიიღება დევანაგირის ციფრების მონუმენტალიზაციით, რაც იმის ნიშანია, რომ არსებობს სისტემების პირდაპირი ურთიერთკავშირი ან საერთო წარმომავლობა. ეს, კერძოდ, ათვლის ათობითი სისტემის პირველი დემონსტრირებაა.

შუა საუკუნეების საქართველოში მ. ძირითადად არქიტექტურაში, სამშენებლო საქმეში, კოსმოლოგიასა და სხვ. გამოიყენებოდა. ამ პერიოდის ნაგებობებში მრავლად შეინიშნება ისეთი პროპორციები, როგორიცაა *ოქროს კვეთა*, გაორმაგებული კვადრატი და სხვ. ქართ. კოსმოლოგია, ძირითადად, ვარიაციებია პტოლემაიოსის (II ს.) სისტემის თემაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ასტროლოგიური თხზულება ,,ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის'' (XII ს).



აკადემიკოსები (მარცხნიდან): ი. ვეკუა, ე. ხარაძე, ვ. ამბარცუმიანი. საქართველოსა და სომხეთის აკადემიებისა და ობსერვატორიების ერთობლივი კოლოკვიუმი. 1976 წ. 10–13. V.

არითმეტიკის სახელმძღვანელოები ქართ. ენაზე შექმნეს დ. *ციციშვილმა* (XVIII ს. დასაწყისი) და გ. თარხნიშვილმა (1800). ქართ. მათ. ხელნაწერებიდან ყველაზე ვრცელია ხელნაწერი, რასაც ზოგიერთი მკვლევარი იოანე ბატონიშვილს მიაკუთვნებს. იგი შეიცავს არითმეტიკას, *ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიასა* და *ანალიზურ გეომეტრიას.*

საქართველოში სამეცნიერო მუშაობა მ-ის საკითხებზე იწყება თბილ. უნ-ტის დაარსების (1918) შემდეგ და უკავშირდება ა. *რაზმაძის* სახელს. მას მხარში ამოუდგნენ ნ. *მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე* და *ა. ხარაძე.* ამ ,,ფუძემდებელი ოთხეულის'', როგორც მათ უწოდებენ, დამსახურებაა მშობლიურ ენაზე მათ. ლექციების კურსის დამკვიდრება, სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემა, მათ. ტერმინოლოგიის სრულყოფა და სხვ. ა. რაზმაძის გარდაცვალების შემდეგ (1929), მათემატიკაში სამეცნ. მუშაობის ორგანიზება ნ. მუსხელიშვილმა ითავა. კომპლ. ანალიზის მეთოდებით *დრეკადობის თეორიის* ბრტყელი ამოცანების ამოხსნა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემებისადმი ინტერესი საფუძვლად დაედო XX ს. 30-იან წლებში ქართვ. მათემატიკოსთა კოლექტივის ჩამოყალიბებას. ნ. მუსხელიშვილის, ი. *ვეკუას*, ა. *ბიწაძისა* და ვ. *კუპრაძის* ხელმძღვანელობით დაიწყო მიზანმიმართული კოლექტ. შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზება დრეკადობის მათ. თეორიაში, *კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებების* თეორიაში, სინგულარულ ინტეგრ. განტოლებათა თეორიასა და ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებში (პრობლემათა ეს წრე დღემდეა ქართ. მათ. სკოლის შემოქმედებითი ძიების ერთ-ერთი მთავარი უბანი). ამავე პერიოდში შ. *მიქელაძის* თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა სამეცნ.-კვლ. მუშაობას მიახლოებითსა და რიცხვითს ანალიზში. მათ. დაფუძნების საკითხზე მუშაობა დაიწყო ლ. *გოკიელმა, რიცხვთა თეორიაში* კი — კ. *მარჯანიშვილმა* და ა. *ვალფიშმა;* ვ. *ჭელიძემ* მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამეცნ. მუშაობის ორგანიზებას ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიაში; გ. ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგ ა. *ჩახტაურმა* პირველმა აღადგინა შემოქმედებითი მუშაობა გეომეტრიაში; გ. *ჭოღოშვილმა* ჩამოაყალიბა შემოქმედებითი კოლექტივები *ტოპოლოგიასა* და აბსტრაქტულ ალგებრაში მუშაობისათვის. 50-იანი წლებიდან რ. *გამყრელიძის* ინიციატივით დაიწყო სისტემ. სამეცნ.-კვლ. მუშაობა ოპტიმალური პროცესების მათ. თეორიაში, *ალბათობის თეორიასა* და *მათემატიკურ სტატისტიკაში*, აგრეთვე *ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების* სპეც. საკითხებზე და სხვ.

პირველი მათ. დარგი, რ-შიც დაიწყო სამეცნ.-კვლ. მუშაობა საქართველოში, იყო *ვარიაციათა აღრიცხვა.* ა. რაზმაძის გამოკვლევებში გაფართოებულია ვარიაციათა აღრიცხვის კლასიკური ამოცანები (განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვეტილ ექსტრემალთა შემთხვევა) და მიგნებულია მათი ამოხსნის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. ა. ხარაძე უმთავრესად იკვლევდა სპეც. ფუნქციებს, კლასიკურ ორთოგონალურ პოლინომთა განზოგადებულ ნაირსახეობებს, პოლინომთა ანალიზური თეორიის გამოყენების საკითხებს.

დასახელებული მეცნიერების გარდა მ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსებსა და წ.-კორ-ებს: დ. *ბალაძეს*, რ. ბანცურს, ნ. *ბერიკაშვილს*, თ. *ბურჭულაძეს*, თ. *გეგელიას*, ნ. *ვახანიას*, ნ. *ვეკუას*, ხ. *ინასარიძეს*, ი. *კიღურაძეს*, ვ. *კოკილაშვილს*, ე. *ნადარაიას*, ლ. *ჟიჟიაშვილს*, თ. *ქადეიშვილს*, ო. *წერეთელს*, ა. *ხარაზიშვილს*, გ. *ხარატიშვილს*, ბ. *ხვედელიძეს*, გ. *ჯანელიძეს* და სხვ.

მ-ში მიღებული შედეგები იხ. ასევე სტ-ებში: *დისკრეტული მათემატიკა, ინტეგრალური განტოლება, კომბინატორიკა, მათემატიკური ანალიზი, ჰიდროაერომექანიკა* და სხვ.

ლიტ.: მანჯავიძე გ., ჭოღოშვილი გ, მათემატიკა და მექანიკა, კრ.: მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე, თბ., 1961; მუსხე-

ლიშვილი ნ., მეცნიერება საბჭოთა საქართველოში, მოკლე მიმოხილვანი, თბ., 1963; ცხაკაია დ., მათემატიკის ისტორია უძველესი საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე, თბ., 1948; მისივე, მათემატიკის ისტორია XVII საუკუნიდან XIX საუკუნის II ნახევრამდე, თბ., 1965.

იხ. აგრეთვე სტ-ები: მათემატიკის მეცნიერებანი, ქსე, საქართველოს სსრ, თბ., 1981; მათემატიკა, ქსე, ტ. 6, თბ., 1983.

ზ. გორგაძე.

მათემატიკის ინსტიტუტი ა. რაზმაძის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. ჩამოყალიბდა 1933 თბილ. სახელმწ. უნტ-თან, რ-საც 1935 გამოეყო. 1935-იდან შედიოდა სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალში, ხოლო საქ. სსრ მეცნ. აკად. ჩამოყალიბების შემდეგ (1941) მის სისტემაში იყო. 1944 მიენიჭა ა. რაზმაძის სახელი. 2011, როგორც სსიპ, თსუ-ის შემადგენლობაში შევიდა.

მ. ი-ს ხელმძღვანელობდნენ: ნ. *მუსხელიშვილი* (1933–35; 1941–76), ვ. *კუპრაძე* (1936–41), ვ. *ჭელიძე* (1951–52), ნ. *ვეკუა* (1976–1989), ი. *კილურაძე* (1989–2006), ნ. *ფარცვანია* 2006-იდან. ინ-ტში მოღვაწე მათემატიკოსთა პირველ თაობას მიეკუთვნებიან ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, ი. ვეკუა, ა. ბიწაძე, ლ. გოკიელი, ა. გორგიძე, დ. დოლიძე, ა. ვალფიში, ნ. ვეკუა, ა. კალანდია, დ. კვესელავა, გ. ლომაძე, კ. მარჯანიშვილი, ლ. მაღნარაძე, შ. მიქელაძე, ა. რუხაძე, ი. ქარცივაძე, ვ. ჭელიძე, გ. ჭოლოშვილი, ა. ხარაძე, ბ. ხვედელიძე. მათმა ფუნდამენტურმა შედეგებმა დრეკადობის მათ. თეორიაში, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში, კომპლექსური და ნამდვილი ცვლადის ანალიზში, დიფერენციალურ განტოლებებსა და მათ. ფიზიკაში, ტოპოლოგიაში, რიცხვთა თეორიაში ინ-ტს მსოფლიოში მაღალი სამეცნ. რეპუტაცია დაუმკვიდრა.

დღეისათვის მ. ი-ში მიმდინარეობს ფუნდამენტური კვლევები მათემატიკაში, მექანიკასა და თეორიულ ფიზიკაში. ინ-ტში 9 სამეცნ. განყ-ბაა: ალგებრის, მათ. ლოგიკის, გეომეტრია-ტოპოლოგიის, მათ. ანალიზის, დიფერენციალური განტოლებების, მათ. ფიზიკის, დრეკადობის მათ. თეორიის, თეორიული ფიზიკის, ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტიკის.

მ. ი. გამოსცემს სამ საერთაშ. სამეცნ. ჟურნალს: ,,ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შრომებს'' (გამოდის 1937-იდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში), ,,საქართველოს მათემატიკურ ჟურნალს'' (გამოდის 1994-იდან, გამოსცემს DE GRUYITER, 2008-იდან აქვს იმპაქტ–ფაქტორი) და ,,მემუარებს დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში'' (გამოდის 1994-იდან, განთავსებულია SCOPUS-ის ბაზაში).

მ. ი-ის სამეცნ. ბ-კის მეშვეობით ხორციელდება სამეცნ. ჟურნალების გაცვლა უცხოეთის 50-მდე სამეცნ. დაწესებულებასთან.

მ. ი-ის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 130-ზე მეტი მონოგრაფია; ბოლო 10 წელიწადში – 900-ზე მეტი სამეცნ. სტატია. ინ–ტს მჭიდრო კონტაქტები აქვს აშშ-ის, იაპონიისა და დას. ევროპის 30–ზე მეტ სამეცნ. ცენტრთან.

ნ. ფარცვანია.

მათემატიკური ანალიზი, ერთობლიობა მათემატიკის დარგებისა, რომელთა მიზანია ფუნქციების კვლევა უსასრულოდ მცირეთა მეთოდებით. მ. ა-ს საფუძველი ჩაეყარა ი. ნიუტონის, გ. ლაიბნიცის, ლ. ეილერის და XVII–XVIII სს-ში მოღვაწე სხვა მათემატიკოსთა ნაშრომებში. მ. ა. ზღვრის ცნების მეშვეობით დამკვიდრდა XIX ს-იდან (იხ. *დიფერენციალური აღრიცხვა* და *ინტეგრალური აღრიცხვა*).

XX ს-ში მ. ა-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მათემატიკოსებმა: ა. რაზმაძემ, ნ. მუსხელიშვილმა, ი. ვეკუამ, ა. ბიწაძემ და სხვ.

იხ. აგრეთვე სტ. *მათემატიკა.*

მათემატიკური ლინგვისტიკა, მათემატიკური დისციპლინა, რომელიც შეიმუშავებს ფორმალურ აპარატს ბუნებრივი და ზოგიერთი ხელოვნური ენის სტრუქტურის აღწერისათვის. მისი განვითარება დაიწყო XX ს. II ნახ-ში ამერ. ენათმეცნიერის, ნ. ჩომსკის შრომების საფუძველზე. მ. ლ-თან მჭიდრო კავშირშია კომპიუტერული ლინგვისტიკა, რ-იც ჩამოყალიბდა მ. ლ-ის საფუძველზე ტექნოლოგიების განვითარების შედეგად. მ. ლ-ის პრობლემატიკა მოიცავს ტექსტის სტატისტიკურ დამუშავებასა და ენის გრამატიკული სტრუქტურების მათ. მოდელების კონსტრუირებას.

საქართველოში მ. ლ-ის შესწავლა და განვითარება დაიწყო XX ს. 50-იანი წლების ბოლოს გ. ახვლედიანის, ვ. ჭავჭანიძის, ა. ელიაშვილის, ვ. ჭიჭინაძის ინიციატივით და თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, გ. რამიშვილის, გ. ჩიკოიძისა და სხვათა აქტიური მონაწილეობით. თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე გაიხსნა მ. ლ-ის სპეციალობა (1961; გაუქმდა 2006-ში); თსუ-ის კიბერნეტიკის ფაკ-ტზე დაარსდა სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყ-ბა (1963), რ-ის ბაზაზე შემდეგ წელს იქვე დაარსდა იმავე სახელწოდების კათედრა (1999–2001; კათედრის გამგე იყო თ. გამყრელიძე).

მ. ლ-ის, კერძოდ, გლოტოქრონოლოგიური (ლექსიკოსტატისტიკური) მეთოდების გამოყენებით თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა შეასრულეს ქართველოლოგიისთვის მნიშვნელოვანი სამუშაო, რ-იც ქართველური ფუძეების დათარიღებასა და ქართველური ენების ჩამოყალიბების ქრონოლოგიის გარკვევას უკავშირდება.

XX ს. 50-იანი წლების ბოლოს, მართვის სისტემების ინ-ტის დაარსებისთანავე, ა. ელიაშვილისა და ვ. ჭიჭინაძის ინიციატივით შეიქმნა ენობრივი მოდელირების ლაბორატორია. შემუშავდა მათ. და ტექ. ტექსტებზე ორიენტირებული რუსულიდან ქართულად თარგმნის ალგორითმი (გ. ჩიკოიძე, ლ. მარგველანი, ლ. თამარაშვილი, ლ. გოდაბრელიძე), რ-ის პროგრამული რეალიზაცია განხორციელდა მანქანური კოდებით (მ. ბარბაქაძე). თარგმნის ეს სისტემა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სსრკ-ში ბოლომდე რეალიზებული ერთ-ერთი პირველი პროგრამა იყო.

გ. ჩიკოიძის ხელმძღვანელობით დამუშავდა სისტემები, რ-ებიც უზრუნველყოფდა კომპიუტერთან ურთიერთობას ბუნებრივ ენაზე. გრამატიკული სისტემების ავტომატური დამუშავების ალგორითმები გამოყენებული იყო როგორც თარგმნის, ისე დიალოგურ სისტემებში. შემდეგ წლებში შეიქმნა ენის მათ. წარმოდგენის ალგორითმები, რ-ებიც ასახავს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების ძირითად თვისებებს (ორმიმართულებიანობა და პარალელურობა). დამუშავდა ქსელური მეთოდი, რ-ის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ანალიზისა და სინთეზის ერთობლივი პროცესორის აღწერა. ქართ. ენისათვის დამუშავდა სხვადასხვა კომბინაციური მეთოდიკა (ლექსიკური ფუნქციები, სინონ-

იმური მწკრივები, სემანტიკური როლები და სუპერპარადიგმები).

კომპიუტერული ლინგვისტიკის დარგში ლ. ლორთქიფანიძის ავტორობით შეიქმნა თანამედროვე ქართ. ენის მორფოლოგიური ლექსიკონი თანდართული პროცესორით. სისტემა წარმოქმნის თანამედროვე ლიტ. ნორმების შესაბამის სიტყვაფორმებს და, ამავე დროს, გამოიყენება ავტომატური მორფოლოგიური ანალიზისათვის. ლექსიკონი მორფოლოგიური გენერატორის ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება ენობრივ ავტომატურ სისტემებში.

ლიტ.: გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ჩიკოიძე გ., წინადადების სტრუქტურის განმსაზღვრელი ერთეულების სემანტიკა, თბ., 2015.

პ. მამრაძე.
ლ. ლუტიძე.

მათემატიკური ლოგიკა, იხ. *სიმბოლური ლოგიკა.*

მათემატიკური სტატისტიკა, მათემატიკის დარგი, რომელიც მეცნიერული და პრაქტიკული დასკვნებისათვის შეისწავლის სტატისტიკურ მონაცემთა სისტემატიზაციის, ანალიზისა და გამოყენების მეთოდებს. ცივილიზაციის დასაბამიდან ადამიანი ითვლიდა მეომრებს, სამხედრო ეტლებს, ხორბლის კალათებს, საქონელს, გადასახადებს და ა. შ. I ს-ში შედგა სიკვდილიანობის პირველი ცხრილი, რ-შიც მოცემულია გარკვეულ ასაკში გარდაცვლილებისა და ამავე ასაკის ცოცხალი ადამიანების რაოდენობების შეფარდების მაჩვენებელი. ეს კი უბრალოდ თვლა აღარ იყო. მ. ს. ახალი მეცნიერებაა ისევე, როგორც *ალბათობის თეორია,* რ-იც მ. ს-თან ერთად ხშირად მიჩნეულია ერთიან მათ. დისციპლინად.

საქართველოში მ. ს-ში პირველი შედეგი მიიღო გ. *მანიამ* (1949). ეს შედეგი ეხებოდა ემპირიული პროცესების სუპრემუმის განაწილებას ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის ქვესიმრავლეებზე. მისივე ინიციატივით თბილისში დაარსდა გამოყენებითი მათ. ინ-ტი (1966). მალე ამ ინ-ტის მ. ს-ის და ეკონ. პროგნოზირების განყ-ბების ბაზაზე საქართვ. მეცნ. აკადემიაში შეიქმნა მ. ს-ის და ეკონ. მოდელირების სექტორი (1968), სადაც ტარდებოდა სემინარი ა. ტორონჯაძის ხელმძღვანელობით. სემინარის მონაწილეები იყვნენ რ. ჩიტაშვილი, ნ. ლაზრიევა, კ. ჯაფარიძე, ზ. ფირანიშვილი, ბ. აბრამიშვილი, ე. ხმალაძე. ა. ტორონჯაძის სახელს უკავშირდება მ. ს-ის დარგში ორი მნიშვნელოვანი, არატრივიალური, პიონერული შედეგი – საქართვ. მდინარეების მოკლე ჰიდროგრაფების გადაბმა ერთ გრძელ ჰიდროგრაფად მონტე-კარლოს მეთოდების შემდგომი გამოყენებისათვის და ერთდროულად მრავალი წრფივი რეგრესიის ამოცანის განხილვა, რაც მოითხოვდა არაერთი რეგრესიის კოეფიციენტის ერთდროულ შესწავლას. სექტორის მ. ს-ის ქვეგანყ-ბის ხელმძღვანელმა ე. ნადარაიამ გამოაქვეყნა ნაშრომი, რ-იც ეხებოდა ალბათური განაწილების სიმკრივის, ე. წ. ბირთვული შეფასებების აგებას (1964), შემდგომ წლებში მ. ს-ში ნადარაია-ვატსონის შეფასება გახდა ე. წ. გაგლუვების თეორიის კლასიკური ცნება. ამასთანავე სექტორში დაიწყო კვლევები შემთხვევითი პროცესებისა და სტოქასტიკური ანალიზის სფეროში: რ. ჩიტაშვილმა პირველმა გამოიყვანა ბელმანის განტოლება სტოქასტიკური ოპტიმალური მართვის ამოცანისთვის არამარკოვულ შემთხვევაში.

ე. ხმალაძემ შემოიღო სტატისტიკური შეთანხმებულობის კრიტერიუმების ახალი ფორმა, რ-იც დაეყრდნო ემპირიულ პროცესებზე ახალ თვალსაზრისს (XX ს. 80-იანი წწ.) და გადო ხიდი მ. ს-სა და სტოქასტიკურ ანალიზს შორის. ამ მეთოდს მათ. ლიტ-რაში ეწოდა ხმალაძის გარდაქმნა.

70–80-იან წლებში სტოქასტიკური ანალიზის საკითხებზე აქტიურად მუშაობდნენ ნ. ელბაქიძე, მ. შაშიაშვილი, თ. ტორონჯაძე, ო. ღლონტი, ო. ფურთუხია, ვ. ფრიშლინგი და სხვ.

ე. ხმალაძისა და მისი კოლეგების ინიციატივით შეიქმნა საქართვ. სტატისტიკური ასოციაცია (სსა) (1993), რ-მაც გააერთიანა ენათმეცნიერებაში, ბიოლოგიაში, ეკონომიკაში მ. ს-ის გამოყენებით დაინტერესებული მეცნიერები. სსა-მ მოაწყო რამდენიმე საერთაშ. კონფერენცია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების მონაწილეობით. იმავე პერიოდში ე. ხმალაძისა და გ. მირზაშვილის ძალისხმევით თსუ-ში ჩამოყალიბდა აქტუალური მათემატიკისა და მათემატიკური დემოგრაფიის სპეციალობა. აღსანიშნავია, რომ 27 წლის განმავლობაში სექტორი ატარებდა ყოველწლიურ კონფერენციას ალბათობის თეორიასა და მ. ს-ში. 1990–2002 სექტორის მკვლევრებმა მიიღეს საქართვ. და უცხოეთის გრანტები, რამაც ინტენსიური კვლევების გაგრძელებას შეუწყო ხელი. ამ წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტი, რ-იც ეხებოდა ე.წ. დიდი რაოდენობის იშვიათი ხდომილობების თეორიას (დრიხა). ეს თეორია სცდება კლასიკურ მ. ს-ის თეორიას. ამ მიმართულებით კვლევა დღესაც მიმდინარეობს.

საქართველოში მ. ს-ის სფეროში კვლევები ტარდება *მათემატიკის ინსტიტუტის* ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყ-ბაში (ხელმძღვ. მ. მანია).

ე. ხმალაძე.

მათემატიკური ფიზიკა, ფიზიკური მოვლენების მათემატიკური მოდელების თეორია. ამ თეორიის ფარგლებში ვითარდება ფიზიკის ამოცანების ამოხსნისა და ფიზიკის თეორიის ფორმულირების მათემატიკური მეთოდები.

მ. ფ-ის მეთოდების დამუშავება დაკავშირებულია ი. ნიუტონის, ჟ. ლაგრანჟის, ლ. ეილერის, პ. ლაპლასის, ჟ. ფურიეს, კ. გაუსის, ბ. რიმანის და მრავალი სხვა მეცნიერის სახელთან.

ფიზ. მათ. მოდელების აღწერისას იყენებენ *კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებს, ინტეგრალურ განტოლებებს,* ვარიაციულ და თეორ.-ალბათურ მეთოდებს, კომპლ. ცვლადის ფუნქციათა თეორიის მეთოდებს და სხვ. აღნიშნული მეთოდების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მათემატიკოსებმა: ა. რაზმაძემ, ნ. მუსხელიშვილმა, ი. ვეკუამ, ვ. კუპრაძემ, ი. კილურაძემ, ა. ბიწაძემ, რ. გამყრელიძემ, ლ. ჟიჟიაშვილმა და სხვ. ამჟამად მ. ფ-ის მეთოდების კვლევა მიმდინარეობს *მათემატიკის ინსტიტუტში.*

პ. მამრაძე.

მათე მახარებელი (ქ. კაპერნაუმი, გალილეა, – დაახლ. 60 წ. ქ. მირმენა, ეთიოპია), ქრისტეს 12 მოწაფეთაგანი, პირველი სახარების ავტორი. დაწერა (დაახლ. 41 წ.) ქრისტეს ამაღლებიდან 8 წლის შემდეგ. ებრაული ენის ასირიულ-ქალდეურ, ანუ არამეულ დიალექტზე.

სახარების მიხედვით მ. მ. მეზვერე (გადასახადების ამკრეფი) იყო. მას სტუმრობდა იესო ქრისტე კაპერნაუმში ყოფნის დროს, რის შემდეგაც მან დატოვა თავისი ოჯახი, ქონება და ქრისტეს მიმდევარი გახდა. სულთმოფენობის შემდეგ მ. მ-მა იქადაგა იერუსალიმში, მაკედონიაში, სირიაში, სპარსეთში, პართიაში, მიდიასა და ეთიოპიაში. მირმენაში ააშენა ტაძარი, სადაც ეპისკოპოსად



მათე მახარებელი. ალავერდის ოთხთავი. XI ს.

თავისი მეგზური, პლატონი დაადგინა.

მ. მ-ის სახარება, განსხვავებით იოანეს, ლუკას და მარკოზის სახარებებისაგან, ქრისტეს გენეალოგიის გადმოცემით იწყება და მასში ძირითადად საუბარია ქრისტეს ხორციელქმნასა და განკაცებაზე. ამ თავისებურების გამო მ. მ-ის იკონოგრაფიული სიმბოლოა ფრთებიანი ყმაწვილი.

მ. მ. მოწამეობრივად აღესრულა. X ს-ში წმინდანის ნაწილები სალერნოში (იტალია) გადაასვენეს. მართლმადიდებელი ეკლესია მახარებლის ხსენების დღეს 16 (29) ნოემბერს აღნიშნავს.

ქართულ იკონოგრაფიაში, სხვა მახარებლებთან ერთად, მ. მ. ხშირადაა გამოსახული.

ლიტ.: უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოციქულთა ცხოვრება, თბ., 1997.

მათეოს განძასარელი, XV ს. სომეხი მემატიანე, მონაზონი. მ. გ-ს შეუდგენია ,,საწელიწდო‘‘, რ-ის თანდართული ანდერძი (1417) გვაწვდის ცნობას XV ს. 20-იანი წლების საქართვ. ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის, ყარა-ყოიუნლუს თურქმანებთან ქართველებისა და შარვანელების ერთობლივი ბრძოლის შესახებ. 1411 ყარა-იუსუფი შარვანში შეიჭრა. შარვან-შაჰმა დახმარება სთხოვა საქართვ. მეფეს კონსტანტინე I (1407–11), რ-იც 2000 მხედრით შეეშველა მათ. ჩალაღანთან სასტიკ ბრძოლაში, მოკავშირეების შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი დამარცხდნენ. კონსტანტინე I ტყვედ ჩავარდა. ყარა-იუსუფმა მას საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი. ეს ცნობა ქართული წყაროებითაც (ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი; ვახუშტი) დასტურდება. მ. გ-ის ანდერძთან ქართული წყაროების შეჯერებით ვიგებთ არა მხოლოდ კონსტანტინე I-ის მოკვლის ადგილს, არამედ მიზეზსაც.

ლიტ.: აბულაძე ი., მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კონსტანტინეს შესახებ, ,,ენიმკის‘‘ მოამბე, 1940, ტ. 5–6; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ., 1982 (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3).

მათეოს ურჰაეცი, მათე ურჰაელი, ედესელი, XII ს. I ნახევრის სომეხი ისტორიკოსი. ცხოვრობდა ედესაში (ახლანდ. ურფა, თურქეთი). მისი ნაშრომი ,,ჟამთააღმწერლობა‘‘ შედგება სამი ნაწილისაგან და მოიცავს 952–1136 ისტ. მოვლენებს. უფრო მნიშვნელოვანია მეორე (1051–1101) და მესამე (1101–36) ნაწილები. მ. უ-ის ნაშრომი, სომხ. ისტორიის გარდა, შეიცავს ცნობებს ახლო აღმოსავლეთსა და, კერძოდ, საქართველოზე. იგი აღფრთოვანებით აღწერს იმ წარმატებებს, რ-ებიც საქართველომ მოიპოვა *დავით IV* აღმაშენებლის მეფობის ჟამს; დაწვრილებით აღწერს დიდგორის ბრძოლასა და თბილისის გათავისუფლებას. მ. უ-ის თვალსაზრისით, დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს შესწევდა უნარი, თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი ბატონობისაგან ეხსნა სომხეთი და საქართველომ იტვირთა კიდეც ეს მისია. მ. უ. სომეხ ისტორიკოსთა იმ ჯგუფს განეკუთვნება, რ-იც ერთიანი ქართ. მონარქიის დახმარებით ფიქრობდა სომხ. სახელმწიფოს აღდგენას; ,,ჟამთააღმწერლობა‘‘ ფართოდაა გამოყენებული ქართ. ისტორიოგრაფიაში.

ლიტ.: დავლიანიძე ლ., მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 2, თბ., 1999; Абегян М. Х., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

გ. მაისურაძე.

მათეშვილი გიორგი იოსების ძე (17. XI. 1900, სოფ. მაღარო, სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 23. XI. 1973, თბილისი), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960).

1926 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1935 მუშაობდა თსსი-ის ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში, 1941–42 იყო 44-ე არმიის მთ. თერაპევტი. 1942-იდან კვლავ კლინიკაში დაბრუნდა, სადაც 1958-მდე იმუშავა. 1958–73 ხელმძღვანელობდა თბილ. კარდიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კლინიკურ განყ-ბას.

მ. იკვლევდა არტერიულ ჰიპერტონიას, ათეროსკლეროზს, ალერგიას, ნევრიტის ეტიოლოგიას და სხვა საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ალერგია, როგორც თეორიული და კლინიკური პრობლემა, თბ., 1939; შინაგან ორგანოთა ფუნქციის ნერვული რეგულაციის შესახებ ნორმასა და პათოლოგიაში, თბ., 1962; Алиментарная дистрофия, Тб., 1945.

მათიაშვილი გიორგი კარლოს ძე (დ. 18. XII. 1977, გარდაბანი), გენერალ-მაიორი (2020). დაამთავრა საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გაერთ. სამხ. აკადემია მოტომსროლელი ჯარების სამეთაურო-საშტაბო სპეციალობით (1999). 1997–98 მიიღო უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხ. განათლება (I საფეხური) და გაიარა ქვეითთა სამეთაურო კურსი გერმანიაში; 2009–10 მიიღო ოფიცერთა უმაღლესი სამხ. განათლება (ინტერნაციონალური გენ. საადმირალო შტაბის კურსი; გერმანია); აგრეთვე გაიარა ქვეითთა სამთო ბრძოლის (2007, გერმანია), სპეციალური ოპერაციების ძალების საჰაერო-სადესანტო მომზადების (1999, აშშ), სნაიპერის (2000, გერმანია), ევროპული უსაფრთხოების (2010, გფრ-ის შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის აკადემია), ეროვნ. თავდაცვის უმაღლესი (2012, საქართველო)

კურსები. 2001–03 იყო სწრაფი რეაგირების ძალების ბაზა ,,კოჯრის'' დაზვერვის სამსახურის უფროსი, 2006–07 – სახმელეთო ჯარების სარდლობის შტაბის G-3 ოპერატიული სამმართველოს ოპერაციების დაგეგმვის განყ-ბის, 2007–10 – ამავე შტაბის G-3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი, 2010–12 – J-3 ოპერაციების დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და უფროსი (2012), 2016–18 – სახმელეთო ჯარების აღმ. სარდლობის სარდლის მოადგილე, 2018–19 – თავდაცვის ძალების დას. სარდლობის სარდალი, 2019 დეკ-იდან – საქართვ. თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენ. შტაბის უფროსი. 2020 წ. 1 ივლისიდან არის თავდაცვის ძალების მეთაური. მიღებული აქვს ნატოს მედალი ,,სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისათვის'' (2001), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2001) და ღირსების (2012) ორდენები, სამსახურებრივი საშტატო იარაღი (2015), მედლები: ,,ქაქუცა ჩოლოყაშვილი'', ,,გენერალი მაზნიაშვილი'' (ორივე 2012), ,,სამშობლოსათვის თავდადებული'' (2015, 2016), ,,გენერალი კვინიტაძე'' (2019).

ლ. დოლიძე.



მათრახა.

მათიკაშვილი ირაკლი ლავრენტის ძე (16. XII. 1898, სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 11. V. 1968, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1955), მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1928 დაამთავრა ნოვოჩერკასკის სავეტერინარო ინ-ტი. 1929–45 იყო საქართვ. ექსპერ. ვეტერინარიის სახელმწ. ინ-ტის პროტოზოოლოგიის ლაბორ. გამგე. პარალელურად 1934-იდან კითხულობდა ლექციებს საქართვ. ზოოვეტ. ინ-ტის პარაზიტოლოგიის კათედრაზე; 1959-იდან გარდაცვალებამდე იყო ამავე კათედრის გამგე. იკვლევდა სას.-სამ. ცხოველთა პიროპლაზმიდოზებს. ავტორია სახელმძღვანელოებისა: ,,სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროტოზოოლოგია, არაქნოლოგია-ენტომოლოგიით'' (1936), ,,ვეტერინარული პროტოზოოლოგია (არაქნოენტომოლოგიით)'' (1958).

კ. კაპანაძე.

მათიკაშვილი ნიკოლოზ ლავრენტის ძე (8. IV. 1900, სოფ. პატარძეული, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 1993, ვარშავის გარეუბანი ზალესიე), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. პოლონეთის არმიის შტაბს–კაპიტანი (1939). ქართ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა თბილ. ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1917), 1920 შევიდა თსუ-ის სამეურნეო (აგრონ.) ფაკ-ტზე, რ-იც ჯარში სამსახურის გამო მიატოვა, შემდეგ სწავლობდა თბილ. იუნკერთა სასწავლებელში. იყო 1921 თებერვლის კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლის, ხოლო 1921 მარტში – თურქების წინააღმდეგ ბათუმის ბრძოლების აქტ. მონაწილე. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვ. დემოკრ. რესპ-ის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. ვარშავის ოფიცერთა სკოლის დამთავრების შემდეგ (1923) პოდპორუჩიკის წოდებით ჩაირიცხა პოლონეთის ეროვნ. არმიაში. 1932 დაამთავრა ვარშავის სამხ. აკადემია. 1939–43 იყო დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწე. მონაწილეობდა 1944 ვარშავის აჯანყებაში, სადაც მძიმედ დაიჭრა და გერმანელების ტყვედ ჩავარდა. 1945–50 კვლავ პოლონეთის არმიაში დაბრუნდა. 1950-იდან ეწეოდა პუბლიც. და მთარგმნელობით საქმიანობას. 1951–70 რამდენჯერმე აირჩიეს პოლონეთის ორიენტალისტთა სამეცნ. საზ-ბის პრეზიდენტად. ჟურნ. ,,ორიენტალისტურ მაცნეში'' გამოქვეყნდა მ-ის არაერთი ნაშრომი საქართვ. ისტორიასა და ქართ. მუს. კულტურაზე, ქართ. ფოლკლორზე, ,,ვეფხისტყაოსანზე'' და ა. შ. გარდა ამისა, თანამშრომლობდა ქართ. ემიგრაციულ პრესასთან (,,ივერია'', ,,თავისუფალი ტრიბუნა'' და სხვ.). მ. აქტიურად მონაწილეობდა საქართველო-პოლონეთის საზ-ბის საქმიანობაში, იყო ამ საზ-ბის საპატიო თავ-რე (1992–94). 1988 მან მ. კვალიაშვილთან ერთად ჟურნ. ,,ივერიაში'' (პარიზი) გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი ,,იუნკრები'', რ-იც 1990 თბილისში ცალკე წიგნად გამოიცა.

დაჯილდოებული იყო პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენით ,,ვირტუტი მილიტარი''. დაკრძალულია ვარშავაში ბროდნოვსკის სასაფლაოზე.

თხ.: იუნკერები და სხვები, თბ., 2016. *ლიტ.*: გრიშიკაშვილი ა., ნიკოლოზ მათიკაშვილი – ქართველთა ნესტორი პოლონეთში, წგ.: ქართველები პოლონეთში, თბ., 2008; დაუშვილი რ., ნიკოლოზ მათიკაშვილი, წგ.: საქართველო-დასავლეთი: ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012.

ლ. ურუშაძე.

მათრახა (Isatis), მცენარეთა გვარი კომბოსტოსებრთა ოჯახისა. ერთან ორწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი ბალახია. აზიასა და ევროპაში გავრცელებულია 60-მდე სახეობა, საქართველოში – 7, მ. შ. ქართული მ. (I. iberica) ფართოდაა გავრცელებული თბილ. მიდამოებში; I. buschiana და I. bungeana სამხრ. საქართველოს მთის ქსეროფილური დაჯგუფებების კომპონენტებია. მ. იზრდება მშრალ კლდეებსა და ჩამონაზვავებზე, ველის დაჯგუფებებში. საღებავი მ-ს (I. tinctoria) ფოთლებისაგან მაუდის მუქ ლურჯ საღებავს (ინდიგო) იღებდნენ და დიდი რაოდენობით მოჰყავდათ დას. ევროპაში (ინდიგოს სინთეზური წარმოების შემდეგ მასზე მოთხოვნა შემცირდა).

ლ. ხინთიბიძე.

„მათრახი“, ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი. დაარსდა 1908 თბილისში. მე-6 ნომრის გამოსვლის შემდეგ ,,მ.'' დაიხურა. 1912 ივნისში ჟურნალის გამოცემა განახლდა, მაგრამ სამი კვირის შემდეგ ადგილ. ხელისუფლების განკარგულებით კვლავ აიკრძალა. მისი აღდგენა შესაძლებელი გახდა 1913 ივლისში; გამოდიოდა 1916 აპრილამდე. რედ.-გამომცემლები – ბ. ბოლქვაძე (1908–12), თ. ბოლქვაძე (1913–16). ჟურნალთან თანამშრომლობდნენ მწერლები: ნ. კალანდაძე, ნ. ზომლეთელი (ნ. ქურიძე), ვ. მალაქიაშვილი, მ. ლელაშვილი, ნ. ჩხიკვაძე, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე და სხვ.; მხატვრები: ო. შმერლინგი, შ. ქიქოძე, ვ. კილაძე და სხვ.

„მათრახი და სალამური“, ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი; გამოდიოდა 1909–10 თბილისში. რედ.-გამომცემლები – ე. ტურაბელიძე (1909, №№1–29; №№1–24); ნ. სულხანიშვილი (1910, №№15–34), გამომცემელი – პ. ომიაძე. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ მწერლები: ნ. აზიანი, ნ. კალანდაძე, ნ. ზომლეთელი (ნ. ქურიძე), იასამანი (მ. კინწურაშვილი), ტ. რამიშვილი და სხვ.; მხატვრები: ო. შმერლინგი, ზ. ზაზიაშვილი, ა. გოგიაშვილი, შ. ქიქოძე და სხვ.

მათურა, სოფელი მცხეთა–მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (უკანა ფშავის თემი), თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთ. ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. მათურხევის (ფშავის არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1840 *მ*, დუშეთიდან 70 *კმ*. 2014 მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

მათურაანთკარი, იხ. სოფ. *ჟღობოტა.*

მათური, უღელტეხილი დუშეთის მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 2800 *მ.* მ. ერთმანეთთან აკავშირებს ხევსურეთის არაგვისა და ფშავის არაგვის ხეობებს. უღელტეხილი აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. მთის კალთები დაფარულია ალპ. მდელოებით.

მათხირი, მარცვლეულის საწყაო XIII ს. აღმ. საქართველოში. შეადგენდა კოდის 1/32-ს (0,9 *კგ.*).

მათხოჯი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხონის მუნიციპალიტეტში, იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას, ხონი – მარტვილის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 170 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., ლეფილიე, სუხჩა, ხიდი). ხონიდან – 7 *კმ,* სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) – 28 *კმ.* 1389 მცხ. (2014). სოფლის მიდამოებში მდებარეობს ჭირკარის მღვიმე.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს. I ნახ-ში. მ-ში შემორჩენილია ადრეფეოდ. ხანის ორი ციხის ნანგრევები. ერთი ციხესიმაგრიდან მხოლოდ საძირკველია დარჩენილი, მეორე, ოთხკუთხა კოშკითა და გალავნით, შედარებით უკეთაა შემონახული. XIX ს-ში მ-ში იდგა შუაფეოდ. ხანის ეკლესია. ერთი ცნობით, იგი 1209 იყო აგებული.

სოფელში აგრეთვე დგას წმ. ბასილის გუმბათოვანი ეკლესია, რ-ის დას. ფასადზე ჩასმულ ფილაზე ამოკვეთილია მხედრული დამწერლობით შესრულებული სამშენებლო წარწერა. მასში მოცემულია ეკლესიის აგების თარიღი (1864) და მოხსენიებულნი არიან ეკლესიის მაშენებელი მღვდლები – იოანე მელაძე და გიორგი ჩიმაკაძე. სოფელში არის ასევე წმ. ნინოს დედათა მონასტერი (1874–1915), რ-ის კედლებში ჩატანებულია XIII ს. ეკლესიის ჩუქურთმებიანი ქვები.

ლიტ.: ბოჭორაძე გ., იმერეთი, თბ., 1995; ფაილოძე ა., სოფელ მათხოჯის სიძველენი, ,,ძეგლის მეგობარი'', 1989, №1.

თ. ბერაძე.

მათხოჯის ბრძოლა 1789, ბრძოლა იმერეთის სამეფო ტახტისათვის. 1788 იმერეთის მეფე *დავით II-მ* ოდიშზე გაილაშქრა და იქიდან გააძევა გრიგოლ დადიანი, რ-იც ლეჩხუმში გაიქცა. ოდიშის ფეოდალებმა გრიგოლს დაუჭირეს მხარი. მან დახმარება სთხოვა ერეკლე II-ს. ერეკლემ ჯარით გაგზავნა სოლომონ I-ის ძმისწული დავით არჩილის ძე, რ-მაც ლეჩხუმში ცოლად შეირთო გრიგოლ დადიანის და მარიამი. 1789 მათხოჯთან ოდიშისა და ქართლის ჯარმა დაამარცხა დავით II-ის მომხრეები. გამარჯვებულებმა ქუთაისი აიღეს. დავით II-მ ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. იმერეთში სოლომონ II-ის სახელით დავით არჩილის ძე გამეფდა.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მათხოჯის მღვიმე, მღვიმე ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. მათხოჯში, მდ. ცხენისწყლის მარცხენა მხარეს. მღვიმის შეფარდებითი სიმაღლეა 150 *მ.* გამოუშავებულია ცარცულ კირქვებში. შედგება რამდენიმე დარბაზისაგან. ჯამური სიგრძეა 55 *მ.* ქიმიური ნალექებიდან აღსანიშნავია სტალაქტიტები და კბილისებრი ნაღვენთები, მექანიკურიდან – ნგრევის ადგილობრივი მასალები, თიხები. მ. მ. მშრალი მღვიმეა. მასში გვხვდება შუა საუკუნეების შუახანის კულტურული ნაშთები (კერამიკის ნამტვრევები).

მაია გაბაონი, იხ. *გაბაშვილი* მაია.

მაიაკოვსკი ვლადიმერ ვლადიმერის ძე [7(19). VII. 1893, სოფ. ბაღდათი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 14. IV. 1930, მოსკოვი], რუსი პოეტი, რუს. კლასიკური პოეზიის რეფორმატორი. დაიბადა მეტყევის ოჯახში. 1902-იდან სწავლობდა ქუთ. გიმნაზიაში. მამის გარდაცვალების (1906) შემდეგ ოჯახთან ერთად მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ლექსების წერა დაიწყო 1909. პირველი ლექსები ალმანახში ,,პოშჩიოჩინა ობშჩესტვენნომუ ვკუსუ'' გამოაქვეყნა 1912, ლექსების პირველი კრებ. ,,მე!'' – 1913. მასვე ეკუთვნის პოემები: ,,შავრვლიანი ღრუბელი'' (1914–15), ,,ფლეიტა ხერხემალი'' (1916), ,,ამის შესახებ'' (1923), ,,კარგია'' (1927) და სხვ.; პიესები: ,,მისტერია-ბუფი'' (1918), ,,ბაღლინჯო'' (1928), ,,აბანო'' (1929) და სხვ., ტრაგედია ,,ვლადიმერ მაიაკოვსკი'' (1913); ,,ვლადიმერ ილიას ძე ლენინი'' (1924). ლექსების ციკლი ,,პარიზი'' (1924–25), ,,ლექსები ამერიკაზე'' (1925–26), ,,ლექსები საბჭოთა პასპორტზე'' (1929) და სხვ.

საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა მ-მ კარგად იცოდა ქართ. ენა. მან რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში (1914, 1924, 1926, 1927). აქ იგი დაუახლოვდა ლიტერატორთა და მხატვართა საზ–ბას (ს. ჩიქოვანი, ნ. შენგელაია, ი. გამრეკელი და სხვ.). თბილისის სხვადასხვა დაწესებულებაში კითხულობდა ლექსებს, ლექციებს. პრესა აშუქებდა პოეტის გამოსვლებს, ყურადღებით ეკიდებოდა მის შემოქმედებას. ქართ. თემა აისახა მ-ის ლექსებსა და პოემებში: ,,ვლადიკავკაზი–თბილისი'', 1924; ,,ჩვენს ახალგაზრდობას'' 1927; ,,მექსიკა'', ,,თამარი და დემონი''; თუმცა, როგორც აღნიშნავდა პოეტი, იგი კვლავ ,,ვალში იყო ბაღდათის ზეცის წინაშე''. მ-მ თბილისში დაწერა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები (,,საიუბილეო'', ,,თამარი და დემონი'', ,,ამბოხის გუგუნით'' და სხვ.), რ-ებიც პირველად გაზ. ,,ზარია ვოსტოკაში'' გამოქვეყნდა.

პოეტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მ-ის ლექსების თარგმნა საქართველოში პოეტის სიცოცხლეშივე დაიწყო. პირველი კრებულები დაიბეჭდა 1931, 1938, 1940 (მთარგმნელები: პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, მ. პატარიძე, ი. აბაშიძე, ვ. ჯავახაძე და სხვ.). 1940–90 მ-ს სახელს ატარებდა სოფ. ბაღდათი და ბაღდათის რ-ნი. 1941 ბაღდათში დაარსდა პოეტის სახლ-მუზეუმი.


თხზ.: რჩეული, თბ., 1952; ლექსები, თბ., 1963, 1973; კარგია, თბ., 1970; პოემები, თბ., 1975; ღრუბელი შარვლით (პოემა), თბ., 2013; ამის შესახებ (პოემა), ქუთ., 2016; ოთხი პოემა, თბ., 2017; თორმეტი ლექსი, ორი პოემა, თბ., 2018; თქვენ შეძლებდით? ვლადიკავკაზი–ტფილისი (ლექსები), თბ., 2019; Полн. собр. соч. т. 1–13, М., 1955–61.

ლიტ.: კიკნაძე კ., მაიაკოვსკი: მეცამეტე მოციქული, ქუთ., 2017; ლაფერაშვილი ვ., მაიაკოვსკი საქართველოში, თბ., 1957; მაიაკოვსკაია ა., ვლადიმერ მაიაკოვსკის ბავშვობა და სიჭაბუკე, თბ., 1961.

დ. თუხარელი.

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, მემორიალური მუზეუმი და ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. დაარსდა 1940, პოეტის გარდაცვალებიდან 10 წლის თავზე, მ-ის მშობლიურ სახლში, ბაღდათში.

მუზეუმში დაცულია 5,6 ათ-მდე ექსპონატი. გამოფენილია მ-ისა და მისი ოჯახის წევრების მემორიალური ნივთები: XIX–XX სს. საოჯახო მასალა, პირადი ნივთები, XIX–XX სს. ლიტ. კოლექციების




ვ. მაიაკოვსკი.



ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. სოფელი ბაღდათი.

გამოცემები, პოეტის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდთან დაკავშირებული დოკუმენტური და ფოტო მასალა. 90-იან წლებში მუზეუმი გაძარცვეს, რის გამოც დაიკარგა მრავალი მნიშვნელოვანი ექსპონატი (პატეფონი, ფოტოაპარატი და სხვ.).



ვ. მაისაია.

მუზეუმის ბაზაზე არსებობს ბაღდათის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმი, რ-იც შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. აქ ექსპონირებულია მუნიციპ-ის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რ-იც მოიცავს პერიოდს ადრე ქვის ხანიდან XIX ს. ბოლომდე, კერძოდ, წარმოდგენილია ნუმიზმატიკის, ბონისტიკის, ეთნოგრაფიისა და არქეოლ. კოლექციები.

მუზეუმის მთლიანი ფართობია 1050 $მ^2$, საიდანაც მუდმივ ექსპოზიციას უჭირავს 800 $მ^2$.

2018 პოეტის იუბილესთან დაკავშირებით მის სახლ-მუზეუმს ჩაუტარდა რესტავრაცია.

მუზეუმთან მუშაობს ლიტ. სალონი, სადაც გაერთიანებული არიან მუნიციპ-ის საზ-ბა და მ-ის შემოქმედებით დაინტერესებული პოეტები.



მაილის მყინვარი.

მაიაკოვსკი, *იხ. ბაღდათი.*

მაიაკოვსკის რაიონი (1940–90 წწ.), *იხ. ბაღდათის რაიონი.*

მაიაშვილი გიორგი ფელიქსის ძე, *იხ. ზდანოვიჩი* გიორგი.

მაია ჯყნეთელი, XVIII ს. II ნახევრის ქართველი სახალხო გმირი, მათე ყაჩაღად წოდებული. გვარი ცნობილი არაა. ზეპირსიტყვიერი გადმოცემით, მ. ჯ-თვის ბატონს შეურაცხყოფა მიუყენებია, რის გამოც მამამისმა თავი ჩამოიხრჩო, დედა კი შიმშილით დაიღუპა. შურისძიების გრძნობით გამსჭვალულმა კაცურად გადაცმულმა მ. ჯ-მა ერეკლე II-ის კარზე დაიწყო სამსახური. მას ბევრჯერ გაუთავისუფლებია მებატონეების მიერ ყიზილბაშებზე გაყიდული ქალვაჟები. მებატონეთა დაბეზღებამ აიძულა ყაჩაღად გავარდნილიყო. დაღუპულა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მ. ჯ-ის თავგადასავალი აისახა ქართ. ფოლკლორში, აგრეთვე თეატრსა და კინოში.

ლიტ.: გარსევანიშვილი ა., გმირი ქალი მათე ყაჩაღად წოდებული, ქუთ., 1915; სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ქორიძე დ., სახელოვანი ქართველი ქალები, თბ., 1965.

მაიდანი, სოფელი სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის აბაშის მუნიციპალიტეტში (სამიქაოს თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 70 *მ*, აბაშიდან 16 *კმ*. 707 მცხ. (2014).

მაიკოვი აპოლონ ნიკოლოზის ძე [23. V(4. VI), 1821, მოსკოვი, – 8 (20). III. 1897, პეტერბურგი], რუსი პოეტი. პირველი ლექსი 1835 გამოაქვეყნა, პირველი კრებული – 1842. ავტორია პოემებისა: ,,ორი ბედი'' (1845), ,,მაშენკა'', ,,ქალიშვილს'' (1846). 70-იანი წლებიდან მეტწილად რელიგ.-ფილოს. ლექსებს წერდა. მ-ის შემოქმედებიდან საქართველოში პოპულარული იყო ლექსი ,,ქართველი ქალი'' (1842). ი. ჭავჭავაძემ ,,პასუხში'' (1861) დაღებითად შეაფასა მისი ერთ–ერთი ლექსი. რ. ერისთავმა გადმოაკეთა მ–ის ლექსები ,,სათიბი'' და ,,ნანა''.

ვ. შადური.

მაიკოპის კულტურა, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრის არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო ჩრდ. კავკასიის მთისწინეთში. სახელი ეწოდა 1897 შესწავლილი მაიკოპის გორასამარხის მიხედვით. მ. კ. წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი გორასამარხებით, ზოგჯერ გამაგრებული ნამოსახლარებით. მ. კ-ის გვიანდელ საფეხურზე გაჩნდა ქვის აკლდამები (მ. შ. დოლმენებიც). ქვის ცულების, დანისა და ნამგლის ჩასართებთან და ისრისპირებთან ერთად გვხვდება სპილენძის ცულები, თოხები, დანები, სატეხები, სატევრები, შუბისპირები. აღმოჩენილი მასალა მიგვანიშნებს, რომ მ. კ-ის მქონე ტომებს კავშირი ჰქონდათ აღმოსავლეთთან. მ. კ-ის კერამიკა ნაწილობრივ მორგვზეა დამზადებული, ჭარბობს წითლად გამომწვარი, გაპრიალებული, ზოგჯერ მოხატული ჭურჭელი. ჩანს, რომ მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას, საზოგადოებრივი წყობა იყო პირველყოფილ-თემური.

ლიტ.: Иессен А. А., К хронологии ,,больших кубанских курганов'', ,,Советская археология'', 1950, в. 12; Крупнов Е. И., Древняя история и культура Кабарды, М., 1957; Мунчаев Р. М., Памятники майкопской культуры в Чечено-Ингушетии, ,,Советская археология'', 1962, № 3; Формозов А. А., Периодизация майкопских поселений, კრ.:Историко-археологический сборник.[М., 1962].

მაილი, მთა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთ. ქედის გვერდით, ხოხის ქედზე, მწვ. ჯიმარასა და მყინვარწვერს შორის. სიმაღლე ზ. დ. 4506 *მ*. მთა აგებულია დიორიტებითა და დიაბაზებით. კარგადაა გამოხატული თანამედროვე გამყინვარება. დამახასიათებელია სუბნივალური ლანდშაფტი. მთისკენ მიმავალი გზა იწყება მდ. თერგის სათავეებიდან.

მაილი, ხეობის ტიპის მყინვარი კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით, ხოხის ქედის ჩრდ. კალთაზე; ციცაბოდ ეშვება მყინვარწვერის ფირნული ველიდან. იგი გაწოლილია მდ. გიზელდონის მარჯვ. შენაკადის – გენალდონის სათავეებში. მისი სიგრძეა 6,4 *კმ*. ფართ. – დაახლ. 7 $კმ^2$. შუა დინებაში ქმნის მძლავრ ყინულვარდნილს.

რ. ხაზარაძე.

მაილის უღელტეხილი, უღელტეხილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარი ქედის გვერდით, ხოხის ქედზე, მყინვარწვერსა და მწვ. მაილს შორის. ზ. დ. 4400 *მ*. მისთვის დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. უღელტეხილი აკავშირებს ყაზბეგის მუნიციპ-ს ჩრდ. ოსეთთან (რფ).

მაისაია ვალერიან რაჟდენის ძე (28. III. 1929, სოფ. მუხურჩა, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალი-

ტეტი, – 10. III. 1979, თბილისი), ნეიროქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1974).

1954 დაამთავრა თსსი. 1960–72 მუშაობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ექსპერ. ლაბორატორიაში, შემდეგ – ნეიროქირურგიულ განყ-ბაში. 1972–73 იყო ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი მუშაკი; 1973–76 – თსსი-ის ბავშვთა ქირურგიის, 1976-იდან – ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორი; 1978-იდან – ბავშვთა რესპ. საავადმყოფოს, ამიერკავკასიაში პირველი ნეიროქირურგიული განყ-ბის დამფუძნებელი (შემდგომში გამგე).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება ნეიროქირურგიისა და ნეიროფიზიოლოგიის აქტუალურ საკითხებს.


მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1970).

მაისაური, სოფელი იმერეთის რეგიონის ვანის მუნიციპალიტეტში (ყუმურის თემი), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ყუმურის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 560 *მ,* ვანიდან 16 *კმ,* სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ.* 87 მცხ. (2014).

სოფელში დგას ფეოდ. ხანის ციხესიმაგრე და წმ. გიორგის ეკლესია.

მაისაშვილი სევერიან დავითის ძე (21. IX. 1900, თბილისი, – 21. II. 1980, იქვე), ფერმწერი, მინიატიურისტი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1967). სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიასა (1923–25) და თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (დაამთავრა 1931). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1930-იდან, მ. შ. იყო რესპუბლიკათშორისი სამხატვრო გამოფენა თბილისსა (1942) და მოსკოვში (1943), საკავშირო სამხატვრო გამოფენა (ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეა). 1967 და 1970 თბილისში ჩატარდა მისი პერსონალური გამოფენები. თავდაპირველად გრაფიკის დარგში მუშაობდა, მომდევნო წლებში შექმნა ბატალური სურათების სერია: ,,გიორგი სააკაძის ბრძოლა სპარსელებთან მარაბდის ველზე'' (1941), ,,ნასაკირალის ბრძოლა'', ,,კრწანისის ომი'' (ორივე 1958), ,,ასპინძის ომი'' (1966) და სხვ. იგი პირველი ქართველი ხელოვანია, რ-მაც ტრადიციების გათვალისწინებით განავითარა თანამედროვე ქართული მინიატიურული ხელოვნება. მისი ნამუშევრები: „იშვიათი ნანადირევი“ (1946), „ჟურძნის კრეფა გურიაში“ (1946), „კალოობა სვანეთში“ (1948), „ურმული“ (1948) დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. საქართვ. ხელოვნების მუზეუმში. 1951–76 მ-მა შექმნა მინიატიურების ციკლი ,,ძველი თბილისი'' (მხატვრის სახელოსნო). იგი წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკაში [ა. ყაზბეგის რჩეული (1935–37), ს.-ს. ორბელიანის იგავ-არაკები (1938; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი) და სხვ.]. მ-ის ესკიზების მიხედვით შეიქმნა საიუბილეო საფოსტო მარკა შოთა რუსთაველის პორტრეტით (1937) და საქ. სსრ დროშა (1951).

თ. გერსამია.



ს. მაისაშვილი. ,,ხევსურეთი''. 1968.

მაისაძე ფერანდო დავითის ძე (დ. 14. IV. 1941, თბილისი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1995), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (2009). დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლ. ფაკ-ტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით (1963). 1963-იდან მუშაობა დაიწყო საქ. სსრ მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტში. 1992–2001 იყო რეგიონული გეოლ. სექტორის გამგე. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში (1970–80). მისი კვლევის საგანია საქართვ. და კავკასიის პალეოგეოგრაფიის, ტექტონიკისა და რეგიონული გეოლ. საკითხები.

მ-ის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიონის სამხრ. ფერდობზე გავრცელებულ პალეოგენურ-ფლიშური ნალექების კომპლექსურ შესწავლას, რის შედეგადაც მოხერხდა მათი ლითო-ფაციესური დანაწილება. იკვლევდა აგრეთვე სამხრ. კავკასიაში გავრცელებულ ზედაეოცენურ ოლისტოსტრომებს ალპურ ნაოჭა სისტემაში. მან პირველმა მიაკუთვნა ოლისტოსტრომები ,,მოვლენათა ნალექებს'' (2008) და დაასაბუთა მათი წარმოშობის კავშირი კატასტროფებთან. ოლისტოსტრომების საშუალებით პირველად დადგინდა სამხრ. კავკასიაში ,,რეტროშარიაჟების'' არსებობა ფლიშურ ნალექებში (1994), ასევე სედიმენტაციის კავშირი ოროფაზისებთან, რის შედეგად მ-მ პირველმა განსაზღვრა პირენეული ოროფაზისის ხანგრძლივობა (1,7 მლნ. წ.).

მ. მონაწილეობდა მრავალ სამეცნ, მ. შ. ,,იუნესკოს'' პროექტებში. შედეგები მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1996. იგი არის საქართველოში გეოტურიზმის დაარსებისა და განვითარების ერთ–ერთი ფუძემდებელი. მიღებული აქვს ა. ჯანელიძის სახ. პრემია (2001).



ს. მაისაშვილი.

თხზ.: О новопиренейской складчатости на Кавказе, „Известия АН СССР. Серия географическая“, 1984; №7; О верхнеэоценовых олистостромах Южного склона Большого Кавказа (Стратиграфия, геологическая корреляция), „Российская академия наук“, 1994, № 1; Палеогеография и геологическое развитие Грузии в палеогеновое время, Тб., 1999; Event Deposits in Chauticaly Built Formations//bullet in of the Georgian National Academy of sciens, vol. 2, no 3, 2008.



ს. მაისაშვილი. ,,კრწანისის ომი''. 1958.


მაისი (ლათ. Maius), კალენდარული წლის მეხუთე თვე (შეიცავს 31 *დღ–ღ*). სახელწოდება სავარაუდოდ მომდინარეობს ძვ. იტალ. მიწის ქალღმერთ მაიასაგან, რ-საც მ-ის პირველ დღეს ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ. ქართ. წარმართული კალენდრით ეწოდება ვარდობისა.



ამიერკავკასიის მაისის ღრაჯა.

მაისის ხოჭო, მაისის ღრაჯა, ფირფიტულვაშა ხოჭოების 3 სახეობის ზოგადი სახელწოდება. მ. ხ-ს სიგრძეა 20–32 *მმ*; აქვს შავი, თეთრი ბუსუსებით მოფენილი სხეული, თავი და წინაზურგი, ულვაშები, ზედა ფრთები, ფეხები მოწითალო-რუხიდან მოშავო-ყავისფრამდეა. აღსანიშნავია დასავლური მ. ხ. (Melolontha melolontha), რ-იც გვხვდება მხოლოდ ევროპაში; აღმოსავლური მ. ხ. (Melolontha hippocastani) გავრცელებულია ევროპასა და აზიის ჩრდ. ნაწილში (სამხრ. საზღვარი გადის მდ. დუნაიზე, ოდესის, ურალსკის, ალთაის, შანხაის ზოლზე); ამიერკავკასიის მაისის ღრაჯა (Melolontha pectoralis) გვხვდება სამხრ. ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. მრავლადაა საქართველოს ტყისა და ტყე-ველის ზონაში. ზრდასრული ხოჭოები ფრენას იწყებენ მაისის დამდეგს, სამხრეთ რ-ნებში – აპრილის ბოლოს. კვერცხებს დებენ ხის ფესვების ყელთან. მ. ხ. 4–5 წელიწადში ერთ თაობას იძლევა. მატლები ყველაზე მეტად აზიანებენ ფიჭვის ნერგებს, რ-ებიც სწრაფად იღუპებიან ან ზრდაში ჩამორჩებიან.

ე. აბაშიძე.
ა. ბუხნიკაშვილი.



ა. შ. მაისურაძე.

მაისტისმთა, მაისტის მაღალი, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ჩეჩნეთის არ-ის საზღვარზე, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის ჩრდ. გვერდით ქედზე, არღუნის სისტემის მდ-ების – ანდაქის, ბლუხაფელისა და მაისტიხის წყალგამყოფზე, ზ. დ. 4081 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. მწვერვალის უმეტესი ნაწილი კლდოვანია. აქვს ორი მყინვარი. კალთების ქვემო ნაწილში ალპური მდელოებია, თხემზე – სუბნივალური ლანდშაფტი. მთაზე პირველი ასვლა განხორციელდა 1939.

ლ. მარუაშვილი.

მაისურაძე აბესალომ შალვას ძე (27. VII. 1927, თბილისი, – 4. VII. 1996, იქვე), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). სწავლობდა სპი-ში (1952–54). 1962-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' დამდგმელ ოპერატორად. გადაიღო ფილმები: ,,პიერი, მილიციის თანამშრომელი'' (რეჟ. დ. რონდელი, 1965), ,,გიორგობისთვე'', ,,პასტორალი'', ,,იყო შაშვი მგალობელი'' (სამივეს რეჟ. ო. იოსელიანი, 1966, 1970, 1976), ,,მალე გაზაფხული მოვა'' (რეჟ. ო. აბესაძე, 1967), ,,მუსიკოსები'' (ა. ანტიპენკოსთან ერთად, რეჟ. მ. კობახიძე, 1969), ,,ნერგები'' (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1972), ,,აკაციის ყვავილობა'', ,,სამი მანეთი'', ,,თერმომეტრი'' (სამივეს რეჟ. რ. შარაბიძე, 1974, 1975, 1975), ,,წინაპართა მიწა'' (რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, გ. ჭოხონელიძე, 1979), ,,გამოაღეთ ფანჯრები'' (რეჟ. დ. აბაიძე, 1981), ,,გაზაფხული გადის'' (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1983), ,,სკაპენის ოინები'' (რეჟ-ები: გ. და მ. კალატოზიშვილები, 1984), ,,ერთ პატარა ქალაქში'' (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 1985), ,,ფესვები'' (რეჟ. ყ. მგელაძე, 1987), ,,ჭა'' (რეჟ. პ. ჩარკვიანი, 1988), ,,ომი ყველასთვის ომია'' (1990), ,,წითელი პატეფონი'' (1995, ორივეს რეჟ. დ. აბაშიძე), ,,ანთიმოზ ივერიელი'' (რეჟ-ები: გ. ჭოხონელიძე და ნ. ნოზაძე, 2001).

მ. კერესელიძე.

მაისურაძე ალექსანდრე (15. VIII. 1884, სოფ. დვირი, ახლანდ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი, – 19. XII. 1918, ეკატერინენფელდი, ახლანდ. ბოლნისი), პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწე, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთ. შტაბის წევრი, სოც.-დემოკრ. პარტიის წევრი. ა. დგებუაძესთან ერთად იყო სახალხო გვარდიის ფაქტობრივი მეთაურის, ვ. ჯუღელის უახლოესი დამხმარე და თანამებრძოლი. 1917 წ. 12 დეკემბერს აქტიურ მონაწილეობას იღებდა თბილ. არსენალის რუსული გარნიზონის განიარაღებაში, 1918 ზამთარში და გაზაფხულზე – ქართული ნაციონალური პოლკების ბოლშევიკური გამოსვლების ჩახშობაში, ოსმალური ნაწილების შეჩერებასა და 1918 ზაფხულში – აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ბოლშევიკებისაგან გაწმენდის ოპერაციაში. დაიღუპა სომხეთ-საქართველოს ომში, ეკატერინენფელდის (ახლანდ. ბოლნისი) ბრძოლის დროს.

ლიტ.: საითიძე გ., ვინ იყო ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე, ,,საისტორიო ვერტიკალები'', 2002, №2; სანდრო მაისურაძე 1884–1920, რედ. რ. არსენიძე, თბ., 1920; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018.

დ. სილაქაძე.

მაისურაძე ანზორ ამბროსის ძე (9. V. 1937, თბილისი, – 20. IX. 2017, იქვე), გენერალ-მაიორი (1992). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1960), მოსკოვის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უმაღლესი სკოლა (1966). 1961-იდან მუშაობდა სსრკ უშიშროების ორგანოებში. 1971–76 სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ, იორდანიაში. იქ მან შიჰანის უდაბნოში მიაკვლია ქართულ მონასტერს, რ-იც შემდგომ შეისწავლეს ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის თანამშრომლებმა. იყო საქ. სსრ სუკ-ის დაზვერვის განყ-ბის უფროსი (1984–90), სახელმწ. უშიშროების მინისტრის მოადგილე (1990–91), მინისტრი (1992), თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1992, მაისი), დაზვერვის დეპარტამენტის თავ-რის მთ. კონსულტანტი (1997–2004), შემდეგ – დეპარტამენტის თავ-რის თანაშემწე. მინიჭებული აქვს სსრკ და საქართვ. უშიშროების ორგანოთა დამს. მუშაკის წოდებები (1988).

დაჯილდოებულია მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის'' (1999).

ლ. დოლიძე.

მაისურაძე ბადრი ჯემალის ძე (დ. 13. XI. 1958, თბილისი), მომღერალი (ტენორი). რფ-ის დამს. არტისტი (2005). 1982 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (პედ–ები: დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი), 1989 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ვოკალი, გ. ბეჟუაშვილის კლასი). 1988–90 სტაჟირება გაიარა მოსკ. დიდ თეატრში (ხელმძღვ. – ზ. სოტკილავა). 1994–2016 იქვე იყო წამყვანი სოლისტი და წარმატებით ასრულებდა ტენორის თითქმის ყველა სარეპერტუარო პარტიას. 1989–92 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის (მისი დებიუტი შედგა ო. თაქთაქიშვილის ოპერა ,,მინდიაში''), 1993–94 – ბათუმის ოპერის წამყვანი სოლისტი; 2002-იდან – გ. ვიშნევსკაიას საოპერო სიმღერის ცენტრის პროფესორი. 2016-იდან დღემდე არის თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ამ წლებში თეატრის სცენაზე შედგა 18 პრემიერა (ჯ. ვერდის ,,აიდა'' და ,,ბედის ძალა'', გ. დონიცეტის ,,სიყვარულის ნექტარი'' და სხვ.). 2019–22 იყო საქართვ. განა-

თლების, მეცნ., კულტ. და სპორტის მინისტრის მოადგილე. 2018 თბილისში დააარსა ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსი, 2019 კი – ვერდის საერთაშ. ფესტივალი. გამოდიოდა და მართავდა მასტერკლასებს მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში (ლა სკალა, ვენის შტაატსოპერა, ბერლინის დოიჩე ოპერა, ფლორენციის კომუნალე, მადრიდის რეალ თეატრი, ნეაპოლის სან კარლო, ბარსელონის ლისეო, შვეიცის სამეფო, ისრაელის, ავსტრიის, ტულონის, ლიეჟის, ირლანდიის და სხვ.).



ბ. მაისურაძე. კანიო. რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“.

მ-ს შესრულებული აქვს მრავალი წამყვანი პარტია: ალფრედი, რადამესი, რიჩარდი, კარლოსი, ოტელო (ჯ. ვერდის „ტრავიატა“, „აიდა“, „ბალ–მასკარადი“, „ჟანა დ'არკი“, „ოტელო“), კავარადოსი, კალაფი, დე გრიე, პინკერტონი, ჯონსონი (ჯ. პუჩინის „ტოსკა“, „ტურანდოტი“, „მანონ ლესკო“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „ქალიშვილი დასავლეთიდან“); ტურიდუ (პ. მასკანის „სოფლის პატიოსნება“), კანიო (რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“), სამსონი (კ. სენ-სანსის „სამსონ და დალილა“). ანდრეი, გერმანი (პ. ჩაიკოვსკის „მაზეპა“, „პიკის ქალი“), ცრუ დიმიტრი (მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“) და სხვ. ტენორის პარტიები შეასრულა ლ. ბეთჰოვენის IX სიმფონიასა და ბ. ბრიტენის „სამხედრო რეკვიემში“. მონაწილეობდა მხატვრულ ფილმებში. მ. არის ვოკალისტთა ფ. ვინიასის (ესპანეთი) და ი. ბიორლინგის (შვედეთი) სახ. საერთაშ. კონკურსების ლაურეატი (ორივე 1994); საერთაშ. ვოკალური კონკურსების ჟიურის წევრი: „ვერდის ხმები“ ბუსეტოში, ვ. ბელინის სახ. პარიზში, გ. ვიშნევსკაიას სახ. მოსკოვში, ჯ. მარტინელის და ა. პერტილეს კონკურსი მონტანიანაში (თავ-რე).

ლიტ.: ახმეტელი მ., მომავლის მომღერალი, „ხელოვნება“, 1998, № 9–10; ბუხრიკიძე დ., ნადარეიშვილი მ., შვიდი პატარა დოკუმენტური ნოველა ქართველ მომღერლებზე, „ანაბეჭდი“, 2007, №23.

მაისურაძე გიორგი ვასილის ძე (1908, სოფ. ქვედი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 23. II. 1966, იქვე), საბჭოთა კავშირის გმირი (15. I. 1944). 1941-იდან იყო წითელი არმიის რიგებში, 1942 მაისიდან – მოქმედ არმიაში. სოფ. გლუშეცის (ლოევის რ-ნი, გომელის ოლქი) გათავისუფლებისათვის ბრძოლის დროს (1943 წ. 10 ოქტ.) მ. მკერდით გადაეფარა მტრის საცეცხლე წერტილს, საშუალება მისცა თავისი ასეულის მებრძოლებს გადასულიყვნენ იერიშზე და შეესრულებინათ საბრძოლო დავალება, რისთვისაც გმირის წოდება მიენიჭა. მ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Герои Советского Союза, т. 2, М., 1988.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

მაისურაძე გიორგი ივანეს ძე [6 (18).VI. 1817, სოფ. წინანდალი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 6 (18). VI. 1885, ქუთაისი], ფერმწერი, ქართ. რეალისტური პორტრეტის ფუძემდებელი. მ. იყო პოეტ ა. ჭავჭავაძის ყმა. 1837 პოეტმა იგი ყმობისაგან გაათავისუფლა და სანქტ-პეტერბურგში სასწავლებლად გაგზავნა. მ. პირველი ქართველი ფერმწერია, რ-მაც განათლება სანქტ-პეტერბურგის აკადემიაში მიიღო (1837–44). იყო კ. ბრიულოვის მოწაფე. მ. 1850-იდან გარდა შემოქმედებითი მოღვაწეობისა პედ. საქმიანობასაც ეწეოდა. ასწავლიდა ხატვას, ხაზვას და სუფთა წერას ქუთაისის გიმნაზიაში. მისი ნამუშევრების უმრავლესობა დაკარგულია. ცნობილია რამდენიმე, მ. შ.: ა. ბაგრატიონის (1839), ი. ჭიჭინაძის (1853), ნ. აბულაძის (XIX ს. 60-იანი წლები) პორტრეტები, ავტოპორტრეტი (70-იანი წლები, ყველა შ. ამირანაშვილის სახ. საქართვ. ხელოვნების მუზეუმი) და სხვ. შემორჩენილი ნამუშევრები გვიჩვენებს, რომ მხატვარი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც ფერწერაში, ისე აკვარელში.

თ. გერსამია.

მაისურაძე გურამ იაკობის ძე (12. I. 1933, თბილისი, – 3. VII. 2021, იქვე), ისტორიკოსი, მედიევისტი, არმენოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1991). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1956). 1969–2006 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოლოგიის ინ-ტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყ-ბის უმცროსი (1969–73), უფროსი (1973–86), შემდეგ წამყვანი (1986–2006) მეცნიერ თანამშრომელი, 1998–2006 მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარ სამეცნ. რედაქციაში.

მ-ს სამეცნ. კვლევის სფერო იყო ქართულ-სომხური ურთიერთობები, ფეოდ. ურთიერთობების თავისებურებები კავკასიაში, „ქართლის ცხოვრების“ პოლიტ. იდეოლოგიის საკითხები. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. და პუბლიც. ნაშრომები.

თხზ.: ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII–XVIII საუკუნეებში, თბ., 1982; საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები, თბ., 1999; ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობების ისტორიიდან IV–XII საუკუნეებში, თბ., 2002; ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიოგრაფიიდან, თბ., 2008; ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე, თბ., 2010; Из историографии грузино-армянских взаимоотношений, Тб., 2010.

მაისურაძე დავით (ავთო) ესტატეს ძე (10. I. 1936, სოფ. წედისი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 1993, თბილისი), გენერალ-მაიორი (1993), ამიერკავკასიის სამხ. ოლქის დაზვერვის უფროსის მოადგილე (1984–87), საქართვ. რესპ. თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის უფროსის მოადგილე, უფროსი (1991–92), საქართვ. შეიარაღებული ძალების მთ. შტაბის დაზვერვის უფროსი (1992–93), შეიარაღებული ძალების სარდლის პირველი მოადგილე, შტაბის უფროსი (1993).

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის III ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე.

მაისურაძე ელიზბარ ლუკას ძე (15. IX. 1920, სოფ. სასირეთი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 19.II. 1998, თბილისი), მწერალი. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1949). პირველი მოთხრობა „ორი მეგობარი“ 1948–49 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი „მოთხრობები“ – 1951. ავტორია მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულებისა: „გარდატნელი მაყრები“ (1955), „ქართლის საღამოები“ (1957), „სევასტოპოლის დღეები“ (1963), „ჭადრებად ქცე-



ბ. მაისურაძე.




გ. ი. მაისურაძე. „ავტოპორტრეტი“. 1870-იანი წლები. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.



გ. ი. მაისურაძე. „ი. ჭიჭინაძის პორტრეტი“. 1853. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.


ზ. ნ. მაისურაძე.


ზ. პ. მაისურაძე. ,,ფიროსმანი‘‘. პანო. მოჭიქული კერამიკა. 1968.


თ. მაისურაძე.


კ. მაისურაძე.


კ. მაისურაძის ქამარი.

ული ვაჟკაცები‘‘ (1971), ,,ქარბორბალა‘‘ (1975), ,,ქერჩი, 1943‘‘ (1976), ,,მოთხრობები‘‘ (2010) და სხვ. რომანებისა: ,,დაკარგული ოცნებები‘‘ (1972), ,,ოთხი წელი ჭექა-ქუხილში‘‘ (1977). მ–ის ნაწარმოებები თარგმნილია რუს., სომხ., ოსურ, ჩეხ. ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაისურაძე ვლადიმერ (14. IV. 1923, თბილისი, – 9. V. 1994, იქვე), სპორტსმენი (ბერძნულ–რომაული ჭიდაობა), მწვრთნელი. სსრკ დამს. მწვრთნელი (1971). სსრკ წლის საუკეთესო მწვრთნელი (1987). მისი აღზრდილები არიან რ. აბრამიშვილი, ი. ბერიაშვილი, ა. მაისურაძე, შ. მორჩილაძე, მ. სალაძე.

ლიტ.: ბერიშვილი ე., ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბ., 2013.

მაისურაძე ზაქარია ნიკოლოზის ძე [4(16). X. 1891, ქარელი (ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი), – 21. VII. 1975, თბილისი], ანატომი, ქართული სამედიცინო ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1945), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). თსუ-თან არსებული სამედ. ფაკ–ტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918).

1917 დაამთავრა კიევის უნ–ტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1918-იდან მუშაობდა თსუ-ის ნორმალური ანატ. კათედრაზე პირველ ასისტენტად და ფაკ-ტის სწავლულ მდივნად (1919); 1935–48 იყო სტომატოლოგიური ინ-ტის ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე და ფაკ-ტის დეკანი; 1959-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა თსსი-ის ნორმალური ანატ. კათედრას.

მ-მ ა. *ნათიშვილთან* ერთად გამოსცა ,,ადამიანის ნორმალური ანატომიის‘‘ სახელმძღვანელო (1930), 1962 – სახელმძღვანელო სანიტ.-ჰიგიენური ფაკ-ტებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ-ის წვლილი ქართული სამედ. ტერმინოლოგიის შექმნაში (,,რუსულ-ქართულ–ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია‘‘; 1947). 1979 გამოიცა მისივე შედგენილი საერთაშ. ანატომიური ნომენკლატურა (პარიზის ნომენკლატურების მიხედვით) ლათ., რუს. და ქართ. ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი.

მაისურაძე ზაქარია პეტრეს ძე [10 (23). III. 1912, თბილისი, – 26. I. 1971, იქვე], მხატვარ-კერამიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1938), იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1939–59). 1944–71 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ქართ. ხელოვნების ისტორიის ინ-ტში (1956-იდან – მცირე და გამოყენებით ხელოვნებათა განყ-ბის გამგე). ნამუშევრები: სერია „ირმები‘‘ (1952–60; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა, კერძო საკუთრება); კომპოზიციები ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე (მცირე, მრგვალი პლასტიკა, 1952–55; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი, კერძო საკუთრება), დეკორატიული პანო „მოსავლის აღება“ (1953; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი), კერამიკულ ფილებზე შესრულებული დეკორ. კომპოზიცია „ბერიკაობა“ (1957–59, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა) და სხვ. ავტორია ნაშრომებისა ძვ. ქართული კერამიკის შესახებ (,,ქართული მხატვრული კერამიკა. XI–XIII სს.“ 1953).

მაისურაძე თენგიზ გიორგის ძე (3. VIII. 1930, თბილისი, –15. VII. 2003, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1950 დაამთავრა მარჯანიშვილის თეატრთან არსებული დრამ. სტუდია. 1954–67 მუშაობდა მარჯანიშვილის, 1967–75 – რუსთავის თეატრებში, 1975-იდან კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. 1970–76 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. საცირკო-საესტრადო სასწავლებელში. მ-ის შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ხევისბერი (ა. ყაზბეგის ,,მოძღვარი‘‘), ჯარისკაცი, ბრიგადირი, ვახტანგ ხანი (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი‘‘, ,,კოლმეურნის ქორწინება‘‘, ,,კახაბერის ხმალი‘‘), ხირიმიანცი, გრენგოლმი (შ. დადიანის ,,ნაპერწლიდან‘‘, ,,გუშინდელნი‘‘), შოშია (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა‘‘), ქოხსალამურა (ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი‘‘), რანგო (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი‘‘), ჯამბაკური (მ. ელიოზიშვილის ,,ბერიკონი‘‘) და სხვ. გამორჩეული იყო მერძევე ტივიეს როლი ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრის მიუზიკლში ,,მეგიოლინე სახურავზე‘‘ (შ. ალეიხემის მიხედვით. რეჟ. გ. ლორთქიფანიძე); მონაწილეობდა სატელევიზიო დადგმებსა და რადიოსპექტაკლებში. გადაღებულია ფილმებში: ,,უდიპლომო სასიძო (ზურაბი, რეჟ. ლ. ხოტივარი, 1961), ,,დათა თუთაშხია‘‘ (მახო, რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978); ,,თეთრი ბაირაღები‘‘ (გამცემლიძე, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 1990). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).


თ. მაისურაძე. ზურაბი. კადრი ფილმიდან ,,უდიპლომო სასიძო‘‘. 1961.

მაისურაძე კოსტა (1881, სოფ. ცხმორი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 1918, ბაქო), ფენომენალური ძალის მქონე ქართველი ფალავანი. საჭიდაო სარბიელზე გამოვიდა 1902. თბილ. ცირკის მფლობელმა ნიკიტინმა მოსკოვში წაიყვანა, სადაც მოკლე ხანში დაეუფლა ფრანგული ჭიდაობის ილეთებს. დიდი წარმატებით გამოდიოდა თბილისში, კიევში, პეტერბურგში, გროზნოში, მოსკოვში, კისლოვოდსკში გამართულ შეჯიბრებებზე, სადაც მრავალი სახელგანთქმული ფალავანი (ი. ცერაძე, კ. ბული, „კაზბეკ–გორა“, პ. ზაგორუიკო, ი. ზაიკინი, ნ. ვახტუროვი, ა. გრამილოვი, გ. კაშჩეევი და სხვ.) დაამარცხა. საზღვარგარეთის (ირანი, საფრანგეთი, გერმანია, რუმინეთი და სხვ.) ქვეყნებში არაერთხელ გამარჯვებულმა მოიპოვა სამახსოვრო ჯილდოები, ქამრები და უძლიერესი ფალავნის სახელი დაიმკვიდრა. მის მიერ მაჯაზე დახვეული რკინის კეტი დღესაც ინახება ონის

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1910 პირველი ადგილი დაიკავა თბილისში გამართულ დიდ ტურნირზე, სადაც უცხოელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. მისი დაკრძალვის ადგილი დღემდე დაუდგენელია. მასვე ეძღვნება ხალხური ლექსი: ,,გოლიათო ცერაძე, რათ მოხვედი ვერაზე, არ იცოდი – გაგლახავდა კოსტა მაისურაძე''.

მაისურაძე ლევან შალვას ძე (დ. 10. I. 1966, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2003). საქართვ. შსს დამს. მუშაკი (2003). დაამთავრა ყაზანის სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1990), გაიარა ევროკავშირის საერთაშ. სამართლის პროგრამა (1994, გერმანია), ტრანსნაციონალური საგამოძიებო სემინარი (2001; ვაშინგტონი, აშშ). მუშაობდა საქართველოს გენ. პროკურატურაში (1991–95), იყო საქართვ. შსს შიდა ქართლის სამხარეო შს მთ. სამმართველოს უფროსის მოადგილე კრიმინალური პოლიციის ხაზით (1995–2000), ინტერპოლის ეროვნ. ბიუროს უფროსი (2001–02), თბილისის შს მთ. სამმართველოს უფროსი (2002–04).

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (2001) და II (2004) ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.

მაისურაძე ლუკა მამუკას ძე (დ. 30. I. 1998, ხაშური), სპორტსმენი (ძიუდო, სამბო). ძიუდოში ევროპის ჩემპიონი (2022) და ორგზის მესამე პრიზიორი (2019–20), ევროპის თამაშების მესამე პრიზიორი (2019); მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2019); საქართველოს ჩემპიონი (2018); დიდი მუზარადის ტურნირების სამგზის მეორე (2019, 2022–23) და ოთხგზის მესამე პრიზიორი (2019, 2021 – სამჯერ); ევროპული თამაშების მესამე პრიზიორი (2019); ახალგაზრდებში საქართვ. ჩემპიონი (2017) და ბრინჯაოს პრიზიორი (2016); ევროპის ჩემპიონი (2018) და მესამე პრიზიორი (2017), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2018); ევროპის თასის მფლობელი (2018); ჭაბუკებში ევროპის თასის მფლობელი (2015); მსოფლიო ჩემპიონი სამბოში ჭაბუკთა შორის (2016).

მაისურაძე ნინო ზაქარიას ასული (7. III.1927, თბილისი, – 17. VI. 2018, იქვე), პათოფიზიოლოგი, რეპროდუქტოლოგი, რეპროდუქტოლოგიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ დოქტორი (1978), პროფესორი (1989), სამედ. ბიოლ. (1997) და სამედ.-სოც. მეცნ. აკადემიების ნამდვილი წევრი (1998).

1949 დაამთავრა თსსი. 1958–63 იყო ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათოფიზიოლოგიის ლაბორატორიის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, შემდგომ – ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი; 2005–14 – ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საორგანიზაციო–მეთოდური განყ-ბის გამგე; 1989–95 – თსსიის პათოფიზიოლოგიის კათედრის, 1993–98 კი – სამედ. აკადემიის რეპროდუქტოლოგიის კათედრის პროფესორი, რეპროდუქტოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (2001–07).

მ-ს ეკუთვნის სამეცნ. ნაშრომები, რ-ებიც ეხება ფიზიოლოგიის, პათოფიზიოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, რეპროდუქტოლოგიის აქტ. საკითხებს, სამედ. ტერმინთა მართლწერას.

მ. იყო მრავალი სამეცნ. საზ-ბის წევრი. მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

მაისურაძე ნინო (ნანული) მიხეილის ასული (დ. 19. II. 1937, თბილისი), ისტორიკოსი, ეთნომუსიკოლოგი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1983). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1961). გაიარა მუსიკისმცოდნეობის სპეც. კურსი თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (1962–64). 1961-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის ეთნოგრ. განყ-ბაში. კითხულობდა ლექციების სპეც. კურსს ეთნომუსიკოლოგიაში თსუ-სა და ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. პედ. ინ-ტში (ამჟამად ილიას სახელმწ. უნ-ტი). თბილ. უნ-ტ ,,გეორგიაში'', იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის კათედრის გამგე (1991–95).

მ-ის სამეცნ. მოღვაწეობას უკავშირდება ეთნოლოგიის დარგში მუს. ეთნოლოგიის (ეთნომუსიკოლოგიის), როგორც სამეცნ. დისციპლინის (საფუძველი ჩაეყარა აკად. გ. ჩიტაიას თაოსნობით) ჩამოყალიბება. მ-ის ნაშრომები მიეძღვნა ქართ. ტრადიციული მუსიკის, როგორც ყოფის ორგანული ნაწილის, ისტ.-ეთნოლოგიური ასპექტით შესწავლას, კულტურულ-ყოფითი და ეთნიკური ფუნქციების გამოვლენას, ქართული და ჩრდილოკავკასიური მუს. ენების ურთიერთმიმართებას და მათი ერთობის პრობლემას. ეთნომუსიკოლოგიაში შემოიტანა ტერმინი ,,მუსიკალური ფუძე-ენა'' (,,საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა'') და შეისწავლა მისი ჩამოყალიბების ქრონოლოგიური ჩარჩოები და მუს. დიალექტებად დიფერენციაციის პროცესი.

მ. არის მონოგრაფიების, მრავალი სტატიისა და მუს. კომპოზიციების ავტორი.

თხზ.: ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1990; ქართული ხალხური მუსიკა და ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, კრ.: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002; ქართული ჰიმნოგრაფია და ეროვნული ცნობიერება, ,,ანალები'', 2008, [ტ.] 3; ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება, თბ., 2015; ეთნომუსიკოლოგია, მუსიკალური ეთნოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 2018.

ლიტ.: გოცირიძე გ., ქართული ხალხური მუსიკის ეთნოლოგიური კვლევის სათავეებთან (ნინო მაისურაძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით), ,,ანალები'' 2012, [ტ.], №8.

მაისურაძე ნოდარ სერგოს ძე (დ. 31. VII. 1934, თბილისი), მეტალურგი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998), საქართვ. დამს. ინჟინერი (1999). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) მეტალურგიული ფაკ-ტი შავი ლითონების მეტალურგიის სპეციალობით (1958). რუსთავის მეტალურგიული კომბინატის აგლოსაბრძმედე საამქროში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო ამიერკავკასიის ,,ცენტრბრძმედრემონტის'' სპეციალიზებული სამმართველოს უფროსი (1971–92), 1993-იდან – რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ტრესტ ,,მეტალურგის'' მმართველი, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენ. დირექტორის მოადგილე. სხვადასხვა წლებში მივლინებული იყო ინდოეთში, იუგოსლავიაში, ალჟირში ადგილ. მეტალურგიული საწამოებისათვის ტექ. დახმარების გასაწევად. 1996–97 შესრულებული სამუშაოსთვის ,,426 *მმ*-იანი დიამეტრის უნაკერო მილების გლინვის ტექნოლოგიის შემუშავება და წარმოებაში დანერგვა'' გადაეცა საქართვ. სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაისურაძე ნოდარ შალვას ძე (9. VIII. 1924, ხაშური, – 31. XII. 1997, თბილისი), გენერალ-მაიორი (1972), სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომელი (1977), II მსოფლიო ომის (1939–45)



რკინის კეტი, რომელიც კ. მაისურაძემ ხელზე დაიხვია.



ნ. ზ. მაისურაძე.

მონაწილე. 1945-იდან მუშაობდა საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. იყო აფხაზეთის ასსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რე (1969–71), საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1970–90).

დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994).

ლ. დოლიძე.



ს. მაკალათია.

მაკალათია სერგი იოსების ძე (2. XII. 1893, სოფ. სეფიეთი, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 30. IV. 1974, თბილისი), ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ისტ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1950), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1916 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1922 – თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი. 1921–35 მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1926–იდან გარდაცვალებამდე იკვლევდა საქართვ. ცალკეული რეგიონებისა და ხეობების ისტ. ეთნოგრაფიას; ეთნოგრ., არქეოლ., ისტ., ნუმიზმატიკისა და ხელოვნების საკითხებს. მონაწილეობდა სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსებაში მესტიაში, გორში, ცაგერში, ყაზბეგსა და კასპში. 1937–48 იყო გორის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის დირექტორი. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, ბათუმის, თელავის, გორის, ცხინვალისა და ქუთაისის პედ. ინ-ტებში.



ე. მაკარევსკაია.

თხზ.: ფალოსის კულტი საქართველოში, ,,მიმომხილველი'', 1926, წგ. 1; ახალწელიწადი საქართველოში, ტფ., 1927; მთის რაჭა, ტფ., 1930; მთიულეთი, ტფ., 1930; თუშეთი, ტფ., 1933; ფშავი, ტფ., 1934; ხევი, ტფ., 1934; ხევსურეთი, ტფ., 1935., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

გ. ჯალაბაძე.

მაკარაძე ლევან ამირანის ძე (დ. 6. X. 1952, სოფ. ოლადაური, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), ვეტერინარი ექიმი. ვეტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001). 1975 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.–სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტის სავეტერინარო მედიცინის ფაკ-ტი. 1986–89 იყო ზოოვეტერინარული ინ-ტის პათოლ. ანატომიის განყ-ბის გამგე, 1990–2004 – პათოლ. ანატომიის, ფიზიოლ. და ფარმაკ. კათედრის გამგე, 2001–04 – მორფოლ. და ფიზიოლ. დეპარტამენტის უფროსი, 2006–17 – აგრ. უნ-ტის სავეტერინარო მედ. ფაკ-ტის დეკანი და ვეტ.-მეცხოველეობის მიმართულების ხელმძღვანელი. 2008-იდან აირჩიეს სამხრ. კავკ. ქვეყნების საერთაშ. სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტად. 2019-იდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწ. უნ-ტის სავეტერინარო მედ. ტექნოლოგიების, აგრ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის დეკანია, 2020-იდან – საქართვ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ტრენერი ვეტ. მიმართულებით. მუშაობს ცხოველთა პათოლოგიის, ონკოლოგიის, მორფოლოგიისა და ფარმაკოპროფილაქტიკის საკითხებზე, ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას, ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების პათოლოგიური ანატომიის ატლასი, თბ., 2012 (თანაავტ. ზ. მაკარაძე); ზოონოზი კორონავირუსები, ახალციხე, 2020.

მაკარევიჩი ნიკოლოზ ალექსის ძე [6 (18). XII. 1895, თბილისი, – გარდაცვალების თარიღი უცნობია], გვირაბმშენებელი. სტალინური პრემიის ლაურეატი (1951; სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად). იყო ხრამჰესის მშენებლობის უბნის (1934–41; 1944–47) და თბილისში სპეც. ობიექტების მშენებლობის უფროსი (1941–44). 1944–76 ხელმძღვანელობდა არაერთ მშენებლობას საქართველოში.

მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.

მაკარევსკაია ევგენია ალექსანდრეს ასული (25. IX. 1901, ლებედიანი, ტამბოვის გუბერნია, რუსეთი, – 29. VIII. 1966, თბილისი), ბიოლოგი, მცენარეთა ფიზიოლოგი და ანატომი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1961). საქართვ. მეცნ. დამს. მუშაკი (1962). დაამთავრა კ. ა. ტიმირიაზევის სახ. მოსკოვის სოფლის მეურნეობის აკადემია მებაღეობისა და მებოსტნეობის სპეციალობით (1924). შეისწავლა ყირიმის ყურძნის ჯიშების ბიოქიმიური შედგენილობა. გააგრძელა მუშაობა თბილ. ბოტანიკის ინ-ტში (1926–36), პარალელურად კითხულობდა ლექციებს მცენარეთა ფიზიოლოგიაში თბილ. სუბტროპიკულ ინ-ტში. მისი ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეხება ვაზის რეგენერაციული პროცესების ფიზიოლოგიას და ბიოქიმიას, ვაზის ნერგში ცილების შედგენილობისა და ნახშირწყლების დინამიკას, ვაზის ფესვების პათოლოგიას მისი ფილოქსერით დაზიანებისას და სხვ. არის სამეცნ. ნაშრომების და მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი.

თხზ.: Физиология регенерационных процессов у виноградной лозы., Тб., 1966.

მაკარი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VI ს. 30-იანი წლების ბოლოს ფარსმანისა და ბაკურის მეფობის დროს. მეფე ფარსმანის თხოვნით მღვდელ–მონაზვნად აკურთხა *შიო მღვიმელი.*

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

მაკარი ლეთეთელი, IX ს. ქართველი მწიგნობარი, გიორგი გრძელისძე. წარმოშობით ქართლიდან, სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო ქარელის ახლოს მდებარე სოფ. ლეთეთიდან, რ-იც XVII ს. ისტორიულ საბუთებშიც იხსენიება. მიაჩნიათ, რომ იგი იყო მაწყვერელი ეპისკოპოსის, ეფრემის, ნათესავი და წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. მოღვაწეობდა იერუსალიმში, წმ. საბას ლავრაში. მ. ლ. პირველი ქართ. თარიღიანი ხელნაწერის, ,,სინური მრავალთავის'' (864) შექმნის ინიციატორი და, ალბათ, მისი ერთ-ერთი გადამწერი იყო. ტექსტის ის ნაწილი, რ-ის გადამწერადაც მ. ლ. ივარაუდება, მარტივად, უსამკაულოდ არის შესრულებული და ორ სვეტადაა გადანაწილებული. ნაწერი ფართოა და მკაფიო, შესრულებული თანაბარი მრგლოვანი ასოებით.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ., 1959 (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5).

მ. შანიძე.

მაკარი მესხი, მაკარი ხახულელი, ქართველი საეკლესიო მოღვაწე, XI ს. დამდეგიდან ხახულის ლავრის წინამძღვარი. *გიორგი მცირის* მიხედვით 1019, როცა მცირეწლოვანი გიორგი (შემდგომ გიორგი მთაწმინდელი) ხახულში ჩაიყვანეს, ,,მიჰგუარეს იგი მამასა მაკარის, რომელი იგი მას ჟამსა ღირსებისათვის მისისა წინამძღვარი [იყო] დიდისა მის ლავრისაჲ''. უახლეს სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმული მოსაზრებით, მ. მ-ს უნდა ,,გადმოეკეთებია'' *პეტრე იბერის* ასურული ,,ცხოვრება'' ქართულად.

მ. მ. აკად. ნ. მარს XIII–XIV სს. მოღვაწედ მიაჩნდა; კ. კეკელიძის

დასკვნით, უფრო ადრე გვხვდება სხვადასხვა ძეგლში. სინას მთასა და პალესტინაში X ს. დასასრულს მოღვაწე ქართველთა შორის მაკარიც იხსენიება. სავარაუდოდ, მ. მ. ხახულში დამკვიდრებამდე პალესტინაში მოღვაწეობდა, იქვე უნდა ემუშავა პეტრე იბერის ,,ცხოვრებაზე‘‘. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი, როგორც ჩანს, ხახულის ლავრის წინამძღვრად აირჩიეს.

ლიტ.: კეკელიძე კ., მაკარი მღვდელი, მის წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მაკარი მესხი, ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წგ. 1, თბ., 1984.

გ. გოილაძე.

მაკარი მღვდელი, მესხი, XIII ს. საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი. სირიული ენიდან გადმოიღო V ს. თხზ. ,,პეტრე იბერიელის ცხოვრება‘‘, რ-ის ავტორად ზოგი ზაქარია ქართველს, ზოგი კი იოანე რუფუსს მიიჩნევს. მ. მ-ის ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს სირია-პალესტინაში ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად. მაკარის ნაშრომის რედაქცია ეკუთვნის XV ს. I ნახ-ის მოღვაწეს პავლე დეკანოზს. ამავე საუკუნეში შეიქმნა პავლეს ნაშრომის სვინაქსარული რედაქცია. მკვლევართა აზრით, მ. მ-ის ნაშრომი თარგმნილზე უფრო გადმოკეთებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. 2, თბ., 1967; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლიტ.: გაწერელია ა., პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები, ,,მნათობი‘‘, 1970, №3; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ლოლაშვილი ი., არეოპაგიტიკის საკითხები, თბ., 1972.

მაკარიოსი იბნ ალ-ზაიმ ალ-ჰალაბი ალ-ანტაქი (გ. 12. I. 1672), ანტიოქიის პატრიარქი 1647-იდან. ფინანსური დახმარების მიზნით ორჯერ იმოგზაურა რუსეთში (1654–56; 1664–66). 1669 საქართველოშიც იყო. დას. საქართველოში ის აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში; გამოდიოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მ-ის მიერ არაბ. ენაზე დაწერილ თხზულებაში შესულია ცნობები დას. საქართველოს შესახებ.

ლიტ.: ასათიანი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.

გ. ჯაფარიძე.

მაკარიძე ალექსანდრე მათეს ძე (14. IX. 1910, სოფ. თერჯოლა, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 9. VI. 1990, თბილისი), ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). 1936 დაამთავრა თსსი. 1943-იდან მუშაობდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, სადაც 1968–79 იყო კლინიკური განყ-ბის ხელმძღვანელი, 1979-იდან – კონსულტანტი.

მ. იკვლევდა ფსიქოზისა და შიზოფრენიის ეტიოლოგიის, კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს.

მაკაროვი გიორგი ავეტისის ძე (2. IV. 1894, თბილისი, – 18. X. 1966, იქვე), კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი. სწავლობდა ლაზარევის აღმოსავლური ენების ინ-ტში (ახლანდ. მოსკ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი). 1915–19 მუშაობდა მოსკოვში ა.



გ. მაკაროვი. კადრი ფილმიდან ,,ქალი ბაზრობიდან‘‘. მსახიობები: ა. მურუსიძე – ჯემს ადამსი, ბ. ბელეცკაია – ელენ ვეი. 1928.

ხანჟონკოვის ატელიეში მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ. 1921-იდან აქტიურად ჩაება ქართ. საბჭოთა კინემატოგრაფიის ჩამოყალიბების პროცესში, იყო საქართვ. განათლების სახალხო კომისარიატის კინოსექციის წევრი და სექციასთან არსებული კინოსკოლის პედაგოგი. 1921–27 მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად ა. ბეკ-ნაზაროვთან და ი. პერესტიანთან. როგორც მსახიობი მონაწილეობდა ფილმებში: ,,არსენა ჯორჯიაშვილი‘‘ (1921), ,,წითელი ეშმაკუნები‘‘ (1923; ორივეს რეჟ. ი. პერესტიანი). დამოუკიდებლად გადაიღო მელოდრამა ,,ქალი ბაზრობიდან‘‘ (ი. ო'ნილის პიესის ,,სიყვარული თელებს ქვეშ‘‘ მიხედვით, 1928), ,,ჩქარი № 2‘‘ (1929), ,,გაყრა‘‘ (1930), ,,აფსნების ქვეყანა‘‘ (დოკუმენტური ფილმი, 1930), კინოკომედია ,,ნახვამდის‘‘ (1934), ,,ქალი მწვანეში‘‘ (1938).

მ. კერესელიძე.

მაკდონალდი (Macdonald) ჯეიმს რამსეი [12. X. 1866, მორაიშირი, – 9. XI. 1937, გარდაიცვალა ატლანტის ოკეანეში გემზე. დაკრძალულია ლოსიმუთში (შოტლანდია)], დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მ. იყო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1900) და მთ. იდეოლოგი. 1906 პირველად გახდა დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი. I მსოფლიო ომის (1914–18) დროს მიემხრო პაციფისტურ მოძრაობას. სამჯერ იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ორჯერ – ლეიბორისტული პარტიიდან (1924 – ათი თვე, 1929–31), ხოლო მესამედ – ეროვნ. კოალიციური მთავრობის (1931–35). მ. I მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა სოციალისტურ ინტერნაციონალში. 1920 სექტემბერში სხვა ევროპ. სოციალისტებთან ერთად ეწვია საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკას, იმოგზაურა სხვადასხვა რეგიონში. სიტყვით გამოვიდა მიტინგებზე საგარეჯოსა და ტყიბულში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის შესახებ არაერთი სტატია და მოხსენება გამოაქვეყნა. ერთ-ერთ მთავარ სტატიაში (გაზ. ,,ნეიშენი‘‘) წერდა: ,,საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მოახერხა ის, რაც ვერ გააკეთეს ევროპელმა სოციალ-დემოკრატებმა. მათ გაატარეს აგრარული რეფორმა, მოახდინეს ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია ...შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით... თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი‘‘.

XX ს. 20-იან წლებში მ. იყო დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის ლიდერი და თანაუგრძნობდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ, კანონიერ ხელისუფლებას. მაგ., 1924 თებ. ერთა ლიგის მე-5 ყრილობაზე მან შემდეგი შინაარსის ნოტა წარადგინა: ,,ბრიტანეთის მთავრობა დე იურედ ცნობს სსრ კავშირს, ყოფილი რუსეთის იმპერიის მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელნიც აღიარებენ მის ხელისუფლებას‘‘. საბჭოთა რეჟიმის მიერ 1924 წლის ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ევროპის სახელმწიფოებმა, მ. შ. ბრიტანეთის მთავრობამ

მ-ის თაოსნობით, ერთობლივი რეზოლუცია წარუდგინეს ერთა ლიგას, რ-მაც იგი თავის საერთო კრებაზე ერთხმად მიიღო. რეზოლუციაში დაგმობილი იყო ის რეპრესიები, რ-საც მაშინდელი ხელისუფლება ახჭანყებულების მიმართ ატარებდა.

ლიტ.: კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919–1924 წწ.), თბ., 1997; საქართველოს ისტორია, ტ. 4, თბ., 2012; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; შარაძე გ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.

ლ. ურუშაძე.



მაკდონალდსი. სასაქონლო ნიშანი.

„მაკდონალდსი“, ამერიკული კორპორაცია, სწრაფი კვების რესტორნების უმსხვილესი ქსელი მსოფლიოში. კომპანია 1940 დააარსეს ამერ. ძმებმა რიჩარდ და მორის მაკდონალდებმა და კალიფორნიის შტატის ქ. სან-ბერნარდინოში გახსნეს პირველი რესტორანი, სადაც შეზღუდული მენიუს, დაბალი ფასებისა და სამზარეულო პროცესის სისტემატიზაციით მიაღწიეს მომხმარებლის სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას. 1954 რეიმონდ ალბერტ (რეი) კროკმა ძმებისგან შეიძინა ფრანჩაიზინგის ექსკლუზიური აგენტის უფლება და 1955 გახსნა „მ-ის“ პირველი საკუთარი რესტორანი ილინოისის შტატში, ქ. დეს-პლეინსში (დღეს ეს რესტორანი კორპორაციის მუზეუმია). ამავე წელს, მან დაარეგისტრირა კომპანია („McDonald's System, Inc.“, რ-საც 1960 ეწოდა „McDonald's Corporation“), 1961 კი მაკდონალდებისგან შეიძინა კომპანიის მართვის ყველა უფლება.



რესტორანი „მაკდონალდსი“. არქიტექტორები: ვ. და ბ. ორბელაძეები.

იმავე წელს აშშ-ში გაიხსნა ჰამბურგეროლოგიის პირველი უნ-ტი – საგანმან. დაწესებულება კვების სფეროში მომუშავე კადრების მოსამზადებლად, პირველ რიგში „მ-ის“ სისტემაში მომუშავეთათვის. 1962 კომპანიის ლოგოტიპი გახდა 2 ოქროსფერი თაღის შერთებით მიღებული ასო-ბგერა „M“. საზღვარგარეთ „მ-ის“ პირველი რესტორანი გაიხსნა 1967 კანადაში. 2018 მონაცემებით „მ-ის“ სავაჭრო ნიშნით მსოფლიოს 120 ქვეყანაში ფუნქციონირებდა 37855 რესტორანი (აქედან 13914 აშშ-ში) და ჰყავდა 1,9 მლნ-ზე მეტი მომხმარებელი. რესტორნების 93% იმართება ფრანჩაიზინგის პრინციპით. კორპორაციის ერთ-ერთი კარგად განვითარებადი პროექტია კაფეთა ქსელი „McCafe“, რ-ის მენიუში ყავის გარდა შედის სასმელი, დესერტი და კრუასანი.

საქართველოში „მ-ის“ გლობალურმა კორპორაციამ ქართვ. პარტნიორებთან ერთად 1997 წ. 17 დეკემბერს დაარეგისტრირა კომპანია „მაკდონალდს საქართველო“. „მ-ის“ პირველი რესტორანი გაიხსნა 1999 წ. 5 თებერვალს თბილისში (შპს „თ&კ რესტორნები“), შოთა რუსთაველის მოედანზე (არქიტექტორები: ვ. და ბ. ორბელაძეები). ამ პერიოდიდან მოყოლებული „მ-ის“ რესტორნების ქსელი ფართოვდებოდა და ამჟამად საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ფუნქციონირებს ამ ფირმის 18 რესტორანი, აქედან 12 – თბილისში, 2 – ქუთაისში, 2 – ბათუმში, 1 – ზუგდიდში, 1 – რუსთავში. ქართ. „მ–ის“ ქსელში დასაქმებულია 1300–ზე მეტი თანამშრომელი (2021).

2019–იდან „მაკდონალდს საქართველომ“ ბაზარზე შემოიტანა „McCafe“-ს კონცეფცია, რ-იც ამჟამად 8 ფილიალშია წარმოდგენილი (2021).

საქართველოში „მ-ის“ ოპერირების მთავარი პრინციპია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სერვისის გაუმჯობესება, რაც მომხმარებლისთვის მეტი კომფორტის შექმნას გულისხმობს.

„მ-ის“ მენიუში შემავალი პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება ადგილ. ნედლეული. 2021-იდან „მაკდონალდს საქართველოს“ რესტორნებს პურ-ფუნთუშეულით ამარაგებს თბილისში მდებარე კომპანია „ბრედფილდი“.

საქართველოს „მ-მა“ ევროპის მასშტაბით დიდი აღიარება მოიპოვა და უმაღლ. ჯილდო – Best overall performance დაიმსახურა (2019), ევროკავშირმა კი იგი შშმ პირების ერთ-ერთ საუკეთესო დამსაქმებლად დაასახელა (2017). კომპანიას მიღებული აქვს აგრეთვე ფრედ ტერნერის სახ. „ოქროს თაღი“ (წარმატებული ფრენჩაიზებისთვის, 2022) და რეი კროკის გლობალური ჯილდო 4-ჯერ (გამორჩეული მენეჯერებისთვის – 2015, 2017, 2019 და 2022).

კომპანია ეწევა ქველმოქმედებას – საქართვ. მასშტაბით ყოველწლიურად მართავს საქველმოქმედო კამპანია „მაკჰეფი დეის“ (McHappy Day) განსაკუთრებული საჭიროების ბავშვების მხარდასაჭერად, ასევე სხვა კამპანიების ფარგლებში.

მაკვანეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო მაკვანეთისა* და *ქვემო მაკვანეთის* გავრცელებული სახელწოდება.

მაკ-კეინ III ჯონ სიდნი (John Sidney McCain) (29.VIII. 1936, პანამის არხის ზონა, – 25. VIII. 2018, კორნვილი, არიზონა, აშშ), პოლიტიკოსი. სენატორი (1986–2018), კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი. 2008 აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპ. პარტიის კანდიდატი. მ. III-ის პაპა და მამა აშშ-ის საზღვაო ძალების ოთხვარსკვლავიანი ადმირალები იყვნენ. მ. III 1958 აშშ-ის სამხედრო-საზღვაო აკადემიის დასრულების შემდეგ გახდა საზღვაო ძალების მფრინავი. მონაწილეობდა ვიეტნამის ომში. 1967 ოქტომბერში ჰანოის დაბომბვის დროს მისი მოიერიშე თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ხუთ წელზე მეტი ჩრდ. ვიეტნამელების ტყვეობაში გაატარა. 1973 მაისში, პარიზის სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, მ. III გაათავისუფლეს. 1981-იდან ჩაერთო პოლიტიკაში. 1982 აირჩიეს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში არიზონის ოლქიდან ორი ვადით. აშშ-ის სენატში ხელახლა იყო არჩეული 1986, 1992, 1998, 2004, 2010 და 2016 წლებში.

მ. III იყო საქართველოს ინტერესების დამცველი და მხარდამჭერი. იგი არაერთხელ ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. დაჯილდოებულია წმ. გიორგის სახ. გამარჯვებისა (2006) და საქართვ. ეროვნ. გმირის (2010) ორდენებით.

მაკლურა, თუთავაშლა (Maclura), მცენარეთა გვარი თუთისე-

ბრთა ოჯახისა. გვარში 12-მდე სახეობაა. მათგან აღსანიშნავია ნარინჯისებრი მ. (M. aurantiaca). იგი ორსახლიანი, ფოთოლმცვივანი, გაშლილვარჯიანი ხეა, რ-ის სიმაღლე 20 *მ* აღწევს. აქვს ღრმად დაშაშრული მურა-რუხი ქერქი, ეკლიანი ტოტები, კიდემთლიანი, კვერცხისებრი, ბოლოწაწვეტებული ფოთლები და დიდი, მრგვალი, ნარინჯის მსგავსი ღრმად დანაოჭებული „ნაყოფი“ (ნაყოფედი), რ-იც არ იჭმება (შეიცავს რძეწვენს). საკვებად იყენებენ მხოლოდ ნაყოფის თესლს.

მ-ს სამშობლოა ჩრდ. ამერიკა. დეკორატიულ მცენარედ მოშენებულია კავკასიაში, შუა აზიაში უკრაინაში, საქართველოში და სხვ. შედარებით ყინვაგამძლეა, საკმაოდ კარგად ეგუება მწირ, რამდენადმე დამლაშებულ და მშრალ ნიადაგს, თუმცა უკეთ ხარობს საშ. ტენიანობის პირობებში. ადვილად იტანს კრეჭას.

იყენებენ მტკიცე და გაუვალი ცოცხალი ღობის გასაშენებლად, აგრეთვე გასამწვანებლად. დიდად ფასობს მისი ოქროსფერი მერქანი, რ-იც ცნობილია „ბრაზილიური ყვითელი ხის“ სახელით. მისგან მზადდება მაღალხარისხოვანი ქაღალდი.

ვ. სხიერელი.

მაკრატელა (Calepina), მცენარეთა გვარი კომბოსტოსებრთა ოჯახისა. შეიცავს მხოლოდ ერთ სახეობას – C. irregularis. ერთწლოვანია. აქვს პატარა თეთრი ყვავილები და ერთთესლიანი უხსნადი ჭოტაკი. ფესვთანური ფოთლები ყუნწიანი და ჩანგისებრია, ღეროსეული – მოგრძო და მჯდომარე.

გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთსა და სამხრ. ირანში. საქართველოში მ. იზრდება მშრალ ფერდობებზე (ველებსა და სხვა ადგილებში), როგორც სარეველა – მინდვრებსა და გზის პირებზე.

მაკრატელა, მაკრატელთანა, მთა თუშეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე, მდ-ების – პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის წყალგამყოფ მაკრატელას ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3106 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით, კალთები დამრეცი და ნაწილობრივ კლდოვანია. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

მაკრატელას ქედი, ქედი აღმ. საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე, მდ-ების – პირიქითა ალაზნისა და თუშეთის ალაზნის წყალგამყოფი. მ. ქ. გამოეყოფა აწუნთის ქედს აღმ-ით. მასზე მდებარეობს მწვერვალები: წიო (3380 *მ*), ცივა (3362 *მ*), მაკრატელა (3106 *მ*), სამრული (3482 *მ*). ქედი აგებულია იურული ფიქლებით. მეოთხეულ პერიოდში ქედზე იყო ხეობის მყინვარები. მ. ქ-ს აქვს სამხრ.-აღმ. მიმართულება და მთავრდება ომალოს პლატოთი. ქედის ეს ნაწილი ფოთლოვანი ტყით არის შემოსილი, დანარჩენი ალპ. და სუბალპ. ლანდშაფტებს უჭირავს.

ალ-მაკრიზი თაკი ად-დინ აჰმად იბნ ალი (1364, კაირო, – 1442, იქვე), მამლუქთა ეპოქის ეგვიპტელი ისტორიკოსი. მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები: ,,გზა მეფეთა დინასტიების შესაცნობად“ (,,ქითაბ ას-სულუქ ლიმარიფათ დუვალ ალ-მულუქ“) და ,,წიგნი რჩევისა და დარიგებისა კვარტალებზე და ძეგლებზე საუბრისას“ (,,ქითაბ ალ-მავა“-იზ ვა ლ-ი'თიბარ ფიზიქრ ალ-ხიტატ ვა ლ'ასარ“), სადაც საყურადღებო ცნობებია საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის XIII–XV სს-ში. კერძოდ, მათში საუბარია დავით ნარინის ელჩების ვიზიტზე სულთან ბაიბარსთან 1264–65, 1268; აგრეთვე გიორგი V-ის ორ ელჩობაზე ეგვიპტის სასულთნოში 1316–17, 1320; სულთნისათვის ქართველი მეფის საჩუქრებისა და წერილების გადაცემაზე, პალესტინის წმინდა ადგილების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებზე, ქართვ. ელჩების დასაჩუქრებაზე, ქართველთა მეფისათვის საპასუხო წერილის გამოგზავნაზე და სხვ. მ-ის ცნობით, ქართველებმა ჯვრის მონასტერი დაიბრუნეს 1305.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; სილაგაძე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ,,ქართული წყაროთმცოდნეობა“, 1968, [ტ.] 2; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

გ. ჯაფარიძე.

მაკრიალი, ისტორიული პუნქტი სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), თანამედროვე ქ. ქემალფაშა (Kemalpaşa – ამავე სახელწოდების რ-ნის ცენტრი ართვინის მხარეში). ადგილობრივი ლაზები ნოღედსაც უწოდებენ. მდებარეობს სანაპიროზე, საქართველოს საზღვრიდან (სარფიდან) 5 *კმ*-ში. სასაზღვრო ზონაში მდებარე მ. სხვადასხვა ეპოქაში მოიაზრებოდა ჭანეთსა და კლარჯეთში, ზღვისპირისა და გონიას მიკროპროვინციებში.

არის მოსაზრება, რომ მ. არის პტოლემაიოსთან (II ს.) დამოწმებული პუნქტი ქსილინე. ტოპონიმი, რ-იც შესაძლოა მაკრონების ტომის სახელწოდებასთან იყოს დაკავშირებული. წერილობით წყაროებში პირველად გვხვდება მიქელ პანარეტოსთან (XIV ს.) მაკროსეგიალოსი/მაკრეგიალუსი (,,გრძელი სანაპირო“) ფორმით, რაც ადგილ. სახელის ბერძნულად გადააზრების გზით უნდა იყოს მიღებული. ავტორის მიხედვით, ამ ადგილს ორი დინასტიური ქორწინების ფაქტი უკავშირდება: 1367 ივნისში ლაზიკეში, მ-ში, ,,ხმელეთითა და ზღვით“ ჩავიდა ტრაპიზონის იმპერატორის, ალექსი III-ის ამალა, რ-მაც საქართველოს მეფე *ბაგრატ V*-ს იმპერატორის ქალიშვილი ანა მიათხოვა (კონტექსტიდან ჩანს, თითქოს ჯვრისწერა/ქორწილი აქვე შედგა); 1377 მ-ში გაატარა ზაფხული იმავე ალექსი III-მ. გონიიდან *დავით IX-ის* ასულის (ბაგრატის დის), გულქან-ხათუნის ჩასვლის შემდეგ ამალა ტრაპიზონისკენ დაიძრა, სადაც მას ევდოკია უწოდეს და უფლისწულ მანუელზე (შემდგომში – იმპერატორი მანუელ III) დააქორწინეს. აღნიშნული ცნობებიდან ირკვევა, რომ მ. არა მხოლოდ სასაზღვრო ზონაა ტრაპიზონის იმპერიასა და საქართველოს სამეფოს შორის (ამ უკანასკნელის შემადგენლობაში), არამედ პრაქტიკული საგზაო კვანძია რეგიონის სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლაში.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ მ. შედიო-



მაკლურა.



მაკრატელა.



მაკრიალის ეკლესია და კოშკი. XIV ს.



მაკრიალის ეკლესია. ინტერიერი. ხედი საკურთხევლისკენ.

და იმერეთის სამეფოში, სამცხე-საათაბაგოსა და გურიის სამთავროებში; ხოლო ოსმალეთის მიერ მისი დაპყრობის (1547) შემდეგ – ტრაპიზონის ვილაიეთის არქაბეს ყაზას გონიას ნაჰიეში; 1879-იდან – რუსეთის იმპერიის (ბათუმის ოკრუგის გონიას უბანი), 1918–21 – საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის, 1921-იდან კი თურქეთის შემადგენლობაშია.

მ-ის სიძველეებიდან აღსანიშნავია ზღვის სანაპიროზე მდებარე კომპლექსი, რ-იც შედგება დარბაზული ტიპის ეკლესიისაგან და მასზე დას-იდან მიყრდნობილი 3-სართულიან ოთხკუთხა კოშკისგან (სიმაღლე – 12 მ). სართულები კამარებითაა გადახურული. ნაგებია ძირითადად რიყის ქვით. კუთხეებში გამოყენებულია აგური, აგრეთვე კერამიკული ფრაგმენტები – ამფორები, დოქები, წყალგაყვანილობის მილები და სხვ., რ-ებიც უფრო ადრეული (სავარაუდოდ, გვიანრომაული) პერიოდისაა. კოშკის ქვედა დონეზე შეინიშნება ქვიშაქვის კვადრები, ასევე მეორადი გამოყენების შედეგად მოხვედრილი. სავარაუდოდ, კოშკი თავდაცვითი ნაგებობის გარდა ერთგვარი ორიენტირიც („შუქურა“) უნდა ყოფილიყო.

აღმ-იდან კოშკს ეკლესია ებმის. ეკლესიაში გასასვლელი კოშკის პირველი სართულიდანაა. ადრე სართული გვერდებიდან გახსნილი იყო თაღოვანი ღიობებით, რ-ებიც შემდგომში ამოუქოლავთ. ეკლესიის შესასვლელი არქიტრავით არის გადახურული. ეკლესია შვერილაფსიდიანია. იგი ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და ქვიშაქვით, დულაბის გამოყენებით, ნაწილობრივ აგურიცაა ჩართული. მის გრძივ კედლებს ერთსაფეხურიანი პილასტრები ანაწევრებს, რ-ებსაც საბჯენი თაღები ეყრდნობა. კამარა შეისრულია, აფსიდი – ნახევარწრიული. აფსიდში სხვადასხვა ზომის 3 სარკმელია. კამარაცა და კონქიც დეფორმირებულია გვიან ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებით. მეორე კარი ჩრდ. კედლის დას. ბოლოსთანაა. ნაწილობრივ ჩაქცეულია კამარაც. შემორჩენილია შელესილობის, ალაგ-ალაგ – მხატვრობის კვალი.

ეკლესიასა და კოშკის პირველ სართულს ჩრდ. მხრიდან დიდი ზომის მინაშენი ეკვრის, რ-ის ფუნქცია გაურკვეველია. კომპლექსი 3 მხრიდან შემოსაზღვრულია რიყის ქვითა და დულაბით ნაგები სწორხაზოვანი კედლებით (დაზიანებულია ჩრდ. მონაკვეთი).

ადგილობრივები ადასტურებენ უწინ მ-ში სხვა ტაძრის არსებობასაც, თუმცა მისი მდებარეობა უცნობია. მ-ის ფარგლებში და მის მახლობლად რამდენიმე თაღოვანი ხიდი თუ მისი ნაშთია შემორჩენილი. ძველად ზღვისპირისა და ჭოროხის აუზის პროვინციების დამაკავშირებელი უმოკლესი გზები მ-იდან და ხოფადან (ხუფათი) ხეობების აყოლებით გადიოდა.



მაკრიალის ხეობა. ქვის ხიდი.

წყარო: მიქელ პანარეტოსი, ამბავი ტრაპიზონის მეფეების დიდი კომნენოსებისა..., გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილმა გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ლიტ.: ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რედ. შ. მამულაძე, ე. კახიძე, ბათ., 2014; ტაო-კლარჯეთი, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, კატალოგი, რედ. ბ. კუდავა, თბ., 2018.

ბ. კუდავა.

მაკროეკონომიკა (<ბერძნ. makros – დიდი, oikos – სახლი და nomos – კანონი), ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც ეკონომიკას სწავლობს როგორც ერთიან სისტემას. ტერმინი პირველად გამოიყენა რ. ფრიშმა 1934. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიის ფუძემდებლად ითვლება ინგლ. ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი, რ-მაც 1936 გამოაქვეყნა ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“.

მ-ის კვლევის სფეროს განეკუთვნება ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური ციკლები და მასზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფასი, უმუშევრობა, ფულის რაოდენობა, საპროცენტო განაკვეთი, ინვესტიცია, დანაზოგი, გამოშვება და სხვ.; მ. შეისწავლის სავაჭრო ბალანსს, საერთაშ. ვაჭრობის, სავალუტო ურთიერთობებისა და კაპიტალის ნაკადების ცვლილების მიზეზებს და ეკონ. მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას. მთავრობა და კორპორაციები იყენებენ მაკროეკონომიკურ მოდელებს ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის შესაქმნელად.

XVIII ს-ში შოტლანდიელმა მეცნიერმა დ. იუმმა გააანალიზა დამოკიდებულება ფულის მასას, სავაჭრო ბალანსსა და ფასების დონეს შორის. XVIII–XIX სს. უკვე ჩამოყალიბდა ფულის რაოდენობრივი თეორია, რ-ის თანახმად, ფულის მიწოდება განსაზღვრავს პროდუქციის ფასს.

მ-ის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სამი მოვლენა: პირველი, რ-იც განაპირობა I მსოფლიო ომის (1914–18) დროს საბრძოლო მოქმედებებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვის აუცილებლობამ, იყო აშშ-ის კერძო კვლევითი ორგანიზაციის – ეკონომიკური კვლევების ეროვნ. ბიუროს (NBER) მიერ XX ს. 20-იანი წლებიდან აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების შეგროვება და ანალიზი (ხელმძღვ. ს. კუზნეცი). 30-იანი წლებიდან დაიწყო ეროვნ. ანგარიშების შემუშავება, შემდგომ კი – სისტემატიზაცია (ხელმძღვ. რ. სტოუნი). დღეისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაკროეკონომიკურ ანალიზს სწორედ ეს სისტემა უდევს საფუძვლად.

მეორე იყო იმის დასაბუთება, რომ საქმიანი ციკლი, ისე როგორც საერთო ეკონომიკური აქტივობის აღმავლობა და ვარდნა, განმეორებადი ეკონომიკური მოვლენაა. ამ დასკვნის დასაბუთებაზე მუშაობდა როგორც NBER-ი, ისე კ.

მიტჩელი. საქმიან ციკლთა მიზეზების კვლევაში უდიდესი წვლილი შეიტანეს მ. ტუგან-ბარანოვსკიმ, ა. შპიტგოფმა, ი. შუმპეტერმა, ტ. ვებლენმა, ჯ. კლარკმა, ჯ. მ. კეინსმა, ნ. კონდრატიევმა, კ. ჟუგლარმა, ჯ. კიტჩინმა, ჯ. ჰიკსმა, პ. სამუელსონმა და სხვ.

მესამე იყო „დიდი დეპრესია“ (1929–33), მსოფლიო მასშტაბის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ამ პერიოდში მთელი მსოფლიო წარმოების მნიშვნელოვან ვარდნასა და ტოტალურ უმუშევრობას განიცდიდა. სწორედ ამის გამო დადგა პირველად ეჭვქვეშ კლასიკოს ეკონომისტთა შეხედულება, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა.

ჯ. მ. კეინსის ნაშრომებში, რებიც საერთაშ. სავალუტო ფონდისა და II მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშ. საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას ეხებოდა, განმარტებულია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეწარმის მთელი შემოსავალი არ იხარჯება პროდუქციის წარმოებაზე, მათი ნაწილი იზოგება, რაც წარმოების მასშტაბების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, ფასების ვარდნას, ინვესტიციებზე მოთხოვნისა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას იწვევს. კეინსის ღვაწლზე ისიც მეტყველებს, რომ ეკონომისტები დღემდე პრაქტიკულად თავს ან კეინსიანელებად, ან არაკეინსიანელებად თვლიან.

II მსოფლიო ომის შემდგომი 25 წლის განმავლობაში გაბატონებული იყო კეინსის პოლიტ. რეკომენდაციები. განმტკიცდა მოსაზრება, რომ მონეტარული და ფისკალური ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფოს შეუძლია თავიდან აიცილოს ეკონომიკის ვარდნა.

XX ს. 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში ახ. პრობლემა გაჩნდა. მრავალ ქვეყანაში განვითარდა სტაგფლაცია (სტაგნაციის და ინფლაციის ერთობლივი არსებობა). კეინსის მიმდევრებისათვის რთული აღმოჩნდა ისეთი მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოძებნა, რ-იც ეკონომიკის სტაბილურად განვითარებას უზრუნველყოფდა.

კეინსისგან განსხვავებით მ. ფრიდმენი და ა. შვარცი დეპრესიის უმთავრეს მიზეზად ამერ. ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ფულის მიწოდების მკვეთრ შემცირებას ასახელებდნენ.

ევრ. ქვეყნების უმეტესობა უმძიმეს ფინანს. მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც აღრმავებდა ის გარემოება, რომ „ოქროს სტანდარტის“ პირობებში, როდესაც საერთაშ. საგადასახდელო საშუალება იყო ოქროს მონეტები და ფიქსირებულ ფასად ოქროზე გადაცვლადი ფულადი ნიშნები, პრაქტიკულად გამორიცხული იყო ქვეყნების დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა. იგი გაუქმდა 1971 და მას ჩაენაცვლა ქაღალდის ფულის თავისუფალი გაცვლა. როგორც შემდგომში ჯ. საქსმა და ბ. ეიჰენგრინმა დაადგინეს, ქვეყნებმა, რ-ებმაც პირველებმა თქვეს უარი ოქროს სტანდარტზე, სხვებზე ადრე დააღწიეს თავი დეპრესიის მარწუხებს.

საქართველოში მაკროეკონომიკური საკითხების შესწავლა დაიწყო XX ს. 80-იანი წლების ბოლოდან. მანამდე ქვეყნის მართვა, რ-იც საბჭ. ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე იყო დაფუძნებული, უარყოფდა საბჭ. ეკონომიკის ციკლურ განვითარებას და ხდებოდა განუხრელი ეკონომიკური ზრდის იდეოლოგიის პროპაგანდა. 1989 თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის სტუდენტთა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრისა და საქართვ. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ინიციატივით სსრკ-ში პირველად კათედრის ბაზაზე დაიწყო მაკროეკონომისტთა მომზადება.

1992-იდან სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა გადაკეთდა მ-ის კათედრად, მოგვიანებით, მას შეუერთდა მრეწვ., სოფლის მეურნეობისა და შრომის ეკონომიკის კათედრები. 2006-იდან ის აერთიანებს მ-ისა და შრომის ეკონომიკის მიმართულებებს. კათედრას 2004–05 წლებში ხელმძღვანელობდა ვ. პაპავა, 2006–19 – ნ. ხადური, 2019 სექტემბრიდან დღემდე კათედრას უძღვება – მ. *ტუხაშვილი.*

იმის გათვალისწინებით, რომ მ. შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, იგი დინამიკურად ვითარდება. ამავე დროს, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები (აღმავლობა, რეცესია, კრიზისი) გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური თეორიის განვითარებაზე. სამწუხაროდ, მეცნიერება ყოველთვის არ არის მზად უპასუხოს კითხვას და წინასწარ განსაზღვროს ეკონომიკური პროცესები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოს გამოცდილებას, ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა უკვე შესაძლებელია.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მ-ის განვითარება ეკონომიკის აღმავლობის დაცემისა და კრიზისების გზით წარიმართა. 90-იან წლებში საქართველომ ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნა განიცადა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების, მოშლილი მრეწველობის, ტრად. ბაზრებთან კომუნიკაციების შეწყვეტისა და ინსტიტუციური და პოლიტ. მოუწყობლობის გამო.

1994–98 მთავრობამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად გაატარა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციული ეკონ. და ინსტიტუციური რეფორმები. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სახელით ცნობილი კონცეფციის შესაბამისად განხორციელდა სახელმწ. საკუთრების პრივატიზება, ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ჩამოყალიბდა კომერციული ბანკები და შეიქმნა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის მონეტარული და ფისკალური რეგულირების კანონმდებლობა, რ-ებმაც უზრუნველყვეს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სწრაფი გაზრდა.

2004–06 წლებში გატარებულმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ, საბაჟო და საგადასახადო ლიბერალიზაციამ, ფისკალური დისციპლინის დამყარებამ, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებამ და სახელმწ. რეგულაციების გამარტივებამ გაზარდა უცხ. ინვესტიციები საქართველოში, სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლები და დააჩქარა ეკონომიკის განვითარება, რაც შეაფერხა, 2008 აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომმა და 2008–09 წლების საერთაშ. ფინანსურმა კრიზისმა. შემდგომში ეკონომიკა გამოვიდა კრიზისული მდგომარეობიდან, მაგრამ კერძო საკუთრების უფლებების ტოტალურად დარღვევამ, მმართველ ელიტაში კორუფციის საგანგაშო ზრდამ და სახელმწიფოს გადაჭარბებულმა კონტროლმა მსხვილი ბიზნესის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა.

2014–16 მსოფლიოში დოლარის გამყარებით გამოწვეულმა საერთაშ. სავალუტო შოკმა და ლარის კურსის გაუფასურებამ განაპირობა საქართველოში ზომიერი ეკონომიკური ზრდა (3,4%), 2016-იდან ფისკალურმა რეფორმებმა, საშემოსავლო გადასახადის ლიბერალიზაციამ, გადასახადის გად-

ამხდელთა დაცვის ინსტიტუციურმა რეფორმებმა და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათმა დააჩქარა ეკონომიკის განვითარება, რ-ის შემდგომი შეფერხება განაპირობა კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა ქვეყნების იზოლაციამ და სამეწარმეო აქტივობების შეჩერებამ. რეალურმა ზრდამ ნეგატიური ხასიათი მიიღო, საქსტატის მონაცემებით, ეკონომიკა შემცირდა -6,8%-მდე (2020). გაიზარდა უმუშევრობა, ხოლო საქართვ. ეროვნ. ბანკის მონაცემების თანახმად, საერთო საგარეო ვალმა მიაღწია მშპ-ის 130,2%-ს, ფისკალურმა დეფიციტმა კი შეადგინა მშპ-ის 9,6% (2020). მართალია შემდგომ ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა – 10,5%-ით (2021); ზრდის ეს ტემპი შენარჩუნდა 2022 წელსაც; მთლიანი საგარეო ვალი 20%-ზე მეტად შემცირდა, ხოლო ფისკალურმა დეფიციტმა მშპ-ის 6%-ზე ნაკლები შეადგინა, მაგრამ 2021–22 წლების მაღალი ინფლაცია საქართველოში (9,6–11,9%), ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, იქცა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთ დიდ გამოწვევად.

საქართვ. საგადასახდელო ბალანსი ქრონიკულად დეფიციტურია, თუმცა ექსპორტის უპირატეს ზრდასთან ერთად დეფიციტი მცირდება. 2021 წლის ბოლოს და განსაკუთრებით 2022, ექსპორტი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (31,8%), შესაბამისად შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 12,4%-იდან (2020) 9,8%-მდე (2021). ეს ტენდენცია გაგრძელდა 2022 წელსაც. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების მნიშვნელოვანი წყაროა უცხოეთიდან მიღებული ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხ. ინვესტიციები და საგარეო ვალი. პერიოდულად საგადასახდელო ბალანსის აღდგენა ხდება ეროვნ. ვალუტის კურსის ცვლილებებით.

თავისუფალი სავალუტო კურსის ხელშეწყობა, მიზნობრივ ინფლაციაზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკა და ლიბერალური ფისკალური პოლიტიკა საქართვ. მაკროეკონომიკური მართვის ძირითადი მიმართულებებია. საქართვ. ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას, ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად, შეადგენდა ფინანს. სექტორის, ტურიზმის, მშენებლობის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება.

ლიტ.: Blanchard O., Macroeconomics, Prentice Hall, 2011; Blaug M., Great Economists before Keynes, Brighton: Wheatsheaf, 1986; Levi M., The Macroeconomic Environment of Business, New Jersey, 2014; Snowdon B., Vane H. R., Modern Macroeconomics: Its Origins, Development and Current State, Northampton, Massachusetts, 2005.

მ. ჩიქობავა.

მაკრომოლეკულების ფიზიკა, ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მაკრომოლეკულების – პოლიმერების აგებულებასა და ფიზიკურ თვისებებს. მათ მიეკუთვნება მაღალმოლეკულური ნაერთები, რ-ებიც შედგება მრავალი (რამდენიმე ათეული ათასიდან მრავალ ასეულ ათასამდე) ინდენტური ან განსხვავებული სტრუქტურული ერთეულისაგან (მონომერული რგოლი). ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია სინთეზის დროს გაჩენილი ქიმიური ბმებით. მაკრომოლეკულის ჯაჭვური აგებულება განაპირობებს მის ელასტიკურობას, ბოჭკოებისა და ფირების წარმოქმნის უნარს, პოლიმერული ხსნარების მაღალ სიბლანტესა და დაბალ ენტროპიას, რის შედეგადაც მცირე ენერგეტიკულ ზემოქმედებასაც შეუძლია გამოიწვიოს მაკრომოლეკულის თვითორგანიზება, რაც შესაძლებელს ხდის ცოცხალი მატერიის წარმოქმნას. მრავალი სინთეზური მასალა (პლასტიკი, ბოჭკო, ფირი, ლაქი, საღებავი და სხვ.) და ყველა ცოცხალი ორგანიზმი მაკრომოლეკულისაგან შედგება. გიგანტური მაკრომოლეკულა არის დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ). XXI ს. დასაწყისიდან მსოფლიოში მიმდინარეობს კვლევები მაკრომოლეკულის ბაზაზე ხელოვნული ინტელექტის შესაქმნელად (იხ. *კომპიუტერი*).

საქართველოში XX ს. 50-იან წლებში თსუ-სა და საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (ახლანდ. ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტი) ე. ანდრონიკაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო ბიომაკრომოლეკულების თერმოდინამიკური თვისებების შესწავლა. მომდევნო წლებში შემუშავდა მაკრომოლეკულებში სითბური ეფექტის ენერგეტიკის პირდაპირი გაზომვის მეთოდიკა და შეიქმნა (1964) მსოფლიოში პირველი ადიაბატური დიფერენციული მასკანირებელი კალორიმეტრი (პ. პრივალოვი, ჯ. მონასელიძე), რ-ის მგრძნობელობა 1000-ჯერ აღემატებოდა მანამდე არსებული კალორიმეტრებისას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა აღნიშნული მეთოდიკის რეალიზება. ეს მეთოდიკა დაინერგა მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში. 1976 ე. ანდრონიკაშვილს და პ. პრივალოვს მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია ნაშრომისათვის ,,მასკანირებელი მიკროკალორიმეტრი – ბიოლოგიური მაკრომოლეკულების კვლევის ახალი მეთოდი". ფიზ. ინ-ტის ბიოპოლიმერების თერმოდინამიკის ლაბორატორიაში ჯ. მონასელიძის ხელმძღვანელობით გამოიკვლიეს კიბოს უჯრედების თერმოდინამიკური თვისებები, სტრუქტურა და ამ უჯრედებიდან გამოყოფილი მაკრომოლეკულები პირველად დადგინდა, რომ კიბოს უჯრედების დნმ და ქრომატინი ნორმალურ უჯრედებთან შედარებით მეტ დეფექტს შეიცავს. ეს დეფექტები კი გამოწვეული იყო მუტაგენური მეტალების (რ-იც იწვევს მუტაციებს დნმ-ის ორმაგ სპირალში) რაოდენობის სიჭარბით. იმავე პერიოდში დაბალტემპერატურული კალორიმეტრიის მეშვეობით გამოიკვლიეს ჯანმრთელი და დაავადებული უჯრედებიდან გამოყოფილი წყლის გავლენა დნმ-ზე (ხელმძღვ. გ. მრევლიშვილი), იქვე შეიქმნა რთული ბიოლოგიური სისტემების ლაბორატორია, რ-შიც გარემოსთან ადაპტაციის შესასწავლად მაღალი მგრძნობელობის დაბალტემპერატურული კალორიმეტრიის მეშვეობით გამოიკვლიეს მცენარეში წყლის კრისტალიზაციისა და ყინულის დნობის თავისებურებები (ხელმძღვ. ნ. ბაქრაძე). XX ს. 90-იანი წლებიდან ფიზ. ინ-ტში იკვლევენ ცოცხალი ორგანიზმების გენეტიკური კოდის (შესაბამისი ბიომაკრომოლეკულების) ცვლილებებს, რაც გამოწვეულია ტოქსიკური მეტალების, ანტიკანცეროგენული ნაერთებისა და ბიორეგულატორების ზემოქმედებით.

პ. მამრაძე.

მაკრონები, ძველი ქართველი ტომი. ბინადრობდნენ სამხრ. კოლხეთში. ანტ. ხანის ავტორების ცნობით, ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტის რ-ნში და მის აღმ-ით. მაგ., *ქსენოფონტი* მათ შეხვედრია ტრაპეზუნტის სამხრ.-აღმ-ით 2 დღის სავალზე. ამ რ-ნშივე მ-ის ყოფნას ადასტურებენ *აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი*, პლინიუსი, V ს. ანონიმი მწერალი და სხვ. ზოგიერთი მათგანი (მაგ., სტრაბონი) თვლის, რომ მ-ს ძვ. ავტორები ეძა-

ხდნენ აქ მცხოვრებ სანებს (ე. ი. ჭანებს). სახელწოდება „მაკრონში“ თანამედროვე მკვლევრები მოიაზრებენ დას.-ქართ. ტომების აღმნიშნელ თანამედროვე ტერმინში (მეგრელ//მარგალ) შემავალ არგ (არკ) (<აგრ//აკრ) ძირს, რ-იც გაფორმებულია ჭანურისათვის დამახასიათებელი ონ სუფიქსით.

მ. სხვა ქართ. ტომებთან ერთად ძვ. წ. V ს-ში შედიოდნენ სპარს. იმპერიის მე-19 სატრაპიაში. მათ მონაწილეობა მიუღიათ სპარსეთის მეფის, ქსერქსეს ლაშქრობაში საბერძნეთზე. ამ ომში ისინი შეიარაღებული ყოფილან ისევე, როგორც *მოსხები, ტიბარენები* და *მოსინიკები*.

ლიტ.: ინაძე მ., საქართველოსა და ქართველების აღმნიშნველი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993; ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1963, ნაკვ. 35; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაკვ. 1, თბ., 1977; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

გ. მელიქიშვილი.

მალაქვი არტაშეს გრიგოლის ძე [27. III (8. IV). 1894, თბილისი, – 17. IX. 1957, იქვე], ანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1942). 1917 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1921–31 მუშაობდა თსუ-ის, ხოლო 1931–58 – თსსი-ის ნორმალური ანატ. კათედრებზე; იმავდროულად (1940–58), თბილ. სამხატვრო აკადემიაში ხელმძღვანელობდა პლასტ. ანატომიის კათედრას.

მ. იკვლევდა თავის ტვინის ქერქის განფენილობას და სხვ. მავთულით დაამზადა ნერვული სისტემის 11 მოდელი. 1951–52 ნიმუში მასობრივ წარმოებაში დაინერგა. მათ როგორც დამხმარე თვალსაჩინოებას, იყენებდნენ ანატ. კათედრებზე და ნევროლოგიურ კლინიკებში მ-მა ა. *ნათიშვილთან* ერთად შეადგინა პლასტ. ანატომიის პირველი სახელმძღვანელო ქართ. ენაზე.

თხზ.: ადამიანის კუნთები, თბ., 1944.

მალაზონია ენვერ სევერიანის ძე (6. VII. 1933, თბილისი, – 20. IV. 2002, იქვე), ინჟინერი. დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტის ელექტროტრანსპორტის ფაკ-ტი (1956). 1977-იდან იყო სამრეწვ. გაერთიანება „საქჩაის“ უფროსი. დაბალხარისხიანი ნედლეულისაგან ჩაის თხევადი კონცენტრატებისა და გამამხნევებელი სასმელების წარმოების ტექნოლოგიური კვლევის, დამუშავებისა და სამრეწველო ათვისებისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1982). მიღებული აქვს სხვა სახელმწ. ჯილდოებიც.

მალაზონია ვლადიმერ (ლადო) გიორგის ძე (24. I. 1900, ოზურგეთი, – 27. XII. 1985, იქვე), მხატვარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1955). დაამთავრა საქართვ. (1933-იდან თბილისის) სამხატვრო აკადემია (1924). იყო ოზურგეთის თეატრის მთ. მხატვარი და დირექტორი (1942–45). მონაწილეობას იღებდა გამოფენებში, მ. შ. 1968 – თბილისში, საქართვ. სურათების გალერეაში (ახლანდ. დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეა). მ. შემოქმედებითი მუშაობის დროს ძირითადად იყენებდა აკვარელისა და გუაშის საღებავებს. ცნობილია მისი გურიისა და ოზურგეთის პეიზაჟები და ხედები, რ-ებსაც ისტ.-ეთნოგრ. ღირებულებაც აქვს. მ-ს ნამუშევრები დაცულია ოზურგეთის ისტ. მუზეუმსა და სამხატვრო გალერეაში. 2013 ოზურგეთის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი.



ვ. მალაზონია. „კურორტ ნასაკირალის ცენტრი“. ოზურგეთის თეატრის საკუთრება. ოზურგეთი.

მალაზონია მამია ვლადიმერის ძე (დ. 19.III.1936, ოზურგეთი), ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ილუსტრატორი. საქართვ. სახ. მხატვარი (1983). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2003).

დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტი (1962). იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო მხატვრად კინოსტუდიაში "ქართული ფილმი". 1967-68 იყო რუსთავის დრამ. თეატრის, 1969-76 – მარჯანიშვილის სახ. თეატრის, ხოლო 1976-84 – ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მთ. მხატვარი. 1983 მიიწვიეს სამხატვრო აკადემიაში (იმავე წლიდან – პროფესორი). პარალელურად, 2001-10 მუშაობდა საქართვ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტის სახვითი ხელოვნების კათედრაზე. გაფორმებული აქვს მრავალი დრამ., საოპერო და მუს. სპექტაკლი როგორც საქართველოს, ისე მოსკოვის, კიევის, მინსკის თეატრებში, ასევე ანიმაციური და მხატვრული ფილმები, მ.შ. „სევდიანი რომანი" (1967), „დიდოსტატის მარჯვენა" (1970), „რანინა" (1974). მ-მ დიდი წვლილი მიუძღვის წიგნის გრაფიკის დარგში. გაფორმებული აქვს იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამება" (1975-76 და 1980), უ. შექსპირის „ორი ვერონელი აზნაური" (1976), გ. ტაბიძის "შვიდი ლექსი" (1980), დ. კლდიაშვილის "სამანიშვილის დედინაცვალი" (1983), ჯ. ბოკაჩოს "დეკამერონი" (1996), შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" (1997-98, 2009), მ. ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" (2000), ნ. გოგოლის "შინელი" (2004), "სპარტაკი" (წიგნი-ფოლიანტი, 2015, დაცულია ერმიტაჟში, სანქტ-პეტერბურგი) და სხვ. აღსანიშნავია მხატვრის „კლასიკური ლიტერატურის დიდი ალბომი“ (გრაფიკა, ფერწერა), სადაც დასურათებულია ქართველი, ასევე მსოფლიო ლიტ. კლასიკოსების თხზულებები. ეს ალბომი სათაურით „მამია მალაზონიას წიგნი“ დაიბეჭდა 2009. მ. თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „საბჭოთა საქართველო“, „ხელოვნება“, „მერანი“, „ნიანგი“, „Вита Нова“ („Редкая Книга из Санкт-Петербурга“). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1962-იდან. გამოფენები: თბილისი (1978; 1998), მოსკოვი (1987; 2018), სანქტ-პეტერბურგი (2019) და სხვ. პერსონალური: მხატვრის სახლი (თბილისი, 1981), თეატრ. მოღვაწეთა კავშირი (რიგა, 1983), მხატვართა კავშირი (ვილნიუსი,



მ. მალაზონია. თემატური ფარდის ესკიზი პ. კაკაბაძის პიესისათვის „კახაბერის ხმალი“. 1965.




მ. მალაზონია.



მ. მალაზონია. სერიიდან „ძველ მოტივიდან“. ალუჩა. 2010.



მ. მალაზონია. ,,სპარტაკი‘‘. წიგნი-ფოლიანტი. 2015.



ნ. ვ. მალაზონია.

მალაზონია ნესტორ გლახუნას ძე [30. XI (12. XII). 1892, სოფ. მამათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 22. XII. 1983, ბათუმი], პოეტი. 1919–25 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1933–35 იყო ხულოს რ-ნული გაზეთის რედაქტორი, 1938–41 – ბათუმის სახელმწ. გამომცემლობის წარმოების უფროსი, 1941–51 – გაზ. ,,საბჭოთა აჭარის‘‘ რედაქტორი, ხოლო 1951-იდან – გამომცემლობა ,,სახელგამის‘‘ რედაქტორი. პირველი ლექსი 1926 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებ. ,,პატაკი ოქტომბერს‘‘ – 1938. შემდეგ მისი შემოქმედება საბავშვო ლიტრას დაუკავშირდა. ბავშვებისთვის წერდა ლექსებს (,,ანბანი‘‘, 1941; ,,პაწაწინა ლუიზა‘‘, 1944 და სხვ.), პოემებს (,,გულიზარ‘‘, 1940; ,,შავი ზღვის პირას‘‘, 1969 და სხვ.), ზღაპრებს (,,თაგვი‘‘, 1939 და სხვ.). ავტორია წიგნებისა: ,,რჩეული‘‘ (1951), ,,საბავშვო ლექსები, ზღაპრები, პოემები‘‘ (1959), ,,რჩეული‘‘ (1972), ,,მეხუთე სიჭაბუკე‘‘ (1976) და სხვ.; მოთხრობისა ,,ორი გასროლა‘‘ (1970). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.


მალაზონია ნოდარ ვლადიმერის ძე (დ. 27. IV. 1929, ოზურგეთი), მხატვარი (გრაფიკოსი). საქართვ. სახ. მხატვარი (1983). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკ-ტი (1955). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1956-იდან. მუშაობს დაზგურ და წიგნის გრაფიკაში, არის ქართული პლაკატის თვალსაჩინო ოსტატი. 1967 მისი ინიციატივით თბილისში, ,,მხატვრის კლუბში‘‘ მოეწყო ქართველ მხატვართა პლაკატების პირველი გამოფენა. ნამუშევრები: პლაკატი იუნესკოს მრგვალი მაგიდისათვის (1962), საიუბილეო პლაკატები: „შოთა რუსთაველი – 800“ (1966) და „სანდრო ახმეტელი – 100“ (1979), სერია ინტურისტისათვის (1979–82), პანტომიმის თეატრის აფიშა (1982) და სხვ; დაზგური გრაფიკა: ფერადი ლითოგრაფიები – „ჩემი სოფლის სურათები“ (1969), „საბჭოთა კარიკატურის ოსტატები“ (1969), „წარსულის სურათები“ (1971), „1941–45 წელი“ (1975) და სხვ.; წიგნის გრაფიკა: ნ. დუმბაძე, თხზ., ტ. 1–2 (რუს. ენაზე, 1986), ალბომი-კატალოგი „ციცინათელა“ (1970) და სხვ.; ფერწერა: „სანაპირო, სტამბოლი“ (1960), სერია „გზები“ (1962), „ღრუბლები“ (1981) და სხვ. გამოფენები: „საბჭოთა წიგნის, პლაკატის, გრაფიკის 40 წელი“ (1957, მოსკოვი), „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა“ (1958, მოსკოვი), „ქართული საბჭოთა პლაკატი და რეკლამა“ (1961, თბილისი), „საბჭოთა ხელოვნება“ (1963, ვენეცია), „პოლიტიკური პლაკატი და სატირა“ (1974, მოსკოვი) და სხვ.; მისი პერსონალური გამოფენა ჩატარდა თბილისში (მხატვრის სახლი, 1983; ,,თეატრი და კინოს პლაკატი‘‘, 1985; ქარვასლა – ფერწერა, გრაფიკა, ფოტო, პლაკატი, 2004), ინსბრუკში (1981, ავსტრია), კატმანდუში (1984, ნეპალი), მოსკოვში (,,ფოტოგრაფია და ფოტოგრაფიკა‘‘, 1987). დაჯილდოვდა პრემიებით 1959 ბერლინში გამართულ პოლიტ. პლაკატების საერთაშ. გამოფენაზე და თბილისში რესპ. კონკურსზე – ,,დავიცვათ კულტურის ძეგლები‘‘ (1959); აგრეთვე მიღებული აქვს კატანიის (იტალია) ევროპა-აფრიკა-აზიის ტურისტული პლაკატების XII საერთაშ. გამოფენაზე (წარმოდგენილი იყო 800-ზე მეტი პლაკატი 108 ქვეყნიდან) პლაკატების სერი-



ნ. მალაზონია. პრიზი ,,ოქროს სპილო‘‘.

1987); გალერეა ,, TMS ‘‘ (თბილისი, 1998), მხატვრის ცენტრ. სახლი (მოსკოვი, 2003), №9 Gallery (თბილისი, 2019, 2020, 2022) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისში – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში; საქართვ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრ. სახელმწ. და საქართვ. გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმებში; მოსკოვში – აღმოსავლეთის ხელოვნ. სახელმწ., ბახრუშინის სახ. ცენტრ. თეატრ., პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმებში; ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეასა და კერძო კოლექციებში. არის ლიტ. პრემია ,,გალას" (2008) და მოსკოვის წიგნის ილუსტრაციის საერთაშ. კონკურსის „Образ Книги“ (ილუსტრაციებისათვის ,,ფრანსუა ვიიონის თხზულებანი“; 2018) ლაურეატი.

თ. გერსამია.



ნ. მალაზონია. საიუბილეო პლაკატი ,,სანდრო ახმეტელი 100‘‘. 1979.



ნ. მალაზონია. პლაკატი ,,ინტურისტისათვის‘‘. 1979–1982.



ნ. მალაზონია. ნატურმორტი 2001.

ისათვის –„გეპატიჟებათ საბჭოთა საქართველო“ – ორი უმაღლესი პრიზი სპეციალისტებისგან – „ოქროს სპილო“ და მაყურებლებისგან – ვერცხლის მედალი (1979). 1957–87 იყო ჟურნ. „ნიანგის“ მთ. მხატვარი. 1987 ჩამოაყალიბა სარეკლამო-საგამომცემლო ფირმა „ბენეფისი“, რ-საც ხელმძღვანელობდა 2008-მდე. XX ს. 90-იან წლებში (ბ. მალაზონიასთან ერთად) იყო ქართული ლარის, პასპორტის, პირადობის მოწმობის, ქართული თეთრის (რევერსი) დიზაინის ავტორი. მ-ს ნაწარმოებები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში.

თ. გერსამია.

მალაკნები, იხ. *მოლოკნები.*

მალარიის კოღო, ანოფელესი (Anopheles), მწერების გვარი ორფრთიანთა რიგისა. არის მალარიის გამომწვევი პარაზიტების – პლაზმოდიუმების გადამტანი. დედალ მ. კ-ს აქვს მჩხვლეტავ-მწუწნავი ტიპის პირის აპარატი, მამალს – მხოლოდ მწუწნავი, ამიტომ სისხლის ამოწოვა მხოლოდ დედალ კოღოს შეუძლია, მამალი კი უმთავრესად მცენარეული წვენით იკვებება. დედალი კოღო თავს ესხმის ადამიანს და კბენის დროს პლაზმოდიუმები ავადმყოფიდან ჯანსაღ ორგანიზმში გადააქვს. მ. კ. წყალში დებს კვერცხებს. გამოჩეკილი მატლი რამდენჯერმე იცვლის კანს და წყალშივე ჭუპრდება. ზრდასრულ ფაზას დიაპაუზა ახასიათებს. მ. კ. ევრითერმული მწერია, მისი მატლები ვითარდება ტემპ-რის ფართო მერყეობის პირობებში. მსოფლიოში ცნობილია მ. კ-ს 300-მდე სახეობა, საქართველოში გვხვდება 5 სახეობა, მ. შ. A. maculipennis-ი და A. cuperpistus-ი წარსულში პლაზმოდიუმის მთავარ გადამტანებად ითვლებოდნენ.

საქართველოში უფრო გავრცელებულია ჩვეულებრივი მ. კ. (A. maculipennis), რ-იც ისეთ ადგილებში გვხვდება, სადაც მისთვის ხელსაყრელი პირობებია დროებითი ან მუდმივი წყალსატევების სახით.

მ. კ-ს საწინააღმდეგო ღონისძიებებია დამდგარი წყლის, ჭაობების ამოშრობა, ათვისება და სხვა ჰიდროტექნიკური ღონისძიებების ჩატარება. ამის კლასიკური მაგალითია კოლხეთის დაბლობის დიდ ნაწილზე ჭაობის ამოშრობა და ათვისება. მ. კ-ს მატლებისა და ჭუპრების გასანადგურებლად კი გამოიყენეს თევზი გამბუზია, რ-მაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მალარიის პრევენციაში საქართველოში.

ე. აბაშიძე.

მალარმე (Mallarme) სტეფან (18. III. 1842, პარიზი, – 9. IX. 1898, ვალენი, სენისა და მარნის დეპარტამენტი), ფრანგი პოეტი, სიმბოლიზმის თვალსაჩინო თეორეტიკოსი და წარმომადგენელი. ლიტ. ასპარეზზე 1862 გამოვიდა. მ-ს შემოქმედებისთვის დამახასიათებელია მოვლენათა იმპრესიონისტული აღქმა, პოეტური სახის სიმბოლისტური სტრუქტურა, არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა (ლექსები: ,,გაზაფხულის მობრუნება“, 1862; ,,ფანჯრები“, 1863; ,,ლაჟვარდი“, ,,ყვავილები“; ორივე 1864 და სხვ.). მ. არის ასევე პოემების (,,ჰეროდიადა“, 1867–69; ,,პროზა დეზერენტისათვის“, 1885 და სხვ.), სტატიების (,,ლიტერატურის განვითარების თაობაზე“, 1891; ,,ლექსების კრიზისი“, 1895; ,,პოეზიის საიდუმლოება“, 1896 და სხვ.), ესეების ავტორი.

მ-ს პოეზიას საქართველოში XX ს. დასაწყისშივე იცნობდნენ. მისმა შემოქმედებამ თავისებური გავლენა იქონია გ. ტაბიძეზე, ,,ცისფერყანწელებზე“. ჟურნ. ,,ცისფერ ყანწებში“ ტ. ტაბიძე წერდა, რომ ევროპული ფუტურიზმი მ-ს საქმის გამგრძელებელი იყო, ხოლო ლექსში ,,ავტოპორტრეტი“ არ ფარავდა თავის გატაცებას მისი პოეზიით. აღფრთოვანებით მოიხსენიებს მ-ს პ. იაშვილი თავისი ტრიპტიქის პირველ ლექსში ,,მალარმე“. მ-ს ლექსებს თარგმნიდნენ შ. აფხაიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე. 1919 ქუთაისში ,,მეოცნებე ნიამორებში“ გამოქვეყნდა მ-ს ლექსები და პროზაული ნაწარმოებები.

ლიტ.: ბუაჩიძე გ., წახნაგები, თბ., 1983; გაფრინდაშვილი ვ., სტეფან მალარმე, ,,მეოცნებე ნიამორები“, 1919, №2; თარხნიშვილი ნ., სტეფან მალარმეს ესეები ქართული სიტყვის წიაღში, ,,ლიტერატურა და ხელოვნება“, 2008, №11; რობაქიძე გრ., მალლარმე და ნოვალისი, ,,საქართველო“, 1920, №105; ქართულ-ფრანგული ანთოლოგია, შემდგ. ზ. მეძველია, თბ., 2004.

ნ. თარგამაძე.

მალასა, ლაზების მეფე II ს. I ნახევარში. მეფობა მიუღია იმპ. ადრიანესაგან (117–138). მოიხსენიებს ფლავიუს არიანე.

წყარო: არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც. თბ., 1961.

ლიტ.: ლომოური ნ., ეგრისის სამეფო ისტორია, თბ; 1968; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

მალაძია, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. 1532–34. ადრე ქართლის მთავარეპისკოპოსი იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კახეთის სამეფოში მცხეთის კუთვნილი მამულების შემომტკიცებას. 1532 კახთა მეფე ლევანს (1520–74) დააბრუნებინა მისაკუთრებული მამულები და დაამტკიცებინა კახეთის ტერიტორიაზე მცხეთის მამულების ერთიანი ახალი სიგელი. მ-ს კათოლიკოსობის პერიოდში მეფე ლუარსაბ I-ს (1527–56) სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს თბილისში მეტეხთა მონასტერი წინამძღვრითა და მეტეხელით, ქორდს – ყანდიასშვილი მამულით, თრიალეთს – სოფ. ეძანი, უკანა ბეშქენაშენი, აგრეთვე თელოვანი, ქუაბთა, სრულიად სამცხეთო მამულები, ყმები და ვაჭრები მტკვრის გაღმა-გამოღმა ქალაქსა და გორში.



მალარიის კოღო.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

მალაძია I (ერისკაცობაში აბაშიძე), აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1519 – XVI ს. 40-იან წლებში. რეზიდენცია ჰქონდა ბიჭვინთის საკათედრო ტაძარში. მ. I იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510–65) პოლიტ. მომხრე იყო დას. საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების საკითხში. ბაგრატ III-ის ბრძანებით მან 1529 ქუთ. საეპისკოპოსო გაყო სამად და დააარსა ხონისა და გელათის ახ. საეპისკოპოსოები, რ-თა მეთაურები ბიჭვინთის ტაძარში აკურთხა. 1533, როცა გაგრასთან ჯიქების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველები



ს. მალარმე.



გ. მალაშხია.



ი. მალაშხია.

დამარცხდნენ, მ. I ბრძოლის ადგილზე გაემგზავრა და ტყვეები ფულით დაიხსნა. ერთ-ერთ საბუთში მ. I იხსენიება როგორც ,,დიდი მამამთავართ-მამათავარი აღმოსავლისა და ყოვლისა ჩრდილოს და აფხაზეთის კათალიკოზ მსოფლიო პატრიარქი‘‘.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

მალაქია II, აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1616–39, გურიის მთავრის, გიორგი II გურიელის ძე. ერთდროულად იყო ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელიც, XVII ს. 30-იანი წლებიდან – აგრეთვე გურიის სამთავროს გამგებელი. სახელი გაითქვა როგორც უნარიანმა სახელმწ. და საეკლ. მოღვაწემ. მოაწესრიგა დას. საქართვ. საეკლ. საქმეები, ააგო და შეამკო მრავალი ეკლესია-მონასტერი, მფარველობას უწევდა კათოლიკე მისიონერებსა და ქართვ. კულტურის მოღვაწეებს. მისი ინიციატივით შედგა ბიჭვინთის გუჯართა კრებული და ,,აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი‘‘. დიდძალი მამულები, ყმა-გლეხები, მოძრავი ქონება (ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით დამზადებული საეკლ. ჭურჭელი, მდიდრულად შემკობილი საღვთისმეტყველო წიგნები და სხვ.) შესწირა ბიჭვინთის საკათოლიკოსოს. ეხმარებოდა ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ქართლისა და კახეთის მეფეებს, აგრეთვე გ. სააკაძეს.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მისივე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, იქვე, 1954, ნაკვ. 30; მისივე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

მალაქია II გურიელი, გურიის მთავარი 1684–85 და 1689, ქაიხოსრო I გურიელის ძე. 1658–84 იყო შემოქმედის, შემდეგ ჯუმათ-შემოქმედის ეპისკოპოსი. გურიის მთავრად დასვა იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-მ. 1685 ტახტიდან ჩამოაგდო ძმისწულმა – ქაიხოსრო II გურიელმა. მ. II ბ. ახალციხის ფაშასთან გაიქცა. ფაშამ იგი გურიაში დააბრუნა, ხოლო ქაიხოსრო II-ს ფიცი დაადებინა, რომ მ. II ბ-ს არაფერს ავნებდა. ქაიხოსრომ ფიცი გატეხა და მ. II ბ. დააბრმავა. 1689 მ. II ბ. ახალციხის ფაშის დახმარებით კვლავ დაეუფლა სამთავრო ტახტს, მაგრამ მისი მართვა ვერ შეძლო და გურიის ფეოდალებმა იმავე წელს მთავრად მისი ძმისწული, მამია III მიიწვიეს. ახალმა მთავარმა მ. II ბ. კვლავ შემოქმედის ეპისკოპოსად დასვა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მალაქიაშვილი ვარლამ, იხ. *ხუროძე* ვარლამ.

მალაშხია გიორგი მამანტის ძე (დ. 18. III. 1934, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, პუბლიცისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექ. დარგში (1975, ავტორთა ჯგუფთან ერთად), დარგობრივი აკადემიების წევრი. 1957 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1964–2006 მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე საქართვ. სახელმწ. საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახელწოდებით და 1991-იდან შედიოდა ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში). 2006–09 იყო სოხუმის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. 2009-იდან სტუ-ის სრული პროფესორია. შეთავსებით ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მ-ის სამეცნ. კვლევები ძირითადად ეხება ეკონომიკის ფილოსოფიას, დანახარჯებზე მეტი დოვლათის, მოგების მიღების, სიმდიდრის დაგროვების წყაროებსა და პროცესებს, ადამიანთა საქმიანობის ეკონომიკური შედეგების საბოლოო სოც. სიკეთეში გარდაქმნის კონცეფციას და სხვ. მან საფუძველი ჩაუყარა ეკონ. კვლევის ახ. მიმართულებას – მეტაეკონომიკას.

მ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი, აგრეთვე სახელმძღვანელოების თანაავტორი. სამეცნ. ნაშრომებისათვის მიღებული აქვს დარგობრივი პრემიები; გამოცემული აქვს ლექსების კრებულები ,,სულის ამბოხი‘‘ (2016) და ,,ჩემი სამყარო‘‘ (2023).

თხზ.: მეტაეკონომიკა – ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995; Экономика человечная – человек на перепутье, СПб –Тб., 2009; Ненависть к капитализму и коммунизму. Глобальные метаморфозы и будущее человечества, Саарбрюккен, 2022; Metatheory of profit, Tb., 2013.

მალაშხია იური ამბერკის ძე (31. XII. 1928, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 22. X. 2000, თბილისი), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი (1986), ამერიკის ნევროლოგიის აკადემიის წევრი (1997).

1951 დაამთავრა თსსი. 1951–53 იყო გაგრის ინფექციური საავადმყოფოს მთ. ექიმი; 1958–62 – თბილ. პირველი საავადმყოფოს ნერვული განყ-ბის ორდინატორი, 1986-იდან – კათედრის პროფესორი და კლინ. ნეიროიმუნოლოგიის განყ-ბის გამგე. მისმა სადოქტორო დისერტაციის ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ნეიროიმუნოლოგიის განვითარებას.

მ. არის სამეცნ. ნაშრომებისა და 2 გამოგონების ავტორი, რ-ებიც ეხება ნევროლოგიისა და ნეიროიმუნოლოგიის აქტ. საკითხებს. მისი მეცნ. აღმოჩენაა თავზურგტვინის სითხის თვისება, განახორციელოს იმუნოლოგიური ზედამხედველობა ტვინის სუბარაქნოიდულ სივრცეში.

მ. იყო ნეიროიმუნოლოგიის საზ-ბის წევრი. დაჯილდოებულია პ. სარაჯიშვილის პრემიით (1995), ,,ღირსების ორდენით‘‘ (1999).

2000 მსოფლიოს აღმოჩენათა ასოციაციის მიერ წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ნეიროიმუნოლოგიის დარგში.

მალდა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის თიღვის მუნიციპალიტეტში (ყორნისის თემი), მდ. აღმ. ფრონის ხეობაში, ზ. დ. – 900 *მ*, ყორნისიდან – 12 *კმ*. ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) – 22 *კმ*.

სოფელში აღმოჩენილია (1955) ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მალთაჭვა, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (სუფსის თემი), შავი ზღვის ნაპირზე. ზ. დ. – 3 *მ*, ლანჩხუთიდან – 25 *კმ*, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) – 6 *კმ*. 53 მცხ. (2014).

მ. ადგილ. მნიშვნელობის კურორტია. ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპ. იცის თბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5,4 ^{0}C) და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23, 3 ^{0}C), ნალექები 1639 *მმ* წელიწადში.

მალთაჭვის ბრძოლა 1809, რუს-ქართველთა ლაშქრის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ ფოთის გასათავისუფლებლად. რუს. სარდ-

ლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფოთის ოსმალთაგან გათავისუფლებას და ყველა ხერხით ცდილობდა ამის მიღწევას. ფოთის ციხის კომენდანტთან წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ მათ ციხის ძალით აღება გადაწყვიტეს. 12 აგვ. რუს. ჯარი სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების ლაშქართან ერთად ფოთისაკენ დაიძრა. ჯარის ერთი ნაწილი მდ. რიონის მარცხ. მხარეს გადავიდა და ციხიდან დაახლ. 3 *კმ*-ზე დადგა, ნაწილი მდინარის ქვემო წელზე დაეშვა. მდინარის მარჯვ. მხარეს ქვემეხები დადგეს. 13 აგვ., არტილერიის ცეცხლის შემდეგ, თურქებმა გამაგრებული ადგილი დატოვეს და ციხეს მიაშურეს. მათ გარნიზონს 3 მხრიდან შემოარტყეს ალყა, ცეცხლმა მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა, მაგრამ შეტევა შეყოვნდა საომარი მასალის სიმცირის გამო. ოქტ. II ნახ-ში თურქთა გარნიზონის დასახმარებლად ქ. ფოთს მიუახლოვდა ტრაპიზონის სერასკირი 9 ათ. ჯარისკაცით. რუს. სარდლობამ მოახერხა გურიის მთავრის მამია V გურიელის თავის მხარეს გადაბირება. 2 ნოემბ. არტილ. ცეცხლის საფარით სამეგრელოსა და აფხ. ლაშქრის ნაწილები მდ. მალთაყვისაკენ დაიძრნენ; გურიის სამთავროს ლაშქარმა გრიგოლეთიდან მოულოდნელად შეუტია მტერს. თურქები ზღვით გაქცევას შეეცადნენ. მათგან მრავალი წყალში დაიხრჩო, ნაწილი ტყესა და ჭაობში გაიფანტა. მტერმა 1500 კაცი დაკარგა, 280-მდე ტყვედ ჩავარდა. ამის შემდეგ გარნიზონი იძულებული გახდა დაეტოვებინა ციხე, რ-საც 15 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარი დაეუფლა; 1812 წ. *ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით* რუსეთი იძულებული გახდა ციხე ისევ თურქებისათვის დაეთმო.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 5, СПб., 1887.

გ. ნარსია.

მალთუსიანელობა, კონცეფციათა ერთობლიობა, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობის უსაზღვრო ზრდას განიხილავს როგორც სოციალური უბედურების, პოლიტიკური რყევისა და ეკოლოგიური კატასტროფის ძირითად მიზეზს. სახელწოდება მომდინარეობს ინგლისელი ეკონომისტის, თ. რ. მალთუსის (1766–1834) გვარიდან, რ-მაც განავითარა მოსახლ. კვლავწარმოების ბიოლოგიურობის იდეა და განსაზღვრა საზ. განვითარების დემოგრ. დეტერმინირების პრინციპი. მალთუსი მიიჩნევდა, რომ დემოგრ. ზრდა არის დამოუკიდებელი ცვლადი, რ-იც კორექტირდება მხოლოდ ,,დამანგრეველი'' (ომები, ეპიდემიები, შიმშილი) და ,,გამაფრთხილებელი'' (დაუქორწინებლობა, გვიანი დაქორწინება და ა. შ.) სოც. ფაქტორებით. მალთუსმა ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა თეორია, რ-ის თანახმად, ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელია მუდმივი მისწრაფება შეუზღუდავი გამრავლებისადმი, ვიდრე ეს მათი საარსებო საშუალებების რაოდენობით არის დასაშვები.

მალთუსის მიერ ჩამოყალიბებული კანონის თანახმად, მოსახლ. იზრდება გეომ., ხოლო არსებობის საშუალებები – არითმ. პროგრესიით.

მალთუსის თეორიაში სიღატაკის, პაუპერიზმისა და პოლიტ. კონფლიქტების ასახსნელად გამოიყენება ბიოლოგიური და მისგან გამომდინარე დემოგრ. დეტერმინიზმი. მალთუსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჭარბი მოსახლეობის თავიდან აცილებით სახელმწიფოში მოისპობა ტირანია და სოც. მღელვარება, რისი მიღწევის საშუალებადაც მიიჩნევდა ქრისტ. ასკეტიზმის გავრცელებას, ,,ზნეობრივ თავშეკავებულობას'' (დაქორწინებასა და ბავშვის გაჩენაზე ნებაყოფლობით უარის თქმა); ღარიბებისათვის სამთავრობო დახმარების აღმოჩენას მხოლოდ ჭარბმოსახლეობის პრობლემის გამწვავების მიზეზად თვლიდა. იბრძოდა სახალხო განათლების სისტემის შემოღებისთვის, რაც სხვა ყველაფერთან ერთად ხელს შეუწყობდა შობადობის შემცირებას. თუმცა საზ-ბის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას და ბავშვთა მოკვდაობის შემცირებას.

მალთუსმა პირველმა მიანიშნა მოსახლ. რიცხოვნობის ზრდის ნეგატიური შედეგების შესაძლებლობაზე, საზ-ბის ყურადღება მიაპყრო ჭარბმოსახლეობისა და პაუპერიზმის პრობლემებს.

კ. მარქსი და მისი მიმდევრები ასაბუთებდნენ მოსახლ. კვლავწარმოების კანონზომიერებებისადმი ისტ. მიდგომის აუცილებლობას, კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზ-ბაში ჭარბმოსახლეობის შეფარდებით ხასიათს. ჭარბმოსახლეობას ისინი უკავშირებდნენ არა ბუნების კანონებსა და შეზღუდულ საარსებო საშუალებებს, როგორც მალთუსი მიიჩნევდა, არამედ სოც. მიზეზებსა და წარმოების საშუალებებზე საკუთრების დამოკიდებულებებს.

მალთუსის გარდაცვალების შემდეგ სახე იცვალა მ-ის დემოგრ. კონცეფციამ, რ-ისგანაც რამდენიმე მიმართულება გამოიყო. მ-ის, როგორც სოც. მოძღვრების არსს, მის ფილოს., ეკონომიკურ და პოლიტოლოგიურ პოზიციებს რამდენადმე არსებითი ცვლილება არ განუცდია. მისი ერთ-ერთი საფუძველია მოსახლ. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უარყოფა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მ-ისადმი მარქსისტებისა და სოციალ. შეხედულებების მომხრეთა ნეგატიური დამოკიდებულება.

1920–40 წლებში მ-ის მომხრეთა კვლევები კონცენტრირებული იყო მოსახლ. რიცხოვნობის ზრდის ცალკეულ შედეგებზე, ჭარბმოსახლეობის სახით ეკოლ. სიტუაციის მომავალ გამწვავებაზე, დაუმუშავებელი მიწების რეზერვის შემცირებასა და ამოწურვაზე. ამ პერიოდის მ-ის მომხრეთა ნაშრომები, როგორც წესი, გამაფრთხილებელი პროგნოზების ფარგლებს არ სცილდებოდა.

XX ს. 50-იანი წლებიდან დემოგრ. აფეთქების პირობებში მალთუსიანურმა იდეებმა ახ. იმპულსი შეიძინა. თანამედროვე მალთუსიანელების დოქტრინაში ცენტრ. ადგილი უჭირავს განვითარებად ქვეყნებში მოსახლ. ზრდის პრობლემებს, რასაც ისინი გლობალური ეკოლ. კრიზისისა და არაერთი სამხ. კონფლიქტის მიზეზად მიიჩნევენ, განვითარებადი ქვეყნების ეკონ. ჩამორჩენილობის შენარჩუნებას კი შობადობისა და მოსახლ. მატების მაღალი დონით ხსნიან.

XX ს. 70-იანი წლებიდან განვითარდა მ-ის მიმართულება, რ-იც იკვლევს გლობალური ეკოლ. კრიზისის პრობლემებს. ამ მიმართულების მომხრეთა აზრით, მ-ის არც ერთ კრიტიკოსს არ დაუმტკიცებია, რომ სოც.-ეკონ. და ტექ. განვითარების მაღალი დონის შემთხვევაშიც კი არ გამწვავდება წინააღმდეგობა მოსახლ. რიცხოვნობასა და გარემოს მდგომარეობას შორის. მალთუსის აღნიშნული

ნაშრომი უმნიშვნელოვანესი დემოგრ. ძეგლია, რადგან სწორედ მასშია პირველად ჩამოყალიბებული მოსახლ. განვითარების ზოგადი პრინციპები, რ-ებიც ერთიანი მეცნ. თეორიის სახით არის გადმოცემული.

საქართველოში საბჭოთა პერიოდში და ზოგადად საბჭ. კავშირში თ. მალთუსის უმთავრესი თხზულება – ,,გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ'' – არ გამოცემულა (ამ თხზულების სრული რუს. თარგმანი გამოიცა მოსკოვში 1868, ხოლო შემოკლებული ვარიანტი – 1895, რ-ის სტერეოტიპული ვარიანტიც უკვე საბჭ. კავშირის დაშლის შემდგომ 1993 გამოქვეყნდა), რამაც სათანადო დაღი დაასვა არა მხოლოდ ქართ. დემოგრ. მეცნიერებას, არამედ საერთოდ საზ. განვითარების კანონზომიერებათა შესწავლასაც.

2004–05 წწ. თსუ-ის დემოგრ. კათედრის მიერ განხორციელდა ამ ნაშრომის ქართ. ენაზე თარგმნა და გამოცემა.

ლიტ.: მალთუსი თ., გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ, ტ. 1–2 (თარგმ. ა. სახვაძემ), თბ., 2004–05; Маркс К., Теория прибавочной стоимости., Капитал, т. 4 , Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 26, ч. 3, М., 1961; Griffith G. T., Population problems of age of Malthus, 2 ed., L., 1967; Chamberlain N.W., Beyond Malthus. Population and power,N. Y.–L., 1970; Kellman M., World hunger. A neo-Malthusian perspective, N. Y., 1987,; Mc Cleary G. F., Malthusian population theory, L., 1953.

ა. სახვაძე.

მალი (არაბ. – დოვლათი, ქონება, სიმდიდრე), ფეოდალიზმის ეპოქის სამხრ. კავკასიაში, შუა აზიაში, ირანში, ახლო და შუა აღმ-ის სხვა ქვეყნებში: 1. ქონება, ძირითადად მოძრავი (მულქისგან განსხვავებით); 2. ფული; 3. საქონელი; 4. ფულადი გადასახადი, მოგვიანებით – ყოველგვარი გადასახადი. XIII–XIV სს-ში მ. იყო მონღოლური 14 გადასახადიდან ერთ-ერთი მძიმე გადასახადი, XV ს-იდან – ფულადი სახელმწ. გადასახადი კომლზე 40 თეთრის (ვერცხლის ფული) ოდენობით. 1440 ალექსანდრე I-მა მ. ,,ამოკვეთა'', მაგრამ მომდევნო საუკუნეებში მისმა შთამომავლებმა კვლავ აღადგინეს. თბილისში მ-ით იბეგრებოდა კომლის სრულასაკოვანი მამაკაცი. ცოლშვილიანები იხდიდნენ ,,მთელ მალს'', უცოლოები და ახლად დაქორწინებულები (ქორწინების პირველ წელს) – ,,ნახევარ მალს'', კომლის შრომის უუნარო მოხუცი მამაკაცები მ-ის გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ. XIX ს. 30-იანი წლებიდან თბილისში მ., როგორც დამოუკიდებელი ფულადი გადასახადი, აღარ არსებობდა. იგი *მახტას* შეუერთდა. XV–XIX სს. მ. ირანულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ოფიც. დოკუმენტებში მალ-უ-ჯიჰადი – საადგილმამულო გამოსაღები, რენტა-გადასახადი (არაბ. ხარაჯის სინონიმი) იყო. აზერბ. და სომხ. სახანოებში XVIII ს. II ნახ-იდან XIX ს. I ნახ-მდე მ. იყო ნატურალური რენტა-გადასახადი, რ-ის რაოდენობა განისაზღვრებოდა მოსავლის 1/10, 1/5 ან 1/3-ით.

გ. ძიძიგური.

მალიგორად გაყოფა (მალიგორა – თანაშეზომით, თანაბრად; *ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის* ლექსიკონი), სამართლის ისტორიული ტერმინი. მ. გ. ნიშნავდა გარდაცვლილი პირის ვალაუვალობისას მისი კრედიტორების დაკმაყოფილებას ქონებისა და ვალების თანაფარდობის მიხედვით. მოვალის ქონების მ. გ-ით კრედიტორების დაკმაყოფილება ხდებოდა გარდაცვლილი მოვალის ქონების პროპორციის მიხედვით მის ვალებთან. ვალი მოვალის მემკვიდრეების ქონებაზე არ გადადიოდა. თუ ვალების გადასახდელად, მოვალის ქონება საკმარისი არ აღმოჩნდებოდა ვალის ნაწილი აუნაზღაურებელი რჩებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ერთ-ერთი წიგნის 137–138-ე მუხლებით დადგენილი იყო მოვალის გარდაცვალებისას ქონების მ. გ-ის წესი: ,,137. თუ კაცი ამოვარდეს და აღარა დარჩეს რა, რაც საქონელი დარჩეს, მალიგორად უნდა, – რამდენიც მოვალე იყოს, ისრე გაიყონ. რა გინდ იმათი ბევრი ემართოს, რაც დარჩომია, ის არის ... ''. ,,138. თუ ქალს მეტი არა დარჩეს რა და საქონელიც დარჩეს, ცოტა რამე სარჩო იმ ქალს უნდა მისცენ და სხვა მოვალეებს მალიგორად გაუყონ. მაგრამ თუ საქონელი არა დარჩა რა, ქალს არა ეთხოება რა. თუ საქონელი და ნასყიდი რამ დარჩა, მოვალეს იქიდამ მიეცემის, თორემ სამკუიდრო მამულიდან ბატონი არ მისცემს''.

მ. გ-ის მნიშვნელობით ასევე გამოიყენებოდა ჰაღის გორად გაყოფა. თბილ. ისტორიის დოკუმენტების კრებულში შეტანილია 1767 წ. 20 ივნისის ,,ნასყიდობის წიგნი'' (,,სუთინანთ ხეჩატურას ჯალაბ მარიამისაგან ყუზანთ მოსესა შვილ მათეოზისადმი''). ამ დოკუმენტის მიხედვით, მოვალის გარდაცვალების შემდეგ კრედიტორებს წარუდგენიათ მოთხოვნები მოვალის ოჯახის წევრების მიმართ. ვალების გადახდის მიზნით, ოჯახის წევრებს გაუყიდიათ მოვალის სახლები. დოკუმენტი შეიცავს ვალების ჩამონათვალს, რაც აჭარბებს ნასყიდობის ფასს, ამიტომ მითითებულია კრედიტორებს შორის ფულის ჰაღის გორად განაწილების წესზე (,,რაც ამის ქვევით ვალები სწერია, ყველამ თავისი ჰაღის გორათ აიღოს'').

ი. უჯმაჯურიძე.

მალიქ-შაჰი, მელიქ-შაჰი (16. VIII. 1055 – 19. XI. 1092), დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს მესამე სულთანი (1072–92), *ალფ-არსლანის* ვაჟი. მისი მმართველობის დროს დიდ სელჩუკთა იმპერიამ ძლიერების ზენიტს მიაღწია. სახელმწიფოს საზღვრები გაფართოვდა, განმტკიცდა სელჩუკთა ბატონობა სამხრ. კავკასიაში. მ.-შ. სახელმწიფოს მართავდა თავისი ვეზირის, ნიზამ ალ-მულქის მეშვეობით. მის დროს გატარდა სამხედრო, სასამართლო და კალენდრის (,,მელიქის წელთაღრიცხვა'') რეფორმები, განმტკიცდა ცენტრ. ხელისუფლება, ფართოდ გაიშალა მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობა, აშენდა ცნობილი ნიზამიას მეჩეთი ბაღდადში. ნიზამ ალ-მულქი ცდილობდა, თურქული მომთაბარე ტომების ყურადღება წარემართა ბიზანტიისა და კავკასიის მიმართულებით. ამ პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო ბიზანტიის აღმ. პროვინციების დაპყრობა, შემდეგ – მ.-შ-ის ლაშქრობები საქართვ. წინააღმდეგ. თურქ-სელჩუკთა თარეშმა საქართველოში განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო XI ს. 80-იანი წლების დამდეგს და ის ,,დიდი თურქობის'' სახელითაა ცნობილი. მეფე *გიორგი II* (1072–89) იძულებული გახდა ისპაანში ხლებოდა მ.-შ-ს (სავარაუდოდ 1081–82) და ხარკის გადახდის პირობით მორჩილება გამოეცხადებინა მისთვის. სამაგიეროდ მ.-შ-მა ,,ყოველი სათხოვნელი აღუსრულა მეფესა გიორგის... და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბენელთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი... ესრე განდიდებით და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თჳსად სამეფოდ და წარმოაყოლნა

სპანი დიდნი''. ამის მიუხედავად გიორგი II-მ ვერ შეძლო კახეთისა და ჰერეთის შემოერთება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; შენგელია ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

ნ. შენგელია.

მალიშევა ტატიანა კაზიმირის ასული (დ. 27. V. 1932, თბილისი), საქართველოში მოღვაწე რუსი მომღერალი (მეცო-სოპრანო). საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1955 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ე. ენოხოვიჩის კლასი, ვოკალი). 1953-იდან, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. შეასრულა მეცო-სოპრანოს მრავალი პარტია, მ.შ. ნანო (ზ. ფალიაშვილის „დაისი''), დარეჯანი (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი''), კარმენი (ჟ. ბიზეს „კარმენი''), მადალენა, ამნერისი, აზუჩენა (ჯ. ვერდის „რიგოლეტო'', „აიდა'', ,,ტრუბადური''), ჟანა დ'არკი, პოლინა, გრაფინია, ოლგა (პ. ჩაიკოვსკის ,,ორლეანელი ქალწული'', ,,პიკის ქალი'', ,,ევგენი ონეგინი''), ლიუბაშა (ნ. რიმსკი-კორსაკოვის ,,მეფის საცოლე''), ფროსია (ს. პროკოფიევის ,,სიმიონ კოტკო'') და სხვ. არაერთხელ იყო მიწვეული მოსკ. დიდი თეატრის სცენაზე. ჰქონდა მდიდარი რეპერტუარი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ლიტ.: გაბიჩვაძე რ., საინტერესო დებიუტი, „საბჭოთა ხელოვნება'', 1973, № 9; ზურაბიშვილი ა., ტ. მალიშევას საინტერესო სახეები, იქვე, 1970, №10; ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2015.

მალიშევი სერგეი ივანეს ძე [12 (25). IX. 1906, ბოლშოე გრიბოვო, ახლანდ. მოსკოვის ოლქი, – 1971, სუმგაიტი, ახლანდ. აზერბაიჯანის რესპ.], ინჟინერ-მეტალურგი, სტალინური პრემიის ლაურეატი (1943), საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა მოსკოვის ფოლადის ინ-ტი (1932). 1932–49 მუშაობდა ზლატოუსტის მეტალ. ქ-ნაში მთავარ ინჟინრად. 1959–57 მივლინებული იყო ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში. იყო რუსთავის მეტალ. ქ-ნის მთ. ინჟინერი (1957–62). 1962 მ-ს სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია რუსთავის მეტალ. ქ-ნის მილსაგლინ აგრეგატ ,,400-ის'' მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. არის გამოგონებების ავტორი.

მალკო, იხ. სტ. *,,რესპუბლიკა''.*

მალსეკო, ლიმონის ხმელა, ლიმონის სოკოვანი დაავადება. გამომწვევია სოკო Phoma tracheiphila. პირველად აღწერილია ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილში, საბერძნეთში – კ. ხირსზე (1894), პოროსული დაავადების სახელწოდებით – კ. პოროსზე (1900), შემდეგ – კვიპროსზე, პალესტინაში, თურქეთში (1933) და სწრაფად მოედო ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში არსებულ ციტრუსოვანთა ნარგავებს.

დას. საქართველოს სუბტროპიკებში მ. ციტრუსოვანთა ნარგავებში გამოჩნდა აჭარაში, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში (1940–41), მოგვიანებით კი ქობულეთში, ოზურგეთსა და აფხაზეთში (1952). საქართველოში მ-მ ლიმონის ნარგავები მთლიანად გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ მეიერის ლიმონი, რ-იც გამძლე აღმოჩნდა მ-ს მიმართ, რაც მისი გენეტიკური თავისებურებებით არის განპირობებული. მ-მ გაანადგურა ლიმონის უნიკალური ჯიში „ქარ-თული“ და მისი კლონები (№ 54; № 212, უეკლო), ასევე ვილაფრანკა, ლისბონი, კომუნე, ჯენოა და სხვ., ამიტომ XX ს. 80–90-იანი წლებიდან იგი საქართველოში აღარ გვხვდება.

მ. ტრაქეომიკოზული დაავადებაა. სოკო P. tracheiphila იჭრება მცენარის გამტარ სისტემაში როგორც ჰაერიდან, ისე ნიადაგიდან, გამოყოფს ტოქსინებს, რის შედეგადაც იწყება მცენარის მოწამვლა და მექანიკურად წყდება ფესვებიდან ფოთლებისთვის წყლის და საკვები ნივთიერებების მიწოდება.

დაავადების პირველი ნიშანია ფოთლების ქლოროზულობა (გაყვითლება) და ცვენა, ყლორტებზე წარმოიქმნება მოყავისფრო-მონაცრისფრო ლაქები, რ-იც იზრდება ყლორტის გარშემო და იწვევს მის ჭკნობას. დაავადების გაძლიერებისას იგი გადადის დაავადებული ყლორტის გასწვრივ და მის გარდიგარდმო განაჭერზე შეიმჩნევა ქსოვილების მოწითალო-მონარინჯისფრო შეფერვა, რაც დაავადების უტყუარი ნიშანია. მერქნის ასეთი შეფერვა კარგად ჩანს ჯერ კიდევ ცოცხალ ყლორტზე, გამხმარ ნაწილზე კი შეუმჩნეველია. ხის დაავადება ნაყოფზეც გადადის და ის იწყებს ცვენას. მიცელიუმი ვითარდება მცენარის მერქანში კარგად განტოტვილი უფერული ჰიფების სახით, რ-ებიც მთელი წლის განმავლობაში ინფექციის წყაროს წარმოადგენენ. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება მარტ-აპრილში, შემდეგ კლებულობს და ზაფხულში მთლიანად წყდება. მ-თვის, ისევე როგორც სხვა ინფექციური დაავადებებისათვის, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რ-ბიც განაპირობებს მის გავრცელებას და მავნეობას. ესენია: ჰაერის მაღალი ტენიანობა (65–90%), ტემპ-რა (18–28°C), ლიმონის ჯიშების მიმღეობა, ინფექციური საწყისის არსებობა. მ-ს წინააღმდეგ ბრძოლის გზაა მალსეკოგამძლე ლიმონის სელექცია.

დღეისთვის კვლავ არის მ-ს გავრცელების საშიშროება დას. საქართველოს სუბტროპ. ზონაში, რადგანაც სოკო P. tracheiphila შემოჰყვა საზღვარგარეთიდან შემოტანილ ლიმონის ნერგებს.

ლიტ.: ქაშაკაშვილი ც., ხალვაში ნ., ლიმონის ინფექციური დაავადება მალსეკო, ანუ ხმელა, ,,ახალი აგრარული საქართველო'', 2017, №7.

ც. ქაშაკაშვილი. ნ. ხალვაში.



ტ. მალიშევა. მარინა მნიშეკი. მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“.

მალუძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (12. IV. 1929, სოფ. წინანდალი, თელავის მუნიციპალიტეტი, – 26. XI. 1988, მოსკოვი; დაკრძალულია თელავში), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1983). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1952). მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე (1952–58), იყო თელავის სახელმწ. პედ. ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, გამგე, რექტორი (1958–88).

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, მ. შ. მონოგრაფიების, რ-ებიც ეხება საქართვ. მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საკითხებს.

დიდი წვლილი მიუძღვის თელავის რ-ნის სოც. და ეკონ. განვითარების საქმეში.

თხზ.: საქართველოს სსრ მევენახეობისა და პირველადი მეღვინეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, თბ., 1967; მევენახეობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 1967 (თანაავტ.); Основные вопросы развития виноградарства и виноделия в Грузинской ССР, Тб., 1970.

მალუჯათი, მიწაზე დაწესებული გადასახადი ,,ყიზილბაშობის'' დროს. შეესატყვისებოდა ოსმალურ ხარაჯას (იხ. აგრეთვე *მალი*).

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წგ. 1, ნაკვ. 1, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1961.

დ. მეგრელაძე.

მალძიგათა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (ბელოთის თემი), მდ. ფაჩურისწყლის (პატარა ლიახვის მარცხ. შენაკადი) ზემო წელში, ზ. დ. 1870 *მ*, ცხინვალიდან 45 *კმ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მამადაანები (ყოფ. კაკმეთი), სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის თიანეთის მუნიციპალიტეტში (დაბა თიანეთის თემი), მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას, ზ. დ. 1160 *მ*. თიანეთიდან 5 *კმ*. 51 მცხ. (2014).

მ. კაკამეთის სახელწოდებით მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის ,,ქართლ-კახეთის აღწერაში''. წერილობით წყაროებში კაკმეთი 1637-იდან გვხვდება როდესაც ერეკლე ბატონიშვილმა იგი ლევან ავალიშვილს უბოძა. 1693 კახეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარბეგმა აბაზული-ხანმა კაკამეთი თუშ მოურავ მამუკა ჩოლოყაშვილს, სახლთუხუცეს დურმიშხანსა და მათ შვილებს უბოძა. XVIII ს-იდან სოფლის ნაწილი თავადთა საკუთრება გახდა. 1700 სოფლის მოსახლეობაზე ზეგავლენას სხდენდნენ ჩოლოყაშვილები, ამ დროს სვეტიცხოველის მონასტერს ყმა-მამულში ეცილებოდა ალავერდელი ნიკოლოზ (ამბა) ჩილოყაშვილი.

მ. შემგარეწში რამდენიმე ეკლესიაა. რ-თაგან ყურადღებას იმსახურებს სოფლის ჩრდ-ით დაახლ. 1 *კმ*-ზე მდგარი დარბაზული ეკლესია. არქიტექტურული ნაშთებით იგი XIII სს-ით თარიღდება. ეკლესია გარედან შირიმის ნათალი ქვითაა მოპირკეთებული. საინტერესოდაა გადაწყვეტილი დას. ფასადი ღერძზე განიერ თაღოვან შესასვლელს შეწყვილებული ლილვი ევლება და ვიწრო ნახევარსვეტებითა და მათზე დაყრდნობილი თაღით გამოყვანილ ჩარჩოშია ჩასმული. შეწყვილებული ლილვი ევლება კარის ზემოთ მდებარე სარტყელსაც. ამ უკანასკნელის თავზე წყობაში ჩასმულია მოზრდილი ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან აფსიდიანი მინაშენები ეკვრის.



მამადავითის ეკლესია.

ეკლესიის კედლები დასრულებულია შირიმის მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო. შეზნექილი მრუდე ზედაპირი დალილვი შეადგენს. სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 700 *მ*-ზე დგას მთავარანგელოზთა დარბაზული ეკლესია, რ-იც ნიშნებით გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესიასთან ახლოს მისივე თანადროული ორსართულიანი სამრეკლოა, რ-იც იმ პერიოდის სამრეკლოთაგან ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

ლიტ.: ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონომიკა, თბ., 1980; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძის და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2008; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2–3 თბ., 1965–70.

მამადავითის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს თბილისში, მამადავითის მთის (მთაწმინდა) კლდოვანი კალთის ძირში, ხელოვნურ ტერასაზე. გადმოცემით აქ, ჯერ კიდევ უსახელო კლდეზე, დამკვიდრდა მამა დავითი (იხ. *დავით გარეჯელი*), ერთი ე. წ. 13 ასურელი მამათაგანი, რ-ებიც VI ს. ჩამოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. მამა დავითს აქ სენაკი გამოუქვაბავს და მის ახლოს პატარა სამლოცველოც აუგია. სწორედ მას უკავშირდება უსახელო მთის ერთ-ერთი სახელწოდება – „მამადავითის მთა''. IX–X სს-ში მთას მთაწმინდა უწოდეს, ქრისტ. რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავანის – ათონის მთის (ბერძნ. აიონ ოროსი – წმინდა მთა) მიხედვით. IX ს-ში აქ ივერიის ღვთისმშობლის პატარა ეკლესია იდგა. მის ადგილას 1542 წმ. დავითის მონასტერი ააშენეს. XVIII ს-თვის მონასტერი მიტოვებული და დაცარიელებული იყო (ვახუშტი ბატონიშვილი). 1810 ამავე ადგილზე აუშენებიათ მცირე ზომის ფერისცვალების ეკლესია, რ-ის გვერდით 1859 წ. 4 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა ახლანდ. მ. ე-ს. 1871 წ. 24 სექტემბერს ჯერ კიდევ დაუმთავრებული (მას ხის გუმბათი ჰქონდა) ეკლესია აკურთხეს. მშენებლობა (გუმბათიანად) 1879 დასრულდა (მის გვერდით მდებარე ფერისცვალების ეკლესია აიღეს ახალი ეკლესიის სამრეკლოს მშენებლობასთან დაკავშირებით 1896–99 წწ-ში). მ. ე-ის არქიტექტურაში იგრძნობა ქართ. საეკლ. ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ტრად. არქიტ. ფორმების გათვალისწინების მცდელობა (გუმბათის ყელი და მისი პირამიდისებრი სახურავი, გვერდის ფასადთა შუა – ფრონტონიანი – ნაწილები). ამჟამად ეკლესიის გვერდით ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი (გაიხსნა 1929) მდებარეობს.

ლიტ.: გერსამია თ., ძველი თბილისი, თბ., 1984; თბილისი, თბ., 2002; ქუთათელაძე მ., თბილისის გარშემო, ტ. 1, თბ., 2010; Иоселиани П., Святая гора (в Тифлисе), Тф., 1858.

თ. გერსამია.

მამადავითის მთა, იხ. *მთაწმინდა.*

მამადავითობა, მთაწმინდობა, ერთ-ერთი ასურელი მამის, *დავით გარეჯელის* სახელობის დღესასწაული. იმართება ამაღლების შემდეგ ხუთშაბათს (მოძრავია). დავითგარეჯის ლავრის დაარსებამდე მამა დავითმა მთაწმინდის მთის ფერდობზე დაარსა სამლოცველო, რ-იც დღესაც მის სახელს ატარებს. დავით გარეჯელის ცხოვრებაში არაერთი ლეგენდარული თუ ფოლკლორული ამბავია აღწერილი. გარდა ქართ. ეკლესიის გამორჩეული წმინდანობისა და საეკლ. მოღვაწეობისა, შეიქმნა დავით გარეჯელის ხალხ. კულტიც, რ-მაც ზოგი რამ შეითვისა არქაული რწმენა-წარმოდგენებიდან, კერძოდ, იგი ,,მინდვრის ყარაულად და წმ. ელიას ძმადააა'' მიჩნეული და მას სწორედ მინდვრის დაცვას ევედრებიან. მასში აშკარად შეინიშნება ნაყოფიერებისა და სქესთა ურთიერთობის (შვილოსნობის) კულტის ნიშნები. დღესასწაულზე მლოცველი ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს, რადგან, გადმოცემის თანახმად, ეკლესიასთან ახლოს მამა დავითის ლოცვით აღმოცენებული წყარო უშვილო ქალებს შვილოსნობას ანიჭებდა. ქალები აღთქმას დებდნენ და აღდგომის შემდგომი ხუთშაბათიდან მ-მდე, ყოველი ხუთშაბათი, დილადრიან ფეხშიშველა მოუყვებოდნენ მთაწმინდის აღმართს სასწაულმოქმედი წყაროსკენ. დღესასწაულზე კი შინ დამზადებულ ბამბის ძაფებს სამჯერ ავლებდნენ ტაძარს

გარშემო შვილოსნობის თხოვნით. ზოგჯერ კენჭს მიადებდნენ ტაძრის კედელს და თუ ქვა კედელს მიეკვროდა, მათი თხოვნა შესმენილი იქნებოდა. დღესასწაულზე ასევე არსებობდა ბავშვის ,,ბერად დაყენების'' წესიც. ოჯახს, რ-საც ბავშვი ხშირად ელუპებოდა, მამა დავითის ეკლესიაში სხვა შვილი თმაგაუკრეჭავი და ტანზე მუდმივად თეთრად შემოსილი დაჰყავდათ. აღთქმული დროის გასვლის შემდეგ, ბავშვი ეკლესიამდე ფეხშიშველი აჰყავდათ, მღვდელი თმას მოაჭრიდა, ფერად ტანსაცმელს ჩააცვამდა და დალოცავდა. სწამდათ რომ ასეთი ბავშვი მამა დავითის მფარველობით დღეგრძელი და დაცული იქნებოდა. მ-ის დღესასწაულზე თავს იყრიდნენ მლოცველები არა მარტო თბილისიდან, არამედ აღმ. საქართვ. სხვადასხვა კუთხიდანაც, იმართებოდა ლხინი, ღამისთევით (,,ღამედგომით'') და სწირავდნენ საკლავს; იკურთხებოდა ყვავილები და მწვანე ბალახი. წირვა-ლოცვის შემდეგ იწყებოდა დიდი სეირნობა, ისმოდა საზანდრის, დუდუკისა და დაირის ხმა. იმართებოდა ,,თამაშა'' – ჭიდაობა, დოღი, ჯირითი, მუშტი-კრივი. მამა დავითს მაჰმადიანებიც სცემდნენ თაყვანს ,,შეიხ სენანის სახელით'', დღესასწაული დღესაც იმართება შეცვლილი ტრადიციებით.

ლიტ.: კეკელიძე კ., კრიტიკული ეტიუდები, ტ. 1, თბ., 1956; მთაწმინდობა, გაზ. ,,ივერია'', №115; საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, სპბ, 1882; Иоселиани П., Гора св. Давида в Тифлисе, Тфл., 1858.

ზ. ეკალაძე.

მამათელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე (22. IV. 1915, სოფ. ჩუმლაყი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 27. V. 1983, თბილისი), ვეტერინარი ექიმი, პათოლოგანატომი. ვეტ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1967), მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1938 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტის ვეტ. ფაკ-ტი. 1941–46 ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის პათოლ. ანატომიის ლაბორატორიას. 1946–83 იყო კათედრის გამგე, 1956–59 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტის დირექტორი, 1959–75 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტის რექტორი, 1960–82 – ვეტ. პათანატომთა საკავშ. სამეცნ. საზბის წევრი. არჩეული იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს და თბილ. საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მ. ქართ. ვეტ. პათოლოგური ანატომიის მეცნ. და პედ. სკოლის ფუძემდებელია. მან ჩაატარა კვლევები საქართველოში სავეტერინარო პათოლ. მორფოლოგიის მიმართულებით. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: კამეჩების ბრუცელოზი, თბ., 1974; სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პათოლოგოანატომიური გაკვეთის ტექნიკა, თბ., 1982.

ლ. მაკარაძე.

მამათი, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, გურიის სერის სამხრეთ კალთაზე. თემის ცენტრი (სოფლები: მ, კონჭკათი, ქვედა მამათი, შათირი), ზ. დ. 280 *მ,* ლანჩხუთიდან 16 *კმ.* 254 მცხ. (2014). სოფელზე გადის ლანჩხუთი–ოზურგეთის საავტომობილო გზა. სახელწოდება სოფელმა მიიღო აქ არსებული მამათა მონასტრის გამო.

სოფელში დგას წმ. გიორგის ეკლესია.

ლ. მარუაშვილი.

მამაი, იხ. სოფ. *კიროვკა.*

მამაჲ, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. 720–744. მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა. მოხსენიებულია მხოლოდ ზედაზნელ მამათა სიაში, საიდანაც დასტურდება, რომ მ. ზედაზნის მონასტერში მოღვაწეობდა. გამორჩეული სულიერებისა და მოღვაწეობისათვის ქართლის კათოლიკოსად დაადგინეს. შერაცხულია წმინდანად. მისი ხსენების დღეა 3 (16) მაისი.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილის და ელ. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათენი, 2003.

მამაიაშვილი თომა იორდანეს ძე (25. XII. 1892, სოფ. ვაქირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 13. XII. 1952, თბილისი), ვეტერინარი ექიმი. ვეტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1946). 1917 დაამთავრა ხარკოვის ვეტ. ინ-ტი. 1918–30 სპეციალობის მიხედვით ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა. 1937-იდან გარდაცვალებამდე იყო საქართვ. ზოოტექ. ვეტ. ინ-ტის ზოოჰიგიენისა და ვეტ. საფუძვლების კათედრის გამგე. შეისწავლა ცხოველთა სადგომში ამიაკის შემცველობის საკითხები, ქვეშსაფენად თაბაშირიანი მერგელის გამოყენების ზოოჰიგიენური მნიშვნელობა და სხვ. არის 3 სახელმძღვანელოსა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

კ. კაპანაძე.

მამალაძე გიორგი ტარასის ძე [(25. XII. 1895, თბილისი, – 1940, კატინი, სსრკ (ახლანდ. რფ)], სამხედრო მოღვაწე. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პოლონეთის ეროვნ. არმიის მაიორი. დაამთავრა თბილ. გიმნაზია და სამხ. სასწავლებელი, 1918–21 მსახურობდა საქართვ. დემოკრ. რესპ. სახალხო გვარდიაში. იყო 1921 თებ. კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებისა და 1921 მარტის ბათუმის ომის აქტ. მონაწილე. საქართვ. ოკუპაციის შემდეგ, 1921 მარტიდან, ემიგრაციაში წავიდა. დაამთავრა ვარშავის სამხ. აკადემია. მსახურობდა პოლონეთის ეროვნ. არმიაში. იყო ბატალიონის მეთაური და დივიზიის შტაბის უფროსი. გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ (1939) იყო პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1940, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ათასობით პოლონელ მებრძოლთან ერთად, დახვრიტეს კატინის ტყეში.

დაჯილდოებულია პოლონ. უმაღლესი ორდენით – ,,ვირტუტი მილიტარი''.

ლ. ურუშაძე.

მამალაძე იორამ არსენის ძე (15. XII. 1911, ზესტაფონი, – 4. VII. 1966, თბილისი), ფერმწერი, პეიზაჟისტი. საქართვ. დამს. მხატვარი (1957). 1926–28 სწავლობდა მ. თოიძის სამხატვრო სტუდიაში, 1928–32 – თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში. იყო გ. *გაბაშვილისა* და ე. *ლანსერეს* მოწაფე. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო (1940–45) და სამხატვრო-სამრეწველო (1945–48) სასწავლებლებში, თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1959–66). მონაწილეობას იღებდა გამოფენებში. აკვარელისა და ზეთის საღებავებით ხატავდა საქართვ. სხვადასხვა კუთხის პეიზაჟებს. ყურადღებას უთმობდა ,,ინდუსტრიულ პეიზაჟსაც''. მისი ძირითადი ნამუშევრებია: ,,ფერომანგანუმის ქარხანა'' (1937), ,,პიონერები იმერეთის სოფელში'' (1947, ორივე დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეა). და სხვ. მ. ფერწერისა და პერსპექტივის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორია.

მამალაძე იური გიორგის ძე (26. VI. 1929, თბილისი, – 16.



ლ. მამალაძე.



მ. მამალაძე.

VI. 2009, მოსკოვი), ფიზიკოსი. ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1984). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1952), მუშაობდა იქვე ექსპერ. ფიზ. კათედრაზე (1952–58), შემდგომ – საქართვ. მეცნ. აკადემიის ფიზ. (1958–66, 1969–2009) და ლ. ლანდაუს სახ. თეორ. ფიზ. (ჩერნოგოლოვკა, მოსკოვის ოლქი, 1966–69) ინ-ტებში.

მ-ის სამეცნ. კვლევები ძირითადად ეხება კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში დაბალი ტემპ-რის ფიზიკის კვლევების განვითარებაში. მ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიის თანაავტორი, ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

თხზ.: Квантование макроскопичеких движений и гидродинамика вращающегося гелия II, Тб.,1966 (თანაავტ. Э.Л. Андроникашвили); Физика сверхтекучего гелия. Квантованные вихри и вращение сверхтекучей жидкости, Тб., 1978 (თანაავტ. Э. Л. Андроникашвили, Дж.С. Цакадзе).

მამალაძე ლეონიდე სარდიონის ძე (16. VIII. 1910, შემახა, აზერბაიჯანი, – 24. IV. 1982, თბილისი), არქიტექტორი, მოქანდაკე, მხატვარი. საქართვ. სახ. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. ინდუსტრიული ინ-ტის არქიტ. ფაკ-ტი (1936). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1936–40). მხატვრად მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმსა'' (1941–46) და ,,მოსფილმში'' (1946–51). 1951–54 იყო საკავშ. სას.-სამ. გამოფენის საქ. სსრ პავილიონის მთ. მხატვარი, 1954-იდან კვლავ ,,ქართული ფილმის'' მხატვარია (1967–71 მთ. მხატვარი). პარალელურად, 1958-იდან იყო საქ. სსრ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთ. მხატვარ-არქიტექტორი. ნამუშევრები: მონუმენტები – ,,გონების აღმაფრენა'' (1960–61), ,,შემოქმედება'' (1971; ორივე გამოფენის ტერიტორიაზე), საქ. სსრ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონი მოსკოვში (პროექტი გ. ლეჟავასთან ერთად, 1960). გააფორმა კინოფილმები: ,,გიორგი სააკაძე'' (1943; რ. მირზაშვილსა და მ. გოცირიძესთან ერთად), ,,დავით გურამიშვილი'' (1946, ქ. ლებანიძესა და ა. უტკინთან ერთად), ,,ფიცი'' (1946), ,,სტალინგრადის ბრძოლა'' (1949; I ხარისხის სტალინური პრემია, 1950), ,,სპორტული ღირსება'' (1951), ,,ოთარაანთ ქვრივი'' (1958), ,,აბეზარა'' (1956), ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'' (1956), ,,მე ვიტყვი სიმართლეს'' (1957), ,,შეხვედრა მთაში'' (1966), ,,ტარიელ გოლუა'' (1968) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



შ. მამალაძე. ,,კოლხეთის პეიზაჟი''. 1951. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

მამალაძე მარინა თეიმურაზის ასული (დ. 22. XI. 1957, თბილისი), სტომატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2002), საქართვ. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (2012).

1979 დაამთავრა თსსი. 1984–95 იყო ამავე ინ-ტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი, 1995–2002 – დოცენტი, 2002–09 – პროფესორი. 2009-იდან ხელმძღვანელობს თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტს. 1994-იდან – სტომატოლოგიური კლინიკისა და სასწ.-კვლ. ცენტრ ,,უნიდენტის'' დირექტორია. 2007-იდან – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტ-სტომატოლოგი, საქართვ. სტომატოლოგთა პროფ. ასოციაციის პრეზიდენტი, საქართვ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი. 2010-იდან არის თსსუ-ის აკად. საბჭოს, 2013-იდან – ჟურნალ ,,Dent Art''-ის სარედაქციო საბჭოს, 2017-იდან კი – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ექსპერტი. 2013 აირჩიეს ,,სტომატოლოგთა საერთაშ. კოლეგიის'' წევრად. 2020-იდან კოლეგიის ევროპის სექციის ერთ-ერთი ვიცე-რეგენტია.

მ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 1 ძირითადი და 5 დამხმარე სახელმძღვანელოს, დაავადებათა მართვის ეროვნ. პროტოკოლებისა და სამედ. განათლების ავტორი და განმახორციელებელი.

მ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა: კბილთა რესტავრაცია და ენდოდონტური მკურნალობა, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა, გაუტკივარებისა და სედაციის პრობლემები სტომატოლოგიაში, კბილთა და სარესტავრაციო მასალების ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევა და სხვ.

მ. არის მრავალი საერთაშ. სამეცნ. კონფერენციის, სემინარის, კონგრესის მონაწილე, მომხსენებელი, ორგანიზატორი და განმახორციელებელი.

მამალაძე შალვა პეტრეს ძე [8 (20). VIII. 1895, სოფ. ხევი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 19. I. 1968, თბილისი], ფერმწერი, პეიზაჟისტი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1945). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1922–28), იქვე (1939-იდან) ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1959-იდან პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1930-იდან. 1943–50 იყო საქართვ. მხატვართა კავშირის გამგეობის თავრე. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: ,,სოფლის ხედი'' (1939), ,,საგურამო'' (1941), ,,ნოემბრის საღამო'' (1943), ,,დასავლეთ საქართველოს პეიზაჟი'' (1947), ,,მთის სოფელი'' (1956; ყველა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი), ,,შაორის ტბა'' (1960). მ-ის გაფორმებულია კინოფილმები: ,,ნარინჯის ველი'' (1937), ,,დიადი განთიადი'' (1938), ,,კოლხეთის ჩირაღდნები'' (1941) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მამალაძე ჯანგირ ალექსანდრეს ძე (23. XI. 1935, ლანჩხუთი, – 18. XII. 2009, თბილისი), ექიმი, მედიცინის ისტორიკოსი, ჯანდაცვის ორგანიზატორი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1992), საქართვ. დამს. ექიმი (1984).

1959 დაამთავრა თსსი. 1970–72 იყო გამომც. ,,საბჭოთა საქართველოს'' სამედ. ლიტ-რის რედაქციის გამგე, 1973-იდან – ჟურნ. ,,საქართველოს სამედიცინო მოამბის'', 1996-იდან – გაზ. ,,მედიცინის'' მთ. რედაქტორი. მ. ავტორია სამეცნ. პუბლიცისტური ნაშრომების, რ-ებიც ეხება მედიცინის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახ. პრემია (1990) და ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, სახელმძღვ. სტუდენტებისა და ექიმებისათვის, თბ., 2012.

მამალაძე–სტეპანოვი თეიმურაზ, იხ. *სტეპანოვი.*

მამამთავრიშვილი დავით გრიგოლის ძე (30. V. 1905, თბილისი, – 9. VI. 1980, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პრო-

ფესორი (1945), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1955).

1929 დაამთავრა თსუ-ის – სამედ. ფაკ-ტი; 1942–50 მუშაობდა ამიერკავკასიის ფრონტის, შემდეგ – ამიერკავკ. სამხ. ოლქის მთ. ქირურგად. 1950–53 იყო თსსი-ის პრორექტორი, 1953–54 – თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის რექტორი, 1954-იდან – ამავე ინ-ტის ქირურგიის II კათედრის გამგე, პარალელურად – საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი (1954–59).

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, რ-ებიც ეხება სისხლძარღვთა, სანაღვლე გზების, ნაწლავების, ჩიყვისა და მწვავე მუცლის ქირურგიულ მკურნალობას, ანესთეზიოლოგიისა და ქირურგ. ენდოკრინოლოგიის აქტუალურ საკითხებს და სხვ.

ლიტ.: მუცლის მწვავე ქირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა, თბ., 1956; ფილტვის კიბო, თბ., 1962; Болезни вен, М., 1964.

მამამთავრიშვილი ირაკლი დავითის ძე (26. VIII. 1940, თბილისი, – 18. VI. 2016, იქვე), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2006), კავკასიის ხალხთა სამეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (2002).

1964 დაამთავრა თსსი. 1964–67 იყო ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) რ-ნული საავადმყოფოს მეან-გინეკოლოგი; 1969 მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უმცროსი, შემდეგ უფრ. (1972–73) მეცნიერი მუშაკი; 1973–77 – სამედ. სისტემოტექნიკის ლაბორ. ხელმძღვანელი; 1977–79 – გურჯაანის სამშობიარო სახლის მთ. ექიმი; 1979–89 – კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ – ინ-ტის სწავლული მდივანი, გამგე; 1989–2006 – ორსულთა პათოლოგიის განყ-ბის გამგე; 2006-იდან – რეპროდუქციული მედიცინის ცენტრ ,,უნივერსის'' გენ. დირექტორის მოადგილე.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიების, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი, რ-ებიც ეხება დედისა და ნაყოფის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის პრობლემებს, საშვილოსნოს კუმშვადი აქტივობის რეგულაციის მექანიზმებს, პროფილაქტიკისა და მკურნალობის საკითხებს.

თხზ.: სისხლდენა მეანობაში, სახელმძღვანელო, თბ., 2000 (თანაავტ.: პ. კინტრაია, გ. გოცაძე).

მამამთავრიშვილი ოთარ გრიგოლის ძე (11. X. 1924, თბილისი, – 16. II. 1996, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1973), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1984), სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1994).

1948 დაამთავრა თსსი. იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ქირურგი (1976–79), თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ქირურგიის I კათედრის გამგე (1980–96).

მ-მა კლინიკურ პრაქტიკაში დანერგა ორიგინ. ოპერაციული მეთოდები კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ღვიძლსა და ელენთაზე. აღსანიშნავია ექსტრაპერიტონიზაციის მეთოდი, რ-ითაც ხდება ინფექციის შესაძლო კერის იზოლაცია პერიტონეუმის ღრუდან, რაც პერიტონიტის პრევენციის ძირითადი პირობაა და სხვ.

მ. იყო საქართვ. ქირურგ. სამეცნ. საზ-ბის გამგეობისა (1976–79) და ბელორუსის სამეცნ. ქირურგ. საზ-ბის საპატიო (1978) წევრი. აკად. გ. მუხაძის სახ. ქირურგ. საზ-ბის თავ-რე (1994–96).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მამამძუძეობა (მამამძუძე – გამზრდელი), – სხვის ოჯახში შვილის ვაჟის გასაზრდელად გაბარების ჩვეულება. გავრცელებული იყო მსოფლიოს ხალხების (ძვ. კელტები, არაბები, კავკასიელები და სხვ.) ყოფაში. ვარაუდობენ, რომ მ-ის ინ-ტი შემონახული იყო პატრიარქალური გვარიდან ფეოდ. საზ-ბის ჩათვლით. წარჩინებულთა ოჯახები ჩვილ ვაჟებს აღსაზრდელად თავიანთ ვასალებს ან მსახურებს აბარებდნენ. ჩრდ. კავკასიაში (ყაბარდოელები, ჩერქეზები და ოსები) მ-ის ტრადიცია შემონახული იყო ათალიკობის სახელწოდებით. 7–8 წლამდე ბავშვს ზრდიდა ათალიკის ცოლი – ძიძა-გამზრდელი (ამ მნიშვნელობით „დაბადების" ქართულ თარგმანში მოხსენებულია დედამძუძე), შემდეგ კი მის აღზრდაზე თვითონ მამამძუძე ზრუნავდა: ასწავლიდა ცხენზე ჯდომას, ჯირითს, იარაღის ხმარებას, თავაზიან სიტყვა-პასუხს, აჩვევდა მამაცობას და ა. შ. დაჭაბუკებულ აღსაზრდელს მამამძუძე ასაჩუქრებდა და საზეიმო ვითარებაში აბრუნებდა მამის სახლში, სადაც ამის აღსანიშნავად წვეულება იმართებოდა. მ. ძველად საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული. იხსენიება V ს. ქართ. ისტ. წყაროებში („შუშანიკის წამება"). ჯუანშერის სიტყვით, ვახტანგ გორგასლის დროს „წესი იყო, რომ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან". ფეოდ. ურთიერთობის დაშლის შემდეგ მ. არსებითად მოიშალა, თუმცა ეს ტრადიცია ზოგან გლეხობაში, განსაკუთრებით დას. საქართვ. მთიანეთში, მაინც შემორჩა; დადასტურებულია ზემო რაჭაში „სხვისიშვილობა", რ-იც ხელოვნური ნათესაობის თავისებურ ფორმასთან, „კერძმოკეთეობასთან" იყო დაკავშირებული. ამ ჩვეულების თანახმად, რაჭველი გლეხი ჩვილ ვაჟიშვილს აღსაზრდელად გააძიძავებდა ჩრდ. კავკასიელი მეგობრის – კერძის ოჯახში. აღსაზრდელისა და აღმზრდელის ოჯახთა წევრებს შორის ამ ნიადაგზე მყარდებოდა ე. წ. ძუძუთი ნათესაობა, რაც მათ შორის ქორწინებას კრძალავდა.

ლიტ.: კვაშილავა ი., ეთნოკულტურული ეტიუდები, თბ., 2018, ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6); Косвен М. О., Аталычество, „Советская этнография", 1935, №2; Смирнова Я. С., Аталычество и усыновления у Абхазов. в XIX–XX вв., ,,Советская этнография'', 1951, №2.




დ. მამამთავრიშვილი.



ო. მამამთავრიშვილი.

მამარდაშვილი მერაბ კონსტანტინეს ძე (15. IX. 1930, გორი, – 25. X. 1990, მოსკოვი. დაკრძალულია თბილისში), ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972). სწავლობდა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე (1949–54). 1957–61 მუშაობდა ჟურნ. ,,Вопросы философии''-ს რედაქციაში; 1968–74 იყო ამავე ჟურნალის რედაქტორის მოადგილე, ხოლო 1961–66 – ჟურნ. ,,Проблемы мира и социализма'' (პრაღა) რედაქტორის მოადგილე. მუშაობდა მოსკოვის საერთაშ. მუშათა მოძრაობის (1966–68) და სსრკ მეცნ. აკად. ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტ. (1974–80) ინ-ტებში, 1980-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტში, სადაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ბუნებისმეტყველების ფილოს. პრობლემების განყ-ბას, შემდეგ – ცნობიერების ფილოს. პრობლემის



მ. კ. მამარდაშვილი.

შემსწავლელ ჯგუფს. მოსკოვში, თბილისსა და პარიზში კითხულობდა სალექციო კურსს ცნობიერების, აზროვნებისა და სხვა ფილოს. პრობლემების თემატიკაზე.

მ-მა მკაცრი იდეოლოგიური შეზღუდვების პირობებში სცადა ნათელეყო ფილოს. აზროვნების თავისებურება და, ზოგადად, მისი მეცნ. ბუნება. ეს მან განახორციელა როგორც დეკარტისა და კანტის ფილოსოფიის გააზრებით, ისე XX ს. მხატვრული აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებების, სახელდობრ, მ. პრუსტის ცნობილი რომანის (,,დაკარგული დროის ძიებაში'') ანალიზით. სხვადასხვა სამეცნ. და საგანმან. ინ-ტებში წაკითხული ლექციების საფუძველზე გამოქვეყნდა მ-ის ლექციების კურსი ,,Классический и неклассический идеалы рациональности'' (1994) და ,,Необходимость себя. Введение в философию'' (1996).



ვ. მამასახლისოვი.

ცნობიერება მ-ს ესმის როგორც თავისუფლების აქტი, როგორც ადამიანის თვითტრანსცენდენტირება. სწორედ ცნობიერების უნარის მეშვეობით ადამიანს შეუძლია ,,გავიდეს'' ემპირიულ ხდომილობათა ნატურალური რიგიდან. ამდენად, ყველა ფილოსოფიური პრობლემა შეიძლება გავიგოთ როგორც ცნობიერების აქტების ანალიზის შედეგი. ფილოსოფია იგივეა, რაც მეტაფიზიკა. ის, რაზეც ფილოსოფოსი რეფლექსიას ახდენს, არის ადამიანის თვითტრანსცენდენტირება, მაგრამ ფილოსოფოსს არ შეუძლია თვითონაც გავიდეს სამყაროდან და მოიპოვოს რაღაც პრივილეგიური წერტილი, საიდანაც გამოჩნდება ტრანსცენდენციის აქტი – ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის მიმართება.

მ-ის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში მისი კვლევის ძირითადი მიმართულება იყო სოც.-პოლიტ. სინამდვილის ანალიზი ონტოლოგიური თვალსაზრისით, რაც ჩამოაყალიბა არა მხოლოდ წმინდა მეცნიერულ, არამედ პუბლიცისტურ ნაშრომებსა და ინტერვიუებში.

თავის კვლევაში მ. ძირითადად ეყრდნობოდა კლასიკურ ტრადიციას, განსაკუთრებით პლატონის, დეკარტის, კანტის ნააზრევს. ამ სამი ფილოსოფოსის კონცეფციათა განხილვას მან მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები: ,,ანტიკური ფილოსოფია'', ,,კარტეზიანული განაზრებანი'' და ,,კანტიანური ვარიაციები''.

მ-ის ფილოს. მოღვაწეობამ ფართო საერთაშ. აღიარება მოიპოვა.

XX ს. 80-იან წლებში მ. აქტიურად ჩაება ქართ. ეროვნ. მოძრაობაში, ცდილობდა თავისუფლებისთვის ბრძოლა არ დაპირისპირებოდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

საფრანგეთში, ,,პარიზის ქართულ-ევროპულ ინსტიტუტში'' 1992 დაარსდა მ-ის სახ. პრემია. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დგას მ-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ნეიზვესტნი).

თხზ.: საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992; Формы и содержание мышления. Критика гегелевского учения о формах познания, М., 1968; Как я понимаю философию, М., 1990; 1994: Классический и неклассический идеалы рациональности, Тб., 1993; Картезианские размышления, М., 1993; Лекции о Прусте, М., 1995; Стрела познания. Набросок естественнонаучной гносеологии, М., 1997.

ო. ჯიოევი.

მამასახლისი, სახლის, გვარის ან თემის მეთაური. პირველყოფილი თემური წყობილების დროს მ. გვარის უხუცესი იყო. გვაროვნული წყობილების ელემენტები, მისი გადმონაშთები მამასახლისობის ინ-ტმა გვიანდ. ფეოდ. პერიოდშიც შეინარჩუნა. სოფლის მ. უმრავლეს შემთხვევაში გლეხთა წრეს ეკუთვნოდა. იგი იყო ადმ. ფუნქციების მქონე დაბალი რანგის მოხელე, რ-საც ევალებოდა სოფლისათვის ეცნობებინა ცენტრ. ორგანოების ბრძანება-განკარგულებანი, გაერჩია სისხლისა და სამოქალაქო სამართ. შედარებით მარტივი საქმეები, დახმარებოდა სათანადო მოხელეებს გადასახადების გაწერა-აკრეფაში და სხვ. გლეხები მ-ის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდნენ, თვით მ. კი გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. ვახტანგ VI-ის *დასტურლამალის* მიხედვით, სახასო მამულებში მ-ს მეფე ნიშნავდა. თავიანთი მ-ები ჰყავდათ აგრეთვე მსხვილ ფეოდალებს. ქალაქის მ-ს *მოურავთან, მელიქსა* და *ნაცვალთან* ერთად ბაზრის, ვაჭრობის საქმეები ექვემდებარებოდა; იგი ახორციელებდა ადმ. ფუნქციებს ქალაქის მოსახლეობის მიმართ, მონაწილეობდა სასამართლო საქმეების გარჩევაში და სხვ. თბილ. მ-ისა და მელიქის სახელოები XVIII ს-ში ერთი პირის ხელში გაერთიანდა.

მ. ერქვა აგრეთვე სამონასტრო ძმობის უფროსს, წინამძღვარს. სას. დაწესებულებათა მ-ებს, გარდა სარწმუნოებრივი საკითხებისა, ყოველგვარი ადმ. და სამეურნეო ხასიათის საქმეებიც ეხებოდა. რუსეთის მმართველობის პერიოდში რევოლუციამდელ საქართველოში მ., რუს. ,,სტაროსტის'' კვალად, არჩევითი მოხელე იყო და სოფლად ასრულებდა ადმ.-პოლიც. მოვალეობებს.

მ. ეწოდება აგრეთვე არჩეულ ან დანიშნულ პირს, რ-იც ხელმძღვანელობდა რომელიმე მცირე კოლექტივის საქმეებს (მაგ., კლასის მ., ჯგუფის მ.).

ლიტ.: თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; სურგულაძე ი., მამასახლისობის ინსტიტუტის შესახებ, ,,მაცნე. ისტ., არქეოლ, ეთნოგრ და ხელოვნ. ისტორიის სერია'', 1972, № 4; მისივე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; შანიძე ა., მამასახლისი XI საუკუნის საქართველოში, ,,მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია'', 1971, № 1; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1982, ტ .7, თბ., 1984.

ი. სურგულაძე.

მამასახლისოვი ვაგან ივანეს ძე [22. XI (5. XII). 1907, თბილისი, – 19. VI. 1972, იქვე], ფიზიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1944). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ-ის მათემატიკის ფაკ-ტი (1930). ხელმძღვანელობდა თსუ-ის თეორ. ფიზ. კათედრას (1937-იდან), საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. და გეოფიზ. ინ-ტის თეორ. ფიზ. განყ-ბას (1941-იდან), ფიზ. ინ-ტის ატომბირთვის თეორ. ლაბორატორიას (1964).

მ-ის შრომები ძირითადად ეხება ატომბირთვის თეორიას. მან საფუძველი ჩაუყარა და შემდგომ მოწაფეებთან ერთად განავითარა ატომბირთვის ე. წ. ნუკლონთა ასოციაციების, ანუ კლასტერული მოდელი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თეორიული ფიზიკა, თბ., 1967 (თანაავტ. გ. ჭილაშვილი); კვანტური მექანიკა, თბ., 1969 (თანაავტ.: ი. ვაშაკიძე, გ .ჭილაშვილი); Избранные труды, Тб., 1976.

ლიტ.: ჭილაშვილი გ., ვაგან მამასახლისოვი, თბ., 1968.

გ. ჭილაშვილი.

მამაცაშვილი ავთანდილ ნიკოლოზის ძე (დ. 7. V. 1938, თბილისი), დირიჟორი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). 1966 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (პედ-ები: ვ. ფალიაშვილი, ჯ. გოკიელი), 1970 კი – საოპერო, სიმფ.-სადირიჟორო ფაკ-ტი (პედ.

ო. დიმიტრიადი). 1959–66 იყო თბილ. III მუს. სასწავლებლის, 1966–71 – თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგი; 1968–73 – საქართვ. ფილარმონიის, 1972–83 – თბილ. მუსკომედიის, 1972–81 – ლოძის (პოლონეთი) საოპერო, 1982–84 – კიევის, 1984–93 – თბილისისა და ქუთაისის (1987) ოპერისა და ბალეტის თეატრების დირიჟორი, იმავდროულად (1980-იდან) – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პედაგოგი და საოპერო სტუდიის დირიჟორი. 1988–93 დაარსა „ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი“ (სამხატვრო ხელმძღვ. და მთ. დირიჟორი). მ-მა აშშ-ში (1990) ამ ორკესტრთან და ამერიკელ მომღერლებთან ერთად ქართულ ენაზე დადგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. 1997 ჩამოაყალიბა კამერული ორკესტრი ქუთაისში. მ-ის დირიჟორობით შესრულდა ზ. ფალიაშვილის „დაისი“, ო. თაქთაქიშვილის „მუსუსი“ და „პირველი სიყვარული“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ბ. კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“, გ. ყანჩელის „... და არს მუსიკა“, ჯ. და ვ. კახიძეების „ბარბალე“; მ-ს რეპერტუარში იყო აგრეთვე ა. მოცარტის „დონ ჟუანი“, მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“, ჟ. ბიზეს „კარმენი“, ჯ. პუჩინის „ბოჰემა“ და სხვ. მუსკომედიაში – ვ. აზარაშვილის „შვიდნი ძმანი გურჯანელნი“, გ. ცაბაძის „თოვლიანი მთების მელოდიები“, შ. მილორავას „ჩანჩურა“, „ძუნწი“, ა. მაჭავარიანის „ბაღლინჯო“ და სხვ. აგრეთვე ფ. ღლონტის, ვ. აზარაშვილის, ვ. კუხიანიძის, ნ. გუდიაშვილის, ა. შავერზაშვილისა და სხვათა სიმფონიური ნაწარმოებები.

ლიტ.: წულუკიძე თ., არაერთი სიახლის წამომწყები, „მუსიკა“, 2013, №1.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

მამაცაშვილი იოსებ ქრისტეფორეს ძე (1810, სოფ. რუისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1874, გორი, დაკრძალულია სოფ. რუისში), საზოგადო მოღვაწე, მწერალი. დაამთავრა თბილ. სას. სემინარია (1827). მუშაობდა გორის ოლქის უფროსის კანცელარიაში, შემდეგ – თბილისში, უზენაესი მმართველობის კანცელარიაში (1829-იდან – თარჯიმანი). როგორც 1832 შეთქმულების მონაწილე, 1832–36 დაპატიმრებული იყო, შემდეგ გადაასახლეს ვიატკაში, სადაც გაეცნო ა. გერცენს. 1836-იდან გორში ცხოვრობდა. საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში იცავდა ყმა გლეხების ინტერესებს, რისთვისაც მეორედ გადაასახლეს. XIX ს. 60-იან წლების დასაწყისში წერილებს, ლექსებსა და თარგმანებს აქვეყნებდა ჟურნ. ,,ცისკარსა“ და ,,გუთნისდედაში“, მონაწილეობდა გორის დრამ. წრის მუშაობაში. მ-ის ოჯახში იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: ი. გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, ა. ფურცელაძე, კ. მამაცაშვილი, ვ. თულაშვილი და სხვ. აქ დაიბადა პირველად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის დაარსების იდეა.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 2, თბ., 1970; საკაძე შ., გერცენის ქართველი მეგობარი, ,,ლიტერატურული გაზეთი“, 1957, 11 ნოემბ., №45.

მ. გოზალიშვილი.

მამაცაშვილი კონსტანტინე იოსების ძე (26. I. 1849, თბილისი, – 1908-ის შემდეგ), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1907). დაამთავრა მოსკოვის პირველი სამხ. გიმნაზია (1866) და საარტილერიო სამხ. სასწავლებელი (1868). 1872-იდან მსახურობდა მე-16 გრენადერთა მინგრელსკის პოლკში. რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომის მონაწილე. მეთაურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგადის I ბატარეას (1893–1895), მე-6 მორტირთა საარტილერიო პოლკს (1901–04), მე-5 მორტირთა საარტილერიო დივიზიონს (1905–07), აღმ. ციმბირის მე-9 მსროლელ საარტილერიო ბრიგადას (1907–08).

მ. გოგიტიძე.


მამაცაშვილი კონსტანტინე ქაიხოსროს (ქრისტეფორე) ძე (25. XI. 1818, სოფ. რუისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 30. X. 1900, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ადიუტანტი (1871), საზოგადო მოღვაწე. 1837 დაამთავრა პეტერბურგის კადეტთა კორპუსი, იმავე წლიდან მსახურობდა კავკ. გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში. მონაწილეობდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო კავკასიის, ყირიმის (1853–56), რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომების მონაწილე, ჩოლოქის ბრძოლის (1854) გმირი. კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური (1856). გენ.-ლეიტენანტი (1869-იდან). ამავე წელს დაინიშნა კავკასიის არმიის არტილერიის სარდლის თანაშემწედ. 1877-იდან იყო განჯის გუბერნატორი და განჯა-ნუხის მიდამოებში განლაგებული ჯარის უფროსი. 1884-იდან თადარიგში გავიდა. დ. *ყიფიანთან* ერთად დიდი წვლილი შეიტანა სათავადაზნაურო ბანკის დაარსებასა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ჩამოყალიბებაში, იყო სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მამაცაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე (4. XII. 1894, თბილისი, – 3. XII. 1969, იქვე), ქორმაისტერი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). 1917 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, სადაც შეისწავლა საეკლ. საგალობლები, ქართ. სასიმღერო ფოლკლორი და ვიოლინოზე დაკვრა (ხელმძღვ. ნ. სულხანიშვილი). სწავლის პერიოდში გ. ლეონიძის ლექსზე დაწერა საგუნდო სიმღერა ,,ელეგია“ (1910). იყო თბილისში 80 მომღერლისგან შედგენილი ეგზარქოსის გუნდის პირველი ქართვ. რეგენტი. 1917 მიიწვიეს რუს. მუს. კომედიის დასში. 1921-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. მუს. სასწავლებელში. პარალელურად დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1936). 1931–36 იყო უკრაინული მუს.-დრამ. წრის სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი, 1938 – ამიერკავკ. სამხ. ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვ. და დირიჟორი, 1939–48 – თბილ. მუს. სკოლის პედაგოგი, შემდეგ – დირექტორი, 1940–51 – თბილ. მუს. კომედიის თეატრის ქორმაისტერი. 1951 კოჰტლა-იარვეში (ესტონეთი) ხელმძღვანელობდა თავისსავე ჩამოყალიბებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს; შემდეგ მოღვაწეობდა თბილ. მუს. კომედიისა (ქორმაისტერი) და რუსთაველის (ლოტბარ-პედაგოგი) თეატრებში, თბილ. ,,ნიჭიერთა ათწლედში.“

მ-ის რეპერტუარში იყო მუსიკალური კომედიები: გ. ცაბაძის ,,ბრწყინვალე მომავალი“ (1950), ნ. გუდიაშვილის ,,საჩუქარი“ (1951), რ. გაბიჩვაძის ,,ჭრიჭინა“ (1952), დ. თორაძის ,,შურისმაძიებელნი“ (1952), შ. აზმაიფარაშვილის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1952), შ. მილორავას ,,სასიძოები“ (1953) და სხვ. გუნდისათვის



ა. ნ. მამაცაშვილი.



ნ. მამაცაშვილი.

გადაამუშავა დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის, ო. თევდორაძის, რ. ლაღიძის ო. თაქთაქიშვილის, ს. მირიანაშვილის და სხვათა სიმღერები.

ლიტ.: კობახიძე ბ., რუსთაველის თეატრის ლოტბარი, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1966, №6.

მამაცაშვილი ქაიხოსრო (ქრისტეფორე) იოსების ძე (5. IV. 1839, სოფ. რუისი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 11. IV. 1909, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1900). ჯარში მსახურობდა 1857-იდან. იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე, მაიკოპის მაზრის სამხ. უფროსი (1878–87), კავკასიის გრენადერთა საარტილერიო და 34-ე საარტილერიო ბრიგადებში მე-2 მსროლელი საარტილერიო დივიზიონის მეთაური (1887–1900).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

მამაცაშვილი–ბაძრიძე მელანია (დ. და გ. წლები უცნობია), მწერალი. მოღვაწეობდა XIX ს. 50-იან წლებში. ცხოვრობდა სოფ. რუისში (ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი), შემდეგ – გორსა და თბილისში. დაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში, შეისწავლა რუს. ენა., მ.-ბ-ის დაუმთავრებელი მოთხრობის ,,კატო და ანას'' რუს. თარგმანი დაიბეჭდა ალმანახ ,,ზურნაში'' (1855). მოთხრობა ასახავს იმდროინდელ საზ. ყოფას. მისი ნაწარმოებები გამოირჩევა მოვლენათა რეალისტური ასახვით. გაზ. ,,კავკაზის'' რედაქტორმა ე. ვერდერევსკიმ მ.-ბ-ს მიუძღვნა წერილი (1854, № 59), რ-საც ერთვის მწერლის ავტობიოგრაფიის ფრაგმენტები.

ლიტ.: კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები ორ წიგნად, წგ. 1, თბ., 1965; ღამბაშიძე ნ., ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნეში, თბ., 2020; ხუციშვილი ს., ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1969.

ს. ხუციშვილი.

მამაწმინდა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკა), ახლანდ. სოფ. იბრიქლიში (Ibrikli).

ეკლესია გუმბათოვანია, მიეკუთვნება ე. წ. კუპელჰალეს ტიპს. თავისი სტრუქტურით იგი მტკიცედ უკავშირდება ქართ. ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, თუმცა თავისებურებების გამო ამ ტიპის ცნობილი ნიმუშებისგან განსხვავდება: ეკლესია უაფსიდოა, საკურთხევლის გვერდებზე არ არის განცალკევებული სადგომები – სამკვეთლო და სადიაკვნე, ხოლო სივრცობრივი ჯვრის მკლავები, რებიც გუმბათქვეშა კვადრატს ოთხივე მხრიდან ერთვის, აქ იმდენად მცირე სიღრმისაა (დაახლ. 70 სმ), რომ შიდა სივრცის ფორმირებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა თითქმის არა აქვს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გამარტივებული სახით, ეს არქიტ. ტიპი, საქართვ. დანარჩენ კუთხეებში არ გვხვდება.

ეკლესიის კედლები შიგნიდან ნატეხი ქვით არის ნაგები, კონსტრ. ელემენტები კი სუფთად ნათალი ქვითაა გამოყვანილი. კედლები გარედან მოპირკეთებულია მეტ-ნაკლებად წესიერად თლილი ფოროვანი ქვით (დიდი ნაწილი ჩამოცვენილია). ინტერიერი შელესილი და მოხატულია.



მამაწმინდა.

ეკლესიის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (6,4×6,0 *მ*). გუმბათი ეყრდნობა გრძივი კედლების შვერილებს, რ-ებიც, არსებითად, თვითონაც კედლის მონაკვეთს წარმოადგენს. ჯვრის ოთხივე მკლავი თანაბარი სიღრმისაა და ცილინდრული კამარა ხურავს. აღმ. და დას. მკლავების გვერდითი კედლების ქვედა ნაწილში თითო თაღოვანი უბეა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხდება. გუმბათის ყელში არსებული ოთხი სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ოთხი სარკმელი ანათებს, რ-ებიც ოთხივე კედლის ღერძზეა გაჭრილი. მათგან დას-ისა, ეკლესიაზე ამ მხრიდან მოგვიანებით მიშენებული, გეგმით კვადრატული (3,8 *მ* × 3,8 *მ*) სადგომითაა დაფარული. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიაში სწორედ ამ მხრიდანაა.

გარედან ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი შენობის აღნაგობა აქვს: ჯვრის ოთხივე მკლავი ორფერდა სახურავითაა გადახურული, მათ გადაკვეთაზე აღმართული გუმბათის ყელი კი შენობის ცენტრშია, რ-იც ფართოდ აზის ტაძრის ქვედა ტანს. დამუშავების მხრივ ეკლესიის ფასადები უაღრესად მარტივია. ეკლესია არქიტ. ნიშნებით, სავარაუდოდ, XVI ს-ით თარიღდება (ამავე ხანას მიაკუთვნებს ეკლესიას არქიტექტურის ისტორიკოსი ა. პავლინოვი, რ-მაც ეკლესია 1888 მოინახულა).

შიგნით, გუმბათის ყელში და კედლების ზედა ნაწილებში შემორჩენილია მოხატულობის ნაშთები. გამოსახულებებს ახლავს ქართ. და ბერძნული წარწერები. მ. შ. ქართ. ასომთავრულით შესრულებული ისტ. შინაარსის მქონე წარწერაცაა, რ-იც ბუნებრივი და ხელოვნური დაზიანების გამო სრულად არ იკითხება. წარწერა 5 ნაწილად არის დაყოფილი. დღეისათვის მეტ-ნაკლებად განირჩევა 4 ნაწილი. ისტორიკოსი ბ. კუდავა ფიქრობს, რომ წარწერა სქტიტორო ხასიათისაა და იგი ტაძრის მშენებლობას უკავშირდება. ხელოვნების ისტორიკოს ვ. ჯობაძის აზრით, მოხატულობა შესაძლოა შესრულებული იყოს იმავე მხატვრის მიერ, რ-მაც მოხატა ისტორიულ ლაზეთში, ქ. ტრაპიზონის მახლობლად მდებარე სუმელას ქართ. მართმადიდებლური მონასტერი.

ლიტ.: ბერიძე ე., ნიგალი, თბ., 1989; გენგიური ნ., უპელჰალე, თბ., 2005; კუდავა ბ., მამაწმინდის ეკლესიის სქტიტორო წარწერა, საქართველოს სიძველენი, ტ. 19, თბ., 2016; ხოშტარია დ., კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2005; ჯობაძე ვ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007; Павлинов А. М., Экспедиция на Кавказ 1888 года, „Материалы по археологии Кавказа", вып. 3, М., 1893; Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, Leiden, vol. 8, 2010; Thierry, J-M., Les Monuments Géorgiens de Turquie Orientale, Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes, No 5, P. 1989, p. 140.

თ. დვალი.

„მამებისა" და „შვილების" ბრძოლა, პოლემიკა იდეურ-მსოფლმხედველობრივ, ლიტერატურულ და ენობრივ საკითხებზე მწერალთა და ლიტერატორთა ძველ და ახალ თაობებს შორის XIX ს. 60–70-იან წლებში. პოლემიკის სა-

ბაბი გახდა ი. ჭავჭავაძის ლიტ.-კრიტ. წერილი ,,ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან ,,შეშლილის'' თარგმნაზედა'' (,,ცისკარი'', 1861, №4). რ. ერისთავისეული თარგმანი (,,ცისკარი'', 1860, №4) და პოემაც ი. ჭავჭავაძემ მძაფრად გააკრიტიკა. ამ წერილით მან განსაზღვრა ქართ. ლიტ-რისა და სალიტ. ენის შემდგომი განვითარების გზა.

ი. ჭავჭავაძის შეფასებით, ი. კოზლოვი ,,კარამზინის სკოლის'', ანუ სენტიმენტალიზმის, წარმომადგენელი, უმნიშვნელო მწერალი იყო, ხოლო ,,შეშლილი'' მის ,,ცუდ პოემებში უცუდესი''. პოემის ერისთავისეულ თარგმანს ილია კიდევ უფრო მკაცრ შეფასებას აძლევდა: ,,მისი თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს. თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს''. ამავე წერილში განაცხადა ილიამ პირველად ქართული ანბანის ასო-ნიშნების უ, ჱ, ჲ, ჯ, ჴ შესახებ: ,,ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენ სტატიაში; თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ''.ილიას ამ წერილს უფროსი თაობის ლიტერატორთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მის საპასუხოდ ,,ცისკრის'' მომდევნო (მე-5) ნომერში დაიბეჭდა ბ. ჯორჯაძის წერილი ,,თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ'', რ. ერისთავის ,,პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა'' და გ. ბარათოვის (ბარათაშვილის) ,,წერილი რედაქტორთან''. ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს თვით ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრიტიკაზე; ამ მხრივ მათი ცალკეული ენობრივი შენიშვნები მართებულიც იყო, მაგრამ ამით ილიას ზოგად დებულებებს ვერავინ შეარყევდა.

ილიამ წერილში ,,პასუხი'' (,,ცისკარი'', 1861, № 6) კიდევ უფრო ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა შეხედულებანი საზ. ცხოვრებაში ლიტ-რის, ხელოვნების როლისა და ადგილის, სალიტ. ენის ხალხურობის შესახებ, დაასაბუთა უფუნქციო ასოთა უკუგდების აუცილებლობა და სხვ.

ილიას ,,პასუხს'' ,,ცისკრის'' რედაქციამ ვრცელი შენიშვნები დაურთო, რითაც ჟურნალი აშკარად უფროს თაობას მიემხრო და დაუპირისპირდა ,,შვილებს''. ჟურნალის ამავე ნომერში გამოქვეყნდა ს. მესხიევის (მესხიშვილის) ,,უსტარი ანტიკრიტიკული'', მიმართული ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ილიას არც ეს ,,უსტარი'' დაუტოვებია უპასუხოდ, მაგრამ მისი წერილი ,,სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო'' თავის დროზე რატომღაც არ დაბეჭდილა. ,,ცისკარში'' (1861, №9) თავდაპირველად გამოქვეყნდა ბ. ჯორჯაძის ,,პასუხის პასუხი'', შემდეგ კი (1862, №2) – ,,წერილი რედაქტორთან'', რ-საც ხელს აწერდა ,,ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ეფთვიმე'' (მწერალ გ. წერეთლის მამა). წერილმა განსაკუთრებით გააღიზიანა ,,შვილები''. მას სამი საპასუხო წერილი მოჰყვა: ,,წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა'', ,,რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ'' (ორივე ,,ცისკარი'', 1862, №4) და ,,ახირებული ფურცელი'' (,,ცისკარი'', 1862, №5). პირველი ორი გამოქვეყნდა ,,თერგდალეულის'' ფსევდონიმით, მესამეს კი ხელს აწერდა ,,მესამე თერგდალეული''. პირველი წერილი ეკუთვნოდა კ. ლორთქიფანიძეს, მეორე – ს. აბაშიძეს, მესამე – ა. წერეთელს.

1863 წ. იანვრიდან გამოსვლა იწყო ახ. სალიტ. ჟურნალმა ,,საქართველოს მოამბემ'' (რედ. ი. ჭავჭავაძე), რ-იც, თავისთავად, ,,შვილების'' დიდი გამარჯვება იყო. ,,მამებს'' კამათი აღარ გაუგრძელებიათ.

,,მამებსა'' და ,,შვილებს'' შორის უთანხმოებამ ახალი ძალით იფეთქა 1871. საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლის წინ თავადაზნაურობის ყრილობაზე საკამათოდ იქცა საკითხი, რა ეთხოვათ იმპერატორისათვის: სამხ. სასწავლებლის (კადეტთა კორპუსის) გახსნა, თუ უნ-ტის დაარსება თბილისში. ,,შვილების'' აქტიური მხარდაჭერით გაიმარჯვა უნ-ტის დაარსების იდეამ, მაგრამ იმდროინდელი გავლენიანი პირებისაგან შემდგარმა კომისიამ, მეფისნაცვალ ბარონ ნიკოლაისა და თავადაზნაურობის მარშალ რ. ანდრონიკაშვილის რჩევით, შეცვალა იმპერატორისათვის მისართმევი ადრესის პროექტი და, უმრავლესობის სურვილის მიუხედავად, კადეტთა კორპუსის გახსნა ითხოვა. ამან აღაშფოთა ,,თერგდალეულთა'' თაობა, განსაკუთრებით მათი ლიდერი – ი. ჭავჭავაძე. ამით იყო გამოწვეული მისი მწვავე პამფლეტები ,,გამოცანებისა'' და ,,კიდევ გამოცანების'' სახელწოდებით, რ-ებშიც გაკრიტიკებული იყვნენ მაღალჩინოსანი ქართვ. მოხელეები, მ. შ. რ. ანდრონიკაშვილი, გ. და ი. მუხრანბატონები, პ. იოსელიანი, გ. ორბელიანი და სხვ. ილიას ,,გამოცანების'' საპასუხოდ გ. ორბელიანმა დაწერა ლექსი ,,პასუხი შვილთა'', რ-საც მოჰყვა ილიას ,,პასუხის პასუხი'', აკაკის ,,ხარაბუზა ღენერალს'', ,,კოღონბუზების პასუხი'', ,,პატრიოტის აღსარება'' და სხვ.

,,მამებისა'' და ,,შვილების'' პოლემიკის შედეგი იყო ორთოგრაფიის გამარტივება და ე. წ. ,,ზედმეტი ასოების'' ამოღება ხმარებიდან ხალხურ მეტყველებაში გავრცელებული ლექსიკისა და გრამატ. ფორმების დანერგვა სალიტ. ენაში, საერთაშ. ტერმინების გავრცელება, ბარბარიზმების უკუგდება, სამი სტილის თეორიის დაგმობა და ა. შ. ამ ბრძოლის დევიზად იქცა ,,მამული, ენა, სარწმუნოება''.

ლიტ.: გაწერელია ა., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1948; ინგოროყვა პ., ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1951; კალანდარიშვილი გ., XIX საუკუნის 70-იან წლებში ,,მამათა და შვილთა'' პოლემიკის ზნეობრივ-რელიგიური ასპექტები, წგ.: ილიას კრებული, ტ. 2, თბ., 2004; ნინიძე ქ., მამათა და შვილთა ოპოზიციის შინაარსი, წგ.: მილიტარისტული ნარატივის მორფოლოგია, თბ., 2009; ჭუმბურიძე ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 1974.

ზ. ჭუმბურიძე.

მამედლი იმირ მამედის ძე [დ. 7. VIII. 1957, სოფ. ფაშიანი (ახლანდ. კალოუბანი), კასპის მუნიციპალიტეტი], აზერბაიჯანელი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998). 1980 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო საქართვ. სახელმწ. ტელე-რადიო კომიტეტში, ასევე – გაზ. ,,სოვეტ გურჯისტანის'' რედაქციაში. 1992–96 იყო საქართვ. პრეზიდენტის კონსულტანტი და მრჩეველი; 1996–2000 – საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კის, შემდეგ კი – რეგიონული პოლიტიკისა და ადმ. სამსახურის უფროსის მოადგილე. ამჟამად მ. ცხოვრობს და მოღვაწეობს აზერბაიჯანში (ბაქო). არის აზერბ. მწერალთა კავშირის საქართვ. განყ-ბის თავ-რე.

მ. წერს, როგორც აზერბაიჯანულ, ისე ქართულ ენაზე. მისი სამეცნ.-პუბლიც. და მთარგმნელობითი მოღვაწეობა ასახულია ოცზე მეტ წიგნსა და პუბლიც. სტატია-

ში. მან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'', ვაჟა-ფშაველას ,,ალუდა ქეთელაური'' და ,,სტუმარ-მასპინძელი'', გ. ფანჯიკიძის ,,თვალი პატიოსანი'', ჯ. ჩარკვიანის, მ. ფოცხიშვილის ლექსები და სხვ.

მ. არის ი. მაჩაბლის სახ. პრემიის ლაურეატი (1997). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: ჩვენი ესპერანტო. აზერბაიჯანულ-ქართული საზიარო სიტყვები, თბ., 2002; ნოველები, თბ., 2002; ფიქრთაღრიცხვა (ლექსები), თბ., 2003; 100 ლექსი, თბ., 2013; ქმობალ აბდულლა, თბ., 2019.

მამედ რაჰიმი (მამედ რაჰი, აბასოღლუ ჰუსეინოვი) (28. IV. 1907, ბაქო, – 6. V. 1977, იქვე), აზერბაიჯანელი პოეტი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი (1947). ავტორია ლექსების კრებულებისა ,,სურვილი'' (I კრებ., 1930), ,,მეორე წიგნი'' (1933), ,,სამშობლოს ტრფიალი'' (1942), ,,დილის მელოდია'' (1943) და სხვ. მ. რ-ის პოეზიის თემაა შრომითი ჰეროიკა, პატრიოტიზმი, აქვს სატრფიალო ლექსებიც. II მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი პოეტური ტრილოგიისათვის ,,ლენინგრადის ცაზე'' მიენიჭა სტალინური პრემია. მასვე ეკუთვნის აგრეთვე პოემები: ,,აფშერონის მიწაზე'' (1950), ,,კასპიის ნაპირებზე'', ,,საიათნოვა'' (1956). თარგმნიდა ქართვ., რუს., აზიელ, სომეხ, ევროპელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მონაწილეობდა ,,ვეფხისტყაოსნის'' თარგმნაში.

გ. შაყულაშვილი.

მამედყულიზადე ჯალილ (ფსევდ. მოლა ნასრედინი) (22. II. 1866, ნახიჩევანი, – 4. I. 1932, ბაქო), აზერბაიჯანელი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ნახიჩევანში, შემდეგ დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია (1887). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. მ-ს პირველი მხატვრული თხზულებებია პიესა ,,ჩაის სერვიზი'' (1889) და მოთხრობების ციკლი ,,შემთხვევა სოფელ დანაბაშში'' (1894). 1903 ჩამოვიდა თბილისში. თანამშრომლობდა აზერბ. გაზ. ,,შარგი რუსსა'' და ამიერკავკ. ბოლშევიკთა პირველ ლეგალურ ორგანოში ,,კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ''. 1906 თბილისში დააარსა სატირული ილუსტრირებული ჟურნ. *,,მოლა ნასრედინი''* (გამოდიოდა 1931-მდე ხანგამოშვებით). მას ეკუთვნის სოც. და საზ. კონფლიქტების ამსახველი ანტირელიგ. კომედია ,,მიცვალებულნი'' (1909), მოთხრობა ,,სკოლა სოფელ დანაბაშში'' (1921) და სხვ. 1920 წავიდა ემიგრაციაში (თავრიზში). ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

თხზ.: Избр. произв., т. 1–2, Баку, 1966.

ლიტ.: Ибрагимов М., Джалил Мамедкулизаде, М., 1966.

გ. შაყულაშვილი.

მამეიშვილი მანუჩარ გერონტის ძე (15. VIII. 1929, სოფ. ბახვი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 26. XI. 1996, თბილისი), ინჟინერი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982) დაამთავრა მოსკოვის საინჟ.-სამშენებლო ინ-ტის სამრეწვ. და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი. იყო მახარაძის (ოზურგეთი) ნატურალური ჩაის კონცენტრატების კომბინატის დირექტორი (1980-იდან). დაბალხარისხიანი ნედლეულისაგან ჩაის თხევადი კონცენტრატებისა და გამამხნევებელი სასმელების წარმოების ტექნოლ. კვლევის, შემუშავებისა და სამრეწვ. ათვისებისათვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

მამი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჩოლურის თემი), სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, ლენტეხიდან 16 *კმ*. 31 მცხ. (2014).

სოფელში დგას ბაბლუანების საგვარეულო კოშკი.

მამია I გურიელი (გ. 1534), გურიის მთავარი 1512–34, გიორგი I გურიელის ძე. 1520 დაამარცხა ქართლის მეფე დავით X და ხელი შეუწყო კახეთში ლევანის (გიორგი II-ის ძე) გამეფებას. 1533 მამია III დადიანთან ერთად ჯიქეთზე გაილაშქრა; მოკავშირეები დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში დაიღუპა მ. I გ-ის ვაჟი გიორგი, ხოლო მთავარი, მისი ძმები და ეპისკოპოსები ტყვედ ჩავარდნენ, მოგვიანებით კი თავი გამოისყიდეს.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მამია II გურიელი (გ. 1625), გურიის მთავარი 1600–25, გიორგი II გურიელის ძე. თავდაპირველად ცოლად ჰყავდა ათაბაგის, შემდეგ კი – კახთა მეფე თეიმურაზ I-ის ასული. ამ ნათესაურმა კავშირებმა და ოსმ. საშინაო კრიზისმა განაპირობა გურიის სამთავროს გაძლიერება. ამ დროს მ. II გ. მეფედაც კი იწოდებოდა. 1609 მან, ოსმალების განდევნის შემდეგ, აჭარა გურიის სამთავროს შეუერთა. გურიელს მხარს უჭერდა ოდიშის მთავარი. ამას მოჰყვა ომი ოსმალეთთან. ოსმალეთმა ეკონ. ბლოკადით აიძულა მ. II გ. ზავი დაედო (იხ. *გურია-ოსმალეთის ხელშეკრულება 1614*). გურიელმა აჭარა დაკარგა და ხარკიც დაეკისრა. აქტიურად მონაწილეობდა ქართვ. მეფე-მთავართა ანტიირან. კოალიციაში. 1618 მ. II გ-მა რუს. მეფეს სთხოვა მფარველობაში მიღება, მაგრამ უშედეგოდ. მოკლა შვილმა სიმონმა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მამია III გურიელი (გ. 1714), გურიის მთავარი 1689–1711, 1713. გიორგი III გურიელის ძე. დოკუმენტებში იხსენიება როგორც „დიდი“ ან „დიდი შავი გურიელი“. ოსმალეთთან მოქნილი დიპლ. პოლიტიკის მეშვეობით აფართოებდა სამთავროს ტერიტორიას. იმერეთის მეფისაგან იყიდა საჭილაო-სამიქელაძეოს ტერიტორია. 1701–02 იმერეთისა და ოდიშის მსხვილ ფეოდალთა მხარდაჭერით მეფობდა იმერეთში. მ. III გ. იძულებული გახდა დამორჩილებოდა 1703 დას. საქართველოში შემოჭრილ ოსმალთა ლაშქარს, რის შედეგად გურიის სამთავრომ ბათუმის მხარე დაკარგა. 1711 კვლავ გამეფდა იმერეთში, იმერეთის ტახტის კანონიერ მფლობელ გიორგი VI-თან ჩხარის ომში დამარცხების შემდეგ (1712), მ. III გ. დაბრუნდა გურიაში და კვლავ მთავრად დაჯდა (1713), თუმცა იმავე წელს გარდაიცვალა.

ლიტ.: სოსელია ს., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (XIII საუკ. შუა წლებიდან XIX ს-ის დამდეგამდე; ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის'', 1954, ნაკვ. 30.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მამია IV გურიელი (გ. 1784), გურიის მთავარი 1726–56, 1758–65, 1771–76, გიორგი IV გურიელის ძე. მიუხედავად ოსმალთა მოძალებისა, აკრძალა ტყვის ყიდვა და 1748 სამხ. დახმარება სთხოვა ერეკლე II-ს. 1756 მ. IV გ. სოლომონ I-მა გადააყენა და მთავრად მისი ძმა გიორგი დასვა; იგი ერეკლე II-ს ეახლა და მისი შუამდგომლობითა და ახალციხის ფაშის დახმარებით ტახტი დაიბრუნა. მომდევნო ხანაში იგი ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი სოლომონ I-ის მხარეზე გამოდიოდა. მონაწილეობდა 1759 საეკლ. კრებაში, 1757 ხრესილის ბრძოლაში. 1765 ოსმალებმა გადააყენეს და მთავრად გიორგი V გურიელი დასვეს. 1771 სოლომონ I-მა ისევ გაამთავრა. 1776 ტახტიდან გადააყენა გიორგი V გურიელმა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მამია V გურიელი (1790 – 20. XI. 1826), გურიის უკანასკნელი მთავარი 1809–26, *სიმონ III გურიელის* ძე. მამის გარდაცვალებისას სამი წლის იყო და რეგენტის უფლებით სამთავროს მისი ბიძა – *ქაიხოსრო პატონიშვილი* განაგებდა. მ. V გ-ს არ უნდოდა გურია რუსეთის მფარველობაში შესულიყო როგორც იმერეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი. 1809 მან წერილობით მიმართა რუსეთს და მფარველობაში დამოუკიდებლად მიღება სთხოვა. 1810 წ. 19 ივნ. ხელშეკრულებით გურია ავტონ. უფლებებით რუს. იმპერიაში შევიდა. მ. V გ. ატარებდა ანტიოსმ. პოლიტიკას. რუსების რაზმებთან და დადიანთან ერთად მონაწილეობდა სოლომონ II-ის შეპყრობისა და იმერეთის სამეფოს გაუქმების სამხ. ოპერაციებში (1810). გარდაქმნა მმართველობის სისტემა, შემოიღო მკაცრი აღრიცხვიანობა, დააწესა ბაზრობა ნაგომარში, ხელს უწყობდა შინამრეწვ. განვითარებას, ევრ. წეს-ჩვეულებათა დანერგვას, ტექ. კულტურების (ინდიგო, რამი) გავრცელებას; დააარსა ქსენონი, წამოიწყო დიდი სამშენებლო სამუშაოები, ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. *იმერეთის აჯანყების 1819–20* დროს რუსეთის მხარე დაიჭირა.

ლიტ.: გონიკიშვილი მ., იმერეთი XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979; დუმბაძე მ., გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის'', 1954, ნაკვ., 30; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ), თბ., 1989.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მამია I დადიანი, ოდიშის ერისთავი 1323–45, გიორგი I დადიანის ძე. 1330 დას. საქართვ. სხვა ერისთავებთან ერთად დაეხმარა გიორგი V ბრწყინვალეს ერთიანი სამეფოს აღდგენაში.

წყარო.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

თ. ბერაძე.

მამია II დადიანი (გ. 1414), ოდიშის ერისთავი 1396–1414, ვამეყ I დადიანის ძე. აქტიურად ეხმარებოდა საქართვ. მეფე გიორგი VII-ს საქართვ. სამეფოს ერთიანობის განმტკიცებაში, რისთვისაც ამ უკანასკნელისაგან მიიღო ცხუმის საერისთავო. 1414 ილაშქრა აფხ. ერისთავის წინააღმდეგ და ბრძოლაში დაიღუპა.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან მამია I დადიანი.

თ. ბერაძე.

მამია III დადიანი (გ. 1533), ოდიშის ერისთავი 1512–33, ლიპარიტ II დადიანის ძე. 1533 იანვარში იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის თაოსნობით მ. III დ-მა გურიის ერისთავ მამია I გურიელთან ერთად ზღვით ჯიქეთში ილაშქრა. პირველ დღეს ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მეორე დღეს მ. III დ-სა და მის ლაშქარს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ოდიშის ლაშქარმა ბრძოლის ველი დატოვა. ქართველები დამარცხდნენ. მ. III დ. მოწინააღმდეგეებმა ღალატით ჩაიგდეს ხელში და მოკლეს.

წყარო.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ჯ. ოდიშელის გამოც., თბ., 1968.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბ., 1989; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე.

მამია IV დადიანი, ოდიშის მთავარი 1573–78 და 1582–90, ლევან I დადიანის ძე. 1573 გიორგი II გურიელის დახმარებით ტახტიდან გადააგდო თავისი ძმა გიორგი III დადიანი და ოდიშის მთავარი გახდა. 1578 იძულებული გახდა სამთავრო ძმისთვის დაეთმო და თვითონ საუფლისწულოთი დაკმაყოფილებულიყო. გიორგი III დადიანის სიკვდილის შემდეგ კვლავ დაეუფლა სამთავროს. 1583 მ. IV დ-მა ტახტიდან ჩამოაგდო გიორგი II გურიელი და მის ნაცვლად ვახტანგ გურიელი დასვა. 1587 დაეხმარა თავის სიძეს, იმერეთის მეფე ლევანს (1586–90) ტახტის მოცილე ბიძის, კონსტანტინეს განდევნაში; თუმცა 1588, ქართლის მეფე სიმონ I-ის იმერეთში ლაშქრობისას, მეფე არ დაეხმარა ლევანს, რის გამოც, მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. 1590 დაამარცხა მეფე ლევანი და დაატყვევა (იგი ტყვეობაში გარდაიცვალა). მ. IV. დ-ის დახმარებით იმერეთის ტახტი ლევანის ბიძაშვილმა როსტომმა (1590–1605) დაიკავა.

წყარო და ლიტ.: იხ. სტ-თან მამია III დადიანი.


თ. ბერაძე.

მამიაშვილი მიხეილ გერაზის ძე (დ. 21. XI. 1963, კონოტოპი, სუმის ოლქი, უკრაინა), სპორტსმენი. ქართული წარმოშობის რუსი მოჭიდავე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). პედაგოგიურ მეცნ. კანდიდატი. დაამთავრა ომსკის ფიზ. კულტურის ინ-ტი (1990). ოლიმპიური ჩემპიონი (1988, სეული), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1983, 1985–86), ორგზის მეორე ადგილის მფლობელი (1989–90), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1986, 1988–89) და ორგზის მესამე პრიზიორი (1984–85), მსოფლიოს თასის მფლობელი (1985), სსრკ ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებული (1983), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (1983), სსრკ ჩემპიონი (1984, 1988), სოციალ. ბანაკის ქვეყნების შეჯიბრების გამარჯვებული (1984), რუსეთის ნაკრების მთ. მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1991); სპორტული საზ-ბა ცსკა-ს ხელმძღვანელი (1998–2002), რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1995) და პრეზიდენტი (2001), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი (2001). მიღებული აქვს რუსეთის სახელმწ. ჯილდოები.



მ. მამიაშვილი.

მამიევი დიმიტრი ილიას ძე (2. VIII. 1909, სოფ. მამიანთუბანი, ცხინვალის მუნიციპალიტეტი, – 1983), ოსი მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1954). სწავლობდა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) ცენტრ. თეატრ. ინ-ტში (1936–39). 1931-იდან იყო ცხინვალის ოსური დრამ. თეატრის მსახიობი, ხოლო 1947–51 – სამხატვრო ხელმძღვანელი. შესრულებული აქვს ყასაიას (ვ. ბრიტაევის ,,ხაზბი''), ბათრაძის (მ. შავლოხოვის ,,ნართ ბათრაძი''), შახმურადის (დ. თუაევის ,,ზღაპარი''), დიშოს (ს. შანშიაშვილის ,,არსენა''), ბერესტის (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''), ჟერონტის (მოლიერის ,,ძალად ექიმი'') და სხვ. როლები. 1938–57 იყო სამხრ. ოსეთის სომლერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



დ. მამიევი.

მამითა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქურთის მუნიციპალიტეტში (ქემერტის თემი), მდინარე დიდი ლიახვის მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 1020 *მ*, ცხინვალიდან 7 *კმ*. 1991-მდე შედიოდა ცხინვალის რ-ნში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მამითადი, ნადი, კოოპერაციული შრომის ერთ-ერთი ფორმა, რ-საც ძირითადად, შემოსული პურეულის მოწევის დროს ქმნიდნენ. როგორც შრომის ორგანიზაციის

გამომხატველი ტერმინი, ქართ. წერილობით წყაროებში XIII ს-იდან დასტურდება და საბატონო ბეგარას გულისხმობს. მ-ში მონაწილეობდნენ მთელი სოფლის ან მებატონის ვალდებული ყმები (50–100 კაცი), რ-ებიც ემსახურებოდნენ ფეოდალს ყანის მკაში, სახლის შენებაში, ხე-ტყის დამზადებასა და ა. შ. მას შემდეგ, რაც მ-მა საბატონო ვალდებულების ფორმა დაკარგა, მან შრომამოგების ხასიათი მიიღო – მ-ის წევრები შრომის აუნაზღაურებლად ეხმარებოდნენ თანასოფლელებს სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში.

ლიტ.: რობაქიძე ა., მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, ,,მიმომხილველი'', 1951, [ტ.] 2; ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986.

გ. ჯალაბაძე.

მამიკონიანები, ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური გვარი ადრინდელი შუა საუკუნეების სომხეთში. მ. ფლობდნენ ვრცელ ტერიტორიას ტაოსა (ტაიქსა) და ტარონში. IV ს-იდან მემკვიდრეობით ეჭირათ სომხ. უმაღლესი მთავარსარდლის – სპარაპეტის სახელო.

არსებობს მოსაზრება მამიკონიანთა ჭანური წარმომავლობის შესახებ; სომხ. წყაროებით (მოსე ხორენელი, ფავსტოს ბუზანდი), მამიაკონიანთა წინაპარი მამიკი სომხეთში ,,ჩრდილოელთა უპირველესი ხალხის, მამაცთა მოდგმის ჭენთაგან'' მოვიდა, სპარსეთის მეფე შაპუჰის (შაბურ I სასანიანი, 240–272 წწ.) დროს. საგვარეულო სახელი მამიკი ქართული ,,მამის'' (გვარის უფროსი, მამასახლისი) არმენიზებულ ფორმად მიიჩნევა. თავდაპირველი სომხ. ტრადიცია, ჭან/ჭენში სწორედ, მამიკონიანების საგვარეულოს სამფლობელო ტაოს მეზობლად მცხოვრებ, ქართველური მოდგმის ჭანებს (სომხ. ჯანიკი) გულისხმობდა. სომხ. გადმოცემაში ნახსენებია ასევე ჭანთა მეფე ,,ჭენბაკურ'' (სპარს. ,,ზეცის შვილი'').

მ-ის გვარიდან გამოვიდა არაერთი გამოჩენილი სარდალი, რ-ებიც მეთაურობდნენ სომეხი ხალხის განმათ. ბრძოლას. სომხ. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ (V ს. 20-იანი წლები) მ-მა ორიენტაცია ბიზანტიისკენ აიღეს. მ-ის ზოგიერთ წარმომადგენელს ბიზანტიაში საკმაოდ მაღალი სამხ. და ადმ. თანამდებობა ეკავა (იხ. *მამიკონიანი* ვარდან).

ლიტ.: ჯანაშია ლ., ლაზარე ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962; Еремян С. Т., Народно-освободительная война армян против персов в 450–451 гг., ,,Вестник древней истории'', 1951, №4.

გ. ჩიბჩალაძე.

მამიკონიანი ვარდან (388, ტარონი, – 26. V. 451, ავარაირის ველი, ვასპურაკანის პროვინცია), სომეხი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე.

მ-ის მამა იყო სომხეთის სპარაპეტი ამაზასპი, ხოლო დედა, საკანში – წმ. საკა პართევ კათოლიკოსის ქალიშვილი. მ-ის შვილი იყო *შუშანიკი.* 432 მ. სომხ. სპარაპეტი გახდა. სომხეთის სხვა დიდებულებთან და ქართლის პიტიახშ არშუშასთან ერთად იგი გაიწვიეს ირანში და იძულებით მიაღებინეს სასანიანთა სახელმწ. რელიგია – ზოროასტრიზმი. სომხეთში დაბრუნების შემდეგ 450–451 სათავეში ჩაუდგა აჯანყებას ირანის წინააღმდეგ. მან რამდენჯერმე დაამარცხა ირანელები და აჯანყებულთა ტანუტერად (მეთაური) აირჩიეს. დაიღუპა ავარაირის ბრძოლაში. მ. სომხეთის ეკლესიის მიერ აღიარებულია წმინდანად.

ლიტ.: მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ, 1984; ჯანაშია ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962; Адонц Н. Г. Армения в эпоху Юстиниана. Ереван, 1971;Hewsen R. H. Armenia: a Historical Atlas. The University of Chicago Press, 2001; Toumanoff C., Studies in Christian Caucasian History, Georgtown University, Press, 1963.

მამინაშვილი ბიძინა ანტონის ძე (23. X. 1924, თბილისი, – 25. VII. 2015, ვარშავა), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1966). II მსოფლიო ომის მონაწილე (1943–44). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1950). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას მოსკოვის არქიტ. ინ-ტსა (1953–56) და სპი-ში (1961–65; ახლანდ. სტუ). 1957–60 ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას მოსკოვში. 1960–64 იყო თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1964–90 – ქალაქგეგმარების განყ-ბის გამგე. მონაწილეობდა არქიტ. კონკურსებში: თსუ-ის კომპლექსი (1964), სადგურის მოედანი თბილისში (1965), თბილ. ცენტრი (1972, მესამე პრემია). ნამუშევრები: დაბა მადნეულის დაგეგმარება (1961), საცხოვრ. რ-ნი ,,დიღომი'' (1962), სახელმწ. უნ-ტის კომპლექსი (1970), საცხოვრ. მიკრორაიონი, ,,ბაგების'' განაშენიანება (1972, სამივე თბილისი); რთულ რელიეფზე მაღალ- და დაბალსართულიანი სახლების განაშენიანების ტექ. პროექტი (1972), 120-ბინიანი საცხოვრ. სახლი ბაგებში (1977, თბილისი) და სხვ. ავტორია სამეცნ. სტატიებისა არქიტ. დარგში.

თ. გერსამია.

მამისაანთუბანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (ბერულის თემი). ზ.დ. 990 *მ.* 1991-მდე შედიოდა ცხინვალის რ-ნში, 2006–08 – გორის მუნიციპ-ში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მამისაშვილი ნოდარ ლევანის ძე (15. XII. 1930, თბილისი, – 10. I. 2022, იქვე), კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), პროფესორი (1982). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ა. ბალანჩივაძის საკომპოზიტორო კლასი). 1963-იდან იქვე მუშაობდა საკომპოზიციო კათედრის პედაგოგად, 1973–79 იყო საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1990–91 – თავ-რე. 1989-იდან სას. აკადემიაში ასწავლიდა მართლმადიდებლური გალობის ისტორიას, 1995-იდან იყო ჰოლოსტუდია ,,თეთრი კვადრატის'' პრეზიდენტი, 1996-იდან – ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთ. კოორდინატორი. არის გამოგონებების ავტორი. შექმნა 9 საეკლ. ზარის რეზონანსული განაწილების აკუსტიკური სქემა, რ-ის მიხედვითაც მოხდა თბილ. სამების ტაძრის სამრეკლოში ზარების განაწილება. ქართული გალობის ჰარმონიიდან მან გამოყო ძირითადი ფუძე-ტონები და გადაიტანა 9 ზარის ხმოვანებაში, ასევე განახორციელა ზარების დიფერენციაცია ფუნქციების მიხედვით, შექმნა მუსიკა სამების ზარებისთვის, რ-იც მხოლოდ ამ ტაძარში სრულდება. მ-ს ეკუთვნის საბავშვო ოპერა ,,ბაქია ბაჭია'', ბალეტი ,,სამი გასაღები'', ექვსი სიმფონია, ხუთი საფორტეპიანო კონცერტი და სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოებები. მუსიკალურად გააფორმა რადიოდადგმები, სპექტაკლები: ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა'' (რუსთაველის თეატრი), გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'' (მოზარდ მაყურებელთა თეატრი), შვერმბერგერის ,,ნანა ტყეში'' (თოჯინების ქართული თეატრი), აგრეთვე მხატვრული ფილმები:

,,ფერისცვალება'' (რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1968), ,,დიდედები და შვილიშვილები'' (რეჟ. ნ. მჭედლიძე, 1969), ,,ეი, მაესტრო!'' (რეჟ. ნ. მანაგაძე, 1987); ნაყოფიერად თანამშრომლობდა კინორეჟისორ მ. *კოკოჩაშვილთან* (,,მიხა'', 1965; ,,დიდი მწვანე ველი'', 1967; ,,ნუცას სკოლა'', 2000; ,,უსუი'', 2005; დოკუმენტური ფილმები: ,,გზა'', 1983; ,,ფენომენი'', 1992; ,,ქართველი მამლუქები ეგვიპტეში'', 2007); შექმნა მუსიკა ანიმაციური ფილმებისთვის: ,,ონავარი'' (1965, რეჟ. კ. სულაკაური), ,,ქვასანაყი'' (1976, რეჟ. ბ. შოშიტაიშვილი),



თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლო.

,,კერკეტი კაკალი'' (1987, რეჟ. ო. ანდრონიკაშვილი) და სხვ. მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. ,,სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა'' (1978) და სხვ.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მახათას მთის პანთეონში.

ლიტ.: დეკანოიძე ა., რა კი არა, როგორ, ,,მუსიკა'', 2018, №3 (36); ტორაძე გ., ნოდარ მამისაშვილი, წგ.: მუსიკის სამყაროში, თბ., 2010; Мгебришвили К., Малиновый звон, ,,Русский клуб'', 2022, №11.

რ. ქუთათელაძე. მ. ჯაფარიძე.

მამისთვალიშვილი ელდარ მიხეილის ძე (დ. 27. VII. 1939, გორი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1985). დაამთავრა გორის სახელმწ. სასწავლო პედ. ინ-ტის ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტი (1961); 1972–73 მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოლოგიის ინ-ტში, 1972-იდან – გორის სახელმწ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. გორის სახელმწ. სასწავლო უნ-ტი), 1986 იქვე იყო პედ. კათედრის გამგე; 1990-იდან – საქართვ. და მსოფლიო ისტ. კათედრის გამგე, 2010-იდან – ისტ. და არქეოლ. ცენტრის ხელმძღვანელი.

მ-ის კვლევის სფეროებია ქართულ-ებრაული ურთიერთობა, ფეოდ. ხანის საქართვ. საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XI–XVIII სს.). თარგმნილი და გამოცემული აქვს ,,XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ'' (1981); ,,თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, 1577–1581'' (1987); ,,რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ'' (1993).

მ-ის თაოსნობით დაარსდა გაზეთი „გორის უნივერსიტეტი“ (2001–03 – რედაქტორი), ისტ. და არქეოლ. ცენტრის შრომათა კრებული (2011-იდან რედაქტორი, გამოიცა 22 ტომი), ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ საერთაშ. კონფერენციებს (2014-იდან, ჩატარდა რვაჯერ). იყო საქართვ. მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევის საქმეში შეტანილი წვლილისათვის (1998). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

თხზ.: საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XV ს. ნახევარსა და XVI ს-ში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; გორის ისტორია, [ტ.] 1–2, თბ., 1984–1999, გამოც. მე-2, თბ., 2018–2019; ქართველ ებრაელთა ისტორია: ანტიკური და ფეოდალიზმის ხანა, თბ., 1995 (რუს. 2011, ინგლ. 2014); ამილახვრები, გორი, 1996; ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998; ქრისტეს კვართის ისტორია (ქართ, რუს. ენებზე), გორი, 2003; საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი – თამარ მეფის საბოლოო განსასვენებელი?! (ქართ., ინგლ., რუს. ენებზე), თბ., 2014; იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016; საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, ტ. 1–6, თბ., 2009–2022; ლუარსაბ I და სვიმონ I, თბ., 2018; თეიმურაზ I, თბ., 2019; როსტომი და ვახტანგ V, თბ., 2020.

მამისთვალოვი აბრამ იცხაკის ძე (1.X. 1921, ცხინვალი, – 19. XI. 2005, ქ. ბათ-იამი, ისრაელი), მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი. 1938 უგამოცდოდ ჩაირიცხა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე, თუმცა ომის დაწყების გამო სწავლა ვერ დაასრულა. ლექსების გამოქვეყნება დაიწყო 1938-იდან. 1945–77 მუშაობდა გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში. 1974 იანვარიდან საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, სადაც რედაქტორობდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებს.

მ-ის ნაწარმოებები თარგმნილია რუს. და ებრ. ენებზე. 1983-იდან რედაქტორობდა თავისივე დაარსებულ (სხვებთან ერთად) გამომცემლობა „შუქურას“, რ-ის მთავარი მიზანი ისრაელსა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვის წმ. წიგნების გამოცემა იყო. მისი რედაქტორობით 1988–89 თელ-ავივში ქართ. ენაზე 5 ტომად გამოიცა ხუმაში (თორას ხუთწიგნეული), რ-ის ერთ-ერთი მთარგმნელი თავადვე იყო.

1994 დაჯილდოვდა ი. მაჩაბლის სახ. პრემიით, რ-იც 1995 საქართვ. პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ პირადად გადასცა ისრაელში.

თხზ.: ლექსები, ცხინვალი, 1952; გულის კარნახით, ცხინვალი, 1957; შიმშონის ხუმრობანი: ნახული, გაგონილი და მოგონილი, თელ-ავივი, 1978; ხალიანი ქალი და სხვა თხზულებანი, თელ-ავივი, 1981.

ს. მეტრეველი.



ნ. მამისაშვილი.

მამისთვალოვი-კეზერაშვილისა თამარ იცხაკის ასული (5. I. 1932, ქ. ცხინვალი, – 8. VI. 2019, ისრაელი, ქ. ბათიამი), ჟურნალისტი, მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. თსუ-ის საპატიო დოქტორი, საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის საპატიო წევრი (1993), რადიო ,,ისრაელის ხმის'' ქართულენოვან გადაცემათა დამაარსებელი და წამყვანი, საქართვ. ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავ-რე, ისრაელის მწერალთა კავშირის თავ-რის მოადგილე, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1973).

დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. 1959–70 მუშაობდა სოხუმში, აფხაზეთის ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში. 1970-იდან იყო საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის საკუთარი კორესპონდენტი. 1961–73 – მისი ძმის, მწერალ ა. მამისთვალოვის მიერ დაარსებული საქართვ. იატაკქვეშა სიონისტური ორგანიზაციის აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვ. 1998-იდან – ქართვ. ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაციის თავ-რე. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნ.-გაზეთში, მ. შ. მოსკოვში გამომავალ იდიშურენოვან ჟურნალ ,,სოვეტიშ ჰეიმლანდში''. 2002 მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი ,,ციონი''. 2002 საქართვ. და ისრაელს შო-

რის ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვეს ი. ჯავახიშვილის მედლით. ივრითიდან ქართულად თარგმნა 10-ზე მეტი წიგნი, მ. შ. მოსეს ხუთწიგნეული, ანუ ხუმაში (თორას ხუთწიგნეული). ამ თარგმანისათვის მიენიჭა ი. მაჩაბლის სახ. პრემია (1995).

მ-ს გამოცემული აქვს მოთხრობებისა და ნოველების კრებულები. არის საქართვ. საპატიო მოქალაქე (2004).

თხზ.: საიდუმლო, სოხ., 1973; ,,მოლოდინი'', თელ-ავივი, 1987.

თ. დოლიძე.

მამისონის უღელტეხილი, ჭანჭახის უღელტეხილი, უღელტეხილი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ-ების – არდონის (თერგის მარცხ. შენაკადი) და ჭანჭახის (რიონის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. ზ. დ. 2819 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. კალთებზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

მამიშლარი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში (ყარაბულაღის თემი), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1560 *მ,* დმანისიდან 22 *კმ.* 76 მცხ. (2014). სოფლის სახელწოდება დატანილია 1898 რუსეთის ერთვერსიან რუკაზე (ხურ. „Муламса“).

მამიშლო, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში (ამამლოს თემი), დმანისის პლატოზე, მდ. ყარასუს მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ,* დმანისიდან 10 *კმ,* კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ.* 332 მცხ. (2014). სოფლის სახელწოდება დატანილია 1898 რუსეთის ერთვერსიან რუკაზე (ხურ. „Мамишло“).

მამიჯირხვა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში (ოთხარის თემი), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მჭიშთის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 100 *მ.* გუდაუთიდან 22 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მამკოდა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხეთის მუნიციპალიტეტში (ცხვარიჭამიას თემი), მდ. გლდანისხევის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ.* 91 მცხ. (2014). 2007-მდე ექვემდებარებოდა სოფ. გლდანის საკრებულოს.

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 5 *კმ*-ში, გლდანი – თიანეთის გზის მარჯვ. მხარეს, მდებარეობს მამკოდის სამონასტრო კომპლექსი, რ-ის შემადგენლობაში შედის ღვთისმშობლის და წმ. გიორგის ეკლესიები, სამრეკლო, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობები და გალავნის ფრაგმენტები.

მამლისმთა, მწვერვალი მესხეთის ქედის სამხრეთ შტოქედზე, ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდების – წაბლარისწყლისა და აბასთუმნისწყლის ხეობებს შორის. ზ. დ. 2489 *მ.* მთა აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებითა და ნეოგენური ლავებით. მისი კალთები დასერილია მდინარეებით და შემოსილია შერეული და ფოთლოვანი ტყით, თხემური ნაწილი წარმოდგენილია ალპ. და სუბალპ. მდელოებით.

მამლუქები (არაბ. – თეთრი მონა), არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მეომარი მონები. მ-ის სოც. კატეგორია გაძლიერდა XI ს. II ნახ-იდან ეგვიპტეში, XVIII ს. დასაწყისიდან – ერაყში. ეგვიპტეში მათი ისტორია სულთან სალაჰ ალ-დინ იბნ აიუბის (1169–93) უკავშირდება, რ-მაც თეთრკანიანი მონების, უმთავრესად თურქებისა და კავკასიელების, დიდი რაოდენობით შეძენა, შეიარაღებულ რაზმებში ჩარიცხვა და დაწინაურება დაიწყო. მონობიდან თავდახსნილი თანამდებობასთან ერთად მიწის დიდ ნაკვეთსაც იღებდა. ასე გაჩნდა მ-ის სამხ.-ფეოდ. კასტა, რ-მაც ხელთ იგდო ძალაუფლება. ეგვიპტეს მ-ის 2 დინასტია განაგებდა: 1. ბაჰრელები (თურქ. წარმოშობის; ბაჰრ – არაბ. ზღვა, იგულისხმება ზღვით შემოყვანილები 1250–1382), რ-ებიც ეთნიკურად უპირატესად ყივჩაყები იყვნენ. ბაჰრელი მ-ის სასულთნოში ქართველები ცოტანი იყვნენ რაიმე სერიოზული დაჯგუფების შესაქმნელად, თუმცა ინდივიდუალურად საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ (მაგ., *საიდ ად-დინ ასანდამურ ქურჯი* ალ მანსური); 2. ბურჯელები (1382–1517). მათში ეთნიკურად ჩერქეზები ჭარბობდნენ და ზოგადად მათ ჩერქეზებს უწოდებდნენ. აქაც ქართველები ნაკლებად იყვნენ. ბურჯელი მ-ის მმართველობის ადრეულ პერიოდში ჩანს ქართველი ამირა ქურჯი აშ-შამსი (XIV ს. 70–80-იანი წლები).

XIII–XIV სს-ში მ-ის სამფლობელოები გადაჭიმული იყო დასით კირენაიკამდე (თანამედროვე ლიბია), სამხრ-ით ნუბიამდე (სუდანი), ჩრდ-ით ტავრის მთებამდე (სამხრ. თურქეთი). ისინი მფარველობდნენ წმინდა ქალაქებს – მექასა და მედინას. სახელმწიფოს უმაღლესი მბრძანებელი იყო სულთანი. სულთნებს დიპლ. კავშირები ჰქონდათ ქართველ მეფეებთან, რ-თა ძირითადი მიზანი წმინდა მიწაზე, პალესტინაში, ქართველთა სამონასტრო თემისა და ქართველთა კუთვნილი ეკლესია-მონასტრების დაცვა იყო, მაგ.: სულთან ბაიბარსის (1260–77) დიპლ. ურთიერთობა დას. საქართველოს მეფე *დავით VI* ნარინთან; დიპლ. მისიების გაცვლა (24. X. 1264–13. X. 1268); 1305–06 ელჩობა; სულთან ან-ნასირ-ალ-დინ მუჰამადის (1293–94, 1299–1309, 1310–41) 1308 წ. 6 აპრ. ბრძანებულება, რ-ითაც გოლგოთა გადავიდა ქართველთა მფლობელობაში; 1310 იმერეთის მეფე *კონსტანტინე I-ის* ელჩობა, რ-ის შედეგად ჯვრის მონასტერი ქართველებს დაუბრუნდათ (1310–11), სანაცვლოდ კი მფარველობა უნდა გაეწეოდათ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს და დაცული ყოფილიყო მუსლიმი ვაჭრების ინტერესები; *გიორგი V-ის* მიერ გაგზავნილი ელჩობა ეგვიპტის სულთანთან 1316 და 1320; ქართველებისათვის გოლგოთის დაბრუნებას ეხებოდა XV ს. 30–40-იან წლებში დიპლ. ურთიერთობები სამცხე-საათაბაგოს გამგებელ *ივანე* II ჯაყელსა და ეგვ. სულთნებს – ბარსბაისა (1422–38) და ჯაკმაკს (1438–53) შორის; ქართველების თხოვნა დაკმაყოფილდა საქართველოში მუსლიმთა უფლებების დაცვის პირობით. ქართლის მეფე *კონსტანტინე II-ის* კარის მოძღვრის, კირ ნილოსის ელჩობა (1493–94) სულთან კაითბაისთან (1492–96); 1512 კახეთის მეფე *გიორგი II-ის* წარმომადგენლის, ბეენა ჩოლოყაშვილის ელჩობა სულთნის კარზე და სხვ.

ეგვიპტის მ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ურთიერთობა ევროპელ ჯვაროსნებთან, კილიკიის სომხურ სამეფოსა და ილხანთა სახელმწიფოსთან. 1265 მ-მა გაიმარჯვეს კილიკიის სომხეთში; 1268 განდევნეს ჯვაროსნები სირია-პალესტინიდან; განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ომები იყო ილხანთა სახელმწიფოსთან 1260-იდან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, რ-იც 1323 წ. 20 ივნ. ორ ქვეყანას შორის დაზავებით დასრულდა.

1517 ხანგრძლივი ფეოდ. აშლი-

ლობით დასუსტებული ეგვიპტე ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა დაიპყრო და თავისი სახელმწიფოს პროვინციად გამოაცხადა. ქვეყანას ოსმ. სულთნის წარმომადგენელ ფაშასთან ერთად მართავდა მამლუქი ბეგების დივანი (საბჭო). დივანს უფლება ჰქონდა გაეძევებინა ფაშა ეგვიპტიდან. ეს პრივილეგია მ-ს ფაქტობრივად გაბატონებულ მდგომარეობას უნარჩუნებდა, მაგრამ ისინი მაინც თავიანთი სუვერენიტეტის სრული აღდგენისათვის იბრძოდნენ. 1520 ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა სირიის გამგებელი ჯანბირდი ალ-ღაზალი (დაინიშნა 1518). მან გაანადგურა ოსმალთა გარნიზონი დამასკოში, განდევნა თურქები ბეირუთიდან, ტრიპოლიდან, ჰამადან, თუმცა 1521 დამარცხდა და სირიის ავტონომია გაუქმდა. 1523 ეგვიპტეში დამარცხდა ჩერქეზი ამირების მეთაურობით დაწყებული აჯანყება. პოლიტ. სიტუაციის ახალი გამწვავება გამოიწვია 1523 წარმოშობით ქართველი ბეილერბეად აჰმედ ფაშას დანიშვნამ, რ-მაც 1524 თავი სულთნად გამოაცხადა და აღადგინა მ-ის სახელმწიფო. მალე ოსმალებმა ისიც შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (1524 წ. 6 მარტი). ეგვიპტეში სიტუაციის დამშვიდება შეძლო იბრაჰიმ-ფაშამ (სულთან სულეიმანის კანუნის ფავორიტი). 1524-იდან 1587-მდე ეგვიპტეში არ მომხდარა სერიოზული პოლიტ. მღელვარება. XVI ს. ბოლოსა და XVII ს. დასაწყისში ეგვიპტის გარნიზონებში ხდებოდა აჯანყებები. ამავე პერიოდში აღორძინდა მ-ის სამხ. სისტემა და XVII ს. შუა ხანებში პოლიტ. უპირატესობა მ-ის ხელში გადავიდა. ეგვ. და აღმ. წყაროების მონაცემებით XVI ს-იდან ეგვიპტეში ქართველთა რიცხვი თანდათანობით გაიზარდა და XVIII ს-ში ქართული წარმოშობის მ. ფაქტობრივად განაგებდნენ ეგვიპტეს – მუჰამად ბეგ კატამიშისა და ალ-კაზდაღლის სახლებში უმრავლესობა ქართველები იყვნენ: *ალი ბეი ალ-ქაბირი*, მუჰამად ბეგ აბუ ზ-ზაჰაბი, *იბრაჰიმ ბეგი* ალ-ქაბირი (შინჯიკაშვილი), მურად ბეგი, *იბრაჰიმ ქათხუდა*, ისმაილ ბეგი. არაბი ავტორის ალ-ჯაბართის ცნობით, XVIII ს. დამდეგს რამდენიმე ცნობილი მამლუქი ატარებდა ნისბას – ალ-ჯურჯი (ე. ი. ქართველი): ივაზ ბეგ ალ-ჯურჯი, ხალილ ქაშიფ ალ-ჯურჯი, უსმან ქათხუდა ალ-ჯურჯი და სხვ. ალ-ჯაბართი აგრეთვე ასახელებს ამა თუ იმ მამლუქი ამირას (ჰუსაინ ბეგი, რიდვან აღა ალ-ფაკირი, ალი ბეგ ალ-ჰინდი) ქართ. წარმომავლობას. შიდაპოლიტ. სტაბილურობით, შედეგიანი რეფორმებით და ეგვ. საზ-ბის სოც. და კულტ. განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდა ორი პოლიტ. ლიდერის – ალი ბეგ ალ-ქაბირისა და მუჰამად ბეგ აბუ ზ-ზაჰაბის მმართველობის პერიოდები. შედარებით მოკლე დროში ოსმალთა ძალაუფლება გახდა ნომინალური, ეგვიპტეში შეიქმნა მ-ის ავტონ. რეჟიმი (1769), მაგრამ 1773 ეგვიპტეში კვლავ ოსმალები გაბატონდნენ. სხვადასხვა დროს მ-ს ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან, საფრანგეთთან, ინგლისთან და სხვა ქვეყნებთან. დიდია მ-ის წვლილი ფრანგთა ბატონობისაგან ეგვიპტის გათავისუფლების საქმეში (1798–1801). ნაპოლეონი ასე აფასებდა მ-ის სამხ. ოსტატობას: „შეტევის წინ მამლუქები ისროდნენ ექვსი სახის იარაღიდან: თოფიდან, მუშკეტიდან, ორი წყვილი დამბაჩიდან: ერთ მათგანს ატარებდნენ უნაგირზე და მეორეს – მკერდზე. ეს იყო მშვენიერი ლაშქარი“. ნაპოლეონმა შექმნა მ-ის კორპუსი, რ-იც 1799 აგვ. წაიყვანა საფრანგეთში. მისი ბრძანებით 1801 წ. 13 ოქტომბერს შეიქმნა მ-ის ესკადრონი 240 მხედრის შემადგენლობით, რ-იც 1804-იდან იმპერატორის გვარდიაში ჩართო. მათ შორის იყვნენ ქართველებიც.

1808 ოსმ. სულთნის ნაცვალმა ეგვიპტეში მუჰამად ალიმ (1805–48) მ-ს მიწები ჩამოართვა. 1811 წ. 1 მარტს აღლუმში მონაწილეობისათვის კაიროში მოიწვია ყველა მამლუქი დიდებული (470 მამლუქი და მამლუქებივით გამოწყობილი კაიროს მცხოვრებნი, სულ 1000-მდე კაცი) და ვერაგულად გაჟლეტინა. გადარჩენილები დონგოლაში გაიქცნენ და ნილოსის მარჯვ. ნაპირზე შექმნეს ახალი გამაგრებული დასახლება ალ-ურდი (ორდუ, ბანაკი), თუმცა 1820 დაიწყო მუჰამად ალის სამხ. ექსპედიცია სუდანში, რ-ის მიზანი იყო ოქროს მოპოვება და დონგოლაში მ-ის საბოლოო განადგურება. მ-ის ერთი ყველაზე შეურიგებელი ჯგუფი შენდიში, ხართუმის ჩრდ-ით გადაიხვეწა, მეორემ დამორჩილება ამჯობინა. ისინი შეიწყალეს.



მუჰამად ბეგის ეზო მაღლარი ვენახით.

ერაყში მ-ის ბატონობა 1749-იდან დაიწყო. მათ 82 წლის განმავლობაში მართეს ერაყი და მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც გაატარეს. ერაყის გაძლიერებაში დიდი წვლილი მიუძღვით წარმოშობით ქართველ ფაშებს: *სულეიმან აბუ ლაილს* (1749–62), *სულეიმან ბუიუქს* (1780–1802), ჰაფიზ ალის (1802–07), *სულეიმან ქუჩუქს* (1807–10) და *დაუდ-ფაშა გურჯს* (1817–31). 1829 დაუდ-ფაშა სულთანს განუდგა. 1831 წ. 16 სექტ. იგი სულთნის ჯარებმა დაამარცხეს და ერაყიდან განდევნეს, სხვა მამლუქი ბეგები კი დახოცეს. ამით მ-ის ბატონობა დასრულდა.

ლიტ.: ბეი მამიკონიანი გ., ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“ 1944, ტ. 5, №7; თოფურიძე ი., მამლუქთა ეპოქა ერაყში, თბ. 2016; სილაგაძე ბ., ერაყი მამლუქთა გამგებლობის ხანაში (1749–1831), თბ., 1978; მისივე, ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, 1798–1807 წლებში, თბ., 1987; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967; ჯაფარიძე გ., დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV–XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 1, თბ., 1994; მისივე, საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბ., 2016; ჯაფარიძე გ., წურწუმია მ., საიდ ად-დინ ასად-დამურ ქურჯი – ქართული წარმოშობის ამირა ბაჰრელ მამლუქთა სასულტნოში, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, 2012, №1; Мачарадзе В. Б., Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношении 60 годов XVIII века, Тб., 1967.

ბ. სილაგაძე.
გ. ჯაფარიძე.

მამნე, ქართველი ოქრომჭედელი. მოღვაწეობდა XVI ს. პირველ ნა-



მამნე ოქრომჭედელი - ჩხარის ჯვარი (სადგერის ჯვარი). XVI ს-ის I მესამედი.



მამრობითი გვიმრა.

ხევარში, როგორც ირკვევა, თავდაპირველად სამცხის ათაბაგთა კარზე, შემდეგ – იმერეთში. ჩვენამდე მოაღწია მის მიერ მოჭედილმა რამდენიმე ნამუშევარმა, მ. შ. ყველაზე მნიშვნელოვანია სამცხის ათაბაგ ყვარყვარე III-ისა და მისი მეუღლის, ანას შეკვეთით მოჭედილი კანკელის წინ დასადგმელი (230 *სმ* ×107 *სმ*) სადგერის დიდი ჭედური ჯვარი, რ-იც მასზე გაკეთებული წარწერების თანახმად, 1522–29 თარიღდება. ჯვარზე გამოსახულია რელიგიური დღესასწაულები (13 კომპოზიცია) და წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი სცენები. მოჭედილია (მაღალი რელიეფით) მოოქრული ვერცხლის სქელი ფირფიტებით, რ-ებიც დაკრულია ხის ჯვარზე. მ. ჯგუფური სცენების გამოსახვის დიდოსტატია. მისი კომპოზიციები შეკრული, ერთიანი და დინამიკურია, ფიგურები – ოდნავ დაგრძელებული და მონუმენტური; ოსტატი ზოგჯერ მოცულობის გამოსახვასაც ახერხებს. მისი შემდეგი პერიოდის ნამუშევარი, ბარაკონის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი (213 *სმ* × 105 *სმ*), იმერეთში უნდა იყოს შესრულებული. მ. ბარაკონის ჯვრის კომპოზიციებში ოსტატურად იყენებს ორნამენტსაც. მისი ნამუშევარია აგრეთვე გელათისა და ხონის საწინამძღვრო ჯვრები (პირველი შ. ამირანაშვილის სახ. საქართვ. ხელოვნების მუზეუმში ინახება, მეორე – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში), რ-თა მიხედვით იგი ორნამენტის საკმაოდ დახვეწილ ოსტატად გვევლინება. მასვე მოუჭედავს შემოქმედის ხატი, რ-იც დაკარგულია.

მ. მაღალი რანგის ოსტატი იყო. მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა გვიანდ. ხანის ქართულ ოქრომჭედლობაში. XVI–XVIII სს. ქართ. ოქრომჭედლობის აღორძინება სწორედ მ-ს დამსახურებაა.

ლიტ.: ჩხარტიშვილი ა., მამნე ოქრომჭედელი, თბ., 1978.

მამობის დადგენა, სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას და მიეთითება ბავშვის დაბადების მოწმობაში. საქართვ. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შვილის დაბადების მოწმობაში დაქორწინებული პირები აღინიშნებიან დედად და მამად. დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში დედა და მამა მიეთითება მათივე განცხადების საფუძველზე. საჭიროებისას მამობის დადგენა შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რ-ის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. მამობის დადგენა შეუძლია მოითხოვოს ბავშვმაც სრულწლოვანების მიღწევისას. სასამართლო მამობას ადგენს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების შესაბამისად. ასევე, სასამართლო მხედველობაში იღებს დედისა და მამობის შესახებ განმცხადებელი ან განცხადებაში მითითებული პირის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდისა და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა მსგავს ფაქტებს. მამობა შეიძლება არ დადგინდეს, თუ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება. მამობა ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდ. მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს მ. დ-ის რეგისტრაციას უფლებამოსილი პირის განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მ. დ-ის შედეგად განხორციელებული ჩანაწერი შეიძლება ერთი წლის განმავლობაში (იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო ჩანაწერის თაობაზე) სადავო გახადოს პირმა, რ-საც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა. მ. დ-ის შედეგად მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვს აქვს ისეთივე უფლება-მოვალეობები, როგორიც დაქორწინებული მშობლების შვილს და ბავშვი ხდება მამის მემკვიდრე.

ი. უჯმაჯურიძე.

მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე [27. II (11. III). 1877, თბილისი, – 31. VII. 1937, იქვე], ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ირიგაციის ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა პეტერბ. ტექნოლ. ინ-ტი (1907). ასწავლიდა მათემატიკას თბილ. ქართ. გიმნაზიაში (1907–10). მონაწილეობდა დღევანდელი რუსთაველის თეატრის მშენებლობაში; დაამუშავა მთაწმინდის პანთეონში ი. ჭავჭავაძის საფლავის არქიტექტურული ნაწილი (1912–13), ქუთ. თბოელექტროსადგურის, ალაზნისა და დოღლაურის ველების, ლამი-მისაქციელის მიწების მორწყვის პროექტები (1912–17) და სხვ. იყო ამიერკავკასიის ,,წყალთა საბჭოს'' წევრი და ,,წყალთა საქმის'' ინსპექტორი (1917-იდან), თბილ. მთ. ინჟინერი (1918–21). შეადგინა თბილ. ახალი წყალსადენის პროექტი ნატახტრისა და ბულაჩაურის წყაროების საფუძველზე (1919); განაგებდა დას. საქართველოში პირველი სარწყავი სისტემის შექმნისა და ჭაობების დაშრობის სამუშაოებს (1921–25), დააპროექტა ალაზნის სარწყავი სისტემა (ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას), აგრეთვე შირაქის წყალსადენი, სამგორის სარწყავი სისტემა და თბილისის ზღვა, მოამზადა საქართვ. პირველი სამელიორაციო გეგმა (1926–30). დაამუშავა კურ. წყალტუბოს გენ. გეგმის ძირითადი სქემა და სათავეში ედგა ქალაქის ჰიდროტექ. კომპლექსის მშენებლობას (1932–37). ამავე პერიოდში ლექციებს კითხულობდა სპი-ში (ახლანდ. სტუ). რეპრესირებული იყო ე.წ. პრომპარტიის (მრეწველთა პარტია) საქმესთან დაკავშირებით (1930–32).

ლიტ.: მარცხულავა ც., საქართველოში ირიგაციის საქმის ფუძემდებელი, პეტრე მამრაძის დაბადების 125 წელი, ,,საქართველოს რესპუბლიკა'', 2002, №58.

მამრობითი გვიმრა, ჩადუნა, (Dryopteris filix-mas), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ასპიდიუმისებრთა ოჯახისა. იზრდება ევრაზიისა და ჩრდ. ამერიკის ტყის ზონაში. ჩადუნა Dryopteris-ის გვარის ტიპური სახეობაა. იგი ჩვენში ყველაზე ფართოდ გავრცელებული გვიმრაა, ამის გამო თვით გვარსაც ჩადუნა ეწოდება და 150-მდე სახეობას მოიცავს. გვხვდება დედამიწის ზომიერ და ტროპ. ზონებში.

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა. ჩადუნას გარდა ფართოდაა გავრცელებული D. carthusiana (ადრე D. spinulosa). მაღალ მთებში გვხვდება კავკასიური ენდემი D. oreades, მთის ქვედა და შუა სარტყელში – D. borreri. საქართველოში აღწერილი 3 სხვა სახეობა გავრცელებულია თურქეთშიც.

ი. მიქელაძე.

მამუკა ბატონიშვილი (დაახლ. XVII ს. 10-იანი წლები, – X. 1653/54), იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, იმერეთის მეფე გიორგი III-ის ძე. ახასიათებდნენ როგორც ჭკვიან, ენერგიულ და მამაც ახალგაზრდას. XVII ს. 30-იან წლებში ქართლის მეფე როსტომმა მემკვიდრედ აირ-

ჩია. მ. ბ. ძმის, ალექსანდრე III-ის მმართველობის პერიოდში სათავეში ედგა ოდიშელთა მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლას და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, თუმცა 1647 ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა ლევან II დადიანს. ალექსანდრე III ბევრს ეცადა მის გათავისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. დადიანმა მ. ბ. დააბრმავა, რის შემდეგაც იგი მალევე გარდაიცვალა.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ,,საისტორიო მოამბე'', 1925, წგ. 2; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.) თბ., 1989; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

მამუკას ციხე, ალამბრის ციხე, შუა საუკუნეების ციხე სოფ. ალამბარში (ქობულეთის მუნიციპ.), მდ. აჭყვის მარჯვ. ნაპირზე, ციხისყელად წოდებულ გორაზე. გვიან შუა საუკუნეებში ციხეს ფლობდა ქობულეთის გამგებელი (მმართველი) მამუკა თავდგირიძე (აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც). გადმოცემის თანახმად, რუსეთ-თურქეთის 1877–78 ომის დროს ალამბრის ციხე ქობულეთის მმართველი თავდგირიძეების ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი უნდა ყოფილიყო. 1959 მიწისძვრამ ციხე მნიშვნელოვნად დააზიანა (ფაქტობრივად გაანადგურა). გადარჩენილი კედლებისა და საძირკვლის ნაშთების მიხედვით, სავარაუდოა, რომ ციხეს გეგმით თითქმის კვადრატული ფორმა ჰქონდა (ფართ. დაახლ. 70 *მ*²). კედლებიდან ყველაზე უკეთ სამხრ. (სიმაღლე 3 *მ*) და დას. (სიმაღლე 1 *მ*) კედლებია შემორჩენილი. მათი სისქეა 1–1,2 *მ*. ციხე ძირითადად ნაგებია თითქმის თანაბარი ზომის ნატეხი ქვით. შემორჩენილ კედლებზე ჩანს გვიანდელ პერიოდში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების კვალი.

ლიტ.: სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ., 1962.

რ. ტაკიძე.

მამუკელაშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე (დ. 23. V. 1999, ნიუ-იორკი, აშშ), სპორტსმენი (კალათბურთი). იტალიის ახალგაზრდულ კლუბებში წარმატებული თამაშის შემდეგ ჩაირიცხა მონტვერდეს კალათბურთის აკადემიაში (აშშ), 2017 კი – სეტონ ჰოლის კოლეჯში, რ-ის საკალათბურთო კლუბში (Seton Hall Pirates) წარმატებით ასპარეზობდა.

2018 შედგა მ-ის დებიუტი საქართვ. ეროვნ. საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. მონაწილეობა მიიღო ევროპის 2022 ჩემპიონატში, ასევე მონაწილეობდა FIBA-ს 20 წლამდე კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატში.

2021 მ. ჩაირიცხა აშშ-ის ეროვნ. საკალათბურთო ასოციაციის (NBA) საკალათბურთო კლუბ ,,მილუოკი ბაქსში'', 2023-იდან კარიერას აგრძელებს ,,სან ანტონიო სპურსის'' შემადგენლობაში.

მამულა (1949-მდე მამლოსოფელი), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში (გომარეთის თემი), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1410 *მ*, დმანისიდან 35 *კმ*. 51 მცხ. (2014). სოფლის სახელწოდება დატანილია 1898 რუსეთის ერთვერსიან რუკაზე (,,мамула- софели'').

სოფლის განაპირას, სამხრ-ით დგას წმ. მარინეს დარბაზული ეკლესია (8,9×5,6 *მ*). ძეგლის სხვადასხვა პერიოდის ორივე სამშენებლო ფენა ნაგებია ბაზალტის ქვით. თავდაპირველი ფენა, სავარაუდოდ, განვით. შუა საუკუნეებს განეკუთვნება, გვიანდელი კი (კედლების ზედა ნაწილი, კამარა და კონქი) – XVI–XVII საუკუნეებს. შენობის აღდგენილ ნაწილში ქვა გაცილებით უკეთ არის დამუშავებული (განსაკუთრებით შიგნით) და წყობის ხარისხიც ბევრად მაღალია. შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი ლოდითაა გადახურული, რ-საც მხოლოდ ძირი აქვს გასწორებული, დანარჩენი ნაწილი კი მომრგვალებულია. შესასვლელი შიგნიდან თაღოვანია. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ორი ოთხკუთხა ნიშია. აფსიდს მთელ სიგრძეზე გაუყვება დაახლ. 1 *მ* სიმაღლის საფეხური, რ-იც აფსიდის ბოლოებისკენ თანდათან ვიწროვდება და სრულდება. აფსიდში დგას მთლიანი ქვის მაღალი ტრაპეზი. გრძივი კედლების შუაში პროფილირებული კაპიტელით დაგვირგვინებული თითო მარტივი პილასტრია, რ-ებზეც გადაყვანილია კამარის ნახევარწრიული საბჯენი თაღი. ინტერიერს, საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. საკურთხევლის სარკმელი გარედან შემკულია სამმაგი ლილვით შედგენილი ჰორიზონტალურგადანაკეცებიანი თავსართით, რ-ის ორივე გადანაკეცის ქვემოთ თითო რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. მსგავსი გამოსახულებაა სარკმლის გვერდით (ჩრდ-ით) მდებარე ქვაზეც. ჯვრის გარდა, ქვაზე ქართული ასომთავრულით შესრულებული დაქარაგმებული წარწერაცაა – ,,წმიდა მარიამი''. მეორე დაქარაგმებული წარწერა დას. ფასადზეა, სარკმლის ზემოთ მოთავსებულ ქვაზე, რ-იც ასე იკითხება: ,,ქრისტე შეიწყალე ბაკურ''.

ეკლესიის კედლები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით.


ეკლესიის ეზოში ძველი საფლავის ქვებია.

ლიტ.: Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, Leiden, vol. 4, 1999.

ნ. ანდღულაძე.

მამულაანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (ღდუს თემი), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ალეურის (ქსნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, ზ. დ. 1640 *მ*, ახალგორიდან 27 *კმ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.



ა. მამუკელაშვილი.

მამულაიშვილი არსენ ანტონის ძე. იხ. *ლალიონი.*

მამულარი, სოფელი გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (საჭამიასერის თემი), მდ. ხევისწყლის ხეობაში. ზ. დ. 420 *მ*, ჩოხატაურიდან 15 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ*. 126 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები.


მამულაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე (16. V. 1898, თბილისი, – 31. X. 1982, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1962). სწავლობდა თბილ. სამასწავლებლო სკოლაში (1918–19) და მოსკ. კინემატოგრა-



მამულა. წმინდა მარინეს ეკლესია. განვით. შუა საუკუნეები.

ფიის სახელმწ. ტექნიკუმში (1928–30). მუშაობდა მოსკ. კინოფაბრიკა ,,მეჟრაბპომფილმში'' (1930–36), შემდეგ – ,,თბილისის კინოსტუდიის'' ქრონიკის სექტორში. გადაიღო დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმები: ,,შალვა დადიანი'' (1937), ,,დიადი თარიღი'' (1938), ,,სალმე'' (1941), ,,რა გააკეთე შენ სამშობლოს გამარჯვებისთვის'' (1943), ,,ახალგაზრდობის აღლუმი'' (ორივე 1944), ,,პატრიოტული მოვალეობა'', ,,აბასთუმანი'' (1946), ,,ილია ჭავჭავაძე'' (1957), ,,აკაკი წერეთელი'' (1959), ,,იაკობ გოგებაშვილი'' (1960), ,,ვასილ ამაშუკელი'' (1971) და სხვ. მისი თაოსნობით შეიქმნა კინოჟურნალი ,,ნორჩი თაობა'' (1947–53, შემდგომში ,,პიონერი'' 1954–73).

მ. კერესელიძე.



მ. მამულაშვილი.

მამულაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე (14. IX. 1873, მცხეთა, – 6. I. 1973, იქვე), მებაღე-დეკორატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). სწავლობდა პიატიგორსკის პროგიმნაზიაში (1882), შემდეგ – წინამძღვრიანთკარის სას.-სამ. სასწავლებელში. 1890 დაამთავრა თბილ. საბაღოსნო სასწავლებელი. 1890–98 მუშაობდა კავკ. მეფისნაცვლის ბაღში (ახლანდ. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლის ბაღი). მ. იყო საქართველოში საბაღოსნო საქმის ერთ-ერთი პოპულარიზატორი, მან მრავალი ველური ყვავილი გააკულტურულა და შექმნა ორიგინ. სტილის მხატვრული კომპოზიციები. მ. მონაწილეობდა ყვავილების გამოფენებში. 1960 სსრკ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მიიღო ვერცხლის, ხოლო 1962 მოსკ. მანეჟის ყვავილების გამოფენაზე – ოქროს მედლები. მ-ის მცხეთის ბაღში (საფუძველი ჩაეყარა 1893) დაცულია მისი მხატვრული კომპოზიციები და კაბინეტ-მუზეუმი. იხ. აგრეთვე *მცხეთის ბაღი.*

ლიტ.: შონია მ., მიხეილ მამულაშვილი, თბ., 1973; ხახუტაშვილი ქ., მცხეთელი მინდია, თბ., 1963.

მ. შონია.

მამული, 1. მამაპაპეული, წინაპრებისაგან მიღებული უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა. ნაწარმოებია სიტყვისაგან მამა (ანალოგიური წარმოებისაა დედული, მომდინარეობს სიტყვისაგან დედა). შუა საუკუნეების ქართულში განსაზღვრავდა წინაპრებისაგან გადმოცემულ ნივთს, ქონებას, მხარეს, ქვეყანას, სამფლობელოს, ადათს, სარწმუნოებას და სხვ. მაგ., „მამული ქვეყანა“ ნიშნავდა მემკვიდრეობით მიღებულ მიწას; „მამული შჯული“ – მამაპაპეულ სარწმუნოებას; „ჯრმალი მამული“ – წინაპართა ხმალს; „სახლი მამული“ – წინაპართა მხარეს; „მამული სამკჳდრებელი“ – წინაპართა საცხოვრებელ ქვეყანას და სხვ.

2. სამშობლო. მსაზღვრელი სიტყვიდან მ. იქცა დამოუკიდებელ არსებით სახელად და შეითავსა საზღვრული სიტყვის ცნებაც – წინაპართა ქვეყანა, ე. ი. სამშობლო. ასეთი მნიშვნელობით მ. იხმარებოდა არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ – შემდგომ ეპოქაშიც, ზოგჯერ კი იყენებენ თანამედროვე ქართულშიც.

3. ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმა: კერძო, მემკვიდრეობით მფლობელობაში არსებული მიწა (შეესატყვისება დაახლ. დას. ევრ. ალოდი, რუს. – вотчина, სომხ. – հაձրենիք; ახლო-და შუააღმოსავლური – მულქი; ჩინური – ჯუან-ტიანი; იაპონური – სიოენი).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მ. „საგვარეულო, მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა IX–X სს-იდან“. ამ საკითხზე არსებობს სხვა თვალსაზრისიც (ნ. შოშიაშვილი), რ-ის მიხედვით მ-მა ასეთი შინაარსი შეიძინა გვაროვნ. წყობილების რღვევის ეტაპზე, ე. ი. მაშინ, როცა გაჩნდა კერძო საკუთრება, კერძო მიწათმფლობელობა და ამდენად – მემკვიდრეობის ინ-ტიც, ე. ი. მ. (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი).

მ., როგორც მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი, თავდაპირველად გამოხატავდა მხოლოდ მემკვიდრეობით (ე. ი. მამისაგან) მიღებულ მიწას (პირადად შეძენილის საპირისპიროდ). შემდგომ მ-ის ცნება აღნიშნავდა სამემკვიდრეო სამფლობელოდ მიღებულ ყველა მიწას, განურჩევლად იმისა, თუ რა გზით იყო ის შეძენილი. ამრიგად, ცნება მ. მიუთითებდა უკვე არა მიწის მიღების გზაზე, არამედ – მიწის მფლობელის სამემკვიდრეო ხასიათზე. ასე გაჩნდა მ-ის სხვადასხვა კატეგორია. ამ კატეგორიებად მ-ები იყოფოდა შეძენის გზის, კუთვნილების, სიდიდისა და შეუვალობის (იმუნიტეტის) ხარისხის მიხედვით: 1. შეძენის გზებზე მიუთითებდა მ-ის შემდეგი სახეები: ნაწყალობევი, ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი, ხმლით ნაშოები, შეწირული და სხვ.; 2. კუთვნილების მიხედვით მ. იყო მეფის (სასეფო, სახასო), მთავრის, მსხვილი ფეოდალების (დიდი აზნაურები X ს-მდე; დიდებულები XI–XIV სს-ში; თავადები XV–XVIII სს-ში), წვრილი ფეოდალების (აზნაურების), ეკლესიის (სასაყდრო, სამონასტრო, სატაძრო, საკათოლიკოსო, საწინამძღვრო, საქადაგო და სხვ.), უშუალო მწარმოებლების (საგლეხო, სამსახურო); 3. სიდიდის მიხედვით არსებობდა დიდი, საშ. და მცირე მ-ები. დიდი მ. ჰქონდათ მეფეს, მთავრებს, დიდ ფეოდალებს, მცხეთის სვეტიცხოვლისა და ზოგიერთ სხვა დიდ საეპარქიო საყდრებს (ბიჭვინთის, ქუთაისის, ცაიშის, რუსთავის, სამთავისის, ალავერდის და სხვ.), დიდ მონასტრებს (მღვიმის, დავითგარეჯის, გელათის, ვარძიის, ვაჰანის და სხვ.); საშ. სიდიდის – წვრილი ფეოდალების ნაწილს, პატარა ეპარქიების საყდრებს, პატარა მონასტრებს; მცირე – წვრილ ფეოდალებს, ზოგიერთ ეკლესია-მონასტერს და უშუალო მწარმოებლებს.

შეუვალობით სარგებლობდნენ დიდი და ნაწილობრივ, საშ. სიდიდის მ-ები. შეუვალობა მით უფრო სრული იყო, რაც უფრო დიდი იყო მ. და რაც უფრო წარჩინებული პირი იყო მისი მფლობელი. აბსოლუტურად სრული შეუვალობა არ ჰქონდა არცერთ მ-ს: მეფე არავის ანიჭებდა სასამართლო და სამხ. (ე. წ. ლაშქარ-ნადირობის) შეუვალობას, გარდა იშვიათი გამონაკლისისა. შეუვალობის მიღების გზები სხვადასხვაგვარი იყო. მას განსაზღვრავდა მ-ის კატეგორია და მემამულის პირადი დამსახურება მეფის წინაშე. ისეთი კატეგორიის მ., როგორიცაა ნასყიდი, ნასისხლი და ნამზითვი, ითვლებოდა „ყოველითურთ მოუდევრად“ (ე. ი. სახელმწიფო და სამეფო მოხელეებისგან შეუვალად), მაღალი კატეგორიის მიწებად. მეფეები ნაწილობრივ შეუვალობას ანიჭებდნენ ნაწყალობევ და შეწირულ მ-ებსაც. როგორც საერო, ისე საეკლ. ფეოდალები შუა საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ცენტრ. ხელისუფლებას სამამულო შეუვალობის მოსაპოვებლად და გასაფართოებლად. ეს იყო შინაკლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება ფეოდ. საქართველოში. მეფე ზოგჯერ ახერხებდა ამა თუ იმ მ-ის შეუვალობის გაუქმებას ან შეზღუდვას, მაგრამ ფეოდალები შემდგომ კვლავ იბრუნებდნენ მას.

შემოგვრჩა შეუვალობის განახლების არაერთი სიგელი: სვეტიცხოვლის, ბიჭვინთის, სამთავისისა და სხვა დიდი საყდრების, აგრეთვე მღვიმის (შიომღვიმე), დავითგარეჯის მონასტრების, მთელი საქართვ. ეკლესიის, ცალკეული მსხვილი ფეოდალებისა და სხვა დიდი მამულების. ფეოდალიზმის ხანაში მიწათმფლობელობა შერწყმული იყო პოლიტ. ძალაუფლებასთან (მემამულე ფლობდა არა მარტო მიწას, არამედ მოსახლეობასაც), სამამულე შეუვალობის ხარისხი შეესატყვისებოდა მემამულის პოლიტ. ავტონომიის ხარისხს. შეუვალობის მოპოვებით ფეოდალებმა თავიანთ მ-ებში შექმნეს გამგებლობის საკუთარი ორგანიზაცია – სენიორია, რ-საც საქართველოში ეწოდებოდა სახლი. ასეთი ფეოდ. სახლებით იყო დაფარული შუა საუკუნეების საქართველო. სენიორიებს ქმნიდნენ მსხვილი ფეოდალების, მსხვილი საყდრებისა და მონასტრების მ-ები. წვრილ მემამულეთა სამფლობელოები სენიორიებს არ წარმოადგენდნენ. ფეოდალთა დაბალი წოდების საკუთრების უფლება მიწაზე დიდად იყო შეზღუდული მათი უშუალო სენიორის – პატრონის (დიდი ფეოდალი, მეფე, ან ეკლესია) მიერ. წვრილი ფეოდალის მ. უფრო ემსგავსებოდა დასავლეთევროპულ ფეოდს, ვიდრე ალოდს.

XV ს-მდე საგლეხო მეურნეობის ერთეულს მიწა ან ფუძე ეწოდებოდა. მასში შედიოდა განსაზღვრული რაოდენობის სახნავი მიწა, ვენახი და სხვ. XV ს-იდან კი ეწოდა მ. მთელი მ., საგლეხო მ., როგორც მიწათმფლობელობის ფორმა, არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალის მ-ისგან. გლეხი და მისი მ. ბატონის საკუთრება, ბატონის მ-ის შემადგენელი ნაწილი იყო, მისი განმკარგულებელი კი – ბატონი (თუმცა ბატონის ნებართვით გლეხი ზოგჯერ ყიდდა კიდეც მიწას).

იმის გამო, რომ მიწაზე საკუთრების უფლება ფეოდალიზმის ეპოქაში დანაწევრებული იყო (მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოში იურიდიულად იყო მეფე, ხოლო ფეოდალი – პირობით მესაკუთრე), მეფესა და ფეოდალებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ამ დანაწევრებული უფლების გასაფართოებლად. იბრძოდნენ მ-ის გასხვისების უფლებისათვის. ამ ბრძოლაში ფეოდალებმა თანდათან მიაღწიეს წარმატებას. XI ს-მდე ფეოდალს არ შეეძლო მეფის ნებართვის გარეშე მ-ის გასხვისება; XI–XV სს-ში ეს ნებართვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, მეფე ფაქტობრივად ვეღარ უშლიდა დიდ ფეოდალს მ-ის გასხვისებას და მხოლოდ ხელრთვით ადასტურებდა მას: ,,მამამა ჩემმა ეზომი მამული დამიგდო, რომე თუცა სხვა რომელისა მამულის სოფელი შემომეწირა, ესეც ხელმეწიფებოდა“, – აღნიშნავს XIII ს-ში ერთი დიდი ფეოდალი თავის საბუთში. XV–XVIII სს-ში ეს ფორმალური მხარეც მოიხსნა: ფეოდალი მ-ს ასხვისებდა მეფის უკითხავად, ვახტანგ VI-ის სამართალი კი აკანონებდა ამ ფაქტს.

ფეოდალები ერთმანეთს ებრძოდნენ მ-ის მისატაცებლად. სწორედ ეს ბრძოლა ქმნიდა შინაკლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ასპექტს ფეოდ. საქართველოში.

გარდა კერძო მიწათმფლობელობისა ძვ. საქართველოში აგრეთვე იყო სახელმწ. მიწათმფლობელობა, რ-იც სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად წარმოიქმნა ტერიტ.-ადმ. ერთეულების სახით. ამავე დროს, გვაროვნ. საზ-ბის ეპოქიდან კლასობრივი წყობილების ხანაშიც საუკუნეების განმავლობაში შემორჩა სათემო მიწათმფლობელობა. სათემო და სახელმწ. მიწებს ეწოდებოდა არა მ., არამედ – ქვეყანა, ხევი, თემი და სხვ.; სახელმწ. მიწებს განაგებდნენ ერისთავები, ციხისთავები, ხევისუფლები და სხვები; სათემო მიწებს – მამასახლისები, ხევისბერები, ხუცესები (არა-სას. პირები) და სხვ.; კერძო მიწებს, ე. ი. მ-ებს (სამეფო, საფეოდალო, საეკლესიო) – მოურავები, მგეები (განმგე, გამგებელი) და სხვ. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (IX–X სს-იდან) საქართვ. ცენტრ. (ბარის) რ-ნებში ძირითადად გაქრა სათემო მიწათმფლობელობა. XI–XIII სს-ში სახელმწ. და სათემო მიწების ნაწილს მეფე პირად მფლობელობაში ურიგებდა წვრილ ფეოდალებს – მსახურეულ აზნაურებს. ასეთ მიწებს ეწოდებოდა საკარგავი. ასე გაჩნდნენ „აზნაურნი მოსაკარგავენი“ (ე. ი. საკარგავის მფლობელი აზნაურები), საპირისპიროდ „მემამულე აზნაურისა“ (ე. ი. მ-ის მფლობელი აზნაურისა).

სათემო, სახელმწიფო მიწები და საკარგავები დროთა განმავლობაში მ-ად იქცა. ეს პროცესი დასრულდა XV ს-ში. XV–XVIII სს-ში სამამულე მიწათმფლობელობა საქართველოში ყოვლისმომცველი გახდა. აღარ იყო სახელმწ., სათემო და საკარგავი მიწები. მათი ყოველგვარი საკუთრება ამ პერიოდში იყო მ.

XIX ს. 60-იანი წლებიდან 1921-მდე მ. აღნიშნავდა მიწაზე კერძო საკუთრებას. საბჭ. ეპოქაში მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მ., როგორც მიწათმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი, აღარ იხმარებოდა.

წყარო: ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ჟამთააღმწერელი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; X–XVIII სს. ქართული საბუთები, წგ.: ქართული სამართალის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1–8, თბ., 1963–85.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ნ. შოშიაშვილი.

„მამული“, თურქულენოვანი ჟურნალი, იხ. ,,*ჩვენებურები*“.

„მამული“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა 1951–53 ბუენოს-აირესში (არგენტინა). მისი საპატიო რედაქტორი და ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო ა. პაპავა. ჟურნალის პირველი ნომერი იყო 32-გვერდიანი. ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ი. ჭავჭავაძის სიტყვები: ,,მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება“. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ ქართ. ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები; მხატვრულად აფორმებდნენ ფ. ვარლამიშვილი (ვარლა) და ლ. სააკაძე. მასში აქტიურად იბეჭდებოდა ვ. ნოზაძის, გ. ლოლუას, მინდია ლაშაურის (ი. კუჭუხიძე), თ. და ა. პაპავების, გ. გამყრელიძის, გ. გოგელაშვილის, სამტრედიელის (ნამდვ. გვარი უცნობია), სანდრო ნებლოს (ა. პაპუაშვილი) ნაშრომები. ,,მ“. გამოირჩეოდა მასალის სიმდიდრით, რუბრიკების მრავალფეროვნებითა და პროფ. ანალიზის სიღრმით. მასში წარმოდგენილი იყო ევროპიდან და ამერიკიდან გამოგზავნილი კორესპონდენციები, უცხოენოვანი ლიტ. ნაწარმოებების თარგმანები, მეცნიერული, ისტ. და პოლიტ. ხასიათის ნაშრომები და სხვ. ჟურნალში ფართოდ შუქდებოდა არგენტინის ქართ. დიასპორის მიერ გამართული კულტ.-საგანმან. ღონისძიებები.

თ. დოლიძე.

„მამული“, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოე-

ბის გაზეთი (1989. 1. VI–1997). გამოდიოდა ყოველთვიურად, შემდეგ – თვეში ორჯერ. თავიდან იბეჭდებოდა ინტერსონალური სარედაქციო კოლეგიის ხელმოწერით, მეორე ნომრიდან დაემატა სარედაქციო კოლეგიის წევრთა ხელმოწერა (ა. კალანდაძე, გ. გეგეშიძე, ვ. კოტეტიშვილი, ტ. ჭანტურია, ო. ჭილაძე, ვ. ჩორდელი), ხოლო მესამე ნომრიდან მათ დაემატა რ. გოცირიძე, თ. ნინიძე, ნ. ჯოხარიძე. სარედაქციო კოლეგიის ეს შემადგენლობა დაამტკიცა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზ-ბის I ყრილობამ (1989). მანვე აღნიშნა, რომ საჭირო იყო ,,მ-ის'' გამოცემა რუს. და ინგლ. ენებზე, თუმცა ეს ვერ განხორციელდა. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ: ლ. ბრეგაძე, ლ. ბეროშვილი, ა. ბაქრაძე, კ. იმედაშვილი, თ. სიგუა, ზ. ჯაფარიძე, ი. ჯავახაძე. მ-ის რედაქტორები იყვნენ: ტ. ჭანტურია (1989. XI–1993), ვ. გიგაშვილი (1993–94), ბოლო წლების ნომრებს კი კვლავ ინტერპერსონალური ,,სარედაქციო კოლეგია'' აწერდა ხელს.

მ-ის ფურცლებზე ქვეყნდებოდა საზ.-პოლიტ., კულტურულ-ეკონ., ისტ.-ლიტ. წერილები, მხატვრული ლიტ-რის ნიმუშები. ასევე უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი წერილები, მემუარული და ემიგრანტული ლიტ-რა, სხვადასხვა თემატიკისადმი მიძღვნილი ინტერვიუები, რ-თა ავტორები იყვნენ: ჭ. ამირეჯიბი, ა. ბაქრაძე, მ. ნანეიშვილი, ი. შენგელაია, ზ. მიქელაძე, კ. ჩოლოყაშვილი, ნ. ლომოური, მ. დუმბაძე, ი. ანთელავა, ი. სარიშვილი, ვ. გურგენიძე, ე. კენჭოშვილი, ო. გამყრელიძე, ბ. არველაძე, მ. თოდუა, რ. ჩხეიძე, გ. მეგრელიძე, ნ. წულეისკირი, რ. ჭეიშვილი, გ. ფანჯიკიძე, ა. კალაძე, ვ. როდონაია, დ. აბაშიძე და სხვ.

ა. კოხრეიძე.

მამულია გურამ სამსონის ძე (9. V. 1937, თბილისი – 1. I. 2003, იქვე), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1987), პოლიტიკოსი აქტივისტი, (ადამიანის უფლებათა დამცველი), დისიდენტი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკტი (1960). მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში (1961–2003), თსუ-ში საქართველოს ისტორიის კათედრაზე – კითხულობდა ლექციებს. იკვლევდა ძველი საქართველოს ისტორიის საკითხებს – ქართული პატრიარქალური გვარისა და ნათესაურ სისტემებს, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრობლემას ძველ ქართლში (იბერიაში), ძველქართულ ტომთა სოც. სტრუქტურასა და მათი სოც. ევოლუციის გზებს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში; ქართული ფეოდალური საზოგადოებისა და ფეოდალური სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხს.

მ. 1981 დისიდენტური საქმიანობის გამო გარიცხეს კომპარტიიდან. 1983, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმის აღნიშვნასთან დაკავშირებით საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობის გამო გაათავისუფლეს თსუ დოცენტის თანამდებობიდან და ჩამოართვეს უნივერსიტეტში ლექციების კითხვის უფლება. 1988 იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" თანადამფუძნებელი, 1992–95 – საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1996–2001 – საქართვ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრიაციის სამსახურის უფროსი.

თხზ.: კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979; პატრონყმობა, თბ., 1987.

ტ. ახალაია.

მამულია ერმალოზ ივანეს ძე [31. I (13. II). 1909, სოფ. ფოცხო, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – გ. წ. უცნობია], გეოლ.-ზისტი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა მოსკ. გეოლ.-ზიის ინ-ტი (1933). 1951-მდე მუშაობდა მოსკ. მეტროპოლიტენისა და შავიზღვისპირა რკინიგზის მაგისტრალის გვირაბების მშენებლობაზე. 1951–68 იყო ,,თბილგვირაბმშენის'' მარკშაიდერი. სსრკ-ში პირველი უნიკალური კომპლექსის, ახალი ათონის მღვიმის ათვისებისა და ინფრასტრუქტურის შექმნისათვის მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად. მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. მიღებული აქვს სხვა სახელმწ. ჯილდოები.

მამულია სამსონ ანდრიას ძე (30. VI. 1891, სოფ. ფოცხო, ახლანდ. სენაკის მუნიციპ. – 14. XI. 1937, თბილისი), საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. რსდმპ(ბ) წევრი 1917-იდან. მონაწილეობდა რევ. მოძრაობაში ჩრდ. კავკასიაში (1917 ივნისამდე) და საქართველოში. 1919 სათავეში ჩაუდგა სენაკის ბოლშევიკურ სამაზრო კომიტეტს და იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ, რისთვისაც ორჯერ დააპატიმრეს. 1920 სექტემბერში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ბაქოში გადაასახლა. მუშაობდა თავდაპირველად აზერბაიჯანის განათლების სახალხო კომისარიატში, შემდეგ კი გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ) იყო საქ. კპ(ბ) სენაკის რაიკომის აღმასრ. მდივანი (1921–22), 1922 – საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი, 1929–30 – საქ. კპ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1930–31 – საქ. კპ(ბ) ცკ-ის ჯერ მეორე, შემდეგ პირველი მდივანი, 1931 – საქ. კპ(ბ) ტფილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. იყო დიდი საბჭ. ენციკლოპედიის კომისიის წევრი. 1935-იდან სამეცნ. მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში. იყო საქ. კპ(ბ) I–VII ყრილობების დელეგატი, ამიერკავკასიის ცაკის წევრი.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

მამულიანი რუბენ ზაქარიას ძე (18. X. 1897, თბილისი, – 4. XII. 1987, ლოს-ანჯელესი), აშშ-ში მოღვაწე თეატრისა და კინოს რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი.

სწავლობდა თბილისში, ნერსესის სასწავლებელში, შემდეგ პარიზში – მონტენის ლიცეუმში. ესწრებოდა ე. ვახტანგოვის სასწავლო კურსებს მოსკოვის სამხატვრო თეატრის მეორე სტუდიაში. 1922 დიდ ბრიტანეთში განახორციელა პირველი თეატრალური დადგმები. 1923 ჯ. ისტმენის მიწვევით როჩესტერში დააარსა საოპერო სტუდია, სადაც ორ-ნახევარი წელი იმუშავა. აქ მ. ჩამოყალიბდა როგორც კინოსა და თეატრის რეჟისორი. ბროდვეიზე დადგა მუს. სპექტაკლები: ,,ოკლაჰომა!'', ,,პორგი და ბესი'' და სხვ.

ჰოლივუდში გადაიღო ფილმები: ,,აპლოდისმენტები'' (1929), ,,ქალაქის ქუჩები'' (1931), ,,დოქტორ ჯეკილი და მისტერ ჰაიდი'' (1931), ,,დედოფალი ქრისტინა'', ,,ქებათა ქება'' (ორივე 1933), ,,ოქროს ბიჭები'' (1939), ,,ზოროს ნიშანი'' (1940), ,,სისხლი და ქვიშა'' (1941), ,,ველური გული'' (1952), ,,აბრეშუმის წინდები'' (1957). მ-მა ინოვაციური ხერხებით გაამდიდრა ფილ-



რ. მამულიანი, კადრი ფილმიდან ,,ზოროს ნიშანი“. მსახიობი ტ. პაუერი – ზორო, 1940.

მის გადაღების პროცესი, შექმნა კინოს ისტორიაში პირველი, ტექნიქოლორის სისტემით გადაღებული ფერადი სრულმეტრაჟიანი ფილმი (,,ბეკი შარპი“, 1935). მის ფილმებში მონაწილეობდნენ გ. გარბო, მ. დიტრიხი, ტ. პაუერი, ს. ჩერისი, ფ. ასტერი, მ. შევალიე და სხვ. სხვადასხვა მიზეზით მან ვერ შეძლო ფილმების, ,,ლორასა“ (1944) და ,,კლეოპატრას“ (1963) დასრულება.

50-იანი წლებიდან ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას. კინოინდუსტრიაში შეტანილი წვლილისთვის მ-ის ვარსკვლავი გაიხსნა ჰოლივუდის დიდების ხეივანში (1960); იგი შეყვანილია ამერიკული თეატრის ,,დიდების დარბაზში“ (1981). მიღებული აქვს ამერიკის რეჟისორთა გილდიის ჯილდო – დ. უ. გრიფიტის სახ. პრემია (1982).

მ. კერესელიძე.

„მამულიშვილი“, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა პარიზში (1926–28). დამფუძნებელი და რედაქტორი იყო რ. გაბაშვილი. გამოსცემდა საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტია. სულ გამოიცა 7 ნომერი. გაზეთთან თანამშრომლობდნენ რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ტ. მარგველაშვილი, რ. ივანიცკი-ინგილო, შ. ამირეჯიბი, ი. ხანანაშვილი და სხვ. გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია: გ. გვაზავას ,,ეროვნული ფრონტი“ (№1, 1926), კავკ. დამოუკიდებელი კომიტეტის მიმართვა ,,ბრძოლა კავკასიის დამოუკიდებლობისათვის“ (№3, 1927), 1927 წ. 18 დეკ., ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საღამოზე წაკითხული შ. ამირეჯიბის მოხსენება (№5, 1927), ეროვნ.-დემოკრ. პარტიის პარიზის კომიტეტის წერილი ,,ჩვენი პარტიის საყურადღებოდ“ (№4, 1927), რ. ივანიცკი-ინგილოს ,,ერთად თუ დაქსაქსვით?“ (№7, 1928), ,,მეთვალყურის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ,,ემიგრაციის მოვალეობაზედ“ (№3, 1927), ,,დონვინის“ (დ. ვაჩნაძე), ,,ი. პილსუდსკი“ (№7, 1928) და სხვ. წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმებით (,,X“, ,,მეთვალყურე“, ,,დონვინი“, ,,ტ. მ.“ – ტ. მარგველაშვილი; ,,კახელი“, ,,ეგრისელი“, ,,ფარი“, ,,შ. ა-ბი“ – შ. ამირეჯიბი).

ლ. ურუშაძე.

მამულოვი სტეფანე სოლომონის ძე (2. IX. 1902, თბილისი, – 26. IX. 1976, სოხუმი), გენერალ-ლეიტენანტი (1945). შსსკ დამს. მუშაკი (1942), II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე, აფხაზეთის არ საოლქო, საქ. კპ ცკ განყ-ბის გამგე, პარტიის თბილ. ქალაქკომის მე-3 მდივანი (1926–38), სსრკ შს სამინისტროს სამდივნოს უფროსი (1938–46), სსრკ შს მინისტრის მოადგილე (1946–53). 1953 დააპატიმრეს ,,ბერიას საქმესთან“ დაკავშირებით და მიუსაჯეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა (გაათავისუფლეს 1968). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მამუჩიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (23. V. 1916, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 1997, თელავი), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1989). 1933–36 სწავლობდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში. 1936–40 იყო რუსთაველის, ხოლო 1940-იდან – თელავის თეატრის მსახიობი. შეასრულა გურიელის (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან“), სიმონის (ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი“), მეწისქვილის (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“), მეფის (გ. ქელბაქიანის ,,თქმულება სიყვარულზე“), იანვარას (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი“), დათოს (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი“), ბერიკას (გ. ერისთავის ,,ყვარყვარე ათაბაგი“), ურაზმაგის (ს. კლდიაშვილის ,,ირმის ხევი“), ჯანდიერის (ა. წერეთლის ,,ბაშიაჩუკი“) და სხვა როლები. გადაღებულია ფილმებში: ,,გოლა, შემთხვევა ზურგში“ (რეჟ. გ. მატარაძე, 1980), ,,ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (იორამი, რეჟ. გ. ლევაშოვ-თუმანიშვილი, 1984).



გ. მამუჩიშვილი – თავადი ჯანდიერი. ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი“.

მამუჩიშვილი ინგა გოდერძის ასული (დ. 17. VI. 1962, თბილისი), პედიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (2007). 1988 დაამთავრა მოსკოვის II სამედ. ინ-ტი. 1991 მუშაობდა თბილ. კრწანისის რ-ნის მთ. პედიატრად, ამავე წელს – არაბეთის გაერთიანებული ემირატების წითელი ჯვრის კლინიკის პედიატრად. იყო თსსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის პედიატრიის კათედრის ასისტენტი (1996–2004), დოცენტი (2004–06), პროფესორი (2008), ძმები ზუბალაშვილების სახ. პედიატრიული კლინიკის დირექტორი (2004–11), საქართვ. ეროვნ. უნ-ტის პროფესორი (2011–19), მაღალი ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის კონსულტანტი (2011–15), 2015–17 მუშაობდა კლინიკა ,,Medical House“-ში, 2017-იდან – ,,მზიურ მედიში“, 2019-იდან ხელმძღვანელობს კლინიკა ,,ნიუ ჰოსპიტალსის“ პედიატრიულ ამბულატორიულ დეპარტამენტს.



რ. მამულიანი

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ძირითადად ეხება პედიატრიის, ალერგოლოგია-იმუნოლოგიის, სამედ. ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, 2016 დასახელდა წლის საუკეთესო პედიატრად.

თხზ.: სტრეს-მაინდუცირებელი რისკ-ფაქტორების მოქმედება ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, თბ., 2008.



გ. მამუჩიშვილი.

მამფალი, ფეოდალურ საქართველოში პატრონის შესატყვისი ტერმინი, ფეოდალი მთავრების სახელწოდება; მიღებულია „მამა“ და „უფალი“ სიტყვების შერწყმით. მისი წარმოქმნა და დამკვიდრება გამოწვეული იყო სათანადო ცვლილებით სოც. ცხოვრებაში – სიტყვა „უფალმა“ (მიწის, ადამიანთა და სხვ. მფლობელი) ფეოდალი მესაკუთრის, მისგან დამოკიდებულ ადამიანზე მზრუნველი „მამის“ და


„პატრონის“ შინაარსიც შეიძინა. ტერმინი მ. პირადი და საადგილმამულო ურთიერთდამოკიდებულების გამოსახატავად ფართოდ დამკვიდრდა VIII ს. II ნახ-ში.

IX–X სს-ში, როდესაც ამავე მნიშვნელობით საყოველთაოდ გავრცელდა „პატრონი“, ტერმინი ,,მამფალი‘‘ ფეოდალი მთავრის აღსანიშნავად კიდევ გამოიყენებოდა, მაგრამ მალე გამოვიდა ხმარებიდან.

ლიტ.: ბოგვერაძე ა., ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV–VIII საუკუნეებში, თბ., 1979.

ა. ბოგვერაძე.

მამფორია ოთარ ანტონის ძე (1. XII. 1924, ქუთაისი, – 17. IX. 2000, თბილისი), მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1951), მ. გორკის სახ. ლიტ. ინ-ტის უმაღლესი ლიტ. კურსები (1958). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1940, პირველი კრებ. ,,ლექსები და პოემა‘‘ – 1956. არის ლექსთა კრებულების, პოემების, პიესების, სატირულ-იუმორისტული და საბავშვო ნაწარმოებების ავტორი. ლექსების კრებულებიდან აღსანიშნავია ,,ცისკრის ვარსკვლავი‘‘ (1958), ,,ცისარტყელა ჩანჩქერში‘‘ (1962), ,,ეტლი წუთისოფლისა‘‘ (1970), ,,ერთი მუჭა მიწა‘‘ (1971) და სხვ.; პიესებიდან – ,,მეტეხის ჩრდილში‘‘ (რუსთაველის თეატრი, 1963; გამოიცა 1969), ,,ტაგუ‘‘ (ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრი, 1969), ,,იეთიმ გურჯი‘‘ (მარჯანიშვილის თეატრი, 1974), ,,პიესები‘‘ (1977), ,,უმხედრო ბედაური‘‘ (1982) და სხვ.; მისი რომანი ,,ჩემი ქუთათური რაინდები‘‘ დაიბეჭდა 1995. თარგმნიდა ს. ესენინის, ა. ბლოკის, ე. ევტუშენკოს, ბ. პასტერნაკის პოეზიას.



ო. მამფორია.

1997 მიენიჭა ღირსების ორდენი. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1982; საქართველო ჩირაღდნად მინთია: ლექსები და პოემა, თბ., 1999; სიცილის ვიტამინები: უღვინო ქორწილი, თბ., 2000; ასი ლექსი, თბ., 2012.

მამფორია ფილიპე დიმიტრის ძე [25. X (7. XI). 1904, სოფ. ჩხოროწყუ, ახლანდ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 16. XII. 1984, თბილისი], აგრონომ-სელექციონერი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1956), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1984). 1932 დაამთავრა თბილ. სუბტროპ. კულტურების საკავშ. ინ-ტი. 1935–55 მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე ასისტენტად, შემდეგ – დოცენტად. 1955-იდან იყო საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის გენეტიკისა და სელექციის კათედრის გამგე. დაამუშავა ციტრუსოვან მცენარეთა სომატური ჰიბრიდიზაციის (ვეგეტაციური ჰიბრიდიზაცია) თეორ. და პრაქტ. საკითხები. ნაშრომისთვის ,,ლიმონის ახალი ჯიშის – დიოსკურიის გამოყვანა და დანერგვა საქ. სსრ მრეწველობაში‘‘ მიენიჭა სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

გ. თოდუა.

მამძიშხის ქედი, ქედი აფხაზეთის არ-ის გაგრის მუნიციპალიტეტში. წარმოადგენს გაგრის ქედის სამხრეთ განშტოებას. უმაღლესი მწვერვალია მთა შაბაშხა (ზ. დ. 1970 *მ*). ქედი აგებულია ზედაცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით, კალთები შემოსილია რელიქტური კოლხური ტყით, თხემი დაფარულია სუბალპ. მდელოებით.

მამწვარა, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში (გონდრიოს თემი), ხანჩალის ტბის ჩრდ-ით, მდ. ფარავნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1800 *მ,* ნინოწმინდიდან 13 *კმ.* 543 მცხ. (2014).

მამხუტი (ყოფ. სარაჩლო), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. საღზაგანისწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 510 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., ზემო არქევანი, ქვემო არქევანი, ხატავეთი). ბოლნისიდან 22 *კმ,* შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 9 *კმ.* 2359 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 2 *კმ*-ზე, გორაკზე, დგას ორი, ერთმანეთისგან ასიოდე მეტრით დაშორებული დარბაზული ეკლესია. გორაკის ფერდზე განთავსებული ეკლესია VI ს-ით თარიღდება, ხოლო გორაკის თხემზე მდებარე – VI –VII სს-ით. ორივე ეკლესია ნაგებია მოყვითალო ფერის კარგად გათლილი, თითქმის თანაბარი ზომის, სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი კვადრებით. მხატვრული გამომსახველობის გაზრდის მიზნით, წყობაში ჩართულია ფირუზისფერი ქვები. შესასვლელები, რ-თა თავზეც ღია ლუნეტებია, ეკლესიებს სამხრ-იდან აქვს. ორივე ეკლესიის აფსიდა ნალისებრია, ლავგარდანი კი ნალისებრი თაღების მწკრივითაა შემკული. ზედა ეკლესიას ჩრდ-იდან სამკვეთლო ეკვრის. ეკლესიის კედლებზე შემორჩენილია ქართ. ასომთავრულით შესრულებული რამდენიმე წარწერა, მ. შ. ყველაზე ადრეული, სავარაუდოდ, VIII–IX სს-ით თარიღდება, გვიანდელი კი – X–XI სს-ით.

ქვედა ეკლესიის საკურთხევლის თაღის ჩრდ. ქუსლი მხატვრულად გაფორმებულ კაპიტელზეა დაყრდნობილი. დას-იდან მასზე გამოსახულია ჩაჭრილი სამკუთხედებით და ორმაგი სარტყლით გაფორმებული ბოლნური ჯვარი. ჯვრის მარჯვნივ სიცოცხლის ხეა. კაპიტელის სამხრ. გვერდი, ასევე ჩაჭრილი სამკუთხედებით გაფორმებული ვიწრო ზოლით, სამაღლეში ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ზედა ნაწილში გამოყვანილია ერთრიგად გამწკრივებული კოვზისებრი ელემენტები, ქვედა ნაწილში კი – სიცოცხლის ხეები. ზედასგან განსხვავებით, ქვედა ეკლესია შვერილფსიდიანია. XX ს. 80-იან წლებში ორივე ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ი. ბანძელაძე). მათი მიმდებარე ტერიტორიის არქეოლ. შესწავლის დროს გამოვლინდა მრავალმხრივ საინტერესო მასალა.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ხევი ბოლნისისა, დმანისი (კრებული) ტ. 4, თბ., 2003; ელიზბარაშვილი ი., სურამელაშვილი მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭურღულია ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012; მეფისაშვილი რ., კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, ,,ძეგლის მეგობარი‘‘, 1971, №26; Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, Lipz., vol. 4, 1999; Mepisashvili R., Tsintsadze V., The Arts of Ancient Georgia, Lpz, 1979; Mepisashvili R., Zinzadze W., Georgien, Wehrbauten und Kirchen, Lpz., 1986.

თ. დვალი.

მანაგაძე ბორის კონსტანტინეს ძე (31. XII. 1914, ქუთაისი, – 5. VIII. 1991, თბილისი), მხატვარი. საქართველოს დამს. მხატვარი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1940). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1953-იდან. მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: ,,ჩაის პლანტაციებზე‘‘ (1960), ,,ლავგანურჰესის მშენებლობა‘‘ (1961), ,,ქსნის ციხე‘‘, ,,ბერლინის დაცემა. 1945 წელი‘‘ (ორივე 1964), ,,შოთა რუსთაველი‘‘, ,,პოეტ გ. ლეონიძის პორტრეტი‘‘ (ორივე 1966), ,,არც ერთი ნაბიჯი უკან‘‘ (1975), ,,განახლებული მიწა‘‘ (1979) და სხვ. გააფორმა ,,პალესტინის სიძველე-

თა საიდუმლოება" (1966), სადაც აღწერილია XX ს. 60-იან წლებში პალესტინასა და ისრაელში შემორჩენილი ქართ. კულტურის კვალი. მ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში, საქართვ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ. და ომსკის სახელმწ. ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

მანაგაძე გიორგი კონსტანტინეს ძე (21. X. 1913, ქუთაისი, – 22. III. 1981, თბილისი), მხატვარ-დეკორატორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა სოხუმის სუბტროპ. კულტურების საკავშ. ინ-ტი (1937). მ-ს ეკუთვნის მოსკოვში სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართვ. პავილიონის, ულიანოვსკში ქართ. ბაღის, თბილისში სას.-სამ. ინ-ტის, ბიჭვინთის საკურორტო პარკის, რუსთავის, ბაკურიანის, კრწანისის პარკებისა და სხვა გამწვანების, პროექტები; ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას.

მანაგაძე ლავრენტი (ლაური) გიორგის ძე (14. X. 1944, თბილისი, – 7. VIII. 2019, იქვე), უროლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (2013). მედ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1988), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004).

1967 დაამთავრა ი. სეჩენოვის სახ. მოსკოვის I სამედ. ინ-ტი. 1970 –72 მუშაობდა სსრკ სამედ. აკადემიის ორგანოთა და ქსოვილთა გადანერგვის ლაბორატორიის უმცრ. მეცნიერ თანამშრომლად; 1972–74 – კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინ. ქირურგიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომლად, 1974–84 – ხელმძღვანელად. 1984–85 იყო ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1985–2000 – ა. წულუკიძის სახ. უროლოგიის ინ-ტის დირექტორი, შემდგომ (2000–04) – უროლოგიის ეროვნ. ცენტრის სამეცნ. ხელმძღვანელი, 2004–06 – სამეთვალყურეო საბჭოს თავრე, 2007–11 – გენ. დირექტორი, 2012–19 – უროლოგიის ეროვნ. ცენტრის დირექტორი. 1991–92 – თსსი-ის რექტორი, 1998 – თსუ-ის მედიცინის ფაკ-ტის უროლოგიის კათედრის გამგე, 2006–12 – დეპარტამენტის სრული პროფესორი.

მ. არის 1 სახელმძღვანელოს, 4 გამოგონებისა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი. მისი სამეცნ. ინტერესების სფერო იყო ონკოუროლოგია, ენდოსკოპიური, მ. შ. ლაპაროსკოპიული და პერკუტანული ქირურგია, შარდკენჭოვანი დაავადებების მკურნალობა, ბავშვთა უროლოგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია.

მ. იყო მრავალი დარგობრივი აკადემიის, სამეცნ. ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი; საქართვ. უროლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (2000). მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

მანაგაძე ნოდარ შოთას ძე (19. III. 1946, თბილისი, – 27. XI. 2006, იქვე), კინორეჟისორი, სცენარისტი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980), საქართვ. კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1974). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტი (დ. ალექსიძისა და მ. თუმანიშვილის სახელოსნო, 1965). 1964-იდან მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'', სადაც გადაიღო მხატვრული ფილმები: ,,მოლოდინი'' [1969; ვარნის (ბულგარეთი) საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი, 1970], ,,წუთისოფელი'' [ორივე შ. მანაგაძესთან ერთად, 1971; პრიზი და პრემია თბილ. საკავშ. კინოფესტივალზე, 1972; სორენტოს (იტალია) საერთაშ. კინოფესტივალის ჟიურის პრიზი, 1972; საქართვ. კომკავშირის პრემია, 1974], ,,ივანე კოტორაშვილის ამბავი'' (ვაჟა-ფშაველას პოემის მიხედვით, 1974), ,,ამაღლება'' [1977; სიტხესის (ესპანეთი) საერთაშ. კინოფესტივალის ჟიურის პრიზი, 1988], ,,კაშხალი მთაში'' (1979); ,,გაზაფხული გადის'' (1983), ,,ეი, მაესტრო!'' [1987; სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების 31-ე საერთაშ. კინოფესტივალის ჟიურის სპეც. პრიზი, 1987; საკავშ. კინოფესტივალის I პრემია და პრიზი, ბაქო, 1988]; ,,ნოე'' (1990), ,,ნათლისღება'' (1994), ,,ანგელოზის გადაფრენა'' (2000, საერთაშ. კინოფესტივალ ,,ზოლოტოი ვიტიაზის'', პრიზი რეჟისურისთვის, რუსეთი, 2001), აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი ფილმი ,,საერთო კედელი'' და დოკუმენტური ფილმი ,,ზამთრის დღე'' (ორივე 1972). მის ფილმებს რეფრენად გასდევს ადამიანის არსის, ცხოვრების საზრისის ძიების თემა, რ-საც ავტორი სხვადასხვა ისტ. და სოც. ვითარებათა ფონზე იკვლევს და სათქმელს მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი პოეტური სიმბოლოებითა და მეტაფორებით გადმოსცემს. იგი ყველა თავისი ფილმის სცენარის თანაავტორია. გადაღებულია მამის, შ. მანაგაძის ფილმში ,,თვალი პატიოსანი'' (1976), აგრეთვე თავისი რეჟისორობით გადაღებულ ფილმში ,,კაშხალი მთაში''.

მ. კერესელიძე.



ბ. მანაგაძე. ,,ქსნის ციხე''. 1964. დ. შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეა. თბილისი.



ლ. მანაგაძე.



ნ. მანაგაძე.



ნ. მანაგაძე. კადრი ფილმიდან „ივანე კოტორაშვილის ამბავი". მსახიობები: ზ. ქაფიანიძე – ივანე, ვ. ცხადაძე – ქიტესა. 1974.

შ. მარტაშვილი, 1947), თვითონვე გადაიღო დოკუმენტური ნარკვევები: ,,გმირული ტრავერსი'' (1950) და ,,60 წელი სცენაზე'' (ე. ჩერქეზიშვილი, 1948), აგრეთვე მხატვრული ფილმები: ,,ჭირვეული მეზობლები'' (1945), ,,ქართული ბალეტის ოსტატები'' (ვ. ჭაბუკიანთან ერთად, 1955), ,,საბუდარელი ჭაბუკი'' (1957; III პრემია და პრიზი მოსკოვის I საკავშ. კინოფესტივალზე, 1958), ,,ყვავილი თოვლზე'' (1959), ,,კეთილი ადამიანები'' (1961), ,,ვინ შეკაზმავს ცხენს?'' (1963), ,,ხევსურული ბალადა'' (1965), ,,ჯვარცმული კუნძული'' (1968), ,,მოლოდინი'' (ნ. მანაგაძესთან ერთად, 1969; ვარნის საკავშ. კინოფესტივალის პრიზი, 1970), ,,წუთისოფელი'' [ნ. მანაგაძესთან ერთად, 1971, პრიზი და პრემია თბილისის საკავშ. კინოფესტივალი, 1972; ჟიურის პრიზი სორენტოს (იტალია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1972; საქართვ. კომკავშირის პრემია, 1974], ,,თვალი პატიოსანი'' (გ. ფანჯიკიძის რომანის მიხედვით, 1976).



შ. მანაგაძე.

მ-ის შემოქმედება გამოირჩევა თემატური და ჟანრული მრავალფეროვნებით. მისი კვლევის ობიექტია ადამიანი სხვადასხვა გარემოსა და ვითარებაში. მისი ფილმები გამოირჩევა სამსახიობო ანსამბლის შერჩევის, ეკრანზე ეროვნ. კოლორიტის შექმნის ოსტატობით.

მ. კერესელიძე.

მანავი, სოფელი კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედის სამხრეთით. თემის ცენტრი (სოფლები: მ., ზემო ბურდიანი). ზ. დ. 700 *მ,* საგარეჯოდან 15 *კმ,* 2769 მცხ. (2014).

სოფლის მდებარეობა კარგ პირობებს ქმნიდა მეურნეობის მრავალი დარგის, მ. შ. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისთვის. *ვახუშტი ბატონიშვილის* მიხედვით, „ჰერეთის მთის ძირს არს მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმამ-ყულიხან. მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი“. ვარაუდობდნენ, რომ მ-ზე გადიოდა შვიდი დღის სავალი ე. წ. „ცხვრის გზა“. რ-ითაც ცხვარი მთიულეთიდან შირაქში გადაჰყავდათ ზამთრის საძოვრებზე.



შ. მანაგაძე. კადრი ფილმიდან ,,ხევსურული ბალადა''. მსახიობები: თ. არჩვაძე – იმედა, ს. ჭიაურელი – მზექალა. 1965.

მ-ის დასახლებამ და მისმა ციხესიმაგრემ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პერიოდში. სხვა ქართულ სამთავროებთან ურთიერთობისა თუ არაბებთან ბრძოლის დროს, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, ეს ფუნქცია მოიშალა, მაგრამ კახეთის სამეფოს დაარსების შემდეგ, როგორც სტრატეგიული პუნქტი, კვლავ მნიშვნელოვანი გახდა.

1706 იმამყული-ხანმა თავისი ზამთრის რეზიდენცია ყარავჯალიდან, ვახუშტი ბატონიშვილის აზრით ლეკიანობის გამო, მანავში გადაიტანა.

ავჯი-ჩალაბთან (*აგრის ბრძოლა 1751)* ქართველების დამარცხების შემდეგ ლეკები საქართველოს შემოესივნენ და, როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „მრავალი ალაგი წაახდინეს... წარბძანდა მეფე ერეკლე მათთან საბრძოლველად. დახვდნენ ლეკნი მანავის თავში, ძლიერებითა ღვთისათა გაემარჯვა მეფეს ერეკლეს და ამოწყვიტეს ლეკნი“. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ XVII ს-ში და XVIII ს. დასაწყისში მ-ის მოსახლეობის ნაწილი ლეკიანობის გამო აყრილა კიდეც, მაგრამ ერეკლე II-ის მეფობის დროს ბევრი კვლავ დაბრუნებულა.

კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ, მ. ძირითადად სამეფო-სახასო მამულად განიხილებოდა. სოფელსა და მის შემოგარენს მეფის მოურავები განაგებდნენ. ყმა-მამულს, სახნავ-სათესსა და ვენახებს ეკლესიაც ფლობდა, იყო საუფლისწულო მიწებიც. საომარი მოქმედებების წინ, მ-თან ხდებოდა როგორც კახეთის, ისე ქართლ-კახეთის ლაშქრის შეკრება.

კახეთის აჯანყების (1812–13) დროს, მანაველებმა გაანადგურეს რუსთა საეგზეკუციო ჯარი, მაგრამ მარკიზმა ფ. პაულუჩიმ, ხაშმის ბარბაროსულად დარბევის შემდეგ, უბრძოლველად დაიკავა პატარძეული, საგარეჯო, მ. და კაკაბეთი.

1812 წ. 26 ნოემბერს მ-თან გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა რუსებსა და ქართველებს შორის, ქართველთა ლაშქარს *ალექსანდრე ბატონიშვილი* მეთაურობდა. დამარცხების მიზეზად *თეიმურაზ ბატონიშვილი* თავის ნაშრომში – „ახალი ისტორია“ კარის წინამძღვრის, ელეფთერ ზუკაკიშვილის, გიორგი მეფის ეშიკაღასბაშ ალექსანდრე მაყაშვილისა და ლეკთა რაზმის ღალატს ასახელებს. ავჯანყებაში მონაწილეობის გამო მრავალი გააციმბირეს. მ-ის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან გერმანელი მეცნიერები და მოგზაურები: ი. *გიულდენშტედტი* და კ. *ეიხვალდი.*

მ-ში შემორჩენილია ღვთისმშობლის შობის (იხ. *მანავის ღვთისმშობლის შობის ეკლესია*) ვედრებისის წმ. გიორგისა და თელეთის მთავარანგელოზის ეკლესიები და ციხესიმაგრე.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1III, თბ., 2019.

კ. კახიძე.

მანავის განძი, XIII ს. ვერცხლის მონეტების განძი. აღმოჩენილია 1954 სოფ. მანავში (საგარეჯოს მუნიციპ.) მიწის სამუშაოების დროს, საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. სახელმწ. მუზეუმში დაცულია განძის მხოლოდ ნაწილი (87 ც.). მათგან 84 ც. მცირეაზიელ (რუმის) სელჩუკებს ეკუთვნის, 3 კი მონღოლი ყაენის მანგუს თბილისური დირჰემია. განძი შერეულია. მისი შემადგენლობა ასეთია: ა) მცირეაზიელი (რუმის) სელჩუკი სულთნების ფული: ყილიჩ-არსლან II (1156–92) – 1 ც., ქეიხოსროვ I (1192–96) – 1 ც., ქეიყუბად I (1219–36) – 29 ც., ქეიხოსროვ II (1237–46) – 27 ც., ქეიქავუს II (1246–48) – 10 ც., ქეიქავუს II, ყილიჩ-არსლან IV და ქეიყუბად II (1249–57) ერთობლივად, 15 ც., ყილიჩ-არსლან IV (1257–65) – 1 ც. მონეტები მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: სივასი, კონია, კესარია, დუნეისარი; ბ) მონღოლი ჩინგიზიდი ,,დიდი ყაენი'' მანგუს (1248–59) თბილისში მოჭრილი ფული. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1186–1257 და ჩამარხული უნდა იყოს XIII ს. 60-იან წლებში.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Джалагания И. Л., Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958; Мосиева, Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979; Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, в. 7, Баку, 1957.

ი. ჯალაღანია.

მანავის ღვთისმშობლის შობის ეკლესია, დგას სოფ. მანავის (საგარეჯოს მუნიციპ.) დას-ით მთის კალთაზე. სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, წყობაში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ნუსხური დამწერლობით შესრულებული სამშ. წარწერა (ამჟამად დაკარგულია) გვაუწყებდა, რომ ეკლესია აგებული იყო 1794 დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტის, ეფთიმის მიერ. ეკლესია კუპელჰალეს ტიპის გვიანდ. ვარიანტია, ე. ი. შიდა სივრცის სტრუქტურით იგი დარბაზულია (გარეთა ზომები: სიგრძე – 10,8 *მ*, სიგანე – 7,1 *მ*), თუმცა გუმბათითაა დაგვირგვინებული. საშენ მასალად რიყის ქვა, აგური და შირიმია გამოყენებული. კედლები, ძირითადად, რიყის ქვითა და შირიმის სუფთად დამუშავებული ქვითაა ნაწყობი. გუმბათი, კამარები, კონქი, საბჯენი და კარ-სარკმლების თაღები აგურისაა. XIX ს-ში კედლები შიგნიდან და გარედან შეულესავთ და შეუთეთრებიათ. შესასვლელი დას-იდან და სამხრ-იდანაა. საკურთხევლის აფსიდი ღრმაა და ერთი თაღოვანი სარკმელი აქვს. ერთი სარკმელიც დას. კედელშია შესასვლელის ზემოთ, ხოლო ორი (ერთი-მეორის ზემოთ) – სამხრ-ით. გრძივი კედლებიდან გამოშვერილი თითო მძლავრი, ორსაფეხურიანი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით სივრცე ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. პილასტრების გვერდებზე ნახევარწრიული თაღით დასრულებული თითო შეღრმავებული არეა, რ-თა ხარჯზე დარბაზი სიგანეში ოდნავ გაზრდილია. ჩრდ-ით მდებარე ორივე არე ყრუა. სამხრ. არეებიდან აღმოსავლეთისაში სარკმელია გაჭრილი, დასავლეთისაში კი – კარი. დარბაზის აღმ. ნაწილი დაგვირგვინებულია ვიწრო (დიამ. 1,8 *მ*-მდე), მაღალი გუმბათით, რ-იც აფრების მეშვეობით აფსიდის თაღს და კამარის საბჯენ თაღს ეყრდნობა. გუმბათს მხოლოდ ეკლესიის სიგანის ნახევარი უჭირავს, ამის გამო გუმბათქვეშა კვადრატის დონეზე, სამხრ-ით და ჩრდ-ით, დარბაზის გრძივ კედლებამდე, ჯვრის მკლავების მსგავსი სივრცე იქმნება. თითოეული მათგანი შეკრული კამარითაა გადახურული. გარედან შენობას ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის აღნაგობა აქვს. მკლავების გადაკვეთის ადგილას კი აღმართულია ვიწრო, რვაწახნაგოვანი გუმბათი, რ-იც შენობის ძირითადი დეკორატიული დომინანტია. იგი დასრულებულია მაღალი, რთული პროფილის ლავგარდნით. ლავგარდნის ძირს ლურჯად მოჭიქული აგურით გამოყვანილი ზოლი გაუყვება. გუმბათი აგურის პირამიდული სახურავითაა გადახურული.

2006 ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი ზ. ყიფშიძე).

ლიტ.: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962; ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994; მელიქსეთ-ბეგი ლ., არქეოლოგიური მოგზაურობა გარე კახეთსა და ჭერმის ხეობაში, ,,სახალხო საქმე'', 1920, № 933; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.]1$_{III}$, თბ., 2019; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959; Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, Leiden, vol. 3, 1997.

თ. დვალი.



მანავის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. 1794.

მანავის ციხე, მთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, გომბორის ქედზე, მდ. ჩაილურის (ივრის აუზი) სათავეში. ზ. დ. 1682 *მ*. აგებულია პონტურ-მეოტური კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. ჩრდ. კალთა ფლატოვანია, დანარჩენი – დამრეცი. შემოსილია მეორეული მდელოებით.

დ. უკლება.

მანავის ციხე, კომპლექსი მდებარეობს სოფ. მანავის (საგარეჯოს მუნიციპ.) ჩრდილოეთით, მაღალი მთის წვერზე. სამხედრო თვალსაზრისით ციხე მეტად მოხერხებულ ადგილზეა აგებული და ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებს. ზოგადი ნიშნებით ციხის ძვ. ფენა X–XI სს-ით თარიღდება, გვიანდ. კი – XVI–XVIII სს-ით. ვახუშტი ბატონიშვილი სოფ. მანავზე წერს: ,,მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსრვილი''. ი. *გიულდენშტედტის* ცნობით (კახეთში იმყოფებოდა 1772), იმხანად სოფ. მანავი თითქმის მთლიანად ყოფილა განადგურებული, გადარჩენილი მოსახლეობის მცირე ნაწილს კი სოფლის ჩრდ-ით, ციცაბო მაღლობზე მდებარე ვიწრო გალავნისათვის, სავარაუდოდ, მ. ც-თვის შეუფარებია თავი. ციხე ორი ნაწილისგან – შიდა და ქვედა ციხისაგან – შედგება. შიდა ციხე მთის წვერზეა განლაგებული, ხოლო ქვედა, რ-იც ფართობით შიდა ციხეს თითქმის ორჯერ აღემატება, მას აღმ-იდან ესაზღვრება. ციხე, რელიეფიდან გამომდინარე, დას-იდან მიუდგომელია. ციხის გალავნისა და ნაგებობების ძირითად საშენ მასალად რიყის სხვადასხვა ზომის ქვაა გამოყენებული. ციხის მთავარი შესასვლელი მდებარეობდა ქვედა ციხის ჩრდ. კედელში, აქ მდგარი კოშკის (მთლიანადაა დანგრეული) ქვედა სართულზე, შიდა ციხეში კი – გალავნის აღმ. კედლის სამხრ. ნახევარში (კვალი აღარ ჩანს). შიდა ციხე გეგმით არაწესიერი ფორმისაა და სამხრეთიდან ჩრდ-ის მიმართულებითაა წაგრძელებული (დაახლ. 90×50 *მ*). კედლებიდან ყველაზე უკეთ დას. და ჩრდ. კედლებია შემორჩენილი. დანარჩენების დიდი ნაწილი დანგრეულია. გალავნის ჩრდ. კედლის შუაში მდგარა მოზრდილი სამსართულიანი შენობა, რ-ის პირველი სართულის ქვეშ განთავსებული იყო სწორკუთხა გეგმის, კამარით გადახურული წყალსაცავი. ამ შენობის აღმ-ით, დაახლ. 10 *მ*-ზე, დგას გეგმით კვადრ., კოშკური ტიპის სამსართულიანი ნაგებობა. კოშკის აღმ-ით გალავნის კედლის მოზრდილი მონაკვეთია, რ-იც გარედან ნახევარწრიული მასიური ბურჯითაა გამაგრებული. კედლის შიდა ციხის სამხრ.-აღმ. კუთხეში დგას მოზრდილი, კოშკური ტიპის ოთხკუთხა ნაგებობა. შესასვლელი მას აღმ-იდან ჰქონია, პირველი სართულის დონეზე. მოგვიანებით, გამაგრების მიზნით, შენობის სამხრ.-დას. კუთხესთან მიუშენებიათ დიდი კონტრფორსი, დას. კედელზე კი – კედელი.

შიდა ციხის შუაში შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეებში აგებული გვერდიგვერდ მდგარი სამი დარბაზული ეკლესია, მათ-

თან ახლოს კი – ჩრდ.-აღმ-ით, ათიოდე *მ*-ზე სწორკუთხა წყალსაცავია. ყველაზე ადრეულია ჩრდ-ით მდებარე ეკლესია (8,5×5,5 *მ*), სამხრეთისა კი გაცილებით მცირე ზომისაა (4,3×3,2 *მ*), უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. მესამე ეკლესია (7,9×5,0 *მ*) ყველაზე უკეთაა შემონახული და, სავარაუდოდ, XVIII ს-ით თარიღდება. მის ქვეშ მოწყობილია შეისრული კამარით გადახურული წყალსაცავი (სიღრმე – 4 *მ*), რ-შიც წყალი ჩაედინებოდა ეკლესიის დას. კედელში დატანებული პატარა ხვრელიდან. წყალსაცავის აღმ. მხარეს თაღოვანი კარია მოწყობილი.

ქვედა ციხე აღმ. კალთაზეა განლაგებული. მისადგომი მას აღმ-იდან და ჩრდ-იდან აქვს, ამიტომ ამ მხარეებიდან იგი მძლავრი კედლებით (შემორჩენილია ნაწილობრივ) იყო დაცული. მის ტერიტორიაზე შემორჩენილია მოზრდილი, გეგმით ოთხკუთხა ნაგებობის ნაშთები. XX ს. 50-იან წლებში შიდა ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა სარეაბილიტაციო, ხოლო 2006 – არქეოლ. სამუშაოები. გაწმინდეს და შეისწავლეს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და რამდენიმე კოშკი. ამავე წელს სარესტ.-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა შიდა ციხის სამხრ.-დას. კოშკს, რის შედეგადაც გამოვლინდა სამი კულტ. ფენა. მათგან ზედა გვიანდ. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, შუა – განვითარებულ შუა საუკუნეებს, ხოლო ქვედა – გვიანდ. ანტ. ხანის დასასრულსა და ადრინდ. შუა საუკუნეებს. ქვედა ფენა დადასტურდა როგორც კოშკის მთელ ფართობზე, ისე მის გარეთაც. გაირკვა, რომ ციხე, რ-ის ძველი სამშ. ფენა X–XI სს. მიეკუთვნება, დგას გაცილებით ადრინდ. კულტურულ ფენებზე, რაც იმას მიანიშნებს, რომ ამ ადგილას ადრეულ ხანაშიც ყოფილა დასახლება.



ხისებრი მანანა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962; ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994; ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ.,1962; მისივე, საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; მისივე, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე, თბ., 2002; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1–3, თბ., 2019; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959; Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, vol. 3, Leiden, 1997.

თ. დვალი.

მანანა, XVIII ს. პოეტი ქალი. დაიბადა სოფ. ძევერაში, გორის მახლობლად. მოღწეულია მისი რამდენიმე ლექსი, რ-ებიც ხანდაზმულობისას შეუთხზავს. მ-ს პოეზიას ახასიათებს რელიგ.-მისტ. განწყობილება, ორიგინ. თემატიკის ძიება, სკეპტიციზმი. ლექსი ,,მაირნი'' ეძღვნება ერეკლე II-ის სამხ. ძლიერებასა და პიროვნულ სიდიადეს. ხალხურ პოეზიაში ვარიანტების სახით გავრცელდა მ-ს გაბაასების ჟანრის ნაწარმოები ,,მანანასაგან ციების ბაასი''. მისი ლექსები გამართულია რუსთველური 16-მარცვლიანი შაირით.

ლიტ.: ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გამოკვლევა და ტექსტები, [თბ.], 1936.

გ. მიქაძე.

მანანა, ერიკა (Erica), მცენარეთა გვარი მანანასებრთა ოჯახისა. ბუჩქბალახები, მარადმწვანე ბუჩქები ან პატარა ხეა. აერთიანებს 500-მდე სახეობას, რ-თა უმრავლესობა იზრდება კაპის ოლქში (აფრიკის უკიდურესი სამხრ. ნაწილი). 15 სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. მხოლოდ ერთი სახეობა, ხისებრი მ. (E. aborea) გვხვდება საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, ბიჭვინთის მიდამოებში მთის ქვედა სარტყლის ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე. აქვს ლამაზი მკვრივი მერქანი.

ლ. ხინთიბიძე.

„მანანა“, კრებული „ღმრთივდიდებულთა წმიდათათვის შესხმანი, სულისა დამატკბობელნი“, რ-იც შეიცავს ორმოც „შესხმას“: ღვთისმშობლის, იესო ტკბილის, ჯვრის, ანგელოზის, ნათლისმცემლის, მოციქულების, მოწამეების, მღვდელმოძღვართა და ღირსთა მამათა ქებას. კრებული შედგენილია ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტერში მოღვაწე გაბრიელ მცირის (XVIII ს.) მიერ. ამ წიგნს, როგორც ბოლოსიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეწოდება „მანანა“ ღვთისმშობლის სიყვარულისათვის, ვინაიდან მისგან მივიღეთ ჩვენ ჭეშმარიტი „პური ცხოვრებისა – იესო ტკბილი“. კრებულის 40 თავი განპირობებულია იმით, რომ 40-დღიან წარღვნას გადაურჩა ნოეს კიდობანი, 40-დღიანი მარხვის შემდეგ მოსე „გაბრწყინდა ღვთის ხედვითა“, 40 დღეს მარხულობდა ილია თეზბიტელი, იესო ქრისტე მე-40 დღეს ტაძარში მიიყვანეს, მან 40-დღიანი მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მე-40 დღეს ამაღლდა. კრებული დაცულია ხელნაწერებში (A 403; A 522; A 1310; H 261; Q 269; S 2330); ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1904.

მანანაური, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ხელედის თემი), მდ. ხელედულის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1120 *მ*, ლენტეხიდან 18 *კმ*. 2014 აღწერით მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

მანასეური, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ქვეშეთის თემი), მთიულეთის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ*. დუშეთიდან 61 *კმ*. 19 მცხ. (2014).

მანგაავცაგი, უელტეხილი ჯვავის მუნიციპალიტეტში, გუდისის ქედზე, მდ-ების – ბრითათიდონისა და პატარა ლიახვის ხეობებს შორის. ზ. დ. 3140 *მ*. აგებულია ზედაიურული ფიქლებითა და მერგელებით. კალთები შემოსილია სუბალპ. მდელოებით, ჩანს გამყინვარების კვალიც.

მ. მელიქსეთბეგი.

მანგაავცაგი, მთა ჯვავისა და ერედვის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდ-ების – პატარა ლიახვისა და ბრითათიდონის (დიდი ლიახვის აუზი) წყალგამყოფ გერმუხის ქედზე. ზ.დ. 3339 *მ*. აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ფლიშური წყებებით. ჩრდ. კალთებზე ჩანს გამყინვარების კვალი. მთის კალთები დაფარულია ტყით, თხემი კი – ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

მანგალიციური ღორი, მანგალიცა, საქონე მიმართულების ღორი. გავრცელებულია უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, ბულგარეთში, ალბანეთში და სხვ.

საქართველოში შემოყვანილია 1948. მომთაბარე მეღორეობის რ-ნებში ხალასად მოშენებისას და კახურთან შეჯვარებით კარგ შედეგს იძლევა. მ. ღ-ს გრუზა ჯაგართან ერთად თივთიკიც აქვს, რ-იც იცავს სიცივისაგან. კარგად ეგუება მომთაბარეობას. იკვებება ტყის ნაყოფით. საკვებისადმი ნაკლებმომთხოვნია. ნაყოფიერება – 6–8 გოჭი, მერძეულობა 40–50 *კგ*, კერატის ცოცხალი მასა 160–180 *კგ*, ნეზვისა – 120–150 *კგ*.

ლ. ბოდოკია.

მანგანუმის მადანი, ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნი, რომლისგანაც სუფთა მანგანუმის (Mn) მოპოვება ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად ხელსაყრელია. 1774 შვედმა ქიმიკოსმა კ. შეელემ პირველმა აღმოაჩინა, რომ მადანი შეიცავდა უცნობ ლითონს, ხოლო ქიმიკოსმა ი. განმა პიროლუზიტისა და ნახშირის ნარევის გახურებით მიიღო სუფთა მანგანუმი. ბუნებაში ცნობილია Mn-ის 5 ალოტროპული მოდიფიკაცია, რ-იც დედამიწის ქერქის მთლიანი მასის 0,03% შეადგენს. Mn ბუნებაში ვრცელდება შემდეგი მინერალების სახით: პიროლუზიტი, მანგანიტი, ბრაუნიტი, ჰაუსმანიტი, როდოქროზიტი, პსილომელანი და პურპურიტი.

საქართველოში მანგანუმის საბადო გვხვდება ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში. მისი მეცნ. შესწავლა 1845–49 დაიწყო გერმ. გეოლოგის, აკად. ჰ. აბიხის თაოსნობით, შემდგომ, ა. წერეთლის ინიციატივით საბადო შეისწავლა გეოლოგმა ს. სიმონოვიჩმა და დასაბამი მისცა Mn-ის მოპოვებას.

მანგანუმს იყენებენ შავ მეტალურგიაში, გალვანური დაფარვისას და ისეთი შენადნობების მისაღებად, რ-ებიც არ შეიცავს რკინას, ასევე – მინისა და კერამიკის წარმოებაში, სამღებრო და პოლიგრაფიულ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში და სხვ.

გ. ბერიძე.

მანგლისი, დაბა (1926-იდან) თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, თრიალეთის ქედის სამხრ. კალთის ბორცვებიან პლატოზე, მდ. ალგეთის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, თეთრი წყაროდან 45 *კმ*. დაბის ცენტრი (მ. სოფ. ალგეთი). 1441 მცხ. (2014). მ. მდიდარია მცირე წყაროებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიჭვნარის კორომი და მამა არსენის გამოქვაბულთან მდებარე წყაროები.

მ. აღგილ. მნიშვნელობის სამთო-კლიმატური კურორტია, ჰავა – ზომიერად ნოტიო. ჰაერის საშ. ტემპ-რა 7,9° C, იცის ზომიერად ცივი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 2,4 °C) და ხანგრძლივი, თბილი, მშრალი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 18,6 °C). აბსოლ. მინ. – 28 °C, აბსოლ. მაქს. – 35 °C. ნალექები – 770 *მმ* წელიწადში. მზის ნათების ხანგრძლივობა – 2000 *სთ* წელიწადში. დაბის მიდამოებშია ალგეთის სახელმწ. ნაკრძალი, მ-ის განაპირას – მანგლისის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარი.

მ. ქვემო ქართლის ერთ-ერთი უძველესი პოლიტ., კულტ. და საეკლ. ცენტრი იყო. აქ ჩატარებული მცირე არქეოლ. გათხრები მოწმობს, რომ მ. ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში უკვე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, ხოლო შემდგომ იგი კიდევ უფრო დაწინაურდა, რასაც ხელი შეუწყო აქ გამავალმა გზამ, რ-იც შიდა ქართლს სამხრ. საქართველოსთან და სომხეთ-ბიზანტიასთან აკავშირებდა. მ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი კერა იყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მ-ში პირველი ეკლესია უკვე IV ს. I ნახ-ში ააგეს. V ს-იდან მ. საეპისკოპოსოს ცენტრი ხდება „ალგეთის ხეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე“. ამიტომ აქ V ს. მიწურულს ახალი გუმბათიანი ტაძარი ააგეს. VI–VII სს. შემდგომ ყალიბდება ადმ. ერთეული – მ-ის ხევი (ცენტრი მ.), რ-იც ქართულ და სომხურ ადრეულ წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება. VII ს. 50-იან წლებში, არაბთა ლაშქრობის შემდეგ, არაბთა *„დაცვის სიგელის“* მიხედვით, მ. ქართლის ერთ-ერთი ცენტრი იყო. VIII ს-იდან მ-ის ხევი და მთელი ქვემო ქართლი *თბილისის საამიროს* შემადგენლობაში შედიოდა. ასე გაგრძელდა IX ს. ბოლომდე, სანამ *თრიალეთი* და მ-ის ხევის ზემოწელი კლდეკარის ერისთავებმა არ დაიპყრეს. X ს-ში მ. *კლდეკარის საერისთავოს* ფარგლებში იყო. XI ს. ბოლოდან იგი ემორჩილებოდა სამეფო ხელისუფლებას, XV ს-იდან კი ფეოდ. ერთეულის – საბარათიანოს შემადგენლობაშია.

გვიანფეოდ. ხანაში გამუდმებული ომების შედეგად ალგეთის ხეობა თანდათან გაუკაცრიელდა და მ-მაც დაკარგა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა. XIX ს-ში აქ იდგა რუს. არმიის ერთ-ერთი პოლკი. ამავე ხანებში გადამდგარმა სამხ. მოსამსახურეებმა მ-ში შექმნეს რუსული დასახლება.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და რ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბ., 1964; დვალი მ., მანგლისის ტაძარი, თბ., 1972.

თ. თოდრია.

მანგლისისა და თეთრი წყაროს ეპარქია, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეპარქია. მის შემადგენლობაში შედის მანგლისის, თეთრი წყაროს (ძვ. გარისი) მუნიციპალიტეტები. ეპარქიას აღმ-ით ესაზღვრება რუსთავის, სამხრ.-აღმ-ით – *მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია*, დას-იდან – წალკის, სამხრ.-დას-ით – დმანისისა და აგარაკ-ტაშირის, სამხრ-ით – ბოლნისის (იხ. *ბოლნისის საეპისკოპოსო*), ჩრდ-ით – მცხეთა-თბილისის, სამთავისისა და კასპის ეპარქიები; ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ საქართვ. საკათოლიკოსოს ეპარქიათაგან მანგლისი მეოთხე სამღვდელმთავროდ იხსენიება. იგი 12 ეპარქიას შორის ახიზის, ერუშეთისა და წუნდის შემდეგ სახელდება. მანგლისის დაწინაურებას საკათედრო ტაძრის აგება და იქ დაცული უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები (მ. შ. „ფიცარი ფერხისა უფლისა“) განაპირობებდა. ეპარქიის საკათედრო ტაძარი (V ს. იხ. *მანგლისის ტაძარი*) მცხეთის ჯვართან ერთად სახელდებოდა და მის მოსალოცად საქართვ. საზღვრებს გარედან, კერძოდ სომხეთიდანაც დადიოდნენ. ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდეგ ამ მხარეში მრავალი გამორჩეული ეკლესია და მონასტერი არსებობდა: სამშვილდე, გუდარეხი, დიდი თონეთის სამება, ფიტარეთი, დიდი კლდეისი, წინწყაროს, ბეშთაშენი, წალკა, თეძამი, პირღებული და სხვ. 1917 წ. სექტ-ში აღდგა სამღვდელმთავრო კათედრა, რ-იც მანგლისისა და წალკის ძველ საეპისკოპოსო ტერიტორიათა გაერთიანებული სამწყსოა. ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ამ ტერიტ-ზე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ჩაასახლეს, რამაც მართლმადიდებელი მრევლის შემცირება გამოიწვია.

2013 წ. 11 ოქტომბერს წმ. სინოდის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა მ. და თ. წ. ე., რ-ის კათედრა და რეზიდენცია მანგლისსა და თეთრი წყაროშია.

ლიტ: გუგუშვილი გ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი, „ორნატი“, 2003, №1; მისივე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კრებული მიძღვნილი სრუ-



მანგალიციური ღორი.

ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს, აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავზე, თბ., 2007; ქუთათელაძე ქ., მანგლისის ეპარქიის საზღვრები, კრ.: ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XI, თბ., 2009.

გ. გუგუშვილი.

მანგლისის ტაძარი, V–XI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი დაბა მანგლისში (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი). ისტ. წყაროების მიხედვით რამდენჯერმე არის განახლებული. მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი ადრეული ცენტრია. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე, მირიან მეფის თხოვნით, ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინემ საქართველოში მოავლინა ეპისკოპოსი იოანე წმ. რელიკვიებით, ერუშეთისა და წუნდის გამოვლის შემდეგ ,,მოვიდა მანგლისს და იწყო ეკლესიის აშენება და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“ (ქართლის ცხოვრების ჭელიშური ვერსიით – „სამსჭვალნი“). ლეონტი მროველისა და არსენ კათოლიკოსის გადმოცემებით, IV ს. I ნახ-ში მანგლისში ქვის ეკლესია აუგიათ, რ-მაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ტაძარში თავიდანვე დაბრძანებული იყო ,,ძელი ჭეშმარიტის‘‘ ნაწილი, ამიტომ ეკლესიას ,,ჯვრის ტაძარი“ ეწოდა. V ს. II ნახ-ში ვახტანგ გორგასალმა მანგლისის საეპისკოპოსო დააარსა ახალი ოთხაფსიდიანი ეკლესია ააგო, რ-იც ზომით თავდაპირველ ეკლესიას მნიშვნელოვნად აჭარბებდა და გარედან რვაკუთხედში იყო მოქცეული. როგორი იყო ახალი ეკლესიის ფასადები, უცნობია, რადგან შემდგომი გადაკეთებისას ისინი თავიდან მოაპირკეთეს. ეკლესია საფუძვლიანად გადაკეთდა XI ს. 20-იან წლებში, მეფე გიორგი I-ის (1014–27) დროს. დღევანდელი ტაძარი სხვადასხვა პერიოდის (V ს. და XI ს.) ორ ნაწილს აერთიანებს. ტაძრის გეგმის დას. ნაწილი ვახტანგ გორგასლის მიერ აგებულ ოთხაფსიდიან ეკლესიას განეკუთვნება. საკურთხეველი ზომით V ს. ტაძრის საკურთხეველს იმეორებს, მის გვერდებზე კი – ნახევარწრიულაფსიდიანი სამკვეთლო და სადიაკვნეა მოწყობილი. ტაძარში ორი შესასვლელია – სამხრ-იდან და დას-იდან. მათ წინ სწორკუთხა კარიბჭეებია. გუმბათქვეშა კვადრატი გუმბათის ყელის საფუძვლის წრიულ მოხაზულობაზე აფრების მეშვეობით გადადის.

XI ს-ში ტაძარი შიგნიდან მთლიანად მოხატეს (შემორჩენილია მხოლოდ გუმბათში, დანარჩენი ნაწილი შეეწირა XIX ს. რემონტს, რ-ის დროსაც ინტერიერი გაწმინდეს და სრულად შეათეთრეს), გარედან კი კარგად გათლილი ალგეთის რუხი ბაზალტით შემოსეს (გამონაკლისია დას. კარიბჭის დას. ფასადი, სადაც შესამოსად მოყვითალო ქვაა გამოყენებული). გუმბათის ყელი გარედან თორმეტწახნაგაა. მასში ექვსი სარკმელია გაჭრილი (თითო წახნაგის გამოტოვებით), რ-ებსაც ფართო დეკორ. საპირე შემოუყვება. მოჩუქურთმებულია გუმბათის თაღედის ლილვების ბაზისები და კაპიტელები. დეკორით რამდენადმე აქცენტირებულია აღმ-ის ფასადი. ორი სამკუთხა ნიში და საკურთხევლის სარკმელი ერთიანი სამმაგი დეკორ. არშიითაა გაერთიანებული. ინტენსიურადაა მორთული კარიბჭეების ფასადებიც (ტაძრის აღმ-ის ფასადის ფრონტონში და სამხრ-ის კარიბჭის თავზე დამატებული ჯვარი და მცირე კოლონები XIX ს-ისაა). მ. ტ-ის მოპირკეთების ნაწილი XIX ს. სარესტავრაციო სამუშაოების დროსაა ,,გადათლილი‘‘ და ,,ჩასწორებული‘‘. გამონაკლისია გუმბათის ყელი, რ-მაც ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოაღწია. კედლებზე არსებული მრავალი ასომთავრული წარწერა სიძველისა თუ სარესტავრაციო სამუშაოების (XIX ს.) შედეგად დაკარგულია ან ნაკლული ტექსტის გამო მათი შინაარსის გაგება შეუძლებელია. ერთ-ერთი წარწერის მიხედვით დგინდება ძეგლის აღდგენა-გადაკეთების თარიღი 1020. წარწერა კარიბჭეში ტაძრის სამხრ. შესასვლელის საპირეში იყო ჩართული და მის „მოწესრიგებას“ შეეწირა. წარწერა გადმონახატის (დაცულია სანქტ-პეტერბურგში მ. ბროსეს არქივში) მიხედვით წაიკითხა მ. ბროსემ.

ტაძრის აღდგენა-გადაკეთების თარიღს შეიცავდა სამხრ. სარკმლის თავსართის ქვემოთ არსებული წარწერაც. ეს წარწერაც XIX ს. სარესტავრაციო სამუშაოებს შეეწირა (ასლი შეასრულა მხატვარმა ფრიჩმა). მესამე წარწერა დ. მელვინეთხუცესიშვილმა აღმოაჩინა. მ. *დვალის* ვარაუდით, ეს ქვა მ. ტ-ის დას. კარიბჭიდანაა, რ-იც ტაძარს რამდენიმე წლის შემდეგ მიაშენეს და წარწერაც მისი აგების წელს გვაუწყებს (1027). ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი რუს. წარწერები 1858 და 1862 წლებში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს ეხება. ეკლესია მაღალი გალავნითაა შემოკავებული, რ-საც მრავალი შეკეთება ან გადაწყობა ეტყობა. გალავნის კუთხეები მრგვალი საბრძოლო კოშკებითაა გამაგრებული (ჩრდ.-დას. კუთხე ამჟამად კოშკის გარეშეა, რაც სავარაუდოდ XIX ს-ის შეკეთების შედეგია. გალავანს ზედა ნაწილშია საბრძოლო ბილიკები და სათოფურები. აღმ-ის კარის ზემოთ ჩართული მხედრული წარწერის მიხედვით გალავანი აგებულია (ან მნიშვნელოვნადაა განახლებული) 1667 არსენ ეპისკოპოსის მიერ. მთ. შესასვლელი სამხრ-იდან გალავანში ჩართული ორიარუსიანი სამრეკლოს ქვედა სართულიდანაა. რუსულ წარწერაში (....сооружена в 1862 г. ....) ნახსენები თარიღი არა გალავნის აგების, არამედ გვიანფეოდალური ხანის სამრეკლოს აღდგენის თარიღია. მისი ქვედა სართული მთლიანად გათლილი კვადრებითაა შემოსილი, ზედა სართული თაღებით გახსნილი ექვსსვეტიანი ფანჩატურია და პირამიდული სახურავითაა გადახურული. მ. ტ-ის რესტავრაცია 1956 დასრულდა (არქიტ.-რესტავრატორი მ. დვალი). 1959 დასრულდა ინტერიერის გაწმენდა და გადარჩენილი მოხატულობის გამაგრება (მხატვარ-რესტავრატორი შ. აბრამიშვილი). ბოლო წლებში ტაძარი მოიხატა და აიგო ქვის კანკელი.



მანგლისის ტაძარი. V და XI სს.

ლიტ.: ბარნაველი თ., მანგლისის ტაძრის წარწერები, თბ., 1961; ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2014; დვალი მ., მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1974; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

გ. მარსაგიშვილი.

მანგლისის ხევი, ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მოიცავდა ძირითადად *ალგეთის ხეობას* და ვერეს (სკვირეთის) ხეობის დიდ ნაწილს. სახელი ეწოდა მნიშვნელოვანი პუნქტის – *მანგლისის* გავლენით. მ. ხ. პირველად მოიხსენიება VII ს. სომხურ გეოგრაფიაში, რ-ის მიხედვით ,,... ის მოქცეული იყო ტანას ხევსა და ქვეშის ხევს შორის, ჩრდ.-აღმ-იდან მას თბილისის ქვეყანა ესაზღვრებოდა''. მ. ხ-ის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჰაბიბ იბნ მასლამას ,,დაცვის სიგელი''.

ლიტ.: თოდრია თ., მანგლისის ხევი, ,,ძეგლის მეგობარი'', 1970, № 21.

მანდაეთი, სოფელი იმერეთის რეგიონის ჭიათურის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ჭიათურის პლატოზე, მდ. დუმალის (ძირულის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 760 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., მეჩხეთური, პატარა ჩხირაული, ტყემლოვანა, ქბილარი). 818 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. დატანილია ვახუშტის რუკაზე.

თ. ბერიძე.

მანდარინი, მარადმწვანე სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარე Citrus-ის გვარის ტეგანისებრთა ოჯახისა. მ-ის სამშობლოდ ითვლება სამხრ.-აღმ. აზია, კერძოდ – ჩინეთი. სიტყვა მ. ჩინურია და ნიშნავს წარჩინებულს.

საქართველოში 1885 პირველად შემოიტანეს იტალ. მ., რ-მაც დაბალი ყინვაგამძლეობის გამო სამრეწვ. მნიშვნელობა ვერ მოიპოვა. 1896 იაპონიიდან შემოტანილი მ-ის უწშიუს ნერგები ადვილად შეეგუა ადგილ. ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და სწრაფად გავრცელდა.

საქართველოში ძირითადად გავრცელებულია მ. უნშიუ (C. unshiu). ხის სიმაღლე 3 *მ*-მდეა, ვარჯის დიამეტრი – 3–3,5 *მ*, ფოთლები ოვალურია, ყვავილები – კაშკაშა თეთრი, ორსქესიანი. გვირგვინის ფურცლები შეიცავს ჯირკვლებს, რ-ებშიც დიდი რაოდენობითაა ეთეროვანი ზეთი. ნაყოფი უთესლოა (ზოგჯერ თესლიანი), მასა 60–80 *გ*. კანი ნარინჯისფერია, რბილობი – ღია ნარინჯისფერი. წვენი შეიცავს 3–10% შაქრებს, 0,9%–1%-მდე მჟავებს, 23–55 *მგ*% C ვიტამინს და სხვ. ნაყოფს იყენებენ უმეტესად ნედლად, აგრეთვე გადამუშავებულს (წვენი, ჯემი, მურაბა, კომპოტი და სხვ.). კანი მდიდარია პექტინებით, ეთეროვანი ზეთებითა და გლიკოზიდებით, იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში, აგრეთვე ეთეროვანი ზეთების მისაღებად, ხოლო ამ უკანასკნელს – პარფიუმერიასა და კვების მრეწველობაში. ნაყოფი მწიფდება ნოემბრის მეორე ნახევარში, მსხმოიარობას იწყებს ოკულირებიდან (კვირტით მყნობა) მე-4 წელს, ყინვაგამძლეა. 10–12 წლის ხეების მოსავალმა შეიძლება მიაღწიოს 50 *ტ* ჰა-ზე. მ-ის ძირითადი ნარგაობა გაშენებულია დას. საქართველოს ტენიან სუბტროპ. ზონაში. ყურადღება ეთმობა ბიოლოგიურად მობერებული მცენარეების ჩანაცვლებას ადრემწიფადი მ-ის ჯიშებით (ტიახარა უნშიუ, კოვანო ვასე, ნიჩინანი და სხვ.). მ-ს ამრავლებენ ვეგეტაციურად (მყნობით), იშვიათად – კალმით. ძირითადი საძირეა ტრიფოლიატა.

მ. გამოიყენება როგორც საუკეთესო სამკურნ.-პროფილაქტიკური საშუალება (აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამცირებს გულის დაავადებათა რისკს, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას და ქოლესტერინის დაგროვებას, ეხმარება ადამიანს მიკრობებთან ბრძოლაში, ანტიდეპრესანტია და სხვ.).

2020-იდან ქობულეთში ფუნქციონირებს ციტრუსების გადამამუშავებელი ქ-ნა, შპს ,,ქართული მანდარინი''.

მ-ის პლანტაციებს აზიანებენ მავნებლები – ფარიანები და ცრუფარიანები; დაავადებებიდან აღსანიშნავია გუმოზი, ქლოროზი, ანთრაქნოზი, ციტრუსების ბაქტერიული ნეკროზი, მელანოზი და სხვ. სამკურნალოდ იყენებენ ინსექტიციდების, ფუნგიციდების, აკარიციდებისა და მინერ. ზეთების ნაზავს.

ლიტ.: ჯაბნიძე რ., ჩაი და ციტრუსები, ბათ., 2014.

რ. ჯაბნიძე.

მანდატურთუხუცესი, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა სამეფო კარზე – სასახლის მმართველი, ვაზირი და დარბაზობის ორგანიზატორი (ობერცერემონმაისტერი), სახელმწ. ფოსტისა და მიმოსვლის უფროსი; „საპოლიციო-ზედამხედველობითი“ სამსახურის ხელმძღვანელი; სასახლისა და სამეფო დომენის სამეურნეო ზედამხედველი. მ. უძღვებოდა ცენტრ. აპარატის ორ დიდ უწყებას – საჯარო კარსა და საგანმგეოს.

მ-ს ასევე ევალებოდა სახელმწიფო კარზე მიღებული წესრიგის დაცვა და სხვა ადმ. ფუნქციები. მეფის მგზავრობის დროს იგი მთავარი ცერემონმაისტერის როლს ასრულებდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მ. ზოგიერთი ფუნქციით მიაგავდა ბიზანტ. „დრომის ლოგოთეტს“, ანუ სახელმწ. ფოსტისა და მიმოსვლის უფროსს და არაბ. ,,ამირბარს'' (სასახლის უფროსი). არსებობს აზრი, რომ მ., როგორც განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი მოხელე, მეფის სამზარეულოსაც განაგებდა. მ-ის საგანგებო სამოხელეო ნიშანი იყო ოქროს ჯოხი – ე. წ. „სამანდატურო არგანი“ და „სკარამანგი“ – ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილისაგან დამზადებული ძვირფასი სამოსი. მ. იყო ერთ-ერთი ვაზირი და თავისი პატივით ამირსპასალარს უტოლდებოდა. ზოგჯერ შეიძლებოდა, რომ ეს ორი თანამდებობა ერთ პირს შეეთავსებინა. მანდატურების გარდა მ-ს ემორჩილებოდნენ ამირეჯიბი, განმგეთუხუცესი და სხვა მოხელეები. XVII ს-ში მანდატურთუხუცესობა შეიცვალა ეშიკაღასბაშის თანამდებობით.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ,,ენიმკის მოამბე'', 1942, ტ. 13; ოთხმეზური გ., უხუცესი ვაზირები და მათი რიგი საქართველოში, ,,მაცნე''. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის სერია'', 1979, № 2; ფუტკარაძე ი., ანთელავა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI–XIII სს., თბ., 1983; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1982–84, (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6–7).

მ. კლდიაშვილი.

მანდატური, ფეოდალურ საქართველოში დაბალი რანგის საპოლიციო-ადმისტრაციული აპარატის მოხელე. ტერმინი ,,მანდატური'' ისტორიულ წყაროებში გვხდება XI ს-იდან. მ. ექვემდებარებოდა *მანდატურთუხუცესს.* მას ევალებოდა სავაზირო შენობის დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზვრების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და სხვ. მ. ატარებდა სამოხელეო ნიშანს – არგანს. გვიანდელ ფეოდ. პერიოდში მ-ის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები ბოქაული და იასაული.

ამჟამად მ-ს ძირითადად გააჩნია წესრიგის კონტროლის ფუნქცია. არსებობს სასამართლოს მ., რ-იც უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეთა და მოწმეების უსაფრთხოებას, იცავს წესრიგს, სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლ. საბჭოს ადმ. შენობებს და სხვ. მ. სამსა-



მანდარინი.



ო. მანდელშტამი.



მანდილი ხევსურული, ცალყურა. XIX ს.



მანდოლინა.

ხურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ატარებს სპეციალურ ფორმას და სამკერდე ნიშანს. სასამართლოს მ. არის საჯარო მოსამსახურე, რ-საც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისი სასამართლოს თავ-რე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მ-ის ძირითადი ამოცანაა სკოლაში საზ. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. იგი აკონტროლებს სკოლის შიგა და გარე პერიმეტრს, სკოლის შინაგანაწესის შესრულების პროცესს, ასევე ვალდებულია აღკვეთოს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევები, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სამართალდამცავი ორგანოებს და სხვ.

სკოლის მ. ატარებს განათლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის ტანსაცმელს.

ლიტ.: სურგულაძე მ., ცენტრალური და აღგილობრივი სამოხელეო წოდება შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2017.

მ. კლდიაშვილი.

მანდელშტამი ოსიპ ემილის ძე [3(15). I. 1891, ვარშავა, – 27. XII. 1938, რუსეთი], რუსი პოეტი. სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტში, გერმანიასა და საფრანგეთში. პირველი ლექსები ჟურნ. ,,აპოლონში'' გამოაქვეყნა 1910, პირველი კრებ. ,,ქვა'' – 1913. საქართველოთი პეტერბურგში დაინტერესდა. 1920 სექტ-ში ძმასთან ერთად ჩამოვიდა ბათუმში, შემდეგ 2 კვირა თბილისში გაატარა. დაუახლოვდა ,,ცისფერყანწელებს''. ამავე წლით თარიღდება მისი პირველი ლექსი თბილისზე – ,,მე მეზმანება ისევ თბილისი''. მეორედ თბილისში 1921 ჩამოვიდა მეუღლესთან ერთად. ამჯერად აქ 6 თვე დარჩა. ეს იყო ძალზე ნაყოფიერი პერიოდი მ-ის შემოქმედებაში. ამ დროს დაწერა ლექსი ,,Умывался ночью во дворе'', რ-საც თანამედროვენი მის შემოქმედებაში ახალი მსოფლმხედველობის მაუწყებლად მიიჩნევდნენ. მ-მა თარგმნა პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ვ. გაფრინდაშვილის ლექსები (გამოაქვეყნა ანთოლოგიაში ,,ქართველი პოეტები'', თბ., 1921), ვაჟა-ფშაველას ,,გოგოთურ და აფშინა''. 1930 იგი კვლავ ეწვია საქართველოს, იმყოფებოდა სოხუმსა და თბილისში.

1938 მ. შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს. იგი ვლადივოსტოკის მახლობლად მდებარე ბანაკში ტიფით გარდაიცვალა.

თხზ.: ლექსები, თბ., 2008; ოროიდე სიტყვა ქართული ხელოვნების შესახებ, ,,ცხელი შოკოლადი'', 2010, №32; ლექსები, თარგმ. ა. ბუაჩიძემ, ,,ლიტერატურული ჟურნალი'', 2014, მაისი-ივნისი.

მანდიკორი, სოფელი იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში (ორპირის თემი). მდებარეობს იმერეთის ჩრდ. მთისწინეთზე, მდ. ჭალის (მდ. წყალწითელას მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 420 *მ,* 119 მცხ. (2014). ტყიბულიდან 26 *კმ,* ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.*

წყაროებში პირველად დამოწმებულია 1650 ახლო ხანის ერთი ეკლესიის საბუთში.

თ. ბერაძე.

მანდილი, ქალის კომპლექსური თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტი. გავრცელებული იყო უმთავრესად აღმ. საქართვ. მთიანეთში (ხევსურეთი და თუშეთი). გრძელი, ყელსახვევის მსგავსი ხევსურული მ. შინ ნაქსოვი შავი ან ლურჯი შალისაგან (ტოლი) მზადდებოდა და სათაურასთან ერთად იხმარებოდა. იგი ორი სახისა იყო: ,,ცალქერქა'' და ,,ორქერქა''. ,,ცალქერქას'' ერთი ბოლო ,,ფესვით'' (ფოჩი) მთავრდებოდა, მეორე კი – ,,შიბით'' (წნული სახის ნაკერი) ამოქარგული იყო ან ჰქონდა ,,ნაჭრელით'' ნაქარგი. მ-ის შუაში ამოქარგული იყო, ,,სამხატი'' (3 ჯვარი), რ-იც თავზე მოხვევისას შუბლზე უნდა მოქცეულიყო. ,,ორქერქა'' მ. (,,ორშიანი'', ,,ორგანი'') ორშიანი ტოლისაგან (შალი) მზადდებოდა და მხოლოდ ხატობა-დღესასწაულების დროს იხურავდნენ. თუშური სამკუთხა მ. შავი ქიშმირის ან სატინისაგან მზადდებოდა. ერთი ყური შედარებით პატარა ჰქონდა. ხევსურეთსა და თუშეთში მ. გათხოვილი ქალის სავალდებულო თავსაბურავად ითვლებოდა გაუთხოვარი ქალისათვის კი მისი ტარება არ იყო აუცილებელი. თუში ქალი მ-ს ხმარობდა ცალკე ან ,,კუჭურასთან'' (მანდილის ქვეშ სატარებელი) ერთად. აღმ. საქართვ. მთიანეთში მას დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ: მ-ის ჩაგდების შემდეგ მოჩხუბრები წყვეტდნენ შეტაკებას.

ლიტ.: ბეზარაშვილი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962.

ლ. მოლოდინი.

მანდოლინა (იტალ. mandolino), იტალიური ჩამოსაკრავი ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხალხ. საკრავი. საბოლოო სახით ჩამოყალიბდა XVII–XVIII სს-ში. არსებობს მ-ის რამდენიმე სახეობა. ყველაზე პოპულარულია ნეაპოლური მ., რ-საც აქვს ოვალური კორპუსი, 4 წყვილი სიმი, მოკლე ყელი, ლითონის ჩაჭდობილკილოებიანი გრიფი, მექანიკურრგოლებიანი ბრტყელი თავი. საერთო სიგრძეა 610–635 *მმ.* ვიოლინოს მსგავსად წყობა კვინტურია. უკრავენ პლექტრის (რქის პატარა ფირფიტა) მეშვეობით. მ-თვის ქმნიდნენ ნაწარმოებებს ა. ვივალდი, ლ. ვ. ბეთჰოვენი და სხვ.

საქართველოში მ., შემოვიდა XIX ს-ში. მანდოლინისტთა პირველი კონკურსი გაიმართა 1910. მ-ზე ვირტუოზულად უკრავდა კომპ. ვ. დოლიძე.

ლიტ.: შილაკაძე მ. აღმოსავლური მუსიკის კულტურა ქ. თბილისში, თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2004, №2.

მანეთი, ფულის ერთეულის ,,რუბლის'' (рубль) ქართული სახელწოდება. გვხვდება სპარსულში, აზერბაიჯანულსა და სხვ. ენებში. მომდინარეობს რუსული Монета-საგან (ლათ. – Moneta). იხმარებოდა ვერცხლის რუბლის აღსანიშნავად. მისი გავრცელება ქართულში XVIII ს-იდან შეიმჩნევა. XIX ს-იდან კი მ. ,,რუბლის'' ეკვივალენტურ ქართულ სახელწოდებად იქცა.

1918 დასაწყისში ამიერკავკასიის დროებითმა მმართველობის ორგანომ, ოზაკომმა, მიიღო გადაწყვეტილება გამოეშვა დროებითი ფულის ნიშნები – ამიერკავკასიური რუბლი (მ.). ფულის ნიშნების ემისია 5 თებერვლიდან დაიწყო და მიმოქცევაში გავიდა 1, 3, 5, 10, 50 და 100 მ-ის ნომინალის ბონები, მოგვიანებით 250-მანეთიანი კუპიურაც შეემატა.

1918 წ. 26 მაისს, საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მალევე, აზერბ. და სომხ. მთავრობებთან ერთობლივი შეთანხმებით, მიიღეს დადგენილება მიმოქცევაში ამიერკავკასიური მ-ის დატოვების შესახებ. 1919 წ. 11 ივლისიდან კი საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკამ მიმოქცევაში გამოუშვა 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500 მ-ის ნომინალის ბონები, რ-თაც მალევე შეემატა 50-კაპეიკიანი (კაპიკიანი) ქაღალდის ხურდა ფული, 1920-იდან – უკვე 1000 მ-ის ნომინალის ბონი, 1921 იანვრიდან კი – 5000 მ-ის ნომ-

ინალისა. ქართ. მ-ის დიზაინერები იყვნენ ი. შარლემანი, დ. შევარდნაძე და ჰ. ჰრინევსკი.

1922 საბჭ. საქართვ. მთავრობამ მიმოქცევაში გამოუშვა 10000 მ-ის ნომინალის ბანკნოტი. 1923 წ. 10 იანვრიდან 1924 წ. 1 ივლისამდე საქართვ. სომხ. და აზერბ. ტერიტ-ებზე ამიერკავკ. ფედერალური მ. მიმოიქცეოდა: 1000-იდან 1 მილიარდ მ-მდე. ფულის ნიშნების უმეტესობა თბილისში იბეჭდებოდა. 1924 წ. 1 ივლისიდან შეწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის მ-ების ემისია და საქართველო სსრკ რუბლის (მ.) სისტემას მიუერთდა.

ლიტ.: ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2000; გამოც. მე-2, თბ., 2003; ქაღალდის ფული საქართველოში, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2007; ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტიკა, თბ., 1996; Спасский И., Русская монетная система, Л., 1970.

რ. სპანდერაშვილი.

მანეჟის თეატრი, დროებითი სათეატრო ნაგებობა ძველ თბილისში. 1845 კავკ. მეფისნაცვლის, მ. ვორონცოვის განკარგულებით სახაზინო მანეჟი, ანუ ცხენების სახედნი შენობა თეატრად გადაკეთდა სტავროპოლიდან ჩამოსული თეატრ. დასის წარმოდგენების ჩასატარებლად (ხელმძღვ. გ. იაცენკო). თბილისის საპატიო მოქალაქეებისგან შეიქმნა თეატრის დირექცია (მ. შ. იყო ა. ჭავჭავაძე). თეატრი მდებარეობდა ერმოლოვის ქუჩაზე (ახლანდ. 9 აპრილის ქუჩა). მაყურებელთა დარბაზი 340 კაცს იტევდა. იდგმებოდა უკრაინული მუს. სპექტაკლები (,,შელმენკო'', ,,ნატალკა პოლტავკა'' და სხვ.). სპექტაკლების დაწყებამდე უკრავდნენ უვერტიურას დ. ობერის ოპერიდან ,,ფიორელა''. რეპერტუარში უმთავრესად კომედიური ჟანრის მუს. ნაწარმოებები შედიოდა: ვოდევილები, კომედიები, მალოროსიული პიესები კუპლეტებითა და ცეკვებით. მუსიკის თანხლების აუცილებლობის გამო საჭირო გახდა ორკესტრის შექმნა. ამ უკანასკნელმა პატარა სიმფ. ორკესტრსაც ჩაუყარა საფუძველი, რ-იც ერთ-ერთი პირველი იყო ძვ. თბილისში. 1851-იდან მ. მ-ში იმართებოდა გ. ერისთავის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი წარმოდგენებიც (,,გაყრა'', ,,დავა'', ,,თილისმის ხანი''), აგრეთვე ზ. ანტონოვის ,,ქმარი ხუთი ცოლისა'' და სხვ.

მანველიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (5. IV. 1824, ახალციხე, – 2. IV. 1906, სანქტ-პეტერბურგი), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე. რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალი (1885). ყირიმის (1853–56), რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომების მონაწილე, 1738, მისი წინაპრები, რ-ებიც იყვნენ ვახტანგ VI-ის ამალის წევრები, დასახლდნენ უკრაინაში, სადაც ფლობდნენ სოფ. მანველოვკას. 1852 მ. დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად, 1864–66 მეთაურობდა ჩუგუევის ულანთა პოლკს; 1866 ჩაირიცხა იმპერატორის ამალაში. 1866-იდან – გენ.-მაიორი; 1869–71 მეთაურობდა ლაიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკს და მე-8 საკავალერიო დივიზიას; 1876-იდან – გენ.-ლეიტენანტი. 1887 გადადგა სამხ. სამსახურიდან და მუშაობა დაიწყო სამოქალაქო უწყებაში ,,ნამდვილი საიდუმლო მრჩევლის'' სტატუსით.

დაჯილდოებულია სახელმწ. ჯილდოებით.

ლ. დოლიძე.

მანველიშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1904, სოფ. ვალე, ახლანდ. ახალციხის მუნიციპალიტეტი, – 11. II. 1997, არვადა, აშშ), ისტორიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 1921–29 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის, ხოლო 1929-იდან ქართ. პოლიტ. ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე. მისი ფსევდონიმები იყო: ,,ალიბაბა'', ,,ანდრო დოლიძე'', ,,ბაბა'', ,,ლეგიონერი-ალავერდელი'', ,,ყარამანი''. დაამთავრა ახალციხის სამოქ. სასწავლებელი (1924), თსუ-ის პედ. ფაკ-ტის სიტყვიერების განყ-ბა (1928) და სორბონის უნ-ტის (საფრ.) იურიდ. ფაკ-ტი (1935). მიენიჭა სორბონის უნ-ტის ისტ. დოქტორის სამეცნ. ხარისხი. მ. იყო საქართვ. ანტისაბჭ. საერთო-ეროვნ. ამბოხების (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924*) აქტ. მონაწილე. 1928–29 ასწავლიდა ახალციხის საშ. სკოლაში. 1929 ოქტომბერში დატოვა საქართველო. 1929–30 მოღვაწეობდა სტამბოლში, ფერიქვეის ქართვ. კათოლიკეთა სავანეში, 1930–40 და 1944–58 – საფრანგეთში, 1941–44 – გერმანიაში, 1958-იდან – აშშ-ში. 1930-იდან იყო ქართ. ეროვნ.-პოლიტ. ორგანიზაცია *,,თეთრი გიორგის''* ერთ-ერთი ლიდერი; 1934–38 – ამ ორგანიზაციის გაზ. ,,მომავლის'' რედაქტორი; 1941–44 – გერმანიაში გამომავალი ქართ. ემიგრ. პერიოდული გამოცემების (,,ლეგიონერი'', ,,საქართველო'', ,,ქართველი ერი'', ,,ქართლოსი'') აქტ. თანამშრომელი და ,,ქართული სამოკავშირეო შტაბის'' წევრი; 1951–54 – პარიზის ქართული ,,ეროვნული ცენტრის'' აღმასრ. მდივანი; 1952–54 – ცენტრის გაზ. ,,საქართველოს დამოუკიდებლობის'' სარედაქციო საბჭოს წევრი; 1954–58 – ჟურნ. ,,ერის დიდების'' რედაქტორი; 1954–56 – ფრანგ. გაზ. ,,L' Action Georgienne''-ის მთ. რედაქტორი; 1953-იდან თანამშრომლობდა ჟურნ. ,,The Voice of Free Georgia''-სთან (ნიუ-იორკი). წლების განმავლობაში თანამშრომლობდა რადიო ,,თავისუფლებასა'' და ,,ამერიკის ხმასთან''.

მ. ეწეოდა სამეცნ. მოღვაწეობას. არის სამეცნ. ნაშრომებისა და მონოგრაფიების ავტორი საქართვ. და კავკ. ისტ. მნიშვნელოვან პრობლემებზე.

მ-ს ნაშრომები იბეჭდებოდა ქართ. ემიგრ. ჟურნალებში – ,,კავკასია'' (რედ. ვ. ნოზაძე) და ,,ბედი ქართლისა'' (რედ. კ. სალია). 1991 სან-ფრანცისკოში გამოიცა მისი მოგონებები.

ლიტ.: ურუშაძე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 7, თბ., 2005.

ლ. ურუშაძე.

მანველიშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (10. IV. 1816, ახალციხე, – 1889-ის შემდეგ, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1868). სწავლობდა გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და საკავალერიო იუნკერთა სკოლაში (1833–34). სამსახური დაიწყო ლაიბგვარდიის საკავალერიო პოლკში. იყო ყირიმის ომის (1853–56) მონაწილე, 1862–67 – რიგის დრაგუნთა პოლკის მეთაური (პოლკოვნიკის რანგში), გენ.-მაიორი (1862-იდან). ცნობილია როგორც მემუარისტი. ავტორია ნაშრომისა ,,Воспоминания генерал-лейтенанта в отставке, князя Манвелова''. 1889 მან ლერმონტოვის მუზეუმს გადასცა პოეტის ნახატების ალბომი თანდართული წერილით.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

მანველიძე რეზო ისმაილის ძე (დ. 22. VII. 1954, სოფ. დანდალო, ქედის მუნიციპალიტეტი, აჭარის არ), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ეკონ. და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1975). 1981–2001 მუშაობდა სხვადასხვა თანამ-

დებობებზე. იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ. უნ-ტში ფინანსებისა და დარგობრივი ეკონ. კათედრის პროფესორი (1999–2006), სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტის პროფესორი, ეკონ. მეცნ. დეპარტამენტის ხელმძღვ. (2006–09), ამავე ფაკ-ტის ეკონ. პოლიტიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვ. (2009–13). 2013-იდან ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორია.

მ. სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორია. მისი კვლევის ძირითადი სფეროებია: აგრ. ეკონომიკა და აგრ. ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, სახელმწიფოს მართვა.

თხზ.: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი სოფლის მეურნეობაში, ბათ., 1981; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბათ., 1996; სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის შეფასებისათვის, ბათ., 1997; აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, ბათ., 2002.



გ. მანია.

მანია გვანჯი მიხეილის ძე (29. V. 1918, სოფ. ეწერა, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, – 16. IX. 1985, თბილისი), მათემატიკოსი, საქართველოში ალბათურ-სტატისტიკური სკოლის ფუძემდებელი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1940). მუშაობდა ზუგდიდის სამასწავლებლო ინ-ტში ასისტენტად (1940–45), მოსკოვის პოტიომკინის სახ. (1946–49) და გორის (1949–50) პედ. ინ-ტებში, სპი-ში (ახლანდ. სტუ) დოცენტის თანამდებობაზე (1950–53), ა. რაზმაძის სახ. თბილ. მათ. ინ-ტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად (1950–53). საქართვ. მეცნ. აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახ. გამთვლით ცენტრში დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში (1956–64); თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში (1966–72).

მ-მ დიდი წვლილი შეიტანა თბილისში პირველი გამთვლითი ცენტრისა და გამოყენებითი მათ. ინ-ტის ჩამოყალიბებაში. მ-ს თაოსნობით თსუ-ში დაფუძნდა ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტიკის კათედრა (1968), რ-საც თავად ხელმძღვანელობდა (1985-მდე); მ-მ დაადგინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკის ზღვრული განაწილება (მოგვიანებით მანვე მოახდინა ამ სტატისტიკათა ზღვრული განაწილების ტაბულირება). სამეცნ. ლიტ-რაში მის მიერ შემოღებულ სტატისტიკებს (კრიტერიუმებს) მ-ს სახელით მოიხსენიებენ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. ალბათობის და სტატისტიკის დარგში პირველი ქართ. სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ავტორი; იყო საერთაშ. სტატისტიკურ ინ-ტთან არსებული ბერნულიისა (1969-იდან) და ამერიკის მათ. საზ-ბების ასევე საერთაშ. ჟურნ. „Statistics“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდო.

ო. ფურთუხია.

მანია მიხეილ გვანჯის ძე (დ. 9. VII. 1953, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1999). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1976). მ. მუშაობდა ეკონ. და სამართ. ინ-ტში (ამჟამად თსუ-ის პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინ-ტი) მეცნიერ თანამშრომლად (1976–83). 1977–79 მივლინებული იყო ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში (მოსკოვი, ხელმძღვ. ა. შირიაევი), 1983-იდან მუშაობს ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში, 2008-იდან არის ამ ინ-ტის ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტ. განყ-ბის ხელმძღვანელი (1998–2018), იყო გამოცდებისა და შეფასების ეროვნ. ცენტრის თანამშრომელი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების და სახელმძღვანელოების ავტორი. მისი სამეცნ. კვლევები ეხება შემთხვევითი პროცესების თეორიას, ოპტიმალური მართვისა და გაჩერების ამოცანებს, ფინანს. და სადაზღვევო მათ. საკითხებს. მ. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას, სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და სტუ-ში, არის ქართულ-ამერიკული უნ-ტის პროფესორი. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა პირველი საერთო სამაგისტრო გამოცდა საქართველოში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საგამოცდო მოდელებისთვის შეფასების ალგორითმის შექმნასა (სასკოლო საატესტატო გამოცდებისათვის) და სკალირების მეთოდების შემუშავებაში (ერთიანი ეროვნ. გამოცდებისათვის).

თხზ.: A general problem of an optimal equivalent change of measure and contingent claim pricing in an incomplete market, „Stochastic Processes and their Applications“, 2000, №90(1). A Probabilistic Method of Solving Lobachevsky's Functional Equation, „Aequationes Mathematicae“, 2021, №95.

ო. ფურთუხია.

მანიაკეთი, სოფელი აჭარის არის ხულოს მუნიციპალიტეტში (დიოკნისის თემი), მდ-ების – აჭარისწყლისა და სხალთის წყალგამყოფი ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 1160 *მ*, ხულოდან 10 *კმ*. 298 მცხ. (2014).

მანიძეიზმი, მანიქეველობა, რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება. წარმოიშვა III ს. სპარსეთში, რ-იც შემდეგ გავრცელდა ინდოეთში, ჩინეთში, რომის იმპერიაში და სხვ. მ. შეიცავს ზოროასტრიზმის, ბუდიზმისა და ქრისტიანობის ელემენტებს. ის მიეკუთვნება დუალისტურ რელიგიებს, რ-ებიც სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ურთიერთდაპირისპირებაზე მიუთითებენ. მ-ს ზოგჯერ მცდარად თვლიდნენ ქრისტ. ერესად. როგორც ცნობილია, ქრისტ. ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, ნეტარი ავგუსტინე ახალგაზრდობაში ცხრა წლის განმავლობაში სწორედ მ-ის მიმდევარი იყო.

მ-ის კვალი საქართველოშიც იძებნება. გადმოცემის მიხედვით, ამ მიმდინარეობის ფუძემდებელი ირანელი წინასწარმეტყველი მანი (216–277) და ქართლის მეფე ამაზასპი ერთმანეთს შეხვედრიან. ქართლის მეფემ მოიწონა და, შესაძლოა, გაიზიარა კიდეც ამ რელიგიის მთავარი დებულებები. V ს. I ნახ-ში მანიქეველობას აღიარებდა ქართლის ეპისკოპოსი მობიდანიც (წარმოშობით სირიელი). ქართველ მკვლევართა მითითებით (შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროყვა, ი. ჯავახიშვილი), მობიდანის მიერ საქართველოში გავრცელებული მოძღვრება უფრო მ-ისა და ქრისტიანობის ნაზავს წარმოადგენდა, ვიდრე სუფთა მ-ს. მოგვიანებით, საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნული რელიგია ერესად გამოაცხადა.

ლიტ.: თათარაშვილი თ., მანიქეველობა საქართველოში, „რელიგიის ისტორიის საკითხები“, 2013, №2; კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1., თბ., 1980; ნუცუბიძე შ., მანიქეველობა საქართველოში და რუსთაველის შემოქმედება, „მნათობი“, 1962, №10; ქეცბაია კ., ქრისტიანული მონისტური ფილოსოფიის ბრძოლა მანიქეველთა დუალიზმის წინააღმდეგ საქართველოში, „რელიგია“ 1999, №7-8-9; Gardner I.,; The Founder of Manichaeism Rethinking the Life of Mani; Cambridge: CUP 2020; Lieu S., „Manichaeism“, The Oxford Handbook of Early Christian Studies. Edited by Susan Ashbrook Harvey and David G. Hunter. Oxford:

OUP, 2008; Manicheism (Multiple Authors), Encyclopædia Iranica, online edition, 2014.

დ. თინიკაშვილი.

„მანნა“ (შპს), სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და დამფასოებელი საწარმო. გაიხსნა 2017 სოფ. საგურამოში (მცხეთის მუნიციპალიტეტი). აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მანქანა-დანადგარებით. აწარმოებს 14 სახეობის ჩაის: კლასიკურ შავ და მწვანე გრეხილ ჩაის, ასევე შავ გრეხილ ჩაის მოცვის ფოთლით, ბეგქონდარათი, კენკრით (მაყვალი და ჟოლო), მწვანე ჩაის პიტნით; პაკეტებით უშვებს შავ ჩაის ასკილით, მწვანე ჩაის პიტნით, შავ და მწვანე ჩაის ლიმონით და ახ. სახეობის, ორგანიზმის ტოქსინებისგან გამწმენდ დეტოქს ჩაის.

ჩაის საწარმოებლად საჭირო ყველა ნედლეული ქართულია. კომპანიას გრძელვადიანი ხელშეკრულება აქვს დადებული ფერ-



საწარმო „მანნა“.

მერთა ჯგუფებთან გურიასა და სამეგრელოში, საიდანაც ხდება მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ჩაის ფოთლის შესყიდვა. „მ.“ სურსათის უვნებლობის ყველაზე მაღალი სტანდარტის სერტიფიკატს – FSSC 22000-ს ფლობს. თავად წარმოების პროცესიც შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს.

„მ-ს“ ჩაი განსაკუთრებული გემური თვისებებით გამოირჩევა, რასაც სწორ ტექნოლ. დამუშავებასთან ერთად, განაპირობებს ადგილ. ნიადაგური და კლიმ. (მთისა და ზღვის ჰაერის შერწყმა) პირობები. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილ. ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე. კომპანიას ჩეხეთის რესპუბლიკაში აქვს საწყობი, საიდანაც მარაგდება ევრ. რამდენიმე ქვეყანა.

„მ“. ყოველწლიურად მონაწილეობს ჩაის გამოფენებში. კომპანია ჩართულია USAID-ის სას.-სამ. ნარჩენების მართვის პროექტში.

მანოხინი თედორე ნიკოლოზის ძე [10 (22). IX. 1822, – 22. III (4. IV). 1902, მოსკოვი], ბალეტის მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, პედაგოგი. დაამთავრა პეტერბურგის თეატრ. სასწავლებელი (ამჟამად ა. ი. ვაგანოვას სახ. რუსული ბალეტის აკადემია). 1842–83 იყო მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი და ბალეტმაისტერი. 1846–50, 1858–69 იყო საიმპერატორო თეატრ. სასწავლებლის პედაგოგი. 1851 საბალეტო დასთან ერთად, რ-ის ხელმძღვანელი და მოცეკვავეც თვითონ იყო, გამართა გასტროლები თბილისში. ეს იყო საქართველოში ჩამოსული პირველი საბალეტო დასი. წარმოადგინეს ნაწყვეტები საბალეტო სპექტაკლებიდან „სილფიდა“, II მოქმ. (ფ. ტალიონი, 1853) და დივერტისმენტები სხვადასხვა ბალეტებიდან. მ-ის სახელს უკავშირდება საქართველოში პირველი სრულად დადგმული საბალეტო სპექტაკლი (დ. ობერი და ი. შმიდტი, „გიტანა, ესპანელი ბოშა“; 1854). 1852–54 იყო თბილ. საოპერო დასთან არსებული მცირე საბალეტო ჯგუფის ბალეტმაისტერი, ხელმძღვანელი და მოცეკვავე. მ-ს მოსკოვის დიდ თეატრში დადგმული აქვს ბალეტები: დ. ობერის „შეყვარებული ბაიადერა“, ა. დარგომიჟსკის ოპერა-ბალეტი „ბახუსის ღვესასწაული“ (1867) და სხვ.

ლიტ.: ბარამიძე ბ., ქართული ხალხური და კლასიკური ქორეოგრაფია (ბალეტი), თბ., 2015; კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851–1921, თბ., 1950; Красовская В., М., Русский балетный театр второй половины XIX века, Л.- М., 1963.

მანრალები, ქართველი ტომი, იგივე მეგრელები, რომელთა სახელის („მარგალი“) ბერძნული ვარიანტიც უნდა იყოს სახელწოდება მ. (ბერძნ. Μάνραλοι). II ს. ავტორი კლავდიუს პტოლემაიოსი მ-ს უწოდებს კოლხეთის შიგა რაიონების მოსახლეობას. VII ს. „სომხურ გეოგრაფიაში“ ეს სახელი, „მანრალის“ ფორმით, აღნიშნავს კოლხეთის ერთ-ერთ ნაწილს. ამ ძეგლში იგი, შესაძლებელია, სწორედ კლავდიუს პტოლემაიოსის ნაწარმოებიდან მოხვდა.

ლიტ.: ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1955, ნაკვ. 32; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. მელიქიშვილი.

მანსვეტაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე (29. VI. 1855, სოფ. ნორიო, ახლანდ. გარდაბნის მუნიციპალიტეტი, – 22. V. 1939, თბილისი), ჟურნალისტი, მწერალი. დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტზე. 1886–90 ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყო. წერდა ფელეტონებს, კრიტ. წერილებს, რეცენზიებს, პატარა მოთხრობებსა და ნარკვევებს „ალექსანდრიძის“, „დონიაგოს“, „ბარელისა“ და სხვ. ფსევდონიმებით. თანამშრომლობდა ჟურნ. „ჯეჯილსა“ და „მოამბესთან“, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი. საინტერესოა მ-ის „მოგონებანი“ (1936), რ-შიც აისახა XIX ს. 70–90-იანი წლების; მნიშვნელოვანი ისტ.-სოც. და კულტ.-ლიტ. მოვლენები. ავტორმა პირუთვნელად და მოხდენილად დაახასიათა თავისი დროის არაერთი საზ. მოღვაწე.



თ. მანოხინი.

თხზ.: მოგონებანი, ნახული და გაგონილი, ლ. ასათიანის რედ., წინასიტყვ. და შენიშვნებით, ტფ., 1936.

დ. წოწკოლაური.

მანსურაძე ივანე დავითის ძე (1821, საქართველო, – 1885-ის შემდეგ, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1872). ჯარში მსახურობდა 1839-იდან. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში, 1863-მდე მეთაურობდა კავკასიის მე-12 სახაზო ბატალიონს, 1863–66 – ტამანის 150-ე ქვეით პოლკს, 1875–81 ირიცხებოდა საარმიო ქვეითებში კავკასიის სამხ. ოლქის ჯარების შტაბში. იმპერატორის ამალის განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი (1876-იდან). 1881-იდან გადადგა სამსახურიდან.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

მანტია, იხ. სტ. *საეკლესიო სამოსი.*

მანუფაქტურა (ლათ. manufactura, manus – ხელი და factura – დამზადება), საწარმო, რომელიც დაფუძნებულია ხელით შრომასა და ხელოსნურ ტექნიკაზე. მრეწველობის განვითარების სტადია, რ-იც წინ უძღვოდა ორთქლის მანქანების გამოყენებას.

მ. ჩამოყალიბდა სხვადასხვა სპეციალობის ხელოსანთა გაერთიანებით, რ-თა ერთობლივი შრომის შედეგად პროდუქტი დასრულებული სახით მზად-

დებოდა, ასევე ერთი სპეციალობის ხელოსანთა გაერთიანებით, რ-ებიც ნახევარფაბრიკატებს ამზადებდნენ. არსებობდა მ–ის 3 ფორმა: დანაწევრებული (აერთიანებდა ხელოსნებს, რ-ებიც საოჯახო სახელოსნოებში შრომობდნენ); ცენტრალიზებული (ერთ სახელოსნოში გაერთიანებული ხელოსნები); შერეული (ვიწრო სპეციალიზაციის ხელოსნები, რ-ებიც შინ ამზადებდნენ ცალკეულ ნაწილებს და სახელოსნოში პროდუქციას საბოლოო სახეს აძლევდნენ).

მ. განაპირობებდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებას, მწარმოებლურობის ამაღლებას; შრომის პროცესში გამოყენებული ხელსაწყოების გაუმჯობესებას; იძლეოდა დამხმარე მექანიზმების, წყლის ენერგიისა და სხვათა ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას. ამასთანავე, მ-მ მიმდინარე სამრეწვ. რევოლუციის შედეგად შექმნა წანამძღვრები მსხვილ სამრეწვ. წარმოებაზე გადასასვლელად, რ-იც ორთქლის მანქანების გამოყენებას ემყარებოდა.

დას. ევროპის ქვეყნებში მ. წარმოიშვა XVI ს. შუა პერიოდში, კაპიტალის პირველადი დაგროვების დროს როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე ცალკეული სახეობის პროდუქციაზე მასობრივი მოთხოვნის გაჩენის შედეგად. მთავარი როლი წარმოებაში მ-მ XVII–XIX სს. მიჯნაზე შეასრულა. ყველაზე მსხვილი მ–ები (ხშირად სახელმწ., სახაზინო) მოქმედებდნენ გემთმშენებლობაში, რკინისა და სპილენძის სადნობ წარმოებაში, ლითონდამუშავებაში (ზარბაზნების, თოფებისა და სხვა სახეობის იარაღის დამზადება), მარილსახდელების, დენთის, ქსოვილის, მინის, ქაღალდის, შაქრის, თამბაქოს, ფაიფურის, მაქმანების, გობელენების, ფუფუნების საგნების წარმოებაში, წიგნის ბეჭდვაში. ითვლება, რომ კლასიკური ფორმით მ-ის განვითარების პროცესი წარიმართა დიდ ბრიტანეთში, სადაც მისი სამივე ფორმა ფართოდ გავრცელდა. გამონაკლისის სახით ამჟამად არსებობს მ-ის ტიპის ძვირადღირებულ ნაკეთობათა საწარმოები, მაგ., ფრანგ. ფირმა „ჰერმესი“ (მოდის სახლი), რ-იც ჯერ კიდევ იყენებს შრომის დანაწილებასა და შინ მუშაობას. ფირმის პროდუქცია თითქმის მთლიანად ხელით მზადდება (აბრეშუმის ხელსახოცები, შარფები, ჩანთები და სხვ.), რაც ხარისხისა და უნიკალურობის გარანტიას იძლევა.

საქართველოში მანუფაქტურული საწარმოები დაგვიანებით, მსხვილი სახელმწ. და კერძო საწარმოების სახით შეიქმნა. მათი ჩამოყალიბება სპეციფიკური გარემოებით, კერძოდ, საჭირო ფინანს. ბაზის მხოლოდ შინაგანი რესურსების მაქს. მობილიზების ხარჯზე შექმნის აუცილებლობით იყო განპირობებული. 1763 ფუნქციონირება დაიწყო ახტალის ვერცხლის და დამბლუდის სპილენძის სადნობმა საწარმოებმა. 1770 მათ მიემატა ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის სადნობი საწარმოები. ბოლნისის მიმდებარედ და ქვემო ქართლის სხვა ადგილებში რკინის მადანსაც ამუშავებდნენ. ამავე პერიოდში ამოქმედდა ლითონის ჩამოსასხმელი, ჭურჭლეულის, ზარბაზნების, მორტირებისა და ყუმბარების, ასევე ზარაფხანა, სტამბა, მარილსახდელი, თამბაქოს, მინის, საპნისა და სხვა სახელმწ. საწარმოები. სახელმწ. ხელშეწყობით იქმნებოდა შედარებით მსხვილი კერძო მანუფაქტურული საწარმოებიც. XVIII–XIX სს. მიჯნაზე თბილისში შეიქმნა ჭურჭლის, აგურის, ზეთსახდელი, ტყავის დამამუშავებელი მანუფაქტურული საწარმოები, მნიშვნელოვნად განვითარდა საფეიქრო წარმოება, უმეტესად კი – ბამბის ქსოვილების დამზადება, გაიზარდა სამღებროების რაოდენობა.

დღეს საქართველოში არამატერიალური კულტ. მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად მანუფაქტურული წარმოება გამოიყენება ტრად. რეწვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხელნაკეთი ხალიჩებისა და ეროვნ. სამოსის ქსოვა, ხატების, ქოთნების, ჩანთების წარმოება, საიუველირო ნაწარმის, კერამ. და მინანქრის ნაკეთობების დამზადება, ტყავის, ხის, ლითონისა და ქვის/ძვლის დამუშავება და სხვ.

ლიტ.: გოგოლაძე დ., სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში, ტ. 7, თბ., 1984; თაბუაშვილი ა., ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 2020; სმიტი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ (ინგლ. თარგმნა ფ. გოგიჩაიშვილმა), თბ., 1938.

მ. ვეშაპიძე.

მანუჩარ I ჯაყელი, სამცხის ათაბაგი 1516–18, ყვარყვარე II-ის ძე. მზეჭაბუკის შემდეგ ათაბაგობა წაართვა თავის ძმისშვილს, ყვარყვარე III-ს. ყვარყვარემ სპარსელთა დახმარებით ტახტი დაიბრუნა. 1518 მ. I ოსმალთა შემწეობით ისევ შეეცადა ტახტის დაუფლებას, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა.

წყარო და *ლიტ.* იხ. სტ-თან მანუჩარ II ჯაყელი.

მ. ლომსაძე.

მანუჩარ II ჯაყელი (1550–1614), სამცხის ათაბაგი 1582–1614, ქაიხოსრო II-ის ძე. 1576–78 ყვარყვარე IV-ის ავადმყოფობის გამო განაგებდა საათაბაგოს საქმეებს. 1578 აგვ. ოსმალთა მიერ სპარსელთა დამარცხების (ჩილდირის ველზე) შემდეგ მ. II ოსმალებს დამორჩილდა. ოსმალთა სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ ყვარყვარე და მ. II სტამბოლში გაგზავნა. აქ მ. II გაამაჰმადიანეს, მუსტაფა უწოდეს, 1579 ახალშექმნილი ახალციხის (ჩილდირის) საფაშო უბოძეს და ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალეს. მ. II-მ ოსმალთა გეგმები ქართლის მეფე სიმონ I-ს გაანდო. ოსმალები მუხრანის ველზე დამარცხდნენ. სულთნის ხელისუფლებამ მ. II-ის დასჯა გადაწყვიტა, მაგრამ თავი დააღწია მტერს და მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. 1582 მ. II-მ უარყო მაჰმადიანობა, ცოლად სიმონ I-ის ქალიშვილი ელენე შეირთო და ათაბაგი გახდა (ყვარყვარეს ნაცვლად). ოსმალებმა ჩილდირის ბეგლარბეგად იუსუფფაშა დასვეს და აჯანყების ჩაქრობა დაავალეს, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ოსმალები კომპრომისზე წავიდნენ – 1583 ბეგლარბეგად მ. II აღადგინეს. იგი სულთნისაგან ქრისტიანობის შენარჩუნებას და ათაბაგობის აღდგენას მოითხოვდა. ოსმალებს მესხეთის დაპყრობა ჰქონდათ გადაწყვეტილი და 1587 მ. II-ის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნეს. მ. II-მ სამცხე დატოვა და ქართლში გადავიდა. 1598 იგი კვლავ აუჯანყდა ოსმალებს, ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისთანავე (1603) კი ირანული ორიენტაციის გზას დაადგა, რათა მათი მხარდაჭერით დაებრუნებინა სამცხის ათაბაგობა. მ. II ისპაჰანში ჩავიდა და შაჰ-აბასის კარზე იმყოფებოდა. გარდაიცვალა იქვე, ზოგიერთი ცნობით 1607.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე ტ. 4, თბ., 1973; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969;

სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სვანიძე მ., ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან, „მაცნე, ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია“, 1964, №4; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

შ. ლომსაძე.

მანუჩარ III ჯაყელი (1591–1625), სამცხის ათაბაგი 1614–25, მანუჩარ II-ის ძე. მამის ირანში ყოფნის დროს შაჰმა აბას I-მა მ. III სამცხე-საათაბაგოს გამგებლად ცნო. 1608 ოსმალების მიერ ახალციხის ხელახლა დაპყრობის შემდეგ მ. III ქართლში გადავიდა. 1614, მამის გარდაცვალების შემდეგ, ტახტს დაეუფლა. იგი ცდილობდა შეეჩერებინა მესხ ფეოდალთა გამაჰმადიანების პროცესი, რითაც ოსმალთა უკმაყოფილება გამოიწვია. 1624 არზრუმის ფაშამ მ. III-ის წინააღმდეგ ილაშქრა. მ. III მცირე რაზმით ქართლში გადავიდა. აქ მონაწილეობა მიიღო მარაბდის ბრძოლაში სპარსელების წინააღმდეგ. ამის შემდეგ სულთანმა მ. III-ს ქრისტიანობა შეუნარჩუნა და ათაბაგობა დაუმტკიცა. სამშობლოში მომავალი გზაში მოკლა ბიძამ – ბექამ (საფარ-ფაშა).

წყარო იხ. სტ-თან მანუჩარ II ჯაყელი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1977.

შ. ლომსაძე.

მანუჩარ I დადიანი (გ. 1611), ოდიშის მთავარი 1590–1611, ლევან I დადიანის ძე. მ. I დ-მა დიდი დახმარება გაუწია იმერეთის მეფე როსტომს ქართლის მეფე სიმონ I-თან ბრძოლაში; მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ოფშკვითის ბრძოლაში, სადაც სიმონ I დამარცხდა. ამ ბრძოლის შემდეგ როსტომ მეფემ საბოლოოდ დაიმკვიდრა იმერეთის ტახტი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462–1810 წწ.), თბ., 1989.

თ. ბერაძე.

მანუჩარ II დადიანი, ოდიშის მთავარი 1791–95, კაცია II დადიანის ძე. 1792 სოლომონ II-ის დახმარებით ტახტი წაართვა თავის ძმას, გრიგოლს. 1796 გრიგოლმა დაიბრუნა ტახტი, მ. II დ-მა კი 1799 საუფლისწულოდ მიიღო სალიპარტიანო. ერთხანს სოლომონ II-ის შემწეობით კვლავ ებრძოლა ძმას. 1802 ძმები საბოლოოდ შერიგდნენ.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

თ. ბერაძე.

მანუჩაჰრ III (გ. 1160), შირვანის მე-19 შაჰი (1123–60) ქესრანიდების (1027–1382) დინასტიიდან, აფრიდუნ I შირვანშაჰის ძე (გ. 1120). 1105 ცოლად მოიყვანა დავით IV აღმაშენებლის ასული *თამარი*. მათი შვილები იყვნენ: ახსითან I (დ. 1106), ფარუხზად I, შაჰანშა, აფრიდუნ II, ფარიბურზი. 1117–24 დავით აღმაშენებლის დახმარებით შირვანიდან განიდევნენ თურქები, რის შემდეგაც დაახლ. 1130 დემეტრე I-მა იქ მმართველად დანიშნა თავისი სიძე – მ. III, რ-იც ცნობილი იყო როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი.

ლიტ.: ასათიანი ნ., საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968; მეტრეველი რ., სამუშაო ჯგ., საქართველო-შირვანის ურთიერთობა XII საუკუნის I მეოთხედში, „მაცნე. ისტ., არქეოლ., ეთნოლ. და ხელოვნ. ისტორიის სერია“, 2015, №2.

ჯგ. სამუშაო.

მანქანათა დინამიკა, მანქანების თეორიის ნაწილი, რ-იც განიხილავს მანქანების ნაწილების (რგოლების) მოძრაობას მასზე მოქმედი ძალების გათვალისწინებით. იგი შეისწავლის მანქანის დაგეგმარების კომპლექსურ ამოცანას, რ-იც ითვალისწინებს როგორც ნაწილებზე მოქმედ გარე, ისე ნაწილების მოძრაობის შედეგად აღძრულ ძალებს (ინერცია, ხახუნი, გრავიტაცია და სხვ.). მ. დ-ის გაანგარიშებისას გადასაწყვეტია ორი ძირითადი ამოცანა: 1. ცნობილია ნაწილებზე მოდებული ძალები და უნდა განისაზღვროს მანქანის (ან ნაწილების) მოძრაობის კანონი (პირდაპირი ამოცანა); 2. გამოსათვლელია იმ ძალების მნიშვნელობა, რ-ებიც უზრუნველყოფენ მანქანის (ნაწილის) წინასწარ დაგეგმილი მოძრაობის კანონს (შებრუნებული ამოცანა).

კონსტრ. თვალსაზრისით მანქანა უნდა იყოს საიმედო, ხანგამძლე, მისი ნაწილები – მტკიცე, ხისტი და მსუბუქი, მუშაობისას კი – ეკონომიური, ადვილად დასაშლელ-ასაწყობი და სხვ. დინამიკის თვალსაზრისით მანქანის ნაწილებზე მოქმედი ყველა ძალა გაწონასწორებული უნდა იყოს, რაც ხშირად მეტად რთული ამოცანაა.

საქართველოში 1966 მანქანათა მექანიკის ინ-ტში აკად. მ. ხვინგიას (1924–94) ინიციატივით ჩამოყალიბდა მ. დ-ის განყ-ბა, სადაც მისივე ხელმძღვანელობით შესრულდა ფუნდამენტური კვლევები მ. დ-ში, ვიბრაციულ ტექნიკაში, ბიომექანიკაში, სუბპარმონიულ რეჟიმში მომუშავე მაღალი მწარმოებლობის ენერგოდამზოგველი ვიბრომანქანების დამუშავებაში. ამჟამად განყ-ბაში მიმდინარეობს სამეცნ.-კვლ. სამუშაოები ტრიბოლოგიისა და ვიბრაციული ტექნიკის სფეროში, მუშავდება სხვადასხვა სატრანსპორტო და ტექნოლოგიური სისტემის ტრიბოლოგიისა და დინამიკის პრობლემები. მ. დ-ში ქართველ მეცნიერთა კვლევების შედეგები ასახულია მრავალ სამეცნ. ნაშრომში, მ. შ. მონოგრაფიებში. დაპატენტებულია რამდენიმე გამოგონება. განყ-ბის მეცნიერები ინტენსიურად თანამშრომლობენ მ. დ-ის კვლევის საერთაშ. ცენტრებთან.

თ. ნატრიაშვილი.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი რ. დვალის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. დაარსდა 1959 რ. *დვალისა* და ვ. *მახალდიანის* თაოსნობით და ეწოდა მანქანათმცოდნეობის ინ-ტი. დაარსების პირველი წლებიდან დღემდე ინ-ტის ძირითადი მიმართულებებია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები მექანიკასა და მანქანათმშენებლობაში, მანქანათა დინამიკაში, თბოენერგეტიკული ძრავებისა და მობილური მანქანების დარგებში.

რ. დვალის, ვ. მახალდიანის, ი. ჯებაშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა შიგაწვის ძრავისა და მათში მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვანი კვლევები; მანქანათმშენებლობის დარგში რ. ადამიას ხელმძღვანელობით განვითარდა ახ. სამეცნ. მიმართულება – მძიმე მანქანების ოპტიმიზაციური სინთეზი; მ. ხვინგიას ხელმძღვანელობით შესრულდა კვლევები ვიბრაციულ ტექნიკაში, მანქანათა დინამიკაში, ბიომექანიკაში, დამუშავდა მაღალი მწარმოებლობის ენერგოდამზოგველი ვიბრომანქანები; მობილური მანქანების განყ-ბის თანამშრომლებმა შეასრულეს სხვადასხვა ტიპის მობილური მანქანების თეორიის, კონსტრუქციის, მათი გამოცდისა და მართვის კვლევები. ჩატარებული კვლევების შედეგები გამოქვეყნდა მრავალ სამეცნ. ნაშრომში, მ. შ.

მონოგრაფიებში, დაპატენტდა ინ-ტის მეცნიერთა მრავალი გამოგონება.

ამჟამად ინ-ტში (2006-იდან დირექტორი – თ. ნატრიაშვილი) არის მანქანათმშენებლობის, თბოენერგეტიკული დანადგარების, მანქანათა დინამიკისა და მობილური მანქანების განყ-ბები. მიმდინარეობს სამეცნ. კვლევები როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით პრობლემებზე მექანიკასა და მანქანათმშენებლობაში, მუშავდება ინოვაციური ტექნოლოგიები, მ. შ. სატრანსპორტო საშუალებებისთვის. სადღეისოდ მ. მ. ი-ის ძირითად სამეცნ. მიმართულებებში შედის: მანქანებში დინამ. პროცესების მათ. მოდელირება; ახალი ლითონ- და ენერგოდამზოგველი მანქანების, დანადგარებისა და ტექნოლოგიების დამუშავება და დაპროექტება; მანქანებისა და აგრეგატების ხანგამძლეობისა და საიმედოობის საკითხები; ხახუნისა და ცვეთის პრობლემები; მანქანათმშენებლობისათვის ახალი პოლიმერული კომპოზიციური მასალებისა და მათი მიღების ტექნოლოგიების დამუშავება; მრავალფუნქციური მობილური რობოტების დამუშავება; ავტომობილებისა და სპეცდანიშნულების მანქანების გამოცდები; სპეცდანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების გამოცდების სტანდარტებისა და მეთოდიკების ქართ. ანალოგების დამუშავება და სხვ.

მ. მ. ი. თანამშრომლობს მსოფლიოს მრავალ სამეცნ. ცენტრთან.

თ. ნატრიაშვილი.

მანქანათმცოდნეობა, მეცნიერება მანქანების, მექანიზმებისა და მათი კომპლექსების შექმნისა და ეფექტური ექსპლუატაციის შესახებ, ეფუძნება თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევათა შედეგებს, მათემატიკის, ფიზიკის, მასალათა გამძლეობისა და სხვა მიმართულების მეცნიერებათა მიღწევებს. მ-ში შედის დისციპლინები: ,,მანქანებისა და მექანიზმების თეორია'' და „მანქანათა ნაწილები“, რ-ებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მანქანის დეტალებისა და კვანძების ამტანობა დატვირთვაზე, მათი ოპტიმალური ზომები და ხახუნის სიდიდე; იკვლევს დეტალებისა და კვანძების ცვეთას, რის საფუძველზეც გადაიჭრება მანქანის მქკისა და ხანგამძლეობის გაზრდის საკითხები, ასევე დამზადების ოპტიმალურ პროცესს, განისაზღვრება საიმედოობის საკითხები, მანქანის მიერ შესრულებული ოპერაციების მაღალი ხარისხი; მოხმარებული ენერგიის რაციონალურად გამოყენება, წარმადობისა და ეკონომიურობის გაზრდა.

XX საუკუნეში პრინციპულად ახალი მანქანების შექმნას დაემატა ახალი სამეცნ. მიმართულებები, გაჩნდა მ-ის ახალი დარგები: ავტომატიზაცია, რობოტოტექნიკური და მექატრონული კომპლექსები, კოსმოსური მ. და სხვ.

საქართველოში მ-ს ფუძემდებელია კ. *ამირაჯიბი,* თსუ-ში სას.-სამ. მ-ის კათედრის გამგე (1919-იდან), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინ-ტის დამაარსებელი (1931).

რ. *დვალმა* და ვ. *მახალდიანმა* მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს მაღალმთიან რეგიონში მობილური მანქანების დინამიკისა და შიგაწვის ძრავების მუშა პროცესების თავისებურებათა კვლევა. ი. ჯებაშვილმა (1923–98) იმავე პირობებში შეისწავლა ავტომობილის ძრავათი დამუხრუჭებისა და ავტოტრაქტორის დიზელის მუშა პროცესები. დ. *თავხელიძემ* შეისწავლა ორი და მეტი თავისუფლების ხარისხის მქონე, სივრცითი და ბრტყელი სახსრული მექანიზმების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, ჩამოაყალიბა ოთხწევრიანი სივრცითი მექანიზმის ღეროთა ბრუნვის თეორია. თ. *ლოლაძემ* შეიმუშავა ლითონთა დამუშავების ახალი მეთოდები და მასალები ლითონსაჭრელი იარაღებისთვის, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ჩარხებისა და მანქანების შექმნაში. მანქანათა დინამიკის, ვიბრაციული ტექნიკისა და ბიომექანიკის პრობლემებს იკვლევდა მ. *ხვინგია.* რ. *ადამიამ* მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მანქანათა დინამიკასა და სამანქანო სისტემების დინამიკური პროცესების ოპტიმიზაციაში; მისი მონოგრაფიები აღიარებულია ამ მიმართულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომებად. გენ. კონსტრუქტორმა შ. *კერესელიძემ* დაამუშავა ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მექანიზაციის თეორ. საკითხები და შექმნა მანქანები, რომელთაც იმ პერიოდის მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდა. სას.-სამ. მანქანების დინამიკის, პარამეტრების ოპტიმიზაციისა და საიმედოობის გაზრდას ეძღვნება რ. *მახარობლიძის* ნაშრომები.

მ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს უცხოეთში მოღვაწე ავიაკონსტრუქტორებმა ა. *ქართველიშვილმა,* გ. *ბერიევმა* (ბერიაშვილი) და სარაკეტო სისტემების კონსტრუქტორმა ა. *ნადირაძემ* .

ამჟამად მ-ის დარგში კვლევები მიმდინარეობს *მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში,* რ-იც ინტენსიურად თანამშრომლობს მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრთან.

თ. ნატრიაშვილი.

მანქანებისა და მოწყობილობების ფარმოება, მრეწველობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგი. იგი მაღალტექნოლოგიური მრეწველობის ნაწილია და მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სარკინიგზო (რკინიგზის მოძრავი შემადგენლობისა და ლოკომოტივების წარმოება), საზღვაო (გემებისა და ნავების მშენებლობა), საჰაერო და კოსმ. ხომალდების, სამხ. საშუალებების, მისაბმელებისა და ნახევრად მისაბმელების წარმოებას. მანქანათმშენებლობა ასევე დაკავშირებულია ქიმ. პროდუქტებისა და ელექტრონული საშუალებების წარმოებასთან.

მანქანები და მოწყობილობები დანიშნულების მიხედვით არის ელექტრონული, მუშა და ინფორმაციული; უნივერსალურობის მიხედვით – უნივერს., სპეციალიზებული და სპეციალური; ავტომატიზაციის მიხედვით – მექანიზებული, ავტომატიზებული და ავტომატური.

მანქანებისა და მოწყობილობების გამოყენება დაკავშირებულია ცივილიზაციის განვითარებასთან. პირველი მექან. კონსტრუქციის მაგალითია ბორბალი და მის ბაზაზე დამზადებული ტვირთის გადამზიდი. მექან. კონსტრუქციების მეშვეობით (საჭაპანო ტრანსპ.: ურემი, მარხილი, ეტლი და სხვ.) სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად შემდგომ გამოიყენებოდა შინაური ცხოველების ფიზ. ძალა. მომდევნო ეტაპზე შეიქმნა ისეთი ტექ. კონსტრუქციები, რ-ებიც ენერგიის გარდაქმნის საშუალებას იძლეოდა. მაგ.: ვარდნილი წყლის ენერგიის გარდაქმნა სასარგებლო ენერგიად (იყენებდნენ ძვ. ეგვიპტეში ირიგაციისათვის, წისქვილებში ბრუნვითი ენერგიის მისაღებად, სამშ. ქვების დასამუშავებლად და სხვ.). მსგავს კონსტრუქციებს რომის იმპერიაში ფართოდ იყენებდნენ საბრძოლო დანადგარებად, უპირველესად კი ქვების სატყორცნელ, ციხესიმაგრეთა დამანგრეველ და თავდაცვის საშუალებად.

მანქანათმშენებლობას, როგორც მრეწვ. დარგს, საფუძველი ჩაეყარა

XVIII ს-ში და სწრაფად განვითარდა დას. ევრ. ქვეყნებში. 1774 ჯ. უატის მიერ ინგლისში კლასიკური ორთქლის მანქანის შექმნით დაიწყო ტექ. რევოლუცია. ორთქლის ენერგიის გარდაქმნამ რამდენჯერმე გაზარდა ენერგიის გამოყენების ეფექტიანობა და შრომის ნაყოფიერება. 1889 შვედმა ინჟინერმა და გამომგონებელმა გ. ლავალმა შექმნა ორთქლის ტურბინა, 1870–80 გერმ. ინჟინრებმა ნ. ოტომ, ჰ. დაივერმა, კ. ბენცმა და რ. დიზელმა – შიგაწვისა და დიზელის ძრავები, 1889 ამერ. ინჟინერმა მ. ჰერმანმა კი – ელექტროძრავა. XX ს-ში ავტომატიზებული სისტემების განვითარებით დაიწყო მანქანათ-მშენებლობის ახ. ეტაპი. ამჟამად მანქანათმშენებლობისა და მოწყობილობების ნაწილი გახდა საინფორმაციო ტექნიკა და ტექნოლოგიები.

მ. და მ. წ-ით განისაზღვრება ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის მიღწევები და იგი საზ-ბის პროგრესის ძირითად მამოძრავებელ ძალადაა მიჩნეული.

საქართველოში მანქანათმშენებლობის განვითარების ისტ. მაგალითია მითი არგონავტების შესახებ, სადაც მოხსენიებულია საბრძოლო ეტლები და იარაღები, სახნავი მოწყობილობები, სწრაფმავალი ნავები. შუა საუკუნეებში საქართვ. ძლიერების საფუძველი იყო მაშინდელი მოწინავე საბრძოლო აღჭურვილობა. XVIII ს-ში ერეკლე II ზრუნავდა ქვეყნის მრეწველობის განვითარებაზე – ამზადებდა საბრძოლო იარაღს, მ. შ. ზარბაზნებს, აღადგინა ზარაფხანა, რაც შესაბამისი მანქანა-მოწყობილობების გამოყენებას გულისხმობდა.

XIX ს-ში ამიერკავკასიის რკინიგზის ფუნქციონირებისათვის შეიქმნა საწარმო *ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები* ხაშურის რკინიგზის სახელოსნოს სიმძლავრეების გადმოტანით თბილისში. მას დაემატა ორთქლმავლისა და ვაგონის საამწყობო, სამჭედლო-მექან., საჩამომსხმელო და სხვა საამქროები. ეს საწარმო უდიდესი იყო მთელ ამიერკავკასიაში. 1928 მთავარი სახელოსნოები გადაკეთდა ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქ-ნად. თბილისში ამუშავდა მექანიკური ქ-ნაც.

მ. და მ. წ-ის სწრაფი განვითარება დაიწყო XX ს. 20-იანი წლების ბოლოდან. მანქანათმშენებლობის სექტორი II მსოფლიო ომამდელი პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ჩამოყალიბდა. 1923 ამიერკავკასიის სამხ. ოლქის თბილ. არტილერიის არსენალის ბაზაზე დაფუძნდა ს. ორჯონიკიძის სახ. მანქანათმშენებელი ქ-ნა, რ-იც აწარმოებდა მანქანებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის. 1915 დაარსებული ავტოშემკეთებელი სახელოსნოს ბაზაზე 1924 შეიქმნა თბილ. 26 კომისრის სახ. მანქანათმშენებელი ქ-ნა, რ-იც უშვებდა მანქანა-მოწყობილობებს სას.-სამ. და მსუბუქი მრეწველობისათვის. 1933-იდან ს. კიროვის ჩარხმშენებელი ქ-ნა აწარმოებდა ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობებს, ხოლო 1937-იდან – ლითონსაჭრელ ჩარხებს. ომის შემდგომ პერიოდში მწყობრში ჩადგა თბილისის სახეხი ჩარხების, ინსტრუმენტული, საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქ-ნები.

XIX ს. 90-იან წლებში შექმნილი სამსხმელო-მექან. ქ-ნის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის მანქანათმშენებლობის ქ-ნა, რ-იც XX ს. 30-იან წლებამდე უშვებდა თუჯის სხმულებს, 30-იანი წლებიდან კი – ჩაის ფოთლის გადამამუშავებელ მანქანებს, სპირტისა და ეთერზეთების გამოსახდელ მოწყობილობებს, II მსოფლიო ომის დროს იგი სპეც. სამხედრო შეკვეთებს ასრულებდა.

საქართვ. მანქანათმშენებლობის სპეციალიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო სოფლის მეურნეობის, ასევე ღვინისა და ჩაის მრეწვ. განვითარებისათვის აუცილებელი მანქანა-მოწყობილობების წარმოება.

ომის დროს ნოვოროსიისკის გემთმშენებელი ქ-ნის სიმძლავრეთა ევაკუაციის შედეგად ჩამოყალიბდა ბათუმის გემთშემკეთებელი-გემთსაშენი ქ-ნა, ხოლო სევასტოპოლის გემთშემკეთებელი-გემთსაშენი ქ-ნის ევაკუაციით – ფოთის გემთშემკეთებელი-გემთსაშენი ქ-ნა (1941), ტაგანროგისა და სევასტოპოლის ქ-ნების საწარმოო სიმძლავრეთა თბილისში გადმოტანით კი – საავიაციო ქ-ნა (შემდგომ – „თბილავიამშენი“), რ-იც უდიდესი იყო ამიერკავკასიაში. 1944 ამოქმედდა რუსთავის მექანიკური ქ-ნა.

II მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში მანქანათმშენებლობამ სწრაფად დაიწყო განვითარება. ათვისებულ იქნა მრავალი ახ. სამრეწვ. დარგი, მ. შ. თბომავლების, მცურავი მიწასაწოვების, თვითმავალი მცურავი სატუმბი სადგურების, ამწე კოშკურების, სხვადასხვა სახარატო და ხრახნსაჭრელი ჩარხის, ჩაის საკრეფი მანქანების, ასევე მინერ. სასუქის, სამშენებლო საშუალებების, პლასტმასის ნაკეთობებისა და მრავალი ახ. ტიპის, სახეობისა და მარკის სამრეწვ. პროდუქციის დასამზადებლად საჭირო მოწყობილობების წარმოება.

საქართველოში ძირითადად ვითარდებოდა ელექტროტექნიკური ნაკეთობათა წარმოება, ხელსაწყოთმშენებლობა, სამთო-საშახტო და სამთო-სამთამადნო მანქანათმშენებლობა, ჩარხთმშენებლობა, საინსტრუ-მენტო, ელექტროტექნიკური და საავტ. მრეწვ., ამწე-სატრანსპორტო, სატრაქტორო და სას.-სამ. (ჩაის, ღვინისა და კონსერვების საწარმოებელი მანქანა-დანადგარები) მანქანათ-მშენებლობა. ომის შემდეგ რეპარაციის საფუძველზე გერმანიიდან გადმოტანილი საავტ. ქ-ნის ბაზაზე შეიქმნა ქუთაისის საავტ. ქ-ნა, რ-მაც 1951 გამოუშვა პირველი სატვირთო ავტომობილი. აქვე XX ს. 60-იანი წლების ბოლოს აშენდა ქუთ. მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქ-ნა. 1946 ამუშავდა ქუთ. მანქანათმშენებელი ქ-ნა ,,სამთოელი‘‘ (1963-იდან – ქუთ. ელექტრომექანიკური ქ-ნა), რ-იც უშვებდა ქვანახშირის მრეწველობისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობებს, პროდუქციას ნავთობმომპოვებელი საწარმოებისათვის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ტექნიკას (ელექტროგამათბობლები და წყალსაქაჩი ვიბრაციული ელექტროტუმბოები). დაარსდა ელექტროტექნიკური მრეწვ. არაერთი ქ-ნა, მ. შ., თბილისში – „ელექტროგამშვები“ (1956), ,,ელექტროაპარატი“ (1956), „ელმავალმშენებელი“ (1957), *„ელექტროშედუღება“* (1958), *,,ელექტროიზოლიტი‘‘* (1958); 1958–62 – „ელექტროძრავა“, „მიკროძრავა“, „პლასტმასა“; ცხინვალში – ,,ელექტროვიბრომანქანა“ (1960), მომინანქრებული სადენების ქ-ნა; ფოთში – ელექტროაპარატების ქ-ნა, ზესტაფონში – „საქკაბელი“; ახალციხეში – „ელექტროძრავა“; კასპში – „ელექტროაპარატი“; გელათში – ტრანსფორმატორების ქ-ნა და სხვ. ამოქმედდა აგრეთვე ხელსაწყოთმშენებლობის საწარმოები – *„თბილხელსაწყო“*, „ჰიდრომეტხელსაწყო“, „სოხუმხელსაწყო“, „გორიხელსაწყო“.



მანჭკვალა.

70-იანი წლებიდან თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ელექტროგამომთვლელი მანქანების სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „*მიონმა*“, რ-იც დაიშალა ერთიანი საბჭ. ეკონ. კომპლექსის რღვევის შედეგად.

1991-მდე, საქ. სსრ მრეწვ. სექტორში მანქანათმშენებლობის წილი შეადგენდა 60%-ს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართვ. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, მისი წილი მშპ-ში შემცირდა – არსებული ქ-ნები დაიშალა მოძველებული პროდუქციის წარმოების გამო. ამჟამად ელექტრული მოწყობილობების, კომპიუტერების, მანქანების, ავტოსატრანსპორტო და სატრანსპ. საშუალებების, მისაბმელების, ნახევარმისაბმელების და სხვა მოწყობილობების წარმოება ბიზნესსექტორში შეადგენს მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციის 1,6%-ს (2021) და მრეწველობაში წარმოებული დამატებითი ღირებულების 1,1%-ს.

მანქანათმშენებლობის საწარმოებიდან წამყვანია სააქციო საზ-ბა „*თბილავიამშენი*“ (თამ), შპს „*ელმავალმშენებელი*“, სააქციო საზ-ბა „*ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა*“ და შპს „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“.

ლიტ: ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001; კოჭლავაშვილი ა., მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (1921–1932 წწ.), თბ., 1966; საქართველოს სსრ ინდუსტრიალიზაციის ისტორია (1926–1946 წწ.), თბ., 1968; Dean Ph., The First Industrial Revolution, Camb., 1979.

გ. სანაძე.
გ. ტყეშელაშვილი.

მანქანური თარგმნა (ავტომატური თარგმნა), თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. თარგმნისათვის კომპიუტერის გამოყენების იდეა გაჩნდა აშშ-ში პირველი კომპიუტერების გამოჩენისთანავე (1947). მ. თ-ის პირველი საჯარო დემონსტრირება ჩატარდა აშშ-ში (ე. წ. ჯორჯთაუნის ექსპერიმენტი; 1954). ამ ექსპერიმენტმა მსოფლიოში დიდი გამოხმაურება პოვა, მიუხედავად მისი პრიმიტიულობისა (250 სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონი, 6 წესის გრამატიკა, რამდენიმე მარტივი ფრაზის თარგმნა). მალე მ. თ-ის შექმნაზე დაიწყეს მუშაობა იტალიაში, საფრანგეთში, გფრ-ში, იაპონიაში, ჩინეთში, სსრკ-სა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში – *მართვის სისტემების ინსტიტუტში* (მსი), ვ. ჭიჭინაძის ინიციატივითა და ა. ელიაშვილის მხარდაჭერით შეიქმნა ახალგაზრდების ჯგუფი, რ-საც დაევალა მ. თ-ის შექმნა. ჯგუფის წევრებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ მოსკოვში ამ დარგის ცნობილ მეცნიერებთან: ი. მელჩუკთან, ლ. იორდანსკაიასთან, ი. აპრესიანთან, ნ. ლეონტიევთან, ო. კულაგინასთან და სხვ. XX ს. 60-იან წლებში შეიქმნა მათ. და ტექ. ტექსტებზე ორიენტირებული რუს.-ქართული ტექსტის ალგორითმი (ავტორები: გ. ჩიკოიძე, ლ. მარგველანი, ლ. თამარაშვილი, ჯ. ჯაფარიძე, მ. ბარბაქაძე – პროგრამული უზრუნველყოფა). რადგან თარგმნის ეს სისტემა სსრკ-ში ერთ-ერთი პირველი იყო, ისინი მ. თ. დარგის პიონერებად აღიარეს. შემდგომ ამ ჯგუფის ბაზაზე მსი-ში შეიქმნა მ. თ-ის განყ-ბა, რ-შიც დღემდე გრძელდება მუშაობა.

მ. თ-ის მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა აზრით ფართო სპექტრის ტექსტების სრულფასოვანი თარგმნისათვის აუცილებელია ენის ლინგვისტური, ანუ სინტაქსური და მორფოლოგიური ცოდნის გაერთიანება სტატისტიკაზე დაფუძნებულ სისტემებთან. 2018-იდან მსი-ში ენის მოდელირების განყ-ბის ხელმძღვანელის, ლ. ლორთქიფანიძის ავტორობით შეიქმნა ენის ავტომატური დამუშავების სისტემები და პროგრამული პროდუქტები: თანამედროვე ქართ. ენის მორფოლ. ლექსიკონი; ენის მორფოლ. მულტიენობრივი კომპაილერი; კონკორდანსების შედგენის ნახევრად ავტომატური სისტემა; მულტიენობრივი ლექსიკური მთარგმნელის კომპაილერი.

ლ. ლორთქიფანიძე.

მანძილი, (არაბ. მანზილ – სადგური, გაჩერება), მანძილის საზომი ერთეული XVIII ს. საქართველოში. შემოვიდა ირანიდან. უდრიდა 15,5 *კმ*.

გ. ჯაფარიძე.

მანჭკაშა ისიდორე გაბრიელის ძე (12. V. 1900, სოფ. ნიგვზიანი, ოზურგეთის მაზრა, – 1944, გერმანია), პუბლიცისტი, მკვლევარი, მთარგმნელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებელი და ფოთის გიმნაზია, შემდეგ სწავლობდა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე. მ. იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის აქტ. წევრი, მე-11 ბოლშევიკური არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლების (1921) და ეროვნ. ამბოხების (1924) აქტ. მონაწილე. ამბოხების შემდეგ მ. დააპატიმრეს. მან მეტეხის ციხეში სხვა პოლიტ. ტუსაღებთან ერთად შეძლო ხელნაწერი პატრ. ჟურნ. ,,მეტეხის'' გამოცემა (გამოვიდა 5 ნომერი). ციხიდან თავის დაღწევის შემდეგ (1925) წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და გერმანიაში. ერთხანს იყო სორბონის უნ-ტის მსმენელი. ემიგრაციაში აქტ. საზ.-პოლიტ. მოღვაწეობასთან ერთად მ. ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიც. და სამეცნ. მუშაობას. მისი მონაწილეობით პარიზში დაფუძნდა ქართვ. მწერალთა და ჟურნალისტთა საზ-ბა (1926), ქართ. სალიტ. და სამეცნ. ჟურნ. ,,კავკასიონი'' (1929, პარიზი), იყო ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. სიცოცხლის ბოლო ათი წელი გაატარა გერმანიაში. აქ იყო ქართ. ემიგრანტული გამოცემების, გაზეთების – ,,საქართველოსა'' და ,,ქართველი ერის'' (ქართ. ეროვნ. კომიტეტის ორგანო) თანამშრომელი. მ. იკვლევდა როგორც ქართ. ლიტერატურას, ისე საქართვ. ისტორიას. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია ,,ერიხ მარია რემარკი'', ,,ილია ჭავჭავაძე'', ,,ქართული ლიტერატურა'', ,,1801–32 წლების მანძილზე (ისტორიული მიმოხილვა)'', ,,1832 წლის შეთქმულების შესწავლისათვის'' და სხვ. 1962 პარიზში გამოიცა მისი მონოგრაფია ,,ქართული კულტურის გზები''. დაკრძალული იყო ზალცბურგის გარეუბანში, შემდეგ გადაასვენეს საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლ. ურუშაძე.

მანჭიკაანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში (ცხრამძის თემი). მდებარეობს ლომისალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ცხრამძულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1550 *მ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მანჭკვალა (Armillariella mellea), ქუდიანი სოკო ტრიქოლომასებრთა ოჯახისა. ნაყოფსხეული შედგება ყვითელი ან მოყვითალო-ყავისფერი ქუდისა და ფეხისაგან. ქუდს ზედა მხარეს მურა ქერცლები აქვს, ქვედა მხარეს კი – მოთეთრო-მოყვითალო ფირფიტები. ფეხი საყელოიანია. იზრდება ჯგუფებად ცოცხალი ან გამხმარი ხეების ფესვებსა და ძირებზე გამოდის შემოდგომით,

იშვიათად – ზაფხულში. საჭმელად იყენებენ ნედლს, დამწნილებულს ან დამუჟუჟებულს. პარაზიტია. აავადებს და ალპობს წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ფესვებს. ბაღ-ვენახებში დაავადებული კერების ირგვლივ საჭიროა ნიადაგის დეზინფექცია (10 *მ* რადიუსით).

ი. ნახუცრიშვილი.

მანჭკვალას მატყუარა (Hypholoma fasciculare), შხამიანი ქუდიანი სოკო სტროფარიასებრთა ოჯახისა. აქვს მომწვანო-ყვითელი, შუაში მოწითალო ქუდი, რ-იც თავდაპირველად ზარისებრია, შემდეგ – გაშლილი. მისი დიამეტრი 2–5 *სმ* აღწევს. ფეხი ქუდისკენ მოყვითალოა, ძირისკენ – მოყვითალო-ყავისფერი; აქვს საყელო, რ-იც მალე ქრება. ფირფიტები თავიდან მოყვითალოა, შემდეგ კი – მომწვანო-შავი. იზრდება გამხმარ და დამპალ ხეებზე ჯგუფ-ჯგუფად ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ჰგავს მანჭკვალას. მისგან განსხვავდება ქუდისა და ფირფიტების ფერით.

ი. ნახუცრიშვილი.

მანჯავიძე აბესალომ ავთანდილის ძე (დ. 20. I. 1972, თბილისი), დაზვერვის გენერალ-მაიორი (2019). ეკონომიკის დოქტორი (1999). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი და აგრარული უნ-ტი (ორივე 1996). სხვადასხვა დროს მსახურობდა საქართვ. შს და თავდაცვის სამინისტროებში. 2017–19 იყო თავდაცვის ძალების სამხ. პოლიციის დეპარტამენტის, ხოლო 2019–21 – საქართვ. დაზვერვის სამსახურის დირექტორატის უფროსი.

დაჯილდოებულია მედლებით – ,,სამშობლოსათვის თავდადებული'' (2018) და ,,გენერალი კვინიტაძე'' (2019).

მ. ბაძაღუა.

მანჯავიძე გიორგი თერაპონტეს ძე (6. V. 1924, ზესტაფონი, – 13. IV. 1999, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზ.-მათემატიკის მეცნ. დოქტორი (1970), ნ. მუსხელიშვილის მოწაფე. დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათემატიკის ფაკ-ტი (1947). მუშაობდა ა. რაზმაძის მათემატიკის ინ-ტში (1947–77), იყო სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1954–77); სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თსუ-ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათ. ინ-ტის კომპლექსური ანალიზისა და მისი გამოყენების განყ-ბას.

მ-ის სამეცნიერო კვლევის სფეროებია სინგულარული ინტეგრალური განტოლებების სისტემები წყვეტილი კოეფიციენტებით, დრეკადობის თეორია, ანალიზური ვექტორების თეორია და სხვ.

მ. მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, აგრეთვე გერმანიისა და ავსტრიის უნ-ტებში, იყო ტრიესტეს (იტალია) თეორ. ფიზიკის სკოლის თანადირექტორი. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას; მრავალი წლის განმავლობაში იყო ა. რაზმაძის მათ. და ი. ვეკუას გამოყენებითი მათ. ინ-ტების შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი.

მიღებული აქვს ნ. მუსხელიშვილის სახ. პრემია (1990).

მანჯავიძე ზურაბ შალვას ძე (12. VII. 1923, თბილისი, – 25. V. 1987, იქვე), ფიზიკოსი, ექსპერიმენტატორი; საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1983), საქართვ. დამს. ინჟინერი (1984). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი ექსპერ. ფიზიკის სპეციალობით (1947). მუშაობდა თსუ-ში ლაბორანტად და ასისტენტად (1947–54), საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (ახლანდ. ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტი) – ელემენტარული ნაწილაკების რეგისტრაციის მეთოდების ლაბორ. ხელმძღვანელად (1954–62), ინ-ტის დირექტორის მოადგილედ (1962–70), ახალი მეთოდების დამუშავების ლაბორ. ხელმძღვანელად (1970–87). მ-მ დაამუშავა 1,5-ლიტრიანი კონდენსაციური კამერა (1950), რ-იც გახდა ფიზ. ინ-ტისა და თსუ-ის კოსმოსური სხივების იალბუზის ლაბორ. ძირითადი დეტექტორი. მისი მეშვეობით ქართველმა მეცნიერებმა, ინგლის-საფრანგეთის მეცნიერთა ჯგუფისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ერთდროულად, აღმოაჩინეს ახალი სახის ელემენტარული, ე. წ. ,,უცნაური'' ნაწილაკები; 1953-ში მ-მ ამავე ლაბორატორიაში დაამუშავა 14-ლიტრიანი კონდენსაციური კამერა და ასობით აღმოჩენილი უცნაური ნაწილაკით შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი ნაწილაკების ბანკი. შემდეგ წლებში მ-ის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული კონდენსაციური დეტექტორი გამოიყენეს ბირთვულ კვლევათა საერთაშ. ინ-ტში (დუბნა, რფ). 1980 მ-მ შექმნა დიდი მოცულობის, იმ დროისათვის უნიკალური დეტექტორები, რ-თა მეშვეობით შესრულდა მნიშვნელოვანი კვლევები ცხრაწყაროს კოსმოსური სხივების ლაბორატორიაში. მ-მ გამოიგონა და შექმნა სრულიად ახალი, ე. წ. დაცლითი-კონდენსაციური და დაცლითი-დიფუზიური კამერები (1968); მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოს უდიდესი 5-მეტრიანი სტრიმერული კამერა (1978). XX ს. 70–80-იან წლებში მ-ის ხელმღვანელობით ახ. მეთოდების დამუშავების ლაბორატორიაში წარმატებით შესრულდა სამუშაო ექსპერ. მონაცემებისა და სამეცნ. კვლევების ავტომატიზაციის დარგში, მიკროპროცესორთა გამოყენებით შეიქმნა რამდენიმე მიკრო ეგმ, რ-ებიც ექსპერიმენტულ აპარატურასთან ერთად ხაზზე მუშაობდნენ.

მ. სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონების ავტორია. მიღებული აქვს ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინ-ტის საერთაშ. პრემია (1966) და სახელმწ. ჯილდოები.

მანჯავიძე ნინო შალვას ასული (20. X.1942, თბილისი, – 17. V. 2021, იქვე), პედიატრი. მედიცინის მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1989). 1964 დაამთავრა თსსი. 1965–67 იყო თბილ. I კლინ. საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი; 1967–2015 – თსსი-ის ბავშვთა სნეულებათა კათედრის უფრ. ლაბორანტი, კათედრის ასისტენტი (1972–82), დოცენტი (1982–89), პროფესორი და კათედრის გამგე (1994–2015).

მ-ის სამეცნ. ნაშრომები ეხება პლაცენტის ონკოლოგიურ, ჰისტოქიმიურ და ზოგიერთ კლინიკურ გამოკვლევას, პედიატრიულ ალერგოლოგიასა და იმუნოლოგიას, პედიატრიასა და სხვა აქტ. საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოსი ,,პედიატრია''.

მ. იყო საქართვ. პედიატრთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2000).

მანჯგალაძე გურამ ქრისტეფორეს ძე (29. XI. 1933, თბილისი, – 31. XII. 2021, იქვე), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1956), მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის საკვალიფიკაციო კურსები (1976). 1960–74 მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად, 1971–2006 იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედ. უნ-ტის (ამჟამად ილიას სახელმწ.



მანჭკვალას მატყუარა.

უნ-ტი) მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, 1971–75 – საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი – ასპირანტურის განყ-ბის გამგე. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

თხზ.: გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974; კავკასიის ფრონტი 1914–1916 წწ., თბ., 1984; გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860–1918 წწ.), თბ., 1991.

მანჯგალაძე ეროსი აკაკის ძე (3. III. 1925, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, –26. I. 1982, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1961). 1947 დაამთავრა თეატრ. ინ-ტი (დ. ალექსიძის სახელოსნო). ჯერ კიდევ მესამე კურსელმა წარმატებით შეასრულა ტეტერევის როლი მ. გორკის ,,მდაბიონში'' (რეჟ. გ. ტოვსტონოგოვი). 1947–48 მუშაობდა კ. ხეთაგუროვის სახ. ცხინვალის თეატრში, სადაც სადებიუტო როლი ითამაშა სპექტაკლში ,,ღრმა ფესვები''. 1948-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. 17 წლის ასაკში გაიმარჯვა საქართვ. სახ. რადიოკომიტეტის დიქტორთა შესარჩევ კონკურსში და გახდა ცნობილი დიქტორი და სპორტ. კომენტატორი. განსაკუთრებით გაითქვა სახელი საფეხბურთო რეპორტაჟებით, რ-ებიც მან 1946-იდან პირველად წაიყვანა ქართულ ენაზე. იყო კინომსახიობთა თეატრის დირექტორი, იმავდროულად მონაწილეობდა ამ თეატრის სპექტაკლებში. მ-მ დიდი ოსტატობით შეასრულა შემდეგი როლები: რუსთაველის თეატრში – ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), ლოპესი (ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი''), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ოიდიპოსი (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), დათვი (გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''), ტარიელი, გვადი (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა'', ,,გვადი ბიგვა''), თავადი ვანო (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''), ართავაზა, ისიდორე სარალიძე (ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე'', ,,საბრალდებო დასკვნა''), პეტერ შტოკმანი (ჰ. იბსენის ,,ექიმი შტოკმანი''), აზდაკი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე'') და სხვ. კინომსახიობთა თეატრში – მოხუცი ფეხბურთელი (ლ. ჭელიძის ,,ესმერალდა''), მურომსკი (ა. სუხოვო-კობილინის ,,საქმე'') და სხვ.

მ. გამოირჩეოდა მასშტაბურობით, თანამედროვეობის ზუსტი



ე. მანჯგალაძე.



მაჟალო.



მაჟარა.



ე. მანჯგალაძე. ბუნბულა. კადრი ფილმიდან ,,ნატვრის ხე''. რეჟისორი თ. აბულაძე. 1976.

აღქმით. იყო უნივერსალური მსახიობი. 1958-იდან იღებდნენ კინოში. ბუნებრივი უშუალობა, დასამახსოვრებელი ხავერდოვანი ხმის ტემბრი, მუსიკალურობა, დახვეწილი იუმორი და ირონია მის ეკრანულ სახეებს განუმეორებელ მომხიბვლელობას ანიჭებდა, მ. შ. აღსანიშნავია: ალექსანდრე (,,წარსული ზაფხული'', რეჟ-ები: ნ. ნენოვა, გ. წულაია, 1958), სევერიანი (,,თოჯინები იცინიან'', რეჟ. ნ. სანიშვილი, 1962), ვარდენი (,,შეხვედრა წარსულთან'', რეჟ. ს. დოლიძე, 1966), მღვდელი (,,ლონდრე'', რეჟ. თ. მელიავა, 1966), მილიციის რწმუნებული (,,ქვევრი'', რეჟ. ი. კვირიკაძე, 1970), გეორქ გეორქოვი (,,ვერის უბნის მელოდიები'', რეჟ. გ. შენგელაია, 1973), ბუნბულა (,,ნატვრის ხე'', რეჟ. თ. აბულაძე, 1976), კაკუტა (,,ყვარყვარე'', რეჟ. დ. აბაშიძე, 1978) და სხვ. მონაწილეობდა რადიო და ტელესპექტაკლებში, როლებშიც განასახიერა: მამა გორიო (ო. დე ბალზაკის ,,მამა გორიო''), ფოტოგრაფი, შალვა კეჟერაძე (გ. დოჩანაშვილის ,,კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა'', ,,ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება'') და სხვ.

წარმატებით ახმოვანებდა ფილმებს ქართ. და რუს. ენებზე, მისი ხმით მეტყველებენ ვ. ჩხაიძის პერსონაჟები ე. შენგელაიას ფილმებში: ,,არაჩვეულებრივი გამოფენა'' (პაპინია) და ,,შერეკილები'' (ქრისტეფორე). გაახმოვანა თოჯინური პერსონაჟი – თავადი ფანტიაშვილი ფილმში ,,კოჯრის ტყის სიზმრები'' (რეჟ-ები რ. გაბრიაძე, გ. თოფურია) და სხვ.

მ-ის სახელობისაა საქართვ. I არხის რადიოთეატრი, სპორტული სტადიონი სამტრედიაში. თეატრ. საზ-ბის მიერ დაწესებულია მ-ის სახელობის პრემია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თ. კახიანი.
მ. კერესელიძე.



ე. მანჯგალაძე. ვანო ფანტიაშვილი. ა. ცაგარლის ,,ხანუმა''.

მაჟალო (Malus orientalis Uglitzk), ვაშლის სახეობა, კავკასიის ენდემი. აქვს სფეროსებური, გადაშლილი, 10–20 *მ* სიმაღლის ვარჯი. ყვავილობს მაისში. აქვს მრგვალი ან კვერცხისებრი, წვრილი, საშუალოდ 2–4 *სმ* დიამეტრის, დაახლ. 25 გ მწკლარტე ნაყოფი, რ-ის ფერი ცვალებადობს მომწვანოდან ყვითელსა და თეთრამდე. რბილობი თეთრი, მომწვანო, ყვითელი ან ვარდისფერია. მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. დაავადებების მიმართ ხასიათდება კარგი გამძლეობით.

ველურად იზრდება საქართვ. ყველა ფოთლოვან ტყეში პანტასთან ერთად. ქართული მ. ხასიათდება ნაყოფის კარგი შენახვის უნარით და მაღალი ტრანსპორტაბელურობით.

ლიტ.: საქართველოს მეხილეობა, ტ. 3, თბ., 1973.

მაჟარა (Thalictrum buschianum), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა. მისი ღეროს სიმაღლე 25–150 *სმ* აღწევს. აღმამდგომი და თანაბრად შეფოთლილია. აქვს ორჯერ ფრთისებრგანკვეთილი მუქი მწვანე ფოთოლი, რ-ის ფოთოლაკები მომრგვალებული ან მომრგვალო-კვერცხისებრია. ყვავილებს მომწვანო-მოწითალო სანექტრეები აქვს.

კავკასიის ენდემია. გავრცელებულია საქართვ. ყველა რეგიონში. იზრდება ბუჩქნარებსა და ტყის პირებზე მთის შუა სარტყლიდან სუბალპ. ზონამდე.

ლ. ხინთიბიძე.

მაჟაურა (Zeuzera pyrina), პეპელა მერქნიჭამიების ოჯახიდან. ფართოდაა გავრცელებული. სოფლის მეურნეობის და ტყის მავნებელია, აზიანებს ფოთლოვან მცენარეებს, გამორჩეულად ვაშლს, იფანს, მსხალს, კომშს. განსაკუთრებული მავნებლობით გამოირჩევა ჩრდ. და ცენტრ. კავკასიაში, ყირიმში,

ყაზახეთში, სტეპის ზონაში. მისი სიგრძეა 50–70 *მმ*, თეთრ ფრთებზე მრავალრიცხოვანი მოიისფრო-მოშავო ლაქაა, უკანა ფრთები ნახევრად გამჭვირვალე. აქვს ზურგი თეთრია, ექვსი შავი ლაქით, მუცელი – შავი, თითოეული სეგმენტი ბოლოვდება თეთრი ქერცლით. ახასიათებს სქესობრივი დისმორფიზმი. მამრის ფრთების შლილია 50 *მმ*, მდედრის – 70 *მმ*. მამრის სასქესო ორგანოები კარგად არის განვითარებული; კოპულაციური ორგანოს ტოტები თავზე გამოყოფილია ფართო მემბრანული ხიდით; მდედრის სასქესო ორგანოა გრძელი ტელესკოპური კვერცხსადები. დებს 600–2000 კვერცხს ხეების ჩაღრმავებაში, ყველაზე ხშირად – მრავალწლოვანი ხის გამხმარ ტოტებზე. ახალგამოჩეკილი მატლი იჭრება ყლორტებში, აკეთებს სავალს და იზამთრებს. მეორე წლის გაზაფხულზე გადადის მსხვილ ტოტებსა და ღეროებში და ახლა იქ გამოიზამთრებს. მე-3 წლის გაზაფხულზე ამზადებს გამოსასვლელ ხვრელს და ჭუპრდება. მ-ს ერთი თაობა ორწლიანია. მის მიერ დაზიანებული ხეები სუსტდება და ხმება. ბრძოლის ღონისძიებებია: დაზიანებული ტოტების გასხვლა, ფოსფორ-ორგანული პრეპარატების შესხურება.

მაჟიეთი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (საკაოს თემი), მდ. საკაურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, ონიდან 13 *კმ*. 24 მცხ. (2014).

მაჟორიტარული სისტემა, იხ. *საარჩევნო სისტემა.*

მარაბდა, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების, *ახალი მარაბდისა* და *ძველი მარაბდის* გავრცელებული სახელწოდება.

მარაბდა–კარწახის რკინიგზა, სარკინიგზო მონაკვეთი, ბაქო–თბილისი–ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის შემადგენელი ნაწილი. ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო დერეფნის იდეა და დანიშნულება მრავალი საუკუნის წინ არსებული დიდი აბრეშუმის გზის თანამედროვე ალტერნატივაა. 2007 ნოემბერში საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ბაქო–თბილისი–ყარსის ახ. სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ. ეს არის როგორც რეგიონული, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტი, რ-იც უმოკლესი გზით აკავშირებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს. მონაკვეთი ალპურ ზონას გადის (ზ. დ. 2200 *მ*), სადაც ზამთრის პერიოდში უხვი ნალექი და -30 °C-მდე ყინვა ფიქსირდება. შვეიცარიისა და გერმანიის შემდეგ ბაქო–თბილისი–ყარსის ახ. სარკინიგზო ხაზის საქართვ. მონაკვეთი ტვირთის ტრანსპორტირების კუთხით მე-3 ადგილს იკავებს ევროპაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალი წერტილების გავლით.

ბაქო–თბილისი–ყარსის ახ. სარკინიგზო ხაზის სიგრძეა 829 *კმ*, აქედან საქართვ. ტერიტორიაზე გადის 246 *კმ*, ხოლო მონაკვეთის სიგრძე მარაბდიდან თურქეთის საზღვრამდე შეადგენს 180 *კმ*, აქედან რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 153 *კმ* და აშენდა 27 *კმ* სიგრძის სრულიად ახ. სარკინიგზო ხაზი. პროექტი ითვალისწინებს წელიწადში 5 მლნ. ტ ტვირთის გადაზიდვას.

პროექტი დაყოფილია 6 ეტაპად: მარაბდა–თეთრი წყარო (I ეტაპი), თეთრი წყარო–წალკა (II ეტაპი), წალკა–ახალქალაქი (III ეტაპი), ახალქალაქის ვაგზალი (IV ეტაპი), ახალქალაქის სარკინიგზო სადგური (V ეტაპი), ახალქალაქი–კარწახი–თურქეთის საზღვარი გვირაბის ჩათვლით (VI ეტაპი). მთლიანობაში მარაბდა–კარწახის მონაკვეთი მოიცავს 22 ხიდს, 13 სადგურს, 24 გზაგამტარს, 8 წევის ქვესადგურს და 4 თოვლდამცავ გალერეას. ახალქალაქში, ზ. დ. 1800 *მ*-ზე, მდებარეობს საერთაშ. სტანდარტების სარკინიგზო სადგური, რ-ის ფართობია 102 ჰა. ახალქალაქის სადგურზე სამგზავრო მატარებელი 1520 *მმ*-იანი ლიანდის სტანდარტიდან ავტომატურად გადადის ვიწრო, ევრ. სტანდარტის 1435 *მმ*-იან ლიანდზე. ახალქალაქის საერთაშ. სარკინიგზო სადგურის ვაგზლის შენობის (გერმ. არქიტ. ი. მეიერი) განაშენიანების ფართობი შეადგენს 3000 $მ^2$. პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია საქართველო – თურქეთის დამაკავშირებელი სასაზღვრო სარკინიგზო გვირაბი, რ-ის სიგრძეა 4450 *მ*, აქედან 2080 *მ* საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს.

2011 იანვარში ნიუ-იორკში გამართულ ფორუმზე – Global Infrastructure Leadership Forum ბაქო–თბილისი–ყარსის ახ. სარკინიგზო ხაზი 100 გლობალურ პროექტს შორის, 2013 კი კასპიის ფორუმზე წლის საუკე-



მარაბდა–კარწახის რკინიგზა.

თესო პროექტად დასახელდა. 2015 იანვარში საქართვ. მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა გაიარა. 2017 ნოემბრიდან მიმდინარეობს ტვირთის გადაზიდვა სატესტო რეჟიმში. 2020 დეკემბერში ბაქო–თბილისი–ყარსის ახ. სარკინიგზო ხაზის გავლით თურქეთიდან ჩინეთში პირველად გაიგზავნა საექსპორტო პროდუქცია.

ქ. შაიშმელაშვილი.

მარაბდის ბრძოლა 1625, ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ 1 ივლისს.

ქართლ-კახეთის აჯანყების (1625) ჩასახშობად *შაჰმა აბას I-მა მარტყოფის ბრძოლაში* დამარცხების შემდეგ ახ. დიდი არმია გაგზავნა საქართველოში თავისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით. ირანის არმიაში ძირითადი ნაწილის გარდა იყო ყორჩების ღოლამთა გვარდიული ნაწილები, მეთოფეთა რაზმები და არტილერია. ისა-ხანს დაუქვემდებარეს შირვანის მმართველის ყაზან-ხან ჩერქეზისა და ერევნის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის ლაშქარი. ლაშქარი გაიგზავნა ჩრდილოეთ და ცენტრალური ირანიდანაც. შაჰი აბას I სამხრ. აზერბაიჯანიდან ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს. ირანელთა არმია 1625 ივნ. ბოლოს საქართველოში შემოვიდა და მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე, დაბანაკდა. *თეიმურაზ I-მა* და გ. *სააკაძემ* დიდი სამზადისი ჩაატარეს და 20-ათასიანი არმიით კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში დაბანაკდნენ. გ. სააკაძემ დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. ქართველთა ბანაკში იმყოფებოდა სამცხიდან მოსული ათაბაგი *მანუჩარ III* 300 მებრძოლით. ირანელები აზერბ. ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის ლაშქარს ელოდნენ და ბრძოლის დაწყებას არ ჩქარობდნენ. ქართველთა სარდლობაში კი აზრთა სხვადასხვაობა იყო. გ. სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან დიდი სიცხის გამო ქართველთა ჯარს, განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ბრძოლა გაუჭირდებოდა, თანაც კოჯორ-ტაბახმელის ვიწროხევებიან მიდამოებში მტერს მთელი გაშლისა და გამოყენების საშუალება არ ექნებოდა. სამხ. თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა ბრძოლა მეორე დღეს, 1625 წლის 1 ივლისს, დაეწყოთ. მთავარსარდლობა თეიმურაზ I-მა იკისრა. ქართველთა ლაშქარმა ბრძოლა მისთვის უაღრესად ძნელ პირობებში დაიწყო. ამასთან გ. სააკაძე ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. როგორც ჩანს, ირანელთა სარდლობა მოელოდა ქართველთა შეტევას: ყიზილბაშებმა სანგრები ააგეს და ზარბაზნები შემოუწყვეს, ზარბაზნების უკან ოთხ რიგად მეთოფეები განალაგეს. მოწინავე ჯარს ამირგუნა-ხანი სარდლობდა, ცენტრს კი – თვით ისა-ხან ყორჩიბაში. ცენტრის მარცხნივ და მარჯვნივ მრავალრიცხოვანი რაზმები განალაგეს, ქართველთა ლაშქარი ღამით კოჯრის მაღლობებიდან მარაბდის ველისაკენ დაეშვა და განთიადისას მტრის ბანაკისაკენ გაემართა. წინ რჩეული ცხენოსანი რაზმი მიდიოდა. ყიზილბაშთა სანგრებიდან გაჩაღებულმა თოფებისა და ზარბაზანთა ცეცხლმა შეტევა რამდენადმე შეაფერხა, მაგრამ ქართველები არ შედრკნენ, დიდი სისწრაფით შეიჭრნენ მტრის ბანაკში და მეწინავე რაზმები გადათელეს. ამირგუნა-ხანი სასიკვდილოდ დაიჭრა. ქართველთა ლაშქარმა მეთოფეთა რაზმებს დაარტყა და მათი წყობა მოშალა, შემდეგ ცენტრს შეუტია და მტრის რიგებში დიდი არეულობა შეიტანა. თავზარდაცემული მტრის მარცხ. და მარჯვ. ფრთის ჯარები ცენტრს ვერ მიეშველნენ და გაიქცნენ. ქართველთა გამარჯვება თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ ისა-ხანი ბრძოლის ველს არ თმობდა და უკანასკნელ ძალებს იკრებდა. ამ დროს ქართველთა ჯარის ერთმა ნაწილმა ბრძოლა მოგებულად ჩათვალა, ალაფობა დაიწყო და ბრძოლას თავი მიანება, ცხენოსანთა ჯარის ერთი რაზმი კი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის მეთაურობით მტრის გაქცეულ ნაწილებს დაედევნა და ბრძოლის ველს გასცილდა. ამან ყიზილბაშთა მდგომარეობა ძალიან შეამსუბუქა. მტრის რაზმები კვლავ მოგრუვდნენ სარდლის ირგვლივ და ქართველთა ლაშქარს შეუტიეს. ამ დროს ყიზილბაშებს აზერბ. ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის მეთაურობით ახ. ძალებიც მოუვიდათ. ქართველთა ჯარმა მტრის ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და გატყდა. ბრძოლის ველი პირველად ცხენოსანმა ჯარმა დატოვა და კოჯრის ვიწროებს მიაშურა. მიტოვებული ქვეითობა, რ-იც გლეხობისაგან შედგებოდა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ იარაღს მაინც არ ყრიდა. გლეხები გუნდ-გუნდად იბრძოდნენ და უკანასკნელ კაცამდე შეაკვდნენ მტერს. ყიზილბაშებსაც დიდი ზიანი მოუვიდათ. ქართველთა ჯარი დამარცხდა. ბრძოლის ველზე 10 ათ. ქართველი და 14 ათ. ყიზილბაში დაეცა. მ. ბ-ში დაიღუპნენ ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვ. განსაკუთრებით დაზარალდა გლეხობა. მ. ბ-ში ქართველთა დამარცხების მიზეზი იყო თავადთა პოლიტ. სიბეცე-შეზღუდულობა, ფეოდ. ლაშქრის უდისციპლინობა, შეიარაღებაში ჩამორჩენილობა.

დამარცხების მიუხედავად, ქართველებმა მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში განაგრძეს ბრძოლა. 10 დღის შემდეგ მტერმა თბილისი და მისი მიდამოები დაიკავა, მაგრამ შაჰ-აბას I-მა თავის მიზანს – მთლიანად მოეთხარა ქართლ-კახეთი – მაინც ვერ მიაღწია. ქართველები პარტიზანულ ბრძოლებს განაგრძობდნენ.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე“, 1925, [ტ.] 2; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 6, თბ., 1972; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ჯამბურია.

მარადიდი, სოფელი აჭარის არაის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (კირნათის თემი), მდ. ჭოროხის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 100 *მ*, ხელვაჩაურიდან 18 *კმ*. 328 მცხ. (2014). მ. ისტ. კლარჯეთის ერთ-ერთი განაპირა სოფელია.

მარადისი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტში (ყულარის თემი), ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ხრამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 355 *მ*. 239 მცხ. (2014).

მარალეთი სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (გერის თემი), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 1620 *მ*, ცხინვალიდან 22 *კმ*. 1991-მდე შედიოდა ცხინვალის რ-ნში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

სოფელში შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევები. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1–1,5 *მ*-ია.

ლიტ.: შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა (ც. დადიანიძის რედაქტორობით), თბ., 2002.

მარალინ-დერესის სამაროვანი, ადრე რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფ. სანთას მიდამოებში (წალკის მუნიციპალიტეტი). გაითხარა 1936–47 თრიალეთის (წალკის) არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ბ. კუფტინი). ქვის სამარხებში დაკრძალვა ინჰუმაციური იყო. ინვენტარი წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთებით: კერამიკა – დოქი მსხლისებური კორპუსით, ცალყურა ქოთანი, დოქი სფეროსებური მუცლით; ბრინჯაო – თოხი, სავარცხელი, 2 სამაჯური; რკინა – დანა; ქვის ამულეტი; მინის დიდი ზომის გირჩისებურშვერილებიანი და სარდიონის მძივები; ნიჟარა კაური; დაბალრკალიანი ფიბულა (აღმოჩნდა № 4 ქვის სამარხში, რ-შიც დაკრძალული იყო გოგონა). რკალის ზედაპირი შემკულია განივად მიმართული ირიბი ნაჭდევების სეგმენტებით, რ-თა შორისაც ჯვარედინი ნაჭდევებია. ბ. კუფტინი მარალინ-დერესის № 4 სამარხის ქრონოლოგიას ვანის (ურარტუს) ეპოქით განსაზღვრავდა.

ლიტ.: გაგოშიძე ი., თრიალეთის სამაროვნები, თბ., 1982; სულავა ნ., კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი), თბ., 2011; Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

ნ. სულავა.

მარანა, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის გორის მუნიციპალიტეტში (ტყვიავის თემი), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 770 *მ,* გორიდან 18 *კმ.* 526 მცხ. (2014). სოფელში დგას ორი კოშკი. ორივე გეგმით კვადრატულია, თითქმის თანაბარი ზომისა. მათგან ერთი, რ-იც სოფლის ჩრდ. განაპირას მდებარეობს, არქიტექტურული ნიშნებით XVII ს-ით თარიღდება, მეორე, სოფლის სამხრ. ნაწილში მდგარი კი – XVII–XVIII სს. მიჯნით. სოფლის ჩრდ. განაპირას მდგარ კოშკს ერთი თავისებურება ახასიათებს. მას გარედან, სამ მხარეს, ფასადის შუა ნაწილში, მთელ სიმაღლეზე, ნახევარწრიული კონტრფორსი აუყვება. არქიტექტურული გადაწყვეტით საინტერესოა მეორე კოშკიც. აქ პირველი სართულის შუაში კვადრატული ოთახია, რ-საც ირგვლივ დერეფანი უვლის. თავად ოთახი კი ჯვარისებრი კამარით ყოფილა გადახურული.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983; ზაქარაია პ., ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

მარანი, 1. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ნაგებობა. ,,საღვინე სახლი“. ხალხურმა ტრადიციამ საქართველოში დღემდე შემოინახა 2 სახის მარანი: დახურული და ღია.

დახურული მ. უპირატესად აღმ. საქართველოშია გავრცელებული. მარანშივეა ჩაფლული ქვევრები. აქვე ინახავენ მეღვინეობის ინვენტარს, წურავენ ყურძენს, აყენებენ და ინახავენ ღვინოს. ამგვარი მ. კარგადაა შეხამებული აღმ. საქართვ. ბუნებრივ პირობებთან: შენობა იცავს ღვინოს ზამთარში ყინვისაგან, ზაფხულში – სიცხისაგან. ქართლ-კახური მ. მოქცეულია საცხოვრებლის კომპლექსში – ორსართულიანი ქვიტკირის სახლების პირველ სართულზე. ძველად ქართლში დარბაზული სახლის ერთ-ერთ კომპონენტს ხშირად მ. შეადგენდა. მარნიანი დარბაზული სახლები ქვემო ქართლში, თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში დღემდეა შემორჩენილი. ურბნისის ტერიტორიაზე მრავლადაა გათხრილი VI–VIII სს. ალიზით ნაგები ბანიანი სახლები, რ-ებსაც უშუალოდ ებმის მ-ები. ქართლ-კახეთში ტრად. მ. გამოირჩევა კედლის ლამაზი წყობით, წინა მხრიდან კედლებში ჩაყოლებული აგურის ჯვრებითა და ზოლებით, თაღიანი შესასვლელითა და მასური ორფრთიანი კარით. მ-ს 2 ნაწილად ყოფს თაღებიანი კედელი ან მდიდრულად მოჩუქურთმებული ბალიშიანი დედაბოძი. მ-ის უკანა ნაწილში ყურძნის დასაწური განყოფილებაა. კედელთან, მთელ სიგრძეზე, მიშენებულია ქვიტკირის საწნახელი, ჩვეულებრივ ორგანყოფილებიანი.

ღია მ. ძირითადად დას. საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ქვევრები ღია ცის ქვეშ, მიწაშია ჩაყრილი, შემოკავებულია შქერის ღობით და დაჩრდილულია ვაზის ტალავრით ან კომშის ხეებით. მ-ის ეს ტიპი კარგად მიესადაგება დას. საქართვ. ჰავისა და ნიადაგის ჭარბტენიანობას. აქ დახურულ მ-ში ღვინის შენახვა საზიანოცაა. დახურული მ. მხოლოდ დას. საქართვ. მთიან მხარეებში გვხვდება.

მ., სადაც ზედაშე (შესაწირი ღვინო) ინახებოდა, ხალხში წმინდა ადგილად მიიჩნეოდა და იქ სრულდებოდა რიტუალები და წეს-ჩვეულებანი (მ-ის საახალწლო მილოცვა, ჭრისთავის შემოლოცვა, აგუნას დაძახება, ზედაშეს შესმა, ქორწილისა და ნათლობის ზოგიერთი რიტუალი და სხვ.).

2. რთული შედგენილობის კერამ. სასმისი. გავრცელებული იყო უმთავრესად ქართლ-კახეთსა და იმერეთში. სასმისის ზედა ნაწილში შემომწკრივებულია ათამდე ჭინჭილა. ერთ-ერთი მათგანი ღვინის ჩასასხმელია, საიდანაც ყველა სასმისი თანაბრად ივსება, სასმისის წინა მხარეს ყოჩის თავი კი მ-ის პირია. სასმისი ჭურ-მარანს განასახიერებს. ეთნოგრ. მონაცემების მიხედვით, მ. ქორწილში რიტუალურ სასმისად იხმარებოდა, ძვ. ქართ. ქორწილის კომპლექსში შედიოდა და ნაყოფიერების სიმბოლო იყო. ტრად. სასმისი მ. აღდგენილია თანამედროვე კერამ. წარმოებაში და კვლავაც აქტიურად გამოიყენება.

ლიტ.: აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; თოფურია ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), თბ., 1978; ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

ა. ლეკიაშვილი.

მარანი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აბაშის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, სამტრედია – ფოთის სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 16 *მ,* აბაშიდან 10 *კმ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., მარანჭალა). 1153 მცხ. (2014).

მარანი, სოფელი აფხაზეთის არის გულრიფშის მუნიციპალიტეტში (ოქტომბრის თემი), მდ. პატარა მაჭარის ხეობაში. ზ.დ. 500 *მ,* გულრიფშიდან 28 *კმ.* 1948-მდე ეწოდებოდა ,,ქართული პოლტავა“. სოფლის მახლობლად არის კარსტული მღვიმე.



კახური მარანი.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარანჭალა, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აბაშის მუნიციპალიტეტში (მარნის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 25 *მ,* აბაშიდან 8 *კმ.* 631 მცხ. (2014).


მარაოსებრი პალმა (Trachycarpus), პალმების გვარი არეკასებრთა ოჯახისა. მათი ღეროს სიმაღლე 20 *მ,* სისქე 20 *სმ* აღწევს, დაფარულია ყავისფერი ბოჭკოებით და ფოთლის ნაჭდევებით. მარაოსებრი ფოთლები ჯგუფ-ჯგუფად (როზეტად) სხედან ღეროს წვერზე. ფოთლის ფირფიტის სიგრძეა დაახლ. 70 *სმ,* ყვავილედისა – 1 *მ.* რვა სახეობა, რ-ებიც იზრდება სამხრ.-აღმ. აზიასა და ჰიმალაის მთებში, კულტივირებულია მრავალ სუბტროპ. ქვეყანაში, კავკასიაში, მ. შ. საქართვ. შავი ზღვის სანაპიროზე, თბილისში.



მარაოსებრი პალმა.

მარბიელი (ისტ.), ფეოდალური ქვეყნის ლაშქარი ან ლაშქრის ნაწილი, რ-იც შეესეოდა დამარცხებულ ქვეყანას ან მშვიდობიან ვითარებაში მოულოდნელად დაეცემოდა და დაარბევდა მას ალაფისა და ტყვეების ხელში ჩასაგდებად, ზოგჯერ კი – ტაქტიკური განზრახვით. მაგ.: ბაგრატ IV-ის მეფობაში სპარსელთა ლაშქარი ,,უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი, და დღეს ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელის ყურსა, გარდავიდა შავშეთს''. თამარ მეფის მხედრებმა ,,ილაშქრეს ქვეყანასა კარისა და კარნიფორისასა, და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის და გამარჯვებულნი და აღვსილნი შემოიქცეს''.

ი. შაიშმელაშვილი.



გ. ტ. მარგველაშვილი.

მარგალიტაძე აპოლონ ვლადიმერის ძე [22. VI (5. VII), 1909, სოფ. ერკეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1963, თბილისი], სამთო ინჟინერ-გეოლოგი. 1932 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალურგიული ინ-ტი. 1951 საქართვ. ბარიტის საბადოთა შესწავლისათვის მ-ს სხვა სპეციალისტებთან ერთად მიენიჭა სტალინური პრემია (1951). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მარგალიტა, მთა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდ. ხანისწყლის (მდ. რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1361 *მ.* აგებულია პალეოგენური ასაკის ვულკანოგენური ქანებით. კალთები შემოსილია შერეული ტყით, მწვერვალი – სუბალპ. მდელოებით.

„მარგალიტი“, დაახლოებით XVI ს. ქართული აპოკრიფული კრებული. შეიცავს ე. წ. ,,სასულიერო სწავლათ'', რ-ებიც გამოკრებილია ძირითადად იოანე ოქროპირის ამავე სახელწოდების კრებულისა და ბიბლ. წიგნებიდან. ,,მ-ის'' უძველესი ნუსხა (A 1738) XVI ს-ით თარიღდება, დანარჩენი ხელნაწერები XVIII–XIX საუკუნეებისაა. ,,მ''. შედგება ოცი თავისაგან და კითხვა-მიგების სახით გადმოგვცემს მოთხრობებს ძვ. და ახ. აღთქმიდან, წმ. მამათა სწავლებას ქრისტ. მორალისა და ეთიკის საკითხებზე; განმარტავს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს და სხვ.

,,მ-ს'' თავისი დროისათვის ზოგადსაგანმან. სახელმძღვანელოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამაზე მიგვანიშნებს სასაუბრო ქართულთან დაახლოებული მისი ენა, აგრეთვე ინტერესი ისეთი პრობლემისადმი, როგორიცაა დედამიწაზე ეროვნებათა რაოდენობის საკითხი და სხვ. კრებულის შემდგენელი უცნობია. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ის თითქოს იოანე პეტრიწსაც უთარგმნია 1093.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ქრ. შარაშიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1948.

ც. ქურციკიძე.

მარგვეთისა და უბისის ეპარქია, ეპარქია ზემო იმერეთში. მოიცავს ისტ. არგვეთის საერისთავოს დიდ ნაწილს. მისი იურისდიქცია ვრცელდება ზესტაფონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებზე. აღმ-ით ესაზღვრება სურამისა და ხაშურის, დას-ით – ვანისა და ბაღდათის, ჩრდ-ით – ჭიათურა-საჩხერისა და ტყიბული-თერჯოლის, სამხრ-ით – ბორჯომ-ბაკურიანის, ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპარქიები. მ. და უ. ე-ის ტერიტორიაზე ქრისტ. ცხოვრების დაწყება ტრადიციულად მოციქულთა მოღვაწეობას უკავშირდება. ამ კუთხეში ქრისტ. აღრიდანვე გავრცელების მიმანიშნებელია დღემდე მოღწეული უძველესი ქრისტ. ძეგლები: ,,კაცხის სვეტის'' (V–VI სს) უბისის წმ. გიორგის (IX ს.) ეკლესიები, ტაბაკინის წმ. გიორგის მონასტერი (VI–VII სს.) და სხვ. საქართველოში ქრისტ. სახელმწ. რელიგიად გამოცხადების დროიდან აფხაზეთის (დას. საქართველო) საკათოლიკოსოს ჩამოყალიბებამდე (X ს.). ამ მხარეში მცხეთის იურისდიქცია ვრცელდებოდა. მარგვეთის საეპისკოპოსო დაახლ. IX–X სს-ში დაფუძნდა, თუმცა იმ პერიოდის მარგველი მღვდელმთავრის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. მარგველი მღვდელმთავრის საეკლ. წოდება 1917, საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ დამკვიდრდა. XX ს. საეკლ. რეპრესიების გამო მარგვეთის სამღვდელმთავრო კათედრა უმეტესად უმოქმედო იყო. ამ ეპარქიის სრულყოფილი აღდგენა საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის, *ილია II-ის* ძალისხმევით გახდა შესაძლებელი, როდესაც XX ს. 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო გაუქმებული ეპარქიების განახლება, მ. შ. იყო მარგვეთის ეპარქიაც. 1995 წ. 5 აპრილს საქართვ. ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებით მარგვეთის ეპარქიის საფუძველზე შეიქმნა ჭიათურის ეპარქია. 2002 წ. 17 ოქტ. მარგვეთის ეპარქიას სახელწოდება შეეცვალა და მას **მ. და უ. ე.** ეწოდა, რ-ის კათედრა ზესტაფონშია, რეზიდენცია კი – ზესტაფონსა და ხარაგაულში. ძველთაგანვე მარგვეთის ეპარქიის მნიშვნელოვან საეკლ. სიწმინდედ ითვლება ჯვარი, რ-იც წმ. *ანდრია მოციქულმა* აღმართა ზეკარის უღელტეხილზე (ხარაგაულის მუნიციპ.) მდებარე, მთაზე (ამ მთას შემდგომში ,,რკინის ჯვარი''ეწოდა).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გაბისონია პ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კათედრები რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დროისთვის, ,,ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი'', 2010, №11; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1973; ხალვაში რ., ანდრია პირველწოდებული საქართველოში, ბათ., 2011.

გ. გუგუშვილი.

მარგველაშვილი გივი ტიტეს ძე (14. XII. 1927, ბერლინი, – 13. III. 2020, თბილისი), ქართველი გერმანულენოვანი მწერალი, ენათმეცნიერი, ფილოსოფოსი. დაიბადა ქართვ. ემიგრანტების – ტ. მარგველაშვილისა და მ. ხეჩინაშვილის ოჯახში. 1934–39 სწავლობდა ბერლინ-ვილმერდორფის საჯარო სკოლაში, 1939–42 – იქვე ფიჰტეს სახ. ჰუმანიტარულ გიმნაზიაში, ხოლო 1945–46 – ბისმარკის ჰუმანიტარულ გიმნაზიაში. 1947 იმყოფებოდა საბჭოთა კომენდატურასა და საკონცენტრაციო ბანაკში (ყოფ. გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკი). 1947

შსსკ-მა (НКВД) მ. თბილისში გადმოიყვანა. 1947–52 სწავლობდა თსუ-ში ინგლ. ენის სპეციალობით. 1954–70 მუშაობდა უცხო ენათა პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას უნ-ტი), 1970–90 კი – ფილოსოფიის ინ-ტში. 1990-იდან ცხოვრობდა გერმანიაში. 2011 დაბრუნდა საქართველოში.

მ. ავტორია ფილოს.-ენათმეცნიერული ნაშრომებისა ქართ., გერმ. და რუს. ენებზე. პირველი ფილოს. ნაშრომი – ,,ენის როლი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში'' გამოაქვეყნა 1970 ჟურნ. ,,მაცნეში''. იკვლევდა XX ს. გერმ. ფილოსოფიას, მ. ჰაიდეგერის ფილოსოფიის ძირეულ იდეებს ონტოტექსისა და თემატურობის კონტექსტში, სიუჟეტურ ველზე არასიუჟეტური დროის გამოხატვის ხერხებს, ჰომეროსისეულ სიუჟეტურ სამყაროს და სხვ.

მ-ის მხატვრული შემოქმედება მოიცავს ყველა ჟანრის ნაწარმოებს – რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს პროზად, პიესებს. მხატვრული ნაწარმოებები დაწერილია გერმ. ენაზე და შემდეგ ქართულადაა თარგმნილი. მისი მთავარი მხატვრული ქმნილებაა ,,კაპიტანი ვაკუში'', ავტობიოგრაფიული რომანი 7 ტომად (2005, წგ. 1, თარგმნა კ. ჯორჯანელმა), ასევე ავტორია თხზულებებისა: ,,მუცალი'' (2001, თარგმნა მ. ბადრიძემ), ,,მე წიგნის გმირი ვარ'' (2018, თარგმნა ნ. გელაშვილმა) და სხვ.

მ. აირჩიეს თსუ-ის (1998) და ილიას სახელმწ. უნ-ტის (2015) საპატიო დოქტორად. მინიჭებული აქვს ბრანდენბურგის ფედერალური მიწის ლიტ. პრემია (1995), ქართულ-გერმანული კულტურის პრემია (2013), გოეთეს მედალი (2006), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2015).

მ. დაკრძალულია მახათას მთის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

თხზ.: ფინალობის პრობლემა ნიკოლაი ჰარტმანისა და მარტინ ჰაიდეგერის ონტოლოგიაში, რედ. ნ. ნათაძე, თბ., 2016; Das bose Kapitel, B., 1991; Muzal, F/ M., 1991; Kapitän Wakusch, Konstanz, 2006;Vom Tod eines alten Lesers, B., 2008; Fluchtästhetische Novelle, B., 2012.

მ. თუმანიშვილი.

მარგველაშვილი გიორგი გიორგის ძე (31. X. 1923, თბილისი, – 8. II. 1989, იქვე), კრიტიკოსი. დაამთავრა მოსკოვის მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტი (1948). პირველი კრიტ. წერილი «,,კოლხეთის ცისკარი'' (კ. ლორთქიფანიძის რომანის შესახებ)» (რუს. ენაზე) გამოაქვეყნა ,,ლიტერატურნაია გაზეტაში'', 1949. პირველი წიგნი ,,ირაკლი აბაშიძე'' – 1955. მ. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,სიმონ ჩიქოვანი'' (1959), ,,აკაკი წერეთელი'' (1960), ,,გიორგი ლეონიძე'' (1970), ,,გალაკტიონ ტაბიძე'' (1973, ყველა რუს. ენაზე), ,,ქვეყანას გასწვდი...'' (1977); წიგნებისა: ,,სიტყვა და საუკუნე'' (1960), ,,რისხვისა და ჯანყის პოეზია'' (1964), ,,ლიტერატურული წერილები'' (1972), ,,ჩაუმქრალი კოცონი'' (1973, რუს. ენაზე), ,,პოეზიის ნათელი'' (1976) და სხვ.; თარგმანთა კრებულისა ,,ძმადნაფიცობის ათინათები (საქართველო რუსულ საბჭოთა პოეზიაში)'' (1977) და სხვ.

მ-ის ნაშრომები თარგმნილია უცხოურ ენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მარგველაშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (დ. 4. IX. 1969, თბილისი), საქართველოს მე-4 პრეზიდენტი (2013–18), ფილოსოფიის დოქტორი (1998). 1992 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი, 1993–94 სწავლობდა ცენტრ. ევრ. უნ-ტში (Central European University, პრაღა, ჩეხეთი), 1993–96 – საქართვ. მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტში. 1992–95 მუშაობდა ტურისტულ კომპანიაში სამთო ტურიზმის გიდად, 1994–95 „ბიზნესდღიურების“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსად, 1996–97 იყო თბილისის დამოუკიდებელი უნ-ტის ლექტორი ფილოსოფიასა და კულტუროლოგიაში, 1995–2000 – მთავრობის ექსპერტი ეროვნ.-დემოკრ. ინ-ტის (NDI) თბილისის ოფისში. 2006–12 მუშაობდა საქართვ. საზ. საქმეთა ინ-ტში (GIPA) (2000–06 და 2010–12 – რექტორი, 2006–10 – კვლევითი დეპარტამენტის უფროსი), პოლიტიკაში ჩაება 2003 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე (შეუერთდა ოპოზიციურ ბლოკს ზ. ჟვანიას ხელმძღვანელობით). მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ღიად აკრიტიკებდა ხელისუფლებას. მ. იყო ბ. *ივანიშვილის* მრჩეველი კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ 2012 საპარლამენტო არჩევნების კამპანიის მიმდინარეობისას. საპარლამენტო არჩევნებში კოალიციის გამარჯვების შემდეგ მ. დაინიშნა საქართვ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრად. 2013 – პირველ ვიცე-პრემიერად (თანამდებობა დატოვა პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების გამო).

2013 წ. 27 ოქტ. საპრეზიდენტო არჩევნებში მ-მა დამაჯერებლად გაიმარჯვა ხმათა 62,18%-ით, ამჟამად ოპოზიციაშია.

მარგველაშვილი გიორგი ნოდარის ძე (დ. 25. III. 1958, ქუთაისი), თეატრის რეჟისორი. 1980 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის დრამის ფაკ-ტი რეჟისორის სპეციალობით (მ. თუმანიშვილის სახელოსნო). 1983–84 მუშაობდა საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტში რეჟისორად. იყო კინომსახიობთა თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1984–2001), მთ. რეჟისორი (2001–05), სამხატვრო ხელმძღვ. (2005–09); გრიბოედოვის თეატრის მთ. რეჟისორი (2009). პარალელურად, 1984-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას თეატრ. ინ-ტში. 2005-იდან დღემდე არის თეატრისა და კინოს უნ-ტის დრამის ფაკ-ტის პროფესორი (2007–11, 2014–20 – რექტორი). დადგმული აქვს სპექტაკლები: ლ. პირანდელოს ,,ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი'', ა. ჩეხოვის ,,ალუბლის ბაღი'', უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'', რ. ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'', დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი'' და სხვ. 1991 თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა ,,რეჟისორთა ლიგა'', რ-მაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა XX ს. ბოლო ათწლეულის ქართულ თეატრალურ პროცესებზე.

2002–04 იყო ფონდ ,,ღია საზოგადოება – საქართველოს'' ხელოვნებისა და კულტურის პროგრამების საექსპერტო კომისიის წევრი; 2009 – თბილ. საერთაშ. თეატრ. ფესტივალის მრჩეველთა საბჭოს თავ-რე; 2010–11 – პრეზიდენტთან არსებული ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში შოთა



გ. თ. მარგველაშვილი.




გ. მარგველაშვილი (დ. 1958).



გ. ნ. მარგველაშვილი. სცენა სპექტაკლიდან ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'' რეჟისორი გ. მარგველაშვილი.



ვ. კ. მარგველაშვილი.



გ. ნ. მარგველაშვილი (1939).

რუსთაველის სახ. და საქართვ. ეროვნ. პრემიების კომისიის წევრი.

მიღებული აქვს საქართვ. თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია (1994, 2001) და რუსთავის საერთაშ. თეატრ. ფესტივალის პრემია საუკეთესო რეჟისურისთვის (1996, 2004); ამავე ფესტივალის პრემია საუკეთესო ექსპერ. ნამუშევრისთვის (2004).

მარგველაშვილი გოგოლა ნიკოლოზის ასული (დ. 22. IX. 1939, ქუთაისი), სწავლული აგრონომი, აგროქიმიკოსი. სოფ. მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1990), საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1995). 1962 დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტი. 1971–78 იყო აგროქიმ. მომსახურების საკავშ. ინ-ტის თბილ. ფილიალის ნიადაგების ანალიზის ლაბორ. გამგე, 1978–94 – მ. საბაშვილის სახ. საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის გამგე, 1992–2005 – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში, 2005–06 – დირექტორი, 2007-იდან – მცენარეთა კვების, დიაგნოსტიკისა და აგროეკოლოგიური ტექნოლ. განყ-ბის მთ. მეცნიერი თანამშრომელი. 2010-იდან საქართვ. მეცნ. აკად. აგრონომიული განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია, 2013-იდან – ეროვნ. კოორდინატორი. 2017 აირჩიეს ექსპერტად ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის დარგში. მ. მუშაობს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, მცენარის კვების გაუმჯობესების, სასუქების სწორად გამოყენებისა და ამ გზით მოსავლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. ეწევა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. მ. არის სამეცნ. ნაშრომების, გამოგონებებისა და პატენტის ავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების (2002) ორდენები.

თხზ.: ნიადაგის ქიმიური ანალიზი, თბ., 2019; აგროქიმიის პრაქტიკუმი, თბ., 2021 (თანაავტ. თ. ძაძამია).

მარგველაშვილი ვაჟა კახას ძე (დ. 3. X. 1993, გორი), სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (ტოკიო, 2021). მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი (პირადი – 2017; გუნდური – 2015). ევროპის ჩემპიონი (პირადი – 2016; გუნდური – 2016–17), მეორე (2021) და მესამე (2019) პრიზიორი. ,,დიდი მუზარადის'' ტურნირის გამარჯვებული (2018, 2023), სამგზის მეორე (2019–21) და ოთხგზის მესამე (პარიზი – 2017, 2022; აბუ-დაბი –2017; თბილისი – 2022) პრიზიორი. საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი.

მარგველაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე (დ. 6. IX. 1957, ქუთაისი), სტომატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2002). 1981 დაამთავრა თსსი. 1986–95 იყო რესპ. სტომატ. პოლიკლინიკის იმპლანტოლოგიური განყ-ბის ორთოპედი, 1993–2004 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. სპეციალისტი (ორთოპედ. სტომატოლოგიაში), 1995–98 – სამკურნ. პროფილაქტ. კომბინატის სტომატოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1998–2002 – თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ქირურგ. და ორთოპედ. სტომატოლოგიის კათედრის პროფესორი, 1998–2022 – სტომატოლოგიური კლინიკა ,,როიალ დენტის'' კლინიკური დირექტორი. 1994 დააარსა ინდ. საწარმო ,,ვლადიმერ მარგველაშვილის'' სტომატოლოგიური კლინიკა, 2001-იდან ხელმძღვანელობს თსუ-ის მედ. ფაკ-ტის სტომატოლოგიურ დეპარტამენტს.

მ. არის საქართვ. სტომატოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და გენ. მდივანი (2004), საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი სტომატოლოგიაში (2004), სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის (FDI) კომიტეტის თავ-რე (2010–13), საქართვ. იმპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი, პრეზიდენტი (2010) და სხვ.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

მარგველაშვილი ნოდარ ილიას ძე (26. IV. 1933, ქუთაისი, – 25. III. 1987, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1981). 1956 დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი და იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში მსახიობად. იქვე ეკავა სხვადასხვა ადმ. თანამდებობა – იყო სადადგმო ნაწილის გამგე (1967), დირექტორის მოადგილე (1971). შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ძალოსანი (კ. ბუაჩიძის ,,ამბავი სიყვარულისა''), კაკუტა (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ვაჭარი, ბაყბაყდევი (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი'', ,,ჭინჭრაქა''), მესაფლავე (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), მათიასი (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა''), პოპესკუ (ი. კარაჯალეს ,,დაკარგული ბარათი''), იანვარა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ცომიზელია (ა. სულაკაურის ,,სალამურა''), ისაია (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), გერინგი (მ. კვესელავას ,,ას ერგასის დღე''), იმპერატორი (ა. ჭინჭინაძის, რ. სტურუას ,,კონცერტი ორი ვიოლინოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით''). კინოფილმებში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ლუარსაბ თათქარიძე (,,კაცია ადამიანი?!'', რეჟ-ები: ს. და ქ. დოლიძეები, 1979); გადაღებულია ფილმებში: ,,არდადეგებზე'' (რეჟ. მ. კოკოჩაშვილი, 1962), ,,ლონდრე'' (რეჟ. თ. მელიავა, 1966), ,,გათენების წინ'' (რეჟ. ყ. მგელაძე, 1971), ,,სოფლის აშიკი'' (რეჟ. რ. ჭარხალაშვილი, 1976), ,,ზღაპარი'' (რეჟ. კ. სურმავა, 1980) და სხვ.



ნ. მარგველაშვილი. ლუარსაბი. კადრი ფილმიდან ,,კაცია ადამიანი?!''. რეჟისორი კ. სურმავა

მარგველაშვილი ომარ ალექსანდრეს ძე (დ. 6. IX. 1942, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2004), საქართვ. და რუსეთის დამს. ინჟინერი (1987), სტუ-ის პროფესორი (2015). საქართვ. და საერთაშ. საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი (2011); საქართვ. მწერალთა კავშირის წევრი (2020); არის საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების საბჭოს წევრი. დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშენებლო ფაკ-ტი (1965). მუშაობდა ,,თბილქალაქმშენში'', სამშენებლო ტრესტ ,,ამიერკავკასმეტალურგმშენში'' (1965–69); იყო ტრესტ ,,საქშახტმშენის'' სამშენებლო სამმართველო ,,მადნეულმშენისა'' (1969–73) და ,,საქშახტმონტაჟის'' უფროსი (1973–76); ტრესტ ,,საქშახტმშენის'' მმართველი (1976–79); პირველი

მოადგილე (1986–91); ეკავა სა-პასუხისმგებლო თანამდებობები სხვადასხვა სამინისტროში. არის სააქციო საზ-ბა ,,თბილღვინოს'' სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2004-იდან).

სხვადასხვა წლებში მ. მონაწილეობდა მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობაში (ბამის – ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, სლავუტიჩის – ჩერნობილის ტრაგედიის შემდეგ, ტიუმენის ნავთობმომპოვებელი კომპლექსი); ხელმძღვანელობდა ფოთის გემთმშენებელი და ლანჩხუთის სამხედრო დანიშნულების ქ-ნების მშენებლობას, თბილ. ვაგონშემკეთებელი და რუსთავის აზოტის ქ-ნების, ასევე ქუთაისის ავტოქარხნის რეკონსტრუქციას, აგრეთვე სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შტაბს (1987).

მ. არის მშენებლობის ეკონომიკის, მართვისა და ტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხებზე სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

მ. იყო საქართველოს სამგზის ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში (1962–64).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001) და ნ. ნიკოლაძის სახ. პრემიით (2022).

თხზ.: დრო, დრო აღნიშნე..., თბ., 2011; როცა უკან მოხედვის არ გეშინია! თბ., 2019.

მარგველაშვილი პარმენ იორამის ძე (დ. 30. IV. 1943, ქუთაისი), ფიზიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკტი (1966). მუშაობდა სერპუხოვოს (რუსეთი) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტში (1967–70); იყო თსუ-ის თეორიული ფიზიკის კათედრის ასისტენტი (1971–75) და ამავე კათედრის დოცენტი (1975–2005); 55-ე საჯარო სკოლის დირექტორი (1993–2005); თსუ-ის პრორექტორი (1997–2005); შპს ,,თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის'' თანადამფუძნებელი და რექტორი (1991–2007); შპს საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტის პირველი რექტორი (2007–10). მ. არის შპს ,,გამომცემლობა ნეკერის'' თანადამფუძნებელი და დირექტორი (1991-იდან); საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. ,,რუსთაველის კომიტეტის'' ხელმძღვანელის მოადგილე (2005-იდან). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რებიც ეძღვნება თეორიულ ფიზიკას; აგრეთვე არქეოლოგიას, ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებას; იკვლევდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, დავით კაკაბაძის შემოქმედებით მემკვიდრეობას.

მ. 1979–81 ხელმძღვანელობდა ბეთლემის (საქართვ.) მაღალმთიან არქეოლ. ექსპედიციას, რ-მაც დაადასტურა ბეთლემის ქედზე ზღვის დონიდან 3750 *მ*-ზე სტეფანწმინდის მონასტრის არსებობა და შეისწავლა მონასტრის ნანგრევები. მ. ხელმძღვანელობდა რუსთაველის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში მოქმედ კულტ. მემკვიდრეობის ძეგლების შემსწავლელ სამეცნ. ჯგუფს (2011–14), რ-მაც შექმნა ამჟამად საქართვ. ფარგლებს გარეთ არსებული 102 არქიტ. ძეგლის ინტერაქტიული სფერული პანორამული ფოტოსახე. მ. ეწეოდა საზ. მოღვაწეობას: იყო თსუ-ის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავრე (1975–82); სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სახ. დეპუტატი (1989–91); 1989 წ. 9 აპრილის მოვლენათა შემსწავლელი სახელმწ. კომისიის თავ-რის მოადგილე (1989–90).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: რაღაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია: განზრახვითი ქმედება შ. რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანში'', თბ., 1992; რუსთაველის მსოფლმხედველობა: კითხვები ,,ვეფხისტყაოსნის'' გამო, თბ., 2007; Connection between dynamics and initial conditions of unstable systems, Physics Letters B, v.131, 1983 (თანაავტ. A.Baker).

მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე (2. IV. 1890, ქუთაისი, – 17. X. 1946, თბილისი), ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში, 1909-იდან სწავლობდა ლაიფციგის უნ-ტში, 1913-იდან ჰალეს უნ-ტის დოქტორანტურაში. 1914, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა უცხო ენების პედაგოგად. მონაწილეობდა ეროვნ.-დემოკრ. პარტიის დაფუძნებაში, 1918 წ. 26 მაისს ხელი მოაწერა საქართვ. დამოუკიდებლობის აქტს. იყო საქართველოს დემოკრ. რესპ. მთავრობის მიერ გატარებული საეროზო რეფორმის მთ. ინსტრუქტორი. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ წავიდა გერმანიაში. 1921–23 და 1941–45 იყო ბერლინის ქართ. სათვისტომოს თავ-რე. კითხულობდა ლექციებს ბერლინის უნ-ტში ფილოს. და აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით, აქვეყნებდა წერილებს ემიგრანტულ გამოცემებში. 1921–27 მუშაობდა გერმ. ფირმებში, იყო 1933 ბერლინში შექმნილი ქართვ. ნაციონალისტთა ჯგუფის პირველი თავ-რე. 1941–42 მუშაობდა გერმ. საგარეო საქმეთა სამინისტროში და მცირე ხნით ხელმძღვანელობდა ე. წ. ქართულ რედაქციას. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ცხოვრობდა ბერლინის დას. ნაწილში – ბრიტანულ სექტორში. 1946 მოტყუებით გადაიყვანეს ბერლინის აღმ. ნაწილში, დააპატიმრეს, ჩამოიყვანეს სსრკ-ში და დახვრიტეს.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018.

დ. ჯუმბერიძე.

მარგვიში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჩიხარეშის თემი), ლეჩხუმის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ-ების – ღობიშურისა და ცხენისწყლის ხეობებს შორის. ზ. დ. 1300 *მ.* ლენტეხიდან 41 *კმ.* მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს (2014).



რ. მარგიანი.

მარგიანი ანზორ ვლადიმერის ძე (დ. 11. II. 1955, სოფ. მულახი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2005), საქართვ. ეროვნ. და სოც. ურთიერთობათა აკადემიის ნამდვ. წევრი (2002). დაამთავრა მაიკოპის ავტოსატრანსპორტო ინ-ტი (1987), საქართვ. შსს აკადემია (1996). 1979–91 მუშაობდა საკავშირო, ხოლო 1992-იდან – საქართვ. შსს ორგანოებში. იყო პრეზიდენტის რწმუნებული დას. საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში (1994–96); შსს საგზაო პოლიციის მთ. სამმართველოს უფროსი (1993–2000). 1992–93 და 2008 მონაწილეობდა საქართვ. ტერიტ. ერთიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. იყო აფხაზეთის არ-ის შს მინისტრი (2003–05). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1993) და II ხარისხის ორდენებით (2003).

მ. გოგიტიძე.

მარგიანი რევაზ აკაკის ძე (24. XI. 1916, სოფ. მულახი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 1. VI. 1984, თბილისი), პოეტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1940). 1942 მოხალისედ წავიდა II მსოფლიო ომში. ომის შემდეგ იყო ჟურნ. ,,ოქტომბრელის'', ,,პიონერის'', ,,დროშის'', გაზ. ,,ლიტერატურული საქართველოს'' მთ. რედაქტორი, გამომც. ,,ლიტერატურა და ხელოვნების'' დირექტორი, გამომც. ,,მერანის'' დირექტორი.

პირველი ლექსი ,,მირანგულა'' გამოაქვეყნა 1934, პირველი წიგნი ,,ლექსები'' – 1940. ომის წლებში დაწერილი ლექსები შესულია წიგნში ,,მუმლი მუხასა'' (1946), შემდგომ კრებულებში (,,მხოლოდ ახალი'', 1958; ,,მთანი მაღალნი'', 1960; ,,ლილე'', 1965; ,,გამოღვიძება'', 1966; ,,თოვაში შეხვედრა გაზაფხულთან'', 1975 და სხვ.) მხატვრულ დაოსტატებასთან ერთად, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მ-ის შემოქმედების ტენდენციები და თავისებურებანი. მის ლექსებში აისახა სვანეთის ბუნება და მითოსი, რ-იც პოეტმა ორგანულად დაუკავშირა თანამედროვეობას (,,ოია ოიალე'', ,,ოიდა ნანაილა'', ,,მარილი'', ,,ელეგია მეგობრის სიკვდილზე'' და სხვ.). ფოლკლორული საწყისი მ-ის ლექსში მაღალ პოეზიასთან არის შერწყმული (,,ამბავი რუსთაველის უშგულს მისვლისა'', ,,მარიხი'', ,,მუმლი მუხასა'') და ორგანულადაა დაკავშირებული მის შემოქმედებით კრედოსთან (,,მეც ხომ ვარ...'', ,,ეს პირველ ქართულ ლექსს...'', ,,მე მინდა ვიყო შემოდგომა''). მ-ის პოეზიის წამყვანი მოტივია სამშობლოს სიყვარული (,,ქართლის ცხოვრების მემატიანე'', ,,...უენგუროდ გავძლებ განა'', ,,მე შენს კალთაზე მინდა ვიარო'', ,,შენ და ილია რომ არ გვყოლოდით'' და სხვ.). ომის გარდასულ ამბავთა გახსენება არაერთ შესანიშნავ ლექსს დაედო საფუძვლად (,,წლების სახსოვრად'', ,,იქ სიჭაბუკეს არ დავტოვებდი'', ლირ. პოემა ,,მირზა გელოვანი'', ,,თოვაში შეხვედრა გაზაფხულთან'' და სხვ.). მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია ფილოს. და სამიჯნურო ლირიკაც (,,ჩემს ძველ ბინაში'', ,,ჩემი ერთი უფერული დღე'', ,,და უნატრელი ის დღეც დადგება'', ,,გუშინ არ ვიყავ...'', ,,რა დრო გასულა'', ,,რა იქნებოდა ეს სიჭაბუკე'').



გ. მარგიევი.



დ. მარგიევი.

მ-ის ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე. მ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თითქმის ყველა ჩემი წიგნიდან, ერთტომეული, თბ., 1970; შარშან, შარშანწინ და ცოტა ადრე, თბ., 1977; ვალი დამრჩა წუთისოფლის, ლექსები, თბ., 1986; 100 ლექსი, თბ., 2012.

ლიტ.: კალანდაძე ზ., რევაზ მარგიანი, წვ.: დრო და მწერლობა, თბ., 1992; რევაზ მარგიანი, თბ., 1985.

მარგიევი გიორგი პეტრეს ძე (29. XI. 1909, თბილისი, – 12. VII. 1988, კიევი), მომღერალი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1957). 1933 დაამთავრა თბილ. სამრეწველო ინტი, 1939 – სახელმწ. კონსერვატორია (ვოკალის განხრით, პედ. – გ. ქაშაკაშვილი). 1935–58 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (ბარიტონი), 1937–41 – თბილ. მე-4 მუს. სასწავლებლის დირექტორი და პედაგოგი (ვოკალი); 1948-იდან – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1963-იდან დოცენტი). მ-ის მოწაფეები იყვნენ ა. აღლაძე, მ. დონაძე, რ. კაკაბაძე. 1967-იდან იყო კიევის კონსერვატორიის პედაგოგი. მ-ის რეპერტუარიდან აღსანიშნავია: მურმანი (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი''), გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), თამაზი (ი. ტუსკიას ,,სამშობლო''), ამონასრო, რიგოლეტო, ჟერმონი, დი ლუნა (ჯ. ვერდის ,,აიდა'', ,,რიგოლეტო'', ,,ტრავიატა'', ,,ტრუბადური''), ტონიო (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''), ესკამილიო (ჟ. ბიზეს ,,კარმენი''), მარსელი (კ. პუჩინის ,,ბოჰემა''), გრიაზნოი (ა. რიმსკი-კორსაკოვის ,,მეფის საცოლე''), იგორი (ა. ბოროდინის ,,თავადი იგორი''), კოჩურა (ო. ჩიშკოს ,,ჯავშნოსანი პოტიომკინი'') და სხვ.

მ. ჯაფარიძე.

მარგიევი დუდარ ნიკოლოზის ძე (23. IX. 1925, თბილისი, – 6. I. 1991, იქვე), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (1952). მუშაობდა ჩრდ. კავკასიის კინოქრონიკის სტუდიასა (ვლადიკავკაზი, 1952–54) და კინოსტუდია ,,ლენფილმში'' (ლენინგრადი, 1954–55). 1956-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' დამდგმელი ოპერატორი. გადაიღო ფილმები: ,,ფატიმა'' (1958), ,,პალიასტომი'' (1963), ,,ქალაქი ადრე იღვიძებს'' (1967, სამივეს რეჟ. ს. დოლიძე), ,,შეწყვეტილი სიმღერა'' (1960), ,,ჩერმენი'' 1970), ,,დაისი'' (1971), ,,სიცოცხლე ერმილეს'', ,,სახლი ლესნაიაზე'' (1980), ,,მევლუდი'' (1985, ყველას რეჟ. ნ. სანიშვილ), ,,წყარო გზის პირას'' (1974), ,,მოხეტიალე რაინდები'' (1975), ,,რაჭა, ჩემი სიყვარული'' (1977, სამივეს რეჟ. თ. ფალავანდიშვილი), ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'' (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1965), ,,უყაიმო თამაში'' (ი. ქავთარაძე, 1966), ,,ქოჩორა'' (რეჟ. გ. ჭოხონელიძე, 1967), ,,მხიარული რომანი'' (ლ. ხოტივარი, 1972), ,,იტალიამდე არც ისე შორსაა'' (რეჟ. ა. ბურნაძე, 1978), ,,გმადლობთ, რატომლი'' (რეჟ. გ. კალატოზიშვილი, 1983 ,,გრაციოზო'' (რეჟ. ა. ბურნაძე, 1988).

მარგიევი სოსლან გიორგის ძე (1. I. 1914, სოფ. თლოი, ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტი). ოსი მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1957). 1936 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ცხინვალის ოსურ დასში მსახიობად. შეასრულა როლები: ილიკო (დ. ჯიოევის ,,ფუხათი''), დუდარსი (ს. ხაჩიროვის ,,დუდარსი და მისი ამხანაგი''), სარდონი (მ. შავლოხოვის ,,ბათირაზი''), ტიხონი, დუდუკინი (ა. ოსტროვსკის ,,ქარიშხალი'', ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), სანდალა (ვ. გაბესკირიას ,,გაზაფხულის დილა''), მონტანო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), პანტალონე, ოტავიო (კ. გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური'') და სხვ.

მარგიშვილი ირაკლი გიორგის ძე (11. VII. 1927, გორი, – 17. XI. 2000, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი არქიტექტორის სპეციალობით



ი. მარგიშვილი (ავტორთა ჯგუფთან ერთად). სოფ. გუდანი. მშენებლობის პროცესი. 1983.

(1949). 1950-იდან მუშაობდა არქიტექტორად ,,საქსოფლმშენსახპროექტში'' (1988–97 – მთ. არქიტექტორი). საკონკურსო პროექტები: საქართვ. სოფ. მეურნეობის მიღწევათა პავილიონი მოსკოვში (1957, II პრემია), სოფლის ერთბინიანი საცხოვრ. სახლები (1981, ოქროს მედალი, მოსკოვი) და სხვ. ძირითადი პროექტები: მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკის ექსპერიმენტული დასახლება (1973–77), სოფლების: გუდანის (1980, ავტორთა ჯგუფთან ერთად), შატილის (1980, ავტორთა ჯგუფთან ერთად), ხახმატის (1980, არქიტ. ვ. დავითაიასთან ერთად), ჭერემის (1978–80) განვითარების პროექტები. 1985 სოფიაში (ბულგარეთი) საერთაშ. არქიტ. ბი-

ენალეზე ,,გრან-პრის'' მფლობელი გახდა. არის საქართველოში პირველი საერთაშ. არქიტ. ბიენალეს ლაურეატი (1988). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.

მარდალეიშვილი ვილენ ვენედიქტეს ძე (9. XI. 1943, სოფ. მაღლაკი, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 19. I. 2022, თბილისი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2014). სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). 1960 ჩაირიცხა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტზე. ჟურნალისტიკაში მოღვაწეობდა 1966-იდან (,,ეკრანის ამბები'', ,,საქართველოს კინემატოგრაფისტი'', ,,კომუნისტი'', ,,კაბადონი-8'', ,,საქართველოს რესპუბლიკა''; აგრეთვე, საქტელერადიო კომიტეტში, კინოინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროში, საქართვ. თეატრალური საზ-ბის გამომცემლობაში).

1986 საქართვ. ჟურნალისტთა კავშირმა დაასახელა წლის საუკეთესო ჟურნალისტად; მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1993), ნ. ნიკოლაძის სახ. პრემია (2003), ჟურნალისტთა საერთაშ. ფონდის ჯილდო ,,ოქროს ფრთა'' (2005).

მ. ავტორია ჟურნალისტური კრებულებისა: ,,დიალოგები კინოზე'' (1976), ,,ძვირფასი წუთები'' (1981), ,,რედაქციიდან გაწუხებთ'' (1988).

მარდალეიშვილი კონსტანტინე მიხეილის ძე (დ. 1. I. 1946, თბილისი), ონკოქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1996), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998).

1967 დაამთავრა თსსი, 1970–74 – მოსკოვის ცენტრ. სტომატოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ასპირანტურა. 1974–76 იყო თსსი-ის ქირურგ. სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი; 1980–84 – მოსკოვის მეცნ. აკადემიის საკავშ. ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის თავისა და კისრის სიმსივნეების განყ-ბის მეცნიერი თანამშრომელი; 1984–2010 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის თავისა და კისრის სიმსივნეების განყ-ბის ხელმძღვანელი; 1997–2011– თავისივე დაარსებული ,,ქართულ-გერმანული სპეციალიზებული ონკოლოგიური კლინიკის'' ხელმძღვანელი; 1999–2000 – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის კათედრის გამგე; 2006-იდან – თსსუ-ის სტომატოლოგიური ფაკ-ტის თავისა და კისრის ონკოლ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი; 2012-იდან ხელმძღვანელობს მრავალპროფილურ კლინიკა ,,ონკოლოგიურ სამეცნიერო–კვლევით ცენტრს''.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ.შ. მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მისი კვლევის სფეროა თავისა და კისრის ონკოლ. დაავადებები, ქიმიოთერაპიით, სხივური და ქირურგ. მეთოდებით მკურნალობა და რეაბილიტაცია პლასტიკურ-რეკონსტრუქციული ოპერაციების გამოყენებით; აგრეთვე ღეროვანი უჯრედები და მათი გამოყენების პერსპექტივები სხვადასხვა სომატური და ონკოლ. დაავადებების დროს.

მ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2003), საპატიო თბილისელის წოდება (2018).

თხზ.: პირველადი ჰიპერპარათირეოზი და ჰიპერკალცემია, თბ., 2005; ყბა-სახის ავთვისებიანი სიმსივნეები, თბ., 2008.

მარდალეიშვილი რევაზ კირილეს ძე (22. II. 1939, თბილისი, – 26. VI. 2010, იქვე), სწავლული აგრონომი, ნიადაგმცოდნე. გეოგრ. მეცნ. კანდიდატი (1972), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2002). 1962 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1962–76 მუშაობდა საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1976–2006 იყო ამავე ინ-ტის ნიადაგების გეოგრაფიისა და მიწის რესურსების, ასევე აგროეკოლოგიური შეფასების სექტორებისა და ნიადაგმცოდნეობის განყ-ბის გამგე; მ-მა გამოიკვლია ქართლ-კახეთის სამიწათმოქმედო არეალის ნიადაგები, დაარაიონა აგროეკოლოგიურად ნიადაგური საფარი, იყო საქართვ. ნიადაგური რუკის ერთ-ერთი შემდგენელი. 1970–99 შესრულებული შრომათა ციკლისათვის – ,,საქართველოს ნიადაგების კვლევა'' მიიღო საქართვ. სახელმწ. პრემია; ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა.

თხზ.: საქართველოს სამიწათმოქმედო ზონის ნიადაგების ხარისხობრივი შეფასების მეთოდური მითითებანი, თბ., 1977 (თანაავტ.: რ. პაპისოვი, რ. რამიშვილი).

მარდახუჭი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გულრიფშის მუნიციპალიტეტში (ლათას თემი), მდ. კოდორის ნაპირზე. ზ. დ. 360 *მ,* გულრიფშიდან 52 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარები, კოლხური ტომი. ცხოვრობდნენ სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში, ჩრდ. ანატოლიის მთებში, მოსინიკების მეზობლად, ამ ტერიტორიაზე იხსენიებენ მათ ძვ. წ. VI და V სს. ავტორები – ჰეკატეოს მილეტელი და ჰეროდოტე. მ. შედიოდნენ აქემენიდთა იმპერიის XIX სატრაპიაში, რ-იც 300 ტალანტ ვერცხლს უხდიდა ყოველწლიურად ხარკის სახით სპარსეთის მეფეებს. მ. მონაწილეობდნენ სპარსეთის მეფეთა ლაშქრობებში, კერძოდ, ისინი თან ახლდნენ ქსერქსეს საბერძნეთში ლაშქრობის დროს. ამ ბრძოლებში მეომარი მ. შეიარაღებული იყვნენ პატარა ტყავის ფარებითა და ხელშუბებით, ხოლო თავზე დაწნული მუზარადები ეხურათ.

ლიტ.: მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965; ყაუხჩიშვილი თ., ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, [წგ.] 1, თბ., 1967; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. მელიქიშვილი.


მარელისი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (ლელვანის თემი), მდ-ების – საკრაულისა (ხანისწყლის მარჯვ. შენაკადი) და ბჟოლისხევის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 500 *მ.* ხარაგაულიდან 11 *კმ.* 375 მცხ. (2014). მ-ში არის რკინიგზის სადგური.

სოფლის თავდაპირველი სახელწოდება ,,მარილისი'' უნდა ყოფილიყო. ამ სახელით აქვს დატანილი რუკაზე ვახუშტი ბატონიშვილს და მოხსენიებული აქვს გიულდენშტედტს. მ-ში დგას შუაფეოდ. ხანის ეკლესია, რ-იც მომდევნო ხანებში რამდენჯერმე შეუკეთებიათ.

თ. ბერაძე.

მარვან II იბნ მუჰამადი, მურვან ყრუ (გ. 750), უკანასკნელი ხალიფა (744–750) ომაიანთა დინასტიიდან, მხედართმთავარი. 734–744 იყო ომაიანთა ნაცვალი სამხრ. კავკასიაში. 745–746 იბრძოდა ანტიომაიანთა მოძრაობის წინააღმდეგ სირიასა და ერაყში. 750 აბასიანებთან ბრძოლაში დამარცხდა და გაიქცა ეგვიპტეში. ილაშქრა საქართველოში. იხ. *მურვან ყრუს შემოსევა* საქართველოში.


მარზპანი (საშუალო სპარსული, სიტყვასიტყვით – საზღვრის მცველი), 1. ქვეყნის, მხარის, ოლქის მმართველი სასანიანთა ირანში. 2. უმაღლესი მოხელე, რ-იც IV–VI სს-ში ინიშნებოდა ირანის მიერ დაპყრობილი ქვეყნის (ჩვეუ-



ვ, მარდალეიშვილი.



კ, მარდალეიშვილი.



რ. მარდალეიშვილი.

ლებრივ, ასეთ ქვეყანაში სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობდა, ანდა დროებით იყო გაუქმებული) მმართველად და შაჰის ადგილ. ნაცვლად. ქართლის პირველი მ. იყო სომეხი ფეოდალი ვასაკ სივნიელი (დაახლ. 439–442), რ-იც ირანელებმა არჩილ მეფის გარდაცვალების შემდეგ დანიშნეს. შემდეგ ქართლში მეფობა აღდგა და VI ს. 40-იან წლებამდე მ. აღარ ჩანს. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მიხედვით, ქართლის სათავეში მდგომ მ-ებს, არვანდ გუშნასპსა და ვეჟან ბუზმირს დიდი ადმ. და სასამართლო უფლებები ჰქონიათ. ქართლის ყოველი მცხოვრების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მათ ხელში იყო. ქვეყნის მართვაში მ-თან ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივი წარჩინებულებიც, ანუ „ქართლის მთავრები“. ქართლში ერისმთავრის ხელისუფლების დაწესების შემდეგ მ-ები აღარ ინიშნებოდნენ.

ლიტ.: ჯანაშია ს., ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, [ტ.] 1, თბ., 1949; ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ა. ბოგვერაძე.

მართგაჯინა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (ჩასავლის თემი), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1460 *მ.* ჯვავიდან 50 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მართვადი თერმობირთვული სინთეზი (მთს), მაღალ ტემპერატურაზე ენერგიის გამოყოფით მიმდინარე მსუბუქი ატომბირთვების შერწყმის მართვადი პროცესი, რ-ის მიზანია ენერგიის კონტროლირებული გამოყოფა და მისი გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის. მთს-ის დროს აუცილებელია მატერიის ტემპ-რა იყოს 100 მლნ გრადუსზე მეტი, რაც ნიშნავს, რომ მატერია პლაზმურ აგრეგატულ მდგომარეობაში უნდა იყოს. საკმარისი ენერგიის გამოსაყოფად ასეთი პლაზმა უნდა აკმაყოფილებდეს ე. წ. „ლოუსონის კრიტერიუმს“: $n\tau_E > 3.5\times10^{28}$. ეს კრიტერიუმი ოპტიმალური ბირთვული საწვავისათვის, ანუ წყალბადის იზოტოპების – დეიტერიუმისა და ტრიტიუმის (50/50 %) ნარევისათვის არის გამოყვანილი, n, T და τ_E კი შესაბამისად აღნიშნავს პლაზმის ნაწილაკების რაოდენობის სიმკვრივეს (1/მ^3), ტემპ-რას (k) და პლაზმის არსებობის (შეკავების) დროს (წამობით). მსოფლიოში 100-მდე საცდელი დანადგარი არსებობს, რ-თა მეშვეობით იკვლევენ, როგორ უნდა წარმოიშვას და საკმარისი დროით შეკავდეს მაღალტემპერატურული პლაზმა. ეს დანადგარები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად – მაგნიტური ჩაჭერის და ინერციულ დანადგარებად. მაგნიტური ჩაჭერის დანადგარებში შედარებით დაბალი სიმკვრივის პლაზმა მაგნიტური ძალებით კავდება დროის ხანგრძლივ პერიოდში – წამის მეათედიდან ერთ საათამდე; მათ მიეკუთვნება ე.წ. ტოკამაკები, სტელარატორები და პლაზმური მახეები, თუმცა ეს უკანასკნელნი უპერსპექტივოდ მიიჩნევა; ინერციულ დანადგარებში ზემკვრივი ცხელი პლაზმა იქმნება წამის მემილიონედში მცირე ზომის ბირთვული საწვავის სამიზნეზე მრავალი მაღალენერგეტიკული ლაზერის დასხივებით. ბოლო წლებში ორივე ტიპის დანადგარზე რეკორდული მახასიათებლებია მიღწეული, მაგრამ ამ ექსპერიმენტებში გამომუშავებული ენერგია ჯერ კიდევ ნაკლებია მის შესაქმნელად დახარჯულზე. მეცნიერთა აზრით, პირველი დანადგარი, რ-შიც თერმობირთვული სინთეზის შედეგად მიღებული ენერგია გადააჭარბებს მის შესაქმნელად დახარჯულს, იქნება ტოკამაკი ITER, რ-იც 35 სახელმწიფოს ერთობლივი პროექტია და საფრანგეთშია განთავსებული.

საქართველოში მთს-ის პრობლემებზე მუშაობდნენ სოხუმის ფიზ. და ტექნოლ. (სფტი) და ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტებში. სფტი-ში, რ-ის დირექტორი იყო რ. სალუქვაძე(1974–93), სამხ. პროექტის კვლევები ტარდებოდა TMP ტოკამაკზე და ე. წ. z-პინჩ დანადგარზე. ეს იყო ერთადერთი ტოკამაკი საქართველოში, განადგურდა რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის დროს. ე. ანდრონიკაშვილის ფიზ. ინ-ტში მთს-ზე კვლევები დაიწყო 1961-იდან პლაზმის განყ-ბაში, რ-საც 1960–2006 ხელმძღვანელობდა ნ. ცინცაძე (აქვე 1979-მდე მუშაობდა ჯ. ლომინაძე), 2006-იდან განყ-ბის ხელმძღვანელია ს. ნანობაშვილი; ტარდება გამოკვლევები როგორც ინერციულ (დ. გარუჩავა, ნ. შათაშვილი, ნ. სიგუა), ისე მაგნიტური ჩაჭრის მთს-ში (ს. ნანობაშვილი, დ. ცხაკაია, ი. ნანობაშვილი). შეიქმნა ღია მაგნიტური მახის დანადგარები OMT-1 და CMT-2, მაღალი ტექნიკური მახასიათებლებით. პლაზმის განყ-ბა თანამშრომლობს მთს-ის მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებთან: CCFE (გაერთიანებული სამეფო), CEA და ITER (საფრ.), მაქს პლანკის ინ-ტები გარხინგსა და გრაიფსვალდში, KIT (გერმ.), NIFS (იაპ.) და სხვ., სადაც რამდენიმე წარმატებული ქართველი მეცნიერი მუშაობს [მ. ბელდიშევსკი, გ. თვალაშვილი (CCFE), ე. გაგანიძე (KIT), დ. ცხაკაია – ჩეხეთის მეცნ. აკად. ტოკამაკის თეორიისა და მოდელირების განყ-ბის გამგე და ITER-ის კონტრაქტორი].

დ. ცხაკაია.

„მართვე“, ჟურნალი, საქ. სსრ განათლების სამინისტროს სამეცნ.-პედ. ჟურნალის – „სკოლა და ცხოვრების“ დამატება. გამოდიოდა თბილისში 1975 მარტიდან 3 თვეში ერთხელ. ჟურნალი მიზნად ისახავდა მოზარდი თაობის სპორტ. აღზრდის ხელშეწყობას, ახალგაზრდობის ფიზ. და სულიერ წრთობას. მისი მთავარი თემა იყო მეცნიერებისა და სპორტის ურთიერთკავშირი. „მ“. გამოირჩეოდა ახალი რუბრიკებითა და მხატვრული გაფორმებით (მხატვარი – ვ. რურუა). გამოსცემდა საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ტირაჟი 35 ათ. ც. 1979-მდე ჟურნალის რედაქტორი იყო ა. გოგელია, 1980–84 – თ. გაჩეჩილაძე, 1984–92 – ნ. გუგუშვილი.

„მართვე“, ა. ერქომაიშვილის სახ. საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი (სსიპ). დაარსდა 1976 ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის რეპერტუარშია ძირითადად ქართ. ხალხ. სიმღერები. „მ-ს“ სხვადასხვა თაობის მომღერლები მაღალი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით ასრულებენ ძვ. ტრად. ურთულეს ხალხ. სიმღერებს. „მ-ს“ ტრიუმფით აქვს შემოვლილი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მონაწილეობდა ფოლკლორულ ფესტივალებში. ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა ანსამბლის რამდენიმე ფირფიტა, 1986 კი იაპონიის ცნობილმა ფირმა „ვიქტორმა“ გამოსცა მ-ს სიმღერების კომპაქტდისკი. 1994 „მ-ს“ ბაზაზე შეიქმნა ბავშვთა საერთაშ. ფოლკლორის ცენტრი. ანსამბლმა არსებობის განმავლობაში 1700-ზე მეტი კონცერტი გამართა. ზ. კაკაბაძემ გადაიღო ფილმი „მღერის მართვე“ (1980). გ. მატარაძის ფილმში „შვი-

დი ნოველა სიყვარულზე'' (1981) მონაწილეობენ ,,მ-ს'' მომღერლები. საიუბილეო თარიღისთვის გამოიცა წიგნი – ,,მართვე 20 წლისაა''. 2011 წ. 8 აპრილს ფილარმონიის წინ გაიხსნა ანსამბლ ,,მ-ს'' ვარსკვლავი.

2018 ,,მ''. ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკადემიურ ანსამბლ ,,რუსთავს'' (ხელმძღვ. მ. ჯავახიშვილი) შეუერთდა. ანსამბლში ვაჟებთან ერთად მღეროდა ერთი გოგონაც – მ. მიქაბერიძე (რ. მიქაბერიძის ქალიშვილი).

თ. დოლიძე.

მართვის სისტემების ინსტიტუტი ა. ელიაშვილის სახელობისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება სტუ-ის შემადგენლობაში. დაარსდა ა. *ელიაშვილის* ინიციატივით (1956) და ეწოდა საქართვ. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტი. რეორგანიზაციის შედეგად ინ-ტს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი; ახლანდ. სახელი მიენიჭა 2010. ინ-ტის სამეცნ. კვლევების ძირითადი მიმართულებებია ავტომატური მართვის თეორიის განვითარება და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით ავტომატური მართვის სისტემების შექმნა. კვლევები ეხება ავტომატური მართვისა და რეგულირების, ოპტიმალური მართვის თეორიისა და მისი გამოყენების, ანალოგურ-ციფრული გამომთვლელი მანქანების დამუშავებისა და შექმნის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მოწყობილობების, მართვის ტელეავტომატური სისტემების დამუშავების, ინფორმაციის ელექტრონული ასახვის კომპლექსური სისტემების დამუშავებისა და შექმნის, სახეთა გამოცნობის, *მანქანური თარგმნის* და სხვა საკითხებს.

1957–62 მსი-ში დ. გრიგორაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართვ. პირველი უნივერსალური გამომთვლელი მანქანა ,,დელისი''; შემუშავდა ზოგიერთი მრავალექსტრემალური ამოცანის ამოხსნის მეთოდი (ვ. *ჭიჭინაძე*), მ. *სალუქვაძემ* შექმნა დაგვიანების შემცველი სისტემებისათვის ოპტიმალური რეგულატორების კონსტრუირების მიახლოებითი მეთოდი, რ-საც ,,სალუქვაძის მეთოდი'' ეწოდა; დამუშავდა მეტყველების ავტომატური ამოცნობის მეთოდები (ა.კაკაურიძე, გ. რამიშვილი). XX ს. 70-იანი წლებიდან მსი-ში მ. სალუქვაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მსოფლიოში პიონერული კვლევები მრავალკრიტერიულ ოპტიმიზაციაში. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები გამოიცა აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. შეიქმნა მანქანური თარგმნის სსრკ-ში პიონერული სისტემა (გ. ჩიკოიძე); შემუშავდა ენის მოდელირების მულტიენობრივი ექსპერტული სისტემა, რ-იც იძლევა ცოდნის ბაზის შევსების საშუალებას (ლ. ლორთქიფანიძე). მსი-ში მიღებული შედეგები მრავალჯერ აღინიშნა საქართვ. სახელმწ. და სხვ. პრემიებით. მსი-ის პირველი დირექტორი იყო ა. ელიაშვილი (1956–71), შემდეგ – გ. ხარატიშვილი (1972–81), მ. სალუქვაძე (1981–2006), 2006-იდან ინ-ტს ხელმძღვანელობს ნ. ყავლაშვილი.

ამჟამად მსი-ში ხუთი სამეცნ. განყ-ბაა: მ. სალუქვაძის სახ. სისტემების იდენტიფიკაციისა და ოპტიმალური მართვის, ენობრივი მოდელირების; ინფორმაციის გარდაქმნის პრობლემების; ვ. გომელაურის სახ. ენერგოსისტემის სტრუქტურისა და ენერგოდანადგარების ოპტიმიზაციის. ვ. ჭავჭანიძის სახ. მანქანური ინტელექტის პრობლემების განყ-ბები. მსი-ის თანამშრომლებს მოპოვებული აქვთ მრავალი, მ. შ. ცხოური გრანტი, ისინი ინტენსიურად თანამშრომლობენ მსოფლიოს სამეცნ. ცენტრებთან.

პ. მამრაძე.

მართვის სოციალური ფსიქოლოგია, იხ. *სოციალური ფსიქოლოგია.*

მართლზომიერება, სოციალური აქტივობის იმგვარად გამოვლენა, რაც შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, არ ეწინააღმდეგება სავალდებულო ნორმებს ან აკრძალვებს.

მართლზომიერია უფლება, რაც მოპოვებულია კანონიერი გზით, სამართლებრივი საფუძვლით. სამოქალაქო ურთიერთობებში მართლზომიერია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული კანონით. კანონში იგულისხმება ყველა ნორმატიული აქტი ან ის დოკუმენტი, რ-იც კანონის საფუძველზეა გამოცემული და კონკრეტულ ვალდებულებას აკისრებს პირს. მაგ.: სასამართლო გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელი. მართლზომიერია, ასევე, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისი ქმედებები.

მ-დ ითვლება იმ ქმედების ჩადენა, რაც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, მაგრამ იმ ვითარებაში, რაც გამორიცხავს ამ ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობას (მაგ.: აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა, უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერი რისკი და სხვ.). სამოქალაქო სამართალში მ-დ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, თვითდახმარების ვითარებაში მიყენებული ზიანი. ინტელექტუალურ სამართალში მართლზომიერია, მაგ., ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელისთვის ჰონორარის გადახდის ან მისგან (მათგან) ნებართვის მიღების გარეშე ნაწარმოების ან მისი ნაწყვეტის გამოყენება ,,სამართლიანი გამოყენებისთვის''.

მ-ის საწინააღმდეგო ტერმინია მართლწინააღმდეგობა.

ი. უჯმაჯურიძე,

მართლმადიდებელი ეკლესია, იხ. სტ. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.*

,,მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში'', რუსეთის იმპერია მიერ კავკასიაში სამისიონერო საქმიანობისათვის დაარსებული საზოგადოება. შეიქმნა 1860 წ. 9 ივნისს.

XIX ს. 60-იანი წლებიდან იმპერია კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, თავისი სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამისიონერო საქმიანობას, რ-ის მიზანი იქნებოდა იარაღის ძალით დაპყრობილი მთიელების მორჩილებაში ყოლა. ახალი ტიპის სამისიონერო საზ-ბის დაარსების ინიციატორად, XIX ს. 50-იან წლებში, საქართვ. საეგზარქოსოსთან ერთად გამოდიოდა კავკასიის მაშინდელი მეფისნაცვალი ა. *ბარიატინსკი.* ქრისტიანული საზ-ბის ძირითადი ამოცანა იყო მთიელ ხალხში შერყეული რწმენის განმტკიცება, წარმართთა შორის მისი გავრცელება და მაჰმადიანთა მოქცევა ქრისტიანობაზე. სარწმუნოებრივი ერთობა გააადვილებდა მთიელი ხალხის ასიმილაციას. მისია რუსი სას. პირების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო, დასაშვებად მიაჩნდათ პოლიტ. და ზნეობრივი ნიშნის მიხედვით შერჩეული არარუსებიც. სამისიონერო მოღვაწეობის დროს, სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად, მისიონერი ვალდებული იყო, ადგილებზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკა გაეტარებინა. ამის გათვალისწინებით, 1857 პეტერბურგში დაამტკიცეს საზ-ბის წესდება, ხოლო 1860 წ. 9 ივნისს შეიქმნა თავად საზ-ბა, რ-ის ცენ-

ტრი თბილისში დაფუძნდა. 1865 წ. 29 იანვარს საზ-ბის წესდებაში შეიტანეს მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, ხოლო 1885 წ. 10 თებერვალს რუს. იმპერატორმა დაამტკიცა საზ-ბის ახალი წესდება, რ-ის მიხედვით მისი მოქმედების არეალი გაიზარდა. კავკასიის მთიელ ხალხთან ერთად, მისიონერებს თავიანთი საქმიანობა უნდა წარემართათ საქართვ. ისეთ კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი), სადაც ადრე ქრისტიანობა ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ შემდგომ თავი იჩინა წარმართობის ელემენტებმა. საზ-ბას ქრისტ. სარწმუნოება აგრეთვე უნდა გაევრცელებინა ოსმალთა ბატონობის შედეგად ფეხმოკიდებულ მაჰმადიანებს (აფხაზეთი, საინგილო და სამცხე-ჯავახეთი) შორისაც.

„მ. ძ. ა. ს. ჰ.“ შექმნის შემდეგ ამავე მიზნებისათვის XIX ს. I ნახ-ში შექმნილმა „ოსეთის სასულიერო კომისიამ“ არსებობა შეწყვიტა. მისი ფულადი თანხა – 231172 მანეთი ახალი საზ-ბის კუთვნილება გახდა. იმპერატორის მეუღლე 119738 მანეთი შესწირა. მთავრობა ხაზინიდან საზ-ბის დასაფინანსებლად ყოველწლიურად სოლიდურ თანხას გამოყოფდა, საკუთრებაში გადასცა მიწა, ეკლესიებში დაიდგა ყულაბები. საზ-ბის ამოქმედებამდე, მის ფუნქციას ასრულებდა მეფისნაცვლის სამმართველოსთან არსებული დროებითი კომიტეტი, რ-ის გაუქმების შემდეგ, 1865, საზ-ბის თავრედ დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვალი, მოადგილედ – საქართვ. ეგზარქოსი. 1885, საზ-ბის რეორგანიზაციის შემდეგ, თავმ-რის უფლებები საქართვ. ეგზარქოსს გადაეცა. კავკასიის მეფისნაცვალი საერთოდ ჩამოაშორეს ამ საქმეს.

მუშაობის გააქტიურების მიზნით, საზ-ბამ თავისი განყ-ებები შექმნა ვლადიკავკაზში, გურია-სამეგრელოში, აფხაზეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში. რუსეთის მმართველ წრეებს საზ-ბის საშუალებით სურდა თავისი კოლონიურ-სარწმუნოებრივი პოლიტიკის გატარება აფხაზეთში. 1851 მეფისნაცვალი მ. *ვორონცოვი* ითხოვდა უფლება მიეცათ, საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, სადაც ოსმალთა ბატონობის შედეგად მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილი წარმართობას დაუბრუნდა, მცირე ნაწილი კი კვლავ აღიარებდა ქრისტიანულ რწმენას, მისიონერებად ქართვ. სას. პირები გაეგზავნათ, რ-ებიც ახლოს იცნობდნენ მათ ზნე-ჩვეულებებს და ადათ-წესებს. ამ მიზანს ემსახურებოდა 1851 აფხაზეთის საეპისკოპოსოს აღდგენაც, რ-ის კათედრაზე 1885-მდე, ძირითადად, ქართვ. სას. პირები ინიშნებოდნენ. ქართველ მისიონერთა მოღვაწეობამ სათანადო შედეგი გამოიღო. 1861 პირველი ქრისტ. ეკლესია სოფ. ათაშარაში ამოქმედდა. XIX ს. 60—70-იან წლებში გაიხსნა რამდენიმე ათეული ეკლესია, 1896 მონაცემებით, საზ-ბას აფხაზეთში 21 ეკლესია ექვემდებარებოდა. „მ. ძ. ა. ს. ჰ.“ ინიციატივით, აფხაზი ბავშვებისათვის გაიხსნა სამოსნასტრო სკოლები. თუმცა რუს. ხელისუფლებას სურდა ქართულ ენაზე სწავლება თავდაპირველად აფხაზური ენით შეეცვალა, შემდეგ ეტაპზე კი მთლიანად რუსულზე გადასულიყო.

XIX ს. II ნახ-იდან 1885-მდე ქართვ. სას. პირების სამისიონერო მოღვაწეობამ ხელი შეუწყო აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენა-განვითარებას. ეს კი რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ XIX ს. 80–90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთში არსებულ ყველა ეკლესია-მონასტერს რუსი ბერები დაეპატრონენ. რუს. უწმინდესი სინოდის 1898 წ. 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება, ქართული ენის ნაცვლად, რუსულ ენაზე დაკანონდა. იმავე წლის 17 მარტის დადგენილების საფუძველზე, აფხაზეთისა და სამურზაყანოს ყველა ტიპის სასწავლებელში აიკრძალა ქართ. ენის სწავლება. აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების მიზნით, XIX ს. ბოლოს რუსმა მოხელეებმა შეადგინეს საქართვ. საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, რ-ის მიხედვით, აფხაზეთის ოლქი უნდა შეერთებოდა ყუბანის ოლქს, ხოლო სოხუმის ეპარქია — ყუბანის ეპარქიას, თუმცა XX ს-ის დასაწყისში რუსეთში არსებულმა პოლიტ. ვითარებამ ხელი შეუშალა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

საქართველოს საეგზარქოსო „მ. ძ. ა. ს. ჰ.“ დაყრდნობით, საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ისეთივე კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა, როგორსაც აფხაზეთში. საქართვ. ეგზარქოსმა იმერეთის ეპისკოპოსს ჩამოართვა აჭარაში მისიონერთა დანიშვნის უფლება და თვითონ ჩაუდგა სათავეში აჭარელთა გაქრისტიანებას. XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს აჭარიდან გამოიწვიეს ქართვ. სას. პირები და მათ მაგიერ რუსი და ბერძენი სამღვდელოება მიავლინეს, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

საზ-ბამ გარკვეული სამისიონერო მოღვაწეობა გასწია აგრეთვე ხევსურეთში, თუშეთში, სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში. 1829, სამცხე-ჯავახეთის შემოერთების დროს, აქ ქართველთა დიდი ნაწილი მაჰმადიანობას აღიარებდა, ნაწილი კი — კათოლიკობას. შემოერთების შემდეგ, თურქეთიდან გადმოსახლებული კათოლიკე სომხების, რუსეთის შიგა გუბერნიებიდან სექტანტების ჩამოსახლების ხარჯზე შეიცვალა დემოგრაფიული ვითარებაც. სამცხე-ჯავახეთში სამისიონერო მოღვაწეობისათვის ჩასული ქართვ. სას. პირები ცდილობდნენ, საზ-ბის საქმიანობა ქართვ. ერის სასარგებლოდ გამოეყენებინათ, რასაც ხელს უშლიდნენ ცარიზმის მოხელეები.

ანალოგიური ვითარება იყო საინგილოში, სადაც, ქართველ მაჰმადიანებთან ერთად არაქართველებიც — მაჰმადიანი ლეკებიც ცხოვრობდნენ. XIX ს. II ნახ-იდან თვით ინგილოებმა გამოიჩინეს ინიციატივა და მათმა მცირე ნაწილმა გადაწყვიტა, წინაპართა სარწმუნოებას დაბრუნებოდა. მათივე მოთხოვნით, საქართვ. საეგზარქოსომ 1851 სოფ. კახში მღვდელი მიავლინა. მ. ვორონცოვის უშუალო მითითებით, მართლმადიდებლური ქრისტ. ეკლესიები აშენდა კახსა და ყორაღანში. 1859 განკარგულებით ინგილო ქრისტიანები სახაზინო გლეხებად გამოცხადდნენ და გათავისუფლდნენ მაჰმადიან ლეკებზე დამოკიდებულებისაგან. მთავრობის ასეთმა პოლიტ. კურსმა ხელი შეუწყო საინგილოში ქრისტ. სარწმუნოების გავრცელებას. ადგილ. ქრისტიან ინგილოთა მხარდაჭერით, XIX ს. 80-იან წლებში ქრისტ. ეკლესიები აშენდა ალიბეგოში, კახში, ქურმუხში. რუსეთის იმპერიამ, როგორც კი დაინახა, რომ საინგილოში სამისიონერო საქმიანობა ქართველთა ინტერესების შესატყვისად მიმდინარეობდა, სასწრაფოდ შეასუსტა ამ კუთხეში მოღვაწეობა. იქიდან ქართველი სას. პირები გამოიწვიეს. რამაც მაჰმადიანთა გააქტიურება განაპირობა XIX ს. 90-იან წლებში საქართვ. საეგზარქოსომ კვლავ განაახლა სამისიონერო მოღ-

ვაწეობა ინგილოთა შორის, რაც მიზნად ისახავდა ამ მხარის რუსიფიკაციას, მაგრამ ქრისტიან ინგილოთა წინააღმდეგობის გამო, მათ დასახული მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს.

1898 რეაქციონერი რუსი დეკანოზის ს. გოროდცევის თავმჯდომარეობით დაარსდა „საეპარქიო-სამისიონერო სასულიერო-საგანმანათლებლო ძმობა“. მართალია, „ძმობის“ მიზანი იყო სამისიონერო მოღვაწეობის დროს კულტ. და საგანმან. საქმიანობის წარმართვა, სინამდვილეში კი იგი საიდუმლოდ ადევნებდა თვალყურს „მ. ძ. ა. ს. ჯ.“ განხორციელებულ რუსულ პოლიტიკას საქართველოში. ყველა რესურსის გამოყენების მიუხედავად, სამისიონერო საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია, რაც იმდროინდელი ქართვ. საზ-ბის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

1910 თბილისში ხელისუფლებამ აღნიშნა „მ. ძ. ა. ს. ჯ.“ 50 წლისთავი. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიცა მისი საქმიანობის ამსახველი ნაშრომი და საზ-ბის მიერ გახსნილი ეკლესიებისა და სამრევლო სკოლებისადმი მიძღვნილი ფოტო-ალბომი. გაირკვა, რომ 50 წლის არსებობის განმავლობაში მისიონერთა ღვაწლით ქრისტიანობაზე მოიქცა 33547 კაცი. პოლიტ. დატვირთვის მიუხედავად, საზ-ბამ გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობის განმტკიცებაში. მისივე ინიციატივით აიგო და შეკეთდა ეკლესია-მონასტრები და დაარსდა რამდენიმე ასეული სამრევლო სკოლა.

საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ. 12 მარტი) საზ-ბამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

ლიტ.: ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ე., ,,კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მოღვაწეობის ისტორიიდან, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I, 2007; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს, თბ., 2022; წ ვ ე რ ა ვ ა, საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2002; Обзор деятельности восстановления православного христианства на Кавказе за 1860–1910 гг. Тифлис, 1910.

ე. ბუბულაშვილი.

მართლმადიდებლობა, (ძვ. ბერძნ. ὀρθοδοξία ὀρθός – მართალი, δοξά – მადიდებელი), როგორც ტერმინი, წინარექრისტიანულ ეპოქაში, ანტიკურ ხანაშიც გამოიყენებოდა მართებული აზრის, მართებული თვალსაზრისის მნიშვნელობით.

მ., როგორც საეკლ. ტერმინი, აღნიშნავს ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის უცდომელ მოძღვრებას – ახალი აღთქმის მაცხოვნებელ რჯულს, რ-იც საბოლოოდ განისაზღვრა და განიმარტა შვიდ მსოფლიო საეკლ. კრებაზე (325–787) მცდარ შეხედულებათა საპირისპიროდ. მ., როგორც ქრისტეს მოძღვრების მართალი აღმსარებლობა, დასაბამს ჯერ კიდევ მოციქულთა ხანიდან იღებს. ტერმინი მ. საეკლ. შინაარსით II ს-იდან გვხვდება აპოლოგეტ მამათა თხზულებებში (კერძოდ, კლიმენტი ალექსანდრიელთან, სტრომატები, 1,9). მისი მნიშვნელობა, როგორც ტერმინისა, მყარდება ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში“: იგი ახსენებს II ს. ერთ-ერთი აპოლოგეტი მოღვაწის – კოდრატეს ნაშრომს, „საიდანაც შესაძლებელია, შევიცნოთ ამ ადამიანის (ანუ კოდრატეს) გონებისა და სამოციქულო მართლმადიდებლობის ნათელი მტკიცებულება“. სახელგანთქმულ მოღვაწეთა (ჰეგესიპე, დიონისე, პიტინუსი, ფილიპე, აპოლინარი, მელიტონი, მუსანიოსი, მოდესტოსი, ირინეოსი) ხსენებისას კი შენიშნავს, რომ „მათი სამოციქულო გადმოცემის საღი სარწმუნოების მართმადიდებლობამ წერილობითი სახით ჩვენამდეც მოაღწია“. მართლმადიდებლებად იწოდებოდნენ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლ. კრებაზე (325) მიღებული სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) მომხრეები. გამოყენების თვალსაზრისით, ტერმინი მ. ფართოდ გავრცელდა იუსტინიანეს იმპერატორობის დროიდან (527–565), როდესაც მას უკვე ჰქონდა მიღებული თანამედროვე საეკლ. მნიშვნელობა.

ტერმინი მ. გვხვდება ძვ. ქართულ ძეგლებში უძველეს იადგარში (VII–VIII სს): „სოფელი განანათლეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოებითა“; სინურ მრავალთავში (IX ს.): „დედისა ჩუენისა მოძღურებასა შეუდგეთ, რომელ არს მართლმადიდებელი წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ“.

ქართ. საეკლ. მწერლობაში VI–VII სს-იდან უნდა დამკვიდრებულიყო ტერმინი მ., რ-იც ოდნავ განსხვავებული ფორმითაც გვხვდებოდა: „მართლდიდებაჲ“, „მართლიადდიდებაჲ“.

ბერძნული ტერმინი ორთოდოქსია VII–VIII სს-მდე ითარგმნებოდა, როგორც „მართლდიდებაჲ“ ხოლო VII–VIII სს-იდან საბოლოოდ მკვიდრდება ფორმა „მართლმადიდებლობაჲ“.

საგულისხმოა, რომ XII ს. გელათურ სკოლაში ტერმინი ორთოდოქსია ითარგმნა, აგრეთვე, როგორც ,,მართლმთნებელობაჲ‘‘, გამომდინარე იქიდან, რომ ცალკე აღებულ ,,დოქსას‘‘ ამ სკოლის მოღვაწეებმა შეუფარდეს ტერმინი ,,თნებაჲ‘‘.

მსოფლიოში ამჟამად არის რამდენიმე ადგილობრივი (ავტოკეფალიური) მართლმადიდებელი ეკლესია: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს (იხ. *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია*), სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანეთის, პოლონეთის, ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის, ამერიკისა და კანადის. არსებობს ასევე ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიები: ფინეთის, იაპონიის, სინას მთისა და რაითისა.

ლიტ.: ევსები კესარიელი, საეკლესიო ისტორია, თბ., 2007; სინური მრავალთავი, თბ., 1959; უძველესი იადგარი, თბ., 1980; ჭ ე ლ ი ძ ე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 2022; The Patristic Greec Lexicon, Edited By G.W.H. Lampe, D.D. Oxford At The Clarendon Press, 1961.

გ. თოდუა.

მართლმსაჯულება, სამართლის ქართულენოვანი ტერმინი. სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა. ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მ. ხელისუფლების ერთერთ ფორმას წარმოადგენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად. მ-ის სიმბოლოდ უძველესი დროიდან სასწორი იყო მიჩნეული.

მ. საქართველოში ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ, რ-იც შედგება სამი ინსტანციის სასამართლოსგან: პირველი ინსტანციის შემადგენლობაშია რ-ული (საქალაქო) სასამართლოები, რ-თა შემადგენლობაში შედიან მაგისტრატი მოსამართლეებიც; სააპელაციო სასამართლოებია თბილ. და ქუთ. სააპელაციო სასამართლოები; საკასაციო სასამართლოა საქართვ. უზენაესი სასამართლო.

მ-ს ახორციელებენ მხოლოდ პროფესიონალი მოსამართლეები



ი. გ. მარი.



ი. ნ. მარი.

– საქართვ. ქმედუნარიანი მოქალაქეები 30 წლის ასაკიდან, რ-თაც აქვთ უმაღლ. იურიდ. განათლება, აქვთ სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობენ სახელმწ. ენას, ჩაბარებული აქვთ მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვთ იუსტიციის უმაღლ. სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილი არიან იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესების გადაწყვეტილებას იღებს საქართვ. იუსტიციის უმაღლ. საბჭო, საქართვ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს კი ირჩევს საქართვ. პარლამენტი საქართვ. იუსტიციის უმაღლ. საბჭოს წარდგინებით. საქართვ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევი პირი თავისუფლდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან.

მ-ის პროცესში, სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეზე, ასევე, შეიძლება მონაწილეობდნენ ნაფიცი მსაჯულები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება სხვადასხვა პროფესიის 6-იდან 12-მდე ნაფიცი მსაჯულისგან, რებიც საქმეზე იღებენ საბოლოო ვერდიქტს: გამამართლებელს ან გამამტყუნებელს. ნაფიცი მსაჯულების მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადების შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის გათვალისწინებით კი – სასჯელს კანონის შესაბამისად.

ი. უჯმაჯურიძე.

მართოთი, მ ა რ ტ ო ტ ბ ა, ტბა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის თხემზე, საქართ-



მართოთის ტბა.

ველო–რუსეთის სასაზღვრო ზოლთან. ზ. დ. 2650 *მ.* ტბის ქვაბული მყინვარული წარმოშობისაა. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ტბის სამხრ. ნაპირიდან გამოედინება მდ. კაბალი (ალაზნის მარცხ. შენაკადი). ტბის წყალი სუფთა და გამჭვირვალეა. მისი შემოგარენი დაფარულია ალპ. მდელოთი.

მარი ივანე (კაკო) გიორგის ძე (2. XII. 1902, დაბლაციხე, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 17. IX. 1990, თბილისი), სპორტსმენი (მთამსვლელი), მთამსვლელობის ორგანიზატორი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1952). სამხედრო ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მ. იყო ა. ჯაფარიძის სახ. საქართვ. ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936) და თავ-რე (1940–43), საქართვ. სამთო-სამაშველო სამსახურის უფროსი მთამსვლელობის უფრ. ინსტრუქტორი, საკვალიფიკაციო კომისიის თავრე, საქართვ. გეოგრ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი, სსრკ გეოგრ. საზბის საპატიო წევრი (1985). იყო ალპინისტურ კლუბ „წეის“ დირექტორი (1938–39). მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ასვლა მყინვარწვერზე ახალი, სამხრ.-აღმ. გზით (1932), ასევე ნამყვამწურუნგალა-აილამისა (1947) და შხელდა-უშბის (1950) ტრავერსები, სასიმაღლო-სპორტ. ასვლები პამირში (1962) და სხვ.

მარი იური (გიორგი) ნიკოლოზის ძე (7(19). I. 1893, სანქტ-პეტერბურგი, – 1. XII. 1935, აბასთუმანი, დაკრძალულია თბილისში), ენათმეცნიერი, ირანისტი, პროფესორი (1934), აკად. ნ. *მარის* შვილი. 1913 ჩაირიცხა სანქტ-პეტერბურგის უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტზე თავდაპირველად არაბ., შემდეგ სპარს. ფილოლ. განხრით. უნ-ტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მასწავლებლად იყო მამისეულ სოფ. ბუკისციხეში. 1919–21 თანამშრომლობდა თბილ. უნ-ტის ბ-კასთან. 1922 დაბრუნდა პეტროგრადში და აქტიურად ჩაება ირანისტიკის დაფუძნების საქმიანობაში. 1925 ორი წლით მივლინებული იყო ირანში, სადაც აგროვებდა ფოლკლორულ და ეთნოგრ. მასალას. 1929-იდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. ლექციებს კითხულობდა თსუ-ში, შემდეგ დასახლდა აბასთუმანში. მ-მა დააარსა სერიები: ,,ხაკანი – ნიზამი – რუსთაველი‘‘, ,,სპარსულ-ქართული ცდანი‘‘, შეადგინა ,,დოკუმენტირებული სპარსულ-რუსული ლექსიკონი‘‘, იკვლევდა კლასიკური და თანამედროვე სპარს. ლიტ-რის, ენის, ფოლკლორისა და ეთნოგრ. საკითხებს. 1934 მონაწილეობა მიიღო თეირანში გამართულ ფირდოუსის საიუბილეო კონგრესის მუშაობაში.

თხზ.: Хакани–Низами–Руставели, [т.] 1–2, М.-Л., Тб., 1935–66 (თანაავტ. К. И. Чайкин); Статьи, сообщения и резюме докладов, I, М.-Л., 1936; Статьи и сообщения, II, М.-Л., 1939 (ი. მეგრელიძის რედ. წინასიტყვ. და ბიბლიოგრ.); Материалы для персидско-русского словаря, Тб., 1974; Письма о персидской литературе, Тб., 1976 (თანაავტ. К. И. Чайкин).

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., იური (გიორგი) ნიკოლოზის ძე მარი, ,,მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია‘‘, 1973, №4; შ ა რ ა ძ ე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 6, თბ., 2005.

ა. გვახარია.

მარი ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე [25. XII. 1864 (6. I. 1865), ქუთაისი, – 20. XII. 1934, ლენინგრადი], ენათმეცნიერი, ფილოლოგი, პოლიგლოტი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. რუსეთის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1912). მ-ის მამა შოტლანდიელი იყო (ქუთაისის ბოტან. ბაღის დამაარსებელი), დედა – აღათი მაღულარია. 1884 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია, 1890 – პეტერბურგის უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტი. 1891–1900 იყო ამავე უნ-ტის პრივატ-დოცენტი. 1894–96 მუშაობდა სტრასბურგის უნ-ტის, ვატიკანისა და რომის ბ-კებში ქართ. ხელნაწერთა შესასწავლად. 1898 ნ. კონდაკოვის ექსპედიციასთან ერთად გაემგზავრა ათონის მთაზე, 1902 – სინას მთაზე ი. ჯავახიშვილთან და ბიზანტინოლოგ ი. ვასილევთან ერთად. 1913-იდან იყო პეტერბურგის უნ-ტის აღმოსავლურ ენათა ფაკ-ტის დეკანი, 1924–30 – ლენინგრადის საჯარო ბ-კის დირექტორი, 1930-იდან – სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი.

მ. იკვლევდა ქართულ ენას (ქართველურ ენებს) და მის ნათესაობას სხვა ენებთან. წამოაყენა ჰიპოთეზა (1888–1916), რომ ქართ. ენა ენათესავება სემიტურს და ქართველურ ენებს *იაფეტური ენები* უწოდა (ბიბლიური ნოეს შვილის – იაფეტის სახელიდან). ამ მიმართულებით კვლევამ იგი საბოლოოდ მიიყვანა ენათა ნათესაობის უარყოფამდე და ერთიანი გლოტგონიური თეორიის შექმნამდე, რაც მკაცრად

იქნა გაკრიტიკებული (იხ. *იაფეტური თეორია*).

მ-ს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართ. და სომხ. ფილოლ. განვითარებაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში. გამოაქვეყნა (რუს. ენაზე) ,,ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები'' (1908), ,,ჭანურის გრამატიკა'' (1910), ,,ძველი ქართული სალიტერატურო ენა'' (1925), ,,ქართული ენა'' (ფრანგულად, მ. ბრიერთან ერთად, 1931), საყურადღებო წერილები სვანური ენის შესახებ. მოგვცა მრავალი ანგარიშგასაწევი ეტიმოლოგია ქართველურ ენათა მასალაზე. მთის კავკასიური ენებიდან მ-მა დიდი ყურადღება დაუთმო აფხაზურს და მას რამდენიმე გამოკვლევაც უძღვნა. მნიშვნელობა არ დაუკარგავს მ-ის წერილებს სომხურის, როგორც ,,ნარევი ენის'' შესახებ (1911–19). 1921 პეტროგრადში დააარსა ,,იაფეტიდოლოგიური (1922-იდან – ,,იაფეტური'') ინსტიტუტი'', რ-იც 1933 შეცვალა ,,ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა''. მ-ის ინიციატივით შეიქმნა შემდეგი სამეცნ. სერიები: „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, 1900–13; „Материалы по яфетическому языкознанию“ 1922–29, „Яфетический сборник“, 1922–32; „Язык и мышление“, 1933–49; „Христианский Восток“, 1912–22, „Bibliotheca Armeno-Georgica“, ,,Monumenta Hagiographica Georgica“ და სხვ.

მ-მა დიდი ამაგი დასდო ქართ. სას. და საერო მწერლობისა და კულტ. საკითხების შესწავლას ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევებით. მან ძვ. ხელნაწერების მიხედვით, სათანადო მეცნ. კომენტარებით, ლექსიკონითა და რუს. თარგმანითურთ გამოსცა ,,პეტრე იბერის ცხოვრება'' (1896), იპოლიტე რომაელის ,,თარგმანება ქებათა-ქებათა'' (1901), ბასილი კესარიელის ,,ფიზიოლოგი'' (1904), ანტიოქე სტრატიგის ,,იერუსალიმის წარტყვევნის'' არაბ. ტექსტის ქართ. თარგმანი (1909). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სინას მთასა და იერუსალიმში ექსპედიციის დროს ქართ. ჰაგიოგრაფიის ბრწყინვალე ძეგლის – გიორგი მერჩულის ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების'' აღმოჩენა, რ-იც რუს. თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევით გამოსცა 1911. იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით მ-მა საფუძველი ჩაუყარა ქართ. საზ. და ფილოს. აზრის განვითარების ისტ. შესწავლას.

მ-მა გამოკვლევები უძღვნა ქართ. კლასიკური საერო მწერლობის ძეგლებს: პირველმა გამოსცა გამოკვლევითა და კომენტარებითურთ ,,აბდულმესიანი'' და ,,თამარიანი'' (,,ძველი ქართველი მეხოტბენი'', რუს. ენაზე, 1902). გააშუქა ,,ამირანდარეჯანიანთან'', ,,ვისრამიანთან'', ,,შაჰნამესთან'', ,,რუსუდანიანთან'' დაკავშირებული ქართ.-სპარს. და ქართ.-არაბ. ლიტ. ურთიერთობათა საკითხები. მ-მა საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნ. დისციპლინას, განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის საკითხების, რუსთაველის იდეოლოგიისა და მისი ეპოქის შესწავლას, გამოსცა პოემის პროლოგისა და ეპილოგის ტექსტები («შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' შესავალი და დასკვნითი სტროფები», რუს. ენაზე, 1910) სათანადო გამოკვლევითა და რუს. თარგმანითურთ; მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი რუსთაველის ეპოქისა და კულტურული გარემოს შესახებ – ,,ვეფხისტყაოსანი და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა'' (1917).

დიდია მ-ის დამსახურება საქართვ. ისტ. მეცნიერულ შესწავლაშიც. ფეოდალური ხანის ცალკეულ გაურკვეველ პრობლემათა გაშუქების გარდა (ტაოკლარჯეთის ისტ. საკითხები, ანისში აღმოჩენილი ეტიფანე ქართლის კათოლიკოსის წარწერის ანალიზი და სხვ.) მას ეკუთვნის ,,საქართველოს ისტორია'' (პეტერბურგი, 1906) რუს. ენაზე, რ-შიც გადმოცემულია ქართვ. ხალხის ისტორია ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლ. დასასრულიდან; განხილულია ქართ. კულტ. ისტ. საკითხები (დამწერლობის, ქრისტიანობის წარმოშობა, ლიტ. ისტორია და სხვ.); ყურადღება ექცევა ქართვ. ხალხის ეთნოგენეზის პრობლემასაც. საქართვ.-კავკ. უძველესი ხანის ისტორია ერთ მთლიანობაშია გადაწყვეტილი (ქართ.-კავკ. ტომთა მცირე აზიიდან მიგრაციის, ქართველ-ურარტუელ ტომთა ნათესაობის, ქართ.-ბასკური პარალელების საკითხები და სხვ.).

მ-ის მეცნ. მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს არქეოლოგიასაც. მის მიერ ჩატარებულ გათხრებს ანისში (1892-იდან) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკ. სომხ. ქ-ებისა და კულტ. ისტორიის შესწავლისათვის. 1893 დაიწყო ვორნაკის სამაროვანის გათხრა. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გათხრები ვანის ტბის (თურქეთი) სამხრ. სანაპიროზე 1916. აქ მ-მა გაშიფრა ი. ორბელის მიერ აღმოჩენილი ურარტუს მეფის სარდურ II-ის (760–730) ცნობილი სოლისებრი წარწერა, რ-ის ერთ-ერთ მუხლში მოხსენიებული იყო კულხას (კოლხას) ქვეყანა.

თხზ.: შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათ., 2012; Автобиография академика Н. Я. Марра, написанная специально для „Огонька“, „Огонек“, 1927, №27; Избранные работы, т. 1–5, М.-Л., 1933–1937; Ани. Книжная история города и раскопки на месте городища, Л.-М., 1934; Об истоках творчества Руставели и его поэме. Подготовка сборника к печати, ред. текста, коммент. и примечания И. В. Мегрелидзе, Тб., 1964; Вопросы „Вепхисткаосани“ и „Висрамиани“. Подготовка сборника к печати, исследование, коммент. и примеч. И. В. Мегрелидзе, Тб., 1966.

ლიტ.: ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 5, თბ., 1971; ბერიძე ვ., რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961; ბოლქვაძე თ., საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი თბ., 2018; მეტრეველი რ., მსოფლიო მეცნიერი ქართული სახლიდან, თბ., 2016; ნადარეიშვილი გ., ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბ., 1989; ონიანი გ., სტალინი და ნიკო მარი, ,,ვეფხისტყაოსნის'' სვანურად თარგმნის ზოგიერთი საკითხისათვის, ნ. მარის მოგზაურობა სვანეთში, 1911–12, თბ., 2017; ორი სურათი ანისში. წმიდა ნინო და თამარ მეფე, ,,ცნობის ფურცელი'', 1905, №2884; შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., ნიკო მარი და ქართულ-კავკასიური ეთნოლოგიის პრობლემები, წგ.: საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, I, ბათ., 2009; ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; ძიძიგური შ., ნიკო მარი – ქართული კულტურის მკვლევარი, თბ., 1965; Абаев В. И., Н. Я. Марр (1864–1934). К 25-летию со дня смерти, „Вопросы языкознания“, 1960, №1.

ა. ბარამიძე.
გ. იმედაშვილი.
თ. უთურგაიძე.
თ. შარაშენიძე.



ნ. მარი.

მარიალისა, იხ. *ივნისი.*

მარიამ ბატონიშვილი [1755 ან 1758, თბილისი, – 3 (სხვა ცნობით 8). XI. 1829, ქარელი], პოეტი. ერეკლე II-ის ასული, თბილისის მოურავის დ. ციციშვილის მეუღლე. ლექსებს ახალგაზრდობიდან წერდა, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ ხუთი ლექსია მოღწეული. მ. ბ-ის პოეზიაში ,,სოფლისადმი მდურვის'' ტრადიციულ მოტივებს ერწყმის ,,დიდებული სამშობლოსა'' და ,,წალკოტი აღყვავებულის'' დაცემით (იგულისხმება ქართლ-კახე-



მარიამ დედოფალი (ციციშვილი).



მარიამ დედოფალი კასტელის ალბომიდან. XVII ს.

თის სამეფოს დამხობა) გამოწვეული გულისტკივილი და ნაღველი. ხშირია მის ლექსებში მეტაფორა ,,ჩრდილოეთი'', რ-იც რუსეთსა და მის პოლიტიკას გამოხატავს. მ. ბ-ის ლექსები პოპულარული იყო 1832 შეთქმულების მონაწილეთა შორის.

მ. ბ. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

მარიამი (დაახლ. 1050–1118, თრაკია), ბიზანტიის დედოფალი 1071–81, საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა და ბორენა დედოფლის ასული. საქართველოში სახელად ერქვა მართა. 1056 ბიზანტიის დედოფალმა თეოდორამ მართა კონსტანტინოპოლში მიიწვია შვილად აღსაზრდელად, მაგრამ თეოდორა იმავე წელს გარდაიცვალა და მართა საქართველოში დაბრუნდა. 1065 დაქორწინდა იმპ. კონსტანტინე X დუკას ვაჟზე – მიხეილზე (შემდგომში იმპ. მიხეილ VII). 1078 ბიზანტიის სამეფო კარზე გადატრიალების შედეგად ტახტზე ავიდა ნიკიფორე III ბოტანიატე. მ. ცოლად გაჰყვა ახალ იმპერატორს იმ პირობით, რომ მ-ის ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი ტახტის მემკვიდრედ გამოცხადდებოდა. იმპერატორმა მალე აზრი შეიცვალა, ამიტომ მ-მა მხარი დაუჭირა ბოტანიატეს წინააღმდეგ შეთქმულებას, რ-საც ძმები ალექსი და ისააკ კომნენოსები ხელმძღვანელობდნენ. 1081 იმპ. ალექსი კომნენოსმა, მ-თან წინასწარ დადებული პირობის თანახმად, კონსტანტინე ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ 1092 პირობა დაარღვია და მ. იძულებული გახდა მონაზვნად აღკვეცილიყო. იგი მაინც განაგრძობდა ბრძოლას შვილისათვის ბიზანტიის ტახტის მოსაპოვებლად. 1094 მონაწილეობა მიიღო ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ შეთქმულებაში. 1096 გარდაიცვალა კონსტანტინე პორფიროგენეტი და მ-მაც თავი დაანება პოლიტ. ბრძოლას.

იშვიათი სილამაზის მ. ღრმად განსწავლული ქალი იყო. მასთან მიმოწერა ჰქონდა ცნობილ ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს თეოფილაქტე ბულგარელს, რ-მაც მ-ის შთაგონებით დაწერა ნაშრომი ,,იოანეს სახარების განმარტება''. მასვე დააწერინა მ-მა ტრაქტატი კონსტანტინე პორფიროგენეტის აღსაზრდელად. მისი შეკვეთით იწერებოდა ხელნაწერები სხვადასხვა ქართ. მონასტრისათვის. იგი მფარველობდა ქართ. ბერებსა და ქართ. მონასტრებს ბიზანტიაში, გაათავისუფლა ათონის ივერთა მონასტერი გადასახადებისაგან და შესწირა მას ადგილ-მამული. მ-მა დედასთან – ბორენა დედოფალთან – ერთად აღადგინა *კაპათას* მონასტერი იერუსალიმში.

წყარო: გიორგი მცირე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ანნა კომნენე, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966; იოანე ზონარა, იქვე; გიორგი კედრენე, იქვე, ტ. 5, თბ., 1963; ნიკიფორე ვრიენიოსი, იქვე.

მ. ბერძნიშვილი.

მარიამი, საქართველოს დედოფალი XI ს-ში, საქართველოს მეფის *გიორგი I-ის* მეუღლე, ვასპურაკანის მეფის სენაქერიმ II-ის ასული, ბაგრატ IV-ის დედა. მ. მცირეწლოვანი ბაგრატის მეფობის დროს აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. შეეცადა ბოლო მოეღო დაუცხრომელი შინაფეოდალური ბრძოლებისათვის, რითაც სარგებლობდა ბიზანტია და ცდილობდა მიწები წაეგლიჯა საქართველოსათვის. 1030 კონსტანტინოპოლში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა იმპ. რომანოზ III არგირუსთან. იმპერატორმა მას აღუთქვა საქართველოში მშვიდობის დამყარება, ბაგრატ IV-ს უბოძა კურაპალატის წოდება და თავისი ძმის, ბასილის, ქალი ელენე მიათხოვა. მ. 1031–32 შეეცადა შემოერიგებინა ბაგრატ IV-ის ნახევარძმა დემეტრე, რ-ის გამეფება სურდათ მეფის მოწინააღმდეგე დიდ აზნაურებს. 1045 უმეფოდ დარჩენილი ანისი ქალაქის ბერებმა ბაგრატ IV-სა და მ-ს გადასცეს. მ-მა ანისში ერისთავი აბუსერი დააყენა გამგებლად. 1052 ბიზანტიაში გაჰყვა თავის შვილს, ბაგრატ IV-ს, რ-იც *ლიპარიტ IV-მ* შეავიწროვა. მ. კონსტანტინოპოლში ყოფნისას დიდ დახმარებას უწევდა ათონის ივერთა მონასტერს; იგი განსაკუთრებული ღვაწლისათვის მონასტრის აღაპებში გათანაბრებულია ათონის ივერთა მონასტრის მაშენებლებთან.

ბიზანტიაში ყოფნისას მ. დაემოწაფა გიორგი მთაწმიდელს, რ-მაც იგი მონაზვნად აღკვეცა. მ-ის დახმარებით გიორგი მთაწმიდელმა იმპერატორისაგან მიიღო შავ მთასა და იერუსალიმში წასვლის ნებართვა. მ-მა მას გაატანა მდიდრული შესაწირავი, რ-იც იერუსალიმის მონასტრის წინამძღვარმა პროხორემ ჯვრის მონასტრის აგებას მოახმარა. 1057 მ. საქართველოში დაბრუნდა. იგი ფიქრობდა ქვეყნის კულტურის აღორძინებაზე, გიორგი მთაწმიდელს იწვევდა საქართველოში საეკლ. საქმეების მოსაწესრიგებლად. მ. ცოცხალი იყო ბაგრატ IV-ის გარდაცვალების (1072) შემდეგაც. 1104 რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში იგი მიცვალებულად იხსენიება.

წყარო: გიორგი მცირე, ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: სამუშია ჯ., ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი, ,,თსუ საქართველოს ისტორიის ინ-ტის შრომები'', 2011, [ტ.] 2; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

მ. ბერძნიშვილი.

მარიამი (XVI–XVII სს. მიჯნა, – 1682), ქართლის დედოფალი. ოდიშის მთავრის, მანუჩარ I დადიანის ასული. 1621 მისთხოვდა მამია II გურიელის ძეს სვიმონს. როცა ამ უკანასკნელმა მამია გურიელი მოკლა (1625), ლევან II-მ (მ-ის ძმა) წაართვა მას მ. და თავის შვილთან (ოტია) ერთად დადიანის სასახლეში წამოიყვანა. 1634 ირანის შაჰის თანხმობით მ. შეირთო ქართლის მეფე როსტომმა. ეს აქტი მიმართული იყო თეიმურაზ I-ისა და იმერეთის მეფის გიორგი III-ის წინააღმდეგ. როსტომის გარდაცვალების (1658) შემდეგ შაჰის ბრძანებით მიათხოვეს ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (შაჰნავაზ I). მ. ზრუნავდა მტრების შემოსევების დროს დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-შეკეთებასა და შემკობაზე: ხელახლა ააშენა ბოლნისის ეკლესია, განაახლა რუისის ეკლესია და სხვ. აგროვებდა და ამკობდა ქართულ ხელნაწერებს, თავისი ხარჯით ყიდულობდა მტრების მიერ მიტაცებულ ხელნაწერ წიგნებს. მ-ის თაოსნობით 1633–46 გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ კრებული (იხ. *მარიამისეული ,,ქართლის ცხოვრება''*).

წყარო გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ,,საიტორიო მოამბე'', 1925, [ტ.] 2; ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; ჯავახიშვილი ივ. (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 4), თბ., 1996.

ვ. გუჩუა.

მარიამი (9. IV. 1768, თბილისი, – 30. III. 1850, მოსკოვი), ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი დედოფალი. გიორგი XII-ის მეორე მეუღლე, გვარად ციციშვილი. გიორგი ბატონიშვილი მ-ზე 1782 დაქორწინდა. ჰყავდათ შვილები: მიხეილი (1783–1862), გაბრიელი (1788–1812), თამარი (1789–1851), ანა (1789–96), ელიზბარი (1790–1854), იოსები (გ. 1798-ის შემდეგ), სპირიდონი (გ. 1798-ის შემდეგ), ოქროპირი (1795–1857), სვიმონი (1797 – გ. ბავშვობაში), ერეკლე (1797–1859), ანა (1800–50). გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის მთავრობამ დედოფლისა და ბატონიშვილების რუსეთში გადასახლების გადაწყვეტილება მიიღო. მ-მა 1802 წ. 10 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრს, გრაფ ვ. *კოჩუბეის* თხოვნის წერილი გაუგზავნა, რათა არ გადაესახლებინათ ან სამი წლით გადაედოთ გადასახლება, თუმცა თხოვნა უპასუხოდ დარჩა.

1803 წ. 19 აპრილს დილით გენ. ი. *ლაზარევი* ოფიცრებისა და კაზაკთა რაზმის თანხლებით დედოფლის სასახლეში მივიდა და დედოფალს მოახსენა ციციანოვის განკარგულება მ-ისა და მისი შვილების რუსეთში სასწრაფოდ გამგზავრების შესახებ. დედოფალმა დრო ითხოვა. ლაზარევმა ძალის გამოყენება მოინდომა. დაპირისპირებისას, რ-შიც ბატონიშვილებიც მონაწილეობდნენ, დედოფალი დაიჭრა, ხოლო ლაზარევი მოკლეს. არსებობს მისი მკვლელობის ვერსიები – ერთი, რომ იგი თავად დედოფალმა მოკლა ხანჯლით და მეორე, ლაზარევი მოკლა დედოფლის მცველმა, თავადმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა.

1803 წ. 3 ივნისს მ. შვილებთან ერთად რუსეთში გადაასახლეს. იგი, როგორც პატიმარი, კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში იმყოფებოდა. 1811 მოსკოვში გადასვლის ნება მისცეს, სადაც დაეწინა სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან შედარებით უფრო მცირე პენსია. მ. საქართველოში დაბრუნებას ითხოვდა, იმპერატორის ნებართვა 1849 აგვისტოში მიიღო, თუმცა დედოფალი მოსკოვში 1850 წ. 30 მარტს გარდაიცვალა. მ. 1850 წ. 17 ივნისს ჩამოასვენეს საქართველოში და მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში გიორგი XII-ის გვერდით დაკრძალეს.

წყარო: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წგ.: 2, თბ., 1983; ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, წგ.: ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, ტ. 3, თბ., 1981.

ლიტ.: აბდალაძე გ., უკანასკნელი დედოფალი საქართველოში, წგ.: თაყვანსაცემი მანდილოსნები, თბ., 2009; იოსელიანი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, თბ., 1978; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, *„ქართლის ცხოვრების“* ნუსხა, გადაწერილი 1633–46 ქართლის მეფის როსტომის (1632–58) მეუღლის *მარიამის* ბრძანებით, რის გამოც მას მარიამისეული ეწოდა. მ. „ძ. ც.“ დღემდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძვირფასესია. შეიცავს 932 გვერდს. დაწერილია მოსქო თეთრ ქაღალდზე ლამაზი მხედრულით და ჩასმულია ტყავგადაკრულ ხის ყდაში.

ხელნაწერი აღმოაჩინა დ. *ბაქრაძემ* 1884. მანვე დაიწყო მ. „ძ. ც-ის“ მეცნიერული შესწავლა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომიც მიუძღვნა. შემდეგ ხელნაწერი შესწორა ახალდაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას. ამჟამად ინახება საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში. მ. „ძ. ც.“ შეიცავს სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, რაც „ქართლის ცხოვრების“ არცერთ მანამდე ცნობილ ნუსხაში არ მოიპოვებოდა და თამარ მეფის ისტორიას – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მ. „ძ. ც-ში“ საქართველოს ისტორია გადმოცემულია XIV ს-მდე (გარდა ზემოთ დასახელებული ისტორიული ნაშრომებისა, მასში შედის ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებანი, „მატიანე ქართლისა“, დავით აღმაშენებლის ისტორია, ჟამთააღმწერლის თხზულება და სხვ.).

პუბლ.: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული [ვარიანტი], ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906.

ლიტ.: მეტრეველი რ., „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები, კრ.: ნარკვევები, თბ., 2009, ტ. 2; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

რ. მეტრეველი.

მარიამის უწყებათა სასწავლებლები, იხ. *დედოფალ მარიამის დაწესებულებათა უწყება.*

მარიამისწყალი მდინარე ჯვავის მუნიციპალიტეტში, მდ. ქეშელთის (მდ. ფაწის მარცხ. შენაკადი) მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს დვალეთის ქედის სამხრ. კალთებიდან. ხეობას ეტყობა ძველი მყინვარების მექან. მუშაობის კვალი ტროგული ფორმისა და მორენული დანაგროვების სახით, რ-იც სოფ. დუოდონასტომდე აღწევს.

მარიამ მაგდალინას სამლოცველო იერუსალიმში, XV–XVI სს. გარკვეული პერიოდი ქართველებს ეკუთვნოდა.

მარიამ-მაკრინა (დაახლ. 1696–98, – 1744 შემდეგ), პოეტი. ერეკლე I-ის (ნაზარ-ალი-ხანი) ასული, ედიშერ ჩოლოყაშვილის მეუღლე. მალე დაქვრივდა. 1716-იდან მონაზვნად აღიკვეცა და მაკრინად იწოდა. მოღვაწეობდა ალავერდის კათედრალთან წმ. ნიკოლოზის ტაძარში. მ.-მ. დაახლოებული იყო კახეთის სამეფო კართან. ძმების – კახეთის მეფეების – დავალებით შეუდგენია სამეფო დოკუმენტები (მაგ.: ე. წ. „ღვთაების გუჯარი“ და სხვ.), რ-ებიც თავისი მხატვრულობით გამოირჩევა სხვა ანალოგიური საბუთებისაგან. მ-მ-ს ლიტ. მემკვიდრეობიდან ცნობილია იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი 2 ჰიმნოგრაფიული კანონი, ამავე წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აკროსტიქული შესხმა.

თხზ.: [წიგნში] ასათიანი ლ., ძველი საქართველოს პოეტი ქალები, [თბ.], 1936.

ლიტ.: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 4, თბ., 1957; ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, კრ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, [ტ.] 2, თბ., 1973; ცინცაბაძე მ., ქართველი ჰიმნოგრაფი ქალი, „მაყვლოვანი“, 2011, №4.

მ. ქავთარია.

მარიამობა, იხ. *ღვთისმშობლის მიძინება.*

მარიამობისთვე, იხ. *აგვისტო.*

მარიამსაკმელა (Peganum), მცენარეთა გვარი ორყურასებრთა ოჯახისა. ზოგიერთი ეკუთვნის მარიამსაკმელასებრთა (Peganaceae) ოჯახს. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია. აქვთ აღმავალი ან წამოწეული მრავალი ღერო, ხაზურად განკვეთილი ფოთლები, ყვითელი ყვავილები, სამსაგდულიანი და მრავალთესლიანი კოლოფი (ნაყოფი).

გვარი აერთიანებს 6 სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიის სამხრ. ნაწილსა და მექსიკის ზეგანზე. საქართველოში ერთი სახეობაა – P. harmala; იზრდება მშრალ და დამლაშებულ ადგილებზე – ველებზე, ნახევრად უდაბნოებსა და უდაბნოებში, ზოგჯერ რუდერალურ ადგილსამყოფელზეც.



მარიამსაკმელა.

მისი თესლიდან იღებდნენ მოწითალო-მოვარდისფრო საღებავს შალეულისა და აბრეშუმის ქსოვილებისათვის.

ლ. ხინთიბიძე.

მარიამ ღვთისმშობელი, იხ. *ღვთისმშობელი.*

მარიამწმინდა, მთა აღმ. კავკასიონის მთავარ ქედზე, დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდ-ების – ფშავის არაგვისა და ანდაქისწყლის სათავეებში. ზ. დ. 3094 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები ციცაბოა და შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

დ. უკლება.

მარიამწმინდის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის (სამცხე-ჯავახეთის მხარე) სოფ. ქვაბისხევის ჩრდ.-დას-ით, ორიოდე *კმ*-ზე, მდ. ქვაბისხევის მარცხ. ნაპირზე, მაღალი კლდის თავზე, რ-ის ფართობი ოდნავ აღემატება თავად ეკლესიის ზომებს.

ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა (10,0 *მ* × 8,8 *მ*). თარიღდება VIII–IX სს-ით. არქიტექტურული ფორმებით იგი სამნავიანია, თუმცა იმდენად მოკლეა, რომ შიგა სივრცის აგებულებით ამ ტიპის ნაგებობებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შუა ნავის ფართობია (საკურთხევლის ჩათვლით) დაახლ. 30 $მ^2$, ხოლო თითოეული გვერდითი ნავის სიგანე – 1,2 *მ.* ეკლესიის გვერდითი ნავები მთავარი ნავისგან განცალკევებულია თაღების წყვილით, რ-ებიც მთავარი ნავის მხარეს ორსაფეხურიანია. თაღები ეყრდნობა მთლიანი ქვის ოთხწახნაგოვან ბოძებს (სიმაღლე 1,25 *მ*), რ-ებსაც კუთხეები ჩამოთლილი აქვთ და კვადრატული კაპიტელით არის დასრულებული. მთავარი ნავის კამარა, მცირე სიგრძის მიუხედავად, დაყრდნობილი იყო ორ საბჯენ თაღზე, თაღები კი – კონსოლებზე. მთავარი ნავი განათებულია ოთხი სარკმლით. მათგან ერთი აფსიდშია, ერთი – დას. კედელში, ხოლო ორი – სამხრ-ით. საკურთხეველი ვრცელია, გეგმით ოდნავ ნალისებრი ფორმის. აფსიდს მთელ სიგრძეზე გაუყვება დაბალი საფეხური. გვერდითი ნავები თანაბარი სიგანისაა. ჩრდ. ნავი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდში მცირე ზომის სარკმელია, მსგავსი სარკმელია ნავის დას. კედელშიც.



მარიამწმინდის ეკლესია.VIII–IX სს.

სამხრ. ნავს აღმ-იდან ეკვრის მცირე ზომის აფსიდიანი ეგვტერი, რ-იც ნავთან დაკავშირებულია დაბალი კარით. ეკვდერს სარკმელი არა აღმ-იდან, არამედ სამხრ-იდან აქვს. სამხრ. და ჩრდ. ნავი ორი სარკმლითაა განათებული – სამხრ-იდან და დას-იდან.

ეკლესია ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. კონქი, თაღები, იმპოსტები და განსაკუთრებით გამოყოფილი ადგილები გამოყვანილია სუფთად ნათალი ქვით. ეკლესიის ფასადები სადაა. გაფორმებულია მხოლოდ დას. სარკმელი, რ-იც თარაზულადაა გადახურული მოზრდილი ზომის ქვით. ქვაზე ნახევარწრიული შეღრმავებაა, დანარჩენ არეზე კი, თანაბარი ზომის სამი წრეა გამოყვანილი, რ-ებშიც (ფონის შეღრმავებით) თითო ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვრის გამოსახულებაა. კედლები დასრულებულია მაღალი ლავგარდნით. მის პროფილს შეადგენს მცირე სიმაღლის თარო და შეზნექილი ზედაპირი, რ-იც პირდაპირ უერთდება კედლის სიბრტყეს.

ეკლესიის ეგვტერში შემორჩენილია XII–XIII საუკუნეების დაზიანებული მოხატულობა. შედარებით უკეთაა შემორჩენილი ორი საერო პირის გამოსახულება, რ-ებიც ჩრდ. კედელზე, ღია ნაცრისფერ ფონზეა გამოსახული. მათგან ერთი მამაკაცია – წარწერით ,,შოთა‘‘, ხოლო მეორე (მის წინ მდგომი) ქალი – წარწერით ,,იაი‘‘ (გამოთქმულია მოსაზრება რომ მამაკაცი შოთა რუსთაველია, ქალი კი – მისი დედა). პორტრეტების თავზე, კამარის არეში ეკლესიის ორი წმ. მამის გამოსახულებაა, ხოლო მათ წინ კიდევ ერთი ფიგურაა – მთელი სიმაღლით. დანარჩენი მოხატულობა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. კონქში, მარცხნივ, იოანე ნათლისმცემელია გამოსახული, მის ქვემოთ – ეკლესიის მამა.

ბაზილიკის სამხრ. ნავზე, აღმ-იდან, მიშენებულია მცირე სათავსი (საძვალე), რ-საც შესასვლელი სამხრ-იდან აქვს.

XX ს. 80-იანი წლების ბოლოს ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია. ადრე იგი გადახურული იყო დიდი ქვის ფილებით, XXI ს. 10-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს კი თუნუქით გადახურეს.

ლიტ.: ბარამიძე ალ., ქვაბისხევის ფრესკის გარშემო, წგ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 8, თბ., 1985; ბართაია ე., ქვაბისხევის ტაძარი და მისი საიდუმლოება, ,,საბჭოთა ხელოვნება‘‘, 1987, № 8; ბერძენიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1985; მაკალათია ს., ბორჯომის ხეობა, თბ., 1957; ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები‘‘, 1948, ტ. 34; ცაიშვილი ს., შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, წგ.: ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1985; ხუჯაძე გ., ბორჯომის ხეობა, თბ., 1969; Чубинашвили Г. Н., Древняя базилика в ущелье Квабис-Хеви, მის წგ.: Вопросы истории искусства, т.1 , Тб., 1970.

თ. დვალი.

მარიამჯვარი, სოფელი კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (გიორგიწმინდის თემი), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 900 *მ,* საგარეჯოდან 7 *კმ.* 2014 მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

მ-ის მიდამოებში მდებარეობს მარიამჯვრის სახელმწ. ნაკრძალი.

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი, სახელმწიფო ნაკრძალი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ცივგომბორის ქედის სამხრ. კალთაზე, საგარეჯოს ჩრდ.-აღმ-ით, სოფ. ანთოკის ჩრდ-ით. ნაკრძალის ადმინისტრაციაში შედის: მ. ს. ნ., ყორულის აღკვეთილი და ივრის აღკვეთილი.

მ. ს. ნ-ის საერთო ფართობია 1022,5 ჰა. დაარსდა 1935 რელიქტური სოსნოვსკის ფიჭვის იშვიათი მასივის შემოსანახად. მისი ანალოგი არც საქართველოში და არც მის ფარგლებს გარეთ არ მოიპოვება. ნაკრძალის დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული. აქ ხარობს რცხილა, ჯაგრცხილა, მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, თელა. ქვეტყეში მრავალი სახეობის ბუჩქია. სოსნოვსკის ფიჭვი გავრცელებულია ზ. დ. 800–1800 *მ*-ზე. ქმნის როგორც წმინდა (კონგლომერატებზე, ნაშალებზე, რიყეებსა და გამოტანის კონუსებზე), ისე შერეულ ხევნარებს ფიჭვნარ-მუხნარის, ფიჭვნარ-რცხილნარისა და სხვათა სახით. ეხვდებით სოსნოვსკის ფიჭვის ოთხ ფორ-

მას: პირამიდულს (Pinus Sosnowsky Nakai var. pyramidalis Kurd.), კომპაქტურს (Pinus Sosnowsky Nakai var. compacta Kurd.), ოვალურს (Pinus Sosnowsky Nakai var. ovalus Kurd.) და ქოლგისებრს (Pinus Sosnowsky Nakai var. umbraculifera Kurd.).

ყორულის აღკვეთილი საქართვ. სამხრ.-აღმ. ნაწილში საგარეჯოსა (1489 ჰა) და გურჯაანის (579 ჰა) მუნიციპ-ების ტერიტორიებზე მდებარეობს. იგი განლაგებულია ივრის ხეობაში და წარმოადგენს არასწორი ფორმის ვიწრო ზოლს, რ-იც ჩრდ.-დას-იდან მიემართება სამხრ.-აღმ-ით. აღკვეთილის ადმ. შენობა მდებარეობს საგარეჯოდან 14 *კმ*-ზე.

ივრის აღკვეთილი მდებარეობს სიღნაღის მუნიციპ-ის ტერიტ-ზე. მისი ფართობია 2126,8 ჰა. იგი იწყება ყორულის აღკვეთილის



მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი.

სამხრ. საზღვართან გამავალ სარწყავ არხთან და დალის მთის წყალსაცავთან, ჭაჭუნის სახელმწ. აღკვეთილის ჩრდ. საზღვართან კი მთავრდება. აღკვეთილის ტერიტორიას ორივე მხრიდან ესაზღვრება სიღნაღის მუნიციპ-ის მიწის ფონდის სას.-სამ. სავარგულები, ძირითადად საძოვრები. აღკვეთილის ტერიტ. სიღნაღიდან დაშორებულია 30 *კმ*-ით, ხოლო თბილისიდან – 135 *კმ*-ით. ყორულისა და ივრის აღკვეთილების შექმნის მთავარი მიზანია უნიკალური ჭალის ტყეების (ყორული), ტუგაის ტიპის ტყეების (იორი) ფლორისა და ფაუნის დაცვა, მოვლა და აღწარმოება.

მარინაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (7. XI. 1915, სანქტ-პეტერბურგი, – 6. V. 1990, მოსკოვი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1962), ისტ. მეცნ. კანდიდატი (1963). რსფსრ კულტ. დამს. მუშაკი (1965). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. ბალტიისპირეთის პოლიტ. სამმართველოსა (1944) და სსრკ შეიარაღებული ძალების პოლიტ. სამმართველოს თანამშრომელი, უფროსი (1946–58).

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სხვ. სახელმწ. ჯილდოებით.

ლ. დოლიძე.

მარინეს არხი, იხ. *გარდაბნის არხი.*

მარიონეტების სახელმწიფო თეატრი, თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი. პირველი ქართული მარიონეტების თეატრი თბილისში დააარსა რ. გაბრიაძემ 1981. ეს საავტორო თეატრია, რ-იც ერთი ადამიანის შემოქმედებითი ენერგიით არის შექმნილი. მარიონეტების თეატრის მეშვეობით მან ერთ სივრცეში გააერთიანა თავისი მრავალმხრივი შემოქმედება. რ. გაბრიაძე რეჟისორი, დრამატურგი, მხატვარი და მოქანდაკე – თავად წერდა პიესებს, ქმნიდა თოჯინებს და მათ თავისი თეატრის სცენაზე აცოცხლდებდა. მისი გმირების საოცარი იუმორი, ხალასი ადამიანური სითბო და ჰუმანიზმი, დარდი თუ სიხარული მსოფლიოს ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვის მისაღები და გასაგებია, რადგან ამ თეატრის ენა უნივერსალურია. მ.ს.თ-ში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია ,,ალფრედი და ვიოლეტა'' (1982; განახლებული დადგმის რეჟ. ლ. გაბრიაძე, 2021), ,,მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი'' (1982; მხატვარი თ. მირზაშვილი; განახლდა 2015), ,,ჩემი გაზაფხულის შემოდგომა'' (1985, განახლდა 2002), ,,ტრაპეზუნდის იმპერატორის ქალიშვილი'' (1988), ,,სტალინგრადი'' (1998), ,,რამონა'' (2013) და სხვ.

მარიონეტების თეატრის შუა საუკუნეების ხელოვნებას რ. გაბრიაძემ სრულიად ახალი მნიშვნელობა მიანიჭა და ქართ. კულტურის ორგანულ ნაწილად აქცია. წლების განმავლობაში მ. ს. თ. სპექტაკლების მეშვეობით ეწევა ქართ. კულტურის პოპულარიზაციას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. თეატრმა გასტროლებით მოიარა მრავალი ქვეყანა და არაერთ საერთაშ. ფესტივალში მიიღო მონაწილეობა (ავინიონი, ედინბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ლონდონი, ჩარლსტონი, პეტერბურგი, მოსკოვი და სხვ.). შენობის ფასადზე ოქროსფერასოებიანი წარწერით გამოხატულია თეატრის შემოქმედებითი დევიზი: ,,Extra Gepam Nihil Cogito Nos Lacrimare'' (,,დაე, ცრემლები მხოლოდ ხახვის ჭრისგან გვდიოდეს''). 2010-იდან თეატრის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად იქცა რ. გაბრიაძის ესკიზების მიხედვით აგებული საათიანი კოშკი, რ-საც უამრავი მნახველი ჰყავს.

2017-იდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ლ. გაბრიაძე. 2022 წლის მდგომარეობით დასის წევრები არიან: თ. ამირაჯიბი, ა. ნიჟარაძე, ბ. გვაზავა, ი. შარაშიძე, თ. კობახიძე, ნ. გელოვანი, გ. გიორგობიანი, ნ. დემეტრაშვილი, მ. ბლიაძე.

თ. თურმანიძე.

მარიხი, პლანეტა მარსის ძვ. ქართული სახელწოდება.

მარიჯანი (ფსევდ.; ნამდვ. გვარი მარიამ მარკოზის ასული ალექ-



მარიონეტების სახელმწიფო თეატრი.



მარიჯანი.



საქართულოს პირველი რესპუბლიკა. 1919.



საქართველო, 2009.



ფიროსმანი, 2012.

სიძე, ქალიშვილობაში – ტყე-მალაძე) [12(24). VI. 1890, თბილისი, – 9. V. 1978, იქვე], პოეტი. 1918–22 სწავლობდა თსუ-ის ფილოს.-ფილოლ. ფაკ-ტზე. პირველი ლექსი ,,ტბა'' 1916 გამოაქვეყნა, პირველი კრებ. ,,ლექსები'' – 1921. მ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ნატიფი ლირიზმი, ორიგინალური თვალთახედვა. 1926 გამოვიდა მ-ის საბავშვო პოემა ,,ნელი ცირკში'', რ-მაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა პოეტის შემოქმედებითი გეზი – შემდეგ იგი, ძირითადად, საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს წერდა. მისი ნაწარმოებები მოზარდ თაობას აცნობდა ცხოვრებას, სიკეთეს, სამშობლოს სიყვარულს (მოთხრობები: ,,ზურა ატმის ქალაქში'', 1933; ,,ბედნიერი თაობა'', 1937 და სხვ.; ლექსების კრებულები: ,,ჩვენი ქვეყანა'', 1938; ,,პარაშუტი'', 1939 და სხვ.), ასახავდა მოზარდი თაობის, მოსწავლეთა ყოველდღიურობას, სწავლისა და შრომის პროცესს (ლექსთა კრებ. ,,წლიდან წლამდე'', 1955 და სხვ.; მოთხრობები: ,,მამიდა თეოს მარანში'', 1948; ,,კეთილი გულით'', 1951; ,,გელა'', 1954; ,,ჩვენი ეზოს ბავშვები'', 1958 და სხვ.). 1949 გამოვიდა მ-ის ,,ლირიკული ლექსები'', 1969 – კრებ. ,,ისევ ლექსებით''.

მ-მა თარგმნა ს. მიხალკოვის, კ. ჩუკოვსკის, მ. ალიგერის, ა. ტოლსტოის საბავშვო თხზულებები; ი. გრიშაშვილთან ერთად კი – მოლიერის ,,ტარტიუფი'', ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება'', ნ. პოგოდინის ,,თოფიანი კაცი''. მისი თარგმნილი პიესები იდგმებოდა ქართული თეატრების სცენებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1973; მამიდა თეოს მარანი, თბ., 2010.

ლიტ.: ღვინიაშვილი ა., ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა (1921–40), თბ., 1966.

ქ. ბურჯანაძე.

მარკა საფოსტო, საფოსტო უწყებების მიერ გამოშვებული საფოსტო გზავნილის მოსაკრებლის გადახდის ნიშანი. მ-ის უმრავლესობაზე დატანილია სახელმწ. ან საფოსტო ადმ. დასახელება, ნომინალური ღირებულება, სამახსოვრო და სხვა ხასიათის წარწერები. საფოსტო მიმოქცევისას მ-ზე დასვამენ შტამპს, ამის შემდეგ მისი ხელმეორედ გამოყენება დაუშვებელია.



ტფილისის უნიკა, 1857.

პირველი მ. გაჩნდა დიდ ბრიტანეთსა და მის კოლონიებში (1840), შემდეგ შემოიღეს ბრაზილიაში (1843), შვეიცარიაში (ციურიხისა და ჟენევის კანტონები, 1843), აშშ-ში (1847), საფრანგეთსა (1849) და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი მ. გამოიცა 1857. ფილატელისტურ საზ-ებში ის ცნობილია „ტფილისის უნიკას“ (Tiflis Unique) სახელწოდებით. მას აგრეთვე უწოდებენ „ტფილისის მარკას“ და „კოჯრის მარკას“, ვინაიდან ის გამოიყენებოდა თბილისსა და კოჯორს შორის საფოსტო მიმოქცევის მოსაკრებლის ნიშნად. „ტფილისის უნიკა“ ყველა ფილატელისტურ კატალოგში მოხსენიებულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ და ძვირადღირებულ მ-დ. მასზე გამოსახულია თბილისის გერბი, მის ზედა ნაწილში კი – საქართველოს მფარველად მიჩნეული ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი. აღსანიშნავია, რომ რუს. სახელმწიფო პირველ რუსულ სტანდარტულ საფოსტო მ-დ მიიჩნევს არა ,,ტფილისის უნიკას'', არამედ მოსკოვში, ექვსი თვის შემდეგ დაბეჭდილ მ-ს, რ-იც მიმოქცევაში შევიდა 1858 წ. იანვრიდან.

საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (26.V.1918) ეროვნ. ხელისუფლებამ ფინანს. და ტექ. საშუალებების სიმწირის გამო ვერ შეძლო ეროვნ. მ-ების სწრაფად გამოშვება. პირველი ქართ. მ-ის შემოღების თარიღად მიჩნეულია 1919 წ. 26 მაისი, თუმცა ბეჭდვის პროცესი ივლისამდე შეყოვნდა. სულ 1919 მიმოქცევაში შევიდა საქართვ. დემოკრ. რესპ. ხუთი სხვადასხვა ნომინალის სტანდარტული საფოსტო ქართ. მ., რ-თა ცენტრში, წრეში გამოსახულია საქართვ. დემოკრ. რესპ. გერბი – ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი შუბით ხელში. ნაპირებზე დაბეჭდილია ქვეყნის სახელწოდება – საქართველოს რესპუბლიკა, ზედა მხარეს – მისი ფრანგ. ვარიანტი – LA GEORGIE. სხვადასხვა წყაროს ცნობით, მ-ების მთლიანი ტირაჟი არ აღემატებოდა 2000-ს. მ-ების მეორე და მესამე გამოცემა განხორციელდა 1920. მეორე გამოცემაში გაჩნდა ახ. სურათი – მჯდომარე ახალგაზრდა ქალი, რ-საც მარჯვ. ხელში შუბი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – ფარი. ამ მ-ს ფილატელისტთა საზ-ბაში „თამარ მეფე“ შეარქვეს.



პირველი ქართული მარკა, 1919.

1921 წ. 27 იანვარს, გასაბჭოებამდე ერთი თვით ადრე, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ და ბელგიამ იურიდიულად აღიარეს საქართვ. დემოკრ. რესპ. დამოუკიდებლობა. მიუხედავად რთული ვითარებისა, ხელისუფლებამ მოასწრო მ-ების მესამე გამოშვების დამატებითი ტირაჟის დაბეჭდვა წარწერით – 19 27/I 21 საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა „de jure“.

ქართ. მ-ების ავტორად დ. შევარდნაძეს მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ისევე, როგორც ქართ. ბონების შექმნისას, მასთან ერთად მუშაობდნენ ი. შარლემანი და ჰ. ჰრინევსკი.



ჯვარი, VI ს. 2004.



მარკა ,,დიდი მეფეები'', 2013.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში ბრიტანულმა ადმინისტრაციამ 1919 წ. 4 აპრილს გამოუშვა ბათუმის მ-ების სერია, რ-ებზეც გამოსახული იყო პალმისებრთა ოჯახის ხე, ამიტომ ბათუმის მ-ს „პალმასაც“ უწოდებენ. 1919 წ. ნოემბერსა და 1920 წ. ივლისში ბათუმის მ-ები მეორედ და მესამედ გამოუშვეს. ყველა მათგანზე იყო ანაბეჭდი „BRITISH/OCCUPATION“.

1921 წ. თებერვალში საქართველო გამოცხადდა საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად (სსრ). იმის გამო, რომ ახ. პოლიტ. სისტემის საფოსტო მ-ები ჯერ კიდევ არ არსებობდა, საბჭ. ხელისუფლებამ მიმოქცევაში დატოვა დემოკრ. რესპ. მარკები, ანაბეჭდით: 19 25/2 21. 1922 წ. იანვარსა და თებერვალში განხორციელდა სსსრ-ის მარკების პირველი ემისია. გამოიცა სხვადასხვა ნომინაციისა და შეფერილობის ხუთი საფოსტო მარკა, რ-ებსაც ქართულად ეწერა – ერთ შემთხვევაში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, მეორე შემთხვევაში მისი აბრევიატურა – „ს.ს.ს.რ.“ მათზე გამოსახული იყო რესპუბლიკის გერბი ნამგლითა და უროთი, მთესველი, დროშის აღმართვა, მუშა და ეროვნ. ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი. 1922 წ. მარტიდან საქართვ. გაერთიანდა ამიერკავკასიის საბჭ. ფედერ. რესპების კავშირში (ა/კ სსფრ) და



Europa 2023 – მშვიდობა, კაცობრიობის უმაღლესი ღირებულება, 2023.

გარკვეული დროის განმავლობაში ბრუნვაში დარჩა ქართ. მ-ები. 1924-იდან სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა შემოიღო საერთო საკავშ. ტიპის მ-ები, რ-ებიც სსრკ-ის დაშლამდე შენარჩუნდა (1991).

1993 წ. 31 ივლისს საქართვ. კავშირგაბმულობის სამინისტრომ მინისტრის ფ. ინჯიას ინიციატივით გამოსცა მ-ების სერია ,,საქართველო გაეროს წევრი“, რ-ის დიზაინის ავტორია პ. ნაცვლიშვილი. მათზე გამოსახულია საქართვ. გეოგრ. კონტური, დროშა, გაეროს ემბლემა და საქართვ. გაეროში გაწევრიანების თარიღი. 1993 დაიბეჭდა მ-ები: ,,საქართველოს რესპუბლიკა'' და ,,ხახულის ხატი'' (დიზაინერი გ. ხარაძე), ,,ჰაერი“ (დიზაინერი გ. კომლევი); დაიწყო გამოცემა სერიისა ,,საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლები“ (დიზაინერი ვ. ორბელიძე).

მას შემდეგ დღემდე ყოველწლიურად გამოიცემა სხვადასხვა თემატიკისა და ნომინალის ქართ. მ-ები, მათი ტირაჟი ყოველწლიურად იზრდება. მ-ებზე გამოსახულია საქართვ. ფლორა და ფაუნა, ისტ. მოვლენები, კულტურის ძეგლები, საქართველოსთან დაკავშირებული საერთაშ. მოვლენები, ქართვ. მწერლები, მეცნიერები, სპორტსმენები და სხვ. დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა მათი დიზაინი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით პ. ნაცვლიშვილს, ბ. გაგნიძეს, ბ. ქობლიანიძეს, გ. ქართველიშვილს, გ. მამულაშვილს, ვ. ორბელიძესა და სხვ.

ბ. ქობლიანიძე.

მარკაროვი ივანე ქრისტეფორეს ძე (11. V. 1844, ჩარდახლუ, მთიანი ყარაბაღი, ელიზავეტპოლის გუბერნია, – 25. III. 1931, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1904), გენერალ-ადიუტანტი. დაამთავრა თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზია და სამედ.-ქირურგ. საიმპერატორო აკადემია. 1871-იდან მუშაობდა თბილ. სამხ. ჰოსპიტალში, 1873 დაინიშნა თბილ. სამხ. გიმნაზიის უფროს ექიმად, იმავდროულად მსახურობდა კავკასიის სამხ. ოლქის შტაბში (თბილისი). 1874-იდან თბილისში იყო კავკ. საიმპერატორო სამედ. საზ-ბის ნამდვილი წევრი, თბილ. სამხ. ჰოსპიტლის კოჯრის განყ-ბის უფროსი (1877–78, იქვე ჰქონდა ბავშვთა საავადმყოფო), კავკ. I საკავალერიო, კაზაკთა I, მე-18 ქვეითი დივიზიებისა და მე-14 საარმიო კორპუსის ექიმი (1891–1903), სახელმწ. მრჩეველი (1897), კავკასიის საარმიო კორპუსის მთ. ექიმი (1904).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

მარკეტინგი (ინგლ. marketing <market – ბაზარი), იდეების, საქონლისა და სერვისების გაყიდვის პროცესი, რომელიც ეფუძნება ბაზრის მოთხოვნების პროგნოზირებას, დაგეგმვას, ფასების განსაზღვრას, პროდუქციის პოპულარიზაციასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობას. მ-ის მიზანია მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პროდუქტის წარმოებას, მომხმარებლისათვის მისი სარგებლიანობის გაცნობას, მოთხოვნის მასშტაბის დადგენას, მიყიდვასა და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას. იგი არის სოც. და მმართველობითი პროცესი, მიმართული გაცვლის მეშვეობით ადამიანის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. საჭიროება მ-ის ამოსავალი იდეაა.

სამართლებრივად მ. არის ბაზრის მართვის პროცესი, რ-იც გულისხმობს სასაქონლო პროდუქციის საკუთრების უფლებით გადაცემას მომხმარებლისათვის. ეს არის ბაზრის ფილოსოფია, საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების აზროვნებისა და მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

ტერმინი მ. პირველად გვხვდება აშშ-ის ეკონ. ლიტერატურაში XIX–XX სს. მიჯნაზე. მარკეტინგული კვლევის პიონერები იყვნენ ამერ. პროფესორები ე. ჯონსი (მიჩიგანის უნ-ტი), ს. ლიტმანი (კალიფორნიის უნ-ტი), ჯ. მ. ფისკი (ილინოისის უნ-ტი) და სხვ.

მ-ის თეორიამ ევოლუციის საუკუნოვანი გზა განვლო. თავდაპირველად მ. საქონლის გაყიდვისა და რეკლამირების საშუალებად მიაჩნდათ. იგი გულისხმობდა გაყიდვის პროცესს, რ-იც მოგების მიღებაზე იყო ორიენტირებული, მაგრამ II მსოფლიო ომის შემდეგ უპირატესობა მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილებას მიენიჭა და აქცენტი გაკეთდა მომხმარებელსა და მის მოთხოვნებზე.

მ-ის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა მისი მხარდამჭერი ინტებიც. 1926 აშშ-ში შეიქმნა მარ-

კეტინგისა და რეკლამის ეროვნ. ასოციაცია. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა მ-ის ამერ. საზ-ბა. 1973-იდან ამ ორგანიზაციას ეწოდა ,,მარკეტინგის ამერიკული ასოციაცია'' (American Marketing Association – AMA). მოგვიანებით ასეთივე ორგანიზაციები შეიქმნა დას. ევროპაში, კანადაში, ავსტრალიასა და იაპონიაში.

XX ს. 60–90-იან წლებში ეროვნ. და საერთაშ. კონკურენციის გამწვავებასთან ერთად ბიზნესი კიდევ უფრო გართულდა და მ-ის კონცეფციაც განვითარდა გლობალური კონკურენტული უპირატესობების მიღების თვალსაზრისით.

მ-ის კონცეფციის ევოლუციის კვალდაკვალ იცვლება მისი მოდელები. 1960–90 წლებში დომინირებდა ,,მარკეტინგ-მენეჯმენტის'' მოდელი. საზ-ბის განვითარებამ, ბიზნესკომპანიების საქმიანობის ცვლილებებმა განაპირობეს მ-ის ფილოსოფიისა და ფუნქციების სისტემის ახ. პარადიგმის წარმოქმნა. 90-იანი წლების ბოლოს მ-ის კონცეფცია მთლიანად დაეფუძნა ბიზნესგარემოს პერსპექტივების განვითარების მიზნებს და სოც., სამართლებრივ და პოლიტ. ფაქტორებთან ერთად შეიძინა მდგრადი ეკონომიკის განვითარების შინაარსიც.

თანამედროვე პირობებში ვითარდება ,,ურთიერთობათა მარკეტინგის'' მოდელი. ახ. კონცეფციის პრიორიტეტია სამომხმარებლო ფასეულობა, მწარმოებლისა და მომხმარებლის მჭიდრო ურთიერთობით ახ. ფასეულობათა შექმნის პროცესი და შედეგად – მიღებული სარგებლის ერთობლივი გამოყენება.

ტერმინი მ. უკვე ეკონ. ყველა სფეროში (როგორც წარმოების, ისე არამატერიალურ) გამოიყენება, ამიტომ თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა მ-ის არატრადიციული სახეები – პიროვნების მ., ადგილის მ., სოციალურად ორიენტირებული მ., მოვლენების მ., ორგანიზაციული მ.

საქართველოში მ-ს და მის განვითარებას გარკვეული ისტორია აქვს. მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ იგი საბაზრო ეკონომიკის კატეგორიაა, ხოლო მარკეტინგული საქმიანობა საბაზრო ეკონომიკაში ფირმებისა და კომპანიებისთვის იყო დამახასიათებელი. სოციალ. ქვეყნებში ბაზრის პირობებს და მომხმარებელთა მოთხოვნებს სწავლობდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად. ამ მიზნით 1965 სსრკ-ში შეიქმნა ვაჭრობის სამინისტროს მოთხოვნისა და კონიუნქტურის შესწავლის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-იც სწავლობდა ბაზარზე ვაჭრობის პირობებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას, მომხმარებლის მოთხოვნას, მისი დაკმაყოფილების ხარისხს და ბაზრის მომარაგების საკითხებს. საქმიანობა ემყარებოდა პრინციპს – ქვეყანაში მოთხოვნისა და ვაჭრობის შესწავლა ერთიანი პირობებით უნდა წარიმართოს, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი სტრუქტურის ნებისმიერი ცვლილებების ზუსტად აღრიცხვა. ამ მიზნით მოთხოვნისა და კონიუნქტურის შესწავლის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფილიალები შეიქმნა რესპუბლიკებშიც, ცალკეული სამსახურები კი – არაერთ საბითუმო და საცალო ვაჭრობის ორგანიზაციაში. საქართველოში ინ-ტის ფილიალმა ფუნქციონირება დაიწყო 1966.

XX ს. 90-იანი წლებიდან, საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში, საბაზრო პირობები შეიცვალა და, შესაბამისად, შეიცვალა ბაზრისა და მოთხოვნის შესწავლისა და კვლევის მიმართულებებიც. საქართვ. მთავრობის დადგენილებით, მოთხოვნისა და კონიუნქტურის შესწავლის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. ფილიალის ბაზაზე მისი დირექტორის, გ. *შუბლაძის* ინიციატივით 1991 შეიქმნა მ-ის რესპ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-ის საქმიანობა პირდაპირ პასუხობდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

ბიზნესკომპანიებში შეიქმნა მარკეტინგული სამსახურები, ასევე – დამოუკიდებელი მარკეტინგული კვლევის ცენტრები. მ-ის საკითხების კვლევის ასეთი ქსელის შექმნამ ცალკე სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საჭიროება შეამცირა და 1995 მ-ის რესპ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი გაუქმდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ბიზნესკომპანიებმა შექმნეს მარკეტინგული სამსახურები და დაიწყეს მარკეტინგული კვლევები. შესაბამისად უმაღლ. სასწავლებლებში დაიწყო მენეჯერებისა და მარკეტოლოგთა კადრების მომზადება. თსუ-ში 1997 კომერციის ფაკ-ტის რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა კომერციისა და მარკეტინგის ფაკ-ტი, თსუ-ის ვაჭრობის ეკონომიკის კათედრა კი გადაკეთდა საქონელმოქცევისა და მ-ის კათედრად. ფაკ-ტზე გაიხსნა ვაჭრობის ეკონ. და მ-ის სპეციალობა. აღნიშნული კადრების მომზადება დაიწყო კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმაც. ამ პერიოდში დაიწყო ქართ. ენაზე მ-ის საკითხებზე სამეცნ. სტატიების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მომზადება და გამოცემა. 2002 თსუ-ში კომერციისა და მარკეტინგის ფაკ-ტზე შეიქმნა მარკეტინგის კათედრა, რ-იც დღემდე ფუნქციონირებს თსუ-ის ეკონ. და ბიზნესის მართვის ფაკ-ტზე.

ლიტ.: მარკეტინგის საფუძვლები, გ. შუბლაძის რედ., თბ., 2009; Kotler P., Wong V., Saunders J., Armstrong G., Principles of Marketing, Harlow (England), 2004.

გ. შუბლაძე.
ფ. წოწკოლაური.

მარკოზაშვილი ვასილ ივანეს ძე (1. I. 1838, თბილისი, – 26. III. 1908, პავლოვსკი,რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1897), გენ.-ლეიტენანტი (1893-იდან), სამხედრო მწერალი. 1854 სამხ. სამსახური დაიწყო იუნკრად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, 1856-იდან იყო კავკასიის ჯარში. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56), რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომებში. 1859 მეთაურობდა სევერსკის დრაგუნთა პოლკის ესკადრონს აულ ღუნიბის შტურმის დროს. 1867 დაამთავრა ნიკოლოზის გენ. შტაბის აკადემია. 1868 დაინიშნა კავკასიის სამხ. ოლქში 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფრ. ადიუტანტად; 1870-იდან იყო კავკ. სამხ. ოლქის შტაბის უფრ. ადიუტანტი, სტარი ოსკოლის 128-ე ქვეითი პოლკის მეთაური (1875–78), გენ.-მაიორი (1878-იდან). მონაწილეობდა შუა აზიის კამპანიაში (1871–73). 1881 დაინიშნა მე-12 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად, 1891 – მე-6 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის, 1892 – მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურად.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მარკოზაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე (5. XII. 1927, თელავი, 14. VII. 1973, თბილისი), არქიტექტორი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1949). ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა არქიტექტორად სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში, მ. შ. ,,საქგიპროშახტში'', ,,საქქალაქმშენსახპროექტში''. ძირითადი ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები თბილისში (1952–58), საბაგირო გზის ქვედა

და ზედა სადგურები კუს ტბაზე (1962), ჰიდროელექტროსადგურის შენობა მდ. ჩორდაზე (1954), საცხოვრ. სახლები ტყიბულსა და მახარაძეში (ახლანდ. ოზურგეთი; 1954–57, არქიტ. გ. გოზალიშვილთან ერთად), ახალი ათონის გამოქვაბულის კომპლექსი (1976, ავტორთა ჯგუფთან ერთად – სსრკ სახელმწ. პრემია), 280-ადგილიანი ტურბაზა ვარძიაში (1978).

მარკოზაშვილი ივანე პავლეს ძე (11. XII. 1799, თბილისი, – 22. IX. 1877, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1871). 1819 დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის I კადეტთა კორპუსი. ამავე წელს დაიწყო სამხედრო სამსახური. რუსეთ-ირანის (1826–28), რუსეთ-ოსმ. (1828–29), ყირიმის (1853–56) ომების მონაწილე. 1844 დაინიშნა I ბრიგადის მე-4 ქართ. სახაზო ბატალიონის, 1852–56 – I ბრიგადის მე-3 ქართ. სახაზო ბატალიონის უფროსად. 1858–59 იყო მეტეხის ციხის კომენდანტი, 1869–72 – თბილ. საკომენდანტო სამმართველოსთან არსებული სამხ.-სასამართლო კომისიის უფროსი. 1874 გადადგა სამხ. სამსახურიდან.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მარკოზაშვილის დარბაზი, *პაატა ბატონიშვილის* მეთაურობით ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში (იხ. სტ. *პაატა ბატონიშვილის შეთქმულება 1765*) ჩაბმული ქართლის რეაქციული თავადაზნაურობის თავშეყრის ადგილი. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ტერმინი ,,მარკოზაშვილის დარბაზელები'' აღნიშნავს XVIII ს. II ნახ-ში ქართლ-კახეთის მეფისადმი ოპოზიციურად განწყობილ თავად-აზნაურთა დასს.

ლიტ.: ჯავახიშვილი ნ., 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის, ,,საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები'', 2013, [ტ.] 7.

მარკოზი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1460–66, მეფე გიორგი VIII-ის დროს.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

მარკოზ მახარებელი (გ. დახლ. 63, ალექსანდრია), ერთ-ერთი სახარების ავტორი, ქრისტეს სამოცდაათ მოციქულთაგანი ლევიტელთა ტომიდან, იერუსალიმის მკვიდრი. მისი ებრაული სახელია იოანე, ლათინური სახელი მარკოზი რომში საქადაგებლად გამგზავრების წინ დაირქვა. ის იყო პეტრე მოციქულის საყვარელი მოწაფე.

მ. მ-მა, მოციქულმა პავლემ და ბარნაბამ მისიონერული მოღვაწეობა ანტიოქიიდან დაიწყეს, შემდეგ კ. კვიპროსზე გადავიდნენ. ქ. პერგიაში (მცირე აზია) ქადაგების შემდეგ, მ. მ. იერუსალიმში დაბრუნდა. მისი მეორე მისიონერული მოღვაწეობა, პეტრე მოციქულთან ერთად, რომს უკავშირდება, სადაც მორწმუნეთა თხოვნით ქრისტეს ამაღლებიდან ათი წლის შემდეგ დაწერა წმინდა სახარება, რ-იც დანარჩენ სამ სახარებასთან შედარებით ყველაზე მოკლეა. სახარება იწყება იოანე ნათლისმცემლის ქადაგებით და შედგება 16 თავისგან.



მარკოზ მახარებელი. მარტვილის ოთხთავი 1050 წ.

მ. მ., პეტრე მოციქულის კურთხევით, საქადაგებლად რომიდან აკვილიაში გაემგზავრა, შემდეგ კი – ეგვიპტეში. ალექსანდრიაში მან დააარსა ეპარქია, რ-ის პირველი ეპისკოპოსი თავად გახდა. მანვე იქადაგა სახარება ლიბიასა და პალესტინაში. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არაერთი სასწაული მოახდინა და მრავალი წარმართი გააქრისტიანა.

მ. მ. მოწამებრივად აღესრულა. მოციქულის წმ. ნაწილები ვენეციაში, წმ. მარკოზის (სან მარკო) ტაძრის ტრაპეზის ქვეშ განისვენებს. იკონოგრაფიული სიმბოლოა ლომი. ხსენების დღეა 25(8.V) აპრილი.

საქართველოში მ. მ-ის იკონოგრაფიული გამოსახულება, სხვა მახარებლების მსგავსად, არაერთ ტაძარში გვხვდება.

ლიტ.: უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოციქულთა ცხოვრება, თბ., 1997; წმიდანთა ცხოვრება, ტ. 2, თბ., 2001.

მარკო პოლო (Marco Polo) იტალიელი მოგზაური, იხ. *პოლო მარკო.*

მარლიქის სამაროვანი, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ., – I ათასწლ. დასაწყ.) არქეოლოგიური ძეგლი ირანში, გლანის პროვინციაში. 1961–62 ირანელმა არქეოლოგმა ი. ნეგაჰბანმა ბუნებრივ ბორცვზე, მარლიქთეფეზე გათხარა 53 სამარხი. აღმოჩნდა თიხის, ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის, სარდიონის, თაბაშირის და სხვა რამდენიმე ათასი ნივთი. ცილინდრული საბეჭდავების ერთი ჯგუფი მითანის ნაწარმს ჰგავს, მეორე, უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი, ასურული წარმოშობისაა. არის ადგილ. საბეჭდავებიც როგორც ქვის, ისე ბრინჯაოსი. ბრინჯაოს ნივთების ნაწილს (იარაღი, ჭურჭელი) გარკვეული მსგავსება აქვს *ლურისტანის ბრინჯაოსთან.* მარლიქის კულტურა ერთგვარად სინკრეტული ხასიათისაა, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, მესოპოტამიური, მეორე მხრივ, ხურიტული და ინდო-ირან. გავლენებით. ვარაუდობენ, რომ მ. ს-ზე ადგილობრივი მეფეები და მათი ოჯახის წევრები იმარხებოდნენ.

ლიტ.: Negahban E. O., Marlik, Tehran,1966.

ი. გაგოშიძე.

მარმაზეთი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ერედვის მუნიციპალიტეტში (ვანათის თემი), მდ-ების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის წყალგამყოფ გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ,* ცხინვალიდან 20 *კმ.* 1991-მდე შედიოდა ცხინვალის რ-წში, ხოლო 2006-მდე – გორის მუნიციპალიტეტში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარმარილო (ლათ. marmon, ბერძნ. marmaros – მბრწყინავი ქვა), რეგიონული ან კონტაქტური მეტამორფიზმის შედეგად გადაკრისტალებული კირქვა ან დოლომიტი, მეტამორფული ქანი. ძირითადი მინერალებია კალციტი – $CaCO_3$ და დოლომიტი – $CaMg(CO_3)_2$. ზოგჯერ, (განსაკუთრებით სკარნული), შეიცავს სერიციტს, მუსკოვიტს, ბიოტიტს, ქლორიტს, გრანიტს, პიროქსენებს, ამფიბოლებს, ვეზუვიანს, ვოლასტონიტს,



მარმუჭი.

სკაპოლითს, ოლივინს, ტალკს და სხვ. ხშირია განამარხებული ორგანიზმების ნაშთების ჩანართები. მ. არის წვრილი, საშ. და მსხვილმარცვლოვანი, მეტამორფული ქანი – დაწინწკლული, ლაქებიანი ან ზოლიანი ტექსტურით. მ. უმეტესად თეთრია, მაგრამ დედა ქანში, მინარევების არსებობის შემთხვევაში, ის იღებს ნაცრისფერ, ვარდისფერ, მოლურჯო-შავ, მწვანე, ყვითელ, წითელ, მურა ტონების შეფერილობას.

მ. ადვილად დასამუშავებელია და დეკორ. თვისების გამო ანტიკური პერიოდიდან გამოიყენება ძეგლების (მონუმენტური სკულპტურები, საფლავის ქვები), რიკულების, იატაკის ფილების დასამზადებლად, ბუხრების, შადრევნების, კიბის მარშების, შენობის შიგა და გარე სივრცეების მოსაპირკეთებლად, მოზაიკური კომპოზიციებისთვის (ინკრუსტირებული სტილი, ფლორენციული მოზაიკა), ბეტონის შემავსებლად. ელექტროტექნიკაში იყენებენ სუფთა კალციტის მ-ს დაფებს. ქანდაკებისთვის საუკეთესოდ ითვლება კარარის (იტალია) და პოროსის (საბერძნეთი) მ.

საქართველოში ცნობილია შროშის, სალიეთის, ლოპოტის საბადოები.

გ. ჭიჭინაძე.

მარმონ დიუოშანი (Marmont du Hautchamp) ბარტელემ (დაახლ. 1682, ორლეანი, – დაახლ. 1760), ფრანგი მწერალი. საყურადღებოა აღმოსავლურ თემატიკაზე დაწერილი მისი რომანი ,,რეტიმა, ანუ მშვენიერი ქართველი ქალი'' (ტ. 1–2, 1735–36), რ-ის ქვესათაურია ,,ნამდვილი ამბავი''. იგი მოგვითხრობს ქართვ. ქალის თავგადასავალს. საქართვ. შესახებ ცნობები რომანში მეტად ძუნწადაა წარმოდგენილი, ისტ. ფაქტები ხშირად გაყალბებულია, ამბები – შეთხზული. ამასთანავე, ჩანს, ავტორს შარდენის თხზულებაც გამოუყენებია. სათავგადასავლო რომანის ტრადიციებს იცავს მწერალი რომანში ,,რუსპია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი'' (1754), რ-შიც აღწერილია მრავალი ქვეყანა და სხვადასხვა ეროვნების ადამიანი; აქაც ძირითადია საქართვ. ისტ. ამბები და მეზობელ სახელმწიფოებთან – სპარსეთსა და რუსეთთან – მისი ურთიერთობის ფაქტები. საინტერესოდაა გაშუქებული ვახტანგ VI-ის პოლიტ. მოღვაწეობის მომენტები. რომანი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის უცხოელ მკითხველს საქართვ. შესახებ. ეს რომანები მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XVIII ს. ფრანგ. ლიტ-რაში.

ლიტ.: გიორგაძე ბ., სამი ქართველი ქალის ამბავი, ,,საუნჯე'', 1976, №3; Орловская Н. К., Грузия в литературах Западной Европы XVII–XVIII веков, Тб., 1965.

დ. ფანჩულიძე.

მარმუჭი (Alchemilla), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი დაბალი ბალახებია. მეტწილად მხოხავი ფესურა და გრძელყუნწიანი ფესვთანური ფოთლების როზეტი აქვს. პატარა ორსქესიან ყვავილებს გვირგვინის ფურცლები არ გააჩნია და განლაგებულია გორგლებად, რ-ებიც თავის მხრივ ფარისებრ-საგველა ყვავილედებშია თავმოყრილი.

მ-ის 300-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. საქართველოში იზრდება 61 სახეობა, მათგან 30 საქართვ. ენდემია. მისი სახეობები იზრდება სუბალპ. და ალპ. სარტყლებში, მეტწილად ბუჩქნარებში, ტყის ფერდობებსა (განათებული ადგილები) და მდელოებზე, მდინარეთა სანაპიროებსა და ზოგჯერ გზის პირებზეც კი. ზოგიერთი სახეობა დომინანტობს მაღალმთის მდელოებზე და ქმნის ე. წ. ,,მეორეული ხალების'' მცენარეულ საფარს. ზოგიერთი სახეობის ფესურა და ფოთლები საღებავ ნივთიერებებს შეიცავს.

ლ. ხინთიბიძე.

მარნეული (1947-მდე ბორჩალო), ქალაქი (1964-იდან) აღმოსავლეთ საქართველოში. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმ. ცენტრი.

მ. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდ. ალგეთის ნაპირებზე. ზ. დ. 420 *მ.* გამოირჩევა ზომიერად თბილი სტეპის ჰავით. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 12 °C, იანვ. 0 °C, ივლ. 23,9 °C, აბსოლ. მინ. –25 °C, აბსოლ. მაქს. 40 °C, ნალექები 500 *მმ* წელიწადში. მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 20 211 კაცს (2014).

მ. წარმოიშვა რამდენიმე ძვ. სოფლის (ლომთაგორა-მარნეული, ეკლესია, ჭანდარი-სანდარი, სარვანი) გაერთიანების შედეგად.

მ-ის დასახლებას დასაბამი მისცა უძველესმა საცხოვრებელმა გორამ – ლომთაგორამ, რ-იც აბოლოებდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივს მდ. ალგეთის მარჯვ. მხარეს. ადრეფეოდ. ხანაში დაწინაურდა ქვემო ქართლის ველზე სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შედეგად. მთელი ფეოდ. ხანის განმავლობაში წარმოადგენდა მნიშვნელოვან ციხესიმაგრესა და საგზაო კვანძს, სადაც თავს იყრიდა გზები თბილისიდან, ჯავახეთ-თრიალეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამ ციხის შემავალი ქვეყანა იყო მდ. ალგეთის ქვემო წელი და მდ. ქციის ქვემო წელის მარცხ. სანაპირო. წყაროებში იხსენიება როგორც ქართველი ლაშქრის საყრდენი ციხე შუა ფეოდ. ხანაში: ,,დადგა [ლაშაგიორგი] ლომთაგორასა და აგარათა შუა'' (ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე). ვახუშტის განსაზღვრებით ,,ლომთაგორა აწ მარნეულის გორა'' წარმოადგენდა ალგეთის ქვეყნის სამხრ. საზღვარს. მას შემდეგ, რაც XVII ს-ში შაჰ აბასმა აქ ბორჩალუს ტომი ჩამოასახლა, ლომთაგორა-მარნეული გახდა ბორჩალუს ქვეყნის ცენტრი. XIX ს. 80-იანი წლებიდან მ. ბორჩალოს მაზრის ცენტრი იყო და ეწოდებოდა ბორჩალო. 1947 აღდგა ძველი სახელი მ. 1964-იდან ქალაქია.

მ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილი ისტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია უძველესი მეგალითური ციხის ნაშთები და ადრეფეოდ. ხანის ეკლესია ძვ. ლომთაგორაზე.

მ-ში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. ქალაქი წარმოადგენს საავტომობილო გზების კვანძს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964.

თ. თოდრია.

მარნეულისა და ჭუჯაბის ეპარქია, აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთით მდებარე ერთერთი საზღვრისპირა ეპარქია. იგი მოიცავს *მარნეულს* და მის მიმდებარე ტერიტორიას. ეპარქიის იურისდიქცია ვრცელდება ისტ. ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ-ების – ალგეთისა და ხრამის აუზებზე, ჩრდ-ით ესაზღვრება რუსთავის, ჩრდ.-აღმ-ით – გარდაბნისა და მარტყოფის, ჩრდ.-დას-ით – მანგლისისა და თეთრი წყაროს (იხ. *მანგლისისა და თეთრი წყაროს ეპარქია*), დას-ით – ბოლნისის, სამხრ-ით – დმანისისა და აგარაკტაშირის ეპარქიები. ეპარქიის სამხრ. საზღვარი ემთხვევა სომხე-

თისა და აზერბაიჯანის სახელმწ. საზღვარს. მისი სამღვდელმთავრო რეზიდენცია იყო მარნეული. ეპარქიის ტერიტორიაზე საქართვ. გაქრისტიანების დასაწყისიდანვე იწყება ეკლესიათა მშენებლობა. საქართვ. ეკლესიის ორგანიზაციული მოწყობის დროიდან ეს მხარე მცხეთის საყდრის იურისდიქციაში შედიოდა.

1811 საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების და ამ მხარეში ეკლესიათა იძულებითი, თითქმის ორსაუკუნოვანი უმოქმედობის შემდეგ საეკლ. ცხოვრების აღდგენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის *ილია II-ის* ძალისხმევას უკავშირდება. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 განახლებული 13 ეპარქიიდან მთელი ეს მხარე აგარაკ-წალკის სამღვდელმთავროს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა XX ს. 20-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული საბჭოური რეპრესიების გამო ქვეყნის ტრადიციული საეპარქიო მართვა-გამგეობა ათწლეულების განმავლობაში ვერ აღდგა. 1995 აპრილში, საეკლ. კრების გადაწყვეტილებით, ეპარქიათა რაოდენობა 27-მდე გაიზარდა და აგარაკ-წალკის განვრცობილი სამღვდელმთავრო ტერიტორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ბოლნისისა და დმანისის, მანგლისისა და წალკის, რუსთავისა და მარნეულის ეპარქიები. მარნეულის რ-ნი რუსთაველი მღვდელმთავრის სამწყსოს მიეკუთვნებოდა. 2002 წ. 17 ოქტომბერს საქართვ. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით რუსთავის ეპარქიას რუსთავისა და მარნეულის ეპარქია ეწოდა. 2013 წ. 11 ოქტომბერს, ეპარქიათა საზღვრების რეორგანიზაციის შემდეგ, რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა რუსთავის ეპარქია და **მ. და ჰ. მ.**, რ-ის კათედრა და რეზიდენცია მარნეულშია.

ლიტ.: გუგუშვილი გ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი, „ორნატი“, 2003, №1; მისივე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კრებული მიძღვნილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავზე, თბ., 2007; ვარდოსანიძე ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–52 წლებში, თბ., 2001.

გ. გუგუშვილი.

მარნეულის ვაკე, ბორჩალოს ვაკე, აკუმულაციური ვაკე აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის ვაკის დასავლეთ ნაწილში. მოიცავს მდ-ების – ალგეთის, ხრამის, მაშავრისა და დებედის ქვემო დინებათა აუზებს. ვაკის სიგრძეა 40 *კმ*, უდიდესი სიგანე – 20 *კმ*, სიმაღლე ზ. დ. 270 *მ*-იდან 400 *მ*-მდე. მ. 3-ს ჩრდ-ით ესაზღვრება იაღლუჯის მაღლობი, სამხრ-ით – ლოქის ქედი და ბაბაკარის სერი, აღმ-ით – მდ. მტკვარი, დას-ით საზღვარი მიუყვება მაშავრის ხეობას ბოლნისამდე. აგებულია ძირითადად მეოთხეული ალუვიური ნალექებით – ქვიშებით, თიხებით, კენჭნარით, კონგლომერატებით. მდინარეთა სანაპიროზე თანამედროვე ალუვიური ნალექებია – კენჭნარი, ქვიშნარი. ვაკის ზედაპირი ბრტყელია. მთავარ მდინარეთა ტერასების ამგებ თაბაშირიან თიხებში წარმოქმნილია სუფოზიური ძაბრები, ჭები, ბუნებრივი ხიდები და სხვ.

მ. 3-ზე მშრალი სუბტროპ., ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა. იცის ცხელი ზაფხული, ნალექების ორი მინიმუმით. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 12 °C, იანვრ.– 0°–0,3° C, ივლ. – 23,9° C, აბსოლ. მინ.–25° C, აბსოლ. მაქს.– 40° C. ნალექები 490–550 *მმ* წელიწადში. ვაკეზე მიედინება მდ-ები: ალგეთი, ხრამი, მაშავერა, დებედა, შულავერი (ხრამის მარჯვ. შენაკადი), ტალავრისწყალი, ბოლნისისწყალი (მაშავრის მარჯვ. შენაკადი). ვაკეზე განვითარებულია წაბლა, აგრეთვე დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები. ბუნებრივ მცენარეულ საფარში ჭარბობს უროიან-ავშნიანი და უროიან-ჯაგეკლიანი მცენარეები, ზოგან – მლაშობი ნახევარუდაბნოს მცენარეულობით. მდინარეთა სანაპიროებზე შემორჩენილია ტუგაის ტყის ფრაგმენტები. მ. 3-ის უდიდესი ნაწილი ამჟამად კულტურულ ლანდშაფტს უჭირავს.

დ. უკლება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონში. მუნიციპალიტეტს აღმ-ით და ჩრდ-ით ესაზღვრება გარდაბნის, დას-ით – ბოლნისის, ჩრდ.-დას-ით – თეთრი წყაროსა და გარდაბნის მუნიციპ-ები, სამხრ-ით კი – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. ფართ. 935,2 *კმ*², მოსახლეობა 104.3 ათ. კაცი (2014), ადმ. ცენტრი – მარნეული. მუნიციპ-ში შედის 1 ქალაქი და 17 თემი (ალგეთი, ახკერპი, დამია-გიაურარხი, თამარისი, კასუმლო, კაპანახჩი, ყაჩაგანი, ოფრეთი, სადახლო, ქუთლიარი, ყიზილ-აჯლო, ყულარი, შაუმიანი, შულავერი, წერაქვი, წერეთელი, ხოჯორნი).



მარნეულის მუნიციპალიტეტის გერბი.



1. თვითმმართველი ქალაქის რუსთავის ტერიტორია

ისტორიული ცნობა. ძვ. წ. VI–III სს-იდან ახლანდ. მ. მ-ის ტერიტ. ქართლის სამეფოს, ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში – ქართლის საერისმთავროს, IX ს-ში – თბილ. საამიროს, X–XI სს. მიჯნაზე – ტაშირ-ძორაკეტის სამეფოს, XI–XII სს-იდან კი – ერთიანი საქართვ. შემადგენლობაში იყო. XV ს-იდან შედიოდა ქართლის, შემდეგ – ქართლ-კახეთის სამეფოში. ექვემდებარებოდა ბოლნისის საეპისკოპოსოს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ შედიოდა საქართვ. გუბერნიის ლორის (1804-იდან – თბილისის) მაზრის ბორჩალოს დისტანციაში, 1880-იდან კი – თბილ. გუბერნიის ბორჩალოს მაზრაში. 1921-იდან საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფით ისევ ბორჩალოს მაზრაში დარჩა. 1929 თბილ. ოლქში იყო ბორჩალოს რ-ნის სახელწოდებით. 1930-იდან – ლუქსემბურგის რ-ნი, 1947-იდან – მარნეულის რ-ნი, 2006-იდან კი მ. მ. ეწოდა.

ბუნება. მ. მ-ის ტერიტორიის ცენტრ. ნაწილი გაშლილია მარნეულის აკუმულაციურ ვაკეზე, სიმაღლე ზ. დ. 270 *მ*-იდან 400 *მ*-მდე. აგებულია მეოთხეული ალუვიური ნალექებით, კენჭნარით, კონგლომერატებით, ქვიშებითა და თიხებით. ვაკეზე აგრეთვე არის ჯავახეთის ზეგნიდან ჩამოსული ლავური ღვარის დამარხული ბოლო, ასევე აფშერონული და ბაქოური დროის თიხნარი. ვაკის ზედაპირი ბრტყელია, დასერილია მდ-ების – ალგეთის, ხრამისა და დებედის ხეობებით. მდინარეული ტერასების ამგებ თაბაშირიან თიხებში გვხვდება ფსევდოკარსტული მოვლენები, რაც რელიეფში გამოსახულებას პოვებს სუფოზიური ძაბრების, ჭებისა და მღვიმეების, აგრეთვე ბუნებრივი ხიდების სახით. მუნიციპ-ის ჩრდ. ნაწილი უჭირავს იაღლუჯის მაღლობს, სიგრძე 17 *კმ,* სიგანე 10–11 *კმ,* შეფარდებითი სიმაღლე 300–400 *მ.* აგებულია ნეოგენური კონგლომერატებისა და ქვიშაქვების წყებით. მაღლობი ჩრდ-ით ამაღლებულია და ქმნის იაღლუჯის სერს, მის სამხრ-ით კი მშრალი ხევებით დასერილი ვაკეა.

მ-ის სამხრ. ნაწილში აღმართულია ლოქის ქედის ჩრდ. კალთის ნაწილი (მდ. შულავრის აუზი). მისი აბსოლ. სიმაღლე 1400 *მ* არ აღემატება. აგებულია ცარცული ასაკის კირქვებით, ტუფბრექჩიებით, ტუფ-ქვიშაქვებით და პორფირიტებით. დანაწევრებულია მდ. შულავრის შენაკადების ხეობებით. მდ. დებედის აღმ-ით განედურადაა გაწოლილი ბაბაკარის სერი, რ-იც აგებულია ვულკანოგენური ფაციესის ზედაცარცული კირქვებითა და მერგელებით. მისი სამხრ. კალთა ძლიერ დასერილია, ზოგან ტიპური ბედლენდებია. მუნიციპ-ის მნიშვნელოვანი წიაღისეულია მარმარილო (სადახლო).

მარნეულის ვაკეზე ჩამოყალიბებულია ზომიერად მშრალი სუბტროპ. თბილი სტეპების ჰავა. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 12 ^{0}C, იანვ. 0^0 –0,3 ^{0}C, ივლ. 23,9 ^{0}C, აბსოლ. მინ. –25 ^{0}C, აბსოლ. მაქს. 40 ^{0}C. ნალექები 490–550 *მმ* წელიწადში. ნალექების მაქს. რაოდენობა მაისში მოდის, მინ. – დეკემბერში. ბაბაკარისა და იაღლუჯის სერებზე და ასევე ლოქის ქედზე ჰავა ზომიერად თბილი, სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გარდამავალია. იცის ცხელი ზაფხული. მუნიციპ-ის ტერიტორიის – დიდ ნაწილში წლიურად 400–600 *მმ* ნალექი მოდის.

მ. მ. მდიდარია მდინარეებით. მდ. მტკვარი მას აღმ. საზღვარზე ჩამოუდის; მდ. ხრამი ვაკეზე გადის და აჩენს კლაკნილებს, ,,ნარიონალებს‘‘. წყალუხვია ხრამის მარჯვ. შენაკადი – დებედა, რ-ის უკიდურესი ქვემო დინება მიეკუთვნება მ. მ-ს. დებედაც ტიპური ვაკის მდინარეა. მარნეულის ვაკეს კვეთს მდ. ალგეთი (მტკვრის მარჯვ. შენაკადი). სხვა მდ-ებიდან აღსანიშნავია შულავერი (ხრამის მარჯვ. შენაკადი) და ბანოშისწყალი (დებედის მარცხ. შენაკადი). მდინარეებმა წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულსა და ზამთარში. მათ იყენებენ სარწყავად.

მარნეულის ვაკეზე დამლაშებულ და ბიცობიან ნიადაგებთან ერთად გავრცელებულია წაბლა ნიადაგები. უფრო მეტად გვხვდება ბიცობიანი და დამლაშებული წაბლა ნიადაგები, მდ-ების მტკვრისა და ხრამის გაყოლებაზე კი – ალუვიური კარბონატული ნიადაგები. იაღლუჯის მაღლობზე ნიადაგები რუხი-ყავისფერი და წაბლა ტიპისაა, ალაგ-ალაგ სუსტად დამლაშებული და ბიცობია. ლოქის ქედსა და ბაბაკარის სერზე გვხვდება ტყის ყავისფერი ნიადაგი, ყველაზე მაღალ ადგილებში კი – ტყის ყომრალი ნიადაგი.

მ. მ-ის ვაკე ადგილებსა და იაღლუჯის მაღლობზე გავრცელებულია უროიანი სტეპი და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა. აქ გვხვდება როგორც საკუთრივ უროიანი, ისე უროიან-ვაციწვერიანი, ავშნიან-უროიანი და უროიან-ჯაგეკლიანი დაჯგუფებები. ბალახოვანი მცენარეებიდან უმეტესად ხარობს ურო, ვაციწვერა, წივანა, იონჯა, ურცი, ესპარცეტი და სხვ. ნახევარუდაბნოსთვის დამახასიათებელია ავშანი, ყარღანი, ხვარხვარა, ჯაგეკლიანებში ძირითადად – ძეძვი, ასევე გრაკლა, კვრინჩხი, შავჯაგა. ბაბაკარის სერისა და ლოქის ქედის მთისწინეთში გავრცელებულია ჯაგრცხილა, ქართული მუხა, ნეკერჩხალი, კვრინჩხი, იაღლუჯის მაღლობსა და მთისწინეთში – აკაკი და საკმლის ხე, მთის ტყეებში – მუხნარ-რცხილნარი, ყველაზე მაღალ ადგილებში – წიფლნარი. მთავარი მდინარეების ნაპირებზე შემორჩენილია ტუგაის ტყის (ხვალო, ოფი, წნორი, ჭალის მუხა, თელა, თუთა) ფრაგმენტები. უხვადაა ხვიარა მცენარეები: კატაბარდა, ღვედკეცა, ეკალღიჭი, ქვეტყეში – ქაცვი, კუნელი და სხვ.

მ. მ-ში გავრცელებულია მთის ტყისა და სტეპისათვის დამახასიათებელი ფაუნა. მთის ტყეებში ბინადრობს მგელი, თეთრყელა კვერნა, დედოფალა, გარეული ღორი, მაჩვი; გვხვდება მელა, ტურა, კურდღელი. ფრინველთა შორის აღსანიშნავია ჩვეულებრივი ხოხობი, მწყერი, კაკაბი და სხვ. მდ-ებში ბევრია ქაშაპი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა, ჭანარი, კასპიის შამაია, ლოქო და სხვ. ბევრია ქვეწარმავალი.

მ. მ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეობები: მშრალი და სტეპური ნახევარუდაბნოს ვაკე წაბლა და დამლაშებული ბიცობიანი ნიადაგებით; სტეპური მაღლობი ჯაგეკლიან-უროიანი მცენარეულობით წაბლა ნიადაგების კომპლექსზე; ბორცვიან-სერებიანი მთისწინეთი ჯაგრცხილნარ-მუხნარით ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე; დაბალი მთები მუხნარ-რცხილნარით ტყის ყავისფერ და ყომრალ ნიადაგებზე; საშ. სიმაღლის მთები წიფლის ტყით ყომრალ ნიადაგებზე; ჭალის (ტუგაის) ტყის ლანდშაფტი განვითარებულია მდინარის სანაპიროებზე.

მოსახლეობა. მოსახლეობის 83,3% აზერბაიჯანელია, მოსახლეობის საშ. სიმჭიდროვეა 111,5 კაცი 1 *კმ* ^{2}-ზე (2014).

მეურნეობა. მ. მ-ის მეურნეობა ძირითადად ემყარება ადგილობრივი სას.-სამ. პროდუქციის წარმოებას. სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგია მებოსტნეობა, მე-

ვენახეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები; მეცხოველეობიდან – სახორცე-სარძევე-სამატყლე მიმართულება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სას.-სამ. კომპანიაა ,,მარნეული აგრო‘‘. მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილია საკონსერვო წარმოებით (*,,მარნეულის სასურსათო ქარხანა‘‘*).

მ. მ-ის ტერიტორიაზე გადის თბილისი–ერევნის რკინიგზის ხაზი. მუნიციპალიტეტს საავტომობილო კავშირი აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა მ. მ-ში არის ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლები (76), პროფ. სასწავლებლები (3), საჯარო (მარნეული), აგრეთვე სასოფლო ბ-კები, მარნეულისა და სასოფლო ტიპის კულტურის სახლები, 2 მუზეუმი. მარნეულიდან მაუწყებლობს ტელერადიო კომპანია ,,მარნეული TV‘‘.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. ისტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია ახქერფისა (ჰუჯაბის; XIII ს.) და ხოჟორნის (ადრინდ. შუა საუკუნეები) სამონასტრო კომპლექსები, გორულის (ოფრეთის) ნაქალაქარი (XVII ს.), წოფის (ადრინდ. შუა საუკუნეები), ქალაფის მონასტრის (XIII ს.), ბინაძორის (XVII ს.) ეკლესიები და სხვა ნაგებობანი.

,,მარნეულის სასურსათო ძარხანა‘‘ (შპს), კვების პროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი დიდი საწარმო საქართველოში (შედის სააქციო საზ-ბა ,,მარგებელი ჰოლდინგის‘‘ შემადგენლობაში).



მარნეულის სასურსათო ქარხანა.

დაარსდა 2007. მდებარეობს მარნეულში (ქვემო ქართლი), თბილისიდან 40 *კმ*-ში. ქ-ნა აღჭურვილია ევრ. ლიდერი კომპანიების (Fenco, Niko, FAM, PETEK, Krones AG და სხვ.) თანამედროვე მანქანა-დანადგარებით და სრულად შეესაბამება საერთაშ. სტანდარტებს. აწარმოებს ხილისა და ბოსტნეულის 50-ზე მეტი სახეობის კონსერვს: სალათებს, აჯიკას, ტომატის პასტას, მწნილებს, საწებლებს, ჯემებს, მურაბებს და სხვ. პროდუქცია მზადდება მხოლოდ საქართველოში მოყვანილი ნედლეულით, რ-ის ნაწილს ქ-ნა იბარებს პარტნიორი კომპანია ,,მარნეული აგროსგან‘‘, ნაწილს კი – 150-ზე მეტი ქართვ. ფერმერისგან. პროდუქცია გადის ექსპორტზე.

მაროკოს კალია (Dociostaurus maroccanus), მწერი სწორფრთიანების რიგისა. კალიების ერთ-ერთი ყველაზე მავნე სახეობაა. სხეულის სიგრძე 22–38 *მმ* აღწევს. წითურ-მოყვითალო შეფერილობისაა, აქვს მუქი ლაქები და ზურგზე ღია ჯვრისებრი გამოსახულება. უკანა ფეხების წვივები წითელია. გვხვდება ორი – ჯოგური და მარტოხელა ფორმის სახით. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში, ირანში, ავღანეთში, გვხვდება საქართველოშიც. მასობრივი გავრცელების კერაა უდაბნოში, ხშირად მთისწინეთებსა და მთათა კალთების ქვედა ნაწილებში. დიდ ზიანს აყენებს ბამბას, იონჯას, ბაღისა და ბაღჩეულ კულტურებს.


ე. აბაშიძე.

მარსაგიშვილი დავით ლევანის ძე (დ. 30. III. 1991, ყაზბეგი, ახლანდ. სტეფანწმინდა), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (2012, ლონდონი), ევროპის ორგზის ჩემპიონი (2012, 2013), მეორე (2011) და მესამე (2016) პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2011). მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (2011), მსოფლიოს თასის მეორე (2012) და მესამე (2016) პრიზიორი. საერთაშ. ტურნირების გამარჯვებული.

მარსაგიშვილი თამაზ ანდროს ძე (დ. 26. IX. 1951, სოფ. კარკუჩა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1991). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1973). 1974–76 მოსკოვში იყო სსრკ მეცნ. აკად. ელექტროქიმიის ინ-ტის თანამშრომელი, 1973-იდან მუშაობს დღევანდელ რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმ. და ელექტროქიმიის ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო საქართვ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (2013–17).

მ-ის კვლევის სფეროა: ქიმიური, ელექტროქიმიური, ფოტოქიმიური და ფოტოელექტრო=ქიმიური რეაქციების კინეტიკა; კონდენსირებულ გარემოში მოთავსებული მრავალატომიანი ნაწილაკების თერმოდინამიკა, ნანოსისტემები და ნანოპროცესები; წყალბადის ენერგეტიკა; ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვ. (ციტირების ინდექსი: Web of Science – 246, h-index – 6; Google Scholar – 285, h-index – 7). მ. არის 9 ქართული, 1 აშშ-ის, კანადისა და ინდოეთის პატენტების მფლობელი. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. არის 10 საერთაშ. სამეცნ. პროექტის ხელმძღვანელი ან თანამონაწილე.

პ. მამრაძე.



მაროკოს კალია.

მარსაგიშვილი ლუიზა ალექსანდრეს ასული (დ. 29. VI. 1942 თბილისი), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1990), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989). 1965 დაამთავრა თსსი. 1965–66 მუშაობდა რენტგენოლოგად დაბა კოჩუბეის (დაღესტანი) მედსანაწილში; 1966–76 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინტის გულმკერდის ქირურგიის საპრობლემო ლაბორ. უმც. მეცნ. მუშაკი; 1976–98 – მუშაობდა ექსპერ. და კლინ. თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში; 1998–2000 – საქართვ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს ინვალიდთა დეპარტამენტის ლაზერული მედ. სამეცნ.-პრაქტ. ცენტრის (შემდგომ – შპს სამედ. ცენტრი ,,ლაზერი‘‘) დირექტორი, 1999-იდან – საქართვ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ლაზერული მედიცინის კათედრის გამგე; 2006-იდან დღემდე ხელმძღვანელობს ,,ჯანმრთელობის ცენტრის‘‘ ლაზერული მედიცინის მიმართულებას.



დ. მარსაგიშვილი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება ანესთეზიოლოგიის, კარდიოლოგიისა და ლაზეროთერაპიის აქტუალურ პრობლემებს.

მ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: ლაზერმოდიფიცირებული მედიცინა (დაბალინტენსიური ლაზეროთერაპია), თბ., 2017; ლაზერმოდიფიცირებული გასტროენტეროლოგია, თბ., 2017.

მარტაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დრო-

ის არქეოლოგიური ძეგლები, რებიც აღმოჩენილია მარტაზისხევში, სადგურ მცხეთიდან 4 *კმ*-ის დაშორებით, არმაზისხევის დას-ით 2 *კმ*-ზე. ხეობა 2 სახელითაა ცნობილი: სანგრისხევი და მარტაზისხევი (მ. შ. უძველესი სახელწოდებაა მარტაზისხევი).

1902 ე. თაყაიშვილმა გათხარა ადრინდ. ფეოდ. ხანის სამარხები. 1945 იქვე აღმოჩნდა (ხელმძღვ. გ. *ლომთათიძე*) VI–VII სს. მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველი 2 სამარხი, 1963 კი – ადრინდ. ფეოდ. ხანის ნასახლართა ნაშთები (საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, ქვევრები, თონეები) და გვიანდ. ანტ. ხანის სამარხები (ხელმძღვ. ნ. უგრელიძე). 1967–69 მარტაზისხევის მარცხ. ნაპირას, ხევის შესართავთან, 300 *მ*-ზე მდებარე პატარა ბორცვზე გათხარეს (ნ. უგრელიძე) სამაროვანი. 47 ქვის სამარხი ადრინდ. ფეოდ. ხანას განეკუთვნება. დაკრძალვის წესისა და ინვენტარის მიხედვით გამოყვეს 2 ქრონოლ. ჯგუფის სამარხები: IV–V სს. და VI–VII სს., 2 სამარხი კი ელინისტური (ძვ. წ. III–II სს.) ხანისაა.

ნ. უგრელიძე.

მარტაშვილი შალვა ვასილის ძე (1. V. 1913, სოფ. კარდანახი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 28. VIII. 1990, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (1936). ,,თბილისის კინოსტუდიის'' ქრონიკის სექტორში გადაიღო 20-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი, მ. შ. ,,ხუნაგი'' (1936), ,,საქართველოს კურორტები'' (1939), ,,აჭარის სანაპიროზე'', ,,მიხეილ კალინინის ჩამოსვლა საქართველოში'' (1940), ,,მთამსვლელობა'', ,,მთებში'', ,,სახლი მწვერვალზე'' (1947), ,,ნატო ვაჩნაძის იუბილე'', ,,ალექსანდრე ყაზბეგი'', ,,ცხოვრება მთაში'', ,,ნატო ვაჩნაძე'', ,,ზაქარია ფალიაშვილი'' (1949), ,,ოქროს მტევნები'' (1951), ,,საქართველოს რიტმები'' (1971). კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' მისი გადაღებულია მხატვრული ფილმები: ,,მანანა'' (ზ. გუდავაძესთან ერთად, 1958), ,,თხუნელა'' (1962), სატელევიზიო ფილმების სტუდიაში –,,მოლანდება'' (გ. ლევაშოვ-თუმანიშვილთან ერთად, 1975). 1957-იდან მუშაობდა უცხოური ფილმების დუბლიაჟის რეჟისორად.



შ. მარტაშვილი. კადრი ფილმიდან ,,თხუნელა''. მსახიობები: მ. თბილელი – ანა, ი. ხვიჩია – სანდრო. 1962.

მ. კერესელიძე.

მარტელის უფსკრული, უფსკრული გაგრის მუნიციპალიტეტში, ბერჭილის ქედზე, მდ. სანდრიფშის (ხაშუფსეს მარცხ. შენაკადი) აუზში. აბსოლ. სიმაღლე – 2350 *მ*, შეფარდებითი სიმაღლე – 520 *მ*. გამომუშავებულია ქვედაცარცულ მასიურ კირქვებში. უფსკრულის საწყისი მონაკვეთი ცილინდრული ფორმის 80 *მ* სიღრმის ვერტ. შახტია. გვხვდება ადგილ. წარმოშობის ნგრეული მასალა, მრავალწლიანი თოვლის კონუსი, რ-იც ქვედა ნაწილში ფირნში გადადის. ჰაერის ტემპ-რა 3–4° C. უფსკრული მშრალია. თოვლის დნობის დროს წარმოიქმნება პატარა ნაკადულები. უფსკრულში ჩასაღწევად საჭიროა სპეც. აღჭურვილობა.

ზ. ტატაშიძე.

მარტვილი, ქალაქი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. მდებარეობს ოდიშის ვაკეზე, მდ. ინჩხიას (მდ. აბაშის მარცხ. შენაკადი) მარცხენა ნაპირზე, ზ. დ. 170 *მ*. აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 33 *კმ*. 4425 მცხ. (2014).

მ-ს თავდაპირველად ჭყონდიდი (დიდი მუხა) ერქვა. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მ-ის ტაძრის გავლენით სოფელსაც მ. ეწოდა. 1930-იდან გახდა რ-ნული ცენტრი. 1936 წ. 19 მარტს ა. *გეგეჭკორის* პატივსაცემად ეწოდა გეგეჭკორი. 1956 მიენიჭა დაბის, ხოლო 1964 – ქალაქის სტატუსი. 1991 კვლავ დაუბრუნდა სახელწოდება მ.

მ-ში არის სამრეწველო საწარმოები, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები, საჯარო და მუს. სკოლები, ბ-კა, კულტურის სახლი, თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ამ მუზეუმში სხვადასხვა პერიოდის (ქვის ხანიდან – XIX–XX სს-მდე) მრავალგვარი ექსპონატია წარმოდგენილი.

მ-ში მდებარეობს შუა საუკუნეებით დათარიღებული მონასტერი.

მარტვილის კანიონი, კანიონი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გაჭედილთან, მდ. აბაშის ხეობაში, ზ. დ. 210 *მ* სიმაღლეზე. ბუნების ძეგლი წარმოადგენს მდ. აბაშის მიერ კირქვული ქანებით აგებულ ანტიკლინში კანიონისებურად ჩაჭრილ ხეობას. კანიონის სიგრძეა 2400 *მ*, ჩაჭრის სიღრმე – 20–30 *მ*, სიგანე – 5–10 *მ*. კანიონის შუა ნაწილში წარმოიქმნება 12–15 *მ* სიმაღლის მცირე ჩანჩქერები, რ-თა შორის აღსანიშნავია ოფუცხოლე. გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ერთერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა. აქ მათთვის მოწყობილი იყო ე. წ. ,,დადიანების



მარტვილის კანიონი.

საბანაო‘‘, სადაც კირქვის დიდი კვადრებით აგებული კიბით ჩადიოდნენ. ამ კიბით სარგებლობდნენ თავად გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი.

მ. პ. ერთ-ერთი პოპულარული დაცული ტერიტორიაა. დამთვალიერებლებისთვის მოწყობილია საფეხმავლო ბილიკები, გადასასვლელი ხიდები, გადასახედი პლატფორმები. შთამბეჭდავია ნავით გასეირნება მდ. აბაშის 300-მეტრიან მონაკვეთზე. მ. პ-ის მიმდებარე ტერიტორია გარშემორტყმულია უნიკალური კოლხური ტყით. აქ გვხვდება კოლხური ბზა, დათვის თხილი, უთხოვარი, მრავლადაა ხავსები და გვიმრანაირები.

მ. პ. ცნობილია აგრეთვე გოჭკადილისა და გაჭედილის კანიონის სახელწოდებით.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი,თბ., 2009.

მარტვილის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. მ. მ-ს ჩრდ-ით ესაზღვრება ლენტეხის, აღმ-ით – ხონის, ჩრდ.-აღმ-ით – ცაგერის, სამხრ-ით – სენაკისა და აბაშის, ხოლო დას-ით და ჩრდ.-დას-ით – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები. ფართობი 880 *კმ*², მოსახლეობა 33.5 ათ. კაცი (2014). ადმ. ცენტრი – მარტვილი. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი და 20 თემი (აბედათი, ბანძა, გაჭედილი, გურძემი, დიდი ჭყონი, დოშაყი, ვედიდკარი, თამაკონი, ინჩხური, კიწია, კურზუ, ლეხაინდრავო, ნაგვაზავო, ნახუნავო, ნავჯახავო, ონოღია, სალხინო, სერგიეთი, ტალერი, ხუნწი).

ისტორიული ცნობა. ახლანდ. მ. მ-ის ტერიტ. შედიოდა კოლხეთის სამეფოში, ძვ. წ. III ს-ში ქართლის სამეფოში შემავალი ეგრისის ტერიტ. იყო, ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეგრისის სამეფოს, აფხაზეთის სამთავროს, აფხაზთა სამეფოს, აფხაზთა და ქართველთა სამეფოს, შემდეგ ერთიანი საქართვ., XIII–XIV სს. მიჯნაზე იმერეთის სამეფოს ეკუთვნოდა. ამ ტერიტორიას მოიცავდა ოდიშის საერისთავო, რ-იც XV ს-იდან შედიოდა იმერეთის სამეფოში, შემდეგ კი ოდიშის (სამეგრელოს) დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. ეპარქიულად ექვემდებარებოდა ჭყონდიდის საეპისკოპოსოს. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების (1867) შემდეგ ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში შედიოდა. 1921 საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფით სენაკის მაზრაში დარჩა, ხოლო 1930 გამოეყო მას დღევანდელ საზღვრებში მარტვილის რ-ნის სახელწოდებით. 1936 წ. 3 სექტემბრიდან 1990-მდე ერქვა გეგეჭკორის რ-ნი, 1963–66 შეერთებული ჰქონდა აბაშის რ-ნი. 1990-იდან ისევ მარტვილის რ-ნი გახდა, 2006-იდან ეწოდა მ. მ.

ბუნება. მ. მ-ის ტერიტ. სამხრ. ნაწილი უჭირავს ოდიშის ვაკეს, რ-იც აგებულია მეოთხეული მდინარეული და ტბიური კენჭნარით, ქვიშებითა და თიხებით. ვაკე სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-ისკენ თანდათან მაღლდება (60-იდან 170 *მ*-მდე) და მდ. აბაშასა და მარტვილამდე აღწევს. მუნიციპ-ის ტერიტ-ის ცენტრ. ნაწილი გაშლილია ბორცვიან მთისწინეთზე. მის აგებულებაში შედის მეოთხეული ქვიშაქვები და თიხები, აგრეთვე ნეოგენური და პალეოგენური ასაკის კონგლომერატები, ქვიშები, თიხები. მთისწინეთის სიმაღლე მერყეობს 170–500 *მ* ფარგლებში. მას ორ ნაწილად ყოფს აბედათის დაბალი სერი (მაქს. სიმაღლე 628 *მ*). მუნიციპალიტეტის ჩრდ. ნაწილი უჭირავს ცარცული და იურული ასაკის კირქვებით, ქვიშაქვებით, მერგელებით, თიხა-ფიქლებითა და კონგლომერატებით აგებულ ეგრისის ქედის სამხრ. ციცაბო კალთებს. ამ ქედზე მდებარეობს მ. მ-ის უმაღლესი მთა ტეხურიშდუდი (3003 *მ*), მთიანი ზოლი და ასხის მასივი. მისი სამხრ.-დას. კალთები, რ-ებიც მ. მ-ს ეკუთვნის, მდიდარია კარსტული ფორმებით. მ. მ-ის წიაღისეულია სამშენებლო კირქვა და ლებარდეს, ჩეგოლას და დვირისთავის სამკურნალო მინერ. წყლები.

ოდიშის დაბლობზე ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. ზამთარი თბილია, ზაფხული – ცხელი. საშ. წლიური ტემპ-რა 13,8° C, იანვ. 4,9° C, აგვ. 22,5°C. აბსოლ. მინ. –18 °C, მაქსიმუმი – 40 °C. ნალექები 2040 *მმ* წელიწადში, მაქსიმუმი ზაფხულ-შემოდგომაზე მოდის. ბორცვიან მთისწინეთში ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. საშ. წლიური ტემპ-რა 12,8 °C, იანვ. 3,6 °C, აგვ. 21,7° C, ნალექები 2200 *მმ*. მთაში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია, ზაფხული გრილი, აბსოლ. მინ. –19 °C, აბსოლ. მაქს. – 32 °C, ნალექები 1900–2000 *მმ*.

მუნიციპ-ის ტერიტორიას ჩრდიდან სამხრ-ისაკენ კვეთს მდ-ები ტეხური და აბაშა, რ-ებიც სათავეს იღებენ ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე, სამხრ.-აღმ. საზღვარს ჩამოუდის მდ. ცხენისწყალი. მდინარეებს ასაზრდოებს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლები. მათ დიდი ენერგეტიკული მნიშვნელობა აქვს. მდინარეთა რეჟიმში დიდ როლს ასრულებს კარსტული წყლები, რ-ებიც ვოკლუზების სახით გამოედინება. ტბებიდან აღსანიშნავია ტობავარჩხილის (დიდი და მცირე) ტბები.

მ. მ-ის დაბლობ ნაწილში ძირითადად სტეპური ეწერი ნიადაგებია გავრცელებული, მდინარეთა ნაპირების გასწვრივ კი – ალუვიური. ბორცვიან მთისწინეთში ჩამოყალიბებულია ნეშომპალა-კარბონატული, ყვითელმიწა, წითელმიწა გაეწრებული ნიადაგები; მთაში, 1800–2000 *მ* სიმაღლემდე, გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგი, უფრო მაღლა, ალპ. და სუბალპ.ზონებში – მთის მდელოს კორდიანი ნიადაგები.

დაბლობისა და მთისწინეთის უმეტეს ნაწილში ბუნებრივი მცენარეული საფარი შეცვლილია კულტ. მცენარეულობით. ალაგ-



მარტვილის მუნიციპალიტეტის გერბი.

ალაგ შემორჩენილ ტყეებში უმთავრესად გვხვდება თხმელა, რცხილა, ნეკერჩხალი, წიფელი, აქა-იქ – ბზა. არის მარადმწვანე ქვეტყე. მთის ტყიანი ზონის (400–500 *მ*-იდან 1800–2000 *მ*-მდე) ქვედა ნაწილში უმთავრესად ფართოფოთლოვანი ტყეებია – მუხნარი, რცხილნარი, რცხილნარ-მუხნარი, წიფლნარი, ზედაში კი – მუქწიწვოვანი. მდ. ტეხურის სათავეში კარგად არის შემონახული ნაძვნარი და სოჭნარი. ტყის ზემოთ ალპ. და სუბალპ. მდელოებია, რებსაც საზაფხულო საძოვრებად იყენებენ.



მარტვილის სვეტი.

მ. მ-ში ბინადრობს ჯიხვი, არჩვი, მგელი, ტურა, დათვი, მელა, მაჩვი, კვერნა, კურდღელი, ირმივითად – გარეული ღორი. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო. გვხვდება ქვეწარმავლებიც. მდინარეებში მრავლადაა ქაშაპი, წვერა, კოლხური ტობი, კალმახი და სხვ.

მ. მ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები: დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, ყვითელმიწა, წითელმიწა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; ბორცვიან-კარსტული სერები კოლხური მცენარეულობითა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; კარსტული დაბალი მთები რცხილნარ-მუხნარითა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; საშ. მთები წიფლის ტყეებითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით; კარსტული საშ. მთები წიფლნარ-მუქწიწვოვანი ტყეებითა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; კარსტის სუბალპ. ტყეები და მდელოები მთის მდელოსა და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით; ალპ. მდელოები მთის მდელოს ნიადაგებით.



მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მოსახლეობა. მოსახლეობის 99,8% ქართველია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 38 კაცი 1 *კმ*²-ზე (2014).

მეურნეობა. მ. მ-ის მრეწველობა ემყარება ადგილ. ნედლეულს. განვითარებულია ჩაისა და ღვინის წარმოება. სოფლის მეურნეობის დარგებია მეთხილეობა, მევენახეობა; მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. ამ ტერიტორიაზე გადის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მ. მ-ში მდებარეობს კურ. ლებარდე, ადგილ. მნიშვნელობის კლიმ.-ბალნეოლ. კურორტი ეგრისის ქედზე. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია მთის კლიმატი და მინერ. წყალი. ტურისტული თვალსაზრისით აღსანიშნავია ლებარდეს ტბები, ონიორეს, წაჩხურუს, ტობის ჩანჩქერები, მარტვილის კანიონი და მოთენას მღვიმე.

მ. მ-ში არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (62), საბავშვო ბაღები (16), პროფ. სასწავლებელი (2), ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკები (21), გ. ელიავას სახ. *მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.*

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული ძეგლებითაც. მათ შორისაა მარტვილის მონასტერი, აბედათის და თამაკონის ციხეები, სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენცია და სხვ.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გ. ელიავას სახელობისა, დაარსდა 1957 (ფართ. 1791 *მ*²), მუზეუმში დაცულია 55 ათ-ზე მეტი ექსპონატი, რ-თა შორისაა არქეოლ. მასალა: ადრეული ქვის ხანისა და ბრინჯაოს ხანის სამუშაო და საბრძოლო იარაღი, სარიტუალო ქვები, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამკაული; ძვ. წ. VII–VI სს. ბრინჯაოს ფიგურა ,,მქადაგებელი'', ფიბულები სხვადასხვა გამოსახულებით და სხვ. აქვე წარმოდგენილია ნუმიზმატიკური მასალა: ძვ. წ. IV–II სს. ოქროს მონეტები, კოლხური თეთრი, X–XVIII სს. ვერცხლის მონეტების კოლექცია, აგრეთვე XVIII–XIX სს. ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები. გამოფენილია თანამედროვე ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები: ლ. გუდიაშვილის „სამაია", ე. ახვლედიანის „ჩვენი სოფელი", მ. თოიძის, რ. სტურუას, ს. მაისაშვილის, რ. ადამიას ნამუშევრები, ი. ოჩიაურის, ჯ. ბჟალავას ქანდაკებები.

მ. მ. მ-ში ფუნქციონირებს XIX–XX სს. გამოცემებით დაკომპლექტებული ბ-კა (5000 ეგზ.).

მ. მ. მ-ს საგამოფენო დარბაზების გარდა აქვს ეთნოგრ. გამოფენა ღია ცის ქვეშ (გაიხსნა 1964). აქ მოწყობილია გლეხის კარ-მიდამო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობით: ჯვარგვალი, ფაცხა, მარანი, ნალია. მუზეუმის ბაზაზე 1973 შეიქმნა უნიკალური კოლხური ვაზის ჯიშები საკოლექციო ნაკვეთი.

მარტვილის ოთხთავი, XI ს. ხელნაწერი სახარება. გადაწერილია მარტვილის მონასტერში 1050 იოანე მესვეტისა და არსენ მწერლის მიერ. დამკვეთია იოანე ფარჯანიანი. ტექსტი შესრულებულია ყავისფერი მელნით, სათაურები და მნიშვნელოვანი ადგილები კი სინგურითაა გამოყოფილი. ხელნაწერი გაფორმებულია ორნამენტული საზედაო ასოებით, აგრეთვე – წმ. მათესა და წმ. მარკოზ მახარებლის მინიატიურებით. საწერ მასალად გამოყენებულია ეტრატი. შედგება 186 ფურცლისგან, რ-ის ზომაა 23×19 *სმ.* ხელნაწერი დაცულია საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში (ფონდი: S–391).

მარტვილის რაიონი, იხ. სტ. *მარტვილის მუნიციპალიტეტი.*

მარტვილის ტაძარი, ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარწმუნოებრივი ცენტრი. VII ს. I ნახ-ში ისტ. ეგრისის სამეფოში, მარტვილთა (მოწამეთა) სახელზე აიგო მცხეთის ჯვრის ტიპის ეკლესია. დღევანდელი გარეგნული სახე მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველი ნაგებობისაგან, რადგან X ს-ში, მეფე გიორგი II-ის დროს (912–957), ახალი კედლებით სრულად დაფარეს სამხრ-ის და ჩრდ-ის ფასადები, დას-იდან კი ახალი ეგვტერი მიაშენეს. ძველი გუმბათი შეუფერებელი, ამაღლებული პროპორციების ახალი თექვსმეტსარკმლიანი გუმბათის ყელით შეცვალეს. დღეს შესამჩნევია XIX ს. გადაკეთებებიც. ამ ცვლილებებით დაირღვა ეკლესიის თავდაპირველი სტრუქტურა და პროპორციული თანაფარდობა. შიდა აღნაგობით მ. ტ. მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძართა ჯგუფს განეკუთვნება და ამავე ტიპის სხვა ტაძრებისაგან ადგილ. სამშენებლო თავისებურებით განსხვავდება. ე. თაყაიშვილის გადმოცემით: ,,ტრაპეზი მარტვილის ეკლესიისა დადგმულა იმ მუხის ძირზე, რომელიც მოჰკვეთა ანდრია მიციქულმა, ოდეს მეგრელნი მოაქცია''. მარტვილელ მღვდელმთავარს ჭყონდიდელი ეწოდება (ქართულად ჭყონდიდი

დიდ მუხას ნიშნავს). ჭყონდიდლებს საქართველოს სამეფო კარზე უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა ეკავათ.

თავიდანვე მარტვილის მშენებელმა ოსტატმა ეკლესიის საფუძვლად მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის გეგმა თავისებურად გადაამუშავა – ძველი გუმბათის დიამეტრი შეამცირა, დაავიწროვა მკლავების სიგანე (რის გამოც გეგმა პროპორციულად უფრო გრძელი გამოჩნდა), გაიზარდა კუთხის ოთახები, გუმბათქვეშა კვადრატული სივრციდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად, მცხეთის ჯვრისგან განსხვავებით, ტრომპების რამდენადმე განსხვავებული სისტემა შეარჩია. ერთიმეორის ზემოთ, საფეხურებად დალაგებული თაღების ოთხი რიგით რამდენადმე მოძრავი, დეკორ. ეფექტი მიიღო. გარედან, მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, თავდაპირველი ფასადის გადაწყვეტა შენარჩუნებულია მხოლოდ აღმ-ის ფასადზე. აქაც ოსტატი ფასადის განსხვავებულ პროპორციულ თანაფარდობას ირჩევს. საკურთხევლის ხუთწახნაგა შვერილი პროპორციულად ვიწრო და მაღალია, მის გვერდებზე თაღოვანი ნიშებიც, მცხეთის ჯვრის ტაძართან შედარებით, ვიწრო და ღრმაა. ფასადის განაპირა ფრთები საკმაოდ განიერია. მნიშვნელოვანია ფასადთა დეკორ. მორთულობის ახლებური გადაწყვეტაც. ნაცვლად ცალკეული დამოუკიდებელი რელიეფური კომპოზიციებისა, აქ საკურთხევლის შვერილის ზედა ნაწილში შემოყოლებულია ერთიანი ორნამენტული ფრიზი ბიბლიური სცენებით: ხარება, ქრისტეს ამაღლება, დანიელი ლომების ხაროში, წმ. ევსტატეს ნადირობა. ცალკეული სცენებით შექმნილია ერთიანი დეკორ. ზოლი, რ-იც ჩარჩოთია შემოკავებული. წმინდანთა, ცხოველთა ფიგურები და მცენარეული ორნამენტი ერთიან დეკორ. ეფექტს იძლევა. მის ზემოთ, კარნიზის გაყოლებით, მწყობრი ინტერვალით, სწორკუთხა ფორმის კონსოლებზე რიტმული მონაცვლეობით, ორნამენტული მოტივი ან წმინდანია გამოკვეთილი. ტაძრის ინტერიერი სრულად იყო მოხატული. შემორჩენილია უფრო ადრინდელი მხატვრობის ნაცვლად შესრულებული XIII, XIV, XVI, XVII და XVIII სს-ების ფრესკები, რ-ებშიც ბევრი ისტ. პირის გამოსახულებაა. წარწერების თანახმად, – ჩიქოვანები, ლიპარტიანები, რამდენიმე ჭყონდიდელი. წარწერებში მოხსენიებული არიან შერგილ და ლევან დადიანებიც. ბოლო ხანებში მ. ტ. ხსენებულ ფეოდალთა და დადიანების საძვალე იყო.

ტაძრის გვერდით დგას მცირე ზომის, ჩიქოვანების ეკლესიად წოდებული X ან XI ს. ორსართულიანი ეკლესია. პირველი სართული სწორკუთხა სათავსი ქვებითაა დამუშავებული ტლანქად დამუშავებული ქვებითაა ამოყვანილი. ზედ აღმართულია ,,თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესია ერთი აფსიდითა და სამი სწორკუთხა მკლავით. ნაგებია თლილი ფოროვანი ქვით. შესასვლელი დას-იდან აქვს, მცირე ბაქნიდან, რ-ზეც ერთმარშიანი ქვის კიბეა მოდგმული. ტაძრის მკლავები მცირედაა შვერილი, ფასადები დეკორ. თაღებითა და პილასტრებითაა შემკული. გუმბათქვეშა კვადრატზე ცილინდრული 6-სარკმლიანი გუმბათის ყელია აღმართული, რ-საც თავდაპირველად შეწყვილებულ სვეტებზე დაბჯენილი ექვსი თაღი შემოუყვებოდა (შემორჩენილია ამ თაღედის მხოლოდ მცირე ნაწილი). ეკლესია მთლიანად მოხატული ყოფილა. შემორჩენილია მხატვრობის ცალკეული ფრაგმენტები.

ტაძრის დას-ით გათლილი ქვით ნაგები სწორკუთხა გეგმის სვეტია (სავარაუდოდ XI ს.), რ-ის ზედა სართულზე მესვეტის საცხოვრ. ეკლესია-ოთახია. ე. *თაყაიშვილი* აღნიშნავს: ,,დიუბუას დროს აქ კიდევ ცხოვრობდა მესვეტე და დაცული იყო კიბე, რომლის საშვალებითაც ხალხი ადიოდა და ჩამოდიოდა, რათა მიეღო ლოცვა-კურთხევა მესვეტისაგან“ (*დიუბუა დე მონპერემ* მარტვილი 1832 ინახულა, რამდენიმე წლის შემდეგ ა. მურავიოვს აქ მესვეტე იესე დახვედრია). მაღალი სვეტის ქვედა სართული დას-იდან (დაახლ. მთელი სიმაღლის ორი მესამედი) თაღით გახსნილ ღიობს უკავია. მის თავზე მესვეტის სამყოფელია, რ-იც დღეს დას-იდან და სამხრ-იდან სწორკუთხა სარკმლით ნათდება. შემორჩენილია ძველი ქვის კიბის მხოლოდ კვალი. დღეს მის ნაცვლად რკინის ვერტიკალური კიბეა დამაგრებული. 1922 სვეტი სანახევროდ ჩამოიშალა (სრულადაა აღდგენილი). დას-ის ფასადზე, კარნიზით აქცენტირებული სვეტის ზედა ნაწილი ცენტრისკენ აღმავალი თაღოვანი ბრტყელი ხუთი ნიშითაა გაფორმებული. სვეტი ორქანობიანი სახურავითაა გადახურული, აღმ-ისა და დას-ის ფასადები მრავალსაფეხურიანი გადანაკეციანი კარნიზებით მთავრდება.

მ. ტ. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სას. და კულტ. ცენტრი იყო; გაჩაღებული იყო მნიშვნელოვანი კულტ.-საგანმან. საქმიანობა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები: სტეფანე სანანოისძე (X ს.), გიორგი ჭყონდიდელი, იოანე ჭყონდიდელი, იოანე მესვეტე (XI ს.), გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (XI–XII სს.), ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (XVIII ს.), რომანოზ მესვეტე (XIX ს.) და სხვ. მარტვილის ხელნაწერთა კოლექცია დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში.

ლიტ.: ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1–2, თბ., 2014; თაყაიშვილი ე., მარტვილის მონასტერი, კრ.: ძველი საქართველო, ტ. 3, ტფ., 1913–14; მენაბდე ლ., ძველი ქართული კულტურის კერები, ტ. 1–2, თბ., 1962–80; ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936; Чубинашвили Г. Н., Памятники типа Джвари, Тб., 1948.

გ. მარსაგიშვილი. ლ. მენაბდე.



მარტვილის ჭედური ჯვარი. XI ს.

მარტვილის ჭედური ჯვარი, XI ს. მეორე მეოთხედის ქართული ოქრომჭედლობის ძეგლი. ოქროთი დაფერილი ვერცხლის საწინამძღვრო ჯვრის სიმაღლეა 56 *სმ*, განივი მკლავი – 36 *სმ*. მ. ჭ. ჯ. საწინამძღვრო ჯვრების ფორმას იმეორებს უფრო გრძელი ქვედა მკლავითა და თანაბარი ზომის სამი ზედა მკლავით. მკლავების



მარტვილის ტაძარი. VII ს.

ბოლოები ფართოვდება და ყოველი კიდე ფოთლოვანი ბუნებითაა დაბოლოებული. წინა პირზე თერთმეტი ფიგურაა გამოსახული. ჯვრის კონტური მცირე ზომის ღილაკების მწკრივითაა შემოსაზღვრული. ჯვრის შუა ნაწილი ჯვარცმული ქრისტეს მაღალ რელიეფურ ქანდაკებას უკავია. მის ზემოთ, ჯვრის ზედა მკლავზე სრული ტანით გამოსახულია, მის თავთან – ორი მთავარანგელოზის, ჯვრის განივი მკლავების ბოლოებში კი – თითო ანგელოზის ნახევარფიგურები (წელამდე), აგრეთვე – ფეხზე მდგარი მარიამ ღვთისმშობელი, მის პირდაპირ კი – იოანე ნათლისმცემელი; მკლავის ქვედა ნაწილი შევსებულია წმინდანისა და წყვილი ანგელოზის ნახევარფიგურებით, ჯვრის თავისუფალი არე წინა პირზე მცენარეული ორნამენტითაა შევსებული. ზურგი ბრწყინვალედ შესრულებული მცენარეული ორნამენტითაა დაფარული. გარე კონტურზე შემოვლებულია ვრცელი საქტიტორო ასომთავრული წარწერა: ,,...მე გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მარხველისამან, შევქმენ ჯოვარი ესე სადიდებლად და სალოცველად. ადიდენ ღმერთმან ძრიელისა ბაგრატ მეფისა და კუროპალატისა და შვილთა მათთა ერთობით ადიდენ ღმეთრმან...‘‘, მოხსენიებულია ოსტატის სახელიც: ,,...შეიქმნა ხელითა იოვანე დიაკონისაითა....‘‘. წარწერის მიხედვით დამკვეთი არსენი ჩვენთვის უცნობი პირია, ბაგრატ მეფე და კუროპალატი კი – ბაგრატ IV (გაერთიანებული საქართველოს მეფე 1027–72). ივანე დიაკონის მიერ შესრულებული საწინამძღვრო ჯვარი შუა საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის შედევრი და იმ პერიოდის საქართველოში მოცულობითი ქანდაკების განვითარების სრულყოფილი ნიმუშია. ჯვარცმული მაცხოვრის ფიგურა გათავისუფლდა ყოველგვარი შებოჭილობისაგან: ხაზები მშვიდი და ჰარმონიულია, ქრისტეს სხეულის პროპორციები კი – სწორი. გ. ჩუბინაშვილის სიტყვებით: ,,ივანე დიაკონის ოსტატობა და მხატვრული შესრულება სრულ შემოქმედებით თავისუფლებას მოწმობს‘‘. მ. ჭ. ჯ. 1938-იდან შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმშია დაცული.

ლიტ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა VIII–XVIII საუკუნებისა, ალბომი, თბ., 1957; მისივე, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

გ. მარსაგიშვილი.

მარტვილობა (იგივეა, რაც წამება), ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ჟანრი. ასახავს ქრისტიანობისთვის თავდადებული წმინდანების ცხოვრებასა და მათს მოწამებრივ აღსასრულს. ამ ჟანრის თხზულება ემსახურებოდა ქრისტ. სარწმუნოების განმტკიცებას. საქართველოში ქრისტიანობისათვის თავდადება ეროვნ. თავისთავადობის გადარჩენისათვის ბრძოლას უდრიდა, ამიტომ ქართ. მ-ებში ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაც აისახა (მაგ., ,,წმ. შუშანიკის წამება‘‘, V ს.; ,,წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა‘‘, VI ს.; ,,წმ. აბო თბილელის წამება‘‘, VIII ს.; ,,წმ. ქეთევან დედოფლის წამება‘‘, XVIII ს. და სხვ.).

ლიტ.: გაბიძაშვილი ე., შრომები, ტ. 1, თბ., 2010; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 5, თბ., 1957; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მეტრეველი ს., ქართული სულიერი კულტურის პარადიგმები – აგიოგრაფია, თბ., 2020; ფარულავა გ., ქართული ჰაგიოგრაფია, წგ.: ნათელი ქრისტესი საქართველო, წგ. 1, თბ., 2003.

ნ. გოგუაძე.

მარტვირი საბაწმიდელი, ქართველი (VI ს. II ნახ. – VII ს. I ნახ.), მწერალი, საეკლესიო მოღვაწე, პალესტინის საბას ლავრის მამასახლისი. მისი სახელით ცნობილია მისტ.-ასკეტ. თხზულება ,,სინანულისათვის და სიმდაბლისა‘‘. კ. კეკელიძე ნაშრომს ორიგინალურ თხზულებად მიიჩნევს, ჟ. გარიტისა და ა. ჰალექსის აზრით კი იგი VII ს. I ნახ-ის სირიელი მწერლის, მარტვირი საჰდონას ,,სრულქმნილების‘‘ მე-2 ნაწილის VII–XII თავების ექსცერპტია. მ. ს. ასკეტიზმის იმ მიმართულების მიმდევარია, რ-საც პრაქტ.-რეალური შეიძლება ეწოდოს. მისი მოღვაწეობა დადასტურებაა სირიულ-ქართ. ლიტ. ურთიერთობებისა VII ს-ში.

ლიტ.: კეკელიძე კ., მარტვირი ქართველი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 12, თბ., 1973; ჩაჩიბაია მ., სირიული ლიტერატურული ტრადიცია, თბ., 2017.

მარტი (<ლათ. Mars), კალენდარული წლის მესამე თვე (31 დღე). სახელი ეწოდა ძვ. რომაელთა ღმერთის – მარსის პატივსაცემად. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით – მირკანი (მიჰრაკანი).

მარტიანი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (ცხრაძმის თემი), მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1510 *მ,* ახალგორიდან 25 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარტინე (VI ს.), ეგრისისა და არმენიის სრულუფლებიანი სტრატეგოსი, ბიზანტიელების მთავარსარდალი *ეგრისის დიდი ომის* (542–562) დროს. 553 ირანელებმა შეძლეს ბიზანტ. და ეგრისის ჯარის დამარცხება, რაც ეგრისის მეფე გუბაზ II-მ (VI ს. 40–50-იანი წლები) ბიზანტ. სარდლების – მ-ს, ბესასა და რუსტიკეს უნიჭობასა და ანგარებას დააბრალა და ამის შესახებ იუსტინიანე კეისარს (527–565) აცნობა. კეისარმა მხოლოდ ბესა გადააყენა თანამდებობიდან, მ. კი დატოვა. ამის შემდეგ ამ სარდლებმა გუბაზის მტრობა და სიძულვილი ჩაიდეს გულში და იგი ვერაგულად მოკლეს (554). იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსის, აგათია სქოლასტიკოსის გადმოცემით, ლაზთა მთელი ლაშქარი აალელვა ამ ამბავმა და მათ მოითხოვეს მკვლელების დასჯა. იუსტინიანემ რუსტიკე და მისი ძმა სიკვდილით დასაჯა, ხოლო მ-ს, გაითვალისწინა რა მის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი, ფაქტობრივად დანაშაული აპატია და მხოლოდ თანამდებობიდან გადააყენა.

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი, წგ.: გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში, ,,თსუ შრომები‘‘, 1944, ტ. 26B; მისივე, ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

მარტინისმაღალი, მთა დუშეთის მუნიციპალიტეტში, აღმ. კავკასიონზე, მდ-ების – არმხისა და ასის წყალგამყოფ კიდეგანის ქედზე. ზ. დ. 3898 *მ.* აგებულია ქვედაიურული ასაკის თიხა-ფიქლებით. კლდოვანი მასივია. გვხვდება კიროვანი ტრავერტინების დანაგროვები, მორენული და ალუვიური ნაფენები. ახასიათებს ალპ. და სუბნივალური ლანდშაფტი.

მარტიროლოგი, კრებულები, რომლებშიც თავმოყრილია მოწამეთა ღვაწლის აღმწერი თხზულებანი. ასეთ კრებულთაგან ბიზანტ. ლიტ-რაში ერთ-ერთი უძველესია ევსები კესარიელის წიგნი პალესტინელ მოწამეთა შესახებ, აგრეთვე ბასილი მაკედონელის სრული „მენოლოგია“. დასავლეთში ცნობილია ნეტარი იერონიმეს

(ფლორის ლიონელი დიაკვანი) მ.; უფრო გვიან კი რომის პაპის, გრიგოლ XIII-ის დავალებით ბარონიემ შეადგინა გაცილებით სრული მ., რ-იც მოიცავდა ცნობებს ყველა ქვეყნის წამებულთა შესახებ. „მოწამეთა წიგნს“ მოიხსენიებს ქართ. ჰაგიოგრაფიის უძველესი ძეგლი „წმიდა შუშანიკის წამება“ (V ს.). საფიქრებელია, რომ „მოწამეთა წიგნი“ იმთავითვე იყო ნათარგმნი ქართ. ენაზე.

მარტინროსოვი არამ გიორგის ძე (23. XII. 1912, სიღნაღი, – 5. XII. 1998, თბილისი), ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. დოქტორი (1965), პროფესორი (1965). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი კავკ. და აღმოსავლური ენების განხრით. 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ჯერ ენიმკისა (ენის, ისტ. და მატერ. კულტურის ინ-ტი) და შემდეგ 1941-დან ენათმეცნ. ინ-ტში თავდაპირველად უმცროს, ხოლო შემდეგ წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. მ. 1938-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. იყო ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტის პროფესორი, კათედრის გამგე.

მ. ავტორია ქართ. ენათმეცნ. საკითხებზე გამოქვეყნებული ნაშრომებისა. მ. შ. აღსანიშნავია ხუთი მონოგრაფია: ,,ქართული ენის კახური დიალექტი. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი'' (გ. იმნაიშვილთან ერთად, 1956); ,,ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი'', 1964; ,,ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის'', 1972; ,,ჭილ-ეტრატის იადგარი. ტექსტი და გამოკვლევა'' (ა. შანიძესა და ა. ჯიშიაშვილთან ერთად, 1977); ,,ქართული ენის ჯავახური დიალექტი. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი'', 1984.

საქართვ. სომხური სკოლების VII, VIII, IX და X კლასებში ქართულ ენას ასწავლიდნენ მ-ის თანაავტორობით შედგენილი სახელმძღვანელოებით.

გ. ცოცანიძე.

მარტოთუბანი, სოფელი იმერეთის რეგიონის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (სანახშირის თემი), იმერეთის მაღლობის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 330 *მ,* ზესტაფონიდან 5 *კმ.* 633 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

მარტუნი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (ხოსპიოს თემი), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ფარავნისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 1730 *მ,* ახალქალაქიდან 5 *კმ.* 207 მცხ. (2014).

მარტყოფი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, იალნოს ქედის სამხრ. კალთაზე, მდ-ების – ალიხევისა და ტევალის ხეობებში. ზ. დ. 800 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., ვაზიანი, სააკაძე). გარდაბნიდან 55 *კმ,* ვაზიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 7397 მცხ. (2014).

ახლანდელი მ-ის ტერიტ. დასახლებულია I–II სს-იდან; VI ს-მდე აკრიანი (ქვიანი ადგილი) ეწოდებოდა. ფიქრობენ, რომ სახელწოდება მ. მომდინარეობს ერთ-ერთი ასურელი მამის, ანტონ მარტყოფელის (მარტომყოფელი) სახელიდან. XIII ს-იდან აქ რუსთავ-მარტყოფის საეპისკოპოსოს კათედრალი, XV ს-იდან კი სადროშოს ცენტრი იყო. ე. წ. ,,გუგუნაანთ ციხე'' კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო. 1625 მ-ის ველზე გაიმართა ბრძოლა სპარსელებსა და ქართველებს შორის (იხ. *მარტყოფის ბრძოლა 1625*).

ძველად მ-ში მოღვაწეობდნენ პოეტები და მწიგნობრები: ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVII–XVIII სს.), იოანე ქობულაშვილი, სტეფანე ჯორჯაძე (ორივე XVIII ს.) და სხვ. მარტყოფელი აბრამ შინჯიკაშვილი (იბრაჰიმ-ბეგი) 1775–1804 ეგვიპტის მმართველი იყო.

სოფლის მახლობლად, ულევრის ველზე, არქ. გათხრების შედეგად მიკვლეულია ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის გორასამარხები. სოფლის მიდამოებშივე აღმოჩნდა პართული მონეტების განძი (ძვ. წ. I– ახ. წ. II სს.) (იხ. აგრეთვე სტ. *ულევრის არქეოლოგიური ძეგლები*).

მ-ში შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევები (1810 ააგო რუსთავის ეპისკოპოსმა სტეფანე II-მ), აგრეთვე XVIII ს. რამდენიმე საგვარეულოს (შინჯიკაშვილების, ძამაშვილების, თუშმალიშვილების). საცხოვრ.-საბრძოლო კოშკი მათგან უკეთესადაა შემონახული, თუშმალიშვილების კოშკი – გეგმით მრგვალი, ოთხსართულიანი ნაგებობაა, რ-ის საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, ხოლო კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილებისათვის და გარედან გასაფორმებლად – აგური. მშენებელი, როგორც ჩანს, გამოცდილი ოსტატი ყოფილა, რაც იგრძნობა პროპორციებსა და სამხრ. ფასადის ხუროთმოძღვრულ გადაწყვეტაში, აგურის წყობით გამოყვანილ მორთულობაში. სართულებს შორის ასასვლელები დატანებულია კედლებში.

სოფლის მახლობლად, ქედზე არის V–VI სს. სამონასტრო კომპლექსი.

ლიტ.: გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, ტ.1, თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ა. მათიაშვილი.
ლ. მენაბდე.
შ. საღარაძე.

მარტყოფის ბრძოლა 1625, ქართლ-კახეთის ლაშქრის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართლ-კახეთის აჯანყების (1625) ერთ-ერთი ეპიზოდი. მარტყოფის ველზე დაბანაკებული ყიზილბაშთა დიდი არმია ყარჩიხა-ხანის სარდლობით კახეთის მოსახლეობის ერთიანად გასაწყვეტად ემზადებოდა. ქართლ-კახეთი გ. *სააკაძისა* და დ. ჯანდიერის მეთაურობით აჯანყებისათვის მზად იყო. ქართლ-კახეთის მესვეურთა გეგმით, აჯანყებულები დათქმულ დროზე მოულოდნელად უნდა შესეოდნენ ირანელთა ბანაკს, ხოლო გ. სააკაძესა და მის მხლებლებს, რ-ნიც ირანელთა ბანაკში იმყოფებოდნენ, მოულოდნელი დარტყმით ჯარის სარდლები უნდა დაეხოცათ. მტრის ბანაკში ასევე იყო სააკაძის შვილი ავთანდილი, თავადიშვილები – ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე, გლეხი პაპუნა ვაშაყაშვილი.



ა. მარტიროსოვი.

25 მარტს, გარიჟრაჟზე, ხარება დღეს, ქართლ-კახეთის ლაშქარი მტრის ბანაკს მიუახლოვდა. ხმაურზე გუშაგებმა განგაში დასცეს. ირანის ჯარის სარდლობამ სასწრაფოდ თავი მოიყარა ყარჩიხა-ხანთან და გ. სააკაძე იხმეს. შეკრებისთანავე, გ. სააკაძემ ყარჩიხა-ხანი განგმირა, ხოლო სანამ ირანელთა სარდლობა გონს მოვიდოდა, სააკაძის მხლებლებმა მათ ბოლო მოუღეს. ამასობაში ქართველთა ჯარი, რ-საც ზურაბ ერისთავი მეთაურობდა, ბანაკში შეიჭრა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა და გვიან ღამით აჯანყებულთა გამარჯვებით დამთავრდა. მტრის ბანაკიდან, რ-შიც 30 ათმდე ყიზილბაში იყო, მხოლოდ 3 ათასმა უშველა თავს გაქცევით. ქართლ-კახეთის მოსახლეობა ამჯერადაც გადარჩა ამოწყვეტასა და აყრა-აოხრებას. შაჰ აბას I-ის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს გ. სააკაძის ვაჟს – პაატას, რ-იც მძევლად იყო ირანში.

აბას I-მა დაიწყო სამზადისი საქართველოში დიდი სადამსჯელო ლაშქრობის მოსაწყობად. გ. სააკაძე და თეიმურაზ I თავდაცვისათვის ემზადებოდნენ (იხ. *მარაბდის ბრძოლა 1625*).

წყარო.: ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა წგ.; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც, ტ. 4, თბ., 1973; გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე“, 1925, [ტ.] 2; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1964; ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

გ. ჯამბურია.

მარტყოფის გორასამარხები იხ. *ულევრის არქეოლოგიური ძეგლები.*

მარტყოფის ღვთაების მონასტერი, მონასტერი ისტორიულ ქვემო ქართლში, სოფ. მარტყოფის (ახლანდ. გარდაბნის მუნიციპალიტეტი) მახლობლად, თბილისიდან აღმ-ით 25–27 *კმ*-ზე. დაარსებულია VI ს. II ნახევარში ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთის – *ანტონ მარტყოფელის* მიერ. წერილობით წყაროებზე დაყრდნობით პლატონ იოსელიანი აქ პირველი ტაძრის აგებას ვახტანგ გორგასალს (V ს.) უკავშირებს. კომპლექსი მთის კლდოვან თხემზე მდებარეობს და სხვადასხვა დროს ნაგები რამდენიმე ტაძრის (ღვთაების, ღვთისმშობლის, წმ. გიორგისა და წმ. მამა ანტონის), მცირე სამლოცველოების, სალოცავი სვეტის, სამრეკლოს, საბრძოლო კოშკის, მონაზონთა სენაკების, სატრაპეზოსა და სხვა სამეურნეო ნაგებობებისაგან შედგება. მონასტრის გარშემო ძველი გალავნის ნანგრევებია შემორჩენილი (ვახუშტი ბატონიშვილი გალავნის შესახებ აღნიშნავს: „გარ ზღუდე გოდოლისანი, მგზავსი ციხისა“).



მარტყოფის ღვთაების მონასტერი.

მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზა ჩრდ-იდანაა.

მონასტერში გადარჩენილ ნაგებობათა შორის უადრესია მის აღმ-ით, ძნელად მისასვლელი კლდოვანი მასივის თავზე აღმართული ანტონ მარტყოფელის სვეტი, სადაც ხალხს განრიდებულმა წმ. მამამ ცხოვრების ბოლო წლები გაატარა. შერჩენილი ზურგიანი სვეტის გეგმისა და ნაწილობრივ გადარჩენილი დას-ის კედლის მიხედვით სამსართულიანი სვეტი თლილი ქვიშაქვით სრულადაა აღდგენილი (აქ რამდენიმე სამლოცველოა).

კომპლექსის დომინანტია ღვთაების „ხელთუქმნელი ხატის“ გუმბათიანი ტაძარი, რ-იც ქრონოლოგიურად წმ. სვეტის თანადროულად (სავარაუდოდ, VI ს. ბოლოს) იყო აგებული. გადმოცემით, ამ ტაძარში ესვენა წმ. ანტონ მარტყოფელის მიერ ედესიდან ჩამობრძანებული, კეცზე გამოსახული ხელთუქმნელი ხატი, რ-იც თემურლენგის 1395 შემოსევის შემდეგ დაიკარგა. მონასტერი არაერთხელ დაზიანდა და განახლდა, მაგ., IX ს-ში ან XVII–XVIII სს. მიჯნაზე მონასტერი და გუმბათიანი ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ. დღევანდელი ეკლესია ძირითადად 1848–56 წლებშია აღდგენილი, რ-ის დროსაც ინტერიერი სრულად გაიწმინდა და მოიხატა (ამ დროს განადგურდა ძვ. ფერწერის ფრაგმენტები, ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის პორტრეტები). ეკლესიის გარე კედლები თბილი ტონალობის თლილი ქვითაა შემოსილი, რ-შიც ძვ. ეკლესიის ცალკეული ფრაგმენტებია ჩაყოლებული. ტაძრის კედლები წრეთარგითა და ლილვით შედგენილი ლავგარდანითაა დასრულებული, გუმბათის ყელი კი დეკორატიული თაღებითაა გაფორმებული. სარკმლები გლუვლილვიან ჩარჩოშია ჩასმული. გუმბათის ყელის ლავგარდანი მაღალია. ლავგარდნის წრეთარგზე ამოკვეთილია გადაბმული რგოლების ორმაგი ჯაჭვი. ტაძარში ორი შესასვლელია – სამხრ-იდან და დას-იდან. ტაძრის ჩრდ. მკლავში წმ. ანტონ მარტყოფელის საფლავია (საფლავის ქვის წარწერა შესრულებულია XIX ს-ში). ეკლესიის სარდაფში შემორჩენილია საძვალე. მონასტრის სხვა ეკლესიები და სამლოცველოები დარბაზული ტიპისაა.

მონასტრის შუა ნაწილში დგას სწორკუთხა გეგმის (7,4×6,6 *მ*) ოთხსართულიანი სამრეკლო, რ-ის ქვედა სამი სართული ქვითაა ნაგები, მორთულობა და კონსტრუქციული ელემენტები კი აგურითაა გამოყვანილი. მეოთხე, დამაგვირგვინებელი სართული მთლიანად აგურით ნაგები ექვსსვეტიანი ფანჩატურია, რ-იც მაღალი სამნაწილიანი კარნიზითა და პირამიდული სახურავით სრულდება. სამრეკლოს სამხრ. კედელში ქვაზე შესრულებულ წარწერაში ნახსენებია მშენებელ-კალატოზი: „აშენდა სამრეკლო ესე ხელითა ქალატოზისა ახვერდასითა....“. ჩრდ. კედლის წარწერის თანახმად, სამრეკლო 1699 აუგიათ მარტყოფის „საჭეთმპყრობელის ...ზაქარია ენდრონიკაშვილის...“ ბრძანებით.

XI ს-იდან მონასტერი რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა, XIII ს-ში საეპისკოპოსო კათედრა რუსთავიდან აქ გადმოვიდა და XIX ს-მდე ინარჩუნებდა საეპისკოპოსო ცენტრის ფუნქციას. მონასტერი იყო კულტ.-საგანმან. კერა, სადაც იყო სკოლა. მ. ღ. მ. მოქმედი იყო 1934-მდე. XX ს. 50-იანი წლების დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებდა ბავშვთა თავშესაფარი, დასასვენებელი სახლი, მილიციის საზაფხულო სასწ. სკოლა და ა. შ.

საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 მარტყოფში სამონასტრო ცხოვრება განახლდა. აღდგენილია ძვ. სატრაპეზო და სენაკები. დღევანდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით მონასტერს თანამედროვე შენობებიც დაემატა.

ლიტ.: კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; მათიაშვილი ა., მარტყოფის ისტორიის შესახებ, „მაცნე“, 1963, № 1; ანტონ მარტომყოფელი, წგ.: ხოფერია ლ., სულავა ნ., საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ტ. 1, თბ., 2015; Иоселиани Пл., Описание Марткопскаго монастыря, Тфл., 1847; Сабинин М. П., Рай Грузии, СПб., 1882.

ნ. ანდღულაძე.
გ. მარსაგიშვილი.

მარტყოფისწყალი, მდინარე ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდ. ლოჭინისხევის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს იალნოს ქედის სამხრ. კალთებიდან. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში.

მარტყოფიჰესი, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. ექსპლუატაციაში შევიდა 1952.

მდებარეობს გარდაბნის მუნიციპ-ში. აგებულია მდ. ივრის საირიგაციო არხზე, სიმძლავრე 3,86 *მგვტ.* მისი მფლობელია სააქციო საზ-ბა *„ენერგო-პრო ჯორჯია“*. მ-ის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ·სთ*): 2012 წ. – 6,4; 2015 წ. – 2,5; 2017 წ. – 3,7; 2018 წ. – 0,7; 2019 წ. – 0,6; 2020 წ. – 0,7; 2021 წ. – 1,2; 2022 წ. – 1,6.

მარტყოფლიშვილი ანზორ (ფირუზ) არსენას ძე (14. X. 1947, ზემო მაჩხაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 11. V. 2018, თბილისი), სპორტსმენი (ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო, ძიუდო). სსრკ და საქართვ. დამს. მწვრთნელი (1974). ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი ძიუდოში (1971). საქართვ. თერთმეტგზის ჩემპიონი სამბოში, თავისუფალ და ქართ. ჭიდაობაში; სსრკ ორგზის ჩემპიონი და ექვსგზის პრიზიორი სამბოში. სსრკ სპორტის ოსტატი სამბოში (1960) და თავისუფალ ჭიდაობაში (1961). სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში (1967).

დაამთავრა საქართვ. სახელმწ. ფიზ. კულტურის ინ-ტი (1963) და თსსი (1970). იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ უფრ. მწვრთნელი (1959); ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1971); საკავშ. კატეგორიის მსაჯი სამბოსა და ძიუდოში. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998).

მარუაშვილი გიორგი მინას ძე (23. XII. 1910, ქარელი, – 21. I. 1991, თბილისი), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966), სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1960).

1933 დაამთავრა თსსი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1944–59, 1962–89 – ინ-ტის დირექტორი). 1959–62 იყო საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი, 1974-იდან – ჯანდაცვის სამინისტროს მთ. პარაზიტოლოგი. მ-მა დანერგა საქართველოში პარაზიტოლოგიის კლინ.-ეპიდემიოლოგიური მიმართულება; შეისწავლა ადამიანის პარაზიტული დაავადებები, ბრუცელოზი და ნაწლავთა ინფექციები; საქართველოში პირველმა გამოავლინა აგრანულოციტოზი, ვისცერული და კანის ლეიშმანიოზის ბუნებრივი კერობრიობა, ადამიანის ტრიქინელოზი, ე. წ. უსიყვითლო ლეპტოსპიროზი, ტოქსოპლაზმოზი, შემოტანილი შისტომატოზი. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მალარიასთან ბრძოლის საქმეში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მარუაშვილი იოსებ მალაქიას ძე (1877, სოფ. თავასა, ახლანდ თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 1931, თბილისი), ტოპოგრაფი, გეოდეზისტი. 1894 დაამთავრა ქუთაისის სამიწათმზომლო სასწავლებელი. აწარმოებდა ტრიანგულაციას კავკასიის მხარის სხვადასხვა რეგიონში, ჩრდ. კავკასიაში (რუსეთი), აფხაზეთსა და ბორჯომის მხარეში, არაგაწის მასივზე (სომხეთი) და სხვ.

მ. 1904–05 რევ. მოძრაობაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს (იხ. სტ. *„გაგრის საქმე“*, 1933). მუშაობდა საქართვ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში გადასახლებათა განყ-ბის გამგედ.

1904 მ. კურორტ გაგრის მფლობელის, ოლდენბურგის პრინცის დავალებით ხელმძღვანელობდა ე. წ. „ალპური გზის“ (სიგრძე 37,9 *კმ*) მშენებლობას, რ-იც გაგრიდან მთა მამბიშხაზე (ზ.დ. 1869 *მ*) ადის. გზის მე-16 *კმ*-ზე დგას მ-ის მემორიალი ქვაში ამოკვეთილი წარწერით.

მარუაშვილი ლევან იოსების ძე (25. X. 1912, ნოვოჩერკასკი, როსტოვის ოლქი, – 7. XII. 1992, თბილისი), გეოგრაფი, მთამსვლელი, ჟურნალისტი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1965). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985), საქართვ. (1966) და აფხაზეთის არის (1984) მეცნ. დამს. მოღვაწე. სსრკ გეოგრ. საზ-ბის საპატიო წევრი(1985). 1930–38 სწავლობდა თსუ-ში. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე. 1938–41 მუშაობდა ქუთაისის პედ. ინ-ტში. ომის დამთავრების შემდეგ იქვე გააგრძელა მოღვაწეობა. 1949–53 იყო სოხუმის პედ. ინ-ტის პედაგოგი. 1953-იდან გეოგრაფ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა ფიზიკური გეოგრ., ხოლო 1956–92 – გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყ-ბებს.

მ. დაინტერესებული იყო მოგზაურობით. ავიდა კავკასიონის ერთერთ მიუვალ მწვ. ბრუტსაბძელზე, მოგვიანებით – თეთნულდზე, ყუროსწვერზე, მყინვარწვერზე, უშბაზე, იალბუზზე, ქომიტოზე და სხვ. მონაწილეობა მიიღო პამირის ექსპედიციაში. გეოგრაფიის ინ-ტის სპელეოლოგიურმა ექსპედიციამ 1960 მ-ის ხელმძღვანელობით აფხაზეთში, ბერჭილის ქედზე აღმოაჩინა კრუბერის გამოქვაბული, რ-იც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ულრმესი მღვიმის სტატუსითაა ცნობილი. მ. ავტორია სამეცნ. და სამეცნ.-პოპულ. ნაშრომებისა, რთაგან 30-მდე ცალკე წიგნად არის გამოცემული ქართულ და უცხოურ ენებზე.

მ-ს მიღებული აქვს ნ. პრჟევალსკის სახ. ოქროს მედალი (1972), ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1973).


თხზ.: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964, გამოც. მე-2, ნაწ. 1–2, თბ., 1969; მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973; კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1–ბუნებრივი პირობების შესწავლის ისტორია, თბ., 1975; Геоморфология Грузии, Тб., 1971 (თანაავტ.); Палеогеографический словарь, М., 1985; Грузия в антропогене, Тб., 1991 (თანაავტ.).



ა. მარტყოფლიშვილი.

მარულა, საცხენოსნო შეჯიბრების ერთ-ერთი უძველესი ეროვნული სახეობა – დღი გრძელ მანძილზე საამისოდ საგანგებოდ ნავარჯიშები ცხენებით. იმართებოდა 20–25 *კმ* დისტანციებზეც. მ-ში მოზრდილებთან ერთად მონაწილეობდნენ ბავშვებიც. ახლა მ. იმართება შეჯიბრების ზუსტი წესების დაცვით. დისტანცია – 8–10 *კმ*. მ. შედის ცხენოსნობის ეროვნ. სახეობათა საქართვ. ჩემპიონატების პროგრამაში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ჩოხატაურის, სამტრედიის, გალის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, გუდაუთის, გურჯაანის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს მუნიციპ-ებში, ქუთაისში. ქართულ ხალხურ ცხენოსნურ თამაშებს (ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მ.) საქართვ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს მიერ არამატერ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა (2018).

რ. ქორქია.



გ. მარუაშვილი.



მარულა.

მარუშიანები, დასავლეთ საქართველოს წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო X–XI სს-ში. ამ საგვარეულოს ეკუთვნოდა, როგორც ჩანს, ქართლის ერისთავი X ს. 70-იან წლებში ივანე *მარუშისძე* (როგორც მარუში-ან-ი, ისე მარუშის ძე ნაწარმოებია მამაკაცის სახელისაგან – მარუში). მ-გან წარმოიქმნა დას. საქართველოს 2 დიდი საგვარეულო: ვარდანისძეთა და დადიანთა. ამის შემდეგ მარუშიანი, როგორც სახელი, დარჩა ვარდანისძეთა გვარში (იხ. *ვარდანისძენი*). ცნობილია 2 მარუშიან ვარდანისძე: XII ს. 80-იან წლებში და XIII–XIV სს. მიჯნაზე (სახელი მარუშიანი XIII–XIV სს-ში გვხვდება დას. საქართველოს სხვა საგვარეულოებშიც: აფაქისძეებში, ფალქოზისძეებში და სხვ.).

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ლიხაურის ხატის წარწერა, წგ.: Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878.

ლიტ.: მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979.

ნ. შოშიაშვილი.

მარუშიანი ზვიად, დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი, აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957–967) მოხელე, ჯავახეთის ერისთავი X ს. 60-იან წლებში. მ-ის ერისთავობის დროს აიგო კუმურდოს ტაძარი (მ. იხსენიება ტაძრის სამშენებლო წარწერაში, 964).

წყარო: ბაქრაძე ა., თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, ,,ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე'', 1959, ტ. 20B; ბერძენიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები (თორი, ჯავახეთი), თბ., 1985; კუმურდოს წარწერა, წგ.: ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

მარუშიანი ზვიად, დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი X–XI სს. მიჯნაზე, *ბაგრატ III-ის* მოხელე – თრიალეთის ერისთავი X ს. 80-იან წლებში (დაახლ. 988 მეფემ კლდეკარი ჩამოართვა რატი ბაღვაშს და თრიალეთის ერისთავად მ. დანიშნა, რასაც გვამცნობს ლივადის ეკლესიის წარწერა). 1014 მ-მა ფანასკერტიდან (ტაო) ბედიაში გადაასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი. XI ს. 20-იან წლებში, ბიზანტიასთან ომის დროს, მ. სარდლობდა ქართველთა მეწინავე ლაშქარს. დროის მოგების მიზნით გიორგი I-მა მას დაავალა ბიზანტიელებთან საზავო მოლაპარაკების გამართვა. ზვიად ერისთავი მოხსენიებულია ზარზმის ხატის განმაახლებლის წარწერაში (რსაც გ. ჩუბინაშვილი XI ს-ით ათარიღებს). მეწინავე ლაშქრის სარდლობა (მეწინავეობა მესხებს ჰქონდათ საქართველოს ლაშქარში) და ზარზმის ხატის წარწერაში მოხსენიება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მ. იყო სამცხის ერისთავიც. შემდეგში მ-ს გიორგი I-თან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც მეფემ ის შეიპყრო (ამას გვამცნობს გომარეთის წარწერა). შესაძლოა, სწორედ ამის შემდეგ დაბრუნდნენ ბაღვაშები თრიალეთში. სავარაუდოა, რომ მ. იყო ჯავახეთის ერისთავის, ზვიად მარუშიანის შვილიშვილი და ჯავახეთის ერისთავ ვაჩეს შვილი.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ბაქრაძე ა., თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, ,,ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე'', 1959, ტ. 20B; ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერა, წგ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა VIII–XVIII საუკუნეებისა. ალბომი, თბ., 1957.

ნ. შოშიაშვილი.

მარუშისძე ივანე (იოანე), დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი X ს-ში, აფხაზთა მეფის მოხელე – ქართლის ერისთავი X ს. 70-იან წლებში. მან 976 დავით III კურაპალატს შესთავაზა ან თვითონ შეეერთებინა ქართლი, ან თავისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე დაესვა მის გამგებლად. დავითმა, მართლაც, ქართლის გამგებლად დასვა ბაგრატი. მ-ს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა საკუთარი ფეოდ. და სამოხელეო ინტერესები: ქიშპი ქართლის გამგებლობისათვის ,,ქართლის უფლებათან'' – ტბელებთან და კახეთის ქორეპისკოპოსთან. 978 მ-მ ბაგრატი, როგორც აფხაზთა მეფის შვილიშვილი დედის მხრიდან, აფხაზთა (დას. საქართველოს) მეფედ დასვა. ამით მან პროგრესული როლი ითამაშა საქართვ. გაერთიანებისათვის ბრძოლაში და ხელი შეუწყო ამ პროცესის დაჩქარებას.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად), ტ. 2.

ნ. შოშიაშვილი.

მარუხი, ხეობის ტიპის მყინვარი აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე. მდ. მარუხის აუზის უდიდესი მყინვარი. ფართობი – 1,68 *კმ*^{2}, სიგრძე – 4,13 *კმ*. მ-ს აქვს კარგად გამოხატული მყინვარის ენა და 300 *მ* სიმაღლის ყინულჩანჩქერი. 1,5 *კმ* სიგრძის მყინვარის ენა სუსტადაა დანაპრალებული და მცირე დახრით ხასიათდება. ენის ცენტრ. ნაწილი სუფთაა, მხოლოდ მისი ბოლო მონაკვეთია დაფარული ფხვიერი მასალით. მყინვარის ხეობაში (მყინვარის ტროგი) სხვადასხვა ზომის მორენული სერებია წარმოდგენილი. მართალია მ-ს არ აქვს გვერდითი სტადიალური მორენები, მაგრამ სტადიალური მყინვარის ნაკვალევი ხეობის ორივე ფერდობზე მკვეთრი ხაზით გამოიყოფა ფერდობზე მიფენილი მორენული მასალის, მცენარეული საფარის, ფერდობის ფერის ტონალობისა და სხვა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით. ხეობაში კარგად არის გამოხატული ბოლო სტადიალური და მიკროსტადიალური მორენები.

ლ. ტიელიძე.

მარუხი, მთა აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე გულრიფშის მუნიციპალიტეტში. ზ. დ. 3806 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. მ-ის აღმ-ით აღმართულია მწვ. მცირე მარუხი (3550 *მ*). გზა იწყება მდ. ჩხალთის ხეობიდან (სამხრ. მხარე) და მდ. მარუხის ხეობიდან ჩრდ-ით მიემართება.

მარუხი, მდინარე აფხაზეთის არის გულრიფშის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხალთის მარცხ. შენაკადი, იწყება აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მარუხის მყინვართან. ზ. დ. 2405 *მ*. მ-ის სიგრძეა 7,7 *კმ*, აუზის ფართ. – 43,4 *კმ*^{2}. საშ. წლიური ხარჯი – 3,90 *მ*^{3}/*წმ*. საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირობა კი – შემოდგომა-ზამთარში.

მარუხის ბრძოლა, მეორე მსოფლიო ომის (1939–45) დროს კავკასიისათვის ბრძოლისას (იხ. სტ. *კავკასიისათვის ბრძოლა 1942–43*), მარუხის უღელტეხილის მიდამოებში 1942 აგვისტო-სექტემბერში გამართული შეტაკება ვერმახტსა და სსრკ სამხედრო შენაერთებს შორის.

მარუხის უღელტეხილი, უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მწვ. მარუხის დასით. სიმაღლე ზ. დ. 2746 *მ*. მიდამოები აგებულია გრანიტოიდებით. დამახასიათებელია გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. საცალ-

ფეხო გზა აკავშირებს მდ-ების – ჩხალთისა (გულრიფშის მუნიციპ.) და მარუხის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის არ, რფ.) ხეობებს.

მარქსი კარლ ჰენრიხ (5. V. 1818, ტრირი, პრუსია, გერმანიის კონფედერაცია, – 18. III. 1883, ლონდონი, დაკრძალულია ჰაიგეიტის სასაფლაოზე), გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ჟურნალისტი, პოლიტიკური თეორეტიკოსი და რევოლუციონერი. მ-მა 1835 დაამთავრა ტრირის გიმნაზია. სწავლობდა ბონისა და ბერლინის უნტებში. ახალგაზრდობის წლებში უფრო ლიტერატურით იყო გატაცებული, შემდგომში ფილოსოფიით დაინტერესდა. 1841 იენის უნტმა მიანიჭა ფილოს. დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის ,,განსხვავება დემოკრიტესა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის‘‘. ამ წლებში იყო ,,ახალგაზრდა ჰეგელიანელი‘‘. 1842 გახდა კელნში გამომავალი რადიკალური გამოცემა ,,რაინის გაზეთის‘‘ (Rheinische Zeitung) ჟურნალისტი, შემდგომ – რედაქტორი. გაზეთის აკრძალვის შემდეგ, 1843, საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც თანარედაქტორობდა გაზ. ,,გერმანულ-ფრანგულ წელიწდეულს‘‘ (გამოვიდა ერთი ნომერი).

1844 გაიცნო გერმ. სოციალისტი ფ. ენგელსი, რ-იც გახდა მისი უახლოესი მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი. 1845 მათ გამოაქვეყნეს პირველი ერთობლივი ნაშრომი ,,წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ.‘‘ 1845 საფრანგეთიდან გააძევეს და ბრიუსელში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ენგელსთან ერთად დაწერა ნაშრომი ,,გერმანული იდეოლოგია‘‘, რ-შიც გაკრიტიკებული იყო ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი, მემარცხენე ჰეგელიანობა და ფოიერბახის მჭვრეტელობითი მატერიალიზმი. 1847 პარიზში, გამოქვეყნდა მ-ის ნაშრომი ,,ფილოსოფიის სიღატაკე‘‘, რ-შიც გაკრიტიკებული იყო ჟ. პრუდონის ანარქისტულ-სოც. შეხედულებები. მ-ის აზრით, მუშათა კლასის მობილიზაციისათვის საჭირო იყო მისი ინტერესების გამომხატველი იდეოლოგია, რათა მას რევ. გზით შეეცვალა ექსპლუატატორული საზ. სისტემა. 1847 მ-მა და ენგელსმა ,,კომუნისტთა კავშირის‘‘ II კონგრესის დავალებით, შეიმუშავეს მუშათა პარტიის საპროგრამო დოკუმენტი, რ-იც 1848 ,,კომუნისტური პარტიის მანიფესტის‘‘ სახელწოდებით გამოქვეყნდა პარიზში.

1859 გამოაქვეყნა ნაშრომი ,,პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის‘‘. ამ პერიოდიდან მ. ძირითადად ინტერესდება პოლიტ. ეკონომიის ძირეული პრობლემებით და ინტენსიურად მუშაობს თავის უმთავრეს ფუნდამენტურ ნაშრომზე – ,,კაპიტალი‘‘. მისი I ტომი 1867 გამოიცა გერმ. ენაზე (II და III ტომების შავი ვარიანტები დაამუშავა და გამოსცა ენგელსმა). ,,კაპიტალი‘‘ ითვლება მარქსიზმის მთავარ ნაწარმოებად, რ-შიც ავტორმა დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმი უნდა ყოფილიყო უკანასკნელი ექსპლუატატორული ეკონ. ფორმაცია, რ-საც კანონზომიერად შეცვლიდა კომუნისტური ფორმაცია.

მ-ის მიერ შექმნილმა პოლიტ. ეკონ. სოციალ. და რევოლუციურმა იდეებმა შექმნა მძლავრი მიმართულება სოციალისტურ მოძრაობაში, რ-იც მარქსიზმის სახელითაა ცნობილი. მ-ის ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ევრ. და მსოფლიოს ინტელექტუალურ, პოლიტ., იდეოლოგიურ და სოც. რეალობაზე. მარქსიზმმა ძირითადად ორი მიმართულებით განიცადა ევოლუცია. ევროპაში გავრცელდა მარქსიზმის პარლამენტური, ევოლუციური ვარიანტი ევრომარქსიზმის სახით. რუსეთსა და აზია-აფრიკა-ამერიკის ბევრ ქვეყანაში დამკვიდრდა მარქსიზმის რევ. ვერსია და მიიღო სხვადასხვა ფორმის სახელმწ. დიქტატურის სახე: საბჭოთა კავშირში ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმი და სტალინიზმი; ჩინეთში დღესაც სახელმწ. იდეოლოგიად და სისტემად რჩება მარქსიზმის აზიური ვერსია – მაოიზმი.

საქართველოში მარქსიზმი XIX–XX სს. მიჯნაზე გავრცელდა და დამკვიდრდა როგორც ყველაზე პოპულარული რევ. იდეოლოგია. 1892 შეიქმნა პირველი ქართული მარქსისტული (სოციალ-დემოკრატიული) ორგანიზაცია ,,მესამე დასი‘‘. 1902–18 ქართული სოციალ-დემოკრ. ორგანიზაციები შედიოდა რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშათა პარტიის შემადგენლობაში. 1917–18 ქართველი სოციალ-დემოკრატები მეთაუროობდნენ დე ფაქტო და დე იურე ამიერკავკასიის დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკას. 1918 მათ, სხვა პოლიტ. პარტიებთან ერთად, გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა და შექმნეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრ. მოდელის რესპუბლიკა, რ-იც 1921 დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა.

თხზ: მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად თბ., 1963–1964.

ლიტ: კაჭარავა. ი., კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ, თბ., 1969; მუჩაიძე გ., კ. მარქსი და ფ. ენგელსი პარტიის შესახებ, თბ., 1975; შველიძე დ., მარქსიზმის კრიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაშრომებში, თბ., 1997.

დ. შველიძე.

მარქსიზმ-ლენინიზმი, იგივე ,,საბჭოთა მარქსიზმი‘‘, მარქსიზმის სპეციფიკური ფორმა. იგი რუსეთის 1917 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტიის სახელმწიფო დოქტრინად, მისი ტოტალური ბატონობის გამართლების მთავარ ინსტრუმენტად და თეორიად იქცა. XX ს. 20-იანი წლებიდან მ.-ლ. საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ, ე. წ. ,,სოციალისტური ბანაკის‘‘ (,,აღმოსავლეთის ბლოკის‘‘ ქვეყნები) ოფიც. პოლიტ. დოქტრინა გახდა. მ.-ლ-ის შემქმნელებად მიჩნეული არიან კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი და ი. სტალინი. ამ უკანასკნელის მიხედვით, მ.-ლ. წარმოადგენს ვ. ლენინის მიერ განვითარებულ მარქსისტულ მოძღვრებას კლასთა ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის შესახებ. ვ. ლენინის სიკვდილის (1924) შემდეგ მ.-ლ. საბჭ. კავშირის ოფიც. სახელმწ. იდეოლოგია და მუშათა კლასის მეცნ. მსოფლმხედველობა გახდა. ამ ცნებას განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები იყენებდნენ ე. წ. ,,ჭეშმარიტი მარქსიზმის‘‘ აღსანიშნავად და სხვადასხვა მარქსისტული ჯგუფისგან (მაგ.,სოციალ-დემოკრატებისგან, ტროცკისტებისგან) გასამიჯნად.

მ.-ლ. შედგება სამი მთავარი ნაწილისგან: 1) დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმი, რ-იც მ.-ლ-ის ფილოს. ფუნდამენტს წარმოადგენს; 2) პოლიტ. ეკონომია, რ-იც საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობებს შეისწავლის; 3) მეცნ. სოციალიზმი, იგივე მეცნ. კომუნიზმი, რ-იც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და სოციალ. (კომუნისტური) საზბის მშენებლობის პრინციპებს შეისწავლის. ამის შესახებ ვ. ლენინი საუბრობს თავის ნაშრომში ,,მარქსიზმის სამი წყარო და სამი

შემადგენელი ნაწილი'' (1913) და აღნიშნავს, რომ მარქსის ფილოსოფია წარმოადგენს სრულყოფილ ფილოს. მატერიალიზმს, რ-მაც კაცობრიობას, კერძოდ მუშათა კლასს, შემეცნების ძალიან ეფექტური საშუალებები მისცა. თავად ვ. ლენინი საკუთარი მსოფლმხედველობის აღსანიშნავად არც მ.-ლ-ის და არც ლენინიზმის ცნებას არ იყენებდა. საბჭოთა კავშირში ორივე ცნება მისი სიკვდილის შემდეგ გავრცელდა.

მ.-ლ-ის ,,ჭეშმარიტ მემკვიდრეობაზე'' პრეტენზიას აცხადებდა ჩინეთის სახ. რესპუბლიკა. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მისი იდეებისა და ჩინური გამოცდილების სინთეზის შედეგად ჩამოაყალიბა მ.-ლ-ის სპეციფ. სახე – მაოიზმი (მაო ძედუნის მიხედვით), რ-იც, როგორც პოლიტ. დოქტრინა, ჩინეთში გავრცელდა. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ინდოეთში, პერუსა და ფილიპინებში შექმნილ ანალოგიურ პოლიტიკურ მოძრაობებზე, ასევე, 1968 სტუდენტთა მოძრაობაზე ევროპაში.



ვ. მარღანია.

მ.-ლ. სსრკ-ის დაშლამდე (1991) მასში შემავალი რესპუბლიკების ოფიც. იდეოლოგია და დოქტრინა იყო. ის ოფიც. სახელმწ. დოქტრინად კვლავაც რჩება კუბის, ჩინეთის სახ., ვიეტნამის სოციალ., ლაოსის სახ.-დემოკრ. რესპუბლიკებში.

მ.-ლ., იყო საქ. სსრ-ის ოფიც. იდეოლოგია და, შესაბამისად, საბჭ. მეცნიერების მთავარი საფუძველი. ამ პერიოდის ქართ. საბჭ. სამეცნ. სკოლებიც (განსაკუთრებით, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები) მის დიდ და ხშირად ნეგატიურ გავლენას განიცდიდნენ.

ლიტ.: ბუხარინი ნ., ისტორიული მატერიალიზმის თეორია, თარგმ. შ. ნუცუბიძისა, ტფ., 1923; გოგიბერიძე მ., ისტორიული მატერიალიზმი (ქრესტომათია), ტფ., 1927; ენგელსი ფ., ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბ., 1940; ლენინი ვ. ი., მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, ტფ., 1933; ლუტიძე ბ., ისტორიული მატერიალიზმის საკითხები, თბ., 1988; მარქსი კ., კომუნისტური მანიფესტი, დ. რიაზანოვის შესავლითა და შენიშვნებით, ტფ., 1923; მისივე, კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ, თბ., 1971; რამიშვილი ნ., ისტორიული მატერიალიზმი, თფ., 1911; სტალინი ი., დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბ., 1940.

თ. ირემაძე.

მარღანია ვლადიმერ ჭიჭიკოს ძე (8. II. 1928, სოფ. დრანდა, ახლანდ. გულრიფშის მუნიციპალიტეტი, – 6. IX. 1958, სოფ. აძუბჟა, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ფეხბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1952). მ. ითვლება იმ დროის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ. სხვადასხვა დროს იცავდა სოხუმის „დინამოს'', ,,სტალინოს'' (1961-იდან დონეცკი) „შახტიორის'', თბილ. „დინამოსა'' და საბჭ. კავშირის ოლიმპიური საფეხბურთო ნაკრების ღირსებას. გამოირჩეოდა სანიმუშო რეაქციითა და ეფექტური ნახტომებით. თბილისის „დინამოში'' ასპარეზობისას (1947–58) ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის 212 შეხვედრა. სსრკ ჩემპიონატის ორგზის მეორე (1951, 1953) და ერთგზის მესამე (1950) პრიზიორი. სამჯერ დასახელდა სსრკ-ის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის (1950–51, 1953). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1956). ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების მონაწილე სსრკ ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

მარღანია (მაან) კაც ბეჟანის ძე (1766, სოფ. ხაბიუ, ახლანდ. გუდაუთის მუნიციპალიტეტი, – 26. I. 1864/66, გუდაუთა), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1844). იყო აფხაზ მაანთა თავადაზნაურული გვარის წარმომადგენელი და მჭიდროდ იყო დაკავშირებული აფხ. მთავრების – ჩაჩბების (შერვაშიძე) ოჯახთან. მ. თავდაპირველად მხარს უჭერდა ასლან-ბეის რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ როცა ალექსანდრე I-ის ბრძანებით აფხ. მთავრად დასვეს საფარ-ბეი (გიორგი II, 1810–21), მ-ს მამის აღზრდილი, იგი გადავიდა საფარ-ბეის (ე. ი. რუსების) მხარეს და გახდა ფაქტობრივად მეორე კაცი სამთავროში. ეს მდგომარეობა მან შეინარჩუნა მ. შერვაშიძის მმართველობის (1822–64) დროსაც. იყო აფხაზეთის მილიციის მეთაური. მონაწილეობდა რუს. ექსპედიციებში უბიხეთისა და წებელდის წინააღმდეგ. ყირიმის ომის (1853–56) დროს მ. გადავიდა ოსმ. ჯარების მხარეს და დაინიშნა სამურზაყანოს ფაშალიკის მმართველად. რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864) მ. დასახლდა გუდაუთაში, სადაც ააგო მეჩეთი.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მარღანია მალაქია (ყარამან) კვაჯის ძე (29. XII. 1859, სოფ. გუდავა, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, – 1937, მოსკოვთან), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). 1879-იდან მსახურობდა თურქმენეთის ცხენოსან მილიციაში. მონაწილეობდა 1879, 1880, 1881 და 1884 კამპანიებში თურქესტანში; იყო თურქმენეთის ცხენოსანი ირეგულარული დივიზიონის (1899–1908), დაღესტნის ცხენოსანთა პოლკის (1910-იდან), კავკასიის მე-2 კაზაკთა დივიზიის მე-2 ბრიგადის (1913–15), კავკასიის მე-3 კაზაკთა დივიზიის I ბრიგადის (1915–17) მეთაური. რუსეთის 1917 რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა მოსკოვში. 1937 ემსხვერპლა საბჭოთა რეპრესიებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მარღანიძე ლეონიდ გრიგოლის ძე (25. V. 1920, ნიკოლაევი, უკრაინა, – 1995, დაკრძალულია თბილისში), არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი (1968). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე, შორეულ აღმოსავლეთში სამხ. ოლქის დივიზიისა (1955–56) და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კორპუსის მეთაურის მოადგილე (1956–60), გენ.-მ. (1960-იდან), არმიის სარდლის მოადგილე (1960–70), სსრკ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დივიზიონის უფროსი (1971–75). მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

მარღი, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო მარღისა* და *ქვემო მარღის* გავრცელებული სახელწოდება.

მარღიევი (ხეთაგათი) კოსტა იოსების ძე (15. VII. 1922, სოფ. მიმინოსხევი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 15. I. 2018), ოსი პოეტი. კულტ. დამს. მუშაკი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). სწავლობდა მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტში, 1959 დაამთავრა ამ ინ-ტთან არსებული უმაღლ. ლიტ. კურსები. 1975-იდან იყო საქართვ. მწერალთა კავშირის სამხრ. ოსეთის განყ-ბის პ/მგ მდივანი. პირველი ლექსი 1940 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებ. ,,ჩემი სიმღერები'' – 1952. მისი ლექსთა კრებულებია: ,,გულიდან გულამდე'' (1955), ,,ვეძებ ჩემს ახალგაზრდობას'' (1975); ლექსებისა და პოემების კრებულები: ,,წყარო'' (1959), ,,ცხოვრების გზებზე'' (1964), ,,კერა'' (1968), ,,რჩეული ლექსები და პოემები'' (1972), ,,სიმღერა ხუთ ქალიშვილ-

ზე'' (1978). მ-ის ლექსები თარგმნილია ქართ., აფხ., რუს., უკრაინულ, სომხ. და სხვა ენებზე.

მარშაძა ქეთევან მამიას ასული (დ. 18. VIII. 1952, გალი, აფხაზეთის არ), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1996). დაამთავრა მოსკ. კვების მრეწვ. საკავშ. დაუსწრებელი ინ-ტი (1973), ყუბანის სახელმწ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1982). იყო თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის სტატისტიკის კათედრის პროფესორი (1994–2006), ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის სტატისტიკის კათედრის პროფესორი (2006–17), 2017-იდან თსუ-ის პროფესორ-ემერიტუსია. არის სარედაქციო კოლეგიების წევრი ჟურნალებისა – ,,ეკონომიკა'', ,,საქართველოს ეკონომიკა'', ,,ბიზნესი და მენეჯმენტი'', ,,ეკონომიკა და ბიზნესი''.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკურ-სტატისტ. საკითხების კვლევას. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2012), ღირსების ორდენი (2013).

თხზ.: მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 1990; სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2012 (თანაავტ. მ. მინდორაშვილი); Работа предприятии в новых условиях хозяйствования, М., 1990; Методы экономико-статистического моделирования, ч. 1–2, М., 1990–91 (თანავტ.: В. М. Симчера, А. С. Аброскин).

მარშაკი ნიკოლოზ იაკობის ძე (12. II. 1902, ტულა, – 30. II. 1962, თბილისი), რუსი მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1955). 1918-იდან თბილისში მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა რუს. წარმოდგენებში. 1927 მ-ის ინიციატივით იქვე დაარსდა მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრი. პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში დადგა ნ. ოგნევის პიესა ,,ჰაიავატა, იროკეზების ბელადი'' (ჰ. ლონგფელოს მიხედვით). სპექტაკლის დადგმის თარიღი (18 აპრილი) იქცა ამიერკავკასიაში პირველი საბავშვო თეატრის დაბადების დღედ. 1935 დააარსა თოჯინების რუს. თეატრი (ხელმძღვანელობდა 1960-მდე). მ-ის დადგმებიდან აღსანიშნავია: ს. მარშაკის ,,ტომ სოიერის თავგადასავალი'' (მ. ტვენის მიხედვით, 1936), ა. ბრუშტეინის ,,ცისფერი და ვარდისფერი'' (1937), ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'' (1944), ,,ახალგაზრდა გვარდია'' (ა. ფადეევის მიხედვით, 1948), ვ. როზოვის ,,გზა მშვიდობისა'' (1955) და სხვ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ. მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994.

მარშალ ფონ ბიბერშტეინი ფრიდრიხ ავგუსტი (30. VII. 1768, შტუტგარტი, გერმანია, – 28. VI. 1826, მერეფა, უკრაინა), გერმანელი ბოტანიკოსი, მეაბრეშუმე, მოგზაური. გერმანული არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი. სწავლობდა შტუტგარტის ,,კარლის უმაღლესი სკოლის'' კადეტთა კორპუსში, სადაც დაინტერესდა ბოტანიკით. 1792-იდან მოღვაწეობა გააგრძელა რუსეთში. 1798 პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი ,,Tableau des provinces situées sur la côte occidentale de la mer Caspienne, entre les fleuves Terek et Cour''. შემდგომი ორი წელი მოგზაურობდა კავკასიაში. ტოპოგრაფიულად აღწერა რეგიონი, მისი ისტორია, ეკონომიკა, მოსახლეობა, ფლორა და ფაუნა, აღმოაჩინა და აღწერა რამდენიმე ახალი მცენარე. ეს მასალა საფუძვლად დაედო მის შემაჯამებელ ნაშრომს ,,Flora Taurico-Caucasica'' (1808–19; ტ. 1–3). ეს პირველი ნაშრომია კავკასიისა და ყირიმის ფლორის შესახებ. იყო კიზლიართან მელვინეობის სასწავლებლისა (1807) და ყირიმის ბოტან. ბაღის დაარსების ინიციატორი. ორჯერ იმოგზაურა საქართველოში, შეისწავლა მისი ისტორია, ბუნება, მოაგროვა დიდძალი მასალა, მაგრამ გამოცემა ვეღარ მოხერხდა მისი გარდაცვალების გამო.

მარშანია იოსებ ივანეს ძე (25. II. 1926, სოფ. გოგიეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 10. X. 1990, სოხუმი), აგროქიმიკოსი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი. პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985), აფხ. დამს. აგრონომი (1961). 1948 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სუბტროპ. ფაკ-ტი. 1949–54 მუშაობდა ეშერის სასწ.-საცდელი მეურნეობის აგრონ. განყ-ბის გამგედ, მოღვაწეობდა ქუთაისის სას.-სამ. ინ-ტის აგროქიმიისა და ზოგადი მიწათმოქმედების (1956–58), ასევე სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის ამავე სახელწოდების (1958–68) კათედრებზე. 1973–77 იყო პრორექტორი სასწ. დარგში. 1976–90 – აგროქიმიისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის გამგე. 1977–79 მუშაობდა განათლების სამინისტროს მრჩევლად კუბაში. მ. იკვლევდა ციტრუსოვანი კულტურების მოვლისა და ნიადაგის განოყიერების საკითხებს. მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. 4 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.


თხზ.: ციტრუსების სანერგის და ბაღის განოყიერება, სოხ., 1967; აგროქიმია, თბ., 1991.

ნ. წივწივაძე.



ნ. მარშაკი.

მარშანია ლორიკ ბესარიონის ძე (24. XI. 1932, ოჩამჩირე, აფხაზეთის არ, – 13. VIII. 2010, თბილისი), პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, აგროეკონომისტი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. (1995, წ.-კ. – 1992) და აფხ. მეცნ. აკად. (1996) ნამდვ. წევრი, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1987), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). დაამთავრა მოსკოვის სახელმწ. ეკონომიკური ინ-ტი (1957). იყო საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის პრორექტორი (1964–72), აფხ. ასსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე (1973–75), კომპარტიის აფხ. საოლქო კომიტეტის მდივანი (1978–80), საქართვ. კომპარტიის ცკ-ის სას.-სამ. განყ-ბის გამგის მოადგილე (1980–85), საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის რექტორი (1985–91). 1992–2002 იყო აფხ. არ-ის მთავრობის თავ-რის პირველი მოადგილე, ხოლო 2002-იდან გარდაცვალებამდე – აფხ. ლეგიტიმური უმაღლ. საბჭოს მრჩეველი. მისი ძალისხმევით აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს შეიქმნა საზ. ორგანიზაცია – აფხ. ხსნის კომიტეტი (1994-იდან არასამთავრობო საზ. მოძრაობა ,,მშვიდობა და აფხაზეთის აღორძინება''), რაც თავად ხელმძღვანელობდა.



ლ. მარშანია.

მ. სხვადასხვა დროს არჩეული იყო სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, აფხ. და საქართვ. უმაღლესი საბჭოების, თბილ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის დეპუტატად.

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, რ-ებიც ეხება ეკონ. და სახალხო მეურნეობის მართვის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პუბლიც. ნაშრომები ეროვნებათაშორის პრობლემებზე, რისთვისაც მიენიჭა გ. შარვაშიძის სახ. პრემია (1996). მიღებული აქვს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი (1997).

თხზ.: ჯვარცმული აფხაზეთი, თბ., 2010; Повышение эффективности сельскохозяйственного производства Грузинской ССР, Тб., 1986; Экономика агропромышленного комплекса Грузинской ССР, Тб.,



მარშანცია. Marchantia polymorpha.



ი. მარშევი.



ჯ. მარჩიანო.

1988; Абхазия: пути к миру и возрождению, Тб., 2006.

მარშანცია (Marchantia), მცენარეთა გვარი ღვიძლის ხავსების კლასიდან. აქვს მიწაზე გართხმული მწვანე სხეული (თალუსი), რ-ის სიგრძე 10 *სმ*, სიგანე – 1–2 *სმ* აღწევს. ნიადაგს რიზოიდებით ემაგრება. ანთერიდიუმი და არქეგონიუმი სხვადასხვა მცენარეზე ვითარდება. მრავლდება სპორებით. ახასიათებს თაობათა მორიგეობა. ვეგეტატიურად მრავლდება ჩეკია კვირტებით.

საქართველოში მ-ს ორი სახეობა გვხვდება. ფართოდაა გავრცელებული M. polymorpha. მეორე სახეობა – M. paleacea – მხოლოდ დას. საქართველოში გვხვდება.

ნ. ჩიქოვანი.

მარშევი (Marschev) იოლანდა (11. V. 1920, ციურიხი, – 3. V. 2015, აშშ, მასაჩუსეტი), შვეიცარიელი ქართველოლოგი. 1939 დაამთავრა გიმნაზია, იმავე წელს სწავლა განაგრძო ციურიხის უნ-ტში რომანისტიკისა და კლასიკური ფილოლ. განხრით. პროფ. კ. *ჩხენკელის* ხელმძღვანელობით, რ-იც 1946-იდან ციურიხში ასწავლიდა ქართ. და რუს. ენებს, შეისწავლა ქართული ენა და ლიტ-რა. 1964-იდან განაგებდა ქართ. ენის კათედრას ციურიხის უნ-ტში. კ. ჩხენკელთან ერთად მუშაობდა გერმ. ენაზე გამოცემული ,,ქართული ენის შესავლისა'' და ,,ქართულ-გერმანული ლექსიკონის'' შედგენაზე. კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ ეს ლექსიკონი მ-მა 1974 ლ. *ფლურთან* და რ. *ნოიკომთან* ერთად დაასრულა (გამოიცა 3 ტომად). 1996 დაასრულა ფუნდამენტური ნაშრომი ,,გერმანულ-ქართული ლექსიკონი'' (გამოიცა თბილისში 2007). 1964–88 მ. ასწავლიდა ქართულ ენას ციურიხის უნ-ტში, კითხულობდა ლექციებს ქართული ენის სტრუქტურისა და ქართული ლიტ-რის ისტ. საკითხებზე. 1986 აქვე გამოსცა მონოგრაფია ,,ქართული ენის მორფემები''. რ. ნოიკომთან ერთად თარგმნა ა. წერეთლის ,,ჩემი თავგადასავალი'' (ციურიხი, 1990).

1998-იდან ცხოვრობდა აშშ-ში, მასაჩუსეტის შტატში. 2008 ქართული კულტურის წინაშე გაწეული განსაკუთრებული წვლილისთვის მიენიჭა თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება.

ლიტ.: თურნავა ს., XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ.,1999; ფეიქრიშვილი ჟ., ვაშაკიძე ი., მასალები საზღვარგარეთული ქართველოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 2012.

ვ. იმნაიშვილი.

მარშლიანთ სასახლე, თარხნიშვილების სასახლე, ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფ. გარიყულაში (ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), აგებულია XIX ს. 30-იან წლებში. კომპლექსში შედის სასახლე და აბანო. გეგმით მართკუთხა ორსართულიანი სასახლის პირველი სართული ნაგებია რიყის ქვით, მეორე – აგურით. მთ. შესასვლელი ჩრდ-იდანაა. ამ მხარეს, პირველ სართულზე, შენობის შუა ნაწილში თაღებით გახსნილი ლოჯიაა, რ-შიც გვერდითი ოთახებისა და დიდი დარბაზის კარები გამოდის. დარბაზის ირგვლივ შედარებით მცირე ზომის შვიდი ოთახია. რამდენიმე ოთახის კედლებში დატანებულია ბრტყელი ნიშები და თაღოვანი ბუხრები. აღმ-ის შუა ოთახში მე-2 სართულზე ასასვლელი სამმარშიანი კიბეა. მე-2 სართულს ლითონის სვეტებზე დაყრდნობილი გვიანდ. რკინაბეტონის აივანი უვლის გარშემო. საზეიმო დარბაზი კედლის შვერილებზე დაყრდნობილი თაღით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. ამ სართულზეც კედლებში ბრტყელი ნიშები და ბუხრებია. ინტერიერი შემკული იყო მოხატულობით, ნაძერწი მორთულობით, მდიდრული აბრეშუმის შპალერით. ჩრდ. და სამხრ. ფასადები ორივე სართულზე ბრტყელი პილასტრებით სამ ნაწილადაა გაყოფილი. ჩრდ. ფასადის I სართულის შუა ნაწილი ლოჯიის თაღედს უჭირავს, გვერდით ნაწილებში სამ-სამი ვიწრო სარკმელია. სასახლის ჩრდ-ით დგას აგურით ნაგები აბანო, რ-იც შედგება გეგმით კვადრ. გუმბათოვანი ორი სათავსისაგან – გასახდელისა და სააბაზანოსაგან. სათავსები ერთმანეთს კარით უკავშირდება. ორივე ოთახის კედლებზე თაღები გადადის, გუმბათის ყელის გადასვლა კი ხდება აგურის აფრების მეშვეობით. 1965-იდან თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემია სასახლეს თავის შემოქმედებით ბაზად იყენებდა. რამდენიმე გადაკეთებისა და შეკეთების შედეგად სასახლემ და აბანომ პირვანდელი სახე იცვალა. თავდაპირველი სახით შემორჩა საზეიმო ოთახის ჭერი, კედლები მოხატულობის ნაშთებით და თაბაშირის სტალაქტიტებით მორთული ფრიზი. 2000 სასახლე თარხნიშვილების შთამომავლებს დაუბრუნდათ. 2018–19 ძეგლზე ჩატარდა სპეც. სამუშაოები მხატვრობის ფრაგმენტების შესანარჩუნებლად.



მარშლიანთ სასახლე. XIX ს. 30-იანი წლები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

თ. გერსამია.

მარჩბივი (ლათ. Gemini), ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედი. მასში ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავებია პოლუქსი (β) და კასტორი (α). პირველის ვიზუალური ვარსკვლავიერი სიდიდეა 1,2, მეორისა კი – 1,6. ხილვადობის საუკეთესო პირობებია დეკემბერ-იანვარში. ჩანს საქართვ. მთელი ტერიტორიიდან.

მარჩიანო (მარჩანო) ჯანლუკა (Marciano Gianluca) (დ. 4. XI. 1976, ლა სპეცია, იტალია), თბილისში მოღვაწე იტალიელი დირიჟორი, პიანისტი. დაამთავრა ფლორენციის მუს. აკადემია (ფორტეპიანოს კლასი), შემდგომ სწავლა განაგრძო პედაგოგებთან: ჯ. აჩუკარო, პ. რესტანი (ფორტეპიანო), მ. დამერინი (თანამედროვე მუსიკა). როგორც პიანისტი, კონცერტებს მართავდა იტალიისა და ევროპის ქალაქებში. 2011–14 მ. იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის აკად. თეატრის მთ. დირიჟორი და მუს. ხელმძღვანელი. 2014-იდან სადირიჟორო მოღვაწეობას აგრძელებს მსოფლიოს საოპერო თეატრებში და ფესტივალებზე, იყო ,,ალ ბუსტანის'' (ლიბანი) მუსიკისა და ხელოვნების საერთაშ. ფესტივალის მუს. ხელმძღვანელი. მ-ს რეპერტუარიდან აღსანიშნავია: გ. ჩლაიძის ,,დარისპანის გასაჭირი'', ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', ,,აიდა'', ,,ნაბუქო'', ,,ატილა'', ,,რიგოლეტო'', ვ. ა. მოცარტის ,,მითრიდატე, პონტოს მეფე'', ჯ. როსინის „Stabat Mater'', ვ. მოცარტის ,,დონ ჟუანი'', ,,ჯადოსნური ფლეიტა'', ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი'', ჯ. პუჩინის ,,ტოსკა'', პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'' და სხვ. მ., როგორც პიანისტი, არის იტალიის ეროვნ. და საერთაშ. კონკურსების ლაურეატი.

მარჩილი, ვერცხლის ფულის სახელწოდება, რომელიც საქართველოში XVI ს. I ნახ-ში ჩნდება. როგორც ვახტანგ VI-ის ,,დასტურლამალიდან'' ირკვევა, XVIII ს. მ. 12 შაურს, ანუ 3 აბაზს ან სამ დრამას შეადგენდა. მ. იხმარებოდა XVII ს-ში საქართველოში გავრცელებული ევრ. მონეტის – ტალერის აღსანიშნავადაც. მ. უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის ფულის, ,,მარჩელოს'' სახელწოდებიდან.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVII საუკუნეებში, თბ., 1971; ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925.

ი. ჯალაღანია.

მარცვლოვანნი (Poaceae, ანუ Gramineae), ერთლებნიან მცენარეთა ოჯახი. ერთწლოვანი, ორწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები, იშვიათად ბუჩქისებრი ან ხისმაგვარი მცენარეებია. მ-თა ღერო ჩალისებრია, უმეტესად ცილინდრული სწორმდგომი, წამოწეული ან გართხმული; დაყოფილია მუხლებად და მუხლთშორისებად, ჩვეულებრივ ღრუიანია (ქარის დროს მ-თა წვრილი ღრუ ღერო იღუნება და არ იმტვრევა), იშვიათად ამოვსებულია ფაშარი ქსოვილით; მათი სიმაღლე 1 *სმ*-იდან ათეულ *მ*-ს აღწევს, ზოგიერთისა კი (ბამბუკის გახევებული ღერო) – 40 *მ*-ს. ფოთლები ღეროს მუხლიდან გამოდის. როგორც წესი, შედგება ღერომხვევი ხალთის (ვაგინის), ვიწროხაზური ფირფიტისა და ქერქლისებრი ენაკისგან, რ-იც ამოზრდილია ფირფიტისა და ხალთის საზღვარზე. ფესვები ფუნჯაა. პირველადი ფესვები ადრევე სცილდება. ზოგ მ-ს ზედაპირული ფესვთა სისტემა აქვს, ზოგს კი – ნიადაგში ღრმად ჩაზრდილი (1–1,5 *მ* და მეტი). მ-თა ყვავილები პატარაა, ორსქესიანი, იშვიათად – ერთსქესიანი. შეკრებილია მარტივ ყვავილებად – თავთუნებად, რ-ებიც, თავის მხრივ, თავმყრილია რთულ ყვავილებად (რთული თავთავი, საგველა, თავთავისებური საგველა, ცრუ თავთავი და სხვ.).

მ. ჯვარედინმტვერია მცენარეებია, ზოგს თვითდამტვერვა ახასიათებს, ნაყოფი მარცვალა ან კენკრისებრია (ბამბუკისა), თესლი დიდი რაოდენობით შეიცავს ენდოსპერმს. მ-თა უმეტესობას ღეროს ქვედა ნაწილში მუხლები ძლიერ მიახლოებული აქვს და ე. წ. ბარტყობის მუხლს ქმნის, რ-ის კვირტებიდანაც ამოიზრდება ხოლმე ახ. მიწისზედა ყლორტები, მათგან კი – ახ. ბარტყობის მუხლები. აქედან გამოსული ყლორტები ან ამოხევენ ხალთას (ხალთის გარე ყლორტები), ან ხალთაშივე იზრდებიან (ხალთის შიგა ყლორტები). ყლორტების წარმოშობის მიხედვით არსებობს გრძელფესურიანი (ან ფესურიანი), მეჩხერბუჩქოვანი და მკვრივბუჩქოვანი (მკვრივკორდოვანი) მარცვლოვნები.

მ. ფარულთესლოვანთა ერთ-ერთი დიდი ოჯახია. განეკუთვნება კილებსაფრიანების რიგს (Glumiflorae). შეიცავს 620-ზე მეტი გვარის 1000-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში არქტიკიდან ანტარქტიდამდე.

საქართველოში მ-თა 100-მდე გვარის 330 სახეობა გვხვდება. მ. თითქმის ყველგან არის გავრცელებული. ხშირად დიდ ტერიტორიას იკავებს, განსაკუთრებით მდელოს, ველის (სტეპის), პრერიის, პამპისა და სავანის ბალახნარში. მ. ეკონ. თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ოჯახია; მათ განეკუთვნება კულტ. პურეული მცენარეები: ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, შვრია, ჭვავი, ქერი, ქვრიმა, ღომი, სორგო, აგრეთვე შაქრის ლერწამი და სხვ. ველური და კულტივირებული მ. სას.-სამ. ცხოველთა ერთ-ერთი ძირითადი საკვებია. ზოგიერთ მ-ს იყენებენ საჭმელად, სახამებლის, სპირტის, ქაღალდისა და ეთერზეთების მისაღებად, ზოგს – საშენ მასალად, ლიქიორისა და არყის წარმოებაში, სამკურნ. და დეკორ. მცენარედ, ზოგს – ფხვიერი ნიადაგებისა და ქვიშების გასამაგრებლად; ამ მხრივ ერთერთი საუკეთესო საშუალებაა ფესურიანი მ. (ჭანგა, გლერტა, თივაქასრა, ნამიკრეფია და სხვ.). ძლიერი ფესვთა სისტემის გამო მ. გამოიყენება ეროზიის საწინააღმდეგოდაც, იგივე მცენარეები კარგია აეროდრომის, იპოდრომის, სტადიონისა და კორტების გაზონების მოსაწყობად. ზოგი მ. აბეზარი, ძნელად მოსასპობი სარეველაა. ასეთია ვირჯინული ურო, ლაკარტია, ჭანგა, გლერტა, შვრიუკა და სხვ.

მ. ნახუცრიშვილი.

მარცხენა გენწვიში, სოფელი აფხაზეთის არ-ის აჭარის (კოდორის ხეობა) მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), კოდორის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, მდ. კოდორის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ*, გულრიფშიდან 86 *კმ*.

მ. გ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარცხენა პტიში, სოფელი აფხაზეთის არ-ის აჭარის (კოდორის ხეობა) მუნიციპალიტეტში (აჭარის თემი), მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ.დ. 800 *მ*. გულრიფშიდან 78 *კმ*.

მ. პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

მარცხენა რკვია, სოფელი იმერეთის რეგიონის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (ბოსლევის თემი), იმერეთის მაღლობზე, მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 320 *მ*. ზესტაფონიდან 22 *კმ*. 83 მცხ. (2014).

მარწყვა-ბალახი (Potentilla), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორ- ან ერთწლოვანი ბალახები და ბუჩქბალახებია. 500-მდე სახეობა გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, უმეტესად კი ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში 30 სახეობაა. მათგან ორი საქართვ. ენდემია (გვხვდება აფხაზეთსა და სვანეთში), 15-მდე – კავკასიისა.

სახეობათა უმრავლესობა იზრდება ალპ. სარტყლის მდელოებსა და ნაშალებზე, ნაწილი კი – ქვიან, თიხნარ ფერდობებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში მთის ქვედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე. დეკორ. მცენარეა P. divina, რ-იც კავკასიის დას. რ-ებში კირქვიან კლდეებზე იზრდება, P. erecta შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისსა და წებოს.

ლ. ხინთიბიძე.

მარწყვი (Fragaria), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახოვანი, კენკროვანი მცენარეა. მოჰყავთ მსოფლიოში თითქმის ყველგან. საქართველოში ცნობილია XIV ს-იდან. ველურად იზრდება 3 სახეობა: ტ ყ ი ს მ. (F. vesca) ხარობს ტენიან და დაჩრდილულ ადგილებზე, ტყის პირებსა და მდელოებზე; მ წ ვ ა ნ ე მ. (F. viridis) ეტანება შედარებით მშრალ და ქვიან ადგილებს, მ უ შ კ ი ს მ. (F. moschata) კი მხოლოდ თბილ მიდამოებში იზრდება. უმთავრესად მოჰყავთ ბ ა ღ ი ს მ. (F. ananassa), რ-იც ველურად არ გვხვდება. ლაგოდეხისა და ყვარლის მუნიციპ-ებში გაშენებული იყო მისი მსხვილნაყოფა ჯიში – ,,კრასავიცა ზაგორია''. მ-ს აქვს დატოტვილი, ფუნჯა ფესვები, ფესურის ზედა ფოთლების იღლიებში არსებული კვირტებიდან გა-



მარწყვა-ბალახი P. divina.



მარწყვა-ბალახი P. erecta.



მარწყვი.

მოდის წვრილი მხოხავი და მიწისზედა ყლორტები – ულვაშები, რ-ებიც მუხლიდან ფესვიანდება და იძლევა ახ. მცენარეს. ღეროები მრავალწლოვანია (12–15 *სმ*), ბუსუსებიანი ფოთოლი ხერხისებური კუთხეების მქონე ფოთოლაკებისაგან შედგება. გრძელყუნწიანი ყვავილი თეთრი, ორსქესიანი, იშვიათად ცალსქესიანია. წითელი ნაყოფი ცრუნაყოფია და წარმოადგენს გაზრდილ ყვავილსაჯდომს, რ-ის ბოლოებში მეტნაკლები სიღრმით მოთავსებულია წიპწები (თესლი). მ. ტენის, სითბოსა და სინათლის მოყვარულია. კარგად ვითარდება ნოყიერ, მსუბუქ და ფხვიერ ნიადაგზე; რგავენ შემოდგომაზე ან გაზაფხულზე. მოსავალს იძლევა პირველსავე წელს, მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად, თესლით გამრავლებას მიმართავენ სელექციისათვის, ხოლო სამრეწველო ბაღებს აშენებენ ვეგეტატიურად ნამრავლი ნერგით. თანამედროვე ტექნოლოგიით მ-ს აწარმოებენ შემაღლებულ ბაზო-კვლებზე მულჩისა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენებით. მცენარე ირგვება ერთ ან ორ რიგად. შემაღლებული კვალის სიმაღლე სასურველია იყოს 30 *სმ*, სიგანე – 50 *სმ*, მცენარეებს შორის მანძილი – 30 *სმ*. ორმწკრივიანი სისტემის შემთხვევაში დარგვა ჭადრაკულად ხდება ადგილ. და უცხოეთიდან შემოტანილი ჯიშებით: კახეთის 1, კახეთის 2, მალინა მ., კონდოლი, კიწი, ნიკუ, ახალციხის 1, ალბიონი, სანანდრიასი, კაბრილო, სვითჩარლი, ვიქტორია, მურანო, ფორტუნა, პორტალა, ჰანეი და სხვ. ჰა-ზე ირგვება 70000 მცენარე, მოსავლიანობა საშ. 20–25 *ტ/ჰა*, პროგრ. ტექნოლოგიების გამოყენებისას შეიძლება 30–40 *ტ*-მდეც გაიზარდოს. მ. მოჰყავთ როგორც ღია, ისე დახურულ გრუნტში. მაის-ივნისში მსხმოიარობს ელსანატა, კამაროსა, ჩენდლერი და სხვ., შემოდგომაზე – ნეიტრალურ-რემონტანტული ჯიშები (ტრიბუტი, ფერნი, ტრისტარი და სხვ.). ბოლო დროს გავრცელდა სან-ანდრიასი (სასათბურე ჯიში), რ-იც მთელი წლის განმავლობაში მსხმოიარობს (აგვისტოსა და თებერვლის გარდა).

მ-ის ნაყოფი მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტია. იყენებენ ნედლად, გაყინულს და გადამუშავებულს (მურაბა, პასტილა, წვენი), მდიდარია ვიტამინებით, ორგ. მჟავებით, ნახშირწყლებითა და მინერ. მარილებით. შეიცავს 600-მდე ბიოლ. აქტიურ ნივთიერებას, ანტიოქსიდანტია, შეიცავს ვიტამინ C-სა და B^6-ს, ფოლიუმის მჟავას, რკინას და სხვ. იყენებენ სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ (სისხლნაკლებობა, ავიტამინოზი, ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია, კანის დაავადებები და სხვ.).

მ-ის ძირითადი მავნებლებია მარწყვის ცხვირგრძელა, ნემატოდა და ტკიპა; დაავადებები – ნაცრისფერი სიდამპლე, ნაცარი, ფოთლის თეთრი და მურა ლაქიანობა. ამჟამად საქართველოში მ. მოჰყავთ საკარმიდამო ნაკვეთებსა და ფერმერთა საწარმოებში, რთაგან აღსანიშნავია ბიომარწყვის მწარმოებელი შპს ,,პლანტველი'' (მცხეთის მუნიციპ-ის სოფ. მისაქციელი), კოოპერატივი ,,გილე'' და სხვ. გურჯაანის მუნიციპ-ის სოფ. ახაშენში ფუნქციონირებს კენკროვანი კულტურების მწარმოებელთა ასოციაცია.

ლ. გოგინავა.



მარწყვიო.

მარწყვიო (Amanita rubescens), ქუდიანი სოკო ამანიტასებრთა ოჯახისა. ქუდის დიამეტრი 3–15 *სმ* აღწევს, მოწითალო ზედაპირზე მოთეთრო მეჭეჭები აქვს, ფირფიტები თეთრია. წვრილქერცლოვან ძირში გამსხვილებულ ფეხს მოთეთრო აპკისებრი საყელო აქვს. ფირფიტები, ფეხი და საყელო შემდეგ წითლდება. რბილობი თეთრია, გადატეხის შემდეგ წითლდება. საჭმელად ვარგისია ნედლი (შესაძლებელია მისი არევა მსგავს შხამიან სოკოებში). იზრდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში ზაფხულში და შემოდგომით.

ი. ნახუცრიშვილი.

მარხვა, დროებითი თავშეკავება გარკვეული საკვების, სასმელის და ა. შ. მიღებისაგან. მ. ასკეტიზმის ერთგვარი ფორმა და თითქმის ყველა რელიგიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტია, თუმცა ქრისტიანობაში, კონკრეტულად მართლმადიდებლობაში, მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მ. უპირველესად ადამიანის სულიერი სამყაროს განწმენდის, უფალთან მიახლების და მიზნის მიღწევის საშუალებად მოიაზრება, ქრისტიანობაში უმთავრესი იმ სულიერ თუ ხორციელ ლტოლვათა ალაგმვაა, რ-ებიც ადამიანს წინ ეღობება ღვთისკენ სავალ გზაზე.

მ. ცნობილი იყო ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში, ვეგეტარიანიზმის სახით კი ინდური კულტურის განუყოფელი ნაწილია. იუდაიზმში მ. (ცომ) მონანიებას, გლოვას, სულიერ განწმენდას უკავშირდება და ებრაელი ერის ისტ. რეალობის თანხვედრილია. ისლამში მ. (არაბულად – საუმ, თურქ. – ურაზმა) რამადანის თვეს ემთხვევა. მორწმუნეებს მთელი დღის განმავლობაში, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ეკრძალებათ ჭამა, სმა, თამბაქოს მოწევა და სხვ.

ქრისტ. სამყაროში მ. ამ რელიგიის წარმოშობიდანვე არსებობს. მას სათავე თავად ქრისტეს 40-დღიანმა მ-მ დაუდო, თუმცა ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობაში მ. სხვადასხვა ხასიათისაა. მონოფიზიტობასა და ნესტორიანელობაში იგი სიმკაცრით გამოირჩევა, კათოლიციზმში შემსუბუქებულია (მარხულობენ მხოლოდ დიდი მ-ის პირველი კვირის ოთხშაბათს, ვნების კვირის პარასკევს, მიძინებისა და შობის წინა დღეს), ხოლო პროტესტანტიზმმა (გარდა ანგლიკანური ეკლესიისა) მ. საერთოდ უარყო და იგი მხოლოდ ცალკეული პიროვნებების ნება-სურვილს დაუმორჩილა. მართლმადიდებელმა ეკლესიამ მ-ის სისტემა საბოლოოდ კონსტანტინოპოლის 1166 კრებაზე დაადგინა და წელიწადში 200 დღეს ითვალისწინებს. არსებობს ერთდღიანი (ყოველი ოთხშაბათი და პარასკევი გარდა მსგეფსისა; ნათლისღების წინა დღე – 18 იანვარი; წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე – 11 სექტემბერი; ჯვართამაღლება – 27 სექტემბერი) და მრავალდღიანი მ. (დიდი მ. – ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წინ) მოძრავია და გრძელდება 7 კვირა; პეტრე-პავლობის მ. (წმ. პეტრეს და წმ. პავლეს დღესასწაულის წინ) – 1–5 კვირა; მარიამობის მ. (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების წინ) – 2 კვირა; შობის მ. (ქრისტესშობის წინ) – 6 კვირა. გარდა ხანგრძლივობის სხვადასხვაობისა, განსხვავებულია მათი დაცვის სიმკაცრეც.

საქართველოში, როგორც ქრისტ. ქვეყანაში, მ. ზოგადეკლესიური სწავლების მიხედვით იყო დაცული, თუმცა ერთგვარი თავისებურებითაც გამოირჩეოდა. მ. მიცვალებულის გლოვას უკავშირდებოდა, კერძოდ დაკრძალვამდე ჭირისუფლები მარხულობდნენ, რაც ხშირად გარდაცვალებიდან 40 დღემდე გრძელდებოდა. ეს წესი განსაკუთრებით დას. საქართველოში იყო გავრცელებული და გარკვეულწილად, დღემდე შემორჩა. დიდი მარხვის დაწყება

კი მთელ საქართველოში განსაკუთრებული ეთნოგრ. წეს-ჩვეულებებით გამოირჩეოდა.

ლიტ.: იოანე ოქროპირი, ოქროს წყარო, წგ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1986; შმემანი ა. (პროტოპრესვიტერი), დიდი მარხვა, თბ., 2005.

ზ. ეკალაძე.

„მარხვანი“, ქრისტიანული საღვთისმსახურო წიგნი, რ-იც შეიცავს საეკლესიო წელიწადის მოძრავი პერიოდის – დიდი მარხვისთვის დაწესებულ საგალობლებს. მ-ის ბერძნული რედაქცია, რ-იც ქართ. ღვთისმსახურებაში იყო დამკვიდრებული, უკავშირდება კონსტანტინოპოლის სტუდიონის მონასტრის ჰიმნოგრაფიულ სკოლას და მიეწერება თეოდორე სტუდიელს (IX ს.), თუმცა მასში შესულია საბაწმიდელ ჰიმნოდთა – ანდრია კრეტელის, იოანე დამასკელის, კოზმა მგალობლის – საგალობლები. საქართველოში მ. XI ს-ში გაჩნდა; მისი თარგმნა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების სახელთან არის დაკავშირებული. ღვთისმსახურების განვითარების ადრეულ ეტაპზე დიდმარხვის საგალობლები თავდაპირველად შედიოდა ქართ. ლექციონარში, შემდეგ – ძვ. და ახ. რედაქციის იადგარებში. მ-ის, როგორც საგალობელთა კრებულის, სპეციფიკა ის არის, რომ სადა (ჩვეულებრივი) დღეებისათვის მასში შეტანილია მხოლოდ 3 გალობისაგან შემდგარი კანონები, ანუ ხვედრნი, რის გამოც კრებულს ტრიოდიონსაც უწოდებენ. XV–XVI სს-ში ქართულად ითარგმნა მ-ის იერუსალიმური რედაქცია. XVIII ს-ში მ. შესწორდა სლავური თარგმანის მიხედვით (დაიბეჭდა 1741).

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მარხვანი 2 ტომად, (წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქცია) თბ., 2022; ხაჩიძე ლ., ქართული მარხვანი და ბიზანტიური ჰიმნოგრაფია, წგ.: ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან, თბ., 2000; Карабинов И., Постная триодь, СПб., 1910.

ლ. ხევსურიანი.

მარხილი, სახმელეთო უბორბლო საზიდი საშუალებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობა, რ-იც ურმის დანიშნულებას ასრულებს. ბარში მ. თოვლზე სატარებლად იხმარებოდა, მთაში კი – წლის ყველა დროს იყენებდნენ და ძირითად სამეურნეო ტრანსპორტს წარმოადგენდა. იგი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ა) 2 ფეხი, ანუ კავი (ტოტები – თუშეთი, ღო – მთიულეთი), ბ) მარხილის ტანი (ნერჩი – ფშავი, კვატუში – ლეჩხუმი), გ) 2 ხელნა; დამოუკიდებელი ნაწილია უღელი. გამწევ ძალად უპირატესად ხარებს იყენებდნენ. მ-ს აკეთებდნენ თელის, იფნის, წიფლის, ნაძვის და სხვ. ხისაგან. იყო საგანგებო დანიშნულების მ-ებიც, მაგ., ქვის საზიდი მ. – თურშო (აღმ. საქართველოს მთა), მძიმე ქვევრების გადასატანი მ. – თუშო (იმერეთი), მინდვრად პატივის გასატანი გოდორმარხილი – ჯვინი, შეშის ან მცირე ტვირთის საზიდი მ. – ლეკმარხილი. შიდა სამეურნეო მსუბუქი საქმეებისათვის იხმარებოდა ხელმარხილიც. ზოგან გამწევ ძალად ცალ საქონელსაც აბამდნენ, ასეთ საზიდს მარტუღელა ეწოდებოდა. კონსტრ. თავისებურებით გამოირჩეოდა მთიდან ძნისა და თივის ჩამოსაზიდი მ. (სვანური მ., მესხური სელი, აჭარული ხიზეკი და სხვ.).

ქართულ წერილობით წყაროებში მ-ის ერთ-ერთ სახეობად მოხსენიებულია ნალო, რ-იც თოვლში გამოსაყენებელი, ადამიანთა ჩასასხდომი უთვლო ეტლი ყოფილა. თანამედროვე ეთნოგრ. სინამდვილეში ნალო ამ მნიშვნელობით აღარ გვხვდება. წყაროებში მოხსენიებულია აგრეთვე მანჯიკი – მომცრო მ. და ციგა. მთაში მ. ტვირთის საზომ ერთეულადაც იხმარებოდა – მ. თივა, მ. შეშა და სხვ. მ-ზე ტვირთის დასამაგრებლად იყენებდნენ ღვლეჭის (ალაჭა – რაჭა), ანდა ორკაპა შინდის ხეს. მის დამზადებას ორი დღე სჭირდებოდა და XX ს. დამდეგისათვის ორი კოდი ქერი ღირდა.

საქართვ. ვერტიკალური ზონალობის ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში, კერძოდ, მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში ისტორიულად ჩამოყალიბდა შერეული ტიპის საზიდი საშუალებანი, რებშიც კარგად არის შეხამებული თრევა-სრიალისა და გორვის სამოძრაო პრინციპი. ამგვარი საზიდი ნახევრად მ-ს და ნახევრად ურემს წარმოადგენს (*აჩაჩა ურემი, ბოლოთრია,* სელი). მ-ის ტიპის საზიდი მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვის არის ცნობილი. მ-ს დღემდე შემორჩა პრაქტ. მნიშვნელობა ჩრდ. მხარეებში, სადაც გამწევ ძალად ძაღლებსა და ირმებს იყენებენ (ნარტები).

ლიტ.: გეგეშიძე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956; დავითიძე ა., სატრანსპორტო საშუალებათა დამზადების ხალხური წესები ზემო აჭარაში, ,,აჭარის ასსრ სახელმწ. მუზეუმის შრომები“, 1972, ტ. 7; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011.

მ. გეგეშიძე.

მარჯანი (Falco subbuteo), მტაცებელი ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 28–26 *სმ*, ფრთების შლილი – 69–84 *სმ*, მასა – 130–340 *გ*. ზევიდან ნაცრისფერია, ქვევიდან, ძირითადად, – მოყვითალო-თეთრი ყავისფერი გრძივი ზოლებით. მდედრს მოყავისფრო ფერი დაჰკრავს. აქვს თეთრი კისერი, ნისკარტისა და თვალების ქვეშ ბუმბული შავია. ბინადრობს ევროპაში, აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება როგორც დიდ, ისე მცირე კავკასიონზე. ძირითადად ბინადრობს ფართოფოთლოვან ტყეებში, იშვიათად – შერეულში, კიდევ უფრო იშვიათად – წიწვოვანში, დაბლობში – ძირითადად ჭალის ტყეებში. ბუდეს იკეთებს ხეზე, მთაში ხშირად კლდეზეც ბუდობს. სავარაუდოდ, საქართველოში 230–250 წყვილი ბუდობს. დებს 2–5 (ჩვეულებრივ 3–4) კვერცხს. კრუხობა 28 დღე გრძელდება. საქართველოში მ. აპრილში მოფრინავს, ხოლო სექტემბერსა და ოქტომბერში მიფრინავს. გადაფრენისას დიდი რაოდენობით გვხვდება. იშვიათად ზამთრობს შავი ზღვის სანაპიროზე, ივრის, ალაზნისა და მტკვრის ჭალებში. იკვებება წვრილი ფრინველებითა და მსხვილი მწერებით. ქართულ პოპულაციას საფრთხე არ ემუქრება. ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორი ბრაკონიერობაა.



მარჯანი.

ა. ბუხნიკაშვილი.

მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე [28.V (9.VI.), 1872, სოფ. ყვარელი, ახლანდ. ყვარლის მუნიციპალიტეტი, – 17. IV. 1933, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში], რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1931). თბილ. პირველ გიმნაზიაში სწავლის დროს ხშირად მონაწილეობდა სასკოლო წარმოდგენებში. 1884 მ-ის დებიუტი შედგა ქუთაისის დრამ. დასში (ხელმძღვ. კ. მესხი), იმავე წლის 24 ნოემბერს კი – თბილისში (შეასრულა ერეკლეს როლი ა. წერეთლის ,,პატარა კახში“). რუსეთში გამგზავრების შემდეგ (1897) როგორც მსახიობი მოღვაწეობდა სხვადასხვა ქალაქის თეატრებში. 1900–01 ვიატკაში დადგა ა. ჩეხოვის ,,ძია ვანია“. 1904–05



კ. ა. მარჯანიშვილი.



და 1905–06 სეზონში მიიწვიეს კ. ნეზლობინის დრამ. დასის რეჟისორად რიგაში, სადაც დადგა მ. გორკის პიესა ,,მოაგარაკენი“. მ. რეჟისორად მუშაობდა ხარკოვის (1906–07), კიევის (1907–08), ოდესის (1908–09), მოსკ. კ. ნეზლობინის (1909-იდან) თეატრებში. ა. სუმბათაშვილთან ერთად აქტ. დახმარებას უწევდა ქართვ. რეჟისორებს: ვ. შალიკაშვილს, ა. წუწუნავასა და ვ. მჭედლიშვილს, რ-ებიც მოსკ. სამხატვრო თეატრის სტუდიაში სწავლობდნენ. იქვე მონაწილეობდა ქართ. დრამ. სტუდიის შექმნაში. 1910–13 მოსკ. სამხატვრო თეატრში დადგა კ. ჰამსუნის ,,ცხოვრების ბრჭყალებში“ (1911), ჰ. იბსენის ,,პერ გიუნტი“ (1912); მონაწილეობა მიიღო თ. დოსტოევსკის ,,ძმები კარამაზოვების“ (1910) და გ. კრეგის ცნობილი მოსკოვური ,,ჰამლეტის“ დადგმაში. 1913 მ-მა მოსკოვში დააარსა ,,თავისუფალი თეატრი“, სადაც თეატრ. რუტინას დაუპირისპირა სინთეზური თეატრის პრინციპი, ცდილობდა აღეზარდა ყოველმხრივ განვითარებული მსახიობი, რ-იც გამოვიდოდა ოპერაში, ოპერეტაში, დრამაში, პანტომიმაში. თეატრმა მხოლოდ ერთი სეზონი (1913–14) იარსება. მ-მა აქ დადგა: მ. მუსორგსკის ოპერა ,,სოროჩინცის ბაზრობა“, ჟ. ოფენბახის ოპერეტა ,,მშვენიერი ელენე“, შნიცნელ-დონანის პანტომიმა ,,პიერეტას საბურველი“ და სხვ.; ხელმძღვანელობდა თეატრებს დონის როსტოვში (1914–15), ,,ბუფის“ (1916–17) და მინიატიურების თეატრს (1917–18) პეტროგრადში; 1919 კიევში, სოლოვცოვის თეატრში, დადგა ლოპე დე ვეგას დრამა ,,ცხვრის წყარო“; 1920 პეტროგრადში დააარსა კომიკური ოპერის თეატრი. მ. ოქტ. რევოლუციის შემდეგ ნ. ოხლოპკოვთან ერთად რეჟისორობდა მასობრივ სახალხო წარმოდგენებს პეტროგრადში (,,განთავისუფლებული შრომის მისტერია“, ,,მსოფლიო კომუნისაკენ“, ,,ზამთრის სასახლის აღება“, 1918–21).

1922 მ. საქართველოში დაბრუნდა და საფუძველი ჩაუყარა ქართ. პროფ. თეატრის განვითარების პროცესს. რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლით (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო“) ცხადი გახდა მ-ის რეჟისურის მაღალი პროფ. ოსტატობისა და ესთეტ. ღირებულებების პოტენციური გავლენა ქართ. სათეატრო ხელოვნებაზე. 1926-მდე იგი სათავეში ედგა რუსთაველის თეატრს, სადაც დადგა ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში“ (1923), გ. ერისთავის ,,გაყრა“ (1923), ჟ. მოლიერის ,,გააზნაურებული მდაბიო“ (1924; მ. ქორელთან ერთად), უ. შექსპირის ,,უინძორელი ცელქი ქალები“ (1924), ,,ჰამლეტი“ (1925) და სხვ. 1928 დააარსა ქუთაისბათუმის თეატრი, რ-ის პირველი წარმოდგენა იყო ე. ტოლერის ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“. თეატრი ორი სეზონის შემდეგ მეორე სახელმწ. თეატრის სახელწოდებით თბილისში გადმოვიდა და ბინა დაიდო ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლში. ამ თეატრს მ.



კ. მარჯანიშვილი. კადრი ფილმიდან ,,ამოკი“. მსახიობები: ნ. ვაჩნაძე – ევროპელი ქალი, ა. იმედაშვილი – ექიმი. 1927.

გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიენიჭა. ეს იყო პირველი თეატრი, რ-მაც მოსკოვსა და ხარკოვში გასტროლებზე (1930) ქართულ თეატრს აღიარება მოუტანა. მ-ს მიერ აქ დადგმული სპექტაკლებია: ბ. შოუს ,,წმინდა ქალწული“ (1928), შ. დადიანის ,,კაკალ გულში“ (1928), კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა“ (1929, მ-ის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი, რ-იც შემდგომ წლებში არაერთხელ აღადგინეს), პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი“ (1929), კ. კალაძის ,,სახლი მტკვრის პირას“ (1931), ა. აფინოგენოვის ,,შიშო“ (1932), უ. შექსპირის ,,ოტელო“ (1932), ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში“ (1933) და სხვ.

1924–28 მ. მოღვაწეობდა ქართ. კინოში, სადაც გადაიღო ფილმები: ,,ქარიშხლის წინ“ (1926), ,,სამანიშვილის დედინაცვალი“ (1924), ,,ამოკი“ (1927), ,,კრაზანა“ (1928), ,,კომუნარის ჩიბუხი“ (1929) და სხვ.; თბილ. ოპერის თეატრში დადგა რ. ვაგნერის ,,ლოენგრინი“ (1924), დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1923), ზ. ფალიაშვილის ,,დაისი“ (1924), ჯ. როსინის ,,ვილჰელმ ტელი“ (1931) და სხვ. ცხოვრების უკანასკნელ წლებში დადგა ფ. შილერის ,,დონ კარლოსი“ (1933; მოსკ. მცირე თეატრი), ი. შტრაუსის ოპერეტა ,,ღამურა“ (1933; მოსკ. ოპერეტის თეატრის სადგური).

მ-ის სახლში გახსნილია მემორიალური მუზეუმი. დაწესებულია მისი სახ. პრემია. არის მისი სახელობის ქუჩა, მოედანი, მეტრო.

მ-ის სახელი მინიჭებული აქვს ყვარლის სახ. თეატრს და მწვერვალს. იხ. *მარჯანიშვილის მწვერვალი*. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., კოტე მარჯანიშვილი, თბ., 1947; გუგუშილი ე., კ. მარჯანიშვილი, თბ., 1972; Гугушвили Э., Джанелидзе Д., Грузинский государственный драматический театр им К. А. Марджанишвили, Тб., 1958; Крыжицкий Г. К., К. А., Марджанов, М.- Л., 1946.

გ. ბუხნიკაშვილი.

კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი ყვარელში, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი, დაარსდა 1957 სახლში, რ-შიც დაიბადა მ.

XX ს-ში სახლი სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა: 1922-38 აქ იყო ჰოსპიტალი, 1938-46 – სამხედრო კომისარიატი. 1956 თავდაპირველი შენობის ერთ ოთახში გაიხსნა მ-ის ბ-კა-მუზეუმი, 1957 დაარსდა სახლ-მუზეუმი, ხოლო 1959-ის ივნისში – მემორიალური მუზეუმი, რ-საც XX ს. 80-იან წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია და მიიღო ამჟამინდელი სახელწოდება.

მუზეუმში დაცულია 3 ათ-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო სივრცის პირველ განყ-ბაში მ-ის ოჯახის წევრთა სურათებია გამოფენილი, მეორე განყ-ბა ქართ. თეატრში მისი მსახიობობის პერიოდს (1894–97) ეთმობა, მესამე განყ-ბა კი – რუს. სცენაზე მის სარეჟისორო მოღვაწეობას ასახავს (1897–1922).

მუზეუმში მოწყობილია ექსპოზიცია, რ-იც ეძღვნება მ-ის რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის პერიოდს (1922–26) და მის გარდაცვალებას. მუზეუმში დაცულია რეჟისორის მემორიალური ნივთები, მ-ის ფილმის „ამოკისა“ და სპექტაკლების აუდიო- და ვიდეოჩანაწერები: მიმოწერა ქართ.

თეატრისა და კინოს გამოჩენილ მოღვაწეებთან ფოტოები და პიესები, ქართველ ხელოვანთა (ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, პ. ოცხელი და სხვ.) ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები; დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; ხელნაწერები, XX ს-ის დასაწყისის ავეჯი, ჭურჭელი და სხვ.

სახლი XIX ს-ის დასაწყისში მ-ის პაპამ, სოლომონ ჭავჭავაძემ ააგო. დღეისათვის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია მისი თავდაპირველი სტრუქტურა და მხატვრული სახე. იგი ორსართულიანია და ორივე სართული ოჯახის საცხოვრებლადაა განკუთვნილი. ნაგებობა ნაშენია რიყის ქვით, ხოლო კარ-სარკმლების ღიობები, ლავგარდანი და სარკმლების თავსართები აგურითაა გამოყვანილი. შენობის ფასადები ძირითადად პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

გარდა არქიტ. და მემორიალური ღირებულებისა, სახლს ისტ. მნიშვნელობაც აქვს: აქ იკრიბებოდნენ ქართ. კულტურის, საზ-ბის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, ხელოვანები და საზ. მოღვაწეები: ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ა. ყაზბეგი, დ. ყიფიანი, ი. მაჩაბელი, ა. ცაგარელი, ვ. აბაშიძე, ლ. ალექსი-მესხიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძისა და სხვ.

მარჯანიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (13(26). VIII. 1903, მოსკოვი, – 13. II. 1981, იქვე, დაკრძალულია თბილისში), მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1974, წ.-კორ. 1964), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1949), სოციალ. შრომის გმირი (1973), რეჟისორ კ. *მარჯანიშვილის* შვილი.

მ-მა დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) სახელმწ. უნ-ტი მათემატიკის სპეციალობით (1924); სტუდენტობისას გახდა აკად. ი. ვინოგრადოვის მოწაფე; საქართვ. განათლების სახ. კომისარიატის მივლინებით იმყოფებოდა ლაიფციგში (1925–27). მ. მუშაობდა თსუ-ში ნ. *მუსხელიშვილის* ასისტენტად (1927-იდან); მომდევნო წლებში (1927–33) კითხულობდა ლექციებს ამიერკავკასიის პოლიტექ. ინ-ტში; იყო თბილ. ენერგეტიკის ინ-ტის მათ. და მექან. კათედრის გამგე; აქტიურად მონაწილეობდა თსუ-სთან მათემატიკის ინ-ტის დაარსებაში. 1934–81 მუშაობდა მოსკოვში ვ. სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინ-ტში; 1949–51 იყო მოსკ, კავშირგაბმულობის ინ-ტში მათმატიკის კათედრის გამგე; 1953-იდან სიცოცხლის ბოლომდე კი – კვლავ მათემატიკის ინ-ტის გამოყენებითი გამოთვლების განყ-ბის გამგე.

მ-ს ძირითადი სამეცნ. შედეგები მიღებული აქვს რიცხვთა ადიტიურ თეორიასა და გამოყენებით მათემატიკაში; გადაჭრა ჰილბერტ-კამკეს პრობლემა (1953); ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა. დაჯილდოებულია ლენინის (1973 და 1975) ორდენით და სხვა სახელმწ. ჯილდოებით. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

თხზ.: Об одной задаче аддитивной теории чисел, «Изв. АН СССР. Сер. математическая», 1940, т. 4, №2; О некоторых нелинейных системах уравнений в целых числах, «Математический сборник», 1953, т. 33 (15), в. 3.

მარჯანიშვილის თეატრი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. დაარსდა 1928 წ. 3 ნოემბერს ქუთაისში, თავდაპირველად ქუთაის-ბათუმის სახელმწ. თეატრად იწოდებოდა; 1930 გადმოვიდა თბილისში და მეორე სახელმწ. ქართ. აკადემიური დრამის თეატრის სახელწოდებით ბინა დაიდო ზუბალაშვილების სახალხო სახლში, სადაც დღემდე ფუნქციონირებს. 1933 მიენიჭა თეატრის დამაარსებლის, რეჟისორ კ. *მარჯანიშვილის* სახელი.

თეატრის დაარსებაში მონაწილეობდნენ: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, უ. ჩხეიძე, ა. ჟორჟოლიანი, შ. ღამბაშიძე, ს. ზაქარიაძე, ე. და ი. დონაურები და სხვ. მათ შეუერთდნენ ქართ. სცენის გამოცდილი ოსტატები: ა. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, ი. ზარდალიშვილი და სხვ. კ. მარჯანიშვილს მხარში ედგნენ ახალგაზრდა რეჟისორები: დ. ანთაძე, გ. სულიაშვილი, ვ. აბაშიძე. თეატრის ირგვლივ გაერთიანდნენ მწერლები: შ. დადიანი, პ. კაკაბაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. ამაღლობელი, კ. კალაძე და სხვ.; მხატვრები: პ. ოცხელი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი; კომპოზიტორები: თ. ვახვახიშვილი, კ. მელვინეთუხუცესი, ა. ბალანჩივაძე; ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი; კრიტიკოსი ბ. ჟღენტი და სხვა თეატრ. მოღვაწეები. პირველივე სეზონზე (1928–29) შეიქმნა საეტაპო მნიშვნელობის



მარჯანიშვილის თეატრი.

სპექტაკლები (ე. ტოლერის ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!'', ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'', შ. დადიანის ,,კაკალ გულში'', კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', კ. კალაძის ,,როგორ'' და სხვ.), მომდევნო სეზონში თეატრს შეემატნენ მსახიობები: ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, პ. კობახიძე, გ. შავგულიძე, ა. ომიაძე, ა. გომელაური და სხვ.

თეატრის თბილისში დაფუძნებას წინ უძღოდა წარმატებული გასტროლი დედაქალაქის ოპერისა და ბალეტის თეატრში, შემდეგ, ხარკოვსა და მოსკოვში. ეს იყო ქართ. თეატრის პირველი საგასტროლო ვიზიტი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. 30-იან წლებში რეპერტუარს შეემატა დადგმები: უ. შექსპირის ,,ოტელო'' (1932), ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''(1933), პ. ბომარშეს ,,ფიგაროს ქორწინება'' (1937), შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან'' (1937), პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება'' (1938) და სხვ.



სცენა სპექტაკლიდან ,,ურიელ აკოსტა''.

II მსოფლიო ომის წლებში თეატრში იდგმებოდა: ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე'' (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი), კ. სიმონოვის ,,მელოდე'' (რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი), მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული'' (რეჟ. შ. ღამბაშიძე) და სხვ.

XX ს. 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იან წლებში თეატრში მოვიდნენ: მ. ჯაფარიძე, ე. ყიფშიძე, მ. თბილელი, ნ. ჩხეიძე, თ. თეთრაძე, თ. სხირტლაძე, ი. ტრიპოლსკი, კ. მახარაძე, ზ. ლაფერაძე და სხვ. 70–80-იანი წლების თეატრის წამყვან შემოქმედებით ძალას წარმოადგენდნენ: ო. მელვინეთუხუცესი, ს. ჭიაურელი, ი. უჩანეიშვილი, თ. არჩვაძე, ლ. ანთაძე, ნ. მგალობლიშვილი, გ. ბერიკაშვილი, თ. მაისურაძე და სხვ. თეატრში სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდნენ მხატვრები: თ. აბაკელია, ვ. სიდამონ-ერისთავი, ს. ვირსალაძე, ი. სუმბათაშვილი, მ. მალაზონია, გ. გუნია, გ. მესხიშვილი, ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე და სხვ. მსახიობთა მდიდარ შესაძლებლობებს ეყრდნობოდა რეჟისურა შემდეგ სპექტაკლებში: მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა'' (1949), ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი'' (1950, ორივეს რეჟ. ა. ჩხარტიშვილი), ი. გალანის ,,სიყვარულის გარიჟრაჟზე'' (1954, რეჟ. ლ. იოსელიანი), ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1960) და ,,მე ვხედავ მზეს'' (1962, ორივეს რეჟ. გ. ლორთქიფანიძე) და სხვ.

თეატრი თავიდანვე ხელს უწყობდა ქართ. დრამატურგიის განვითარებას. იდგმებოდა ქართ. პიესები და ქართ. კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების ინსცენირება. მ. შ.: დ. შენგელაიას ,,თეთრები'' (1929, რეჟ. კ. მარჯანიშვილი), შ. დადიანის მიერ ე. ნინოშვილისა და ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებზე შექმნილი ,,ნინოშვილის გურია'' (1934, რეჟ. დ. ანთაძე), უ. ჩხეიძის ,,გიორგი სააკაძე'' (1940), ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!'' (1946, ორივეს რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი), მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე'' (1974, რეჟ-ები დ. ალექსიძე, ნ. გაჩავა) და სხვ.

თეატრის ისტორია მდიდარია კლასიკური რეპერტუარით, დაიდგა ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'' (რეჟ. გ. ჟურული, 1934), ვ. ჰიუგოს ,,რუი ბლაზი'' (რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი, 1941), უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'' (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, 1949), ნ. გოგოლის ,,რევიზორი'' (რეჟ. ა. თაყაიშვილი, 1951), ფ. შილერის ,,მარიამ სტიუარტი'', უ. შექსპირის ,,რიჩარდ III'' (რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი, 1955–57), ევრიპიდეს ,,მედეა'' (რეჟ. ა. ჩხარტიშვილი, 1962), ფ. შილერის ,,დონ კარლოსი'', სოფოკლეს ,,ანტიგონე'' (ორივეს რეჟ. დ. ალექსიძე, 1971), სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'' (რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, 1978) და სხვ.

კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'' რამდენიმე ათეული წელი განაგრძობდა სიცოცხლეს და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ვ. ანჯაფარიძის (ივდითი), უ. ჩხეიძის (ურიელი), შ. ღამბაშიძის (დე სილვა), ა. ჟორჟოლიანის (ბენ აკიბა) თუ სხვათა სასცენო ტრადიციები. აღნიშნული სპექტაკლი აღადგინეს 5-ჯერ (1950, 1972, 1992, 2006).

70–80-იან წლებში თეატრში მოვიდა მსახიობთა ახალი თაობა: მ. ჯანაშია, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩუგუაშვილი, ა. მესაბლიშვილი, ა. მიქაძე, მ. ტატიშვილი, გ. ბურჯანაძე, მ. გომიაშვილი, ნ. ხომასურიძე, რ. ჩხიკვიშვილი და სხვ.

თეატრი თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთხელ იყო გასტროლზე რუსეთში, უკრაინაში, ლატვიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და ქალაქში. 1980-იდან თეატრი მონაწილეობს ევრ. ფესტივალებში – იტალიაში (,,ოიდიპოს მეფე'', 1980), გდრ-ში (,,ოტელო'', 1984), გაერთიანებულ სამეფოში (,,მეფე ლირი'', 1998; ,,ანტიგონე'', 2001; ედინბურგის ფესტივალი) და სხვ.

სხვადასხვა დროს მ. თ-ში სპექტაკლებს დგამდნენ რეჟისორები: ა. თაყაიშვილი, ბ. გამრეკელი, თ. შატბერაშვილი, ა. ქუთათელაძე, გ. ლაღიძე, რ. ჭიაურელი, ი. კაკულია, ს. მრევლიშვილი, შ. ქარუხნიშვილი, თ. მაღალაშვილი, თ. კანდინაშვილი, თ. წეროძე, მ. თუმანიშვილი, მ. გიჟიმყრელი, კ. სურმავა, გ. მაცხონაშვილი. თეატრს სათავეში ედგნენ: კ. მარჯანიშვილი (1928–33, სამხატვრო ხელმძღვ.), უ. ჩხეიძე (1933–34, სამხატვრო ხელმძღვ.), დ. ანთაძე (1934–36, დირექტორი), შ. ღამბაშიძე (1936–48, სამხატვრო ხელმძღვ.), ა. ჩხარტიშვილი (1948–57, 1962–64, მთ. რეჟისორი), ვ. ანჯაფარიძე (1957–59, სამხატვრო ხელმძღვ. და დირექტორი), ა. დვალიშვილი (1959–62, 1967–68, დირექტორი), გ. ლორთქიფანიძე (1964–67, 1975–80, მთ. რეჟისორი), ლ. მირცხულავა (1968–70, მთ. რეჟისორი), დ. ალექსიძე (1970–73, მთ. რეჟისორი), რ. თვარაძე (1973–75, დირექტორი), გ. კანდელაკი (1987–2006, დირექტორი).

1980–96 თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თ. ჩხეიძე, ხოლო 1998–2006 – ო. მელვინეთუხუცესი. ამ პერიოდში წარმატებით დაიდგა ლ. როსებას ,,პროვინციული ამბავი'' (რეჟ. მ. კუჭუხიძე), გ. რობაქიძის ,,გრაალის მცველნი'' (რეჟ. დ. ანდღულაძე), უ. შექსპირის ,,ოტელო'', ლ. ქიაჩელის ,,ჰაკი აბბა'', ა. სტრინდბერგის ,,მამა'', ჟ. ანუის ,,ანტიგონე'', ი. რიზას ,,არტ ხელოვნება'' (რეჟ. თ. ჩხეიძე), მ. ჩიკამაცუს ,,შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე'' (რეჟ. მ. კუჭუხიძე, სპექტაკლმა სპეციალური მიწვევით იმოგზაურა იაპონიაში), უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'' (რეჟ. დ. დოიაშვილი) და სხვ.

2006-იდან თეატრის მმართველია ე. მაზმიშვილი (2012-იდან – დირექტორი), სამხატვრო ხელმძღვანელი – ლ. წულაძე. დაიდგა: უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'', გ. ქართველიშვილის ,,ქაქუცა ჩოლოყაშვილი'', კ. მიტანის ,,ჟოლო'', უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'' (რეჟ. ლ. წულაძე), ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა'', მოლიერის ,,ძალად ექიმი'' (რეჟ. გ. ჟორდანია), მ. ბულგაკოვის ,,მორფი'' (რეჟ. ზ. სიხარულიძე), ა. გარნეის ,,სასიყვარულო ბარათები'', ჟ. გალსერანის ,,გრონჰოლმის მეთოდი'' (რეჟ. თ. ჩხეიძე), ,,კრეიცერის სონატა'' (ლ. ტოლსტოის მიხედვით, რეჟ-ები: ლ. წულაძე, თ. კუპრავა) და სხვ.

თეატრს აქვს სამი სცენა. დიდი სცენის გარდა სპექტაკლები იდგმება ,,სხვეწში'' (2007-იდან) და ,,ახალ სცენაზე'' (2013-იდან).

ბოლო ათი წლის განმავლობაში თეატრი მონაწილეობდა საერთაშ. ფესტივალებში: შავი ზღვის საერთაშ. თეატრ. ფესტივალი (თურქეთი); შექსპირის ფესტივალი ,,მსოფლიო გლობუსი'' (დიდი ბრიტანეთი); რანგა შანკარასა (ინდოეთი) და სიბიუს საერთაშ. (რუმინეთი) ფესტივალები; ფესტივალი ვიე მოდენა (იტალია); კამერი თეატრისა (ისრაელი) და სერვანტესის საერთაშ. ფესტივალები (მექსიკა) და სხვ.

კ. ნინიკაშვილი.

მარჯანიშვილის თეატრის სტუდია, დრამატული სტუდია-

სახელოსნო თბილისში. დაარსდა 1931 კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სახელმწ. დრამ. თეატრთან (1933-იდან – კ. მარჯანიშვილის სახ. სტუდია). სტუდია წლების განმავლობაში ამზადებდა თეატრის საქართვ. რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის გახსნასთან დაკავშირებით სტუდია გაუქმდა (1939). 1947 კვლავ გაიხსნა და 1949-მდე ფუნქციონირებდა. პედაგოგები: დ. ჯანელიძე, უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, ვ. ყუშიტაშვილი, ე. პავლოვა-მიქელაძე და სხვ.

მარჯანიშვილის მწვერვალი, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ.ზესხოს (ცხენისწყლის შენაკადი) სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 3500 *მ.* აგებულია იურული ასპიდური ფიქლებით, ქვიშაქვებით, კვარციტებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი.

მწვერვალზე 1938 მოეწყო საქართვ. ალპ. კლუბის პირველი ექსპედიცია (ხელმძღვ. ა. ჯაფარიძე).

სახელი ეწოდა კ. ა. *მარჯანიშვილის* პატივისაცემად.

მარჯვენა გენწვიში, სოფელი აფხაზეთის არ-ის აჟარის (კოდორის ხეობა) მუნიციპალიტეტში (აჟარის თემი), მდ. კოდორის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 720 *მ,* გულრიფშიდან 84 *კმ.*

მ. ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარჯვენა პტიში, სოფელი აფხაზეთის არ-ის აჟარის მუნიციპალიტეტში (აჟარის თემი), მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ,* გულრიფშიდან 80 *კმ.*

მ. პ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მარჯვენა რკვია, სოფელი იმერეთის რეგიონის ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (ბოსლევის თემი), იმერეთის მაღლობზე, მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 320 *მ,* ზესტაფონიდან 22 *კმ.* 96 მცხ. (2014).

მასალათმცოდნეობა, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსი, რომელიც შეისწავლის მასალის სტრუქტურის, დამუშავებისა და თვისებების ურთიერთკავშირს, აგრეთვე მასალის ფუნქციურ (მექანიკურ, თერმულ, ელექტრულ, მაგნიტურ, ოპტიკურ და სხვ.) თვისებებს. მ-ში ზოგადი ტერმინი „მასალა“ აღნიშნავს მარტივ და რთულ ნივთიერებებს, რ-ებიც შეიძლება იყოს სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში, აგრეთვე ამ ნივთიერებების ნარევებსა და ჰეტეროგენულ კომპოზიციებს. ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. თანამედროვე მ-ის საფუძველია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის დარგები – სტატისტ. ფიზიკა, თერმოდინამიკა და კინეტიკა, მექანიკა, მყარი სხეულის ფიზიკა და კვანტური მექანიკა, მყარი სხეულის, კოლოიდებისა და პოლიმერების ქიმია, სხვადასხვა მასალის ინტეგრირება ბიოლოგიურ სისტემებში და მათი გამოყენება მედიცინაში.

საქართველოში მ-ის ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტალურგიის განვითარებასთან: სპი-ის (ახლანდ. სტუ) დაარსების (1928) შემდეგ, *გ. ნიკოლაძემ* ქართველ ინჟინრებთან ერთად შექმნა ჯგუფი, რ-მაც ადგილ. მაღალკვალიფიციური მეტალურგების მომზადება დაიწყო. ეს ჯგუფი ეროვნ. უმაღლეს სასწავლებელში სპეც. დისციპლინების შემოღებასთან ერთად შეუდგა ქართ. ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას, სახელმძღვანელოთა შექმნას, თარგმნას და ა. შ. პირველი სალექციო კურსები ლითონთა ტექნოლოგიასა და რამდენიმე მონათესავე საგანში ჩამოაყალიბა გ. გედევანიშვილმა, რ-იც 1930 სათავეში ჩაუდგა სპი-ში თავისსავე დაარსებულ ლითონთა ტექნოლოგიის კათედრას. 1935-იდან საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მეტალურგიის ინ-ტს (ახლანდ. სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი). *ფ. თავაძემ* დიდი წვლილი შეიტანა ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების შექმნაში, როგორიცაა *ლითონმცოდნეობა, ლითონების დამუშავება* (ჩამოსხმა, თერმული დამუშავება და სხვ.) და ათეულობით წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ დარგების განვითარებას.

XX ს. 60–80-იან წლებში საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის კვლევითი რეაქტორის ამუშავებასთან ერთად დაიწყო ინტენსიური კვლევები დაბალტემპერატურული რადიაქტიური მასალათმცოდნეობის სფეროში (ე. ანდრონიკაშვილი, ი. ნასყიდაშვილი).

ამჟამად მ-ის სწავლების პროგრამის სამივე საფეხური ხორციელდება სტუ-ში, ხოლო კვლევები, ძირითადად – მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტში (იხ. სტ. *მეტალურგიის ინსტიტუტი*).

პ. მამრაძე.

„მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის მიერ 1955–79 გამოცემული კრებული (8 ტომი).

XX ს-ში საქართველოში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა კავკ. მუზეუმი (დაარსდა 1852). გათხრით სამუშაოებში 1930-იდან მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილი. 1936–40 მიმდინარეობდა *თრიალეთის კულტურის* (თრიალეთის ყორღანები) ძეგლების შესწავლა. 1941 საქართვ. მუზეუმში გაიხსნა არქეოლ. გამოფენა – „თრიალეთი და მცხეთა – უძველესი ქართული კულტურის კერები“.

„მ. ს. და კ. ა-ში“ იბეჭდებოდა ცნობილი ქართვ. არქეოლოგების სამეცნ. სტატიები. ტომი I: სამთავროს ყორღანული სამარხი (ტ. ჩუბინიშვილი); მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937–51 ნუმიზმატიკური მონაპოვარი (დ. კაპანაძე); „განჯისკარის“ 1948 წლის არქეოლ. გათხრის ანგარიში (ო. ჯაფარიძე); ნადარბაზევი (ი. ციციშვილი, პ. ზაქარაია); კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი (ნ. უგრელიძე); არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 ზამთარში (გ. ლომთათიძე); რუსთავში წარმოებული არქეოლ. გათხრების შედეგები (გ. ლომთათიძე); წილკანში აღმოჩენილი გემის ბერძნული წარწერა (თ. ყაუხჩიშვილი). ტომი II: კამარახევის სამაროვანი (რ. რამიშვილი); გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები (რ. ფუთურიძე); წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა (ქ. ბერძენიშვილი); ბრინჯაოს კახური ტიპის სატევარი (კ. ფიცხელაური); გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი სოფ. გულგულასთან (კ. ფიცხელაური); არქეოლოგიური კვლევები ვანსა და ვანის რ-ნში 1952 (ნ. ხოშტარია). ტომი III: ხრამის ხეობის პალეოლითური ძეგლების აღწერილობა, სამარხები თეთრი წყაროს მახლობლად; ყაზბეგის განძი; ნატბეურის მინის საწარმო, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში; ინტიკის ტბის მიდამოებში ჩატარებული გათხრების შედე-



მასკარონი. საცხოვრებელი სახლის ფასადი, გ. ტაბიძის 24/21. 1896. თბილისი.

გები და სხვ. ტომი IV: ჯვავახეთის ქვედა პალეოლითური ძეგლები, მუხრანის ველის არქეოლ. ძეგლები; ქობულეთ-ფიჭვნარის ანტ. ხანის ძეგლები, სოხუმის ძველი ციხის წითელლაკიანი კერამიკა, ბიჭვინთის არქეოლ. ძეგლები, საქართვ. მუზეუმში დაცული ომაიანთა მონეტები, ქართ. არქეოლ. ტერმინოლოგიის მასალები. ტომი V: მთა ურთას ძეგლები, თეთრი წყაროს ანტ. ხანის ძეგლები, ადგილ. კერამიკა ვანიდან, ლოქის ხეობის ნასოფლარი, ატენის ხეობის ძეგლები, საქართვ. უძველესი „ბრტყელი ცულები“, ლუმურუშის ნამოსახლარის ძეგლები (I–V სს., რედ. ა. აფაქიძე). ტომი VI: ქუთაისის ქვედა პალეოლითური ნაშთები, კახეთის ქვედა პალეოლითური მასალა, ხერგუ-ლის კლდის მასალა; ეძანის ეხის ქვის ინვენტარი, კოლხეთის ქვის ხანის ღია ნამოსახლარები, პალ-ურის საძვალე; სამარხები სოფ. აღაიანიდან; მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, ძეგლები სოფ. დოღლაურიდან, ადრე ბრინჯაოს ხანის ქართ. თეგური ხელოვნების ნაკეთობათა ტექნოლ. კვლევა, გათხრები ჩხირთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე (რედ. ა. კალანდაძე). ტომი VII: დასახლების თავისებურება, არუხლო I, წოფის აფსიდიანები, ქვემო ქართლის ლანდშაფტი, ოქუმის გამოქვაბულის ენეოლითური ნაშთები, სამშვილდის უძველესი ნასოფლარი; „სამეფო აკლდამების“ სოციოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, მეცხვარეობის ისტორიისათვის და სხვ. (რედ. ტ. ჩუბინიშვილი). ტომი VIII: აფხაზეთის მთისწინა ქვედა პალეოლითური ძეგლები (იაშთხვა), ენგურის ხეობის ძეგლები, გარე კახეთის ზეგნის ძეგლები და სხვ. (რედ. გ. გრიგოლია).

ნ. მაჭავარიანი.
პ. სურგულაძე.

მასარა, მთა აღმოსავლეთ კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ქართლისა და კახეთის ქედების შესაყართან, მდ. ივრის სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 3279 *მ.* აგებულია ასპიდური თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით, კვარციტებით. დას. და სამხრ.-დას. კალთები ციცაბოა, კლდოვანი, დანარჩენი – დამრეცი. დამახასიათებელია სუბალპ. და ალპ. ლანდშაფტი.

დ. უკლება.

მასაშრა, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (ორთაბათუმის თემი), მდ. ყოროლისწყლის ხეობაში, ზ. დ. 230 *მ.* ხელვაჩაურიდან 21 *კმ,* ბათუმიდან 5 *კმ.* 588 მცხ. (2014).

მასიგუათი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში (ჩასავლის თემი). მდებარეობს კუდაროს ქედის სამხრ-ით, ჯეჯორის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1500 *მ,* ჯავიდან 46 *კმ.* სოფელზე გადიოდა გორი–ცხინვალი–ონის საავტომობილო გზა.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მასკარონი (ფრანგ. mascaron< ital. mascherone, დიდი ნიღაბი), ნიღაბი, დეკორატიული მოტივი ადამიანის პირისახის ან ცხოველის თავის სკულპტურული (ბარელიეფი ან ჰორელიეფი) გამოსახულებით. გვხვდება არქიტექტურასა (თაღის, სარკმლისა და კარის ღიობების საჭექებზე) და გამოყენებით ხელოვნებაში (ავეჯი, ჭურჭელი).

მას-სპექტრომეტრია (მას-სპექტრული ანალიზი), ნივთიერების გამოკვლევის მეთოდი გამოკვლევა ნივთიერების იონის მასის (უფრო ხშირად იონის მასის მის მუხტთან ფარდობისა) და ნივთიერებაში იონების რაოდენობის განსაზღვრის გზით. მეთოდის არსი ისაა, რომ მაღალი ვაკუუმის პირობებში ელექტრული და მაგნიტური ველების მეშვეობით ხდება ნივთიერების იონთა განცალკევება მათი მასის მუხტთან ფარდობის მიხედვით და შემდეგ მათი ცალ-ცალკე რეგისტრირება. თავდაპირველად მ.-ს-ს იყენებდნენ იონის მასის პრეციზიული გაზომვისა და ელემენტის იზოტოპური შედგენილობის განსაზღვრისათვის. შემდგომ მ.-ს. უნივერს. ანალიზურ მეთოდად იქცა. ამჟამად მას ფართოდ იყენებენ ექსპერ. ფიზიკაში, ქიმიაში, გეოლოგიაში, ბიოლოგიაში, მედიცინასა და ტექ. სხვადასხვა სფეროში. მასების სპექტრი პირველად მიიღო ჯ. ტომსონმა (1910). შემდეგ მისი მეთოდით პირველად იქნა ნაჩვენები, რომ ელემენტებს აქვს იზოტოპები.

საქართველოში *სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის* (სფტი) (ახლანდ. სსიპ სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტი) შექმნისთანავე (1945) ქართველი მეცნიერები (ი. ქვარცხავა, ი. გვერდწითელი, გ. მირიანაშვილი, ქ. ორჯონიკიძე და სხვ.) ცნობილ გერმანელ ფიზიკოსებთან (ნობელის პრემიის ლაურეატი გ. ჰერცი, მ. არდენე, მ. შტეენბეკი, ნ. რიღი, პ. ტისენი, ვ. შუტცე და სხვ.) და საბჭ. სამეცნ. ცენტრებიდან ჩამოსულ მეცნიერებთან (ი. კრუტკოვი, ბ. ისაევი, კ. მიგულინი და სხვ.) ერთად შეუდგნენ ინტენსიურ კვლევებს, რ-ებიც უკავშირდებოდა ბირთვული იარაღის შექმნას, მ. შ. დაიწყო საკვლევ-ანალიზური მეთოდის – მ.-ს-ის განვითარება. მალე (სსრკ-ში პირველად) დამზადდა მ-ს ფონ არდენეს კონსტრუქციის ერთფოკუსიანი და ორმაგი ფოკუსირების მას-სპექტრომეტრები და ვ. შუტცეს კონსტრუქციის მას-სპექტროგრაფი. შემდგომ ამ სამუშაოს ქ. ორჯონიკიძე და ო. სამადაშვილი ხელმძღვანელობდნენ. ეს ხელსაწყოები ხასიათდებოდა იმ დროისათვის უნიკალური პარამეტრებით და მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ბირთვის მასის განსაზღვრის სიზუსტის 100-ჯერ გაზრდა, რაც მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევა იყო. დიდი სიზუსტით ბირთვის მასის განსაზღვრამ სფტი-ის მეცნიერთა ჯგუფს ბირთვის ფუნდამენტური თვისებების კვლევისა და არაერთი ენერგეტიკული მახასიათებლის განსაზღვრის შესაძლებლობა მისცა; მოხდა 1500-ზე მეტი სტაბილური ბირთვის სისტემატიზება, დადგინდა რადიოაქტიური ბირთვების ზუსტი პარამეტრები. სფტი-ში განსაზღვრული ბირთვების მასები ასახულია ბირთვული ფიზიკის საერთაშ. კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ცხრილებში. მ.-ს-ის განვითარებამ შესაძლებელი გახადა სფტი-ში სტაბილური იზოტოპების წარმოება. 1962 ეს წარმოება გადაიტანეს თბილისში. შეიქმნა თბილისის სტაბილური იზოტოპების ინ-ტი (ახლანდ. მაღალი ტექნოლოგიების ეროვნ. ცენტრი).

გ. ბოკუჩავა.

ალ-მასუდი აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ჰუსაინ (დაახლ. 896, ბაღდადი, – 956, ფუსტატი, ეგვიპტე), არაბი ისტორიკოსი, გეოგრაფი, მწერალი და მოგზაური. მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი პირველი ავტორი არაბულ ისტორიოგრაფიაში. მან აღწერა მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ამბები, რისთვისაც ,,არაბი ჰეროდოტე'' უწოდეს. 915–945 იმოგზაურა ინდოეთში, ირანში, ცეილონში, ჩრდ. აფრიკაში, კავკასიაში. მისი 20-ზე მეტი ნაშრომი მოიცავს ფილოსოფიის, ისტორიის, მუსლ. ღვთისმეტყველებისა და სამართლის საკითხებს. ჩვენამდე მოაღწია ორმა ნაშრომმა, რ-თაგან უმნიშვნელოვანესია ,,ოქროს სამრეცხაოები და მარგალიტთა საბადოე-

ბი'' (,,მურუჯ აზ-ზაჰაბ ვა მაადინ ალ-ჯავახირ'', 943). მასში არის საინტერესო ცნობები კავკასიის, მ. შ. საქართველოს, კერძოდ, წანართა ქვეყნის შესახებ. მისი ცნობით, წანართა ქვეყანა მდებარეობს ქართლსა და ალანთა ციხეს შორის. ასევე მოცემულია ცნობები X ს. თბილისის ეკონ. მდგომარეობის, მისი მოსახლეობის, ყოფისა და ქალაქის გარეგანი სახის შესახებ. ალ-მ-ის ცნობით, ქართველები სახალიფოს ხარკს უკვე აღარ უხდიდნენ და თბილ. საამიროს ტერიტორიას ქრისტიანებმა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაჭრეს.

ლიტ.: კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., X საუკუნის სპარსული და არაბული წყაროების ცნობები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შესახებ, ,,თსუ შრომები'', 1983, ტ. 241, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია; М и к у л ь с к и й Д. В., Арабский Геродот, М., 1998; Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в. 38, Тфл., 1908.

გ. ჯაფარიძე.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი თ ბ ი ლ ი ს ი ს ა, მნიშვნელოვანი რგოლი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში. დაარსდა 1975. ინ-ტი ემსახურებოდა დედაქალაქის სკოლის დირექტორებს, სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებსა და ბიბლიოთეკარებს. ფინანსდებოდა თბილ. მერიის მიერ და ექვემდებარებოდა ქალაქის განათლების სამმართველოს.

1997 რეორგანიზაციის შემდეგ ეწოდა თბილ. მასწავლებელთა დახელოვნებისა და მეთოდური უზრუნველყოფის ინ-ტი. ზოგადი განათლების სისტემაში ინ-ტის შემადგენლობა პირველად დაკომპლექტდა კონკურსის წესით. შეიქმნა საგნობრივი მეთოდური ლაბორატორიები, ასევე ლაბორატორიები სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის მართვის მიმართულებით; განახლდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები; ინ-ტი ჩაერთო იმჟამად განათლების სისტემაში მიმდინარე არაერთ საინტერესო პროგრამაში (,,წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის'', ,,აქტიური სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვა საქართველოს სკოლებში'', ,,ადრეული ასაკის ბავშვის მოვლა და აღზრდა,'' ,,ნაბიჯ-ნაბიჯ'', ,,ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დანერგვა სკოლებში'' და სხვ). ინ-ტი მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის საბჭოებთან, UNISEF-თან, ორგანიზაცია ,,ღია საზოგადოება – საქართველოსთან''. ამ უკანასკნელის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მან შეასრულა ორი პროექტი: ,,მასწავლებელ ფასილიტატორების მომზადების პროგრამა'' და ,,ფსიქოლოგია სკოლას''; ასევე ხორციელდებოდა ,,ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის სადედაქალაქო პროგრამა'', რ-ის ფარგლებშიც არაერთ ნიჭიერ მოსწავლეს დაენიშნა სტიპენდია, ჩატარდა ნორჩ დიზაინერთა და გამომგონებელთა კონკურსი, ფუნქციონირებდა საკვირაო სკოლა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის.

ინ-ტის მთავარი მიმართულება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება იყო. გრძელვადიან თუ მოკლევადიან კურსებს სხვადასხვა საგნობრივი თუ ზოგადი მეთოდიკის მიმართულებით წელიწადში 7 ათასზე მეტი მასწავლებელი გადიოდა.

ინ-ტის პირველი დირექტორი იყო ა. ელიზბარაშვილი, შემდეგ 20 წლის განმავლობაში ინ-ტს ხელმძღვანელობდა დ. თოდუა, ხოლო 1997–2006 – მ. ინასარიძე. ინ-ტმა ფუნქციონირება შეწყვიტა 2006.

მ. ინასარიძე.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური რესპუბლიკური ინსტიტუტი, ყოფილი საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტი. დაარსდა 1929. ინ-ტის მიზანი იყო განათლების მუშაკთა პროფ. განვითარება და სხვადასხვა სპეციალობის უმაღლესი განათლების მქონე პირთა გადამზადება პედაგოგებად. ინ-ტში ფუნქციონირებდა პედ. და ფსიქოლ., მათ., ფიზ. და ინფორმატიკის, უცხო ენების, ქიმია-ბიოლ., ქართ. ენისა და ლიტ-რის, ისტ., სკოლამდელი და დაწყებითი განათლების კათედრები, აგრეთვე – თანამედროვე პედ. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვის ლაბორატორია, სამოქალაქო განათლების ცენტრი; ტარდებოდა ლექციები, სემინარები და პრაქტ. მეცადინეობები, ტრენინგკურსები პედაგოგებისთვის, სკოლის ადმინისტრაციის მუშაკებისთვის, თემის ლიდერებისთვის და სხვ.; მზადდებოდა და გამოიცემოდა მოსწავლეთა სასწავლო მასალები, მასწავლებელთა სახელმძღვანელოები, დამხმარე მეთოდური ლიტ-რა, ტესტები და სხვ. საქართვ. განათლების სისტემის რეფორმირებისთვის აუცილებელი ინოვაციური პროგრამების განახორციელებლად ინ-ტი წარმატებით თანამშრომლობდა არასამთავრობო საგანმან. და დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან (გაეროს ბავშვთა ფონდი, ფონდი ,,ღია საზოგადოება – საქართველო'', ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, გლობალური ფონდი და სხვ.). ინ-ტს საქართვ. დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ზუგდიდი, ცხინვალი, გორი, თელავი) ჰქონდა ფილიალები. იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ინ-ტის მიზანი იყო 5 წელიწადში ერთხელ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მზადყოფნა ახ. პედ. და საგანმან. გამოწვევებისათვის. ამ სისტემით სარგებლობდა საქართვ. ყველა მოქმედი მასწავლებელი. არსებობდა კვალიფიკაციის ამაღლების ხანმოკლე (1–2 კვირა) და ხანგრძლივი (1–2 თვე), ასევე პროფ. გადამზადების (მონათესავე ან მომიჯნავე პროფესიის დაუფლება; ერთი ან ორი წელი) კურსები. შესაბამისი დიპლომით კი კურსდამთავრებულს ეძლეოდა სკოლაში მუშაობის უფლება.

ინ-ტის უშუალო ორგანიზებით XX ს. 90-იანი წლების ბოლოს ჩატარდა საქართვ. მასწავლებელთა სრული და ყოვლისმომცველი ატესტაცია, რ-ის შემდეგაც მასწავლებლები 4 კატეგორიად დაიყვნენ შესაბამისი ანაზღაურებით.

ინ-ტის კუთვნილ გამომცემლობაში მომზადდა და გამოიცა არაერთი საგანმან. დანიშნულების პუბლიკაცია.

ინ-ტის მემკვიდრე არის მასწავლებელთა პროფ. განვითარების ეროვნ. ცენტრი.

გ. მურღულია.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (სსიპ), დაარსდა 2006 და ექვემდებარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ცენტრის მიზანია მასწავლებლის პროფ. ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, მასწავლებელთათვის მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზება, მასწავლებლის სტატუსის ამაღლების გზით სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ცენტრს მართავს დირექტორი, რ-საც ექვემდებარება 6 სამსახური, 7 პროგრამა და 16 ქვეპროგრამა.

ცენტრის საინფორმაციო-საგანმან. პროგრამის ფარგლებში 2008–

22 გამოიცა 50-ზე მეტი წიგნი, სახელმძღვანელო და ჟურნალი.

მ. პ. გ. ე. ც. საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი სტრატეგიული რგოლია და პასუხისმგებელია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მუდმივი განვითარების ხელშეწყობასა და კარიერული წინსვლის მოტივირებაზე. განვითარების ყველა ეტაპზე ცენტრი პედაგოგებს სთავაზობს სხვადასხვა პროექტს, პროგრამასა და აქტივობას; მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან და წამყვან საერთაშ. ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს არაერთ პროექტს, რითაც პასუხობს განათლების სისტემაში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს.

ევროკომისიის პროგრამის eTwinning+ ფარგლებში, ცენტრი ჩართულია ევროპულ სკოლათა გაერთიანების ქსელში. მას ევროსაბჭოში ჰყავს საბჭოს მიერ არჩეული წარმომადგენელი, რ-იც აქტიურად მუშაობს ცენტრის ინიციატივებზე საერთაშ. საგანმან. პროექტებში.

ტრენინგების, ვებინარებისა და პროფ. რესურსების გარდა, ცენტრი საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლებს და მოსწავლეებს სთავაზობს ტექნოლ. პროექტებს, რ-ებიც თბილისთან ერთად უკვე საქართვ. რეგიონების სკოლებსაც მოიცავს.

ცენტრი ,,მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს'' გამარჯვებულ პედაგოგს წარადგენს გლობალურ ჯილდოზე, ხოლო წარმატებულ დირექტორებს და პედაგოგებს აძლევს საშუალებას, აიმაღლონ კვალიფიკაცია ტრენინგებითა და სასწავლო ვიზიტებით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ცენტრისთვის პრიორიტეტულია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

ცენტრი აქტიურად მუშაობს ქართვ. ემიგრანტებისთვის საგანმან. რესურსების შექმნაზე და წარმატებით თანამშრომლობს ქართულ დიასპორასთან. ცენტრის მიერ შეთავაზებული სახელმწ. ენის დისტანციური სწავლების პროექტში ჩართულია 38 ქვეყნის 820 მოსწავლე და 33 მასწავლებელი. ქვეპროგრამის ,,ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად'' ფარგლებში საქართვ. სკოლებში მუშაობენ უცხოელი პედაგოგები, რ-ებიც შესაბამის უცხო ენას ასწავლიან.

ცენტრი პედაგოგებისთვის ქმნის ერთიან საგანმან. პლატფორმას –,,განათლების E-სახლი'', რ-ის საშუალებითაც ერთ სივრცეში (ვებგვერდზე) გაერთიანებული ცენტრის ყველა პროფ. რესურსი და სერვისი მათ უქმნის საკუთარ ვირტუალურ სამუშაო სივრცეს ყველა დაგეგმილი აქტივობის განსახორციელებლად, რაც მათ პორტფოლიოში ავტომატურად აისახება.

მ. პ. გ. ე. ც. უწყვეტ კომუნიკაციაშია საზ-ბასთან და იცავს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს.

ბ. შუკაკიძე.

,,მასწავლებელი'', მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო გამოცემა. გამოდის ბეჭდური ჟურნალისა (2008) და ინტერნეტგაზეთ ,,mastsavlebeli ge''-ის (2012) სახით.

მათი შექმნის მიზანი იყო მასწავლებელთა პროფ. განვითარებისთვის საჯარო გზით ინფორმაციის დროული მიწოდება, მეთოდური, საგანმან. და პროფ. რესურსებით უზრუნველყოფა; ბენეფიციარებისა და დაინტერესებულ პირთათვის განათლების სისტემის ახ. მიზნებისა და სტრატეგიების გაცნობა, პროფ. სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა, მასში საზ-ბის ჩართულობა და სხვ.

ჟურნალის მთ. რედაქტორი და რედკოლეგია განსაზღვრავს მისი მუშაობის სტრატეგიას და შინაარსს. ჟურნალი ყველა საჯარო სკოლას საჩუქრად გადაეცემა. 2021 მონაცემებით გამოცემულია ჟურნალის 93 ბეჭდური ნომერი, ჟურნ. ,,მ-ის'' ბ-კის სერიით – 19 ,,მასწავლებლის წიგნი'', ამავე მონაცემებით ინტერნეტგაზეთ ,,mastsavlebeli.ge''-ზე განთავსებულია მრავალი საგანმან. რესურსი. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულია ლიტ. კონკურსები ქართვ. მწერლებისთვის – ,,ვწერ მასწავლებლისთვის'', შერჩეულია საუკეთესო მოთხრობები სკოლისა და მასწავლებლის ცხოვრებაზე. ჟურნალის ავტორებსა და გამოქვეყნებულ მასალას მიღებული აქვთ USAID-ისა და აშშ-ის საელჩოს სხვადასხვა კონკურსების პრიზები.

ნ. ინგოროყვა.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო, ჯილდო, რომლის მიზანია საქართველოში პროფესიის პოპულარიზაცია, პედაგოგების პრესტიჟის ზრდა, წარმატებული მასწავლებლების გამოვლენა და საზოგადოებისათვის მათი წარდგენა. მ. ე. ჯ. დაწესდა 2017 წ. 13 მაისს განათლების კოალიციის, განათლებისა და მეცნ. სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფ. განვითარების ეროვნ. ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით.

მასწავლებლების შერჩევის კრიტერიუმებია: მოსწავლეთა სწავლის შედეგების დინამიკა; სწავლების ინოვაციური და ეფექტური მიდგომების გამოყენება; ზოგადსაკაცობრიო მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების სწავლება; საზ. აღიარება და სამოქალაქო აქტივობა; პროფ. განვითარება და გამოცდილების გაზიარება.

კონკურსანტთა შერჩევის პროცესს წარმართავს საზ. საწყისებზე დაფუძნებული ჟიური, რ-იც დადგენილი წესით აფასებს თითოეული მასწავლებლის აპლიკაციას, რის შედეგადაც დგება რეიტინგი.

ეროვნ. ჯილდოს დასკვნითი ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება 5 ოქტომბერს, მასწავლებლის მსოფლიო დღეს. ამ დღეს საზეიმოდ ცხადდება კონკურსის გამარჯვებული, რ-საც ჯილდოს სახით გადაეცემა სპეც. პრიზი და 10 000 ლარი.

მ. ე. ჯ-ის მფლობელები არიან სოფ. ჩიბათის (ლანჩხუთის მუნიციპ.) საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ვ. აფხაზავა (2017), ბაღდათის (ბაღდათის მუნიციპ.) საჯარო სკოლის ინგლ. ენის მასწავლებელი მ. კაპეტივაძე (2018), მარნეულის მუნიციპ-ის საჯარო სკოლის ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებელი გ. ჭაუჭიძე (2019), აფხაზეთის მე-10 სკოლის (ჩხოროწყუს მუნიციპ.) ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებელი ს. გოგოხია (2020), წმ. გიორგის სახ. საერთაშ. სკოლის (თბილისი) მათემატიკის მასწავლებელი ხ. რაზმაძე (2021).

ი. ხანთაძე.

მატაბელი გივი (გული) ვასილის ძე (12. VII. 1924, სოფ. ჯუგაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 12. X. 1993, თბილისი), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. 1948 დაამთავრა თსსი და მუშაობა დაიწყო სიღნაღის მალარიის საწინააღმდეგო სადგურის უფროსად. 1949–83 იყო ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, განყ-ბის



ქ. მატაბელი. შ. რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი''. კოლაჟი. 2010.

ხელმძღვანელი; 1983-იდან – თსსი-ის ეპიდემიოლოგიის კათედრის პროფესორი, კათედრის გამგე. 1961 ვიეტნამის დემოკრ. რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებებს, 1977–80 მუშაობდა ალჟირის სახ. რესპ-ში.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, სადაც განხილულია პარაზიტული და ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის აქტუალური საკითხები.

მატაბელი ქეთევან გივის ასული (დ. 28. II. 1953, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი, სცენოგრაფი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2013). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტი (1978). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1978-იდან. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტსა (1981–95) და სამხატვრო აკადემიაში (2015-იდან). ნამუშევრები: ფერწერული სერიები – „ძველი თბილისი“ (1984), „ბიბლიური პეიზაჟი“ (1995); აბსტრაქციების სერია (1978–98); გრაფიკული სერიები – შოთა რუსთაველის, „ვეფხისტყაოსანი“ (1981, 2009, 2012, 2014), მ. ბულგაკოვის, „ოსტატი და მარგარიტა“ (1978–79); მხატვრულად გააფორმა მ. მეტერლინკის „ტრაგედიები“ (1978–79), ბიბლიური მოტივები (1990–91), „აღმოსავლური მოტივი'' (1995), ალმანახი „ეროვნული ღირსებისათვის“ (2001), ა. კალანდაძისა და მ. დავითაშვილის ალბომი „თბილისური ჩანახატები“ (2019) და სხვ. გაფორმებული აქვს ტელესპექტაკლი „რაინერ მარია რილკეს პოეზია“ (რეჟ. მ. სურმავა, 1994); ქუთ. დრამ. თეატრის სპექტაკლი „დონ ქრისტეფორე დე კასტელის ალბომი“ (რეჟ-ები ნ. გაგნიძე, ა. ბაქრაძე, 1995); რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე – ა. მორუას „აქ მატარებლებს თეთრად ათოვს“ (რეჟ. მ. სურმავა, 1996).

მ-ის გამოფენები გაიმართა: ტალინში (1984), პალერმოში (1986), თბილისში (ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა, „მხატვრის სახლი“; 1987); ნიუ-იორკში (1990), ამსტერდამში (1993), ბაქოში (1995), მოსკოვში („არტ მანეჟი“; 1997); გერმანიაში („არტ მესე''; 1999, 2003, 2004); ლონდონში („არტ სალონი''; 2002); პარიზში (2003, 2014), ვენაში (2005), თბილისში (2005, 2020), თელ-ავივში (2015), ვარშავასა (2015) და სხვ.; პერსონალური გამოფენები გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში (1983), თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (2022) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია: დ. შევარდნაძის სახ. საქართვ., ეროვნ. გალერეაში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. 2014-იდან ხელმძღვანელობს თავისივე შექმნილ ხელოვნების პროექტს ,,ჩვენ ვქმნით და ვხედავთ ჩვენი თითებით'' (ინკლუზიური ხელოვნ. ლაბორატორია უსინათლო პირებისათვის). არის თბილ. საპატიო მოქალაქე (2013).

თ. გერსამია.



ქ. მატაბელი. ,,ძველი თბილისი''. 1987.

მატათა (გ. 63), ქრისტეს მოციქული, რომელიც იუდა ისკარიოტელის ნაცვლად აირჩიეს. მ-ს შესახებ ცნობები გვხვდება აპოკრიფულ ,,მატათას სახარებასა'' და ,,ანდრიასა და მატათას მოღვაწეობაში''. მ-ს შესახებ ცნობებს გვაწვდის ევსევი კესარიელი. მ. ანდრია პირველწოდებულის მუდმივი მეგზური იყო, ამიტომაც მისი ცხოვრების ეპიზოდები წმ. ანდრიას ცხოვრების აღწერებშია შესული. ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII ს.) მიხედვით მ-მ იქადაგა ამასიაში, ტრაპეზუნდში, ლაზიკაში, ივერიაში, პართიასა და იერუსალიმში. მას უქადაგია სვანეთშიც, კოდორის ხეობის ზემოწელში. ამასვე იმეორებენ ნიკიტა პაფლაგონელი და სიმონ მეტაფრასტი. IV ს. წმ. მამის, ეპიფანე კვიპრელის, ცნობის თანახმად მ. საქართველოშია დაკრძალული: ,,მატათამ იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და ჰუისის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე''. ამ ცნობაზე დაყრდნობით ქართვ. მკვლევრები მ-ის დაკრძალვის ადგილად მიიჩნევენ ბათუმის მახლობლად მდებარე გონიოს ციხის ტერიტორიას, რ-იც უცხოურ წყაროებში აფსარის სახელწოდებითაა ცნობილი. მოციქულის ცხოვრების ბერძნული წყარო მის განსასვენებელ ადგილად იერუსალიმის მახლობლად არსებულ ,,ვეფხლასკალად'' წოდებულ ადგილს მიიჩნევს, სადაც იგი წამებით მოკლეს და იქვე დაკრძალეს. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, IV ს-ში მ-ს ნეშტი ელენე დედოფალმა რომში, სანტა მაჯორეს ეკლესიაში წაასვენა, შემდეგ კი ეს სიწმინდე ტრირის ეპისკოპოსს აგრიციუსს უბოძა. ამ გადმოცემის საფუძველზე გერმანელ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ მ. ერთადერთი მოციქულია, რ-იც გერმანიაში განისვენებს. ტრირში მისი ხსენების დღედ დადგენილ-



მატათა მოციქული. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. მოზაიკა. ბათუმი.



ქ. მატაბელი.

ია 24 თებ., კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში – 14 მაისი, მართლმადიდებელ ეკლესიაში – 30 ივნისი (13 ივლ.) და 9(22) აგვისტო.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბ., 2007; მიტრ. ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1996.

ზ. ეკალაძე.

მატანი, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. მატნისხევის (მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 580 *მ,* სათავო სოფელი. ახმეტიდან 5 *კმ.* 4451 მცხ. (2014).

სოფლის შემოგარენი V–VI სს-იდან ყოფილა დასახლებული. სავარაუდოდ, სახელწოდება სოფელს ერწო-თიანეთიდან კახეთში მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის დროს უნდა შერქმეოდა. თავად ერწოში ტოპონიმი ,,მატანი'' XII–XIII სს-შია დადასტურებული. ქართ. საისტ. წყაროებში მ. პირველად XVI ს-ში ლევან კახთა მეფის დროს (1518/20–1574) იხსენიება. XVI–XVIII სს-ში მ. კახეთის თავადებს, ჩოლოყაშვილებს ეკუთვნოდათ. 1789 სოფელში დაბანაკებულმა დავით ბატონიშვილმა 100 კაცით სასტიკად დაამარცხა ლეკთა 500-კაციანი რაზმი და ნაძარცვი დაატოვებინა. 1812 ავჯანყების დროს მატნელებმა და ახმეტელებმა დაამარცხეს მ-ში მდგარი რუსების სამხედრო ნაწილი. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სოფელი თიანეთის მაზრაში შევიდა.



ვ. ვ. მატარაძე.

სოფელსა და მის მიდამოებში სხვადასხვა დროის არქეოლ. და არქიტ. ძეგლებია. მათგან საყურადღებოა იახსრის სამაროვანი (V–VII სს.), გაითხარა 1966. სამაროვანზე აღმოჩნდა კირქვისა და ქვიშაქვის ფილებით ნაგები ქვის სამარხები და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. მათი უმრავლესობა ინდივიდუალურია, არის საოჯახოც. დაკრძალვის წესი უმეტესად ქრისტიანულია. გამოვლენილი 26 სამარხიდან მხოლოდ შვიდში აღმოჩნდა ინვენტარი. იახსრის სამაროვანსა და სოფელს შორის, მთის ძირში გაითხარა მარანი (მლაშების გორის მარანი), სადაც აღმოჩნდა გეომ. სახეებით შემკული მოჭიქული ჭურჭელი, სამზარეულოს კერამიკის ნიმუშები, ქვევრები, თონე, აგრეთვე მინის სამაჯურებისა და სასმისების ნატეხები, ორი მონღოლური მონეტა. 1966–67 იახსრის გორის ფერდობზე გაითხარა მარანი (XVI–XVII სს.), რ-იც შედგებოდა ორი სათავსისა და დერეფნისგან. ერთ-ერთი სათავსის საძირკველში აღმოჩნდა განძი. მარნის გარშემო შემორჩენილი იყო საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები.

სოფლის ჩრდ.-დას-ით, ე. წ. სასახლის გორაზე 1967–69 გაითხარა ნამოსახლარი. გამოვლინდა სასახლის, საჯინიბოსა და გალავნის ნაშთები. აქვეა გვიანდ. შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევი, რ-ის კედლებზე ,,ხალხური მხატვრობის'' ფრაგმენტებია შემორჩენილი. 1979 სასახლის გორის ძირში აღმოჩნდა ადრინდ. შუა საუკუნეების სამაროვანი.

სოფლის ჩრდ.-დას. დგას წმ. ნიკოლოზის გუმბათოვანი ეკლესია (XVI ს.), ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ილიქეთის უბანში – წმ. ბარბარეს ეკლესია (გვიანდ. შუა საუკუნეები), ცენტრ. ნაწილში კი – ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია (XIX ს.). მ-ში არის ღვთისმშობლის მეორე ეკლესიაც; სოფლის ჩრდ-ით მდებარეობს ციხე-დარბაზი, რ-იც XVIII ს. შუა წლებში აუგიათ ჩოლოყაშვილებს. ციხის შუა ნაწილში დგას იმავე ხანის ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია, სოფლის ჩრდ.-დას-ით 500 *მ*-ზე – ჟამთა (ჯვანთა) საყდარი (გვიანდ. შუა საუკუნეები). ახლანდ. ეკლესია, სავარაუდოდ, აგებულია VIII–IX სს. დანგრეული ეკლესიის ადგილზე. 1967–69 ეკლესიის სამხრ. და დას. მინაშენში და გარედან, სამხრ. მინაშენის გაყოლებით გაითხარა მრავალფენიანი სამაროვანი, რ-ის I ფენა შეიცავდა შირიმის ფილებით ნაგებ IX–X სს. სამარხებს. II ფენაში აღმოჩნდა XI–XIII სს. ქვაყუთები. III ფენას ქმნიდა XIV–XVII სს. უინვენტარო სამარხები. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, კურტანაძეულის ხევის პირას მდებარეობს სამების დარბაზული ეკლესია, ამავე მხარესაა ე. წ. მერებაანთ საყდარი, ოდნავ მოშორებით კი – მთავარანგელოზთა ეკლესია (სამივე – გვიანდ. შუა საუკუნეები). სოფლის დას-ით, 3–4 *კმ*-ზე, მთაში მდებარეობს ცხრაკარას მონასტერი (იხ. *მატნის ცხრაკარას მონასტერი*). 2012 სოფლის მახლობლად აღმოაჩინეს ციკლოპური ნაგებობების ნაშთები.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994; ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1983; რამიშვილი რ., იახსრის ნამოსახლარი და მლაშეების გორის მარანი. კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 2, თბ., 1974; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ]. 2, თბ., 2008; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1983; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 4–5, თბ., 1972–74; Дедабришвили Ш. Ш., Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды Кахетской археологической экспедиции, т. 1, Тб., 1969; მისივე, Работы второго отряда Кахетской археологической экспедиции, кр.: Археологические открытия 1970 года, М., 1971; Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Работы в окрестностях села Матани, იქვე, Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

თ. დვალი.

მატარაძე (ფსევდ. ჩელთისპირელი) ვახტანგ ვიქტორის ძე (27. VII. 1908, თბილისი, – 8. XII. 1982, იქვე), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1968). სამსახიობო მოღვაწეობა



ვ. ვ. მატარაძე – იაზონი. ევრიპიდეს ,,მედეა'' – თინა ბურბუთაშვილთან ერთად.

დაიწყო ფოთის თეატრში (1924). 1932-მდე მუშაობდა თბილ. წითელი არმიის, ჭიათურის მუშათა, სიღნაღისა და ველისციხის თეატრებში. 1933-იდან თელავის თეატრის მსახიობია, 1943–46 – დირექტორი და დამდგმელი რეჟისორი. მისი შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კლავდიუსი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი''), დე-სანტოსი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ოსმან-აღა (დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე''), სევასტი (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ლევან ხიმშიაშვილი

(დ. ერისთავის ,,სამშობლო''), ავეტიკა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), ანანია (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი'') და სხვ. თელავის თეატრის სცენაზე დადგა სპექტაკლები: გ. მდივნის ,,ბრმა'' (1932), ა. ცაგარლის ,,ხანუმა'' (1933), კ. ბუაჩიძის ,,მკაცრი ქალიშვილები'' (1941), გ. ნახუცრიშვილის ,,აჩაკუნე'' (1942), დ. ერისთავის ,,სამშობლო'' (1943), ა. შირვანზადეს ,,პატიოსნებისთვის'' (1945) და სხვ.

მ-ის სცენური სახეები გამოირჩეოდა განცდის სიმართლესთან შერწყმული თეატრ. პათეტიკით, ხოლო რეალიზმი იყო მხატვრული ხერხი, რ-საც იყენებდა სარეჟისორო საქმიანობისას.

მატარაძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე (20. V. 1888, თელავი, – 25. VII. 1953, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1934). სწავლობდა თბილ. სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ – სათა-



ვ. ნ. მატარაძე. ზაქარია გლეხის როლში; კადრი ფილმიდან ,,ბერიკაობა''.

ვადაზნაურო გიმნაზიაში, თუმცა სწავლის კურსი ვერ დაასრულა. 1901 მუშაობდა ასოთამწყობად გაზეთ ,,კვალის'' რედაქციაში. 1902 მონაწილეობა მიიღო ვ. გუნიას მიერ მოწყობილ დამწყებ მსახიობთა გამოსაცდელ წარმოდგენაში და წარმატების შემდეგ ჩაირიცხა თბილ. ქართ. დრამ. საზბის დასში (1902), სადაც მუშაობდა 1921-მდე. შემდეგ იყო ქუთაისის (1921–25), თბილ. მსახიობთა ამხანაგობის დასის (1925–26), ბათუმის (1926–29), სოხუმის (1929–31), ჭიათურის (1932–33) თეატრების, შემდეგ კი სახკინმრეწვის (1933–35) მსახიობი. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სიღნაღის თეატრი (1931–32 — დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვ.). 1935–46 ხელმძღვანელობდა თბილ. ფილარმონიის მსახიობთა მხატვრულ კოლექტივს. სხვადასხვა დროს მ-ის შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ანტონიუსი (უ. შექსპირის ,,იულიუს კეისარი''), დე სანტოსი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), გიგო (ი. გედევანიშვილის ,,მსხვერპლი''), გივი (ა. წერეთლის ,,პატარა კახი''), საბა ბერი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ოტია ჯოლია (ვ. გუნიას ,,და-ძმა''), პრეზიდენტი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'') და სხვ.

,,მატერიალი დლია გეოლოგიი კავკაზა'' (Материалы для геологии Кавказа, მასალები კავკასიის გეოლოგიისათვის), ფუნდამენტური სერია, რ-შიც ქვეყნდებოდა კავკასიის, მ. შ. საქართვ. გეოგრაფიის, გეოლოგიის, პალეონტოლოგიისა და სამთო- მომპოვებელი წარმოების მონოგრაფიული კვლევის შედეგები. გამოდიოდა რუს. (1888–1917), ხოლო შემდგომ საბჭ. კავშირის (1917–30) მთავარი სახელმწ. დაწესებულების – გეოლ. კომიტეტის (გეოლკომის) ან კავკასიის სამთო სამმართველოს ეგიდით.

ე. გამყრელიძე.

მატერიალიზმი, მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც მატერიალურს უპირატესობა ენიჭება იდეალურის, გონისმიერისა და სულიერის წინაშე. აქედან გამომდინარე, მატერიალისტები იდეალური და სულისმიერი პროცესების მატერიალურ პროცესებზე რედუცირებას ახდენენ და სამყაროს თაურსაწყისად მატერიას, ნივთიერ საწყისს მიიჩნევენ. მ-ის საპირისპირო მსოფლმხედველობად იდეალიზმი მიიჩნევა.

წინასოკრატელი ფილოსოფოსები სამყაროსა და სინამდვილის თაურწყაროდ ნივთიერ საწყისს მიიჩნევდნენ: თალესთან ასეთი საწყისი წყალია, ანაქსიმენთან – ჰაერი, ჰერაკლიტესთან – ცეცხლი და ა. შ. მაშასადამე, აქ მთელი სინამდვილის წყარო ნივთიერი საწყისია, რ-იც ცოცხალი და გასულიერებულია. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ჰილოძოიზმს, ფილოს. მიმართულებას, რ-ის მიხედვითაც მთელი სამყარო ცოცხალი მთლიანობაა. ასე რომ, იონიელი ბუნების ფილოსოფოსები ჰილოძოისტები იყვნენ. მიუხედავად ამისა, იონიელი მოაზროვნეები, მატერიალისტებად ვერ ჩაითვლებიან. მ-ის ისტორიაში წინგადადგმული ნაბიჯი იყო დემოკრიტესა და ლევკიპეს ატომისტური მსოფლმხედველობა, რ-ის თანახმად განუყოფელი ატომები, მათი შეკავშირება და დაშლა ქმნის სამყაროს არსსა და არსებობას. დემოკრიტეს ატომიზმი კიდევ უფრო განავითარა ეპიკურემ და მას ანთროპოლ.-ეთიკური დატვირთვა შესძინა: ნივთიერი არის გრძნობადი, კონკრეტული, რ-იც მხიარული, სიამოვნების მომგვრელი ცხოვრების წესის განმსაზღვრელია.

მ-ის განვითარება განაპირობა ახალი დროის საბუნებისმეტყველო მეთოდების (დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინდუქცია და ა. შ.) სრულყოფამ. აქ მატერია და მატერ. საგნები მასისა და მოძრაობის ცნებათა მეშვეობითაა დახასიათებული. მატერ. სამყარო მათ.-გეომ. მეთოდებით შეიძლება გავზომოთ, მისი არსი კი ექსპერიმენტების მეშვეობით უნდა ავხსნათ. მიუხედავად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შემუშავებული და განვითარებული თანამედროვე ექსპერ. მეთოდოლოგიისა, ვერ ვიტყვით, რომ ახალი დროის მეცნიერების მოდელი მატერიალ. იყო, რადგან აქ მატერ. სამყაროს ასახსნელად გრძნობადი საგნებისგან აბსტრაქცია (განყენება, მაშასადამე, ,,იდეალიზება'') ხდებოდა და არა მეცნიერულ შინაარსთა მატერ. არსებულებზე დაყვანა და რედუცირება (,,მატერიალიზება''). განსაკუთრებული როლი მ-ის განვითარების ისტორიაში მაინც ფრანგულმა განმანათლებლობამ (პ. ჰოლბახი, დ. დიდრო, კ. ჰელვეციუსი) შეასრულა, რ-ის ერთ-ერთი მყარი საფუძველი სამყაროს მატერიალ. ხედვა იყო. ფრანგული მ-ის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია ჟ. ლამეტრი (1709–51), რ-ის მთავარ ნაშრომში ,,ადამიანი მანქანა'' (1748) სამყაროს მატერიალ. ხედვა თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები. ფრანგული მ-ის იდეები გავრცელდა გერმ. აზროვნებაში (კ. ფოგტი, ი. მოლეშოტი, ლ. ბიუხნერი და სხვ). გერმ. მ-ის წამყვანი ფიგურა ლ. ფოიერბახი (1804–72) გახდა, რ-მაც ანთროპოლ. მ-ის კონცეფცია განავითარა და მატერ. არსებები სხეულებრივ-გრძნობად არსებებად გაიგო. კ. მარქსმა (1818–83) XIX ს-ში (განსაკუთრებით, ფოიერბახის) მ-ისა და ჰეგელის დიალექტ.

მეთოდის დაკავშირებით შექმნა ისტ. მ-ის კონცეფცია, რ-ის მთავარი მიზანი ისტორიის ადეკვატური გაგება იყო. მისთვის ისტორია წარმოების პროცესია, რის შედეგადაც ცნობიერების ისტ. ფორმათა წარმოებით ურთიერთობებზე დაყვანის გზით ისტორიის საზრისის გაშიფვრა ხდებოდა. ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას, ხოლო საზ-ბის განვითარების პროცესი კლასობრივი ბრძოლის ასპარეზად არის ქცეული. შესაბამისად, მარქსი გამოყოფს საზ. ყოფნის შემდეგ ფორმებს: პირველყოფილს, მონათმფლობელურს, ფეოდალურსა და კაპიტალისტურს. ყველა ამ საზ. ფორმაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ურთიერთმიმართებას წარმოების ძალებსა და წარმოების საშუალებებს შორის. ჰეგელსა და მარქსზე დაყრდნობით ფ. ენგელსმა (1820–95) განავითარა დიალექტ. მ-ის კონცეფცია, რ-ის მიხედვითაც დიალექტიკის კანონებს არა მარტო ისტორიასა და საზ-ბაში, არამედ ბუნებაშიც ქმედითი ძალა აქვთ. ენგელსმა ბუნებისა და საზ-ბის არსებობის სამი უნივერს. კანონი გამოკვეთა: რაოდენობიდან თვისებრიობაში გადასვლის, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და უარყოფის უარყოფის კანონები. დიალექტ. მ. ისტორიულ მ-თან ერთად ვ. ლენინმა (1870–1924) და ი. სტალინმა (1878–1953) სახელმწ. დოქტრინის რანგში აიყვანეს, რაც საფუძვლად დაედო ,,საბჭოთა მარქსიზმს'', ე.წ. ,,მარქსიზმ-ლენინიზმს'', რ-იც საბჭ. კავშირის ოფიციალურ პოლიტ. იდეოლოგიას წარმოადგენდა.

საქართველოში მ-ის კვლევა ქრისტიანული აზროვნების წიაღში წარმოიშვა და თვითმყოფადი სახე სწორედ ქრისტიანობაში პოვა. მისთვის უცხო იყო ევრ. ფილოს. აზროვნების ამა თუ იმ ეტაპზე არსებული მძაფრი ბრძოლა მ-სა და იდეალიზმს შორის. უფრო მეტიც, აქ წარმმართველი იყო ჰარმონიისა და თავსებადობის პრინციპი, რ-ის მიხედვითაც (უფრო მეტად) ფილოს. სისტემებსა და მოძღვრებებში არსებულ მსგავსებებს ექცეოდა ყურადღება, ვიდრე მათ შორის არსებულ მკვეთრ განსხვავებებს. მაშასადამე, ჰარმონიისა და თავსებადობის პრინციპი ქართ. ფილოს. წარმმართველ პრინციპთაგანია. აქედან გამომდინარე, ქართ. ფილოს. აზრის წარმოდგენა და გადმოცემა ,,მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირების ჭრილში'' თუნდაც ამიტომ არ არის მართებული. ამდენად, ქართ. ფილოს. ისტორიოგრაფიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა საბჭოთა მარქსისტულ-ლენინურ ფილოს. ლიტ-რაში ფილოსოფიის უმდიდრესი ისტორიის მკაცრად დამკვიდრებული დაყოფა მხოლოდ ,,მატერიალისტურად'' და ,,იდეალისტურად'', რადგან ეს ადეკვატურად ვერ ასახავს ქართ. თეორიული აზროვნების ხასიათსა და თავისებურებას. XX ს-ში შექმნილი ქართ. ფილოს. ისტორიები სწორედ ამ კონცეპტუალური ქარგით არის აგებული, რადგან მათი საფუძველია ამ პერიოდშივე შექმნილი მატერიალ.-ფილოს. მსოფლმხედველობა. მაშასადამე, ამ პერიოდში შექმნილ გამოკვლევებს მკვეთრად ეტყობა მატერიალ. ფილოს. ისტორიოგრაფიის კვალი, რ-იც ისტ. სისტემური მიდგომით გამოირჩევა და ერთი ,,ჭეშმარიტი'' (ამ შემთხვევაში – მარქსისტული) ფილოს. სისტემის კონტექსტში აფასებს საკაცობრიო ფილოს. აზროვნების მიღწევებს.

პირველად სწორედ XX ს. ქართულ ფილოსოფიაში გვხვდება საინტერესო მცდელობები მ-ის კვლევისა და მატერიალ. ფილოს. განვითარების კუთხით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის მ. გოგიბერიძეს, რ-იც დიალექტ. და ისტ. მ-ის აქტ. საკითხებს იკვლევდა. მ-ის ისტ.-სისტემური თემატიკის განხილვას ეძღვნება მისი ნაშრომი ,,მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე'' (1928). გამოკვლევაში განხილულია XVIII ს. ფრანგული მ., მისი ისტ.-იდეოლ. წანამძღვრები და მთავარ წარმომადგენელთა მოძღვრებები; აქვე დახასიათებულია მატერიალ. ნატურფილოსოფიის ძირითადი პრინციპები და ნაჩვენებია გზა მექანიკური მ-იდან დიალექტიკურ მ-მდე. მ. გოგიბერიძისავე ნაშრომში (,,ლენინი როგორც ფილოსოფოსი''; ტფ., 1930) ვ. ლენინის ფილოს. განვითარების გზებისა და წყაროების ანალიზთან ერთად განხილულია მატერიალ. გნოსეოლოგიისა და ჭეშმარიტების მატერიალ. თეორიის პრობლემები.

მ-ისა და იდეალიზმის ცალმხრივობათა გადალახვა-დაძლევა დაისახა მიზნად შ. *ნუცუბიძემ*, რ-მაც ეს პროგრამა განსაკუთრებით შთამბეჭდავად თავის ალეთოლოგიურ ნაშრომებში წარმოადგინა. იგი ტრადიციული მეტაფიზიკური კონცეფციებისა და ცნობიერების ფილოსოფიის საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტების შესახებ მოძღვრებასა და რეალიზმს შორის იდენტურობა არსებობს, რ-საც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ და სხვა ასპექტების გამო ალეთოლოგიის ზოგიერთ უცხოელ კრიტიკოსს (მაგ., დე ფრიზს) შ. ნუცუბიძის ალეთოლოგია მ-ს მოაგონებდა, რადგან აქ ,,ჭეშმარიტება არსის ახალ სახელად'' იყო გამოყენებული და ხაზი ესმებოდა ,,ჩვენი აზროვნებისაგან არსის დამოუკიდებლობას''. მატერიალ. ფილოს. ისტორიოგრაფიის გავლენა იგრძნობა შ. ნუცუბიძის ფუნდამენტურ მონოგრაფიაზე ,,ქართული ფილოსოფიის ისტორია'' (ტ. I–II, 1956–58), რ-შიც ქრისტ. ფილოს. არაერთი წარმომადგენლის (მაგ., ი. ხელაშვილი) მსოფლმხედველობა მარქსისტულ-ლენინური ფილოს. პერსპექტივიდან არის შეფასებული და უკუგდებული.

დიალექტ. და ისტ. მ-ის მიღწევებს ითვალისწინებდა ს. *წერეთელი*, როდესაც დიალექტიკური ლოგიკისა და უსასრულო დასკვნის შესახებ თავის ორიგინ. კონცეფციას ქმნიდა. ამ საკითხს ეძღვნება მისი ფუნდამენტური მონოგრაფია ,,დიალექტიკური ლოგიკა'' (თბ., 1965). მისი აზრით, დიალექტ. ლოგიკა ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკას უნდა დაეფუძნოს და ცოდნის განვითარების ახალი ფორმები და მეთოდები შეიმუშაოს.

ფრანგული მ-ის თეორიულ მემკვიდრეობას ეძღვნება კ. ბლაგიძის გამოკვლევა ,,XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხი'' (1977), რ-შიც ვრცლადაა განხილული ფრანგ მატერიალისტთა შემეცნების თეორიის პრობლემები, ასევე, დ. დიდროს მატერიალ. ესთეტიკის საკვანძო საკითხები, რაც უკუფენილია თვით დიდროს მხატვრულ ნაწარმოებებსა და ხელოვნების თეორიაში. ფილოს. მ-ის კონცეფციების ანალიზს ეძღვნება მ. ჭელიძის ნაშრომები: ,,მარქსისტული ფილოსოფიის ფორმირება და მისი ბურჟუაზიული ინტერპრეტაციები'' (1977) და ,,ლუდვიგ ფოიერბახი'' (1985). პირველ წიგნში მარქსისა და ენგელსის მატერიალ. ფილოს. ფორმირების სპეციფიკა და თავისებურებანია განხილული, მეორეში კი ლ.

ფოიერბახის შემოქმედებითი პროფილია მოცემული. საგანგებო ყურადღება ეთმობა მისსავე მატერიალ. კონცეფციის შეფასებას მარქსიზმის კლასიკოსების (კ. მარქსი, ფ. ენგელსი) მიერ. ძველი და ახალი მ-ის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდნენ ფილოს. ისტორიკოსები: ს. დანელია, კ. ბაქრაძე, გ. თევზაძე და სხვ.

ლიტ.: ბლაგიძე კ., XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1977; გოგიბერიძე მ., მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, ტფ., 1928; მისივე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1971; დანელია ს., ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში (დემოკრიტი), ტფ., 1925; ირემაძე თ., ალეთეიოლოგიური რეალიზმი. შალვა ნუცუბიძე და მისი აზროვნების ახლებური საწყისები, თბ., 2013; წერეთელი ს., დიალექტიკური ლოგიკა, თბ., 1965; ჭელიძე მ., მარქსისტული ფილოსოფიის ფორმირება და მისი ბურჟუაზიული ინტერპრეტაციები, თბ., 1977; მისივე, ლუდვიგ ფოიერბახი, თბ., 1985.

თ. ირემაძე.

„მატერიალი პო არხეოლოგიი კავკაზა“ (Материалы по Археологии Кавказа, მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის), „მოსკოვის საამპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების“ ექსპედიციების მიერ შეგროვილი მასალა, რ-იც გამოიცა 14 ტომად 1888–1916 (რედ. გრაფინია პ. უვაროვა).

საქართველოში XIX ს-მდე არქეოლ. კვლევებს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა. სიძველეთა აღწერა გვხვდება ს.-ს. ორბელიანის, ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონების თხზულებებში. არქეოლოგიის შესწავლამ სისტემური ხასიათი მიიღო XIX ს-ში. 1837-იდან ძეგლების აღრიცხვა-დაცვის საქმე ითავა საქართვ. სტატისტიკურმა კომიტეტმა, რ-მაც ყურადღება ყორღანებისა და მსგავსი სიძველეების გამოვლენა-აღნუსხვაზე გაამახვილა, მაგრამ არც გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ-ბას და არც სტატისტიკურ კომიტეტს არქეოლ. გათხრები არ ჩაუტარებიათ.

საქართველოში პირველი არქეოლ. გათხრა ჩატარდა 1852 ზაფხულში ნაქალაქარ უფლისციხეში. გათხრებს აწარმოებდა დ. მელვინეთუხუცესიშვილი (1815–78). 1849 იგი სამეცნ. საქმიანობისა და საინტერესო მოხსენებებისათვის სპეც. სიგელით დააჯილდოვეს. 1873 დაარსდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“. იმავე წლის 23 მარტს დამტკიცდა წესდება. 1875 კი თბილისში გამოიცა საზ-ბის პირველი წიგნი, სადაც საზ-ბის ოქმები და სამეცნ. სტატიები დაიბეჭდა. დ. *ბაქრაძის* მიერ დაიგეგმა ისტ.-არქეოლ. მოგზაურობების ჩატარება. 1879 სტეფანწმინდაში არქეოლ. გათხრებს აწარმოებდა რუსი არქეოლოგი ა. უვაროვი. ამ პერიოდიდან იწყება აქტიური არქეოლ. გათხრები საქართვ. სხვადასხვა რეგიონში. მისმა მეუღლემ, პ. უვაროვამ, რ-იც 1885-იდან „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებას“ ხელმძღვანელობდა, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში არქეოლ. კვლევების ჩატარებაში. 1888-იდან დაიწყო „მ. პო ა. კ-ს“ გამოცემა. მასში ტომების მიხედვით განთავსებულია შემდეგი მასალები:

ტომი I: სოხუმის მიდამოებში ჩატარებულ არქეოლ. გათხრების შედეგები; ნაქალაქარ „ნოგაი კალეს“ გათხრების შედეგები; ყორღანული გათხრები ნატუხაის მიდამოებში; ჩრდ. კავკ. სამაროვნებში აღმოჩენილი ნივთების აღწერა და სხვ.; ტომი II: შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგები; ტომი III: გათხრების შედეგები დრანდის, მოქვის, ილორის, ბედიის, ბაგრატის, მარტვილის, სვეტის (ართვინთან), ოპიზის, დოლის-ყანის, ენი-რაბათის, ტბეთის ეკლესიების მიდამოებში; არქეოლ. გათხრების შედეგები მუსლიმურ ტაძრებში (ბათუმი, ბაქო), შესწავლილ იქნა ძველი სომხური და ძველი ოსური არქეოლ. ძეგლები; ტომი IV: კავკასიის მუსლიმური ძეგლების გათხრების შედეგები ყარსის ოლქსა და ელისავეტპოლის გუბერნიებში; ტომი V: ამიერკავკ. ლურსმული წარწერების შესწავლა და დამუშავება; ტომი VI: ა. ივანოვსკის კვლევა „ამიერკავკასია“ [გოგჩის ტბის (სევანის) აუზი, ერევნის მდელო, ბაიაზეთი და მაკინების სახანო, ყარსის ოლქი, ელისავეტპოლის გუბერნია]; ტომი VII: ა. ხახანაშვილის მიერ საქართველოში ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგები (თელავის, სიღნაღის, ზაქათალის, თბილისის და ახალციხის მაზრებში, ქსნის ხეობასა და თრიალეთის დაბლობში); მღვდელ გ. საძაგლიშვილის მოხსენება ანანურის მიძინების ტაძარში ჩატარებული კვლევების შესახებ; ვ. სისოევის მოხსენება მდ. ზელენჩუკზე, მდ. ყუბანსა და მდ. თებერდაზე ჩატარებული გათხრების შედეგებზე; ტომი VIII: პ. უვაროვას მოხსენება ჩრდ. კავკ. სამაროვნებზე აღმოჩენილი მასალების შესახებ; ტომი IX: ყუბანის მდინარეებზე ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგები (ნაქალაქარები, ყორღანები, დოლმენები); ტომი X–XI: ი. ევსეევის მოხსენება კორიდეთის ოთხთავზე (სოფელი თურქეთში, ართვინის პროვინცია, მურღულის რ-ნი); ტომი XII: მოხსენებები თბილ. და ყარსის გუბერნიებში ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგებზე; ტომი XIII: ვ. სისოევის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგები ამიერკავკასიაში 1908 წ.; ტომი XIV: ადიშის ოთხთავი ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით.

ნ. მაჭავარიანი.
პ. სურგულაძე.

მატერიალური განათლება, იხ. *რეალური განათლება.*

მატერიკი (<ლათ. მატერ – დედა), ჰაგიოგრაფიული მწერლობის ჟანრი, დედათა ცხოვრების წიგნი. ძვ. ჰაგიოგრაფიულ კრებულებში შეჰქონდათ ორივე სქესის წმინდანთა ცხოვრებისა და წამების ამსახველი ნაწარმოებები. ზოგჯერ დედათა ცხოვრების წიგნებს ცალკე ადგენდნენ, მამათა ცხოვრებისას კი – ცალკე (იხ. *პატერიკი*). პარხლის მრავალთავისა (XI ს.) და ოქსფორდის უნ-ტის ბოდლის წიგნსაცავის XI ს. ქართ. მრავალთავის II ნაწილი არის მ. (მამათა ცხოვრებანი გაერთიანებულია I ნაწილში).

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; Peeters P., De Codice hiberico beliothecae Bodleiane, ,,Analecta Bollandiana'', 1912, ტ. 31.

უ. ცინდელიანი.

მატიანე, მატიანი, საისტორიო ჩანაწერთა კრებული ძველ საქართველოში. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ბიბლიის უძველეს ნუსხებში გვხვდება. თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ ნუსხის სახით გადმოცემულ ამბებს. ბიბლიაში მ-ის სინონიმად იხმარება „წიგნი მეფეთა საკვსენებელთა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან მოხსენიებულია „ძველი მატიანე ქართლისა“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, აქ იგულისხმება ის საისტორიო თხზულება, რ-იც „ქართლის ცხოვრებაში“ წინ უძღვის დავით აღმაშენებლის ისტორიას. ეფრემ მცირის (XII ს.) ცნობით, ყოფილა „წმიდათა მატიანეებიც“.

მ-ები ჰქონდათ ეკლესია-მონასტრებსაც. XIII ს. ერთ-ერთი სამონასტრო წესდება გვაუწყებს,

რომ მონასტრებს მ-ებისათვის, სწირავდნენ საწერ მასალას, რ-საც ბერები ინაწილებდნენ. მელქისედეკ კათოლიკოსის საბუთში (XI ს.) მოხსენიებულია „მატიანენი სააღაპენი“, ე. ი. სააღაპე ჩანაწერების კრებულები.

სამონასტრო მ-თა განსაკუთრებული სახე იყო ე. წ. „სულთა მატიანე“ (შემწირველთა მოსახსენებლების კრებული), რ-საც ადგენდნენ დიდ და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მონასტრებსა და საყდრებში. მონასტერი ან საყდარი თითოეულ შემწირველს ჯილდოდ უწევდა წირვის დროს მოხსენიებას, რაც წიგნში სათანადო ჩანაწერით – მოსახსენებლით ფორმდებოდა. წლებისა და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ასობით ასეთ ჩანაწერს შემდეგ თავს უყრიდნენ ერთ წიგნში – „სულთა მატიანეში“ და კითხულობდნენ წირვის დროს, განსაზღვრულ დღეებში. დიდი „სულთა მატიანეები“ შედგენილი იყო განსაკუთრებული გეგმით: შესავლის შემდეგ მოსახსენებლები იყოფოდა ნაკვეთებად. თითოეულ ნაკვეთში გაერთიანებული იყო ერთნაირი სოც. მდგომარეობის პირთა (მეფეთა, დედოფალთა, დიდ ფეოდალთა, ეპისკოპოსთა, დაბალი რანგის სას. პირთა, დაბალი ფენების წარმომადგენელთა და სხვ.) მოსახსენებლები. შემოგვრჩა სინის მთის ქართველთა მონასტრის, ტბეთის საყდრის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, გერგეტის საყდრის, ნიკორწმინდის მონასტრისა და სხვა „სულთა მატიანეები“.



მატიტელა, წყლის დვალურა.



ჩვეულებრივი მატიტელა.

XVI–XVIII სს-ში ტერმინ „მატიანეს“ იყენებდნენ ყოველგვარი საისტ. თხზულების აღსანიშნავად. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მ. იყოფოდა 4 ნაწილად: ადგილის აღწერად (ე. ი. გეოგრაფია), ნათესავთმეტყველებად (ე. ი. გენეალოგია), წლისმრიცხველობად (ე. ი. ქრონოლოგია) და მოქმედების აღწერად (ე. ი. საკუთრივ ამბების თხრობა).

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; დაწერილი მელქისედეკ კათალიკოზისა სვეტიცხოვლისადმი (1029–1033 წწ.), წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1971.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.), თხზ., ტ. 8, თბ., 1977.

ნ. შომიაშვილი.

„მატიანე ქართლისა“, XI ს-ის ქართველი ანონიმური ავტორის თხზულება, რ-შიც გადმოცემულია VIII–XI სს. საქართველოს ისტორია. შესულია *„ქართლის ცხოვრებაში“*. „მ. ქ.“ პირობით უწოდა ივ. ჯავახიშვილმა. თხზულება დაწერილი უნდა იყოს 1072–73. შედგება 2 მთავარი ნაწილისაგან (საქართვ. ისტორია VIII ს. დასასრულიდან X ს. დასასრულამდე, ბაგრატ III-ის გამეფებამდე და ერთიანი საქართვ. ისტორია გიორგი II-ის მეფობის პირველი წლების ჩათვლით, 1072 წლამდე). პირველი ნაწილი ძალიან მოკლეა, მეორე – შედარებით ვრცელი. ავტორის კონცეფციის თანახმად, VIII ს. საქართველო ერთიანი ქვეყანა იყო. მას სათავეში ედგა მეფე არჩილი, რ-ის სიკვდილის შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეინარჩუნეს ერთიანობა და ქვეყანა დაიშალა...

ნაწარმოების მთავარი იდეაა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის და გარეშე მტრის წინააღმდეგ. ავტორი იყენებს ქართ. და უცხ. წყაროებს. იგი კარგად იცნობდა საქართვ. მეზობელი ქვეყნების ისტორიას, მათ ზრახვებს საქართვ. მიმართ და თანამედროვე მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშ. ვითარებას. ნაწარმოები გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, დაწერილია სადა ენით, დახვეწილი სტილით; ცნობები ძირითადად სანდოა. ავტორი ცდილობს ისტ. მოვლენები მათი მიზეზ-შედეგობრივი თანამიმდევრობით ახსნას; დათარიღება მოცემულია ქართ. ქრონიკონით. თხზ. თარგმნილია ძვ. სომხურ (XII ს.), ფრანგულ, რუსულ ენებზე.

პუბლ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1953; Матиане Картлиса пер., введение и примеч. М. Д. Лорткипанидзе, Тб., 1976; Brosset M., Histoire de la Géorgie depuis l’antiquité jusqu’ au XIXe siecle, v. 1, St.-Pb., 1849.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ძველი ქართული სისტორიო მწერლობა (V–XVIII სს.),, თბ., 1977 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8).

მ. ლორთქიფანიძე.

მატინიანი სერგეი ჰაიკის ძე (8. I. 1931, თბილისი, – 8. IX. 2017, დარემი, აშშ), ფიზიკოსი. სომხეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1990, წ.-კორ., 1982). ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტოორი. დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1954). მუშაობდა თეორ. და ექსპერ. ფიზიკის ინ-ტში (1956–57), 1957–70 – საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (ახლანდ. ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტი), იყო ამ ინ-ტის სწავლული მდივანი (1957–66); იქვე დააარსა და ხელმძღვანელობდა ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყ-ბას (1966–70). იყო თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის პროფესორი (1969–70). მუშაობდა ერევნის ფიზ. ინ-ტსა და სახელმწ. უნ-ტში (1970–93), აშშ-ში (1993-იდან) დიუკისა და ჩრდ. კაროლინის შტატის უნ-ტებში.

მ-ის ძირითადი ნაშრომები ეხება სუსტი და ძლიერი ურთიერთქმედებების, კვანტური ჰიდროდინამიკის (ზედენადობის თეორია), ელემენტარული ნაწილაკების, ველის კვანტურ და მაღალი ენერგიების ფიზიკის თეორიებს. მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული ნეიტრალური მეზონების ოპტიკის დარგში, თეორიულად აღმოაჩინა ვაკუუმის არასტაბილურობა კვანტურ ქრომოდინამიკაში და არააბელური კალიბრული ველების ქაოსი.

მატიტელა (Polygonum), მცენარეთა გვარი მატიტელასებრთა ოჯახისა. ძირითადად ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახებია, იშვიათად – ბუჩქბალახები და ბუჩქები. აქვთ სწორმდგომი, გართხმული, ზოგჯერ ხვიარა ღერო, 4–6-ფურცლიანი გვირგვინისებრი ყვავილსაფარი და სამწახნაგოვანი ნაყოფი.

გვარში 300-მდე სახეობაა. უმეტესად გავრცელებულია ზომიერ და ტროპ. ოლქებში. საქართველოში 28 სახეობა იზრდება, მ. შ. ხალხში კარგადაა ცნობილი შემდეგი სახეობები: წართხალი (P. alpinum), წყლის დვალურა (P. amphibium), ჩვეულებრივი მ. (P. aviculare), დვალურა (P. carneum), ყანის ჭლექი (P. convolvulus), ღობისძირა (P. dumetorum), წალიკა (P. hydropiper) და სხვ. ზოგი მათგანი აბეზარი სარეველაა, ზოგს ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ, ზოგი კი ცხოველთა და ფრინველთა (განსაკუთრებით ბატების და ინდაურების) საკვებია.

შ. ნახუცრიშვილი.

მატნის ცხრაკარას მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს სოფ. მატნის (ახმეტის მუნიციპ.) დას-ით 3–4 *კმ*-ში, მთაში.

მონასტერი შედგება რამდენიმე ეკლესიისა და სხვა ნაგებობებისგან, რ-ებსაც გარს ევლება არაწესიერი მოხაზულობის დაბალი გალავანი. მონასტრის მთავარი ნაგებობაა V ს. შუა წლების ბაზი-

ლიკა. VIII–IX სს-ში იგი საფუძვლიანად შეუკეთებიათ, რამაც მისი თავდაპირველი ფორმების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვია. ამ დროს ბაზილიკისათვის სამხრ-იდან და ჩრდ-იდან დარბაზული ეკლესიები, ხოლო დას-იდან კარიბჭე მიუშენებიათ. მომდევნო ხანებში ბაზილიკის ჩრდ. ნავის თავზე მოუწყვიათ დაბალი კამაროვანი სათავსი, რ-ზეც XVII ს-ში აგურის რვაწახნაგოვანი სამრეკლო დაუდგამთ, ბაზილიკაზე სამხრ-იდან მიშენებულ ეკლესიაზე კი აღმ-იდან სწორკუთხოვანი ნაგებობა მიუდგამთ. ამ მხრიდან ძეგლს მეორე ნაგებობაც ეკვრის, რ-იც ბაზილიკის შუა ნავის კედელზეა მიბჯენილი. ბაზილიკის ჩრდ.-აღმ-ით შემორჩენილია პატარა დარბაზული ეკლესიის ნანგრევები, ხოლო დას-ით (დაახლ. 4 *მ*-ზე) – დარბაზული ეკლესია. ამ ეკლესიის სამხრ-ით პატარა კამარაჩამოქცეული შენობაა (სავარაუდოდ, მონასტრის ბ-კა).

ბაზილიკა გეგმით სწორკუთხაა (10×8,7 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და მცირე ზომის ნატეხი ქვით. საეკლ. სივრცეს აქ ქმნის მხოლოდ მთავარი და ჩრდ. ნავი. სამხრ. ნავი მთავარი ნავისგან, სავარაუდოდ, ყრუ კედლით იყო გამიჯნული და მას მხოლოდ ერთი შესასვლელით უკავშირდებოდა. შუა ნავი ვიწრო და მოკლეა. აღმ-ით მას ნახევარწრიული აფსიდი აქვს, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ერთი ასეთივე სარკმელი ნავის სამხრ. კედელშიცაა. საკურთხეველი ნავის დანარჩენი სივრცისგან მოგვიანებით აგებული აგურის კანკელითაა გამიჯნული. VIII–IX სს-ში გრძივი კედლების აღმ. ნაწილის ზედა ნახევარი და კამარის ნაწილი აღუდგენიათ.

ჩრდ. ნავი არსებითი გადაკეთებების გარეშეა შემორჩენილი და მის აღმ. კიდეში გეგმით თითქმის კვადრატულ, პირამიდული ფორმის სხმული კამარით გადახურულ სამკვეთლოს კარით უკავშირდება, ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით კი – ჩრდ-იდან მიშენებულ ეკლესიას.

სამხრ. ნავი გვიანი შეკეთებების შედეგად მნიშვნელოვნადაა სახეშეცვლილი. იგი ორი განივი თაღით გაყოფილია სამ ნაწილად. აღმ. ნაწილი აფსიდიანია. აფსიდი თავდაპირველად უსარკმლო იყო, ამჟამინდელი სარკმელი კი გვიანდელია. ნავის შუა ნაწილი გეგმით კვადრატულია და გუმბათოვანი კამარა ხურავს. გუმბათი რვაკუთხედზეა დასმული, გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის საფუძვლის რვაკუთხა მოხაზულობაზე გადასასვლელად გამოყენებულია კვადრატის ოთხივე კუთხეში ჩასმული შირიმის თითო ქვა, რ-შიც ტრომპისმაგვარი ელემენტია ამოკვეთილი. სამხრ. ნავს სამხრ-ით ერთი სწორკუთხა და ერთი თაღოვანი შესასვლელი აქვს, რ-ებიც მას სამხრ-იდან მიშენებულ დარბაზულ ეკლესიასთან (6,9×3,6 *მ*) აკავშირებს.

ეკლესიის დას. ნავის დას. კედელში სწორკუთხა კარია, რ-იც ბაზილიკაზე დას-იდან მიშენებულ, ჯვაროვანი კამარით გადახურულ კარიბჭეში (4×3 *მ*) გადის.

ბაზილიკის შუა ნავის საკურთხეველსა და კედლებზე შემონახულია მხატვრობა, რ-იც შესრულებულია XVI ს-ში გარსევან ჩოლოყაშვილის ასულის, ანასტასიას (მონაზვნობაში ანა) შეკვეთით. ამავე პერიოდის მხატვრობაა შემორჩენილი ბაზილიკაზე სამხრ-იდან მიშენებული ეკლესიის კანკელსა და დას. კედელზე. მათგან კანკელის მხატვრობის მანერა განსხვავებულია და სხვა ოსტატის ხელზე მიუთითებს. როგორც ბაზილიკის ისე სამხრ. მინაშენის მხატვრობა თავისი დროის მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული, რ-იც მჭიდროდ უკავშირდება პალეოლოგოსთა ხელოვნების მხატვრულ ტრადიციას.

ბაზილიკაზე ჩრდ-იდან მიშენებული ეკლესიის იატაკის ქვეშ ორი კამაროვანი სათავსია (სავარაუდოდ, საძვალე), რ-შიც ჩასასვლელი კიბე დარბაზის დას. ნაწილშია.

ბაზილიკის დას-ით 4 *მ*-ზე დაშორებით დგას შირიმის გათლილი კვადრებით მოპირკეთებული XIV–XV სს. დარბაზული ეკლესია (7,3×5,2 *მ*). ეკლესია შიგნიდან მთლიანად მოუხატავთ XVI ს. II ნახ-ში.

ბაზილიკის ჩრდ.-აღმ-ით 7–8 *მ*-ზე მეორე დარბაზული ეკლესიის (7,9×5 *მ*) ნანგრევებია, სამხრ.-დას-ით კი შემორჩენილია გეგმით თითქმის კვადრ. (3,7×3 *მ*) შენობის კედლები (სიმაღლე 2,4 *მ*). შენობას ჰქონდა ზედა განათება.

1984–87 ჩატარდა ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. დ. ჭიკაიძე).

ლიტ.: ბარნაველი თ., კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2008; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959; Georgian Architecture. A documented photo-archival collection on microfiche, Leiden, vol. 3, 1997.

თ. დვალი.

მატნისხევი, მდინარე კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს წოვის (პანკისის) ქედის სამხრ-ით, ზ. დ. 1185 *მ,* ალაზანს ერთვის სოფ. ხორბალოსთან. მ-ის სიგრძეა 11,8 *კმ,* აუზის ფართ. 28,1 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში. მ-ის შუა და ქვემო დინებას იყენებენ სარწყავად.

ი. აფხაზავა.

მატური, საფლავის ძეგლის ტიპი, რომელშიც იგულისხმება მრავალფეროვანი ,,ფეხზემდგომი'' ძეგლები. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მ. არის მცირე გალავანი ,,ერთის ნათესავის მიცვალებულისთვის'', ე. ი. საგვარეულო სასაფლაო. სავარაუდოდ, ადრეულ ხანაში საგვარეულო სასაფლაოს აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი მ. მოგვიანებით ,,ფეხზემდგომი საფლავის ძეგლების'' კრებსით სახელად იქცა. გამოვლენილია ქვითხუროობის ძალზე მაღალი დონე – დაძლეულია ქვის დამუშავების ყველა ტექნ. სირთულე, განსაკუთრებით ოსტატურადაა გამოკვეთილი გეომ. სწორი ხაზები, ოთხკუთხა ან მრგვალი კოლონადები, თაღური და როტონდისებური გადახურვები. ზოგადად, დომინირებს ეკლესიების, ეგვტერებისა და სამრეკლოს არქიტ. მოდელები. ზოგი მ. შესრულებულია ყრუ მოდელირებით, ზოგიერთები კი წარმოადგენს ,,ბანიან'' და ,,ფარღია სამრეკლოიან'' ეგზემპლარს, რ-ებიც მორთულია ცრუ ნიშებით, ღიობებით, თახჩებით და დასრულებულია ქვისა და რკინის ჯვრებით. ხშირად



მატნის ცხრაკარას მონასტერი. V, VIII–IX და XVII სს.

მ-ზე ვხვდებით საკმაოდ ვრცელ წარწერა-ეპიტაფიებს და ქრისტ. რელიგიის სიმბოლოებს (მტრედი, თევზი, ნაყოფი, ვაზი და მტევანი, ანგელოზები), ასევე სამეურნეო და სახელოსნო იარაღებს (ბოთლი, ყანწი, შეკაზმული ცხენი, ირემი, საკურთხი და სხვ.), გარდაცვლილთა სურათებსა და სხვ. მ-თა უმრავლესობას გამოკვეთილი აქვს ნიშები საკურთხის დასადებად და სანთლის დასასთებად.

მ. არის უმნიშვნელოვანესი მემორიალური ძეგლი, რ-შიც ვლინდება ქრისტ. სიმბოლიკის კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები.

ლიტ.: ბედუკაძე ს., ქვის დამუშავება მთიულეთში, ,,მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის'', 1951, ტ. 5; ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა, თბ., 2001.

მატყუარა, უღელტეხილი ლეჩხუმის ქედზე, მდ-ების – ღობიშურის (ცხენისწყლის მარცხ. შენაკადი) და რიცეულის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ზემო დინებათა წყალგამყოფზე. ზ. დ. 2977 *მ.* მ-ის მიდამოები აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. შემოსილია ალპ. მდელოებით.



მაქაონი.

„მაუდი“ (შპს), მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი საწარმო. მშენებლობა დაიწყო 1926, მწყობრში ჩადგა 1929 და ეწოდა ,,საბჭოთა საქართველო'', 1964-იდან კი – თბილ. მაუდ-კამვოლის კომბინატი ,,საბჭოთა საქართველო''. კომბინატი მუშაობდა მთლიანი ტექნოლოგიური ციკლით. საწარმოში არაერთხელ ჩატარდა რეკონსტრუქცია. 1930–77 პროდუქციის გამოშვება 250 ათ. გრძივი *მ*-იდან 4 მლნ. გრძივ *მ*-მდე გაიზარდა. საწარმო უშვებდა შალის ქსოვილებს, პლედებს და საქსოვ ძაფებს. 1998 ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა ,,მ.'', 2019-იდან გადაკეთდა შპს-ად. 2009-იდან საწარმო აღარ ფუნქციონირებს და გაცემულია იჯარით.

მაფაშ ოხუამე, ეკლესია, იხ. *წარჩე.*

მაძათუბანი, სოფელი იმერეთის რეგიონის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (ბორითის თემი), მდ. ხელმოსმულის (ძირულის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 640 *მ,* ხარაგაულიდან 26 *კმ,* ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ.* 324 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

მაძაონი (Papilio machaon), დღის პეპელა აფროსნისებრთა ოჯახისა. მ-ის ფრთების შლილი 9 *სმ* აღწევს. აქვს ყვითელი სხეული და წამახვილებული წინა ფრთები. უკანა ფრთები ბოლოვდება კუდებით. ყვითელლაქებიან მწვანე მატლს შავი გასწვრივი ზოლები დასდევს. იკვებება როგორც ველური, ისე კულტ. ჯვაროსნების ფოთლებით. დაფრინავს მაის-ივნისში და აგვისტო-სექტემბერში (მეორე თაობა). გავრცელებულია ევროპაში, აზიის ზომიერ სარტყელში, ჩრდ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება როგორც ბარში, ისე მთაში. მაღალმთიანეთში ბინადრობს მ. „რუსთაველი“ (P. M. Rusthaveli). საქართველოში მ-ს „მერცხალკუდას“ უწოდებენ.

ე. დიდმანიძე.

მაძარაშვილი ილია საყვარელას ძე (1. XII. 1854, ქუთაისი, – 17. VII. 1912, სოფ. არბო, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1908). დაამთავრა კიევის სამხ. გიმნაზია (1872), პავლოვსკის სამხ. სასწავლებელი (1874) და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877–78), მეთაურობდა გრენადერთა 1-ელი საარტილერიო ბრიგადის I ბატარეას (1895–97), კავკ. გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის I ბატარეას (1897–98), კავკ. I სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონს (1898–1902), მორტირთა მე-7 საარტილერიო პოლკს (1902–04), 67-ე საარტილერიო (1904), თურქესტანის მე-2, 52-ე საარტილერიო ბრიგადებს (1904 ივლ. – 1910). გენერალ-მაიორი 1904-იდან. გადადგა 1910.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: სოსიაშვილი გ., გენერალი ილია მაქარაშვილი და მისი შთამომავლობა პერუსა და საფრანგეთში, ,,მაცნე'', ისტ., არქეოლ., ეთნოლ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 2021, №1.

მ. გოგიტიძე.

მაძართა, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (გუდამაყრის თემი), მდ. გუდამაყრის (შავი არაგვის) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1320 *მ,* დუშეთიდან 59 *კმ.* 40 მცხ. (2014).

მაძაცარია თენგიზ ვიქტორის ძე (12. VII. 1929, ბათუმი, – IX. 1968, იქვე), შორეული ნაოსნობის კაპიტანი. დაამთავრა ბათუმის საზღვაო-სანაოსნო (1948) და ოდესის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო (1951) სასწავლებლები. როგორც კაპიტნის მესამე, მეორე და უფრ. თანაშემწე, ცურავდა შორეული აღმ-ის საზღვაო-სანაოსნოს გემებით: „ბაქო“, „იაკუტია“ და „კლიაზმა“ (1951–53); იყო შავ ზღვაში მოცურავე გემ „მარშალ ტოლბუხინის“ კაპიტნის მეორე თანაშემწე, „ჩეხოვის“ – უფრ. თანაშემწე. თბომავალ ,,ადმირალ უშაკოვის'' – კაპიტნის თანაშემწე. 1961-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო თბომავალ „საქართველოს'' კაპიტანი (საზღვაო ტრადიციების თანახმად მ-ს ეს გემი ჩააბარა ყოფილმა კაპიტანმა ე. გოგიტიძემ). მ-ს ხელმძღვანელობით თბომავალმა მრავალი საერთაშ. რეისი შეასრულა. 1974 ბათუმის სანაოსნოს ერთ-ერთ ტანკერს ეწოდა ,,კაპიტანი მაქაცარია''.

ლიტ.: Чантурия В., Рыцарь моря, Бат., 1985.

თ. არსენაძე.

მაძსიმე I (მაჭუტაძე) (გ. 1657, იერუსალიმი), აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1639–57, მანამდე – შემოქმედის ეპისკოპოსი. იბრძოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამ საქმეში დასახმარებლად 1634 გორიდან გურიაში მიიწვია იტალიელი კათოლიკე მისიონერები. მ. I-მა ოდიშის მთავარს, ლევან II დადიანს, აღადგენინა გაუქმებული ხობის მონასტერი, მოაწესრიგა ოდიშში თავადაზნაურთა საწესო-საკათოლიკოსო გადასახადების აკრეფის საქმე (1640). მასპინძლობდა ფ. ელჩინსა და პ. ზახარიევს (იხ. სტ. *ელჩინისა და ზახარიევის ელჩობა)* იმერეთის მეფე ალექსანდრე III-სთან (1650–52). მ. I-მა რამდენჯერმე იმოგზაურა იერუსალიმში, სადაც ქართული მონასტრებისათვის დიდი შეწირულობა გაიღო. ამ ღვაწლისთვის იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გამოუსახავთ ქართვ. მეფეების – მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და სხვათა ფრესკებს შორის. არსებობს ვარაუდი, რომ მ. I ამავე მონასტერშია დაკრძალული.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის'', 1954, ნაკვ. 31; მისივე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 1, თბ., 1973.

ბ. ლომინაძე.

მაძსიმე II (აბაშიძე) (გ. 30. V. 1795, კიევი), აფხაზეთის (დას. სა-

ქართველო) კათოლიკოს-პატრიარქი 1776–95, ქუთათელი ეპისკოპოსი მიტროპოლიტის ხარისხით 1759–81. იბრძოდა ტყვეებით მოვაჭრე თავადთა წინააღმდეგ, ზოგიერთს უკანვე გამოასყიდვინა ოსმალთათვის მიყიდული ქართველები. 1777 გურიისა და ოდიშის მთავრებს დააბრუნებინა მითვისებული საეკლ. მამულები, აღადგინა საეპისკოპოსოები, აღკვეთა საკათოლიკოსო მამულების გაცემა მეფის მოურავებსა და მოხელეებზე. 1781 სოლომონ I-თან უთანხმოების გამო მ. II აღმ. საქართველოში გადავიდა, სადაც გარკვეული პერიოდი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში ცხოვრობდა. 1784, მეფის გარდაცვალების შემდეგ, იმერეთში დაბრუნდა.

მ. II მონაწილეობას იღებდა იმერეთის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაშიც. ჯერ კიდევ 1768–69 სოლომონ I-მა ელჩად გააგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად, ხოლო 1784–86 დავით II-ის ელჩი იყო რუსეთში (ზ. წერეთელთან და დ. კვინიხიძესთან ერთად), რის შემდეგაც მ. II ასტრახანში დარჩა საცხოვრებლად. დაახლ. 1792 შემდეგ კიევს გაემგზავრა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია კიევ-პეჩორის ლავრაში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის'', 1954, ნაკვ. 31; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები., რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; სოსელია ო, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. 1, თბ., 1973.

ბ. ლომინაძე.

მაქსიმე აღმსარებელი (580, კონსტანტინოპოლი, – 662, ლაზიკა), ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი, ქრისტიანული აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. იგი კარგად იცნობდა ანტ. ხანის ბერძნულ ფილოსოფიას და თავის შემოქმედებაში მის ქრისტ. ინტერპრეტაციას ახდენდა. მ., ჯერ კიდევ ყმაწვილი, დაინტერესდა ბერმონაზვნური ცხოვრებითა და წმ. წერილის შესწავლით. ამაში მას ორიგენეს ნაშრომებიც დაეხმარა, იმ მოაზროვნისა, რ-მაც III ს-ში დიდწილად განსაზღვრა ალექსანდრიული ეგზეგეტიკური ტრადიცია. მ. ა-მა მრავალმხრივი განათლება მიიღო: სწავლობდა ფილოსოფიას, გრამატიკას, რიტორიკას, ღვთისმეტყველებას და ა. შ. 610–630 იგი იმპ. ჰერაკლეს (611–641) მდივანი იყო. 613–614 მაქსიმე ქრისპოლისში (ქალკედონთან ახლოს) ბერად აღიკვეცა და მონასტრის წინამძღვარი გახდა, მოგვიანებით (624–625) ქ. კუზიკოსში მოღვაწეობდა. 641 ბიზანტიის იმპერატორი გახდა 11 წლის კონსტანტი II (641–668). ამ დროს ეგვიპტე და სირია მოიცვა ისლამმა, რ-იც კონსტანტინოპოლისკენაც მიიწევდა. კონსტანტი II-ის მთავარი საზრუნავი იმპერიის ერთიანობა იყო, რის განხორციელებასაც ის რწმენის ერთიანობის ხარჯზე ცდილობდა. 648 ედიქტის საფუძველზე იკრძალებოდა ყოველგვარი დისკუსია მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და მონოთელიტებს შორის. მონოთელიტები ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეს პიროვნებაში არსებული



მაქსიმე აღმსარებელი. ფრესკა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ორი ბუნების მიუხედავად, მასში მაინც ერთი – ღვთაებრივი ნება ბატონობს. მ. ა. გულმხურვალედ ქადაგებდა ჭეშმარიტ ქრისტიანობას და შეუპოვრად იბრძოდა ერეტიკული მოძღვრებების წინააღმდეგ. იგი დასაჯეს, ენა ამოჰკვეთეს და მარჯვენა მოაჭრეს.

უახლესი არქეოლ. და ისტ. გამოკვლევების შედეგად კიდევ ერთხელ დადგინდა, რომ იგი დაკრძალულია ცაგერში, კერძოდ მურის ციხის ძირში მდებარე წმ. არსენის მონასტერში, რ-საც შემდეგ წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელი ეწოდა. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ კულტურაში. ძველ ქართულ მწერლობაში მოგვეპოვება მისი თხზულებების მრავალი თარგმანი, რებიც XI–XII სს. შესრულდა. ამ კუთხით განსაკუთრებით დიდი შრომა გასწიეს ათონზე მოღვაწე ქართველმა ბერებმა და გელათური სკოლის მთარგმნელებმა.

ლიტ.: ირემაძე თ., ბიზანტიური აზროვნება და ქართული ფილოსოფია, ნაკვ. 1 – მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, ,,საპატრიარქოს უწყებანი'', 2019, № 19; ნუცუბიძე შ., მაქსიმე აღმსარებელი და ქართული კულტურის საკითხები თანამედროვე მეცნიერებაში, ,,მნათობი'', 1962, №4; ოთხმეზური თ., მაქსიმე აღმსარებლის Ambiguorum liber ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, თბ., 2016.

თ. ირემაძე.

მაქსიმოვა იადვიგა იოსების ასული (31. XII. 1909, ვილნო, ლიეტუვა, – გარდ. თარიღი უცნობია), თეატრისა და კინოს მსახიობი. უკრაინის დამს. (1944) და საქართვ. სახ. არტისტი (1964). 1927 დაამთავრა მოსკოვის მცირე თეატრთან არსებული თეატრ. სასწავლებელი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილ. რუს. დრამ. თეატრის მსახიობად, სადაც შეასრულა ელენას (ა. ოსტროვსკის ,,ბელუგინის ქორწინება''), ნატალია გონჩაროვას (ნ. ლერნერის ,,მეფე და პოეტი''), მარიას (ა. ლუნაჩარსკის ,,დათვის ქორწილი'', ყველას რეჟ. ვ. ტატიშვილი) როლები. მუშაობდა მოსკოვის კორშის (1928–30), მუშათა სამხატვრო (1930–35), ერმოლოვას (1935–36), აგრეთვე ყაზანის (1936–37), ოდესის (1937–39), კიევის წითელი არმიის (1939–42) და ლესია უკრაინკას სახ. (1944–45), დნეპროპეტროვსკის (1942–44), ვილნიუსის (1946–47), ტულის (1947–49), თბილ. გრიბოედოვის (1949–64) თეატრებში. გრიბოედოვის თეატრში მ-ს შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ელისაბედი (ვ. დარასელის ,,კიკვიძე''), ანა კარენინა (ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინა''), იულია ტუგინა (ა. ოსტროვსკის ,,უკანასკნელი მსხვერპლი''), დონა ანა (ლ. უკრაინკას ,,ქვის მბრძანებელი''), ფილუმენა მარტურანო (ე. დე ფილიპოს ,,ფილუმენა მარტურანო'') და სხვ.



ი. მაქსიმოვა.

მ-ის შესრულება გამოირჩეოდა მაღალი პროფ. ოსტატობით, ექსპრესიულობით.

მაქსიმოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (21. III. 1880, მოსკოვი, – 9. V. 1952, იქვე), ბიოლოგი, ბოტანიკოსი, მცენარეთა ეკოლ. ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1946). თბილ. ბოტანიკური ბაღის ფიზიოლ. ლაბორატორიის დამაარსებელი

და ხელმძღვანელი (1914–19). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა მცენარეთა ფიზიოლოგიის სპეციალობით (1902). მუშაობდა ლაიფციგის უნ-ტში. შემდეგ რუსეთში იყო ყუბანის უნ-ტის მცენარეთა ფიზიოლ. და ანატომიის კათედრის გამგე (1919–21), პეტროგრადის ბოტან. ბაღის ექსპერ. მორფოლოგიისა და ეკოლოგიის ლაბორ. ორგანიზატორი და ხელმძღვანელი (1921–27). 1933–52 ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას რუსეთში. სწავლობდა მცენარეთა ყინვა- და გვალვაგამძლეობის საკითხებს. ნაშრომისათვის ,,მცენარეთა გვალვაგამძლეობის ფიზიოლოგიური საფუძვლები'' მიენიჭა ლენინური პრემია (1930).

მაძსოევი მიხეილ შავარშის ძე (31.V. 1930, თბილისი, – 9. IV. 2002, იქვე), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1995). დაამთავრა სპი (1961). მუშაობდა პარტ.-სამეურნეო თანამდებობებზე (1966–79), იყო საქ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის ვაჭრობის განყ-ბის უფრ. (1979–92), თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის პროფესორი (1992–2002).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი. იკვლევდა საქართვ. დარგობრივი განვითარებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: მეწარმეობისა და ბიზნესის საფუძვლები საქართველოში, თბ., 1997; კავკასია. კომპლექსური ანალიზი, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გზები, გეოპოლიტიკის საკითხები, თბ., 1998.

ლ. აბრამიშვილი.

მაძციაობა, პერსონაჟის ზოომორფული სახეცვლილება ფოლკლორში. მ. ნიშნავს სხვა სახის მიღებას, სხვა სახედ ან ვინმედ გადაქცევას, გარდაქმნას. ხალხურ მეტყველებაში იხმარება სიკეკლუცისა და კოხტაობის, აგრეთვე მოხერხებულობის, ეშმაკობის, თავის მოკატუნების სინონიმად. მ. ზღაპრისა და მითოსის ნიშანდობლივი თვისებაა. უკავშირდება მსახიობური ხელოვნ. ხალხურ საწყისებს. მაქცია-პერსონაჟები (ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, ბუნების მოვლენები) ფოლკლორული დრამის მოქმედ გმირთა წინამორბედებიც არიან.

ლიტ.: ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964; ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის გამოც., ტ. 1, თბ., 1938; ხალხური სიბრძნე, [ტ.] 1, თბ., [1960].

გ. ჭელიძე.

მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსი, XII ს. დასასრულის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. წინარეხიდან სამიოდე *კმ*-ში, მდ. კავთურის მარცხ. ნაპირზე, მთის კალთაზე. კომპლექსში შედის მაღალაანთ ეკლესია (ბეთლემის ღვთისმშობელი), სოლომონ მაღალაძის სამრეკლო, პაპუა მაღალაძის სამრეკლო-სამეკვალე და კოშკი (ზემო კოშკი), აფთიაქი და გალავანი. გალავნის გარეთ შემორჩენილია კოშკისა და ნაგებობათა ნანგრევები.

კომპლექსის სახელწოდება დაკავშირებულია XV ს-იდან დაწინაურებული ფეოდალების, მაღალაშვილების გვართან.

წერილობითი ცნობები ეკლესიის აგების შესახებ არ არსებობს. შემორჩენილი წარწერები გვიანდელია. ეკლესია დარბაზულია (12,2×10,6 *მ*), დგას ორსაფეხურიან ცოკოლზე და ნაგებია მოყვითალო ფერის ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. შესასვლელი აქვს სამხრ. მინაშენიდან, რ-იც ეკლესიას მთელ სიგრძეზე გაუყვება. მის აღმ. ნაწილში აფსიდიანი ეგვტერია, დას. ნაწილში კი – კარიბჭე. იგი მინაშენის დანარჩენი ნაწილის მიმართ რამდენადმე შემაღლებულია და ორფერდა სახურავითაა გადახურული. ეკლესიის შიგა სივრცე ვრცელია, გადახურულია ცილინდრული კამარით. აღმ-ით, ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, გვერდებში კი – ნიშები. ეკლესიას კიდევ სამი სარკმელი აქვს: ერთი – დას-ით, ორი – სამხრ-ით. აღმ. ფასადზე, ფრონტონის წვერში, პატარა მრგვალი სარკმელია. იგი აფსიდის ზემოთ მოწყობილ სივრცეს ანათებს. ეკლესიისა და მინაშენის ინტერიერი მოხატული ყოფილა. მისი ორი ფენიდან პირველი ეკლესიის თანადროულია. ცალკეული ფრაგმენტები შემორჩენილია ეკლესიის საკურთხეველში, გრძივ კედლებსა და ეგვტერის ჩრდ. კედელზე. მოხატულობის მეორე ფენა შემორჩენილია კანკელზე, ეკლესიის ჩრდ. კედლის დას. ნაწილში, დარბაზის შესასვლელის თავსა და წირთხლებზე, ეგვტერის შესასვლელის ზემოთ. კანკელზე შემორჩენილ ფენაში გამოსახულია ნიკოლოზ მაღალაძის დედა – ელენე. ნახატის ბერძნ. წარწერის მიხედვით, მოხატულობა შესრულებულია ელენეს გარდაცვალების (1681) შემდეგ. წარწერაში მოხსენიებულია მხატვარი აპოსტოლე. მოხატულობის მეორე ფენა ხასიათდება მუქი კოლორიტით, უმთავრესად გამოყენებულია ლურჯი, მონაცრისფრო-ცისფერი, მოწითალო-ყავისფერი და მღვრიე ნაცრისფერი.

ეკლესიის ფასადები მდიდრულადაა მორთული. საერთო დეკორ. ეფექტისათვის ორი ფერის ქვაა გამოყენებული – ძირითადად მოყვითალო, ხოლო შენობის ირგვლივ შემოყოლებული მოჩუქურთმებული ფრიზისათვის – ღია მწვანე. აღმ. ფასადის შუა ნაწილში დეკორ. სამთაღედია, რ-ის შუა თაღში მოჩუქურთმებულსაპირიანი საკურთხევლის სარკმელია ჩასმული (მსგავსადაა გაფორმებული ეკლესიის დანარჩენი სარკმლები და მინაშენის აღმ. სარკმელი). სამთაღედის ზემოთ, ფრონტონის ძირის დონეზე, ჩუქურთმით შემკული ჰორიზ. ფრიზია. ფრონტონის კეხქვეშ ოთხი დიდი ფოთლით მორთული მრგვალი სარკმელია. დას. ფასადის სამთაღედი აღმ. ფასადის სამთაღედთან შედარებით გაცილებით მაღალია და ფრონტონის არეშია შეჭრილი. აღმ. ფასადის მსგავსად, შუა თაღში მოთავსებული სარკმლის ზემოთ ორნამენტული ჯვარია, რ-ის ქვედა მკლავის გვერდებზე თითო ფრინველია გამოსახული. მდიდრულადაა გაფორმებული მინაშენის ფასადი. კარიბჭის ფართო, თაღოვანი შესასვლელის ორივე მხარეს თითო პატარა დეკორ. თაღია. თავად შესასვლელს მოჩუქურთმებული საპირე ევლება, კარიბჭის ფრონტონში კი მაღალი ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. ნაგებობის კედლები დასრულებულია ჩუქურთმით შემკული მაღალი ლავგარდნით.

ეკლესიის სამხრ-ით დგას სამ-



მაღალაანთ ეკლესია. XII ს-ის დასასრული.

რეკლო, რ-ის ქვედა სართული გალავანში შესასვლელს წარმოადგენს. სამრეკლო, სამხრ. ფასადზე მოთავსებული წარწერის თანახმად, აგებულია 1716 სოლომონ მაღალაძის მიერ. სამრეკლოს მეორე სართულზე ერთი ოთახია, მესამე სართულიდან კი ფანჩატურის წრიული საფუძველიღაა დარჩენილი.

გალავნის შიგნით მდგარი XVI–XVII სს. სამრეკლო პაპუა მაღალაძეს საძვალედ (გ. 1681) გადაუკეთებია. პირველ სართულზე შემორჩენილია XVII ს. II ნახ-ის მოხატულობის დაზიანებული ფრაგმენტები. შესასვლელის თავზე მაღალაძეთა ჯგუფური პორტრეტია (იკითხება სახელები: ადამ, ზურაბ, მამუკა, პაატა, რევაზ, ნიკოლოზ, გიორგი). სამრეკლო თავისი სტრუქტურით არსებითად განსხვავდება საქართველოში გავრცელებული ჩვეულებრივი ტიპის სამრეკლოებისგან – მას არა აქვს ზარების განსათავსებელი ფანჩატური.

კომპლექსს გადმოჰყურებს ოთხსართულიანი ოთხკუთხა კოშკი (ზემო კოშკი). ჩრდ.-აღმ. ფასადზე არსებული სამშენებლო წარწერა გვამცნობს, რომ იგი 1679 აუგია პაპუა მაღალაძეს. ამავე კოშკის სამხრ.-დას-ით ნატეხი ქვით ნაშენი აფთიაქია. მისგან თავდაპირველ სიმაღლეზე მხოლოდ დას. კედელია შემორჩენილი. შიგნითა კედლები დანაწევრებულია პატარა თახჩებით. ყველა კედელი, გარდა აღმისა, გარედან მიწითაა დაფარული. გალავნის შიგნით, შესასვლელთან, სწორკუთხა აუზია.

ლიტ.: ბერიძე ვ., მაღალაანთ ეკლესია, ,,ქართული ხელოვნება'', 1959, ტ. 5; მისივე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა XVI–XVIII [XVII–XVIII] სს., ,,ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე'', 1947, ტ. 14; მელიქსეთ-ბეგი ლ., არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურის ხეობაში 1923 წელს; ,,ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე'', 1925, ტ. 5; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 5, თბ., 1990; ყაუხჩიშვილი თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951; Девдариани Ф., Иллюстрации мастера Саба в Анчисхатском Гулани и связи их с группой памятников монументальной и миниатюрной живописи второй половины XVII века, ,,მაცნე. ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია'', 1978, № 4.

თ. დვალი.

მაღალაშვილი გიორგი ანდრიას ძე (დ. 22. II. 1931, თბილისი), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (2002), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსი (1998), საქართვ. დამს. გეოლოგი (1979). 1954 დაამთავრა ჩრდ. კავკასიის სამთო-მეტალ. ინ-ტი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია, ძებნა-ძიების სპეციალობით. 1967-მდე მუშაობდა ფერადი ლითონების გეოლოგიურ-საძიებო ჩრდ. კავკასიის ტრესტში, ,,საქნახშირმადნეულში''; საქართვ. გეოლოგიურ სამმართველოში იყო გეოლოგიური პარტიების გეოლოგი, უფრ. გეოლოგი; კავკასიის მინერ. ნედლეულის ინ-ტში – არამადნეული წიაღისეულის განყ-ბის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1967–72), ხოლო 1972-იდან – მყარი წიაღისეულის გეოლოგიის განყ-ბის გამგე.

მ. იყო რუს.-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის მთ. სარედაქციო კოლეგიის წევრი, მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ცეოლითების ასოციაციის თავ-რის მოადგილე და საწარმოო ძალების შემსწავლელი კომისიის მთ. მეცნიერი თანამშრომელი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მონოგრაფიების, გამოგონებისა და სახელმძღვანელოს ავტორი. მიღებული აქვს კ. გაბუნიას სახ. პრემია (1994) და ღირსების ორდენი (2002).

თხზ.: არალითონური სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა სამრეწველო ტიპები, თბ., 2000; Геология и промышленная оценка цементного сырья Кавказа, Тб., 1975; Месторождения цветного мрамора Грузинской ССР, Тб., 1975; Местные агрономические руды Грузии., Тб., 1981; Продуктивные формации неметалических полезных ископаемых Грузии, Тб., 1992; Фарфоровые камни СССР, М.,1995.

მაღალაშვილი ედიშერ გიორგის ძე (4. I. 1925, თბილისი, – 26. I. 2005, იქვე), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. (1967) და სომხ. (1979) სახ. არტისტი. 1947 დაამთავრა თბილ. კინოსტუდიასთან არსებული კინოსამსახიობო სკოლა, ხოლო 1953 – თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1946–50 მუშაობდა თბილ. კინოსტუდიაში. 1958–64 მარჯანიშვილის, ხოლო 1964-იდან – რუსთაველის თეატრში. სხვადასხვა დროს შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მარჯანიშვილის თეატრში – მერკუციო (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''), ბახუტა (უ. ჩხეიძის ,,გიორგი სააკაძე''), მორტიმერი (ფ. შილერის ,,მარიამ სტიუარტი''), დირექტორი (ა. კასონას ,,ხეები ზეზეურად კვდებიან''), კლაიდ გრიფიტსი (თ. დრაიზერის ,,ამერიკული ტრაგედია''), ბადრი (ლ. გოთუას ,,სამსახეობა რაინდისა''), რუვიმი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), იაზონი (ევრიპიდეს ,,მედეა'') და სხვ.; რუსთაველის თეატრში – ჯონ პროქტორი (ა. მილერის ,,სეილემის პროცესი''), ავტორი (ა. დე სენტ-ეგზიუპერის ,,პატარა უფლისწული''), კრეონტი (ჟ. ანუის ,,ანტიგონე''), თეზევსი (ჟ. რასინის ,,ფედრა''), ეფრაიმ ქებოტი (ი. ო' ნილის ,,სიყვარული თელეზ ქვეშ''), შაჰ აბასი (ა. გრიფიუსის ,,ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტკიცე''), სარძლოს მამა (ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი''), ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (გ. ბათიაშვილის ,,შეთქმულება''), სატურნინუსი (უ. შექსპირის ,,ტიტუს ანდრონიკუსი'') და სხვ.

ქართულ კინოში მისი დებიუტი შედგა ფილმში ,,აკაკის აკვანი'', შეასრულა ბაგრატის როლი (რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1947). მ-ის კინოროლებიდან აღსანიშნავია მგელიკა (,,ისინი ჩამოვიდნენ მთიდან'', რეჟ. ნ. სანიშვილი, 1954), ლევან გელაშვილი (,,ჩრდილი გზაზე'', 1956), ბარდღა რევია (,,მამლუქი'', 1958; ორივეს რეჟ. დ. რონდელი), დავით-ბეგი (,,იმედის ვარსკვლავი'', 1978; რეჟ. ა. კეოსაიანი; დავით-ბეგის როლის შესრულებისთვის მიენიჭა სომხეთის სახ. არტისტის წოდება), მეწისქვილე (,,წყალდიდობა'', რეჟ. თ. გოშაძე, 1970), მგზავრი (,,ნეილონის ნაძვის ხე'', რეჟ. რ. ესაძე, 1985), ოთარ კახიშვილი (,,სპირალი'', 1990), მღვდელმთავარი (,,ანთიმოზ ივერიელი'', 2001; ორივეს რეჟ. გ. ჭოხონელიძე,), მთავარი



ე. მაღალაშვილი.



ე. მაღალაშვილი – კესოუ მირბა, ლ. ასათიანი– კამა. კადრი ფილმიდან ,,გაზაფხული საკენში". რეჟისორი ნ. სანიშვილი. 1954.

ექიმი (,,როგორც ლურჯა ცხენები'', რეჟ-ები: თ. მენაბდე, კ. მელითაური, 2003); მონაწილეობდა სატელევიზიო ფილმებში: ,,სახლი ძველ უბანში'', ,,ყავა და ლუდი'', ,,კურდღელი'' და სხვ.

მ. გამოირჩეოდა დახვეწილი მეტყველებითა და ვიზუალური გამომსახველობით. თეატრი და კინო გაამდიდრა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული მხატვრული სახეებით.



რ. მაღალაშვილი.

მაღალაშვილი თენგიზ გიორგის ძე (1. VIII. 1927, თბილისი, – 22. I. 1985, იქვე), თეატრისა და კინოს რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1981). 1954 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1956 იყო ქუთაისის თეატრის დამდგმელი, ხოლო შემდეგ მთ. რეჟისორი. დადგა შემდეგი სპექტაკლები: ქუთაისის თეატრში – ე. ზოლას ,,რაბურდენის მემკვიდრენი'' და პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი'' (1957, პირველად ქართულ სცენაზე), ლ. სანიკიძის ,,გაიუს კრაკხი''; თელავის თეატრში (1958-იდან მთ. რეჟისორი) – ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი'' და ი. მჭედლიშვილის ,,პირველი ყვენობა''; რუსთაველის თეატრში – ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა'' (ნ. ხატისკაცის ინსცენირებით; 1964). სპექტაკლში გამოყენებული იყო იმ დროისათვის უჩვეულო პირობითი გამომსახველობითი ხერხები, როგორც რეჟისორულ და მხატვრულ, ასევე სამსახიობო ტექნიკაში. 1965-იდან სიცოცხლის ბოლომდე თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის მთ. რეჟისორი იყო. ამ თეატრის სცენაზე დადგა გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'', ფ. შილერის ,,ორლეანელი ქალწული'', ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა'', ე. შვარცის ,,წითელქუდა'', ვ. იაქაშვილის ,,ციხის ხევის საიდუმლო'' და სხვა. ავტორია ამავე თეატრში მის მიერ დადგმული პიესებისა: ,,სად ხარ, სოფიკო?'', ,,გოგო და ბიჭი'', ,,შვილები'' და ლიტ. კომპოზიციისა (ვ. დევდარიანის თანაავტორობით) – ,,დღეს ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე''.

მ. სხვადასხვა დროს მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში''. მისი რეჟისურით გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ცეცილი და სიყვარული'' (1959); მხატვრული ფილმები: ,,ძნელი დასაწყისი'' (1982), ,,არსენას ლექსი'' (ნ. ხატისკაცთან ერთად 1985). მონაწილეობდა ფილმებში: ,,ფერისცვალება'' (1968), ,,რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე'' (1978; ორივეს რეჟ. ლ. ღოღობერიძე), ,,იყო შაშვი მგალობელი'' (1970; რეჟ. ო. იოსელიანი) და სხვ.



სცენა სპექტაკლიდან ,,გაიუს კრაკხი'', რეჟისორი თ. მაღალაშვილი.

მაღალაშვილი იოსებ ირაკლის ძე (დ. 2. IX. 1952, სოფ. მეტეხი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (სამბო). სსრკ სპორტის ოსტატი (1970) და საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი 1974. მსოფლიოს ჩემპიონი (1974) და მეორე პრიზიორი (1975), მსოფლიოს თასის მფლობელი (1977). სსრკ სამგზის ჩემპიონი (1974, 1976, 1977), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი (1975) და VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979). სსრკ თასის მფლობელი (1975). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტურის ინ-ტი (1977). გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალითა და ქართულ ჭიდაობაზე დაფუძნებული ორიგინალური ტექნიკით. მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

მაღალაშვილი ლევან ლუარსაბის ძე [10. VIII. 1879, თბილისი, – 22.VIII. 1926, მიუნხენი (გერმანია)], ქართული არმიის გენერალი (1919), რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1917). განათლება მიიღო რუსეთის პაჟთა კორპუსში, ჩინეთის ლაშქრობის მონაწილე. მსახურობდა თერგის, შემდეგ ამურის კაზაკთა ჯარებში. 1917-იდან მეთაურობდფა დას. ფრონტზე რუს. ჯარის კავკასიის ცხენოსანი დივიზიის თათართა ცხენოსან პოლკს, 1918 წ. 1 იანვ. დატოვა პოლკის მეთაურის თანამდებობა, რადგან პოლკი შევიდა მუსლიმანური (აზარბაიჯანის) კორპუსის შემადგენლობაში. 1918–21 მსახურობდა ქართულ ჯარში, მონაწილეობდა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1921-იდან ემიგრაციაში წავიდა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მაღალაშვილი ნიკოლოზ, ჰიმნოგრაფი. XVII ს. დავითგარეჯის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. მისი თხზულებაა „ცხოვრება და შესხმაჲ ახლად მოწამედ გამოჩენილისა შიოსი და ხუთთა მონაზონთა, რომელნი დახოცეს დავითგარეჯის ლეკთა უღთოთა“, პატრიოტული შინაარსის ჰიმნოგრაფიული კანონი, რ-ის მიხედვით ცოცხლად წარმოგვიდგება ახალმოწამე შიოს პორტრეტი. ჩვენამდე მოაღწია XVII–XVIII სს. ჰიმნოგრაფიულმა კრებულმა „სადღესასწაულოდ“, რ-შიც შედის მ-ის (აგრეთვე გ. ვახვახიშვილი-დოდორქელის, იასე ერისთავის, ბ. ორბელიშვილის, ნ. ჩერქეზიშვილის) ჰიმნოგრაფიული კანონიც.

ლიტ.: ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965; მისივე, ნიკოლოზ მაღალაშვილის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა, ,,მრავალთავი'' 1975, №4.

მაღალაშვილი რევაზ რევაზის ძე (26. I. 1928, თბილისი, – 3. IX.

1995, იქვე), ბალეტის მოცეკვავე, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1985), დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია (პედ.: დ. ჯავრიშვილი, ვ. ლიტვინენკო, ს. სოლოგოვი). 1945–68 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სოლისტი, 1968–74 საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორი. 1974-იდან მოსკოვის დიდ თეატრთან არსებული ქორეოგრ. სასწავლებლის პედაგოგი (უძღვებოდა უცხოელ მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსს). აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული პარტიები: ჯარჯი (ა. ბალანჩივაძის ,,მთების გული''), დავრიში (გ. კილაძის ,,სინათლე''), მამია (დ. თორაძის ,,გორდა''), ოტელო (ა. მაჭავარიანის ,,ოტელო''), ზიგფრიდი (პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა'') და სხვ. 1955 გადაიღეს ფილმ-ბალეტში ,,ქართული ბალეტის ოსტატები'', 1979 კი – ,,მედეაში''. 1957 მონაწილეობდა ბერლინის მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ფესტივალში.

ლიტ.: ნადარეიშვილი ლ., ქართული ბალეტი, თბ., 2010.

მაღალაშვილი ქეთევან (ქეთო) კონსტანტინეს ასული [7(19). IV. 1894, ქუთაისი, – 30. V. 1973, თბილისი], ფერმწერი (პორტრეტისტი). საქართვ. სახ. მხატვარი (1961). 1911–15 სწავლობდა თბილისში, ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელ კავკ. საზ-ბის სკოლაში (პედაგოგები: მ. *თოიძე*, ი. *ნიკოლაძე*, რ. *შმერლინგი*, ე. *თათევოსიანი*), 1915–17 – მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში; 1923–26 – ფ. კოლაროსის ,,თავისუფალ აკადემიაში'' (პარიზი). მ-ის მხატვრული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია პარიზში ცხოვრებისა და სწავლის წლებმა. 1926 მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა. 1937-მდე თბილისში მუშაობდა მხატვარ-რესტავრატორად საქართვ. სურათების ეროვნ. გალერეაში, სადაც მუშაობა ჯერ კიდევ პარიზში წასვლამდე (1921) დაიწყო. ასრულებდა მინიატიურების, ფრესკებისა და მოზაიკის პირებს. მ-ის ადრეული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია მხატვრების – ე. ახვლედიანისა და დ. შევარდნაძის (ორივე, 1921), პროფ. ა. მაჭავარიანის (1922), მოქანდაკე ი. ნიკოლაძის პორტრეტები, რ-ებსაც (განსაკუთრებით ამ უკანასკნელს) წილად ხვდა დიდი წარმატება. მხატვრის საუკეთესო ნაწარმოებებს მიეკუთვნება პარიზში შესრულებული ე. ახვლედიანის (1924) და პიანისტ ი. ორბელიანის (1925) პორტრეტები. მ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ღრმა ფსიქოლოგიზმი, მკვეთრი ინდივიდუალობა, თავშეკავებული პალიტრა. XX ს. 20–30-იან წლებში საქართველოში პორტრეტის ხელოვნებამ მაღალ დონეს მიაღწია, რაც, ძირითადად, მისი დამსახურება იყო. 1940–60 მ. ქმნის ქართ. მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტ-რის მოღვაწეთა პორტრეტების ფართო გალერეას.



ქ. მაღალაშვილი. ,,ვალენტინა კუფტინა-სტეშენკო''. 1941. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

50–60-იან წლებში მ-ის შემოქმედების ძირითადი თემა ნატიურმორტი ხდება. პეიზაჟი მ-ის შემოქმედებაში ყველაზე გვიან შემოდის. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1921-იდან. პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისში (1961, 1973), ბათუმში (1962), მოსკოვში (1973); მონაწილეობდა ქართ. მხატვართა საზ-ბის (თბილისი, 1926), ქართ. ხელოვნების (გერმანია, 1930), საბჭ. საქართველოს თანამედროვე ხელოვნების (ხარკოვი, 1940), საკავშ. სამხატვრო (1953), შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ (1966), ქართ. სახვითი ხელოვნების (დრეზდენი, 1969) და სხვ. გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ., ი. გრიშაშვილის სახ. თბილ. ისტ. (ქარვასლა), საქართვ. გ. ლეონიძის სახ. ლიტ-რის, საქართვ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწ., აღმოსავლეთის ხელოვნების სახელმწ. (მოსკოვი) მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 1978 თბილ. ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა მისი სახელი. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: მირცხულავა ნ., ქეთევან მაღალაშვილი (ფერწერა, გრაფიკა), თბ., 2015; Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии, М., 1975; Вирсаладзе Т., Кето Магалашвили, Тб., 1958.

თ. გერსამია.

მაღალაძეები, მწიგნობარ-კალიგრაფები სოფ. წინარეხში (კასპის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ აზნაურთა გვარიდან. მ-ის საგვარეულოს ეკავა მცხეთის ქადაგის, სახლთუხუცესისა და მდივან-მწიგნობრის თანამდებობები. თვალსაჩინო პიროვნება იყო ბერი ნიკოლოზი, სვეტიცხოვლის ქადაგი (XVII ს.), მამის (პაპუას) მსგავსად კომკების, ეკლესიების მაშენებელი და შემკეთებელი, კალიგრაფი. მას გადაუწერია სას. თხზულებათა კრებული (კ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი). ნიკოლოზის სახელი გვხვდება XVII ს. მიწურულის ხატებზე, მის მიერ შეკეთებულ მაღალაანთ ეკლესიასა (წინარეხთან) და სვეტიცხოვლის კედლებზე. ნიკოლოზის ბიძაშვილი სოლომონი (XVII–XVIII სს. მიჯნა) 1702 კათოლიკოსის მდივან-მწიგნობარ-მგალობელი და ცნობილი კალიგრაფი იყო. წერდა საბუთებს. ლამაზი მხედრულით გადაუწერია ბესარიონ ორბელიანის „გრდემლი“, ვახტანგის სამართლის წიგნების ერთ-ერთი უძველესი ნუსხა (ორივე კ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი) და სხვ. მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის სტამბის საქმიანობაში (მისი დამზადებული უნდა იყოს ხელნაწერი ნიმუში სასტამბო მხედრული შრიფტისათვის). სავარაუდოდ, სოლომონის აშენებულია მაღალაანთ ეკლესიის სამრეკლო. ამავე წლებში მოღვაწეობდა ზურაბი, უფრო მოგვიანებით (XVIII ს.) – ნიკოლოზი, ანტონ კათოლიკოსის კარის პროტოპაპ-მდივან-ქადაგი. პეტერბურგში მას გადაუწერია „კრებული სამეცნიერო“ (სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი; სიტყვისგება სოგრატისი; კ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი).

ვ. ბერიძე.

მაღალანევისღელე, მდინარე ქობულეთის მუნიციპალიტეტში,



ქ. მაღალაშვილი.



ქ. მაღალაშვილი. ,,იაკობ ნიკოლაძე''. 1922. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.



ქ. მაღალაშვილი. ,,ირაკლი ორბელიანი''. 1925. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

მდ. კინტრიშს მარცხ. მხრიდან უერთდება სოფ. ხინოსთან. სათავეს იღებს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე და მიედინება კინტრიშის ნაკრძალის ტერიტორიაზე. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის ნადნობი წყლებით.

მაღალეგისმაღალი, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში, თუშ-ხევსურეთის კავკასიონის ხევსურეთის ქედის ჩრდ. დაბოლოებაზე, მდ. მეშიხის (არღუნის მარცხ. შენაკადი) სათავესთან, დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ჩეჩნეთის (რფ) საზღვარზე. ზ. დ. 4007 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. აქვს მცირე მყინვარი. დამახასიათებელია სუბალპ., ალპ. და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი.



მაღალმთის მუხა.

მაღალთაძე როინ გიორგის ძე (დ. 23. VIII. 1941, სოფ. დოესი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ძიუდო, სამბო). ძიუდოში სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი. ევროპის ჩემპიონი ძიუდოში (1968) და მესამე პრიზიორი (1969, გუნდური შეჯიბრი). სამბოში სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მეორე პრიზიორი (1966), სსრკ ჩემპიონატის მეორე (1963) და მესამე (1962) პრიზიორი.

მაღალი ბანი, ევროპულ მუსიკაში ეწოდება ბას-კანტანტე (basso cantante). მ. ბ-ის დიაპაზონია დიდი ოქტავის ფადან I ოქტავის ფამდე (ზოგჯერ I ოქტავის ლა ბემოლამდეც კი). ქართ. სიმღერა-გალობაში თავდაპირველად ბანი იმდენად გარკვეული ხმის სახელი არ იყო, რამდენადაც ზოგადად შებანების და ხმათა შეწყობას გამოხატავდა. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ბანი ეწოდების რა გალობასა გინა სიმღერასა სხვა ხმა შეუწყოს“, ანუ ბანი არის ხმის შეწყობა. მოგვიანებით ბანი ერთერთი ხმის სახელწოდებად იქცა. ქართულ ხალხურ სიმღერაში არსებობს მაღალი და დაბალი ბანი. მ. ბ-ს მოძახილი (მომძახელნი), დაბალ ხმას კი ბანი (დაბალი ბანი, მებანე) ეწოდება. ამის მაგალითია სიმღერა ,,თებრონე მიდის წყალზედა‘‘, რ-შიც ყველაზე საყურადღებოა 1-ელი ხმა. იგი ზედმიწევნით იმეორებს ბანის ნამღერს, მაგრამ ოქტავით მაღლა. ცხადია, ამ შემთხვევაში 1-ლი წვრილი ხმა იგივე ბანია, ოღონდ დაბალი ხმისაგან გამოსარჩევად მ. ბ. ეწოდა.

ლიტ.: ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები, თბ., 2009; ჩხეიძე გრ., ქართული ხალხური მუსიკა, თბ., 1965.

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, ახლანდ. თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. შეიქმნა 1980 თსუ-თან არსებული მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზ. პრობლემური ლაბორატორიის ბაზაზე. ინ-ტის კვლევები ეხება ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომბირთვების ურთიერთქმედების შესწავლას, როდესაც მათი დაჯახების ენერგია ბევრად აღემატება თვით ურთიერთქმედი ნაწილაკების (ატომბირთვების) მასებს.

მ. ე. ფ. ი-ის დირექტორები იყვნენ: ნ. *ამაღლობელი* (1980–96) და ა. *თავხელიძე* (1996–2004), 2004-იდან – მ. *ნიორაძე.* 1980-იან წლებში ინ-ტმა დაამყარა სამეცნ. კონტაქტები დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინ-ტთან და სერპუხოვის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტთან (ორივე რფ); საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი – იულიხის კვლევით (გერმანია) და ბირთვული კვლევების ევროპულ (შვეიცარია) ცენტრებთან, სადაც წარმატებით მუშაობენ მ. ე. ფ. ი-იდან მივლინებული თანამშრომლები; მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ცენტრების ექსპერიმენტებში (ANKE, ATLAS, GMS), ასევე ჰადრონული ფიზ. და ველის კვანტური თეორიის დარგში იკვლევენ პროცესებს, რ-ებიც შესაძლებელია არ აღიწერებოდეს ელემენტარული ნაწილაკების სტანდარტული მოდელით.

მ. ე. ფ. ი-ის თანამშრომლებს მიღებული აქვთ არაერთი სახელმწ. ჯილდო და პრემია, კერძოდ, თ. *კოპალეიშვილს* მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია ნაშრომთა ციკლისათვის ,,მსუბუქი ბირთვების გახლეჩის შესწავლა მაღალი ენერგიების გამა სხივებით“ (1977); ნ. ამაღლობელს, ვ. კეკელიძეს, გ. ნიქობაძეს და ვ. ჯორჯაძეს – საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექნ. დარგში ახალი ვიწრო ბარიონული რეზონანსის აღმოჩენისა და გამოკვლევებისადმი მიძღვნილ შრომათა ციკლისათვის (1985); სხვადასხვა დროს ინ-ტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ პ. მელიქიშვილის, ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას და ეროვნ. პრემიები.

მ. ე. ფ. ი-ის შემადგენლობაშია ელემენტარული ნაწილაკების რეგისტრაციისა და ექსპერ. ინფორმაციის მოდელური ანალიზის სასწ.-სამეცნ. ლაბორატორიები; ექსპერ. ფიზ. და თეორ ფიზ. განყ-ბები.

მაღალი ეწერი, სოფელი გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (ნაგომრის თემი), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 120 *მ*, ოზურგეთიდან 20 *კმ.* 129 მცხ. (2014).

მაღალმთის მუხა, აღმოსავლური მუხა (Quercus macranthera), ხე წიფლისებრთა ოჯახიდან (Fagaceae), საქართველოში გავრცელებული მოკლეყუნწიანი ან მჯდომარენაყოფებიანი (პონტოური მუხა, ქართული მუხა, ჭოროხის მუხა) მუხების ჯგუფიდან. მ. მ. 20–28 *მ* სიმაღლის ხეა მსხვილი, მოკლე ღეროთი და დაფარულია სქელი, მუქი ქერქით. ერთწლიანი ტოტები სქლადაა შებუსული მოყვითალო-რუხი გრძელი ბანჯგვლიანი ბეწვებით. ფოთლები მკვრივია, ტყავისებური, ქეჩის მსგავსად შებუსული, ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან კი – მოყვითალო-მონაცრისფრო (მეტ-ნაკლებად შებუსული). მოყვანილობით ოვალური ან კვერცხისებრია, თითოეულ მხარეზე 8–12 მოკლე, ბლაგვი, კიდემთლიანი ან მსხვილკბილებიანი ნაკვთებით. იზრდება ტყის შუა და ზედა სარტყლებში, სამხრ-ით მშრალ ფერდობებზე ქმნის მუხნარ ტყეებს. ცალკეულად გვხვდება ფოთლოვან, ფიჭვნარ ტყეებში, კახეთში – გომბორის ქედზე. აგრეთვე გავრცელებულია სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, შიდა ქართლში, ფშავში, ხევსურეთში, თრიალეთსა და მესხეთში. როგორც მოწყვლადი სახეობა შეტანილია საქართვ. ,,წითელ ნუსხაში‘‘.

ლიტ.: კახეთის რეგიონის მცენარეები, თბ., 2018.

მაღალტემპერატურული ზეგამტარობა, ზეგამტარობის მოვლენა, რომელიც ხორციელდება უფრო მაღალ ტემპ-რაზე, ვიდრე დაბალტემპერატურული ზეგამტარობა (დზ). დზ-ის ბარდინ-კუპერ-შრიფერის სტანდარტული თეორია დაფუძნებულია ელექტრონების დაწყვილების ფონონურ მექანიზმზე და გამორიცხავს ზეგამტარული ფაზის არსებობას 30–35 K-ზე უფრო მაღალი ტემპ-რებისათვის. შესაბამისად, ისტორიულად დზ-ს და მ. ზ-ს შორის საზღვრად 35 K არის მიჩნეული.

პირველი მაღალტემპერატურული კერამიკული ზეგამტარი (ზეგამტარულ ფაზაში გადასვლის 30 K-ზე ოდნავ უფრო მაღალი ტემპ-რით), სინთეზირებული იყო შვეიცარიაში (1986) IBM კორპორაციის ციურიხის ცენტრის თანამ-

შრომლების, ა. მიულერისა და გ. ბერდნორცის მიერ; ამ მიღწევისათვის მათ მიენიჭათ ნობელის პრემია ფიზიკის დარგში (1987). შემდეგ სინთეზირებული იყო ახალ კერამიკულ ზეგამტართა ოჯახები, რ-თა ზეგამტარულ მდგომარეობაში გადასვლის ტემპ-რა დამოკიდებულია მათ შედგენილობაზე და იცვლება 80-110K შუალედში. ამჟამად კერამიკულ შენაერთებში ზეგამტარ ფაზაში გადასვლის მაქსიმალური მიღწეული ტემპ-რა არის 134 K.

მაღალტემპერატურულ ზეგამტარს (მზ) ახასიათებს ფენოვანი კრისტალური სტრუქტურა, რ-შიც ზეგამტარული თვისებების მქონე ორგანზომილებიანი ფენები გამოყოფილია ერთმანეთისაგან ასევე ფენოვანი იზოლატორული სტრუქტურებით. შესაბამისად, ნორმალურ მდგომარეობაში ამ მასალებს ახასიათებს ელექტრონული თვისებების მკვეთრი ანიზოტროპია.

მზფ-ები მეორე გვარის ზეგამტარებს მიეკუთვნება, რაც იძლევა მათი გამოყენებით ზეგამტარი მაგნიტების შექმნის პრინციპულ შესაძლებლობას, თუმცა კერამიკული მასალების სიმყიფის გამო ამის განხორციელება გაძნელდა. მზ-ის მიკროსკოპული თეორიის შექმნა თანამედროვე ფიზიკის დიდ გამოწვევადაა მიჩნეული.

საქართველოში მზ-ის კვლევა მისი აღმოჩენის შემდეგ მალევე დაიწყო. 1990 მზ-ების სინთეზისა და თვისებების კვლევაში მიღწეული წარმატებისათვის მეცნიერთა ჯგუფს ნ. კეკელიძის ხელმძღვანელობით (ნ. კეკელიძე, გ. ცინცაძე, მ. ჭუბაბრია) მიენიჭა თსუ-ის პ. მელიქიშვილის სახ. პრემია. 2014 ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა (ა. შენგელაია, დ. დარასელია, დ. ჯაფარიძე, ზ. ჯიბუტი) ნობელის პრემიის ლაურეატ ა. მიულერთან ერთად შეიმუშავა და დააპატენტა მზ-ების სწრაფი მყარსხეულოვანი რეაქციით სინთეზის ტექნოლოგია. ულტრაიისფერი სხივებით დასხივების პირობებში 2020 ა. შენგელაიას მიენიჭა საქართვ. ეროვნ. პრემია ნაშრომთა ციკლისათვის ,,მაღალტემპერატურული ზეგამტარებისა და დაბალგანზომილებიანი მაგნეტიკების ექსპერიმენტული კვლევა‘‘.

ამჟამად საქართველოში მზ-ის კვლევა მიმდინარეობს თსუ-ის ფიზიკის დეპარტამენტში, ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ., სტუ-ის ვ. ჭავჭანიძის სახ. კიბერნეტიკისა და სოხუმის ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნ. ინ-ტებში.

გ. ჯაფარიძე.

მაღარო, სოფელი კახეთის რეგიონის სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ივრის ზეგნის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 660–940 *მ.* სათავო სოფელი. სიღნაღიდან 11 *კმ.* 1747 მცხ. (2014). სოფელზე გადის ბოდბე–სიღნაღის საავტომობილო გზა.

მაღაროსკარი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში, გუდამაყრის ქედის აღმ.კალთაზე, მდ. მაღაროსხევის და ფშავის არაგვის შესართავთან. ზ. დ. 950 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., არბაჩხანი, აფშო, გომეწარი, გუდარეხი, ინო, კანატია, კაწალხევი, კუჭეჭა, მიგრიაულთა, საშავარდნო, ქალილო, შარახევი, ჩარგალი, წიფრანი, ხილიანა, ხომი). დუშეთიდან 38 *კმ.* 221 მცხ. (2014).

სოფელში დგას XIX ს. I ნახ-ში აგებული ,,თავისუფალი ჯვრის‘‘ ტიპის გუმბათოვანი ეკლესია. სოფლის ჩრდ-ით, 4 *კმ*-ზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. ნაპირზე, ნასოფლარ კართანასთან შემოორჩენილია X–XI სს. ძლიერ დაზიანებული დარბაზული ეკლესია და გვიანდ. შუა საუკუნეების ოთხკუთხა კოშკი. სოფლის დას-ით, 3 *კმ*-ზე, სალაღოსწვერის მთაზე შემორჩენილია VIII–IX სს. მცირე დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. 1974 და 1983–85 ჟინვალის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი) ნასოფლარის ტერიტ-ზე გათხარა V–IX სს. სამაროვანი – 154 ინდივიდუალური ქვის სამარხი და 4 კოლექტიური აკლდამა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

მაღაჭალნი, მთა დუშეთის მუნიციპალიტეტში მდ-ების – მთიულეთის არაგვისა და ფშავის არაგვის წყალგამყოფ გუდამაყრის ქედზე, ზ. დ. 2006 *მ.* აგებულია ცარცული ფლიშით, მთის ციცაბო კალთები შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

მ-ის წმ. გიორგის სალოცავი ფშაველთა საკულტო ადგილი იყო.

მაღი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ჯავის მუნიციპალიტეტში (როკის თემი). მდებარეობს დვალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჯომაღისწყლის (დიდი ლიახვის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ 2040 *მ.* ჯავიდან 33 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მაღლაკელიძე თამაზ ალექსანდრეს ძე (დ. 14. III. 1947, ხულო, აჭარის არ), პულმონოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), სქართვ. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (2015). 1970 დაამთავრა თსსი. 1970–71 მუშაობდა ბორჯომში, სანატორიუმ ,,ლიკანის‘‘ თერაპევტად. 1971–77 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის პულმონოლოგიის კათედრის უფრ. ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი, შემდგომ პროფესორი (1977–2006); თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ფარმაცევტული (1990–94), შემდეგ (1994–96) სამკურნ. ფაკ-ტის დეკანი, თსუ-ის სამკურნ.-დიაგნოსტიკური ცენტრის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (1998–2007), გენ. დირექტორის მოადგილე (2007–12). 2015-იდან არის თსუ-ის პროფესორი. 2012-იდან ხელმძღვანელობდა გერმ.-ქართული კლინიკა შპს ,,დიაგნოსტიკური სერვისის‘‘, ხოლო 2015-იდან – შპს ,,აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ პულმონოლოგიის დეპარტამენტებს.



თ. მაღლაკელიძე.

2004-იდან მ. არის „საქართველოს რესპირაციული ჟურნალის“ მთ. რედაქტორი, 2007-იდან – საქართვ. რესპირაციული ასოციაციის პრეზიდენტი; 2012-იდან – აკად. ფ. თოდუას სახ. კლინიკური მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კონსულტანტი; 2017-იდან – ჟურნ. „პულმონოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (მოსკოვი); იმავდროულად – მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რესპირატორულ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური ალიანსის (GARD) კავკ. კოორდინატორი და ამავე ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური თავ-რე (2019). 2010-იდან არის საქართვ. საპატრიარქოს ექიმ-კონსულტანტი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება რესპირატორული მედიცინის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2002).

მაღლაკელიძე ლავრენტი სოფრომის ძე [3 (16). VIII. 1909, სოფ. ზედა საქარა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 1965, ზესტაფონი), მეტალურგი. დაამთავრა ს. კიროვის სახ. ამიერკავკ. ინდუსტრიული ინ-ტის მეტალ. ფაკ-ტი (1930). მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1934–46), 1946–57 იყო კომერციული დირექტორის მოადგილე,



მ. მაღლაკელიძე. კადრი ფილმიდან ,,მწვანე დიდი ველი‘‘.

1957–58 – დირექტორი. მანგანუმის შენადნობების ახალი ტექნოლოგიის დამუშავების, გამოდნობისა და დანერგვისთვის მიენიჭა სტალინური პრემია (1951). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაღლაკელიძე მზია ბენედიქტეს ასული (დ. 29. V. 1936, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1981). 1962 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო სოხუმის თეატრის ქართულ დასში, სადაც შეასრულა შემდეგი როლები: ლელა (დ. გაჩეჩილაძის ,,ბახტრიონი‘‘), ქალიშვილი (ნ. ჰიქმეთის ,,დამოკლეს მახვილი‘‘), ქრისტინა (მ. სერვანტესის ,,სალამანდრის გამოქვაბული‘‘), ხატია (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის ,,მე ვხედავ მზეს‘‘), ნინო (გ. აბაშიძის ,,მოგზაურობა სამ დროში‘‘). 1964-იდან რუსთაველის თეატრის მსახიობია. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მერი უორენი (ა. მილერის ,,სეილემის პროცესი‘‘), სოფლელი გოგონა, მოტირალი, წერო (ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე-სიცრუისა‘‘), ძიძა (ჟ. ანუის ,,მედეა‘‘), ლუბა ნოდია, ნუნუ ექიმი (ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე‘‘, ,,საბრალდებო დასკვნა‘‘), გულთამზე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე‘‘), დედაკაცი (იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამება‘‘), ბერნარდა, სიდედრი (ფ. გარსია ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი‘‘, ,,სისხლიანი ქორწილი‘‘), ჟუჟუნა და ანიკო (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე) და სხვ. გადაღებულია ფილმებში: ,,გოგონა და ჯარისკაცი‘‘ (რეჟ. თ. ფალავანდიშვილი, 1970); ,,ვერის უბნის მელოდიები‘‘ (რეჟ. გ. შენგელაია, 1973); ,,ღამის ცეკვა‘‘ (რეჟ. ა. ცაბაძე, 1991); ,,ციხესიმაგრე‘‘ (რეჟ. დ. ჯანელიძე, 1993) და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მ-ის შესრულებული სოფიოს როლი მ. კოკოჩაშვილის ფილმში ,,დიდი მწვანე ველი‘‘ (1967).

მაღლაკელიძე შალვა ნიკოლოზის ძე (2. V. 1894, სოფ. დიხაშხო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 7. XI. 1976, თბილისი), სამხედრო მოღვაწე. ვერმახტის გენერალ-მაიორი (1944). დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია (1905). 1914 სწავლა გააგრძელა მოსკოვის უნტის იურიდ. ფაკ-ტზე, რ-ის დასრულებაში ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ; მიავლინეს თბილ. იუნკერთა სასწავლებელში ოფიცრის წოდების მისაღებად. 1915-იდან პოდპორუჩიკის წოდებით დაინიშნა ახალციხის 114-ე ქვეით პოლკში. 1917–18 იყო ახალციხის გარნიზონის სამხ. პრეზიდიუმის თავ-რე, სამუსლიმანო საქართვ. სამხ. და სამოქალაქო საქმეებში სრულუფლებიანი წარმომადგენელი, 1918–21 – ქუთ. მაზრის, შემდეგ თბილ. გუბერნიის კომისარი, 1919 – თბილ. გენ.-გუბერნატორი. 1921 წ. 23 თებერვალს დაინიშნა აფხაზეთის გენ.-გუბერნატორად. 25 წლისას მიენიჭა ქართ. არმიის პოლკოვნიკის სამხ. წოდება. საქართვ. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს, სასჯელს იხდიდა თავდაპირველად ქუთაისის, შემდეგ კი მეტეხის ციხეში. გათავისუფლების შემდეგ მოახერხა ემიგრაციაში წასვლა. 1924 ოჯახთან ერთად ლატვიაში დასახლდა, შემდეგ ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიაში. პრაღის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის დასრულების შემდეგ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1934 საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც დააფუძნა და ხელმძღვანელობდა ემიგრანტულ ორგანიზაციებს, მ. შ. ,,თეთრი გიორგის‘‘ (1924–54) და ,,ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირს‘‘ (1942). 1938-იდან მსახურობდა გერმ. ჯარში. 1939-იდან იყო გერმანიის ვერმახტის უმაღლ. მთავარსარდლობის სამხ. მრჩეველი, 1942–43 – ბერლინში მოქმედი ქართ. ეროვნ. კომიტეტისა და ქართ. სამოკავშირეო შტაბის წევრი. მეთაურობდა ,,ქართულ ლეგიონს‘‘, რ-იც გერმ. არმიის შემადგენლობაში შეიქმნა. ქართველ ლეგიონერებთან ერთად ბრძოლით მიაღწია საქართველოს საზღვრამდე. სტალინგრადთან გერმანელთა მარცხის შემდეგ დაბრუნდა გერმანიაში. ომის დასრულების შემდეგ რომში დასახლდა. სამხედრო მრჩევლად მსახურობდა ორგანიზაცია ,,ხმელთაშუა ზღვის პაქტში‘‘ (1948–50), პაკისტანის მომავალ პრეზიდენტ აიუბ-ხანთან (1950–52), დას. გერმანიის კანცლერ კ. ადენაუერთან (1949–54). 1954 აგვისტოში საბჭ. უშიშროებამ იძულებით გადაიყვანა მოსკოვში, შემდეგ – თბილისში. 1954–62 თბილისში მუშაობდა ადვოკატად, 1962–76 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამომცემლობის იურისკონსულტი.

თხზ.: მოგონებები, ვ. რცხილაძის გამოც.,, თბ., 2012.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

ნ. ჯავახიშვილი.

მაღლაკი, სოფელი იმერეთის რეგიონის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს, ქუთაისი – ხონის საავტომობილო გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: მ., მიწაწითელი). ზ. დ. 90 *მ.* წყალტუბოდან 7 *კმ.* 4126 მცხ. (2014).

მ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII ს-ში. ფეოდალურ ხანაში სოფელში რამდენიმე ეკლესია იყო, ერთ-ერთში ესვენა გელათის საეპისკოპოსოს მთავარი ხატი. სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია XIX ს. ქვის ეკლესია და ხელოვნური სამოსახლო ბორცვი, ე. წ. გორიკა. მიკვლეულია ქვევრსამარხი.

მაღლაკონი, სოფელი აჭარის არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარისწყლის თემი), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 260 *მ,* ხელვაჩაურიდან 10 *კმ.* ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 204 მცხ. (2014).

„მაღლა მთას მოდგა“, რაჭული სალაშქრო-საფერხულო სიმღერა. მუს. ზომა 3\4. სრულდებოდა თითქმის ყველა სახ.-რელიგ. დღესასწაულზე (პეტრე-პავლობა, სხიერობა, აღდგომა და სხვ.). ერთი გვარის წევრები (ბაბუაშვილები) ეკლესიას შემოუვლიდნენ და მოწვეულ სტუმრებთან ერთად სუფრას მიუსხდებოდნენ, შემდეგ კი სიმღერით ჩააბამდნენ ფერხულს, რ-იც წრიული ფორმისაა და მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ. გადმოცემით, ძველად ფერხული ,,მ. მ. მ.‘‘ ორსართულიანი ყოფილა და თავისი არსით უძველეს კოსმოგონიურ მსოფლმხედველობას უკავშირდება. ეს სიმღერა შეასრულეს რაჭველებმა ა. წერეთლის რაჭალეჩხუმში მოგზაურობის დროს (1912).

ლიტ.: გვარამაძე ლ., ქართული საცეკვაო ფოლკლორი, თბ., 1997; თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.

მაღლარი, ვაზის მაღალშტამბიანი ფორმა საქართველოში. საყრდენად იყენებენ ხემცენარეებს (მურყანი, ხურმა, თუთა, ბალი და სხვ.). მ. უმთავრესად დას. საქართველოში გვხვდება. ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების გავრცელების გამო მ-ის რაოდენობა შემცირდა დას. საქართვ. ჭარბტენიან ადგილებში (გურია, აჭარა, სამეგრელო). მ-ის სახესხვაობაა ოლიხნარი.

რ. რამიშვილი.

მაღლაფერიძე ვასილ თეიმურაზის ძე (დ. 5. IX. 1958, თბილისი), ფილოლოგი, პედაგოგი, ჟურნალისტი. 1980 დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტი. 1981–82 მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' გაერთიანება ,,დებიუტის'' უფრ. რედაქტორად, 1984–94 – მე-6 საშ. სკოლაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, 1988–90 – თსუ-ის ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრაზე, 1992–97 – თსუ-ის ქართ. ქრისტ. კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ. 1993 დააფუძნა გაზ. ,,კავკასიონი'' (გამოდიოდა 2000 წლის ჩათვლით), რ-ის რედაქტორიც იყო 1995–97. იყო საქართვ. მე-5 (1999–2004) და მე-6 მოწვევის (2004–05) პარლამენტის წევრი, სახელმწ. რწმუნებული – გუბერნატორი დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში (2005–08); ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა ,,საზოგადოება 20/30-ის'' მთ. პროდიუსერი (2014–16) და საზ. მაუწყებლის გენ. დირექტორი (2017–20). 2022-იდან არის საქართვ. საზ. მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავ-რე. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და პუბლიც. სტატიებისა. 1993 მონაწილეობდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამართულ ბრძოლებში.

მაღლაფერიძე თეიმურაზ ვასილის ძე (26. V. 1936, სოფ. დვაბზუ, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 2. II. 1994, თბილისი), მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1959). თსუ-ის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი. პირველი ნოველები 1959 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი „უშბა'' – 1963. ავტორია რომანებისა „წყურვილი'' (1973), „გაულ გავხე'' (1976), „ცხრაკარა'' (1979); მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმები: „მალე გაზაფხული მოვა'' (1967, თანაავტორები ო. იოსელიანი და ო. აბესაძე), „ცისკრის ზარები'' (1967), „ანარეკლი'' (1975), „ესკულაპეს მოწაფე'' (1979). მ-ის რომანი „წყურვილი'' თარგმნილია რუს. ენაზე.

თხზ.: სამი რომანი, თბ., 1988; სოლო სიმღერა შემოდგომაზე. მოთხრობები, თბ., 1989; მარადი აწმყო. ნარკვევები ქართულ მწერლობასა და ინტელიგენციაზე, თბ., 2005; პერსონალიები. ესეისტური პორტრეტები, თბ., 2006.

მაღნარაძე ლევან (ლეო) გიორგის ძე [22.VI. 1913, ახალსენაკი (ახლანდ. სენაკი), – 6. II. 2002, თბილისი], მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1989), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1934). მუშაობა დაიწყო იქვე, 1964–67 იყო ამავე ფაკ-ტის დეკანი, 1967–90 – თსუ-ის გამოყენებითი მათ. ინ-ტის მათ. და ფიზ. დიფერენციალური და ინტეგრალური განყ-ბის გამგე, 1976–91 – საქართვ. მათ. საზ-ბის, 1991–96 კი – საქართვ. მათ. კავშირის თავ-რე.

მ-ის მეცნ. კვლევის მთავარი მიმართულებებია: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალურ განტოლებათა თეორია და დრეკადობის მათ. თეორია.

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით (1983).

მაღნარაძე ნინო გიორგის ასული [15.III.1916, ახალსენაკი (ახლანდ. სენაკი), – 26.V.1992, თბილისი], ასტრონომი, ცის მექანიკის მკვლევარი. საქართველოში პირველი ქალი, რ-საც ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორის ხარისხი მიენიჭა (1966); პროფესორი (1969). დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი (1939); 1939-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თსუ-ის ასტრონომიის კათედრაზე. მ-მ შეიმუშავა ახალი მეთოდი ცვალებადმასიანი კოსმოსური სხეულის (მეტეორიტი, კომეტა, თანამგზავრი) მოძრაობის შესასწავლად, რ-იც იძლევა არა მარტო ანალიზური ამონახსნების მიღების საშუალებას, არამედ ხელსაყრელია თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე რიცხვითი ამონახსნების მიღებისათვის. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

მაღრაანი, სოფელი კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდ. მაჭარეულის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 470 *მ.* თემის ცენტრი (სოფლები: მ., არგოხი, ფიჩხოვანი). ახმეტიდან 25 *კმ.* 411 მცხ. (2014).

მ-სა და მის მიდამოებში არაერთი ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი: მათგან თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია *პანკისის ციხე.* სოფელში დგას ღვთაების და მთავარანგელოზთა ეკლესიები. ორივე ეკლესია გვიანდელ შუა საუკუნეებში კახეთში ფართოდ გავრცელებულ დარბაზული ტიპის ეკლესიათა ჯგუფს მიეკუთვნება, ოღონდ, მათგან განსხვავებით, ორივე სათოფურებით არის აღჭურვილი. გ. ბოჭორიძის ცნობით, მთავარანგელოზთა ეკლესიის კანკელის წყობაში, აღსავლის კარის მარჯვნივ, ჩადგმული ყოფილა მარმარილოს ფილა (ამჟამად დაკარგულია) მხედრული დამწერლობით შესრულებული სამშენებლო წარწერით, რ-ის თანახმად ეკლესია 1767 აუგია მეფე ერეკლე II-ის ფარეშთუხუცეს გივი ნათანლიშვილს.

სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 2 *კმ*-ზე, დგას ღვთაების ეკლესია, რ-იც არქიტექტურული ნიშნებით XV–XVI სს-ით თარიღდება. ეკლესია დარბაზულია, სამხრ-იდან ეკვრის თანადროული მინაშენი. მინაშენის დას. ნაწილში მოგვიანებით აუგიათ ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის I სართული ეკლესიის კარიბჭეს წარმოადგენს, II კი რვაწახნაგოვანი ფანჩატურია. ეკლესია შემოფარგლულია ქვითკირის გალავნით.

სოფლის სიახლოვეს, მდ. მაჭარეულის მარჯვ. ნაპირზე, მთის ფერდობის ხელოვნურად მოსწორებულ ადგილზე შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების საცხოვრებელი ნაგებობის (სავარაუდოდ, სასახლის) ნანგრევები, რ-საც ადგილობრივი მოსახლეობა ხოკერაანთ ნასახლარს უწოდებს.

სოფლის დას-ით, 2 *კმ*-ზე, ტყიანი მთის ფერდობზე დგას XVI ს. წამებულის დარბაზული ეკლესია, რ-შიც შემორჩენილია ამავე ხანის მოხატულობის ფრაგმენტები.

სოფლის სამხრ-ით (დაახლ. 1 *კმ*-ზე), მინდორში, დგას გვიანდ. შუა სს. ქაშვეთის დარბაზული ეკლესია. მსგავსი ტიპისაა და იმავე ხანებს განეკუთვნება სოფლის აღმ-ით მდებარე ციხისჯვრის ეკლესია და ჩრდ-ით (დაახლ. 2 *კმ*-ზე) მდგარი ეკლესიაც, ე. წ. ბერიკაანთ ხატი. ამ უკანასკნელთან ახლოს მდებარეობს ბზიანის საყდარი (შემონახულია ჩრდ. კედლის შუა ნაწილი ორსაფეხურიანი პილასტრით, რ-საც კედლის ყრუ თაღების ნაწილებიღა შემორჩა). სოფლიდან ამავე მხარეს, ოდნავ მოშორებით, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების კვადრატული გეგმის სამსართულიანი კოშკი.

1971 სოფლის განაპირას შემთხვევით აღმოაჩინეს განძი – სპილენძის ქვაბი, რ-შიც იდო ვერცხლის 6 ნაჭედი ნივთი (თასი, ოთხი სხვადასხვა ზომის თეფში, სასმისი). ყველა მათგანი ადგილ. ნაწარმია. მხედრული წარწერების საფუძველზე თასი და სამი თეფში XVI ს-ით დათარიღდა, დიდი

თეფში – XVII ს. შუა წლებით, ხოლო სასმისი – XVIII ს. II ნახ-ით. განძი ინახება თელავის ისტ. მუზეუმში.

სოფლის მიდამოებში მდებარეობს *ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი.*

ლიტ.: ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993; კიკნაძე გ., მაღრაანის განძი, „ძეგლის მეგობარი“, 1973, №33; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

თ. დვალი.



ყვითელნისკარტა მაღრანი.

მაღრაანის ციხე, იხ. *პანკისის ციხე.*

მაღრანდვალეთი, ისტორიული მხარე, თემი აღმ. საქართველოში, მდ. ლიახვის სათავეებში. ძირითადად მოიცავდა ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტის სოფ. ედისის ტერიტორიას. ცენტრი – ედისა (შუა ფეოდ. ხანა). სახელწოდება მ. პირველად გვხვდება XIV ს-ში („ძეგლი ერისთავთა“). ნაწარმოებია სიტყვა მაღნარიდან (ტყიანი) და მხარის სახელწოდება დვალეთიდან. გვიანდ. შუა საუკუნეებში მ. ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) ცნობით, მ. ქსნის ერისთავთა მამული იყო. მ-ის ისტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია ე. წ. ცარციათების ნაქალაქარი სოფ. ედისის მახლობლად, „ზილდი მასიგ“ (უბნის კოშკი), ზურგიანი კოშკები გალუანთასა და ედისაში. მ-ის უძველესი მოსახლეობა ქართ. და დვალური იყო. გვიანდ. შუა საუკუნეებში აქ კომპაქტურად დასახლდნენ ოსი მოახალშენეები (იხ. აგრეთვე სტ. *დვალეთი*).



წითელნისკარტა მაღრანი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მის წგ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; Гамрекели В. Н., Двалы и Двалетия в I–XV вв. н. э., Тб., 1961; Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

ჯ. გვასალია.

მაღრანდვალეთის პლატო, პლატო ჯავის მუნიციპალიტეტში, მდ-ების – დიდი ლიახვისა და ქსნის სათავეებში. შემოფარგლულია ყელის ვულკანური პლატოთი და მაღრან-დვალეთის კავკასიონის მთ. ქედის განშტოებებით – გერმუხის, ხარულის, დვალეთის ქედებით. ტერიტორიაზე ახალგაზრდა ვულკანური რელიეფის ფორმებია: ლავური პლატო, ნაკადები, კონუსები, გუმბათები. ყელის პლატოდან სხვადასხვა მიმართულებით გაწვდილია ლავების მეტ-ნაკლებად გრძელი შტოები – ლავური ღვარები, რ-ებიც მიჰყვებოდა მდინარეთა ძველ ხეობებს. ყელის პლატოს ერთ-ერთი ამგვარი გამონაზარდია მ.-დ. პ., ლავური ღვარი, რ-იც დას-ისკენ, პლატოს ყელიდან 15 *კმ*-ზეა გადაჭიმული. ქვიანი ზედაპირის მქონე ამ ღვარის აღმ. ნაწილში, მდ-ების – ედისისა და ერმანის (დიდი ლიახვის შენაკადები) ხეობათა შუამდინარეთში, გვხვდება მრავალი პატარა ტბა.

მ. მელიქსეთბეგი.

მაღრანი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ლაფანაანთკარის თემი), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. აბანოსხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1600 *მ,* დუშეთიდან 21 *კმ.* 75 მცხ. (2014).

მაღრანი (Pyrrhocorax), ფრინველთა გვარი ბეღურასნაირთა რიგისა ყორნისებრთა ოჯახისა. მოიცავს 2 სახეობას: წითელნისკარტა მ-ს, ანუ სუღლუკს (P. pyrrhocorax) და ყვითელნისკარტა მ-ს, ანუ ალპურ ჭკას (P. graculus). ისინი ითვლებოდნენ ტიპურ ყორნისებრებად, მაგრამ დნმ-ისა და ციტოქრომ ბ-ს კვლევებმა ცხადყო, რომ მ. რაკეტკუდა კაჭკაჭთან (Temnurus temnurus) ერთად წარმოადგენს ყორნისებრთა ძირეულ ჯგუფს.

ყვითელნისკარტა მ. გავრცელებულია ევროპაში, შუა და ცენტრ. აზიაში, აფრიკის ჩრდ. და დას. ნაწილში. წითელნისკარტა გვხვდება ჩრდ.-დას. აფრიკაში, ეთიოპიაში, სამხრ.-დას. აზიაში, ევროპაში როგორც ზღვისპირა კლდეებზე (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია), ასევე მთებში. ნანახია მთა ევერესტზე (ზ. დ. 7900 *მ*), ყვითელნისკარტა კი იმავე მთაზე ზ. დ. 8200 *მ*-ზე. იგი ითვლება ყველაზე უფრო მაღლა მცხოვრებ ხერხემლიან ცხოველად დედამიწაზე. ორივე სახეობა ბინადრობს საქართველოში. წითელნისკარტა მ. ცოტათი დიდია (სხეულის სიგრძე – 36–42 *სმ,* ფრთაშლა – 73–90 *სმ,* მასა – 210–350*გ*) ყვითელნისკარტაზე (სხეულის სიგრძე – 37–39 *სმ,* ფრთაშლა – 75–85 *სმ,* მასა – 188–252 *გ*). კოლონიური ფრინველია. ბუდეს იკეთებს კლდეში, მდინარისპირა ხრამების კედლებში, მცირე ხევებში, მიტოვებულ შენობებში (ყვითელნისკარტა მ.). დედალი მ. 4–5 კვერცხს დებს და 17–18 დღე კრუხობს. წითელნისკარტა მ-ის ბარტყები თითქმის შიშვლები არიან, ხოლო ყვითელნისკარტასი – ნატალური ბუმბულით არიან დაფარული. ყვითელნისკარტას ბარტყი ფრენას იწყებს 29–31, ხოლო წითელნისკარტასი – 31–41 დღეში. იკვებებიან ჭიებით, მწერებით, ჭუპრებით, მცენარეებით. წითელნისკარტა მ. საკვებად უპირატესად ჩიტისთავას (Gagea) ბოლქვებს ირჩევს, ეტანება მარცვლეულსაც, ყვითელნისკარტა კი – კენკროვანებსა და ასკილს. შეინიშნება ორივე სახეობის რაოდენობის კლება, ადგილ-ადგილ სრულ გაქრობამდე. ძირითადი მალიმიტირებელი პირობებია მაღალმთის მდელოების გადაძოვა და სათხილამურო კურორტების მშენებლობა, რაც იწვევს გამოსაკვები მცენარეულობისა და საბუდარი ადგილების გაქრობას (შეწუხების ფაქტორის ზრდა). დაცულ ტერიტორიებზე და იქ, სადაც შეწუხების ფაქტორი დაბალია, რიცხოვნობის კლება არ შეინიშნება, ზოგან პირიქით, მატებაც კი აღინიშნება. ცხოვრობენ 15–17, საშუალოდ – 7 წელს.

ა. ბუხნიკაშვილი.

მაღრაძე გუგული ამბერკის ასული (დ. 9. IV. 1945, წყალტუბო), ფსიქოლოგი. ფსიქოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1981). დაამთავრა თსუ-ის ფსიქოლოგიის (1968), დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის (ინგლ. ენა, 1974), სამართლისმცოდნეობის (1997) ფაკ-ტები. მუშაობდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. (1969–78) და საქართვ. მეცნ. აკად. სამართლის (1978–81) ინ-ტებში. 2000–06 იყო სოც. ფსიქოლ. კათედრის გამგე, 2006-იდან – თსუ-ის კონფლიქტოლოგიის ინ-ტის დირექტორი. ასევე მუშაობდა დავით აღმაშენებლის სახ. უნ-ტში (პრორექტორი, 1997–2000), ეკონომიკურ ურთიერთობათა ინ-ტში (საზოგადოებრივ მეცნ. კათედრის გამგე, 1994–98), აშშ-ის ჯორჯ მეისონის უნ-ტის მოწვეული პროფესორი; 2004-იდან 2020-მდე იყო საქართვ. მე-6, მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი.

მ-მ ექსპერიმენტების საფუძველზე გამოიკვლია კონფორმიზმი და განიხილა სოც. გავლენა სხვადასხვა მოვლენებზე დ. უზნაძის განწყობის თეორიის პოზიციიდან. აჩვენა, რომ სოც. გავლენა ორმხრივი პროცესია, რ-შიც უმცირესობაც სერიოზულ როლს ასრულებს. იგი მონაწილეობდა სოც. აქსიომების ეთნოკულტურული თავისებურების გამოვლენაზე მიმართულ მასშტაბურ კროსკულტრულ

კვლევაში. გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან ინტენსიურადაა ჩართული კონფლიქტების კვლევის სფეროში.

თხზ.: სოციალური ჯგუფისადმი განწყობა და კონფორმულობა, თბ., 1988; კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბ., 2005; სოციალური გავლენის ფსიქოლოგია, თბ., 2007; ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები, თბ., 2020; Cultural Encounters and Emergent Practices in Conflict Resolution Capacity-Biulding, Z. 2020.

ი. იმედაძე.

მაღრაძე დავით ელგუჯას ძე (დ. 28. VI. 1962, თბილისი), პოეტი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2005). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1984). მუშაობდა ჟურნ. ,,ნიანგსა'' (1984–85) და ,,მნათობში'' (1985–91). იყო თსუ-ის მეცნიერი თანამშრომელი (1991); გაზ. ,,ლიტერატურული საქართველოს'' მთ. რედაქტორის მოადგილე (1991–92); ქართული პენცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1991), ამავე ცენტრის პრეზიდენტი (1997–2013); ჟურნ. ,,ცისკრის'' მთ. რედაქტორი (1992); საქართვ. კულტურის მინისტრი (1992–95); მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (1999–2002); პირველი კრებული ,,გულო, ჩადექ საგულესა'' გამოსცა 1984. არის საქართვ. ახლანდ. ჰიმნის ტექსტის შემდგენელი. მ-ის პოეზია თარგმნილია გერმ., ინგლ., ფრანგ., უნგრ., რუს., იტალ., ჩერქეზულ, შვედურ, თურქ., არაბულ, ესპანურ, აფხაზურ, ოსურ ენებზე.

მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: ღირსების ორდენი (2005); რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის ევროპის საერთაშ. მედალი კრებულისთვის ,,Salve'' (2006); იტალიის სახელმწ. პრიზი ,,ანასილაოსი'' (2014); ჯ. ლეოპარდის პირველი პრემია – ოქროს მედალი წიგნისთვის ,,ექო'' (2016); სალვატორე კუაზიმოდოს საერთაშ. პრიზი ლიტ-რის დარგში განსაკუთრებული წვლილისთვის (2017); იტალიის სახელმწ. უმაღლესი ჯილდო – ვარსკვლავის ორდენი (2018); დანტეს ოქროს მედალი (2019). გაიმარჯვა ებოლიში (იტალ.) გამართულ პოეზიის მეხუთე საერთაშ. კონკურსზე (2011). ამავე წელს დასახელდა ნობელის პრემიის ნომინანტად ლიტ-რაში.

თხზ.: მარუსა, თბ., 1987; შანდლის ასული, თბ., 1990; ლექსები, თბ., 1994; გახუნებული აფიშა, თბ., 1998; კულტურა–მეფური ნაკლი, თბ., 2001; ნიკალა, თბ., 2002; ქარი ფოთლების ბილეთს არიგებს, თბ., 2006; შეჩერდი, წამო! თბ., 2008; შენთვის, თბ., 2008; ჯაკომო პონტი, თბ., 2012; სარკმელი, თბ., 2014; Ave, Eva, თბ., 2017; უსადაურო, თბ., 2018; ბარაქიანი მიწა, თბ., 2020; მეტაფიორა, თბ., 2021.

ს. მეტრეველი.

მაღრაძე ელგუჯა სამუელის ძე (1. I. 1927, სოფ. ანაგა, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 23. VI. 1999, თბილისი), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970). დაამთავრა საკავშ. იურიდ. ინ-ტი (1949), თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1952). სხვადასხვა დროს იყო ჟურნ. ,,ნიანგისა'' და ,,მნათობის'' მთ. რედაქტორი, გამომც. ,,საბჭოთა საქართველოს'' დირექტორი (1961–67); საქართვ. მწერალთა კავშირის პირველი მდივანი (1967), 1978–84 – საქართვ. გამსახკომის თავ-რე, 1997–99 – მწერალთა კავშირის თავ-რის მოადგილე. პირველი ნაშრომი 1951 გამოაქვეყნა. 1963 გამოვიდა მისი პირველი წიგნი ,,მეველე''. ბიოგრ. რომანში ,,გრიგოლ ორბელიანი'' (1967) მ-მ გამოჩენილი პოეტი და მხედართმთავარი წარმოადგინა მთლიან, დაუნაწევრებელ პიროვნებად, რ-მაც მძაფრად განიცადა სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა. ,,გოდებაში'' (1974), რ-იც დ. გურამიშვილს მიეძღვნა, ისტ. მოვლენათა ანალიზის, ,,დავითიანის'' მხატვრული გააზრების საფუძველზე ერთგვარად გაცოცხლებულია ისტ. სინამდვილე, რ-შიც მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა ბედუკულმართ შემოქმედს. მ-ის ნაწერებს ახასიათებს ესეისტური სტილი, თამამი აზრი და უშუალობა.

მ-მ ინგლისურიდან თარგმნა ტ. მ. რიდის ,,უთავო მხედარი'' და ,,თეთრი ბელადი'', ჯ. გოლზუორთის ,,ფორსაიტების საგის'' I წიგნი ,,მესაკუთრე'', ა. კ. დოილის ,,შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი'', ტ. თ. მელორის ,,ართურის სიკვდილი'' და სხვ. მისი ,,გრიგოლ ორბელიანი'' თარგმნილია რუს., ხოლო ,,გოდება'' – რუს. და უკრ. ენებზე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997) და ი. ჭავჭავაძის სახ. პრემია (1997).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: სრბოლა ცხოვრებისა, თბ., 1976; გულითა მართლით ab imo pectore, თბ., 1977; რად, სოფელო..., თბ., 1984; ორი რომანი, თბ., 1984; მუხრან მაჭავარიანი, თბ., 1985; საკურთხეველთან, თბ., 1986; მოძღვარი, თბ., 1987; გრიგოლ ორბელიანი (ბიოგრ. რომანი); წერილები, თბ., 1989; გამოც. მე-2, თბ., 2011.

ლიტ.: ელგუჯა სამუელის ძე მაღრაძე, ქუთ., 1977; ნაცარაშვილი ო., კახეთის გამოჩენილი ადამიანები, თბ., 2001.

მაღრაძე ვალერიან ალექსანდრეს ძე (15. III. 1923, ბორჯომი, – 15. VII. 1996, თბილისი), მუსიკისმცოდნე (თეორეტიკოსი), ფოლკლორისტი, კომპოზიტორი, პედაგოგი, ხალხ. (მესხური) სიმღერების შემკრები. 1951 დაამთავრა მოსკ. სამშენებლო ინ-ტის საინჟინრო-არქიტ. ფაკ-ტი, 1958 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (საკომპოზიციო, პედ. ა. ბალანჩივაძე); 1963–96 იქვე ასწავლიდა მუს. თეორიას, 1980–81, როგორც სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ფოლკლორული ექსპედიციის დროს ჩაწერა და აღადგინა მრავალი ნაკლებად ცნობილი მესხური ხალხ. სიმღერა.



დ. მაღრაძე.

მ-ის სიმფონიური ნაწარმოებებია: საცეკვაო სიუიტა ,,ქართული'' სიმფ. ორკესტრისთვის (1950), საფორტეპიანო კონცერტი (1956), ვარიაციები ფორტეპიანოსთვის (1952), სახუმარო პიესა საფორტეპიანო კვინტეტისათვის (1964), საბავშვო პიესა საფორტეპიანო კვარტეტისათვის (1977), 12 საფორტეპიანო პიესა (1978), 2 პრელუდია, 3 ქართ. ცეკვა ფორტეპიანოსთვის (1982) და სხვ.

თხზ.: ქართული (მესხური) ხალხური სიმღერები, თბ., 1987.

ლიტ.: კრავეიშვილი გ., თემა განსჯისათვის, ,,მუსიკა'', 2015, №4(25); მესხეთური ტრადიციები, ,,საბჭოთა ხელოვნება'', 1969, №5.



ე. მაღრაძე.

მაღრაძე ვახტანგ არჩილის ძე (დ. 6. II. 1951, ბორჯომი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004). სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე (1968–73). 1973-იდან მუშაობა დაიწყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1984–2002 იყო ამავე ინ-ტის სწავლული მდივანი, კადრების მომზადებისა და ასპირანტურის განყ-ბის ხელმძღვ., 2003-იდან – ქართ. მეტყველების კულტ. განყ-ბის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 2014-იდან – სტუის მიწვეული პროფესორი. მ. ავტორია მონოგრაფიებისა: ,,ქართველური ჰიდრონიმები'' (2004), ,,ქართველური გვარებისა და ტოპონიმების წარმოება და მათი ურთიერთმიმართება'' (2006).

მაღრაძე მურთაზ ვახტანგის ძე (დ. 18. V. 1942, სოფ. ლელვანი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქ-

ტორი (2000), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტი (1969). 1972-იდან მუშაობს იქვე, იყო საინჟ.-ეკონ. ფაკ-ტის ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის დოცენტი (1980–88; 1990–2000), უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1988–90), ამავე კათედრის გამგე (1994–2006), ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის კათედრის სრული პროფესორი (2006–09). 2009-იდან ამავე ფაკ-ტის მოწვეული პედაგოგი, ემერიტუსია. იყო თსუ-ის დიდი სამეცნ. საბჭოს წევრი (1994–2005). არის ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის“ რედკოლეგიის წევრი (2008-იდან დღემდე).

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომების, რ-ებიც ეხება საზოოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემებს. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2009), ღირსების ორდენი (2013).



ო. მაღრაძე.

თხზ.: სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა), თბ., 1999; კათედრის მართვისა და ფაკულტეტზე კონკურსების ჩატარების ავტომატიზებული სისტემების შემუშავება და დანერგვა, თბ., 2017 (თანაავტ.).

მაღრაძე ოთარ კონსტანტინეს ძე (დ. 4. III. 1954, თბილისი), პიანისტი, ჯაზის მუსიკოსი. დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1977). უკრავდა ანსამბლ. ,,ბერმუხაში‘‘ (1972), ,,ოროველასა‘‘ (1978–79) და ჯაზ-კვინტეტში (1980–89); იყო სახელმწ. ფილარმონიისა და საქართვ. ტელე-რადიოკომიტეტის თანამშრომელი; 2000-იდან თბილისის მერიის ბიგ-ბენდის, 2002-იდან – თბილ. დიქსილენდის, 2003-იდან – ჯაზ-კვინტეტ ,,ნოსტალგიის‘‘, 1999-იდან – ტრიო ,,თბილისის‘‘ წევრი; ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ჯაზ-კვარტეტ ,,თბილისს‘‘.

მ-მ მონაწილეობა მიიღო დონეცკის (1982, 1983), თბილისის (1978, 1986, 1999, 2000, 2002), სანქტ-პეტერბურგის (1985), მოსკოვის (1986), ტალინის (1987), ზაარბრიუკენის (1988, 1989), სოხუმის (1989), ჰანოვერის (2000), ვილნიუსის (2007), მონტე კარლოს (2008), გდანსკის (2018) და სხვა მუს. ფესტივალებში.

2019 მ-ის ავტორობით გამოიცა ნოტების ალბომი ,,რვა ჯაზური კომპოზიცია‘‘. მიუნსტერში (2020, გერმანია) გამართა სოლო კონცერტი. თანამშრომლობდა ცნობილ მუსიკოსებთან (ჩ. ჰანი, რ. ჰანა, ჟ.-ლ. პონტი, უ. ლეკონტი, ბ. გოლდონი). ეწევა პედ. მოღვაწეობას.

თ. დოლიძე.

მაღულარია გივი ნოეს ძე (20.V. 1926, თბილისი, – 20. IV. 1995, იქვე), მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე (1945–48). სტალინური პოლიტიკის კრიტიკის გამო 22 წლისა დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს (1948). რვა წელი დაყო სპეც. ბანაკში. რეაბილიტაციის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში (1956). იმავე წელს სწავლა განაგრძო თსუ-ში, რ-იც 1959 დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა თსუ-ის ჟურნალისტიკის კათედრაზე, შემდგომ – პრორექტორის თანაშემწედ სამეცნ. დარგში, ჟურნ. „ხელოვნებაში“ თეატრის განყ-ბის გამგედ.

მ-მ ლიტ. მოღვაწეობა 1966-იდან დაიწყო, როდესაც მისი პირველი წერილი „ჰაინრიხ ბიოლი“ ჟურნ. „ცისკარში“ დაიბეჭდა. პირველი მოთხრობა 1968 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი, ისტ. მოთხრობათა კრებ. ,,მეამბოხენი“ – 1973. მასვე ეკუთვნის მითოლ. რომანი ,,ცეცხლი ცისა და მიწისა“ (1975); მოთხრობები: ,,და განიყვნეს სამოსელი მისი“ (1970), ,,ძაფზე ჩამოკიდებული ფიფქები“ (1977), ,,დესპანი“ (1979), ,,ომარ ხაიამი“ (1977) და სხვ. თარგმნა ძვ. ეგვიპტური მითები, ფრანგ მწერალთა მოთხრობები და სხვ. მოთხრობისათვის „ბედი არ გინდა?!“ მიენიჭა საქართვ. მწერალთა კავშირის პრემია (1992).

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1980; დაღამება ამა სოფლისა, თბ., 1982; ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1982; ვიღას შეაფაროს მიწამ თავი, თბ., 1988; უკუქცევა, თბ., 1996.

მაყაშვილები, კახეთის სამეფოს ერთ-ერთი უძველესი ფეოდალური საგვარეულო. იოანე ბატონიშვილი მ-ის წინაპრებს იტალიიდან (გენუიდან) გამოსულებად მიიჩნევს. ლეგენდის მიხედვით ისინი ყირიმში ვაჭრობდნენ. დაღესტანში დასახლებული მათი ერთ-ერთი წინაპარი, რ-საც იქ ჩოლაღა უწოდეს, 1320 დარუბანდის გზით საქართველოში ჩამოვიდა. გიორგი V-მ (1318–46) თავადობასთან ერთად უბოძა თავად ირუბაქის ძის მამულები კახეთში, ახმეტა, თიანეთის ნაწილი და მისცა გვარი ჩოლოყაშვილი. თავადი მ-იც იმავე ჩოლაღას შთამომავლები არიან და ფლობდნენ ირუბაქის ძისავე მამულებს. ვახუშტის ცნობით, „ხოლო კახეთს ჩოლაყაშვილი და მაყასშვილი იტყჳან ირუფაქიძობას“.

პირველი ცნობები მ-ის შესახებ ისტორიულ წყაროებში XIV ს. II ნახ-ში გვხვდება – გიორგი VII-მ (1393–1407) გუგუნა მაყაშვილს მამული უბოძა სოფ. ბოტკოში. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის XV ს. ერთ-ერთ აღაპში მოხსენიებულია მაყა და ჩოლოყა, რ-ებიც მ-სა და ჩოლოყაშვილების წინაპრები იყვნენ.

მ-ის სათავადო XV ს. II ნახ-ში წარმოიშვა. მოიცავდა სოფლებს – იყალთოსა და რუისპირს. მათი რეზიდენცია იყო სოფ. იყალთოში, სადაც ჰქონდათ სასახლე, საგვარეულო ციხე და კარის ეკლესია საგვარეულო სამარხით. XV–XVI სს. ისტ. საბუთებში გვხვდება ამ გვარის შემდეგი წარმომადგენლები: ზაალი, ინდო, მაყა და მისი ვაჟი გივი; ბარძიმ, ბოცო, ზაალი და მამუკა (ძმები); მაყა და მინაზარი, გოშფარი და გუგუნა (ძმები); მამუკა.

XVII–XVIII სს-ში მ-ს კახეთის სამეფოში მაღალი საერო და საეკლ. თანამდებობები ეკავათ – ლუარსაბ მაყაშვილი მეჯინიბეთუხუცესი იყო, მისი ვაჟი აბელი თეიმურაზ I-ის დროს – სარდალი, ხოლო მეორე, ზაქარია – ნინოწმინდელი ეპისკოპოსი (1637–54). ასევე მ-ის გვარიდან იყვნენ ეპისკოპოსები: რუსთველი (1626) და სამებელი (1670–96); ბოდბელი მიტროპოლიტი ომან მაყაშვილის ძე იოანე (XVIII–XIX სს. მიჯნა); XVIII ს. დასაწყისში ბოქაულთუხუცესი გიორგი (გურგენ) მაყაშვილი ერეკლე I-ს (1688–1709) ახლდა ირანში; 1720 წ. 15 ივლისს კახეთის მეფე დავით II-მ (1703–22) მაყა მაყაშვილსა და მის ძმას, პაატას უშვილოდ დაღუპული წინაპრის, მინაზარ მაყაშვილის სამკვიდრო მამულების სიგელი გადასცა; XVIII ს. შუა ხანების ცნობილი დიპლომატი იყო სიმონ *მაყაშვილი.* ერეკლე II-ის კარზე მ-ს სხვადასხვა თანამდებობა ეკავათ: გიორგი მაყაშვილი იყო ბოქაულთუხუცესი, დავითი – მუხროვანის მოურავი, ლუარსაბ და როსებ მ. სხვადასხვა დროს მინბაშის თანამდებობას იკავებდნენ. ერეკლე II-ს აზატ ხანთან ბრძოლაში ახლდა ლუარსაბ მაყაშვილი, მან და მანუჩარ თუმანიშვილმა 1774 ერეკლე II-ის ბრძანებით შეადგინეს არაგვის ხეობის სტატისტიკური აღწერა. ერეკლე II-მ რევაზ მაყაშვილს, მის შვილ სულხანს და ძმისშვილ გიორგის ერთგული სამსახურისთვის 1748 წ. 16 მარტს უბოძა მამულები და გლეხები. თავადი ზაქარია მაყაშვილი დაესწრო ერეკლე II-ის დაკრძალვას. გიორგი XII-ის დროს ალექსანდრე მაყა-

შვილი სახლთუხუცესი და თელავის მოურავი იყო. მას ძმებთან, დავითთან და დიმიტრისთან ერთად რუსეთისა და სპარსეთის სამეფო კარზე ელჩობისა და ეშიკაღასბაშის თანამდებობის სიგელი მიენიჭა (1800). ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ მ-ის სათავადოც გაუქმდა. არსენი და ომან (რომან) მ. მონაწილეობდნენ 1812 კახეთის აჯანყებაში. დღეს მ-ის შთამომავლები ცხოვრობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965, ტ. 6, თბ.,1977; ტ., 8, თბ., 1985.

ლიტ.: Чиковани Ю., Знатные роды Царства Грузинского. Четвертая книга серии. Князья Макашвили. Князья Чичуа (Генеалогическое исследование), Тб., 2006.

ი. ჩიქოვანი.

მაყაშვილი აბელ (ბალო) გაბრიელის ძე (6. VI. 1860, სოფ. იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 16. VI. 1920, ბაქო), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). დაამთავრა ელიზავეტგრადის სამხ. პროგიმნაზია (1877), ყაზანის იუნკერთა სასწავლებელი (1880) და ოფიცრების მსროლელთა სკოლა, 1877-იდან მსახურობდა 164-ე ზაქათალის ქვეით პოლკში. მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს. 1909–14 იყო 185-ე ბაშკადიკლარის სარეზერვო ბატალიონის მეთაურის თანაშემწე, შემდეგ – მეთაური. 1914 დაინიშნა გორის 202-ე ქვეითი პოლკის მეთაურის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1914–17 მეთაურობდა მე-16 გრენადერთა მინგრელსკის პოლკს, 1917-იდან – კავკასიის გრენადერთა დივიზიის პირველ ბრიგადას. 1918–19 მსახურობდა ქართულ ჯარში. საქართველო-სომხეთის ომის (1918 დეკ.) დროს იყო ახალციხის მაზრის გენ.-გუბერნატორი და თბილ. სამხ. კომენდანტი, 1919–20 – აზერბაიჯანის ჯარში მე-2 ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწე. 1920 დაინიშნა განჯის სამხ. სკოლის უფროსად. საბჭ. ხელისუფლების დამყარების დროს დაიღუპა აზერბაიჯანში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.


მაყაშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (24. VIII. 1896, კონდოლი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 14. II. 1962, თბილისი), ბიოლოგი, ბოტანიკოსი. პროფესორი (1962). დაამთავრა თბილ. II გიმნაზია (1915), სწავლა განაგრძო როსტოვის უნტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბაზე (1916–18), შემდეგ თსუ-ის აგრონომიულ ფაკ-ტზე (1925). სტუდენტობის წლებშივე მუშაობა დაიწყო იქვე აგრონ. ფაკ-ტის (შემდგომში საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი) ზოგადი მიწათმოქმედების, შემდეგ კი – ბოტანიკის კათედრებზე (1933–52). იყო თბილ. პედ. ინ-ტის ბოტანიკის კათედრის (1953–62), იმავდროულად – საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტის კავკასიის ცოცხალი ფლორის განყ-ბის გამგე (1935–55). იკვლევდა საქართვ. ველურ და კულტ. ფლორას, მდელოებს, საძოვრებს და მათი გაუმჯობესების საკითხებს („საქართველოს სარეველა მცენარეების სარკვევი“, 1934; „თბილისის მიდამოების ფლორა“, ტ. 1–2, 1935 და სხვ.); ავტორია სახელმძღვანელოებისა და სამეცნ.-პოპულ. წიგნების. მ. იყო „საქართველოს ფლორის“ გამოცემის (ტ. 1–2, 1941) ერთ-ერთი თანაავტორი და თანარედაქტორი; შეადგინა „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია“ (მემცენარეობა, 1938) და „ბოტანიკური ლექსიკონი“ (I გამოცემა – 1949, II – 1961), რ-შიც შეკრებილია ველურ და კულტურულ მცენარეთა ხალხ. სახელწოდებები და დადგენილია მათი მეცნ. ნომენკლატურა.

ლ. ნათაძე.

მაყაშვილი დიმიტრი სოლომონის ძე (5. X. 1840, თელავი, – 6. V. 1906, იალტა, დაკრძალულია სოფ. იყალთოში), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1891). 1857-იდან ჯარში ირიცხებოდა ოფიცრად. მსახურობდა 156-ე ელიზავეტპოლის (ახლანდ. განჯა) ქვეით პოლკში. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე. მეთაურობდა სხვადასხვა ნაწილებს კავკასიის სამხ. ოლქში. 1886-იდან იყო თბილ. სათათბიროს დეპუტატი, თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 1891 გავიდა თადარიგში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაყაშვილი ელიზბარ გიორგის ძე (26. V. 1904, სოფ. იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 8. VI. 1991, კალვისონი, საფრანგეთი), პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე (1921–24). 1922–24 იყო ქ. *ჩოლოყაშვილის* „შეფიცულთა რაზმის“ წევრი, 1922 ხევსურეთისა და 1924 აგვ. საერთოეროვნ. (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924)* აჯანყებების მონაწილე. 1924 ბოლოს ქ. ჩოლოყაშვილთან და სხვა შეფიცულებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. 1927-მდე ცხოვრობდა თურქეთში, ხოლო შემდეგ – საფრანგეთში. იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს (პარიზი) წევრი. მონაწილეობდა ქართ. ეროვნ. პოლიტ. ორგანიზაციის, „თეთრი გიორგის“ მუშაობაში. 1940–45 თანამშრომლობდა ქართ. სამოკავშირეო შტაბთან (ბერლინი). 1941–45 იყო ვერმახტის „ქართული ლეგიონის“ (მეთაური გენ. შ. მაღლაკელიძე) ოფიცერი. 1945 დაბრუნდა საფრანგეთში. მ-ს ნარკვევები, პუბლიც. წერილები და მოგონებები გამოქვეყნებულია ქართ. ემიგრ. გამოცემებში: „სამშობლო“, „კავკასიონი“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“ და სხვ.



ა. კ. მაყაშვილი.

ლიტ.: საყვარელიძე ვ., ელიზბარ მაყაშვილის დაუვიწყარ ხსოვნას, „გუშაგი“, პარიზი, 1992, №28.

ლ. ურუშაძე.

მაყაშვილი ვლადიმერ ათანასეს ძე (2. XII. 1839, თელავი, – 1. XI. 1911, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1897). 1859-იდან მსახურობდა ჯარში. იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877–78) მონაწილე, 1877-იდან – 39-ე მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი (1887-იდან პოლკოვნიკი), 1896-იდან – დაღესტნის ხაიდაყო-თაბასარანის ოლქის უფროსი. 1900 გადადგა სამხ. სამსახურიდან.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მაყაშვილი ივანე რამაზის ძე (7. X. 1848, თელავი, – 1921-ის შემდეგ, საფრანგეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1907), 1872-იდან მსახურობდა ჯარში ოფიცრად. რუსეთ-ოსმალეთის (1877–78), რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომების მონაწილე. პრაპორშჩიკის ჩინით ხელმძღვანელობდა გურიის ქვეითი რაზმის ასეულს. 1901–07 მსახურობდა 65-ე სარეზერვო საარტილერიო ბრიგადაში. 1904 მიენიჭა პოლკოვნიკის



კ. მაყაშვილი.



მ. ა. მაყაშვილი.



მ. კ. მაყაშვილი.

წოდება. 1907 დაინიშნა გროზნოს 253-ე სარეზერვო ბატალიონის, ხოლო შემდგომ – ახულგოს 250-ე სარეზერვო ბატალიონის მეთაურად.

მ., როგორც სამხ. მწერალი, ავტორია წიგნებისა სამხ. ისტორიის შესახებ. 1921 ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. იქვე გარდაიცვალა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მაყაშვილი ილია ზაქარიას ძე (4. XII. 1857, სოფ. იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 1917-ის შემდეგ), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). დაამთავრა კიევის სამხ. გიმნაზია (1873), კიევის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი (1877), ოფიცრების მსროლელთა სკოლა (1899). რუსეთ-ოსმალეთის (1877–78), რუსეთ-იაპონიის (1904–05), I მსოფლიო (1914–18) ომების მონაწილე. ციმბირის მე-18 მსროლელი პოლკის (1905–14), მე-6 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის, 56-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური (1914-იდან), 151-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადისა (1917-იდან) და ციმბირის მე-8 მსროლელი დივიზიის მეთაური (1917 სექტ-იდან).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე [13 (26). XI. 1875, სოფ. იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 29. VIII. 1927, წაღვერი], პოეტი, საზოგადო მოღვაწე. მამის გარდაცვალებისა და მრავალშვილიანი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ხუთი წლის **მ.** ყარსის ოლქში გაგზავნეს უფროს ძმებთან, სადაც ისინი მსახურობდნენ. სამშობლოში დაბრუნებული მ. ბიძამ სათავადაზნაურო სკოლაში მიაბარა, ორი წლის შემდეგ კი თბილისის II კლასიკურ გიმნაზიაში გადაიყვანეს, რ-იც 1895 დაამთავრა. სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნ-ტის იურიდ., შემდეგ – აღმოსავლური ენების ფაკ-ტზე, მაგრამ სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო უნ-ტიდან გარიცხეს. 1900 დაბრუნდა სამშობლოში და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ქართულ გიმნაზიაში, 1903-იდან – ქართ. სათავადაზნაურო ბანკში, 1915 კი ამავე ბანკის დირექტორად აირჩიეს.

მ. აქტიურად თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებთან: „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „ისარი“, „საქართველო“, „თემი“, „ფასკუნჯი,“ „პრომეთე“, „ლომისი“. ლექსებს აქვეყნებდა „მაყაშის“ ფსევდონიმით. 1914 გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული სახელწოდებით „ლირიკა“.

მ-ის ინიციატივით სათავადაზნაურო დაწესებულებასთან შეიქმნა განსაკუთრებული ფონდი, რ-იც ფინანსურად ეხმარებოდა ყველა ხელმოკლე და ნიჭიერ ახალგაზრდას. იყო ასევე ქართ. ფილარმონიული საზ-ბის, საქართვ. საისტ.-საეთნოგრ. და ქართ. დრამ. საზ-ბების წევრი, საქართვ. მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი თავ-რე (1916–26), „აკადემიური მწერლობის“ კავშირისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი (1902–11). მისივე თაოსნობით 1918 დაარსდა ხელოვანთა ცენტრი, ხოლო 1921 აირჩიეს ხელოვანთა სასახლისა და კულტურული კომიტეტის თავრეჯ.

მ-მა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ქართ. პოეზიაში სონეტი, დაამკვიდრა რომანსი, როგორც ლექსის ფორმა. მის სახელს უკავშირდება ახ. ქართ. თეატრის „დაბადება“. ქართ. თეატრის რეფორმატორმა კ. მარჯანიშვილმა 1922 დადგა მ-ის მიერ ნათარგმნი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. მ-ის შვილი იყო საქართვ. ეროვნ. გმირი მ. *მაყაშვილი.*

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: რჩეული, თბ., 1960; ლექსები, წერილები, თბ., 1985; ერთტომეული: ლექსები, პოემა, თარგმანი, წერილები, გამოსაც. მოამზადეს მ. მაყაშვილმა და ც. ყიფშიძემ, თბ., 1997.

ლიტ.: აფხაიძე შ., კოტე მაყაშვილი, წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 6, თბ.,1982; ბოტკოველი ზ., რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, თბ., 2016; ზანდუკელი მ., თხზულებანი, [ტ.] 1, თბ., 1972; კვერენჩხილაძე რ., მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი, თბ., 2012; ნიკოლეიშვილი ა., კოტე მაყაშვილის ლირიკა, „ცისკარი“, 1993, №5; ფაშალიშვილი ს., დაუვიწყარი შეხვედრები, თბ., 1966; ყიფშიძე ც., კოტე მაყაშვილი, თბ., 1983; ციციშვილი გ., კოტე მაყაშვილის შემოქმედება, „მნათობი“, 1956, №7; ჭილაია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972.

ც. ყიფშიძე.

მაყაშვილი მალხაზ ალექსანდრეს ძე (დ. 13. IX. 1953, თბილისი), ბიოლოგი, ფიზიოლოგი. ბიოლოგიის მეცნ. დოქტორი (1998). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი შრომათა ციკლისათვის ,,თავის ტვინის ფუნქციური სიმეტრია და ასიმეტრია“ (1991).

დაამთავრა თსუ-ის ბიოლოგიის ფაკ-ტი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობით (1975). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ჰემისფეროთა ურთიერთობის შემსწავლელი ლაბორ. უმცროსი (1978–80), უფროსი (1980–2003), წამყვანი (2004–06) მეცნიერი თანამშრომელი, ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1999–2006). 2006-იდან არის ილიას სახელმწ. უნ-ტის მიწვეული პროფესორი, აგრეთვე ფსიქო-ფიზიოლოგიური კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი (2018).

თხზ.:შესავალი ქცევის მექანიზმებში. ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, თბ., 2015; თავის ტვინის ფუნქციური სისტემები, თბ., 2018; Ассиметрия мозга человека, Тб., 1997.

მაყაშვილი მარიამ (მარო) კონსტანტინეს ასული (25. VIII. 1902, თბილისი, – 19. II. 1921, იქვე), საქართველოს ეროვნული გმირი (2015). დაამთავრა ქალთა ქართ. გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე. საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის დროს მოხალისედ წავიდა ფრონტზე, წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაეწერა და შეუერთდა კოჯრისკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს. 19 თებერვალს ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში. დაკრძალულია ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში (ამჟამად საქართვ. პარლამენტის შენობის ტერიტორია). ზ. ფალიაშვილმა ოპერა ,,დაისის‘‘ მთავარ გმირს მისი სახელი უწოდა. ნიდერლანდელმა კომპოზიტორმა თ. ბაიერმა, მწერალ ს. ბენიძის ტექსტზე, სპეციალურად ,,დელფტის‘‘ კამერული ფესტივალისათვის შექმნა მონოდრამა ,,მარო‘‘ (იდეის ავტორი ,,დელფტის‘‘ ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვ. პიანისტი ნ. გვეტაძე), სადაც მ-ის პირადი დღიურების მიხედვით გადმოცემულია მისი ისტორია.

თხზ.: დღიური, გამომც. ლ. ბაქრაძე, თბ., 2014.

მ. ლილუაშვილი.

მაყაშვილი სიმონ, XVIII ს. შუა წლების ქართველი დიპლომატი, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ელჩი მოსკოვში *ათანასე თბილელთან* ერთად 1752–54. ელჩობის მიზანი იყო რუსეთი-

საგან ჯარის და ფულადი დახმარების მიღება ლეკთა შემოსევების ასალაგმავად. ქართველი მეფეები საიმპერატორო კარს ასევე სთავაზობდნენ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობას სპარსეთში. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ, 1981.

ლიტ.: ცინცაძე ი., ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752–1754), ,,საისტორიო მოამბე'', 1962, [ტ.] 6.

მაყაშვილი სოლომონ ზაქარიას ძე (5. X. 1855, სოფ. იყალთო, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 17. IV. 1920, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). დაამთავრა თბილ. სამხ. სასწავლებელი. 1873-იდან მსახურობდა 156-ე ელიზავეტპოლის ქვეით პოლკში. იყო რუსეთ-ოსმალეთის (1877–78), რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომების მონაწილე. 1892-იდან იყო დიდი მთავრის, თავად სერგეი მიხეილის ძის 153-ე ბაქოს ქვეითი პოლკის კაპიტანი, 1899-იდან – მალოიაროსლავის 116-ე ქვეითი პოლკის, შემდეგ – 113-ე სტარორუსული ქვეითი პოლკის პოდპოლკოვნიკი; 1904-იდან მე-3 ბატალიონის, ცემბირის 34-ე მსროლელი პოლკის მეთაური. 1905-იდან პოლკოვნიკი. 1913 თადარიგშია იყო. 1916-იდან მუშაობდა კავკ. სამხ. ოლქის სამხ. მიმოსვლათა სამმართველოს სატრანსპორტო-საეტაპო განყ-ბაში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მაყაშვილი შალვა კონსტანტინეს ძე [11(24). IV. 1903, თბილისი, – 28. X. 1990, იქვე], ფერმწერი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1958). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1929). იყო გ. *გაბაშვილის* მოწაფე. 1930-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. მ-ის შემოქმედება ძირითადად მოიცავს პეიზაჟის ჟანრს, ასევე აღსანიშნავია ისტ. და ყოფითი ხასიათის სურათები. მისი ნამუშევრები გამოირჩევა ფერწერულობით, დინამიკურობით და ასახავს ხელოვანის პოეტურ განწყობას. 1934–36 იმოგზაურა და შექმნა რაჭის, სვანეთისა და თუშეთის მთის პეიზაჟები. ნამუშევრები: ,,საკოლმეურნეო ბაზრობა'' (1938), ,,მარჯვე ნადირობა'' (1946; ორივე შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი), ,,თბილისის დაცვა ჯალალედინის შემოსევისაგან'' (1939, ი. გრიშაშვილის სახ. თბილ. ისტ. მუზეუმი, ქარვასლა), ,,ძველი თბილისი'' 1942), ,,ვარძია'' (1948, ვარძიის მუზეუმი), ,,ნიუ'' (50-იანი წლები), ,,საძოვრებზე'' (1953), ,,სოფელი ფანშეტი'' (1962), ,,ახალი ტრანსპორტი'' (1967), ,,მადნეულის კარიერი'', ,,ენგურჰესის მშენებლობაზე'' (ორივე – 1974–76) და სხვ.

მაყვალი (Rubus fruticosus), მცენარე ვარდისებრთა ოჯახისა. მეტწილად ხვიარა ბუჩქებია. აქვს ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. პირველი წლის ყლორტებზე – ტურინებზე – მხოლოდ ფოთლებია, მეორე წლის ყლორტებზე კი – ყვავილები და ნაყოფები. ყვავილები მარტოულია, უფრო იშვიათად ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი კრებადია და შედგება წითელი ან მოწითალო-მოშავო ნაფიფქიანი წვნიანი კურკიანებისგან.

მ-ის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, მათგან 27 საქართვ. ენდემია. მ-ის ღერო და ფოთლები მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ნაყოფი – 4–8% შაქრებს, 0,6–1,4% მჟავებს, C ვიტამინს და კაროტინს. იყენებენ ნედლად, აკეთებენ მურაბას, ჯემს და სხვა ნაწარმს. ცნობილია კულტ. მ-ის დაახლ. 300-მდე ჯიში.

ლ. ხინთიბიძე.

„მაყრულიო“, მამაკაცთა მრავალხმიანი ხალხური საქორწილო სიმღერა. საქორწილო წეს-ჩვეულებების თანმხლებ სიმღერათა კრებითი სახელი. მ. სრულდებოდა ეკლესიიდან სიძის სახლამდე მიმავალ გზაზე. ა. ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით, ,,მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რომ გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილეებს და სახლში შემოიყვანდნენ მღერით. იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო სხვადასხვა სოფლურის სიმღერებით და ღიღინით''. მ. ქორწილის დაწყებისა და დასრულების მაუწყებელიცაა. ,,მ-ის'' ლექს-სიმღერები გვიხასიათებენ ქორწილის ჩვეულებას, გადმოგვცემენ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების განცდებს, აქებენ და ადიდებენ შეუღლებულებს, უსურვებენ მათ გამრავლებასა და ბედნიერებას. ერთ-ერთი ტიპური ,,მ.'' სიმღერაა: ,,მოვდივართ, მოგვიხარია, მოგვყავს დედალი ხოხობი''. მ-თვის დამახასიათებელია მხიარული განწყობა, მხნე, ვაჟკაცური შესრულება.

ლიტ.: თეიმურაზ მეორე, დღისა და ღამის გაბაასება, წგ.: ქართული პოეზია, ტ. 5, თბ., 1976; მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978; ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ.1, თბ., 1960; ჯამბაკურ-ორბელიანი ალ., ივერიანელების გალობა, სიმღერა და ღიღინი, ,,ცისკარი'', 1851, №1.

გ. ბარნოვი.

მაშავერა, მდინარე ქვემო ქართლში. სათავეს იღებს ჯავახეთის ქედის აღმ. კალთაზე, ზ. დ. 2125 *მ-ზე,* ერთვის მდ. ხრამს მარჯვნიდან სოფ. ნახიდურთან (არუხლოსთან). მდინარის სიგრძეა 66 *კმ.* აუზის ფართ. – 1390 *კმ* ^{2}. აქვს ღრმა კანიონისებრი ხეობა. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულ-შემოდგომაზე (ზოგჯერ). ზამთრობით მ-ზე აღინიშნება ყინულნაპირისი და თოში. საშ. წლიური ხარჯი 7,78 *მ* ^{3}*/წმ.* მდინარეს იყენებენ სარწყავად.

მაშავერა (1949-მდე გორუნჯუკი), სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის დმანისის მუნიციპალიტეტში, მდ. მაშავრის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: მ., უკანგორი). ზ. დ. 880 *მ,* დმანისიდან 21 *კმ,* კაზრეთიდან (უახლესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ.* 649 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-დას-ით, სასაფლაოზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია, რ-იც ნაგებია ტლანქად დამუშავებული ბაზალტის ქვით. ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია ოთხწახნაგა სამრეკლო.



მაყვალი.



შ. მაყაშვილი. ,,საკოლმეურნეო ბაზრობა''. 1938. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

მაშავერაჰესი, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. გაიხსნა 1949. მდებარეობს ქვემო ქართლში, მდ. მაშავერაზე. მ-ის სიმძლავრეა 0,8 *მგვტ.* მისი მფლობელია შპს ,,მცირე ენერჯი''. ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ·სთ*): 2012 წ. – 2,8; 2015 წ. – 2,0; 2017 წ. – 2,2; 2018 წ. – 2,6; 2019 წ. – 2,5; 2020 წ.– 1,9; 2021 წ. – 2,2; 2022 წ. – 2,6.

მაშავრის ხეობა, იხ. *დმანისხევი.*

მაშველი არხი, საინჟინრო სარწყავი სისტემა წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში. იწყება ქუთაისთან, მდ. რიონის მარჯვ. ნაპირზე და ჩადის მდ. გუბისწყალში. სიგრძე – 25,5 *კმ,* ხარჯი – 12 *მ³/წმ.* მწყობრში ჩადგა 1924. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1931. 1935 არხს შეუერთეს ,,საბჭოთა არხი“. მ. ა. რწყავს წყალტუბოს (13,9 ათ. *ჰა*) და სამტრედიის (1,8 ათ. *ჰა*) მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს.

მაშნაარი, სოფელი კახეთის რეგიონის სიღნაღის მუნიციპალიტეტში (საქობოს თემი), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში, ალაზნის არხის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 320 *მ.* სიღნაღიდან 6 *კმ.* 483 მცხ. (2014). სოფელში გადის რკინიგზის ხაზი.

სოფლის ჩრდ-ით, ნაბაღრებად წოდებულ ადგილზე, კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (XX ს. 60-იანი წლების ბოლოს, ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) გათხარა ორი გორასამარხი, მათგან ერთი ძვ. წ. IV–III ათასწლეულების მიჯნას განეკუთვნება, ხოლო მეორე – ძვ. წ. IV ათასწლეულს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.1IV, თბ., 2021.

მაჩაბელა (გ. 11. IX. 1795), ქართული კულტურის მოღვაწე XVIII ს. II ნახევარში. მ-ს ნამდვილი სახელი და გვარი უცნობია (მ., ანუ აჩაბეთელი, ზედწოდებაა). თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, მ. ქართველი იყო, დაბალი სოც. ფენის წარმომადგენელი. თავისი უბადლო ოსტატობით სამეფო კარზე ცნობილი პიროვნება გახდა და მას თბილ. თეატრის ,,მსახიობთა უფროსობა'' (დასის ხელმძღვანელობა) მიანდეს. 1795 წ. 11 სექტემბერს, როცა *კრწანისის ბრძოლის* დროს ქართველთა ლაშქარი დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თბილისის მცხოვრებლებმა შეიარაღებული რაზმი შექმნეს, რ-საც სათავეში მ. ჩაუდგა, იგი დაირაზე სალხინო ჰანგის – „შადიანის“ დაკვრითა და სიმღერით გაუძღვა წინ თბილისელთა, ქიზიყელთა და არაგველთა (300 არაგველი) რაზმს. მ. ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა.

ლიტ.: თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1972; პეტრიაშვილი თ., კრწანისის ბრძოლა, თბ., 2016; რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; ცინცაძე ი., აღა-მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963.

ქ. ჩხატარაიშვილი.

მაჩაბელი გიორგი ვასილის ძე [27. VII. 1885, სოფ. თამარაშენი, გორის მაზრა (ახლანდ. ქურთის მუნიციპალიტეტი), – 31. III. 1935, ნიუ-იორკი, აშშ], პოლიტიკოსი, დიპლომატი, ბიზნესმენი, პარფიუმერი, ვ. გ. *მაჩაბლის* შვილი. დაამთავრა თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ – ბერლინის სამთო აკადემიის გეოლ. ფაკტი. 1914 გერმ. პოლიტ. წრეების თანადგომით პ. სურგულაძესთან, მ. წერეთელსა და სხვებთან ერთად ბერლინში დააფუძნა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, რ-მაც გერმ. მთავრობასთან მიღწეული შეთანხმებით მიიღო გარანტიები, რომ თუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაძლებლობა მიეცემოდა, ბერლინი ოფიციალურად ცნობდა მის სუვერენობას. კომიტეტმა გერმ. დაფინანსებით ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა სამხ. დანაყოფი – „ქართული ლეგიონი“, ქართვ. ტყვეებისთვის დააარსა, თავდაპირველად ხელნაწერი გაზ. „კავკასია“, შემდეგ კი ბერლინში გამოსცა „ქართული გაზეთი“. კომიტეტის დავალებით მ. რამდენჯერმე ფარულად ჩამოვიდა საქართველოში. მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში დაარსდა განთავისუფლების კომიტეტის ფილიალი, რ-ის წევრებიც იყვნენ დ. *ვაჩნაძე,* ს. *კედია,* რ. *გაბაშვილი,* შ. ქარუმიძე. მათი ძალისხმევით საქართველოში გერმ. იარაღი და ფული შემოიტანეს. 1918 ივნისში მ. იყო საქართვ. დემოკრ. რესპ. ოფიც. დელეგაციის წევრი, რ-იც ბერლინში გერმ. ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა.

1921 მ. იტალიაში დიპლომ. მისიით მიავლინეს. თავდაპირველად იყო საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის წარმომადგენლობის პირველი მდივანი, ხოლო შემდეგ – ლეგაციის მრჩეველი. 1923 წ. ბოლოს მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა და 1926 პარფიუმერული კომპანია „პრინცი მაჩაბელი“ („Prince Matchabelli Parfume Company“) დააარსა. მის მიერ დამზადებული პირველი სუნამო იყო „საქართველოს დედოფალი“, რ-ის ფლაკონის გასაფორმებლად გამოიყენა მაჩაბელთა საგვარეულო გერბზე გამოსახული ოქროსვარაყიანი გვირგვინი, რაც მისი საფირმო ნიშანი გახდა. თავდაპირველად სუნამოს ფლაკონებს გერმ. ფაიფურისაგან ამზადებდნენ, შემდეგ კი ისინი გამჭვირვალე მინის ფლაკონებით ჩაანაცვლეს, რ-ებიც აშშ-ში მოღვაწე ქართვ. მეწარმის, ჯორჯ კობის (გ. *კობახიძე*) მინის კომპანიაში მზადდებოდა. კომპანია აწარმოებდა ორ ათეულზე მეტი სახეობის სუნამოს, მ. შ. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი მეუღლის – მსახიობ ნორინა ჯილისადმი მიძღვნილი „პრინცესა ნორინა“. კომპანიამ ასევე სპეც. სუნამოები მიუძღვნა რუმინეთის დედოფალ მარიას, აშშ-ის პირველ ლედის, პრეზიდენტ ფ. რუზველტის მეუღლეს, ელეონორა რუზველტსა და სხვ. „პრინცი მაჩაბლის“ წარმოებამ გაუძღლო XX ს. 30-იანი წლების დიდ დეპრესიას და მალე ერთ-ერთ მსხვილ კომპანიად ჩამოყალიბდა. მას თავისი საფირმო მაღაზიები ჰქონდა გახსნილი ევრ. სხვადასხვა ქალაქში.

1933 მ. აირჩიეს პარიზში დაფუძნებულ საქართვ. თავადაზნაურთა კავშირის კომიტეტის თავრედ. 1933–34 სათავეში ედგა აშშ-ში ქართ. სათვისტომოს, ეწეოდა ქველმოქმედებას.

მ. საქართვ. განთავისუფლების კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია ,,თამარ მეფის“ ორდენით.

მ. დაკრძალულია ლონგ-აილენდის მაუნთ-ოლივეტის სასაფლაოზე (აშშ).

2009 თბილისში დაარსდა მ-ის სახ. ფონდი (პრეზიდენტი ო. ჯაველიძე), რ-ის მიზანია მ-ის და, ზოგადად, ქართ. ემიგრანტული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია. 2013-იდან ფონდი გ. რობაქიძის სახ. უნ-ტის ქართ. ემიგრაციისა და გეოგრაფიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტთან ერთად გამოსცემს სამეცნ. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“.

ლიტ.: დაუშვილი რ., გიორგი მაჩაბელი სუნამოების პრინცი, ,,ისტორიანი'', 2011, №2; დაუშვილი რ., ჯანელიძე ო., გიორგი მაჩაბელი, თბ., 2019 (ქართ. და ინგლ. ენებზე).

ო. ჯანელიძე.

მაჩაბელი გიორგი ზაქარიას ძე (დ. 2. XII. 1941, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1983). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის

ფაკ-ტი (1965). მუშაობა დაიწყო მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის სინერგეტიკის ლაბორატორიაში პლაზმის ფიზიკის თეორიის დარგში (1965–68). იყო ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტის უმცროსი (1968–76), ხოლო შემდეგ აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1976–2009), თსუ-სა (2006–09) და ილიას სახელმწ. უნ-ტში (2009–11) – პროფესორი, თეორიული ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (2010–11), ილიას სახელმწ. უნ-ტის ემერიტუსი პროფესორი (2011-იდან).

მ-ის სამეცნ. კვლევები ეხება პლაზმაში არაწონასწორული პროცესების სტატისტიკური და მაგნიტური ჰიდროდინამიკის პულსარების გამოსხივების თეორიებს. არის სამეცნ. პუბლიკაციების ავტორი. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. წლების განმავლობაში საქართვ. ტელევიზიით მიჰყავდა სამეცნ.-პოპულ. გადაცემები.

თხზ.: სერ ისააკ ნიუტონი, თბ., 2019; Аномальные пульсары, М., 2009 (თანაავტ. И. Ф. Малов).

მაჩაბელი გიორგი მიხეილის ძე (3. IV. 1862, – გ. წ. უცნ.), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917). განათლება მიიღო ელიზავეტგრადის სამხ. პროგიმნაზიაში. 1879-იდან სამხ. სამსახურში იყო. დაამთავრა თბილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი. გაამწესეს გრენადერთა მე-14 ქართულ პოლკში. მეთაურობდა ასეულს, ბატალიონს. I მსოფლიო ომის (1914–18) მონაწილე. პოლკოვნიკი (1916-იდან). 1916–17 მეთაურობდა მე-19 ლაიბგრენადერთა ერევნის პოლკს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჩაბელი დავით ბარძიმის ძე (1814, სოფ. თამარაშენი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1873, იქვე), მომღერალი, მსახიობი, პოეტი. სწავლობდა თბილ. კლასიკურ გიმნაზიაში, მეგობრობდა ნ. ბარათაშვილთან და მ. თუმანიშვილთან. იყო ერთ-ერთი ინიციატორი ხელნაწერ ჟურნ. ,,თბილისის გიმნაზიის ყვავილისა“ და ხელნაწერი ანთოლოგიის გამოცემისა. დაუახლოვდა ქართვ. თავად-აზნაურთა 1832 შეთქმულების მონაწილეებს, რ-თა სულისკვეთება გამოხატა ალეგორიული შინაარსის თავის პირველ გამოქვეყნებულ ლექსში ,,თოვლი“ (,,სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832). გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1835) მოხელედ დაიწყო მუშაობა თბილ. მთ. სამმართველოში, შემდეგ სამხ. სამსახურში იყო. 1839-იდან სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა თამარაშენში. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ცისკართან“. მის პოეზიაში ძირითადია პატრიოტული (,,ქართლოს“, ისტ. პოემა ,,მთიული“) და სატრფიალო (,,ვარდი“, ,,ლოცვა ტრფიალისა“, ,,ჩემს მინერვას“) მოტივები; მ-მა ამაგი დასდო ქართ. მუს. შემოქმედების შესწავლას. წერილში ,,ქართველთა ზნეობანი, გალობა“ (,,ცისკარი“, 1864, №5) განიხილა ქართ. გალობის ფუძემდებლური საკითხები, გალობის ექვსხმიანობის საკითხი, მრავალხმიანი გუნდის შემადგენელი ხმები, მათი ფუნქციები და როლი საგალობლის განვითარებაში.

ლიტ.: ალანია ნ., დავით მაჩაბელი, წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 3, თბ., 1969; ბახტაძე ი., დ. მაჩაბლის მუსიკალური ესთეტიკა, ,,საბჭოთა ხელოვნება“, 1978, №3; კობალაძე მ., დავით მაჩაბლის ენის დახასიათებისათვის, ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1989, ტ. 293; მახარაძე ა., ქართული რომანტიზმი, თბ., 1960; ნანიტაშვილი ლ., ჟურნალ ,,ცისკრის“ პოეტები, თბ., 1967; ღაღანიძე მ., ჩუმი პოეტი წგ.: ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე, თბ., 2010; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ს. მეტრეველი.

მაჩაბელი დავით გიორგის ძე (XVIII ს. 10-იანი წწ., სოფ. ქურთა, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1776, პოლტავა, უკრაინა), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1775). მამამისი 1724 გაჰყვა ვახტანგ VI-ის ამალას რუსეთში და დასახლდა უკრაინაში. ამ ადგილს ,,მაჩაბელოვკა“ ეწოდა. 1750-იდან მსახურობდა ჯარში და მონაწილეობდა რუსეთ-პრუსიის (1756–63), რუსეთ-ოსმალეთის (1768–74) ომებში. მსახურობდა კავკასიის ცალკეულ კორპუსებში, შემდეგ რუსეთსა და უკრაინაში მეთაურობდა სამხ. ნაწილებს. 1775 გადადგა სამხ. სამსახურიდან.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჩაბელი ელენე ზაქარიას ასული (15. II. 1906, თბილისი, – 28. XI. 1987, იქვე), მოქანდაკე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1960). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1930). იყო ნ. *პ.კანდელაკის* მოწაფე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1933-იდან. ძირითადი ნამუშევრები: არსენა ოძელაშვილის ძეგლი (1949, მარმარილოს ნაფხვენი; 1972, ბრინჯაო, მცხეთა); სკულპტურული პორტრეტები: ,,კალათბურთელი ქალი“ (1955), ,,ცისანა“ (ბრინჯაო, 1957; შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი), ,,ნორჩი პარტიზანი“ (ბრინჯაო, 1965), ,,მარინე“ (თაბაშირი, 1967; ორივე დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეა), ,,ქალიშვილის პორტრეტი“ (1980), ,,ახალგაზრდა ვაჟის პორტრეტი“ (1980, პლასტელინი, კერძო კუთვნილება). მისი ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეასა და აღმოსავლეთის ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში (მოსკოვი).



ე. მაჩაბელი. ,,არსენა ოძელაშვილი“. ბრინჯაო. 1972. მცხეთა.

მაჩაბელი ვასილ გიორგის ძე (1845, სოფ. თამარაშენი, – 1918, თბილისი), საზოგადო მოღვაწე, იურისტი, ადვოკატი, ი. *მაჩაბლის* უფროსი ძმა. სწავლობდა ჰაკეს პანსიონში, თბილ. გიმნაზიაში. 1870 დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. ცხოვრობდა პეტერბურგში. სახელმწ. სამსახურის შემდეგ მუშაობდა ნაფიცი ვექილის თანაშემწედ, 1876-იდან – პეტერბურგის სასამართლოს საოლქო პალატაში. 1873–94 იყო ნ. დადიანის იურისკონსულტანტი, 1879-იდან – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი. 1885 მისი და ი. მეუნარგიას რჩევით ნ. დადიანმა დ. დადიანის უმდიდრესი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას გადასცა (დაცულია საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კაში). 1880 „შახმატნი ჟურნალის“ ინფორმაციით, მ-ის რეზიდენციაში გაიმართა ტურნირი შვიდი მოჭადრაკის მონაწილეობით.



ი. გ. მაჩაბელი.



კ. მაჩაბელი.

1886 მ-მა თბილისში იუსტიციის უწყებაში დაიწყო მუშაობა. 1890 ტყის მრეწველთან, პროფ. ი. ოქრომჭედლიშვილთან ხელშეკრულებით დაიწყეს ლეჩხუმისა და სვანეთის ტყეების ექსპლუატაცია.

მაჩაბელი ვასილ რევაზის ძე (24. III. 1854, სოფ. ქურთა, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 1914, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). დაამთავრა თბილ. ქვეით იუნკერთა სკოლა. 1873-იდან მსახურობდა ელიზავეტპოლის 156-ე, ყუბის 155-ე, ციმბირის მე-10 ომსკის ქვეით პოლკებში, იყო ეკატერინოგრადის სადისციპლინო ბატალიონის მეთაური (1911-იდან). რუსეთ-იაპონიის ომის (1904–05) მონაწილე. 1913 გადადგა სამხ. სამსახურიდან წლოვანების გამო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჩაბელი იასე, XVIII ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. 1752 ერეკლე II-მ სამხედრო დახმარების მიღების მიზნით ელჩად გაგზავნა ყაბარდოში. მ-ის ელჩობის შედეგად ერეკლეს 1500 მებრძოლი გამოუგზავნეს. ,,გარდმოვიდა იასე მაჩაბელი, მოყვაა დიდის ჩერქეზის ბატონიშვილი ჯარით. დაიწყეს მზადება მეფეთა ჩვენთა საომრად'', – წერს პაპუნა ორბელიანი. ამ რაზმთან ერთად ქართველებმა ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე განჯისა და შაქის სახანოთა ჯარი დაამარცხეს. 1760–62 მ. პეტერბურგში ახლდა თეიმურაზ II-ის ამალას.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: ბოცვაძე თ., საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVIII სს.), თბ., 1963; მაჭარაძე ვ., მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის, ნაწ. 2, თბ., 1968.

მაჩაბელი ივანე გიორგის ძე [(27. I) (9. II.) 1854, სოფ. თამარაშენი, ახლანდ. ქურთის მუნიციპალიტეტი, – 26. VI (9. VII). 1898, თბილისი], მწერალი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქართველ 60-იანელთა წარმომადგენელი, ახ. ქართ. სალიტ. ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1870 მ-მა წარჩინებით დაამთავრა თბილ. გიმნაზია. გატაცებით კითხულობდა ქართ. და რუს. ლიტ-რას, სწავლობდა უცხო ენებს. ლექსების წერა 14–15 წლისამ დაიწყო. 1871 გაემგზავრა პეტერბურგში თავის ძმასთან – ვ. მაჩაბელთან, რ-იც უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე სწავლობდა. მ. პეტერბურგის უნ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტზე ჩაირიცხა, თუმცა მალევე, ძმის ზეგავლენით, იურიდ. ფაკ-ტზე განაგრძო სწავლა, რ-იც 1874 დაამთავრა. აქვე თანამოაზრეებთან ერთად დააარსა დრამ. წრე.

1873, ზაფხულში, ქართ. სათავადაზნაურო ბანკის საქმეების გამო პეტერბურგში ჩასულმა ი. ჭავჭავაძემ მ-ს გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა, ერთად ეთარგმნათ შექსპირის ,,მეფე ლირი''. 1873 ჟურნ. ,,კრებულის'' მეათე ნომერში დაიბეჭდა ,,მეფე ლირის'' პირველი მოქმედების თარგმანი, რ-მაც ქართვ. საზ-ბის დიდი მოწონება დაიმსახურა. 1874–77 მ. სწავლობდა გერმანიაში, ჰოპენჰაიმის სას.-სამ. აკადემიაში, შემდეგ კი – პარიზში, სორბონის უნ-ტში. 1879 დაბრუნდა საქართველოში და ნაყოფიერ შემოქმედებით და საზ. მოღვაწეობას შეუდგა. ამავე წლიდან ქართ. პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტ.-პუბლიც. წერილები და თარგმანები. მ. აქტ. მონაწილე იყო ყველა იმ საზ. წამოწყებისა, რ-საც ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. იყო შოთა რუსთაველის პოემის 1888 გამოცემის რედაქტორი; დიდი დახმარება გაუწია პოემის ილუსტრატორს, მ. *ზიჩის*, აგრეთვე, მ. *უორდროპსა* და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს. მანვე რუსი კომპოზიტორის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით დაწერა ლიბრეტო ოპერა ,,ვეფხისტყაოსნისათვის''. 1879-იდან მ. აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. ,,ივერიასთან''. ამავე წლიდან სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკში სამუშაოდ მიიწვია ი. ჭავჭავაძემ. ცოტა ხანში მათ შორის დაიწყო დავა ბანკის საკითხებზე, რ-იც ,,ბანკობაის'' სახელითაა ცნობილი. 1883 ჩამოშორდა სა-ბანკო საქმიანობას.

1882–83 ილიასთან ერთად იყო ჟურნ. ,,ივერიის'', 1883–85 კი – გაზ. ,,დროების'' რედაქტორი. მ-მა გაამდიდრა ქართ. თეატრის რეპერტუარი. თარგმნა მოლიერის ,,ეჭვით ავადმყოფი'', სხვადასხვა ენიდან გადმოაკეთა პიესები: ,,ადვოკატი მელაძე'', ,,ფრუ-ფრუ, ანუ ცქრიალა სძაგელი'', ,,ორ ცეცხლს შუა'' და სხვ. შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე თარგმანებმა (,,მეფე ლირი'', 1874; ,,ჰამლეტი'', 1886; ,,ოტელო'', 1888, ,,მაკბეთი'', 1892; ,,რიჩარდ III'', 1893; ,,იულიუს კეისარი'', 1896; ,,ანტონიო და კლეოპატრა'', 1898 და ,,კორიოლანოსი'', 1898) მ-ს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართ. ლიტ-რის ისტორიაში. მ-ის თარგმანები გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, შექსპირისეული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით. ეს იყო ახალი სიტყვა ქართ. მხატვრულ მთარგმნელობით ლიტ-რაში.

1897 მაისში მ. მძიმედ დაავადდა პლევრიტით. 1898 წ. 26 ივნისს, გამთენიისას, შინიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მ-ის გაუჩინარების ასი წლის თავზე, 1998, მისი ქალიშვილის მიერ შემონახული მამის სამი ნეკნი, რ-ებიც ოპერაციის დროს ამოჰკვეთეს, გამორჩეული პატივით მიაბარეს მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონს.

თარგმ.: შექსპირი უ., ტრაგედიები, [ტ.] 1–3, თბ., 1953–54.

ლიტ.: ზურაბაშვილი ე., ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია და შექსპირის ივანე მაჩაბლისეული თარგმანები, თბ., 2005; მღებრიშვილი ა., ივანე მაჩაბელი ცხინვალის ქართული პერიოდიკის მიხედვით, გორი, 1998; ფერაძე ლ., შეწყვეტილი სიცოცხლე, თბ., 2004; ჩხეიძე პ., ივანე მაჩაბლის ტრადიცია, თბ., 2005; ჭელიძე ვ., ივანე მაჩაბელი, თბ., 1968.

ვ. ჭელიძე.

მაჩაბელი კიტი გიორგის ასული (დ. 25. X. 1931, თბილისი), ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1976), პროფესორი (1978). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1955). 1960-იდან იყო გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, საქართვ. კულტ. საგანძურის დაცვის კომისიის თავრის მოადგილე (1999), დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყ-ბის გამგე (1984–2006), 2009-იდან – მთ. მეცნიერი თანამშრომელი, თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ემერიტუსი პროფესორი (2009), 1971-იდან საქართვ. მხატვართა კავშირის და საქართვ. მხატვართა კავშირის გამგეობის (2004–12) წევრი. მ-ს დიდი წვლილი მიუძღვის წინაქრისტიანული ქართ. ხელოვნების შესწავლის საქმეში.

მ. მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორია. მის ნაშრომებში განხილულია ქართ. ქრისტ. ხელოვნების გენეზისის, შუა საუკუნეების ქართ. ჭედური ხელოვნებისა და ქანდაკების საკითხები, საქართვ. როლი

ქრისტ. იკონოგრაფიის ჩამოყალიბებაში. მონაწილეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშ. სიმპოზიუმებში (იტალია – 1974, 1980, 1986; თბილისი – 1977, 1983, 1989). მ-ს მიღებული აქვს საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახ. პრემია (2010).

თხზ.: ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983; ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008; ქართული ქრისტიანული ხელოვნების სათავეები, თბ., 2014; Позднеантичная торевтика Грузии, Тб., 1976; Stèles Géorgiennes en pierre, Lugano, 1997.

მაჩაბელი მარიამ (მაკა) ელიზბარის ასული (23. IX. 1892, სოფ. ქვემო ხვითი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 23. IX. 1967, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. კანდიდატი (1937), საქართვ. დამს. ექიმი (1960), ერთ-ერთი პირველი ქართველ ქალთა შორის, რ-მაც უმაღლესი სამედ. განათლება რუსეთში მიიღო. 1912–17 სწავლობდა ხარკოვის სამედ. ინ-ტში. მისი დამთავრების შემდეგ დაინიშნა ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის ორდინატორად. 1918 დაბრუნდა სამშობლოში. მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში, სადაც იბრძოდა ,,ისპანკით'' და პარტახტიანი ტიფით დაავადებულთა გადასარჩენად. 1919–26 იყო თბილ. სახელმწ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის თერაპიული კლინიკის ორდინატორი. 1926 პროფ. ნ. *მახვილაძესთან* ერთად ჩამოაყალიბა საქართვ. პროფპათოლოგიური სამსახური. მათი ინიციატივით შეიქმნა ნ. მახვილაძის სახ. შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (2000-იდან – ნ. მახვილაძის სახ. შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი), სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. პარალელურად ექიმთა დახელოვნების ინ-ტში კითხულობდა ლექციებს პროფპათოლოგიის დარგში (1938– 48).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება პროფდაავადებების პრობლემებს. მისი უმთავრესი სამეცნ. აღმოჩენა იყო (1951) ექსპერიმენტსა და პრაქტიკაში დადგენილი და აღწერილი მანგანუმისმიერი პნევმოკონიოზი (მანგანოკონიოზი).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ლენინის ორდენი (1954).

მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე (15. XI. 1858, თბილისი, – 1927, იქვე), აგრონომი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. 1878 დაამთავრა თბილ. რეალური სასწავლებელი, სწავლობდა მოსკ. პეტროვსკო-რაზუმოვსკის სას.-სამ. აკადემიაში. 1883–85 მუშაობდა თბილ. თვითმმართველობის საფინანსო განყ-ბასა და სავაჭრო ზედამხედველთა უწყებაში, ასევე მიწათმოწყობის სამინისტროში. 1884–1911 იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის, 1887–92 – თბილ. საქალაქო საბჭოს ხმოსანი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, 1899–1918 – გლეხკაცთა მიწათმომწყობი პარტიის გამგე. 1907 მ-ის ინიციატივით, ყმა გლეხთათვის მიწის შეძენა-დამუშავებაში ხელშესაწყობად თავადაზნაურობამ დააარსა საადგილმამულო კომისია, რ-საც მ. ხელმძღვანელობდა 1911-მდე. 1914–21 იყო ქართ. საქველმოქმედო საზ-ბის თავ-რე; რედაქტორობდა გაზ. ,,ზაკავკაზიეს'', წერდა ფსევდონიმით ,,თბილისელი''. 1917-იდან გახდა საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი და პირველი ეროვნ. ყრილობის დელეგატი, 1918-იდან სათავეში ჩაუდგა ეროვნ. საბჭოს სარწმუნოებათა კომისიას. 1922-იდან მუშაობდა საქართვ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში. მ. მოღვაწეობდა სას.-სამ., გეოგრ., საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბებში, იყო საქართველოში ხელოსნური მრეწველობის დარგის განვითარების საუკეთესო სპეციალისტი. ავტორია წიგნისა: ,,თიანეთის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება'' (რუს. ენაზე, თბ., 1887). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.

მაჩაბლები, ფეოდალური საგვარეულო ქართლში, მსხვილი სათავადოს – სამაჩაბლოს მფლობელები. სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმული მოსაზრება მ-ის ანჩაბაძეთაგან წარმომავლობის შესახებ არ უნდა იყოს სწორი. სხვა თვალსაზრისით, მ-თა წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ აზნაური თავხელისძენი. გვარი მ. წარმოშობილია სახელი მაჩაბელისაგან, რ-იც მომდინარეობს აჩაბეთიდან (სოფელი ლიახვის ხეობაში). მ-ის დაწინაურება XV ს-იდან დაიწყო. შემდეგ გვარი თავადურ სახლებად დაიყო: ზაალიშვილებად, გაორგიშვილებად, რევაზიშვილებად, ბორტიშვილებად. ზაალიშვილები ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდებული თავადები იყვნენ, ხოლო სხვები – მეორე და მესამე ხარისხის თავადებად ითვლებოდნენ. მ-ის ერთი შტო ახალციხეში გადასულა. მ. ქართლის სამეფოს თვალსაჩინო პოლიტ., სამხ. და კულტურის მოღვაწენი იყვნენ. მათ მოლარეთუხუცესის, უზბაშის, მინბაშისა და სხვ. თანამდებობები ეკავათ. მ-თა სათავადო ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა და ამილახვრებს ექვემდებარებოდა.

წყარო: ბაგრატიონი ი., შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.


ლიტ.: ანდღულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976; ლეონიძე გ., ივანე მაჩაბელი, ,,მნათობი'', 1924, №2, 3; ჯანაშია ს., ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952; სოსიაშვილი გ., პატარა ლიახვის ხეობა და ზემო ქართლის სადროშო, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XVIII, 2022, [ტ.] 18; Князья Царства Грузинского წგ: Дворянские роды Российской империи, т. 4, М., 1998.

ჯ. გვასალია.



მ. ე. მაჩაბელი.


მაჩაიძე ლერი პარმენის ძე (6. II. 1938, თბილისი, – 20. VII. 2019, იქვე), კინოოპერატორი. დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის საოპერატორო განყ-ბა (1978). 1960-იდან მუშაობდა ,,ქართულ ფილმში''. როგორც დამდგმელმა ოპერატორმა გადაიღო მხატვრული ფილმები: ,,შადრევანი'' (რეჟ. თ. ბაქრაძე, 1972), ,,ზღვარი'' (რეჟ. თ. გომელაური, 1973), ,,ლახტი'' (რეჟ. ბ. რაჭველიშვილი, 1973), ,,თბილისური ეტიუდები'' (რეჟ. ი. ასათიანი, 1974), ,,კავკასიური რომანსი'' (1975), ,,მწვერვალთა დამპყრობნი'' (1977), ,,ლიმონის ტორტი'' (1977; სამივეს რეჟ. რ. გაბრიაძე,). ,,ბათა ქექია'' (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1978), ,,წერილები ბამიდან'' (რეჟ. თ. ფალავანდიშვილი, 1980), ,,მოთხრობები პირველ სიყვარულზე'' (1981), ,,გამოცხადება'' (1988, ორივეს რეჟ. გ. მატარაძე), ,,ვერსათრიელა'' (რეჟ. დ. ჯანელიძე, 1982), ,,უკვდავების თეთრი ვარდი'' (რეჟ. ნ. მჭედლიძე, 1984), ,,ყველაზე სწრაფები მსოფლიოში'' (რეჟ. გ. მატარაძე, 1985), ,,ხარება და გოგია'' (რეჟ. გ. შენგელაია, 1987), ,,დედუნა'' (1985), ,,მდგმურები'' (1989), ,,ციხესიმაგრე'' (1993; ამავე წელს საერთაშ. კინოფესტ. ,,ოქროს არწივის'' პრიზი ოპერატორის საუკეთესო ნამუშევრისთვის; სამივეს რეჟ. დ.



ლ. მაჩაიძე.



მ. მაჩაიძე.



ნ. მაჩაიძე.



კავკასიური მაჩვი.

ჯანელიძე), ,,ღამის ცეკვა'' (რეჟ. ა. ცაბაძე, 1991; ქართული კინოაკადემიის პრემია ,,ნატო'', 1997), ,,ანგელოზის გადაფრენა'' (რეჟ. ნ. მანაგაძე, 2000), ,,მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი'' (ი. კრეპსთან და გ. ბერიძესთან ერთად, რეჟ. რ. ჩხეიძე, 2008).

მ. კერესელიძე.

მაჩაიძე მანუჩარ დომენტის ძე (დ. 25. III. 1949, ამბროლაური), სპორტსმენი (ფეხბურთი, ნახევარმცველი). სსრკ სპორტის ოსტატი (1970), ინჟინერ-მშენებელი, ტექნიკის მეცნ. კანდიდატი (1997). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი (1975). თბილისის ,,დინამოს'' კაპიტანი, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი. ჩაატარა 297 მატჩი, გაიტანა 42 გოლი. სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1977) და მესამე პრიზიორი (1969, 1971–72, 1976), სსრკ თასის მფლობელი (1976, 1979); 1980 დატოვა გუნდი ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო. სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979). იყო თბილისის ,,დინამოს'' (1968–80), თბილისის ,,ლოკომოტივის'' (1969, მცირე ხნით), ტაშკენტის ,,ფახთაქორის'' (1980), მოსკოვის ,,სპარტაკის'' (1981), ქუთაისის ,,ტორპედოს'' (1981–82) საყრდენი ნახევარმცველი; სსრკ ნაკრების (1974–79, ოთხი მატჩი) და სსრკ ოლიმპიური ნაკრების (1971–75, 4 მატჩი, ერთი გოლი) წევრი. 8-ჯერ დასახელდა სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის (I ადგილი– 1978–79; II ადგილი – 1973–74; III ადგილი – 1971–72, 1976–77).

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი (მაჟორიტარი ნაძალადევის საარჩევნო ოლქიდან), ფრაქცია ,,მაჟორიტარი – სოციალისტის'' წევრი (1995–99), პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში ქვეკომიტეტის თავ-რე, საქართვ. ტერიტ. მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი კომისიის წევრი, თბილ. საკრებულოს წევრი (2002–06; ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან'', 2014–18). საქართვ. მშენებელთა და სპორტსმენთა კავშირების წევრი. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ქართული სპორტის რაინდის წოდება (2013).

მაჩაიძე ნინო თამაზის ასული (დ. 8. III. 1983 თბილისი), მომღერალი (სოპრანო). დაამთავრა ნიჭიერთა ათწლედი (პედ. ა. ლომთაძე, ფლეიტა), ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სკოლა (პედ. დ. დიასამიძე, ვოკალი), ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. თ. გუგუშვილი, ვოკალი). 2000–05 იყო თბილ. ოპერის სოლისტი. 2005 გაიმარჯვა კონკურსში და ჩაირიცხა ,,ლა სკალას'' აკადემიაში (პედ-ები: ლ. სერა, ლ. გენშერი, ლ. ალვა; მასტერკლასი გაიარა რ. ბრუსონისთან და მ. ფრენისთან). იმავე წელს იქვე შედგა მ-ის დებიუტი (ნაიადა; რ. შტრაუსის ,,არიადნე ნაქსოსიდან''). მ-ის კარიერაში გარდამტეხი იყო 2008 წელი, როდესაც ჯულიეტას პარტიით (შ. გუნოს ,,რომეო და ჯულიეტა'') წარსდგა ზალცბურგის ფესტივალზე, რის შემდეგაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. მ. მონაწილეობს მრავალ ფესტივალზე, წამყვანი საოპერო პარტიებითა და სოლო კონცერტებით გამოდის მრავალი ქვეყნის საოპერო თეატრების სცენებზე. 2005-იდან ცხოვრობს მილანში, 2020-იდან ატარებს მასტერკლასებს ევროპაში. მ-ის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა XIX ს. იტალიურ, ფრანგულ რეპერტუარს. შესრულებული აქვს შემდეგი პარტიები: ნორინა, ადინა, ლუჩია, მარი (გ. დონიცეტის ,,დონ პასკუალე'', ,,სიყვარულის ნექტარი'', ,,ლუჩია დი ლამერმური'', ,,პოლკის ქალიშვილი''), ჯილდა, ვიოლეტა, ჯიზელდა (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო'', ,,ტრავიატა'', ,,ლომბარდიელები''), ლეილა (ჟ. ბიზეს ,,მარგალიტის მაძიებელნი''), ნედა (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები''), როზინა, ფიორელა, ნინეტა, დეზდემონა, არმიდა (ჯ. როსინისს ,,სევილიელი დალაქი'', ,,თურქი იტალიაში'', ,,ქურდი კაჭკაჭი'', ,,ოტელო'', ,,არმიდა''), მიუზეტა, ლაურეტა (ჯ. პუჩინის ,,ბოჰემა'', ,,ჯანი სკიკი''); მანონი (ჟ. მასნეს ,,მანონი'') და სხვ.

მ. არის ლ. გენჯერის სახ. ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსის I პრემიის ლაურეატი (სტამბული, 2007). ,,Sony Classical''-ის არტისტი 2011-იდან. დასასხელდა ესპანეთის წლის საუკეთესო მომღერალ ქალად (2012–13).



ნ. მაჩაიძე – თაისი, პ. დომინგო – ათანაელი. ჟ. მასნეს ოპერა „თაისი“.

მაჩვთა, ხუროთმოძღვრული ძეგლი თრიალეთში, იხ. *გოლიანქი.*

მაჩვი (Meles), მტაცებელ ძუძუმწოვარ ცხოველთა გვარი კვერნისებრთა ოჯახიდან. სხეულის სიგრძეა 50–90 *სმ*, მასა – 4–34 *კგ*. სხეულის ზედა ნაწილი ნაცრისფრიდან ყავისფრამდე ცვალებადობს, თავზე აქვს შავი და ღია ფერის (თეთრიდან ბაც ყავისფრამდე) ზოლები. გვარში შედის ოთხი სახეობა: ევროპული მ. (M. meles), კავკასიური მ. (M. canescens), აზიური მ. (M. leucurus) და იაპონური მ. (M. anakuma). ევროპული მ. ძირითადად ნაცრისფერია, აღმოსავლეთისკენ შეფერილობა მუქდება და იაპონური მ. უკვე მთლიანად ღია ყავისფერია. მ-ის სახეობების მასა და ზომა დასიდან აღმ-კენ კლებულობს. ევროპული მ. გავრცელებულია მთელ ევროპაში, მდ. ვოლგამდე და ჩრდ. კავკასიამდე; აზიური მ. ბინადრობს მდ. ვოლგის მარცხ. სანაპიროზე, ციმბირში, ჩინეთში, შუა აზიის ჩრდილოეთში, ყაზახეთში, კორეაში; იაპონური მ. გავრცელებულია იაპონიასა და შორეულ აღმოსავლეთში.

საქართველოში ბინადრობს კავკასიური მ. (M. canescens), რ-იც კავკასიის გარდა გვხვდება ახლო აღმოსავლეთში, ირანში, ავღანეთში, შუა აზიაში. იგი ნაცრისფერია, სამხრ. საქართველოში ერევა ყავისფერი ბეწვი. თავზე, ცხვირიდან ყურებამდე, გასდევს ორი შავი ზოლი, დრუნჩისა და თავის ზედა ნაწილი თეთრია, მუცლის მხარე – შავი. ბეწვი უხეშია, აქვს რბილი თივთიკი. საქართველოში გვხვდება ყველგან, ზ. დ. 2750 *მ*-მდე. უმეტესად ბინადრობს ტყეებში, ველებზე, ნახევარუდაბნოებსა და სუბალპებში. სოროებს წყლის მახლობლად (1 *კმ*-მდე) მშრალ ადგილას იკეთებს. ნიადაგში თხრის ღრმა და განტოტვილ, რამდენიმესართულიან სოროს, რ-საც შესაძლოა ჰქონდეს 40–50 გამოსას-

ვლელი და სავენტილაციო ხვრელი. გვირაბების სიგრძეა 10–15 *მ.* მ-ის ამგვარ დასახლებებს ,,მაჩვის ქალაქებს'' უწოდებენ. იკვებება მცენარეული საკვებით და წვრილ-წვრილი ცხოველებით. მაკეობა წლამდე გრძელდება. შობს 2–6 ნაშიერს. სარგებლობა მოაქვს მავნე მწერების განადგურებით. მის ცხიმს კი სამკურნალო თვისება აქვს.

ა. ბუხნიკაშვილი.

მაჩიტა (Campanula), მცენარეთა გვარი მაჩიტასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ორან ერთწლოვანი ბალახებია. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში, ნაწილობრივ – არქტიკაში, უმთავრესად კი ევრაზიის დას. ნაწილის მთებში. კავკასია მ-ს სახეობრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი კერაა. აქ გავრცელებული 110-ზე მეტი სახეობიდან 76 ენდემია.

საქართველოში იზრდება 67 სახეობა, მათგან 24 საქართველოს ენდემია. სახეობათა დიდი ნაწილი რელიქტურია. მნიშვნელოვანი რელიქტური ენდემებია საოცარი მ. (C. mirabilis), პარადოქსული მ. (C. paradoxa), ენგურის მ. (C. engurensis), კახური მ. (C. kachetica), ხარაძის მ. (C. charadzeae) და სხვ. მ. კავკასიასა და საქართველოში იზრდება ალპ. ხალებსა და მდელოებზე, სუბალპ. მაღალბალახეულობა-ში, ბუჩქნარებსა და ტყეებში, მცირე რაოდენობით – მთის შუა სარტყლის კლდეებსა და ქვიან ფერდობებზე, თითო-ოროლა სახეობა – ბარშიც.

მ-ს მრავალი სახეობა დეკორატიულია, ხშირად იყენებენ ალპინარიუმებისათვის, ზოგი ხალხურ მედიცინაში იხმარება, რამდენიმე კი სარეველაა.

მ. სახოკია.

მაჩიტაური, სოფ. იმერეთის რეგიონის, თერჯოლის მუნიციპალიტეტში (ალისუბნის თემი), მდ. ჩხარის (ჩოლაბაურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში, ზ. დ. 450 *მ,* თერჯოლიდან 10 *კმ,* ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ.* 52 მცხ. (2014).

მაჩუბი, ბაჩუბ, მაჩვიბ, ძველი სვანური სახლის (ქორ) ქვედა სართული, ოჯახის ზამთრის საცხოვრებელი. მისი თავისებურებაა ის, რომ აქ ადამიანებიც ცხოვრობენ და საქონელიც დგას. უსარკმლო ოთახი სწორკუთხაა (ფართ. საშ. 120 *მ*^{2}), იატაკი – მიწისაა. შუაში, ჩვეულებისამებრ, კერაა, რ-იც საცხოვრებლის ცენტრს წარმოადგენს. მ-ში შესასვლელი წაგრძელებული დერეფნიდანაა (ჰაგამ), რ-იც სახლზე გარედან არის მიშენებული. იგი მეტწილად ქვიტკირისაა, თუმცა ზოგჯერ მორებისგანაც აგებდნენ. მისი დანიშნულება, ძირითადად, მ-ში სითბოს შენარჩუნებაა. გარდა ამისა, როგორც ჩანს, მას ძველად საბრძოლო-თავდაცვითი და სამეურნეო ფუნქციაც ჰქონდა. დერეფნიდან მ-ში შესული კაცი პირველად ხვდება მცირე ტალანში (ბაგ), ხის მორებით ან სქელი ფიცრებით გამოყოფილ მცირე ოთახში (ფართ. დაახლ. 9–10 *მ*^{2}), სადაც დგას ხის კიბე მ-იდან მეორე სართულზე ასასვლელად. ამისათვის ოთახის ჭერში დატანებულია ასაძვრომი (ჰულდუმ), რ-საც კვამლის გასაშვებადაც იყენებდნენ, თუმცა ზოგ სახლში ორ-ორი ჰულდუმია (ერთი საკვამურია და მეორე – ასასვლელი). ბაგს ორი კარი აქვს მ-სა და საქონლის სადგომში გასასვლელად. ზოგჯერ – მესამე კარიც, რ-იც სახლზე გარედან მიშენებულ ბეღელში გადის. მ-ში საქონლის სადგომები გამოყოფილია ადამიანთა საცხოვრისიდან და თანმიმდევრულადაა განლაგებული სამი კედლის გასწვრივ. მათგან ერთი – ხარების, მეორე – ძროხების, მესამე კი ცხვრების სადგომია. ხარების სადგომი (ლახან) ორგვარი ყოფილა: წინა მხრიდან დახურული და ღია. ლახანი წინიდან ამოშენებულია სქელი ფიცრის ტიხრით, რ-საც გაკეთებული აქვს საქონლის თავის გამოსაყოფი. ტიხრის წინ, მთელ სიგრძეზე ბაგაა. ამგვარი მ. არა მარტო ფუნქციურად, არამედ მხატვრულ-ხუროთმოძღვრულადაც უფრო განვითარებული და ჩამოყალიბებულია: ოთახი ფუნქციურად მკვეთრადაა გამიჯნული გომურისგან, რ-ის ტიხრები შემკულია ხეში ამოჭდობილი ორნამენტებით (გეომეტრიული, ზოომორფული და სხვ.). გარკვეულ დღეებში ტიხრებზე ხატავდნენ მაგიურ ფიგურებს, რ-ებშიც ცხოველთა გამოსახულებები ჭარბობდა. ზოგჯერ საქონლის სადგომები ორ დონეზეა გამართული: ქვემოთ – მსხვილფეხა, მის თავზე – წვრილფეხა საქონლისთვის. კოშკიანი სახლის მ-ს, ციხე-სახლის მ-ისგან განსხვავებით, ყოველთვის აქვს ხისავე ბრტყელი, მასიური ხის კოჭებიანი ჭერი. თვალსაჩინო ელემენტია ხისავე აყარი (ჭერზე შეკიდული სახურავი კერიისათვის), რ-იც კერას იცავს ჭერიდან ჩამოცვენილი მტვრისგან, ჭერს კი – ნაპერწკლისაგან. აყარზე ჩამოკიდებულია საკიდელი და სასანთლე, ასევე პურის ცხობისათვის საჭირო იარაღი. ინტერიერში ხის ფაქტურა ბატონობს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს მთიანი საქართველოსთვის დამახასიათებელი მასიური, მკვიდრად შეკრული, სწორკუთხოვანი ხის ავეჯი, ზურგიანი და გრძელი სკამები, გეომეტრიული ფიგურებით შემკული სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნივთები. ყოველ მათგანს გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი. მ-ის აღმ. კუთხეში მიშენებულია ხის მარანი საარყე ჭურჭლის შესანახად.

მ. იყო საოჯახო კულტის ცენტრიც, სადაც კერასთან და სალოცავ სარკმელთან დღეობებსა და უქმე დღეებში რელიგიურ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953; ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები: საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი, თბ., 1986; ჩართოლანი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; Джандиери М. И., Лежава Г. И., Архитектура горных районов Грузии, М., 1940; მათივე, Архитектура Сванетии, М., 1938.

ვ. ბერიძე.
მ. ჩართოლანი.

მაჩქათელა, ხელფრთიანთა (ღამურები) რიგის (Chiroptera) გვარი (Barbastella), ძუძუმწოვარი ცხოველი. აერთიანებს 6 სახეობას. საქართველოში აღინიშნება ჩვეულებრივი, ანუ ევროპული მ. (B. barbastellus). აქვს შედარებით მოკლე და ძალზე ფართო ყურები, მოკლე და ბლაგვი ცხვირი, გრძელი და ბოლოში წაწვეტებული ფრთები. სხეული დაფარული აქვს გრძელი, ხშირი, რბილი, შავი ან მუქი ყავისფერი ბეწვით, რ-საც ზოგჯერ მოვერცხლისფრო ელფერი დაჰკრავს. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში. გვხვდება არეალს დაშორებული მცირე პოპულაციები თურქეთში, თურქმენეთში, ჩრდ.-დას. აფრიკასა და კანარის კუნძულებზე. ბინადრობს ფართოფოთლოვანი ხის ფულუროებში, კლდის ნაპრალებში, სხვენზე, ზამთრობით შესაძლოა შეგვხვდეს მღვიმეებშიც. სწრაფად დაფრინავს. შობს ორ ნაშიერს. ზამთრობით ძილქუშს ეძლევა. იკვებება მწერებით, ძირითადად ჩრჩილით,



საოცარი მაჩიტა.



ხარაძის მაჩიტა.



ჩვეულებრივი მაჩქათელა.

ნაკლებად – ხოჭოებითა და კოღოებით. მისი რაოდენობა ყველგან მცირდება. როგორც მოწყვლადი სახეობა შეტანილია საქართვ. ,,წითელ ნუსხაში‘‘.

ა. ბუხნიკაშვილი.

მაჩხაანი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების, *ზემო მაჩხაანისა* და *ქვემო მაჩხაანის* გავრცელებული სახელწოდება.

მაჩხალროსო, უღელტეხილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ-ების – მაწიმისა და მაჩხალროსის სათავეებთან. ზ. დ. 3000 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. შემოსილია ალპური მდელოებით. უღელტეხილზე გადადის საცალფეხო გზა, რ-იც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს აკავშირებს დაღესტანთან.

მაჩხანელი (ნამდვ. გვარი ნადირაძე) დიმიტრი მიხეილის ძე (11. I. 1861, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 16. XI. 1903, იქვე), მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. იყო მოსკ. უნ-ტის თავისუფალი მსმენელი. ლექსების პირველი კრებ. „ახალი სიზმარი‘‘ 1880 გამოსცა, მეორე (,,სიყვარულის კონა‘‘) – 1881. მ-ის მოთხრობები, პიესები, პუბლიც. წერილები იბეჭდებოდა ქართ. პრესაში („ივერია‘‘, „მოამბე‘‘, „აკაკის კრებული‘‘, „ჯეჯილი‘‘ და სხვ.). 1887 ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ,,ძმური სიტყვა‘‘, რ-იც პუბლიც. ფელეტონების სახით იბეჭდებოდა „ივერიაში‘‘. იგი განიცდიდა ხალხოსნების გავლენას. მისი ფსევდონიმები იყო ,,თერგდალეული‘‘, „მთადიდელი‘‘, „ლახვარიძე‘‘. მ-ის ზოგიერთი ლექსი („ჩემ საყვარელ სამშობლოს‘‘, „ვედრება‘‘, „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად‘‘) სიმღერად იქცა. 1895 მისი თაოსნობით გაიხსნა ქალთა დაწყებითი სკოლა ბიბლიოთეკით (რ-საც მან საკუთარი სახლი დაუთმო) და სამეურნეო სასწავლებელი. მ-ის ინიციატივით სოფელში აიგო თეატრის შენობა (1897), სადაც მისივე ხელმძღვანელობით იმართებოდა წარმოდგენები (საქართვ. პროვინციებში ეს პირველი სახ. თეატრი იყო).

თხზ.: ძმური სიტყვა, ტფ., 1887; სოფლის კუნწულა, ტფ., 1892; გლეხის ნაამბობი, თბ., 1897; მარო, დრამის ნაწყვეტი, ქუთ., 1898; სიყვარულის ამბავი, მოთხრობები, წგ. შეადგინა და წინასიტყვ. დაურთო ქ. ხაჩიაშვილმა, თბ., 1974.

ლიტ.: იარალი მ., სიღნაღის სახალხო თეატრი, თბ., 1972; მარტაშვილი ლ., დიმიტრი მაჩხანელი და თეატრი, ,,თეატრალური მოამბე‘‘, 1970, №2; მისივე, დიმიტრი მაჩხანელი, ,,ლიტერატურის მატიანე‘‘, 1986, №9; ხაჩიაშვილი ქ., დიმიტრი მაჩხანელი, ,,მნათობი‘‘, 1972, №5.

ნ. ალანია.

მაჩხანი, ხუროთმოძღვრული ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს დიღმის ხეობის სათავეებში, სოფ. წოდორეთის მახლობლად. აგებულია IX ს. შუა ხანებში. ეკლესია დარბაზულია (7,4 *მ* × 4,6 *მ*), ნაგებია თლილი ქვით. გარედან შემოსილია შირიმის ქვით. შესასვლელი სამხრიდანაა. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს თითო ვიწრო და ღრმა ნიშაა. ერთი სარკმელი სამხრ-ის კედელშია. ცილინდრული კამარა კაპიტელებიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სამხრ-ის ფასადზე ჯვრებია გამოსახული, ხოლო კარის არქიტრავის ქვაზე ქართ. ასომთავრულით შესრულებული სამშ. წარწერაა, რ-შიც ჩართულია არაბ. ტექსტი. ორივე ტექსტის მიხედვით ეკლესია აუგია ჰომად კიტრისძეს. აღმ-ის ფასადზე, სარკმლის მარჯვნივ, არის კიდევ ერთი წარწერა [,,სახელითა ღმრთისაითა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა შეწევნითა წმიდისა თევდორესითა აეშენა საყდარი ესე დიდგორის ხევისუფლობასა გელსაბისაი (გულსაბისა) ქალაქისა უფლობასა ამირაისა დიავარისა იოვანეს უფალო შეუნდვენ ამინ‘‘]. ეკლესიას შემოვლებული აქვს თაღების მწკრივით მორთული ქვის ლავგარდანი.

ეკლესიის ირგვლივ ფეოდ. ხანის ნასოფლარია, რ-იც ამჟამად ტყით არის დაფარული. შემორჩენილია ქვის შენობებისა და კლდეში სამაღლავი ქვაბის ნაშთები.

ლიტ.: ბარნაველი თ., მაჩხაანის ეკლესიის წარწერები, ,,საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე‘‘, 1962, ტ. 29, №5; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ]. 5, თბ., 1990; Чубинашвили Г. Н., Вопросы истории искусства. Исследования и заметки, т. 1, Тб., 1970; Шмерлинг Р. О., Долидзе В. О., Барнавели Г. В., Окрестности Тилиси, Тб., 1960.

ჯ. გვასალია.
პ. ზაქარაია.

მაჩხარა (მაჩხარახოხი), მთა ჯავის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ლიახვის ხეობაში, მდ-ების – ჯეჯორისა (რიონის მარცხ. შენაკადი) და ქეშელთის (ფაწის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფ ქედზე. ზ. დ. 3007 *მ.* აქვს წესიერი კონუსის ფორმა. დანაწევრებულია რადიალურად. მეოთხეულ პერიოდში მთის ირგვლივ მდებარე ადგილებიდან ჯეჯორის ხეობაში ეშვებოდა ორი დიდი მყინვარი. მთა აგებულია ზედაიურული მერგელიანი ფიქლებით, კირქვებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია ალპ. მდელოებით.

მაჩხარა, იხ. სოფელი *ქვემო მაჩხარა*.

მაჩხაფარი, მწვერვალი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ცხენისწყლის სათავეში. ზ. დ. 3689 *მ.* აგებულია ასპიდური თიხა-ფიქლებით, ქვიშაქვებითა და კვარციტებით. მ-ის ძირას ხეობის ტიპის მყინვარებია.

მაჩხაფარი, ყინულოვანი უღელტეხილი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ზესხოს (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 3434 *მ.* უღელტეხილის მიმდებარე ტერიტ. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით და აკავშირებს მდ-ების – ყარასუსა (ჩერეკის შენაკადი) და ცხენისწყლის ხეობებს. მას შარივეცკის უღელტეხილსაც უწოდებენ.

მაჩხვარეთი, სოფელი გურიის რეგიონის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მდ. ორაგვისღელის (ფიჩორის აუზი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: მ., ორაგვე, ჯუნმერე). ზ. დ. 110 *მ,* ლანჩხუთიდან 2,5 *კმ.* 525 მცხ. (2014).

სოფელში არის ფერისცვალებისა და მაცხოვრის შობის ეკლესიები.

მაჩხოშვილი რევაზ ივანეს ძე (დ. 20. IX. 1939, სოფ. მიგრიაულები, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1988), სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998). 1959–64 სწავლობდა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტზე. მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ქიმიის ინ-ტში კოორდინაციული ნაერთების ლაბორატორიაში, 1968–87 – სსრკ მეცნ. აკად. ზოგადი და არაორგანული ქიმ. ინ-ტის კომპლექსნაერთთა ქიმიის ლაბორატორიაში (მოსკოვი). საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა (1987–2007) ქიმიის კათედრას და თავისსავე დაარსებულ ქიმ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიას თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ.

ინ-ტში (2005-იდან – ილიას სახელმწ. უნ-ტი).

მ-ის სამეცნ.-კვლ. მუშაობის ძირითადი მიმართულებაა გარდამავალ ლითონთა (Cu, Zn, Cd, Hg, Mn, Fe, Co, Ni) კოორდინაციული ნაერთების სინთეზი ალიფატური და არომატული რიგის პირველად და მეორეულ ჰიდრაზიდებთან და ამ ნაერთების ფიზ.-ქიმ. თვისებების კვლევა.

მ-მა დაადგინა კომპლექსწარმოქმნაში არომატული ჰიდრაზიდების მონაწილეობა და მათი კოორდინირების წესი; შეიმუშავა ლითონთა ჰიდრაზიდკომპლექსების სინთეზის მეთოდები.

მ-ის მიერ სინთეზირებულ მრავალრიცხოვან კომპლექსნაერთთაგან რამდენიმეს აღმოაჩნდა ბიოაქტიური და სპეციფ. თვისებები, რისთვისაც მიიღო 7 საავტორო მოწმობა (1998). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. ეწევა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

თხზ.: Ზოგადი, არაორგანული და კოორდინაციული ქიმიის ლაბორატორიის სახელმძღვანელო, თბ., 1996 (თანაავტ. ლ. გორჯოლაძე); კოორდინაციული ქიმიის შესავალი, თბ., 2004; Химия гидразидокомплексов металлов, М., 1997; Гидразин. Гидразиды, М., 2000 (თანაავტ. Ю. Я. Харитонов).

მაცაბერიძე გიორგი შალვას ძე (დ. 15. VII. 1949, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997). 1972 დაამთავრა თსსი. 1973 მუშაობა დაიწყო ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის ზოგადი ქირურგიის კათედრაზე (უფრ. ლაბორანტი, ასისტენტი, დოცენტი, კათედრის პროფესორი). 1996–2004 იყო სახელმწ. სამედ. აკადემიის ქართულ-ამერიკული დერმატო-ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელი, 2004–06 – საქართვ. ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტლის უფროსი; 2004-იდან პ. შოთაძის სახ. სამედ. აკადემიის ქირურგიის დეპარტამენტის სრული პროფესორია.

მ. არის მონოგრაფიისა და სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც ეხება აბდომინალური ქირურგიისა და ჯანდაცვის ორგანიზების აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: Диагностика заболеваний билиарной системы, М., 1986.

„მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი. გამოდის 1960-იდან სხვადასხვა სახელწოდებით: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“ (1960–63), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყ-ბის „მაცნე“ (1964–74), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“ (1976–90 წწ. №3 ჩათვლით), 1990 წ. №4-იდან დღემდე გამოდის საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის „მაცნეს“ სახელწოდებით. 1971-იდან „მ.“ გამოდის სერიებად – ბიოლოგიის (1975–2001), [ბიოლოგიის სერია A (2002–09); გამოდის ახალი სახელწოდებით ბიომედიცინის (2010), ბიოლოგიის B (2003)], ენისა და ლიტერატურის (1971–2004/05, განახლდა 2022 წ..), ეკონომიკისა და სამართლის (1980–92), ეკონომიკის (1993–2005, განახლდა 2012-იდან), ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტორიის (1971–87), ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის (1987–90), მათემატიკის (1993), ისტ., არქეოლ., ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის (2012-იდან), სამართლის (1971–79), ფილოს და ფსიქოლოგიის (1980–93), 1975–80-მდე გამოდიოდა ფილოს., ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია. ფილოს. და ფსიქოლოგიის (1980–93), ფილოსოფიის (1997–2006), ფსიქოლოგიის (2003–11), ქიმიის (1975-იდან) სერიები.

მაცხვარიში, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (ლატალის თემი), მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1360 *მ*, მესტიიდან 9 *კმ*. 185 მცხ. (2014).

მაცხვარლამეზური, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (დაბა ლენტეხის თემი), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 1000 *მ*. 37 მცხ. (2014).

მაცხოვრისკარი (2010-მდე „განათლებისკარი“), სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აბაშის მუნიციპალიტეტში (ნორიოს თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 20 *მ*. აბაშიდან 1 *კმ*. 614 მცხ. (2014).

მაცხუბანი, იხ. სოფელი *ბურსაჭირი*.

მაძინი (Mazzini) ჯუზეპე (22. VI. 1805, გენუა,–10. III. 1872, პიზა), იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (რისორჯიმენტო) ერთ-ერთი ლიდერი და მისი რესპ.-დემოკრ. მემარცხენე რადიკალური ფრთის ხელმძღვანელი, ჯ. *გარიბალდის* ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. დაასრულა გენუის უნ-ტის სამართლისმცოდნეობის ფაკ-ტი (1827). იმავე ხანებში ეზიარა მასონურ იდეოლოგიას, რ-ის გავლენით 1831 დააფუძნა ფარული ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია“ (მოგვიანებით – მაძინისტური მოძრაობა). რისორჯიმენტოს გადამწყვეტ ეტაპზე (1859–60) გარიბალდისთან ერთად სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ბრძოლას იტალიის გაერთიანებისათვის, რაც საბოლოდ 1870 დასრულდა.

მ. ფართო საერთაშ. მოღვაწეობასაც ეწეოდა, მისი თაოსნობით შეიქმნა ინტერნაციონალური (საერთაშ.) ლიგა, რ-იც ერთხანს საერთოევრ. დემოკრ. მოძრაობის ფლაგმანს წარმოადგენდა.

იტალიის რისორჯიმენტოს იდეოლოგიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში „სამოციანელთა“ (თერგდალეულთა) ინიციატივით განახლებულ ეროვნ.-განმათ. მოძრაობაზე. უფრო ადრე კი იტალიელმა კარბონარიებმა ასევე დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოში 1832 შეთქმულების ორგანიზატორებსა და მათ ფარულ საზ-ბაზე, ამ საზ-ბის ორგანიზაციულ წყობასა და საპროგრამო დოკუმენტზე („აკტი გონიური“).



აღსანიშნავია, რომ მ-სთან ურთიერთობა ჰქონდა არაერთ ქართველ მოღვაწეს, იტალიაში იმხანად არსებული მცირე ქართ. სათვისტომოს წევრებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. *ნიკოლაძე,* რ-იც XIX ს. 60-იან წლებში დას. ევროპაში იყო და ფართო საზ.-პოლიტ. და პუბლიც. მოღვაწეობას ეწეოდა. მ-ს საზ.-პოლიტ. მოღვაწეობას ფართოდ მიმოიხილავდნენ და უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ ი. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ა. ფურცელაძე, ი. მეუნარგი და სხვ.

ლ. ურუშაძე.

მაწვანი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში (ჩხიკვთას თემი), მდ. ალგეთის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 960 *მ,* თეთრი წყაროდან 8 *კმ*. 77 მცხ. (2014).

მ. XVI–XVII სს. ისტ. დოკუმენტებში იხსენიება როგორც ბარათაშვილთა და საგინაშვილთა კუთვნილი სოფელი. სოფლის აღმ-ით ციკლოპური ნასოფლარის ნაშთებია. ჩრდ. განაპირას, გორაზე დგას X–XI სს. დარბაზული ეკლესია – კვირაცხოველი, რ-ზეც არის სამშენებლო წარწერა. მ-ის ეკლესიაში მდებარე საფლავის ქვაზე

ეპიტაფიაა, საიდანაც კარგად ჩანს რუს.-ოსმალეთის 1877–78 ომის შედეგად სამხრ. საქართველოს შემოერთებით გამოწვეული ქართველ პატრიოტთა სულისკვეთება.

მ-ის დღევანდელი მოსახლეობა XIX ს-ში ჩამოსახლებული მთიულებია.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, თბ., 1935; Такаишвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 2, Тфл., 1905.

თ. თოდრია.



ა. გ. მაჭავარიანი.

მაწიმი, მაწიმისწყალი, მდინარე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე (ზ. დ. 2720 *მ*). მდინარის სიგრძეა 39 *კმ*, აუზის ფართ. – 326 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზამთარში, წყალმოვარდნა – ზაფხულ-შემოდგომაზე. გამოიყენება სარწყავად.

მაწიმი (ყოფ. ცოდნა), სოფელი კახეთის რეგიონის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ალაზნის ვაკეზე, მდ. მაწიმის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: მ., რაჭისუბანი). ზ. დ. 380 *მ*., ლაგოდეხიდან 4 *კმ*, 618 მცხ. (2014).

სოფლის აღმ-ით, ოთხასიოდე *მ*-ზე, მდ. მაწიმის მარცხ. ნაპირზე, საქართველოსა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლში დგას ძელიცხოვლის დარბაზული ეკლესია, რ-იც ადრინდ. შუა საუკუნეებით თარიღდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1$_{IV}$, თბ., 2021.



ა. მ. მაჭავარიანი.

მაწკეპლაძე კონდრატ ბარნაბის ძე [26. VIII (8.IX). 1908, სოფ. გელათი, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, – 19. IX. 1981, მოსკოვი], სამთო ინჟინერი. სოციალ. შრომის გმირი (1961). დაამთავრა მოსკოვის სამთო ინ-ტი (1937). მუშაობდა სსრკ მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ,,მთავარმადნის“ საწარმოო განყ-ბაში (1937–39), ხელმძღვანელობდა ოქროს სარეწებს შორეულ აღმოსავლეთსა (1939–44) და იაკუტიაში (1944–62). მუშაობდა სსრკ ფერადი მეტალ. სამინისტროს აპარატში (1962-იდან).

მ-მ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სსრკ ოქროს მრეწველობის განვითარებაში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაწონი, ქართული ნაციონალური რძემჟავა პროდუქტი, აქვს განსაკუთრებული გემო და არომატი. მ-ს ძირითადად ღებულობენ ძროხის ან კამეჩის პასტერიზებული რძის შედედებით. რძეს შესადედებლად უმატებენ რძემჟავა ჩხირებს, რძემჟავა სტრეპტოკოკების თერმოფილურ რასას და რძის საფუარს (ტემპ-რა 40–45^0 C, შედედება 4–5 *სთ*). ეს კულტურები იწვევს რძის შაქრის დადუღებას და წარმოქმნის რძის მჟავას, რ-ის მოქმედებით მიმდინარეობს რძის კაზეინის კოაგულაცია. რძის პასტერიზაციისას გამოიყოფა ალბუმინი (ნადუღი), რ-იც მას ანიჭებს ნაზ კონსისტენციას და ზრდის მის კვებით ღირებულებას. მ., რძემჟავა დუღილის პროდუქტების გარდა, შეიცავს ალკოჰოლური დუღილის პროდუქტებსაც (სპირტსა და ნახშირორჟანგს), ზოგჯერ შესადედებელ რძეს უმატებენ შაქარს.

ხალხურ კოსმეტიკაში მ-ს წარმატებით იყენებდნენ კანისა და თმის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მისი სამკურნალო თვისებები დადგენილია ქართვ. და უცხოელი მეცნიერების მიერ. ნ. ჭანიშვილმა ფინელ კოლეგებთან ერთად მოლეკულური ბიოლოგიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ზუსტად დაადგინა მ-ის შემადგენელი კოკოვანი ფორმების სახეობები და ძირითადი მიკრობული კომპონენტების სამკურნ. თვისებები (1996). ნ. გაგელიძემ, გ. კვესიტაძემ და სხვებმა. საქართვ. სხვადასხვა რეგიონში შეისწავლეს ოჯახურ მეურნეობებში ძროხის, კამეჩის, ცხვრის, თხის რძისგან დამზადებული მ-იდან გამოყოფილ მიკრობთა ასოციაციები, დაადგინეს მიკრობული იზოლატების პრობიოტიკური აქტივობები. შეიქმნა რძემჟავა ბაქტერიების კოლექცია, რ-ის გამოყენება შესაძლებელია ქართ. მ-ის დედოს საწარმოებლად (2015).

საქართვ. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ „ქართული მაწვნის მომზადებისა და მოხმარების ტრადიციას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა (2020); საქართვ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა დაარეგისტრირა დასახელება ,,მაწონი“ (2012). ამ რეგისტრაციის საფუძველზე მ-ის დასამზადებლად საჭირო რძის მიღება და მისგან მ-ის დამზადების მთელი ციკლი ხორციელდება საქართვ. მთელ ტერიტორიაზე, რძემჟავური დუღილისათვის კი გამოიყენება მხოლოდ ადგილობრივი რძემჟავა ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დედო.

საქართვ. კუთხეებში მ. სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: ქიზიყში წველას, სვანეთში კი მარწვენს უწოდებენ.

თ. არსენიძე.

მაწყვალთა, სოფელი აჭარის არაის შუახევის მუნიციპალიტეტში (ოლადაურის თემი), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ*, დაბა შუახევიდან 21 *კმ*. 232 მცხ. (2014).

მაჭავარიანი ალექსანდრე გიორგის ძე (4. II. 1884, ბათუმი, – 21. IV. 1941, თბილისი), ქირურგი, საზ. მოღვაწე, საქართვ. ჯანდაცვის ორგანიზატორი, კლინიკური ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1914), პროფესორი (1919), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1939).

1910 დაამთავრა პეტერბურგის სამხ.-სამედ. აკადემია. 1911 ჩიყვის შესასწავლად მოაწყო ექსპედიცია სვანეთში და მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1914–18 მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1919-იდან დაიწყო მუშაობა თბილისში, ამიერკავკასიის სამხ. ჰოსპიტალში ქირურგ-კონსულტანტად. მ. ხელმძღვანელობდა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტზე თავისსავე დაარსებულ ტოპოგრ. ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის, შემდეგ – საფაკულტეტო ქირურგიის კათედრებს. იყო თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის დეკანი, თბილ. სამედ. ინ-ტის დირექტორი (1937–41), პარალელურად – საქართვ. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე.

მ. იკვლევდა ფარისებრ ჯირკვალს, სწორი ნაწლავის კიბოს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Вязкость, свёртываемость и некоторые другие гематологические данные при заболеваний щитовидной железы, П., 1913.

ლიტ.: საყვარელიძე ს., ალექსანდრე მაჭავარიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1956.

მაჭავარიანი ალექსანდრე მიხეილის ძე (1882, თელავი, – 20. V. 1923, თბილისი), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, 1921–23 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის

თვალსაჩინო წარმომადგენელი, რუსეთის იმპერიის არმიის პოდპოლკოვნიკი (1914), საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) ეროვნ. არმიის პოლკოვნიკი (1918). დაამთავრა სამხ.-საარტ. სასწავლებელი (1904). I მსოფლიო ომის (1914–18) მონაწილე. 1918 საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის არმიის შექმნისთანავე ჩადგა მის რიგებში – იყო საარტ. პოლკის მეთაურის მოადგილე, მონაწილეობდა საქართველო-სომხეთის ომში (1918 დეკ.), თურქების (1919), ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში (1921 თებ.). 1917-იდან მ. იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი, საბჭ. რუსეთის მიერ საქართვ. ოკუპაციისა და ფაქტ. ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1922–23 კ. *აფხაზთან* ერთად იყო საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის (იგივე ,,პარიტეტული კომიტეტი'') სამხ. ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცენტრს ევალებოდა საქართველოში ანტისაბჭ. საერთო ეროვნ. აჯანყების მომზადება. 1923 საქ. სსრ ,,საგანგებო კომისიამ'' (ე. წ. ,,ჩეკა'') სამხ. ცენტრის სრული შემადგენლობა დააპატიმრა, ამავე წლის 20 მაისს კი თბილისში, ახლანდ. ვაკის პარკის ტერიტორიაზე ჯგუფის წევრები დახვრიტეს.

ლიტ.: დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, ფრანგულიდან თარგმნეს მ. და ა. ბაქრაძეებმა, თბ., 1994; საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო დასკვნა), თბ., 1994 (პირველად გამოიცა 1925 წ.).

ლ. ურუშაძე.

მაჭავარიანი ალექსი დავითის ძე (13. IX. 1913, გორი, – 31. XII. 1995, თბილისი), კომპოზიტორი. სსრკ სახ. არტისტი (1958), სტალინური (1951) და შოთა რუსთაველის სახელმწ. (1971) პრემიების ლაურეატი. 1936 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია, 1939 ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურა (პედაგოგი პ. რიაზანოვი). 1935–39 იყო თბილ. მუს-კომედიის თეატრის მუს. განყ-ბის გამგე, 1956–59 – საქართვ. სიმფ. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვ., 1939-იდან – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1963-იდან – პროფესორი), 1962–73 – საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, 1962–72 – სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

მ-ის ჟანრობრივად მრავალფეროვანი და მდიდარი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მგზნებარე ტემპერამენტი, ამაღლებული ლირიკა და დრამატიზმი. მის მუსიკაში ორიგინალურად აისახა ქართვ. ხალხის სიმღერისა და ცეკვის ინტონაციები და რიტმები. მ-ის შემოქმედების ბოლო პერიოდის ნაწარმოებების ლექსიკა გამოირჩევა თანამედროვე მუს. აზროვნებისათვის დამახასიათებელი ინტონაციური, ჰარმონიული სიმძაფრით, პოლიტონალური თუ ატონალური ელემენტებით, რაც ორგანულად ერწყმის კომპოზიტორის ეროვნ. სტილისტიკას. მ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერები – ,,დედა და შვილი'' (ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით; 1945), ,,ჰამლეტი'' (1968), ,,მედეა'' (1991), რ-თა ლიბრეტოს ავტორი, სხვებთან



ა. დ. მაჭავარიანი. ბალეტი „ოტელო". ვ. ჭაბუკიანი ოტელო.

ერთად, თავადვე იყო; ბალეტები – ,,ოტელო'' (თბილისის გარდა სხვდასხვა წლებში დაიდგა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში; ეკრანიზებულია 1961), ,,ვეფხისტყაოსანი'' (1966), ,,ჭირვეულის მორჯულება'' (1984); ბალეტი-პოემა — ,,ფიროსმანის ხსოვნისადმი'' (1984—89); 7 სიმფონია [1947, 1973, 1983 (2), 1986, 1987, 1989], სიმფ. პოემები, სიუიტები, უვერტიურები, სურათები (,,ელეგია'', ,,მუმლი მუხასა'', ,,სკერცო'', ,,გორის სურათები'', ,,ლეკური'' ფორტეპიანოს, დოლისა და ორკესტრისათვის და სხვ.), საფორტეპიანო (1944), სავიოლინო (1950, 1951, სტალინური პრემია), სავიოლონჩელო (1992) კონცერტები; 6 სიმებიანი კვარტეტი №1–2 (1978), №3 (1979), №4 (1982), №5, 6 (1989); ორატორია ,,ჩემი სამშობლოს დღე'' (1954); ვოკალურ-სიმფ. პოემა ,,გმირის სიკვდილზე'' (1948); ვოკალურ-სიმფ. ციკლი ,,ხუთი მონოლოგი'' (ვაჟა-ფშაველას მიხედვით, 1968); საფორტეპიანო ციკლები – ,,ქართული ფრესკები'' (1977), ,,პარიზული ჩანახატები'' (1979); საფორტეპიანო (,,ხორუმი'', 1939) და სავიოლინო (,,დოლური'') პიესები და სხვ.; გუნდები (,,გორული პოემა'', ,,ლაშქრული'', ,,შენ აქ ხარ'', ,,ოროველა'', ,,მთვარეს'', ,,დედა-ენა'', ,,საგალობლები'', ბალადა-პოემა ,,არსენა'' და სხვ.), რომანსები (,,ცისა ფერს'', ,,არ დაიდარდო, დედაო'', ,,მზეთამზის სახე'' და სხვ.). შექმნა მუსიკა კინოფილმებისა (,,პოეტის აკვანი'', ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'', ,,ქაჯანა'', ,,ოქროს ბილიკი'') და დრამ. სპექტაკლებისთვის (შექსპირის ,,მეფე ლირი'', მ. მრევლიშვილის ,,ბარათაშვილი'', ჰიქმეთის ,,ლეგენდა სიყვარულზე'' და სხვ.). მ. ავტორია აგრეთვე სკეტჩების, მუს. კომედიის, ვოდევილის, მ. შ., პირველი ქართული სატირული მუს. კომედიისა ,,ბაღლინჯო'' (1979); ვ. მაიაკოვსკის მიხედვით). მ-მა აღზარდა კომპოზიტორთა მთელი პლეადა: ჯ. ბეგლარიშვილი, ი. ბობოხიძე, შ. დავითაშვილი, რ. კემულარია, ე. ლოლაშვილი, ზ. მჟავია, მ. ოძელი, კ. როსებაშვილი, თ. შავლოხაშვილი, მ. ცერცვაძე, რ. ხორავა, თ. ჯაიანი, გ. ჯაფარიძე და სხვ. მისი თაოსნობით დაიწყო ქ. ბორჯომსა და ქ. სოხუმში კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის, თბილ. დიდი საკონცერტო დარბაზის (1971) მშენებლობა.


მ-ს მიღებული აქვს ,,ლა სკალას'' თეატრთან (იტალია, მილანი) არსებული ,,ბრაიდენზეს'' ხელოვნ. გალერეის ოქროს მედალი ბალეტ ,,ოტელოსთვის'' (1973); ჩიკაგოში (აშშ) პ. პიკასოს პრემია ბალეტ ,,ვეფხისტყაოსნისთვის'' (1985); კირილე და მეთოდეს (1971), ლენინის (1966) და ღირსების (1995) ორდენები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდების პანთეონში. 2014 მ-ის სახელი მიენიჭა თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს.

ლიტ.: დონაძე ლ., ალექსი მაჭავარიანის შემოქმედება, ,,საბჭოთა შემოქმედება'', თბ., 1978, №11; კაში-



ა. დ. მაჭავარიანი.



გ. მაჭავარიანი



დ. მაჭავარიანი



ე. მაჭავარიანი

მა კ., ალექსი მაჭავარიანი – ქართველი ბეთჰოვენი, მუსიკა, თბ., 2021; კორძაია მ., ალექსი მაჭავარიანი, დროში და დროის მიღმა, თბ., 2021; ლონდარიძე ე., ა. მაჭავარიანის საგუნდო და კამერულ-ვოკალური შემოქმედება, თბ., 1978; ტორაძე გ., მუსიკის სამყაროში – ალექსი მაჭავარიანი, თბ., 2010; Хучууа П., Скрипичный концерт А. Мачавариани, М., Л., 1951; его же, Балет „Отелло“, Тб.,1958.

თ. დოლიძე.

მაჭავარიანი გივი ირაკლის ძე (5. XII. 1927, თბილისი, – 27. VIII. 1968, სეგედი, უნგრეთი), ენათმეცნიერი, ქართველოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1967). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. ენათა განყ-ბა (1950). 1955–68 იყო კავკ. ენების კათედრის დოცენტი, შემდეგ – ზოგადი ენათმეცნ. კათედრის პროფ. და საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი. მ-ის სამეცნ. კვლევები ძირითადად ეხება იბერიულ-კავკ. ენების სტრუქტურისა და ისტ. საკითხებს, აგრეთვე – ზოგადი ენათმეცნ. პრობლემატიკას. ავტორია ფუნდამენტური მონოგრაფიებისა: ,,სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში'' (თ. გამყრელიძესთან ერთად; 1965) და ,,საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა'' (1965), რებმაც მ-ს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თბ., 2002.

ლიტ.: ბოედერი ვ., ფენრიხი ჰ., გივი მაჭავარიანი 90, წგ.: ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 2017; ბოტკოველი ნ., ქართული გრამატიკული აზრის განვითარება: გივი მაჭავარიანი, იქვე; გიგინეიშვილი ბ., გივი მაჭავარიანი და ლინგვისტური მეცნიერება, ,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში'', 1978, №2; სარჯველაძე ზ., მაჭავარიანი გივი, ენციკლოპედია ქართული ენა, თბ., 2008.

მაჭავარიანი დავით მიხეილის ძე (30. VIII. 1864, თბილისი, – 15. VII. 1924, იქვე), გენერალ-მაიორი (1917). დაამთავრა თემირ-ხან შურას რეალური სასწავლებლის მექანიკა-ტექნიკური განყ-ბა (1884), თბილ. ქვეით იუნკერთა (1888) და ოფიცრების მსროლელთა სკოლა (1909). 1888-იდან მსახურობდა ერევნის ლაიბგრენადერთა მე-13 პოლკში. I მსოფლიო ომის (1914–18) დროს იბრძოდა აღმ. პრუსიაში. 1915 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1916 დაინიშნა 490-ე რჟევის ქვეითი პოლკის, 1917 – სახალხო ლაშქრის 37-ე ბრიგადის მეთაურად. 1918–21 მსახურობდა ქართ. ჯარში, სამხ. სამინისტროში, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში. იყო ოფიცერთა საკრებულოს სასამართლოს თავ-რე. 1921-იდან გადადგა სამხ. სამსახურიდან. დაიღუპა 1924 აჯანყების დროს.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

მაჭავარიანი დავით ნიკოლოზის ძე (2. IX. 1901, ქუთაისი, – 10. VII. 1975, თბილისი), მოცეკვავე, ბალეტმაისტერი, მუსიკოსი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1965). თეატრ. ხელოვნ. ერთ-ერთი რთული სახეობის, მცირე ფორმის ქორეოგრაფიის გამოჩენილი ოსტატი. მ. მორდკინის სტუდიის დამთავრების (1922) შემდეგ გამოდიოდა ამავე სტუდიის წარმოდგენებში, ცეკვავდა კორდებალეტში. შეასრულა მნიშვნელოვანი პარტიები პ. ჰერტელის ბალეტში „ამაო სიფრთხილე“, ქორეოგრაფ. პიესაში „თოჯინები“ და რ. დრიგოს „პოლკაში“. 1926-იდან დაუკავშირდა კ. მარჯანიშვილს და თბილისში ქორეოგრაფიულად გააფორმა მისი სპექტაკლები: ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (1928), ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1928), კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (1929), მოსკოვის ოპერეტის თეატრში – ი. შტრაუსის „ღამურა“ (1930). ხანგრძლივად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილ. მუსკომედიის თეატრში, სადაც დადგა სპექტაკლები: ვ. ცაგარეიშვილის „მზის დაბნელება'', ი. გეჯაძის ,,ორი რეკორდი'', ი. მილიუტინის „ტრემბიტა“, „პერიფულა“, ი. კალმანის „ცირკის პრინცესა“, „მონმარტრის ია“, „სილვა“ და სხვ. ამ თეატრში გამოდიოდა როგორც კონცერტმაისტერიც. სპექტაკლებს დგამდა რუსთაველის, მარჯანიშვილის, მოზარდ მაყურებელთა ქართ. და რუს. თეატრებში.

ფილმ ,,ქეთო და კოტეს'' ცეკვების დამდგმელი (ი. სუხიშვილთან, ნ. რამიშვილთან ერთად). მ. იყო სსრკ-ში პირველი ასირიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი და წამყვანი ქორეოგრაფი.

მაჭავარიანი ევგენი (ჟენია) ვახტანგის ძე (27. VII. 1937, თბილისი, – 2. I. 1997, იქვე), მუსიკისმცოდნე, ტელეწამყვანი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). 1963 დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია მუსიკისმცოდნეობის განხრით. 1963–70 იყო თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. II სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, 1966–70 – საქართვ. სახელმწ. ტელე-რადიოკომიტეტის მუს. პროგრამების რედაქციის მთ. რედაქტორი, 1970-იდან – კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' მუს. განყ-ბის უფროსი, 1977-იდან – მუს. მაუწყებლობის მთ. კონსულტანტი, 1982–97 – საქართვ. ფილარმონიის გენ. დირექტორის მოადგილე (შემდგომ – სამხატვრო ხელმძღვანელი), 1970–79 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის ესთეტიკის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი. მ-ს ტელევიზიაში მიჰყავდა გადაცემა ,,ეს ესტრადაა''. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში ჯაზის პოპულარიზაციაში.

მ. აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს პრესაში. მ-ის პუბლიკაციებს შორის აღსანიშნავია ფოტოალბომი ,,გაზაფხული, მუსიკა, თბილისი'', ,,ქართული მუსიკის ხუთი წელი. ფაქტები, მოვლენები, მასალები'', ,,ქართული მუსიკა 1973–1976 წლებში''; წერდა სტატიებს ქართველ მუსიკოსთა და კომპოზიტორთა შესახებ. მისი სცენარითაა გადაღებული მხატვრული ფილმი ,,ყოჩაღად, პაპებო!'' (1981) და დოკუმენტური ფილმი ,,ქება ვაზისა'' (1988). იყო ქ. ლოუელის საპატიო მოქალაქე (აშშ, 1990). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: Какулия, Л., Чкония С., Композиторы и музыковеды Грузии, Тб., 1984.

მაჭავარიანი ელენე მიხეილის ასული (დ. 8. IV. 1931, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე, დამწერლობათმცოდნე, კალიგრაფი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1987), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1954). 1958-იდან მუშაობა დაიწყო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი), 2009-იდან იქვე იყო ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი, 1973–2004 – სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტ. და თეორიის კათედრის პედაგოგი, 2000-იდან დღემდე კითხულობს ლექციებს სას. აკად. ქრისტ. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტზე.

მ-ის კვლევის სფეროა ქართ. დამწერლობის საფუძვლები, ქართ.

ანბანის გრაფიკული წარმომავლობა-განვითარება, შუა საუკუნეების ხელნაწერი ტექსტების მხატვრული გაფორმება, ასლების გადაღება ორნამენტებიდან, მინიატიურებიდან. ძვ. დამწერლობის ტექსტებიდან. იგი არის ქართ.-ბიზანტ., ქართ.-სომხ. ხელოვნებისა და ქართ.-ებრაული ურთიერთობისადმი მიძღვნილი საერთაშ. კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მონაწილე. 2010-იდან მხატვარ-კალიგრაფისტთა კავშირის წევრია.

მ-ს ნაშრომთა ციკლისათვის ,,ქართულ სამწიგნობრო ცენტრებში შექმნილ ხელნაწერთა მხატვრული მორთულობის საკითხები'' 2008 მიენიჭა საქართვ. ეროვნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. პრემია; 2017 – საპატრიარქოს სიგელი (ქართ. ქრისტ. კულტურის კვლევასა და ხელნაწერთმცოდნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის).


თხზ.: ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; ქართული დამწერლობა, თბ., 2008; ქართული ხელნაწერები, თბ., 2012; მწიგნობრობაჲ ქართული, თბ., 2015; ოპიზის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 2018; ქართული ანბანი ბავშვებისათვის, თბ., 2021.

ი. აბაშიძე.

მაჭავარიანი ვახტანგ ალექსის ძე (დ. 18. II. 1951, თბილისი), კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საფორტეპიანო (1973, ე. გურევიჩის კლასი) და სადირიჟორო (1977, ო. დიმიტრიადის კლასი) ფაკ-ტები. სტაჟირება სადირიჟორო განხრით გაიარა მოსკოვში გ. როჟდესტვენსკისთან და ვენის მუს. აკადემიაში კ. ოსტერრაიხერთან, იმავდროულად იყო ვენის ოპერაში ლ. მააზელის ასისტენტი. 1984–90 თანამშრომლობდა სანქტ-პეტერბურგის მარინის თეატრთან. იქვე იყო ა. მაჭავარიანის ბალეტ ,,ვეფხისტყაოსნის'' დამდგმელი დირიჟორი. ამავე პერიოდში მ. თანამშრომლობდა მოსკოვის დიდ თეატრთან და ევროპის საოპერო დასებთან. 1987 მ. იყო საქართვ. მუს. საზ-ბის კამერული ორკესტრის მთ. დირიჟორი (ორი სეზონი). 1990 დააფუძნა მარინისა და დიდი თეატრების, სანქტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ფილარმონიების, ბალტიისპირეთის ქვეყნების, საქართვ. და უკრაინის წამყვანი ორკესტრების 120 მუსიკოსისაგან შემდგარი საფესტივალო ორკესტრი, რ-ის მთ. დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი თავადვე იყო. მ. ასევე იყო ე. მიქელაძის სახ. საქართვ. სახელმწ. სიმფონიური ორკესტრის მთ. დირიჟორი (1996-იდან), სამხატვრო ხელმძღვანელი (1998–2004). მან რუსეთში დააარსა და ხელმძღვანელობდა (2000–08). დიდ სიმფ. ორკესტრ ,,მილენიუმს''. მისი ინიციატივითა და დირიჟორობით საქართველოში გაიმართა არაერთი პრემიერა, მ. შ. ჯ. ვერდის ,,ფალსტაფი'' (2002), რ. ვაგნერის ,,ტრისტანი და იზოლდა'' (2003), ა. მაჭავარიანის ოპერები – ,,ჰამლეტი'', ,,მედეა'' (2007; ყველა საკონცერტო შესრულება), სიუიტა ბალეტიდან ,,ჭირვეულის მორჯულება'' (2008), ბალეტი-პოემა ,,ფიროსმანი'' (2012), ს. პროკოფიევის VII საფორტეპიანო სონატის საორკესტრო ვერსია (2014), უ. ერკინის საცეკვაო რაფსოდია ორკესტრისათვის ,,კიოჩეკჩე'' (2016), ნ. კოდალის საორკესტრო სიუიტა ,,ტელი ტურნა'' (2016) და სხვ. მისი ხელმძღვანელობით ყოველწლიურად (იანვარში) იმართებოდა ი. შტრაუსის გალა-კონცერტი. 2010-იდან თანამშრომლობს თურქეთის საპრეზიდენტო და იზმირის სახელმწ. სიმფ. ორკესტრებთან. 2017 მას მიენიჭა ე. მიქელაძის სახ. ეროვნ. სიმფ. ორკესტრის საპატიო დირიჟორის წოდება. 2022 თბილისში კიევის ,,კამერატას'' 19-მა მუსიკოსმა ე. მიქელაძის სახ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრთან ერთად გამართა საქველმოქმედო კონცერტი. 2018-იდან მ. არის ლ. ისაკაძის მიერ დაფუძნებული ფესტივალის (,,ღამის სერენადები'') მთ. დირიჟორი. მ-ის რეპერტუარშია ქართული და უცხოური სიმფონიური მუსიკა, საოპერო კლასიკა, მ. შ.: ა. მაჭავარიანის №1–7, ა. ბალანჩივაძის №1, ფ. ღლონტის №6 ,,Vita Nova'', ი. ჰაიდნის, ვ. ა. მოცარტის, ი. სტრავინსკის ,,კურთხეული გაზაფხული'', ლ. ვ. ბეთჰოვენის ი. ბრამსის, პ. ჩაიკოვსკის, დ. შოსტაკოვიჩის, გ. მაღერის სიმფონიები და სხვ.

მ-ს ეკუთვნის არაერთი თხზულება, მ. შ. სიმფ. პოემა ,,ნაცარქექია'' (2010), საფორტეპიანო კონცერტინო (2011), სიმფონია №1 ,,სამყაროს ჰარმონია'' (2013), 10 სონეტი შექსპირის მიხედვით (2014), კონცერტი ვიოლინოს, ფორტეპიანოს, სიმებიანი ორკესტრისა და დასარტყამი ინსტრუმენტებისათვის (2015), ,,მარში'' საქართვ. შეიარაღებული ძალების ორკესტრისათვის, მიძღვნა ლ. ვ. ბეთჰოვენს, კომპოზიცია ,,შთაბეჭდილებები 2020'' (პრემიერა 2022); ოპერა ,,რიჩარდ III'' (I სცენის პრემიერა შედგა 2022), სიმფ. სურათი ,,მარიუპოლი'' მიუძღვნა 2022 უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს. გამოცემულია მ-ის სადირიჟორო რეპერტუარის და მის მიერ შესრულებული საფორტეპიანო კომპოზიციების გრამფირფიტები, კომპაქტდისკები. მ-ს მიღებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2011).

მაჭავარიანი ვლადიმერ (ვოვა) გიორგის ძე (6. VIII. 1906, ბათუმი, – 6. I. 1986, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1926). ჩრდ. კავკასიასა და ყირიმში ბეჭდავდა სტატიებს ფრონტისთვის განკუთვნილ ქართ. გაზეთებში (1941–45). იყო ი. ჭავჭავაძის სახ. თბილ. უცხო ენათა ინ-ტის რექტორი (1948-იდან) და სკკპ ისტ. კათედრის გამგე (1948–50), კინემატოგრაფიის მინისტრი, კინოსტუდიის დირექტორი და სხვ. პირველი წერილი გამოაქვეყნა 1924, პირველი წიგნი ,,ტანა-ტუვა'' – 1928 (მოსკოვი, თანაავტ. ს. ტრეტიაკოვი). ავტორია მონოგრაფიისა ,,მარქსისტულ-ლენინური პროგრამის გამომუშავების ისტორიიდან'' (1960). იკვლევდა ლიტ. თეორიის საკითხებს. მწერლის კალამს ეკუთვნის საინტერესო წერილები ქართვ. მოღვაწეებზე, მ. შ. კ. მარჯანიშვილზე, შ. დადიანზე, ა. კალანდაძეზე და სხვ.



ვ. ა. მაჭავარიანი.


მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ფალსიფიკატორები და ოინბაზები, თბ., 1957; წერილები ჩვენს ცხოვრებაზე, თბ., 1958; პუბლიცისტის დღიურიდან, თბ., 1961.

ლიტ.: ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი გ., პუბლიცისტის ცხოვრების გზა, მის წგ.: თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1976.

მაჭავარიანი თამარ პეტრეს ასული (1895–13. VIII. 1979, თბილისი), მკვლევარი-ბიბლიოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. საპატიო (1960) და დამს. (1962) ბიბლიოთეკარი. დაამთავრა ქალთა გიმნაზია (1915). 1915–30 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას გიმნაზიებსა და საშ. სკოლებში. არჩეული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრად. 1930–79 მოღვაწეობდა საქართვ. სახელმწ. საჯარო ბ-კაში (ახლანდ. საქართვ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ.



მ. ს. მაჭავარიანი.

ეროვნ. ბ-კა). 1934 დააარსა და ხელმძღვანელობდა აღნიშნული ბ-კის ქართველოლოგიის განყ-ბას. 1935-იდან ასწავლიდა საქ. სსრ მუდმივმოქმედ საბიბლიოთეკო კურსებზე. მ. იყო ,,საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის შრომების“ (1934) და ,,ბიბლიოგრაფიის მოამბის“ (1940) ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მ-ს ეკუთვნის ბიბლიოგრ. ნაშრომები (,,სამნიშნა საავტორო ტაბულები“, თანაავტ., 1936), ,,ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. 1852–1905“, ტ. 1–3 (1940–44), ,,ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. 1819–1905“, ტ. 1–4 (1952–65), ,,ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფია“ (1957), ,,ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი“, ტ. 1–2 (1954, 1965) და სხვ. მ-მა დაამუშავა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზ-ბის არქივი და ბ-კა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. ურუშაძე.

მაჭავარიანი ივანე ნიკოლოზის ძე (1863, თბილისი, – 10. III. 1943, იქვე), მთარგმნელი. 1883–87 სწავლობდა ჟენევის უნ-ტში. ლიტ. ასპარეზზე გამოვიდა 1885. 1899-იდან მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზაზე კომერც. განყ-ბის უფროსად; განაგებდა ჟურნ. ,,მოამბეს“. პუბლიც. წერილებსა და რეცენზიებს აქვეყნებდა ,,ივერიაში“, ,,მოამბეში“, ,,ცნობის ფურცელში“, ,,დროებაში“, ,,საქართველოში“. მისი ავტორობით გამოიცა ფრანგ.-ქართ. ლექსიკონი. ქართ. ენაზე თარგმნილი აქვს ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“, ა. დოდეს ,,ტარტარენ ტარასკონელი“, ასევე ფრანგი და რუსი მწერლების მრავალი რომანი და მოთხრობა (ვ. ჰიუგო, დ. დიდრო, მოლიერი, ა. ტოლსტოი, პ. პავლენკო, მ. გორკი და სხვ.). წერდა ფსევდონიმებით: ,,ინტრანსიჟან“, ,,კვიმატი“, ,,ივანე ახალშენაშვილი“, ,,ინ ანი“, ,,ი. მ-ნი“, ,,X“.

თხზ.: სამშობლო და კაცობრიობა, თბ.,1904; სამი მუშკეტერი (თარგმ.), თბ., 2004; ტარტარენ ტარასკონელი (თარგმ.), თბ., 2011.

ლიტ.: თურნავა ს., ივანე მაჭავარიანი, „განთიადი“, 1993, №1–2; მწერალთა ავტობიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013.

მაჭავარიანი კონსტანტინე დავითის ძე (15. VIII. 1919, გომელი, ბელარუსი, – 22.III. 2010, მოსკოვი), ავიაციის გენერალ-მაიორი (1973), სსრკ დამს. სამხ. მფრინავი (1979), ინჟინერი. დაამთავრა მოსკოვის სამხ. საჰაერო ძალების სპეცსკოლა (1947), ვ. ჩკალოვის სახ. ბორისოგლებსკის სამხ.-საავიაციო სასწავლებელი (1951), ი. გაგარინის სახ. სამხ. საავაციო აკადემია (1964). იყო მე-16 საჰაერო არმიის მე-16 გვარდიის გამანადგურებელი დივიზიის მეთაური (1971–73), მე-5 საჰაერო არმიის საბრძოლო მომზადების სარდლის მოადგილე (1975–85), სსრკ საჰაერო მიმოსვლის მართვის მთავარი სამმართველოს (1985–87), აგრეთვე საჰაერო სივრცის სამმართველოს 23-ე მთავარი ცენტრის უფროსი (1987–89), საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს ერთიანი სისტემის სახელმწ. ცენტრის თანამშრომელი (1989-იდან).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. გოგიტიძე.

მაჭავარიანი ლია გივის ასული (დ. 6. II. 1960, თბილისი), გეოგრაფი, ნიადაგმცოდნე, მიკროპედოლოგი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (2006), პროფესორი (2012). დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი (1982). იმავე წელს მუშაობა დაიწყო იქვე ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე ლაბორანტად, შემდეგ მასწავლებლის (1990) და დოცენტის (1992) თანამდებობებზე; 2006 იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი; 2012-იდან – სრული პროფესორი და ნიადაგების გეოგრაფიის კათედრის გამგე; 2009-იდან – ფაკულტეტთან არსებული გამოყენებითი ეკოლოგიის ინ-ტის დირექტორი. გავლილი აქვს საერთაშ. სასწ. კურსები.

მ. ნაშრომების, რ-ებიც ეხება მიკროპედოლოგიურ და ედაფიურ-ეკოლოგიურ კვლევებს, ეროზიული პროცესების შესწავლას, კლიმატის ცვლილებას, წყალსაცავების მართვასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

თხზ.: პრაქტიკუმი ნიადაგთმცოდნეობაში, თბ., 2011; გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები, თბ., 2013; წყალსაცავების პოზიტივები და ნეგატივები, თბ., 2022; (თაანავტ.: გ. მეტრეველი, ზ გულაშვილი); Географические парадигмы микростроения основных почв Грузии, Тб., 2008; Time Factor in Soils of Georgia – Mirror or Memory of Landscapes? J. of Env. Biol., 2012, 33(2);. The Soils of Georgia (*Ed.* Lia Matchavariani), Word Soils Book Series, Springer Cham, Switzerland, 2019; Assessment Scheme of Water-Reservoirs Impact on Groundwater. Intern. J. of GEOMATE, 2022, 22(90).

მაჭავარიანი მაია ვლადიმერის ასული (28. X. 1926, თბილისი, – 16. X. 2016, იქვე), ენათმეცნიერი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. ენათა განყ-ბა (1949). სამეცნ. საქმიანობას ეწეოდა ენათმეცნიერების ინ-ტში; იყო ზოგადი ენათმეცნიერების განყ-ბის უმცრ. (1956–65) და უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1965–84), ამავე განყ-ბის გამგე, ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი (1984–2001).

მ-მა მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა ენის არსის ფილოს.-თეორიულ კვლევას, ენის ფორმალიზაციის, მოდელირებისა და კოდირების, ქართ. ენის სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხებს, კრიტიკულად შეისწავლა ევრ. ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში გავრცელებული არაერთი მნიშვნელოვანი თეორია, რ-თა საფუძველზეც გააანალიზა ქართ. ენის მასალა და ახლებურად წარმოადგინა მისი ზოგიერთი თავისებურება. ამ მხრივ გამორჩეულია მონოგრაფია ,,ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“ (1987).

ჩაიწერა და ქართ.-ინგლ. თარგმანებისა და გრამატიკული ანალიზის თანხლებით გამოაქვეყნა წოვა-თუშური ტექსტები (ბ. შავხელიშვილთან ერთად, 1999). შეადგინა და საკუთარი რედაქციით გამოსცა სამეცნ. კრებულები ,,გზა ენისაკენ“ (1978), ,,ენა და საზრისი. ლექსისი“ (2000). იყო სხვადასხვა საენათმეცნ. გამოცემის სარედაქციო კოლეგიათა წევრი (,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ,,თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი“ და სხვ.).

მ. ეწეოდა აქტიურ საზ. და პოლიტ. საქმიანობას. 1990–91 იყო საქართვ. რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

ს. ომიაძე.

მაჭავარიანი მიხეილ მერაბის ძე (27. II. 1838, ქუთაისი, – 23. XII. 1902, თბილისი, დაკრძალულია თელავში), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1899). ჯარში მსახურობდა 1856-იდან. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. იყო ღუნიბის სარეზერვო, შირვანის 84-ე, აფშერონის 681-ე, გორის 259-ე ქვეითი პოლკების მეთაური (1897–1901).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჭავარიანი მიხეილ სერგის ძე [20. III (1. IV). 1888, ქუთაისი, – 28. III. 1973, თბილისი], სამ-

ხედრო მფრინავი, საქართველოში სამოქალაქო ავიაციის ორგანიზატორი. დაამთავრა ვარშავის სუვოროვის კადეტთა კორპუსი (1907), კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელი (1910). მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში (1910–13). I მსოფლიო ომის (1914–18) მონაწილე. კავკასიის ფრონტზე საჰაერო ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები. დაინიშნა კავკასიის მე-2 საავიაციო რაზმის მეთაურად (1916). საქართვ. გასაბჭოების შემდეგ მსახურობდა სამხ. ავიაციაში (1921–28). იყო საქართვ. საავიაციო დივიზიონის მეთაური (1922). სამხ. სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ (1928) ხელმძღვანელობდა საქართვ. სამოქალაქო ავიაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. არის რუს.-ქართ. საავიაციო ლექსიკონის (1945) თანაავტორი.


თხზ.: Глаза - на юг, Тб., 1969.

მაჭავარიანი მიხეილ სიმონის ძე (დაახლ. XIX ს. 70-იანი წლები, თბილისი, – 1924-ის შემდეგ, გერმანია), გენერალი (1920), რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი (1915), საქართვ. სამხ. სამინისტროს სამხ. ავიაციის სკოლის უფროსი (1918–20), სამხ. სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი (1920). იბრძოდა გაგრა-სოხუმის ფრონტზე, სადაც დაიჭრა. 1921-იდან ემიგრაციაში წავიდა.

მაჭავარიანი მიხეილ სპირიდონის ძე [27. VIII (8. IX). 1886, სამტრედია, – 29. III. 1951, თბილისი], არქიტექტორი. საქართვ. მეცნ. და ტექნიკის დამს. მოღვაწე (1944). დაამთავრა ტომსკის ტექნოლ. ინ-ტი (1913). სხვადასხვა დროს (1914–21) მუშაობდა რუსეთში სარკინიგზო ხაზების მშენებლობის მთ. არქიტექტორად. 1921-იდან ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში. მ. ეწეოდა პედ. საქმიანობასაც. 1923–30 იყო თბილ. სამხატვრო აკადემიის არქიტ. ფაკ-ტის დეკანი, პროფესორი (1923-იდან), 1938–51 – საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის (ახლანდ. სტუ) არქიტ. კათედრის გამგე. ნამუშევრები: ზემო ავჭალის ჰესი (ზაჰესი, 1927, ა. კალგინთან და კ. ლეონტიევთან ერთად), რომლის არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. რკინიგზის ვაგზლის შენობა ოზურგეთში (1923–29) და სხვ. მისმა არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მაჭავარიანი მუხრან ივანეს ძე (12. IV. 1929, სოფ. არგვეთი, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 2010, თბილისი), პოეტი, მთარგმნელი, ლინგვისტური ნაშრომების ავტორი, საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2009), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987), საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რე (1988–92). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1954). იყო ჟურნ. ,,ცისკრის“ პოეზიის განყ-ბის გამგე (1957–63); ჟურნ. ,,პიონერის“ (1963–64), ჟურნ. ,,დილისა“ (1967–82) და ალმანახ ,,საუნჯის“ (1982–88) მთ. რედაქტორი; საქართვ. პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოსა (1989–91) და მე-5 მოწვევის პარლამენტის (1999–2004) წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991, 9 აპრილი).

1952 თსუ-ის ლიტ. წრის ყოველწლიურ ალმანახ ,,პირველ სხივში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსები, 1955 – პირველი წიგნი ,,ლექსები“. მ-ის შემოქმედება იმთავითვე გამოირჩეოდა როგორც თემატური სიახლით, ასევე – პოეტური ფორმის ნოვატორობით. იგი XX ს. 40-იანი წლების ბოლოს ახალი ესთეტიკის დამამკვიდრებლად მოგვევლინა – აღადგინა ხელოვნურად გაწყვეტილი კავშირი 20-იანი წლების ავანგარდისტულ ტრადიციებთან, რ-თა განვითარებამ პოეტის შემოქმედებაში, ეპოქის შესაბამისად, პოსტმოდერნისტული სახე მიიღო. ამ სტილის ნიშნებმა მკაფიოდ და დიდი მხატვრული ძალით იჩინა თავი 1958 დაწერილ პოემაში ,,ვახტანგი“. მ-ის ლექსების ერთი მძლავრი ნაკადი პატრ. ლირიკაა (,,საბა“, ,,შენ – სისხლო ჩემო...“, ,,დავითი და კონსტანტინე“, ,,საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე...“, ,,ანდუყაფარო...“, ,,დუმილი რეკავს“, ,,ხარ საესავი ჩემთვის ტაძარი“ და სხვ.). მან ქართ. პოეზია ფილოს. ლირიკის უაღრესად საყურადღებო ნიმუშებითაც გაამდიდრა. მ-ის შემოქმედების ეს ნაწილიც თვალშისაცემი ორიგინალურობით, წერის პარადოქსული მანერით, გონებამახვილობითა და ღრმა აზროვნებით გამოირჩევა (,,თქვი“, ,,ვეძებ და ვეძებ“, ,,გაივლის დრო და...“, ,,გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის გვირგვინს...“, ,,ამ საწუთროსი როა კანონი...“ და სხვ.). ჭეშმარიტი ლირიკოსი, მზის, გაზაფხულის, სიყვარულის, სიკეთის მომღერალი (,,განთიადია!..“, ,,უძლიერესი გაზაფხული“, ,,ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე“, ,,კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა...“ და სხვ.), ამავე დროს, სოც. უგვანობათა (,,სხდომა“, ,,ხმას ამოიღებ...“, ,,არა იმიტომ...“) და ეროვნულ ნაკლოვანებათა (,,მიზეზი ყოვლის“, ,,თქვა ოპიზარმა“, ,,მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!“ ,,სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ ძმათა თვისთა თანა, შუამთაში“, ,,ფასკუნჯი“...) დაუნდობელი კრიტიკოსიც არის. იგი ზედმეტი რევერანსების გარეშე აცხადებდა: ,,სიგლახეს ჩვენსას დავაბრალებთ უცხოს ნურავის!“ 1983 გამოქვეყნებულმა ლექსების ციკლმა ,,1832“ საბჭ. იდეოლოგიის მესვეურთა მრისხანება გამოიწვია, ვინაიდან მათში აშკარად იგრძნობოდა საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების არა მარტო სურვილი, არამედ მისკენ მოწოდებაც. მ-ის შემოქმედებით შემზადებულმა საზოგადოებრივმა განწყობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭ. იმპერიისაგან დამოუკიდებელი ეროვნ. ქართ. სახელმწიფოსათვის ბრძოლის პროცესში. გამორჩეულია მისი პოეტური ტექსტების ენა, კერძოდ, უახლესი სასაუბრო მეტყველებისა და ძვ. ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმების თანაარსებობა, ასევე ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები, სემანტიკითაც და ბგერითი შემადგენლობითაც გამორჩეული რითმები (ასონანსები და დისონანსები). რიტორიკული პოეზიის ჩინებული ნიმუშების გვერდით მასთან გვხვდება პლასტიკურობით აღბეჭდილი მხატვრული სახეები, რ-თა მეშვეობით განსაცვიფრებელი სიზუსტით იხატება ფიზ. მოძრაობა [,,ქარი, ჩვეული ლაღობით...“, ,,ცხენის წინა ფეხები“ (პოემიდან ,,ვახტანგი“), ,,ხეები ზეცას აჩნია შავად...“, ,,წიფლიანი“...]. ამ ლექსების სახით საქმე გვაქვს პოეტური ხელოვნების განსაკუთრებულ მიღწევებთან. ისინი სამყაროს მხატვრული ათვისების გზაზე მძლავრად წინგადადგმული ნაბიჯებია. მ-ს



მ. ი. მაჭავარიანი.



მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმი. სოფელი არგვეთი.

ეკუთვნის ენათმეცნ. ნაშრომებიც (,,რამდენიმე სიტყვა“ და სხვ.).

მ-ის ლექსები თარგმნილია უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



ნ. ი. მაჭავარიანი.

თხზ.: მრავალჯერვარამ გადანახადი, თბ., 1989; ასი ლექსი, თბ., 2006.

ლიტ.: ასათიანი გ., მუხრან მაჭავარიანის ლექსები, ,,მნათობი“, 1955, №11; ბრეგაძე ლ., მუხრანისათვის, თბ., 2019; გოგოლაშვილი გ., ქართული ქართველთ რწმენაა – ფიქრები მუხრან მაჭავარიანზე, თბ., 2019; ვაშაკიძე თ., უებრო სიტყვისმოქმედი, თბ., 2019; მაღრაძე ე., მუხრან მაჭავარიანი, თბ., 1985; მუხრან მაჭავარიანი – 90 ამბავი, თბ., 2019; მუხრან მაჭავარიანი – 90, საიუბილეო კრ., თბ., 2019.

ლ. ბრეგაძე.

მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 2011 კერძო საკუთრების სახით (აიპ). ფუნქციონირებს ორი მუზეუმი (ორივეს დირექტორი – ნ. მაჭავარიანი) – საჩხერის მუნიციპ. სოფ. არგვეთსა და თბილისში (ი. აბაშიძის № 48).

მუზეუმებში დაცულია პოეტის პირადი ნივთები, ხელნაწერები და სხვ. ტარდება სხვადასხვა კულტ.-საგანმან. და სამეცნ. ღონისძიებები: „ღამე მუზეუმში“, ლიტერატურული კონკურსი – „მუხრანის პრემია – პოეტური მინიატიურები“, „საუკეთესო ლექსიკოგრაფიულ-ლექსიკოლოგიური ნაშრომი“, „დეკლამატორთა კონკურსი“; ეწყობა გამოფენები და თეატრ. წარმოდგენები, ასევე მუს. კონცერტები.

მუზეუმში დაცულ ხელნაწერებზე დაყრდნობით განხორციელდა მ. მაჭავარიანის არაერთი პოეტური კრებულისა და ლიტ. ჩანაწერის გამოცემა.

ნ. მაჭავარიანი.



ნ. ი. მაჭავარიანი. თებრო. დ. წეროძე. კადრი ფილმიდან ,,მაგდანას ლურჯა“.

მაჭავარიანი ნათელა შალვას ასული (დ. 6. VII. 1939, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. 1967 დაამთავრა თეატრ. ინტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან იყო რუსთაველის, ხოლო 1970–2009 – მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი. რუსთაველის თეატრში შეასრულა შემდეგი როლები: ნაია (ლ. ქიაჩელის ,,გვადი ბიგვა“), ბიჭი (ბ. ბრეხტის ,,სეჩუანელი კეთილი ადამიანი“), ანგელოზი (მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები“); მოზარდ მაყურებელთა თეატრში: ბიჭი (გ. ჭიჭინაძის ,,უცნაური ბიჭი“), ნეჩიტაილო, უზუმოვი (ა. ხმელიკის ,,ჯართი“, ,,ჩვენს სკოლაში ყველაფერი წესრიგშია“), მაია (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი“), ქუჩის ბიჭი (ვ. ტრავერსის ,,მერი პოპინსი“), ჟანა დ'არკი (ფ. შილერის ,,ორლეანელი ქალწული“, მოსკოვის ხელოვნების ფესტივალის I ხარისხის დიპლომი), დედოფალი (ა. სულაკაურის ,,სალამურა“), სოფიკო (თ. მაღალაშვილის ,,სად ხარ, სოფიკო?“, დაჯილდოდა სიგელითა და პრემიით) და სხვ. მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლებსა და რადიოდადგმებში. გადაღებულია ფილმებში ,,ორომტრიალი“ (რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1986); ,,ბებია ყველასათვის“ (რეჟ. ნ. დვალიშვილი, 1986). 2019 მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. მიღებული აქვს ,,თამარ მეფის ორდენი“ (2021). იყო თბილისის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრი (2010).

მაჭავარიანი ნანა მუხრანის ასული (დ. 15. II. 1956, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (2005). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკასიურ ენათა განყ-ბა (1978). 1983-იდან საქართვ. მეცნ. აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნ. ინ-ტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყ-ბის თანამშრომელია, 2018-იდან – ამავე ინ-ტის დირექტორი. მისი სამეცნ. კვლევები ეძღვნება ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს. განსაკუთრებით არის დაინტერესებული აფხაზურ-ადიღურ ენათა სტრუქტურის, ლექსიკისა და ისტორიის საკითხების კვლევით, მათი გრამატიკული წყობის ანალიზით ქართველურ ენებთან მიმართებით. მ. არის მრავალი სამეცნ. ჟურნალის სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრი, მ. მაჭავარიანის თბილ. და არგვეთის მუზეუმების დირექტორი.

თხზ.: მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), თბ., 2006; სინტაქსურ მიმართებაში შემავალი ზმნური კატეგორიები აფხაზურსა და ქართულში, თბ., 2006; ენათმეცნიერული შტუდიები, თბ., 2015; აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები, თბ., 2017; აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები, თბ., 2020; Глагольные категории в Абхазском и Грузинском языках, вступающие в синтаксические отношения, Tb., 2011.

ს. მეტრეველი.

მაჭავარიანი ნუნუ ილიას ასული (27. II. 1898, თბილისი, – 5. IV. 1975, ცხინვალი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1945). 1915-იდან სწავლობდა კიევის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე, 1913–15 – თბილ. სამხატვრო სასწავლებელში, 1917-იდან – თბილისში, ქართ. დრამ. საზ-ბის დრამ. კურსებზე (თავისუფალი მსმენელი). სცენაზე პირველად გამოვიდა ნაძალადევის მუშათა თეატრში (1918). მუშაობდა ქუთაისის (1920, 1924), დუშეთის (დრამწრე, 1921), ჭიათურის (1922), ბათუმის (1923) და თბილ. (1925) მუშათა თეატრებში; 1926 ისევ მიიწვიეს ქუთაისის თეატრში, სადაც ერთი წელი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. 1929-იდან რუსთაველის, 1931–36 კი თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. შესრულებული როლები: ქაბატო, დიდედა (ა. ცაგარლის ,,ხანუმა“), რუქაია, გაიანე (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი“), დეზდემონა (უ. შექსპირის ,,ოტელო“), ივდითი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა“) და სხვ. 1937–55 მუშაობდა საქართვ. სხვადასხვა ქალაქში (ხულო, თელავი,

ახალციხე, გორი) წამყვან მსახიობად; 1939–43 იყო საქართვ. ფილარმონიის ესტრადის მსახიობი; 1955 მიიწვიეს ცხინვალის თეატრში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. გადაღებულია ფილმებში: ,,ჭირვეული მეზობლები'' (რეჟ. შ. მანაგაძე, 1945), ,,მაგდანას ლურჯა'' (თებრო; რეჟ-ები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), ,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'' (ბებია; რეჟ. ს. დოლიძე, 1959), ,,კეთილი ადამიანები'' (რეჟ. შ. მანაგაძე, 1961), ,,ჯვარისკაცის მამა'' (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1964), ,,შეხვედრა მთაში'' (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1966), ,,დიდოსტატის მარჯვენა'' (რეჟ-ები: ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970), ,,მოიტაცეს თამარ ქალი'' (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1971), ,,მშვიდობით, ინესა!'' (რეჟ. ი. ასათიანი, 1972) და სხვ.

მაჭავარიანი სპირიდონ სიმონის ძე (1829, ხარაგაული, – 1883-ის შემდეგ, ქუთაისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1869), ყირიმის (1853–56), რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომების მონაწილე. მსახურობდა კავკ. სამხ. ოლქში. 1866-მდე იყო სამეგრელოს სამთავროს საბჭოს უფრ. წევრი, 1872-იდან კი – ქუთაისის გუბერნიის გლეხთა საქმეების საბჭოს წევრი. ირიცხებოდა ქართ. მილიციაში.

მაჭავარიანი შოთა სიმონის ძე (14. V. 1921, თბილისი, – 14. X. 1988, იქვე), რეანიმაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1972). 1942 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1942–57 იყო პათოფიზიოლოგიის ლაბორ., 1957–67 კი – ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრ. კლინიკური საავადმყოფოს III ქირურგ. განყ-ბის გამგე, 1967–88 – თსსი-ის რეანიმაციის საპრობლემო ლაბორ. ხელმძღვანელი, 1973–88–ამავე ინ-ტში თავისივე ჩამოყალიბებული ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის კათედრის გამგე.

მ. იყო ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბის გამგეობის წევრი, საქართვ. ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა საზ-ბის თავ-რის მოადგილე, საქართვ. ჯანმრთელობის სამინისტროსთან არსებული ექსტრემალური და ტერმინალური მდგომარეობების საკავშ. საპრობლემო კომისიის თავ-რე.

მ-ის სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება ანესთეზია-რეანიმაციის აქტუალურ საკითხებს.

ლიტ.: რეანიმატოლოგია და ანესთეზიოლოგია, თბ., 1985; ინტენსიური თერაპია და რეანიმატოლოგია, თბ., 1986.

მაჭანკალი, მექორწინე მხარეთა საქმის მომგვარებელი, შუამავალი, რ-იც გასამრჯელოს მიღების პირობით დასაქორწინებელთა (უმთავრესად ვაჟის ოჯახის) დავალებებს ასრულებდა. ისტორიულად მაჭანკლობა განვითარდა შუაკაცთა ინ-ტიდან, რაც საქორწინო ურთიერთობებში არქაული დროიდან იყო ცნობილი. პროფესიონალი, ეკონომიკურად დაინტერესებული მ. საქართველოში კაპიტალ. ურთიერთობებთან ერთად გაჩნდა. ამ საქმეს ძირითადად მისდევდნენ ასაკოვანი პირები (უპირატესად ქალები), რ-ებიც უმთავრესად ქვრივებისა და მატერიალურად დაინტერესებულთა საქორწინო ურთიერთობებს არიგებდნენ. თავის საქმიანობაში მ. გასამრჯელოს – ,,სამაჭანკლოს'' – საჩუქრის ან ფულადი სახით იღებდა.

ლიტ.: ითონიშვილი ვ., საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან მთიულეთში, თბ; 1961; მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ; 1978.

ვ. ითონიშვილი.

მაჭარა, მდინარე გულრიფშის მუნიციპალიტეტში, იქმნება სოფ. მერხეულთან მდ-ების – დიდი და პატარა მაჭარის შეერთებით. მდინარის სიგრძეა 21,2 *კმ*. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა (კარსტული) წყლებით. ხშირად იცის წყალმოვარდნა. წყალუხვია ზამთარში, წყალმცირე – ივლის-სექტემბერში. მდინარის საშ. წლიური ხარჯი შეადგენს 4,4 $მ^3/წმ$.

მაჭარა, სოფელი აფხაზეთის არის გულრიფშის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის ნაპირას, მდ. მაჭარის შესართავთან. თემის ცენტრი (სოფლები: მ., ზემო გულრიფში, თხუბუნი, კელასური, ქვემო მერხეული). ზ. დ. 45 *მ*, გულრიფშიდან 0,5 *კმ*, კელასურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მაჭარა, ენეოლით-შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. მდებარეობს გულრიფშის მუნიციპ-ში, მდ. მაჭარის მარჯვ. ნაპირის ზღვისპირა დაბალ ტერასაზე, ზღვიდან 300–400 *მ* დაშორებით. ძეგლი მიკვლეულია 1936 გეოლოგ ე. შანცერისა და პალეონტოლოგ ვ. გრომოვის მიერ.

1964 აქ სამუშაოებს წარმართავდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტ. ინ-ტის არქეოლ. ექსპედიცია (რაზმის უფრ. ვ. ბჟანია), 1973-იდან კი – შავიზღვისპირეთის არქეოლ. ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. ბჟანია). ნასახლარზე სტრატიგრაფიულად დადგინდა ოთხი ფენა, რ-თაგან სამი კულტურულ ნაშთებს შეიცავდა. ყველაზე ადრეული ფენა ენეოლითის ხანას განეკუთვნება, სადაც წარმოდგენილია მურა-მოწითალოდ ან მურა-ყავისფრად გამომწვარი მცენარისა და ჭილოფის ანაბეჭდიანი კერამიკა. შუა ბრინჯაოს ხანის III–II კულტურულ ფენაში (სიმძლავრე 3–35 *სმ*, 35–50 *სმ*) კერამიკა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. გავრცელებულია ქილების, ჯამების, ქოთნების ფორმის თიხის ჭურჭელი. III ფენაში იშვიათადაა სამყურა და მაღალფეხიანი სახილე ვაზების ფორმის ჭურჭელი. ორივე ფენაში დასტურდება ნაპრიალებ (ზოგჯერ ანგობირებული) კერამიკაზე დატანილი ზოლები, ზიგზაგები, სავარცხლის კბილისეული ჭდეები, თავთავისებური გეომ. ხაზები, წიწვოვანი და ზონარისებური ფორმის დეკორის კომბინირებული გადმოცემა. III–II ფენებში გვხვდება სატეხები, ,,სოჭი-ადლერისა'' და „სოხუმის'' ტიპის ქვის თოხები. სხვა მონაცემები შუა ბრინჯაოს ხანის ფენიდან არ მოგვეპოვება. IV ფენაში აღმოჩენილ ნაცროვან ორმოზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ აქ სარ-ლასტზე გამართული საცხოვრებელი სახლები, ანდა ნახევრადმიწურები უნდა ყოფილიყო. ვ. ბჟანიამ IV ფენა ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახ-ს მიაკუთვნა, მომდევნო III ფენა მიიჩნია ოჩამჩირის ნამოსახლარზე უფრო ახალგაზრდად და დაათარიღა ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით, II ფენა კი მიაკუთვნა შუა ბრინჯაოს ხანას (მაჭარის IV ფენის ასაკი C-14 თარიღის გათვალისწინებით გადააქვთ IV ათასწლეულის I ნახ-ში: 3810±90 წ.). მასალები დაცული იყო სოხუმში აფხ. სახელმწ. მუზეუმის ფონდებში.

მ. 2-ის ნამოსახლარი (100 × 50 *მ*) გამართული იყო ზღვისპირა ტერასაზე, მდ. მაჭარის მარცხ. ნაპირზე, ზღვის სანაპიროდან 2 *კმ* დაშორებით. ნამოსახლარზე



შ. მაჭავარიანი.

აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა, ასევე ბრინჯაოს ისრისპირი, ხელსაფქვავები, კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ქვის ყალიბის ფორმა და ა. შ. ნამოსახლარს ათარიღებენ ძვ. წ. IX–VI სს-ით

ლიტ.: ფხაკაძე გ., ენეოლითი და ადრებრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 2, თბ., 1992; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III–II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007; Бжания В., Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхазии, «Советская археология», 1966, №1; Воронов Ю., Археологическая карта Абхазии, Сух., 1969; Шамба Г., Раскопки древних памятников Абхазии, Сух., 1984.

ლ. ჯიბლაძე.

მაჭარაანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში (ცხრაძმის თემი). მდებარეობს ლომისალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ცხრაძმულის (მდ. ქსნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მაჭარაშვილი გიორგი გურამის ძე (დ. 3. IX. 1951, თბილისი), ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2006). 1973 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. მუშაობდა თსუ-ის *მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში.* სხვადასხვა დროს აგრეთვე ერევნის ფიზიკის ინ-ტში, ფერარას (იტალია) უნ-ტში, ასევე ამაჩქარებლებზე: JINR (დუბნა, რფ), IHEP (პროტვინო, რფ), ITEP (მოსკოვი, რფ), IKP (იულიხი, გერმანია), KEK (ცუკუბა, იაპონია). მონაწილეობდა მრავალ საერთაშ. პროექტსა და კოლაბორაციაში: PROZA, POLEX, NEPTUN (IHEP, პროტვინო), NICA (JINR, დუბნა), ANKE, PAX, JEDI/CPEDM (Forschungszentrum-Julich, გერმანია), E391, COMET (KEK, იაპონია). არის სამეცნ. პუბლიკაციების ავტორი. მისი სამეცნ. ინტერესების სფეროა ჰადრონული ურთიერთქმედებები, ბირთვული გარემოს გავლენა, იშვიათი და ხისტი პროცესების ძიება სტანდარტული მოდელის მიღმა, პოლარიზაციული მოვლენები ჰადრონულ ურთიერთქმედებებში, ასევე პლასტიკური და კრისტ. სცინტილატორები, ჩერენკოვის დეტექტორები, კალორიმეტრები, მაღალი სიზუსტის დეტექტორები, ამაჩქარებლების დინამიკა და სხვ. მუშაობს მონაცემთა ანალიზის, მონტე-კარლოს სიმულაციების, ოპტიმიზაციის ამოცანების, ანალიზის პროგრამული კოდების დიზაინის, ექსპერიმენტების პროექტირებისა და მონათესავე საკითხებზე.

თხზ.: მონაცემთა ანალიზი, თბ., 2022; How to Reach a Thousand-Second in-Plane Polarization Lifetime with 0.97 *GeV/c* Deuterons in a Storage Ring, Phys. Rev. Lett., 2016, 117, 054801 (თანაავტ.). F. Storage Ring to Search for Electric Dipole Moments of Charged Particles, CERN-2021-003, CPEDM Collaboration, CERN, 2021 (თანაავტ).

მაჭარაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე (დ. 25. IX. 1956, საჩხერე), გეოფიზიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი (1979). მუშაობდა მეცნიერ თანამშრომლად ბიოფიზიკის ცენტრში (1983–89), ჰიდრომეტეოროლ. (1990–92) და გეოფიზიკის (1993-იდან) ინ-ტებში. 2004-იდან სტუ-ის პროფესორია. მისი ინტერესების სფეროა რთული სისტემები, არაწრფივი დინამიკა, რთული პროცესების დინამიკის თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზი, დისციპლინათშორისო კვლევები. მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

მიღებული აქვს მ. ნოდიას სახ. პრემია (2009).

თხზ.: Mahalanobis distance-based recognition of changes in the dynamics of a seismic process, Nonlin. Processes Geophys., 26, 291 – 305, 2019 (თანაავტ.); Analysis of the regularity of the Internet Interdomain Routing dynamics, Physica A (2020),12412; (თანაავტ.); Changes in the dynamics of seismic process observed in the fixed time windows; case study for southern California 1980–2020, physics of the Earth and Planetary Interiors 319 (2021) (თანაავტ.).

მაჭარაშვილი თენგიზ კონსტანტინეს ძე (16. IX. 1923, თბილისი, – გ. წ. უცნობია), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი. დაამთავრა ხარკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის არქიტ. ფაკ-ტი (1949). 1949–56 – მუშაობდა ,,აფხაზპროექტში'' (სოხუმი), 1957–59 – ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' სოხუმის ფილიალში, 1959–68 კი – თბილისში ამავე სათავო ინ-ტში (პროექტის მთ. არქიტექტორი), 1968–72 – საქართვ. კულტ. სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოში და სხვ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში (1954–57). მონაწილეობას იღებდა არქიტ. კონკურსებში. ნამუშევრები: ადმ. შენობა (1950, გაგრა), ასასვლელი სოხუმის მთაზე (1952), საცხოვრ. სახლები კელასურში, სოხუმში, გაგრაში (1954–57); რესტორანი ,,ეშერა'' (1956); ასევე თბილისში – №1 სამშობიარო სახლის, მე-8 საქალაქო საავადმყოფოსა და საქართვ. ჯანმრთელობის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის ინ-ტის შენობების რეკონსტრუქცია და სხვ.

მაჭარაშვილი კარლო შალვას ძე (20. X1. 1924, სოფ. კორბოული, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 26. I. 2007, თბილისი), პედაგოგი, მეთოდისტი. პედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1980).

დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) რუს. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1951). 1960–73 მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1973–77 იყო საქ. სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, 1977–87 – ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე.

მ. იკვლევდა რუს. ენის სწავლებისა და აღზრდის საერთო პრობლემებს.

თხზ.: Основные принципы составления первоначального учебника русского языка для грузинской школы, Тб., 1963; Основы методики преподавания русского языка в грузинской восьмилетней школе, ч 2, Тб., 1972.

მაჭარაძე ვალერიან გიორგის ძე (10. I. 1921, სოფ. ვაზისუბანი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 29. IX. 2000, თბილისი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1968), პროფესორი (1970). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1946). II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე.

1946–47 მუშაობდა დუშეთის რაიონის სოფ. გრემისხევის საშ. სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, 1952-იდან – თსუ-ში ყოფილ საბჭ. კავშ. ხალხთა ისტორიის კათედრაზე: 1952–57 იყო უფროსი მასწავლებელი, 1957–70 – დოცენტი, ხოლო 1970-იდან გარდაცვალებამდე – პროფესორი, 1955–56 – თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე, 1957–60 – უნ-ტის სწავლული მდივანი, 1974–77 – მოსამზადებელი განყ-ბის გამგე.

მ-ის სამეცნ-კვლ. საქმიანობის მთავარ მიმართულებას რუსეთ-საქართვ. ურთიერთობის ისტორიის შესწავლა წარმოადგენდა. მის სამეცნ. ინტერესებში ასევე შედიოდა საქართველო-ჩრდ. კავკასიის ხალხების ურთიერთობები, ქართულ-რუმინული კულტურულლიტ. ურთიერთობების ისტორიის საკითხები. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი.

თხზ.: მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს

ურთიერთობის ისტორიისათვის, II, თბ., 1968; ბესიკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1968; მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, III, თბ., 1983; გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტო პირები ვ. მაჭარაძისა. თბ., 1983.

ლიტ.: ი რ ე მ ა ძ ე ა., ნაომარი მეცნიერები, თბ., 1987.

ე. კოპალიანი.

მაჭარი, ახლად დაყენებული (დუღილდაუმთავრებელი) ღვინო, რ-იც მიიღება ყურძნის ტკბილის დაუმთავრებელი ალკოჰოლური დუღილის შედეგად. აქვს სასიამოვნო ორიგინ. არომატი და მოტკბო გემო, მღვრიეა, ახასიათებს ნახშირორჟანგის გამოყოფის ცვალებადობა, თამაში.

მაჭარწყალი, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ბორჯომის მუნიციპალიტეტში (გვერდისუბნის თემი), მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1480 *მ,* ბორჯომიდან 29 *კმ,* წალვერიდან (უახლ. რკინიგზის სადგ.) 14 *კმ.* მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს (2014).

მაჭატია, მთა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამსარის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 2265 *მ.* აგებულია ნეოგენური და მეოთხეული ანდეზიტურ-ბაზალტური ლავებით, ტუფბრექჩიებითა და ტუფებით. მ-ის კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

მაჭატია, სოფელი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (არაგვის თემი), ახალქალაქის პლატოზე, მთა მაჭატიას სამხრ-ით. ზ. დ. 1730 *მ,* ახალქალაქიდან 7 *კმ.* 767 მცხ. (2014).

მაჭახელა, ისტორიულ მაჭახელის ხეობაში დამზადებული კაჟიანი თოფის, დამბაჩის სახელწოდება. საქართველოში ცნობილია XVIII ს. II ნახ-იდან. XIX ს-ში სხვადასხვა სახის მ. მზადდებოდა, მ. შ. საუკეთესო იყო ლულახრახნიანი და მოსევადებული მ., რ-ის დასამზადებელი დაზგა დაცულია აჭარის სახელმწ. მუზეუმში. იხ. აგრეთვე სტ. *თოფი, იარაღი.*

ლიტ.: კ ახ ი ძ ე ნ., მაჭახლის ხეობა, თბ., 1974; წ ურწ უ მ ი ა მ., ცეცხლსასროლი იარაღი XVI–XVII საუკუნეების საქართველოში, ,,საისტორიო კრებული'', 2014, №4.

მაჭახელაჰესი, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. მდებარეობს ბათუმის სამხრ-ით, მდ. მაჭახელაზე. ექსპლუატაციაში შევიდა 1957. მისი სიმძლავრეა 1,6 *მეგვტ.* მისი მფლობელია შპს ,,ბაკური''. მ-ის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ. *კვტ·სთ):* 2015 წ. – 6,1; 2017 წ. – 4,2; 2018 წ. – 1,1; 2019 წ. – 2,5; 2020 წ. – 1,9; 2021 წ. – 9,6; 2022 წ. – 9,3.

მაჭახელი, მ ი ჭ ი ხ ი ა ნ ი, ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. ჭოროხის აუზში. ამ მხარეში ადამიანის ცხოვრების კვალი გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან ჩვენს დრომდე თითქმის უწყვეტად მოდის. XVI ს. შუა წლებში მ. სამხრ.-დას. საქართვ. სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა რუს.-ოსმ. 1877–78 ომის შედეგად. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით (1878), საქართვ. სხვა ისტ. ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთის უღლისგან გათავისუფლდა. მ-ის ერთი ნაწილი (ზემო მ.) თურქეთის საზღვრებშია.

ლიტ.: გ უ ჯ ე ჯ ი ა ნ ი რ., ზემო მაჭახელი, ,,საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები''; 2014, [ტ.] 8; კ ახ ი ძ ე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათ., 1974; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წგ. 1, ბათ., 1956.

მაჭახლისპირი, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (აჭარისწყლის თემი). მდებარეობს მდ-ების – მაჭახლისწყლისა და ჭოროხის შესართავთან. ზ. დ. 240 *მ,* ხელვაჩაურიდან 13 *კმ.* ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ.* 175 მცხ. (2014).

მაჭახლისწყალი, მდინარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. სათავეს იღებს თურქეთში, შავშეთის ქედის სამხრ. ფერდობზე, ზ. დ. 2285 *მ*-ზე. სოფ. მაჭახლისპირთან მარჯვ. მხრიდან ერთვის მდ. ჭოროხს. მდინარის სიგრძეა 27 *კმ,* აუზის ფართ. – 269 *კმ* ^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით, წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე, წყალმცირობა – ზამთარში. საშ. წლიური ხარჯი შესართავთან – 20,8 *მ* ^{3}*/წმ.*

მაჭი, თ ო ღ ა, თ ო რ ღ ვ ა, თ ო რ ღ ა, IX ს. ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში (ჰერეთი). აგებულია მდ. მაჭისწყლის (ახლანდ. მაწიმისწყალი, საქართვ. და აზერბაიჯანის სასაზღვრო მცირე მდინარე, ერთვის მდ. ალაზანს) და მისი მარჯვ. შენაკადის, მდ. თოღასხევის გამყოფ მთაზე. მ. იყო *მაჭის საერისთავოს* ცენტრი, შემდეგ კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია გახდა. ვახუშტის მიხედვით მ. იგივე თოღაა.

ციხის ტერიტორიის აღმ. და დას. კლდოვან, ფრიალო მხარეებს ღრმა უფსკრულები საზღვრავს, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან კი გამაგრებული იყო მაღალი გალავნით. შესასვლელიც ამ ორი მხრიდან ჰქონდა. ციხის შიდა ტერიტ. ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა (ჩრდ. ბევრად უფრო დიდია). აქ განლაგებულია სასახლე (ყველაზე მოზრდილი ნაგებობა მდებარეობს ფრიალო კლდის ნაპირას), რიყის ქვით ნაგები წმ. ნიკოლოზის დარბაზული ეკლესია (ააგეს კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ და მისმა მეუღლემ, თინათინმა; 2016 ჩაუტარდა რესტავრაცია), სწორკუთხა, კირის ხსნარით შელესილი, მიწაში ჩაფლული წყლის რეზერვუარები (ტევადობა დაახლ. 14000 ლ). სამხრ. ნაწილი შემოზღუდული იყო ქონგურებიანი, ორმაგი მაღალი კედლით, რ-შიც ჩართული იყო სწორკუთხა, მაღალი კონტრფორსებით გამაგრებული კოშკი (შემორჩენილია არასრული სიმაღლით). ჩრდ. მხარე გამაგრებული იყო კიდევ უფრო მასიური კედლით მასში ჩართული ექვსი გარეთკენ შვერილი, მაღალი, სწორკუთხა კოშკით და შუაში შესასვლელით. აღმ-ით, ფრიალო კლდეზე შემორჩენილია ყველაზე დიდი კოშკის ნანგრევები (სიგრძე – 7,5 *მ,* სიმაღლე – 8,9 *მ*). გალავნის კედლები ნაგებია რიყის, ნატეხი და კლდის შერჩეული ქვით.

წყარო: ვ ახ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 1_{IV}, თბ., 2021.

მაჭის საერისთავო, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში. მდებარეობდა ჰერეთში. მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხის ჩათვლით და ალაზნიდან ხუნძახამდე. საერისთავოს ცენტრი იყო *მაჭის* ციხე. ვახუშტი მაჭის ერისთავს VIII ს. ბოლო ამბებთან დაკავშირებით ახსენებს, როდესაც ადარნასე ბრმის ძმისწულებმა ჰერეთი დაიპყრეს და შტორის, ხორნაბუჯის, ვეჯინისა და მაჭის ერისთავები ,,დასხეს''. მოიხსენიება XI ს. დასაწყისშიც, როდესაც კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდმა (1010–37) ,,დასხნა სამი ერისთავი კახეთს და ოთხი ჰერეთს''. მათგან ერთ-ერთი მაჭის ერისთავი იყო. 1040 ბაგრატ IV-მ მიქელ-გაბრიელის მთასთან დაამარცხა კახელები და ტყვედ ჩაიგ-

დო პანკისის, ხორნაბუჯის ერისთავები, და შტორისა და მაჭის ერისთავის გოდერძის დისწული ჯედი (ვახუშტის მიხედვით მაჭის ერისთავს დაჯე ერქვა). მას შემდეგ რაც დავით IV აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა (XII ს. დასაწყისი), წყაროებში უკვე გვხვდება მხოლოდ კახეთისა და ჰერეთის საერისთავოები. სავარაუდოდ, დავით IV-მ გააუქმა შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულები და შექმნა ახალი – კახეთისა და ჰერეთის საერისთავოები.



მახა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

მაჯუტაძე გაიანე სერგოს ასული (24. XII. 1914, პეტერბურგი, – 8.VII. 1994, თბილისი), პიანისტი, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). 1933 დაამთავრა ლენინგრადის კონსერვ. საფორტეპიანო განყ-ბა. 1934–39 სწავლობდა თბილ. კონსერვ. ასპირანტურაში და პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1934-იდან იყო საქართვ. რადიოკომიტეტისა და ფილარმონიის სოლისტი, 1939–42 – მოსკ. გნესინების სახ. მუს. პედ. ინ-ტის, 1942- იდან სიცოცხლის ბოლომდე – თბილ. კონსერვ. პედაგოგი (1975-იდან პროფესორი), 1991-იდან – ხელოვნების აკად. პროფესორი. მ. პირველი ქართვ. პიანისტი ქალია, რ-მაც ესტრადაზე გამოიტანა ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებები. მის რეპერტუარში შედიოდა: ა. ბალაჩივაძის, ო. ბარამიშვილის, ნ. გუდიაშვილის, ა. შავერზაშვილის, ა. მაჭავარიანის, ფ. შოპენის, ლ. ბეთჰოვენის, ჰ. ფრანკის, ი. ბრამსის და სხვ. ნაწარმოებები.



სამნემსა მახათა.

მ-ის მოწაფეები იყვნენ: ნ. ბრეგვაძე, ნ. ბუცხრიკიძე, თ. ელიავა, ნ. თევზაძე და სხვ.

მაჯუტაძე ოთარ, ღირსი ონოფრე გარეჯელი (გ. 1732/33), მწიგნობარი, დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი. XVII ს. 70-იან წლებში გურიიდან ქართლში გადავიდა, სადაც 1683 ლევან ბატონიშვილმა ,,სამწევრისის მესთულეობის'' სახელო უბოძა. ბერად შედგა დაახლ. 1683–90. საეკლ. კრებამ 1690 დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვრად დაადგინა. იგი ენერგიულად იღვწოდა სამონასტრო ცხოვრების აღორძინებისათვის, რისთვისაც ,,დავითგარეჯის უდაბნოს მეორე აღმშენებელი'' უწოდეს. 1699 მისი ინიციატივით შედგა ჰაგიოგრაფიული კრებული (ხელნაწ. A–160), რ-შიც პირველად გაერთიანდა წმ. ასურელ მამათა ცხოვრების ამსახველი თხზულებანი.

მ. აქტიურად იყო ჩაბმული ქართლ-კახეთის საზ. ცხოვრებაში; დაუღალავად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ხშირად საკუთარი სახსრებით გამოხსნილ ტყვეებს მონასტრის მიწაზე ასახლებდა. მისივე დავალებით დავითგარეჯის ბერი ბესარიონ ორბელიშვილი, ქართლის მომავალი კათოლიკოსი, პირადად გაიგზავნა გურიელთან ტყვეთა გაუსყიდველობის თაობაზე პირობის მისაღებად.

ლიტ.: მაჩურიშვილი გ., არქიმანდრიტი ონოფრე (მაჭუტაძე), ისტორიის ფურცელი, ,,საპატრიარქოს უწყებანი'', 2018, №17(887); მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1962; ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965.

ს. მეტრეველი.

მახა, ჭანურად მოხა, დასავლეთ საქართველოს ხორბლის ენდემი, ჰექსაპლოიდური სახეობა. ხორბლის კულტურის პალეორელიქტი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლი. გავრცელების არეალი მკვეთრად შეზღუდულია, მიუხედავად ამისა, პოლიმორფიზმით გამოირჩევა. აერთიანებს 2 ქვესახეობას: ჩელტა მ-სა და გვაწა ც-ს. აქვს მრავალი სახესხვაობა. მ. თავთავმტვრევადი ჰექსაპლოიდური ხორბლის ადრეული ეტაპია. მ-ს გენოტიპი ატარებს ძვირფასი სამეურნეო ნიშნების გენებს. მისი გამოყენება პერსპექტიულია ჭარბტენიანი პირობების, ჩაწოლის, აგრეთვე გუდაფშუტას მიმართ გამძლე და საკვები ხორბლის სელექციაში.

პ. ნასყიდაშვილი.

მახათა, მთა თბილისის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 628 *მ*. წარმოადგენს მტკვრის ძველ ტერასას. აგებულია ზედაეოცენური თიხებითა და ქვიშებით, ზემოდან დაფარულია მეოთხეული ალუვიური ნალექებით. მ-ის მთას აქვს მობრტყელებული თხემი, აღმ. და სამხრ. კალთები დამრეცია, ხოლო დას. და ჩრდ. – ციცაბო და ხელოვნურად გატყიანებული (ძირითადად ფიჭვნარი).

მახათასებრნი (Gasterosteidae), თევზების ოჯახი (Gasterosteidae Bonaparte, 1831) მახათასნაირთა რიგისა (Gasterosteiformes). შეიცავს 5 გვარის 12 სახეობას. გავრცელებულია ევროპის, აზიის, ჩრდ. ამერიკის და ჩრდ. აფრიკის ზღვების მომლაშო და მტკნარ წყლებში.

საქართველოში გვხვდება სამნემსა მახათა (Gasterosteus aculeatus Linnaeus, 1758). მისი სიგრძეა 4–6 *სმ*, იშვიათად 8–9 *სმ*. მასა 4 გ-მდე. ცოცხლობს 3–4 წელი. ბინადრობს როგორც მარილიან, ისე მტკნარ წყლებში. ირჩევს მცენარეულობით მდიდარ ბიოტოპებს. ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი. სქესობრივად მწიფდება 14–18 თვის შემდეგ, როდესაც სიგრძე აღწევს 4–6 *სმ*. მრავლდება მარტიდან აგვისტომდე. მამალი აგებს ბუდეს, სადაც დედალი ყრის ქვირითს. მამალი დარაჯობს განაყოფიერებულ ქვირითს ლიფსიტების გამოჩეკვამდე. ნაყოფიერება 60–400-მდე ქვირითია.

მტაცებელი თევზია. იკვებება კიბოსნაირებით, ჭიებით, წვრილი თევზებითა და ქვირითით, ჭამს საკუთარ ქვირითსაც. შავი ზღვის სანაპიროსთან გვხვდება ყველგან, საიდანაც შედის მდინარეების (ჭოროხი, სუფსა, რიონი, ხობი, ჭურია, თიქორი, ენგური) შესართავებსა და ტბებში (პალიასტომი, კახაბერი, ნურიე-გელი); ასევე გავრცელებულია აზოვის ზღვის სანაპიროებზე, მდინარეებში (დნესტრი, ბუგი, დნეპრი, პრუტი, ყუბანი) და დუნაის დელტასთან დაკავშირებულ ტბებში. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

ლიტ.: ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013.

ნ. ნინუა.

მახათაური, სოფელი იმერეთის რეგიონის საჩხერის მუნიციპალიტეტში (არგვეთის თემი), იმერეთის მაღლობზე, მდ. ლაშურის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) სათავესთან. ზ. დ. 720 *მ*, საჩხერიდან 11 *კმ*. 610 მცხ. (2014).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია.

მახათაძე ბორის ალექსანდრეს ძე (20. I. 1865, ზესტაფონი, – 1912-ის შემდეგ, რუსეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1909). დაამთავრა ციმბირის სამხ. გიმნაზია (1882), კონსტანტინეს სამხ. (1884) და მიხეილის საარტილერიო (1886) სასწავლებლები, აგრეთვე გენ. შტაბის აკადემია (1891). 1883-იდან მსახურობდა მე-5 სარეზერვო საარტილერიო და 65-ე საარტილერიო ბრიგადებ-

ში. იყო ურალის ოლქის ჯარების შტაბის უფროსი (1903–05), სევასტოპოლის 128-ე ქვეითი პოლკის (1905–09), აღმ. ციმბირის მე-4 მსროლელი დივიზიის 1-ელი ბრიგადის მეთაური (1909–12). 1912 ავადმყოფობის გამო გადადგა სამხ. სამსახურიდან.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახათაძე იოსებ კონსტანტინეს ძე (15. XII. 1917, სოფ. მაღლაკი, ქუთაისის მაზრა, ახლანდ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, – 1. I. 2010, აშშ), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1981), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985).

1940 დაამთავრა თსსი. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. 1948–51 იყო ტყიბულისა და ვანის რაისაავადმყოფოების მთ. ქირურგი, 1956–2006 – გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი მუშაკი, სამედ. რადიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტრანსფუზიოლოგიის განყ-ბის გამგე (1974–83). 1968–75 – თბილ. სისხლის გადასხმის სადგურის კრიობიოლოგიის პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

არის სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორი, მ. შ. აღსანიშნავია: ,,ძვლის ტვინის საკონსერვაციო აპარატი'', რ-იც დაპატენტებულია აშშ-ში (1972). წლის საუკეთესო გამოგონებისთვის დაჯილდოვდა საქართვ. მეცნ. აკადემიის პრემიით (1984).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახათაძე ლუარსაბ ბორისის ძე (11. VI. 1906, ჟიტომირი, – 13. V. 2003, თბილისი), მეტყევე. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1956), პროფესორი (1968), მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრ. ფაკ-ტი. 1954–57 იყო ერევნის ბოტან. ბაღის დირექტორი, 1957–80 – ვ. გულისაშვილის სახ. საქართვ. სამთო მეტყევეობის ინ-ტის სატყეო გეობოტანიკის განყ-ბის გამგე, 1980-იდან – სამეცნ. კონსულტანტი. იკვლევდა საქართვ. ტყეების დინამიკურ მიმართულებებს, კავკასიის ტყის ტიპების ეკოლოგიურ-გენეტიკური კლასიფიკაციის საკითხებს. ავტორია სამეცნ. ნაშრომების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახათელაშვილი ფირუზ დავითის ძე (20. XI. 1914, სოფ. კურდღელაური, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 17. V. 1970, იქვე), ხალხური სიმღერების შემსრულებელი, კომპოზიტორი, ლოტბარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1936). 1938-იდან ხელმძღვანელობდა სას.-სამ. ინ-ტის გუნდს, 1939-იდან – თავისსავე აღდგენილ რ-ნულ ეთნოგრ. გუნდს თელავში. სხვადასხვა წლებში ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ახმეტის, თელავის მასწავლებელთა და კულტ. სახლის, რუსთავის, ყვარლის და სხვა გუნდებს. 1953 იყო გორის საოლქო გუნდის ლოტბარი. აგროვებდა და იწერდა ხალხ. სიმღერებს, ცნობილ მომღერალთა (დედას ლევანა, ვ. მჭედლიშვილი, მ. ჯიღაური, ნ. ელოშვილი და სხვ.) ნამღერ ვარიანტებს. მ-მა სახელი გაითქვა როგორც თვითნასწავლმა კომპოზიტორმა. ცნობილია მისი საავტორო სიმღერები: ,,სიმღერა კახეთზე'', ,,სიმღერა თელავზე'', ,,ხალხო, შეხედეთ, ეს გოგონა ვისია'', მუს.-ქორეოგრ. სიუიტა ,,მთისა და ბარის მეგობრობა'' და სხვ. მ-ის გუნდები, ხალხ. სიმღერების გარდა, ასრულებდნენ ქართვ. კომპოზიტორთა (ნ. სულხანიშვილი, მ. ჩირინაშვილი, შ. მშველიძე და სხვ.) ნაწარმოებებს. შექმნა ახალი კომბინირებული საკრავი, რ-შიც შერწყმული იყო ჩონგური, ფანდური და ჩანგი.



დ. მახათელი – გრაფი ალბერტი, ე. ობრაზცოვა – ჟიზელი. ა. ადანის ,,ჟიზელი''.

მახათელი, ღომისა და მარილის საწყაო XVI ს. დას. საქართველოში, უდრიდა 2 ქილას, ანუ 29 კგ.

ლიტ.: მუსხელიშვილი ლ., ზოგიერთი საწყაოს ოდენობა დასავლეთ საქართველოში XV–XVIII საუკუნეებში, ,,საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე'', 1941, ტ. 11 B.

მახათელი დავით ნიკოლოზის ძე (დ. 15. V. 1975, თბილისი), ბალეტის მოცეკვავე, პედაგოგი. მ-ის მშობლები იყვნენ თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მოცეკვავეები – ნ. *მახათელი* და მ. ლოლაძე. დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ-ები: ნ. მახათელი, ვ. ჭაბუკიანი, ლ. მხითარიანი, ბ. რახმანინი, ჰ. ზამუელი). მ-მა მონაწილეობა მიიღო ლოზანას ახალგაზრდა მოცეკვავეთა საერთაშ. კონკურსზე (,,The Prix de Lausanne''), მოიპოვა I პრემია და პრიზი, რამაც ლონდონის კოვენტ-გარდენის საბალეტო სკოლაში უფასოდ სწავლის შესაძლებლობა მისცა. სკოლის დამთავრების შემდეგ ცეკვავდა ბირმინგემის სამეფო თეატრში, ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის, იაპონიის, ჩინეთის, ევროპის, აშშ-ის თეატრების სცენაზე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელში, პანამის ნაციონალურ ბალეტში. 1996 მიიწვიეს ჰიუსტონის საბალეტო დასში, 2001–02 ამავე დასის, 2003–12 კი – ლონდონის კოვენტ-გარდენის სამეფო ბალეტის წამყვანი სოლისტია, 2007-იდან – საბალეტო დასის ხელმძღვანელი, ასევე არის თავისივე დაარსებული სააგენტო D&D Art Productions-ის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. თანამშრომლობს მოსკოვის დიდი თეატრის, სანქ-პეტერბურგის, პარიზის, ინგლისის სამეფო და სხვ. წამყვანი თეატრების არტისტებთან, აწყობს გალა-კონცერტებს, საერთაშ. კონფერენციებს, სიმპოზიუმებს და სხვ. არის აგრეთვე მრავალი საერთაშ. კონკურსის ჟიურის წევრი. მ-ს რეპერტუარშია ლ. მინკუსის ,,ბაიადერა'', პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა'', ,,მძინარე მზეთუნახავი'', ,,მაკნატუნა'', ა. ადანის ,,ჟიზელი'', ს. პროკოფიევის ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,კონკია''; ,,ონეგინი'' (მუსიკა პ. ჩაიკოვსკის) და სხვ. მას, როგორც პედაგოგს, ხშირად იწვევენ მსოფლიო წამყვან საბალეტო დასები (დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ფინეთი, შვედეთი).




ფ. მახათელაშვილი.



დ. მახათელი.

მახათელი მაია ნიკოლოზის ასული (დ. 11. VI. 1986., თბილისი), ბალეტის მოცეკვავე, ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა (2010). დაამთავრა ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილ. სახელმწ. ქორეოგრ. სასწავლებელი, სადაც მშობლებთან ერთად (ნ. მახათელი და მ. ლო-



მ. მახათელი.



ნ. ვ. მახათელი.



ვ. ვ. მახალდიანი.

ლაძე) მისი პედაგოგები იყვნენ ს. მთვარელიშვილი და ლ. ჩხიკვიშვილი. 15 წლის ასაკში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში და სწავლა განაგრძო სან-ველის საბალეტო სკოლაში (კეტჩუმი, აიდაჰოს შტატი), შემდეგ კი – დენვერში (პედ-ები: გ. ზამუელი, ვ. მუხანოვა). 2002-იდან მ. „კოლორადო ბალეტის'' დასის წევრია. 2006-07 იყო ბირმინგემის სამეფო ბალეტის მოცეკვავე, სადაც ს. პროკოფიევის ,,რომეო და ჯულიეტაში'' შეასრულა ჯულიეტას, მისმა ძმამ, დ. მახათელმა კი – რომეოს პარტია. 2009-იდან მ. ნიდერლანდების ნაციონალურ საბალეტო დასში ჩაირიცხა. 2014 ჰააგის საზაფხულო პროგრამით მიწვეული იყო ორეგონის საბალეტო დასში. იგი თანამშრომლობს მსოფლიოს გამოჩენილ ბალეტმაისტერებთან (ქ. ვილდონი, ა. რატმანსკი, ი. გრიგოროვიჩი, ნ. მაკაროვა, ბ. მილეპიედი, დ. დავსონი, ტ. ბრონსონი და სხვ.). მ-ს შესრულებული პარტიებიდან აღსანიშნავია კიტრი, ნიკია (ლ. მინკუსის ,,დონკიხოტი'', ,,ბაიადერა''), კლარა, შაქარლამა; ოდეტა-ოდილია, ავრორა (პ. ჩაიკოვსკის ,,მაკნატუნა'', ,,გედების ტბა'', ,,მძინარე მზეთუნახავი''), ჟიზელი (ა. ადანის ,,ჟიზელი''); სილფიდა (ჟ. შნეიცჰოფერის ,,სილფიდა''), ჯულიეტა, კონკია (ს. პროკოფიევის ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,კონკია''), მთავარი გოგონა, რუსი გოგონა (ჯ. ბალანჩინის დადგმები: ,,თემა და ვარიაციები'', ,,სერენადა''), მარგარიტა გოტიე (ა. დიუმას ,,ქალი



მ. მახათელი. ოდეტა-ოდილია, პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბა“.

კამელიების'' მიხედვით, მუსიკა – ფ. შოპენის), მატა ჰარი (ტ. ო'რიგენის ,,მატა ჰარი'') და სხვ. მ. არის საერთაშ. საბალეტო ფესტივალებისა და კონკურსების, ასევე აშშ-ის საბალეტო გილდიის ახალგაზრდა მოცეკვავეთა კონკურსის (I პრემია და გრან-პრი; დენვერი, 2002) ლაურეატი. მიღებული აქვს ნ. ანანიაშვილისა და ჟ. ალბერტის პრიზი ,,ვარსკვლავი'' (2011), ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის წლის საუკეთესო მოცეკვავის წოდება და ალექსანდრა რადიუსის უმაღლესი ჯილდო (2015), „Benois de la Danse“-ს პრემია (2019), ჟურნ. „Dance Europe“-ს პრიზი ,,წლის საუკეთესო ბალერინა'' (2020) და სხვ.

მ. ჯაფარიძე,
რ. ქუთათელაძე.

მახათელი ნიკოლოზ (ნუგზარი) ვახტანგის ძე (დ. 14. IX. 1946, თბილისი), ბალეტის მოცეკვავე, ქორეოგრაფი, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1983). დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელი (1966). 1970–75 სწავლობდა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტში დრამისა და ბალეტის ფაკ-ტზე (დ. ალექსიძის ჯგუფი). 1966–92 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი; 1980–83 სტაჟირება გაიარა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ.-პეტერბურგი) ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამავე წლებში იყო სენეგალის (დაკარი) ნაციონალური საბალეტო სკოლის, ,,მოდერნ მუდრა აფრიკის'' ქორეოგრაფი და პედაგოგი, 1983–85 – გალის (აფხ. არ) ცეკვის, მიმიკისა და პლასტიკის კულტურის ცენტრის ქორეოგრაფი. 1988–90 მუშაობდა ნიკარაგუაში, კომპანია ,,ბალეტ-მოდერნში'' პედაგოგ-რეპეტიტორად; 1991–92 – თბილ. ქორეოგრ. სასწავლებლის დირექტორად; 1993–2001 – თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრის მთ. ბალეტმაისტერად. 2000–01 აიდაჰოს შტატში (აშშ) იყო საბალეტო სკოლის ხელმძღვანელი. 2002–04 – კოლორადოს შტატის დენვერის დ. ტეილორის საბალეტო სკოლის პედაგოგი. იქვე დააარსა კერძო საბალეტო სკოლა ,,მახათელი-ბალე'' (2004). 2008–14 იყო ლუიზიანას შტატის ახალი ორლეანის ,,ხელოვნების სკოლის'' პროფესორი და პედაგოგ-რეპეტიტორი, 2014–18 – მიჩიგანის შტატში ,,მიჩიგან ბალეტ აკადემიის'' სამხატვრო ხელმძღვ. და დირექტორი. მ-მა აშშ-ში ჩაატარა მასტერკლასები და დადგა სხვადასხვა სტილით გამორჩეული ქორეოგრ. სპექტაკლები. მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია: აქტიორი (რ. გაბიჩვაძის ,,ჰამლეტი''), ფრანცი (ლ. დელიბის ,,კოპელია''), ბაზილი (ლ. მინკუსის ,,დონ კიხოტი''), ყმაწვილი (ფ. შოპენის ,,შოპენიანა); საბალეტო დადგმები: რ. გაბიჩვაძის მინიატიურა ,,შველი'', ი. მოროზოვის ,,ექიმი აიბოლიტი'' (1974, ქუთაისი), ვ. მოცარტის ,,რეკვიემი'' (პლასტიკური დადგმა), ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'' (დამუშავებულია ს. ცინცაძის მიერ). მ-ის ქორეოგრაფიული ჩანახატები განხორციელდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრსა და ტელევიზიაში. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

თ. დოლიძე.

მახათი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მარტვილის მუნიციპალიტეტში (ვედიდკარის თემი), ოდიშის დაბლობზე, მდ. აბაშის (ტეხურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 70 *მ,* მარტვილიდან 17 *კმ.* 33 მცხ. (2014).

მახალაკაური, სოფელი აჭარის არ-ის ხულოს მუნიციპალიტეტში (ფუშრუკაულის თემი), მდ. სხალთის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1350 *მ,* ხულოდან 35 *კმ.* 82 მცხ. (2014).

მახალაკიძეები, სოფელი აჭარის არ-ის შუახევის მუნიციპალიტეტში (ოლადაურის თემი), მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 980 *მ.* შუახევიდან 20 *კმ.* 315 მცხ. (2014).

მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე [8 (21). I. 1911, სოფ. მლეთა, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 4. XII. 1982, თბილისი], მეცნიერი მანქანათმცოდნეობის დარგში, საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), ტექ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1955), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961), საქართვ. სახელმწ. (1971, 1981) და გ. ნიკოლაძის სახ. პრემიების (1978) ლაურეატი, საქართვ. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექან. და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი (1954), ქართ. საბჭ. ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო კოლეგიის წევრი, II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე.

ამიერკავკ. ენერგეტიკული ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ, 1934-იდან მუშაობა დაიწყო თბილ. სას.-სამ. მანქანების ქ-ნაში მთ. ინჟინრად. იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე (1938-იდან). მ-ის ძირითადი სამეცნ. ნაშრომები ეძღვნება შიგაწვის ძრავების თბურ პროცესებს. ფართოდ გავრცელდა მის მიერ დამუშავებული მაღალმთის პირობებში მომუშავე ძრავას თბური გაანგარიშების მეთოდი და არასრული დატვირთვით მომუშავე ძრავას დროსელირების თეორია. შექმნა კუმშვის ხარისხის ავტომ. რეგულირების ძრავა, დაამუშავა მისი თეორია და გაანგარიშების მეთოდები, აგრეთვე როტაციული (მოცულობითი და რეაქტიული) ძრავების მუშაობის პრინციპები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: შიგაწვის ძრავების თეორია (სახელმძღვანელო), თბ., 1971; О двигателях для горных автомобилей и тракторов, Тб., 1968; Механическая тяга в горной местности, М.1970 (თანაავტ. Р.Р.Двали); Двигатели внутреннего сгорания с автоматическим регулированием степени сжатия, Тб., 1973 (თანაავტ. И.Ф.Эджибия, А.М.Леонидзе).

მახარა, წყლის საზიდი მოწყობილობა. აჭარის, გურიის სამეგრელოსა და ლაზეთის მთიანეთში დავაკებული ადგილები დაფერდებულთან შედარებით მცირეა, ამიტომ ფერდობებზე ხელოვნურ ტერასებად (ლარები და ოროკები) მოწყობილ სავარგულებზე ხეხილი და ვაზია გაშენებული. აჭარის ხევზუვიანი რელიეფის გამო, გლეხი იძულებული იყო სარწყავი წყალი შორიდან გამოეყვანა. იგი ალაგ-ალაგ ხევზე გადებულ ხის ღარებში – ბელღარებში მიედინებოდა და მორწყვის გარდა, პატარა წისქვილებსაც ატრიალებდა.

მ-ს კარ-მიდამოს სიახლოვეს ან ეზოში აწყობდნენ. ხის ჯოჯგინაზე ჭის გვიმის მსგავს ხელით სატრიალებელ მორგვ-ბორბალს ამაგრებდნენ. ქვემოთ, ნაკადულთან ან წყაროსთან ნიადაგის ტენიანობის გამო მიწაში მუხის მსხვილ მარგილს მყარად არჭობდნენ. მარგილსა და ჯოჯგინას ერთ ფეხს მაგარ ბაგირს აბამდნენ და ჭიმავდნენ. შემდეგ ბაგირის სიგრძის თოკს მორგვ-ბორბალზე ახვევდნენ, ბაგირზე კი რკინისკავიან გორგოლაჭს კიდებდნენ, მორგვზე დახვეული თოკის თავისუფალ ბოლოს გორგოლაჭის თავზე ნასკვავდნენ და წყაროს წყალს ხის ღარს მიუმარჯვებდნენ. წყლის ამოსატანად ხის სათლს (ვედრო) გორგოლაჭის კაუჭზე ჰკიდებდნენ და მორგვ-ბორბალს უკუღმა ატრიალებდნენ. ამ ხერხით სათლი ღარის პირს მიადგებოდა და წყლით ივსებოდა, მორგვ-ბორბლის წაღმა დატრიალებით კი წყალი მაღლა ამოჰქონდათ.

მ. ფრიად ორიგინ. და მოხერხებული ტექნიკური საშუალებაა და ამჟამადაც გამოიყენება.

ე. ნადირაძე.

მახარაძე ავთანდილ ივანეს ძე (დ. 16. VII. 1943, ბათუმი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1988). 1965 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (ა. თავზარაშვილის სახელოსნო). 1965–66 მოღვაწეობდა ზუგდიდის შ. დადიანის სახ. დრამ. თეატრში, 1966–92 იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი. შესრულებული როლე-



ა. მახარაძე. ვარლამ არავიძე. კადრი ფილმიდან ,,მონანიება". რეჟისორი თ. აბულაძე. 1984.

ბია: აბიბო, გოგოლი (ნ. დუმბაძის ,,მზიანი ღამე", ,,საბრალდებო დასკვნა"), ივანე გვერდწითელიძე (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი"), პაპუნა პიტრიშაძე (შ. დადიანის ,,გუშინდელნი"), მოამბე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე"), ტიბალტი, მეფე ედუარდ IV, კენტერბერის არქიეპისკოპოსი, მასხარა, გლოსტერი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა", ,,რიჩარდ III", ,,მეფე ლირი"), პატრონი (ლ. თაბუკაშვილის ,,ათვინიერებენ მიმინოს") და სხვ. გამორჩეულია ჯაყო ჯივაშვილის როლი მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნებში" თ. ჩხეიძის სატელევიზიო ფილმსა (1979) და მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე განხორციელებულ სპექტაკლში (,,ბედკრულნი", ,,ჯაყოს ხიზნების" მიხედვით, 1983).

მ. გადაღებულია ქართ. და უცხოურ კინოფილმებში. შექმნა დამახვერებელი, ზუსტად მიგნებულ პლასტიკაზე აგებული სახეები ფილმებში: ,,მიხა" (სიკო, რეჟ. მ. კოკოჩაშვილი, 1965), ,,მყუდრო სავანე" (სიმონ ბეროშვილი, რეჟ. კ. ღლონტი, 1971), ,,ლაზარეს თავგადასავალი" (უსინათლო, რეჟ-ები: ქ. და რ. ხოტივარები, 1973) და სხვ. მ-ის შემოქმედებაში წარმატებებით აღინიშნა XX ს. 80-იანი წლები, ამ პერიოდში შეასრულა ორი როლი – ვარლამ და აბელ არავიძეები – ფილმში ,,მონანიება" (რეჟ. თ. აბულაძე, 1986, ,,ვერცხლის დათვი" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ბერლინის საერთაშ. კინოფესტივალზე, 1988; სსრკ კინოაკადემიის პრემია ,,ნიკა", 1989). მთავარი როლები შეასრულა ფილმებში: ,,მიგრაციები" (ისაკოვიჩი, რეჟ. ა. პეტროვიჩი, 1989, საფრანგეთი/იუგოსლავია), ,,რჩეული" (ჯუნა, რეჟ. მ. კალატოზიშვილი, 1991), ,,გარეშე" (1991, პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის საერთაშ. კინოფესტივალზე ,,ოქროს არწივი", 1993), ,,შავი ნიშანი" (აჟდარ ხანბაბაევი, 2003), ,,ნაციონალური ბომბი" (მონტაჟორი, 2004, პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის, პირველ საერთაშ. ევრაზიულ კინოფესტივალზე ,,ახალი კინო XXI საუკუნე", სმოლენსკი, 2004, სამივე რეჟ. ვ. მუსტაფაევი, აზერბაიჯანი), ,,არხანგელი" (სტალინი, რეჟ. ჯ. ჯონსი, 2005, დიდი ბრიტანეთი), ,,ყველა წავიდა" (ცისა, რეჟ. გ. ფარავჯანოვი, 2012, რუსეთი), ,,მძევლები" (სანდროს მამა, რეჟ. რ. გიგინეიშვილი, 2017) და სხვ.

სახასიათო სახეები შექმნა ფილმებში: ,,იმედის მწვანე კუნძული" (რეჟ. ო. გვასალია, 1978), ,,შესვენება" (რეჟ. ბ. წულაძე, 1978), ,,არაჩვეულებრივი რეისი" (რეჟ. ბ. ჩხეიძე, 1982), ,,ჟამი მოქცევისა" (რეჟ. ნ. ომიაძე, 1982), ,,ბებია ყველასათვის" (რეჟ. ნ. დვალიშვილი, 1987), ,,წინამორბედი" (რეჟ. ი. კვაჭაძე, 1988), ,,ჩიტის გადაფრენა" (რეჟ. ვ. გრიგორიევი, 1988, რუსეთი), ,,ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), ,,ცოდვის შვილები" (რეჟ. გ. ჩოხელი, 1989) და სხვ.

მ-ის საშემსრულებლო მანერისათვის დამახასიათებელია გარეგნული სახიერებისა და შინაგანი



ა. ი. მახარაძე.

მდგომარეობის ორგანული შერწყმა, გროტესკული მასალის იმპროვიზაციული წარმოსახვა. 2013 მიენიჭა საპატიო ბათუმელის წოდება.

მ. კერესელიძე.



ა. ფ. მახარაძე.

მახარაძე აკაკი გენადის ძე (14. VIII. 1922, სოფ. ქვედა ციხესულორი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 7. V. 1994, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975), მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1948). იყო საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტის უფრ. მასწავლებელი (1953–54), თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის ლექტორი (1955–56); მუშაობდა (1956-იდან) საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, იყო ეკონ. ფაკ-ტის დეკანი (1972–79), პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1971–80), იგივე თანამდებობა ეკავა ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში (1980–94).

მ. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა, რ-ებიც ეხება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და სოფ. მეურნეობის განვითარების პერსპექტივის საკითხებს.

თხზ.: სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი კოლმეურნეობებში, თბ., 1974; მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1984.



კ. ი. მახარაძე.

მახარაძე არჩილ ფილიპეს ძე [14 (27). III. 1908, თბილისი, – 27. I. 1979, ლენინგრადი (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი)], სამხედრო ინჟინერი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, სტალინური პრემიის ლაურეატი (1948), *ფ. მახარაძის* შვილი. დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი (1931), იყო სამხ. წარმომადგენელი იტალიაში (1935–37), მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე გემთმშენებლობის დარგში (1937–75). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახარაძე გერასიმე თომას ძე (1881, სოფ. გომი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 14. IX. 1937), დიპლომატი. ს.-დ. პარტიის წევრი. სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს. იყო რუსეთის II სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. 1918 დაინიშნა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. მ. იყო საქართვ. ეროვნ. საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, თბილ. მუშათა დეპუტატების საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1919 დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკაში საქართვ. წარმომადგენლად.

1920 საქართვ. დემოკრ. რესპ. და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად ორივე ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობები გაიხსნა. მ. საქართვ. დემოკრ. რესპ-ის ელჩად დაინიშნა საბჭოთა რუსეთში. ცდილობდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებას. შეხვედრები ჰქონდა ვ. ლენინთან, გ. ჩიჩერინთან, რომლის დროსაც გამართულ მწვავე კამათში იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

1921 ივნისში მ. დააპატიმრეს კონტრრევოლუციონერობის ბრალდებით, თუმცა მალე გაათავისუფლეს. 1937 მეწშვიკური საქმიანობის ბრალდებით კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; ჭუმბურაძე დ., ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში 1918–1921 წლები, თბ., 2003.

დ. ჭუმბურაძე.

მახარაძე გიორგი ალექსანდრეს ძე (დ. 26. IX. 1948, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2012). დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტი (1961) და იმავე წელს დაიწყო მუშაობა იქვე ანალიზური ქიმიის კათედრაზე. იყო ანალიზური ქიმიისა და გარემოს ქიმიის კათედრის ასისტენტი (1979–84), დოცენტი (1984–2003), პროფესორი (2003-იდან). ხელმძღვანელობდა საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტში დისტანციური სწავლების ქიმიის მიმართულებას (2007–10), არის თსუ-ის მოწვეული პროფესორი (2012-იდან). მ-ის სამეცნ. გამოკვლევები ეხება ანალიზური ქიმიისა და გარემოს ქიმიის სფეროს. საქართველოში მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ბუნებრივ წყლებში მძიმე ლითონების მიგრაციის ფორმებისა და მძიმე ლითონების ბუნებრივ მაკრომოლეკულებთან (ფულმომჟავებთან და ჰუმინის მჟავებთან) კომპლექსწარმოქმნის პროცესების შესწავლა. მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი.

მ-ს მიღებული აქვს ეუთოს (OSCE), NATO-ს, სოროსის ფონდის საერთაშ. ეკოლოგიური ასოციაციის (YSR), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF), მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრის (ISTC) გრანტები. არის საერთაშ. სამეცნ. ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის, აგრეთვე წყლის საერთაშ. ასოციაციის წევრი.

თხზ.: ფულმომჟავები, თბ., 2009; Method of Calculation of Stability Constants of Fulvic Complexes on the Example of Copper. Journal of Chemistry and Chemical Engineering, USA, 2014, v. 8 (თანაავტ.: T. Makharadze); New Version of Calculation of Stability Constant of Metal-fulvate Complexes on the Example of Zinc Fulvate. International Journal of Environmental Science and Technology, USA, 2018, v. 15; (თანაავტ.: Supatashvili G., Makharadze T.).

მახარაძე კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე (17. XI. 1926, თბილისი, – 19. XII. 2002, იქვე), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1966). რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (2003, გარდაცვალების შემდეგ). 1934–41 სწავლობდა თბილ. ქორეოგრ. სტუდიაში. 1948-იდან, თეატრ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ, იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი, სადაც განასახიერა როლები: იულიუს ფუჩიკი (ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად''), თუმანიშვილი (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი''), ბარტოლუსი (ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი''), მინდია (მ. აბულაძის, გ. ჟორდანიას ,,ხოგაის მინდია'', კ. გამსახურდიას მიხედვით), კიკვიძე (ვ. დარასელის ,,კიკვიძე''), კრეონი (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ანდარეზი (დ. გაჩეჩილაძის ,,ბახტრიონი'', ვაჟა-ფშაველას მიხედვით) და სხვ. 1970-იდან მოღვაწეობა განაგრძო მარჯანიშვილის თეატრში, სადაც შეასრულა როლები: დავით ბარათელი



კ. მახარაძე ურიელ აკოსტა, ს. ჭიაურელი – ივდითი. კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''.

(გ. ხუხაშვილის ,,მოსამართლე''), მარკიზ დე პოზა (ფ. შილერის ,,დონ კარლოსი''), ანტონიო (ა. კორნეიჩუკის ,,ხსოვნა გულისა''), პეტრუჩიო (ჯ. ფლეტჩერის ,,მომრჯულებლის მომრჯულებელი''), ურიელი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), კვაჭი (მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე''), ბურგომისტრი (ფ. დიურენმატის ,,მილიარდერის ვიზიტი'') და სხვ. ლ. როსებას ,,პროვინციულ ამბავში'' მურმანის როლის შესრულებისათვის მიენიჭა კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (1982). ქართულ ფილმებში შესრულებული მხატვრული პერსონაჟებია: კოტე (,,არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ'', რეჟ. ყ. მგელაძე, 1975), კოტე (,,დილის ნისლივით'', რეჟ გ. ხოჯავა, 1976), პროკურორი (,,მონანიება'', რეჟ. თ. აბულაძე, 1984) და სხვ.; სატელევიზიო სპექტაკლებში ითამაშა კიკვიძის (ვ. დარასელის ,,კიკვიძე'') და ჰიგინსის (ბ. შოუს ,,პიგმალიონი'') როლები. გადაღებული აქვს ტელეფილმები: ,,ცეკვის ჯადოქარი'' და ,,ურიელ აკოსტა'' (რეჟ. რ. ჭიაურელთან ერთად). ამზადებდა ტელერეპორტაჟებს ქართ. კულტურისა და სპორტის ვარსკვლავებზე.

მ-ის სამსახიობო ოსტატობა გამოირჩეოდა ინდივიდუალობით, როლის ღრმა ფსიქოლოგიური წარმოჩენით.

მ. იყო ცნობილი სპორტული კომენტატორი (1957-იდან). მან წაიყვანა თბილ. ,,დინამოს'' ორი ისტ. თამაშის (1964 – ე. *მანჯგალაძესთან* ერთად; 1981) რეპორტაჟი. იყო საქართველოს კალათბურთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი, რა დროსაც ნაკრებმა მოიპოვა სსრკ თასი (1945). გამოირჩეოდა მეტყველების მაღალი კულტურით. იყო თეატრისა და კინოს სახ. უნ-ტის ტელეჟურნალისტიკის ფაკ-ტის დეკანი, პროფესორი. 1997 მისი ინიციატივით თბილისში დაარსდა ვ. ანჯაფარიძის სახ. ერთი მსახიობის თეატრი, სადაც განახორციელა წარმოდგენები: ა. ბაქრაძის ,,რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია'', ჯ. აჯიაშვილის ,,გამოიღვიძე, ქნარო'', ლ. სანიკიძის ,,ბაგრატიონები'', ასევე ,,აკაკი'', ,,სტალინი'' (მასალის ადაპტაციის ავტორი თავად იყო). მიღებული აქვს ღირსების (1996, 2001) ორდენი, კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის სახ. პრემიები. იყო თბილ. საპატიო მოქალაქე (1996). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მახარაძე კონსტანტინე (კოკი) მიხეილის ძე (7. XII. 1929, ოჩამჩირე, – 6. I. 1992, თბილისი), მხატვარი. საქართველოს სახ. მხატვარი (1980). სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1947–53), იქვე (1960–92) ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1973-იდან პროფესორი). იყო უ. ჯაფარიძის მოწაფე. მ-ის შემოქმედებას ახასიათებს გამოსახულების მონუმენტალიზაციის ტენდენცია – იქნება ეს ისტ. წარსული თუ თანამედროვე რეალობა. რეალისტური ხელოვნების ტრადიციით შესრულებული მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო ,,სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში'' (1952), რ-იც ისტ.-ბატალურ ჟანრს მიეკუთვნება. იმავე ჟანრს განეკუთვნება სურათი ,,ასპინძის ბრძოლა'' (1961, ორივე თბილ. სამხატვრო აკადემია). 1967 მხატვარმა შექმნა ალეგორიული ხასიათის დიდი ტილო – ,,მიწა ქართული'', რ-იც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ პანოს საქართველოში. ასევე ალეგორიულია სურათი ,,თეთრი ხარი'' (1969, ორივე შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი). მ-ის ძირითად ნამუშევართა შორის აღსანიშნავია სერია ,,იტალია'' (1976), ,,ბაკურიანი'' (1981), ,,გველის მომთვინიერებელი'' (1982), ,,ინდოეთი. კაჯურახო'' (1983), ,,დიდგორი'' (1985), ,,ამაღლება'' (1987), ,,ცეცხლითა და მახვილით'' (1988), სერია ,,ძველი თბილისი'' (1989). მ. ნაყოფიერად მუშაობდა გრაფიკის, მ. შ. წიგნის გაფორმების დარგში. მისი გაფორმებულია ი. ჭავჭავაძის ,,მგზავრის წერილები'', ი. აბაშიძის ,,რას გადაურჩა თბილისი'' და სხვ. 1953-იდან მონაწილეობდა სხვადასხვა სამხატვრო, მ. შ. თბილ. ტრადიციულ საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებში; მისი ნამუშევრები გამოიფინა მოსკოვში, მანეჟის საგამოფენო დარბაზში (1980), დელიში, ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1983), სტოკჰოლმის მერიაში (საქართვ. კულტურის დღეები, შვედეთში, 1988), ნიუ-იორკში, ჰოფსტრას უნ-ტში. მ-ის ნამუშევრები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. და კიევის ხელოვნების მუზეუმებში, დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. და ტრეტიაკოვის სახელმწ. (მოსკოვი) გალერეებში,




კ. მ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ,,თეთრი ხარი''. 1969. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, კერძო კოლექციებში.

თ. გერსამია.

მახარაძე ლეონ ილიას ძე (3. VII. 1938, თბილისი, – 12. XII. 2022, იქვე), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1986), საქართვ. დამს. გამომგონებელი (1984). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1961). მუშაობდა გ. წულუკიძის სახ. სამთო ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე ჰიდროსატრანსპორტო მექანიკის დარგში (1962-იდან): იყო დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში. ხელმძღვანელობდა ტრანსპორტის სპეც. სახეობების, საიმედოობისა და დიაგნოსტიკის განყ-ბას (1989–2012) და კომპლექსური მექანიზაციის ლაბორატორიას (2012–22). ჩამოაყალიბა და განავითარა დარგის პრობლემური მიმართულე-



კ. მ. მახარაძე.



კ. მ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ,,ვენეცია''. სერიიდან ,,იტალია''. 1976.



მ. ქ. მახარაძე.



ტ. მახარაძე.

ბები. მის მიერ შესრულებული თეორიული კვლევის შედეგები აღიარებულია მსოფლიოში. მ. იყო რამდენიმე დარგობრივი უცხოური აკად. წევრი, მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახარაძე მერაბ ნიკოლოზის ძე (5. IV. 1928, თბილისი, – 30. XI. 2006, იქვე), სამთო ინჟინერი. მიწისქვეშა ნაგებობების მშენებელი, პროფესორი (1983). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1952), მუშაობდა კომბინატ ,,საქნახშირის'' ტყიბულის ქვანახშირის შახტებში (1952–61), მოსკოვის სამთო ინ-ტში (1961–64), სპი-ში სხვადასხვა თანამდებობაზე (1965–85), საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში (ახლანდ. აგრარული უნ-ტი) გამოყენებითი მექანიკის კათედრაზე (1985–91); სტუ-ში თავდაპირველად მანქანათა ნაწილების, შემდეგ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავებისა და მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის კათედრებზე პროფესორად (1991–2006). მ-მ შეიმუშავა არაერთი სამაგრი კონსტრუქცია, რ-ებიც დაინერგა ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი. იყო ქართ. ენციკლოპედიის მთ. სარედაქციო საბჭოს წევრი. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები და გაანგარიშება, თბ., 1984; ქანების მექანიკა, თბ., 2001.

მახარაძე მიხეილ ქაზიმის ძე (დ. 13. XI. 1946, სოფ. ფაჩხა, ახლანდ. ხულოს მუნიციპალიტეტი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (2000). საქართვ. სახელმწ. (2004) და ეროვნ. (2011) პრემიების ლაურეატი.

დაამთავრა თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტი (1970) და ი. ჭავჭავაძის სახ. თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი (1979). სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და აგრ. უნ-ტში, სამხატვრო აკადემიაში, გ. რობაქიძის უნ-ტსა და კულტურის ინ-ტში. 2006-იდან იყო ბათუმის რუსთაველის სახელმწ. უნ-ტის პროფესორი, თავდაცვის ეროვნ. აკადემიის საპატიო დოქტორი (2005), საქართვ. მეცნ. აკად. ს. წერეთლის სახ. ფილოს. ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი (1973–94), ამავე ინ-ტის ქართული ფილოს. ისტ. განყ-ბის გამგე (1994–2006) და სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2007–10), ჟურნ. ,,მაცნეს'' მთ. რედაქტორი (ფილოსოფია; 2008–10).

მ. 2004–08 და 2008–12 იყო აჭარის არ-ის I და II მოწვევის უმაღლ. საბჭოს დეპუტატი, უმაღლ. საბჭოს თავ-რე; საქართვ. V და VIII მოწვევის პარლამენტის წევრი.

მ-ს ეკუთვნის სამეცნ. ნაშრომები და წერილები პეტრე იბერზე, იოანე პეტრიწზე, ჟამთააღმწერელზე, აბუსერისძე ტბელზე, XIII–XVIII და XIX სს. ქართ. ფილოსოფიის თავისებურებებზე, ს. დოდაშვილზე, გ. ქიქოძეზე, ი. გოგებაშვილზე, შ. ნუცუბიძეზე, მ. გოგიბერიძეზე, ს. წერეთელზე, ზ. კაკაბაძეზე, ა. ბეგიაშვილზე და სხვ. გამოქვეყნდა მისი ახ. ნაშრომები: ,,ფილოსოფიური ეტიუდები'' და ,,ძიებანი ქართული ფილოსოფიის თემებზე'' (2015) და ,,თანამედროვე ქართული ფილოსოფია. ნარკვევები'' (2021), აგრეთვე მონოგრაფია ,,შალვა ხიდაშელი'' (2021), რ-ებშიც განხილულია ქართ. ფილოს. საკითხები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორისეული ხედვა, თუ როგორ აისახა XX ს. ევრ. ფილოსოფიის აქტ. საკითხები თანამედროვე ქართვ. ფილოსოფოსთა ნაშრომებში.

მ-მ მონოგრაფიაში ,,ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში'' (1999), გამოიკვლია ქრისტ. ფილოსოფიის საკითხები საქართველოში; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არეოპაგიტიკის კვლევაში; განაგრძო და განავითარა რენესანსის საკითხების კვლევა საქართველოში.

მ. ავტორია სამეცნ.-პოპულ. ნაშრომების, მ. შ. ,,ავანტიურა აჭარის სახელით'' (2004) აღინიშნა სახელმწ. პრემიით ლიტ-რაში (პუბლიცისტიკის განხრით). აღსანიშნავია მისი წიგნი – ,,ფილოსოფია მოზარდთათვის'' (2001, 2002, 2003, 2020), ნაშრომს – ,,ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა'' (2005) 2009 მიენიჭა აკად. შ. ნუცუბიძის სახ. პრემია ფილოსოფიაში.

მ-ის მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ქართ. ფილოს. აზრის ისტორიის ოთხტომეული (1986–2010; ეროვნ. პრემია მეცნ. დარგში). მ-ის ნაშრომები გამოქვეყნებულია უცხოურ ენებზე. თარგმნილი აქვს ვ. სოლოვიოვის, ა. ლოსევის, მ. მამარდაშვილისა და ა. მენის ნაშრომები და წერილები.

მიღებული აქვს ღირსების (2004), ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა (2007) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2012) ორდენები.

თხზ.: სხალთის ზარები, თბ., 1996; ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში, თბ., 1999; რენესანსი. ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები, ბათ., 2009; არეოპაგიტიკა, თბ., 2011; ფილოსოფიური ეტიუდები, ბათ., 2015; ძიებანი ქართული ფილოსოფიის თემებზე, ბათ., 2015; თანამედროვე ქართული ფილოსოფია, ნარკვევები, თბ., 2020; ფილოსოფია მოზარდთათვის, თბ., 2020; შალვა ხიდაშელი, თბ., 2021; Философское содержание ареопагитики, Тб., 1991.

თ. ალიბეგაშვილი.

მახარაძე ნიკოლოზ ბარნაბის ძე (24. XII. 1909, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 4. II. 1990, თბილისი), ისტორიკოსი, ისტორიის მეცნ. დოქტორი (1965), მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სწავლობდა ოზურგეთის სას. სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა ამიერკავკ. კომუნისტური უნ-ტი (1926), წითელი პროფესურის ინ-ტი მოსკოვში (1933). 1917 ოზურგეთში დააარსა კლუბი, სადაც ახალგაზრდები ეცნობოდნენ მარქსის მოძღვრებას. 1921–22 იყო პარტიის ოზურგეთის რაიკომის მდივანი, 1925–27 – საქ. კპ(ბ) ცკ-ის თბილ. კომიტეტის, ხოლო 1927–31 – საქ. კპ(ბ) ცკ-ის განყ-ბის გამგის მოადგილე. იკვლევდა საქართველოსა და ამიერკავკ. რევ. მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას. გამოსცა მონოგრაფია „დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში“ (1967, ს. ჯანაშიას პრემია).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კვაჭაძე.

მახარაძე ტატიანა ხარიტონის ასული (25. XII. 1920, ბათუმი, – 8. IX. 2007, თბილისი), მომღერალი. საქართვ. დამს. არტისტი (1955). ასრულებდა ქართულ ხალხურ და საესტრადო სიმღერებს, უკრავდა ფანდურზე, ჩონგურზე. დაამთავრა ბათუმის მუს. ათწლედი (ფორტეპიანოს კლასი). 1937 მიიწვიეს ქალთა სახელმწ. ანსამბლში სოლისტად (ხელმძღვ. კ. და ა. ფოცხვერაშვილები). 1949-იდან იყო საქართვ. ფილარმონიის სოლისტი. 1949 მიიწვიეს ი. სტალინის დაბადების 70-ე წლის საიუბილეო საღამოზე მოსკოვში, სადაც შეასრულა სპეციალურად მისთვის რუსულად თარგმნილი ,,სულიკო''. 1950-იდან იყო ,,Госконцерт''-ის სოლისტი. მ-მ ერთ-ერთმა პირველმა გაიტანა და ჩაწერა ქართ. სიმღერები საზღვარგარეთ. იყო ახალგაზრდული და სტუდენტუ-

რი IV საერთაშ. ფესტივალის I პრემიის ლაურეატი (ბუქარესტი, 1953). მ-ის რეპერტუარში იყო როგორც ხალხური, ისე ქალაქური და ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები (,,მოხევის ქალო თინაო“, ,,არწივი ვნახე დაჭრილი“, ,,მე ქართველი ბუხაიძე“, ნ. სულხანიშვილის ,,დაიგვიანეს“, ს. ცინცაძის ,,დილით რად გიყვარს ტოროლავ სტვენა“ და სხვ.). წლების განმავლობაში (1960–80) რადიოგადაცემა ,,ძილისპირული“ იწყებოდა მ-ის ნამღერი ,,იავნანათი“. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

მახარაძე ფილიპე ესეს ძე [9 (21). III. 1868, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 10. XII. 1941, თბილისი], საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკი, რევოლუციონერი. სწავლობდა ოზურგეთისა და თბილ. სას. სემინარიებში, 1891-იდან – ვარშავის ვეტ. ინ-ტში. სტუდენტობიდან ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, რისთვისაც 1893 დასაწყისში დააპატიმრეს, 1895 კი პოლიციის მეთვალყურეობით საქართველოში დააბრუნეს. 1901 თბილისში სა-პირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის კვლავ დააპატიმრეს. 1903 მიემხრო ბოლშევიკებს და შევიდა რსდმპ კავკ. კავშირის კომიტეტში. ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“ (1905). იყო ფაქტობრივი რედაქტორი ორკვირეული სოც.-დემოკრ. ჟურნ. „მოგზაურისა“ (1905), რ-მაც ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

მ. 1905–06 იყო დაპატიმრებული. გათავისუფლებისთანავე გაემგზავრა ბერლინში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1907, მუშაობდა გაზ. „დროს“ რედაქციაში და იყო „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ წევრი. 1908 გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში. 1911-იდან საცხოვრებლად გადავიდა დონბასში, სადაც ჩამოაყალიბა პარტ. ორგანიზაცია. 1913 ბაქოში რედაქტორობდა გაზ. „ჩვენ წყაროს“. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კვლავ დააპატიმრეს და ყუბის მაზრაში გადაასახლეს, საიდანაც გაიქცა და არალეგალურად განაგრძობდა მუშაობას თბილისში, ქუთაისში და სხვ. 1915 აირჩიეს რსდმპ კავკ. ბიუროს შემადგენლობაში. მ. იყო თბილისის საბჭოს ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რსდმპ-ის სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის დელეგატი, 1917 ოქტ-იდან – რსდმპ (ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტისა და თერგის საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის წევრი. 1919 თებერვალში იგი არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა დამოუკიდებელი საქართვ. ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებას, რაც მარცხით დამთავრდა. 1919 ნოემბერში დააპატიმრეს, სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდა, საიდანაც 1920 თებერვალში გაიქცა. 1921 წ. 16 თებერვალს მოსკოვში მყოფი მ. დაინიშნა ,,საქართველოს რევოლუციური კომიტეტის“ (ე. წ. ,,შულავერის კომიტეტის“) თავ-რედ. 1921 წ. 21 თებ. საქართვ. დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით რევკომის წევრები აღიარეს ქართველი ხალხის მოღალატეებად. 1922-იდან სხვადასხვა დროს იყო საქ. სსრ ცაკ-ის თავ-რე, სახ. კომისართა საბჭოს თავ-რე. მ. ფიქრობდა, რომ საბჭ. რუსეთის არმია მალე დატოვებდა საქართველოს და ქვეყანა დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალ. რესპუბლიკა იქნებოდა. იყო კომინტერნის II კონგრესის (1920) დელეგატი. 1921–22 მეთაურობდა ქართვ. ბოლშევიკების ოპოზიციურ ნაწილს – ე. წ. ,,ნაციონალ-უკლონისტებს“, რ-ებმაც სცადეს შეენარჩუნებინათ ეროვნ.-სახელმწიფოებრივი ინ-ტები და დამოუკიდებელი რესპ. სტატუსით შესულიყვნენ საბჭ. კავშირში, მაგრამ ისინი დამარცხდნენ. მ. 1938-იდან იყო საქ. სსრ უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე და სსრკ უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე; პარტიის XII, XIII, XV–XVIII ყრილობების დელეგატი.

მ. ცნობილია როგორც პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. აქვს ნაშრომები საერთაშ. რევ. მოძრაობაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

დაკრძალული იყო მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში; საზ. პროტესტის გამო საფლავი აააფეთქეს და 1989 მისი ნეშტი ხუდადოვის სასაფლაოზე გაადასვენეს.

ლიტ.: გრიგალაშვილი ნ., თანამდევი სული, ტ., 2, თბ., 2011; მახარაძე ნ., ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1958; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991; შველიძე ი., საქართველოს უახლესი ისტორია (1917–2012), თბ., 2021; ჯანელიძე ო., საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

ლ. თოიძე.
ს. ყუბანეიშვილი.
დ. შველიძე.

მახარაძე შალვა კოზმანის ძე (6. IX. 1923, სოფ. იანეული, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 23. XI. 1990, თბილისი), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972).

1944 დაამთავრა თსსი და იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა საევაკუაციო ჰოსპიტლის თორაკალური ქირურგიის განყ-ბის ორდინატორად; 1947–50 იყო ექიმთა დახელოვნ. ინ-ტის №2 ქირურგ. კათედრის ორდინატორი, უმცრ. მეცნიერი თანამშრომელი; 1950 – თიანეთის რ-ნის საავადმყოფოს, 1958 – ქალის ფიზიოლ. და პათოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ექსპერ. ქირურგ. განყ-ბების გამგე; 1960 კლინ. და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტში ხელმძღვანელობდა თავისივე დაარსებულ გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის განყ-ბას; 1975–90 იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული IV სამმართველოს მთ. ქირურგი სამეცნ. საბჭოს წევრი და სხვ.

მ-ის სამეცნ. ნაშრომები და გამოგონებები ეხება მედიცინის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მახარაძე, იხ. ქ. *ოზურგეთი.*

მახარაძე, იხ. სოფ. *ოზურგეთი.*

მახარაძის მუნიციპალიტეტი, იხ. *ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.*

მახარია, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (ლიის თემი). მდებარეობს მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზ. დ. 250 *მ.* 370 მცხ. (2014).

მახარობლიანთ ციხე, X ს. ციხე ხადის ხეობაში (დუშეთის მუნიციპალიტეტი). კოშკი შვიდსართულიანია. ნაგებია ნატეხი ქვით, რ-ის ზომა კოშკის სიმაღლესთან ერთად მცირდება. კუთხეებსა და კარ-სარკმელთა საპირედ დიდი ზომის თლილი ქვებია გამოყენებული. სამხრ-იდან, ბრტყელ კედელში, მიწის პირიდან დაახლ. 6 *მ*-ზე სწორკუთხა კარია დატანებული, რ-ის ორივე მხარეს ქვის კონსოლებია. აქ აივანი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. 1-ელი სართულის იატაკში ხვრელია, საიდანაც ცოკოლის სართულში შეიძლება მო-

ხვედრა. კარის აყოლებაზე, ყოველ სართულზე ვიწრო სარკმელია გაჭრილი. მე-6 და მე-7 სართულებზე ფართო ღიობებია. ეს სართულები საბრძოლო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. მ. ც-ს სამხრ-ის მხრიდან ნახევარწრიული ბაქანი აქვს მიშენებული. მოშორებით კედლის ნანგრევებია შემორჩენილი. როგორც ჩანს, კოშკს წინა მხრიდან გალავანშემოვლებული ეზო ჰქონდა. პროპორციებით, წყობით, ბოლო სართულების თავისებური გადაწყვეტით მ. ც. ცეცხლისჯვრის კოშკის ანალოგია.

ლიტ.: გვასალია ჯ., გიორგაძე მ., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ხადის ხეობა, თბ., 1983.

მახაროგლიძე რევაზ მეთოდის ძე (დ. 22. VII. 1936, სოფ. ლაჯანა, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1992), ტექ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1982), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექნ. დარგში (1994). დაამთავრა საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტი (1959) და მუშაობა დაიწყო იქვე. შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო მინსკში არაშავმიწანაღადგიანი ზონის მექანიზაციისა და ელექტრონიკის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1961–67). იყო საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტის კათედრის (1967–74), სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების სამეცნ.-კვლ. საკონსტრუქტორო ტექნოლ. ინ-ტის განყ-ბის (1974–76), საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის (ამჟამად საქართვ. აგრარული უნ-ტი) მანქანების ექსპლუატაციის კათედრის (1982–2006), კ. ამირაჯიბის სახ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის განყ-ბის (1976–82) გამგე, ამავე ინ-ტის დირექტორი (1999–2006).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, ნაშრომთა ციკლისა – ,,ტექნიკური სამეცნიერო გამოკვლევები სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაციის შესახებ'' (სახელმწ. პრემია), მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

მახატლისძენი, დიდგვარიან ფეოდალთა საგვარეულო XI–XIII სს. საქართველოში. კამბეჩოვნის (დაახლ. გვიანდ. ქიზიყი) ცენტრის – ხორნაბუჯის პატრონები. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად არიან მოხსენიებული: *კოლონკელისძენი* (XII ს.), მ. (XII ს. ბოლო), ხორნაბუჯელნი (XIII ს.). XI–XII სს-ში ამ საგვარეულოს ხელში იყო ჰერეთის ერისთავობა. მატიანეში მ. მოხსენიებული არიან თამარის კარზე დაწინაურებულ კახეთ-ჰერეთის საგვარეულოთა შორის. მ. მეთაურობდნენ ხორნაბუჯის სანაპირო მხედრობას გიორგი რუსის მეორე ამბოხისას (იხ. *იური ანდრიას ძის აჯანყება 1191*). XIII ს-ში ხორნაბუჯი საერისთავო ქვეყნიდან მ-თა მამულად იქცა, რის გამოც საგვარეულო ხორნაბუჯელებად მოიხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; ჟამთააღმწერელი, იქვე.

ლიტ.: ბახტაძე მ., კახეთ-ჰერეთის ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, თბ., 2008; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ; 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.3).

ნ. შომიაშვილი.

მახაური ტრისტან მოსეს ძე (1. X. 1959, სოფ. გომეწარი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 4. I. 2018, თბილისი, დაკრძალულია გომეწარში), ფოლკლორისტი, პოეტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2006). 1978–84 სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე. გამოქვეყნებული აქვს ფოლკლორულ-ეთნოგრ. და ლიტ.-კრიტიკული ხასიათის წერილები, რეცენზიები, ნარკვევები, ლექსები, თარგმანები, მ. შ.: ,,ქართული ხალხური საგმირო ბალადა'' (2003), ,,მოსემ თქვა'' (2005), ,,ლიტერატურული ნარკვევები'' (2008), ,,ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები'', I–IV (2005–16).

მახაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჩიხარეშის თემი), სვანეთის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1480 *მ*, ლენტეხიდან 42 *კმ*. მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს (2014).

მახაში, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ლასურიაშის თემი), მდ. ცხენისწყლის მარცხ. მხარეს, ცაგერის ქვაბულში. ზ. დ. 560 *მ*, ცაგერიდან *6 კმ*. 260 მცხ. (2014).

მახელონები, ერთ-ერთი დასავლურ-ქართული ტომი, სავარაუდოდ, იგივე *მაკრონები* (მ. მათი სახელის მოდიფიკაცია უნდა იყოს). V ს. ანონიმი მწერალი მ-ს ჰენიოხებთან ერთად მოიხსენიებს შავიზღვისპირა რ-ნში, ტრაპეზუნტის აღმ-ით, ახლანდ. რიზესა და ათინას შორის. მ-სა და ჰენიოხებს, II ს. ავტორის, ფლავიუს არიანეს ცნობით, საკუთარი პოლიტ. გაერთიანება – „სამეფო" ჰქონდათ, რ-ის მეფე 131 წ. ყოფილა ანქიალე. „ანქიალეს სასახლე", ე. ი. დედაქალაქი მდებარეობდა მდ. პრიტანიდაზე (ახლანდ. ათინის აღმ-ით 7–8 *კმ*-ზე). პართიაზე ლაშქრობის დროს იმპ. ტრაიანე ანქიალეს შეხვედრია ქ. სატალაში და დაუსაჩუქრებია. „მახელონებისა და ჰენიოხების სამეფო" რომის ერთგული მოკავშირე ყოფილა. ქაბა-ი-ზარდოშტის წარწერის ბერძნულ ვარიანტში ირანს დაქვემდებარებული ქვეყნების დასახელების დროს, მახელონიას იხსენიებს ირანის მბრძანებელი შაბურ I-ც (242–272).

ლიტ.: არიანე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც., თბ., 1961; დუნდუა თ., თავაძე ლ., რამდენიმე საკითხი პონტოს საზღვრის შესახებ I–III სს., ,,საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები'', 2011, [ტ] 3; ლომოური ნ., ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, ,,მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის'', 1963, ნაკვ. 35, Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. მელიქიშვილი.

მახე-ხაფანგი, ნადირთა და ფრინველთა მისატყუებელი და დასაჭერი მოწყობილობა. მისი დაგების წესს განსაზღვრავდა ნადირის თვისება და ადგილსამყოფლის თავისებურება. საქართვ. ეთნოგრ. ყოფაში გვხვდება მ.-ხ-ის საკმაოდ ძველი ტიპების ნაირსახეობანი. ძველთაგანვე ცნობილია ავტომ. თვითმჭერი და ადამიანის უშუალო ჩარევით მოქმედი მ.-ხ. მოქმედების პრინციპის მიხედვით ავტომ. ძალით მოქმედი მ.-ხ-ები 2 ჯგუფად იყოფა: 1. სასხლეტის პრინციპზე აგებული ნადირის (კვერნა, დათვი და სხვ.) დასაჭერი სარეგვები (კოდი, გობი, ჩელტი, სათაგური), რ-საც საფუძვლად უდევს სასხლეტი მექანიზმი და დაცემის ძალის მოქმედება; 2. მარყუჟით მოქმედი საგები (პწკალა, ღურკო, აკანათი და სხვ.), რ-ის მარყუჟში მოქცეული ფრინველი თუ ცხოველი თავისი ტანის სიმძიმითვე იგუდება. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ჯიხვის დასაჭერად იყენებენ ხუნდას, მტაცებელი ნადირისათვის კი – ფიცრის ან მოწნულ ხაფანგებს. აგრეთვე გავრცელებული იყო

თოფისა თუ მშვილდის დაგება: ფეხზე შეყენებული თოფის ჩახმახის სასხლეტზე გამობმული თოკის დაჭიმვით ნადირი ადამიანის ჩაურევლად ცლიდა თოფს. ნადირობის დროს ასევე იყენებდნენ ადამიანის უშუალო ჩარევით მოქმედ მრავალნაირ მ.-ხ-ს, ბადეებს და ა. შ. ხის ხაფანგთან ერთად საქართველოში ცნობილი იყო რკინის ხაფანგი: ცალმშვილდიანი – წვრილი, ორმშვილდიანი – მსხვილი ნადირისათვის.

ლიტ.: რობაქიძე ა., შრომის მარტივი კოოპერაციის გადმონაშთები რაჭაში (კოლექტიური ნადირობა), თბ., 1939; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თბ., 1941.

მ. ქანთარია.

მახვილაური, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (შარაბიძეების თემი), კახაბრის ვაკეზე. ზ. დ. 60 *მ,* ხელვაჩაურიდან 3 *კმ,* ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 593 მცხ. (2014).

2011-იდან სოფლის ნაწილი მოქცეულია ბათუმის ადმ. საზღვრებში (კახაბრის უბანი).

მახვილაძე კახა ლევანის ძე (დ. 7. V. 1959, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი, მშენებლობის მენეჯერი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექ. დარგში (2002). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამოქალაქო სამრეწვ. და მშენებლობის ფაკ-ტი (1982), მენეჯერთა სკოლა (1990). მუშაობდა საქართვ. მშენებლობის სამინისტროს საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ბიურო ,,მშენინდუსტრიის'' კონსტრუქტორად (1982–87); საქართვ. მეცნ. აკად. კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად (1987–90), ტრესტ ,,კავგვირაბმშენის'' IV სამმართველოს უფრ. მოადგილედ (1990–91), საქართვ. სოც. ინვესტიციებისა (1996–98) და საქართვ. მუნიციპალური (1998–99) ფონდების მთ. ინჟინრად. შპს სამეცნ. საპროექტო ტექნოლ. საწარმო ,,ინდუსტრიის'' დირექტორი (2014-იდან).

მახვილაძე ლევან სილოვანის ძე (27. IV. 1931, ქუთაისი, – 30. III. 2014, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. საქართვ. საინჟინრო აკად. ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1992). ტექ. მეცნ. დოქტორი (1992), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. და ტექ. დარგში (2002).

დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი (1955). მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე (1955–63). იყო საქართვ. მშენებლობის სამინისტროს ტრესტ ,,მეტალურგმშენის'' უბნისა და ,,ტრანსსპეცმშენის'' სამმართველოს უფროსი, რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის დირექტორი (1963–71); საქართვ. მეცნ. აკად. კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი (1971–73), საქართვ. მშენებლობის სამინისტროს საპროექტო ტექნოლ. ინ-ტის, ,,მშენინდუსტრიის'' (1973–76) და რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნის (1976-იდან) დირექტორი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

მ-ის სამეცნ. შრომები ეხება ახ. სისტემის მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობის სეისმომედეგობისა და კომპლექსური საიმედოობის საკითხებს.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები. არის გამოგონებების ავტორი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002).

მახვილაძე მზია მიხეილის ასული (7. VI. 1926, თბილისი, – 30. VIII. 1998, იქვე), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1960). 1948 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან გარდაცვალებამდე იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. შესრულებული როლებია: ქრისტინე (შ. დადიანის ,,ნინოშვილის გურია''), თებრო (ს. შანშიაშვილის ,,ახალი ფუძე''), ვიოლა (უ. შექსპირის ,,მეთორმეტე ღამე''), მაია (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი''), გულქანი (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ქეთო,




მ. მახვილაძე – დედა. კადრი ფილმიდან ,,მონანიება''. 1984.

დედა (ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს'', ,,საბრალდებო დასკვნა''), დედოფალი მარიამი (ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი''), ოლღა (,,ასი წლის წინათ'', ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების მოტივებზე), ფრაუ პეტერსი (ჰ. ჰაუპტმანის ,,მზის ჩასვლის წინ'') და სხვ. გადაღებულია რამდენიმე კინოფილმში, მ. შ. გამორჩეულია დედის ეკრანული სახე თ. აბულაძის ფილმში ,,მონანიება'' (1984).

მახვილაძე ნიკოლოზ ივანეს ძე (12. VIII. 1890, თეთრი წყარო, – 12. XI. 1944, თბილისი), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1925), პროფესორი (1930), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941).

1914 დაამთავრა სამხ.-სამედ. აკადემია. 1925 მისი თაოსნობით დაარსდა პროფ. სნეულებათა პოლიკლინიკა, ხოლო მის ბაზაზე, 1927 – შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა ინ-ტი (ამჟამად, ნ. მახვილაძის სახ. შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი), რ-ის დირექტორი იყო გარდაცვალებამდე. 1945-იდან ინ-ტს მიენიჭა მისი სახელი. მ. სხვადასხვა დროს განაგებდა თსუ-ის, თბილ. სამედ. და ექიმთა დახელოვნების ინ-ტების თერაპიის კათედრებს.



ლ. მახვილაძე.

მ-მ პირველმა გამოთქვა მოსაზრება საქართველოში პელაგრის ენდემურობისა და მასთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. დაადგინა საქართველოში ანკილოსტომიდოზის (გ. დიდებულიძესთან ერთად) და ბრუცელოზის ენდემურობა. იკვლევდა სამხარეო პათოლ., რევმატიზმის, მალარიის კლინიკისა და გავრცელების, ჰიპერტონული დაავადების პათოგენეზისა და სხვა საკითხებს.



ნ. მახვილაძე.

მახვილი, საჩხვლეტ-საძგერებელი ან საჩეხი იარაღი, განკუთვნილი ხელჩართული ბრძოლისათვის. გავრცელებული იყო ბრინჯაოს ხანიდან; კავალერიამ შეინარჩუნა XX ს. დასაწყისამდე. ასურულ (ნინევია) რელიეფზე (მეფე ასურბანიფალის ლომზე ნადირობის სცენა) ჩანს, რომ მ-ს ნადირობის დროსაც იყენებდნენ. მ. ხელისუფლების სიმბოლოც იყო. მისი იშვიათი ნიმუშები ცნობილია ძვ. წ. III ათასწლ. დასასრულიდან კ. კრეტიდან; მ-ის მასობრივი გავრცელება დაიწყო ბრინჯაოს ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, როდესაც შესაძლებელი გახდა გრძელი, ვიწრო და მაგარი იარაღის დამზადება. მ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა პირის მოყვანილობით, უფრო ხშირად კი – ტარით. მ-ის ვადაზე თანდათან ვითარდებოდა სწორი, რკალისებრი ან ლამბაქისებრი ხელის და-

საცავი. მ-ის პროტოტიპად ითვლება ბრინჯაოს გრძელი სატევარი. სამხრ. კავკ. ადრინდელ მ-ებს (სამთავრო, ლილო, ყაჩაღანი, ძორაჰესი, ალავერდი) ეგეოსურ ტიპს აკუთვნებდნენ, მაგრამ ირკვევა, რომ ისინი დამოუკიდებელ სახეობას ქმნიან და შესაძლებელია ადგილ. წარმოშობისაც იყოს. ძვ. წ. II ათასწლ. შუა წლებში მ. გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის, უფრო მოგვიანებით კი – ევრ. ქვეყნებში. სამხრ. კავკასიასა და საქართველოში ცნობილია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ბრტყელი მ., რ-ის უმთავრესი ტიპებია აღმ. ქართული მთლიანადსხმული (წვეტიანი, წვეტმომრგვალებული, ბოლოკვეთილი) და ქვედაბეკური (წვეტიანი) მ-ები. ქვედაბეკური მ. ცხენოსანთა საჩეხი საბრძოლო იარაღი იყო. როგორც ჩანს, სამხრ. კავკ. და ევრ. (ჰალშტატის კულტურა) რკინის მ. ბრინჯაოს მ-ის განვითარების შედეგია.

ძვ. წ. VII–VI სს-იდან ვრცელდება სკვითური მოკლე მ. (აკინაკი), რ-იც საქართველოშიც არის აღმოჩენილი (სამთავრო, დვანი, ბრილი და სხვ.). ძვ. წ. VI ს-ში ჩნდება ბერძნ. მოკლე მ. – მახაირა, რ-იც გავრცელდა ძვ. წ. V–IV სს-ში (ითხვისი, შრომისუბანი, ყანჩაეთი, ვანი და სხვ.). ძვ. რომაელები (ძვ. წ. III ს. – ახ. წ. III ს.) ხმარობდნენ მოკლე (გლადიუსი) და გრძელ (სპატა) მ-ებს.

ბრინჯაოსა და რკინის უძველესი, აგრეთვე ანტ. და ადრინდ. ფეოდ. ხანის მ. ორლესული იყო. V ს-ში აღმ. ევრ. ველების მომთაბარე ტომებში გაჩნდა ცალპირლესული მ., რაც ცხენოსნობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. VIII ს-ში ევრ. და შუა აზიის ველების მომთაბარე ტომებს ჰქონდათ მოხრილი ცალპირი მ., რ-იც XIV ს-ში ფართოდ გავრცელდა რუსეთში, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხოლო XVI ს-ში – დას. ევროპის ცხენოსანთა შეიარაღებაში. მ. მაღალხარისხიანი ფოლადისაგან მზადდებოდა.

ლიტ.: ლომთათიძე გ., ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974; ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე, `,,ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1931, ტ. 6; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1972; წურწუმია მ.; შუა საუკუნეების ხმლები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ,,საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები", 2015, [ტ.] 9; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. 4, საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე, თბ., 1962; Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, [кн.] I, Тб., 1941.

ლ. ფანცხავა.

მახვილი, მთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ლიხის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ნუნისისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1725 *მ.* აგებულია პალეოგენური ვულკანური წყებებით. კალთები ციცაბოა, შემოსილია შერეული ტყით.

მახვილოს ციხე, არქიტექტურული ძეგლი. მდებარეობს სოფ. ფახვიჯთან (დუშეთის მუნიციპ.) ახლოს, ე.წ. მახვილოს მთის წვერზე, სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე. განეკუთვნება განვითარებულ შუა საუკუნეებს. ნაგებია ნატეხი ქვითა და დუღაბით. ციხე სხვადასხვა დონეზე განლაგებული და ერთმანეთზე მიდგმული ოთხი ნაგებობისაგან შედგება. მათგან ჩრდ. განაპირა გეგმით ტეხილი ფორმისაა, დანარჩენი სამი – კვადრატული (10 *მ* × 10 *მ*). ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ოთხივე ნაგებობის დას. კედელი (სიმ. 2,9–3,5 *მ*) და განაპირა ნაგებობათა აღმ. კედლების ფრაგმენტები. შესასვლელი ჩრდ. განაპირა ნაგებობის დას. კედელშია. კარი ორივე მხრიდან ბრტყლადაა გადახურული. მომდევნო, სამხრით მდებარე ნაგებობის დას. კედელში სწორკუთხა (5,3 *მ* × 4,2 *მ*) კოშკია ჩართული (შემორჩენილია ქვედა მასიური ნაწილი), რ-საც დას-იდან (თითქმის მთელ სიგრძეზე) მომრგვალებული კონტრფორსი აკრავს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 2, თბ., 2008.

გ. ბაგრატიონი.
ბ. მაცაბერიძე.

მახვილსიტყვაობა, ცხოვრებისეული მანკიერებების სიტყვამოსწრებული, სიტყვამახვილი, სატირულ-იუმორისტული მხილება. მ. ვლინდება მცირე ზომის ჟანრებში (ანეკდოტი, იგავი, ანდაზა, ზმა და სხვ.). ძვ. საქართველოში პროფესიონალი შემსრულებლები (ხუმარი, მასხარა) უმეტესად სამეფო კარზე იმყოფებოდნენ ან მსახიობთა დასში შედიოდნენ. მათგან ცნობილნი არიან ბენია, ოთარიკა, ჭაბუა, ხორგუაშვილი, საგინაშვილი და სხვ.; უფრო მოგვიანებით – ი. ჯაში, ლ. როხროხაძე, ს. ერისთავი და სხვ. მ-თვის დამახასიათებელია ხუმრობის სამოსელში გახვეული ენამწარობა და ძნელად საკადრებელი შაირისტყვაობა. მ-ს ხშირად დიდაქტ.-აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს.

ლიტ.: კიკნაძე გ., ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972; ჩიქოვანი მ., სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, ,,ლიტერატურული ძიებანი", 1955, [ტ.] 9.

მახვილცხვირა კეფალი (Mugil saliens). თევზი კეფალისებრთა ოჯახისა (Mugilidae). შავი ზღვის მ. ჰ-ის სიგრძეა 35–40 *სმ*. ქარავნული თევზია. კარგად იტანს როგორც ზღვის მლაშე, ისე მტკნარ წყლებს. სქესობრივად მწიფდება 3 წლის ასაკიდან, მრავლდება ივნისიდან ოქტომბრამდე, ნაყოფიერება 500 ათ. – 2,1 მლნ ქვირითია. იკვებება შლამიან ზედაპირზე გადაკრული პერიფიტებით, ჭიებით, მოლუსკებით, კიბოებით, ლიფსიტებით, დეტრიტით, პლანქტონით. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროსთან გავრცელებულია ყველ-



მახვილცხვირა კეფალი.

გან. თევზი შედის მდ-ების (სუფსა, რიონი, ხობი, ჭურია, თიქორი, ენგური, კოდორი, ბზიფი) შესართავებსა და ტბებში (პალიასტომის ტბა). გვხვდება ატლანტის ოკეანეში სამხრ. აფრიკიდან ჩრდ. ჟირონდამდე, ხმელთაშუა და აზოვის ზღვებში, კასპიის ზღვაში გადაიყვანეს 1930. ინტროდუცირებულია ირანში. სარეწაო მნიშვნელობის თევზია, ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიხედვით საჭიროებს ზრუნვას (LC).

ნ. ნინუა.

მახვში, სოფლის თავკაცი სვანეთში. მას მოსახლეობა საგანგებოდ დანიშნულ ადგილას (სვან. „სვიფ", „ლალხორალ") უვადოდ ირჩევდა და თუ ვერ გაამართლებდა ხალხის მოლოდინს, სოფლის ყრილობას (სვან. ,,სოფლობ") შეეძლო მ-ის შეცვლა. ბუკის („სანყვირ") ხმაზე სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი და შეიარაღებული მოსახლეობა (,,ქუდზე კაცი") იკრიბებოდა. არჩევნებში მონაწილეობდა 20 წლის ზევით ყველა, ქალიც (სვან., „ზურალი") და მამაკაციც. ხალხის წინ ვინმე ენამჭევრი მ-ად წარდგენილი პირის ,,შესხმას" (ქებას) იტყოდა.

მახვშობის კანდიდატი მაღლობას იხდიდა და თავის სიტყვას ღვთის ვედრებით ასრულებდა. მ. უნდა ყოფილიყო ხანში შესული, გონიერებით, მამაცობით, პატიოსნებით, საზ-ბისადმი ერთგულებით გამორჩეული და მორწმუნე პიროვნება. უპირატესობა არ ენიჭებოდა სოციალურ სტატუსს (წოდებრიობას) – შეეძლოთ აერჩიათ როგორც გლეხი, ისე აზნაური („ვარგ“). ითვალისწინებდნენ მხოლოდ პიროვნულ თვისებებს. მახვშობის რამდენიმე კანდიდატის შემთხვევაში, დიდი ბჭობის შემდეგ ან ერთხმად აირჩევდნენ სასურველს, ან ე. წ. „ღვთის კენჭის“ („ფუსვნა ჯულაი“) მეშვეობით. რამდენიმე სოფლის საერთო, ანუ სახევო ყრილობაზე სახევოში შემავალი სოფლების მ-ები თავკაცად არჩეული მ-ის თანაშემწეები („ჩენილი“) ხდებოდნენ. მ. მხოლოდ „ჩენილებთან“ თათბირის (ვაზირობა) შემდეგ, მათთან შეთანხმებით იღებდა გადაწყვეტილებას და აცნობდა თემის ყრილობას, რ-საც შეეძლო არ დათანხმებოდა მ-ის გადაწყვეტილებას. მისი თანამდებობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა. მთელი სვანეთის თემების ყრილობაზე („შვანია ხევობ“), რომელიმე ხევის თავკაცს ირჩევდნენ სრულიად სვანეთის მ-ად. მასთან ინახებოდა „ერთობილი“ სვანეთის საწინამძღვრო, საბრძოლო დროშა *ლემი*.

მ. დიდი პატივით სარგებლობდა. აღაპის, ქორწილის, სამგლოვიარო ცერემონიალის („ტირილებზე“), სათემო-რელიგიური დღესასწაულის დროს მ-ს თავისი ამალით (ჩენილებით) ცალკე, საპატიო სკამზე (საკარცხული) სვამდნენ, წინ უდგამდნენ სამფეხა მრგვალ მაგიდას („ფიჩქი“) და საუფროსო კათხას („მახვში კათხ“). საქონლის დაკვლისას საკლავის თავი მ-ს ეკუთვნოდა. მისი შეურაცხყოფა სასისხლო საქმედ ითვლებოდა. მ. მოვალე იყო სახ. ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ცხოვრებაში გაეტარებინა. მკვლელობის შემთხვევაში ის ვალდებული იყო მხარეების შერიგებაში შუამავალი ყოფილიყო. საეკლ. თუ სხვა სახალხო თავყრილობაზე მ. გადმოდგებოდა შემაღლებული ადგილიდან და ხალხს აფრთხილებდა, არ ეჩხუბათ და არ დაეჭრათ ერთმანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოჩხუბრებს დღეობის დასრულებამდე იარაღს ჩამოართმევდა. მ. აგრეთვე აწესრიგებდა და დიდი ოჯახის გაყრის საქმეს, ზრუნავდა ქვრივ-ობლებზე, უთვისტომოებზე, მოღალატეს, შემარცხვენელს კი სოფლიდან აძევებდა. საჭიროების შემთხვევაში იწვევდა სათემო ყრილობას. ომიანობისას ასრულებდა მთავარსარდლის ფუნქციას.



მახვშის სავარძელი (სვანური საკარცხული).

სვანეთში ოჯახის უფროსს ,,ქორა მახვში“ ეწოდებოდა. იგი სახლის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად გადაწყვეტილებას ვერ იღებდა.

რუსეთის მიერ ზემო სვანეთში სახ. თვითმმართველობის გაუქმების შემდეგ (1853) მახვშობის ინ-ტი ბოქაულობით და მამასახლისობით ჩაანაცვლეს, თუმცა ხალხი მაინც ძველი წესით აგრძელებდა ცხოვრებას და მ-ებს ირჩევდა. თავისი საზ. როლით მ. იგივეა რაც ხევისბერი აღმ. საქართვ. მთაში.

ლიტ.: გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1927; ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ, 1962., ხარაძე რ., რობაქიძე ა., სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; Эристов Р., Заметки о Сванети, „Записки Кавк. отдела Рус. геогр. об-ва“, 1897, кн. 19.

გ. ჩინჩალაძე.

მახიარეთი, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ახალგორის მუნიციპალიტეტში (ლარგვისის თემი), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. თოხტურის (ცხრაძმულის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1760 *მ.* ახალგორიდან 30 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მახინჯაური, სოფელი აჭარის არის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (მ., განთიადი, შუა მახინჯაური); მდებარეობს შავი ზღვის პირას, სამტრედია–ბათუმის საავტომობილო და სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 15 *მ,* ხელვაჩაურიდან 15 *კმ.* 735 მცხ. (2014).

მ. ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლ. კურორტია, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. იანვრის საშ. ტემპ-რაა 5,7 ^{0}C, ივლისისა – 22,2 ^{0}C, საშ. წლიური ტემპ-რა – 13,8 ^{0}C, ნალექების რაოდენობა წელიწადში – 2750 *მმ,* მზის ნათების ხანგრძლივობა – 1890 *სთ* წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია თალასოთერაპია, არსებული მინერ. წყლები გამოიყენება ასევე სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

მ-ს 1959 მიენიჭა დაბის სტატუსი და გახდა სადაბო საბჭოს ცენტრი. 2011 დაბის დიდი ნაწილი გამოეყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს და მოექცა ბათუმის დაქვემდებარებაში, მწვანე კონცხის უბანში. 2014 აღწერის მიხედვით ხელვაჩაურის მუნიციპ-ში არსებულ დაბა მ-ს გაუუქმდა დაბის სტატუსი.

მახინჯაურის განძი, ბრინჯაოს ნივთების განძი სოფ. მახინჯაურიდან (ხელვაჩაურის მუნიციპ., მდ. ყოროლისწყლის ხეობა). განძის შესახებ ცნობები დაცულია ლიტ. წყაროში. იგი აღმოუჩენიათ XX ს. დასაწყისში. თიხის ჭურჭელში ცალ-ცალკე მოთავსებული ნივთები მიწაში ყოფილა ჩაფლული. გადმოცემის მიხედვით, განძი შედგებოდა ბრინჯაოს თოხებისგან, სეგმენტური და წალდის მაგვარი იარაღებისაგან, ასევე განსაკუთრებული ტიპის ფართოპირიანი ბრინჯაოს ცულისაგან. განძთან ერთად აღმოუჩენიათ ქურა (სახელოსნო) საცეცხლურის ნაშთებით. ამ საინტერესო განძის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება რუსი არქეოლოგის ა. იესენის ნაშრომში. წერილობით ინფორმაციაზე დაყრდნობით, ე. პახომოვა, რ-საც თითქოს უნახავს მ. გ., მიიჩნევს, რომ ის, სავარაუდოდ, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ამჟამად განძის ბედი უცნობია.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; Иессен А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, „Известия Гос. академии истории материальной культуры“, 1935, в. 120.

ლ. ჯიბლაძე.

მახისი, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო მახისის, შუა მახისისა* და *ქვემო მახისის* გავრცელებული სახელწოდება.

მახისმაღალი, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში. ხევსურეთის ქედის ჩრდ. განშტოებაზე, სოფ. შატილის ჩრდ.-დას-ით მდ.



მახობელი.



მახრჩობელა D. flexuosa.



მახრჩობელა D. media.



მახრჩობელა D. Cespitosa.

მითხურის (არლუნის მარცხ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 3991 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებით. დამახასიათებელია ალპ. და სუბალპ. ლანდშაფტი.

მახო, სოფელი აჭარის არ-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (თხილნარის თემი), მდ. მახოს (ჭოროხის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 200 *მ*, ხელვაჩაურიდან 4 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ*. 2479 მცხ. (2014).

მახობელი (Cephalaria syriaca), ერთწლოვანი მცენარე გოქშოსებრთა ოჯახისა. მისი დატოტვილი ღეროს სიგრძე 30–100 *სმ* აღწევს. აქვს თავაკებად შეკრებილი ცისფერი ყვავილები და თესლურა ნაყოფი. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, ირანსა და კავკასიაში. გვხვდება როგორც დას., ისე აღმ. საქართველოში. ყანების სარეველაა. კალოზე გალეწილ ხორბალს მისდევდა მისი თესლიც, რ-ის 1–2% პურს ლურჯ ფერს, სირბილეს და სურნელს აძლევდა.

ლ. ხინთიბიძე.

მახრასებრნი, ბოსტანასებრნი (Gryllotalpidae), მწერების ოჯახი სწორფრთიანთა რიგისა. ოჯახში 50-ზე მეტი სახეობაა და გავრცელებულია ყველა კონტინენტზე ანტარქტიდის გარდა. საქართველოში გვხვდება სამი სახეობა: ჩვეულებრივი მახრა, ანუ ბოსტანა (Gryllotalpa gryllotalpa), ველის მახრა (Gryllotalpa stepossa) და ერთქიცვიანი მახრა (Gryllotalpa unispina). ცხოვრობენ ტენიან ნიადაგში, აზიანებენ მინდვრის, ბოსტნისა და ბაღჩის კულტურებს, ხემცენარეებს, განსაკუთრებით სანერგე მეურნეობაში. იკვებებიან ძირითადად ფესვებით, ძირხვენებით, თესლით, ღეროებითა და ახალგაზრდა აღმონაცენით. მ-თა სრულ განვითარებას საქართველოში ერთი წელი სჭირდება.

ა. ბუხნიკაშვილი.

მახრჩობელა (Deschampsia), მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ უმეტესად გაშლილი საგველა ყვავილედები, 2-3 ყვავილიანი თავთუნები. გვარში 60-მდე სახეობაა. გავრცელებულია ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროს ცივ და ზომიერ სარტყელში, ტროპიკების მთებში. საქართველოში 3 სახეობა იზრდება: D. cespitosa ფართოდ არის გავრცელებული ტენიან ნიადაგებზე, მთის შუა სარტყლიდან ალპ. სარტყლამდე. SiO_2-ის შემცველობის გამო მას შედარებით დაბალი კვებითი ღირებულება აქვს. მდელოს სარეველაა. სუბალპ. და ალპ. სარტყელში მშრალ ქვაღორღიან ნაშალებზე იზრდება. D. flexuosa მეჩხერკორდიანი მცენარეა. მისი რბილი ფოთლები საქონლის კარგი საკვებია. D. media გვხვდება მხოლოდ დას. საქართველოში მთის შუა სარტყლამდე მდელოებზე. დეკორატიული მცენარეებია.

შ. ნახუცრიშვილი.

მახსოვარი, ერთგვარი მოწმე ძველ საქართველოში, სასამართლოსთვის საინტერესო ხანდაზმული ფაქტის მომსწრე პირი, „ძველი საქმის მცოდნე“ და „თანამეჟამე“, პატიოსნებით, დარბაისლობით გამორჩეული პიროვნება. მ. წყაროებში ზოგჯერ იწოდება მოხუცებულად, „უფროს კაცად“ ან „მახსოვარ კაცად“ და მოწმის გვერდით იხსენიება. მ-ის ჩვენების საფუძველზე სადავო საქმე ფიცის გარეშე შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. დოკუმენტებში „სოფლების უფროსნი და მახსოვარნი კაცნი“ მრავლობითი ფორმით იხსენიება.

ლიტ.: ითონიშვილი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოციალური სტრუქტურა XIV–XVIII საუკუნეებში, თბ., 2001.

მახტა, სახელმწიფო კომლობრივი გადასახადი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. იხდიდნენ ფულით და ნატურით მოქალაქეები, ქალაქში მცხოვრები სახელმწ. გლეხები და საქართვ. მაჰმადიანი მოსახლეობა (ელი). მოქალაქეთა ქონებრივ შეძლებას და მ-ის რაოდენობას განსაზღვრავდნენ ,,მახტის გამწერი აღმორჩეული მოქალაქეები‘‘. მ-ის გადახდისაგან თავისუფლდებოდნენ ქვრივ-ობლები, საეკლ. და საბატონო ყმები, ქალაქში მოსახლე თავადები და აზნაურები, მღვდლები, უცხო ქვეყნიდან გადმოსახლებულები (3 წლით).



მახუნცეთის ხიდი. XI–XII სს.

ლიტ.: გვახარია ლ., სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1960; თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983.

მახუნცეთი, ქედის მუნიციალიტეტის სოფლების – *ზედა მახუნცეთისა* და *ქვედა მახუნცეთის* გავრცელებული სახელწოდება.

მახუნცეთის განძი, ბრინჯაოს ნივთების განძი სოფ. მახუნცეთიდან (ქედის მუნიციპალიტეტი). შედგება ორფერდა ყუამილიანი, სწორი შუბლის მქონე ბრინჯაოს ცულისაგან და ბართოხის ნატეხებისაგან. აღმოჩენის წელი არ სახელდება. სავარაუდოდ, მ. გ. უნდა დათარიღდეს შუა ბრინჯაოს დასასრულით და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისით.


1970 მახუნცეთში აღმოუჩენიათ ბრინჯაოს წვალდიც.

ლიტ.: კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ლ. ჯიბლაძე.

მახუნცეთის ხიდი, ქვის თაღოვანი ხიდი აჭარის არ-ში, ქედის მუნიციპალიტეტში, მდ. აჭარისწყალზე, სოფ. ზედა მახუნცეთის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება XI–XII სს. ხიდი ნაგებია კლდის ქვით კირის დუღაბზე. იგი ეყრდნობა მოვაკებულ ადგილზე სხვადასხვა სიმაღლის ბურჯებად გამოყენებულ ბუნებრივ კლდეს. ხიდის სიგრძეა (ბურჯიდან ბურჯამდე) 19,5 *მ*, სავალი ნაწილის სიგრძე – 28,7 *მ*, სიგანე ცვალებადია და მერყეობს 2-იდან 2,5 *მ*-მდე, თაღის სიმაღლე წყლის დონიდან – დაახლ. 6 *მ*. სიძველის მიუხედავად ხიდს ამჟამადაც შენარჩუნებული აქვს თავისი ფუნქცია. მ. ხ-ს 2006 მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. 2008 ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.

მახუნცეთის ჩანჩქერი, მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტში, ბათუმიდან 30 *კმ*-ში, სოფელ ზედა მახუნცეთის ჩრდ. ნაწილში, ზ. დ. 335 *მ* სიმაღლეზე, მესხეთის ქედზე, კლდეების სიღრმეში, მდ. აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს. ის ჯერ პატარა შენაკადად მოედინება, შემდეგ 57 *მ* სიმაღლიდან ეშვება და აჩენს საკმაოდ მოზრდილ მორევს. ქედის ეს მონაკვეთი აგებულია პორფირიტული ტუფებისა და ტუფბრექჩიების წყე-



მახუნცეთის ჩანჩქერი.

ბით. მ. ჩ. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ლამაზი ჩანჩქერია საქართველოში. ჩანჩქერი იოლად მისადგომია, რადგან საავტომობილო გზიდან 5 წუთის სავალზე მდებარეობს. მისი დათვალიერება შესაძლებელია წელიწადის ნებისმიერ დროს.

მახუნჯიი, სოფელი აფხაზეთის არ-ის გალის მუნიციპალიტეტში (მზიურის თემი), სამურზაყანოს დაბლობზე. მდ. ქვიშიანის ნაპირებზე. ზ. დ. 80 *მ,* გალიდან 5 *კმ.* სოფელში არის გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია.

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მახურა, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ცაგერის მუნიციპალიტეტში (ზუბის თემი), ასხის მასივის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ,* ცაგერიდან 21 *კმ.* 47 მცხ. (2014).

მაჯაგანი, ტყავის მოსაქნელი. მ-ით მოიქნებოდა წვრილფეხა საქონლის ტყავი, რ-იც 4 ნაწილისაგან შედგებოდა: მ-ის ხე და ლითონის პირი, ღვედი, სატერფე და კაპი. მ-ის ხეს გათლილი და მოკაული თავი აქვს, რ-შიც ჩასმულია ლითონი. ხე ბოლოში ჩაჭედილია, რითაც ღვედის საშუალებით იმაგრებს ფეხის ჩასადგმელ ტყავის ან ლითონის (დამზადდა მოგვიანებით) რგოლს (კაპი). უკიდურეს შემთხვევაში რგოლი შეიძლება ყოფილიყო წნელისაც. დასამუშავებელ ტყავს ხეზე თავდაპირველად კისრით ჰკიდებდნენ, შემდეგ – ბარკლით, დუმითა და ფერდით და ამუშავებდნენ. დაბაღს მარცხენა ხელით ტყავი ეჭირა, მარჯვენათი – მ-ის ხე, მარჯვენა ფეხი კი მ-ის სატერფე კლაპში ჰქონდა შედგმული. როცა დაბაღი მ-ის ხეს მარჯვენა ხელით მაღლა ასწევდა, ფეხსაც ააყოლებდა, შემდეგ დაბლა დასწევდა და მ-ის პირს ტყავის ნაწილს ჩამოჰკრავდა – ასე იწყებდა ტყავის მოქნას და აგრძელებდა მანამ, სანამ იგი ბუმბულივით „თვალად თეთრი“ და რბილი არ გახდებოდა. ამის მისაღწევად მ-ს ასჯერ მაინც აუსვამჩამოუსვამდნენ ტყავს. ადრე მ-ში გამოსაყვან ტყავს მუხლებზე დაიფენდნენ, ოდნავ მოხრილ რკინის დანას უსვამდნენ და ამ გზითაც მოჰქნიდნენ. დაბახანაში თრიმლით დამუშავებისას იყენებდნენ იმავე იარაღს, რ-საც მედაბღეები „დემურს“ უწოდებდნენ. ქვემო სვანეთში დანის ნაცვლად იცოდნენ არჩვის ან ღორის ყბის ძვლის, ან დაკბილული ხის ხმარება. მ-ში გამოყვანილი ტყავით იკერავდნენ ტანსაცმელს, თავსაბურავებს, პაჭიჭებს და სხვ.

ლიტ.: აბესაძე ნ., ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986; მასალები საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. 3, ნაწ. 1, – ტანისამოსი, თბ., 1983; ნანობაშვილი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.

მაჯამა (არაბ. – კრებული) 1. სპარსულ პოეტიკაში სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ტერმინი. უპირველესად აღნიშნავს რამდენიმე ან ერთი პოეტის ლექსთა კრებულს. ამას გარდა, მ-ს უწოდებენ ისეთ ლექსს, რ-შიც თავმოყრილია სხვადასხვა პოეტური ხერხი, ჩამოთვლილია საგნები თუ ტერმინები. იგი აერთიანებს ერთგვაროვანი ხერხებითა თუ თემატიკით დაკავშირებულ ლექსებსაც. ქართ. პოეზიაში მ., როგორც ლიტ. ხერხი, გვხვდება ჯერ კიდევ კლასიკურ ქართ. პოეზიაში (ჩახრუხაძე, შავთელი, რუსთაველი), შემდეგ იგი განავითარა სპარს. პოეზიის შესანიშნავმა მცოდნემ, თეიმურაზ I-მა. მისი მ. საგანგებოდ შერჩეულ ლექსთა კრებულია (,,ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული,/მომინდა წერა ამისთვის, არ იქმნას დავიწყებული“), რ-თა სტროფების დიდი ნაწილი ომონიმური რითმებით არის გაწყობილი. მათი ამოხსნა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამ ჟანრის ლექსებს წერდნენ თუ კრებულებს ადგენდნენ არჩილი, ვახტანგ VI, ს.-ს. ორბელიანი. 2. ომონიმური რითმა, ბგერითი შედგენილობით ერთნაირი და შინაარსით განსხვავებული სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფების გარითმვა.

ლიტ.: არაბული გ., ომონიმური რითმა ძველ ქართულ პოეზიაში, ,,ლიტერატურული ძიებანი“, 2000, ტ. 21; ბარამიძე ა., თეიმურაზ პირველი, წგ.: თეიმურაზ I, თხზ. სრ. კრ., ალ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედ., ტფ., 1934; დოიაშვილი თ., ქართული ლექსი XVII საუკუნეში (თეიმურაზ I, არჩილი), ,,ლიტერატურული ძიებანი“, 2002, ტ. 23; კობიძე დ., ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან, მის წგ.: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 2, თბ., 1969; ჯიბლაძე გ., რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, თბ., 1966.

ა. გვახარია.

მაჯალვერი (Daphne), მცენარეთა გვარი მაჯალვერისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 100-მდე სახეობის მარადმწვანე ან ფოთოლმცვივან მცირედ დატოტვილ ბუჩქებს. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში 6 სახეობა იზრდება. უფრო ფართოდ გავრცელებულია ჩვეულებრივი მ. (D. mezereum) – ფოთოლმცვივანი ბუჩქი, რ-ის სიმაღლე 1,5 *მ* აღწევს. აქვს ვარდისფერი, სურნელოვანი, თაფლოვანი ყვავილები, რ-ებიც ფოთლის გაშლამდე ან მათთან ერთად გამოაქვს, და წითელი კურკიანა ნაყოფი. გვხვდება უმეტესად მთის ზედა სარტყლის ტყეებში. მეტად დამახასიათებელია სუბალპ. გამეჩხერებული ტანბრეცილი ტყეებისათვის. მისი ყველა ნაწილი შხამიანია და დეკორატიულ მცენარედ იშვიათად აშენებენ.



ჩვეულებრივი მაჯალვერი.

ვ. სხიერელი.

მაჯდ ალ-სალტანე, გენერალი. ყაჯართა დინასტიის წარმომადგენელი (XIX ს.). 1894 იმოგზაურა კავკასიაში. თხზ. ,,მოგზაურობაში“ თავისი შთაბეჭდილების აღწერისას ვრცლად მოგვითხრობს თბილისზე: ,,თბილისი მთელი კავკასიისა და საქართველოს საგუბერნიო ცენტრია. მასზე გადის ბათუმი–ბაქოს რკინიგზა; მდ. მტკვრის ორსავე მხარეზეა გაშენებული ერთი ფარსანგის (6–7 *კმ)* მანძილზე, ქალაქის შუაში რამდენიმე ბულვარია“. იგი აღწერს სახელმწ. დაწესებულებებს, სასტუმროებს (,,ლონდონი“, ,,კავკასია“, ,,ვერსალი“, ,,გრანდ-ოტელი“), ეკლესიებს, თეატრს, ცირკს, საზოგადოებრივ კლუბებს, ახსენებს ტელეფონს, ტრამვაის (,,ყველა ცნობილ ქუჩაზე ტრამვაის ხაზია“), ეტლებს (3000 გასაქირავებელი ეტლი), ველოსიპედს, ეტლებისა და კარეტების დამამზადებელ ფაბრიკებს, რ-თა ნაწარმი ირანშიც



მ. მაჰომედოვა.



მ. მაჰომედოვა. შოთა რუსთაველი. ,,ვეფხის ტყაოსანი‘‘. წიგნის ყდა. 1970. კერძო საკუთრება.



მ. მაჰომედოვა. დეკორატიული სინი ,,მხატვრის სამყარო‘‘, მიძღვნილი დ. კაკაბაძის ხსოვნას. 1977. კერძო საკუთრება.

გაჰქონდათ, ჯვარის სადგომებს, ჯვარს, მათ ტანსაცმელს, სათესი მანქანების დამამზადებელ ქ-ნებს, სამკურნ. დაწესებულებებს, აბანოებს (ორბელიანის აბანო), აფთიაქებს, ზუსტი ხელსაწყოების მაღაზიებს, აღგვიწერს ქრისტ. დღესასწაულებს (ნათლისღება და სხვ.), ქალთა ზნეჩვეულებებს, ტანსაცმელს, ქორწილს; მოგვითხრობს XIX ს-მდე მთაწმინდის კალთაზე შეიხ სენანის აკლდამის შესახებ შემორჩენილ ლეგენდას, რ-იც შეიხის სახელს უკავშირებს მამა დავით გარეჯელს.

თხზ.: ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაია მამაცაშვილმა, თბ., 1971.

დ. კაციტაძე.

მაჯვლიერი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მესტიის მუნიციპალიტეტში (მულახის თემი). მდ. მულახის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1680 *მ*, მესტიიდან 12, *კმ*. 14 მცხ. (2014).

მაჯო (Maqqio) ფრანჩესკო-მარია (1612, პალერმო, – 1686), თეატინელი ბერი, მისიონერი. საქართველოში ჩამოვიდა 1637 *ავიტაბილეს* მოწვევით და რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა თავდაპირველად გორში, შემდეგ – სამეგრელოში, ძირითადად კი – გურიაში. 1643 რომში ლათ. ენაზე გამოსცა ნაშრომი ,,თხზულება აღმოსავლური ენების შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება‘‘ (მეორე გამოც. 1670). წიგნის პირველი ნაწილი არის ,,...ქართული, ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკული წესები‘‘ (,,... Georgianae, seu Iberiae vulgazis linguae – Institiones grammaticas‘‘).

გრამატ. ნაწილი შედგება ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და პროსოდიისაგან. იგი იწყება ქართ. ანბანით (ასოები და ასოთა სახელები) შესაბამისი ლათინური ტრანსლიტერებითურთ, რ-ებიც შექმნილია ქართ. ბგერების თვისებათა გათვალისწინებით. ავტორი ემყარება ს. პაოლინისა და ნ. ირბაქის (ნ. ჩოლოყაშვილი) ტრანსლიტერაციის წესებს. აქვე ფონეტიკურად გაანალიზებულია თანხმოვნები და ხმოვნები წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით; მოცემულია პროსოდიული დახასიათებაც.

მორფოლოგიურ ნაწილში აღნიშნულია, რომ ქართ. ენას არა აქვს სქესის კატეგორია; სახელს აქვს ექვსი ბრუნვა (გამოყენებულია ლათ. ენის სქემა): სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებული, წოდებითი და გამოსვლითი (მოთხრობითის ფორმები სახელობითის ვარიანტად არის მიჩნეული); ხმოვანფუძიან სახელებში ბრალდებითი ბრუნვა სახელობითისგან განსხვავებულია ი სუფიქსით (სახ. მთა – ბრალდ. მთა-ი). უკვეცელ სახელთა მიც. და ნათ. ბრუნვების ფორმები ემთხვევა ერთმანეთს (ნათ.–მიც. ხბოსა, დროსა), ებ-იანი მრავლობითის გვერდით განხილულია ნართანიანი მრავლობითის ფორმებიც. ცალკე განიხილება ნაცვალსახელები, მოცემულია პირისა და კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნება.

მნიშვნელოვანია მ-ს დაკვირვება უღლების ფორმებზე: თხრობით კილოში, ლათინურისაგან განსხვავებით, ექვსი მწკრივია (დაემატა თურმეობითი I – Praeteritum pezfectum magis propingum – ,,ყველაზე უფრო ახლო მყოფი ნამყო სრული‘‘). ბრძანებითში სწორად არის გამოყოფილი მოდი, მოვიდეს ფორმები, სხვები კი საჭიროებს შესწორებას. მ. გამოყოფს ნატვრით კილოსაც, რ-საც აწარმოებს თხრობითის ფორმაზე დართული ნაეთანს (,,ნეტამც‘‘) ნაწილაკი. გამოყოფილია სუბიექტ. I და III პირთა ნიშნები: ვ-, ა, -ს, შესაბამისად, ასევე ობიექტურ პირთა მ-(I), გ-(II) და უ-(III) პრეფიქსები, შენიშნულია სუბიექტური II პირის ხ- პრეფიქსი თავის ადგილას სამ ზმნაში (ხარ, მოხვალ, შეხიქ ,,გააკეთებ‘‘), თუმცა პირთა ანალიზისას ის ცალკე არ განიხილება.

მ. ცალ-ცალკე თავებში მსჯელობს ზმნიზედათა, შორისდებულთა და კავშირთა შესახებ; მორფოლოგიაშივეა განხილული სახელთა წარმოქმნის მნიშვნელოვანი სახეობები.

სინტაქსში მოცემულია შეთანხმებისა და მართვის წესები სახელთა შორის, სახელსა და ზმნას შორის ბრუნვებისა და რიცხვის მიხედვით, პროსოდიაში განხილულია სიტყვაში მახვილის შემთხვევები.

XVII–XVIII სს. ევროპელი მეცნიერები ქართ. ენას მ-ს ნაშრომით ეცნობოდნენ.

ლიტ.: ვათეიშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983; კალანდია გ., ოქროს საწმისის ნადავლით აღჭურვილი ახალი არგონავტი, ,,ისტორიანი‘‘, 2018, №6 (90); ორლოვსკაია ნ., ფრანცისკო-მარია მაჯო და მისი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1972; ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

თ. უთურგაიძე.

მაჰმადიანობა, იხ. *ისლამი.*

მაჰომედბეკოვა ზაჰიდატ მაჰომედის ასული (1920, ხუნზახი, დაღესტანი, – 1999, მოსკოვი), ენათმეცნიერი, დაღესტანოლოგი, ფილოლ. მეცნიერებათა დოქტორი (1970), ახვახურსა და კარატულ ენებზე პირველი სამეცნ. პუბლიკაციების ავტორი. სწავლობდა დაღ. პედ. ინ-ტში (1938–42), სწავლის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო ბოტლიხისა და ვედენოს (დაღ.) საშუალო სკოლის რუს. ენისა და ლიტ. მასწავლებლად (1942–46). აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით 1949 დაამთავრა თსუ-ის ასპირანტურა. მუშაობდა დაღ. პედ. ინ-ტსა და განათლების სამინისტროში (1950–52). 1967–82 იყო თბილ. თეატრ. ინ-ტის სასცენო მეტყველების პედაგოგი, ხოლო 1952–99 – საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი.

თხზ.: ბგერათშესატყვისობათა შესახებ ახვახური ენის დიალექტებს შორის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, თბ., 1974, ტ. 1; Ахвахский язык. Грамматический анализ, тексты, словарь, Тб., 1967; Каратинский язык. Грамматический анализ, тексты, словарь, Тб., 1971.

ლიტ.: **თოფურია გ.,** ზაჰიდატ მაჰომედბეკოვა, „ბურჯი ეროვნებისა“, 1999, №2.

ს. მეტრეველი. .

მაჰომედოვა (მაჰომეტოვა) მანაბა ამარის ასული (5. II. 1928, აული ყუბაჩი, დაღესტანი, – 10. III. 2013, მაჰაჩყალა, დაღესტანი), მხატვარი, ოქრომჭედელი. საქართვ. (1985), დაღესტნის (1978), რუსეთის ფედერაციის (2003) სახ. მხატვარი. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართ. გამოყენებითი ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში. დაამთავრა მოსკოვის უმაღლ. სამხატვრო (ყოფ. სტროგანოვის) სასწავლებლის ლითონის მხატვრული დამუშავების კურსები (1952). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1956-დან. 1935–2000 ცხოვრობდა თბილისში. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1959–67). ნამუშევრები: ვერცხლის ზარდახშა (1949); ვერცხლის დეკორ. ჭურჭელი: ლარნაკები – ,,ცხოველთა სამყარო‘‘ (1955); პორტრეტები – შოთა რუსთაველი (1962, 1966, 1976), შამილი (1963), თამარ

მეფე (1963, 1964), ვაჟა-ფშაველა (1964); ლანგრები – ,,შოთა რუსთაველი'' (1966), ,,მხატვარი და ბუნება'' (ეძღვნება ე. ახვლედიანს, 1977), ,,მხატვრის სამყარო'' (ეძღვნება დ. კაკაბაძეს, 1977), ,,ლ. გუდიაშვილი'' (1982), ,,ა. წერეთელი'' (1982); წიგნის ყდები – შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი'' (14 ვარიანტი, 1966–98), ნ. ბარათაშვილის ,,მერანი'' (1975), ლ. ტოლსტოის ,,ჰაჯი მურატი'' (1976); კომპოზიციები – ხანჯლები – ,,თბილისი – 1500 წელი'' (1958); ვერცხლის და მინანქრის გარნიტურები – ,,გაზაფხული'' (1957), ,,ფარშევანგი'' (1959), ,,წელიწადის ოთხი დრო'' (1970) და სხვ. მ. იყენებდა სევადის, გრავირების, ზარნიშის, ცვრის, ფილიგრანის, ტიხრული და გამჭვირვალე მინანქრის, ჭედურობის, ინკრუსტაციის ტექნიკას.

გამოფენები: პერსონალური – თბილისი (1961), მაჰაჩყალა (1965), ჩეხოსლოვაკია (1968), მოსკოვი (1980), უნგრეთი (1986), გალერეა ,,ჩუქურჯუმა'', სტამბოლი (1990) და სხვ. გამოფენები: თბილისი (1954), თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი (1958), ,,ექსპო-58'', ბრიუსელი (1958), ქალთა მსოფლიო კონგრესი, მოსკოვი (1963), შოთა რუსთაველის დაბადების 800 წელი, სეგ (ამჟამად დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეა), თბილისი (1966); ა. დიურერის დაბადების 500 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშ. გამოფენა, ნიურნბერგი, გერმანია (1971); ,,მინანქარი'', უნგრეთი (1973); ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წელი, სეგ (1987); „საშობაო“, თბილისის ისტ. მუზეუმი, ქარვასლა (1990); ა. წერეთლის დაბადების 150 წელი, სეგ (1991); ათა თურქის საერთაშ. ფესტივალი, ანკარა (1995) და სხვ.

მ-ს ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. სახელმწ., ი. გრიშაშვილის სახ. თბილ. ისტორიის, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმებში, აღმ-ის ხელოვნების სახელმწ. (მოსკოვი), მაჰაჩყალის მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების, სანქტ-პეტერბურგის ეთნოგრაფიულ, სტამბოლის, ნიურნბერგის დიურერის მუზეუმებში და სხვ., ასევე კერძო კოლექციებში.

ავტორია წიგნების: ,,მე ყუბაჩელი ვარ'' (მაჰაჩყალა, 1968), ,,ტრადიციების კვალდაკვალ'' (თბილისი, 1971), ,,ცხოვრების ჩუქურთმები'' (მოსკოვი, 1975), „ოქრომჭედლის საჭრეთელი“ (მაჰაჩყალა, 1976).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999). თბილისის საპატიო მოქალაქე (2010).

თ. გერსამია.

მაჰომეტოვი ალექსანდრე ამარის ძე (12. VI. 1917, აული კუბაჩი, დაღესტანი, – 17. VI. 2004, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965). დაღესტნის რესპ. (რფ) და საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე. 1940 დაამთავრა საქართვ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინ-ტი (ახლანდ. სტუ). 1940–44 მუშაობდა ვორონეჟისა და მოსკოვის საავიაციო ქნებში ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე; 1944-იდან – თბილ. სახელმწ. მატერ. რეზერვის სამმართველოში. 1948 დაამთავრა საქართვ. მეცნ. აკად. ენის ინ-ტის ასპირანტურა კავკ. ენების სპეციალობით. ამავე წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ენათმეცნ. (ყოფ. ენის) ინ-ტში თანამშრომლად. მ. ავტორია ოთხი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, რ-ებშიც რამდენიმე დაღ. ენის სრული აღწერითი ანალიზია მოცემული: ,,კუბაჩური ენა'' (1963), ,,თაბასარანული ენა'' (1965), ,,აღულური ენა'' (1970) და ,,დარგუული ენის მეჰებური დიალექტი'' (1982). მონაწილეობდა ევროპის კავკასიოლოგთა საზ-ბის მიერ ჩატარებულ კოლოკვიუმებში პარიზში (1988), ლონდონსა (1990) და მარბურგში (1994). მნიშვნელოვანია მ-ის ღვაწლი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტ. საქმეში. მან დიდი შრომა გასწია XIX ს. გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგის, ს. უსლარის დაუმთავრებელი ნაშრომის – ,,კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. VII. თაბასარანული ენა'' – აღმოჩენისა და გამოცემისათვის. სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინ-ტის თხოვნით მუშაობდა ბიბლიის თარგმანზე დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტზე. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი.

თხზ.: Кубачинский язык, Тб.,1963; Табасаранский язык, Тб., 1965; Агульский язык: Исследование и тексты, Тб., 1970; Исследователь дагестанских языков, Махачкала, 1979; Мегебский диалект даргинского языка: Исследование и тексты, Тб., 1982.

ლიტ.: ალექსანდრე მაჰომეტოვი, ,,იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება'', 2009, ტ. 37.

ს. მეტრეველი.

მაჰონია, ჭყორფოთოლა (Mahonia), მცენარეთა გვარი კოწახურისებრთა ოჯახისა. გვარში 50-მდე (სხვა მონაცემებით 100-მდე) სახეობის მარადმწვანე ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა. უმთავრესად გავრცელებულია ჩრდ. და ცენტრ. ამერიკაში. რამდენიმე სახეობა გვხვდება აღმ. აზიაშიც. საქართველოში ინტროდუცირებულია 7 სახეობა, მეტწილად – ჭყორფოთოლა და იაპონური მ. ჩრდილოამერ. ჭყორფოთოლა მ. (M. aquifolium) მარადმწვანე ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 1 *მ* აღწევს. აქვს მუქი მწვანე, შემოდგომით მოწითალო-ბრინჯაოსფერი ფოთლები, კაშკაშა ყვითელი ყვავილები და ლეგა ნაფიფქიანი მოლურჯო-მოშავო კენკრა ნაყოფი. დეკორ. მცენარეა. იყენებენ ბაღ-პარკების მშენებლობაში. მრავლდება თესლით, ფესვის ამონაყარით, კალმით.

ვ. სხიერელი.

მგალობლიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე (4. IV. 1865, თბილისი, – 25. II. 1921, ხარბინი, ჩინეთი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). ამიერკავკ. მხარის სამხ. საფოსტო კავშირის უფროსი. იბრძოდა ,,თეთრი მოძრაობის'' აღმ-ის ფრონტზე. ემიგრაციაში წავიდა ჩინეთში.

მგალობლიშვილი გრიგოლ (გეგა) ზურაბის ძე (დ. 7. X. 1973, თბილისი), პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი (2008–09). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი; 1992–93 სწავლობდა სტამბოლის (თურქეთი) უნ-ტში. 1998 მიიღო ნატოს თავდაცვის კოლეჯის დიპლომი (რომი). 2002–03 გაიარა სპეციალიზებული დიპლომატიური კურსი ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნ-ტში; 2008 – უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი კურსები ჰარვარდის უნ-ტის ჯ. კენედის სახ. სახელმწ. მმართველობის სკოლაში (აშშ).

1996-იდან მუშაობდა საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე. იყო თურქეთის რესპ. საქართვ. საელჩოს I მდივანი, შემდეგ მრჩეველი (1998–2002), საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული დეპარტამენტის მრჩეველი, აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი (2002–04). 2004-იდან იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, ალ-



მ. მაჰომედოვა. კოლიე ,,კოსმოსური''. 1965. კერძო საკუთრება.



მ. მაჰომედოვა. დეკორატიული სინი „მეგობრობა“. 1974. კერძო საკუთრება.



ჭყორფოთოლა მაჰონია.



გ. ზ. მგალობლიშვილი.



ე. მგალობლიშვილი.



ლ. მგალობლიშვილი.

ბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, 2009–13 – საქართვ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნატოში და საქართვ. მისიის ხელმძღვანელი, 2014–15 – ეროვნ. თავდაცვის უნტის მოწვეული პროფესორი (ვაშინგტონი, აშშ). 2015-იდან არის ეროვნული თავდაცვის კოლეჯის პროფესორი (აბუ-დაბი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები).

ლიტ.: ჭუმბურიძე ზ., დამოუკიდებული საქართველოს ელჩები, 1991–2021, ნაწ. 1, თბ., 2021.

მგალობლიშვილი ეთერ დავითის ასული (14. VIII. 1932, თბილისი, – 3. VI. 2020, იქვე), პირველი ქართველი პროფესიონალი ორგანისტი, პიანისტი, პედაგოგი, ქართული საორგანო სკოლის დამაარსებელი. თბილ. სახელმწ. კონსერვ. პროფესორი (1984), საქართვ. დამს. არტისტი (1967). დაამთავრა მოსკ. კონსერვ. ფორტეპიანოს განხრით (1956). გაიარა უმაღლ. დაოსტატების კურსი ლაიფციგში ვ. შეტელიხთან (1971), ბელგიაში – ფ. პეეტერსთან (1979). 1965–2012 იყო თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი. მართავდა კონცერტებს საქართველოსა და უცხოეთში. სხვადასხვა დროს იყო ლაიფციგის, მოსკოვის, ვილნიუსის, გორკის, კიშინიოვის ორგანისტთა საერთაშ. კონკურსების ჟიურის წევრი, 1977–87 – ბიჭვინთის საკავშ. საორგანო მუს. ფესტივალის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მ-ის რეპერტუარში შედიოდა ქართველი (ო. თაქთაქიშვილი, ა. შავერზაშვილი, ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ს. ცინცაძე და სხვ.) და სხვადასხვა ეპოქის უცხოელი კომპოზიტორების (ი. ს. ბახი, ა. მოცარტი, ჯ. ბერტონი, ა. ბრუკნერი, ფ. მენდელსონი, ჯ. ბ. პერგოლეზი და სხვ.) საორგანო ნაწარმოებები.

ლიტ.: გოგოლაძე ქ., დიდი ქართველი ორგანისტი და პედაგოგი, ,,მუსიკა'', 2017, №2.

რ. ქუთათელაძე, მ. ჯაფარიძე.

მგალობლიშვილი თამილა გრიგოლის ასული (25. I. 1944, ქუთაისი, – 23. III. 2018, თბილისი), ფილოლოგი, ქართული ქრისტიანული კულტურის მემკვიდრეობის მკვლევარი. 1997-იდან ხელმძღვანელობდა ქართ. სიძველეთა მოძიებისა და კვლევის სამეცნ. ცენტრს. მონაწილეობდა ცენტრის მიერ მოწყობილ სამეცნ. ექსპედიციებში ისრაელში, იორდანიასა და თურქეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ექსპედიცია ისრაელში (2001–02), სადაც გამოვლინდა 40-მდე ეკლესია-მონასტერი, რ-თა ნაწილი წარსულში ქართველთა კუთვნილება იყო, ნაწილში კი ისინი სხვა ეროვნების ბერ-მონაზვნებთან ერთად მოღვაწეობდნენ. ამავე ექსპედიციის დროს აღინუსხა და დაფიქსირდა 100-მდე ლაპიდარული თუ საღებავით შესრულებული ძვ. ქართ. წარწერა, აღმოჩნდა ქართ. ხელნაწერები და საეკლ. ნივთები. მ. წლების განმავლობაში მუშაობდა ხელნაწერთა ინ-ტში, შეისწავლა და გამოაქვეყნა არაერთი ძვ. ქართ. ხელნაწერი, მ. შ. – კლარჯეთის მრავალთავი (1991). 2004 დაინიშნა საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი საზღვარგარეთ არსებული საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელად. 2011., საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, მ. ანტიოქიაში ხელმძღვანელობდა ექსპედიციას, რ-ის მიზანი იყო იქ არსებული ქართ. მონასტრების აღნუსხვა-დოკუმენტირება. ამ ექსპედიციას მიუძღვნა ნაშრომი ,,ახალი იერუსალიმები საქართველოში'' (2013). მისი რედაქტორობითა და ცენტრის თანამშრომელთა ავტორობით გამოიცა იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის ერთი უცნობი XV–XVI სს. უხვად ილუსტრირებული ქართ. ხელნაწერი ,,ოქროს ოთხთავი'' (2013). მ-ის ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართ. და ინგლ. ენებზე.

მგალობლიშვილი თინათინ (თინა) მიხეილის ასული (დ. 23. I. 1937, თბილისი), საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწებლობის სახელმწ. კომიტეტის დიქტორი. საქართვ. დამს. არტისტი (1987). 1959 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. გაახმოვანა 600-მდე კინოგმირი, მათ შორისაა მარიტა (,,ნატვრის ხე'', რეჟ. თ. აბულაძე), ხათუნა (,,როცა აყვავდა ნუში'', რეჟ. ლ. ღოღობერიძე), ესმა (,,სამი სიცოცხლე'', რეჟ. ი. პერესტიანი), თამარი (,,მთავრის მოტაცება'', რეჟ. თ. მელიავა), შორენა (,,დიდოსტატის მარჯვენა'', რეჟ-ები: ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე) და სხვ. წლების განმავლობაში იყო საინფორმაციო პროგრამა ,,მოამბის'' წამყვანი. რადიოში მიჰყავდა მხატვრულ-ლიტ. გადაცემები. 2021 მთაწმინდაზე, ტელეანძის მიმდებარედ, გაიხსნა მ-ის ვარსკვლავი.

მგალობლიშვილი ირაკლი სერგოს ძე (31. I. 1915, ქუთაისი, – 14. XII. 1997, თბილისი), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), საქართვ. სამედ.-ბიოლ. აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).

1937 დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) I სამედ. ინ-ტი; 1937–40 იყო ყაზახეთის ქ. ჯეზყაზღანის საავადმყოფოს ქირურგი. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1947–50 ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის ქირურგიის კათედრაზე აკად. ნ. პეტროვის ხელმძღვანელობით იკვლევდა ფილტვის ქირურგიის საფუძვლებს. 1963–65 იყო ლენინგრადის სამხ. ოლქის მთ. ქირურგი, 1965–71 – ორჯონიკიძის სახ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგე, 1971–76 – თავდაპირველად თსსი-ის სამკურნ. ფაკ-ტის საფაკულტეტო, შემდეგ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი 1976–79 – იქვე თავისივე დაარსებული ონკოლოგიის კათედრის გამგე, 1980–85 – ჰოსპიტ. ქირურგიის კათედრის გამგე, 1971–77 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ქირურგი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, სადაც განხილულია ძვლის სიმსივნის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოების ქირურგ. საკითხები და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მგალობლიშვილი ლევან იოსების ძე (6. IV. 1934, ქუთაისი, – 28. X. 2012, თბილისი), ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (2002), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2000). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტი (1958). მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის თბილ. უბნის ინჟინრად (1958–60); თბილ. ელექტროტექნიკურ (1960–61) და საქართვ. მეცნ. აკად. ენერგეტიკის ინ-ტებში (1961–63), სპიის (ახლანდ. სტუ) ელექტრული ტრანსპორტის კათედრის უფრ. ინჟინრად (1963–64), საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის სწავლულ მდივნად, სამეცნ. საორგანიზაციო განყ-ბის უფროსად, მთ. სწავლული მდივნის მოადგილედ (1964–74), საქართვ. მეცნ. აკად. ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს თავ-რედ, პრეზიდიუმის სამეცნ. ინფორმაციის განყ-ბის უფროსად (1985–96). იყო საქართვ. პრეზიდენტთან არსებული მეცნ. და ტექნ. დარგის სახელმწ. პრემიების კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1997–2005), საქართვ.

მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტის მრჩეველი (1996–2012).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი. საქართვ. სახელმწ. პრემია მიენიჭა შრომათა ციკლისათვის ,,საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ჩამოყალიბება და განვითარება‘‘. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

თ. არსენაძე.

მგალობლიშვილი ნელი ალექსანდრეს ასული (23. X. 1924, თბილისი, – V. 2004, იქვე), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1947 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან იყო ცხინვალის თეატრის ქართ. დასის, ხოლო 1948–91– რუსთაველის თეატრის მსახიობი. ეწეოდა პედ. საქმიანობას. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ცხინვალის თეატრში – მარინა (ი. მოსაშვილის ,,სადგურის უფროსი‘‘), ლუიზა (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული‘‘); რუსთაველის თეატრში – ფაიხოში (დ. ერისთავის ,,სამშობლო‘‘), კესო (ი. ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი‘‘), ოფელია, დეზდემონა, კორდელია (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი‘‘, ,,ოტელო‘‘, ,,მეფე ლირი‘‘), კეკე, სალომე (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი‘‘), ცაბუ (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან‘‘), თინა (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა‘‘), ქალბატონი პიჩემი (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა‘‘), ბაბალე (მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები‘‘), მოქრისი (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი‘‘) და სხვ. მ-ის შემოქმედება გამოირჩეოდა გმირების შინაგანი ბუნების სიღრმისეული გახსნით, სცენური მომხიბვლელობითა და დამაჯერებლობით.

მგალობლიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე (15. VII. 1931, სოფ. გომბორი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, – 26. III. 2019, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1954 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის თეატრში. 1959–61 იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის‘‘, 1961–63 – სანკულტურის, 1964–67 – მარჯანიშვილის, 1967–75 – რუსთაველის (1970–72 – დირექტორი) თეატრების, 1975-იდან სიცოცხლის ბოლომდე კი – კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მ-მა შექმნა არაერთი დაუვიწყარი სცენური სახე, მ. შ. გუგუნა (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი‘‘), უელსის პრინცი (უ. შექსპირის ,,რიჩარდ III‘‘), მსახიობი (მ. გორკის ,,ფსკერზე‘‘), ლე-ბრე (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი‘‘), ქონდრა (პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი‘‘), გელოვანი (კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი‘‘), მოშიაშვილი (ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირაღები‘‘), ერეკლე (ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი‘‘), მიუნჰაუზენი (გ. გორინის ,,ბარონ მიუნჰაუზენი‘‘), გურამი (ა. ჩხაიძის ,,შთამომავლობა‘‘), ჰაკი აძბა (ლ. ქიაჩელის ,,ჰაკი აძბა‘‘), იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘), თეიმურაზ ხევისთავი (მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნები‘‘) და სხვ. გამორჩეული კინემატოგრაფიული პერსონაჟებია: ნოდარი (,,ზღვის შვილები‘‘, რეჟ: კ. პიპინაშვილი, 1964), ჭანი (,,მყუდრო სავანე‘‘, რეჟ. კ. ღლონტი, 1971), ვაჟა (,,ლევან ხიდაშელი‘‘, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, 1973), ჭოლა საგანელიძე (,,დათა თუთაშხია‘‘, რეჟ-ები: გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978), გრაფი კალიოსტრო (მ. ზახაროვის ,,სიყვარულის ფორმულა‘‘, 1984), კაპიტანი კლერნი (,,ზღვის მაშვრალნი‘‘, რეჟ-ები: ე. სეშანი, გ. გაბესკირია, 1986), გრიგორი (,,ანთიმოზ ივერიელი‘‘, რეჟ. გ. ჭოხონელიძე, 2001) და სხვ. ეპიზოდური როლები აქვს შესრულებული ფილმებში: ,,საბუდარელი ჭაბუკი‘‘ (რეჟ. შ. მანაგაძე, 1957) და ,,როცა აყვავდა ნუში‘‘ (რეჟ. ლ. ღოღობერიძე, 1972). მონაწილეობდა ტელესერიალებში.

მ-ს მაღალი პროფესიული სამსახიობო ოსტატობა აღინიშნება როლების სიღრმისეული, ინტელექტუალური ხედვით. თავისი სამოქალაქო პოზიციითა და პროფესიონალიზმით მ. ტონს აძლევდა თეატრალურ პროცესებს. 1976 გახდა უნგრეთის მუსიკისა და დრამატულ ნაწარმოებთა ფესტივალის ლაურეატი (ი. კატონას ,,ბანკ-ბანში‘‘ ოტოს როლისათვის). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000), კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (2009). იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (2016).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა მახათას პანთეონში.

მგალობლიშვილი ნოდარ მიხეილის ძე (24. I. 1927, თბილისი, – 19. XII. 2000, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1971), პროფესორი (1976). დაამთავრა მოსკოვის არქიტ. ინტი (1952). 1952–62 მუშაობდა მოსკოვის სხვადასხვა საპროექტო ინ-ტში. 1962–70 ,,თბილზნიეპში‘‘ – სექტორისა და განყ-ბის ხელმძღვანელად. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა 1964-იდან. 1970–77 იყო სპი-ის არქიტ. ფაკ-ტის დეკანი, 1977–78 თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის პრორექტორი სამეცნ. დარგში, 1978–80 – თბილ. მთ. არქიტექტორი, საქართვ. არქიტექტორთა კავშირის თავ-რე (1986–90, 2000). ნამუშევრები: სავაჭრო დაწესებულებები (1952–61) მოსკოვში, თბილ. სახელმწ. უნტის კომპლექსი (1970, ავტორთა ჯგუფთან ერთად), 300 არაგველის სახ. ბაღი და მემორიალური კედელი თბილისში (1966), 2 მემორიალური ძეგლი ჰოლანდიაში, კ. ტექსელზე (1973–75), ფიროსმანის (1975), დედა ენის (1983, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), პ. ბაგრატიონის (1984, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი) ძეგლები და სხვ. მიღებული ჰქონდა ი. გოგებაშვილის (1985), უნგრეთის (,,პროკულტურა ჰუნგარიკა‘‘, 1988), სსრკ მინისტრთა საბჭოს (1989) და მ. აბაშიძის სახ. (1998) პრემიები. დაჯილდოებულია ბრნოს (ჩეხოსლოვაკია) ტექ. უნ-ტისა (1972) და ზაარბრიუკენის (გერმანია) ობერბურგომისტრის დიდი ოქროს მედლებით (1979). გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები და წიგნები. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ.შ. ღირსების ორდენი (1997).

ლიტ.: საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია, თბ., 2017.


მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (20. VII, 1851, სოფ. დირბი, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 30. XI. 1925, თბილისი), ხალხოსანი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი (1867), შემდეგ – თბილ. სას. სემინარია (1873). 1873–93 მასწავლებლად მუშაობდა გორის სასულიერო სასწავლებელში; 1893–97 – ფოთში, სამეგრელოს საეპარქიო სამმართველოში, ხოლო 1897–1910 – თბილისში, სინოდის კანტორაში. სემინარიაშივე გაიტაცა ანტიმონარქიულმა განწყობამ. ახალგაზრდა პედაგოგი გორის რ-ნის სოფლებში მართავდა წარმოდგენებს, ავრცელებდა აკრძალულ ლიტ-რას. გორის ხალხოსანთა რევ. ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის ორჯერ




ნ. მგალობლიშვილი.



ნ. მგალობლიშვილი. დეზდემონა, უ. შექსპირის ,,ოტელო‘‘.



ნ. ა. მგალობლიშვილი.



ნ. მ. მგალობლიშვილი.



ს. მგალობლიშვილი.



დ. მგელაძე.

(1876 და 1878) იყო დაპატიმრებული. თანამშრომლობდა ქართვ. ხალხოსანთა ჟურნ. ,,იმედთან''. 1912–13 იყო გაზ. ,,ჩვენი დროების'', ხოლო 1912-იდან – გაზ. ,,თემის'' რედაქტორი.

წერა მ-მა ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო. 1872-იდან ,,დროებასა'' და ,,მნათობში'' ბეჭდავდა როგორც ორიგინ. ნაწარმოებებს, ისე – თარგმანებსაც. მკითხველმა გულთბილად მიიღო მის მიერ თარგმნილი ფ. შილერის ,,ორლეანელი ქალი''. ამის შემდეგ სისტემატურად აქვეყნებდა მოთხრობებსა და მწვავე პუბლიც. წერილებს. მ-ის შემოქმედებაში აისახა ქართვ. გლეხობის ცხოვრება ბატონყმობის გადავარდნის წინა პერიოდიდან 1905–07 რევოლუციამდე და მისი მომდევნო რეაქციის ხანამდე. მის მოთხრობებში (,,დედა მაია'', 1880; ,,ღამის მეხრე ცეცო'', 1881; ,,მთიული სოსე'', 1892 და სხვ.) გადმოცემულია გლეხობის უსასოო მდგომარეობა. მ. გლეხთა ბედუკუღმართობის მთავარ მიზეზად უწიგნურობას მიიჩნევდა და პრაქტიკულად იღვწოდა სოფელში განათლების, შესაცვლელად. გლეხობის მებრძოლი ბუნება და რევ. იდეები აისახა მის მოთხრობაში ,,ჯორ-ზაქარა'' (1907), შექმნა ქართვ. გლეხი ქალების საინტერესო სახეები. მასვე ეკუთვნის მემუარული ხასიათის მოგონებები (1938), ვრცელი ავტობიოგრაფიული მოთხრობა ,,წარსულიდან'' (1898–1900), პოპულ. საყმაწვილო მოთხრობები ,,თინიას გიშერა'' (1890), ,,ყაყიტას ქურდი'' და სხვ.

მ. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: დემეტრეს სახლობა, გორი, 1889; გმირისეულის ქალი, ტფ., 1892; თავადი იერონიმე, ტფ., 1892; რჩეული 2 ტომად, ტფ., 1926; ყაყიტას ქურდი, ტფ., 1935; მოგონებანი, ლ. ასათიანის წინასიტყვ., რედ. და შენიშვნებით, თბ., 1938; რჩეული მოთხრობები, თბ., 1951, 1963; მოთხრობები, თბ., 2010.

ლიტ.: ასათიანი ლ., ჩვენი მწერლები, თბ., 1972; ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ., 1994; ბარამიძე ლ., სოფრომ მგალობლიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2005; ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 3, თბ., 1955; თავზიშვილი გ., სოფრომ მგალობლიშვილი, თბ., 1956; კიკნაძე ზ., სოფრომ მგალობლიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1974.

ს. ხუციშვილი.

მგელაძე აკაკი დიომიდეს ძე (10. VIII. 1912, სოფ. ზომლეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 27. II. 1985, ბათუმი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1957). 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბათუმის თეატრში მსახიობად (1951–53 – დირექტორი). შექმნილი აქვს განსხვავებული ჟანრისა და ხასიათის სცენური სახეები: ქურუმი (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), მურიკი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), მაზრის უფროსი (შ. დადიანის ,,გუშინდელნი''), გრიგოლა (ა. ყაზბეგის ,,მამის მკვლელი''), ხევისბერი (ს. შანშიაშვილის ,,ხევისბერი''), ლაითაძე (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია''), კომანდორი (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), კლავდიუსი (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'') და სხვ. გადაღებულია ფილმებში: ,,მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ'' (1973) და ,,მე მოვედი'' (1981; ორივეს რეჟ. ა. ნინუა). მიუხედავად იმისა, რომ მ-ს პროფ. განათლება არ მიუღია, ჰქონდა თანდაყოლილი ალღო, სამსახიობო ნიჭი და ინტუიცია.

მგელაძე აკაკი ივანეს ძე (1910, სოფ. მელექედური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1980, ოზურგეთი), საბჭოთა პარტიული მოღვაწე, საქ. სსრკ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1952–53), სსრკ კომპარტიის ცკ-ის წევრი (1952–53). იყო საქ. სსრ კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი (1934–37), სსრკ კომკავშირის ცკ-ის ახალგაზრდული განყ-ბის გამგე (1937–38). 1938 დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაამართლეს. 1938–42 ტრესტ „საქნავთობის“ მმართველია, 1942–43 – ამიერკავკ. ფრონტის შტაბის სამმართველოს სამხ. კომისარი, ბატალიონის უფრ. კომისარი, ამიერკავკ. ფრონტის შტაბის უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი, 1943–51 – საქ. სსრ კომპარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხ. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (განახორციელა სოხუმის განაშენიანების სამუშაოები), 1951–52 – საქ. სსრ კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1951–53 იყო საქ. სსრ კომპარტიის ცკ-ის ბიუროს შემადგენლობაში. როგორც ი. *სტალინის* გარემოცვის წევრი, კურირებდა ლ. *ბერიას* წინააღმდეგ წამოწყებულ „მეგრელების საქმეს“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მ. თანამდებობიდან გადააყენეს, გარიცხეს სსრკ კომპარტიის ცკ-იდან და კომპარტიის რიგებიდან, შემდეგ დააპატიმრეს. ბრალდებები მოუხსნეს ლ. ბერიას დაკავების შემდეგ.

1953–73 იყო სოფ. ბებნისის (ქარელის მუნიციპ.) საბჭ. მეურნეობის დირექტორი, 1973–78 – საქ. სსრ საბჭ. მეურნეობების ტრესტის მმართველი, საქ. სსრ აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავ-რე და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

მგელაძე ალექსანდრე ბუჭუას ძე [1864, სოფ. ბახვი, ოზურგეთის მაზრა (ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), – 1932, ბათუმი], პედაგოგი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წევრი. დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია (1885) და მიეინიჭა დაწყებითი სახალხო მასწავლებლის წოდება. თავდაპირველად მუშაობდა სოფ. დვაბზუში მასწავლებლად (1885–92), ხოლო შემდეგ – სოფ. ბახვში (1892–98). პოლიტ. არასაიმედოობის გამო მ. სამუშაოდ აჭარაში გადაიყვანეს და სოფ. ხულოს ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს. შემდგომ წლებში მ. საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში. 1903 მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ბათუმის ქართულ დაწყებით სკოლაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა და სხვადასხვა საგანს: ქართ. და რუს. ენებს, ბუნებისმეტყველებას, „სამშობლოს აღწერას“ და ანგარიშს (არითმეტიკა) – ასწავლიდა. პრაქტიკულ პედ. მოღვაწეობასთან ერთად მ. აქტიურად მუშაობდა ქართ. ენის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაზე („საანბანო წიგნი“, „ლამპარი“, „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, „პირველი ბიჯი“, „კოკორი“ და „ლექსიკური გაკვეთილები ქართული ენის შესასწავლად“).

მ. აქტიურად თანამშრომლობდა ქართ. იუმორისტულ ჟურნ. „ეშმაკის მათრახთან“, სადაც ალ. ბლიკვაძის ფსევდონიმით განიხილავდა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხს.

1925 ბათუმის პირველი საფეხურის მე-2 ქართულ სკოლას მ-ის სახელი ეწოდა.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953.

თ. ალიბეგაშვილი.

მგელაძე დიმიტრი სერგოს ძე [26. XII. 1891(7. I. 1892), სოფ. აკეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 21. VIII. 1979, თბილისი], ენათმეცნიერი, რუ-

სისტი. პროფესორი (1941), მეცნ. დამს. მოღვაწე (1972). დაამთავრა ოდესის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტის სლავურ-რუს. განყ-ბა (1914), 1921-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას თსუ-ში. 1938–75 იყო რუს. ენის კათედრის გამგე. კითხულობდა თანამედროვე რუს. ენის, რუს. ენის დიალექტოლოგიის, ძვ. სლავური ენის, სლავური და ინდოევრ. ენების შედარებითი გრამატიკის კურსებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუს. ენის სწავლების მეთოდიკის შემუშავებაში. გამოქვეყნებული აქვს რუს. ენის სახელმძღვანელოები ქართ. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მგელაძე ზურაბ ვიქტორის ძე (20. XII. 1933, თბილისი, – 16. I. 2016, იქვე), გეოლოგი. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1992). საქართველოსა და საერთ. დარგობრივი აკადემიების წევრი.

1957 დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობა დაიწყო ტრესტ ,,საქნავთობის'' სისტემაში ჭალადიდის, საცხენისისა და პატარძეულის ნავთობის საბადოებზე გეოლოგად. 1963–87 იყო სპი-ის ,,ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის'' კათედრის ასისტენტი, 1987–92 – კათედრის გამგე, 1992-იდან სამთო-გეოლ. სასწ. სამეცნ. ინ-ტის დირექტორი, 1996–97 – საქართვ. საერთაშ. ნავთობის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი. 1999-იდან დაინიშნა საქართვ. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწ. სააგენტოს უფროსის მოადგილედ სამეცნ.-ტექ. დარგში. მისი მონაწილეობით ინტენსიური ძებნა-ძიებითი სამუშაოები დაიწყო უცხოურმა ნავთობის კომპანიებმა – ,,ფრონტერამ'' და ,,რამკომ''.

მ. იყო მსოფლიოს ,,მათემატიკური გეოლოგიის'' და საერთაშ. ,,გეოთერმული'' ასოციაციების წევრი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რომლებიც ეხება რეგიონულ გეოლოგიას, საქართვ. ტერიტორიის მეზოკაინოზოური ნალექების ნავთობ-გაზის პერსპექტიულობას და ძებნა-ძიებითი სამუშაოების წარმართვას, საბადოების დამუშავებასა და ექსპლუატაციას. მან თანაავტორებთან ერთად შეადგინა და გამოაქვეყნა საქართვ. ნავთობ-გაზის დარაიონებისა და პერსპექტიული სტრუქტურების რუკა.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: ნორიო-პატარძეულის ანტიკლინორიუმის მიოცენურ, პალეოცენურ და ზედა ცარცულ ნალექებში ნავთობისა და გაზის საბადოების ძიების საკითხები, თბ., 1975; К истории формирования современной структуры Картлийской впадины, Тб., 1974; О перспективах нефтегазоносности среднеэоценовых отложений Восточной Грузии, М., 1983 (თანაავტ. Д. Папава); Карта месторождений нефти и газа, перспективные структуры и нефтегеологическое районирование территории Грузии, Тб., 1989 (თანაავტ.; А. Нанадзе, Д. Папава); Литолого-стратиграфитческая характеристика и перспективы нефтегазоносности юрских отложений Грузинской глыбы, Тб., 1998.

მგელაძე ნარგიზა სიმონის ასული (28. IV. 1937, ქუთაისი, – 13. IX. 2002, იქვე), პუბლიცისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1979). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1960). 1961–82 გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტის'' რედაქციაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა კორესპონდენტიდან რედაქტორის მოადგილემდე. 1982-იდან იყო გაზ. ,,თბილისის'' რედაქტორის მოდგილე; 1989–91 – რედაქტორი; 1991-იდან – ჟურნ. ,,საქართველოს ქალის'' მთ. რედაქტორი. არის რამდენიმე წიგნის, პუბლიც. წერილებისა და ნარკვევების, მოთხრობების, ფილმის სცენარის ავტორი. მისი ნაწარმოებები ითარგმნა უცხოურ ენებზე.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).

თხზ.: სიტყვას ითხოვს... სიყვარული, თბ., 1987; ღია ბარათი ახალდაქორწინებულებს, თბ., 1987; მოთხრობები, თბ., 1989; იქნებ!..., თბ., 1992; აჭარული ნოვრო და გვარი, ბათ., 2004.

მგელაძე ნინო ვლადიმერის ასული (11. VIII. 1921, სოფ. ჯუარუყვეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 2013, თბილისი), ექიმი-კურორტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). საქართვ. (1982) და აფხაზეთის არ (1974) მეცნ. დამს. მოღვაწე. 1942 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1942–44 იყო გალის რ-ნის საბჭ. მეურნეობა ,,კოხორის'' ამბულატორიის გამგე, 1947-იდან მუშაობდა საქ. სსრ კურორტოლოგიის ინ-ტის აფხ. ფილიალში; 1955-იდან იქვე ხელმძღვანელობდა კლინიკურ განყ-ბას.

მ. იკვლევდა საკურორტო ფაქტორების გავლენას სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობასა და მკურნალობაზე. დაადგინა მთის ფაქტორებისა და ნახშირმჟავა აბაზანების დადებითი მოქმედება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Курорты Абхазии – Тб., 1981 (თანაავტ.); Лечение сердечно-сосудистых заболевании на курортах Абхазии, Сух., 1984.


მგელაძე (გიგინეიშვილი) საფო იოსების ასული (1894, სოფ. ჯურუყვეთი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 1936, თბილისი), პოეტი, ბელეტრისტი. ფსევდონიმები: ,,გურული ქალი'', ,,ეწერელი ქალი'', ,,მუშა ქალი'', ,,სანი''. 1908 ლექსი ,,საქართველო'' გამოაქვეყნა ამავე დასახელების ჟურნალში, ხოლო ა. წერეთლის იუბილესთან დაკავშირებული 2 ლექსი – ჟურნ. ,,ფასკუნჯში''. 1922-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. იყო ქალთა ჟურნ. ,,ჩვენი გზის'' თანამშრომელი. სტატიებს აქვეყნებდა ,,ლიტერატურულ საქართველოში'', ,,ლომისში'', ,,მნათობში'' და სხვ. ავტორია პოემისა ,,ბახმარო'' (1927); რომანებისა: ,,ლიანა ლორდია'' (1928), ,,ქარიშხლის ფრთებზე'' და ,,გზადაგზა'' (ორივე 1935); ლექსების კრებულისა ,,პრელუდია'' (1931); კრებულებისა ,,თხზულებანი'' (1940), ,,რჩეული'' (1968).

ლიტ.: ქართველი პოეტები, შემდგ. ა. ელერდაშვილი, თბ., 2021.

მგელაძე ყარამან (გუგული) გიორგის ძე (12. V. 1928, თბილისი, – 29. XI. 2015, იქვე), კინორეჟისორი, მსახიობი, მწერალი. საქართვ. სახ. არტისტი (1983). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტი. კინოში მოღვაწეობა დაიწყო როგორც მსახიობმა, ითამაშა გიორგი სააკაძის უფროსი ვაჟის – ავთანდილის როლი ფილმში ,,გიორგი სააკაძე'' (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1942–43). სტუდენტობის დროს მონაწილეობა მიიღო ფილმებში: ,,ახალგაზრდა გვარ-



ნ. მგელაძე.



ყ. მგელაძე. კადრი ფილმიდან ,,ფესვები''. მსახიობი ლ. აბაშიძე – გიორგი. 1987.

დია'' (გიორგი არუტუნიანცი; რეჟ. ს. გერასიმოვი, 1948), ,,მშვიდობიანი დღეები'' (მეზღვაური მესხიშვილი; რეჟ. ვ. ბრაუნი, 1950), ,,ვარსკვლავები ფრთებზე'' (ქართველი კურსანტი; რეჟ. ი. შმარუკი, 1955), ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'' (ეკიპაჟის წევრი; რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1956) და სხვ. სარეჟისორო დებიუტია მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია ,,ბურთი და მოედანი'' (1961, სპორტული ფილმების საკავშ. კინოფესტ. მთავარი პრიზი; მოსკოვი, 1965). გადაიღო სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ფილმები: ,,ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი'' (1965), ,,ცისკრის ზარები'' (1967), ,,სინათლე ჩვენს ფანჯრებში'' (1969), ,,გათენების წინ'' (1971ე\), ,,არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ'', ,,თეთრი სახლები'' (ორივე 1975), ,,ფედია'' (1977), ,,ძახილი'' (ნ. დუმბაძის მოთხრობების მიხედვით, 1979), ,,როგორ ვიცხოვრო უშენოდ'' (1980), ,,მაცივარში ვიღაც იჯდა'' (1983), ,,ბაგრატიონი'' (გ. ჭოხონელიძესთან ერთად, 1985), ,,ფესვები'' (1987), ,,წარსული მუდამ ჩვენთანაა'' (1989), ,,ჩაკლული სული'' (გ. რობაქიძის რომანის მიხედვით, 1999), ,,გაჭედილები'' (2004). გამოცემული აქვს წიგნები: ,,კინოკურიოზები'', ,,სიკეთისათვის დევნილნი'', ,,არ გვანებივრებს როდესაც დარი''; ლექსების კრებულები: ,,წუთისოფელი'', ,,შავი და თეთრი''.



ჩვეულებრივი მგელი.

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მ. კერესელიძე.

მგელი (Canis lupus), მტაცებელი ძუძუმწოვარი ძაღლისებრთა ოჯახიდან (Canidae), მტაცებელთა რიგიდან (Carnivora). არსებობს მ-ის 37 ქვესახეობა დინგოსა (Canis lupus dingo) და შინაური ძაღლის (Canis lupus familiaris) ჩათვლით.



მგელცხე.

თანამედროვე გენეტიკური გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოში ბინადრობს ევრაზიული ქვესახეობა – ჩვეულებრივი მ. (Canis lupus lupus), რ-ის სხეულის სიგრძეა 105–106 *სმ,* სიმაღლე – 65 *სმ*-მდე (იშვიათად 100 *სმ*); აქვს 42 კბილი (ზედა ყბაზე 6 საჭრელი, 2 ეშვი, 8 პრემოლარი და 4 მოლარი, ქვედაზე – 2 ეშვი და 6 მოლარი). კავკასიაში მობინადრე ზრდასრული მ-ის მასაა 45 *კგ*, ჩრდ. პოლარული წრის ჩრდით კი 80 *კგ*. მ. რუხი შეფერილობისაა, ჩალისფერი ჩანართებით, ზურგზე V-ს მსგავსი ზოლებით; ფერი იცვლება ადგილსამყოფლის მიხედვით: ციმბირული ღია ნაცრისფერია, კანადური კი – შავი, თეთრი და ნაცრისფერი. იკვებება ძუძუმწოვრებით, ხანდახან ფრინველებით, მწერებით, ბალახით, ხილითა და ბაღჩეულით.

მ-ები, როგორც წესი, კოლექტიურად ნადირობენ ჩლიქოსნებზე (ირემი, შველი, გარეული ღორი). ასეთ ნადირობას კი შეთანხმებული მოქმედება და ფუნქციების განაწილება სჭირდება. თითოეული ზრდასრული ინდივიდი კისრულობს იმ ფუნქციას, რ-ის შესრულება სხვაზე უკეთ შეუძლია. მიუხედავად ამისა, საშუალოდ, ხუთი მცდელობიდან ერთია წარმატებული. წარმატების შემთხვევაში ნადავლის ჭამის უპირატესობა დომინანტ წყვილს აქვს. ინდივიდუალურად მ. ნადირობს კურდღელსა და მღრღნელებზე.

მ. სოციალური და მონოგამი სახეობაა. დომინანტი წყვილის – ხვადისა და ძუს – კავშირი სამუდამოა; ქმნიან 6–8 ინდივიდისგან შემდგარ ოჯახს; რამდენიმე ნაცნობი ოჯახის დროებითი გაერთიანება ხშირია. აღსანიშნავია, რომ გამრავლების უფლება მხოლოდ დომინანტ წყვილს აქვს. იმდენად ძლიერია მათი სოც. წნეხი დაბალი რანგის ინდივიდებზე, რომ ამ უკანასკნელებს უჩერდებათ ფიზიოლოგიური რეპროდუქციული პროცესები.

დომინანტ ძუსა და ხვადს მძუნაობის პერიოდი ეწყებათ თებერვლის ბოლოს ან მარტის შუა რიცხვებში და გრძელდება დაახლ. 1,5 კვირა. მაკეობის ხანგრძლივობა 64–66 დღეა. ემბრიონების რაოდენობა შეიძლება აღწევდეს 15–18-ს, მაგრამ იბადება 4–8 უსუსური, თვალაუხილავი, დახურული ყურის ხვრელების მქონე ლეკვი. ისინი 25 დღე იკვებებიან მხოლოდ დედის რძით, შემდეგ ემატება მ-ების კუჭიდან ამონთხეული, პეპსინითა და კუჭ-ნაწლავის ფლორით სავსე ნახევრად მონელებული ხორცი, 45 დღის შემდეგ კი – კუჭიდან ამონთხეული და ხორცი. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 22–24 თვისა, ცოცხლობს 12 წლამდე.

მ. მკვეთრად გამოხატული ტერიტორიული სახეობაა. ოჯახის ტერიტორიის ფართობი დამოკიდებულია საკვები ბაზის სიუხვეზე და შეიძლება მერყეობდეს 80–180 $კმ^2$ ფარგლებში. ზრდასრული ინდივიდები, პირველ რიგში დომინანტები, ტერიტორიის საზღვარს ნიშნავენ შარდითა და ექსკრემენტებით. გარდა ამისა, მეზობელ ოჯახებს ყმუილით ატყობინებენ, რომ საკუთარ ტერიტორიაზე არიან.

მ-ებში არსებობს შიდა ოჯახური კომუნიკაციის 5 ფორმა: უშუალო სიახლოვისას ტაქტილური (ახურული პირით, სხეულით ან თათით შეხება), ყეფა, წკმუტუნი, ღრენა და მათი ერთმანეთისგან შორს ყოფნის დროს ძლიერი უარყოფითი ემოციური დაძაბულობის გამო, ე. წ. ,,ერთად ყოფნის'' მინორული ჟღერადობის ყმუილი.

კოგნიტური, ანუ ელემენტარული აზროვნების უნარის შესწავლამ აჩვენა, რომ მ-ს შეუძლია გარემოში არსებული გამღიზიანებლების ურთიერთშეფარდების ცვლილების შედეგის პროგნოზირება (ექსტრაპოლაციის უნარი). გარდა ამისა, შეუძლია ამ შეფარდების მიზანმიმართული ცვლილება თავის სასარგებლოდ, ანუ შეუძლია საკუთარი მოქმედების შედეგის პროგნოზირება.

საქართველოში ირმისა და შვლის რიცხოვნობის შემცირებასთან ერთად შემცირდა მ-ის რაოდენობაც. ტყეში უფრო მეტია გავრცელებული ძაღლი და მისი ჰიბრიდი მ-თან.

ი. ბადრიძე.

მგელციხე, ციხესიმაგრე ისტორიულ ჯავახეთში, მდ. მტკვრის ხეობაში. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს თურქეთის რესპ. ტერიტორიაზეა (არტაანის ილის ჩილდირის ილჩე) და ქურდკალე (თურქ. Kurtkale) ეწოდება. ,,მგელციხე'', სავარაუდოდ, დაკავშირებულია მგლის გაუტეხელობასა და სიმტკიცესთან. საფორტიფიკაციო ნაგებობის გარდა სახელწოდება ვრცელდება ხეობის თავზე მდებარე სოფელზე, ციხესა და IX–X სს. დარბაზულ ეკლესიაზე. XX ს.

დასაწყისში მ. დაათვალიერა და აღწერა (რამდენიმე კოშკი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა და ეკლესია) ე. თაყაიშვილმა.

მ. სოფ. მგელციხიდან სამხრ.-აღმ-ით, მდ. მტკვრის მარცხნივ ამოზიდულ ბუნებრივ სიმაგრედ ქცეულ, ყველა მხრიდან მიუდგომელ მთაზეა აღმართული და სამი მხრიდან მდინარე შემოუყვება. ციხის გეგმას კლდის რელიეფი განსაზღვრავს. საერთო ფართობია 6000 *კმ*^{2}. ჰქონდა ნატეხი/ფლეთილი ქვით და კირით ნაგები სქელი კედლები, რ-თა დიდი ნაწილი დანგრეულია. შეიმჩნევა მშენებლობის რამდენიმე ფენა. ასასვლელი ჩრდ.-აღმ. კუთხიდან იყო. აღმ-ის კედელსა და კლდეს შორის ქვედა ციხეა, რ-იც ზედა ციხისაგან მაღალი კედლით არის გამოყოფილი, მასში მოხვედრა მცირე კარით შეიძლება. მ-ის ცენტრ. და კლდის ყველაზე ამაღლებული ნაწილის ციტადელი რამდენიმე ნაგებობისაგან შედგებოდა (გოდოლი, დარბაზული ეკლესია) და შიდა გალავანიც ჰქონდა. ცენტრ. ნაწილში გეგმით მრგვალი კოშკის ნაშთია (სავარაუდოდ ციტადელის მთავარი სიმაგრე). მ-ის დას-ით შემორჩენილია მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი. მთელი ტერიტ. ნანგრევებით არის დაფარული.

მ-ს აღმ-ით, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე პატარა დარბაზული ეკლესიაა, ხოლო სამხრ-ით, საქართველოს ტერიტ-ზე, მოჩანს მღვიმეები, რ-თა ნაწილი ხელოვნურად გამოყვანილი უნდა იყოს.

მ. არაერთ წყაროშია მოხსენიებული. იგი მნიშვნელოვანი სიმაგრე იყო და აკონტროლებდა სამხრ-იდან საქართველოში მომავალ მაგისტრ. გზებს. XVI ს. 70-იანი წლების ბოლოს მესხეთში მიმდინარე შიდა არეულობის დროს მ. ყვარყვარე IV ათაბაგისა და მისი ძმის, მანუჩარის ძირითადი ადგილსამყოფელი იყო. 1578, ჩილდირის (ჩრდილოს) ბრძოლის წინ, ოსმალო სარდალი ლალა ფაშა შემოადგა მ-ს, მეციხოვნეთა 5-დღიანი წინააღმდეგობა ქართველების გამარჯვებით დასრულდა. ჩილდირის ბრძოლაში ოსმალების გამარჯვების შემდეგ მესხეთის ტერიტ-ზე შეიქმნა ჩილდირის (ახალციხის) საფაშო. მ. სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად ოსმალეთის თავდაცვითი სისტემის ნაწილი გახდა. მათი ადმინისტრაციული მოწყობით მ. ჩილდირის ლივაში ქურდკალის ნაჰიეს (რ-ნი) ცენტრი იყო.

სოფ. მგელციხე 1595 ჩატარებული აღწერის დროს უკვე მიტოვებული იყო, თუმცა მალევე აღდგენილა და XVIII ს. დავთრებში იხსენიება ,,გელციხა'', რ-საც 1703–04 წ. 4000 ახჩა, ხოლო 1718–19 წ. 5500 ახჩა ჰქონდა შეწერილი. 1731 ბრძანებით მას გადასახადის სახით 15 საომარი ქერი უნდა გაეღო. სოფელი აღდგენილი ჩანს XX ს. დასაწყისში.

ლიტ.: ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები, ტ. 1, თბ., 2020; Такаишвили Е. С., Христианские памятники, „Материалы по археологии Кавказа", М.,1909, т. 12.

„მგზავრული", ქართული ხალხური სამხმიანი სიმღერა. ასრულებენ მამაკაცები მგზავრობის დროს. ,,მ''. გამოირჩევა ემოციური მელოდიით, გამოკვეთილი რიტმით, ნათელი ფაქტურით, ომახიანი შესრულებითა და სტროფული ფორმით. პოეტური ტექსტი ნებისმიერია. ,,მ''. ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული შეძახილებით (,,არალო'', ,,არალალო'') სრულდება, უფრო ხშირად კი გზასთან დაკავშირებული ტექსტით, მაგ.: ,,გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყალთა დენამა''. ,,მ''. პირველად ჩაწერა ა. ბენაშვილმა კახეთში, კერძოდ ქიზიყში და 1865 გამოაქვეყნა თავის კრებულში ,,ქართული ხმები''. იხ. აგრეთვე *ლაშქრულ-მგზავრული სიმღერები.*


გ. ჩხიკვაძე.

მგლიანი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში (ჭონქაძის თემი), მდ. ფოტისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ზემო ნაწილში. ზ. დ. 900 *მ*, დუშეთიდან 7 *კმ*. 2014 აღწერის მიხედვით მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს.

მგლინავასებრნი (Certhiidae), ფრინველთა ოჯახი ბეღურასნაირთა რიგისა. აერთიანებს 2 გვარს: ნამდვილ მგლინავებსა (Certhia) და ლაქებიან მგლინავებს (Salpornis). გავრცელებულია ევროპის, აზიის (სამხრ-ით ჰიმალაის მთებამდე), აფრიკისა და ამერიკის ტყეებში. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა: ჩვეულებრივი მგლინავა (C. familiaris) და მოკლეთითა, ანუ ბაღის მგლინავა (C. brachydactyla). ბუდეს იკეთებენ ხის ბზარებსა და ქერქის სიცარიელეებში. დედალი 4–7 კვერცხს დებს და 2 კვირას კრუხობს. მ. ობობებითა და მწერებით იკვებებიან. ბუნებაში ეს სახეობები შესახედაობით თითქმის ერთნაირები არიან, მაგრამ კარგად განირჩევიან ჭიკჭიკით. ორივე სახეობა ბინადრობს ყველა ტიპის ტყეში, მაგრამ თუ მათი არეალების გადაფარვა ხდება, მაშინ ჩვეულებრივი მგლინავა არჩევს წიწვოვან ტყეს, ხოლო მოკლეთითა – ფოთლოვანს.

რ. ჟორდანია.

ა. ბუხნიკაშვილი.




ჩვეულებრივი მგლინავა.

მგლისსაფოლე, მთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ზ. დ. 2614 *მ*. აქ მდებარეობს აჭარიდან ამოსულ მესაქონლეთა მცირე საზაფხულო დასახლება. მ-ზე გადის ტურისტული მარშრუტი გომისმთა – ბახმარო.

მგლის სოკო (Coprinus micaceus), ქუდიანი სოკო კოპრინასებრთა ოჯახისა. აქვს ზარისებრი, მოყვითალო-მურა, ცენტრში უფრო მუქი ქუდი, რ-ის დიამეტრია 3–6 *სმ;* დაფარულია მბზინავი ქერცლით, რ-იც მალევე ქრება. ფირფიტები თავდაპირველად თეთრია, შემდეგ – შავი, ფეხი – თეთრი. იზრდება ადრე გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე ჯგუფებად დამპალ ხეებზე და მათ ახლოს, აგრეთვე ნაკელიან ადგილებზე. საკვებად იყენებენ ნორჩ მ. ს-ს.

ი. ნახუცრიშვილი.

მგოსანი, მუსიკოს-მომღერალი, მესაკრავე, პოეტი, ზოგჯერ შემსრულებელ-მთქმელი. სიტყვა მ. გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიაში (მათე 9, 23). იესო ქრისტემ გარდაცვალებულის სახლში ,,იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი''... ისტორიული წყაროების მიხედვით იყვნენ ,,მგოსანნი გლოვისანი'' და ,,მგოსანნი ლხინისანი''. პირველი განმარტებულია ასე: ,,მგოსანი ესე არს მომღერალი, გინა ზარისა მთქმელი მკუდარსა ზედა''. VI მსოფლიო საეკლ. კრებაზე (691–692) დადგენილ მღვდელთა ყოფაქცევის წესში ნათქვამია: მოციქული პავლე იტყვის: ,,უჯერო არიან და უწესო... მგოსნობანი და სახიობანი და ესე ვითარცა მათ ხმათა საეშმაკოთა სმენანი ბარბითებისა და ორღანოებისა, ებანთა და მომღერალთა ხედვანი''. მ. მოიხსენიება აგრეთვე ,,ქართლის ცხოვრებაში'' (,,იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა''), ,,ვეფხისტყაოსანში'', ს.-ს. ორბელიანთან, იოანე ბატონიშვილთან, ნ. და დ. ჩუბინაშვილებთან. ვახუშტის განმარტებით, მ. მეფის კარის მთქმელია. იგი აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ გართობა-თამაშობებში ახსენებს ,,მგოსან-სახიობებს'' (ყაბახის და



ბაღის მგლინავა.



მგლის სოკო.

ბურთაობის შემდეგ მოასპარეზენი მეფის სასახლეში ,,შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსანსახიობითა‘‘).

მ-ები უმეტესად იყვნენ ვაჟები, რებიც ჩანგის თანხლებით მღეროდნენ. მათ შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეჭირა სატრფიალო-ლირიკ. თემატიკას. დღესდღეობით მ. მხოლოდ პოეტის სინონიმია. მ. ენათესავება აღმოსავლურ გუსანს.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ტრადიციების პრობლემა XVIII–XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში, თბ., 1984; მაჩაბელი დ., ქართული ზნეობანი, გალობა, „ცისკარი‘‘, 1864, №5; მშველიძე ა., ქართული ქალაქური სიმღერები, თბ., 1970; ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958; რუხაძე ტ., თეატრალური და დრამატურგიული ტერმინები ძველ ქართულ ლიტერატურაში, წგ.: ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 2011; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.



მდგნალი.

მგუძირხვა, მ უ გ უ დ ი რ ხ ვ ა, სოფელი აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში (მგუძირხვის თემი). მდებარეობს მდ. მჭიშთას (შავწყალა) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 80 *მ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

მდაბიო, მ დ ა ბ ი უ რ ი, მ დ ა ბ უ რ ი, „დაბის“ (უმცირესი ადმ.-ტერიტ. ერთეული და დასახლების ადგილი) მკვიდრი: „დაბა“ თავდაპირველად, სავარაუდოდ, გვაროვნ.-თემური ერთეული იყო, ადრინდ. ფეოდ. ხანაში კი სასოფლო-სამეზობლო თემს წარმოადგენდა და, როგორც სოც. ტერმინი, ამ „დაბაში“ მცხოვრებ მეთემეს აღნიშნავდა. ტერმინი „მდაბიო“ პირველად გვხვდება ,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ (VI ს.) „მდაბურის“ ფორმით და აღნიშნავს საქალაქო ეთნ.-რელიგიური თემის წევრს (გ. მელიქიშვილი).

მ. ადრინდ. ფეოდ. ხანაში მატერ. დოვლათის ძირითადი მწარმოებელი იყო და ემსახურებოდა „დაბების“ მფლობელ ფეოდალს. მ-თა უმთავრესი მოვალეობა იყო ლაშქრობაში მონაწილეობა. ამ ნიშნით სამეცნ. ლიტ-რაში იხმარება ტერმინი მდაბიორ-მოლაშქრენი (ნ. ბერძენიშვილი) მსუბუქად შეიარაღებულ ქვეით მეომართა აღსანიშნავად, რ-ებიც მძიმედ შეჭურვილ თავიანთ „უფლებს“ ახლდნენ. VIII–IX სს-ში „დაბების“, ანუ სასოფლო-სამეზობლო თემების ადგილს იკავებს მთლიანად ფეოდალების მიწათმფლობელობასა და დაქვემდებარებაში მყოფი „სოფლები“. ამ პროცესის შესაბამისად მ-თა სოციალურმა ფენამ გაქრობა იწყო და მისი ადგილი თანდათანობით „გლეხმა“ დაიჭირა, როგორც ამ სახეცვლილი გაერთიანების მკვიდრმა და თემის გარეშე მდგომმა არათავისუფალმა მწარმოებელმა.

ლიტ.: მეტრეველი რ., დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V–XII სს.), გლახაკები, თბ., 1976; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1–2, თბ., 1970–73; ხოშტარია-ბროსე ე., ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.

ა. ბოგვერაძე.

მდაბიორ-მოლაშქრენი, იხ. *მდაბიო.*

მდადე, მ დ ა დ ი, პატარძლის მაყარი ქალის ქორწილში, „დიაცი სძლის მაყარი“ (საბა). მ-ს ირჩევდნენ ნათესავთა და ახლო მეგობართა წრიდან. ევალებოდა საქორწილო რიტუალის განმავლობაში პატარძალთან ყოფნა და მისი უშუალო მფარველობა.

ჯვრის წერისას მ. პატარძალს უკან მიჰყვებოდა და მისი კაბის აკეცილი ბოლოები ხელში ეჭირა, საქორწილო სუფრაზე კი, როგორც წესი, პატარძლის გვერდით იჯდა. ზოგან მის ფუნქციაში შედიოდა ქორწილის ღამეს ნეფე-დედოფლისათვის ლოგინის გაშლა, დილით კი – ალაგება. მ. დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც ქალის, ისე ვაჟის ოჯახში.

ლიტ.: ითონიშვილი ვ., კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977; მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1987.

მდგნალი (Salix caprea), ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან ტანდაბალი (10 *მ*-მდე) ხე ტირიფის გვარისა. ნორჩი ყლორტები ლეგაა, ბუსუსიანი. ფოთლები – ფართო, ელიფსური ან წაგრძელებული, ზემოდან – მუქი მწვანე და შიშველი, ქვემოდან – ქეჩისებრბუსუსიანი და ლეგა მწვანე. გავრცელებულია ევროპასა და მცირე აზიაში. იზრდება მთელ საქართველოში, დაბლობიდან მოკიდებული სუბალპ. სარტყლამდე, ტყის პირებზე, მდინარეებისა და რუების გასწვრივ. თაფლოვანია. ქერქი შეიცავს ტანიდებს. მრავლდება თესლითა და ძირკვის ამონაყარით.

მ. ლორია.

მდგრადი განვითარება, საზოგადოების განვითარებისათვის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პირობების შექმნა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ზრდას და ეფუძნება პრინციპს – დღევანდელობის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მ. გ. ემყარება ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებას და მართვას ბიომრავალფეროვნებისათვის ზიანის მიყენების გარეშე; ტრად. ენერგორესურსების ენერგოგანახლებადი რესურსებით ჩანაცვლებას შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვითა და განვითარებით, ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და გამოყენების ჰარმონიზაციას, საზ-ბის ეკონომიკურ, სოც. და ეკოლ. მოთხოვნათა შორის ბალანსის დაცვას.

XVIII ს. დასაწყისში გერმ. სატყეო ცნობარში (1713) პირველად გამოიყენეს სიტყვები: Nachhaltigkeit (მდგრადობა) და nachhaltiger Ertrag (მდგრადი მოსავალი). ეს ტერმინები გულისხმობდა ისეთი პრაქტიკის შემოღებას, რ-ის თანახმად უნდა მოჭრილიყო მხოლოდ იმ რაოდენობის ხე, რომ ტყის რეგენერაცია არ შეფერხებულიყო. „მდგრადობა“ 100 წლის შემდეგ დამკვიდრდა ინგლ. სატყეო ცნობარშიც, თუმცა ის უკვე მოიცავდა არა მხოლოდ ხეების დაცვას, არამედ ტყის, როგორც ერთიანი სისტემის, შენარჩუნებას თავისი ფლორითა და ფაუნით.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლ. ზრდამ და რესურსების არარაციონალურმა მოხმარებამ, შესაძლოა, XXI ს. დასასრულს კაცობრიობისთვის ცნობილი სხვადასხვა ტიპის მცენარისა თუ ცხოველის 30–50%-ის გარდაუვალი გადაშენება გამოიწვიოს. დედამიწაზე კლიმატი სწრაფად იცვლება ადამიანის ისეთი საქმიანობის გამო, როგორიცაა ნახშირბადშემცველი წიაღისეული საწვავის (ქვანახშირი, ბუნებრივი გაზი და ბენზინი) მოხმარება და ტყეების ჭრა, რამაც, შესაძლებელია, სოფლის მეურნეობისათვის ზოგიერთი ადგილი გამოუსადეგარი გახადოს, შეცვალოს წყალზე ხელმისაწვდომობა, გამოიწვიოს დედამიწის უნიკალური მწვანე საფრის, ბიომრავალფეროვნების განადგურება და ეკონომიკისათვის ზიანის მიყენება.

XX ს. 60-იან წლებში ამერ. ეკოლოგმა და ფილოსოფოსმა გ. ჰარდინმა ადამიანის მისწრაფება რესურსების ულიმიტო მოხმარებისკენ, „საზოგადოების ტრაგედია“ უწოდა. 70-იან წლებში რომის კლუბის (The Club of Rome) მხარ-

დაჭერით გამოიცა ანგარიში „ზრდის შეზღუდვები“, სადაც მეცნიერთა ჯგუფის კვლევის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი გააგრძელებს გარემოს დაცვის უგულებელყოფას და რესურსების ჭარბ მოხმარებას, 2070-თვის გარემო და მოსახლეობა კრიზისში აღმოჩნდება, ეკონომიკა დაზარალდება და ჩამოიშლება. XX–XXI სს. მიჯნაზე მ. ბ-ის სისტემატურმა კვლევამ გამოავლინა ის რისკები, რ-იც მსოფლიოს ემუქრება.

2005 ეკოსისტემის ათასწლეულის კვლევის ფარგლებში, შეისწავლეს არსებული ეკონომიკური სისტემის მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიო ეკოსისტემის 60% განადგურების პირასაა და აუცილებელია მისი დაცვა ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით.

2006 ლონდონის ეკონ. სკოლის კლიმატის ცვლილებისა და გარემოს კვლევითი გსამეცნ. ინ-ტის ანგარიშის თანახმად დადგინდა, რომ კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მსოფლიო ეკონომიკაზე ეკონ. განვითარების ყველაზე დიდი გამოწვევაა. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ყოველწლიური დანაკარგი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ის 5%-ს შეადგენს, რაც რისკფაქტორების გათვალისწინებით 20%-მდეც კი შეიძლება გაიზარდოს, ამიტომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მით მეტი იქნება სარგებელი მსოფლიოსთვის.

მსოფლიო ქვეყნების რეაგირებას მ. ბ-ისთვის აქტიურად უჭერენ მხარს საერთაშ. ორგანიზაციები. ამ მიმართულებით 1972 სტოკჰოლმში ჩატარდა გაეროს პირველი კონფერენცია გარემოსა და მ. ბ-ზე, სადაც მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი პროგრამის შექმნის შესახებ, ხოლო 1987 გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ (WCED) გამოცემულ ანგარიშში („ჩვენი საერთო მომავალი“) პირველად ოფიციალურად განიმარტა მ. ბ.

1992 რიო-დე-ჟანეიროში, გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშ. კონფერენციაზე (UNCED) – „დედამიწის სამიტი“, მიიღეს რამდენიმე ძირითადი დოკუმენტი, კერძოდ, „დღის წესრიგი 21“ (სამოქმედო გეგმა მ. ბ-სთან დაკავშირებით გლობალური პარტნიორობის შესაქმნელად) და ე. წ. „რიოს სამი კონვენცია“: „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია“ (UNCBD), „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ (UNFCCC) და „გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენცია“ (UNCCD).

2000 წ. 8 სექტემბრის გაეროს მე-8 პლენარულ სხდომაზე, ნიუ-იორკში, 147 სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს „გაეროს ათასწლეულის დეკლარაცია“, რ-შიც განსაზღვრული იყო ათასწლეულის განვითარების 8 მიზანი: უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა; დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა; გენდერული თანასწორობა; ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება; აივ/შიდსთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა; ეკოლ. მდგომარეობა; მსოფლიო ქვეყნების თანამშრომლობა შემდგომი განვითარებისთვის.

2008 წლის მსოფლიო ფინანს. ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ტრად. ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივად აქტიურად გამოიყენებოდა „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია, რ-ის უპირატესობა ტრად. ეკონომიკურ სისტემასთან შედარებით ისაა, რომ იგი ასტიმულირებს ეკონომიკურ განვითარებას და იმავდროულად ითვალისწინებს დედამიწის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

2012 გაეროს მ. ბ-ის მესამე საერთაშ. კონფერენცია „რიო +20-ზე“ შეჯერდა გლობალური საზ-ბის ეკონ. და გარემოსდაცვითი მიზნები, დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითებები „მწვანე ეკონომიკის“ პოლიტიკის შესახებ და დაიწყო მ. ბ-ის მიზნების (SDGs) შემუშავების პროცესი, რ-იც უნდა ყოფილიყო ათასწლეულის განვითარების მიზნების გაგრძელება.

2015 წ. 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მ. ბ-ის დღის წესრიგის დოკუმენტზე – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რ-იც მოიცავს 17 მიზანს, 169 ამოცანას და 232 სამიზნე ინდიკატორს. მ. ბ-ის მიზნებია სიღარიბის დაძლევა (მისი ყველა ფორმის აღმოფხვრა, ნულოვანი შიმშილი); ხარისხიანი ჯანდაცვა და კეთილდღეობა; მაღალი დონის განათლება; გენდერული თანასწორობა; სუფთა წყალი და სათანადო სანიტარია; მწვანე და ხელმისაწვდომი ენერგია; ეკონომიკური ზრდა და ღირსეული სამუშაო; ინოვაციები; მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარება; უთანასწორობის შემცირება; მდგრადი დასახლებები და ქალაქები; პასუხისმგებლიანი მიდგომა მოხმარებისა და წარმოების მიმართ; კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების აღმოფხვრა; ოკეანისა და ზღვის რესურსის, დედამიწის ეკოსისტემის, სამართლიანობისა და მშვიდობის დაცვა; ძლიერი ინ-ტების შექმნა და პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

პარიზში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში 2016 წ. 22 აპრილს მიიღეს შეთანხმება „სათბურის ეფექტის“ შესაჩერებლად, რაც ადამიანის საქმიანობის შედეგად „სათბურის გაზების“ ემისიამ და, შესაბამისად, ატმოსფეროში მათმა ჭარბმა კონცენტრაციამ გამოიწვია. შეთანხმებას 200-მდე ქვეყანა შეუერთდა. პარიზის შეთანხმების მიზანია 2030-სთვის დედამიწაზე საშ. ტემპ-რის ზრდის 2 °C-მდე შეზღუდვა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, ხელშეკრულებაში აგრეთვე, აღნიშნულია ტემპრის ზრდის 1,5 °C-მდე შეზღუდვის მცდელობა.

მ. ბ-ის კონცეფციის ფორმირებასთან ერთად ხდება მისი დანერგვა ეკონომიკაში და იმის გაცნობიერება, რომ მდგრად მენეჯმენტს შეუძლია კომპანიებზე ჰქონდეს პოზიტიური ეკონომიკური გავლენა, გაზარდოს მათი რეპუტაცია და ბაზარზე დაიკავოს უკეთესი მარკეტინგული პოზიცია. ეკონომიკური, ეკოლ. და სოც. ფაქტორების აღიარებასთან ერთად იზრდება ბიზნესის პასუხისმგებლობა საზბის წინაშე, ეკოლ. დაცვა და სოც. მიზნები აისახება სტრატეგიებსა და გეგმებში, კომპანიების ანგარიშებში; პროდუქციის ეტიკეტსა და შეფუთვაზე აღინიშნება რესურსების დაზოგვისა და საზბისათვის სამომხმარებლო და სოც. ინტერესების დაკმაყოფილების მაჩვენებლები.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ყოვლისმომცველი ხელშეკრულების ხელმოწერით ივალდებულა მ. ბ-ის პრინციპების დანერგვა და „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად ხდება „მწვანე ეკონომიკის“ (რ-იც ქვეყნის მ. ბ-ის

ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტია) წახალისება.

2016 საქართვ. შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რ-ის მთავარი მიზანია ქვეყნებს შორის თანამშრომლობა „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების ხელშეწყობისათვის; ხორციელდება „მწვანე ეკონომიკისა“ და **მ. მ**-ის დანერგვასთან დაკავშირებული პროექტები – ჩარჩო პროექტი „მწვანე ქალაქები“, რ-იც 2017 დამტკიცდა და ევრ. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანს. ხელშეწყობით რეალიზდება.

2021 წ. 40-მდე მემორანდუმი გაფორმდა განახლებადი ენერგიის კვლევისა და ათვისების მიმართულებით. იგეგმება 50-*მეგვტ*-იანი სიმძლავრის ქარის სადგურის პროექტის განხორციელება. განახლებადი (ქარის, ჰიდროენერგიის, მზის სინათლის, გეოთერმული და ბიომასის) ენერგიის წყაროების კონტექსტში მნიშვნელოვანია გერმ. განვითარების ბანკთან თანამშრომლობით (KfW) მწვანე (სუფთა) წყალბადის პოტენციალის შესწავლა საქართველოში; ხორციელდება პირველი საპილოტე პროექტი, რ-იც უზრუნველყოფს ქვეყანაში სუფთა და განახლებადი ენერგიების მიმართულების განვითარებას.



მდედრობითი გვიმრა.

საქართველოს მეოთხე ეროვნ. შეტყობინება გაეროს ჩარჩო კონვენციის მიმართ მოიცავს ინფორმაციას კლიმატის ცვლილების პროექტების იმ ნაწილის შესახებ, რ-ებიც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ემსახურება (ამ მხრივ აღსანიშნავია თბილ. საჯარო სკოლების, საცხოვრ. და საოფისე შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენებით). ამ პროექტების დონორები არიან ევრ. საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) და დანიის მთავრობა.

კლიმატის მწვანე ფონდი, შვეიცარიისა და შვედეთის საერთაშ. განვითარების თანამშრომლობის სააგენტოები აფინანსებენ კატასტროფების რისკის შემცირების პროექტს, რ-იც მოიცავს მრავალმხრივი საფრთხის ადრეული გაფრთხილების სისტემას; საფრთხეებისა და მოწყვლადობის რუკების შედგენისა და შეფასების სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვას. ეს და სხვა პროექტები უზრუნველყოფს საქართვ. მ. გ-ისთვის ნაკისრი საერთაშ. ვალდებულებების განხორციელებასა და „მწვანე ეკონომიკის“ ხელშეწყობას.

ლიტ.: Grober U., Deep roots – A conceptual history of „sustainable development“ (Nachhaltigkeit), B., 2007; Stern N., The Economics of Climate Change: The Stern Review, Camb., 2006; Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future, UN, 1987; United Nations Environment Programme, N. Y., 2012; United Nations Conference on Environment and Development (UNCED), Earth Summit, Rio de J., 1992.

ლ. ფანგანი.
ნ. კაკულია.

მდედრობითი გვიმრა (Athyrium filix femina), მრავალწლოვანი ბალახოვანი დეკორატიული მცენარე ათირიუმისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ტყის ზონაში ტენიან დაჩრდილულ ადგილებში. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტყის გვიმრაა. კოლხეთში გვხვდება ტყის ყველა სარტყელში, აღმ. საქართველოში – ძირითადად ტყის ზედა სარტყელში, ნაწილობრივ – შუაშიც. კარგად ხარობს ტენიან ფართოფოთლოვან და წიწვოვან ტყეებში 1300–2000 *მ*-მდე, სადაც იგი ხშირად ბალახოვანი საფრის დომინანტია. იზრდება საქართვ. ყველა რ-ნში ჯავახეთის, ქიზიყისა და გარდაბნის გარდა.

ი. მიქელაძე.

მდევარი, ფეოდალური ლაშქრის სახეობა საქართველოში; სწრაფად იკრიბებოდა მტრის თავდასხმის დროს. მ-ის ძირითადი მოვალეობა იყო გაქცეული მტრის დადევნება, გზების შეკვრა, ალყაში მოქცევა და განადგურება. მ-ში შედიოდა ყველა სოც. ფენის წარმომადგენელი. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა *„ლეკიანობასთან“* ბრძოლის დროს. 1772 წ. 28 აგვ. ერეკლე II-ის მიერ გაცემული „ზემო ქართლის მდევრობის განწესებით“ *ზემო ქართლი* ორ სამდევროდ დაიყო. განჩინებით შეტყობინების მიღებისთანავე სამდევროს მამაკაცებს წინასწარ განსაზღვრულ ადგილას სწრაფად შეყრა და მტრის დევნის დაწყება ევალებოდათ. სამდევროები დაწესდა ქართლის სხვა მხარეებსა (სამუხრანბატონო, საციციანო) და კახეთში. მ-ის შეკრებას სარქარდრები ხელმძღვანელობდნენ, რ-თაც მეფე ამ მხარის თავადებიდან ნიშნავდა. ზემო ქართლის მ-ის საერთო ხელმძღვანელობა ამილახორსა და ქსნის ერისთავს ევალებოდათ. მ. ძირითადად ქვეითებისგან შედგებოდა. მ-ში გაუსვლელობისათვის დაწესებული იყო სხვადასხვა სასჯელი, რ-ის სახე და რაოდენობა გლეხის ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით განისაზღვრებოდა. მ. ყარაულის ჯართან ერთად იყო მორიგე ლაშქრის ერთ-ერთი წინამორბედი. მდევრის ინ-ტის დაარსების მიზანი „ძლიერი და მტკიცე საქართველოს შექმნა“ იყო.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჯამბაკურ-ორბელიანი ა., დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, ტფ., 1914.

ლიტ.: ალიმბარაშვილი ი., ქართული ჯარის ისტორიიდან (შიდა ქართლის სამდევროები), გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, 2012, № 3; თაბუაშვილი ა., ერეკლე II-ის გატარებული ღონისძიებები „ლეკიანობის“ აღსაკვეთად და მისი შედეგები (1735–83 წწ.), „საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, 2022, [ტ] 18; კლიმიაშვილი ა., ზემო ქართლის მდევრობის განწესება 1772 წლისა, „მაცნე“, 1966, № 1; მეგრელაძე დ., დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, იქვე, 1967, №6.

დ. მეგრელაძე.

მდელო, ბიოგეოცენოზი, ეკოსისტემა, რ-იც შექმნილია უმთავრესად მრავალწლოვანი მეზოფილური ბალახებისაგან. ბალახები იზრდება მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. ამით ისინი განსხვავდება ველის მცენარეებისაგან, რ-ებსაც ახასიათებს ზაფხულის შესვენების პერიოდი. მ. მეტწილად წარმოიქმნება ტენიან ადგილებში – ჭალებში, მაღალმთიანეთში, სუბალპებში და ალპებში, სუბარქტიკისა და სუბანტარქტიდის ზღვის სანაპიროებზე, ლიმანებში და სხვ. ტყის ზონაში მ-თა უმრავლესობას უჭირავს ტყეებისა და ბუჩქნარების, დამშრალი ტბებისა და ჭაობების ადგილი. ის ძვირფასი საკვები სავარგულია, გამოიყენება სათიბად და საძოვრად. წარმოშობის, ხნოვანების, ფიტოცენოზებისა და მოსავლიანობის მიხედვით მ. მრავალგვარია. მისთვის დამახასიათებელია ძლიერ განვითარებული კორდი (მიწისქვეშა ნაწილის მასა 3–5-ჯერ აღემატება მიწისზედისას).

განარჩევენ მატერიკულ (ჭარბტენიან ვაკეებსა და დაბლობებში), ჭალისა (ხანგრძლივი დროით დატბორილ ადგილებში) და მთის (თბილი და ტენიანი ჰავის ადგილებში) მ-ებს. მათი საერთო ფართ. 200 მლნ. ჰა-მდეა.

საქართველოში გვხვდება სხვადასხვა ტიპის მ-ები: ალპ. ხალები,

სუბალპ. მ-ები (მათი ფართობი სხვა ტიპის ბუნებრივ სავარგულებთან შედარებით ყველაზე მეტია – 35,4%), ნატყევარი მ. (სხვადასხვა სარტყელში), ჭალის მ., ველის მ. და სხვ.

შ. ნახუცრიშვილი.

მდელოთმცოდნეობა, მეცნიერება მდელოების (ბუნებრივი საძოვრებისა და სათიბების) შესახებ. მ. მდელოსნობის საფუძველია და დაკავშირებულია შემდეგ დარგებთან: გეობოტანიკა, ბიოქიმია, ეკოლოგია, მცენარეთა ცენოლოგია, ბიომრავალფეროვნება, მეცხოველეობა და სხვ.; შეისწავლის ბუნებრივი მდელოების, ველების, ჭაობების, უდაბნოების ბალახთდგარს, მისი ერთ-ერთი და მრავალწლოვანი მცენარეული საფრის ეკოლოგიას და კომერციული მიზნებით სწორად გამოყენებას. მ-ის მიზანია ბუნებრივი საკვები სავარგულების, ცენოზების ძირითადი ტიპების შესწავლა, კლასიფიკაცია, სამეურნეო მიზნებით ჯგუფებად დაყოფა და აღწერა, გამოყენების პროცესის დაგეგმვა, მდელოს ბალახთდგარის გენეტიკური ეროზიის და ძვირფასი ბალახების სახეობების ბალახდგარიდან ამოვარდნის პრევენცია, საკვები სავარგულების ჩამოყალიბების შემდგომი ევოლუციის განჭვრეტა და გავრცელების კანონზომიერების დადგენა, ასევე ბალახოვანი მცენარეული საფრისა და კორდის ფლორისტული შემადგენლობისა და ცალკეული მცენარეების სამეურნეო თვისებების გამოვლინება.

საქართველოში მიმდინარეობს ბუნებრივი საკვები სავარგულების პერიოდული სისტემატიზაცია, რ-იც ტარდება მცენარეული საფრის თავისებურებისა და მისი ეკოლ. პირობების გამოყენების აუცილებლობის ინტენსივობის გათვალისწინებით, რ-ის საფუძველზეც მუშავდება ბუნებრივი საკვები სავარგულების კლასიფიკატორი, ასევე მისი გამოყენების შესაძლებლობები ეკოლ. ბალანსის შესანარჩუნებლად. ასეთი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ხდება სავარგულების კლასიფიკაცია, მათი ცალკეული პოპულაციების ტიპების გეოგრ. გავრცელების დადგენა და სპეც. გეობოტანიკურ რუკაზე დატანა. სამეცნ. კვლევებით მ-ში დგინდება ბალახნარის წლ. და სეზონური დინამიკა და ფენოლოგია, მცენარეული საფრის სამეურნეო ჯგუფების (მარცვლოვნების, პარკოსნების, ისლების, ნაირბალახების, შხამიანი და მავნე მცენარეების) ბიოლ. და ენერგეტ. კვებითი ღირებულებები, შემდეგ მუშავდება ძოვებისა და თიბვის კალენდარული გეგმები დაყოფილი ტერიტორიების მიხედვით, ასევე სას.-სამ. ცხოველებით საძოვრების დატვირთვის რაციონალური ნორმები მათი სახეობებისა და ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.

ა. კორახაშვილი.

მდელოს მატკვარცანა (Lathirus pratensis), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა. აქვს 30–100 *სმ* სიგრძის აღმამდგომი ან მხოხავი ღერო, მარტივი ან დატოტვილი ულვაშით დაბოლოებული რთული ფოთლები და მტევნებად შეკრებილი კაშკაშა ყვითელი ყვავილები.

გავრცელებულია ევროპაში, მცირე, ცენტრ. და აღმ. აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდ. ამერიკაში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება – მდელოებსა და ბუჩქნარებში, ყანებში, მთის შუა, იშვიათად ზედა სარტყელში. საქონლის საკვები მცენარეა.

ი. ლაჩაშვილი.

მდელოს ფარვანა (Loxostege sticticalis), მწერი ქერცლფრთიანების რაზმისა. პეპელას ფრთების შლილია 18–26 *მმ*. მონაცრისფრო-ყავისფერ წინა ფრთებზე აქვს მოშავო-მურა ლაქები, უკანა ფრთები მურა-ნაცრისფერია. ფართოდაა გავრცელებული. საქართველოში პირველად აფხაზეთში შენიშნეს 1929. მრავლდება პერიოდულად. მატლი ძლიერ აზიანებს შაქრის ჭარხალს, ერთწლოვან და მრავალწლოვან პარკოსნებს, მზესუმზირას, ბამბას, ეთერზეთოვან და ბოსტნეულ კულტურებს, სამკურნალო მცენარეებს, სარეველა ბალახებს. საქართველოში მ. ფ. 3 თაობას იძლევა (შეიძლება მე-4 თაობის განვითარებაც).

ბრძოლის ღონისძიებანი: მზრალად ხვნა. ინსექტიციდების გამოყენება მატლების წინააღმდეგ; კვერცხის დების დროს ტრიქოგრამების გაშვება.

ე. რაჭველიშვილი.

მდენარი, ქართული ლექსის სახეობა. საერთო რითმაზე გაწყობილი 16-მარცვლიანი ლექსი, რ-იც 7 ტაეპისაგან შედგება. ბოლო ტაეპში მოხსენიებულია ავტორის სახელი. მ-ს დ. გურამიშვილი ,,დინარს'' უწოდებს, ხოლო მამუკა ბარათაშვილი – ,,გრძელშეწყობილს''.

ლიტ.: ბარათაშვილი მ., ჭაშნიკი, სწავლა ლექსის თქმისა, თბ., 1981; ბარბაქაძე თ., ქართული ლექსმცოდნეობა, თბ., 2014; მიქაძე გ., ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974.

გ. მიქაძე.

მდივანბეგი, უფროსი მოსამართლე, მსაჯულთუხუცესი, სასამართლოს თავმჯდომარე. მ-ის სახელი საქართველოში XVII ს-ში დამკვიდრდა. მ. მოსამართლის აღმნიშვნელი სხვა ტერმინების – „მსაჯული“, „მოსამართლე“, „ბჭე“ – პარალელურად იხმარებოდა.

ქართულ სამეფოებში მ-ს მოხელეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. იგი წარმოადგენდა მეფის სასამართლოს, სამართალწარმოების დროს ემყარებოდა სამეფო ხელისუფლებას და სამოხელეო შტატს. მ-ს ექვემდებარებოდნენ აღმასრულებელი და საგამომძიებო უფლებების მქონე მოხელეები და წეს-ადათების მცოდნე პირები: მსაჯულები (ბჭეები), იასაულები, ბოქაულები, მდივნები, ხევისთავები, მეთემეები. მ-ის თანამდებობაში, ი. სურგულაძის შეფასებით, ყველაზე მეტად იყო გამოხატული მეფის ხელისუფლების საჯარო-უფლებრივი საწყისი. მ-ის სასამართლოს ემორჩილებოდა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი, მიუხედავად მათი სოც. რანგისა და სტატუსისა.

მ-ს ხელი მიუწვდებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, მის კომპეტენციაში შედიოდა განსაკუთრებული სიმძიმის სასამართლო საქმეები: მკვლელობა, დაჭრა, ღალატი, სალაროსა და ეკლესიის ძარცვა; მ. განიხილავდა აგრეთვე სამოქალაქო საქმეებს – სამამულო დავებსა და საოჯახო გაყრებს. „დასტურლამალში“ ხაზგასმულია, რომ მისი უშუალო მონაწილეობით უნდა გაერჩიათ ელის ტომთა სასისხლო საქმეები. ადგილობრივ მოურავს მათი განხილვის უფლება ეძლეოდა მხოლოდ მ-ის არყოფნის შემთხვევაში.

XVII ს. და XVIII ს. I ნახ-ში ქართლის სამეფოში 4-ზე ნაკლები მ. არ უნდა ყოფილიყო. XVIII ს. II ნახ-ში ქართლ-კახეთის სამეფოში მათი რაოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა. მ-ები იყვნენ აგრეთვე იმერეთის სამეფოში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ,,ენიმკის მოამბე'', 1942, ტ. 13; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1982 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6).

მ. კლდიაშვილი.

მდივანი, მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ქარ-



მდელოს მატკვარცანა.



მდელოს ფარვანა.



ა. ბ. მდივანი.



გ. მდივანი.

თულ ისტ. დოკუმენტებში XV ს-იდან დასტურდება. მ. სამდივნოს ცენტრ. ფიგურა იყო და იგი სახლთუხუცესის უწყებას ეკუთვნოდა. XV–XVII სს. ქართველ მეფეთა სამდივნოებში ერთდროულად საქმიანობდა რამდენიმე მ., რ-ებიც მმართველობის ყველა სფეროს ემსახურებოდნენ. მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო ყმა-მამულის ბოძება, ბრძანება-განკარგულებათა გაცემა, სასამართლო ოქმებისა და განჩინებების ჩაწერა, ფისკალური დოკუმენტების, ხალხის აღწერის დავთრებისა თუ დიპლ. წერილების შედგენა. „დასტურლამალის“ მიხედვით, მ. სარგოს ყველა იმ წყაროდან იღებდა, საიდანაც სახლთუხუცესი.

გვიან ფეოდალურ საქართველოში მ. ასრულებდა საკანცელარიო სამუშაოს (სხვადასხვაგვარი საბუთის შედგენა, მიმოწერა), ესწრებოდა სასამართლო სხდომას და მონაწილეობდა საქმის განხილვაში (სასამართლო პროცესის დროს მას წინ ედო სამართლის წიგნი, იგი იწერდა საჩივარს, კითხულობდა შესაბამის მუხლს და სხვ.).

დარბაზობის დროს მ-ს გამზადებული ჰქონდა ქაღალდი და საწერ-კალამი, რათა მეფის ბრძანება ან დარბაისელთა სიტყვა ჩაეწერა. მ. განათლებული, ენების მცოდნე და მწერლობაში დახელოვნებული პირი იყო. საფუძვლიანად იცოდა სიგელთმცოდნეობის წესები. მ. „ტურფა მწერალი“, ანუ კალიგრაფი იყო, ამიტომ ისინი ცნობილი ლიტერატორები და გადამწერები იყვნენ. თავისი ფუნქციით მ. ადრინდ. მწიგნობარს შეესატყვისებოდა. ამ 2 თანამდებობის სახელი „მდივან-მწიგნობრის“ სახითაც გვხვდება. მ-ის სამოხელეო ნიშანი იყო საწერელი.

ტერმინი „მდივანი“ აგრეთვე აღნიშნავს მოსამსახურეს, რ-იც განაგებს საქმისწარმოებას, კერძოდ, დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ ცალკეული პირის (მეცნიერის, სახელმწ. მოღვაწის, მწერლის და სხვ.) საქმიან მიმოწერას. არსებობს ასევე სასამართლოს მ., რ-ის მოვალეობაა ოქმის შედგენა, მოქმედებისა და გადაწყვეტილების, აგრეთვე სასამართლო პროცესში მონაწილე პირთა მოქმედების სრული და ზუსტი გადმოცემა.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 13; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1952.

მ. კლდიაშვილი.

მდივანი არჩილ ბუდუს ძე (30. VI. 1911, თბილისი, – 13. IX. 1937, მოსკოვი), სპორტსმენი (ჩოგბურთი). პირველი ქართველი სსრკ სპორტის ოსტატი ჩოგბურთში (1936). სსრკ ჩემპიონი „დინამოს“ გუნდის შემადგენლობასა (1936) და წყვილთა თანრიგში (1934–36). ლენინგრადის ტურნირის მრავალგზის გამარჯვებული (1932–36). სსრკ-ში აღიარებული იყო როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. წვრთნიდა *ი. ჰომერი* (საჩოგბურთო სკოლის დამაარსებელი საქართველოში). შეეწირა საბჭოთა რეპრესიებს.

მდივანი გიორგი დავითის ძე [13 (26). IX. 1905, სოფ. ბაღდათი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 10. X. 1981, თბილისი], დრამატურგი, სცენარისტი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924–26 სწავლობდა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტზე. ლიტ. მოღვაწეობა 1920-იდან დაიწყო. წერდა ქართ. და რუს. ენებზე. 1936-იდან ქართ. და რუს. სცენებზე წარმატებით იდგმებოდა მ-ის პოლიტ. აქტუალობით, პუბლიც. პათოსითა და მძაფრი სიუჟეტით გამორჩეული პიესები („ალკაზარი“, 1936; „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, 1941; „პეტრე ბაგრატიონი“, 1944; „ტერეზას დაბადების დღე“, 1961; „კონსული მოიტაცეს“, 1963; „შენი ძია მიშა“, 1966 და სხვ.). მისი სცენარის მიხედვით გადაღებულია ქართ. ფილმები: „ფრთოსანი მღებავი“ (1937), „დაკარგული სამოთხე“ (1938), „ჩვენი ეზო“ (1957), „საბუდარელი ჭაბუკი“ (1958) და სხვ.; რუს. ფილმები: „რიგითი ალექსანდრე მატროსოვი“ (1948), „ჯარისკაცი ივანე ბროვკინი“ (1955), „ივანე ბროვკინი ყამირზე“ (1958) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: კონსული მოიტაცეს. – ტერეზას დაბადების დღე, თბ., 1966; შენი ძია მიშა, თბ., 1972.

მდივანი ზაქარია ასლანის ძე (5. IX. 1867, თბილისი, – 18. IV. 1933, პარიზი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი (1884), კონსტანტინეს სამხ. (1886) სასწავლებლები და გენ. შტაბის აკადემია (1898). მსახურობდა ვარშავის საცხოვნო არტილერიასა და კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში, 1899 გადაიყვანეს გენ. შტაბში, 1899–1902 იყო კავკ. სამხ. ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანაშემწე, 1902–08 – ბათუმში მიხეილის სიმაგრის, 1908–10 – 39-ე ქვეითი დივიზიის, 1910–12 – სევასტოპოლის სიმაგრის შტაბის უფროსი, 1912–15 – ლაიბგვარდიის მე-13 ერევნის პოლკის მეთაური, 1913 – იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, 1915–17 – კავკასიის მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის, 1917–18 – 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბისა და კავკასიის სამხ. ოლქის უფროსი; 1918–21 მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ბათუმის სამხ. კომენდანტი და სარდლობდა ბათუმის ოლქში განლაგებულ ჯარებს, მცირე ხნით – ქართული არმიის მთავარსარდალი.

1921-იდან წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში. დაკრძალულია სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე. მინებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: გოგიტიძე მ., ბეჟიტაშვილი გ., სამხედრო ფიცის ერთგულნი, თბ., 2015.

მ. გოგიტიძე.

მდივანი (გოგლიძე) მარინე ვიქტორის ასული (დ. 6. X. 1936, თბილისი), პიანისტი. საქართვ. სახ. არტისტი (1976). დაამთავრა თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა (1955, ე. ჩერნიავსკაიას კლასი), მოსკ. სახელმწ. კონსერვატორია (1960; პედაგოგები: ი. მილშტეინი და ე. გილელსი). 1963 შედგა მ-ის დებიუტი კარნეგი-ჰოლის სცენაზე (აშშ). მ. იყო სსრკ-იდან მესამე პიანისტი, რ-საც (ს. რიხტერისა და ე. გილელსის შემდეგ) ამ სცენაზე გამოსვლის პატივი ერგო. 1966-იდან მოსკ. ფილარმონიის სოლისტია. გასტროლებს მართავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ახალგაზრდობის საკავშ. ფესტივალზე (1957) მოიპოვა ოქროს, ხოლო მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალზე (1958) – ვერცხლის მედალი. არის მ. ლონგისა და ჟ. ტიბოს სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსისა (პარიზი, 1961, I პრემია) და პ. ჩაიკოვსკის სახ. მოსკ. (1962, IV პრემია) საერთაშ. კონკურსების ლაურეატი. მისი შესრულება გამოირჩევა დინამიზმით, ტექნიკური სრულყოფითა და არტისტიზმით. 1966 ო. თაქთაქიშვილის თაოსნობით თბილისში შეიქმნა „ქართველ ვარსკვლავთა ტრიო“ მ-ის, ლ. ისაკაძისა და თ. გაბარაშვილის შემადგენლობით, 1970–80 კი დაარსდა დუეტი მისივე მონაწილეობით თ. გაბარაშვილთან ერთად.

1988–90 იყო ალეპოს (სირია) კონსერვ. პედაგოგი; 1991-იდან მონრეალის (კანადა) მაკგილის უნ-ტის მუს. განყ-ბის ასოცირე-

ბული პროფესორია. არის მრავალი საერთაშ. კონკურსის ჟიურის წევრი. კომპოზიტორმა ს. გუბაიდულინამ მ-ს მიუძღვნა საფორტეპიანო ნაწარმოები ,,ჩაკონა'' (1963).

მ-ის მრავალფეროვანი რეპერტუარი მოიცავს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა კლასიკური მუსიკის ნიმუშებს, მ. შ. არის 40 კონცერტი ი. ს. ბახის, ლ. ვ. ბეთჰოვენის, ს. რახმანინოვის, ს. პროკოფიევის, ო. თაქთაქიშვილის, ი. ბრამსის, ფ. ლისტის, პ. ჩაიკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. ფართოა მისი კამერული რეპერტუარიც.

რ. ქუთათელაძე.
მ. ჯაფარიძე.

მდივანი (მდივნიშვილი) მარო დავითის ასული (19. III. 1885, ზესტაფონი, – 1952, თბილისი), მსახიობი. აჭარის არ სახ. არტისტი (1924), საქართვ. დამს. არტისტი (1950). სწავლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. პირველად სცენაზე გამოვიდა ზესტაფონში ქუთაისის დასის მიერ გამართულ წარმოდგენაში, რის შემდეგაც, ლ. მესხიშვილის წინადადებით, მუშაობა დაიწყო ქუთაისის თეატრში (1899–1900, 1902–03, 1909–12). 1900 მონაწილეობა მიიღო ვ. გუნიას ორგანიზებულ დამწყებ მსახიობთა გამოსაცდელ წარმოდგენაში, რის შედეგადაც ჩაირიცხა თბილ. დასში. იმავე წელს ითამაშა ლიზა (ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან''). სხვადასხვა დროს მუშაობდა: ჭიათურის (1907–08), ბათუმის (1917–33), სანკულტურის (1933–49) თეატრებში. შეასრულა ლუიზას, ქრისტინეს (პ. ირეთელის და ე. ნინოშვილის ,,ქრისტინე''), რუქაიას (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ფაიხოშის, ქეთევანის (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), მარინეს (ვ. გუნიას ,,და-ძმა''), დეზდემონას, ოფელიას, კორდელიას (უ. შექსპირის ,,ოტელო'', ,,ჰამლეტი'', ,,მეფე ლირი''), ამალიას (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), ნუცას (ტ. რამიშვილის ,,სტუმარმასპინძლობა''), ივდითის (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'') და სხვა როლები. მ-მა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბათუმის თეატრის განვითარებაში, სადაც 16 წელი მუშაობდა.

მდივანი პოლიკარპე (ბუდუ) გურგენის ძე (1877, დაბა ხონი, ქუთაისის მაზრა, – 10. VII. 1937, თბილისი), პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რევოლუციონერი. სწავლობდა მოსკოვის უნ-ტში, საიდანაც გარიცხეს რევ. საქმიანობის გამო (1899). რსდმპ(ბ) წევრი 1903-იდან. 1905–07 რევ. მოღვაწეობას ეწეოდა ამიერკავკასიაში (ქუთაისი, ბათუმი, თბილისი, ბაქო), რის გამოც არაერთხელ დააპატიმრეს. რამდენიმე წელი გადასახლებული იყო ჩრდ. სპარსეთში, სადაც მსახურობდა მრეწველ ა. ხოშტარიას (ნავთობის უმდიდრესი კონცესიის მფლობელი) იურიდ. მრჩეველად და თანაშემწედ, 1918–19 იყო სამხრ. კასპიურ-კავკ. ფრონტის მე-11 არმიის რევ. სამხ. საბჭოს წევრი, 1919–20 – მე-10 არმიის პოლიტ. განყ-ბის უფროსი, 1920–21 – საქ. კპ თავ-რე და რკპ(ბ) კავკ. ბიუროს წევრი, 1921 თებ.-მაისში – რსფსრის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში, 1921 ივლისიდან 1922 თებ-მდე – საქართვ. რევკომის, აგრეთვე ამიერკავკ. საკავშირო საბჭოს თავ-რე, 1922 მარტი-აპრილში – საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს თავ-რე.

მ. საქ. კპ ცკ-ის წევრთა უმრავლესობასთან ერთად ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკ. ფედერაციის შექმნას და მხარს უჭერდა სსრკ-ში საქართვ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად შესვლას, რისთვისაც ამ ჯგუფს ,,ნაციონალ-უკლონისტები'' უწოდეს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიაში ძალაუფლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში მ-მა და საქ. კპ. ცკ-ის უმრავლესობამ ტროცკის მხარე დაიჭირა. 1923 მ. მემარცხენე ოპოზიციას შეუერთდა. 1924-იდან დაინიშნა სსრკ სავაჭრო წარმომადგენლად საფრანგეთში. ოპოზიციური მოღვაწეობის გამო 1928 უკან გამოიწვიეს, გაათავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან, გარიცხეს პარტიიდან და 3 წლით გადაასახლეს ციმბირში. 1931 განაცხადა ოპოზიციური მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მოინანია შეცდომები. 1936-მდე ეკავა საქ. სსრ-ის სახკომსაბჭოს თავ-რის პირველი მოადგილის თანამდებობა. 1936 ისევ დააპატიმრეს ,,ტროცკისტულ-ჟინოვიევური ცენტრის'' მუშაობაში მონაწილეობის ბრალდებით და დახვრიტეს.

მდივანი სიმონ (სვიმონ, სოსიკო) გურგენის ძე (3. IV. 1874, დაბა ხონი, ქუთაისის მაზრა, – 13. XII. 1937, სოშო, საფრანგეთი), პოლიტიკოსი, დიპლომატი, საქართვ. ეროვნ. საბჭოსა და პარლამენტის წევრი, დამფუძნებელი კრების თავ-რის ამხანაგი (მოადგილე). დაწყებითი განათლება ხონში მიიღო, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ნოვოროსიის უნ-ტში. იყო სტუდენტთა არალეგალური სოციალ. ჯგუფის წევრი. 1905-მდე ცხოვრობდა ოდესაში, მუშაობდა ქალაქის თვითმმართველობაში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე შევიდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, იყო მისი მთ. კომიტეტის წევრი. 1906-იდან ცხოვრობდა ბათუმში, ხელმძღვანელობდა „საურთიერთობო ნდობის საზოგადოების“ ქართ. ბანკს. არჩეული იყო ბათუმის თვითმმართველობის ხმოსნად (წევრი), ასევე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის თავ-რედ. იყო ადგილ. გაზეთების („Черноморские новости“, „Черноморское эхо“) რედ.-გამომც. ამ უკანასკნელ გამოცემაში დაბეჭდილი სტატიის გამო 1906 დეკემბერში სამი თვით პასუხისგებაში მისცეს. 1910 აპრილში მ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სხვა ლიდერებთან ერთად პოლიტ. მოტივით დააპატიმრეს, 1913 ივლისში კიდევ ერთხელ დააპატიმრეს და კავკასიიდან გაასახლეს. 1917 სექტ-ში მ-მა პეტროგრადში, საქართვ. ინტერპარტიული საბჭოს ეგიდით, მონაწილეობა მიიღო თათბირში, სადაც რუს. დროებითი საბჭოს – ე. წ. ,,წინაპარლამენტის“ წევრად აირჩიეს, 1917 ნოემბერში – ეროვნ. საბჭოს წევრად, 1919 მარტში კი – დამფუძნებელი კრების თავ-რის მოადგილედ და პრეზიდიუმის წევრად. იმავე წელს მ. დაინიშნა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ელჩად სომხეთში, 1920 ნოემბ. კი – თურქეთში (ამ პერიოდში ანკარაში საბჭ. რუსეთის დიპლ. წარმომადგენელი იყო მისი ძმა პ. *მდივანი*).



მ. მდივანი.



ს. მდივანი.

საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, 1921 მარტში, მ. კონსტანტინოპოლში შეუერთდა ემიგრაციაში მიმავალ ნ. ჟორდანიას მთავრობას, თუმცა მას საფრანგეთში არ გაჰყოლია და დარჩა თურქეთში, როგორც ემიგრირებული მთავრობის პოლიტ. კომისიის წევრი; მ. შედიოდა საქართვ. დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმის, ინტერპარტიული კომიტეტისა და ეროვნ. ცენტრის შემადგენლობაში. 1922 გაზაფხულზე გენუის კონფერენციაზე გაემგზავრა ემიგრაციული მთავრობის დელეგაციასთან ერთად, თუმცა დელეგაციას კონფერენციაში მონაწილეობის უფლება არ მიეცა. 1926 მ. „კავკასიის გათავისუფლების კომიტეტის“ წევრი გახდა



ჯ. მდივანი.



ჯ. მდივანი. სკარპია, ჯ. პუჩინის ოპერა „ტოსკა“.



მდინარის გველთევზა.

და მონაწილეობა მიიღო „კავკასიის კონფედერაციის პაქტის“ შედგენაში. 1928-იდან პოლიტ. და საზ. საქმიანობა პარიზში განაგრძო. ჩართული იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის მუშაობაშიც. 1930 აპრილში ემიგრაციულმა მთავრობამ მ. ვარშავაში გაგზავნა. მ. სათავეში ჩაუდგა ვარშავის ქართულ სათვისტომოს (იგივე ვარშავის „ქართულ კომიტეტს“) და აქტიურად ჩაერთო „პრომეთეისტულ“ მოძრაობაში.

დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

ლიტ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018; შარაძე გ., ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 5, თბ., 2004.

ო. ჯანელიძე.

მდივანი ჯემალ მალხაზის ძე (26. III. 1945, ზესტაფონი, – 18. V. 2004, თბილისი), მომღერალი (ბარიტონი). საქართვ. სახ. არტისტი (1985). 1968 დაამთავრა თბილ. დ. არაყიშვილის სახ. I სამუსიკო სასწავლებელი (პედ. პ. ხურციძე, ვოკალი), 1973 – თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პედ. დ. მჭედლიძე, ვოკალი). 1972–2004 იყო ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი. მ-ის რეპერტუარში შედიოდა ქართ. და ევრ. საოპერო, აგრეთვე ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები. აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული პარტიები: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), ჩალხია, თარაში (ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვარის მოტაცება“), გელა (რ. ლაღიძის „ლელა“), იოქანაანი (რ. შტრაუსის „სალომე“, პირველი დადგმა საქართველოში, 1984), ჟერმონი, დი ლუნა, მარკიზ დი პოზა, ამონასრო, რიგოლეტო, იაგო (ჯ. ვერდის „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „დონ კარლოსი“, „აიდა“, „რიგოლეტო“, „ოტელო“), სკარპია (ჯ. პუჩინის „ტოსკა“), ესკამილიო (ჟ. ბიზეს „კარმენი“), სილვიო (რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები“), ფიგარო (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“), ონეგინი, რობერტი, ელეცკი (პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“, „პიკის ქალი“), ს. ცინცაძის კანტატა „დიდების გზა“, და სხვ. მის რეპერტუარში იყო ქართ. და რუს. კლასიკური რომანსები. მ. არის ზ. ფალიაშვილის სახ. ვოკალისტთა (თბილისი, 1971), ამიერკავკ. მუსიკოს-შემსრულებელთა (ბაქო, 1972), გლინკას სახ. ვოკალისტთა საკავშ. (მოსკოვი, 1975) კონკურსების I პრემიის, ხოლო პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. (მოსკოვი, 1976) და ფ. ვინიასის ვოკალისტთა საერთაშ. (ბარსელონა, 1977) კონკურსების II პრემიის ლაურეატი. მიღებული აქვს ზ. ფალიაშვილის პრემია (1972), ღირსების ორდენი (1999).

ლიტ.: ქუთათელაძე რ., „აბესალომ და ეთერის“ დაბრუნება, „თეატრალური მოამბე“, 1986, №2; ჩინჩალაძე-მარი თ., მომწუსხავი სიმღერა, „მუსიკა“, 2016, №3(28).

რ. ქუთათელაძე.

მდინარაძე გაბრიელ პლატონის ძე (დ. 27. III. 1928, სოფ. ვაკიჯვარი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1988). 1954 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. იმავე წლიდან გახდა ოზურგეთის თეატრის მსახიობი. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: გაიოზი (გ. ბერძენიშვილის „სიყვარულის ძალა“), მანუჩა (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), ჩინჩახელი (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), დათიკო (ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“), პლატონი (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), ექიმი (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ჯილბერტო (ვ. ჰიუგოს „მარიამ ტიუდორი“), გასტონ რიე (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“), გაბრიელი (ი. ვაკელის „აპრაკუნე“), ქსანთე (გ. ფიგეირედოს „მელა და ყურძენი“), პორფირე ბიაშვილი (დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“) და სხვ. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები გამოირჩევა დამაჯერებლობით, გულწრფელობითა და ხაზგასმული სისადავით. 2012 ოზურგეთის თეატრის წინ მ-ს გაუხსნეს ვარსკვლავი. არის ოზურგეთის საპატიო მოქალაქე (2015), უ. ჩხეიძის სახ. ჯილდოსა (2018) და ა. ხორავას სახ. პრემიის (2021) ლაურეატი. ქართ. კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა „ხელოვნების ქურუმის“ წოდება (2018), მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999).

მდინარის გველთევზა, ჩვეულებრივი გველთევზა (Anguilla anguilla), თევზი გველთევზასნაირთა რიგიდან (Anguilliformes), მდინარის გველთევზასებრთა ოჯახიდან (Anguillidae Rafinesque, 1815), მდინარის გველთევზების გვარიდან (Anguilla Schrank, 1798). მტკნარი და მარილიანი წყლის თევზია. სიგრძე (ძირითადად)– 31–85 *სმ.* მაქსიმალური – 150 *სმ,* იშვიათად 2 *მ*-მდე; მასა – 7 *კგ*-მდე. მდედრი მამრზე დიდია. გველისმაგვარი ფორმის თევზია. ზურგი მურა მომწვანო, გვერდები და მუცელი კი ყვითელი აქვს. თავი ზემოდან ოდნავ გაბრტყელებულია, ქვედა ყბა ზედაზე ოდნავ გრძელია და წინ გამოწეული. შეუძლია წყლიდან ამოსვლა, ხმელეთზე (ნამიან ბალახსა და ნაწვიმარ ნიადაგზე) გადაადგილება და იზოლირებულ წყალსატევში მოხვედრა.

წყალში ჩადის 700 *მ*-მდე. მრავლდება ადრეული გაზაფხულიდან ზაფხულამდე, ქვირითობს დას. ატლანტიკაში, სარგასის ზღვაში, რის შემდეგაც იღუპება. იკვებება წვრილი თევზებით, ბაყაყებით, თევზის ქვირითით, კიბოსნაირებით, მოლუსკებით. გავრცელებულია ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილის მდინარეებში, სკანდინავიის სანაპიროდან მაროკომდე; ბალტიის ზღვის წყალსატევებში, აზოვის, თეთრი, ხმელთაშუა, კასპიისა და შავი ზღვის აუზის მდინარეებში; საქართველოში – ჭოროხში, კინტრიშში, სუფსაში, რიონში, ხობში, ცივში, ენგურსა და კოდორში, ასევე პალიასტომის ტბაში. ინტროდუცირებულია აზიაში, სამხრ. და ცენტრ. ამერიკაში.

ინტენსიური რეწვის შედეგად მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ აღიარებულია კრიტიკულ საფრთხეში მყოფ სახეობად.

ლიტ.: ნინუა ნ., საქართველოს თევზები, თბ., 2013.

ნ. ნინუა.

მდინარისპირა ტყე, იხ. *ჭალის ტყე.*

მდოგვი, ბალახოვანი მცენარეები ჯვაროსანთა (კომბოსტოსებრთა) ოჯახის Sinapis და Brassica-ს გვარებისა. Sinapis გვარი მოიცავს 7–10 ერთწლოვან, იშვიათად მრავალწლოვან სახეობას. გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და აზიაში. მეტწილად სარეველა მცენარეებია.

საქართველოში გავრცელებულია ორი სახეობა: თეთრი მ. (S. alba), იზრდება მთის შუა სარტყლამდე მინდვრებსა და დანაგვიანებულ ადგილებში; მინდვრის მ. (S. arvensis) ნათესების სარეველაა და ზოგჯერ გზის პირებსა და

ბოსტნებშიც გვხვდება. Brassica-ს გვარიდან მ-ს მიეკუთვნება სარეპტის მ. (B. juncea), რ-ის სიმაღლე 1,5 *მ* აღწევს. მოჰყავთ ევროპასა და აზიაში. ჩვენში ნათესების სარეველაა. იზრდება აფხაზეთსა და აჭარაში. შავი მ. (B. nigra) მოჰყავთ მცირე აზიაში, ევროპასა და ამერიკაში.

მ-ის თესლისაგან ამზადებენ ზეთს (სარეპტის მ-ის თესლში 35–40% ზეთია, თეთრ მ-ში – 25–34%), იყენებენ აგრეთვე პურის საცხობებში, საკონდიტრო, საკონსერვო და საპარფიუმერიო მრეწველობაში, ასევე მისგან მზადდება სანელებელი. მ-ის კოპტონისაგან მზადდება მ-ის ქაღალდი და სუფრის მ. სარეპტის მ-ის ძირხვენიან და ფოთლოვან ჯიშებს ბოსტნეულის მსგავსად ჭამენ. თეთრ მ-ს ჭოტების წარმოქმნამდე იყენებენ საქონლის საკვებად. საქართველოში ფოთლოვანი მ. მოჰყავთ სასალათედ.

მეაბრეშუმეობა, სოფლის მეურნეობის დარგი, რ-ის დანიშნულებაა *თუთის აბრეშუმხვევიას* მოშენება პარკის მისაღებად. მისგან ღებულობენ ნატურალური აბრეშუმის ხამ ძაფს. აბრეშუმის ჭიას კვებავენ თუთის ფოთლით, ამიტომ თუთის აბრეშუმხვევიას მოშენება მჭიდროდაა დაკავშირებული *მეთუთეობის* განვითარებასთან. ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში ნატურალური აბრეშუმის დასამზადებლად აგრეთვე იყენებენ ზოგიერთი გარეული აბრეშუმხვევიას (მუხის, აილანტის, აბუსალათინისა და სხვ.) პარკს.

მ. მოიცავს შემდეგ საწარმოო პროცესებს: თესლნერგებისა და ნერგების გამოზრდას, თუთის ნარგაობათა (პლანტაციების) ან ერთეულ ნარგაობათა (მეთუთეობა) გაშენებას, გრენის დამზადების წარმოებას (გრენაჟი), გრენის ინკუბაციასა და ჭიის მოვლა-პატრონობას (აბრეშუმხვევიას ჭიის კვება), აბრეშუმის პარკის პირველად გადამუშავებას (პარკსაშრობი), აბრეშუმის ჭიის ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა-გაუმჯობესებას.

თუთის აბრეშუმხვევიას მოშენება პირველად დაიწყო ჩინეთში 5 ათ. წლის წინათ. ამიერკავკასიასა და შუა აზიაში გავრცელდა V–VII სს-იდან.

საქართველოში მ. უძველესი სას.-სამ. დარგია. ქართ. წერილობითი წყაროების მიხედვით, *აბრეშუმის* კულტურა V ს-ში დასტურდება; მოხსენიებული ,,ჭიჭნაური-ჭიჭნაუხტი'' ზოგადად აბრეშუმსაც აღნიშნავდა და აბრეშუმის ქსოვილსაც; ,,შუშანიკის წამებაში'' ,,ჭიჭნაუხტის საქმე'' საქალო საქმედ არის მიჩნეული. აბრეშუმის პარკიდან ამოხვეულ ძაფს უპირატესად ქსოვილების (დარაია – დას. საქართველო; თავთა, მერდინი – აღმ. საქართველო) დასამზადებლად იყენებდნენ, ხოლო აბრეშუმის ხამი ძაფისაგან ე. წ. ,,საქულაჯე'' და ,,საჩოხე'' ქსოვილს ამზადებდნენ (იხ. აგრეთვე *აბრეშუმის მრეწველობა*). საქართველო აბრეშუმის გზის (იხ. *აბრეშუმის დიდი გზა*) არეალში მდებარეობდა, რაც მ-ის განვითარებას უწყობდა ხელს. ქართულმა აბრეშუმმა ტურინსა (1850) და ლონდონში (1862) გამართულ საერთაშ. გამოფენებზე მედლებიც მოიპოვა. საქართველო თუთის აბრეშუმხვევიას ჩქაროსნული მეთოდით გამოკვების სამშობლოა. 1887 თბილისში დაარსდა ამიერკავკ. მ-ის საცდელი სადგური, რმაც თავი მოუყარა თუთის 104 ჯიშსა და ფორმას. მის ბაზაზე 1930 შეიქმნა ამიერკავკ. მ-ისა და აბრეშუმის მრეწველობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1936 დაარსდა მეაბრეშუმეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-იც 1959 შეუერთდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტს და ჩამოყალიბდა მ-ის სასწ.-კვლ. ფაკ-ტი.

1931–53 ფუნქციონირებდა საქართვ. მ-ის ტრესტი (,,საქაბრეშუმტრესტი''), 1953–66 – მ-ის სამმართველო, ხოლო 1966–96 – მ-ის რესპ. გაერთიანება. დარგს ემსახურებოდა ქუთ. ზონალური საცდელი სადგურიც (1916–2011). სსრკ-ში აბრეშუმის პარკის დამზადების მხრივ საქართველოს 1965-მდე II ადგილი ეკავა (4390 *ტ* – 14%). შეიქმნა რ-ნული პარკსაშრობები, საგრენაჟო ქ-ნები, მეთუთეობის სახელმწ. და საკოლმ. სანერგე მეურნეობები, პარკის პირველადი დამუშავების ბაზები, ძაფსაღები ფაბრიკა-ქ-ნები, ჩამოყალიბდა სახელმწ. საჯიშე საქმის ქსელი და სხვ. XX ს. 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0–4,4 *ათ ტ* პარკი, ფულადი შემოსავალი კი 15,5–16,5 *მლნ* მანეთს შეადგენდა. აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100–120 ათ. ოჯახი, აბრეშუმის მრეწველობაში – 5–6 *ათ.* კაცი. 1966 გავრცელდა თუთის დაავადება (თუთის ფოთლის სიხუჭუჭე), რამაც პარკის დამზადება შეამცირა. ქვეყანაში მომხდარი საზ.-პოლიტ. მოვლენების შემდეგ მისი წარმოება მთლიანად შეწყდა (2002).

სსიპ აბრეშუმის სახელმწ. მუზეუმში (თბილისის აბრეშუმის მუზეუმი) დაცულია მ-თან დაკავშირებული მრავალფეროვანი კოლექცია, რ-იც მოიცავს როგორც ადგილობრივად წარმოებულ, ისე მსოფლიოს 61 ქვეყნიდან შემოტანილ ექსპონატებს. 1992–2011 მ-ის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი აგრ. უნტის შემადგენლობაში იყო. 2011-იდან ფუნქციონირებს აგრ. უნტის ენტომოლოგიის ინ-ტის მ-ის ლაბორატორია. 2014–15 საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოების აღდგენის მიზნით შეიქმნა კოოპერატივები ლანჩხუთში, ვანში, მარნეულში, ხარაგაულსა და ახმეტაში. 2015 ,,ქართულმა აბრეშუმის კორპორაციამ'' შემოიტანა 100 ათ. თუთის ჰიბრიდული ნერგი, რ-იც უფასოდ დაურიგდათ ფერმერებს. გრენის სელექცია და მომზადება ხორციელდება მცირე მოცულობით, ძირითადად სამეცნ. მიზნებისათვის (მოქმედებს მხოლოდ ხონის სასელექციო სადგური). 2015 დამუშავდა მ-ის რეაბილიტაციის ბიზნესპროექტი ,,აბრეშუმის სახლი'', რ-იც წარმოადგენს აბრეშუმის ხამი ძაფის წარმოების მასშტაბური ხასიათის ბიზნესმოდელს. არსებობს სს ,,საქაბრეშუმი'' (დაარსდა 1996), 2017 აზერბაიჯანის ქ. შეიკში BACSA-ს მე-8 საერთაშ. კონფერენციაზე იმსჯელეს საქართველოში მ-ის დარგის არსებული მდგომარეობისა და განვითარების საკითხებზეც. 2018 საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტომ ქართულ აბრეშუმს არამატერიალური კულტ. მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. მ-ის განვითარების პერსპექტივებს სწავლობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი სპეც. კომისია და სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრი.



თეთრი მდოგვი.



მინდვრის მდოგვი.

მ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ი. ქუთათელაძეს, მ. ცქიტიშვილს, შ. ღვინეფაძეს, ნ. სანაძეს, ს. ნიკოლაიშვილს, გ. ნიკოლეიშვილს და სხვ.

ნ. ბარამიძე.
მ. ლობჟანიძე.
ი. ჭილაძე.

მეაბრეშუმეობის მუზეუმი, თბილისის აბრეშუმის მუზეუმი. 1887 თბილისში, მუშთაიდის ბაღში, ჩამოყალიბდა კავკ. სააბრეშუმო სადგური, რ-ის

დამფუძნებელი და ორგანიზატორი იყო მოსკ. სას.-სამ. საიმპერატორო საზ-ბის კომიტეტის წევრი, მეცნიერ-ზოოლოგი ნ. შავროვი (1858–1915). აბრეშუმის საქმის შესასწავლად იგი სპეციალურად იყო მივლინებული საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში; მან კავკ. მეაბრეშუმეობის სადგური ევრ. მოდელის მიხედვით შექმნა; ითვალისწინებდა ლიონის სააბრეშუმო მუზეუმის გამოცდილებას და მთელი ცხოვრების განმავლობაში თბილისში იღებდა საჭირო მასალების გზავნილებს. კავკ. მეაბრეშუმეობის სადგური არა მარტო პრაქტიკულ, არამედ საგანმან. და კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა, ასევე გამოსცემდა შრომებს. თავდაპირველად აქ განვითარებული იყო მეფუტკრეობაც. კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაქვემდებარებაში შედიოდა ნუხისა (სოფ. ვართაშენი) და შუშის (სოფ. სეიდლი, აზერბაიჯანი) მაზრებისა და ზაქათალის ოლქის მეაბრეშუმეობის სადგურები.

სააბრეშუმო სადგურის გახსნისთანავე დაარსდა აბრეშუმის მუზეუმი, სადაც განთავსდა ნ. შავროვის მიერ შერჩეული ევრ. და კავკ. აბრეშუმის კოლექციები, რ-ებიც დღესაც იქცევს საზ-ბის ყურადღებას.

მუზეუმში დაცულია მეაბრეშუმეობის ქვეყნებიდან შემოსული კოლექციები, ექსპონატების მრავალფეროვნებით მუზეუმს სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიოს აბრეშუმის მუზეუმების რიგში. იქვე ფუნქციონირებს ბ-კაც, სადაც ინახება მრავალფეროვანი რამდენიმეენოვანი საბუნებისმეტყველო ლიტ-რა და მუზეუმის თანამშრომელთა შრომები, ასევე XIX ს. წიგნების მდიდარი კოლექცია (30 ათ. ც.), რ-ებიც უმთავრესად აბრეშუმის საკითხებს ეხება. აქვე წარმოდგენილია ქართ. ნატურალური აბრეშუმის წარმოების კულტურა და ისტორია, ახ. ტექნოლოგიები (თუთის თესლიდან აბრეშუმის ქსოვილამდე), მისი ცენტრ. კოლონა ეთმობა ნაირფეროვანი ქართ. აბრეშუმის ნიმუშთა კოლექციას. 1930–52 კავკ. სააბრეშუმო სადგურის ბაზაზე განთავსებული იყო საკავშ. დაქვემდებარების მეაბრეშუმეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-საც დაექვემდებარა მუზეუმი და ბ-კა (1953-მდე). 1953–69 შენობის სახურავის დაზიანების გამო იგი დროებით დაიხურა. მეაბრეშუმეობის ინ-ტის თანხმობით, 1986 მუზეუმის შენობა გადაეცა სპორტსაზოგადოება ,,დინამოს‘‘, რ-მაც მოითხოვა მუზეუმისა და ბ-კის გადატანა, მაგრამ ქართ. საზ-ბის ძალისხმევით ორივე ადგილზე დარჩა და მეაბრეშუმეობის სამმართველოს დაექვემდებარა. 1990 წ. 14 ოქტომბერს აღდგენილი და განახლებული აბრეშუმის მუზეუმი მნახველთათვის გაიხსნა.

1998 მუზეუმი შევიდა ETN-ის წევრ-ქვეყნების აბრეშუმის მუზეუმების, აგრეთვე ,,აბრეშუმის დიდი გზის‘‘ ტურისტულ ობიექტთა ნუსხებში. იმავე წელს მის კოლექციებს შეემატა ,,პლატინის ვარსკვლავის‘‘ დიპლომი, რითაც ქართ. აბრეშუმი დაჯილდოვდა მადრიდში ევრ. მსოფლიო ხარისხის კომიტეტის მე-14 დათვალიერება-კონკურსზე. 1999 მუზეუმის ბაზაზე დაარსდა აბრეშუმის სახლი.

თბილ. აბრეშუმის მუზეუმი მსოფლიოში ერთადერთია, რ-მაც XIX ს. 80-იან წლებში დაარსებისთანავე დაიდო ბინა მისთვის საგანგებოდ აგებულ შენობაში (პროექტის ავტორი – ა. *შიმკევიჩი*). ეკლექტიკური სტილის ორსართულიანი შენობა გუმბათიანია. მას ამჟამად ეროვნ. მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ამჟამად მუზეუმში მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. იხ. აგრეთვე სტ. *მეაბრეშუმეობა*.

თ. ალიბეგაშვილი.
მ. ბაქრაძე.



მეაბრეშუმეობის მუზეუმი.

მეაბჯრე (ისტ.), აბჯრისმტვირთველი, საჭურველთმტვირთველი. 1. დიდგვარიანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურვლის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი. როგორც საგანგებო თანამდებობა, ეძლეოდათ წარჩინებული პირების შვილებსაც. მაგ., სარგის II ჯაყელი (1306–41) ,,აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად‘‘; 2. აბჯრის მნე (მოხელე, განმგებელი) ძვ. საქართველოში, იგივე ჯაბადარი (ჯაბახანის გამგე). ემორჩილებოდა ამილახორის თანაშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

ლიტ.: ჩოლოყაშვილი კ., ქაფიანიძე მ., ქართული საჭურველი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ.1, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3–4, თბ., 1962.

ი. მაიშმელაშვილი.

მეაბჯრეთუხუცესი, მეფის კარის მაღალი რანგის სამხედრო მოხელე ფეოდალურ საქართველოში, აბჯარ-საჭურვლის მთავარი გამგე, მეაბჯრეთა უფროსი. ემორჩილებოდა ამილახორს.

მ., როგორც მაღალი რანგის სამხედრო მოხელე, გვხვდება XIII ს. ძეგლში ,,მეფედ კურთხევის განგება‘‘ (ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, მეფეთა კურთხევის თავდაპირველი ,,განგება‘‘ უფრო ადრე, XII–XIII სს-მდე უნდა ყოფილიყო შედგენილი), რ-ის მიხედვით მეფეს კურთხევის დროს ახლდნენ მაღალი რანგის მოხელეები: მარცხენა მხრიდან მიუყვებოდნენ სამოქალაქო და ,,საქვეყნოდ გამრიგე‘‘ მოხელეები, პირველ რიგში – ჭყონდიდელი და ათაბაგი; მარჯვენა მხრიდან კი – სამხედრო უწყების წარმომადგენლები – ამირსპასალარი, ამილახორი და მ. მ. მეფის ამალაში ეზოთუხუცესსა და ჩუნჩერახთან ერთად იმყოფებოდა. იგი სამეფო ფარს, ლახტს, ქარქაშს ატარებდა და უშუალოდ მეფის უკან იდგა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6).

ი. უჯმაჯურიძე.

მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია პ. კინტრაიას სახელობისა, შეიქმნა 1936 საქართვ. მეანგინეკოლოგთა საზ-ბის სახელწოდებით. მისი პირველი თავ-რე იყო პ. *შუშანია*. საზ-ბა სხვადასხვა წლებში აერთიანებდა 200–300 წევრს. მისი სამეცნ. მიმართულება იყო გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგია (პ. შუშანია) და სამედიცინო რადიოლოგია (გ. ღამბარაშვილი), შემდეგ მეანობასა და გინეკოლოგიაში დაინერგა კვლევის ელექტროფიზიოლოგიური მეთოდები, ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფია, ელექტროენცეფალოგრაფია, რეოენცეფალოგრაფია (კ. *ჩაჩავა*, პ. *კინტრაია*, ა. ზირაქაძე, მ. დევდარიანი), აგრეთვე იკვლევდნენ გარემო ფაქტორების

გავლენას ორსულობის მიმდინარეობასა და ნაყოფის განვითარებაზე, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას. შეისწავლიდნენ საქართველოში თანდაყოლილ გენეტიკურ დაავადებებს და ადგენდნენ რეესტრს (მ. დალაქიშვილი); იკვლევდნენ საყურადღებო პრობლემებს: ნაყოფი და ტკივილი, ნეიროპეპტიდების როლი მშობიარობის რეგულაციაში (პ. კინტრაია, ი. *მამამთავრიშვილი*, დ. მიქელაძე), სტრესი და ორსულობა (პ. კინტრაია, ნ. *კინტრაია*, ი. მამამთავრიშვილი, დ. სიგუა, მ. კოხია). ამ კვლევებმა საერთაშ. აღიარება მოიპოვა.

ამჟამად სამეცნ. კვლევების ძირითადი მიმართულებებია: ორსულობის დრომდემიუტანლობა, ნაყოფი – როგორც პაციენტი, ადრეული ლოგინობის ხანის სისხლდენებისა და სეპტიური გართულებების ეფექტური მართვის თანამედროვე ასპექტები, მენჯის ფსკერის ფუნქციური დარღვევების მკურნალობის ოპერაციული მეთოდები.

2003 წ. 4 ივლისიდან საზ-ბა გარდაიქმნა ასოციაციად, რ-ის საქმიანობის ძირითადი სფეროა საქართველოში სამეანო-გინეკოლოგიური და პერინატალური დახმარების პერმანენტული სრულყოფით დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება; დიპლომისშემდგომი პროფესიული და უწყვეტი სამედ. განათლების პროგრამების შემუშავება და მათი იმპლემენტაცია პრაქტიკაში; მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის საფუძვლების დანერგვა საქართველოში; მეან-გინეკოლოგთათვის პრაქტ. მასტერკლასებისა და სამუშაო შეხვედრების, სემინარების მოწყობა საქართველოში არსებულ პრიორიტეტულ საკითხებზე; დედათა გარდაცვალების მიზეზების ძირეული ანალიზის საფუძველზე დადგენილი საექიმო შეცდომების იდენტიფიცირება და მსგავს სიტუაციაში სამოქმედო კლინიკური რეკომენდაციების შემუშავება.

უკანასკნელ წლებში ასოციაციის მიერ ჩატარდა სამეცნ. ფორუმები: ამიერკავკ. მეან-გინეკოლოგთა I კონგრესი (2006), საქართვ. სამხრ. კავკასიის მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა II საერთაშ. კონგრესი (2017), კ. ჩაჩავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართვ. მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა VIII საერთაშ. კონგრესი (2019).

ასოციაცია თანამშრომლობს საერთაშ. დონორ ორგანიზაციებთან; 2008–15 USAID-სა და JSI-თან თანამშომლობით საქართველოში წარმატებით განხორციელდა ,,ეფექტური პერინატალური მოვლის'' და ,,SUSTAIN'' პროექტები. ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული UNICEF-ის, USAID-ისა და საქართვ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ ,,პერინატალური სამსახურის რეგიონალიზაციის'' პროექტში; დონეებად დაიყო სამეანო დაწესებულებები და გადამზადდა ამ დაწესებულებებში მომუშავე სამედ. პერსონალი. 2021–22 ასოციაციამ UNFPA-სა და NCDC-თან თანამშრომლობით, მონაწილეობა მიიღო საქართველოში კოვიდინფიცირებულ ქალთა ორსულობისა და მშობიარობის მართვის პროტოკოლის შექმნაში; 2021–22 კი – საქართველოში საკეისრო კვეთების რიცხვის ოპტიმიზაციისათვის განხორციელებულ პროექტში. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ნაციონალური პროტოკოლებისა და გაიდლაინების განახლება და იმპლემენტაცია მეანობა-გინეკოლოგიისა და პერინატოლოგიის მიმართულებით. დღეისათვის ასოციაცია აერთიანებს 241 წევრს. საზ-ბას ხელმძღვანელობდნენ: კ. ჩაჩავა (1971–79), პ. კინტრაია (1980–90; 1993–2019), გ. გოცაძე (1990–93), 2019-იდან დღემდე ასოციაციის თავ-რეა ნ. კინტრაია. პ. კინტრაიას გარდაცვალების (2021) შემდეგ მ.-ზ. და პ. ა. მის სახელს ატარებს.

ნ. კინტრაია.

მეანობა, შეისწავლის ქალის ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებს; ორსულის, მშობიარისა და ნამშობიარები ქალის რაციონალური დახმარების მეთოდებს. მ. *გინეკოლოგიის* განუყოფელი ნაწილია. გინეკოლოგია კი მეცნიერებაა, რ-იც სწავლობს ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლ. და პათოლ. პროცესებს დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

მ-ის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება ძვ. პაპირუსებში (ძვ. წ. XXII–XV სს.), ინდოელების წმ. წიგნებში (ძვ. წ. VIII ს.). მ-ის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჰიპოკრატეს, არისტოტელეს, ცელსუსის, გალენოსისა და სხვათა ნაშრომებმა. XIII ს-ში პარიზის ჰოსპიტალში (,,Hotel Dieu'') გაიხსნა მშობიარეთა პალატა, რ-ის ბაზაზე XVII ს-ში შეიქმნა პირველი სამეანო სასწავლებელი.

ვეზალიუსის, ევსტაქის, კ. ბართოლინუსისა და სხვათა გამოკვლევების შედეგად გაჩნდა პირველი მონაცემები ქალის სასქესო ორგანოების ანატ. და ფიზიოლ. შესახებ, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეცნ. მ-ის განვითარებას. ფრანგმა ქირურგმა ა. პარემ (1550) შექმნა პირველი სამეანო სკოლა, აღადგინა ნაყოფის მობრუნების მივიწყებული მეთოდი. ინგლ. მეანმა პ. ჩემბერლენმა შექმნა სამეანო მაშა, რ-იც განსაზღვრულ პირობებში ცოცხალი ნაყოფის გამოყვანის საშუალებას იძლეოდა. XVII ს. ფრანგმა მეანმა ფ. მორისომ დაწერა იმ დროისთვის საუკეთესო წიგნი მ-ზე, დაამუშავა სამეანო ოპერაციის მეთოდები, შემოიღო ახალი სამეანო ხელსაწყოები. გაიხსნა სამეანო კლინიკები, კათედრები, დაიწყო მ-ის სისტემ. სწავლება.

საქართველოში XX ს. I ნახ-ში შეიქმნა სამშობიარო დახმარების ფართო ქსელი, მეანობისა და გინეკოლოგიის 2 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და გინეკოლოგიის 4 კათედრა (სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინ-ტებში).

2006-იდან გაერთიანდა თსსუ და ექიმთა დახელოვნების ინ-ტი. ამჟამად თსსუ-ში არსებობს მეანობა-გინეკოლოგიის ორი დეპარტამენტი: მეანობა-გინეკოლოგიისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სადაც მიმდინარეობს პრე და პოსტდიპლომური სწავლება. 2018 მეან-გინეკოლოგთათვის შეიქმნა 4-წლიანი სარეზიდენტო პროგრამა (დირექტორი ნ. *კინტრაია*).

მეცნ. მ-ისა და გინეკოლოგიის დანერგვის, აგრეთვე კადრების აღზრდის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით: ი. *თიკანაძეს*, გ. *ღამბარაშვილს*, ე. *სობესტიანსკის*, პ. *შუშანიას*, ბ. *ღოღობერიძეს*, ი. *ჟორდანიას*, ა. *უსტიაშვილს*, ლ. *ელიაშვილს*, ა. *ბაქრაძეს*, მ. პაპიტაშვილს, კ. *ჩაჩავას*, ი. *მაჭავარიანს*, პ. *კინტრაიას*, ი. *მამამთავრიშვილს* და სხვ.

ნ. კინტრაია.

მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1873 თბილისში დაიწყო ახალი სამშობიარო სახლის მშენებლობა (არქიტ. ა. როგოისკი), რ-ის ინიციატორი იყო კავკ. და ამიერკავკ. სამოქალაქო უწყების სამედ. სამმართველოს მმართველი, მედ.

მეცნ. დოქტორი ა. რემერტი (რუსეთის სამეფო ოჯახის წევრის, ოლღას მკურნალი გინეკოლოგი). 1875 სამშობიარო სახლს ეწოდა ამიერკავკ. სამეანო ინ-ტი, 1912 – ოლღას სახ. ამიერკავკასიის მეანობა-გინეკოლოგიის ინ-ტი, 1935 – დედათა და ბავშვთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1959 ინ-ტს გამოეყო პედიატრიული სამსახური და ეწოდა მ.-ბ. ს.-პ. ი; 1976-იდან – პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი; 1981-იდან კ. ჩაჩავას სახელობისაა, 2010-იდან კი ეწოდება ,,ჩაჩავას კლინიკა‘‘.

ინ-ტის პირველი დირექტორი იყო ე. ლემერტი (1875), შემდგომ ე. *სობესტიანსკი* (1912), ი. თუმანიშვილი (1945–49), გ. ცაგარელი (1949–53), შ. ქორიძე (1953–65), კ. *ჩაჩავა* (1965–79), პ. *კინტრაია* (1979–2002), ე. გოცირიძე (2002–16), ნ. ყაზახაშვილი (2016–21), 2021-იდან დღემდე ინ-ტს ხელმძღვანელობს მ. გელანტია.

წლების განმავლობაში ინ-ტი იყო ერთადერთი პროფილური სამეცნ. ცენტრი პერინატოლოგიაში. 1961 პირველად მსოფლიოში ინ-ტში და მასთან გაერთიანებულ ექიმთა დახელოვნების ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე შეიქმნა ნაყოფის პირდაპირი ელექტროგრაფიის მეთოდი (კ. ჩაჩავა, პ. კინტრაია), რ-იც საფუძვლად დაედო მეცნიერების ახალი დარგის – ნაყოფის კარდიოლოგიის ჩამოყალიბებას. ამას მოჰყვა რეოენცეფალოგრაფიის, ელექტროენცეფალოგრაფიის და სხვ. მეთოდების შემუშავება. გარდა ამისა ინ-ტში პირველად შეიქმნა ნაყოფის ტვინის სამშობიარო ტრავმის ექსპერ. მოდელი, რამაც განაპირობა ახალი კანონზომიერების დადგენა ნაყოფის ჟანგბადით მომარაგების რეგულაციაში (ა. ზირაქაძე, პ. კინტრაია); ასევე შეიქმნა საქართველოში გენეტიკურ დაავადებათა რეესტრი. აღსანიშნავია, რომ იმ წლებში ფუნქციონირებდა ფარმაკოლოგიური ლაბორატორია, სადაც სწავლობდნენ პერინატოლოგიაში სხვადასხვა პრეპარატის გამოყენების მეცნ. საფუძვლებს. ასევე იკვლევდნენ პრობლემებს: ნაყოფი და ტკივილი; ნეიროპეპტიდების როლის დადგენას მშობიარობის რეგულაციაში (პ. კინტრაია, ი. *მამამთავრიშვილი*, დ. მიქელაძე); სტრესის გავლენა ორსულობის, მშობიარობის მიმდინარეობასა და ახალშობილის მდგომარეობაზე (პ. კინტრაია, ნ. *კინტრაია*, ი. მამამთავრიშვილი, დ. სიგუა, მ. კოხია).

ინ-ტის სამეცნ.-კვლ. მუშაობა კონცენტრირებული იყო ორი ძირითადი პრობლემის გარშემო: პერინატალური ფიზიოლოგია და პათოლოგია; გარემო ფაქტორების გავლენა ორსულობის მიმდინარეობასა და ნაყოფისა და ახალშობილის განვითარებაზე. ამჟამად ,,ჩაჩავას კლინიკაში‘‘ გრძელდება კვლევები ორსულობის დღემდე მიუტანლობისა და ორსულობის ადრეულ ვადაზე შეწყვეტის პრობლემაზე.

,,ჩაჩავას კლინიკაში‘‘ ფუნქციონირებს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამეანო სამსახური ინდივიდუალური სამშობიარო ბლოკებით, მშობიარობის შემდგომი და ორსულთა პათოლოგიის პალატებით; ახალშობილთა განყ-ბა ინტენსიური თერაპიის პალატით; გინეკოლოგიური სექტორი, აღჭურვილი ლაპაროსკოპიული, ლაპაროტომიული, ჰისტეროსკოპიური ოპერაციების აპარატურით, ინტენსიური თერაპიისა და პოსტოპერაციული პალატებით; თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ახალი ქირურგიული კლინიკა ფართომასშტაბიანი და პლასტიკური ოპერაციების შესასრულებლად; ანესთეზია-რეანიმაციის განყ-ბა; რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი ემბრიოლოგიური ლაბორატორიით. საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრში ფუნქციონირებს მეან-გინეკოლოგის, სტომატოლოგის, თერაპევტის, ენდოკრინოლოგის, კარდიოლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, ქირურგის, პედიატრის, ოკულისტის, გენეტიკოსის, საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების, რადიოლოგიური და რენტგენოლოგიური კვლევის კაბინეტები, კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები.

კლინიკის ბაზაზე წლების განმავლობაში მუშაობს საქართვ. მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, რ-იც ატარებს საერთაშ. კონგრესებს, სიმპოზიუმებს და ზრდის მაღალი კვალიფიკაციის მეან-გინეკოლოგებს.

,,ჩაჩავას კლინიკა‘‘ აგრძელებს სამეცნ.-პრაქტ. თანამშრომლობას უცხოეთის სამეანო-გინეკოლოგიურ სამეცნ. ცენტრებთან.

მ. გელანტია.

მეგალიშვილი კარლო ალექსანდრეს ძე [16. III. 1920, თბილისი, – 23. VII. 1949, წულუკიძე (ახლანდ. ხონი)], საბჭოთა კავშირის გმირი (29. VI. 1945), გვარდიის უფროსი ლეიტენანტი. მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში. იბრძოდა ბერლინის მისადგომებთან. შეასრულა 1500 საბრძოლო გაფრენა. ომის შემდეგ მსახურობდა მინსკისა და ამიერკავკ. სამხ. ოლქებში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სხვა სახელმწ. ჯილდოებით.

მეგებრე გლეხი, გლეხი, რომელიც ფეოდალს უხდიდა ბეგარას. მებეგრე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მკვიდრი გლეხი; იგი მემკვიდრეობით ფლობდა ბატონისაგან პირობით საკუთრებაში მიცემულ მიწას და უხდიდა მას გამოსაღებს ნატურალური, ფულადი ან შრომითი ვალდებულების სახით. მ. გ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ბეგრის სახეობებითა და რაოდენობით. სხვადასხვაგვარი იყო მათი ეკონ. და სოც. მდგომარეობაც.

ლიტ.: ბერძნიშვილი მ., საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; მუსხელიშვილი ლ., დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI–XVII სს., ,,ენიმკის მოამბე‘‘, 1940, ტ. 5–6; ხოშტარია-ბროსე ე., ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984; Бердзенишвили Н. А., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII–XVI вв.), მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965.

მეგეცი, სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ლენტეხის მუნიციპალიტეტში (ჟახუნდრის თემი), სვანეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1250 *მ*, ლენტეხიდან 25 *კმ*. 69 მცხ. (2014).

მეგონია ჯემალ ვლადიმერის ძე (დ. 29. VI. 1939, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1961). მუშაობდა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტში თეორ. ფიზიკის კათედრაზე (1961–66); თსუ-ის ბირთვული ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში. მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტად გარდაქმნის შემდეგ – ბირთვული რეაქციების ლაბორ. გამგედ (1966–86). იყო თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის ზოგადი ფიზიკის კათედრის პროფესორი (1986–95), კათედრის გამგე (1995-იდან), დეკანი, თსუ-ის

დიდი საბჭოს, პროფესორთა და სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (1989–2005).

მ-ს სამეცნ. ინტერესები ეხება მრავალნაწილაკოვანი კვანტური სისტემების თეორიას. შემუშავებული აქვს N-ნაწილაკოვანი სისტემების მიახლოებითი ამოხსნის ორიგინალური მეთოდი, კონკრეტული შედეგები მიიღო 3-ნაწილაკოვანი ატომური და ბირთვული სისტემების ამოცანებისთვის. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

პ. მამრაძე.

მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის დარგი, რომლის დანიშნულებაა *ბოსტნეული კულტურების* მოყვანა. მ-ს განეკუთვნება მებაღჩეობაც. მისი ამოცანაა ბაღჩეული მცენარეების (საზამთრო, ნესვი, გოგრა) კულტივირება. მ. შეისწავლის მცენარეების ბიოლოგიასა და მოყვანის ხერხებს. განასხვავებენ ღია და დაცული (დახურული) გრუნტის მ-ს. ღია გრუნტზე ბოსტნეული კულტურები მოჰყავთ გაზაფხულ-ზაფხულსა და შემოდგომაზე ბოსტნეულის ნაყოფისა და თესლის მისაღებად, დაცულ გრუნტს კი იყენებენ არასეზონურ პერიოდში (ზამთარში). ღია გრუნტის ძირითადი კულტურებია კომბოსტო, პამიდორი, კიტრი, ხახვი, ნიორი, სტაფილო, ჭარხალი; ითესება სუნელ-სანელებელი მცენარეებიც (ტარხუნა, წიწმატი, ქინძი, რეჰანი, ქონდარი, პიტნა და სხვ.). დაცულ გრუნტში მოჰყავთ კიტრი, პამიდორი, ხახვი (საფოჩედ გამოსაყვანი), ყვავილოვანი კომბოსტო, სალათა, თვის ბოლოკი და სხვ. მ. მსოფლიოში ყველგანაა განვითარებული.

საქართველოში მ-ს უძველესი ისტორია აქვს. ქართ. წყაროების მიხედვით, იგი დასაბამს იღებს ქართველ ტომთა განვითარების ყველაზე ადრეულ საფეხურზე – პირველყოფილი თემური წყობილებიდან. ივ. ჯავახიშვილი ,,საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში'' აღნიშნავს: ,,ძველადაც ქართველს გემრიელი და შნოიანი პურის ჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებას და მშვენებას შეადგენდა''. VIII–X სს. წერილობით ძეგლებში მოხსენიებულია კომბოსტო. მ-ზე მნიშვნელოვანი ცნობებია ვახტანგ VI-ის (,,დასტურლამალი''), ასევე ს.-ს. ორბელიანისა (,,სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი'') და ვახუშტი ბაგრატიონის (,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', წგ.: ,,ქართლის ცხოვრება'') ნაშრომებში. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში დასახელებულია იმდროინდელ საქართველოში არსებული კომბოსტოს სახესხვაობები: თავიანი და ყვავილოვანი, ასევე კეჟერა კომბოსტო (კოლრაბი).

1913 საქართველოში ბოსტნეულ კულტურებს ეკავა 1,2 ათ. ჰა; 1930 – 11,6 ათ. ჰა, ხოლო 1940 – 14,4 ათ. ჰა. XX ს. 50-იან წლებში საქართველოში, კერძოდ, თბილისში (კრწანისის მეურნეობა, ორთაჭალის ტერიტორია), ასევე გლდანში, გეგუთში, ბიჭვინთაში აშენდა რამდენიმე სასათბურე კომბინატი. საბჭ. ხელისუფლების პერიოდში ამოქმედდა სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები, ლაბორატორიები, საცდელი სადგურები და სხვ. ბოსტნეულის სელექციაზე მუშაობდა ნ. *ვავილოვი,* მეცნ. მ-ის საფუძვლები კი დაამუშავა ვ. ედელშტეინმა. საქართველოში მ-ის დარგის ერთერთი ფუძემდებელი იყო გ. ჯაფარიძე, რ-იც ქუთ. საცდელ სადგურში მოღვაწეობდა. ახ. ჯიშების გამოყვანაზე მუშაობდნენ თ. როგაძე, ი. გიორგბერიძე, გ. კვაჭაძე; ასევე საქართვ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომლები: ა. მიქელაძე, ი. მაჭავარიანი, ა. სარალიძე, გ. ესტაშვილი და სხვ.

2011-იდან მ-ის განვითარების საკითხებზე მუშაობს საქართვ. აგრ. უნ-ტის ი. ლომოურის მიწათმოქმედების ინ-ტი. 2021 საქართველოში განისაზღვრა ბოსტნეული კულტურების წარმოება (დაახლ.149,0 ათ. ტ), მ. შ. მწვანილი (8,5 ათ. ტ), პამიდორი (56,8 ათ. ტ), კიტრი (30,3 ათ. ტ), წიწაკა (7,6 ათ. ტ) ჭარხალი (4,4 ათ. ტ) სტაფილო (1,5 ათ. ტ) და სხვ. დარგის რეაბილიტაციისა და აღორძინების პრობლემებს ემსახურება საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრი. გამოიკვეთა მ-ის 4 ძირითადი ფორმა: საკარმიდამო, საგარეუბნო, სიღრმული და დაცული გრუნტის. მიმდინარეობს ბოსტნეული კულტურების ახ. ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა და მათი დარაიონება. მცენარეები მოჰყავთ საკარმიდამო ნაკვეთებზე; ფერმერები ქმნიან საწარმოებს, კოოპერატივებს, სააქციო საზ-ბებს და სხვ.

გ. კვაჭაძე.
ვ. ჯაფარიძე.

მებოცვრეობა, მეცხოველეობის დარგი, რ-ის დანიშნულებაა ბოცვრის მოშენებით ხორცისა და ტყავბეწვეულის წარმოება. მ. განვითარებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც აღრიცხულია ბოცვრის 300-ზე მეტი ჯიში; 2020-თვის ამ სახეობის ცხოველთა რაოდენობა 192,6 მლნ. იყო, ხორცის წარმოების მოცულობა – 2,7 მლნ. ტ (დაკლული მასით), რ-ის საერთო წარმოების 45% მოდის ჩინეთზე. სსრკ-ში მ-ის პრობლემებზე მუშაობდა სოფ. მეურნ. სამინისტროს ბეწვიანი მენადირეობისა და მებოცვრეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი.

საქართველოში მ-ის განვითარება XX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო. 1975-თვის ფერმებისა და სანაშენე მეურნეობების რაოდენობა 35-ს აღწევდა, სადაც 12000 დედა ბოცვერი იყო. ფუნქციონირებდა მ-ის კუმისის სანაშენე მეურნეობა და ბებნისის სანაშენე ფერმა, აგრეთვე დედოფლისწყაროს, თეთრი წყაროს, მარტყოფისა და მარაბდის მეურნეობები. მოშენებული ჯიშები იყო: საბჭოური შინშილა, ნაცარა, თეთრი გოლიათი, ვენური ცისფერი, შავარდენი, კალიფორნიული, ახალზელანდიური თეთრი და სხვ. 1982–92 კუმისის სანაშენე მეურნეობაში ახალზელანდიური თეთრი ჯიში შეაჯვარეს საბჭოურ შინშილასთან. მიღებული თაობის გადარჩევა-შერჩევით გამოიყვანეს ახ. ჯიშური ჯგუფი, რ-საც 1993 უწოდეს ,,ქართული სახორცე'' ჯიში.

2021 საქართველოში იყო მ-ის საოჯახო ტიპის 1800-მდე მეურნეობა, ასევე მოქმედებდა 10 ფერმა (50–100 დედალი, 20 მამალი და 200–500 სახორცედ გამოსაზრდელი ბოცვრები).

ლიტ.: გუგუშვილი ჯ., მასალები ბოცვერის სახორცე ჯიშური ჯგუფის აპრობაციისათვის, თბ., 1992.

გ. გოგოლი.

მებრუნე, სოფელი შიდა ქართლის რეგიონის ქურთის მუნიციპალიტეტში (ძარის თემი), მდების – დიდი ლიახვისა და აღმ. ფრონის წყალგამყოფის (ლიხის ქედის მარჯვ. განშტოება) აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1160 *მ,* ცხინვალიდან 10 *კმ.*

მ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

„მებრძოლი გუშაგი“, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველკვირეული ორგანო. გამოდიოდა 1965–70 თბილისში ქართ. და რუს. ენებზე (რუს.

გამოცემას ეწოდებოდა ,,ბოევოი სტრაჟ‘‘). გაზეთი აშუქებდა საბჭ. სამართალმცოდნეობის პრობლემებს, ადმ. ორგანოების მუშაობას, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ფართო საზ-ბის ბრძოლას სოციალ. მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. ,,მ. გ-ის‘‘ რედაქტორი იყო ვ. ალფენიძე.

მეგუკე დავით იაკობის ძე (ცვარ-ნამი) (5.IX. 1892, დაბა ხონი, – 26. III. 1961, თბილისი), მწერალი, რეჟისორი. სპეციალობით აგრომეტეოროლოგი. 1914 დაამთავრა ქუთ. კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს სწავლა განაგრძო მოსკ. საიმპერატორო უნტის იურიდ. ფაკ-ტზე. 1917 მეოთხე კურსის სტუდენტი ხელმოკლეობის გამო დაბრუნდა საქართველოში. 1922–23 მუშაობდა ბათუმში, სადაც აქტ. მონაწილეობა მიიღო მწერალთა კავშირის აჭარის განყ-ბის ჩამოყალიბებაში. 1931 დაამთავრა თბილ. საკავშ. სუბტროპ. ინ-ტი აგრონომის სპეციალობით; 1932-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ჰიდრომეტეოროლ. სამმართველოში უფრ. ინჟინერ-აგრომეტეოროლოგად.

მ-ის ლექსები ,,ცვარ-ნამის‘‘ ფსევდონიმით იბეჭდებოდა ჟურნ.-გაზეთებში. პირველი ლექსი ,,გლოვის ზარი‘‘ გამოქვეყნდა 1911 გაზ. ,,კოლხიდაში‘‘. მასვე ეკუთვნის საყმაწვილო პოემები: ,,ხარაბუზას ქორწილი‘‘ (1927, 1948) და ,,ჩაის გმირი‘‘ (1934); ზღაპარი ,,ლალის სიზმარი‘‘ (1962) და ლექსების კრებულები: ,,ზოოპარკში‘‘ (1952), ,,სევდით სავსეა ჩემი სიმღერა‘‘ (1992).

მ-ს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართ. თეატრის განვითარებაში. 1907–23 იყო სცენისმოყვარეთა ჯგუფის წევრი; 1921–22 – ხონის თეატრის ხელმძღვანელი და რეჟისორი. როგორც რეჟისორმა თეატრში დადგა საკუთარი თუ გადმოკეთებული პიესები (,,ეჭვიანი ცოლი‘‘, ,,მტრის ხმლით‘‘, ,,დონ კიხოტი საქართველოში‘‘, ,,მონის ცეკვა‘‘ და სხვ.), რ-ებშიც თავადვე მონაწილეობდა. აღსანიშნავია მისი მონოგრაფია ,,ვალერიან შალიკაშვილი‘‘ (1956).

ლიტ.: მწერალთა ბიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013.

მეგურიშვილი იოსებ (სოსო) დავითის ძე [3 (15). I. 1887, სოფ. ჭალა, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 2. VII. 1975, გურჯაანი], რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1968). 1910–16 სწავლობდა ხარკოვის თეატრთან არსებულ დრამ. სტუდიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ რეჟისორად მუშაობდა სხვადასხვა თეატრში. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია დ. ერისთავის ,,სამშობლო‘‘, ვ. გუნიას ,,და-ძმა‘‘, შ. დადიანის ,,გეგეჭკორი‘‘, ა. ცაგარლის ,,ხანუმა‘‘, ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!‘‘, ს. შანშიაშვილის ,,ანზორი‘‘, პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი‘‘, ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი‘‘, ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო‘‘, მოლიერის ,,ძალად ექიმი‘‘, შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული‘‘ და სხვ.

ი. ქაბზინაძე.

მეგურიშვილი ტაგუ ვარდენის ძე (28. VIII. 1934, სოფ. ფერეთა, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 10. IV. 2007, თბილისი), პოეტი. დაამთავრა ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ენისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1957). პირველი ლექსი 1956 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი წიგნი ,,მზე მაღლა იწევს‘‘ – 1966. მომდევნო პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია ,,ლექსები‘‘ (1976), ,,მე ვფიქრობ შენზე‘‘ (1977), ,,თანდათან‘‘ (1979) და სხვ. მ-ს ეკუთვნის ნარკვევები, საბავშვო ლექსები. 1981-იდან ხელმძღვანელობდა გამომც. ,,მერანის‘‘ პოეზიის განყ-ბას. მ-ის ლექსები თარგმნილია რუს., სომხ., თათრულ ენებზე.

თხზ.: გზაშესაყარი, თბ., 1988; სიყვარული და ცდომილება, თბ., 1989; თავისუფლების მზე ბორკილს ამსხვრევს, თბ., 1990; მცირე რჩეული, თბ., 2001; რჩეული, თბ., 2005.

მეგაეკონომიკა, გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა მისთვის დამახასიათებელი განვითარების სპეციფიკური ნიშნებით. იგი დაკავშირებულია გლობალური ეკონომიკური სისტემის ცნებასთან და გარკვეულწილად ურთიერთქმედებს *მიკროეკონომიკასთან* და *მაკროეკონომიკასთან.* მ-ის ყველაზე აქტუალური საკითხია იმის დადგენა, თუ რამდენად ორგანულადაა ჩართული ქვეყნის ეროვნ. მაკროეკონომიკური სისტემა გლობალურ ეკონომიკაში. გლობალური ეკონომიკა და მისი კომპონენტები რთული სოც.-ეკონ. სტრუქტურებია და მათი აღწერა შესაბამისი სისტემური ანალიზის მეთოდებით ხდება.

მ-ის დონე, მიკრო- და მაკროეკონომიკური დონეებისაგან განსხვავებით, ითვლება ზენაციონალურ დონედ, რ-შიც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკები, ასევე ეკონ. გაერთიანებები და ტრანსნაციონალური კორპორაციები.

მ-ის თანამედროვე სტრუქტურაში აქტიურ როლს ასრულებს საერთაშ. ეკონომიკური ინ-ტები (მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, გაერო და სხვ.).

მსოფლიო გამოწვევების ფონზე თანამედროვე *გლობალიზაციის* თავისებურებაა მისი გადასვლა ტურბულენტურიდან კონფრონტაციულ ფორმაზე, რაც, თავის მხრივ, აისახება მ-ის ფუნქციონირებისა და განვითარების ახ. წესრიგის ფორმირების პროცესში.

საქართველო, ტერიტორიის უნიკალური გეოგრ. მდებარეობისა და გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქტიურადაა ჩართული მეგაეკონომიკურ პროცესებში. მისი ეკონომიკა ვითარდება რთულ, არაპროგნოზირებად და ტურბულენტურ გარემოში. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობისა და აღმ.-დას-ის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა ეძლევა, რაც განმტკიცებულია ქვეყნის ინტეგრაციით საერთაშ. ეკონომიკურ სივრცეში, პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებითა და ევროკავშირში გაწევრიანების სტრატეგიით.

ლიტ.: Krugman P. R., Obstfeld M., International economics: theory and policy, N. Y, 1994; Papava V., Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization, ,,Eurasia Review‘‘, 2022, 23 May.

გ. ბედიანაშვილი.

მეგაზაფხულენი (Plecoptera), მწერების რიგი. აერთიანებს 3800-ზე მეტ სახეობას. კავკასიაში გვხვდება 7 ოჯახის 21 გვარის 68 სახეობა. საქართველოში ამათგან 64 სახეობაა გავრცელებული, რ-თა უმრავლესობა ენდემურია. კვერცხიდან იმაგომდე გარდაქმნა არასრულია, ზოგჯერ 3 წელზე მეტ ხანს გრძელდება. ვითარდებიან წყალში, ზრდასრული მწერები – ხმელეთზე. გაზაფხულზე (ზოგიერთი სახეობა ზაფხულში) გამოდიან და ცხოვრობენ გამდინარე წყალსატევებთან. ძირითადად ბინადრობენ მთის სუფთაწყლიან მდინარეში, ზოგი სახეობა – მდოვრე მდინარეში, ტბებსა და ტბორებში. ზრდასრულ მწერს აქვს გამჭვირვალე 4 ფრთა, რ-თა შლილი 10–80 *მმ* აღწევს. ზოგ სახეობას, განსაკუთრებით მამრებს,

ფრთები შესაძლოა რუდიმენტულ მდგომარეობაში ან სულაც არ ჰქონდეთ. მათი სხეული ბოლოვდება 2 გრძელი ძაფით. დაფრინავს იშვიათად მცირე მანძილზე, უმთავრესად ზის სუფსტრატზე ან წყლისპირა მცენარეებზე. მატლები ძირითადად მტაცებლები არიან, უმცირესობა მცენარეულობით იკვებება, იმაგო (ზრდასრული) უმეტესწილად არ იკვებება, ზოგი სახეობა მცენარეულ საკვებს ჭამს. მ-თა მატლები თევზების, ამფიბიების, ფრინველების, ხელფრთიანებისა და მწერიჭამიების საკვებია, რითაც დიდი წვლილი შეაქვთ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში. ბინადრობს სუფთა წყალში, ამდენად მისი მდინარეში აღმოჩენა წყლის სისუფთავეზე მიუთითებს.

ა. ბუხნიკაშვილი.

მეგალითი (ბერძნ. μέγας – დიდი, λίθος – ქვა), დაუმუშავებელი ან ოდნავ დამუშავებული ქვის დიდი მონუმენტი, ან დიდი ქვებით ნაგები სტრუქტურა. მეგალითური ძეგლები ძირითადად პრეისტორიული ეპოქისათვის არის დამახასიათებელი.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება უზარმაზარი ლოდებით ნაგები ძველი ნასახლარები და დასაკრძალავები, ვერტიკალურად დაყენებული ოდნავ გათლილი ან დაუმუშავებელი ქვები და დიდი ზომის გახვრეტილი ქვები. ყველა ამ ქვის სტრუქტურებს სამეცნ. ლიტ-რაში მ-ები ეწოდება. მეგალითური ძეგლები გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებით (მენჰირები, *კრომლეხები*, დოლმენები, ,,ციკლოპური'' ნაგებობები, მეგალითური სამლოცველოები, კაირნები/ყორღანები). ზოგი მათგანი უძველესი დროის საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობა იყო, ზოგი – საკულტო და სარიტუალო, ზოგიც – გარდაცვლილთა განსასვენებელი. უძველესი მ-ები გავრცელებულია ყველა კონტინენტზე ავსტრალიის გარდა. მრავლად გვხვდება ატლანტის ოკეანის ევრ. სანაპიროზე – ბრიტანეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსა და სანაპიროებზე. მეგალითური ძეგლები გვხვდება ინდოსტანის ნ.-კ-ზე და შორეულ აღმ-ში. ძალზე მნიშვნელოვანი მეგალითური კომპლექსები მდებარეობს ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში.

საქართველოში არსებულ მეგალითურ ძეგლებს მიეკუთვნება: 1. მენჰირები; 2. მიცვალებულთა მეგალითური სახლები (დოლმენები და ყორღანები); 3. მეგალითური სამლოცველოები; 4. მეგალითური არქიტ. კომპლექსები (საცხოვრებელი და თავდაცვითი).

მ ე ნ ჰ ი რ ი (ბრეტონ. menhir<men – ქვა და hir – გრძელი) ვერტიკალურად დაყენებული ქვის სვეტია, რ-ის ზედაპირი ხშირად ადამიანის მიერ არის დამუშავებული. საქართვ. ტერიტ-ზე არსებული მენჰირების შესახებ ინფორმაცია XIX ს. მიწურულს გაჩნდა, ინტენსიური შესწავლა კი XX ს. 20–30-იან წლებში დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს.

მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა მ ე გ ა ლ ი თ უ რ ი ს ა ხ ლ ე ბ ი ა მიცვალებულის დასაკრძალავ ნაგებობათა ნაწილი – დოლმენები და ყორღანები. დ ო ლ მ ე ნ ი (ბრეტონ. tol – მაგიდა და men – ქვა) სამარხი ნაგებობაა, რ-იც დგას მიწის ზევით. აგებულია ვერტიკალურად დაყენებული დიდი ზომის ფილებით და გადახურულია ასეთივე ქვებით. დოლმენები გეგმაში ტრაპეციის ან ოთხკუთხა, იშვიათად კი წრიული ფორმისაა. არქიტექტურულად შედარებით სრულყოფილი ფორმა არის ხუთი ან ექვსი ქვის ფილისგან შედგენილი ქვის ყუთი. დოლმენს წინა კედელში დატანებული აქვს მრგვალი ან ოვალური ფორმის ნახვრეტი (იხ. *აფხაზეთის დოლმენები*).

ყ ო რ ღ ა ნ ი, ანუ გორასამარხი, წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვს, მთას, რ-ის ქვეშ გამართულია დასაკრძალავი ნაგებობა ან სამარხი კამერა. ყორღანის ყრილს ხშირად დიდი ქვებით შედგენილი კრომლეხი შემოუყვება. საქართვ. ტერიტორიაზე ფიქსირებული ბრინჯაოს ხანის ყორღანები წრიული ან კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის გეგმარებისაა. ისინი 1,5 –12,0 *მ* სიმაღლის ბორცვებია, რ-თა არქიტ. სახე წაკვეთილი კონუსის ან პირამიდის მსგავსია (იხ. *თრიალეთის კულტურა*).

მენჰირები, დოლმენები და ყორღანები ძირითადად ძვ. წ. III–II ათასწლ. პირველი ნახევრით თარიღდება.

მ ე გ ა ლ ი თ უ რ ი ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო ე ბ ი ს ჯგუფს მიეკუთვნება ,,ციკლოპური'' მშენებლობის ტექნიკით ნაგები კომპლექსები, რებიც მაღალი მთის მწვერვალზეა განთავსებული და აქვთ გამაგრებული ცენტრ. ნაწილი (შაორი, აბული, თევზისი და სხვ). ამ კომპლექსებთან დაკავშირებულია მცირე ზომის (1,5–4 *მ*²; სიმაღლე 1,0–1,2 *მ*) წრიული გეგმარების სენაკები (საცხოვრებლად ან სამეურნეო მიზნებით გამოყენება გამორიცხული იყო). მათ საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს სარიტუალო-საპროცესიო გზები, საკულტო მოედნებზე და ცენტრ. კომპლექსისაკენ მიმავალი გზის პირას აღმართული მენჰირები.

მ ე გ ა ლ ი თ ურ ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ულ კ ო მ პ ლ ე ქ ს ებ ს მიეკუთვნება ის თავდაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობები, რ-ებიც დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით არის ნაგები. ამ ჯგუფის ძეგლები ორად იყოფა: 1. მ ე გ ა ლ ი თ უ რ ი ც ი ხ ე ს ი მ ა გ რ ე ე ბ ი და ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ე ბ ი – უძველესი დასახლებები, რ-თაც დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვით ნაგები (მხოლოდ მშრალი წყობა) გალავანი აკრავთ (ბეშთაშენი, თეზი, უწყლო კოხაჯი და სხვ.). მათი თარიღის დადგენა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებით უდუღაბო შენება სამხრ. კავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულიდანაა გავრცელებული, თუმცა ამ ეპოქის დასახლებებს მეგალითური წყობით ნაგები თავდაცვითი კედლები არ გააჩნია. ამ ტიპის მშენებლობა ძვ. წ. XVI ს-იდან იწყება და ძვ. წ. VI ს. მიწურულამდე გრძელდებოდა; 2. დ ა რ ნ ე ბ ი – მიწისქვეშა საცხოვრებელი და თავდაცვითი კომპლექსი – ,,კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი, სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად'' (ს.-ს. ორბელიანი) გავრცელებულია მთელ საქართველოში. გვხვდება ორი ტიპის: ა) დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე გამართული. მათი



მეგალითი. აფხაზური დოლმენი. თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.



ი. მეგრელაძე.

მცირე ნაწილი არქეოლოგიურად შესწავლილია. იქ აღმოჩენილი არტეფაქტები შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, თუმცა ეს არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ ისინი, შესაძლებელია, უფრო ადრეულ ეპოქას მიეკუთვნებიან; ბ) დასახლებული პუნქტებიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე (მაგ., გოხნარი, ლოდოვანი, ზემო ბეშქენაშენი). ზოგიერთი მოსაზრებით ეს ნაგებობები უფრო ადრეულ ეპოქას მიეკუთვნება და შუა საუკუნეებში მათი მეორეული გამოყენება მოხდა.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938; ნარიმანიშვილი გ., სიახლენი თრიალეთის კულტურაში, თბ., 2009; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ., კვაჭაძე მ., თრიალეთი. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, თბ., 2018; ნარიმანიშვილი გ., შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი დ., საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები, თბ., 2020; ტატიშვილი თ., მიწისქვეშა ნაგებობანი მტკვრის ხეობის ზემო წელზე, ,,ძეგლის მეგობარი'', 1970, №21; Мшвениерадзе Д., Строительное искусство в Древней Грузии, Тб., 1959; Цвинария И., Новые памятники дольменной культуры Абхазии, Тб., 1990; Цицишвили Н., История грузинского зодчества, Тб., 1955; Mepisaschvili R., Zinzadze V., Georgian Werbauten und Kirchen, Lpz, 1986; Narimanischvili G., Schanschaschvili N., Zu den zyklopischen Siedlungen in Trialeti, Georgica, Konstanz, 2001; Narimanishvili G., Shanshashvili N., Narimanishvili D., Menhirs from South Caucasus – International Symposium on East Anatolia – South Caucasus Culture, Proceedings, I, 212–220, Camb. 2015; Narimanishvili G., Shanshashvili N., Narimanishvili D., The megalithic monuments of Georgia, Tb., 2022.

გ. ნარიმანიშვილი.

მეგასთენე (ლათ. Megasthenes), ძვ. წ. IV–III სს. ბერძენი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და გეოგრაფი, სავარაუდოდ, იონიის მკვიდრი. სელევკე I ნიკატორის დავალებით იგი სათავეში ჩაუდგა ელჩობას ინდოეთის მეფე ჩანდრაგუპტასთან. ძვ. წ. 302–291 იმყოფებოდა დედაქალაქ პატალიპუტრაში. თავის თხზულებაში ,,ინდოეთი'' აღწერა ამ ქვეყნის ანტიკური ეპოქა. თხზულების მეორე წიგნში მ. ამბობს, რომ ბაბილონელთა მეფე ნაბუქოდონოსორი სიმამაცითა და საგმირო საქმეებით ჰერაკლეს აღემატებოდა, რადგან ლიბიისა და იბერიის ტერიტ. მეტი წილი დაიპყრო და მოსახლეობის ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვ. მხარეს დაასახლა. ასევე აქვს ცნობა იბერთა პირინეიდან შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე გადმოსახლების შესახებ.

ლიტ.: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961; ჯავახიშვილი ივ., საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1998 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.11); Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

„მეგობარი'', ქართული ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1906–07. რედ.-გამომც. – გ. რცხილაძე. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ლ. ბოცვაძე, გ. დიასამიძე, ა. ფრონელი, ა. სარაჯიშვილი, ი. ნაკაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, მ. ცაგარელი, მ. ბოლქვაძე და სხვ. დაიხურა 1907 წ. 3 იანვარს მთავრობის განკარგულებით.

მეგრელაძე დარეჯან გაბრიელის ასული (19. VI. 1924, თბილისი, – 15. VII. 2010, იქვე), ისტორიკოსი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1995). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1946). 1950–52 მუშაობდა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბაში, 1952–2006 – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტის ფეოდ. ხანის ისტორიის განყ-ბაში. კითხულობდა ლექციებს სტუ-ში.

მ-ის კვლევის ძირითადი სფერო იყო სოც. ურთიერთობანი ფეოდ. საქართველოში, მუშაობდა წყაროთმცოდნეობის მიმართულებითაც. ეკუთვნის ისეთ მნიშვნელოვან წყაროთა პუბლიკაციები, როგორებიცაა: ,,სახლთუხუცესის რიგი და შესავალი'' (1953); ,,მასალები XVIII ს. 20-იანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის'' (1960); ,,ჯულაბაშვილების დავთარი'' (1963); ,,შაჰნავაზ მეფის ასულის მზითვის წიგნი'' (1997). არის სამეცნ. სტატიებისა და 3 მონოგრაფიის ავტორი, საქართველოს ისტორიის ნარკვევების (ტ. 4, თბ., 1973), თბილისის ისტორიის (ტ. 1, თბ., 1990), История крестьянства СССР с древнейших времён до Великой Октябрьской Социалистической революции (М., 1987) თანაავტორი; იყო ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ქ. შარაშიძის, ი. დოლიძის, ვ. გამრეკელის, ა. ბაქრაძის, მ. იაშვილის შრომების რედაქტორი და გამომცემელი. მისი არქივი დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართვ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედალი და ნ. ბერძენიშვილის სახ. პრემია (1998).

თხზ.: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967; გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII–XVIII სს.), თბ., 1979; საქართველოს გლეხობა XIII–XV საუკუნეებში, თბ., 1991.

ლიტ.: დარეჯან მეგრელაძის გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, ,,კლიო'', 2004, №22.

დ. კლდიაშვილი.

მეგრელაძე ირაკლი ილიას ძე (დ. 27. VIII. 1938, თბილისი), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2005), ემერიტუსი (2015), საქართვ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). 1962 დაამთავრა თსსი. 1962–63 მუშაობდა ბორჯომის სანატორიუმის ექიმ-ორდინატორად. 1967–77 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კარდიოლოგიის კათედრის ასისტენტი; 1977–98 – ამავე ინ-ტის (შემდგომში თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემია) თერაპიისა და კარდიოლოგიის კათედრის დოცენტი, პროფესორი (1998–99); 1999–2005 – კათედრის გამგე, კარდიოლოგიის სარეზიდენტო პროგრამის დირექტორი; 1991–92 – ჯანდაცვის და სოც. უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, მინისტრი; 2006–15 – თსსუ-ის კარდიოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, შეთავსებით – შპს ,,კარდიოლოგიური კლინიკის'' დირექტორი (2003–11); 2011–22 – ,,ამტელ ჰოსპიტალ – პირველი კლინიკური საავადმყოფოს'' კარდიოლოგიის დეპარტამენტის, 2022-იდან კი ,,ჯეო ჰოსპიტალსის'' კარდიოლოგიური განყ-ბის ხელმძღვანელი, იმავე წელს აღნიშნულ განყ-ბას მიენიჭა ი. მეგრელაძის სახელი.

მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, რ-ებიც მოიცავს კლინიკური და ექსპერ. მედიცინის ფართო სპექტრს (ელექტროფიზიოლოგია, კარდიოლ. დაავადებათა პათოგენეზი, დიაგნოსტიკა და ფარმაკოთერაპია). ნაშრომისათვის ,,მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მოწინავე გამოცდილების დანერგვისთვის 1966–79 წლებში'' მ-ს მიღებული აქვს სახელმწ. პრემია (თანაავტორებთან ერთად), ასევე სხვა სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998). არის მრავალი სამეცნ. საზ-ბისა და ასოციაციის წევრი.

თხზ.: პლაფერონი, კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, თბ., 2011.

მეგრელები, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი, დასავლეთ

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – *სამეგრელოს* (მდებარეობს მდ. – ცხენისწყალსა და ენგურს შორის) მკვიდრნი, მეტყველებენ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე – მეგრულზე.

მ-ის შესახებ ვახუშტი წერდა: ,,ხოლო კაცნი და ქალნი, გარნა უშუნიერესაცდა და უუჰაეროვნესაცდა, ვინაითგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა სუფთანი, სამოსელთა გამწყსონი; ეგრეთვე ცხენთა და იარაღთა და საჭურველთა: ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემართებულნი‘‘.

ისტორიულად მ. უფრო ვრცელ ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ როგორც ჩრდ.-დას-ის, ისე აღმ-ის მიმართულებით. მ-ის ეთნოგრ. ჯგუფი ანტ. წყაროებში მოხსენიებული *კოლხების* უშუალო მემკვიდრეები არიან. ქართ. წყაროებით ძველად მეგრელთა და აფხაზთა საზღვარი მდ. ფსირცხაზე (ანაკოფიისწყალი) გადიოდა, შემდეგ (XVII ს. I ნახ.) კელასურზე ბოლოს (XVIII ს. დასაწყისი) კი – მდ. ღალიძგაზე გადმოინაცვლა, მ-ის განსახლების არეალის (ჩრდ.-დას-ით) უფრო შორს გავრცელებას ადასტურებს მათი ყველაზე ძლიერი და საერთო სალოცავი დღევანდელი სამურზაყანოს დას. საზღვარზე – ილორი. უფრო ჩრდ-ით მ-ის განსახლებაზე მეტყველებს XIII ს. წებელდის წარწერაც, რ-შიც მოხსენიებულია ლუკა მარტინავა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ XVI–XVII სს-ში თანამედროვე აფხ. ტერიტორიიდან აღმ-ით მ-ის ჯგუფური გადმოსვლის მიზეზი იყო ჩრდ. კავკასიელთა თარეში, რის გამოც დაუცველი მოსახლეობა ენგურს აქეთ სახლდებოდა.

ქართველთა სხვა ეთნოგრ. ჯგუფებისაგან განსხვავებით, მ-ს და სვანებს სალიტ. ენისაგან დაშორებული მეტყველება გააჩნიათ. მ. მეგრულ ენას საოჯახო, სალაპარაკო ენად იყენებენ; სახელმწ. სალვთისმეტყველო და სამწერლობო ენა კი ქართულია, ვახუშტი აღნიშნავდა: „და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხუა“. მეგრულში შემორჩენილია საერთო ქართველურის მრავალი ლექსიკური ერთეული.

მ-ის ტრადიციული ყოფა და კულტურა საერთოქართულის შემადგენელი ნაწილი იყო. მთელი რიგი რეალიები კი განსხვავებულმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა (მაგ. დასახლების ფორმა). ზღვის სანაპიროდან დაშორებით მკვიდრობას კი აფხაზებისა და ჩრდ. კავკასიელების თარეშები განაპირობებდა.

მ-ს მჭიდრო სამეურნეო-ეკონ. ურთიერთობა გააჩნდათ დას. საქართვ. სხვა ეთნოგრ. ჯგუფებთან, მაგ., ზაფხულობით საქონლის ჯოგი არა მარტო სამეგრელოს მთებში, არამედ რაჭაში, იმერეთსა და გურიაშიც გადაჰყავდათ.

სამეგრელოს მკვიდრნი გამოირჩეოდნენ სტუმართმოყვარეობით, რასაც უცხოელებიც (მაგ., *არქანჯელო ლამბერტი*) აღნიშნავდნენ. მ. ჭიშკარს არასდროს კეტავდნენ, რათა შემთხვევითი გამვლელი თავისუფლად შესულიყო ეზოში.

ძველად სამეგრელოში დასახლება ძირითადად ერთი გვარისაგან შედგებოდა, რასაც არაერთი სოფლის სახელწოდებაც ადასტურებს (ლესიჭინე, ლეძაძამე, ლეგოგიე, ლეჯიქე, ლეწურწუმე, სამიქავო, საკაჭარავო, საელიავო, საჩიქობავო, საქორქიო...). მ-ის გვარსახელები (მემკვიდრეობითი სახელები) ერთი შეხედვით ორიგინალურია, განსხვავდება ქართველთა სხვა ეთნოგრ. ჯგუფების გვარებისაგან. ისინი ძირითადად ბოლოვდება -ია, -უა, -ა (-ვა) სუფიქსებზე. ს. ჯანაშიამ დაასაბუთა, რომ აღნიშნული ფორმანტით ნაწარმოები გვარები თავის დროზე უძველესი ქართული -იან, -ან, -უან სუფიქსებით იყო გაფორმებული და სვანური გვარების მსგავსად გამოითქმებოდა. „ნ“ თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ მიიღო შემდეგი ფორმა: კვარაცხელია (კვარაცხელიანი) ჯამბურია (ჯამბურიანი), აფაქია//აფაქიძე (აფაქიანი), გაბუნია (გაბუნიანი), კაჭარავა (კაჭარანი), გობეჩია (გობეჩიანი), გვარამია (გვარამიანი), წიფურია (წიფურიანი) და სხვა. იგივე ვითარება გვქონდა ადრე აღმ. საქართველოში, სადაც ამ საერთოქართულ, თავდაპირველ სუფიქსს (-ან) -ძე სუფიქსი ჩაენაცვლა.



მეგრელები. XIX ს.

მეგრული მეტყველებისათვის, ისევე როგორც დას. საქართვ. სხვა ქართ. დიალექტებისათვის, დამახასიათებელი იყო ქალის გვარის წარმოთქმის დროს -ფხე (-ხე) სუფიქსის გამოყენება – ნაცვლად თურქიასი იტყოდნენ თურქიხე, ქორქიასი – ქორქიხე, ალანიასი – ალანიხე, ხორავასი – ხორახე, ჩიჩუასი – ჩიჩუხე და ა. შ.

მეგრულმა ყოფამ, საისტ. დოკუმენტებმა, მამაკაცის არაერთი ძვ. ქართ. სახელი შემოგვინახა, მაგ. 1873 საბუთში, ქრისტ. სახელებთან ერთად, 550-ზე მეტი სახელია დადასტურებული. ინდივიდუალური სახელების ასეთი სიმდიდრით საქართველოს არც ერთი ისტ.-ეთნოგრ. მხარე არ ხასიათდებოდა. მაგ. გავრცელებულია „კოჩის“ სხვადასხვა ვარიანტი: კოჩა, კოჩო, კოჩოია, კოჩილა, ბაბუკოჩი, ბოკოჩი, გეჯიკოჩი, გურიკოჩი, უჩაკოჩი, შუკოჩია, კაკაკოჩი, კოჩივარა. პოპულარული იყო მამაკაცის სახელი „ხახულარა“ (ტაოში არსებული ცნობილი სალოცავის – ხახულის პატივსაცემად).

მ-მა სამეგრელოსათვის დამახასიათებელი მრავალი ორიგინ. ტრადიცია დაამკვიდრეს (მითორგინაფა, გალენიში ორთა, ალერტობა, მირსობა, ჯგერაგუნა და სხვ.).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უაღრესად მელოდიური ხასიათის ხალხ. სიმღერები, მ. შ. მეგრული შრომის სიმღერა „ოდოია“, რ-ის სახელწოდებაში „ოდ“ უკავშირდება ნაყოფიერების ღვთაებას, ღრუბლის ღმერთს. ამ სიმღერის „მუსიკალური ტექსტი შრომის სიმღერათა შორის მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა და მას ქართული მუსიკალური ფოლკლორის შედევრად მიიჩნევენ“ (მ. შილაკაძე).

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973; თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2017; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977; ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976; ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, ტ. 3, თბ., 1959.



დ. მეგრელი.



ვ. მეგრულიშვილი.

რ. თოფჩიშვილი.

მეგრელი დუტუ (დიმიტრი თომას ძე ხოშტარიას ფსევდ.) (26. X. 1867, სოფ. სუჯუნა, ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტი, – 13. III. 1938, თბილისი), მწერალი. ა. *ერისთავ-ხოშტარიას* მეუღლე. 1893 დაამთავრა ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იყო ქართ. ლიტ-რის კლასიკოსთა ჰუმანიტარულ-რეალისტური ტრადიციების მიმდევარი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1886, მოთხრობების პირველი კრებული – 1892, ლექსებისა (,,ცრემლები'') – 1893. მისი ლირიკა ძირითადად პატრ. ხასიათისაა. ლექსებისა და მოთხრობების გარდა ეკუთვნის პოემები, იგავ-არაკები, პუბლიც. წერილები, რუს. და ევრ. კლასიკოსთა თარგმანები. მისი პოპულარული ლექსი ,,მე პატარა ქართველი ვარ'' (1902) და მოთხრობა ,,ქინაქინა'' შესულია ი. გოგებაშვილის ,,დედა ენასა'' და ,,ბუნების კარში''. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, თბ., 1948; ლექსები, პოემები, თბ.,1981.'

ლიტ.: ვართაგავა ი., კრიტიკული წერილები, [ტ.] 1, თბ., 1958; მისივე, ქართველი მწერლების სილუეტები, [ტ.] 1, თბ., 1956; ლომთაძე ნ., დუტუ მეგრელი, ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 2005.

ს. ყუბანეიშვილი.

მეგრელიშვილი გაბრიელ ივანეს ძე (1. I. 1906, სოფ. ზემო ფარცხმა, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 7. XI. 1978, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1930). იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის გამგე (1940–45), სსრკ მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტის ასპირანტურის განყ-ბის გამგე (1945–56), თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი (1968–78).

მ-ის ნაშრომები ეძღვნება ქართ. ეკონ. აზრის ისტორიის საკითხებს და პოლიტ. ეკონ. პრობლემებს.

თხზ.: კაპიტალი, ზედმეტი ღირებულება და ხელფასი კაპიტალიზმის დროს, თბ., 1964; Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX века и начала XX века, т. 1, Тб., 1960, т. 2, Тб., 1959.

ჯ. კახნიაშვილი.

მეგრელიშვილი გრიგოლ გერასიმეს ძე (1898, სოფ. შუა ფარცხმა, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 20. I. 1919, იქვე), პოეტი (ფსევდ. – ,,მთის ნიავი''). თავდაპირველად სწავლობდა ქუთაისში, შემდეგ – თბილ. გიმნაზიაში. 1918 სწავლა განაგრძო ახალდაარსებულ თბილ. უნ-ტში, მაგრამ მალევე თურქ ასკერებთან საბრძოლველად წავიდა. დაიღუპა მათთან უთანასწორო ბრძოლაში ახალციხის მახლობლად, სოფ. უდესთან. პირველი ლექსი 1914 გამოაქვეყნა გაზ. ,,თემში''. წერდა ლექსებს პატრ. თემატიკაზე. ეკუთვნის პოემები: ,,იოანე ნათლისმცემელი და სალომეა'', ,,გალაათიდე'', ,,ქებათა ქება''. მ-ის სახელი კარგა ხანს უცნობი იყო ქართ. საზ-ბისთვის. მისი თხზულებების მოძიებას დიდი ამაგი დასდეს გ. ლეონიძემ, ნ. კეცხოველმა, გ. ფარულავამ. 1973 გამოქვეყნდა მ-ის თხზ. პირველი კრებული ,,შუქურვარსკვლავი''.

ლიტ.: კეცხოველი ნ., განუწყვეტელი მოლოდინი, ,,ლიტერატურული გაზეთი'', 1959, 25 სექტ., ლეონიძე გ., გრიგოლ მეგრელიშვილი (ჭაბუკი პოეტის სიკვდილის ორმოცი წლისთავის გამო), იქვე, 1959, 11 სექტ; ფარულავა გრ., ბედის მდინარე, თბ., 2018.

მ. თუშიშვილი.

მეგრელიშვილი ვახტანგ პავლეს ძე (2. I. 1919, სოფ. ღანირი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 2004), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1965). 1936–38 იყო თბილ. მუშა ახალგაზრდობის, ხოლო 1938-იდან – ქუთაისის თეატრის მსახიობი. შესრულებული როლები: გიორგი სააკაძე, ანზორი (ს. შანშიაშვილის ,,გიორგი სააკაძე'', ,,ანზორი''), ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), ოთარბეგი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ლადო კეცხოველი (გ. ნახუცრიშვილის ,,ლადო კეცხოველი''), ალექსანდრე ჭავჭავაძე (დ. თაქთაქიშვილის ,,გრიბოედოვი''), ოტელო, კენტი (უ. შექსპირის ,,ოტელო'', ,,მეფე ლირი''), კარლ მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), ფრონდოზო (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), ტარიელ გოლუა (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა''), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), და სხვ. მ-მა შექმნა განსხვავებული პერსონაჟების პანორამა. ყოველი მათგანი ავტორის მდიდარ სამსახიობო უნარს, ტემპერამენტს, სცენურ მომხიბვლელობასა და უშუალობას ეფუძნებოდა.



ვ. მეგრელიშვილი – ბაგრატ მეშვიდე.

მეგრელიშვილი თეიმურაზ ირაკლის ძე (14. III. 1925, – 1. II. 1987 თბილისი), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1969). სწავლობდა თბილ. სახელმწ. უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტზე (1956–60). 1942-იდან მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' ოპერატორის ასისტენტად, 1957-იდან – საქართვ. ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდიაში ოპერატორად. თანამშრომლობდა კინორეჟისორ რ. ჭიაურელთან. მ-ის გადაღებულია მისი თითქმის ყველა ფილმი, მ. შ.: ,,ალექსანდრე ციმაკურიძე'', ,,სათაფლია'' (ორივე 1960), ,,იაკობ ნიკოლაძე'' (1961), ,,გიგო გაბაშვილი'', ,,რძე მცხუნვარე მზის ქვეშ'' (ორივე 1962), ,,ქართული შექსპირიანა'' (1964), ,,უკვამლო ცა'', ,,მხატვარი ირაკლი გამრეკელი'' (ორივე 1965), ,,ვერიკო ანჯაფარიძე'', ,,ქართული კერამიკა'' (ორივე 1966), ,,მხატვარი და სივრცე'' (1967), ,,დავით კაკაბაძე'', ,,იქნებ ნახატში გადარჩეს'', ,,უშანგი ჩხეიძე'', ,,ნიკოლოზ შენგელაია'' (ყველა 1968), ,,დუდუკის ჰანგები'', ,,უჩა ჯაფარიძე'', ,,ლადო კეცხოველი'', (ყველა 1969), ,,იყალთოს ნაფუძარზე'' (1970), ,,პირველი ჩოგანი'', ,,სცენის ჯადოქარი'' (ორივე 1972), ,,მთაწმინდის პანთეონი'', ,,ქვის ფარაჯიანი ჯარისკაცები'' (ორივე 1975) და სხვ. სხვა რეჟისორებთან გადაიღო დოკუმენტური ფილმები: ,,ფეხბურთის ოლიმპზე'' (რეჟ. თ. ნოზაძე, 1964), ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'' (რეჟ. ო. გვასალია, 1968), ,,კონტრასტები'' (რეჟ-ები: გ. მონავარდიშვილი, ა. თუშმალიშვილი, 1977), ,,ირაკლი აბაშიძე'', ,,ნოდარ დუმბაძე'' (ორივეს რეჟ. გ. მონავარდიშვილი, 1978), ,,ყვავიან ბაღები'' (რეჟ. ქ. ღამბაშიძე, 1985) და სხვ.

მ. კერესელიძე.

მეგრელიშვილი ლევან ივანეს ძე

(25. XI. 1930, ზესტაფონი, – 29. VIII. 1998, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1990). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1954). მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო სამშ.-სამონტაჟო ტრესტ ,,ამიერკავკასტრანსმშენის'' მმართველი, შემდეგ გენ. დირექტორი (1986–98); ხელმძღვანელობდა ამიერკავკ. რკინიგზის მარაბდა – ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის, თბილ. რკინიგზის სადგურის კომპლექსის, ასევე სხვა ობიექტების მონაწილეობდა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების, სკოლების, რკინიგზის ობიექტების მშენებლობასა და აღდგენაში; ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში. მიღებული აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია (1988) და სხვა სახელმწ. ჯილდოები.

მეგრელიშვილი ნოე გიორგის ძე [6(18). X. 1898, სოფ. შუა ფარცხმა, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 1989], თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1964).

1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1935-იდან მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თერაპიის კათედრაზე, 1959–69 იყო კათედრის პროფესორი, 1969–74 – კათედრის გამგე.

მ. იკვლევდა რევმატიზმს, გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მეგრელიძე ავქსენტი ვასილის ძე (1. I. 1877, სოფ. ხრიალეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 12. XII. 1953, თბილისი), ლოტბარი, ხალხური სიმღერების შემკრები, ხალხ. გუნდების დამაარსებელი; ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1898 დაამთავრა ქუთაისის სას. სემინარია. 1893-იდან იყო ფოთის სას. სასწავლებლის სიმღერა-გალობის მასწავლებელი, 1900-იდან – ფოთის საეკლ. გუნდის ლოტბარი, პედაგოგი. აქვე დააარსა ქართ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რ-საც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 1917 ჩამოაყალიბა 30-კაციანი გუნდი და იყო მისი ლოტბარი. 1933 თბილისში დააარსა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, სადაც აღიზარდნენ ჩონგურის დაკვრის ოსტატები: ე. ჭუბაბრია, მ. თედიაშვილი, ნ. მილორავა და სხვ. მოგვიანებით ანსამბლი შეუერთდა დას. საქართველოს ეთნოგრ. გუნდს. 1940–46 ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ინსტრუმენტულ ჯგუფს, აგრეთვე საქართვ. რადიოკომიტეტთან არსებულ ქართ. ხალხ. გუნდს. მ-მ შეკრიბა და ჩაწერა მრავალი ხალხ. (კერძოდ გურული) სიმღერა და აქტიურ პროპაგანდას უწევდა მას. დიდი წვლილი მიუძღვის ხალხ. საკრავების მოძიების, შესწავლისა და განვითარების საქმეში.

ლიტ.: მოისწრაფიშვილი ნ., ავქსენტი მეგრელიძე, თბ., 2008; ქუთათელაძე რ., ახალ მცენარეთა აღმოსაცენებლად, ,,მუსიკა'', 2010, №2.

გ. ჩხიკვაძე.

მეგრელიძე თამაზ იაკობის ძე (20. XII. 1937, მახარაძე, ახლანდ. ოზურგეთი, – 8. X. 2022, თბილისი), კვების მრეწველობის დარგის სპეციალისტი. ტექნ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2002), საქართვ. დამს. გამომგონებელი (1983). 1961 დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ). მუშაობდა იქვე კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობებისა და წარმოების ავტომატიზაციის კათედრაზე, ხოლო 1967–2019 ხელმძღვანელობდა კვების ინდუსტრიის დეპარტამენტს. მ-ის სამეცნ. კვლევები ეხება კვების პროდუქტების წარმოების პროცესებსა და აგრეგატებს. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონებების. ეწეოდა ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას.

თხზ.: კვების საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები, თბ., 1989.

მეგრელიძე იოსებ ბართლომეს ძე (9. IV. 1909, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 29. I. 1996, თბილისი), ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1966), მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). 1931 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1950-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტ-რის ისტორიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი. ეკუთვნის ნაშრომები ქართ. და ქართველური, დაღ.-დიდოური ენების, რუსთველოლოგიისა და ქართ. მწერლობის, ქართ. და კავკ. ფოლკლორის, ეთნოგრ., არქეოლ., ეპიგრაფიკის საკითხებზე. მ. შ. აღსანიშნავია მონოგრაფიები: ,,ლაზური და მეგრული შრეები გურულში'' (1938, რუს. ენაზე), ,,რუსთაველი და ფოლკლორი'' (1960, რუს. ენაზე), ,,რუსთველოლოგები'' (1970), ,,იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა. სახელმძღვანელოები და გრამატიკის საკითხები'' (1973, 1988), ,,ჭოლა ლომთათიძე'' (1979) და სხვ. მ-მ გამოსცა ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, ი. მარის, მ. გოგიბერიძის, იუსტ. აბულაძის, ვ. ბერიძის და სხვათა ნაშრომები.

თხზ.: ნ. მარის ცხოვრება და მოღვაწეობა (დაბადების 100 წლისთავის გამო), თბ., 1965; მცირე თეატრალური ლექსიკონი, თბ., 1980; მიხეილ ჯავახიშვილი (მოგონებები მწერლობაზე), თბ., 1981; სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, 2019; ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.



ა. მეგრელიძე.

მეგრელიძე კონსტანტინე (კიტა) რომანოზის ძე [9. IV. 1900, სოფ. ხრიალეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 20. IX. 1944, კიროვის ოლქი (ახლანდ. რფ)], ფილოსოფოსი. მ-ის მამა სას. პირი იყო, მან საშ. განათლება ფოთის გიმნაზიაში მიიღო, 1919 კი თსუ-ში სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე ჩაირიცხა. უნ-ტის დასრულების შემდგომ კომუნისტური პარტიის ცენტრ. სკოლაში დაიწყო მუშაობა, ხოლო 1924 სასწავლებლად გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ფრაიბურგის, ხოლო შემდეგ ბერლინის უნ-ტში განაგრძო სწავლა. 1927 მ. საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო აქტ. სამეცნ. მოღვაწეობა. 1932-იდან მუშაობა დაიწყო ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინ-ტში. ამ დროს გამოქვეყნდა მ-ის პირველი მნიშვნელოვანი სამეცნ. სტატიები: ,,მოარული ცრურწმენების და წინალოგიკური აზროვნების წესის შესახებ (რეპლიკა



ი. მეგრელიძე.



ა. მეგრელიძე. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან არსებული მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით. 1934.

ლევი-ბრიულს)'' და ,,ცხოველთა ცნობიერებიდან ადამიანურისაკენ''. 1936 იგი გარიცხეს კომუნისტური პარტიიდან, ორი წლის შემდეგ კი დააპატიმრეს. 1939 მ. გაათავისუფლეს, მაგრამ 1940 ისევ დააკავეს და კიროვის ოლქში გადაასახლეს. უაღრესად მძიმე პირობების მიუხედავად მას არ შეუწყვეტია სამეცნ. მუშაობა და გადასახლებაში მეორე მონოგრაფიაც დაასრულა, რ-იც დაკარგულია.

მ-ის შემოქმედება XX ს. ქართ. ფილოს. მეტად ღირებულ მემკვიდრეობად არის მიჩნეული. მისი მთავარი ნაშრომი ,,აზრის სოციალური ფენომენოლოგია'' დაწერიდან მხოლოდ 29 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. მ-ის ფილოს. ნაშრომები სათანადო გააზრებას საჭიროებს.

თხზ.: აზრის სოციალური ფენომენოლოგია, თბ., 1990.

ლიტ.: ზედანია გ., რეპრესირებული აზრი. კონსტანტინე მეგრელიძის სოციალური თეორია, თბ., 2017; კოდუა ე., XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1999.

ი. კახიძე.

მეგრელიძე ლიდია ისმაილის ასული (14. VIII. 1883, სოფ. გურიანთა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. VII. 1968, თბილისი), საბავშვო მწერალი, საზოგადო მოღვაწე. დედის გარდაცვალების შემდეგ, 12 წლიდან იზრდებოდა სოფ. აკეთში დეიდასთან. აქ იგი დაუახლოვდა მესამე დასელებს, ჩაერთო არალეგალურ საქმიანობაში, მართავდა წარმოდგენებს, შემოსავალს კი სამკითხველოებს ახმარდა. 15 წლისამ პიესად გადააეთა ე. ნინოშვილის ,,გოგია უიშვილი'', რ-იც ა. წუწუნავამ არალეგალურად დადგა ოზურგეთში. 1900 საცხოვრებლად გადავიდა ფოთში. მონაწილეობდა პოლიტ. საქმიანობაში, დრამ. წრისა და განათლების საზ-ბის დაარსებაში. იცავდა ქალთა უფლებებს. 1905-იდან აქტიურად ჩაება ს.-დ. მუშათა პარტიის საქმიანობაში. 1906-იდან ხელმძღვანელობდა არალეგალურ სტამბას სოფ. ხრიალეთში (გურია). 1915 დააარსა ფოთის ქალთა საზ-ბა და ორი სკოლა: საკვირაო (წერა-კითხვის უცოდინართათვის) და საღამოს კურსები (მცირეწლოვანი ნოქრებისთვის). იყო პირველი ქალი, რ-იც აირჩიეს ფოთის საქალაქო საბჭოში (1917).

მ-ის პირველი ლექსი ,,გაზაფხული'' დაიბეჭდა ჟურნ. ,,ნაკადულში'' (1910). 1925 და 1927 გამოსცა საბავშვო ლექსების ორი პატარა კრებული. თანამშრომლობდა ჟურნ. ,,პიონერთან'', ,,ოქტომბრელსა'' და ,,ნორჩ ლენინელთან''. გარდა მხატვრული ლიტ-რისა, ,,დასელი ქალისა'' და ,,ნამცეცას'' ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს მუშათა ცხოვრებაზე. 1931–32 მუშაობდა პროფკავშირის საბიბლიოთეკო ინსტრუქტორად. ავტორია წიგნებისა: ,,მზია და ფისო''(1939), ,,მარგალიტის მძივები'' (1939), ,,დარღვეული ოჯახი'' (1941), ,,ბუბა და ლელა''(1949), ,,ნანა'' (1951), ,,მშობლიური ცის ქვეშ'' (1955), ,,სახსოვარი'' (1958), ,,განთიადის წინ'' (1961), ,,სიცოცხლისათვის'' (1964), ,,ალიონის ვარსკვლავები'' (1968), ,,ქეთოს მერცხალი'' (1973), ,,პეპლები და დედოფლები'' (1963, 1990).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: ანთიძე ქს., ხოფერია ნ., ქალის კალენდარი, ბათ., 1960; მიქაძე გ., ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, თბ., 1998; მწერალთა ბიოგრაფიები, წგ. 1, თბ., 2013.

ს. მეტრეველი.

მეგრელიძე ჰასან დურსუნის ძე (10. II. 1915, ქობულეთი, – 20. II. 1996, ბათუმი), თეატრის მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1985). 1937 დაამთავრა რუსთაველის თეატრის სტუდია. ამავე წლიდან იყო ბათუმის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ხოზე (გ. მდივნის ,,ალკაზარი''), ბარათაშვილი (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი''), ერეკლე (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ჯემალი, ბიძინა (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'', ,,ორი სპეციალისტი''), ოსიკო (დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი''), ზურიკო, ზაქარია (ს. შანშიაშვილის ,,არსენა'', ,,ფოლადაური''), დაუდ-ბეგი (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), გელიკა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ყაფლანი (გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია''), ზემნუხოვი (ა. ფადეევის ,,ახალგაზრდა გვარდია'') და სხვ. გადაღებულია ფილმში ,,ზღვის მაშვრალნი''(რეჟ-ები: ე. სეშანი, გ. გაბესკირია, 1986). მ. ბათუმის თეატრის მსახიობთა პირველი თაობის წარმომადგენელია. მისი საშემსრულებლო ოსტატობა ორიენტირებული იყო მუდმივ განვითარებაზე. სცენური მომხიბვლელობა და ხასიათების გამოხატვის ორიგინალური მანერა სხვადასხვა ჟანრში მის მიერ შესრულებული როლების წარმატებას განაპირობებდა.

მეგრული ენა, იხ. სტ. *ზანური ენა.*

მეგრული თხა, სარძეო პროდუქტიული მიმართულების მალმწიფებადი და მრავალნაყოფიერი ადრეულა ჯიში. ხალხ. სელექციით გამოყვანილია დას. საქართველოში, სამეგრელოში. გავრცელებულია სამეგრელოში, აფხაზეთში, აჭარაში, გურიასა და იმერეთში. მოაშენეს ჩრდ. კავკასიის მეურნეობებში. განასხვავებენ მ. თ-ის 2 – დაბლობისა და მთის ტიპებს. პირველს უფრო ნაზი კონსტიტუცია აქვს და მერძეულია, მეორეს – ძლიერი კონსტიტუცია და უხეში ძვალეული აქვს და მერძეულ-მეხორცულია. იკვებება კოლხეთის ეკალბარდიან, შამბნარიან და მთის ციცაბო ფერდო-



მეგრული თხა.

ბის საძოვრებით. მ. თ. თეთრია, იშვიათად ჩალისფერი ან ჭრელი. ვაცს აქვს მოხრილი დიდი რქები, ნეზვს – ასეთივე ფორმის მოკლე და წვრილი. ვაცის ცოცხალი მასა 55 *კგ* აღწევს, ნეზვისა – 40 *კგ*-მდე (ახალშობილი თიკნის – 2,5–2,8 *კგ*). ნეზვის ნაყოფიერებაა 140%, ლაქტაციის ხანგრძლივობა – საშ. 250 დღე, მონაწველი – 300–400 *კგ* (მაქს. 739 *კგ*), რ-ის ცხიმიანობაა 4–4,8%. 1935 შეიქმნა მ. თ-ის სახელმწ. ჯიშთსაშენი (ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. მუხური) და სანაშენე ფერმები (წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და სენაკის რ-ნები). 1941 გამოიცა ჯიშის სანაშენე წიგნი. 1974-თვის საქართვ. საზ. მეურნეობაში 18800 მ. თ. იყო; 2014 სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში აღირიცხა 8508 სული. თხის ტყავი ნედლეულია უმაღლესი ხარისხის ტყავეულის გამოსაქნელად.

ლიტ.: გოგოლი გ., საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნება, სასოფლო-სამეურნეო და შინაური ცხოველები, თბ., 2010; ღლიღვიაშვილი ვ., საქართველოს მეთხეობა, თბ., 1996.

გ. გოგოლი.

მეგრული ცხენი, საჯდომ-სასაპალნე ჯიშის ცხენი. მოშენებულია

უხსოვარი დროიდან საქართვ. შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ტანად პატარაა, სიმაღლე (*სმ*-ობით) მინდაოში – 129, ტანის ირიბი სიგრძე – 139,5, გულმკერდის ირგვლივ – 145, ნების ირგვლივი – 16. ძვალმსხვილია, აქვს მშრალი და მაგარი კონსტიტუცია, საშუალოდ მასიური კორპუსი, კარგად აქვს განვითარებული კუნთოვანი სისტემა. ფერად წაბლაა, გვხვდება ლურჯა, იშვიათად – ყორნისფერი. გამოირჩევა განსაკუთრებული შრომისუნარიანობითა (საპალნის მაქსიმალური მასაა 100–130 *კგ*; ცოცხალი მასის– 35–40%) და სიფრთხილით, რის გამოც მშვიდად დადის როგორც მთაგორიან, ისე ჭაობიან ადგილებში. ადგილ. ბუნებრივ-კლიმ. პირობებთან შეგუების გამორჩეული უნარისა და სხვადასხვა სას.-სამ. სამუშაოზე გამოყენების ფართო შესაძლებლობის გამო საჭიროა მისი ხალასად მოშენება.

დ. კობალავა.

მეგრული ჯითელი ჯიში მსხვილფეხა პირუტყვისა, უნივერსალური გამოყენების ჯიში კომბინირებული, სარძევე-სახორცე-მუშა პროდუქტიული მიმართულებისა. გამოყვანილია XIX ს. 60-იან წლებში მეგრელი მეჯოგეების მიერ ადგილ. მცირეტანიანი პირუტყვის სრულყოფით (ქართ. მთის ძროხის მეგრ. ჯილაგის ხალასად მოშენებით). ჯიშის მიღებაზე მუშაობის დაწყების სტიმული იყო ჭიათურის საბადოდან უახლოეს რკინიგზამდე მადნის გადასატანად მუშა პირუტყვსა და რძის პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდა. მომშენებლებიდან განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ძმები კვარაცხელიების საქმიანობა, რ-თა მრავალრიცხოვანი ნახირი ჯიშის სანაშენე ბირთვის პროტოტიპად იქცა. გავრცელებულია სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმში, იმერეთში, აფხაზეთსა და აჭარაში. ცხოველი წითელია, აქვს ქარვის-ფერ-ყვითელი ფერის წვრილი და გრძელი, აშვერილი, ახალი მთვარისებრი ფორმის (უფრო მეტად ხარებში) რქები, თაფლისფერი ჩლიქები, ასევე ვარდისფერი ცხვირის სარკე და ქუთუთოები. ზრდასრული ფურის სიმაღლეა მინდაოში 112–115 *სმ*, ცოცხალი მასა – 300–350 *კგ* (კურო მწარმოებლების, შესაბამისად, 122–127 *სმ* და 450–550 *კგ*); ახალშობილი ხბოს ცოცხალი მასაა 15–22 *კგ*. საძოვრული კვების პირობებში ფურების ლაქტაციური მონაწველი 1200–1500 *კგ* რძეა (4,3–4,5% ცხიმი, 3,3–3,5% ცილა). 1988 ლანჩხუთის რ-ნის სოფ. აკეთის სანაშენე ფერმაში გაუმჯობესებული კვების პირობებში ფურების საშ. მონაწველი იყო 3017 *კგ* (ცხიმიანობა 4,33%). მონაწველის რეკორდი დაამყარა №0641 ფურმა ,,თორიამ'' (4315 *კგ* რძე, ცხიმიანობა – 4,29%); სუქებისას მოზარდეულის სადღეღამისო წონამატი იყო 740 გ, ხოლო ცოცხალი მასა 18 თვის ასაკში – 300 *კგ*, ნაკლავის გამოსავალი – 52%. 1977 ზუგდიდში შეიქმნა მ. წ. ჯ-ის ჯიშთსაშენი, რ-ის დანიშნულება იყო ჯიშის შენარჩუნება, სრულყოფა და ეფექტიანი გამოყენება.

ამჟამად ხალასჯიშიანი ეგზემპლარების სულადობის შემცირების გამო ჯიშს ემუქრება გადაშენება.



მეგრული ცხენი.

ლიტ.: გოგოლი გ., ბარკალაია რ., მეგრული წითელი ჯიშის ძროხა და მეჯოგეთა ყოფა-ტრადიციები, თბ., 2020; გოცირიძე ნ., რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1997.

გ. გოგოლი.

მეგრულ-ჭანური, იხ. სტ. *ზანური ენა.*

მედავითნე, წიგნის მკითხველი, მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბალი რანგის საეკლესიო მსახური. ევალება ლიტურგიკული წიგნების კითხვა (დავითნისა და წმინდა წერილის), ასევე ტიპიკონის კარგი ცოდნა და მისი დაცვა. მ. სას. იერარქიაში არ მოიხსენიება, ის შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ერისკაცი. წიგნის მკითხველის მნიშვნელობასა და როლზე მითითებულია ძველსა და ახალ აღთქმაში. I ს-ში, ლიტურგიკული ღვთისმსახურების დაწყებისას, მ-ის როლი გაიზარდა. ძვ. საეკლ. წეს-განგებით წიგნის მკითხველს საგანგებოდ არჩევდნენ და მასზე აღესრულებოდა მცირე ხელდასხმა (ქიროტესია). მ-ს საეკლ. სამართალი (როგორც მოციქულთა, ასევე სხვა საეკლ. კრების კანონები), სხვადასხვა დარღვევის შემთხვევაში, გაცილებით მკაცრ სასჯელს დაუდგენს, ვიდრე ჩვეულებრივ საერო პირს. მ. საკურთხევლის მსახურად მიიჩნევა და მრევლისგან განსხვავებით აქვს საკურთხეველში შესვლის უფლება. ადრინდელთან შედარებით მისი როლი საეკლ. მსახურებაში გაფართოვდა და მარტო ფსალმუნებისა თუ წმინდა წერილის კითხვით არ შემოიფარგლება.

მედალი, იხ. *მედლები.*

მედანი, სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, მდ. ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: მ., ლარა). ზ. დ. 250 *მ.* წალენჯიხიდან 10 *კმ.* ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 328 მცხ. (2014).

მედგარა (Pulsatilla), მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. აქვთ გრძელყუნწიანი ფრთისებრ ან თითისებრ განკვეთილი ფესვთანური ფოთლები (ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა და ჩხროსებრ შეკრებილი), მარტოული, მეტწილად იისფერი, პირისფერი ან ყვითელი ყვავილები, მრავალი თესლურისაგან შემდგარი ნაყოფი.



მედგარა.

35-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ზომიერ, სუბტროპ. და ნაწილობრივ ცივ სარტყელში. საქართველოში 4 სახეობაა, მათგან ერთი – P. georgica – ენდემია.

იზრდება მთის შუა სარტყლის კლდოვან და ღორღიან ადგილებში, დანარჩენი სამი სახეობა – სუბალპ. და ალპ. მდელოებსა და კლდეებზე. ყველა სახეობა დეკორატიულია.

ი. ლაჩაშვილი.

მედეა, (ბერძნ. Μήδεια, ή), ბერძნული მითოლოგიის გმირი, კოლხეთის მეფის – აიეტის ქალიშვილი. იყო იაზონის, შემდეგ ათენის მეფის ეგეოსის ცოლი. მ-ს მითი დაკავშირებულია არგონავტების ლაშქრობასთან, როდესაც არგონავტები კოლხეთში მოვიდნენ, მ-ს მათი მეთაური იაზონი შეუყვარდა. გადმოცემის თანახმად მ-ს რჩევით იაზონმა შეძლო აიეტისაგან მიცემული ურთულესი დავალებების შესრულება. ამის შემდეგ მ. და იაზონი კორინთში დასახლდნენ მათ შეეძინათ შვილები (იხ. არგონავტების თქმულება). საბოლოოდ კი მ. ისევ კოლხეთში დაბრუნდა და აიეტს ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა.

მ. პერსონიფიკაციაა უძველესი კოლხურ-იბერიული სიბრძნისა და,

კერძოდ, სამედიცინო ცოდნისა. იგი ანტ. ხანის მრავალი ბერძენი მწერლის შთაგონების წყარო გახდა. ევრიპიდემ (ძვ. წ. V ს.) გადაამუშავა ძვ. ბერძნ. თქმულებები და შექმნა ტრაგედია ,,მედეა'', რ-მაც ძირითადად განსაზღვრა მ-ს სახე მთელი შემდგომი პერიოდისათვის. მ-ს და არგონავტების თემა შუა საუკუნეების ევროპაშიც დიდ ინტერესს იწვევდა. ამ ეპოქის ევრ. მწერლობაში მ. წარმოდგენილია არა შურისმაძიებელ ძლიერ პიროვნებად, არამედ სიყვარულისათვის ტანჯულ ქალად. მ. ა. წერეთლის ამავე სახელწოდების დრამ. პოემის გმირია. არსებობს მოსაზრება ტერმინ ,,მედიცინის'' მ-ს სახელიდან მომდინარეობის შესახებ.

ლიტ.: გორდეზიანი რ., არგონავტები, თბ., 1999; ლორთქიფანიძე ო., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986; ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; ფიფია ნ., მედეას სახე შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ინგლისურენოვან მწერლობაში, ,,საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები'', 2016, ტ. 10; შენგელია რ., მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, თბ., 2012; თეიმურაზ ბატონიშვილი ისტორია დაწყებითაგან ივერიისა, სპბ, 1848.

მედვედევი იაკობ სერგის ძე (1848–1923, თბილისი), რუსი ბოტანიკოსი, დენდროლოგი, მეტყევე, კავკასიის ფლორის მკვლევარი, საიდუმლო მრჩეველი. დაამთავრა პეტერბურგის მიწათმოქმედების ინ-ტი (1869). მუშაობდა კავკასიაში მეტყევედ, შემდეგ მიწათმოქმედების სამინისტროს უფლებამოსილ პირად. დაინიშნა კონსულტანტად თბილ. ბოტანიკურ ბაღში (1915). იყო კავკ. მეფისნაცვალთან არსებული საბჭოს წევრი, შემდგომში – ამიერკავკ. სტატისტიკის კომიტეტის თავრის მოადგილე. თავის მონოგრაფიაში ,,კავკასიის ხეები და ბუჩქები'' (,,Деревья и кустарники Кавказа'', 1883) აღწერა 300-ზე მეტი მცენარე, მათი მორფოლოგიურ-სისტემატური და ეკოლოგიური დახასიათება, გავრცელება და სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობა. შეიმუშავა მეთოდი, რ-ის მეშვეობით დგინდება მცენარეთა სინათლისკენ მიდრეკილება სიმაღლესთან შეფარდებით, შეადგინა მცენარეთა ლანდშაფტზე დაფუძნებული კავკასიის ბოტან. დარაიონების სქემა.

თხზ.: Растительность Кавказа: опыт ботанической географии Кавказского перешейка. – Тфл., 1915.

მედიაცია, სამართლებრივი დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომლის შედეგად მხარეები დავას ურთიერთშეთანხმებით აგვარებენ. მ. თანამედროვე მსოფლიოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებად არის აღიარებული. მ-ის გზით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო-სამართლებრივი დავა. მ-ის პროცესი კონფიდენციალურია, რაც ცალკეულ დავათა სპეციფიკის გათვალისწინებით განაპირობებს მის მიმზიდველობას.

მ-ის პროცესს წარმართავს მედიატორი, რ-იც მხარეებს უქმნის მოლაპარაკებისთვის შესაფერის გარემოს, ხელს უწყობს მათ პოზიციების წარმოდგენაში, შესათანხმებელი პირობების ჩამოყალიბებაში. მ-ის შედეგად მედიატორი რაიმე სავალდებულოდ შესასრულებელ გადაწყვეტილებას არ იღებს. მისი მიზანია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. მას ირჩევენ სასამართლო დავის მონაწილე მხარეები მედიატორთა ერთიან რეესტრში შეყვანილი პირებიდან. შეიძლება რამდენიმე მედიატორის შერჩევაც.

მ-ის დაწყების წინაპირობაა მხარეთა შეთანხმება ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლით, ან მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემა. სამედიაციო მორიგება წერილობით დგება. მას ხელს აწერენ მხარეები და მედიატორი. მხარეთა შეთანხმებით მორიგებას აღასრულებს სასამართლო. მხარეს უფლება აქვს მ-ის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას მასში მონაწილეობაზე. შესაძლებელია, მ. შეთანხმებით არ დასრულდეს. თუ საქმე მ-ს სასამართლოსგან გადაეცა, ის განსახილველად მასვე უბრუნდება. მედიატორის ანაზღაურება განისაზღვრება მხარეებსა და მედიატორს შორის შეთანხმებით.

ი. უჯმაჯურიძე.

რუკების სია

(ფრჩხილებში მითითებულია გვერდები)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (257), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (283), ლენტეხის მუნიციპალიტეტი (335), მარაბდა-კარწახის რკინიგზის სქემა (523), მარნეულის მუნიციპალიტეტი (547), მარტვილის მუნიციპალიტეტი (551).

პირობითი აღნიშვნები რუკებზე

დასახლებული პუნქტები

ადმინისტრაციული მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს დედაქალაქი
- ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები
- ქალაქები
- მუნიციპალიტეტების ცენტრები
- დაბები
- თემების ცენტრები
- სოფლები

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით

თბილისი	1 000 000-ზე მეტი
ქუთაისი	100 000 – 500 000
ზუგდიდი	50 000 – 100 000
გორი	10 000 – 50 000
პატარძეული	10 000-ზე ნაკლები

საზღვრები

- სახელმწიფო
- ავტონომიური რესპუბლიკების
- საქართველოს მუნიციპალიტეტების
- ნაკრძალების

გზები

- რკინიგზები
- მაგისტრალური საავტომობილო
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის
- უღელტეხილები
- ნავსადგურები
- აეროპორტები

სხვადასხვა აღნიშვნები

- სამელიორაციო არხები
- მდინარეები და ჩანჩქერები
- პერიოდულად შრობადი მდინარეები
- ა - წყალსაცავები და ტბები, ბ - მლაშე ტბები
- ჭაობები
- • 2757 სიმაღლეების ნიშნულები ზღვის დონიდან მეტრობით

ენციკლოპედია „საქართველოში“ მიღებული ძირითადი შემოკლებანი

აბსოლ.– აბსოლუტური
აბსტრ. – აბსტრაქტული
აგვ.– აგვისტო, აგვისტოსი
აგრ. – აგრარული
აგრონ. – აგრონომიისა, აგრონომიული
ადგილ. – ადგილობრივი
ადიღ. – ადიღური (ენები)
ადმ.– ადმირალი (გვართან)
ადმ. – ადმინისტრაციული, ადმინისტრაციისა
ადმ.–ტერ. – ადმინისტრაციულ–ტერიტორიული
ადრინდ. – ადრინდელი
ავტომ. – ავტომატური
ავტონ. – ავტონომიური, ავტონომიისა
აზერბ. – აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანისა, აზერბაიჯანული
ათასწლ. – ათასწლეული
აკად. – აკადემიისა, აკადემიური
აკად. – აკადემიკოსი (მხოლოდ გვართან)
ალბ. – ალბანელი, ალბანეთისა, ალბანური
ალპ. – ალპური
ამბულ. – ამბულატორია, ამბულატორიული
ამერ.–ამერიკელი, ამერიკისა, ამერიკული
ამიერკავკ. – ამიერკავკასიისა
ანატ. – ანატომიისა, ანატომიური
ანთროპოლ. – ანთროპოლოგიისა, ანთროპოლოგიური
ანტ. – ანტიკური
აო – ავტონომიური ოლქი (სახელწოდებასთან)
აპრ. – აპრილი, აპრილისა
არ – ავტონომიური რესპუბლიკა
არაბ. – არაბთა, არაბეთისა, არაბული
არამ. – არამეული
არითმ. – არითმეტიკისა, არითმეტიკული
არქ. – არქაული
არქეოლ. – არქეოლოგიისა, არქეოლოგიური
არქიტ. – არქიტექტორი (გვართან), არქიტექტურისა, არქიტექტურული
ასსრ – ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ასტრონ. – ასტრონომი (გვართან), ასტრონომიისა, ასტრონომიული
ატმ. – ატმოსფერული
აფრ. – აფრიკელი, აფრიკისა, აფრიკული
აფხ. – აფხაზი, აფხაზეთისა, აფხაზური
აქტ. – აქტიური
აღმ. – აღმოსავლეთი (აღმ. საქართველო – მსაზღვრელად)
აღმ-ით – აღმოსავლეთით
აღმასრ.– აღმასრულებელი
აღწ.–აღწერა, აღწერით
ახ. – ახალი
ახლანდ. –ახლანდელი
ახ. სტ. – ახალი სტილით (თარიღთან)
ახ.წ. – ახალი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
ბალნეოლ.– ბალნეოლოგიური
ბერძნ. – ბერძნული
ბიბლ. – ბიბლიური
ბიბლ.–ბიბლიოგრაფია (თხზულებებთან)
ბიბლიოგრ.–ბიბლიოგრაფიული
ბიზანტ. – ბიზანტიელი, ბიზანტიისა, ბიზანტიური
ბიოგრ. – ბიოგრაფიული
ბიოლ. – ბიოლოგიისა, ბიოლოგიური
ბიოქიმ. – ბიოქიმიისა, ბიოქიმიური
ბ–კა – ბიბლიოთეკა
ბოტან. – ბოტანიკისა, ბოტანიკური
ბურჟ. – ბურჟუაზიისა, ბურჟუაზიული
გ. – გარდაიცვალა (თარიღთან)
გაერთ. – გაერთიანებული
გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გაზ.– გაზეთი (სახელწოდებასთან)
გამომც.– გამომცემლობა
გამოც. – გამოცემა
განმათ. – განმათავისუფლებელი
განმან. – განმანათლებელი
განტ.–განტოლება, განტოლებისა
განყ–ბა – განყოფილება (ყველა ბრუნვაში)
გენ.–გენერალი (გვართან), გენერალური
გენ.-ლ.–გენერალ-ლეიტენანტი
გენ.-მ. – გენერალ-მაიორი
გენ.-პ.– გენერალ-პოლკოვნიკი
გენეტ. – გენეტიკური
გეოგრ. – გეოგრაფიისა, გეოგრაფიული
გეოდ. – გეოდეზიისა, გეოდეზიური
გეოლ. – გეოლოგიისა, გეოლოგიური
გეომ. – გეომეტრიისა, გეომეტრიული
გერმ. – გერმანელი, გერმანიისა, გერმანული
გვიანდ. – გვიანდელი
გირვ. სტერლ. – გირვანქა სტერლინგი
გრამატ. – გრამატიკისა, გრამატიკული
გრაფ. – გრაფიკისა, გრაფიკული
გუბ. – გუბერნია (სახელწოდებასთან), გუბერნიის
დ.– დაიბადა (თარიღთან)
დაახლ.–დაახლოებით
დამს. არტ. – დამსახურებული არტისტი (მოღვაწე და სხვ.)
დას. – დასავლეთი (დას. ციმბირი– მსაზღვრელად)
დას-ით – დასავლეთით
დაღ. – დაღესტნელი, დაღესტნისა, დაღესტნური
დეკ. – დეკემბერი, დეკემბრისა
დეკორ. – დეკორატიული
დემოგრ. – დემოგრაფიული
დემოკრ. – დემოკრატიული
დეპ. – დეპუტატი
დეპარტ. – დეპარტამენტი (სახელწოდებასთან)
დიალექტ. – დიალექტიკური
დიდაქტ. – დიდაქტიკური
დინამ.– დინამიკური
დიპლ. – დიპლომატიური
დრამ. – დრამატული
დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ებრ. – ებრაელი, ებრაული
ეგზ. – ეგზემპლარი
ევოლ. – ევოლუციისა, ევოლუციური
ევრ. – ევროპელი, ევროპისა, ევროპული
ეთნ. – ეთნიკური
ეთნოგრ. – ეთნოგრაფიისა, ეთნოგრაფიული
ეკოლ. – ეკოლოგიისა, ეკოლოგიური
ეკონ. – ეკონომიკისა, ეკონომიკური, ეკონომიური
ენათმეცნ. – ენათმეცნიერებისა, ენათმეცნიერული
ენერგეტ. – ენერგეტიკისა, ენერგეტიკული
ეროვნ. – ეროვნული
ესთეტ. – ესთეტიკისა, ესთეტიკური
ეტიმოლ. – ეტიმოლოგიისა, ეტიმოლოგიური
ეუთო–ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
ექსპ. – ექსპორტული
ექსპერ. – ექსპერიმენტული
ვერტ. – ვერტიკალური
ვეტ. – ვეტერინარიისა, ვეტერინარული
ვულკ. – ვულკანისა, ვულკანური
ზ. დ. –ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემებთან)
ზოოლ. – ზოოლოგიისა, ზოოლოგიური
ზოოტექ. – ზოოტექნიკისა, ზოოტექნიკური
თავ–რე – თავმჯდომარე
თარგმ. – თარგმანი, თარგმნილი
თბილ.–თბილისი, თბილისის
თეატრ. – თეატრისა,თეატრალური
თებ. – თებერვალი, თებერვლისა
თეოლ. – თეოლოგიისა, თეოლოგიური
თეორ. – თეორიული
თსსი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქ. – თურქეთისა, თურქული
თხზ. – თხზულება, თხზულებათა
თხზ. კრ. – თხზულებათა კრებული
თხზ. სრ. კრებ. – თხზულებათა სრული კრებული
იანვ. –იანვარი, იანვრისა
იდეალ. – იდეალისტური
ივლ. – ივლისი, ივლისისა
ივნ. –ივნისი, ივნისისა
იმპ. – იმპერატორი (სახელთან)
იმპერიალ. – იმპერიალისტური
იმპორტ. – იმპორტული
ინგლ. – ინგლისური
ინგუშ. – ინგუშეთისა, ინგუშური
ინდივიდ. –ინდივიდუალური
ინდოევრ. – ინდოევროპული
ინჟ. – ინჟინერი (გვართან)
ინტენს. – ინტენსიური
ინ-ტი – ინსტიტუტი (ყველა ბრუნვაში)
ირან. – ირანელი, ირანისა, ირანული
ისტ. – ისტორიისა, ისტორიული
იტალ. – იტალიელი, იტალიისა, იტალიური
იურიდ. – იურიდიული
კ. –კუნძული (სახელწოდებასთან)
კავკ. – კავკასიელი, კავკასიისა, კავკასიური
კათოლ. –კათოლიკური
კანდ. – კანდიდატი, კანდიდატისა
კაპიტ. – კაპიტალური
კაპიტალ. – კაპიტალისტური
კ-ები – კუნძულები
კერამ. – კერამიკისა, კერამიკული
კვადრ. – კვადრატული
კიბერნ. – კიბერნეტიკისა, კიბერნეტიკული
კლიმ. – კლიმატისა, კლიმატური
კლინ. – კლინიკური, კლინიკის
კოლონ. – კოლონიური
კოლხ. –კოლხური
კომპ.–კომპოზიტორი (გვართან)
კომპლ. – კომპლექსური
კომპოზ. – კომპოზიციური
კომუნ. – კომუნალური
კონკრ. – კონკრეტული
კონსერვ. – კონსერვატორია, კონსერვატორიისა
კონსტ. – კონსტიტუციისა, კონსტიტუციური
კონსტრ. – კონსტრუქციისა, კონსტრუქციული
კოსმ. – კოსმოსისა, კოსმოსური
კრებ. – კრებული
კრიტ. – კრიტიკისა, კრიტიკული
კულტ. – კულტურისა, კულტურული (საზღვრულთან)
კურ. – კურორტი (სახელწოდებასთან)
კუსტ. – კუსტარული
ლაბორ. – ლაბორატორიის, ლაბორატორიული
ლაზ. – ლაზური
ლათ. – ლათინური
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლირ.– ლირიკული
ლიტ. – ლიტერატურული
ლიტ-რა – ლიტერატურა
მ.– მუხლი (კოდექსის)
მაგ. – მაგალითად
მაგნ. – მაგნიტური
მათ. – მათემატიკისა, მათემატიკური
მანუფ. – მანუფაქტურისა, მანუფაქტურული
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მატერ. – მატერიალური
მატერიალ. – მატერიალისტური
მაქს. – მაქსიმალური, მაქსიმუმი
მახლ. – მახლობელი (აღმოსავლეთთან)
მდ. – მდინარე (სახელწოდებასთან)
მეგრ. – მეგრული
მედ. – მედიცინისა
მეთოდოლ. – მეთოდოლოგიისა, მეთოდოლოგიური
მელიორ. – მელიორაციისა, მელიორაციული
მეტალ. – მეტალურგიისა, მეტალურგიული
მეტეოროლ. – მეტეოროლოგიისა, მეტეოროლოგიური
მეტროლ. – მეტროლოგიისა, მეტროლოგიური
მექან. – მექანიკური, მექანიკისა
მეცნ. – მეცნიერებისა, მეცნიერული, მეცნიერებათა
მთ. – მთავარი (თანამდებობასთან)
მითოლ. – მითოლოგიისა, მითოლოგიური
მინ. – მინიმალური, მინიმუმი
მინერ. – მინერალური
მოთხრ. –მოთხრობა (სათაურთან)
მონუმ. – მონუმენტური
მორფოლ.– მორფოლოგიისა, მორფოლოგიური
მოსახლ. – მოსახლეობა, მოსახლეობისა
მოსკ. – მოსკოვი, მოსკოვისა
მოსწ. – მოსწავლე
მოძვ. – მოძველებული
მრ.რ. – მრავლობითი რიცხვი
მრეწვ. – მრეწველობა, მრეწველობისა
მუს. – მუსიკის, მუსიკალური
მუსლ. – მუსლიმანური
მცხ. – მცხოვრები
მწვ. – მწვერვალი (სახელწოდებასთან)
მხ.რ. – მხოლობითი რიცხვი
ნამდვ. – ნამდვილი (გვარი, სახელი)
ნატო – ჩრდილო–ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
ნაწ. – ნაწილაკი, ნაწილი
ნახ. – ნახაზი
ნახ. – ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნ.-კ. – ნახევარკუნძული

ნოემბ. – ნოემბერი, ნოემბრისა
ობსერვ. – ობსერვატორია
ოკ. – ოკეანე (სახელწოდებასთან)
ოპტ. – ოპტიკისა, ოპტიკური
ოპტიმ. – ოპტიმისტური
ორგ. –ორგანული
ორთოგრ.–ორთოგრაფიული
ორიგინ. – ორიგინალური
ოროგრ. – ოროგრაფიული
ოსმ. – ოსმალეთისა, ოსმალური
ოფიც. – ოფიციალური
ოქტ. – ოქტომბერი, ოქტომბრისა
პ. – პუნქტი (სახელწოდებასთან)
პათოლ. – პათოლოგიური
პალეონტოლ. – პალეონტოლოგიისა, პალეონტოლოგიური
პარლამ. – პარლამენტისა, პარლამენტური
პარტ. –პარტიული
პარტიზ. – პარტიზანული
პატრ. – პატრიოტული
პედ. – პედაგოგიკისა, პედაგოგიური
პესიმ. – პესიმისტური
პლასტ. – პლასტიკური
პ/მგ – პასუხისმგებელი
პნევმ. – პნევმატიკური
პოლიგრ. – პოლიგრაფიისა, პოლიგრაფიული
პოლიტ. – პოლიტიკური
პოლიტექ. – პოლიტექნიკური
პოლკ. – პოლკოვნიკი (გვართან)
პოპულ. – პოპულარული
პრაქტ. – პრაქტიკული
პროგრ. – პროგრესული
პროვ. – პროვინციისა, პროვინციული
პროფ. – პროფესორი (გვართან)
პროფ. – პროფესიული
პუბლიც. – პუბლიცისტიკისა, პუბლიცისტური
ჟურნ. – ჟურნალი (სათაურთან)
რაოდ. – რაოდენობა
რეგულ. – რეგულარული
რედ. – რედაქცია (ტექსტის შიგნით), რედაქტორი (გვართან)
რედ.-გამომც. – რედაქტორ-გამომცემელი
რევ. – რევოლუციისა, რევოლუციური
რეკონსტრ. – რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციისა
რელიგ. – რელიგიისა, რელიგიური
რეჟ. – რეჟისორი
რესპ. – რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-იც, რ-ებიც – რომელიც, რომლებიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რ-ნი – რაიონი
რ-ნული – რაიონული
რომანტ. – რომანტიკული
რუს. – რუსული, რუსეთისა
რფ – რუსეთის ფედერაცია
რჩ. – რჩეული
რ. ც. – რაიონული ცენტრი (სახელწოდებასთან)
ს. – საუკუნე (თარიღთან), საუკუნის
საავტ. – საავტომობილო
საარტ. – საარტილერიო
საბჭ. – საბჭოთა
საგანმან. – საგანმანათლებლო
სადგ. – სადგური
საეკლ. – საეკლესიო
საერთაშ. – საერთაშორისო
საზ. – საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა – საზოგადოება (ყველა ბრუნვაში)
საზღვ. – საზღვაო
საინჟ. – საინჟინრო
საისტ. – საისტორიო
საკავშ. – საკავშირო
საკ. სახელმწ. – საკუთარი სახელწოდება
სალიტ. – სალიტერატურო
სამართ. – სამართლის, სამართლებრივი
სამედ. – სამედიცინო
სამეცნ. – სამეცნიერო
სამეცნ.-კვლ. – სამეცნიერო-კვლევითი
სამეცნ.-პოპულ. – სამეცნიერო-პოპულარული
სამკურნ. – სამკურნალო
სამრეწვ. – სამრეწველო
სამშ. – სამშენებლო
სამხ. – სამხედრო
სამხრ. – სამხრეთი (მსაზღვრელად)
სამხრ-ით – სამხრეთით
სანიტ. – სანიტარული
სას. – სასულიერო
სას.-სამ. – სასოფლო-სამეურნეო
სასწ. – სასწავლო
სატრანზ.–სატრანზიტო
სატრანსპ. – სატრანსპორტო
საფრ.–საფრანგეთისა
საქ. – საქართველოს (სსრ-თან)
საქ. კპ – საქართველოს კომუნისტური პარტია
საქართვ. – საქართველოს
საშ. – საშუალო
საცხოვრ. – საცხოვრებელი
სახ. – სახელობის
სახ. – სახალხო (სახ. არტისტი, სახ. მხატვარი და მსგავს შემთხვევებში)
სახელმწ. – სახელმწიფო, სახელმწიფოსი
სახვ. – სახვითი (საზღვრულთან)
ს.-დ. – სოციალ-დემოკრატიული (პარტია, ჯგუფი)
სექტ. – სექტემბერი, სექტემბრისა
სვან. – სვანური
სიმფ. – სიმფონიისა,სიმფონიური
სინონ. – სინონიმი
სისტემ. – სისტემატური, სისტემური
სომხ. – სომხეთისა, სომხური
სოფ. – სოფელი (სახელწოდებასთან)
სოც. – სოციალური
სოციალ. – სოციალისტური
სპარს. – სპარსული, სპარსეთისა
სპეც. – სპეციალური
სპეციფ. – სპეციფიკური
სპი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპორტ. – სპორტული
სს. – საუკუნეები, საუკუნეების (ყველა ბრუნვაში)
სსიპ–საჯარო სამართალი იურიდიული პირი
სსრკ–საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სტ. – სტატია
სტანდ. – სტანდარტული
სტატ. – სტატიკური
სტატისტ. – სტატისტიკისა, სტატისტიკური
სტუ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სუბალპ. –სუბალპური
სუბტროპ. – სუბტროპიკული
სურ. – სურათი
ტ. – ტომი (წიგნისა)
ტაბ. – ტაბულა
ტემპ-რა – ტემპერატურა (ყველა ბრუნვაში)
ტერიტ. – ტერიტორია, ტერიტორიული
ტერმ. – ტერმინი
ტექ. – ტექნიკისა, ტექნიკური
ტექნოლ. – ტექნოლოგიისა, ტექნოლოგიური
ტექსტოლ. – ტექსტოლოგიისა, ტექსტოლოგიური
ტექტონ. – ტექტონიკური
ტიპოლ. – ტიპოლოგიური
ტოპოგრ. – ტოპოგრაფიისა, ტოპოგრაფიული
ტრად. – ტრადიციისა, ტრადიციული
ტრანსპ. – ტრანსპორტი, ტრანსპორტისა
ტრიგონომ. – ტრიგონომეტრიისა, ტრიგონომეტრიული
ტროპ. – ტროპიკული
უმაღლ. – უმაღლესი
უნივერს. –უნივერსალური
უნ-ტი – უნივერსიტეტი (ყველა ბრუნვაში)
უფრ. – უფროსი (თანამდებობასთან)
უელეტ. – უელეტეხილი
უცხ. – უცხოური
ფ. – ფუტი
ფაკ-ტი – ფაკულტეტი (ყველა ბრუნვაში)
ფართ. –ფართობი
ფარმაკ. – ფარმაკოლოგიისა, ფარმაკოლოგიური
ფედერ. – ფედერაციისა, ფედერაციული
ფეოდ. –ფეოდალური
ფიზ. – ფიზიკისა, ფიზიკური
ფიზიოლ. – ფიზიოლოგიისა, ფიზიოლოგიური
ფიზკულტ. –ფიზკულტურის, ფიზკულტურული
ფილოლ. – ფილოლოგიისა, ფილოლოგიური
ფილოს. – ფილოსოფიისა, ფილოსოფიური
ფინანს. – ფინანსური
ფ-კა – ფაბრიკა (ყველა ბრუნვაში)
ფონეტ. – ფონეტიკისა, ფონეტიკური
ფოტოგრ. – ფოტოგრაფიისა, ფოტოგრაფიული
ფრანგ. – ფრანგული
ფსევდ. – ფსევდონიმი
ფსიქ. – ფსიქიკური, ფსიქიკისა
ფსიქოლ. – ფსიქოლოგიისა, ფსიქოლოგიური
ქ. – ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქ-ები – ქალაქები (მხოლოდ სახელწოდებასთან)
ქართ. – ქართული
ქართვ. – ქართველი
ქიმ. – ქიმიისა, ქიმიური
ქირურგ. – ქირურგიისა, ქირურგიული
ქ-ნა – ქარხანა (ყველა ბრუნვაში)
ქორეოგრ.–ქორეოგრაფიის, ქორეოგრაფიული
ქრისტ. – ქრისტიანული
ქრონ. – ქრონიკული
ქრონოლ. – ქრონოლოგიური
ქუთ. – ქუთაისი
ყაბ. – ყაბარდოელი, ყაბარდოსი, ყაბარდოული
ყოფ. – ყოფილი
შდრ. – შეადარე
შემდგ. – შემდგენელი
შნშ – შენიშვნა
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჩაჩნ.-ინგ. – ჩაჩნეთ-ინგუშეთისა
ჩრდ. – ჩრდილოეთი, ჩრდილო (ჩრდილო კავკასია-მსაზღვრელად)
ჩრდ-ით –ჩრდილოეთით
ჩრდ.-აღმ. - ჩრდილო-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
ჩრდ.-დას–ჩრდილო-დასავლეთი (მსაზღვრელად)
ც. – ცალი (რაოდენობასთან)
ცენტრ.– ცენტრალური
ცხრ. – ცხრილი
ძვ. – ძველი
ძვ.სტ. – ძველი სტილით
ძვ.წ. – ძველი წელთაღრიცხვით
წ.-კორ. –წევრ-კორესპონდენტი
წ. – წელი (თარიღთან)
წლ. – წლიური
წმ. – წმინდა (სახელთან)
წყალსაც.– წყალსაცავი (სახელწოდებასთან)
ჭან. – ჭანური
ხალხ. –ხალხური
ხელმძღვ. – ხელმძღვანელი
ხელოვნ. – ხელოვნებისა
ხვ.წ. – ხვედრითი წონა, წილი
ხორც. – ხორცატი, ხორცატიისა, ხორვატული
ჰიდროგრ. – ჰიდროგრაფიისა, ჰიდროგრაფიული
ჰიდროლ. – ჰიდროლოგიისა, ჰიდროლოგიური
ჰიდრომეტეოროლ. – ჰიდრომეტეოროლოგიისა, ჰიდრომეტეოროლოგიური
ჰიდროსტ. – ჰიდროსტატიკისა, ჰიდროსტატიკური
ჰიდროტექ. – ჰიდროტექნიკისა, ჰიდროტექნიკური
ჰისტოლ. – ჰისტოლოგიისა, ჰისტოლოგიური
ჰორიზ. – ჰორიზონტალური

სიდიდეთა ჯერადი და წილობითი ერთეულების დასახელებების წარმოსაქმნელი თავსართების შემოკლებული აღნიშვნები

ა – ატო...(10^{-18})
გ – გიგა... (10^{9})
დ – დეცი... (10^{-1})
დკ – დეკა... (10)
კ – კილო... (10^{3})
მ – მილი... (10^{-3})
მგ – მეგა... (10^{6})
მკ – მიკრო ... (10^{-6})
ნ – ნანო... (10^{-9})
პ – პიკო... (10^{-12})
პტ – პეტა... (10^{15})
ს – სანტი... (10^{-2})
ტ – ტერა... (10^{12})
ფ – ფემტო... (10^{-15})
ჰ – ჰექტო... (10^{2})

სიდიდეთა ერთეულების შემოკლებული აღნიშვნები

ა – ამპერი
Å – ანგსტრემი
ა. ე. – ასტრონომიული ერთეული
ა. სთ – ამპერ-საათი
ატ – ატმოსფერო ტექნიკური
ატმ – ატმოსფერო ფიზიკური
ბერ – ბიოლოგიური ეკვივალენტი რენტგენისა
ბრ/წთ – ბრუნი წუთში
გ – გრამი
გბ – გილბერტი
გ-ეკვ – გრამ-ეკვივალენტი
გრად – გრადუსი
გს – გაუსი
^{0}C – გრადუსი ცელსიუსის
დბ – დეციბელი

დკლ – დეკალიტრი
დმ – დეციმეტრი
დნ – დინი
დღ-ღ – დღე-ღამე
ე – ერსტედი
ევ– ელექტრონვოლტი
ერგ – ერგი
ვ – ვოლტი
ვ.ა – ვოლტ-ამპერი
ვბ – ვებერი
ვტ – ვატი
ვტ.სთ – ვატ-საათი
ზ. მილ.– ზღვის მილი
თ – თვე
К – კელვინი
კ – კულონი
კალ – კალორია
კარ – კარატი
კგ – კილოგრამი
კგძ – კილოგრამ-ძალა
კდ – კანდელა
კევ – კილოელექტრონვოლტი
კვრ –კვირა
კვტ – კილოვატი
კვტ.სთ – კილოვატ-საათი
კვძ – კვანძი
კკალ – კილოკალორია
კმ – კილომეტრი
კმოლ – კილომოლი
ლ – ლიტრი
ლმ – ლუმენი
ლქ – ლუქსი
მ – მეტრი
მგ – მილიგრამი
მეგევ – მეგაელექტრონვოლტი
მეგვტ – მეგავატი
მეგომ – მეგაომი
მეგჰც – მეგაჰერცი
მინ – მინუტი
მკმ – მიკრომეტრი
მკფ – მიკროფარადა
მკწმ – მიკროწამი
მლ – მილილიტრი
მმ – მილიმეტრი
მმ ვწყ. სვ. – მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტისა
მმ წყ. სვ.– მილიმეტრი წყლის სვეტისა
მოლ – მოლი
მქს – მაქსველი
ნ – ნიუტონი
ნმ – ნანომეტრი
ნტ – ნიტი
ნწმ – ნანოწამი
ომ – ომი
პა – პასკალი
პზ – პუაზი
პს – პარსეკი
პფ – პიკოფარადა
რ – რენტგენი
რად – რადი
რად – რადიანი
სეკ – სეკუნდი
სთ – საათი
სიმ – სიმენსი
სინ. წ. – სინათლის წელიწადი
სმ – სანტიმეტრი
სნთ – სანთელი
სპზ – სანტიპუაზი
სსტ – სანტისტოქსი
სტ – სტოქსი
სტერ – სტერადიანი
ტ – ტონა
ტლ – ტესლა
ტძ – ტონა-ძალა
ფ – ფარადა
ც – ცენტნერი
ც/ჰა – ცენტნერი ჰექტარზე
ცნ. ძ. – ცხენის ძალა
წ – წელიწადი
წთ – წუთი
წმ – წამი
ჯ – ჯოული
ჰა – ჰექტარი
ჰლ – ჰექტოლიტრი
ჰნ – ჰენრი
ჰც - ჰერცი

შემოკლებები ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებში

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე
ა.ა. – ადგილის აღუნიშვნელად
ავტ. – ავტორი
ავტორეფ. – ავტორეფერატი
ამონაბ. – ამონაბეჭდი
ბიბლიოგრ. – ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფიითურთ
ბიულ. – ბიულეტენი
ბროშ. – ბროშურა
გადამუშ. – გადამუშავებული
გაზ. – გაზეთი
გამოც. – გამოცემა
განმ. – განმეორებითი
განყ. – განყოფილება
გვ. – გვერდი
დამატ. – დამატება, დამატებითი
დამუშ. – დამუშავებული
დის. – დისერტაცია
ენიმკი – აკად.ნ.მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თ. – თავი
თ.ა. – თარიღის აღუნიშვნელად
თანაავტ. – თანაავტორი
თარგმ. – თარგმანი, თარგმნილი
თხზ. – თხზულებანი
თხზ. კრ. – თხზულებათა კრებული
თხზ. სრ. კრ. – თხზულებათა სრული კრებული
ინ-ტი – ინსტიტუტი
კომენტ. – კომენტარები
კრ. – კრებული
კრიპტ. – კრიპტონიმი
ლიტ. – ლიტერატურა
მ. – მუხლი (მმ.–მუხლები)
ნაკვ. – ნაკვეთი
ნაწ. – ნაწილი
პ. – პუნქტი
პ/მგ. რედ. – პასუხისმგებელი რედაქტორი
პუბლ. – პუბლიკაცია
ჟურნ. – ჟურნალი
რედ. – რედაქტორი, რედაქციით
რეფ. – რეფერატი
რეც. – რეცენზია
რჩ. თხზულებანი – რჩეული თხზულებანი
რჩ.ნაწარმ. – რჩეული ნაწარმოებები
საბ. – საბუთი
სათ. – სათაური
სვ. – სვეტი
სტ. – სტატია
ტ. – ტომი
უნ-ტი – უნივერსიტეტი
ფ. – ფონდი
ფსევდ. – ფსევდონიმი
შემდგ. – შემდგენელი
შემოკლ. – შემოკლება, შემოკლებული
შესავ. – შესავალი
წ. – წელი (წწ.–წლები)
წ.ა–წლის აღუნიშნველად
წგ.–წიგნი, წიგნში
წინასიტყვ.–წინასიტყვაობა, წინასიტყვაობით
წ.ჰ. – წელთაღრიცხვა ჰიჯრით
ხელნაწ. – ხელნაწერი

რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე
автореф. – автореферат
АН – Академия наук
б. г. – без года
б. м. – без места
библ. – библиография
в. – выпуск
вступ. ст. – вступительная статья
г. – год
гл. – глава
дисс. – диссертация
докум. – документы, документальный
доп. – дополнение, дополнительный
загл. – заглавие
Избр. произв. – избранные произведения
Избр. соч. – избранные сочинения
изд. – издание, издатель
ин-т – институт
кн. – книга
коммент. – комментарии
ЛГУ – Ленинградский государственный университет
МГУ – Московский государственный университет
назв. – название
огл. – оглавление
отв. ред. – ответственный редактор
отт. – оттиск
пер. – перевод
под ред. – под редакцией
Полн. собр. соч. – полное собрание сочинений
предисл. – предисловие
прил. – приложение
прим. – примечание
псевд. – псевдоним
публ. – публикация
разд. – раздел
ред. – редактор, редакция
реф. – реферат
рец. – рецензия
с. – страница
сб. – сборник
сер. – серия
Собр. соч. – собрание сочинений
сокр. – сокращение, сокращенный
сост. –составитель, составленный
Соч. – сочинения
ст. – статья
стеногр. – стенограмма, стенографический
столб. – столбец
тетр. – тетрадь
т. – том
ун-т – университет
ч. – часть
яз. – язык

ქალაქების სახელწოდებათა შემოკლებანი ბიბლიოგრაფიაში

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე
ბათ.–ბათუმი
თბ.–თბილისი
ლ.–ლენინგრადი
მ.–მოსკოვი
პ.–პეტროგრადი
სოხ.–სოხუმი
სპბ.–სანქტ- პეტერბურგი
ქუთ.–ქუთაისი
ცხინვ.–ცხინვალი

რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე
А.-А. – Алма-Ата
Аш. – Ашхабад
Г. – Горький
Душ. – Душанбе
Ер. – Ереван
К. – Киев
Киш. – Кишинёв
Л. – Ленинград
М. – Москва
М. – Л. – Москва – Ленинград
Новосиб. – Новосибирск
Од. – Одесса
П. – Петроград (Петербург)
Ростов н/Д – Ростов-на-Дону
С. – София
СПб – Санкт-Петербург
Тал. – Таллин
Таш. – Ташкент
Тб. – Тбилиси
Фр. – Фрунзе
Хар. – Харьков

უ ც ხ ო უ რ ე ნ ა ზ ე
Amst. – Amsterdam
Antw. –Antwerpen
B. – Berlin
B. Aires – Buenos Aires
Balt. – Baltimore
Bdpst. – Budapest
Berk. – Berkeley
Brat. – Bratislava
Brux. – Bruxelles
Buc. – Bucureşti
Camb. – Cambridge
Chi. – Chicago
Cph. – Copenhagen, Copenhague
Fr./M. – Frankfurt am Main
Gen. – Genève
Gött. – Göttingen
Hamb. – Hamburg
Hdlb. – Heidelberg
Hels. – Helsingfors, Helsinki
Ist. – Istanbul
Kbh. – København
L. – London
Los Ang. – Los Angeles
Lpz. – Leipzig
Mass. – Massachusetts
Melb. – Melbourne
Méx. – México
Mil. – Milano
Münich – München
N.Y. – New York
Oxf. – Oxford
P. – Paris
Phil. – Philadelphia
Rio de J. – RIo de Janeiro
S. F. – San Francisco
Stockh. – Stockholm
Stras. – Strasbourg
Stuttg. – Stuttgart
W. – Wien
Warsz. – Warszawa
Wash. – Washington
Z. – Zürich

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სვეტი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
		ზემოდან	ქვემოდან		
				I ტომი	
54	II	19—20	—	*ადიღეელები*	ადიღეელები
122	III	—	26	*ლეკნარი წმ. გიორგისა*	*ლეკნარის წმინდა გიორგის ეკლესია*
477	მინდორი	—	—	*მ. ბოხუა*	ნ. ბაღათურია
590	II	—	31—30	*ლევინსონ ლესინგმა*	ლევინსონ-ლესინგმა
				II ტომი	
494	II	—	19	*ლეონარდო და ვინჩის*	ლეონარდო და ვინჩის
				III ტომი	
334	II	—	4—3	*ლეკნარის წმ. გიორგის*	*ლეკნარის წმინდა გიორგის ეკლესია*
383	I	20	—	*ლ. კუტუბიძე*	ლ. კუტუბიძე
				IV ტომი	
14	I	—	2—1	*მანგლისის ტაძარი*	*მანგლისის ტაძარი*
30	I	9—10	—	*კისისხევის* ყველაწმინდის გუმბათოვანი ეკლესია	*კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია*
36	II	21	—	**„თე ლიანი ველი“**	**„თელიანი ველი“**
42	II	27	—	*ლაზიკის*	ლაზიკის
51	I	17—18	—	*„თერჯოლის ღვინის ქარხანა“*	*„თერჯოლის ღვინის მარანი“*
54	III		5	*კახური ქუდი*	*თუშური ქუდი*
98	III	26	—	სტ. იარაღი	სტ. *იარაღი*
106	II		9—8	*თოჯინების სახელმწიფო თეატრი (თბილისის)*	*თოჯინების ქართული თეატრი*
327	III	3	—	*ლამინარია*	*ლამინარიასნაირნი*
473	მინდორი	—	—	მ. დ. კაკაბაძე (დ. 1939)	მ. ვ. კაკაბაძე (დ. 1939)

ქართული ეციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მადლობას უხდის ენციკლოპედია ,,საქართველოში‘‘ გამოყენებული ფოტოებისა და რუკების ავტორებს

სტამბა ,,ფავორიტი სტილი‘‘